ტარიელ ფუტკარაძე

ანი ჯუღაშვილს

# ბევრი რამ ერთად

ცხოვრები, წერილები, ლექსები...

# ბევრი რამ ერთად
## (სტატიები, წერილები, ესეები...)

# Lots of Things Together
## (Articles, Letters, Essays...)




„გამომცემლობა გრიფონი“
2025

# ანოტაცია

წინამდებარე კრებულში შესულია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის იმ სამეცნიერო სტატიების, პუბლიცისტური წერილებისა და ესეების ნაწილი, რომლებიც მან განათავსა სოციალურ ქსელში 2010-2020 წლებში. მათში ასახულია თვალსაზრისები ქართველოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისა და პოლიტიკური ცხოვრების გამოწვევებზე, რომელთა განსჯა და გამოსავლის ძიება საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა და მასწავლებლის მთავარ მოწოდებად იქცა.

ზოგადი ხასიათის საკითხებთან ერთად, კრებულში ასევე წარმოდგენილია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ავტობიოგრაფიული ეპიზოდები, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს მისი პიროვნების განუყოფლობას სამყაროსგან – მის მუდმივ კავშირს სამშობლოს წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან.

კრებული განკუთვნილია როგორც ქართველოლოგიის დარგში მომუშავე სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისათვის; მისი გაცნობა ბევრ საყურადღებო ინფორმაციას შესძენს დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორები:
**იამზე ვაშაკიძე**
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ნათია ფუტკარაძე**
ენათმეცნიერი, დოქტორი
ინსტიტუტ „ტექინფორმის” მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,

**რატი ფუტკარაძე**
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მხატვარი
**ილია ჭრელაშვილი**

„გამომცემლობა გრიფონი“
აკ. წერეთლის გამზ. №72

ISBN 978-9941-522-04-8
DOI: 10.52340/PUTKARADZE/mngrph-978-9941-522-04-8

## Abstract

The present collection includes a part of the scholarly articles, publicistic letters and essays of Prof. Tariel Putkaradze, which he posted on social networks in 2010-2020. They reflect his viewpoints on current issues of Kartvelian studies (Kartvelology), the challenges of the recent history and political life of our country, the assessment of which and the search for solutions to which have become the main meaning of life of a public figure, scientist and teacher.

Along with general issues, the collection also presents autobiographical episodes of Prof. Tariel Putkaradze, which once again demonstrate the inseparability of his personality from the world – his constant connection with the past, present and future of his homeland.

The collection is intended for both specialists working in the field of Kartvelian studies and the general audience; familiarization with it will provide interested readers with a lot of significant information.



Editors:

**Iamze Vashakidze**
Associate Professor, Caucasus University

**Natia putkaradze**
PhD in Linguistics
Principal Research Fellow, Institute "Techinformi"

**Rati Putkaradze**
Deputy head of Information Technology and Monitoring Department, Personal Data Protection Service


Artist
**Ilia Tchrelashvili**


"PUBLISHING HOUSE GRIFONI"
72 Akaki Tsereteli ave.

ISBN 978-9941-522-04-8
DOI: 10.52340/PUTKARADZE/mngrph-978-9941-522-04-8

# წინასიტყვაობა

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივმა მოღვაწეობამ ერთგვარი ასახვა ჰპოვა მის სამეცნიერო სტატიებში, პუბლიცისტურ წერილებსა და ესეებში, რომლებიც თავმოყრილია კრებულში „ბევრი რამ ერთად“.

მეცნიერული, საბჭოთა იდეოლოგემებისაგან თავისუფალი ქართველოლოგია, სახელმწიფო ენის კონსტიტუციური უფლება ქვეყნის ტერიტორიაზე, ქართველური დიალექტები, საქართველოს ისტორიულ საზღვრებს მიღმა დარჩენილი თანაფესვების მეტყველება და ეთნოგრაფიული ყოფა, კულტურის ძეგლები... ქართული სახელმწიფოებრიობა და თანამედროვე გამოწვევები, გამორჩეული თანამედროვენი, მეგობრები, ახალი თაობის აღზრდის პრობლემები – იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც პროფ. ტარიელ ფუტკარაძემ საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქცია აკადემიურ სივრცესა და სოციალურ ქსელშიც. ეს უკანასკნელი მისთვის, როგორც თავად წერს, „პირადი გაზეთისა თუ პირადი ტელევიზიის ფუნქციის“ მქონეა, რომელსაც „სიკეთისათვის, მაგ., განათლებისათვის იყენებს“; განათლება ერთადერთ გზად მიაჩნია საზოგადოების „სწორი ორიენტირების“ ჩამოყალიბებისათვის, ამ რთულ პროცესში კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურობას და „პოზიტიურ შედეგზე“ გათვლილ ნაბიჯებს, ასევე „ფიზიკური თუ სულიერი შვილების“ – მომავალი თაობის აღზრდას (28 თებერვალი, 2018).

მკითხველი ნაშრომში შეხვდება ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი წერილების წლების მიხედვით განსხვავებულ ვარიანტებსაც: ავტორი გამუდმებით უბრუნდება პრობლემურ საკითხზე მსჯელობას, რაც აშკარად მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის საკითხის მართებულად გადაჭრის გზების ძიება.

ტექსტში იოლად ორიენტირების მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ კრებულის მასალა თემატურად გაგვემიჯნა, თუმცა თემებს შორის იმდენად მჭიდრო კავშირია, რომ ზოგ შემთხვევაში გაჭირდა კიდეც ზღვრის გავლება.

მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, წინამდებარე კრებული წარმოადგენს **ახალი ტიპის სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომს**, რომლის მეშვეობითაც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, გაეცნოს პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ნაფიქრ-ნააზრევს ქართველოლოგიურ თემებსა თუ ჩვენი თანამედროვეობისათვის მტკივნეულ საკითხებზე.

**P.S.** ჯერ კიდევ 2020 წლის გაზაფხულზე, თვითონ ტარიელის სურვილით, მისმა შვილებმა და ძმიშვილებმა გამოსაცემად თავი მოუყარეს კრებულის მასალებს; მე ტექსტის რედაქტორობა ვითავე.

როდესაც ჩვენმა 5 წლის შვილიშვილმა ანიმ მაგიდაზე საკანცელარიო ფურცლების დასტა დაინახა, მაშინვე წითელი ფანქარი მოიმარჯვა დასახატავად.

– ანი, ეს ბაბუკოს ნაწერებია, ამაზე დახატვა არ შეიძლება, – თხოვნით მოვესიყვარულე პატარას; ამ დროს ტარიელი შემოვიდა ოთახში და ანიმ პირდაპირ მას მიმართა:

– ბაბუკო, ეს რა არის?

– ჩემი ნაწერებია.

– აქ რა წერია?

– აქ წერია ტარიელ ფუტკარაძე.

– მაშინ ქვეშ ჩემი სახელი და გვარიც დაწერე.

– კარგი, – ტარიელმა მაშინვე გამოართვა ანის ფანქარი და „დავალება“ შეასრულა.

ასე გაჩნდა კრებულის ავტორის ქვეშ, მისივე ხელწერით, პატარა „თანაავტორი“; ახლა თითქოს სიმბოლურიც ჩანს ეს ეპიზოდი – დასასრულისა და დასაწყისის უწყვეტობა...

**P.P.S.** კრებულის მასალებში მითითებული იმ პერიოდისათვის აქტიური და მოქმედი ბმულების ნაწილის გახსნა, გარკვეული მიზეზების გამო, ახლა ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ საკითხის ისტორიისათვის მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მათი დატოვება.

**იამზე ვაშაკიძე**
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

# Foreword

Prof. Tariel Putkaradze's multifaceted work has found a kind of reflection in his scientific articles, publicistic writings and essays, which are collected in the collection „bevri ram ertad" [Many Things Together].

Scholarly Kartvelogology, free from Soviet ideologemes, the constitutional right of the state language on the territory of the country, Kartvelian dialects,

The speech, ethnographic life-style and cultural monuments of the co-roots (compatriots), left beyond the historical borders of Georgia... Georgian statehood and modern challenges, outstanding Contemporaries, friends, problems of raising a new generation – this is an incomplete list of issues that Prof. Tariel Putkaradze has made a subject of public discussion in the academic space and social networks. The latter, as he himself writes, has "the function of a personal newspaper or personal television" for him, which he "uses for kindness, e.g., for education"; Education is considered the only way to form the "right point of **orientation**" of the society, and in this difficult process, it attaches special importance to the activity of each member of society and steps aimed at "positive results", as well as to the upbringing of "physical or spiritual children" – the future generation (February 28, 2018).

In the work, the reader will encounter different versions of letters written on the same topic over the years: the author constantly used to return to discussing the problematic issues, which clearly demonstrates how important it was for him to find the ways to properly resolve the issue.

In order to easily orient the reader, we have tried to divide the written works into themes, however, in some cases it was difficult to draw a border between the study fields because of the author's interdisciplinary approach to the issues.

Given the specificity of the material, this collection is a **new type of popular-scientific work**, through which the readers have the opportunity to get acquainted with the thoughts and ideas of Prof. Tariel Putkaradze on Kartvelological topics or issues that are painful for our modernity.

**P.S.** Back in the spring of 2020, at Tariel's own request, his children and nephews gathered the materials for the collection for publication; I took on the role of editor of the text.

When our 5-year-old granddaughter Ani saw a stack of papers on the table, she immediately grabbed a red pencil to draw on.

– "Ani, these are „Babuko's" (grandpa's) writings, it is not allowed to draw on them," I asked with love to the little one; at that moment Tariel entered the room and Ani addressed him directly:

– "Babuko, what are these?"

– "These are my writings."

– "What is written here?"

– " Tariel Putkaradze is written here."

– "Then write below my name and surname too."

– "Okay," Tariel immediately took Ani's pencil and completed the "task."

Thus, a small "co-author" appeared under the author of the collection, by his own handwriting; now this episode seems symbolic – the continuity of the end and the beginning...

**P.P.S.** For certain reasons, opening some of the active and valid links for that period indicated in the materials of the collection, is now practically impossible, but for the history of the issue we still considered it necessary to leave them as the have been cited.

**Iamze Vashakidze**
Associate Professor, Caucasus University

# სარჩევი
# Content

**1. ქართველოლოგია**.....29
**Kartveliology**
**1.1. წერილები, ესეები**.....29
**Letters, Essays**
**1.1.1. ენობრივი პოლიტიკა, განათლება, მეცნიერება**.....29
**Language Policy, Education, Science**
სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი!.....31
The State Language – a Measure of the Country's Dignity!
დამატებითი განმარტება თემაზე: „სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი“.....31
Additional Explanation on the Topic: "The State Language – a Measure of the Country's Dignity"
„შავი ხვრელები“ თანამედროვე საქართველოში.....32
"Black Holes" in Modern Georgia
14 აპრილი.....33
April 14
14 აპრილი – ქართველთა დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?.....34
April 14 – Georgian Mother Tongue Day or Georgian State Language Day?
ქართული ენის კურსები.....34
Georgian Language Courses
ზღაპრული კომბლე თავს იცავს მოძალადისაგან! ზღაპრული კომბლე ნამდვილად კარგი ადამიანია!.....36
A Fairy-tale Komble (a Man Who Makes Wooden Cudgels to Depend His Sheep) Protects Himself from the Abuser! A Fairy-tale Komble is a Truly Good Person!
მეცნიერება და ორიენტირები.....37
Science and Points of Orientation
კალაძისა და ბერძენიშვილის შეცდომა: ეთნოსი თუ სუბეთნოსი? და... იაკობ გოგებაშვილის სიბრძნე.....40
Kaladze and Berdzenishvili's Mistake: Ethnos or Subethnos? And... The Wisdom of Iakob Gogebashvili
პრობლემები ენის პოლიტიკის სფეროში.....41
Problems in the Field of Language Policy
დიდი მადლობა!.....42
Thank You Very Much!
მეცნიერების დაფინანსება თანამედროვე რეალობაში /ქართველოლოგიის კონტექსტი/.....43
Funding of the Science in Modern Reality /Context of Georgian Studies/
რას ნიშნავს: რეგიონული ენა, უმცირესობის ენა, ტერიტორიის არმქონე ენა „რეგიონული ან უმცირესობის ევროპული ქარტიის“ მიხედვით?.....46

What Does It Mean: Regional Language, Minority Language, Language Without a Territory According to the "European Charter for Regional or Minority Languages"?
14 აპრილი – დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?.....50
April 14 – Mother Language Day or Georgian State Tongue Day?
საუკუნო საქმე.....52
An Perpetual Affair
რატომ არ გვიცნობენ თანამედროვე მსოფლიოში?.....52
Why Are We Not Recognized in the Modern World?
ჟურნალი "მოამბე" (1894-1905 წლები).....54
Magazine "Moambe" (1894-1905)
**1.1.2. სამეცნიერო კონცეფცია, კონკურსები, რუსთაველის ფონდი**.....55
**Scientific Concept, Competitions, Rustaveli Foundation**
პირადი ანგარიშსწორება თუ ...?.....57
Personal Revenge or ...?
ტარიელ ფუტკარაძე: სამეცნიერო კონცეფცია და პოლიტიზებული საუნივერსიტეტო კონკურსი.....58
Tariel Putkaradze: Scientific Concept and Politicized University Competition
დიალოგი თავით პაიჭაძესთან.....64
Dialogue with Davit Paichadze
საანალიზოდ საინტერესო ინფორმაცია: არჩევა თუ შერჩევა.....67
Interesting Information for Analysis: Choose or Selection
"ფსევდორუსთველური" ფონდის ინერცია.....68
The Inertia of the "Pseudo-Rustvelian" Foundation
მეცნიერების პოლიტიზება და რუსთაველის ფონდი.....69
Politization of Science and the Rustaveli Foundation
კრიტიკული ანალიზი.....70
Critical Analysis
დღევანდელი სასამართლო პროცესი.....72
Today's Court Proceeding
„ფეიკი" და რეალობა.....74
"Fake" and Reality
აკადემიური შურისძიება თუ ინტერესთა კონფლიქტი?.....79
Academic Revenge or Conflict of Interest?
თსუ და კონკურსები.....79
TSU and Competitions
ქართველი ჯორჯ ჰიუიტები, უსამართლო სასამართლო და ახალი რუსთაველის ფონდი.....80
Georgian George Hewitts, Unjust Court Proceeding and the New Rustaveli Foundation
**1.1.3. მასწავლებელი**.....87
**The Teacher**
ვინც გენდობა, მას, როგორც ანგელოზს, უნდა მოექცე!.....89

You Should Treat Those, Who Trust You, Iike Angels!
მოვლუდი....89
Movlud
ბარბარობა....93
Saint Barbara's Day
სახელოვანი იუნკრის წერილი თანამედროვე ახალგაზრდებს....94
A Letter from a Famous Junker to Modern Youth
საქართველოს საუკეთესო შვილებო, ჩემო სტუდენტებო!....96
The Best Children of Georgia, My Students!
ვინ არის თანამედროვე პოეტი/მწერალი?....98
Who is a Modern Poet/Writer?
როგორ გავხდი მილიარდერი :)....99
How I Became a Billionaire :)
დაბოლება და წალეკვა ....101
The End and the Flooding
შველის ნუკრი....102
The Fawn
ნეოლიბერალიზმის მანკიერება ....104
The Evil of Neoliberalism
შოთიკო და მაია <3 <3 ....104
Shotiko and Maya <3 <3
"ის ურჩევნია მამულსა"... ....107
"The Motherland Prefers It"...
ცხოვრებისეული ფილოსოფია ....108
Life Philosophy
ეროვნული უკვდავების "წამალი"....108
The "Key" to National Immortality
პირადი მაგალითი ....109
Personal Example
**1.1.4. ირანის და თურქეთის ქართველები**....111
**Georgians of Iran and Turkey**
საიდ მულიანი და ფევზი ჩელები....113
Saeid Muliani and Fevzi Chelebi
აბულყასიმ აჰმადი: „მთელი ცხოვრება მესიზმრებოდა, რომ საქართველოში ვარ"....113
Abulghasem Ahmadi: "All My Life I Have Been Dreaming of Being in Georgia"
იმედია, ქართული ენის ტაოურ დიალექტს ყველა გაიგებთ ....115
I Hope Everyone Will Understand the Taoan Dialect of the Georgian language
ჯუნეით დიასამიძე იშვიათი ქართველია....115
Juneit Diasamidze is a Distinguished Georgian
ნაცარში ნაკვერჩხლად შემონახული ქართველობა/იმერხეველი ქართველის

სიმღერის ვიდეოჩანაწერზე/ .....116
Georgianness Preserved As Embers in Ashes / On the Video Recording of the Imerkhevian Georgian's Song/
ტაო-კლარჯეთი 2015: დღიურული ჩანაწერები: დღე პირველი, დღე მეორე.....116
Tao-Klarjeti 2015: Diary Entries: Day One, Day Two
ტაო-კლარჯეთი 2015: დღიურული ჩანაწერები: დღე მესამე.....121
Tao-Klarjeti 2015: Diary Entries: Day Three
ქარქუა.....122
Karkua
ირანი; ფერეიდანი; ზარნის სომხური ეკლესია და კიდევ ერთი ძველი ტკივილის ახალი განცდა.....122
Iran; Fereydan; The Armenian Church of Zarn and a New Feeling of Another Old Pain
2014 წლის 26 ივნისი; ირანი, ფერეიდანი; სოფელი თორელი; აბულყასიმ აჰმადის სახლი.....124
June 26, 2014; Iran, Fereydan; Toreli Village; Abulghasem Ahmadi's House
ირანი, ფერეიდანი: სიბაქი (ვაშლოვანი). ზაზა გუგუნაშვილი.....125
Iran, Fereydan: Sibak (Vashlovani). Zaza Gugunashvili
ორი გზა: ქართველები ირანში.....125
Two Roads: Georgians in Iran
ორი გზა ფერეიდნამდე.....126
Two Roads to Fereydani
დინჩერი.....130
Dincher
ABDULLAH ÇELEBİOĞLU: „BİLİRMİSİN GÖÇ NEDİR?“ / აბდულაჰ ჩელებიოღლუ: „შენ იცი, რა არის მუჰაჯირობა?“.....131
ABDULLAH ÇELEBİOĞLU: "BİLİRMİSİN GÖÇ NEDİR?" / Abdullah Chelebioghlu: "Do You Know What Muhajirness is?"
ბორა.....133
Bora
ერდოღანი, იგივე, ერეკლე :).....137
Erdogan, the Same Erekle :)
31 დღე ფეხით ფერეიდნიდან თბილისამდე!.....138
31 Days on Foot from Fereydani to Tbilisi!
ღირსეული წინაპრების შვილები.....139
Children of Honorable Ancestors
კონსოლიდაცია!.....140
Consolidation!
დოკუმენტური მასალა ფერეიდნელი ქართველების შესახებ.....143
Documentary Material about the Georgians of Fereydani
ირანში გამოცემულ წიგნზე .....144

On the Book Published in Iran
**1.1.5. დაკვირვებები, მოსაზრებები**.....145
**Observations, Opinions**
ნაკითხობის, სიბრძნისა და გმირობის შესახებ.....147
On Literacy, Wisdom and Heroism
კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია.....149
Konstantin Gamsakhurdia's Language Concept
მოკლე ინფორმაცია ორი ეთნონიმის შესახებ.....149
Brief Information on Two Ethnonyms
მეკვლე, თოვლის ბაბუა და სანტა კლაუსი.....150
Mekvle, Grandfather Frost and Santa Claus
ნამდვილი სიყვარული და იმედგაცრუება.....152
True Love and Disappointment
უმადური, უნიათო... და უბიწო.....153
Ungrateful, Sluggish... and Unblameable
ვინ მოკლა ილია? სილოვან ხუნდაძის ვერდიქტი.....154
Who Killed Ilia? Verdict of Silovan Khundadze
ქრისტე აღსდგა!.....155
Christ is Risen!
ვისთვის ვინ არის ორიენტირი... .....156
Who Is a Point of Orientation for Whom...
იოანე მინჩხი – ქართლის მკვიდრი.....156
Ioane Minchkhi – A Resident of Kartli
"საწუხ არს ესე" 29 წლის შემდეგ.....156
"This is Sorrowful" 29 Years Later
ნინოობა.....158
St. Nino's Day
აჭარა და დიდაჭარა.....159
Achara and Didachara
გვარების წარმოშობა და წარმოება.....160
The Origin and Derivation of Surnames
საჯარო ლექცია ზე-კართან.....162
Public Lecture at "Ze-kari"
ახალი წიგნი.....163
New Book
კათოლიკოს-პატრიარქის ახალი ტრაქტატი.....164
New Treaty of the Catholicos-Patriarch's 231
ხულოს არწივი :).....166
Khulo's Eagle :)
„აჭარული ლექსიკონის" ფეისბუკგვერდის შემქმნელებს.....167

To the Creators of the “Acharian Dictionary” Facebook Page
რა კავშირია “სუფსასა” და “მაფშალიას” შორის?.....172
What is the Connection Between “Supsa” and “Mapshalia”?
თედო სახოკია შუბანში.....172
Tedo Sakhokia in Shubani
გამოკვლევა შუბნის თემის შესახებ.....173
Research on the Shubani Community
საინტერესო ფაქტი.....174
Interesting Fact
“ახალციხის რაბათის” შესახებ.....174
About the “Akhaltsikhe Rabati”
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” კიდევ ერთი ღირსეული წევრის ბიოგრაფია /
გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძე/.....175
Biography of Another Worthy Member of the “The Society for the Spreading of
Literacy Among Georgians” / Giorgi Beridze Son of Alexander /
დიდებული ქართველები.....176
Great Georgians
აგარა – იალაღი.....177
Agara – Summer Pastures
ღვინო და ვენახი.....177
Wine and Vineyard
ადამიანი და კაცი.....178
Human and Man
**1.1.6. მშობლიური სანახები**.....179
**Native Views**
თამარ მეფის გზა.....181
The Road of Queen Tamar
სამეგრელოში – საქართველოს გულში.....181
In Samegrelo – in the Heart of Georgia
ფესვძლიერი მოხევეები და ახალი ბერ-მონაზვნების გაკვეთილი.....182
The Deep-rooted Mokhevians and the Lesson of New Monks
ლეჩხუმი: ახალი ტაძარი და გაცოცხლებული მწვანე ტბა.....184
Lechkhumi: a New Church and a Revived Green Lake
ბავშვობიდანვე ვიცოდი... .....186
I Knew it Since Childhood...
ჩირუხის აგარებისაკენ.....187
Towards the Chirukhi Vews
დიდგორობა კუნტიჯვარში.....189
Didgoroba at Kuntijvari
თამარის გზა გოგლავრიდან კუნტიჯვარამდე.....190

Tamar's Road from Goglavri to Kuntijvari
ბებერაულის ეკლესია.....192
Beberauli Church
**1.2. სტატიები, მოხსენება, თეზისები**.....195
**Articles, Reports, Theses**
თურქეთის მოქალაქე ავტოქთონ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობისათვის
(ტაოელი ქართველები).....197
For the Linguistic-ethnic Identity of Autochthonous Georgians, Citizens of Turkey (Taoan Georgians)
სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები.....201
Svans: Habitat, Mother Tongue, Dialects
სწორფერნი ანუ სიყვარული, მორალი და ვნება [1].....209
Peers (Beloved Ones, to Whom Marriage is Forbidden) or Love, Moral and Passion [1]
მიტევებისა და განსაცდელის მიმართების ლინგვისტური და ფსიქოლოგიური წახნაგები
("მამაო ჩვენოს" ტექსტის მიხედვით).....214
Linguistic and Psychological Aspects of the Relationship between Forgiveness and Ordeal
(according to the Text of the " Lord's Prayer (Pater Noster)")
ზურაბ გორგილაძის "მწუხარება" და "მქუხარება".....220
Zurab Gorgiladze's "Sorrow" and "Booming"
დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის საუკუნოვანი ქართული იდეა
(ისტორიული კონტექსტი).....223
The Centuries-Old Georgian Idea of Equality Between Men and Women (Historical Context)
თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა.....230
Modern Batumi: Conflict of Interests and Perspective
პასიური საზოგადოების პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით.....242
The Problem of a Passive Society According to Ilia Chavchavadze's Works
საერთოქართველური ენა და კოლხური არქეოლოგიური კულტურა.....247
The Common Georgian Language and Colchian Archaeological Culture
ქართველობის განმსაზღვრელი მახასიათებლები ივერიელთა ძველი (1790 წ.) და
ახალი (2009 წ.) ტრაქტატის მიხედვით.....248
The Defining Characteristics of Georgianness According to the Old (1790) and
New (2009) Treaties of the Iverians
არნ. ჩიქობავა: გაზეთი „კომუნისტი", 1958, #146 და გაზეთი „სამშობლო", 1969, 22 აგვისტო,
ქართველთა ენობრივი სამყაროს გადარჩენის ამოცანა, გერმანული გამოცდილება და
არნ. ჩიქობავას პოზიცია.....250
Arn. Chikobava: Newspaper "Communist", 1958, #146 and Newspaper "Samshoblo (Motherland)",
1969, August 22, The Task of Saving the Linguistic World of Georgians, German Experience and
Arn. Chikobava's Position 358
ვინ არიან „ქართლის ცხოვრების" სომხები?.....255
Who Are the Armenians of "The Georgian Cronicles"?
ქრისტე აღსდგა!.....256

Christ is Risen!
საფუძველი ჩავუყაროთ დიდაჭარის ახალ ისტორიას!.....258
Let's Lay the Foundation for a New History of Didachara!
ალავერდი შენთან!.....262
Alaverdi is with You!
დისკუსია გორში ბუნთურქებისა და ყივჩაყების შესახებ.....268
Discussion in Gori about the Bunturks and Kipchaks
ჩვენი ეკლესიის ორიენტირები.....281
Points of Orientation of Our Church
**1.3. რეცენზია / გამოხმაურება**.....299
**Review / Feedback**
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის წარდგენა (23.03.2012).....301
Presentation of the Book by Metropolitan Bishop Anania Japaridze (23.03.2012)
დიდი გულისტკენა აჭარაში და პოეტ შოთა ზოიძის ემოციური პასუხი.....305
Great Heartbreak in Achara and Emotional Response by Poet Shota Zoidze
საქართველოს ეკლესია ისტორიულ გზაჯვარედინზე.....306
The Georgian Church at a Historical Crossroads
როსტომ ჩხეიძე: ირაკლი წერეთლის "რეკვიემი სინანულისა".....310
Rostom Chkheidze: Irakli Tsereteli's "Requiem for Repentance"
მეცნიერების ქალური სიყვარული.....311
The Feminine Love of Science
რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი ეგზარქოსი მეცნიერული თვალთახედვით.....314
The Exarch Carrying out Russification Policy from a Scholarly Point of View
ტრაგედიაცაა და ტრაგედიაც!.....317
It is a Tragedy – The Tragedy Indeed!
გიორგი სოსიაშვილის ცხოვრებისეული ფილოსოფია და ენობრივი სამყარო.....318
Giorgi Sosiashvili's Philosophy of Life and the Linguistic World
პირამიდის წვერიდან დანახული ილიას ეპოქა /როსტომ ჩხეიძის „მუხა უდაბნოში:
ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა"/.....324
The Epoch of Ilia Seen from the Top of the Pyramid /Rostom Chkheidze's "Oak in the Desert:
Chronicle of the Life of Ilia Chavchavadze"/
**1.4. ინტერვიუები**.....327
**Interviews**
ქართველს, რომელიც დედაენას უარყოფს, მომავალი არა აქვს!.....329
A Georgian, Who Denies Own Mother Tongue, Has No Future!
ევროპული ქარტია რეგიონული ენების შესახებ.....331
European Charter for Regional Languages
მეგრული ენაა თუ დიალექტი? (ნაწილი II) – ინტერვიუ
პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან.....337
Is Megrelian a Language or a Dialect? (Part II) – Interview with Professor Tariel Putkaradze

**2. პოლიტიკური თემები**.....339
**Political Topics**
**2.1. წერილები, ესეები.**.....339
**Letters, Essays**
**2.1.1. დევნილი პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო**.....339
**The Exiled President and the Supreme Council**
პრეზიდენტი დღევანდელი გადასახედიდან.....341
The President from Today's Perspective
ვალტერ შურღაია – ტრაგიკული გმირი.....342
Valter Shurgaia – A Tragic Hero
ტკივილიანი ფიქრი – რეალობიდან რეალობამდე.....345
Painful Thoughts – From Reality to Reality
საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას.....347
To the State Constitutional Commission of Georgia
ნოდარ იმნაძე – ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია.....348
Nodar Imnadze – The Tragic Story of a Brave Man
ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1991 წლის 9 აპრილს.....352
Zviad Gamsakhurdia's Speech on April 9, 1991
მიმართვა საქართველოს მოსახლეობას.....353
Address to the Population of Georgia
რატომ არ გამოიძია მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა?.....355
Why Didn't Mikheil Saakashvili Investigate the Murder of Zviad Gamsakhurdia?
პატარა მაოხრებელი გზირი.....359
A Small Devastating Village Elder's assistant
ათი თეზა ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ფენომენის შესახებ.....361
Ten Theses on the Bokeria-Chergoleishvili Phenomenon
**2.1.2. ისტორიული თარიღები და მოვლენები**.....367
**Historical Dates and Events**
საქართველოს დამოუკიდებლობა.....369
Independence of Georgia
9 აპრილი – გეოპოლიტიკური რევოლუცია.....370
April 9 – Geopolitical Revolution
სიმბოლური თარიღების ბედი პოსტსაბჭოთა საქართველოში:
26 მაისი, 14 აპრილი, 9 აპრილი.....377
The Fate of Symbolic Dates in Post-soviet Georgia: May 26, April 14, April 9
25 თებერვლის კონტექსტში.....378
In the Context of February 25
გილოცავთ 14 აპრილს.....379
Congratulations on April 14
9 აპრილი და 26 მაისი.....380

April 9 and May 26
26 მაისი....381
May 26
22 დეკემბერი....382
December 22
9 მარტს დახვრეტილი საქართველო....383
Georgia Shot on March 9
ახალ თაობას....383
To the New Generation
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავი....384
The 25th Anniversary of the Restoration of Georgia's Independence
დღეს 28 ოქტომბერია....386
Today is October 28
რამდენად ლოგიკურია 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავის აღნიშვნა?....387
How Logical Is It to Celebrate the 25th Anniversary of Georgia's Independence on May 26?
25 წელი მოსეს უდაბნოში....390
25 Years in the Desert of Moses
სისხლიანი 25 თებერვალი ერთი ნათელი სხივით....391
Bloody February 25 with One Bright Ray
1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი....392
The Referendum of March 31, 1991, and the Act of Restoration of Independence of Georgia on April 9, 1991
25 თებერვალი და 7 მარტი – საზეიმო დღეები თუ ტრაგიკული დღეები?....395
February 25 and March 7 – Celebratory Days or Tragic Days?
31 მარტი: გილოცავთ!....396
March 31: Congratulations!
საოცარი დუმილი 9 აპრილს....397
Amazing Silence on April 9
უზენაესი საბჭო და 9 აპრილის აქტი....399
The Supreme Council and the April 9 Act
28 ოქტომბერი....399
October 28
გილოცავთ 9 აპრილს!....400
Congratulations on April 9!
9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე....402
April 9 – Independence Day of Georgia
ერთიანი პასუხი ძველ თუ ახალ ზოგ ისტორიკოსს, ასევე, "ისტორიკოსებს"....404
Common Response to Some Old or New Historians, as Well as to "Historians"

გილოცავთ 26 მაისს.....405
Congratulations on May 26
რუსეთი ოკუპანტია! “კართაგენი უნდა დაინგრეს”!.....406
Russia is an Occupier! “Carthage Must Be Destroyed”!
14 ნოემბერი.....407
November 14
**2.1.3. საგარეო პოლიტიკის წახნაგები**.....409
**The Facets of the Foreign Policy**
რუსეთის მოსახლეობის აღწერა (2010) და მორიგი სვლა ქართველი ერის დასაშლელად.....411
The Russian Census (2010) and Another Move to Disintegrate the Georgian Nation
ვინ არის არტაკ ზაქარიანი და რატომ ავრცელებს დეზინფორმაციას?.....412
Who is Artak Zakaryan and Why is He Spreading Disinformation?
Geopolitical Dilemma გეოპოლიტიკური დილემა.....414
საქართველო და გეოპოლიტიკა.....415
Georgia and Geopolitics
საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი წახნაგები 05.02.2013.....416
Main Facets of Georgia’s Security Concept 05.02.2013
ირიბი პასუხი ამერიკის ელჩს.....421
Indirect Response to the American Ambassador
ნატო და ევრაზიის კავშირი.....423
NATO and the Eurasian Union
უსაფრთხოების კონცეფცია... .....423
Security Concept...
მინარეთი და ქართული ენა.....425
Minaret and the Georgian Language
ევროკავშირი და ევრაზიული კავშირი.....438
EU and the Eurasian Union
ახალი ნაღმები გალში.....439
New Mines in Gali
კერკეტი კაკალი.....440
Tough Nut
ასოცირების ხელშეკრულების აღნიშვნა ირანში: კარგია ევროკავშირთან ინტეგრაცია, თუ... ....441
Celebration of the Association Agreement in Iran: Integration with the EU is Good, Or...
ბერლინის კედლის დამანგრეველი თუ დამანგრეველი?.....441
A Destroyer of the Berlin Wall or Destroyer
რატომ ვერ ხედავთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი წარმატებულ საინფორმაციო ომს აწარმოებს?.....442
Why Can’t You See, that Russia is Waging a Successful Information War Against Georgia?
ნატო შავ ზღვაში და... დარჩენილი თვეები.....443
NATO in the Black Sea and... the Remaining Months

იაპონია და 2017 წლის 9 აპრილის რეფერენდუმი ცხინვალის მხარეში.....444
Japan and the April 9, 2017 Referendum in the Tskhinvali Region
16 საუკუნის წინანდელი არჩევანის გამყარება!.....447
Reinforcing a 16-century-old Choice!
საინტერესო შეხვედრა თურქეთის ელჩთან.....448
Interesting Meeting with the Turkish Ambassador
რა შემთხვევაში დაგვღუპავს ჩვენ დასავლეთი?.....449
In What Case Will the West Destroy Us?
რეზო კემულარიასა და ჩემი დღევანდელი საუბრის რეზიუმე.....453
Summary of Rezo Kemularia's and My Conversation Today
ადრე რუსეთის გამო ირანი გვტანჯავდა, ახლა ამერიკის გამო – რუსეთი... :( .....454
Erlier, Iran Was Tormenting Us Because of Russia, Now Russia is Tormenting Us Because of America... :(
რუსული ეკლესიის აგრესიის შესახებ.....454
About the Aggression of the Russian Church
მოდიან... .....455
They are Coming...
დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ.....456
About the David Gareji Monastery Complex
რუსეთი ოკუპანტია!.....457
Russia Is an Occupier
გეოპოლიტიკა და ჩვენი ეკლესია.....458
Geopolitics and Our Church
საქართველო, კავკასია, ნატო და ნეიტრალიტეტი.....463
Georgia, the Caucasus, NATO and Neutrality
დღესაც კი საინფორმაციო ომში მტრის (რუსების) მხარეს უახლესი ისტორიის გაყალბებით....464
Even Today on the Side of the Enemy (Russians) in the Information War By Falsifying Recent History
დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირება.....465
A Great Geopolitical Confrontation
საქართველოს პროდასავლური კურსის გამო.....465
Because of Georgia's Pro-Western Course
პატივს ვცემ ამერიკის არჩევანს.....466
I Respect Choice of America
მივესალმები 17 ნოემბერს მაიკლ პომპეოს ჩამოსვლას!.....466
I Welcome the Arrival of Mikle Pompeo on November 17!
პომპეო: "I Reaffirmed Unwavering U.S. Support for Georgia's Sovereignty in the Face of Russian Occupation".....467
Pompeo: "I Reaffirmed Unwavering U.S. Support for Georgia's Sovereignty in the Face of Russian Occupation"
**2.1.4. შიდაპოლიტიკური პრობლემები**.....469
**Domestic Political Problems**

პუტჩისტის ახალი ავანტიურა.....471
A New Reckless Venture of the Putschist
სტეფანიანის შეცდომა.....471
Stefanyan's Mistake
20.30 სთ. 30.09.2012. .....471
20.30 Hrs. 30.09.2012.
ვისთვისაა საჭირო საქართველოში ქართველთა ავტონომიური რესპუბლიკა?.....472
Who Needs an Autonomous Republic of Georgians in Georgia?
დღეს სადისკუსიო 14-პუნქტიანი დოკუმენტის მე-9 პუნქტი: შეთანხმების საკითხი
რუსეთ-საქართველოს შორის.....476
Point 9 of the 14-point Document under Discussion Today: the Issue of an Agreement Between Russia and Georgia
აქ „სამართლის ზეიმიც" შერჩევითია!.....477
Here, Even the "Victory for Justice" is Selective!
დავით ბერძენიშვილისა და ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური „პინგ-პონგი".....477
David Berdzenishvili's and Vano Merabishvili's Political "Ping-Pong"
მოკლედ გარეშე ძალისგან მართული უმცირესობის ფსიქოლოგიური ტერორის შესახებ.....478
Briefly about the Psychological Terror of a Minority Ruled by an Outside Force
მისია-მესია და ივანიშვილის წასვლა-არწასვლა.....479
Mission-Messiah and Ivanishvili's Departure or Non-Departure
მოქალაქეობის მინიჭება-არმინიჭება "ჩვენებურებისა" და ჩვენებურებისათვის.....480
Granting or Non-Granting Citizenship to "Our People" and Chveneburebi
კითხვები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიმართ.....481
Questions Regarding the "Local Self-Government Code"
შერჩევითი სამართლის დამანგრეველი შედეგები.....484
The Destructive Consequences of Selective Justice
მოკლედ აჭარაში მიმდინარე პროცესებისა და ე. წ. ავტონომიური თვითმმართველობის
გაძლიერების შესახებ.....485
Briefly about the Processes Underway in Achara and the Strengthening of the So-Called Autonomous Self-Government
მეჯლისიდან ფრაქციის სხდომამდე, ანუ რა არის კარგი აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთა
შორის არსებულ დაპირისპირებაში?.....486
From the Feast to the Faction Session, or What's Good About the Controversy Between the Members of the Supreme Council of Achara?
საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი.....487
Society and the Political Spectrum
ლანძღვა გადახრაა თუ ნორმა?.....488
Is Cursing a Deviation or the Norm?
ლანძღვა თუ პოზიტიურ გეგმებზე პოლიტიკური გუნდის შექმნა?.....488
Cursing or Creating a Political Team Based on Positive Plans

ტელევიზია და პოლიტიკა....489
Television and Politics
„მოსეს უდაბნოში“ ხეტიალი გრძელდება....489
The Wandering in the “Moses Desert” Continues
უსუფაშვილი & მარგველაშვილი....490
Usupashvili & Margvelashvili
უსამართლო სასამართლო: 2009 წ. ....491
Unfair Court: 2009
თამაზ მეჭიაური და რესპუბლიკელები....492
Tamaz Mechiauri and the Republicans
თუ ფრთხილად არ ვიქნებით, წინ უფსკრულია!....493
If We Are Not Careful, there Is an Abyss Ahead!
დღევანდელის პროგნოზი და 10 ორიენტირი მომავალი არჩევნებისათვის....494
Today’s Forecast and 10 Points of Orientation for the Upcoming Elections
რეალობა არჩევნების შემდეგ....496
Reality after the Elections
გვარამია-მდინარაძე და ღირებულებები....497
Gvaramia-Mdinaradze and Values
საშიში პროვოკაციები კიდევ დაიგეგმება....498
Dangerous Provocations Will be Planned Again
მტერი მტერია, მაგრამ ჩვენ სად დავუშვით შეცდომები?....499
The Enemy Is the Enemy, but Where Did We Make Mistakes?
ორმაგი მოქალაქეობის ერთი წახნაგი....504
One Facet of Dual Citizenship
კუმურდო....505
Kumurdo
უკანონო წარმონაქმნი....506
Illegal Formation
ეროვნება/მოქალაქეობა: ქართველი....507
Nationality/Citizenship: Georgian
აბესალომ ასლანიძის გვერდზე მიმდინარე დისკუსიის შესახებ....508
About the Discussion on Abesalom Aslanidze’s Page
ჩემი რეაქცია ინგა გრიგოლიას 3 ივლისის პროვოკაციულ “რეაქციაზე” ანუ პრორუსები,
ფსევდოლიბერალები და საქართველოს სწორი არჩევანი....509
My Reaction on Inga Grigolia’s Provocative “Reaction” of July 3, or Pro-Russians, Pseudo-Liberals,
and Georgia’s Right Choice
ახალი უსაფუძვლო აჟიოტაჟი აჭარის გარშემო....511
New Groundless hullabaloo Around Achara
ტერმინი “რეგიონი” და რეგიონალიზმი, როგორც საქართველოს დანაწევრების გზა....512
The Term “Region” and Regionalism as a Path to Georgia’s Disintegration

რა ხდება აჭარაში?!.....513
What's Going on in Achara?!
სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.....513
For the Rule of Law
რატომ ლანძღავს ზაქარეიშვილი პრემიერ-მინისტრს?.....514
Why Is Zakareishvili Cursing the Prime Minister
"თავსა ახლად ვერვინ იშობს".....515
"No One Can Be Born Again"
პანკისის კრიზისი.....515
The Pankisi Crisis
ე.წ. "დისკრიმინაციის" შესახებ.....518
About the So-Called "Discrimination"
ასე იყო საჭირო მათთვის და არა – საქართველოსათვის!.....519
It Was Necessary for Them, Not for Georgia!
საინტერესო ფაქტი.....519
Interesting Fact
მძიმე რეალობა.....521
Hard Reality
ხვიჩა და გოჩა – ჩემი რეალობა.....524
Khvicha and Gocha – My Reality
გიგი უგულავა.....522
Gigi Ugulava
წარსულის გააზრება ღირსეული მომავლისათვის.....523
Understanding the Past for a Decent Future
რა დანაშაულებს აეხადა ფარდა... .....524
What Crimes Were Uncovered...
ლეგიტიმური არჩევნები.....525
Legitimate Elections
ვინ ჩაშალა მოლაპარაკება? რა თქვა გრიგოლ ვაშაძემ?.....525
Who Disrupted the Negotiations? What Did Grigol Vashadze Say?
მთავარი საფრთხე.....526
The Main Danger
„დემოკრატიის" სახელით.....526
In the Name of "Democracy"
"ისტორიის სწორი მხარე".....527
"The Right Side of History"
ლევან ბერძენიშვილი ამბობს.....528
Levan Berdzenishvili Says
მეფემ თქვა.....529
The King Said

ნიკა მელიას პოლიტიკურად უმწიფარი ფრაზა.....529
Nika Melia's Politically Unripe Phrase
პუტჩის გამოძიებამდე.....530
Before the Investigation of the Putsch
**2.1.5. პოზიცია**.....531
**Position**
ჩემი პოზიცია.....533
My position
დემოკრატიით არ მანიპულირებენ, დემოკრატიას ამკვიდრებენ...
დემოკრატიის სახელით მსოფლიოში სისხლიანი დიქტატურა არაერთხელ დამყარდა... .....534
Democracy is Not the Thing for Manipulation, Democracy Should Be Established.
Many Times in the World Bloody Dictatorships Have Been Established in the Name of Democracy...
სამართლიანობა შურისძიების გარეშე!.....534
Justice Without Revenge!
აჭარა.....535
Achara
თბილისელი და თფილისელი.....536
Tbilisian and Tfilisian
რა მოხდა 1992-93 წლებში; პრევენციები 2014 წლისთვის.....537
What Happened in 1992-93; Preventions for 2014
ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს.....539
The Government Should Take Care of
მართალ კაცს თანამოაზრე ურჩევნია, მტყუანს – მონა-მორჩილი.....540
A Truthful Individual Prefers a Like-Minded Person, a Liar Prefers a Humble Servant
ფიქრი: როგორ პარტიას მივცემდი ხმას?.....541
Thought: Which Party Would I vote for?
ეხება ყველას: სკოლის დირექტორით დაწყებული, ძლევამოსილი პრეზიდენტით დამთავრებული.....542
Applies to Everyone: from the School Principal to the Powerful President
საქართველოს კუთხეთა ზღვარგადამეტებული "თეთრი" და "შავი" "პიარი".....542
Excessive "White" and "Black" "PR" of the Regions of Georgia
მუდმივი მხილება თუ კონსოლიდაცია?.....544
Permanent Exposure or Consolidation?
ვის ინტერესებშია?.....545
Whose Interest is It?
მიშა და უკრაინა.....547
Misha and Ukraine
თემირლანი და ვანო.....547
Temirlan and Vano
ერთიანობის პრობლემა მიმდინარე საინფორმაციო ომში.....549

The Problem of Unity in the Ongoing Information War
პირველ რიგში, აუცილებელია დეოკუპაცია!.....550
First of all, De-occupation is Necessary!
მემარჯვენეობა-მემარცხენეობა.....552
Right-wing and Left-wing Politics
მავნებლობაა ერში ნიჰილიზმის თესვა!.....553
It is Harmful to Sow Nihilism in the Nation
ვანო მერაბიშვილის თემაზე.....554
On the Topic of Vano Merabishvili
გამოსავალი.....554
Solution
ჩემი პოზიცია.....556
My Position
როგორ დავაღწიოთ თავი ტრაგიკომიკურ "რუსთველიანას"?.....557
How to Get Rid of the Tragicomic "Rustveliana"?
გთხოვთ გააზიაროთ! საფრთხე გვიახლოვდება!.....558
Please Share! Danger is Approaching Us!
გაზეთი "ქუჯი".....559
Newspaper "Kuji"
საქართველოზე მზრუნველი პარტიის პირველი რიგის ამოცანები.....560
The Primary Tasks of the Party That Cares About Georgia
მივესალმები პოლიტიკაში ახალგაზრდების აქტიურად შემოსვლას.....561
I Welcome the Active Entry of Young People into Politics
უნდა გააქტიურდნენ ახალი თაობის პოლიტიკოსები.....561
The New Generation of Politicians Must Become More Active
პოლიტიკოსებს /წინასაარჩევნოდ/.....562
To Politicians /for the Pre-elections/
პოლიტიკური ელიტის ერთიანობა.....562
Unity of the Political Elite
**2.2. სტატიები, მოხსენება, მასალები ოკუპაციის 200 წლის შესახებ**.....563
**Articles, Reports, Materials on the 200th Anniversary of the Occupation**
გეოპოლიტიკური ვექტორები და საქართველო.....565
Geopolitical Vectors and Georgia
საქართველო–რუსეთი: კონფლიქტის ქრონოლოგია.....572
Georgia – Russia: Conflict of Chronology
Georgia – Russia: Conflict of Chronology.....579
საქართველო – რუსეთი: კონფლიქტის ისტორია.....587
Georgia – Russia: History of Conflict
Georgia – Russia: History of Conflict.....594
Грузия – Россия: к истории конфликта.....606

Georgia – Russia: to the History of Conflict
Грузия с древнейших времен до 1801 г. .....614
Georgia from Ancient Times to 1801
9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.....623
April 9 – Independence Day of Georgia
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში.....625
Orientations of the Supreme Council of the Republic of Georgia in the Modern Geopolitical Context
ქართველი ერის ისტორიული არჩევანი.....639
Historical Choice of the Georgian Nation
მალტის შეთანხმება (02.12.1989), 1992-93 წლების პუტჩი და 2008 წლის პლებისციტი თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში.....647
Malta Agreement (02.12.1989), 1992-93 Coup d'Etat and 2008 Plebiscite in the Context of Modern Politics
Malta Summit (02.12.1989), 1992-1993 Coup d'Etat and 2008 Plebiscite in the Context of Modern Politics.....657
აჭარაში 1991 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების შესახებ.....665
On April Events in Achara in 1991
პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ და 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები.....677
President Zviad Gamsakhurdia on The Status of the Autonomous Republic of Achara and the Events in Achara in April-May, 1991
მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და საქართველოს პერსპექტივა – I[1].....696
Malta Agreement (02.12.1989), National Heroes and Georgia's Perspective – I[1]
მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და საქართველოს პერსპექტივა – II .....702
Malta Agreement (02.12.1989), National Heroes and Georgia's Perspective – II
1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, პუტინ-დუგინის გეოპოლიტიკური გეგმები და რუსული ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი /ნაწყვეტი სტატიიდან/.....714
The Act of Restoration of Independence of April 9, 1991, Putin-Dugin's Geopolitical Plans and the Beginning of the End of the Russian Occupation /Excerpt from the Article/
1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები და დეოკუპაციის რთული პროცესი საქართველოში (2020 წლის 28 ოქტომბრის მოხსენების თეზისები).....715
The Elections of October 28, 1990 and the Difficult Process of Deoccupation in Georgia (Abstract of the Report Presented on October 28, 2020)
1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები.....716
Events in Achara Developed in April-May in 1991
**3. სხვადასხვა**.....725
**Miscellaneous**
**3.1. შტრიხები პროფილისათვის**.....725
**Profile Strokes**
ბედნიერების მიზეზი.....727

Reason for Happiness
დედის სიტკბო ქვეცნობიერის განუყოფელია!....727
A Mother's Sweetness Is Inseparable to the Subconscious!
დედის დღე და... ექსტრემი....728
Mother's Day and... Extreme
ემოციური სიყვარული და უარყოფითი ემოცია....729
Emotional Love and Negative Emotions
ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ინტერპრეტაცია და რეალობა....729
Different Interpretations and Reality of Our Lives
რჩევა-დარიგება, მამაჩემი და მე....730
Advice, My Father and Me
დიდი მადლობა დაბადების დღის მოლოცვისათვის!....731
Thank You Very Much for the Birthday Wishes
დედა – შვილებისათვის დაბადებული!....734
Mother – Born for Children!
მე შენ მიხარიხარ!....735
I am Happy for You!
დიდი მადლობა... ....736
Thank You Very Much...
**3.2. მორალი, ზნეობა, ღირებულებები**....739
**Moral, Ethics, Values**
რეალობის აღქმა....741
Perception of Reality
"ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა"....741
"Do Not Throw Your Pearls Before Swines"
მოთმენა უფრო ძნელია, ვიდრე არგაბრაზება :)....742
Patience is More Difficult Than Not Getting Angry :)
ვირი მოლა....743
Donkey Mullah
საგიჟეთი?!....744
Asylum ?!
რა აკლია დღევანდელ ქართველობას....745
What Today's Georgianness Lacks
უმად(ლ)ური....747
Ungrate(tud)ful
ვაშლის თეორია....748
The Apple Theory
"ბასიანი", "ლევან დადიანი", "იაკობ გოგებაშვილი"... და ფასეულობათა მიზანმიმართული ტრანსფორმაცია ოკუპაციის პირობებში....749
"Basiani", "Levan Dadiani", "Iakob Gogebashvili"... and the Deliberate Transformation of Values

under Occupation
არ მინდა გატკინო!.....750
I Don't Want to Hurt You!
ზომბირება დანაშაულია!.....752
Zombification is a Crime!
ახალი პავლიკ მოროზოვი.....752
A New Pavlik Morozov
ამ უსამართლო ცხოვრების დედაც!.....753
Screw this Unjust Life!
ეშმაკეული, ეშმაკისეული და ღვთისნიერი.....754
Satanic, Devilish and Divine
"ახალი კლასტერი".....756
"New Cluster"
**3.3. დეპრესია, სიზმარი; ადამიანი, საზოგადოება**.....757
**Depression, Dream; Person, Society**
როგორ ვუშველოთ დეპრესიაში მყოფთ?.....759
How to Help those Who are in Depression?
სიზმარი – ცოცხალთა და გარდაცვლილთა საერთო განზომილება /ნესტან კვეიძე/.....760
Dream – the Common Dimension of the Living and the Dead /Nestan Kveidze/
გადაწყვეტილების მიღების შესახებ.....761
On Decision-making
მაგალი თოდუას წუხანდელი საუბარი (14.02.2017).....762
Magali Todua's Conversation Last Night (14.02.2017)
დონე?!.....763
Level?!
ფეისბუკბრძენი ანუ რატომ ვართ ამ დღეში?!.....764
Facebook-wiseman or Why Are We in This Circumstances?!
განათლებული პიროვნება.....765
Educated Person
მიტროპოლიტ ნაუმი შავიანიძის სიბრძნე.....766
Metropolitan Naumi Shavianidze's Wisdom
რამდენიმე მოკლე პასუხი ვირტუალურ ოპონენტს.....767
A Few Short Answers to a Virtual Opponent
კრიმინალი და წესიერი ადამიანი.....768
Criminal and Decent Person
ვის ენდობით?.....768
Who do You Trust?
ადამიანური შეცდომის გამო... .....769
Because of the Human Error...
ცხოვრება რამდენიმე დროში.....769

Living in Several Eras
პიროვნების თვითაღქმა....770
Self-perception of an Individual
დეპრესია, განწყობა, მოტივაცია, მიზანი... და ცისარტყელა....770
Depression, Mood, Motivation, Goal... and Rainbow
**3.4. ეპიზოდები**....775
**Episodes**
სიძულვილის ენა, როგორც ფსიქოლოგიური ტერორის ერთ-ერთი სახეობა და ერთი ქუთაისური ამბავი....777
Hate Speech as a Type of Psychological Terror and a Story from Kutaisi
შემთხვევა ხარაგაულში: „ტვინგამოღების“ „ისტორია“....780
A Case in Kharagauli: The “History” of “Brain Extraction”
ზვიად გამსახურდიას მეგობრის უსალბუნო ტკივილი....782
The Unbearable Pain of Zviad Gamsakhurdia’s Friend
პრეზიდენტის /თუ მინისტრის/ მონაყოლის დღევანდელი ექო....783
Today’s Echo of the Story Retold by the President /or Minister/
1994....785
**3.5. ქალი, მამაკაცი**....787
**Woman, Man**
ძლიერი ქალების სასიცოცხლო ენერგია....789
The Vital Energy of Strong Women
გენდერის ქართულპოლიტიკური წახნაგი და ქალისა თუ მამაკაცის შელახული ღირსება
ზოგი “სულელური” რეკლამის კონტექსტში....790
The Georgian Political Facet of Gender and the Infringed Dignity of Women and Men in the Context of Some “Stupid” Advertisements
პოლიტიკოსი და მანდილოსანი :)....792
A Politician and a Woman :)
1 მარტი თუ 8 მარტი?....792
March 1 or March 8?
დედა, ანუ გენდერული უთანასწორობა ქართულად....793
Mother, or Gender inequality in Georgian
5-5 თვისება, რომელიც უნდა აკონტროლოს ქალმაც და კაცმაც....794
5 Qualities that Women and 5 – that Men Should Control
ძლიერი ქალი და სუსტი ეთნოსი....795
Strong Women and Weak Ethnic Groups
კაცის უსუსურობა – ქალის უბედობა....797
A Man’s Weakness –Woman’s Misfortune
გაზაფხულს გილოცავთ :)....798
Happy Spring :)
ქალი მართავს თუ მამაკაცი?....799

Is a Woman in Power or a Man?
**3.6. კოვიდი**.....803
**Covid**
ზოგი ჭირი მარგებელია.....805
Every Cloud has Silver Lining
დროებით დარჩი სახლში! ღმერთმა დაგლოცოთ!.. .....805
Stay Home for a While! God Bless You!..
“უხილავი კეთრიანობა” ანუ გავუძლებთ კოვიდსაც /ციკლიდან: „ზოგი ჭირი მარგებელია!“/...807
“Invisible Leprosy” or We Will Survive Covid As Well /From the Cycle: “ Every Cloud Has Silver Lining “/
კორონამ გვითხრა... .....810
Corona Told Us...
ციკლიდან: “დარჩი შინ” (წინასააღდგომო დამატება).....811
From the Cycle: “Stay Home” (pre-Easter Addition)
„კოვიდ-19 სასიკვდილოა“ თუ „კოვიდ-19 არ არსებობს“?!.....810
“Covid-19 is Deadly” or “Covid-19 Does Not Exist”?!
**4. „გაღმა სოფელში...“**.....815
**The Afterlife**
კოტე კაკიტაძე.....817
Kote Kakitadze
პორტრეტი გარდაცვალების შემდეგ.....818
Portrait After Death
აკადემიკოს მაგალი თოდუას ახალი სიცოცხლე.....819
A New Life for Academician Magali Todua
ოთარ ქანდარია – ღვთიური სხივი.....820
Otar Kandaria – Divine Ray
ტრისტან მახაური.....821
Tristan Makhauri
ლია ხორბალაძის ბედნიერება და... უსალბუნო ტკივილი.....823
Lia Khorbaladze’s Happiness and... Helpless Pain
წმიდა დიაკონი სევერიანე.....824
Holy Deacon Severiane
ჩემი მეგობარი რუსუდან კაპანაძე.....825
My Friend Rusudan Kapanadze
**5. დრო და პიროვნება**.....827
**Time and Personality**
ნიკა ფუტკარაძე – ბავშვი დიდი მოაზროვნისა და გამორჩეული პოეზიის პერსპექტივით.....829
Nika Putkaradze – A Child with the Perspective of a Great Thinker and Outstanding Poetry
ჩემი მეგობარი დალი მაჩაიძე.....829
My Friend Dali Machaidze
ჰერბარიუმებიანი თბილი წერილები.....830

Warm Letters with Herbariums
დრო და პიროვნება / ავთანდილ ნიკოლეიშვილი/.....830
Time and Personality / Avtandil Nikoleishvili /
აკაკი ბაკურაძე.....831
Akaki Bakuradze
ულალატო კაცი <3.....832
A Trustworthy Man <3

# 1. ქართველოლოგია

## 1.1. წერილები, ესეები

### 1.1.1. ენობრივი პოლიტიკა, განათლება, მეცნიერება

## სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი!

დღეს რატომღაც უფრო გახმაურდა ჟურნალისტების დაჯარიმების თემა...

დამირეკა ჟურნალისტმა ლელა ცინცაძემ; ნორმალური საუბარი გვქონდა...

ვაზიარებ ამ სატელეფონო ინტერვიუს და დამატებით განვმარტავ რამდენიმე საკითხს, რომელსაც საუბრისას შევეხე; ზოგი მოსაზრება საერთოდ ვერ მოხვდა საგაზეთო მასალაში...

კერძოდ, ჩემი აზრით:

1. სწორად უნდა დაიგეგმოს სახელმწიფო ენის სწავლება ქართულის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეებისათვის (აღარ უნდა გაგრძელდეს საამისოდ გამოყოფილი ფულის ფანტვა); ასევე, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენის სწავლებას ყველა დონის სასწავლებელში.

2. ქართული, როგორც კულტურის ენა, უახლოეს მომავალში გაქრება, თუკი არ მოხდება ქართული ენის "ტექნოლოგიზება" – ისეთი კომპიტერული პროგრამების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს ქართულიდან თარგმნას, ქართულად თარგმნას და რაც მთავარია, ქართული ზეპირი მეტყველების ქცევას ტექსტურ „ფაილად" (ნაწერად) და პირიქით: ტექსტის გახმოვანებას...

ასეთ შემთხვევაში ქართული იქცევა მომავალი ტექნოლოგიების ენად და არ დარჩება "პატუა ენის" როლში – ჩვენი ენა, როგორც კულტურისა და განათლების ენა, გადარჩება!

აი, ამ დიდი პროექტის განსახორციელებლად უნდა გამოიყოს მილიონი და არა – გაუნათლებელი სუბიექტების ინსპექტირებისთვის.

3. დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაცია თუ მოხელის დანიშვნა უნდა მოხდეს ენის ფლობის დონის დამადასტურებელი რეალური დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, ხოლო რეკლამებისა თუ ბანერების განთავსების მაკონტროლებელ ორგანოს უნდა დაევალოს წარწერების კონტროლიც (კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის დაცვა)...

აუცილებელია, ყველამ დავიცვათ სახელმწიფო ენის ღირსება!

27 სექტემბერი, 2013

## დამატებითი განმარტება თემაზე: „სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი"

სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა, მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის, როგორც კულტურული და საგანმანათლებლო ფენომენის გადარჩენა დღევანდელი და მომავალი საქართველოს ყველაზე დიდი ამოცანაა და ეს მხოლოდ კომპლექსური მიდგომით გადაწყდება; კერძოდ, აუცილებელია:

1. საგანმანათლებლო სფეროს გონივრული დაგეგმვა (დაწყებითი კლასიდან უმაღლეს საფეხურამდე/; ქართული ენისათვის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების შექმნა – ქართული ენის ქცევა თანამედროვე ტექნოლოგიების ენად (თარგმანი, ბგერითი მეტყველების ტექსტად ჩაწერა, ტექსტის გახმოვანება...);
2. საქართველოში კომპაქტურად დასახლებული სხვაენოვანი მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების რეალური პირობების შექმნა; უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის დედაენის დისტანციური სწავლების კურსების ამოქმედება;
3. სახელმწიფო ენის დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
4. გონივრული სანქციების შემოღება წარწერებისა და საქმისწარმოების სფეროში; ასევე, მასმედიის მფლობელთათვის /და არა – კონკრეტული ჟურნალისტებისათვის/;
5. სახელმწიფო სამსახურში მყოფთათვის (მოხელეთათვის) ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნა / სამსახურის იერარქიის შესაბამისად/...

ამ ყოველივეს კი ესაჭიროება ფართო საზოგადოებისათვის სწორი მეთოდოლოგიით მიწოდება/ჭკვიანური „პიარი"/, რომ ეს კარგი და აუცილებელი საქმე თავიდანვე არ ვაქციოთ ლაზღანდარობისა და ზერელე განსჯის თემად.

28 სექტემბერი, 2013

# „შავი ხვრელები“ თანამედროვე საქართველოში

თანამედროვე საქართველოში ქართული ენის შეზღუდვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს; ქართულ სკოლებშიც კი აღარ ისწავლება საგანი “ქართული ენა”. სამაგიეროდ, საქართველოში სოკოებივით მომრავლდა არაქართულენოვანი სკოლები, რომლებიც “შავ ხვრელებად” იქცნენ ქართველი ერისათვის; ამ “შავი ხვრელებიდან” საზღვარგარეთ გაიწოვებიან ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც თავიდანვე უცხოენოვან განათლებას იღებენ და სამუდამოდ სწყდებიან ქართულენოვან მრავალსაუკუნოვან სამყაროს (მთლიანობაში – საკუთარ ქართველობას).

შდრ., აკაკი წერეთელი, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 66:

„ლანგ-თემური და შაჰ-აბასი მუსრს ავლებდნენ საქართველოს, რომ ჩვენი წინაპრებისათვის ხელი აეღებინებიათ დედა ენაზე, რჯულზე, ეროვნულ გრძნობაზე, მაგრამ ჩვენმა მამა-პაპებმა გაუძლეს გასაჭირს და პირნათლად, შეუბღალავად მოადგნენ მეცხრამეტე საუკუნის კარებს... დღეს როდესაც ძალას აღარავინ გვატანს... ჩვენი ნებით თვითონვე ვიღებთ ხელს თავზე... წარსულთან არათუ გავსწყვიტეთ კავშირი, დღეს დედა-ენაზედ ლაპარაკსაც ვეღარ ვახერხებთ; ეს დიდი ნაკლია, თითქმის სიკვდილის თანასწორი...”

აქვე საინტერესოა აკაკის შემდეგი ვრცელი ციტატაც:

“თუ იმას ვიტყვით, რომ მეგრელებს “შინაურობაში (განსაკუთრებით, დაბალი წოდების ხალხს) მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამით რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლებად იციან? მართალია მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამაგიეროთ იგივე მეგრული დღეს სალაროა ნამდვილ ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს შელახული ქართული ლექსიკონი” (“უბრალო საუბარი”, აკაკის კრებული, 1899 წ. იანვარი # 1).

იქვეა (გვ. 429) ასეთი ფრაზაც:

“ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არ ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არისო... ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. აიტკიცეს!.. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არ ვართო?.. მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობაო და სხვანი!.. მაგრამ იმავე დროს ნუ თუ საერთოდ ქართველები არ ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედა-ენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო!.. დაუცაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფოსს და მოსვენებას აღარ აძლევდენ... მეგრელების შორს-მჭვრეტელობამ და წინ-დახედულებამ კუდი აღარ მოაქნევია უჯეროზასა და უსამართლობას... კუჭის მიმდევარი ინტელიგენტები გამოდიან დღეს ასპარეზზე და შფოთს აგდებენ მოძმეთა შორის. ეს სულ არჩევნების ბრალია... ხალხს აბრიყვებენ: მეგრელებო, მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო!.. გურულებო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე, გურული გავშავდე, თქვენი დამარცხება იქნებაო!... იმერლებო! – გაიძახის იმერელი მეტოქე – მოგვადგნენ მეგრელ-გურულები და აღარ გვზოგავენ... ბუზათაც აღარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!... დავანახვოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვხურავსო, შავი მაგათო! და სხვანი. ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტერობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა ყურადღების მიქცევა... იმას ნურავინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და აღარ ღირს გამოკიდებაო. ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს!”

18 ოქტომბერი, 2015 (2 ოქტომბერი, 2020)

## 14 აპრილი

საქართველოს სახელმწიფო ენის დღე

ყოველი წლის 14 აპრილის „მიდამოებში" ბევრს ახსენდება ქართული ენა და გაზაფხულის თოვლივით მალევე ავიწყდება... მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, რომ 14 აპრილი არის არა ქართველთა დედაენის დღე, არამედ **საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის საზეიმო დღე – საქართველოს სახელმწიფო ენის დღე.**

ეს დღე ისეთივე განსაკუთრებით უნდა აღინიშნებოდეს, მაგ., მარნეულში, როგორც აღინიშნება ქუთაისში; როგორც ახალციხეში აღვნიშნავთ, ასევე ზეიმით უნდა აღვნიშნოთ ახალქალაქში...

საქართველოს ყველა მოქალაქემ ეს დღე ვერ გაითავისა იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, წინა თუ ამჟამინდელი მთავრობების მიერ 14 აპრილი ისევ აღინიშნება როგორც დედაენის დღე და არა როგორც, საქართველოს სახელმწიფო ენის დღე: არადა, 1978 წელს ჩვენ დავიცავით საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი.

11-15 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ვგეგმავთ ქართული ენის კვირეულის ჩატარებას ქართული უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით; მსგავსი თემები შეუძლია განიხილოს ყველა უნივერსიტეტმა, ყველა სკოლამ და ა.შ.

**ჩვენი ზოგადი თემები: – რა ვიცით ქართველთა ენობრივი ისტორიის შესახებ?** = ცოტა, შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

– **რით გამოირჩევა ქართველთა დედაენა სხვა ენებისგან (არგუმენტირებული და არა ურაპატრიოტული მიდგომა)?** = ბევრი რამით, მაგრამ ეს ცოტამ იცის.

**– რა პრობლემებია დღეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებაში?** = ძალიან ბევრი, შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

**– როგორ ვიცით ქართული ენა ჩვენ?** = ცუდად; შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

**– როგორ იციან საქართველოს სახელმწიფო ენა საქართველოში მცხოვრებმა უმცირესობებმა?** = ცუდად; შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

**– როგორ იციან დედა ენა საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებმა ავტოქთონმა ქართველებმა? ისტორიულმა დიასპორებმა? ახალმა დიასპორებმა?** = ცუდად; შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

**– სახელმწიფოს მიერ კეთდება თუ არა რაიმე ქართული ენის ტექნოლოგიზებისათვის (თანამედროვე ტექნოლოგიების გამართვა ქართული ენით)?** = თითქმის არაფერი; შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი; დროულად უნდა დაიწეროს ისეთი პროგრამები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ავტომატური აკადემიური წერილობითი და ზეპირი მეტყველების თარგმანს; უახლოეს ათწლეულებში ყველა ის ენა მოკვდება, რომლებიც ტექნოლოგიზების დონეს ვერ მიჰყვება.

**– რა პრობლემებია თქვენი სპეციალობის მიხედვით ტერმინოლოგიაში?** = ძალიან ბევრი; შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

**– რას ვაკეთებთ ჩვენ ჩვენი უძვირფასესი განძის – დედა ენის – შესანარჩუნებლად და განსავითარებლად? ქართველური კუთხური მეტყველებების, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის უწყვეტი ნაკადულების, შესანარჩუნებლად?** = ძალიან ცოტას; შესაბამისად, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი.

და სხვ. და სხვ.

16 მარტი, 2016

## 14 აპრილი – ქართველთა დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს პატრიოტებმა (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად!) დაიცვეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი.

მიუხედავად ამისა, მეორე წელსვე 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა და არა – საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ. იმხანად ისევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, შესაბამისად, კრემლის მიერ მიზანმიმართულად მოხდა 14 აპრილის გამოცხადება დედაენის დღედ, რომ წინა პლანზე არ წამოწეულიყო ამ მოვლენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა...

14 აპრილის კვალიფიცირება დედაენის დღედ, პირველ რიგში, ისტორიული რეალობის იგნორირებაა, რადგანაც 38 წლის წინ 14 აპრილს მოწინავე ქართველებმა დაიცვეს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი; გარდა ამისა, ამგვარმა კვალიფიცირებამ გასულ ათწლეულებში ხელი შეუწყო რუსეთის გეგმას, ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინა საქართველოს მოსახლეობა...

**90-იანი წლებიდან მაინც, 14 აპრილის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის დღის, აღნიშვნა ხელს შეუწყობდა საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციას;** ამგვარი კვალიფიკაციით ეს საზეიმო დღე ამის შემდეგ მაინც თუკი აღინიშნება ხელისუფლების მიერ და, რაც მთავარია, სახელმწიფო ენის დღე აღინიშნება საქართველოს ყველა კუთხეში და ყველა დაწესებულებაში ყველა მოქალაქის მიერ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად), გაცილებით შთამბეჭდავად იქნება დაცული სახელმწიფო ენის ღირსებაც და ხელი შეეწყობა საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაციასაც...

დარწმუნებული ვარ, 80-იანი წლებიდან საქართველოს მოსახლეობას 14 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ენის დღე რომ აღგვენიშნა, საქართველოში ასეთი მასშტაბები არ ექნებოდა გარედან მართულ დეზინტეგრაციულ პროცესებს...

14 აპრილი, რატომღაც, დღემდე ოფიციალურად აღინიშნება, როგორც **„დედაენის დღე“**; ამგვარი კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

ლოგიკური იქნება, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ, მათ შორის ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, 14 აპრილს აღნიშნოს ჩვენი სახელმწიფოს, **საქართველოს სახელმწიფოს, სახელმწიფო ენის – ქართული ენის – დღე და არა** – როგორც დედაენის დღე (მაგ., თბილისში – ქართულის დღე, მარნეულში – აზერბაიჯანულის, ახალქალაქში – სომხურის)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეკლესია მრავალი წელია ქართველთა დედაენის დღეს აღნიშნავს ლაზარეს შაბათს.

ვფიქრობთ, ისტორიული ფაქტის (1978 წ.) ლოგიკის გათვალისწინებით, ხელისუფლების მიერ **14 აპრილი უნდა გამოცხადდეს საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ** და ეს დღე განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დედაქალაქშიც და საქართველოს ყველა კუთხეშიც. ჩვენი სახელმწიფო საქართველოს ყველა მოქალაქისაა, შესაბამისად, 14 აპრილი საქართველოს ყველა მოქალაქისათვის საზეიმო დღე უნდა იყოს /და არა – მხოლოდ ეთნიკური ქართველებისათვის/.

14 აპრილის სახელმწიფო ენის დღედ (და არა – დედაენის დღედ) კვალიფიკაცია ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის **კონსოლიდაციასაც** და სახელმწიფო ენის **ღირსების** დაცვასაც.

11 აპრილი, 2016

## ქართული ენის კურსები

### ქართული უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული ქართული ენის კურსები 400 წლის წინ დეპორტირებული ქართველების შთამომავალთათვის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში **უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის** ოთხი წლის წინ შეიქმნა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ერთწლიანი უფასო სასწავლო კურსები. სასწავლო პროგრამის შექმნა და სწავლების ორგანიზება დამევალა

მე, როგორც ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს. **რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის, თანადგომით** სწავლება წარმატებით მიმდინარეობს: ჩვენი ცენტრი (სვეტა ადამია, მიხეილ ლაბაძე, სოფო კეკუა, ფისო ადეიშვილი...) ნამდვილად დიდად უწყობს ხელს 400 წლის წინ ირანში გადასახლებული ქართველების მემკვიდრეთა ინტეგრაციას თანამედროვე ქართულ სინამდვილეში.

საქართველოს დიასპორის სამინისტროს ხელმძღვანელობა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო ყოველ წელს მონაწილეობს ქართული უნივერსიტეტის კურსების ოფიციალური გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. დღეს მეოთხე ასეთი საქმიანი შეხვედრა გვქონდა.

შეხვედრა გახსნა რექტორმა, რომელმაც სწავლის დაწყება მიულოცა მსმენელებს და დიპლომატისათვის შესაშური სიფრთხილით, თუმცა ძალიან თბილად ილაპარაკა ირანში გადასახლებული ქართველების მძიმე ისტორიულ ბედსა და საქართველოში მათი ინტეგრაციის აუცილებლობაზე. მე ვისაუბრე სწავლების პრინციპებზე, შეფასების მკაცრ სისტემასა და ჩვენი ორგვარი სერტიფიკატის მიღების შესაძლებლობაზე.

მსმენელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ასევე: საქართველოს დიასპორის მინისტრის მოადგილემ – **ბატონმა ზაალ სარაჯიშვილმა**, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მრჩეველმა – **ბატონმა აბას რეზაფულმა, პროფესორმა მანანა ტაბიძემ**, უკვე ყველასათვის ცნობილმა მოღვაწემ –**საიდ მულიანმა** და ირანის ისლამური რესპუბლიკის თანამშრომელმა, ქართული და სპარსული ენების შესანიშნავმა მცოდნემ – **ბატონმა სოსო ონიკაშვილმა.**

**მსმენელთაგან სიტყვით გამოვიდნენ:** სინა ონიკაშვილი და ანდრო ლაჩინაშვილი, რომელთაც მადლობა გადაუხადეს უწმიდეს და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული კურსები დღემდე 60-ზე მეტმა ფერეიდნელმა და მაზანდარელმა მოისმინა; მათგან დიდმა ნაწილმა გამოცდებიც ჩააბარა და შესაბამისი სერტიფიკატიც აიღო.

ეს მცირე ინფორმაციაც საკმარისია, ნორმალური ადამიანი მიხვდეს, რაოდენ დიდი საქმე კეთდება ქართულ უნივერსიტეტში საქართველოს ბედუკუღმართობის გამო **ოთხი საუკუნის წინ უმძიმეს დღეში ჩაცვენილი ჩვენი თანამემამულეების შთამომავალთა თანადგომისა და ღირსეული დაბრუნების მიმართულებით...**

და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ზოგი ცდილობს, სწორედ ამ საქმის კეთების გამო გალანძღოს ამ სასწავლო კურსების უანგარო ხელმძღვანელები; ზოგიც, მისდა უნებურად (იმედია!), უშლის ხელს ამ საქმეს. დღეს ხელის შეშლის შესახებ რომ გაიგო, მ**ღვდელმონაზონმა ანდრიამ (სარიამ)**, ასეთი ისტორია გაიხსენა:

ეგვიპტეში ერთ-ერთი სოფლის სიახლოვეს დასახლებულა სწავლული, რომელიც ასწავლიდა, ეხმარებოდა სოფლის მცხოვრებთ. შურიანმა თუ უმეცარმა ადამიანებმა სწავლულს რაღაც ჭორები გაუვრცელეს და სოფლის მოსახლეობა აუმხედრეს. ერთხელაც სწავლულთან მოვარდა მოწაფე და მასწავლებელს ეუბნება:

– მასწავლებელო, სოფლის ხალხი მოდის თქვენ წინააღმდეგ და გავიქცეთ!..

მასწავლებელმა მშვიდად უპასუხა:

– არა, შვილო, მოვიდნენ, დაინახონ რასაც ვაკეთებთ; თუნდაც გაგვლანძღონ! ჩვენ მართლები ვართ და რატომ უნდა გავიქცეთ; მოვა დრო და დაინახავს ხალხი ჩვენს სიმართლეს...

დარჩნენ. გაუძლეს დეზინფორმირებული ხალხის აგრესიას; აიტანეს უსამართლო შეურაცხყოფა და გააგრძელეს ამავე ხალხის სამსახური. გავიდა ერთი წელიწადი: სოფელმა დაინახა სწავლულის უანგარო თანადგომა, ღირსება, განსწავლულობა, სიმართლე.

**ერთხელ სწავლულთან ისევ მოვიდა ერთ-ერთი მოსწავლე და ეუბნება:**

– მასწავლებელო, სოფლის ხალხი მოდის ჩვენკენ; მოდიან დიდი სიყვარულით, დადებითი ემოციით, რომ მადლობა გითხრან და ხოტბა შეგასხან...

მასწავლებელმა ისევ მშვიდად, მაგრამ ღიმილით თქვა:

**– ახლა კი დროა, აქედან მართლა გავიქცეთ!**

დაასრულა თხრობა მღვდელ-მონაზონმა ანდრიამ და მშვიდად გამიღიმა.

...არც მე ვაპირებ სადმე გაქცევას იმათ გამო, ვინც ვერ ხვდება, თუ რა მნიშვნელობა

აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილი ქართული უნივერსიტეტის

ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებულ **„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელ ინტენსიურ კურსებს“.** ჩვენ უფრო წარმატებით გავაგრძელებთ უცხოეთში მცხოვრები მილიონობით ქართველის მხარდაჭერასა და მათთვის უშუალო თუ დისტანციური გზით **ისტორიული დედაენის სწავლებას:** ხელს ვერავინ შეგვიშლის, აქ თუ სხვაგან ისტორიული დედაენა ვასწავლოთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც ბედუკუღმართობის გამო უცხოობაში აღმოჩნდნენ.

ასევე, იმედი მაქვს, **არ დაბრკოლდება** ქართულ უნივერსიტეტში წამოწყებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ის სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტები, რომლებიც წარმატებით ხორციელდება პატრიარქის ქორეპისკოპოსის – მეუფე იაკობის, რექტორის – პროფესორ სერგო ვარდოსანიძისა და აქ მოღვაწე ღირსეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ.

20 ოქტომბერი, 2016

## ზღაპრული კომბლე თავს იცავს მოძალადისაგან!
## ზღაპრული კომბლე ნამდვილად კარგი ადამიანია!

**ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას ვეთანხმები მთავარ დებულებაში:** სკოლამ, პირველ რიგში, უნდა აღზარდოს კარგი ადამიანი და არა – მხოლოდ ვიწრო სპეციალობის მქონე სუბიექტი!

**დავამატებ: განათლების გარდა, სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს კარგი ადამიანისა და მოცემული სახელმწიფოს პატრიოტი პიროვნების აღზრდაზე!**

ჟურნალისტ მერაბ მეტრეველთან საუბრისას კარგი დებულების ჩამოყალიბების შემდეგ ალექსანდრე ჯეჯელავამ (რომელიც პიარის კარგი სპეციალისტია) ჩვენს კომბლეს შავი პიარი დაატეხა თავს /https://www.youtube.com/watch?v=xe8y_P_i0mU;
https://www.youtube.com/watch?v=SnYfAQZTWdI/.

ზოჯგერ შავი პიარი შთამბეჭდავ თეთრ პიარად შეიძლება აქციოს ჭკვიანმა კაცმა და პირიქით: ქება-დიდება შეიძლება გააშავპიარო. მე არ ვარ პიარის სპეციალისტი, შესაბამისად, შევეცდები, ჩემი ფილოლოგიური ცოდნის საფუძველზე წარმოვაჩინო ქართული ზღაპრის კომბლეს რეალური სახე.

**პირველ რიგში დავსვამ კითხვას:** სანდრო ჯეჯელავა რომელ კომბლეს აკრიტიკებს?

ქართული ზღაპარი “კომბლე” რამდენიმე ვარიანტით დასტურდება; ამათგან სერიოზულად განსახილველია ორი: **მოკლე ვარიანტი:** ალალ-მართალ კომბლეს მგელი ორივე ცხვარს შეუჭამს. კომბლე იბრუნებს საკუთარ ქონებას – ველურ /უღვთო თუ უპატრონო/ სამყაროში თავად აღადგენს სამართალს /http://www.slideshare.net/ritadateshidze/ss-52500713/.

**ვრცელი ვარიანტი:** ალალ-მართალ კომბლეს უზნეოდ ექცევა ყასაბი; კომბლე საკადრის პასუხს გასცემს ყასაბს; შემდეგ კი ქრისტე-ღმერთის შემწეობით მდიდარი მეცხვარე ხდება. გამდიდრებულ კომბლეს ფარას წაართმევს მეფე, მაგრამ კეთილშობილი კომბლე უფლისვე წყალობით არამხოლოდ დაიბრუნებს ცხვარს, არამედ ხელმწიფეც ხდება
/http://literatura.mcvane.ge/main/literatura/proza/12757-bbbbbb-bbbbbbb-.html/.

არის მესამე ვერსიაც, რომელიც ნამდვილად არ არის არც საინტერესო, არც აქტუალური და არც ქართული მსოფლაღქმის ამსახველი (შესაბამისი).

სიუჟეტის სტრუქტურის, ზღაპარში გამოყენებული არქაული ტერმინოლოგიისა და ზღაპარში გადმოცემული ამბის სხვადასხვა წახნაგის (/ფენის/ გათვალისწინებით, **პირველადი ჩანს კომბლეს ვრცელი ვარიანტი.**

უსამართლობასთან (ყასაბთან თუ მოძალადე მეფესთან) მებრძოლი კომბლე ქართული ხასიათის გამოხატულებაცაა და საყოფაცხოვრებო ზღაპრების დადებითი გმირის ჩარჩოშიც მშვენივრად თავსდება (ვრცელი ვარიანტი მდიდარია დიდაქტიკური ელემენტებით!).

**კომბლეს ღირსეული და მადლიანი ქცევის შესახებ შექმნილი ზღაპარი აქტუალურია დღესაც,** ვინაიდან, არაიშვიათად, ჩვენს დროშიც პრეზიდენტი თუ პრემიერი ართმევს ხოლმე მდიდარ

ადამიანს მთელ ქონებას და კლავს კიდეც; იშვიათად, კომბლესავით ძლიერი და მართალი პიროვნება იქით ამარცხებს მოძალადე "ხელმწიფეს" და თავად ხდება "ხელმწიფე".

ანუ, კომბლეს შესახებ ზღაპარი გვასწავლის: **ღირსეულად ვებრძოლოთ მოძალადეს და უსამართლობასთან ბრძოლის პროცესში არასოდეს დავკარგოთ უფლის იმედი!**

მოკლედ, კომბლე ღირსეული პიროვნებაა და მასზე შესანიშნავი თანამედროვე მულტფილმი, მეტიც, ფილმიც კი, შეიძლება გადავიღოთ, **რომელიც ნამდვილად აჯობებს ამდენ ძალადობრივ მულტფილმსა თუ საბავშვო ფილმს** (იხ. მაგ.: ტომი და ჯერი, სკუბი დუბ, სად ხარ? მუტანტი თინეიჯერი ნინძა კუები, შეშლილი მოტივები, ბედნიერი ხის მეგობრები... ჰარი პოტერი, ლაბირინთი, მონსტრების სახლი, დაუსრულებელი ამბავი...).

**დასკვნის ნაცვლად:** სკოლა მართლაც უნდა იყოს სამართლისათვის მებრძოლი (ღირსეული!) ადამიანის, ქვეყნის პატრიოტისა და აკადემიური განათლების მქონე პირის აღმზრდელი; **ასეთ ინსტიტუტად სკოლას ვერ ვაქცევთ, თუკი ჩვენ თავად არ ვიქნებით სამართლიანები, ადეკვატური ინფორმაციის მფლობელნი, რეალური ისტორიის მცოდნენი და, რაც ასევე არანაკლებ მთავარია, კომპეტენტური აზრისაგან ფსევდომეცნიერული აზრის განმასხვავებელნი.**

9 იანვარი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## მეცნიერება და ორიენტირები

თანამედროვე მეცნიერების პრობლემებისათვის:

საბჭოთა კავშირის პერიოდში მეცნიერებას გეგმავდნენ რუსეთის იმპერიის იდეოლოგები, შესაბამისად, სამეცნიერო თანამდებობებზეც და პროფესორის თანამდებობებზეც იშვიათად თუ დაინიშნებოდა პატიოსანი ნამდვილი მეცნიერი; როგორც წესი, თანამდებობებზე ინიშნებოდნენ საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურთან (კგბ) შეკრული მეცნიერები (საბჭოთა იმპერიის ბოლო პერიოდში ფსევდომეცნიერები აღარ ინიშნებოდნენ – გამოზარდეს სპეციალისტებიც). შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ფენას ეწოდა "წითელი ინტელიგენცია" (აქა-იქ იყვნენ ღირსეული მეცნიერებიც/მწერლებიც/პოეტებიც/მსახიობებიც!).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება შეეცადა, წინა პლანზე წამოეწია ეროვნული სულისკვეთების მეცნიერები, მაგრამ ეროვნულ ხელისუფლებას არ დასცალდა მოღვაწეობა და პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა.

მალევე, 1992-93 წლების პუტჩის შემდეგ, ძირითადი თანამდებობები დაიბრუნეს წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

ახალი ეტაპი იწყება "ვარდების რევოლუციის" შემდეგ; კერძოდ, 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ წითელი ინტელიგენცია და ზვიად გამსახურდიას პერიოდიდან ალაგ-ალაგ შემორჩენილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე პატიოსანი მეცნიერები საკაშვილის პერიოდში მეტწილად (სადაც მისწვდნენ!) ჩაანაცვლეს ე.წ. ლიბერალური მსოფლმხედველობის ადამიანებით (მეტწილად – ფსევდოლიბერალებითა და ფსევდომეცნიერებით); მათი ნაწილი დაუქვემდებარეს სპეცსამსახურებს (ნაწილი გადმოიბირეს საბჭოთა პერიოდის სპეცსამსახურებიდან!); ზოგი დაწესებულება სულ გააუქმეს, ზოგიდან კი გამოუშვეს გამორჩეული და წესიერი სპეციალისტები.

**ივანიშვილის მმართველობის პერიოდი „ცუდკოქტეილური" პერიოდია:**

– საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში დიდი ნაწილი ინარჩუნებს საკაშვილის პერიოდში დაუმსახურებლად მიღებულ თანამდებობებს;

– „ჩარეცხილების" მცირე ნაწილი დაუბრუნდა თანამდებობას;

– სხვადასხვა პარტიული ორიენტაციის წამყვანი ტელევიზიები მიზანმიმართულად ცდილობენ, შექმნან თავიანთ დამფინანსებელთა მეხოტბე ფსევდოელიტა (შოუებითა თუ რეიტინგული გადაცემებით აპიარებენ ე.წ. ექსპერტებს, უფასეულობო მეხოტბე მსახიობებსა თუ პარტიულ მეცნიერებს, ფსევდომეცნიერებს...). ფაქტობრივად, გათითოკაცებული არიან

ზეპარტიული/არაპარტიული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ინტელექტუალური პიროვნებები. ფაქტობრივად, არ არსებობს ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერთიანი საზოგადოება.

**ქვეყნისათვის სასარგებლო მიმართულებით ბოლო 4 წელიწადში არსებითად არაფერი შეცვლილა** (რუსთაველის სამეცნიერო ფონდშიც კი, სადაც არის სიტუაციის დარეგულირების მცდელობა).

ჩემი აზრით, უხლოეს პერიოდში გადასაწყვეტი ამოცანები ასეთია:

I. სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ველი რეალურად (და არა – დეკლარირებულად!) და ქვეყნის (არა – კონკრეტული ხელისუფლების!) ღირსების დამცველ მეცნიერებზე, რომელთაც, ამავე დროს, უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ხელშეწყობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობის გაძლიერება, ქართული კულტურის, ეკონომიკის განვითარება... შესაბამისად, სამეცნიერო თუ აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა თუ დანიშვნა უნდა განხორციელდეს პროფესიული ნიშნით და არა – პარტიული ხელისუფლებისადმი მონური ერთგულების ნიშნით, ანდა კლანურობასა თუ ფსევდოლიბერალიზმზე ორიენტირების პრინციპით;

II. სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ფონდებმა სამეცნიერო პროექტები თუ ცალკეული მეცნიერები/დოქტორანტები/მაგისტრანტები უნდა დააფინანსონ გამჭვირვალე შეფასებების საფუძველზე და მეცნიერებისა თუ ქვეყნისათვის აქტუალობის გათვალისწინებით (არა კლანური პრინციპით, როგორც დღემდეა!). კონკურსების შემდეგ უცნობი არ უნდა დარჩნენ რეცენზენტები/შემფასებლები.

III. განსაკუთრებულად უნდა დაიგეგმოს ახალი თაობის მეცნიერთა აღზრდა; მაგ., ქართველოლოგიაში: ისეთი პროფესიონალების აღზრდა, რომელთაც კარგად ეცოდინებათ ქართველური სამყაროც და ექნებათ საერთაშორისო პერსპექტივაც...

ამჟამად: იშვიათია კარგი ქართველოლოგი, რომელიც ინტეგრირებულია საერთაშორისო ველში და პირიქით: ვისაც მეტ-ნაკლებად აქვს კავშირი უცხოეთთან, დისტანცირებულია ქართველოლოგიის სწორი ორიენტირებისაგან.

**ჩემი აზრით არსებით რამდენიმე ორიენტირს აქვე გთავაზობთ:**

1. **ქართული ენა – ქართველთა დედაენა, როგორც ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის უმთავრესი საფუძველი:** პირველი რიგის ამოცანაა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში.

2. **ქართული ენის ტექნოლოგიზება:** გლობალური ქსელისა და მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრების სწრაფი ტექნოლოგიზების პირობებში **ქართული ენა დაკარგავს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ენის ფუნქციას, თუკი დროულად არ მოხდება ქართული ენის ტექნოლოგიზება.** ქართული ენა თუ დაკარგავს კულტურული ენის ფუნქციას, ქართველი ერი დაკარგავს თვითმყოფადობას – სრულად ასიმილირდება... **ქართველი ერი თუ აღარ იქნება, აღარ იარსებებს სა-ქართველ-ო...** შესაბამისად, საქართველოს პირველი რიგის ამოცანაა ქართველი ერის უპირველესი მახასიათებლის – ქართულის, როგორც კულტურისა და განათლების ენის – შენარჩუნება-განვითარება გლობალურ ქსელთან მისი ადაპტირებით და ორენოვანი ავტომატური თარგმანების განხორციელებით.

3. **საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლება უმცირესობებისათვის (და არა – ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება):** უმცირესობების ინტეგრაციისათვის აუცილებელია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების ორგანიზება (და არა - როგორც მეორე ენის სწავლებისა);

4. **ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, ერთიანობისათვის მებრძოლი, თავშეწირული დიდი მოღვაწეების, როგორც ორიენტირების წარმოჩენა** (ქუჯია ორიენტირი და არა – გიორგი სააკაძე თუ სტალინი; ხუდია ბორჩალოელია ორიენტირი და არა – პეტრე ბაგრატიონი...).

5. **არსებულ გეოპოლიტიკურ ველში აუცილებელია საქართველო იყოს უნიტარული სახელმწიფო და არა – ფედერაცია თუ რეგიონებად დაყოფილი კონგლომერატი (დამღუპველია რეგიონალიზაცია!):** საქართველოს საბოლოოდ დაანაწევრებს ფედერაციული წყობის დამკვიდრება – ე.წ. რეგიონალიზაცია; აუცილებელია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების პერსპექტივით, საქართველო დარჩეს უნიტარულ სახელმწიფოდ, სადაც იქნება

ძლიერი სასოფლო, რაიონული და საქალაქო თვითმმართველობა.

6. **ტოლერანტობა (რელიგიური თუ სხვა უმცირესობებისადმი დამოკიდებულება...):** საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო რელიგიური ტოლერანტობა ებრაული თემისადმი, სხვა თემებისადმი... სექსუალური უმცირესობებისადმი ტოლერანტულობის მაჩვენებელია ცეკვა "კინტოური" და მრავალი სხვა. აუცილებელია ამ მიმართულებით აკადემიური კვლევების წარმოება...

7. **განათლების მიმართულებით აუცილებელია სწორად იქნეს მიტანილი ახალგაზრდობამდე, ერთი მხრივ, ისტორიული ქართული გამოცდილება, ქართული ხალხური სიბრძნე, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო (მსოფლიო) გამოცდილება);** მაგ., კომბლე სამართლიანობისათვის მებრძოლი წარმატებული ადამიანია (ხელმწიფე ხდება!) და არა – მოძალადე; ნაცარქექია მიმტევებელია (და არა – მუქთახორა): გამდიდრების შემდეგ მთელი ქონება მისცა ძმებს, რომლებმაც სახლიდან გამოაგდეს და მრავალი სხვა.

8. **პროდასავლურობა, პრორუსულობა თუ ნეიტრალიტეტი?** ბოლო 200 წელიწადში რუსეთის იმპერიის შეუქცევადი აგრესიების გათვალისწინებით, აუცილებელია **საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ გეოპოლიტიკურ სივრცეზე ორიენტირებით** /უახლოეს პერიოდში შეუძლებელი იქნება მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გრძელვადიანი შეთანხმება საქართველოს სრულ **ნეიტრალიტეტზე/; კერძოდ, გვაქვს საგარეო (გეოპოლიტიკური) ურთიერთობების სამი პერსპექტივა:**

ა) დასავლეთის დისტანციური და არასაკმარისი (არაპროპორციული!) მხარდაჭერის პირობებში რუსეთი იარაღის ძალით კონტროლს დაამყარებს საქართველოზე, ანდა, 1992 წლის უკანონო პრორუსული (პუტჩისტური) ხელისუფლების მსგავსად, რომელიმე ახალი ხელისუფლება ღალატის შეფუთვით საქართველოს დააბრუნებს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში... **ასეთ შემთხვევაში საქართველოს კატასტროფა ელის:** რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, ენობრივ-ეთნიკურად დაანაწევროს ქართველი ერი და მყიფე ფედერაციისა თუ რეგიონალიზაციის გზით საბოლოოდ დაშალოს საქართველოს სახელმწიფო; ამის შემდეგ რუსეთი სამუდამოდ მიიერთებს **გეოპოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოს –** საქართველოს, ქართველი ერი კი საბოლოოდ განადგურდება.

ბ) დასავლეთს, ნატოს ნამდვილად ესაჭიროება სტრატეგიული ტერიტორიის მქონე საქართველო; შესაბამისად, ახლო მომავალში **ნატო გააქტიურდება და თავის წევრად მიიღებს საქართველოს; თავის თავზე აიღებს, რუსული თუ სხვა ქვეყნის აგრესიისაგან დაიცვას საქართველოს სახელმწიფოს არაოკუპირებული ტერიტორია.** რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ისტორიული ნაწილები – აფხაზეთი და ცხინვალის მხარე – აღიარებული იქნება საქართველოს დე იურე ნაწილად და ინტენსიურად ამოქმედდება ამ მხარეებში **საქართველოს იურისდიქციის აღდგენის** (ამ მხარეების საქართველოსათვის დაბრუნების) **გრძელვადიანი სტრატეგია** /დაახლოებით, ისეთი, რომელმაც უზრუნველყო აღმოსავლეთ გერმანიის შეერთება დასავლეთ გერმანიასთან/. საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი.

გ) გაეროს მიერ საქართველო გამოცხადდება ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

აუცილებელია ისეთი პერსონების შესახებ გადაცემების გაკეთება, რომლებიც ამბობენ, რომ ქართულ/ქართველურ ღირებულებებზე დაფუძნებული და აღორძინებული საქართველო უნდა იყოს ევროპის, მსოფლიოს სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი წევრი.

საქართველომ პროდასავლური არჩევანი გააკეთა არაერთხელ:

– როცა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა (სპარსულის ალტერნატივა!);

– თურქ-სელჯუკების შეჩერება და ევროპის გადარჩენა;

– სულხან-საბას მცდელობები;

– 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი;

– 2008 წლის პლებისციტი ნატოს სასარგებლოდ...

**სამწუხაროდ, დასავლეთმა ადრე სათანადოდ ვერ შეაფასა საქართველოს გეოპოლიტიკური როლი, თუმცა ახლა საერთაშორისო ვითარება ჩვენ სასარგებლოდაა: დასავლეთი (ნატო, ევროკავშირი) აფასებს საქართველოს პროდასავლურ არჩევანს და ხელს შეუწყობს საქართველოს,**

**გახდეს დამოუკიდებელი და ერთიანი, თუკი საქართველოს მოქალაქენი ვიქნებით ერთიანნი!**

**პერსპექტივა:** დასავლეთი მოილაპარაკებს რუსეთთან, მოხდეს საქართველოს დეოკუპაცია – აფხაზეთი და ცხინვალის მხარე დატოვოს რუსეთის ჯარმა, რომ აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; სამაგიეროდ, საქართველო აღარ გახდება ნატოს წევრი.

არის ალბათობაც, **მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეები საუკუნო კონსესუსის წესით საქართველოს გამოაცხადებენ შვეიცარიის მსგავს ნეიტრალურ სახელმწიფოდ** (თვითგამოცხადებული "ნეიტრალიტეტი", ისეთი, როგორიც გამოაცხადა 1920 წელს ნოე ჟორდანიამ და დღეს გვპირდება ნინო ბურჯანაძე, საქართველოს ისევ სარუსეთოდ გაწირავს! თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი დასავლეთზე უარის თქმას და აგრესიული, არასანდო, იმპერიული რუსეთის პირისპირ მარტოდ დარჩენას ნიშნავს).

9. **ქართულენოვანი მართლმადიდებლობა, როგორც მემკვიდრეობა.** ქართულ ენასთან ერთად, ქართულენოვანი მართლმადიდებლობა არის ქართული კულტურის საფუძველი; აუცილებელია ამის გააზრება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის. ქართული ენა და მართლმადიდებლობა უპირველესი ქართული კულტურაა.

ქართულენოვანი მართლმადიდებლობის, როგორც **მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ოფიციალური აღიარების ფონზე** აუცილებელია ყველა სხვა რელიგიის მიმდევრის უფლებების განუხრელი დაცვა... და სხვ.

21 იანვარი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## კალაძისა და ბერძენიშვილის შეცდომა: ეთნოსი თუ სუბეთნოსი? და... იაკობ გოგებაშვილის სიბრძნე

2017 წლის 12 მარტს კახი კალაძემ შეცდომა დაუშვა: შეუფერებელ კონტექსტში გამოიყენა ტერმინი "ეთნოსი". 14 მარტის "არჩევანში" დათო ბერძენიშვილმა კახი კალაძეს შეცდომა გაუსწორა და არანაკლები შეცდომა დაუშვა – ქართველთა ერთი ნაწილის მიმართ გამოიყენა ასევე სრულიად გაუმართლებელი ტერმინი: "სუბეთნოსი"...

ბოლო დღეებშიც კიდევ ერთხელ გამოჩნდა: საქართველოში ბევრმა არ იცის, მის გარდა კიდევ ვინ არის ქართველი და სხვებს ნებსით თუ უნებლიეთ შეურაცხყოფს! ბათუმელი ბიჭების (დიდი უმრავლესობის; პროვოკატორებსა და ვანდალებს არ ვგულისხმობ!) ქუჩაში გამოსვლა მათი ქართველობისა და ღირსების შელახვამ რომ გამოიწვია, ესეც უეჭველი ფაქტია. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია: წესით, 11 მარტის აქციამ ყველა მხარეს უნდა ასწავლოს ჭკუა. თუმცა, ჭკუის სწავლა განათლების დეფიციტს ვერ აღმოფხვრის; განათლების მიღებისათვის აუცილებელია წაკითხულის გააზრება.

ქვემოთ მოკლედ წარმოგიდგენთ, რას ნიშნავს ტერმინები: "ეთნოსი" და "სუბეთნოსი":

ბერძნული სიტყვა: **ethnos** ნიშნავს "ხალხს", ტომს, ეთნიკურ ერთობას, ერს.

**ეთნოსი** ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი **ენობრივ-კულტურულ-ფსიქიკური ერთობაა.** ეთნოსის გაჩენის აუცილებელი პირობებია: ისტორიული

ტერიტორია, ენა და ფსიქიკური წყობის ერთიანობა.

ქართულ სინამდვილეში ეთნიკურ ტერმინთა არასწორ გამოყენებას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა (გ. გეგეშიძე, ვ. ითონიშვილი, რ. თოფჩიშვილი...), სადაც აღინიშნა მავანთა მცდელობაც, ტერმინოლოგიური მანიპულაციებით ქართველი ერის შემადგენლობიდან გამოაცალკევონ სვანები, მეგრელები, აჭარლები, მესხები...

ეთნიკური ტერმინებით: "ეთნოსი", "ეთნიკური ჯგუფი", "სუბეთნოსი"... უნდა აღინიშნოს დამოუკიდებელი ეთნოსტრუქტურისა და ენის მქონე ადამიანთა ერთობები. ქართველთა ცალკეული ჯგუფების აღსანიშნავად კი გამოყენებული უნდა იყოს "წარმომავლობის სახელი", ანდა, ტერმინი "თემი"; მაგ., ეთნოლოგიური თუ ლინგვისტური ასპექტით, ქართველი ერის/ეთნოსის ცალკეული თემებია: აჭარლები, გურულები, ჩაღმათუშები, წოვათუშები, იმერლები,

ჰერები (ინგილოები), მეგრელები, ლაზები, მთიულები, იმერხეველები, მაჭახლელები, სამცხელები, შავშელები, ლივანელები, ტაოელები, მოხევეები, სვანები, ფერეიდნელები, ჯავახები, ხევსურები, ქართლელები, ფშაველები, კახელები, რაჭველები, ლეჩხუმელები...

ბევრ სერიოზულ შეცდომას უდებს სათავეს, აგრეთვე, ტერმინ ეთნონიმის არასწორი გამოყენება; ეთნონიმებია: ქართველი, რუსი, ოსი... და არა წარმომავლობის სახელები (თემონიმები): კახელი, ქართლელი, მეგრელი, აჭარელი, იმერელი და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი ზოგჯერ., "ეთნოსის" გარდა, საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები: ეთნიკური ჯგუფი, სუბეთნოსი, ეთნიკოსი.

უფრო ვრცლად სუბეთნოსის შესახებ: **ტერმინი "სუბეთნოსი"** გამოიყენება ადამიანთა ისეთი ერთობის აღსანიშნავად, რომელიც დამოუკიდებელ ეთნოსად ყალიბდება.

**სუბეთნოსი** ეთნოსად ჩამოყალიბების გზაზე დამდგარი განკერძოებული საზოგადოებაა, ეთნოკულტურული იდენტობის მქონე ჯგუფია, ფაქტობრივად, სხვა ეთნოსია; მაგ., სუბეთნოსია **ტორბეშები** (მაკედ. торбеши), ლათ. torbeš) - მაკედონელი ხალხის სუბეთნოსი, **სლავურენოვანი მუსლიმანები.** ტორბეშთა უმცირესობა ცხოვრობს მაკედონიასა და კოსოვოში. საუბრობენ მაკედონურ ენაზე. ტორბეშებს მაკედონელებისა და სერბებისაგან მათი რელიგიური კუთვნილების გამო განასხვავებენ, ხოლო ამავე რეგიონში მცხოვრები თურქებისა და ალბანელებისაგან კი – ენობრივად.

საგანგებოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: აჭარლები სხვა ქართველებისაგან არაფრით განსხვავდებიან; არც ენით და არც რელიგიით: აჭარლები პირველი ქრისტიანი ქართველები არიან (ვართ!); მათი დიდი ნაწილი გამუსლიმანდა ოსმალეთის პერიოდში. ათეიზმის 100-წლიანი ბატონობის პერიოდში კი შეიქმნა წინაპირობები და **დღეს აჭარელთა დიდმა უმრავლესობამ დაიბრუნა წინაპართა რელიგია – ქრისტიანობა.**

ამჟამინდელი აჭარის მოსახლეობის 85 % ქრისტიანია; შესაბამისად, **აჭარლების სუბეთნოსად მიჩნევა ისეთივე დიდი შეცდომაა, როგორც ამ მირძველი ქართველების გამოცხადება სხვა ქართველებისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ ეთნოსად:** გურული, აჭარელი, მეგრელი, კახელი, იმერელი, სვანი, ქართლელი... ყველა ერთად ქმნის ერთ ეთნოსს – ქართველობას.

**...რა ჰკვიანია იაკობ გოგებაშვილი,** რომლის სასკოლო სახელმძღვანელოების მთავარი მიზანი, წერა-კითხვის სწავლების გარდა, იყო სხვადასხვა კუთხის ქართველთა ერთიანობის გააზრებინება!

სწორედ ეს (ქართველთა ერთიანობის გააზრებული ცოდნა!) აკლია თანამედროვე განათლების სისტემას და, ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილსაც.

14 მარტი, 2017

## პრობლემები ენის პოლიტიკის სფეროში

საქართველოს თანამედროვე გამოწვევები ენობრივი პოლიტიკის სფეროში

**I გამოწვევა:** სახელმწიფო ენის (/ენების) სტატუსის გათვალისწინებით ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიცირება "რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" პრინციპების შესაბამისად.

**II გამოწვევა:** ევროკავშირის წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულება: "რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" რეკომენდაციების გათვალისწინებით "რეგიონული ან უმცირესობის ენის" სწორად კვალიფიკაცია, საქართველოში არსებული არაქართული მეტყველებების რაოდენობის განსაზღვრა "ენის ქარტიის" კრიტერიუმების საქართველოს მოცემულობასთან სწორ შესაბამისობაში მოყვანითა და მკაცრი დაცვით; ბოლოს კი "ენის ქარტიის" რატიფიკაცია.

**III გამოწვევა:** ქართული და აფხაზური ენების სწავლებისა და ქართველური და აფხაზური ენების დიალექტების (სახელმწიფო ენების სახესხვაობების) შენარჩუნება; განსაკუთრებით, იმ დიალექტების დაცვა, რომელთაც გაქრობის საფრთხე ემუქრებათ (განსაკუთრებული ზრუნვის

საგნად უნდა იქცეს ირანსა და შუა თურქეთში არსებული ქართველური მეტყველებები).

**IV გამოწვევა:** ქართული ენის ტექნოლოგიზება: ქართული ენის ეროვნული კორპუსის მომზადებისა და ავტომატური ორენოვანი თარგმანების ორგანიზება ხელისუფლების მიერ.

**V გამოწვევა:** ქართულენოვანი ტერმინოლოგიისა და ქართული ენის ნორმების შემუშავება ახალი რეალობის გათვალისწინებით (აფხაზურისთვისაც ანალოგიური ღონისძიებების დაგეგმვა, და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ განხორციელება). ამ მიმართულებით საქართველოს ყველა უნივერსიტეტისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შესაბამისი პროფილის მეცნიერთა კოორდინაცია.

18 მარტი, 2017

## დიდი მადლობა. thank you very much

მოკლედ:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017-ის“ ფარგლებში 27, 28 და 29 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ენობრივი სიტუაცია კავკასიაში“.

დიდი მადლობა ყველას, ვინც დიდი თუ მცირე მონაწილეობა მიიღო ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის დაგეგმვაში, ორგანიზებაში, მხარდაჭერაში... დიდი მადლობა მომხსენებლებსა და დისკუსიაში მონაწილეებს. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი კონფერენცია და ძალიან დიდი ენერგია დასჭირდა მის ორგანიზებას; მნიშვნელოვანია შედეგებიც. რამდენიმე შემაჯამებელ ფრაზას აქვე გეტყვით:

1. კავკასიაში ენობრივ პოლიტიკას ანტიქართულად და კავკასიელთა საწინააღმდეგოდ ისევ კავკასიელთა და მათ შორის ქართველთა გამოყენებით გეგმავს და ახორციელებს რუსეთი ბოლო 200 წლის მანძილზე.

2. საქართველოს ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით ევროკავშირი თავს არაფერს გვახვევს (მოსყიდულ თუ საქართველოს ენობრივი ისტორიის არმცოდნე ცალკეულ ევროექსპერტებს თუ არ ჩავთვლით). საქართველოს სრული უფლება აქვს, თავად განსაზღვროს პრიორიტეტები “რეგიონული ან უმცირესობების ენების ევროპული ქარტიის” შესანიშნავი დებულებების სწორი ინტერპრეტირებით. ამ თვალსაზრისით, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო ჩვენს სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველ თუ უცხოელ სპეციალისტთა დასკვნები.

3. ისტორიული წყაროების არასწორი წაკითხვითა თუ წინააღმდეგობრივი უცხოური წყაროების დაუბალანსებელი გამოყენებით, დღეს მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული ანტიქართული პოლიტიკური თუ ეთნოლინგვისტური რუკები; აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზე სწორი კვალიფიკაციებისა და აკადემიური რუკების დროულად გატანა-გავრცელება, რამდენადაც, არასწორი რუკები თუ არასწორად გადათარგმნილი წყაროები ბევრი ანტიქართული იდეოლოგემის საფუძველი ხდება.

4. ეშმაკს რქები აქვს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ უეჭველი ვიცი ეშმაკისაგან თუ მტრისაგან მართული ადამიანის ქცევის მახასიათებელი: ესაა ნეგატიური დისკურსის შემოგდება, ანდა, სულ სხვა საგანზე ჭორაობის დაწყება აკადემიურ ველში (ესაა ასეთი “ეშმაკეული” სუბიექტის ერთჯერადად იოლი გზა, როცა არგუმენტები არა აქვს, მაგრამ სურს ადამიანის თვალსაზრისი ანდა ავტორიტეტი გააოროს...).

5. ყველაფერი კარგადაა მაშინ, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება: ყველას გილოცავთ მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციის წარმატებით დამთავრებას, განსაკუთრებით გილოცავთ ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესურას, სტუდენტებსა და გულშემატკივრებს!

იხ.: https://www.facebook.com/photo.php?fbid=485859335107059&set=pcb.485862355106757&-type=3&theater

სხვაენოვანი პროგრამები:

https://www.facebook.com/photo.php?fbid=485865675106425&set=pcb.485869485106044&-type=3&theater

VIII International Scientific Conference on Kartvelology Center: "Language situation in the Caucasus"

https://www.facebook.com/photo.php?fbid=485869931772666&set=pcb.485870188439307&-type=3&theater

KARTVELOLOJİ MERKEZİ VIII. ULUSLARARASI BİLİMSEL KONFERANSI: "KAFKASYA'DA DİL DURUMU"

https://www.facebook.com/photo.php?fbid=485870471772612&set=pcb.485870831772576&-type=3&theater

VIII международная научная конференция Картвелологического центра на тему: «Языковая ситуация на Кавказе»

1 ოქტომბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## მეცნიერების დაფინანსება თანამედროვე რეალობაში /ქართველოლოგიის კონტექსტი/

დღეს რამდენიმე თეორიული შესაძლებლობაა დაფინანსდეს ქართველოლოგიური კონფერენცია თუ ქართველოლოგიური სამეცნიერო პროექტი:

– საერთაშორისი ფონდის კეთილი ნება;

– საქართველოს სახელმწიფო გრანტი /რუსთაველის ფონდი/;

– სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტის შიდა გრანტი;

– კერძო ბიზნესის კეთილი ნება.

საერთაშორისო ფონდები ნაკლებად ინტერესდებიან ქართველოლოგიური პროექტებით და თუკი ინტერესდებიან, ექსპერტებად ჰყავთ საბჭოთა პერიოდში რუსეთის იმპერიის მესვეურთა ხელშეწყობით აღზრდილი ქართველოლოგები (მაგ., ჯორჯ ჰიუიტი), რომელთაც ის პროექტები უფრო მოსწონთ, რომლებიც **აგრძელებენ ანტიქართულ იდეოლოგიურ სქემებს** (იდეოლოგემებს); თუმცა, ამ მიმართულებითაც უნდა გავააქტიუროთ ძალისხმევა.

**– რუსთაველის ფონდს** ისეთი კანონმდებლობის ველში უხდება მუშაობა, რომ ვერ გვიცავს არაკეთილსინდისიერი ექსპერტისაგან (ქვემოთ გავაანალიზებ ერთ კონკრეტულ შემთხვევას);

– დღეს არცერთი უნივერსიტეტი არაა დალხენილი შესაბამისად, **უნივერსიტეტის შიდა გრანტით** რთულია დიდი პროექტის განხორციელება;

**– კერძო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის უფრო ბუნებრივია დიდი ფული დახარჯონ შენს პატივსაცემად,** ვიდრე იმავე ფულით დაგიფინანსონ რაიმე სამეცნიერო ან საგანმანათლებლო პროექტი; მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ აფინანსებს ბიზნესმენი ღირებულ სამეცნიერო/საგანმანათლებლო პროექტს.

**ბოლო სიტუაციის განხილვით დავიწყებ:** სერიოზული საერთაშორისო კონფერენციის დაგეგმვა და მომზადება ხდება, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში.

2016 წელს ქართულ უნივერსიტეტში კათოლიკოს-პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენლის – **მეუფე იაკობისა და რექტორის – ბ-ნ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით,** ქართველოლოგიის ცენტრის მიერ დაიგეგმა კონფერენცია **კავკასიაში ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკის შესახებ;** მაშინვე გადაწყდა, რომ დაფინანსების ნახევარს უნივერსიტეტი გაიღებდა (ეს იყო უნივერსიტეტის შესაძლებლობის მაქსიმუმი; შესაბამისად, გულწრფელი მადლობა დასახელებულ ორივე პიროვნებას, ასევე – ჩვენი ფაკულტეტის დეკანს, ბ-ნ ლევან ჯიქიას), ნახევარი კი კერძო ბიზნესიდან უნდა მომეძიებინა.

**კონფერენცია უკვე ჩატარდა;** შესაბამისად, იოლია სიტუაციის გაანალიზება (კონფერენციის

მასალები შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის გვერდზეც და ჩემს კედელზეც: https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2625&lang=geo.კონფერენციადეტალურადგააშუქატელეკომპანია "ერთსულოვნებამ" /სხვა ტელეკომპანიების რა მოგახსენოთ; ზოგადად, ტელეკომპანიების ქცევა ბიზნესმენებისას ჰგავს :)/.

საქართველოს უახლოესი გამოწვევების კონტექსტით ისეთი მნიშვნელოვანი კონფერენცია იყო, მეგონა საჭირო თანხას იოლად გამოვძებნიდი ჩემს ბევრ ნაცნობ ბიზნესმენს შორის (რომლებიც ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ეამაყებათ ჩემი მოღვაწეობა და ჩემთან მეგობრობა!); მეგონა, რომ ისინი მზად იყვნენ, წვლილი შეეტანათ ქართველოლოგიის მიმართულებითაც. მხოლოდ მცირე ნაწილი მოიქცა ღირსეულად, რომელმაც გაიღო კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დანარჩენი თანხის ნაწილი; კერძოდ:

**– ქართული უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი თანხა დაიხარჯა** პროგრამისა და ბანერის დაბეჭდვაში, კონფერენციის მონაწილეთა სუვენირებში, ოფიციალურ გამასპინძლებაში, სასტუმროთა ნაწილში;

**– სამეცნიერო კრებულის: "ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები" დაბეჭდვა უზრუნველყო ჩემმა ნათესავმა ზურაბ ფუტკარაძემ;**

**– სასტუმროებისათვის საჭირო თანხის დიდი ნაწილი გაიღეს ჩემმა მეგობრებმა: ციცინო და ტარიელ ფუტკარაძეებმა** (განსაკუთრებული მადლობა ქ-ნ ციცინოს!), **სოსო ღუდუშაურმა და ვოვა თუთისანმა.**

**სხვა აქტივობები** (კონფერენციის მასალების ოთხენოვანი თარგმანი, სინქრონული თარგმანი, სტუმართა გამასპინძლება კონფერენციამდე და კონფერენციის შემდეგ, მგზავრობა, ექსკურსია...) უზრუნველვყავით საკუთარი ხარჯით: ჩემი ოჯახის წევრებმა და ბ-ნმა სერგო ვარდოსანიძემ; ასევე, ქ-ნმა თამუნა ლომაძემ, ქ-ნმა როზეტა გუჯეჯიანმა და ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა.

კონფერენციამდე 1 თვით ადრე ბევრ მეგობარ თუ ახლობელ ბიზნესმენთაგან მხოლოდ ათამდე კაცს მივმართე; **საგანგებოდ ვარჩევდი ისეთს,** რომელიც კარგად მიცნობდა და უარის თქმით ღირსებას არც მე შემილახავდა და არც საკუთარ თავს ჩაიგდებდა უხერხულ სიტუაციაში (მხოლოდ ზაზა ბაღდავაძეს არ გავაგებინე ჩემი პრობლემა: ზაზა და მე ისედაც ვთანამშრომლობთ უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნის მიმართულებით)...

**ერთხელ კიდევ დიდი მადლობა: ზურას, ციცოს, ტარიელს, სოსოს, ვოვას.** კონფერენციის დაწყების წინ კი ჩემი ნაცნობი ბიზნესმენების ნაწილი იქით დავამშვიდე, რომ **ჩემდამი უარის გამო დისკომფორტში დიდხანს არ დარჩენილიყვნენ. ახლა მათ საჯაროდ ვეტყვი:**

– ბიჭებო, მირჩევნია, თქვენ ქართველოლოგიის განვითარებისათვის დახარჯოთ ენერგია თუ თანხა, ვიდრე ქართველოლოგებისა და საქართველოს სადღეგრძელოებში. **პატივისცემით, თქვენი საამაყო მეგობარი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი :) ...

**ცხოვრება ზამბარისებრ წრეზე ბრუნვაა; სხვა ეტაპზეც შევხვდებით.**

რაც შეეხება რუსთაველის ფონდს: გასულ წელს რუსთაველის ფონდში წარდგენილი გვქონდა სამეცნიერო პროექტი: **"მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა მეტყველება და ფოლკლორი".**

ჩვენი პროექტის პირველი შემფასებლის ქულააა 47, მეორე ექსპერტისა კი – 50 (მაქსიმუმი!). წესით, პროექტს ორი ექსპერტი აფასებს, შესაბამისად, ჩვენი საშუალო ქულაა 48.5; ანუ პროექტი გამარჯვებულთა შორის უნდა ყოფილიყო... რატომღაც ფონდმა პროექტი მესამე ექსპერტთანაც გადააგზავნა, რომელმაც უარყოფითი რეცენზია დაწერა სასაცილო არგუმენტებით და მაქსიმალურად დასწია ქულათა რაოდენობა: დაწერა 38, რამაც საბოლოო ჯამში ქულათა საშუალო არითმეტიკული დაიყვანა 45 ქულამდე – ზუსტად იმდენ ქულამდე, რომელიც საკმარისად არ ჩაითვალა კონკურსში გასამარჯვებლად.

ახლა კი საკუთრივ მესამე ექსპერტის "სასაცილო არგუმენტების", სინამდვილეში, ანტიქართული გესლის, შესახებ: ექსპერტის აზრით, თურქეთის სინამდვილეში ჩვენი პროექტი ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ საქართველოში "ქართველები და აფხაზები ჯერ კიდევ

საომარ სიტუაციაში არიან”.

**ჩემი პასუხი:** ქართველები და აფხაზები კი არა, დღეს მთელი მსოფლიო აღიარებს (რუსი პოლიტიკოსებისა და ამ ექსპერტის გარდა!), რომ **საომარ მდგომარეობაში საქართველო და რუსეთია. გარდა ამისა, თურქეთის ტერიტორიაზე ხშირად იმართება ქართველთა და აფხაზთა ქორწილიც კი** (მე ვესწრებოდი ასეთ ქორწილს); მეტიც, მე და ჩემს კოლეგებს აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებთანაც გვაქვს ურთიერთობა; შესაბამისად, ექსპერტი აყალბებს რეალობას და ცდილობს, საქართველოს ბიუჯეტითაც კი არ დაფინანსდეს ჩვენი სამეცნიერო პროექტი!

ექსპერტი იმდენად უვიცია, რომ ჰგონია, არ არსებობენ ქართველი მუჰაჯირები! კერძოდ, მოგვყავს მისი ციტატა: “თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც თურქეთში აღმოჩნდნენ ძირითადად იმ მიზეზით, რომ მოხდა თურქეთისა და საქართველოს საზღვრების ცვლილება. აქედან გამომდინარე, ფრიად საეჭვოა პროექტში წარმოდგენილი ფორმულირება, რომ ეს ორი საზოგადოება იზიარებს „მუჰაჯირთა“ ფესვებს”.

აშკარაა, “ექსპერტი” არაა ჩახედული საქმეში; **თურქეთში მუჰაჯირთა შთამომავალი მილიონობით ქართველი ცხოვრობს;** აფხაზ და ქართველ მუჰაჯირებს ბევრი რამ აქვთ საერთო; თუნდაც, თურქული ენის გავლენა დედაენაზე.

**იკითხავთ, ვინ არის ეს ექსპერტი?**

ვიღაც ჰიუიტისნაირი, რომელსაც მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარება არ აინტერესებს.

მე სასამართლოში შევიტანე სარჩელი, რომ რუსთაველის ფონდს დავეხმარო, გათავისუფლდეს ასეთი ექსპერტებისაგან. სასამართლო რამდენჯერმე გადაიდო; წესით, მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს უნდა გაიმართოს (თუ კიდევ არ გადადეს).

**ასეთია ის რეალობა, რომელშიაც დღეს ხორციელდება ქართველოლოგიური კვლევები.** მარტოც რომ დავრჩეთ, ჩვენს გზას მაინც გავაგრძელებთ, მაგრამ უმჯობესია მეტი კონსოლიდაცია, რამდენადაც **თანამედროვე ქართველოლოგიის განვითარებაზეა დამოკიდებული საქართველოს, ქართველი ერის მიერ მომავალში საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფა:** ტანკებით თავდაცვა მეასეხარისხოვანი ხდება; მთავარი თავდაცვა საინფორმაციო თავდაცვაა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და მეცნიერულ კვლევებს, პირველ რიგში კი – ქართველოლოგიურ კვლევებს.

**და ბოლოს:** საქართველოს ფარგლებს გარეთ 4 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს; ისინი თანდათანობითასიმილირდებიან.მათიმცირენაწილიგამოთქვამსსურვილს,ქართველოლოგიურ მეცნიერულ საფუძვლებს დაეუფლონ საქართველოში და გააცოცხლონ უცხოეთში არსებული ქართველოლოგიური კერები; ასეთი პიროვნებების დაფინანსებასაც კი ვერ ახერხებს ვერც ჩვენი სახელმწიფო და ვერც სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტები; **ბიზნესმენების ამბებსაც უკვე მოგიყევით...**

ახლა ვფიქრობ, რომ 10 ბიზნესმენის უპერსპექტივო შეწუხებას ხომ არ ჯობია, ასმა კაცმა შევქმნათ ფონდი; თითოეულმა თვეში 10 ლარი დავდოთ; წელიწადში 12 000 ლარი იქნება. ამ თანხით შეიძლება დავაფინანსოთ რამდენიმე ქართველი სტუდენტი, რომლებიც საქართველოში სწავლობენ (ან ისწავლიან) იმიტომ, რომ უცხოეთში გააცოცხლონ ან გააძლიერონ ქართველოლოგიური კერა.

ერთი მე ვარ; **100-კაციან ფონდში არის კიდევ 99 ვაკანსია;** ახლა ნამდვილად არ ვრისკავ:

**საქართველოში უთუოდ არის ღირსეული და რეალობის აღქმქმელი, სულ მცირე, 100 პიროვნება :)**

15 ოქტომბერი, 2017(26 ოქტომბერი, 2020)

## რას ნიშნავს: რეგიონული ენა, უმცირესობის ენა, ტერიტორიის არმქონე ენა „რეგიონული ან უმცირესობის ევროპული ქარტიის“ მიხედვით?

რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვის თემაზე არაჯანსაღი კამათის მიზეზი ზოგჯერ ტერმინოლოგიური გაუგებრობებია. ამ თემას ჩემი და ჩემი თანაავტორების წიგნი მიეძღვნა („რეგიონული ან უმცირესობის ევროპული ქარტია და საქართველო“

http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315589).

ბოლო პერიოდში გააზრებულად თუ გაუცნობიერებლად ზოგი აყალბებს „ევროპული ქარტიის“ ტერმინების შინაარსს, ამიტომ ამ ტერმინებს კიდევ ერთხელ განვმარტავთ შესაბამისი ციტირებებით.

„რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ **მუხლი 1**

(https://rm.coe.int/168007bf4b):

ა) “რეგიონალური ან უმცირესობათა ენები” ნიშნავს ენებს, რომლებიც:

I. **ტრადიციულად გამოიყენებიან** სახელმწიფოს შესაბამის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც რიცხობრივად უფრო **პატარა ჯგუფს წარმოადგენენ,** ვიდრე ამ სახელმწიფოს **დანარჩენი მოსახლეობა** და

II. განსხვავდებიან სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან); იგი არ მოიცავს სახელმწიფოს **ოფიციალური ენის დიალექტებსა და არც მიგრანტების ენებს.**

**იხ. ასევე, “ევროპული ქარტიის განმარტებითი მოხსენების” 32-ე მუხლი:** “ეს ენები უნდა მკაფიოდ განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. **ქარტია არ ეხება ერთი და იმავე ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს.** მაგრამ იგი არაფერს ამბობს ხშირად სადავო საკითხზე იმასთან დაკავშირებით, თუ გამოხატვის განსხვავებული ფორმები როდის უნდა ჩაითვალოს ცალკე ენად. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქოსოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს. აქედან გამომდინარე, თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული საკუთარი დემოკრატიული პროცესების მიხედვით იმის გადაწყვეტა, რა მომენტიდან ჩაითვალოს გამოხატვის ფორმა ცალკე ენად“ https://rm.coe.int/168070aafc (32).

These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the State. The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language. However, it does not pronounce on the often disputed question of the point at which different forms of expression constitute separate languages. This question depends not only on strictly linguistic considerations, but also on psycho-sociological and political phenomena which may produce a different answer in each case. Accordingly, it will be left to the authorities concerned within each State, in accordance with its own democratic processes, to determine at what point a form of expression constitutes a separate language.

https://rm.coe.int/16800cb5e5?fbclid=IwAR05xEMHn3XUHWfSumXoI5MuA4e2WTWh-h5eO1M6RQ3jFy3fRemeJH4e-x94

ბ) ტერიტორია, რომელზედაც გამოიყენება “რეგიონალური ან უმცირესობის ენა”, ნიშნავს გეოგრაფიულ არეალს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს **იმ რაოდენობის ხალხისათვის,** რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებული იყოს;

Article 1, b: territory in which the regional or minority language is used” means the geographical area in which the said language is the mode of expression of a number of people justifying the adoption of the various protective and promotional measures provided for in this Charter.

გ) “არატერიტორიული ენები” ნიშნავს სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ გამოყენებულ ენებს, რომლებიც **განსხვავდებიან სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობის** მიერ გამოყენებული ენის ან ენებისაგან, მაგრამ რომლებიც, თუმცა ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვერ გაიგივდებიან რომელიმე კონკრეტულ რაიონთან.

**“რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის” განმარტებითი მოხსენების (https://rm.coe.int/16800cb5e5) შესავალი:** „ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი **ავტოქთონური ჯგუფები,** რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის **მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან.** ეს იმითაა განპირობებული, რომ ისტორიულად სახელმწიფოთა ფორმირება არ ხდებოდა მხოლოდ ენობრივი ნიშნით და მათი წარმოქმნის პროცესში მიმდინარეობდა **მცირე ხალხების** შერწყმა **უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებთან“.**

**ცხადია, რომ ეს „ევროპული ქარტია“ დიდებული დოკუმენტია: დაიწერა საფრთხის ქვეშ მყოფი „უმცირესობის ენების“ („ენობრივი უმცირესობის“ დედაენის) დასაცავად** (მსოფლიოში 220 სახელმწიფოა, ენათა რაოდენობა კი 5 000-ზე მეტია; შესაბამისად, ცოტაა სახელმწიფო ენა და ბევრია უმცირესობის ენა).

**დამატებით განვმარტავთ: „ევროპული ქარტიის“ მიხედვით ტერმინი „რეგიონული ან უმცირესობის ენა” ვლინდება სამი ვარიანტის სახით:**

**ა) რეგიონული ენა** – მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ავტოქთონი უმცირესობის არასახელმწიფო ენა, რომელი უმცირესობაც კომპაქტურად ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ერთ-ერთ კუთხეში და უმრავლესობაა ამ კუთხეში; **სხვაგვარად: რეგიონული ენა** – სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი უმცირესობის ენა (როგორც კულტურული ფენომენი), თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში.

**ბ) უმცირესობის ენა** – მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ავტოქთონი უმცირესობის არასახელმწიფო ენა, რომელი უმცირესობაც კომპაქტურად ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ერთ-ერთ მხარეში და უმცირესობაა აქაც; სხვაგვარად: **უმცირესობის ენა** – სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი უმცირესობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ კუთხეშიც (მხარეშიც, რეგიონშიც).

იხ., ასევე, „ევროპული ქარტიის“ განმარტებითი მოხსენების მე-18 პუნქტი:

„ევროპაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია არ გამოეყენებინა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა “ნაკლებად გავრცელებული ენები” და უპირატესობა მიანიჭა ტერმინს “რეგიონალური ან უმცირესობათა ენები”. “რეგიონალური” აღნიშნავს ენებს, რომლებიც გავრცელებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში, სადაც **ეს ენა აქ მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისათვის მშობლიურ ენას წარმოადგენს (ანუ: მოცემულ რეგიონში მცხოვრები ხალხის დედაენაა – ტ.ფ.).** ტერმინი “უმცირესობა” ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხი არ არის კონცენტრირებულად განსახლებული სახელმწიფოს ტერიტორიის ერთ რომელიმე ნაწილში ან როდესაც **ამ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფი,** მართალია კონცენტრირებულად ცხოვრობს სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე, მაგრამ იგი უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე აღნიშნულ ტერიტორიის დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც ამ სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე ლაპარაკობს.

მაშასადამე, ორივე ტერმინი ფაქტობრივ კრიტერიუმებს ეყრდნობა და არა სამართლებრივ ცნებებს და ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება. მაგალითად, უმცირესობის ენა ერთ სახელმწიფოში შეიძლება სხვა სახელმწიფოში უმრავლესობის ენა იყოს“ (ანუ: უმცირესობის ენაა ის ენა, რომელიც არ არის სახელმწიფო ენა – ტ.ფ.).

ქარტიის ავტორები პირველივე მუხლში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ტერმინი: **„regional or minority languages“ გულისხმობს ერთი კატეგორიის ენას, რომელიც შეიძლება რეალიზებული იყოს ორ (/სამ) ალტერნატიულ ვარიანტად. ეს ალტერნატივა or (ან) კავშირით გამოიხატება** (და კავშირი ორ საგანს გულისხმობს, ან – ერთ-ერთს). შესაბამისად, “ევროპული ქარტიის” დებულებებზე მსჯელობისას ქართულ სინამდვილეში გამოყენებულ უნდა იქნეს ტერმინი: „რეგიონული ან უმცირესობის ენა“ და არა – დამოუკიდებლად “რეგიონული ენა” თუ “უმცირესობის ენა” (მეტი ინფორმაციისათვის იხ., აგრეთვე „ევროპული ქარტიის“ განმარტებითი ნაწილის: მე-17, მე-18, მე-19, 32-ე, 33-ე, 36-ე და 37-ე პუნქტები).

**გ) ტერიტორიის არმქონე ენა** – მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ავტოქთონი უმცირესობის არასახელმწიფო ენა, რომელი უმცირესობაც კომპაქტურად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს არც ერთ

კუთხეში; სხვაგვარად: **ტერიტორიის არმქონე ენა** – მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი.

იხ., ასევე, „ენის ქარტიის 36-ე განმარტება: "ტერიტორიის არმქონე ენები" არ მიეკუთვნება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს, რამდენადაც მათ არ გააჩნიათ ტერიტორიული ბაზა, ანუ გავრცელების განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი. თუმცა, სხვა თვალსაზრისით, ეს ენები შეესაბამება I მუხლის ა პარაგრაფში მოცემულ განსაზღვრებას (იხ ზემოთ), რამდენადაც მათზე საუბრობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები. ტერიტორიის არმქონე ენების მაგალითებია **იდიში** და **ბოშათა ენა.**

**საქართველოს კონტექსტში ცალსახად უნდა ითქვას:** ქართული ენა და აფხაზური ენა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. **ვისაც მიაჩნია, რომ მისი დედაენა არ არის სახელმწიფო ენა** (საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დედაენა – ქართული ენა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეორე სახელმწიფო ენა – აფხაზური ენა), ბუნებრივია, მისი დედაენა არის უმცირესობის ენა. **უმცირესობის ენის მიმართულებით ორგვარი პერსპექტივა გვაქვს:**

ა) ის, ვინც თვლის, რომ მისი დედაენა არ არის ქართული ენა, ან აფხაზური ენა და, ამავე დროს, **მისი დედაენა ახალი თუ ძველი მიგრანტების ენაა** (მაგ.: სომხები და აზერბაიჯანლები, რუსები, ჩეჩნები და სხვ.), ეს ენა დაცული უნდა იყოს ევროსაბჭოს შესაბამისი კონვენციით: "ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" (სტრასბურგი, 2015 წ.)

https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800c130b; https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168007cdac. ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან /რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938 – IIს დადგენილებით/.

ბ) ის, ვინც თვლის, რომ მისი დედაენა არ არის ქართული ენა (ან აფხაზური ენა) და, ამავე დროს, ეს ჯგუფი საქართველოს ავტოქთონი მოსახლეობაა, მისი დედაენა, როგორც უმცირესობის ენა, უთუოდ უნდა იყოს დაცული „ევროპული ქარტიით". **რომელია ასეთი ენა, ამაზე უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლება სპეციალისტებთან შეთანხმებით** (და არა – გარედან პროვოცირებით).

**ჩემი აზრით,** ქართველთა უდიდესი განძის – ქართული ენის სახესხვაობების (ქართველური მეტყველებების; ქართველური ენაკილოების) – როგორც **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის,** დაცვის ვალდებულება აქვს საქართველოს სახელმწიფოს: **საქართველოს ხელისუფლებასა და თავად ქართველობას, რამდენადაც "ევროპული ქარტიის" 32-ე განმარტების მიხედვით, "ევროპული ქარტია" არ გულისხმობს ერთი და იმავე ენის, ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფო ენის ადგილობრივ ვარიანტებსა (სახესხვაობებს) და დიალექტებს** ("The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language"). **არადა,** დანაშაული იქნება, დაიკარგოს ეს ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა – ჩვენი სიმდიდრე. სწორედ ქართველური ზეპირი მეტყველებების დასაცავად, ჩვენ მიერ ჩაწერილი მრავალრიცხოვანი ტექსტების გამოსაქვეყნებლად დავაარსე სამეცნიერო ჟურნალი, რომელსაც დავარქვი: "ქართველური მემკვიდრეობა". **ჩემი და ჩემი კოლეგების უშურველი შრომით** ამ რეფერირებად სამეცნიერო გამოცემას უკვე დიდი ტრადიცია აქვს: გამოქვეყნებულია 23 ტომი (http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/). **ასევე, ამ მიზნით, ჩვენ შევქმენით (გამოსაცემად მზად არის) სასკოლო სახელმძღვანელო: „ქართველთა ენობრივი სამყარო".**

ჩვენ: ხელისუფლებამ, მეცნიერებმა და ხალხმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გადავარჩინოთ ქართველთა სახელმწიფო ენაც, ქართველთა ენაკავებიც და საქართველოში მცხოვრები უმცირესობების ენებიც; უბრალოდ, **ჩვენი ტერმინოლოგია უნდა დავაბალანსოთ "რეგიონული ან უმცირესობის შესახებ ევროპული ქარტიის", სხვა საერთაშორისო დოკუმენტების, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით.**

აქვე აღვნიშნავ: ქართველთა შორის დღესაც არის მცირე ჯგუფი, რომელიც დღესაც იზიარებს ი. სტალინის მიერ 1913 წელს ჩამოყალიბებულ და საბჭოთა რეპრესიული რეჟიმის მიერ დამკვიდრებულ კვალიფიკაციებს ე.წ. "უმწერლობო ენებისა" და "ენობრივი უმცირესობების" შესახებ; ამ ჯგუფის წევრები თვლიან, რომ მათი დედაენა ქართული არ არის. ასეთ ადამიანებს სრული უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათი ენობრივი იდენტობა, ენობრივი მემკვიდრეობა დაცული იყოს "რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიით".

თუმცა, გასათვალისწინებელია:

არაიშვიათად, ენობრივი იდენტობა სხვადასხვაგვარად გაიაზრება ერთი და იმავე სოციუმის განათლებული და ნაკლებადგანათლებული ჯგუფების მიერ. პირველ რიგში, ეს უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიმღებმა ინსტიტუციებმა; ასეთ დროს აუცილებელია სპეციალისტების დასკვნა (ამ პრობლემის ანალიზისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617).

ზოგადად, ისტორიულად საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა. საქართველო ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა, სადაც ნამდვილმა უმცირესობებმა დღემდე არ იციან საქართველოს სახელმწიფო ენა; ამის მიუხედავად, დღესაც უმცირესობათა კონტექსტში გამართულია საქართველოს კანონმდებლობა; მაგ., **ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით საქართველოს კონსტიტუციაში ვკითხულობთ:**

მუხლი 38: საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ...

**მუხლი 85:** სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი... ამ თვალსაზრისით **საინტერესო დოკუმენტი შეიმუშავა საქართველოს მთავრობამაც 2009 წელს;** იხ.: საქართველოს მთავრობის განკარგულება (№348, 2009 წლის 8 მაისი) „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“; კერძოდ, დამტკიცდა:

– შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია (დანართი №1)

– სამოქმედო გეგმა (დანართი №2) /განკარგულებას ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური/ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0.

საერთაშორისო ხელშეკრულებათაგან ხელისუფლებამ უთუოდ უნდა გაითვალისწინოს:

– ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი); საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით):

http://www.parliament.ge/uploads/other/132/132676.pdf

http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf

– გაეროს 1993 წლის ვენის დეკლარაცია:

https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/vienna.aspx

– ეუთოს ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით (თებერვალი, 1998 წელი):

https://www.osce.org/ka/hcnm/67536?download=true

– ლუნდის რეკომენდაციები (სექტემბერი, 1999 წ.):

https://www.osce.org/ka/hcnm/30331?download=true

იხ. ასევე: ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა:

http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf და სხვ...

**P.S.** ამჟამად საქართველოს მეხუთედი ოკუპირებულია რუსეთის მიერ; გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას; შესაბამისად, ამ ორი პრობლემის მოგვარებამდე შეუძლებელია როგორც სახელმწიფო ენის, ასევე, ნებისმიერი სახის უმცირესობის უფლებების სრულყოფილად დაცვა. გამომდინარე აქედან, აზერბაიჯანის მსგავსად, საქართველომ დეოკუპაციამდე თავი უნდა შეიკავოს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ რატიფიკაციისაგან (რატიფიკაციის დოკუმენტზე ენების ჩამონათვალის გაკეთებისაგან მაინც); მით უმეტეს, უფრო და უფრო ინტენსიური ხდება საქართველოს მოსახლეობაზე რუსული „რბილი ძალის“ ზემოქმედება.

6 მარტი, 2020

# 14 აპრილი – დედაენის დღე თუ საქართველოს სახელმწიფო ენის დღე?

გილოცავთ 14 აპრილს!

კარგია, რომ ვიხსენებთ ღირსეულ წარსულს; თუმცა, უკეთესი იქნება, 14 აპრილი ვაქციოთ **სამომავლო ორიენტირადაც;** კერძოდ, 14 აპრილი ვიზეიმოთ არა მხოლოდ როგორც წინა თაობის გამორჩეული ქმედების აღმნიშვნელი, არამედ სახელმწიფოებრივი აზროვნების გამამყარებელი სიმბოლური თარიღი!

**სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმბოლურ თარიღად** 14 აპრილი გადაიქცევა, თუკი ეს დღე იქნება საქართველოს მთელი მოსახლეობის სადღესასწაულო დღე და არა – მხოლოდ ეთნიკურ ქართველთა დედაენის დღე.

**რა შემთხვევაში იქცევა 14 აპრილი სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმბოლურ თარიღად?**

ჯერ გავიხსენოთ, რა მოხდა 1978 წლის 14 აპრილს: 1978 წელს საქართველოს მოსახლეობის აქტიურმა ნაწილმა, ძირითადად, ახალგაზრდობამ დაიცვა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში **ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი.**

კარგად მახსოვს: უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტები მომდევნო წლის 14 აპრილს საქართველოდან გაგვარიდეს; მაგალითად, ჩვენ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასეულობით სტუდენტი, მატარებლით სამოგზაუროდ წაგვიყვანეს კიევში. შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა დაინახა, რომ ამ დღეს ვერ მიჩქმალავდა, ამიტომ პოლიტიკა შეცვალა: 1983 წელს აღმართა ელგუჯა ამაშუკელისა და ნოდარ მგალობლიშვილის ცნობილი ძეგლი: „დედაენა“; ამით, **ფაქტობრივად სათავე დაუდო 14 აპრილის, როგორც „დედაენის დღის“, აღნიშვნას.**

ჩემი აზრით, ამგვარი კვალიფიკაცია კარგად წარმოაჩენს მაშინდელი საბჭოთა ლიდერის **ე. შევარდნაძის პოლიტიკას:** მან ანგარიში გაუწია რეალობას, მაგრამ მიმართულება შეუცვალა საზოგადოებრივი აზრის მდინარებას; კერძოდ, ფაქტია:

– 1918 წლის 14-მა აპრილმა მოახდინა **საზოგადოებრივი აზრის** მობილიზება საქართველოს სახელმწიფოებრივ პრობლემატიკაზე;

– საბჭოთა კავშირის პირობებში 14 აპრილი ვერ მოინათლებოდა თავისი ნამდვილი არსის შესაბამისად, კერძოდ, ვერ იწოდებოდა როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვის დღე, რამდენადაც მაშინ რეალური **სახელმწიფო ენა მაინც იყო რუსული ენა;**

– 14 აპრილის **„დედაენის დღედ“** წოდებით მიიჩქმალა 1978 წლის მოვლენის არსი – „სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა“;

– 14 აპრილის გამოცხადებამ **ეთნიკურ ქართველთა საზეიმო დღედ** ქართველები ენობრივად გამიჯნა საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან;

– ეთნიკურ ქართველთა „დედაენის დღე“ ვერ იქცა საქართველოს მოსახლეობის **მაკონსოლიდებელ თარიღად** – საქართველოს მოქალაქეთა ეროვნულ დღესასწაულად – საქართველოს სახელმწიფო ენის სიმბოლურ დღედ.

დღეს, 2020 წლის 14 აპრილს, ყველანი ვხედავთ, რომ შევარდნაძის ეპოქიდან დღემდე ხელისუფლება, პროსახელისუფლებო თუ ოპოზიციური მედია 14 აპრილს უწოდებს „დედაენის დღეს“. ფაქტია ისიც, რომ ბოლო ათწლეულების ხელისუფლებები 14 აპრილს დროდადრო უწოდებენ **“ქართული ენის დღეს“** იხ., მაგ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – დიმიტრი შაშკინის ბრძანება # 267; 14.04.10

/https://www.mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/2010/Aprili/267.pdf?fbclid=IwAR0OFd-dJUqjTprRR14vBzk_eUcHeVsdoArFSYPFaXwkvFabrFvUVv518pYY /

და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის 2020 წლის 13 აპრილის განცხადება

/https://www.facebook.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-State-Language-Department-1796905760367320/.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე ქართული ენა გაიგივებულია ლაზარესთან და **ლაზარეს შაბათს აღინიშნება ქართველთა დედაენის – ქართული ენის – დღე.** უმცირესობების ენების დაცვაზე კი ორიენტირებულია UNESCO-ს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 1999 წლიდან 21 თებერვალს აღინიშნება დედის საერთაშორისო დღე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 14 აპრილს განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს; მით უმეტეს, გვაქვს ამის მყარი საფუძველი – რეალური ისტორიული ფაქტი: **1978 წელს ხალხმა დაიცვა ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა.**

14 აპრილს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ერთნაირი დატვირთვა უნდა ჰქონდეს: ამ დღეს ყველამ, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა თუ პარტიული კუთვნილობის მიუხედავად, უნდა ვიზეიმოთ **ჩვენი საერთო სახელმწიფოს „სახელმწიფო ენის დღე“.**

სჯობს გვიან, ვიდრე – არასდროს: 14 აპრილი ოფიციალურად უნდა იწოდოს სახელმწიფო ენის დღედ, რომ იქცეს იმ სიმბოლურ საერო დღესასწაულად, სიმბოლურ თარიღად, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი მოსახლეობის კონსოლიდაციას, გააერთიანებს საქართველოს მოსახლეობასა და უცხოეთში გაფანტულ ქართველობას.

**წინადადებით შემოვდივარ, ჩვენი წარმომადგენლობითი ონლაინკონფერენციის სახელით მივმართოთ ხელისუფლებას, რომ 14 აპრილს ოფიციალურად ეწოდოს ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, დღე.**

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ახლა ძალიან აქტუალურია თანამედროვე ინტერნეტრესურსებსა და ტექნოლოგიებზე **ქართული ენით წვდომა.** ამ მიზნით, აუცილებელია ფართო საზოგადოებისათვის საჭირო ინტერნეტგვერდებისა თუ აპლიკაციების ენად ქართული ენის დამკვიდრება. შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს სპეციალისტების მობილიზება, რომ **დროულად შეიქმნას ორენოვანი აკადემიური ავტომატური თარგმანების კომპიუტერული პროგრამები და ქართული ენით აღიჭურვოს ხშირად გამოყენებადი ვებგვერდები თუ აპლიკაციები.**

**პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

**P.S.** 2020 წლის 14 აპრილს, სამშაბათს, 12:00 საათზე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით გაიმართა ონლაინსამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 14 აპრილს. კონფერენცია გახსნა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ.

კონფერენციის მუშაობაში მოწვეულნი იყვნენ: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი როლანდ კოპალიანი; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ირმა შიოშვილი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი მერაბ ბერიძე; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი შალვა კირთაძე; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი; ქართული უნივერსიტეტის პროფესორები: ტარიელ ფუტკარაძე, მანანა ტაბიძე, გიორგი ალიბეგაშვილი (ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე), ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე, ლევან ჯიქია, ლევან ბებურიშვილი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ პაპასკირი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლელა ხაჩიძე; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მაია ბარამიძე. კონფერენციას ესწრებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები.

კონფერენციის მონაწილეებს შევთავაზე, გაკეთდეს მიმართვა ხელისუფლებისადმი, რომ 14 აპრილი აღვნიშნოთ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დღედ.

ამ ჩანაწერშია წარმოდგენილი ჩემი მოხსენების ტექსტი.

14 აპრილი, 2020

## საუკუნო საქმე:

ნათია ხუნტუამ მინისტრს საქველმოქმედო ფონდ „ათინათის“ მიმდინარე პროექტები გააცნო, რომლებიც განათლებისა და კულტურის მიმართულებით ხორციელდება. კერძოდ, საგანმანათლებლო პროექტი საზღვარგარეთ მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ქართველი ბავშვებისთვის, ქართული ენის შესწავლის მიზნით, ანიმაციური კურსის შექმნას გულისხმობს. აღნიშნული პროექტი ქართველი სათვისტომოსთვის დიდი შენაძენი იქნება და ახალგაზრდა თაობას ქართული ენის შესწავლას გაუადვილებს. გარდა ამისა, ფონდ „ათინათის“ დამფუძნებელმა კულტურული პროექტის შესახებაც ისაუბრა, რომელიც ქართული ისტორიული ძეგლების ვიზუალიზაციასა და უცხოეთში მათ პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

14 ივნისი, 2020

## რატომ არ გვიცნობენ თანამედროვე მსოფლიოში?

ძველი მსოფლიოსა თუ შუა საუკუნეების მსოფლიოსაგან განსხვავებით, **თანამედროვე მსოფლიო არ იცნობს ქართველ ერს, არ იცნობს საქართველოს;** მაგ., 08.08.08. რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტის ავტორი ჰაიდი ტალიავინი წერს, რომ ქართველი ერი არ არსებობს; რომ ჩვენ, ფაქტობრივად, ვართ ტომთა კონგლომერატი. **მსოფლიოში ბევრი არ იცნობს საქართველოს ბოლო საუკუნეების ავბედითი ისტორიის გამო და სხვა მიზეზთა გამოც.**

ჯერ ადრეული პერიოდის შესახებ: **რამდენიმე უტყუარი ფაქტი ძველი ისტორიიდან:**

1. ბერძენთა გადმოცემების მიხედვით, ბერძნულ კულტურამდე არსებული ცივილიზაცია იყო ტიტანების ცივილიზაცია, რომლის ბოლო ღმერთი – **პრომეთეოსი** – ზევსმა მიაჯაჭვა კავკასიას, სადაც არის კოლხა/კილხა. ეს მითოლოგემა არის დაშიფრული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც წინარებერძნული ცივილიზაცია ანუ ძველ ბერძნებზე ადრე არსებული ცივილიზაციის ცენტრი არის კავკასია და ფრაგმენტულად შემორჩა კავკასიაში – საქართველოში.

2. საქართველოს – კავკასიის უმთავრეს სახელმწიფოს – ადრე ერქვა **კოლხა/კილხა,** კოლხას საზღვრებზე წარმოდგენა შეიძლება მოგვცეს კოლხურმა არქეოლოგიურმა კულტურამ, რომელიც მოიცავს კავკასიისა და ანატოლიის დიდ ნაწილს და შავიზღვისპირეთს ყუბანის შესართავიდან სამსუნამდე. კოლხას/კილხას უკავშირდება აიეტის, აფსირტესა და მედეას ისტორია. მედეასგან მოდის **მედიცინის** სახელწოდება.

3. კოლხური კულტურა, შესაბამისად, ჭოროხის, კოდორის, რიონის, მტკვრის ზემო წელისა და ა.შ. ხეობებში კოლხა/კილხა არსებობდა, დაახლოებით, 27-35 საუკუნის წინ (გვიანდელია კოლხიდა). კოლხა გაანადგურა კიმირიელთა შემოსევებმა. 200 წლის შემდეგ კოლხას ნანგრევებზე აღმოცენდა **ქუჯისა და ფარნავაზის ქართული სახელმწიფო, რომელსაც უცხოური წყაროები იბერიად იცნობენ.**

ირანისა და საბერძნეთის (ზოგადად, მაშინდელი დასავლეთის) დაპირისპირების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველო (იბერია) მუდამ იყო ერთ-ერთი ეპიცენტრი. ამ ფონზე არსებითია, რომ **საქართველომ 16 საუკუნის წინ სახელმწიფო რელიგიად მიიღო ქრისტიანობა ირანის რელიგიური ზეწოლის მიუხედავად.** მანამდე კი ქართული და ბერძნული წყაროების მიხედვით, ქრისტეს უპირველესმა მოწაფემ – ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში, აჭარაში ააგო მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია. ასეთი ინფორმაცია

რომ ჰქონდეს ნებისმიერ სახელმწიფოს, აქცევდა თავის „სავიზიტო ბარათად“.

4. მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ხალხი, რომლის **დედაენა ბოლო 15 საუკუნის მანძილზე უწყვეტად იყოს საეკლესიო ენა, სამწიგნობრო ენა და სახელმწიფო ენა.**

ჩვენი დედაენა დაფუძნებულია არა რომელიმე ცნობილ დიალექტზე (როგორც მაგ., ინგლისური, გერმანული, რუსული, იტალიური, ფრანგული...) და მერეა განზოგადებული მთელ ერზე, არამედ 25-35 საუკუნის წინ არსებულ ქართველთა საერთო ენაზე – საერთოქართველურ ენაზე (პირობითად – აიეტის ენაზე). ფაქტია: ბოლო 1500 წლის განმავლობაში ქართველმა ერმა თავის ყველა კუთხეში (სამეგრელოში, სვანეთში, ლაზეთში, მესხეთში, ტაო-კლარჯეთში...) შექმნა უდიდესი განძი – ქართული სამწიგნობრო კულტურა. ყველას შეუძლია ყველა კუთხეში ნახოს მრავალი ხელნაწერი წიგნი – ქართული ხელნაწერები (არსით – აუღებელი ციხე-სიმაგრეები!).

5. დავით აღმაშენებლის დროს საქართველომ შეაჩერა თურქ-სელჯუკების სვლა ევროპისაკენ; ჩვენ გვერდით იბრძოდნენ ჯვაროსნები და სხვ. დავითისა და თამარის დროს მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გვქონდა.

6. უნიკალურია ქართული მსოფლაღქმა: ქართველი ადამიანი, შესაბამისად, ქართული ენა ადამიანთა საზოგადოებას არ ყოფს სქესის მიხედვით (მაგ., იხ. ინდოევროპული ენები), არც კლას-კატეგორიების მიხედვით (მაგ., იხ. ჩრდილოკავკასიური ენები). ამ თვალსაზრისით, საინტერესო ფაქტია: **დედა-კაცი და მამა-კაცი** – ეს ორი სიტყვა ცხადყოფს, რომ მდედრი ადამიანი და მამრი ადამიანი ორივე კაცია, ადამიანია. ეს უძველესი გენდერული იდეა გაშლილია მსოფლიოში პირველ რენესანსულ ქმნილებაში – „ვეფხისტყაოსანში“: **„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“...** (გენდერული თანასწორობის უძველესი ფორმულა!).

7. გამორჩეულია, ასევე, ქართველთა ერთიანი მატერიალური კულტურა, ქართული/ქართველური ენობრივი, ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება და სხვადასხვა კუთხის ქართველთა ორიგინალური ყოფა, ფოლკლორი და სხვ.

**დღეს ეს ფაქტები მსოფლიოში ცოტამ თუ იცის. რატომ არ გვიცნობენ თანამედროვე მსოფლიოში? რამდენიმე მიზეზს დავასახელებ:**

ა) მონღოლობას გავუძელით, მაგრამ ძალიან დავსუსტდით. გიორგი ბრწყინვალის ეპოქის შემდეგ მალევე, XVI-XVIII საუკუნეებში საქართველო ააოხრეს ირანისა და ოსმალეთის შემოსევებმა. ამას დაემატა ლეკთა თარეში. ქართველები ფიზიკურად თავს ვიცავდით. ერთიანი სახელმწიფო მოიშალა. არც დასავლეთს ეცალა ჩვენთვის.

ბ) რუსეთის იმპერიაში იძულებით ყოფნის დროს იმპერიულ ხელისუფლებას არ უზრუნია ქართული კულტურის წარმოსაჩენად. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევა მოხმარდა ქართველთა იდენტობის გადარჩენას.

გ) ილია ჭავჭავაძისა და “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” მონაპოვარი ბოლშევიკებმა (ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე...) გაანადგურეს. თუმცა, საბჭოთა პერიოდში, 30-იან წლებში, ი. სტალინმა დაიწყო ქართული კულტურის წარმოჩენა, მაგრამ შემდგომ ეს ინიციატივებიც ჩაკვდა.

დ) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს დაიწყო ქართული კულტურის აღორძინება (მე, როგორც უზენაესი საბჭოს წევრმა, ზუსტად ვიცი, რასაც ვგეგმავდით), მაგრამ 1991-93 წლების სამხედრო გადატრიალებამ (დანაშაულებრივმა პუტჩმა) ჩაკლა ეს მცდელობაც.

ე) პოსტსაბჭოთა საქართველოში ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაკეთებულა.

**დასკვნა: აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიის (სისტემური პოლიტიკის) შემუშავება ამ მიმართულებით. პირველ რიგში, საჭიროა შეიქმნას რამდენიმეენოვანი ვებპორტალი საქართველოს შესახებ აკადემიური ინფორმაციების მსოფლიოში გასატანად და საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში თავდასაცავად.**

**უფრო ვრცლად ამ საკითხების შესახებ; იხ.:**

1. ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები), 2005. გამომცემლობა “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ინგლ. 395-492 გვ.; თურქ. 331-394 გვ.

**The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); 2005.** Printing House „Kutaisi State University”, English version pg. 395-492. Turkish version pg. 331-394.

http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculerhttp://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315602

2. “ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ”, გვ. 1-131(I თავი – ლილი ხევსურიანი, II-V თავები –ტარიელ ფუტკარაძე, საგალობელი – იოსებ კუჭუხიძე, თარგმანები – ზურაბ კიკნაძე, მხატვარი – ილია ჭრელაშვილი), ქუთაისი, გვ. 1-131, Kutaisi, 2000. **“Kebai da Didebai Kartulisa Enisai” (The praise and the fame of Georgian Language):** I Chapter – Lili Khevsuriani, II-V Chapters– Tariel Putkaradze, Ecclesiastical canticles – Ioseb Kuchukhidze, Translations – Zurab Kiknadze, painter – Illia Chrelashvili; Published by the Institute of Manuscript of the Georgia Scientific Academy and Kutaisi Dialectology Research Institute, pg. 1-131, Kutaisi, 2000.

http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/313675

3. ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019. გამომცემლობა „უნივერსალი“. **Contemporary Challenges of Kartvelology,** Tbilisi, 2019. Printing House “Universal”.

http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315617

25 ივნისი, 2020

## ჟურნალი „მოამბე“ (1894-1905 წლები)

ვიცოდეთ ჩვენი ენობრივ-ეთნიკური და კულტურული მეობის შესწავლის ისტორია!

ვაღიარებ: ბოლო დრომდე, პირადად მე სრულად არ მქონდა გააზრებული ამ ჟურნალის მნიშვნელობა. ყოველთვიური ქართულენოვანი ჟურნალი “მოამბე” გამოდიოდა 1894-1905 წლებში თბილისში. ის იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გამოცემა (რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია, გამომცემლები: ნიკოლოზ ღოღობერიძე, ალექსანდრე ჯაბადარი).

ჟურნალის განყოფილებები:
„ორიგინალი კაზმული მწერლობა, ლექსები და ხალხური სიტყვიერება“ (1),
„ნათარგმნი კაზმული მწერლობა, ლექსები და ხალხური სიტყვიერება“ (2);
„ისტორია, არქეოლოგია, მწერლობის ისტორია, ბიოგრაფია და ნეკროლოგი“ (3);
“კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, სალიტერატურო მიმოხილვა და საბაასო“ (4);
“ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა, მოგზაურობა” (5);
“ფილოსოფია, მეცნიერება, საერო განათლება, მეურნეობა, ექიმობა” (6);
“პუბლიცისტიკა, ეკონომიკა, კანონმდებლობა და პოლიტიკა” (7).

„მგზავრის შენიშვნების“ („მგზავრის ჩანაწერების“) ზოგადი სახელით სწორედ მე-5 განყოფილებაშია დაბეჭდილი: ლადო აღნიაშვილის „სპარსეთი და იქაური ქართველები“, ივანე ბექურაულის „ტბათანიადან წოვათამდე“, თედო სახოკიას ათეულობით წერილი საქართველოს კუთხეების შესახებ, ნიკო ჯანაშიას წერილები აფხაზების/აფხაზეთის შესახებ და სხვ. ასევე, ივანე მარგიანის, გრიგოლ ყიფშიძის, პეტრე ჭარაიას და სხვათა საინტერესო წერილები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ (მიმოხილვისათვის იხ. „მოამბე“, 1904, #1 http://dspace.gela.org.ge/.../1234.../5624/1/moambe%201-1904.pdf)

19 ივლისი, 2020

# 1.1.2. სამეცნიერო კონცეფცია, კონკურსები, რუსთაველის ფონდი

# პირადი ანგარიშსწორება თუ ...?

ჩემი სააპელაციო განცხადება იხ. ბმული:
http://bmu.li/HJP

ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების კონკურსში ქართული ენის მიმართულებით გამოცხადებული იყო სამი სრული პროფესორის ადგილი. ერთი ადგილი ვაკანსია დარჩა, მე ჯერჯერობით უნივერსიტეტს მიღმა აღმოვჩნდი, ხოლო სხვა ორი ადგილი დაიკავა ორმა თავისთავად ნორმალურმა ადამიანმა, რომელთა საკონკურსო მონაცემები აშკარად ჩამოუვარდება ჩემსას (ამას თავადაც აღნიშნავენ, წუხან და გაკვირვებულნი არიან ამ ულოგიკო შედეგით):

სხვა თუ არაფერი, მე ვარ 6 დოქტორის აღმზრდელი, ამჟამად უნივერსიტეტში ამ სპეციალობით მოქმედებს მხოლოდ ჩემ მიერ დაწერილი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები (ეს აქტივობები სხვა კონკურსანტებს არა აქვთ; ჩემი სხვა მონაცემებისათვის კი იხ. CV:
http://www.scribd.com/doc/28704098/Tariel-Putkaradze-CV).

ვინ არის ამგვარ ულოგიკო შედეგზე პასუხისმგებელი? საკონკურსო კომისია თუ ქართული ენის ქვეკომისია (კომისიის წევრი ავთანდილ არაბული; მოწვეული არასპეციალისტი – ნინო დობორჯგინიძე)? როგორც კომისიის სხვა წევრები ამბობენ, ავთანდილ არაბულის მიერ ჩემი „დისკრიმინაციის“ საბაბი თუ მიზეზი (ესეც გასარკვევია!) აღმოჩნდა ჩემივე ერთ-ერთი სამეცნიერო თვალსაზრისი, რომელიც მოკლედ ასე ჩამოყალიბდება: ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს.

მე ბევრი სხვა სამეცნიერო თვალსაზრისიც მაქვს: ფონეტიკის, ბრუნვათა რაოდენობის, მწკრივთა რაოდენობის, ზმნის სრული პარადიგმის შესახებ და სხვ. საკონკურსო კომისიას კონკურსანტების ფაქტობრივი მონაცემები უნდა შეედარებინა და სამეცნიერო დისკუსია არ უნდა ექცია ანგარიშსწორების მოტივად. აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული ენის ქვეკომისიამ სალექციო პრაქტიკას ჩამოაშორა ასევე სხვა კვალიფიციური სპეციალისტები (ეკა დადიანი, მაია მიქაუტაძე... ვფიქრობ, არაადეკვატურად შეაფასა რუსუდან საღინაძე და სხვ.).

აშკარაა, რომ ჩატარდა უსამართლო „კონკურსი“, რომელსაც, ალბათ, მიეცემა ადეკვატური შეფასება.

მაინც რა არის მიზეზი ამგვარი გაუმართლებელი შედეგებისა? ბოლშევიკური ანგარიშსწორება განსხვავებული თვალსაზრისის გამო თუ უფრო მძიმე დანაშაული? – თქვენ განსაჯეთ...

მე, ჩემი მხრივ, მგონია, რომ ქვეყანა ჩალით დახურული არ არის![1]

21 მარტი, 2010

[1] მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა:[1]
კრიმინალური შედეგები გაუქმდა, ახალი კონკურსი ჩატარდა, სამართლიანობა აღდგა; კრიმინალი გასწორდა. მაგრამ აღარ მაქვს ინტერესი ასეთ ხალხთან მუშაობისა...

# ტარიელ ფუტკარაძე: სამეცნიერო კონცეფცია და პოლიტიზებული საუნივერსიტეტო კონკურსი

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კრიმინალური კონკურსის ჩაშლა და ახალი კონკურსის შედეგები (2010 წელი)**

**საკონკურსო კრიმინალის არსი:** ქუთაისის უნივერსიტეტში გამოცხადებული იყო 3 სრული პროფესორის ადგილი. საკონკურსო კომისიას საკმაოდ დეტალური „შეფასების ფორმის“ მიხედვით (იხ.: http://www.scribd.com/doc/42654472/konkursi-kutaisi-2009-2010) უნდა შეეფასებინა თითოეული კონკურსანტის მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ კონკურსანტებთან შეხვედრა და გასაუბრება (აქვე იხ. საკონკურსო დებულება).

ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით რექტორატის მიერ მოწვეულმა საკონკურსო კომისიის წევრმა, პროფ. ავთანდილ არაბულმა და, დამატებით, ორმა მოწვეულმა „ექსპერტმა“: ნინო დობორჯგინიძემ და იზაბელა ქობალავამ დებულების განზრახ დარღვევითა და „კონკურსანტის შეფასების ფორმის“ სრული იგნორირებით 3 ადგილიდან 1 დატოვეს ვაკანსია (კანონის დარღვევით სრული პროფესორის თანამდებობაზე დაბლოკეს ჩემი კანდიდატურა), ხოლო სხვა ორ ადგილზე გაიყვანეს ორი პიროვნება (http://www.atsu.edu.ge/article.php?id=361), რომელთაგან:

– ერთს არა აქვს სამეცნიერო ხარისხი ქართველურ ენათმეცნიერებაში, მისი სამეცნიერო ხარისხის შიფრია 13.00.02 – პედაგოგიკა; არადა, საკონკურსო წესები ითხოვდა პროფილის შესაბამის შიფრებს – 10.02.01 ან 10.02.02;

– მეორე კონკურსანტის (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის) არსებით ღირსებად ჩაითვალა სახელმძღვანელოების ავტორობა მაშინ, როცა ამ პიროვნებას დამოუკიდებლად **არც ერთი სახელმძღვანელო არა აქვს დაწერილი;** იგი არის ჩემი თანაავტორი (ჩემი პროგრამა-პროსპექტების მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებისა)... პარადოქსი ის არის, რომ ე.წ. საკონკურსო (ქვე)კომისიამ (არაბული, დობორჯგინიძე) იგივე სახელმძღვანელოები მე არ ჩამითვალა აქტივში. ამავე ქვეკომისიამ ასევე იგნორირება გაუკეთა ჩემს 8 მონოგრაფიას, სხვა წიგნებსა და სამეცნიერო სტატიებს, რომელთა ციტირების ინდექსი 300-ს აღემატება; მას მხედველობიდან გამორჩა ისიც, რომ კონკურსანტთაგან მხოლოდ მე ვიყავი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით (ჩემი სხვა აქტივობების შესახებ იხ.: http://bmu.li/Hgp)... შესაბამისად, არაობიექტური კომისიის პირობებშიც კი, სამი საკონკურსო ადგილის არსებობის შემთხვევაში, პირველ რიგში, 1 ადგილი უნდა დამეკავებინა მე (მეცნიერებათა დოქტორს ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით, 200-მდე ენათმეცნიერული ნაშრომის ავტორს); დანარჩენი ორი ადგილი შეიძლება დაეკავებინათ სხვებს. ამ კრიმინალურმა საკონკურსო კომისიამ (/ქვეკომისიამ) კი გამოაქვეყნა შემდეგი დასკვნა:

„ქართული ენის ქვემიმართულებით გამოცხადებული სრული პროფესორის სამი ვაკანსიიდან ერთზე წარდგენილ იქნა მარინე ქაცარავა, რომელიც რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია და 16 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა შესაბამის კათედრას. მეორე კანდიდატიც, მანანა მიქაძე, ექსპერტთა დახასიათებით, ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან წარმატებული კადრია, მუშაობს პედაგოგიკა-დიდაქტიკის ხაზით და უდავოდ იმსახურებს საძიებელ თანამდებობას. სრული პროფესორის კიდევ ერთ ვაკანსიაზე სამი კანდიდატის განაცხადია შემოსული. ერთი მათგანია ტარიელ ფუტკარაძე, რომლის სამეცნიერო მუშაობის კონცეფცია, ექსპერტთა დახასიათებით, მოკლებულია სათანადო მეცნიერულ არგუმენტაციას და დაუსაბუთებლად ეწინააღმდეგება ქართულ ლინგვისტურ ტრადიციას. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სრული პროფესორის ერთი ვაკანსია, დანარჩენი კონკურსანტების მონაცემების გათვალისწინებით, ამჯერად უნდა დარჩეს ღიად” (დოკუმენტი იხ., http://bmu.li/6H1).

არაპროფესიონალურად დაწერილი ამ დასკვნის გასამყარებლად მასმედიაც იქნა გამოყენებული; ქუთაისის უნივერსიტეტის კრიმინალური კონკურსის პარალელურად, თბილისისა და ქუთაისის

პრესაში დაიბეჭდა არაბული-დობორჯგინიძის თანამეინახეების: გიორგი გოგოლაშვილის, მანანა თანდაშვილის (და ამ უკანასკნელის თანამზრახველების – ზ. ფურცხვანიძისა და გ. ოკუჯავას)

პასკვილები, სადაც უსაფუძვლო ლანძღვის ობიექტია არა მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორი, არამედ ყველა ის პირი, ვინც თვლის, რომ ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს; ზოგ წერილში პირდაპირ თუ ირიბად უსაფუძვლო შეურაცხყოფის ობიექტები გახდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე და სხვა მოღვაწეები და ცნობილი მეცნიერები, რომლებიც ფიქრობენ და ამბობენ, რომ ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს (იხ., მაგ., ნ. დობორჯგინიძისა და ლ. ბუღაძის მიერ გამოქვეყნებული მასალა: http://arili2.blogspot.com/2010/10/blog-post_6753.html; http://www.azrebi.ge/index.php?m=734&newsid=139.

ბოლო პასკვილის ავტორად მითითებულია ზ. ფურცხვანიძე, რომელმაც ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ჩემს მშობლიურ კუთხესაც – აჭარასაც – მიაყენა შეურაცხყოფა; კუთხური დაპირისპირების გაღვივებას ცდილობს მეორე „ოპონენტიც“ – ფრანკფურტის აეროპორტში „აირზენას“ წარმომადგენელი გ. ოკუჯავა.

პასკვილების ავტორებს კიდევ ერთი საერთო ნიშანი აქვთ: სამეცნიერო პრობლემების შესახებ ვერ საუბრობენ და ცდილობენ, ცუდად შეთხზული ჭორებით პიროვნულად გამლანძღონ (მათივე ნასროლი ტალახი მათვე უბრუნდებათ).

საკონკურსო კომისიის ე.წ. ექსპერტების (არაბული, დობორჯგინიძე) დასკვნის ზემოთ წარმოდგენილ ციტირებულ მონაკვეთში რამდენიმე სიცრუე და საბჭოური ვერდიქტია, არადა, ამ კომუნისტური „დასკვნის“ ავტორებს პრეტენზია აქვთ დემოკრატიასა და ლიბერალობაზე; მაგ., ნ. დობორჯგინიძე „ილიაუნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია და წლების მანძილზე დიდ გავლენას ახდენს ქართველოლოგიის ფონდის საქმიანობაზე, ასევე, დღემდე მუშაობს განათლების სამინისტროშიც.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ „პედაგოგიკა-დიდაქტიკის“ ხაზით მომუშავე ადამიანი განათლების (პედაგოგიკის) ფაკულტეტზე უნდა იყოს დასაქმებული (ეს ფაკულტეტი არსებობს ჩვენს უნივერსიტეტშიც) და არა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში ბევრ უხერხულ სიტუაციას გადაურჩებოდა თავად ეს ქალბატონიც. გარდა ამისა, ქართული ენის მიმართულებით სრული პროფესორის თანამდებობაზე შესაბამისი შიფრის მქონე სპეციალისტების (მაგ., რ. საღინაძის) მონაცემები უფრო იყო განსახილველი.

აქვე ვბეჭდავ არაბული-დობორჯგინიძის მიერ „დაგმობილ“ ჩემს სამეცნიერო კონცეფციას, რომელიც, რატომღაც, საკონკურსო საბუთებში დაიკარგა (როცა საკონკურსო დოკუმენტაცია უკან დავიბრუნე, ჩემი კონცეფცია „დაკარგული“ აღმოჩნდა, რაც ოქმითაც გაფორმდა).

## ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სამეცნიერო კვლევის კონცეფცია ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით

(ნორმატიული საკონკურსო დოკუმენტის მოთხოვნის მიხედვით, კონკურსანტებს მოგვეთხოვებოდა, მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა „საკვლევი პრობლემები“ და „საკვლევი თემატიკა“)

„ძველი გრამატიკოსების ღვაწლის შემდეგ ლინგვისტურ ქართველოლოგიას (ქართველურ ენათმეცნიერებას) ფასეული აკადემიური გამოკვლევები (აღწერითი თუ ანალიტიკური ნაშრომები) შესძინეს წინა თაობების მკვლევრებმა: მ. ბროსემ, ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, ს. ხუნდაძემ, პ. ჭარაიამ, ს. ჯანაშიამ, არნ. ჩიქობავამ, გ. ახვლედიანმა, ა. შანიძემ, გ. დეეტერსმა, ჰ. ფოგტმა, ვ. თოფურიამ, მ. ქალდანმა, ქ. ლომთათიძემ, გ. როგავამ, გ. რამიშვილმა, ი.ზიცარმა, გ. მაჭავარიანმა, კ. შმიდტმა, გ. კლიმოვმა, ს. ჟღენტმა, შ. გაფრინდაშვილმა, ბ. ფოჩხუამ, ივ. იმნაიშვილმა, ი. ქავთარაძემ, ა. კიზირიამ, არ. მარტიროსოვმა, გრ. იმნაიშვილმა, ზ. სარჯველაძემ, ქ. ძოწენიძემ, თ. შარაძენიძემ, შ. ნიჟარაძემ, შ. ძიძიგურმა, ო. კახაძემ, ბ. ჯორბენაძემ, ა. ონიანმა, თ. გამყრელიძემ, ზ. ჭუმბურიძემ, ალ. ჭინჭარაულმა, თ. უთურგაიძემ, დ. მელიქიშვილმა, გ. კარტოზიამ, ჰ. ფენრიხმა და მრავალმა სხვამ.

წინა თაობების მეცნიერთა კვლევებით დაგროვილი ცოდნა, თანამედროვე მსოფლიოს

ტექნოლოგიური მიღწევები და პოლიტიზებული (საბჭოური) სამეცნიერო წნეხისგან თავისუფალი ქართველოლოგიის განვითარების პერსპექტივა ქართველური ენათმეცნიერების წინაშე ახალ ასპარეზს ქმნის. ქართველური ენათმეცნიერების საკვლევ პრობლემათაგან ჩემთვის საინტერესო სამ ძირითად მიმართულებას წარმოვადგენ:

**1.** ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საფრთხის ქვეშ არსებული ქართველური დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური და ფოლკლორული მასალის ჩაწერა და კვლევა. აუცილებელია დროულად მომზადდეს ზეპირი ქართველური ენობრივი ერთეულების (სვანურის, ზანურის, მესხურის, ჰერულის, ფხოვურის, რაჭულის თუ ცენტრალური ქართული კილოების) მასალათა ვიდეოკორპუსი. განსაკუთრებით საშურია სრული გაქრობის პირას მყოფი ქართველური კილოების: ლივანურის, ტაოურის, იმერხეულის, მაჭახლურის... მონაცემთა ბაზის შექმნა და თითოეული მათგანის მონოგრაფიული შესწავლა.

**2.** სამეცნიერო კვლევის (კვლევების) შედეგების განზოგადება. ბოლო ათწლეულებში მეცნიერება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს წინა ეპოქებში დაგროვილი დეტალური ცოდნის განზოგადებას, სამეცნიერო მონაპოვრის პრაქტიკულად გამოყენებასა და პრაგმატიზაციას. რამდენადაც ენის ისტორია ერის ისტორიის უტყუარი ძეგლია, აუცილებელია თანამედროვე მეთოდოლოგიით შეიქმნას ისეთი დიაქრონიული და განმაზოგადებელი ქართველოლოგიური ნაშრომები, რომლებშიც მოცემული იქნება როგორც ცალკეულ ენობრივ მოვლენათა ისტორია, ასევე, ქართველური ენობრივი ქვესისტემებისა და ქართული ენის, როგორც სისტემის, აკადემიური ისტორია.

სამწუხაროდ, ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე, როდესაც შთამბეჭდავად განვითარდა მეცნიერება, არაიშვიათად, ქართველოლოგიური (ძირითადად, ლინგვოკულტურული და ისტორიოგრაფიული) კვლევები იგეგმებოდა და ხორციელდებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესების შესაბამისად. მეტწილად პოლიტიზებული ქართველოლოგიური კვალიფიკაციები ვრცელდებოდა უცხოეთშიც.

დღეს აუცილებელია საბჭოური იდეოლოგიური წნეხის პირობებში მიჩქმალული თუ გაყალბებული მრავალი ლინგვოკულტურული ფაქტის ახლებური გააზრება, ახალი დეპოლიტიზებული ქართველოლოგიური ნაშრომებისა თუ რუკების შექმნა და საერთაშორისო სივრცეში გატანა; კერძოდ, ადრეული თუ თანამედროვე ქართველოლოგიური ნაშრომები დროულადაა სათარგმნი: ინგლისურად, თურქულად, სომხურად, რუსულად...

**3.** კვლევის შედეგების პრაგმატიზაცია: ქართული ენობრივი სისტემის მანქანური მოდელირება. საინტერნეტო სივრცეში უკვე წარმატებით ხორციელდება ბევრი ენის ნაბეჭდი ტექსტის მანქანური თარგმნა

(იხ., მაგ.: http://www.freetranslation.com/; http://translate.google.com/...);

ახლო მომავალში არაპრესტიჟული გახდება ყველა ენა, რომლისგანაც (და რომელზეც) შეუძლებელი იქნება აკადემიური ავტომატური თარგმანი. ენის (სტანდარტული თუ დიალექტური ქვესისტემების) ლექსიკის მდიდარი ელექტრონული კორპუსის გარდა, თარგმანისთვის აუცილებელია მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების ფორმალიზება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქართული ზმნისა და სახელის კომპიუტერული მოდელირების რამდენიმე ვარიანტი, ჯერჯერობით ვერ შეიქმნა ქართულიდან და ქართულად მთარგმნელი კარგი კომპიუტერული პროგრამა. აშკარაა, რომ ქართული სახელისა და ზმნის კომპიუტერული მოდელირებისათვის ნაკლებგამოსადეგია 7-ბრუნვიანი სახელური და 11-მწკრივიანი (გვარისა და ქცევის მიხედვით დიფერენცირებული) ზმნური პარადიგმები და საჭიროა, დადგინდეს (შეიქმნას) ქართული ენის შინაგანი სტრუქტურის უფრო ადეკვატური სახელური და ზმნური პარადიგმები.

აქვე აღვნიშნავ, რომ მალე აქტუალური გახდება ხმოვანი ტექსტების თარგმნაც;

საამისოდ საჭირო იქნება ქართული ენის სამეტყველო ბგერათა ზუსტი არტიკულაციური, აკუსტიკური, პერცეფციული დახასიათება და ენის ფონემატური სტრუქტურის ფორმალიზება. წარმოდგენილი საკვლევი პრობლემების შესაბამისადაა განსაზღვრული ჩემი ამჟამინდელი და მომავალი საკვლევი თემატიკა; კერძოდ, ჩემი საკვლევი თემებია:

**1.** ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულებით: ვმუშაობ მონოგრაფიაზე: ტაოური

დიალექტი. ტაოს მხარისა და ტაოური კილოს შესახებ გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ნაშრომი. ლინგვისტური გამოკვლევის გარდა, ამ მონოგრაფიას დაერთვის ართვინის მხარის იუსუფელის რაიონის სოფლებში (ელიასხევში, ქორიათში, ბასლეკარში, გოდღეკარში, კრაეკარში, იეთში, სადიყანაში, ობლეკარში, დოლეკარში, ჭეილენკარში, ბალხსა და ქობაიში) კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით ჩაწერილი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ენათმეცნიერული ახალი აუდიო– და ვიდეომასალა (ტექსტური ვარიანტითა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით).

ინტენსიურად ვმუშაობ ქართველურ კილოებში არსებული სპეციფიკური (პალატალიზებული, ლაბიალიზებული...) ბგერების ისტორიაზე (სამეტყველო კოდთა შერევის შესაძლებლობების გათვალისწინებით). ამ მიმართულებით უკვე გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ნაშრომი; უახლოეს მომავალში ვგეგმავ ლივანური, მაჭახლური და ტაოური კილოების ფონემატური სტრუქტურის დეტალურ ანალიზს.

ვიკვლევ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტოპონიმიას (ორენოვანი ერთი წიგნისა და რამდენიმე სტატიის სახით უკვე გამოქვეყნებული მაქვს მრავალწლიანი ექსპედიციებით ველზე მოძიებული მასალის ნაწილი (საინტერნეტო ვერსიები იხ.:

http://www.scribd.com/doc/2164693/Imerkhevi-Speaking-Land;

http://www.scribd.com/doc/2164410/MERHEVNN-KONUAN-TOPRAI;

http://www.scribd.com/doc/21258763/T-Putkaradze-Oltisi; ).

პარალელურად, ვამზადებთ (პროფ. ე. დადიანთან ერთად) მონოგრაფიას: „ქართველური დიალექტოლოგია“ (გამოკვლევის ნაწილი გამოქვეყნებულია სტატიების სახით), სადაც დიასისტემური პრინციპით განიხილება ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურა, ბრუნება, უღლება, ლექსიკა, სინტაქსი; წიგნის დანართში წარმოდგენილი იქნება ქართველურ ენა-კილოთა რუკები, სადაც ზუსტად იქნება დატანილი ქართველური ენობრივი სამყაროს გარეენობრივი და შიდადიალექტური თუ კილოკაური საზღვრები.

**2.** სამეცნიერო კვლევის (კვლევების) შედეგების განზოგადების მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებ „ქართველების“ მეორე ტომზე, სადაც აისახება საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა I-XX საუკუნეებში. წიგნში განიხილება ქართველი ერის ლინგვოკულტურული ისტორია კავკასია-ანატოლიის რეგიონში არსებული ისტორიული გეოპოლიტიკური დაპირისპირებებისა და კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე (ამ მიმართულებით უკვე გამოქვეყნებული მაქვს ათზე მეტი სტატია; ნაშრომთა ნაწილის საინტერნეტო ვარიანტებისათვის იხ.:

http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo;

http://www.scribd.com/doc/3778283/Georgian-Land-in-Geopolitical-scope...).

**3.** კვლევის შედეგების პრაგმატიზაციის – ქართული ენობრივი სისტემის მანქანური მოდელირების – მიმართულებით საკვლევი თემები:

– ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური კილოების სამეტყველო ბგერათა ზუსტი არტიკულაციური, აკუსტიკური (სიძლიერე, სიმაღლე, ინტენსივობა), პერცეფციული დახასიათება (თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით) – მონოგრაფიული გამოკვლევა ქართული ენის ფონემებისა და ალოფონების შესახებ; ნაშრომში აქცენტი კეთდება ხმოვნებსა და ე.წ. აფრიკატებზე, ასევე, სონანტებსა და სონორებზე თანამედროვე დიალექტური მონაცემების გათვალისწინებით (ამ მიმართულებით უკვე გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ნაშრომი; საინტერნეტო ვერსიებისათვის იხ.:

http://www.scribd.com/doc/26163857/Putkaradze-Kartuli-Enis-Sametkvelo-Bgerebi-Da;

– ქართული ენის სახელის პარადიგმა კომპიუტერული პროგრამული სისტემისთვის: ბრუნვის მარტივი და რთული ფორმების შემაჯამებელი სქემები; ასევე, სახელთა ჯგუფები ბრუნების ტიპების მიხედვით. ამ მიმართულებით უკვე გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ნაშრომი; http://www.scribd.com/doc/14344131/Tariel-Putkaradze-Mimartulebiti-Da-Danishnulebiti-Brunvebi; http://www.scribd.com/doc/13973516/T-Putkaradze-ergative-20081);

– ქართული ენის ზმნური პარადიგმა (მანქანური მოდელირებისთვის) ზმნური ყალიბების, მწკრივებისა და პირის ფორმების მიხედვით (შემაჯამებელი სქემები).

ბუნებრივი ენის ტექსტების კომპიუტერული დამუშავების მიზნით გამოქვეყნებულია

საინტერესო ნაშრომები დ. მელიქიშვილის, თ. უთურგაიძის, ქ. დათუკიშვილის, ნ. ლოლაძის... ჯ. ანთიძის, დ. მიშელაშვილის და სხვათა მიერ. ვფიქრობ, მათი კვლევების შედეგების გათვალისწინებით, ასევე, ზმნის ფორმაწარმოებითი სხვადასხვა დონეების – ხმოვანპრეფიქსული ყალიბების, მწკრივებისა და პირისა თუ რიცხვის ფორმების – ერთ იერარქიულ მთლიანობად გააზრებით უნდა შეიქმნას ყალიბზე (ფორმაზე და არა სემანტიკაზე) ორიენტირებული ისეთი ზმნური პარადიგმა, რომლის მიხედვით აიგება მოქნილი და ადეკვატური კომპიუტერული პროგრამული სისტემა (ამ მიმართულებით გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ნაშრომი)".

**ასეთი სამეცნიერო კონცეფცია მქონდა წარდგენილი.** ნებისმიერი სპეციალისტისთვის ნათელია, რომ აქ ჩემს არც ერთ დებულებას არ აკლია „სათანადო მეცნიერული არგუმენტაცია"; არც დაუსაბუთებელი წინააღმდეგობაა ქართულ ლინგვისტურ ტრადიციასთან.

პოლიტიზებული (ქვე)კომისიის ე.წ. ექსპერტებს ეს ქვეყანა ჩალით დახურული ეგონათ და საკუთარ თუ სხვის ღირსებას თვალში ნაცარი შეაყარეს და ამ კრიმინალურ დასკვნას მოაწერეს ხელი: ჩემგან განსხვავებული „სამეცნიერო კონცეფციის" მქონე პირებმა ბოროტად გამოიყენეს მინიჭებული უფლება და შეეცადნენ გავედევნე საუნივერსიტეტო სივრციდან (ზუსტად ისე, როგორც ეს ხდებოდა მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში).

პირველ ეტაპზე რექტორატმა ამ კრიმინალური ქვეკომისიის შედეგები კანონიერად გამოაცხადა და გამოაქვეყნა. კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე მე საკონკურსო კომისიის სახელზე შევიტანე სააპელაციო განცხადება. მსგავსი განცხადება შეიტანა კონკურსანტთა უმრავლესობამაც.

პარალელურად, ატყდა დიდი მითქმა-მოთქმა სოციალურ ქსელშიც, თბილისშიც, ქუთაისშიც, სამთავრობო თუ აკადემიურ წრეებშიც; დაიწყო სტუდენტთა გამოსვლებიც ამ გაუგონრად არაობიექტური დასკვნის გამო. ტელეკომპანია „რიონმა" რამდენიმე სპეციალური გადაცემა და ღია ეთერი მიუძღვნა ამ კრიმინალური კონკურსის შედეგებს, სადაც სამართლიანობის დამცავ აქტიურ ძალად წარმოჩნდნენ სტუდენტები და სხვა კოლეგები

(http://www.myvideo.ge/?video_id=848804).

ჩემი სააპელაციო განცხადების გარშემო იხ. კომენტარების ნაწილი:

http://www.facebook.com/putkaradze?ref=profile

http://www.facebook.com/#!/note.php?note_id=375641175677&comments

ატეხილმა ხმაურმა თავისი შედეგი გამოიღო: იმავე საკონკურსო კომისიამ ქ-ნი ირმა რატიანის ხელმძღვანელობით დაადგინა, გადაესინჯა კომისიის გადაწყვეტილება და ახალი ექსპერტები მოეწვია. რეკომენდაცია მისცა რექტორატს (რექტორი პროფ. გიორგი ონიანი) 2 დღის განმავლობაში მოეწვია ახალი ექსპერტები – პროფესორები: დამანა მელიქიშვილი, შუქია აფრიდონიძე, ზურაბ ჭუმბურიძე... (იხ. 2010 წლის 22 მარტის სხდომის ოქმი: http://bmu.li/6Ha).

ამ კონკურსის ფარგლებში მოქმედ რექტორატთან თანამშრომლობას დაეთანხმა მხოლოდ ქ-ნი დამანა მელიქიშვილი, ამიტომ ახალი საექსპერტო კომისია ვერ შედგა. ამის შემდეგ პროფ. ირმა რატიანის კომისიამ ჩაატარა მორიგი სხდომა და გააუქმა თავისივე დასკვნა ქართული ენის ქვეკომისიის მიმართულებით 7 საკონკურსო ადგილის შესახებ (რატომღაც 2 შედეგი ჩაითვალა კანონიერად; იხ. 2010 წლის 26 მარტის ოქმი # 7: http://bmu.li/6Hx) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს რეკომენდაცია მისცა, ქართული ენის მიმართულებით ჩაეტარებინა ახალი კონკურსი ამ 7 ადგილზე. მე და ჩემს კოლეგებს ახალ არჩევნებამდე გაგვიგრძელდა წინა კონკურსით არჩეული პროფესორის უფლებამოსილება.

რექტორატმაც გადასინჯა თავისი გადაწყვეტილება და ცნობილი მეცნიერებისგან შექმნა ახალი საკონკურსო კომისია; 2010 წლის აგვისტოში ჩატარდა ახალი კონკურსი (http://www.atsu.edu.ge/article.php?id=399), რომელმაც გარკვეულწილად აღადგინა სამართლიანობა: მე ისევ დავიკავე სრული პროფესორის თანამდებობა, ეკა დადიანს დაუბრუნდა ასოცირებული პროფესორის თანამდებობა და სხვ. რუსუდან საღინაძის, მაია მიქაუტაძის, ლუიზა ხაჭაპურიძისა და სხვების მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი დარჩა (მეორე კონკურსის ოქმები და კომისიის წარდგინება იხ.: http://bmu.li/6HC).

ახალი კონკურსიდან რამდენიმე კვირის შემდეგ რექტორატი „რატომღაც" მთელი შემადგენლობით გადადგა. ამ ფონზე ვსვამ კითხვას: ვინ აღადგენს იმ მორალურ ზიანსა და

ნერვების „ხარჯს“, რომელიც ჩვენ (არა მხოლოდ მე, არამედ ყველა გამარჯვებულ თუ დამარცხებულ კონკურსანტს) მოგვაყენა ე.წ. საკონკურსო კომისიის კრიმინალურმა ანგარიშსწორებამ?

**კრიმინალური კონკურსის მოკლე შეფასება:**

2010 წლის გაზაფხულზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა ქართული ენის მიმართულებით საკონკურსო კომისიაში შეიყვანა პროფესორი ავთანდილ არაბული (http://www.atsu.edu.ge/archives.php?type=3&date=2010&page=1), რომელსაც დამატებით ექსპერტებად „მოუვლინეს“ ნინო დობორჯგინიძე და იზაბელა ქობალავა. პირადი თუ პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით, აღნიშნულმა პირებმა შეცდომაში შეიყვანეს საკონკურსო კომისია და საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის მიღმა დაგვტოვეს ქართული ენის დეპარტამენტის წამყვანი პროფესორები. ჩვენი პროტესტის შემდეგ მათი დანაშაულებრივი გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გააუქმა იმავე საკონკურსო კომისიამ.

ნინო დობორჯგინიძე და ავთანდილ არაბული (რამდენიმე სხვა პირთან ერთად) მრავალი წელია მიწევენ ოპონირებას ჩემი ერთ-ერთი სამეცნიერო თვალსაზრისის გამო; კერძოდ, მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციის კვალად, მე ვამბობ, რომ ქართველებს გვაქვს ერთი დედაენა და მისი მრავალი განშტოება (ენა-კავი თუ დიალექტი). ა. არაბული, გ. გოგოლაშვილი, მ. თანდაშვილი და კიდევ რამდენიმე პირი საბჭოთა პერიოდში აქტიურად დამკვიდრებული „ტრადიციის“ კვალად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არსებობს რამდენიმე ქართველური ენა. მათი თანამოაზრე ნინო დობორჯგინიძე უფრო შორს მიდის და ასევე უსაფუძვლოდ აცხადებს, რომ ოდითგანვე მეგრელები და სვანები საკუთარი „ენების“ მქონე „ხალხებია“, რადგან, მისი არგუმენტით, „ეს არის იმდროინდელი განათლებული მსოფლიოს წარმოდგენა იმ ხალხებზე, რომელთაც საკუთარი ენა აქვთ“ (დობორჯგინიძე 2007: 264). მსგავს თვალსაზრისს ავითარებს უცხოელთა ჯგუფიც, რომელიც ცდილობს, საქართველოს თავს მოახვიოს „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის“ აღმოსავლეთევროპული (პრორუსული) გააზრება.

ამ დაჯგუფების საპირისპიროდ, მე და ჩემმა კოლეგებმა ვაჩვენეთ:

მრავალი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ მეგრელ-სვანები, სხვა ქართველების მსგავსად, მრავალი საუკუნეა ქმნიან თავიანთ დედაენობრივ კულტურას საერთოეროვნული ენით, რომელიც ეფუძნება საერთოქართველურ ენას; მეგრელი და სვანი ოდითგანვე ისეთივე ქართველია, როგორიც იმერელი, კახელი თუ მესხი... ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს [ი. კორიაკოვის, ფ. ჰილერისა (P.J. Hillery) და სხვათა კვალიფიკაციების კრიტიკის შესახებ იხ.: http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia].

ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი ჰქონდეს; შესაბამისად, პირადად, მე ნამდვილად არ მეგონა, ვინმე თუ იკადრებდა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრციდან განსხვავებული მოსაზრების მქონე მეცნიერის გასაძევებლად კრიმინალურ კონკურსს ჩაატარებდა და ჩემ და ჩემი კოლეგების მიმართ ანგარიშსწორებას ამ ფორმით დაგეგმავდა...

**პროფ. ტარიელ ფუტკარაძე**
11.09.2010 – 13.11.2010

**P.S.** აკადემიურ ველში მომხდარი ეს კრიმინალური ისტორია დოკუმენტურად აღვწერე, მაგრამ ბოლო დღემდე ვფიქრობდი, უახლოეს წარსულში მომხდარი ეს ამბავი გამომექვეყნებინა თუ არა. ამ ნაწერის გამოქვეყნება გადამაწყვეტინა ერთმა ახალმა გარემოებამ:

2010 წლის 17 ნოემბერს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე სადოქტორო პროგრამების დამტკიცების დღეს, ცნობილი გახდა, რომ 2010 წლის 26 აპრილს, მაშინ როცა უკვე გაუქმებული იყო კრიმინალური კონკურსის შედეგები და გაგრძელებული იყო ჩვენი უფლებამოსილება, თითქოსდა ჩატარებულა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის დეპარტამენტის პროფესორთა „სხდომა“ (ოქმს ხელს აწერენ: მ. მიქაძე, ი. რუსაძე), რომლის მიხედვითაც „დეპარტამენტს“ ჩემი სადოქტორო პროგრამის – „ქართველური ენათმეცნიერების“– პარალელურად „დაუმტკიცებია“ ახალი სადოქტორო პროგრამა უცნაური სათაურით: „ქართული ენის ლექსიკოლოგია-სტილისტიკა“.

ყველა სრულ და ასოცირებულ პროფესორს აქვს უფლება, თავისი სპეციალობის (სამეცნიერო შიფრის) მიხედვით წარმოადგინოს სადოქტორო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტები. ამ შემთხვევაში შიფრის პრობლემა არ არის ჩემი განსახილველი. ჩვენი გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ არც 26 აპრილს და არც სხვა დროს (2010 წლის იანვრიდან დღემდე!) მსგავსი თემატიკის სხდომაზე არავის მიუწვევია დეპარტამენტის წევრთა უმრავლესობა; თუმცა, ამ „ოქმის“ მიხედვით, „ოქმის“ ავტორი ბრალდებას აქეთ გვიყენებს, რომ ჩვენ – დეპარტამენტის წევრთა უმრავლესობა – არ დავესწარით დეპარტამენტის სხდომას... მას ისიც გამორჩა, რომ რამდენადაც მიმართულების მიხედვით აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული პირების (ტარიელ ფუტკარაძე, ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, რუსუდან საღინაძე, ეკა დადიანი, მაია მიქაუტაძე, ნინო ფხაკაძე) უმრავლესობა არ ესწრებოდა სხდომას, „სხდომა“ არალეგიტიმურია.

აქვე აღვნიშნავ: საეჭვო ღირებულებისაა ისეთი სადოქტორო პროგრამა, რომელიც შექმნილია შესაბამისი სპეციალისტების იგნორირებით [უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ და რექტორატმა გაითვალისწინა **პროფ. რუსუდან საღინაძის, პროფ. ეკა დადიანის, პროფ. მაია მიქაუტაძისა და პროფ. ჟუჟუნა ფეიქრიშვილის** უარყოფითი წერილობითი განცხადებები და არ დაამტკიცა სადოქტორო პროგრამა: „ქართული ენის ლექსიკოლოგია-სტილისტიკა“ /რექტორატმა ეს პროგრამა ექსპერტიზისათვის გადასცა ფარულ ექსპერტს/].

**ეგებ, მომავალში მაინც, აღარ გამეორდეს მსგავსი ფაქტები.**

27 მარტი, 2010 (30 ნოემბერი, 2010)

## დიალოგი დავით პაიჭაძესთან

**2011 წლის 18 იანვარს, დილით ეს წერილი გავუგზავნე ბ-ნ დავით პაიჭაძეს**

გამარჯობა,

1. წუხელ გვიან ღამე ვნახე თქვენი რადიოგადაცემა და ძალიან გამიკვირდა: თქვენი სტუმრისგან საკითხის ვითარება გაყალბდა და გადაცემა აიგო ჩემს პიროვნულ შეურაცხყოფაზე. თქვენ ტაქტიანი ადამიანი ბრძანდებით და იმედი მაქვს, საპასუხო სვლას გააკეთებთ.

2. სხვადასხვა ავტორის მიერ მსოფლიოს ენათა სხვადასხვა რაოდენობა სახელდება: 2 000-დან 7 000-მდე. მიზეზი: არ არსებობს ენისა და დიალექტის გამიჯვნის ცალსახა კრიტერიუმები;

3. ქ-ნი დობორჯგინიძე ჩემს მოსაზრებებს ადრეც ამახინჯებდა და მას სამეცნიერო ველში ვუპასუხე. საჯაროდ, ტელევიზიით ქალის მხილება არ მიმაჩნია კარგ ტონად; თან არ მინდა ქ-ნ დობორჯგინიძეს მისივე ტაქტით ვუპასუხო; ამიტომ დღევანდელ თქვენს გადაცემაში მე არ მოვალ. იმედია, ჩემს ღირსებას კიდევ არ შელახავთ... ის აყალბებს კლასიკოსთა და ისტორიკოსთა მოსაზრებებსაც; მაგ.: ლეონტი მროველი ქართველთა მხოლოდ ერთ ენას ასახელებს – ქართულს; მთელ მსოფლიოში დედაენა ეთნოსის ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევა და სხვ.

4. ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენელ ერთეულთა მცდარი კლასიფიკაციის გამოა, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ქართველთა შესახებ არაადეკვატური ეთნიკური კვალიფიკაციები თუ რუკები.

5. მიმაგრებული ფაილით გიგზავნით მასალების ნაწილს. ნახეთ იმ წიგნთან ერთად, რომელიც უკვე გამოგიგზავნეთ და, თუ გექნებათ სურვილი, სხვა დროს დავგეგმოთ ისეთი გადაცემა, რომელიც წაადგება სიმართლეს, შესაბამისად, ჩვენს სახელმწიფოსა და ერს. ენისა და კილოს გამიჯვნის პრობლემურ თემაზე სატელევიზიო შოუ კარგ შედეგს არ მოიტანს ქვეყნისთვის; ეს სამეცნიერო აუდიტორიის თემაა. არ შეიძლება ამ თემით საზოგადოების დაძაბვა (ეს თქვენი გუშინდელი გადაცემიდანაც გამოჩნდა).

პატივისცემით, **ტარიელ ფუტკარაძე**

**P.S. დეოკუპაცია, სულ მცირე, ორ ასპექტს მოიცავს:**
**– დამპყრობლის ჯარის გაყვანა მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიიდან;**

**– დამპყრობლისგან თავს მოხვეული იდეოლოგიური სქემებისა და ეთნიკურად დამანაწევრებელი „თეორიებისგან“ გათავისუფლება. მე ვერასოდეს დავეთანხმები იმ რუსსა თუ სხვა უცხოელს, ვინც ქართული ენის საზღვარს სამტრედიასთან ავლებს (იხ., მაგ., გიპერტის რუკა).**

მიმაგრებული ფაილი, ტექსტი:

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი)

**თანამედროვე საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში არსებული ინფორმაციები ქართველთა იდენტობის შესახებ (მეცნიერული და პოლიტიზებული კვალიფიკაციები)**

1. 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში „საფრანგეთი და სამყარო“ (La France et le Monde, Atlas) რუკის სხვადასხვა ფერით და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები.

2. „ევროპის ენების ცენტრის გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ წიგნში „Europe of the Peoples“ სხვადასხვა დროშით და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, სვანები და ოსები.

3. ევროპაში 2004 წელს შექმნილი და ინტერნეტში ფართოდ რეკლამირებული რუკის მიხედვით, კავკასიაში მცხოვრები ეთნოსებია: ადიღელები, ქართველები, მეგრელ-სვანები, აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები და სხვ.

4. მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2010 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ეთნოსები: აზერბაიჯანელები – 308 000, ასირიელები (აისორები) – 3 000, აფხაზები – 101 000, ბაცბები – 3 420, ბერძნები – 38 000, ლაზები –2 000, მეგრელები – 500 000, ოსები – 100 000, რუსები – 372 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) – 15 000, სომხები – 448 000 , ურუმები – 97 746, ქართველები – 3 901 380, ქართველი ებრაელები – 20 000, ქურთები – 40 000. (http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE).

5. ევროპის ისტორიის ახალ რუკებზე არაადეკვატურადაა წარმოდგენილი საქართველოს რეალობა; მაგ., X საუკუნის რუკაზე გვერდიგვერდ ჩანს აფხაზეთი და იბერია:

6. ამგვარი არაადეკვატური კვალიფიკაციები და გაყალბებული რუკები სათავეს იღებს მეფის რუსეთის დროინდელი ენობრივ-ეთნიკური დივერსიებიდან; იხ., მაგ., დღესაც ფართოდ რეკლამირებული რუსული რუკა:

7. საუკუნე-ნახევრის წინ შექმნილი ამ რუკისგან დიდად არ განსხვავდება თანამედროვე რუს მეცნიერთა პროდუქციაც; მაგ., პროფ. იური კორიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტში: „მსოფლიოს ენათა რეესტრი“ ქართველური ეთნიკური სამყარო წარმოდგენილია შემდეგ დამოუკიდებელ ეთნოსებად (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი.

8. ყველასთვის ნათელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში რთულია საქართველოს დანაწევრების დაკანონება მხოლოდ შეიარაღებული აგრესიის გზით, ამიტომ არის მცდელობა, „მეცნიერული“ კვალიფიკაციებით და ისტორიული სინამდვილის გაყალბებით მოეძებნოს საფუძველი ქართველთა ნაწილის არაქართველებად გამოცხადებას.

9. ისტორიული სინამდვილე საქართველოში ყველა საღად მოაზროვნემ იცის – **ყველა კუთხის ქართველი:** მეგრელი, კახელი, სვანი, ტაოელი, აჭარელი, ხევსური, იმერხეველი, თუში, რაჭველი, იმერელი, ჰერი, ლაზი, ჯავახი, ლეჩხუმელი, ლივანელი, ფშაველი, მაჭახლელი, ქართლელი, ძველი აფხაზი თუ კახელი – ერთად ვქმნიდით საერთო სამწიგნობრო ენას, ეროვნულ კულტურასა და საერთო სახელმწიფოს; შესაბამისად, ჩვენ ერთი ეთნოსი ვართ. ცალკეულ ქართველ მეცნიერთა მიერ საერთაშორისო ქსელში გავრცელებული ეს სიმართლე ვერ აკომპენსირებს საქართველოს შემდგომი დანაწევრების მოსურნე ძალების მიერ კარგად დაგეგმილ საინფორმაციო-სამეცნიერო აგრესიას (რომლის ტემპი ბოლო პერიოდში უფრო და უფრო იზრდება).

ვფიქრობ, ქართველთა ეთნიკური დანაწევრების მოსურნე ძალების მიერ საერთაშორისო ველში გავრცელებული გაყალბებული კვალიფიკაციების ზრდადი პროპაგანდის გასანეიტრალებლად,

აუცილებელიახელისუფლების,საქართველოსმეცნიერებათააკადემიისადაქართველოლოგიური სამეცნიერო ცენტრების ერთობლივი სტრატეგიის შემუშავება.

**ბატონმა დავითმა მალევე მიპასუხა და კიდევ ერთხელ შემომთავაზა გადაცემაში მონაწილეობა. მე დავთანხმდი მას გადაცემაში მონაწილეობაზე მას შემდეგ, რაც ის ჩემგან მიწოდებულ მასალებს გაეცნობოდა და ჩემ მიერ შეთავაზებულ უფრო პრობლემურ თემას განვიხილავდით)...**

**გადაცემის მსვლელობის დროს ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ ნათქვამმა დეზინფორმაციებმა ვინმე რომ არ დააბნიოს, ქვემოთ გთავაზობთ ჩემს კომენტარებს:**

1. ლეონტი მროველი ქართველთა მხოლოდ ერთ ენას ასახელებს – ქართულს. ქ-ნი ნ. დობორჯგინიძე ლეონტი მროველს უყალბებს მოსაზრებას და ჩემი თვალსაზრისი თუ მონაცემები რომ გააყალბოს, ხელს რა შეუშლის? კიდევ ერთი გაყალბების კრიმინალური ისტორიის შესახებ (ასეთ და მსგავს გამყალბებელთან დიალოგს აზრი არა აქვს) იხ:

http://www.facebook.com/putkaradze#!/note.php?note_id=377220695677

2. ქ-ნი ნ. დობორჯგინიძე სხვა მემატიანეებისა და ისტორიკოსების მოსაზრებებსაც აყალბებს:

კომენტარისთვის იხ.: http://www.scribd.com/doc/27253445/Kartveluri-Memkvidreoba-XIII-Gujejiani-Rozeta-Khorava-Bejan ქ-ნი რ. გუჯეჯიანისა და ბ-ნი ბ. ჯავახიას წერილიდანაც ნათლად ჩანს: სვანეთისა და სამეგრელოს დიდებული ქართველობა რუსეთის იმპერიის მზაკვრობამაც კი ვერ დააბნია (ქ-ნი დობორჯგინიძის გაყალბებისა და კომენტარების ქვეტექსტები რა მოსატანია).

3. **ქ-ნი დობორჯგინიძე ივანე ჯავახიშვილს ქართველთა დამანაწევრებელი თეორიის მომხრედ აცხადებს. სინამდვილე სხვაგვარია; ივანე ჯავახიშვილი ერთენოვანი ქართველოლოგიის მხარდამჭერი იყო ჩემს დაბადებამდე ბევრად ადრე. იგი ნიკო მარს აკრიტიკებდა ქართველთა დანაწევრების გამო (იხ., ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, პირველი ტომი, 1979 გვ. 152 [ქართველობის წარმართობა, სქოლიო]**

http://www.amsi.ge/istoria/ij/qei1/T3.html

ქართველთა ერთ დედაენაზე ორიენტირებული ქართველოლოგიის ძირითადი პრინციპები დიდი ხანია ჩამოყალიბებულია და მისი დაფუძნების პატივს ვერ მივიღებ ჩემი ოპონენტებისგანაც კი :) შდრ.: მეგრული კილოს ენად გამოცხადების გამო საუკუნის წინ ამხელდნენ რუსეთის იმპერიას თედო ჟორდანია, გრიგოლ დადიანი, ამბროსი ხელაია და სხვა დიდი ქართველები; აი, რას წერდა, მაგ., თედო სახოკია:

http://www.scribd.com/doc/24443368/Putkaradze-Saqartvelos-Mokle-Istoria (იწყება მე-14 გვერდიდან); იხ., აგრეთვე: http://iberiapage.ge/qartvelologia/gvanceladze/danarTi.htm

4. ბ-ნ კახა გაბუნიას (სამტრედიის გამო): სამტრედია არ არის ქართველებისა და მეგრელების, მეგრულისა და ქართულის საზღვარი. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხ.:

http://www.scribd.com/doc/47055369/Putkaradze-Dezinpormacia-Kartvelebis-Shesaxeb-Tezisebi

5. ბ-ნ კახა გაბუნიას (ბრუნვების გამო): ხევსურულსაც მეტი ბრუნვა აქვს, ვიდრე სალიტერატურო ქართულს; ენაა? ძველი ქართული თითქმის ყველა ქართველურ ბრუნვას მოიცავს; მსჯელობისთვის იხ.: http://www.scribd.com/doc/36074095/Kartvelebi-sainterneto-versia

6.საკუთრივ ენათმეცნიერული მსჯელობა ვისაც აინტერესებს:

http://www.scribd.com/doc/13973516/T-Putkaradze-ergative-20081

ფაქტი ერთია: ჩვენ ყველანი თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ **როგორც ჩვენს** დედაენას – ქართულს, ასევე: მეგრულს, სვანურს, ლაზურს, თუშურს, ხევსურულს, ტაოურს, ფშავურს, ინგილოურს, რაჭულს და ა.შ. ქართველთა ყველა კუთხურ მეტყველებას – ჩვენს ისტორიულ განძს.

7. არა მხოლოდ სამი ენათმეცნიერი, არამედ გაცილებით მეტი ფიქრობს, რომ ქართველებს ერთი დედაენა გვაქვს; სანიმუშოდ, იხ. ამ წიგნის სქოლიოები:

http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010

8. ბ-ნმა დავით პაიჭაძემ 17 იანვრის რადიოგადაცემაში თქვა: „მეგრულ-სვანური სოციოლინგვისტურად დიალექტებიაო“...

**დავძენ:**

როგორც წესი, არც ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის და არც ბგერათშესატყვისობების

საფუძველზე არ წყდება ენა-კილოების სტატუსი. ბგერათშესატყვისობებით ენათა ნათესაობა დგინდება და არა – სტატუსი. მაგ., არანაირი ბგერათშესატყვისობა არ არის რუსულსა და უკრაინულს შორის; ამ ენების მფლობელთ ერთმანეთისაც ესმით („გაგებინების“ კრიტერიუმი!), მაგრამ რუსული და უკრაინული ენებია არამხოლოდ რუსებისა თუ უკრაინელებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. ასევეა: სერბიული და ხორვატიული, ბელორუსული და პოლონური და ა.შ. მსოფლიოს ენათა უმრავლესობას კი აქვს ისეთი დიალექტები, რომლებიც არ ესმით სხვებს...

როგორც წესი, სოციოლინგვისტური კრიტერიუმების საფუძველზეა ჩამოყალიბებული ენათა სტატუსი (მეტიც, მსოფლიოს ენათა უმრავლესობა ენად „მოინათლა“ (ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე). ენათმეცნიერული ცოდნა არ სჭირდება ერისა და ენის ისტორიის გააზრებას:

საქართველოს ბრძენი პატრიარქი ჰყავს. გარდა ამისა, მან კარგად იცის საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის ისტორია; სწორედ ამიტომ ამბობს ის, რასაც ამბობს: „ქართული წერილობითი კულტურა ყველა კუთხის ქართველმა შექმნა ზოგადეროვნულ ქართულ ენაზე; ამიტომაა ეს ენა ყველა ქართველის დედაენა. ის, ვინც ისტორიულ დედაენას კუთხური მეტყველებით ანაცვლებს, მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო [კულტურულ] წარსულს უკარგავს ამ საზოგადოებას“.

http://www.scribd.com/doc/40595100/patriarkis-kadageba-Kartuli-enis-shesaxeb-10-10-2010

19 იანვარი, 2011

## საანალიზოდ საინტერესო ინფორმაცია: არჩევა თუ შერჩევა

2013 წლის 14 მაისს გამოქვეყნებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა არჩევის პროცედურაში“ გარკვევით ეწერა: „თითოეულ ვაკანსიაზე გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმათა მეტ რაოდენობას. ხმათა თანაბრობის შემთხვევაში გამარჯვებულს გამოავლენს ცენტრი“.

მრავალ კანდიდატს შორის სანდო კანდიდატებს ხმა მისცეს საქართველოს უნივერსიტეტების ხელმძღვანელებმა (რექტორებმა, აკადემიურმა საბჭოებმა). 24 მაისს გამოქვეყნდა არჩევნებში პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული პირების შემდეგი სია:

ა) კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან: ტარიელ ფუტკარაძე, თამაზ ყანდარელი, კახაბერ ჯაყელი;

ბ) სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან: დავით აფრასიძე, არჩილ მოწონელიძე, ლევან მიდოდაშვილი;

გ) ადმინისტრაციის წარმომადგენელი: ნინო ჩუბინიძე, კახი ყურაშვილი, ლელა ქელბაქიანი.

პირველ ადგილზე გასულებს გამარჯვება მოგვილოცეს, მაგრამ პრემიერისთვის მიწოდებული და მის მიერვე 2 ივლისს დამტკიცებული სიის (ბრძანება #134) მიხედვით, „ავტორიზაციის საბჭოს“ წევრებად აღმოჩნდნენ: კახაბერ ჯაყელი, დავით აფრასიძე, ლელა ქელბაქიანი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უფლება აქვს, შეარჩიოს თავისი საბჭოს წევრები, მაგრამ სჯობდა, თავიდანვე გამოექვეყნებინა „აკადემიური საბჭოს წევრთა შერჩევის პროცედურა“ და არა „არჩევის პროცედურა“...

„პროცედურის“ შედგენისას თავიდანვე ყურადღება უნდა მიექციათ ზმნისწინისათვის და განესხვავებინათ ზმნური ფორმები: ა-რჩევა – შე-რჩევა.

:)

**P.S.** „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოთა საბჭო“

ის ორგანოა, რომელსაც შეუძლია, თუკი რაიმე დარღვევას აღმოაჩენს, შეაჩეროს ნებისმიერი უნივერსიტეტის ფუნქციონირება...

6 ივლისი, 2013

# „ფსევდორუსთველური“ ფონდის ინერცია

რუსთაველის ფონდის ექსპერტების შესახებ რამდენჯერმე დავწერე, რომ ისინი ქართველოლოგიაში, კერძოდ, ენათმეცნიერებაში, მაინც და მაინც იმ ავტორებს აფინანსებდნენ, რომლებიც, რუსული თუ საბჭოთა ინერციით, ქართველურ ენობრივ სამყაროს დანაწევრებულად წარმოადგენენ (როგორც წესი, ჩემს პროექტს აკლდებოდა ხოლმე ქულა ან ნახევარი ქულა).

პროტესტის ნიშნად მე და ჩემი ბევრი კოლეგა ბოლო წლებში მონაწილეობას არ ვიღებდით ე. წ. შოთა რუსთველის ფონდის კონკურსში (ე. წ. იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ამ ფონდს შოთა რუსთაველი და მეცნიერული ქართველოლოგია არ აინტერესებდა).

ქ-ნი მარინე ჩიტაშვილის ფონდის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ გადავწყვიტე მიმეღო მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციების კონკურსში; მით უმეტეს, მსგავსი ორი კონფერენცია უკვე ჩატარებული მქონდა; შდრ., წინა ისტორია:

2014 წლის მაისში საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაფინანსებითა და ამ უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩავატარეთ კონფერენცია: „ირანელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“; კონფერენციის გახსნასა და მუშაობაში, ორივე ქვეყნის მეცნიერების გარდა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში და საქართველოში ირანის ელჩმა; ამ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფერეიდნელი, მაზანდარანელი, ისპაჰანელი თუ ირანის მოქალაქე სხვა ეთნიკური ქართველებისათვის.

2015 წლის მაისში საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაფინანსებითა და ამ უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა მეორე მსგავსი კონფერენცია: „თურქეთელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“; კონფერენციის გახსნასა და მუშაობაში, თურქი, ირანელი და ქართველი მეცნიერების გარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში და საქართველოში თურქეთის ელჩი. ამ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (და მომავალში უფრო დიდი შედეგი ექნება) თურქეთის მოქალაქე ეთნიკური ქართველებისათვის.

დასახელებული კონფერენციების შედეგები მნიშნელოვანი იყო როგორც ორივე მხარის მეცნიერებისათვის, ასევე, უშუალოდ, ირანსა და თურქეთში მცხოვრები თუ აქაური ქართველებისათვის (ამ კონფერენციების შედეგების შესახებ ბევრმა იცის და დამატებით არგუმენტირებას აღარ შევუდგები).

რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ ახალ კონკურსში კი ასეთი პროექტი წარვადგინე: ქართველოლოგიური სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია: „აზერბაიჯანში მცხოვრები ავტოქთონი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“.

ინგილოებისა თუ ჰერების თემაზე მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანელი კოლეგებიც, ქართველებიც და სხვებიც, რომელიმე ქართველი აქტუალურად თუ არ ჩათვლიდა, ნამდვილად არ მეგონა! რეალობა ასეთია:

ქულების მიხედვით, ჩვენი პროექტი მე-12 ადგილზეა; სულ კი დაფინანსდა 9 პროექტი.

სამწუხაროდ, ჩანს, ისევ ვიღაცის „მონდომებით“, ისევ „მცირეოდენი“ დააკლდა ჩვენს პროექტს. გარდა ამისა, ჩემდა გასაკვირად, არ დაფინანსდა არც ერთი ქართველოლოგიური კონფერენცია.

არადა, ჩვენს ქვეყანას პირველ რიგში, მეფის რუსეთისა თუ საბჭოთა რუსეთის იმპერიის პერიოდში პოლიტიზებული ქართველოლოგია აქვს მისახედი.

ჩემი დასკვნა ასეთია:

**1. ქ-ნი მარინე ჩიტაშვილის მოსვლით ფონდში ცვლილებები დაიწყო,** მაგრამ ჩანს, ფონდი ბოლომდე ვერ გათავისუფლდა იმ ექსპერტების თუ თანამშრომლებისგან, რომლებისთვისაც უცხო ხილი არ არის დანაშაულებრივი მიკერძოება;

2. აუცილებელია, სახელმწიფო დონეზე გაანალიზდეს ქართველოლოგიის პრობლემები და **შეიქმნას ქართველოლოგიის ფონდი.**

26 ივნისი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## მეცნიერების პოლიტიზება და რუსთაველის ფონდი

ჩვენს სამეცნიერო გუნდს რუსთაველის ფონდში წარდგენილი ჰქონდა პროექტი: **„მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა მეტყველება და ფოლკლორი“.**

ჩვენი პროექტის პირველი შემფასებლის ქულაა 47, მეორე ექსპერტისა კი – 50.

როგორც წესი, პროექტს ორი ექსპერტი აფასებს, შესაბამისად, ჩვენი საშუალო ქულაა 48.5; ანუ პროექტი გამარჯვებულთა შორის უნდა ყოფილიყო...

რატომღაც ფონდმა პროექტი მესამე ექსპერტთანაც გადააგზავნა, რომელმაც უარყოფითი რეცენზია დაწერა სასაცილო არგუმენტებით (მის ანტიქართულსახელმწიფოებრივ და დაუსაბუთებელ მოსაზრებებს, ასევე ცილისწამებას ცალკე გავაანალიზებთ!) და მაქსიმალურად დასწია ქულათა რაოდენობა: დაწერა 38, რამაც საბოლოო ჯამში ქულათა საშუალო არითმეტიკული დაიყვანა 45 ქულამდე – ზუსტად იმდენ ქულამდე, რამდენიც საკმარისად არ ჩაითვალა(თუმცა ზოგი 45-ქულიანი პროექტი დაფინანსდა!).

აქ გთავაზობთ ერთ ნაწყვეტს მესამე ექსპერტის „დასკვნიდან“:

“...And since, given that Georgia and Abkhazia are still technically in a state of war, I feel it unlikely that Turkish Abkhazians would be prepared to work with any research-group from Tbilisi, I find it impossible to score the application as I would, if I thought the project to be fully viable as outlined. This is why my scores are below what I would otherwise award”.

“ ...ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ **საქართველო და აფხაზეთი ჯერ კიდევ საომარ სიტუაციაში არიან,** არ მგონია თურქი აფხაზები იყონ მზად იმუშაონ თბილისიდან ჩასულ კვლევით ჯგუფთან. აქედან გამომდინარე, ამ პროექტის შეფასება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა რეალურად განხორციელებადი. სწორედ ამიტომ არის ჩემი ქულები იმაზე ნაკლები, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა”.

რეალობა სხვაგვარია: თუ ომზეა საუბარი, საქართველო საომარ მდგომარეობაშია რუსეთთან და არა – მოძმე აფხაზებთან! აფხაზეთში დღეს უფრო მეტი არააფხაზი ცხოვრობს რუსეთის ინტერესის შესაბამისად; აფხაზეთში სიტუაციას რუსეთის ჯარი აკონტროლებს!

რაც შეგვეხება ჩვენ, პროექტის მონაწილეებს: ჩვენ აქტიური ურთიერთობა გვაქვს თურქეთის მოქალაქე აფხაზებთანაც, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთანაც და სოხუმში მცხოვრებთანაც კი! მეტიც: პროექტის ერთ-ერთი მონაწილის დედა აფხაზეთელი აფხაზია, ხოლო პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ძირითადად აფხაზეთში ცხოვრობს!

მესამე ექსპეტი სხვა შემთხვევებშიც აშკარად ამახინჯებს რეალობას და ჭორის დონეზე მსჯელობს; ის ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ავტოქთონ ქართველსა და მუჰაჯირს; გარდა ამისა, ცილს სწამებს პროექტის მონაწილეთ და ქართველებს გვიკრძალავს აფხაზურის კვლევას და ა.შ.

მიმაჩნია, რომ მესამე ექსპერტის მიერ ანტიმეცნიერული და ანტიქართული საფუძვლით პროექტის ჩაგდება გამოძიების საგნად უნდა იქცეს; მით უმეტეს, **შემთხვევითი და პირველი არ არის საეჭვო პოლიტიკური ორიენტირების მქონე ექსპერტის მიერ ჩვენი პროექტის მიზანმიმართული „დაბლოკვა“:**

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, დღემდე ჩვენს სამეცნიერო პროექტებს გამარჯვებამდე ან ნახევარი ქულა აკლდება, ან ერთი. შეუძლებელია, წლების განმავლობაში ვერცერთი ჩვენი პროექტი „ვერ ამაღლებულიყო“ იმ გადამწყვეტ ქულებამდე.

ჩვენთვის ცნობილია, რა არის ქულების დაკლების ნამდვილი მიზეზი: შექმნის დღიდან რუსთაველის ფონდის ექსპერტთა უმრავლესობა ისეა დაკომპლექტებული, რომ ბიუჯეტიდან დაფინასდეს **მხოლოდ ისეთი სამეცნიერო პროექტები, რომელთა ავტორები ქართველურ დიალექტთა ერთ ნაწილს აცხადებენ ენობრივ უმცირესობათა ენებად,** ან ეთნიკურ უმცირესობათა ენებად და ამ გზით ქართველთა ნაწილს უკარგავენ ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნის ისტორიას, რუსული თუ საბჭოთა ინერციით, მათ კუთხურ მეტყველებებს განიხილავენ რა **უმწერლობო დედაენებად.**

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ენობრივი პოლიტიკა, რომლის მიზანია **ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება,** დაიწყო მეფის რუსეთში ჯერ კიდევ 150 წლის წინ.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ფონდები **დიდ და ლოგიკურ ყურადღებას უთმობენ უმცირესობათა ენებს;** მსოფლიოში 200-მდე სახელმწიფო ენაა, ხოლო უმცირესობათა ენების რაოდენობა 5000-მდე შეიძლება იყოს; შესაბამისად, აუცილებელია მათზე ზრუნვა. სამწუხარო ისაა, რომ ამ ყურადღებას ზოგი პოლიტიკური თუ პირადი ინტერესისათვის იყენებს; კერძოდ:

**ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მომხრენიც და გრანტის იოლი გზებით მოპოვების მსურველნიც ქართველთა კუთხურ მეტყველებებს – ქართველურ კილოებს – ენობრივი უმცირესობის დედაენებად ან უმცირესობათა ენებად აცხადებენ** და ამ გზით ქართველთა ამ ნაწილს ართმევენ ისტორიულ დედაენას – მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართულ ენას.

ვფიქრობ, არსებული ხელისუფლების უფლებამოსილმა პირმა უნდა მოისმინოს ჩვენი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ჯგუფის არგუმენტაციები და ჩვენი საფუძვლიანი თვალსაზრისი რუსთაველის ფონდში არსებული **შესაძლო კრიმინალის შესახებ;** პარალელურად კი გადაწყდეს: საქართველოს მოქალაქეებისაგანაკრებილიგადასახადებითშედგენილიბიუჯეტითდაფინანსდეს ისეთი სამეცნიერო პროექტები, რომლებიც ნამდვილად **აუცილებელია ქართველოლოგიის სწორი ორიენტირებით განვითარებისათვის;** თუნდაც, თურქეთში ქართველთა და აფხაზთა მეტყველების, კულტურის, ფოლკლორის... გადარჩენისათვის.

**საქართველოს სახელმწიფოს ფული არ უნდა იყოს გამოყენებული განსხვავებული აზრის დევნისათვის. ჩვენი გადასახადებისაგან შექმნილი ფონდის ფული არ უნდა გაანაწილოს საეჭვო განათლების, ფასეულობებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მოწინააღმდეგე უცხოელმა ე.წ. ექსპერტმა** (რომელიც, მაგ., რუსეთ-საქართველოს ომს ქართულ-აფხაზურ ეთნოკონფლიქტად თვლის!).

საერთოდაც, მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ სამეცნიერო დარგში პროექტები ძირითადად ადგილობრივმა ექსპერტებმა უნდა შეაფასონ და ექსპერტების ვინაობაც **არ უნდა იყოს კონფიდენციალური,** რადგან წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან; გარდა ამისა, ინკოგნიტო ექსპერტის დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის პერსპექტივა მეტია.

2016 წლის ბოლოს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტთა შორის არის კარგი სამეცნიერო პროექტებიც; გამარჯვებას ვულოცავ ჩემს კოლეგებს, რომელთა სამეცნიერო კვლევა დაფინანსდა; **პარალელურად, ვფიქრობ, ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით მაინც გამოძიებულ უნდა იქნეს რუსთაველის ფონდის საქმიანობა ბოლო 10 წლის მანძილზე.**

11 დეკემბერი, 2016

## კრიტიკული ანალიზი

გადაცემა "ინტერვიუში" სალომე ასათიანმა მიიწვია შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული ფონდის ყოფილი გენერალური დირექტორი, პროფესორი მარინა ჩიტაშვილი, ადამიანი, რომელსაც პიროვნულად ნამდვილად ვცემ პატივს.

ინტერვიუს დროს წამყვანისა და რესპონდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ნაწილი ჩემთვის ნამდვილად მისაღებია, ნაწილი კი, ჩემი აზრით, საკამათოა (რბილად რომ ვთქვათ); მოკლედ რამდენიმე ჩემი კომენტარი:

1. გარკვეულწილად მართალია ქ-ნი მ. ჩიტაშვილი, როცა ამბობს, რომ კონფიდენციალურობა განაპირობებს ექსპერტის პირუთვნელობას; თუმცა, ფაქტია ისიც, რომ არაპატიოსანი ან, არაპროფესიონალიექსპერტისშემთხვევაშიკონფიდენციალურობადანაშაულისხელისშემწყობია.

ჩემი აზრით, პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვამდე არ მივიდოდა, ეროვნულ ფონდს უფლება რომ ჰქონოდა, სამეცნიერო პროექტის ავტორის დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე გადაემოწმებინა ექსპერტის აშკარად მცდარი შეფასება და შეჯამებისას არ გაეთვალისწინებინა; სამაგალითოდ მოვიყვან ჩვენს შემთხვევას:

ქართველი და აფხაზი მუჰაჯირების შესახებ ჩემი პროექტი მაღალი ქულებით შეაფასა ორმა

ექსპერტმა; პროექტი ჩააგდო მესამე ექსპერტმა (საბოლოო ჯამში, პროექტს დააკლდა 1 ქულა); საჭირო იყო თუ არა მესამე ექსპერტი, კიდევ ერთი თემაა და მასზე საუბარს არ გავაგრძელებ; მთავარია გაუგებარი ფაქტი:

მესამე ექსპერტმა პროექტი ჩააგდო აბსურდული "არგუმენტით", რომელიც მან ასე ჩამოაყალიბა:"საქართველოსა და აფხაზეთს შორის ომია და ეს პროექტი ვერ განხორციელდება". არადა, პროექტი უნდა განხორციელებულიყო თურქეთში (სადაც აფხაზი კოლეგებიც გვყავს და ახლობლებიც!) და არა რუსეთისაგან ოკუპირებულ აფხაზეთში! სინამდვილეში, ჩემი პროექტის ერთი მონაწილე აფხაზეთის (გალის) მკვიდრიც იყო, მეორე მონაწილეს კი ოკუპირებულ აფხაზეთშიც ჰყავს კოლეგები, რომლებთანაც ახლაც თანამშრომლობს!

ასეთი მავნე ექსპერტები ბევრ სხვა შემთხვევებშიც გამოვლენილან ჰუმანიტარული დარგის პროექტების ექსპერტიზის პროცესში. ამგვარი არაკომპეტენტური ექსპერტისაგან ფონდს რომ დაეცვა ჩემი პროექტი, მე არასოდეს დავინტერესდებოდი მისი ვინაობით.

2. ქ-ნი მარინა ჩიტაშვილი ამბობს: "საბჭოთა კავშირის დროს ჰუმანიტარული მეცნიერებები ემსახურებოდა იდენტობის შენარჩუნების ფუნქციას; ეს იყო მათი შინაგანი მოტივაცია"...

ცალკეული მეცნიერების შემთხვევაში ეს ნამდვილად ასე იყო, თუმცა, ამგვარი აზრის განზოგადება შეუძლებელია: კრემლი ნამდვილად არ აფინანსებდა ისეთ სამეცნიერო კვლევას, რომლის მიზანი იყო, მაგ., ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნება; პირიქით: კრემლი დიდი ხნის მანძილზე ქმნიდა და ქმნის იმპერიულ იდეოლოგემებს (დღეს იმავეს აკეთებენ ე.წ. ფსევდოლიბერალები!).

უდავო ფაქტია: საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიზებული იყო ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ეთნოლოგია... ამან განაპირობა საპირისპირო მოვლენაც – ე.წ. ურაპატრიოტული მოტივებისა (თუ ჰეროიზაციის) "კუნძულების" გაჩენაც (რომელთა განზოგადება ასევე დიდი შეცდომაა!).

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში აუცილებელი იყო (არის!) ამ ორი საშიში მოვლენისგან (იმპერიული თუ ფსევდოლიბერალური ინტერესებით მეცნიერების იდეოლოგიზება და ფსევდოპატრიოტიზმი = "ჰეროიზმი") თავის დაზღვევა.

სამწუხაროდ, განვლილი 10 წლის მანძილზე დაფინანსებული პროექტების ანალიზით ცხადია, რომ რუსთაველის ფონდმა, მაგ., ჩემს სფეროში – ქართველურ ენათმეცნიერებაში, თავი ვერ დააღწია საბჭოთა პერიოდში შექმნილ იდეოლოგემებს; უფრო ზუსტად, რუსთაველის ფონდის მიერ მოწვეულმა ზოგმა ექსპერტმა ვერ შეძლო, განთავისუფლებულიყო საბჭოთა იდეოლოგემებისაგან.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჰეროიზაციაზე არანაკლებ საშიშია ნიჰილიზმი, რომელიც სამეცნიერო არხებისა თუ წამყვანი ტელევიზიების გამოყენებითაც ახლაც "ვიღაცისაგან" მიზანმიმართულად ინერგება საქართველოში.

ამ ყოველივეს დააბალანსებს ხელისუფლება, თუკი ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკადემიური აზრის განვითარებას; პირველ რიგში, აუცილებელია გათავისუფლება საბჭოთა სტერეოტიპებისაგან; მაგ., რუსეთის მიერაა შექმნილი ხსენებული ექსპერტის ცნობიერებაში არსებული იდეოლოგიური (დივერსიული!) "სტერეოტიპი", რომ თითქოსდა, კავკასიაში ომია აფხაზეთსა და საქართველოს შორის.

3. ბუნებრივია, მართალია ქ-ნ მ. ჩიტაშვილი იმაში, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სტრატეგია მეცნიერების განვითარების სფეროში, რამდენადაც, მეცნიერებაზე დგას არა მხოლოდ გარესამყაროსა და საზოგადოებრივი მოვლენების შემეცნება, არამედ ნებისმიერი სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი კონცეფციაც, მომავალი თაობების განათლებაც, საზოგადოების სწორი ორიენტირებაც და მოსახლეობის კონსოლიდაციის პერსპექტივაც; თუმცა, ამ კონცეფციის შემუშავება უნდა მოხდეს ფართო დისკუსიის საფუძველზე და არა რამდენიმე ტრენინგგავლილი პირის მიერ.

4. ინტერვიუს პროცესში ერთგან ტელეწამყვანი საზოგადოებრივი აზრის გმობის კონტექსტში ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, ნეგატიურ შეფასებას მოჰყვა "დისკურსული პოლიციის" ამოქმედება (ანუ ტელეწამყვანი აკრიტიკებს ჩვენს საზოგადოებას); იქვე, ქ-ნი სალომე სხვა უკიდურესობაში ვარდება: ნეგატიურად აფასებს საქართველოში არსებული

უნივერსიტეტების მეცნიერებას (არგუმენტად მოჰყავს რამდენიმე მართლაცდა ულოგიკო ციტირება) და ასეთ უტრირებულ კითხვას სვამს:

“რა უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოში არსებული უნივერსიტეტები დაბრუნდნენ მეცნიერულ აზრთან?!”.

ქ-ნმა სალომემ ალბათ არ იცის, დღესაც რამდენი რამ კეთდება მეცნიერების, აკადემიური აზრის განვითარებისათვის ჩვენს უნივერსიტეტებში; პირადად, მე მას ვიწვევ მის მიერ გაკილულ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომ ნახოს, მაგ., რამდენი რამ გაკეთდა ქართველოლოგიის სფეროში. სამწუხაროდ, ტელევიზიების სრულიად დაუბალანსებელი პოლიტიკის გამო, საქართველოშიც ბევრმა არ იცის, რა დიდ შრომას ეწევიან ჩვენი პროფესორები თუ მასწავლებლები.

ქ-ნ სალომეს საჯაროდაც ვეტყვი, რომ ქართველი მეცნიერების უდიდესი ნაწილი ნამდვილად არ არის შორს რაციონალური აზრისაგან.

5. ვეთანხმები მარინე ჩიტაშვილს იმაში, რომ ტესტის წარმატებით ჩაბარება არაა განათლება და დავძენ: მეცნიერებისაგან შორს დგას ზოგი უცხოური პუბლიკაციაც; მაგ., ზუსტად ვიცი, ქართველოლოგიის სფეროში უცხოეთში დაბეჭდილი სტატიების არც თუ ცოტა ნაწილის მეცნიერული დონე კრიტიკას ვერ უძლებს (სამწუხაროდ, აკადემიური ცოდნის მქონე ქართველოლოგი, შესაბამისად, ექსპერტიც, ძალიან ცოტაა საზღვარგარეთ). ამ ფონზე ვამბობ:

აუცილებელია მეცნიერების ინტერნაციონალიზაციაც და მეცნიერების სფეროშიც სახელმწიფოს სტრატეგიის არსებობაც; დაფინანსება განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს იმ მიმართულებებში/სპეციალობებში, რომელთა განვითარებით ძირითადად საქართველოა დაინტერესებული (ქართველური ენათმეცნიერება, ქართველური ფოლკლორი, საქართველოს ეთნოლოგია, ქართველი ერის ისტორია, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია...); ამავე მიმართულებებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ექსპერტიზასაც:

ქართველოლოგიაში ნამდვილად შესაძლებელია აკადემიური ექსპერტიზა ქართველი ექსპერტების ჩართულობითაც. კონფიდენციალურობას ნუ ვაქცევთ მთავარ პრობლემად, მაგ., აკადემიური თანამდებობების კონკურსების დროს ხომ ცნობილია კომისიის შემადგენლობა? მე არც კონფიდენციალურობის წინააღმდეგი ვარ, თუკი ფონდი კონკურსანტს დაიცავს შემთხვევითი თუ მავნე ექსპერტისაგან.

ქვემოთ მითითებულ ბმულზე იხ., “ინტერვიუ”:

https://www.radiotavisupleba.ge/a/salome-asatianis-interview-marina-chitashviltan/28468428.html

7 მაისი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## დღევანდელი სასამართლო პროცესი

დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულია სხდომა, რომელიც განიხილავს რუსთაველის ფონდის საქმეს; კერძოდ:

ჩვენს სამეცნიერო გუნდს ქართველოლოგიის ცენტრის სახელით 2016 წელს წარდგენილი ჰქონდა სამეცნიერო პროექტი: **“მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა მეტყველება და ფოლკლორი”.**

ჩვენი პროექტის პირველი შემფასებლის ქულაა 47, მეორე ექსპერტისა კი – 50. წესით, პროექტს ორი ექსპერტი აფასებს, შესაბამისად, ჩვენი საშუალო ქულაა 48.5; ანუ პროექტი **გამარჯვებულთა შორის უნდა ყოფილიყო...** რატომღაც ფონდმა პროექტი მესამე ექსპერტთანაც გადააგზავნა, რომელმაც უარყოფითი რეცენზია დაწერა სასაცილო არგუმენტებით (იხ. ბოლოს) და მაქსიმალურად დასწია ქულათა რაოდენობა: დაწერა 38, რამაც საბოლოო ჯამში ქულათა საშუალო არითმეტიკული დაიყვანა 45 ქულამდე – ზუსტად იმ ქულამდე, რომელიც საკმარისად არ ჩაითვალა კონკურსში გასამარჯვებლად.

**დღევანდელ სასამართლო პროცესზე ჩემი მიზანია, დავეხმარო რუსთაველის სახელობის ეროვნულ ფონდს, სწორი ორიენტირებითა და სამართლიანად გაანაწილოს საქართველოს მოქალაქეთა გადასახადებით შექმნილი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.**

გადაუჭარბებლად ვამბობ: შექმნის დღიდან დღემდე (!) ენათმეცნიერების მიმართულებით რუსთაველის ფონდის ექსპერტთა უმრავლესობა ისე კომპლექტდება (მიზანმიმართულად თუ ექსპერტთა სინაკლულის გამო?), რომ საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ძირითადად **ისეთი სამეცნიერო პროექტები, რომელთა ავტორები ქართველთა კუთხური მეტყველებების ერთ ნაწილს თვლიან "უმწერლობო ენებად", ენობრივ უმცირესობათა ენებად, ან, ეთნიკურ უმცირესობათა ენებად. ამ გზით ხელი ეწყობა** ქართველთა ენობრივი ისტორიის გაყალბებას; რაც მთავარია, რუსული თუ საბჭოთა ინერციით, ქართველთა ერთი ნაწილის კუთხურ მეტყველებებს, განიხილავენ რა უმწერლობო დედაენებად, ქართველი ერის უცხოელი არაკეთილმოსურნენი ქართველთა ნაწილს უკარგავენ ქართული სამწიგნობრო ენის შექმნის ისტორიას და უმწიგნობრო ხალხად აცხადებენ; ამ გზით **ანაწევრებენ, შლიან ქართველ ერს** (ასეთი არაკეთილმოსურნეა, მაგ., ცნობილი ანტიქართველი ჯორჯ ჰიუიტი).

**ისტორიული რეალობა ასეთია:**

საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი ქართველთა სამწიგნობრო ენა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში და ის ქართველი ერის ყველა წარმომადგენლის კუთვნილებაა; შესაბამისად, დაუშვებელია, ქართველთა ნაწილი ვინმემ განიხილოს "უმწერლობო ენების" მქონედ.

**ამ ფონზე ლეგიტიმური კითხვა ასეთია: ზოგი ექსპერტი თუ ფონდის ზოგი მესვეური რატომ ამახინჯებს რეალობას?**

**ჩვენი პასუხი ასეთია:** მსოფლიოში 200-მდე სახელმწიფო ენაა, ხოლო უმცირესობათა ენების რაოდენობა 5000-ზე მეტია; აუცილებელია არასახელმწიფო ენებზე ზრუნვა; შესაბამისად, უმცირესობათა ენების გადასარჩენად **დასავლური ფონდები, ზოგადად, ცივილიზებული სახელმწიფოები დიდი რაოდენობის თანხას ხარჯავენ.**

სამწუხაროდ, ამ კეთილშობილურ ქმედებას **ზოგი სუბიექტი იყენებს პირადი ფინანსური ინტერესისათვის;** კერძოდ: ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მომხრეებსაც და **გრანტის იოლი გზების მოპოვების მსურველთაც** ხელს აძლევს, ქართველთა კუთხური მეტყველებები – **ქართველთა ეროვნული ენის კუთხური სახესხვაობები** (ისტორიული ქართველური დიალექტები) – **გამოცხადდეს უმცირესობათა ენებად.**

აქვე აღვნიშნავ, რომ ის ენობრივი პოლიტიკა, რომლის მიზანია ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება, დაიწყო მეფის რუსეთში ჯერ კიდევ 150 წლის წინ. დღეს ამ პოლიტიკის გამტარებელთა აშკარა მიზანია (რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ!) მეცნიერების მიმართულებით საქართველოს ბიუჯეტის გამანაწილებელმა "რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა" არ დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომელთა ავტორები ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას წარმოაჩენენ და ცდილობენ, რეალურად გადაარჩინონ ქართველთა საგანძური – ქართველთა კუთხური მეტყველებები; ისინი ასეთ ავტორებად გვთვლიან ჩვენ – წარმოდგენილი პროექტის განმახორციელებლებს.

დასასრულს, თვალსაჩინოებისათვის განვიხილავ საკუთრივ **მესამე ექსპერტის უსაფუძვლო "არგუმენტებს",** რომლის მიზანი იყო, ჩაეგდო ჩვენი პროექტი (რამდენადაც, პირველი და მეორე ექსპერტების შეფასებით, პროექტს გამსვლელი ქულა ჰქონდა!):

1. ექსპერტი რატომღაც ფიქრობს რომ არსებობენ აფხაზი მუჰაჯირები, მაგრამ **თურქეთში არ არსებობენ ქართველი მუჰაჯირები;** კერძოდ, ის წერს: "თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც თურქეთში აღმოჩდნენ ძირითადად იმ მიზეზით, რომ მოხდა თურქეთისა და საქართველოს საზღვრების ცვლილება. აქედან გამომდინარე, ფრიად საეჭვოა პროექტში წარმოდგენილი ფორმულირება, რომ ეს ორი საზოგადოება იზიარებს „მუჰაჯირთა" ფესვებს".

აშკარაა, ავტორი არაა ჩახედული საქმეში; **თურქეთში მილიონობით ქართველი მუჰაჯირი ცხოვრობს.**

2. ექსპერტის აზრით, თურქეთის სინამდვილეში ჩვენი პროექტი ვერ განხორციელდებოდა იმიტომ, რომ "ქართველები და აფხაზები ჯერ კიდევ საომარ სიტუაციაში არიან".

ქართველები და აფხაზები კი არა, დღეს მთელი მსოფლიო აღიარებს (რუსი პოლიტიკოსებისა და ამ ექსპერტის გარდა!), რომ **საომარ მდგომარეობაში საქართველო და რუსეთია. გარდა ამისა, თურქეთის ტერიტორიაზე ხშირად იმართება ქართველთა და აფხაზთა ქორწილიც კი** (მე

ვესწრებოდი ასეთ ქორწილს); მეტიც, მე და ჩემს კოლეგებს აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებთანაც გვაქვს ნორმალური ურთიერთობა; შესაბამისად, მიზანმიმართულად ექსპერტი აყალბებს რეალობას.

3. ექსპერტის აზრით, პროექტის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს აქვს ანტიაფხაზური დამოკიდებულება 1989 წლის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ...

აქ რამდენიმე სიცრუეა:

**– ჯგუფის არც ერთ წევრს არა აქვს ანტიაფხაზური დამოკიდებულება;**

– აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომია!

– ე.წ. ექსპერტი გულისხმობს პროფ. თეიმურაზ გვანცელაძეს, რომელსაც დღესაც მეგობრული ურთიერთობა აქვს ბევრ აფხაზთან და მსოფლიოში ყველაზე ცნობილი აფხაზოლოგია და თავისი უნიკალური გამოკვლევებით აფხაზებისათვის, ზოგადად, მთელი კავკასიისათვისა და მსოფლიოსათვის აკეთებს მეტად სასარგებლო საქმეს.

ასევე უსუსურია ამ უვიცი თუ რეალობის გააზრებულად გამყალბებელი ექსპერტის სხვა ე.წ. შენიშვნებიც. **შესაბამისად, ასეთი გაუმართლებელი გზით ჩვენი პროექტის ჩაგდება მიზანმიმართული ქმედებაა** და რუსთაველის ფონდი ვალდებული იყო, თუ თავად არ იყო შემკვეთი, არაკეთილმოსურნე ვაიექსპერტის გადაწყვეტილებისაგან დაეცვა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი.

30 იანვარი, 2018

## „ფეიკი“ და რეალობა

რამდენიმე წლის წინ ერთმა ავტორიტეტულმა ადამიანმა მითხრა:

– ერთენოვანი ქართველური სამყაროს შესახებ შენი სამეცნიერო თვალსაზრისი სწორია თუ არა, სხვა თემაა, მაგრამ ჩვენს ქვეყანასა და ქართველ ერს ნამდვილად ესაჭიროება.

ვუპასუხე:

– მეცნიერება სხვადასხვა თვალსაზრისის ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შემოწმების გზაა; ვერავინ დაიჩემებს, რომელიმე თვალსაზრისის აკრძალვის აუცილებლობას; ვფიქრობ, რომ საქართველოსა და ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანია **ქართველთა ენობრივ-ეროვნული ერთიანობის საკითხი** და ამიტომაც მეც ვიკვლევ სათანადო ფაქტებსა და პრობლემებს. განა მედიცინაში კვლევები დაავადების დიაგნოსტირებასა და მკურნალობას არ ეძღვნება, ან ფიზიკაში – ტექნიკურ პროგრესს? ანუ კვლევის სტიმულის განმსაზღვრელია მიზანი! ჩემი მიზანია ის, რაც ერთიანობას მოემსახურება; მე არ ვთხზავ ფაქტებს, არსებულ რეალობას ვაანალიზებ და მსჯელობას იმ ორიენტირების მიხედვით ვაგებ, რომლითაც ჩვენს წინაპრებს უხელმძღვანელიათ და, ასევე, ვიყენებ იმ მეთოდოლოგიას, რომელიც აპრობირებულია თანამედროვე საერთაშორისო სივრცეში. საინტერესოა, ჩემს ოპონენტებს რა მიზანი ამოძრავებთ? თუ მიზანი ერთი გვაქვს, სხვადასხვა მიმართულებით კვლევა ასე რატომ აღელვებთ? **ჩემთვის მთავარია მეცნიერული სიმართლე და არა –კონიუნქტურა!** საეჭვო სამეცნიერო თვალსაზრისი არასოდეს გამოადგება ერსა და ქვეყანას; მთელი ჩემი ცხოვრება ენათმეცნიერებას მივუძღვენი და, ვფიქრობ, მართალი ვარ, როგორც სპეციალისტი! აქვე აღვნიშნავ, რომ **ქართველთა ენობრივ-ეროვნული ერთიანობის თეზა არაა ჩემი თვალსაზრისი: ესაა ტრადიციული ხედვა, რომელსაც მე, პირადად, ორი მიმართულებით ვაგრძელებ:**

ა) ქართველთა ენობრივი ვარიანტების კლასიფიკაცია წარმოვადგინე ენისა და დიალექტის გამიჯვნის მსოფლიოში არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით;

ბ) კვლევის საფუძველზე უარვყავი დებულება, რომლის მიხედვითაც ქართული სალიტერატურო ენის საბაზო დიალექტად მიიჩნეოდა ოდენ ქართლ-კახური მეტყველება; ვფიქრობ, გაცილებით ლოგიკურია, ქართველთა სამწიგნობრო ენის სათავედ მივიჩნიოთ ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენა და არა – რომელიმე ჩვენთვის ცნობილი დიალექტი.

**წყენა რომ შემატყო,** ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა:


– ეს წერილი თქვენი სახელითაა; ეტყობა, ვიღაცა „ფეიკს“ ავრცელებს...

ჩემი ფეისბუკის გვერდის სურათის ქვეშ მიწერილი იყო პრიმიტიულად შედგენილი ტექსტი.

მას შემდეგ თითქმის ხუთი წელი გავიდა, მაგრამ “რატომღაც” იმ “ფეიკს“ დღემდე დაუღალავად ავრცელებენ სოციალურ ქსელში; გასულ წელს ერთმა ძველმა დამსმენმა ქუთაისში ჩატარებულ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო კონფერენციაზეც კი “განიხილა” (მაგრამ თავი სასაცილოდ გაიხადა!); ახლახან კი რუსებისაგან დაფინანსებული გაზეთ “გალის” რედაქტორმა ნუგზარ სალაყაიამ რუსულადაც გამოაქვეყნა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: **რატომაა ასე აქტუალური უნიჭოდ ნაყალბევი ეს ტექსტი?**

შდრ., ნუგზარ სალაყაიას კომენტარებითურთ (გამოქვეყნებულია მის მიერვე შექმნილი “მეგრელი ნაციის” გვერდზე):




https://www.facebook.com/photo.php?fbid=153610902072055&set=gm.1533842250033554&-type=3&theater&ifg=1

ჩვეულებრივი ფეისბუკმომხმარებელიც კი იოლად მიხვდება, რომ ორი ფონის გამო ეს ტექსტი ფოტომონტაჟია. ფალსიფიცირებული მასალა ვითომ ჩემი პირადი მიწერ-მოწერიდანაა “დასქრინული”, მაგრამ საბრალო ფალსიფიკატორმა ვერ გაითვალისწინა, რომ “ჩათში” სახელი და გვარი სურათს ზემოთაა; სახელი და გვარი სურათის გვერდითაა მაშინ, როცა „პოსტი“ საჯაროდაა გამოქვეყნებული. ამ ნაყალბევ ტექსტს ვერც ჩემი კედლიდან დაკოპირებულად ჩათვლის ვინმე, რამდენადაც, თუ საჯაროდაა გამოქვეყნებული, რაღა საჭირო იყო “ადრესატის” სახელის დაფარვა წითელი ფონით?!

ამ მცირე ტექსტში ბევრი სხვა ულოგიკობაცაა; მაგ.: ნაყალბევ ტექსტს თავზე ადევს ინგლისური ასოებით დაწერილი ჩემი სახელი და გვარი, თუმცა, ყალბისმქმნელს რატომღაც ბოლოშიც მიუწერია ჩემი სახელი ქართული ასოებით. “ადრესატის” დამალვითა და ჩემი სახელის ტექსტის თავსა და ბოლოში მიწერით ყალბისქმნელი ცდილობს, მეტი დამაჯერებლობა შესძინოს თავის ნაცოდვილარს :).

“ფეიკის” სიყალბეს ცხადყოფს ფრაზაც: **“ყველამ მშვენივრად იცის...”** ყველამ კი არა, ბევრმა სპეციალისტმაც არ იცის, თუ რა კრიტერიუმებით იმიჯნება “უმწერლობო ენა” და “დიალექტი”: **მთელ მსოფლიოში პრობლემურია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა.**

**„ფეიკი“ ზერელეა, მაგრამ „ფეიკის“ დამკვეთი – არა:** მავანის მიზანია, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება და დააჯეროს, რომ მეგრული თუ სვანური დამოუკიდებელი “ტომობრივი ენებია”,

მაგრამ ქართველი "ნაციონალისტები" პოლიტიკური თუ პატრიოტული მოსაზრებების გამო დიალექტებად აცხადებენ, ცდილობენ რა დამოუკიდებელი ენების დიალექტებად გამოცხადებით გააქართველონ სხვა ქართველური "ტომები"...

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიზნით, **ეს იდეოლოგემა** გასულ საუკუნეში შექმნეს რუსმა თუ საბჭოთა დამპყრობლებმა (იხ. ე.წ. "ქართიზაციის" თეორია) და დღესაც მის გამოყენებას აქტიურად **ცდილობს პუტინისა თუ დუგინის რუსეთიც.**

რუსეთის როლი რომ მიჩქმალონ, "ქართიზაციის" თეორიის ამჟამინდელი აქტივისტები ავრცელებენ მეორე ტყუილსაც: "მეგრული ენის" თემა ბოლო პერიოდში იმიტომ გააქტიურდა, რომ ტარიელ ფუტკარაძე მეგრულს დიალექტად თვლის".

**სინამდვილე სხვაგვარია:** ჩემს დაბადებამდე ბევრად ადრე სამეგრელოში აღზრდილი დიდებული ქართველები თავად წერდნენ, რომ მეგრულ დიალექტს დამოუკიდებელ ენად აცხადებენ ისინი, ვისაც სურთ, მეგრელებს წაართვან 20-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურა, რომ ეს პროცესი დაიწყო კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ (იხ. მაგ., თ. სახოკიას შესანიშნავი ანალიზი: http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2111).

პოსტსაბჭოთა პერიოდში კი **ეს თემა გააქტუალურა არა ტარიელ ფუტკარაძემ, არამედ 1999 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებულმა ვალდებულებამ,** რატიფიცირება გაუკეთოს "რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპულ ქარტიას".

პირადად, მე ამ თემით დავინტერესდი 2000 წლის შემდეგ, როდესაც გავიგე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა (მაგ., იუნესკოს) თუ უცხოელ ავტორთა ერთი ნაწილი მეგრულს, ლაზურსა და სვანურს განიხილავდა საქართველოში არსებულ უმცირესობათა ენებად, უცხოელ თუ ქართველ ავტორთა ნაწილი კი საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობდა, "რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის" რატიფიცირების დოკუმენტისათვის დაერთო უმცირესობის ენების შემდეგი ჩამონათვალი: სომხური, აზერბაიჯანული, მეგრული, სვანური, ლაზური, აფხაზური, რუსული, უდიური, ასირიული, ჩეჩნური და სხვ.

**ნამდვილად არალოგიკურია,** საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი ძირძველი ქართველის (მეგრელის, სვანის) და საქართველოს ტერიტორიაზე გვიან ჩამოსახლებული სომხისა თუ თურქის მეტყველებას ერთი სტატუსი – **საქართველოს ეთნიკური უმცირესობის ენა** – მივანიჭოთ.

ამგვარი მიდგომის საპასუხოდ, პროფ. რევაზ შეროზიასა და პროფ. ეკა დადიანთან ერთად დავწერეთ წიგნი: "რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტია" და საქართველო (თბ., 2010: http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/cigni.htm).

პასუხად მივიღეთ არა არგუმენტირებული მსჯელობა, არამედ რამდენიმე პასკვილი და ზემოთ დამოწმებული "ფეიკი". დაკვირვებული მკითხველი იოლად შეამჩნევს, რომ ჩემს ფოტოს დართული ნაყალბევი ტექსტის სტილი და ტერმინოლოგია მეტად პრიმიტიულია; მაგ., ფალსიფიკატორი იყენებს გულუბრყვილოდ შექმნილ "ტერმინს": "კუთხისტები"; სწორედ ამ ტერმინით "ყიდის" დამკვეთის რეალურ მიზანს; შესაბამისად, მის დამფინანსებელთა გასაგონად ვიტყვი:

"ფეიკის" ავტორი არ არის "კუთხისტი" (ერთჯერადად გამოვიყენებ მისსავე "ტერმინს"); "კუთხისტი" კუთხის პატრიოტ ადამიანად შეიძლება გავიგოთ; ეს ფალსიფიკატორი კი თავისი კუთხის სახელის გამტეხია; მეტიც: კოლაბორაციონისტია, საქართველოს ოკუპანტთან – რუსეთის ამჟამინდელ იმპერიასთან – თანამშრომლობს; ასეთები ინიღბებიან ფსევდონიმებით, მაგრამ ბილწსიტყვაობით თავიანთ არსს მაინც წარმოაჩენენ.

დასახელებული "ფეიკითა" თუ პასკვილებით "დაბრკოლებულთათვის" მოკლედ წარმოვადგენ ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაციის შესახებ არსებულ სხვა ძირითად მოსაზრებებსაც და **საკუთრივ ჩემეულ თვალსაზრისსაც** (პრინციპი: ყველას აქვს უფლება, ტაქტის დაცვით გამოთქვას თავისი თვალსაზრისი):

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე (1921 წ.) და საბჭოთა იმპერიაში **მარქსისტული ენათმეცნიერების** გაბატონებამდე, ბევრი ქართველი მეცნიერი თუ მოღვაწე თვლიდა, რომ "ყოველთა ქართველთა" დედაენა არის სამწიგნობრო ქართული ენა, ხოლო მეგრული არის ქართველთა ერთი ჯგუფის კუთხური დიალექტური (ზეპირი) მეტყველება;

არაერთხელ დამიმოწმებია ამ მიმართულებით ნიკო დადიანის, ამბროსი ხელაიას, პეტრე ჭარაიას, კონსტანტინე გამსახურდიას, თედო სახოკიას და სხვათა გამონათქვამები.

გასულ საუკუნეში მოღვაწე აკად. არნოლდ ჩიქობავა და მისი სამეცნიერო სკოლის ზოგი წარმომადგენელი **მეგრულს თვლის დიალექტად – უმწერლობო ზანური ენის დიალექტად.**

ნიკო მარი და მეცნიერთა ნაწილი მეგრულს უმწერლობო ტომობრივ ენად მიიჩნევს. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ფაქტობრივ **იდეოლოგემად** დაამკვიდრა იოსებ სტალინმა; აი, რას წერს ი. სტალინი ჯერ კიდევ 1913 წელს (წიგნი: "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"): "კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც **პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან...** რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ **თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?"** (ი. სტალინი, 1951, გვ. 138-139)... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ **დაგვიანებული ერები და ხალხები** (მეგრელები, სვანები, აჭარლები... – ავტ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

მოგვიანებით საპირისპიროს წერდა კონსტანტინე გამსახურდია: "...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს – დაეყრდნოს. აქ უმთავრესია "შინაგანი სესხი", **ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა..."** (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ.V, გვ. 995-956). "XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, **მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი.** აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული" (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 499).

ტრადიციული თვალსაზრისის კვალად, პირადად, მე და ჩემი ბევრი კოლეგა მივიჩნევთ, რომ **მეგრელები, სვანები, ლაზები სხვა ქართველებთან ერთად მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის – საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ზოგადქართული ენის – შემქმნელები არიან და დიდი შეცდომაა, მეგრელების, სვანების, ლაზების, აჭარლებისა თუ სხვა ქართველების გამოცხადება "უმწიგნობრო ხალხებად", "დაგვიანებულ ერებად" თუ უმწიგნობრო ტომებად.**

მეგრელს/სვანს აქვს დიდი კულტურული ისტორიის მქონე დედაენა – ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა და ამ ზოგადქართული დედაენის კუთხური სახესხვაობა (/ დიალექტი). ეს ზოგადქართული ენა სხვა ქართველებთან ერთად ჩამოძერწეს ისტორიული ეგრისის მკვიდრებმა: იოვანე ლაზმა, იოვანე მინჩხმა, იოვანე პეტრიწმა, ჭყონდიდლებმა...

ასეთ ისტორიულ ფონზე გაუგებარია, ნორმალური კაცი რატომ უნდა გაემიჯნოს საერთოქართველური ენისაგან მომდინარე დედაქართულს, თავის დედაენად კუთხური მეტყველება გამოაცხადოს და დღეს დაიწყოს „მეგრულენოვანი ვიკიპედიისა" თუ „მწერლობის" შექმნა?!

ფაქტია: ნორმალურ ვითარებაში მეგრელი, სვანი, საქართველოს მოქალაქე თუ ისტორიული რეალობის მცოდნე ლაზი თავს თვლის ძირძველ ქართველად; შესაბამისად, საქართველოში უმცირესობებად მათი მიჩნევა ისტორიის გაყალბებაა და **ემსახურება ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურად დანაწევრების მოსურნე რუსეთის იმპერიის მესვეურთა თუ სხვა არაკეთილმოსურნეთა ინტერესებს.**

ზემოთ დამოწმებული "ფეიკის" და სხვა ანალოგიური სიყალბეების მიზანმიმართული გავრცელების პარალელურად, ფალსიფიკატორთა მცირერიცხოვანი ჯგუფი სხვადასხვა ფსევდონიმით ლანძღავს, მეგრელთმოძულეობას აბრალებს ყველას (მათ შორის – მეგრელებსაც), ვინც ქართველთა დედაენად ზოგადქართულ ენას თვლის. **სინამდვილეში თავად არიან მეგრელთმოძულენი,** რამდენადაც სამეგრელოს მკვიდრთ უკარგავენ წინაპართა მიერ შექმნილ უდიდეს სამწიგნობრო კულტურას; მათი გამოყენებით საქართველოს მტრები ჩვენში აღვივებენ შიდადაპირისპირებას, რომ დაანაწევრონ ქართველი ერი ("გათიშე და იბატონე")!...

ასეთი ინდივიდები ადრეც "გამოჩეკა" რუსეთის იმპერიამ; მათ შესახებ ახლახან საინტერესო წიგნი გამოაქვეყნა მწერალმა ელგუჯა თავბერიძემ ("თოვლი მკათათვეში"). ეს წიგნი აგრძელებს იმ კალაპოტს, რომელიც ჩვენამდე მოიტანეს ზვიად და კონსტანტინე გამსახურდიებმა, თედო

სახოკიამ, პეტრე ჭარაიამ, ამბროსი ხელაიამ, ნიკო დადიანმა, მრავალი თაობის ჭყონდიდლებმა, იოვანე პეტრიწმა, იოვანე მინჩხმა, იოვანე ლაზმა და მრავალმა სხვამ.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მე და ჩემი კოლეგები 2000 წლიდან ვცდილობთ, საქართველოს ენობრივი პოლიტიკით დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, უცხოელ სპეციალისტებს, ასევე, საკითხის ისტორიის ნაკლებადმცოდნე პირებს გავაცნოთ რეალური ისტორია; გავაგებინოთ, რომ მეგრელსა თუ სვანს დედაენად აქვს მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული ენა და საქართველოში ისინი არ წარმოადგენენ ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობას; შესაბამისად, **"რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიით"** დასაცავი ენების სიაში არ უნდა შევიდეს ქართველთა კუთხური მეტყველებები, რამდენადაც "ევროპული ქარტია" არ მოიცავს სახელმწიფო ენასა და სახელმწიფო ენის კუთხურ სახესხვაობებს (იხ., ქარტიის განმარტებითი ნაწილის 32-ე პუნქტი: These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. **The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language).**

კუთხური მეტყველებების (დიალექტების, კილოკავების...) დაცვა მოცემული სახელმწიფოს თავისთავადი ვალდებულებაა, რამდენადაც, **დედაენა ერის ერთიანობის ბურჯია,** დედაენის კუთხური სახესხვაობები კი ამ ბურჯის სიმყარის გარანტს ქმნიან.

ზემოთ წარმოდგენილი „ფეიკის" კიდევ ერთი პრიმიტიული გათვლაა, **ვითომდა ჩემი პატრიოტული რიტორიკის მხარდაჭერა** საპატრიარქოს მიერ. განა საქართველოს ეკლესიისათვის ვინმეს შეიძლებოდა ეკარნახა ქართველთა ენობრივ-ეროვნული მთლიანობის მხარდაჭერის იდეა? განა ოდესმე, რომელიმე საუკუნეში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართული ენის გარდა სხვა ენით უქადაგია ქართველთათვის, კერძოდ, მეგრელისათვის, სვანისათვის? საქართველოს ეკლესიას ბევრი მტერი ჰყავს; ბევრი ცდილობს ეკლესიის ჩართვას პოლიტიკაში, ბევრიც ამახინჯებს ეკლესიის ისტორიას, რომ მოარღვიოს **ქართველი ერის ერთიანობის მეორე მყარი ბურჯი** (პირველი ბურჯი ქართველთა ერთი დედაენაა!). პირადად, მე ქართველური ქვესისტემების კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის მიმართულებით მხოლოდ სპეციალისტებთან ვსაუბრობ; თუმცა ჩემთვის ლოგიკურია ისიც, რომ ჩვენმა 20-საუკუნოვანმა ეკლესიამ დაიცვას თავისი ღვთისმსახურების ენა: **ღვთისმსახურების ენის დაცვით ყველა კონფესია იცავს თავის ერთიანობას.**

"ფეიკის" შემკვეთთ გამოკვეთილი მიზანი აქვთ: ცდილობენ, **ქართველთა ენობრივი ერთიანობის ისტორიული ფაქტი შემოფარგლონ რამდენიმე ადამიანის სუბიექტურ აზრად; შემდეგ კი, კგბ-ს აპრობირებული სტილით, ამ ადამიანთა გალანძღვით დისკრედიტაცია გაუკეთონ ისტორიული ერთიანობის იდეას.**

წერილს დავასრულებ ჩემი მეგობრებისა და კოლეგების – პროფესორ რევაზ შეროზიას, მწერალ ზურაბ თორიასა და უზენაესი საბჭოს დეპუტატების: რევაზ კემულარიასა და ვლადიმერ მირცხულავას შესანიშნავი წერილის ერთი ნაწილის ციტირებითა და მასში მცირე ფრაგმენტის ჩართვით:

**მრავალი საუკუნეა ქართველი ერის ბირთვს წარმოადგენს** სამეგრელოს ქართველობა; შესაბამისად, დღეს ვისაც სურს ქართველი ერისაგან გამოყოს "მეგრელი ხალხი" და "ტომად" თუ ცალკე ერად გამოაცხადოს, ანდა, ქართული ენისაგან დამოუკიდებელ ენად წარმოაჩინოს მეგრული მეტყველება და აპირებს XXI საუკუნის დასაწყისში შექმნას საკუთრივ **„მეგრული" სამწიგნობრო კულტურა,** ნებსით თუ უნებურად, რუსეთის იმპერიის სამსახურში დგას, რამდენადაც სწორედ რუსეთის ინტერესში შედის ქართველთა დაცალკევებით საქართველოს დანაწევრება და სრული კონტროლის დამყარება საქართველოს საზღვრებში არსებულ შავი ზღვის სანაპიროზე...

სამეგრელოს მკვიდრი ყველა ნორმალური პიროვნების **(ზოგადად, ყველა ნორმალური ქართველის, საქართველოს ყველა ღირსეული მოქალაქის – ტ.ფ.)** მიზანია, შევინარჩუნოთ ქართველი ერის არსებობის აუცილებელი პირობა – **ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენაც და ყველა ქართველური კუთხური მეტყველება, მათ შორის, საოცრად მრავალფეროვანი მეგრული,** რომელიც ოდითგანვე იყო ქართველთა დედაენის მასაზრდოებელი თავანკარა ნაკადული. სწორედ ამ ერთიანობისათვის იღვწოდნენ ჩვენი წინაპრები"...

https://www.facebook.com/putkaradze/notes?lst=1134800600%3A1134800600%3A1517496341

**ასეთია ჩემი პოზიციაც და სიამოვნებითაც ვაწერ ხელს ამ წერილს;** მხოლოდ ერთს დავძენ:

მსოფლიოში არ არის ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, ვისაც მეგრულის, სვანურის, ლაზურის, ტაოურის, ფერეიდნულისა და სხვა ქართველური ზეპირი მეტყველებების გადასარჩენად ბოლო 25 წელიწადში უფრო მეტი გაეკეთებინოს, ვიდრე გავაკეთეთ ჩვენ – მე და ჩემმა კოლეგებმა (დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია გადაამოწმოს ეს ფაქტი).

**პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**
1 თებერვალი, 2018 წელი

## აკადემიური შურისძიება თუ ინტერესთა კონფლიქტი?

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში დაამკვიდრეს ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის მესვეურები ცდილობენ ქართული ეროვნული ფასეულობების დისკრედიტაციას და ლეღვის ფოთლად იყენებენ ლიბერალურ ფასეულობებს; სინამდვილეში რუსულიმპერიულ იდეოლოგემებს ფუთავენ ლიბერალური ტერმინოლოგიით.

არსებობის უფლება ყველას აქვს სამყაროში, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: ამ უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები ახერხებენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რუსთაველის ფონდის სახსრები და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიტეტი; ბოლო პერიოდში შეინიშნება უფრო სახიფათო ტენდენცია:

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი საბჭოს გამოყენებით, ეს სუბიექტები ცდილობენ, "ჩაძირონ" ის სადოქტორო პროგრამები, რომელთა მიზანია რუსული იდეოლოგემებისაგან თავისუფალი ქართველოლოგიის (არასაბჭოური ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს რეალური ისტორიის, ქართველური ეთნოლოგიის...) განვითარება.

წარმოდგენილი თვალსაზრისის არგუმენტებად ჩვენს საზოგადოებას მალე შევთავაზებ ფაქტების დეტალურ ანალიზს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტით ვერ აიხსნება ის, რაც ხდება დღეს.

26 აპრილი, 2018

## თსუ და კონკურსები

ძალიან მაწუხებს ის, რაც ხდება ჩემს მშობლიურ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კონკურსთან დაკავშირებით. რამდენიმე გარემოებას შევეხები:

1. ბატონმა როლანდ თოფჩიშვილმა თავისი სასიცოცხლო ენერგიისა და დროის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა ისეთი სამეცნიერო გამოკვლევებისა და სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც ვერ გამოქვეყნდებოდა კომუნისტურ იმპერიაში – საბჭოთა პერიოდში.

სტუდენტობიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე ბ-ნი როლანდი თავდაუზოგავად შრომობდა არქივებში, წიგნსაცავებსა თუ ექსპედიციებში. წლების მანძილზე დაგროვილი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები თუ სახელმძღვანელოები ბოლო პერიოდში ინტენსიურად იბეჭდება. ხაზგასმით ვამბობ: კოლოსალური შრომაა ჩადებული ამ ყველაფერში და ამ დროს, სოციალურ ქსელში ჩემთვის უცნობი პირების ქილიკს რომ ვაწყდები ნაშრომების რაოდენობის შესახებ (განსაკუთრებით, დამაფიქრებელია ზოგი სტუდენტის "კომკავშირული" სულისკვეთება!), არ შემიძლია მათ არ ვუპასუხო:

– ვისაც არ შეგიძლიათ პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის მსგავსად თავდაუზოგავი შრომა და ამდენი დროის დათმობა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის, ვერ წარმოგიდგენიათ, რომ ერთ ადამიანს ამ რაოდენობის სერიოზული ნაშრომის შექმნა შეუძლია.

2. უნივერსიტეტისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციას არ უნდა დაეშვა ასეთი მძაფრი დაპირისპირების პერსპექტივა; შექმნილი ვითარების გამო შესაბამისი პროფილით უნდა გამოცხადებულიყო 2 სრული პროფესორის ადგილი, რომ უნივერსიტეტს შეენარჩუნებინა ორივე სპეციალისტი – ცნობილი მეცნიერი, საქართველოში ეთნოლოგიის დარგის ლიდერი, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოების ავტორი, პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი და ანთროპოლოგიის მიმართულებით უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტებისათვის საჭირო პროფესორი – ქ-ნი ქეთევან ხუციშვილი. არსებული დაძაბულობის განსამუხტავად ადმინისტრაციას ჯერ კიდევ აქვს რესურსი ამ მიმართულებით.

3. ქართველოლოგიის მიმართულებით (ქართველური ენათმეცნიერება, ქართველური ეთნოლოგია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართველი ერის ისტორია...) სწავლებისა და კვლევის დაგეგმვა მნიშვნელოვანია არამხოლოდ ქართველი ერის, ასევე, ზოგადად, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: სამწუხაროდ, ბოლო 26 წლის მანძილზე ქართველოლოგიის მიმართულებით ადეკვატური სტრატეგია არა აქვს საქართველოს ხელისუფლებას (ინერციით თუ მიზანმიმართულად ისევ აქტუალურია რუსეთის იმპერიის სტრატეგია); საქართველოს ინტერესების ადეკვატური და მეცნიერების ინტერესების შესაბამისი სტრატეგიის არსებობის შემთხვევაში ბევრი რამ სხვაგვარად დაიგეგმებოდა განათლების, მეცნიერებისა თუ კულტურის სამინისტრო(ებ)შიც, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებშიც.

11 ივლისი, 2018 წელი

## ქართველი ჯორჯ ჰიუიტები, უსამართლო სასამართლო და ახალი რუსთაველის ფონდი

ეს წერილი მძიმე შინაარსისა. პასუხისმგებლობით ვწერ თითოეულ სიტყვას.

**ჩემს ახალ წიგნში: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ ასეთი რამ მიწერია:** „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უწყებების: რუსთაველის ფონდის ექსპერტებისა და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაცია/ავტორიზაციის საბჭოებსა თუ ექსპერტთა ჯგუფებში დღემდე (01.12.2018 წ.) დიდ გავლენას ინარჩუნებენ სამი თუ ოთხი „უმწერლობო ქართველური ენის“ იდეოლოგემის მხარდამჭერები, იდეოლოგემისა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას... წლების მანძილზე მათ აქვთ შესაძლებლობა, გავლენა იქონიონ საქართველოს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ორიენტირების განსაზღვრის პროცესსა თუ განსხვავებულ თვალსაზრისზე მყოფი კოლეგების სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ბედზე“ (ტ. ფუტკარაძე, 2019, გვ. 114, 123)...

ასეთი დასკვნა ჩამომიყალიბდა წლების მანძილზე რუსთაველის ფონდის ექსპერტთა უსამართლო „განაჩენების“ გამოც. მოთმინების ფიალა ამევსო 2016 წელს, როდესაც ანტიქართველი ექსპერტის მიერ მიზანმიმართულად იქნა ჩაგდებული ჩვენი სამეცნიერო პროექტი: **“მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა მეტყველება და ფოლკლორი”.**

როგორც წესი, საგრანტო პროექტი ფასდებოდა ორი ექსპერტის მიერ. 2016 წელს წარდგენილი ჩემი პროექტი შეფასდა სამი ექსპერტის მიერ; მიზეზი მარტივი იყო: პირველი და მეორე ექსპერტის შეფასებით, ჩვენი პროექტი გამარჯვებულთა შორის იქნებოდა, ამიტომ მესამე ექსპერტს – ჩვენს

ოპონენტს – გადაუგზავნეს პროექტის ჩაგდების მიზნით, კერძოდ:

პირველი ექსპერტის ქულაა 47, მეორე ექსპერტისა კი – 50 (მაქიმუმი!). გამსვლელი ქულა იყო 46. მესამე ექსპერტმა დაუსაბუთებელი, მეტიც, **ცილისწამებით და პროექტის მონაწილეთა შეურაცხყოფით გაჟღენთილი** უარყოფითი რეცენზია დაწერა და შეეცადა, მაქსიმალურად დაეწია ქულათა რაოდენობა: დაწერა 38, რამაც, საბოლოო ჯამში, ქულათა საშუალო არითმეტიკული დაიყვანა 45-მდე, ზუსტად იმდენ ქულამდე, რამდენიც საშუალებას აძლევდა ფონდს, არ დაეფინანსებინა ჩვენი პროექტი. მიგვაჩნია, რომ ეს არის სამეცნიერო ფონდის ფარგლებში განხორციელებული **დანაშაული**, რომელიც გამოძიების საგნად უნდა იქცეს. მოკლედ შევეხებით მესამე ექსპერტის ე.წ. შენიშვნებს:

1. „ექსპერტი“ პროექტის ნაკლად თვლის იმას, რომ ჩვენ ერთი პროექტის ფარგლებში დავგეგმეთ მუჰაჯირი აფხაზებისა და მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველებისა და ფოლკლორის კვლევა.

**ჩვენი პასუხი:** გარდა იმისა, რომ პროექტის წარმდგენი ორგანიზაციის თანამშრომლები არიან როგორც ქართველოლოგები, ასევე აფხაზოლოგები (მეტიც, ერთ-ერთი თანამშრომელი აფხაზეთის მკვიდრი და დედით აფხაზია!), **“ექსპერტმა” არ იცის, რომ აფხაზი და ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები თურქეთის ტერიტორიაზე ზუსტად ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ და მათი ენებიც/დიალექტებიც და ფოლკლორიც /, ხალხური მუსიკაც ასევე ერთნაირ მდგომარეობაშია:** იკარგება, ქრება საქართველოდან გადასახლებულთა დედაენაც და ტრადიციული ფოლკლორული საგანძურიც; იმათი მეტყველება, ვინც ჯერ კიდევ იცის დედაენა, განიცდის თურქული ენის მძლავრ ზეგავლენას; ფოლკლორი ივსება თურქული ელემენტებით; ხალხური მუსიკა თურქიზებულია (მაგალითად, ქართული მრავალხმიანობა თითქმის სრულად არის მოშლილი...). გარდა ამისა, ქართველი მეცნიერები თავს ვალდებულად ვთვლით, ისევე აღვნუსხოთ აფხაზური ენისა და ფოლკლორის ამჟამინდელი მონაცემები, როგორც ქართული ენისა და ფოლკლორისა, მით უმეტეს, რომ პროექტის მონაწილეებს ამისი გამოცდილება გვაქვს. რაც მთავარია:

**არავის აქვს უფლება, ქართველ მეცნიერებს აუკრძალოს საქართველოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე მოსახლე გენეტიკურად მონათესავე ეთნოსის დიასპორების ენისა და კულტურის მდგომარეობის კვლევა და სათანადო ემპირიული მონაცემების შედარება ქართული დიასპორების ენისა და კულტურის ვითარებასთან.** ამგვარი შედარება მიღებულია არა მარტო საქართველოში; ამას ხანგრძლივი ისტორია აქვს ყველა მოწინავე ქვეყნის აკადემიურ წრეებში. ამ კონტექსტში წამოიჭრება ლოგიკური ანალოგიის საკითხები: ვვარაუდობთ, რომ არავის აუკრძალავს ჩვენი უცხოელი „ობიექტური ექსპერტისათვის“ ქართველოლოგად, ანდა კავკასიოლოგად თავის მიჩნევა, ამ დარგებში მოღვაწეობა და ქართველი კოლეგების სამეცნიერო საქმიანობისათვის ვიზის მიცემა-მიუცემლობაც კი. მაშ, რატომღა არა აქვთ უფლება ქართველ მეცნიერებს იკვლიონ მონათესავე ხალხის ენა და კულტურა? თუკი თვითონ იკვლევს არამონათესავე ხალხთან დაკავშირებულ სამეცნიერო პრობლემებს, **ჩვენ რატომ გვიკრძალავს მონათესავე ხალხის ენისა და კულტურის შესწავლას?** ამგვარი ორმაგი სტანდარტი „ექსპერტის“ ტენდენციურობის აშკარა გამოვლინებაა!

2. “ექსპერტი” რატომღაც თვლის, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ თურქეთის მოქალაქე აფხაზებისაგან მასალის მოპოვებას, რადგან ქართველებს არ შეგვიძლია აფხაზებთან კომუნიკაცია...

**ჩვენი პასუხი:** “ექსპერტის” ასეთი განცხადება რეალობის მიზანმიმართული გაყალბებაა!

პროექტის მონაწილეთა უმრავლესობა სისტემატურად მონაწილეობს ყოველწლიურ კომპლექსურ ექსპედიციებში თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც აღინუსხება თურქეთის მოქალაქეთა მეტყველება, ეთნოლოგიური და ფოლკლორული თავისებურებანი. რაც შეეხება აფხაზურის თემას: აფხაზურის მიმართულებით უნდა ემუშავა მსოფლიოში ცნობილ აფხაზოლოგს, აკად. თეიმურაზ გვანცელაძეს, რომელსაც ნორმალური საქმიანი ურთიერთობა არ გაუწყვეტია არც სოხუმში მოღვაწე აფხაზ კოლეგებთან, არც აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან და საქმიანი კავშირი აქვს თურქეთის მოქალაქე აფხაზებთანაც. დავასახელებთ ორ ფაქტს:

თ. გვანცელაძის ხელმძღვანელობით 2011 წელს გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ერთობლივმა ინიციატივამ COBERM-მა დააფინანსა პროექტი, რომლის

საფუძველზეც გამოკვლეულ იქნა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა. პროექტის საფუძველზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული 3 წიგნი გაიგზავნა სოხუმშიც, სადაც მათ მაღალი შეფასება მიეცა აფხაზ კოლეგათა მიერ (სათანადო ინფორმაცია იხ. www.abkhazology.wordpress.com). იმავე COBERM-ის მიერ დაფინანსებული მეორე პროექტის დამუშავებაში ქართველ კოლეგებთან (მათ შორის პროექტის ხელმძღვანელ თ. გვანცელაძესთან) ერთად (!) ვინაობის დაუფარავად მონაწილეობდა აფხაზი კოლეგა, ისტორიკოსი რეზო კაციაც, რომელსაც, „ექსპერტისაგან“ განსხვავებით, სულაც არ მიუჩნევია ქართველი აფხაზოლოგი „ვირულენტური ანტიაფხაზური პოზიციის მქონედ“. ამ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა აფხაზოლოგიის ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელზეც განთავსებულია სოხუმსა და თბილისში გამოცემული 100-ზე მეტი აფხაზოლოგიური სამეცნიერო ნაშრომის სკანირებული ვარიანტები, რითაც აფხაზ და ქართველ ჰუმანიტარებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ბოლო 25 წლის განმავლობაში სოხუმსა და თბილისში დაბეჭდილ ერთმანეთის ნაშრომებს (ბიბლიოთეკა განთავსებულია შემდეგ მისამართზე: www.abkhazovedenie.com)... შესაბამისად, საქმის კურსში არმყოფ „ექსპერტს“ ცოტა მეტი უნდა გაეგო აფხაზოლოგიის სიახლეთა შესახებ და უნდა გაეთვალისწინებინა თ. გვანცელაძის შესაძლებლობები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, პირადად, მე ახლოს ვიცნობ თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებსაც; ვყოფილვარ ქართულ-აფხაზურ ქორწილშიც კი; შესაბამისად, ჩვენი გუნდისათვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს თურქეთის მოქალაქე აფხაზებთან, როგორც რესპონდენტებთან მუშაობა აფხაზური დიალექტებისა და ფოლკლორის შესწავლის მიზნით.

3. „ექსპერტის“ არაკომპეტენტურობის გამოვლინებაა მისი განცხადება, პროექტი უფრო გაძლიერდებოდა, თუ ნაჩვენები იქნებოდა, რომ თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირ აფხაზთა და ქართველთა ენები და ფოლკლორი არსებითად განსხვავდება საქართველოში გავრცელებული ენებისა და ფოლკლორისაგან.

**ჩვენი პასუხი:** სრულიად უდავოა, რომ „ექსპერტს“ წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, რის შესახებაც წერს დასკვნას: ქართული ენის იმერხეული, ტაოური და ლივანური დიალექტები ქართული ენის მესხური კილოების ჯგუფში შედის; აფხაზური ენის ის ქვესისტემები, რომლებიც მუჰაჯირობამდე იყო გავრცელებული აფხაზეთში, ამჟამად საერთოდ აღარ არის ახლანდელი გაგრის, სოხუმის, გულრიფშის რაიონების ტერიტორიებზე. სრულიად უდავოა, რომ „ექსპერტს“ წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, რის შესახებაც წერს დასკვნას: ქართული ენის იმერხეული, ტაოური და ლივანური დიალექტები ქართულ იენის მესხური კილოების ჯგუფში შედის; აფხაზური ენის ის ქვესისტემები, რომლებიც მუჰაჯირობამდე იყო გავრცელებული აფხაზეთში, ამჟამად საერთოდ აღარ არის ახლანდელი გაგრის, სოხუმის, გულრიფშის რაიონების ტერიტორიებზე (წვიჯის, ფსხუს, აჰჭიფსის, გუმის, აბჟაყვის, წებელდის, დალის მეტყველებანი). რაც შეეხება თურქეთის ტერიტორიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში მცხოვრებ, მე-19 საუკუნეში აჭარიდან, მესხეთიდან და ჯავახეთიდან განდევნილ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველებებს, ისინი სრულებით მოსწყდნენ მშობლიურ ენობრივ კონტინუუმს და სერიოზულად იცვალეს სახე თურქულენოვან გარემოში. ამ წახნაგების გათვალისწინებით დაიწერა ჩვენი სამეცნიერო პროექტი... ამ ფონზე სრული გაუგებრობაა ე.წ. ექსპერტის შენიშვნა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ პროექტს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც ხელს შეუწყობს ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ერთიანობის აღორძინებას; სწორედ ამის გათვალისწინებით 2016 წლის 6 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ რეკომენდაცია გაუწია ჩვენს პროექტს შოთა რუსთაველის ფონდის წინაშე.

4. ექსპერტის აზრით, დღეს მიმდინარეობს ომი აფხაზეთსა და საქართველოს, აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის, ამიტომაც ვერ ჩავიწერთ აფხაზებისაგან მასალას.

**ჩვენი პასუხი:** საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, წინააღმდეგაა მიმართული „ექსპერტის“ ასეთი პოლიტიზებული განცხადება. ექსპერტმა “არ იცის”, რომ გაეროს, ევროკავშირისა და ეუთოს მრავალ ოფიციალურ დოკუმენტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ 1991-1993 წლებსა და 2008 წელს რეალურად მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს ომები, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის მხარე ოკუპირებულია იმავე რუსეთის ფედერაციის მიერ. სწორედ **ამ ანტიქართული პოზიციიდან** შეგვიფასა „ექსპერტმა“ მთელი პროექტი და

პრაქტიკულად მხარი არ დაუჭირა იმას, რასაც მსოფლიოს ყველა მოწინავე სახელმწიფო უდავოდ მიიჩნევს.

ხაზგასმით ვაცხადებთ: ქართულ-აფხაზური ომი არ მომხდარა და არც ამჟამად არსებობს: დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთისაგან პროვოცირებული აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად; დაწყებულია მეცნიერთა თუ სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა თანამშრომლობა. წესით, სწორედ ამგვარ თანამშრომლობას უნდა შეუწყოს ხელი ფონდმა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

5. "ექსპერტი" ცილს სწამებს პროექტის მონაწილეებს და აცხადებს, რომ "მტრული დამოკიდებულება გვაქვს ლაზების ინტელიგენციის წარმომადგენლებისადმი დუზჯეს უნივერსიტეტში ლაზურის სწავლების კონტექსტში".

**ჩვენი პასუხი:** ე.წ. ექსპერტი ვერ ასხვავებს თურქეთის მოქალაქე ავტოქთონ ქართველსა და მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალს; ამავე დროს პროვოკაციას ეწევა ლაზების თემასთან დაკავშირებითაც. საქართველოში მცხოვრები "ლაზი ინტელიგენტი" ქართული ინტელექტუალური წრის ნაწილია; გარდა ამისა, პროექტის მიზანი არ იყო ვინმესთან კამათი დუზჯეს უნივერსიტეტში რაიმე სპეციალობის ყოფნა-არყოფნის შესახებ (საიდან და ჭორის რომელი "წყაროდან" შემოიტანა დუზჯეს უნივერსიტეტის თემა რეცენზენტმა?!). აღვნიშნავთ იმასაც, რომ სწორედ ჩემი მეგობრები ასწავლიან ლაზურს თურქეთში (მაგ., საქარიაში)... პროექტის ფარგლებში კი ჩვენ გვქონდა წმინდა მეცნიერული ჩანაფიქრი, რომ დაგვეფიქსირებინა და გამოგვეკვლია თურქეთის რეგიონებში მცხოვრებ მუჰაჯირ ლაზთა მეტყველება და მუსიკა, რისი დიდი შესაძლებლობა გვაქვს კიდეც; მაგ., პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ, ეთნომუსიკოლოგმა გიორგი კრავეიშვილმა ლაზებთან ერთად 2014 წელს თურქეთის ლაზეთში სამი კვირის განმავლობაში ჩაატარა ორი საკმაოდ ნაყოფიერი ექსპედიცია ისე, რომ ადგილობრივები სიამოვნებით თანხმდებოდნენ საუბარს, სიმღერასა და ცეკვასაც კი. ამის შესახებ რუსთაველის ფონდმა კარგად იცოდა, ვინაიდან ეს ექსპედიციები ჩატარდა 2013 წელს თავად ფონდის მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტის „თურქეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორი" ფარგლებში. ამის შესახებ თავად ფონდის მიერ მომზადებული სიუჟეტიც შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე https://www.youtube.com/watch?v=4uDE8IYj_GA. ლაზეთის ექსპედიციების შედეგად მოპოვებულ მასალას ასევე დაეფუძნა რეჟისორ გია დიასამიძის ფილმი „ლაზეთი" და თავად ავტორის მოხსენებები. გიორგი კრავეიშვილის სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო ლაზურ ხალხურ მუსიკას. მოპოვებული მასალის ნაწილი ატვირთულია youtube.com-ზე.

უცხოელი **ექსპერტის ცოდნის ნაკლულობისა** (უკეთეს შემთხვევაში!) **თუ ფონდის გააზრებული ქმედების გამო 2016 წელს** (მომდევნო წელსაც) ჩვენი პროექტი დაუფინანსებელი დარჩა:

სრულიად ცხადია, რომ 2016 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა სწორად ვერ შეარჩია მესამე ექსპერტი, უსიტყვოდ ენდო მის არაკომპეტენტურ და კოლეგების შეურაცხმყოფელ, ანტიქართულ და არამეცნიერულ დასკვნას. სამწუხაროდ, ფონდმა ისე გადაწყვიტა ჩვენი პროექტით გათვალისწინებული 150 ათასი ლარის ბედ-იღბალი, რომ ყურადღება სრულებით არ მიაქცია „ექსპერტის" არაადეკვატურ შეფასებას, რომელიც, შესაძლოა, მოდიოდა "ინტერესთა კონფლიქტიდან"; ამან განაპირობა **სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა,** რასაც სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს (თუ მოცემულ შემთხვევას განვაზოგადებთ, გამოსაძიებელია ფონდის საქმიანობა 2018 წლამდე).

2018 წლამდე არსებულ ფაქტებს თუ დავეყდრნობით, ფაქტია, რუსთაველის ფონდმა **პოლიტიზებული ექსპერტისაგან** ვერ დაიცვა პროექტის მონაწილეთა ღირსება, ანგარიში გაუწია საეჭვო ინტერესების მქონე ე.წ. შემფასებელს და, ფაქტობრივად, გამარჯვებული პროექტი დაფინანსების გარეშე დატოვა. ფაქტია ისიც, შექმნის დღიდან რუსთაველის ფონდის ექსპერტთა უმრავლესობა ისეა დაკომპლექტებული, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსდეს მხოლოდ **ისეთი სამეცნიერო პროექტები, რომელთა ავტორებიც ქართველურ დიალექტთა ერთ ნაწილს აცხადებენ ენობრივ უმცირესობათა ენებად, ან ეთნიკურ უმცირესობათა ენებად.** ამ გზით ქართველთა ნაწილს უუცხოვებენ დედაენას (ქართულ ენას), უკარგავენ მრავალსაუკუნოვანი ქართული

სამწიგნობრო კულტურის შექმნის ისტორიას და, რუსული თუ საბჭოთა ინერციით, ქართველთა კუთხურ მეტყველებებს განიხილავენ **უმწერლობო დედაენებად; საბოლოო ჯამში, ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებენ ქართველ ერს.** ეს ენობრივი პოლიტიკა, რომლის მიზანია ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება, დაიწყო მეფის რუსეთში ჯერ კიდევ 150 წლის წინ.

ზემოთქმულის ფონზე, ჩემი ძირითადი სათქმელი ერთ ფრაზაში ჩაეტევა: საეჭვო **განათლების, ფასეულობებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მოწინააღმდეგე უცხოელმა ე.წ. ექსპერტებმა** (რომლებიც, მაგ., რუსეთ-საქართველოს ომს ქართულ-აფხაზურ ეთნოკონფლიქტად თვლიან!) **არ უნდა განსაზღვრონ საქართველოში მეცნიერების დაგეგმვის სტრატეგია.** საერთოდაც, ვფიქრობთ, ნებისმიერ სამეცნიერო დარგში პროექტები ძირითადად ადგილობრივმა ექსპერტებმა უნდა შეაფასონ და ექსპერტების ვინაობაც **არ უნდა იყოს კონფიდენციალური,** რადგან წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან; გარდა ამისა, ინკოგნიტო ექსპერტის დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის პერსპექტივა მეტია. **უცხოელობა პატიოსნების გარანტია სულაც არ არის!**

**ამ საქმეს სხვა გაგრძელებაც ჰქონდა:** 2017 წლის 6 იანვარს სარჩელი (საქმე №3/117-17) შევიტანე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა:

1. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 7 დეკემბრის N236 ბრძანების 1-ლი პუნქტის იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომლითაც განისაზღვრა პროექტის "მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა მეტყველება და ფოლკლორი" შიფრით 217918 საბოლოო ქულა;

2. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორისათვის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც, განისაზღვრებოდა პროექტის "მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა მეტყველება და ფოლკლორი" შიფრით 217918 საბოლოო ქულა და გადაწყდებოდა პროექტის დაფინანსების საკითხი.

ჩემი ძირითადი მიზანი იყო მესამე ექსპერტის სულოგიკო შეფასების სანულირება. ჩვენი ვარაუდით, ეს მესამე ექსპერტი იყო ჯორჯ ჰიუიტი – ლონდონელი მეცნიერი, რომელიც ქართველოლოგიის სფეროში ცნობილია, როგორც პრორუსული და ანტიქართული იდეოლოგემების მხარდამჭერი.

მე-4 წელია საქმეს (№3/117-17) იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნანა აფციაური. საქმეზე ჩატარდა ორი მოსამზადებელი და ორი მთავარი სხდომა. ბოლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 9 მარტს. მას შემდეგ ერთი წელი გადის და ჯერ არც ერთი მოწმე დაკითხული არ არის, გადაწყვეტილების მიღებაზე საუბარი ხომ ზედმეტია!

**ჩვენდა გასაოცრად, სასამართლო გააზრებულად თუ თავისი არაეფექტიანობით ახანგრძლივებს პროცესს,** აჭიანურებს მართლმსაჯულების განხორციელებას და, ირიბად თუ პირდაპირ, ნებსით თუ უნებლიეთ, **დგას ანტიქართველი ჯორჯ ჰიუიტის მხარეს;** შესაბამისად, სრული უფლება მაქვს, უნდობლობა გამოვუცხადო ასეთ სასამართლოს.

სასამართლოს გადაწყვეტილების უსასოო მოლოდინში რუსთაველის ფონდის ძველმა ხელმძღვანელობამ კიდევ რამდენიმეჯერ გამოაცხადა კონკურსი. 2017 წელსაც მივიღე მონაწილეობა ახალ კონკურსში, რომლის დროსაც უფრო უცნაური რამ მოხდა: ჩვენმა თითქმის იმავე პროექტმა ახალ კონკურსში მიიღო გამსვლელი ქულა, მაგრამ რუსთაველის ფონდმა დააფინანსა იმავე ქულის მქონე სხვა პროექტი, ჩემი და პროფ. თ. გვანცელაძის პროექტები კი, რომლებსაც ზუსტად იმდენივე ქულა ჰქონდა, რამდენიც დაფინანსებულს, დაფინანსების გარეშე დატოვა!

2018 წელსაც შევიტანე პროექტი რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ მორიგ კონკურსში; **ოდნავ სახეცვლილი, უფრო გამარტივებული იგივე პროექტი სახელწოდებით: „ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის კანონზომიერებანი ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით"** (წინა სამეცნიერო პროექტიდან ამოვიღე მუჰაჯირ

აფხაზთა დიალექტების კვლევა, რომ პროექტი სარეცენზიოდ ისევ ჯ. ჰიუიტისათვის არ გადაეცათ; ასევე, უარი ვთქვი მუსიკალური ფოლკლორის ნაწილზე, რამდენადაც ჩვენს უნივერსიტეტს არ ჰყავს სპეციალისტი ამ მიმართულებით და საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ სპეციალისტის მოწვევა ამ მიმართულებით).

**ამჯერად გაგვიმართლა:** რუსთაველის ფონდის ადმინისტრაციაში ძირეული და პოზიტიური ცვლილებები დაიწყო – 2018 წლის ბოლოს შეიცვალა რუსთაველის ფონდის ხელმძღვანელობა; კერძოდ, ფონდის დირექტორად დაინიშნა ბ-ნი ზვიად გაბისონია, მოადგილედ კი – ბ-ნი ჯაბა სამუშია. 2018 წლის კონკურსის შედეგები გამოცხადდა 2019 წლის 5 თებერვალს: ჩვენი ფაქტობრივად იგივე პროექტი, რომელიც „დაწუნებულ იქნა“ 2016 და 2017 წლებში (ადრეც!), გამარჯვებულ პროექტებს შორის აღმოჩნდა. გრანტი მიიღეს, ასევე, სხვა მეცნიერებმაც, რომელთა სამეცნიერო პროექტებსაც, ასევე „გაუგებარი“ მოტივებით იწუნებდნენ წინა ადმინისტრაციის დროს.

**დასკვნა:** განსხვავებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლისაგან (რომელიც უკვე მეოთხე წელია „ვერ“ აფასებს ჰიუიტების ანტიმეცნიერულ, ანტიქართულსახელმწიფოებრივ ქმედებას და თავისი უმოქმედობით ხელს უწყობს უსამართლობის დამკვიდრებას), რუსთაველის ფონდის ახალმა ხელმძღვანელობამ (ზვიად გაბისონია, ჯაბა სამუშია) შეძლო, წინა ადმინისტრაციის მიერ შერჩეული ექსპერტების დასკვნების პირობებში დაეცვა ბევრი კარგი სამეცნიერო პროექტი. იმედი მაქვს, მომავალში უფრო წარმოჩნდება ფონდის ახალი ხელმძღვანელების სწორი ორიენტირები.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, პირადად, მე, სრული საფუძველი მაქვს, **უნდობლობა გამოვუცხადო თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც მეოთხე წელია არ იხილავს ჩვენს საქმეს (№3/117-17) და პროტესტის ნიშნად გამოვიხმო ჩემი სარჩელი სასამართლოდან;** რუსთაველის ფონდთან კი ახალი ფურცლიდან დავიწყო თანამშრომლობა.

7 თებერვალი, 2019

# 1.1.3. მასწავლებელი

## ვინც გენდობა, მას როგორც ანგელოზს უნდა მოექცე!

ვინც გენდობა, მას ანგელოზივით უნდა მოექცე...

ფეისბუკის ველში ახლა ერთ ჩემს სტუდენტთან ვსაუბრობდი; საუბრისას წარმოქმნილი განცდა ასეთ ფიქრად ჩამოინაკვთა:

ჩემთვის ყველა სტუდენტი ანგელოზია; ამ შედარებას ორი საფუძველი აქვს:

1. სტუდენტები შვილებივით არიან ჩემზე მონდობილნი; ყველა მონდობილი კი ანგელოზია; ვინც გენდობა, მას ანგელოზივით უნდა მოექცე – ანგელოზად უნდა მიიღო;

2. ამქვეყნად შობილთა მხოლოდ 1%-ია ანგელოზობის ბოლომდე შემძლე; ასევე, 1%-ია სატანად დაბადებული; 98% ღვთიურ და ეშმაკეულ უკიდურესობებს შორისაა გამოკიდული (გარემოებისდა მიხედვით, აქეთ თუ იქით გადახრილი)...

სხვა ადამიანს კეთილგანწყობილ, ჯანსაღ გარემოს თუ შეუქმნი, მასში გაძლიერდება ანგელოზური კალაპოტი; არაჯანსაღი გარემო უარყოფით იმპულსებს ავითარებს: სხვა ადამიანის ინტერესების შელახვა, მისი ნდობისა თუ სიყვარულის "მიგდება", დამცირება... ამ ადამიანის გაწირვა სატანური გზისკენ განდევნაა...

სტუდენტს ანგელოზად თუკი ჩათვლი და როგორც ანგელოზს, ისე მოექცევი, შენი აღზრდილი მომავალი დედა, მომავალი მამა, მომავალი მეცნიერი, მომავალი მასწავლებელი... სიკეთეზე მყარად იქნება ორიენტირებული; შესაბამისად, ჩვენი საზოგადოებაც, ერიც უფრო ძლიერი/მართალი იქნება.

26 მარტი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## მოვლუდი

ჩვენი ექსპედიციის (ტაო-კლარჯეთი – 2016) ერთ-ერთი გამორჩეული წევრი იყო სტუდენტი **მოვლუდ მეჰრაბოვი.** საკუთარი სახელის ეს ვარიანტი (მოვლუდი) ნამდვილად უცნაურია: მართებული ფორმაა მევლუდი:

საქართველოს უძველეს მხარეში – ბოლნისში – დაბადებული ბიჭისათვის დაბადების მოწმობაში შეცდომით მევლუდის ნაცვლად მოვლუდი ჩაუწერიათ (ასე ამბობს მოვლუდი) და, თითქოსდა, ასე შემთხვევით მოხდა, რომ ჩვენთვის მსოფლიოში ერთადერთი მოვლუდ მეჰრაბოვია („მოვლუდი" „მევლუდის" აზერბაიჯანული გამოთქმაა!). საქართველოს სინამდვილეში მოვლუდის გამორჩეულობას სხვა, გაცილებით უფრო არსებითი ფაქტორები განსაზღვრავს:

1. ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მოვლუდი ერთადერთი საქართველოს მოქალაქეა, რომელმაც იცის თურქულიც, აზერბაიჯანულიც, ქართულიც და რომელსაც სურს, გახდეს დოქტორი ქართველურ ენათმეცნიერებაში (იგი ახლა ამთავრებს ბაკალავრიატს). მე მას შევთავაზე და მასაც სურს, იკვლიოს საქართველოსა თუ თურქეთში მცხოვრები ქართველებისა და 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში ქართული ენის სუბსტრატი; ასევე, ქართული და თურქული სამეტყველო კოდების შერევის პროცესში წარმოქმნილი ენობრივი მოვლენები. ასეთი კვლევა ბევრ რამეს ძალიან საინტერესოდ წარმოაჩენს;

2. მოვლუდი ძალიან ღრმა, მშვიდი და ნიჭიერი ადამიანია; იგი პოეტია და, ვფიქრობ, ამ სფეროშიც იტყვის თავის სათქმელს;

3. მოვლუდი იშვიათია იმ თვალსაზრისითაც, რომ საკუთარ თავში (მეობაში) ათავსებს საქართველოს პატრიოტობას (როგორც საქართველოს მოქალაქე), ამავე დროს, უყვარს **თავისი ეთნიკური ფესვები** და თან ნამდვილი, დაბალანსებული (არააგრესიული) მუსლიმანია.

ჩემი აზრით, სწორედ მოვლუდი უნდა იყოს **ძირითადი სახე** საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და არა – ქართულის არმცოდნე, ოდიოზური „მარადმწვანე" დეპუტატები თუ აგრესიული მეზობლებისგან მართული „ვლადისლავები"; სწორედ მოვლუდის მსგავსი პიროვნებების აღზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული საქართველოს განათლების სისტემა: პოლიტიკურ სპექტრს ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ საარჩევნოდ არ უნდა

ახსენდებოდეს!

მოვლუდის შესახებ ამ მცირე საფეისბუკო „ჩანაწერის“ გამოქვეყნებას რომ ვაპირებდი, შემაყოვნა მოვლუდის ეთნიკური ფესვების კვალიფიკაციამ: **ხუდია ბორჩალოელის ტომის ჩამომავლისათვის აზერბაიჯანელი რატომ უნდა მეწოდებინა მაშინ, როცა მის წინაპრებს არასოდეს უცხოვრიათ აზერბაიჯანში?**

სხვაგვარადაც დავსვათ კითხვა: საბჭოთა ინერციით დღესაც რატომ იწოდებიან საქართველოში მცხოვრები თურქმენული ტომის შთამომავლები – ქართველებისათვის „ბორჩალოელი თათრები“ – „აზერბაიჯანელებად“ მაშინ, როცა ისინი გაცილებით ადრე სახლობდნენ საქართველოში, ვიდრე საქართველოს მეზობლად შეიქმნებოდა აზერბაიჯანის სახელმწიფო და გაჩნდებოდა ეროვნება – „აზერბაიჯანელი“?

კავკასიაში ჩამოსახლებულ ერთ-ერთ თურქულ კილოზე/ენაზე მოლაპარაკე თურქმენების ოღუზური შტოს წარმომადგენლებს აზერბაიჯანელები უწოდეს რუსებმა და ირანელებმა; ამ სახელდების პოლიტიკური კონტექსტი ჩემთვის ნათელია, მაგრამ რუსული ინერციით საქართველოში, მაგ., ბოლნისსა თუ მცხეთაში მცხოვრებ თურქმენების შთამომავლებს ჩვენ ახლა რატომ ვუწოდებთ აზერბაიჯანელებს ან თათრებს (ეს ბოლო ტერმინი არასწორად გაიგივდა მუსლიმანთან)?

შდრ.: ბოლნისი მსოფლიოსათვის ცნობილია ბოლნისის სიონის ერთ-ერთი უძველესი ქართულენოვანი ქრისტიანული წარწერით. საქართველოსათვის რთულ პერიოდში საქართველოს ამ ნაწილში, კერძოდ, დებედას ხეობაში XVII საუკუნეში ჩამოსახლებულა თურქმენული ტომი „ბორჩალუ“. ამ ტომის სახელიდანაა დამკვიდრებული გეოგრაფიული სახელიც – ბორჩალო. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ჩამოსახლებიდან, დაახლოებით, 150 წლის შემდეგ, 1775 წელს „აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარასუსა ზედა ერევანს“. ერეკლე მეფემ ისინი უკან – დებედას ხეობაში დააბრუნა (ბაგრატიონი, 1983, გვ. 50).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბორჩალოელი თათრები საქართველოს ერთგულნი იყვნენ (თუნდაც ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში); მაგ., თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, ხუდია ბორჩალოელი საქართველოს გამორჩეული გმირია. ბორჩალოს ტომის შთამომავალი დღევანდელი საქართველოს მოქალაქე არ არის აზერბაიჯანელი, რამდენადაც ბოლნისი, მარნეული თუ მცხეთა უძველესი ქართული მიწა-წყალია და ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვერ წარმოადგენს ამ რაიონებს აზერბაიჯანის ნაწილად; არც „თათარია“, რამდენადაც აქაურთა თურქული დიალექტი განსხვავდება, მაგ., **ყივჩაყების შთამომავლების** – ყირიმისა თუ ყაზანის თათრების დიალექტისაგან... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს ფართო დისკუსიის საგანია, საკუთრივ, აზერბაიჯანის აზერბაიჯანელთა იდენტობის კვალიფიკაციაც; კერძოდ:

აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელი (1918 წლის 28 მაისი, თბილისი) მემედემინ რესულზადე ამბობდა: **„მე ვარ თურქი და ამის გამო თავს ბედნიერად ვთვლი“.** დაახლოებით, ამავე იდეოლოგიით აპირებდა აზერბაიჯანის სახელმწიფოს აღორძინებას აბულფას ელჩიბეი; მისი ლოზუნგი ასეთი იყო: **„ჩვენ, პირველ რიგში, თურქები ვართ, შემდგომ კი – მუსულმანები!“** დღევანდელი აზერბაიჯანის ახალგაზრდობის ნაწილიც ამ თვალსაზრისს აქტიურად იმეორებს. ამავე პლატფორმაზე დგას საქართველოს მოქალაქე „აზერბაიჯანელთა“ ერთი ნაწილიც; მაგ., ჩემი მეგობრის – შახი ქაზუმოღლის – ქალიშვილი, **ელეონორა ქაზუმოვი** ამბობს:

“მე საქართველოს მოქალაქე ვარ და მიყვარს საქართველო; ეთნიკურად კი მე ვარ თურქი. არ მომწონს, როცა აზერბაიჯანელად მიხსენიებენ, რადგან ტერმინი „აზერბაიჯანელი“ აზერბაიჯანის მოქალაქეს აღნიშნავს და არა – ეთნოსს. საბჭოთა პოლიტიკამ აგვრია, ხელოვნური სახელები მოგვიგონა და განგვაცალკევა ისე, რომ ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, რა ვუწოდოთ ჩვენს თავს“.

შდრ.: თანამედროვე აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა ნაწილს არ მოსწონს ჰეიდარ ალიევის ეთნიკური პოლიტიკა; კერძოდ, ჰ. ალიევის ეთნიკურ-ეროვნული ლოზუნგი ასეთი იყო: **„მე ბედნიერი ვარ, რადგან აზერბაიჯანელი ვარ“.**

შახი ქაზუმოღლის ვაჟიშვილი, უკვე ცნობილი მთარგმნელი და მეცნიერი **ოქტაი ქაზუმოვი** სხვაგვარად აყალიბებს თავის პოზიციას:

“მსოფლიო სტანდარტის შესაბამისად, საქართველოშიც მოქალაქეობა უნდა იყოს

ეროვნულობის განმსაზღვრელი; თუკი ასე ვიაზროვნებთ, **მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით ვარ ქართველი, ეთნიკური წარმომავლობით კი – აზერი** და არა – აზერბაიჯანელი ან თურქი, რამდენადაც, ტერმინი „თურქი“ უკვე თურქეთის მოქალაქეს ნიშნავს, ხოლო ტერმინი „აზერბაიჯანელი“ – აზერბაიჯანის მოქალაქეს. „თურქი“ და „აზერბაიჯანელი“ არ არის ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინები. ეთნიკური თურქებიც, აზერბაიჯანელებიც და საქართველოს მოქალაქე თურქულენოვანი ხალხიც – ბორჩალოელების შთამომავლებიც – თურქმენი ოღუზების შთამომავლები ვართ, თუმცა, არც ამჟამინდელი თურქების უდიდესი ნაწილი და არც ამჟამინდელი აზერბაიჯანელების ერთი ნაწილი სულაც არ არის ოღუზების გენეტიკური მემკვიდრე... აქვე აღვნიშნავ, რომ ტერმინი „თათარი“, რომელიც ზოგ შემთხვევაში დამამცირებლად გამოიყენება, გამორჩეულ თურქულენოვან ხალხს აღნიშნავს; მე ამაყი ვიქნებოდი, რომ თათარი ვყოფილიყავი. წარმოშობით, მე ოღუზი ვარ, **ჩვენი მეტყველება განსხვავდება თათრულისაგან.** დღეს მე ვარ საქართველოს მოქალაქე აზერი. მეამაყება საქართველოს მოქალაქეობა და მინდა, რომ ჩემი სამშობლო – საქართველო ყველა მიმართულებით სანიმუშო ქვეყანა იყოს. მე მთელს ჩემს სასიცოცხლო ენერგიას ჩავდებ ჩემი სამშობლოსა და ჩემი ეთნიკური ფესვების წარმოსაჩენად... ვისურვებდი, რომ ჩემს სამშობლოში დროულად ჩამოყალიბდეს სწორი პოლიტიკა უმცირესობების მიმართ. სამწუხაროდ, ორსაუკუნოვანი ძალმომრეობის პერიოდში მრავალმაგი გაურკვევლობაა ჩამოყალიბებული... მაგ., მტკივნეულია, რომ დღეს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებში არც ერთი საქართველოს მოქალაქე აზერი არ/ვერ თამაშობს. იმედი მაქვს, მალე მოვა დრო, როცა საქართველოშიც ქვეყნის საკეთილდღეოდ იქნება გამოყენებული უმცირესობების ენერგია,” – ამბობს ოქტაი.

მე ვეთანხმები ოქტაის; დავამატებ მხოლოდ იმას, რომ როგორც ხელისუფლებამ, ასევე უმცირესობებმა დროულად უნდა დასძლიონ საბჭოთა ინერციას და საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლით დროულად მოახერხონ საქართველოს ყველა მოქალაქის ინტეგრაცია ქართულენოვან სახელმწიფოში (ტოლერანტობას ქართველებს ვერავინ ასწავლის!); **დღეს სწორედ ამ თვალსაზრისითაა საყურადღებო მოვლუდ მეჰრაბოვის ფენომენი.**

ჩემს მსჯელობას გავაგრძელებ შახი ქაზუმოღლისადმი ჩემი კითხვითა და მისი პასუხით:

მე: შახ, ამდენი ხანია გიცნობ და ეს კითხვა არასოდეს დამისვამს, ახლა გეკითხები: შენ თავს აღიქვამ აზერბაიჯანელად, თურქად თუ აზერად?

შახი: ტარიელ, მე თავს აღვიქვამ შენს ძმად; მე მეამაყება რომ მოქალაქეობით ქართველი ვარ; მე ვარ ის, ვისაც უხარია, ვისაც სტკივა, ვისაც სწყინს, ვისაც სცივა... დანარჩენი არ მაინტერესებს; მიხარია, რომ ჩვენ ძმები ვიყავით, ვართ და ვიქნებით...

შახ ქაზუმოღლი ჩემი თანაკურსელია; მან წითელ დიპლომზე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი 1983 წელს, შემდგომი რთული ცხოვრების გამო კი სოფლად ჩაიკეტა... მაგრამ შეძლო სამი შვილი აღეზარდა ღირსეულად. 90-იანი წლებიდან საქართველოს წინსვლაზე ორიენტირებული ხელისუფლება რომ გვყოლოდა, შახი ქაზუმოღლის მსგავსი ბევრი პატრიოტი მოქალაქე (ეთნიკური ქართველი თუ ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობა) გვეყოლებოდა და დასავლური ფონდების ფულიც მიზნობრივად დაიხარჯებოდა (უმცირესობების მიმართულებით): არ მოხვდებოდა ავანტიურისტი გრანტიჭამიების ხელში.

**ტაო-კლარჯეთის 2016 წლის ექსპედიციიდან ერთი ეპიზოდი არასოდეს დამავიწყდება:** როგორც წესი, ხახული დაკეტილია ტურისტებისათვის, რამდენადაც აქ მოქმედი მეჩეთია. ჩვენ იმ დროს აღმოვჩნდით ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან, როდესაც იქ მუსლიმანური ლოცვა მთავრდებოდა. **მოვლუდ მეჰრაბოვი მივიდა მოლასთან და სთხოვა, ქართველებს დაგვეთვალიერებინა ტაძარი შიგნიდან.** მოლამ ყველა ტაძარში მიგვიწვია. ჩვენებმა ილოცეს, კუთხეებში სანთლებიც დაანთეს. მე მოლასა და მოვლუდს ვესაუბრები.

ცოტა ხნის შემდეგ მოვლუდი მომიბრუნდა და მთხოვა:

– ბატონო ტარიელ, თუ შეიძლება მეც ვილოცებ, ახლა ჩვენი ლოცვის დროცაა...

**გულის სიღრმეში ჩემი პირველი რეაქცია არ იყო ერთმნიშვნელოვანი; პასუხი კი ასეთი გამომივიდა:**

– მოვლუდ, რა თქმა უნდა! შენი უფლებაა ილოცო; აგერ, ჩვენებიც სანთლებს ანთებენ...

მოვლუდმა დააზუსტა:

– მე მუსლიმანურად ვილოცებ; ეს ტაძარი კი ახლა მეჩეთია...

– მესმის, იქით საკურთხეველია; ჩვენები სანთელს ანთებენ; ყიბლა (მექას მხარე – მუსლიმანისათვის ლოცვის ორიენტირი) კი აქეთაა, – გავუღიმე...

მოვლუდმა მშვიდად ილოცა ხახულში: არაბული ლოცვის თავები ჩაიკითხა. იქვე, გვერდით ჩემი სხვა სტუდენტები ქართულენოვან ლოცვას აღავლენდნენ ... ეს იყო საოცარი სურათი ტრაგიკული ისტორიის ფონზე.

წამოსვლისას მოლას ვუთხარი, რომ მალე აქაც დაიწყება რესტავრაცია და მუსლიმანებს საკუთარ სალოცავს აუშენებენ; მოლამაც დასძინა:

– კარგი იქნება!

წერილს დავასრულებ კიდევ ერთი შეპირისპირებით: თურქეთში მოხდა ისე, რომ ადგილობრივი (ავტოქთონი) ქართველების უდიდეს ნაწილს გაუუცხოვდა დედაენაც და წინაპრების მიერ შექმნილი კულტურული და მატერიალური ძეგლებიც; კერძოდ, აქ დიდხანს ბოგინობდა კირზიოღლუს „თეორია“, რომლის მიხედვითაც, თურქეთის მცხოვრები „გურჯები“ თითქოსდა ყივჩაყების შთამომავლები არიან; ოშკი, ხახული, ბანა, თორთუმი, ოპიზა თუ შავშეთი კი იმ ძველმა ქართველებმა ააშენეს, რომლებიც საქართველოში გადასახლდნენ... პარალელურად, ოსმალეთის/თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ნაწილში – ტაო-კლარჯეთში – არსებულ სკოლებში აკრძალული იყო ქართული ლაპარაკიც კი. ოსმალეთის იმპერიის იდეოლოგებმა **თურქეთის მოქალაქე ავტოქთონ ქართველებს** ამ გზით გაუუცხოვეს წინაპრების მიერ შექმნილი ენა და კულტურა. ამ ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად, თურქეთში ქართული ენა დღეს „სულს ღაფავს“ (სხვა სიტყვას ვერ ვძებნი)... დღეს იშვიათები არიან ნერიმან ალბაირაქის მსგავსი პიროვნებები.

**საბედნიეროდ, თურქეთის ახალი ხელისუფლება უმცირესობების უფლებების დაცვის კონტექსტში უფლებას აძლევს ყველას, სკოლაში აირჩიოს მისთვის სასურველი ადგილობრივი ენისა თუ დიალექტის შესწავლა; ამჟამად ქართული ისწავლება თურქეთის ორ სახელმწიფო სკოლაში** (შდრ., გაცილებით მცირერიცხოვან საქართველოში სკოლების დაახლოებით 10 % არაქართულენოვანია; მათ შორის 120 სკოლა თურქულ-/აზერბაიჯანულენოვანია; გაცილებით მეტ სკოლაში კი ისწავლება აზერბაიჯანული თუ თურქული ენა).

**საქართველო მეორე უკიდურესობაში გადავარდა:** საბჭოთა იმპერიის ენობრივ-ეთნიკური პოლიტიკის გამო ქართულენოვან სახელმწიფოებრივ სივრცეში არ მოხდა ბორჩალოელი თათრებისა თუ პასკევიჩის მიერ თურქეთიდან გადმოსახლებული სომხების შთამომავალთა ინტეგრაცია. სამწუხაროდ, ენობრივი ბარიერი დღესაც უშლის ხელს ნიჭიერ ადამიანებს, თავიანთი სასიცოცხლო ენერგია მოახმარონ საქართველოს (ამას წუხს ოქტაი ქაზუმოვიც); ვინც სახელმწიფო ენა იცის, მასაც ექმნება გარკვეული პრობლემები საბჭოური მენტალობის ინერციით. იმედი მაქვს, თურქეთშიც გადარჩება ქართული ენა, ხოლო საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლის ნორმალური პირობები შეექმნებათ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღორძინდება დავითისა და თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელი ქართველური ტოლერანტობაც და სახელმწიფოებრივი სიძლიერეც.

ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგია ასეთი უნდა იყოს: პატივი უნდა ვცეთ საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ ამჟამინდელ სახელმწიფოებრივ საზღვრებს, პარალელურად კი უნდა ვიზრუნოთ როგორც ქართული ენობრივი და ეთნიკური იდენტობის, ასევე, ჩვენი უმცირესობების ენისა და კულტურის გადარჩენასა (თუკი ის საფრთხის ქვეშ არის) და მათ სრულ ინტეგრაციაზე:

**პოზიტიური დისკრიმინაციაც კი შეურაცხმყოფელია თავმოყვარე ადამიანისათვის** (პოზიტიური დისკრიმინაცია – პრივილეგია უმცირესობის გამო)! **უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა** და **შესაძლებლობა** ერთნაირი უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად; ასეთი სრულფასოვანი მოქალაქეობა მიუღწეველია სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშეც და ხელისუფლების ქმედითი (და არა მხოლოდ დეკლარირებული) პოლიტიკის გარეშეც.

**დასკვნის სახით:** შახ ქაზუმოღლის მსგავსად, **მოვლუდ მეჰრაბოვიც** იშვიათ მოვლენად რომ

არ დარჩეს, ხელისუფლებამ უმცირესობების კონტექსტშიც გრძელვადიანი მიდგომა (და არა – წინასაარჩევნო!) დღეს მაინც უნდა ჩამოაყალიბოს, რომ საქართველო ნამდვილ სახელმწიფოდ აღორძინდეს.

**ამ და სხვა ბევრი მიზეზის გამო, მე გზას ვაძლევ მოვლუდ მეჰრაბოვს!**

30 აგვისტო, 2016

## ბარბაროზა

ბარბაროზას გილოცავთ!

ბარბაროზა დღეს **დოქტორანტების კოლოკვიუმის** დანიშვნა შემთხვევით არ მომხდარა:

ყველა დოქტორანტს ერთად მხოლოდ ამ დღეს შეეძლო მოსვლა (ფევზის კი თურქეთიდან სკაიპით ჩართვა).

საქმიანი და მშვენიერი ბარბაროზა გამოვიდა; ბოლოს ბაკალავრიატის სტუდენტებიც **შემოგვისიყვარულდნენ** და ასე გავბევრდით დღესაც. ...ბოლოს, კარგი განწყობის ფონზე კესოს თანახელმძღვანელის სადღეგრძელოზე **თემურმა იხუმრა: „რევაზ შეროზია სამეულის მეოთხე წევრია“...**

სტუდენტების შეკითხვებს პასუხი მე გავეცი:

**ახალგაზრდა კოლეგებო,** წლების წინ, საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებულ და **ქართველთა ენობრივ-ეთნიკურად დამანაწევრებელ მოსაზრებებს** რომ შევეწინააღმდეგეთ, ჩვენ რეპრესიები მოგვიწყვეს: სამსახურები დაგვატოვებინეს, კონკურსები უზნეოდ გაგვიყალბეს, ხელისუფლებაში „დანოსები“ დაგვიწერეს. დღესაც ცდილობენ, გვავნონ... რომ შეძლებოდათ, დაგვხვრეტდნენ კიდეც. ამას უფრო ადრეც აპირებდნენ, როდესაც ჩვენ, 1989 წლის 9 აპრილის მონაწილეებს, სასამართლო მოგვიწყვეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის კრებაზე; ამ კრებას საგანგებოდ დაესწრო მაშინდელი ცეკას მდივანი, **კომუნისტური კრემლის იდეოლოგი ნუგზარ ფოფხაძე.**

იმხანად გარკვეულწილად გადავრჩით.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ჩვენი რეპრესიების დამგეგმავმა და განმახორციელებელმა „ტროიკამ“ კვალის დაბნევის მიზნით აქეთ გვიწოდა „სამეული“ მეცნიერული აზრის ერთგულ სამ პროფესორს: **მანანა ტაბიძეს, თეიმურაზ გვანცელაძეს და მე...** ეს რომ გაიგო ქუჯისა და ცოტნე დადიანის სულიერმა მემკვიდრემ, **პროფესორმა რევაზ შეროზიამ, თქვა:**

**– მე ვარ სამეულის მეოთხე წევრი!**

შემდეგ მეხუთე (ეკა დადიანი) გამოჩნდა, მერე – მეექვსე (მაია მიქაუტაძე), მეშვიდე (ლუიზა ხაჭაპურიძე), მერვე, მეცხრე... მერე **აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძეც** დადგა ჩვენი სიმართლის მხარეს; **ცნობილი არაბისტი ალეკო ჟორდანიაც** და ბევრი სხვა ცნობილი თუ ახლგაზრდა/პერსპექტიული მეცნიერი.

უკვე წელს მხოლოდ ჩემს სადოქტორო პროგრამაზე უშუალოდ ჩემთან 31-ე დოქტორანტი მოვიდა; ჯამში კი **„სამეულის“ წევრ დოქტორთა და დოქტორანტთა რაოდენობა 150-ს აჭარბებს;** ის „ტროიკა“ კი „ტროიკად“ დარჩა, ოღონდ ახლა გრანტებზე ორიენტირდა... მათზე ნეგატიურ კონტექსტში საუბარს აღარ გავაგრძელებ.

ჩემო მშვენიერო სამეულის წევრებო და მომავალო წევრებო; ასევე, მეგობრებო და სამეგობრო გზაზე მყოფნო, თქვენც, **„ტროიკისგან“ დაბრკოლებულნო, გილოცავთ ბარბაროზას!**

განსაკუთრებული მადლობა თქვენ, ტროიკის წევრებო. თქვენ, რომ არა, ამდენ რამეს ვერ დავწერდი, ასე მობილიზებული არ ვიქნებოდი; **თქვენ განსაკუთრებულად გილოცავთ ბარბაროზას;** ამ დღის მადლს თქვენში დაემარცხებინოს კაენის არსი და სიკეთის გზით გევლოთ სამარადჟამოდ.

მე თქვენ დიდი ხანია მოგიტევეთ – **არ მოგექეციოთ თქვენი ქმედების შესაფერისად.** სიმართლე გითხრათ, დროულად ჩავწვდი მიტევების ფილოსოფიას და შინაგანად გავთავისუფლდი; **დავძლიე შურისძიების დიდი შინაგანი განსაცდელი** და ბევრი დრო და ენერგია დამრჩა, ვაკეთო

ის საქმე, რომლის გაკეთების აუცილებლობასაც ვხედავ.

**კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ბარბარობას!**

**P.S.** მეგობრებო და მეგობრობის გზაზე მდგარნო, ჩემთვის „მამაო ჩვენო“ ასე იკითხება:

ღმერთო, ძლიერო და ყოვლისშემძლევ, მომეცი ძალა, მივუტევო ჩემს მტრებს, რომ **არმიტევების განსაცდელს გადავურჩე, ბოროტებაში არ დავრჩე და სიყვარულით ვიცხოვრო!**

მე სიყვარულით ვცხოვრობ და ამიტომ ვარ ბედნიერიც და ძლიერიც! თქვენც გისურვებთ, ნამდვილი ისტორიაც გახსოვდეთ, აწმყოს რეალობაც გააცნობიეროთ, მაგრამ, ამავე დროს, განგეცადოთ მიტევების ბედნიერებაც და სიყვარულით ცხოვრების არსიც :)

**P.P.S.** სადოქტორო დისერტაციის მორიგი დაცვა კი შედგება 2016 წლის 24 დეკემბერს.

**P.P.P.S.** შორენა, დიდი მადლობა ფოტოსათვის, რომელსაც ასეთ სახელს შევურჩევ: ათასეულის საწყისი სამეული :)))

17 დეკემბერი, 2016

## სახელოვანი იუნკრის წერილი თანამედროვე ახალგაზრდებს

ქართველთა მეობას დედაენის შენარჩუნებისათვის ბრძოლით უფრო დავიცავთ, ვიდრე ტანკებით!

2017 წლის 26 აპრილს ბატონმა მინდია უგრეხელიძემ გადმომცა ტაბახმელაში თავგანწირულად მებრძოლი **სახელოვანი იუნკრის,** ბიძამისის, ვიტალი (ტალიკო) უგრეხელიძის წერილი **“დავტირით ქართულს”** (წერილი დაწერილია ბრეჟნევის ეპოქაში – გასული საუკუნის 70-იან წლებში და გამოქვეყნებულია ინგლისში ვ. ბობოთელის ფსევდონიმით).

წერილს წინ უძღვის ორი ეპიგრაფი; ერთით, ძველი რომაული შეგონებით, ავტორი გვეუბნება: Quem amo castigo: “ვინც მიყვარს, მას ვტუქსავ”; მეორე წანამძღვარი კი უცნობი ავტორის (თავად ვიტალი უგრეხელიძის?) შემდეგი სტროფია:

“სიმდიდრით განუსაზღვრელი, / სიღრმითა განუზომელი,

ბასრ ხმალზე უფრო გამჭრელი, / ქართულის თუ ხარ მცოდნელი”.

ვფიქრობ, ამ სტრიქონებში დევს ყოფილი იუნკრის ფილოსოფია, რომელიც ჩემი სიტყვებით მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცე: **“ქართველურ მეობას ენის შენარჩუნებით უფრო დავიცავთ, ვიდრე სამხედრო თავდაცვის ორგანიზებით”.**

ეს ფილოსოფია დღესაც აქტუალურია: მსოფლიოში გაფანტულ ქართველთა თუ საქართველოში მცხოვრებთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობის დაცვის ყველაზე ეფექტური გზაა თითოეულ ქართველში ქართული ენის, როგორც **ქართველთა დედაენის გადარჩენა** და საქართველოს სახელმწიფოში საქართველოს სახელმწიფო ენის ღირსების დაცვა.

იუნკერი, რომელმაც ბოლშევიკებისაგან საქართველოს დასაცავად შემართული იარაღი მოგვიანებით კალმით შეცვალა (ის გახდა ცნობილი ლიტერატორი, მთარგმნელი, გაზეთ “მხედარის” რედაქტორი), დარწმუნებული იყო, რომ **რუსეთის აგრესიისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შეუპოვარი ბრძოლა ქართული ენის დასაცავად, ბრძოლა, რომელშიაც თავისი ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ყველა ქართველმა ადამიანმა; მისი აზრით, “ქართული სიტყვა არის ჩვენი მოგერიებით ბრძოლის უკანასკნელი ხაზი”!**

სახელოვანი იუნკრის შემართების კვალად, აუცილებელია, **თანამედროვე ქართველმა,** რომელიც საქართველოში ცხოვრობს, პოლონეთსა თუ ამერიკაში, საბერძნეთში, თურქეთსა თუ ირანში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა თუ რუსეთში, **გაითავისოს ერთი ჭეშმარიტება:** ვინც თავის შთამომავლობას ასწავლის ქართულ ენას, ის თავის მოდგმას შეუნარჩუნებს ქართველობას – საკუთარი მეობის განმსაზღვრელ 35-საუკუნოვან ისტორიასა და მსოფლიოში გამორჩეულ კულტურას.

დღეს, ერთი მხრივ, ისევ აქტუალურია რუსული ოკუპაცია, მეორე მხრივ კი, **გლობალურ ქსელში გაბატონებული ინგლისური ენის გავლენითაც, შეიძლება დაკარგოს ქართულმა ენამ განათლების, კულტურის, მეცნიერების... ენის ფუნქცია** და, დიდი ალბათობით, **სახელმწიფო ენის ფუნქციაც:**

რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი მღვრიე მდინარეში დაიხრჩობი თუ ოკეანეში?

შესაბამისად, ქართული ენის, როგორც ქართველური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორის, დასაცავად დღესაც ყველა ქართველმა უნდა გამოიჩინოს თავი; "ყველგან, სადაც ქართველია, იქ არის მისი ბრძოლის ველი; ყოველ კუთხეში ამ ქვეყნად":

**ეროვნულ მეობას დედაენის შენარჩუნებით უფრო დავიცავთ, ვიდრე ტანკებით!**

ამ მცირე შესავლის შემდეგ გთავაზობთ ვიტალი უგრეხელიძის წერილის იმ ვარიანტს, რომელიც მოგვაწოდა ბატონმა მინდია უგრეხელიძემ; აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ ბოლშევიკურ აგრესიამდე მთელ საქართველოში განათლებით ცნობილი უგრეხელიძეთა ოჯახი წარმოშობით იმერეთის სოფელ ბობოთიდანაა (ამჟამინდელი ციხიაბობოთი); სწორედ სოფლის სახელის მიხედვითაა შექმნილი ვიტალი უგრეხელიძის ფსევდონიმი.

## "დავტირით ქართულს"

ჩემი ცხოვრების ოღრო-ჩოღრო გზაზე ბევრი გადაგვარებული ქართველი შემხვედრია. მებრალებოდნენ ისინი, როგორც ღატაკნი, რადგან ვერაოდეს შეიგრძნეს და შეიგზნეს ჩვენი მწერლობის სიტყვა. **მებრალებიან ილიჩისა და მოსკოვის მღაღადებელნიც და უნდილი ღიმილი მომდის ყველა მათ მოგონებაზე. მებრალებიან პოეტები, ბლაგვი ენით რომ როშავენ დაავადებულ სიტყვებს, მოსკოვის, ბრეჟნევისა და კოლმეურნეობების მაქებარნი. ცრემლი მომდის მათ როშვაზე, ოდეს ქართული ენა მათ მიერ წაბილწულია. დავტირი ქართულ ენას, რადგან თვით ქართველებმა თავისი მზაკვრობით გავუადვილეთ მტერს ჩვენი ერის განადგურება. თანდათან იკარგება ჩვენი ენა ჩვენივე წყალობით.**

ტფუი მას, ვისაც არ ესმის! ტფუი და თავსლაფი უნიათ ქართველს! თავსლაფი და **ტფუი მას, ვინც ქართულ სიტყვას რუსულზე ცვლის.** ნუთუ ვართ ქართველები ისე შეუგნებელი, რომ არ გვესმის ერის უბედურება? **ოდეს ენას ვივიწყებთ, ვართ გადაგვარებული.**

გავიძახით ბრძოლებზე? რით და ვის წინააღმდეგ? ჩვენი მოსისხლე მტერი რუსეთი მსოფლიოს აზანზარებს და, ღმერთმა იცის, როდის წალეკავს ან ააფეთქებს ქვეყნიერებას. რითი გვინდა ბრძოლა, ოდეს საბრძოლო საჭურველი ჩვენ გვეჯავრება? უნდა ვისხდეთ ჩუმად როგორც თაგვი სოროში? ჩვენი ბრძოლის ერთადერთი სახსარი და საშუალებაა სიტყვის არ დათმობა, ჩვენი ენის უმანკოების დაცვაა. სურვილით მისი სიყვარული და მის დასაცავად სადარაჯოზე დგომა. **ყოველი ქართველი ამაზე უნდა ფიქრობდეს და იყოს გუშაგი ქართველი ერისა.** ერი გაჭლეტილია, ჩვენი მიწა დატაცებული, სხვა კი - სისხლით გაჟღენთილი. მტერი ცდილობს მოსპოს საქართველო. 1801 წლიდან მისი მისწრაფებაა georgia delenda esse (საქართველო უნდა მოისპოს). ეს არის მისი ოცნება.

მიუხედავად ამისა, თუ იარაღით არა, ენით მაინც მძაფრ ბრძოლას ეწეოდნენ ჩვენი ბუმბერაზები ენის დაცვაში, როგორიც იყვნენ: ი. გოგებაშვილი, ა. ყაზბეგი, ა. და გ. წერეთელი, ი. და ა. ჭავჭავაძე, ს. ს. და გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ი. მაჩაბელი და ვაჟა-ფშაველა. ქართული ენის დამცველთა სია მეტად გრძელია, მაგრამ ყველა ჩვენგანმა, ჩვენდა სასირცხვოდ, მათი ხსენება დავივიწყეთ. თუ ქართულმა ენამ დღემდე მოაწია, აქ მადლობა უნდა ვუთხრათ სოფლად მცხოვრებ ჩვენ გულუბრყვილო გლეხობას, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და ზემოხსენებულ მწერლობას. ჩვენი სამი წლის თავისუფლების დროს დაიწყო ქართული ენის ფართოდ ხმარება და ენის გასუფთავება, მაგრამ მტერმა თავისუფლება მოგვისპო და ეხლა ცდილობს ენაც მოგვისპოს.

რუსეთმა დღეს საქართველო სომხებით აავსო. 15 000 უკრაინელი ოჯახი გურიაში ჩაასახლა. რა ენაზე იქნება დღეს საქართველოში მათთან ბაასი? ქართველები მათ ვერ გააქართველებენ, ხოლო სომხები და უკრაინელები ქართველებს გაარუსებენ. იღუპება ჩვენი ენა და შველა უნდა მას. ვინ დაიცავს მას თუ არა ჩვენ?

დავიცვათ ჩვენ ბრძოლის ასპარეზი. ქართული სიტყვა არის ჩვენი მოგერიებითი ბრძოლის უკანასკნელი ხაზი. თუ აქედან მტერმა აგვყარა, უკან დასახევი ველი აღარ გვაქვს. მაგრამ აქ ჩვენი

სანგრები მეტად მაგარია და მტერი ვერას გვავნებს. აქ ჩვენ შეგვიძლია დაუნდობელი ბრძოლა, აქ მტრის დამარცხებაც ადვილია თუ შეგნება გვაქვს.

ჩვენი უხეში და მუტრუკი მტერი აქ იოლად წააგებს ბრძოლას, თუ რომ პატარა მედგრობას გამოვიჩენთ. ეს ბრძოლაა უიარაღო, უსიტყვო, მედგარი, კრიჭაშეკრული და დაუნდობელი, ხოლო ჩვენთვის უვნებელი. ამ ასპარეზზე მტერი ვერას დაგვაკლებს, თუ რომ ბრძოლას ყველა ქართველი გავინაწილებთ! **ნუ დავთმობთ ჩვენს საყვარელ სიტყვას. ყველგან, საცა ქართველია, იქ არის მისი ბრძოლის ველი. ყოველ კუთხეში ამ ქვეყნად.**

თუ ამ ბრძოლას აბუჩად ავიგდებთ, თუ რომ ამ ბრძოლას დაუნდობლად არ ვაწარმოებთ ბოლშევიკების ბატონობის ქვეშ, ერთი საუკუნეა საკმარისი, რათა მტერმა ფიზიკურად გაგვანადგუროს და ჩვენს ნაშიერსაც არ ეცოდინება, სად იყო კოლხიდა თუ ივერია: გავა დრო, და მკვლევარი ნახავს მიდამოს, რომელიც წალკოტის ზეცაზე წაიკითხავს lokus uei Georgia fuit! (ეს არის ადგილი საცა იყო საქართველო!)

გოდება არ კმარა; ჩავებათ ყველა ბრძოლაში!

**ვ. ბობოთელი**

**P.S. სახელოვანი იუნკერი ვიტალი უგრეხელიძე 29 აპრილს დაიბადა, 1901 წელს. შაბათს, 29 აპრილს მისი დაბადების დღეა. აქვე გთავაზობთ მის ბიოგრაფიას /**

http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000175/

იხ., ასევე: http://1tv.ge/ge/news/view/66779.html

https://www.youtube.com/watch?v=oJ9uqkrzKxw

http://iverioni.com.ge/3541-iunkeris-vitali-ugrekhelidzis-neshthi-didubis-pantheonshi-dakrdzales.html

26 აპრილი, 2017

## საქართველოს საუკეთესო შვილებო, ჩემო სტუდენტებო!

**პირველ რიგში, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გისურვებთ პირად ბედნიერებას!**

ამ საჯარო წერილს მხოლოდ მოლოცვისათვისა და პირადი ბედნიერების სურვილისათვის არ გწერთ: იცით, რომ ძალიან მიყვარხართ და მუდამ გამიხარდება **თქვენი პიროვნული სიხარული თუ წარმატებები :)** /ხატულა წერტილის ნაცვლად!/.

მოლოცვასთან ერთად, რამდენიმე წინადადებით: სწორედ საახალწლოდ მინდა გითხრათ ჩემი თვალსაზრისი კონკრეტულად თქვენი, ასევე, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მომავლის დაგეგმვის შესახებ.

1. მსოფლიო, შესაბამისად, თანამედროვე საქართველოც აბელურ-კაენურ ძალთა ოპოზიციური თანაარსებობაა (ასე იყო და ასე იქნება მუდამ); ამ საუკუნო დაპირისპირებაში, დღეს, ტექნოლოგიების ასეთი დონის პირობებში, **არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო ველში უპირატესობის მოპოვებას.** საინფორმაციო ველში უპირატესობის მოპოვება დამოკიდებულია ობიექტური ინფორმაციის ფლობასა და ფინანსურ სახსარზე. ინფორმაციას ფლობს განათლებული ადამიანი, რომელიც, სინდისის შესაბამისად, ამ ინფორმაციას იყენებს საზოგადოების/ქვეყნის, კაცობრიობის სასიკეთოდ (ანდა, პირიქით). ფული კი აქვს სახელმწიფოს, არაიშვიათად, ღირსეულ ადამიანსაც; შესაბამისად, არსებითია **განათლებული და ძლიერი ფინანსური ბაზის მქონე პატიოსანი ადამიანების კონსოლიდაცია,** რომ ინტელექტი და ფინანსური რესურსი გაერთიანდეს კარგი იდეების, სახელმწიფოს, კაცობრიობის საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება (არაიშვიათად, ადამიანთა ნაწილს ხელისუფლებაც კი მხოლოდ სიმდიდრის ვნებისათვის ესაჭიროება).

2. ყველა სუბიექტსა თუ პიროვნებას უნდა მიზნის მიღწევა: ზოგს საამისო რესურსი არა აქვს და კაენის გზას ადგება, ზოგი წარუმატებლობას ეგუება, ზოგიც, ბუნებრივია, ენერგიისა თუ ცოდნის პატიოსნად გამოყენების შემთხვევაში, აღწევს ღირსეულ წარმატებას. ღირსეული გზით

მყარ წარმატებას თქვენ, ნიჭიერო სტუდენტებო, უთუოდ მიაღწევთ, თუკი სწორად დაგეგმავთ მომავალს.

**მყარ წარმატებას აქვს სულ ორი წინაპირობა:** აკადემიური განათლება და სწორი გადაწყვეტილების მიღება. სწორი გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია **ინფორმაციის შეჯერების უნარზე:** უნდა შეძლო მოცემულ თემაზე სხვადასხვა მოსაზრების შეპირისპირებითი ანალიზი და სწორი ვარიანტის შერჩევა ან შექმნა. ინფორმაციები რომ შეაჯერო, ჯერ უნდა მოიპოვო. ინფორმაციის დაუფლების ყველაზე კარგი გზაა აკადემიური განათლება; ასევე, კოლეგების, გუნდისა თუ ოჯახის წევრების მოსაზრებების მოსმენა. გადაწყვეტილების მისაღებად ყველა სფეროში მთავარია ინფორმაციის სისრულე; განსაკუთრებით, საერთაშორისო ველში არსებული ინფორმაციების ცოდნა.

3. სამწუხაროდ, დღეს **ჩვენი დარგის – ქართველოლოგიის – მიმართულებით საერთაშორისო ველში ბევრი არაკვალიფიციური ინფორმაციაა:** საერთაშორისო სამეცნიერო ველი გაჯერებულია რუსული თუ საბჭოური იდეოლოგემებით, რომელთა მიზანია საქართველოს ისტორიის გაყალბება, ქართველი ერის გადარჩენისათვის თავგანწირული მოღვაწეების "ნაციონალისტებად" გამოცხადება, საქართველოს ინტერესების მოღალატეთა გმირებად წარმოჩენა, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება და, საბოლოო ჯამში, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინებისათვის ხელის შეშლა; სამწუხაროდ, ნებსით თუ უნებლიეთ, საზღვარგარეთ **დღესაც კი ძირითადად საბჭოური იდეოლოგემებია აღიარებული** და მავანთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად გამოყენებული; მაგ., თანამედროვე მსოფლიოში 5 000-ზე მეტი ენაა; სახელმწიფო კი, დაახლოებით – 220. შესაბამისად, ბევრი ხალხის ენა არ არის სახელმწიფო ენა. ევროკავშირის სახელმწიფოები, ზოგადად, ცივილიზებული სახელმწიფოები, ცდილობენ რა საარსებო პირობები შეუქმნან არასახელმწიფო ენებს, მოცემულ სახელმწიფოებში არადომინანტ ეთნოსებს, საზოგადოებებს, ზოგადად, უმცირესობებს, ქმნიან მძლავრ ფონდებს შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად. **ზოგი ქართველი თუ უცხოელი ჩვენი თანამედროვე,** ამ ფონდებისაგან გრანტის მისაღებად მზადაა **საქართველოში ენობრივ თუ ეთნიკურ უმცირესობებად გამოაცხადოს ქართველთა დიდი ნაწილი;** მეტიც, დღეს საქართველოს სახელმწიფოს სახსრებით არსებული ფონდის – **რუსთაველის ეროვნული ფონდის – ექსპერტთა უმრავლესობას** ქართველოლოგიის სფეროში შეადგენენ ისეთი უცხოელი ექსპერტები, **რომლებიც დღემდე საბჭოური იდეოლოგემების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს** (მაგ., ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, აფხაზეთში რუსული ოკუპაცია კი არა, ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტია; იმავე ექსპერტს რატომღაც ჰგონია, რომ თურქეთში მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები არ ცხოვრობენ!).

4. ზემოთქმულის გათვალისწინებით, თქვენი (ზოგადად, ჩვენი) უპირველესი მიზანი უნდა იყოს **საერთაშორისო ველში არსებული მეტად სუბიექტური** (რიგ შემთხვევაში – ანტიქართული) ინფორმაციების დაბალანსება. ამ პრობლემის მოგვარებამდე ვერ შევძლებთ ჩვენი მეცნიერებისა და განათლების სისტემის განვითარებას; შესაბამისად, ამ საახალწლოდ **გისურვებთ თქვენი პიროვნული ორიენტირების შენარჩუნებას** (ვიცი, რომ საოცრად კარგი ადამიანები ხართ და გიყვართ სამშობლო); პარალელურად – უცხო ენების კარგად შესწავლას, რომ შეძლოთ საზღვარგარეთელი კოლეგების სწორად ინფორმირება და მათთან ერთად აკადემიური სამეცნიერო და საგანმანათლებლო "ზიარჭურჭლის" შექმნა ერთობლივი პროექტების, სტატიების, ჟურნალების, კონფერენციების სახით; **საბოლოო ჯამში, უნდა შევქმნათ ისეთი საერთაშორისო გარემო, სადაც შესაძლებელი გახდება ქართველთა დიდი სამწიგნობრო/კულტურული თუ სახელმწიფოებრივი ისტორიის ობიექტური აღქმა და მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარება.**

5. ჩემო კარგებო, ბევრი (არა – ყველა!) ნიჭიერი ქართველი გადის უცხოეთში და საქართველოსათვის ან თითქოსდა **"შავ ხვრელში" უჩინარდება, არაიშვიათად კი სტალინად გვექცევა თუ კაკი წერეთლად გვიბრუნდება...** მე მჯერა თქვენი, რომ არ გაუჩინარდებით არც აქ და არც საზღვარგარეთ; მჯერა, რომ თუ დროებით სადმე წახვალთ, დაბრუნდებით და წმიდა ილია მართალის შემართებით იღვაწებთ ჩვენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში, რომ წინ წასწიოთ ჩვენი ქვეყნის განათლება და მეცნიერება. **მე მჯერა თქვენი არა მხოლოდ იმიტომ,**

**რომ მიყვარხართ, არამედ იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ ძალა, უფრო წინ წახვიდეთ: ძალა გაქვთ, ძალისხმევაც შეგიძლიათ!**

30 დეკემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## ვინ არის თანამედროვე პოეტი/მწერალი?

ეს კითხვა ჩემთვის რიტორიკულია, მაგრამ ამ ტელეზეწოლებით დეზორიენტირებულ დროში ახალგაზრდებისათვის განვმარტავ:

თანამედროვეა მწერალი/პოეტი, თუკი ის საზოგადოებისათვის სანდო ორიენტირებსაც წარმოაჩენს და ადამიანის ცნობიერებასა თუ ცხოვრებასაც ახლებურად, თან სიღრმისეულად აღწერს; საზოგადოების, ერის, ადამიანის ღირსებასაც გვაჩვენებს და ნაკლსაც კეთილგანწყობით დაგვანახვებს...

თანამედროვე მწერალი არ არის ის, ვინც ფსევდოლიბერალურ გლობალიზმს შეუპყრია და, მაგ., წმიდა თამარ მეფის ინტიმური ცხოვრებით ავადმყოფურად ფანტაზიორობს, ან მოცემულ კუთხესა თუ ერზე ერთი ინდივიდის ნეგატივს აზოგადებს, ზოგადად, ადამიანური ფასეულობების დაკნინებით ნიჰილიზმს აღვივებს, ან ქუჩურად თუ არაკაცურად ბილწსიტყვაობს, ანდა, თავის ნიჭიერებას რომელიმე პოლიტიკური სუბიექტისა თუ კლანის "ლეღვის ფოთლობაში" იყენებს ... ასეთებს ნეგატიურ კონტექსტშიც კი არ ვახსენებ. ასეთი ვაიადამიანი მწერლად თუ პოეტად ვერც მიიჩნევა; იგი, უბრალოდ, ცუდი ავტორია; **მწერლისა და კრიტიკოსის, როსტომ ჩხეიძის ერთი გამონათქვამის პერიფრაზით დავასრულებ ამ აზრს: საქართველოში ბევრი ავტორია, მაგრამ მათგან მწერალი ძალიან ცოტაა.**

მიხარია, რომ პირადად ვიცნობ რამდენიმე თანამედროვე მწერალს/პოეტს; დავასახელებ: ზურაბ გორგილაძე, ნოდარ ჯალაღონია, ზურაბ თორია, ტარიელ ხარხელაური, ვახტანგ ღლონტი, ირაკლი ლომოური, ნომადი ბართაია, გიორგი სოსიაშვილი, ელგუჯა მარღია, ელგუჯა თავბერიძე, ომარ გვეტაძე, იოსებ იარღანაშვილი, გიორგი არაბული... ღმერთის წყალობით, კიდევ არიან!

ჩემთვის **გამორჩეული თანამედროვე პოეტია თემურ ჩალაბაშვილი,** ასევე, თანამედროვე **კარგი პოეტია ედუარდ უგულავა,** რომლის ერთ ლექსსაც აქვე გთავაზობთ:

**ქეთევან დედოფალი**

მზე შირაზის ისე მწარედ ანათებს, / ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...
ისმის „მოჰყავთ" და სისხლისფერ ჯალათებს / იბერიის დედოფალი მოჰყავთ.
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია... / მზერა მისი სხვა სიმშვიდის არის...
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია / (ლამაზია დედა დედოფალი).
არა, შაჰი მასთან ვერ მორიგდება, / ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:
ან მაჰმადი – პატივი და დიდება, / ან წამება – ესე იგი ქრისტე!..
თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად / ქვეწარმავლის სინებივრით მწოლი,
ვერ უბზარავს რწმენის მაღალ ალაყაფს / ვერც ირანი, ვერც „ირანის ლომი";
და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო, / რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:
– მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგნურნო! / ჯვარცმული და წამებული ქრისტე!
და სიჩუმე, თითქოს მშრალი თითებით / უფერულ თმას მგლოვიარედ იშლის...
ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები, / უცნაური ფერისა და ჯიშის.
ღმერთო ჩემო, თავზე როგორ უბრალოდ / ახურავენ ადუღებულ მიტრას...
იწვის ხორცი და შენ უწყი, უფალო, / ამ საშინელ ტკივილს როგორ იტანს...
ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი, / სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...
დედოფალი, სანახევროდ დამდნარი, / ანთებული სანთელივით იწვის.
მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ, / თავზარდამცემ ტკივილების დამთმენს,
ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ / და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.
ეკარგება სხეულს ფერი სინედლის / და სიცოცხლე ჭრილობიდან ჟონავს.

უკვე ცერზე დგება ხალხი მილეთის, / რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.
– მხოლოდ ქრისტე! – მოძრაობენ ტუჩები / (რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)
და ნაკვერჩხლებს ამოვსებულს ლურსმნებით / აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.
ოჰ, ეს ტანჯვა ათჯერ სიკვდილს ეყოფა / და ჯალათი, წამითაც არ შემკრთალს,
ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფალს, / ჯერაც ცოცხალს, წამებისგან ვერ მკვდარს.
და სულს, სხეულს მტრედივით რომ შორდება, / ცის სილურჯე რომ ირჩია ბინად,
ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება / და წამებულ შვილიშვილთა გმინვა...
ჯალათი კი, ღვარულ ოფლში გაბანილს / სისხლით იზელს ამობურცულ კუნთებს,
მერე ერთხანს ეჭვით დასცქერს და ბარით / მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...
ხოლო ხალხი – დაფანტულს და ფერაშლილს / ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.
ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეთაში / თავდახრილი ქართველები დგანან...
ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის / შვენის ფერი – დარჩენილებს ღიად...
სხვის მიწაზე, ცოდვით სავსე შირაზში / გულისწამსვლელ ნაფლეთებად ყრია
ქეთევანი, – ასე უღვთოდ ნამუსრი, / სურვილს რწმენით რომ უბზარავს ირანს...
საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!.. / დედოფალი – ორთავ სოფელს შინა!..

ახლა კი მოუსმინეთ ზურაბ გორგილაძეს:
https://www.youtube.com/watch?v=jwoyI91O1s4
https://www.youtube.com/watch?v=bAqxdfPqFxM

მოუსმინეთ ნოდარ ჯალაღონიას:
https://www.youtube.com/watch?v=ecbyOHCKYCY

12 იანვარი, 2018

## როგორ გავხდი მილიარდერი :)

დაახლოებით, ჩემი ასაკის კედლის საათი ყოველ 30 წუთში ეკლესიის ზარის მსგავს ხმად ჟღერადობს: "დრო სწრაფად მიდის" – ჰარმონიული ხმებით თითქოსდა ამას გვეუბნება, მაგრამ დროის სვლას ვერ ვგრძნობთ მანამ, სანამ შეგვიძლია ძველებური ენერგიით ცხოვრება...

პარალელურად, მამაჩემის გარდაცვალების ამბავი წარამარა მახსენებს: ცხოვრების ეს ეტაპი შუალედურად მაინც შევაჯამო და მოვემზადო "დასკვნითი" თუ "ფინალური" შეფასებისათვის / ზოგ უნივერსიტეტში სასწავლო კურსის შუალედური და დასკვნითი გამოცდები ახლოსაა, ზოგან კი შუალედური გამოცდა სემესტრის შუაშია :)/:

მამაჩემი 58-ე წელში იყო, როცა გარდაიცვალა; მაშინ მეგონა, რომ ის არც თუ მცირე ასაკისა იყო. თურმე, არცთუ დიდი ასაკისამ დატოვა წუთისოფელი. ახლა მე ვარ 58 წლის და ორ წელიწადში 60 დამრგვალდება. მამაჩემი 10 ივლისს 75 წლის გახდა. მან ბევრი სიკეთე გააკეთა ამქვეყნად (ეს რჩება მხოლოდ, საბოლოო ჯამში).

**ადამიანის ნაკეთებ საქმეებს ერთიან ცისარტყელასებრ ზოლად (კვალად) თუ წარმოვიდგენთ,** ყველა ადამიანის ცხოვრების გზა მრავალი გრძლივი ფერისაგან შედგება; ზოგის ცხოვრებისეული კვალი ფერადოვანი ზოლია, ზოგის – ჩამუქებული, ზოგის – შავი... "ცისარტყელასებრ ზოლში" ბევრი სუბიექტი სიმდიდრის "ფერს" აკვირდება:

დაგროვილი ქონებისა და ფულის "ფერი" არ დომინირებს ჩემს ნაკვალევში, სამაგიეროდ, ჩემს რეალურ სიმდიდრეს ქმნიან შვილები, შვილებივით გაზრდილი ბაკალავრები, მაგისტრები და დოქტორები (ერთ-ერთი დოქტორანტი ასაკით ჩემზე უფროსი იყო!).

**ბაკალავრების** ჩამოთვლას ვერ შევძლებ, იმდენი არიან, საბედნიეროდ!

**მაგისტრების** დიდი ნაწილი კარგად მახსოვს – შესანიშნავი პიროვნებები და ნიჭიერი ქართველები! ისინიც ბევრნი არიან და ახლა ვნანობ, მათი სახელები და სამაგისტრო ნაშრომების თემები რომ არ ჩავიწერე.

**რამდენიმე სახელმძღვანელოსა და 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის კვალად, თავს ნამდვილად მოვიწონებ ჩემი ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციებით;** სწორედ ჩემი დოქტორანტების – ჩემი ცხოვრების "ზოლის" ამ ერთი "ფერის" (თუ "სასწავლო კურსის") – მიხედვით გავაკეთებ ახლა შუალედურ ანგარიშს. ზოგადად თუ ვიტყვით, უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება; მთავარია, უფლის საჩუქარი დაინახო და შეიღირსიო.

**შენიშვნა:** შეიღირსიო = ღირსეულად მიიღო. შეღირსება – ღირსეულად მიღება. აჭარულ დიალექტში აქტიურად გამოიყენება ეს ზმნა და მინდა, რომ სამწიგნობრო ქართულშიც დავამკვიდრო!

თითოეული დისერტანტი ჩემთვის უფლის საჩუქარია; თითო დისერტაციას, სულ მცირე, **თითო მილიარდით** თუ შევაფასებთ, ამ მომენტისათვის 16 მილიარდის პატრონი ნამდვილად ვარ; სულ მცირე, 5 მილიარდს 60 წლამდე ველოდები დამატებითი "მოგების" სახით და, მეტი თუ არა, 21-მილიარდიანი ქონება ნამდვილად მექნება 60 წლის ასაკში :))

უფრო კონკრეტულად: **ნამდვილად ღირსეულნი შენაძენნი არიან** (არა მხოლოდ ჩემთვის!) ჩემი **შემდეგი დოქტორანტები და მათი სადოქტორო დისერტაციები** (რომელთა თემატიკა გაცილებით ხანიერი და შთამბეჭდავია, ვიდრე რომელიმე ბიზნესმენის მილიარდები):

1. **ეკა დადიანი,** "კავშირებითის ნაკვთები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)", 2001 წ., შიფრი: 10.02.08. _ ქართველური ენები. სამეცნიერო ხელმძღვანელები: თანახელმძღვანელი: რ. შეროზია /ჩემი პირველი "მილიარდი" ფეხბედნიერი აღმოჩნდა!/

2. **მაია მიქაუტაძე,** "ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით", 2004 წ., შიფრი: 10.02.01. _ ქართული ენა

3. **ლუიზა ხაჭაპურიძე,** "ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები)", 2005 წ, შიფრი: 10.02.01. _ ქართული ენა

4. **ლელა ავალიანი,** "არაბულიდან მომდინარე პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში", 2005 წ., შიფრი: 10.02.06. _ ახლო აღმოსავლეთის ენები (სემიტური ენები). სამეცნიერო თანახელმძღვანელი: მ. ნედოსპასოვა

5. **გიგა ქამუშაძე,** "იანეთში რეპატრიირებულთა თურქული მეტყველების თავისებურებანი". 2006 წ. შიფრი: 10.02.06 _ ახლო აღმოსავლეთის ენები (თურქული ენები). თანახელმძღვანელი: მ. ჯიქია

6. **სოფიო ტყეშელაშვილი,** "თანხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში". 2006 წ., შიფრი: 10.02.01. _ ქართული ენა

7. **მიხეილ ლაბაძე,** მურღულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა – ლაზთა და ლივანელთა – მეტყველების თავისებურებანი" (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები"; 2013 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

8. **სვეტლანა ადამია,** "ორპირიან და ორვალენტიან ზმნათა სრული პარადიგმა სამწიგნობრო ენასა და ქართველურ დიალექტებში", 2015 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

9. **ხატია ჯანგავაძე,** „ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი" 2015 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

10. **იაშა თანდილავა,** "საერთოქართველური ზმნური ძირები ლაზურში" 2015 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

11. **ეკა ჭკუასელი,** "ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)" 2015 წ.; შიფრი: 1002 ეთნოლოგია; თანახელმძღვანელი: რ. გუჯეჯიანი

12. **ხატია ბაბუნაშვილი,** "ქართულენოვანი ინტერნეტსივრცე – პრობლემები და პერსპექტივები (საინფორმაციო სააგენტოების ლექსიკა)", 2016 წ.; შიფრი: 1005

13. **ქეთი გურჩიანი,** "მესამე სერიის მწკრივები სვანური დიალექტების მიხედვით"; 2018 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

14. **ნერიმან ალბაირაქი,** „იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია"; 2018 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

15. **ფევზი ჩელები,** "დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების თავისებურებანი"; 2018 წ.;

შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

16. **მარიკა თედორაძე,** "ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიმები (ასწლოვანი დისკუსია ქართველური იდიომების კვალიფიკაციის გამო)"; 2018 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

**აქვე უნდა დავასახელო ის დოქტორანტები, რომელთაგან ზოგმა მხოლოდ ტექნიკური მიზეზით შეიჩერა სტატუსი (დრო გაიხანგრძლივა სადოქტორო თემის წერისათვის), რომ 2019-2020 წლებში დაასრულოს და დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი:**

17. **საიდ მულიანი,** "ქართული ენა ირანში"; 2019 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

18. **კესო გეჯუა,** „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი"; 2019 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

19. **ანა მოდებაძე,** „ქართული ენის სახელის ფორმაწარმოების მოდელირების პრინციპები"; 2019 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

20. **თინათინ მილორავა,** "ზმნის ფორმაწარმოება ქართული ენის ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში"; 2020 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

21. **მანანა ხვინგია,** „რუსულ-ქართული მანქანური თარგმანის პრობლემები"; 2020 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

22. **გოქან ილმაზი,** "სამეტყველო კოდთა იერარქია შავშეთის რაიონის მოსახლეობაში (ისტორიული დინამიკა)"; 2020 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

23. **ლია ოთინაშვილი,** "ქართულ-ინგლისური ორენოვანი მთარგმნელი პროგრამის რესურსები (ქართული ენის ეროვნული კორპუსი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზატორი)" 2020 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

**ჩემთვის გამორჩეული პატივი და ვალდებულებაა, ვიმუშაო ქართველი ერის რთული ისტორიის გამო საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ქართველ დოქტორანტებთან (სამი უკვე დოქტორია!); კიდევ ერთხელ სიამოვნებით დავასახელებ მათ:**

- **ნერიმან ალბაირაქი,** „იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია"; 2018 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/
- **ფევზი ჩელები,** "დუზჯეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების თავისებურებანი"; 2018 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/
- **გოქან ილმაზი,** "სამეტყველო კოდთა იერარქია შავშეთის რაიონის მოსახლეობაში (ისტორიული დინამიკა)"; 2020 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/
- **საიდ მულიანი,** "ქართული ენა ირანში"; 2019 წ.; შიფრი: 1005 ფილოლოგია /100518 ქართველური ენათმეცნიერება/

2018 წელს დაცული სადოქტორო ნაშრომების ავტორეფერატების (სადისერტაციო მაცნეების) პირველი ფურცლების ფოტოებს თბილი წარწერების გამოც შევიტან ჩემს შუალედურ "ანგარიშში" :)

ფევზი ჩელების დაცვა წარმატებულად შედგა 2018 წლის 9 ივლისს.

წარმატებებს გისურვებთ ყველას; ფერადოვანი და ხანგრძლივად ზრდადი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრებისეული "ზოლი" ❤

10 ივლისი, 2018 წელი

## დაბოლება და წალეკვა

როცა დაბალია მდინარის კალაპოტი, მაღალია მდინარის გარეშემო სივრცის დაჭაობების ხარისხი.

რაიმე ან ვინმე თუ დაკეტავს მდინარის კალაპოტს, მოსალოდნელია სტიქია: დაგუბებული მდინარე დღეს თუ არა ხვალ გადმოხეთქავს: მოვარდნილი წყალი წალეკავს მდინარის გარეშემოს.

ჭაობიც და მოვარდნილი წყალიც (ცუნამის ალუზია) გარდაუვალი ხიფათის შემცველია; გარკვეული დანაკარგებით გადარჩენის შანსი, რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს.

**მდინარის კალაპოტის თემა ორი კუთხით შეიძლება განვაზოგადოთ:**

– ბავშვის მკაცრად თუ ლიბერალურად აღზრდა;

– სახელმწიფოს მმართველის დიქტატურა და მიშვებულობა.

**პირველი წახნაგი: აღზრდა**

**ზოგი მშობელი ბავშვს მკაცრად სთხოვს მისეული ორიენტირების მორჩილებას,** აგრესიულად ექცევა მცირედი გადახრის შემთხვევაშიც კი: მკაცრ ჩარჩოებში სვამს – არ აძლევს თავისუფალი აზროვნების, ქმედების საშუალებას.

**შედეგი:** ბავშვი ითმენს, მოზარდობაში იბოღმება და კომპლექსდება, ზრდასრულ ასაკში კი პატივს არ სცემს დამთრგუნავ მშობელს და, მეტწილად, ამოვარდება ხოლმე ნორმალური კალაპოტიდან – წალეკავს საკუთარ მომავალს.

**ზოგი მშობელი ბავშვს სრულ თავისუფლებას აძლევს,** ტრადიციულ თუ მისეულ ორიენტირებს საერთოდ არ ააზრებინებს, მის ყველა ხუშტურს ასრულებს.

**შედეგი:** "უკალაპოტოდ" აღზრდილ ადამიანს არ აქვს მყარი ორიენტირები, ფასეულობები. არის თავნება და, ხშირად, უნებისყოფოც; მოკლედ, "გირჩის" მაგალითზე ვიტყვი, სრულად თავისუფალია, მაგრამ საზოგადოებრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი ფასეულობები მისთვის მეორეხარისხოვანია; ასეთი სუბიექტი ვერ ეგუება სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ჩარჩოებს და ცდილობს, დაბოლილ ყოფიერებაში მოიპოვოს თავისუფლება; საბოლოო ჯამში – "ჭაობდება".

**ნიჭიერი ახალგაზრდების დაღუპვის სხვა გზაცაა – ბინძური პოლიტიკის შესაფუთად გამოყენება:**

1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლებაში გარედან დასმული კლანები ლეღვის ფოთლად იყენებენ არამხოლოდ ცნობილი საბჭოთა ინტელიგენტების დიდ ნაწილს (რომელსაც კაპიკებად ყიდულობენ!), არამედ ნიჭიერ ახალგაზრდებსაც. ამ ახალგაზრდებისგან ფაქტობრივად ახალ კომკავშირლებს ქმნიან და, საბოლოო ჯამში, რყვნიან – ქვეყანას უკარგავენ.

(ბოლო 25 წელიწადში რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა წამოიწია წინა პლანზე და უკვე ჩაიძირა ამა თუ იმ მამა-მარჩენალის უზნეობის გაზიარების გამო).

**მეორე წახნაგი: დიქტატურა და მიშვებულობა:**

ხელისუფლების ზეწოლა კალაპოტის დაგუბებას ჰგავს – შეკავებული მრისხანება უთუოდ გადმოხეთქავს და **წაილეკება საზოგადოება, მომავალი თაობა.**

ხელისუფლების მიშვებულობა სახელმწიფოში ქაოსს ქმნის და საზოგადოებას აჭაობებს. ჭაობში კი მხოლოდ ილიას ლუარსაბები და **დაბოლილები** (მარიხუანით, დემაგოგიით) გრძნობენ თავს კარგად.

20 სექტემბერი, 2018

## შველის ნუკრი

„შვლის ნუკრის ნაამბობთან" რომ არ ასოცირდეს ეს ტექსტი, ვწერ: „შველის ნუკრი", თუმცა მაინც იქნება რაღაც საერთო :).

ერთი სტუდენტი მყავს, ძალიან სათნო სულისა და სხარტი გონების; ამავე დროს – ძალიან ეროვნული, ძალიან პოეტური, ძალიან წესიერი, მაგრამ, ეჭვების გამო, ძალიან დამფრთხალი... მაფიქრებს თუ მაწუხებს ეს „დამფრთხალობა": შვილად მივიღე უკვე და მე გამოვდივარ მისი მამა „შველი". არ მინდა, შვილი გადამეჩეხოს.

ოდნავ განსხვავებული აზრის მოსმენისას ჩემი ახალი „ნუკრი" მტრად წარმოიდგენს ამ აზრის ავტორს; არადა, ზოგჯერ „დამნაშავე" შეიძლება მისი აღქმა იყოს მხოლოდ. არაიშვიათად, მართალიცაა მისი ეჭვი.

პრობლემას რაში ვხედავ? პრობლემა ისაა, რომ ეჭვით დამფრთხალი „ნუკრი" შეიძლება „მგლის

ლუკმა“ გახდეს: წესიერ ადამიანს ეჭვის გამო შეიძლება გაერიდოს და რეალურ შარს გადაეყაროს. **შევეცდები დავასაბუთო, რომ საფრთხე სერიოზულია.**

ეჭვი ნიჭის გამოხატულებაა (ნიჭი სამყაროს განსხვავებული აღქმაა!); უეჭვო ადამიანი ღვთის ბრიყვი შვილია; ეჭვიანი კი – ღვთის გონიერი შვილი. გონიერი შვილი შეიძლება უფრო მალე დაიღუპოს, თუკი ამპარტავნობით მკრეხელობაში ჩავარდება ან ეჭვის გამო ყველას ჩამოიშორებს და მარტოკაცად დარჩება. გონიერი შვილი შეიძლება ჭკვიან პიროვნებადაც აღიზარდოს (ყველა გონიერი არაა ჭკვიანი).

ერთი ახლო ნაცნობია – ნიჭიერი, მაგრამ ეჭვით დაავადებული. სუბიექტს მეგობარი არ ჰყავს (მე-გუებ-არ-ი – გულისა და გონების თანაზიარი): არავისთანაა გულახდილი, არავის ენდობა, გულწრფელად ვერავისთან მსჯელობს, ამიტომ ვერ აკონტროლებს თავის ქმედებას; გონივრულ დროს ვერასოდეს რისკავს, გრძელვადიან პერსპექტივაში სწორად კი ხედავს, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს და, საბოლოო ჯამში, ანადგურებს საკუთარ შესაძლებლობებს – ვერ არგია ერს, დიდად – ვერც მის პროფესიას(ლიტერატურათმცოდნეობას).

...ნუკრობის ასაკში კი არა, გონივრული დაეჭვება დიდობაშიც კარგია, თუკი ავადმყოფობად არ ჩამოყალიბდება; ჩემი ეს ნაცნობი, ალბათ, ეჭვიანი ნუკრი იყო, მერე ეჭვით დაავადდა უპატრონობის გამო და ბოლოს გამარტოკაცდა...

მამა, ზოგადად, მშობელი უნდა აკონტროლებდეს შვილის ფაქიზ სულს (ბავშვობაში ყველას სათნო სული გვაქვს). იმედგაცრუებული სათნოების მქონე ადამიანი ქმედებას ვერ იბალანსებს; დაუბალანსებელი ქმედებით კი ადამიანი ან ფიზიკურად გადაიჩეხება, ან – სულიერად. სულიერად გადაჩეხილი ან ხორციელად გამეძავდება, ან უარესი დაემართება – უეროვნულსულო დროიძე (მექრთამე) ჰომოსაპიენსად იქცევა. ეჭვით დაავადებული სიკვდილამდე გონიერი იქნება, მაგრამ ჭკვიანი – ვერ; ადამიანი, რომელიც სხვის რჩევას არ ენდობა, ანდა ყველაში ეჭვი შეაქვს, ურწმუნო მემარცხენეობაში ან მეორე უკიდურესობაში გადავარდება!

ნუკრი ეჭვით რომ არ დაავადდეს, აუცილებელია, „ვაშლის თეორია“ გაითვალისწინოს: ჭკვიანი დიასახლისი ვაშლს არ გადააგდებს მცირე ნაკლის გამო; ამ ნაკლს მოაშორებს; ნახევრად გაფუჭებულ ვაშლსაც კი არ გადააგდებს: მხოლოდ გაფუჭებულ ნაწილს მოაშორებს. აი, ნახევარზე მეტად თუ გაფუჭდა ვაშლი, ის უნდა მოაშორო სხვებს, რომ სხვებიც არ გააფუჭოს... ასეთი მიდგომის შემთხვევაში ბევრი ადამიანის რესურსის თანაზიარი გახდები და სხვებთან ერთად საერთო საქმეს განახორციელებ. ამ მიდგომის მთავარი პრინციპი: **უნაკლო ადამიანი არ არსებობს; პირის მცირე ნაკლმა მისი დიდი ღირსება არ უნდა დაგიფაროს და პირიქით; მცირე ღირსებამ** დიდი ნაკლი არ უნდა აგატანინოს: დიდი ნაკლის მქონე უთუოდ მოგიტანს შარს...

კარგი მამა (/მშობელი) ისაა, ვინც შვილში დააფასებს ეჭვად რეალიზებულ ნიჭს, მისცემს თავისუფალი აზროვნების საშუალებას, მაგრამ დააზღვევს მას, რომ ყველაფრის უარმყოფელ ეჭვიანად არ ჩამოყალიბდეს და ამ გზით ნარცისულ ამპარტავნობაში არ ჩავარდეს, ანდა, ეჭვით მფრთხალობის გამო მარტოობაში არ გადაიჩეხოს.

...ნაწერს უფრო კარგად იაზრებს ადამიანი, ვიდრე – ნათქვამს: ჩემი ახალი ნუკრი რომ დავაზღვიო დაუბალანსებელი ეჭვებისაგან, ამიტომ დავწერე ეს „ჩანახატი“ (რავი, იქნებ სხვასაც გამოადგეს). მინდა, ის ფრთხილი იყოს და არა – მფრთხალი; მინდა ბრმად არ მიიღოს სხვისი აზრი და სხვის აღქმაში გონივრული ეჭვი შეიტანოს; მინდა სამყარო განსხვავებულად აღიქვას, მაგრამ სადაც ნათელია, იქ ეჭვით არ იბოდიალოს; ამ ბოდიალში დრო, რაც მთავარია, საკუთარი სასიცოცხლო ენერგია არ გაფლანგოს.

**P.S.** მინდა იცოდე: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმის წარმატება არ მოდის ეჭვებში განმხოლოებით; დიდი წარმატება მიიღწევა მხოლოდ პოზიტიურად აღქმული საღი ადამიანების ერთობით. მცირე ზღვარია ეჭვით დაავადებულის აღქმასა და გარესამყაროს ნიჭიერად აღქმას შორის, მაგრამ დიდი განსხვავებაა მათ მსოფლაღქმებს შორის :)

2 მარტი, 2019

## ნეოლიბერალიზმის მანკიერება

ქართველ გამომცემელთა ნაწილი თარგმნის ისეთ ავტორებს, რომლებიც ნატურალურად აღწერენ ადამიანის მანკიერ წახნაგებს; ინტერნეტმომხმარებელი უთუოდ წააწყდებოდა, მაგ., ფრედერიკ ბეგბედერის მოთხრობების კრებულს: "ექსტაზი: კაიფში დაწერილი ნოველები"; ტირაჟირებად არ მინდა ჩამეთვალოს, მაგრამ სანიმუშოდ დავიმოწმებ ერთ გვერდს ერთი „ნოველიდან" (https://www.docdroid.net/qPrX68C/begbederi-ekstazi.pdf#page=17):

ახალგაზრდის ცნობიერებას რამდენად განავითარებს ასეთი ტექსტი? ვფიქრობ, **ასეთი მწერლური "სიღრმე" პირუტყვული ინსტინქტების სტიმულირებაა და უღირსებო ადამიანის ფორმირებას უწყობს ხელს.**

ჩემი აზრით, ნამდვილი მწერალი ისე უნდა წერდეს, რომ:

– მკითხველმა საკუთარ თავში დახვეწოს ადამიანური (ამაღლებული) სიყვარული (რომელსაც ვნებაც ახლავს), სხვა განცდები და გაიმრავალწახნაგოვნოს სამყაროს მსოფლაღქმა; საკუთარი იდენტობა გაიაზროს სინტაგმატურ პარადიგმაში;

– პიროვნებამ საკუთარი მე გაიაზროს გარეშემო ველის ცვლილების პირობებში (რომ დაძლიოს "გულივერის სინდრომი" (თუ "გულივერის კომპლექსი", როგორც დიტო ნადირაშვილი ამბობს);

– სახელმწიფოს მოქალაქემ გაიაზროს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსება და სხვ.

დღეს ჭრელია ლიტერატურული ნაკადები; ყველა ვხედავთ, რომ საქართველოში ტელეეკრანებიდან უფრო ჩანან ისინი, ვინც საბჭოთა (კომუნისტური) პერიოდის „უსექსობიდან" პოსტსაბჭოთა პერიოდში გადავარდნენ მეორე უკიდურესობაში: ცდილობენ, წინა პლანზე გამოიტანონ პორნოაღწერები და ნარკომანიითა თუ ლოთობით დარღვეული მახინჯი ფსიქიკის ნაცოდვილარი. რომელიმე გულუბრყვილო, ალბათ, ფიქრობს, რომ ცხოველურმა პორნოგრაფიამ თუ ნარკომანის მახინჯი ფსიქიკის ჩვენებამ მოზარდებში შეიძლება წარმოშვას პროტესტი ნარკომანიისა თუ ადამიანური სიყვარულის ვულგარული გააზრების წინააღმდეგ... სინამდვილეში მთავარი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები –15-17 წლის ასაკის ნინველთა (ტინეიჯერთა) უდიდესი ნაწილი – ისედაც ცხოველი ფანტაზიით აღიქვამს პოტენციურ სექსუალურ პარტნიორს; შესამისად, ბეგბედერის მსგავსი ავტორები უფრო პირუტყვული ინსტინქტების რეალიზებას უწყობენ ხელს, ვიდრე – ადამიანურ სიყვარულს. პირუტყვული ინსტინქტების სტიმულირება (უკვე მოძველებული პოსტმოდერნისტული მწერლობისა თუ ფსევდოლიბერალიზმის მანკიერი მხარე!) კი ხელს უწყობს **უღირსებო ადამიანის ფორმირებას...** ღრმა პროვინციალიზმია ამგვარი მდარე "მოტივების" პროპაგანდით ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლა.

დასაფიქრებელია სხვა მომენტიც: **მწერლებისა თუ პოლიტიკოსების მიერ „ნეოლიბერალური" ნატურალიზმის ულოგიკო გაფეტიშება** (დასავლეთში გაცილებით ღირებული ბევრი სხვა მიმდინარეობებია) **თუ ქართველი ფსევდოლიბერალების მიერ წმიდა თამარ მეფის, ილიასა თუ კონსტანტინე გამსახურდიას ორიენტირების** (ზოგადად, ქართული ეროვნული ფასეულობებისა თუ მარკერების) **შეურაცხყოფა, საბოლოო ჯამში, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აუცხოვებს დასავლეთს და, შესაბამისად, ხელს უწყობს პუტინ-დუგინის პრორუსულ იმპერიულ პროპაგანდას.**

7 აპრილი, 2019

## შოთიკო და მაია <3 <3

შოთიკო ხორავამ დაწერა ასეთი ლექსი (და გამოაქვეყნა ფეისბუკის კედელზე):

– საქართველოს ძლიერება ვინ წაართვა, ძამიკო?

– საქართველოს ძლიერება ჩვენ წავართვით, ძამიკო.

– საქართველო სულიერად ვინ გახლიჩა, ვინ გაყო?

– საქართველო სულიერად ჩვენ გავხლიჩეთ, ძამიკო.

შურმა, ზიზღმა, პირფერობამ

სულ მთლად მოგვსპო, დაგვამხო!!
– საქართველოს მტერი მხოლოდ ჩვენ ვყოფილვართ, ძამიკო?!
– რა თქმა უნდა! პირველობამ სასირცხვილოდ დაგვიპყრო!
– ვაი ჩვენ თავს, ვუი ჩვენ თავს!
რა გვიქნია, ძამიკო!
– ახლა მოთქმა გვიან არის,
უკვე რუსმაც დაგვიპყრო!
– გვეშველება აწი რამე, გვეშველება, ძამიკო?
– ვგონებ, კიდევ დაგვრჩა შანსი,
ერთი შანსი, ძამიკო!
– "ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ"
– ამის მთქმელი რა გამოდის, რა გამოდის, ძამიკო?!
– ეგ არ ვიცი. თქმა რთულია,
აქ შევჩერდეთ, ძამიკო!

**შოთიკო ხორავას ამ კარგ ლექსს მე კრიტიკულად ასე ვუპასუხე:**

**ტარიელ ფუტკარაძე:**

– გარეშე მტერიც არ დაგვავიწყდეს. ილიას მკვლელობის გამო აკაკის ფრაზა (არ გავიმეორებ!) გაუმართლებელია, ვინაიდან საქართველო არის აიეტიც, ქუჯიც, გორგასალიც, აღმაშენებელიც, ცოტნე დადიანიც, ილიაც, აკაკიც... ილიას მკვლელობის დროინდელი საქართველოც კი არაა გასალანძღი; ცალკეული მოღალატეები თუ მკვლელები ყველა ერს ჰყავს ყველა დროში.

**ჩემმა სხვა შესანიშნავმა სტუდენტმა მაიკო ქავთარაძემ გარკვეულწილად დაიცვა შოთიკო და ასე მიპასუხა:**

**მაიკო ქავთარაძე:**

– გეთანხმებით, ბატონო ტარიელ, მაგრამ ვერ უარვყოფთ ცალკეული მტრებისა და მკვლელების სიმრავლეს, ერთიანობისა და ერთად ბრძოლის განცდაც გვაკლია.

**ვაგრძელებ დიალოგს:**

**ტარიელ ფუტკარაძე:**

– მაიკო, ჩემი ნაწერიდან ჩანს, რომ მე უარვყოფ მკვლელთა, მოღალატეთა თუ შინაგამცემთა არსებობას? ღალატი ზოგადად ადამიანის ბუნების ნაწილია და არა – მხოლოდ ქართველი ადამიანის. არაერთხელ მითქვამს თქვენთანაც: სამყაროში პირველად ორი შვილი რომ გაჩნდა: აბელი და კაენი, კაენმა აბელი მოკლა. ეს ბიბლიური შიფროგრამა მეტყველებს, რომ ოდითგანვე **ადამიანის მახასიათებელია:** ერთი მხრივ – ღალატი, ბოღმა, შური, სიმხდალე, მკვლელობა... მეორე მხრივ – უფლისა და სამშობლოსადმი ერთგულება, მიმტევებლობა, უშურველობა, სიკეთე, თავგანწირვა, ვაჟკაცობა... შესაბამისად, მთავარია ვისთან ახდენ იდენტიფიცირებას: ჩვენს შემთხვევაში არსებითია, რას გულისხმობს პოეტი სიტყვაფორმა "ჩვენ"-ში.

ილიამაც დაწერა: "ბედნიერი ერი" და მე არ ვეთანხმები, რადგან ტერმინი "ერი" მოიცავს ყველა თაობას და არა მხოლოდ – მოცემულ თაობას. ჩემთვის შესიტყვება: "ქართველი ერი" გულისხმობს აიეტიდან დღემდე და დღეიდან საუკუნოდ არსებულ (რომ იარსებებს) მომავალ თაობებს. ამ გაგებით ჩვენი გმირი ერი, ნამდვილად არ არის არც ილიასებურად "ბედნიერი" და არც აკაკისებურად "ფურთხის ღირსი" საქართველოს პატრონი.

ჩვენს დიდ მამებს – ილიას თუ აკაკის – შეიძლება გაბრაზებამ და თავისი თაობის თუ მომავალი თაობის აღზრდის სურვილმა ათქმევინა ეს ფრაზები, მაგრამ ამ სახიფათო ფრაზების ხშირი გამეორებით ჩვენს თაობაში თუ მომავალ თაობებში **ეროვნული ნიჰილიზმი არ უნდა გამოვიწვიოთ!** ეროვნული ნიჰილიზმი ის საშინელი ჭიაა, რომელიც ჩვენს ერს შიგნიდან გამოხრავს. ჩვენი დამპყრობლები, განსაკუთრებით, რუსები სწორედ ეროვნულ ნიჰილიზმს ნერგავდნენ და ახლაც ნერგავენ ჩვენში.

თქვენ არა, მაგრამ ზოგი საგანგებოდ ცდილობს, ქართველებს დაგვაჯეროს, რომ ქართველები

ვართ ცუდები, ბერბიჭაშვილები, მეძავები, მოღალატეები... მტერი ამას აკეთებს იმიტომ, რომ ნიჰილიზმის ჭია შეგვიძვრეს სულში, რომელიც შიგნიდან გამოგვხრავს და მერე გარე მტერი იოლად დაეპატრონება ღვთივკურთხეულ ჩვენს მიწა-წყალს. რა თქმა უნდა, მეც ვთვლი, რომ აუცილებელია თვითშეძახილი ("მკვახე შეძახილი"), რომ არ მოვდუნდეთ, ჩვენში სიზარმაცემ ან უფრო უარესმა – თვითკმაყოფილებამ, ან უფრო საშინელმა – კაენიზმმა (შურის ნაშობმა ბოროტქმედებამ) არ იძალოს, მაგრამ თვითიდენტიფიკაცია არ უნდა მოვახდინოთ ბერბიჭაშვილთან, ჟვანიასთან, ყორღანაშვილთან...

მე სასტიკად არ მომწონს, როცა ადამიანები თვითიდენტიფიცირებას ახდენენ სატანასთან და არა – უფალთან; იუდასთან და არა – ქრისტესთან, ბერბიჭაშვილთან და არა – ილიასთან, აშორდიასთან და არა – ამბროსი ხელაიასთან და ა.შ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ფრაზა "ჩვენ მოვკალით ილია" სატანასთან, იუდასთან თვითიდენტიფიკაციაა, რბილად თუ ვიტყვით: გაუმართლებელი თვითგვემაა!

პირადად, მე ვფიქრობ, რომ სამყაროში ორი ადამიანური კალაპოტია: აბელური და კაენური.

ორივეს პერსპექტივა ჩვენშია – ადამიანშია; ამიტომ თითოეულმა ადამიანმა თვითიდენტიფიკაცია უნდა მოვახდინოთ აბელთან და არა – კაენთან; ილიასთან და არა – ბერბიჭაშვილთან...შესაბამისად,უნდავესწრაფოთ,რომჩვენშიდავძლიოთშური,ბოღმა,ღალატი... პარალელურად, ვიყოთ ძლიერები (ცოდნით, აზროვნებით...) რომ კაენს არ მოვეკვლევინოთ, აბელის კალაპოტში ცოცხლები გადავრჩეთ და ვემსახუროთ უფალს, სამშობლოს, მოყვასს.

მაიკო, შოთიკოც და შენც გამორჩეული ადამიანები ხართ, დიდებული ქართველები ხართ, მაგრამ თვითგვემით არ უნდა დაკავდეთ: ეროვნული და ადამიანური ღირსების განცდით აღვსილებმა დიდი საქმეები უნდა აკეთოთ. თქვენში კაენური კვალიც კი აღარ ჩანს, უკვე ისეთი ძლიერი "აბელები" ხართ! მიღებული ცოდნისა თუ ინტუიციის გამო უკვე დაძლეული გაქვთ კაენურ-აშორდიულ-ლუარსაბული დაბრკოლებები... **ამიტომ გავაპროტესტე** სიტყვა-ფორმა „ჩვენ" შოთიკოს შემდეგ ფრაზაში: "საქართველოს ძლიერება ჩვენ წავართვით, ძამიკო!"

– "ჩვენ" – არა! ჩვენს მტერს დაეხმარა მოღალატე ცქირ-ყორღანაშვილ-ბერბიჭაშვილ-ჟვანია; ზოგჯერ, უნებლიეთ, სიბრიყვის გამო – გუგუა ფიჩიტაურიც... **და მათი დახმარებით ჩვენ გვესროლეს, დაგვაზარალეს... პუტჩი მოგვიწყეს, ენა დაგვინაწევრეს, სამშობლოს ოკუპაცია-ანექსია მოგვიხდინეს... ზოგი ჩვენგანი მოკლეს კიდეც! ანუ: ილია ჩვენ კი არ მოვკალით, ილიას მკვლელობით ჩვენ – ქართველები მოგვკლეს! მკვლელსა და მოღალატეს მეობა არა აქვს, იდენტობა არა აქვს, ეროვნება არა აქვს!**

სიტყვა-ფორმა "ჩვენში": იუდასთან კი არ უნდა გავაიგივოთ საკუთარი მე, არამედ ქრისტესთან, ქრისტეს მოწაფეებთან, ქუჯისთან, ფარნავაზთან, გორგასალთან, ცოტნე დადიანთან, დავით აღმაშენებელთან... გავაიგივოთ არ ნიშნავს გავუტოლოთ: ორიენტირად დასახვას ვგულისხმობ.

მოკლედ, სიტყვა-ფორმა "ჩვენ" ჩვენ მიერ თუკი გააზრებული იქნება სწორ ორიენტირებთან და ვივლით ამ ორიენტირებისკენ, ამ ორიენტირებთან ერთად ვიბრძოლებთ ამ ორიენტირებისათვის, ჩვენ გადავრჩებით. თუკი ჩვენ თავს გავაიგივებთ მოღალატეებთან, თვითგვემაში დავხარჯავთ დროს, ნიჰილიზმში ჩავაგდებთ თანამოძმეებს და საქმეს ვეღარ გავაკეთებთ: ღირსებასა თუ სამშობლოს ვეღარ ვუშველით.

"საქართველოს ძლიერება ჩვენ წავართვით, ძამიკო"... **დიდი ტკივილით წერს შოთიკო.**

– არა, შოთა, საქართველოს ძლიერება დროებით დასცა გარე მტერმა მოღალატეთა და ზარმაც ქართველთა გამოყენებით. ჩვენ კი ვალდებული ვართ, თავი გავაიგივოთ აფსირტეს, ვატხანგ გორგასლის, აშოტ კუროპალატის, ილიას, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას ღირსების დამცველებთან და არა – მათ მკვლელებთან.

**შოთა წერს:** "საქართველო სულიერად ჩვენ გავხლიჩეთ, ძამიკო". – არა, შოთა, საქართველო სულიერად ჩვენ (ქართველებს) არ გაგვიხლეჩია; საქართველოს დიდად ავნეს ჩვენს გვერდით არსებულმა ჩვენი სისხლის კაენებმა; შესაბამისად, აუცილებელია, გააცნობიერო შენს გვერდით არსებული კაენი, რომ არ მოგკლას, არ დაგაბრკოლოს! უნდა შეეცადო, გამოასწორო კაენის გზაზე დამდგარი; შეეცადე, კეთილგანწყობით ამხილო მოყვასი, მაგრამ თუ ვერაფერს გახდი, ბოლომდე უნდა ამხილო კაენი...

ზვიად გამსახურდიაც ასე გვასწავლის: ჩვენ ისე უნდა დავამარცხოთ ჩვენი გაორგულებული

მოყვასი, მტრად ქცეული მოძმე, რომ მანაც ჩვენთან ერთად გაიმარჯვოს... ეს ქრისტიანული ფილოსოფიაა, პირადად, ჩემი სამოქმედო გეგმა: თავს არასოდეს ვაიგივებ კაენებთან, ვცდილობ მათ დავანახო სწორი კალაპოტი, მაგრამ თუ ამას ვერ ვახერხებ, კაენს ვემიჯნები, ვამხელ, რომ ჩემი დროის ყორღანაშვილ-აშორდიამ სხვა არ დააბრკოლოს, სხვა არ მიიმხროს და უფრო დიდი ღალატი არ ჩაიდინოს.

ასე რომ, **შოთას კითხვაზე:** „საქართველოს მტერი მხოლოდ ჩვენ ვყოფილვართ, ძამიკო?!“ ჩემი პასუხია: – არა, ძამიკო! ჩვენ არ ვართ საქართველოს მტრები; ჩვენ თავად ვართ საქართველო, მტერი კი ბევრია, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენს წიაღში შობილი ზოგი ყოფილი ქართველი (სატანა – ყოფილი ანგელოზი!) ეხმარება, ზოგი – გუგუა ფიჩიტაურივით, მისდა უნებურად!

აქვეა ჩემი პასუხი შოთიკოს სხვა კითხვაზეც: „გვეშველება აწი რამე, გვეშველება, ძამიკო?“

– რა თქმა უნდა, ძამიკო! ბევრჯერ გვქონია საფრთხე, ბევრჯერ ყოფილა ღალატი, მაგრამ სწორი თვითიდენტიფიკაციის მეოხებით, ბრძოლით, თავგანწირვით, სწორი ორიენტირებით ჩვენ (!) დაგვიღწევია თავი უარესი საფრთხისათვის; ასე რომ, “კიდევ დაგვრჩა შანსი, ძამიკო!“ მთავარია, სწორად გავიაზროთ ნაცვალსახელი “ჩვენ” და ნათლად დავინახოთ სწორი ორიენტირები!

ორიენტირები საქართველოს ცაზე კარგად კიაფობს; “ჩვენის” და “ჩვენიანის” გაცნობიერებაც არაა რთული; მთავარია სწორად ვიაზროვნოთ, სწორი ინფორმაცია გვქონდეს, ფართო ცოდნა გვქონდეს, საბრძოლო განწყობა გვქონდეს და ვიმოქმედოთ (არ ვიზარმაცოთ!)!

ასეთ შემთხვევაში, მაიკო, “ერთიანობისა და ერთად ბრძოლის” ბედნიერებაც მოვა და ამჟამინდელ კრიზისსაც გადავლახავთ; მით უმეტეს, ცივილიზებული მსოფლიო ჩვენს მხარეზეა და არა – რუსი დამპყრობლებისა.

**P.S.** დილა მშვიდობისა, ვფიქრობ, იმდენი კარგი ახალგაზრდაა ჩემ გარშემო, რომ საქართველოსათვის ნამდვილად იწყება ახალი ერა: დიდი გაერთიანების, მომხდური მტრისადმი შეუპოვარი წინააღმდეგობისა და ქართველი ერის გამარჯვების ერა!

8 ივნისი, 2019

## “ის ურჩევნია მამულსა”...

(კომენტარი ფოტოზე)

ფოტო ასახავს 2019 წლის 21 ივნისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გამართული სტუდენტთა პოლიტიკური აქციის სულისკვეთებას. აქციაზე გამოტანილ მთავარ “ლოზუნგში” გაპროტესტებულია არა მშობლების თავგანწირული ბრძოლა, არამედ 9-პარტიაგამონაცვალი თუ სამკაციანი პარტიების ამჟამინდელი “პოლიტელიტის” წევრები!

მე მახარებს ეს ახალგაზრდობა: “ის ურჩევნია მამულსა”... რომ შვილმა ახალ დროში ღირსეულად და უფრო წარმატებულად გააგრძელოს წინა თაობების გზა.

ჩემი თაობის ენერგიამ – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ – შეძლო ბოლომდე ებრძოლა 1989 წლის 9 აპრილს და მიაღწია დიდებულ შედეგს – 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებას – საუკუნო დეზორიენტირებიდან გამოიყვანა ქართველი ერი.

პირადად, მე ბედნიერი ვარ, რომ როგორც დეპუტატმა, ხელი მოვაწერე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს 1991 წლის 9 აპრილს. 1992-93 წლებში ჩვენი ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხო რუსეთმა ადგილობრივი კოლაბორაციონისტების გამოყენებით. ჩვენ არავისთვის გადაგვიცია სამართალმემკვიდრეობა! ამ სამართალმემკვიდრეობას ჯანსაღ თაობას ვუნახავთ!

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლების დამამხობელი კოლა-ბორაციონისტები დღემდე არიან ქართულ პოლიტიკაში: იცვლიან “ფერს”, “ორიენტაციას” და

ინარჩუნებენ ძალაუფლებას, გვევლინებიან რა სხვადასხვა ფსევდოპარტიებად. შედეგად, ბევრი სუფთა სულის ადამიანი ბრკოლდებოდა და პოლიტიკას არ ეკარებოდა; ამიტომ ჩამოყალიბდა ასეთი უღირსი პოლიტიკური სპექტრი და მათდამი უნდობლობაც ბუნებრივია. გამოცდილ პოლიტიკურ ქამელეონთა მიერ დღეს აღარ ტყუვდება ჩვენი ახალგაზრდობა. ვხედავ, ამჟამინდელი ახალი თაობის ხედვა მკაფიოა და შორსმჭვრეტელური. სამ უნივერსიტეტში ვასწავლი სამი ათეული წელია და თვალნათლივ ვხედავ: საუკეთესო ახალგაზრდობა გვყავს! ბევრ სტუდენტს ვიცნობ, რომლებსაც:

1. აქვს საკუთარი ეროვნული ფესვების ცინცხალი შეგრძნება (უსუსური და არასანდოა უფესვო ადამიანი); იცის, რომ ჩვენი გმირული ისტორია აიეტის სახელიდან იწყება, გამსახურდიების "კოლხური კოშკით" გრძელდება და კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს;
2. აქვს საკუთარი ეთნიკური თუ პიროვნული მეობის (იდენტობის) აღქმა საერთაშორისო განზომილებით (საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდას არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა!);
3. აქვს წინაპრებისეული ნიჭი, კულტურა და შესაბამისი ღირსება (როგორც ყველა თაობის ქართველს);
4. აქვს ჩემს თაობაზე უკეთესი განათლების პერსპექტივა;
5. აქვს წინაპრებისა თუ მშობლების მებრძოლი ხასიათი და ვაჟკაცობა!
6. აქვს მეტი პრაგმატიზმი, რომელიც აარჩევინებს მშვიდობიან, ინტელექტუალურ ბრძოლას და გადაულახავ პრობლემას სასიკვდილოდ ნაკლებად შეაჯახებს (რისკი ყველა თაობას მოუწევს) – დაუბალანსებელი რომანტიზმით არ გადაიჩეხება;
7. აქვს რეალური დროის აღქმის უნარი და ამავე დროს, იცის დროის ფასი...

ამ მონაცემების მქონე შვილი რატომ არ უნდა იყო ჩემზე წარმატებულიც და, ზოგადად,საუკეთესოც მსოფლიოს მასშტაბით?!

22 ივნისი, 2019

## ცხოვრებისეული ფილოსოფია

**ახალგაზრდა (მე):** ჩემი მიზანია, ვიყო ბედნიერი;

**ასაკოვანი (ბაბუაჩემი):** ახლაც ბედნიერი ხარ! ისე, ზოგადად, ბედნიერება დროში ცვლადი მდგომარეობაა. დროს მხოლოდ ნათელი მიზანი უძლებს. ბედნიერებას შეინარჩუნებ, თუკი სწორი მიზნისკენ ივლი.

წარმატება, გამარჯვება მომენტობრივი სიხარულია; წარმატებას წარუმატებლობაც მოჰყვება, გამარჯვებას – დამარცხება, მაგრამ მართალი გზით სიარული მუდმივი სიხარულია, მუდმივი გამარჯვებაა დამარცხების შემთხვევაშიც კი...

19 აპრილი, 2020

## ეროვნული უკვდავების "წამალი"

2020 წლის 10-13 ივლისი:
ბარისახო, კორშა, ქობულო.
შვილს წინაპრების გზა თუ არ გააცნობიერებინე, შენს კვალს ვერ გააგრძელებს.
ექსპედიცია საამისოდ შეუცვლელი "პრაქტიკაა".

11 ივლისი, 2020

## პირადი მაგალითი

აღზრდის პროცესში შეგონება-დარიგებაზე ათასჯერ მეტ შედეგს გვაძლევს პირადი მაგალითი. პოლიტიკოსთა თუ ჟურნალისტთა (+რესპონდენტთა) არასწორი თუ აგრესიული ქცევა შხამავს, წამლავს, ააგრესიულებს მომავალ თაობას და უკანონობისაკენ უბიძგებს.

30 წელია ასეა.

საბედნიეროდ, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ერის ღირსებები ბევრ ოჯახშია დაცული და ოჯახურ ტრადიციებს მეტწილად ვერ თრგუნავს ტელევიზორებიდან თუ სოციალური ქსელიდან წამოსული აგრესია.

13 ნოემბერი, 2020

# 1.1.4. ირანის და თურქეთის ქართველები

## საიდ მულიანი და ფევზი ჩელები

საიდ მულიანი – მსოფლიოში ერთადერთი ქართველი პროფესორი, რომელიც დაიბადა ირანში, ფერეიდანში; მან იაკობ გოგებაშვილის მიხედვით შექმნა „დედაენა“ ფერეიდნელი ქართველებისთვის; საიდ მულიანს ეკუთვნის სიტყვები: „ადამიანებს სხვადასხვა სახის ოცნებები აქვთ: ზოგს სახლი უნდა, ზოგს – მანქანა, ზოგს – სამსახური... ჩემი ოცნებაა ქართველი ერი იყოს კარგად“.

...საიდის 8 წლის შვილმა – ტარიელმა – ირანიდან მოიწერა: „მე არ მეუბნებოდნენ, მაგრამ ვიცოდი, რატომ ტიროდა მამაჩემი 2008 წლის აგვისტოში“.

(კომენტარი ფოტოზე)

ჩემთან ერთად არიან: ირანის მოქალაქე დიდებული ქართველი – საიდ მულიანი და თურქეთის მოქალაქე დიდებული ქართველი – ფევზი ჩელები. ამ ადამიანების საშუალებით უნდა აიგოს მყარი ხიდი სახელმწიფოებს შორის!



9-12 დეკემბერი, 2011

## აბულყასიმ აჰმადი: „მთელი ცხოვრება მესიზმრებოდა, რომ საქართველოში ვარ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის – ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა – მეუფე იაკობმა (იაკობაშვილი) უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის შექმნა „ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი საზაფხულო ქართველოლოგიური სკოლა“.

ქართველოლოგიური სკოლის პირველი მსმენელები არიან ფერეიდნელი ქართველები; კერძოდ: საიდ მულიანი (მოლაშვილი), ალი ჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი), ჰამიდ გუგუნანი

(გუგუნაშვილი), მანსურ ყალაინი (ყაფლანაშვილი), ეჰსან ყალანი (ყაფლანაშვილი), იმან ალაჰ ყალანი (ყაფლანაშვილი), ამინ ნაგელიანი, ფარდინ მულიანი (მოლაშვილი), ომიდ შაისთე, ელნაზ რაჰიმი (დავითაშვილი), მითრა რაჰიმი (დავითაშვილი), სარა გორჯი, ფაჰიმეჰ რეზვანი (ბათუაშვილი), ელაჰე ჯადიდი (ჯუვითაშვილი), აბულყასემ აჰმადი, მოჰესნ აქბარი, ჰოჯათოლაჰ ხუციანი (ხუციშვილი), ზოჰრეჰ მიქელანი (მიქელაძე).

ქართველოლოგიური სკოლის მსმენელებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართული ფოლკლორის, ქართული ხელნაწერებისა და საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობის შესახებ ლექციებს უკითხავენ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები.

400წლისწინსაქართველოდანიძულებითგასახლებულიქართველებისშთამომავალთაემოციას ფერეიდნულ კილოზე რომ ვისმენ, დიდი ტკივილის განცდა სიამაყედ ტრანსფორმირდება... ასწლეულების წინ დედაენას მოწყვეტილი და ფერეიდნულ კილოდ ჩამოყალიბებული მეტყველება რთული გასაგები იქნება აქაური ქართველისთვის, ამიტომ სალიტერატურო ქართულით მოგაწვდით ფერეიდნელი ძმების რამდენიმე ფრაზას:

**ალიჰოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი):** პირველად 21 წლის წინ ჩამოვედი ცოლ-შვილით; მეუბნებოდნენ, სად მიდიხარ, იქ ომია და ცოლ-შვილიანად გაწყდებითო! მე ვეუბნებოდი: თუ ჩემი ძმები გაწყდებიან, მეც მოვკვდე-მეთქი... რანაირი პრობლემაც არ უნდა ჰქონდეს, საქართველო ჩემი სამშობლოა და მიყვარს... ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვი: ისპაჰანში ვცხოვრობ, ჩემს სოფლამდე – მარტყოფამდე მანქანით 2 საათის გზაა; სოფელში რომ ავდივარ, ძალიან ვიღლები. თბილისში რომ მოვდივარ ხოლმე, დღე-ღამეა გზაში ვარ და, გეფიცები, არ ვიღლები! არ ვიღლები იმიტომ, რომ სამშობლოში – საქართველოში მოვდივარ.

**აბულყასიმ აჰმადი:** მე 40 წლის კაცი ვარ და პირველად ვარ საქართველოში; მთელი ცხოვრება მესიზმრებოდა, რომ საქართველოში ვარ; გავიღვიძებდი, რომ ისევ ირანში ვარ... გული მწყდებოდა. ახლა აღარ ვარ სიზმარში და მიხარია... მე ფერეიდანში ქართულ ანდაზებს ვაგროვებ; ზოგს გეტყვით ახლა: "ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა კი ძმობა"; "ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერ"; "მზე ქვეყანას ათბობს და მეგობრობა გულსაო"; "თევზი წყალში არ დაფასდება"; "მელა კვდებოდა და საქათმეში დამმარხეთო"; "ფური მოკვდა, ხანულობა გადავარდაო"...

**ოჯათ ხუციანი (ხუციშვილი):** პირველად ვარ საქართველოში; ჩვენ ცოცხალი საბუთები ვართ ირანში ქართველობის არსებობისა. ქართველები ავღანეთშიც ყოფილან, მაგრამ ახლა აღარ არიან; ჩვენ ვართ დავიქნებით... ვიცი, რომ ჩვენ, ქართველებს, დიდი სახელმწიფო გვქონია... საქართველოს გარეთაც ბევრი გვიბრძოლია, მაგალითად, ინგლისელებისგან და პორტუგალიელებისგან ირანმა სპარსეთის ყურე ქართველების აქტიური მონაწილეობით გაათავისუფლა; ამ ბრძოლებს მეთაურობდა ქართველი იმამ ყული-ხანი (უნდილაძე) – ალევერდი-ხან უნდილაძის შვილი...

**ჰამიდ გუგუნანი** (გუგუნაშვული): საერთაშორისო ენებიდან ახალი სიტყვები სპარსულ ენაშიც შემოდის, მაგრამ ირანში არის "სპარსული ენის სამეცნიერო კომისია", რომელიც უცხოურ სიტყვებს ცვლის სპარსული ვარიანტებით, მაგ., "კომპიუტერი" სპარსულში არ დაამკვიდრეს და მას დაარქვეს "რაიანი"; ეს სიტყვა მომდინარეობს ძველი სპარსულიდან "რაი") და ნიშნავს "გონიერს", "მრჩეველს", "ჭკვიანს"; "რაიანი" შეიძლება ითარგმნოს როგორც "მრჩეველი", "ამბის მომტანი", "მოამბე"...

საქართველოში ირანის სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნ მაჯიდ საბეღმა 2012 წლის 9 ივლისს საელჩოში მიიწვია ფერეიდნელი ქართველები და მათი მასპინძლები; **ქართული უნივერსიტეტის** მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის კანცლერი თამაზ ვაჩაძე, აკადემიური საბჭოს წარმომადგენელი გია ალიბეგაშვილი, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსი ქეთი გაბუნია და ამ სტრიქონების ავტორი.

ორსაათიანი შეხვედრა ორიგინალურად წარიმართა; საინტერესო დიალოგებს აკადემიურად თარგმნიდა პროფესორი ალექსანდრე ჭულუხაძე. ელჩთან დიალოგში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფერეიდნელ სტუმართა ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც ელჩს სთხოვეს, რომ ირანში მეტი ყურადღება მიექცეს ქართველოლოგიის განვითარებას.

ირანის ელჩთან – ბ-ნ მაჯიდ საბეღთან, საელჩოს კულტურის ატაშესთან – ბ-ნ ეხსან ხაზაისთან და საელჩოს სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრის სულისკვეთებას გამომსვლელთა რამდენიმე

ფრაზით წარმოვადგენთ:

– ფერეიდნელი ქართველები ქმნიან ქართველი და ირანელი ხალხების დამაკავშირებელ მყარ ხიდს;

– მეგობრობის მსურველებმა აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმ წახნაგებზე, რომლებიც გვაერთიანებს და არა იმაზე, რომელიც ერთმანეთს გვაშორებს;

– თანამედროვე გლობალისტურ სამყაროში დედაენის გადარჩენით ეთნიკური და ეროვნული ფესვები გადარჩება; ფერეიდნელი ქართველები ირანის სახელმწიფოს დიდი პატრიოტები არიან და, ამავე დროს, თვალისჩინივით უფრთხილდებიან თავიანთ ეროვნულ სიამაყეს – ქართულ ენას...

ქართველოლოგიის სკოლის მსმენელები ლექციების მოსმენის პარალელურად მოინახულებენ მრავალი თაობის სანუკვარ ადგილებსაც, რომლებიც 400 წლის წინ დატოვეს მათმა თვალცრემლიანმა წინაპრებმა...

11 ივლისი, 2012

## იმედია, ქართული ენის ტაოურ დიალექტს ყველა გაიგებთ

იუსუფელის (ტაო) რაიონის სოფელი ქობაი /ქობაქი/.

ავტოქთონი ქართველებით დასახლებული ამ ძირძველი სოფლის ცენტრში შეკრებილი საზოგადოება ამბობს, რომ სურს ისწავლოს დედაენა – ქართული სამწიგნობრო ენა/კულტურა, რომ თავისი ქართველობა არ დაივიწყოს...

რესპონდენტი ამბობს, რომ თურქეთის მთავრობისგან კმაყოფილნი არიან, იმიტომ რომ ცხოვრების კარგი პირობები აქვთ, თუმცა, მათ აკლიათ მთავარი – დედაენის შესწავლის შესაძლებლობა.

გვთხოვენ, ამ საქმეში დახმარება გავუწიოთ

12 სექტემბერი, 2013

## ჯუნეით დიასამიძე იშვიათი ქართველია

შუა თურქეთში (იზმითში) მცხოვრები ეს მუსლიმანი ქართველი, მუჰაჯირი აჭარლებისა და ლაზების შთამომავალი, 10 წლის წინ გავიცანი; მაშინ ქართული საერთოდ არ იცოდა, თუმცა, მაინც სიამაყით ამბობდა, რომ ქართველია!..

მაშინ დავრწმუნდი, რომ ადამიანს თუ ნებისყოფა და შინაგანი ძალა აქვს და იცის თავისი ისტორიული ფესვები, თავის თავს იმ ეთნოსად (ეროვნებად) მიიჩნევს, რომელ ეთნოსსაც (ეროვნებასაც) მისი წინაპრები წარმოადგენდნენ /მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა წინაპრების დედაენას/.

მანამდე ვფიქრობდი, რომ დედაენა არის ის მახასიათებელი, რომელიც აუცილებელია ეროვნული თვითაღქმისათვის (გამონაკლისად მივიჩნევდი ებრაელებს, რომლებსაც მაკონსოლიდირებელ ფენომენად აქვთ რელიგია)...

ჯუნეითის მაგალითმა დამარწმუნა, რომ ისტორიული მეხსიერების ქონაც საკმარისია ეროვნული თვითიდენტიფიკაციისათვის: ისტორიული მეხსიერების გარდა, ჯუნეითს ინგლისურად ჰქონდა წაკითხული მასალები ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ქართველი ერის დიდი ისტორიული გზის შესახებ...

იმავე პერიოდში იქვე, ადაფაზარში, გავიცანი ახალგაზრდა, რომელიც ადაფაზარის ახლოს ქართულ სოფელში გაიზარდა, ქართულიც იცოდა, მაგრამ თავს თურქად თვლიდა; მან მითხრა, რომ არ უნდა ქართული ენა, ვინაიდან ქართული გლეხური ენაა...

ჯუნეითისგან განსხვავებით, ამ საბრალომ არ იცოდა, რომ ქართული ენა – მისი წინაპრების

ენა – მსოფლიოში გამორჩეული, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის ენაა /გლეხურ გარემოში გაზრდილს არავინ უთხრა ამის შესახებ; არც ინგლისური იცოდა და არც ქართული ანბანი, რომ სადმე რაიმე წაეკითხა; ახმედ მელაშვილის თურქულენოვანმა წიგნმა კი ამ ბიჭამდე ვერ მიაღწია/...

ანუ: ადამიანის მეობის (იდენტობის) ჩამოყალიბების, ეროვნული თვითიდენტიფიკაციის კუთხით, არსებითია განათლება; რა თქმა უნდა, ასევე არსებითია ნებისყოფა (რომ გრანტებზე არ გაყიდო საკუთარი ეროვნული ინტერესები); უნებისყოფობა არის საფუძველი ღალატისა, უნამუსობისა და ა. შ.

ამჟამად ინტერნეტი დიდ შესაძლებლობებს იძლევა, ადამიანმა მიიღოს აუცილებელი ცოდნა თავისი ისტორიის შესახებ; მთავარია, ეყოს ნებისყოფა (და სიხარბემ, ფულის იოლად შოვნის სურვილმა სხვის სამსახურში არ ჩააყენოს)!

1 ოქტომბერი, 2013

## ნაცარში ნაკვერჩხლად შემონახული ქართველობა იმერხეველი ქართველის სიმღერის ვიდეოჩანაწერზე

ამ კაცამდე ასე მოაღწია ქართველობამ (სისხლი, ქართული მხოლოდ საოჯახო ენად და არა – განათლების ენად, შესაბამისად, ქართული კულტურა მწირი ფოლკლორის დონეზე...). ამ კაცის შვილიშვილებმა ქართული, ალბათ, ცუდად იციან ან საერთოდ არ იციან.

დღეს, ინტენსიური კულტურული გავლენების ეპოქაში, ჩვენი დახმარების გარეშე, უცხოენოვან ველში მცხოვრები ეს ოჯახი საბოლოოდ დაკარგავს აქამდე შემონახულ ქართველობას. ამ დღეშია დღეს 5 000 000 ქართველი: დღეს საქართველოს გარეთ 5 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს; მათი უმრავლესობა ასეთივე კარგი ადამიანია, რომელსაც უყვარს ქართველობა, მაგრამ ამ ქართველობის სიამაყით გასააზრებლად შესაბამისი სიღრმისეული ცოდნა არა აქვს (ეს კაცი ცხოვრობს თურქეთში, შესაბამისად, ბუნებრივია, სახელმწიფოს სტრატეგიაა თურქულის პროპაგანდა).

ამ დროს საქართველოს სახელმწიფო რას აკეთებს? – არაფერს! სხვა სახელმწიფოები საზღვარგარეთაც, მათ შორის, საქართველოშიც ხსნიან და აფინანსებენ თავიანთი სახელმწიფო ენისა და კულტურის შემსწავლელ ცენტრებს. უფასოდ მიჰყავთ თავიანთ ქვეყნებში და ასწავლიან: გერმანულს, თურქულს, ფრანგულს... ჩვენ?

ქართული ენის უფასო სწავლების აკადემიური კურსებიც კი არ გვაქვს უნივერსიტეტებში! რა მნიშვნელობა აქვს, ქართველობა რუსული ჩექმის ქვეშ გარდაიცვლება თუ საკუთარი დედაენისა და ფასეულობების ნიველირებით?

18 ივნისი, 2014

## ტაო-კლარჯეთი 2015: დღიურული ჩანაწერები: დღე პირველი, დღე მეორე

**04.08.2015. ექსპედიციის პირველი დღე**

ექსპედიცია ზუსტად დათქმულ დროს დაიწყო: თბილისელი, ახალციხელი და ქუთაისელი სტუდენტები დილის ექვს საათზე უკვე ერთად იყვნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენს მიკროავტობუსში პატარა პრობლემა მხოლოდ დიდმა ჩანთებმა შექმნა. პირველი არასასიამოვნო დაბრკოლება სარფის საბაჟოს თურქული მხარე აღმოჩნდა: ბ-ნ კარლოს – ჩვენს მძღოლს – დიდი დრო დაეკარგა ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვისას. განწყობა ისევ აგვიმაღლა ჩვენმა ტრადიციულმა საზღვაო შესვენებამ ხოფის სიახლოვეს. შემდეგ იყო წუთშესვენება ნისლების თავზე – ლაზეთიდან ლივანასკენ გადასასვლელ უღელტეხილზე (სახელი არ მახსოვს) და გაჩერება მზიან ართვინთან.

ართვინის ისტორიულ კუთვნილობას უსაფუძვლოდ იჩემებენ სომხები: ისტორიას ათვალსაჩინოებს სახელის წარმომავლობა: **ართვინი < არდ-ოვან-ი; არდ-, ხალდ-, ქართ– კარდუ** ფუძეები ერთი წარმომავლობისა ჩანს: ისინი ღმერთის უძველესი სახელის სახესხვაობებია; **არდო-ოვან-ი** ნამდვილად ქართული აგებულების ტოპონიმია და უნდა ნიშნავდეს უფლის სალოცავის ადგილს – ოდესღაც აქ იდგა წინა აზიაში ფართოდ გავრცელებული ღმერთის სალოცავი.

კავკასიძეების ციხის სიახლოვეს ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, ხმის საოცარი ტემბრის მქონე ნერიმან ალბაირაქი დაგვხვდა და უკვე სრულად გაერთიანებული ექსპედიციის მონაწილენი – 24 კაცი – ერთად ავედით ოთხთას ეკლესიაში – დიდებულ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში (პარხლის ტაძრის ანალოგიურია), რომელიც დღეს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ღირსებას უფრო ათვალსაჩინოებს, ვიდრე წარსულ ბრწყინვალებას. გულდამძიმებულებმა ისევ ბედის ანაბარა დავტოვეთ დიდებულ წინაპართა ნაღვაწი.

იუსუფელის სიახლოვეს ნერიმანის წინაპრების ვენახთან გავჩერდით და ახლა უკვე ნერიმანის ტკბილმა ყურძენმა გვიშველა.

ღამის იუსუფელი საინტერესო აღმოჩნდა მათთვის, ვინც აქ პირველად მოხვდა.

ღამეულ გზას ახალისებდა თუ აცოცხლებდა სტუდენტების სიმღერები, განსაკუთრებით, ნერიმანის ტკბილი ხმა და შეშინებულთა წამოკივლებები ჩვენი მანქანის სახიფათო უკუსვლების გამო (ხევაის გზა ზოგან ძალიან ვიწროა და როცა შემხვედრი მანქანაა, ათეულობით მეტრით უკან დახევა შეიძლება მოგიწიოთ).

23 საათზე დავასრულეთ პირველი გრძელი დღე სასტუმრო "მასისში" მევლუდის გულღია და მხიარული შეხვედრით: ეს სასტუმრო ხევაის თემის შუაგულშია; აქ მხოლოდ ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ.

**05.08.2015. ექსპედიციის მეორე დღე**

ექსპედიცია ჯარივითაა: წესრიგი აუცილებელია. წესრიგის მთავარი წინაპირობა კი კარგი ორგანიზებაა. ექსპედიციის მონაწილენი 5 ჯგუფად გავყავი: ჯგუფის წევრები ერთად ივლიან, ერთად იმორიგეებენ სასტუმროსა თუ სოფელ-სოფელ სიარულისას საჭმლის მომზადების პროცესში, ასევე, ჩვენი სამყოფის დასუფთავებისას: სასტუმროს სამზარეულო ჩვენს განკარგულებაშია: ჩვენი კერძები გვირჩევნია, ამიტომ თავად ვაკეთებთ; სახლში, მინდორსა თუ ტყეში კი ნაგავს ვინც ტოვებს, თავის არსს წარმოაჩენს: ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი მიზანია, აქაურებს გავაცნოთ ნამდვილი ქართველები (გაჭირვების გამო შემოხეტებულებს უკვე იცნობენ).

პირველ სამუშაო დღეს ჯგუფები ასე გავანაწილეთ:

ბასლიკარში – ნორა სხულუხიას ჯგუფი; ქონობანში – თეა მორჩიაშვილის ჯგუფი; გოდღეკარში – ხატია ნოზაძის ჯგუფი; დოლენჯიანთკარში – მიშა აბულაძის ჯგუფი; ჭედლიანთკარში – კესო გეჯუას ჯგუფი.

5 აგვისტოს ორიოდე ეპიზოდს აღვწერ: "მასისის" ეზოში ადგილობრივი ქართველი ბავშვები "ok-ის" თამაშობენ; უფრო თურქულად საუბრობენ ("ხვარათობენ"); ზოგჯერ ქართული ენის ტაოურ კილოზეც გადადიან; განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმეს წაიმღერებენ თამაშისას... მეოცე წელია აქ დავდივარ (ათჯერ სტუდენტები მოვიყვანე): ეს ბიჭები ჩემს თვალწინ იზრდებიან: მათმა მშობლებმა უფრო იციან ქართული. ამათგან ზოგს უხარია ქართული ანბანის სწავლა; ზოგი ამბობს, ქართული ენა არაფერში დამჭირდებაო...

– ჩემი წინაპრები ქართველები იყვნენ, მე თურქი ვარ, – მითხრა ერთ-ერთმა.

– შენ თურქეთის მოქალაქე ხარ და კარგია, რომ გიყვარს შენი სახელმწიფო; მე ეს მომწონს; ასევე, მომეწონება, საქართველოს მოქალაქე სომეხი საქართველოსადმი სიყვარულს გულწრფელად როცა გამოხატავს; თუმცა, უნდა იცოდე, რომ ადამიანის მეობას, პიროვნულ არსს, წინაპრების მიერ ჩამოძერწილი ენა, ათას უბედურებას გადარჩენილი სისხლი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა განსაზღვრავს; შესაბამისად, მეობა არავინ არ უნდა დაკარგოს, – ვუთხარი მე /რა თქმა უნდა უფრო გასაგები ენითა და დიდი ტექსტით :)

– მართალი ბრძანდებით, ხოჯა (=მასწავლებელო), – მიპასუხა ქართულ-თურქულად.

შემდეგ 55 წლის ადამ ქიბარი გავიცანი (ფასდოღლი).

ჩვენი დიალოგი მოკლედ:

**ადამი:** ძალვან მერაყ ვიჯები, რომ ჩემი ქოქი არ ვიცი (ძალიან გული მტკივა, რომ ჩემი წინაპრების ისტორია არ ვიცი);

**მე:** ამ ტკივილის მორჩენა ადვილია – ბევრი ინფორმაციაა ქართულად ინტერნეტში; შენ აგერ ტელეფონში გაქვს ეს ყველაფერი, – გავუღიმე.

**ადამი:** ვერ ვკითხულობ ქართულად (დარცხვენილი, მაგრამ ჯანსაღი ღიმილით მპასუხობს).

**მე:** ქართულად ხვარათი (ლაპარაკი), იარენობა (საუბარი) კარგად შეგიძლია; წერა-კითხვას სულ მალე ისწავლი...

**ადამი:** მგონია ჩათინია (= ძნელია).

**მე:** არ არის ძნელი; 20 დღეში ისწავლი და მერაყისგან სამუდამოდ მორჩები :)

**ადამი:** მართალი ხარ; იაზი (ანბანი) დიმიწერე...

**მე:** კარგი...

ჩვენი საუბარი შემდეგ სირიაში მიმდინარე ომს შეეხო; საუბრის ბოლო ფრაგმენტი:

**ადამი:** ნამდვილი მუსლიმანი კაცს არ მოკლავს; ისინი მუსლიმანები არ არიან!

**მე:** რა გითხრა! თავად ამბობენ, ნამდვილი მუსლიმანები ჩვენ ვართო და "ისლამისტური სახელმწიფოც" დაირქვეს!

**ადამი:** არა, ნამდვილი ქრისტიანი და ნამდვილი მუსლიმანი კაცს არ მოკლავს; მე ნამდვილი მუსლიმანი ვარ, ღმერთის მეშინია; კაცს როგორ მოვკლავ! ისინი ტყვილი მუსლიმანები არიან...

**მე:** გეთანხმები, მკვლელსა და მეძავს არც ეროვნება აქვს და არც რელიგია...

მოკლე დასკვნას გავაკეთებ:

ტაოშია იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ოთხთა... თმოგვი, ოლთისი, კავკასიძეების ციხე... მაგრამ მაინც აქ, მიუხედავად ყველაფრისა, მთავარი ქართველური "ძეგლია", დიდი ქართველური მემკვიდრეობაა აქაური ქართველობა – ტაოელი ქართველობა: მათი ქართული მეტყველება, მათი ძირქართული ხასიათი, მათი სასაქართველოო განწყობა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს (თუმცა, ვითარცა ნაკვერჩხალი თითქმის დანაცრებული მუხის).

ჩემს ჩანაწერს აქ ვწყვეტ იმ იმედით, რომ საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობა იქნება გარანტი, რომ აქ ქართული ენა გადარჩება და აქაც გამახარებს სამოთხისფერი ფრინველის ხმიანობა :) თუმცა, ჩანაწერს არ ვწყვეტ: ჩემს ჩანაწერს სრულვყოფ ექსპედიციის მონაწილე სტუდენტების განცდებით:

სტუდენტებს ვთხოვე, აქ გამოსაქვეყნებლად მოეცათ თავიანთი დღიურების ფრაგმენტები; სამი უნივერსიტეტის – ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის – რჩეულთ მოვუსმინოთ (ვფიქრობ, ასე უფრო საინტერესო იქნება):

**ნერიმან ალბაირაქი:**

მე ვარ თურქეთის მოქალაქე ტაოელი ქართველი. დავიბადე იუსუფელის რაიონის სოფელ ოთხთაში, მაგრამ წინაპრების ენა ოცი წლის შემდეგ ვისწავლე და ჩემი წინაპრების ენით ახლა ხევაის ქართველებს ვუზიარებ საქართველოში მცხოვრები ქართველების კულტურას. ვამაყობ,რომ ვარ ხიდი ტაოელ ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ქართველებს შორის. მიხარია, რომ აქაური ქართველები დაინტერესებული არიან, გაიხსენონ მივიწყებული ქართული ენა.

**თიკო მორჩიაშვილი:** ...ძნელია მთელი იმ ემოციის ფურცელზე გადმოტანა, რაც ამ ორ დღეში დამიგროვდა. არ ვიცი, როგორ გამომდის, თუმცა ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ნამდვილად დაკარგულ სამოთხეში მოვხვდი...

**მარიკა ქარქაშაძე:** მომატებული გულისცემა და ძარღვებში საკუთარი სისხლის ჩქეფა ვიგრძენი, როდესაც ჩავეხუტე იმ ქართველს, ტანჯული მრავალი საუკუნის შემდეგ კვლავ რომ ქართველობა სწყურია, თავის თავს გურჯს უწოდებს, თბილად იღიმის და ხელგაშლილი მხვდება... მე ერთნაირად მეამაყება საქართველო და "სხვა საქართველო".

**კესო გეჯუა:** გულს მიხარებს ტაოელის სიტყვები, რომ ის "ქართველია და დანა რომ გაუსვა ქართული სისხლი გადმოდინდება; ქართველის დანახვისას გულზე ვარდი გადაიშლება და

ზურგზე ყაყაჩოო”... თითოეული ქართველი ვალდებულად უნდა თვლიდეს თავს, რომ აქ ჩამოვიდეს და ქართული იდენტობის (მეობის), ქართული ენის აღდგენის თანაზიარი გახდეს.

**ხატია ნოზაძე:** ...უხილავი კავშირი იგრძნობა ჩვენს შორის. მათ ეამაყებათ თავიანთი წარმომავლობა, ქართულადაც მეტყველებენ... თუმცა სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ არ იციან ქართულად წერა-კითხვა. იმედს იტოვებენ, რომ თავიანთი შთამომავლობა მაინც შეძლებს ქართულად წერა-კითხვას. იმედი მაქვს, ჩვენ მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ აქაური და იქაური ქართველების უფრო დაახლოებაში, ჩვენს გამთლიანებაში...

**თამთა ლანჩავა:** უცნაური გრძნობა მიპყრობს, ენით აღუწერელი; ახლა სასტუმროს ვერანდაზე ვზივარ, ვუყურებ ამ ლამაზ მთებს, მდინარეს და მგონია, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის უცხო არ არის; აქ ერთხელ ნამყოფი ვარ, რაღაც დეჟავიუს მსგავსი მემართება. აქ, ამ ვერანდაზე თითქოს ერთხელ სადღაც შორეულ წარსულში ვიჯექი და ვავსებდი ამ დღიურს. ვავსებდი, ოღონდ არა კალმით და სიტყვებით, არამედ ვწერდი ამ ყოველივეს ჩემს გულსა და გონებაში; სამუდამოდ, უფუნჯოდ ვხატავდი ამ სილამაზეს ჩემს ცნობიერებაში.

**მარიამ კაპანაძე:** სოფელი მაღლა, გზა გრძელი, აღმართი ციცაბო, მზე მწველი... თუმცა ბოლოს მაინც გამოჩნდა იმედის მომცემი ქალი, ტრადიციული სამოსით. სოფელი მეტად პატარა დაგვხვდა, ისიც დაცლილი: მხოლოდ სამიოდ ოჯახი ვნახეთ. დაუზარელი მასპინძლობა გაგვიწიეს; მათ თვალებში კი სიხარულის ნაპერწკლები ელვის სისწრაფით მოძრაობდნენ, ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და შემდეგ ერთიანი ძალებით დიდ სინათლესა და სიხარულს გამოხატავდნენ. მართლაც, დიდი ბედნიერებაა აქ, ამ “უცხო” მხარეში პატარა გურჯისტანის – დიდი განძის – აღმოჩენა. სიხარული, სენტიმენტალური სიხარული, სხვების გაბედნიერებით მიღებული სიამოვნება, ტკივილნარევი ღიმილი და ცოცხალი ქართული გენი...

**თეონა ჯალაღონია:** ოთხთა – ამ ტაძრის ნახვის შემდეგ ძალიან დიდი ემოციით ავივსე, მაგრამ ამასთანავე ძალიან დამწყდა გული, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ტაძარი საშინელ მდგომარეობაშია. ოთხთაში ვილოცეთ, შემდეგ გავუდექით გზას ჩვენი სახლისაკენ, სადაც ძალიან დიდი სიყვარულით დაგვხვდნენ და მიგვიღეს. აქ ვნახე ის ადამიანები, რომლებმაც ქართველობა შეინარჩუნეს, ვამაყობ ამ ქართველებით.

**ჟუჟუნა კვეტენაძე:** ძნელია სრულყოფილად გადმოვცე ყველა ის სითბოთი და სიყვარულით გამთბარი გრძნობა, რასაც მე განვიცდი ამ ადამიანებთან საუბრის დროს. მართალია, ისინი ჩვენგან ამდენი საუკუნის მანძილზე არიან დაშორებულნი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ადამიანს ეროვნული სული არასდროს დაეკარგება, გენები თავისას შვრება და ეს მე დღეს თვალნათლივ დავინახე. ძალიან ბევრი საერთო აღმოვაჩინე ჩვენ შორის. მე მათ ღიმილში, მზერაში უდიდესი სითბო და სიყვარული დავინახე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს პიროვნების ეროვნულ იდენტობას, ეროვნულ სულს.

**მარიამ მიქაბერიძე:** ...ჩვენი ურთიერთობა ჩატეხილ ხიდს ჰგავს, რომლის გამთლიანებაზე ორივე მხარემ უნდა ვიზრუნოთ. თითოეულმა ჩვენგანმა მცირე წვლილი მაინც უნდა შეიტანოს ამ საქმეში...

**თეა ხაცავა:** ჩემს ჯგუფს წილად ხვდა ბედნიერება, ვწვეოდით დოლენჯიანთკარელებს, სადაც მხოლოდ დოლენჯიანნი ცხოვრობენ. გულღიად და კარგად მიგვიღეს (თავიდან გაგვიჭირდა ამ სოფლის მოძებნა ). პირველივე მასპინძელი ჩვენი სასტუმროს მეწილე აღმოჩნდა, რომელსაც მე არ ვიცნობდი. ძალიან კარგად მიგვიღეს, რადგან იცოდნენ, ვინ ვიყავით. თავიანთი ქალიშვილი ფატმა გამოგვაყოლეს, რომ ჩვენთვის მეგზურობა გაეწია სხვა ოჯახებში სტუმრობისას...

**თამარ ასანიშვილი:** რა არის სასწაული? სასწაულია ქონობანში – იუსუფელის პატარა სოფელში – ჩასულ ქართველს თვალცრემლიანი მოხუცი რომ გულში გიკრავს ამხელა სიყვარულით, თითქოს 400 წელია გიცნობს; სასწაულია, როცა თურქეთში მცხოვრები ძველი ქართველი დაუცხრომელი, უჩვეულო მზერით გეუბნება: მაჯა რომ გამიჭრა, ქართული სისხლი წამსკდებაო. კიდევ იცით, რა არის სასწაული? ახალგაზრდა, წარმოსადეგი ჭაბუკი რომ გეტყვის დანანებით: ნეტავ გურჯს ვგავდეო; თავად ვერ ამჩნევს, თორემ მის თვალებში სითბო ჩვენებურად ციმციმებს.

**მარიამ იამანიძე:** იუსუფი, ორჰანი, ალიოსმანი... აქ არ არის ჩვენებური სახელები. თუმცა, თითქოს, განგების ძალით მთის მწვერვალებს მიუღიათ სამრეკლოების ფორმა და გუგუნებენ:

– “მოვიდნენ!

– რა იჯები?
– მე კაი ვარ.
– ჩვენ ერთი სისხლი გვაქ, ხელი რომ გევჭრა, გურჯული სისხლი გადმოდინდება.
– ჩვენთან ჩვენიანები არიან!
– მე შემიყვარდი!
აცრემლებული, გაფართოებული თვალებით ვიმზირები...
ჩაი...

**ინდირა შაინიძე:** სოფელ ხევაის ქართველები: მათში დიდია ემოცია ჩვენი მონატრებისა და სიყვარულისა. სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, როცა ვიხილე, თუ როგორ ცდილობენ, ქართველობის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) შენარჩუნებას. ისინი დიდი სიხარულითა და აღტაცებით გვიღებენ კარს, რაც ყველაზე მთავარია, იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ერთიანობა...

**ნათია დოლაბერიძე:** საზღვარგარეთ ვარ, თუმცა საკუთარ სახლში ვგრძნობ თავს; ჩემთვის ნაცნობია ეს ხასიათი, ეს ნაკვთები, ეს ბუნება... ჩვენ ვიბადებით, ვცოცხლობთ, ვქრებით ამ წუთისოფლიდან; ვტოვებთ ჩვენს შვილს, მოდგმას; შვილს ჩვენი სისხლი ექნება; სისხლი გადადის თაობიდან თაობაში, არც წეს-ჩვეულება იკარგება, მით უმეტეს, არც ხასიათი... მიხარია, რომ ქართველი ვარ.

**ვერიკო ხუბუა:** ...ბუნება ცდილობს ტიტინს: სათქმელი ბაგეს მოსდგომია; გახლეჩილი მიწის ნაპრალებში მომდინარ ალისფერ სითხეს თითქოსდა ფერი უცვლია, გათეთრებულა, ანემიით დაავადებულა: დიაგნოზის მოლოდინში გაჰპარვია ათობით, ასობით წამები, წუთები, წლები და ახლა მკურნალის გამოჩენას ელის; მკურნალის, რომელიც მის ძარღვებში მდორედ მიმავალ სისხლს ააჩქეფებს, დროებით დაცილებულ ნაწილებს დააახლოებს და გააერთიანებს!

**ქრისტინე ნოზაძე:** ...ოთხთა, ქართული მონასტერი, რომლის დღეს მხოლოდ კედლებია დარჩენილი, საოცარ ემოციას იწვევს მნახველში და განსაკუთრებით, ქართველებში. ტაძრის წინ მდგომმა თავიდან გავაცნობიერე ჩემი ქვეყნის ისტორია; მის შემხედვარეს ათასი გრძნობა დამეუფლა. ვიყავი ამაყი, რომ მე ქართველი ვარ და ამავდროულად რაღაც უცნაურმა გრძნობამ გულიდან გონებაში გაიარა და გაჩნდა კითხვა: "განა შევძლებ მე ვიყო ღირსეული ქართველი?". ტაოში ჩამოსულმა კიდევ ერთხელ ნათლად გავაცნობიერე ჩემი, როგორც ქართველის ვალი. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია აქ, ტაოს მთებში შემორჩენილ პატარა საქართველოში მცხოვრებ გურჯებს მოვეფეროთ, დავძლიოთ ის გაუცხოება, რომელიც საუკუნეების განმავლობაშია გაბატონებული და სწორი წარმოდგენა შევუქმნათ მათ საკუთარ წარმომავლობასა და ვინაობაზე და სხვა ქართველებს – მათზე.

**ელენე გიგიაძე:** ტაოელთა წინაპრებმა დაგვიტოვეს დიდი განძი: მათ დაღვარეს ოფლი ოთხთას ეკლესიის შენებისას, ახლა კი სულისშემძვრელია მისი დანახვა. ცრემლს გადენს მიმქრალი ფრესკები და ჩამონგრეული კედლები... ტაოში ჩამოსვლის დღეს გავიცანით ულამაზესი ტაოელი ქართველი ქალი ნერიმანი, მისმა სიმღერამ გული ამიჩუყა და სიხარულის ცრემლები წამომივიდა.

**თამუნა სხულუხია:** ექსპედიციის მეორე დღეს უკვე პრაქტიკულ მუშაობაზე გადავედით. ჩემი და ჩემი ჯგუფის დიალექტოლოგიური პრაქტიკის დაწყების ადგილი ხევაის ერთი დასახლება – ბასლიკარი – აღმოჩნდა. ის, რაც თავიდანვე შესამჩნევი გახდა, კომუნიკაციის დამყარების სირთულე იყო: ტაოური დიალექტი ძალიან შეცვლილია და ნაკლებად გვესმოდა; ალბათ, ამან განაპირობა ერთ-ერთი მასპინძლის ფრაზა: "ჩვენ სხვა გურჯები ვართ, თქვენ კი – სხვა"; ეს სიტყვები ძალიან მწარედ მომხვდა ყურს, ეტკინა სულს. მომდევნო რესპონდენტებმა აღმაფრთოვანეს: მათ მუსლიმანურის გარდა, ქართული სახელებიც აქვთ: თამარი და ქეთევანი; ქეთევანმა თქვა: "მე მინდა გურჯისტანის ნახვა, იქ სწავლა"... ბევრ რაიმეს წყვეტს წინაპრების შესახებ ობიექტური ინფორმაციის ცოდნა.

**ბაია გაბედავა:** ...ტაოს მაღალმთიან სოფლებში მხოლოდ თითო-ოროლა მცხოვრები რჩება ზამთრის ცივ და სუსხიან პერიოდში. ქალაქსა და სოფელს შორის მათი სიარული თითქოს მერცხლების თბილ ქვეყნებში გადაფრენას მოგვაგონებს, რომლებიც გამოიზამთრებენ და ისევ უბრუნდებიან თავიანთ ბუდეებს. ისე, სახლები, მართლაც რომ მერცხლის ბუდეებივითაა კლდეებზე მიკიდული. მათი არსებობა აქ, ამ საოცარი ცის ქვეშ მართლაც რომ მერცხლის სინარნარესთან ასოცირდება, ისინი სრულიად თავისუფალი არიან და ლაღად გაინავარდებენ

ხოლმე ხევაის მიდამოებში...

**მიხეილ აბულაძე:**

მე რომ საქართველო დამეკარგა, / ახლა დავიბრუნე მგონი,
სისხლს, მყივანას და ამღერებულს, / ვერ გააჩუმებენ დრონი.
ჩემი სიყვარულის ნაწილაკებს / ირგვლივ მიმოფანტავს გული,
ვიცი, ბევრი რამ გადაიტანე, / ენით აუწერლად რთული,
მაგრამ გადარჩენილს რადგან გხედავ, / არ მსურს, გავიხსენო ძველი,
ბევრი საოცრება დამანახე, / შენგან უფრო მეტსაც ველი.
მეტი რაღა გითხრა, აღარ ვიცი, / უკვე შენ ჩემ გულში სახლობ,
მე ის მიხარია, რომ შენს სახელს / კვლავაც ჩვენებურად ამბობ.

ბუნებრივია, ეს ჩანაწერი (სტუდენტთა ჩანართებითურთ) ექსპედიციის სხვა წევრებმაც ნახეს; ამის შემდეგ კი კიდევ სამი ფრაგმენტი დაემატა:

**ეკა დადიანი:** სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში სტუდენტებთან ერთად ვიმყოფები ტაოში – ამჟამად თურქეთის საქართველოში. აქ ყოფნისას განსაკუთრებული ემოცია და გრძნობა გეუფლება. მოგწონს და გხიბლავს აქაური ბუნება (ჰაერი, წყალი, გარემო...). საინტერესოა აქაურ ქართველებთან ურთიერთობა, საუბარი. ტაოური ქართული გამოირჩევა არქაიზმებით, ამასთან, თურქულის გავლენას თავისებური კვალი დაუმჩნევია. აქ ცოცხლდება ტაოს (საქართველოს) წარსული, გტკივა აწმყო და ფიქრობ, რა იქნება ხვალ. იმედია, ტაოში ქართული გენი და ქართული ენა საუკუნეებს და ათასწლეულებს გაუძლებს!..

**კარლო თუთისანი** (მძღოლი): ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, შემოვლილი მაქვს საქართველოს ყველა კუთხე, ასევე ვიყავი თურქეთის სხვადასხვა ადგილებში. არაერთ ექსკურსიასა თუ ექსპედიციაში ვყოფილვარ და შევხვედრივარ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს; მინდა აღვნიშნო, რომ გამორჩეულია ბ-ნი ტარიელ ფუტკარაძისა და ქ-ნი ეკა დადიანის ექსპედიციები; გაოცებული ვარ ექსპედიციის ხელმძღვანელებისა და სტუდენტების ურთიერთდამოკიდებულებით, წესრიგით და პასუხისმგებლობით; ასევე, აღფრთოვანებული ვარ ტაოს მაღალმთიანი სოფლების სილამაზით...

**ჯემალ ბედინაძე** (სასტუმრო "მასისის" თანამშრომელი): მე ტაოში შევხვდი იმ ხალხს, ვინც საუკუნეების მანძილზე ინახავდა და ინახავს კიდეც ერთადერთ საგანძურს, რასაც ქართველობა ჰქვია; მიუხედავად მრავალი ქარტეხილისა, ესენი დღემდე პატივს სცემენ და შთამომავლობას გადასცემენ წინაპრების მიერ შემოწახულ მეობას. ალბათ, ყველა ქართველისათვის საამაყო იქნებოდა მათი კეთილი თვალების ნახვა, მათი საუბარი, მათი მოფერება და ისეთი სიტყვები, რომლებიც სხვაგან არცერთ ქართველს არ გვსმენია... მე ძალიან მომწონს ასეთი ექსპედიციები იმიტომ, რომ ამ გზით ხდება ურთიერთგაუცხოებული ქართველების დაახლოება.

6 აგვისტო, 2015(21 ოქტომბერი, 2020)

## ტაო-კლარჯეთი 2015: დღიურული ჩანაწერები: დღე მესამე

06.08.2015. ექსპედიციის მესამე დღე

დღეს ძალიან რთული და საინტერესო დღე იყო. ამ დღის მთავარი ჩემი ფიქრი მთელი ცხოვრება გამყვება; ეს ფიქრი გამიძლიერა დღევანდელი დღის სამუშაოებმა და შეხვედრებმა; ჯერ მოკლედ შეხვედრების შესახებ:

დილით – ქობაის გავლით, ბალხში; შემდეგ – ყარამანლები, რეჯებ იაზიჯის სოფელი, (გაღმით – სუთწეკარი); შემდეგ – წითლეკარი და ლიტრევი, შემდეგ– ბალხიბარი, შემდეგ კი – პარხალი; საღამოს – ჩვენი ჩანჩქერი და "მევლუდის კითხვა" (mevlud okutmak) – მიცვალებულთათვის მიძღვნილი მუსლიმანური რიტუალი (მოლების ლოცვა, რომელსაც ხალხი ესწრება); როგორც წესი, ტარდება ორმოცზე, წლისთავზე; ლოცვის წინ კეთდება სუფრა.

ცხოვრებაში პირველად დავესწარი მევლუდის კითხვას: ჩემმა მეგობრებმა: ადემმა, ოსმანამ,

მევლუდამ, რამაზანმა და იდრისმა “მევლუდი” წაიკითხეს მამისთვის – ქამილისთვის, რომელიც გარდაიცვალა 2014 წლის მარტში. “მევლუდის კითხვის” დროს ჩემთვის მძაფრად დაისვა კითხვა: **რა ქმნის ადამიანის მეობას და კონკრეტულ ადამიანში ქვემოთ წარმოდგენილი რომელი წახნაგ(ებ)ია არსებითი და რატომ? არსებობს:**

– ენობრივი მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– ეთნიკური მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– რელიგიური მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– თემობრივ-კუთხური მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– კლანური მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– წინაპრების მიწასთან, მამულთან დაკავშირებული მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– სახელმწიფოებრივი მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)
– სქესის მიხედვით განსაზღვრული მეობა (იდენტობა, თვითაღქმა)ა)
– უმცირესობის მახასიათებლის მიხედვით განსაზღვრული მეობა (იდენტობა, თვითაღქმა).

ამ თემაზე და ამ დღეზე უფრო ვრცლად, როცა დრო მექნება...

7 აგვისტო, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## ქარქუა

ფერეიდანში, ციხემთის ძირში მარცხნივ დიდი მინდორია; მისი სახელია **ქარქუა.** ამოსავალი ფორმა კომპოზიტია: **ქარი-ქვა:** ადგილი, სადაც მხოლოდ ქარი და ქვაა. ამ ტოპონიმშიც დიდი სევდაა ჩადებული: ირანის ნახევარზე მეტი ასეთი მინდვრებია: წარმოიდგინეთ ქართველი ტყვეების გაუსაძლისი გზა ირანის ტრამალებზე ფერეიდნამდე; რამდენი გაჭირვება, სიკვდილი, უწყლობა ქარიან და ქვიან ყავისფერ მინდვრებზე... გზის უდიდესი ნაწილი: ქვა და ცხელი ქარი... მარტყოფსა და ჩუღურეთს შორის მდებარე ამ მინდორს ქართველებმა სახელი სიმბოლურად დაარქვეს: **ქარი და ქვა > ქარქარუა...**

ქართველებმა რამდენი უბედურება, დამცირება, გადასახლება, მუჰაჯირობა, ფიზიკური თუ ცნობიერი დივერსიები გადავიტანეთ... პარალელურად, სამხრეთის, აღმოსავლეთის თუ ჩრდილოეთის **„ქარქუებიდან“ შემოხეტიალებული რამდენი მტერი მოვიგერიეთ თუ მოვინელეთ,** რამდენი ბრძოლა მოვიგეთ და დღეს ერთ-ერთი გამორჩეული ერი ვართ მსოფლიოში იმითაც, რომ 33 საუკუნეზე მეტია ღირსეულად ვცხოვრობთ დედამიწაზე.

ციხემთის „ვაგლახ ისტორიის“ – ტრაგედიის – შესახებ ცალკე მოგიყვებით.

19 თებერვალი, 2016

## ირანი; ფერეიდანი; ზარნის სომხური ეკლესია და კიდევ ერთი ძველი ტკივილის ახალი განცდა

ახჩიდან მარტყოფისკენ გზაზე, თორელიდან 10 კილომეტრში (აქედან ფერეიდუწმაჰრამდე 20 კილომეტრია), თითქმის მიტოვებული სომხური სოფელია: ზარნა/ზარნე; სომხ. ბოლორანი (ქართულად „მრგვალი გორა“). სოფელი დაბომბილს ჰგავს; მხოლოდ ეკლესია დგას მეტ-ნაკლები ღირსებით. მოსახლეობის დიდი ნაწილი დიდ ქალაქებში გადასულა საცხოვრებლად.

ეკლესიის მღვდელი 2013 წელს გარდაცვლილა; ეკლესიის გასაღები აქვსო სომეხ მცველს – **გარნიკ თაჰმაასიანს;** სანამ მას დაუძახებენ, დანგრეულ არემარეს ვათვალიერებთ; **ფიქრი სწრაფია და ამ ლოდინში ტკივილიანი სამყარო მოვიარე:**

სპარსეთშიც და ოსმალეთშიც სომხების დიდმა ნაწილმა ისტორიული რწმენა შეინარჩუნა, ქართველებმა – ვერ.

რატომ?

ქართველები ნამდვილად არ ვართ სუსტები: იშვიათი ერი ვართ გამძლეობით: მეფე აიეტის კოლხას სახელმწიფოს სივრცეს კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრებით თუ მოვიაზრებთ, **ერთ-ერთი დიდი და უძველესი სახელმწიფოს მქონე ერი ვართ,** ვინც დღემდე წარმატებით მოაღწია: გადაირჩინა ენაც, ეთნიკური მეობაც, სახელმწიფო ცნობიერებაც, ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი ეკლესია შეინარჩუნა და მრავალსაუკუნოვანი სამეფო დინასტიაც ჩამოძერწა...

ოსმალეთისა და ირანის ველში მოქცეული ქართველების თანამედროვე შთამომავალთა აზრით, **მათი წინაპრები მიისწრაფოდნენ სამხედრო თუ საერო დიდებისაკენ და ამ გზაზე რწმენის შეცვლა აუცილებელი წინაპირობა იყო.**

ჩემი აზრით, უფრო დიდი როლი ითამაშა დასახელებული ორივე იმპერიის უნდობლობამ ქართველებისადმი, როგორც ბერძნულ-ბიზანტიური ორიენტაციის მქონე ერისადმი:

წინა აზიის რეგიონში ჯერ – ირანის, შემდეგ კი ირანისა და ოსმალეთის მეტოქე სწორედ მართლმადიდებელი ქრისტიანობის ერთგული საბერძნეთი (მოგვიანებით ბიზანტიაც) იყო; შესაბამისად, კავკასიაში განსაკუთრებით იდევნებდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები – ქართველები.

გრიგორიანელი სომხები, როგორც რელიგიით საბერძნეთთან/ბიზანტიასთან დაპირისპირებული საზოგადოება, ადაპტირებული იყვნენ როგორც ოსმალეთის, ასევე ირანის ხელისუფლებასთან.

მესხეთის ქართველობის ისტორია ცხადყოფს, რომ ოსმალეთის იმპერია, მართლმადიდებლებთან შედარებით, ლოიალურად ექცეოდა კათოლიკეებსაც – რომთან დაპირისპირების რიდით. მართლმადიდებლებთან შედარებით, კათოლიკეებს ნაკლები აგრესიით ექცეოდა ირანიც...

ისტორიულად ქართველები მებრძოლები და ამბიციურები იყვნენ, ამიტომაც მეზობლებსა თუ დამპყრობლებს ქართველების შიში ჰქონდათ; შესაბამისად, უფრო მეტი ინტენსივობით ესწრაფოდნენ, შეერყიათ ქართველთა მეობა. ამ მიმართულებით მუსლიმანი მომხდურისათვის ყველაზე ეფექტური გზა იყო ქართველთათვის ისტორიული რწმენის იძულებით შეცვლა და ტრადიციული კულტურისგან მოწყვეტა (შდრ., რუსი ოკუპანტები ცდილობდნენ და ცდილობენ ქართველთათვის დედაენის გაუცხოებას!); მით უმეტეს, დიდ დაწოლას განიცდიდნენ გადასახლებასა თუ ტყვეობაში მოხვედრილი, ანდა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები.

მეორე წახნაგიც (კარიერული წინსვლა) განვიხილოთ: სომხები ძირითადად ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი და მათი საქმიანობა ხელს აძლევდათ ირანისა თუ ოსმალეთის ხელისუფალთ. ქართველები კი ცდილობდნენ (და ახლაც ცდილობენ), უცხო გარემოშიც ღირსების/გავლენის შენარჩუნებით ეცხოვრათ (იცხოვრონ) და ამიტომ გარეგნულად მაინც „ადგილობრივ ქუდს“ იხურავდნენ (იხურავენ) და კარიერას იკეთებდნენ (იკეთებენ)... შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველების ნაწილი უცხო გარემოში **ღირსეული პიროვნული სიცოცხლის გადარჩენას** მუსლიმანობის (შიიტობის) ფორმალური მიღებით ცდილობდა; ზოგი, ალბათ, ისტორიულ რწმენას შეეწირა ქეთევან წამებულივით.

ფორმალურად გამუსლიმანებულთა მომდევნო თაობები ნელ-ნელა, მაგრამ მყარად გადადიოდნენ მუსლიმანურ რწმენაზე (მაგ., აჭარაში ყველაზე გვიან მაღალმთიანი ღორჯომისა და დარჩიძეების მკვიდრნი გამუსლიმანებულან); თუმცა, ეთნიკურ მეობას, დედაენასა და ქართულ ეროვნულ (ეთნიკურ) სიამაყეს ინარჩუნებდნენ... 400-წლოვან ტყვეობაში ფერეიდნელმა ქართველებმა ირანში დიდი ღირსებით შეინარჩუნეს ქართველობა: **ირანში სიტყვა „ქართველი“ ვაჟკაცის, „სიტყვის კაცის“ სიმბოლოა!**

ქართველების მსგავსად ირანში გადასახლებულმა სომხებმა თავიანთ სოფლებში ეკლესიებიც ააგეს და სახელმწიფოში ვაჭრობის პერსპექტივაც შეინარჩუნეს... ირანის მეჯლისშიც თავიდანვე ჰყავთ დეპუტატები.

ქართველები ვაჭრობას არ იკადრებდნენ და შაჰის ჯარის ელიტას წარმოადგენდნენ; უნდილაძეები დღემდე ღირსებით შემორჩნენ ქართველებისა თუ სპარსელების ისტორიას (სააკაძისგან განსხვავებით, რომლის ამბიციამ საკუთარი ქართველი მეფეები ვერ იგუა და

არც დამპყრობლებმა დაუფასეს ერთგულება); თუმცა, სათქმელია ისიც, რომ სომხებისგან განსხვავებით, ჩვენს დროში ერთი ქართველი ძლივს გახდა ირანის მეჯლისის წევრი **ამ სამიოდე წლის წინ...**

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქართველები ირანში გაცილებით ამაყად გრძნობენ თავს, ვიდრე სხვები.

2014 წლის 26 ივნისს, ირანში ერთ-ერთი სომხური ეკლესიის წინ ვდგავარ, ველოდები როდის გახსნის ეკლესიის მცველი ეკლესიას, ვფიქრობ ქართველების ტრაგიკულ და სომხების მძიმე ისტორიაზე და კიდევ ერთ **დიდ ტკივილად მიახლდება** დიდებული ბაგრატიონი და რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი **გმირი ალექსანდრე ბატონიშვილი,** რომელიც თეირანის სომხურ ეკლესიაშია დასაფლავებული და რომელსაც, სასტიკად ებრძოდნენ რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ციციშვილ-ციციანოვები, ორბელიანები თუ საკუთარი ოჯახის წევრები.

**ამასობაში გარნიკ თაჰმაასიანიც გამოჩნდა:** კარგი მოსაუბრეა; უხარია იშვიათი სტუმრების გამოჩენა; წუხს, სოფელი რომ იცლება; ჰყვება, როგორ ცდილობს ეკლესიის მოვლა-პატრონობას; გვაჩვენებს სომხურ წარწერებსა და, ბოლოს, თბილად გვემშვიდობება: სიტყვა მივეცი, რომ აუცილებლად დავწერდი მის შესახებ.

20 თებერვალი, 2016 ·

## 2014 წლის 26 ივნისი; ირანი, ფერეიდანი; სოფელი თორელი; აბულყასიმ აჰმადის სახლი

ჩემი სიცოცხლის მანძილზე ბევრი სტუმარი მყოლია და მეც ბევრს ვსტუმრებივარ, მაგრამ დღემდე არც ერთი მასპინძელი ასე გულიანად არ შემხვედრია და, სიმართლე გითხრათ, არც მე შევხვედრივარ არავის ასე გამოხატულად თბილად:

...სახლთან რომ მივედით, უკვე ღია კარებში იდგა აბულყასიმი; გარეთ ფოტოაპარატ-მომარჯვებული მისი ყორი /ქალიშვილი (1) / – **მაედეჰ აჰმადი;** როგორც კი მანქანა გაჩერდა, ღია კარებიდან აბულყასიმის მეუღლემ – თაიბე ყასიმმა – ჩვენკენ გამოუშვა შინდისფერ ჩოხა-ახალუხიან-ხანჯლიანი უმცროსი შვილი – **მოჰამედ ჰოსეინ აჰმადი** – ლურჯი ვარდით ხელში, რომელიც მომიახლოვდა, ვარდი გადმომცა და მშვიდობიანად მისვლა მოგვილოცა; შემდეგ აბულყასიმი გადაგვეხვია ყველას და სახლში მიგვიპატიჟა; სახლში, რომელსაც გარედანვე დიდი ასოებით ეწერა:

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თორელში“

სახლში შესვლისთანავე წლობით უნახავი უახლოესი ნათესავებივით გულში ჩაგვიკრეს მისმა მშობლებმა: **ჰეიდარ აჰმადმა და ფათემე ყასიმმა...**

საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოდ ხუთჯვრიანი დროშის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი არგუმენტი იყო ის, რომ მუსლიმანი ქართველებისათვის მიუღებელი იქნებოდა **ჯვრიანი დროშა.** კარგად ვიცნობ ირანისა თუ თურქეთის ქართველებს და შემიძლია ვთქვა, რომ ვისაც ქართველობა სურს, ეს დროშა ხელს არ უშლის, როგორც ჩვენ მეგობრობაში ხელს არ გვიშლის ნახევარმთვარიანი დროშები:

შუა ირანში, აბულყასიმ აჰმადის სახლში ცენტრალურ კედელზე დაგვხვდა საქართველოს დროშა და აბულყასიმის მამის ახალგაზრდობის სურათი: აბულყასიმის **გამორჩეული ორიენტირები:**

**დედასამშობლო და ღირსეული მამა.**

(1) ფერეიდნულ დიალექტში ქალიშვილის აღმნიშვნელია სიტყვა-ფორმა „ყორი“.

20 თებერვალი, 2016

## ირანი, ფერეიდანი: სიბაქი (ვაშლოვანი). ზაზა გუგუნაშვილი

მარტყოფიდან ჩულურეთისაკენ მიმავალ გზაზე, ციხემთის სიახლოვეს, მარცხნივ გადასახვევია; გზა ქვემოთ დაუყვება, სოფელ ვაშლოვანს ნახევარ წრეს შემოუვლის და მარჯვნივ გადავა ჯაყჯაყისაკენ.

სიბაქის (ვაშლოვანის) შესასვლელთან სპარსულ და ქართულ ენებზე დიდი წარწერა მოგესალმებათ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

როგორც ირანის ყველა დასახლებულ პუნქტში, აქაც სილამაზით გამორჩეული შენობაა მეჩეთი.

სიბაქში მეორე დიდი შენობაა ქართულწარწერებიანი ორსართულიანი **მარკეტი თუ მაღაზია** (ირანში ყველგან მკაცრადაა დაცული სახელმწიფო ენის – სპარსულის – ღირსება!); **სიმართლე გითხრათ,** არც კი ვიცი, რომელი ბარბარიზმია უკეთესი თუ უარესი: პირველი ბოლო წლებში დამკვიდრდა, მეორე კი – რუსობის პერიოდში... არც ერთი ეს სიტყვა არაა ქართული; არც „დახლი“ არის ქართული წიაღიდან წამოსული სიტყვა; არადა, რამდენი ქართული სიტყვაა საამისოდ:

მხოლოდ სულხან-საბასთან სამია:

– საფარდული

– სასყიდელი

– სამოსასყიდელო

ხელისუფლებებს ქართული ენისა და ქართული კულტურის აღორძინებისათვის რომ ეზრუნათ, ქართველებს სავაჭრო ადგილის სახელად შეგვეძლო დაგვემკვიდრებინა **„სასყიდო“;** ასევე, **„ფარდული“;** შდრ.: ფარდი – ტოლი-ტოლი (საბა); შესაბამისად, „ფარდული“, სადაც გაიცვლებოდა ტოლი ტოლში: თანხა – საქონელში... ფერეიდანში უფრო შეიძლება ქართული ტერმინოლოგიისა თუ ქართულენოვანი წარწერების დამკვიდრება, ვიდრე – თბილისში :)

მოკლედ, ვაშლოვანში **სასყიდოსთან ანუ მარკეტთან** გავჩერდით. ჯერ მხოლოდ მე შევედი: ჩუმად და საქმიანად ვათვალიერებ ჩემთვის უინტერესო ნივთებსა თუ პროდუქტებს; მაინტერესებს როგორ ლაპარაკობენ ერთმანეთთან... **გული სიხარულით მევსება: სპარსულ-თურქულ ენობრივ „ზღვაში“ აქ კიდევ ერთი ქართული „კუნძულია“...** მერე ხმაურით შემოდის ჰამიდი და ყველაფერი თავის ადგილას დგება: მასპინძლისგან სითბოს გადმოფრქვევა: ყურადღება სტუმრებისადმი; თხოვნა-დაპატიჟება; ჩვენი ბოდიში: გვეჩქარება ჯაყჯაყისაკენ...

ვაშლოვანთან დაკავშირებული ბოლო ეპიზოდი: ჯაყჯაყიდან ვბრუნდებით; უკვე გვიანია; საიდთან სტუმრები გველოდებიან; ისევ ვჩქარობთ... გზად ისევ ვაშლოვანი უნდა გამოვიაროთ. მარკეტთან ისევ შევჩერდით, რადგან ჩემი ყურადღება მოტოციკლმა მიიქცია, რომელსაც **ქართულდროშიან ფონზე** ჰქონდა სპარსული სანომრე ნიშანი. პატრონიც იქვეა; გავესაუბრე; კარგი ბიჭი ჩანს, წყნარი, გულიანი, მაგრამ საუკუნოვანი სევდით მომზირალი...

ვემშვიდობებით და გზას ვაგრძელებთ. მოულოდნელად სხვა მოტოციკლისტი უხეშად გვიჭრის გზას და მანქანას გვაჩერებინებს:

– ვერსად წახვალთ, მე ზაზა ვარ გუგუნაშვილი; ჩემი სტუმრები უნდა იყოთ!.. – თითქმის გვეჩხუბება: – თუ არ დარჩებით ჩემთან, ჩემი ღირსება შეილახება; ვერსად წახვალთ!..

გადმოვდივარ მანქანიდან; ძველქართულად (ბეჭებზე ხელის მსუბუქად დარტყმით) ვეხვევი და სამახსოვროდ სურათის ერთად გადაღებას ვთავაზობ...

სამუდამოდ მემახსოვრება საუკუნეების მანძილზე ნაწრთობი ქართული ცნობიერების მქონე ეს დიდებული ვაჟკაცი.

5 მარტი, 2016

## ორი გზა: ქართველები ირანში

ირანის მოქალაქე ქართველებმა ანდრო დავითაშვილის (დაუდ რაჰიმის) ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს მომღერალთა გუნდი; მე სიამოვნებით დავარქმევდი ამ გუნდს სახელს „ლომები“, თუმცა, თავად ამ ფერეიდნელი ბიჭების აზრის გათვალისწინებით, გუნდს სახელად უფრო

დაერქმევა „ალგეთი“.

დიდი გულით მომღერალი ეს ფერეიდნელი ბიჭები არიან:

ნიკა რამიშვილი (სინა რაჰიმი) – პირველი ხმა, ფანდური;

იმედა გუგუნაშვილი (მასუდ შაიესთეჰი) – პირველი ხმა, ფანდური;

ბაჩო ხუციშვილი (ფარშათ ხუციანი) – მეორე ხმა, ფანდური;

არჩილ ონიკაშვილი (არაშ ჰოსეინი) – მეორე ხმა, ფანდური;

ნიკოლოზ ყაფლანაშვილი (სინა ყალანი – მანსურის შვილი) – ბანი (მესამე ხმა);

გოგა გურჩიანი (ქამრან ყურჩი) – ბანი;

ერეკლე მიქელაძე (მოჰსენ მიქელანი) – დოლი.

ბიჭებს ეხმარება ქუთაისელი გიტარისტი გოგიტა კუჭუხიძე.

ფერეიდნელი ლომები მღერიან კომპოზიტორ ნანა ვარდოსანიძის სიმღერას „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ (რომელიც ჩემს ჩანაწერში მათთან ერთად მღერის).

ამ გუნდს არ აქვს საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტები და სამოსი. მე და ბატონი გიორგი სოსიაშვილი ვფიქრობთ, დავაარსოთ ფონდი, რომელიც მხარს დაუჭერს მარტყოფელ ახალგაზრდა ლომებს. https://www.youtube.com/watch?v=kRTxsaqloIs&feature=youtu.be

13 ივნისი, 2016

## ორი გზა ფერეიდნამდე

**წინაისტორია**

ირანში მცხოვრები ქართველების მეტყველების შესახებ პირველი წერილი 1996 წელს დავწერე: „სუპერსტრატისა და ენობრივი თვითიმუნიზაციის საკითხისათვის“ (ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1996, გვ. 21-25; ინგლისური ტექსტი: On superstratum and Linguistic self-immunization (Umlaut Vowels in Georgian), Bulletin of Kutaisi University; 11, 1996, p. 167-171; „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“; Kutaisi University Press), მაგრამ ირანში პირველად ორი წლის წინ ვიმოგზაურე გამორჩეული ქართველი მოაზროვნის – საიდ მულიანის – წინამძღოლობით. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, 400 წლის წინანდელი სისხლიანი, ტანჯული და ამჟამინდელი მშვიდობიანი, მეგობრული გზების ირიბი თუ პირდაპირი შეპირისპირების მიზნით დამეწერა წიგნი „ორი გზა“ (რომელიც, თითქმის დავასრულე და, იმედია, მალე გამოქვეყნდება)... პარალელურად ვფიქრობდი, დოკუმენტურადაც ასახულიყო ირან-საქართველოს თანამედროვე კულტურული ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ჩემთვის გამორჩეული წახნაგი – ირანის მოქალაქე ქართველების ღირსეული მოღვაწეობა.

დოკუმენტური ფილმების გადაღების დიდი გამოცდილება აქვს საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთ გამორჩეულ კინოდოკუმენტალისტს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებას, ბ-ნ სოსო სტურუას – აჭარის ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებლის) ხელმძღვანელს; მასთან ხანმოკლე საუბრით გადაწყდა ექსპედიციის მოწყობა ირანში ნიჭიერ ჟურნალისტებთან – ნერონ აბულაძესა და რამაზ ჯორბენაძესთან – ერთად. წერილით მივმართეთ ირანის ისლამისტური რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ბატონ აბას თალები ფარს... მისი თანადგომით მალევე მოგვცეს საგანგებო ჟურნალისტური ვიზა; გადაწყდა: ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრისა და აჭარის ტელევიზიის თანამშრომლობით უნდა გადავიღოთ დოკუმენტური ფილმების ციკლი „ორი გზა ფერეიდნამდე“; მიზანი: საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობის, ასევე, ირანში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მოღვაწეობის შესახებაც დოკუმენტური ფილმების მომზადება, „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“ /ქართველობა ძნელია ანუ პიჯაკი და რკინის ქალამნები (ნერვები)/.

ირანში წასვლამდე საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოში ოფიციალურად მითხრეს, რომ საელჩოს/საკონსულოს მიერ გაცემული ჟურნალისტური ვიზა საკმარისი იქნებოდა ირანში სატელევიზიო დოკუმენტური ფილმ(ებ)ის მასალის გადასაღებად. ირანის საელჩოს

გულისხმიერებითვე მოკლე დროში მოგვცეს უმაღლესი კატეგორიის ჟურნალისტური ვიზა (ამის გამო კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ელჩს – აბას თალები ფარს), თან გვითხრეს, რომ ირანში ასევე დაგვჭირდებოდა კონკრეტულ მარშრუტზე გადაადგილებისათვის საჭირო ნებართვა, რომლის აღებაში დაგვეხმარებოდა ირანის კულტურის სამინისტროს ველში არსებული რომელიმე მედიასერვისის ცენტრი; გვირჩიეს და შესაბამის აპლიკაციაშიც მოგვანიშნინეს „ნამ ავარანი“; თან დასძინეს: „ნამ ავარანისგან“ პროფესიული კამერით გადაღების ნებართვის მოპოვება არ არის პრობლემაო... არადა, პროცედურული მომენტების გაუთვალისწინებლობის გამო ჩვენთვის სწორედ ეს „ნებართვა“ აღმოჩნდა „გორდიას კვანძი“.

5 ივნისს თეირანში ჩაფრენისთანავე გავიგეთ, რომ „ნამ ავარანმა“ მოითხოვა რამდენიმე კვირა და დღეში 300 დოლარი; კერძოდ, ისპაჰანის ცნობილი ხიდების თუნდაც 4-წამიანი კადრის გადაღების ნებართვის მისაღებად დღეში 300 დოლარი გახდა საჭირო, 5 დღისათვის კი –1500 დოლარი... ასეთმა მოულოდნელმა დავალდებულებამ ჩვენი სამკაციანი ჯგუფის გეგმები, ფაქტობრივ, გამოუვალ ჩიხში შეიყვანა: ჩვენ ვიზა მხოლოდ 10 დღით გვქონდა. არადა, მუდამ ვამბობდი: არ არსებობს გამოუვალი ჩიხი-მეთქი. უმაღლესი კატეგორიის ჟურნალისტური ვიზა გვაქვს, შესაბამისად, შესაძლებელია, ისპაჰანის ხელისუფლებამ უშუალოდ მოგვცეს გადაღების უფლება-მეთქი, ვუთხარი ერთ-ერთ ირანელ ქართველ გავლენიან პირს (უარი ვთქვით თეირანსა და შირაზში გადაღებებზე); მან გვითხრა, რომ ამგვარი ნებართვა პრობლემა არ იქნებოდა, ამიტომ გვთხოვა, პირდაპირ ისპაჰანში წავსულიყავით.

აეროპორტიდან პირდაპირ ისპაჰანისკენ წავედით: ასე დაიწყო ჩიხიდან გამოსასვლელი „ოდისეა“. ისპაჰანისკენ მიმავლები ქალაქ ყუმიდან უკან მოგვაბრუნა იმავე პირმა, ვინც ისპაჰანში დაგვპირდა დახმარებას: მან დაურეკა ჰამიდსა და საიდს (ჩვენს მასპინძლებს), რომ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვაა აუცილებელი პროფესიული კამერით გადაღებისათვისო. თეირანში გვიან ჩამოვედით და ღამე ერთ კარგ მასპინძელთან – მოჰამედ მოლიანთან (მოლაშვილთან) – გავათიეთ.

6 ივლისს დილის 7 საათზე ავდექით, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში დროულად მივსულიყავით. ცხელი ამინდის მიუხედავად, ეტიკეტის დასაცავად, პიჯაკი ჩავიცვი. დილის 8 საათზე მივადექით საგარეო საქმეთა სამინისტროს (ირანში სამუშაო დღე იწყება 07.30-ზე; მთავრდება 14.00-ზე; 15-დან 17 საათამდე ირანის მომსახურე პერსონათა 80 %-ს ძილის საათი აქვს). პასპორტებისა და ვიზების გადამოწმების შემდეგ გადაგვამისამართეს კულტურის სამინისტროში: რადგან ვიზა გაქვთ, ჩვენ რა შუაში ვართო (გაიკვირვეს!). კულტურის სამინისტრომ კი თავაზიანად იმავე “ნამ ავარანში” მისვლა გვთხოვა.

ტაქსებითა თუ მეტროთი სიარულში მიილია ნახევარი დღე (ჩემდა გასაკვირად, დასიცხულ ქუჩაში სხვებიც მხვდებოდნენ პიჯაკებით). “ნამ ავარანში” იგივე გვითხრეს: პროფესიონალური კამერით გადაღების ნებართვის გასაცემად ერთი დღისათვის 300 დოლარია საჭიროო, 5 დღისათვის კი – 1500 დოლარიო... მე საყვედურიანი ღიმილით ვუთხარი: ჩვენ ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესწავლა და ბათუმში, ზოგადად, საქართველოში წარმოჩენა გვინდა; ჩვენ არ ვქმნით კომერციულ პროდუქტს; შესაბამისად, საქართველოსა და ირანის ხელისუფლებებმა აქეთ უნდა გადაგვიხადოს ფული-მეთქი.

ჩვენი მიზნების გაცნობის შემდეგ “ნამ ავარანის” ხელმძღვანელობა გულისხმიერად მოგვექცა და პირობა მოგვცა, 1 დღეში მოიპოვებდა ჩვენთვის საჭირო უფლებას, რომ ორი დღის მანძილზე გადაგვეღო ის, რაც გვინდოდა ისპაჰანსა და ფერეიდანში; თან გვითხრეს: თარჯიმანი აუცილებელია რომ გამოგაყოლოთო. ვუთხარი:

– ჩვენი მიზანია ირანის მოქალაქე ქართველებთან გასაუბრებაც; აქ ინგლისური ყველამ არ იცის; ქართულად თარჯიმნობას კი გაგვიწევს ბატონი საიდ მულიანი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს სპარსულ და ქართულ ენებს (ასევე, ინგლისურს და სხვა რამდენიმე ენას); ასეთი რანგის თარჯიმანი სხვა გყავთ? შესაბამისად, თქვენს თარჯიმანში ფული რატომ გადავიხადოთ?

მალევე გაირკვა, რომ მათ თანამშრომლებში ქართული ენის სპეციალისტი არ არსებობს; შესაბამისად, დაგვთანხმდნენ, რომ საიდ მულიანი ოფიციალურად ჩაიწეროს მათ დოკუმენტაციაში, როგორც თარჯიმანი. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით ნაწილობრივ შემცირდა ჩვენი გადასახდელი ფულიც – შევთანხმდით, გადავიხდიდით ორ დღეში 400 დოლარს.

ამის შემდეგ ხელახლა გადაგვაღებინეს სურათები, ხელახლა შეგვავსებინეს აპლიკაციები (სურათები მიგვატანინეს საელჩოშიც; იგივე აპლიკაციები საკონსულოშიც შევავსეთ, მაგრამ, ვიზების მსგავსად, ისინიც ფარატინა ქაღალდები აღმოჩნდა). ჩვენი ჯიბისა თუ სასტუმროსათვის განკუთვნილი ფულის ნაწილიც შევკრიბეთ და 400 დოლარი მივეცით.

“ნამ ავარანის” ხელმძღვანელობამ გვითხრა, დრო გზაში რომ არ დაგვეკარგა, წავსულიყავით ისპაჰანში; ისპაჰანში აუცილებლად (დააზუსტეს: 99 %-ის გარანტიით) გადმოგვიგზავნიდნენ საჭირო ნებართვას. ისპაჰანში ჩასულებს “ნამ ავარანიდან” ცუდი ამბავი დაგვაწიეს: რამდენიმე წლის წინ ერთი ქართული ტელევიზიის მიერ გადაღებული „ჩასაფრებული კადრების“ გადაღების გამო, ქართულ ტელევიზიას ისპაჰანსა და ფერეიდანში გადაღების უფლებას ვერ მოგცემთო... თეირანში და ირანის ნებისმიერ ადგილას შეგიძლიათ თავისუფლად იმუშაოთო. ასეთი შემოთავაზება ჩვენს გეგმებს ნამდვილად არ შეესაბამებოდა.

7 ივნისი გათენდა თუ არა, ისპაჰანის კულტურის სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებაში მივედით (რომლის ხელმძღვანელი იყო ჩვენი მეგობრის – დავით თავაძის (დაუდ თავაზოის) მეგობარი, ბატონი მეჰდი ბარათი; ის იყო ჩვენი ბოლო იმედი, ქალაქის ხედები მაინც რომ გადაგვეღო (ოჯახებში ინტერვიუების ჩაწერას ვერავინ შეგვიზღუდავდა). ძალიან დაგვეხმარა ბატონი ბარათი: თავის ხელმძღვანელებთან რამდენიმესაათიანი დისკუსიის შემდეგ ბატონმა მეჰდიმ აიღო პასუხისმგებლობა, რომ ცუდ მასალას არ გადავიღებდით და თავად გამოგვყვებოდა ისპაჰანის საინტერესო ადგილების გადასაღებად...

**დიდებული ქართველები**

7 ივნისის საღამო ნაჯაფაბადში დავგეგმეთ: აუცილებლად უნდა გვენახა ალექსანდრე დავითაშვილის (ალიჰოსეინ რაჰიმის) საფლავი და ოჯახი. იქ ბევრი ქართველი შეიკრიბა და დილამდე საოცრად მშობლიურ წრეში აღმოვჩნდით (საიდი ფერეიდანში წავიდა, რომ ჩვენი მასპინძლობისათვის მომზადებულიყო). ჩვენი ერთი გამორჩეული ისპაჰანელი მეგობრისგან აქვე გავარკვიე, რომ გართულდებოდა ფერეიდანში გადაღება...

გადავწყვიტე, მეორე დღეს (08.06.2016) ადრე დილით წავსულიყავით ფერეიდანში (არადა, ისპაჰანში ისევ ბატონ ბარათთან ერთად გვქონდა დაგეგმილი გადაღებების მეორე ნაწილი; ახლა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ფერეიდანში წასვლა სწორი გადაწყვეტილება იყო...). ბატონი ბარათის კოლეგასთან – ნურმოჰამად რაჰიმთან – მივედით, მან კი მაშინვე გუბერნატორთან გადაგვამისამართა. გუბერნატორი არ იყო ადგილზე; გუბერნატორის მოადგილემ (ეთნიკური თურქია) – ბატონმა შარიფმა და მერიის დაცვის ხელმძღვანელმა – ბატონმა ყაასიმ ქარიმმა (ეთნიკური ქართველია!) ყურადღებით მოგვისმინეს და ზრდილობიანი ღიმილით გვითხრეს, რომ ერთი ქართველი ჟურნალისტის მიერ ცუდი კადრების გადაღების გამო ვერ მოგვცემენ ქალაქში ინტერვიუების ჩაწერის უფლებას, მაგრამ სოფლების გარე ხედებს კი გადაგაღებინებთო...

მერიის დაცვის ხელმძღვანელი, ბატონი ქარიმი თან გაჰყვა ჟურნალისტებს, მე კი ფერეიდუნშაჰრთან ახლოს „ლამაზ გორაზე“ წავედი, სადაც არის კონდრათი თავაზოის (თავაძის) კარგი აგარაკი; იქ გველოდნენ ფერეიდნელი ახალგაზრდები, რომელთაც ახლახან შექმნეს მომღერალთა გუნდი; მინდა ყველამ იცოდეს მათი სახელები: ანდრო დავითაშვილი (დაუდ რაჰიმი; გუნდის ხელმძღვანელი); ნიკა რამიშვილი (სინა რაჰიმი) – პირველი ხმა, ფანდური; იმედა გუგუნაშვილი (მასუდ შაიესთეჰ) – პირველი ხმა, ფანდური; ბაჩო ხუციშვილი (ფარშათ ხუციანი) – მეორე ხმა, ფანდური; არჩილ ონიკაშვილი (არაშ ჰოსეინი) – მეორე ხმა, ფანდური; ნიკოლოზ ყაფლანაშვილი (სინა ყალანი – მანსურის შვილი) – ბანი (მესამე ხმა); გოგა გურჩიანი (ქამრან ყურჩი) – ბანი; ერეკლე მიქელაძე (მოჰსენ მიქელანი) – დოლი.

ფერეიდნელ ბიჭებთან ერთად გავიცანი გოგიტა კუჭუხიძე – გიტარისტი და მისი დედა – მუსიკოსი ნანა ვარდოსანიძე (სიმღერის „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ ტექსტისა და მუსიკის ავტორი). აქვე გავიცანით სხვა გამორჩეული ფერეიდნელი ქართველები: რევაზ დავითაშვილი (დიდი რეზო დავითაშვილის შვილი, გოგი და დავით დავითაშვილების ძმა), ერეკლე ონიკაშვილი; სტუმრად მოვიდნენ სხვა ჩვენი მეგობრებიც... აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ, ყველა, უნდა დავეხმაროთ ამ ფერეიდნელი მომღერალი ბიჭების გუნდს.

საღამოს ფერეიდუნშაჰრელი (მარტყოფელი) მეგობრების ოჯახებში ჩავწერეთ ინტერვიუები იქაური ქართველების ცხოვრებისა და ირან-საქართველოს მეგობრობის უალტერნატივობის

თემებზე. თორელში, ახჩაში და სხვა სოფლებში პროფესიული კამერით გადაღების უფლება არ გვქონდა. ამიტომ ჩვენი იქაური მეგობრები საიდ მულიანმა თავის სახლში დაპატიჟა. ღამე საიდთან მოვიდნენ: აღჩაველი ჰაჯი ალი ასყარ ქარიმი და თორელელი აბულყასემ აჰმადი თავის ოჯახთან ერთად... აბო მოწყენილი იყო, ლამის მეჩხუბებოდა: „რატომ ჩემთან სახლში არ მობრძანდი?“... მიუხედავად სიტუაციის ახსნისა, ბოლომდე ნაწყენი დარჩა :).

პროფესიული კამერა იყო ჩვენი პრობლემა, დროულად უნდა წავსულიყავით ისპაჰანში... მეორე დღეს დავბრუნდით ისპაჰანში (თუმცა, ადრე დილით მე ჩემს უღალატო მთამსვლელ მეგობრებთან – შაჰრამ ონიკაძესა და ისმაილ დავითაშვილთან/რაჰიმთან – ერთად ციხემთაზე შევხვდი მზის ამოსვლას; მზის ამოსვლა მოყვარულის კამერით გადავიღე, სადაც ჩავწერე ინტერვიუ დიდებულ ადამიანთან – შაჰრამთან).

9 და 10 ივნისი ისპაჰანის სასტუმრო „აზადში“ – გიორგი გუგუნაშვილის (ჰამიდ რაჰიმი) სასტუმროში გავათიეთ; ისპაჰანში ვესტუმრეთ ელენე იოსელიანს, მანსურ ყალანს, ჰამიდ რეზა ასლანს, დაუდ თავაზოის ცოლისძმას – ბატონ ვალიანის და 11-ში დილით წამოვედით თეირანში, სადაც ისევ მოჰამედ მოლიანმა გვიწინამძღოლა: ჩანთები დავტოვეთ მის მეგობართან – ბატონ ყურბანთან – დიდებულ ქართველთან და წავედით მეტროთი თეირანის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრში, სადაც საინტერესო ლექცია-შეხვედრები შედგა, კერძოდ: წავიკითხე ლექცია თემაზე: „ენობრივი სიტუაცია კავკასიაში (პოლიტიკური კონტექსტი)“.

ლექციას, ირანის მოქალაქე ქართველების გარდა, ესწრებოდნენ: ცენტრის დირექტორი – დოქტორი მეჰდი ჰოსეინი თაყიაბადი; დოქტორი, ქურთოლოგი, ეთნიკური უმცირესობების მკვლევარი ეჰსან ჰუშმანდი; დოქტორი ალი ქალირადი – ისლამის ენციკლოპედიის პროფესორი; დოქტორი ალი ბაბაი დარმანი – ისლამის ენციკლოპედიის პროფესორი; დოქტორი მეჰდი ფურ მონფარედი – ისლამური კულტურისა და ურთიერთობების ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი.

ლექციის შინაარსს პროფესიონალურად თარგმნიდა ბატონი საიდ მულიანი. მოხსენება 40 წუთს გაგრძელდა, მსმენელთა შეკითხვებზე ჩემი პასუხები – 2 საათს (ხანგრძლივი დროით თარჯიმნობისას საიდი რაღაც მომენტში დაიღალა და მცირე დროით ამინ ნაგელიანმა – ჩემი ლექციის მოწყობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა – შეცვალა).

ვფიქრობ, ამ ლექციამ ორივე მხარეს ბევრი რამ შეგვძინა; ვფიქრობ, ირანელი მეცნიერებიც და მასპინძლებიც დარწმუნდნენ, რომ მე და აჭარის ტელევიზიის ჯგუფი ირანში ჩავედით ირანის კულტურის პატივისცემის ფარგლებში და, რაც მთავარია, იმიტომ, რომ წარმოგვეჩინა ქართულ-ირანული ურთიერთობის დადებითი ასპექტები, ახლოს გაგვეცნო ირანის მოქალაქე ქართველების წარმატებული ცხოვრება და ახლოდან დაგვენახვებინა კავკასიაში მიმდინარე პროცესების არსი... ლექცია ღირსეულ გვირგვინად დაადგა ჩვენს ერთკვირიან „ოდისეას“: 11 ივნისს, საღამოს, ორმხრივად დამშვიდებულნი გამოვფრინდით სამშობლოსაკენ.

შეჯამების სახით ვიტყვი: ირან-საქართველოს ურთიერთობაში ნამდვილად პერსპექტიულია მშვიდობიანი და კულტურულ ურთიერთობებზე ორიენტირებული მეგობრული გზა.

**P.S.** ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში შევხვდი ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ბ-ნ აბას თალები ფარს და დეტალურად მოვუყევი ყველა იმ პრობლემის შესახებ, რაც შეგვხვდა ირანში; ის შეწუხდა პროცედურული გაუგებრობების გამო და აღგვითქვა, რომ მომდევნო მსგავსი ექსპედიციის დაგეგმვისას უფრო მეტ ორგანიზებულობას გამოიჩენს საელჩო...

მე დიდი მადლობა გადავუხადე მას; ვუთხარი, რომ არა მისი თანადგომის იმედი, ვერ წავიდოდი ფერეიდანში; ვუთხარი, რომ ჩვენი დოკუმენტური ფილმები დაადასტურებს ჩვენს გულწრფელობას... და სამომავლო კეთილი ურთიერთობის იმედით დავემშვიდობე.

**P.P.S**. 2016 წლის 24 ივნისს კი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმინდა ილია მართალის სახელობის საკონფერენციო დარბაზში წავიკითხე მოხსენება თემაზე: „ისპაჰანელი და ფერეიდნელი ქართველების კულტურული ცხოვრება“; ვისაუბრე ასევე ჩვენი დოკუმენტური ფილმების ციკლზე: „ორი გზა ფერეიდნამდე“ (მიზანი: საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობის, ასევე, ირანში

მცხოვრები ეთნიკური ქართველების მოღვაწეობის შესახებაც დოკუმენტური ფილმების მომზადება; პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფ. ტ. ფუტკარაძე; რეჟისორი – ნ. აბულაძე, ოპერატორი – რ. ჯორბენაძე).

20-წუთიანი დოკუმენტური ფილმების ციკლი „ორი გზა ფერეიდნამდე“, დაახლოებით, ასეთი შინაარსისა იქნება (სავარაუდოდ):

1. შეხვედრები თეირანსა და ყუმში;
2. ჰელენ იოსელიანი: ქართული ენა ნახატებში;
3. ისპაჰანელ ქართველთა კულტურული ცხოვრება (რევაზ დავითაშვილი, ნუგზარ ლაჩინანი, სოსო მიქელაძე, მანსურ ყალანი): ქართულენოვანი ხალიჩა და ცისარტყელა: ოცნებებში გარდაცვლილი თაობები და ალექსანდრე დავითაშვილის ახდენილი ოცნება;
4. ბიზნესში წარმატებული ისპაჰანელი ქართველები;
5. საიდ მულიანის ღვაწლი;
6. ერთი ტევადი დღე ფერეიდანში (ისტორია, ტოპონიმიკა, ლექსიკა და ინტერვიუები);
7. ლექცია თეირანის უნივერსიტეტის კავკასიის კვლევის ცენტრში.

27 ივნისი, 2016

## დინჩერი

კიდევ ვინ არის ქართველი? –

ამ კითხვას შემთხვევით არ ვსვამ: ბევრმა არ იცის, მის გარდა კიდევ ვინაა ქართველი.

ეს ახალგაზრდა დინჩერ ალფასლანია ბერთადან. დინჩერმა იცის, რომ მისი წინაპრების შექმნილია ქართველური კულტურის ის საგანძური, რომლებიც ართვინის მხარეში დღემდე არსებობს: მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა, მართლმადიდებლური ტაძრები, ციხეები, ხიდები...

დინჩერმა ქართული არ იცის; აღმსარებლობით დაბალანსებული მუსლიმანია (რადიკალური აზრების მქონენიც შემხვედრია თურქეთშიც). დინჩერს უყვარს თურქეთის სახელმწიფო და იცის, რომ ქართველებსაც აქვთ წვლილი ამ სახელმწიფოს შექმნაში.

დინჩერმა იცის, რომ ქართველია. მან უკვე დაიწყო ქართულის სწავლა; უნდა საქართველოს მოქალაქეობა და ამბობს, რომ საქართველოში უნდა ინტენსიური ყოფნა, რომ უფრო არსობრივად შეიგრძნოს საკუთარი ეთნიკური ფესვები. წუხს, რომ მშობლებმა ქართული არ ასწავლეს, თუმცა, დედამ კარგად იცის ქართული... ალბათ, იმიტომ არ ასწავლეს, რომ თურქული აქცენტი ჰქონოდა (ზოგი თბილისშიც ცდილობს ინგლისურად თუ რუსულად გაზარდოს შვილი, რომ ქართულმა „საერთაშორისო ენის ფონეტიკა/წარმოთქმა არ დაუმახინჯოს“).

თურქეთის მოქალაქე დინჩერი ქართველი ერისა და საქართველოს პატრიოტია: ნამდვილად თავსებადია ერთდროულად სხვა ქვეყნის ღირსეული მოქალაქეობა და საკუთარი ეთნიკური ფესვების ერთგულება-სიყვარული...

ადამიანის ეთნიკურ/ეროვნულ მეობას/არსობას განსაზღვრავს:

– სისხლი – ეთნიკური წარმომავლობა: „სისხლის ყივილი“ და გარეგნობა;
– ენა – უფრო წინაპრების ენა; ენობრივი იდენტობა;
– ისტორიული მეხსიერება;
– მოქალაქეობა;
– რელიგია;
– გვარიშვილობა: „ვისი გორისა ხარ“;
– კლანურობა თუ რომელიღაც ჩაკეტილი წრის წევრობა (ქურდები, სექტები, ორიენტაცია...)...

რელიგიის მიხედვით იდენტობის ფორმირება რადიკალურ-ფანატიკური მენტალობის ჩამომყალიბებელია; ასევე, სახიფათოა ერთი რომელიმე ნიშნით იდენტობის მკაცრად განსაზღვრა.

ადამიანის მეობის კუთხით, ჩემი აზრით, სქესისა და უფლის რწმენის გარდა, ძირითადია: „სისხლის ყივილი“ (და გარეგნობა), ისტორიული დედაენა, ისტორიული მეხსიერება თუ

მოქალაქეობა და მათთან ერთად – რწმენის კონკრეტული სახესხვაობა.

ზოგს ეს ყველაფერი აქვს, მაგრამ მაინც არა აქვს ეროვნება, მაგალითად – კარიერისტს, მხოლოდ ფულის მოყვარულსა თუ ცხოველს (ზვიად გამსახურდია: „ეროვნება არა აქვს ცხოველს“).

მიუხედავად იმისა, რომ დინჩერმა ქართული არ იცის, თურქეთის მოქალაქეა და მუსლიმანია, საოცრად დიდებული ქართველია – ამაში ექსპედიციის ყველა წევრი დარწმუნდა! ჩანს, ამ პიროვნებაში არსებით როლს თამაშობს „სისხლის ყივილი“, გარეგნობა და ისტორიული მეხსიერება.

დედაენას სწავლობს. უნდა საქართველოს მოქალაქეობაც! მას არ ეშინია (ბევრის მსგავსად!), რომ თურქეთში შეიძლება ისევ დაბრუნდეს ძველი დრო, როცა ქართულად ლაპარაკის გამოც კი ისჯებოდნენ! ყველა მისმა თურქეთელმა ნაცნობმა იცის, რომ დინჩერი გამორჩეული ქართველია და ქართველობით ამაყობს.

ეს დიდებული პიროვნება – დინჩერ ალფასლანი – ჩამოვა თბილისსა თუ ბათუმში და ვიღაც გაუნათლებელი ბრიყვი არსება /უპრობლემოდ რომაა ქართველი/, თათარს დაუძახებს.

დინჩერს გული ეტკინება, მაგრამ მაინც არ დაიბოღმება, რამდენადაც კარგად იცის, რომ ზოგი გაუნათლებელი თურქეთელი ქართველიც, ასევე სიბრიყვის გამო, თავს არ თვლის ქართველად – მას ეცოდება ასეთი „ღამურებიც“ და ის გაუნათლებელი ქართველებიც, რომლებიც დინჩერის მსგავს საოცარ ქართველს ქართველად არ (ჩა)თვლიან.

აშკარაა: განათლება აუცილებელია, რომ გაიცნობიერო საკუთარი ეთნიკური თუ ეროვნული იდენტობა/მეობა. ღირსებაც და ნამუსიც აუცილებელია, რომ ფულსა თუ კარიერას არ გადააყოლო წინაპრების მიერ შემონახული ენა, მამული თუ ეროვნული კულტურა...

ყველაზე მყარ თავდაცვის საფუძველს მაინც განათლება იძლევა: სწორი ორიენტირებით განათლება. მტრის ხელში კი საშიში იარაღია განათლება, როცა ის მადეზორიენტირებელია; მაგ., ზოგი თურქეთშიც ცდილობს ხალხს დააჯეროს, რომ მუსლიმანობა თავისთავად, უსისხლოდ, ყვავილების მიმოფენით გავრცელდა და არაბობისა თუ ოსმალობის დროს და თუნდაც ქართველი მეფეებისათვის არავის დაუძალებია მუსლიმანობა და სისხლის გუბეები არ დამდგარა თუნდაც აჭარაში. ასევე, ზოგი დღესაც ავრცელებს კირზიოღლუს ფსევდომეცნიერულ და საშიშ ზღაპრებს, რომ მესხები ბუნ-თურქები ან ყივჩაყები არიან და სხვა მრავალი (ეთნიკური ჯგუფი „ბუნთურქები“ არ არსებობდა; ქართულ წყაროებში ეს შესიტყვება „ურჯულოს“ სინონიმია).

განათლების მიმართულებით პრობლემებია ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი – საქართველოში.

დინჩერი სტუდენტია და სურს, უფრო საფუძვლიანი განათლება მიიღოს!

გაგიმარჯოს, დინჩერ!

https://www.facebook.com/photo.php?fbid=1614088765469256&set=a.1507365732808227.1073741826.100006044445383&type=3&theater

25 აგვისტო, 2016

## ABDULLAH ÇELEBİOĞLU: „BİLİRMİSİN GÖÇ NEDİR?“ / აბდულაჰ ჩელებიოღლუ: „შენ იცი, რა არის მუჰაჯირობა?“

აბდულა ჩელებაძე (ჩელებიოღლუ) მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალია. შუა თურქეთში – დუზჯეში ცხოვრობს.

მუჰაჯირებად იწოდებიან ის ქართველები, რომლებმაც საქართველო (აჭარა, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი) დატოვეს მე-19 საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შემდეგ; კერძოდ:

რუსეთ-ოსმალეთის ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ **რუსებს სურდათ საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის შეცვლა** შავი ზღვის სანაპირო ზოლში და ოსმალეთის სასაზღვრო ზოლში არაქართველების ჩამოსახლება; ამიტომაც აფხაზეთიდან, აჭარიდან, ტაო-კლარჯეთიდან დალაზეთიდანპროვოკაციულიმუქარებითაიძულესადგილობრივიმოსახლეობა,დაეტოვებინათ წინაპრების საცხოვრისი და უცხოობაში ეძიათ გადარჩენის გზა... **პარალელურად, ოსმალეთს**

**ხელს აძლევდა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ქართველებისა და აფხაზების დასახლებების შექმნა შუა ოსმალეთში.**

აქვე აღვნიშნავ: რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს, ერთ დროს (XI-XII საუკუნეებში) მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო – საქართველო – შინაომების გამო დანაწევრებული იყო და გარეშე მტრების მიერ იყო დაპყრობილი. საქართველოს ყველა კუთხე დიდ გასაჭირში იყო. რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შედეგად ასეულათასობით ადამიანი აღმოჩნდა უცხოობაში, გაჭირვებაში... ბევრი მათგანი დაიღუპა გზაში, ზოგიც გადარჩა და გამრავლდა, გაძლიერდა...

**სწორედ ამ ტკივილის შესახებ წერს გულწრფელი ადამიანი აბდულა ჩელებიოღლუ.**

ლექსი დაწერილია თურქულად; ბუნებრივია, თარგმანში შეიძლება არ აისახა თურქული ენის ყველა ნიუანსი, თუმცა, ქართულ თარგმანში **არანაკლები ემოციითაა გადმოცემული მუჰაჯირი აჭარლების, მაჭახლელების, ლივანელების... საუკუნოვანი ტკივილი.**

აბდულაჰ ჩელებიოღლუ
შენ იცი რა არის მუჰაჯიროობა?
შენ იცი რა არის მუჰაჯიროობა?/ ჩამოშლაა კლდის,
მდინარის აღმა დინებაა, / გაოგნებაა მუჰაჯიროობა.
ყველაფრის მიტოვება და წასვლაა, / სიზმარი არ არის, სინამდვილეა,
მწუხარებაა მუჰაჯიროობა.
ბებიების, ბაბუების, მშობლების, / ბავშვების გზაში დაღუპვაა,
ჩამქრალი კერაა, / მინავლული ცეცხლია,
უბედურებაა მუჰაჯიროობა.
არ ცოდნაა, სად წახვიდე, / სად დათესო,
სად მოიმკა, სად მოთიბო?!
მიუსაფროობაა მუჰაჯიროობა.
წინაპართაგან ნასვამი წყლის / ვეღარ დალევაა,
უცხოეთში გაქრობაა, / გადაკარგვაა მუჰაჯიროობა.
ქვეყნიერების ზურგზე წამოკიდებაა,
ყინულზე ჩაჭიდების ცდაა, დაცემაა,
სიცარიელეა მუჰაჯიროობა.
უკან დაბრუნების იმედია, / მაგრამ ვეღარასოდეს დაბრუნებაა,
უცხოთა ხელში დაობლებაა, / უცხოობაში მარტოობაა მუჰაჯიროობა.
ცეკვა-სიმღერის, ტრადიციების მოშლაა,
დედა ენის დაკარგვაა, / გადაკარგვაა მუჰაჯიროობა.
რაც უფრო შორდები, მეტი შიშია,
წარსულში ჩანაცრებაა, / ტკივილია მუჰაჯიროობა.
შენ იცი, რა არის მუჰაჯიროობა? / ნაცნობი გემოს ვერ მიგნებაა,
სამოსის ვერ მორგებაა, / უმისამართო გემებში ჩასხდომაა,
წყალში ჩაძირვაა, / დახრჩობაა მუჰაჯიროობა.
შენ იცი რა არის მუჰაჯიროობა? / ბათუმია, აჭარაა,
„ჩვენებურია“, / ჭირთათმენაა მუჰაჯიროობა.
მიუხედავად ყველა სირთულისა, / მაინც ფეხზე დგომაა,
წარმატების მიღწევაა, / ძალიან ძნელია მუჰაჯიროობა.
შენ იცი რა არის მუჰაჯიროობა? / ბაბუაჩემია, ბებიაჩემია,
დედაჩემია, ჩემი ოჯახია, / ჩემი მოდგმაა, ჩემი სისხლია,
ჩემი სულია, ჩემი გულია მუჰაჯიროობა.
სიმწარეა, სიძნელეა, სისასტიკეა,
სიკვდილია, სიკვდილია მუჰაჯიროობა.
ნამდვილი სიკვდილია მუჰაჯიროობა.

თურქულიდან თარგმნა ნანა კაჭარავამ
23 დეკემბერი, 2016

# ბორა

ტაო-კლარჯეთში სტუდენტთა მორიგი დიალექტოლოგიური ექსპედიციის წინ ოსმან ფუტკარაძესთანაც (კიდევ ერთ ძალიან ღირსეულ ქართველთან!) მქონდა კონსულტაცია; ზემო მაჭახელის ხეობა უჩემოდ არ დაგეგმოო, მითხრა. ექსპედიციის პირველივე დღეს თურქული უცნობი ნომრიდან შემოვიდა სატელეფონო ზარი:

– ტარიელ ბეი, გამარჯობათ; თქვენი ტელეფონის ნომერი ოსმანმა მომცა; უეჭველი უნდა გნახოთ. ბორჩხაში როდის იქნებით?

წამიერი ფიქრი: "ბეი" ბატონის ნაცვლად თურქეთელ ქართველს შეუძლია თქვას; "უეჭველი" ფორმას კი საქართველოში განათლებული ადამიანი თუ იყენებს.

– გამარჯობა, თქვენი სახელი?

– მე ჯემი ვარ მაჭახლიდან; ოსმანის ნათესავი... მაჭახელაში მე უნდა გიმასპინძლოთ...

– ჯემ, დიდი მადლობა; დაგირეკავ, ბორჩხისაკენ როცა წამოვალ.

პოზიტიური მოლოდინები გაამრავალწახნაგოვანა ამ დიალოგმა. ოთხი დღის შემდეგ, იუსუფელიდან ბორჩხაში წასვლის წინ დავურეკე ჯემს:

– ჯემ, როგორ ხარ?

– გამარჯობა, ტარიელ ბეი; გელოდებით ბორჩხაში; რომელ საათზე იქნებით აქ?

მინდა უფრო დიდხანს მესმოდეს ეს სასიამოვნო ქართული ტემბრი და ვეკითხები:

– ჯემ, საინტერესო სახელი გაქვს; ჯემალი ხომ არ დაგარქვეს მშობლებმა?

მოკლე და სხარტი სიცილით:

– არა, ბატონო, პირადობის მოწმობაში მიწერია ჯემ იუჯელ იავუზი; ჯემი მამაჩემმა დამარქვა, მისი მეგობრის სახელია; მამაჩემი ხასან იაუზი 2012 წელს კიბოთი გარდაიცვალა...

– ჯემ, საათ-ნახევარში ვიქნებით ბორჩხაში, ხელი რაიმემ თუ არ შეგვიშალა.

ხელი მართლაც შეგვეშალა: მახოს მანქანას 45-გრადუსიან სიცხეში რომელიღაც "შლანგი" გაუსკდა და ნელი სვლით სამი საათი მოვანდომეთ ბოჩხაში ჩასვლას. ზაზა ვარდიძის მეგობარი, სუპერმარკეტ "გუილმარის" მეპატრონე ჰუსეინ დიშლიც (გოგიბერიძე) ბორჩხაში გველოდება; ბორჩხის სახელმწიფო ლიცეუმის ხელმძღვანელობაც დაღამებამდე მყავს სანახავი, რომ სტუდენტი გოგონები და პროფესორი ეკა დადიანი ამ ლიცეუმის სასტუმროში დაბინავდნენ (ართვინის ბელედიე ბაშქანის თხოვნით დაგვითმეს ექსპედიციის წევრი მანდილოსნებისათვის); პირველ რიგში, მაინც ჯემთან ვრეკავ:

– ჯემ, სიცხეს ვერ გაუძლო ჩვენმა მინიბუსმა; დაგვაგვიანდა, მაგრამ უკვე ბორჩხაში ვარ.

– აქვე ვარ, 5 წუთში მანდ გავჩნდები, – ისევ სხარტი და დახვეწილი ქართულით.

ჯემი: მომაღლო, გამხდარი, ბეჭებით ოდნავ წინ წახრილი; მოოქროსფრო გრძელი შეკრული თმა ლამის წელამდე სწვდება, მაგრამ თვალში უფრო მხვდება სხარტად მოელვარე თვალები და ვაჟკაცური გამომეტყველება.

– ტარიელ ბეი, ყველა პრობლემა მოგვარებადია: მანქანასაც გავაკეთებთ!

მისი კეთილშობილური ღიმილი და მყარი ინტონაცია სიცხესაც და დაღლილობასაც არბილებს; მახოს სათადარიგო ნაწილი აღმოაჩნდა და მანქანის პრობლემას აღარ შევუწუხებივართ.

იმედი მაქვს, მექნება დრო და მაჭახელის ხეობის, ზოგადად, ართვინის ვილაიეთის სამეტყველო დიალექტური კოდების, საინტერესო ადგილების (მინდიეთის ჩანჩქერი, გორჯის ტბა, დოლისყანის, ხახულის, პარხალის, ოშკის ეკლესიების, არტანუჯის, შავშეთის, ართვინის და სხვა ციხეების) მონახულების ამბებს ცალკე წიგნად დავწერ; ამ მოკლე ჩანახატში კი ჯემის თემას არ გავცდები:

ზედვაკეში კარგად ვიმუშავეთ. გავიცანით მაჭახლური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი ბატონი ისმაილ ერთურქი (ქავთარაძე), მისი ასევე ცნობილი ძმა ხემდი; სხვა ქართველები. ულამაზესია აქაურობა: თავი 60-იანი წლების ზემო აჭარაში მგონია, ოღონდ, ზემო აჭარაში მხოლოდ თამარ მეფის ციხეები და ხიდებია; აქ კი თამარას მაღარაც არის: კლდეში გამოკვეთილი ოთახები, სადაც, ადგილობრივთა ბუნდოვანი გადმოცემით, თამარ მეფეს უცხოვრია ომიანობის დროს (გადმოცემის ტრანსფორმაცია: ერთი მთქმელი ამბობს, რომ თამარას რუსებთან ჰქონდა ომი). უკვე შუადღეა; ჯემი მეუბნება:

– ძალიან დაცხა, ამიტომ მინდიეთის ჩანჩქერზე ავიდეთ;

– მინდიეთის ჩხერზე – აქ ასე ჰქვია ხომ?

იცინის:

– კი, მინდიეთის ჩხერი; ლამაზი ადგილია... მამაჩემი მაგარი ქართველი იყო, აქაურობაზე აფანატებდა: მინდიეთის ჩხერი მან აღმოაჩინა; უყვარდა იქ ასვლა... მამაჩემს ძალიან უნდოდა, მაჭახელაში ყველაფერი ქართული, ადგილობრივი, წინაპრებისეული შენარჩუნებულიყო; მეც ეს მინდა; ესაა ჩემთვის მამაჩემის ანდერძი.

– ასეთი დახვეწილი ქართული საიდან? – ვეკითხები ღიმილით.

– ახლა „გეპეიში“ ვსწავლობ; ბათუმში ვსწავლობდი; იქ გამაბრაზეს და სამი წელი დავკარგე; ხალხური საკრავების სწავლა მინდოდა და ერთმა მითხრა: შენ, თურქს, რად გინდა ქართული ხალხური საკრავის სწავლაო; ვეჩხუბე და დავტოვე ბათუმი.

ქართველობა მსოფლიოს დიდი (ხანგრძლივი) ისტორიისა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს მქონე იშვიათ ერებს შორისაა; ფაქტობრივი 200-წლიანი რუსული ოკუპაციის შემდეგ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მოკლე დროში ააღორძინა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ 1992-93 წლების გადატრიალების შემდეგ პერიოდში ბევრი რამ არასწორად წარიმართა. ამ ეტაპზე ბათუმით შემოვიფარგლები: ბოლო დროს ბათუმიც გმინავს და ბათუმის გამო – მთელი საქართველოც; ხშირად გაიგონებ:

– ასლანის დროს ბათუმში მოსკოვის მერის – ლუჟკოვის – გარემოცვა მკვიდრდებოდა; სააკაშვილის დროს და ახლა კი თურქები ყიდულობენ ყველაფერს! ძველი ბათუმიც იკარგება ამ მშენებლობებში და ბათუმის ქართულობაც!

ამასწინათ როი აბუსერიძე და მისი მეგობრებიც შეხვდნენ ქალაქის ხელმძღვანელობას ამ პრობლემების გამო. როგორ შევინარჩუნოთ ბათუმი ქართულ ქალაქად, ერთი სერიოზული თემაა, რომელიც, ბუნებრივია, ერთ-ერთი წახნაგია გაცილებით დიდი პრობლემისა:

– როგორ გადავარჩინოთ და როგორ გავაძლიეროთ ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მეობა (იდენტობა) თანამედროვე გლობალისტურ სამყაროში? ბათუმის თემაც ზოგად კონტექსტშია გასააზრებელი... ისევ ჯემის მიერ წამოწეულ თემას მივუბრუნდები:

მინდიეთის ჩხერიდან მობრუნებულები ხერთვისში ვჩერდებით; დიალექტოლოგიური მასალის ჩაწერას აქაც ვაგრძელებთ. ამასობაში ზუსტად ცენტრში, ცენტრალური გზის ქვემოთ, სწორ ადგილას სუფრა იშლება: 20-კაციან მაგიდას ცქვიტი მოძრაობით აწყობს წვერებიანი, მკვრივი აგებულების ახალგაზრდა; ჩემი ძმაა, ბორა – მაცნობს ჯემი (რომელსაც ზოგჯერ ჯიმისაც ვეძახი; შეიძლება ასოციაციით გრძელი თმის გამოც).

ჯემ და ბორა იავუზებს (მოლაშვილებს) ვერასოდეს დაივიწყებს მხედველობის მქონე ადამიანი; ბორა უფროსია, ასე, 30 წლამდე; ჯემი 24 წლისაა. და შუათანაა, იზმირში ცხოვრობს ქმართან ერთად; იქ ცხელა და აქ ხერთვისში ისვენებს ძმებთან; ახლა კი სუფრის გაშლაში ეხმარება.

ჯემი:

– აქ საოჯახო სასტუმრო გვაქვს: “მაჭახელის პანსიონი”; მხოლოდ ნაცნობობით მოსულ ტურისტებს ვიღებთ: ყველაფერი არაა ფული; ოჯახური სასტუმროა, აქაა დედა, და; არ მინდა ისეთი ვინმე შემოვიდეს სახლში, ჩვენი ოჯახური სითბო რომ ვერ გაიგოს.

ბორა მოლაშვილი სუფრის გაშლის შემდეგ ახლოს გავიცანი: ჩემს პირდაპირ დაჯდა, არაყი დამისხა და თავადაც დაისხა. მაჭახლური დიალექტით და მაღალი, გოროზი ხმით მეუბნება:

– პროფესორ, ჯემიმ მითხრა, ვინ ხარ! მე ჩემ გულისტკივილზე-ნა გითხრა: მე მაგარი ქართველი ვარ; ამ ტამრებში (ძარღვებში) მარტო ქართული სისხლია! ავღანეთში რვა თვე ვიყავი თურქეთის ჯარში; ახალათ რომ ჩაველ და ერთ ადგილას გურჯი ბაირაღი (საქართველოს დროშა) დევნახე, არ მემერიდა: პირდაპირ შეველ და ვთქვი: ბიჭებო, მე ქართველი ვარ! დიდვანებთან მიმიყვანეს; იმათაც ვუთხარი, რომ მე ქართველი ვარ! დემელაპარიკენ, დეველეპარიკე, გულმა გული იცნო! იქ შარაფი (ღვინო), არაყი, რახი, იასაღია (აკრძალულია), მარა, მე რა გამაჩერებდა! მალევე მივბრუნდი და მივტანე სასმელი; იმათაც ნახეს ჰაცხა! შევსვით ერთად, ძმები გავხდით! ბევრჯერ მიველ, რვა თვე მათთან ერთად დავლიე; მე რიგითი ვიყავი, ისინი ოფიცრები, მათთან რიგითი ვერ შევდოდა, მარა ჩემთვინ კარი სულ ღია იყო: ძალიან შუუყვარდი მათაც; მე ქართველი ვარ, მე გურჯი ვარ და გურჯებთან არ უნდა ვყოფილიყავი?!

მწერალს გაუჭირდება, აღწეროს ამ სიტყვების წარმოთქმისას ბორას მეომრული გამომეტყველება, ხმის სიძლიერე, შეუპოვარი ინტონაცია, მოკლე წვერის ფონზე ანთებული თვალები, ერთიანად შეკრული სხეული... ბორა ემოციით საუბრობდა და ველოდი, რომ რაღაც ცუდსაც იტყოდა, თუ რატომ ატკინეს გული; თუმცა, გზნებით აგრძელებდა პოზიტიურ თხრობას; ტონს უფრო და უფრო უწევდა.

– ბორა, ჩამოდი თბილისში, მინდა, რომ მთელმა საქართველომ გაგიცნოს ტელევიზიით;

– მითხრა ავღანეთში ერთმა ქართველმა დიდმა ოფიცერმა; ვუპასუხე:

– რათ მინდა ტელევიზორი; რა-ნდა ვთქვა ტელევიზორში; მე არც პროფესორი ვარ, არც პოლიტიკოსი; არც ვმღეროფ (ვმღერი), არც ვმასხროფ (ვხუმრობ); მე ერთი გულიანი ქართველი ვარ და მინდა სხვა გულიან ქართველებთან ძმობა; არ მინდა ტელევიზორში გამოსლა... ძაან მაგარი ბიჭები იყვენ ის ოფიცრები – ნატოს ჯარის ქართველი ბიჭები; ჩემთვის გულია მთავარი, ქართული გული! სხვა ნაციის ჯარისკაცებიც კარგები იყვენ... მე მინდა ღირსეული კაცების სადღეგრძელო დავლიო, ვინც არ უნდა იყოს, თუ ღირსეულია – ქართველია, თურქია, ამერიკელია, გერმანელია; ყველა ღირსეულ კაცს გაუმარჯოს ქართველი ოფიცრების თამადობით.

გამიხარდა, რომ ნატოს სახელით ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცები არ იყვნენ ისინი, ვინც ბორას გული ატკინა; მოთმინებით ველოდი, როდის მეტყოდა, ვინ აწყენინა; რომ აწყენინა, აშკარა იყო: ასეთი მკაცრი ინტონაციით არასოდეს არავის უთქვამს ჩემთან: “მე ქართველი ვარ! მე გურჯი ვარ!“ თანდათან ამოიმართა ზურაბ გორგილაძის ფრაზაც: “ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ, ბღეზი ბეწვებით, / საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები”.

სადღეგრძელოების მიხედვით სტუმრები ნელ-ნელა ვსვამთ; ბორას უფრო ჩქარა გამოსდის:

ქართული პურობის წესის მიხედვით, სუფრის წევრი ვალდებულია სადღეგრძელო თქვას იმავე თემაზე, რომელი თემაც თამადამ წამოსწია თავის გამოსვლაში; სუფრის ნებისმიერი წევრი თამადის ნათქვამი სადღერძელოს კონტექსტში მხოლოდ ერთხელ ამბობს სადღეგრძელოს და, შესაბამისად, სანამ ახალ სადღეგრძელოს არ იტყვის თამადა, მხოლოდ ერთხელ დალევს. ერთი სადღეგრძელოს ფარგლებში ბორამ რამდენჯერმე დალია: სუფრის რამდენმა წევრმა გაიმეორა რა თამადის მიერ ნათქვამი სადღეგრძელო და ბორასაც მიმართა, ბორამაც ხელახლა დალია. წასვლის დროა, ბორა არ აკონკრეტებს გულისტკივილს; საუბარს აგრძელებს:

– გული მტკივა, რომ აქ ღენჭებს პაწაობაში ქართულს არ ასწავლიან: სკოლაში შემსვლელს თურქული ენა გუუფუჭდებაო; თურქული უნდა ისწავლოს ყველამ, ვინც თურქეთის ვათანდაშია (მოქალაქეა), მარა კაცმა ქოქიც (ფესვი) არ-ნა დაკარქოს; დედეების ენის (დედაენის) დაკარქვა ქოქის დაკარქვაა! ასე თუ გაგძელდა, დეიკარქება თურქეთში ქართული ენა! – ბრაზობს ბორა.

მაინც მგონია, რომ სხვა რამეზეა გაბრაზებული. გვიანდება, წასასვლელები ვართ... მაინტერესებს, რა წყენა აქვს ბორას; ვფიქრობ, საქართველოში ატკინეს გული; დავაჩქარე:

– ბორა, მითხარი, ვინ გატკინა გული საქართველოში.

ბორამ შეწყვიტა ლაპარაკი; გაკვირვებით შემომხედა და ანთებული თვალები სწრაფად გაუწყლიანდა (ახლა, როცა ამას ვწერ, თვალწინ მიდგას მისი სახე და თვალზე ცრემლიც ისევ მომადგა):

– სიტყვა “საქართველო” ორ რამეს ნიშნავს: მიწა-წყალს და სახელმწიფოს; ზემო მაჭახელი საქართველოა – ქართველების ძველისძველი მიწა-წყალია, მარა თურქეთის სახელმწიფოშია მოქცეული; საქართველოს სახელმწიფოში რომ გედეველ, ბათუმელეფს ჩემი ქართული არ მიეწონათ და თურქი ხარო; ბათუმში საქმე მინდოდა დემეწყო, სწავლა მინდოდა. მაჭახლელი ქართველო ვარო, რომ ვუთხარი, არაო, ამფერი რაფერ იქნებაო, ორი ღერი ქართული აქ გისწავლიაო; რანაირი ქართველო ხარო; ქართული წესიერად არ იციო...

ვუთხარი:

– ჩემი ქართული უფრო სუფთაა; თქვენი ქართულია სპარსულ-რუსულ-ინგლისურ შერევლი! მე უფრო ქართველი ვარ! ბოლოს წევეკინკლე... ასე გონჯად დამხვდნენ, რამდენიც ბათუმ ჩეველ. გაბღეზებული სულ წამუელ ბათუმიდან! აქ რომ გადამხსნა, სულ ქართული სისხლი წამუვა! მე არ ვარ ქართველი?! კაციშვილი ვერ ამფხუკავს (შემაშინებს, დამაფრთხობს) მე! – გაცხარდა ბორა.

– ბორა, შენ არ შეგხვედრია მცოდნე ქართველი; ნუ განაზოგადებ ვიღაცის ნათქვამს; ერთიცაა: ბოლო ათწლეულში ბევრი უცხოელი მკვიდრდება ბათუმში და ეს აფრთხობს ადგილობრივებს;

ფაქტია: ბათუმში ქართული ენა უფრო და უფრო ნაკლებად ისმის... ნუ გაამტყუნებ იმას, ვინც შენი გული უცებ ვერ დეინახა (ჩემდაუნებურად მეც გადავდივარ დიალექტზე; ალბათ, იმიტომ, რომ უფრო გულწრფელი ვიყო); ყველა ვერ გაიგეფს შენს ფიქრებს, ყველამ არ იცის, რაფერ მეიქეცი შენ ავღანეთში; ყველამ არ იცის, რომ თურქეთში 4 მილიონამდე წარმოშობით ქართველია და მათი დიდი ნაწილი საკუთარი ფესვების ძებნაშია; არ იცის აქაურ ქართველთა ტკივილი და სიხარული; ზოგ რადიკალსაც ჰგონია, რომ რახან მუსლიმანია, ქართველი აღარ არის; ბორა, შენ ჩამოხვალ ჩემთან და ბევრ ქართველს ნახავ, ძმასავით, შვილივით რომ ჩაგიკრავს გულში; მე დევნახე შენი გული; შენ მართლა მაგარი ქართველი ხარ!

ბორა გადამეხვია:

– მეც დევნახე შენი გული; შენთან ჩამუალ თბილისში ამ ზამთარ!

ვჩქარობთ: ხერთვისიდან ბორჩხაში 23 საათამდე უნდა მივიყვანო სტუდენტები, ბორჩხის სახელმწიფო ლიცეუმში. გზად ქრისტინე ლექვინაძე როი აბუსერიძის ლექსს ამბობს ჩვენებურთა – თურქეთის სახელმწიფოში მოქცეულ ქართველთა – შესახებ, სადაც ასეთი ფრაზაცაა:

“ყოველ დილით ბაბაი რატომ გასცქერს ჩრდილოეთს?!

რატომ ახლავს ამ სურათს ნენეს ცრემლი ალალი?!

ანდაც ყოველ საღამოს, მაინც რომც არ გინდოდეს,

სულიკოს რომ მღერობენ, რატომ მბურძგლავს ბალანი?!”

ქრისტინეს ვეუბნები:

– გინდა როი გალაპარაკო?

პარალელურად, ნერიმანი მღერის “ჯინველოს”; ყველა მხრიაულადაა; მე ბორას ტკივილზე ვფიქრობ და თან როისთან ვრეკავ:

– როი, გამარჯობა, ტარიელ ფუტკარაძე ვარ;

– გამარჯობა! გამიკვირდა, საზღვარგარეთიდან ვინ მირეკავს-მეთქი; როგორ ბრძანდებით?

– როი, შენი ლექსის ერთ სტროფს მოგასმენინებ თურქეთიდან, მაჭახელას ხეობიდან...

ტელეფონს ვაძლევს ქრისტინეს; ქრისტინე კითხულობს ბოლო სტროფს და როის ეუბნება:

– ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით...

როი:

– ბატონო ტარიელ, სამუდამოდ დასამახსოვრებელ დროდ მიქციეთ ეს ჩვეულებრივი ბათუმური საღამო.

– როი, დიდი ტკივილია ამ ლექსში და ამიტომ შეგეხმიანე...

ბორა ხერთვისში დარჩა; ჯემი ჩვენთანაა; სტუდენტები მღერიან, ხალისობენ: მიხარია, რომ ამ წამს ყველა ბედნიერია; ნერის (ნერიმან ალბაირაქის) ფრაზა მრჩება:

– სამოთხეა ახლა ჩვენთან.

გულის გულში ისევ მბურღავს ბორას ტკივილი. ბევრი რამის შედეგია ეს მოურჩენელი ღრმა წყლული; პირველ რიგში, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ტერიტორიის პატრონი ქართველი ერის მძიმე ისტორიისა: კავკასია აინტერესებდა სპარსს, არაბს, მონღოლს, ოსმალოს, მეფის რუსეთს, კომუნისტებს... ყველა ცდილობდა, ამ მიწის პატრონისათვის შეეცვალა რელიგია, ენა, ცნობიერება, რომ ქართველად თვითაღქმა ჯერ გაეორებინა (ქართველთა ნაწილის გაღამურებას აკაკიმ სატირული ლექსი უძღვნა!), შემდეგ კი საერთოდ გადაექართველებინა... მეტ-ნაკლები წარმატებით ყველასაგან ვიცავდით თავს (ზოგან სასტიკად დავმარცხდით); აწმყოსაც არანაკლებად გვიმძიმებს ამჟამინდელი რუსული ოკუპაცია, რომელიც სოხუმისა და ცხინვალის მხარეებში ქართველთა გენოციდში გადაიზარდა.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების კუთხით სერიოზულ პრობლემებს ქმნის განათლების დეფიციტი: ეროვნული თვითაღქმის (იდენტობის) აღორძინებისათვის მეტი განათლება ესაჭიროება აქაურ თუ იქაურ ქართველს. პრობლემურია მეზობელთა დამოკიდებულებაც: მეზობლების შესახებ სწორი ინფორმაცია დიდი და ზოგადი პრობლემაა; ხშირად ამითაც მანიპულირებენ ცუდი პოლიტიკოსები. არაიშვიათად, ჩვენც მხოლოდ პირადული ინტერესის იქით ვერ ვიხედებით (სათუოა ხედვები ზოგადი კონტექსტის გარეშე)... ბორას წყენა შეგვიძლია დავაბალანსოთ, მაგრამ ზოგადეროვნულ ტკივილს მხოლოდ დრო თუ დაარბილებს; დრო ტკივილს ვერ არჩენს, აყუჩებს მხოლოდ. ღრმა წყლულის მოსარჩენად გრძელვადიანი

“მკურნალობაა” დასაგეგმი...

სამუდამოდ დამამახსოვდა ჯემის ერთი მოსაზრებაც:

– ახლა საქართველოს კარი ღია არის თურქეთის, რუსეთის, ირანის ყველა მოქალაქისათვის; ბევრი კრიმინალი თუ უზნეო შემოდის საქართველოში და ქუჩაში მიმავალ დედას თუ დას ცუდი თვალით უყურებს; კაზინოებში თამაშობს, ცუდ საქმეებს აკეთებს... ასეთი სტუმარი საქართველოსაც აფუჭებს და ქართველების თვალში ნდობას უკარგავს საქართველოში შემოსულ ღირსეულ პიროვნებებსაც; ამიტომ ყველა არ უნდა შემოვუშვათ საქართველოში, რომ მათ გამო ბორას მსგავს ადამიანებს ვინმემ გული არ ატკინოს, რაც მთავარია, საქართველომ რომ შეინახოს თავისი მეობა, შემოშვება ვიზით უნდა მოხდეს.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს ჩანაწერი ასე მინდა დავასრულო:

რამდენი რამე ვნახე ამ დღეებში; ყველაზე ცინცხლად მაინც ბორა დამამახსოვრდა, ქართველი, რომელსაც ვერაფერი გააორებს!

ბორჩხა, 8 აგვისტო, 2017 წელი.
8 აგვისტო, 2017

## ერდოღანი, იგივე, ერეკლე :)

ღირსეული თურქეთელი ქართველი ერეკლე დავითაძე

ბევრი იცნობს თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეს, ერდოღან შენოლს, იგივე, ერეკლე დავითაძეს. მინდა, რომ ასეთ კაცს ყველა ქართველი იცნობდეს; ამიტომ ვწერ ამ წერილს; ვწერ იმიტომაც, რომ დღეს გავიგე: ერდოღანს ჩაფიქრებული აქვს, ქართველ და თურქ აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით თურქულ ენაზე გამოსცეს წიგნი: **საჭირო ინფორმაციები საქართველოსა და ქართველების შესახებ.** ენციკლოპედიის მსგავს ნაშრომში წარმოდგენილი იქნება საქართველოს კულტურული ისტორია, საქართველოს კუთხეების გეოგრაფიული აღწერა და ცნობები სხვადასხვა კუთხის ქართველთა შესახებ; ასევე, ინფორმაცია ქართული კერძების, ფოლკლორის, ონომასტიკის შესახებ და სხვ. შედეგად ქართული წარმოშობის თურქეთის მილიონობით მოქალაქე (ბევრმა არ იცის ქართული წერა-კითხვა!), ზოგადად, თურქეთის მოქალაქეები, მიიღებენ საინტერესო და აკადემიურ ინფორმაციას ქართველი ერის ისტორიისა და აწმყოს შესახებ. ენციკლოპედია ხელს შეუწყობს მილიონობით თურქულენოვან მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების საქართველოთი დაინტერესებას; ასევე, **ქართველებისა და თურქების ურთიერთკეთილგანწყობის განვითარებას, ზოგადად, საქართველოსა და თურქეთს შორის ცნობადობისა და ურთიერთპატივისცემის გამყარებას. ენციკლოპედია გავრცელდება ნაბეჭდი ფორმითაც და ელექტრონულადაც.**

**მინდა იცოდეთ ერდოღან შენოლის (იგივე ერეკლე დავითაძის) შესახებ კიდევ რამდენიმე არსებითი ფაქტი:**

1. ერდოღან შენოლის აქტიური მონაწილეობით 2013 წლიდან თურქეთელი ქართველები სისტემატურად ატარებენ ზეიმს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

2. ბატონი ერდოღან შენოლი საკუთარი ინიციატივით და ენთუზიაზმით მრავალი წელია პოპულარიზებას უწევს ისტორიული სამშობლოს – საქართველოს – ისტორიასა და კულტურას; პარალელურად, ცდილობს ააღორძინოს თურქეთის მოქალაქე ქართველთა ისტორიული ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა; კერძოდ, 2011 წელს მეგობრებთან ერთად ორგანიზება გაუკეთა თურქეთში ქართველთა დედაენის პირველ კონფერენციას; ამავე წელს ქალაქ საქარიის მერიას გაახსნევინა ქართული ენის საკვირაო კურსები, რომელიც ფუნქციონირებდა 4 წლის მანძილზე. 2012 წელს მოაწყო მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების 18-კაციანი საოჯახო ტური ისტორიულ სამშობლოში და დაათვალიერებინა მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და აჭარა; სათანადო ინფორმაციით გააცნო ქართული ისტორიული ძეგლები: ვარძია, სიონი, სამება, ალავერდი, დავით გარეჯი, ჯვარი, სვეტიცხოველი, გელათი, ბაგრატის ტაძარი და ა.შ.

3. ბატონმა ერდოღანმა 2012 წლიდან დაიწყო ქართული ეთნოსის, ენისა და კულტურის შესახებ

თურქულენოვანი დოკუმენტური ფილმებისა და ვიდეომასალების მომზადება; ასევე, თურქულ ენაზე გაახმოვანა ან თურქული ტიტრებით აღჭურვა ვიდეომასალები: ბათუმური ქრონიკები, ვახტანგ გორგასალი, გიორგი მაზნიაშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, ფარსმან ქველი და. ა.შ. (ეს ყველაფერი დევს youtube-ში).

4. ბატონმა ერდოღან შენოლმა 2012 წელს შექმნა და დღემდე აქტიურად აფუნქციონირებს ორენოვან ვებგვერდს: gurcu.org-ს 01.01.2013. აქ განთავსებული სტატიების, ამბების, ვიდეოების უმრავლესობა თარგმნილია მის მიერვე. თავადაც წერს პუბლიცისტური ხასიათის სტატიებს; კერძოდ, გამოქვეყნებული აქვს წერილები საქართველო-რუსეთის ომის ცხინვალისა და აფხაზეთის ეპიზოდების, საქართველოს ისტორიის, ქართული ენის შესახებ და სხვ.

5. ე. შენოლის დიდ ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ მან, როგორც თურქეთის მოქალქე ეთნიკურმა ქართველმა, 2012-13 წლებში ოფიციალურად მიმართა თურქეთის კულტურის სამინისტროს და სთხოვა, მისი წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ძეგლების – ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების – რესტავრაცია; შესაბამისად, დღეს რომ აქტიურად ხორციელდება იშხნისა და ოშკის რესტავრაცია, თურქეთის მოქალაქე ქართველების, მათ შორის, პირველ რიგში, ერდოღან დავითაძის დამსახურებაცაა.

6. ერდოღანმა არაერთხელ გაუგზავნა წერილი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გუბერნატორებსა თუ მერებს და გააპროტესტა თურქეთის ოფიციალური პირების ჩასვლა რუსეთისაგან ოკუპირებულ აფხაზეთში. მან, ასევე, ორგანიზება გაუწია თურქეთელი ქართველების ოფიციალურ პროტესტს ერთ-ერთი დიდი თურქული გაზეთის ანტიქართული საკვირაო დანართის: Sabah Abhazya-ს გამოშვების გამო. ეს გამოცემა შეწყდა ამ პროტესტის გამო.

7. 2018 წელს ერდოღანის აქტიური მონაწილეობით დაარსდა ქალაქ საქარიას ქართველთა (გურჯთა და ლაზთა) სათვისტომო – ერთადერთი ოფიციალური ორგანიზაცია თურქეთში, რომელიც აერთიანებს ლაზებსა და სხვა ქართველებს.

8. ერდოღან შენოლმა თურქულად თარგმნა ბევრი ქართველი მწერლისა და მეცნიერის ქართულენოვანი წიგნი (რომანი, მონოგრაფია), მათ შორის გამოვარჩევ ფრიდონ ხალვაშის ავტობიოგრაფიულ რომანს: „ომრი". ბატონმა ერდოღანმა, ასევე, თარგმნა თურქეთელი ქართველების შესახებ დაწერილი ჩემი წიგნი: „გრძელი გზა" (მომზადებულია გამოსაქვეყნებლად).

**ეს ყოველივე საფუძველს მაძლევს, თავდაჯერებით გითხრათ:**

**ჩვენ, საქართველოს ქართველებს, თურქეთში გვყავს დიდებული ქართველი ვაჟკაცი ერდოღან შენოლი, იგივე, ერეკლე დავითაძე!**

**ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მოღვაწეები საქართველოშიც.**

22 მაისი, 2019

## 31 დღე ფეხით ფერეიდანიდან თბილისამდე!

31 დღე ფეხით ფერეიდანიდან თბილისამდე – წინაპრების მიერ ტანჯვით გავლილ გზაზე უკან: 2019 წლის 11 აგვისტოდან სავარაუდოდ 12 სექტემბრამდე ირანიდან (ფერეიდანიდან) სამშობლოში, წინაპრების ფუძეზე ფეხით ბრუნდება სამი დიდებული ქართველი: Shahram Onikadze, Omid Gogonani და Esmail Rahimi.

ეს არის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების დაბრუნების უნიკალური და გულწრფელი აქცია: 400 წლის წინ ირანში იძულებით გადასახლებული ქართველების სამი შთამომავალი – ჩვენი გამორჩეული ძმები: შაჰრამი, ომიდი (ამირანი) და ისმაილი უახლოვდებიან საქართველოს. ვფიქრობ კარგი იქნება, შევხვდეთ საქართველოს საზღვარზე. დავხვდებით მეგობრები, თუმცა კარგი იქნება, დავხვდეთ უფრო ფართო წარმომადგენლობა, მათ შორის, უნივერსიტეტებისა და პარლამენტის დიასპორის კომიტეტის წარმომადგენლები /პარტიული კუთვნილების მიუხედავად/, ზოგადად, საქართველოს ერთგული მოქალაქეები. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, არაპარტიულპოლიტიკური ასეთი ამბით დაინტერესდნენ მედიის წარმომადგენლებიც :)

ირანიდან ფეხით მომავლებს ჩვენ მანქანით (და საგზლით) მაინც დავხვდეთ საზღვართან!

მივმართავ ირანის საელჩოსაც (სოსო ონიკაშვილი): ამ ბიჭების წინაპრების მიერ გავლილი გზა იყო მტრობით შეპირობებული ტანჯული გზა; უკან დაბრუნების გზა კი ვაქციოთ მეგობრობის გზად (ფერეიდანის თემაზე დაწერილ ჩემს წიგნს ამიტომაც დავარქვი: "ორი გზა ფერეიდანამდე")...

მეგობრებო, საზღვართან მოსვლის ზუსტ დროსა და ადგილს ამ ჩანაწერში გამოვაქვეყნებ.

კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნა: ბევრს არა აქვს ინფორმაცია ფერეიდნელი ლომების თბილისამდე ფეხით წამოსვლის შესახებ; ყველას ვერ მისწვდება ჩემი ეს ჩანაწერიც, ამიტომ, გთხოვთ, გააზიაროთ და შესთავაზოთ მეგობრებს, ერთად დავხვდეთ, სადაც შევძლებთ; კერძოდ, იგეგმება:

– შეხვედრა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე;

– შეხვედრა ქართულ უნივერსიტეტში (თბილისი, ჭავჭავაძის 53 ა);

-შეხვედრა პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან;

– შეხვედრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

– შეხვედრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

– შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

– გასვლა დიდგორში (რადგანაც ეს აქცია მიეძღვნა დიდგორობას) და სხვ.

ჩვენ დღეს ძალიან გვჭირდება ფუძეზე დაბრუნება და ეროვნული ერთიანობა!

პატივისცემით, ტარიელ ფუტკარაძე.

ქვემოთ მოვნიშნე მხოლოდ ის რამდენიმე პირი, რომლებმაც უკვე გამოთქვეს სურვილი მათთან შეხვედრისა:

სერგო ვარდოსანიძე, Giorgi Sosiashvili, Shalva Kirtadze, Merab Khalvashi, Pridon Putkaradze, ბექა ოდიშარია კრწანისის მაჟორიტარი / Beka Odisharia, Nomadi Bartaia, ელგუჯა მარღია, Mikheil Ghanishashvili, გიორგი კასრაძე, გიორგი გიგაური, სოფი ონიკაშვილი, ზაალ სარაჯიშვილი.

4 სექტემბერი, 2019

## ღირსეული წინაპრების შვილები

ჩვენი ფერეიდნელი ძმების Shahram Onikadze Omid Gogonani Esmail Rahimi (დავითაშვილი) ღირსეული სვლა ფერეიდანიდან საქართველომდე თითქმის ყველა ქართველმა თუ საქართველოს სიყვარულით აღვსილმა პიროვნებამ (მაგ., Hirotake Maeda) მიიტანა გულთან და სევდიანი, მაგრამ ძალიან პოზიტიური ემოციით აღივსო... მახარებს ისიც, რომ 1450 კილომეტრამდე ფეხით გამოვლა მხოლოდ სოციალური ქსელის კი არა, მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა: დიდი მადლობა მათ მხარდაჭერისათვის. ბიჭებისაგანაც განსაკუთრებული მადლობა მედიის წარმომადგენლებს და ფეისბუკის მომხმარებლებს, რომელთა მხარდაჭერამ 1450 კილომეტრის ფეხით ვაჟკაცურად გამოვლა გამორჩეულ მოვლენად აქცია...

საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ განსაკუთრებულ ემოციას გამოხატავენ უცხოეთში მცხოვრები ქართველები. დღეს პარლამენტში გვაქვს შეხვედრა დიასპორისა და კავკასიის საქმეთა კომიტეტში, ხვალ – თელავში, ზეგ – მცხეთაში.

ორშაბათიდან შეხვედრებს ვიწყებთ წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან (სადაც შეხვედრას დაესწრება ირანის ელჩი) წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი...(11.30 სთ.); საღამოს 18.00-ზე – მწერალთა კავშირი. ზეგ დილიდან გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვართ, შემდეგ – ხაშურში და ა.შ. საქართველოს ყველა ქალაქისაგან თუ მუნიციპალიტეტისაგან გვაქვს მიპატიჟება...

საქართველოსა და მსოფლიოში გაფანტული ქართველების ასეთი ერთსულოვნება გამოავლინა ამ ერთმა ღირსეულმა აქციამ! ისტორიულად ჩვენში ერთიანობის ძალუმი განცდა რომ არ ყოფილიყო, ვერ ავაგებდით ამდენ ციხე-სიმაგრესა და ტაძარს, არ გვექნებდა ასეთი ხანგრძლივი ისტორია; ჩვენს წიაღში ვერ იშვებოდა ანწუხელიძე, ოთხოზორია, ტატუნაშვილი... სხვა მრავალი გმირი... და ვერ დაიბადებოდნენ: შაჰრამ ონიკაძე, ომიდ(ამირან) გუგუნაშვილი და ისმაილ

დავითაშვილი.

❤ ❤ ❤

**P.S.**

ქართველებს სამი საოცარი ანდაზა გვაქვს:

“კვიცი გვარზე ხტის”

“მალა ერთობაშია”

“რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”

http://kvira.ge/497991?fbclid=IwAR28_7lQiJ1Frs4-rmXItMifSOuK-PlPnFVVDHeOdhdCN7wij8YS-FjingP8

13 სექტემბერი, 2019

## კონსოლიდაცია!

შეხვედრების დღიური:

14.09.2019:

გუშინ შაჰრამ ონიკაძე, ომიდ (ამირან) გუგუნაშვილი და ისმაილ რაჰიმი (დავითაშვილი) მიიწვია საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა. ფერეიდნელ ლომს (ისმაილს), ვეფხვს (შაჰრამს) და არწივს (ამირანს) გულთბილად მიესალმა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ღირსეული აქციაა 32 დღის განმავლობაში 1450 კილომეტრის ფეხით გამოვლა.

„ეს არის 400 წლის წინ ირანში იძულებით გადასახლებულთა სამი შთამომავალის უნიკალური და გულწრფელი აქცია, ფეხით დაბრუნებულიყვნენ წინაპრების ფუძეზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ირანში გადასახლებულმა ქართველებმა ტოპონიმებსაც კი შეუნარჩუნეს სახელები. დღესაც, ირანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქართული ტოპონიმები არსებობს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფერეიდნული კილოკავით დღესაც ქართულ ენაზე მეტყველებენ. მადლობას ვუხდი ჩვენი დროის გმირებს ასეთი ძალისხმევისა და სიყვარულისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ტარიელ ფუტკარაძეს, რომელიც ამ იდეისა და ღონისძიების სულისჩამდგმელია“, – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.

http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/diasporisa-da-kavkasiis-sakitxta-komiteti/axali-ambebi-diaspora/diasporisa-da-kavkasiis-sakitxta-komitetma-sam-fereidnel-qartvels-umaspindzla-romlebmac-fexit-gamoiares-gza-fereidnidan-saqartvelomde.page?fbclid=IwAR3Guk-HGoIYvTLgp-0Hew8v-shcjMyCVXjlzThbWyEiM_1ge2VBNhJfkDw

ბიჭებს, ასევე, აღფრთოვანებით შეხვდნენ სხვა დამსწრე დეპუტატებიც. ბექა ოდიშარიას განცხადებით, მოქმედი ხელისუფლების ძალისხმევით, საქართველოს კონსტიტუციაში გაკეთდა უმნიშვნელოვანესი ჩანაწერი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ადამიანებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღებას. საპასუხო სიტყვებში გამოხატული ემოცია საფუძველს გვაძლევს ასე ჩამოვაყალიბოთ ირანიდან საქართველომდე ფეხით ჩამოსვლის მიზნები:

1. ტყვედ წაყვანილი წინაპრების ტანჯული გზის ნებით გამოვლით მათდამი პატივისცემის გამოხატვა და მათი ტკივილის განცდა;

2. მოწოდება ყველა ქართველისადმი, რომ დღეს თუ არა ხვალ დაბრუნდეს საქართველოში;

3. დღეს ნიჰილიზმითა და უილაჯობით დეზორიენტირებული გათითოკაცებული ქართველებისათვის ჩვენება, რომ ქართველი კაცი ადრეც ძლიერი იყო და დღესაც ძლიერია, დამარცხების შემდეგაც კი ფეხზე წამოდგომის შემძლეა;

4. ძალა ქართველთა ერთობაშია;

5. “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”, მაგრამ ვერ ააშენებ, თუ ნებისყოფას ვერ მოიკრებ; ჩვენ გენში გვაქვს ძლიერი ნებისყოფა; ნებისყოფის გამოვლენა კი ყველას შეუძლია!

საღამოს ბიჭები ისტუმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-

თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

https://www.facebook.com/ertsulovnebatv/videos/384722845542433/UzpfSTExMzQ4MDA2M-DA6MTAyMTg4NTkzNDE0OTEzMDM/

15.09.2019:

ფერეიდანიდან ფეხით ჩამოსული ბიჭებისათვის გუშინ გამორჩეულად დასამახსოვრებელი დღე იყო: თელავის ისტორიულ მუზეუმში შეიკრიბა თელავის საზოგადოება; ქართული ჰანგების თანხლებით იყო ბიჭების პასუხები მრავალრიცხოვან კითხვებზე, იყო თბილი გამოსვლები, იყო ცრემლები და სიხარული ერთად... შემდეგ მცირე რთველი ძმები ხუციშვილების ვენახში და ბატონი ვანო იანტბელიძის გამორჩეული თამადობა ხუციშვილების მარანში (სუფრას საოცარ ხიბლს აძლევდა ქალბატონი თამარი – ოჯახის დედა).

https://www.facebook.com/BrothersKhutsishviliWineCellar/

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ახალგაზრდა კაცს, სტუდენტს, ლაშა ჩაველაშვილს, რომლის იდეა იყო თელავში ჩასვლა https://www.facebook.com/lasha.chavelashvili.1

16.09.2019:

რამდენიმე დღის მანძილზე ფერეიდანიდან ფეხით ჩამოსული ბიჭების შესახებ სიუჟეტს აკეთებენ **საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები.** სიუჟეტის გადაღება გუშინ დასრულდა და დღეს გავა საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

მიხარია, რომ საქართველოში არის ისეთი გულქართული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქართველი ჟურნალისტი, როგორიცაა **ანა მასხარაშვილი Anuki Maskharashvili**

ალბათ, ბევრია პატრიოტი ჟურნალისტი, მაგრამ მედიასაშუალებების მფლობელთა

ორიენტირებულობა პარტიულ ინტერესებზე ბევრს არ აძლევს საშუალებას, თავისი ორიენტირები და ემოცია გამოკვეთოს. ანას სიუჟეტში ნამდვილად იქნება ეროვნული ინტერესების წარმოჩენაც, სახელმწიფოებრივი აზროვნებაც, გულწრფელობაც და ჟურნალისტური პროფესიონალიზმიც.

გუშინვე ჩვენს გმირებს მცხეთაში უმასპინძლეს საქართველოს გიდებმა. არ ვიცოდი: საქართველოს გიდებს თურმე აქვთ თავიანთი გაერთიანება, იუმორით ვიტყვი, **თავიანთი კასტა,** რომელიც დიდი ძალაა. ისინი საკუთარ თავს სამართლიანად უწოდებენ **საქართველოს ელჩებს.** საქართველოს გიდები თავიდანვე იყვნენ ჩართული ფეხით მოსიარულეთა დახვედრის ორგანიზებაში; ბატონი ზაალ მაღრაძე და მე ფაქტობრივად ერთად ვგეგმავდით და ვგეგმავთ ყველაფერს. ბატონი ზაალი ალპინისტია და ბიჭებთან ეს სფეროც აკავშირებს Zaal Maghradze.

ასე რომ, დიდებულია და ეროვნულად სასარგებლო ფრაზაა:

**ძალა ერთობაშია!**

ძალა ერთობაშია – ამის დემონსტრირება გუშინ სხვაგვარადაც მოხდა:

ჯვარზე ერთმანეთს შევხვდით:

საქართველოს მოქალაქე ქართველები,

ირანის მოქალაქე ქართველები,

თურქეთის მოქალაქე ქართველები,

აზერბაიჯანის მოქალაქე ქართველები...

ჩვენ ეროვნული (ეთნიკური) ღირსება გვიქმნის ურთიერთვალდებულებითი (მავასხელობითი) სიყვარულის საფუძველს.

...და რაც ხდება ამ დღეებში, არის ქართული ეროვნული ღირსების ზეიმი!

ნამდვილად შესაძლებელია ქართველთა კონსოლიდაცია!

17.09.2019:

მნიშვნელოვანი იყო გუშინდელი დღეც:

ფერეიდანიდან ფეხით ჩამოსული ბიჭები დილით მიიღო წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა სერგო ვარდოსანიძემ; შემდეგ ამავე უნივერსიტეტში შეხვედრა გაიმართა მათთან. შეხვედრას ესწრებოდა Embassy of the Islamic Repub-

lic of Iran ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელი, მეორე რანგის მრჩეველი ბატონი მოჰამად ყობადი რადი.

სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გულთბილი შეხვედრის შემდეგ, საღამოს ჩვენ დავესწარით ღირსეული მწერლისა და მოღვაწის, Nomadi Bartaias საიუბილეო საღამოს; საღამოს გონებამახვილურად უძღვებოდა ბატონი რევაზ მიშველაძე. რაც იშვიათად ხდება ხოლმე, დიდ დარბაზში ხალხის ტევა არ იყო...

ზოგადად ვიტყვი, რომ საქართველოშიც, ზოგადად მსოფლიოშიც ბევრია ნიჭიერი მწერალი, ნიჭიერი მეცნიერი, მაგრამ ცოტაა ღირსეული, რამდენადაც ნიჭიერი მწერალი, ნიჭიერი მხატვარი, ნიჭიერი მეცნიერი... მაშინაა ღირსეული, თუკი საზოგადოებისათვის სწორად მაორიენტირებელია თავისი ცხოვრების წესითაც, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, მოქალაქეობრივი თუ

ზოგადადამიანური ღირებულებებითაც (ზოგი კარგად წერს, მაგრამ კოლაბორაციონისტია ან ფსევდოლიბერალია, ან კონფორმისტია, ან, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გარეწარია); ნომადი ბართაია საზოგადოებისათვის სწორად მაორიენტირებელი მოღვაწეა, ამიტომაცაა ღირსეული პოეტი, ღირსეული მეცნიერი...

საქართველო-ირანის კულტურული ურთიერთობის გამორჩეული მკვლევრის, ბატონი ნომადი ბართაიას 75 წლის იუბილეს გვირგვინად დაადგა შაჰრამის, ომიდის (ამირანისა) და ისმაილის გულწრფელი გამოსვლები.

ირანიდან ფეხით ჩამოსული ბიჭების მიმართ საოცრად თბილი იყო დამსწრე საზოგადოების რეაქცია; უთბილესი სიტყვებით მიესალმნენ ბიჭებს მწერალთა კავშირის ლიდერები, ზოგადად, ყველა გამომსვლელი.

დღეს 14.00 საათზე ბიჭების მასპინძელი იქნება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; შემდეგ, 17.00-ზე – ხაშური და სურამი.

ეს დღეები აჩვენებს:

საქართველოს ხალხს შეუძლია დიდი კონსოლიდაცია!

**17 სექტემბერს თბილისიდან უკვე დასავლეთისაკენ:** ზაალ მაღრაძე მიგვიძღვის წინ. გზაზე გრაკლიანთან ვჩერდებით. ზაალი და მე ვუყვებით ბიჭებს გრაკლიანის წარწერისა და ქართველთა დიდი სამწიგნობრო კულტურის შესახებ, რომლის უძველესი ნიმუშებიც შემონახულია გრაკლიანის გორაზე. 3000 წლის წინანდელი ეს წარწერა უფრო ძველია, ვიდრე მსოფლიოში უძველესი ფინიკიელების ანბანი, რომელსაც ხმოვნები არ ჰქონდა. გრაკლიანის წარწერა, დაახლოებით, იმ პერიოდით თარიღდება, როცა არსებობდა **კოლხური კვირბები** – დამწერლობის მსგავსი ნიშნები, რომლის გზითაც ინახებოდა ინფორმაცია. **კოლხური – საერთოქართველური – ცივილიზაციის არეალში ქართლიც და ჩრდილოკავკასიის დიდი ნაწილიც რომ შედიოდა, ეს უეჭველია!**

ამ კონტექსტში საინტერესოა პროფესორ ვახტანგ ლიჩელის მიერ მოძიებული მასალაც: მისი აზრით, არსებობდა ქართველური ხაზოვანი დამწერლობა, რომლის გავრცელების არეალია: სოფლები – დაბლაგომი და დაფნარი (სამტრედიის რაიონი); სოფლები – ნოქალაქევი და ნანეფიშ ჭალე (სენაკის რაიონი); სუფსა-ნატანების აუზი, სოფ. ზემო ფარცხმა (ჩოხატაურის რაიონი); ვანი, მთისძირი (ვანის რაიონი); სარკინე, გრძელი მინდორი, ბაგინეთი, სამთავრო, მცხეთის აკლდამა, მოგვთაკარის სამაროვანი, კარსნისხევი, არმაზისხევი, სვეტიცხოველი (მცხეთის რაიონი); უფლისციხე (გორის რაიონი)...

ამ მონაცემების შეჯერების მიმართულებით კიდევ ბევრი რამაა გასააზრებელი, რომ ურაპატრიოტიზმის ველში არ გადავიდეს არქეოლოგიური ფაქტების ინტერპრეტაცია. ფაქტი კი ისაა, რომ **ჩვენ ის ერი ვართ, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი უწყვეტი სამწიგნობრო კულტურა გვაქვს (V-XXI საუკუნეები) და ჩვენს ტერიტორიაზეა დამწერლობის მსგავსი უძველესი ნიშნები.**

ბიჭები აღფრთოვანებული არიან თავიანთი ეროვნული ისტორიით. ამ განცდის აღფრთოვანებამდე მისაყვანად დიდებული ადგილია უფლისციხე, საიდანაც ჩვენთვის იწყება გიორგი სოსიაშვილის მასპინძლობა.

**თანამედროვეობის გამორჩეული ქართველი:** ღირსეული მწერალი, საინტერესო მეცნიერი და

დაუღალავი რექტორი გიორგი სოსიაშვილი თავის უნივერსიტეტში გველის 14.00 საათზე გორის რჩეულ საზოგადოებასთან, კოლეგებთან და გორის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად. ფერეიდანიდან საქართველოში ფეხით დაბრუნებული ძმებისათვის მ**თელი საქართველო რომაა მასპინძელი,** ამას გორული ალალი სითბოს უწყვეტობაც ადასტურებს...

2 საათის შემდეგ გზას ვაგრძელებთ:

17.00-ზე გველიან ხაშურელი დიდებული ადამიანები სარაიონო ბიბლიოთეკაში: წინა რიგში ის მოსწავლეები სხედან, რომლებსაც ინტერნეტკავშირი აქვთ ფეხით ჩამოსული ბიჭების შვილებთან. სოციალური ქსელი კეთილშობილური საქმეების საკეთებლად უსაზღვრო სივრცეა წესიერი ადამიანის ხელში...

ხაშურში დიდი ხნის მეგობრები მყავს, რომლებიც ესწრებიან შეხვედრას, თუმცა, ამ შეხვედრას ჩემმა ფეისბუკმეგობარმა გაუწია ორგანიზება: დიდი მადლობა ქალბატონ მაია გუდაძეს და ქალბატონ მარინე დიდებულიძეს, და ყველას, ვინც ხაშურში ცისარტყელური საქართველოს რეალიზება მოახდინა ბიჭებისათვის...

ხაშურის უთბილესი შეხვედრის შემდეგ სურამში თითქმის ცრემლით გვაიძულებს გაჩერებას ბონდო ჩადუნელი – კიდევ ერთი საოცარი ქართველი.

ყველანი ბედნიერი ვართ ჩვენი ქართველობით... გზაზე ისევ – ძმაკაცი ჩადუნელი, ოღონდ, ვერტყვიჭალელი ენვერი ძმური სუფრით და დღე სრულდება ქუთაისში – დათაშვილების ტრადიციულ დიდებულ ქართულ საოჯახო სამყაროში, სადაც ყველა მღერის, ცეკვავს, უკრავს... ჩემი მეგობრის ამ ოჯახს სხვებისაგან ის გამოარჩევს, რომ ოჯახის ყველა წევრი თავისი სფეროს კარგი სპეციალისტია; მათ საქართველოში მუხლჩაუხრელი შრომით შეძლეს თავის გატანა რთულ დროშიც და ახლაც აგრძელებენ ღირსეულ ცხოვრებას თავიანთ ფუძეზე...

გვიან საღამომდე ვართ სუფრასთან: ამხელა გზისა და ემოციის მიუხედავად, ჩვენ არ ვიღლებით.

**ვხედავ: 14 თაობის ფერეიდნელების ცნობიერებაში შექმნილი წარმოსახვა ცისარტყელას მიღმა არსებული საქართველოს შესახებ რეალურია! – გვიან ღამეშიც ამ აზრს აციმციმებენ შაჰრამის, ომიდის (ამირანის), ისმაილისა და მაჯიდის (თვითმფრინავით ჩამოსული მეოთხე ძმაც შემოგვიერთდა) თვალები.**

დღეს, 18 სექტემბერს: ქუთაისი, ხონი;

ხვალ, 19 სექტემბერს: მარტვილი, ზუგდიდი;

ზეგ, 20 სექტემბერს: ქობულეთი, ბათუმი, შუახევი...

21-ში: სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე) და ბორჯომი...

ასეთი გრაფიკია 22 სექტემბრამდე...

საქართველოს მოქალაქეებისა და მსოფლიოში გაფანტული ქართველების ყურადღების ქვეშ ასე გრძელდება ეს დაუვიწყარი **ღირსეული და ცისარტყელური მარათონი :)**

16 სექტემბერი, 2019

## დოკუმენტური მასალა ფერეიდნელი ქართველების შესახებ

ვდებ რამდენიმე ბმულს ფერეიდნელი ქართველების შესახებ (ინტერნეტში იძებნება სხვა საინტერესო მასალაც):

1. ფერეიდანი I ნაწილი fereidani I nawili 1
   https://www.youtube.com/watch?v=seJW00Tj3QY
2. ფერეიდანი II ნაწილი fereidani II nawili 2
   https://www.youtube.com/watch?v=DFBsgPce9E0
3. ორი გზა ფერეიდანამდე ისპაჰანი, ნაწილი I
   ისპაჰანი, ნაწილი I
   https://www.youtube.com/watch?v=WoAveRzouPM
4. ორი გზა ფერეიდანამდე ისპაჰანი, ნაწილი II

ისპაჰანი, ნაწილი II (ფერეიდნელი ქართველები)
https://www.youtube.com/watch?v=akfej8PmMEQ

5. ფერეიდნელი ქართველების ბურჯი მუხტარ დარჩიაშვილი
https://www.youtube.com/watch?v=XzEzQ0y4uq8
6. ქართულ-ირანული ურთიერთობა და ფერეიდანის ისტორია
https://www.youtube.com/watch?v=RgV4mIE_h_s
7. უნიკალური მასალა ფერეიდნელების შესახებ
https://www.youtube.com/watch?v=BLX8vWjiocI

ესაა ის, რაც ამ ეტაპზე მოვიძიე

11 თებერვალი, 2020

## ირანში გამოცემულ წიგნზე

ირანში, ფერეიდნელების გარდა, სხვა ქართველებიც არიან გადასახლებული – სხვა პროვინციებში:

ესაა ხუზისტანში (ირანში) გადასახლებული ქართველების ისტორია.

წიგნი გამოაქვეყნა ხუზისტანელმა ქართველმა, ამინ ყიზილბაშიანმა.

მე ვიყავი მის ოჯახში – ესაა დიდებული ქართველი (თუმცა, ჯერჯერობით არ იცის ისტორიული დედაენა).

რამდენი დიდებულ ქართველს არ ვიცნობთ!

13 ოქტომბერი, 2020

# 1.1.5. დაკვირვებები, მოსაზრებები

## ნაკითხობის, სიბრძნისა და გმირობის შესახებ

(მცირე რეპლიკები ნაკითხობის, სიბრძნისა და გმირობის შესახებ)

მაია ორჯონიკიძე: „ინტელექტი არის მაღალი ხარისხის სააზროვნო უნარი“ ... (http://bmu.li/HS9)

მაია, ამ განმარტებას ოდნავ შევცვლი, ხოლო ინტელექტუალს ასე განვმარტავ:

**ინტელექტუალი** – ადამიანი, რომელსაც აქვს თანდაყოლილი უნარი, იაზროვნოს მრავალწახნაგოვნად (ანუ, შეუძლია, მოვლენა დაინახოს რამდენიმე მხრიდან). შდრ.:

**გონიერი** – ადამიანი, რომელსაც აქვს თანდაყოლილი ლოგიკური აზროვნების უნარი და როგორც წესი, თრგუნავს ემოციას (განმარტებით ლექსიკონებში არამართებულადაა გაიგივებული გონება, ინტელექტი და ჭკუა). შდრ.:

**ემოციური (/რისკიანი)** – ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს გრძნობების დომინანტობით; შესაბამისად, მეტად რისკავს გადაწყვეტილებების მიღების დროს;

შლეგი – უაზროდ რისკიანი. შდრ.:

**გმირი: გმირობა** – დიდი რისკი დიადი მიზნისთვის; **გმირი:** ადამიანი, რომელსაც შეუძლია თავისი სიცოცხლე გაწიროს მაღალი იდეალებისათვის, ზოგადად, საზოგადოებისათვის; როგორც წესი, გმირობის შემძლენი არიან ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ: რისკიანობა (ემოციურობა), ზნეობა ანუ შინაგანი სიმართლე და საზოგადოებისადმი დიდი პასუხისმგებლობა.

ჩემი აზრით, გონიერი და **ინტელექტუალი** თვისობრივად ერთი კატეგორიის ცნებებია, მაგრამ „რაოდენობრივად“ ინტელექტუალი მეტია.

**ნაკითხი** – ადამიანი, ვინც რაიმე მიმართულებით/მიმართულებებით ბევრი ინფორმაცია მიიღო (მაგრამ, კახური სტილის ანეგდოტისა არ იყოს, „გამაადგა რო?!“; ასეთი ადამიანი მხოლოდ ბრიყვს ჰგონია ბრძენი).

**განათლებული** – ადამიანი, რომელსაც აქვს შინაგანი სინათლე/სიმართლე (მარტივად რომ ვთქვათ – პატიოსნება), ინტელექტი და ამავე დროს არის ნაკითხი.

**ზნეობრივი** – ადამიანი, რომელიც დღენიადაგ ესწრაფვის, იცხოვროს ათი მცნების მიხედვით; ახასიათებს შინაგანი სიმართლე და მაღალი პასუხისმგებლობა.

**ეშმაკი (გაიძვერა)** – უზნეო, მაგრამ გონიერი ადამიანი.

**ჭკვიანი** – ზნეობრივი და გონიერი ადამიანი.

**ბრძენი** – ადამიანი, რომელიც ერთდროულად არის: ზნეობრივი, ნიჭიერი, ინტელექტუალური და **ნაკითხი დროის შესაბამისად** (რაც არ უნდა კარგი „სააზროვნო უნარი“ ჰქონდეს, თანამედროვე ადამიანს ესაჭიროება მისი „განივთება“ სათანადო ინფორმაციების „გადახარშვით“).

**ნიჭიერი** – ადამიანი, რომელსაც აქვს თანდაყოლილი უნარი ახლებურად – სხვა ადამიანებისგან განსხვავებულად – დაინახოს გარესამყაროს რომელიმე „წახნაგი“.

**გენიოსი** – ადამიანი, რომელსაც აქვს თანდაყოლილი უნარი, სხვა ადამიანებისგან რადიკალურად განსხვავებულად დაინახოს გარესამყარო, ადეკვატურად აღიქვას ის და დაანახვოს სხვებსაც. შდრ.:

**სატანური ძალის მქონე** – უზნეო გენიოსი.

**მონა ღვთისა** – ზნეობრივი ადამიანი (კლიმენტი ალექსანდრიელი).

**მეგობარი ღვთისა:** განათლებული და ზნეობრივი ადამიანი (კლიმენტი ალექსანდრიელი).

**ღვთაებრივი ადამიანი (წმინდანი):** ზნეობრივი გენიოსი და ბრძენი ერთდროულად.

მაია, შენ წერ: „სიბრძნე არის ადამიანის ორი თვისების – ინტელექტისა და ზნეობის შერწყმის პროდუქტი. ჩემი აზრით, თავისთავად ეს ორი თვისება ერთმანეთის ანტინომიურია”;

მაია, სიბრძნე მართლაც მოიცავს ინტელექტსა და ზნეობას (და, ალბათ, კიდევ სხვა კომპონენტებს), თუმცა, ამ კონტექსტში რა იგულისხმე სიტყვაში: ანტინომიური? [თუ ანტონიმური?]; შდრ.:

ANTINOMY – A term used in the civil law to signify the real or apparent contradiction between two laws or two decisions (Merl. Repert. h.t. Vide Conflict of Laws);

ANTONYM – A word which has the opposite meaning to another, although not necessarily in all its senses.

ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, **ზნეობა და ინტელექტი** რადიკალურად ურთიერთწინააღმდეგობრივი მოვლენები თუ ცნებები იყოს... მთლიანობაში, შენი ჩანაწერი და დისკუსია

ძალიან საინტერესოა (დიდი მადლობა!); ამ დისკუსიამ მომცა სტიმული, აქ კიდევ ერთხელ შევეხო **ტერმინოლოგიური აღრევების** თემას:

საერთოდ, ტერმინოლოგიური აღრევები, როგორც წესი, სულ ცოტა, აბუნდოვნებს ტექსტს; არაიშვიათად, მას საზოგადოების დეზორიენტირების მიზანი აქვს. ქვემოთ განვიხილავ სამ შემთხვევას (რომლებიც აზრის გამაბუნდოვნებელია თუ საზოგადოების მადეზორიენტირებელი, თავად განსაჯეთ):

1. საქართველოს „ოფიციოზმა“ (1992-2007 წლებში) დიდხანს ეძახა რუსეთ-საქართველოს ომს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები... ცუდი შედეგი მოვიმკეთ. ოკუპანტს კი დიდი დაგვიანებით აღუდგა 1991 წელს მინიჭებული სტატუსი, რამაც მეტად დაგვაზარალა... მთავარი: მტერს, ოკუპანტს მსოფლიოს გასაგონად დიდხანს ვეძახეთ (მე, რა თქმა უნდა, არა!) „მეგობარი ქვეყანა“ და ჩვენსავე საწინააღმდეგოდ შეცდომაში შევიყვანეთ მსოფლიოც და ჩვენი საზოგადოებაც... პარალელურად, რუსების ნების აღმსრულებელსა და ვლადისლავ არძინბას სპარინგპარტნიორ გაიძვერა ქართველ პოლიტიკოსს „ბრძენი პოლიტიკოსის“ თამაშის შანსი მივეცით.

2. ამავე პიროვნებასთან (ე. შევარდნაძე) მიმართებით, ვფიქრობ, არასწორადაა შერჩეული ტერმინი „გმირი“ ია ანთაძის ტექსტშიც

(http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1532544.html); ჩემი აზრით, მას აქ უნდა გამოეყენებინა ტერმინი: „მხსნელი“. იამ ერთმანეთთან გაათანაბრა რეალური **გმირი** (ზვიად გამსახურდია – კაცი, ვინც მოკვდა საქართველოსთვის) და **ეშმაკი/გაიძვერა** (ედუარდ შევარდნაძე – კაცი, ვინც საშვილიშვილო კეთილდღეობა მიიღო საქართველოს უბედურების ხარჯზე).

არასოდეს ყოფილა და არც იქნება, რომ ერთმა და იმავე საზოგადოებამ ერთი ტერმინით აღწეროს გამსახურდიას ღვაწლი და შევარდნაძის ცხოვრება. იამ, თავისი წერილის ლოგიკიდან გამომდინარე, ისინი ერთი ტერმინით „დააფასა“ (მას აქვს ამის უფლება, მაგრამ რამდენად ზუსტია ამგვარი სახელდება, ეს სხვა საკითხია). არა მგონია, ამგვარი „გათანაბრება“ მკითხველს დაეხმაროს, ჩასწვდეს ბოლო პერიოდის მოვლენების არსს და საღად იმსჯელოს საქართველოს პერსპექტივაზე (არადა, მომავალზე ფიქრი აქვს მიზნად იას საინტერესო წერილს).

3. პრორუსულმა ისტორიოგრაფიამ დაამკვიდრა ყოვლად არაადეკვატური ტერმინი: „ქართიზაცია“, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, ქართლელებმა მოახდინეს იმერლების, მეგრელების, სვანების, კახელების, მესხების, ხევსურების, ფხოველების... ენობრივ-კულტურული ასიმილაცია.

სინამდვილეში, არსებობს ერთიანი ქართული კულტურა, რომელიც შეიქმნა ქართველთა საერთო დედაენაზე – ეროვნულ ენაზე (რომელიც საერთოქართველური ამოსავალი ენაა და არა – ერთი რომელიმე კუთხის გავრცობილი მეტყველება) და რომელიც თვისობრივად ერთგვარად იქმნებოდა დასავლეთ საქართველოშიც, სამხრეთ საქართველოშიც (ტაო-კლარჯეთში, ლაზეთში, ერუშეთში), აღმოსავლეთ საქართველოშიც და კავკასიონის გადაღმა არსებულ ჩრდილო საქართველოშიც (თუშეთში, ხევში, ჩრდილოსვანეთში, ჩრდილოხევსურეთში – პირიქითა ხევსურეთში...). მეტიც, ქართველთა სამწიგნობრო კულტურის ქმნადობის ასპექტით უფრო შთამბეჭდავი შედეგები აქვთ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მკვიდრთ.

სამწუხაროდ, „ქართიზაციას“ – ამ მავნებლურ ტერმინს – ბევრი დღესაც იყენებს საქართველოშიც კი (მას ძირითადად ვხვდებით შევარდნაძის „მეფისნაცვლობის“ დროს აღზევებულ მეცნიერთა ნაწერებში); სამწუხაროდ, „ქართიზაცია“ ფიგურირებს სახელმძღვანელოებშიც და ფართოდაა გავრცელებული საერთაშორისო ველშიც.

**აშკარაა:** მავანის მიზანია ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დაშლა, რომ საქართველო იოლად დაანაწევროს და სამუდამოდ გადაყლაპოს და ამ მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებს **ტერმინოლოგიურ დივერსიებს.**

ჩვენ ადეკვატურად ვიგებმებით კი მტრის ამგვარი პერმანენტული „ინტელექტუალური“ თუ ეშმაკური იერიშების მოსაგერიებლად?

მაია, საიდან და საით დაიძრნენ ფიქრები... კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას (/გმადლობ) ამგვარი დისკუსიის „პროვოცირებისთვის“ :).

24 ოქტომბერი, 2010

## კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია

საქართველოსა და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიით დაინტერესებულთ შევთავაზებთ ცნობილი ქართველი მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივ კონცეფციას, რომელიც წინ აღუდგა იმპერიის მიერ დამკვიდრებულ ე. წ. ქართველთა ოთხი ენის დივერსიულ თეორიას და ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებით (ქართველებს გვაქვს ერთი დედაენა) დღეისთვისაც აქტუალური თეორიული პოსტულატი ჩამოაყალიბა:

„ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“ (კ. გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 411).

შდრ., აგრეთვე: „მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც „დიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველების წიგნშიაც...“; „სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს – დაეყრდნოს. აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი“, ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა...“ (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ.V, გვ. 995-996);

„XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 499)...

29 აპრილი, 2012

## მოკლე ინფორმაცია ორი ეთნონიმის შესახებ

ტერმინი **სომეხი** ძველ საქართველოში მიემართებოდა ქართველურ-ურარტულ მოდგმას, რომლის ტერიტორია ნელ-ნელა დაიკავეს **არმენებმა.** ლეონტი მროველის რედაქტორობით შემონახულ „ქართლის ცხოვრებაში“ ასახულია ძველი ვითარება: სომხური ენა ნიშნავს ურარტულ ენას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში არმენების თანდათანობითი დამკვიდრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობითი ასიმილაციისა თუ გენოციდის გამო თემონიმი „სომეხი“ ნელ-ნელა გადავიდა მოსულ ხალხზე – არმენებზე, რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში (ძვ. წ. VI-II) ამ მხარეში გაბატონდნენ და თავიანთი ენაც გააბატონეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში...

მთელი მსოფლიო არმენებს არმენებად მოიხსენიებს, ჩვენ გარდა... ალბათ, ჩვენც არმენები – მათი ნამდვილი სახელი – უნდა ვუწოდოთ.

არმენებს ბოლო 10 საუკუნეში სახელმწიფო არ ჰქონდათ და ჩვენ მათ ღირსება და კულტურა შევუნარჩუნეთ. არმენები დღეს ჩვენი მოძმე ხალხია და ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ.

ასევე, ქართველი **აფხაზების** სახელიც ნელ-ნელა გადავიდა მოსული აბაზების ერთ-ერთ ტომზე, რომელიც თავისთავს ეძახის აფსუას.

აბაზაც ჩვენი მოძმე ხალხია; იმდენად ბევრი გვაქვს საერთო ქართველებსა და აბაზებს, რომ ძველ რუსულ წყაროებში, ასევე, ჩრდილო კავკასიის ზოგი ხალხის ენაშიც კი აბაზასგან ფონეტიკური გზით წარმოქმნილი ობეზი და ებზე (< აბაზა) ქართველს აღნიშნავს...

13 თებერვალი, 2013

# მეკვლე, თოვლის ბაბუა და სანტა კლაუსი

„სეკრეტ სანტა" თუ იდუმალი მეკვლე?

**იცვლება მთავრობები, არ იცვლება ახალი წლის მომლოცავის უცხოური „სტანდარტი", არადა, ქართველებს საოცრად კარგი ტრადიცია გვაქვს:**

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ გასულ საუკუნეში დამკვიდრებული თოვლის ბაბუა რუსული „დედმაროზის" სახესხვაობაა;** ნაძვის ხის ტრადიციაც არაქართულია; სამეგრელოსა და გურიაში შემონახული ჩიჩილაკი კი ნამდვილად ქართულია! **სანტაკლაუსი ევროამერიკული კულტურაა...**

ახალი წელი ახალი იმედებისა და სიკეთის მომტანი დღესასწაულია; შესაბამისად, ახალი წლის დღესასწაულის მთავარი რიტუალია საახალწლო საჩუქრებით დატვირთული, წინასწარ შერჩეული „კარგი ფეხის მქონე" პიროვნების ოჯახში შემოსვლა; ქართულენოვან სივრცეში ასეთ პიროვნებას

„მ ე კ ვ ლ ე" ჰქვია. საახალწლოდ მეკვლეს ოჯახში მოაქვს ტკბილეულით სავსე ხურჯინი; სახლში ფეხის შემოდგმისთანავე იგი ამბობს: **"შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა"...**

როგორც წესი, შემდეგ ასე აგრძელებს: "შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი... დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოსი, გაავსე სახლი ყოვლისა მშობლისა მზითა და სითბოთი, ბეღელი – პურით, მარანი – ღვინით, ახორი – საქონლით, კერია – ნაკვერჩხლით, გული – სათნოებით. ააჟრიამულე ეზო-კარი შვილიშვილებით, შვილთაშვილებითა და მათი შვილებით! დაუშრეტელ მდინარედ იდინე, ბედნიერებავ, ჩემს ქვეყანაში! არ მოუშალო გონიერი ერისკაცი და მწყემსი საქართველოს..."

**ახლა უფრო ვრცლად „მეკვლეს" ინსტიტუტის შესახებ:** მეკვლე – პირი, ვინც პირველი შემოვა ოჯახში ახალი წლის დილით, საჩუქრებს /ძირითადად ტკბილეულს/ მოიტანს და ოჯახს დალოცავს სიტყვებით: **„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა"...** როგორც წესი, დალოცვის რიტუალი ღვინიანი თასით ხელში ხდებოდა და მეკვლე ბოლომდე ცლიდა სასმისს („ასე მტერი დაგეცალოთ").

ამ დალოცვაში ფრაზა **„ანგელოზის კვალი"** და ახალი წლის პირველი სტუმრის მიერ მოტანილი **„კვალი"** (ნაკვალევი) ურთიერთკავშირშია: ხალხური წარმოდგენის მიხედვით, მეკვლეს თუ კარგი ფეხი აქვს, მომავალი წელი ბედნიერი იქნება, თუ ცუდი ფეხი აქვს, წელი ცუდად წაუვა ოჯახს.

რუსული ოკუპაციის პერიოდში ახალი წლის მომლოცავად საქართველოშიც დამკვიდრდა „თოვლის ბაბუა", იგივე „დედ მაროზი"; ბოლო პერიოდში „დედ მაროზს" ენაცვლება „სანტა კლაუსი" /წმიდა ნიკოლოზი/. მიუხედავად ამისა, დღემდე საქართველოს ყველა კუთხეში ოჯახში საახალწლო ბედის შემომტანად მაინც რჩება „მეკვლე" (< მე-კვალ-ე – პირველი კვალის მომტანი).

არ არის გამორიცხული, სიტყვა „მეკვლე" ასევე უკავშირდებოდეს უფრო ძველ ტრადიციას, როდესაც საქართველოში ახალი წელი გაზაფხულზე იწყებოდა და სიმბოლურად აღინიშნებოდა ყანაში პირველი კვალის გავლებით – შესაბამისად, ფეხბედნიერი კაცის მიერ ყანაში პირველი კვალის გავლება ბარაქიანი (დოვლათიანი) წელიწადის წინაპირობად მიიჩნეოდა.

საქართველოში „მეკვლე" სხვადასხვა სახელით დასტურდება: მეკვლე, მეფეხე/მეფეხური/ მფერხავი, მაკუჩხური /მეგრ. „მეფეხური", მჭიშხობ /სვანური ჭიშხ – ფეხი/... ყველა სახესხვაობას ერთი შინაარსი აქვს: „ნათელი, კეთილი კვალის გამვლები", „სიკეთის კვალის მომტანი".

საქართველოს ყველა კუთხის ქართველების რწმენით, „მეკვლე" უპირველესი სტუმარია, რომელსაც მფარველი ანგელოზი მოჰყვება. მაგ., აჭარაში, ქობულეთის რაიონში ჩაწერილი მასალის მიხედვით, „მეკვლეს ოჯახის მფარველი ანგელოზი მოჰყვება". საქართველოს სხვა კუთხეშიც – თუშეთში – მეკვლე ლოცვას ასე იწყებს: **„შემოვდგი ფეხი, შემომყვა ღმერთი, ფეხი ჩემი-დ კვალ ანგელოზისაი".**

„კეთილი და ბოროტი ფეხის" რწმენა ჩვენში მხოლოდ ახალ წელს არ უკავშირდება, მაგრამ საახალწლო მეკვლის სტატუსი არსებითია, ამიტომ ოჯახი საგანგებოდ არჩევს და იწვევს „მეკვლეს". მეკვლედ/მეფეხურად საქართველოში ირჩევდნენ „დაღვინებულ" მამაკაცს, რომელიც

სოფელში, თემში ცნობილი იყო თავისი კარგი თვისებებით, გულუხვობით, ლოცვის გამჭრეობით (ანუ მისი დალოცვა „ჭრიდა, მივიდოდა“!), პატიოსნებით, ბარაქიანობით, შრომისმოყვარეობით. მეფეხური უნდა ყოფილიყო სავსე, ბედნიერი ოჯახის წევრი. მეფეხური შეიძლებოდა ყოფილიყო შედარებით ახალგაზრდა, ბავშვის ასაკისაც, ოღონდ მამრობითი სქესის ყმაწვილი ბიჭი. ქართული სინამდვილე ნაკლებად იცნობს მეფეხურ ქალს (რაჭაში დასტურდება მსგავსი ტრადიცია).

მეკვლეს სთხოვენ, ძალიან ადრე მოვიდეს ოჯახში, რომ ვინმე სხვამ არ დაასწროს კარის შეღება. საქართველოში იტყვიან: „სტუმარი ღვთისაა“, ამიტომ ქართველი კაცი ნებისმიერ მომსვლელ კაცს შემოუშვებს სახლში და უმასპინძლებს, ამიტომ მეკვლე ძალიან ადრე მოდის, რომ სხვამ არ დაასწროს.

რიტუალური სუფრის შემდეგ (დათრობა, ბევრი დალევა სირცხვილი იყო!) ოჯახის უფროსი მეკვლეს დაასაჩუქრებდა საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი საჩუქრებითა და ტკბილეულით.

**P.S.** საბჭოთა პერიოდში „თოვლის ბაბუამ“ მეკვლე უკანა პლანზე დასწია, მაგრამ ვერ გააქრო: ტრადიციულმა „მეკვლემ“ და ჩრდილოეთიდან დამკვიდრებულმა „თოვლის პაპამ“ ფუნქციები გაინაწილეს: თოვლის ბაბუამ მეკვლეს საასპარეზო ველი ბევრად შეუზღუდა (ისევე როგორც ქართულ სახელმწიფოს – რუსეთმა) ;) ახლა „თოვლის პაპას“ „სანტა კლაუსი“ აძევებს, მეკვლე კი ისევ შეზღუდული ფუნქციით რჩება ;)

გაუმარჯოს მეკვლეს!

შეიცოდეთ ჩვენებური მეკვლე, რომელსაც ადრე უსამართლოდ დედმაროზის სახესხვაობა „თოვლის პაპა“ ჩაგრავდა, ახლა კი სანტა კლაუსი უბატონდება...

**P.P.S.** „სეკრეტ სანტა“ თუ იდუმალი მეკვლე?

ახლა კიდევ ერთი უცხოური (ინგლისურენოვანი!) თამაშისმიერი ბარბარიზმი მკვიდრდება: „სეკრეტ სანტა“!

ნახევრადქართულადაც ამბობენ: „საიდუმლო სანტა“; ისე, უმჯობესია, თქვან: „უცნობი სანტა“. არადა, რა კარგია ჩვენი ტრადიცია – მეკვლეობა, მეკვლეს საჩუქრები; გულმართალი მეკვლე! განგვეზოგადებინა მეკვლე და ამ თამაშს დავარქვათ ქართული სახელი: **„იდუმალი მეკვლე“**

არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ამერიკელი უცნობი სანტასი, რომელიც საჩუქრებს მალულად უტოვებდა ბავშვებს, მაგრამ ჩემმა მეკვლემ რა დააშავა, რომ სხვისი გავაპირველო და ჩემი უფრო საინტერესო დავივიწყო?

გარდა ამისა, ქართულად თუ გადმოვიღებდით ამერიკულ თუ ევროპულ თამაშს, გვეწოდებინა არა უცნობი სანტა (ესაა სწორი თარგმანი), არამედ – იდუმალი მეკვლე! „უცნობი მეკვლე“ არ გამოვა! მეკვლე **მე-კვალ-ე** უნდა იყოს: გზა უნდა გვაჩვენოს, ორიენტირი უნდა დაგვანახვოს...

ახლა საქართველოს წამყვანმა დაწესებულებებმაც წამოიწყო სეკრეტსანტობა; არადა, შეეძლოთ, დაემკვიდრებინათ „იდუმალი მეკვლე“ თუ არა, სწორი ქართული შესიტყვება მაინც: „უცნობი სანტა“. არადა, ბავშვებსაც უმკვიდრებენ „სეკრეტ სანტას“ http://www.secretsanta.ge

ყველაფერს ვერ გავაქართულებთ, მაგრამ დავფიქრდეთ: სანტა კლაუსსა და რუსული დედმაროზის კალკს – თოვლის ბაბუას – მეკვლე ხომ არ გვირჩევნია, რომ დავამკვიდროთ, უფრო სწორად, ავაღორძინოთ?

უფრო მეტ ფანტაზიასა და პერსპექტივას წარმოაჩენს ეს საკუთრივ ქართული სიტყვაფორმა. მეკვლეს დავიწყებას და თოვლის პაპასა თუ სანტაკლაუსის დამკვიდრებასაც რუსები და ფსევდოლიბერალები გვაიძულებენ?

გაუმარჯოს მეკვლეს! მშვენიერი თამაშია „იდუმალი მეკვლე“ <3

31 დეკემბერი, 2013

# ნამდვილი სიყვარული და იმედგაცრუება

იმერჭეული მუხის ფოთლების ფილოსოფია თემაზე: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია“, ანუ ნამდვილი სიყვარული

საკითხის არსი:

სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ორ უკიდურესობას შორის – იმედგაცრუებასა და სიყვარულს შორის – მოძრაობს... ადამიანის არსს სიყვარულზე ორიენტირების ხარისხი განსაზღვრავს. ბედნიერებას მხოლოდ ის პოულობს, ვინც უანგაროდ გასცემს სიყვარულს და პასუხს ან საერთოდ არ ითხოვს, ანდა პასუხსაც ადეკვატურს იღებს. ბედნიერება სიყვარულივით ხანგრძლივია.

1. ნამდვილ სიყვარულზე ორიენტირებული ადამიანი ყველაფერს დაუფიქრებლად აძლევს საყვარელ ადამიანს: შვილს, მრევლს, მოსწავლეს, სტუდენტს, მეგობარს, შეყვარებულს... ასეთი სიყვარული ადამიანს აწმყოს ყოველ წამს **უბედნიერებს, თუკი ეს სიყვარული მისთვის აღქმადია.** მხოლოდ გამიჯნურებული ადამიანი ვერ მოიპოვებს მყარ ბედნიერებას, თუკი მისი სიყვარული ცალმხრივი (და)რჩება: **ბერ-მონაზონისგან თუ მშობლისგან/მოძღვრისგან განსხვავებით, მიჯნურს მხოლოდ ორმხრივი სიყვარული აბედნიერებს:** როცა ორივეს ერთმანეთის მიმართ აქვთ ისეთი ზეციური სიყვარული, რომელიც უთუოდ მოიცავს ვნებასაც (რუსთველური სიყვარული). მშობლისა თუ მოძღვრის ცალმხრივი სიყვარულისგან განსხვავებით, ცალმხრივი მიჯნურობა მტანჯველია, უკეთეს შემთხვევაში – მხოლოდ ნაწილობრივი ბედნიერებაა.

2. ჩვეულებრივი ქმედებაა, ნორმაა, ადამიანს მისცე ის, რაც მას კონკრეტულად სჭირდება (ცოდნა, სიმშვიდე, სიმყუდროვე, დაცულობა, მატერიალური უზრუნველყოფა...); შესაბამისად, ხშირია, როცა ადამიანი ცდილობს, საჩუქრებით, კარიერით, მატერიალური დახმარებით... მოიპოვოს სხვა ადამიანის (მრევლისა, მოსწავლისა, მეზობლისა, ქალისა, კაცისა...) „სიყვარული“; ეს გზა ყოველთვის კრახით მთავრდება: საბოლოო ჯამში, ურთიერთობის ეს ფორმა არ აბედნიერებს არც გამცემს, არც – მიმღებს; **ცოდნაც, სიმშვიდეც, სიმყუდროვეც, მატერიალური უზრუნველყოფაც... ნამდვილი სიყვარულით უნდა იყოს გაჯერებული:** უსიყვარულო თანადგომა მომხმარებლურია (მხოლოდ თანადგომის გამო ვერ იქცევი მიჯნურად); ადრე თუ გვიან ადამიანი-მომხმარებელი სხვა ადამიანსაც კარგავს და ვერც საკუთარ თავს პოულობს:

“სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?! რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!”

3. ადამიანთა დიდი ნაწილი საბოლოო ჯამში სულიერ დისკომფორტს იმიტომ განიცდის, რომ:

– ნაწილი მისდამი სხვის უანგარო სიყვარულს/ნდობას უდიერად ექცევა – უჭკუოდ ან უნამუსოდ ფანტავს;

– ნაწილი სხვის უანგარო სიყვარულს/ნდობას ცუდად იყენებს და წესიერ ადამიანს სიყვარულის/ნდობის უნარს უსაჭურისებს (ანგარებიან ლექტორს რამდენი სტუდენტისათვის დაუკარგავს სწავლის მოტივაცია?);

– ნაწილი აღმოაჩენს, რომ აქამდე უღირსს სცემდა პატივს თუ უღირსი ჰყვარებია (უღირსის სიყვარული ყველა შემთხვევაში დროებითია)...

4. **ეგოისტ ან უპატიოსნო/უღირსებო ადამიანს კარგი მასწავლებლობა, ნამდვილი სიყვარული, უღალატო მეგობრობა** არ შეუძლია, რამდენადაც მოძღვრობას, სიყვარულს, მეგობრობას ორი ბურჯი აქვს: „რასაცა გასცემ, შენია“ და სიმართლისმიერი ღირსება; ეგოისტ/ნარცის ადამიანს სხვა კი არ უყვარს, უყვარს, რომ მას აფასებენ, აქებენ, საჩუქარს ჩუქნიან... ცუდი (მკვლელი, მატყუარა, ყაჩაღი...), უღირსებო ადამიანის „მასწავლებლობა“, „სიყვარული“, მეგობრობა მხოლოდ ანგარებითაა შემოფარგლული... ასეთი ურთიერთობა ძალიან ცუდად მთავრდება.

5. **არაგონივრულია, ადამიანს მისცე ის, რასაც სრულად ვერ აღიქვამს;** წესით, ადამიანს არ უნდა მისცე ის, რასაც სრულად ვერ აღიქვამს – მაინც დაკარგავს; ცუდი ადამიანი უანგარო სიყვარულს ვერ დაინახავს და საბოლოო ჯამში გულს გატკენს (გულუბრყვილოს თუ შეუყვარდება ცუდი ადამიანი). მეორეცაა: ზოგი მასზე შეყვარებულ ადამიანს, **შეყვარებულ კაცს/ქალს, კარგ ლექტორს, კარგ მეზობელს** ცუდი გამოცდილების (ცუდი სტერეოტიპის) მიხედვით აღიქვამს და ჯანსაღ ურთიერთობას კარგავს.

6. ნამდვილი მოძღვრობა, სიყვარული, მეგობრობა... უსასრულო ბედნიერებაა. მძიმე თუ

დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, ადამიანი მუდამ ბედნიერად იგრძნობს თავს, თუკი გააცნობიერებს უფლის, მოძღვრის, მშობლის... სიყვარულს – ეს სიყვარული მუდამ არსებობს; დროის კონტექსტში მიჯნურის სიყვარულია პრობლემური, ვინაიდან ეს სიყვარული მეორე ადამიანზეცაა დამოკიდებული (შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შენ შენს იდეაში არსებული ადამიანი გყვარებია და არა ის, ვინც გეგონა რომ გიყვარდა – ყველაზე ხშირია მიჯნურის იმედგაცრუება!).

7. მოსწავლეთა სიყვარული, მეგობრის სიყვარული, შვილის სიყვარული... შეიძლება მხოლოდ უანგარო სიყვარულით მოიპოვო; მიჯნურის სიყვარულს სხვა მუხტიც სჭირდება. ზოგადად, გონებით ვერ დაგეგმავ სიყვარულის მოპოვებას: **გონივრულობა კარგ გემსა ჰგავს, სიყვარული კი ოკეანეს: ოკეანე გაცილებით დიდია და მძლავრი: გემმა შეიძლება გადალახოს ოკეანე, მაგრამ ვერასოდეს დაიპყრობს მას, ოკეანემ კი წამში შეიძლება გააქროს გონიერება.**

„რასაცა გასცემ, შენია...“ პირველ რიგში, სიყვარულზე უნდა ითქვას (და არა – გულუხვი მოწყალებისა თუ „საბოძვარის“ გაცემაზე); სიყვარული სამგვარი შეიძლება იყოს:

– უფლისადმი, შემოქმედისადმი და სამშობლოსადმი, მშობელი ერისადმი **იმანენტური (შინაგანი, თანდაყოლილი, თავისთავადი) სიყვარული;**

– უანგარო სიყვარული: ბერ-მონაზვნური, მშობლიური, მოძღვრულ-მასწავლებლური... – ღირსეული ადამიანების მიჯნურობა – **ორმხრივმარადიული სიყვარული** ანუ რუსთველური სიყვარული.

აქვე, მოკლედ ღირსებისა და სიყვარულის შესახებ:„წა შეები ხატაელთა...“ მამაკაცური ღირსების დაგვირგვინებისთვისაა ნათქვამი და არა – სიყვარულის დამტკიცებისათვის:

ვეფხისტყაოსანი, 415:

მოვახსენე: “არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად,
მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლველად,
შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე მზეებრ სანახველად,
აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად...”

ანუ:

ქალმა იმანენტურად (ბუნებით) იცის, რომ მხოლოდ ღირსეულ /მუხასავით მყარ/ და სიყვარულის აღმქმელ მამაკაცს შეუძლია მუდმივი საყრდენი იყოს ქალისათვის; ასევე, მხოლოდ რომანტიკული განცდისა და ღირსების მქონე ქალს შეუძლია, ნამდვილი სიყვარული... ამ წერილის სიმბოლოდაც ამიტომ ვაქციე მზის ფონზე ძლიერი მუხის ველში მყოფი უცნობი იმერჯეველი მზეთუნახავი :)

**P.S.** წესით, პირველი სიყვარული (უფალი, სამშობლო) ყველას უნდა ჰქონდეს; მეორე სახის სიყვარული ბევრს არა აქვს; მესამე კი ნამდვილად იშვიათია. სიყვარული რომ გქონდეს, ჯერ უნდა იყო: სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა იმედგაცრუებით იტანჯება იმიტომ, რომ ამ სამყაროში ვერც საკუთარ თავს პოულობს და ვერც – საკუთარ ადგილს.

22 მაისი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## უმადური, უნიათო... და უბიწო

გადავწყვიტე, დროდადრო საინტერესო სიტყვების ეტიმოლოგიები მოგაწოდოთ. დღეს სამი სიტყვის ისტორია-ეტიმოლოგიას შევეხები:

**უმადური**

**უმადური** – ადამიანი, რომელიც სიკეთეს არ აფასებს. უსაფუძვლოდ მომდურავი, უკმაყოფილო. ათასი კარგი რომ გაუკეთო, ერთი რამ წვრილმანიც კი მის გულს თუ შენგან დააკლდა, იმ ერთის გამო გაგწირავს, დაგემდურება.

**უ----ურ–** აფიქსებით ნაწარმოები სახელის ფუძეა **მადლ–**

**უ-მადლ-ურ-ი** = მადლის არმქონე.
**უმადლური > უმადური** (დ-ს მეზობლად რ-ს გავლენით დაიკარგა **ლ** სონორი).
შდრ., **მადლიანი** – ღირსებისა და სიკეთის დამნახველი.

**უნიათო**
**ნიათ** – სპარსულია, ნიშნავს "მიზანს"; ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვაა:
**უ-ნიათ-ო** = უღონო, ძალაგამოცლილი, უძლური...
ანუ,
ამ სიტყვის შემქმნელი ქართველი ფიქრობდა, რომ ვისაც მიზანი არა აქვს, უძლურდება, სუსტდება.

**უბიწო:**
ბიწი – ზნეობრივი მანკი (ქეგლ); უწმინდურება. შდრ., ბილწი – საზიზღარი, უწმინდური. **ბიწ** – ფუძისგანაა ნაწარმოები **უ-ბიწ-ო** = პატიოსანი, უმანკო, უმწიკვლო.

**დასკვნა:** როგორც წესი, ადამიანს რაც აკლია, ის ახსოვს მწარედ, ამიტომ ზოგჯერ თითოეულმა ჩვენგანმა შეიძლება სრულიად უსაფუძვლოდ ვატკინოთ გული ერთმანეთს, ზოგადად, კარგმა ადამიანმა – კარგ ადამიანს. ვაკონტროლოთ ჩვენი უმადურობის იმპულსი თუნდაც იმიტომ, რომ უმადური ადამიანი უფრო და უფრო კარგავს სასიცოცხლო მიზანს (ხდება უნიათო) და მეტად და მეტად შორდება ღვთისგან ბოძებულ უბიწობას – სასიცოცხლო ენერგიას.

6 დეკემბერი, 2015 (2 ოქტომბერი, 2020)

## ვინ მოკლა ილია? სილოვან ხუნდაძის ვერდიქტი

ქართველებმა, როგორც ერმა, სათანადოდ რომ გავაცნობიეროთ, როგორ ვიცხოვროთ მომავალში, კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ვიცხოვრეთ აქამდე, როგორი იყო ჩვენი ორიენტირები და თუნდაც ის, რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე თუ ზვიად გამსახურდია!

ათასი რამ დაწერილა ილიას მკვლელობის შესახებ და არავინ ახსენებს სილოვან ხუნდაძეს; არადა, რაც აქამდე წამიკითხავს, ყველაზე საღი მსჯელობა ჯერ კიდევ 1919 წელს მის მიერაა დაწერილი... სილოვან ხუნდაძე ასევე სწორად აფასებს ქართველური ენობრივი სამყაროს დანაწევრების მცდელობას (რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ დაიგეგმა).

მკითხველს შევახსენებ, რომ გასული საუკუნის 1901 წლიდან 1928 წლამდე სილოვან ხუნდაძის გრამატიკის მიხედვით სწავლობდნენ ქართულ ენას. სილოვან ხუნდაძე იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი „ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიისა" – პირველი ქართული გიმნაზიისა (ამჟამინდელი ქუთაისის მეორე საჯარო სკოლა).

აღსანიშნავია ისიც, რომ იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის აქტიური მონაწილეობით ქუთაისში არსებულ ამ სკოლაში დაფუძნდა „თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება" (1917 წლის 17 მაისს). ამავე სკოლაში აღიზარდნენ: ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე ერისთავი, არნოლდ ჩიქობავა, პეტრე ქავთარაძე, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, ვიქტორ ნოზაძე...

აქვე გთავაზობთ ილიას დასაფლავებისას წარმოთქმულ სილოვან ხუნდაძის გამოსათხოვარ სიტყვას, რომელშიც სოციალ-დემოკრატებისადმი (მომავალი მენშევიკებისა და ბოლშევიკებისადმი) მუქარა უფროა:

„საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში! საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძემ თავისი მოწამეობრივი სიკვდილით თავისი დიდებული სახელი კიდევ უფრო

განადიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა! საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი გული გამოიღადრეთ! ამიერიდან ქართველი ერი თქვენს საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს! ქართველო ხალხო! გონს მოდი, გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერ შეძლეს შენი დამონება, შენი შერცხვენა. მხოლოდ შინაური მტრები შეიქნენ შენი შემარცხვენელნი! ქართველებო, ნუ დაივიწყებთ შოთას სიტყვებს: „მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია“-ო!“

12 იანვარი, 2016

## ქრისტე აღსდგა!

რამდენიმე შეკითხვის პასუხად მოკლედ: ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა?

გრამატიკულად მართებული ფორმაა „აღდგა“, მაგრამ საგალობელშია: ქრისტე აღსდგა! ხალხი ამბობს: „ქრისტე აღსდგა!“; ასე ამბობს პატრიარქიც...

პატრიარქი და ხალხი მართალია, ვინაიდან:

– ადგა ადამიანი; ადგა ბავშვი, ადგა მოსწავლე...

– აღდგა სამართლიანობა, აღდგა კავშირი, აღდგა კონტაქტი, აღდგა ხიდი...

მაგრამ:

-აღსდგა ქრისტე! ქრისტეს აღდგომა გამორჩეული მოვლენაა, შესაბამისად, ენა/ხალხი ცდილობს, ამ უნიკალური მოვლენისათვის დაამკვიდროს განსაკუთრებული ენობრივი გამოხატულებაც. ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ ისმის აღზდგა, თუმცა, წერილობით ნორმად უნდა დამკვიდრდეს: ქრისტე აღსდგა!

ენობრივი ნორმის ყველაზე ავტორიტეტული კანონმდებელი ხალხია. როგორც წესი, საყოველთაო გამოყენება უფრო მეტი არგუმენტია, ვიდრე გრამატიკული სისწორე; მაგ., გრამატიკულად არასწორია:

– ვაღიარებ

– დაღმართი

– წავიდ-ნენ, დარჩ-ნენ...

– მაქაური და მრავალი სხვა.

გასათვალისწინებელია კიდევ ორი გარემოება:

1. “აღსდგა” ვარიანტში – **ს** – არამხოლოდ განარჩევს ზმნის ფორმას, არამედ ექსპრესიულობას მატებს ზმნის სემანტიკასაც;

2. შესაძლებელია ეს – **ს** – იყოს ორპირიანი ფორმიდან მომდინარეც:

ქრისტე აღსდგა მას/სიკვდილს: ქრისტე სიკვდილზე აღმატებულია, სიკვდილის დამმარცხებელია (ჩემი „პოსტის“ კომენტარებში, დაახლოებით, ასეთი მოსაზრება განავითარა ქ-ნმა მანანა ჭირაქაძემ).

ასე, რომ:

– ქრისტე აღსდგა!

– ჭეშმარიტად!

1 მაისი, 2016

## ვისთვის ვინ არის ორიენტირი...

მომავალში რომ სწორი ორიენტირებით ვიაროთ, აუცილებელია ძველი, ახალი თუ უახლესი ისტორია, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანების ღვაწლი ემოციის, მიკერძოებისა და... კუთხურობის გარეშე შევაფასოთ!

ჩემი აზრით, საქართველოს ორიენტირი უნდა იყოს ისეთი გმირი, რომელმაც თავისი მთელი სიცოცხლე საქართველოს შესწირა; ასეთი გმირები ბევრნი არიან; მაგ., ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი, გიორგი ბრწყინვალე, ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია... შდრ., ძლიერი, მაგრამ ტრაგიკული პიროვნების ბიოგრაფია (მაგ., 1614 წლის ტრაგედიის ეპიზოდი):

1614 წელს შაჰ-აბას I-მა კახეთში ლაშქრობა გადაწყვიტა. სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის თქმით, მას თან ახლდა მოურავი გიორგი სააკაძე, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს უცდიდა თავის მტრებზე შურის საძიებლად. ...მემატიანის თქმით, სააკაძე ურჩევდაო შაჰს, რომ „ზაფხული გასულიყო, ზამთარი დამდგარიყო, ტყეში ხეებს ფოთლები გადასცვენოდა, რომ სპარსთა ჯარს გაადვილებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში“ (იგივე ცნობა გაიმეორეს ისტორიკოსებმა: ბერი ეგნატაშვილმა და ვახუშტი ბაგრატიონმა)...

27 ივნისი, 2016

## იოანე მინჩხი – ქართლის მკვიდრი

ზოგი ქართველი ისტორიკოსიც კი უგულებელყოფს საქართველოს ისტორიის ქართულ წყაროებს, ასევე, უცხოურ წყაროთა ნაწილს და XI საუკუნემდე “ქართლის” შემადგენლობაში არ განიხილავს დასავლეთ საქართველოს; არადა, ოდითგანვე “ქართლი” ერქვა ქართველთა სახელმწიფოს, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი იყო ეგრისი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა არამხოლოდ არჩილისა და მირის ისტორია, არამედ, X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებლის, მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხის მკვიდრის – იოანე მინჩხის – საგალობლის ერთი მონაკვეთი, სადაც მიმართვაა თავისი მშობლიური ერისადმი:

“ახალ-ნაყოფნო, ახლის ვენაჯისანო, / **ჰოჲ მკუდრნო ქართლისანო**,

და ვდღესასწულობდეთ ღმერთსა...”

30 იანვარი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## „საწუხ არს ესე“ 29 წლის შემდეგ

**ეტყობა, მართლაც 40 წელია საჭირო, რომ დეზორიენტირებულმა თაობამ სამი თვის სავალი “უდაბნო” გაიაროს.**

საქართველოს მტრები წერენ, რომ საქართველო პატარა იმპერიაა, ქართველი ერი კი არ არსებობს; მათივე თქმით, არსებობს მხოლოდ ცალკეული ქართველური ტომები, რომელთა ნაწილს სამწიგნობრო ტრადიციაც აქვს, ნაწილს კი – უმწიგნობრო დედაენები...

ამას მტრები ამბობენ; ისინი ჩქმალავენ რამდენიმე არსებით ფაქტს:

– დაახლოებით, 35 საუკუნის წინ არსებობდა საერთოქართველური კულტურა, რომელიც დღემდე მოღწეულია **კოლხური არქეოლოგიური კულტურის სახით;** ეს კულტურა თითქმის მთლიანად ფარავს ქუჯისა და ფარნავაზის მიერ 24 საუკუნის წინ აღორძინებული საქართველოს (ქართლის) საზღვრებს.

– ძველი ქართველი მემატიანეებისა და მოღვაწეების (ლეონტი მროველი, გიორგი მერჩულე...) მიერ საუკუნეების წინ ითქვა, რომ **ქართველთა ეროვნული კონსოლიდაცია და სახელმწიფოებრივი**

**კულტურის ჩამოყალიბება მოხდა ქართველთა სამწიგნობრო (საეკლესიო, სახელმწიფო) ენის აქტიური მონაწილეობით;** იმ კულტურული ენით, რომელიც დაეფუძნა საერთოქართველურ ენას და რომელიც თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა ტაო-კლარჯეთშიც, ეგრის-ლაზეთშიც (რომლის ცენტრი იყო ქუთაისი!), საქართველოს მთიანეთშიც და არა მხოლოდ მცხეთასა თუ და ქართლ-კახეთშიც.

– ქართველთა მიერ დაარსებული სახელმწიფო დროდადრო ნაწევრდებოდა მომხდურთა აგრესიის დროს და შემდეგ, მაგრამ თითქმის ყველა დანაწევრებულ ერთეულს ისევ ბაგრატიონები მართავდნენ და მათთან ერთად ყველა მხარის მოსახლეობას პრეტენზია ჰქონდა, რომ იყო დიდი ტრადიციის მქონე ქართული ენისა და ერთიანი საქართველოს იდეის პატრონი.

**ამ და სხვა გარემოებებმა განაპირობა ქართველთა მიერ ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და ერთიანი საქართველოს პერსპექტივის შენარჩუნება.**

ბუნებრივია, საქართველოს დანაწევრების პერიოდებში იღვრებოდა ქართველთა ბევრი სისხლი და რღვევას იწყებდა ერთიანი ეროვნული ცნობიერებაც; ეს რყევები კარგად აისახა დემოგრაფიაშიც, ტერმინოლოგიაშიც, ონომასტიკაშიც... მაგ., **10 საუკუნის წინ ქორონიმ "ქართლის" მნიშვნელობა დავიწროვდა აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთი პროვინციის სახელად, შესაბამისად, ეთნონიმ "ქართველის" საფუძველზე აუცილებელი გახდა ახალი ტერმინის – "საქართველოს" დამკვიდრება;** მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, ქორონიმმა "საქართველომაც" და ეთნონიმმა "ქართველმაც" ლამის დაკარგეს თავიანთი მომცველობითი სემანტიკა და ქართველი საზოგადო მოღვაწენი ფიქრობდნენ, დაემკვიდრებინათ ახალი გამაერთიანებელი ტერმინები: "ივერია" და "ივერიელი"; შეიქმნა კიდევ "ივერიელთა ერთობის ტრაქტატი" (1790).

ბოლო ორ-სამ საუკუნეში დროდადრო "ქართველი" თავის სემანტიკას "ქართლელად" ივიწროვებს და მის პარალელურად ჩნდება "იმერელი" (ზოგჯერ დასავლეთ საქართველოს მკვიდრის, მოგვიანებით კი დღევანდელი გაგებითაც), მეგრელი, აჭარელი და სხვ.. თუმცა, **ქართული ენა ამ პერიოდშიც ინარჩუნებდა ქართველთა მაკონსოლიდირებელ ფუნქციას;** სწორედ ქართული ენის საფუძველზე, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით, ძველმა ქართულმა ტერმინებმა: **"ქართველი", "საქართველო"** დაიბრუნეს თავიანთი ისტორიული (მაკონსოლიდირებელი) მნიშვნელობები.

რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში, განსაკუთრებით კი, საბჭოთა პერიოდში ისევ დაიწყო ქართველთა დანაწევრების პოლიტიკის ("გათიშე და იბატონე") გააქტიურება; საბჭოური პოლიტიკა უფრო მზაკვრული იყო: **კრემლის იდეოლოგებმა მიზნად დაისახეს ქართველთა ენობრივი დანაწევრებით ეთნიკური დანაწევრების გაფორმება** და ამ გზით ერთიანი ქართული ეროვნული თვითაღქმის სრული განადგურება. საბჭოთა პოლიტიკის ინერცია დღესაც აქტუალურია; დღეს ერთმანეთს მძაფრად უპირისპირდება ორი კონცეფცია:

– ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პერიოდში არსებობდა ქართველი ერი, რომლის ერთიანობის საფუძველია არა მხოლოდ გენეტიკური ერთობა, არამედ მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა და სახელმწიფოებრივი მეხსიერება;

– ქართველი ერი დღესაც კი არშემდგარი ერია; სხვადასხვა ქართველური ეთნოსები (ტომები): ქართლელი, იმერელი, მეგრელი, სვანი, აჭარელი, მესხი... ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან ერად (იხ., მაგ., ტალიავინის დასკვნა).

მეორე "კონცეფცია" რუსეთშია შექმნილი და ისტორიული რეალობის დამახინჯებას წარმოადგენს, მაგრამ, რუსეთის აქტიურობით (საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომი!) მთელ მსოფლიოში დღესაც ვრცელდება. **ამ ანტიქართულ მიმართულებას უნებლიეთ აძლიერებს ზოგი ამჟამინდელი ქართველიც, რომელმაც არ იცის, კიდევ ვინ არის ქართველი!** კერძოდ, ზოგი დეზორიენტირებული ქართველი დღესაც კი ქართველთა ცალკეულ კუთხურ მეტყველებებს ე.წ. "უმწიგნობრო ენებად" (ველურთა ენებად!) მოიხსენიებს, ანდა, რაიმე საბაბით (აღმსარებლობა, მიწის მუშაკობა, მთაში ცხოვრება...) ლანძღავს საქართველოს რომელიმე კუთხის მოსახლეობას; მაგ.:

– ვიღაც უფუნქციო პრიმიტივი ლანძღავს სამხრეთ საქართველოს მკვიდრ ქართველს (აჭარელს, მესხს, შავშელს, ტაოელს...), ქართველს, რომელმაც ოსმალური ოკუპაციის პირობებში გადაარჩინა ქართული მეობა, მაგრამ მძიმე ეკონომიკური თუ პოლიტიკური პირობების გამო

ზოგმა შეიცვალა რელიგია, რომ ფიზიკურად გადარჩენილიყო; ბევრი აქაური მთასა თუ ტყეში გაიხიზნა და ქრისტიანობაც შეინარჩუნა (ზოგი კათოლიკე გახდა).

– ვიღაც უფუნქციო ბრიყვი ვაიქართველი ლანძღავს სამეგრელოსა თუ სვანეთის მკვიდრთ (მეგრელს, სვანს...), რომელთაც ამ ბრიყვის წინაპარზე მეტად უერთგულეს, შეინახეს ქართული წერილობითი კულტურა, მაგრამ დაქუცმაცებულობის პერიოდში ამ კუთხეების მცხოვრებთა კუთხური მეტყველება ბუნებრივად შეიცვალა და დაშორდა წერილობით ენას;

– რომელიღაც უფუნქციო ჩლუნგი ქართველი კი ლანძღავს მთის ქართველობას, რომელსაც მძიმე პირობებში ცხოვრების გამო შეიძლება იმდენი განათლება არ ჰქონდეს, რამდენიც ბარის მცხოვრებთ, სამაგიეროდ, მთის ქართველები საქართველოს მეციხოვნენი იყვნენ და არიან...

მოკლედ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსება უნდა წამოვწიოთ წინ და ისტორიული ნაიარევი არ უნდა გავაღიზიანოთ; მით უმეტეს, არ უნდა განვაზოგადოთ; პირველ რიგში, ეს მოეთხოვება მწერალს, პოეტს, მეცნიერს, პოლიტიკოსს, ჟურნალისტს... სამწუხაროდ, დღეს მათ რიგში ბევრია მხოლოდ გრანტზე ორიენტირებული, უდმი ანუ გამოუსადეგარი, მხოლოდ კარიერაზე ორიენტირებული... თუმცა, არიან კარგებიც; მომავალი კარგებისაა!

ამ თემაზე 1988 წელს გამოვაქვეყნე წერილი "საწუხ არს ესე"; აჟამინდელი სოციალური ქსელის დიალოგები თუ მწერალთა, ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა... ცალკეული გამონათქვამები ცხადყოფენ, რომ ქართველი ერის მოცემულ თაობაში – დღეს ცოცხალ თაობაში – 29 წლის მანძილზე თვისობრივი ცვლილება არ მომხდარა; **ეტყობა, მართლაც 40 წელია საჭირო, რომ დეზორიენტირებულმა თაობამ სამი თვის სავალი "უდაბნო" გაიაროს.**

18 თებერვალი, 2017

## ნინოობა

მსოფლიოში ერთადერთ რელიგიას (რწმენას) ჰქვია ქართული სახელი – ესაა წარმართობა. "წარმართის" შინაარსი დღეს ბევრს არ ესმის; "წარმართი" ნიშნავს სწორად მავალს; მისი საპირისპირო სიტყვაა "უკუღმართი".

იოვანეს გამოცხადებაში წარმართი ნიშნავს "ერს", ცივილიზებულ ხალხს"; ანუ, ძველი ქართველების აზრით, წარმართი (ქართველი) იყო ადამიანთა საზოგადოება, სხვები კი იყვნენ "ველურები" (შდრ., ბერძნების ხედვა ერისა და "ბარბაროსების" შესახებ).

ცნობილია, რომ წარმართობის დროსაც ქართველების ერთ-ერთი პირველი ღვთაება იყო ქალღმერთი. მდედრი ღმერთის ცენტრობით გააზრებული მსოფლაღქმა რეალიზდა ქრისტიანობის ქართველურ გააზრებაშიც:

– საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი სახელმწიფოა;

– საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადება უკავშირდება წმინდა ნინოს სახელს;

– მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის საქართველო პირველია, სადაც პირველად ქალი ზედიზედ ორჯერ იყო მეფე და ამ რეალობის არგუმენტირებისათვის შეიქმნა ფილოსოფიური ტრაქტატი ("ვეფხისტყაოსანი").

ამგვარი მსოფლაღქმის სათავეა ისტორიულ ქართულში არსებული ორი ტერმინი:

– დედა-კაცი; მამა-კაცი. "კაცი" = ადამიანი.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ნინოობა ჩვენი ერის ფესვობრივი დღესასწაულია!

მეგობრებო, ნინოობას გილოცავთ ბოდბედან; ბოდბედან, სადაც წმინდა ნინოს წმინდა ნაწილები განისვენებს და საიდანაც მსოფლიოს სხივების დარად ეფინება ქალწულის ღვაწლისმიერი მადლი (შდრ., ბოდბე სფეროსებური ტალღის ცენტრია).

1 ივნისი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

# აჭარა და დიდაჭარა

ბათუმის კონფერენციაზეც ერთმა პროვოკატორ"მეცნიერმა" ერთ-ერთი კუთხის ავანტიურისტთა (ვითომ)კუთხური ინტერესების შესაბამისად (საბჭოთა დროიდან ასეთებიც არიან!) დაიწყო ლაპარაკი აჭარის საზღვრებზე ისეთი კონტექსტით, რამაც ყველას (მათ შორის, ჩემი) გაღიზიანება გამოიწვია. იქვე ვუპასუხე, მაგრამ ახლა საჯაროდ მინდა დავდო ასეთი თეზისური ჩანაწერი:

ჩემი აზრით:

1. თავდაპირველად "აჭარა" ერქვა სოფელს ამჟამინდელ ხულოს რაიონში (ახლანდელი დიდაჭარა);
2. "აჭარა" (დიდი ალბათობით, ეტიმოლოგიურად, წყლიანი ადგილი) საქართველოში არსებულ რამდენიმე სხვა სოფელსა თუ უბანსაც ერქვა (იმერეთში, რაჭაში, ტაო-კლარჯეთში...); ამათგან მემატიანემ გამოარჩია ამჟამინდელი ხულოს რაიონის **სოფელი აჭარა** ანდრია პირველწოდებულის მიერ აქ ეკლესიის აღმართვის ფაქტის აღსანიშნავად; სწორედ პირველი ეკლესიის აღმართვის გამო, ამ ადგილის მკვიდრთა პატივსაცემად, მემატიანემ სოფელს **"დიდი აჭარა"** უწოდა.
3. ვფიქრობ, სოფელ აჭარის სახელმა განსაზღვრა მდინარის სახელიც: **აჭარის წყალი.**
4. ცნობილი სოფლის სახელი მოგვიანებით განზოგადდა მთელი კუთხის სახელადაც, თავდაპირველად, ალბათ, აჭარისწყლის ხეობის სახელად (შდრ., მაჭახელას ხეობაში არის სოფელი "აჭარის აღმართი", რაც უნდა ნიშნავდეს აჭარისკენ გადასასვლელ გზასაც).
5. "ქართლის ცხოვრებაში"ოძრხის საერისთავოს საზღვრების აღწერით ყველა უნდა მიხვდეს, რომ ლეონტი მროველის დროს (ლეონტი რედაქტორია და არა – ავტორი!), აჭარის საზღვრები ზღვამდეა.
6. ოსმალეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიტაცების პროცესში თუ შემდგომ პერიოდში სხვადასხვაგვარია აჭარის, როგორც გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული მხარის, გააზრება:
   ფართო გაგებით, "აჭარაში" იგულისხმებოდა დღევანდელი ე.წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაც და, ზოგჯერ, გაცილებით მეტი ტერიტორიაც; ვიწრო გაგებით კი – მხოლოდ აჭარისწყლის ხეობა.
7. მაშასადამე, სხვადასხვა დროს აჭარის, ასევე, ყველა სხვა კუთხის ეთნოგრაფიული საზღვრები სხვადასხვა იყო და დღეს ეს არაა არსებითი! ისტორიისათვის მთავარია, რომ აჭარა ისტორიული კოლხასა თუ გვიანდელი ქართლის/ საქართველოს ორგანული ზღვისპირა ცენტრალური ნაწილი იყო.

**P.S.** დღეს აჭარის (ან რომელიმე სხვა კუთხის) გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ მძაფრი განცხადებების კეთება მხოლოდ პროვოკაციის სურვილით თუ აიხსნება. ერთიანი საქართველოს იდეის ფარგლებში საქართველოს კუთხეთა საზღვრების შესახებ სხვადასხვა დროის განსხვავებული წყაროების მონაცემთა აკადემიური ანალიზი კი სხვა თემაა.

3 სექტემბერი 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

# გვარების წარმოშობა და წარმოება

მუდამ აქტუალური იყო, არის და იქნება კითხვა:

**– ვინ ვარ მე?**

**– ვინ იყო ჩემი წინაპარი?**

**– ვისი გორისა ხარ?**

ყველა პიროვნებას გაცნობიერებული აქვს, რომ "ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომება", ამიტომ აინტერესებს თავისი წარმომავლობა. ზოგადად, ადამიანის მეობა შორეული წინაპრებიდან იწყება და შთამომავლობაში გრძელდება, შესაბამისად, ნორმალურ პირობებში მცხოვრებ ადამიანს აინტერესებს თავისი წარმომავლობა და სურს ღირსეული მომავლის დატოვება.

ადამიანის მეობა რამდენიმე განზომილებაში შეიძლება განვიხილოთ:

– პიროვნული მეობა;

– მოდგმობრივი მეობა;

– ეთნიკური მეობა;

– სახელმწიფოებრივი მეობა.

**მოდგმა არის წინაპრებისა და შთამომავლობის ერთიანობა მოცემული პიროვნების აღქმაში.** სწორედ მოდგმას უკავშირდება სიტყვაფორმა "გვარი".

გვარისგანაა მიღებული **"გორი"** (ვისი გორისა ხარ).

გვარი, როგორც წინაპრის აღმნიშვნელი დამატებითი საკუთარი სახელი, ალბათ, ძველ დროშივე გვქონდა; ხოლო გვარი, როგორც ფიქსირებული საკუთარი სახელი, უკავშირდება წერილობით კულტურას.

თანამედროვე გაგებით გვარის გამოყენების თვალსაზრისით, ქართველობას გამორჩეული ისტორია აქვს, რამდენადაც ქართველ ერს ყველაზე ხანგრძლივი უწყვეტი (!) სამწიგნობრო კულტურა აქვს. მსოფლიოს უდიდეს ნაწილში გვარების ფორმირება ბოლო ასწლეულში მოხდა პასპორტიზაციის აუცილებლობის გამო. საქართველოს კი ამ მხრივ დიდი ისტორია აქვს, რამდენადაც ნათლობის, საკუთრებისა თუ სხვა ყოფითი ურთიერთობების ამსახველ საბუთებში, საკანცელარიო მონაცემებში მუდამ იყო საჭირო, იდენტიფიცირებულიყო პიროვნება, მხოლოდ სახელით კი ეს რთული იყო; ამიტომ საკუთარ სახელს ემატებოდა მშობლების სახელი, არაიშვიათად – ტერიტორიული წარმომავლობა, ზოგჯერ კი წინა პლანზე წამოიწეოდა ხელობა ან რაიმე პიროვნული მახასიათებელი.

როლანდ თოფჩიშვილის დასკვნით, პირველი ქართული ფიქსირებული გვარია "დაფანჩული", რამდენადაც გრგოლ ხანძთელის თანამედროვე ფეოდალის მეტსახელი მეორდება მის შთამომავლობაშიც.

გვარი, როგორც წინაპრის აღმნიშვნელი დამატებითი საკუთარი სახელი, ბუნებრივია, იქნებოდა წერილობითი კულტურის შექმნამდეც, რამდენადაც ყველა საზოგადოება იყოფოდა მოდგმისა თუ ოჯახების მიხედვით. ქართულ ენაში ამგვარი ერთობის გამოსახატავად გამოიყენებოდა –ან სუფიქსი, რომელსაც შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა სიმონ ჯანაშიამ.

საერთოქართველური – **ან სუფიქსი** დღეს შემონახულია:

– სვანეთის ქართველობის გვარებში **–ან, –იან–** სუფიქსების სახით (ფირცხელ-ან-ი, გურჩ-იან-ი);

-სამეგრელოში **–ი+ან, –ა, –ია** სუფიქსების სახით (დად-იან-ი, გამსახურდ-ია, გუგა(ვ)ა..). იგივე **–ან–** სუფიქსი უნდა ვივარაუდოთ **–ოვან–** რთულ სუფიქსში: ჩიქ-ოვ+ან-ი > ჩიქვანი.

– ფერეიდნელ და ტაოელ ქართველთა მეტყველებაში **–ან–** სუფიქსით იწარმოება მოდგმის აღმნიშვნელი სახელები; კერძოდ, თავიანთი წინაპრებსა თუ გვარზე საუბრისას ოსმალეთის იმპერიაში დარჩენილი თუ 400 წლის წინ ირანში გადასახლებული ქართველები იყენებენ **–ან/-იან სუფიქსით** ნაწარმოებ გვარებს.

– აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში დღესაც ჩვეულებრივია: –ან(თ): "ოთარაანთ ქვრივი": ოთარა-ან-ი; იგივე **–ან** სუფიქსია დასავლეთ საქართველოს ზოგი დიალექტისათვის დამახასიათებელ "ოთარასანი" ტიპის წარმოებაში.

**ყველა დასახელებულ ფუძეში უძველესი –ან– სუფიქსი მიუთითებს/აღნიშნავს: წარმომავლობას, კრებითობას, მრავლობითობას.**

ქართულ ენაში წარმომავლობას აღნიშნავს, აგრეთვე, სიტყვები: **“შვილი” (/სკირი, სქუა../, , “ძე”** და **“ყრმა”** (ვაჟიშვილი). გვარები ანალოგიურად იწარმოება სხვა ენებშიც.

შდრ.: **”შვილს”** თუკი დავუმატებთ მამის, ბაბუის, წინაპრისა თუ, იშვიათად, დედის სახელს, მივიღებთ თანამედროვე ქართული გვარის წარმოების ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს: ჯავახი-შვილი (ალბათ, წინაპარს ერქვა “ჯავახა”; შდრ., ჯავახი, ლაშხი, დვალი, სვანი, გურული... ტიპის გვარები წარმომავლობის სახელებია), ბაბუნა-შვილი, ტარიელა-შვილი, გოჩიტა-შვილი...

**“ძეს”** თუ დავუმატებთ მამის, ბაბუისა თუ, იშვიათად, დედის სახელს, მივიღებთ თანამედროვე ქართული გვარის წარმოების ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს: ჯავახაძე (ალბათ, წინაპარს ერქვა ჯავახა), ბაბუცა-ძე, ტარიელა-ძე, გოჩიტა-ძე...

მერაბ ჩუხუას გამოკვლევით დადგინდა, რომ ქართული გვარების ერთ-ერთი გავრცელებული მაწარმოებელი იყო **“ყრმა” (ვაჟიშვილი)** სიტყვა, რომელიც სახეშეცვლილად შემოგვრჩა დასავლურ ქართველურ დიალექტურ არეალში: **მეგრულ კილოში ყრმა > ყმა > ყვა** (მეგრულში ყმ კომპლექსი იცვლება უფრო ბუნებრივი ყვ ლაბიალური თანხმოვანთკომპლექსით; მცირედით განსხვავებული ახსნა აქვს მ. ჩუხუას). –ყვა სუფიქსად ქცეული “ყრმა” შემონახულია ძველ გვარებსა თუ ადგილების ძველ წარმოებაში: ინგოროყვა, ღელეყვა, მალთაყვა...

ვფიქრობ, არ არის გამორიცხული, რომ ზოგ გვარში **–ყვა** სუფიქსის ვარიანტი იყოს **–ვა:**

*ქობალა-ყვა > ქობალა-ვა, *მირცხულა-ყვა > მირცხულავა (შდრ., მ. ჩუხუა ამგვარ პროცესს უშვებს *გუდაყვა > გუდავა ტოპონიმში); ასე რომ, ჩვენი აზრით, მეგრულ გვარებში ზოგ შემთხვევაში ვ განვითარებულია (გუგა-ა > გუგავა), ზოგან კი არ გამოირიცხება **ყვა > ვა** პროცესი. აქვე აღვნიშნავ, რომ თუ X საუკუნეში დადასტურებული “გუდაყვა” მართლა ადამიანის გვარიდან მომდინარე ტოპონიმია (როგორც მ. ჩუხუა ფიქრობს), გამოდის, რომ მეგრული გუდაყვა ერთ-ერთი უძველესი ქართველური გვარია (დაფანჩულთან ერთად).

შდრ.: გასული საუკუნის შუა წლებში გამოითქვა დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ უძველეს პერიოდში ქართულ გვარებსა თუ ტოპონიმებში **–ყვა** სუფიქსი დამკვიდრდა ჩრდილოკავკასიური (ადიღეურ-ჩერქეზული) ენების სუბსტრატის სახით (ეს სუბსტრატი არის დასავლეთ საქართველოში ჩერქეზული ტომების ცხოვრების კვალიო...).

ვფიქრობ, გამორიცხულია ამგვარი რამ რამდენიმე მიზეზის გამო:

1. დასავლეთ საქართველოში არასოდეს უცხოვრიათ ჩრდილოკავკასიელ ტომებს; დასავლეთ საქართველოში მუდამ ცხოვრობდნენ ქართველები;

2. ამგვარი სუფიქსებით გვარები ადრე არ იწარმოებოდა; ძველი სუფიქსია **–ან;**

3. რატომ უნდა დავუშვათ –ყვა-ს ჩერქეზული წარმომავლობა, როცა იგი ნამდვილად ქართული სიტყვის ფონეტიკური ვარიანტია (ყრმა > ყმა >ყვა); ნათელია, რომ “ყვა” მომდინარეობს “ყრმა” სიტყვიდან: სახეზე გვაქვს ქართული გვარებისათვის ჩვეულებრივი წარმოება: მამის, წინაპრის სახელს ემატება “ძე” სიტყვაფორმის სინონიმი “ყრმა”; ჩვენ მიერ დასახელებულ მაგალითებზე თუ განვაზოგადებთ, ადრე ბუნებრივი იყო ასეთი წარმოების გვარებიც:

*ჯავახა-ყრმა, *ბაბუცა-ყრმა, *ტარიელა-ყრმა, *გოჩიტა-ყრმა... და მათგან ტრანსფორმირებული: *ჯავახაყვა, *ბაბუცაყვა, *ტარიელაყვა, *გოჩიტაყვა... შდრ., **რეალურად დასტურდება: ინგოროყვა, ღელეყვა, როყვა, ართილაყვა... ჭანუყვა-ძე.**

სუფიქსად ქცეული იგივე ყრმა/ყმა ფუძე უცვლელად გვაქვს დაცული გვარებში: **ვაშაყმაძე, კეჭაყმაძე...**


ვაშა-ყმა-ძე; აქ გვაქვს გვარის ორმაგი წარმოება; ჯერ იყო: *ვაშას-ყრმა > ვაშა-ყმა, შემდეგ კი: ვაშაყმა > ვაშაყმა-ძე;

კეჭა-ყმა > კეჭაყმა-ძე;

**ჭანუყვა > ჭანუყვაძე.**

გვარის ორგვარი წარმოება /ორმაგი სუფიქსაცია/ ქართულში ბუნებრივი მოვლენაა; შდრ., მაგ.: დვალი > დვალიშვილი; მესხი > მესხიძე, ჩიქოვანი > ჩიქვანი > ჩიქვანიძე და მრავალი სხვა.

აქვე გთავაზობთ მერაბ ჩუხუას წერილს: „ყვა დაბოლოების გენეზისისათვის ქართველურ გვარებში“.



მეჩაბ ჩუხუა (თბილისი)

## -ყვა დაბოლოების გენეზისისათვის ქართველურ გვარებში

ქართულ გვარებში დადასტურებული -ყვა სემანტიკური სპეციალური ლიტერატურაში აიხსნება, როგორც ფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) სუბსტრატი [ჯანაშია, 1952:485; ჯანაშია, 1959:120; როგავა, 1955:1-8; როგავა,1946:15-17]. ანთროპონიმებში გამონაწევრებული -ყვა ფუძე უაბარდოულ ენაში ძე-ს აღნიშნავს და, ამდენად, მოულოდნელი არ არის მისი გამოჩენა გვარსახელებში: ინგილო-ყვა, როგ-ყვა, ჯა-ყვა (შდრ. ჯა-ში-); ჭანუ-ყვა-ძე (შდრ. ჭანი-ია, ჭან-ი-შვილ-ი), ბობო-ყვა-ფხე (შდრ. ტოპ. ბობოყვა-თ-ი) ბათა-ყვა (შდრ. ბათა-ძე, ბათა (საკ. სახ.)), შერ-ყვა, (შდრ. შერ-ი-ძე). ჩვენი დაკვირვებით, ქართველური ენების მონაცემთა მოშველიება.

შესაძლებლად მივიჩნევთ -ყვა დაბოლოების ქართველურ წარმომავლობას. ქართველურ ენა-კილოთა ისტორიული ფონეტიკის ჩვენება ამგვარი შესაძლებლობის რეალურობაზე მეტყველებს.

სანამ უშუალოდ ფონეტიკური ტრანსფორმაციის საფეხურებზე ვისაუბრებდეთ, ყურადღებას მივაპყრობდით ქართულში გავრცელებულ ყმა სეგმენტიან ადამიანთა გვარებს. მხედველობაში გვაქვს ქართულში. დასახელებულ გვარებში გამოყოფილი -ყმა ფუძე იგივე ჩანს, რაც ძველი ქართული სამწერლო ენის ადრეული ძეგლებიდანვე ცნობილი ყმა სიტყვა, რომელსაც წ უ ლ ი, ქ ა ლ ი, ვ ა ჟ ი, მ ა რ თ ვ ე მნიშვნელობები უდასტურდება (აბულაძე, 1973); ძველი ქართული ყმა ფორმიდან არქაულ პერიოდშივე -ედ სადერივაციო სუფიქსის მეშვეობით იქნა ნაწარმოები ყმ-ედ-ი სიტყვა „ახალგაზრდა, დედაკაცი, ქალი“ (ციხონელიძე, 2005:73).

ყმა ფუძის ძირეული (ძირითადი) მნიშვნელობა „შვილისა“ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ვამა-ყმა-ძე ტიპის გვარებში ის შვილ- სიტყვის როლს თამაშობდა, ე. ი. ვამა-ყმა = ვამა-ძე ანუ ვამა-ს შვილი, შდრ. ვამა-ძე. რთული შედგენილობის ყმა ფორმიან გვარებში ძე დაბოლოების დართვა გვიანდელი ჩანს, იმის შემდგომი, როცა ყმა სიტყვის თავდაპირველი სემანტიკა დაინრდილა.

საერთოქართველური წარმომავლობის ყმა ფუძეს შესატყვისი ეძებნება სვანურში. ადრე სვანურ ყლა-ჲ „ბავშვი, ბიჭი“ სიტყვასთან დაკავშირებით ვწერდით: „-ჲ საკუთრივ სვანური სუფიქსია, ამიტომ ძირად ყლა- გამოიყოფა, რომელიც შეესატყვისება ქართულ ყმა-ს. ქართველურ ფუძეთა დაახლოება შესაძლებელი ხდება ჩვენ მიერ გამოვლენილი ქართ. მ : სვან. ლ კორესპონდენციის მოშველიებით. სემანტიკური იდენტირობაც ამის დასტურია“ (ჩუხუა, 2000-2003:277).

მაგრამ მაშინ ქართული ყმა სიტყვის ზანურ შესატყვისზე არ გვქონია მსჯელობა; ზანურის არც ერთ კილოში სათანადო ალომორფი არ ჩანდა. დღეს, როდესაც ქართულ გვარებში გამოვლენილი ყმა სეგმენტის იდენტიფიცირება მოხდა ყმა „შვილი“ სიტყვასთან, ლოგიკურია ინგორო-ყვა, ღელე-ყვა, როგ-ყვა, ჯა-ყვა ტიპის ქართულ გვარებში ასეთივე ელემენტად ყვა გამოიყოს. ამ შემთხვევაში ყვა მორფემა იქნებოდა ქართული ყმა ფორმის ზანური (შეგრულ- ლაზური) შესატყვისი.

ქართ. ყმა : ზან. ყვა შესატყვისობას მხარს დაუჭერს თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ფიქსირებული მ → უ დენაზალიზაციის ფონეტიკური პროცესი ზანურში (resp. მეგრულში) — ომ → ონ : ქართ. ხმარება → მეგრ. ხუარება || ხვარება, ქართ. უქმი → მეგრ. უქში || უქვი, ქართ. სმენა → მეგრ. სუნა || სვენა, ქართ. ჴმახი || ჴმახი → მეგრ. ჯუხე || ჯვახე (შენგელია, 1999:10-11). ომ → ონ ფონეტიკურ გარდაქმნას საფუძვლად ფონოტაქტიკური შეზღუდვა დაედო. კერძოდ, ზანურში კონსონანტი + სონორი თანმიმდევრობა აკრძალულ, არაბუნებრივ თანხმოვანთკომპლექსთა რიცხვს განეკუთვნება. ამიტომაც მოხდა კონსონანტი + მ სონორი თანმიმდევრობის სუპერაცია ბუნებრივი კონსონანტი + უ(ვ) სონანტი თანმიმდევრობით. უფრო მეტიც, მეგრულში ამსოლუტურად იდენტური ყმ → ყუ/ყვ ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველი ფონოტაქტიკური შეზღუდვა აღმოჩნდა ქართულიდან შეთვისებულ ერთ-ერთ სიტყვაში, შდრ. ქართ. შინაყმა → მეგრ. შინაყუა || შინაყვა. ყმა „მონა“ სიტყვის მეგრული სახესხვაობა გამოჩნდება ქართული პატრონყმობა სოციალური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინის მეგრულ ვარიანტში — პატგნჭყალა „პატრონყმობა“, შდრ. საკუთრივ მეგრული პატგნჭკორალა „id“.

ამრიგად, ყმა ფორმის შემცველი ქართული გვარების მეგრული ნაირსახეობა დასტურდება ჯა-ყვა, რო-ყვა ტიპის ქართველურ გვარებში, რომელთა ჩამოყალიბებასაც ხელს უწყობდა ომ → ონ/ვ ფონეტიკური პროცესი მეგრულში, რაც შეპირობებულია ზანური ძირის სტრუქტურით.



მეგრულ ფორმებში ყმა → ყვა ტიპის გარდაქმნის ქრონოლოგიაზე წარმოდგენას გვიქმნის თანამედროვე გუდა-ჲა ტოპონიმის ისტორია.

გუდა-ჲა ტოპონიმი ისტორიულად გუდა-ყვა არქეტიპისაგან ირკვევა, რომ დღევანდელი გუდა-ჲა ტოპონიმი მემატიანე მოგვითხრობს: „ამანვე დიდმან მეფემან [ბაგრატ მესამემ — მ. ჩ.] აღაშენა საყდარად საეპისკოპოსოდ, მოკვეთა მეფისა დროს (978-1014) გუდა-ყვა (გუდაყვისა) საეპისკოპოსო“ (ქ. ცხ.,1955:281). ე. ი. ბაგრატ მესამის მეფობის დროს (978-1014) გუდა-ყვა წარმოითქმოდა როგორც გუდა-ყვა, ანუ ომ → ონ/ვ ფონეტიკური ტრანსფორმაციამდე.

ზემოთ აღწერილ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართველური გუდა-ვა ტიპის დაბოლოებიანი გვარების წარმომავლობის დასადგენად. ჩვენი დაკვირვებით, მსგავს სიტუაციაში ჭრ ყმა → ყვა სუპერაცია განხორციელდა, რასაც მოგვიანებით ზედ დაერთო ყ → ჲ → Ø ფონეტიკური პროცესი, რაც ზანურში ყ ბგერის სუსტი არტიკულაციით დაიკარგა.

ისტორიულად გუდა-ყვა არქეტიპის არსებობა მიუთითებს იმაზეც, რომ მალთა-ყვა ტიპის ტოპონიმები წარმოიშვნენ ადამიანთა გვარებისაგან; ამგვარად, მსგავს შემთხვევაში, აღვილად საბუღებისას ამოსავალია ადამიანთა გვარები; ანალოგიისათვის შდრ. სოფელი მინა-ძე ახალციხის რაიონში, რომლის ეტიმოლოგია გამჭვირვალე ჩანს.[1]

### ლიტერატურა


1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. როგავა გ., ჩუხუთა ოთხეულებრივი სისტემა კავკასიურ ენებში. — იკე, I, თბ., 1946.
3. როგავა გ., ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის. — ქუთაისი პედ. ინსტ.-ის შრ., ტ. XIII, ქუთაისი, 1955.
4. ჭ. ცხ. - ქართლის ცხოვრება, მატიანე ქართლისაჲ, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
5. შენგელია ვ., ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიისათვის (ავტორეფერატი), თბ., 1999.
6. ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
7. ჭოხონელიძე ნ., ქართული ენის დიალექტებში გამოვლენილი ყმედის ომონიმური ცალების ისტორიისათვის. — XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2005.
8. ჯანაშია ს., ე. ინგოროყვას ვენეალოგიისათვის. — შრომები, II, თბ., 1952.
9. ჯანაშია ს., ჩერქეზული (ადიღური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიკაში. — შრომები, III, თბ., 1959.


**Чухуа Мераб (Тбилиси)**

**К генезису окончания - ква в картвельских фамилиях**

**Резюме**


В работе высказано предположение, что в картвельских языках фамильное окончание ква восходит к иформе qma "сын, дочь", т. е. наблюдается процесс деназализации m → w в позиции согласный + гласный ква ← *qma, что и подтверждается аналогичными фактами мегрельского диалекта.


[1] ამ ტოპონიმის არსებობის შესახებ ცნობა მომაწოდა პროფ. თ. გვანცელაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

14 ივლისი, 2018

## საჯარო ლექცია ზე-კართან

2018 წლის 28-31 აგვისტოს შუახევისა და ხულოს რაიონებში ტარდება ლიტერატურული ფესტივალი: “ზე-კართან”. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ადგილობრივი ანსამბლების კონცერტები, პოეზიის საღამოები, საჯარო ლექციები, მასტერკლასები, წიგნების პრეზენტაციები, ინტელექტუალური თამაშები, ექსკურსიები ადგილობრივი ისტორიული ძეგლების, მუზეუმების, კულტურული კერების სანახავად.

ფესტივალის დამფუძნებელია ვახტანგ ბერიძე. ორგანიზატორები: გენრი დოლიძე, როინ აბუსელიძე, ნათია სირაბიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, ჯუმბერ აბაშიძე. ფინანსური მხარდამჭერებია: აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შუახევისა და ხულოს მერია და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი. პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს ტელეკომპანია „რუსთავი 2”, აჭარის ტელე– და რადიომაუწყებელი, TV25, საზოგადოებრივი მაუწყებელი გაზეთი “აჭარა”, ინტერნეტგამოცემა „ბათუმელები”, ჟურნალი “კულტურა პლუსი”, »ინტერნეტჟურნალი ჟოლო», პიარ კომპანია MPR.

ამ ფესტივალის ფარგლებში წავიკითხავ საჯარო ლექციას თემაზე: “ქართულ სიტყვებში შემონახული დიდი ისტორია”. ლექციის გეგმა: პირველი ნაწილი: ქართველთა წინარეისტორიული

(კავკასიურ-წინააზიური) და ისტორიული რელიგიები სიტყვები:

1.1. წარმართი;
1.2. ქართველი;
1.3. არტანუჯი; ართვინი; არტაანი. ქალდეა; ხალდე...
1.4. დიდაჭარა (ქართული წყაროების მიხედვით მსოფლიოში უძველესი ქრისტიანული ეკლესიის აგების ადგლი) – სოფლის სახელის ეტიმოლოგია.
1.5. „ქართლი – ფრიადი ქვეყანა“ = ქართლი – მრავალი მხარის მომცველი სახელმწიფო (ფრიადი – მრავალი).

მეორე ნაწილი: რომელია უძველესი ქართველური თემები/ტომები (და საიდან ჩანს ეს)?

სიტყვები:

2.1. კოლა > კოლხი; ტაო > ტაო-ხ-ი; *ლაში > ლაშხი (ლაშხეთი)... *ჯავა > ჯავახი (ჯავახეთი)...
2.2. მას-ის-ი – *მას-ხ-ი; *ბას-ხ-ი (*მასხი)... მესხი (მცხეთა; მესხეთი);
2.3. სვანი (სვანეთი), ეგრი (ეგრისი), ზანი; ლაზი (ლაზეთი), ჭანი (ჭანეთი), თუში (თუშეთი), აფხაზი (აფხაზეთი)... დვალი (დვალეთი), *შავში (შავშეთი); ჰერი (ჰერეთი).
2.4. *ჩხუმი (ლეჩხუმი)...
2.5. ეგრისი (> მეგრელი); აჭარა (> მაჭარელი); მოხევე (< ხევი), ხევსური (ხევი); ფხოველი (< ფხოვი); გურული (< გურია); აჭარელი (< აჭარა)...

მესამე ნაწილი: ქალი და მამაკაცი პირველ ქართველთა მსოფლაღქმაში

3.1. სიტყვები: დედა-კაცი – მამა-კაცი.
3.2. სქესის კატეგორია ინდოევროპულ ენებში;
3.3. კლასის კატეგორია მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში;
3.4. რატომ არა აქვს ქართულ ენას არც სქესის და არც კლასის განმასხვავებელი ნიშნები?
3.5. ენაში გენდერული ბალანსის ასახვა უძველეს პერიოდში – ქართული ენის უნიკალურობა.

დასკვნითი ნაწილი: ქართული ენის თანამედროვე გამოწვევები.

პირველი ლექციის ჩატარების დრო და ადგილი: 29 აგვისტო, 13.00 შუახევის საჯარო ბიბლიოთეკა.

მეორე ლექციის ჩატარების დრო და ადგილი: 30 აგვისტო, 12.00 სთ. ხულოს ალპურ-ბოტანიკური პარკი.

ბუნებრივია, დასწრება თავისუფალია :)

21 აგვისტო, 2018

## ახალი წიგნი

ჩემი მეგობრებისა და წესიერი ადამიანების საყურადღებოდ: დავასრულე და მალე დაიბეჭდება ჩემი ახალი წიგნი: **“ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები”.**

წიგნის ანოტაცია:

კავკასიაზე თავისი კონტროლის უზრუნველსაყოფად რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნეში შეიმუშავა კავკასიელების, პირველ რიგში, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლის გეგმა, რომელსაც წინ აღუდგნენ ცნობილი ქართველი მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ დადიანი, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ბესარიონ ნიჟარაძე, ამბროსი ხელაია, ივანე მარგიანი, პეტრე ჭარაია...

რუსეთის საბჭოთა იმპერიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ (1921) ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების იმპერიული იდეის ხორცშესხმას შეუდგნენ ბოლშევიკები ი. სტალინის ხელმძღვანელობით. კრემლის მიერ სანქცირებულ ენობრივ-ეთნიკურ პოლიტიკას შეეწინააღმდეგნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები: თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე და სხვ., რომელთა შეხედულებები გაიზიარა ბოლშევიკთა ერთმა ნაწილმაც, მათ შორის – ლავრენტი ბერიამ.

წიგნში, ი. სტალინისა და ლ. ბერიას დაპირისპირების პარალელურად, საარქივო მასალების საფუძველზე გაანალიზებულია ქართველ ენათმეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა თვალსაზრისები მეგრული (/სვანური) მეტყველების სტატუსის შესახებ; ასევე, წარმოჩენილია XIX საუკუნეში დაწყებული დაპირისპირების **თანამედროვე კონტექსტი.**

მონოგრაფიაში ძირითადი ადგილი უჭირავს საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევების ანალიზს. წიგნს ერთვის რეკომენდაციები, რომლებიც საყურადღებო შეიძლება იყოს საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის მიმართულებით.

წიგნს აქვს რედაქტორის ვრცელი წინასიტყვაობა და დანართი, რომელშიც წარმოდგენილია საყურადღებო საარქივო მასალა და რეცენზენტთა შეფასებები.

**რედაქტორი**

პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ჩუხუა

**რეცენზენტები:**

პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი ეკა დადიანი

პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი რევაზ შეროზია

პროფესორი, ისტორიის დოქტორი ნუგზარ ანთელავა

ერთი აბზაცი ამ წიგნიდან:

**მე არ ვამბობ, რომ ყველა დასახელებული პირი მიზანმიმართულადაა ჩართული ამ რუსულიმპერიულ „ჯაჭვში“;** როგორც წესი, მოსაზრება თუ დებულება თვალსაწიერისა და აკადემიური ინფორმაციის ფლობის მიხედვით ყალიბდება. **თუმცა ფაქტია: გარე ძალების ორგანიზებით ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის წინააღმდეგ კარგად გააზრებული სტრატეგია ხორციელდება. მის საპირისპიროდ, ანუ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დასაცავად, ბოლო 27 წელიწადში იშვიათად თუ გადადგმულა გონივრული ნაბიჯები საქართველოს ხელისუფლების მიერ.**

24 დეკემბერი, 2018

## კათოლიკოს-პატრიარქის ახალი ტრაქტატი

ალექსანდრე I დიდის (1412-1442) შემდეგ, მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოს მეფეები ვეღარ ინარჩუნებენ მურვან ყრუსთან თუ თურქმან მოთარეშეებთან ბრძოლაში დასუსტებული საქართველოს ერთიანობას. 1555 წლის ამასიის ზავით კი მცირე სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ საქართველოს ინაწილებენ ირანი და ოსმალეთი. აზიური მუსლიმანური იმპერიების აგრესიით შეწუხებული ქართული სამეფო-სამთავროების მეფეები იმედის თვალით უყურებენ მზარდ რუსეთის იმპერიას, რომელთანაც ქართველებს ქრისტიანული რელიგია აახლოებდა.

რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებში კავკასიის რეგიონის ცენტრში არსებული ქართული სამეფო-სამთავროები ექცევიან მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში; მაგ., დოკუმენტური წყაროებით ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე საქართველოს მეფეებს უკრძალავდა დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან წერილობით კონტაქტსაც კი (იხ. ვ. გურული, მეფე ერეკლე და რუსეთი, თბ., 2018, გვ. 49-62), რომ ავსტრია თუ სხვა ევროპული სახელმწიფოები არ დაინტერესებულიყვნენ მუსლიმანურ ოკეანეში სასწაულებრივად გადარჩენილი გეოპოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიით.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვე ქართველები, ერთი მხრივ, თუკი უიმედოდ ცდილობდნენ, მხარდამჭერი ეპოვათ ერთმორწმუნე რუსეთის სახით, მეორე მხრივ, ესწრაფოდნენ ეროვნულ კონსოლიდაციას; ამის ნიმუშია 1790 წლის „იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქართველთა ერთიანობის განმსაზღვრელი რამდენიმე არსებითი ფაქტორი; **„ტრაქტატის“ ჩვენთვის საინტერესო ნაწილი ასე ჟღერს:**

“ვინაიდგან (ვინაითგან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ **ერთმორწმუნება** (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და **ერთისა ენისა მქონებელნი,** აქვსთ მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა **სისხლით ნათესავთა** და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღვსთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა ცხად იქმნების” (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 501-507).

**მნიშვნელოვანი ფაქტი:** „ტრაქტატში“ არ ჩანს არც აფხაზეთის სამთავრო და არც ოსმალეთის მიერ ანექსირებული ქართული მხარეები. დამოწმებული ტექსტიდან ნათელია, რომ 1790 წელს ქართველი მეფე-მთავრები და სწავლული კაცები თვლიდნენ, რომ იბერიელთა (ქართველთა) ერთიანობის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

**– ქრისტიანობა,**

**– ქართული ენა,**

**– საერთო წარმომავლობა** (უფრო ზუსტად: ერთი სისხლის გამო მავასხელობითი ანუ ურთიერთვალდებულებითი სიყვარული“).

ქართველთა ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების საპირისპიროდ, 1790 წლიდან ზუსტად 219 წლის შემდეგ, **2009 წელს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე აქვეყნებს **“ივერიელთა ერთობის ახალ ტრაქტატს“;** მისი ლოცვა-კურთხევით ახალ ტრაქტატს ხელი მოაწერეს საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა.

ახალი ტრაქტატის შექმნის საჭიროება გააჩინა ჯერ კომუნისტური რუსეთის იმპერიის მესვეურების, ბოლოს კი ე.წ. ფსევდოლიბერალების პერმანენტულმა მცდელობამ, ენობრივ-**ეთნიკურად დაენაწევრებინათ** ქართველი ერის ერთიანობა[1]. ქართველი ერისა და ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო აგრესიის მოსაგერიებლად შექმნილ **“ივერიელთა ახალ ტრაქტატში”** ვკითხულობთ:

“ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი ვართ შთამომავალნი **ერთი წინაპრისა,** საუკუნეთა წინ ერთ ერად ჩამოყალიბებულნი, მრავალფეროვნებით გამორჩეული **ერთი ენისა და კულტურის მქონენი, ნათესაობითა და მოყვრობით** შესისხლხორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ: კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოვლადძლიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი – მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენსა აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება”[2].

როგორც ვხედავთ, კათოლიკოს-პატრიარქის ტექსტში სრულადაა წარმოჩინებული ისტორიული საქართველოს **ყველა ქართული კუთხე რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად.** გამოტოვებული არ არიან არც „სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი“. გარდა ამისა, პირველი ტრაქტატისაგან განსხვავებით, ეთნონიმი: **ივერიელი ანუ ქართველი** განისაზღვრება რელიგიის გარეშე; კერძოდ, 2009 წლის დოკუმენტში ქართველთა ერთიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებად მიჩნეულია:

**– საერთო წარმომავლობა;**

**– მრავალსაუკუნოვანი ერთი ენა და კულტურა.**

ამ ტრაქტატში გამოტოვებული არ არიან არც საქართველოს სხვა შვილები (/სხვა მოქალაქენი), რომელთაც ეთნიკურ ქართველებთან აერთიანებთ **ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცება; ასევე, მრავალსაუკუნოვანი სამშობლოს – საქართველოს გულშემატკივრობა. შესაბამისად, ახალ ტრაქტატში ივერიელი ანუ ქართველი აღნიშნავს საქართველოს მოქალაქეთა**

**ერთობას ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად** (ერის აღმნიშვნელი ტერმინი არ იზღუდება ეთნიკურობის გაგებით). ერის ასეთი გაგება აქვთ თანამედროვე ცივილიზებულ, დემოკრატიულ (ნამდვილ ლიბერალიზმზე ორიენტირებულ) სახელმწიფოებსა თუ ხალხებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ყოველ ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საქართველოს თანამედროვე მოქალაქეებს (ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის მოსახლეობის ჩათვლით) სთავაზობს **დიდ კონსოლიდაციას,** რომ გადავარჩინოთ ჩვენი ისტორიული ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი ფასეულობები, რომელსაც საფრთხე ემუქრება როგორც მეზობელ სახელმწიფოთა აგრესიის გამო, ასევე, **ლიბერალურ-დემოკრატიული ტერმინოლოგიით შენიღბული რამდენიმე აგრესიული ჯგუფისგანაც** (რომელთა "სლოგანები" დიდად არ განსხვავდება 1992-93 წლების სისხლიანი გადატრიალების აქტიურ მონაწილეთა ლოზუნგებისაგან).

[1] ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ მთლიანობას განსაკუთრებით დიდი საფრთხე შეექმნა 1992-93 წლებში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სისხლიანი დამხობის შემდეგ.

[2] https://www.kvirispalitra.ge/old/index.php?option=com_content&view=article&id=1111:qertho-bis-akhali-traqtatiq&catid=5:kviridan-kviramde&Itemid=9&add=1).

4 იანვარი, 2019

## ხულოს არწივი :)

დღეს ამ მშვენიერი წყვილის ქორწილია.

**გოდერძი, ნინო,** გილოცავთ და კარგი განწყობისათვის მცირე ინფორმაციასაც მოგაწვდით:

სიტყვა "ქორწილი" კომპოზიტია და პირველ ნაწილად უნდა გამოვყოთ სიტყვა "ქორი". ზოგი ფიქრობს, რომ ამ კომპოზიტში პირველი ნახევარი (ქორი) აღნიშნავს მტაცებელ ფრინველს, ხოლო "წილი" იგივეა რაც „წიწილა"; მოკლედ, სიძე-დედოფალს შორის ერთი მიიჩნევა "ქორად", მეორე კი –"წიწილად"...

როგორც წესი, კაცი ჰგონიათ „ქორი", ქალი კი – „წიწილა". არადა, ჩემი აზრით, ხშირად პირიქითაა, რადგანაც ოდითგანვე **სამყაროში ნამდვილი კაცების ნაკლებობაა :).** მე ვფიქრობ, რომ „ქორწილი" სხვაგვარად უნდა განიმარტოს; კერძოდ, უფრო ლოგიკურია **„ქორწილის" სხვაგვარი ეტიმოლოგია:**

"ქორწილში" "ქორი" არა მტაცებელ ფრინველს, არამედ სახლის აღმნიშვნელ უძველეს სიტყვად უნდა მივიჩნიოთ: **ბევრ ქართულ დიალექტში დღესაც "ქორი" ნიშნავს სახლს.** ზოგან დავიწროებულია მნიშვნელობა და აღნიშნავს "საბძელს". შესაბამისად, **"ქორწილი" უნდა გავიგოთ სახლისათვის განკუთვნილ ქმედებად – სახლის წილად:** ქორის წილი > ქორწილი.

სიტყვები: „ქორი", "სახლი" ადრე არ ნიშნავდა შენობა-ნაგებობას; მაგალითად, "სახლი" აღნიშნავდა "ოჯახს"; სწორედ ამიტომაა, რომ „სახლიკაცი" ნიშნავს ძმას; „სახლეული" ოჯახის წევრებს...

ცნობისათვის: "ოჯახი" მონღოლური სიტყვაა და "ცეცხლს", "კერას" ნიშნავს ("კერაც" ნასესხებია; ოღონდ – სპარსულიდან). ქართულ ენაში მონღოლურიდან სიტყვაფორმა "ოჯახის" შემოსვლის შემდეგ "სახლმა" დაიტოვა მხოლოდ შენობა-ნაგებობის ფუნქცია; თუმცა, დიალექტებში ამ ფუძემ შემოინახა კიდევ ერთი საინტერესო მნიშვნელობა; მაგ., **აჭარულში და-სახლ-დ-ა ნიშნავს "ცოლი მოიყვანა": დასახლება – ცოლის შერთვა.** "შერთვაც" საოცარი სიტყვაა: **ორი მდინარება ერთვის ერთმანეთს და ახალი მოვლენა – სახლი, ქორი** (ამჟამინდელი ტერმინით – ოჯახი) **წარმოიქმნება.**

ასე რომ, დღეს "დასახლდება" ჩვენი გოდერძი. "დასახლდა" ზმნა საინტერესოა იმითაც, რომ გულისხმობს არა მხოლოდ ოჯახის შექმნას, არამედ სახელისა და ღირსების დამკვიდრებასაც – სახელის მოპოვებასაც, რადგანაც **"სახლი" და "სახელი" ერთი ფუძის სიტყვებია;** ორივე სიტყვის ამოსავალი ფუძე კი არის "სახე".

**შევაჯამოთ ახლა:** კაცი ცოლს რომ მოიყვანს, "სახე" ანუ პიროვნება გახდება: სახელს შეიძენს

და ცალკე ოჯახად აღიქმება, ანუ კაცი ცოლის მოყვანის შემდეგ გამოდის ბავშვობის სტატუსიდან და კაცების რიგში ჩადგება :) /ვინც დღემდე უცოლოა, მას ეტყობა გაუტკბა ბავშვობის ასაკი 😉/.

და, გოდერძი, ახლა უშუალოდ შენ მოგმართავ:

**რადგან დღეის შემდეგ კითხვისათვის დრო ცოტა დაგრჩება, დავასრულებ შუმერული და ბიბლიური სიბრძნით:** ენქიდუ – ნახევრად ველური მამრი, შამხათმა – ქალმა – აქცია სრულფასოვან ადამიანად... ბიბლიაშიც ქალს უკავშირდება ადამის ადამიანად ქცევა. რას ვიზამთ კაცები: რეალობა ასეთია, გოდერძი; მთავარი ისაა, რომ დასახლდი! ასე რომ, გილოცავ დასახლებას – კაცად ქცევას, გისურვებ, როგორც არწივმა, ისე დაიცვა ნინო ამ ცხოვრების ნეგატიური წახნაგებისაგან და მეუღლით ფრთაშესხმულმა, შენ, უფრო **ხულოს არწივივით, ლაღად იფრინო ქართველობის ღირსების დასაცავად** ❤ ❤.

უფრო მოკლედ: ❤ ❤.

უფრო მოკლედ: ერთმანეთს უხდებით და სრულყოფთ!

4 სექტემბერი, 2019

## „აჭარული ლექსიკონის“ ფეისბუკგვერდის შემქმნელებს

**“აჭარული ლექსიკონი”, ზოგადად, აჭარლობა** ნამდვილად არ არის მხოლოდ ერთი რელიგიური თემის **ერთი აგრესიული ჯგუფის** კუთვნილება! **სხვის პირად გვერდებზე ნაკლებად ვაკეთებ კომენტარს.** „აჭარული ლექსიკონი“ ნამდვილად არ არის პირადი გვერდი; გარდა ამისა, სოციალური ქსელი საზოგადოებრივი მოვლენაა და სოციალური ქსელით არასწორი ინფორმაციის გავრცელება გაუმართლებელია. ამიტომ გადავწყვიტე, რამდენიმე ფრაზით გამოვეხმაურო ამ გვერდზე მიმდინარე დისკუსიას, @შანთაძე შანთაძის წუხანდელ (15.01.2020) უცნაურ ჩანაწერს, ამ ჩანაწერის კომენტარებში წამოჭრილ ზოგ საკითხს და “დისკუსიისას” არაერთგზის გამეორებულ მოსაზრებას, რომ თურმე **“ზეგნელი არ არის აჭარელი”...**

**1. ზეგნელი და აჭარელი:** ყველა ისტორიული წყაროს მიხედვით, ხულო და შუახევი ითვლება ზემო აჭარად; გარდა ამისა, ხულოშია სოფელი **დიდაჭარა**. შესაბამისად, ცდება ის, ვინც ხულოსა და შუახევის მკვიდრთ **აჭარლებად არ თვლის** და მათ **ზეგნელებს** უწოდებს. სინამდვილეში, ამჟამინდელ აჭარას (საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს) სახელი “აჭარა” სწორედ ზემო აჭარის, ხულოს, ამ სოფელმა მისცა; კერძოდ: ამჟამინდელ ხულოს რაიონში ოდითგანვე არსებობდა **სოფელი აჭარა.** დიდი ალბათობით, მდინარე „აჭარის წყალმა“ სახელი ამ სოფლიდან მიიღო: აჭარის წყალი; შდრ., მდინარეების სახელების სხვა მსგავსი წარმოება: ჩირუხი – ჩირუხის წყალი; ჩაქვი – ჩაქვის წყალი; ფოცხოვი – ფოცხოვის წყალი; არხოტი – არხოტის წყალი; ხანი – ხანის წყალი...

ანალოგიური წარმოებისაა სუფსაც, რომელიც მომდინარეობს სურების მთის სახელიდან: სურების ფსა (სიტყვა “ფსა” – ადრეულ ქართულში წყალს აღნიშნავდა). ლოგიკურია დავუშვათ, რომ **მთელ კუთხეზეც ამ სოფლის სახელი განზოგადდა.** მე-16 საუკუნის ბერძნულენოვანი წყაროსა და ქართული წყაროების მიხედვით (შემორჩენილია “ქართლის ცხოვრების” მე-18 საუკუნის ჩანართი), **ანდრია პირველწოდებულმა 20 საუკუნის წინ საქართველოში პირველი ეკლესია ააგო სწორედ ზემო აჭარაში,** ამჟამინდელ სოფელ დიდაჭარაში, რომელსაც, ჩანს, ადრე ერქვა მხოლოდ “აჭარა” (დიდაჭარის ნაცვლად, “აჭარაა” ბერძნულ ტექსტში). დიდი ალბათობით, ქართველმა მემატიანეებმა (ან ხალხმა) პირველი ეკლესიის აგების ადგილს, სოფელ აჭარას, გვიან უწოდეს „დიდი“ სწორედ პირველი ეკლესიის აქ აგების გამო.

შდრ.: როგორც წესი, თუ **სოფელს ჰქვია „დიდი“,** მაგ., დიდი ჯიხაიში, **იქვეა სოფელი პატარა,** მაგ. პატარა ჯიხაიში; შდრ., ასევე: დიდი ჩაილური – პატარა ჩაილური; დიდი ციხიათა – პატარა ციხიათა (ქარელის რაიონი); დიდი ინჩხური – პატარა ინჩხური... **სადაც არის სოფელი „ზედა“, იქვეა “ქვედაც”,** მაგ.: ზედა ტომაშეთი – ქვედა ტომაშეთი; ზედა აგარა – ქვედა აგარა, ზედა

მახუნცეთი – ქვედა მახუნცეთი; ზედა სამება – ქვედა სამება და მრავალი სხვა. საქართველოში სამ სოფელს ერქვა „აჭარა“: აჭარაში, იმერეთსა და ლეჩხუმში. **ხულოში არსად არის სოფელი “პატარა აჭარა”, ამიტომ ლოგიკურია ვარაუდი:** მემატიანემ, ხალხმა ზემო აჭარაში პატარა სოფელ “აჭარას” „დიდი აჭარა“ დაარქვა სწორედ პირველი ეკლესიის აგების გამო. **სიტყვა „აჭარა“ უკავშირდება წყალს – აჭარა – წყლიანი ადგილი.**

**გამომდინარე ზემოთქმულიდან, ხულოც და შუახევიც არის აჭარა, ზემო აჭარა.** ქედა, ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი, დღევანდელი გაგებით, არის **ქვემო აჭარა** (დღეს ნუ დავიწყებთ ლაპარაკს იმაზე, ქედის რაიონი ზემო აჭარაა თუ ქვემო; ქობულეთი არის თუ არა აჭარა; ანდა, როგორი იყო აჭარის საზღვრები ისტორიულად; ეს სხვა თემაა). **ბარის აჭარლები მთის აჭარას უწოდებენ ზეგანს.** ასე რომ, „ზეგანი“ არის ზემო აჭარა (ამჟამინდელი შუახევი და ხულო); შესაბამისად, ზეგნელი არის ზემო აჭარის მცხოვრები (ქართველი) აჭარელი ანუ: **ზეგნელი აჭარელია – ზემო აჭარელი!** ქვემო აჭარლები კი არიან ქედელები და ბარის აჭარის ყველა ის მცხოვრები, ვინც თავს თვლის აჭარელად.

**ზოგადად, დღეს, აჭარელია ის ქართველი, ვინც დაიბადა აჭარაში ანდა აჭარელად თვლის თავს** (რელიგიის მიუხედავად). **აჭარლობა ქართველობის ერთ-ერთი კუთხური სახესხვაობაა, როგორც გურულობა, იმერლობა, მეგრელობა, სვანობა, კახელობა... თუ თუშობა.**

**აქვე დავძენ:** ამავე ფეისბუკჯგუფში უკვე რამდენჯერმე წავიკითხე გულისტკივილი აჭარის მკვიდრისაგან (მსგავსად ფერეიდნელებისა, თურქეთის მოქალაქე ქართველებისა...): **მუსლიმან ქართველს თურქსა და თათარს გვეძახიანო...** მუსლიმან ქართველს თათარს, თურქს უწოდებს მხოლოდ გაუნათლებელი ბრიყვი (ჩლუნგი) ან პროვოკატორი. იშვიათად შემხვედრია მე ასეთი ადამიანი ჩემს წრეში თბილისში, ქუთაისში... მთელ საქართველოში (საქართველოს ყველა კუთხეს ზედმიწევნით ვიცნობ და ყველგან დავდივარ!).

**ვინმე გაუნათლებელი ბრიყვი თუ შეგხვდა,** მშვიდად უნდა გააგებინო აჭარის ავბედითი, მაგრამ დიდი ისტორია, უნდა გაანათლო... **თუ პროვოკატორია და აგრძელებს, მაშინ ორი გზაა:** ან უნდა გაერიდო (მით უმეტეს, სოციალურ ქსელში), რომ არ დაეხმარო პროვოკაციული მიზნის მიღწევაში, ანდა, თუ ფიზიკურად შეგხვდა და იმავეს აგრძელებს, ხელისგული უნდა შემოულაწუნო. საერთოდ, უნდა მოვერიდოთ **გარეწრის ნათქვამის ტირაჟირებას** – ცუდი ადამიანის მიერ ნათქვამის გამეორებას და განზოგადებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **პროვოკატორი ორივე მხრიდან შეიძლება იყოს** (ერთი მიზანმიმართულად საბაბს აძლევდეს, მეორე კი ამ საბაბს ცუდად იყენებდეს).

**2. აჭარული ლექსიკა და ბარბარიზმები.** მე დავიბადე ზემო აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ ზედა ტომაშეთში; გარდა ამისა, 30 წელია ვსწავლობ ირანის, აზერბაიჯანისა და თურქეთის მუსლიმან ქართველთა მეტყველებას, კულტურას, შესაბამისად, ათასობით მუსლიმანი ახლობელი და მეგობარი მყავს. **ჩემი ოჯახი არის პირველი მასპინძელი ირანელი თუ თურქეთელი ქართველებისათვის...** ბუნებრივია, დიდ პატივს ვცემ ყველა რელიგიის ქართველს. იშვიათად შემხვედრია მუსლიმანი თუ ქრისტიანი ქართველი, რომელიც რელიგიას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ეროვნებას. ზოგადად, **ეთნიკურობას განსაზღვრავს ენა, ისტორიული მეხსიერება, წარმომავლობა, კულტურა, სამშობლოს განცდა, რელიგია და ბევრი სხვა ცნობიერი თუ ფსიქოლოგიური ფაქტორი,** თუმცა, უმთავრესი არის ენა, ქართველისათვის – ქართული ენა. აქვე აღვნიშნავ, რომ „ივერიელთა ახალ ტრაქტატში“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველთა ეროვნების განმსაზღვრელ კრიტერიუმთა შორის რელიგია არ დაასახელა (http://patriarchate.ge/geo/512-2/). აღვნიშნავ იმასაც, რომ თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდ ნაწილში ეროვნულობა განისაზღვრება მოქალაქეობის მიხედვით, ოღონდ, მოქალაქისათვის აუცილებელია ამ სახელმწიფოს **სახელმწიფო ენის ცოდნა მაღალ დონეზე** (ამის შესახებ მაქვს ვრცელი წერილი).

ქართველთა დედაენის – ქართული ენის – ერთ-ერთი ქვესისტემაა აჭარული დიალექტი. წლებია ჩემი მშობლიური დიალექტის ლექსიკაზეც ვმუშაობ და როცა ვნახე ფეისბუკგვერდი „აჭარული ლექსიკონი“, ბუნებრივია, დავინტერესდი და გამოვეხმაურე „ადმინისა“ თუ ერთ-ერთი წევრის მოწოდებას, გავწევრიანებულიყავით და აქტიურობა გამოგვეჩინა – აჭარული ლექსიკა გამოგვექვეყნებინა.

ფეისბუკჯგუფის შემქმნელის (ბ-ნი თამაზ მიქელაძე) მიერ გაცხადებული იყო მიზანიც: **გაქრობის საფრთხის პირას მყოფი აჭარული ლექსიკის შენარჩუნება...** იდეა მომეწონა და გვერდზე გამოვაქვეყნე რამდენიმე სიტყვის (დასკმა, პოქსი, ხაპი, ფინი...) ეტიმოლოგია, ახსნა... გამოვთქვი ჩემი აზრი სხვათა მიერ გამოქვეყნებული ლექსიკის შესახებაც... და ბევრ მოწონებასთან თუ ადეკვატურ გამოხმაურებასთან ერთად, პასუხად ულოგიკო "პოსტიც" მივიღე... დისკუსიას უცნაური გაგრძელებაც მოჰყვა: ერთ-ერთმა ხულოელმა ქალბატონმა (შანთაძე შანთაძის "ფსევდონიმით") რომელიღაც კონტექსტში დაწერა, რომ აჭარული (/ხულოური) მისალმებაა "სელამ ალეიქუმ". მე ვიფიქრე, რომ ქალბატონმა ისტორიულ აჭარულ ლექსიკაში შეცდომით აურია რელიგიური მისალმება და დავწერე, რომ ქართულ ენაში შემოსული მისალმების ფორმები: **ჰაი, პრივეტ, ზდაროვა... არის ბარბარიზმები;** კონკრეტულად "სელამ ალეიქუმ" არის არაბულიდან შემოსული თურქულში, თურქულიდან – აჭარულში; ეს შესიტყვება არის რელიგიური კონტექსტით შეპირობებული მისალმების ფორმულა და არა – ისტორიული აჭარული ლექსიკის ფაქტი... მეც და ჯგუფის სხვა წევრებმაც კიდევ უფრო უცნაური პასუხი მივიღეთ; კერძოდ, ქალბატონმა **შანთაძე შანთაძემ** განაცხადა:

„ჩემი სტატუსის მიზანი იყო: მე –ხულო – სელამ ალეიქუმ = მე ვარ ხულოდან და ჩემი მისალმება ამგვარია „სელამ ალეიქუმ", ხოლო თქვენ როგორ ესალმებით შუახევი ქედა ხელვაჩაური ქობულეთი ბათუმი. – პროცენტულად – ამით კი დაფიქსირდებოდა ჯგუფში, შეჯიბრის მსგავსად, რამდენი წარმოადგენდა თავის რაიონს. საერთო ჯამში, პოსტის მოლოდინი იყო ხალისით აქტივაცია და არა ვინმესგან ვინმეს შეურაცხყოფა..."

არადა, ჯგუფის შემქმნელმა, ბ-ნმა თამაზ მიქელაძემ, თავისი აზრით, ეს ჯგუფი გახსნა აჭარულ კილოში შემონახული ძველი ქართული სიტყვების გახსენებისათვის, გადარჩენისათვის... **შესაბამისად, ჩემი აზრით, ეს ჯგუფი არ უნდა იყოს ქილიკის, დაპირისპირებისა და უცხოური სიტყვების პროპაგანდის სივრცე...**

სოციალური ქსელი საზოგადოებრივი მოვლენაა, შესაბამისად, ნასესხებ მისალმების ფორმულაზე საჯარო ქილიკი, არქაულ ლექსიკურ ერთეულებზე ცინიკური ხუმრობა, მით უმეტეს, სოციალურ ქსელში მეცნიერებაზე აგდებით საუბარი და "აჭარული ლექსიკონის" ფარდის მიღმა ფარული ზრახვების განხორციელება, თუნდაც, ბარბარიზმების "პროპაგანდა" არ არის მოსაწონი ქმედება; პირველ რიგში, ბარბარიზმების შესახებ:

**ბარბარიზმი არის საჭიროების გარეშე ენაში შემოტანილი რომელიმე უცხო ენის სიტყვა, რომელსაც აქვს შესატყვისი მოცემულ ენაში;** მაგ., ყოველდღიურ ყოფაში (ქუჩაში, სოფელში, ქალაქში...) მისალმებისათვის ვინც იყენებს ფორმებს: „ზდაროვა", „პრივეტ", „ჰაი", „ჰელოუ", სალამი, „სელამ ალეიქუმ"... მათ ვეტყვი, რომ ეს სიტყვაფორმები არის ბარბარიზმები(!) იმიტომ, რომ ქართულად გვაქვს შესანიშნავი სიტყვა: **გამარჯობა!**, ვინმეს თუ უნდა შინაურული მისალმება, შეუძლია გამოიყენოს „გაუ"... **დამერწმუნეთ, რომ საკუთარი თავის პატივისცემა იწყება საკუთარი დედაენის პატივისცემით.**

აქვე აღვნიშნავ, რომ „სალამი" უკვე ზმნურ ფუძედ იქცა: გვაქვს ზმნური ფორმები: მივესალმე, მიესალმა... ყველა ვიყენებთ ამ ზმნებს, მაგრამ „სალამი" ფორმას პირადად მე მისალმებისას არ ვიყენებ, რადგან მაქვს დედაენობრივი ფორმა: **გამარჯობა!**

სხვა საკითხია, როცა მისალმების ფორმულას: **„სელამ ალეიქუმ"** განვიხილავთ **რელიგიურ ჭრილში:** მუსლიმანისათვის მისალმებისას ბუნებრივია „სელამ ალეიქუმ", რომელიც თურქულსა თუ ქართულში არაბულიდან შემოვიდა. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ხულოელს შეუძლია თქვას, რომ „მე ვარ ხულოდან და ჩემი მისალმების ფორმაა: „სელამ ალეიქუმ", მაგრამ **არ უნდა დაავიწყდეს, რომ სხვა ბევრი აჭარელიც არის ხულოდან და მისი მისალმების ფორმაა „გამარჯობა".**

საინტერესოა პარალელურად გამოყენებულ სიტყვათა პროცენტული მიმართებაც, თუ ვინ რა სიტყვებით და როგორ ესალმება... ყველაფრის გათვალისწინებით მე ამ ჯგუფის წევრებს ვუთხარი მარტივი ჭეშმარიტება: **„სელამ ალეიქუმ" არ არის აჭარული დიალექტის (ზოგადად, ქართული ენის) ორგანული კუთვნილება და ქართულში გამოიყენება მხოლოდ რელიგიური ნიშნით.**

ეს ფეისბუკგვერდი რომ ყოფილიყო მუსლიმური თემის კერძო გვერდი და არა – **საჯარო ჯგუფი „აჭარული ლექსიკონი",** ბუნებრივია, მე ამ დისკუსიას არ გავაგრძელებდი, @შანთაძე შანთაძის იმ პროვოკაციულ ჩანაწერსაც არ ჩავთვლიდი გამოხმაურების ღირსად და ამ ჯგუფსაც

ღიმილით დავივიწყებდი, მაგრამ **არ მომწონს, რომ ვიღაც ჩემი მშობლიური კილოს ლექსიკონს იყენებს** პროვოცირებისათვის, დაპირისპირებისათვის, ბარბარიზმების გავრცელებისათვის...

**"აჭარული ლექსიკონი", ზოგადად, აჭარლობა, აჭარის თემა** ნამდვილად არ არის მხოლოდ ერთი რელიგიური თემის **ერთი აგრესიული ჯგუფის კუთვნილება** (აგრესიული პროვოკატორები ყველა რელიგიურ თემშია!). არავის უნდა მიეცეს უფლება, **აჭარლების სახელით,** ან "აჭარული ლექსიკონით" თვითშენიღბვით ტირაჟირება გაუკეთოს ქართველთა დამანაწევრებელ, თვით აჭარის მკვიდრთა ურთიერთდამაპირისპირებელ პროვოკაციულ ჩანაწერებს...

**დღეს, როგორც არასოდეს, საქართველოს ესაჭიროება ყველა კუთხის ქართველის, ყველა აღმსარებლობის ქართველის, საქართველოს ყველა მოქალაქის** (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად!) **ერთიანობა!**

**3. აჭარელი – საქართველოს მეციხოვნე!** ფეისბუკგვერდ "აჭარული ლექსიკონის" შემქმნელებო, წევრებო, გთხოვთ კარგად გააანალიზოთ თქვენი ჯგუფის ზოგი წევრის გაუმართლებელი ქმედება (თუ ბლაყაბლუყი) და თქვენ მიერ შექმნილი გვერდიდან ნუ აკეთებინებთ აჭარის ქართველობის ღირსების შემლახველ უხერხულ "განცხადებებს" (ჯგუფის კედელზე მრავლადაა ასეთი ტექსტები). **ფეისბუკგვერდი – აჭარული ლექსიკონი** უნდა იყოს მაკონსოლიდებელი, გამაერთიანებელი და არა – დაპირისპირების მაპროვოცირებელი! იმედი მაქვს, ეს მცირე ჯგუფი თქვენს გვერდზეც კი ვერ შექმნის "ამინდს", რადგან აჭარელი მუდამ იყო საქართველოს მეციხოვნე (განსაკუთრებით, ხიხანის არწივები) და მუდამ ასე იქნება!

დავძენ: **ჩვენი – საქართველოს განაპირა კუთხეებში მცხოვრები ქართველების – ბრძოლა რომ არა, ასეთ ლაღ ქართველობას ვერ შეინარჩუნებდნენ საქართველოს ცენტრალური კუთხეების მცხოვრებნი.** ჩვენ, აჭარლები, მრავალი საუკუნის მანძილზე ვიცავდით ჩვენს ქართველობას, ჩვენს დედაენას და ამ კუთხის ახალი თაობის შემხედვარე დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება. მთავარია, ყველამ გააცნობიეროს: დღეს ჩვენი რელიგიური არჩევანი თავისუფალია; უმეტესობა ერთმანეთს პატივს ვცემთ; პატივს ვცემთ ჩვენს დედაენას – ქართულს და კუთხურ მეტყველებასაც – აჭარულ დიალექტს; ამ ფონზე არ არის სასურველი, ჩვენს მეტყველებაში, მით უმეტეს, „აჭარულ ლექსიკონში" ერთ რანგში წარმოვადგინოთ ორგანული ქართული (აჭარული) სიტყვები და უცხოური ნასესხობები.

დღეს ჩვენ ყველამ უნდა ვცეთ პატივი ერთმანეთს, რომ ჩვენი სახელმწიფო გაძლიერდეს. პატივი უნდა ვცეთ ჩვენს ისტორიულ რელიგიას, ახალ რელიგიასაც, მაგრამ, პ**ირველ რიგში, იმას, რაც ყველას გვაერთიანებს: ჩვენს ქართველობას, ჩვენს დედაენას.**

**"აჭარული ლექსიკონის" ფეისბუკჯგუფის გულწრფელ წევრთა, ზოგადად, ქართველთა ეროვნული საგანძურის ყველა დამცველის პატივისცემით.**

ტარიელ ფუტკარაძე
16 იანვარი, 2020

**P.S. ამ პოზიციის დაფიქსირების გამო "აჭარული ლექსიკონის" ერთ-ერთმა მოდერატორმა დამბლოკა :))**

**P.P.S.** რა მოხდა შემდეგ: პირველ რიგში, აღვნიშნავ ორ მიზეზს, რის გამოც დავინტერესდი **ფეისბუკჯგუფით „აჭარული ლექსიკა":**

**– აჭარული ლექსიკა ჩემთვის მშობლიურია, მაგრამ ამოუწურავია; მეზობელ სოფლებშიც კი სხვაობს ლექსიკა და ასეთ ფეისბუკჯგუფში არის ალბათობა, გამოვლინდეს საინტერესო ახალი ლექსიკური ერთეულები** (რაც რეალურად ხდება კიდეც);

**– აშკარაა, რომ ჯგუფში გაწევრიანებულ ხალხს სხვადასხვა ცოდნა აქვს; ამიტომაა აქ კონფლიქტები. შეიძლება ამ ჯგუფის წევრთა ცოდნის კონსოლიდაცია და ამ პირთა უფრო სასარგებლო გაერთიანება...**

დაბლოკვის შემდეგ გაოცებულმა და გაბრაზებულმა დავურეკე და ვესაუბრე ჯგუფის „ადმინს", ბ-ნ თამაზ მიქელაძეს. ჩვენი საუბრის შემდეგ მან "ბლოკი" მომხსნა (დაბლოკილი ვიყავი სხვა მოდერატორის მიერ). მასთან განხილულ თემათაგან აქ სამს გამოვყოფ:

**I. აჭარული ლექსიკა. „აჭარული ლექსიკონი" კარგ საშუალებას იძლევა, წინა პლანზე წამოვწიოთ**

**აჭარულში შემონახული ძირძველი ქართული სიტყვები ორი მიზნით:**

ა) გაქრობას გადავარჩინოთ ეს სიტყვები;

ბ) ამ სიტყვებით ჩავანაცვლოთ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული ბარბარიზმები, მაგ., აჭარულში შენარჩუნებულია „ფინი“, რომლითაც დროთა განმავლობაში შეიძლება ჩანაცვლდეს სპარსული “იატაკი”, ანდა, აჭარული “ნაღებით” – „არაჟანი“ (რომელიც ასევე სპარსულია) და სხვ.

ბუნებრივია, ბარბარიზმებია არაბული, თურქული, სპარსული, რუსული თუ ინგლისური სიტყვები. დღეს **ბარბარიზმებით თავის მოწონება, რა თქმა უნდა, არ არის კარგი ტონი.** აქვე აღვნიშნავ, რომ სასურველია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საკუთრივ ქართული (აჭარული) ლექსიკისა და საერთაშორისო რელიგიური ტერმინები. აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგიური ტერმინების გამოყენების ველია რელიგიური რიტუალები და არა – ყოფითი მეტყველება. ჩვენი მთავარი მაგისტრალური ხაზი უნდა იყოს ჩვენი ყოფითი მეტყველების ფაქტების გამომზეურება, რადგან ჩვენ ყველას “დედაენა გვაერთიანებს”, ჩვენი დედაენის ერთ-ერთი გამორჩეული მარგალიტი კი არის **აჭარული დიალექტი.**

**II. ჯგუფის წევრთა ცოდნის რეალური კონსოლიდაციის პერსპექტივა.**

ყველა ნორმალური ადამიანი სვამს კითხვებს:

ვინ ვარ მე?

ვისი გორისა ვარ?

ვისი მოდგმისა ვარ?

ვინაა ჩემი წინაპარი?

რომელი რელიგია იყო ჩემი წინაპრების?

რა ისტორია აქვს ჩემს ენას?

რა ისტორია აქვს ჩემს სოფელს, კუთხეს?

**ყველა ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია განათლებაზე,** ანუ გააზრებულ ინფორმაციაზე, რომელსაც მოზარდი იღებს ოჯახში, სოფელში, უბანსა თუ სკოლაში. ადამიანის მეობას (თვითობას), იდენტობას, პირადი გენეტიკური მახასიათებლების გარდა, **განსაზღვრავს ის ინფორმაცია, რომელიც მას აქვს თავისი წინაპრების, მოდგმის, ეროვნულობის, რელიგიის...** შესახებ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენეტიკურ მემკვიდრეობაზე არანაკლებად (თუ მეტად არა!) ადამიანის მეობას განსაზღვრავს დედაენა, ეროვნული ისტორია, რწმენა, განათლება... მთლიანობაში, ვისაც რა მასშტაბის საოჯახო თუ სასკოლო განათლება აქვს, იმის მიხედვით აღიქვამს თავს; ბუნებრივია, პიროვნების იდენტობას განსაზღვრავს მშობლიური დიალექტიც (დიალექტიც იდენტობის ნაწილია).

ფეისბუკჯგუფში „აჭარული ლექსიკონი“ გაერთიანებული არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის, აჭარის სხვადასხვა რაიონის, განსხვავებული განათლების, განსხვავებული რელიგიისა და ასაკის ადამიანები. **თითოეული ადამიანის თვითაღქმა** (საკუთარი თავის გააზრება) **სხვადასხვაგვარია;** შესაბამისად, ზოგჯერ ბუნებრივია ჯგუფში წარმოშობილი დისკუსია თუ დისკუსიის ქვეტექსტი. აშკარაა ისიც, რომ ზოგჯერ **მიზანმიმართულად ხდება განსხვავებული თვალსაზრისის ადამიანის დისკრედიტაცია და ამ გზით საკუთარი არაჯანსაღი მიზნისა თუ უსუსურობის დროებითი დაფარვა.**

ვფიქრობ, **ფეისბუკჯგუფი „აჭარული ლექსიკონი 😊“ შეიძლება იქცეს გარკვეულ ზიარჭურჭლად – საზიარო ველად,** სადაც ადამიანები გაცვლიან ინფორმაციებს და გაფართოვდება მათი თვითაღქმის ინფორმაციული ველი. **საერთო ინფორმაციული ბაზა** ადამიანებს ერთმანეთთან აახლოებს, ამეგობრებს და საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კონსოლიდაციას, გაერთიანებას...

**III. რა იწვევს კონფლიქტს? “აჭარული ლექსიკონის” ფეისბუკჯგუფში იყო** კონფლიქტებიც. როგორც წესი, კონფლიქტს იწვევს სხვა ადამიანის მიუღებლობა! კერძოდ, ის, ვინც ვერ ეგუება განსხვავებულ აზრს, მოძმის განსხვავებულ კილოს, განსხვავებულ რელიგიას, განსხვავებულ გემოვნებას, განსხვავებულ მიდგომას... **მას არ უნდა კონსოლიდაცია და მიდის კონფლიქტისაკენ.** განსხვავებული აზრის/რელიგიის/, **განსხვავებული თვითაღქმის მქონე ადამიანის** ვერამტან სუბიექტს არ უნდა ღია და დემოკრატიული სივრცე; **ასეთი ადამიანი ხელს უწყობს გათიშულობას და საბოლოო ჯამში, ნებსით თუ უნებურად,** საკუთარი მტრის სამსახურში დგება.

**ბოლო კონფლიქტი:** როგორც უკვე აღვნიშნე, მე, აჭარული ლექსიკის ერთ-ერთი სპეციალისტი, ენათმეცნიერი, ადამიანი, ვინც მხოლოდ პოზიტიურ ჩანაწერებს განათავსებდა, სამი დღის წინ „აჭარული ლექსიკონის“ ფეისბუკჯგუფში დამბლოკა არაენათმეცნიერმა და არასპეციალისტმა მოდერატორმა, რომელსაც ლექსიკონი რეალურად ნაკლებად აინტერესებს და უფრო რელიგიური მიზნები აქვს.

დღეს არავის უნდა მივცეთ უფლება, აჭარლობა, აჭარული ლექსიკა რელიგიური პროპაგანდისათვის გამოიყენოს...

ვფიქრობ, რადგან “ბლოკი” ამხსნა, ამ ფეისბუკჯგუფის „ადმინი“, **ბ-ნი თამაზ მიქელაძე და მე შევთანხმდით ძირითად მომენტებზე.** ჩვენ შევთანხმდით, რომ ვითანამშრომლებდით ჯგუფში: აჭარული ლექსიკონი“ ძირითადი მიზნის – აჭარული ლექსიკური ერთეულების წარმოსაჩენად.

**ახლა უკვე იმედი მაქვს, ჩვენ ყველანი, ჯგუფის წევრთა უმრავლესობა მაინც, მალე დავმეგობრდებით, რადგან ჩვენ გვაქვს:** ერთი სამშობლო – საქართველო, ერთი დედაენა – ქართული ენა და **ყველას გვიყვარს** საქართველოს ულამაზესი კუთხე – აჭარა, ამ კუთხეში შემონახული ძირძველი ქართველური ლექსიკა.

16 იანვარი, 2020 (19 იანვარი, 2020)

## რა კავშირია “სუფსასა” და “მაფშალიას” შორის?

მოკლედ:

ამ ორ სიტყვას საერთო აქვთ “ფსა/ფშა” ძირი, რომელიც წყალს ნიშნავს იბერიულ-კავკასიურ ენებში, მათ შორის, ქართველურშიც:

სურის ფსა /= სურების წყალი/ > სურფსა > სუფსა. სურ– ძირი გვაქვს სულ-ორ– ფუძეშიც (ტოპონიმი: “სულორი”).

მა-ფშა-ალ-ი-ა = ჩიტი, რომელიც ცხოვრობის ფშანის, ფშას/ფსას (წყლის) პირას.

შდრ., ქართველთა სამწიგნობრო ენაში დამკვიდრებულია აღმოსავლური, ჩვენთვის გაურკვეველი წარმოშობის “ბულბული”; არადა, ამ დროს გვაქვს შესანიშნავი ქართველური (/ მეგრული) წარმომავლობის სიტყვა “მაფშალია”, რომლის სახელდების მოტივაცია ზუსტად შეესაბამება ამ ჩიტის ცხოვრების წესს:

მაფშალია – ფშას, წყაროს პირას მცხოვრები ჩიტი.

არგუმენტირებულ სტატიას მალე იხილავთ. მანამდე კი ვიზრუნოთ, რომ სალიტერატურო ენაში დავამკვიდროთ ქართული “მაფშალია” უცხოური “ბულბულის” ნაცვლად.

**P.S.** ტ ა რ ი ე ლ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე „მაფშალიას“ ეტიმოლოგიისათვის: XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მ ა ს ა ლ ე ბ ი, 2020, გვ. 143-145.

ახალქალაქი, 2020 წლის 9-10 ოქტომბერი; ეძღვნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 30-ე წლისთავს.

20 ივნისი, 2020 (9 ოქტომბერი, 2020)

## თედო სახოკია შუბანში

**წერილის ბოლო ვარიანტი სათაურით: “მარეთის ხეობის (ზემო აჭარა) ისტორიული გზებისა და ტოპონიმიისათვის /თედო სახოკიას კვალდაკვალ/”**

1897 წელს 29 წლის თედო სახოკიამ ცხენით იმოგზაურა აჭარაში. მოგზაურობის ამსახველი დღიურის ტიპის ჩანაწერებს ავტორი ბეჭდავდა 1898-1901 წლების განმავლობაში ჟურნალ „მოამბეში“; კერძოდ, მარეთის ხეობის ნაწილი დაიბეჭდა 1901 წლის აგვისტოში, მე-8 ნომერში /http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/155849?fbclid=IwAR3g0b9n69Rz7LUHhifMpQdYJp6kgfr-YK-

NZ8s_AOSvdr0kOmXieUql2jfY/. მარეთის ხეობაში თ. სახოკია ცხენით გადავიდა ფურტიოდან, ერთი ღამე გაათია ოლადაურში, მეორე ღამე – მარეთის ხეობის ალპურ ზონაში და მესამე დღეს გადავიდა სხალთისწყლის ხეობაში. მასთან ერთად ეს გზა ცხენით გაიარეს ზემო აჭარის მაშინდელი ხელისუფლების პირველმა პირმა და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმა.

მარეთის ხეობის შესახებ დიდი ეთნოგრაფი და მოღვაწე შემდეგ წერს: „ოლადაურიდან გამოსულებმა გავიარეთ **რამდენიმე პატარა სოფელი** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.) და შევუდექით საზაფხულო საძოვრების აღმართსაც. ამ აღმართთან ერთად იწყება საუცხოო ტყე სოჭისა... საცა ტყე თავდება, საძოვრები – **ეგრეთ წოდებული** მაწყვალთის საძოვრები – იწყება. აქვე რამდენიმე ხის ჯარგვლები ანუ ყიშლები დგას საქონლისა და ადამიანის სადგომად... ყიშლებს გარშემო ცოტად თუ ბევრად აკრავს ტყე, მაგრამ რაც უფრო შორდებით, ტყე თანდათან ისპობა და გამოდიხართ წმინდა **ალპურ საძოვრებზე** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.), რომლებიც შეფენილია მთების კალთებსა და ქედებზე. ამ მთის სივრცეზე გამოსვლისთანავე ვაკის გაკვალული გზა იკარგება და მის ადგილს იჭერს ბილიკები. მთა ამ ბილიკებით დაქსელილია და თუ პირდაპირ მიმართულებას აცდით, განსაკუთრებით ნისლ-ბურუსის დროს, მთელი დღე ივლით უგზო-უკვლოდ და დანიშნულ ადგილს მაინც ვერ მიაღწევთ... ამ მთაზე აჭარლებთან ერთად ამოდიან შავშელებიც“... (გვ. 268-269).

წერილის სრული ვარიანტისათვის იხ. ბმულები:

(1)

https://www.scribd.com/document/474435625/0-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98

(2)

https://www.academia.edu/43958764/%E1%B2%97%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98

29 ივნისი, 2020 (1 სექტემბერი, 2020)

## გამოკვლევა შუბნის თემის შესახებ

მეგობრებო, ვწერ ენათმეცნიერულ-ისტორიოგრაფიულ გამოკვლევას შუახევის მუნიციპალიტეტის შუბნის თემის შესახებ.

საკმარისი ინფორმაცია მაქვს ძველი ეკლესიებისა და ეკლესიის ნანგრევების შესახებ.

ვაგროვებ დოკუმენტირებულ ინფორმაციას შუბნის ტერიტორიაზე არსებული ჯამეების შესახებ.

როგორც ჩანს, ოსმალური ოკუპაციის პერიოდში შუბნის თემში არ აგებულა არც ერთი ჯამე; კერძოდ:

1.1908 წელს აშენდა დარჩიძეების მეჩეთი (ინფორმაციისა და სურათების მოწოდებისათვის დიდი მადლობა ბატონ ლევან ბოლქვაძეს (ლევანი ბოლქვაძე).

2. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 1913 წელს აშენდა ტომაშეთის ჯამე...

რაიმე სხვა ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?

როგორც ვხედავთ, ორივე ჯამე აგებულია რუსული ოკუპაციის დროს; შდრ.:

თბილისში პირველი მეჩეთი (შიიტური) აიგო 1522-1524 წლებში. ხულოში, დიდაჭარაში ჯამე აგებულია 1814 წელს.

გავუფრთხილდეთ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობასა და ისტორიას!

29 ივნისი, 2020

## საინტერესო ფაქტი

1889 წელს ახალშემოერთებულ აჭარაში იმოგზაურა ზაქარია ჭიჭინაძემ.

მისი ცნობით, ზემო აჭარაში იშვიათად თუ იცოდა ვინმემ ქართული წერა-კითხვა... ასეთი სოფელი ყოფილა ჩემი მშობლიური ტომაშეთი:

ზაქარია ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში (გამოცემული იაკობ ალექსანდრესძე მანსვეტაშვილის საფასით), ტფილისი, 1913, გვ. 182 :

“ტომაშეთი: 15 კომლი. ამ სოფელს ძველად ეკკლესია ჰქონია. ეკკლესია თათრობის დროს დაქცეულა. ეს სოფელი სძევს ქოჩახს ახლო, ფოცხოვის მთებთან, სადაც იწყება ყარსის საოლქო ადგილები. აქ ზოგმა ქართული წერა-კითხვა იცის”.

30 ივნისი, 2020

## “ახალციხის რაბათის” შესახებ

ასეთი სახელწოდება ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული!

“რაბათი” ირანულ და თურქულენოვან სამყაროში ციხის გარშემო არსებულ დასახლებას ნიშნავს. ნომადი ბართაიას ცნობით, ربط [rebât // rabât] არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს “თავშესაფარს”, “ფუნდუკს”, “ქარვასლას” (რომელიც აშენებულია ქველმოქმედთა მიერ.

თურქულენოვან ველში ეს სიტყვა ფართოდ გამოიყენება და ციხექალაქის გარშემო არსებულ დაუცველ დასახლებას ნიშნავს. ოსმალური ოკუპაციის შემდეგ საქართველოში ბევრი ადგილის სახელს (ტოპონიმს) კომპოზიტის მეორე ნაწილად აქვს “რაბათი”, მაგ., მხოლოდ ზემო აჭარაში რამდენიმე „ციხის რაბათია“:

იორამის/შუბნის ციხის რაბათი,
ხიხაძირის/ხიხანის ციხის რაბათი,
ტბეთის ციხის რაბათი,
კავიანის ციხის რაბათი,
ოთალთას ციხის რაბათი,
მახალაკიძეების ციხის რაბათი...

ახალციხეს ადრე ერქვა “ლომსია (< ლომისა). ახალციხის ციხის ძველი სახელია “ლომსიას ციხე”. “რაბათი” სიტყვის მნიშვნელობას თუ გავიაზრებთ, ციხის ლოგიკური სახელწოდებაა “ახალციხის ციხე”. ძველ ქართულ სახელს თუკი აღვადგენდით, ახალრეკონსტრუირებულ ციხეს უნდა დარქმეოდა “ლომსიას ციხე” და არა – ყოვლად ულოგიკო: “ახალციხის რაბათი”.

“ახალციხის რაბათი” ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, ახალციხეში არსებული ციხის გარშემო დასახლებას და არა – ციხეს. შესაბამისად, სახელწოდება: “ახალციხის რაბათი” არ გულისხმობს ციხეს. ციხე-ქალაქის სახელწოდებად უნდა დამკვიდრდეს “ლომსიას ციხე-ქალაქი” ან, უკიდურეს შემთხვევაში, ახალციხის ციხე-ქალაქი, ნაცვლად “რაბათის ციხისა”.

იმედი მაქვს, ისტორიული სამართლიანობა ათწლეულების მანძილზე მაინც დაამკვიდრებს მართებულ ვარიანტს.

27 ივლისი, 2020

# წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" კიდევ ერთი ღირსეული წევრის ბიოგრაფია /გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძე/

1879-1927 წლებში არსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა მიერ ორგანიზებული **დიდი ეროვნული მოძრაობა** იყო, რომელმაც შეძლო „ბნელ საუკუნეებში" დეზორიენტირებულ ქართველთა ეროვნული ერთიანობის აღორძინება და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის გაცოცხლება. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ბევრი წევრის შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა **გიორგი ბერიძე.** ფართო საზოგადოებისათვის მის შესახებ დღემდე ცნობილია მხოლოდ ის, რომ **იგი იყო სამხედრო, ცხოვრობდა ბათუმში და ამ ეროვნული საზოგადოების წევრი იყო 1883-1898 წლებში** (http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00006958/).

გურია-აჭარაში თედო სახოკიას ექსპედიციის მასალების ანალიზისას დავინტერესდი მკვლევარის მიერ ნახსენები **ალექსანდრე ბერიძის** პიროვნებით; კერძოდ, თ. სახოკიას ინფორმაციით, 1897 წელს ზემო აჭარაში მოგზაურობის დროს მისი ხელისშემწყობი იყო კაპიტანი ალექსანდრე ბერიძე – ბათუმის ოკრუგის ზემო აჭარის ნაწილის უფროსი (თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1985, გვ. 142, 265...), რომელსაც თ. სახოკია საგანგებო მადლობასაც უძღვნის.

ალ. ბერიძის შესახებ ცნობების მოსაძიებლად მივმართე ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორს, ისტორიის დოქტორს, ბ-ნ მერაბ კეზევაძეს, ასევე, აჭარის საარქივო სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, ბსუ პროფესორს, ბ-ნ თამაზ ფუტკარაძეს. ბათუმის არქივში შესაბამისი მასალა არ აღმოჩნდა (ძიებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ბ-ნ თ. ფუტკარაძეს). ბ-ნმა მერაბ კეზევაძემ კი მოგვაწოდა ვრცელი ინფორმაცია **კაპიტან გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძის შესახებ.** ვფიქრობ, სწორედ ეს გიორგი ბერიძე უნდა იყოს თ. სახოკიას „მოგზაურობაში" ნახსენები ალ. ბერიძე: როგორც ჩანს, 1897 წლის „დღიურის" საფუძველზე 1901 წელს ეთნოგრაფიული გამოკვლევის წერის დროს თ. სახოკიას ზუსტად არ ახსოვდა ბათუმის ოლქის ზემო აჭარის ნაწილის უფროსის სახელი.

მ. კეზევაძის მოძიებული საარქივო დოკუმენტი სახელწოდებით – „ბათუმის ოკრუგის ზემო აჭარის უბნის უფროსის, კაპიტან გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძის სრული ნამსახურების სია, შედგენილი 1892 წლის 20 თებერვალს" დაცულია ქუთაისის ცენტრალური არქივის ქუთაისის გუბერნიის სამხედრო-სახალხო მმართველობის ფონდში, ხოლო ამავე არქივის ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოს ფონდში ინახება გიორგი ბერიძის აზნაურის წოდებასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ქ.ც.ა. ფ. 1. ან . 1 ს. 376); დიდი მადლობა ბ-ნ მერაბ კეზევაძეს საარქივო დოკუმენტების მოწოდებისათვის. **აღნიშნული დოკუმენტების,** ასევე, ერთი სხვა ცნობის საფუძველზე, გიორგი ბერიძის ბიოგრაფია ასე შეგვიძლია „გავაცოცხლოთ":

გიორგი ბერიძე დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში გურული აზნაურის – **პრაპორშჩიკ ალექსანდრე ბერის ძე ბერიძის** მართლმადიდებელ ოჯახში 1838 წლის 15 სექტემბერს. მან კარგი განათლება მიიღო ოჯახში. ოჯახშივე შეისწავლა ქართული და რუსული სამწიგნობრო ენები.

16 წლის ბიჭი 1854 წელს მოხალისედ წავიდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, ჩაირიცხა ქართულ მილიციაში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ქართული მიწების დაბრუნებისათვის ბრძოლაში; კერძოდ, **1854 წლის 4 ივნისს** გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, სოფელ ქაქუთის მიდამოებში ქართველთა და რუსთა ჯარმა ცნობილ **ჩოლოქის ბრძოლაში** (ეს ბრძოლა ყირიმის ომის ნაწილია) დაამარცხა სელიმ-ფაშას 34 000-იანი კორპუსი (ამ ბრძოლაში ქართულ-რუსულმა ჯარმა დამარცხებულ ოსმალოებს წაართვა 13 ქვემეხი და 36 დროშა).

1855 წლის მაისში ქობულეთთან მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის საომარი დაპირისპირების დროს გ. ბერიძე დაიჭრა; მიუხედავად ამისა, ის რუსეთის იმპერიის მე-13 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურის, გენერალ-მაიორ ბრუნლერის თარჯიმნად რჩება. 1956 წელს ოფიციალურად შევიდა სამხედრო სამსახურში და გახდა უნტერ-ოფიცერი შავიზღვისპირა მე-12 სახაზო ბატალიონში. 1861-1864 წწ. გ. ბერიძე აფხაზეთში იბრძვის კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს 1865

წელს. 1862 წლიდან გ. ბერიძე არის პრაპორშჩიკი. 1864 წლიდან – პოდპორუჩიკი, 1868 წლიდან კი პორუჩიკი და ბატალიონის ხაზინადარი. 1875 წ. ბატალიონის გაუქმების გამო გადაყვანილ იქნა ალექსანდროპოლის 161-ე ქვეითთა პოლკში. 1876 წელს მივლინებულ იქნა გურიის პირველ ქვეითთა დრუჟინაში.

1877 წლიდან არის შტაბს-კაპიტანი. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომში, 1877 წლის 11-12 ივნისს ციხისძირისა და კვირიკეს შტურმისას თურქების წინააღმდეგ გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით და 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის სამახსოვრო ბრინჯაოს მედლით. **1881 წლიდან არის კაპიტანი.**

1883 წ. გ. ბერიძე დაჯილდოვდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით, 1884 წელს კი – წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით. 1888 წლიდან არის რუსეთის იმპერიის 24-ე ადგილობრივი ბრიგადის მე-2 როტის მეთაური.

**1888 წლიდან 50 წლის გიორგი ბერიძე სამოქალაქო სამსახურშია;** კერძოდ, 1888 წელს დაინიშნა სოხუმის ოლქის კოდორის უბნის უფროსად. 1888 წელსვე დაჯილდოვდა წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით. **1890 წლის 15 იანვარს იგი დაინიშნა ბათუმის ოლქის ზემო აჭარის ნაწილის (უბნის) უფროსად** (ბათუმის ოლქის ზემო აჭარის ნაწილის უფროსი, დაახლოებით, იმავე ტერიტორიის მმართველი იყო, რომელსაც ადრე განაგებდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი).

ზემო აჭარის ნაწილის უფროსის წლიური ხელფასი იყო 1326 მანეთი.

გიორგი ბერიძეს ცოლ-შვილი არ ჰყავდა: 1892 წლის საარქივო დოკუმენტის შედგენის დროს 54 წლის გიორგი ბერიძე იყო დაუოჯახებელი. **„კავკაზსკი კალენდარში“ დაცული** ინფორმაციის თანახმად, სავარაუდოდ, **გარდაცვლილია 1898 წლის ბოლოს ან 1899 წლის დასაწყისში.**

ამრიგად, საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს, რომ თედო სახოკიას „მგზავრის ჩანაწერებში“ მოხსენიებული **ზემო აჭარის ნაწილის უფროსი ალ. ბერიძე** ოსმალეთის წინააღმდეგ **ქართული მიწების დაბრუნების მიზნით აქტიურად მებრძოლი გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძეა.**

რა ლოგიკური ახსნა შეიძლება მოეძებნოს თ. სახოკიას ცდომილებას? ვფიქრობ, თ. სახოკიას ზემო აჭარაში ხელისუფლების პირველი პირის სახელად „ალექსანდრე“ იმიტომ ახსოვს, რომ ალბათ, რუსული წესის მიხედვით, გიორგი ბერიძეს ყველა მამის სახელით (ალექსანდრე) მიმართავდა. **თ. სახოკიას ჩანაწერებიდან ეჭვშეუვალია,** რომ გ. ბერიძემ დიდი დახმარება გაუწია ცნობილ ეთნოგრაფს ზემო აჭარაში სამეცნიერო მივლინების დროს. ჩანს, მას სხვა წვლილი აქვს ზემო აჭარაში ქართული წერა-კითხვის აღორძინების საქმეში.

**ლოგიკურია დავუშვათ,** რომ 1883 წლიდან 1898 წლამდე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი სამხედრო, რომლის საცხოვრისად მითითებულია ბათუმი, არის **1890-1898 წლებში მაღალი თანამდებობის პირი – ზემო აჭარის მმართველი** (ბათუმის ოლქის ზემო აჭარის ნაწილის უფროსი) – **გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძე.**

1 აგვისტო, 2020

## დიდებული ქართველები

გრიგოლ დადიანი დაიბადა 1824 წელს.

1879 წლიდან არის “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ნამდვილი წევრი. 1886 წელს საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და ახლად შექმნილი გურია–სამეგრელოს ეპარქიის მმართველად დანიშნეს.

რუსეთის იმპერია ცდილობდა, მაქსიმალურად შეეზღუდა ქართული ენის გამოყენების სივრცე როგორც საერო, ასევე, საეკლესიო ცხოვრებაში. მეუფე გრიგოლი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიაში ქართულენოვანი ღვთისმსახურების შესანარჩუნებლად, რის გამოც, 1898 წელს იგი რუსეთის წმინდა სინოდის განჩინებით, ეპარქიის მმართველობას ჩამოაცილეს და

მოსკოვში გაიწვიეს.

1901 წელს მეუფე გრიგოლმა უარი განაცხადა სინოდის წევრობაზე და სამშობლოში დაბრუნება ითხოვა. მას ნება დართეს, ეცხოვრა მარტვილის მონასტერში.

გარდაიცვალა 1907 წელს.

მისი დიდი ღვაწლის შესახებ სრულად ჯერ კიდევ არ იცის ქართველობამ.

2 სექტემბერი, 2020

## აგარა – იალაღი

სპეციალისტებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს ვთხოვ, ნასესხები სიტყვის – ამ შემთხვევაში, ბარბარიზმ "იალაღების" ნაცვლად, სამწიგნობრო ქართულ ენაშიც გამოვიყენოთ ტაო-კლარჯეთში შემონახული სიტყვა "აგარა".

იალაღები – თურქულია;

აგარები – ქართული!

საზაფხულო იალაღები – ნახევრად თურქულია;

საზაფხულო აგარები – სრულად ქართულია!

დღეს ჩვენს ენაში ინტენსიურად შემოდის ინგლისური ბარბარიზმები; ჯერ კიდევ მკვიდრადაა რუსული ბარბარიზმები; ადრე ინტენსიური იყო არაბული, სპარსული და თურქული ბარბარიზმები... ნასესხები სიტყვები ყველა ენაშია, მაგრამ ღირსების მქონე ყველა ერი თავს იზღვევს ბარბარიზმებისაგან!

დღეს ზოგი, ვისაც ეროვნულ-ენობრივი თავმოყვარეობა არა აქვს, თავს იწონებს ქუჩურ-რუსული ("ბრატ", "კაროჩე", "ვსიო"...) თუ სალონურ-ინგლისური ბარბარიზმებით.

ვილაპარაკოთ ღირსეული ქართულით!

9 სექტემბერი, 2020

## ღვინო და ვენახი

გირჩის ჯაფარა ამბობდა წუხელ, ღვინოც ისეთივე ნარკოტიკია, როგორიცაა მარიხუანაო...

ნორმალური ქართველი ადამიანისათვის ღვინო სარიტუალო სითხეა. გარდა ამისა, ღვინო ქართულ პურობაში ლოცვის საშუალებაა; უშუალო კომუნიკაციის საშუალებაა; დალოცვის აუცილებელი კომპონენტია.

ნორმალური ქართველისათვის ღვინით სიმთვრალე სირცხვილია. ნორმალურად მიღებული ღვინო აზროვნებისათვის მარგებელია (განსხვავებით ნარკოტიკისაგან), სადღეგრძელო მოტივაციის ამამაღლებელია... დალოცვა სულის სიკეთე და გონების განვითარებაა, მარიხუანით გონების დაბინდვა კი დაუძლურების, მოდუნების, თვითგანადგურებისა და ოჯახის (ბიუჯეტის) დანგრევის გზაა.

Wine /ღვინო სიტყვა ბევრ ენაში დასტურდება. დიდი ალბათობით, "ღვინო" და "ვენახი" სიტყვების საერთო ფუძეა ვენ-, საიდანაც მიღებულია: ვენ-ა-ხ-ი, ვინ-ო > ღვინო.

ამ სიტყვების საერთო წარმომავლობა გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვები საერთოქართველურია, ქართველური წარმომავლობისაა; შესაბამისად, ერთი მხრივ, ღვინო და ვენახი, მეორე მხრივ, ღვინით დალოცვა და აკადემიური სადღეგრძელოები მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ნაწილია.

12 სექტემბერი, 2020

# ადამიანი და კაცი

დანაწევრებული მეტყველების მქონე, მოაზროვნე, შემოქმედ და პასუხისმგებლობიან ცოცხალ არსებას „ადამიანს“ ვუწოდებთ. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე „ადამიანის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა „კაცი“. ჩემი აზრით, დასახელებული ორივე სიტყვის (კაცი, ადამიანი) შექმნის ისტორია ერთ მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენას უკავშირდება.

(1) ბიბლიის მიხედვით, უფალმა ადამიანი შექმნა თიხისაგან (ებრაულად „ადამ“ თიხა) და შთაბერა ღვთაებრივი სული. ქართული სიტყვაფორმა „ადამიანი“ ასე დაიშლება: ადამ-იან-ი: ადამ– არის უფლის მიერ შექმნილი პირველი ადამიანის (the first human) სახელი; –იან– სუფიქსი გამოხატავს წარმომავლობას, კუთვნილებას; ი– არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მაშასადამე, ეტიმოლოგიურად „ადამიანი“ ნიშნავს ადამის შთამომავალს, თიხისაგან შექმნილი ადამის მოდგმას.

(2) ქართული ენა შექმნილია ქრისტიანობამდე ბევრად ადრე. ქართულ ენობრივ მსოფლაღქმაში თავიდანვე არსებობდა ორი არსებითი სიტყვა: „დედაკაცი“, „მამაკაცი“. უეჭველია, რომ კომპოზიტის მეორე ნაწილი – „კაცი“ აღნიშნავს „ადამიანს“; შესაბამისად, დასახელებული ორივე კომპოზიტი ასე უნდა გავიგოთ:

მდედრი-ადამიანი

მამრი-ადამიანი.

მეგრულ მეტყველებაში დადასტურებული „ოსურკოჩი“, „ქომოლკოჩი“ ცხადყოფს, რომ წარმოდგენილი კომპოზიტები საერთოქართველურია – უძველესია; შესაბამისად, აშკარაა: ქართველის ცნობიერებაში ოდითგანვე „ქალი“ და „მამაკაცი“ თანასწორ მოვლენებად აღიქმებოდა (გენდერული ბალანსის მსოფლიოში უძველესი ფაქტი!). ძირითადი სიტყვა „კაცი“ (> კოჩი, ჭაშ), ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურად უკავშირდება კეც-(თიხა, წითელი მიწა) ფუძეს. ჩანს, ებრაული გადმოცემების მსგავსად, ქართველთა მითოლოგიაშიც პოპულარული იყო წარმოდგენა, რომ უფალმა ადამიანი შექმნა თიხისაგან.

(3) წარმოდგენილ კონტექსტში ყველას გაგახსენდებათ შუმერულ-აქადურ „გილგამეშიანში“ ენქიდუს შექმნის „ისტორია“: ღმერთ ანუს იდეის მიხედვით, ქალღმერთმა არურუმ თიხისაგან შექმნა ენქიდუ – ველური ადამიანი. 5 000 წლის წინ არსებული ეს შუმერული ისტორია ფართოდ იყო გავრცელებული შედარებით გვიან მცხოვრებ ხათებშიც და ხურიტებშიც. მაშასადამე, ებრაული სიტყვა-ფორმა ,,ადამი“ – ადამიანი/თიხა და ქართველური “კაცი”/”კეცი” – ადამიანი/თიხა და შუმერულ-ხათურ-ხურიტული ველური ადამიანის შექმნის ისტორია პარალელური გააზრებებია.

შეგვიძლია დავასკვნათ: თიხისაგან კაცის (/ადამიანის) შექმნის უძველესი რწმენა-წარმოდგენა დადასტურებულია 5 000 წლის წინ შუმერულ მითოლოგიაში. მეცნიერთა ვარაუდით, ქართველთა წინაპრებს მემკვიდრეობითი კავშირი აქვთ შუმერებთანაც, ხურიტებთანაც, ხათებთანაც... ყოველ შემთხვევაში, თიხისაგან ადამიანის შექმნის „იდეა“ არც ებრაულია და არც – საკუთრივ ქართული. საკუთრივ ქართულია (ქართველურია), დაახლოებით, 3000-3500 წლის წინ შექმნილ სიტყვებში (დედაკაცი, მამაკაცი) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კონცეფცია.

დედაკაც– და მამაკაც– კომპოზიტებში ასახული გენდერული თანასწორობა მსოფლიოს მასშტაბით უძველესი ფაქტია.

**P.S.** საინტერესოა ამ სიტყვათა ტრანსფორმაციებიც:

**დედა კაცი > დედა-კაცი > *დეაცი** (“და” მარცვლის ამოვარდნა – ჰაპლოლოგია!) > **დიაცი (ეა** ხმოვანთკომპლექსი დავიწროვდა **ია** კომპლექსად);

**მამა კაცი > მამაკაცი > მამაცი** (“კა” მარცვლის ამოვარდნით).

24 ნოემბერი, 2020

# 1.1.6. მშობლიური სანახები

## თამარ მეფის გზა

„ბაბუაჩემის გადმოცემით, ჩვენს სოფელთან გადიოდა თამარ მეფის გზა; ბაბუაჩემი მეტყოდა, რომ ამ გზაზე „გუუვლია“ თამარ მეფეს.

მე რაც ვიცი, ეს იყო საურმე გზა და მოდიოდა ყინჩავრის (სხალთის – ტ. ფ.) ეკლესიიდან.

ყინჩავრის ეკლესიიდან გზა ადიოდა უზრუგათში (უ-ზრუგ-ათ-ი – ტოპონიმი – ადგილის სახელი), იქიდან მიდიოდა ბილურთში (ჭალებია; ბილ-ურ-ი).

ბილურთიდან გზა გადიოდა ოლადავრი-შუბნის ხეობისა და ყინჩავრ-ხიხაძირის გამყოფ სერზე ცხენისაძუართან.

ცხენისაძუარიდან გზა მოდიოდა სერა-სერ და ამოდიოდა კობალთისა და ყინჩავრის ამჟამინდელ (ახალ) გადასასვლელ გზამდე; იქიდან მოდიოდა სოფელ კობალთისკენ. სოფელ კობალთამდე 900 მეტრამდე რომ რჩებოდა, გზა უხვევდა აღმა და სოფელ კობალთის თავში ადიოდა.

სოფელ კობალთის თავიდან გზა მიდიოდა ქუთავრის თავზე, ტბათის მიდამოებში (ტბათი ადგილის სახელია, სადაც გაზაფხულზე ტბა დგება). ტბათიდან გზა მიდიოდა იაკობავრის ჭალებში – ბირკნალას. ბირკნალიდან საურმე გზა მიდიოდა დაჩიეთისკენ, კერძოდ, გზა შედიოდა ნეგვავრის წყალთან. ნეგვავრიდან მიდიოდა ყალაბოინის ციხემდე.

ყალაბოინიდან მიდიოდა ეკლესიამდე, ახლა იქავრობას ნაეკლესვარი ქვია და ტყითაა დაფარული. ეს ეკლესია იდგა წელათის პირდაპირ ყალაბოინსა და კვესავრს შორის შუაგზაზე. ახლაც ჩანს ქვის ეკლესიის ნაშთი.

კვესავრიდან გზის ერთი შტო მიდიოდა ჯინალის თაზე; ჯინალიდან – შავშეთში; შავშეთიდან – არტაანს.

კვესავრიდან მეორე გზა მიდიოდა წელათიჭოჭეში, აქედან – პატარა ჭალაში. პატარა ჭალიდან გზა მიდიოდა მერიემას (მარიამის) საფლავზე; გამიგონია, რომ აქ დასაფლავებული იყო ქრისტიანი მარიამი (იქნებ წმინდა მარიამთან დაკავშირებული სალოცავი იყო? – ტ. ფ.); მერიემას საფლავიდან გზა გეიარდა ძველ თასთან (ძველი მთა – სოფელ დაჩიეთის ძველი საზაფხულო აგარები/იაილები; ახლა დაჩიეთლებიც ჩირუხის „თაზე“ დადიან) და ადიოდა ღრმაღელის სერზე.

ღრმაღელის სერიდან გზა ჩადიოდა თავდაღმა კალოთის თაზე, კალოთის თიდან – ხიხაძირის ჭალებში და ადიოდა ხიხანის ციხეზე. ხიხანიდან გზა გადადიოდა ზარზმას, ზარზმიდან – ახალციხეს“.

80 წლის სოსო თავდგირიძისგან (დაბადებული შუახევის რაიონის სოფელ კობალთაში) მასალა ჩაიწერა ტარიელ ფუტკარაძემ.

2013 წელი, 29 აგვისტო, სოფელი ურეკი.
29 აგვისტო, 2013

## სამეგრელოში – საქართველოს გულში

ქართული უნივერსიტეტის 2014 წლის 17 ივლისის აკადემიური საბჭოს გაფართოებული სხდომაზე შეჯამდა 2010-2014 წლების საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობა; აქვე გადაწყდა, რომ ოთხწლიანი წარმატებული საქმიანობა დაგვირგვინებულიყო პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ექსკურსიით სამეგრელოში (გასულ წელს კახეთში ვიყავით).

ექსკურსია შედგა 19 ივლისს. სტუდენტობის წლებშიც ვყოფილვარ სამეგრელოში, მაშინაც, როცა მტრულმა ძალებმა სამეგრელო საქართველოს ვანდეად აქციეს და აქაური ქართველობა ერთიანი საქართველოს ერთგულებისათვის დასაჯეს; შემდეგაც, როცა ჭრილობებს ვიშუშებდით... დღევანდელი შთაბეჭდილებები სულ სხვანაირია:

თბილისიდან 06.30 საათზე გავედით; გზა მშვიდია, განწყობა – მეგობრული, რომელსაც ყველა ერთიანად ვქმნით: რექტორი – იუმორით გაჯერებული ექსკურსიამძღოლობით, კანცლერი –

დაუდგრომელი „მოურავობით“, მამა მიქაელ ბუკია – სიკეთით სავსე თვალებით, ბატონი ანზორ ხელაშვილი – თინეიჯერული ქცევით, ნუგზარ შონია – ვირტუოზული ფოტოხელოვნებით... ყველანი ერთად – გამოკვეთილი ურთიერთკეთილგანწყობითა და წინაპრების მიერ ნალოლიავები სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით (არადა, რა „დიფუზიური“ საზოგადოება ვიყავით 3 წლის წინ).

აქამდე არ მენახა აბაშის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს საოცარი მოზაიკა, რომელიც გელათის მოზაიკას ედედმამიშვილება (7 კილო ოქრო დახარჯულა მხოლოდ მოზაიკისთვის); შემდეგ– წმინდანაწილებიანი ხობის ტაძარი, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში გარკვეულწილად ბანას აკომპენსირებს; იქვე – ულამაზესი საპატრიარქო რეზიდენცია მუდმივნიავიან ბექობზე. ხანგრძლივი გაჩერება კი – დადიანების სასახლეში, სადაც დავანებულია ღვთისმშობლის კვართი და მრავალი ისტორიული საინტერესო ექსპონატი:

ჩვენი მძიმე, მაგრამ სახელოვანი ისტორიის კვალად, თავიდან, ზოგჯერ ახლებურად ვიაზრებთ დიდებული მუზეუმის ძვირფას თუ ტკივილის მომგვრელ ნივთებს:

სამეგრელო ნამდვილად არის ქართულენოვანი კულტურის დიდებული სავანე: დადიანების მუზეუმში დაცულია ძველი ოქროს ხატების ნაწილი, რომელთა ქართულენოვანი წარწერები ნათლად წარმოაჩენენ ჩვენს წინაპართა სულიერ სიღრმესა და ზოგადქართულ ეროვნულ ცნობიერებას (განსაკუთრებულია დადიანების ღვაწლი); შემდეგ დარბაზში ევროპული ექსპონატები ნელ-ნელა იცვლება რუსულით და მთავრდება ჩემთვის უცნობი მხატვრის ტილოებით, რომელსაც ერთი სახელი შეიძლება ვუწოდოთ: „მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა ცხენოსანი ჯარით“; ჩემს განწყობას ვერ არბილებს კიბის თავს განლაგებული ქართველი მეფეებისა და ცოტნეს პორტრეტები... აქვე დავანებული ღვთისმშობლის კვართი იმედით გვავსებს: ამჟამინდელი ოკუპაციაც დასრულდება: აფხაზეთშიც გაგრძელდება ქართველთა და აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრება...

ექსკურსიის ბოლოს ხობის მრავალსაუკუნოვანი მონასტერი მოვილოცეთ; წინაპართა ლოცვით გაჯერებული მიწიერი სამოთხე უფრო გვიმყარებს თუ გვიმთელებს სულიერ „ჯავშანს“ (მე იქ განწყობა ამიმაღლა სალომე გვაზავასთან შეხვედრამაც):

**ჩვენ არასოდეს დავმარცხდებით, ყველა წაგება დროებითი იქნება მომავალშიც...**

გებჟალიან-ელარჯიან-კუპატიან თუ ხაშლამიან-ხინკალიან ზოგადქართულ სუფრასთან სასიამოვნო ღვინით ერთმანეთს ხობის რესტორანში ვლოცავთ და უთბილესი ქართველური პურობით ვასრულებთ სამეგრელოში ჩვენს ძალიან ტევად საწუთისოფლო დღეს (არადა, მხოლოდ 18 საათი ვიყავით „გზად“).

სწრაფად ჩამოიკრიფა დედაქალაქამდე დარჩენილი 350 კილომეტრიც: ოჯახის წევრებივით ვემშვიდობებით ერთმანეთს: ბედნიერებაა სიყვარულით გაჯერებულ ველში სამსახური.

ამწამიერი (როცა ვასრულებ წერას) განცდა: გუშინ საქართველოს გულში ვიყავით და ერთ დღეში „შიგნიდან“ მოვიხილ-მოვიარეთ მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძველესი კოლხური ცივილიზაციიდან აქამომდე:

**ჩვენი ეროვნული სიცოცხლის შესანარჩუნებლად (თავდაცვისას!) რამდენი სისხლი დაგვიღვრია და ჩვენი სიძლიერისათვის რამდენი სიწმინდე მოგვიპოვებია; რამდენი გვიშენებია და როგორ ვუნგრევივართ... მაინც რა ღირსეულები ვართ.**

20 ივლისი, 2014

## ფესვძლიერი მოხევეები და ახალი ბერ-მონაზვნების გაკვეთილი

მცირერიცხოვანი ქართველი ერი ერთ-ერთი იშვიათია დედამიწაზე, რომელიც ეროვნულ მეობას (დედაენას, კულტურას, ტრადიციებს...) ინარჩუნებს სამ ათეულ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, თუმცა, ჭირს ხოლმე მრავალრიცხოვანი მომხდურის მოგერიება თუ მცოცავი ოკუპაციისგან თავის დაზღვევა.

საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დაცვის კუთხით ყოველთვის არსებითი იყო, არის

და იქნება საქართველოს განაპირა კუთხეების ქართველობის კომპაქტური დასახლებების შენარჩუნება, მათი თავგანწირვა და სასაქართველოო ღვაწლი; მოხევეები ამ თვალსაზრისით გამორჩეული ქართველები არიან: ხევის მკვიდრნი ოდითგანვე საქართველოს საზღვარსა და ღირსებას იცავდნენ თრუსოს, თერგისა და სნოს წყლის ხეობებში; მათი მრავალსაუკუნოვანი ერთგული მეციხოვნეობა და საქართველოსათვის თავდადება კარგად წარმოაჩინა წმიდა ილია მართალმა ლელთ ღუნიას პირით:

მეფის რუსეთის ოკუპაციის პირობებში მცხოვრებ ლელთ ღუნიას არ უნდა დამარცხებულ-დაპყრობილი კაცის "ცარიალ მშვიდაბა"; მას ურჩევნია ის დრო, როდესაც "ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს... ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის"... ლელთ ღუნია სიამაყით იხსენებს იმ დროს, როდესაც გერგეტის წმინდა სამების საყდარი იყო "განძთა საფარი... ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ".

საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდებში უფრო გაუჭირდა ხევის ქართველობას: ქართული მიწის ნაწილი მიითვისა რუსეთის ფედერაციამ ("1997 წელს რუსებმა დარიალის ხეობაში, ლარსის მიდამოებში, პირველ გვირაბთან გადმოიტანეს საქართველო-რუსეთის საზღვარი) და გამძაფრდა ზეწოლა ხევის ქართველობის რელიგიურ და ეროვნულ-კულტურულ ცნობიერებაზე.

ბოლო პერიოდშიც იყო მცდელობა, საქართველოსთვის წაერთმიათ თრუსოს ხეობა, მაგრამ მოხევეებმა და აქ მოღვაწე ბერ-მონაზვნებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ხევშიც არ გააქტიურებულიყო "მცოცავი ოკუპაცია". ამ მიმართულებით აღსანიშნავია სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის მმართველების: ეპისკოპოს პეტრესა და ეპისკოპოს იეგუდიელის ღვაწლი.

რთულ პერიოდში ამავე ეპარქიაში მოღვაწეობდა ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, რომელიც ამავე დროს არის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის – სრულუფლებიანი წარმომადგენელი ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში; სწორედ მეუფე იაკობის ინიციატივით დაიგეგმა და 27-28 სექტემბერს მისივე ხელმძღვანელობით განხორციელდა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა ექსპედიცია ხევში, რომლის მიზანი იყო როგორც ხევის გაცნობა სტუდენტთათვის, ასევე, ამ მხარეში მოღვაწე ბერ-მონაზვნებისათვის დახმარების გაწევა მშენებლობასა თუ სამეურნეო საქმიანობაში.

ექსპედიციის პირველ დღეს ქართული უნივერსიტეტის კანცლერის – ბ-ნი თამაზ ვაჩაძის, ასევე, აკადემიური საბჭოს წევრების: პროფ. ვახტანგ სართანიასა და პროფ. ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით 76-მა სტუდენტმა და უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებმა დაათვალიერეს ყაზბეგის რაიონის სანახები და ბერ-მონაზვნებს მიეხმარნენ თრუსოს ხეობაში დათესილი კარტოფილის მოსავლის (დაახლოებით, 17-20 ტონა!) აღებაში.

პირველი დღის ჩემი მთავარი დასკვნა: თრუსოს ხეობის ეს მიწები ეკლესიის საკუთრებაში რომ არ ყოფილიყო და ბერ-მონაზვნებს აქ ფართომასშტაბიანი, წარმატებული მეურნეობა არ შეექმნათ, აქტუალური გახდებოდა ანდაზა: "უპატრონო ეკლესიას (/მიწა-წყალს) ეშმაკები ეპატრონებიან".

მეორე დღეს ექსპედიციას შემოუერთდა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, რომელმაც სტუდენტებს დაათვალიერებინა უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის წინაპრების სოფელი – სნო; აქვე, შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრში, იგი სტუდენტებს ესაუბრა პატრიარქის წინაპრების, ასევე, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად მომენტებზე. სტუდენტებისათვის საინტერესო იყო იმის მოსმენა რომ, გადმოცემის მიხედვით, ჩვენი პატრიარქის წინაპარს – სნოს – თავი გამოუჩენია ვახტანგ გორგასლის მიერ ჩრდილო კავკასიაში მოწყობილ ლაშქრობაში. მეფეს მადლიერების ნიშნად მისთვის მოუნათლავს ვაჟი ღუდუშა; ღუდუშას შთამომავლებს ეწოდათ ღუდუშაურები. მე-17 საუკუნის ხევში მცხოვრები გამორჩეულად ძლიერი პიროვნების – შიოლა ღუდუშაურის – შთამომავლების გვარად კი დამკვიდრდა "შიოლაშვილი".

...ხალხური გადმოცემის კვალად, კათოლიკოს-პატრიარქის წინაპრების საგვარეულო მიწაზე აღმართულია ვახტანგ გორგასლის ძეგლი და აქვე, საგვარეულო ციხესთან ახლოს, აგებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი.

შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ეზოში ამჟამად მიმდინარეობს დიდი კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა, რომლის მშენებელთ ასევე დიდი დახმარება გაუწიეს ექსპედიციის მონაწილე სტუდენტებმა (სტუდენტთა ორგანიზებულობა ბევრად განსაზღვრა სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელის – ნოდარ ვაწაძის პიროვნულმა ღირსებებმა).

ამავე დღეს ექსპედიციის მონაწილეებმა დავათვალიერეთ ბერ-მონაზვნების მიერ გაშენებული ბროკოლის, ყვავილოვანი კომბოსტოსა და კიდევ სამი სახეობის მხალეულის ბაღები, რომლის 1 ჰექტარი, სულ მცირე, 150 000 ლარის მოგებას იძლევა... ბერ-მონაზვნების დაუღალავი შრომით შექმნილი ეს დიდი მეურნეობა, როგორც წარმატებული გაკვეთილი, ცხადყოფს, რომ ყველა ქართულ სოფელში შესაძლებელია მსგავსი შედეგის მიღწევა, თუკი კარგად იქნება დაგეგმილი არსებული რესურსების გამოყენება და შრომის ორგანიზება.

ვფიქრობ, ექსპედიციის მონაწილეთა ცნობიერებაში აქტიურად იცოცხლებს ეს ორი მრავალფეროვანი დღე, რომელსაც გამორჩეულ ფერადოვნებას მატებდა ადგილობრივი (ნატურალური) პროდუქციით ბერ-მონაზონთა მიერ მომზადებული საუცხოო ტრაპეზიც.

სასიხარულოა, რომ დღევანდელი ხევი უკვე საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ბურჯია; ვფიქრობ, ამ ძალას აათმაგებს მოხევეთა ყოველდღიურ თვალთახედვაში მყოფი "მიჯაჭვული ამირანი" (ასე იწოდება მყინვარწვერის ერთ-ერთი მწვერვალი) და დიდებული მთების სილამაზე, სილამაზე, რომელსაც თვალს ვერასოდეს შეაჩვევ.

უნივერსიტეტის ყველა კეთილმოსურნისათვის სასიამოვნო იყო უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაც: ასეთი საშემოდგომო ექსპედიციები ყაზბეგის რაიონში მუდმივი იქნება.

მეორე დღის დასკვნა: იმედი მხოლოდ მაშინ შეისხამს ხორცს, როდესაც, ხევში მოღვაწე ბერ-მონაზვნების დარად, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილიც დაუზოგავად დახარჯავს თავის სულიერ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ ენერგიას წინაპრების დანატოვარის დასაბრუნებლად თუ, ზოგადად, მიზნის მისაღწევად; მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, საქართველოს "განძთა საფარმა" ხევმა ახალ დროში სრულად დაიბრუნოს თავისი ისტორიული ფუნქცია, ქართველმა ერმა კი – ეროვნული ღირსება.

P.S. ექსპედიციის დასაწყისშივე ავტობუსს პრობლემა შეექმნა: ფილტრი დიზელს ცუდად ატარებდა; მძღოლი ილია დარწმუნებული ამბობდა: სხვა მანქანას ნუ გამოიძახებთ, "გაიტანს"... მართლაც, არც თუ ისე ხანმოკლე ჩვენი ტანჯვის შემდეგ, გაიტანა.

29 სექტემბერი, 2014

## ლეჩხუმი: ახალი ტაძარი და გაცოცხლებული მწვანე ტბა

მეგონა კარგად ვიცოდი ლეჩხუმი, მაგრამ ალიკო ფუტკარაძემ დღეს სულ სხვა ლეჩხუმი მაჩვენა:

**ალიკო** (ტელეფონით; რამდენიმე თვის წინ): ბატონო ტარიელ, ახლა ლეჩხუმის ფუტკარაძეები ერთად ვართ და ჩვენს გვარს ვლოცავთ...

**მე** (საუბრის ბოლოს): აუცილებლად ამოვალ!

---

**მე** (ამ დილით): მოვდივარ; ხომ შევთანხმდით, ის უნდა მაჩვენო, რაც არ მინახავს ;)

**ალიკო:** დიდებულია! ლეჩხუმის მწვანე ტბა გინახავს?

**მე:** არა!

მწვანე ტბამდე სოფელ ჩქუმთან ლამაზი ჩანჩქერია; იქვე დიდი ქვაა, რომლის სწორ ზედაპირზე 12 კაცი ჯდება ხოლმე საქეიფოდ. ამ ქვის თავზე საოცრად გრილა; რა ბედნიერები ვართ ქართველები, რომ ყველა კუთხეში გვაქვს ასეთი სავანე.

ჩანჩქერიდან მალევე ლამაზ ეკლესიასთან ვჩერდებით; მუშები სამრეკლოს ასრულებენ; სამრეკლოს ორივე მხარეს კელიები და დიდი საოსტიგნეა; ეზოში ქვაფენილს აგებენ: ამ ვიწრო გზების პირობებში ამხელა კომპლექსს ვინ აშენებს? – ვეკითხები ალიკოს;

**ალიკო:** სამონასტრო კომპლექსს ვოვა თუთისანი აშენებს. არ ვიცნობ პირადად; აქ დაიბადა ჩვეულებრივ ლეჩხუმურ ოჯახში; თავისი გონიერებით დიდი ბიზნესი აქვს ახლა; ორი წლის წინ გადაწყვიტა, მშობლიურ მხარეში ლომისის წმინდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსი აეშენებინა; ტაძრის ადგილი და შემდეგ ჯვარი ჩვენმა მეუფე სტეფანემ აკურთხა. ლეჩხუმში ძლიერი სალოცავი იყო ლომისის წმინდა გიორგი, აი, იქ, წიფერჩის გადასასვლელ გორაზე მდგარა სალოცავი; ეტყობა კომუნისტობის დრომ გაანადგურა... ბავშვობის ოცნების ასრულება ვოვას ორი წლის წინ გადაუწყვეტია: უნდა, რომ თავის სოფელს, კუთხეს სამონასტრო კომპლექსის ფორმით დაუბრუნოს ლომისის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი.

ტაძარი დასრულებულია: მოსახატავადაა მომზადებული; ქტიტორს ძვირფასი ხატებიც შეუძენია. ეზოში მშენებლები საქმიანობენ. რიყის ქვით მყარად ნაგები გალავანი რომ მეგონა, კელიების კედელი აღმოჩნდა:

– მთელი სამონასტრო კომპლექსი ფაქტობრივად კლდეზე დგას. კომპლექსის ოფიციალური პროექტის მიხედვით, პირველი სართული განკუთვნილია ბერებისათვის; წყობილი ქვით ნაგებ მეორე სართულზე კი მეუფის რეზიდენცია იქნება, – გვითხრეს ხელოსნებმა. აღნიშნეს ისიც, რომ ბერების საცხოვრისზე გათვლილი სამონასტრო კომპლექსის არქიტექტორია ზაზა ჩხიკვაძე.

ულამაზესი მიკროსამყარო იქნება: ჩანჩქერისა და კლდემთის სიახლოვეს სიმწვანეში ჩაფლული თლილი ქვით ნაგები ტაძარი ბერების საცხოვრისებით; უფრო შორს საქარიასა და ასხის მთების ულამაზესი ფონი (ამავე ველშია საოცარი კურორტი ახალჭალა!).

ისედაც მაღალი და გოროზი ალიკო წელში სწორდება და ტაძრის კარებთან მდგარი მეუბნება:

– აქვე ზემოთ ულამაზესი მწვანე ტბაა; ამ ეკლესიის ძალით აქ ბევრი მოვა და მალე გზაც ნორმალური იქნება; მწვანე ტბა კი დიდებული დასვენების ველია! ეს ხეობა გამორჩეული ცენტრი გახდება; ამოისუნთქავს ჩვენი ხალხი... ვოვა მთელ ლეჩხუმს იმიტომ უყვარს, რომ მან აქ სასტუმრო კი არ ააშენა მოგების მიზნით, არამედ ორმილიონ-ნახევარი დახარჯა სამონასტრო კომპლექსისათვის...

ალიკო, ღმერთის გარდა, არავისზეა დამოკიდებული და პირდაპირ ლაპარაკობს; მე მჯერა მისი. გზას ვაგრძელებთ; თეთრი "პიკაპი" გვერდს ვერ გვიქცევს და ორივე მანქანა ჩერდება:

**ალიკო:** ესა კახა გასვიანია; მაგარი მონადირე, ჭკვიანი კაცი; ამან გააცოცხლა მწვანე ტბა: ევროკავშირის პროექტის ფარგლებში თევზი მოაშენა და პატარა სასტუმროც ააგო; ულამაზესია იქაურობა; მე ვერ აღვწერ; ჯობია შენი თვალით ნახო...

**კახა:** მაპატიეთ; თევზი მიმაქვს; ჩემები დაგხვდებიან: წინწკლებიან კალმახს დაგახვედრებენ; ვერ ამოგისწრებთ, ალბათ, – ღირსეულად გვიღიმის.

ცოტა ხნის შემდეგ ვჩერდებით დემურის წყაროსთან – ეს სამშვიდობო წყაროა: ლეჩხუმლებს მთების სახიფათო გზებიდან მორები რომ მოჰქონდათ, აქ რომ მოაღწევდნენ, იტყოდნენ, სამშვიდობოს გამოვედითო და აუცილებლად დაილოცებოდნენ... ასეთი მძიმე ცხოვრება გავიარეთ; ახლა ეს ტაძარი და მწვანე ტბის ტურისტული ცეტრი აქ სულ სხვა პერსპექტივას აჩენს; თანაც ზემოთ ჰესი კეთდება; წინ წავა ჩვენი ცხოვრება, – საკუთარ თავს აიმედებს ალიკო და მეც ვეთანხმები.

მართლაც, ლამაზია მწვანე ტბა და მისი შემოგარენი. თევზიც დავიჭირე ანკესით; ანკესის გამოღებისას მისი დასისხლიანებული პირი რომ ვნახე, უკან, ტბაში დავაბრუნე და საერთოდ უარი ვთქვი თევზაობაზე.

მთავარი პოზიტივი: დღეს შინაგანად უფრო გავძლიერდი ამდენი შრომისმოყვარე ადამიანის ხილვით, ამდენი მშენებლობით, სიმშვენიერით, ქართველობის შემძლე ქართველების სიახლოვით. ასეთმა ქართველებმა ააგეს არტანუჯი, ჯვარი, ოლთისი, ციხეგოჯი, ხერთვისი, თმოგვი, შატილი, უფლისციხე, შავნაბადას მონასტერი, შუამთის კომპლექსი, იყალთოსა და გელათის საგანმანათლებლო ცენტრები, ხიხანის ციხე, ვარძია...

მე დღეს ბედნიერი ვარ. პატიოსანო მკითხველო, შენც გაიხარე ამ სურათებით :)

**P.S.** უკან ვრუნდებით. აქ ერთი ჭიქა უნდა დავლიოთ, – უზარმაზარ ვერხვთან მაჩერებს ალიკო: მდინარე ადიდებულა, ამ ხემდე მოსულა, ცოტა აკლდა, სოფლისკენ გადავიდოდა და გაანადგურებდა; ამ დიდ ხესთან წყალს უკან დაუხევია და სოფელი გადარჩენილა: სამი დიდი დღესასწაულია აქ: ხვამლობა, ფაყვობა და ვერხვობა...

რამდენი რამაა შეუცნობელი ადამიანურ სამყაროში; ვერავინ ჩაწვდება სამყაროს არსს, მხოლოდ მართალ კაცს შეუძლია ტაძარი ააგოს ქვაზე.

https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.10213115340974880.1073742089.1134800600&type=3

18 სექტემბერი, 2017

## ბავშვობიდანვე ვიცოდი...

ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენი მოდგმის წინაპრები წამოსულან ბათუმიდან, რომ ოსმალობის დროს მთებში გადაერჩინათ სიცოცხლე და ღირსება. მერე და მერე გავარკვიე, რომ მაჭახელას ხეობის სოფლიდან – საფუტკრეთიდან – ამოსულან ჯერ დღვანში, შემდეგ კი სამი ძმა დასახლებლა დაცარიელებულ (თუ თითქმის დაცარიელებულ) ტომაშეთში. ტომაშეთის მოპირდაპირე მხარეს არის დიდი თამარის ციხე; ასე რომ, ძველ პერიოდში, ალბათ, აქაც ბევრი ქართველი ცხოვრობდა. რაღაც მიზეზების გამო შემცირებულა მოსახლეობა. დაახლოებით, 200-300 წლის წინ აქ დასახლებული სამი ძმა ისე გამრავლდა, რომ უკვე ჩემს ბავშვობაში ორი ტომაშეთი იყო: ქვედა ტომაშეთი და ზედა ტომაშეთი.

მე ერთი წლის რომ ვყოფილვარ, ბაბუაჩემს გადაუწყვეტია, სოფლისგან (ზედა ტომაშეთისაგან) მოშორებით ერთ სამოთხესავით ადგილას აეგო მეორე სახლი მეორე ვაჟიშვილის (მამაჩემის) ოჯახისათვის. იმ ადგილას მხოლოდ მისი ერთი ბიძაშვილი ცხოვრობდა. მერე მესამე ოჯახიც დასახლდა. სამივეს "სკაც ჰყავდათ". ბაბუაჩემის ცხენიც კარგად მახსოვს... ბაბუაჩემისა და მისი ბიძაშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს სამოთხესავით ადგილი მალევე გაუკაცრიელდა – ყველა ქალაქში გადასახლდა სხვადასხვა მიზეზის გამო.

შარშან, ახალი კორონა ჯერ კიდევ არავის რომ არ აღელვებდა, ჩემმა ძმებმა და მე გადავწყვიტეთ, გაგვეახლებინა ბაბუაჩემის სახლი და გავაახლეთ კიდეც. წელს უკვე კოვიდ-19-მა გააქტიურა ჩვენი შვილები და მათ ერთიანი ძალებით ადრიანად გააცოცხლეს ჩვენი ძველი სამოსახლო: ამჟამად იქ ათეულობით ადამიანი ისე ტრიალებს, როგორც ფუტკრის მართვე – სკასთან. დღის წესრიგში დადგა, ახალაღორძინებულ დასახლებას თავისი საკუთარი სახელი დაერქვას.

ჩვენი ძველი სახლი მდებარეობს სოფელ ტომაშეთსა და სოფელ წელათს შორის. მათ შორის ადგილებს ძველთაგანვე თავისი სახელები აქვთ: ნაგუთ(ნ)ი, დანდალველი(ს) ყანა, საწუმ(პ)ი, ზეთიწყარო, ქვედა მაყვალეთი, ვაკეჭალა, ზედა მაყვალეთი, გადასავალი... ახალაღორძინებული დასახლების სახელად არც საწუმ(პ)ი მომწონს, არც ზეთიწყარო; ამიტომ ჩემს ძმებთან, შვილებთან და ძმიშვილებთან თათბირის შემდეგ მე, როგორც ჩვენს დიდ ოჯახში ყველაზე უფროსმა ფუტკარაძემ, გადავწყვიტე, ჩვენ მიერ ახალაღორძინებულ დასახლებას, მაჭახელას საფუტკრეთის მემკვიდრეობით, დავარქვათ ს ა ფ უ ტ კ რ ე თ ი.

ჭოროხის შენაკადის – მდინარე მაჭახელას – ხეობაში ისტორიული სავაჭრო გზის პირას არსებული სოფელი „საფუტკრეთი" ოსმალური ოკუპაციის დასაწყისში თითქმის სრულად განადგურდა: ბევრმა ზემო აჭარას თუ სხვა უფრო შორეულ ადგილებს შეაფარა თავი (ზოგი გადავიდა იმერეთში, ზოგი – სამეგრელოში, ზოგი – ლეჩხუმში...). ვინც უფრო დაცულ ადგილას ცხოვრობდა, არ წავიდა. დაახლოებით, 200 წლის შემდეგ, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით („ქართველ მაჰმადიანთ გადასახლება ოსმალეთში; თფილისი,1912 წ.), მათი შთამომავალი 35 ოჯახი "მუჰაჯირად" წაიყვანეს შუა თურქეთში; მაჭახელას ხეობის უფრო დაცულ ადგილას მცხოვრებთ, ვინც დარჩნენ ისტორიულ საცხოვრისში, მათ დღემდე ღირსებით მოიტანეს ეროვნული სიცოცხლის "მარათონული ცეცხლი". მუჰაჯირობასაც ვინც გადაურჩა საფუტკრეთში, საბჭოთა პერიოდში საქართველო-თურქეთის საზღვრის გავლის გამო აყარეს და სოფელ ჭარნალში

გადაასახლეს. ყოფილი სოფლის განაპირა უბანში დარჩენილი ფუტკარაძეების ორიოდე ოჯახის სამოსახლო სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ერთ-ერთ უბნად აქციეს. სოფელ საფუტკრეთის დიდი ნაწილი ახლაც ნასახლარია.

სწორედ ახლა, 2020 წლის გაზაფხულზე, კოვიდიანობის ჟამს, ზემო აჭარაში უნდა აღვადგინოთ ოსმალოებისა და კომუნისტების დროს ქვემო აჭარაში განადგურებული სოფლის სახელი – საფუტკრეთი! მიხარია, რომ ეს სიმბოლური მოვლენა ჩვენი (ოთხი ძმის) შვილების ნებით, ფულით და ხელით ხორციელდება.

გაუმარჯოს ახალაღორძინებულ საფუტკრეთს (ტომაშეთის მესამე ნაწილს)!

ერთიანი საქართველოს აღორძინებას გაუმარჯოს!

**P.S.** სახლიდან 150-200 მეტრის მოშორებით, სერს გადაღმა, საოცრად ცივი წყარო მომდინარებს მიწის გულიდან. ბაბუაჩემს ძალიან უყვარდა; მამაჩემსაც. მეც ძალიან მიყვარს... შარშან ეს სიყვარული განვაზოგადე და "სიყვარულის წყარო" დავარქვი.

წყაროსკენ მიმავალ გზაზე, ყველაზე მაღალ ადგილას უზარმაზარი ქვაა: რამდენიმე კაცი თავისუფლად დაჯდება. ქვემოთ და წინ საოცრად მშვიდი მშვენიერებაა; მეგობართან ერთად თუ მარტოს შეგიძლია ამ სივრცეში იოცნებო. "მეგობრობის ქვა" დავარქვი... კიდევ ბევრი რამაა შესაცნობი და სახელდასარქმევი თქვენ მიერ, მომავლებო.

**P.P.S.** ახლახან, 2020 წლის 4 ივლისს ვიყავი საფუტკრეთში; შემდეგ – ჩირუხში, სადაც ჯინალისკენ გადასახედ სერზე გადავწყვიტეთ კოტეჯის აშენება...

5 ივლისი, 2020

## ჩირუხის აგარებისაკენ

ჩირუხი ჩემი ბავშვობის სამყაროა.

ზაფხულობით აჭარა-მაჭახელის, ლაზეთ-შავშეთ-იმერხევისა და ტაოს ქართველობას სამი თვით ბარიდან მთაში – ალპურ ზონაში – აჰყავს წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი; ერთ-ერთი ასეთი ადგილია „ჩირუხი". დავაზუსტებ: ტაოში "პირუტყვი" მხოლოდ წვრილფეხა საქონელს ჰქვია; მსხვილფეხა კი ორად იყოფა: "ფური" და "ხარი"; ტაელი ქართველი იტყვის: „პირუტყვი და ფურები მიმყავს აგარებში". როგორც წესი, ხარს სამუშაოდ ტოვებენ; ანდა, მთელი სოფლის ხარები სხვა საძოვარზე მიჰყავთ; ასეთ ადგილს ხარისაწოლი ჰქვია.

ჩირუხი, დაახლოებით,1900-2100 მეტრზეა ზღვის დონიდან. **ზემო აჭარაში „ბარი", დაახლოებით, 700-1200 მეტრზე არსებულ სოფლებს ჰქვია.** საქონელი მთაში იმიტომ მიჰყავთ, რომ მოაშორონ ბარის ყანებს, ჭალებს (მინდორი, სადაც თივას თიბავენ) და, ამავე დროს, ალპური ზონის ნოყიერი ბალახით გამოკვებილი ფურების რძითა თუ ნაღებით საზამთროდ გააკეთონ დაგრეხილი/"დაპწნილი" ყველი, მოშუშული ყველი, იაღი (კარაქი), ნადუღი, ყურუთი, წუთხე დო...

აჭარაში ბევრ ადგილს ჰქვია აგარა (სხვაგანაც), მაგრამ ალპური ზონის სახელად ეს სიტყვა (აგარები) მხოლოდ თურქეთის საზღვრებში დარჩენილ საქართველოშია შემონახული. მთის საძოვრების ზოგად სახელად ოსმალური ოკუპაციის პერიოდში აჭარაში დამკვიდრდა თურქულენოვანი **ბარბარიზმი: „იაილები"** (თურქ. იაილა – საზაფხულო საძოვარი). ვფიქრობ, კარგი იქნება, აღვადგინოთ „აგარის" "უფლებები" და ამიტომაც ჩემს წერილს დავარქვი „ჩირუხის აგარები".

მთაში (აგარებზე) ბარის თითოეულ სოფელს თავისი განსახლების ადგილი და თავისი საძოვრები ჰქონდა და აქვს. ალპური მთის საძოვრები გასაგები მიზეზების გამო ხშირად აქვთ სადავო მეზობელ სოფლებსა თუ ხეობებს (მაგ., გურულებსა და აჭარლებს შორის გომას მთის ერთ მონაკვეთზე დავა ახლაც გრძელდება). ერთი ასეთი ძველი **დავა აღწერილი აქვს თედო სახოკიას** „მაწყვალთის საძოვრებზე", სადაც დაპირისპირებული მხარეები ყოფილან აჭარლები

და შავშელები. შავშელები ცხოვრობდნენ ჯინალში – ჩირუხის მარცხენა ნაწილში; აჭარლები – ჩირუხის მარჯვენა ნაწილში. ბუნებრივია, მათი საძოვრებიც გვერდიგვერდ იყო (საბჭოთა იმპერიის ოკუპაციამდე, სანამ მავთულხლართებიანი საზღვარი დიდი ხნით არ დააშორებდა მოძმეებს). მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს წამოჭრილი კონფლიქტის მოსაგვარებლად საძოვრებზე ასულა ხულოს მაზრის უფროსი კაპიტანი ალექსანდრე ბერიძე . **სწორედ ალ. ბერიძეს აჰყოლია თედო სახოკია ფურტიოდან მარეთის ხეობის ალპურ ზონამდე (და შემდეგ ამ ალპური ზონიდან – საიჩარამდე).**

ჩემი აზრით, შავშელებსა და აჭარლებს შორის კონფლიქტის ამ ადგილს მოგზაური შეცდომით უწოდებს „მაწყვალთის საძოვრებს“ (შეცდომით აქვს ხეობის სახელიც: მხოლოდ თედო სახოკია უწოდებს “მარატის ხევს”). სახოკიას მოგზაურობის ლოგიკას თუ მივყვებით, დიდი ალბათობით, ბერიძე და სახოკია სწორედ ჩირუხის საძოვრებზე ავიდნენ ორი კუთხის ქართველობის შესარიგებლად; დიდ ალბათობას ვამბობ იმიტომ, რომ თედო სახოკიას მიერ აღწერილი გეოგრაფიული გარემო, ცხენით მოგზაურობის დრო და აღწერილი სიტუაციის ლოგიკა ნაკლებად ვარაუდობს სახელს: „მაწყვალთის საძოვრები“; კერძოდ, როგორც თედო სახოკია წერს, ოლადაურიდან დასახელებულ საძოვრებამდე მათ გაიარეს რამდენიმე სოფელი და შემდეგ შეუყვნენ აღმართს, რომელსაც მოჰყვა ალპური ზონა. ღია ცის ქვეშ მან და კაპიტანმა ალექსანდრე ბერიძემ (ხულოს მაზრის პოლიციის უფროსმა) ღამე გაათიეს ამ საძოვრებზე (მაწყვალთის მთა ახლოსაა სოფლებთან და დილითვე ავიდოდნენ. შუადღემდე მოაგვარებდნენ საქმეს და შორი გზის მქონენი, საღამომდე რატომ დარჩებოდნენ საძოვრებზე? გარდა ამისა, შერიგების შემდეგ საპატიო სტუმრებს მაწყვალთელები რატომ დატოვებდნენ გარეთ?) .

სახოკიას მიხედვით, ბერიძემ შეარიგა დაპირისპირებულნი. მეორე დღეს მოგზაურები გადავიდნენ ხიმშიაშვილების აგარაკზე – ხალხმრავალ საიჩარში... სხვა ეპიზოდების საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთა, სადაც ღამე გაათიეს, ვერ იქნება “მაწყვალთის საძოვრები”, რადგან:

– ოლადაურიდან მაწყვალთის მთამდე არ არის არც ერთი სოფელი;

– მაწყვალთის მთიდან მაჭარულამდე ძალიან ცუდი გზაა და დიდი დრო უნდა ამ გზით საიჩარის აგარებისკენ გადასვლას;

– ერთ დღეში მარეთის ხეობის საძოვრებიდან /კერძოდ, კონფლიქტის ადგილიდან/ სხალთის ხეობის აგარებზე გადასვლა მხოლოდ ჩირუხის მთიდანაა შესაძლებელი (გვაქვს სხვა არგუმენტებიც; იხ. დანართში მითითებულ ბმულზე).

როგორც წესი, აგარებზე ასაკოვანი ქალები, მეტწილად, ბებიები მიდიოდნენ; მათ **მემთევრეებს** უწოდებენ (მე-მთა-ურ-ი). ახალგაზრდები სამუშაოდ ბარში რჩებოდნენ. მამაჩემი სულ რაღაც თანამდებობაზე მუშაობდა, ამიტომ რაც მახსოვს, „ბარში“ ძირითადად ბაბუაჩემი რჩებოდა ხოლმე, დედაჩემი ხან მამაჩემს ახლდა რაიონის ცენტრში (შუახევში), ხან სოფელში ადიოდა. მე და ჩემი ძმები კი სამი თვის განმავლობაში ბებიაჩემთან ვიყავით ჩირუხში, სადაც ვთამაშობდით ფეხბურთს, ვიპარებოდით გასალიანისა და შრატიანის ტბებზე, საიალაღოდ გაშვებულ ცხენებს ვიჭერდით და ვაჭენებდით, შუანთრობისას (შვანთრობა < შუამთობა – სახალხო ზეიმი მთობის შუა პერიოდში; იმერხევში უფრო „მარიობად“ იწოდება) ვერთობოდით და ა.შ. მოკლედ, **სასიამოვნო სიმძაფრით მახსოვს ჩემი ჩირუხული ბავშვობა.**

ზემო აჭარაში ადგილების სახელები მეტწილად გამჭვირვალეა: მაგ., თავკალვა (კალოსავით თავი აქვს მაღალ მთას), დაგრეხილი წყლები, დიდმინდორი... ზოგი სახელი ბუნდოვანი იყო ჩემთვის; ბავშვობაშიც მაინტერესებდა ასეთი სიტყვების ისტორია, ამიტომ უფროსებს ვეკითხებოდი, თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ ადგილს ესა თუ ის სახელი. ჩამაგონეს, რომ სიტყვა „ჩირუხი“ მომდინარეობდა „ჭირ უხვი“ კომპოზიტისაგან. ახლა ვფიქრობ, რომ ასეთი დაშვება **ამ კუთხის ტანჯული ისტორიის ალუზიით შექმნილი ხალხური ეტიმოლოგიაა.** „ჩირუხი“ შეიძლება დავუკავშიროთ „ჭიუხ-“ ფუძეს; ასევე, შეიძლება აქ გამოვყოთ –ხ– სუფიქსიც, როგორც ჭოროხ– ფორმაში (ჭორ-ო-ხ-ი „წყალუხვი: „ჭორ-ი“ იგივეა რაც „წყალი“ (შდრ. ჭოროფა; –ხ– კი უძველესი იბერიულ-კავკასიური სუფიქსია, რომელიც კრებითობას, მრავლობითობას გამოხატავს); შდრ.: ჩირ-უ-ხ-ი. ჩირ– ძირის სემანტიკა მაინც ბუნდოვანია.

ბებიაჩემის გარდაცვალებამდეც აღარ მქონდა გზა და დრო ჩირუხისაკენ. წინაპრების კვალად, მამაჩემსაც უყვარდა ჩირუხი, ამიტომ მის სიცოცხლეში ხანდახან ორიოდე დღით ავდიოდით

ხოლმე მიერ მიერ ახალაგებულ სააგარაკო სახლში; შემდეგ ეს სახლიც გავყიდეთ და უფრო დავშორდით **ჩირუხულ ბავშვობას.**

...მე და ჩემმა ძმებმა რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ ბარის მიტოვებული სახლის აღორძინება. აღორძინებულ გარემოს „საფუტკრეთი“ დავარქვით. წელს უკვე მე ავიღე ინიციატივა, ჩირუხშიც აღვადგინოთ სახლი, ოღონდ ჩვენი შვილების ჩართულობით: ჩემი დაკვირვებით, აუცილებელია, დროულად გადაუნაწილო შვილს პასუხისმგებლობა, საკუთარი მეობა რომ დროულად ჩამოეძერწოს.

სწორედ ამ მიზნით გუშინ, 4 ივლისს, წავედით ბათუმიდან ჩირუხისაკენ. ჯერ ტომაშეთი (წინაპრების სოფელი) და ჩვენი საფუტკრეთი მოვინახულეთ, შემდეგ კი ავედით ჩირუხში. მე და ჩემმა მეგობრებმა მოვინახულეთ ადგილი, რომელიც ბავშვობაში მომწონდა. ამ ადგილიდან ჩანს ჩირუხის ორივე მხარე: მარცხნივ – შავშელების აგარები და მარჯვნივ – აჭარლების აგარები. ამ პატარა სერზე მინდა, ჩემს შვილებთან და ძმიშვილებთან ერთად ჩავდგა კოტეჯი ჩვენი შთამომავლებისათვის. მამაჩემის სახლი სადაც იდგა, იქ ჩემი სხვა ძმიშვილები ააგებენ კოტეჯებს /ღმერთს მადლობა, ოთხი ძმის ნამრავლი უკვე ათს აჭარბებს ❤/.

პარალელურად, მთელი გზა უკვე მერამდენედ ვაზუსტებდი თედო სახოკიას გავლილ გზას. ჩემთან ერთად იყო სულიკო მახარაძე; გზაზე რამდენჯერმე ვესაუბრე ანზორ და ნოდარ გოგიტიძეებს, რომელთა დედულეთია მაწყვალთა. მაწყვალთა, მომწვარი, გოგნიაურიც ჩემი მშობლიური მხარეა (აქ ბევრი ნათესავი გვყავს) და შუბანი-ტომაშეთი-წელათიც, მაგრამ თედო სახოკიას რეალური გზა მაინტერესებს, გზა, რომელიც გაიარა ოლადაურიდან ალპურ ზონამდე რამდენიმე სოფლის გავლით.

...საბოლოო ჯამში, გუშინ შედეგიანი დღე მქონდა: შევარჩიეთ საშვილიშვილო ადგილიც და საბოლოოდ დავრწმუნდი იმაშიც, რომ **ჩვენი წინაპრების მიერ გათელილი გზა: ოლადაური > მახალაკეთი (მახალაკიძეები), შუბანი > ტომაშეთი > წელათი > წელათის ყიშლები > თოხაური > გუზლიეთი > ლელვანი > ჩირუხი გაიარა თედო სახოკიამ.**

კარგი იქნება, თუკი ტურისტული სააგენტო შექმნის ტურისტულ ბილიკს: **„თედო სახოკიას ბილიკი“:** ულამაზეს და უჯანსაღეს ველში ფეხითა თუ ცხენით ტურისტი გაივლის, დაახლოებით, 20 კილომეტრს მდინარე ჩირუხისწყლის მარცხენა მხარეს. გზადაგზა გაივლის რამდენიმე სოფელს, ხეობის მარჯვენა მხარეს დატკბება მთას შერწყმული „ბარის“ სოფლებით: კობალთით, ერდვათით, ქუთაურით, იაკობაურით, დარჩიძეებით; დაინახავს გრანდიოზულ თამარის ციხეს (გოგლიეთის ციხეს), თვალს შეავლებს კუნტიჯვარს და ავა ჩირუხის ალპურ ზონაში – აგარებში, სადაც, **იმედია, ბევრი თანამედროვე გასართობი დახვდება საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრების დამატკბობელ საოცარ სანახებში.**

**P.S.** ეროვნულობა ადამიანის იდენტობის ნაწილია; ქართველი ადამიანის მეობა პირველი ქართველიდან იწყება, ფრანგისა – პირველი ფრანგიდან, ჩინელისა – პირველი ჩინელიდან და ა.შ. ეროვნულობას ძერწავს და ინახავს დედაენა.

https://www.facebook.com/notes/tariel-putkaradze/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/10157585060295678/?hc_location=ufi

5 ივლისი, 2020

## დიდგოროზა კუნტიჯვარში

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსების გრძნობა პიროვნული მეობის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელია.

ერის სიძლიერისა თუ უკვდავების განმსაზღვრელი ფაქტორია ღირსეულ პიროვნებათა სიმრავლე; შესაბამისად, სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსების მქონე პიროვნებათა აღზრდა, მით უმეტეს, თუ მოცემული

ერის/სახელმწიფოს ისტორიაში ბევრი ფაქტია, რომლის აკადემიური მიწოდება ღირსების შეგრძნებით აღზრდის მომავალ თაობებს. **ასეთი გამორჩეული მოვლენაა 12 აგვისტო:** 1121 წლის 12 აგვისტოს დავით აღმაშენებელმა და მისმა თანამედროვე ქართველობამ, დიდგორში დაამარცხა რა სელჯუკთა მრავალათასიანი ჯარი, შექმნა მყარი საფუძველი, ერთი მხრივ, საქართველოში დაწყებულიყო „ოქროს საუკუნე“, მეორე მხრივ, ევროპისკენ ვეღარ წასულიყო სასტიკი დამყრობელი /მოვა დრო, ამ დამსახურებას ევროპა დაუფასებს საქართველოს :)/. 12 **აგვისტო გამორჩეული თარიღია საქართველოსათვის** და მისი აღნიშვნა განსაკუთრებულად უნდა ხდებოდეს. 12 აგვისტო საქართველოს მომავალი თაობების უალტერნატივო ორიენტირი უნდა გახდეს.

შორეულ თუ ახლო ისტორიაში სხვა გმირობის მაგალითებიც გვაქვს, მაგრამ ამ წერილში შინდისის ბრძოლას გავიხსენებ: სულ ახლახან, ჩვენს დროში **რუსეთის იმპერიის აგრესიის დროს,** ვაჟკაცი ბიჭები, 9 ძმა ხერხეულიძის მსგავსად, გმირულად დაიღუპნენ მრავალრიცხოვან სასტიკ დამპყრობელთან ბრძოლაში. **ეს მოხდა 2008 წლის 11 აგვისტოს.**

დღეს, 2020 წლის 12 აგვისტოს, ჩვენ, ჩემი მშობლიური ზემო აჭარის შუბნის თემის სოფლების – ტომაშეთის, წელათის, დარჩიძეების, იაკობაურის, ქუთაურის, კობალთის, ერდვათისა და შუბნის – წარმომადგენლები, 12 აგვისტოს აღვნიშნავთ ჩვენი კუთხის, ზოგადად, ქართველი ერისათვის სიმბოლურ ადგილას, რომელსაც **კუნტიჯვარი** ჰქვია.

12 აგვისტო, 2020

## თამარის გზა გოგლავრიდან კუნტიჯვარამდე

**თამარის მეფის გზა ზემო აჭარაში არსებული გოგლაურის ციხიდან ბებერაულის ეკლესიამდე და ეკლესიიდან კუნტიჯვარამდე: გავაცოცხლოთ ისტორიული ლეგენდა კუტი ქალის გმირობის შესახებ!**

ზემო აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში, მარეთის ხეობაში, დარჩიძეებიდან კუნტიჯვარისკენ მიმავალ გზაზე, დარჩიძეების ბოლო უბანში, გოგოლაურში შთამბეჭდავადაა აღმართული **„თამარის ციხე“ – გოგოლაურის ციხე,** რომელთანაც გადის **დარჩიძეები – კუნტიჯვარი – ჩირუხის** ძველი გზა – **„შუა გზა“** (თამარ მეფის დროინდელი გზა). გოგლავრის/გოგლაურის ციხესა და უღელტეხილის ღელის მარცხენა მხარეს არსებულ კუნტიჯვარს შორის, გოგლაურის ციხიდან, დაახლოებით, ორ/სამ კილომეტრში, აბანოღელის (კვესავრის ღელის) მარცხენა ფერდზე, ქვახიდის სერის ქვემოთ (მარჯვნივ) 20-25 წუთის სავალზე ახალ გაზრდილ ნაძვნარში, დაახლოებით, **1657 მეტრზე არის ეკლესიის ნანგრევები.** დღემდე მოღწეულია ეკლესიის მხოლოდ ერთი კედლის ნაწილი. დაახლოებით, 100 მეტრის რადიუსში მიმოფანტულია თლილი ქვები, რაც მიუთითებს, რომ ეკლესია და მის გარშემო არსებული საეკლესიო ნაგებობები საკმაოდ დიდ სივრცეზე ყოფილა გაშლილი.

ბებერაულის ეკლესიის მარჯვნივ და ზემოთ, ჩირუხის მხარეს არის სერი, სადაც არის დიდი კლდე – **ფაფარა კლდე.** სწორედ ამ ადგილს ჰქვია **კუნტი ჯვარი** (< კუტი ქალის ჯვარი). კუნტიჯვარის სახელდებასთან დაკავშირებით საინტერესო თქმულებაა შემორჩენილი, რომლის მიხედვით შესაძლებელია ისტორიული ამბის „რესტავრირება“: თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი ლეგენდის ვარიანტის მიხედვით, აქ ყოფილა სოფელი, რომლის პატრონები ყოფილან **თავდგირიძეები.** სოსო თავდგირიძის ცნობით, ეს სოფელი ყოფილა პანტებში, რომელსაც დიდი ბრძოლების გამო დაერქვა ყავაღლუღი. ადრეულ საუკუნეებში მთელი სოფლის ხალხი სამუშაოდ წასულა შუახევში თავიანთ კუთვნილ ვენახებში (დაახლოებით, 25-30 კმ-ში). ამ დროს სოფელს მტერი შემოსევია და სოფლის საქონელი, სარჩო, ალბათ, სოფელში დარჩენილი წვრილ-შვილნი თუ მათი მომვლელნიც გაუტაციათ. არ წაუყვანიათ მხოლოდ ერთი **კუტი ქალი** (საპყარი, რომელიც ვერ დადიოდა).

კუტი ქალი სოფლის ტერიტორიიდან წვალებით გასულა ფაფარა კლდეზე (სოფლიდან დაახლოებით, 2 კმ-ში) და ისე დაუკივლია, რომ ხმა მიეწვდინა ვენახებში სამუშაოდ წასული

ხალხისათვის **(ამ სოფლიდან მართლა შორსაა ისეთი ადგილები, სადაც ვენახი ხარობს).** ვენახში წასულ კაცებს გაუგონიათ და წამოსულან სოფელში. დაეწივნენ მტერს და წაართვეს გატაცებული. მოიკითხეს კუტი ქალი. ქალი მკვდარი ნახეს კლდის თავზე – იმ ადგილას, საიდანაც ხმა გააგონა ვენახში წასულთ: **თურმე ისე გამეტებით უკივლია, ადგილზევე მომკვდარა.** ხალხმა კუტი ქალის პატივსაცემად იმ ადგილას ჯვარი აღმართა. ასე დაერქვა ფაფარა სერის ამ შემაღლებულ ადგილს **კუნტი ჯვარი** (კუტი ქალის ჯვარი)...

სოსო თავდგირიძის აზრით, ქალმა ამ კლდეზე ცეცხლი დაანთო და ასე გააგებინა მტრის მოსვლა ხალხს. ზაზა ჯაფარიძის აზრით, კუტმა ქალმა კივილით ხმა გააგონა გოგლავრის ციხის გუშაგთ, გოგლავრის ციხის გუშაგებმა – სხვა ციხის გუშაგთ და შემდეგ – შუახევის ციხის გუშაგთ; ასე გადაიცა მტრის შემოსევის ინფორმაცია... ინტერპრეტაციები ბევრნაირი შეიძლება; **ფაქტია, რომ ამ ადგილს შემთხვევით არ დაერქმევოდა „კუ(ნ)ტი(ს) ჯვარი“ და არც ეს თქმულება გაჩნდებოდა ცარიელ ადგილას.**

...ზემოაჭარული ლეგენდა გარკვეულწილად ეხმიანება არსიანის გადაღმა სოფლებში – ამჟამად თურქეთის საზღვრებში შემავალი შავშეთის რაიონის სოფლებში – შემორჩენილ სხვა ლეგენდას: იმერხეული ლეგენდის მიხედვით, იმფხრევლის ციხეში მოსულა თამარ მეფე. ციხიდან თამარ მეფე გადაფრენილა მდინარის მეორე მხარეს შემაღლებულ ადგილას, რომელსაც ახლა „ჯვართი“ ჰქვია. „ჯვართი“ ცხადყოფს, რომ ამ ადგილას იყო ჯვრის სახელობის ეკლესია... ალბათ, მეფე გვირაბით გადავიდა ერთი მთის წვერზე არსებული ციხიდან მდინარის მეორე მხარეს მთაზე აღმართულ ეკლესიამდე. ხალხმა დაინახა ციხეზე ასული მეფე და შემდეგ – ეკლესიიდან გამოსული. მე ჩემი თვალით მაქვს ნანახი ჯვართის მიდამოებში არსებული გვირაბი, რომელიც ჩადის მდინარემდე.

**ორი წინადადება მაქვს:**

(1) ახალი სიცოცხლე **მივცეთ თამარის გზას გოგლავრის ციხიდან ბებერაულის ეკლესიამდე და ეკლესიიდან კუნტიჯვარამდე:** გამონათლევის ეკლესიიდან წამოსული ტურისტი დარჩიძეების ხის საინტერესო ჯამეს ნახავს. შემდეგ ფეხით გაივლის: გოგლაურის ციხეს, ბებერაულის ტყეში შემონახულ ეკლესიას, შეჩერდება გადმოხურული კლდის ქვეშ, სანთელს დაანთებს კუნტიჯვარზე ჩვენ მიერ **ხელახლა აღმართულ** ჯვართან, იქიდან გაივლის გზას პანტებამდე (პირობითად დავარქვათ “თამარის გზა” და შემდეგ – ჩირუხში... კუნტიჯვარზევე გავაკეთოთ დიდი გადასახედი მოედანი, სადაც სტუმრები, ტურისტები ავლენ ხოლმე და შეეცდებიან, **თავიანთი ხმა გააგონონ** შორს მყოფ თავიანთ ახლობლებს :).

**(2) ახალი სიცოცხლე მივცეთ ტომაშეთის აბანოს:** გამონათლევის ეკლესიიდან წამოსული ტურისტი მოვიყვანოთ ლებისაკარას კალმახზე სათევზაოდ და მოსასვენებლად; შემდეგ მივაღებინოთ ტომაშეთის აბანოს სასწაულის მომხდენი პროცედურები. შემდეგ – საფუტკრეთის გავლით – ჩირუხში.

**P.S.** კუნტიჯვარიდან „თამარის გზა“ მიდის პანტებამდე (ძველ ნამოსახლარამდე და მერე – ნაეკლესიარამდე), საიდანაც იწყება დიდი სივრცე – მთა ჩირუხი. ჩირუხის მთავარი სანახებია, ერთი მხრივ, „დიდმინდორი“ გასალიანის ტბით, საიდანაც გზა გადადის ხიხანის ციხემდე, მეორე მხრივ – ჩირუხის გვირგვინი, თავკალვა – საუკუნოვანი დიდებული გადმოსახედი! შდრ.: „თამარას გზა შავშეთში“ – წეფთის (უსტამისის, ესკიყალეს) ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეში შემორჩენილია ძველი გზა, რომელსაც უსტამისის ქართველები “თამარის გზას” უწოდებენ. რამდენჯერმე მეც გავიარე ჩემს სტუდენტებთან ერთად ქვებით გამყარებულ საუკუნოვან თამარის გზაზე ტაო-კლარჯეთის ექსპედიციების დროს. ზემო აჭარის “თამარის გზაც” მხოლოდ ტყემ შემოინახა...

ექსკურსიებითა და ეთნოტურებით მაინც გავაცოცხლოთ ჩვენი დიდი ისტორია!

**P. P. S.** ძველი შუახეური (შუბნის თემში შემორჩენილი) თქმულების ამგვარი ტრანსფორმაციით ვუერთდები შუახევის მერიის გადაწყვეტილებას, ჩირუხში გაკეთდეს ტურისტული მიზიდულობის დიდი ცენტრი. ვფიქრობ, **კუტი ქალის თავგანწირვის** ადგილი შეიძლება ვაქციოთ არა მხოლოდ ტურისტის გადმოსახედ სივრცედ, არამედ, ჩვენი შთამომავლობის ისტორიულ

გადმოსახედადაც :)

**დანართი:**

თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ. 1985, გვ. 270:

„დაუპირისპირდით სოფელ კუტი-ჯვარსაც. დარჩიძეების ახლოს მდებარეს. ახალი მცხოვრებლები წინათ ქრისტიანობის დროს თავდგირიძენი ყოფილან. ვენახები სოფელ შუახევში ჰქონიათ. ერთხელ რთვლის დროს ყურძნის საკრეფად წასულან. სოფლად მხოლოდ ერთი ავადმყოფი ქალი დარჩენილა. ამასობაში მტერი დასხმია სოფელს და ცხენები სულ წაულალავს. ავადმყოფი ქალი სერზე ასულა და გაჭირვებისაგან ისეთი ძალით დაუკივლია, რომ თავისიანებისათვის ხმა მიუწვდენია, მაგრამ თვითონ კი დაკუტებულა. მის მოსაგონებლად ამ სოფელს კუტის ჯვარი დღესაც შერჩენია“.

30 აგვისტო, 2020

## ბებერაულის ეკლესია

გოგლავრის/გოგლაურის ციხესა და უღელტეხილის ღელის მარცხენა მხარეს არსებულ კუნტიჯვარს შორის, გოგლაურის ციხიდან, დაახლოებით, ორ/სამ კილომეტრში, აბანოღელის (კვესავრის ღელის) მარცხენა ფერდზე, ქვახიდის სერის ქვემოთ (მარჯვნივ) 20-25 წუთის სავალზე ახალ გაზრდილ ნაძვნარში, დაახლოებით, 1657 მეტრზე არის ეკლესიის ნანგრევები. დღემდე მოღწეულია ეკლესიის მხოლოდ ერთი კედლის ნაწილი. დაახლოებით, 100 მეტრის რადიუსში მიმოფანტულია თლილი ქვები, რაც მიუთითებს, რომ ეკლესია და მის გარშემო არსებული საეკლესიო ნაგებობები საკმაოდ დიდ სივრცეზე ყოფილა გაშლილი.

ეკლესია აშენებული იყო თოხაურიდან ძველთისკენ და დარჩიძეებიდან პანტებისაკენ (ჩირუხისაკენ) მიმავალი გზების გადაკვეთაში. “ქილისასერს” დარჩიძეების (ნისლათის) მხარეს ესაზღვრება სოფელ წელათის სათიბი (ჭალა) “ბებერაული” და “თხმელებიანი ვაკე”, მეორე მხარეს –“ქვახიდისერი”, მესამე მხარეს (ქვედა მხარე ) – კლდე, მეოთხე მხარეს – უღელტეხილის ღელის მიმდებარე ტყე.

ნაეკლესიარს იური სიხარულიძე უწოდებს „ქვახიდისერის ეკლესიას“ (ი. სიხარულიძე, „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“, ბათუმი, 1962, გვ. 36-37). ეკლესიის ამგვარი სახელდება ხელოვნური და მიუღებელია, რადგან “ქვის ხიდი” ახალი ტოპონიმია; კერძოდ: ადგილობრივთა გადმოცემის მიხედვით, კვესაურის ბოლოს იყო რუსი ოკუპანტების სამხედრო ბაზა (“ზასტავა”); რუსებმა იქვე ახლოს არსებულ ჭაობში ჩაყარეს ქვები, რომ ტყემდე მისასვლელი გაეკეთებინათ. შემდეგ ხალხმა ამ ადგილს დაარქვა ქვის ხიდი > ქვახიდი; იქვე არსებულ სერს კი – ქვახიდის სერი” (სიმაღლე – 1761 მ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაეკლესიარს დღეს სხვა სახელი ჰქვია: ქილისასერი, რომლის სიმაღლეა 1657 მ. (ქილისას სერი = ეკლესიის სერი); ანუ ორი სხვადასხვა სერია: **ქვახიდის სერი და ქილისას სერი.** ქვახიდისერიდან ნაეკლესიარამდე მანძილის გავლას ესაჭიროება 20-25 წუთი. ბუნებრივია, ეკლესიის/ნაეკლესიარის სახელად ვერ გამოდგება ვერც “ქილისასერი”, რადგან ეს ტოპონიმიც ახალია: აშკარად, ოსმალური ოკუპაციის შემდეგ, ოსმალოთა აგრესიის დროს, ეკლესიის განადგურების შემდეგაა შექმნილი.

ისტორიული შეუსაბამობის გარდა, ვფიქრობ, ეკლესიის სახელად მოუხერხებელია “სერზე” ორიენტირებული სამკომპონენტიანი (“ქილისას სერის ეკლესია”) და ოთხკომპონენტიანი (“ქვის ხიდის სერის ეკლესია”) სახელები; მით უმეტეს, თურქულფუძიანი კომპოზიტი („ქილისასერი“). ასევე არალოგიკურია ამ ეკლესიის სახელდება ახლოს არსებული სოფლების – დარჩიძეების ან წელათის – მიხედვით; ვთქვათ: “დარჩიძეების ეკლესია”, “წელათის ეკლესია”, რამდენადაც ორივე სოფლიდან ნაეკლესიარი დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით. რაც მთავარია, **დარჩიძეებს თავისი ეკლესია ჰქონდა სოფლის ცენტრში.** წელათი კი ახალი დასახლებაა: ეს სოფელი დაარსებულია ეკლესიის განადგურების შემდეგ.

აჭარის (/საქართველოს) ავბედითი ისტორიის გამო, ამ ეტაპზე დანამდვილებით არავის

შეუძლია თქვას, რა ერქვა ეკლესიას. ეკლესიის/ნაეკლესიარის სახელზე შეიძლება ვიმსჯელოთ მიმდებარე ძველი ტოპონიმების მიხედვით.

“ქილისასერის” (ნაეკლესიარის) მიმდებარედ სამი ძველი ტოპონიმია: “ნისლათა”, “თხმელებიანი ვაკე” და “ბებერაული”. ნაეკლესიარს უშუალოდ ემეზობლება ორი ტოპონიმი: “თხმელებიანი ვაკე” და “ბებერაული”. “თხმელებიანი ვაკე” სათიბია; დარქმეულია მდებარეობისა და მცენარის სახელის მიხედვით; შესაბამისად, ნაკლებმოსალოდნელია, ასეთი სახელწოდება ჰქონოდა ძველ სოფელსა და ეკლესიას. დიდი ალბათობით, ამ ეკლესიის სიახლოვეს არსებულ სოფელს ერქვა “ბებერაული”. ბებერაული ნამდვილად ჰგავს ნასოფლარს. ჩანს, აქ არსებული სოფელიც და ეკლესიაც ერთდროულად განადგურდა.

ვფიქრობ, ნაეკლესიარს თუ ეკლესიას, რომელიც აქ **აღდგება, სახელი უნდა ეწოდოს მიმდებარე ტერიტორიის ძველი სახელის მიხედვით.** ასეთია „ბებერაული“; შესაბამისად, უნდა დამკვიდრდეს ასე: **ბებერაულის ეკლესია.** შდრ.: იქვე ახლოს არსებული სხვა დასახლებები (რომლებიც შექმნილი ჩანს ძველი საკუთარი სახელების მიხედვით): გოგოლაური (გოგოლას საკუთრება), კვესაური (კვესას საკუთრება), ბებერაული (ბებერას საკუთრება)... ეკლესიის/მონასტრის აღდგენის შემდეგ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობაც და მიმდებარე ტერიტორია: **ბებერაული და თხმელებიანი ვაკე** საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე უნდა **მიეკუთვნოს ბებერაულის ეკლესიას/მონასტერს.** ეკლესიის/მონასტრის აღორძინებით უნდა გავაცოცხლოთ ძველი სოფლის – ბებერაულის – სახელიც. დავძენ: რამდენადაც ბებერაულის ეკლესია სოფლებიდან ალპური საძოვრებისაკენ მიმავალ გზაჯვარედინზე მდებარეობდა, ჩანს, თანაბრად ეკუთვნოდა შუბნის თემის ყველა სოფელს: დარჩიძეებს, წელათს, ტომაშეთს, შუბანს, იაკობაურს, კობალთას, ქუთაურს, ერდვათს... მომავალშიც ამ ეკლესიამ, კუნტიჯვარის მსგავსად, შუბნის თემის ყველა სოფელი, ზოგადად, მთელი მარეთის ხეობა უნდა გააერთიანოს („ეშმაკი ყოფს, ღმერთი აერთიანებს“).

**P.S. საინტერესო ფაქტი:** ბებერაულის სიახლოვეს ტყეში არსებული ნაეკლესიარის სახელის გარშემო სოციალურ ქსელში დაიწყო დისკუსია. სასიხარულოა, რომ შუბნის თემის ყველა სოფლის ახალგაზრდებს სურთ, თავიანთი სოფლის ისტორიის ნაწილად წარმოიდგინონ მტრის მიერ განადგურებული და ასაღორძინებელი ეკლესიის ისტორია. ეკლესიის აღორძინების იდეის გარშემო შუბნის თემის სოფლების კონსოლიდაციისათვის, ეკლესიას შეიძლება ეწოდოს „ბებერაულის ეკლესია“ ან „შუბნის ეკლესია“; შესაბამისად, აღორძინებული ეკლესიის ადგილის პერსპექტიულ სახელებად შეიძლება განვიხილოთ „ბებერაული“ და „შუბანი“; ასევე, შესაძლებელია, „მარეთი“; შდრ., პერსპექტიული სახელები: „ბებერაულის ეკლესია“, „შუბნის ეკლესია“, „მარეთის ეკლესია“. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სასულიერო პირების, საერო ხელისუფლებისა და სპეციალისტების თვალსაზრისთა შეჯერებით.

31 აგვისტო, 2020·

# 1.2. სტატიები, მოხსენება, თეზისები

# თურქეთის მოქალაქე ავტოქთონ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობისათვის (ტაოელი ქართველები)

ძველი წყაროების მიხედვით, ტაოს ნაწილი – ამჟამინდელი იუსუფელის რაიონი – ქართველ თავადთა – კავკასიძეთა – სამფლობელოდ ითვლებოდა: „კავკასისძე მისითა მამულითა: პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურის შვილებითა საყმო სამწყსოთი...“ (ტაოს შესახებ ვრცლად იხ., რ. გუჯეჯიანი, ტ. ფუტკარაძე, იუსუფელის /ისტორიული ტაოს/ ქართულენოვან სოფელთა ეთნოლინგვისტური მიმოხილვა – I ხევაი (Bიჯაკჯილარ), ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009).

ცნობილია ისიც, რომ ტაო-კლარჯეთი ისტორიულად შედის ქართული ეკლესიის საზღვრებში, კერძოდ, იშხნის საეპისკოპოსოში: „იშხნელის სამწყსო: გურჯიბოღაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯს თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გალმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდამოღმა“ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), “საბჭოთა აჭარა”. ბათუმი, 1987, გვ. 75-76).

დღეს ისტორიული ტაო შედის თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილში შემავალ რაიონში – იუსუფელის ილჩეში /Yusufeli, The Republic of Turkey /აქვე აღვნიშნავ, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში თურქეთის ხელისუფლებამ სახელები გადაარქვა ქართულ სოფლებს. დღეს, ქართული რუკებისგან განსხვავებით, ოფიციალურ თურქულ რუკებზე სრულიად გამქრალია სოფლების ტრადიციული სახელები – ძველი ქართული ტოპონიმია; საბედნიეროდ, ტაო-კლარჯეთის (ართვინის მხარის) ქართულენოვან და თურქულენოვან სოფელთა მცხოვრებნი სოფელთა სახელად დღემდე სწორედ ტრადიციულ ქართულ ტოპონიმიას იყენებენ.

ისტორიულ ტაოში ქართველი მეცნიერები და სტუდენტები ბოლო დრომდე ვერ შედიოდნენ. ტაოს სოფლების დათვალიერება და აქ მეცნიერული ექსპედიციები ამჟამინდელი თურქეთის ხელისუფლების მიერ არ იზღუდება.

ტაოს მკვიდრ ავტოქთონ ქართველთაგან ერთი ნაწილი ინარჩუნებს ენობრივ-ეთნიკურ მეობას (თურქეთის მოქალაქე ყველა ქართველი თურქეთის სახელმწიფოს ერთგულია; შესაბამისად, მისი სახელმწიფოებრივ-ნაციონალური მეობა თურქულია); დიდ ნაწილს კი უკვე დავიწყებული აქვს ისტორიული დედაენა და ენობრივ-ეთნიკურადაც თურქად მიიჩნევს თავს; მათ ქართველობას ცხადყოფს:

– თურქულენოვან მეტყველებაში დიდი დოზით შემონახული ქართული ენის სუბსტრატული ფენა /ფონემატურ სტრუქტურაში ე. წ. კავკასიურ ხშულთა არსებობა, პალატალიზებული ხმოვნების ნაკლებობა, მრავალრიცხოვანი ქართული ლექსიკა... /;

– დასახლებულ პუნქტებში არსებული მიკროტოპონიმიის უდიდესი ნაწილის ქართულენოვნობა;

– მრავალმხრივი ეთნოგრაფიული მახასიათებლები;

– გადმოცემები თამარ მეფის შესახებ;

– გარეგნობა (ანთროპოლოგიური მახასიათებლები) და სხვ.

მიკროტოპონიმიის შესახებ იხ., მაგ., სოფელ ოთხთის /დორთქილისას/ შესახებ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის, ნერიმან ალბაირაქის სადიპლომო ნამუშევარში მოცემული მასალა, კერძოდ, სოფელ ოთხთის მიკროტოპონიმები:

სოლბიათ (სოლაბ-ი – „მარცვალი“ (აბულაძე); სალ (სალ-ი – მაღალი ტინი, კლდე (საბა); იფინთ (იფნ-ი –„ხე“ (საბა); აბანეთ; გონგირევ; პატარა ბოღაზ – „პატარა ყელი“; ქუაბუნ ბოინი (საქვაბე ადგილი); ზათქეთხევ; ათქეთხევ – აქეთა ხევი; ჭორლა (ტალახიანი ადგილი; შდრ. ჭორ-ოფ-ა; ჭორ-ო-ხ-ი); შავშეთ; ჯვარქეთ; შუარე /შუა ადგილი/; ფართ /დიდი ადგილი/; მურხაჯგილ (მუხნარი); ბასილეთ... (ნაშრომი ინახება ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში).

მსგავსი ვითარება გვაქვს სოფლებშიც: პარხალი, ზემვანი.

იუსუფელის რაიონში მცხოვრებ ქართველთაგან ისტორიული დედაენა შემონახულია პარხალისწყლის ხეობის ზოგ სოფელში და პარხალისწყლის შენაკადის ხევას ხევში არსებული ყველა თემის/საზოგადოების ყველა სოფელში, კერძოდ: ქობაში, ბალხის საზოგადოების

სოფლებში და ხევას შემდეგ სოფლებში /რომლებიც ზოგან უბნებად იწოდება/:

ივეთი, ობლეკარი, სადრიყანა, ვაჩეკარი, კრავეკარი, ქელაძორი, ჰესევიკარი, დოლეკარი, ჭეილენკარი, ქორიეთი, დოლენჯაკარი, გოდღეკარი, ბასლეკარი, ქონობანი, ელიასხევი და სხვ.

შდრ., ხევას ხევის (ადგილობრივთა წარმოთქმით: ხევაის) ნასოფლართა სახელებიც: ველითავი, ჭირხლაქეთი, ყულედიბი, ცერეკარი, აზლენკარი, შაბლინკარი, ფიშნახევი, კუარეთი, ბოწმინდა...

ხევას ხევის სოფლების მკვიდრთ შემონახული აქვთ ქართული ფოლკლორი, ქართული კერძები და სხვა ქართული ეთნოგრაფიული მახასიათებლებიც; იხ., დანართში, მაგ., ხეველი ქართველების ფერხული.

ტაოელი ქართველები, საერთოდ, თურქეთის მოქალაქე ქართველები, კარგად ერკვევიან ოსმალეთისა და თურქეთის ისტორიაში და თურქეთის სახელმწიფოს დიდი პატრიოტებიც არიან; ამავე დროს, მათ სუსტად იციან თავიანთი ეთნიკური ისტორია.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ტაოს მკვიდრი ქართველების დიდ ნაწილს აღარც თავისი დედაენა ახსოვს და არც თავისი ქართული ფესვების შესახებ აქვს ინფორმაცია. ისინი თავიანთი ქართული წარმომავლობის შესახებ რომ იგებენ, ბუნებრივია, ითხოვენ არგუმენტებს. ისტორიულ ქართულ წყაროებზე მითითება ან ამ წყაროების მიწოდება მათთვის დამაჯერებელი არ არის, მაგრამ შთამბეჭდავი ეფექტი იქონია მათივე სოფლების მიკროტოპონიმიის ანალიზმა / ისტორიული წყაროები ყველა მხარეს თავისი აქვსო, მეუბნებიან/.

ხევას სოფლებში, სადაც დედაენა ახსოვთ, მსგავსი პრობლემა არ გვხვდება, თუმცა, ეთნიკურ-კულტურული იდენტობის მიხედვით, აქაურ ქართველთა შორის ორი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. ადამიანები, რომლებიც, განათლებისა და ინფორმაციის ფლობის მიუხედავად, უეჭველად თვლიან, რომ ქართული ეთნოსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ; მაგ., 2010 წელს ერთმა იქაურმა მეგობარმა – რეჯებ იაზიჯმა – მითხრა: „საქართველოს, თბილისის უნახავად რომ მოვკვდე, თვალები ღია დამრჩება!“

სამწუხაროდ, წელს (2011 წ.) რეჯები გარდაცვლილი დამხვდა... მან თბილისი ვერ ნახა.

2. ტაოელ ქართველთა მეორე ნაწილი თვლის, რომ აჭარელ მუსულმან ქართველთა შთამომავლები არიან და არ წარმოადგენენ იმათ მემკვიდრეებს, რომლებმაც ააგეს იუსუფელში არსებული ქართული ეკლესიები; კერძოდ, მათ ჰგონით, რომ ისინი აქ ჩამოსახლდნენ აჭარიდან.

როგორც წესი, ამ ქართველებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესახებ; მათ იქაურ სკოლებში არ უსწავლიათ არც ქართველი ერის ისტორია და არც ისტორიული ტაოს რეალური ისტორია. ისინი დააჯერეს, რომ ოშკი, პარხალი, იშხანი... იმ ქართველებმა ააგეს, რომლებიც ოსმალოების შემოსვლისას გამოიქცნენ იმერეთსა თუ ქართლ-კახეთში.

ტაოელ ქართველთა ეს ნაწილი ასე მსჯელობს: “ძველი გურჯები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ”.

საკუთრივ ხევას ხეობის სოფლების მკვიდრთა დიდი ნაწილი კი ასე ამბობს:

„ქართველები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ. ხევას ხეობაში ეკლესია არ არის; ე.ი. აქ ქრისტიანი ქართველები საერთოდ არ იყვნენ; აქ მიწები დაუსახლებელი იყო. აჭარა რუსებმა რომ დაიკავეს, ჩვენ აჭარიდან წამოვედით და აქ მოვედით, დავსახლდით და ამ ადგილებს სახელებიც მას შემდეგ დავარქვით“... ციტირებული ფრაზა ეკუთვნის ისმეთ ბათმაზს /40 წლის, სოფელი ხევა; 2011 წლის 21 ივლისი/.

ტაოს ამ მაღალმთიან დასახლებებში (ხევა, ბალხი, ქობა) ოშკის, ხახულის, ბანის, იშხნისა თუ პარხლის დონის ქრისტიანული სალოცავები მართლაც არა გვაქვს, მაგრამ მიკროტოპონიმია აქაც მყარად ინახავს ქრისტიანული ძეგლების არსებობის კვალს, მაგ., ქელაძორის ყველაზე ლამაზ, ვაკე ადგილს ჰქვია „საყდარი“.

ამჟამინდელ ტაოელ ქართველთა ავტოქთონობასა და იმასაც, რომ ისინი მემკვიდრენი არიან ოშკის, ხახულის, პარხლის, იშხნის... ამგები ქართველებისა, ცხადყოფს ხალხური გადმოცემებიც; კერძოდ, ხევეგელთა გადმოცემით, აქ უცხოვრია თამარ მეფეს, მას აქვე შორიდან მოუყვანია წყალი და ა. შ. მოსულ საზოგადოებას მსგავსი ინფორმაცია არ ექნება.

ამგვარი გადმოცემების გარდა, ამჟამინდელი ტაოელების (იუსუფელის ქართველობის)

ავტოქთონობას ცხადყოფს ისიც, რომ ტაოური და აჭარული კილოები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება; გარდა ამისა, საარქივო მონაცემების მიხედვით, მუჰაჯირად წასული ყველა აჭარელი გადასახლდა შუა თურქეთში, ამასიასა თუ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე.

საკუთარი წარსულის შესახებ აკადემიური ინფორმაციების მოსმენის შემდეგ იცვლება ტაოელ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა; ისინი ითხოვენ მეტ ინფორმაციას თავიანთი ისტორიის შესახებ /და მათ უფლება აქვთ, ჰქონდეთ ეს ინფორმაცია/.

აქვე აღვნიშნავ, რომ ტაოელ ქართველთა ახალი თაობა ადეკვატურად რეაგირებს ობიექტურ ინფორმაციაზე.

ბოლო დროს აქაურ ქართველებში უფრო მეტი ინტერესი ჩნდება თავიანთი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამავე დროს ისინი, გარკვეულწილად, დისტანციურად უყურებენ რეალურ ისტორიას, ვინაიდან ხვდებიან, რომ მათი წინაპრების ისტორია გადაჯაჭვულია ქრისტიანობასთან – მათთვის უცხო რელიგიასთან.

ახალი ინფორმაციების მიღების, თანამედროვე ტურისტული ბუმით გამოწვეული ურთიერთობების, საინტერნეტო აქტიური კავშირებისა და სხვა ფაქტორების გამო, ტაოელი ქართველებისთვის, ზოგადად, თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის, იზრდება ეთნიკური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორების რაოდენობა; შედეგად, იუსუფელში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გააზრებაში ახალი ეტაპი იწყება, თუმცა, ჯერჯერობით მაინც დიდია იმ ქართველთა პროცენტი, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას ისტორიულ ტაოში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებთან.

ამჟამად, ხევას ხევშიცა და ავტოქთონი ქართველებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სხვა სოფლებშიც შედარებით მცირეა იმ ადამიანთა – მუსულმან ქართველთა – რაოდენობა, რომელთაც სჯერათ, რომ იმ დიდი კულტურის მემკვიდრეები არიან, რომლის ნაწილიცაა: იშხანი, ოშკი, ხახული, ბანა, პარხალი, ოთხთა...

აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული კულტურის ამ ძეგლების ისტორიის შესახებ აქ მისული ტურისტი ბოლო დრომდე ვერ იღებდა აკადემიურ ინფორმაციას; წელს პირველად ვნახე მე აქ სამენოვანი წარწერები, რაც მისასალმებელია, მაგრამ ბანერების უმრავლესობაზე ნაკლებად ჩანს, რომ ეს ძეგლები ქართული კულტურის ნიმუშებია.

ვფიქრობ, ნათელია, რომ ისტორიულ ქართულ კულტურასთან – თავიანთი წინაპრების მიერ შექმნილ კულტურასთან – ტაოელ ქართველთა გაუცხოებას ორი მიზეზი აქვს: მწირი ობიექტური ინფორმაცია თავიანთი წარსულის შესახებ და რელიგიური მსოფლაღქმა.

ფაქტია, აქაური მუსულმანი ქართველებისთვის უკვე უცხოა რეგიონში არსებული ქრისტიანული ძეგლები; ეს არცაა გასაკვირი; შდრ., ბოლშევიკების ბატონობის მცირე პერიოდში საქართველოს ცენტრალურ რეგიონებშიც კი: გურიაში, იმერეთში, ქართლში... ხალხი გაუუცხოვდა ქრისტიანულ ეკლესიებს.

რელიგიური თავისუფლების თემა ფაქიზია, ამიტომ არ ვაპირებ ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელებას, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის რელიგია არის არა მხოლოდ მსოფლხედვისა და ცხოვრების წესის საფუძველი, არამედ, ხალხის კულტურისა და ისტორიის ნაწილი, შესაბამისად, ყოველ რელიგიას ამ კუთხითაც უნდა შევხედოთ.

ყოველ შემთხვევაში, როგორც თურქეთის, ასევე, საქართველოს სირცხვილია, რომ ასეთ მდგომარეობაშია, მაგ., ოთხთის დიდებული ტაძარი.

სხვა კონტექსტი აქვს განათლებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებას:

ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; კერძოდ, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული. მეტად დინამიურ თანამედროვე სამყაროში დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია, რომ ჩვენ, განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა... შევძლოთ ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელება.

საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჯერებულ ობიექტურ კვლევათა შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, ისარგებლოს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსულის ცოდნის უფლებით.

ამავე დროს, ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობა გაზრდის ხალხებს შო-

რის ურთიერთპატივისცემას და რაც, ჩვენი აზრით, არანაკლებ არსებითია, ყოველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობებისათვის, შექმნის ობიექტური თვითაღქმისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს.

აუცილებელია, ასევე, თურქეთის ხელისუფლებამ იზრუნოს თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი იმ ქართული ეკლესიებისა და ციხეების აღსადგენად, რომლებიც ახლა თურქეთის სახელმწიფოს სიმდიდრეს წარმოადგენს და მძლავრ ტურისტულ ბაზას ქმნის; ამ მხრივ, მისასალმებელია ტბეთის ეკლესიის აღდგენის შესახებ ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის მიერ დაწყებული მსჯელობა, რომელსაც დადებითად უპასუხა ადგილობრივმა ხელისუფლებამ

ვფიქრობ, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობა მომავალში უფრო მეტ ღია და დემოკრატიულ სივრცეს შექმნის, რათა საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებმა ისარგებლონ თავიანთი უფლებით: სახელმწიფოებრივ ისტორიასთან ერთად უკეთ იცოდნენ საკუთარი ენობრივი და ეთნიკურ-კულტურული ისტორია (ავტოქთონი და მიგრანტი მოსახლეობის ენობრივ-ეთნიკური უფლებების შესახებ იხ., ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, 2010; „T.Putkaradze, E.Dadiani, R.Sherozia, European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia",Kutaisi, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010).

ბოლოს, კიდევ ერთი არსებითი საკითხი:

მეტნაკლებად ყველა ადამიანს აწუხებს კითხვა: ვინ ვარ? საიდან მოვდივარ?

ნორმალური განათლების სისტემა საკუთარ სამშობლოში ნათლად სცემს პასუხს ამ კითხვას, ამიტომ თავს ქართველად აღიქვამს და გაორებული არ იქნება საქართველოში აღზრდილი და განათლებამიღებული ლაზი, იმერელი, მეგრელი, სვანი, აჭარელი თუ კახელი. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ პირს კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რომ შეძლოს მოცემულ სახელმწიფოში ინტეგრირებაც და შეინარჩუნოს /აღიდგინოს წინაპრებისგან ნაანდერძევი ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობაც.

ეთნიკური უმცირესობისთვის სხვათა მიერ შექმნილ სახელმწიფოში ადაპტაცია შედარებით იოლია წინაპრებთან ენობრივ-ეროვნულ კავშირზე უარის თქმის პირობებში (მაშინ, როცა პიროვნება საზოგადოებრივ თვითიდენტიფიკაციას ახდენს მოქალაქეობის მიხედვით); თუმცა ასეთ შემთხვევაში ავტოქთონი თუ მიგრირებული ქართველისთვის (თუ მისი მემკვიდრისათვის) გარეგნულად დაფარულ, მაგრამ მოურჩენელ იარად დარჩება კითხვა: „ვისი გორისა ვარ?"

ამრიგად, 1992-2011 წლებში თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველების ენობრივ-ეთნიკური მახასიათებლების შესწავლა და ზემოთ განხილული ჯგუფების მიახლოებითი პროცენტული მაჩვენებლების შედარება საშუალებას გვაძლევს, შემდეგი ძირითადი დებულებები ჩამოვაყალიბოთ:

შენიშვნა: კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტად ითქვას, თუ რამდენი ეთნიკური ქართველია თურქეთში. მით უმეტეს, რთულია, დავადგინოთ წარმოდგენილ ჯგუფთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებლები. სავარაუდოდ, თურქეთში 5 მილიონამდე ეთნიკური ქართველი (გურჯი, ლაზი) ცხოვრობს. ამათგან მესამედი თუ აღიქვამს თავს ეთნიკურ ქართველად; საკუთარი თავი ეთნიკურ ქართველად თურქეთის ბევრმა მოქალაქემ შეიძლება გაიაზროს აკადემიური განათლების პირობებში.

1. თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველები თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტები არიან იმიტომ, რომ მათ სრულფასოვნად მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთი სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ, მაგრამ მათ სუსტად იციან თავიანთი ენობრივ-ეთნიკური ისტორია. ისტორიული დედაენისა და წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ცოდნის დონე განსაზღვრავს პიროვნების ენობრივ-ეთნიკურ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მეობას. თურქეთის ხელისუფლებას თუ ქართული კულტურის მესვეურთ დიდი სამუშაო აქვთ გასაწევი, რომ დაცული იყოს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველების ენობრივ-ეთნიკური უფლებები.

2. როგორც წესი, პირს, რომელსაც დავიწყებული აქვს დედაენა (ქართული ენა), დაკარგული აქვს ეთნიკური (ქართული) თვითაღქმაც; თუმცა თურქეთში არც თუ მცირერიცხოვანია შემთხვევები, როცა ასეთ პირებსაც სურთ წინაპრების ენობრივ-კულტურული ხაზის გაგრძელება და ქართული

ენობრივ-ეთნიკური იდენტობის აღდგენა; საამისოდ, პირველ რიგში, ისინი ესწრაფვიან ქართული ენის შესწავლას; ამ ბოლო პერიოდში თურქეთის ხელისუფლება საშუალებას აძლევს ასეთ პირთ, ისწავლონ ქართული სალიტერატურო ენა, რაც მისასალმებელია.

3. თურქეთის ამჟამინდელი სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული კულტურის ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ეს ძეგლები ბოლო დრომდე პრიორიტეტული არ იყო თურქეთის ხელისუფლებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ ამ ძეგლებთან გაუცხოებული იყვნენ ადგილობრივი მუსლიმანი ქართველებიც... ერთი მხრივ, ბოლო პერიოდში თურქეთში გააქტიურებული ტურისტული ინტერესები, მეორე მხრივ კი, თურქეთის მოქალაქე ქართველებისა და თურქეთის აკადემიური წრეების დაინტერესება ამ ძეგლებით საფუძველს ქმნის, გადარჩეს მსოფლიოს კულტურული საგანძურის ის ნიმუშები, რომლებიც ტაო-კლარჯეთშია შემონახული.

დასასრულ, იმედი მაქვს, ტაო-კლარჯეთის ქართველთათვისაც კულტურულად ახლობელი გახდება მათი უშუალო წინაპრების აგებული სიმაღლეები: ხახული, ბანა, პარხალი, ოშკი, ხახული, ხანძთა, ოთხთა, დოლისყანა, ოპიზა, ხანძთა (პორტა), ნუკისაყდარი, დიობანის ციხე, წეფთის ციხე, შატბერდი, ოლთისი, თორთუმი, არტანუჯი...

14 სექტემბერი, 2012

## სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები

„გეოსტრატეგიულად საინტერესო საქართველო მრავალი საუკუნეა გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრშია; საქართველოს გამორჩეულად ლამაზი კუთხე – სვანეთი კი, გასული საუკუნეების მსგავსად, დღესაც ქართული კულტურის მეციხოვნეა“...

ეს წერილი და ქართული სამწიგნობრო კულტურის ქმნადობის ისტორიაში სვანეთის ქართველობის დიდი ღვაწლის ისტორია იხ. კრებულში: “სვანეთი – ქართული კულტურის სავანე”, თბილისი, 2008.

### სვანთა დამოწმება ისტორიულ წყაროებში

ერთ-ერთი უძველესი ქართველური თემის[1] – სვანების – ძირითადი საცხოვრისი – სვანეთი – მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე; კერძოდ, ზემო სვანეთი (მესტიის რაიონი) – მდინარე ენგურის ზემოწელში, ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი) – ცხენისწყლის ზემო წელში, დალის სვანეთი (ზემო აფხაზეთი, გულრიფშის რაიონის ნაწილი) – კოდორის ხეობის ზემო წელში. ეკომიგრანტ სვანთა ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს იმერეთისა და ქართლის სხვადასხვა სოფელში. სვანეთს სამხრეთით და დასავლეთით ესაზღვრება ლეჩხუმი, სამეგრელო და ქვემო აფხაზეთი (ისტორიული ეგრისი), აღმოსავლეთით – რაჭა, ჩრდილოეთით კი – ბალყარეთი და ყარაჩაი-ჩერქეზეთი. თერგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეებში დღემდე მრავლად შემორჩენილი ტოპონიმები და სვანური ტიპის სხვადასხვა შენობა-ნაგებობანი ცხადყოფს, რომ სვანები კომპაქტურად განსახლებულნი ყოფილან ჩრდილო კავკასიაშიც (ქართული და უცხოური წყაროების მიმოხილვისათვის იხ., რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ.78).

**სვანები პირველად სტრაბონთან (I ს.) ჩანან (სოანას);** მაშინაც ისინი კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ; ისტორიულ წყაროებშიც არის ცნობები, რომ თავდაპირველად სვანები განსახლებული იყვნენ აგრეთვე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზეც – **თერგსა და ყუბანს შორის არსებულ ტერიტორიაზე;** მაგ., მენანდრე პროტიქტორი (VI ს.), რომელიც, აღწერს რა ბიზანტიისა და სპარსეთის დავას სვანეთის გამო, ვრცლად იძლევა სვანთა დახასიათებას (გეორგიკა, 1936, გვ. 231); მისი ცნობით, სვანები კავკასიის მთების გარშემო ცხოვრობენ; შდრ., აგრეთვე, პრისკე პანიონელი (V ს.): “დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებს; სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (ლაზთა სარდლის?) წინააღმდეგ” (გეორგიკა, 1961, გვ. 261); სვანთა საცხოვრისის ძველი საზღვრების შესახებ იხ., აგრეთვე, თ. მიბჩუანი, 1993; ზ.

რატიანი, 1995, გვ. 57-61.

სარწმუნოა, რომ სვანებს ადრიდანვე კავკასიონის სტრატეგიული გადასასვლელები ეჭირათ; დიდი იმპერიები სწორედ ამიტომ ცდილობდნენ საქართველოს მთიანეთის ამ ნაწილის გაკონტროლებას; მაგ., ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდხანს გრძელდებოდა დაპირისპირება სვანეთის დანარჩუნების გამო (იხ. გეორგიკა, 1936, გვ.213-233).

სვანები, როგორც საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი მცველები, საქართველოს მოსახლეობას ჩრდილოეთიდან იცავდნენ ბარბაროსებისგან; შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩრდილოეთის ტრამალების ურდოებისგან საქართველოს დასაცავად არსებითი როლი ენიჭებოდა /ენიჭება/ კავკასიონის ჩაკეტვას; ბერძნულ-ბიზანტიური, ზოგადად, **ცივილიზებული სამყაროსთვის კავკასიონი მიიჩნეოდა ცივილიზაციის მიჯნად /პლინიუს უფროსი/;** შესაბამისად, ოდითგანვე სვანები არამხოლოდ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს, არამედ ცივილიზებული სამყაროს საზღვარს იცავდნენ.

ივ. ჯავახიშვილი, თავისებურად განმარტავს რა პლინიუსის ცნობას (“მდინარე ხობი კავკასიის მთებიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დის”), დაასკვნის: სვანები დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ; მისი აზრით, ამასვე ამტკიცებს გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვებაც, მაგ., ლეჩხუმი, ლებაჩილე და სხვა; შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუკავებიათ (ივ. ჯავახიშვილი, 1908, გვ. 46-47). მსჯელობა ეყრდნობა ამიერკავკასიაში ქართველთა ტალღოვნად მოსვლის მოსაზრებას (ივ. ჯავახიშვილი, 1908, გვ. 28, 50-55) და ეხმიანება დაუსაბუთებელ ე. წ. “ქართიზაციის” თეორიას. დღეს გაცილებით მეტი არგუმენტები ეძებნება კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობას; ნათლადაა გარკვეული ე. წ. “ქართიზაციის” უსაფუძვლობაც (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ., ა. ჯაფარიძე, 1996; ა. ჯაფარიძე, 2003; ტ. ფუტკარაძე, 2005), შესაბამისად, **უფრო კრიტიკულადაა განსახილველი პლინიუსის ცნობაც და ე. წ. ქართველთა მიგრაციის ტალღოვანი თეორიაც.** აღვნიშნავთ იმასაც, რომ ლე – პრეფიქსი არამხოლოდ სვანური, არამედ საერთოქართველური მონაცემი ჩანს.

ჩვენი აზრით, პლინიუსის ცნობის სხვაგვარი განმარტებაც შეიძლება: ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის წყაროებში, არაიშვიათად, ერთმანეთს ფარავს ტერმინები: სუანი, სანი, სუანოკოლხი, ეგერსვანი... ჩანს, სტრაბონისა და პლინიუსის დროს ტერმინი სვანი იმ რამდენიმე ქართველური ტომის (ეგრისის ნაწილის, დვალეთის, სკვიმიის, საკუთრივ სვანეთის მოსახლეობის...) გამაერთიანებელი კრებითი სახელია, რომელთაც რომაელები ვერ აკონტროლებდნენ (შდრ., ამ დროს რომაელთა გავლენის ქართველურ ველს ლაზიკა ჰქვია). დაუმორჩილებელ ქართველურ ტომთა სახელად სვანების სახელის განზოგადება, ალბათ, განაპირობა სვანების სიძლიერემ და მათ მიერ კავკასიის სტრატეგიული უღელტეხილების ფლობამ (კავკასიონის ისტორიული როლის შესახებ ვრცლად იხ., გ. ქავთარაძე, 1997; გ. ქავთარაძე, 2006).

სვანები სხვა წყაროებშიც ჩანან: პროკოპი კესარიელი (VI ს.): “მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სვიმნიაცა (ცხუმების მხარე – ლეჩხუმი/თაკვერი – ტ. ფ.) და სვანიაც და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს” (გეორგიკა, 1965, გვ. 202).

**სვანები – იბერიული ტომი და ოქროს საწმისი**

სტრაბონის მიხედვით, სვანები გამოირჩეოდნენ სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. სტრაბონის ცნობითვე, სვანებს ჰყავთ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების ჟამს გამოჰყავთ 200 000-კაციანი ლაშქარი. სტრაბონის ცნობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ოქროს საწმისის მითის დაკავშირება სვანების საცხოვრისში არსებულ მდინარეებთან; კერძოდ, **სტრაბონი იმოწმებს შემდეგი სახის ძველ ცნობას** (მოგვყავს ინგლისურ და რუსულ თარგმანებთან შეჯერებული ტექსტი):

“ოქროს საბადოების გამო, რომლისგანაც წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებ, დასავლეთის იბერების ანალოგიით, სვანებს ზოგი აღმოსავლეთის იბერებსაც უწოდებს, რამდენადაც ოქროს საბადოები არის ორივე იბერიაში” (რუსული თარგმანისათვის იხ., სტრაბონი, 1964, გვ. 473, XI, II,14-19).

ტერმინები: **კავკასიის იბერია და აღმოსავლეთის იბერები** პირველად ჩნდება ძვ. წ. IV-

II საუკუნეების ავტორებთან: მეგასთენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები ალბანელები და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ევფრატ-ჭოროხ-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და პონტოს ზღვასთან, ალბანელები კი – აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან. შდრ., აგრეთვე: ვატიკანში დაცული "საეკლესიო ანალების" მიხედვით, **კოლხეთი ზემო იბერიაა:**

**"იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პაპობის წლები – 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს"** (ი. ტაბაღუა, 1984, გვ.171)...

სხვა წყაროთა მიხედვითაც ჩანს, რომ **უცხოური წყაროების კოლხი და იბერი** სხვადასხვა პერიოდში მთელ ქართველურ მოდგმას მიემართებოდა (დროის გარკვეულ მონაკვეთებში უცხოური ქორონიმები: კოლხა და იბერია სრულიად ქართლის სინონიმებია!); შესაბამისად, ოქროს საწმისისა და კოლხიდას შესახებ არსებული ბერძნული ტრადიციების გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ: **ს ტრაბონისდროინდელი ლაზების, სვანებისა და სხვა ქართველური თემების საერთო წინაპრების – კოლხების – ქვეყანაში, ანუ აღმოსავლეთ იბერიაში – შავიზღვისპირა იბერიაში, ანუ ქართული წყაროების ძველ ქართლში** (სადაც ოდითგანვე შედიოდა ეგრის-აფხაზეთიც, სვანეთიც, მესხეთიც და დღევანდელი ქართლ-კახეთის პროვინციაც), მოიპოვებოდა ოქრო, რამაც საფუძველი დაუდო მითს ოქროს საწმისის შესახებ. ასევე, რამდენადაც ძვ. წ. დასასრულს ბერძნულ სამყაროში მითური აია-კოლხეთის ცენტრად ქუთაისი იყო წარმოდგენილი, ლოგიკურია, რომ I საუკუნეში სწორედ ამ ქალაქს დაუკავშირდა ოქროს საწმისისა და ფაზისის თემა. ფაზისი კი სათავეს იღებს კოლხეთში/აიაში – იბერიული ტომის – სვანების საცხოვრისში.

**სვან– ფუძის ისტორიის საკითხი**

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა გარკვეული სვან– ფუძისგან წარმოქმნილი ვარიანტების ფონეტიკური საფუძვლები:

საერთოქართველური **სვან**– >> ზანურ-სვანური **შუან** (>> თვითსახელწოდება: **მუ-შუან-**) >> ზან. **შონი;** საერთოქართვ. **სვან**– >> აფხაზ. **ა-შუან-უა**...

ვფიქრობთ, **თემონიმი "სვანი"** მომდინარეობს ***სან–** ფუძის ლაბიალიზებული ***სუან–** ვარიანტისგან, რომელიც, ჩანს, საერთოქართველურშივე არსებობდა; სწორედ ამ ლაბიალიზებული ბგერის მეზობლობას უნდა შეეწყო ხელი *შან-/შვან– > შონ– პროცესისთვის.

ვვარაუდობთ: **სუან-, ზან– და ჭან–** ფუძეებისთვის ამოსავალი უნდა იყოს **სან**-. შდრ.: ერთი მხრივ, წინაენისმიერ ყრუ თანხმოვანთა მონაცვლეობით წარმოქმნილი ვარიანტები: **სან-, ზან-, ჭან-, *წან– (წან-არ-?);** მეორე მხრივ, კი: ს-ს ლაბიალიზაციით (თუ ლაბიალიზებული ს-სგან?) მიღებული **სან– > სვან-/შონ-/(მუ)შუან– და შონ– ფუძეები.**

**შენიშვნა:** ჩვენი აზრით, საერთოქართველური ა ხმოვანი ინტერკონსონანტურ პოზიციაში ზანურში იმ შემთხვევებში გვაძლევს **ო** რეფლექსს, როდესაც წინამავალი თანხმოვანი ლაბია-ლურია ან ლაბიალიზებულია (ლაბიოველარიზებულია): წინაენისმიერი ან უკანაენისმიერი თანხმოვნების ლაბიოველარიზებული ალოფონები წარმოადგენენ ბაზას ზანურის **ა > ო** პროცესისთვის; შდრ.: ქართვ. **კაცი** > ზან. **კოჩი,** მაგრამ: ქართვ. **ლავიწი** > ზან. **ლაბერჯი/ლაბერწი;** ქართვ. **სადავე** "ავშარა" > ზან. **სადიო;** ქართვ. **გაცნობა** > ზან. **გაჩინეფა;** ქართვ. **ადარებინებს** > ზან. **ოდარებაფუანს;** ქართვ. **ამზადებს** > ზან. **ზადუნს;** ქართვ. **ზადი** > ზან. **ზანდი** "ჩირქი"; ქართვ. **კაკანი** > ზან. **კაკაფი;** ქართვ. **კავი/კაკვი** > ზან. **კაკვი;** ქართვ. **კალო** > ზან. **კალე;** ქართვ. **კანი** > ზან. **კანი;** ქართვ. **კარი** > ზან. **კარე;** ქართვ. **კალთა** > ზან. **კართე** და მრავალი სხვა. ამგვარი სიტყვები ზანური ლექსიკური მარაგის უდიდეს ნაწილს შეადგენს, ამდენად, ულოგიკო იქნება, ისინი ქართული სალიტერატურო ენიდან "ნასესხობად" ჩაითვალოს; ამ რიგის ფორმები საერთოქართველურიდანაა მომდინარე (ამ საკითხის შესახებ ვრცლად სხვაგან გვაქვს მსჯელობა).

**სუან**– ფუძე სხვა შემთხვევებშიც დასტურდება:

თემონიმი **სოუანნოკოლხოი** დასტურდება კლავდიოს პტოლემაიოსთან (100-178): სუანოკოლხები ცხოვრობენ ჰენიოხებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის; დაახლოებით,

ამ ადგილებში არიანე და სხვა ავტორები სანიგებს ასახელებენ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.160-162). რამდენადაც პტოლემაიოსი **სუანოკოლხებს** კოლხეთს გარეთ ათავსებს, გაჭირდება იმ აზრის გაზიარება, რომ ისინი ის სვანები არიან, რომლებიც კოლხეთში ცხოვრობენ (შდრ., თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.161).

პტოლემაიოსის სახელმძღვანელო ძირითადად მიჰყვება ფსევდო-სკილაქსს, არიანესა და პლინიუსს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.164); ბუნებრივია, ის იცნობს სტრაბონსაც; გამომდინარე აქედან, უნდა დავუშვათ, რომ იგი ეთნონიმ სანიგებს გააზრებულად ცვლის **სუანოკოლხებით,** რომლითაც, ჩანს, იგი აღნიშნავს ძველი კოლხების მემკვიდრე ერთ-ერთ ტომს; ამგვარი ხაზგასმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ, პტოლემაიოსის მიხედვით, სუანოკოლხები ცხოვრობენ მისეული კოლხეთის გარეთ – სარმატიაში.

საყურადღებოა ისიც, რომ ჰეკატაიოს მილეტელი (ძვ. წ. 549-472) დღევანდელი მდინარე ბზიფის რაიონში ასახელებს კოლხურ ტომს – კორაქსებს (შდრ., მისი აზრით, კოლები ბზიფის აუზსა და დიოსკურიას შორის არიან). სუანო-კოლხებს სვანებისა და მეგრელების შერევით წარმოქმნილ ტომად მიიჩნევს ივ. ჯავახიშვილი (1960, გვ.429).

პ. ინგოროყვას აზრით, **სვანო-კოლხების** აღმნიშვნელი უნდა იყოს საკუთრივ ქართული წარმომავლობის ტერმინი **ეგერ-სვანი,** რომელიც გვხვდება სომეხ ისტორიკოს ფავსტოს ბიზანტიელთან (პ. ინგოროყვა, 1954, გვ.145).

ჩვენი აზრით, **წარმოდგენილი კომპოზიტები უნდა ასახავდეს ზანურ-სვანურის დიალექტური ერთობის პერიოდს – ძვ. წ. დასასრულს; ამ პერიოდში მეგრელ-ლაზები და სვანები ჯერ კიდევ ერთიანნი იყვნენ** და აღმოსავლელი ქართველისთვის, ასევე უცხოტომელი მეზობლებისათვისაც დასავლელი **ქართველობა ერთიან ქართულ თემად გაიაზრებოდა.** საგანგებოდ აღვნიშნავთ: ქართველურ ენობრივ ერთეულთა დაშლის დეეტერსის სქემასთან შედარებით, გაცილებით არგუმენტირებადია არნ. ჩიქობავას მოსაზრება; დაწვრილებით იხ., მ. ქურდიანი, 1996; ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 270-308).

**აქვე განსახილველია მუშუან– და მისიმიან– ფორმათა მიმართებაც:** აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ვრცლად მსჯელობს მისიმიელთა შესახებ; მისი ცნობით, ეს ხალხი კოლხთა/ლაზთა მეფის ქვეშევრდომია, მსგავსად აფსილებისა, ოღონდ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს (ე. ი. გამოდის, რომ აგათიას ცნობით, აფსილები ლაზებისგან განსხვავებულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ!). აგათიასვე ცნობით, მისიმიელები აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთით; აგათიას მისიმიელები მიაჩნია კოლხთა და აფსილთა ნათესავად; ს. ყაუხჩიშვილის ლოგიკური ვარაუდით, მისიმიელები/მისიმიანები სვანური ტომია (გეორგიკა, 1936, გვ.86, 161-162, 172, 347-348).

**მისიმ**– ფუძე შეიძლება დავაკავშიროთ სვანთა თვითსახელწოდებასთან; შესაძლოა, წარმოდგენილი ბერძნული ფორმა სვანური **მუშუან**– ფუძის სახეშეცვლილი ვარიანტი იყოს: **მუშუან– > *მუშუნ– > მიშინ-/მისიმ-;** შდრ.: ქვემოსვანური – **მუშუან,** ბალსზემოური – **მუშან,** ბალსქვემოური – **მუშნი,** ლატალური – **მუშუან/მუშან; მუშან** ფორმისთვის ამოსავალი შეიძლება იყოს **მო-შან-: მო-შან/მო-სან;** შდრ.: მ**ო-ფრანგ-ე, მო-ხევ-ე.**

შდრ., პ. ინგოროყვა, 1954, გვ.144: **"*მგ-სიმი-ან-ი** თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს: **მ–** თავკიდური პრეფიქსია, რომელიც ერთვის ეთნიკურ სახელებს, ხოლო **–ან-,** ასევე, ეთნიკური სახელების დეტერმინანტი სუფიქსია.

**ქართველთა (/სვანთა) დედაენა და სვანური კილოები**

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი კამათის საგანია ქართველთა დედაენის ისტორიის დათარიღება. ჩვენი აზრით, ქართველი ერის უძველესი ენა – საერთოქართველური ენა – არსებობდა ძვ. წ. II ათასწლეულიდან (შდრ.: ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში უნდა არსებულიყო ქართველურ-კავკასიური ენა, რომელსაც, სავარაუდოა, ენათესავებოდა შუმერული, ხურიტული და ხათური ენები; ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, ფუტკარაძე, 2006).

**ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულიდან საერთოქართველურს უშუალოდ აგრძელებს ძველი ქართული სამწიგნობრო ენა, რომელიც ქართველურ თემთა (მათ შორის სვანთა) დედაენა და ზოგადქართული კულტურის ენაა;** მისი ადრეული ვარიანტი ძველი ქართული ხანმეტი ენის

სახელითაა ცნობილი (დასტურდება ადრეული ქართული ქრისტიანული ტექსტების სახით).

ქართველთა დედაენის არქაული სახისთვის დამახასიათებელი ფუძეების გარდა (რომლებიც, არაიშვიათად, ფონეტიკურადაა სახეშეცვლილი), სვანურში შემონახულია ბევრი საერთოქართველური ენობრივი მოვლენა; მაგ., წყვილბაგისმიერი სონანტის /უ-ს/ უმარცვლო ვარიანტი; ჲ და ჴ ბგერები, ერგატივის –მან ნიშანი (*მარე-მან-ემ), ზმნათა უთემისნიშნო ვარიანტები, ხ– პირის ნიშანი და სხვ. აქ სამაგალითოდ განვიხილავთ ხანმეტობას:

**ხუთივე თანამედროვე სვანურ კილოში** (ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, ლენტეხურში, ლაშხურში, ჩოლურულში) კარგადაა შემონახული ხ– პრეფიქსი, რომელიც ბუნებრივი იყო არქაული ქართული სამწიგნობრო ენისთვის (შდრ., ხანმეტობის კვალი ჩანს, ასევე, ხევსურულსა და თუშურში); კერძოდ:

ახ. წ. V-VII საუკუნეების ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად, სვანურში ხ– პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში: **ხ-იშხი** “იწვი”, **ხ-ასყი** “აკეთებ”, **ხ-ატბიდე** “ათბობ”... **ხ-ალატ** “უყვარს”, **ხ-აჰუდი** “აძლევს”, ხ-აგდი “ეძინება”.... იგივე ხ– პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+უ–** სეგმენტში: საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოებშიც პირველი პირის ნიშანია **უ/ვ,** რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება ხ+უ– სეგმენტის **ხ-ს,** ლოგიკური ჩანს, დავუშვათ: **ხ–** პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურ ფორმებში **ხუ–** ერთიან მორფემად გადააზრიანდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა.

**რატომ არ შენარჩუნდა ხანმეტობა სხვა ქართველურ კილოებში?** პასუხი მარტივია: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოებზე, შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვალების დინამიკას; ასევეა მსოფლიოს ყველა ენა, მაგ., კლასიკურ არაბულს მეტად დაშორდნენ განაპირა არაბული კილოები, რომელთა **ურთიერგაგებინება დღეს შეუძლებელია. ასევეა გერმანული ენობრივი სამყაროც...**

სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი ენობრივი სიტუაცია დიგლოსიით აღინიშნება.

კლასიკური არაბულის მსგავსად, **ქართული სამწიგნობრო ენა ნორმირებულია და, შესაბამისად, მდგრადი** (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა, ხალხური მეტყველების გავლენით (მწერალთა მიერ გამოყენებული დიალექტური ფაქტების სიხშირის პროპორციულად) საერო მწერლობის ენა (სასულიეროსგან განსხვავებით) გარკვეულწილად მაინც იცვლება; თავის მხრივ, ხალხური მეტყველებაც (განსაკუთრებით ცენტრალური კილოები) განიცდის სამწიგნობრო ენის გავლენას... რამდენადაც, ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, **ლოგიკურია, განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი არქაიზმიც გვქონდეს** (საერთოქართველურთან მეტად დაშორების მიუხედავად) და ბევრი ინოვაციაც (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე პირობებში სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით, განაპირა კილოებიც თმობს თავის პოზიციებს); შდრ.: საქართველოს განაპირა (სასაზღვრო) კუთხეებში, სხვა ქვეყნების მოსაზღვრე მხარეთა მსგავსად, **დიდია მეზობელ ნათესავ, თუ უცხო ტომთა გავლენა** (ურთიერთგავლენა!) ინტენსიური ურთიერთობების გამო; არაიშვიათია სუპერსტრატული მოვლენებიც: სისხლისძიებას გამოქცეული გვარები სახლდებოდნენ საქართველოს მთიანეთში; მიგრანტები თანდათან ქართველდებოდნენ, მაგრამ **თავიანთი ენისა თუ წეს-ჩვეულების კვალს ტოვებდნენ ავტოქთონი ქართველების მეტყველებასა თუ ყოფაში;** შესაბამისად, განაპირა რეგიონებში უფრო იცვლებოდა ზეპირი მეტყველება, თუმცა, ამავე დროს, ამავე პირობებში (სალიტერატურო ენის ახალი ნორმების ნაკლები გავლენის გამო) დიდხანს ინახება არქაიზმებიც.

**სვანეთში ქართველთა საშინაო მეტყველების (დიალექტების) სერიოზული ცვალების ფონზე საერთოქართველურისა და არქაული ქართული სამწიგნობრო ენის სტაბილურობა (/ უცვლელობა) განაპირობა ძლიერმა საღვთისმსახურო ტრადიციამ: სვანეთში წარმართული**

**შელოცვებიც კი დღემდე არქაული ქართულითაა შემონახული, რაც, ამავე დროს, ადასტურებს ქრისტიანობამდელი საერთოქართველური საღვთისმეტყველო ენის არსებობას** (ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, რ. ხაჭაპურიძე, 2001).

ბევრი სხვა ფაქტიც ცხადყოფს, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე სვანები თავიანთ დედაენაზე – **საერთოქართველური ენის უშუალო მემკვიდრე სამწიგნობრო ენაზე** – სხვა ქართველებთან ერთად ქმნიდნენ დიდ ეროვნულ კულტურას; შესაბამისად, აშკარაა, რომ **საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სვანეთი ოდითგანვე იყო დიდი ქართული კულტურის სავანე.** გარდა ამისა, ქვეყნის გაჭირვების ჟამს მთის ქართველური მოდგმის გაუტეხელობა და კავკასიონის ბუნებრივი ზღუდეები ქმნიდა ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის მყარ გარანტიას; **სვანეთში დღემდე მძლავრია სახალხო განძის საიდუმლოდ შენახვის ტრადიცია.**

სვანეთის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ბურჯის, მოშლას საგანგებოდ შეეცადა მეფის რუსეთი: XIX საუკუნეში რუსეთისთვის მეტად აქტუალური იყო სვანეთში არსებული კავკასიონის უღელტეხილები (დღევანდელი რუსეთი ჯერჯერობით როკის გვირაბით არის გარანტირებული!); ამიტომაც **იმპერია შეეცადა არამხოლოდ აქაური ქართველობის ფიზიკურ დამორჩილებას, არამედ გადაბირებას და ცნობიერ გადაგვარებას;** კერძოდ: სასულიერო პირების ფორმით მთაში ასული იმპერიის ემისრები ქადაგებდნენ, რომ სვანები ქართველები არ არიან, რომ მათი დედაენა არის არა ქართული, არამედ – სვანური; შესაბამისად, დაიწყეს კიდეც სახარების თარგმნა ერთ-ერთი სვანური კილოს ბაზაზე, მაგრამ **მრავალჭირვარამგამოვლილი ქართველობა იოლად მიხვდა დამპყრობლის მზაკვრობას:** მტერი სვანებს ართმევდა მრავალსაუკუნოვან მწიგნობრულ დედაენას – ისტორიულ კულტურას, უკარგავდა სახელმწიფოებრივ წარსულს და ვითარცა ველურებს, XIX ს. ბოლოს უქმნიდა ანბანს და უთარგმნიდა სახარებას.

**სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები – II ნაწილი**

**თუ არა სვანმა კაცმა, უკეთ სხვამ ვინ იცის, რომ ენა დედაა ერისა და წინაპრების მიერ შექმნილი რაც უფრო დიდი ისტორიის მქონე სამწიგნობრო ენა აქვს ადამიანს, მით უფრო ღირსეული და ამაყია.**

XIX საუკუნეში რუსეთის მიერ გაუქმებული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; რუსეთისგან დანიშნული სასულიერო პირების ამ ავანტიურამ კი სვანებს სასულიერო პირებისადმი ნდობა დაუკარგა.

იმპერიის მრავალმხრივი აქტიურობის მიუხედავად, სვანებმა – კავკასიის სტრატეგიული უღელტეხილების გამოცდილმა მცველებმა – ბოლო საუკუნეებშიც წარმატებით დაიცვეს ქართული ენობრივ-ეროვნული იდენტობა და ცივად გამოუხურეს კარი იმპერიის მზაკვრულ შემოთავაზებას. **საკითხის ისტორია ვრცლადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში** (თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001; ტ. ფუტკარაძე, 2005; მ. ტაბიძე, 2005; თ. გვანცელაძე, 2006...). აქ სამაგალითოდ წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს დიდი საზოგადო მოღვაწეების – **ბესარიონ ნიჟარაძისა** (წმინდა ილია მართალის თანამოაზრის) და **ივანე მარგიანის წერილებიდან. ქვემოთ წარმოდგენილი ფრაგმენტები დღესაც აქტუალურია, რამდენადაც ახლაც არაიშვიათია სხვა ქართველებისგან სვანების გამიჯვნის მცდელობა და ახლაც აქტიურობენ ქართველობის ენობრივ-ეთნიკურად დაშლის მოსურნენი,** ახლაც ცდილობენ ქართველურ კილოებზე თარგმნონ წმინდა წერილი, რათა ამ კილოების სამწიგნობრო ენებად გამოცხადებით სამწიგნობრო წარსული წაართვან სვანებს, ლაზებს, მეგრელებს და ამ გზით დაშალონ ჩვენი ერი.

შევნიშნავთ იმასაც რომ, ქართულ მასმედიაშიც და საეჭვო ღირებულების სამეცნიერო პროდუქციაშიც, არაიშვიათად, შეგნებულად გამოიყენება ისეთი არაადეკვატური შესიტყვებები, როგორიცაა: **სვანები – უმწიგნობრო ენის მქონე ხალხი, სვანი კრიმინალი, სვანი ეროვნება,** სვანური კულტურა, სვანური ენა – უმწერლობო ენა, სვანური ეთნოსი, სვანოლოგია და სხვ. შდრ., **ბ. ნიჟარაძე და ი. მარგიანი სამართლიანად თვლიდნენ, რომ სვანთა დედაენაა ქართული, ხოლო სვანური მეტყველება ქართულის განშტოებაა, ნაირსახეობაა, დიალექტია და არა ცალკე ენა.**

**ბესარიონ ნიჟარაძე** (“რა ენაზედ ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთსა”, გაზეთი ივერია, 4 თებერვალი, #28, 1904):

**“სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეჰრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო!** ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ის დაჟინება და სვანების გასხვისტომება”... სვანეთში ღვთის დიდება ძველთაგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს. რომელ მათთვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა ამ მივარდნილს ქვეყანაში, თუ არა, ისევ ქართულსა, რომელიც სვანებს დედაენად მიაჩნიათ?!”.

**სვანურის ქართულობის დასადასტურებლად ბესარიონ ნიჟარაძემ შეადგინა ლექსიკონი,** სადაც აჩვენა, რომ სვანური სიტყვაფორმები ძირითადად საერთოქართულ ძირებს იმეორებს და სვანური ქართული სამწიგნობრო ენის საგანმურია, რამდენადაც ბევრი ძველი ქართული სიტყვა სწორედ სვანურ კილოებშია შემონახული... აქვე აღვნიშნავთ, რომ ახლახან გამოიცა ბესარიონ ნიჟარაძის დიდი შრომით შექმნილი ლექსიკონი, სადაც სალიტერატურო ქართულს მიწერილი აქვს ბალსზემოური დიალექტის ფორმები/ვარიანტები; იქვეა რუსულენოვანი თარგმანები. ამ ქართულ(/სვანურ)-რუსული ორენოვანი ლექსიკონის გამოსაქვეყნებლად მომზადებისთვის დიდი ღვაწლი გასწია **ქ-ნმა ლელა ნიჟარაძემ,** თუმცა, **სამწუხაროდ, წიგნის სათაურში დაიკარგა (არ აისახა!) ბესარიონ ნიჟარაძის მთავარი მიზანი: სვანური ნამდვილი ქართულია! მეტიც, ბ. ნიჟარაძის ხელნაწერის ჩვენების საწინააღმდეგოდ, ამ ლექსიკონს გამომცემლებმა რატომღაც დაარქვეს “ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი”** და წინასიტყვაობაშიც, ბესარიონ ნიჟარაძის პოზიციის საპირისპიროდ, ნაშრომი სამენოვან ლექსიკონად მონათლეს; **ამით მიიჩქმალა ბესარიონ ნიჟარაძის ნაანდერძევი გზაცა და ლექსიკონის ძირითადი სათქმელიც: სვანური იგივე ქართულია.**

აქვეა სათქმელი ისიც, რომ ბესარიონის ღვაწლის მიჩქმალვის მსგავსად, თანამედროვე “დაუინტერესებელმა” გამომცემლებმა გააყალბეს ცნობილი მოღვაწის – პეტრე ჭარაიას “მეგრული ლექსიკონის” არსიც და მას დაარქვეს “მეგრულ-ქართული ლექსიკონი” (არადა, პეტრე ჭარაია ამტკიცებდა, მეგრული ქართულის კილოა და არა ცალკე ენაო! ამის შესახებ იხ., თ. გვანცელაძე, 2006). გამომცემლებმა, ასევე გარკვეული ქვეტექსტით, ოთარ ქაჯაიას შესანიშნავ “მეგრულ ლექსიკონს” “მეგრულ-ქართული ლექსიკონი” დაარქვეს (ჩემთან პირად საუბარში ბატონმა ოთარ ქაჯაიამ თქვა, რომ ორენოვან ლექსიკონად სახელდება გამომცემლების მოთხოვნა იყოო...).

**ილია ჭავჭავაძისა და ბესარიონ ნიჟარაძის დიდებული თანამებრძოლი იყო ივანე მარგიანი;** იგი წერდა [სვანური “ენა” და ახალი აშორდია, “შინაური საქმეები, #25, 1911]:

“თუ რომელიმე მეცნიერი აქამდისინ ზერელედ უყურებდა ამ საკითხს და სვანებს შეცდომით თიშავდა ქართველებისაგან... **დღეს ამ გვარი გარეწროებით ვერავის ვერ დაუბნელებს თვალებს...** საზოგადოება... ყოველთვის აფასებდა... ამგვარ ვაჟბატონთა “პოლიტიკანობა-გაიძვერობას”... “ნუ სწუხდები, ბ. წერეთელო, ჩვენ გასაგებ ენაზედ ვადიდებთ ღმერთსა... **ქართული ენა ჩვენთვის ღვიძლი ენაა, გასაგებიცა და საუკუნოებისაგან ნაკურთხიც”...** “სვანური კილოკავებისა და ქართული ენის შედარება უნდა მოხდეს არა XIX ს-ის მიწურულის გამარტივებულ-გაღარიბებული სალიტერატურო ქართულის მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის საფუძველზე”. “სვანური “ენა” (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელიც პირველს გაგონებაზედ უცხო ენად ეჩვენება კაცს, თითქმის იგივე ქართული ენაა. სამი მეოთხედი სვანურის სიტყვების, ნამდვილად ქართული სიტყვებია”...

ჩვენს ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა ათეიზმმაც და საბჭოურმა სამეცნიერო თეორიებმაც, რომლებიც მეტ-ნაკლებად ამჟამადაც ზემოქმედებს საზოგადოებაზე; თუმცა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უკვე ადეკვატურად გაიაზრება საქართველოს, საქართველოს ყველა კუთხის და, ზოგადად, ქართული ენობრივ-კულტურული ისტორია; **სვანეთის ეკლესიებშიც მტკიცედ დაბრუნდა მოძღვარი, სვანეთის ისტორიული როლის უკეთ წარმოჩენაც მოხდა.**

თვითმყოფადი საქართველო და კავკასიონი დღეს ისევ მიჯნავს თუ აერთებს ორ სხვადასხვა სამყაროს (გეოსტრატეგიულად საინტერესო საქართველო/ამიერკავკასია კაცობრიობისთვის ახლაც არსებით გზაჯვარედინზეა); გასული საუკუნეების მსგავსად, დღესაც, მკაცრი და ლამაზი ქართული მხარე – სვანეთი – საქართველოს უღალატო მეციხოვნე და **ქართული კულტურის სავანეა.**

**დამოწმებული ლიტერატურა:**


1. გეორგიკა, 1936 – გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1936
2. გეორგიკა, 1961 – გეორგიკა, თბ., 1961
3. გეორგიკა, 1965 – გეორგიკა, თბ., 1965
4. თ. გვანცელაძე, 2006 – თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006
5. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001– თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება; ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001;
6. რ. თოფჩიშვილი, 200I; რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002
7. თ. მიბჩუანი, 1993 – თ. მიბჩუანი, "სვანი" და "სვანეთი" ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993
8. ზ. რატიანი, 1995 –ზ. რატიანი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995
9. სტრაბონი, 1864 – Страбон, География, М, 1964
10. ი. ტაბაღუა, 1984 – ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ.,1984
11. მ. ტაბიძე, 2005 – მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი საქართველოში, თბ., 2005
12. ტ. ფუტკარაძე, 2005 – ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005
13. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, რ. ხაჭაპურიძე, 2001 – ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, რ. ხაჭაპურიძე, შელოცვების ენა ქართველური დიალექტების მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, V, 2001
14. გ. ქავთარაძე, 1997 – გ. ქავთარაძე, საქართველო და კავკასიონი (საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეფციისათვის), მნათობი, #3-4, გვ. 147-163; მნათობი, #5, გვ. 103-121, 1997;
15. გ. ქავთარაძე, 2006 – G.Kavtaradze, Caucasian Georgia – A Bridgehead or a Stronghold of the Modern Geopolitical Games. A Look from the Historical Perspective, – Amirani, XIV-XV, Montréal – Tbilisi, 2006, pp. 134-140; www.geocities.com/komblege/games.htm
16. გ. ქავთარაძე, 2006 – გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, თბ., 2006
17. მ. ქურდიანი, 1996 – მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა; ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996
18. თ. ყაუხჩიშვილი, 1957 – თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957
19. თ. ყაუხჩიშვილი, 1967 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967
20. თ. ყაუხჩიშვილი, 1976 – თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976
21. ი. ჯავახიშვილი, 1908 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908
22. ი. ჯავახიშვილი, 1960 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1960
23. ა. ჯაფარიძე, 1996 – ა.ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I-III, თბ., 1996
24. ა. ჯაფარიძე, 2003 – ა. ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003


9 იანვარი, 2014 (16 ოქტომბერი, 2020)

# სწორფერნი ანუ სიყვარული, მორალი და ვნება [1]

მამაკაცის ბუნებრივი მიზიდულობის ცენტრია ქალი; ჩემთვის ქალი შვილის წიაღი და მამაკაცად ყოფნის უთბილესი მხარდაჭერაა. ღირსეული მამაკაცისთვის ქალი სასიამოვნო და სახიფათო ევერესტია, სამშობლო – მიზანი, უფალი კი – ორიენტირი.

ქალის თემაზე ფიქრისას, პირველ რიგში, **"სწორფერის"** ინსტიტუტს ვუტრიალებ:

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში – ფშავ-ხევსურეთში – ახალგაზრდას (ქალს, მამაკაცს) უფლება აქვს, ჩვეულებრივ მეგობრობაზე უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდეს საპირისპირო სქესის პიროვნებასთან; ხევსურეთში ამ ურთიერთობას სწორფრობა ჰქვია; საბჭოთა პერიოდამდე სწორფერნი ღამეს ერთად ატარებდნენ (ქალი მიდიოდა მამაკაცთან), ოღონდ ფიზიკური შეხება გამორიცხული იყო; ე. წ. არაგვული (გვიანდელი?) სწორფრობა ქალისადმი კოცნასაც უშვებდა, თუმცა, მათაც ეკრძალებოდათ სექსი და ცოლქმრობა (ხევების მიხედვით სხვაობს სწორფერთა ქცევის საზღვრები; იხ. ნ. ბალიაურის მასალა); გარდა ამისა, სწორფერი არ შეიძლება იყოს ახლო ნათესავი. ფშაური წაწლობაც კრძალავდა ცოლქმრობას, თუმცა, აქ მეტი იყო ვნების გამოვლენის ხარისხი (გარდა ამისა, აქ მამაკაცი სტუმრობდა ქალს).

სწორფერობა ნამდვილად არ არის "სექსუალური თამაში", როგორც ამას ზოგი ეთნოგრაფი წერს; ვაჟას პოეზიის შემქმნელ მთაში ფილოსოფიის გარეშე ასეთი საოცარი ინსტიტუტი ხანგრძლივ სიცოცხლეს ვერ მოიპოვებდა; მით უმეტეს, სწორფრობის ბოლო სტადია იყო დობილ-ძმობილობა... სწორფრობის "ფილოსოფიას" პირობითად **სწორფერის მისტერია** ვუწოდოთ.

სწორფერნი, პირველ რიგში, უერთგულესი ურთიერთგამგები, ინტენსიურად და სიღრმისეულად მოსაუბრე მეგობრები არიან; აქვე **მეგობარ**– ფუძის სემანტიკის შესახებ: **მეგობარი** – სულიერი და ცნობიერი ცხოვრების თანაზიარი, თანამოაზრე, ყველაზე სანდო ადამიანი (ეტიმოლოგიურად: მე-გუებ-არ-ი – ვინც გიგებს და გეგუება).

სწორ-ფერი – კომპოზიტია და ძალიან ჰგავს გამოთქმას: "ფერი – ფერს, მადლი – ღმერთს"; "სწორფერობა" გულისხმობს თანასწორი და ურთიერთშესაფერისი ადამიანების უზადო მეგობრობას. **სწორფერობა ქალისა და მამაკაცის, როგორც ორი თავისუფალი პიროვნების, უსაზღვრო სიყვარულის რეალიზებაა,** თუმცა, სწორფერი ვალდებულია, შეიკავოს თავი ვნების გამოხატვისგან, მით უმეტეს, სექსისგან – ამქვეყნად ყველაზე ინტიმური და ხორციელი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო პროცესისგან; ეს თავშეკავება ფსიქიკის საოცარი წრთობაა.

სწორფერის თავშეკავებისგან განსხვავდება ბერ-მონაზონთა მიერ **ხორციელი სამყაროს დათმენა-დათმობა:** ბერი (მონაზონი) ცდილობს, საკუთარ თავში დაამცროს ხორციელი საწყისი, სწორფერი კი ეფერება შეყვარებულს (რამაც შეიძლება აღაგზნოს ვნება), მაგრამ ვალდებულია, შეძლოს გააქტიურებული სექსუალური ენერგიის ტრანსფორმირება გამაკეთილშობილებელ მეგობრულ ენერგიად; ამის გამოა, რომ **სწორფერი ახლო ნათესავზე ახლობელია**.

**სწორფერის მისტერია** მაღალზნეობრივი საზოგადოების თანასწორი პიროვნებების (ქალისა და მამაკაცის) თავისუფალი, მაგრამ არაცოლქმრული სიყვარულია; შდრ.: ეთნოგრაფების მასალების მიხედვით, მთიელთა ცოლქმრობა უფრო პრაგმატული გარიგების შედეგი იყო.

სწორფერობის არსში უფრო ღრმად გასარკვევად დაგვჭირდება უძველესი ქართველების ენობრივ აღქმაში ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულების ასახვის ანალიზი. ქართულ ენაში, როგორც მსოფლაღქმის ერთ-ერთ უძველეს სისტემაში, ქალი და მამაკაცი ოდითგანვე საოცრად ჰარმონიულადაა გააზრებული:

ტერმინი "კაცი" ნიშნავს ადამიანს; ეს არსებითი სახელი გამოყენებულია როგორც **მდედრის** (დედა-; დედ-ალ-), ასევე, **მამრის** (მამა-; მამ-ალ-) საზღვრულად – ჩვენმა წინაპრებმა გააზრებულად შექმნეს თანაბარცნებიანი ორი კომპოზიტი:

მდედრი ადამიანი – დედა-კაცი > **დედაკაცი;**

მამრი ადამიანი – მამა-კაცი > **მამაკაცი**[2].

სიტყვა-ფორმა "კაცი" მომდინარეობს კაც-/კეც– ამოსავალი ფუძისგან, რომელიც არქაულ ქართულში "თიხას", "მიწას" აღნიშნავდა; ლოგიკურია დავუშვათ, ბიბლიის ენის მსგავსად, ქართულ ენაშიც "კაცი"/კეცი/ "თიხას" აღნიშნავს; კაცი/კეცი "თიხა" ადამიანთა მოდგმისთვის ამოსავალი სახელია, ზოგადად, ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვაა: კაცობრიობის სათავე უფლის

მიერ სულშთაბერილი თიხაა.

სხვა ძალიან საინტერესო პარალელიც გვაქვს:

შუმერულ მითოლოგიაში ღმერთ **ანუს** დავალებით ქალღმერთმა **არურუმ** თიხისაგან შექმნა **ენქიდუ;** არ ვიცი, შუმერულში უკავშირდება თუ არა სიტყვაფორმა "ენქიდუ" თიხის/მიწის აღმნიშვნელ ფუძეს, მაგრამ ფაქტია, რომ ებრაულ თუ ქართულ ცივილიზაციამდე არსებულ კულტურაშიც ხორციელი მამაკაცი თიხისგან იქმნება.

ებრაულისა და შუმერულისგან ქართული ენობრივი მსოფლაღქმა გამორჩეულია იმით, რომ ჩვენს ენაში კაცი ადამიანია და არა – მხოლოდ მამაკაცი: სიტყვაფორმა კაცი მხოლოდ ქართულში კონკრეტდება მამაკაცად და დედაკაცად. ამგვარ სახელდებაში აშკარად ჩანს **ქართული მსოფლგაგების განსხვავებულობა** – ქართველურენოვანი სამყარო დედაკაცსა და მამაკაცს თავიდანვე ერთი საწყისის ორ თანაბარზომიერ მოვლენად განიხილავდა: თავდაპირველ ქართულ ფილოსოფიაში მდედრი და მამრი ადამიანები თანასწორნი არიან (დედა-კაცი, მამა-კაცი); შდრ.:

– ძველ აღთქმაში ქალს ადამის ნეკნისგან ქმნის უფალი;

– შუმერულში ქალი (შამჰათი) არის საშუალება ("ქურა"), თიხისგან შექმნილი ნახევრად ველური არსების ნორმალურ ადამიანად ტრანსფორმირებისა.

ჩანს, **თიხისგან კაცობრიობის შექმნის სამივე ვარიანტი ერთი მოდელიდან მომდინარეობს:** შუმერული, ქართული და ებრაული თვალსაზრისები საერთო წყაროს სამი სხვადასხვა ვარიანტია, თუმცა, მხოლოდ ქართულ ენაში (უძველეს ქართულ მსოფლაღქმაში) არის ქალი და კაცი თანაბარი მოვლენები – ეს ნათლად ჩანს დედაკაცისა და მამაკაცის **სახელდების მოტივაციაში.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, უფრო კონკრეტულად ქალის არსის შესახებ: პირადად, ჩემთვის ქალი მამაკაცზე მეტად ამაღლებული და რთული ფენომენია, ვინაიდან ქალის სხეული ერთდროულად შეიძლება იყოს ორი სულის დროებითი საცხოვრისი: ქალში ისახება და 9 თვის მანძილზე იზრდება შვილი – კაცობრიობის მომავალი.

ღირსეული მამაკაცისთვის არსებითია ქალისადმი თავისთავადი (იმანენტური) ლტოლვის მართვა; მართვის ხარისხი ადამიანური სრულყოფილების დონის მაჩვენებელია; შესაბამისად, ქალი მამაკაცის ირიბი ჩამომძერწავია (შემთხვევითი არ არის: შუმერი შამჰათი არსებით როლს თამაშობს ენქიდუს საბოლოო სახის ფორმირებაში). ღირსებისა თუ ადამიანური შემოქმედების შედეგია ქალისადმი, როგორც საპირისპირო სქესისადმი, ბიოლოგიური მისწრაფების ვერბალური შეფუთვა მამაკაცის ცნობიერებაში დაბადებული შემდეგი სიტყვებით: მიმზიდველი, მშვენიერი, ნაზი, სათნო, ჰაეროვანი, გამომწვევი...

შდრ., ქალის ცნობიერებაში მამაკაცის მიმართ შექმნილი ეპითეტები: ძლიერი, გონიერი, რაინდი, ვაჟკაცი... ვაჟკაცი ღირსებების წარმოჩენით ცდილობს, ქალს თავი მოაწონოს; ზოგადად, მამრის გენეტიკურ კოდშია გმირობა ქალის დასანახად[3]; ამ პროცესში იძერწება მამაკაცი. ქალმა იცის: ძლიერი მამაკაცი ძლიერ ოჯახს ქმნის; სუსტი მამაკაცის ოჯახს მძიმე მომავალი აქვს[4]...

დედაკაცისა და მამაკაცის საერთო ადამიანური მახასიათებლებიც ბევრია:

მიმტევებელი, კეთილშობილი, სულგრძელი, ეროვნული, მართალი, წესიერი, ზრდილობიანი, ტაქტიანი, მორწმუნე...

**ქალი, როგორც მოვლენა, ხუთ მთავარ სახესხვაობად შეიძლება განვიხილოთ:**

1. ქალი – ღვთისმშობლური, ანგელოზური საწყისის მქონე (წმინდა ნინო...); ხორციელი ვნების მაქსიმალურად დამთრგუნავი მონაზონი თუ მოწამე.

2. ზნეობრივი ხორციელი ქალი – ქალურობით მამაკაცის ჩამომძერწავი, ამქვეყნიური სილამაზის სახე-სიმბოლო და ახალი ადამიანური სიცოცხლის უსპეტაკესი პოტენციური წიაღი (შდრ.: ახალი ადამიანის საწყისი უფალია, ენერგია – მამაკაცი, წიაღი კი – ქალი). აქ იშვიათი შემთხვევების გარდა, როგორც წესი, ორგვარი განვითარება გვაქვს:

**– ქალი მეცნიერი/მოღვაწე – სულიერი მშობელი;**

**– ქალი დედა – ხორციელი (და სულიერი) შვილის ღირსებაზე ორიენტირებული.**

3. ქალი მაცდური – თავის ხორციელ არსს სიამოვნებისა და საკუთარი ფიზიკური არსებობისათვის იყენებს; მისი ფეხმძიმობაც შემთხვევაა – ნაკლებად ფიქრობს შთამომავლობის ღირსებაზე.

4. ქალი – მმართველი: სუსტი მამაკაცის ცხოვრების დამგეგმავი; ასეთ შემთხვევაში ქალური

საწყისი გაღიზიანებულია, დაჩაგრულია.

5. ქალი – "ლტოლვილი" თავისი არსიდან – მამაკაცის ტვირთის მტვირთველი.

მრავალი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა მდედრის ფსიქიკა; **ბუნებრივი ქალი სუსტად დაბერილი მრგვალი ბურთივითაა:** თუკი დააწვებიან, ფორმას შეიცვლის; ქალის საიდუმლოებაც აქ არის: მამაკაცი ქალს თავს ისე უნდა დასტრიალებდეს, ბუნებრივი მდგომარეობა არ შეეცვალოს, ვინაიდან ბურთისგან განსხვავებით, ფორმაშეცვლილი ქალი დიდხანს ვერ ინარჩუნებს არსს.

უფრო ცოდოა ქალი, როცა მას ვერ იცავენ და თავის სარჩენად უცხოეთში გადახვეწა თუ ქალისთვის შეუფერებელი სხვა სახის ქმედება უწევს; ამ დროს ქალი იმედგაცრუებულია თავისი მამაკაცის გამო (სხვა შემთხვევაა, როცა ქალი თავისით მიდის, ან ისე იქცევა, რომ მისი წასვლა გარდაუვალია); გულნატკენ ჩვეულებრივ ქალთა დიდ ნაწილში უარყოფითი ემოცია იმარჯვებს – გულნატკენ ქალს მამაკაცის ღალატიც შეუძლია, თუკი სხვათა (მშობელი, შვილი...) ღირსებაზე არ ფიქრობს – **იმედგაცრუებული თავის გადარჩენაზე ზრუნავს.**

შდრ.: ბუნებითი არსიდან "ლტოლვილ" ადამიანთა მცირე ნაწილი დიდსულოვნებას იჩენს: არც თუ იშვიათად, ძლიერ ქალს შეუძლია სუსტი კაცის ფიზიკური ერთგულება; გულისტკენის შემდეგ მხოლოდ იშვიათად დიდსულოვან ქალს შეუძლია გიერთგულოს, რამდენადაც მიტოვებულმა ქალმა "გენეტიკურად" იცის, რომ დაიღუპება, თუკი ორსულობისას დაუცველი იქნება:

ფეხმძიმობისას ქალმა არამხოლოდ ჭიპიდან შესული ჰაერით უნდა ასუნთქოს შვილი, თავის სისხლის მიმოქცევაშიც უნდა ჰყავდეს ჩართული; **ფეხმძიმობის ბოლო პერიოდში ქალი თავისით ვერ მოიპოვებს საკვებს და მას ესაჭიროება შვილის ისეთი მამა, რომელიც ამ დროს ასაზრდოებს მას თავის მუცლადმყოფ შვილთან ერთად...** როცა ქალი ამის პერსპექტივას ვერ ხედავს, ის გადის თავისი არსიდან და უბედურდება (არა მხოლოდ უცხოეთში გადახვეწით); ამიტომ: ღირსეული მამაკაცი ფეხმძიმე ქალს ბედისანაბარა ვერ მიატოვებს.

შდრ.: ორსულობის პერიოდი დედა-შვილის ხორციელ-სულიერი თანაარსობის ჰარმონიაა. ფეხმძიმობისას ქალი ფიზიკურად დაუცველია; ეს ბუნებრივი, ორგანული, გენეტიკური "სისუსტეა" და, ასევე, ბუნებრივია ქალის სურვილი, მემკვიდრის მამა იყოს მისი მფარველი/პატრონი; ამიტომაა, რომ **ქალის სიყვარული ქვეცნობიერად მაინც მასზე ჭკვიანის, ძლიერის (სულიერად, ინტელექტუალურად, ფიზიკურად...) ძიებაა** /რომ თავი დაცულად იგრძნოს/. ზნეობრივ ქალს სურს, რომ თავისი შვილი ძლიერი იყოს; შესაბამისად, ძლიერ მამაკაცს ეძებს, რომ სიკვდილამდე უერთგულოს მასაც და მის შვილსაც; ზნეობრივი ქალი ერთგული მეუღლეა, ტაძარია (შდრ.: შვილები – მლოცველები, მამა კი – ოჯახის უფალი, მფარველი)[5] **და საუკეთესო სწორფერიცაა.**

**ჩემი ნააზრევი თუ ფიქრი ხუთ შემაჯამებელ მსჯელობად შეიძლება ჩამოვაყალიბო:**

1. უძველესი დროიდანვე ქართველისათვის ქალიცა და კაციც თანასწორუფლებიანი მოვლენებია: ორივე უფლის მიერაა შექმნილი, ორივეა გონიერი, ორივეა პატრონი დედამიწისა, **ისინი სწორ ფერნი არიან, ოღონდ:**

ქალი – სათუთი სულისაა და მშვენიერი, ნაზი სხეულითაა მოსილი და უფრო ამტანია; მამაკაცი კი ძლიერია, რომ შვილიერების წიაღი და თოთო ახალშობილი დაიცვას, უსუსურად მყოფი დედა-შვილი ასაზრდოოს; ქალისგან უტკბილესი სასიცოცხლო მხარდაჭერა შეინარჩუნოს;

2. ქართულ ფილოსოფიასთან, ქართულენოვან მსოფლაღქმასთან (დედა-კაცი; მამა-კაცი) ძალიან ახლოსაა ქრისტიანობა, როგორც ქალის როლის წარმომჩენი რელიგია (ღვთისმშობელი, მარიამი, მართა...); შემთხვევითი არაა, რომ წარმართმა[6] ქართველობამ ქალისგან – წმინდა ნინოსგან – მიიღო სამარადჟამო რწმენა; ძველი კოლხური გამორჩეული ღვთაებაც ქალი ყოფილა... "ლეკვი ლომისა სწორია..." – ეს საოცარი გენდერული აფორიზმიც ყველაზე ადრე საქართველოში იშვა და ტერმინი "სწორფერიც", **სწორფერის მისტერიაც** საქართველოში გაჩნდა;

3. ერთი მხრივ, ქალი, როგორც ხორციელი **ვნების უმაღლესი მიზიდულობა** და, მეორე მხრივ, ადამიანური/ზნეობრივი ვალდებულება, მამაკაცის ცნობიერებაში მუდმივად არსებული უმთავრესი ოპოზიციური წყვილია (ხორციელი მე და მორალურ-ზნეობრივი მე); ამ ჭიდილში ყალიბდება ნამდვილი მამაკაცი; ამავე ჭიდილში იძერწება უფრო მაღალი დონის მამაკაცი: **სწორფერობის შემძლე ღირსეული მამაკაცი...** შემთხვევითი არ არის, რომ ხევსურულ ფოლკლორში ვერ დაძებნით კონფლიქტს სწორფერსა და სწორფერის მეუღლეს (ცოლს, ქმარს)

შორის: სწორფროობა იმდენად საკრალური იყო, რომ ქმარსა და ცოლის სწორფერს შორის, ანდა, ცოლსა და ქმრის სწორფერს შორს გამორიცხული იყო დაპირისპირება.

4. ქალური ბედნიერება სრული მხოლოდ მაშინაა, როცა ისეთ ძლიერ მამაკაცს ხვდება, რომელიც მისი სულის ყველა წახნაგში ფაქიზი გზებით აღწევს და მის ხორციელ არსსაც ყოველმხრივ იცავს; მამაკაცური ბედნიერება კი სრული მაშინაა, როცა მის ცნობიერებაში შემოსული ქალური ჰაეროვნება მხოლოდ სიყვარულითა და გულწრფელობით არის შეზავებული; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება დახასიათდეს ორი საპირისპირო სქესის ურთიერთობა სიტყვით: ჰარმონიული ორი ნახევარი; აქ ორგვარი განვითარებაა:

– წყვილს ხორციელი ვნებაც სრულად რეალიზებული აქვს (თუმცა, ზოგჯერ: მთაში ოჯახი რომ გადარჩეს, ცოლქმრობა პრაგმატული არჩევანია);

– წყვილის ხორციელი ვნება კონტროლს სრულად ექვემდებარება – ვგულისხმობთ სწორფერობას; ამ შემთხვევაში გვაქვს ურთიერთთავსებადი ცნობიერებისა თუ ბიოველის (სულის, სურნელის...) მქონე თავისუფალი ნების ქალისა და მამაკაცის ხორციელებაზე ამაღლებული სიყვარული – რომანტიული უწყვეტი "ცეცხლი" (ემოცია) მთის ურთულეს (მძიმე შრომა, სისხლიანი ბრძოლა, უსაშველო, ხიფათიანი ზამთარი...) წუთისოფელში; საბოლოო ჯამში, გაღვთიურებული სიყვარული უკიდეგანო მძიმე ყოველდღიურობაში არსებულ რომანტიულ "კუნძულზე" (სწორფერის ველში); მოკლედ რომ ვთქვათ, სწორფერის სარეცელი რომანტიული თავშესაფარია მძიმეცხოვრებიანი ადამიანისთვის.

5. შეყვარებულთა შორის სრული სულიერი, ცნობიერი და ხორციელი ჰარმონიაა; ზოგადად, შეყვარებულ წყვილში მამაკაცი უფრო ძლიერია; იგი ქალის სულის ყველა წახნაგში ფაქიზი გზებითაა შესული და მამაკაცურ აღქმაში **ქალი უნაზეს სიყვარულადაა შეწნული;** ქალი მხოლოდ ამ დროსაა ნებით დამორჩილებული; **სწორფერთა შემთხვევაში** ხორციელი ვნება თავშეკავებას ექვემდებარება: მორალი აღემატება ვნებას; ხორცზე ამაღლების პროცესში ქალი **გაცოცხლებული ფრესკაა,** მამაკაცი კი – ღირსების ცოცხლად შემგრძნობი (დათმენის გამო): "ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!" – ვკითხულობთ გრ. რობაქიძესთან; მართლაც, სწორფროობა წრთობის გზაზე უტკბილესი წამებაა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით: ხორციელი დათმენით ღირსების ამაღლებაა; ამიტომაა, რომ სწორფერთა სიყვარული არ ცვლის მშობლის, ცოლ-შვილის, დედმამიშვილის... სიყვარულს; შესაბამისად, სწორფერის სიყვარული არაა რომელიმე მათგანის ალტერნატივა თუ ღალატი (გრიგოლ რობაქიძე ცოლ-შვილიან და ქმარ-შვილიან მოხუცებულ სწორფერთაც შეგვავლებინებს თვალს, რომლებიც, როგორც დიდი ხნის მეგობრები და უკვე წლებისგან ვნებადაცლილნი, ეალერსებოდნენ ერთმანეთს).

ზოგადად, სიყვარული სამ სახესხვაობად შეიძლება წარმოვადგინოთ:

**– ვნებიანსიყვარულიანი ზნეობრივი წყვილი;** როგორც წესი, ოჯახის შექმნისკენ მსწრაფავი (ზოგჯერ, ტრაგიკულადაც მთავრდება: რომეო და ჯულიეტა). არაიშვიათად, ოჯახური საქმიან-პრობლემური გარემო (შვილები, მშობლები, ყოველდღიურობა...) ვნებას ანელებს, მაგრამ ერთგული ადამიანების ოჯახი მაინც ლამაზია; იშვიათად, ყოველდღიურ ოჯახურ ყოფაშიც ნარჩუნდება ძლიერი ხორციელი ლტოლვაც (ვნებაც) და ადამიანური მეგობრობაც, რომლის დუღაბს შვილებიც ქმნიან; ასეთ შემთხვევაში წყვილის სიყვარული უმაღლეს ამქვეყნიურ სიმაღლეს აღწევს.

**– სწორფეროობა** – დიდი სიყვარული – სიღრმისეული მეგობრობა და უხანგრძლივესი ალერსი სექსის გარეშე [8]; ოჯახური რუტინისგან თავისუფალი სწორფერის სიყვარულის ბოლო ეტაპია დობილ-ძმობილობა ან ე. წ. დისტანციური ტრფობა – სიყვარული და მეგობრობა ყოველგვარი ხორციელი კონტაქტის გარეშე ("პლატონური სიყვარულის" საუკეთესო ვარიანტი)[7]...

შემთხვევითი არ არის, სწორფეროობა – თავისუფალთა თავისუფალი სიყვარული – მთაში იშვა: მთის გრძელ ზამთარს მხოლოდ ძლიერი აიტანს; ადამიანური ძალა, როგორც წესი, სხვა ადამიანთან ერთობაზეა დამყარებული: მთის ხანგრძლივი ზამთარი იგივე ამქვეყნიური ცხოვრების სიცივეა; ამ სიცივეს მხოლოდ ძლიერი სიყვარულით გაუძლებს ადამიანი: აკრძალული ვნება დიდ სიყვარულს ახანგრძლივებს.

**– ხორციელ ვნებაზე სრულად ამაღლებული სიყვარული** – ასეთი მაღალი რანგის ურთიერთობა ძალუძთ მხოლოდ "ხორციელი მეს" საკუთარ არსშივე დამთრგუნავ ბერ-მონაზვნებს – საკუთარ

ხორციელ საწყისთან ჭიდილში (ქალის სრული უარყოფით) იძერწება **მამაკაცის უმაღლესი გამოვლინება** – ბერი (მაგ., წმინდა ილია მართალის "განდეგილი").

**ბერმონაზვნობა – ადამიანის ხორციელ-ცხოველური სამყაროს მაქსიმალური უარყოფა და ღვთიურ-ადამიანური არსის უმაღლესი გამოვლინება.**

**დასკვნის სახით: სწორფერის მისტერია – ხორციელ-რომანტიკულ ზნეობრივ ველში თანასწორთა ამქვეყნიური ემოციის ტრანსფორმირება დიდ სიყვარულად და რომანტიკულ საუკუნო მეგობრობად** (ბერმონაზვნობის მსგავსად, ეს მისტერია არ არის ორიენტირებული ფიზიკურ შვილზე – შთამომავლობის გაჩენაზე).

**ტარიელ ფუტკარაძე**
2014

[1] ფეისბუკზე ქალის არსის შესახებ კამათში ჩავერიე... გადავწყვიტე, უფრო განვავრცო ეს თემა: https://www.facebook.com/photo.php?fbid=360607010751824&set=a.323011491178043.1073741828.154594318019762&type=1&theater&notif_t=like

[2] ქართული ენის მეგრულ დიალექტში კაცის ფონეტიკურად სახეშეცვლილი ვარიანტია "კოჩი", რომელსაც ისეთივე სემანტიკა აქვს, როგორც თანამედროვე ქართულში **კაც**– ფუძეს. მეგრულშივე არსებობს სიტყვაფორმები **ოსურ-კოჩი** (მდედრი კაცი) და **ოსურ-ადამიანი** /მდედრი ადამიანი/; ეს მიუთითებს, რომ მეგრულშიც "კოჩის" ამჟამინდელი სემანტიკა მეორეულია. საინტერესოა ისიც, რომ მეგრულში მხოლოდ ქალს მიემართება სიტყვაფორმა "ადამიანი", კერძოდ, ქალის მიმართ ეს სიტყვა გამოიყენება მხოლოდ პატივისცემის გამოხატვის დროს; შდრ., მაგ.; **დუუთმი ადგილი** ადამიანს ("დაუთმე ადგილი ქალბატონს")... პროფ. რევაზ შეროზიას მტკიცებით, ამ კონტექსტში არასოდეს იგულისხმება მამრობითი სქესის ადამიანი; შდრ.: ოსური – ქალი, ცოლი. სიტყვაფორმა ოსური მომდინარეობს საერთოქართველური "ასულიდან", რომელსაც თანამედროვე ქართულში ორივე სემანტიკა უდასტურდება:

ასული – ქალი (მდედრობითი სქესის ადამიანი); შდრ., მაგ.: "თავადის ქალი მაია";

ასული – მდედრობითი სქესის შვილი – ქალიშვილი.

მეგრულ დიალექტშიც "ოსურს" ორი სემანტიკა აქვს, ოღონდ, ეს სემანტიკური ნიუანსები უფრო ემთხვევა სიტყვაფორმა "ქალის" მნიშვნელობებს: ოსური – ქალი (მდედრობითი სქესის ადამიანი); ოსური – ცოლი (ჩქიმი ოსური – ცოლი; შდრ.: ჩემი ქალი – ცოლი; გამორიცხულია ჩქიმი ოსურ-კოჩი).

მსგავსია სვანური კილოების ჩვენებაც: ხეხვ – ცოლი (ბალსზემოურში ქალსაც ნიშნავს); ასუშ/ჰასუიშ – ასული, გათხოვილი ქალი დედისეული სახლისთვის; შდრ., სხვა ლექსემები:

დინა – გოგო, ჩვეულებრივ საუბარში გამოიყენება, როგორც გოგო; დინილ – გოგონა;

ზურალ– ქალი, გათხოვილი ქალი, ზოგადად ასაკოვანი ქალი (ახალგაზრდისადმი არ გამოიყენება); შდრ.: ზურა – დედალი ცხვარი/თხა; ზურალმარე – დედაკაცი; შდრ.: ძვ. ქართ.: ზუება – შობა...

უცხოური წარმომავლობის ჩანს "სიმაქ" – ქალიშვილი (პატივისცემის გამომხატველი სიტყვაა).

[3] აქედან მოდის **მამრის იმანენტური კომპლექსი:** მუდმივი მისწრაფება, თავისი ძლიერებით თავი მოაწონოს მდედრს; ცხოველისგან განსხვავებით, ადამიანში არსებით როლს თამაშობს მორალი: არ შეიძლება, ყველა ქალთან მამრის იმპულსი გამოავლინო!

[4] რაც შეეხება ქალ-კისერსა და კაც-თავს, ეს უფრო იუმორია, რამდენადაც, ყველამ იცის, რომ კისრის მოძრაობასაც თავი აკონტროლებს.

[5] ქრისტიანობა მორჩილებას ქადაგებს, მაგრამ არა – მონობას; ქრისტიანობა ოჯახის ბუნებრივ იერარქიას იცავს, სადაც დედა – ტაძარია...

[6] წარმართი – სწორად მავალი; შდრ: „უკუღმართი".

[7] ვფიქრობ, პლატონური სიყვარულით უყვარდა დიდ პოეტს თამარი; შდრ., რუსთველისეული იერარქიის სამგვარი სიყვარული: ა) ღვთაებრივი მიჯნურობა (გონებით რომ ვერ მისწვდები); ბ) ხორციელვნებიანი სიყვარული („მიწიერი "სიგიჟეები", რომელნი ხორცთა ჰხვდებიან"), რომელიც არსებითად სხვაობს სიძვისგან; გ) ე. წ. პლატონური – "შორით ბნდებიან" (რუსთველისა თამარისადმი?):

“მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან...
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა...”

[8] ორი საპირისპირო სქესის ახლო მეგობრების მიერ ვნებისგან თავის შეკავება უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს; **ეს მხოლოდ უზადო სწორ-ფერთ შეუძლიათ.**

7 ოქტომბერი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## მიტევებისა და განსაცდელის მიმართების ლინგვისტური და ფსიქოლოგიური წახნაგები (“მამაო ჩვენოს” ტექსტის მიხედვით)

თეოლოგია, ღვთისმეტყველება, არის მოძღვრება ღმერთის არსის შესახებ. ბუნებრივია, მე არ მაქვს პრეტენზია, ვიყო თეოლოგი, ან განვმარტო რომელიმე ბიბლიური თუ სახარებისეული ფრაზა, მაგრამ ყოველდღე რომ იმეორებ კაცი “მამაო ჩვენოს”, რომელიღაც განსაკუთრებულ სიტუაციაში განსხვავებული წახნაგითაც შეიძლება გაიაზრო რომელიმე ლექსიკური ერთეული... [1]; მით უმეტეს, ვფიქრობ, რომ საინტერესოა საყოველთაოდ აღიარებული ტექსტის ანალიზი როგორც საღვთისმეტყველო, ასევე, ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ასპექტებით. სანამ ჩემს სათქმელს ვიტყოდე, ჯერ **“საღვთო ლოცვის”** მიღებულ განმარტებას გავადევნოთ თვალი:

6.9-13:

**9. მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა** – ლოცვის დასაწყისში ჩვენ ვთხოვთ სულიერ ზეცაში მყოფ მამა ღმერთს, ისმინოს ჩვენი თხოვნა-ვედრება.

**წმიდა იყავნ სახელი შენი** – უფალო, შენი სახელი მარად წმიდად იყოს ჩვენში.

**10. მოვედინ სუფევა შენი** – უფალო, გაგვხადე ღირსი, რათა აქ, დედამიწაზე ვიხილოთ შენი ზეციური მეუფება თვით ჩვენს გულებში და ჩვენს ირგვლივ – ეს არის სიმართლე, სიყვარული, მშვიდობა.

**იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა** – უფალო, დაე ყველაფერი იყოს ისე, როგორც ეს შენ გსურს და არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს.

**11. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს** – პურის ქვეშ აქ იგულისხმება არა მხოლოდ საჭმელი პური, არამედ ყოველივე ის, რაც აუცილებელია დედამიწაზე ჩვენი არსებობისათვის; ეს იქნება: საკვები, შესამოსელი, საცხოვრებელი და ყველაზე მთავარი – ყოვლადწმიდა ხორცი და პატიოსანი სისხლი უფლისა ჩვენისა იესო... (ტექსტი კი ასე გაიგება: უფალო, მოგვეცი ამქვეყნად სიცოცხლის ძალა – ტ.ფ.).

**12. და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა** – ისევე შეგვინდე და გვაპატიე ჩვენი ცოდვები, როგორც ჩვენ ვპატიობთ მათ, ვინც ჩვენ წინაშე სცოდავს.

**13. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა** – განსაცდელი ჰქვია აქ ისეთ მდგომარეობას, როცა რაღაც ძალა გვეწევა ცოდვისაკენ, ან ვინმე გვაიძულებს ან გვაცდუნებს ცოდვის ჩასადენად, რომლის გადატანაც ჩვენ არ შეგვიძლია და რომლის წინაშეც ჩვენ უძლურნი ვართ.

**არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან** – ანუ გადაგვარჩინე ჩვენ ქვეყნიერებაზე არსებული ყოველგვარი ბოროტებისაგან, თვით ეშმაკისაგან, რომელიც ყოველჟამს მზად არის ჩვენს დასაღუპავად. დაგვიფარე და გადაგვარჩინე მისი მზაკვარი და ფლიდი სიცრუისაგან, რომელიც შენ წინაშე არარაობაა[2].

წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, “მამაო ჩვენო”, სულ მცირე, 5 სემანტიკურ მონაკვეთადაა განხილული:

1. ღმერთი (ვისაც მივმართავთ);

2. უფლის სისხლი და ხორცი, როგორც ამქვეყნად მაცოცხლებელი;

3. მიტევების ფილოსოფია (მომიტევე მე ისე, როგორც მე მივუტევებ სხვა ადამიანებს);

4. ამქვეყნიური განსაცდელი: იმ ცოდვებისა და ცდუნების პერსპექტივა, რომლის წინაშე უძლურნი ვართ;

5. ეშმაკისეული ბოროტება.

ჩემთვის ხელმისაწვდომ ღვთისმეტყველთა განმარტებებსა თუ ინტერპრეტაციებში **მიტევება, განსაცდელი და ბოროტება** ერთმანეთთან აზრობლივად არაა დაკავშირებული; წმიდა მამათა: წმიდა იოანე ოქროპირის, წმიდა კასიანეს, წმიდა კვიპრიანეს, წმიდა კირილე იერუსალიმელის, ნეტარი ავგუსტინეს, წმიდა გრიგოლ ნოსელის, ღირსი მამა ბარსანოფის, წმიდა ტიხონ ზადონელის და ნეტარი თეოფილაქტეს სწავლების მიხედვით, "მამაო ჩვენოს" ტექსტში მიტევება-არმიტევებაზე დამოკიდებული არ არის განსაცდელისა და ბოროტების მოსალოდნელობა; განსაცდელი კი გააზრებულია, როგორც: ეშმაკისეული ცდუნება, ხორციელი ვნების საფრთხე, ამქვეყნიურ სიამეთა საფრთხე. შდრ., სახარების თანამედროვე თარგმანებშიც უშუალო კავშირი არ არის **მიტევებასა და განსაცდელს შორის:**

მათე, 6:12. და მოგვიტევე ჩვენი ვალები, როგორც ჩვენ მივუტევებთ ჩვენს მოვალეთა.

13. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან[3]

ლუკა, 114. და მოგვიტევე ჩვენი ცოდვები, რადგან ჩვენც მივუტევებთ ყველა ჩვენს თანამდებს და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში"[4].

ჩვენი აზრით, „მამაო ჩვენოს" ტექსტის შინაარსი ორ (და არა – ხუთ!) ძირითად მონაკვეთად უნდა განვიხილოთ:

**პირველი მონაკვეთი** – მიმართვა უფლისადმი; მიმართვის ფორმები გამოხატულია წოდებით ბრუნვაში დასმული მეორე პირის სახელით (შენ, უფალო!);

**მეორე მონაკვეთი** – პირველი პირის ზმნური ფორმით გადმოცემულია თხოვნა: უფალო, როგორც მე მივუტევებ ჩემ წინაშე ჩადენილ დანაშაულსა თუ შეცდომას სხვა ადამიანებს, იმის შესაბამისად მომიტევე მე ჩემი ცოდვები და მ**ომეცი ძალა, დავძლიო შურისძიების, შურისგების განსაცდელი,** რომ სამუდამოდ არ დავრჩე ბოროტებაში, არ გავხდე ეშმაკის მსხვერპლი.

ჩემი აზრით, მეორე ნაწილის დედააზრი მოკლედ ასეც შეიძლება ჩამოყალიბდეს:

მიტევების უნარის არქონა – **გაბრაზების, მრისხანების, შურისძიების ველში დარჩენა** – დიდი განსაცდელია! ადამიანმა, პირველ რიგში, სწორედ ე**ს განსაცდელი უნდა დაძლიოს, რომ ბოროტებაში არ გადავარდეს[5];** ანუ:

პირველი ნაწილი **უფლის დიდების დამოწმებაა, უფლის გააზრებაა, მეორე ნაწილი კი მიტევების უნარის მიხედვით ხსნისა და წარწყმედის პერსპექტივის ჩვენება.**

"საღვთო ლოცვაში" ცხადად იკითხება, რომ **მიტევების უნარი** უფლის შეწევნით მზარდი ადამიანური ძალაა, რომლის არქონის შემთხვევაში ადამიანი დარჩება **მომაკვდინებელ ცოდვაში** – მრისხანებაში; მრისხანება, გაბრაზებულად ყოფნა, აგრესიისა თუ შურისძიების წყურვილში დარჩენა დიდი განსაცდელია, ბოროტებაში სამუდამოდ დარჩენის პერსპექტივაა. ბუნებრივია, აქვე "განსაცდელი" განზოგადებული სემანტიკითაც უნდა გავიგოთ: **როგორც სულიერ თუ ფიზიკურ საფრთხეთა ერთობლიობა.**

**მაშასადამე,** უპირველესი ქრისტიანული ლოცვა ორიენტირებულია **მიტევებაზე, შურისგების წყურვილის დაძლევაზე;** უფლისადმი თხოვნაც შესაბამისია:

ყოვლისშემძლე ღმერთო, შემაძლებინე მიტევება, რომ მრისხანების ცოდვაში – განსაცდელში – არ დავრჩე და ბოროტების კერძი არ გავხდე; შდრ.:

**არმიტევება** შეაპირობებს მრისხანებაში – მომაკვდინებელ ცოდვაში –დარჩენას; ხოლო **მიტევება** შეაპირობებს სულის დამშვიდებას, სიმშვიდეს – ერთ-ერთ გამორჩეულ სათნოებას; შესაბამისად, **არმიტევება თუ ვერმიტევება დიდ განსაცდელში ყოფნაა!**

საინტერესოა "მამაო ჩვენოს" ტექსტის სხვადასხვაენოვან ვარიანტში სიტყვაფორმა **"განსაცდელის"** შესატყვისობათა სემანტიკური ველების შეპირისპირება: ქართული სიტყვაფორმა (თარგმანი!) უშუალოდ მიჰყვება **ებრაულ ვარიანტს:** ებრაულში (სწორედ ებრაულადაა დაწერილი მათეს სახარება!) გამოყენებულია სიტყვა "ნასა", რომელიც ნიშნავს განსაცდელსა **და გამოცდას** [6]; შესაბამისი ტექსტის ბერძნული სიტყვა კი მოიაზრებს განსაცდელსა და **ცდუნებას** [7]:

πειρασμόν – πειρασμός < πειράζω; πειράω (impf. ἐπείρων, fut. πειράσω aor. ἐπείρᾱσα, pf. πεπείρᾱκα;

1.მოსინჯვა, ცდა. πεπεισμένος πειρῶμαι καὶ τοὺς ἄλλους πείθειν Plat. თავად დარწმუნებული, ვცდილობ სხვებიც დავარწმუნო;

ὅστις ζῆν ἐπιθυμεῖ, πειράσθω νικᾶν Xen. ვისაც სურვილი აქვს იცოცხლოს, გამარჯვება უნდა სცადოს;

ὣς ἄρ᾽ ἔφη, πόσιος πειρωμένη Hom. ასე თქვა, რათა გამოეცადა ქმარი;

πειρᾶσθαι χειρῶν καὶ σθένεος Hom. საკუთარი ხელების ძალა გამოსცადე;

ἀέθλου πειρᾶσθαι Hom. ბედი ცადა შეჯიბრში; πειράω πάντα Plut. ყველაფერს ვცდი;

2. ცდუნება, შეცდენა, გადაცდენა (γυναῖκα – ქალის Arph.; τὴν παιδίσκην – ბავშვის Lys.; πειραθεὶς ὑπό τινος – ვინმესაგან ცდუნება Thuc.);

3. შესწავლა, გამოკვლევა, დარწმუნება, გამოცდა: ὁϊστοί, τῶν τάχ᾽ ἔμελλον πειρήσεσθαι Hom. ისრები, რომელსაც მალე გამოცდიდა საკუთარ თავზე. πεπειραμένος οἶδα Xen. გამოცდილებით ვიცი; πειρώμενος ἀνδρὸς ἀγαθοῦ Plut. გამოცდილია, კეთილშობილია ეს კაცი.

ὁ πειρασμός – განსაცდელი, გამოცდა: „და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი (πειρασμὸν ὁ διάβολος ἀπέστη) ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე“. ლუკა 4.13 “ხოლო რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეცჯვიან განსაცდელსა (πειρασμὸν)“ 1 ტიმოთე 6.9 „საყუარელნო, ნუ უცხო გიჩნს თქუენ შორის განჯურვებაჲ ეგე, რომელი იქმნების განსაცდელად (ἐν ὑμῖν πυρώσει πρὸς πειρασμὸν) თქუენ თანა, ვითარმცა უცხოჲ რაჲმე შეგემთხუეოდა თქუენ“. 1 პეტრე 4.12.

ბერძნულის მსგავსი ვითარებაა სომხურ, რუსულ და ინგლისურ ვარიანტებშიც:

ინგლისური:

And lead us not into temptation (ცდუნებაში), but deliver us from evil.

რუსული:

и не введи нас в искушение (ცდუნებაში), но избавь нас от лукавого.

სომხური[8]:

Հայր մեր որ յերկինս՝ սուրբ եղիցի անուն քո՝ եկեսցե արքայութիւն քո: եղիցին կամք քո որպէս յերկինս ՝ և յերկրի: Զ հաց մեր հանապազորդ տուր մեզ այսօր: և թող մեզ զպարտիս մեր՝ որպէս և ւ մեք թողումք մերոց պարտապանաց: և մի տանիր զմեզ ի փորձութիւն՝ այլ փրկեա զմեզ ի չարէն զի քո է արքայութիւն և զօրութիւն և փառք յաւիտեանս՝ ամէն[9]:

Հայր մեր որ յերկինս՝ ես սուրբ եղիցի անուն քո՝ եկեսցե արքայութիւն քո: եղիցին կամք քո որպէս յերկինս ՝ և յերկրի: Զ հաց մեր հանապազորդ տուր մեզ այսօր: և թող մեզ զպարտիս մեր՝ որպէս և ւ մեք թողումք մերոց պարտապանաց: և մի տանիր զմեզ ի փորձութիւն՝ այլ փրկեա զմեզ ի չարէ զի քո է արքայութիւն և զօրութիւն և փառք յաւիտեանս[10]:

აშკარაა: ებრაული (არამეული?) და ქართული სიტყვა-ფორმები ერთმნიშვნელოვნად **განსაცდელსა და გამოცდაზე** (უფრო სულიერ ხიფათზე) არის ორიენტირებული, ბერძნული, სომხური, რუსული და ინგლისური კი – **განსაცდელსა და ცდუნებაზე** (უფრო ხორციელ ხიფათზე?).

ვფიქრობ, ლოგიკურია, დავასკვნათ: ადამიანისათვის **განსაცდელი** მუდამ და ბევრი მიმართულებით არსებობს, მაგრამ მოცემულ “საღვთო ლოცვაში” პირველ რიგში ნაგულისხმევია, ხაზგასმულია, **მიტევება/მიუტევებლობის მიმართულება:** მიტევების უნარის არმქონე ადამიანის ცნობიერებაში გაბრაზების გამო **რადიკალური ქმედება და მრისხანება** მწიფდება; რადიკალიზმი ჯანსაღი ანალიზის უნარს კლავს და **დანაშაულის** გარდაუვალობას აპირობებს; არმიტევებისა თუ მრისხანების მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სული გაუწმენდელი რჩება; შესაბამისად, **ვერმიტევება/არ მიტევება უპირველესი განსაცდელია; მრისხანებასა და შურისძიების წადილში ყოფნას ადამიანისათვის ბოროტება მოაქვს[11]...**

ასეთი გააზრება არ ეწინააღმდეგება, მეტიც, გარკვეულწილად აზუსტებს მოციქულთა და ღვთისმეტყველთა თვალსაზრისებს; კერძოდ; შდრ., ამ საღვთო ლოცვის უშუალო გაგრძელებაა შემდეგი ტექსტი:

**მათე, 6, 14-15: 14.** რამეთუ უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს

თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. 15. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი[12].

შდრ., ასევე:

**იოანე, 1:9:** თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, სარწმუნო და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისაგან.

**მარკოზი, 11:25:** როცა ლოცვად დგახართ, მიუტევეთ, თუ რაიმე გაქვთ ვინმეს წინააღმდეგ, რათა თქვენმა მამამაც ზეცაში მოგიტეოთ თქვენი შეცოდებანი.

**ეფესელთა 4:32:** მაგრამ იყავით კეთილნი ერთიმეორის მიმართ, თანაუგრძნეთ და მიუტევეთ ერთმანეთს, როგორც ქრისტეში მოგიტევათ თქვენ ღმერთმა.

წმიდა ისააკ ასური: გულში წყენას იმარხავდე და ლოცულობდე, – იგივეა, რომ ზღვაში თესავდე და მოსავალს ელოდე[13].

**ღირსი იოანე სინელი:** "თუკი სულიწმიდა იწოდება და არის კიდეც სიმშვიდე სულთა, ხოლო მრისხანება – აღშფოთება გულისა, არაფერი ისე არ დააბრკოლებს ჩვენში სულიწმიდის დამკვიდრებას, როგორც – მრისხანება"[14].

შდრ., ასევე, **წმიდა თეოფანე დაყუდებული[15]:** "უფლის წინაშე არაფერს ისეთი ძალა არ აქვს, როგორც წყენათა მიტევებას, რადგან იგი არის მიბაძვა საღვთო გულმოწყალების ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მახლობელი ქმედებისა. ისე ადვილად არაფერი გვაცდუნებს, როგორც გაბრაზება და სურვილი სამაგიეროს გადახდისა ჯავრიანი სიტყვით, არცთუ იშვიათად კი საქმით. მაშასადამე, ნაცვლად იმისა, რომ შევიძინოთ ის, რაც თავად გვეძლევა ხელთ, ყოველ წუთში ვკარგავთ. თუ მიუტევებ, შეიძენ შინაგან სიმშვიდესა (ხაზი ჩემია – ტ.ფ.) და უფლისგან შეწყალებას, არ მიუტევებ და გაგიძლიერდება შინაგანი შფოთი (ხაზი ჩემია – ტ.ფ.), უფლისგან წყალობას კი ნუღარ ელი"... "მიტევება არის ყველაზე მიმზიდველი სათნოება, რაც უმალვე აჯილდოებს გულს"[16]

**მრისხანება (გაბრაზება, შურისგება)** [17] სულიერად მომაკვდინებელ **ცოდვათა შორისა**[18].

მრისხანების "განკურნება" მიტევებით[19] ხდება; მიტევება კი სულის სიმშვიდეს მოიტანს; შდრ.: მრისხანება და სიმშვიდე მდგომარეობაა; მიტევება კი – პროცესი; მიტევების პროცესის შედეგია ან მომაკვდინებელი ცოდვა – მრისხანება (სიბრაზე), ანდა სიმშვიდე – უდიდესი სათნოება.

**აქვე ჩნდება კიდევ ერთი მთავარი წახნაგი,** მაგ.:

– საქართველოს წინააღმდეგ ხმალშემართულ მტერს უნდა მივუტევოთ და წინააღმდეგობა არ უნდა გავუწიოთ?

– სუბიექტს, რომელიც ჩემს მოკვლას ლამობს, ჩვენს ღირსებასა თუ სამშობლოს თელავს, უპირობოდ უნდა მივუტევო?

– ინდივიდს, ვინც შვილს, ძმასა თუ მშობელს გვიკლავს, უნდა ვაცალო და მივუტევო?

ადამიანი ნორმალური **პიროვნება** ვერ იქნება, თუკი სამშობლოს, ოჯახის მტერს თავს დაუხრის და განადგურების საშუალებას მისცემს. არც ქრისტიანობა და არც საერო კანონი ცოდვად/დანაშაულად არ თვლის მტრის მოკვლას. უნდა აპატიო/მიუტევო მას, ვინც პირადად გაწყენინა, ვინც შენი მევალეა, ვინც ვერ გაგიგო, ვინც გაგაბრაზა... ასეთ შემთხვევებში შეგიძლია თქვა:

– ღმერთო, მომეცი ძალა, რომ ვაპატიო ჩემს "მოვალეს" (მას, ვინც მაწყენინა, ვინც უსამართლოდ გამლანძღა...), რომ განსაცდელში/ბოროტებაში არ ჩავვარდე... **მით უმეტეს, უნდა მიუტევო ძმას, ახლობელს, მეგობარს, ყოფილ მეგობარს:**

იხ.,მაგ.: მათე, 18:21:22: მაშინ მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: „უფალო! რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ თუ შესცოდა? შვიდჯერ?" უთხრა მას იესომ:„მე არ გეუბნები, შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ.

**ახლობელი, მეგობარი, ოჯახის წევრი თუ გაწყენინებს, გულს თუ გატკენს,** გაიხსენე მის მიერ შენდამი წარსულში გამოვლენილი სიყვარული და იოლად მიუტევებ; მის მეგობრად თუ არ/ვერ დარჩები, მის მიმართ სიძულვილითა და მტრობით მაინც ნუ განიმსჭვალები; ზოგადად, სხვა **ადამიანს შენთან დაშვებულ შეცდომას თუ მიუტევებ, ბოროტებაში აღარ ჩავარდები!**

**კიდევ ერთი ნიუანსი:** მწყენინებელმა თუკი არ მოინანია, გიჭირს მისთვის მიტევება; შესაბამისად, განსაცდელი უფრო დიდია ამ დროს:

საკუთარ გულში უნდა მივუტევო, რომ არ ვიცხოვრო მრისხანებით, შურისძიებით და

სიძულვილით! ჩემს არააგრესიულობას რომ დაინახავს, "მოვალეშიც" გაიღვიძებს, გაძლიერდება ღვთიური საწყისი და მასშიც გაიმარჯვებს **აბელური საწყისი კაენურ საწყისზე.**

მტერს მკერდს ვერ შეუშვერ, რომ ტყვია გულში გესროლოს: **რეალური მტერი უნდა დაამარცხო!** სწორედ აქ არის კიდევ ერთი მარადიული პრობლემა: **ყოველთვის ვიცით კი, ვინ არის რეალური მტერი?!** მოცემულ აწმყოში (და ყველა დროში!) რეალური მტრის განსაზღვრა მთავარი პრობლემაა; რეალური მტერიც, პირველ რიგში, ორიენტირებს გიბუნდოვნებს, რომ ვერ გაარკვიო მტერი და **მოყვარეს უნებურად უმტრო**[20]... ამიტომაა არსებითი, იცხოვრო მიტევების პერსპექტივით, რომ ნაკლებ ადამიანთა შორის ეძიო რეალური მტერი (რომ უნებურად, შემთხვევით, მოყვარე არ გაწირო)!

მტრის დამარცხებისა თუ განადგურების გამო ადამიანი განსაცდელსა თუ ბოროტებაში არ ვარდება! **ადამიანი განსაცდელში აღმოჩნდება სწორედ მიტევების ვერშეძლების გამო;** რა თქმა უნდა, ხორციელი ცოდვების (უღმერთობა, მკვლელობა, მრუშობა, ქურდობა, ცილისწამება, შური...) გამოც.

ერთიც: ადამიანი, რომელსაც ბევრი სიკეთე გაუკეთე, მაგრამ მაინც უსაფუძვლოდ გატკინა გული, ანდა, შეურაცხყოფა მოგვაყენა თუ შენს წინაშე დანაშაული ჩაიდინა (შენს წინაშე "ვალი" დაიდო), მიტევების შემდეგ შეიძლება შენი მეგობარიც გახდეს /ან, ისევ გახდეს შენი მეგობარი/; თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ის გაიაზრებს თავის შეცდომას და გულწრფელად მოინანიებს. მხოლოდ **შეუქცევადი მონანიების** შემთხვევაში ბრუნდება მიტევებულისადმი ნდობა (სხვა შემთხვევაში არაფერი უშველის გაბზარულ სამეგობრო გულს).

ამრიგად: წარმოდგენილი "საუფლო ლოცვის" მიხედვით, **მიტევების უნარის გარეშე ცხოვრება არის განსაცდელში დარჩენა:** როცა მიტევება არ შეგიძლია და სიბრაზით, მრისხანებით, შურისძიებით, ბოღმით ცხოვრობ და შენს ენერგიას ნეგატივს – სიძულვილს – ახარჯავ.

**მტრისაგან უნდა დაიცვა ღირსება, ოჯახი, სამშობლო;** მოწინააღმდეგეც უნდა დაამარცხო, მაგრამ სიძულვილით არ უნდა იცხოვრო; სასიცოცხლო ენერგია შურის, ბოღმის მონელებას კი არა, თავდაცვას, მიტევებასა და სიკეთის ქმნას უნდა მოახმარო; ასეთ შემთხვევაში მიაღწევ მყარ წარმატებას; **მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებ, იცხოვრო პოზიტივით, სიმშვიდით და სიყვარულით.**

ჩემს სტატიას კი ასე დავასრულებ: **ღმერთო ძლიერო და ყოვლისშემძლევ, მომეცი ძალა, მივუტევო მათ, ვინც გული მატკინა, რომ არმიტევების განსაცდელს გადავურჩე, მრისხანებასა და ბოროტებაში არ დავრჩე, სიმშვიდითა და სიყვარულით ვიცხოვრო და ჩემი სასიცოცხლო ენერგია სიყვარულსა და სიკეთის ქმნას მოვახმარო!**

---

[1] მსჯელობის გაგრძელებამდე ერთი ფაქტის შესახებ:

ადამიანთა უმრავლესობა განსაცდელის დროს ხედავს/გრძნობს ღმერთის ძალას... ზამთრის გარდა ჩემი ბრალიც იყო ის, რომ ამ ცოტა ხნის წინ **ერთ განსაცდელში აღმოვჩნდი.** გადავრჩი. ეს წერილი მანამდე დავწერე, თუმცა, ეს შემთხვევა დამეხმარა, ასე დამეზუსტებინა "მამაო ჩვენოს" ცნობილი ფრაზის: **"და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა"** გააზრება.

[2] http://www.orthodoxy.ge/sakhli/sauflo.htm; ჟურნალი „წყარო" N17, 1993 წ. იანვარი.

[3] http://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/mate-6.htm

[4] http://www.orthodoxy.ge/tserili/kiknadze/luka.htm

[5] თუ ვერ აპატიებ სხვებს, შენი ცოდვები არ მოგეტევება და შესაბამისი საზღაურიც (ბოროტებაში დარჩენა!) შენვე დაგეკისრება.

[6] მასალის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ მორჩილ ელენეს (ლელა ჭელიძე).

[7] Πάτερ Ημων ὁ ἐν τοις ουρανεις
ἁγιασθήτω τὸ ὄνομά Σου·
ἐλθέτω ἡ Βασιλεία Σου·
γενηθήτω τὸ θέλημά Σου,
ὡς ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς·
τὸν ἄρτον ἡμῶν τὸν ἐπιούσιον δὸς ἡμῖν σήμερον·
καὶ ἄφες ἡμῖν τὰ ὀφελήματα ἡμῶν,

ὡς καὶ ἡμεῖς ἀφίεμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν·
καὶ μὴ εἰσενέγκῃς ἡμᾶς εἰς πειρασμόν,
ἀλλὰ ῥῦσαι ἡμᾶς ἀπὸ τοῦ πονηροῦ.

ბერძნული ტექსტის განმარტება მოგვაწოდა მამა მიქაელმა (ბრეგვაძემ), რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

[8] სომხური მასალა მოგვაწოდა ჩვენმა კოლეგამ, პროფ. ნინო გოქაძემ.

[9] მათეს სახარება, თავი VI, გვერდი 438. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის მატიანე, შედარებული ებრაულ და ბერძნულ დედნებს. თავი VI, გვერდი 438. კოსტანდნუპოლისი; გ.პაღტატლიანის გამომცემლობა, 1895 წელი.

[10] მათეს სახარება, თავი VI, გვერდი 991-992. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა, ამსტერდამი, დაბეჭდილი წმინდა ეჩმიაძინისა და წმინდა სარგის ზორავარის (მთავარსარდლის) გამომცემლობაში მაცხოვრის 1666 წელს, ხოლო სომხური წელთაღრიცხვით 1115 წლის (+551) 11 მარტს.

**ქართული თარგმანი:** მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს მეუფება შენი, იყვნეს ნება შენი, როგორც ცაში, ასევე მიწაზე. პური ჩვენი ყოველდღიური მომეც ჩვენ დღეს და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, როგორც ჩვენ მივუტევებთ ჩვენს თანამდებთ. და ნუ წაგვიყვან ჩვენ **საცდუნებლად (გამოსაცდელად),** არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენია მეუფება და ძლიერება და დიდება საუკუნოდ.

სიტყვების მნიშვნელობები ძველი სომხურის ლექსიკონის განმარტებით, ალექსანდრე ხუდაბაშიანი, სომხურ-რუსული ლექსიკონი, ერევნის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ერევანი 1986 წელი. փորձություն – искушение, опыт, злополучие; պարտք – долг, должность, обязанность, требование. հանապազորդ – непрестанный, частый, насущий, ежедневный, повседневный, безпрерывно, всегда.

[11] შდრ., რ. შტაინერი: განსაცდელია ცდუნება:

“ეთერული ანუ სასიცოცხლო სხეულის შეცდომა არის ვალი (თანანადები);

ასტრალური სხეულის შეცდომა არის ცდუნება (განსაცდელში შესვლა);

“მე” შეცდომა არის ბოროტება.” /მამაო ჩვენო (ეზოთერული მიმოხილვა), 1907, გვ. 21: http://www.esoteric.ge/forum/index.php?showtopic=2027

[12] http://www.orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/mate1-7.htm

[13] http://martlmadidebloba.ge/mogvatseoba25.html

[14] http://www.orthodoxy.ge/tserilebi/kibe/8.htm

[15] http://martlmadidebloba.ge/ganmarteba14.html

[16] http://martlmadidebloba.ge/ganmarteba14.html

[17] **მრისხანება**– მძაფრი რეაქცია ფიზიკურ ან ზნეობრივ დაბრკოლებაზე, რომელიც იწვევს სამაგიეროს გადახდისა და ამ განცდათა აღმძვრელი პირის დასჯის სურვილს;

[18]მომაკვდინებელი ცოდვები: მრისხანება, ანგარება, უქნარობა, ამპარტავნება, სიძვა, ნაყროვანება და შური შდრ., http://www.ambebi.ge/sazogadoeba/138360-romelia-8-momakvdine-beli-codva-qes-codvebi-adamians-ghmerths-avitsyebsq.htm: ნაყროვანება/სიმთვრალე, სიძვა, ვერცხლისმოყვარეობა, **მრისხანება**/სიფიცხე, ურვა (მწუხარება), მოწყინება, მცონარობა, მზვაობრიობა/ ადამიანური დიდების ძიება, სიამაყე.

[19] **მიტევება**– აქტი, რომლითაც აღსარების მიმღები სინანულის ანუ შერიგების საიდუმლოში იესო ქრისტესა და ეკლესიის სახელით მონანიეს ჩადენილ ცოდვათაგან მიტევებულად ადგენს და აცხადებს; ზოგადად, მიტევება – წყენის, დანაშაულის გულწრფელად პატიება.

[20] სხვადასხვა საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ წყობას სხვადასხვა ორიენტირი აქვს: ქართველების დიდი ნაწილისათვის **საუკუნოვანი ორიენტირებია:** იესო ქრისტე (სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი), წმინდა გიორგი, წმინდა დავით აღმაშენებელი, წმინდა ილია მართალი, ქართველთა ენობრივი ერთიანობის მცველი იაკობ გოგებაშვილი... მტერი, პირველ რიგში, სწორედ ამ ორიენტირებს ებრძვის, ცდილობს გაგვიბუნდოვნოს, დაგვავიწყოს; შდრ.: საბჭოთა იმპერიის მესვეურნი ცდილობდნენ, ორიენტირად ექციათ ვლადიმერ ლენინი; განსხვავებული აზრების მიუხედავად, თურქეთის ორიენტირი დღემდეა ათა თურქი და სხვ.

22 თებერვალი, 2017

# ზურაბ გორგილაძის “მწუხარება” და “მქუხარება”

“მქუხარებით” დავიწყებ: მხოლოდ ზურაბ გორგილაძეს შეუძლია, სანთელივით ჩამოძერწილი, სინაზემდე დახვეწილი სიტყვათჰარმონია მგრგვინავ ხმიანობად აქციოს:

“ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები,
მიყვარს ზვავების და ლოდების გულზე ჯახება,
მიყვარს ამ მთებში გავარდნა და გაყაჩაღება,
ჩემს ხევხუვებში ძველებურად ქუხს მაჭახელა,
ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით!..”[1]

დიდებული პოეტი ბევრი რამის გამო წუხდა, მაგრამ ორი თემა მუდამ უმუქებდა განწყობას:

– ბატონი ზურაბი განიცდიდა, რომ **ტაო-კლარჯეთის ღვთიური მადლით** გასხივოსნებული მისი სიღრმისეული პოეზიით, თითო-ოროლა ღირსეული პიროვნების გარდა, ვერ თბებოდა ნაამირალ-ნაათეისტარი კოსმოპოლიტური თბილისის საზოგადოება (“რა ვქნა! კლარჯული მზის ხავერდები, ცეცხლს საყელოში ლერწამს უკიდებს, საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხე!”[2]... არადა, დედაქალაქის ვალია, ყველა კუთხის ღირსეული (საქართველოს ერთგული) შვილის ჩახუტება; ამ ვალის აღსრულების პერსპექტივა თბილისს (თუ თფილისს) წინა აქვს, რომ კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს ქუთაისისა და მცხეთის მაკონსოლიდირებელი ისტორიის გვერდით;

– ბატონი ზურაბი უფრო განიცდიდა იმას, რომ ისტორიის არცოდნისა თუ, ზოგადად, განათლების სინაკლულის გამო, “მავანნი” ვერ ხედავდნენ **აჭარელთა ღირსეულ ქართველობას** “(...სულში რისხვა გაჭენდება, უნებურად ხელს ხანჯალზე გაივლებ, ნუთუ ჩემმა სევდიანმა აჭარლობამ საქართველოს წაუხდინა რაიმე?!)[3].

**პირად საუბარშიც ჩემთვის არაერთხელ უთქვამს:** ბევრი დაწერე აჭარის შვილების გმირულ წარსულზე, ჩვენი კუთხის უმძიმესი ისტორიის მიუხედავად, **მაინც ჩვენს საოცარ გადარჩენაზე...**

ვეუბნებოდი: “მე ენათმეცნიერი ვარ და არა – ისტორიკოსი”;

მპასუხობდა: “სწორედ ენამ გადაგვარჩინა!”

ყველას გვაღიზიანებდა და გვაღიზიანებს ახლაც (იხ., მაგ., 2017 წლის 11 მარტის ბათუმის აქციის მაპროვოცირებელი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი) აგრესიულ უვიცთაგან აჭარლებისაკენ ნასროლი ანტიქართული (ქართველობის დამაკნინებელი!) და დაუმსახურებელი “იარლიყი”; ბატონ ზურაბს საგანგებო სატელევიზიო გამოსვლაც კი ჰქონდა ამ თემაზე: “გამჩენელო, უფალო, სამართალი სად არი?”[4]

**ყველას ცალ-ცალკე ხომ არ მოუყვებოდა, რომ:**

– 30-35 საუკუნის წინანდელი აჭარა კოლხური (ზოგადქართველური!) არქეოლოგიური კულტურის/ცივილიზაციის გამორჩეული ცენტრია;

– ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია ზემო აჭარაში, სოფელ დიდაჭარაში, ააგეს აჭარლებმა;

– ერთიან საქართველოს ბევრი გმირი და მოღვაწე უშვა აჭარამ; მხოლოდ **ტბელ აბუსერიძის სახელი გადაწონის “მავანთა”** ჯილაგს;

– ოსმალთა ბატონობის პერიოდში მხოლოდ აჭარლებმა შეინარჩუნეს იარაღი და თავიანთ ყველა დასახლებაში გადაარჩინეს დედაენა; აჭარაში ფარული ქრისტიანობა მხოლოდ რუსეთის იმპერიის გაბატონების შემდეგ მინავლდა: მეფის რუსეთის ხელისუფლებამ არ დაუჯერა ქართველ განმანათლებლებს და არაფერი გააკეთა აჭარაში ქრისტიანობის ასაღორძინებლად!

– მსოფლიოს იმ მხარეებს შორის, სადაც არაბებმა, სპარსელებმა და ოსმალოებმა ცეცხლითა თუ ეკონომიკური ზეწოლით გაავრცელეს მუსლიმანობა, **აჭარა ერთადერთი სივრცეა,** სადაც მკვიდრი მოსახლეობა ინტენსიურად უბრუნდება წინაპართა რელიგიას – ქრისტიანობას;

– მილიარდ-ნახევარი მუსლიმანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საზღვარზე არსებული საქართველოს ულამაზესი კუთხე – აჭარა – გამორჩეულია იმითაც, რომ აქ მართლა ერთ ოჯახად ცხოვრობს ქრისტიანი და მუსლიმანი; **ამ თვალსაზრისით საქართველოს ეს უმშვენიერესი კუთხე განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ინდივიდთა თანაცხოვრების საოცარი მოდელია მთელი**

**მსოფლიოსათვის.**

წმინდა ილია მართალის, დიდი იაკობ გოგებაშვილისა და მათი თანამოაზრეების აქტიურობით მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში დაწყებული დიდი აღორძინება – ნაოსმალარი იარების მოშუშება – შეწყვიტა 1913 წელს გამოცემულმა იოსებ სტალინის წიგნმა: "მარქსიზმი და ნაციონალიზმის საკითხები": ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ აჭარლები მეგრელებთან და სვანებთან ერთად "უმწერლობო ენის" მქონე "სხვა ხალხად" გამოაცხადა[5]; ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ცნობიერების დანაწევრებაზე გათვლილი **ეს ფსიქოლოგიური დივერსია ინერციით დღემდე მოქმედებს.** გარკვეულ წრეებში ამას ემატება ის გვიანშუასაუკუნეობრივი მიდგომაც, რომელიც რელიგიის მიხედვით განსაზღვრავს ეროვნებას (1992 წლიდან დღემდე არსებულ ხელისუფლებებს მაინც სასკოლო განათლების გზით უნდა დაებალანსებინათ ეს იდეოლოგემაც; ამ მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დიდი სამუშაო აქვს გასაწევი).

გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდში კრემლიდან მართული ხელისუფლება **ქართველთა კონსოლიდაციაზე,** კონსოლიდაციის კონტექსტშივე **საკადრო პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის** შემუშავებასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართველობის **ეთნიკური თვითშეგნების** გადარჩენაზე არ იზრუნებდა, მაგრამ არც პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიცვალა რაიმე; მეტიც, სწორედ ბოლო 25 წელიწადში გახდა აქტუალური ფერეიდნელი ქართველის დამწუხრებულ ცნობიერებაში შექმნილი ფრაზა: **„მირჩევნია ირანში გურჯი მიძახონ, ვიდრე – საქართველოში თათარი"...**

მსოფლიოში გაფანტული ქართველების კონსოლიდაცია ვერ მოხდება, თუკი ჩვენი საზოგადოების თვითაღქმაში წინა პლანზე დარჩება ქალაქურ-კუთხური თუ აღმსარებლობით-სოციალური სხვაობები და **წარმმართველი არ გახდება ისტორიული დედაენობრივი და კულტურული ერთიანობა.** სწორედ ამ პრობლემამ ათქმევინა დიდ ქართველ პატრიოტს, ჩვენს ზურაბ გორგილაძეს, შემდეგი სიტყვები:

სიზმარ-სიზმარ მიბრუნდება,
შატბერდი და შორი ბანა,
იქ სანთლები ჩემი სისხო,
ჯერეთ კიდევ არ ჩამქრალან,
მეყო ჟამმა ჟანგნაფლეთმა,
რაც დამფლა და რაც დამგმანა![6]

**სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს:** დღეს განათლების სისტემის შესაბამისმა სამსახურებმა თუ მასმედიის საშუალებებმა პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები და, ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით, მეტი აქცენტი გააკეთონ **ერთიანი საქართველოსათვის** სხვადასხვა კუთხის ქართველობის ისტორიულ დამსახურებაზე, მაგ., სვანების, ლეჩხუმელების, რაჭველების, მოხევეების, ხევსურების, თუშების... მიერ კავკასიის გადმოსასვლელების მეციხოვნეობაზე, სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა – ტაოელთა, იმერხეველთა, კლარჯელთა, ლაზთა, აჭარელთა ერუშელთა, ჯავახთა, სამცხელთა, ჰერელთა – დაღვრილ სისხლზე, **სისხლზე, რომელმაც საქართველოს ცენტრალური კუთხეების მცხოვრებთ უცვლელად შეუნარჩუნა ქართველური მეობის განმსაზღვრელი მარკერები** (ენა, სარწმუნოება, ტრადიციები...), ქართული კულტურის მესაძირკვლეების (იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, ჭყონდიდელების...) შთამომავალთა – კელასურის დიდი კედლის ამგებ მეგრელთა – **ზოგადქართულეროვნულ ძალისხმევაზე** და სხვ. ესაა გასაკეთებელი! ამ დროს კი დიდებული ქართველი პოეტი იძულებული ხდება, აჭარის გამკილავ „მავანს" ასე შეუძახოს:

„...თავად ქრისტეს სჯულისათვის,
ყოველივე აქ ხომ სისხლით შენივთდა,
იქნებ რამე აქვს სადავო საქართველოს
ყაბალახში თავმოკვეთილ სელიმთან?!
მთავარი კი ერთი არის,
წარმართული ქვა-ქუსლებით მილეწეს,
ღვთაებრივი ქრისტეს ჯვარი,

საქართველოს მე – პირველმა მივეცი!!![7]

ასე ხმამაღლა შეუძახა იმიტომ, რომ იცის, თავისი მთლიანი მოდგმითაა მართალი „მავანთა“ წინაშე; შეუძახა **და წარბგახსნილად დაუმთავრა:**

„ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა,
წარბგახსნილი დავალ განა,
საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
ჩემი ყველა **მქუხარება,**
**მწუხარებაც** გენაცვალა!
... შენი სიტყვის სიცოცხლისთვის
ხიხაძირში კიდევ ვდგავარ,
შენი ჭერის სიმაღლისთვის,
მარადიდში ვხლიჩავ ყავარს,
შენი რჯულის საჯილდაოდ,
სხალთას ვრეკავ ზარებს მთავარს,
ერთ ძირ ვენახს სულ გირგავდი,
კვლავ დაგირგავ დღეს და ხვალაც!
იდიდგულე რომ ამფერი
აჭარელი გყავდა განა![8]

**შენიშვნები:**

[1] უბერებელი მუხამბაზი http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2246

[2] “საქართველოში ისე ვბერდები” http://poetry.ge/poets/zurab gorgiladze/poems/8202.saqart-veloshi-isev-vberdebi.htm; ამ დროს ფრიდონ ხალვაშმაც ამოიკვნესა: **“თბილისო, მე რომ შენთან მოვედი, სიყვარულივით ვიდექ მდუმარი... შენი შვილი ვარ, შენი პოეტი, მე არ ვიქნები შენი სტუმარი!..”**

[3] იქნებ http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2253

[4] http://wikibit.me/video/Og6Nfk5n3SE

[5] **“გათიშე და იბატონეს“ რუსულიმპერიული პოლიტიკა სათავეს იღებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; წიგნში: “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი” (თბ., 1951) კი ვკითხულობთ”:** “კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?” (გვ. 138-139)... “ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია – ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის (რუსული კულტურის – ტ. ფ.) საერთო კალაპოტში მოვაქციოთ” (გვ. 142).

[6] ჩაუმქრალი სანთლები (ჰოიდა ნანა) http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2258

[7] “იქნებ” http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2253

[8] ჩაუმქრალი სანთლები (ჰოიდა ნანა) http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2258

22 მარტი, 2017

# დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის საუკუნოვანი ქართული იდეა (ისტორიული კონტექსტი)

ქართულ სინამდვილეში ქალისა და მამაკაცის თანასწორ მოვლენებად დანახვა ისეთივე ძველია, როგორც ქართული ენა; კერძოდ, ქართულ ენობრივ მსოფლაღქმაში თავიდანვე იშვა ორი არსებითი სიტყვა, რომელმაც ასახა ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორობა; ეს სიტყვებია: **დედა-კაცი, მამა-კაცი;** ,,კაცი“ ნიშნავს ,,ადამიანს“ (და არა – მამაკაცს): შესაბამისად, დედაკაცი – მდედრი ადამიანი; მამაკაცი – მამრი ადამიანი; შდრ.; მეგრულ კილოში გვაქვს: **ოსურკოჩი, ქომოლკოჩი;** რაც ცხადყოფს, რომ წარმოდგენილი კომპოზიტები საერთოქართველურია – უძველესია! ვფიქრობთ, **კაც– ფუძე იგივეა, რაც ,,კეც-“** (თიხა, წითელი მიწა)[1]; რაც იმას ნიშნავს, რომ ებრაული სიტყვა-ფორმა ,,ადამი“ –ადამიანი/თიხა და ქართველური “კაცი”/”კეცი” – ადამიანი/თიხა უფლისაგან ადამიანის შექმნის პარალელური გააზრებაა.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა, რომელიც ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფენაშივეა ასახული, გამოვლენილია ქართველურ მითოლოგიაშიც; კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხეში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქალღმერთსა და ,,ადგილის დედას“; მაგ., II საუკუნის რომაელი მოხელის – ფლავიოს არიანეს – თხზულებაში: ,,მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ვკითხულობთ: ,,შევედით მდინარე ფაზისში (სავარაუდოდ, ჭოროხის ხეობაში – ტ.ფ.)... ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია **ფაზისელი ქალღმერთის ქანდაკება.** გარეგნობის მიხედვით ის რეას ჰგავს, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, მისი სავარძლის წინ ლომები წვანან“[2].

თანამედროვე სპეციალისტთა დასკვნითაც[3] წინარექრისტიანულ პერიოდში ქართველები თაყვანს სცემდნენ როგორც უზენაეს ღმერთს (მორიგე ღმერთს), ასევე ქალღმერთს (მზექალს)[4].

ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის წარმოჩენის თვალსაზრისით ქართული მსოფლაღქმა თვისობრივად ახალ სიმაღლეზე ავიდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, როდესაც დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ **საქართველო ღვთისმშობლის – წმიდა მარიამის – წილხვედრი ქვეყანაა.** წერილობითი წყაროების მიხედვით, სწორედ ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში პირველ საუკუნეშივე ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა; ხოლო მეოთხე საუკუნეში – წმინდა ნინომ.

ქალის ღირსების წარმომჩენი “ჯაჭვის“ ლოგიკური გაგრძელებაა იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამების“ მთავარი გმირის ფილოსოფია; კერძოდ, ქართველთა პირველი წმინდანი შუშანიკი (V საუკუნე) არ ემორჩილება ქმრის მოთხოვნას და მორჩილ დედოფლობას არჩევს რწმენისათვის თუ საკუთარი არჩევანისათვის სიკვდილს.

ქალი, როგორც ძლიერი პიროვნება, დახატულია ფებრონიას სახით X საუკუნის აგიოგრაფიულ ნაწარმოებშიც – გიორგი მერჩულის ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: ფებრონია ძლევამოსილ მეფესაც კი აიძულებს, შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება.

აშკარაა, რომ ადრეული შუა საუკუნეების დროიდან მოყოლებული, ქართველი ერის მსოფლაღქმაში ქალს, როგორც მამაკაცის თანასწორუფლებიან ძლიერ პიროვნებას, თავისი ღირსეული ადგილი ეჭირა; **სწორედ ამგვარი ტრადიციული ხედვის არსებობა გახდა საფუძველი, რომ XII საუკუნეში საქართველოს დიდი სახელმწიფოს მეფე (და არა – დედოფალი!) გახდა ქალი – თამარ ბაგრატიონი, შემდგომში – წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი[5].**

ნიშანდობლივია, რომ სწორედ თამარ მეფის ეპოქაში იქმნება ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენს არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თეორიულ არგუმენტირებას, არამედ გამორჩეულ ქალს – თამარ მეფეს – **ქრისტე ღმერთთან ათანაბრებს და მეორე მესიად მიიჩნევს** (იხ., მაგ., ჩახრუხაძის ,,თამარიანი“). წარმოდგენილ სტატიაში მოკლედ განვიხილავთ ნიკოლოზ გულაბერისძის საეკლესიო ხასიათის თხზულებას: ,,საკითხავი სუეტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“ და შედარებით ვრცლად – შოთა რუსთაველის საერო ხასიათის პოემა ,,ვეფხისტყაოსანს“.

XII საუკუნის II ნახევრის ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ გულაბერისძე, მსჯელობს რა IV საუკუნეში საქართველოს განმანათლებლად ქალის – წმიდა ნინოს – მოვლინების შესახებ, სვამს ასეთ კითხვას: **,,ხოლო პირველად ესე საძიებელ არს, თუ რაჲსათჳს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან**

**ჩუენდა მომართ?“**

მისი პასუხი ასეთია: საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ღვთისმშობელი მარიამი ადამიანთა სამყაროში ყველა მამაკაცსა და დედაკაცზე უპირატესია; ღვთისმშობლის თხოვნით უფალმა IV საუკუნის საქართველოში განმანათლებლად მოავლინა ქალი (წმინდა ნინო), რომელიც, ფაქტობრივად, ღვთისმშობლის მისიის შემსრულებელია[6]. ჩვენთვის საინტერესო კონტექსტს კარგად მიესადაგება ცნობილი მეცნიერების: კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის დასკვნა: ,,ქალის უფლებისა და ქალის ღირსების ნათელსაყოფად ნიკოლოზ გულაბერისძემ მოიშველია წმ. ნინოს პოპულარული სახელი. გულაბერისძის მოსაზრებით, ღმერთმა ქალი იმიტომ მოავლინა საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლად (“განმანათლებლად”), რომ ყველასათვის თვალსაჩინო გაეხადა ქალის განსაკუთრებული პატივი და ღირსება (ხაზი ჩვენია – ტ.ფ.)... ნინოს სახელის მომიზეზებით გულაბერისძე ქებათა-ქებას ასხამს ქალის ღირსებას და არაპირდაპირად ასაბუთებს თამარის კანონიერ უფლებას, ,,ღვთისმშობლის წილხვდომილ“ საქართველოს რომ უხელმძღვანელოს, როგორც გვირგვინოსანმა მეფემ”.[7]

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის წარმოჩენის თვალსაზრისით მსოფლიოს მასშტაბით გამორჩეული ,,ტრაქტატია“ შოთა რუსთველის ,,ვეფხისტყაოსანი“; შდრ., XII-XIII საუკუნეების აღმოსავლურ პოეზიაში ქალი მხოლოდ ხორციელი ვნების სამყაროა და არა – მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ადამიანური სამყაროს ცენტრში განიხილავს საკუთარ მეობას. ამავე პერიოდის დასავლურ სამყაროში ქალი შედარებით აქტიურია გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით (,,ნიბელუნგების თქმულება“, ,,სიმღერა როლანდზე“...), მაგრამ მაინც გაცილებით უუფლებოა, ვიდრე – შოთა რუსთველის დროინდელ საქართველოში, სახელმწიფოში, სადაც ქალი რეალურადაა ხელმწიფე. ,,ვეფხისტყაოსანში“ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა საფუძვლიანადაა გაანალიზებული რამდენიმე წახნაგით; კერძოდ:

– მე-12 საუკუნის ავტორის ქალი არა მხოლოდ თავისუფლად აზროვნებს, არამედ თავისუფლად ლაპარაკობს თავის განცდებსა და გრძნობებზე; ქალი პერსონაჟები (მამაკაცების თანასწორად!) თავს განიხილავენ სამყაროს ცენტრში (რენესანსის უპირველესი ნიშანი!) და უკომპლექსოდაც მოქმედებენ;

– ტრადიციულად, ვაჟია მეფის მემკვიდრე, მაგრამ ,,ვეფხისტყაოსანში“ ასულიც ძედ იწოდება; ასულიც მეფის მემკვიდრეა;

– სოციალურად დაბალ საფეხურზე მყოფი ქალიც კი შეიძლება იყოს მამაკაცის მეგობარი, და, დობილი;

-არაიშვიათად, ,,ვეფხისტყაოსანში“ ქალია მამაკაცისთვის დავალების მიმცემი და უპირატესია თანასწორ წყვილში; ქალი ისეთივე სტრატეგია, როგორც მამაკაცი; მეტიც, არაიშვიათად, ქალის გეგმა უფრო მახვილგონივრულია (თინათინის გეგმა უცხო მოყმის მოსაძებნად);

– ქალის ნების აღმკვეთად არასოდეს გვევლინება მამაკაცი; ასეთ სისასტიკეს ისევ ქალი ჩადის (დავარი ნესტანის მიმართ!).

– ტრადიციის მიხედვით, მამაკაცთან საუბარისას ქალი მორიდებული უნდა იყოს; როგორც წესი, ,,ვეფხისტყაოსნის“ ქალები არც ამ ტრადიციას იცავენ;

– ტრადიციულად, ქალი თხოვდება; ,,ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ ხდება ქალის მიერ მამაკაცის შერთვა –პოემაში ორჯერაა აღწერილი ზედსიძედ მისვლა.[8]

თამამად შეგვიძლია ვთქვათ: XII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში სხვაგან არ გვაქვს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასე გამოკვეთილი, მრავალწახნაგოვნად დაბალანსებული და არგუმენტირებული კონცეფცია; **არ არსებობს სხვა მხატვრული თუ სხვა ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც ძლიერ, თავისუფალ, საკუთარი ნების აღმასრულებელ პიროვნებ(ებ)ად ასე მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ქალი[9].**

შდრ.: მსოფლიოს ცივილიზებულ ნაწილშიც კი – ევროპაში – მე-14 საუკუნის დასასრულს (1394 წ.) ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ სპეციალურად დაბეჭდილ წიგნში ავტორი რჩევას აძლევს ქალებს, შეასრულონ ყველაფერი, რასაც ქმრები სთხოვენ. შუა საუკუნეებში ქალი მიიჩნეოდა ძირითადად სექსუალურ არსებად; შესაბამისად, ქალი იყო კაცის მაცდუნებელი, ყოველგვარი ამორალურისა და ბოროტის საწყისი[10]. მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის რევოლუციის ფარგლებში ჩნდება მოწოდება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ. ამის

მიუხედავად, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე ქალს არ ჰქონდა უფლება, ოფიციალურად ჩართულიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

XII საუკუნეში მცხოვრები ქართველი შემოქმედის მთელი ძალისხმევა კი მიმართულია იქითკენ, რომ არგუმენტირებულად, დამაჯერებლად დახატოს ქალისა და მამაკაცის ჰარმონიული წყვილობა – სრული თანასწორობა; მოკლედ რამდენიმე ასპექტის შესახებ:

**ა) ქალი – ხელმწიფე.** XII საუკუნის ქართულ პოემაში მოვლენები ვითარდება სულ ხუთ სახელმწიფოში: ინდოეთში, არაბეთში, მულღაზანზარში, გულანშაროსა და ქაჯეთში. ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რომ ამ ხუთი ქვეყნიდან სამის მეფე ქალია: თინათინი (არაბეთში), ნესტანი (ინდოეთში), დულარდუხტი (ქაჯეთში).

ქართულ ენაში (არქაულშიც და თანამედროვეშიც) სიტყვა-ფორმა „ძე“ გამოიყენება მხოლოდ **მამრობითი შვილის** აღსანიშნავად; შდრ., მდედრობითი შვილის აღსანიშნავად გამოიყენება „ასული“. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პოემაში „ძეს“ იყენებს მეფის ქალიშვილის აღსანიშნავადაც; კერძოდ, ნაწარმოებში სიტყვა-ფორმა „ძე“ 7-ჯერ გამოიყენება; მეფის ქალიშვილს მიემართება 3-ჯერ; მაგ., თინათინის შესახებ ვკითხულობთ:

(33) სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო **ასული,**
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.
(36) მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
**ჩემი ძე** დავსვათ **ხელმწიფედ,** ვისგან მზე საწუნელია.“
(48) უბრძანა: ,,ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენია მართ მონდობილი.
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!
(118) მეფე ბრძანებს: ,,მართალ იყო **ასული და ჩემი ძეო,**
ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო.
გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო“.

თინათინის გამეფების პროცესში კი გენიალური ავტორი უკვდავ აფორიზმსაც ქმნის:

(39) **თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;**
**არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;**
**შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.**
**ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“**.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ დამოწმებულ სტროფში წარმოჩენილი მდედრისა (ქალისა) და მამრის (მამაკაცის) **თანასწორობა მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრებით შემოიფარგლება; ან სულაც, ქალის გამეფება მხოლოდ ძე მემკვიდრის არარსებობით შეიძლება აიხსნას[11].** ვფიქრობთ, განსხვავებული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ტექსტის ანალიზი; კერძოდ, **ლომის ლეკვი ქალის მიმართ სხვა შემთხვევაშიცაა გამოყენებული და ამ შემთხვევაში ასმათს – მსახურ ქალს მიემართება:**

(999) ქალი მარტო ქვაბსა შიგან ზის მტირალი, ცრემლ-ნაწთომი;
ყმა ნადირსა უნადირებს, **ლომის ლეკვსა ვითა ლომი,**
მიართვამს და აგრე არჩენს იგი ერთგან ვერ-დამდგომი,
მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი.
დულარდუხტს – ქაჯეთის დედოფალს – კი ასე ახასიათებს შოთა რუსთველი:
(1221)დულარდუხტ არის დიაცი[12], მაგრა კლდე, ვითა ლოდია,
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია;
მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია, –
და აწ იგი **ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე** ზის, მორჭმული სწოდია.

**ბ) კაცი და უგულო კაცი; ქალი და დიაცი.** შოთა რუსთველი ასხვავებს მამაკაცსა და უგულო მამაკაცს, ქალსა და დიაცს და თანასწორ მოვლენებად განიხილავს გულიან (ღირსეულ) მამაკაცსა და ზნეობრივი კანონებით მოქმედ ქალს; მაგ., ხელისუფალ ქალებს შორის მე-12 საუკუნის ავტორი მხოლოდ დულარდუხტს – მოძალადე ქაჯების ხელმწიფეს – უწოდებს "დიაცს". შოთა რუსთველისათვის მდედრი ადამიანი ორგვარია: ზნეობრივი და უზნეო; ზნეობრივ **მდედრ ადამიანს ავტორი "ქალს" უწოდებს;** ზნეობის მხრივ პრობლემურს კი – "დიაცს". ასევე გამიჯნულია მამრობითი ადამიანიც: **ღირსეულ მამაკაცს** მიემართება სიტყვა-ფორმა "მამაცი", ხოლო უღირსებოს – **უგულო კაცი;** შდრ., თავად ავტორის ტექსტი:

(952) კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის".

**უგულო კაცი ვერ კაცობს:**

(848) გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან.
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკე მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდიან.

**შოთა რუსთველი უფრო მკვეთრად ქვემოთ წერს: მამაკაცს უგულობა დასვრის, ქალს კი – ბოზობა:**

(1204) მის მთვარისა სადაობა კვლა გიამბო, საქმე კვლაცი;
აწ უწინა ესე გითხრა, რას მექადდა ისი კაცი:
მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.

**და კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი[13].**

გენდერული კონტექსტით თუ განვაზოგადებთ:

**"ვეფხისტყაოსნის" ავტორი ერთმანეთის თანასწორად განიხილავს ქალ– და მამაც–** (და არა – დიაც– და მამაც-!) **ფუძეებით გამოხატულ ადამიანებს;** უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, "ვეფხისტყაოსნის" ავტორი ერთმანეთის თანასწორად განიხილავს ზნეობრივ ქალსა და ღირსეულ მამაკაცს; ამ კონტექსტში საერთოდ არ განიხილავს დიაცსა და "უგულო კაცს"[14].

**გ) ქალის გათხოვება, ცოლის თხოვა, ცოლის მოყვანა,** შერთვა. ქართულ ენაში გენდერული პრინციპითაა გამიჯნული ზმნები: (ქალის) გათხოვება, (ცოლის) მოყვანა, შერთვა... როგორც წესი, ქალი ,,თხოვდება", მაგრამ ნესტანის შესახებ ვკითხულობთ:

(514) გაგზავნეს კაცი ხვარაზმშას წინა შვილისა მთხოელი;
შესთვალეს: ,,გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი;
არს ერთი **ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოელი,**
თუ მოგვცემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნუღარას მოელი".

ანუ: მშობლები ნესტანის გათხოვებას არ აპირებენ: ფიქრობენ, მას შერთონ (მოუყვანონ!) ქმარი, რამდენადაც, ნესტანი მზადდება **საძეოდ – ვაჟის როლის შესასრულებლად.**

ქმარს ირთავს ასმათიც:

(1649) ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს, მისსა შეკვდომილსა
,,რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, – ერთსა წილსა,
და ზედა დაგსვამ; შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა.
(1650) ვინცა გწადდეს, **ქმრად შეირთე,** სამეფოსა ეპატრონე;
მუნიდაღმა გვმსასურებდი, თავი შენი დაგვამონე!"
ასმათ ფერხნი გარდუკოცნა: ,,შენგან-აო ჩემი ღონე,
და მონობისა უკეთესი რამც ვიშოვნე, რამც ვიქონე?"
(1653) დაჰმორჩილდა, მოახსენა: ,,ჭირთა ჟამი ერთხელია".
მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია;
**ასმათ მისცეს,** მიუძღვების, დაუჭირა სახელია,
და იგი კაცი გაადიდეს, აქვს მეფობის სახელია[15].

**დ) ქალის კრძალვა თუ სიმართლის თქმა?** ქალისა და მამაკაცის ქცევის თვალსაზრისით საყურადღებოა ,,ვეფხისტყაოსნის" შემდეგი სტროფები:

(412) თუცა ჰმართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა,

მაგრა მეტი უარეა არა-თქმა და ჭირთა მალვა:
მე თუ ზე-პირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა;
ძოღან ქალი გამოვგზავნე, ვქმენ მართლისა შემოთვალვა.
(413) ერთმანერთისა, მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა,
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა;
ამას შესჯერდი დიდითა ზენარითა და ფიცითა.
გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!

დამოწმებულ მონაკვეთში ცხადად ჩანს, რომ მიუხედავად სიყვარულის ახსნაში ქალის მოკრძალების ტრადიციისა, მე-12 საუკუნის ავტორი (თუ ერთ-ერთი მთავარი გმირი) უარყოფს ტრადიციას და ქალს პირველს აახსნევინებს სიყვარულს (რომ უთქმელობას რაიმე გართულება არ მოჰყვეს); აქვე საინტერესოა ქალისა და ვაჟის სრული თანასწორობის დამადასტურებელი ფიცის ფორმულაც:

,,ამას შესჯერდი დიდითა ზენარითა და ფიცითა.
გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“

რა თქმა უნდა, რუსთველის მიზანმიმართული ,,გენდერული“ კონცეფციით უნდა აიხსნას ისიც, რომ “ვეფხისტყაოსნის” ყველა სხვა შესაძლო სიტუაციაში სიყვარულს პირველი ქალი უხსნის (და არც ერთხელ – მამაკაცი!); კერძოდ:

ასმათი (მხევალი) – ტარიელს /ამირბარს/;
თინათინი (მეფე) – ავთანდილს /ქვეშევრდომს/;
ფატმანი (წარჩინებული ხათუნი) – ავთანდილს /უცნობ ვაჭარს/.

**ე) ქალზე ძალადობის თემა.** დასავლური თუ აღმოსავლური კონცეპტუალური სქემებისაგან განსხვავებით, ,,ვეფხისტყაოსანში“ ქალს მის დაუკითხავად ვერ ათხოვებენ; არსებითია ისიც, რომ მამაკაცი ძალით ვერ/არ იმორჩილებს ქალს; მეტიც; შოთა რუსთველის ქმნილებაში მთავარი გმირი მოახლე ქალსაც კი ძალით ვერ ათქმევინებს მისთვის აუცილებელ სიმართლეს; კერძოდ, ის ფაქტი, რომ ავთანდილი ასმათს იძულებით ვერაფერს ათქმევინებს, ქალის ღირსებისადმი მწერლის დამოკიდებულების ამსახველია; ნიშანდობლივია ისიც, რომ ავთანდილი მხოლოდ ტირილით შეძლებს საჭირო ინფორმაცია მიიღოს ასმათისაგან:

(243) ყმამან თქვა, თუ: ,,არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა,
სხვასა რასმე მოვიგონებ, სჯობს საქმისა გამორჩევა“.
გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,
და ქალსა უთხრა: ,,გაგარისხე, აწ, ესე თქვი, ვით დავრჩე, ვა!“
ასმათს კი:
(245) ყმა მტირალი შეებრალა, ამად ცრემლნი ცხელნი ღვარნა,
მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა;
ყმამან ცნა, თუ: ,,გონებანი ჩქარნი ჩემთვის დააწყნარნა“.
და ცრემლ-დენილი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა.

,,ვეფხისტყაოსანში“ ქალზე ძალადობის მხოლოდ ერთი შემთხვევაა აღწერილი და ამ შემთხვევაშიც მოძალადეა ქალი; კერძოდ, გამწარებული დავარი ცემს და ზღვაში გადაკარგავს თავის ძმიშვილს – ნესტანს.

**ვ) ფატმანის ორგვარი თავისუფლება.** ,,ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ერთი საინტერესო სახეა ფატმანი, ქალი, რომელსაც არ ჰყავს თავისი შესაფერი ქმარი და ამიტომაც თავს უფლებას აძლევს, როგორც ქალმა, თავისუფლად იცხოვროს; მისი თავისუფალი ქმედება ორ ეტაპად უნდა განვიხილოთ:

თავდაპირველად ფატმანი მხოლოდ ხორციელ სამყაროზეა ორიენტირებული; ამ პერიოდში ავტორი მის მიმართ მკაცრია და შესაბამის მონაკვეთებში მხოლოდ ,,დიაცად“ იხსენიებს (ავტორი მკვეთრად ასხვავებს ,,დიაცსა“ და ,,ქალს“)[16]. მას შემდეგ, რაც ფატმანი დიდ სიყვარულს ეზიარება (ავთანდილი შეუყვარდება), მისი ქცევა ბალანსდება და მთავარი გმირების მეგობარი ხდება. ფატმანის მიმართ ავტორიც ცვლის დამოკიდებულებას და ტარიელის დად წარმოადგენს:

(1443) ტარიელ ფატმანს უბრძანა: ,,მე თავი შენი მიდია;
დავ, ვალი შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დიდია;

აწ რაცა ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ამიკიდია,
და მომიცემია, წაიღე, არ კიდე მომიყიდია“.

**ზ) ქალის მრისხანება.** საჭიროების შემთხვევაში ,,ვეფხისტყაოსნის“ ქალებს მრისხანებაც შეუძლიათ მამაკაცის წინაშე, თუკი მამაკაცი შეცდომას დაუშვებს; ტარიელი ნესტანის შესახებ ამბობს:

(522) ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული;
მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული.
(523) მიბრძანა: “მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!
მაგრა ნაცვალსა პატიჟსა მიგცემსო ზენა, მი, ცისა!”
ვჰკადრე: “რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უვიცისა?”
(524)ვთქვი:”პასუხსა ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მართალსა:
რა შეგცოდე, რა მიქმნია უცნობოსა, ფერ-ნამკრთალსა?”
კვლაცა მითხრა:”რას გეუბნა მტყუანსა და შენ მუხთალსა?
დიაცურად[17] რად მოვღორდი? მე დავუწვავ ამით ალსა.

**თ) ქალი – ღირსეული მეგობრობის შემძლე.** მე-12 საუკუნის მსოფლიოს ცნობილ ნაწარმოებებს შორის ,,ვეფხისტყაოსანი“ გამორჩეულია ქალის, როგორც მეგობრობის შემძლე პიროვნების მონუმენტური სახეებით. შოთა რუსთველის ყველა ქალი მამაკაცის მხოლოდ მესაიდუმლე თუ სექსუალური პარტნიორი არ არის; ქართული პოემის ქალები მამაკაცების ღირსეული თანამოაზრენი და დახმარების შემძლე მეგობრები არიან; ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავთანდილისა და თინათინის, ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა, მაგრამ განსაკუთრებულია ტარიელისა და ასმათის მეგობრობა; რომ არა ასმათის გონიერება და გამძლეობა, ტარიელი ნამდვილად თავისი დაკარგული შეყვარებულის უნახავად დაიღუპებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასმათი და ტარიელი სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე დგანან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასმათი გაცნობისთანავე თავისუფლად (სიცილით) ურთიერთობს ტარიელთან:

(407)ვითა მმართებდა, ეგზომი რამცა ვით გავიხარეო!
შეღამდა, წავე, ბაღისა მე კარი შევიარეო;
სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო,
სიცილით მითხრა: ,,წამოვლე, მოგელის ლომსა მთვარეო“.

**ამრიგად, ქართულ მსოფლაღქმაში ქალი და მამაკაცი ოდითგანვე თანასწორ მოვლენებადაა გააზრებული, რაც ასახულია:**

– უძველეს ქართულ ლექსიკურ ფენაში (დედა-კაც-ი; მამა-კაც-ი);

– ქართულ მითოლოგიაში (ქალი ღვთაება კოლხეთში)

– წინარექრისტიანულ პერიოდში არსებულ ქართულ პანთეონში (მამაღმერთი, მზექალი, კვირია);

– ქართულ საეკლესიო მწერლობაში (წმიდა ნინო, წმიდა შუშანიკი... ფებრონია);

– ქართულ საერო მწერლობაში...

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ყველაზე მონუმენტურადაა წარმოდგენილი მე-12 საუკუნის ქმნილებაში – შოთა რუსთველის ,,ვეფხისტყაოსანში“. შოთა რუსთველის კონცეფცია შორს დგას როგორც მატრიარქატის მემკვიდრეობისაგან, ასევე, პატრიარქატისაგან; XII საუკუნეში მცხოვრები ქართველი შემოქმედის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ არგუმენტირებულად, დამაჯერებლად დახატოს ზნეობრივი ქალისა (არა ყველა ქალის!) და ღირსეული მამაკაცის (არა ყველა მამაკაცის!) ჰარმონიული წყვილობა – სრული თანასწორობა. ამ თვალსაზრისით პოემაში საყურადღებოა რამდენიმე ასპექტი:

ა) ქალი ისეთივე ხელმწიფეა, როგორც მამაკაცი;

ბ) ,,ვეფხისტყაოსანში“ ნეიტრალიზებულია გენდერული ხასიათის ლექსიკური ერთეული: ,,ძე“ და ზმნური შესიტყვებები: ,,ქალის გათხოვება“ და ,,ცოლის მოყვანა“; ზმნა ,,შერთვა“

გამოყენებულია როგორც ქალის, ასევე, მამაკაცის შემთხვევაში (,,ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე“);

გ) შოთა რუსთველის მიზანმიმართული ,,გენდერული“ კონცეფციით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ ყველა შესაბამის სიტუაციაში სიყვარულს პირველი ქალი უხსნის (და არც ერთხელ – მამაკაცი!);

დ) დასავლური თუ აღმოსავლური კონცეპტუალური სქემებისაგან განსხვავებით, ,,ვეფხისტყაოსანში“ გამორიცხულია ქალზე ძალადობა; შოთა რუსთველის ქმნილებაში მთავარი გმირი მოახლე ქალსაც კი ძალით ვერ ათქმევინებს მისთვის აუცილებელ სიმართლეს: ავთანდილი მხოლოდ ტირილით (ხვეწნით) შეძლებს, საჭირო ინფორმაცია მიიღოს ასმათისაგან;

ე) შოთა რუსთველის ყველა ქალი მამაკაცის მხოლოდ მესაიდუმლე თუ სექსუალური პარტნიორი არ არის; ქართული პოემის ქალები მამაკაცების ღირსეული თანამოაზრენი და დახმარების შემძლე მეგობრები არიან; ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავთანდილისა და თინათინის, ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა, მაგრამ განსაკუთრებულია ტარიელისა და ასმათის მეგობრობა; რომ არა ასმათის გონიერება და გამძლეობა, ტარიელი ნამდვილად თავისი დაკარგული შეყვარებულის უნახავად დაიღუპებოდა... და სხვ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ,,ვეფხისტყაოსანი“ არის ძლიერი მამაკაცებისა და ძლიერი ქალების პოეტური ჰიმნი; ასეთი ქალები უძველეს დროშიც არსებობენ, დღესაც არიან და მომავალშიც იქნებიან, მაგრამ მათ ძალისხმევას ყველა საზოგადოებაში ერთნაირი აღიარება არა აქვს; ამ თვალსაზრისით ნამდვილად გამორჩეულია ქართველთა მსოფლაღქმა.

[1] დედაკაც– და მამაკაც– ფუძეებში მდედრისა და მამრის თანასწორობის ფილოსოფია პირველად გააანალიზა ილია ჭავჭავაძემ; იხ, მისი “პატარა საუბარი”, გაზეთი “ივერია” 1898 წ. http://life.mediamall.ge/?id=93078.

[2] http://iveri-kopaliani.blogspot.com/2013_11_01_archive.html

[3] იხ., მაგ., “საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, თბ., 1988 გვ.

[4] გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, 2012, გვ. 237.

[5] 1223-1245 წლებში საქართველოს მეფე იყო თამარ მეფის ქალიშვილი რუსუდანიც.

[6] ტექსტისათვის იხ.: http://www.orthodoxy.ge/tveni/oqtomberi/sveticxoveli.htm

[7] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, (V-XVIII სს.), თბ., 1969, გვ. 258.

**[8] ტ. ფუტკარაძე,** ტრადიცია და ქალის თავისუფალი ნება “ვეფხისტყაოსანის” ტექსტში (გენდერული დისკურსი); შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ქუთაისი, 18-19 ნოემბერი, 2016; სტატიად დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულში “შოთა რუსთაველი – 850”, ბათუმი, 2016 წელი.

[9] შოთა რუსთველის კონცეფცია შორს დგას როგორც მატრიარქატის მემკვიდრეობისაგან, ასევე, პატრიარქატისაგან;

[10] A Brief History of Male/Female Relations markmanson.net/male-female-relations. მოპოვებულია 15.03.2017); https://fahionworld.wordpress.com/category/attachment/: 1394 AD – The earliest known book of relationship advice for women is published in France. It urges women to do everything their husbands say and to not be so horny all the time. During the medieval age, women are considered the more sexual sex. Women were seen as temptresses and immoral at best, evil at worst.

[11] მსჯელობისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966; ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ვეფხისტყაოსანში. თბ., 1993, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, / Medieval and Renaissance Trends in Rustaveli’s Vepkhistqaosani (The Man in the Panther’s Skin), Tbilisi, 1993; ე. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბ. 2009; ლ. კარიჭაშვილი, “ლეკვი ლომისა სწორია...” სოციალური თუ ეთიკური კონტექსტი, კრებული: ტერმინი, ცნება და პარადიგმა “ვეფხისტყაოსანში”, თბ., 2016, გვ. 177-186; გ. მამალაძე, “რას ნიშნავს სინამდვილეში “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია” ანუ სამეფო ლეგიტიმიზმის პრინციპები

“ვეფხისტყაოსანში” (2007.07.19 16:28) http://geotimes.ge/_old/archive/index.php?m=home&news-id=5993

[12] სიტყვა-ფორმა “დიაცი” არ უდრის “ქალს” (იხ., ქვემოთ).

[13] ნაცი – ქალის სასქესო ორგანო

[14] შდრ., შოთა რუსთველი ერთმანეთს უპირისპირებს სიყვარულსა და უგულო სიყვარულს: სიყვარულად არ განიხილავს უგულო სიყვარულს:

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში.

[15] იგი კაცი გაადიდეს (= ჩვეულებრივი მოყმე ასმათს გაუტოლეს).

[16] ფატმანში სანამ უპირატესია ხორციელება, ავტორი **დიაცს** უწოდებს (/პერსონაჟი); ფატმანში ადამიანური (სულიერი) საწყისის საბოლოო გამარჯვების შემდეგ მას დიდებული მეფენი **დას, მეგობარ ქალს** უწოდებენ. პოემაში “დიაცისა” და “ქალის” ოპოზიცია განზოგადებულია: “ვეფხისტყაოსნის” ავტორი ქალში არსებულ ორ საწყისთაგან რომელიმეს უპირატესობის გათვალისწინებით იყენებს ორ დამოუკიდებელ სიტყვას: ქალი მორალზე ორიენტირებული დედაკაცია; დიაცი კი – ხორციელებაზე ორიენტირებული დედაკაცი... სიტყვაფორმების – “დიაცისა” და “ქალის” მიზანმიმართული გამიჯვნის შესახებ ვრცლად იხ.: **ტ. ფუტკარაძე, (მამა)კაც-, დედაკაც-, მამაც-, დიაც– და ქალ– ფუძეთა სემანტიკური ველი “ვეფხისტყაოსანში”,** ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია “რუსთაველი და საქართველო,” 10 დეკემბერი, 2016 წელი. ქალისა და დიაცის გამიჯვნის თვალსაზრისით საინტერესოა ხევსურული კილოს “დიაცი” და “სწორფერი ქალი”. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მეგრულ დიალექტში “ადამიანი” ნიშნავს მხოლოდ “ქალს”.

[17] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **“ვეფხისტყაოსნის” ავტორი ერთმანეთის თანასწორად განიხილავს ქალ– და მამაც–** (და არა – დიაც– და მამაც-!) **ფუძეებით გამოხატულ ადამიანებს.**

27 მარტი, 2017

## თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა

ბათუმის (აჭარის) თანამედროვე პრობლემებიცა და პერსპექტივებიც განპირობებულია ისტორიული წარსულით, ამიტომ, მოკლედ, ბათუმის მხარის ისტორიის შესახებ:

კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალით თუ ვიმსჯელებთ, აჭარა (დღევანდელი საზღვრებით) კოლხა/კილხას, შემდგომში ქართლის/საქართველოს ცენტრალური ზღვისპირა მხარეა, სადაც ავტოქთონი მოსახლეობაა ქართველობა (ამჟამინდელი აჭარლები, ლაზები, გურულები)[1].

საქართველოს ამ მხარეს ოდითგანვე არსებითი გეოპოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა: ჭოროხის ხეობა იყო “დიდი აბრეშუმის გზის” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ სახელი ბათუმი მომდინარეობს “ბათის” Bathys ბერძნული სიტყვიდან, რაც “ღრმას” ნიშნავს; ამით ხაზი ესმება ბათუმის ნავსადგურის ანტიკურ ისტორიას (“ბათის ლიმენი” – ღრმა უბე). ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურად რთული ასახსნელია ბათის > ბათომ– (/ბათუმ-) პროცესი; უფრო ლოგიკურია ბათ-ომ– ფუძის დაშვება: სიტყვის ძირია ბათ-, –ომ– კი ქართველური სუფიქსია (თორთ-ომ-, ბორჯ-ომ-, წრ-ომ-...); შესაბამისად, უფრო ლოგიკური ჩანს ს. ყაუხჩიშვილისეული ვარაუდი, რომ ბათ– ძირი დაუკავშირდეს “ქვას”. “კლდეს” (შდრ., სვან. ბაჩ “ქვა”)[2]:

ბათ-ომ-ი/ბათუმი – ქვიანი ადგილი, ანდა, ადგილი, სადაც კლდეცი ხეა. ბათუმის ტერიტორიაზე, თამარის დასახლებაში მართლაც არის ციხე[3]. ჩანს, ზღვისპირა ზოლზეც სახელი “ბათუმი” გვიან, ოსმალთა ბატონობის დროს გადმოვიდა.

ადრეული ცნობებით, ბათუმის მხარეში მოიაზრებოდა მთელი ჭოროხისწყლის ხეობა

(აჭარისწყლის ხეობის ჩათვლით); საბჭოთა პერიოდში კი ბათუმის მხარე მხოლოდ აჭარით შემოიფარგლებოდა. აქვე თეზისების სახით წარმოვადგენ თვალსაზრისს აჭარის საზღვრების დინამიკის შესახებ[4]:

a. თავდაპირველად "აჭარა" ერქვა სოფელს ამჟამინდელ ხულოს რაიონში (ახლანდელი დიდაჭარა);

b. "აჭარა" (დიდი ალბათობით, ეტიმოლოგიურად, წყლიანი ადგილი) საქართველოში არსებულ რამდენიმე სხვა სოფელსა თუ უბანსაც ერქვა (იმერეთში, რაჭაში, ტაო-კლარჯეთში...); ამათგან მემატიანემ გამოარჩია ამჟამინდელი ხულოს რაიონის სოფელი აჭარა ანდრია პირველწოდებულის მიერ აქ ეკლესიის აღმართვის ფაქტის აღსანიშნავად; სწორედ პირველი ეკლესიის აღმართვის გამო, ამ ადგილის მკვიდრთა პატივსაცემად, მემატიანემ სოფელს "დიდი აჭარა" უწოდა.

c. ვფიქრობ, სოფელ აჭარის სახელმა განსაზღვრა მდინარის სახელიც: აჭარის წყალი

d. ცნობილი სოფლის სახელი მოგვიანებით განზოგადდა მთელი კუთხის სახელადაც, თავდაპირველად, ალბათ, აჭარისწყლის ხეობის სახელად (შდრ., მაჭახელას ხეობაში არის სოფელი "აჭარის აღმართი", რაც უნდა ნიშნავდეს აჭარისკენ გადასასვლელ გზასაც).

e. "ქართლის ცხოვრებაში"ოძრხის საერისთავოს საზღვრების აღწერით ყველა უნდა მიხვდეს, რომ ლეონტი მროველის დროს (ლეონტი რედაქტორია და არა – ავტორი!), აჭარის საზღვრები ზღვამდეა: მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას და ჭოროხის ხეობის ნაწილს – აჭარისწყლის შესართავიდან ზღვამდე.

f. ოსმალეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიტაცების პროცესში თუ შემდგომ პერიოდში სხვადასხვაგვარია აჭარის, როგორც გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული მხარის, გააზრება: ფართო გაგებით "აჭარაში" იგულისხმებოდა დღევანდელი ე.წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიც და, ზოგჯერ, გაცილებით მეტი ტერიტორიაც, ვიწრო გაგებით კი – მხოლოდ აჭარისწყლის ხეობა.

g. მაშასადამე, სხვადასხვა დროს აჭარის, ასევე, ყველა სხვა კუთხის ეთნოგრაფიული საზღვრები სხვადასხვა იყო და დღეს ეს არაა არსებითი! ისტორისათვის მთავარია, რომ აჭარა ისტორიული კოლხასა თუ გვიანდელი ქართლის/ საქართველოს ორგანული ზღვისპირა ცენტრალური ნაწილი იყო.

**P.S.** დღეს აჭარის (ან რომელიმე სხვა კუთხის) გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ მძაფრი განცხადებების კეთება მხოლოდ პროვოკაციის სურვილით თუ აიხსნება, ერთიანი საქართველოს იდეის ფარგლებში საქართველოს კუთხეთა საზღვრების შესახებ სხვადასხვა დროის განსხვავებული წყაროების მონაცემთა აკადემიური ანალიზი კი სხვა თემაა[5].

მე-17 საუკუნემდე ბათუმის მხარე – ჭოროხის ხეობა (აჭარისწყლის ხეობითურთ) – საქართველოს ორგანული ნაწილია; სხვადასხვა დროს ეს ვრცელი ტერიტორია გადანაწილებული იყო ოძრხის, კლარჯეთისა თუ ეგრისის საერისთავოებს/სამთავროებს შორის. XIII-XVI საუკუნეებში ბათუმი ჯერ – დადიანების, ბოლოს კი გურიელების ხელში იყო.

XVII-XIX საუკუნეებში ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი (აჭარა მაჭახელითურთ, ლივანა, შავშეთი, ტაო, ლაზეთი, ერუშეთი, სამცხე-ჯავახეთი) დაიპყრო ოსმალეთმა. ამ ისტორიული ქართული ტერიტორიის სამუდამოდ დაუფლების მიზნით ოსმალეთი ცდილობდა, მუსლიმანობისა და თურქული ენის გავრცელებით სათავისოდ შეეცვალა საქართველოს ამ ნაწილის ავტოქთონი მოსახლეობის ცნობიერება.

ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდში ბათუმი იყო ლაზისტანის საფაშოს ცენტრი; საფაშოში შედიოდა 11 ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ (ქობულეთი), ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, ახროვე, ემშინა და ათინა. მას მართავდა მუთასარიფი (გუბერნატორი), რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა პორტას – ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. ბათუმში იყო მეჯლისი, ანუ საგუბერნიო საბჭო, სასამართლო, თურქული და ბერძნული სკოლები, სამი მეჩეთი და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია[6].

1878 წლის ბერლინის ტრაქტატით ბათუმის მხარის დიდ ნაწილს დაეუფლა რუსეთი, რასაც მოჰყვა გამუსლიმანებული ქართველების ოსმალეთში გადასახლების პროვოცირება და მძიმე ემიგრაციისათვის გაწირვა. 1991 წლამდე – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე

– ბათუმსაც მეფის რუსეთი თუ რუსეთის კომუნისტური იმპერია აკონტროლებდა. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, შეეცვალა ბათუმის მხარის დემოგრაფია; ამ მიზნით მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ბათუმის მხარიდან გამუსლიმანებული ქართველების წასვლას შუა თურქეთში (ე.წ. მუჰაჯირობას)[7], მეორე მხრივ კი ბათუმში ჩამოასახლა თავისი ერთგული ეთნოსები (რუსები, სომხები...); რაც არანაკლებ მთავარია, ბოლო ორ საუკუნეში რუსეთიც შეეცადა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლას ათეიზმისა თუ რუსული ენის გაბატონებით.

მეფის რუსეთის ინტერესებში იყო კასპიის ნავთობპროდუქტების გატანა სხვა ქვეყნებში; 1883 წელს რუსეთმა უზრუნველყო ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა, შემდგომ პერიოდში (1897-1907) კი – ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია და ბაქოდან ბათუმამდე ნავთობსადენი მილის გაყვანა; ამის შემდეგ ბათუმი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგური გახდა; შესაბამისად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ბათუმმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია შეიძინა[8].

რუსეთისა და თურქეთის მიერ ისტორიული საქართველოს ტერიტორიის ბოლო გადანაწილების შემდეგ (გასული საუკუნის 20-იან წლებში) ბათუმის მხარედ ითვლება რუსეთის გავლენის ველში დაჩენილი მიწა-წყალი: აჭარისწყლის ხეობა, ქვემო მაჭახელი, ლივანისა და ლაზეთის მცირე ნაწილი (კირნათ-მარადიდი; გონიო-სარფი); ამ ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნით ბოლშევიკური (კომუნისტური) რუსეთი შეცადა, ბათუმის კონტროლისათვის დამატებითი ბერკეტები მიეღო[9].

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მრავალპარტიულ და დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული (ქართული ეროვნული მოძრაობის წიაღში შობილი) საქართველოს ახალი ხელისუფლების მიზანი იყო საქართველოს სრული დეოკუპაცია – რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ყველა კუთხიდან (მათ შორის, აჭარიდან) და ქართული სახელმწიფოს აღორძინება; ბათუმის კონტექსტში: ბათუმის (აჭარის) პოტენციალის სრულად გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისა და საქართველოს ახალაღორძინებული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ (ამაზე იყო ორიენტირებული ჩემი, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დანიშნული ბათუმის პირველი პრეფექტის, სტრატეგია).

რუსეთის სტრატეგიულ მიზნებს არ შეესაბამებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოში არსებული სამხედრო ბაზების დატოვება. 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში ორგანიზებულმა სამხედრო გადატრიალებამ (პუტჩმა) და თანამდევმა მოვლენებმა დიდად ავნო, როგორც ზოგადად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ასევე, კონკრეტულად, ბათუმის სახელმწიფოებრივი როლის გამოკვეთასაც: პუტჩის შემდგომ პერიოდში მცირერიცხოვან ადგილობრივ ჯგუფებზე დაყრდნობით ბათუმში გააქტიურდნენ მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ინტერესის მქონე ძალები, ასევე, მხოლოდ პირად ინტერესებზე ორიენტირებული ქართული თუ სხვა წარმომავლობის კლანები.

პოლიტიკური რყევების მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ – ბოლო ათწლეულებში – ბათუმის აღმშენებლობა საგრძნობლად წავიდა წინ; ბათუმი გამორჩეულ ტურისტულ და კულტურულ ცენტრად იქცა; მიუხედავად ამისა, ახალ დროშიც ბევრი პრობლემა თუ გამოწვევაა; ვფიქრობ, სიღრმისეულადაა შესასწავლი თითოეული მათგანი, რომ სწორად დაიგეგმოს პროცესები თუ პრევენციული ღონისძიებები როგორც ბათუმში, ასევე, ზოგადად, ბათუმის მხარეში; წარმოდგენელი მოხსენების მიზანია ბათუმში ამჟამად არსებული ვითარების ანალიზი.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ერთგულ პოლიტიკურ სპექტრს კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოსათვის ბათუმის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა; მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში ბათუმის ოფიციალური სტრუქტურები სრულადაა დაქვემდებარებული საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას; შესაბამისად, ერთი შეხედვით, ოთხსაუკუნოვანი ავბედობის შემდეგ, გრძელვადიან პერსპექტივაში შეუქცევადი ჩანს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა – ბათუმის მხარის სრული ინტეგრაცია საქათველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში. პარალელურად, აუცილებელია თვალი გავუსწოროთ არსებულ რისკებსა თუ სხვათა ინტერესების გამო შექმნილ არც თუ მცირერიცხოვან შემდეგ გამოწვევებს:

**გამოწვევა პირველი:** მილიარდ-ნახევარი მუსლიმანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საცხოვრისთა საზღვარზე არსებული საქართველოს განაპირა კუთხე – აჭარა – განსხვავებული

აღმსარებლობის მქონე პირთა თანაცხოვრების საოცარი მოდელია თანამედროვე მსოფლიოსათვის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ აჭარაში შენარჩუნდეს ასეთი უნიკალური ტოლერანტული გარემო.

ისტორიული ქართული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში პირველი ეკლესია აიგო აჭარისწყლის მაღალმთიან სოფელ (დიდ)აჭარაში: ასეთი იყო ჩვენი წინაპრების ხედვა; ამიტომაც, აქ პირველი ეკლესიის აგების გამო, მემატიანეებისგან შემდგომში სოფელს ეწოდა დიდი აჭარა (სხვა შემთხვევებში, სადაც სოფლის სახელის ზედსართავად გვაქვს "დიდი", იქვეა "პატარაც"; მაგ.: დიდი ჯიხაიში, პატარა ჯიხაიში; სადაცაა "ზემო", იქვეა "ქვემო": ზემო მაჩხაანი, ქვემო მაჩხაანი... შდრ.: არ არსებობს სოფელი "პატარა აჭარა").

აჭარაში – ისტორიული ქრისტიანობის მხარეში – ისლამი გავრცელდა ოსმალობის პერიოდში. ათეიზმის (კომუნისტობის) ეპოქაში გარკვეულწილად ნიველირდა მუსლიმანობა. მე-20 საუკუნეში აჭარაში განათლების კერების აღორძინება-დაარსებამ ხელი შეუწყო მოსახლეობაში ქრისტიანული ფესვების გაცოცხლებას; შესაბამისად, აჭარა მსოფლიოს იმ ერთადერთ მხარედ იქცა, სადაც მოსახლეობა სამი-ოთხი საუკუნის გაუცხოების შემდეგ ინტენსიურად უბრუნდება წინაპრებისეულ რელიგიას – ქრისტიანობას. პარალელურად, არსებობას განაგრძობს მუსლიმური თემიც; ამ უნიკალური რეალობის გამო, არაიშვიათად, ერთ ოჯახში ცხოვრობენ ქრისტიანები და მუსლიმანები. ბოლო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან დაფინანსებული პირები ცდილობენ სიტუაციის რადიკალიზებას; გარდა ამისა, ვითარებას ართულებს ისიც, რომ თურქეთიდან ინტენსიურად შემოდის ქართულად თარგმნილი მუსლიმანური ლიტერატურა და გარედან შემოსული სახსრებით შენდება მუსლიმური სამლოცველოები, რომელთა არქიტექტურა ისლამის თურქული სახესხვაობისათვისაა დამახასიათებელი. გარკვეულ წრეებში ეს აღიქმება თურქეთის კულტურულ-რელიგიურ ექსპანსიად და ჩნდება გარკვეული აგრესია; შესაბამისად, იქმნება რელიგიური დაპირისპირების პერსპექტივა.

შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია ყველა რელიგიის პატივისცემის ფონზე სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს მუსლიმური თემისათვის აუცილებელი სასწავლებლებისა თუ სამლოცველოების ადეკვატურად განსაზღვრა და დაფინანსება. ასევე, მუსლიმი თემის აქტივისტები სხვა ქვეყნის საყრდენად რომ არ აღიქმებოდნენ, აჭარაში არსებული მუსლიმანური რელიგიური ნაგებობები ქართული არქიტექტურის ჩარჩოებში უნდა მოექცეს[10]. პარალელურად, ადამიანის უფლებების დაცვით უნდა დაბალანსდეს იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ მოსახლეობის ნაწილის რელიგიური გრძნობები გამოიყენონ საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებისათვის[11]. სწორედ ასეთ ინდივიდთა აქტიურობის შედეგია, მაგ., ამერიკელი ექსპერტის, პოლ კრეგოს ასეთი შეუსაბამო განცხადება: "ვიცი, რომ ძალიან დაძაბული ურთიერთობაა აჭარაში მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის"[12].

**გამოწვევა მეორე:** აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ჯგუფების ქმედებებისა და მოლოდინების დაბალანსება ბათუმის (აჭარის) ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოზიციით, ასევე, სამოქალაქო აქტიურობით.

აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ძალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიურობენ; ბათუმის კონტექსტში აღსანიშნავია ის, რომ რადიკალური ძალები, აყალბებენ რა ბათუმის (აჭარის) ისტორიას, ბათუმს – თურქულ ქალაქად, აჭარას კი თურქეთის კუთვნილ ტერიტორიად აცხადებენ; საქართველოს მოქალაქეთა შორის ნეგატიურ ემოციას იწვევს ბათუმის შესახებ თურქ პოლიტიკოსთა ორაზროვანი გამონათქვამებიც. ამ ეტაპზე საქართველოსათვის უფრო აქტუალურია პანთუქული მიმართულებით იდეოლოგიზებულ მეცნიერთა ცალკეული ჯგუფების პოლიტიზებული თვალსაზრისების დაბალანსება; მაგ., ამ მხრივ ნიშანდობლივია პროფესორ ფ. კირზიოღლუსა თუ ი. ზეირეკის ნაწერები[13], რომელთა იდეოლოგემებს დღესაც აქტიურად ავრცელებენ თურქულენოვან სოციალურ ქსელებში. ამ ტიპის "სამეცნიერო დივერსიების" შედეგია მაგ., სარფის თურქულ მხარეს გამართული აქცია: "სარფი თურქეთია"[14]. აუცილებელია აკადემიური კვლევებით კირზიოღლუების მიერ სამეცნიერო ველში წამოწყებული საინფორმაციო იერიშების მოგერიება; ამ ნაშრომების სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნება და სოციალურ ქსელებში პოპულარიზება... მეცნიერთა კვლევების დაგეგმვაცა და გამოქვეყნების უზრუნველყოფაც ხელისუფლების ინტერესებში უნდა იყოს.

**გამოწვევა მესამე:** რუსეთის ინტერესებით მოქმედი ცალკეული ჯგუფების ქმედებების დაბალანსება როგორც ადგილობრივი და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ასევე, საქართველოს საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობით.

საქართველოში რუსული დაფინანსებით არსებული პრორუსული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები ბათუმშიც აქტიურობენ; ისინი რუსეთთან ერთმორწმუნეობის იდეის პროპაგანდით ეწინააღმდეგებიან საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას; პარალელურად, ბათუმის მოსახლეობის ერთ ნაწილში ობიექტური თუ პროპაგანდისტული საფუძვლით ძლიერდება ანტითურქული განწყობა; იხ., მაგ., ახლო წარსულში სარფში გამართული ანტითურქული მიტინგი, რომელსაც სოციალურ ქსელებში აქტიური განხილვა მოჰყვა[15]. ეს პროცესი დინებაზე თუ იქნა მიშვებული, დროთა განმავლობაში ამ მიმართულებითაც მივიღებთ სიტუაციის რადიკალიზებას. აჭარაში, ბათუმში ყოველთვის საშიშია სიტუაციის დაძაბვა და საზოგადოების რადიკალიზება (დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ ამგვარი რადიკალიზების პირველი მცდელობა ჰქონდა ასლან აბაშიძეს 1991 წლის აპრილ-მაისში, როდესაც მოკლულ იქნა ნოდარ იმნაძე და რომლის შემდეგაც აჭარაში დამყარდა ერთიანი საქართველოსათვის სახიფათო კლანური მმართველობა).

**გამოწვევა მეოთხე:** პირად მოგებაზე ორიენტირებული ძლიერი კლანების ქმედებების მოქცევა საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ჩარჩოებში და პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღება.

ყველა სახელმწიფოში, მით უმეტეს, ახალაღორძინებული სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანაში არიან/ჩნდებიან ფინანსურად ძლიერი ჯგუფები, რომელთაც ესაჭიროებათ სახელისუფლებო ბერკეტები; შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ათწლეულში საქართველოს პარლამენტსა თუ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ხშირად შევხვდებით ბიზნესწრეების წარმომადგენელს. არის შემთხვევებიც, როდესაც პოლიტიკურ ლიდერებს ეტმასნებიან ახალგამდიდრებული პირები. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება დააზარალოს სახელმწიფო ინტერესი... ეს როგორც სრულიად საქართველოს, ისევე, ბათუმის (აჭარის) ხელისუფლებისთვის სერიოზული გამოწვევაა.

**გამოწვევა მეხუთე:** საქართველოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში ბათუმში (აჭარაში) ისეთი საგანმანათლებლო მიმართულებების გააქტიურება, რომლებიც ხელს შეუწყობს ავტოქთონი მოსახლეობის იდენტობის (მეობის) აღორძინებასა და სხვა ეთნიკური ჯგუფების ღირსების დაცვას.

მე დავიბადე ზემო აჭარაში, სოფელ ტომაშეთში. სასკოლო განათლებამ (რა თქმა უნდა, ოჯახურმა წრემაც!) მომცა ის ცოდნა, რომლის საფუძველზეც მე ჩემი ეროვნული იდენტობა (მეობა) გავიაზრე, როგორც ქართულენოვანი ისტორიული კულტურის ნაწილმა. კომუნისტური ეპოქის ზეობის პირობებში სკოლის დამთავრებისთანავე, რაც პირველი გავაკეთე, იყო ქრისტიანულად მონათვლა (1978 წელი) თბილისის სიონში. საბჭოთა სკოლის იდეოლოგიზებული ხასიათის მიუხედავად, ძველი ქართული ლიტერატურის სახელით ისე საფუძვლიანად ისწავლებოდა ქართული ქრისტიანული ლიტერატურა, რომ მე სხვა არჩევანი არც მქონია:

სკოლაშივე გავაცნობიერე, რომ მე, როგორც ქართველი, ვიყავი დიდი ისტორიის მქონე ქრისტიანი ერის შვილი იმ კუთხიდან, რომელშიც მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია აიგო ანდრია პირველწოდებულის მიერ. ამ ცოდნამ შეურყევლად განსაზღვრა ჩემი პიროვნული და ეროვნული ორიენტირები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ: ეს იყო სასკოლო განათლების დამსახურება. დღეს ჩვენს სასკოლო განათლებას არ აქვს გამოკვეთილი ორიენტირები; მაგ., ამჟამინდელი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს კონცეფციაში არსებული ფორმულირება: "მოქალაქის აღზრდა" ბუნდოვანია; აუცილებელია, სასკოლო განათლების უმთავრესი მიზანი იყოს საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქის აღზრდა; პარალელურად, მოსწავლეს უნდა მიეწოდოს საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის კულტურული ორიენტირები, ასევე, ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების მახასიათებლების შესახებ; საბოლოო ჯამში, სკოლამ უნდა აღზარდოს საქართველოს ღირსეული მოქალაქე, რომელსაც ეყვარება ქართული ენა, ქართული კულტურა, თავისი სახელმწიფო და პატივს სცემს სხვა ეთნოსების ენასა

და კულტურას. ამგვარი მკაფიო ორიენტირება მით უფრო აუცილებელია აჭარაში, რამდენადაც, გარეშე ძალები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ, შეეცვალათ საქართველოს ამ კუთხის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, რელიგია, კულტურა, ზოგადად, ცნობიერება; შდრ.: განათლების სისტემა როცა სწორად იყო ორგანიზებული, აჭარაში იშვა ერთიან საქართველოზე მოფიქრალი არაერთი გმირი თუ მოღვაწე; აქ მხოლოდ ტბელი აბუსერიძის სახელს დავიმოწმებ.

**გამოწვევა მეექვსე:** დღეს ბათუმი არის დიდი მნიშვნელობის მქონე ტურისტული და სტრატეგიული ეკონომიკური ცენტრი; სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების ბიზნესინტერესების დაცვის ფარგლებში ბათუმის (აჭარის) შემოსავლები მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტისათვის (შემოსავლების დიდი ნაწილი დღეს იკარგება არალეგალური ბიზნესით).

ეკონომიკა და ბიზნესი ნაკლებადაა ჩემი ანალიზის სფერო, თუმცა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი პრობლემაა. ამასწინათ ჩემთვის საინტერესო კრიმინალი აღმოვაჩინე:

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა აქვს ჩინეთთანაც[16] და თურქეთთანაც[17], მაგრამ თავისუფალი ვაჭრობა არ არის თურქეთსა და ჩინეთს შორის. თურქული კომპანიები რეგისტრირდებიან საქართველოში; ჩინეთიდან შემოაქვთ დიდი რაოდენობის საქონელი საქართველოში; საქართველოში უცვლიან სასაქონლო ნიშნებს: პროდუქციას ხსნიან წარწერას, რომ დამზადებულია ჩინეთში და აწერენ, რომ დამზადებულია საქართველოში! ამ თაღლითური გზით ჩინური პროდუქცია საქართველოდან შეაქვთ თურქეთში: ამგვარი თაღლითობით ყველა მხარე ზარალდება კონკრეტული გამყალბებლის გარდა.

სხვა მრავალი "შავი ხვრელია" საქართველოში, განსაკუთრებით, საზღვრისპირა ტურისტულ მხარეებში, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ყურადღება ესაჭიროება.

**გამოწვევა მეშვიდე:** ბათუმის, როგორც თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის "სანატრელი სამშობლოს ხატის", შენარჩუნება.

თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებისა და თურქეთის სახელმწიფოში მოქცეული ავტოქთონი ქართველების (მაჭახლელების, ლივანელების, იმერხევლების, ტაოელების, ლაზების...) ცნობიერებაში თამარ მეფის სახელთან ერთად ბათუმი არის ისტორიული სამშობლოს ლეგენდად ქცეული სიტყვა; თურქეთში ბოლო დრომდე სათვისტომოების სახელად აქტუალური იყო: ბათუმი", "ბათუმელები", ბათუმელი ხალხი"[18]... ქალაქის სახელის – ბათუმის – ამგვარი განზოგადება თუ ბათუმის შესახებ ამგვარი წარმოსახვის შექმნა განაპირობა იმანაც, რომ ბოლო სამ საუკუნეში ბათუმი მთელი ჭოროხის აუზის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრიც იყო; შესაბამისად, აუცილებელია, ბათუმმა რეალურ დროში შეინარჩუნოს მიმზიდველობა საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები მილიონობით ქართველისათვის; ამ მიზნით აუცილებელია სათუთი მოპყრობა მუჰაჯირთა შთამომავლებისა თუ საქართველოს ამჟამინდელ ფარგლებს გარეთ დარჩენილი ავტოქთონი ქართველების მიმართ[19]; ასევე, დიდი როლის შესრულება შეუძლია აჭარის ტელევიზიას, სადაც შესაძლებელია ისეთი გადაცემების ციკლის დაგეგმვა (მაგ., "ერთი ხეობის შვილები"), რომელიც ხელს შეუწყობს საუკუნეების მანძილზე დაშორებულ მოძმეებს შორის მენტალური გაუცხოების დაძლევას და ამ გზით საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული წახნაგების განმტკიცებას.

**გამოწვევა მერვე:** რელიგიისა და ეროვნების გაიგივების შუასაუკუნეობრივი სტერეოტიპების საბოლოო დარღვევა და ცნებების: "ეთნოსი", "ეთნიკური ჯგუფი" აკადემიური გააზრების ფონზე ქართველის, როგორც ეთნიკური ერთეულის, სრული მასშტაბით გააზრება.

აჭარელი, გურული, ლაზი, მეგრელი, იმერელი, ქართლელი, ტაოელი, ლივანელი, იმერხეველი, სვანი, რაჭველი, კახელი, ჰერელი, ფერეიდნელი, სამცხელი, ჯავახი, ლეჩხუმელი, ფშაველი, ხევსური, მოხევე, თუში (ჩაღმა, წოვა), მთიული, გუდამაყრელი... ყველა ერთად ქმნის ქართველ ერს; ამ ფაქტის არცოდნა და თუნდაც განსხვავებული რელიგიისა თუ მეტყველების გამო რომელიმე კუთხის ქართველის არაქართველად გამოცხადება დანაშაულებრივი შეცდომაა (ასეთი შეცდომა ზოგ ვაიმწერალსაც კი მოსდის). ამ თემას არაერთხელ შეეხო ცნობილი პოეტი ზურაბ გორგილაძე, რომელმაც ერთი ლექსში გულისტკივილი ასე გამოხატა:

"ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები,

მიყვარს ზვავების და ლოდების გულზე ჯახება,
მიყვარს ამ მთებში გავარდნა და გაყაჩაღება,
ჩემს ხევხუვებში ძველებურად ქუხს მაჭახელა,
ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით!..”[20]

ბატონი ზურაბი განიცდიდა იმას, რომ ისტორიის არცოდნისა თუ, ზოგადად, განათლების სინაკლულის გამო, “მავანნი” ვერ ხედავდნენ აჭარელთა ღირსეულ ქართველობას “(...სულში რისხვა გაჭენდება, უნებურად ხელს ხანჯალზე გაივლებ, ნუთუ ჩემმა სევდიანმა აჭარლობამ საქართველოს წაუხდინა რაიმე?!)[21]. ზურაბ გორგილაძეს საგანგებო სატელევიზიო გამოსვლაც კი ჰქონდა ამ თემაზე: “გამჩენელო, უფალო, სამართალი სად არი?”[22]

აჭარელის, მეგრელის, სვანისა თუ მესხის, ინგილოსა თუ ფერეიდნელის ვინმე უვიცისაგან არაქართველად გამოცხადება გამაღიზიანებელიცაა და დამანგრეველიც; მსგავსი განწყობა იყო 2017 წლის 11 მარტის ბათუმის აქციის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი მიზეზი[23].

აჭარის ქართველობის მძიმე, მაგრამ ღირსეული ისტორია ბევრმა მართლაც არ იცის; არც ის იცის, უახლოეს წარსულში რა ხდებოდა; კერძოდ:

წმინდა ილია მართლის, დიდი იაკობ გოგებაშვილისა და მათი თანამოაზრეების აქტიურობით მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში დაწყებული დიდი აღორძინება – ნაოსმალარი იარების მოშუშება – შეწყვიტა 1913 წელს გამოცემულმა იოსებ სტალინის წიგნმა: “მარქსიზმი და ნაციონალიზმის საკითხები”: ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ აჭარლები მეგრელებთან და სვანებთან ერთად “უმწერლობო ენის” მქონე “სხვა ხალხად” გამოაცხადა[24]; ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ცნობიერების დანაწევრებაზე გათვლილი ეს ფსიქოლოგიური დივერსია ინერციით დღემდე მოქმედებს. გარკვეულ წრეებში ამას ემატება ის გვიანშუასაუკუნეობრივი მიდგომაც, რომელიც რელიგიის მიხედვით განსაზღვრავს ეროვნებას (1992 წლიდან დღემდე არსებულ ხელისუფლებებს მაინც სასკოლო განათლების გზით უნდა დაებალანსებინათ ეს იდეოლოგემაც; ამ მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დიდი სამუშაო აქვს გასაწევი).

გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდში კრემლიდან მართული ხელისუფლება ქართველთა კონსოლიდაციაზე, კონსოლიდაციის კონტექსტშივე საკადრო პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართველობის ეთნიკური თვითშეგნების გადარჩენაზე არ იზრუნებდა, მაგრამ არც პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიცვალა რაიმე; მეტიც, სწორედ ბოლო 25 წელიწადში გახდა აქტუალური ფერეიდნელი ქართველის დამწუხრებულ ცნობიერებაში შექმნილი ფრაზა: „მირჩევნია ირანში გურჯი მიძახონ, ვიდრე – საქართველოში თათარი“.

მსოფლიოში გაფანტული ქართველების კონსოლიდაცია ვერ მოხდება, თუკი ჩვენი საზოგადოების თვითაღქმაში წინა პლანზე დარჩება ქალაქურ-კუთხური თუ აღმსარებლობით-სოციალური სხვაობები და წარმმართველი არ გახდება ისტორიული დედაენობრივი და კულტურული ერთიანობა.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს: დღეს განათლების სისტემის შესაბამისმა სამსახურებმა თუ მასმედიის საშუალებებმა პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები და, ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით, მეტი აქცენტი გააკეთონ ერთიანი საქართველოსათვის სხვადასხვა კუთხის ქართველობის ისტორიულ დამსახურებაზე, მაგ., სვანების მიერ კავკასიის გადმოსასვლელების მეციხოვნეობაზე, სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა – ტაოელთა, იმერხეველთა, კლარჯთა, ლაზთა, აჭარელთა, ერუშელთა, ჯავახთა, სამცხელთა – დაღვრილ სისხლზე, სისხლზე, რომელმაც საქართველოს ცენტრალური კუთხეების მცხოვრებთ უცვლელად შეუნარჩუნა ქართველური მეობის განმსაზღვრელი მარკერები (ენა, სარწმუნოება, ტრადიციები...), ქართული კულტურის მესაძირკვლეების (იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, ჭყონდიდლების...) შთამომავალთა – კელასურის დიდი კედლის ამგებ მეგრელთა – ზოგადქართულეროვნულ ძალისხმევაზე და სხვ.

აუცილებელია, ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოდ შეიქმნას საგანი “ქართველთა ენობრივი სამყარო”, სადაც აღწერილი იქნება საქართველოს ყველა კუთხის ქართველთა დიალექტები, კუთხური ეთნოგრაფიული მახასიათებლები, ამ კუთხეებიდან გამოსული წმინდანები,

ეროვნული გმირები თუ მოღვაწეები... რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქართველი ერის მეტ კონსოლიდაციას.

**გამოწვევა მეცხრე:** ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, აჭარაში (ბათუმში) მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქის გააზრება, როგორც საქართველოს ერის (ხალხის) ნაწილისა, ფართო გაგებით, ერთიანი ქართველი ერის შემადგენლისა (მოქალაქეობა = ეროვნება); განსხვავებული რელიგიისა თუ ეთნოსის მისამართით საქართველოში არასოდეს იყო "სიძულვილის ენა". ბოლო პერიოდში ჩნდება მსგავსი რადიკალური გამონათქვამები[25], რაც შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას:

– საზოგადოების ამ ნაწილის განათლების დაბალი დონით;

– გარედან პროვოცირებით.

არც ერთ შემთხვევაში გასაქანი არ უნდა მიეცეს საქართველოში "სიძულვილის ენის" დამკვიდრებას: საქართველო ცივილიზაციათა მრავალმხრივ გზაჯვარედინზე არსებული სახელმწიფოა და საზოგადოების რადიკალიზაცია გამოუვალ ჩიხში მოაქცევს აქ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. პრევენციის მიმართულებით განუზომელი როლის შესრულება შეუძლია მასმედიის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებს, შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ თვითშეგნებასა და სწორ სამოქალაქო განათლებას.

თანამედროვე მსოფლიოს სწორი ორიენტირია მოქალაქეობისა და ეროვნულობის გათანაბრება; ერად გაიაზრება არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის, ერთი ენის, ერთი ისტორიის საზოგადოება, არამედ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა; ამ გზით მიდის ამერიკაც, ევროპაც და აზიაც; ეს უნდა იყოს ჩვენი გზაც, არაფერი გვიშლის ხელს, რომ ტერმინი ერი ორგვარად გავიაზროთ:

– ვიწრო გაგებით: საერთო ეთნიკური მახასიათებლების მქონე საზოგადოება – ქართველი ერი;

– ფართო გაგებით: საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირთა ერთიანობა – საქართველოს ერი.

პარალელურად, საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბრად ვალდებული უნდა იყოს საქართველოს წინაშე და სახელმწიფოც, ხელისუფლებაც მობილიზებული უნდა იყოს, რომ ყველა მოქალაქეს შეუქმნას თანაბარ პირობებში ცხოვრების პირობები.

**ძირითადი დასკვნები:**

ბათუმის (აჭარის) თანამედროვე პრობლემებიცა და პერსპექტივებიც განპირობებულია ისტორიული წარსულით, ამიტომ, მოკლედ, ბათუმის მხარის ისტორიის შესახებ:

კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალით თუ ვიმსჯელებთ, აჭარა (დღევანდელი საზღვრებით) კოლხა/კილხას, შემდგომში ქართლის/საქართველოს ცენტრალური ზღვისპირა მხარეა, სადაც ავტოქთონი მოსახლეობაა ქართველობა (ამჟამინდელი აჭარლები, ლაზები, გურულები). საქართველოს ამ მხარეს ოდითგანვე არსებითი გეოპოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა: ჭოროხის ხეობა იყო "დიდი აბრეშუმის გზის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ლეონტი მროველის მიერ მოცემულ საქართველოს საერისთავოების საზღვრებს თუ გავითვალისწინებთ, აჭარა ოდითგანვე მოიცავდა აჭარის წყლის ხეობას და ჭოროხის ხეობის ნაწილს – აჭარისწყლის შესართავიდან ზღვამდე.

მე-17 საუკუნემდე აჭარა, ზოგადად, ბათუმის მხარე საქართველოს ორგანული ნაწილია: აჭარა ხან ოძრხის საერისთავოში შედიოდა, ხან – ეგრისის საერისთავოში. XIII-XV საუკუნეებშიც ბათუმი ჯერ – დადიანების, ბოლოს კი გურიელების ხელში იყო.

XVII-XIX საუკუნეებში ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი (აჭარა მაჭახელითურთ, ლივანა, შავშეთი, ტაო, ლაზეთი, ერუშეთი, სამცხე-ჯავახეთი) დაიპყრო ოსმალეთმა. ამ ისტორიული ქართული ტერიტორიის სამუდამოდ დაუფლების მიზნით ოსმალეთი ცდილობდა, მუსლიმანობისა და თურქული ენის გავრცელებით სათავისოდ შეეცვალა საქართველოს ამ ნაწილის ისტორიული მოსახლეობის ცნობიერება.

1878 წლის ბერლინის ტრაქტატით ბათუმის მხარის ერთ ნაწილს (აჭარა, მაჭახელის ნახევარი, ლივანისა და ლაზეთის მცირე ნაწილი) დაეუფლა რუსეთი. 1991 წლამდე – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე – ბათუმს მეფის რუსეთი თუ რუსეთის კომუნისტური იმპერია აკონტროლებდა. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, შეეცვალა ბათუმის მხარის დემოგრაფია; ამ მიზნით მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ბათუმის მხარიდან გამუსლიმანებული ქართველების წასვლას შუა თურქეთში (ე.წ. მუჰაჯირობას), მეორე მხრივ კი, ბათუმში ჩამოასახლა

მისი ერთგული ეთნოსები (რუსები, სომხები...); რაც არანაკლებ მთავარია, ბოლო ორ საუკუნეში რუსეთიც შეეცადა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლას ათეიზმისა თუ რუსული ენის გაბატონებით.

1883 წელს რუსეთმა უზრუნველყო ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა, შემდგომ პერიოდში (1897-1907) კი – ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია და ბაქოდან ბათუმამდე ნავთობსადენი მილის გაყვანა; შესაბამისად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ბათუმმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია შეიძინა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მრავალპარტიული არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიზანი იყო საქართველოს სრული დეოკუპაცია – რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ყველა კუთხიდან (მათ შორის, აჭარიდან) და ბათუმის პოტენციალის სრულად გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალაღორძინებული ცენტრალური საქართველოს სახელმწიფოს საკეთილდღეოდ (ამაზე იყო ორიენტირებული ჩემი, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დანიშნული ბათუმის პირველი პრეფექტის, სტრატეგია).

რუსეთის სტრატეგიულ მიზნებს არ შეესაბამებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოში არსებული სამხედრო ბაზების დატოვება. 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში ორგანიზებულმა სამხედრო გადატრიალებამ (პუტჩმა) და თანამდევმა მოვლენებმა დიდად ავნო საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, მოცემულ შემთხვევაში, ბათუმის სახელმწიფოებრივი როლის გამოკვეთასაც: პუტჩის შემდგომ პერიოდში მცირერიცხოვან ადგილობრივ ჯგუფებზე დაყრდნობით ბათუმში გააქტიურდნენ მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ინტერესების მქონე ძალები, ასევე, მხოლოდ პირად ინტერესებზე ორიენტირებული ქართული თუ სხვა წარმომავლობის კლანები.

პოლიტიკური რყევების მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ – ბოლო ათწლეულებში ბათუმის აღმშენებლობა სერიოზულად წავიდა წინ; ბათუმი გამორჩეულ ტურისტულ და კულტურულ ცენტრად იქცა; მიუხედავად ამისა, ახალ დროშიც ბევრი პრობლემა თუ გამოწვევაა; ვფიქრობ, სიღრმისეულადაა შესასწავლი თითოეული მათგანი, რომ სწორად დაიგეგმოს პროცესები როგორც ბათუმში, ასევე, ბათუმის მხარეში; წარმოდგენელი მოხსენების მიზანია ბათუმში ამჟამად არსებული ვითარების ანალიზი; აუცილებელია თვალი გავუსწოროთ არსებულ რისკებსა თუ სხვათა ინტერესების გამო შექმნილ არც თუ მცირერიცხოვან შემდეგ გამოწვევებს:

**გამოწვევა პირველი:** მილიად-ნახევარი მუსლიმანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საცხოვრისთა შესაყარზე არსებულ ბათუმში (აჭარაში) ტოლერანტული გარემოს შენარჩუნება.

**გამოწვევა მეორე:** აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ჯგუფების ქმედებებისა და მოლოდინების დაბალანსება ბათუმის (აჭარის) ხელისუფლების საქართველოსათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოზიციითა და სამოქალაქო აქტიურობით.

**გამოწვევა მესამე:** რუსეთის ინტერესებით მოქმედი ცალკეული ჯგუფების ქმედებების დაბალანსება ბათუმის (აჭარის) ხელისუფლების საქართველოსათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოზიციით, ასევე, საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობით.

**გამოწვევა მეოთხე:** პირად მოგებაზე ორიენტირებული ძლიერი კლანების ქმედებების მოქცევა საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ჩარჩოებში და პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღება.

**გამოწვევა მეხუთე:** საქართველოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების ერთიანი სტატეგიის ფარგლებში ბათუმში (აჭარაში) ისეთი საგანმანათლებლო ორიენტირების გააქტიურება, რომლებიც ხელს შეუწყობს ავტოქთონი მოსახლეობის იდენტობის (მეობის) აღორძინებასა და სხვა ეთნიკური ჯგუფების ღირსების დაცვას.

**გამოწვევა მეექვსე:** დღეს ბათუმი არის დიდი მნიშვნელობის მქონე ტურისტული და სტრატეგიული ეკონომიკური ცენტრი; სხვადასხვა ქვეყნების კომპანიების ბიზნესინტერესების დაცვის ფარგლებში ბათუმის (აჭარის) შემოსავლები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტისათვის (შემოსავლების დიდი ნაწილი დღეს იკარგება არალეგალური ბიზნესით).

**გამოწვევა მეშვიდე:** ბათუმის, როგორც თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის "სანატრელი სამშობლოს ხატის" შენარჩუნება.

**გამოწვევა მერვე:** რელიგიისა და ეროვნების გაიგივების შუასაუკუნეობრივი სტერეოტიპების საბოლოო დარღვევა და ეთნოსის, ეთნიკური ჯგუფის აკადემიური გააზრების ფონზე ქართველის, როგორც ეთნიკური ერთეულის სრული მასშტაბით გააზრება.

**გამოწვევა მეცხრე:** ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად აჭარაში (ბათუმში) მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქის გააზრება, როგორც საქართველოს ერის (ხალხის) ნაწილისა, ფართო გაგებით ერთიანი ქართველი ერის შემადგენლისა (მოქალაქეობა = ეროვნება).

Present-day Batumi: Conflicts of Interests and Perspectives

Both current problems and perspectives of Batumi (Adjara) are conditioned by its historic past, that is the reason short history of Batumi will be presented below:

Judging by the area where archeological culture of Kolkheti is spread, Adjara (with its current borders) represents the central coastal region of Kolkha/Kilkha, later Kartli/Sakartvelo, where the autochtone population is the Georgian (present-day Adjarians, Laz, Gurians). This part of Georgia has historically had important geopolitical functions: The Chorokhi Valley was one of the most important parts of the 'Great Silk Road'. Taking into consideration the borders of Georgia suggested by Leonti Mriveli, Adjara has historically comprised the Adjara Water Alley and part of the Chorokhi Gorge – from Adjaristskali to the Sea.

Until the 17th century, Adjara, namely the Batumi region, was an organic part of Georgia: Adjara was part of Odzrkhi Saeristavo and periodically it belonged to Egrisi. In the XIII-XV centuries, Batumi was run by the Dadianis and finally by the Gurielis.

In the XVII-XIX centuries, a large part of historical Meskheti (Adjara with Machakhela, Livana, Shavsheti, Tao, Lazeti, Erusheti, Samtskhe-Javakheti) was conquered by the Ottoman. With the intention to obtain eternal mastery of this historical Georgian territory, Ottomans tried to spread Muslim religion and the Turkish language in order to change awareness of the historical population of this part of Georgia serving the interests of the invaders.

Under the 1878 Treaty of Berlin, Russia conquered one part of the Batumi region (half of Adjara, Machakhela, Livani and Lazeti). Until 1991 – until the restoration of independence of Georgia – Batumi was ruled by Russia or the Russian Communist Empire. The Russian government actively tried to change the demographics of the Batumi region; On the one hand, they helped to extinguish exiled Georgians from the center of Batumi to the middle of Turkey (so-called Muhajir period), and, on the other hand, to populate its loyal ethnos (Russians, Armenians ...) in Batumi; During the last two centuries, Russia has also tried to change consciousness of the local population by means of promoting atheism and domination of the Russian language.

In 1883, Russia ensured construction of the Baku-Batumi railway, reconstructed Batumi port and built the pipeline between Baku and Batumi in 1897-1907; As a result, from the beginning of the 20th century, Batumi acquired an important geopolitical functions.

On October 28, 1990, having won multi-party elections, the goal of the new national government was to complete deoccupation of Georgia – withdrawal of Russian troops from all parts of Georgia (including, Adjara) and using full potential of Batumi for the benefit of the local population and the newly restored central states of the central Georgia (that is what my strategy was oriented on when being appointed as a prefect of Batumi by the President Gamsakhurdia).

Russia's strategic goals did not correspond with Georgia's independence and leaving military bases in Georgia. In 1991-93, the military coup organized by the Russian Federation in Georgia (Putchi) and current events greatly damaged state interests of Georgia, defining the role of Batumi: in the aftermath of Putchi, foreign forces with their various interests, as well as clans of the Georgian or other origins, became active in Batumi.

Despite political instabilities, Batumi has greatly progressed for the last decade since the restoration of the independence of Georgia; It has become distinguished touristic and cultural center; however, there are plenty of problems and challenges nowadays; We consider that each problem should be carefully studied

in order to appropriately plan ongoing processes in Batumi; the aim of the our report is to analyze current situation in Batumi; it is important to face all these risks and challenges that Batumi faces caused by the interests of outsiders.

The First Challenge: Maintaining tolerant environment in Adjara, in the settlement of a billion and a half Muslims and Christians.

The Second Challenge: Balancing actions and expectations of aggressive pro-Islamist and pantheistic groups by Batumi authorities (Adjarian Autonomous Republic) with a proper state position and civil activity.

The Third Challenge: Balancing actions of individual groups defending interests of Russia in Batumi with the right state position of the Government of Adjara, as well as civil activity of the public.

The Fourth Challenge: placing actions of strong clans in the framework of the security of the state and the improvement of the political spectrum.

The Fifth Challenge: Enhancing educational orientation in Batumi (Adjara) within the framework of unified strategy of education, culture and science, which will facilitate revival of identity of the autonomous population and protection of dignity of other ethnic groups.

The Sixth Challenge: Today Batumi is an important touristic and strategic economic center; Revenues of Batumi (Adjara) should be utilized for the interests of local and central budget within the framework of the protection of business interests of other countries (most of the revenues are lost by illegal businesses).

The Seventh Challenge: To Maintain an "Icon of Beloved Motherland" for Georgians living in Batumi.

The Eighth Challenge: Final violation of the medieval stereotypes of intercultural religion and nationality and understanding of the ethnic Georgian as a whole on the ground of academic perception of the ethnos.

The Ninth Challenge: despite their ethnic origin, regarding all citizens of Georgia residing in Adjara (Batumi) as part of the Georgian nation.

---

[1] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005;

[2] საკითხის ისტორიისათვის იხ. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 73-75;

[3] დ. ხახუტაიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 151, თბ., 1977 წ., https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94

[4] ბათუმში ჩატარებულ კონფერენციაზეც ერთ-ერთმა მომხსენებელმა გაუმართლებელი სუბიექტურობით დაიწყო ლაპარაკი აჭარის "ისტორიულ" საზღვრებზე; მას იქვე გაეცა პასუხი, მაგრამ საჭიროდ ვთვლი, აქაც მოკლედ წარმოვადგინო ჩემი თვალსაზრისი დროთა განმავლობაში აჭარის საზღვრების დინამიკის შესახებ.

[5] მსჯელობისათვის იხ. ვ. შამილაძე, "აჭარის" ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., გვ. 503-519;

[6] ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989; ევგენი ვეიდენბაუმი: "ბათუმიდან ართვინამდე", გამომცემლობა არტანუჯი, 2005 წ.;

[7] ლომან ეფენდი ქარცივაძისა და სხვა გამორჩეული ქართველების წინააღმდეგობის მიუხედავად, მუჰაჯირად ბევრი ქართველი მუსლიმანი წავიდა; მუჰაჯირობის შესახებ იხ.: გაზეთი "დროება", 1880-1883 წწ.; სამსონ ფირცხალავა, "სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი", თბ., 1915 წ. http://www.ai-ia.info/online-arqivi/110-samson-pircxalava-samahmadiano-saqartvelo-an-dzveli-mesxeti.htm; ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975; შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა, 1878-1882 წწ.), თბ., 1964; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; ნ. კვაჭაძე, ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისაკენ (მუჰაჯირობის ისტორია პრესის მასალების მიხედვით), ბათუმი, 2009

https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/22/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9D%E1%83%A1/ (დამოწმების დრო: 19.08.2017)...

[8] ა. სურგულაძე, მ. სიორიძე; პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996;

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98

[9] ბოლშევიკური იმპერიის მიერ შექმნილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებმა მოიცვა არ მთლიანად ბათუმის მხარე – "სამუსლიმანო საქართველო" (როგორც ამას გეგმავდნენ ქართველი მენშევიკები), არამედ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი; თურქეთს დარჩა ბათუმის მხარის დიდი ნაწილი – ამჟამინდელი ართვინის ილი (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთისა და ლაზეთის დიდი ნაწილი) და ერზერუმის ილში შემავალი ქართული ტერიტორიები.

[10] ამ მიმართულებით საინტერესოა ერდოგან შენოლთან და ფევზი ჩელებთან ჩემი დიალოგი; იხ., წერილი: "მინარეთი და ქართული ენა", თბ., 2013: http://tarielputkaradze.blogspot.com/2013/09/blog-post_9493.html; http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=1794

[11] ამ მიმართულებით ორმხრივი პროვოკაციული თუ ნეგატიური განცხადებებისათვის იხ., მაგ.: http://ghn.ge/com/news/view/171305; http://netgazeti.ge/opinion/34248;

http://liberali.ge/news/view/25706/tariel-nakaidze-mokhis-komisiis-gadatsyvetilebaze-sakhelmtsifo-dadzabulobis-keras-qmnis;

[12] პოლ კრეგო: "საქართველოს სახელმწიფოში ბალანსი ეკლესიის სასარგებლოდაა დარღვეული" https://www.amerikiskhma.com/a/interview-with-paul-crego/3997729.html

[13] კრიტიკისათვის იხ., მაგ., http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=5794

[14] http://bulvar.ge/?type=pages&cat=12&id=1197

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1299351403410543&id=1143975058948179

[15] https://forum.ge/?showtopic=34893114&f=&st=0&

[16] ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იხ.:

https://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/28490717.html

[17] თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იხ.:

http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf

[18] ქართველები თურქეთში: http://diaspora.gov.ge/?p=4164

[19] არაიშვიათად, უცხოობაში აღზრდილ ქათველებს ჩვენი ზოგი თანამემამულე გულს სტკენს სხვადასხვა მიზეზის გამო; იხ., მაგ., დოკუმენტური ჩანახატი "ბორა": https://www.facebook.com/notes/tariel-putkaradze/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90/10154894836490678/

[20] უბერებელი მუხამბაზი http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2246

[21] იქნებ http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2253

[22] ზ. გორგილაძის ჩანაწერი იხ.: http://wikibit.me/video/Og6Nfk5n3SE. ბატონ ზურაბს პირად საუბარშიც ჩემთვის არაერთხელ უთქვამს: ბევრი დაწერე აჭარის შვილების გმირულ წარსულზე, ჩვენი კუთხის უმძიმესი ისტორიის მიუხედავად, მაინც ჩვენს საოცარ გადარჩენაზე...

ვეუბნებოდი: "მე ენათმეცნიერი ვარ და არა – ისტორიკოსი";

მპასუხობდა: "სწორედ ენამ გადაგვარჩინა!"

[23] აუცილებელია, კიდევ ერთხელ კარგად გავაანალიზოთ ბათუმში პროვოცირებული და ვანდალიზმამდე მისული ბოლო მიტინგის მასშტაბის გაზრდის მიზეზები (მასალებისათვის იხ.: http://batumelebi.netgazeti.ge/news/70972/

[24] "გათიშე და იბატონეს" რუსულიმპერიული პოლიტიკა სათავეს იღებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; წიგნში "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (თბ., 1951) კი ვკითხულობთ":

"კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (გვ. 138-139)... "ნაციონალური

საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია – ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის (რუსული კულტურის – ტ. ფ.) საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

[25] https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf;

http://fact2.ge/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1/

17 ოქტომბერი, 2017

## პასიური საზოგადოების პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით

ლიტერატურის კრიტიკოსები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში აქტუალურად თვლიან მამათა და შვილთა "ბრძოლასა" თუ ილიას დროს ე.წ. გახლეჩილი საზოგადოების პრობლემას. როგორც ყველა დროში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა თუ მე-20 საუკუნის დასაწყისშიც გარკვეული დაპირისპირება თუ განსხვავებული მოსაზრებები იყო ელიტარულ საზოგადოებაში, რაც ბუნებრივია! ვფიქრობ, ილიას შემოქმედების კონტექსტში უფრო არსებითია, არა ე.წ. მამათა და შვილთა "ბრძოლისა" თუ საზოგადოების "გახლეჩის" ჩვენება, არამედ მისი თანამედროვე ფართო საზოგადოების გააქტიურების თემა; კერძოდ, **საზოგადო თუ ეროვნული საქმის კონტექსტში ფართო საზოგადოების პასიურობა** ყველაზე მეტად ადარდებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გამორჩეულ ქართველსა და ეროვნული ორიენტირების დამსახავ მოაზროვნეს. **ილიას გულისტკივილი აქტუალურია დღესაც.**

ილია ჭავჭავაძემ თავისი მხატვრული ნაწარმოებებით მიზნად დაისახა სამი მთავარი ამოცანა:

– თავისი თანამედროვე ქართველობის პასიურობის ჩვენებით საზოგადოების გააქტიურება და გარსშემოკრება **ეროვნულ-საზოგადოებრივი მეობის გადასარჩენად;**

– განათლების გზით ქართველთა ისტორიული **ენობრივ-კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღორძინება;**

– სულისა და ხორცის ჭიდილში სულიერი საწყისის გამარჯვების აუცილებლობით **ადამიანობის ორიენტირების გააქტიურება.**

წარმოდგენილ მოხსენებაში პირველ საკითხს შევეხები.

აქტიურობის მიხედვით **ფართო საზოგადოება** (ისევე, როგორც ადამიანი) რამდენიმე სახის შეიძლება იყოს:

– "მძინარე" ხალხი;

– დეზორიენტირების გამო პასიური ხალხი;

– რაღაც მიმართულებით აჟიტირებული აგრესიული ბრბო, რომელიც სხვასაც ანგრევს და საკუთარ თავსაც (ჰიუგოს "გემზე აშვებული ზარბაზანი");

– სწორად ორიენტირებული აქტიური საზოგადოება.

აქვე აღვნიშნავ, რომ საზოგადოების/სუბიექტის ოთხივე მდგომარეობას არსებითად განსაზღვრავს **ინფორმირებისა** თუ **განათლების ხასიათი/დონე,** რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოცემული საზოგადოების ელიტასა თუ ლიდერებზე, ზოგადად, განათლების სისტემასა თუ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე.

თავისი თანამედროვე საზოგადოების **დემორალიზაცია** წმიდა ილია მართალმა ყველაზე შთამბეჭდავად დახატა „განდეგილში"; პოემაში "ბეთლემი" არის საქართველოს სახე, სადაც უწინდელ დროში ბევრი წმინდა ბერი ლოცულობდა ქვეყნისათვის; ცოტა ხნის წინ ქვეყნისათვის მლოცველი მხოლოდ ერთი წმინდა ბერიღა იყო დარჩენილი; ილიას დროს კი "ბეთლემში" ველურობაა გაბატონებული; შევადაროთ ნაწარმოების შესავალი და დასკვნა:

დასაწყისი:

**"უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა / გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი**

და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს / ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი[1].

დასასრული:

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ / ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ / მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, –
**აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა / მარტო ქარიღა დადის და ქშუის,**
**და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით / მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...[2]**

დემორალიზებული საზოგადოება პასიურია, არა აქვს ორიენტირები, არ შეუძლია კონსოლიდაცია საზოგადოებრივი თუ ზოგადეროვნული პრობლემის გადასაჭრელად; პარალელურად, ვერ ხვდება, რომ ასეთ პირობებში ბევრი ადამიანი (იქნებ თავადაც!) დაიღუპება... ამ თვალსაზრისითაა გასააზრებელი "ბებერი პეტრეს" შინაგანი ტრაგედია ("სარჩობელაზედ")[3] ჩამომხრჩვალი ბიჭის ძმის განაჩენის შემდეგ:

**„..განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!"**

პასიური საზოგადოების წევრისათვის მთავარ საფიქრელად რჩება **ინდივიდუალური გადარჩენა;** მაქსიმუმ, ოჯახის დაცვა; ის ვერ ხვდება, რომ თუკი მისი მშობელი ერი გადაგვარდება, თავადაც დაიღუპება; არ იცის, რომ ადამიანი დედაენობრივ-ეროვნული მოვლენაა: **ადამიანის პიროვნული არსობა მოიცავს როგორც კერძო ადამიანურ, ასევე, ეროვნულ სიცოცხლეს!**

თავისი თანამედროვე საზოგადოების წევრთა დახასიათება ილიამ უფრო ვრცელი ტექსტით მოგვცა **"ბედნიერ ერში";** თუმცა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ილია ზუსტი არ არის, როცა "ერზე" ლაპარაკობს; კერძოდ, **ილია არ აკონკრეტებს, რომ მისი საყვედური ეკუთვნის თავის თანამედროვე საზოგადოებას** და არა – აიეტის, ქუჯის, ფარნავაზის, ვახტანგ გორგასალის, გრიგოლ ხანძთელის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთველის, ცოტნე დადიანის, გიორგი ბრწყინვალისა თუ მომავალი საუკუნეების ქართველობას... ვიგულისხმოთ, რომ ილია თავის თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობაზე (და არა – ყველაზე!) წერს და მოვისმინოთ შეფასება:

"ჩვენისთანა ბედნიერი / განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი, / ყველა მუნჯი,
გულჩვილი და / ლმობიერი;
თვალაბმული, / თავაკრული,
პირს ლაგამი / ზომიერი;
ყველა ყრუი, / ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, / გულხმიერი;
მცირე, დიდი – / ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და / მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი / განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი, / თავდახრილი,
ყოვლად უქმი, / უდიერი;
უზღუდონი, / გზამრუდონი,
არგამტანი / და ცბიერი;
მტრის არმცნობი, / მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, / შინ ძლიერი;
არრის მქონე, / არრის მცოდნე,
უზრუნველი / და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი / კიდევ არის სადმე ერი?[4]

ილია ასევე შთამბეჭდავად ხატავს თავისი თანამედროვე პასიური საზოგადოების ერთ-ერთ ჩვეულებრივ წევრს, მრავალთაგან ერთ-ერთს, ლუარსაბ თათქარიძეს ("კაცია ადამიანი?!"); სწორედ ლუარსაბები ქმნიან ილიას თანამედროვეთა უმრავლესობას – საზოგადოების ძირითად ნაწილს. მოთხრობის დასასრულს ილია მკითხველს/საზოგადოებას ასე მიმართავს:

"იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და **მამიგონე ჭორი** — **შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით.** ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ,

**თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს.** ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა"[5].

აქვე დავსვამ კითხვას: რა ბედი აქვს ილიას თანამედროვე აქტიურ ადამიანს – **ანტილუარსაბს,** კაცს, რომელიც არ ეგუება პიროვნულ თუ ეროვნულ უსამართლობას, მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭში არ იკეტება და საზოგადო საქმეც თავის საქმედ მიაჩნია?

პასუხად ილიამ საკუთარი ბედი იწინასწარმეტყველა:

– ყველა დანარჩენისგან განსხვავებულობა მთავრდება ტყეში გავარდნით, გიჟად შერაცხვით, ან სიკვდილით[6]; სამაგალითოდ მოვიყვან ოთარაანთ გიორგის დახასიათებას:

"დედისავით, — თავისი იყო, თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა"...

იხ., ასევე, გლეხების დიალოგი სასამართლოსთან:

— ბიჭო-და, ეს კაცი **ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.), — ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა. — რომ არ გაგონილა!..

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, — დაჰკრა კვერი მეორემ. მოთხრობის ამ ნაწილს სახელად ჰქვია "გიჟია თუ რა!"[7].

**ხალხისათვის ილიას პასუხი ცალსახაა: "მე ცა მნიშნავს!"** იხ. ლექსი "პოეტი":

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, / ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის / გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
**მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, / მიწიერი ზეციერსა;**
**ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარვუძღვე წინა ერსა.**
დიდის ღმერთის საკურთხევლის / მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მომძმედ ვიყო / ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, / მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით / დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდან ნაპერწკალი / თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ / მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა![8]

**ამავე კონტექსტშია საინტერესო მამლისა და მეურმის მეტაფორა:**

"ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ — მამალია. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უზის ხოლმე. **ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა ურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას"[9].**

ილიას თაობამ ილიას ლიდერობით გამარჯვება ვერ იზეიმა: ფართო საზოგადოების პასიურობის ფონზე ილია სიცოცხლის ბოლოს თითქმის მარტო (რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად!) უმკლავდებოდა ქართველობისა და საქართველოს მტრებს, უორიენტირო თანამემამულეებსა თუ მტრის სამსახურში მყოფთ. ინდიფერენტული ფართო საზოგადოების შემხედვარე **ავტორის კვნესა** (მოთქმა) ასე გამოვლინდა კავკასიონის სილამაზის ფონზე:

"მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა/ მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
**და თეთრი ზოლი შორის მთებისა / ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.**
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!.. / მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი / ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი / კვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ეალერსება.
**ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, / როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!.** (ელეგია)[10].

ამ საყოველთაო "ძილის" ფონზე ამბობს ილია:

"...მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,

ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!..[11]

...არა აქვს მნიშვნელობა, როდის დაიწერა "ელეგია" თუ "მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" – ილიას ახალგაზრდობისას თუ მკვლელობის წინა დღეს; ორივე პერიოდში გართულდა ფართო საზოგადოებამდე ილიას ორიენტირების მიტანა; ორივე დროში ფართო **საზოგადოება პასიური იყო როგორც ეროვნული, ასევე საზოგადოებრივი სხვა პრობლემების მიმართულებით; კერძოდ:**

– მე-19 საუკუნის 60-იან წლებში **ილიას თანამედროვეთა პასიურობა** შეპირობებული იყო რუსეთის იმპერიის ზეწოლით ქართველი ელიტის დიდი ნაწილის ორიენტირების შეცვლით: იმპერიის მესვეურნი ქართველთა ცნობიერების შეცვლას ცდილობდნენ დაშინებითა (ერმოლოვი, პასკევიჩი...) თუ ტკბილი ენით (ვორონცოვის პოლიტიკა); შესაბამისად, ხალხის დეზორიენტირებით;

– მე-20 საუკუნის დასაწყისში **ეროვნული იდენტობის გადარჩენის მიმართულებით ილიას თანამედროვეთა პასიურობა** თუ დეზორიენტირება შეპირობებული იყო სოციალ-დემოკრატიული დემაგოგიით: მე-20 საუკუნის დასაწყისში მეტ-ნაკლებად გამოღვიძებული ქართველი საზოგადოება დიდწილად სოციალ-დემოკრატთა გავლენის ქვეშ მოექცა /მათ მიერ საინფორმაციო ომის მოგების გამო/. ამის შედეგი იყო ის, რომ მკვლელობის წინა წლებში ილია თითქმის მარტო დარჩა და საკუთარ თავს ფსევდონიმებით ხელმოწერილი წერილებით იცავდა.

ილიას მკვლელობით ქართველი ერის მტრებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს: იმდროინდელი ფართო საზოგადოება ისევ დარჩა გამოკვეთილი ორიენტირების გარეშე[12]. **მაშინდელი საზოგადოება მხოლოდ ერთჯერადად გამოფხიზლდა ილიას საზარელი მკვლელობის გამო;** ამ გამოფხიზლების საპირწონედ და ჩვენი მოსახლეობის ცნობიერების წასალეკად, ისტორიული ორიენტირების დასავიწყებლად, უფრო გააქტიურდნენ სოციალ-დემოკრატები (ასევე, სხვა ანტიქართული ჯგუფები).

მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასასწყისის საქართველოში საზოგადოების ზოგადი სურათი ასეთია:

ისტორიულად ქართველ ეროვნულ ელიტას წარმოადგენდნენ სამეფო სახლი, საეკლესიო იერარქები და თავადაზნაურობა. ისინი გეგმავდნენ ერისა თუ ქვეყნის განვითარებას. მე-19 საუკუნესა და გასული საუკუნის დასაწყისში რუსულმა იმპერიამ ჯერ სამეფო დინასტია და ქართულენოვანი ეკლესია გაანადგურა, შემდეგ კი – საქართველოს ერთგული ეროვნული ელიტის დიდი ნაწილი; გადარჩენილთა უმეტესობა გალუპარსაბდა; მცირე ნაწილი ვერ ქმნიდა ამინდს. თავადაზნაურობას დიდად ავნო ბატონყმობის გაუქმებამაც და ნოყიერი პირობები შეუქმნა მენშევიკურ-ბოლშევიკური სტილის კოსმოპოლიტიზმის გააქტიურებას. **ილია ჭავჭავაძემ პირველმა გააცნობიერა, რომ თითო-ოროლა მოაზროვნე ერს ვერ გადაარჩენს, თუკი ფართო საზოგადოება არ გააქტიურდება თავისი ისტორიულად ჩამოძერწილი მეობის გადასარჩენად.**

**ამ თვალსაზრისით რა ხდება დღეს?**

ორ მომენტს აღნიშნავ:

– გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოიკვეთა არასაბჭოთა ეროვნული ელიტა, რომელიც დაუპირისპირდა კომუნისტთა მიერ გამოზრდილ ინტელექტუალურ, მაგრამ უეროვნულსულო ფსევდოელიტას. 80-იან წლებში ასპარეზზე გამოსული ეროვნული ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილი 90-იან წლებში ან ილიასავით ფიზიკურად გაანადგურეს /პოსტსაბჭოთა საქართველოში/, ანდა უცხოეთიდან დაფინანსებულ პარტიათა ლეღვის ფოთლებად აქციეს – გაანეიტრალეს.

– დღეს ფართო საზოგადოებისათვის დასანახ მანძილზე არ ჩანს საყოველთაოდ აღიარებული ორიენტირები, ანდა თუ ჩანს, ტელემედიით უფრო მეტად "კაშკაშებს" იდეოლოგიზებული კვალიფიკაციები, რომელთა არსია "გათიშე და იბატონე" (საინფორმაციო ომი!), ურაპატრიოტული დეკლარაციები და მადეზორიენტირებელი ჭორები (!); **შესაბამისად:**

დღესაც საზოგადოების დიდი ნაწილი პასიურია; აქტიურია საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი; ეს მცირე ნაწილი, თავის მხრივ, სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

– ფინანსური რესურსებითა და საინფორმაციო საშუალებებით აღჭურვილი ფსევდოლიბერალები;

– ფინანსური რესურსებითა და საინფორმაციო საშუალებებით აღჭურვილი ფსევდოპატრიოტები;

– ძირითადად პირად ინიციატივებსა და სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული პატიოსანი, გათითოკაცებული ინტელექტუალები, რომლებიც ჯერჯერობით სერიოზულ კონსოლიდაციას ვერ ახერხებენ, შესაბამისად, ანგარიშგასაწევ ძალად არ ჩანან.

დანაწევრებული თუ საქართველოს ერთგული სუსტი ინტელექტუალური (/პოლიტიკური) ელიტის არსებობის პირობებში ვერ ხერხდება საქართველოს **მოსახლეობის სწორი ინფორმირება და ორიენტირება;** უინფორმაციო და უორიენტირო ფართო საზოგადოება კი პასიურია. ფართო საზოგადოების გააქტიურება შეუძლია ავტორიტეტულ ლიდერს – ინტელექტუალურ, აქტიურ და მართალ ელიტას.

ავტორიტეტული ლიდერისა (ელიტის) და საზოგადოების ერთიანობა დამოკიდებულია სწორ ორიენტირებსა და დროულ ინფორმირებულობაზე: თუკი ლიდერი (/პოლიტიკური სპექტრი/ინტელექტუალური ელიტა) ქვეყნისათვის საჭირო მიმართულებით წასვლისაკენ დროულად მოუწოდებს ხალხს/ფართო საზოგადოებას და, ამავე დროს, ორიენტირს ხალხამდე მიიტანს, ხალხი მიჰყვება ლიდერს.

დღეს გაუორებელ ინტელექტუალურ თუ პოლიტიკურ ელიტას არა აქვს საკმარისი ბერკეტები, ინფორმაციებითა თუ დეზინფორმაციებით დამძიმებულ "ეთერში" გამოკვეთოს თავისი კალაპოტი და თავისი აზრი მიიტანოს ფართო საზოგადოებამდე; ნუგეშისმომცემია მხოლოდ ის, რომ ამჟამად გაცილებით უკეთ ჩანს წმიდა ილია მართალის ორიენტირები, ვიდრე საუკუნის წინ: ჩვენ, საზოგადოების უმრავლესობას, იდეურად დღეს ილია გვაერთიანებს, თუმცა, აქტიური საზოგადოების ფორმირებამდე გზა ჯერ კიდევაა დარჩენილი.

[1] http://www.aura.ge/311-klasika/5602-ilia-tchavtchavadze--gandegili--I-tavi.html

[2] http://www.aura.ge/311-klasika/5602-ilia-tchavtchavadze--gandegili--I-tavi.html

[3] https://burusi.wordpress.com/2013/02/04/chavchavadze-6/

[4] https://burusi.wordpress.com/2009/06/10/%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/

[5] http://poetry.ge/poets/ilia-chavchavadze/prose/9676.kacia-adamiani.htm;

[6] იხ. ზაქროს ამბავი (კაკო კაჩაღიდან). http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/poemebi/kako%20kachagi.pdf

[7] http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/motxrobebi/otaraant_kvrivi_all.pdf

[8] http://geolit.ge/ilia/poezia/poeti.htm

[9] https://burusi.wordpress.com/2013/02/04/chavchavadze-6/

[10] სამგლოვიარო ლექსი-კვნესა დაწერილია პეტერბურგში 1959 წელს, როცა ილია ჯერ კიდევ 22 წლისა იყო http://kids.ge/poesy-verse?id=1312

[11] "მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" http://litklubi.ge/biblioteka/view nawarmoebi.php?id=10666

[12] ანტიქართულმა ძალამ მოკლა მეორე დიდი ლიდერიც – პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და გაანადგურა მისი მხარდამჭერი საზოგადოება თბილისში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და საქართველოს ყველა სხვა კუთხეში.

8 ნოემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

# საერთოქართველური ენა და კოლხური არქეოლოგიური კულტურა

კოლხური არქეოლოგიური კულტურა სათავეს იღებს, დაახლოებით, ძვ.წ. XVIII საუკუნიდან და განვითარების პიკს აღწევს ძვ.წ. XIII-VII საუკუნეებში. კოლხური კულტურა ყალიბდება ამჟამინდელი საქართველოს შავიზღვისპირა ზოლსა და ცენტრალურ კოლხეთში. ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა სუფსა-ნატანების აუზი და ჭოროხის ხეობა. აღმოსავლეთის საზღვარი ვრცელდებოდა მცხეთა-თბილისამდე (შეიძლება ითქვას, რომ კახეთი იყო ამ კულტურის განაპირა თუ მოსაზღვრე მხარე, სადაც დომინანტური იყო აღმოსავლურ ქართველურ-კავკასიური კულტურა). კოლხური კულტურა, ასევე, მოიცავდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დიდ ნაწილს. კოლხური კულტურის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი იყო სინოპი-სამსუნის რეგიონი. იხ.: **გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის (ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) გავრცელების სქემატური რუკა /პროფ. ჯონი აფაქიძის მიხედვით; 2009/:**

1.კოლხური კულტურის გავრცელების არეალი; 2. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი შიდა ქართლში; 3. კოლხური კულტურის გავრცელების არეალი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში; 4. კოლხური ელემენტების გავრცელების არეალი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში (მხოლოდ განძების მიხედვით); 5. კოლხური კულტურის ყობანის დასავლური ვარიანტის ძეგლები კოლხური კულტურის გავრცელების არეალის ფარგლებს გარეთ, სადაც გვხვდება როგორც ყობანის სხვა ვარიანტების, ისე უცხო კულტურების ელემენტები.

Joni Apakidze, Die Spätbronze– und Früheisenzeit in West– und Zentralkaukasien. Chronologische Studien zur Kolchis-Kultur, 1600–700 v. Chr. – Prähistorische Archäologie in Südosteuropa 24, Verlag Marie Leidorf GmbH, Rahden/Westf. 2009. Zweibändige Monographie(deutsch mit georgischem und englischem Résumé). http://www.vml.de/d/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5

შდრ., პროფ. ჯონი აფაქიძის ახალი რუკა, რომელიც მან წარმოადგინა 017 წლის 18 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წაკითხულ საჯარო მოხსენებაში: "კოლხური კულტურის ბრინჯაოს მეტალურგია და განძების ფენომენი (მახასიათებლები და გავრცელების არეალი)":

https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2759&lang=geo

შდრ.: უცხოური წყაროების მიხედვით, ამავე პერიოდში ეს ვრცელი ტერიტორია იყო ქართველურ-კავკასიური ტომების განსახლების არეალი.

**არქეოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ლინგვისტური კვლევების შეპირისპირებით შეგვიძლია დავუშვათ:** კოლხური არქეოლოგიური კულტურის არსებობის დრო და გავრცელების საზღვრები ძირითადად ემთხვევა, ერთი მხრივ, ქართველთა ადრეული სახელმწიფოს (კოლხას) საზღვრებსა და დროს, მეორე მხრივ – საერთოქართველური ენის არსებობის დროსა და გავრცელების ველს. მთლიანობაში, დიდი ალბათობით, **კოლხური არქეოლოგიური კულტურა დასავლურკავკასიური კულტურაა, რომელიც შეიქმნა საერთოქართველური ენის მფლობელი ხალხის – ამჟამინდელ ქართველთა წინაპრების – დომინანტობით.**

ძველი ურარტულ-ბერძნული წყაროების, ენათა არსებობის ლოგიკური ასაკის, ანთროპოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ქართველი ერის 35-საუკუნოვანი ისტორიის ძველ პერიოდზე **ვრცელი მსჯელობა მაქვს წიგნში "ქართველები" (2005 წ.); მოკლე თეზისები კი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:**

1. ლოგიკურია დავუშვათ, რომ 25-38 საუკუნის წინ ასე დიდ სივრცეზე გავრცელებული კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ასახავს ძლიერი სახელმწიფოს გავლენის ველს.

ასეთი სახელმწიფო ამ პერიოდში იყო კოლხა/კილხა – ქართველური ტომების კონსოლიდაციით წარმოქმნილი ლეგენდარული სახელმწიფო (ამ პერიოდის ქართველური ტომების შესახებ უამრავი ინფორმაცია გვაქვს ბერძნულ თუ ურარტულ წყაროებში (მასალისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005).

2. ბუნებრივია, კოლხა/კილხას ჰქონდა ძირითადი სახელმწიფო ენაც, რომელიც, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო საერთოქართველური ენა (ის ენა, რომლისაგანაც მომდინარეობს ქართველთა

ყველა სამეტყველო კოდი).

საერთოქართველური ენის არსებობის ლოგიკური დრო რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულია, ამას ბევრი მეცნიერი ვარაუდობდა (მათ შორის – არნოლდ ჩიქობავა, გივი მაჭავარიანი, ჰანს ფოგტი და სხვ.).

სწორედ ამ საერთოქართველურ ენას დაეფუძნა ქართული სამწიგნობრო ენა (სავარაუდოდ, ქუჯისა და ფარნავაზის პერიოდში), რომლის პირველი ნიმუშები შემონახულია როგორც დასავლეთ საქართველოდან გამოსული მოღვაწეების მიერ (იოვანე ლაზი), ასევე, აღმოსავლეთ საქართველოშიც (ნეკრესისა თუ ბოლნისის სიონის წარწერები).

3. როგორც კოლხური არქეოლოგიური კულტურის, ასევე, 20-საუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის ძირითადი შემოქმედი არის ისტორიული საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ტომებიც, რომლებიც 35 საუკუნის წინ, ალბათ, დიდად არც იყვნენ დაშორებულნი ამჟამინდელ ქართველთა წინაპრებს.

4. კოლხური კულტურის ცენტრი, ზოგადად, უძველესი საქართველოს ცენტრალური და დაცული ნაწილი იყო ამჟამინდელი დასავლეთი საქართველო, ასევე აღმოსავლეთი საქართველო მცხეთამდე და ჭოროხის ხეობა.

5. სწორედ დიდი კოლხეთის სახელმწიფოს ხსოვნის საფუძველზე აღორძინდა ქუჯისა და ფარნავაზის სახელმწიფო, რომელიც შეკრა საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებულმა ქართულმა სამწიგნობრო კულტურამ (რომლის წარმართობის დროინდელი ვარიანტი, ალბათ, ასახულია ხანმეტ ტექსტებში; გვიანდელი სახესხვაობები კი არის დღემდე მოქმედი საეკლესიო მწერლობისა და საერო მწერლობის ენა).

მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: http://www.putkaradze.ge/qartvelebi/qartvelebi/qartvelebi.htm

3 დეკემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## ქართველობის განმსაზღვრელი მახასიათებლები ივერიელთა ძველი (1790 წ.) და ახალი (2009 წ.) ტრაქტატის მიხედვით

XVIII საუკუნეში საქართველოში გაბატონებისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ოსმალეთი, ირანი, რუსეთი. არც ერთ იმპერიას ხელს არ აძლევდა ქართველთა კონსოლიდაცია და საქართველოს სახელმწიფოს აღორძინება. ამ დროს საქართველოს სახელმწიფოს 200-წლიანი დაქუცმაცებულობის გამო მ**ოდუნებული იყო ქართველთა ეროვნული ერთიანობა;** კერძოდ, ეთნონიმ "ქართველს" დაკარგული ჰქონდა ისტორიული სემანტიკა და მხოლოდ ქართლ-კახეთის მოსახლეობას თუ აღნიშნავდა...

ამ პერიოდშიც იყვნენ ჭკვიანი ქართველები, რომელთა აზრითაც აუცილებელი იყო **ქართველთა ეროვნული ერთიანობის განმტკიცებით აღორძინებულიყო ერთიანი საქართველო;** კერძოდ, გამორჩეულმა ქართველებმა 1790 წელს შექმნეს ისტორიული დოკუმენტი: **"ივერიელთა ერთობის ტრაქტატი",** რომლის მიზანი იყო პირველ ეტაპზე ოსმალეთის იმპერიის გარეთ დარჩენილი საქართველოს გაერთიანება.

ტრაქტატის სრული დასახელება ასეთია: **"ტრახტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოისა ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა".**

ტრაქტატი მოიცავს შესავალ ზოგად ნაწილსა და ოთხი ქართული სამეფო-სამთავროს პირველი პირების მიერ შექმნილ 4 დოკუმენტს; კერძოდ, შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

"ვინაიდგან (ვინათგან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ **ერთმორწმუნება** (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა **სისხლით ნათესავთა** და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი

საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუვსთქვამთ (აღვთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა ცხად იქმნების".

შესავალ ნაწილს მოჰყვება "ტრახტატი პირველი", რომელსაც ხელს აწერს ერეკლე – მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ასევე: დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა – დარეჯანი, საქართველოს კათოლიკოსი ანტონი და ყველა დროს ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი, მეფე ერეკლეს ვიცე-კანცლერი – სოლომონ ლიონიძე.

**მოვიყვანთ ერთ ამონარიდს ერეკლე მეორის ტექსტიდანაც:** "აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა (/თანავალდებულებით – ტ.ფ.) თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა, კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა, სჯულუდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას **ქვემოისა ივერიისა თანა** და ვამცნებ ყოველთავე, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!"

ერეკლე მეორის ტრაქტატის მონაცვლე დანარჩენი სამი "ტრახტატი" ეკუთვნით იმერეთის მეფე სოლომონს, ოდიშისა და სხვა სამთავროთა მთავარს გრიგოლ დადიანს და გურიის მთავარს სიმეონს. თავის მხრივ, ისინი აცხადებენ, რომ ერთ სხეულად ერთიანდებიან **ზემო ივერიის ქართველებთან.**

წარმოდგენილი ციტირებების შინაარსი უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ რამდენიმე ფრაზას:

– ყოველნი ივერიელნი = ქართველები

– ზემო ივერია = აღმოსავლეთ საქართველო (ქართლ-კახეთი + ჰერეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ხევი)

– ქვემო ივერია = დასავლეთ საქართველო (იმერეთი + გურია, ოდიშ-აფხაზეთი).

დამოწმებული ტექსტიდან ნათელია, რომ 1790 წელს ქართველი მეფე-მთავრები და სწავლული კაცები თვლიდნენ, რომ იბერიელთა (ქართველთა) საერთო მახასიათებლებია:

**– საერთო რელიგია,**

**– ერთი ენა.**

**– საერთო წარმომავლობა (ერთი სისხლი).**

ასეთი მიდგომა არსებითად არ შეცვლილა მომდევნო საუკუნეში და შეიქმნა უფრო სხარტი ფორმულა (რომელშიც სარწმუნოება მესამე ადგილას გადავიდა): **მამული, ენა, სარწმუნოება.**

მალევე, წმიდა ილია მართლისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით, რუსეთ-ოსმალეთის ომის პარალელურად, აქტუალური ხდება ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწებზე მცხოვრები ქართველობის საკითხი. ილიას ტრიადიდან რეალურად რჩება მხოლოდ ორი: **ისტორიული საერთო მამული და ერთი საუკუნოვანი ენა** (ლოგიკურია დავუშვათ, რომ საერთო მამული და საერთო წარმომავლობა გარკვეულწილად მოიცავს ერთმანეთს).

**1790 წლიდან ზუსტად 219 წლის შემდეგ, 2009 წელს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ქვეყნდება **"ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი",** რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობის წარმომადგენლები.

ახალი ტრაქტატის შექმნის საჭიროება გააჩინა ჯერ ბოლშევიკური თუ კომუნისტური რუსეთის იმპერიის მესვეურების, ბოლოს კი ე.წ. ფსევდოლიბერალების პერმანენტულმა მცდელობამ, ენობრივ-ეთნიკურად დაეწაწევრებინათ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დიდი ღვაწლით აღორძინებული ქართველი ერის ერთიანობა. **ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ მთლიანობას განსაკუთრებით დიდი საფრთხე შეექმნა 1992-93 წლებში რუსეთის იმპერის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სისხლიანი დამხობის შემდეგ.**

ქართველი ერისა და ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო აგრესიის მოსაგერიებლად შექმნილ **"ივერიელთა ახალ ტრაქტატში"** ვკითხულობთ:

"ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი ვართ **შთამომავალნი ერთი წინაპრისა,** საუკუნეთა წინ ერთ ერად ჩამოყალიბებულნი,

მრავალფეროვნებით გამორჩეული **ერთი ენისა და კულტურის მქონენი, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცებულნი** და **ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი** და თანამდგომნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ: კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და **ყოვლადძლიერი ღმერთის სახელით** აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი –მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენსა აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება"[1].

როგორც ვხედავთ, პატრიარქის ტექსტში ეთნონიმი "ივერიელი" ანუ ქართველი განისაზღვრება შემდეგი ნიშნებით:

**– საერთო წინაპარი + ნათესაობა/მოყვრობა;**

**– მრავალსაუკუნოვანი ერთი ენა და კულტურა;**

**– ასევე მრავალსაუკუნოვანი საერთო სახელმწიფო.**

ნიშანდობლივია, რომ 1790 წლის ტრაქტატის ავტორებისაგან განსხვავებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, **უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ეთნონიმ "ივერიელის" (ქართველის) განმსაზღვრელად არ მიიჩნევს "სისხლით ნათესაობასა" და ერთ სარწმუნოებას; შესაბამისად, მის ტექსტში "ივერიელი/ქართველი აღნიშნავს საქართველოს მოქალაქეთა ერთობას ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად** (ერის აღმნიშვნელი ტერმინი არ იზღუდება ეთნიკურობის გაგებით).

ერის ასეთი გაგება აქვს თანამედროვე ცივილიზებულ, დემოკრატიულ (ნამდვილ ლიბერალიზმზე ორიენტირებულ) სახელმწიფოებს!

პატრიარქი საქართველოს თანამედროვე მოქალაქეებს (ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის მოსახლეობის ჩათვლით) სთავაზობს **დიდ კონსოლიდაციას,** რომ ერთიანობით გავუმკლავდეთ რუსულ ოკუპაციასაც და გადავარჩინოთ ჩვენი ისტორიული, ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი ფასეულობებიც, რომლებსაც ღიად ებრძვის **ლიბერალურ-დემოკრატიული ტერმინოლოგიით შენიღბული რამდენიმე აგრესიული ჯგუფი** (ამ ჯგუფების "სლოგანები" დიდად არ განსხვავდება 1992-93 წლების სისხლიანი გადატრიალების აქტიურ მონაწილეთა ლოზუნგებისაგან).

[1] https://www.kvirispalitra.ge/old/index.php?option=com_content&view=article&id=1111:qertho-bis-akhali-traqtatiq&catid=5:kviridan-kviramde&Itemid=9&add=1).

**P.S.** ეს მოხსენება წაკითხულ იქნა 2017 წლის 20 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის აღსაყდრების 40 წლისთავს.

2 იანვარი, 2018

## არნ. ჩიქობავა: გაზეთი „კომუნისტი", 1958, #146 და გაზეთი „სამშობლო", 1969, 22 აგვისტო, ქართველთა ენობრივი სამყაროს გადარჩენის ამოცანა, გერმანული გამოცდილება და არნ. ჩიქობავას პოზიცია

დიდი ალბათობით, ქართველთა სამწიგნობრო ენა შექმნილია, დაახლოებით, 23 საუკუნის წინ **ისტორიული კოლხას სამეფოს** პერიოდიდან არსებული **საერთოქართველური ენის** /და არა – ქართლური დიალექტის/ **საფუძველზე.** შესაბამისად, ყველა ქართველის დედაენაა ისტორიული ქართული ენა – საქართველოს საეკლესიო ენა, რომლის ნიმუშები გვაქვს მე-5 საუკუნიდან (საქართველოს ეკლესიის ენის შემქმნელთა დიდი ნაწილი ეგრისის მკვიდრი იყო!).

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაიწყო ქართველთა ენობრივად დანაწევრების მცდელობა და ქართულს დაუპირისპირეს მეგრული, ლაზური და სვანური, **როგორც დამოუკიდებელი დედაენები** (იმავეს აკეთებს ზოგი დღესაც)... ბოლშევიკების პერიოდში კი მეგრული და სვანური ენების არსებობის საბაბით დაიწყო საუბარი მეგრულ სკოლებსა და სამეგრელოს ავტონომიაზე. მეგრული სკოლებისა და სამეგრელოს ავტონომიის საკითხი წამოიჭრა არა სამეგრელოში, არამედ – რუსეთის იმპერიის ცენტრში ი. სტალინის კონცეფციის შესაბამისად (შესაბამისად, უსაფუძვლოა ე.წ. მეგრულ "სეპარატიზმზე" საუბარი; უფრო ლოგიკურია, ვისაუბროთ კოლაბორაციონისტ პირებსა თუ მცირე ჯგუფებზე, რომელთა ანტიქართული მიმართულებით აქტიურობა პროვოცირებული იყო იმპერიული ცენტრიდან – ასეთი სუბიექტები ყველა კუთხეში და ყველა დროში შეიძლება არსებობდნენ).

**ი. სტალინს შეეწინააღმდეგა ლავრენტი ბერია, რომელმაც დიდი მწერლების** (თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია...), **არნოლდ ჩიქობავასა და, ასევე, სხვა ენათმეცნიერთა** (გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, ვარლამ თოფურია...) **მხარდაჭერით დახურა მეგრული დაწყებითი სკოლები.**

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლად გამოყენებულ ე.წ. "ოთხი ქართველური ენის" "იდეოლოგიას", რუსეთის გარდა, პოსტსაბჭოთა საქართველოშიც და დასავლეთშიც ჰყავს პოპულარიზატორები; მაგ., ethnologue.com-ის მიხედვით, ზეპირი ქართველური ქვესისტემები იწოდება: "განვითარებად ენად" თუ "აღორძინებად ენად"... ზოგი ავტორის მიხედვით კი: "უმწერლობო ენად", "ტომობრივ ენად"; არადა, დღეს ყველამ კარგად იცის, რომ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში "ტომი" ველურ საზოგადოებას ნიშნავს; ასევე, ნამდვილად სახარბიელო სტატუსი არ არის: "უმწერლობო ენა", „აღორძინებადი ენა", „არასამწერლობო ენა".

სხვა ქართველთა მსგავსად, მეგრელიც, ლაზიც და სვანიც მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელები არიან. არადა, მავანნი ოთხი ენის ფსევდოიდეოლოგიის შესაბამისად ცდილობენ, საქართველოს თავს მოახვიონ "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიცირება.

ვფიქრობ, **საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიული მიზანი** უნდა გახდეს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ისტორიისა და საქართველოში ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკის შესახებ დასავლეთელი მეგობრებისათვის რეალური (ადეკვატური) ინფორმაციის მიწოდება, რომ ჩვენი ენობრივი კანონმდებლობის სფერო უსაფუძვლოდ არ დახარვეზდეს და, მათდა უნებურად, ხელი არ შეეწყოს საქართველოზე რუსეთის საინფორმაციო იერიშებს; ყველამ უნდა გაითვალისწინოს ისტორიული რეალობა:

**ყველა კუთხის ქართველებს გვაქვს ერთი მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა – საეკლესიო ენა და მისი მრავალი ზეპირი სახესხვაობა;** შესაბამისად, "ევროპული ქარტიის" დებულებების მიხედვით ვერ კვალიფიცირდება ქართველური ენობრივი სამყარო, რამდენადაც, "რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის" განმარტებითი ნაწილის 31-ე და 32-ე პუნქტების მიხედვით, "ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ **ისტორიულ უმცირესობათა ენებს,** ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ეს ენები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც/რომლებზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. **ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს".**

აქვე აღვნიშნავთ: ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს თავისი გამოკვეთილი პოზიცია ამ და ყველა სხვა არსებითი თემების მიმართულებით; თუმცა, ასევე, აუცილებელია, **არც ერთ შემთხვევაში არ შეიზღუდოს მეცნიერის აკადემიური თავისუფლება.**

თანამედროვე გლობალისტური სამყარო საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უმწერლობო იდიომებს (ენებს, დიალექტებს), არამედ დიდი ტრადიციის მქონე სამწიგნობრო ენებსაც კი; შესაბამისად, სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად უნდა იქცეს ქართული (/ქართველური) და აფხაზური ენების დიალექტების – **სახელმწიფო ენების ზეპირი სახესხვაობების – შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების კოორდინირება.**

პარალელურად, „ქართული ენის" სახელმძღვანელოს დამატების სახით, სკოლაში უნდა შევიდეს დამხმარე სახელმძღვანელო: **„ქართველთა ენობრივი სამყარო",** რომელიც ორიენტირებული

იქნება ბავშვებისათვის ქართული ენის გავრცელების საზღვრების გააზრებაზე, ქართველური დიალექტური ლექსიკით ქართველთა (ქართველურ) სამწიგნობრო ენის გამდიდრებასა და საქართველოს ყველა კუთხის ლექსიკის შესწავლა-წარმოჩენაზე.

ქართველური ენობრივი მემკვიდრეობა მრავალსაუკუნოვან **ქართულ სამწიგნობრო ენასთან ერთად მოიცავს ოცამდე ზეპირ ქართველურ ქვესისტემებს** (/ქართველურ დიალექტს) და, როგორც დიდებული პოეტი მუხრან მაჭავარიანი ამბობს, **"სისხლით დაცულ ანბანს".** ქართული ანბანი ისტორიული ენობრივ-ეთნიკური მეობის უმთავრესი მარკერია, განსაკუთრებით, საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველებისათვის; შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული პროექტები აქვს განსახორციელებელი სხვა სახელმწიფო ენის ველში მოხვედრილი, დაახლოებით, 4 000 000 ქართველის დედაენობრივი მეობის გადასარჩენად. პირველ რიგში, აუცილებელია ქართული ენის ბუნებაზე ორიენტირებული ქართული ენის შემსწავლელი თანამედროვე სახელმძღვანელოს შექმნა.

ქართველური ზეპირი მეტყველებების გადარჩენისა თუ სწავლების მიმართულებით **მე და ჩემმა კოლეგებმა ორი ათეული წლის წინ შევიმუშავეთ გამოკვეთილი სტრატეგია და გვაქვს კონკრეტული შედეგებიც** (რაც ზღვაში წვეთია!); **კერძოდ:**

ა) 1995 წლიდან დღემდე სამეგრელოში, სვანეთში, ლაზეთში და ისტორიული თუ ამჟამინდელი საქართველოს სხვა კუთხეებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს ადგილობრივი მეტყველების ტექსტებისა და ლექსიკის ჩაწერა, დოკუმენტირება, კვლევა; ჩაწერილი გვაქვს დიდძალი მასალა (პროექტის ხელმძღვანელები: ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი); მსგავს აქტივობებს ახორციელებს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრიც.

ბ) ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა (/მზადდება) ათზე მეტი სადოქტორო დისერტაცია, რომელთა თემაა საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველური იდიომები (ენობრივი ერთეულები);

გ) ჩემი ხელმძღვანელობით რამდენიმე უნივერსიტეტში მოქმედი სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებულია მეგრულ-ლაზური, სვანური და სხვა ქართველური ქვესისტემების სწავლება-კვლევა;

დ) ჩვენ მიერ მომზადებულია დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო **„ქართველური ენობრივი სამყარო",** რომლის პირველ ნაწილში აღწერილია ქართველური ქვესისტემების გავრცელების არეალი და ცალკეული ქართველური დიალექტების საზღვრები (რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, გაიაზროს ქართველი ეთნოსისა თუ ცალკეული ქართველური თემების საცხოვრისთა საზღვრები). აღწერას თან ერთვის შესაბამისი რუკები. წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა ადგილობრივი მეტყველებების ლექსიკისა თუ თავისებურებების შესწავლას – საგანგებო კითხვარების საფუძველზე მოსწავლეთა მიერ ადგილობრივი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკისა თუ თავისებურებების აღნუსხვას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს მრავალსაუკუნოვანი ერთიანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის გამდიდრებას ქართველურ დიალექტებში შემონახული ლექსიკით. ამ ასპექტით **ჩვენთვის მაორიენტირებელი თვალსაზრისი** გამოთქვა სამეგრელოში დაბადებულმა დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ:

"ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს **ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით.** უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც **მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები,** ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას..." (კ. გამსახურდია, 1922; იხ. ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 411). შდრ., აგრეთვე: "მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა; სამაგიეროდ, ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას **ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები...** მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხვავებული) ლექსიკის შეკრების ლოზუნგი გადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც "დიონისოს ღიმილში" და ჩემს ნოველების წიგნშიაც..." "...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს – დაეყრდნოს. აქ უმთავრესია "შინაგანი სესხი", **ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა..."** (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ.V, გვ. 995-956). "XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, **მეგრულისა და გურული ენობრივი**

**ელემენტების სრული სინთეზი.** აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული" (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 499)...

**ნიშანდობლივია:** კონსტანტინე გამსახურდიას მიდგომა **დიდებულ ქართველთა** (იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, იოვანე პეტრიწის, ჭყონდიდლების...) **ღვაწლის ლოგიკური გაგრძელებაა.**

რამდენადაც საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა ისტორიული საქართველოს ყველა კუთხეში და ნოყიერდებოდა ყველა კუთხის დიალექტური შენაკადებით, ეს კალაპოტი მომავალშიც ასევე უნდა გაგრძელდეს. შესაბამისად, აუცილებელია, **ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შევიდეს ნარჩევი მეგრულ-ლაზურ-სვანური დიალექტური ლექსიკაც** (არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოქვეყნებულ "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულში შედის მხოლოდ ქართველთა სხვა კილოების მონაცემები).

**ქართველური ადგილობრივი მეტყველებების დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა გერმანელების გამოცდილებაც:** ბავარიის მასწავლებლების გაერთიანების პრეზიდენტი **კლაუს ვენცელი** კი ასკვნის: „ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიალექტი ბევრი ბავშვისთვის არის პირველი ენა. სკოლის უპირველესი მიზანი არის მოსწავლე განათლების გზით წაიყვანოს და დაეუფლოს სტანდარტულ ენას, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ბავშვების პირველი ენის ხარჯზე"; შდრ., ასევე: **ბავშვი უნდა აღიზარდოს სალიტერატურო ენაზე, თუმცა ამავდროულად მისთვის დიალექტი უნდა იქცეს არა დაბრკოლებად, არამედ როგორც საკუთრების განსაკუთრებულ სახეობად.**

გერმანელები დღემდე დავობენ, თუ როგორ შეუთავსონ ერთმანეთს სალიტერატურო ენა და დიალექტი საგაკვეთილო პროცესში; მაგ., მკვლევრები: **ბრაუნი და მატაიერი აყალიბებენ 4 ძირითად შესაძლო მიდგომას:**

ü დიალექტის რაც შეიძლება სწრაფი და ძლიერი შევიწროება და განდევნა ცხოვრების ყველა სფეროდან, რათა მოსწავლეებმა საერთოდ აღარ ილაპარაკონ დიალექტზე.

ü დიალექტისა და სალიტერატურო ენის თანაბარი სწავლება სკოლაში, რათა მოსწავლეებმა იცოდნენ ორივე ვარიანტი.

ü სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის აღმოფხვრა იმ მიზნიდან გამომდინარე, რომ შესაძლებელი იყოს ხალხური ენისა და სხვადასხვა სასაუბრო ენის ვარიანტების შესწავლა.

**ü დიგლოსიის პრინციპის დამკვიდრება: საგაკვეთილო პროცესში წერა, მეტყველება და კითხვა სალიტერატურო ვარიანტით, ხოლო გაკვეთილზე ყოველდღიური სიტუაციების აღწერისას თუ დაწყებით კლასებში ახალი სიტყვების განმარტებისას დიალექტური ვარიანტის გამოყენებაც.**

გარკვეული კორექტირებით ჩვენთვის მისაღებია დიგლოსიური პრინციპი, რამდენადაც მსოფლიოს ბევრ რეგიონში ბავშვი გარესამყაროს შეიმეცნებს დიალექტის გზით; შესაბამისად, დიალექტი, როგორც ეროვნული ენის ნაწილი, წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემის ერთ-ერთ წახნაგს. დიალექტი ღრმა ემოციურ კავშირშია ეროვნული ენით მსოფლაღქმასთან; ეს ფაქტორი მისაჩქმალი კი არ არის, არამედ გამოსაყენებელია პიროვნების ენობრივი ხედვა-აღქმის სრულყოფილი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

**გავუფრთხილდეთ ჩვენს კუთხურ მეტყველებებს, და, ასევე, ჩვენს დედაენას – ქართველი ერის დედაენას – ქართულ ენას, რომელიც ჩვენი ეკლესიისა და კულტურის ენაა, სულ მცირე, 16 საუკუნეა.**

**ესაა ყველაზე გონივრული გზა.**

დასასრულს, გთავაზობთ არნ. ჩიქობავას ორ ციტირებას.

არნ. ჩიქობავა, 1958: **„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, – იქნება ეს ქართველი – ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს.** ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში... დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დედა-ენა

უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი,– სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი...”

არნ. ჩიქობავა 1969: **კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი.** ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის ეროვნული ენაა, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს **სახელმწიფო ენას წარმოადგენს”.**

**2018 წლის 18 ივლისის მინაწერი:** ყველა ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს ესა თუ ის თვალსაზრისი; ასევე: სამშობლო, დედაენა, სქესი, ეროვნება, მოქალაქეობა... მე და ჩემმა კოლეგებმა მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო სტატიებით, საგანმანათლებლო ხასიათის წერილებითა თუ სხვა პუბლიკაციებით მოგაწოდეთ ქართველთა რეალური ენობრივი ისტორია; ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორია, მსოფლიოში აღიარებული ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმების ანალიზი (ახლახან ჩემმა ერთმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია: “ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები: საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ”)...

უეჭველი არგუმენტებით წარმოვაჩინეთ, რომ ქართველთა ერთიანობის ხერხემალი – ქართული სამწიგნობრო ენა – დაეფუძნა საერთოქართველურ ენას, რომელიც არსებობდა აიეტის დროს და რომლის გავრცელების არეალი ემთხვევა კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალს; ასევე, ნათლად დავასაბუთეთ, რომ ქართველთა სამწიგნობრო ენა ვერ დაეფუძნებოდა ქართლურ თუ კახურ დიალექტს, რამდენადაც არქაული ქართული სამწიგნობრო ენა (ხანმეტი ტექსტების ენა) გაცილებით ახლოსაა საერთოქართველურთან, ვიდრე რომელიმე ცოცხალ დიალექტთან. ამ ხანმეტი ტექსტების ენის ზოგი მახასიათებელი შემონახულია სვანურში, ზოგი – მეგრულ-ლაზურში, ზოგი – ხევსურულსა თუ თუშურში, ზოგი – ტაოურსა თუ აჭარულში, ინგილოურში და ა.შ. ყველასათვის ცხადი გავხადეთ, რომ მსოფლიოში უნიკალური – 16 საუკუნის მანძილზე უწყვეტი – ქართული სამწიგნობრო ენის ჩამოძერწვაში დღემდე ყველა კუთხის ქართველი იღებდა მონაწილეობას, რომ ყველა კუთხის ქართველის საკუთრებაა 16-საუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა და არავის აქვს საფუძველი, რომელიმე კუთხის ქართველობა უმწიგნობრო ენის მქონე ხალხად გამოაცხადოს.

ნათლად წარმოვაჩინეთ ასევე, რომ “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ” მაღალი დონის დოკუმენტია, რომელიც იცავს ავტოქთონი უმცირესობების ენებს და არა –სახელმწიფო ენის სახესხვაობებსა და მიგრანტების ენებს. ასევე, შევქმენით სახელმძღვანელო: “ქართველთა ენობრივი სამყარო”, რომლის მიზანია გადარჩეს ყველა კუთხური ქართველური მეტყველება.

აწი, პატივცემულო მკითხველო, თქვენი საქმეა, რას აირჩევთ საკუთარ ისტორიად თუ დედაენად; მთავარია, ბრმად არ აჰყვეთ იაფფასიან პოლიტიკოსებსა თუ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურად დანაწევრების მოსურნე მტერს; ხოლო ამჟამინდელი თუ მომავალი ხელისუფლებების არჩევანია, თუ რა სტრატეგიით გააგრძელებს ენობრივ პოლიტიკას: შეინარჩუნებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ საუკუნოვან ერთიანობას თუ დაექვემდებარება პრორუსული თუ ფსევდოლიბერალური ძალების ზეწოლას და გააგრძელებს რუსეთის იმპერიის სტრატეგიას, რომლის მიზანია ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება (რაც საბოლოო ჯამში მაინც არავის გამოუვა!).

**P.S.** მე ჩემი გითხარით, თქვენი თქვენ იცით. ღმერთმა შეგინდოთ, ვინც, უბრალოდ, უინფორმაციობის გამო ცდებით; მტრის მიერ მოსყიდულს კი დრო თავისას მიუზღავს.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ჯერ საკითხს საფუძვლიანად სწავლობს და მერე ირჩევს თავის პოზიციას.

27 მარტი, 2018

## ვინ არიან „ქართლის ცხოვრების“ სომხები?

„სომხურ ენასთან“ და ლეონტი მროველის არმენოფილობასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ინტენსიურად ვრცელდება „ქართლის ცხოვრების“ არასწორი ინტერპრეტაცია.

ნუ აჩქარდებით: ლეონტი მროველი არ არის „ქართლის ცხოვრებაში“ X საუკუნემდე მომხდარი ამბების ავტორი; იგი მხოლოდ ძველი ტექსტების შემნახავი და, გარკვეულწილად, რედაქტორია.

გარდა ამისა, “ქართლის ცხოვრებაში” სომხური ენა სულად არ ნიშნავს “არმენიულ ენას” **/Armenian language, Армянский язык (հայերէն, հայերեն/.**

ასე რომ, ლეონტი მროველს ტყუილად აბრალებენ არმენოფილობას.

**ვფიქრობ, რეალური ისტორია ასე უნდა გამოიყურებოდეს:** ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მოვლენებზე როცა ლაპარაკობს ლეონტი მროველის წინამორბედი მემატიანე (რომელიც, ალბათ, ცხოვრობდა ლეონტიზე ბევრად ადრე!) და ახსენებს “სომხურ ენას”, გულისხმობს კოლხას მეზობელი ურარტუს მოსახლეობის ენას; კერძოდ, დიდი ალბათობით, ძველი ქართველი მემატიანე (ლეონტი მროველი არის მხოლოდ რედაქტორი!) სომხითად თვლის **ურარტუს, სადაც დასახლებული იყო ჩვენი მონათესავე ხალხი – ურარტუელები, ანუ ძველი ქართული ტერმინოლოგიით – სომხები.**

უდავო ჩანს მოსაზრება, რომ **ეთნონიმი “სომეხი” ქრისტიანობამდე პერიოდში აღნიშნავდა ურარტუელს და არა – ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ირან-ინდოეთის მხრიდან მოსულს არმენებს.**

ნახეთ, რას წერს მემატიანე:

„პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძის-წული იაფეთისი, ძისა ნოესი... და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკჳდრა ორთა მათ მთათა შუა კაც-შეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხჳ, რამეთუ ესხნეს ცოლ-მრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილის-შვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ. და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა. ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, **ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია.** ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა **ერქუა ჰაოს,** მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი“.

**აშკარაა, რომ თარგამოსიანთა შორის უფროსი ძმაა ჰაოსი – „სომეხთა“ ეთნარქი; მისი ენაა „სომხური“/ურარტული.**

**მხოლოდ ურარტუს დაცემის შემდეგ მოდიან კავკასიაში არმენები!**

შდრ., მემატიანე: „და გამოჴდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქჳან ხერკ ხარკისა მისთჳს. **აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთა-ცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული...“**

ეს ადგილი უნდა გავიაზროთ ასე: მემატიანის აზრით, უძველეს პერიოდში ქართველები, როგორც ურარტუელთა ნაწილი/განაყარი, საუბრობდნენ წინარექართველურ ენაზე – ურარტუულ ენაზე; მაგრამ სამხრეთიდან დიდი რაოდენობით უცხოტომელთა (დიდი ალბათობით, მათ შორის, არმენთა!) მოსვლის შემდეგ ქართველების ენად იქცა მათივე ქართული დიალექტი.

**აქ საინტერესო წახნაგიც:** ასევე დიდი ალბათობით, თარგამოსიანთა ღვთაება იყო ხალდი ანუ ქართუ; შდრ.: “ხალდი” ურარტუელთა ღვთაებაა. წარმართობის პერიოდში ქართველთა ღმერთიც ხალდი უნდა ყოფილიყო; შდრ.:

**ხალდ-/ქართუ** ფუძე შემონახულია: სოფლის სახელში **ხალდე** (სვანეთი), ასევე – **ხალდიზენაში**

(ლაზეთი), **ქალდიაში** (ლაზეთი) და, რაც მთავარია, ეთნონიმ **ქართველში: ქართუ-ელ-ი; ამჟამინდელ არმენიულში კი ხალდი/ქართუ არ გვხვდება.**

ძველი მემატიანისვე ცნობით, თარგამოსიანთა დანაწევრების შემდეგ ქართლოსის შთამომავალთა ენა – ქართული ენა – იქცა სახელმწიფო ენად (ფარნავაზისა და ქუჯის დროს):

„და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არ-ღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

**მოკლედ რომ შევაჯამოთ: მემატიანის აზრით, ჯერ იყო წინარექართველური ენა – ხურიტულ-ურარტული; შემდეგ – რამდენიმე ენა საქართველოში, მათ შორის, წინარექართველურის განშტოება – ქართული ენა, რომელიც ბოლოს, ფარნავაზისა და ქუჯის დროს, გამოცხადდა სახელმწიფო ენად.**

ასე, რომ „ქართლის ცხოვრებით“ ადრეულ პერიოდში გამოყენებულ ტერმინში: „სომხური ენა“ არ იგულისხმება ამჟამინდელი სომხების – კავკასიაში მოსულ არმენთა – ენა / არმენიული ენა.

**უბრალოდ, ქართველთა ცნობილი დაუდევრობის გამო, კავკასიაში გვიან მოსულ არმენებს დავუტოვეთ ამ ადგილის ისტორიულ მცხოვრებთა – ურარტუელთა – სახელი „სომეხი“, მათ ენას კი – „სომხური ენა“, ურარტუელთა ენის სახელი. ბუნებრივია, ამას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ:**

დღევანდელი სომხების ენა – მოსულთა ინდოევროპული ენა დროთა განმავლობაში დედაენად იქცა დამხვდური და დამარცხებული ურარტუელებისთვისაც, რომლებიც ასიმილირდნენ მოსულ არმენებთან. ამჟამინდელი სომხების გენეტიკაში არის მოსულ არმენთა და დამხვდურ ურარტულთა (ძველ სომეხთა) კოდები; ენა ინდოევროპულია, მაგრამ ამ ენაში სუბსტრატის სახით დაცულია ქართველურ-კავკასიური (ურარტული ფენაც ლექსიკისა თუ ყელხშული ბგერების სახით).

შდრ., ჩვენი წინაპრების სხვა დაუდევრობა: ჩრდილოკავკასიელი აბაზების განაყარ აფსუებს (ასე უწოდებდნენ ადრე საკუთარ თავს!) დავუტოვეთ ძველ ქართველთა ერთი ლოკალური ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი – აფხაზი.

სულ ბოლოს ასეთივე შეცდომა იყო მ. სააკაშვილის დროს ისედაც უკანონოდ შექმნილი (1921) და აღდგენილი (1992-1995) „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრების ხელოვნური გაფართოება და კოდორის ხეობისათვის „ზემო აფხაზეთის“ დარქმევა.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები“, თბ., 2005 http://www.putkaradze.ge/qartvelebi/qartvelebi/qartvelebi.htm

11 ნოემბერი, 2018

## ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა?

ყოველი აღდგომის კვირეულში სოციალურ ქსელში მომაბეზრებლად გრძელდება დისკუსია, თუ რომელი ფორმაა მართებული. ვფიქრობთ, ბევრი მიზეზის გამო უალტერნატივოა „აღსდგა“, მაგრამ ზოგი ენათმეცნიერიც კი საპირისპიროს ამტკიცებს. გადავწყვიტეთ, დეტალურად წარმოვადგინოთ საკითხის ისტორიაც, კრიტიკულად გავაანალიზოთ ის არგუმენტებიც, რომლებიც გამოთქმულია ამა თუ იმ ფორმის მხარდასაჭერად და ვრცლად წარმოვადგინოთ ჩვენეული არგუმენტებიც (მალე გამოვიტანთ მოხსენების, შემდეგ კი ვრცელი აკადემიური სტატიის სახითაც).

„აღსდგა“ ფორმას მხარს უჭერდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, სილოვან ხუნდაძე, აკაკი შანიძე, ბესიკ ჯორბენაძე... დასახელებულ და სხვა ავტორთა დამოწმებით, ასევე, ისტორიულად დამოწმებული დოკუმენტური მასალის საფუძველზე ფილოლოგიის დოქტორმა ნინო

ხახიაშვილმა დაწერა საინტერესო წერილი: “ქრისტე აღდგა” თუ ქრისტე აღსდგა” (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIV, თბ., 2014), რომელშიც გაკეთებულია ლოგიკური დასკვნა: **“ქრისტე აღსდგა”! – ჭეშმარიტად”, როგორც ქრისტიანული ტერმინი – მილოცვის ფორმულა... უყოყმანოდ სოციალური სანქციის მფლობელია”** (გვ. 216).

**დამატებით წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე არგუმენტს:** დგ– ზმნური ძირიდან **აღ-/ა**– ზმნისწინით ნაწარმოებ ერთპირიან ზმნურ ფორმას ნამყო წყვეტილი დროის გამომხატველი სამი ფონეტიკური ვარიანტი აქვს, რომელთაც დღეს უკავშირდება გარკვეულწილად განსხვავებული სამი სემანტიკა:

1. **ა-დგ-ა:** ბავშვი, სტუმარი, მგზავრი... (= ადგომა; აწმყო დროში: “დგება”; მომავალ დროში: “ადგება”)

2. **აღ-დგ-ა:** ურთიერთობა, ხიდი, ნაგებობა, გზა... (= აღდგენა; აწმყო დროის გამომხატველი ფორმა არ გვაქვს; მომავალ დროში: “აღდგება”)

3. **აღ-ს-დგ-ა** ქრისტე /სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი/! (= აღდგომა; აწმყოსა და მომავალი დროის გამომხატველი ფორმა არ გვაქვს; გამონაკლისია გრ. ლეონიძის მიერ შექმნილი ფორმულა: – აღსდექ, საქართველო! )...

“აღსდგა” მხოლოდ ძე ღმერთის კონტექსტში გამოიყენება; “ქრისტე აღსდგა” უნიკალურ სინტაგმადა ჩამოყალიბებული; მყარ შესიტყვებად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

“აღსდგა” ზმნურ ფორმაში მოქმედი პირის ნიშანია –ა. ბუნებრივია, თანამედროვე ნორმების მიხედვით, –ს– პირის ნიშანი ზედმეტია, ანუ **გრამატიკულად მცდარი ფორმაა „აღსდგა“,** მაგრამ **აღ-ს-დგ-ა** გამოყენებულია უნიკალური მოვლენის – ძე ღმერთის “საფლავიდან აღდგომისა” და ცად ამაღლების – გამოსახატავად. ამ უნიკალური მოვლენის გამოხატვისას დღეს –ს-ს უთუოდ ეძლევა ექსპრესიულობის გამოხატვის ფუნქცია, რაც საბოლოო ჯამში, ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებას აპირობებს (-ს-დართული ფორმა სხვა ლექსიკურ მნიშვნელობას იძენს; ეს არ ნიშნავს, რომ –ს– სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ხდება).

გასათვალისწინებელია ერთი არსებითი გარემოებაც: ხიდი აღდგა, სტუდენტი აღდგა (ბ. ჯორმენაძის საინტერესო მაგალითია!), წყლის მოწოდება აღდგა... ტიპის ფორმებში **სუბიექტი** პასიურია, ქრისტე აღსდგა შესიტყვებაში კი ქრისტე, უფალი თავადაა მოქმედიც, თვითაღმდგენიც...

შდრ.:

აქტიური სუბიექტი – პასიური სუბიექტი:

**მშენებელი** (აქტიური) აღადგენს ხიდს – ხიდი (პასიური) აღდგა;

რექტორი აღადგენს სტუდენტს – სტუდენტი აღდგა...

ქრისტე ღმერთია და თავად აღსდგა... შესაბამისად, კარგი იქნება, **ამ ფორმების ნორმატიული ვარიანტების დადგენისას გავითვალისწინოთ ენობრივი ფსიქოლოგია,** თორემ ბავშვმაც კი იცის, რომ ერთვალენტიან ფორმაში გაუმართლებელია პირის ორი ნიშანი.

საკითხის ისტორიისათვის საინტერესოა პროფ. დამანა მელიქიშვილის მსჯელობა, რომელიც ცხადლივ აჩვენებს, რომ ისტორიულად ეს ფორმა ორვალენტიანი და ორპირიანი იყო; შდრ. არქაული ტექსტი:

„იწამა და მოიკლა ჩუენ უდებთათვის, დაეფლა, შთავიდა ჯოჯოხეთსა და აღსდგა მესამესა დღესა.” ამ ფორმის დამოწმების პარალელურად, დ. მელიქიშვილი წერს: „ვინ დაასკვნა, რომ ეს ფორმა გრამატიკულად მცდარია? ეს არის ე.წ. „დაჰბადა” ტიპის ზმნა : დაჰბადა მან იგი ქუეყანასა (ზედა); დაებადა იგი ქუეყანასა > ქვეყანაზე; და (ჩა)ჰფლა მან იგი მას (ქუეყანასა = მიწასა > (ში); დაეფლა იგი მიწასა > მიწაში; აღსდგა იგი ქუეყანას(ა)> ქუეყანაზე.... ამ ტიპის სამპირიანი ზმნების კონვერსიული ორპირიანი ე– პრეფიქსიანი ფორმის მიცემითბრუნვიან ობიექტს –ზე და –ში თანდებული დაერთო და ზმნა ერთპირიანად იქცა: შესაბამისად, ე– პრეფიქსი შეცვალა ი– პრეფიქსმა (დაებადა > დაიბადა იგი, ჩა(და)ეფლა > ჩა(და)იფლა) იგი. თუმცა კი ზოგჯერ ე– პრეფიქსიანი ფორმაც იხმარება (ჩაეფლა იგი ტლაპოში). რაც შეეხება აღსდგა (იგი მას) ორპირიან ზმნას, აქაც იგივე მოხდა: ორი პირიდან ერთი – ობიექტი დაიკარგა: **აღსდგა იგი მას >აღდგა იგი. შესაბამისად, ზედმეტი პირის ნიშანიც დაიკარგა, მაგრამ ეს არ შეხებია მაცხოვრის, ქრისტეს აღდგომას, დღესასწაულს:** ამიტომ სწორედ მხოლოდ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე ითქმის– ქრისტე აღსდგა მკვდრეთით (ქუესკნელით, ჯოჯოხეთით), სიკუდილისა სიკუდილითა

დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი”.

**სწორედ ასეთი ისტორიის გამოა, რომ აღსდგა** ფორმა დასტურდება არქაულ საგალობელშიც; ამ ფორმას იყენებდა წმიდა ილია მართალიც ( https://matiane.wordpress.com/2016/04/30/ilia-chavcha-vadze-easter-editorial/?fbclid=IwAR06cyKPGToWbcft-FHBeyPMitzPB2pOPWD2vJh7wTV9jEfgZ-tNQBgLOZUk ); ამ ფორმას იყენებენ სასულიერო წრის წარმომადგენლებიც, ასე გამოთქვამენ მრევლის წევრებიც (არაიშვიათად: აღსდგა > აღზდგა: ღ-ს გავლენით –ს მჟღერდება).

შდრ., ექსპრესიით უნდა აიხსნას **(შე-)ს-დექ** ფორმის არსებობაც.

**დასკვნის სახით:** ქრისტეს აღდგომის უნიკალურობის გამო ქართულ ენობრივ მსოფლაღქმაში (ენობრივ ფსიქოლოგიაში) არის ძლიერი ტენდენცია, არაჩვეულებრივი მოვლენა – ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა – განსხვავდეს ჩვეულებრივი მოვლენებისგან: ხიდის აღდგენისაგან, გარიცხული სტუდენტის აღდგენისაგან და სხვ. შესაბამისად, გამონაკლისის წესით, ნორმატიულ გამოთქმად უნდა მივიჩნიოთ **ქრისტე აღსდგა!**

– ქრისტე აღსდგა!

-ჭეშმარიტად აღსდგა!

:)

29 აპრილი, 2019

## საფუძველი ჩავუყაროთ დიდაჭარის ახალ ისტორიას!

ქართველ და უცხოელ მემატიანეთა ცნობების თანახმად ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობა იქადაგა სამმა მოციქულმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ. **ძველი ცნობები მოციქულთა მარშრუტების შესახებ ზოგადი ხასიათისაა.** უცხოურ წყაროებში საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელებაში ანდრია მოციქულის ღვაწლი საგანგებოდაა აღნიშნული ბასილი დიდის (970-1025) სახელით ცნობილ თვენში, სადაც ვკითხულობთ: ანდრია მოციქული წავიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც ზღვას ერთვის მდინარეები ფსარე /ჭოროხი/ და ფასიდი /რიონი/” (ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისათვის იხ.: ს. გოგიტიძე, ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში; ჟურნალი ,,ჭოროხი”. 1990, №4; რ. ხალვაში, ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათუმი, 2011; გ. ბურდული, ანდრია პირველწოდებული და საქართველო, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, თბ., 2019).

აქვე აღვნიშნავთ: 1898 წელს 22 წლის ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგში დაწერილ თავის ნაშრომში „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ უნდობლად მოეკიდა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოსვლის ცნობას. ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მას თავს მოახვია მასწავლებელმა – ნიკო მარმა. ქართული წყაროების უგულებელყოფისათვის ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწეები აკრიტიკებდნენ.

### საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა

დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ ანდრია პირველწოდებულმა საქართველოს ამჟამინდელ ტერიტორიაზეც იქადაგა. ასევე, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გიორგი მთაწმინდელმა დაასაბუთა **ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა,** შესაბამისად, პირველი საუკუნეებიდანვე მისი ავტოკეფალურობა.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტები არ იქმნებოდა. ქართული წყაროების მიხედვით, საქართველოს ავტოკეფალიის აღიარება მოხდა სწორედ V საუკუნეში, მაგრამ **საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ უძველესი უცხოური ცნობა დაცულია VIII საუკუნის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაში** (საკითხის ისტორიისათვის იხ: მ. თამარაშვილი 1995, ა. ჯაფარიძე 2017, ნ. ლომოური 2019, მ.

ბენდელიანი 1999, ბ. დიასამიძე 2001, ზ. ალექსიძე 2002, დ. ნინიძე 2005, ე. ბუბულაშვილი 2008, ქ. პავლიაშვილი 2008, ი. არაბიძე 2009, გ. ბურდული 2010, ლ. მათეშვილი 2019...).

ბუნებრივია, უცხოურ და ქართულ ისტორიულ წყაროთაგან საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შესახებ ყველაზე ვრცელი ინფორმაციები გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში“ ანუ საქართველოს ძველ ისტორიაში (ქართლი ამ შემთხვევაში სრულიად საქართველოს გულისხმობს), სადაც შესულია „მოქცევაი ქართლისაის“ (საქართველოს გაქრისტიანების ისტორიის) ტექსტიც და ადრეულ პერიოდში შექმნილი სხვა ტექსტებიც. ქართველი ერისა და ქართველთა სახელმწიფოს ისტორიული მატიანე: „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. XI საუკუნეში სხვადასხვა წყაროს საფუძველზე „ქართლის ცხოვრებას“ რედაქტირება გაუკეთა და განაახლა ლეონტი მროველმა. ლეონტის შემდეგაც პერიოდულად ივსებოდა „ქართლის ცხოვრება“. „ქართლის ცხოვრება“ მოიცავს ქართველთა ისტორიას უძველესი დროიდან XV საუკუნის შუა პერიოდამდე.

ჩვენამდე მოღწეული არ არის „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციები. აქამდე გამოვლენილი უძველესი ხელნაწერი შექმნილია 1479–1495 წლებში კახეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლის, ანა დედოფლის, შეკვეთით. ამ ხელნაწერში არ გვაქვს ინფორმაცია აჭარაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგების შესახებ, მაგრამ, დაახლოებით, ამავე პერიოდის **ბერძნულ ტექსტში გვაქვს დეტალური ცნობები წმიდა ანდრია პირველწოდებულის აჭარაში ქადაგების შესახებ** (იხ. ქვემოთ). საკუთრივ, ქართულ მატიანეში ანდრია პირველწოდებულის აჭარაში ქადაგების შესახებ დეტალური ცნობები გვაქვს „ქართლის ცხოვრების მე-18 საუკუნის ჩანართში.

**ანდრია პირველწოდებულის შესახებ ჩანართის ისტორია**

XV-XVII საუკუნეები საქართველოს ისტორიის რთული და „ბნელი“დროა; შესაბამისად, ამ პერიოდში პერიოდულად აღარ იქმნებოდა „ქართლის ცხოვრება“. მეფე ვახტანგ მეექვსემ მიზნად დაისახა სამსაუკუნოვანი წყვეტის შევსება და **ბერი ეგნატაშვილის** ხელმძღვანელობით შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომ გადამწერთაგან „შერყვნილი“ ძველი ტექსტების რედაქტირება მოეხდინათ და გიორგი ბრწყინვალის მეფობის შემდეგროინდელი საქართველოს თავგადასავალი აღეწერათ (განახლებულ „ქართლის ცხოვრებას“ წამძღვარებული აქვს ბერი ეგნატაშვილის წინასიტყვაობა, სადაც საუბარია „სწავლულ კაცთა კომისიის“ მოწვევის მიზნებსა და მათი მუშაობის შედეგებზე; https://qim.ge/beri%20egnataSvili.html დამოწმება: 05.01.2020).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „სწავლულ კაცთ“ გამოუყენებიათ არა მხოლოდ ქართული, არამედ სპარსული, სომხური და ბერძნული საერო და საეკლესიო მატიანეები; ასევე – ზეპირი გადმოცემები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ბოლო ხანების აღწერილობისას გამოუყენებიათ. უსარგებლიათ ქორონიკონით და სიგელ-გუჯრებითაც. „სწავლულ კაცთა კომისიის“ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს საისტორიო მწერლობაში საბუთებიდან ამოღებული ცნობებით სარგებლობის დამკვიდრება, რაც მეტად რთული საქმეა. მაგრამ, როცა ამა თუ იმ ხანის შესახებ სხვა არანაირი მასალა არ მოეპოვებოდათ, „სწავლულნი კაცნი“ სიგელ-გუჯრების საშუალებით აღადგენდნენ ზოგიერთ მეფეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას... „ახალი ქართლის ცხოვრებას“ რამდენიმე ავტორი ჰყავს, მისი ნაწილები განსხვავდება ენით, მართლწერით. **თხზულება ქართლ-კახურ დიალექტზეა დაწერილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა მიერაა შექმნილი.** აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მონათხრობი უფრო თანმიმდევრული და ზუსტია მაშინ, როცა სხვაგან ხშირად ვხვდებით უზუსტობებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგი ხანის შესახებ შედარებით მეტი წყარო მოიპოვებოდა, სხვებზე კი – ნაკლები. მაგრამ, ალბათ, ამგვარი ვითარება თვითონ კომისიის წევრთა ცოდნასა და ნიჭზეც იყო დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ „სწავლულ კაცთ“ განურჩევლად ყველა ხელთარსებული მასალა არ მიუღიათ, არამედ საეჭვოზე უარი უთქვამთ და მხოლოდ დაზუსტებული წყაროები შეუტანიათ თავიანთ ნაშრომში“ (ივ. ჯავახიშვილი, 1977).

როგორც ვხედავთ, **„სწავლულ კაცთა“ კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარება ივანე ჯავახიშვილს.** თანამედროვე სპეციალისტები „ქართლის ცხოვრებაში“ სწორედ “სწავლულ კაცთა” ჩამატებულად თვლიან ანდრია პირველწოდებულის მიერ ზემო აჭარაში ქადაგებისა და დიდაჭარაში ეკლესიის აგების ამბავს. სინამდვილეში, ანდრია პირველწოდებულის შესახებ ცნობები გაცილებით ძველი ჩანს.

ანდრია პირველწოდებულის აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ქადაგების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ „ჩამატებული“ ტექსტი დაწერილია ძველი ქართული სალტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით; გამორიცხულია, რომ ეს ტექსტი შეექმნათ „სწავლულ კაცებს“, რამდენადაც „სწავლულ კაცთა“ მიერ დაწერილი ეპიზოდების ენა, რომელიც, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, **„ქართლ-კახურ დიალექტზეა“** დაფუძნებული. დიდი ალბათობით, ანდრია პირველწოდებულის აჭარაში ქადაგების შესახებ თხრობისას „სწავლული კაცები“ იყენებდნენ ძველ ხელნაწერს – მათ გამოიყენეს რომელიღაც ძველი წყარო, რომელიც დღემდე უცნობია ჩვენთვის. ეს წყარო ასახულია მე-16 საუკუნის ბერძნულ ტექსტში; კერძოდ, კვლევის ამ ეტაპზე გამოვლენილია XVI საუკუნის დასაწყისის **ბერძნული წყარო,** რომელსაც, რ. ხალვაშის მტკიცებით (რ. ხალვაში 2011, გვ. 75), თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი, რაც გვაფიქრებინებს, რომ უფრო ძველი ქართული ტექსტიც არსებობდა (ბერძნულ ტექსტს უფრო ძველი ქართული წყაროც აქვს საფუძვლად). **ბერძნული ტექსტის სრული დახელება ასე ჟღერს: „კონსტანტინოპოლის უწმინდესი საღვთო ეკლესიის დიდი რიტორის მანუელის თხრობა აწყურში მყოფი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ქალწული მარიამის ხატსა და სასწაულებზე, რომლებიც მან სხვადასხვა ჟამს მოიმოქმედა“.** ტექსტი1987 წელს რუსულ თარგმანთან და ვრცელ გამოკვლევასთან ერთად გამოსცა სომეხმა მეცნიერმა რ. ბარტიკიანმა (ბარტიკიანი 1987: 37-118). „თხრობის“ ავტორია „კონსტანტინოპოლის უწმინდესი ეკლესიის დიდი რიტორი“, ცნობილი მწერალი მანუელ კორინთელი (1460-1550).

დღეს რთულია მტკიცება თუ, ქართული ტრადიციული ცნობების გარდა, კიდევ რა წერილობით წყაროებს ეფუძნება ბერძენი დიდი რიტორის, მანუელ კორინთელის თხრობა. ჩვენი აზრით, შეუძლებელია, ბერძნული ტექსტი მხოლოდ ქართულ ზეპირ გადმოცემებს ემყარებოდეს. ფაქტი კი ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ადრეული ხელნაწერების თანადროულია მანუელ კორინთელის ტექსტიც; ეს კი გვაძლევს ლოგიკური ვარაუდის დაშვების საფუძველს: აჭარაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგებისა და სოფელ დიდაჭარაში ეკლესიის აგების შესახებ წერილობითი ინფორმაცია XVI საუკუნემდეც არსებობდა.

**დიდაჭარის სახელის ისტორია**

ბერძნული და ქართული წყაროების ცნობას, რომ **ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში პირველი ეკლესია ააგო საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – აჭარაში, ამყარებს ერთი საინტერესო ფაქტიც:** ამჟამინდელ ხულოს რაიონში ოდითგანვე არსებობდა სოფელი აჭარა. დიდი ალბათობით, მდინარე „აჭარის წყალმა“ სახელი ამ სოფლიდან მიიღო: აჭარის წყალი – მდინარე, რომელიც სათავეს იღებს სოფელ აჭარიდან. შდრ., მდინარეების სახელების სხვა მსგავსი წარმოება: ჩირუხი – ჩირუხის წყალი; ჩაქვი – ჩაქვის წყალი; ფოცხოვი – ფოცხოვის წყალი; არხოტი – არხოტის წყალი; ხანი – ხანის წყალი... ანალოგიური წარმოებისაა **სუფსაც,** რომელიც მომდინარეობს სურ(ებ)ის მთის სახელიდან: სურების ფსა (სიტყვა “ფსა” ადრეულ ქართულში წყალს აღნიშნავდა).

**ტოპონიმთა სახელდების უგამონაკლისო წესია, თუ გვხვდება ტოპონიმი ზედსართავით (მსაზღვრელით) „დიდი“ („ზედა“, „იმიერი“...) იქვე არსებობს ტოპონიმი ზედსართავით: „პატარა“ („ქვედა“, „ამიერი“...);** შდრ., მაგ.:

შდრ.: დიდი ჯიხაიში – პატარა ჯიხაიში; დიდი ჩაილური – პატარა ჩაილური; დიდი ციხიათა – პატარა ციხიათა (ქარელის რაიონი); დიდი ინჩხური – პატარა ინჩხური... ზედა ტომაშეთი – ქვედა ტომაშეთი; ზედა აგარა – ქვედა აგარა, ზედა მახუნცეთი – ქვედა მახუნცეთი; ზედა სამება – ქვედა სამება და მრავალი სხვა.

**გამონაკლისია სოფელი „დიდი აჭარა“** (დიდაჭარა): იქვე არ გვაქვს დასახლებული პუნქტი სახელწოდებით: „პატარა აჭარა“. საქართველოში სამ სოფელს ერქვა „აჭარა“: აჭარაში, იმერეთსა და ლეჩხუმში. სავარაუდოდ, მემატიანემ, ხალხმა ზემო აჭარაში არსებულ პატარა სოფელ “აჭარას” „დიდი“ უწოდა იმიტომ, რომ, გადმოცემის მიხედვით, ანდრია პირველწოდებულმა აქ ააგო **პირველი ეკლესია.**

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის მე-16 საუკუნის დასაწყისის ბერძნულ ტექსტში (რომლის ავტორია დიდი რიტორი მანუელ კორინთელი) იხსენიება სოფელი „აჭარა“ და არა – „დიდი აჭარა“. აშკარაა,

რომ სოფელ „აჭარას“ „დიდი“ უწოდა ქართველმა ხალხმა ან ქართველმა მემატიანემ და ის აისახა მხოლოდ ქართულენოვან ტექსტში.

**ლოგიკურია დავუშვათ, რომ მთელ კუთხეზეც – აჭარაზეც – ამ სოფლის სახელი განზოგადდა ამ სოფლის გამორჩეულობის გამო.**

რომისა და ირანის აქტიური დაპირისპირების ერთ-ერთ პერიოდში – IV საუკუნის დასაწყისში – რომის იმპერიის კვალად, საქართველოშიც (/ქართლის სამეფოში, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოებს) **სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა.** ამ დროს საქართველოს მეფე იყო ეთნიკურად სპარსელი მირიანი, რომელმაც, სპარსული ორიენტაციის საპირისპიროდ, ქრისტიანობის მიღებით დასავლური ორიენტაცია აირჩია. ამ არჩევანმა საქართველოს არა მარტო სულიერი ცხოვრება, არამედ პოლიტიკური ბედიც სამუდამოდ დაუკავშირა ქრისტიანულ სივრცეს, რომელიც დანარჩენი ევროპის ტერიტორიას ფარავდა. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპული ქრისტიანული სივრცის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილია საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, აჭარაში არსებული სოფელი **დიდი აჭარა (დიდაჭარა).**

**აჭარა და მუსლიმანობა**

აჭარა ოდითგანვე იყო ქართული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აჭარა ქართველთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური საერისთავოს ნაწილია: „მეექუსე გაგზავნა ოძრჴის ერის-თავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშჳდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერის-თავი ეგრისისა..“. როგორც ვნახეთ, აჭარა, ასევე, არის ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უპირველესი ცენტრი.

არაბობის დროს აჭარაში მუსლიმანობის გავრცელების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს; როგორც ცნობილია, არაბებს აღმოსავლეთი საქართველო ჰქონდათ ოკუპირებული და ძირითადად თბილისს განაგებდნენ.

აჭარაში მუსლიმანობის გავრცელება იწყება მას შემდეგ, რაც საქართველო დანაწევრდა პატარ-პატარა სამეფო-სამთავროებად. **მოძმეთა მხადაჭერის გარეშე სამხრეთ საქართველოს** (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლაზეთი, ლივანა...) **ქართველობა ვერ გაუმკლავდა** მრავალრიცხოვან მომხდურს. ოსმალეთმა დაიქვემდებარა განაპირა მხარეების ქართული მიწები და **რელიგიის საშუალებით დაიწყო მოსახლეობის ასიმილაცია,** რომ სამხრეთ კავკასიაში მაინც სამუდამოდ უზრუნველეყო თავისი ბატონობა. ისტორიამ შემოინახა აჭარელთა გამუსლიმანების ტრაგიზმით აღსავსე ეპიზოდები. დაპყრობითი ომების შემდეგ გამუსლიმანება ძირითადად ხდებოდა ეკონომიკური ბერკეტების საშუალებით. აჭარის მოსახლეობის ნაწილი დამპყრობელს შეაკვდა, ნაწილმა კი შთამომავლობის, ეთნიკური მეობის, ეროვნების, დედაენის გადარჩენის მიზნით მიიღო მუსლიმანობა.

შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ოსმალობის პერიოდში მუსლიმანობა ქართველთა ორგანულ რელიგიად ვერ იქცა: **მუსლიმანობის გავრცელების მიუხედავად, ხალხი დიდ პატივს მიაგებდა იესო ქრისტესა და ღვთისმშობელს.** ჩვენს წინაპრებს მტკიცედ სწამდათ, რომ განკითხვის ჟამის გამგებელი, პირველი მსაჯული, იესო იქნება, მამა ღმერთის უსაყვარლესი მოციქული, რომლის სახელსაც მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. მოსახლეობა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა წმინდა მარიამის სპეტაკ სახელს. აგვისტოს კი, ძველი ტრადიციის შესაბამისად, მარიამობის თვეს უწოდებდნენ. მუსლიმანობამ აჭარაში ვერ წაშალა ბევრი ქრისტიანული ტრადიცია და ჩვეულება, თუნდაც ის, რომ მჭადის გამოცხობისას, აჭარელი ქალი კეცზე ახლაც ჯვარს ასახავს. **აჭარაში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა** ქრისტიანული სალოცავების, ხატების, საეკლესიო ნაკეთობების უპატივცემულობა, წმინდანების აუგად მოხსენიება, ეკლესიის ნანგრევი ნარჩენების მითვისება-გამოყენება და სხვა. აჭარაში ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდში ინტენსიურად დაიწყო მუსლიმანური სალოცავების მშენებლობა ადგილობრივი (აჭარელი და ლაზი) ოსტატების მიერ. საგულისხმოა, რომ **ოსტატები მუსლიმანური სალოცავების მშენებლობისას ფართოდ იყენებდნენ ტრადიციულ ქართულ – ქრისტიანულ – ორნამენტებს.**

განსხვავებული რელიგიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება მსოფლიოს სხვა ხალხებში არ

შეინიშნება. ეს ფენომენი აქაურთა გენეტიკური მეხსიერების ნაყოფია. სწორედ ამან განაპირობა, რომ **აჭარა მსოფლიოს გამორჩეული ადგილია, სადაც ბოლო ათწლეულებში ბევრი ადამიანი დაუბრუნდა წინაპრების რელიგიას – ქრისტიანობას.** ჩვენმა წინა თაობებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ასეც მოხდებოდა; მაგ., ზემო აჭარის ყადი, მუსლიმანი **ნური ბერიძე, შვილიშვილებს ასე მოძღვრავდა:** „რამდენიმე ქართველმა მეფემ, თვით სულმნათმა სულხან საბა-ორბელიანმაც, სხვა რელიგია მიიღეს იმიტომ, რომ იქნებ საქართველოსათვის ეშველათ... **რწმენისთვის კაცი არ დაიძრახება; რაც მთავარია, წყალი წავა-წამოვა და ისევ პირვანდელ კალაპოტს დაუბრუნდება.** ე.ი. ჩვენი ხალხი კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიულ რწმენას დაუბრუნდებაო...

**დიდაჭარა – პილიგრიმების მიზიდულობის ცენტრი**

გამუსლიმანებულ აჭარლებსაც კი ეამაყებათ, რომ აჭარა პირველი მხარე იყო, სადაც ქრისტეს უპირველესი მოციქულის – ანდრია პირველწოდებულის ლოცვა-კურთხევით, ჩვენი წელთაღრიცხვით 35-37 წლებში სოფელ დიდაჭარაში აიგო პირველი ქრისტიანული ეკლესია. **აჭარაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგებისა და ეკლესიის აგების ამბავი უნდა შევიდეს სასკოლო გამოცემებშიც და „ქართლის ცხოვრების“ ყველა გამოცემაში** (ზოგი გამომცემელი ამ მნიშვნელოვან საკითხს რატომღაც გვერდს უვლის). მეტიც, ხელისუფლებაც და ხალხიც ვალდებულია, დიდაჭარაში აიგოს ახალი ტაძარი, რომელიც **გახდება მთელი მსოფლიოს პილიგრიმების მოლოცვის ადგილი.** დიდაჭარაში მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღდგენა და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოქცევა დიდ ეკონომიკურ მოგებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობასაც.

გადმოცემის მიხედვით, იქ, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, მიწიდან ამოხეთქა ფრიდ უხვმა „მაკურნებელმა“ წყარომ. სოფელ დიდაჭარაში ქრისტიანული ცხოვრების წესის მრავალი სხვა მინიშება არსებობს: ტოპონიმები, ხალხში შემორჩენილი ლეგენდები, თქმულებები და სხვა. ეს ყველაფერიც გავაცნოთ მთელ მსოფლიოს. დარწმუნებული ვართ, ესოდენ გამორჩეული მოვლენა, საქართველოს (/დიდაჭარის) ნაცვლად, მსოფლიოს სხვა ქვეყნის ისტორიას რომ დაკავშირებოდა, ის ქვეყანა დიდი ხნის წინ გახდებოდა პილიგრიმთა მოლოცვების წმინდა ადგილი.

**დღეს აჭარა, ზემო აჭარა, სოფელი დიდაჭარაც სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ქართველთა ჰარმონიული თანაცხოვრების ადგილია.** დიდაჭარის ძველი ისტორია კი თანაბრადაა საამაყო ყველასთვის (აღმსარებლობის მიუხედავად!). სასურველია, **ეს ისტორია თანამედროვე კონტექსტში გავიაზროთ და საფუძველი ჩავუყაროთ ახალს, რომელიც სახელოვანი წარსულის ღირსეული გაგრძელება იქნება.** პირველ რიგში, დიდაჭარაში უნდა აიგოს, დაახლოებით, ისეთი სალოცავი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს ანდრია პირველწოდებულის ლოცვა-კურთხევით. ზემო აჭარაში, ასევე, უნდა განვავითაროთ შესაბამისი ინფრასტრუქტურაც, რომ ყველა მომლოცველსა თუ ტურისტს შეეძლოს დაუბრკოლებლად სტუმრობა დიდაჭარაში და კომფორტულად დასვენება.

**პროფესორი აკაკი ბერიძე**
**პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე**
20.01.2020
5 თებერვალი, 2020

## ალავერდი შენთან!

ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის სულ ორი რამეა აუცილებელი: ჰაერი და საკვები.

სუნთქვა ყოველწამიერადაა საჭირო, ამიტომ „ჟანგბადის მიღება“ ბუნებრივი, ავტომატური პროცესია; შესაბამისად, ხალხებს შორის სუნთქვის თავისებურებები არ არსებობს (იოგის, ცურვისა თუ სხვა სახის ვარჯიშები სხვა თემაა). სასმელ-საჭმელის მიღება ანუ პუროზა გარკვეული პერიოდულობით ხდება. **ხალხებსა თუ საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის პუროზის პროცესი განსხვავებულია.** სხვაობს როგორც სასმელ-საჭმელის სახეობები, ასევე, საკვების

მიღების წესები. ცივილიზებულ საზოგადოებაში საკვების მიღების პროცესი მაღალი კულტურის ნაწილია.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოში მრავალი სახის **ორიგინალური კერძი** შეიქმნა; სპეციალისტები ამბობენ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოცაა. გარდა ამისა, **მსოფლიოს ხალხთა შორის ქართველობამ საზეიმო თუ სამგლოვიარო პურობის უნიკალური კულტურა შექმნა.** ქართული საზეიმო თუ სამგლოვიარო პურობა გარკვეულწილად წინასწარ დაგეგმილი და კარგად გააზრებული სპექტაკლია, სადაც ყველა მოქმედი პირი საკუთარ თავს წარმოადგენს.

ქართული სასმელ-საჭმელის (სასმელის, კერძების) მრავალფეროვან კულტურაზე არანაკლებ საინტერესოა **ქართული პურობის დროს წარმართული საუბრის წესრიგი და ირიბი თუ პირდაპირი დისკუსია** (უფრო საზეიმო სუფრასთან), რაც, საბოლოო საკვების მიღების პროცესს **გადააქცევს ხოლმე ღრმააზროვანი დიალოგის, სახელმწიფოებრივი მსჯელობის, პოეზიის საღამოებისა თუ კაფიაობის ასპარეზად.**

ქართულ სუფრაზე მსჯელობას /საუბარს/ წარმართავს „პურობის უფალი“ ანუ თამადა, რომელიც წარმოთქვამს კონკრეტულ სადღეგრძელოს. **სადღეგრძელო არის რომელიმე საკითხის ირგვლივ წამოწყებული მსჯელობა.** თამადა კონკრეტული თემის შესახებ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას –ამბობს სადღეგრძელოს – დალოცავს ამ მოვლენას, იდეას თუ ამ იდეის განმახორციელებელ პიროვნებას. ნორმალურ (ჩვეულებრივ) ქართულ სუფრაზე **თამადის უპირველესი ვალდებულებაა** დამსწრე საზოგადოებას პურობის პარალელურად შესთავაზოს **მჭევრმეტყველური გამოსვლები** სხვადასხვა თემაზე (რა თქმა უნდა, თემა ძირითადად ირჩევა ხოლმე წინაპრების ტრადიციის გათვალისწინებით).

ქართული პურობის წინამძღოლის ძველი სახელწოდება უნდა იყოს: “პურობის უფალი“, „სუფრის თავი“; შდრ.: ქართველური სხვა სახესხვაობები: „დუდ მახვენჯი“ (თავში მჯდომი); „ტაბგვა თხვიმი“ („სუფრის თავი“)... მსჯელობისათვის იხ. გ. გოცირიძე, 2010 (გვ. 567-569). საკუთრივ, „თამადა“ ფუძეს იგივე ავტორი ნასესხებად თვლის და უშვებს შესაძლებლობას, რომ „თამადა“ მომდინარეობს სპარსულ **დამად** „სიძე“ ფორმისაგან, ანდა, ადიღეური **თჰამათა** კომპოზიტისაგან ,,სადაც **თჰა** არის ღმერთი, **ადა** – მამა ანუ: **„თჰამათა“** – **ღმერთი მამა** (იხ. იქვე, გვ. 568-569). ზაქარია ჭიჭინაძე „თამადა“ ფუძეში „თავი“ სიტყვაფორმას ვარაუდობს, მაგრამ არალოგიკურია მისი თვალსაზრისი „მადა“ სეგმენტის შესახებ (იხ. ზ. ჭიჭინაძე, 1978).

ვფიქრობთ, „თამადა“ ქართული წარმომავლობის სიტყვაა; კერძოდ, შესაძლებელია ასეთი გზის დაშვება: **თავ-ად– > თავ-ად-ა > თამადა** (ვ/მ სუბსტიტუცია). ბოლოკიდური –ა შეიძლება გავიაზროთ სიტყვამაწარმოებლად, რომ განსხვავებულიყო „თავადი“ (დიდგვაროვანი) და „თავადა“ – სუფრის წინამძღოლი, სუფრის უფროსი. ფონეტიკურ ვარიანტთა ამგვარი გამიჯვნა ჩვეულებრივია ყველა ენისათვის; იხ., მაგ., ქართული „მეფე“ (სახელმწიფოს მეთაური) და „ნეფე“ (ქორწილის მთავარი ფიგურა – სიძე); „ძირი“ (ფსკერი) – „ძირა“ მცენარე და სხვ.[1].

**სადღეგრძელოებისა და ღვინის** რიტუალური ფუნქციის გამო ქართული პურობის წესრიგი არსებითად განსხვავდება როგორც აზიური (იაპონური, ჩინური...), ასევე, ევროპული, რუსული თუ, მით უმეტეს, მუსლიმური კულტურისაგან. **ქართული სუფრის სადღეგრძელოების შინაარსი, თანამიმდევრობა ქრისტიანული (მართლმადიდებლური) წირვა-ლოცვის გახალხურებული სახესხვაობებია.** შდრ., მცირედი განსხვავებული დასკვნა აქვს მოცემული ცნობილ სპეციალისტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ბ-ნ გიორგი გოცირიძეს: „ქართული სუფრა თავისი წარმოშობით, სადღეგრძელოებითა და რიტუალებით, დანიშნულებით საწესოა, საკულტოა. ამ საწესოში იგულისხმება არა მხოლოდ წარმართული, არამედ ქრისტიანული ხანის სარწმუნოების ელემენტები. ისინი სინკრეტული სახით იქნა შემონახული“ (გ. გოცირიძე, 2010, გვ. 573).

ქართული სუფრის წესებზე როცა ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, **არ ვგულისხმობთ, რომ ყველა სახის თავყრილობაზე პურობა ერთნაირად მაღალი კულტურისაა,** თუმცა, მეტწილ შემთხვევაში, სადღეგრძელოთა რიგი, შინაარსი და პურობის მონაწილეთა ქცევის წესები ერთნაირია: **ქართულ სადღეგრძელოთა შინაარსი და სადღეგრძელოთა თანამიმდევრობა იმეორებს საეკლესიო ღვთისმსახურებისას გამოკვეთილ „თემებს“** – წირვა-ლოცვის დროს უფლისადმი სხვადასხვა თხოვნას (ვედრებას)[2]; კერძოდ, წირვა იწყება უფლის დიდებით: **კურთხეულ არს მეუფება, მამისა**

**და ძისა და წმიდასა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.** დიდი კვერექსი გრძელდება სიტყვებით: **„მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ...** შემდეგ მოდის მშვიდობის ლოცვები: „ზეგარდამო მშვიდობისა და ცხონებისა“ და „მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა“...

ქართული სუფრა უფლის სადიდებელსა და კვერექსის მშვიდობის ლოცვებს აერთიანებს ერთ სადღეგრძელოში; კერძოდ, ქართულ პურობასაც თამადა ასე იწყებს: **„უფალს დიდება, ჩვენ – მშვიდობა!“** როგორც წესი, თამადა თავისი შეხედულებისამებრ ავრცობს ამ თემას; მაგ., პირადად, მე ვამატებ ხოლმე, დაახლოებით, ასეთი შინაარსის ტექსტს: „დიდება უფალს, რამდენადაც ღმერთია სამყაროს წესრიგი. ურწმუნო ადამიანისათვის, უღმრთო ადამიანისათვის მხოლოდ საკუთარი ან სხვა (ზემდგომი) ადამიანის სუბიექტური „წესრიგი“ არსებობს; ასეთი ადამიანი უფრო ხშირად უშვებს შეცდომებს... მშვიდობა იყოს ჩვენთან! ოღონდ, პირადად, **მე არ მინდა დამარცხებული კაცის მშვიდობა,** როცა ჩემი ქვეყანა ოკუპირებულია, დამარცხებულია, ამ დროს ჩემი მშვიდობა მტრის გამარჯვებაზე შეგუებაა!.. გაუმარჯოს გამარჯვებული კაცის მშვიდობას! მაშ, ასე: ღმერთს დიდება, ჩვენ კი – გამარჯვებული კაცის მშვიდობა!“

**კვერექსის მომდევნო მუხლი (4):** „წმიდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებითა, სასოებითა და შიშითა ღმრთისათა შემავალთა ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ!“ მეორე სადღეგრძელოში ქართული სუფრაც იმავე „თემას“ იმეორებს; როგორც წესი, თამადა წარმოთქვამს მისასალმებელ სადღეგრძელოს, ლოცავს შეკრებულ საზოგადოებას, ოჯახს ულოცავს „დღევანდელ დღეს“ და ა.შ.[3].

საეკლესიო ღვთისმსახურებისას კვერექსის მომდევნო „თემაა“ პატრიარქისა და მისი სამღვდელო დასის დალოცვა. მეორე თუ მესამე სადღეგრძელოდ **ამასვე ამბობს ქართული სუფრის თამადაც.** ღვთისმსახურთა დალოცვის შემდეგ კვერექსში მოდის ლოცვა: **„ღვთივ დაცულისა ერისა ჩვენისა და მთავრობისა და მხედრობისა მისისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“.** თამადაც მესამე/მეოთხე სადღეგრძელოდ ამბობს ქართველი ერის, ზოგადად, საქართველოს სადღეგრძელოს, შემდეგ საერო ხელისუფლების სადღეგრძელოს და ა.შ.[4].

როგორც წესი, თამადა განავრცობს **საღვთო ლიტურგიისას წინა პლანზე წამოწეულ სხვა თემებს** და ლოცავს მეფე-პატარძალს, იუბილარს, მშობლებს, დედმამიშვილებს, გზაში მყოფთ, სნეულებს, პატიმრებს...

**კვერექსის ბოლო მუხლია ვედრება ღვთისმშობლისადმი:** „ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომჴსენებელთა, თავნი თჳსნი და ურთიერთარს, და ყოველი ცხორებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევვედროთ“[5]. **ქართულ სუფრაზეც ბოლო სადღეგრძელოა ღვთისმშობლის სადიდებელი;** კერძოდ, შემორჩენილია სხვადასხვა ვარიანტი:

– ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი შეგვეწიოს!

– ყველაწმინდა შეგვეწიოს!

– ლამარია შეგვეწიოს! (სვანურ კილოებში: ლა-მარია = სა-მარიამ-ო)

– ღვთისმშობლის შეწევნით: ძინა (შეძენა), სიკეთე, ბედნიერება...

ვფიქრობ, უეჭველია, რომ ქართული სუფრული რიტუალებისას თუ პურობისას გამოყენებული ტერმინოლოგიის კვლევის დროს უთუოდ გასათვალისწინებელია **საღვთო ლიტურგიის** დროს გამოკვეთილი თემებისა და ქართული სადღეგრძელოების იგივეობა.

წარმოდგენილი ვრცელი შესავლის შემდეგ ქვემოთ გავაანალიზებთ ქართული ოფიციალური პურობის ერთ-ერთ აქტიურ ტრადიციას – **ალავერდით გადასვლას,** რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **„თამადის შემდეგ სადღეგრძელოს თქმის უპირატესობის მინიჭებას სუფრის ერთ-ერთი წევრისათვის“.**

თამადა როცა დაასრულებს სადღეგრძელოს თქმას, მის მიერ ამორჩეულ სუფრის წევრთან ალავერდს გადადის, ანუ, სთხოვს, მის მიერ ნათქვამი სადღეგრძელოს თემა ყველას გასაგონად გააგრძელოს[6]. **როგორც წესი, ეს პიროვნება სტუმარია** და თამადის ოჯახს /საახლობლო წრეს/ არ წარმოადგენს“. სტუმარი მეტწილ შემთხვევაში თამადისაგან მოშორებით ზის. თამადის ალავერდის შემდეგ სტუმარი წამოდგება და **ხმამაღლა ამბობს თავის სათქმელს თამადის მიერ შემოთავაზებული თემის ფარგლებში.**

მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციის მქონე საქართველოში, სადაც საკვების მიღების პროცესი სახელმწიფოებრივი მსჯელობის, პოეზიის საღამოებისა თუ კაფიაობის ასპარეზად იქცა, თამადის „ალავერდი“ შეიძლება გავიაზროთ, როგორც სტუმრის (/სუფრის წევრის) **მეგობრული გამოწვევა** სადღეგრძელოს ღირსეულად თქმის პერსპექტივით. აქვე აღვნიშნავ, რომ „ალავერდით“ „გამოწვევა“ ზოგჯერ შეიძლება გადაიზარდოს ღვინის სმის შეჯიბრშიც.

თამადის მიერ სადღეგრძელოს თქმის შეთავაზება და სუფრის წევრის პასუხი ჩვენს დრომდე მოღწეულია მყარ ფორმულად ჩამოყალიბებული ორი წინადადების სახით:

**– ალავერდი შენთან!**

**– ალავერდის მადლი შეგეწიოს!**

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრაზა: „ალავერდი შენთან ვარ“ მომდინარეობს თურქული ფრაზიდან: äl – ä – ver – di, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ხელიდან ხელში მიცემა“; კერძოდ, ე. სარიშვილის აზრით, „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ „ალავერდი“ არის სუფრაზე, „ღვინის სმის დროს გამოყენებული და დამკვიდრებული ტერმინი, რომელიც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორისათვის სასმისის ხელში გადაცემას, პერსონალურად გადასვლას“ (ა. სარიშვილი, 2004, გვ. 225).

„ალავერდის“ ეტიმოლოგიის შესახებ სხვა ხალხური „ეტიმოლოგიები“ თუ მეცნიერული მოსაზრებებიც არსებობს; მაგ.:

– მომდინარეობს ალვანგვერდიდან, როგორც ამ მხარეს ძველად ერქვა;

– ინგუშურ ენაზე დაყრდნობით: ალა ერდი ანუ ცეცხლის (კერის) ღმერთი (ა. ალბოროვი);

– მომდინარეობს ალ-ვერ-დო-დან: გამოყოფილი აფიქსები ქართულადაა მიჩნეული (ლ. მელიქსეთბეგი);

– მომდინარეობს ღვთაება ალარდიდან (ვ. აბაევი და რ. შტეკელბერგი)...[7].

ვფიქრობ, არგუმენტირებული არ არის არც ერთი წარმოდგენილი ვარიანტი. პირველ რიგში, მკაფიოდაა გასამიჯნი სადღეგრძელოების დროს გამოყენებული „ალავერდი“ და ტოპონიმი „ალავერდი“. **ტოპონიმი – ადგილის სახელი – მართლაც შეიძლება იყოს არაქართული, კერძოდ, თურქული წარმომავლობისა.** კახეთის ალავერდის შესახებ ეს აღნიშნულია კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში: „ალაჰ ვერდი“ („ღმერთის ბოძებული“). ამ მოსაზრებას ამყარებს სხვა ფაქტიც: კახეთშივეა ასევე თურქული წარმომავლობის „სიღნაღი“ – თურქ. Sığınak „თავშესაფარი“. ეს სიტყვები კახეთში დამკვიდრებული ჩანს ირანელი თურქების ექსპანსიის დროს. თურქული შესიტყვება „ალაჰ ვერდი“ („ღმერთის ბოძებული“) ჰქვია სხვა რამდენიმე ადგილსაც საქართველოსა და სომხეთში:

ალავერდი – სოფელი ზესტაფონში;

ალავერდი (სომხ. Ալավերդի) — ქალაქი სომხეთში, ლორეს პროვინციაში, ერევნიდან 167 კილომეტრში[8].

ცნობილია ისიც, რომ „ალაჰ ვერდი“ შესიტყვებისაგან მომდინარეობს სპარსული, სომხური, აზერბაიჯანული სახელებიც და გვარებიც; შდრ., მაგ.:

სპარსული გვარი: Javad Allahverdi, Dalar Alahverdi

სომხური გვარი: Аллахвердян, Дереник Акопович

აზერბაიჯანული სახელი: Allakhverd Aliuev, Allahverdi Bagirov

აზერბაიჯანული გვარი: Аллахвердиев, Керим Рагим оглы

რუსული გვარი: Аллахвердов, Виктор Михайлович (род. 1946) — российский психолог , профессор кафедры общей психологии факультета психологии СПбГУ

არ გამოვრიცხავთ, რომ **კახეთსა თუ იმერეთში არსებული ტოპონიმი (ალავერდი) ბალახის სახელისგანაც მომდინარეობდეს;** შდრ.: ალავერდი/ალავერდა. ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ (1961) მიხედვით, „იონჯას“ სინონიმია; შდრ.: ჩვეულებრივი იონჯა Rus. люцерна обыкновенная; L. Medicago sativa L. აღმოსავლური – ალავერდა; მესხური – ალავერდი. იონჯას ეს სინონიმიც (ალავერდი) თურქული წარმომავლობისა უნდა იყოს.

**სადღეგრძელოების დროს გამოყენებული „ალავერდი“ მე სულ სხვა წარმომავლობისად მიმაჩნია;** კერძოდ, სუფრასთან გამოყენებული „ალავერდი“ ნაკლებად გულისხმობს „ერთი პირის მიერ მეორისათვის სასმისის ხელში გადაცემას“. ქართული სუფრის „ალავერდი“ უფრო არის

**სადღეგრძელოს თქმის პრიორიტეტის მინიჭება** სუფრის კონკრეტული წევრისათვის. არსებითია სხვა ფაქტორიც: თამადისაგან „ალავერდით“ მიღებული სადღეგრძელოს თქმის უფლებით სარგებლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს ფეხზე წამოდგომით, საჯაროდ, თამადის მიერ შემოთავაზებულ თემაზე **მსჯელობის ღირსეულად გაგრძელებას – სადღეგრძელოს ხმამაღლა წარმოთქმას** (და არა – მაინც და მაინც, მხოლოდ დალევას).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ალავერდის“ დროს არ ხდება სასმისის „ხელიდან ხელში“ გადაწოდება, რადგან „ალავერდი“ არ შეიძლება გვერდით მჯდომთან. სასმისის გადაწოდება კი უფრო ევალებოდა „მერიქიფეს“. „მერიქიფე“ საინტერესო აგებულების სიტყვაა; ამოსავალი ფორმაა **მე-რაყიფ-ე > მერეყიფე > მერექიფე > მერიქიფე.** ამოსავალი ფუძეა არაბული „რაყიფი“ = „სიყვარულში მეტოქე“. სპარსულ ენაში ამ სიტყვის სემანტიკა გაფართოვდა, კერძოდ, იგი არის: მეტოქე, კონკურენტი, მცველი, დარაჯი (ნ. ბართაია). თავკიდური მე– და ბოლოკიდური –ე ქართული აფიქსებია; შესაბამისად, „მერიქიფე“ ამოსავალში ნიშნავდა პირს, ვინც თამადის (/ ოჯახის) დავალებით აკონტროლებდა „სიყვარულში მეტოქე“ ადამიანების, ანუ „ალავერდით დაკავშირებული“ ადამიანების ქმედებას როგორც სადღეგრძელოს თქმის, ასევე, დალევის თვალსაზრისით.

მერიქიფეს, პირველ რიგში, ევალებოდა სასმისის შევსება და მიტანა საალავერდო პირისათვის, შესაბამისად, არალოგიკურია, სადღეგრძელოს მთქმელსა და ალავერდის მიმღებს შორის სასმისის „ხელიდან ხელში“ გადაცემაზე ვისაუბროთ; რაც მთავარია, **ქართული სუფრის ქრისტიანულ წარმომავლობას თუ გავითვალისწინებთ,** აქცენტი სასმისსა და დალევაზე არ უნდა გავაკეთოთ. „ალავერდით გადასვლა“, პირველ რიგში, სიტყვის (სადღეგრძელოს) თქმის დავალდებულებაა და არა დალევისა. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ **„ალავერდი შენთან ვარ“ არის ეკლესიური დალოცვის შემოკლებული ვარიანტი;** ამოსავალი წინადადება ასე უნდა აღვადგინოთ:

**– ალავერდის წმიდა გიორგის მადლის შეწევნით ახლა შენ თქვი სადღეგრძელო!**

პასუხიც ადეკვატური იყო:

– დიდი მადლობა, ალავერდის მადლი შეგეწიოს შენც![9]

ვფიქრობთ, თანამეინახეთა ამგვარი შეგულიანება თავდაპირველად დამკვიდრდა კახეთში, სადაც უდიდესი ძალის მქონედ ითვლება **სოფელ ალავერდის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი.** დროთა განმავლობაში კახეთში – ღვინის ქვეყანაში – შექმნილი ეს დიალოგი გამარტივდა და **რიტუალურ ფორმულად** ჩამოყალიბდა. დიალოგის ტრანსფორმაციის შემდეგ გზას ვვარაუდობთ:

ჯერ:

**– ალავერდის წმიდა გიორგის მადლი შენთან!**

**– ალავერდის მადლი შეგეწიოს!**

შემდეგ:

**– ალავერდი შენთან!**

**– ალავერდის მადლი შეგეწიოს!**

ისმის ბუნებრივი კითხვა: კახეთში, სადაც ალავერდის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, ლოგიკურია გაჩენილიყო დალოცვა: „ალავერდის წმიდა გიორგის მადლი შეგეწიოს“, მაგრამ ქართლში, მესხეთში, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში **ასევე ძლიერი ქრისტიანული სალოცავებია;** შესაბამისად, პურობის დროს ხომ შეიძლებოდა, სადღეგრძელოს თქმის უპირატესობის მინიჭებისას დალოცვის ფორმულაში შესულიყო ადგილობრივი სალოცავის სახელი?

რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ახსნადია ისიც, რომ **კახეთში შექმნილი „სუფრის რიტუალური ტექსტი“ გავრცელდა სხვა კუთხეებში.** ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდებოდა, რაც დალოცვის ვრცელი თავდაპირველი ვარიანტი „აკუმულირდა“ ზოგად ფრაზაში: **„ალავერდი შენთან“** (აქ უშუალოდ აღარ ჩანს კახეთში არსებული წმიდა გიორგის ეკლესია). **სწორედ ეს დაწურული ფორმულა გავრცელდა მთელ საქართველოში.** წინააღმდეგ შემთხვევაში მოულოდნელი იქნებოდა, მაგ., მცხეთის ჯვრის, გორის ჯვრისა თუ ჭყონდიდის სიახლოვეს ვინმეს ესაუბრა „ალავერდის წმიდა გიორგის“ მადლის შეწევნაზე.

ასე რომ, ჩემი აზრით, სუფრის რიტუალურ ფორმულას: „ალავერდი შენთან“ უშუალო კავშირი არა აქვს თურქულ ტექსტთან. სუფრის ტრადიციებს გვიან დაუკავშირდა თურქული თუ რუსული

„კოლორიტი“, რაც აისახა კიდეც ქართველი მწერლების ტექსტებშიც. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, მაგ., შემდეგი ფრაგმენტი:

გ ი გ ო (ხელს აიღებს მაღლა, თითს იქნევს და ამბობს):

სხვა საქართველო სად არი,

რომელი კუთხე ქვეყნისა...

ალავერდი შენთან, სვიმონ!

ს ვ ი მ ო ნ ი. იახში ოლ![10] (ასხამს ჭიქაში ღვინოს და იმეორებს გიგოს ნათქვამს სადღეგრძელოს) და ზდრავსტვუეტ ისტინა ი სპრავედლივოსტ! გაუმარჯოს სინიდისსა და პატიოსნებას![11]

ამრიგად, ფრაზა: „ალავერდი შენთან“ მომდინარეობს კახეთში გავრცელებული ქრისტიანული (და)ლოცვიდან: **ალავერდის წმიდა გიორგის მადლი შენთან!** რიტუალურ ფორმულად ქცეული შესიტყვება: **„ალავერდი შენთან“** ღვინით ცნობილი კუთხიდან – კახეთიდან – გავრცელდა მთელ საქართველოში [12].

**დამოწმებული ლიტერატურა:**


**გ. გოცირიძე, 2010** – გ. გოცირიძე, „სუფრის ტრადიციები“; „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით; თბ., 2010, გვ. 562-573.

**ე. სარიშვილი,** 2006 – ე. სარიშვილი, მცირე შენიშვნა ანუ “ალავერდი შენთანა ვარ”; ორიენტალისტი, თბ., 2006. ტ.II, გვ. 224-226.

**ზ. ჭიჭინაძე,** 1878 – ზ. ჭიჭინაძე, თამადა და ტოლუმბაში – წარმოშობის ისტორია; დროება 1878, I, 27, #19, გვ. 3-4. http://www.vinoge.com/samzareulo/Tamada-da-tolumbaSi-warmoSobis-istoria (დამოწმება: 05.02.2020)


**შენიშვნები:**

[1] რაც შეეხება გვიან ნასესხებ „ტოლუმბაში“ ფორმას; ორგვარი შესაძლებლობაა: გ. გოცირიძის (2010, გვ. 568) აზრით: ეტიმოლოგიურად: თოლუმ ბაშ = ტიკის თავი. შდრ.: თურქული ენის დიალექტებში თოლუმ „ვარცლსაც“ ნიშნავს. არის სხვაგვარი ახსნაც: toplum başı „საზოგადოების თავი“: „თოფლუმ“ ფორმიდან „ტოლუმ“ ვარიანტის მიღება შეიძლება აიხსნას დისტანციურ პოზიციაში მ-ს გავლენით ფ-ს დაკარგვით https://en.wiktionary.org/wiki/%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98 (დამოწმება: 05.02.2020)

[2] საბჭოთა პერიოდში გარკვეულად დამახინჯდა ტრადიციული ქართული სადღეგრძელოების შინაარსი და თანამიმდევრობა, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდში სადღეგრძელოთა ტრადიციული რიგი ძირითადად ისევ აღდგა.

[3] ჩვენს დროში ეს სადღეგრძელო შეიძლება პერსონიფიცირდეს და გადაადგილდეს; კერძოდ, პატრიარქისა და ზეიმის მთავარი მიზეზის დალოცვის შემდეგ გადანაწილდეს სხვადასხვა სადღეგრძელოდ.

[4] თუკი ხალხი უკმაყოფილოა მოცემული ხელისუფლებით, ამ სადღეგრძელოს ენაცვლება სხვა, მაგ., საქართველოსათვის მებრძოლ, საქართველოსათვის თავგანწირულ გმირთა სადღეგრძელო.

[5] საღვთო ლიტურგიის დოკუმენტური მასალების მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ მამა დავით კონჯარიას.

[6] ზოგჯერ „ალავერდით“ შეიძლება გადავიდეს არა თამადა, არამედ სუფრის რიგითი წევრი სუფრის სხვა წევრთან.

[7] მასალებისათვის იხ. „საქართველოს ძეგლების“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა: „ალავერდი“: http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/a/alaverdi.html (დამოწმება: 07.02.2020)

[8] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98_(%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98) (დამოწმება: 05.02.2020)

[9] ფრაზა: „მადლი შეგეწიოს“ ეკლესიის წიაღში გაცილებით ადრეა შექმნილი, ვიდრე ქართველურენოვან სივრცეში შემოვიდოდა ნასესხები „ალაჰ ვერდი“. „უფლისაგან მადლის

შეწევნა“ სამყაროს შემოქმედთან თანაზიარობაა, რომელიც ადამიანს ავალდებულებს მართალი სიტყვის თქმას. გამოთქმულია ლოგიკური მოსაზრება, რომ საქართველოში წმიდა გიორგის პოპულარობა შეპირობებულია წარმართული მამრობითი ღვთაების („თეთრი გიორგი“?) წინამორბედობით; შესაბამისად, სადღეგრძელოს თქმისას „წმიდა გიორგის შეწევნა“ შეიძლება მომდინარეობდეს წარმართული ეპოქიდან.

[10] იახში ოლ = „კარგი გზა“.

[11] ვაჟა-ფშაველა – სცენები (სცენა ხევსურეთში) http://www.allgeo.org/index.php/ka/438-2019-02-24-22-37-51 (დამოწმება: 05.02.2020)

[12] მადლობას ვუხდი ბ-ნ გიორგი სოსიაშვილს, რომელმაც „მაიძულა“ დამეწერა წარმოდგენილი სტატია.

9 თებერვალი, 2020 ·

## დისკუსია გორში ბუნთურქებისა და ყივჩაყების შესახებ

/ძველი ქართული ტექსტის თარგმანის არასწორი გააზრებით ბუნთურქებისა და ყივჩაყების 24-საუკუნოვანი „ისტორიის“ შექმნის შესახებ/

**შესავალი**

ისტორიკოსთა ერთი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის არასწორი გააზრების გამო მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ **ალექსანდრე მაკედონელის დროს** საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ „ბუნ-თურქები“, „თავდაპირველი თურქები“ (“BunTurks”) და ყივჩაყები **(The Kipchaks).** მეტიც, ზოგი ავტორი ახ. წ. VI-VIII საუკუნეებში ასპარეზზე გამოსულ ამ ტომებს **24 საუკუნის წინანდელი საქართველოს** მკვიდრ მოსახლეობად აცხადებს.

ეს მცდარი ინფორმაცია ფართო საზოგადოების არაჯანსაღი დისკუსიის საგანიც ხდება ხოლმე; მაგ., 2020 წლის 18 იანვარს ცნობილმა მეცნიერმა, ისტორიის დოქტორმა, **პროფესორმა იბრაჰიმ თელლიოღლუმ** სოციალურ ქსელში, კერძოდ, ფეისბუკგვერდზე: Tarih-i Artvin ve Gurcistan-Kafkasya[1] „ბრჭყალების“ გარეშე გამოაქვეყნა ასეთი ტექსტი: Anonim Gürcü Tarihinde yer alan bilgiye göre MÖ. 339'da yani günümüzden yaklaşık 2350 yıl önce Çoruh nehri ile Tiflis arasınında Kıpçaklar yaşamaktaydı[2]: **“ანონიმური ქართული ისტორიის მიხედვით, საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის 339 წელს, ანუ 2350 წლის წინ ყივჩაღები ცხოვრობდნენ მდინარე ჭოროხსა და თბილისს შორის”.**

პროფ. დოქტ. იბრაჰიმ თელლიოღლუს ტექსტს „დოკუმენტის“ სახით დართული აქვს მარი ბროსეს[3] მიერ ქართულიდან ფრანგულად თარგმნილი „ქართლის ცხოვრების“ (Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIXe siècle) თურქული ვარიანტის (Gürcistan Tarihi) რამდენიმე ფოტოც, რომელმაც უფრო გაამწვავა დისკუსია სოციალურ ქსელში, რამდენადაც სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული თვალსაზრისი არ ეფუძნება არც ერთ ისტორიულ წყაროს: ბ-ნ იბრაჰიმ თელლიოღლუს მიერ მოყვანილი ტექსტი აცდენილია როგორც „ქართლის ცხოვრების“ თხრობას, ასევე, „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანსაც და ფრანგულიდან გაკეთებულ თურქულ თარგმანსაც[4].

სამართლიანობა მოითხოვს, აქვე ვთქვათ: დასახელებული კონტექსტით „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ტექსტი არასწორად იქნა გააზრებული ბევრად ადრე სხვა ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების მიერაც. საფუძველი ყველგან ერთია: არქაული ქართული ტექსტის მცდარი წაკითხვა.

წარმოდგენილ გამოკვლევაში ჩვენი მიზანია:

– „ბუნთურქისა“ და „ყივჩაყის“ რეალური მნიშვნელობების დადგენა „ქართლის ცხოვრებისა“ და “მოქცევაჲ ქართლისაჲს” შესაბამის ფრაზებში.

– „ქართლის ცხოვრების“ ქრისტიანი ავტორისა თუ რედაქტორის დამოკიდებულების ჩვენება არაქრისტიანი ქართველებისა და სხვა არაქრისტიანი ტომებისადმი;

– ბუნთურქებისა და ყივჩაყების შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის ფრანგული და თურქული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი.

**ბუნ-თურქი, თურქი და ყივჩაყი**

სიტყვაფორმა **ბუნ-თურქი** დასტურდება **გვიანდელი ხელნაწერებით** ჩვენამდე მოღწეულ სამ ძველ ქართულ წყაროში: „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერში, “მოქცევაჲ ქართლისაჲში” და **არსენ ბერის** მეტაფრასტულ შრომაში: „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოჲსასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ“.

**შდრ.: „ქართლის ცხოვრება“ 1955, გვ. 15-17:** „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს **თურქნი,** ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოც-და-რვა. და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ **თურქთა,** რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო **უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას,** დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მ**ისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე. და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისმყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსლვასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“.**

წყაროს მიხედვით, რამდენიმე საუკუნის შემდეგ ალექსანდრემ “გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად და **პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა.** რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უხმარს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ **ბუნთურქად და ყივჩაყად** უწოდთ, მ**სხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით,** დაუკვირდა ესე ალექსანდრეს...” (ხაზი ჩემია – ტ.ფ.).

**დამოწმებული ტექსტის მოკლე შინაარსი ასეთია:** სპარსთაგან „ოტებულმა” „თურქებმა“ (/თურანელებმა?) ქართველებს დახმარება აღუთქვეს სპარსელებთან ბრძოლაში, ამიტომ ხუნანიდან სპერის ზღვამდე გადაჭიმული ქართლის სხვადასხვა ქალაქის მფლობელებმა **დევნილი “თურქების”**ერთი ნაწილი პატარ-პატარა ჯგუფებად დაყვეს და თავიანთ ქალაქებში ჩაასახლეს. ლტოლვილთა ძირითადი ნაწილი კი მცხეთის მამასახლისმა **კომპაქტურად დაასახლა სარკინეში. მემატიანე** თურქების სწორედ ამ ნაწილს უწოდებს **ბუნ-თურქებს**. შდრ., ასევე, სხვა მონაკვეთი: ალექსანდრე საქართველოში როცა მოვიდა, სარკინე ვერ აიღო; “ხოლო სარკინელთა **ბუნთურქთაგანთა** აგინეს მეფესა”.

**იხ. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი („ქართლის ცხოვრება“, 1942, გვ. 10):**

„მასვე ჟამსა მოვიდეს **თურქნი,** ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგენისი, აღმოჰყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას, სახლი ოც-და-რვა; და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართუელთა, ინებეს დამეგობრობა მათ **თურქთა,** რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათუის დაემეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნ[ი] და განიყუანეს ყოველთა ქალაქთა შიგან. ხ ო ლ ო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი, მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის მოკუეთილი, ღრმა. და მოითხოვეს ადგილი ერთი იგი მცხეთელთა მამასახლისითგან. მისცა და აღაშენა, იგი მოზღუდეს მტკიცედ; და ეწოდა მას ადგილსა სარკინე. და იყუნეს **ესე თურქუნი და ქართუელნი** ნების მყოფელ ერთმანერთის, მოილოდინეს მოსლვასა სპარსთას[ა], ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა...“

ნიშანდობლივია: “ქართლის ცხოვრების” ზოგ ხელნაწერში ამ ეპიზოდის აღწერისას “ბუნთურქთაგანთა” ნაცვლად გამოყენებულია ასევე: **“ნათურქთაგანთა“** და **“მუნ თურქთაგანთა”** (ქ.ც. 1955, 18,8). „ქართლის ცხოვრების“ დამოწმებული ვარიანტის მიხედვით, “თურქებისგან” შეურაცხყოფილი ალექსანდრე მათ სრული განადგურებით დაემუქრა, მაგრამ ციხე-ქალაქი ვერ აიღო 11-თვიანი ალყითაც კი. ხანგრძლივი ალყით”შეჭირვებულმა” სარკინელებმა – მცხეთის მამასახლისის მიერ სარკინეში ჩასახლებულმა თურქებმა – ციხე-ქალაქის საყრდენი კლდე

გახვრიტეს და ჩრდილოკავკასიაში გადაიხვეწნენ...

ასე ასრულებს მემატიანე თურქთა ამ ნაწილის ამბავს.

უეჭველია: **ტექსტის მიხედვით სარკინეში ჩასახლებულ „თურქებს“ „ქართლის ცხოვრების“** ავტორი თუ **ერთ-ერთი რედაქტორი უწოდებს „ბუნთურქებსა“ და „ყივჩაყებს“**, ანუ საქართველოში მოსული „თურქების“ დასახასიათებლად იყენებს მხატვრულ ხერხს – **მეტაფორას:** ალექსანდრეს მიერ ნანახ **“თურქებს”** იხსენიებს **„ბუნ-თურქებად“** და **ადარებს „ყივჩაყებს“** (რომლებიც სულ მცირე, ალექსანდრეს შემდეგ 12 საუკუნით გვიან გამოვიდნენ ასპარეზზე). შდრ.: “ქართლის ცხოვრების” ძველ სომხურ თარგმანში(XII ს.) არ დასტურდება არც ტერმინი “ბუნთურქი” და არც ეთნონიმი „ყივჩაყი“. „ქართლის ცხოვრების“ ამ ვერსიის მიხედვით მცხეთის მამასახლისმა სარკინეში დაასახლა ქაიხოსროსგან გამოდევნილი ველური “თურქები“[5].

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ქართული რედაქციის მიხედვით, აშკარაა, რომ **ბუნ-თურქები არიან ის „თურქები“,** რომლებიც მცხეთის მამასახლისმა სარკინეში კომპაქტურად დაასახლა. კონტექსტის გათვალისწინებით, უდავოა, რომ კომპოზიტის პირველი ნაწილი **ბუნ–** „რაღაც“ ნიშნით აკონკრეტებს, **განსაზღვრავს ეთნონიმ „თურქს“.** სიტყვა ბუნი (ბუნ-) ფალაური ნასესხობაა და ქართულად ნიშნავს “ძირითადს”, “ფესვს”[6]. შესაბამისად, შესიტყვება **„ბუნი თურქი“** უნდა გავიაზროთ, როგორც „ძირითადი თურქები“ – თურქების ძირითადი ნაწილი, ანუ კომპაქტურად დასახლებული “თურქები” (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე 2004); შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების“ ცნობების მიხედვით ნათელია, რომ **ბუნი /ძირითადი/ თურქები** (> ბუნთურქები) არის ქაიხოსროსგან განდევნილი “თურქების” (თურანელების?) ის ნაწილი, რომელიც მცხეთის მამასახლისმა **ერთად, კომპაქტურად** დაასახლა სარკინეში.

შდრ. სხვა წყაროების ჩვენება:

**“მოქცევაჲ ქართლისაჲ:** “პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა **ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით,** ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე, კასპი, ურბნისი და ოძრხე და ციხენი მათნი: ციხეჲ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხეჲ კასპისა, ურბნისისა და ოძრხისაჲ“...

არსენ ბერი (1971): „ალექსანდრე მაკედონელი იქმნა რაჲ მეფე, პირველად უცხოთესლნი იგი ბოროტნი წარმოიქცინა დასავალით და კერძსა მას ჩრდილოჲსასა დასხნა. და ვითარცა უკუ-მოიქცა მუნით და შემოვიდა საზღვართა ქართლისათა, იხილნა ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართთანი, **რომელთა ჩუენ აწ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ.** მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მიხუევით, და ქალაქნი მათნი ძლიერნი და ციხენი ფრიად მაგარნი, და ცხონდებოდეს იგინი ყოვლად უცხოდ კაცთა ბუნებისაგან, ვითარცა მჴეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქუმაჲ უჭმარ არს“.

**“მოქცევაჲ ქართლისაჲს” და არსენ ბერის ტექსტებიდან** თუ ამოვალთ, ბუნდოვანია როგორც „ბუნ-თურქის“ ეტიმოლოგია, ასევე, „ბუნთურქთა“ საქართველოში მოსვლისა თუ ყოფნის ისტორია. აღვნიშნავთ იმასაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობების საპირისპიროდ, ამ წყაროების მიხედვით, თითქოსდა, **საქართველოში (/ქართლში)** ალექსანდრე მაკედონელის დროს ქართველები არ ცხოვრობდნენ.

მემატიანეთა ამგვარი პოზიცია შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი დაშვებით:

ავტორებისათვის – ქრისტიანი ბერებისთვის – ქრისტიანობამდელი ქართლის მოსახლეობა (ადგილობრივი, არაქრისტიანი ქართველიც და მიგრანტი თურქიც) ერთნაირად ურჯულოა, ველურია; შესაბამისად, მათ **საჭიროდ არ ჩათვალეს ისტორიული წყაროებიდან „ქართლის მოქცევის“ ტექსტში გადმოეტანათ ქართველთა ვრცელი წარმართული ისტორია;** მეტიც, ქრისტიანმა ბერმა წარმართი ქართველები და საქართველოში შემოხიზნული სხვა არაქრისტიანი ტომები ერთიანად მოიხსენია „ქართლის ცხოვრებისეული“ ეპითეტით: **„ბუნთურქნი“ (/ყივჩაყი):** ხაზი გაუსვა არაქრისტიანთა ველურობას, რომ წარმოეჩინა ქრისტიანობის პრიორიტეტი[7].

შდრ.: შუა საუკუნეებისათვის ჩვეულებრივი ამბავია ქრისტიანის მიერ არაქრისტიანის ველურად[8] და პირიქით: მუსლიმანის მიერ არამუსლიმანის „გიაურად“, ურჯულოდ, ველურად მოხსენიება[9].

**ბუნ-თურქი** გამჭვირვალე სიტყვაფორმაა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით:

სარკინეში კომპაქტურად დასახლებული მიგრანტი „თურქების“ აღსანიშნავად მემატიანემ შექმნა სპეციალური შესიტყვება: “ბუნი თურქი”(> ბუნთურქი), რაც ნიშნავს “ერთად დასახლებულ თურქებს”. **„ბუნთურქი“ არ არის ეთნონიმი.** გვიანდელ ქართულ წყაროებში „ბუნთურქი“ ქრისტიანობამდელი ველური საზოგადოების სახე-სიმბოლოდ მკვიდრდება: ძველ ქართულ მატიანეში სარკინეში ჩასახლებულ „თურქებს“ ქართლის ცხოვრების X საუკუნემდელი ავტორი თუ ერთ-ერთი **რედაქტორი ახასიათებს როგორც ველურებს** და მათ დასახასიათებლად იყენებს მხატვრულ ხერხს – მეტაფორას: ალექსანდრეს მიერ ნანახ **ქართველებსა თუ „თურქებს“**იხსენიებს „ბუნ-თურქებად“ და **ადარებს „ყივჩაყებს“** (რომლებიც, სულ მცირე, ალექსანდრეს შემდეგ 12 საუკუნით გვიან გამოვიდნენ ასპარეზზე).

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ისტორიოგრაფიულ ანალიზს, არ ვარკვევთ, თუ სინამდვილეში ვინ არის ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში საქართველოში შემოხიზნული ხალხი, რომელსაც მემატიანე „თურქებს“ უწოდებს. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ეთნონიმთა (ხალხების საკუთარ სახელთა) დათარიღება.

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში **ეთნონიმი „თურქი“** არ არსებობდა. ეთნონიმი „გოქთურქები“ (Göktürkler) პირველად ჩნდება ახ. წ. VI საუკუნის ჩინურ წყაროებში[10]. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ხდება ცნობილი ეთნონიმი „თურქი“ დანარჩენი მსოფლიოსათვის, მათ შორის –ქართველებისათვის. **თურქ–** ფუძეზე ორიენტირებული ეთნონიმი ქართულენოვან სივრცეში შემოსულად უნდა ვივარაუდოთ საქართველოში თურქ-სელჩუკების გამოჩენის წინა პერიოდში, არაუგვიანეს X საუკუნისა (სიტყვაფორმა „ბუნთურქიც“ ამ პერიოდიდან დასტურდება მხოლოდ ქართულ წყაროებში: „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში – „მეფეთა ცხოვრებაში“). გამომდინარე აქედან, ზოგი სპეციალისტი ანაქრონიზმად მიიჩნევს **ძველი ქართველი მემატიანის ცნობას,** რომლის მიხედვითაც თურქ– ფუძიანი ეთნონიმი იხსენიება ძვ. წ. VI-IVსაუკუნეების ამბების აღწერისას.

ვფიქრობ, ამ პერიოდის ამბებისას „თურქების“ ხსენება არ არის ანაქრონიზმი, რადგანაც მემატიანე ამ დროს ან არ იყენებს „თურქ“ ეთნონიმს თავისი ამოსავალი მნიშვნელობით, ანდა, ამ ეთნონიმით ანაცვლებს ძველ (უკვე „გაუცხოებულ“) ეთნონიმს: წყაროს ავტორი თუ რედაქტორი, რომელიც წერდა (არედაქტირებდა) სახელმძღვანელოს (და არა – სამეცნიერო გამოკვლევას), ბუნებრივია, შეეცდებოდა, წინა საუკუნეების **არქაული ტექსტის ეთნონიმები** თუ სხვა ტერმინები ჩაენაცვლებინა თანამედროვეთათვის გასაგები სიტყვებით.

**ტერმინების, ტექსტის გათანამედროვეობის ტენდენციის** შედეგი უნდა იყოს ძვ.წ. VI-IV საუკუნეების ამბების აღწერისას ახ. წ. IV საუკუნის შემდეგ დამკვიდრებული ეთნონიმების (“ხაზარი”, “თურქი”...) გამოყენება. როგორც წესი, **ტექსტების რედაქტორის – სახელმძღვანელოს შემქმნელის – მიზანია არა „ეთნონიმთა“ მეცნიერული კვლევა,** არამედ – მოცემული ხალხების საქართველოში მოსვლის ისტორიის გაგებინება მისი თანამედროვე მკითხველისათვის. მსგავსი ტერმინოლოგიური ჩანაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა დროში. მაგ., IX საუკუნის არაბულ წყაროებში საუბარია ალექსანდრე მაკედონელის დროს თურქების შესახებ (იხ. ზაიონჩკოვსკი 1966); ზოგ წყაროში ბაბილონის არსებობის დროს ქალაქი იხსენიება გვიანდელი სახელწოდებით –„ბაღდადი“ (გ. არახამია 2019); XVI საუკუნეში ევროპაში შექმნილ რუკებზე ოსმალეთის იმპერია იხსენიება, როგორც თურქეთის იმპერია[11].

ჩვენს სინამდვილეშიც, არაიშვიათად, რუსეთ-თურქეთის ომებად მოიხსენიება რუსეთ-ოსმალეთის ომები (მაგ., 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი). კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენი მიზანი არ არის **ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევა,** კერძოდ, ეთნონიმები: „თურქი“ თუ „ხაზარი“ **ძველი ტომების სახელადაა გამოყენებული,** მაგრამ ვფიქრობ, დიდი ალბათობით, ქართველი მემატიანე როცა საუბრობს „ოტებულ თურქებზე“, გულისხმობს სპარსელებისაგან დამარცხებული თურანელების („თურების“) ერთი ჯგუფის მოსვლას საქართველოში; კერძოდ, “ქართლის ცხოვრებიდან” ჩანს, რომ ქართველი მემატიანენი იცნობდნენ **ირან-თურანის ბრძოლებს** და ამ დაპირისპირების გვიანდელ ინტერპრეტაციას[12]: შდრ.: მიდიის მეფე ქაიხოსრო /კიახსარი /კვაქსარაქსი ამარცხებს თურანელებს (დამარცხებულთა ნაწილი თავს აფარებს საქართველოს).

შდრ.: „მითოლოგიური ამბების“ აღწერისას ახ. წ. X საუკუნეში მოღვაწე ფირდოუსი თავის

პოემაში ირანელების მტრებს თურქებს უწოდებს; ჩანს მისთვის თურანის ხალხში თურქების წინაპარიც იგულისხმება[13]. ანალოგიური ჩანს, ქართველი მემატიანის გააზრებაც: ირანელთა მიერ გამოდევნილი ხალხი – თურანელები (თუ ჰუნები) – მოხსენიებული ჰყავს „თურქებად“. გარდა ამისა, ქართველი მემატიანისათვის ეს უკანასკნელნი იგივენი არიან, რაც ხაზარები, ყივჩაყები. „თურანელებისა” და თურქების ერთ მოდგმად გააზრების საფუძველს ქმნის ეტიმონთა მსგავსებაც: თურან– ფუძის საფუძვლად მიჩნეულია ეთნონიმი **თური**[14].

თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, თური/თურანელი (სპარსულის ახლომონათესავე!) ინდოევროპული ენის მქონე ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმია (1). სპეციალისტთა ნაწილი (ძირითადად – თურქოლოგები) კი მიიჩნევს, რომ თური/თურანელი თურქი ხალხების წინაპართა აღმნიშვნელი სახელებია (2)[15].

წარმოდგენილ ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება; მით უმეტეს, არაიშვიათად ხდება ეთნონიმთა გადააზრიანება (შდრ., მაგ.: აფხაზი (ქართველთა ერთ-ერთი შტო) > აფსუა, სომეხი (ქართველთა ერთ-ერთი შტო) > არმენი...). ასევე, ეტიმოლოგიურად შეუძლებელი არ არის თურ-, თურ-ან-, თურქ-, თარაქამ-, თურქმენ– ფუძეების კავშირი. დიდი ალბათობით, ქართველი მემატიანისთვის ფალაური წყაროების[16] თური/თურანელი და ბერძნული თუ ქართული წყაროების თურქი, ხაზარი, თურქ-სელჯუკი საერთო წარმოშობის საზოგადოებებია[17].

თანამედროვე მეცნიერებაში **სპეციალისტთა კამათის თემაა თურანელთა ეთნიკური ვინაობა.** თუ გაირკვევა, რომ ავესტისეული **თურანი** ინდოევროპულენოვანი სამყარო იყო (თური – დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსი?)[18], ფირდოუსის გავლენით (?) შექმნილი ქართველი მემატიანის მოსაზრება მაინც არ უნდა მივიჩნიოთ დიდ ცდომილებად, ვინაიდან დღესაც საკამათოა ამ ხალხის ინდოევროპელობა. თუ ეთნონიმი **თურქი** მართლა მომდინარეობს **თურ**-ფუძისგან, ძველი ქართველი მემატიანის ლოგიკა მეცნიერული გამოდის; მით უმეტეს, თუკი დადგინდება, რომ **თურქი ეთნოსი** თურანელებისგან წარმოიშვა.

კვლევის ამ ეტაპზე ჩემთვის არსებითია **ფაქტი:** “ქართლის ცხოვრების” პირველი რედაქციების ავტორები კარგად იცნობენ თანადროულ მსოფლიო ისტორიოგრაფიას; მათი კვალიფიკაციები დღესაც აქტუალურია, შესაბამისად, კონტექსტის გაუთვალისწინებლად ქართველ მემატიანეთა მიერ თურქების/ბუნთურქების, ყივჩაყებისა თუ ხაზარების შესახებ მოწოდებული ცნობების ანაქრონიზმად მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, **გაუმართლებელია.** უფრო ლოგიკური იქნება მემატიანეთა ცნობებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება და მათი სიღრმისეული ანალიზი.

**მივუბრუნდეთ ისევ „ყივჩაყების საკითხს:** „ქართლის ცხოვრებაში“ და არც მის რომელიმე თარგმანში არსად წერია, რომ ალექსანდრე დიდს (/თუ მის ჯარს) ძვ.წ. IV საუკუნეში ლაშქრობის დროს საქართველოში (ქართლში) დახვდნენ „ყივჩაყები“. როგორც ზემოთ ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ დამოწმებულ კონტექსტში „ყივჩაყები“ გამოყენებულია ალექსანდრე მაკედონელის დროს მცხოვრები წარმართი ქართველებისა და მიგრანტი ტომების დასახასიათებლად, მათი ველურობის წარმომჩენ **მეტაფორად:** „ალექსანდრემ ნახა საშინლად ბარბაროსი ხალხი, რომელიც მტკვრის სანაპიროზე ცხოვრობდა და, რომელსაც ჩვენ (გვიანდელი მემატიანე!) ვუწოდებთ თურქებსა და ყივჩაყებს“. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ასეთი შინაარსისაა ფრანგული და თურქული თარგმანებიც.

შესაბამისად, დაუსაბუთებელი მოსაზრებაა, რომ თითქოს, **საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის 339 წელს, ანუ 2350 წლის წინ ყივჩაღები თუ (ბუნ)თურქები ცხოვრობდნენ მდინარე ჭოროხსა და თბილისს შორის”.** ქართული თუ უცხოური წყაროების მიხედვით, ამ ტერიტორიაზე ავტოქთონი მოსახლეობა იყო და დღემდეც არის ქართველობა (ჭოროხისა და მტკვრის ხეობების ავტოქთონი მოსახლეობის შესახებ წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე 2005).

**„ბუნთურქებისა“ და ყივჩაყების საკითხი „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ და თურქულ თარგმანებში.** არც ერთ **არქაულ ქართულ ტექსტში** არ წერია, რომ ალექსანდრე მაკედონელს (/ მის ჯარს) საქართველოში დახვდნენ „ბუნთურქები“ და „ყივჩაყები“. „ქართლის ცხოვრების“ დამოწმებულ მონაკვეთებში, „ბუნთურქის“ მსგავსად, „ყივჩაყიც“ „ველურის“ მხატვრული სინონიმია (ზედსართავი სახელია, მეტაფორაა) და არა ძვ. წ. IV საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის სახელი[19]. ამას ადასტურებს “ქართლის ცხოვრების”

ადაპტირებული ვარიანტის **ძველი სომხური თარგმანის** (XII ს.) ტექსტიც: **"ალექსანდრე კოვკასის მთით გადავიდა ქართველთა ქვეყანაში და გაოცდა მათი საძაგელი ცხოვრებით"** (ი. აბულაძე, 1953, გვ. 24), ანუ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სომხური რედაქციის მიხედვითაც, ალექსანდრემ საქართველოში ნახა **ველური წარმართი ქართველები** (და არა ბუნთურქები თუ ყივჩაყები). სომხური ტექსტის თარგმანში მეტაფორა აღარაა გამოყენებული[20].

„ქართლის ცხოვრების" ტექსტში ძვ.წ. V-IV საუკუნეების ამბების აღწერისას გამოყენებული ეთნონიმები: „თურქები", „ხაზარები",და „ყივჩაყები" 20-25 საუკუნის წინ არ არსებობდა. ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ „ქართლის ცხოვრების" პირველი ნაწილი („ქართველ მეფეთა ცხოვრება": „ამბავი რვათა ძმათა", „შემოსლვა ალექსანდრესი"...) რედაქტირებულია X-XI საუკუნეებში. ფაქტია ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების" XI საუკუნის რედაქტორმა ლეონტი მროველმა თუ ადრინდელმა სხვა რედაქტორმაც ძველი ტექსტების შევსების დროს **თავისი დროის ეთნონიმებთან** ერთად გამოიყენა დაუზუსტებელი გადმოცემებიც; მაგ., თანამედროვე **ისტორიკოსების მტკიცებით, სიმართლეს არ შეეფერება ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში „მოსვლის" ამბავი.** მსგავსი უზუსტო ფაქტების გარდა, „ქართლის ცხოვრებას" „ამძიმებს":

– ძველი ქართული ტექსტისა თუ ტერმინების გაგების სირთულე;

– ქართულიდან სხვა ენებზე უზუსტო ან მცდარი თარგმანებიც.

მეტი სიცხადისათვის ქვემოთ წარმოვადგენ ფრანგული და თურქული ტექსტების შედარებით ანალიზს.

**ფრანგული თარგმანი**

„ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა საქართველოში" /„Antrée d' Alexandre le Macédonien en Géorgie"/ (ფრანგული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი):

**ფრანგული ტექსტის ქართული თარგმანი:**

„ალექსანდრე დაიბადა ბერძენთა ქვეყანაში, მაკედონიაში. ის იყო ეგვიპტელი ფილიპ-კატსნობის ვაჟი, როგორც ეს მოთხრობილია ბერძენთა წიგნებში. მან ქვეყანა ოთხივ კუთხით დაიპყრო. ალექსანდრემ, დასავლეთიდან წამოსულმა, გამოიარა სამხრეთი და შევიდა ჩრდილოეთში, გადავიდა კავკასიაში. როდესაც ქართლში მოვიდა, მან ქართველთა შორის ისეთი ბარბაროსული წესები ნახა, რომლებიც სხვა ხალხთან არ უნახავს. მართლაც, ქართველები, მიუხედავად ნათესაური კავშირებისა, ერთმანეთში ქორწინდებოდნენ და მრუშობდნენ. ჭამდნენ ყველანაირ ცოცხალ არსებას, მიცვალებულებსაც კი. ალექსანდრემ ნახა ეს საშინლად ბარბაროსი ხალხი, რომელიც მტკვარსა და მის სანაპიროზე ცხოვრობდა და, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პირველყოფილ თურქებსა[21]და ყივჩაღებს. **ალექსანდრე ფრიად გაკვირვებული დარჩა, რადგან მათ მსგავსად არც ერთი სხვა ხალხი არ იქცეოდა.** მან საქართველოში ნახა ძლიერი ქალაქები: წუნდა, მტკვრის სანაპიროზე – ხერთვისი, ღადოს კლდეში გამოკვეთილი ოძრხე, სპეროს იგივე ჭოროხის ნაპირზე – თუხარისი, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, დიდი მცხეთა თავისი შემოგარენით, სარსინე, ციხედიდი, ზანავი, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, რუსთავი, დედაციხე, სამშვილდე, მტკვრის ციხე ანუ ხუნანი და კახეთის ქალაქები. ყველა ამ ქალაქსა და ციხეს იცავდა უშიშარი მეომარი მოსახლეობა. ალექსანდრემ ჯარი ნაწილებად დაყო და ალყა შემოარტყა ნახსენებ ქალაქებს. თვითონ მცხეთაში გაჩერდა. თავისი ჯარი ზემო, ქვემო, მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე დააგზავნა და შეუტია ნასტატისში ქსანს. რაც შეეხება მტკვრის ციხესა და თუხარისს, იმის გამო, რომ მათი აღება შეუძლებელი იყო, ალექსანდრეს მათზე იერიში არ მიუტანია. სხვა დანარჩენი ციხე-ქალაქები ექვს თვეში აიღო. ალექსანდრე, რომელიც შეურაცხყვეს სარსინეში მყოფმა პირველყოფილმა თურქებმა, განრისხდა, უარყო მათი წინადადება დანებების შესახებ და შეუთვალა: „ჩემი შეურაცხყოფის გამო თქვენ ჩემივე ხელით ამოხოცვა გელით!" მან ქალაქი მარწუხებში მოაქცია ისე, რომ ვერავინ შეძლო გაქცევა. თორმეტი თვის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლაში დამაშვრალმა სარსინელებმა ჩუმად დაიწყეს კლდის თხრა. კლდე, რომელიც შედარებით რბილი გამოსატეხი იყო, გახვრიტეს და ღამით კავკასიაში გაიქცნენ"[22].

**ფრანგულიდან თურქული თარგმანი:**

თურქული თარგმანის რედაქტორი ერდოღან მერჩილი წინასიტყვაობაში წერს: „თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ, შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე, 1957 წელს საქართველოს ისტორიის თარგმანი დაავალა ჰრანდ

დ. ანდრეასიანს, რომელმაც ფრანგულიდან თურქულად თარგმნა 1212 წლის მოვლენების ჩათვლით. პროფესორმა ნუსრეთ ჰიზირმა აღნიშნული თარგმანი სიღრმისეულად შეისწავლა და1961 წლის 24 თებერვალს დაწერა სათანადო დასკვნა. იგი აღნიშნავდა, რომ „თარგმანში იყო შეცდომები, თუმცა, ეს შეცდომები შინაარსს არ ცვლიდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ თარგმანის ზედმიწევნით გაკონტროლების პირობით შეიძლება დაიბეჭდოს“. ანდრეასიანმა ჩაასწორა შეცდომები. აღნიშნული ნაშრომი 1992 წელს თურქეთის საისტორიო საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ რეფეტ იინანჩის მიერ ხელახლა იქნა შესწავლილი. მან გასცა თანხმობა მის გამოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ, რატომღაც, აღნიშნული თარგმანის გამოცემა დაგვიანდა. საბოლოოდ, თურქეთის საისტორიო საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ ფაჰრეთთინ ქირზიოღლუს დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე (ხაზი ჩემია – ტ.ფ), „საზოგადოების“ მმართველთა საბჭოს 7.6.2000 წლის გადაწყვეტილებით „საქართველოს ისტორიის“ („ქართლის ცხოვრების“ – ტ.ფ.) თარგმანის გამოსაცემად გამზადება მე დამევალა. ზემოაღნიშნული ნაშრომის თურქულ ენაზე თარგმანიდან გავიდა 40 წელზე მეტი. აქედან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვდა, რომ რედაქტირება გაკეთებულიყო თარგმანში არსებული ზოგიერთი სიტყვისა, რომელიც დღეს უკვე აღარ იხმარებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით თარგმანი შევუსაბამეთ დღევანდელ თურქულს... გასწორდა ტრანსკრიფცია“...

წინასიტყვაობის ბოლოს ერდოღან მერჩილი წერს, რომ **თარგმანზე პასუხისმგებელია მთარგმნელი;** მისი მოვალეობა კი იყო ნაშრომის გამოსაცემად მომზადება პროფესორ ნუსრეთ ჰიზირის შენიშვნების გათვალისწინებით (ხაზი ჩემია – ტ.ფ).

**თურქული ტექსტის ქართული თარგმანი:**

ალექსანდრე (ძვ.წ. 356-323) დაიბადა მაკედონიაში, ბერძენთა ერთ-ერთ ქვეყანაში. როგორც ბერძნულ წიგნებში წერია, იგი იყო ეგვიპტელი ფილიპ-კატზნობის ვაჟი და მან ქვეყანა თავიდან ბოლომდე დაიპყრო. ალექსანდრე, რომელიც დასავლეთიდან წამოვიდა, გაემართა სამხრეთისაკენ, შევიდა მის სამხრეთ ნაწილებში და კავკასია გაიარა. ქართლში რომ მოვიდა, ნახა ისეთი ბარბაროსული წესები, რომლებიც სხვა ხალხს არ გააჩნდა. მართლაც, ქართველები არ დაგიდევდნენ ნათესაობას, ქორწინდებოდნენ და მრუშობას სჩადიოდნენ; ჭამდნენ ყველანაირ ცოცხალ არსებას და მიცვალებულებსაც კი. ალექსანდრემ ნახა მტკვრის გასწვრივ დასახლებული და საშინლად ბარბაროსი ხალხი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პირველყოფილ თურქებს და ყივჩაყებს. ეს მან ძალიან გაიკვირვა, რადგან მათი ქმედება და მდგომარეობა არც ერთი სხვა ხალხისას არ ჰგავდა. ალექსანდრემ საქართველოში ნახა წუნდა, მტკვრის სანაპიროზე ხერთვისი, ღადოს კლდეში გამოკვეთილი ოძრხე, სპერი და ჭოროხის ნაპირზე – თუხარისი; ურბნისი, კასპი, უფლისციხე; დიდი მცხეთა თავისი შემოგარენით, სარსინე, ციხედიდი, ზანავი, რუსთავი, დედაციხე, სამშვილდე, მტკვრის ციხე ანუ ხუნანი და კახეთის ქალაქები. ყველა ამ ქალაქს და ციხეებს იცავდა გმირულად მეომარი ხალხი. ალექსანდრემ ჯარი ნაწილებად დაყო და ალყა შემოარტყა ნახსენებ ქალაქებს. თვითონ მცხეთაში გაჩერდა, თავისი ჯარი ზემო, ქვემო, მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე დააგზავნა და შეუტია ნასტატისში ქსანს. რაც შეეხება მტკვრის ციხეს და თუხარისს, იმის გამო, რომ მათი აღება შეუძლებელი იყო, ალექსანდრემ მათ არ შეუტია. სხვა დანარჩენი ციხე-ქალაქები ექვს თვეში აიღო. ალექსანდრე, რომელიც შეურაცხყვეს სარსინეში მყოფმა თურქებმა, განრისხდა და მათი დანებების წინადადება უარყო. და შეუთვალა: „ჩემი შეურაცხყოფის გამო თქვენ გელოდებათ ჩემივე ხელით ამოხოცვა“. ქალაქი მარწუხებში მოაქცია ისე, რომ ვერავინ გაიქცა. თორმეტი თვის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლაში დამაშვრალმა სარსინელებმა ჩუმად რბილი კლდე გახვრიტეს და კავკასიის შიდა მხარეებში გაიქცნენ“...

**როგორც ვხედავთ, ჰრანდ დ. ანდრეასიანის თარგმანის ტექსტი სწორად გადმოსცემს მარი ბროსესეულ გააზრებას:** „ალექსანდრე „ქართლში რომ მოვიდა, ნახა ისეთი ბარბაროსული წესები, რომლებიც სხვა ხალხს არ გააჩნდა. მართლაც, ქართველები არ დაგიდევდნენ ნათესაობას, ქორწინდებოდნენ და მრუშობას სჩადიოდნენ; ჭამდნენ ყველანაირ ცოცხალ არსებას და მიცვალებულებსაც კი. ალექსანდრემ ნახა მტკვრის გასწვრივ დასახლებული და საშინლად ბარბაროსი ხალხი, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ პირველყოფილ თურქებს და ყივჩაყებს. ეს მან ძალიან გაიკვირვა, რადგან მათი ქმედება და მდგომარეობა არც ერთი სხვა ხალხისას არ ჰგავდა“...

ვფიქრობ, ორივე თარგმანში გაუგებრობას სათავე დაუდო ფრაზამ: **„რომელთაც ჩვენ**

**ვუწოდებთ“.**

არც ერთმა მთარგმნელმა ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ეს ფრაზა არის ჩანართი და იგი ეკუთვნის, სულ მცირე, 14 საუკუნით გვიან დაბადებულ ავტორსა თუ რედაქტორს.

საინტერესოა შემდეგი ფაქტიც: „ბუნთურქებთან“ და „ყივჩაყებთან“ მიმართებით განსხვავებულია მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ 1855 წლის ვარიანტის 1895 წელს რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი ანალოგიური ტექსტი: **მარი ბროსე, „საქართველოს ისტორია“ (მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით) თბილისი, 1895 წელი. ალექსანდრეს მოსვლა საქართველოში: გვ. 14-14, 21 (მარი ბროსეს მიერ 1855 წელს რუსულად გამოქვეყნებული ტექსტი ქართულად თარგმნა სიმონ ღოღობერიძემ)[23]:**

„ქართლის მატიანე” მოგვითხრობს, რომ სპარსეთის მეფის – ქეკაპოს შვილის, ქაიხოსროს დროს **რამოდენიმე თურქების ოჯახი,** დევნილი ამ მეფისაგან, კასპიის ზღვით და მდ. მტკვარის აყოლებით ავიდნენ ქართველების დედაქალაქამდინ, მცხეთამდი, შეევედრენ მამასახლისს დასასახლებლად ადგილის მიცემაზე და აღუთქვეს ქართველებს თავის მკერდით დაცვა სპარსელების მტრობისაგან. **მათი თხოვნა შეწყნარებულ იქნა და ამ გვარად ისინი დაესახლენ და სიმაგრეები აიშენეს სარკინეს მღვიმეებში, მცხეთის დასავლეთისაკენ. მეორე თქმულებით, ეს გარდმოსახლებულნი თურქები კი არა, არამედ უფლისწულები ყოფილან ჩინეთისა სამეფო გვარისა – ჯენ-ბაკურისა.** ისინი დიდის ჯარით შემოვიდნენ ქართლში ჩრდილოეთის დარიალანის კარით და ითხოვდენ აგრეთვე თავშესაფარს და **დასასახლებლად ადგილს იმავე პირობითა, როგორც თურქნი.** მამასახლისი დაეკითხა ხალხს და იმის თანახმობით მისცა მათ ორბეთის ციხე, ეხლანდელი სამშვილდე, რომელშიაც ისინი დაესახლენ ორბელიანის ანუ ჯამბაკურ-ორბელიანის სახელით... **სარკინეთში მცხოვრები თურქები არ დაემორჩილენ და წინააღმდეგობა აღმოუჩინეს მაკედონელებს,** რომელთაც ამის გამო სარკინეთის იერიშით აღება განიზრახეს, ხოლო მკვიდრთ მალულად გათხარეს რბილი კლდე, რომელშიაც ქალაქი იყო გამოქვაბული და მთებში გაიქცენ. ამის შემდეგ მაკედონელებმა მთელი მხარე დაიფლეს, ყველა უცხო ტომები ამოწყვიტეს, მათი ცოლ-შვილები ტყვედ წარიტაცეს და მარტო ადგილობრივი მკვიდრნი, ქართლოსის შთამომავალნი შეიწყნარეს“.

აქ ზუსტადაა დაცული „ქართლის ცხოვრების“ არქაული ტექსტის შინაარსი: **სარკინეთში დასახლებულნი ლტოლვილებიც „თურქები“ არიან და არა – “უძველესი” თურქული ეთნოსი – „ბუნთურქები“ თუ „ყივჩაყები“.**

„თურქების“ საკითხს ზემოთ ვრცლად შევეხეთ. „ყივჩაყების“ შესახებ კი მონაცემები ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: **ფრანგული, თურქული, სომხური და ქართული თარგმანების შეპირისპირება ცხადყოფს,** რომ არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც მის რომელიმე თარგმანში არ წერია, რომ ალექსანდრე დიდს (თუ მის ჯარს) ძვ. წ. IV საუკუნეში ლაშქრობის დროს საქართველოში (ქართლში) დახვდნენ „ყივჩაყები“.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ალექსანდრე დიდის დროს საქართველოში ყივჩაყების არსებობის შესახებ პირველად განაცხადა მეჰმედ ფაჰრედინ ქირზიოღლუმ წიგნში: „ყივჩაღები მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის სიმაღლეებში, პირველი ყივჩაღები (ძვ.წ. VIII – ძვ.წ. VI საუკუნეები), ბოლო ყივჩაღები (1118, 1195) და მართლმადიდებელ ყივჩაღ ათაბაგთა მთავრობა (1267-1578), (ახისხის/ჩილდირის ვილაიეთის ისტორიიდან)“, თურქეთის საისტორიო საზოგადოების გამომცემლობა, ანკარა, 1992, გვ. 20-21 (მ. ქირზიოღლუ 1992).

წიგნის დასახელებიდანაც კი ცხადია, რომ ფ. ქირზიოღლუმ ან ვერ გაიგო **ჰრანდ დ. ანდრეასიანის მიერ** თურქულად თარგმნილი ტექსტი (ერდოღან მერჩილის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ჰრანდ დ. ანდრეასიანის თარგმანს მ. ქირზიოღლუ გაეცნო ამ თარგმანის გამოქვეყნებამდე), ანდა, მიზანმიმართულად დაამახინჯა მისი შინაარსი: მხოლოდ ქართული წყაროების არცოდნით ან ისტორიის მიზანმიმართული გაყალბებით შეიძლება აიხსნას ფ. ქირზიოღლუს დაუსაბუთებელი ვარაუდით ახ. წ. VI-VIII საუკუნეებში ასპარეზზე გამოსული თურქებისა და ყივჩაყების გამოცხადება ძვ. წ. IV საუკუნის საქართველოს მკვიდრ მოსახლეობად („ქართლის ცხოვრების“ გარდა, სხვა რაიმე კონკრეტული ისტორიული წყარო მ. ქირზიოღლუს დამოწმებული არა აქვს).

ვფიქრობ, **21-ე საუკუნის გამომცემლებისა თუ მეცნიერების ვალია ისტორიული წყაროების დედანში გადამოწმება.** თანამედროვე პირობებში მეცნიერება უნდა იყოს ერთგვარი

ზიარჭურჭელი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ასევე, ჯანსაღი ურთიერთობების აგებას რეალური ისტორიისა თუ პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ კონტექსტით **სერიოზული შეცდომაა მეტაფორად გამოყენებულ ტერმინ „ყივჩაყის“ გამოცხადება ძვ.წ. IV საუკუნის საქართველოს (ქართლის) მკვიდრ მოსახლეობად და ამ საკითხზე ფეისბუკდისკუსიების პროვოცირება.**

**დასასრულს დავსვამთ კითხვას: ვის აძლევს ხელს გაყალბებული ისტორია?**

დასახელებული თურქულენოვანი ფეისბუკგვერდის შემქნელთა თუ მომხმარებელთა „პოსტებს“ თუ გავაანალიზებთ[24], მსგავსი გაყალბებული ფაქტები ზოგს შოვინისტურ ინსტინქტებსაც უღვივებს; ფაქტია ისიც, რომ სოციალურ ქსელში არაფრის მომტანია მსგავსი “დისკუსია” (იხ., ასევე: [25]): რადიკალურად განწყობილი ინდივიდები ყველა მხარეს შეიძლება გამოჩნდნენ.

ვფიქრობ, წყაროების არასწორი **გააზრება თუ თარგმნა** და, მით უფრო, სოციალურ ქსელში, **ფართო საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება** სახიფათო იარაღად შეიძლება იქცეს რადიკალიზებული ჯგუფების ხელში. რაც მთავარია, ამგვარმა დეზინფორმაციებმა შეიძლება ავნოს საქართველო-თურქეთის ამჟამინდელ კეთილმეზობლობას და ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის ინტერესებს, რომლის მიზანია წარმატებული **საინფორმაციო ომით** დააბრკოლოს საქართველოსა და თურქეთის, საქართველოსა და დასავლეთის დაახლოება, რომ ისევ გააძლიეროს თავისი გავლენა კავკასიაში.

**დასკვნითი დებულებები**

1. „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის – “მეფეთა ცხოვრების” – უცნობი ავტორი აღწერს საქართველოში ლტოლვილი „თურქების“ (თურანელების?) შემოსვლასა და ქართველების მიერ მათ მიღებას. ქართველმა ხელისუფლებმა ლტოლვილების მცირე ჯგუფები სხვადასხვა ქალაქში ჩაასახლეს; ერთი დიდი ჯგუფი კი კომპაქტურად დაასახლეს სარკინეში. „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ავტორი თუ ერთ-ერთი ძველი რედაქტორი სარკინეში კომპაქტურად ჩასახლებულ თურქებს უწოდებს **ბუნ თურქებს** („ბუნად“, ერთად დასახლებულ თურქებს). მემატიანისვე ცნობით, სარკინეში „ბუნად“ დასახლებული თურქნი ალექსანდრე დიდის შიშით გადაიხვეწნენ ჩრდილო კავკასიაში. ტერმინი **ბუნთურქი** დასტურდება “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ჩვენამდე მოღწეულ X საუკუნის ხელნაწერშიც (X საუკუნის „შატბერდის კრებულში). ტერმინ „ბუნთურქის“ წარმოქმნის ისტორია ნათელია მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ („მეფეთა ცხოვრების“) მიხედვით; შესაბამისად, იგი შექმნილი უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ („მეფეთა ცხოვრების“) ავტორის მიერ.

2. „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი – ლეონტი მროველის სახელით ცნობილი “მეფეთა ცხოვრება” (ქართველი ერის უძველესი ისტორია დასაბამიდან ახ. წ. IV საუკუნემდე) – დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს ახ. წ. X საუკუნისა. “მეფეთა ცხოვრების” ტექსტის ერთ-ერთი ბოლო რედაქტორია XI საუკუნის მოღვაწე ლეონტი მროველი (ჩვენამდე მოღწეულია კახეთის მეფე ალექსანდრეს მეუღლის – ანა დედოფლის დაკვეთით XV საუკუნის ბოლო წლებში გადაწერილი ხელნაწერი). „ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან“ „ბუნთურქი“ გადმოტანილია “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ტექსტშიც. „მეფეთა ცხოვრების“ პირველადობას მხარს უჭერს ორივე წყაროს შესაბამისი ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზიც.

3. ქრისტიანობამდელი ქართველებისა და სხვა ტომების დასახასიათებლად „ქართლის ცხოვრების“ ავტორი თურედაქტორი იყენებს მხატვრულ ხერხს – ათანაბრებს მათ „ბუნთურქებთან“ (კომპაქტურად დასახლებულ თურქებთან) და ყივჩაყებთან. **ალექსანდრე მაკედონელის “მოსვლის” ამბის აღწერისას** სიტყვაფორმები: „ბუნთურქი“ და „ყივჩაყი“ მეტაფორად – „ველურის“ მხატვრულ სინონიმადაა გამოყენებული „ქართლის ცხოვრების“ ავტორისა თუ რედაქტორის მიერ.

4. ყივჩაყები/ყივჩაღები წყაროებში ჩნდებიან არა 23, არამედ 12 საუკუნის წინ; შესაბამისად, ულოგიკოა და მეთოდოლოგიურად არასწორია ახ. წ. VIII საუკუნეში გამოჩენილი ყივჩაყები გავათანაბროთ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში საქართველოში მოსულ ლტოლვილებთან, რომელთა ეთნიკური ვინაობა დღემდე არაა დადგენილი (მათ არავინ უწოდებს „ყივჩაყებს“ ორიოდე

სუბიექტურად განწყობილი მეცნიერისა თუ რამდენიმე ფეისბუკაქტივისტის გარდა). გამომდინარე აქედან, „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილი რედაქციის თარიღი ვერ გადაშორდება ახ.წ. VIII საუკუნეს. მაშასადამე, „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილი რედაქცია შექმნილია IX საუკუნის განმავლობაში.

5. ძველი ქართული წყაროების არც ერთ ავტორს არსად უწერია, რომ ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში დახვდნენ „ყივჩაყები“ ან არარსებული ეთნოსი – „ბუნთურქები“. მსგავსი რამ არ წერია „ქართლის ცხოვრების არც ერთ სხვაენოვან თარგმანში. ორიგინალიდანაც და ყველა აკადემიური თარგმანიდანაც ნათლად ჩანს, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი წარმართი ქართველები და მათ გვერდით მცხოვრები სხვა ტომებიც, ქრისტიანი ავტორის შეფასებით, არიან ისეთივე ველურები, როგორებიც იყვნენ სარკინეში **კომპაქტურად დასახლებული თურქები** (ბუნ-თურქები) და არიან მისი თანამედროვე **ყივჩაყები.**

6. ლეონტი მროველი ან „ქართლის ცხოვრების“ სხვა უფრო ძველი თუ უფრო ახალი რედაქტორი, რომელიც სახელმძღვანელოს წერდა (და არა – სამეცნიერო გამოკვლევას), უთუოდ შეეცდებოდა, წინა საუკუნეების **არქაული ტექსტის ეთნონიმები** ჩაენაცვლებინა თანამედროვეთათვის გასაგები ეთნონიმებით. **ტერმინების, ტექსტის გათანამედროვეობის ტენდენციის** შედეგი უნდა იყოს ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ამბების აღწერისას ახ. წ. IV საუკუნის შემდეგ დამკვიდრებული ეთნონიმების (“ხაზარი”, “თურქი”...) გამოყენება. ასეთი შემთხვევები ყველა დროსა და ყველა ენაში შეიძლება შეგვხვდეს. თურქ– ფუძეზე ორიენტირებული ეთნონიმი ქართულენოვან სივრცეში შემოსულად უნდა ვივარაუდოთ საქართველოში თურქ-სელჩუკების გამოჩენის წინა პერიოდში, დაახლოებით, IX-X საუკუნეებში /ქართველ მემატიანეს ამ ეთნონიმით შეიძლებოდა ჩაენაცვლებინა თურან–ფუძეზე ორიენტირებული ტერმინი/.

7. **ყველა ქართული ხელნაწერის, ასევე, ფრანგული, თურქული თუ სომხური თარგმანების შეპირისპირება ცხადყოფს,** რომ არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც მის რომელიმე თარგმანში არსად წერია, რომ ალექსანდრე დიდს (/თუ მის ჯარს) ძვ. წ. IV საუკუნეში ლაშქრობის დროს საქართველოში (ქართლში) დახვდნენ „ყივჩაყები“; შესაბამისად, დაუსაბუთებელი მოსაზრებაა, რომ თითქოს, **საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის 339 წელს, ანუ 2350 წლის წინ ყივჩაღები თუ (ბუნ)თურქები ცხოვრობდნენ მდინარე ჭოროხსა და თბილისს შორის”.** ქართული თუ უცხოური წყაროების მიხედვით ამ ტერიტორიაზე ავტოქთონი მოსახლეობა იყო და დღემდეც არის ქართველობა.

8. თანამედროვე პირობებში მეცნიერება უნდა იყოს ერთგვარი **ზიარჭურჭელი,** რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ასევე, ჯანსაღი ურთიერთობების აგებას რეალური ისტორიისა თუ პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ კონტექსტით სერიოზული შეცდომაა ახ. წ. XI-XII საუკუნეებში მეტაფორად გამოყენებულ ტერმინ „ყივჩაყის“ გამოცხადება ძვ. წ. IV საუკუნის საქართველოს (ქართლის) მკვიდრ მოსახლეობად და ამ საკითხზე ფეისბუკდისკუსიების ნებსითი თუ უნებლიე პროვოცირება. **წყაროების არასწორი გააზრება თუ თარგმნა** და, მით უფრო, სოციალურ ქსელში, ფართო საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება სახიფათო იარაღად შეიძლება იქცეს რადიკალიზებული ჯგუფების ხელში. ამგვარმა დეზინფორმაციებმა შეიძლება ავნოს საქართველო-თურქეთის ამჟამინდელ კეთილმეზობლობას და ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნის, კერძოდ, **რუსეთის ინტერესებს,** რომლის მიზანია საინფორმაციო ომით დააბრკოლოს საქართველოსა და თურქეთის, საქართველოსა და დასავლეთის დაახლოება, რომ ისევ გააძლიეროს თავისი გავლენა კავკასიაში.

**სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები:**

ი. აბულაძე 1953 – ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით (გამოსცა ილია აბულაძემ), თბ., 1953

გ. ალასანია 2000 – გ. ალასანია, ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია); ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბ., 2000

გ. ალასანია 2008 – გ. ალასანია, ისლამამდელი თურქები, თბ., 2008

ზ. ალექსიძე 1991 – ზ. ალექსიძე, ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991

მ. ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი

ურთიერთობიდან, I, თბ., 1966

ი. ანთელავა 2002 – საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002

Ზ. ანჩაბაძე 1968 – З.В. Анчабадзе. Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI-XIV вв. – Материалы научной сессии по проблемам происхождения Балкарского и Кавказского народов. Нальчик, 1968

გ. არახამია 1987 ა – გ. არახამია, "ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანის მოცულობის საკითხისათვის, მაცნე – ისტორიის სერია; 1987-2

გ. არახამია 1987 ბ – გ. არახამია, "ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესწავლის მეთოდისათვის, მაცნე – ისტორიის სერია, 1987-4

გ. არახამია 2009 – გ. არახამია, საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 2009

გ. არახამია 2017 – ახალი „ქართლის ცხოვრება." ვახტანგისეული რედაქცია, ტ. 1, გ. არახამიას გამოცემა, 2017

არსენ ბერი 1971 – არსენ ბერი, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოჲსასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბილისი, 1971

ი. გიპერტი 2007 – Jost Gippert, The "Bun-Turks" in Ancient Georgia*, 2007

https://www.academia.edu/20345312/The_Bun_-_Turks_in_Ancient_Georgia

ვ. გოილაძე 2008 – ვ. გოილაძე, ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბ., 2008

პ. გოლდენი 2002 – Peter B. Golden, Hazar Çalışmaları, Selenge Yayınları, İstanbul, 2006; იხ. ასევე: Muallâ Uydu Yücel, "Hazar Hakanlığı", Türkler, Yeni Türkiye Yay. Anakara, 2002).

Ზ. გოქალფი 1923 – Ziya Gokalp, TÜRKÇÜLÜĞÜN ESASLARI, 1923

ა. გოქბელი 2002 – Ahmet Gökbel, "Kıpçaklar ve Kumanlar", Türkler, Yeni Türkiye Yayınları, C 1, Ankara, 2002

ნ. დუდვისკი 1990 – Nora Dudwick, The case of the Caucasian Albanians: Ethnohistory and ethnic politics, Cahiers du monde russe et soviétique, 1990, Volume 31, Issue 2

ა. თაშაღილი 2003 – Ahmet Taşağıl, Göktürkler, Türk Tarih Kurumu, Ankara, 2003

ე. თაყაიშვილი 1980 – Е.С. Такаишвили. Источники грузинских летописей. Три хроники. Тифлис, 1890

კ. კეკელიძე 1932 – კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, 1923

ს. კლიაშტორნი 1965 – С.Г. Кляшторный. Проблемы ранней истории племени турк (Ашина). – Новое в советской археологии, М., 1965 (Материалы и исследования по археологии, СССР, 130)

პ. ინგოროყვა 1941 – პ. ინგოროყვა, ძველქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1941, ტ. XI-BB

ნ. მარი 1901– Н.Я. Марр. Ипполит. Толкование Песни Песней. СПБ., 1901

გ. მელიქიშვილი 1969 – Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб.,1969

ლ. მელიქსეთ-ბექი 1957 – Л. Меликсет-Бек, К истории появления гуннов в восточном Закавказье, «Доклады АН Азербайджанской ССР», т. XIII. Баку, 1957

რ. მეტრეველი 2008 – ქართლის ცხოვრება, თბ., 2008 (მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი)

დ. მუსხელიშვილი 1993 – დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, კრ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993, 337-376;

მ. სეიდოვი 1969 – М. Сейдов. Опыт этимологического анализа слова Бунтурк//бунтюрк. – Доклады АН Азерб. ССР, 1969, 8 т. XXV

მ. სვანიძე 1999 – მ. სვანაძე, ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999:

მ. ქირზიოღლუ 1992 – M. Fahrettin Kırzıoğlu, Yukarı – Kür ve Çoruh Boyları'nda Kıpçaklar, İlk Kıpçaklar (M.O. VIII.-M.S. VI. yy) ve Son Kıpçaklar (1118, 1195) ile Ortodoks – Kıpçak Atabekleri Hükümeti (1267-1578), (Ahıska/Çıldıt Eyaleti Tarihi'nden), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1992.

ტ. ფუტკარაძე 2004 – ტ. ფუტკარაძე, ქართული წყაროების ბუნთურქები და ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობის საკითხი, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი, 2004; Bun-turks of the Georgian Historical sources and the question of the ancient population of ranscaucasion. Kartvelian Heritage, VIII, Kutaisi, 2004;"ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა"; წაკითხულ იქნა მოხსენებად არნ. ჩიქობავას სახ. ინსტიტუტის 62-ე სესიაზე; The semantic of the word and the problem of Bun-Turks tribe in Georgia; The materials of 62th scientific session Arn. Chikobava linguistic Institute, 23-25-th of December, 2003; 'Kartuli Ena' Press;

ტ. ფუტკარაძე 2005 – ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005

ტ. ფუტკარაძე 2009 – ტ. ფუტკარაძე, ბუნ-თურქნი: პალეოგრაფიული შეცდომა, თურქულენოვანი ხალხის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ეთნონიმი, კომპაქტურად დასახლებული ლტოლვილი "თურქები" თუ "სასტიკ წარმართთა" აღმნიშვნელი მეტაფორა? I საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქართული ხელნაწერი", თბ., 2009 წლის 19-25 ოქტომბერი. http://www.scribd.com/doc/21513441/Tariel-Putkaradze-turkebi-Turks-bun-turkebi-bunturks

ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია 2010 – ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, "ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო, თბ., 2010

ტ. ფუტკარაძე 2013 – ტ. ფუტკარაძე, საქართველოს სახელმწიფოს პრობლემები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში და 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა რეპატრიაციის საკითხი; საერთაშორისო სამეცნიერო თემატური კონფერენცია: „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელობა"; თბ., 17 მაისი, 2013 წ.

ტ. ფუტკარაძე 2015 – ტ. ფუტკარაძე, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლების აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინები ("მესხი", "მუსლიმანი ქართველი", "თურქი", "თურქი-მესხი", "Meskhetian population", "Meskhetian Turks", "მესხეთის თურქები", ახალციხელი თურქები...) და დეპორტირებულთა შთამომავლების რეპატრიაციის პრობლემები; ქართველური მემკვიდრეობა, XIX, 2015.

ტ. ფუტკარაძე 2015ა – ტ. ფუტკარაძე, თურქი/ბუნთურქი „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტომი V, 2015, გვ. 111-120;

„ქართლის ცხოვრება" 1942 – ანასეული ქართლის ცხოვრება I, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955 http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/4924/8/kartlis%20cxovreba%20anaseuli.pdf

ქართლის ცხოვრება 1955 – ქართლის ცხოვრება I, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955

გ. ქავთარაძე 2006 – გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია, II, თბ., 2006

ო. ქარათაი 2003 – Osman Karatay, Iran ile Turan Hayali milletler caginda Avrasya ve Ortadogu, Karam Yayinevi, Ankara 2003.

გ. ყორანაშვილი1 994 – გ. ყორანაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და „მეფეთა ცხოვრებისაჲს" ერთი ადგილის გაგებისათვის, გ. ყორანაშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები , ნაწილი I; თბ. 1994

შატბერდის კრებული – "შატბერდის კრებული X საუკუნისა" (გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა), თბ., 1979

ქ. ცხადაძე 1986 – ქ. ცხადაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების" ერთი ჩანართის წყარო, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1986 წ., გვ. 84-98

გ. წულაია, 1979 – Леонти Мровели. Жизнь Картлийских царей. Извлечение сведений с древнегрузинского, предисловие и комментарии Г.В. Цулая. М., 1979, с.59-60

ი. ჯავახიშვილი 1977 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977

რ. ჰუსეინოვი 2019 – Rizvan Huseynov, „Уникальные дворцовые постройки V-IV вв. до н.э. в Гараджамирли (Азербайджан). Синтез древнего наследия Скифии, Мидии и Ахеменидов»)"; «Труды» I (VIII), Научно-исследовательский Институт Истории и Этнологии Грузинского национального Музея, 2019

**შენიშვნები:**

[1] https://bit.ly/2uEFLS3(დამოწმება: 25.01.2020)

[2] https://bit.ly/2SLFOn4 (დამოწმება: 25.01.2020). ამ გვერდზე ხშირია საქართველოს ისტორიის დამახინჯების ფაქტები.

[3] მარი ბროსე – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის, ვაჟის – მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თეიმურაზ ბატონიშვილის, მოწაფე და მეგობარი. თეიმურაზ ბატონიშვილსა და მის მრავალი ღირსებით გამორჩეულ ძმებს (დავითს, იოანეს, ბაგრატს, გაბრიელს, ოქროპირს, ილიას, ერეკლეს) რუსეთის იმპერიამ მოუსპო საქართველოში მეფობისა თუ მოღვაწეობის პერსპექტივა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობით მსოფლიოსათვის გაეცნოთ საქართველო. თეიმურაზ ბატონიშვილმა იცოდა რამდენიმე ენა (სპარსული, თურქული, ფრანგული, რუსული და იტალიური ); იგი 1831 წლიდან იყო პარიზის სააზიო საზოგადოების ნამდვილი წევრი. ქართველ უფლისწულებს აკრძალული ჰქონდათ საქართველოში დაბრუნება, ამიტომ შემთხვევითი არ ჩანს, რომ ბატონიშვილის მეგობარი მარი ბროსე, რომელიც კონკურსის შედეგად 1838 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით, 1847-1848 წლებში მოგზაურობს საქართველოში და სწავლობს ქართულ ტექსტებს, კულტურას, არქიტექტურას. მან ფრანგულად თარგმნა და 1849-1858 წლებში შვიდ ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის" გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები ვრცელი მეცნიერული კომენტარებითურთ (ამ გამოცემის IV ტომი დაიბეჭდა დავით ჩუბინაშვილის რედაქციით) და სხვ.

http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00006970/ (დამოწმება: 15.02.2020).

[4] „Gürcistan Tarihi" – საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 1212 წლამდე) –2003 წელს გამოსცა თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ. „ქართლის ცხოვრება" ქართულიდან ფრანგულად თარგმნა მარი ფელიციტე ბროსემ. ფრანგულიდან თურქულად მთარგმნელი: ჰრანდ დ. ანდრეასიანი. თარგმანს შენიშვნები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ერდოღან მერჩილმა.

[5] სომხური თარგმანი ადაპტირებულია, შესაბამისად, მთარგმნელმა აღარ გადაიტანა ქართული ტექსტის მეტაფორა: ველურის მხატვრული სინონიმები: ბუნთურქი და ყივჩაყი (იხ. ქვემოთ).

[6] მ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 297; შდრ., აგრეთვე: ბუნ-ებ-ა "თვისება" (ილ. აბულაძე); ძველ ქართულში ეს სიტყვა გამოიყენება მოდგმის აღსანიშნავადაც (ნ. ჩუბინაშვილი); სავარაუდოა შემდეგი სახის სემანტიკური ტრანსფორმაცია: ფესვი > მოდგმა.

[7] შდრ., ი. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 114-115: „ბუნთურქი" ეთნონიმად (და არა ეპითეტად) ესმის დიდ ქართველ ისტორიკოსსაც; აქვე (გვ. 112) მის მიერ "მოქცევაჲ ქართლისაჲ" მიჩნეულია "უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად".

[8] „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, თამარის ისტორიკოსიც ველურებს უწოდებს თურქებს. ქართული ენის ქართლურ კილოში (კარალეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით) „ყივჩაყი" დღესაც ველურის სინონიმად გამოიყენება („რა ყივჩაყივით იქცევი").

[9] შდრ.: ადრეული პერიოდის **ბერძენთა ხედვა:** არაბერძენი – ბარბაროსი. ქრისტიანობამდელ **ქართველთა ხედვა:** წარმართი (სწორად მავალი) ხალხი (კულტურული საზოგადოება, ერი)– უკუღმართი „ველური".

[10] Ahmet Taşağıl, Göktürkler, Türk Tarih Kurumu, Ankara, 2003

[11] Murat Bardakçı, Bilen bilmeyen herkes konuşuyor ! Osmanlı Devleti'nin Resmi adı "Devlet-i Aliyye" dir. https://bit.ly/2V10nyi (დამოწმება: 15.02.2020).

[12] მსჯელობისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე 2004; ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 210-219; ტ. ფუტკარაძე 2009; ტ. ფუტკარაძე 2015ა.

[13] თურან-ირანის ომების შესახებ იხ. ო. ქარათაი 2003

[14] ძველ სპარსულ თუ ფალაურ ზეპირსიტყვიერებაში ანთროპონიმები დაედო საფუძვლად ეთნონიმებს, თუ ეთნონიმები – ანთროპონიმებს? უფრო ლოგიკურად გვეჩვენება ვარაუდი, რომ ლეგენდების ონომასტიკისთვის (ტუირყა, აირყა, საირიმა... შდრ., ვარიანტები: თური, ირეჯი,

Селеми... Тур, Эрадж, Салма...) амосавалиа этнонимеби.

[15] ихь., маг.: З. гоқалфи 1923, гв. 20-24; https://bit.ly/2SPNK6v; шдр., асевэ: турқетши популярулиа акутари антропонимиа „турани“.

[16] савараудод, фалаурис წყароები сатавეს იღებენ авестидан.

[17] текстис анализисатвის იხ., агრეთვე, გ. алასანია, 2008, გვ. 12-16; შდრ., რ. მეტრეველი, 2008, გვ. 69: “ქართლის ცხოვრების” ადრეული პერიოდის ამბების აღწერისას მოხსენიებული ხაზარები სკვითები არიან, ხოლო თურქები – თურანელები.

[18] ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერს ქართულში არსებული ადრეული ნასესხობები, რომლებიც უფრო სპარსულენოვანი (ინდოევროპული) სამყაროს კუთვნილებაა, ვიდრე თურქულენოვანისა.

[19] ეთნონიმის გამოყენება ეპითეტად და ეთნონიმის ქცევა არსებით სახელად (თუ ზედსართავად) ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ენაში. ცნობილია ისიც, რომ “დროთა განმავლობაში ტერმინმა: “თურქი” უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა და უვიცის, მდაბიოს სინონიმად იქცა... ეთნიკური მნიშვნელობა ტერმინმა გვიან მიიღო (გ. ალასანია, 2008, გვ. 10).

[20] საინტერესო ფაქტია ისიც, რომ “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ავტორიც არ ახსენებს „ყივჩაყებს“.

[21] მარი ბროსეს შენიშვნა: „ქართულ ენაში „ბუნთურქი“ – სიტყვა, რომელიც საჭიროდ ჩავთვალე მეთარგმნა და განმემარტა, ჩვენ ქვემოთაც შეგვხვდება, ესენი გახლავთ თურანები“... როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს მიერ „ბუნთურქი“ განმარტებულია, როგორც „თავდაპირველი თურქი“ და „თურანები“. უფრო ლოგიკური ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ „თურქში“ ვიგულისხმოთ „თურანები“.

[22] „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული ტექსტი თარგმნილია ქართული ენიდან საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ მარი ბროსეს მიერ: ანტიკური ისტორია, ქრისტეს აქეთ 1469 წლამდე; შანტილის ბიბლიოთეკა, პეტერბურგი, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 1849. გამოცემულია აკადემიის განაწესის მიხედვით 1849 წლის ნოემბერში. მუდმივი მდივანი პ. ჰ ფუსი.

Traduite du géorgien par M. Brosset membre de l’académie impériale des sciences Histoire ancienne, jusqu’en 1469 de J-C. Bibliothèques Chantilly , st. Petersbourg Imprimerie de l’académie impériale des sciences 1849. Publié par ordre de l’Académie en novembre 1849. Le Secrétaire perpetuel P.H, Fuss. ფრანგული ტექსტი: https://books.google.ge/books?id=xV4Mq9CAglsC&pg=PA32&source=gbs_toc_r&cad=4#v=onepage&q&f=false (დამოწმება: 27.01.2020).

[23] https://bit.ly/38vZJNp (დამოწმება: 27.01.2020)

[24] შესაბამისი ჩანაწერებისათვის იხ.:

https://www.facebook.com/groups/280806378733474/permalink/1546357932178306/ (დამოწმება: 25.01.2020). მსგავს გვერდებზე ავრცელებენ ყოვლად უსაფუძვლო “ჭორსაც” (სხვა სიტყვას ვერ გამოვიყენებთ!), რომ აჭარის, შავშეთის, იუსუფელის... მუსლიმანი ქართველები და ე.წ. თურქი მესხები” – ახალციხის მხარიდან დეპორტირებული მუსლიმანი ქართველები – ყივჩაყებისა თუ ბუნთურქების შთამომავლები არიან... სასაცილო იქნებოდა ეს ყველაფერი ადეკვატური განათლების პირობებში.

[25] იხ., მაგ., https://www.facebook.com/erdogan.senol.39/posts/10217994865838010 (დამოწმება: 25.01.2020)

22 თებერვალი, 2020

## ჩვენი ეკლესიის ორიენტირები

კოვიდ-19-ის პანდემიას მსოფლიო თუ არა, საქართველოს მოსახლეობა მაინც უნდა გაეერთიანებინა, მაგრამ ზოგი ქართველი პოლიტიკოსი თუ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია არ ცვლის თავის სუბიექტურ დღის წესრიგს და ყველა საბაბით ცდილობს საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციას. მათმა დემაგოგიამ ზოგი შეიძლება დააბრკოლოს, ამიტომ გადავწყვიტე, სოციალურ ქსელშიც გამოვაქვეყნო ჩემი წერილის შემოკლებული ვარიანტი საქართველოს

ეკლესიის ისტორიული, ამჟამინდელი თუ სამომავლო ორიენტირების შესახებ.

**აქ დამატებით მხოლოდ ერთს აღვნიშნავ:** რწმენის თავისუფლება არის ადამიანის კონსტიტუციური უფლება: იყოს მართლმადიდებელი, კათოლიკე, მუსლიმანი, გრიგორიანელი, ათეისტი თუ სხვა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და მისი შელახვა დაუშვებელია. როცა რომელიმე ფსევდოლიბერალი ლანძღავს ეკლესიას, ეკლესიის მსახურთ თუ ვინმეს აღმსარებლობას, რწმენის გამო შეურაცხყოფას აყენებს კონკრეტულ ადამიანს, მორწმუნე მრევლს... რომელიმე ჩვენი თანამედროვის ცუდი ქცევა არ უნდა გავაიგივოთ ჩვენი თაობის, მით უმეტეს, ერის ქმედებასთან, რამდენადაც **ერი არის წარსულში არსებული, ამჟამინდელი და მომავალი თაობების ერთიანობა;** ასევე, რომელიმე სასულიერო პირის ჩვენთვის მიუღებელი მოსაზრება არ უნდა გავათანაბროთ **ქართველთა დედაენისა და ქართველური იდენტობის გადამრჩენი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის პოზიციასთან.** დღეს არსებითია, ორიენტირებულნი ვიყოთ იმაზე, რაც გაგვაერთიანებს და არა იმაზე – რაც უფრო დაგვანაწევრებს: ძალა ერთობაშია!

**საქართველოს სამოციქულო ეკლესია და ქართველთა სახელმწიფოს საგარეო ორიენტირები[1]**

საქართველო, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, ოდითგან იყო ევროპული კულტურის ნაწილი. ქრისტიანობის დამკვიდრებიდან დღემდე ქართველთა თავისუფალი **რელიგიური არჩევანი და საქართველოს მესვეურთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური არჩევანი** სრულ ჰარმონიაშია ერთმანეთთან; ეს არჩევანია ქრისტიანული ევროპა. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა, სპარსელთა, ოსმალთა თუ რუსთა აგრესიის გამო ბოლო საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებით, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ საქართველოს ნაკლებად ჰქონდა უშუალო კონტაქტი ქრისტიანულ სამყაროსთან, თავისი ორიენტირები არ შეუცვლია. მოცემული საზოგადოების, ეკლესიისა თუ სახელმწიფოს ორიენტირების თემა ბევრ სხვა პოლიტიკურ, კულტურულ თუ ფსიქოლოგიურ თემასთანაა დაკავშირებული. წარმოდგენილ სტატიაში ყველა საკითხს სიღრმისეულად ვერ გავაანალიზებთ: აქ მოკლედ შევაფასებთ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს და შედარებით ვრცლად შევეხებით თანამედროვე პრობლემებს.

ქართველ და უცხოელ მემატიანეთა თანახმად, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობა იქადაგა სამმა მოციქულმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ უძველესი ცნობა დაცულია VIII საუკუნის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაში[2]. უტყუარი დოკუმენტური მასალით ცნობილია, რომ ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გიორგი მთაწმინდელმა დაასაბუთა ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, შესაბამისად, პირველი საუკუნეებიდანვე მისი ავტოკეფალურობა[3].

**ბერძნული** და ქართული წყაროების ცნობას[4], რომ ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში პირველი ეკლესია ააგო საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – აჭარაში, ამყარებს ადგილობრივი ხალხური გადმოცემები და ერთი საინტერესო ფაქტიც: ამჟამინდელ ხულოს რაიონში ოდითგანვე არსებობდა სოფელი აჭარა (დღევანდელი „დიდაჭარა“). სავარაუდოდ, მდინარე „აჭარის წყალმა“ სახელი ამ სოფლიდან მიიღო: აჭარის წყალი; შდრ., მდინარეების სახელების სხვა მსგავსი წარმოება: ჩირუხი – ჩირუხის წყალი; ჩაქვი – ჩაქვის წყალი; ფოცხოვი – ფოცხოვის წყალი; არხოტი – არხოტის წყალი; ხანი – ხანის წყალი[5]... ლოგიკურია დავუშვათ, რომ მთელ კუთხეზეც – აჭარაზეც – ამ სოფლის სახელი განზოგადდა.

ტოპონიმთა სახელდების უგამონაკლისო წესია, თუ გვხვდება ტოპონიმი ზედსართავით (მსაზღვრელით) „დიდი“ („ზედა“, „იმიერი“...), იქვე არსებობს ტოპონიმი ზედსართავით: „პატარა“ („ქვედა“, „ამიერი“...)[6]. გამონაკლისია სოფელი „დიდი აჭარა“ (დიდაჭარა): იქვე არ გვაქვს დასახლებული პუნქტი სახელწოდებით: „პატარა აჭარა“. საქართველოში სამ სოფელს ერქვა „აჭარა“: აჭარაში, იმერეთსა და ლეჩხუმში; ჩემი აზრით, მემატიანემ მათგან ერთ-ერთი – ზემო აჭარაში არსებული **პატარა სოფელი** – გამოარჩია და უწოდა **დიდი აჭარა** აქ ანდრია პირველწოდებულის მიერ **პირველი ეკლესიის აგების გამო.** ჩვენეულ თვალსაზრისს ადასტურებს შემდეგი ფაქტიც: კონსტანტინოპოლის უწმინდესი ეკლესიის დიდი რიტორის, ცნობილი მწერლის – მანუელ კორინთელის (1460-1550) თხრობის მიხედვით, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის აღწერისას ტექსტში იხსენიება სოფელი „აჭარა“ და არა –„დიდი

აჭარა“ (ვიმოწმებთ რ. ხალვაშის მიხედვით).

რომისა და ირანის აქტიური დაპირისპირების ერთ-ერთ პერიოდში – IV საუკუნის დასაწყისში –რომის იმპერიის კვალად, საქართველოშიც (/ქართლის სამეფოში, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოებს) **სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა.** ამ დროს საქართველოს მეფე იყო ეთნიკურად სპარსელი მირიანი, რომელმაც, სპარსული ორიენტაციის საპირისპიროდ, ქრისტიანობის მიღებით დასავლური ორიენტაცია აირჩია. ამ არჩევანმა საქართველოს არა მარტო სულიერი ცხოვრება, არამედ პოლიტიკური ბედიც სამუდამოდ დაუკავშირა ქრისტიანულ სივრცეს, რომელიც დანარჩენი ევროპის ტერიტორიას ფარავდა.

**ვახტანგ გორგასლის დროს უფრო პრიორიტეტული გახდა დასავლური კურსი.** ვახტანგ მეფის ძალისხმევით,V საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იმდენად გაძლიერდა ქრისტიანობა, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა[7] და დასავლური კულტურის ერთ-ერთ კერად იქცა. დღევანდელი ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, სწორედ პროდასავლური კურსის გამო სპარსელების შეკვეთით, ღალატით მოკლეს ვახტანგ გორგასალი. **ქართველი ერის საუკუნო ანდერძია** მისი სიტყვები სიკვდილის წინ: “მე ესე-რა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა, და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა. აწ გამცნებ თქუენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთჳს სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ”[8].

არაბობის პერიოდში საქართველოს აღარ შეეძლო თავისუფალი პოლიტიკური არჩევანის გაკეთება, მაგრამ რელიგიური ზეწოლის მიუხედავად, **საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა ქრისტიანობა.** არაბი ისტორიკოსის – იაჰია ანტიოქიელის ცნობით, იმპერატორ რომანოზის დროს, დაახლოებით, 1029-1030 წლებში საქართველოდან (არაბული წყაროს მიხედვით, აფხაზეთიდან) კონსტანტინეპოლში ჩავიდა **მეფე ბაგრატი** დედასთან – მარიამთან და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან – მელქისედეკ პირველთან ერთად[9]. **მათი მიზანი იყო, გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოს აღედგინა პროდასავლური** პოლიტიკური კურსიც. დაახლოებით, ამავე პერიოდიდან იწყება საქართველოს „ოქროს ხანა“, რომელიც გრძელდება მონღოლთა მიერ საქართველოში შემოჭრამდე; კერძოდ, XII-XIII საუკუნეებში საქართველო კულტურულ-რელიგიურადაც და პოლიტიკურადაც **ევროპული ფასეულობების ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი იყო.** ეს პერიოდი საქართველოს „ოქროს ხანად“ იწოდება. ამ დროში გელათსა და იყალთოში დაარსდა დასავლური ტიპის უნივერსიტეტები. ამავე პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მესვეურები იყვნენ ევროპაში განსწავლული მოღვაწეები (პეტრე იბერი, არსენ იყალთოელი...). საქართველო წარმოჩნდა, როგორც ევროპული რენესანსის გამორჩეული კერა (გამოვლინება: „ვეფხისტყაოსანი“). „ოქროს ხანის“ პერიოდი გამოირჩევა იმითაც, რომ ქალი იყო სამეფო ტახტზე და ქართულ ჯართან ერთად ჯვაროსნები იბრძოდნენ თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ და ა.შ.

ქართველ პოლიტიკოსთა ევროპული ორიენტირების წარმომჩენია ის ფაქტიც, რომ მეფე რუსუდანმა (მეფობდა 1223-1245 წლებში) მონღოლთაგან თავის დასაცავად დახმარება დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ.

საქართველოს ოქროს ხანის პერიოდი დაასრულა, ქრისტიანული კულტურის განვითარება სერიოზულად დააბრკოლა – **საქართველოს დასავლური ორიენტაცია შეასუსტა მონღოლეთისა და თემურ-ლენგის** (თამერლანის Tamerlan) მონღოლურ-თურქული იმპერიების აგრესიამ. თურქული ტომების მიერ ბიზანტიის განადგურების შემდეგ კი, მართლმადიდებლურმა საქართველომ, აღმოჩნდა რა სუნიტურ ოსმალეთსა და შიიტურ სპარსეთს შორის, საერთოდ დაკარგა უშუალო კონტაქტი ევროპასთან[10]. ქართველმა ერმა ბოლომდე უერთგულა ბერძნებთან და ბიზანტიელებთან საერთო რწმენას – მართლმადიდებლობას, **რის გამოც დამპყრობლები უფრო აგრესიულები იყვნენ საქართველოს მიმართ** (შდრ., სომხური გრიგორიანელობისა თუ დასავლეთ რომის იმპერიის კათოლიციზმისადმი უფრო შემწყნარებელი იყვნენ აღმოსავლეთის იმპერიები).

სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ და ირანისა თუ ოსმალეთის შემოსევებით გაწამებულ საქართველოში იტალიელი კათოლიკე მისიონერების გააქტიურება XVII საუკუნეში ისევ აჩენს

**დასავლეთის იმედს.** XVIII საუკუნიდან კი ზოგი ქართველი მოღვაწე იმედის თვალით უყურებს როგორც **კათოლიკურ ევროპას,** ისე მზარდ **ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიას.** ჯერ სულხან-საბა ორბელიანი, შემდეგ კი ქართლის მეფეების შთამომავალი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ცდილობენ, მოიპოვონ ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერა; სამწუხაროდ, საბოლოო ჯამში ბედისწერამ ორივე რუსეთისკენ მიაბრუნა. **უფრო ვრცლად შევეხებით ანტონ პირველის ტრაგედიას.**

ერეკლე პირველის (ნაზარალიხანის) შვილს თეიმურაზ მეორეს ჯერ პროირანული პოზიცია ეკავა, შემდეგ კი – პრორუსული. მისგან განსხვავებით, თეიმურაზ მეორის შვილი, **უფლისწული ირაკლი (მომავალი მეფე ერეკლე II)** და ანტონ პირველი თავიდან პარტნიორსა თუ მფარველს ეძებდნენ დასავლეთ ევროპაში. ამ მიზნით ისინი წერილებს გზავნიდნენ ევროპელ მეფეებთან; ამ მიზნითვე ანტონ პირველი დაუახლოვდა იტალიელ მისიონერებს[11]. 1955-56 წლებში თეიმურაზ მეორემ ანტონ პირველს რელიგიური ნიშნით დაუპირისპირა თავისი მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი, რომელიც ტრადიციული ქართული მართლმადიდებლობის მხარდამჭერ დასს ხელმძღვანელობდა. უფლისწულ ირაკლის (შემდგომში ერეკლე II) მხარდაჭერის მიუხედავად, ანტონი დამარცხდა და, თეიმურაზ მეორის „კეთილი ნების“ შესაბამისად, 1763 წლამდე (თეიმურაზ მეორის გარდაცვალებამდე) რუსეთში გადასახლდა (დოკუმენტური მასალისა და მსჯელობისათვის იხ. მ. ქავთარია, 1977, გვ. 15-47; ს. ვარდოსანიძე, 2019). **ანტონის** (და უფლისწულ ირაკლის) **ამ მარცხით დიდი ხნით დაბრკოლდა საქართველოს პროევროპული არჩევანი.**

თეიმურაზ მეორის გარდაცვალების შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებულმა ანტონ პირველმაც და გამეფებულმა ერეკლე მეორემაც, ჩანს, დაკარგეს შორეული დასავლეთის იმედი (კავკასიასა და ევროპას შუა, ერთი მხრივ, ოსმალური „შავი ფარდა“ იყო, მეორე მხრივ – რუსული „ზამთარი“) და **გადაწყვიტეს, ერთმორწმუნე რუსეთის ნებას დაჰყოლოდნენ.** მხოლოდ მათი უიმედო მდგომარეობით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის თანხმობით შედგა 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატი“[12], რომლის მე-8 მუხლით საქართველოს ეკლესიის მეთაური რუსეთის სინოდის რიგით მე-8 წევრად გამოცხადდა[13]. აღნიშნული მუხლის გამო პროტესტი მაშინვე გამოთქვეს ტრაქტატზე ქართველმა ხელმომწერებმა, რადგან ა. ბეზბოროდკოს მიერ შედგენილი პროექტის პირველ ვარიანტში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს მე-5 ადგილი უნდა დაეკავებინა პირველხარისხოვან რუს მღვდელმთავრებს შორის (ბუბულაშვილი 2008, გვ. 12)[14]. რომელ ადგილს დაიკავებდა ქართული ეკლესიის მეთაური რუსეთის ეკლესიის სინოდში, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური ხდებოდა სხვა ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი. ანტონ კათალიკოსმა მიიღო რუსეთის სინოდის წევრობა, შესაბამისად, მანაც და ერეკლე მეორემაც **ირიბად უარი თქვეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე** (მსჯელობისათვის ვრცლად იხ., ასევე, ზ. აბაშიძე, მ. თადუმაძე, 2010, გვ. 198).

გეორგიევსკის ტრაქტატმა საქართველოში იმხანად დაასამარა პროდასავლური პერსპექტივა [15]. ამ ტრაქტატით საქართველოს წინააღმდეგ მომზადებული **მზაკვრული გეგმა** განხორციელდა 1801 წლის 18 იანვარს იმპერატორ პავლე პირველის მიერ გამოცემული მანიფესტით, რომლითაც არაკანონიერად გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და, ჩრდილო კავკასიის ანექსიის პარალელურად, დაიწყო ქართული სამეფო-სამთავროების ოკუპაცია და ანექსია.

რუსეთის იმპერიის მორიგი არაკანონიერი ქმედება იყო **მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის გაუქმება და სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა;** კერძოდ, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1811 წლის 30 ივნისს დაამტკიცა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის „უქვეშევრდომილესი მოხსენება“, რომლითაც უკანონოდ გაუქმებულ იქნა ავტოკეფალია, რეორგანიზებულ იქნა სამოციქულო ეკლესიის საუკუნოვანი მმართველობა და შეიქმნა ახალი ორგანო – დიკასტერია[16]. ასევე, უკანონოდ გაუქმდა კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული და ქართული ეკლესიის უმაღლეს იერარქად გამოცხადდა “მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი, საქართველოს ეგზარქოსი“ (ვ. გურული, 2017, I, გვ. 303-310)[17]. ვ. გურულის აზრით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება უკანონო იყო რამდენიმე მიზეზის გამო:

– კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს არ მოუწვევია საეკლესიო კრება, რომელიც მიიღებდა

განჩინებას ავტოკეფალური უფლებების გაუქმების შესახებ;

– მცხეთის საპატრიარქოს გაუქმებისა და რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შესვლის თაობაზე თანხმობა არ მიუცია რუსეთის საეკლესიო კრებას (ამ დროს რუსეთში საეკლესიო კრებას აღარ იწვევდნენ, ხოლო უწმინდესი სინოდი საეკლესიო კრებას ცვლის);

– მცხეთის უძველესი საპატრიარქოსა და უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის რუსეთისათვის თანხმობა არ მიუცია არც კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს და არც მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების (იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის) პატრიარქებს. ასეთი თანხმობა რუსეთს არც უთხოვია (ვ. გურული, 2017, I, გვ. 309).

**3 წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქოს;** კერძოდ, იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაამტკიცა გორის პრორუსი ეპისკოპოსის, დოსითეოზის პროექტი, რომლის მიზანი იყო „რუსეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოსა (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო – ტ.ფ.) და სხვა შემოერთებულ ოლქებში სასულიერო საქმეების მოწყობა (იგულისხმება დასავლეთი საქართველო – ტ.ფ.)“. პროექტის მიხედვით, ქართლ-კახეთსა და იმერეთში იქნებოდა უწმინდესი სინოდის ერთი ეგზარქოსი და იგი იწოდებოდა ასე: საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი“; უქმდებოდა თბილისში არსებული დიკასტერია და იქმნებოდა რუსეთის წმინდა სინოდზე დაქვემდებარებული „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“... (ვ. გურული, 2017, I, გვ. 310-313).

რუსეთის იმპერიამ ეს არ აკმარა საქართველოს ეკლესიას; მალევე, 1810 წელს რუსმა დამპყრობლებმა რუსეთში გადაასახლეს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II[18]; 1820 წელს კი სიკვდილით დასაჯეს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებელი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) და გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შარვაშიძე) [19].

**ოსმალეთისა და ირანის აგრესიებით შეწუხებული ქართველი ერი უარესი დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა:** ერთმორწმუნე რუსეთმა მუსლიმ დამპყრობლებზე მეტად ავნო ქართველთა მიერ დაფუძნებულ სამეფო-სამთავროებსაც და საქართველოს სამოციქულო ეკლესიასაც (ეკლესია საერთოდ გააუქმა!). მომდევნო ეტაპზე რუსი დამპყრობლები შეეცადნენ, **ენობრივ-ეთნიკურად სამუდამოდ დაენაწევრებინათ ქართველი ერი,** რომ სრულად განეხორციელებინათ ქართველთა ასიმილაცია (რუსული ენობრივ-ეთნიკური პოლიტიკის შესახებ, ასევე, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 2005; ტ. ფუტკარაძე, 2019).

ცალკეული კოლაბორაციონისტების გამოკლებით, **ქართველი ერი არ შეგუებია რუს დამპყრობლებს.** თითქმის 100 წელი დასჭირდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 4 თაობას, აღედგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც, პროდასავლური ეკლესიური თუ გეოპოლიტიკური ორიენტირი.

საერთო წარმომავლობისა და ქართველთა ერთადერთი დედაენის [20] საფუძველზე **ქართველთა ეროვნული ერთიანობის აღორძინების,** საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა [21] და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი აქტუალური გახდა წმიდა დიმიტრი ყიფიანის, წმიდა ილია მართლის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის (ქიქოძე), წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე), გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველის (1886-1898) – გრიგოლ (გიორგი) დადიანის[22], ღირსი მამა წმიდა ალექსის (ალექსი ლევანის ძე შუშანია), მღვდელმოწამე კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის [23], წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის (ხელაია), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე), წმიდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის, ნიკიტა თალაკვაძის, ექვთიმე ღვთისკაცის, ზურაბ ავალიშვილის [24], ივანე ჯავახიშვილისა და მრავალ სხვათა დიდი ღვაწლით. საქართველოს საეკლესიო მოღვაწეების ძალისხმევით 1917 წლის 12 მარტს აღდგა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, 1918 წლის 26 მაისს კი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ერთი საინტერესო ნიუანსი: ახალარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

კირიონ II იმთავითვე ცდილობდა, ახლო ურთიერთობა დაეჭირა ევროპის მართლმადიდებლურ ეკლესიებთანდა,რაცფრიადსაყურადღებოა,რომისპაპთან[25].საქართველოსმართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა ისარგებლეს რუსეთში მომხდარი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის შეცვლით და 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, მოიწვიეს კრება, რომელზეც რუსეთის ეკლესიის მიერ 1811 წელს არაკანონიკურად გაუქმებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს. იმავე წლის 1 ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა **განახლებული ქართული ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის, ინტრონიზაცია.**

ახლადაღსაყდრებულმა კირიონ II-მ 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს კონსტანტინეპოლისა და სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებს (ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის) გაუგზავნა წერილები, რომლებითაც აცნობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მათგან თანადგომა და თანალოცვა მოითხოვა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თამარ მესხის მიერ გამოვლენილი დოკუმენტური მასალა ცხადყოფს, რომ 1919 წლის ნოემბერში, **კონსტანტინეპოლის სინოდის დავალებით,** საქართველოს ეკლესიის მესვეურთ შეხვდა ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთოსი (შემდგომში, 1938-1940 წწ. ელლადის მთავარეპისკოპოსი). იგი, ასევე, შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს (ორივე მხარეს დადებითად მოიხსენიებს თავის მემუარებში). **რაც მთავარია, ქრისანთოსმა დაწერა და სინოდს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წარმოდგენილია, თუ როგორი თავდადებით იცავდა ქრისტიანობას საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია საუკუნეების განმავლობაში,** ვიდრე1811 წლის 11 ივლისის განჩინებით, რუსეთის ეკლესია მის ავტოკეფალიას გააუქმებდა და ეგზარქოსს დაუნიშნავდა. კონსტანტინეპოლის ეკლესია რუსეთის ეკლესიას სთხოვდა, ეღიარებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია [26].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მხარს უჭერდა, ასევე, იერუსალიმის ეკლესია; კერძოდ, ამ პერიოდში ჟურნალში „Νέα Σιών“ (# 6, 1921) გამოქვეყნდა დიოკესარიის მთავარეპისკოპოს კლეოპა კიკილიდისის სტატია: „იბერიელები ვითარცა მონოზვნები წმიდა მიწაზე“ Κλεόπα Κοικυλίδου, Ἀρχιεπισκόπου Διοκαισαρίας, Οι Ἴβηρες ὡς μοναταὶ ἐν Παλαιστίνη (Νέα Σιών, τόμ. ΙΣΤ΄, 1921, 128-133). წერილში ნათქვამია: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წმიდა მიწა არცერთ სხვა ხალხს არ შეუყვარებია და არც უმუშაკნია მისი წმიდა სალოცავების გადასარჩენად და დასაცავად ისე, როგორც იბერიელებს, როდესაც ისინი პოლიტიკურად ძლიერნი იყვნენ“. სტატიის დასასრულს მთავარეპისკოპოსი ასახელებს იმ მონასტრებს, რომლებიც X, XI და XII საუკუნეებში იბერთა მონასტრებად მოიხსენიებოდა. ესენია: ლაზთა მონასტერი იერიქოში, სვეტისა, კაპათა, ორინი, დერტაფი, წმ. სამუელისა, იორდანესი, წმ. სიმეონისა, კოზმასი და დამიანესი, მღვიმისა და პატიოსნისა ჯვარისა. აღნიშნავს იმასაც, რომ იბერიელებს ძალიან ადრეულ წლებში დაუწყიათ მოღვაწეობა წმ. საბას ლავრაში (თ. მესხი 2020). თ. მესხისვე ცნობით, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველ წლებამდეც კი საქართველოს ეკლესიას ანალოგიურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ანტიოქიის და ალექსანდრიის ეკლესიებიც.

გასული საუკუნის 20-იან წლებში **საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს ორიენტაციის მიმართულებით განსაკუთრებით საინტერესოა წმიდა ამბროსი ხელაიას მოღვაწეობა,** რომლის კრედო ერთი ფრაზითაა ჩამოყალიბებული 1921 წლის 14 ოქტომბერს აღსაყდრების შემდეგ სვეტიცხოველში წარმოთქმულ სიტყვაში; ეს საუკუნოვანი ფრაზა ასე ჟღერს: „ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ის მოგვცემს ძალას, შევანახვინოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება. ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც“[27].

შემთხვევითი არ იყო, რომ 1923-27 წლებში, ბოლშევიკური ოკუპაციის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ შემოიღო დასავლური „ახალი სტილის კალენდარი“[28]. პარალელურად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია ამხელდა რუსულ საბჭოთა ოკუპაციას. მან, ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედით, ცნობილი „მემორანდუმი“ გაუგზავნა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიაში, გენუაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციას.

1922 წლის 7 თებერვლით დათარიღებულ [29]„მემორანდუმში“ ამბროსი ხელაიამ მოკლედ წარმოადგინა საქართველოს დიდი ისტორია, ამხილა რუსეთის (ბოლშევიკური) იმპერიის საოკუპაციო რეჟიმი და ცივილიზებულ მსოფლიოს სთხოვა, საქართველო დაეცვათ რუსი ოკუპანტებისაგან. დავიმოწმებთ „მემორანდუმის“ დასკვნით ნაწილს:

„ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ **კულტურული კაცობრიობის** გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში; მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან;

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ-კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ **მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა** და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“[30].

1922 წელს ევროპამ, ზოგადად, ცივილიზებულმა დასავლეთმა საქართველო ვერ დაიხსნა რუსეთის იმპერიის „ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“ [31]; 1922 წელს დასავლეთის მოიმედე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც გაიწირა. სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ პირველისაგან განსხვავებით, **მან არჩევანი არ შეცვალა, რის გამოც** ბოლშევიკებმა დააპატიმრეს, მაგრამ საერთაშორისო ზეწოლის გამო გაათავისუფლეს. რეპრესიებით დაშინებული ეპისკოპოსების ერთი ნაწილის გამოყენებით ბოლშევიკებმა ამბროსი ხელაია გადააყენეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობიდან. ფსიქოლოგიური ტერორის პირობებში ამბროსი ხელაია მალევე გარდაიცვალა [32].

ეკლესიის მსახურთა ნდობის მოპოვების მიზნით, 1927 წელს ბოლშევიკებმა რუსეთის ეკლესიას აღიარებინეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია [33] და ეკლესიის მართვა ჩააბარეს მათდამი ლოიალურად განწყობილ **მიტროპოლიტ ქრისტეფორეს,** რომლის ხელმძღვანელობით საქართველოს ეკლესიის IV კრებამ 1927 წლის 24 ივლისს მიღებულ **დეკლარაციაში ჩაწერა:** „IV საეკლესიო კრება ადასტურებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება ნაციონალურ ნიადაგზე ვითარდება წარმატებით, ვიდრე მის წინამორბედი რეჟიმების ხანაში...“ (ა. ჯაფარიძე, 2003, გვ. 168-170)[34]. სინამდვილეში, ამ დროს „ქვეყანაში მძვინვარებდა აგრესიული ათეიზმი, სასულიერო პირთა დევნა-შევიწროება“, სასულიერო პირთა რაოდენობა კი რამდენიმე წელიწადში 1600-დან 300-მდე შემცირდა... (ს. ვარდოსანიძე, 2017, გვ. 228-229).

საქართველოს ეკლესიის ორიენტირების ამგვარი ცვლილების გამო დევნილობაში მყოფმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წევრებმა (ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი...) და მათმა მხარდამჭერმა სასულიერო პირებმა (გრიგოლ ფერაძე, ილია მელია...) **უარი თქვეს საქართველოს პრობოლშევიკური ეკლესიის სულიერ შვილობაზე და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადავიდნენ** (ს. ვარდოსანიძე, 2017, გვ. 228)[35], ანუ როგორც დევნილმა ხელისუფლებამ, ასევე, ეკლესიის წევრთა ნაწილმა სრულად შეინარჩუნა **პროდასავლური ორიენტაცია** (შდრ.: სომხურ ეკლესიას უფრო ლოიალურად ეკიდებოდა ირანი).

საქართველოში პროდასავლური პოლიტიკური მოძრაობა მცირე მასშტაბით განახლდა XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში „სამანელთა“ მოძრაობის სახით, რომელთაც სურდათ საქართველოს გამოყოფა საბჭოთა იმპერიისაგან და საქართველოს პროდასავლური კურსის აღდგენა (დოკუმენტური მასალისათვის იხ. ნ. თეთვაძე, 2019). მოძრაობა დაიწყეს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ გერმანია ომში დაამარცხებდა საბჭოთა იმპერიას და საქართველო გათავისუფლდებოდა რუსულ-კომუნისტური ოკუპაციისაგან. მოძრაობა ფართოდ გაიშალა ძირითადად თუშეთში, სადაც ხალხი მხარს უჭერდა **ადამ ბობღიაშვილსა** და მის თანამოაზრეებს. საქართველოს ეკლესია ამ დროს კრემლის დიქტატს ექვემდებარებოდა; საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ინფორმაცია არ ჰქონდა „სამანელთა“ იდეების შესახებ; შესაბამისად, **საბჭოთა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ იოლად შეძლო სამანელთა განეიტრალება და ამ მოძრაობის სისხლში ჩახშობა.**

საბჭოთა პერიოდის რეჟიმი სრულად უარყოფდა ადამიანის უფლებებს, ხოლო ათეიზმი ერთნაირად ებრძოდა ეროვნულ მოძრაობასაც და ყველა რელიგიასაც (მიზანმიმართული პრორუსული მითია ი. სტალინის მორწმუნეობაზე ლაპარაკი; ი. სტალინიც და ლ. ბერიაც ღვთისმგმობთა ავანგარდში იყვნენ). ამ ფონზე ქართველი უფლებადამცველებისა თუ ეროვნული და საეკლესიო მოღვაწეებისათვის ორიენტირი იყო დასავლური ფასეულობები, ხოლო ქრისტიანული დემოკრატიული დასავლეთი ქართველი ერის იმხანად შორეული, მაგრამ ერთადერთი სასურველი პარტნიორი იყო...

დასავლეთთან კავშირის გამო ბევრი ღირსეული ადამიანი გასამართლდა და დაისაჯა. სასტიკი საბჭოური რეპრესიების მიუხედავად, სწორედ ამბროსი ხელაიას, ადამ ბობღიაშვილის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვა გამორჩეულ ქართველთა სახით **XX საუკუნის განმავლობაშიც ქართველი ერის რამდენიმე თაობამ უწყვეტად შეინარჩუნა საქართველოს ეკლესიის რეალური ავტოკეფალიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა.** XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი განახლდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი; კერძოდ: **ერთი მხრივ,** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის წინამძღოლობით საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა დაიწყეს მსოფლიო მართლმადიდებლური სამყაროს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის ზრუნვა; **მეორე მხრივ** კი, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენელთა ძალისხმევით აქტიურად გაგრძელდა ქართველი ერის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად (ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2019 ა).

**ორივე პროცესი წარმატებით დასრულდა:** 1990 წლის 4 მარტს მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. დიპტიხში საქართველოს ეკლესიას მიენიჭა IX ადგილი (მოლაპარაკებების შესახებ დოკუმენტური აღწერისა და ანალიზისათვის იხ., თ. მესხი, 2019)[36]. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა კი გამოცხადდა 1991 წლის 9 აპრილს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე. აქვე აღვნიშნავ, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ მომზადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე დართულ ტექსტში საერთაშორისო დოკუმენტების პრიმატის აღიარებით ხაზგასმულია საქართველოს დაბრუნება ბუნებრივი განვითარების ისტორიულ კალაპოტში – ცივილიზებული სახელმწიფოების თანამეგობრობაში[37].

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველზე მრავალპარტიული არასაბჭოთა არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ღიად დაუპირისპირდა საბჭოთა იმპერიას, გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მკაფიო ნაბიჯი გადადგა დასავლური ცივილიზებული სამყაროსაკენ (ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, 2016). რუსეთის იმპერია ვერ შეეგუა საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლების სურვილს, გასულიყო **რუსულიმპერიული** ველიდან. იმ პერიოდში არც ცივილიზებული დასავლეთი იყო მზად, **ეღიარებინა საქართველოს დამოუკიდებლობა, რადგან მალტის შეთანხმების მიხედვით, დასავლეთის მიზანი იყო ჯერ აღმოსავლეთ ევროპიდან გაეყვანა საბჭოთა იმპერიის ჯარი [38]...**

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, ნოე ჟორდანიას ხელისუფლების მსგავსად, მარტო აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის პირისპირ; **1991 წელს არსებული რეალური საფრთხეების გამო ვერც საქართველოს ეკლესია დადგა პროდასავლური ორიენტაციის**

**ქართველი ლიდერებისა** (ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას) და მათ მრავალ თანამოაზრეთა გვერდით /ამის შესახებ ვრცლად სხვაგან გვაქვს მსჯელობა/.

**საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და საქართველოს დასავლური ორიენტაციისათვის ბრძოლა დღესაც აქტიურ ფაზაშია.** შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ბოლო 7 საუკუნის მანძილზე საქართველო ასე ახლოს არ ყოფილა ბუნებრივი განვითარების მდგომარეობასთან – თავის ისტორიულ კალაპოტთან – დასავლურ სივრცესთან, თუმცა, დღესაც ძლიერია რუსეთის იმპერია, რომელიც ყველა ხერხით დღესაც ცდილობს, საქართველო (კავკასიის ცენტრი) ისევ დაუქვემდებაროს თავის პოლიტიკურ ინტერესებს. **დღეს საქართველო აქტიურად ცდილობს, დაუბრუნდეს ევროპულ წიაღს, რაც რეალურია;** თუმცა, არის ალბათობა, საქართველო ისევ იძულებით დააბრუნონ რუსულ იმპერიულ ველში და საბოლოოდ გაანადგურონ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა.

დღეს რუსეთს კატეგორიულად სურს, საქართველო დისტანცირდეს ამერიკის შეერთებული შტატებისგან და ნეიტრალიტეტი ანუ **"სამხედრო მიუმხრობლობის" პოლიტიკა** გამოაცხადოს. სინამდვილეში, რუსეთს უნდა, საქართველომ გადადგას იგივე ნაბიჯი, რაც 100 წლის წინათ გადაადგმევინა ნოე ჟორდანიას: **ნ. ჟორდანიას ნეიტრალიტეტი გამოაცხადებინა, შემდეგ კი დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობა (1921).** ამ ეტაპზე **რუსეთს ხელს არ აძლევს საქართველოს ეკლესიის ნეიტრალიტეტიც:** საბერძნეთისა და ალექსანდრიის ეკლესიების გადაწყვეტილებების შემდეგ **რუსეთს უნდა, საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიის მხარე დაიჭიროს უკრაინის ეკლესიასთან მიმართებაში. პარალელურად, ბუნებრივია, დასავლეთს სურს, საქართველოს ეკლესიამაც შეუწყოს ხელი საქართველოს ინტეგრაციას დასავლურ სამყაროში** (დასავლეთისათვის დღეს აქტუალურია ცენტრალური კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი). მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას დასავლური ლიდერების მიერ საპატრიარქოში ვიზიტები.

ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს დაბრუნებისთვის ბრძოლაში დღეს მნიშვნელოვანი როლი **ენიჭება საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელ მესვეურთა სწორ ორიენტაციას:**

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია კვლავაც უდიდესი გამოწვევების წინაშეა, რადგან თვით პოლიტიკურად სიმპათიურ დასავლეთშიც აღარ არის მორწმუნე მრევლი. მართლმადიდებლობა ისევ ცოტა ქვეყანაშია სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. **დღეს ყველაფერს პოლიტიკა განსაზღვრავს, მაგრამ რწმენა პოლიტიკას თავის პრიორიტეტად ვერ გადააქცევს.** ამ ფონზე არსებითია წმიდა სინოდისა და საკუთრივ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის პოზიცია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინტრონიზაცია მოხდა საბჭოთა პერიოდში. იმ დროიდან დიდმა დრომ განვლო და უდიდესი ცვლილებები მოხდა „ერშიც და ბერშიც", თუმცა, 200-წლიანი რუსული ოკუპაციის ველში არსებული საქართველოს ეკლესია ბოლომდე დღესაც არ/ვერ არის თავისუფალი რუსული გავლენისაგან; თუმცა, ფაქტია ისიც, რომ **საეკლესიო პირების მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს პროდასავლურ არჩევანს.**

პოლიტიკის "კეთება" არ არის ეკლესიის გენერალური ხაზი; კათოლიკოს-პატრიარქი არ არის (და არც უნდა იყოს) პოლიტიკოსი, შესაბამისად, საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტირების განსაზღვრის მიმართულებით იგი განცხადებებს არ გააკეთებს. თუმცა, ჩემი აზრით, მ**ისი ორიენტირები ჩანს ახალკანონიზებული წმინდანების ჩამონათვალიდან;** კერძოდ, საქართველოს ეკლესიის ახალი, არასაბჭოური ორიენტირების წარმოჩენის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1987 წელს **გამორჩეული ქართველი მოღვაწის, საქართველოსათვის მოკლული ილია ჭავჭავაძის** წმინდანად შერაცხვა **წმიდა ილია მართალის (ჭავჭავაძე) სახელით.** ლოგიკურია, რომ ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისს. **იხ. ასევე, ახლად კანონიზებული სხვა ქართველი წმინდანების ჩამონათვალი** (დავასახელებთ წარმოდგენილი მოხსენების კონტექსტის გათვალისწინებით):

**1994 წელი:**

წმიდა მოწამენი: მიტროპოლიტი ნაზარი; დეკანოზი გერმანე, მღვდლები: იეროთეოსი, სიმონი; პროტოდიაკონი ბესარიონი (+1924) და ყოველნი ახალ მოწამენი (XX); წმიდა მღვდელმთავარი

ამბროსი აღმსარებელი (ხელაია)[39]...

**1995 წელი:**

წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე); ღირსი ალექსი (შუშანია); წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე), გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი...

**1999 წელი:**

წმიდა ცოტნე დადიანი – საქართველოსთვის თავდადებული და აღმსარებელი (XIII); მღვდელმოწამე თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX); წმიდა ილარიონ ქართველი (ყანჩაშვილი); წმიდა ტბელი აბუსერიძე (XIII); წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) (+1953); მღვდელმოწამე კირიონ II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1918)...

**2003 წელი:**

დუდიყვათსა და პაპათში (თანამედ. თურქეთი) 300 მხედარი, მღვდელნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ლაზნი ქრისტეს სარწმუნოებისთვის მუსულმანთაგან წამებულნი (XVII-XVIII); წმიდა მოწამენი ქართველნი, სპარსეთში მოწყვეტილნი (XVII-XVIII)...

**2005 წელი:**

წმიდა გიორგი ჭყონდიდელი, დავით აღმაშენებლის მოძღვარი; ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი (წერეთელი); გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შერვაშიძე); წმიდა მეფე სოლომონ II, სამშობლოსთვის თავდადებული.

**2007 წელი:**

წმიდა დიმიტრი ყიფიანი, სამშობლოსათვის წამებული...

**2011 წელი:**

წმიდა ანტონ II მრავალვნებული, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი...

არაა შემთხვევითი, რომ, **ახალ წმინდანთა შორის უმრავლესობა არის ან რუსეთის იმპერიის მიერ წამებული სასულიერო მოღვაწე, ანდა – ქართველთა ერთიანობის სახე-სიმბოლო.**

**ამ კონტექსტშია საინტერესო ცალკეულ მღვდელმთავართა განცხადებები რუსეთისაგან მომდინარე საფრთხის შესახებ და ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ ევროპაში საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური დელეგაციების მიერ განხორციელებული ვიზიტები;** მაგ.:

2019 წლის 17 ნოემბერს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში. 18 ნოემბერს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) სათავო ოფისში შედგა **შეხვედრა ჯეიმს აპატურაისთან,** – კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესში მართლმადიდებელი ეკლესიის ჩართულობის შესახებ. ამავე დღეს ვიზიტის მონაწილეები ევროპის სახალხო პარტიის (epp) ოფისში შეხვდნენ ევროპის სახალხო პარტიის გენერალურ მდივანს, ბ-ნ ანტონიო ლოპეზ-ისტურიზ ვაიტს, ევროპის სახალხო პარტიის საგარეო ურთიერთობათა მდივანს, ბ-ნ პატრიკ ვოლერს და სხვა ოფიციალურ პირებს. 19 ნოემბერს, რონდელის ფონდის ორგანიზებით, ბრიუსელში მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები დაესწრნენ სემინარს „ეკლესიისა და რელიგიური თემების როლი მშვიდობის აღდგენისა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესში“[40]. ევროპარლამენტში შეხვედრებისას საქართველოს მხრიდან სიტყვით გამოსულმა ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) განაცხადა: **„ჩვენი სახით ერთი ღირსეული წევრი შეგემატებათ ევროკავშირში. ეს არის თავისუფალი ქვეყნების თავისუფალი კავშირი. როგორც მრავალშვილიანი ოჯახია ძალიან კარგი, ასევე საქართველოს და უკრაინის შეერთებაც კარგი იქნება. ნატო არის ჩვენი არჩევანი. მოსახლეობის უმრავლესობას სურს გაწევრიანება ნატოში. მთავარია ნატოც ჩამოყალიბდეს. იქაც დაიხვეწება ყველაფერი და კითხვებს ჩვენთანაც არ დატოვებს“[41]...**

2019 წლის 21-22 ნოემბერს თბილისში მიმდინარე კონფერენციაზე“ „Disinformation Alert“[42], ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლ ბერბიჭაშვილმა განაცხადა: “რუსული პროპაგანდა მტკივნეულ რელიგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე აპელირებით, ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობების მიმართ დასავლეთიდან მომდინარე საფრთხის მოდელირებითა და სიმულაციით მიზანმიმართულად ანგრევს ქართული საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს, რითაც ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებასა და

**საქართველოში დასავლური სამყაროს ხატის დისკრედიტაციას ცდილობს** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.)"[43]

ამრიგად, საქართველო, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, თავიდანვე იყო ევროპული კულტურის ნაწილი. ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან დღემდე ქართველთა თავისუფალი **რელიგიური არჩევანი და საქართველოს პოლიტიკური ელიტის ნებაყოფლობითი პოლიტიკური არჩევანი** სრულ ჰარმონიაშია ერთმანეთთან; ეს არჩევანია ქრისტიანული ევროპა. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა, სპარსელთა, ოსმალთა თუ რუსთა აგრესიის გამო ბოლო საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, საქართველოს ნაკლებად ჰქონდა უშუალო კონტაქტი ქრისტიანულ სამყაროსთან, საქართველოს თავისი ორიენტირები არ შეუცვლია.

დღეს საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა, დაბრუნდეს თავის ისტორიულ ველში. შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ბოლო 6 საუკუნის მანძილზე საქართველო ასე ახლოს არ ყოფილა ბუნებრივი განვითარების მდგომარეობასთან – თავის ისტორიულ კალაპოტთან – დასავლურ სივრცესთან. თუმცა, დღესაც ძლიერია რუსეთის იმპერია, რომელიც ყველა ხერხით ცდილობს საქართველო (კავკასიის ცენტრი) ისევ დაუქვემდებაროს თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. დღეს საქართველო აქტიურად იბრძვის, დაუბრუნდეს ევროპულ წიაღს, რაც რეალურია; თუმცა, არის ალბათობა, საქართველო ისევ იძულებით დააბრუნონ რუსულ იმპერიულ წნეხში და საბოლოოდ გაანადგურონ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობაც და ქართველი ერიც.

ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს დაბრუნების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს ეკლესიის პოზიციას. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ეკლესიის მესვეურთა აზრით, ჩვენი ქვეყნის – საქართველოს – გადასარჩენად აუცილებელია დასავლეთზე ორიენტირება. ვფიქრობ, ამ ტიპის განცხადებების პასუხია „რბილი ძალის" ფორმატით ბოლო რამდენიმე წელში გააქტიურებული საინფორმაციო ომი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ.

**დამოწმებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**


**ზ. აბაშიძე მ. თადუმაძე 2010** – ზ. აბაშიძე, მ. თადუმაძე, საქართველო-რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ისტორიიდან. რელიგიის ისტორიის საკითხები, I. თბ., 2010.

**ზ. ალექსიძე 2020** – ზ. ალექსიძე, ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკური საფუძვლები შუა საუკუნეების საქართველს საეკლესიო მოღვაწეთა თვალთახედვით. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 2002.

**ი. არაბიძე 2009** – ი. არაბიძე, ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საქმეში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, თბ., 2009.

**მ. ბენდელიანი 1999** – მ. ბენდელიანი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება1941-1945 წლებში, კულტურის ისტორიის საკითხები, VII, თბ.,1999.

**ე. ბუბულაშვილი 2002** – ე. ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, თბ. 2002.

**ე. ბუბულაშვილი 2008** – ე. ბუბულაშვილი, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თბ. 2008.

**გ. ბურდული 2010** – გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ქართველ მეცნიერთა ღვაწლი, 1906 წელი, თბ. 2010.

გ. ბურდული 2019 – გ. ბურდული, ანდრია პირველწოდებული და საქართველო, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, თბ., 2019

**თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე 2006** – თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა" თბ., 2006;

**ვ. გოილაძე 2008** – ვ. გოილაძე, მირონის კურთხევის წესი საქართველოში, თბ., 2008; http://www.orthodoxy.ge/istoria/mironi.htm /დამოწმება: 23.12.2019/.

**ვ. გურული 2017** – ვ. გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი I, თბ., 2017

**ვ. გურული 2017** ა – ვ. გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი III, თბ., 2017

**ბ. დიასამიძე 2001** – ბ. დიასამიძე, დასავლეთ საქართველოს ეკლესია (I-IX საუკუნეები), ბათუმი, 2001

**ს. ვარდოსანიძე 2017** – ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ასწლოვანი მატიანე, თბ., 2017

**ვახუშტი ბატონიშვილი 1973** – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

**მ. თამარაშვილი 1995** – მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995.

**ნ. თეთვაძე, 2019** – ნ. თეთვაძე, ეროვნული მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს (სამანელები); დოკუმენტები და მასალები. ნაწილი I, თბ. 2019

**ბ. ლომინაძე 1983** – ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია, საღვთისმეტყველო კრებული, # 12, თბ., 1983. გადაბეჭდილია კრებულში: ჯვარი ვაზისა, 1-2, 2019, გვ. 29-55

**ნ. ლომოური 2019** – ნ. ლომოური, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, ჯვარი ვაზისა, თბ., 2019, გვ. 12-21

**ლ. მათეშვილი 2019** – ლ. მათეშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტკეფალიის სათავეებთან, ჯვარი ვაზისა, თბ., 2019, გვ. 22-25

**თ. მესხი 2019** – თ. მესხი, ავტოკეფალია (1978-1990), ჯვარი ვაზისა, თბ., 2019, გვ. 117-122

**თ. მესხი 2020** – თ. მესხი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და იერუსალიმის ეკლესიის პოზიცია; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 21 თებერვალი, 2020

**ნ. მთვარელიშვილი 1991** – ნ. მთვარელიშვილი, ანტონ I საქართველოს კათალიკოზი, საღვთისმეტყველო კრებული # 1, 1991

**დ. ნინიძე 2005** – დ. ნინიძე, ქართველთა მირონისა და ავტოკეფალიის საკითხისათვის, თბ. 2005

**ე. ორჯონიკიძე 1992** – ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის პირველი ნახევარი), თბ., 1992.

**გ. პაიჭაძე 1980** – გ. პაიჭაძე, გიორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბ.,1980.

**ქ. პავლიაშვილი 2008** – ქ. პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). I, თბ., 2008.

**თ. ჟორდანია 1890** – თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ [წიგნი პირველი], ტფ., 1890.

**თ. ჟორდანია 1996** – თ. ჟორდანია, ანტონ I, კათალიკოზი საქართველოისა, წიგნში: ანტონ პირველი ბაგრატიონი, საღვთისმეტყველო კრებული, 1, თბილისი, 1996

**კ. საძაგლიშვილი 2005** – კ. საძაგლიშვილი, ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში, ქართული მწერლობა ტ. 23, თბ., 2005.

**ლ. ტყეშელაშვილი 2012** – ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, ისტორიის (აკადემიური) დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთაისი, 2012 წ.

**ტ. ფუტკარაძე 2005** – ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005;

**ტ. ფუტკარაძე 2016** – ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიიკურ კონტექსტში; კრებული: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, თბ., 2016

**ტ. ფუტკარაძე 2019** – ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019.

**ტ. ფუტკარაძე 2019** ა – ტ. ფუტკარაძე, მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და

საქართველოს პერსპექტივა, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, თბ., 2019

**მ. ქავთარია 1977** – მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977.

ქართული დიპლომატიის ისტორია 2004 (ქრესტომათია); შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ, ჯაბა სამუშიამ (რედ.: როინ მეტრეველი); თბ., 2004.

**თ. ქორიძე 2003** – თ. ქორიძე, აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია(IX-XVI სს.), ავტორეფერატი, თბ., 2003.

**ა. ჯაფარიძე, 2003** – მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საეკლესიო კრებები, წიგნი III, თბილისი. 2003 წ.

**ა. ჯაფარიძე 2009** – მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009.

**რ. ხალვაში 2011** – რ. ხალვაში, ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათუმი, 2011

**ჯუანშერი 1955** – ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა მშობელთა და თვით მის დიდისა და ღმრთისმსახურისა მეფისაი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:**

[1] ძირითადი დებულებები წაკითხულ იქნა 2019 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრების 42-ე წლისთავთან დაკავშირებულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

[2] ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისათვის: იხ.: ბ. ლომინაძე 1983, რ. ხალვაში, 2011, გ. ბურდული, 2019... აქვე აღვნიშნავთ: 22 წლის ივანე ჯავახიშვილი პეტერბურში დაწერილ თავის ნაშრომში „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ უნდობლად მოეკიდა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოსვლის ცნობას. ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მას თავს მოახვია მასწავლებელმა – ნიკო მარმა. ქართული წყაროების უგულებელყოფისათვის ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწეები აკრიტიკებდნენ.

[3] გარკვეულ პერიოდებში სადავო ხდებოდა ქართლის (საქართველოს) ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი; მწიგნობარ ქართველებს არც ადრე და არც ამის შემდეგ არ უჭირდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურება (საკითხის ისტორიისათვის იხ: მ. თამარაშვილი 1995, ა. ჯაფარიძე, 2017, ნ. ლომოური 2019, მ. ბენდელიანი 1999 , ბ. დიასამიძე 2001; ზ. ალექსიძე 2002, დ. ნინიძე 2005, ე. ბუბულაშვილი 2008, ქ. პავლიაშვილი 2008, ი. არაბიძე 2009, გ. ბურდული 2010, ლ. მათეშვილი 2019...

[4] იხ. მე-16 საუკუნის დასაწყისის ბერძნული ტექსტი: „კონსტანტინოპოლის უწმინდესი საღვთო ეკლესიის დიდი რიტორის მანუელის თხრობა აწყურში მყოფი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ქალწული მარიამის ხატსა და სასწაულებზე, რომლებიც მან სხვადასხვა ჟამს მოიმოქმედა“. ტექსტი1987 წელს რუსულ თარგმანთან და ვრცელ გამოკვლევასთან ერთად გამოსცა სომეხმა მეცნიერმა რ. ბარტიკიანმა (ბარტიკიანი 1987: 37-118). „თხრობის“ ავტორია „კონსტანტინოპოლის უწმინდესი ეკლესიის დიდი რიტორი“, ცნობილი მწერალი მანუელ კორინთელი (1460-1550). ვიმოწმებთ რ. ხალვაშის მიხედვით (რ. ხალვაში, 2011, გვ. 75). ქართული ტრადიციული ცნობების გარდა კიდევ რა წყაროებს ეფუძნება მანუელი, შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

[5] ანალოგიური წარმოებისაა **სუფსაც,** რომელიც მომდინარეობს სურ(ებ)ის მთის სახელიდან: სურების ფსა (სიტყვა“ფსა” – ადრეულ ქართულში წყალს აღნიშნავდა).

[6] შდრ.: დიდი ჯიხაიში – პატარა ჯიხაიში; დიდი ჩაილური – პატარა ჩაილური; დიდი ციხიათა – პატარა ციხიათა (ქარელის რაიონი); დიდი ინჩხური – პატარა ინჩხური... ზედა ტომაშეთი – ქვედა ტომაშეთი; ზედა აგარა – ქვედა აგარა, ზედა მახუნცეთი – ქვედა მახუნცეთი; ზედა სამება – ქვედა სამება და მრავალი სხვა.

[7]680\681 წლებში კონსტანტინოპოლშივე მოწვეულმა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადასტურა 487 თუ 488 წლის ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების გადაწყვეტილება ქართლისეკლესიისათვისავტოკეფალიისმინიჭებისშესახებ.იმპერატორკონსტანტინეპოგონატის (668-685 წწ.) დროს კონსტანტინოპოლში გამართულ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ ინფორმაცია ჩართულია „ქართლის ცხოვრებაშიც“; კერძოდ, წყაროში ვკითხულობთ: „... ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიაქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა... ხოლო პირველთაგან ანტიოქიის კრების მიერ განპატიოსნებული იყო, და ამ კრებისა მიერ დაგჳმტკიცებია პატრიაქად... ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თჳსსა ეკლესიასა“ (ჯუანშერი). მსგავსი შინაარსისაა „კონსტანტინოპოლის ტაქტიკონიდან“ მომდინარე ცნობა, რომელიც „მარტვილის ხელნაწერშია“ შემონახული. აქვე აღვნიშნავთ: გიორგი მერჩულის ცნობის მიხედვით უეჭველია, რომ საქართველოში მირონის კურთხევა ხდება VIII საუკუნიდან (სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: დ. ნინიძე 2005, ვ. გოილაძე 2008...).

[8] https://bit.ly/2uEj2FD/დამოწმება: 23.12.2019/.

[9] ქართული დიპლომატიის ისტორია, 2004, გვ. 120; შდრ. „მატიანე ქართლისას“: [294] „წარვიდა კათალიკოზ-პატრიაქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კოსტანტინეპოლედ. შეიწყნარა და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღდელთმთავრო და სამღდელო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსავე თჳსსა. შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშჳდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა მისათჳს თჳსისა, ვითარცა არს ჩუეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათჳს მის ცოლისა. ამის ჟამში იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელი, თან ახლდა დედოფალს მარიამს, ქრისტეს აქათ ჩ˜ჲჱ“...

https://bit.ly/3cj6W5O (დამოწმება: 13.12.2019).

[10] ოსმალეთის იმპერიის სულთანმა მეჰმედ II-მ 1453 წლის 29 მაისს აიღო კონსტანტინოპოლი. ქართველი მემატიანე ასე ეხმიანება ამ ფაქტს: „ხოლო იყო ჟამსა მას კეისარი, სახელით კოსტანტინე პოლეოლოღოს. და იყო პატრიაქი აღსრულებულ. მაშინ აღიხუნეს და დაიპყრეს სრულიად საბერძნეთი ოსმალთა: და ოდეს აღიღეს კოსტანტინეპოლი, მას ჟამსა დაბნელდა მზე, რომლისა ამბავნი ვრცელად წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა. და იყო სამარადისოდ ბრძოლა ძლიერი. და კუალად იყო შური და ჴდომა ძეთა შორის ლანგ-თემურისთა, რამეთუ ფრიად მოშურნე იყვნეს იგინი ურთიერთას შორის. და ჟამსა ამას განთავისუფლებულ იყვნეს მკჳდრნი საქართველოსანი, და იყვნენ მშჳდობით განსუენებასა შინა“. http://www.orthodoxy.ge/istoria/qartlis_tskhovreba/akhali2-3.htm (დამოწმება: 23.12.2019).

[11] ანტონ პირველს, როგორც სამეფო გვარის მქონე პირს, პირადი ტრაგედიიდან გამომდინარეც, სურდა, დასავლურ სახელმწიფოებში ეპოვა ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერა და საკუთარი სამემკვიდრეო უფლების რეალიზება (ანტონ პირველს – თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონს, ნადირ-შაჰმა წაართვა საცოლე). ანტონ პირველის მიერ კათოლიკე მისიონერთან დაახლოებით ევროპული ორიენტაციის დაბრუნების მცდელობის შესახებ იხ., მ. ქავთარია, 1977, გვ. 6-27. ანტონ კათალიკოსის შესახებ იხ., აგრეთვე: თ. ჟორდანია, 1996, ა. ჯაფარიძე, 2009, ნ. მთვარელიშვილი 1991, ე. ორჯონიკიძე 1992...

[12] ა. ჟორდანია: ანტონ კათალიკოსმა „დიდი მონაწილეობა მიიღო იმ საპოლიტიკო მოძრაობაში, რომელმაც დაუკავშირა საქართველო რუსეთს 1783 წ. დადებული ხელშეკრულებით” (თ. ჟორდანია, 1996, გვ. 33). ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ ტრაქტატს ხელი მოაწერა 1784 წლის 24 იანვარს.

[13] “კათალიკოსსა ანუ უმთავრესსა არქიეპისკოპოსსა მათსა აქუნდეს ადგილი რიცხვთა შორის რუსეთის მღვდელმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა და უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგს ტიტლოსა უწმიდესისა სინოდის ჩლენობისასა”. იხ., ასევე: არადა, „არ შეიძლება რომელიმე ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური იყოს სხვა, უცხო

ეკლესიის სინოდის წევრი. ამით, ცხადია, ავტოკეფალური ეკლესიის ღირსება კნინდება, თუ უფრო მეტი არა. ანტონ I კი, 1783 წლიდან დანიშნული იყო რუსეთის წმიდა სინოდის წევრად“ (ა. ჯაფარიძე, 2009, გვ. 1091).

[14] “ესევე მუხლი გახდა იმის სათავედ, რომ საქართველოს ეკლესიას შემდეგში ცოტ-ცოტაობით მოაკლდა თვითმდგომარეობა და თავისი კანონიერი წარმომადგენელი”, ნ. მთვარელიშვილი, 1991, გვ. 29.

[15] ქართლ-კახეთის სამეფოსთან „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადება რუსეთს მთლიანი საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის საფუძვლად ესაჭიროებოდა. 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატი რუსეთმა დაარღვია 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (როცა ტოტლებენმა ერეკლეს არ გაუწია დახმარება); შესაბამისად, ყველა დროის საერთაშორისო სამართლით, თავადვე გააუქმა ეს ტრაქტატი. ტრაქტატის დადებითი შეფასება საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სიყალბეა.

[16] სწორედ ეს დღე ითვლება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დღედ.

[17] ამ თანამდებობაზე დაინიშნა პრორუსი მიტროპოლიტი ვარლამი (ერისთავი).

[18] ე. ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (1788-1810) http://patriarchate.ge/geo/saqartvelos-katolikos-patriarqi-anton-meore/ (დამოწმება: 21.12.2019). იხ., ასევე, ე. ბუბულაშვილი 2002; ბუბულაშვილი 2008.

[19] ლ. ტყეშელაშვილი 2012, გვ. 190-191: მღვდელმთავრები შეიპყრეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს, ხელები შეუკრეს და ნაცემ-ნაგვემი ასაკოვანი მიტროპოლიტები რუსეთის გზას გაუყენეს. რუსის ხიშტებით დაჩხვლეტილი მიტროპოლიტი დოსითეოსი სურამსა და გორს შორის გზაზე გარდაიცვალა. ეგზარქოს თეოფილაქტეს ბრძანებით, მიტროპოლიტი დოსითეოსი პირველივე ეკლესიაში ქრისტიანული წესით ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე უნდა დაეკრძალათ (Руская старина 1895:121). გარდაცვლილი, სისხლისაგან დაცლილი, ნატანჯი მიტროპოლიტი დოსითეოსი ანანურის ეკლესიამდე ატარეს ისე, რომ ხალხს მისი სიკვდილის შესახებ არაფერი გაუგია. ასეთი ბედი ხვდა წილად აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს უკანასკნელ გამგებელს.”ყველაზე საშიშია, რომ არ გაიგონ მიტროპოლიტების სიკვდილი, რომელთა მკვლელობაც ააღელვებს ხალხს, სამღვდელოებას და თავადებს. ასევე ცუდად იმოქმედებს ეს ფაქტი ჩვენს ჯარისკაცებზეც, რომელთაც რწმენა აქვთ სამღვდელოებისა. არავითარ შემთხვევაში არც ერთის სხეული არ დატოვოთ იმერეთში, არ დამარხოთ. ასევე არ ჩააგდოთ გვამები მდინარეში, თორემ სწრაფ მდინარეს შეუძლია სხეული ზემოთ ამოიტანოს. აუცილებლად მიიტანეთ სხეულები კაიშაურამდე, სადაც შეიძლება ისინი მიაბაროთ მიწას”.

http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000615/Dis.Tkeshelashvili%20l.pdf (დამოწმება: 21.12.2019).

[20] ქართველთა დედაენა – წინაპართა ენა და ყველა კუთხის ქართველის საერთო შემოქმედება (მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე 2005; ტ. ფუტკარაძე 2019.

[21] საქართველოში „ავტოკეფალისტური მოძრაობის ისტორიისათვის იხ.: ა. ჯაფარიძე 2017, გვ. 1096-1114; 1125-1132; ვ. გურული 2017, III, გვ. 452-532; ს. ვარდოსანიძე 2017, გვ. 7-176.

[22]„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ნამდვილი წევრი (1878 წლიდან). იყო ქართული ენის, როგორც „ყოველთა ქართველთა“ დედაენისა და საქართველოს საეკლესიო ენის დამცველი. დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის იმპერიას, რომელსაც სურდა სამეგრელოს ტერიტორიაზე საეკლესიო ენად, ქართულის ნაცვლად, დაემკვიდრებინა რუსული ენა და მეგრული დიალექტი. დავიმოწმებთ **ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის ერთ ციტატას:** „მეგრული ქართული ენის დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა... მეგრელი ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას...“ ვრცლად იხ.: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმიდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895), /რუსულიდან თარგმნეს თ. გვანცელაძემ და მ. ტაბიძემ/, ქართველური მემკვიდრეობა, XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 204-235; იხ., აგრეთვე: თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტაბიძე, 2006. გრიგოლ დადიანის შესახებ იხ. ასევე:

https://www.youtube.com/watch?v=pJ2e0ZvmFw8 (დამოწმება: 13.12.2019).

[23] კირიონის დიდი ღვაწლი კარგად ჩანს მის ნაშრომში: „ივერიის კულტურული როლი

რუსეთის ისტორიაში“ (2005).

[24] ზურაბ ავალიშვილი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და პროდასავლური კურსის ასაღორძინებლად.

[25] თბილი ოფიციალური წერილების ანალიზისათვის იხ. ს. ვარდოსანიძე, 2017, გვ. 46-50.

[26] წყარო: Ἄρθρα καὶ Μελέται Χρυσάνθου, Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν τοῦ ἀπὸ Τραπεζούντος (1911-1949), ὑπό Γ. Ν. Τασούδη (βιβλίον τρίτον), Ἀθῆναι, 1997, 305-306 (ვიმოწმებთ თ. მესხის ნაშრომის მიხედვით).

[27] ვიმოწმებთ ს. ვარდოსანიძის წიგნიდან (2017, გვ. 150).

[28] 1927 წლის 24 ივნისის კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) კურთხევით საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა განაჩინა შობის აღნიშვნა ახალი სტილით. 1928 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო სინოდმა განაჩინა ახალი სტილის დროებით შეჩერება, მაგრამ განჩინება მღვდელმთავრებს ავალებდა, მომავალში მაინც გაეწიათ პროპაგანდა ახალი სტილის სასარგებლოდ. საკითხი დღესაც აქტუალურია; იხ., მაგ., პუბლიკაცია: “საქართველოს მეოთხე საეკლესიო კრების განჩინება შობის 25 დეკემბერს აღნიშვნის თაობაზე არავის გაუუქმებია” http://premieri.ghn.ge/com/news/view/526/დამოწმება: 23.12.2019/.

[29] ვფიქრობ, აპრილსა და მაისში მიმდინარე კონფერენციისათვის 7 თებერვალს არ დაიწერებოდა ეს „მემორანდუმი“. ავტორმა დოკუმენტს 7 თებერვალი დააწერა, ალბათ, თავის დაზღვევის მიზნით. რა თქმა უნდა, ამან ვერ უშველა: ის მაინც სასიკვდილოდ გაწირეს ბოლშევიკებმა.

[30]„კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი“ https://bit.ly/32GMnf5 (დამოწმება: 20.12.2019).

[31] გენუის კონფერენციის ძირითადი თემა იყო ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე შეთანხმება: კონფერენცია მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე. მონაწილეობდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. ექსპერტების სპეციალურმა კომისიამ მოამზადა რეზოლუციის პროექტი, რომელიც **საბჭოთა ხელისუფლებისგან მოითხოვდა ეცნო მეფის რუსეთის ყველა სესხი და ფინანსური ვალდებულება.** კომისიის გაანგარიშებით, რუსეთის მთელი ვალი შეადგენდა 18,5 მილიარდ მანეთს ოქროთი, ხოლო ზარალი, რომელიც რუსეთის მთავრობას მიაყენეს – 39 მილიარდ მანეთს ოქროთი. საბჭოთა მთავრობა თანახმა იყო ეცნო ომამდელი ვალები და ყოფილ მესაკუთრეთა უპირატესი უფლება, თუ დე იურედ (ლათინური de iure) ცნობდნენ საბჭოთა მთავრობას, ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ მას, გააუქმებდნენ მის სამხედრო ვალებს... **სამწუხაროდ, ამ გარიგების ფონზე მიიჩქმალა საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაციის თემა და ქართველი ერის პრობლემები.**

[32] ვრცლად იხ. ს. ვარდოსანიძე 2017, გვ. 46-50.

[33] კანონიკური ნორმების დაცვით რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა 1943 წელს (პატრიარქის არჩევის შემდეგ); იხ. ქვემოთ.

[34] http://meufeanania.info/saeklesioni/(დამოწმება: 14.01.2020).

[35] სასულიერო პირთა გვარები მოგვაწოდა პროფ. ს. ვარდოსანიძემ ზეპირი საუბრის დროს.

[36] გაცილებით ადრე, ი. სტალინის პრაგმატული გათვლის შესაბამისად, 1943 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის ეკლესიამ დაადასტურა რუსეთის ეკლესიის მიერ 1927 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის ფაქტი, აღიარა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი მსოფლიო ეკლესიის მართლმადიდებლურ დიპტიქში (ა. ჯაფარიძე, საქართველოს დედაეკლესია, თბ., https://bit.ly/3ci6Efq (დამოწმება: 12.12.2019).

[37] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, თბ., 2016 http://dl.sangu.edu.ge/pdf/uzenaesisabcho.pdf(დამოწმება: 22.12.2019).

[38] საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო 1989 წლის 2 დეკემბრის მალტის გარიგებით, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირიდან რეალური გასვლის შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ ბალტიის ქვეყნების სამ რესპუბლიკას.

[39] საინტერესო ფაქტი: რამდენიმე წლის შემდეგ, 2000 წელს რუსეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მღვდელი ივანე ვოსტორგოვი, რომელიც გამოირჩეოდა ანტიქართველობით და უშუალოდ მტრობდა წმიდა ამბროსი ხელაიას, მღვდელმოწამე კირიონ II-სა და სხვა ქართველ

მოღვაწეებს (В августе 2000 года протоиерей Иоанн Восторгов был причислен к лику святых Юбилейным Архиерейским собором в составе Собора святых новомучеников и исповедников Российских https://bit.ly/2TbJC2t

[40] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში; საქართველოს საპატრიარქო, 19 ნოემბერი, 2019 წ.

https://bit.ly/2T5SNBl (დამოწმება: 21.12.2019).

[41]„მეუფე იაკობის მკაცრი გამოსვლა ევროპარლამენტში“

https://paqtebi.ge/?p=36804(დამოწმება: 21.12.2019).

[42] ღონისძიების ორგანიზატორები: ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური (ბრიუსელში), საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა; პარტნიორები – განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი(CDD), სექტორი 3 – ჰაბი განვითარებისთვის, ფონდი ProDemos, საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საინფორმაციო ცენტრი. /(დამოწმება: 23.12.2019).

[43]„რუსული პროპაგანდა მიზანმიმართულად ანგრევს ქართული საზოგადოების სეგმენტებს – მეუფე გრიგოლი“ https://netgazeti.ge/news/408159/(დამოწმება: 23.12.2019).

16 აპრილი, 2020

# 1.3. რეცენზია / გამოხმაურება

# მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის წარდგენა (23.03.2012)

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე („საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, 2010, 192): “ქართული ეკლესიის თავისუფლება ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვარია”.

თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ფუნდამენტურ გამოკვლევებს. მოკლედ შევეხები მრავალთაგან იმ სამ არსებით საკითხს, რომლებიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული მეუფე ანანიას 1200-გვერდიან ნაშრომში (ასევე, სხვა ნაშრომებში): „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“ (თბ., 2010):

1. ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიზნით, მე-19 საუკუნის დასასრულს რუსეთის იმპერიის მესვეურებმა შეთხზეს იდეოლოგემა, რომ, თითქოსდა, ქართებმა (ქართლელებმა) განახორციელეს: თუშების, ხევსურების, მეგრელების, სვანების, მესხების... ენობრივ-კულტურული და პოლიტიკური ასიმილაცია. გაჩნდა საოცრად არაადეკვატური ფრაზაც: ქართი – ტომიყლაპია (ნ. ბერძენიშვილი). ეს დაუსაბუთებელი მოსაზრება ცნობილია ე.წ. „ქართიზაციის თეორიის“ სახელით.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე **პირველი ისტორიკოსია,** ვინც, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ლოგიკური არგუმენტებით გააკრიტიკა ე.წ. ქართიზაციის თეორია და განავითარა ქართველ მემატიანეთა ტრადიციული ხედვა ქართველთა ეთნიკურ-კულტურული ისტორიის შესახებ; მაშინ, როცა საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ განქიქება, მიტროპოლიტმა ანანიამ უცხოური და ქართული ისტორიული დოკუმენტების შეპირისპირებით **წარმოაჩინა ქართული საისტორიო წყაროების სანდოობა.**

პროფესორ ანანია ჯაფარიძის მიერ ე.წ. ქართიზაციის თეორიის კრიტიკამ შექმნა საფუძველი, **სხვაგვარად დასმულიყო ქართველთა ენობრივი ისტორიის საკითხიც;** კერძოდ, ე.წ. „ქართიზაცია“ გულისხმობს, რომ, თითქოსდა, ქართული ენა მხოლოდ შორაპნამდე (დღეს – სამტრედიამდე) ვრცელდებოდა; არაბობის შემდეგ კი აღმოსავლეთ ქართველთა (ქართთა) დასავლეთ საქართველოში გადასახლების გამო, თითქოსდა, ქართთა ენა გავრცელდა დასავლეთ თუ სამხრეთ საქართველოშიც.

**პოსტსაბჭოურ პერიოდში ენობრივი და ანთროპოლოგიური ფაქტების შეპირისპირებითმა ანალიზმა სხვაგვარი რეალობა წარმოაჩინა:** ანთროპოლოგთა კვლევებით დადგინდა, რომ იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის, ლაზეთის, მოსახლეობა ანთროპოლოგიურად სრულიად ერთგვაროვანია და **ნაკლებ დამაჯერებელია მოსაზრება** ლაზეთსა და სამეგრელოს შორის ე.წ. ქართების ჩასახლების შესახებ; უბრალოდ, ამ ცენტრალური მხარეების მცხოვრებთა კუთხური მეტყველებები ნაკლებად არის შეცვლილი სალიტერატურო ენასთან მჭიდრო თანაარსებობის გამო. გარდა ამისა, ფაქტია, რომ უკლებლივ ყველა მხარის ქართველთა ადგილობრივი დიალექტი (იდიომი) **არქაული სამწიგნობრო ქართულის** მეორეული, ზეპირი სახესხვაობაა და არა – მისი პარალელური სისტემა; შდრ.: **არქაული სამწიგნობრო ქართული საერთოქართველური ენის უშუალო გაგრძელებაა** (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005).

**აქვე აღვნიშნავ:** მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ **ქართული მწიგნობრული კულტურა** ყველა კუთხის ქართველის (სვანის, მეგრელის, ლაზის, მესხის, კახელის, ქართლელის, ტაოელის, თუშის...) საერთო შემოქმედებაა; აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ ქართველ მწიგნობართა დიდ ნაწილს სწორედ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი წარმოადგენდნენ: იოვანე ლაზი, იოვანე მინხი, სტეფანე სანანოისძე, სხვადახვა თაობის ჭყონდიდლები, იოვანე პეტრიწი და სხვ. შესაბამისად, **ქართული ენა დედაენაა დასავლეთ საქართველოს ქართველებისთვისაც.**

ამ ფონზე შეგვიძლია ვთქვათ: სხვადასხვა კუთხის **ქართველთა ერთობა ქმნის ქართულ** ეთნოსს, ხოლო სხვადასხვა კუთხის ქართველთა კილოები და სამწიგნობრო ქართული ენა – **ქართველთა დედაენას.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართველთა კუთხური მეტყველებები (საოჯახო დანიშნულების კილოები) ქართველთა ზოგადეროვნული ენის ორგანული განშტოებები (მეტნაკლებად დისტანცირებული!) და მისი **მასაზრდოებელი წყაროებია.**

“ქართიზაციის” თეორიის უარსაყოფად ერთ-ერთი არგუმენტია ისიც, რომ მსოფლიოს არც

ერთი წყარო არ იცნობს ქართის ტომს, მაშინ როცა მრავალი წყარო ადასტურებს სხვა ქართული ტომების არსებობას; კერძოდ, არსებობდნენ: ტაოხები, მოსხები, კოლხები, კარდუხები, სპერები ანუ იბერები, სანები, ეგრები, ხალდები ანუ ხალიბები (იგივე, ჭანები ანუ ლაზები – ქალდეას მკვიდრნი), აფხაზები, სვანები ანუ მისიმიელები, დვალები, თუშები, კახები...

"ქართიზაციის" საკითხზე მსჯელობას დავამთავრებ მეუფე ანანიას ციტატით; იგი წერს:

**"ნ. მარისგან მომდინარეობს იდეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციისა" ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა; სინამდვილეში კი, ძველი წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია" არ ესაჭიროებოდა, რადგან ძველთაგანვე (და ფარნავაზის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის "ქართლის ცხოვრებას", ძველ ქრონიკებს და ძველ ავტორებს..."** (ა.ჯაფარიძე, 1996, გვ.195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1998, გვ. 261-263; ა.ჯაფარიძე, 2003).

2. მეორე საკითხი, რომელიც ასევე არსებითია ქართველოლოგიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიისათვის, არის **ქართულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესიის საზღვრების საკითხი.**

ქართული საისტორიო და საეკლესიო წყაროების ინფორმაციების საწინააღმდეგოდ, **საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი,** რომ, თითქოსდა, მე-9 საუკუნემდე დასავლეთი საქართველო არ იყო საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში (რომ, თითქოსდა, დასავლეთი საქართველო ეკლესიურად თუ პოლიტიკურად ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლს); მაგ., პავლე ინგოროყვაც კი თვლიდა, რომ დასავლეთ საქართველოში მე-9 საუკუნის პირველ ნახევრამდე გაბატონებული იყო ბერძნულენოვანი ეკლესია (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 244-247). მსგავსი თვალსაზრისია შესული ახლახან გამოქვეყნებულ „პროვოსლავნაია ენციკლოპედიას" მე-13 ტომშიც.

**მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე არის ის გამორჩეული მეცნიერი,** ვინც გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქართველ მემატიანეთა ცნობების, სტრაბონის მონაცემებისა და სხვა მრავალი წყაროს **შეპირისპირებითი ანალიზით** ააღორძინა საქართველოს ეკლესიის ტრადიციული ხედვა და უცხოური თუ ქართული ცნობების შეპირისპირებით მეცნიერულად დაასაბუთა, რომ **დასავლეთ საქართველოს ძირითადი ნაწილი** – ლიხის მთიდან კლისურამდე (ეგრისის წყლამდე) ტერიტორია – **მუდამ იყო საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში;** შესაბამისად, საეკლესიო და სახელმწიფო ენა აქაც ქართული ენა იყო.

**შენიშვნა:** ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან ბერძნების გავლენის ველში დარჩენილი ტერიტორიის **(კლისურიდან ნიკოფსიამდე:** "ეგრის წყალს ქუემოთა დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა") შემოერთების პროცესში (VIII საუკუნის მიწურულს ს.) ბიჭვინთის ეპარქიის ფარგლებში იქმნება აფხაზეთის საკათოლიკოსო, რომელმაც დამოუკიდებლობა მიიღო კონსტანტინეპოლისგან (IX ს.). ახალშექმნილი საკათოლიკოსო ფაქტობრივად დაექვემდებარა მცხეთის კათოლიკოსს, რომელმაც აფხაზეთის კათოლიკოსს სამართავად გადასცა დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის ეპარქიები (მანამდე ბიჭვინთელი კათოლიკოსი იურიდიულად აკონტროლებდა მხოლოდ კლისურას ჩრდილოეთ მხარეს). **დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის ეპარქიები** ქართულენოვანი იყო, ბიჭვინთისა – ბერძნულენოვანი; ამ გაერთიანების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ეპარქიების ენა – ქართული ენა – წირვა-ლოცვის ენად იქცა ბიჭვინთის ეპარქიაშიც. მცხეთის კათოლიკოსის გარშემო ეკლესიის გაერთიანებამ საფუძველი მოამზადა დიდი საქართველოს აღორძინებისთვის.

3. სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრ გაუგებრობას დაუდო სათავე IX-X საუკუნეების ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებში – **ნოტიციებში** – მოხსენიებული **ლაზიკის** ეპარქიის საზღვრების წინააღმდეგობრივმა გააზრებებმა.

გასული საუკუნის შუა წლებში პავლე ინგოროყვამ გამოთქვა თვალსაზრისი, რომ **სოტიროპოლი იგივე ოფი აფხაზეთში** კი არ მდებარეობდა, არამედ – ტრაპიზონსა და რიზეს შორის (1957, გვ. 250-

257). პავლე ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში ლაზიკის ეპარქიის არეალად მაინც დასავლეთი საქართველო მიიჩნეოდა.

მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ საგანგებოდ გამოიკვლია "ლაზიკის კათედრის" ადგილმდებარეობა; იგი ასკვნის: **"კონსტანტინოპოლის საპატრიარქო IX-X საუკუნეებში ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ტრაპეზუნტიდან ვანის ტბის მიმართულებით, სადაც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები იყვნენ განლაგებულნი. ამ ვრცელი მიწა-წყლის შუაგულში სათავეს იღებს ისეთი ცნობილი მდინარეები, როგორიცა არაქსი და ევფრატი"** (http://sveticxovelijournal.ge/view.php?id=78)... IX-X საუკუნეების ნოტიციებში მოხსენიებული ლაზიკის კათედრა მდებარეობდა ტრაპიზონის რეგიონში, კერძოდ, ქალაქ ზიგანას მხარეში; აქვე იყო როდოპოლისის კათედრაც. ეკლესიურად ტრაპიზონის მხარეში არსებული ეპარქია კონსტანტინეპოლს ექვემდებარებოდა, მაგრამ რამდენადაც აქ ძირითად მოსახლეობას ქართველები (ჭანები) წარმოადგენდნენ, ბერძნებმა ამ ეპარქიას ლაზიკის ეპარქია უწოდეს (http://sveticxovelijournal.ge/view.php?id=18; http://sveticxovelijournal.ge/view.php?id=77).

წარმოდგენილი კვლევის შემდეგ ტრაპიზონის მხარისა და ამ რეგიონში არსებული ეპარქიების ისტორია მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ქართველური მოდგმით დასახლებული ტრაპიზონ-რიზეს მხარე არაბობამდე პოლიტიკურად და ეკლესიურად ქართლის ნაწილია (ამას ადასტურებს ქართული წყაროები; მაგ., რუის-ურბნისის მეგლისწერა).

**შენიშვნა:** როგორც ცნობილია, I-IV მსოფლიო კრებების მიხედვით, საეკლესიო საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოს საზღვრებს; შესაბამისად, ლოგიკურია დასკვნა, რომ ადრეულ პერიოდში და შემდეგაც **ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში.** ქართლის საზღვრების თვალსაზრისით, საინტერესოა სომხური წყაროები, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებენ ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ჯავახიშვილი და მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; კერძოდ, ჰოჰანნეს სომეხთა კათოლიკოსის VI საუკუნის შუა წლების ეპისტოლეს მიხედვით, ტაო-კლარჯეთი ქართლის ეკლესიის სამწყსოა, ხოლო სომეხთა ისტორიკოსის, იოანე კათოლიკოსის ცნობით (924 წ.), ეგრისი მცხეთის კათოლიკოსის კანონიერი სამწყსოა: „კვირიონი, წინანდელი წესის თანახმად, იბერიელთა (ქართლელთა) გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოზად იქნა ხელდასხმული" (იოანე კათოლიკოსის მატიანე, 1912, გვ. 65; პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 243; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე:

http://sveticxovelijournal.ge/view.php?id=35.

შემდეგ საუკუნეებში ეს მხარე პოლიტიკურად ხელიდან ხელში გადადის, ეკლესიურად კი ლაზეთის ნაწილს (რიზედან სინოპემდე) კონსტანტინეპოლი იქვემდებარებს.

ოქროს ხანაში საქართველო პოლიტიკურად ისევ აკონტროლებს ტრაპიზონის მხარეს, თუმცა, ეკლესიურად კონსტანტინეპოლის გავლენის ქვეშ რჩება. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ (1453 წ.), როდესაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქო გავლენა დასუსტდა, **ტრაპეზუნტის ეპარქია ისევ საქართველოს (ივერიის), კერძოდ კი დასავლეთ საქართველოს – ლიხთ-იმერეთისა და აფხაზეთის – კათოლიკოსს ექვემდებარება;** ამ თვალსაზრისით საინტერესოა, მაგ., ლაზეთის ქალაქ ოფის მიტროპოლიტის – გერმანეს – 1652 წლის წერილი, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოიტანა პავლე ინგოროყვამ (1954, გვ. 262). ამ წყაროს მიხედვით, ოფის საკათედრო ტაძარი ივერიის მიწაზეა და იგი აგებულია იბერიის განმანათლებლის – ნინოს – მიერ ("строила святая Ирина, ею же Иверская земля приводена во святое крещение")...

საინტერესოა, ასევე, იმერეთისა და აფხაზეთის კათოლიკოსის – მაქსიმის – 1646 წელს დაწერილი წერილი, რომელიც მან გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს (იხ., პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 263; იხ., აგრეთვე: საპატრიარქოს უწყებანი, 14-21 მარტი, 2012 წ. ამ და სხვა დოკუმენტების აკადემიურ გამოცემას ამზადებს დოქტ. გიორგი ანდრიაძე); ამ წერილის მიხედვით, საქართველოს (იმერეთისა და აფხაზეთის) კათოლიკოსმა ოფისა და ალანიის მიტროპოლიტად აკურთხა მონაზონი გერმანე (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 263). აქვე აღვნიშნავ, რომ მეფე ბაგრატის მიერ 830 წელს შექმნილი აფხაზეთის ქართულენოვანი საკათოლიკოსოს მთავარი მიზანი იყო ბერძნებისგან მითვისებული ტერიტორიის (კლისურადან ბიჭვინთის მხარის ჩათვლით) მცხეთაზე დაქვემდებარება. ერთიანი საქართველოს „პატარ-პატარა საქართველოებად" დანაწევრების დროს, 1472-1474

წლებში, აფხაზეთის საკათოლიკოსოს ინერციით შეიქმნა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზეთის საკათოლიკოსო, რომელიც ასევე ქართულენოვანი იყო.

**შენიშვნა:** კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერემიამ რუსეთის ხელმწიფეს, იოანე მრისხანეს ვაჟს, თევდორეს შესთავაზა, მსოფლიო საპატრიარქო კათედრა მოსკოვში გადაეტანათ, რადგან იმ დროს რუსეთი იყო ერთადერთი სუვერენული მართლმადიდებლური სახელმწიფო; რუსეთის ხელმწიფემ ეს პასუხისმგებლობა ვერ აიღო (http://www.patriarchate.ge/?action=text/samartali18); შდრ., აგრეთვე: 1588 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია II მოსკოვს გაემგზავრა, სადაც ის დასთანხმდა მოსკოვის მიტროპოლიტის პატრიარქის რანგში აყვანაზე და, ზეწოლის ქვეშ, მოსკოვის მიტროპოლიტი (ავადმყოფი) იობი აიყვანა პატრიარქის რანგში. ეს მოხდა 1589 წლის 26 იანვარს (http://tinyurl.com/6qd6zv6).

პროფესორ ანანია ჯაფარიძის წარმოდგენილ თვალსაზრისს მხარს უჭერს ბიზანტიოლოგთა კვლევებიც; კერძოდ, ნაშრომში: **"დიდი კომნენები და აღმოსავლეთი"** (2001 წ.) ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის მკვლევარი, მსოფლიოში ცნობილი ბიზანტიოლოგი, მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **რ. შუქუროვი** სპარსული, ბერძნული, ლათინური, არაბული, ოსმალური, დასავლეთევროპული, სომხური და ქართული მრავალრიცხოვანი წყაროების შესწავლისა და შეპირისპირების შემდეგ ასკვნის:

1204-1461 წლებში ტრაპიზონის ანუ ჭანეთის (ჯანიკის) ანუ ქალდიის/ხალდიის იმპერიის ავტოქთონი მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ მართლმადიდებელი ქართველები (კერძოდ, ლაზები და ჭანები), რომლებიც ეკლესიურად ემორჩილებოდნენ კონსტანტინეპოლს; საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ტრაპიზონის რეგიონის მკვიდრი ამ ეთნოსის აღსანიშნავად რუსულენოვანი ავტორი იყენებს ეთნონიმს: картвелы.

**შენიშვნა:** იხ.: Р. М. ШУКУРОВ, ВЕЛИКИЕ КОМНИНЫ И ВОСТОК (1204-1461), Род редакцией С. П. Карпова; Издательство „АЛЕТЕЙЯ", Санкт– Ретербург, 2001, 45-57:

„С конфессиональной точки зрения подавляющее большинство подданных Великих Комнинов принадлежало к православной Церкви (греки и картвелы) и находилось в церковной юрисдикции трапезундского митрополита ..." (стр. 55);

„Особую роль в социальной структуре играла местная родовая знать греческого и картвельского происхождения (Схоларин, Дораниты, Кавазиты, Камахины, уже упоминавшиеся выше Чанихиты), широко привлекавшаяся Великими Комнинами на высшие государственные должности"... (стр. 56);

„Для обозначения территории Трапезундской империи восточные авторы пользовались топонимами „Трапезунд" ... „Джанит" и их производными. Топоним Джаник / Джанит восходит к топониму „Чанети", восходящему в свою очередь к названию картвельского племени „Чан", которое населяло горные районы Понта юго-восточнее Трапезунда... ронтийским грекам этот топоним был известен: в Халдии располагалась стратегтчески важная крерость... понтийские греки именовали ее „Чаниха". Вероятно, именно от этого топонима произашел патроним трапезундского ведьможного рода ...Чанихит" ... (стр. 45); „Вероятно, что вторым по численности этносом был картвельский, представленный лазами и чанами, двумя чрезвичайно близкими друг к другу народами..." (стр. 52-53).

პროფესორ ანანია ჯაფარიძის თვალსაზრისს ამყარებს კიდევ ერთი ფაქტი: ქ**ართული წყაროების ტერმინი (ქორონიმი) – "ეგრისი" არ უდრის ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების "ლაზიკას";** კერძოდ, ბერძნულ-ბიზანტიური წყაროების ქორონიმები – "ლაზიკა" და "იბერია" – ორ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს აღნიშნავს, მაშინ, როცა „ქართლის ცხოვრების" ტერმინით – „ეგრისი"– ნაგულისხმევი (მოაზრებული) ტერიტორია **ქართლის სახელმწიფოს** განუყოფელი ნაწილია!

**შეგვიძლია ვთქვათ:** საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილების წარმოდგენა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – **ლაზიკად და იბერიად** – საქართველოს დამპყრობელ ბერძენ-ბიზანტიელთა სურვილი უფროა, ვიდრე რეალობა. არ არსებობს სარწმუნო ფაქტები, ეჭვი შევიტანოთ ქართველ მემატიანეთა ცნობებში, რომელთა მიხედვით, **ეგრისი ქართლის ორგანული ნაწილია, საკუთრივ ქართველ მეფეთა საგამგებლოა – საუხუცესოა – საუფროსოა;** იხ., მაგ., არჩილისა და მირის ეპიზოდი "ქართლის ცხოვრებიდან":

**“განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი:** ნახევარი შენ და ნახევარი მათ, ხოლო **საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია.** ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა. და მამა-ცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცით იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკჳდროსა ჩუენისა, და შენ დაადგერ აქა და ემოყურებოდი ბერძენთა, ვიდრემდის განქარდეს ბნელი ესე”.

ვის უფრო უნდა ვენდოთ: იმპერიის მსახურ ისტორიკოსთა წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს თუ სხვადასხვა დროის ქართველ მემატიანეთა დოკუმენტირებულ ცნობებს, რომელთაც სხვა უცხოური წყაროებიც ამოწმებს?

დასასრულს კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში დღეს (29.03.2012) წარმოდგენილი წიგნი: **“საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული” დიდი განძია ქართველოლოგიისთვის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მადლობა გადავუხადოთ გამორჩეულ ისტორიკოსს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს უდიდესი სამეცნიერო ღვაწლისათვის.**

4 აპრილი, 2012

## დიდი გულისტკენა აჭარაში და პოეტ შოთა ზოიძის ემოციური პასუხი

თანამედროვე საქართველოს ბევრი საშინაო და საგარეო პრობლემა აქვს; ერთ-ერთია **კუთხეების მიხედვით დაბზარული ეროვნული ცნობიერება;** ბზარს კიდევ უფრო გააღრმავებს საქართველოში ამჟამად მიმდინარე **ე.წ. რეგიონალიზაციის** პროცესი (ზოგი გრანტიჭამია პოლიტიკოსი რეგიონულ საარჩევნო სიებზეც კი ლაპარაკობს, რომ საბოლოოდ დაკანონდეს ქვეყნის დანაწევრება). გარედან მართული მასმედიის ირიბი თუ პირდაპირი აგიტაციაც საშიშად „უბერავს“; კერძოდ, ცენტრალურ ტელევიზიებში ხშირად გაიგონებთ: იმერელი ჟურნალისტი, კახელი მეწარმე, აჭარელი მწერალი... პრობლემა დროულადაა მისახედი, რომ სრულად აღორძინდეს ერთიანი ეროვნული ცნობიერებაც და სახელმწიფოებრივი მეობის /„სახელმწიფო კაცობის“/ ინსტიტუტიც.

ერთიანი ეროვნული ცნობიერების დეფიციტის კონტექსტში ყველაზე მეტად გულსატკენია ირანსა თუ თურქეთში გადასახლებული ქართველების შთამომავალთა ტკივილიანი ამოძახილი: **„მირჩევნია ირანში/თურქეთში „გურჯი“ დამიძახონ, ვიდრე – საქართველოში „თათარი“:** რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაუსაძლისი ოსმალური ოკუპაციის მიუხედავად, ეთნიკური და დედაენობრივი იდენტობა შეინარჩუნეს აჭარის მკვიდრებმა თუ ქართლ-კახეთიდან ირანში დეპორტირებულებმა; ამ გმირ ქართველებს ვიღაც ხეპრე „თათარს“ ეძახის... ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში სწორედ ამის გამო დავწერე ასეთი ფრაზა: **„ნუთუ აღარ დადგა დრო, ქართველმა იცოდეს, მის გარდა კიდევ ვინ არის ქართველი?!“** („საწუხ არს ესე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“; 28.10.1988); მას შემდეგ 28 რთული წელი გავიდა, მაგრამ პრობლემა უცვლელი დარჩა:

განათლებისა და კაცობის დეფიციტის მქონე ვინმე არშემდგარი სუბიექტი დღესაც **ვერ/არ ხედავს საქართველოს განაპირა კუთხეების ქართველთა ტანჯულ ისტორიას.** ერთი ბერბიჭაშვილისა თუ ორჯონიკიძის გამო არ შეიძლება ქართველობა გაულანძღო ყველა ქართლელსა თუ იმერელს, აჭარელს, სვანს, მეგრელს, თუშს, ინგილოს... მით უმეტეს, საუკუნეობით უცხოობაში მოქცეულ და ობიექტური მიზეზების გამო ქართულენოვან აკადემიურ განათლებას მოკლებულ: ფერეიდნელს, იმერხეველს, ლივანელს, ტაოელს, მაჭახლელს, ლაზს, ინგილოსა თუ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალს... განაპირა კუთხეებში მცხოვრებმა ქართველებმა (აჭარლებმა, სვანებმა, მოხევეებმა, ხევსურებმა, თუშებმა, ინგილოებმა, ტაოელებმა, იმერხევლებმა, ლაზებმა...) დიდი სისხლის ფასად დაიცვეს საკუთარი ქართველური მეობაც და საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ქართველებიც: **მომხდურთა წინააღმდეგ განაპირა კუთხეების ქართველების**

**თავგანწირულმა ბრძოლამ გადაარჩინა ცენტრალურ საქართველოში მცხოვრები ქართველების ღირსება!** ეს კარგად უნდა გააცნობიეროს თბილისში, ქართლში, გურიასა თუ იმერეთში მცხოვრებმა ქართველმა და რელიგიისა თუ თითიდან გამოწოვილი რაიმე სხვა საბაბით ღირსება არ შეულახოს **თავგანწირულ მეციხოვნეთა შთამომავალთ.**

სულ ახლახან რომელიღაც მორიგმა მედროვემ მერამდენედ დაამცრო აჭარის ქართველობა; ცნობილმა პოეტმა შოთა ზოიძემ მას გაღიზიანებული ტონით უპასუხა.

მსგავს გამოხდომებს უფრო ადრე ასეთი ფრაზებით ისხლეტდა დიდებული ქართველი პოეტი, აჭარის ღირსეული შვილი – ზურაბ გორგილაძე:

**„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით, / საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები...“ („უმღერებელი მუხამბაზი“);**

**„ღმერთო ჩემო, დიდებულო, / სამართალი სად არი: /სომხიშვილი ქართველი? / ლეკიშვილი ქართველი? / თურქიშვილი ქართველი?.. / გორგილაძე თათარი?!“**

მანვე დაიჩივლა:

„საქართველოში ისე ვბერდები, /რომ ჩოლოქს ლექსი ვერ გავაცილე“ /. გამოქვეყნებულ ვარიანტშია: „საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხე“/... ზურაბ გორგილაძის მრავალწახნაგოვანი პოეზია დღემდე „უცნობია“ უეროვნულსულო სუბიექტებისათვის... აქვე გთავაზობთ გამორჩეული პოეტის ერთ-ერთ ლექსს, რომელსაც გულიანი ბათუმელი პოეტები და კოლორიტული ქუთაისელი მერაბ კვიცარიძე კითხულობენ:

https://www.youtube.com/watch?v=wUI2uRzDybw#t=22

სხვა ქუთაისელმა, გერმანიაში გახვეწილმა ზაქარია ფურცხვანიძემ, **შეკვეთილი პასკვილების წერა** არ იკმარა და რამდენიმე წლის წინ ჩემი მშობლიური კუთხე – აჭარა – შეურაცხყო, თუმცა, ჩემთვის ქუთაისი თუ გერმანია ბევრ დიდებულ მეგობართან ასოცირდება და არა ამნაირ არშემდგარ არსებასთან.

**... უნდა აპატიო მას, ვინც მოინანიებს:** ღირსების შემლახავ არაკაცსაც და ქართველთა ერთიანობის მტერსაც საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს; პოეტ შოთა ზოიძის პასუხი ლექსად ითქვა; ამ ლექსის სახელიც ნიშანდობლივია: **„ახალი ლექსი ძველი მოტივით“;**

**იხ. ბმული:** https://www.youtube.com/watch?v=h8CxWD4sj0U&feature=youtu.be

**ლექსს კითხულობს ავტორი** (გუშინ ქუთაისში ყოფნისას ტელეფონით ორჯერ ჩავიწერე; პირველი ჩანაწერისას ელემენტი დაილია; პირველი ვარიანტი სრულად ჩაიწერა ბ-ნმა მერაბ კვიცარიძემ).

**P.S.** ზურაბ გორგილაძე: **„ჩემო ციხევ და ნათელო, /ჭირიმე შენი გამჩენის! /შიგნით რას მერჩი, ქართველო, /გარეთ გყავს გადასარჩენი“ /მინაწერი ფილმზე: ტაო-კლარჯეთი/.**

19 ივნისი, 2016

## საქართველოს ეკლესია ისტორიულ გზაჯვარედინზე

/გამოხმაურება პროფესორ სერგო ვარდოსანიძის გამოკვლევაზე: “საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე” (1917-2017)/

იშვიათად ვწერ რეცენზიებს, რამდენადაც მიმაჩნია, რომ საკუთარი ნებით საჯარო შეფასების პრეტენზიის წარმოჩენა დიდი პასუხისმგებლობაა (მხოლოდ ნეგატივისა და ხოტბისათვის რეცენზიებს გაუმართლებლად სუბიექტური ტიპები წერენ); ეს გამონაკლისი შემთხვევაა:

ბოლო პერიოდში საქართველოს ეკლესიის მისამართით იმდენი ბოღმა იღვრება, აღარც სიტუაციისმიერიმისირეალურინაკლოვანებაჩანსდააღარცმრავალსაუკუნოვანიდამსახურებანი; ამიტომაც გადავწყვიტე, გამოვეხმაურო **პროფესორ სერგო ვარდოსანიძის** განსაკუთრებული რუდუნებით შექმნილ დიდი მოცულობის წიგნს: **“საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე” (1917-2017)** და დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, **სრული დეოკუპაციის პროცესში** ისტორიულ გზაჯვარედინზე მყოფ საქართველოში ეკლესიის

ისტორიის რამდენიმე არსებით მომენტსაც შევეხო.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ნათელია: "ქართლის ცხოვრების" მემატიანეთ სურდათ, ყველას დაენახა, რომ მსოფლიოში პირველი ეკლესია საქართველოში, დიდაჭარაში აიგო; ფაქტია ისიც, რომ მე-4 საუკუნეში **ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ქართველმა ერმა არამხოლოდ პროდასავლური გეოპოლიტიკური არჩევანი გააკეთა, არამედ იქცა დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც;** შესაბამისად, ამჟამინდელი ყოველგვარი ანტიეკლესიური გამოხდომები და საქართველოს ეკლესიისათვის პრორუსულობის დაბრალება მიმართულია საქართველოს ეკლესიის, როგორც ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი ერთადერთი მრავალსაუკუნოვანი ავტორიტეტული ინსტიტუტის, წინააღმდეგ. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზმი (რელიგიური გაერთიანება, უნივერსიტეტი, ბიზნესჯგუფი, სოციალური ფენა...) ასახავს მოცემული საზოგადოების ღირსებებსაც, ჭირვარამსაც და სინაკლულესაც; **ორასწლოვან რუსულ/საბჭოთა რეპრესიებს** გამოვლილი ჩვენი ეკლესიის ცოცხალი წევრები სიმეტრიულად აირეკლავენ ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას, შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ ამ შედარებით კონსერვატიულ ველში ყველაფერი რიგზეა; მეორე მხრივ, ვეწინააღმდეგები იმათ, ვინც საქართველოს მტრების გასახარად აკნინებს ქართველი ერის მეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთი უმთავრეს ფენომენს – საქართველოს მრავალსაუკუნოვან ეკლესიას.

მათ, ვინც ბევრი არსებითი ფაქტის არცოდნის გამო სრულად ვერ ხედავს კავკასიასა და წინა აზიაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიულ თუ ამჟამინდელ როლს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის "საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე" – ჩვენი ეკლესიის ბოლო 100 წლის აკადემიური ენციკლოპედია – **ბევრ საინტერესო მასალას მიაწვდის რეალობის ობიექტურად აღსაქმელად** (წიგნი დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გრიფით და ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, მეუფე იაკობის კურთხევით).

**I-IV საუკუნეებში საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა ორ კულტურას – ირანულ (აღმოსავლურ) ზოროასტრიზმსა და რომის იმპერიის (დასავლურ) ქრისტიანობას – შორის. მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იყო საქართველოს მმართველი ელიტის პროდასავლური გეოპოლიტიკური არჩევანი. IV საუკუნიდანვე იწყება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ დასავლური ორიენტაციის გამო. საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გარე ძალების აგრესიას ექვს ეტაპად განვიხილავთ:**

**პირველი ეტაპი** – ირანის აგრესია; **მეორე ეტაპი** – არაბების აგრესია; **მესამე ეტაპი** – ოსმალეთისა და, პარალელურად, ირანის აგრესია; **მეოთხე ეტაპი** – რუსული აგრესია პროზელიტიზმის მიმართულებით (1811 წელს რუსეთის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით იწყება საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის თვისობრივად ახალი ეტაპი, რომელიც გრძელდება 1918 წლამდე. ქრისტიანობის წინააღმდეგ მუსლიმანური სამყაროს ღია აგრესია ამ ეტაპზე შეიცვალა რუსული აგრესიული პროზელიტიზმით – რუსეთის მცდელობით, რუსეთის ეკლესიას მიეთვისებინა საქართველოს ეკლესიის სამწყსო). **მეხუთე ეტაპი** – ათეისტთა (კომუნისტთა) აგრესია; **მეექვსე ეტაპი** – ფსევდოლიბერალიზმის აგრესია[1].

**პროფ. ს. ვარდოსანიძის დასახელებული ნაშრომი საქართველოს ეკლესიისათვის ბოლო ორი გამოწვევის პერიოდს შეეხება:** საქართველოს ეკლესიის 100 წლის დეტალური ისტორია წარმოდგენილია ბოლო 9 კათოლიკოს-პატრიარქისა და 1917-2017 წლებში მღვდელმთავრების ისტორიების სახით. გამოკვლევა მიზნად არ ისახავს ვინმესთან პოლემიკას; აქ წარმოდგენილი ფაქტები და მათი ანალიზი მკითხველს დაეხმარება, დააბალანსოს თავისი ინფორმაციები და წარმოდგენები (არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ბოლო 100 წლის შესახებ); ზოგჯერ მსჯელობა მკაცრია; მაგ., დამაჯერებლადაა აღწერილი **რუსი ეგზარქოსების ანტიქართული საქმიანობა და მათ წინააღმდეგ ქართველ სასულიერო პირთა ბრძოლა; ასევე, ბელეტრისტული ხელოვნებითაა დასურათხატებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ**

**მეორის მკვლელობა და თანამდევი მოვლენები.**

ავტორი, ასევე, ფაქტობრივი მასალის საფუძველზე არგუმენტირებულად აღწერს 1921 წლის 15 აპრილის შემდგომ განვითარებულ მოვლენებსაც, როდესაც რუსეთის ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ სპეციალური დეკრეტით **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ გამოაცხადა** და საქართველოდან გაიტანა საქართველოს ეკლესიის უდიდესი განძი.

დიდძალი დოკუმენტური მასალის ანალიზის წაკითხვის შემდეგ მკითხველი უთუოდ დაასკვნის, რომ ბოლშევიკურ, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდებში **დიდი ზეწოლისა და სასულიერო პირთა დიდი ნაწილის განადგურებისა თუ გადაბირება-დამორჩილების მიუხედავად,** საქართველოს ეკლესიამ დღემდე შეინარჩუნა როგორც სწორი რელიგიური ორიენტირები, ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა და ქართველი ერის მაკონსოლიდებელი ინსტიტუტის ფუნქცია (ქართველთა განსხვავებული აღმსარებლობის მიუხედავად!). ბოლო წახნაგი აქტუალურია კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძისა და, განსაკუთრებით, საქართველოს ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის **ორმოცწლიან მოღვაწეობაში; კერძოდ, მისი უწმინდესობის მოგზაურობა აჭარაში, შორეულ ფერეიდანსა და ტაო-კლარჯეთში ქართველთა კონსოლიდაციის გზაზე გადადგმული გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია.**

გამოკვლევაში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917 წ.) და მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალურობის საბოლოო აღიარება (1990 წ.). ორივე ეს ფაქტი წინ უძღოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. არსებითია ისიც, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ თავად უწმინდესისა და უნეტარესის მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურა ასე ჩამოყალიბდა: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, **ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი...** ზოგადად, პროფ. სერგო ვარდოსანიძის მთელი წიგნი განმსჭვალულია საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შეუქცევადობის რწმენით და წარმოადგენს საქართველოს დეოკუპაციისათვის ბრძოლის ერთ-ერთ წახნაგს; შემთხვევითი არ არის, რომ წიგნის წინასიტყვაობის პირველი ფრაზა ასე ჟღერს: **“XIX საუკუნის დასაწყისში ერთმორწმუნეობის დოგმებზე დამყარებულმა ილუზიებმა სრული კრახი განიცადა”.**

**კიდევ ერთი არსებითი საკითხი:** გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ახალი ტიპის ბრძოლა იწყება: ფსევდოლიბერალური ჯგუფები ცდილობენ, **პრორუსული ორიენტაციის დაბრალებითა** და სხვადასხვა საბაბით ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე სახელი გაუტეხონ საქართველოს ეკლესიას, რომ საქართველოს ეკლესია იზოლაციაში მოაქციონ[2]; **ეს მხოლოდ რუსეთს მოუტანს სარგებელს.**

სინამდვილე სხვაგვარია: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სრულად გამოხატავს რა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს, ასევე, პატივს სცემს რა საქართველოს ეკლესიის ისტორიულ არჩევანს, ოფიციალურად აცხადებს, რომ **საქართველოს ბუნებრივი გზაა ევროპული ოჯახი;** მაგ., საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია მეორემ 2015 წლის 19 მაისს ავსტრიის პრეზიდენტთან ჰაინც ფიშერთან შეხვედრაზე განაცხადა: **„საქართველოს არჩეული აქვს ევროპის გზა: საქართველოს სურს, რომ გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების ნაწილი და მისი წევრი. საქართველოს ევროპული არჩევანი ძალიან მტკიცეა და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ამას“[3].**

სამწუხაროდ, დასავლეთში ბევრს არასწორი ინფორმაცია აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ევროპული არჩევანის შესახებ; იხ., მაგ., კავკასიის საკითხების ცნობილი ექსპერტის, თომას დე ვაალის მცდარი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დასავლეთთან დაახლოება არ სურს და ძველი საქართველოს სიმბოლოა[4]. სინამდვილეში, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე ითხოვს, დაჩქარდეს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი; მაგ., ევროკავშირის უმაღლეს კომისართან, შტეფან ფულესთან შეხვედრაზე მან განაცხადა: **“მე იმედი მაქვს, რომ ის პროცესები, რომლებიც დღეს ვითარდება ევროპაში, უკრაინაში, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ არ შეიძლება ევროპასთან ინტეგრაციის საკითხი გადადებული იყოს შორეულ მომავალში“[5]; სტეფან**

**ფულესთან შეხვედრისას კი მისმა უწმინდესობამ ასევე ბრძანა:**

“ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე კომუნისტური რეჟიმი, მიემართება ევროპულ სტრუქტურებში. ევროპის სტრუქტურები არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობენ საქართველოში. **ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს სრულფასოვანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის.** მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს. მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს იდეა განხორციელდეს... მე მინდა გითხრათ, რომ ამაში დარწმუნება არ მჭირდება. მე დიდი ხანია ამაში დარწმუნებული ვარ. არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ავრცელებენ ეკლესიის საწინააღმდეგოდ ამ იდეას და ამით, ალბათ, შოულობენ დახმარებებს. თქვენ თვითონ დარწმუნდებით საქართველოში ვიზიტისას. თქვენ დღეს ჩამობრძანდით, გქონდათ შეხვედრები, კიდევ შეხვდებით სასულიერო პირებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს”[6]...

ბევრი სხვა საინტერესო თუ ტრაგიკული ისტორიული ფაქტის ანალიზის წაკითხვა შეუძლია **დაინტერესებულ მკითხველს** ბატონი სერგო ვარდოსანიძის წიგნში: “საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე” (1917-2017), **მკითხველს, რომელსაც შეუძლია, უთანაგრძნოს** დეოკუპაციის პირობებში ისტორიულ გზაჯვარედინზე მყოფ ჩვენს ეკლესიას (რომელსაც სურს, დასძლიოს ათეიზმის რეციდივები და რუსეთის იმპერიის ზეწოლა), ასევე, გვერდით დაუდგეს ჩვენს ახალაღორძინებულ სახელმწიფოს, რომელიც დღეს თუ არა ხვალ მაინც **უნდა გახდეს ცივილიზებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი,** რომ რეალურად დაიცვას როგორც ქართველთა – საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელთა – ეროვნული მახასიათებლები და, ასევე, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა და უფლებები.

[1] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ავტორიტეტი და ამერიკელი ექსპერტის, თომას დე ვაალის შეცდომა; თბ., 1915

http://putkaradze1.blogspot.com/2015/06/blog-post.html; ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მცხოვრები ქართველი ერის ოცსაუკუნოვანი არჩევანი, თბ., 2017

http://putkaradze1.blogspot.com/2017/03/blog-post.html.

[2] საქართველოს ეკლესიის პრორუსულობა კი არ უნდა ვამტკიცოთ, პირიქით, უნდა დავეხმაროთ ეკლესიას, დასძლიოს საბჭოთა იმპერიის მძიმე მემკვიდრეობას; შდრ., მაგ., ლაშა ბაქრაძის დაუსაბუთებელი თვალსაზრისი (ქვემოთ კი იხ. ეკლესიის მეთაურის ოფიციალური განცხადებები): “სამწუხაროდ, ბოლო დროს აშკარა ხდება, რომ საქართველოს ეკლესია, ყოველ შემთხვევაში მისი მესვეურები, დღეს საქართველოში ასრულებენ რუსეთის მეხუთე კოლონის როლს. ინსტიტუცია, რომელიც საქართველოში ყველაზე პოპულარული და გავლენიანია, ეწევა ღია პრორუსულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას”

http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=5111&Title=laSa-baqraZe:-saqarTvelos-eklesia-dRes-ew-eva-Ria-prorusul-propagandas&lang=ge (06.08.2013); იხ., აგრეთვე, კორნელი კაკაჩიას მოსაზრება: სინოდის წევრების ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში ვიზიტი საშუალებას მისცემს საქართველოს ეკლესიას, მოახდინოს პრორუსულობის იარლიყის ბალანსირება

http://www.nsp.ge/view.php?id=13202 (11.11.2016); იხ., აგრეთვე, DAILY BEAST –ის კორესპონდენტის უილიამ კათკარტის დაუსაბუთებელი მოსაზრება: “საქართველოს ეკლესია დაახლოებულია რუსეთთან”

http://primetime.ge/dailybeast%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97(20.02.2017)...ზაზა შათირიშვილის პოზიციის კრიტიკისათვის იხ. საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის წერილი: გაზეთი „კავკასიონი“ №46, 8-14 დეკემბერი, 1999 წელი

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.7-&d=HASH44abe88776df007cb18c65.8.2

[3] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: “ჩვენი ევროპული არჩევანი ძალიან მტკიცეა”: http://www.civil.ge/geo/article.php?id=29383

[4] კრიტიკული მსჯელობისათვის იხ.: http://putkaradze1.blogspot.com/2015/06/blog-post.html

[5] ილია მეორე: **მე დარწმუნება არ მჭირდება, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს**

http://www.ambebi.ge/sazogadoeba/98316-ilia-meore-me-dartsmuneba-ar-mtcirdeba-rom-saqarthvelo-evrokavshiris-tsevri-unda-gakhdes.html

[6]http://www.tabula.ge/ge/story/80773-margvelashvili-umnishvnelovanesi-iko-shtefan-fules-ilia-meorestan-shexvedra

24 აგვისტო, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## როსტომ ჩხეიძე: ირაკლი წერეთლის “რეკვიემი სინანულისა”

ირაკლი (კაკი) წერეთელი გამორჩეულად ნიჭიერი ერთ-ერთი ქართველია, რომელიც მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიო რევოლუციისათვის იბრძოდა და რუსეთს შესწირა თავისი სასიცოცხლო ენერგია; არადა, შემდეგ კიდევ 40 წელს იცოცხლა! ბოლოს ასე შეაფასა საკუთარი მოღვაწეობა:

– რუსეთიც დავღუპე და საქართველოც!

**დავამატებ: საკუთარი თავიც!** კაკი წერეთელი სანამ მწვერვალზე იდგა, საქართველოსათვის თავგანწირულ გმირებს ჩამორჩენილებს ეძახდა, ილია ჭავჭავაძეს ებრძოდა ე.წ. ლიბერალიზმის პოზიციიდან, მაგრამ სიცოცხლის შეჯამებისას ლამის ილიას გაღმერთება დაიწყო; მოკლედ, სტალინის მტერი სტალინს ბევრი რამით ჰგავდა...

**რატომ დაინტერესდა ამ კაცით როსტომ ჩხეიძე?**

იმიტომ, რომ ჩვენი თანამედროვე თუ მომავალი ნიჭიერი ქართველები სევდიანად გააფრთხილოს:

**“გლობალიზმზე გამოდევნებით ან ცოდვაში ჩაეფლობით თავით ფეხებამდე” (სტალინის მსგავსად!), ანდა, ირაკლი წერეთლის ანალოგიურად, “დიდ სინანულში ჩავარდებით და ნუგეშს თქვენი პოლიტიკური გზის დაგმობაში იპოვნით”.**

ბევრ ირაკლის დაემართა ასე. **როსტომის წიგნში სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, რამეცაა მთავარი;**

როცა კითხულობ, მძაფრდება კითხვები:

**– რატომ ხდება, რომ ზოგი ნიჭიერი ადამიანი არასწორ ორიენტირებს ირჩევს:** საკუთარ თავსაც, სამშობლოსაც ვნებს და საკაცობრიო საქმესაც ვერ აკეთებს?

**– ლიბერალიზმის სახელით აღმოცენებული ზოგი მოძრაობა რატომ იწირავს ბევრ ადამიანს?**

**– დღეს როგორ უნდა ვიპოვოთ/შევინარჩუნოთ ის “ოქროს საშუალი” ორიენტირები,** მაშინ როცა, ერთი მხრივ, საქართველოს რუსული ოკუპაცია ანადგურებს, მეორე მხრივ კი ფსევდოლიბერალიზმით ცდილობენ ისტორიული ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობების განადგურებას და **ნამდვილად ლიბერალი ილია ჭავჭავაძისა თუ ნამდვილი კოსმოპოლიტი ვაჟა-ფშაველას** გზის გამგრძელებელ ქართველებს “ნაციონალისტებად” (ანუ შოვინისტებად) ნათლავენ და სამოღვაწეო ასპარეზს უსპობენ?

**პირველ კითხვაზე პასუხი იოლია:**

1. მართებული არჩევანი რომ გააკეთო, საკმარისი არ არის ნიჭი; აუცილებელია ისეთი ორიენტირის ქონა, რომელიც, სულ მცირე, **სწორია სამი განზომილებით:** პიროვნული (/ადამიანური) ათვლის სისტემითაც, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი (და არა – ვიწროკუთხური!) თვალთახედვითაც და ზოგადსაკაცობრიო განზომილებიდანაც.

არც კაკი წერეთელს და არც სტალინს არ ჰქონდათ სწორი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირი: მათ ასპარეზად დიდი რუსეთი მიიჩნიეს და უარყვეს საკუთარი სამშობლო: საქართველოსაც ავნეს და მათი აშენებული რუსეთის იმპერიაც დაიმსხვრა: კაკის – მალევე, სოსოს

– წლების შემდეგ (იმიტომ, რომ სტალინმა იმპერიის კედლები ბევრი სისხლით გაამყარაა, კაკის კი ეს არ დააცალეს).

**მეორე კითხვაზე უფრო რთულია პასუხი; აქ ბიბლიურ სიბრძნეს მოვიშველიებ:**

ერთენოვანი კაცობრიობა ჯერ სოდომ-გომორთან წარწყმდა, მეორედ კი – ბაბილონთან; მეორეჯერ უფალმა კაცობრიობა დაინდო: დაანაწევრა ერებად/ენებად, რომ თვითწარმწყმედ მკრეხელობამდე ბოლომდე არ მისულიყვნენ – **ბაბილონის გოდოლთან კაცობრიობის ახალი, მრავალენოვანი მოდელი შექმნა.**

ყველა მცდელობა, რომელიც დღეს თუ მომავალში მიმართული იქნება ერთი (/ერთენოვანი) გლობალისტური სახელმწიფოს შექმნისაკენ, კაცობრიობის დიდი ნაწილის, ან სულაც მთელი კაცობრიობის კატასტროფით დასრულდება.

**მესამე კითხვაზე პასუხი იოლია, მაგრამ ურთულესია, მიმდინარე საინფორმაციო ომის პირობებში გააგებინო დღეს ცოცხალ ქართველებს:** ქართველი ერი, ზოგადად, საქართველო გადარჩება, თუკი ქართველობა არ მოსწყდება თავის ისტორიულ ფესვებს, შეინარჩუნებს ენას და ყველა ნიჭირი ქართველი, ზოგადად, საქართველოს მოქალაქენი, შეეცდებიან, თავიანთი სასიცოცხლო ენერგია თავის ოჯახსა და თავის სამშობლოს –საქართველოს – ერთნაირად მოახმარონ; ასეთ შემთხვევაში ჩვენი ენერგია, მასშტაბის შესაბამისად, საკაცობრიო საქმესაც წაადგება.

**დიდი მადლობა, ბატონო როსტომ, რომ შექმენი ეს წიგნი-აისბერგი: "რეკვიემი სინანულისა".**

**:)**

28 დეკემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## მეცნიერების ქალური სიყვარული

/წერილი-რეცენზია **ქ-ნი იზა ჩანტლაძის**
აჭარაზე განსაკუთრებული სიყვარულით დაწერილი წიგნის შესახებ/

ეროვნული ენა (დედაენა) და მისი დიალექტები ასახავს ერის ეთნოკულტურულ ისტორიას, აქტიურ კონტაქტებს სხვა ერებთან /ენებთან/, ეროვნულ ცნობიერებას, ცხოვრების წესს, ისტორიული საცხოვრისის ლანდშაფტს, ეროვნულ მეურნეობას... **ბუნებრივია, ასეა ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ქვესისტემების შემთხვევაშიც.** ქართველი ერის ენობრივი ისტორიისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობისათვის განსაკუთრებული ადგილი აქვს ზოგადქართული (/ქართველური) ენის სვანურ ქვესისტემებს, რომელთა **კვლევისა და შენარჩუნების** მიმართულებით დიდი მნიშვნელობის მქონეა პროფ. იზა ჩანტლაძის აკადემიური კვლევები. ქ-ნი იზა ჩანტლაძის შრომები ფასეულია, ასევე, არა მხოლოდ სვანური მეტყველების, როგორც ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული წახნაგის, შესასწავლად, არამედ, ქართველური ენობრივი სისტემის არქაული სახის აღსადგენად და საუკუნეების მანძილზე კავკასიონის მთებში მიმდინარე **სამეტყველო კოდების** შერევის თავისებურებების გასააზრებლად.

ქ-ნი იზას მეცნიერული საქმიანობის ერთ-ერთი გამორჩეული შედეგია დიდი მოღვაწეების – ვარლამ თოფურიასა და მაქსიმე ქალდანის – მიერ დამუშავებული სვანური სალექსიკონო მასალის გამოსაცემად მომზადება და გამოქვეყნება. ვფიქრობ, განსაკუთრებულ ხაზგასმას იმსახურებს ერთი ფაქტი:

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, დიდებულმა ქალბატონმა, აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ და ქ-ნმა იზა ჩანტლაძემ ლექსიკონის სახელდების პრინციპების სიღრმისეული ანალიზის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ლექსიკონისათვის დაერქმიათ **„სვანური ლექსიკონი"** (სხვა ქართველური ქვესისტემების ლექსიკონების ანალოგიით!) და არა – „ქართულ-სვანური ლექსიკონი". შდრ.: პოლიტიკოსთა თუ მეცნიერთა ერთი ნაწილი ზოგ ქართველურ ქვესისტემას აცხადებს „უმწერლობო ენად", ამ „ენის" მფლობელ საზოგადოებას კი – უმწერლობო

„ხალხად“. ქალბატონმა ქეთევანმა და ქალბატონმა იზამ გაითვალისწინეს, რომ, სხვა ქართველთა მსგავსად, სვანთა ისტორიული დედაენაა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა (რომლის ენობრივი სტრუქტურა უმნიშვნელო ცვლილებებით აგრძელებს საერთოქართველურ ენას); შესაბამისად, **სვანური კილოების ლექსიკონი არ გაათანაბრეს ორენოვან თარგმნით ლექსიკონებთან.**

ამგვარი მეცნიერული და სრულიად მართებული გადაწყვეტის გამო ქალბატონ ქეთევანსა და ქალბატონ იზას ჩვენგან თუ შთამომავლობისგან უთუოდ ეკუთვნის დიდი მადლობა.

**უფრო ვრცლად ჩემი წერილის სათაურში გამოტანილი „ქალური სიყვარულის“ შესახებ:** ქართულ ენაში არ არსებობს არც სქესის და არც კლასის გრამატიკული კატეგორია; რით უნდა აიხსნას ეს? მარტივი ახსნა მაქვს:

ბევრ სხვა ენაში სქესისა თუ კლასის ნიშნების (მორფემების) არსებობა ასახავს თავდაპირველ **გენდერულ უთანასწორობას,** რომელიც არსებობდა ამ ენების მფლობელი ერების განვითარების ადრეულ ეტაპზე. ქართულ მსოფლაღქმაში ადრეულ ეტაპზეც კი ქალი და მამაკაცი რომ თანასწორი იყო, ამას სწორედ ენობრივი მონაცემები ცხადყოფს: ქართული ცნობიერების ამსახველ საერთოქართველურ ენასა თუ ქართველურ ქვესისტემებში **ქალისა და მამაკაცის გამმიჯნავი გრამატიკული კატეგორია არ დასტურდება.** ქართულენოვან სამყაროში ოდითგანვე არსებული გენდერული ბალანსი გამოხატულია ლექსიკურ ერთეულებშიც; შდრ., მაგ.: მამაკაცი (მამა ადამიანი) და დედაკაცი (დედა ადამიანი). ქართულ მსოფლხედვაში ქალის მნიშვნელოვან როლს ხაზს უსვამს წარმართულ პერიოდშიც კი მდედრობითი ღვთაების არსებობა, ღვთისმშობლის წილხვედრილობაც, წმინდა ნინოს მოციქულთა სწორობაც, თამარის მეფობაც, რუსთველის გენიალური აფორიზმის სამშობლოობაც, სწორფრობის ინსტიტუტიც, ქართულ ოჯახში ქალისა და მამაკაცის თანაბრად გადანაწილებული ფუნქციებიც და ა.შ.

**საქართველოში ქალსა და მამაკაცს მოვალეობრივ-ფუნქციური თანასწორობა კი აქვს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ სხვაობაა ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობებში:** მამაკაცი თუ ფიზიკურად ძლიერია, ქალი უფრო ამტანია; მამაკაცი თუ უხეშია, ქალი უფრო მომხიბლველია, მამაკაცს ომში თავგამეტება თუ შეუძლია, **ქალი თავგამეტებული სიყვარულისთვისაა დაბადებული...** ქალბატონი იზა კოლხ მედეას ტიპის კლასიკური ქალია – სიყვარულისათვის თავგამეტება შეუძლია; თუ უყვარს, ყველაფრის გაღება შეუძლია. რაც ზუსტად ვიცი, იმ მაგალითის მიხედვით გავაგრძელებ მსჯელობას:

ერთმა შემთხვევამ ქალბატონი იზა ჩემს ნათესავსა და უფროს მეგობარს – აკაკი ბერიძეს – შეახვედრა; მათი საქმიანი ურთიერთობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა. დიდი მეგობრობის საფუძველი კი მუდამ განსაკუთრებული ადამიანური სიყვარულია. ამ სიყვარულმა გურულკრიტიკული მზერა რომანტიკულ-ჰეროიკულ აღქმაში გადაიყვანა და 2016 წელს დააწერინა წიგნი ბერიძეების მოდგმისა და აჭარის შესახებ. ქალბატონი იზას წიგნში მეც მოვხვდი, როგორც გამორჩეული ქართველი მოღვაწის – ლომან-ეფენდი ქარცივაძის – ერთ-ერთი შთამომავალი (აკაკი ბერიძე და მე ერთნაირად ვართ დაშორებული ამ დიდებულ წინაპარს).

წიგნის სათაურად ავტორმა შეარჩია ფერადოვანი ფრაზა: წიგნის სათაურად ავტორმა შეარჩა ფერადოვანი ფრაზა: „მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე“ /ეს წინადადება უთქვამს დიდებულ ქართველს, ბატონ ლევან ბერიძეს – აკაკი და ჯემალ ბერიძეების მამას – შვილების სადისერტაციო ნაშრომების დაცვის დღეს, თუმცა, მაინც მგონია, რომ ეს სიტყვათშეხამება ქ-ნმა იზამ სხვა ქვეტექსტის გამოც შეარჩია :)/. ჩემი მშობლიური კუთხის – აჭარის – შესახებ დაწერილი საინტერესო წიგნი მოიცავს ექვს თავად გადანაწილებულ ექვს ძირითად „ამბავს“. მთლიანობაში, წიგნში ქრონოლოგიური პრინციპითაა აღწერილი **ზემო აჭარის ქართველობის ღირსეული ცხოვრება ბოლო 200 წლის მანძილზე; მოკლედ თითოეული ნაწილის შესახებ.**

**აჭარა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.** ავტორი წიგნის ამ თავში გვიყვება ოსმალეთის ოკუპაციის დასასრულს აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და ენობრივ-კულტურულ-რელიგიური წახნაგების შესახებ; იგი, ეყრდნობა რა ილიასეულ გენიალურ გამონათქვამს: **„ენა დედაა ერისა“,** ნათლად წარმოაჩენს **დედაენის უმთავრეს როლს** ტბელ აბუსერიძის სამყაროს იძულებით ჩამოშორებული აქაური ქართველობის იდენტობის გადარჩენაში (ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ზოგ სხვა კუთხეში XIX საუკუნის ბოლოს „ქართული ენა ნატამალობს“ – წერს ზაქარია ჭიჭინაძე); აღწერს წმიდა ილია

მართალის, დიმიტრი ბაქრაძის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვა განმანათლებელთა ღვაწლს მრავალჭირგამოვლილ აჭარაში დედაენობრივი განათლების კერების აღორძინების მიმართულებით. წიგნის ამავე ნაწილში ქალბატონი იზა ათვალსაჩინოებს, რომ ამ დიდ ქართველთა გეგმა ვერ განხორციელდებოდა, თუ არა აჭარის გამორჩეულ მკვიდრთა ძალისხმევა **დედაენობრივი განათლების** კერების ასაღორძინებლად; მათ შორის ერთ-ერთი იყო აკაკი და ჯემალ ბერიძეების ბაბუა – ნური ბერიძე, რომელიც აგრძელებდა **ლომან ეფენდი ქარცივაძის** გზას.

**ჰაჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე და ყადი ეფენდი ბერიძე.** წიგნის მეორე ნაწილში მკითხველი ეცნობა დიდი პროფესორის, სტამბოლში განსწავლული დიდებული ქართველის, ლომან ქარცივაძის ცხოვრებისეულ კრედოს (2012 წელს 200 წელი შესრულდა ლომან ქარცივაძის დაბადებიდან). დიდწილად ლომან ეფენდის დამსახურებაა, რომ ზემო აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა საცხოვრებლად სამშობლოში დარჩა და შუა თურქეთში არ გადაიხვეწა რუსული ოკუპაციის დროს განხორციელებული პროვოკაციების გამო. არ იყო შემთხვევითი, რომ ლომან ეფენდის სიძე გახდა, ასევე, სტამბოლში განათლებამიღებული ნური ბერიძე, რომელიც მოსამართლედ მუშაობდა ხულოს მაზრაში. სწორედ ნური ბერიძის თაოსნობით 1915 წელს მის საკუთარ სახლში, ოლადაურში გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა მარეთის ხეობაში. **აჭარაში ამ და სხვა ქართულენოვანი სასწავლო ცენტრების აღორძინებამ** არსებითი როლი შეასრულა ოსმალობის დროს გაბუნდოვანებული ეროვნული იდენტობის აღდგენაში.

**წიგნის მესამე ნაწილი: ოლადაურის საშუალო სკოლის მხცოვანი და ახალგაზრდა დირექტორები.** საბჭოთა ოკუპაციამ ბევრი უბედურება მოუტანა საქართველოს და მის ერთ-ერთ კუთხესაც – აჭარასაც; თუმცა, ამას ვერ ვიტყვით განათლების სფეროზე: სამცხე-ჯავახეთისაგან განსხვავებით, ბოლშევიკებმა აჭარაში გააგრძელეს ქართულენოვანი სკოლების დაფუძნება (სამცხე-ჯავახეთში მუსლიმან ქართველებს, რატომღაც, აზერბაიჯანულენოვანი სკოლები გაუხსნეს). პროფ. ი. ჩანტლაძე, სანდო წყაროების საფუძველზე, თვალნათლივ წარმოადგენს ზემო აჭარაში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის რთულ და საინტერესო პროცესს; ავტორი ამას ახერხებს ოლადაურის **საშუალო სკოლის** ერთ-ერთი პირველი დირექტორის – ვახტანგ მაკარაძისა და ამჟამინდელი დირექტორის – მერაბ ფუტკარაძის მოღვაწეობის აღწერით.

წიგნის მომდევნო ნაწილში – **ნური ბერიძის საგანმანათლებლო ტრადიციათა კვალდაკვალ** – გრძელდება ზემო აჭარაში განათლების კერების დაარსების ისტორიის თხრობა: წარმოდგენილია ორი ავტორის ორი წერილი ორი 100-წლიანი სკოლის შესახებ; კერძოდ, პროფ. მიხეილ მახარაძე მოგვითხრობს ფაჩხის საშუალო სკოლის შესახებ, სხალთა-ხიხანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, თხილვანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი შოთა ბოლქვაძე კი –თხილვანის სკოლის შესახებ. წერილებში ხაზგასმული ის განსაკუთრებული როლი იმ ღვთისნიერი ადამიანებისა, რომლებიც კომუნისტების დროს ზემო აჭარაში მასწავლებლებად მოდიოდნენ გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან... პირადად, მეც მახსოვს მამაჩემის დიდი მოკრძალება ცენტრალურ დასავლეთი საქართველოდან მოსული მასწავლებლების მიმართ.

ქ-ნი იზა ჩანტლაძის კონცეფციის შესაბამისად, წიგნის მომდევნო ნაწილი დაიჭირა თავმა: **„მოგონებანი გარდასულ დღეთა“.** აქ წარმოდგენილია პროფესორების: აკაკი ბერიძის, ჯემალ ბერიძის, ელგუჯა მაკარაძის, ლევან მაკარაძის, ბიჭიკო დიასამიძისა და ჟურნალისტ ოთარ ფუტკარაძის წერილები, რომლებიც საკუთარი მოგონებების საფუძველზე საინტერესოდ აღწერენ ზემო აჭარის გამორჩეული ადამიანების ისტორიას, აქაურთა ყოფა-ცხოვრების საინტერესო დეტალებსა და განათლების სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს.

კონკრეტულ პიროვნებათა ცხოვრების მაგალითზე წიგნის მკითხველი თვალნათლივ ხედავს აჭარის – საქართველოს ამ გამორჩეული კუთხის – მკვიდრ ქართველთა რთულ ცხოვრებას; ხედავს, ოსმალური თუ კომუნისტური „გველვეშაპების“ „მუცლებიდან“ ამირანულ-გილგამეშური ღირსებით როგორ გამოდიან აჭარლები და, იძულებითი ტყვეობის შემდეგ, როგორ უერთდებიან ერთიან ქართულ მდინარებას... თვალნათლივ ჩანს, ტბელ აბუსერიძისა თუ ლომან-ეფენდის ღირსეული შთამომავლობა დღესაც აქტიურად ავლენს ძლიერ ეროვნულ ნებას.

წიგნის ძირითადი ნაწილის ბოლო თავია **„ბერ– ძირის ვარიაციები ისტორიულ ონომასტიკაში“.** რა თქმა უნდა, ავტორი – პროფ. იზა ჩანტლაძე – ხელსაყრელ შემთხვევას არ გაერიდა და თავისი

პროფესიული კვალი დაამჩნია ბერიძეთა გვარის ეტიმოლოგიასაც; წიგნის ამ ნაწილში დიდძალი ონომასტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თვალსაზრისი ბერიძეთა გვარის ეტიმოლოგიის, გავრცელების, გვარსახელის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ. აქვე აღვნიშნავ, რომ სიყვარულით დაწერილი წიგნი არა მხოლოდ ბერიძეთა მოდგმას, არამედ, ზოგადად, აჭარის მკვიდრთა თავგანწირვას ესალბუნება.

წიგნმა: **„მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე“** სხვა თვალით დამანახა **ენათმეცნიერი იზა ჩანტლაძე:** ქალბატონი იზა არის დიდი მეგობრობის შემძლე, თუკი დიდი სიყვარულითაა აღსავსე. სიყვარული ამოძრავებს მას ქართველური მეკვიდრეობის განსაკუთრებული ნაწილის – სვანური მეტყველების – მიმართ, აჭარის მიმართაც, გურიის მიმართაც...ზოგადად, სრულიად საქართველოს ყველა მშვენიერი წახნაგის მიმართ.

ჩემი რეცენზია-წერილი ასე მინდა დავასრულო:

მიყვარს ყველა:

– ვინც რაიმე ნაკლს არ აზვიადებს და გაკეთებულ საქმეებს ადეკვატურად ხედავს;

– ვინც რეალურად აღიქვამს ჩემი მრავალტანჯული კუთხის – აჭარის – ქართველობის ღირსებას, რომელმაც ქვესკნელები გამოიარა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა დედაენობრივი იდენტობა;

– ვინც პატივს სცემს ჩემი მშობლიური ერის – ქართველი ერის – მრავალსაუკუნოვან ორიგინალურ კულტურას და აფასებს აიეტიდან დღემდე ჩვენს გასაოცარ არსებობას.

**და ბოლოს: უმჯობესია, წუთისოფელში ერთმანეთი დავინახოთ იმ მხრიდან, რომელიც მრთელია!**

5 აპრილი, 2019

## რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი ეგზარქოსი მეცნიერული თვალთახედვით

/გამოხმაურება პროფესორ გიორგი სოსიაშვილის წიგნზე: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ“, გორი, 2019 წ./

1992 წელს რუსეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა მიტროპოლიტი ვლადიმერი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა უკრაინის ავტოკეფალიას (შეიძლება ამის გამოც მოკლეს ის კიევში 1918 წელს). უკრაინაში მოღვაწეობამდე, 1892-1898 წლებში, ვლადიმერი (ერისკაცობაში – ვასილ ნიკიფორეს ძე ბოგოიავლენსკი) იყო საქართველოს ეგზარქოსი. მიტროპოლიტი ვლადიმერი შემდეგაც ჩანს საქართველოს კონტექსტში:

რჩეულ ქართველ მოღვაწეთა მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის საპასუხოდ რუსეთის იმპერიის უწმინდესი სინოდის მიერ 1906 წლის 16-18 იანვარს შეიქმნა **განსაკუთრებული სათათბირო,** რომელსაც საქართველოს საეგზარქოსოში არსებული საეკლესიო საქმეები უნდა განეხილა. აღნიშნულ სათათბიროს ხელმძღვანელად დანიშნეს ეპისკოპოსი ვლადიმერ ბოგოიავლენსკი. სათათბიროში შედიოდნენ: საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი ფლაბიანე (გოროდეცკი), იმჟამად კიევის მიტროპოლიტი, საქართველოს მოქმედი ეგზარქოსი ნიკოლოზი (ნალიმოვი), ეპისკოპოსი კირიონი (იმჟამად ის ორლოვსკის და სევის ეპარქიას ედგა სათავეში, 1906 წლის 3 თებერვალს კი სოხუმის ეპარქიაში გადაიყვანეს) და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. **ქართველი ეპისკოპოსების თავგამოდებული ბრძოლის მიუხედავად, სათათბიროს უარი თქვა ქართველთა მოთხოვნაზე** (თავმჯდომარესთან ერთად აქტიურობდა ქართველთმოძულე მღვდელი ი. ვოსტორგოვი, რომელიც, ასევე, წმინდანად შერაცხა რუსეთის ეკლესიამ 2000 წელს).

ასეთი ბიოგრაფიის მქონე პირის შესახებ 1902 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ გალაშქრებამდე, იღუმენი კირიონი (დღეს ჩვენი სასიქადულო მოღვაწე და წმინდანი) ვლადიმერის შესახებ წერს წიგნს: **„საქართველოს ეჭზარქოსის, მისი უსამღვდელოესობის ვლადიმერის მიერ ქართლის ეკლესიების მიმოხილვა“.** იღუმენ კირიონის წიგნი პირველად

დაიბეჭდა რუსულ ენაზე რუსეთის იმპერიის პერიოდულ სასულიერო ხასიათის გამოცემაში – „Прибавления к «Духовному вестнику Грузинского Экзархата» (ამ დროს ჟურნალს რედაქტორობდა ქართველების მიმართ განსაკუთრებული ანტიპათიით განწყობილი ი. ვოსტორგოვი). ლოგიკურია დავუშვათ, რომ რუსეთის იმპერიის ფაქტობრივი მოხელის, ივანე ვოსტორგოვის გამოცემაში მიტროპოლიტ ვლადიმერისადმი კეთილგანწყობილი წერილის გამოქვეყნება **მიზნად ისახავდა მიტროპოლიტ ვლადიმერისადმი მხარდაჭერას;** შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოსათვის არაკეთილმოსურნე რუსი მღვდელმთავრის სახე იღუმენმა კირიონმა გარკვეული კონიუნქტურით „დახატა“. ბუნებრივია, ეს არ იქნებოდა კირიონის მთავარი მიზანი.

ვფიქრობ, კირიონმა მიზანმიმართულად დაგეგმა რუსი ეგზარქოსის პოზიტიურად წარმომჩენი წერილი, რომ ასეთი საფარველით რუსეთისათვის, ზოგადად, მთელი მსოფლიოსათვის გაეცნო საქართველოს დიდი კულტურული ისტორია.

არ გამოირიცხება სხვაგვარი ახსნაც: ვლადიმერმა თავად სთხოვა მის მიერ ბერად აღკვეცილ იღუმენ კირიონს პოზიტიური წერილი (პოზიტიური წერილი რუსეთში კარიერულ წინსვლაში წაადგებოდა); კირიონმა კონიუნქტურული წერილი გამოიყენა მთელი მსოფლიოსათვის საქართველოს დიდი კულტურული ისტორიის გასაცნობად...

**ზემოთქმულის ფონზე ნათლად იკვეთება პროფ. გ. სოსიაშვილის მიზანი:** მღვდელმოწამე კირიონის ღირსების დაცვით, თანამედროვე მკითხველს აჩვენოს არა მხოლოდ ეგზარქოს ვლადიმერის რეალური სახე, არამედ, ასევე, ერთი მხრივ, მაშინდელი საზოგადოების დამოკიდებულება ეგზარქოსისადმი, მეორე მხრივ კი – მისდამი იღუმენ კირიონის „სირბილის“ მიზეზები. სწორედ ამიტომაა, რომ გ. სოსიაშვილი თავის გამოკვლევაში მღვდელ **იროდიონ ოქროპირიძის დოკუმენტურ თხრობაზე დაყრდნობით** აღწერს ეგზარქოს ვლადიმერის მოგზაურობას საინგილოშიც. ამ დოკუმენტური აღწერიდან ჩანს ვლადიმერის ფაქტობრივი **სიძულვილი ქართულენოვანი მრევლის მიმართ.** 1896 წელს საინგილოში მოგზაურობისას გამოვლენილი ვლადიმერის ანტიქართული გამოხდომების ფონზე **სრულიად განსხვავებულია კირიონისეული ეგზარქოსი ვლადიმერი 1897 წელს შიდა ქართლში მოგზაურობისას.**

გადაუჭარბებლად ვამბობ: პროფ. გიორგი სოსიაშვილმა მიზანს მიაღწია: ბევრი წახნაგით შეივსო მღვდელმოწამე კირიონის სახე, როგორც გლობალურად მოაზროვნე მოღვაწისა; გარდა ამისა, კარგი საქმე გაკეთდა იღუმენ კირიონის რუსულენოვანი ტექსტის შესანიშნავი თარგმანის, შესაბამისი გამოკვლევისა და თანდართული მრავალრიცხოვანი აკადემიური კომენტარების გამოცემით. თავად კირიონის ტექსტი არის **ჰარმონიული შერწყმა ანტიკურ თუ მართლმადიდებლური სამყაროების შესახებ დიდი ცოდნისა, ზოგადად, მისი საოცარი განსწავლულობისა და დიდი მწერლური ნიჭისა.** მწერლური ნიჭის წარმოსაჩენად მოვიყვან ერთ ნაწყვეტს **კავკასიონის შესახებ** კირიონის ტექსტის შესანიშნავი თარგმანიდან:

„ჰორიზონტზე თვალუწვდენელ მანძილზე გადაჭიმული და ურიცხვი განშტოებებით შემკული კავკასიონის ქედი მოჩანს. თითქოს წარმოუდგენელი ძალის ქარიშხალმა ძირისძირამდე გაარღვია ოკეანე, დაფლითა და დააქუცმაცა წყლის მასა და ცის კამარამდე აიტაცა. მის მიერ გამოწვეული, მძვინვარებისა და სიძლიერის უმაღლეს წერტილში მყოფი გიგანტური მრისხანე ტალღები რაღაც ჯადოსნური ქმედებით თვალის დახამხამებაში გააქვავა. ამ ქვის გოლიათების მწვერვალების მარადიული თოვლი უმოძრაო ტალღების გვირგვინებად ქცეული შეყინული ქაფის ნაფლეთებად გვეჩვენება. ყოველივე ეს, საერთო ჯამში, ამგვარად აგვირგვინებს ამ სასწაულებრივ ილუზიას. მხატვრის ფუნჯია საჭირო, რათა სრულყოფილად გადმოსცეს ეს მშვენიერება, ეს შეუდარებელი სილამაზე“ (გ. სოსიაშვილი, 2019, გვ. 124).

პარალელად მხოლოდ წმიდა ილია მართალის შედარება მახსენდება:

**„და თეთრი ზოლი შორის მთებისა, ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა...“**

**არანაკლებ საინტერესოა იღუმენ კირიონის წიგნის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მხარე:**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეგზარქოს ვლადიმერის ღირსებების წარმოსაჩენად დაწერილ თხზულებას კირიონი იყენებს იმისათვის, რომ დეტალურად აღწეროს ქართლის ეკლესიებისა თუ მართლმადიდებლური სიწმინდეების ისტორია და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია 1811 წლამდე – რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე[1]. პარალელურად, მისი მთავარი მიზანია, ასევე, წინა პლანზე

წამოსწიოს საქართველოს უნიკალური წარმართული თუ წარმართობის შემდგომი ისტორია, მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენა, დიდი ქართული მწიგნობრობა, ქართული ხასიათი, ქართული მითოლოგია, ქართული მუსიკა, ქართული პოეზია, ქართული სკულპტურა, მსოფლიოს ყველა ერის მიღწევაზე აღმატებული ქართული ორნამენტის, ჩუქურთმისა თუ სამშენებლო ტრადიცია, საეკლესიო ხუროთმოძღვრება, ორიგინალური ქართული/იბერიული არქიტექტურის მახასიათებლები, ბაგრატიონთა დიდებული სამეფო ისტორია, ზოგადად, ქართველი ერის ისტორიული ფასეულობები და ა.შ. თანამედროვე კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ფასეულია კირიონის თხზულების ის ნაწილი, რომელშიც კირიონი აღწერს ცხინვალის მხარის ისტორიასა და აწმყოს, აქაური ქართული კულტურის ძეგლებსა და დიდებულ ქართველობას (კირიონის აღწერიდან ჩანს ისიც, რომ ცხინვალში მხოლოდ ერთი უმცირესობის – ებრაელების – წარმომადგენლები ცხოვრობენ).

ქართული ისტორიული რეალობის მრავალი განზომილებით აღწერასთან ერთად, ასრულებს რა სიტუაციურ მოთხოვნას, როგორც უკვე აღინიშნა, იღუმენი კირიონი დადებითი რაკურსით წარმოაჩენს რუს ეგზარქოსს. ამ ფაქტის შესახებ **გ. სოსიაშვილი ფრთხილად წერს:** „მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერი რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო, კირიონ II-ის თხზულებიდან ჩანს, თუ როგორ თბილად იყო განწყობილი ეგზარქოსისადმი ქართველი საზოგადოება, სასულიერო წრეები თუ თავადაზნაურთა ფენა“ (გვ. 24); თუმცა, ეგზარქოს ვლადიმერისადმი იღუმენ კირიონის ხაზგასმული პოზიტიური დამოკიდებულების დასაბალანსებლად და რეალური სურათის შესაქმნელად, ბ-ნ გ. სოსიაშვილს იქვე მოჰყავს **კალისტრატე ცინცაძის** მტკიცებულებები, თუ როგორი სიძულვილი ჰქონდა ეგზარქოს ვლადიმერს როგორც საქართველოსადმი, ასევე, ქართული სალოცავებისა და სიწმინდეებისადმი. სამაგალითოდ განხილულია ასეთი შემთხვევა:

კალისტრატე წერს: „მეუფეს (ვლადიმერს – ტ.ფ.) სამრევლო სკოლაში მისვლა უყვარდა; ერთხელ დიდუბის სკოლას ეწვია, აქ ქართული ენის გაკვეთილი მიმდინარეობდა, მეუფემ მასწავლებელს ჰკითხა:

– რას ასწავლითო?

მასწავლებელმა მოახსენა: „საქართველოს გეოგრაფიას“;

– რომელი საქართველოსას, თუ გნებავთ თქვათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისას?

მასწავლებელი აირია. ეგზარქოსმა კი მე შემომხედა. გამოხედვაში საყვედური თუ კითხვა უკრთოდა.

– მეუფეო,– მივუგე მე, – არა თბილისისას და ქუთაისისას, არამედ იმ საქართველოს გეოგრაფიას, რომლის ეგზარქოსი თქვენ ბრძანდებით!

მეუფეს გაეღიმა, მაგრამ ეს ღიმილი არ იყო, სახეს რომ სილამაზეს ანიჭებს, არამედ სხვა ღიმილი, რომელიც სახის ლამაზ ნაკვთებსაც კი ამახინჯებს, – წერს კალისტრატე ცინცაძე (გ. სოსიაშვილი, 2019, გვ. 58).

**მკითხველისათვის ეგზარქოს ვლადიმერის ნამდვილი სახის საჩვენებლად გ. სოსიაშვილს თავის გამოკვლევაში მოჰყავს კალისტრატე ცინცაძის შემდეგი შეფასებაც:** „რუსი ეგზარქოსი განსაკუთრებით მოწადინებული იყო, რომ ქართველი სასულიერო პირები რუსი მღვდლებით ჩაენაცვლებინა... იგი ქართველებს არ სწყალობდა, თუმცა, იღუმენ კირიონის თხზულებიდან ჩანს, რომ ქართველი ჩინოვნიკებიც და უბრალო მოსახლეობაც რუსი მღვდელმთავრის გამოჩენას შიდა ქართლის სოფლებში მოგზაურობის დროს აღფრთოვანებით ეგებებოდნენ“...

ნათლად ჩანს, რომ სიტუაციისმიერი პოლიტიკური კონიუნქტურის გარდა, კირიონის სირბილეს აპირობებდა ისიც, რომ კირიონი 1896 წელს ბერად ნაკურთხი იყო ვლადიმერის მიერ. **პროფ. გ. სოსიაშვილი, წმიდა კირიონისადმი დიდი მოკრძალების ფონზე, ასე დაბალანსებულად აფასებს მის სირბილეს:**

„გასათვალისწინებელია ეპოქის რეალობა, გასათვალისწინებელია ეგზარქოსთან დაახლოებული და მის მიერ ბერად ხელდასხმული სასულიერო პირის მიერ ეგზარქოსის მოგზაურობისადმი მიძღვნილი ტექსტის მიზანი... გასათვალისწინებელია იმპერიული ძალმომრეობის ქვეშ მყოფი ხალხის განწყობა და დამოკიდებულება“.

**დასასრულს, ერთი წინადადებით იღუმენ კირიონის თხზულების უნიკალური ქართული**

**თარგმანისა და მეცნიერული კომენტარების ხარისხის შესახებ:** ჩემი აზრით, მხოლოდ პროფ. გიორგი სოსიაშვილს, შესანიშნავ ისტორიკოსსა და გამორჩეულად მდიდარი ენის მქონე მწერალს, ქართლის ონომასტიკისა (ანთროპონიმიის, ტოპონიმიის...) და ამ მხარეში ეკლესიების ისტორიებისა თუ ქართული საეკლესიო სიწმინდეების უბადლო მცოდნეს, შეეძლო ისეთი მრავალმხრივი აკადემიური პროექტის განხორციელება, როგორიცაა **წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა:** „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ეგზარქოს ვლადიმერის შიდა ქართლში მოგზაურობის შესახებ“.

[1] კირიონი რამდენჯერმე მიანიშნებს, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა 1811 წელს; მაგ., ერთგან წერს: „მცხეთის მთავარი ტაძარი, სადაც 1811 წლამდე საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენცია არსებობდა, მკაცრი არქიტექტურით გამოირჩევა. მისი გარეგნული იერსახე მოღუშული და ერთობ მრისხანეც კი გვეჩვენება, გეგონება, რომ ეს ყოველივე განზრახ არის, რათა ტაძარში შემსვლელმა, მისი პირველად დანახვისთანავე ყოველივე ყოფითი ტაძრის კარს მიღმა დატოვოს და მთელი გულით, გონებითა და სულით უფალს მიენდოს. ქრისტიანული სამყარო მცხეთის საპატრიარქო კათედრას აღიქვამდა, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მქადაგებელსა და განუხრელად დამცველს. იყო დრო, როდესაც ბიზანტიაში ხატმებრძოლობის გამო მართლმადიდებლობა ერთგვარ მერყეობას განიცდიდა. ეს დრო ბიზანტიაში კონსტანტინეს მეფობის პერიოდს (741-775 წწ.) ემთხვევა, რომელიც თავის სამარცხვინო სახელს –კოპრონიმეს სავსებით ამართლებდა. მან გადაიბირა გუთების ეპისკოპოსი და ირაკლიის მიტროპოლიაში გადაიყვანა. მოძღვრის გარეშე დარჩენილმა მართლმადიდებელმა გუთებმა მოღალატე ეპისკოპოსის ნაცვლად წმინდა იოანე აირჩიეს, რომელიც მეშვიდე მსოფლიო კრების მოწვევის ერთ-ერთი პირველი თაოსანი გახლდათ. **იგი ეზიარა არა ხატმებრძოლობით მოცულ კონსტანტინოპოლში, არამედ მართლმადიდებელ იბერიაში, მცხეთის საკათოლიკოსო ტაძარში“**(გვ. 133-134).

4 მაისი, 2019

## ტრაგედიაცაა და ტრაგედიაც!

(გამოხმაურება როსტომ ჩხეიძის დეტექტიურ ნოველაზე „ცოდვა და სასჯელი“)

უცნაური კაცია როსტომ ჩხეიძე, მეტიც, უკიდურესად კარგი გაგებით, იგი არის „არანორმალური ადამიანი“. „უკიდურესად კარგი გაგებით არანორმალური ადამიანის“ სინონიმებს ჩამოვთვლი, მკითხველისათვის გამჭვირვალე რომ გავხადო ჩემი წარმოდგენა როსტომ ჩხეიძის ფენომენზე:

– გამორჩეულად ნიჭიერი კრიტიკოსი;

– პრინციპების ერთგული საინტერესო ადამიანი;

– ზეადამიანური შრომის შემძლე „დეტექტიური“ ჟანრის მწერალი;

– პატრიოტი ქართველი, რომელიც ცდილობს, არ იყოს პარტიულად სუბიექტური (თუმცა რთულია, ყოველთვის დააღწიო თავი ყოფით გარემოს)...

შემიძლია ვთქვა, რომ **როსტომ ჩხეიძის ყველა ნაშრომი მაქვს წაკითხული;** უმრავლესობა მოცულობითაც დიდი და შთამბეჭდავი ბიოგრაფიული „დეტექტივებია“. როსტომის მკითხველობით წლების მანძილზე დაგროვილი ინფორმაციებითა თუ განცდებით შექმნილი **ჩემი განწყობის** ამ ფორმით დაწერის საბაბად კი იქცა მისი მოცულობით ყველაზე პატარა „დეტექტივი“ **„ცოდვა და სასჯელი“** (განთიადი, 2020, # 1.2).

ახლა მსოფლიო Covid-19-ის მიერ გამოწვეულ შოკშია: პანდემია სტიქიაა; სტალინ-ბერიასეული დანაშაულებრივი რეპრესიებიც ეპოქალური „სტიქია“ იყო: **სტიქია ბევრი ადამიანის საერთო ტრაგედიაა;** კაცობრიობის დიდი უბედურებაა და ამ დროს ნაკლები ყურადღება ექცევა კონკრეტული ადამიანის პირად განცდებს. ერიხ მარია რემარკმა, ალბათ, ამიტომ შექმნა, დაახლოებით, ასეთი **ცინიკური ფრაზა:** “ერთი ადამიანის უცაბედი სიკვდილი ტრაგედიაა, მილიონი ადამიანის სიკვდილი კი – სტატისტიკა”...

**ტრაგედია ღრმა ფსიქოლოგიური კონფლიქტის შემდეგ ადამიანის უცაბედი მოკვდინებაა;** განცდილი ფსიქოლოგიური ტრავმით მიღებული უმძიმესი გადაწყვეტილების – სიკვდილის – აღსრულებაა: სასტიკი განაჩენია საკუთარი თავისა თუ სხვის მიმართ. მხოლოდ დიდ მწერალს შეუძლია წარმოისახოს და დამაჯერებლად აღწეროს ტრაგედიის დროს ადამიანის ცნობიერებაში **მქარბორბალე განცდები.** როსტომმა ერთი კალმის მოსმით აღწერა და ბევრი ფიქრიც დამიტოვა. ამ ფიქრში იშვა ჩემი გამოხმაურების ასეთი დასათაურებაც: **„ტრაგედიაცაა და ტრაგედიაც“!**

**რამდენიმემიმართულებიანი ტრაგედიის სიუჟეტი:** 1916 წელი: მსოფლიოს ძველი „სტიქიები“ უკვე შორსაა, ახალი მსოფლიო ომებისა თუ რეპრესიების მასშტაბს ჯერ არ შეუძრავს სამყარო. ორი ნიჭიერი ახალგაზრდის მეგობრობა უცხოურ უნივერსიტეტში დაიწყო; ოჯახის წევრობაში გადაიზარდა: პოეზიაზე შეყვარებულნი თვეობით ცხოვრობენ ერთმანეთის მშობლიურ სოფლებში, მაგრამ ყველაფერი ორმხრივი თუ მრავალმხრივი ტრაგედიით დასრულდა: **მეგობარმა რამდენიმე კვირისა თუ თვის მანძილზე მასთან სტუმრად მყოფი მეგობარი ცულის ყუით მოკლა და მალევე თავი თოფით მოიკლა!**

100 წლის წინანდელი ეს მძიმე ისტორია ადრე არ გამიგონია; შეიძლება მოარულ ამბავს ყურადღებაც არ მივაქციე, როსტომმა კი სამუდამოდ დამამახსოვრა სიმონისა და გრიგოლის ამგვარი აღსასრული; ჩემში ბევრი ფიქრიც აღძრა; პირველ რიგში, კითხვები:

– მთაში, სადაც ჯოყოლას მასპინძლობის ლეგენდა ჯერ კიდევ ცოცხალია, მასპინძელი საკუთარ სახლში სტუმარს რატომ კლავს?

– თოფი სახლში როცა აქვს, ცულის ყუით რატომ კლავს სტუმარს საკუთარ სახლში, კიბეზე? სტუმარმა მოსაკლავად თუ გაიხადა თავი, გასცილებოდა ეზოს, სოფელს... მასპინძელს თოფი ხომ ჰქონდა?!

– ქალი თუა შუაში, ქალის შემდგომ ცხოვრებაზე რატომ არავინ საუბრობს? ოჯახის ქალი, რომლის ქმარი სხვა მხარეში თვეობითაა წასული (ალბათ, სამუშაოდ, ოჯახის ლუკმაპურისათვის), რატომ უნდა გარიოს ვინმემ ასეთ ამბავში?

– იქნებ და, სულაც, უქმროდ დარჩენილი ქალის ვნების ტრაგედიაა კიდევ ორი ახალგაზრდის **ტრაგიკული აღსასრულის მიზეზი** და მართალია როსტომის „დეტექტიური“ ინტუიცია, რომელიც ამ წერილის სათაურად ჩამოქნა?

– იქნებ, მეგობრები სხვამ მოკლა და ასე „შეფუთა“ ორი ადამიანის მკვლელობა?

**და ამ ამაფორიაქებელი ამბის ემოციური გაცოცხლებით** რა გააქტუალურა როსტომმა: პოეტის ტრაგედია? ეჭვიანი ადამიანის ტრაგედია? ღირსების დამცველი ადამიანის ტრაგედია? მთიელი კაცის ხასიათის ტრაგედია? უქმრო ქალის ვნების ტრაგედია? თავშეუკავებელი სტუმრის ტრაგედია? მასპინძლის ტრაგედია? ზოგადად, ამქვეყნიური ცხოვრების ტრაგედია... თუ ყველა ერთად?!

**შემთხვევითი არ არის, რომ მსტიქიონი განცდების ამსახველი** როსტომ ჩხეიძის **ეს დეტექტიური ნოველა** დაბეჭდა ჟურნალმა „განთიადმა“, დიდებული ქართველი მოღვაწეების – ავთანდილ ყურაშვილისა და თემურ ამყოლაძის – საუკუნოდ დასამახსოვრებელი ძალისხმევით რომ ცოცხლობს მუდამ **გაზაფხულოვან ქუთაისში.**

**ტარიელ ფუტკარაძე**

17.03.2020
27 მარტი, 2020

## გიორგი სოსიაშვილის ცხოვრებისეული ფილოსოფია და ენობრივი სამყარო

/რომანი „გოდების კედელი“/

რუსულ ოკუპაციასთან ერთად, ბევრი **საკუთარი პრობლემაც** აქვს მოსაგვარებელი ჩვენს საზოგადოებას. ერთ-ერთია პარტიული თუ მაფიოზური ბოსებისგან დამოუკიდებელი ინტელექტუალური ელიტის აღზრდა. სამწუხაროდ, კომუნისტურ და პოსტსაბჭოთა საქართველოში ე.წ. ცნობად სახეთა დიდი ნაწილი „ლეღვის ფოთლებად“ ტრანსფორმირდა:

დღეს მეცნიერთა, მწერალთა, საეკლესიო მოღვაწეთა, ცნობილ ჟურნალისტთა თუ გამორჩეულ სპორტსმენთა არც თუ მცირე ნაწილი **პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის გამო** კონკრეტული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური (ფსევდოლიბერალური, პრორუსული...) მიმართულებით **კონიუნქტურულ პოზიციას** ირჩევს და სრულ სიმართლეს ველარ ამბობს; არადა, ინტელექტუალი ინფორმაციას ფლობს; ანალიზის მეტი საშუალებაც აქვს.

ნებისმიერი საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი თავის სასიცოცხლო ენერგიას ფიზიკური „არსებობისათვის ბრძოლაში“ კარგავს, აღარ რჩება დრო, გადაამოწმოს ინფორმაციის სიზუსტე, მით უმეტეს, ინტერნეტის ეპოქაში **ცუნამებად მოსულ ნაკადებში,** სადაც ბევრია დეზინფორმაციაც. საინფორმაციო ზეწოლის პირობებში ადამიანი ველარც საკუთარ ინტუიციას მიჰყვება. როგორც მწერალი გიორგი სოსიაშვილი ამბობს, „სხვისი აზრების ტყვეობაში მყოფს ტვინი გიობდება, გული აღარაფერს გკარნახობს. გული საუბარს წყვეტს...“ (გ. სოსიაშვილი, 2019, გვ. 57); ამასობაში ფართო საზოგადოება სწორ ორიენტირებს კარგავს; **დეზორიენტირებული ხალხი კი ბრბოა, რომელიც თავის თავს აუბედურებს.**

...მწერლის, მეცნიერის, ჟურნალისტის, პოლიტიკოსის უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს სწორი ორიენტირების წარმოჩენა; მას უნდა ჰქონდეს შინაგანი ამბიცია, რომ **„წარუძღვეს წინა ერსა“. ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რასაც ვწერ:** ჩვენს დროში მცხოვრებ მეცნიერთა, მწერალთა, საეკლესიო მოღვაწეთა, ცნობილ ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა თუ გამორჩეულ სპორტსმენთა დიდმა ნაწილმა **გულის სიღრმეში კარგად იცის,** რომ თავისი კერძო ინტერესის გამო არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ამა თუ იმ პოლიტიკურ „ბოსს“ უფრო უწევს ანგარიშს, ვიდრე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესს თუ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. ბევრ სუბიექტს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თუ ლიბერალური რიტორიკის შემცველი ქართული თუ უცხოური ტერმინოლოგია უფრო ესაჭიროება თავისი ქვენა მიზნებისა თუ კრიმინალური მენტალობის შესაფუთად. ზოგი წესიერი მწერალი, უბრალოდ, თავს არიდებს **აწმყოსეული რეალობის** აღწერას და სათქმელს ისტორიული რომანის ფორმატში ამბობს.

ყველა დროში ასე იყო: დროულად მხოლოდ იშვიათები ამბობენ სრულ სიმართლეს.

ღმერთს მადლობა, ჩვენს დროშიც არიან იშვიათი პიროვნებები; **იშვიათთაგანია გიორგი სოსიაშვილი,** რომელმაც, რამდენიმე ხელისუფლების შეცვლის პირობებში რექტორად მუშაობის მიუხედავად, მაგალითად, ჩემს თვალში შეძლო, შეენარჩუნებინა ზეპარტიული სახელმწიფოებრივი ორიენტირები და, შესაბამისად, პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსება. პიროვნების მიერ **სწორი ორიენტირების** შენარჩუნება კარგი მოვლენაა, მაგრამ **ყოველდღიურ სამყაროში გაცილებით დიდი რისკია** სიმართლის თქმა **გავლენიან თანამედროვეთა** შესახებ დაწერილ რომანში, როცა დიდ ტილოზე „ხატავ“ აწმყოსეულ რეალობას. გიორგი სოსიაშვილმა დროის გამოწვევა გაბედულად მიიღო: **დაინტერესებული მკითხველისათვის უკვე ხელმისაწვდომია მისი დიდი მოცულობის რომანი: „გოდების კედელი“(თბილისი, 2019; გამომცემლობა „უნივერსალი“).**

როგორც წესი, აწმყოსეული რეალობის ანალიზს აფერხებს დისტანციური ხედვის შეუძლებლობაც; აწმყოში მიმდინარე ცხოვრების ღრმა და პატიოსანი ანალიზის გარეშე კი შეუძლებელია დიდი რომანი დაიწეროს: **გიორგი სოსიაშვილის რომანი შთამბეჭდავია** ჩვენი ცხოვრების ანალიზის სიღრმითაც, აწმყოსეული მოვლენების **განსხვავებული შეფასებების პატიოსანი წარმოჩენითაც** და მოქმედი პირების ქმედებების **ფსიქოლოგიური საფუძვლების** გააზრებითაც. ბუნებრივია, მეც, როგორც ამ აწმყოში მცხოვრებს, საკამათო მაქვს ზოგ მის პერსონაჟთან, ზოგთან თანხვედრაც მაქვს, მაგრამ, რაც მთავარია, **ვენდობი ავტორს:** ის პატიოსნად, სიღრმისეულად და დამაჯერებლად აღწერს ჩვენი საზოგადოების წევრთა განსხვავებულ აღქმასა თუ ქმედებას. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამიჩნდა განსხვავებული მწერლური გადაწყვეტის სურვილი (მაგ., ციხიდან გამოსული პატიმრისა და რუსი ქალის სცენა), მაგრამ აქაც მწერალს აქვს თავისი არგუმენტი. ვფიქრობ, **ჭკვიანი მკითხველი უთუოდ ენდობა მწერლის მაგისტრალურ ხაზს;** ვინც ენდობა, ნამდვილად იპოვის სწორ ადამიანურ თუ სახელმწიფოებრივ ორიენტირებს.

რამდენიმე საკითხს კონკრეტულად შევეხები:

**1. ცხოვრებისგან ნაწამები, მაგრამ ღირსეული მთავარი გმირი**

„მთავარი გმირი“ მხოლობით რიცხვში დავწერე, მაგრამ ორი (შეიძლება სამიც) ადამიანი ვიგულისხმე: **აბიათარ მჭედლიძე და ბაქარ მჭედლიძე:** პაპა და შვილიშვილი. ბუნებრივია, მემკვიდრეობით იერარქიაში აბიათარის შვილიც იგულისხმება – ვანო. ავტორს ვანო ფრაგმენტულად შემოჰყავს და თვითმკვლელობით გაჰყავს რომანიდან. მისი სახით წარმოაჩენს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ტრაგიკულ თაობას, რომლის ნაწილი ავღანეთის საბჭოთა ავანტიურას შეეწირა, ნაწილმა კი, ვინც ფიზიკურად გადარჩა, პოსტსაბჭოთა პერიოდში ან ეკლესიას მიაშურა, ანდა ნარკოტიკებს მიეძალა. საერო ცხოვრებაში ამ თაობის წარმომადგენელთაგან იშვიათად თუ ვინმე „გამოიჭედა ფოლადად“ (ნაწარმოებში ამიტომაა აქტუალური გვარი: „მჭედლიძე“) და გადარჩა. ეს იშვიათებიც წარმოაჩინა მწერალმა; მაგ., საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი ინტელექტუალი, შუახნის ჭაღარა კაცი, რომელიც რეალურად უყურებს მიმდინარე პროცესს, ნაკლებად ენდობა გაყიდულ თუ დეზორიენტირებულ გარშემო მყოფთ და საქართველოს კუთხეებში დადის სხვა გადარჩენილ იშვიათ ქართველთა გასაერთიანებლად, რომ **ერმა თავისი თავი იპოვოს: „უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ ერთმანეთი, ომმაც კი ვერ გვაპოვნინა თავი“** (გ. სოსიაშვილი, 2019, გვ. 315).

რომანში ბევრი ამბავია შენაკადებად, მაგრამ თხრობის **ძირითად დინებას** ქმნის მთავარი გმირის – 100-წლიანი აბიათარ-ბაქარის – ტანჯული ცხოვრება, რომელიც კიდევ გრძელდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბიათარ-ბაქარი ბოლო 100 წლის საქართველოს სახეა. აბიათარ-ბაქარი თვითმხილველია საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისა (1921 წ.); კავკასიონზე იბრძოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში; მოესწრო საბჭოთა იმპერიის დაშლასაც, ატარებს დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი პრეზიდენტის –ზვიად გამსახურდიას – მიერ ნაჩუქარ სვანურ ქუდსაც და გულდათუთქულია 2008 წელს საქართველოში გავლებული რუსული მავთულხლართით, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, ზოგადად, კავკასიას ანაწევრებს და მსოფლიოსაც უქმნის საფრთხეს.

**რუსული მავთულხლართის თემა გ. სოსიაშვილის რომანში აქტუალურია:** რამდენჯერმეა ნახსენები ფრაზები: „სხეულს შეხორცებული მავთულხლართი“; სულში გაყრილი მავთულხლართი“ (იხ., მაგ. 314). მხატვრულ ნაწარმოებში პუბლიცისტურად ვერ გაიშლება რუსული ოკუპაციის თემა, ამიტომ ერთ-ერთი უცხოელი პერსონაჟი გვიყვება ოკუპაციის მუზეუმების შესახებ და **გადამწვარი სახლის გასაღების** დამზაფრავ ისტორიასაც ახსენებს:

„ამ ბასრმა მავთულხლართმა კავკასიონის ულამაზეს მთებსაც დაუკარგა ეშხი. აღარ არსებობს ერთიანი კავკასია, გაღობილია. ეს დარღვეული კანონზომიერება მარტო კავკასიონისათვის არ არის უბედურების მომტანი... ოკუპაციის მუზეუმებით მოიფინა ეს დაჩაგრული და ნაგვემი ქვეყანა. მინახავს ეს მუზეუმები, თითქმის ყველა. მინახავს უამრავი ფოტომასალა, რომელსაც ომის საშინელება, რუსული ტანკებით გათელილი ქართული სოფლები, სისხლში მცურავი დაჭრილი ადამიანები, ცეცხლში გახვეული სახლები შემოუნახავს. ამ მუზეუმებში ქართველების შემზარავი ტრაგედიაა გამომწყვდეული... იმ გოგონას როცა ვიხსენებ, სული მეხუთება; გოგონას, რომელმაც მუზეუმს თავისი სახლის გასაღები აჩუქა, ძაფზე ჩამოკიდებული გასაღები. როცა მისი ოჯახი გამოიქცა, სწორედ მას ჰქონდა საგულდაგულოდ შენახული დაკეტილი სახლის გასაღები...“ (გვ. 380-381): გოგონას სახლი ოკუპანტებმა დაწვეს.

კავკასიელთა ერთიანობის დარღვევას რუსი დამპყრობლები 250 წელია ცდილობენ. ნაწილობრივ შედეგსაც მიაღწიეს; ესეც ასახულია გ. სოსიაშვილის რომანში: ერთ-ერთი პერსონაჟი 1993 წელს რუსების გვერდით აფხაზეთში მებრძოლ ჩეჩენს ეუბნება: **„როგორ გიყენებენ თქვენი მოძმეების წინააღმდეგ რუსები, ამას ვერ ხვდებით ან ხვდებით და მაინც აკეთებთ“** (გვ. 385).

ოკუპაცია მტრის მიერ შექმნილი პრობლემაა, მაგრამ თანამედროვე ქართველობას, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეებს გვაქვს საკუთარი, შიდა პრობლემებიც; ამის შესახებაც ვრცლად საუბრობენ რომანის პერსონაჟები; კერძოდ, **„ერთმორწმუნე რუსეთის ბრჭყალებით დაგაზული საქართველოს“** (გვ. 340, 365) პრობლემების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელდება ქართველთა „გულუბრყვილობა, მეოცნებეობა თუ დონკიხოტობა“ (გვ. 337).

ბუნებრივია, მიამიტი არ იყო ჩვენი წინაპარი, თორემ 35 საუკუნის მანძილზე ქართველობა ვერ შეძლებდა ღირსეულ სიცოცხლეს. თანამედროვე ქართველთა გულუბრყვილობა აიხსნება უინფორმაციობით, დეზორიენტირებულობით, მტრის მზაკვრობის ვერგათვლით, მოყვასისადმი

უეჭვო ნდობით... ამიტომ ააქტუალურებს ავტორი ეჭვის თემას: **გონიერი ადამიანი ეჭვიანი უნდა იყოს, ოღონდ, არა – ეჭვით ავადმყოფი;** მალევე უნდა შეეძლოს მოგზავნილისა და მისიანის გარჩევა... ასეთები არიან გიორგი სოსიაშვილის მთავარი გმირები: აბიათარი, ბაქარი, ტარიელი... ისინი მთლიანობაში ერთ სახედ იძერწებიან (ზემოთ მესამე გმირად სწორედ ტარიელი ვიგულისხმე და არა – ვანო). ავტორი მათ ერთი ფრაზით ახასიათებს:

– **„ეჭვიანი გახადა ცხოვრებამ“** (ავტორმა პირველად ბაქარს ათქმევინა: „შენ ვინ მოგაგზავნა?! გვ. 20)...

ავტორის მეს წარმომჩენი პერსონაჟები ეჭვს არ ექვემდებარებიან; მალევე ხვდებიან, ვინაა მართლა საეჭვო და ვინ – თანამოაზრე, მასავით ტანჯული, მასავით გათითოკაცებული. **პანიკურ ეჭვზე გამარჯვებაა გ. სოსიაშვილის გმირების ღირსების** ერთ-ერთი საფუძველი. ნაწარმოებში მთავარი მაინც საკუთარი თავის ძიება და პოვნაა: ოღონდ, მხოლოდ მესამე სიცოცხლეში, ქრისტეს საფლავთან იპოვა „საკუთარი მე“ აბიათარ-ბაქარმა.

**2. პიროვნების „საკუთარი მე“ და „ეროვნული მე“.**

აბიათარ-ბაქარის სახე ქართველი ერის ამჟამინდელი თაობის სიმბოლოა. მას ღირსებაც ბევრი აქვს და ნაკლიც. **ერის ღირსების შეფასება მოკვდავს არ შეუძლია** (მოკვდავმა მხოლოდ კონკრეტული თაობა შეიძლება შეაფასოს ობიექტურად). რომანში ქართველობის ნაკლზე **ბასკი პატრიოტი** საუბრობს. **გორკა ხაბიერ ელიზონდო** რამდენიმე განზომილებითაა სიმბოლური; საქართველოს ისტორიისა და აწმყოს შესახებ იგი სწერს მეგობარს, **მირენს.** თითქოსდა, ერთი მხრივ, „გორკა“ საქართველოს მფარველი წმიდა გიორგია, „მირენი“ – საქართველოსთვის მლოცველი წმიდა მარიამი; მეორე მხრივ – გორკა ქართველი მამაკაცის მონათესავე სულია, რომელიც თავის არსს საქართველოში პოულობს, მირენი კი ქართველი ქალის სახეა: სათნო და გონიერი – დიდი სიყვარულის ღირსი...

გორკა ხაბიერ ელიზონდო კარგი პერსპექტივით უყურებს საქართველოს მომავალს და ამბობს: „კარგია, რომ ამ გულუბრყვილო, მიამიტ, სადღეგრძელოებად დაღვრილ ხალხს ფხიზელი და ეჭვიანი ადამიანებიც ჰყავს“ (გვ. 337). ამ ერს „მრავალსაუკუნოვანი გოლგოთა აქვს გამოვლილი და ის აღმართი ჯერ არ დასრულებულა“ (გვ. 342). გოლგოთის აღმართი ხსნის გზაა და რომანიც Via Dolorosa-ზე სრულდება: „ტაძარში სისხლით დალაქავებული სამოსელით შევაბიჯე... ვგრძნობდი, რომ ჩემი ხელახალი დაბადება იწყებოდა... საბოლოოდ ეღირსებოდა ამქვეყნად მოსვლა, ბნელი ჭიდან ამოვიდოდა ბაქარი, ნამდვილი ბაქარი, რომელიც თავისივე თავის „წყალობით“ ვერ იქნა და ვერ დაიბადა აქამდე“ (გვ. 412-413). საინტერესო ისიცაა, რომ მწერლის „გარე თვალი“ ამ მომენტამდეც ბედნიერად თვლის ბაქარს, იმიტომ, რომ **მან განიცადა ტკივილი, ტანჯვა, დარდი, სიცოცხლის არსს ჩასწვდა (გვ. 21) და ისევ იმ დაუმორჩილებელ სულად დარჩა.** იერუსალიმში მთავარი გმირის ხელახალი დაბადებით საკუთარი მისიის სრულად გააზრება ხდება. Via Dolorosa გიორგი სოსიაშვილის „გოდების კედელია“; **უფლის მიმართ აქ ითქვა მისი სასაქართველოო ვედრება.**

**3. ზვიად გამსახურდიას სახე**

პიროვნულად, ჩემთვის ყველაზე მეტად სათუთი თემაც გაშალა ავტორმა: ჩვენს თანამედროვეთა შორის ზვიად გამსახურდიას შესახებ **დეზინფორმაციების გამო,** რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს (კრიმინალური მიდრეკილების ვაიმწერლები მას ლანძღავენ კიდეც); აზრთა სხვადასხვაობა ირიბად გ. სოსიაშვილის რომანშიცაა ასახული. **89-ე გვერდზე კი ჩემთვის მისაღები აბიათარ-ბაქარისეული შეფასებაა** (ჩემთვის არსებითია, ვინ ამბობს ამას!): „იმ კაცს დიდ პატივს ვცემდი, გამსახურდიას ვგულისხმობ. თავისი სიცოცხლე სანთლად აუნთო ქვეყანას, დასაფასებელია. შეგვკრა, გაგვაერთიანა, სამშობლო გვაგრძნობინა, საკუთარი თავი დაგვანახა, მიზანი გაგვიჩინა, ჩვენი ხელით კი მოვუღეთ ბოლო“... **მხოლოდ ბოლო ფრაზაში კი არ ვეთანხმები აბიათარს:**

ჩვენ არც ილია მოგვიკლავს და არც ზვიად გამსახურდია! არც – აფსირტე, არც – ვახტანგ გორგასალი, არც – აშოტ კურაპალატი... ღალატით მკვლელი მტრის ბანაკიდანაა შემოპარული; მოღალატის ხელით მოკლული გმირი ჩვენგან გამეტებული არ არის! მოღალატესთან არ უნდა მოხდეს ერის იდენტიფიცირება: „ჩვენ“ არ უდრის რუსეთის მიერ დაქირავებულ სულგაყიდულ ქართველს: მოღალატეს, ფსიქოლოგიურ მეძავს ეროვნება არა აქვს! სხვა თემაა ფართო

საზოგადოების პასიურობა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების დამხობის დროს; **ზოგადად, სხვა საკითხია დეზორიენტირებული საზოგადოების დიფუზიური ქმედება,** რომელიც ორი მიზეზით აიხსნება: (1) ერის ელიტარული ნაწილის, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი წინამძღოლობით; (2) მოცემული საზოგადოების ნაკლებინფორმირებულობით. პირველის შესახებ მკაფიოდ წერს ავტორი (გვ. 309): **„ამ ქუჩის გადასწვრივ ერთმანეთის ცხედრებზე დავდიოდით და საკუთარ ქვეყანაზე გამარჯვებას შამპანურით აღვნიშნავდით. ვაყურებინებდით შვილებს, ამბიონიდან როგორ ვლოცავდით ყაჩაღებს, მარჯვენას ვუქნებდით“...**

ასე გაზრდილი შვილები სამშობლოს ვერ გაათავისუფლებენ, თუმცა, ავტორის მრავალპლანიანი ხედვა ამ წახნაგსაც არგუმენტირებული პოზიტივით ასრულებს „შინდის გმირების“ დამოწმებით: ჩვენი დროის საქართველოს დეზინტეგრაციისა და დეზორიენტირების პროცესშიც კი („უდაბნოში ხეტიალის“ დროს) იშვნენ გმირები: 08.08.08 რიცხვით ცნობილ რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოჩნდა **17 ღირსეული ქართველი** (საქართველოს ყველა კუთხიდან!), რომლებიც რუს ოკუპანტებს შეაკვდნენ. ამ უკვე ისტორიულ ფაქტს მწერალი ასე აფასებინებს ბასკ სტუმარს: **გმირთა საძმო სასაფლაოს სახით** როგორი ადგილი „შეუქმნეს“ ქართველებს რუსებმა! ეს ადგილი თაობებს გაზრდის და ერს, რომელიც დღეს ვითომ დამარცხებულია, ბრძოლის წყურვილს გაუმძაფრებს“ (გვ. 298).

დავძენ: ასეც იქნება! ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუკი ეს ისტორია, გიგა ოთხოზორიას ისტორია, გიორგი ანწუხელიძის ისტორია, არჩილ ტატუნაშვილის ისტორია... ზვიად გამსახურდიას ისტორია სწორად მიეწოდება მომავალ თაობებს... სწორი ორიენტირების წარმოჩენა – სწორედ ესაა გ. სოსიაშვილის რომანის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

უმძიმესი ყოველდღიურობისა და მარცხის მიუხედავად, **მწერლის გმირები გამარჯვების რწმენასა და საბრძოლო ენერგიას ინარჩუნებენ;** ერთ-ერთი ამბობს: იერუსალიმიც ბევრჯერ გადამწვარა და დანგრეულა, ბაქარ, მაგრამ... დღეს ბრწყინავს; „უსამართლობა საიდანაც იწყება მისი დასასრულიც მის წიაღშივე იბადება. დამიჯერე, დღეებს, თვეებსა და წლებს ნუ დაითვლი, უფალს წამზომს ნუ ჩავურთავთ“ (გვ. 408)... მალე იქნება „ჩვენი ორმოცწლიანი ხეტიალის დასასრული“ (გვ. 415).

**4. საქართველოში ოსებისა და სხვა უმცირესობების საკითხი**

ერთ-ერთი ქართველი პერსონაჟი ამბობს: „ძმების შუღლის წამქეზებელს კოვზი ნაცარში უვარდება, თუკი მოწინააღმდეგე გონიერი შეხვდება“... 1918 წელსაც „კულუმბეკოვი ყოფილა ბანდიტების მეთაური, რომელთაც ბოლშევიკების წაქეზებით დაარბიეს ცხინვალი, სადაც ორი ან სამი ოსი თუ იქნებოდა“ (გვ. 78-79).

ოსი პერსონაჟი კი სამართლიანად წუხს: „თავიდან, ვინც ეს ამბები დაიწყო, ქართველებსაც ვგულისხმობ და ოსებსაც, ყველანი {რუსების} შემოგზავნილები იყვნენ. იმათ ჩადენლ ცოდვებზე სხვა ცოდვები ამოიზარდა, ბოლოს, აი, ასე დამთავრდა... შენ და ბათირა ეთმანეთს ვერ შეელევით, მე და ჩემი მამიდაშვილებიც ვერ შეველევით, მაგრამ ახალ თაობებს რას უშველი, თუ ასე დიდხანს გაგრძელდა...“ (გვ. 275).

რომანში დიდი ადგილი ეთმობა ებრაელებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვან თანაცხოვრებასაც; მაგ., შთამბეჭდავად სიმბოლურია **ისრაელში არსებული ნახატების გამოფენა:** რუსებისაგან გადამწვარ-განადგურებული მშვენიერი ლიახვის ხეობა და სოფლები გაცოცხლებულია ტატოს იერუსალიმურ ნახატებში.

მწერალი გიორგი სოსიაშვილი თავის მხატვრულ ტილოზე ასევე დიდი პატივისცემით გადმოგვცემს **ქისტების ტკივილს,** ქართველებისა და ქისტების ძმობას; წარმოაჩენს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ქართველთა, აფხაზ-აბაზთა, ყაბარდოელთა, ვაინახთა, ლეკთა და სხვა კავკასიელთა ერთად ბრძოლის აუცილებლობას. ქისტების როლი მნიშვნელოვანია ჩეჩნებთან, ინგუშებთან, ყაბარდოელებთან, ლეკებთან, სხვა კავკასიელებთან ურთიერთობის აღსადგენად და იმ **თვითდამცავი ერთიანი სივრცის** ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც სიცოცხლე შესწირეს ზვიად გამსახურდიამ და ჯოხარ დუდაევმა.

**5. გ. სოსიაშვილის წარმოსახვითი და მხატვრული ხედვა**

ნაწარმოებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **სიზმარს.** გ. სოსიაშვილი სიზმრისა

და ცხადის შენივთებით ოსტატურად წარმოაჩენს **ადამიანის ცნობიერისა და ქვეცნობიერის აისბერგულ განუყოფლობას.** ამ რომანის კითხვისას არ შეიძლება სულის სიღრმიდან არ წამოვიდეს სევდიანი გალაკტიონის ფრაზა: ”ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია“... სამუდამოდ დასამახსოვრებელია გ. სოსიაშვილის ტექსტის ეს მონაკვეთიც: **„დევნილი კაცისთვის ყველაზე ძვირფასი რა იქნება? – სიზმარი!..“**

გიორგი სოსიაშვილის მხატვრული ოსტატობის შესახებ შესაბამისი დარგის სპეციალისტები დაწერენ. მე ერთს აღვნიშნავ: იგი მუდამ ცდილობს, გარესამყარო მოცემული პერსონაჟის განწყობის შესაბამისად აღწეროს; ერთ მონაკვეთს დავიმოწმებ: „მოხუცი აბიათარი ერთხანს დუმდა... მთვარე იჭყიტებოდა სარკმლიდან, მობერებული მთვარე, ცაზე ასვლის თავი რომ არ ჰქონდა“ (გვ. 102).

რამდენიმე სიტყვა გიორგი სოსიაშვილის **„ენობრივი ეკოლოგიის“,** მისი, როგორც ბრძნადმეტყველი მწერლისა და დიალექტური სიტყვებით სამწიგნობრო ენის გამამდიდრებლის შესახებ: მსოფლიოში ,ჩვენ გარდა, არავის აქვს **15-საუკუნოვანი უწყვეტი სამწიგნობრო ენა.** ამ ხანგრძლივმა ტრადიციამ ჩამოძერწა ქართული სალიტერატურო ენა, რომელსაც შეუძლია დიდი კულტურითა და ესთეტიკით აღწეროს ყველა ადამიანური ვნებაც კი. დღეს პოსტმოდერნიზმითა თუ სხვა სახის მიმიკრიით შენიღბული მწერლები ჩვენს ფსიქიკას ასნებოვნებენ: ბილწსიტყვაობით, აგრესიული რიტორიკით, ნიჰილიზმით... ამ ფონზე იშვიათია თანამედროვე და, ამავე დროს, ტრადიციულად დახვეწილენიანი მწერალი, რომელიც მაღალ კულტურას ქმნის. **ასეთია გიორგი სოსიაშვილი.** დიდი ენობრივი კულტურის გარდა, რომანში „გოდების კედელი“ ბევრი საინტერესო ფრაზაა; ბევრი ახალი ლექსიკური ერთეულია; მხოლოდ რამდენიმეს წარმოვადგენ:

- შეცდომებმა გაგზარდეს და კაცად გაქციეს (გვ. 44)
- ნასოფლარი ქვეყნის დახეიბრებას ნიშნავს (გვ. 45)
- ნამდვილ სიყვარულს ნამდვილი ადამიანი გრძნობს (გვ. 48)
- მთვრალი კაცი ღვთის სახეს კარგავს“ (გვ. 54)
- მთვრალი კაცი ცოდვის წყაროა (გვ. 155)
- „რევოლუციით მოსული ხალხი ყოველთვის საშიშია“ (გვ. 81).
- „კი ბერდება კაცი, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც გამომწყვდეული ჰყავს სიზმრებში“ (გვ. 97)...

**სათანადო კონტექსტებით წარმოგიდგენთ რამდენიმე სიტყვასაც:**

„ჩემი ამქვეყნად მოსვლის წამებს **სათაქავში** ვიღებდი“ (გვ. 31); „სათაქავში იღებდა ამქვეყნად მოსვლის წუთს“ (გვ. 204)

„ზედაშით გაპილთუმებული ქვევრი“ (გვ. 38).

„გულგახეთქილი გამოვვარდი გამოქვაბულიდან, **დავიტიშე,** იტყოდი, ტიტველა ტანზე ჭინჭრის კონა მირტყეს“ (გვ. 43); სახლისკენ დაიტიშა (გვ. 132).

„ლიახვის **თელხვით** მოგონებები“ (გვ. 47).

„**ჩამოხინცული** ბოსელი“ (გვ. 73).

„**კანთიელად** გამოჩნდა“ (გვ. 74).

„**სალავათძაღლების** ხელისუფლება“ (გვ. 81).

„წავა, ივლის, **იხერხეტებს**“... (87).

„შუაში ვერავინ **ჩაიხინცება**“ (გვ. 89)

„თავ-პირი დავისხვიპე კუნელის ბუჩქებში“ (გვ. 90).

„**ტერინდებოდა** ეს ჩვენი წელნაგარა ქოფაკი“ (გვ. 97).

„ბებერი მთვარის **ღალადაკარგული შუქი**“ (გვ. 103).

„**ზეზემტრიალების** სუფრა“ (გვ. 105).

„**მშვიდობის მუხლი მოაყრევინა** ღვთისმშობელმა“ /= იმშობიარა/ (გვ. 109).

**ყურჭთვალა** /= შავი/ ღამე (გვ. 134).

„ფურცლებივით ეყრება, სათითაოდ ავცენცავ“ (გვ. 135).

„რამდენიმე დღე **პირთუნაწილო** /= უჭმელი/ იყო (გვ. 265).

**გაჰკირა** /= ჯიუტი/ ვიყავი (გვ. 285).

„**დაყუთუროვებული** დადიოდა გეგა“ (გვ. 401).

„**ალანთულ-დალინთული** იყო ყველაფერი“ (გვ. 403).

„**ცრიატი** /= მოღუშული/ დღე“ (გვ. ...).

„**ოქროდაღვენთილი ფოთლებით** იყო მოფენილი ღვთისკარი“ (გვ. 322)...

გიორგი სოსიაშვილს ყველა მწერალმა უნდა მიბაძოს ხალხში დავანებული „ოქროსიტყვების“ (ჩემი დიდებული მოძღვრის, პროფესორ ივანე იმნაიშვილის ტერმინია!) **სამწიგნობრო ენაში დამკვიდრების** მიმართულებითაც.

**ვფიქრობ, დამეთანხმებით:** დღეს ბევრი მწერლობს, თუმცა ერის მაორიენტირებელი და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მქონე მწერალი იშვიათია. იშვიათთაგანია გიორგი სოსიაშვილი. მის ყველა ღირსებას ერთი წერილით ვერ გადმოვცემ: **რომანი „გოდების კედელი“ უნდა წაიკითხოთ.**

31 მარტი, 2020

## პირამიდის წვერიდან დანახული ილიას ეპოქა /როსტომ ჩხეიძის „მუხა უდაბნოში: ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა“/

ჩემი მოლოდინი: საინტერესო ბიოგრაფიული რომანი: „მუხა უდაბნოში“ – წმიდა ილია მართლის მოწამეობრივი და ბრწყინვალე სიცოცხლის შესახებ დოკუმენტური მასალების, წყაროების, გამოკვლევებისა და დიდი მწერლის ქმნილებების სინქრონიზებული გააზრებით.

**აღმოჩნდა, რომ ეს არ არის მხოლოდ ბიოგრაფიული რომანი.**

შორეული წარსულის (უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე), ახლო წარსულის (XX-XXI საუკუნეების მიჯნა), აწმყოსა და მომავლის ბუნდოვანი სურათების ფონზე ჩემს თვალწინ **ცხადლივ წარმოჩნდა** მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს სულიერი და კულტურული ცხოვრების ძირითადი წახნაგები. რომანში ეს წახნაგები, განსხვავებული რეალური ადამიანების ორიენტირებისა თუ ათვლის სისტემების შესაბამისად, სხვადასხვანაირადაა აღწერილ-დახასიათებული. ავტორი არ აჯამებს, რომელიმე თვალსაზრისს არ ამყარებს: **დასკვნის გამოტანის უფლება როსტომ ჩხეიძემ 21-ე საუკუნის მკითხველს მიანდო.**

უთუოდ დიდი შრომა, ძალიან დიდი შრომა დასჭირდა ამდენი მასალის მოძიებას, წაკითხვას (ძალიან ბეჯითის მთელი სიცოცხლეც არ ეყოფა საამისოდ) და კონცეპტუალურად გააზრებას. როსტომ ჩხეიძე დღე და ღამე რომ მუშაობს, გასაგებია, მაგრამ კიდევ სხვა „რაღაც“ უნარებს ფლობს, ამდენი რომ შეძლო :).

როსტომმა ამდენი ძალიან მრავალფეროვანი მასალა შეაპირისპირა, მრავალი ისტორიული პირი საკუთარ პერსონაჟებად ჩამოძერწა, მათი სხვადასხვა დროის ნათქვამები საკუთარი ენობრივი სტილით შემოსა, ბევრი სიუჟეტისგან ერთი მრავალგანზომილებიანი ტილო შექმნა, რომ **ილიას ეპოქის სული ხორცშესხმულად დაგვენახა.**

უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ როსტომ ჩხეიძე თავად მსჯელობს წიგნის ორ კარში: „აჩრდილი ბაირონისა“ და „გმირის დამბადი დიდი საგანი“. სხვა ორ კარში კი ილიას თანამედროვეთა ურთიერთსაპირისპირო მონაყოლით მიმდინარეობს ირიბი დისკუსია ილია ჭავჭავაძის ღვაწლის შესახებ. ილია ალაპარაკებს ილიას მტრებსაც კი.

როსტომი სხვადასხვა პირთა ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს არ აფასებს; საკუთარ მსჯელობას თავს არ გახვევს, მაგრამ საკუთარი მყარი პოზიცია კარის სათაურშივე აქვს მოცემული. არ აფასებს, რადგან მკითხველს უტოვებს სივრცეს, დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მოცემული კარის სათაურს. ნიშანდობლივია ამ კარების სახელებიც: **„ბეთლემის ვარსკვლავი ყვარლის თავზე“ და „ეკლიანი და პატარა გზა“.**

მკითხველს აქვს ფუფუნება, ერთად ნახოს თავმოყრილი უამრავი სანდო ინფორმაცია და აქვს სრული თავისუფლებაც, თავად განსაჯოს, თავად შეაფასოს ამა თუ იმ ისტორიული პერსონაჟის პოზიცია და **პირუთვნელი დასკვნა** გააკეთოს.

974-გვერდიანი რომანის ბოლო წერტილის შემდეგ, ილიას ეპოქას თვალს კიდევ ერთხელ

რომ გააყოლებთ, დალანდავთ Rostom Chkheidzeსაც ჩვეული ღიმილით – სევდიანი და კეთილად **ნიშნისმოგებითი ღიმილით,** რომელიც კეთილგანწყობით „გეუბნება“: წესიერო მკითხველო, სხვა არჩევანი არა გაქვს, უნდა დამეთანხმო: წმიდა ილია მართალი ჩვენთვის, საქართველოსათვის, ავიდა გოლგოთაზე; **წამებით გაიარა პატარა გზა, რომ დიდ გზაზე დამდგარიყო ყველა მომავალი თაობის მეგზურად.**

...წარმოიდგინეთ დიდი პირამიდა შიგნით ზამბარისებრი კიბით, რომელიც პირამიდის ყველა შიდა კუნჭულში შეგახედებთ. მკითხველს წინ მიუძღვის ხან როსტომი, ხან – მისი რომელიმე ისტორიული პერსონაჟი. ნელ-ნელა ადიხარ პირამიდის წვერზე, სადაც ავტორი მარტო გტოვებს, რომ ამ სიმაღლიდან აღიქვა **ილიას ეპოქა გარემომცველი სივრცით.**

„პირამიდის წვერზე“ მე რატომღაც როსტომის ერთ-ერთი პერსონაჟისათვის – ნოე ჟორდანიასთვის (შეიძლება იმიტომ, რომ ახლახან იყო 26 მაისი) – ნათქვამი ისტორიული ფრაზა ამეკვიატა:

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ნებსითი თუ უნებლიე დამფუძნებელი ილიას ეროვნულ-კულტურულ ორიენტირებს საქართველოში დაბრუნებისთანავე უარყოფდა (ისევე როგორც ზოგი დღევანდელი ფსევდოლიბერალი). ამის გამო ნოე ჟორდანიას თავიდანვე უთხრეს: **მოვა დრო და შენც ილია ჭავჭავაძის დროშას შეეფარებიო...** ამის მთქმელს ნოემ უპასუხა: **„წარსულის ტყვეობაში ხარ“, „ნაციონალიზმში ჩარჩი“...** ბოლოს, დასავლეთში თავშეფარებული **ნოე სიცოცხლის ბოლო წლებში მართლაც ილიას დროშას შეეფარა:** ჯერ სულიერად, მისი ხელიდან, უიარაღოდ მოკლა ილია ჭავჭავაძე და მერე მაინც მას მიემოწაფა.

**დღესაც გვაქვს ანალოგიური შემთხვევა:** ზოგი, ვინც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ზვიად გამსახურდია გაწირა, ახლა ისევ ზვიადის „დროშას ეფარება“; ამ ზოგიდან ერთნი მართლა გულწრფელად ინანიებენ, მეორენი დიდებულ იდეას მხოლოდ ეტმასნებიან, მესამენი კი **პუტჩისტობაზე უარეს უზნეობას ჩადიან:** ზვიადის სახელით ინიღბებიან და ამავდროულად, ტექსტებიდან ამოგლეჯილ-დამახინჯებული ციტირებებით, ერთი მხრივ, აყალბებენ დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწის კონცეფციას, მეორე მხრივ კი, **რუსი თუ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სხვა პოლიტელიტების დაკვეთით,** ენობრივ-ეთნიკურ თუ პოლიტიკურ დივერსიებს აწყობენ საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ.

საბედნიეროდ, დღეს უფრო ბევრნი ვართ, ვინც სწორად ვხედავთ; ვხედავთ, რომ ვერაგულად მოკლული ილიასა და ზვიადის დროშა აიეტისა და ასევე ვერაგულად მოკლული აფსირტეს დროშაა; ქუჯისა და ფარნავაზის დროშაა, ვერაგულად მოკლული ვახტანგ გორგასლის დროშაა, ვერაგულად მოკლული აშოტ კუროპალატის დროშაა, დავითისა და ცოტნეს დროშაა, გიორგი ბრწყინვალის დროშაა, ალექსანდრე ბატონიშვილისა თუ ალექსანდრე ორბელიანის გადამალული დროშაა... 22-ე საუკუნის ღირსეული ქართველის დროშაა!

**P.S.** როსტომმა ილიას შესახებ ბიოგრაფიული დიდი რომანი კი არ დაწერა, XIX-XX საუკუნეების საქართველოს სულიერი და ეროვნული ცხოვრება 21-ე საუკუნის მკითხველის თვალსაწიერთან მოიტანა, რომ დღეს თუ ხვალ იგივე შეცდომა კვლავ არ დავუშვათ და 100 წლით კიდევ არ გადავდოთ მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოს შეუქცევადი აღორძინება.

8 ივნისი, 2020

# 1.4. ინტერვიუები

# ქართველს, რომელიც დედაენას უარყოფს, მომავალი არა აქვს!

ეს ინტერვიუ გუშინწინ ჩაიწერა გაზეთ "ქართული სიტყვის" კორესპონდენტმა ქ-ნმა მაკა დეკანოსიძემ; ინტერვიუ მცირეოდენი ცვლილებით დღეს დაიბეჭდა; აქ ვაქვეყნებ იმ ვარიანტს, რომელიც ჟურნალისტთან ერთად მომზადდა. მიმაგრებულ ფოტოზეა ის ვარიანტი, რომელიც დღეს (23.05.2012) გამოქვეყნდა.

**ქართველს, რომელიც დედაენას უარყოფს, მომავალი არა აქვს!**

ინგლისურის შემდეგ საქართველოში ჩინური ენის გაძლიერებული სწავლება იწყება. განათლების სამინისტროსა და კონფუცის ინსტიტუტის სათავო ოფისის გადაწყვეტილებით, აგვისტოდან საქართველოში 10 ჩინურის მასწავლებელი ჩამოვა და დაიწყებენ მუშაობას **„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად"** პროგრამის ფარგლებში. პირველ ეტაპზე 10 საჯარო სკოლაში იქნება შესაძლებელი ჩინურის სწავლება უფასოდ; ჩინელი პედაგოგები ქართულ ოჯახებში იცხოვრებენ...

ამ საჯარო ინფორმაციის გარდა, პროგრამის დეტალებზე განათლების სამინისტროში ჯერჯერობით არ საუბრობენ, თუმცა **"ქართული სიტყვის"** შეკითხვას, ჩინურის ქართულ სკოლებში დანერგვასთან დაკავშირებით, სამინისტროში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ უპასუხეს: **„თუ მოთხოვნა იქნება, ქართულ სკოლებში ჩინურსაც კი ვასწავლითო".**

საეჭვოა, ჩინურის მიმართ გამძაფრებული ინტერესი მოსწავლეებსა და მშობლებს გამოეჩინათ, სამაგიეროდ, სახელმწიფო აქტიურად ეხმარება კიდევ ერთ დომინანტ ენას, გაძლიერდეს საქართველოშიც.

**რატომ უნდა ისწავლონ ქართველებმა მასობრივად ჩინური?**

**რა საფრთხეს უქმნის ქართულ სალიტერატურო ენას უცხო ენების არნახული პროპაგანდა?**

**ამ საკითხების შესახებ "ქართული სიტყვა" ესაუბრა ენათმეცნიერს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს.**

**– ბატონო ტარიელ, გასაგებია რომ ინგლისური საერთაშორისო ენაა და გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია, მაგრამ ჩინურზე არის კი იმდენი მოთხოვნა, თუნდაც 10 ქართულ სკოლაში ისწავლებოდეს?**

– ნებისმიერი უცხო ენის სწავლება არის ძალიან კარგი, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უცხო ენა შეისწავლება მოცემული ქვეყნის სახელმწიფო ენის სათანადოდ შესწავლის შემდეგ. რა თქმა უნდა, დღეს საერთაშორისო ენაა ინგლისური, შესაბამისად, მასზე აქცენტირება გასაგებია, მაგრამ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ნებისმიერი უცხო ენის პროპაგანდა ჩემთვის მისაღებია საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვის პირობებში. გარდა ამისა, მეთოდოლოგიურად დაუსაბუთებელია 5 თუ 6 წლის ბავშვისთვის უცხო ენის სწავლება; ბუნებრივია, ისეთ „ვუნდერკინდს" არ ვგულისხმობ, რომელიც აცხადებს, რომ მან უცხო ენის სწავლა 6 წლიდან დაიწყო და ამან მას ხელი არ შეუშალა, დიდი ფული ეშოვა რუსეთში და თან საქართველოში მინისტრი გამხდარიყო... აქვე აღვნიშნავ, რომ ბავშვს (ბავშვის ოჯახს) უფლება უნდა ჰქონდეს, სკოლაში აირჩიოს უცხო ენა და მაინც და მაინც ინგლისურენოვანი სამყაროთი არ უნდა შემოიფარგლოს ახალგაზრდის პერსპექტივა.

**– კონკრეტულად ჩინურის შესახებ რას იტყვით?**

– რაც შეეხება ჩინურს: ჩინელები ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია მთელ მსოფლიოში; ერთი შეხედვით, ჩინური აუცილებელი გახდება მომავალი სავაჭრო ურთიერთობების პროცესში, მაგრამ ამ მიმართულებით ორი არსებითი გარემოებაა გასათვალისწინებელი:

1. ჩინელებმა უფრო მყარი სახელმწიფოებრივი ტრადიციის ევროპული ქვეყნები და ამერიკა უკვე დაიპყრეს მშვიდი მეთოდოლოგიით (კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის შეტანითა და დამკვიდრებით). პოსტსაბჭოურ საქართველოშიც ჩინელები მზარდი პროგრესიით შემოდიან; ესაჭიროება კი დამატებითი სტიმულირება ჩინურის დამკვიდრებას ჩინელი მასწავლებლების მოწვევით?

ვფიქრობ, ეს ჟესტი – ჩინურის გავრცელებისთვის ხელშეწყობა – **უფრო პოლიტიკური ნაბიჯია ჩინეთთან კარგი ურთიერთობის გაცხადების ფორმატში.** კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სკოლებში მაღალ დონეზე უნდა იყოს სახელმწიფო ენის სწავლება (არა მხოლოდ საქართველოს

პრობლემურ რეგიონებში) და უცხო ენის მიმართულებით ოჯახს უნდა ჰქონდეს არჩევანი, თავის შვილს ასწავლოს ერთი თუ რამდენიმე უცხო ენა: ინგლისურისა და სხვა ევროპული თუ აზიური ენების გვერდით, არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მეზობლების ენებს: თურქულს, აზერბაიჯანულს, ირანულს, სომხურს, ასევე, ბერძნულს... ისევ ჩინურისა და ჩინელების თემას მივუბრუნდები:

იმ ქართველმა უნდა ისწავლოს ჩინური, რომელიც ჩინეთში აპირებს ბიზნესს, მაგრამ ჩინურის სწავლა არ უნდა ვაიძულოთ ყველა ქართველს; ხოლო იმ ჩინელმა თუ ამერიკელმა, რომელსაც ბიზნესი უნდა საქართველოში, უნდა ისწავლოს ქართული ენა – საქართველოს სახელმწიფო ენა; საერთოდ, საქართველოში მომუშავე ყველა უცხოური ორგანიზაციის საქმისწარმოება ქართულად უნდა იყოს. **სხვა შემთხვევაში არ იქნება დაცული საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსება.** სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება პიროვნების, პოლიტიკური პარტიის, ხელისუფლების, ოპოზიციის თუ მთლიანი საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსების პირდაპირპროპორციულია.

**– იქნებ მთავრობამ მომავალი თაობის პოლიგლოტობა გადაწყვიტა, სხვათა შორის, ძალიან განსხვავებული ფონეტიკა და გრამატიკა აქვს ჩინურს, როგორ წარმოგიდგენიათ ჩინურად მოსაუბრე ქართველები?**

– ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულია ქართულიც და ინგლისურიც, ქართულიც და არაბულიც, ქართულიც და ჩინურიც... თუ ადამიანი ისწავლის ჩინურს, ის ბუნებრივადაც იმეტყველებს; ეს ასპექტი არაა არსებითი. არსებითი ის არის, რომ ყველას ჰქონდეს უფლება, ესა თუ ის უცხო ენა ისწავლოს ან არ ისწავლოს. მე სხვა მიმართულებით წავიყვან მსჯელობას: თანამედროვე ტექნოლოგიები სულ სხვაგვარად აყენებს ენების სწავლის საკითხს: **გლობალიზაცია ცუნამს თუ არა, დიდ ტალღას ჰგავს – მაინც მოდის; ამიტომ ამ ტალღის მართვას თუ ვერ შევძლებთ, მისი გამოყენება მაინც უნდა ვისწავლოთ, თორემ გადაგვივლის. ამ ტალღას სულ ვერ დაემალები...** მე ვგულისხმობ გლობალური ქსელის გამოყენების აუცილებლობას.

თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია გლობალური ქსელის გარეშე, მაგრამ უახლოეს მომავალში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს არა მხოლოდ კომპიუტერების გავრცელება (ეს ისედაც მოხდება, მობილური ტელეფონებისა არ იყოს!), არამედ საერთაშორისო გლობალური ქსელის ინფორმაციების მიღება ქართულ ენაზე. ეს შესაძლებელია: ეს უკვე შეძლეს სხვა სახელმწიფოებმა! მსოფლიოს ცივილიზებულმა ხალხებმა უკვე შექმნეს კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამები – ეს მოიტანა გლობალიზაციამ; ეს სიკეთე ჩვენც უნდა გამოვიყენოთ. სახელმწიფოს სახსრები – ხალხის გადასახადებით შეკრებილი თანხა – კომპიუტერული მთარგმნელობითი პროგრამების შექმნაში უნდა დაიხარჯოს; თანამედროვე **ტექნოლოგიების ენად თუ არ იქცა ქართული, ჯერ ქართული ენა მოკვდება** (მარგინალური გახდება), შემდეგ კი ქართველი ერიც გადაშენდება: მუდამ ძალაშია გამოთქმა: "რა ენა წახდეს, ერი დაეცეს"!

უახლოეს წლებში თუ ვერ შევძლებთ საერთაშორისო გლობალური ქსელის ინფორმაციების ქართულ ენაზე მიღებას, არა მხოლოდ ქართველი ერი, არამედ ქართველების მიერ დაფუძნებული სახელმწიფოც მოკვდება.

**– არსებობს საფრთხე, რომ ქართულმა ენამ კულტურული ენის ფუნქცია დაკარგოს?**

– დამიჯერეთ, თუკი ქართული არ იქცევა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ენად, საკმაოდ დიდია საფრთხე, რომ არა მხოლოდ კულტურული ფუნქცია დაკარგოს ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა დედაენამ, არამედ **ქართველი ერიც დაკარგავს თავისი მეობის უმთავრეს მახასიათებელს – ენას.** აქვე, ყურადღებას გავამახვილებ სხვა საფრთხეზეც:

ისტორიულად ქართველთა სალიტერატურო ენა საზრდოობდა დიალექტურ მეტყველებებში არსებული ლექსიკით; კერძოდ, ქართული სამწიგნობრო ენა საზრდოობდა მეგრულში, სვანურში, კახურში, მესხურში, რაჭულში, იმერულში, ლაზურსა და სხვა ქართველთა ზეპირ მეტყველებებში დაცული ოქროს სიტყვებით. დღეს ჩვენი ენა ძალიან დამძიმებულია ბარბარიზმებით; იყო დრო, როცა ჩვენს ენას აბინძურებდა სპარსული თუ ოსმალური ნასესხობები, შემდეგ მოვიდა რუსული იმპერიული წნეხის დრო; ახლა ჩვენი წამყვანი ტელევიზიების დიქტორები ინგლისურად უქცევენ, მერე ჩინურსაც დაემონება მავანი... დრომ აჩვენა: **ვინც კი დაეხარბა სხვათა მონურ ლუკმას და**

**მშობლიური ქართული დააკნინა, ისტორიის სანაგვეზე დარჩა;** ასე ელის ყველას, ვინც დღეს თუ ხვალ უარყოფს ქართულის პრესტიჟს და აქ უცხო ენას გააბატონებს.

**ჩვენი ერი ძალიან ღირსეული ერია;** ჩვენ გვაქვს ენა, რომელიც სრულიად საქართველოში მრავალი საუკუნეა არის სალიტერატურო ენა, საეკლესიო ენა და სახელმწიფო ენა. ამჟამინდელ ქართველობაშიც არის ბევრი ღირსეული ადამიანი, რომელიც უფრთხილდება თავის დედაენას; მომავალშიც იქნებიან ასეთნი; სამწუხაროდ, ამ მხრივ, გარკვეულად, სუსტად გამოიყურება პოლიტიკური სპექტრი, რომელსაც წინასაარჩევნოდაც კი არ ახსენდება ეროვნული თემატიკა. **იქნებ ეს იმის ბრალია, რომ პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი ქართული ფულით არ ფინანსდება (ფულის წარმომავლობა დიდად განსაზღვრავს პოლიტიკური ორგანიზმის პათოსს).** რაც შეეხება ჟურნალისტებს: ჟურნალისტი უცხოეთიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიის მსახური არ უნდა იყოს... თქვენ რომ მობრძანდით აქ და ამ თემით დაინტერესდით, ხართ კარგი მაგალითი იმ ქართველისა, რომელიც თავის დედაენას ქომაგობს, ე.ი. აქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირსება.

**– ბატონო ტარიელ, დღეს მიზანმიმართულად ხომ არ ხდება უცხო ენების ლობირება?**

– ფაქტია, რომ ქართული ენის სტატუსის დაცვა მეორე პლანზეა გადატანილი; კერძოდ: ბევრ დაწესებულებაში საქმისწარმოება უცხო ენაზე ხდება, საქართველოს ქალაქების ქუჩებში ნაკლებად ჩანს, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული; აფთიაქებსა თუ სხვა მსგავს დაწესებულებებში ინსტრუქციები უცხო ენებზეა; ბევრ რეგიონში მოსახლეობის საურთიერთო ენა უცხო ენაა და ა.შ.

ფაქტია, ქართული სალიტერატურო ენის პრესტიჟი უფრო და უფრო კნინდება... რა თქმა უნდა, პოლიტიკურ სპექტრში (პოზიციაშიც, ოპოზიციაშიც) არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, პრესტიჟი უფრო მაღალი უნდა იყოს, მაგრამ ასევე, პოლიტიკურ სპექტრში აქტიურობენ პირებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სახელმწიფო ენად უნდა ყოფილიყო რუსული ან სახელმწიფო ენა უნდა იყოს ინგლისურიც... არაა გამორიცხული, ვიღაცამ ჩინურიც მოითხოვოს მომავალში. **საბედნიეროდ, ქართველ საზოგადოებას ჯანსაღი პოზიცია აქვს:**

საზოგადოების უმეტესი ნაწილის აზრით, საქართველოში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ქართული და, ამავე დროს, **საქართველოში დაცული იყოს ყველა უმცირესობის ენობრივი უფლებებიც.** თუმცა, მუდმივად იქნებიან პირებიც, რომელნიც, ანგარების გამო, სხვისი კულტურის დამკვიდრებას შეუწყობენ ხელს; მათ შევახსენებ:

იმ ქართველს, რომელიც უცხო ენებს ლობირებს და ქართულს უარყოფს, მომავალი არა აქვს!

**ესაუბრა მაკა დეკანოსიძე**

23 მაისი, 2012

## ევროპული ქარტია რეგიონული ენების შესახებ

**გაზეთი: „ქართული სიტყვა“, 2013 წლის 6 თებერვალი**

**რუბრიკა – ქვათა ღაღადი**

**სომხური ავანტიურა და დიდი შეთქმულება ქართული ენის წინააღმდეგ**

**ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძის განცხადებით, საქართველოში ავტოქთონი ეთნიკური და ენობრივი უმცირესობა არ ცხოვრობს!**

**ციტატა:** „თუ მკაცრად დავიცავთ უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის დებულებებს, რეგიონული ენის სტატუსი უნდა მიეკუთვნოს ისეთი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის დედაენას, რომელიც საფრთხის ქვეშაა; სომხური მოსახლეობა საქართველოს რომელიმე კუთხეში ავტოქთონი მოსახლეობა არ არის იმიტომ, რომ ჯავახეთში სომხები კომპაქტურად დაასახლა რუსმა გენერალმა პასკევიჩმა მე-19 საუკუნის შუა პერიოდში; მოკლედ, ის საზოგადოება, რომელიც საქართველოში რუსეთის იმპერიის პირობებში ჩამოსახლდა,

ავტოქთონად ვერ იქნება მიჩნეული!“

**პატიმრობიდან გათავისუფლებული ვაჰაგან ჩახალიანი, რომელიც საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთში, მოქმედი სეპარატისტული „ჯავახკის“ ერთ-ერთი ლიდერია, უწინდებურად ითხოვს, რომ სომხურ ენას რეგიონალური ენის სტატუსი მიენიჭოს. ჯავახეთიდან რუსეთში წასული სომხების დიასპორის სახელით კი სეპარატისტული განცხადებები ვრცელდება... არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ამ მოთხოვნის უკან რუსული სპეცსამსახური დგას, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ჩახალიანმა და მისმა მფარველებმა სომხურისთვის რეგიონული ენის მინიჭების მოთხოვნა ევროპის უმცირესობათა ენების ქარტიითაც „გაამაგრონ“. საქმე ისაა, რომ 1999 წელს, ანუ მაშინ, როცა საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, რამდენიმე ვალდებულება ავიღეთ, მათ შორის, ერთ-ერთია ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობის ენისთვის რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსის მინიჭება...**

**ერთი სიტყვით, კრემლი 200-წლიან პოლიტიკას აგრძელებს და, ტერიტორიების პარალელურად, იერიში ქართულ ენაზე მიაქვს. ამავე კონტექსტში ნიშანდობლივია ორი ინფორმაცია, რომელიც ბოლო დროს სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ ვრცელდება:**

**– „სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში საკრებულოს სხდომები მეგრულად ტარდება?!“**

**– გალში 5 ივნისი გამოცხადდა მეგრული ენის დღედ...**

**არსებობს თუ არა საქართველოში მოსახლეობა, რომლის ენასაც ავტოქთონი უმცირესობის ენის სტატუსი უნდა მიენიჭოს? ასევე, ვინ ცდილობს მეგრულისა და სვანურის, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელ ენებად „გასაღებას“?**

თანამედროვე „ქვათა ღაღადზე“ „ქართული სიტყვა“ ესაუბრა ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, ქართველოლოგ ტარიელ ფუტკარაძეს.

**– სოციალურ ქსელში გავრცელებული ცნობით, თუ არ ვცდები, ხობში საკრებულოს სხდომები მეგრულად ტარდება. ამასთან, ვიღაცები სამეგრელოს ავტონომიას ითხოვენ. ბატონო ტარიელ, მოდით, ყველაფერი ეს ქართველოლოგის პოზიციიდან შეაფასეთ...**

– ამ საკითხს ორი წახნაგი აქვს. ერთი წახნაგი სახელმწიფო ენაა, მეორე კი – ქართველური იდიომების, ანუ ქართველური სამწიგნობრო ენისა და ზეპირი მეტყველებების შენარჩუნება. თავმოყვარე სახელმწიფოში, სახელმწიფო დაწესებულებაში სხდომები სახელმწიფო ენაზე უნდა ტარდებოდეს და დოკუმენტებიც სახელმწიფო ენაზე უნდა დგებოდეს.

**– ცხადია, მაგრამ დღეს საბოტაჟი ერთობ აქტუალურია. შესაბამისად, ხობში საკრებულოს სხდომების მეგრულ ენაზე ჩატარება საქართველოს სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ენის წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი საბოტაჟი ხომ არაა?**

– ხობის საკრებულოს შესახებ ინტერნეტში ფართოდ გავრცელებული ინფორმაცია ზუსტი არ უნდა იყოს; მე მოვისმინე დამაჯერებელი განმარტება, რომ სხდომების ოფიციალური ნაწილი საქართველოს სახელმწიფო ენაზე ტარდება; კულისებში დიალექტსა თუ ჟარგონზე საუბრის უფლება კი ყველას აქვს... თუმცა, ჩვენი საზოგადოების აღელვება მთლად უსაფუძვლო არ არის:

მრავალი საუკუნეა, მომხდური ცდილობს, ქართველობა დაშალოს: ენობრივ-ეთნიკურად, რელიგიურად, პოლიტიკურად და ტერიტორიულად; შესაბამისად, ჩვენი წინა თაობების მიზანი იყო ქართველთა ეროვნული, ენობრივი და ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნება; ეს მიზანი გვაქვს ამჟამინდელ თაობასაც და ექნებათ მომავალ თაობებსაც, ვინაიდან გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი და ლამაზი საქართველოს დაპყრობის მოსურნენი მუდამ იარსებებენ.

**– ენობრივი და ეროვნული ერთიანობით ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნება შესაძლებელია?**

– ერთიანობა თავდაცვის დროს მთავარი ფაქტორია; გარდა ამისა, სახელმწიფო ენის როლის განსაზღვრა და ქართველებისთვის წინა პლანზე წამოწევა 23 საუკუნის წინ მოხდა, როცა ფარნავაზმა და ქუჯიმ ერთიანი ქართული სახელმწიფო აღადგინეს და სახელმწიფო ენად ქართველურ თემთა საერთო ენა – ქართული ენა – გამოაცხადეს, საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ აქციეს. მას შემდეგ საქართველოში სახელმწიფო საქმისწარმოების ენა ქართულია; ეგრისიდან შემოსული წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემდეგ კი საქართველოს საეკლესიო ენაც ქართულია; თქვენ იცით, რომ მოციქულები დედაენის მიხედვით ქადაგებდნენ; წმინდა ანდრიამ ქართულენოვანი ეკლესია დააფუძნა. საუკუნეების მანძილზე მტერს მრავალჯერ

ჰქონდა მცდელობა, რომ საქართველოს რომელიმე კუთხე ქართულენოვანი სივრციდან გაეყვანა; მაგალითად, მეფის რუსეთმა თავისი პირველი ბრძანება მეგრულ დიალექტზე გამოსცა 1865 წელს; სწორედ აქედან იწყება იმპერიის აქტიური მცდელობა, ენობრივ-ეთნიკურად დაანაწევროს ქართველი ერი.

**– ისე, სხვა დამპყრობლებს, რუსებისგან განსხვავებით, იერიში ენაზე არ მიჰქონდათ, არა?**

– სხვა დამპყრობლებს რელიგიური ექსპანსიის მცდელობა ჰქონდათ. მაგალითად, არაბებმა ქართველებს ე.წ. დაცვის სიგელი შესთავაზეს, რომლის ერთ-ერთი მუხლით, ის, ვინც ისლამს მიიღებდა, ხარკს არ გადაიხდიდა. საერთოდ, წესიერ ადამიანს ეკონომიკური პრობლემები ყოველთვის ჰქონდა და აქვს. ამიტომ, ასეთ შეღავათს ზოგი იყენებდა, ზოგი – არა. მუსულმანობას, როგორც წესი, ელიტა იღებდა... ელიტა იოლად გადადიოდა დამპყრობლის ენაზეც; მაგალითად, ცნობილი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშილი ხელს ასე აწერდა: „ნიკოლოზ ბარათოვი“; ანუ მე-19 საუკუნეში რუსულენოვანი გახდა ელიტა, თუმცა ისევ ელიტის მებრძოლმა ნაწილმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით წამოიწყო ბრძოლა ქართული ენის დასაცავად. ამავე პერიოდში რუსეთის იმპერია შეეცადა, სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან გაედევნა ქართული ენა. იმპერიის ამ მცდელობას წინ აღუდგა სამეგრელოს მოსახლეობა გრიგოლ დადიანის ხელმძღვანელობით. დედაენის დაცვისათვის ბრძოლა სამამულო ომის ტოლფასია.

**– მეფის რუსეთმა საეკლესიო ენაზე იერიში მაინცდამაინც სამეგრელოში რატომ მიიტანა?**

– იმიტომ, რომ როგორც მსოფლიოს ყველა ერში, ქართველ ერშიც სახელმწიფო და საეკლესიო ენისგან დაშორებული დიალექტები არსებობს და ვიღაც ცდილობს ხოლმე, რომ ეს განსხვავებული დიალექტები ენად გამოაცხადოს. სხვათა შორის, თავის დროზე რუსეთმა რუმინული ენის მოლდოვური დიალექტი მოლდოვურ ენად გამოაცხადა, თურქული ენის აზერბაიჯანული დიალექტი კი – აზერბაიჯანულ ენად; მსგავსი ფაქტები დასტურდება სხვა იმპერიათა ველშიც; მოკლედ, დიალექტების ენად გამოცხადება მსოფლიო პოლიტიკის თანამდევი მოვლენაა.

**– ეს „მსოფლიო მოვლენა“ განსაკუთრებით გამძაფრებული საქართველოშია. ბატონო ტარიელ, შეიძლება, ვცდები, მაგრამ ამ „გამძაფრების“ უკან კრემლის კვალს ვხედავ. ისე, როგორც ვიცი, არსებობენ ქართველი მეცნიერები, რომლებიც, უცხოური გრანტების ხელშეწყობით, სპეციალურ „ნაშრომებს“ ამზადებენ და ამტკიცებენ, რომ მეგრული ქართული ენის დიალექტი კი არა, როგორც იტყვიან, დამოუკიდებელი ენაა...**

– საუკუნეების განმავლობაში ერთიან ეროვნულ ენას, ერთიან სალიტერატურო ენას, სხვა კუთხეებთან ერთად, სამეგრელოც ქმნიდა; მეტიც, ძველ ქართველ მწიგნობართა უმრავლესობა დასავლეთ საქართველოდანაა; სანიმუშოდ დავასახელებ ქართული ჰიმნოგრაფიის მამას – მარტვილელ იოვანე მინჩხს. განსაკუთრებით, საბჭოთა პერიოდში გაბატონდა მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო ენა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობამ შექმნა, რაც უსაფუძვლო ტყუილია; ეს მოსაზრება ინერციით დღემდე არსებობს. ვიღაცას დღესაც სურს, სამწიგნობრო და კულტურული მემკვიდრეობა წაართვას დასავლეთ საქართველოს ქართველობას, მაგრამ არ გამოუვა.

**– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს „ვიღაც“ რუსეთია.**

-არა მხოლოდ.

**– აბა, კიდევ ვინ?**

– ზოგიერთი დასავლეთევროპელი მეცნიერიც, რომელიც უმცირესობის ენებზე ვითომდა ზრუნვით მოიპოვებს გრანტებსა თუ სხვა სახსარს; მაგ., ჯორჯ ჰიუიტი ავიღოთ.

**– მაგალითად, მეგრულზე, როგორც დამოუკიდებელ უმწიგნობრო ენაზე ზრუნვისთვის გრანტს ვინ გასცემს?**

– ზოგ პროექტს რუსეთი აფინანსებს (მაგ., ამ მხრივ აქტიურობენ რუსეთში მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია და სხვები), ზოგს – დასავლეთევროპული ფონდები; დაფინანსების მოტივი ზოჯგერ ფონდისთვის მიწოდებული არასწორი ინფორმაციაა, ზოგ შემთხვევაში კი – მიზანმიმართული ქმედება... თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტი ერთია: ბოლო ას წელიწადში მრავალჯერ იყო მცდელობა, რომ საქართველოს ზოგი კუთხე ერთიანი ქართულენოვანი სივრციდან გაეყვანათ; მაგალითად, ახლახან ერთ-ერთი ევროპული ფონდის დაფინანსებით მესხების შესახებ გამოვიდა წიგნი, სადაც მესხური თურქული ენის დიალექტადაა გამოცხადებული.

**– ეს წიგნი საქართველოში გამოიცა?**

– დიახ და, სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი ავტორი ქართველია. სინამდვილეში, მესხური მეტყველება ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტია. მუსლიმანი მესხები, რომლებიც თავის დროზე სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიაში გადაასახლეს, ქართული ენის მესხურ კილოზე საუბრობდნენ, თუმცა, იცოდნენ დამპყრობლის ენაც – თურქულიც. გასახლებულთა შორის იყვნენ თურქული ტომის წარმომადგენლებიც, ქურთებიც, თარაქამებიც... ამ სამენოვან გამოცემაში რატომღაც ნათქვამია, რომ მესხური არის თურქული ენის დიალექტი. არაიშვიათად, დეზინფორმაცია მიზანმიმართულად ხდება, ზოგჯერ კი საქმე გვაქვს ისტორიის არცოდნასთანაც.

**– ბატონო ტარიელ, როცა ქართველთა ენობრივი დეზინტეგრაცია მიზანმიმართულად ხდება და ამ პროცესში ქართველიც მონაწილეობს, ეს სამშობლოს ღალატია თუ არა?**

– დიახ, თუ ეს ხდება მიზანმიმართულად; თუკი ეს არის არცოდნის შედეგი ან ადამიანს, უბრალოდ, ასე სჯერა, ასეთ შემთხვევაში მკაცრი კვალიფიკაციისგან თავი უნდა შევიკავოთ.

**– ამ მხრივ ისტორიულად რა სიტუაცია იყო?**

– რუსეთის იმპერიის კავკასიაში დამკვიდრებამდე ეს პრობლემა არასოდეს დამდგარა (სხვათა შორის, ამას ჯერ კიდევ თედო სახოკია წერდა). მაგალითად, დადიანები თავს ქვემო იბერიის მეფეებს უწოდებდნენ და არა – ოდიშისას; დადიანების სამეტყველო ენა ქართული იყო; არც ერთ მათგანს არ უცდია, რომ სამეფო კანცელარიის ენად მეგრული მეტყველება გამოეცხადებინა, იმიტომ, რომ ჭკვიანი ხალხი იყო და წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი კულტურით იწონებდნენ თავს. ზემოთ შევეხე გრიგოლ დადიანს: მე-19 საუკუნეში, როცა რუსეთი შეეცადა ქართული ენის სივრციდან გაეყვანა სამეგრელო და აფხაზეთი, გრიგოლ დადიანის მეთაურობით, პრაქტიკულად, პლებისციტი ჩატარდა, რომლის მიხედვითაც მოსახლეობამ დაიცვა თავისი დედაენა – ქართული ენა; ის კი, ვინც სამეგრელოში საეკლესიო ენად რუსული ენის ან მეგრული კილოს დამკვიდრებას ცდილობდა, ქართველი ერის მტრად გამოაცხადეს. ეს მოძრაობა გააგრძელეს: წმინდა ამბროსი ხელაიამ, წმინდა ალექსი შუშანიამ, თედო სახოკიამ, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვა მოღვაწეებმა. მოკლედ, ის, ვინც ამა თუ იმ რეგიონში საკრებულოს სხდომებს კუთხურ მეტყველებაზე ჩაატარებს, პრაქტიკულად, 23-საუკუნოვან ქართულ სახელმწიფოებრივ ტრადიციას დაანგრევს, სახელმწიფო ენის უფლებებს შელახავს და ქართველთა ეთნიკურ-ენობრივი დანაწევრების პოლიტიკას გააგრძელებს. დღეს ეს ყველაფერი სხვა კონტექსტითაცაა განსახილველი.

**– და ეს რა კონტექსტია?**

– 1999 წელს საქართველო მიუერთდა „ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ავტოქთონი – ძირძველი მოსახლეობის – უმცირესობების ენობრივი უფლებების აღიარებას, დაახლოებით, ისეთ დონეზე, როგორი უფლებებიც აქვს სახელმწიფოს დამფუძნებელ ეთნოსს; მაგ., ევროსაბჭოს კანონებით, საქმისწარმოება, ასევე, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება უნდა იყოს ამ უმცირესობის ენაზე.

**– ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულება გვაქვს, რომ, მაგალითად, მეგრული ავტოქთონი უმცირესობის ენად ვაღიაროთ?**

– არა, არასწორ კვალიფიკაციას აკეთებთ. მეგრელი ქართველი ერის ნაწილია და არა – საქართველოს ავტოქთონი უმცირესობა. ევროსაბჭო არავის ახვევს თავს ენების კონკრეტულ სიას. ევროპის ენების ქარტიაში ხაზგასმით წერია, რომ სახელმწიფო ენის დიალექტების, სახესხვაობებისა და უმცირესობათა ენების ჩამონათვალს მოცემული სახელმწიფო ადგენს. აქვეა ჩანაწერი, რომ ქარტია არ ეხება სახელმწიფო ენის ნაირსახეობასა და დიალექტებს.

**– საქართველოში ავტოქთონ უმცირესობად ვინ ითვლება?**

– საქართველოში უმცირესობები ცხოვრობენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ავტოქთონი; შესაბამისად, გაუმართლებელია ამხელა აჟიოტაჟი „რეგიონული ან უმცირესობის ენების ქარტიის“ შესახებ.

**– ბატონო ტარიელ, მარტივად მიპასუხეთ: მაგალითად, მეგრული და სვანური საქართველოს სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ენის ნაირსახეობებია თუ ავტოქთონი მოსახლეობის ენა?**

– საქართველოში არ მეგულება განათლებული ადამიანი, რომელიც იტყვის, მეგრული, სვანური თუ მესხური ქართული ენის ნაირსახეობა არ არისო. მოცემული ენის სახესხვაობა შეიძლება

იყოს: კილო-კავი, კილო, მონათესავე უმწიგნობრო მეტყველება, უმწერლობო ენა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დროს მეგრულსა და სვანურს ასეთი სტატუსი ჰქონდა: „ქართული ენის მონათესავე უმწიგნობრო ენა“. ეს სტატუსი ძალიან ბუნდოვანი და შეურაცხმყოფელია.

**– რატომაა შეურაცხმყოფელი?**

– უმწიგნობრო ენა იმ ხალხის ენას ნიშნავს, რომელმაც თავის დედაენაზე სამწიგნობრო ტრადიცია დღემდე ვერ შექმნა. ჩვენს სინამდვილეში მეგრელებიც, ლაზებიც, მესხებიც და სვანებიც, სულ მცირე, 20 საუკუნეა, სხვა ქართველებთან ერთად ქმნიან სამწიგნობრო კულტურას ერთიან ეროვნულ ქართულ ენაზე, შესაბამისად, სამეგრელოს ქართველობაც და სხვა კუთხეების ქართველებიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი წიგნიერი საზოგადოებაა!

**– როგორც აღნიშნეთ, ევროპული ქარტია იცავს საფრთხის ქვეშ მყოფ ენებს; ასეთი სტატუსი რომელ ენას მიენიჭება?**

– საქართველოს შემოხიზნული ზოგი უმცირესობის, მაგ., ასირიელების, უდების ენებს კი არა, გლობალიზაციის პირობებში საფრთხე ემუქრება ქართული ენის ზეპირ სახესხვაობებსაც და თავად ქართულ სალიტერატურო ენასაც. ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია, რომ სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, ქართველთა კუთხური მეტყველებების გადარჩენაზეც იზრუნოს; ასევე, კეთილი ნება გამოიჩინოს სხვა ეთნოსთა იმ ენების მიმართ, რომელთაც გაქრობის საფრთხე ემუქრებათ. ქართული ენის გადარჩენის თვალსაზრისით, აუცილებელია ქართული სამწიგნობრო ენის ინტეგრაცია ინტერნეტსივრცესთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ენა, როგორც კულტურული ენა, მოკვდება!..

**– საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად დღემდე არ გაუკეთებია საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენების ჩამონათვალი?**

– არა.

**– უმცირესობის ენების ჩამონათვალი საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეადგინოს თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ?**

– სახელმწიფოს პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტი მართავს; მათ უნდა შექმნან სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც ამ ამოცანას აკადემიურად გადაწყვეტს. აქვე აღვნიშნავ, რომ 1999 წელს ევროსაბჭოს წინაშე საქართველომ სამი არსებითი ვალდებულება აიღო:

პირველი: საქართველოში უნდა ჩამოვასახლოთ ე.წ. „თურქი მესხები”, ანუ: 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა.

მეორე: საქართველო უნდა მიერთებოდა ევროპულ კონვენციას ეთნიკური უმცირესობების შესახებ;

მესამე: საქართველო უნდა მიუერთდეს ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ.

**– უფრო კონკრეტულად?**

– პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ტერმინი „თურქი-მესხები“ არასწორია; არ არსებობს ქართველი თურქი, თურქი ქართველი, რუსი ქართველი და ფრანგი სომეხი... რაც მთავარია, გადასახლებულ მოსახლეობას შორის იყვნენ ქართველებიც, თურქებიც, ქურთებიც, თარაქამებიც... ამიტომ, პირადად, მე „თურქი მესხების“ ნაცვლად ვიყენებ ტერმინს: „დეპორტირებული მოსახლეობა“... სტალინის რეჟიმის მიერ 1944 წელს გადასახლებული მოსახლეობის მცირე ნაწილი დარჩა ცოცხალი; დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლები, რომლებიც სხვა გარემოში აღიზარდნენ, სხვადასხვა ორიენტაციის ჯგუფებს ქმნიან; ეს ვრცელი სასაუბრო თემაა და შორს წაგვიყვანს...

მეორე ვალდებულება 2005 წელს შევასრულეთ: ტოლერანტულ საქართველოს არ უჭირს შემოხიზნულ უმცირესობათა პატივისცემა.

მესამე ვალდებულების შესრულება გართულდა „ენის ქარტიის“ დებულებების არაადეკვატური გააზრებისა და გარეშე ძალთა შემოტევის გამო; მაგ., სომხეთის პრეზიდენტი, რუსეთის ხელისუფლება და ზოგი ევროპელი ექსპერტი ევროპული ქარტიის თავისებური გააზრებით ცდილობს, თავს მოგვახვიოს უმცირესობათა ენების დაუსაბუთებელი სია.

**– არ ჯობდა, საერთოდ არ აგვეღო მესამე ვალდებულება?**

– რატომ? ვთვლი, რომ „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“

კარგი დოკუმენტია; მთავარია, ის სწორად გავიაზროთ. ამჟამად „ენის ქარტიის“ ორგვარი გააზრება არსებობს: დასავლეთევროპული და აღმოსავლეთევროპული. მაგალითად, ესპანეთმა ეთნიკურ და ენობრივ უმცირესობად ბასკები აღიარა და არა – ყველა იმ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელთაც ესპანეთის მოქალაქეობა აქვთ; ასეთი გამორჩევა ლოგიკურია: ბასკები წარმოადგენენ ესპანეთისა და საფრანგეთის ავტოქთონ მოსახლეობას, რომელიც უმცირესობაშია და რომლის ენა არის საფრთხის ქვეშ. სხვათა შორის, ამ ქარტიას საფრანგეთი არ მიუერთდა.

**– რატომ?**

– შესაძლოა, საფრანგეთი თვლის, რომ „ენის ქარტია“ მისთვის ბევრ ხიფათს შეიცავს.

**– აუცილებელი იყო, რომ ჩვენ ქარტიას მივერთებოდით?**

– არა.

**– აბა, რატომ მივუერთდით?**

– ეს მათ ჰკითხეთ, ვინც ხელი მოაწერა ამ ვალდებულებას; თუმცა, როგორც ზემოთაც გითხარით, თუკი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობისა და მიგრანტი ეთნიკური უმცირესობის გამიჯვნას ობიექტურად მოვახდენთ და სწორად განვმარტავთ ცნებას: „რეგიონული ან უმცირესობის ენა“, „ენის ქარტიასთან“ მიერთებაში პრობლემას ვერ ვხედავ.

**– ბატონო ტარიელ, უფრო კონკრეტულად რომ მითხრათ, თქვენი აზრით, საქართველოში რომელია ის ეთნიკური ჯგუფი, რომლის ენა უნდა მივიჩნიოთ ან შეიძლება მივიჩნიოთ ავტოქთონი უმცირესობის ენად?**

– საქართველოში, ჩემი აზრით, ავტოქთონი ეთნიკური და ენობრივი უმცირესობა არ ცხოვრობს; შესაბამისად, „ენის ევროპული ქარტია“ ისე შეიძლება დავამტკიცოთ, რომ უმცირესობის ენების სია არ დავურთოთ (ამას უშვებს „ქარტია’). საქართველოში ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც გვიან დასახლდნენ საქართველოში; მათ ენობრივ უფლებებს იცავს სხვა სამართლებრივი აქტები; მაგ., ევროპული კონვენცია უმცირესობების შესახებ, რომელსაც საქართველო მიუერთდა 2005 წელს; ასევე, საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო დოკუმენტები.

**-1999 წელს ავიღეთ ვალდებულება; ახლა რატიფიცირება რომ არ მოვახდინოთ, ევროსაბჭოსგან დავისჯებით?**

– საქართველო ენების ქარტიას ერთ წელიწადში უნდა მიერთებოდა. 1999 წლის შემდეგ ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას ყოველ წელს ახსენებს, რომ ქარტიის რატიფიცირება მოახდინოს; ევროსაბჭო არ არის დამსჯელი ინსტიტუტი; საჭიროა ევროსტრუქტურებთან არგუმენტირებული მსჯელობა ოკუპაციის პირობებში ავტოქთონობის ასაკის განსაზღვრის, ენისა და კილოს გამიჯვნის, ასევე, საქართველოს ოკუპაციის პირობებში ამ ქარტიის ამოქმედების და სხვა საკითხების შესახებ.

**– მაშასადამე, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ამ ქარტიის რატიფიცირებას მოახდენს თუ არა?**

– დიახ, ეს ვალდებულებები ახალმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო და ევროსაბჭო მასაც შეახსენებს, რომ რატიფიცირება მოახდინოს, თუმცა «ენის ევროპულ ქარტიას», როგორც გითხარით, საფრანგეთი და, ასევე, ბევრი სხვა ქვეყანაც არ მიერთებია. გარდა ამისა, ვერავინ დაასაბუთებს, რომ საქართველოში ნამდვილად ცხოვრობენ ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობები. ევროპაში მსჯელობენ, რომ ავტოქთონობის ასაკი 100 წლით განისაზღვროს, თუმცა, ხაზგასმით ვამბობ: «რეგიონული, ან უმცირესობის ენების ევროპულ ქარტიაში» საუბარია მხოლოდ ავტოქთონი, აბორიგენი უმცირესობების ენობრივ უფლებებზე. რაც მთავარია, ავტოქთონ უმცირესობად ვერ ჩაითვლებიან ოკუპანტი ქვეყნის ხელისუფლების მიერ საქართველოში ბოლო ორ საუკუნეში ჩამოსახლებული უმცირესობები...

6 თებერვალი, 2013

# მეგრული ენაა თუ დიალექტი? (ნაწილი II) – ინტერვიუ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან

2017, 22 დეკემბერი, 11:58

ბატონი ტარიელ ფუტკარაძე საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ, ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი, 300-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი; მან 1991 წლის 9 აპრილს, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრმა, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. მას ასევე ენათმეცნიერული გამოკვლევები აქვს ქართულ დიალექტებზე; საინტერესოა, რას ფიქრობს იგი ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორიცაა მეგრულ მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები:

**– ბატონო ტარიელ, როგორც მოგეხსენებათ, საზოგადოების აზრი ორადაა გაყოფილი მეგრულთან დაკავშირებით; ნაწილი თვლის, რომ დიალექტია, ნაწილი კი ენად მიიჩნევს. საინტერესოა, თქვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.**

– დავიწყებ იქიდან, რომ თუ ხალხს, მოცემულ საზოგადოებას, ისტორიულად არ შეუქმნია სამწიგნობრო (სამწერლობო) კულტურა, მისი მეტყველება არის უმწიგნობრო ენა, ხოლო თუ ხალხს, მოცემულ საზოგადოებას, აქვს სამწიგნობრო კულტურა, ბუნებრივია, მას აქვს სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ენა, რომელსაც აქვს კუთხური მეტყველება – სამწიგნობრო ენის სახესხვაობა, ანუ დიალექტი; ჩვენს შემთხვევაში, თუ ვინმემ შექმნა ოცსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა, ისტორია, ეს გააკეთა ისტორიული ეგრისის, ოდიშისა თუ დღევანდელი სამეგრელოს ქართველობამ; შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთი პირველი ასომთავრულით შესრულებული ტექსტი შენახულია იოანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის მამაა იოანე მინჩხი; ქართული სამწიგნობრო კულტურის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს უძველესი ცენტრები იყო ჭყონდიდის, დასავლეთ თუ სამხრეთ საქართველოს, ჭოროხის ხეობის კულტურულ კერებში; თუნდაც ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლად არსებობის დროს დადიანი თუ ანტონ ჭყონდიდელი ავითარებდა ქართულ სამწიგნობრო ენას, როგორც საკუთარ დედაენას და არა კუთხურ ზეპირმეტყველებას. შესაბამისად, ვინც ამ სამწიგნობრო ისტორიას ართმევს საქართველოს რომელიმე კუთხეს, ნამდვილად არ არის არც ამ კუთხის და არც საქართველოს კეთილმოსურნე.

**– მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ იმერული დიალექტია, ხოლო მეგრული – არა, რადგან ის ძალიან განსხვავდება როგორც იმერულისაგან, ასევე ქართული სალიტერატურო ენისგანაც, რას მეტყვით ამის შესახებ?**

– რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავდება, ამ თემაზე დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორი დისერტაციები, ჩემზე უკეთ ბევრმა არ იცის, რით განსხვავდება იმერული მეგრულისაგან. მოდი, მდგომარეობას სხვა თვალით შევხედოთ – თქვენ, როგორც ჟურნალისტს, დაგისვამთ შეკითხვას: ინგლისური, ფრანგული, ბერძნული, სომხური, გერმანული ერების ენებია, არა? ხოლო იმერული, ხევსურული, თუშური, კახური –ერთი ენის დიალექტები; როგორ ფიქრობთ, რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ მეგრული მეტყველება?

**– დიალექტს...**

– მართალი ხარ, მაგრამ მთავარია, რატომ ხარ მართალი: მსოფლიოს არც ერთი მეტყველება ენად სახელდებული არ არის არც გაგებინების, არც ბგერათშესატყვისობის, ზოგადად, არც მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური კრიტერიუმების გამო... ენად კვალიფიცირება ხდება სოციოლინგვისტური სტატუსით, ანუ მოცემული საზოგადოების მონაწილეობა-არმონაწილეობით სამწიგნობრო ენის ქმნადობასთან მიმართებაში; ჩვენს შემთხვევაში, ნათელია, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ეგრისის/ოდიშის საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებისათვის...

**– მართალია, რომ მეგრული და სვანური იუნესკომ ენებად აღიარა და მათი დაცვა დაავალა ქართულ ხელისუფლებას?**

– რა თქმა უნდა, ასეა, იუნესკოს კვალიფიკაციაში მეგრული მიჩნეულია ენობრივი უმცირესობის

მეტყველებად, ასევე – სვანური, ლაზური, რამდენადაც იუნესკოს ინფორმატორებმა თუ რედაქტორებმა არ იციან, რომ მეგრულის, სვანურის, ლაზურის, როგორც ენათა კვალიფიკაცია საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე; უმწერლობო ენა აქვს უმწიგნობრო ხალხს, რომელსაც არ შეუქმნია არასოდეს სამწიგნობრო კულტურა... კარგი იქნებოდა, იუნესკოს შესაბამისი განყოფილების რედაქტორებს და მათ ინფორმატორებს სცოდნოდათ, რომ მეგრელი, სვანი, ლაზი, სხვა კუთხის წარმომადგენელ ქართველებთან ერთად, არიან მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამწიგნობრო კულტურის, კერძოდ, ქართული სამწიგნობრო ენის შემოქმედნი.

**– არსებობს მოსაზრება, რომ ქართული სამწიგნობრო ენა დაეფუძნა ქართლ-კახურ დიალექტს, ეს ხომ არ ეწინააღმდეგება იმას, რაც თქვენ აღნიშნეთ?**

– რითი საბუთდება, რომ ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა მხოლოდ ქართლ-კახურ დიალექტს? ეს არასწორი ინფორმაციები კარგად გავიაზროთ რეალური ფაქტებით; უძველესი ქართული სამწიგნობრო ენა არის ყველასათვის კარგად ნაცნობი ხანმეტი ტექსტების ენა, თუნდაც იაკობ ცურტაველისა, გიორგი მერჩულისა თუ იოანე მინჩხის თხზულებების ენა; ვერც ერთი ადამიანი იტყვის იმას, რომ ეს ენა იგივეა, რაც ქართლ-კახური დიალექტი. ყველა ნორმალური ენათმეცნიერი დამეთანხმება, რომ ხანმეტი ტექსტების ენა უფრო ასახავს მეცნიერთა მიერ რეკონსტრუირებულ (აღდგენილ) საერთოქართველურ ენას, ანუ ქართველთა თავდაპირველ ენას, ვიდრე ქართლ-კახურ დიალექტს. ხაზგასმით ვამბობ, რომ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა ქართველთა ისტორიული შემოქმედებაა, ყველა ქართველის კუთვნილებაა... თქვენი მკითხველი რომ არ დავღალოთ, მოკლედ გეტყვით ჩემს თვალსაზრისს, რომელიც ისტორიული წყაროების, ასევე ცნობილ მეცნიერთა შეხედულებების შეჯერებით არის ჩამოყალიბებული: დაახლოებით, 35 საუკუნის წინ ცხოვრობდა მეფე აიეტი; ბერძნული წყაროების მიხედვით, ამავე პერიოდში იფურჩქნება დიდი კოლხური კულტურა, რომელიც შემონახულია არქეოლოგიურ მასალებში; დაახლოებით, ამავე დროს არსებობდა საერთოქართველური ენა კოლხური საერთოქართველური კულტურის გავრცელების არეალში.

კოლხური ცივილიზაცია არსებობდა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდამდე, დაახლოებით; 100-200 წლის შემდეგ მეფემ ფარნავაზმა ამავე არეალში ააღორძინა ისტორიული სახელმწიფო ქართლი, რომლის სახელმწიფო ენად გამოაცხადა ქართული ენა, ქართველთა საერთო ენა. შესაბამისად, ჩვენთვის ცნობილი ქართული სამწიგნობრო ენა ეფუძნება არა რომელიმე ქართველურ დიალექტს, არამედ ქართველთა საერთო ენას. აი, ამ საერთო-ეროვნულ ქართველურ-ეროვნულ ენასთან მიმართებაში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ქართველთა ყველა კუთხური მეტყველება მეორეული სახესხვაობაა! ხაზგასმით ვამბობ, რომ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა ქართველთა ისტორიული შემოქმედებაა, ყველა ქართველის კუთვნილებაა! არ გვგონია, მომავალში ვინმემ შეძლოს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება, ისეთი ძლიერი ფესვები აქვს ამ ისტორიას, ჩვენს ერთიან ისტორიას!

**P.S.** დიდი მადლობა ბატონ ტარიელს არგუმენტირებული, დამაჯერებელი ფაქტების გაცნობისათვის; ჩემი მხრივ, დავძენ, რომ ქართულ სამწიგნობრო ენას სიცოცხლეს მატებს, ავითარებს კუთხური მეტყველებანი უძველესი დროიდან... ეთნოსს/ერს აქვს ენა, ეთნოსის/ერის ნაწილს – დიალექტი. სამეგრელო საქართველოს, ქართველი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახლავთ; შესაბამისად, რა სტატუსი უნდა მივანიჭოთ მათ მეტყველებას? – პასუხი თქვენთვის მომინდვია.

**ესაუბრა მაიკო ქავთარაძე**

22 დეკემბერი, 2017

# 2. პოლიტიკური თემები

## 2.1. წერილები, ესეები

### 2.1.1. დევნილი პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო

# პრეზიდენტი დღევანდელი გადასახედიდან

სოციალურ ქსელებში არ წყდება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შესახებ უსაფუძვლო პრეტენზიების წამოყენება; ვისაც სიმართლე აინტერესებს (და არ არის ანტიქართული მიმართულებით „დამუხტული“ პირი), მათ გასაგონად კიდევ ერთხელ დავწერ:

1. საბჭოთა პერიოდში დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, შვილს უზრუნველად შეეძლო ეცხოვრა დიდებულ კოლხურ კოშკში: ჰქონდა შესანიშნავი აღზრდა, განათლება; იყო გამორჩეული პოეტი, მეცნიერი... რომ მოესურვებინა, ექნებოდა წარმატებული სამეცნიერო და შემოქმედებითი კარიერა, პირადი ბედნიერება...

მაგრამ: მან ბავშვობიდანვე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა დაისახა სიცოცხლის უმთავრეს ორიენტირად და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირა პირადი ცხოვრებაც, ოჯახური ცხოვრებაც, კოლხური კოშკიც... საკუთარი ამქვეყნიური სიცოცხლეც.

2. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო დიდი პოლიტიკოსი, რომელმაც გადადგა კარგად გააზრებული ნაბიჯები; ქართველ ერს სამუდამო გარანტია მისცა, რომ ექნება დამოუკიდებელი სახელმწიფო; კერძოდ, დაგეგმა ლეგიტიმური გზით ხელისუფლებაში მოსვლა (28.10.1990), შემდეგ რეფერენდუმის (31.03.1991) ჩატარება დამოუკიდებლობის შესახებ და 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება არა მხოლოდ პარლამენტის დეკლარირებით (როგორც ეს სხვებმა გააკეთეს), არამედ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე!

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებულია სწორედ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამ აქტით დაფასებულია საქართველოს დიდი ისტორიაც, რამდენადაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობა კი არ გამოაცხადა (ნ. ჟორდანიას ხელისუფლების მსგავსად!), არამედ ა ღ ა დ გ ი ნ ა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა!

ეს ბრძნული გადაწყვეტილება საქართველოს მუდმივი სიცოცხლის გარანტიაა.

3. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლეთის იმედად იყო და ჰქონდა შესაბამისი ურთიერთობებიც; პირველ ეტაპზე რუსეთთანაც დაალაგა ურთიერთობა: პრეზიდენტი ელცინი ყაზბეგში (1991) ჩამოიყვანა და საქართველოსათვის მომგებიანი ხელშეკრულებაც გააფორმა, მაგრამ იმხანად საქართველოც და მისი პრეზიდენტიც დიდი გარიგების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ:

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა შეაპირობა რუსეთ-ამერიკის პრაგმატულმა გარიგებამ: გასული საუკუნის 90-იან წლებში დასავლურმა ალიანსმა (პირობითად ვთქვათ, ნატომ) თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში დააბრუნა აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიის ქვეყნები; ამერიკამ/ევროპამ იმხანად დროებით რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში დატოვა: კავკასია, შუა აზია, უკრაინა, მოლდოვა და ბელორუსია.

თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში კი გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა დაამხო დამოუკიდებლობისკენ მსწრაფვავი საქართველოს, აზერბაიჯანისა და იჩქერიის ხელისუფლებები.

დღეს სულ სხვა ვითარებაა: თუნდაც ნატოს ხელმძღვანელობის გუშინდელი სტუმრობა ცხადყოფს, რომ დასავლეთი ამ ეტაპზე აღარ მიატოვებს საქართველოს რუსული იმპერიის საჯიჯგნად:

**ისტორიის ამ ეტაპზე დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში კარგად გააცნობიერეს, რომ „აღმოსავლური საფრთხეების“ წინაშე მდგარი დასავლეთისათვის საქართველო, კავკასია გამორჩეულად სტრატეგიული ადგილია.**

4. პოლიტიკოსი ის არ არის, ვინც უორიენტირო მანიპულაციებითა და სხვადასხვა მიმართულების პარტიების გამოცვლით ინარჩუნებს ადგილს პოლიტიკურ სპექტრში (ასეთს მედროვე აფერისტი ჰქვია); პოლიტიკოსი ისაა, ვისი მოღვაწეობაც ქვეყანას გამოადგება!

1993 წლის შემდეგ ხელისუფლებაში მყოფმა რომელმა პოლიტიკოსმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს? კარგი, ამას ყველას ნუ მოვთხოვთ, ამიტომ კითხვა სხვაგვარად დავსვათ:

– 1992-1993 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ დასავლური დიპლომატიის ირიბი თანხმობით გაანადგურა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს უზენაესი საბჭო

და ფიზიკურად მოკლა საქართველოს პრეზიდენტი, ხელისუფლებაში მოსული პირველი პირების (პრეზიდენტების, პრემიერებისა და მინისტრების) რამდენი პროცენტი ემსახურა სამშობლოს უანგაროდ და ხელისუფლებაში მყოფთა რამდენი პროცენტი გამდიდრდა (მილიონერების სია დაიწყეთ ნოღაიდელით და დაასრულეთ ოქრუაშვილით, რომელმაც გუშინ განაცხადა, რომ მილიონები გადაიხადა რუსთავი 2-ში)?

5. ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ანდა, საქართველოს უბედურების დროს გამდიდრებული პირები და რუსეთის იმპერიის მსახურები აგორებენ დღესაც შავ პიარს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ; მათ სურთ, მიჩქმალონ თავიანთი სიცოცხლის ანგარებიანი ხერხემალი (რაღაც უარყოფით წახნაგს დროებით მაინც დამალავს კაცი, მაგრამ ხერხემალს – ვერ!).

**P.S.** რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი ახლა ამბობს, რომ პოლიტიკაში მოსული ბიზნესმენი საკუთარ ბიზნესს იცავს და უფრო მდიდრდებაო... ორმაგი სტანდარტი პოლიტიკური აფერისტობის ერთ-ერთი სახეობაა: სწორედ დიდი ბიზნესმენის წყალობით გარკვეულწილად მართა საქართველო ურეიტინგო რესპუბლიკელმა ცოლ-ქმარმა.

**P.P.S.** პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მსგავსად სიცოცხლის გაწირვაზე არ ვამბობ: ბოლო 26 წელიწადში ხელისუფლებაში მოსული პირველი პირების (პრეზიდენტების, პრემიერებისა და მინისტრების) რამდენი პროცენტი ემსახურა სამშობლოს უანგაროდ?

8 სექტემბერი, 2016

## ვალტერ შურღაია – ტრაგიკული გმირი

ბატონ ვალტერს მე კარგად ვიცნობდი; ძალიან მოკლედ ასე შემიძლია შევაფასო მისი მოღვაწეობა: ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია არის ტრაგიკული გმირი, რომელიც არალოგიკურად – ბუნებრივი სიკვდილით – გარდაიცვალა 2016 წლის 28 ნოემბერს.

ვალტერ შურღაია დაიბადა 1944 წლის 20 მაისს სენაკის რაიონის სოფელ ზანაში.

1958 წელს, VIII კლასელმა მოსწავლემ, მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა "საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია". ვალტერ შურღაია და ზაურ ქობალია მე გავიცანი 1990 წელს; ვალტერი ამ ორგანიზაციის შესახებ როცა მიყვებოდა, გაოცებული ვიყავი მისი და მისი მეგობრების გაბედულებით: მძვინვარე საბჭოთა პერიოდში ეს პატარა ბიჭები ჩემს დაბადებამდეც ავრცელებდნენ პროკლამაციებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოწოდებით; ამიტომაც მათ მიმართ მქონდა განსაკუთრებული პატივისცემა.

...გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ისინი მალევე დააპატიმრეს და ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით (მუხლები: 71-73) გაასამართლეს; კერძოდ: ანრიდ (ბუჭა) სანაიას – 4 წელი; სერგო სორდიას – 2 წელი; არასრულწლოვანებს: რუსლან ქირიას და ვალტერ შურღაიას – თითო წელი. ზაურ ქობალიამ კი 1963-1968 წლები გაატარა პოტმაში – ფაქტობრივ პოლიტპატიმართათვის განკუთვნილ სასტიკ ციხეში. ზუგდიდელი პატარა გმირები დროებით შეაჩერეს.

უკვე დაკაცებულნი, 1987 წელს, ეროვნული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას – თაოსნობით ორგანიზებულ ეროვნულ მოძრაობას შეუერთდნენ და ბავშვობისდროინდელი ოცნება – საქართველოს დამოუკიდებლობა – სხვა პატრიოტქართველებთან ერთად, იურიდიულ ფაქტად აქციეს. ვალტერ შურღაია საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი გახდა ზუგდიდის #93 რუხის საარჩევნო ოლქიდან; იგი ამ დროს იყო საარჩევნო ბლოკის – "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" მაჟორიტარი კანდიდატი საქართველოს ჰელსინკის კავშირიდან.

დეპუტატობის პერიოდის მშვიდობიანი ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა; მალევე დაიწყო კრემლიდან ორგანიზებული ანტისახელმწიფოებრივი აქციები და ჩვენ ხან სად ვცდილობდით ხელოვნურად აბრიალებული ცეცხლის ჩაქრობას და ხან – სად... კარგად მახსოვს

1991 წლის 9 აპრილი:

ვალტერი და მე გვერდიგვედ ვისხედით ხოლმე; დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის შემდეგ რომ დავჯექი, მისეული სევდიან-მხიარული სიცილით მითხრა: "ამ ხელმოწერებისათვის ჩვენ სასტიკად დავისჯებით, ჩვენ ჩვენივე დევნილობას მოვაწერეთ ხელი..."

სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია მისი "ცუდი წინასწარმეტყველება": ჩვენ ვიცოდით, რომ რუსეთი ასე იოლად არ შეეგუებოდა კავკასიის დაკარგვას და წინ მრავალწლიანი დაძაბული ცხოვრება გველოდა, მით უმეტეს, 1989 წლის 2 დეკემბრის ამერიკა-რუსეთის მალტის მოლაპარაკების შემდეგ; ხშირად ვმსჯელობდით ამ თემაზე:

მალტის გარიგების კვალად, 1989 წლის 24 დეკემბერს, საბჭოთა კავშირმა უკანონოდ ცნო მხოლოდ 1940 წელს ბალტიის რესპუბლიკების (ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის) ოკუპაცია და ანექსია... გამომდინარე ამ ფაქტიდან, საქართველოს ძალიან მცირე შანსი ჰქონდა, შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა; ეს მიღწევადი იყო მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის მტკიცე ნების გამოვლენისა და ერთიანობის შემთხვევაში (ამის შესახებ მაშინაც ვწერდი; კერძოდ, 1991 წლის 28 სექტემბრის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა სტატია: "რაცა ღმერთსა არა სწადდეს").

მსოფლიოსათვის საქართველოს მოსახლეობის ნების გამოხატვისა და ერთიანობის ჩვენების მიზნით ზვიად გამსახურდიამ დაგეგმა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი; რეფერენდუმში ბრწყინვალე შედეგი მივიღეთ, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა რუსეთის საინფორმაციო ომის, კერძო საკუთრების აღდგენის პროცესში "პრივატიზაციის" მსურველთა დანაშაულებრივი ქმედებისა და ბევრი სხვა მიზეზის გამო.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ გავლილი გვქონდა 1989 წლის 9 აპრილი, ჩვენ მაინც ვერ დავუშვით, რომ რეფერენდუმისსაფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგაც კი საქართველო მარტო დარჩებოდა აგრესიული რუსეთის პირისპირ; რომ თანამედროვე მსოფლიოში რუსეთი ბეპაევისა თუ ბალტინის სამხედრო შენაერთებით დაამხობდა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას და დაღვრიდა ამდენ სისხლს; განახორციელებდა ქართველთა გენოციდს აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში და თანამედროვე მსოფლიოს ცინიკურად დასცინებდა დამოუკიდებელი საქართველოს მეოთხედის ოკუპაცია-ანექსიით. ჩვენდა საუბედუროდ, რუსეთმა ეს "იკადრა" და შერჩა კიდეც (ამიტომაც გაბედა შემდგომ უკრაინის დიდი ნაწილის ოკუპაცია):

დსთ-დ ტრანსფორმირებულმა რუსეთის იმპერიამ ქართველთა ერთი ნაწილის გამოყენებითა და კანონიერი ხელისუფლების დამხობისათვის ე.წ. "სამოქალაქო ომის" სახელდებით შეძლო, ზერელედ მაინც "შეეფუთა" საქართველოში თავისი აგრესია.

სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) წინ ჩვენ – ვალტერ შურღაია, ზაურ ქობალია, ზვიად ძიძიგური და მე – აქტიურად ვცდილობდით მოლაპარაკებას თბილისის ზღვაზე "გამაგრებულ" თენგიზ კიტოვანთან და თენგიზ სიგუასთან, რომ თავიდან აგვეცილებინა მოსალოდნელი სისხლისღვრა, მაგრამ თენგიზ სიგუა ყოველ დღეს ცვლიდა მოთხოვნებს; ჩვენთან მოლაპარაკებით მან დრო გაწელა 1991 წლის 21 დეკემბერამდე, ალმა-ათაში დსთ-ს შექმნის ხელმოწერამდე:

ბალტიის ქვეყნების გარდა, მხოლოდ საქართველო რომ არ აწერდა ხელს დსთ-ს შექმნას, ბუნებრივია, ეს იცოდა თენგიზ სიგუამ და შეიარაღებული ამბოხის დაწყების სანქციას კრემლიდან ელოდა სწორედ 21 დეკემბერს. 22 დეკემბერსვე დაიწყო სისხლიანი გადატრიალება საქართველოში.

1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე ჩვენ (ვალტერი და მე) ერთად ვიყავით უზენაესი საბჭოს VI სართულზე ჩვენსავე სამუშაო ოთახებში, სადაც ამ დროს განლაგებულნი იყვნენ ზუგდიდის ბატალიონის მებრძოლებიც, რომლებიც რუსული აგრესიისაგან (ეს მაშინვე კარგად გვქონდა ყველას გააზრებული!) იცავდნენ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასა და, ზოგადად, საქართველოს დამოუკიდებლობას.

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, 1992-93 წლებში ვალტერ შურღაია იყო საქართველოდან განდევნილი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას – რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. ფაქტობრივად, ვალტერ შურღაია ზაურ ქობალიასთან

ერთად ხელმძღვანელობდა ზუგდიდში მოქმედ "საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტს" (თავმჯდომარე – ვალტერ შურღაია). ეს ძლიერი ორგანიზაცია დიდ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის მიერ მხარდაჭერილი პუტჩისტების არაკანონიერ სამხედრო ფორმირებებს, რომლებიც მთელ საქართველოში თარეშობდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ სამეგრელოში, სადაც არსებობდა "საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი" და თავს ვაფარებდით თბილისიდან და საქართველოს სხვა მხარეებიდან განდევნილი კანონიერი ხელისუფლების წევრები. საბოლოო ჯამში, პუტჩისტებმა სამეგრელო საქართველოს "ვანდეად" აქციეს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ – ვალტერ შურღაია, ზაურ ქობალია და მე – შევეცადეთ, მორიგი სისხლისღვრა აგვეცილებინა თავიდან და 1992 წლის თებერვალსა თუ მარტში მერაბ გაბუნიასა და აკაკი ბობოხიძის შუამავლობით ხონში შევხვდით ჯაბა იოსელიანს; ჩვენი ეს ცდაც უშედეგოდ დასრულდა; ამ შეხვედრის ერთ მძაფრ ეპიზოდს გავიხსენებ:

შეხვედრის წინ ვალტერმა მითხრა: მხოლოდ ერთი გახსნილი ყუმბარით შემოვალ მოლაპარაკებაზე; თუ კაკომ მოგვატყუა და "მხედრიონი" ჩვენს დაპატიმრებას შეეცდება, გავხსნი ყუმბარას და ყველა ჰაერში ავიწევით: ჩვენც და ისინიც. სიკვდილის რისკით დაწყებული მოლაპარაკება მშვიდობიანად და შეთანხმებით დასრულდა, მაგრამ 5 დღეში ისევ სიგუასა და "მხედრიონის" მხრიდან დაირღვა...

შემდეგ იყო დევნილობის პერიოდში იატაკქვეშა მოღვაწეობა და 1992 წლის 24 ივნისს საქართველოს ტელევიზიაში შესვლით კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მცდელობა; სწორედ ამ ბოლო შემთხვევას თვლიდა ვალტერი თავის გამოუსწორებელ შეცდომად; კერძოდ:

ვალტერი ენდო საქართველოს შინაგანი ჯარების ოფიცრებს (ზურაბ ირემაძე და სხვ.), რომლებიც საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენაში თანადგომას ჰპირდებოდნენ; კერძოდ, სამხედროებმა ვალტერი ასეთი ალტერნატივის წინაშე დააყენეს:

– ჩვენ მზად ვართ, დავიჭიროთ ე. შევარდნაძე და სამხედრო ხუნტის მეთაურები და ძალაუფლება დაგიბრუნოთ კანონიერ ხელისუფლებას! თუკი დეპუტატები უარს იტყვით, თქვენ იქნებით საქართველოს მოღალატეები... თითქოსდა, საჭირო იყო მხოლოდ დეპუტატების მიერ ტელევიზიით გაცხადება, რომ კანონიერი ხელისუფლება აღდგა... ამგვარი პროვოცირებით ვალტერ შურღაია რამდენიმე კაცთან ერთად ტელევიზიაში შევიდა. კარგად მახსოვს ის დილა:

ადრე დილით დამირეკა თავად ვალტერ შურღაიამ:

– ტარიელ, ჩართე რადიო, ჩვენ უკვე ტელევიზიის შენობაში ვართ; სასწრაფოდ მოდი ტელევიზიაში, ყველა დეპუტატი მოვიდეს; საქართველოს ახლა აქ სჭირდები!

მე არ მჯეროდა ასე იოლად კანონიერი ხელისუფლების აღდგენა – ასე უბრალოდ რუსეთი უკან არ დაიხევს-მეთქი, ვუთხარი ჩემს მეუღლეს... და ტელევიზიაში მაინც წავედი; ოღონდ, მანამდე ჩემი წვრილ-შვილი სიმამრის ბინაში გადავიყვანე მოსალოდნელი რეპრესიების გამო. ტელევიზიაში რომ მივედი, უკვე სროლები იყო გარშემო და აღარ თუ ვეღარ შევედი (გმირთა მოედანზე რამდენიმე დეპუტატს შევხვდი; ბეჟან ჯავახიას გაფითრებული სახე დღემდე მახსოვს).

ტელევიზიის "აღება" შევარდნაძის სპეცსამსახურების კარგად დაგეგმილი პროვოკაცია იყო; ვალტერი მოატყუეს; იმ დილით მას გულწრფელად სჯეროდა, რომ კანონიერ ხელისუფლებას აღადგენდა სამხედროებთან ერთად; ამაში დარმუნებული ვარ, რადგან სხვა შემთხვევაში ის მე სასკვდილოდ არ გამწირავდა და არ დამირეკავდა, რომ სასწრაფოდ მივსულიყავი ტელევიზიაში.

მაშინ, ტელევიზიის "აღების" პროვოცირებით, შევარდნაძემ გადაფარა 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის შეხვედრა, როდესაც, საქართველოს პუტჩისტური ხელისუფლების მიერ რუსეთის საოკუპაციო ჯარს მიენიჭა "საქართველოში სამშვიდობო ჯარის სტატუსი". ეშმაკისეული გეგმის ნაწილი იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინაშე უფრო ტრაგიკული ალტერნატივის შექმნაც:

გროზნოში თავშეფარებულ პრეზიდენტს უთხრეს: "საქართველო მზადაა, აღდგეს კანონიერი ხელისუფლება და გადარჩეს აფხაზეთი; მხოლოდ თქვენი ჩასვლაა საჭირო ზუგდიდში"... პრეზიდენტმა იცოდა, რომ სიცოცხლეს რისკავდა, მაგრამ რომ არ ეთქვათ: "საქართველოს რომ უჭირდა, საფრთხეს გაერიდაო", ჩამოვიდა რუსებისგან მართული ქართველი პუტჩისტებისა და პრორუსი აფხაზების მიერ ცეცხლის ალში გახვეულ საქართველოში.

საქართველოში დაბრუნებული პრეზიდენტის მკვლელობაც და აფხაზეთიდან (შემდეგ კი ცხინვალის მხარიდან) ქართველობის გამოდევნა, ქართველთა გენოციდი და ამ ძირძველი ქართული მხარეების ოკუპაცია-ანექსია რუსეთის საინფორმაციო მანქანამ "სამოქალაქო ომად" მონათლა და ჩადენილი დანაშაული საქართველოს, ქართველებს დააბრალა.

...საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობისა და პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ იყო ისევ დევნილობა და პატიმრობა:

ბედის ირონიით გამარჯვებულმა პუტჩისტებმა ვალტერ შურღაია დააპატიმრეს; იგი, პოლიტპატიმარი, სასჯელს იხდიდა სამშობლოს ღალატის მუხლით (1994-2000). ვალტერისა და ზაურის პოლიტპატიმრობის პერიოდში გადავწყვიტე, რევაზ შეროზიასთან ერთად, სწორედ მათ მოენათლათ ჩემი შვილი ცოტნე. პოლიტპატიმრობის პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიურ დევნას განიცდიდა ვალტერის ოჯახი: მეუღლე გაათავისუფლეს სამსახურიდან, შვილები გარიცხეს უმაღლესი სასწავლებლებიდან...

ტრაგიკული ბედის გმირი ციხიდან გამოვიდა, მაგრამ ყველაფერს ვეღარ გაუძლო:

დღეს ვალტერ შურღაიას მეუღლე, ქალბატონი ლიანა ჭითანავა და მისი შვილები: შორენა და მედეა ჭირისუფლები არიან ყველა ღირსეულ ქართველთან ერთად.

30 ნოემბერი, 2016

## ტკივილიანი ფიქრი – რეალობიდან რეალობამდე

ეტყობა, არასოდეს მომასვენებს 25 წლის წინანდელი ტკივილიანი ფიქრი, ამიტომ უნდა დავწერო.

ცნობილმა კავკასიოლოგმა თეიმურაზ გვანცელაძემ და მე საინგილოდან თბილისამდე დიდი დანჯღრეული ავტობუსით ჩამოვაღწიეთ და მეტროს სადგურ "სამგორში" აბრაგების სიფრთხილით სწრაფად ჩავედით: გროზნოს ცნობილი სესიის (1992 წ.) მონაწილეებს ცალკე "მხედრიონი" გვეძებდა, ცალკე – ხაბულიან-გვენცაძის მიერ დასაჭურისებული ისედაც საბჭოთა პოლიცია, რომელმაც 9 აპრილს ბოლომდე დახარჯა სახელმწიფოებრივი ღირსება.

მეტროში ჩასვლისთანავე დროში მოგზაურობასავით შეიცვალა ჩვენი რეალობა, მაგრამ მაინც გამიკვირდა, რომ ვაგონში ნაცნობი არავინ იყო; არც არავის მოუქცევია რაიმე ყურადღება გარეგნულად ჩვეულებრივი ორი დამტვერილი მგზავრისათვის (სინამდვილეში თავს ძველი დროის აბრაგებად რომ აღიქვამდნენ): მეტროს მატარებელში ყველა თავისთვის იჯდა მიტოვებულივით ჩამოცხვირპირული. ხალხს ვუყურებდი და მინდოდა მათთვის მეთქვა (თითქოსდა ვაგონების ხრიალში იხშობოდა ჩემი ხმა):

თქვენი ინტერესების დაცვის გამო ამ ერთ წელიწადში ბევრჯერ გვესროლეს ტყვია; ახლაც, გროზნოდან თბილისამდე გზაზე, რამდენი რამ გადავიტანეთ მე და თემურმა, სხვებმაც! ჩვენი ეს სიმართლე არ გაგიუმჯობესებთ თქვენს დღევანდელ ყოფას, მაგრამ ჩამოტირებულ სახეს ღირსეული გამომეტყველებით ნამდვილად შეგიცვლით!

არაფერი მითქვამს: მაშინაც დამიდგა თვალწინ კატორღიდან მატარებლით წამოსული რევოლუციონერისა და ვაგონში მყოფი ახალგაზრდების კონფლიქტი მწარე რეალობის განსხვავებულად აღქმის გამო. ერთი მოვლენა მართლაც შეიძლება სხვადასხვაგვარად დაინახო / სოციუმის განწყობისა თუ მიზნის შესაბამისად/; მაგალითად:

– პატრიოტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არსებულ ეროვნულ მოძრაობას მინდობილი ხალხი, რომელიც 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას გულწრფელად ზეიმობდა, ზუსტად 9 თვეში (!) სისხლიანი "გადატრიალებით" ტრაგიკულ რეალობაში გადაიყვანეს კრემლის პოლიტიკის მესვეურებმა და ჩვენი დროის "ორჯონიკიძეებმა": საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისათვის 1991 წლის 22 დეკემბერს რუსული ტყვიების გამყინავი სისინით დაიწყო მოსეს უდაბნოში ხეტიალი (რომელიც ფაქტობრივად დღემდე გრძელდება).

– საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული და გროზნოს შეფარებული

დევნილი პრეზიდენტი ხავსმოჭიდებულივით ცდილობდა, მიექცია ცივი(ლიზებული) მსოფლიოს ყურადღება და ამიტომ ჩეჩნეთში მოიწვია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის ერთ-ერთი ბოლო სხდომა; ასევე, სასიკვდილოდ თავგადადებული დუდაევის უიმედოდ დარჩენილ ჩეჩნეთს ჟანგბადად ესაჭიროებოდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ იჩქერიის დამოუკიდებლობის აღიარება (რუსეთი თავისი ნებით არასოდეს დატოვებს დაპყრობილ კავკასიას და შეეცდება, კავკასიელთა ცნობიერებისა თუ დემოგრაფიის რადიკალური შეცვლით მართოს პროცესი).

– გროზნოს სესიაზე ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ცნობისას ყველამ გავაცნობიერეთ, რომ საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს რუსების მიერ მართულ საქართველოში მტრული დახვედრა გველოდა; ამიტომაც ზოგი დეპუტატი უცხოეთში წავიდა, ნაწილმა კი, 1921 წლის ხელისუფლების წევრთა მსგავსად, გახიზვნას ვარჩიეთ, სიცოცხლის რისკით შინ დავბრუნებულიყავით. მე და თემო ერთ კვირა საინგილოს ვაფარებდით თავს და ვასიკო კუზიბაბაშვილის ყანის ღობეებს ვაახლებდით (წლების შემდეგ ამიტომაც მეწყინა ამ მიწის გაყიდვა); დაჭერების მორიგი "ტალღის" გადავლის შემდეგ კი თბილისში დაბრუნება გადავწყვიტეთ.

– საქართველოს ერთგული კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდეგ კრემლის ფავორიტ ქართველთა მღვრიე ჯგუფი მხოლოდ ხორციელი იმპულსებით აღიქვამდა გარესამყაროს: ადამიანის სისხლნაგემის აღტყინებით "გენშერის ძაღლების" წიოკში ინაწილებდა თანამდებობებს, მიწებს, შენობებს, ფულსა და სხვა სახელმწიფო თუ ხალხის რესურსებს; 1992 წელს ძირითადად მათგან შეივსო ე.წ. "იმედის პარლამენტიც" და ცენტრალური თუ ადგილობრივი არაკანონიერი მთავრობებიც (მათ შორის, ალბათ, იყო რამდენიმე გულუბრყვილო პატიოსანიც, ჩეხოვის "ბოროტმოქმედის" მსგავსი, რკინიგზის რელსებს ჭანჭიკებს რომ ხსნიდა სათევზაო ბადისათვის)... ნიშანდობლივია: მათთვის თუ მათი შთამომავლებისათვის დღემდე უცნობია მიწისქვეშა ტრანსპორტის მძიმე ჰაერის სუნი (მეტრო თუ არსებობს, არც კი მახსოვსო, სულ ტაქსებით დავდივარო, თქვა ერთხელ ერთ-ერთმა).

25 წლის წინანდელი მეტროს მატარებელის რეალობა სხვა წახნაგითაც მძაფრად მახსოვს:

მეტროში ჩასვლისთანავე ჩვენი (ჩემი და თემოს) ჰეროიკული გზა მექანიკურად მიედუღაბა ეკალ-ბარდებიან "უღრანში" ალალბედზე წვალებით მიმავალი დაღვრემილი ადამიანების ნაკადს და ჩვენ ორ რეალობაში განვაგრძეთ ცხოვრება; არადა, გაუსაძლისობაში მყოფი ხალხი ჩვენგან ელოდა ხსნას.

ამ ყველაფრის წინაისტორია კი ასეთი იყო: გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ცივილიზებულმა დასავლეთმა (მალტის გარიგების კვალად) რუსეთს დაათმობინა აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის რესპუბლიკები; უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა, ასევე, კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკები რუსეთს დარჩა. 1990 წელს არჩეული საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა რეფერენდუმის საფუძველზე გამოაცხადა, მარტო აღმოჩნდა აღა-მაჰმად-ხანივით გამძვინვარებული რუსეთის წინაშე და შინაგამცემლების გამოც დამარცხდა: ჩვენმა ხელისუფლებამ ვეღარ დაიცვა საქართველოს ხალხი, რომელიც 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებისას ალალად გვენდო.

...მაშინ მეტროს ვაგონში მინდოდა, ხალხს გაეგო, რომ მათთვის არაერთხელ გავწირეთ ამქვეყნიური სიცოცხლე მათ მიერ არჩეულმა პრეზიდენტმაც და დეპუტატებმაც! მინდოდა მეთქვა იმიტომ, რომ მათ სევდიან სახეებზე, დამცირების ნაცვლად, ღირსება აღბეჭდილიყო. ვერაფერი ვთქვი: ჩემი ტკივილიანი სათქმელი წალეკა პარალელურმა სამყარომ, სხვა რეალობამ, რომელიც მიწისქვეშა მატარებლის ცივ კივილად შემოიჭრა ჩემშიც; ჩვენდა სავალალოდ, ნახევრად სავსე ვაგონის გათითოკაცებული გაყინული სახეები ვეღარ ქმნიდნენ იმ საზოგადოებას, რომელიც ეროვნულ მოძრაობას მიენდო დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში; ეს ხალხი უკვე უკუნ ღამეში მხოლოდ სახლში მიღწევაზეღა ფიქრობდა.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა:

– წინაპრების მსგავსად, ზოგი ქართველი ღირსეულად მოკვდა საქართველოსათვის ბრძოლაში;

– ზოგი ახლაც იმ ვაგონის რეალობაშია გამარტოსულებული, თავი მართალი ჰგონია და სხვებზე იბოღმება (არადა, დროის გარდა, მოცემულობებიც არსებითად შეიცვალა: დღეს რეალურია

საქართველოს სრული გამოსვლა რუსული იმპერიული სივრციდან);

– ზოგმა სწორი ორიენტირი შეიცვალა და მედროვეთ შეუერთდა;

– ზოგმა თვალი გაახილა და შეცდომა აღიარა;

– ზოგი იმთავითვე პრივატიზაცია-"პრიხვატიზაციაზე" იყო ორიენტირებული;

– ზოგმა არსებამ ზოგი წინაპარივით გაყიდა დედასამშობლო და ფიზიკური ცხოვრება მოიწყო; თუმცა,ზოგადად,ყველა გარეწარმა იცის, რა არის რეალობა, მაგრამ მაინც ცდილობს, სარფიანი ვითარება შეიქმნას სხვების ხარჯზე; ასეთს სიყვარული არ შეუძლია: შვილსაც კი იყენებს, სანამ არგია, მერე კი ლანძღავს; შთამომავლობასაც კი /გა/უმწარებს სიცოცხლეს;

– ზოგმა თავადვე ზღო იუდას მსგავსად;

– ზოგი სუბიექტი დღემდე უცხოეთშია გარიდებული;

– ბევრი დროის დინებას გამოჰყვა და ახლა 2017 წლის საქართველოში არსებობს;

– ზოგმა პიროვნებამ სწორად დააბალანსა მოლოდინები და გრძელვადიან პერსპექტივაში აგრძელებს ბრძოლას ღირსების დაცვით;

– ბევრიც ახალი დაიბადა მას შემდეგ.

ახლა ვფიქრობ: 1992 წელს თბილისის მეტროს მატარებლის ვაგონში ჩემი ფიქრები ხმამაღლა რომ მეთქვა, მეტროს მგზავრთ შეიძლება გაეგოთ ჩემთვის; დღეს კი მათი შთამომავლებისათვის ეს ყველაფერი მხოლოდ ბუნდოვანი მრუმე წარსულია.

მაინც გადავწყვიტე, დავწერო და წაგაკითხო მაშინდელი ჩემი ფიქრი იმიტომ, რომ სინამდვილე ერთია და ორიენტირები დღენიადაგ უნდა ამოწმო, რომ აკონტროლო, სად დგახარ მოცემულ მომენტში.

სინამდვილე ერთია, მაგრამ რეალობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, რამდენადაც ძალიან განსხვავებულია ადამიანთა ხედვა-აღქმის სისტემა თუ განცდის პერსპექტივა. შოთა რუსთველის ცნობილ ფრაზას ("კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის") ვაჟა თავის "ქებათა-ქებაში" ასე ეხმიანება: მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა: "კაცით კაცამდე შორია!"; მსგავსი სხვაობაა რეალობასა და რეალობას შორისაც (რაც უფრო ილუზიურია სამყარო, მით უფრო მტკივნეულად იმსხვრევა სინამდვილესთან შეჯახებისას).

ყველაფერს თავისი გაგრძელება აქვს, მათ შორის, პარალელურ რეალობებსაც; შესაბამისად, მინდა, რომ ჩვენი (საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგულებისათვის დევნილი დეპუტატების) სიმართლე ყველა დროში იცოდე. მართალი კაცის მიერ აღქმულ-განცდილი რეალობაც შეიძლება არ იყოს სრული სინამდვილე (ობიექტური რეალობა ხომ მხოლოდ ღმერთმა იცის), თუმც, იქნება, გამოგადგეს სწორი ორიენტირებისათვის.

**P.S.** თუ არის განცდები, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს, ისინი სხვებისთვისაც აღქმადი უნდა გახადო; ჩემთვის ასეთია 25 წლის წინანდელი დამოწმებული ფიქრი, რომელმაც შენი დღევანდელი ყოფითი, კულტურული თუ პოლიტიკური მოცემულობა შეიძლება ვერ შეცვალოს, მაგრამ, ვფიქრობ, ღირსების გამომსახავი ნაკვთები უთუოდ გამკვეთრდება შენს სახეზე.

28 იანვარი, 2017

## საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების მიმართვა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას

1921 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია; შესაბამისად, 21 დეკემბერი საქართველოსათვის სიმბოლური თარიღია. ამ ისტორიულ დღესთან დაკავშირებით, 2017 წლის 21 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი დეპუტატები – საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები. დეპუტა-

ტებმა წერილი გაუგზავნეს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას; მიმართვის მოკლე შინაარსი ასეთია:

I. სახელმწიფო „საქართველოს“ კონსტიტუციის (1995 წლის 24 აგვისტოს რედაქცია) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით „საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“.

აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაშია ამავე კონსტიტუციის 1.1 მუხლთან; კერძოდ, ეწინააღმდეგება 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის სულისკვეთებასა და სამართლებრივ შინაარსს; შესაბამისად, კონსტიტუციის 2.1.მუხლი „საქართველოს სახელწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“ შეიცვალოს შემდეგი ჩანაწერით:

„საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები განისაზღვრება 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით“.

პატივცემულ მკითხველს შევახსენებთ, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით უნდა განისაზღვროს იმ 11 რესპუბლიკის საზღვრები, რომლებიც წარმოიქმნენ 1991 წლის 21 დეკემბერს „ალმა-ათის დეკლარაციით“. მათგან გასხვავებით, საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე.

II. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები წინააღმდეგნი არიან საქართველოს ფედერაციული ან კონფედერაციული მოწყობისა; შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ უნდა იყოს მე-4 მუხლის I პუნქტი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი წარმოდგენილია ორი პალატის სახით: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საქართველო უნდა იყოს უნიტარული სახელმწიფო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული სტატუსის აღიარებით.

III. საქართველოს კონსტიტუციის 1.1. მუხლში: ჩანაწერი: „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში“ შეიცვალოს ჩანაწერით: „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე“.

მიმართვაზე ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.) დეპუტატები:

ალექსი არაბული, იური ბურკაძე, ფირუზ დიაკონიძე, თენგიზ დიხამინჯია, ავთანდილ იმნაძე, პაატა კოღუაშვილი, რობერტ პეტრიაშვილი, ავთანდილ რცხილაძე, ანზორ საკანდელიძე, ნიკა სანებლიძე, აპოლონ სილაგაძე, დავით ტაბიძე, გივი ურიადმყოფელი, დალი ფიროსმანიშვილი, ტარიელ ფუტკარაძე, თამაზ ყურაშვილი, ნუგზარ შავთვალაძე, ლადო ცოფურაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი.

თბილისი, პარლამენტის ბიბლიოთეკა, 21.02.2017 წ.
23 თებერვალი, 2017

## ნოდარ იმნაძე – ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია

30 აპრილი ნოდარ იმნაძის გარდაცვალების დღეა; კაცის, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას; არაფერს ვამბობ ზედმეტს – მისი სიკვდილი პოლიტიკური ხასიათის მიზეზებმა განაპირობა:

ბატონი ნოდარი იყო ეროვნული მოძრობის აქტიური წევრი ბათუმში. ის გვერდით ედგა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. შემდგომში ნოდარი იყო აჭარის “მრგვალი მაგიდის” ხელმძღვანელი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი და საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი; ნოდარს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე.

ახლა კი მოკლედ მისი გარდაცვალების პოლიტიკური გარემოებების შესახებ:

ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არსებული პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს” სახელით გაიმარჯვეს 1990 წლის 28

ოქტომბრის არჩევნებში, იმთავითვე აცხადებდნენ, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ჰქონდეს "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა".

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ აქვე იყო ნათქვამი, რომ 1921 წელს, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გვერდის ავლით, ბოლშევიკებისა და ათათურქის გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის – საქართველოში ქართველთა ავტონომიის – შემდგომი არსებობის საკითხს რეფერენდუმის გზით გადაწყვეტს აჭარის მოსახლეობა (იხ., მაგ., მისი გამოსვლა უზენაესი საბჭოს სესიაზე 9 აპრილს; ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ტექსტის ხელნაწერებში ბატონი ზვიადის ხელით გაკეთებული დამატებები; ხელნაწერები მოგვაწოდა ბ-ნმა ჯონი ხეცურიანმა; დოკუმენტური მასალა დავბეჭდეთ კრებულში: "საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი").

მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს "საქართველოს ჰელსინკის კავშირიდან" და, ასევე, როგორც ქალაქ ბათუმის პრეფექტს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან მქონდა სრული უფლებამოსილება, ჯერ მეხელმძღვანელა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ორგანიზებისათვის, შემდგომში კი – აჭარის ავტონომიის თემაზე აჭარაში ჩასატარებელი რეფერენდუმის ორგანიზებისათვის.

1991 წლის გაზაფხულზე აჭარაში პრეფექტურების პარალელურად არსებობდა სრულიად ფუნქციადაკარგული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომლის თავმჯდომარე იყო ბატონი თენგიზ ხახვა, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშნული იყო კომუნისტების დროს; პარალელურად, ის იყო საბჭოთა კგბ-ს მაღალჩინოსანი (ოფიციალურად მუშაობდა კგბ-ში); რის გამოც მას, ბუნებრივია, არ ენდობოდა ბატონი ზვიადი.

ჩემი პოზიცია გარკვეულწილად განსხვავებული იყო:

მე ვუთხარი ბატონ ზვიადს, რომ ყავლგასული კომუნისტური პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი თენგიზ ხახვა პრობლემებს ვერ შექმნიდა: არსებული აჭარის უმაღლესი საბჭო იოლად მიიღებდა რეფერენდუმის შესახებ გადაწყვეტილებას; შესაბამისად, საკადრო ცვლილებების გარეშე, მით უმეტეს, აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების დანიშვნამდე, ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი, რამდენადაც კომუნისტების დროს არჩეულ უმაღლეს საბჭოს არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ ჰქონდა; არც დამარცხებული პარტიის წევრი თენგიზ ხახვა შეეცდებოდა, წინააღმდეგობა გაეწია ეროვნული ხელისუფლებისათვის (გუმბარიძის მსგავსად).

იყო სხვა აზრიც; კერძოდ, ნოდარ იმნაძე ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო, ჯერ ჩატარებულიყო ახალი არჩევნები და მერე – რეფერენდუმი, რომ არჩევნებამდე რეფერენდუმის ჩატარებას პროვოკაციები არ მოჰყოლოდა.

მე მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ასე მგონია, რომ ასლანის თავმჯდომარეობით ახალარჩეული აჭარის უმაღლესი საბჭო პროცესს არასოდეს მიიყვანდა რეფერენდუმამდე, მეტიც: უფრო გაამყარებდა ავტონომიის სტრუქტურებს (როგორც მოხდა კიდეც!).

ნოდარისა და ჩემს მოსაზრებებს შორის პრინციპული სხვაობა არ იყო:

რეფერენდუმის გზას ორივე ვუჭერდით მხარს; რეფერენდუმის ჩატარების დროს შესახებ არსებული განსხვავებული მოსაზრებები კი, ფაქტობრივად, არც განხილულა ნოდარ იმნაძის მკვლელობის გამო.

ახლა კი, რა პირობებში და როგორ მოხდა ეს მკვლელობა: ბატონმა ზვიადმა მაინც გადაწყვიტა, შეეცვალა თენგიზ ხახვა; განიხილებოდა ორი ძირითადი კანდიდატურა – ჩემი და ასლან აბაშიძისა.

პირადად, მე საკადრო ცვლილების მომხრე არ ვიყავი და, როგორც უკვე ვთქვი, პირდაპირ რეფერენდუმის ორგანიზებას ვუჭერდი მხარს, მაგრამ გარკვეულმა ჯგუფმა, მათ შორის გურამ ჩიგოგიძემ – აჭარის მინისტრთა საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ და მისმა ჯგუფმა, ასევე, საქართველოს უზენაესი საბჭოს რამდენიმე მაშინ გავლენიანმა წევრმა დაარწმუნა ბატონი ზვიადი, რომ ავტონომიის თემაზე რეფერენდუმის იდეას მხარს თენგიზ ხახვაზე მეტად დაუჭერდა მემედ აბაშიძის შვილიშვილი ასლან აბაშიძე.

ბატონი ზვიადის გადაწყვეტილების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შემდეგ, ასლან აბაშიძე – არადეპუტატი, თავის

თავმჯდომარედ აირჩია საბჭოთა პერიოდში არჩეულმა აჭარის არ უმაღლესმა საბჭომ (ასეთი უპრინციპო უმაღლესი საბჭო რეფერენდუმს რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ამითაც დასტურდება); ამავე უმაღლესმა საბჭომ თავმჯდომარის (ასლანის) მოადგილედ ნოდარ იმნაძე აირჩია; აქვე განვმარტავ:

კონსტიტუციის შესაბამის მუხლს დაემატა ფრაზა: "როგორც წესი" და გამოვიდა ასეთი შინაარსი: აჭარის უმაღლესი საბჭო თავის თავმჯდომარეს, როგორც წესი, ირჩევს თავისი შემადგენლობიდან" (სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას: ჩემგან განსხვავებით, ნოდარ იმნაძე უჭერდა მხარს ამგვარ ცვლილებას).

დღესაც მიმაჩნია, რომ ასლან აბაშიძის არჩევა ამგვარი გზით იყო ეროვნული ხელისუფლების პირველი სერიოზული შეცდომა. ეს დანიშვნა (და არა – არჩევა) ჩემთან როგორც კერძო, ასევე, მოგვიანებით, აჭარის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან საუბარში, ასე გაამართლა ბატონმა ზვიადმა:

– ბატონი ასლანი არის მამაჩემის მეგობრის – მემედ აბაშიძის –შთამომავალი, შესაბამისად, არ გვიღალატებს და მხარს დაუჭერს რეფერენდუმის იდეას.

მე ეჭვი მეპარებოდა ამ დანიშვნის სისწორეში; პრეზიდენტისთვის მანამდეც მქონდა ნათქვამი და ჩვენი კერძო საუბრის დროსაც ვუთხარი ჩემი არგუმენტები; თუმცა, პატივი ვეცი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ოღონდ ვთხოვე, ყველა ერთად შევკრებილიყავით და ყველასათვის ეთქვა პრეზიდენტს რეფერენდუმის ორგანიზების შესახებ. მართლაც, მალევე პრეზიდენტთან შევიკრიბეთ აჭარის ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, სადაც შევთანხმდით, რომ 31 მარტის რეფერენდუმისა და 26 მაისს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ დავიწყებდით მუშაობას აჭარაში რეფერენდუმის ორგანიზებისათვის.

რეფერენდუმის იდეას აქტიურად უჭერდნენ მხარს და სათანადო ნაბიჯებს დგამდნენ კიდეც სხვა პრეფექტებიც: ბეჟან გობაძე, სანდრო ბერიძე, შოთა ფუტკარაძე, ბესო ბიბინეიშვილი და ანზორ თხილაიშვილი.

1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან 10 დღის შემდეგ მე მითხრეს, რომ ასლან აბაშიძის ორგანიზებით ხულოდან, ადიგენიდან და გურიიდან მოჰყავდათ მუსლიმანი მოხუცები, რომელთა მიზანი იყო ავტონომიის დაცვა.

მე არ გამკვირვებია ეს მუხანათობა და დავურეკე პრეზიდენტს. მან მითხრა, რომ ჩემთან ერთად დაელაპარაკებოდა ასლანს. მე მივედი ასლანის კაბინეტში და მისი სამთავრობო ტელეფონით ველაპარაკე პრეზიდენტს და ტელეფონი გადავეცი ასლანს. არაფერი პრობლემა არ იქნებაო; უთხრა ასლანმა ბატონ ზვიადს.

მაგრამ 2 თუ 3 დღეში, 22 აპრილს (თარიღი შემთხვევით არ ემთხვევა ლენინის დაბადების დღეს), რამდენიმე ავტობუსით მართლაც ჩამოიყვანეს სრულიად გაუთვითცნობიერებელი ადამიანები, რომლებიც დეზინფორმაციებით დაამუშავეს და მოათხოვნინეს აჭარის ავტონომიის დაცვა; ეს ჯგუფი, პირველ რიგში, ითხოვდა რეფერენდუმის დასჯას – არც მეტი, არც ნაკლები: ვინ არის რეფერენდუმი, უნდა დაისაჯოსო!

ამ აქციას შეუერთდნენ ძმები ასანიძეების ჯგუფის წევრები, ასევე, ბადრი მელაძე და სხვა რამდენიმე პირი, რომლებმაც შემდეგ ასლანისაგან მიიღეს თანამდებობები.

ფაქტობრივად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ორგანიზებით პატარა, მაგრამ აგრესიულმა ბრბომგაილაშქრარეფერენდუმისჩატარებისწინააღმდეგ.შეიქმნადაპირისპირებისპერსპექტივაც, რომელიც განმუხტა ნოდარ იმნაძის ჭკვიანურმა საქციელმა: ნოდარს ემორჩილებოდა აჭარაში არსებული ეროვნული გვარდია, რომლის წევრებსაც ნოდარმა მოსთხოვა, ყველა პროვოკაციას სიმშვიდით და უიარაღოდ შეხვედროდნენ.

22 აპრილს მე მივედი მიტინგზე; ვნახე, რაც იქ ხდებოდა:

მე როცა მივედი, იმ დროს სიტყვით გამოდიოდა ასლანი და მის მიერ მოკრებილ ხალხს (მომიტინგენი რომ ასლანმა შეკრიბა, ეს ახლახან კიდევ დაადასტურა ლევან ხოზრევანიძემ, მიტინგის შემდეგ აჭარის შსს ხელმძღვანელად დანიშნულმა პირმა) ჰპირდებოდა რეფერენდუმზე უარის თქმას, ასევე, გერბს, დროშას..

მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ასლანი თავის თანამდებობრივ მდგომარეობას იმყარებდა;მართლაც,მანმალევე,ფაქტობრივადუფუნქციოე.წ.უმაღლესისაბჭოსთავმჯდომარის

პოსტი ძლიერ სახელისუფლებო ბერკეტად აქცია (პირველ ეტაპზე მას ამაში ხელს უწყობდა გურამ ჩიგოგიძის ჯგუფიც).

22-შივე გადავწყვიტე, პირდაპირ წასულიყავი თბილისში, რომ პრეზიდენტისათვის რეალური ვითარება ამეხსნა.

მე ავუხსენი პრეზიდენტს, რომ რეფერენდუმის იდეას მოწინააღმდეგე ისევ ჩვენ შორის გამოუჩნდა ასლან აბაშიძის სახით და მოსალოდნელი იყო სერიოზული დაპირისპირების პროვოცირება, რამდენადაც აჭარაში ჯერ კიდევ მყარად იდგა საბჭოთა კავშირის ჯარი, რომელიც მაშინვე გააქტიურდებოდა, თუკი სიტუაცია დაიძაბებოდა; ჩემი ინფორმაციით, სწორედ საბჭოთა ჯარის იმედი ჰქონდა ასლან აბაშიძეს (შემთხვევითი არც ის არის, რომ მიხეილ მაჭავარიანის მტკიცებით, სწორედ რუსეთის ხელისუფლებამ მისცა სიტყვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომ მშვიდობიანად წაიყვანდა ასლან აბაშიძეს, თუკი თავს დაანებებდა აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეს).

ახლა ამ გადასახედიდან – 27 წლის შემდეგ – ცივი გონებით განსჯის შემდეგაც, ვამბობ:

1991 წელს ზაფხულში იყო იდეალური შესაძლებლობა, რეფერენდუმის გზით გაგვეუქმებინა რუსებისა და თურქების შეთანხმებით – საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ – შექმნილი აჭარის უკანონო ავტონომიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი: ნონსესია ქართველთა ავტონომია საქართველოში (მით უმეტეს, დღეს აჭარელთა დიდი ნაწილი ქრისტიანია).

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ ავტონომიურ წარმონაქმნს არაფერი სიკეთე არ მოუტანია არც აჭარის პატიოსანი მკვიდრებისათვის და არც სრულიად საქართველოსათვის; ეს ავტონომია იყო, არის და იქნება უკანონო ლუკმა მხოლოდ ჩინოვნიკთა ვიწრო წრისათვის.

აჭარის ავტონომიას არც აფხაზეთის გამო აქვს გამართლება:

გულუბრყვილობაა ფიქრი, რომ ქართველთა ავტონომიის არსებობით რაღაც ილუზიებს შევუქმნით რუსებისაგან მართულ აგრესიულ აფხაზებს (აფხაზთა დიდი ნაწილი ისედაც დარწმუნებული იყო /არის ზვიად გამსახურდიასა და მისი შემდგომი ხელისუფლებების მიერ მიცემული გარანტიების სიმყარეში).

აქვე აღვნიშნავ:აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების მიმართებას სულ სხვა თვალით ხედავს რუსული პოლიტელიტა; ასლანის მიერ აჭარის ავტონომიის გამყარება სწორედ ე.წ. "სუსლოვის გეგმის" გარეალურება იყო; შდრ., რა უნდოდა სუსლოვს და რა უნდა დღევანდელი რუსული პოლიტელიტის დიდ ნაწილს:

"აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც საქართველოს ტერიტორიიდან მათი საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს" (ვრცლად იხ.:

http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2014&art=1576).

ზოგი დღესაც, აყალბებს რა სიტუაციას, ამბობს, რომ აჭარის ავტონომია გათვალისწინებული იყო ნოე ჟორდანიას მთავრობის კონსტიტუციაშიო; მათ გასაგონად ვამბობ:

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში სულ სხვა რეალობაზეა საუბარი; კერძოდ, ავტონომია გათვალისწინებული იყო მთლიანად ე.წ. მუსლიმანური საქართველოსათვის და მოიცავდა: აჭარას, მაჭახელს, ლივანას, ლაზეთის დიდ ნაწილს, შავშეთს, ტაოს, ერუშეთს... თუმცა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

დავუბრუნდეთ ისევ 1991 წლის აპრილის მოვლენებს:

1991 წლის 23 აპრილს მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს საკადრო ცვლილებებიც; პროვოცირებული აგრესია მიზანმიმართულად განვითარდა ე.წ. არააჭარელი კადრების მიმართულებით (შდრ., სუსლოვის გეგმა: კუთხეების დაპირისპირების პროვოცირება!), ბრბო განსაკუთრებულ აგრესიას იჩენდა ნოდარ იმნაძის წინააღმდეგ, რამდენადაც, ნოდარი ხელმძღვანელობდა გვარდიას; მიტინგის დამგეგმავები, იყენებდნენ რა გაუთვითცნობიერებელი ჯგუფის აგრესიას, ცდილობდნენ გვარდიელებთან დაპირისპირებით სისხლიანი შეტაკების

პროვოცირებას (ასლან აბაშიძემ არ დაინდო თავისი მეგობარი გურამ ჩიგოგიძეც კი).

23 აპრილს პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ მე მეორე დღესვე დავბრუნდი ბათუმში და შევხვდი ნოდარს (როგორც მახსოვს, მისივე თხოვნით); ნოდარმა მითხრა, რომ ასლანმა გვიღალატა და, რეფერენდუმისთვის მხარდაჭერის ნაცვლად, მოაწყო ეს მიტინგი. ჩვენი აზრები ემთხვეოდა.

შექმნილ სიტუაციაში პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ აუცილებელი იყო გარკვეული დათმობა კადრების მიმართულებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ აჭარაში პრობლემები არ წარმოშობილიყო; შესაბამისად, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მითხრა, დროებით მეთანამშრომლა ასლანთან, ნოდარი კი თბილისში დაიბარა გვარდიის ნაწილთან ერთად.

ნოდარ იმნაძემ ბათუმიდან თბილისში წასვლის წინ გადაწყვიტა, შეევლო ასლან აბაშიძის კაბინეტში და პირში ეთქვა თავისი აზრი მისი (ასლანის) არასწორი ქმედების გამო.

ნოდარმა გვარდია გაიყვანა ბათუმის გარეთ, თავად კი რამდენიმე კაცთან ერთად მიბრუნდა ქალაქში; მივიდა უმაღლესი საბჭოს შენობასთან; გარეთ დატოვა თანმხლები ორიოდე გვარდიელიც და შენობაში შევიდა მხოლოდ ქალიშვილთან – ნატო იმნაძესთან – ერთად.

ახლაც ისევე ვფიქრობ, როგორც მაშინ:

ნოდარი ასლანთან იარაღით შევიდა მის დასაშინებლად, თუმცა, იარაღის სროლით არ უნდა შესულიყო შენობაში. ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ნოდარი იქ არ მისულა ასლანის მოსაკლავად: ასლანის მოკვლა რომ ჰქონოდა ჩაფიქრებული, გვარდიას გარეთ არ დატოვებდა და კაბინეტში თავის ქალიშვილს არ შეიყვანდა... ეს არ დაუშვია ბ-ნ ანზორ ჯაიანს, აჭარის უშიშროების უფროსს, რომელიც ასლანის კაბინეტში დახვედრია მურმან ომანიძესთან ერთად (მაშინ მგონი მინისტრის მოადგილე იყო): აჭარის უშიშროების უფროსმა – ანზორ ჯაიანმა მკლავში დაჭრა ნოდარი, რომელსაც ხელიდან დავარდნია ავტომატი.

თვითმხილველთა მონაყოლით, დაჭრილი ნოდარი გამოსულა კაბინეტიდან, მაგრამ მას დერეფანში დასწევია ასლან აბაშიძე და ნოდარისვე ავტომატით ზურგიდან ჩაუცხრილავს. ეს მოხდა 1991 წლის 30 აპრილს... ამის შემდეგ დიდ საფრთხეს გადაურჩნენ ნოდარ იმნაძის ოჯახის წევრებიც: ისინი თბილისისაკენ მიმავალ გზაზე დააკავეს (და როგორც თავად ნატო იმნაძე – ნოდარის ქალიშვილი – ჰყვება, სიკვდილს სასწაულით გადაურჩნენ).

ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, ნოდარ იმნაძე დიდი პატივით დაიკრძალა თბილისში. ის ამას იმსახურებდა, რამდენადაც, მიუხედავად აღწერილი ფაქტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობისა, ფაქტია, რომ ბატონი ნოდარ იმნაძე საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლის პროცესში დაიღუპა.

**P.S.** რომელიმე სუბიექტურმა პარტიულგრანტიანმა ისტორიკოსმა რომ არ დაამახინჯოს თანამდევი სხვა ფაქტებიც, სხვა დროს მოგიყვებით შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ; დღეს კი, ნოდარის მკვლელობის დღეს, ნოდარის ტრაგიკული ცხოვრების გახსენებით შემოვიფარგლები.

30 აპრილი, 2017

## ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1991 წლის 9 აპრილს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1991 წლის 9 აპრილს (დასკვნით ნაწილს ვდებ მათთვის, ვინც დღემდე ვერ გაიაზრა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო რუსეთმა მალტის გარიგების საფუძველზე ქართველთა მცირე ნაწილის გამოყენებით და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დღემდე აბრალებს უმცირესობების შევიწროებას).

დასკვნითი ნაწილი (ხაზგასმები ჩემია – ტ.ფ.):

“ამრიგად ნათელია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელმა მოსახლეობამ, **როგორც ქართველმა, ისე არაქართველმა,** მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ მონაცემებით **ბათილდება აგრეთვე ყველა ის დეზინფორმაცია, რომელსაც ავრცელებენ**

**ჩვენი მტრები საზღვარგარეთ საქართველოში არაქართველი ეროვნული უმცირესობების ვითომდაც ჩაგვრისა და დისკრიმინაციის შესახებ.** აქედანვე ჩანს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ქართველებთან ერთად მხარს უჭერენ არაქართველებიც და რომ მითი იმის შესახებ, თითქოს ახალი ხელისუფლების მიზანია არაქართველთა დევნა, კრემლის აგენტების მიერ არის მოჭორილი, რომელთაც თავისი პროპაგანდით მოახერხეს მოტყუება არაქართველთა ძალზე მცირე ნაწილისა, რომელმაც უარი სთქვა რეფერენდუმში მონაწილეობაზე ან უარყოფითი პასუხი გასცა რეფერენდუმის კითხვას (ეს გახლავთ სულ რამდენიმე ათასი ამომრჩეველი მთელს საქართველოში).

**ჩვენ მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ ამ მხარდაჭერას და დიდ მადლობას ვუცხადებთ ჩვენს არაქართველ ძმებს და დებს, რომ არ მიგვატოვეს ამ გაჭირვებაში და ღირსეულად ამოგვიდგნენ მხარში.**

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, **საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს საქართველოში მომხდარი უზარმაზარი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტის აღიარებას.** მას არად მიაჩნია საქართველოს მოსახლეობის ნება, რომლის ესოდენ სრულყოფილად გამოხატვას დღეს მთელი მსოფლიო ეხმაურება.

ყოველივე ზემოთქმულიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, **მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე,** რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

მართალია, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიულ ფაქტსა და **იმპერიის ტყვეობიდან საქართველოს ფაქტობრივ განთავისუფლებას შორის,** მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძველი უმთავრესია ასეთ შემთხვევაში, რათა მოხდეს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დე იურე ცნობა, მისი შესვლა გაერთიანებაში და სხვა ორგანიზაციებში. ამის შემდეგ უფრო შესაძლებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და **ცენტრთან მოლაპარაკება საოკუპაციო ჯარების გაყვანის თობაზე.**

საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის შენარჩუნების მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს **აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით.**

**სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს.** ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა.

**გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!**

სრული ტექსტი:

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4-.12&d=HASH01b94096a4e970b1e984d93f

4 აპრილი, 2018

## მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

1992 წლიდან დღემდე საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პოლიტიკა მთლიანობაში არის რეალიზაცია იმ გეგმისა, რომელიც შემუშავებულია რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურების მიერ. ამ გეგმის მთავარი მიზანია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის **სრული ჩამოშლა.**

რუსეთის იმპერიის ეს მიზნები საკმარისად შენიღბულია; შესაბამისად, საზოგადოებას

რამდენიმე არსებით საკითხზე გავამახვილებინებთ ყურადღებას:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას – ხელისუფლება დაამხო რუსეთმა 1992-93 წლებში საქართველოს პროდასავლური არჩევანის გამო. 1992 წლიდან, ვიდრე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამდე, საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლება იყო რუსეთის მორჩილი. **2004 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარკვეულწილად დაუბრუნდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ორიენტირებს;** კერძოდ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო პლებისციტი საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ (2007) და რუსეთის ჯარისადმი ოკუპანტის სტატუსის აღდგენა (2008). ამ პლებისციტის შედეგების გამო რუსეთმა საქართველო დასაჯა 2008 წლის აგვისტოს აგრესიით.

2. 2008 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელთა გამოვლენა და დაკავება. 2012 წლიდან, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა "ქართული ოცნება", რუსეთის აგენტურის გამოვლენა შეწყდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით შეიცვალა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა. **ეს ფაქტი საქართველოსათვის საფრთხის შემცველად მიგვაჩნია,** მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად დღესაც დეკლარირებულია საქართველოს პროდასავლური არჩევანი და ნატოში გაწევრიანება (რუსეთი ამჟამად უკვე "რბილი ძალის პოლიტიკით" ხელს უშლის საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ).

3. 1992 წლიდან დღემდე საქართველოში გაბატონებულია ტოტალური უსამართლობა; **ჯერ კიდევ გამოუძიებელია უმთავრესი დანაშაული – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა და კანონიერი ხელისუფლების დამხობა.** ამ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს მოქალაქე თავს დაცულად ვერ გრძნობს. გამოვეხმაურებით ბოლო პერიოდის დანაშაულებს: თემირლან მაჩალიკაშვილის, ლევან დადუნაშვილისა და დავით სალარიძის მკვლელობის, ასევე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის – აფღან მუხტარლის საქმის გამოუძიებლობა არის არსებული გამოწვევებისადმი ხელისუფლების არაადეკვატური დამოკიდებულების მაჩვენებელი. აქვე აღვნიშნავთ:

რუსთაველზე მიმდინარე აქციის პირველმა ეტაპმა ცხადი გახადა, რომ საქართველოს მოსახლეობაში ღირსეული პიროვნებები დომინანტობენ: **ქართველობა არასოდეს შეეგუება უსამართლობას.** მიმდინარე პროცესი აჩვენებს იმასაც, რომ ამჟამინდელი მთავრობისადმი ნდობა მაქსიმალურ მინიმუმამდეა; ასევე, საქართველოს მოსახლეობას არ სჯერა არსებული პარტიებისა: პოლიტიკური სპექტრისადმი ხალხის უნდობლობაც მაქსიმალურ ზღვარზეა.

4. 1992 წლის მსგავსად, ფსევდოლიბერალური (თუ პრორუსული) ძალების მიერ საქართველო ახალ ქაოსსა და ახალ უფსკრულში რომ არ გადავარდეს, აუცილებელია გონივრული, სამართლიანი და სახელმწიფოებრივად შორსგათვლილი სტრატეგია, რამდენადაც, დღესაც საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას; კერძოდ, **უახლოეს მომავალში რუსეთის იმპერია ყველაფერს იღონებს, რომ საქართველო არ გახდეს ცივილიზებული სამყაროს წევრი.** ასეთ ვითარებაში აუცილებელია საქართველოს ინტერესების დამცველი ყველა პროდასავლური ძალის კონსოლიდაცია, რომ ახლო მომავალში რუსეთისაგან მოსალოდნელ საფრთხეებს გავუმკლავდეთ.

5. **ვფიქრობთ, პირველ რიგში, აუცილებელია, ქვეყანაში შევინარჩუნოთ სტაბილურობა,** რომ მშვიდ გარემოში შევძლოთ ისეთი ვადამდელი, ლეგიტიმური **საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება,** რომელიც ხელს შეუწყობს ახალი პოლიტიკური სახეების წარმოჩენას, რომელთა მიზანი იქნება:

– საქართველოს სწრაფი გაწევრიანება ნატოში;

– ისტორიული ქართული ფასეულობების დაცვა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პროცესის გაგრძელება;

– საქართველოს სახელმწიფო ინტერესებსა და მოსახლეობის პრობლემებზე ორიენტირება.

გაუმარჯოს ერთიან და ძლიერ საქართველოს!

**ნემო ბურჭულაძე, ბიმურზა დადეშქელიანი, რევაზ კემულარია, ვლადიმერ მირცხულავა, ნოდარ ნონიაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე, ნუგზარ შავთვალაძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი, ლადო ცოფურაშვილი, ზურაბ ძოწენიძე.**

03.06.2018

3 ივნისი, 2018

## რატომ არ გამოიძია მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა?

ნიკა გვარამიას პასუხად: წუხანდელ „აქცენტებში“ ნიკა გვარამიამ დასვა კითხვა: **რატომ არ გამოიძია მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა?** კითხვაზე მარტივი პასუხია: **ასეთ შემთხვევაში მიშას თავისი მაშინდელი გარემოცვის ნახევარი უნდა დაეჭირა! ამგვარი პასუხის საფუძველს ქმნის მრავალი ფაქტი; მათი ნაწილის შესახებ იხ., აქვე; უფრო ვრცლად კი წიგნში, რომელიც დევს ინტერნეტში:**

https://www.scribd.com/doc/21326734/Tariel-Putkaradze-Kitxvebi-Prezident-Zviad-Gamsaxurdi-as-Mkvlelobis-Sesaxeb

2004 წლის 5 იანვარს შევხვდი პრეზიდენტად ახალარჩეულ მიხეილ სააკაშვილს „მრგვალი მაგიდისა“ და დევნილი ხელისუფლების სახელით. **ვთხოვე ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება.** დევნილი კანონიერი ხელისუფლების ოფიციალური წერილის პასუხად, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეიქმნა: **“1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი ორმხრივი სახელმწიფო კომისია”.**

გთავაზობთ პრეზიდენტის განკარგულებას:

საქართველოს პრეზიდენტის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #174, 2004 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი. 1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის # 60 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-7 პუნქტის “ქ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

შეიქმნას საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ივანე მერაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ ადეიშვილი – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი;

ირაკლი ოქრუაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორი;

გიორგი ანდრიაძე – საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი;

მანანა არჩვაძე-გამსახურდია –კომისიის წევრი;

ტარიელ ფუტკარაძე –კომისიის წევრი;

მანანა ტაბიძე –კომისიის წევრი;

მერაბ რაფავა –კომისიის წევრი.

ხელს აწერს: მიხეილ სააკაშვილი

**პრეზიდენტ სააკაშვილის კომისიის შემადგენლობის გამოქვეყნებისთანავე,** ზოგმა ეჭვი შეიტანა კომისიის ობიექტურობაში კომისიაში პრეზიდენტის მეუღლის – მთავარი დაზარალებულის – ქ-ნი მანანა არჩვაძის ყოფნის გამო, რის გამოც კომისიის შემადგენლობიდან თავისი ნებით გავიდა ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. ქ-ნი მანანა არჩვაძის პოზიცია გამოქვეყნდა პრესითაც.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით შექმნილი კომისია დღემდე არც ერთხელ არ შეკრებილა ჩვენი მრავალგზის თხოვნის მიუხედავად. სამაგიეროდ, ოპერატიულად მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში შექმნილი კომისია და საგამოძიებო ჯგუფი; კერძოდ, **პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალებით, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა შექმნა ორმხრივი კომისია გენერალურ პროკურატურაში (საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 18 თებერვლის # 17-მ ბრძანება):**

1. შეიქმნას საქართველოს გენერალური პროკურატურისა და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შემდეგი

შემადგენლობით:

კახა კობერიძე – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე /ხელმძღვანელი/;

ვარლამ გელაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი;

ვაჟა ჯანყარაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალური სამსახურის უფროსი;

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები:

-ტარიელ ფუტკარაძე;

– მერაბ რაფავა;

– ჯონი ზარანდია.

2. ერთობლივმა კომისიამ შემჭიდროებულ ვადაში უზრუნველყოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართ და მისი გარდაცვალების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლა;

3. ერთობლივმა კომისიამ წარმოადგინოს წინადადებები საგამოძიებო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

4. ერთობლივი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მომხსენდეს პერიოდულად, ხოლო საბოლოო შედეგებზე ეცნობოს საქართველოს პრეზიდენტს.

გენერალური პროკურორი ი. ოქრუაშვილი

2004 წლის 18 თებერვალსვე მომზადდა ბ-ნ ი. ოქრუაშვილის დადგენილება ზვიად გამსახურდიას საქმის წარმოებით განახლების შესახებ; შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფიც; ერთი ფრაგმენტი დადგენილებიდან (ქ. თბილისი; 2004 წლის 18 თებერვალი):

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ი. ოქრუაშვილმა განვიხილე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ აღძრული #7492801 სისხლის სამართლის საქმის მასალები... ვიხელმძღვანელე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლით და 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის `კ` ქვეპუნქტით, დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. როგორც ნაადრევად და დაუსაბუთებლად გამოტანილი, გაუქმდეს დადგენილება # 7492801 სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ;

2. საქმეზე განახლდეს სამართალწარმოება;

3. საქმის გამოძიება დაევალოს გამომძიებელთა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით:

რ. ზარანდია – საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე;

გ. ჩხაიძე – საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

რ. მხეიძე – საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოკვლევის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის და მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების პროკურორი;

ზ. მელქაძე – საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში მოკვლევის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

დ. ბაიაშვილი – საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორი;

ჯ. ზარანდია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

რ. კვარაცხელია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი;

ზ. სულავა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.

4. სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღოს და საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობა განახორციელოს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ, რ. ზარანდიამ;

5. საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს ეთხოვოთ

კანონით დადგენილი წესით საგამოძიებო ჯგუფის მუშაობის ოპერატიული უზრუნველყოფა;

6. გამომძიებელთა ჯგუფის მუშაობაზე კანონით განსაზღვრული საპროცესო ხელმძღვანელობა განახორციელოს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ, კ. კობერიძემ.

7. საქმის წარმოებით განახლების შესახებ ეცნობოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს.

საქართველოს გენერალური პროკურორი ი. ოქრუაშვილი

**ძიების პროცესში აშკარად გამოიკვეთა ახალი გარემოებები, რომლებიც იძლეოდა მყარ საფუძველს, შეწყვეტილიყო სისხლის სამართლის საქმე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ და სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო:** ზვიად გამსახურდიას საქმის გამყალბებელთა (ყოფილი გენერალური პროკურორის ვ. რაზმაძის, ა. ბალუაშვილის, ვ. შენგელიას და სხვათა), 1991-93 წლების პუტჩის ორგანიზატორთა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საორგანიზაციო ჯგუფის წინააღმდეგ (მკვლელობა რომ იყო, მრავალი ფაქტი ადასტურებდა; ეს ფაქტები ინახება პროკურატურაში. სავარაუდო მკვლელები მოქმედებდნენ შევარდნაძის დავალებით; პრეზიდენტს კვალში მიჰყვებოდა გია გულუას ხალხი).

ორი თვის მუშაობის შემდეგ, უკვე ახალი გენერალური პროკურორის მიერ გენერალურ პროკურატურაში მომზადდა დასკვნა **მხოლოდ ზვიად გამსახურდიასადმი ბრალეულობის მოხსნის შესახებ;** მოვიყვანთ რამდენიმე ფრაგმენტს (დასკვნა სრულად გამოქვეყნდა 2004 წლის აგვისტოს "საქართველოს რესპუბლიკის" ნომრებში):

"ვამტკიცებ: საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი (ხელმოწერა) დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ (18 ივნისი, 2004 წელი, ქ. თბილისი).

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა პროკურორმა, # 7492801 სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა რევაზ ზარანდიამ განვიხილე მოცემული სისხლის სამართლის საქმე და გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

1992 წლის 4 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ვ. რაზმაძის მიერ აღიძრა # 7492801 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმართ, 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 96I-ე მუხლის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარება დაევალა გამომძიებელთა ჯგუფს (ტ. 1, ს. ფ. 1-2, 6-11). საქმის აღძვრის საფუძვლად მითითებულ იქნა "საქბინსოცბანკის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის, გ. ლაბარტყავას წერილობითი შეტყობინება ქ. თბილისის ისნის რაიონის ბანკის განყოფილებიდან 2.167 ათასი მანეთის გატაცების შესახებ...

**ძიებამ დაადგინა:** გ. ლაბარტყავას წერილობითი შეტყობინება საქმეში არ დევს; თავად გ. ლაბარტყავა ყოველგვარ წერილობით შეტყობინებას და ზვიად გამსახურდიას მიერ თანხის დატაცებას კატეგორიულად უარყოფს (გენერალური პროკურატურის დასკვნა, 18.06.04, გვ. 49-50; ტ.103, ს. ფ. 343-345)... ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და `ბ" ქვეპუნქტებით, დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. აწ განსვენებულ ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას, დაბადებულის 1939 წლის 31 მარტს, ქართველის, უმაღლესი განათლებით, ცოლ-შვილიანის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ, შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან არ არსებობს რა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და არ არის რა ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

2.ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე რ. ზარანდია".

ამის შემდეგ ჩვენ ჯერ პირად საუბრებში, შემდეგ უკვე საჯაროდ, პრესის საშუალებით ("რეზონანსი", #173, სამშაბათი, 29 ივნისი, 2004 წელი; "რეზონანსი", #194, სამშაბათი, 20 ივლისი, 2004 წელი) ვითხოვდით:

რამდენადაც ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია 1991-93 წლების პუტჩის შედეგი იყო, გამოძიება ამ მიმართულებით გაგრძელებულიყო. დევნილი კანონიერი ხელისუფლების მხრიდან ორმხრივი კომისიის წევრებმა მოვითხოვეთ შეხვედრა ახალდანიშნულ გენერალურ პროკურორთან, ბ-ნ ზ. ადეიშვილთან; **ეს შეხვედრა შედგა 2004 წლის 3 ივლისს.** პარალელურად ვცდილობდით აგვემოქმედებინა ბ-ნი მ. სააკაშვილის მიერ შექმნილი ორმხრივი კომისიაც, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა ჩვენი ყველა მცდელობა... ვერანაირად ვერ შევძელით ბ-ნ მ. სააკაშვილთან დაკავშირება, ამიტომ, კომისიის წევრები იძულებული გავხდით საჯაროდ მიგვემართა მისთვის ("რეზონანსი" 24.IX.2004 წ.). ოფიციალური წერილით მივმართეთ ზ. ადეიშვილსაც, რომელსაც აქვე წარმოვადგენთ:

„ბატონო ზურაბ, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 21 თებერვლის # 174 განკარგულება და თქვენი 2004 წლის 8 ივლისის # 17-მ ბრძანება (ორმხრივი კომისიის შექმნის შესახებ) ითვალისწინებს 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და 2003 წლამდე მოვლენების გამოძიებას.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის ამოქმედებული წარმოდგენილი დოკუმენტები, რისი დასტურია ის, რომ ჯერ კიდევ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე 1991-93 წლებში პუტჩის ფაქტზე.

გ თ ხ ო ვ თ:

1. აღძრათ სისხლის სამართლის საქმე 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების ფაქტზე და სასწრაფოდ დაკითხულ იქნენ პუტჩის ორგანიზატორები: ე. შევარდნაძე, თ. კიტოვანი, თ. სიგუა და სხვები;

2. განსაზღვროთ თქვენ მიერ შექმნილი ორმხრივი კომისიის მუშაობის რეგლამენტი.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 8 ივლისის # 17-მ ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრები: პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი მერაბ რაფავა. 05.XI.2004 წ.

ჩვენი თხოვნა არავინ შეისმინა. მეტიც, ამის შემდეგ პროკურატურის კარებიც ჩვენთვის საგანგებოდ ჩაიკეტა: გაუქმდა ჩვენზე გამოწერილი მრავალჯერადი საშვები და გასხვისდა საგამოძიებო ჯგუფისთვის გამოყოფილი ოთახები.

რატომ შეწყდა სახელმწიფო კომისიის მუშაობა? ამ კითხვაზე პასუხი დავწერე 2005 წელსვე; მომყავს ციტატა ჩემ მიერ 2005 წელს დაწერილი წიგნიდან (რომელიც დევს ინტერნეტში: https://www.scribd.com/doc/21326734/Tariel-Putkaradze-Kitxvebi-Prezident-Zviad-Gamsaxurdias-Mkvlelobis-Sesaxeb):

ორმხრივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის შეჩერებას რამდენიმე არსებითი მიზეზი ჰქონდა:

1. 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების, ცხინვალის მხარისა და აფხაზეთის სისხლიანი რუსულ-ქართული კონფლიქტების არსის, ზვიად გამსახურდიას დევნისა და მკვლელობის გამოძიება ხელს არ აძლევს 1991-93 წლებში – რუსეთ-საქართველოს ომის აქტიურ ფაზაში – რუსეთის იმპერიის მხარეს მებრძოლ და ამჟამადაც დე ფაქტო ხელისუფლებაში მყოფ პირთა დიდ ნაწილს.

2. ძიებით მოკვლეულ იქნა აშკარა ფაქტები, რომლებიც ღაღადებდნენ, რომ პუტჩი და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დაიგეგმა კრემლში და განხორციელდა შევარდნაძის ავაზაკი თანამეინახეების მიერ (ი. ბათიაშვილის, ი. გიორგაძის, ა. იოსელიანისა და სხვათა საჯარო თვითაღიარებები ზღვაში წვეთია იმ სამხილებთან შედარებით, რაც პროკურატურაში დევს); მ**ათ ნაწილს სააკაშვილის გარემოცვის აქტიური წევრები წარმოადგენენ;** პუტჩის გამოძიების გაგრძელებას მოჰყვებოდა დიდი სახელისუფლებო სკანდალი... შესაბამისად, მ. სააკაშვილმა სამართლიანობის აღდგენას უკან დახევა ამჯობინა.

3. 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუტჩის ობიექტური გამოძიება ფარდას ახდის პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილის ბნელ წარსულს; ამიტომაც მათ ხელს აძლევს, 1991-93 წლების იმპერიულ-კრიმინალური პუტჩი და ბალტინ-ბეპაევის ტანკებით

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა მონათლონ “სამოქალაქო ომად”.

არასოდეს დამავიწყდება 2004 წლის 3 ივლისს გენერალური პროკურორის –ზურაბ ადეიშვილის სახე და მისი პასუხი, როდესაც კატეგორიულად ვთხოვე, გამოძიება გაგრძელებულიყო პუტჩისა და პრეზიდენტის მკვლელობის გარემოებების დადგენის მიზნით; **მისი სახე ცინიზმში გადასულმა ირონიამ მოიცვა და მიპასუხა:**

**– ბატონო ტარიელ, მადლობას გეტყვით, თუ შევარდნაძეს დაგვაჭერინებთ!**

**რა თქმა უნდა, შევარდნაძე იყო მთავარი დამნაშავე ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში; შევარდნაძის დაჭერით კი სააკაშვილი საერთაშორისო სკანდალში გაეხვეოდა, რამდენადაც, მალტის გარიგებით (1989 წლის 2-3 დეკემბერი), აღმოსავლეთ ევროპის გამო (ბერლინის კედლის დანგრევა და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე, ბალტიის რესპუბლიკების გასვლა სსრკ-დან), შევარდნაძეს გარანტიები ჰქონდა მიცემული ბუშის ადმინისტრაციისაგან...**

**შდრ.: არა მხოლოდ ბეპაევ-ბალტინის ჯარებმა, არამედ დასავლეთმაც გაამყარა შევარდნაძის ხელისუფლება 1992-93 წლებშიც** (ფრაზა: “გენშერის ძაღლები” შეიქმნა 92-93 წლებში შევარდნაძის მიერ ჩვენი მიტინგების დარბევისას) .

რა მოხდება, ახლა? მიიყვანს გამოძიებას ბოლომდე ბიძინა ივანიშვილი?

ზვიად გამსახურდიას მკვლელობა 1992-93 წლების პუტჩს მოჰყვა, პუტჩს, რომელმაც დაანგრია საქართველო. მაშინდელი პუტჩისტები ახლაც არიან პოლიტიკურ სპექტრში და არიან მიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირებშიც; შესაბამისად, ივანიშვილი ისეთივე დილემის წინაშე დადგება, როგორშიც დადგა საკაშვილი 2004 წლის ზაფხულში:

ჯერ შექმნა კომისია მკვლელობის გამოსაძიებლად, შემდეგ კი უკან დაიხია.

როგორ მოიქცევა ბიძინა ივანიშვილი?

1 აპრილი, 2019

## პატარა მაოხრებელი გზირი

“მაოხრებელი გზირი” არის ადამიანი, რომელმაც ისე იცოცხლა, სიკვდილის მერეც ზიანს აყენებს ოჯახს, სანათესაოს, ფართო საზოგადოებას, ერს, სამშობლოს, დედამიწას... შესაბამისად, არის:

– მსოფლიო მასშტაბის მაოხრებელი გზირი (მაგ., ჰიტლერი),

– ქვეყნის მასშტაბის მაოხრებელი გზირი (მაგ., ორჯონიკიძე),

– უფრო მცირე მასშტაბის მაოხრებელი გზირი და ა.შ.

ვიქტორ რცხილაძე ორჯონიკიძესთან შედარებით პატარა მასშტაბის მაოხრებელი გზირია, რამდენადაც, ორჯონიკიძის მსგავსად, არ გამოუვიდა კრემლის ჯარების უშუალო სარდლობა კავკასიის დაპყრობის დროს და არც – საქართველოს ნაწილის გასხვისება; ანუ:

ვიქტორ რცხილაძე შედარებით მცირე მასშტაბის ყორღანაშვილია: მან მტრის ნების შესაბამისად, საკუთარ თავზე აიღო (და დღესაც ამ დავალებას ასრულებს) მისი ახლო წრის თუ გულუბრყვილოთა დეზორიენტირება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორიენტირების გააზრების პროცესში; **კონკრეტულად, ის დღემდე ცდილობს, გაუცნობიერებელი საზოგადოება დააბრკოლოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღვაწლის აღქმაში და მიჩქმალოს საქართველოს წინააღმდეგ ბოლო 40 წელიწადში ჩადენილი რუსეთის იმპერიის დანაშაული;** იხ., მაგ., ახლახან “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებული მისი პასკვილი. ამავე წერილში ის მიზანმიმართულად ანაწევრებს ქართველ ერსაც და საქართველოსაც.

მე არ გავიმეორებ ამ ბოღმიანი პასკვილის შინაარსს (არ გავავრცელებ მის ნალაყბევ-ნაყალბევს); უბრალოდ, წესიერი ახალგაზრდა რომ არ დაბრკოლდეს, მოკლედ აღვნიშნავ ქართველი ერისა და საქართველოს წინაშე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გამორჩეული დამსახურების შესახებ:

გასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა (რუსული) იმპერიული ველიდან საქართველოს გამოსასვლელად **ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას**

**ხელმძღვანელობით რამდენიმესაფეხურიანი გეგმა შეიმუშავა:**

– არასაბჭოთა მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების გზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსვლა ხელისუფლებაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნაკლები მსხვერპლითა და ლეგიტიმური გზით წარმართულიყო;

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებული ცივილიზებული მსოფლიოსათვის ძლიერი არგუმენტის მისაცემად საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება კითხვით: **„საქართველოს მოსახლეობას სურს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“;**

– საგანგებო აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმომადგენლობითი ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) – მიერ;

– იმპერიულ კრემლთან სახიფათო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად პირველ ეტაპზე (საქართველოს დეოკუპაციის პროცესში) საქართველოს მიერ „აქტიური ნეიტრალიტეტის“ დეკლარირება და საქართველოს დეოკუპაცია;

– საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ქართულენოვანი სახელმწიფოს ინტეგრირება მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე ძლიერი ფრთის – „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ – ლიდერის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით 1990-1991 წლებში წარმატებით განხორციელდა მხოლოდ პირველი სამი მიზანი** (28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება, 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება). დანარჩენი ორი მიზნის დეკლარირება კი შეძლო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ, რომლის წევრიც მე თვითონ ვიყავი, მაგრამ მათი განხორციელება არ გვაცალა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ: 1991-92 წლებშიც და 2008 წელსაც რუსეთმა საქართველო დასაჯა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და პროდასავლური არჩევანის გამო; კერძოდ:

– ვიქტორ რცხილაძის მსგავსი 300-მდე არსების გამოყენებით დაამხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და მოკლა პრეზიდენტი;

– რუსეთის მიერ (ბეპაევი, ბალტინი...) მხარდაჭერილმა სამხედრო დამნაშავეებმა გადაწვეს თბილისის ცენტრი, ააოხრეს სამეგრელო, სადაც თავი შევაფარეთ და წინააღმდეგობის მოძრაობა შევქმენით კანონიერი ხელისუფლების, ზოგადად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელმა დეპუტატებმა და საქართველოსათვის თავგანწირულმა სხვა მოქალაქეებმა; მოკლეს ბევრი პატრიოტი;

– რუსეთის სამხედროებმა საქართველოს ისტორიულ კუთხეებში – აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში განახორციელეს საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა გენოციდი და ოკუპაცია მოუხდინეს ამ მხარეებს...

**დასკვნის სახით: ზვიად გამსახურდიამ თავი გააზრებულად შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობას; ვიქტორ რცხილაძე კი დღემდე ზვიად გამსახურდიას ებრძვის ყველა პრორუსი კოლაბორაციონისტის მსგავსად** (რითაც ირიბად რუსეთს ამართლებს ზვიად გამსახურდიას დამხობაში).

**P.S.** ვიქტორ რცხილაძეს იმის დაჯერებაც კი არ უნდა, რომ საქართველოსათვის თავგანწირვის გამო ზვიად გამსახურდია მთაწმინდაზე აიყვანა ქართველმა ერმა და არა – მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სათანადოდ დაფასების სურვილი რეალურად რომ ჰქონოდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მის მიერვე შექმნილ სახელმწიფო კომისიას არ დაბლოკავდა, საშუალებას მისცემდა, ბოლომდე გამოეძიებინა პუტჩისა და პრეზიდენტის მკვლელობის გარემოებები.

ახლა მაინც: ამ უდიდეს დანაშაულს თუკი გამოიძიებს და 90-იანი წლების ყორღანაშვილებს თავის ადგილს მიუჩენს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება, პოზიტიური როლით დარჩება საქართველოს ისტორიაში.

**P.P.S.** ბოლო ათწლეულებში გეოპოლიტიკური ვითარებისა და ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის შესახებ ვრცლად იხ.:

https://www.facebook.com/notes/%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9A-

8 ივლისი, 2019

## ათი თეზა ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ფენომენის შესახებ

სკანდალური "ბეგრაუნდის" ცოლ-ქმარი ერთმანეთს სისხარტითაც ჰგავს:

გარესამყაროს ნიჭიერად აღიქვამენ, მინიმუმ ორ-სამ ენაზე აზრებს ლოგიკურად აყალიბებენ, ინფორმაციაც აქვთ, ენერგიაც, თავდასხმაც შეუძლიათ და თავდაცვაც; ძირითადად საზოგადო საქმეზე – სახელმწიფო ინტერესზე, მსოფლიო ღირებულებებსა თუ დემოკრატიაზე – ლაპარაკობენ, პირადულზე – ნაკლებად. ისინი სოციალურად თუ პარტიულად აქტიურები არიან, საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებთან აქვთ უწყვეტი კონტაქტი და, რაც ჩემთვის სისხლორცეულია, ქ-ნი თამარ ჩერგოლეიშვილი და ბ-ნი გიგა ბოკერია სიტყვიერად **აქტიურად უჭერენ მხარს რუსი ოკუპანტების დღენიადაგ მხილებას, საქართველოს დეოკუპაციას, საქართველოს დასავლეთთან ინტეგრირებას, დემოკრატიას, ნატოში გაწევრიანებას.**

ყოველივე ამის მიუხედავად, „რატომღაც", ხალხში მათ დიდი სიყვარული თუ პატივისცემა არა აქვთ; მეტიც, ფართო საზოგადოება ნაკლებად ენდობა. ვინმე ქარიზმატულ პოლიტიკოსს თუ არ მიეტმასნენ, ისე საპარლამენტო თუ სამთავრობო სივრცეში ვერ აღმოჩნდებიან; აღმოჩნდებიან და მათივე ლიდერს აგრესიულად უპირისპირდებიან.

**აგრესია ისედაც აქვთ, ზოგჯერ, უხეში ფორმით გამოხატული აგრესიაც.** იქნებ მხოლოდ ამ ნეგატიური წახნაგის გამოა, რომ ფართო საზოგადოება მათ მიმართ სიმპათიას არ ავლენს?

**ვფიქრობ, სხვა უფრო არსებითი მიზეზი არის;** კერძოდ: ისინი ბევრ ისეთ მადეზორიენტირებელ (რბილად რომ ვთქვათ) მოსაზრებას უწევენ ტირაჟირებას, რომელსაც მომავალი თაობისათვის, ზოგადად, ქვეყნისათვის, ზიანი მოაქვს. გარდა ამისა, **პროდასავლური „თავშესაფრიდან"** ჰარმონიული წყვილი უხეში ტერმინოლოგიითა და შეურაცხმყოფელი რიტორიკით თავს ესხმის ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ფასეულობებსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, რითაც ჩერგოლეიშვილ-ბოკერიას ტანდემი ხშირად არღვევს იმ ადამიანთა უფლებებს, ვისაც უყვარს თავისი ეროვნული ფესვები თუშექმნის დღიდან პროდასავლური 20-საუკუნოვანი ეკლესია. ისინი, ვინც ხსენებული წყვილის დემაგოგიას არ ექვემდებარებიან, **მათ მიერ "პროგრესისა" და "დასავლეთის" მოწინააღმდეგეებად ცხადდებიან.** საბოლოო ჯამში, ჩერგოლეიშვილ-ბოკერიას ოჯახური „კლასტერი" ნაკლებინფორმირებული ფართო საზოგადოების თვალში სახელს უტეხს ნატოსაც და, ზოგადად, დასავლურ სამყაროსაც.

**რა არის მათი ქმედების მთავარი მოტივი?** ქ-ნი თამარ ჩერგოლეიშვილის **ერთი ნაწერის ანალიზის ფონზე** ქვემოთ შევეცდები, ჩემი თვალსაზრისი კომპაქტურად ჩამოვაყალიბო. პირველ რიგში, სრული კონტექსტით დავიმოწმებ ნეგატივზე ორიენტირებული ქალბატონის ტექსტს, რომელიც მან დაწერა **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან დაკავშირებით:**

თამარ ჩერგოლეიშვილი (1 აპრილი, 2020 წელი), **"ზიანი მოგვიტანა "გადამთიელების" (აფხაზების და ოსების) ქვეყნიდან გაძევების ისტერიამ... იგი საკუთარ წვენში იხარშებოდა"**

(https://bit.ly/3aIGYat):

„გუშინ საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის წლისთავი იყო და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეც. გამსახურდიასთვის მიძღვნილმა ტექსტებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ 30 წელი ისტორიისთვის ძალიან მოკლე დროა. ჩვენ, ჯერჯერობით, არაფრის შეფასება არ მოგვიხდენია – სადღეგრძელოებს ბევრად არც გავცდენილვართ.

არ გაგვიანალიზებია რა ზიანი მოგვიტანა "გადამთიელების" (აფხაზების და ოსების) ქვეყნიდან გაძევების ისტერიამ, არ გაგვიანალიზებია რა ზიანი მოიტანა მაშინდელი მთავრობის ბოდვებმა "სახელმწიფო კაპიტალიზმზე", არ გაგვიანალიზებია რა ზიანი მოგვიტანა ქვეყნის განვითარების

ხედვის არ არსებობამ, არც ის გაგვიანალიზებია, ამ ყველაფრით როგორ ისარგებლა რუსეთმა და რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით შედეგად. არადა, ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ აუცილებელია იმისთვის, რომ დღეს და ხვალ, იგივე შეცდომები არ დავუშვათ.

ადრე, წლების წინ, რაღაც დავწერე გამსახურდიას მთავრობაზე და I am sticking to it. სინამდვილეში, რევოლუციის წარმატებას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად იზრდება ახალი სოციალური ჯგუფების (პირობითად "სოფლელების") ჩართულობა ქვეყნის მართვაში და აქვს თუ არა მმართველ ძალას იმის უნარი, რომ ახალი სოციალური ჯგუფების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ამ უკანასკნელთა ინტერესებზე დაფუძნებული, ინსტიტუციური გარემო შექმნას. გამსახურდიამ ეს ვერ შეძლო. ბევრი რამ მას, უბრალოდ, არც დასცალდა. პირველმა პრეზიდენტმა ვერ მოახერხა ინკლუზიური სამოქალაქო ნაციონალური იდეით ვიწრო ეთნიკური ნაციონალიზმის ჩანაცვლება. ნაცვლად ფუნდამენტური რეფორმების განხორციელებისა, იგი საკუთარ წვენში იხარშებოდა და თავისივე სოციალური წრის წარმომადგენლებს – ნომენკლატურულ ინტელიგენციას დაუპირისპირდა.

გამსახურდიას დროს არ დაწყებულა მიწის რეფორმა, კოლმეურნეობებს დაშლის ნაცვლად, სახელი შეეცვალათ და ეროვნული მეურნეობები დაერქვათ. ამას გარდა, არ გაუქმებულა ფასებზე კონტროლი, არ გადაიდგა ნაბიჯები პრივატიზაციისკენ. პირველი პრეზიდენტი თავის გამოსვლებში საუბრობდა სახელმწიფო კაპიტალიზმზე, ეჭვქვეშ აყენებდა კერძო საკუთრების იდეას.

რეფორმებისადმი პრეზიდენტის დამოკიდებულების გამო, მოხდა ისე, რომ ქალაქის საშუალო კლასმა და სოფლის მოსახლეობამ, ანუ მათ ვინც გამსახურდიას კომუნისტური ნომენკლატურის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირა, მისი მმართველობის დროს ვერაფერი მიიღო და იმედგაცრუებული დარჩა. გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს აძლიერებდა ისიც, რომ ქვეყნის პირველმა პირმა საჯარო სამსახური ძირეულად არ შეცვალა. სასიცოცხლო ინსტიტუტებს მნიშვნელოვანწილად საბჭოთა ნომენკლატურა აკონტროლებდა. პირველ რიგში სწორედ მათ დაეყრდნო რუსეთის სპეცსამსახურები და ყველაფერი სამოქალაქო ომით, პარამილიტარული დაჯგუფებების ტერორით და ორგანიზებული კრიმინალის თარეშით დამთავრდა".

**თანამიმდევრობით განვიხილოთ თ. ჩერგოლეიშვილის ყველა „დებულება":**

1. იგი წერს: „გუშინ საქართველოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის წლისთავი იყო და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეც. გამსახურდიასთვის მიძღვნილმა ტექსტებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ 30 წელი ისტორიისთვის ძალიან მოკლე დროა. ჩვენ, ჯერჯერობით, არაფრის შეფასება არ მოგვიხდენია – სადღეგრძელოებს ბევრად არც გავცდენილვართ".

**ამ "დებულებაში" გარკვეული კონტექსტით ნამდვილად ვეთანხმები ქ-ნ თ. ჩერგოლეიშვილს:** მას და მის მეგობრებს (ასე უნდა გავიგოთ ნაცვალსახელი „ჩვენ") ნამდვილად არ მოუხდენიათ იმის შეფასება, რაც მოხდა 1991-95 წლებში. **მოკლედ ვიტყვი:** 30 წლის წინ რუსეთის იმპერიამ ქართველი რენეგატებისა და გაბრიყვებული ახალგაზრდების (მათ შორის იყო გიგა ბოკერიაც) გამოყენებით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი კანონიერი ხელისუფლება, რომელმაც სსრ კავშირის ჯარს ოკუპანტის სტატუსი მიანიჭა და რომლის მიზანი იყო საქართველოს დაახლოება დასავლურ სამყაროსთან (დოკუმენტური მასალა ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ კრებულში: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი" http://dl.sangu.edu.ge/pdf/uzenaesisabcho.pdf). პუტჩისტები იარაღით დაგვდევდნენ დამოუკიდებლობის გამომცხადებელთ და ჩვენს მხარდამჭერთ თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, სოხუმში... მთელი საქართველო ააწიოკეს (განსაკუთრებით: სამეგრელო და აფხაზეთი, სადაც თავი შევაფარეთ კანონიერი ხელისუფლების წევრებმა და მხარდამჭერებმა).

2. **თ. ჩერგოლეიშვილი წერს:** „არ გაგვიანალიზებია რა ზიანი მოგვიტანა "გადამთიელების" (აფხაზების და ოსების) ქვეყნიდან გაძევების ისტერიამ".

**ეს ფრაზა არის რუსული პროპაგანდის ნაწილი, ან, უკეთეს შემთხვევაში, 90-იან წლებში შექმნილი რუსული საინფორმაციო „ფეიკის" ტირაჟირება!** პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხაზგასმული ღირსებით ექცეოდა ყველა იმ ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობას, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს; ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი არსებობს.

მედიისა თუ ზღვა საინტერნეტო მასალაში ვერავინ ნახავს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, თუნდაც, დისიდენტ ზვიად გამსახურდიას (თუ მისი თანამოაზრის) ფრაზას, რომელშიც პირდაპირ თუ ირიბად ჩანს "ეთნონაციონალიზმის" მხარდაჭერა.

1991 წელს საქართველოდან „გაძევების" ისტერია არა, მაგრამ **გარკვეული აგრესია მართლაც გაჩნდა იმ მცირერიცხოვანი ქართული თუ არაქართული კლანების მიმართ,** რომლებიც ღიად იყვნენ ჩამდგარი რუსეთის იმპერიის სამსახურში და საქართველოში ე.წ. მეხუთე კოლონის როლს ასრულებდნენ. დღეს ამის არდანახვა, სულ მცირე, რუსული სპეცსამსახურების საინფორმაციო ველში დარჩენაზე მეტყველებს.

3. **თ. ჩერგოლეიშვილი:** „არ გაგვიანალიზებია რა ზიანი მოიტანა მაშინდელი მთავრობის ბოდვებმა "სახელმწიფო კაპიტალიზმზე".

**მე:** „ნატიფი ქალბატონის" ამ უხეშ ლექსიკას გვერდს ავუვლი და მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავ:

ზვიად გამსახურდიას მთავრობას ნორმალურ პირობებში სამი თვეც არ უმუშავია, მაგრამ **უმთავრესი მოასწრო:**

– 31 მარტის რეფერენდუმი,

– 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი,

– პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა, რომ დეოკუპაციის პროცესი ორგანიზებლად წარმართულიყო,

– საერთაშორისო საკანონმდებლო სივრცესთან შეერთება,

– ადგილობრივი ხელისუფლებების შექმნა,

– რუსეთის ჯარისადმი ოკუპანტის სტატუსის მინიჭება,

– გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, რომ ყველა რეფორმა ისე დაგეგმილიყო, რომ ველურ „პრიხვატიზაციას" არ მოეცვა საქართველო...

ქ-ო თამარ, „სახელმწიფო კაპიტალიზმი" არ იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიზანი: კერძო საკუთრებაზე გადასვლის მომზადებას გონივრული დრო ესაჭიროებოდა, **ეს დრო ჩვენ არ მოგვცა გლობალურმა ვითარებამ:** პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევიდან 7 თვეში „მალტის შეთანხმების" გამოყენებით ჩვენი ხელისუფლება რუსეთის იმპერიამ დაამხო. 30 წლიდან 29 წელი სწორედ ისინი არიან ხელისუფლებაში, ვის გვერდით დრო და დრო იყვნენ და არიან ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ჯგუფის წევრები და ხალხისათვის რა გაკეთდა ამ მართლა დიდ პერიოდში?

4. **თ. ჩერგოლეიშვილი:** „სულ არ გაგვიანალიზებია რა ზიანი მოგვიტანა ქვეყნის განვითარების ხედვის არ არსებობამ, არც ის გაგვიანალიზებია, ამ ყველაფრით როგორ ისარგებლა რუსეთმა და რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით შედეგად. არადა, ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ აუცილებელია იმისთვის, რომ დღეს და ხვალ, იგივე შეცდომები არ დავუშვათ".

**ამ დებულებაშიც ვეთანხმები ქ-ნ თ. ჩერგოლეიშვილს:** მათ (მას და მის მეგობრებს) არ გაუანალიზებიათ, თუ რა ზიანი მოუტანა საქართველოს 1992-93 წლების პუტჩმა და როგორ გამოიყენა რუსეთმა მისი წინამორბედები და მეგობრები; რუსეთი ახლაც იყენებს ამ ჯგუფს საქართველოში საზოგადოებრივი აზრის დანაწევრებისა და ნიჰილიზმის დანერგვის მიმართულებით. მე ეს არაერთხელ დამიწერია; „I am sticking to it".

5. **თ. ჩერგოლეიშვილი:** „სინამდვილეში, რევოლუციის წარმატებას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად იზრდება ახალი სოციალური ჯგუფების (პირობითად "სოფლელების") ჩართულობა ქვეყნის მართვაში და აქვს თუ არა მმართველ ძალას იმის უნარი, რომ ახალი სოციალური ჯგუფების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ამ უკანასკნელთა ინტერესებზე დაფუძნებული, ინსტიტუციური გარემო შექმნას. გამსახურდიამ ეს ვერ შეძლო. ბევრი რამ მას, უბრალოდ, არც დასცალდა".

**მე: რევოლუციას იშვიათად მოაქვს პროგრესი.** რაც მთავარია, 1992-93 წლებში საქართველოში რევოლუცია არ მომხდარა; ეს იყო რუსეთისაგან ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება: **ზვიად გამსახურდიას შორსგათვლილი სტრატეგია** (28.10.90 წლის არჩევნები; 31.03.91 წლის რეფერენდუმი; 09.04.91 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი...), **რუსეთს კავკასიას აკარგვინებდა.** სწორედ ამიტომ გადადგა რუსეთმა რადიკალური ნაბიჯი – ორგანიზება გაუკეთა 1992-93 წლების პუტჩს. პუტჩამდე მოკლე დროში ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო

„ინსტიტუციური გარემოს“ შექმნა. ქვეყანა არ დაგვიყვია „საფეოდალოებად“, „რეგიონებად“, არც „სოფლელებად“ და „თფილისლებად“. **მალტის შეთანხმების გამო კი ნამდვილად დავკარგეთ დასავლეთის მხარდაჭერა:** იმხანად ცივილიზებული დასავლეთის მიზანი იყო ბერლინის კედლის დანგრევა და აღმოსავლეთ ევროპის ინტეგრირება დასავლეთთან (მათ შორის, ბალტიის სამი რესპუბლიკისა, რომლებიც სსრ კავშირის შემადგენლობაში არასოდეს უცვნია ცივილიზებულ სამყაროს)... კავკასიის სახელმწიფოები დაგვტოვეს რუსულ გეოპოლიტიკურ ველში, რუსეთმა კი დაამხო გამსახურდიას და ელჩიბეის ხელისუფლებები... 1992 წლამდე არც პრეზიდენტს და არც მის არც ერთ თანამოაზრეს საყვედური არ დასცდენია დასავლეთის პოლიტიკოსების მიმართ, მიუხედავად „დინების წინააღმდეგ ცურვის“ ბუშისეული ბრალდებისა. **და რა იყო სინამდვილეში ეს ბრალდება?** ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ უარი თქვა ამერიკის კარნახით დსთ-ში შესვლაზე და ეს ჩაითვალა დინების წინააღმდეგ ცურვად! ახლა ამერიკაც, ევროკავშირიც მხარს უჭერს საქართველოს დეოკუპაციას: **„სჯობს გვიან, ვიდრე – არასდროს!“**

6. **თ. ჩერგოლეიშვილი:** „პირველმა პრეზიდენტმა ვერ მოახერხა ინკლუზიური სამოქალაქო ნაციონალური იდეით ვიწრო ეთნიკური ნაციონალიზმის ჩანაცვლება. ნაცვლად ფუნდამენტური რეფორმების განხორციელებისა, იგი საკუთარ წვენში იხარშებოდა და თავისივე სოციალური წრის წარმომადგენლებს – ნომენკლატურულ ინტელიგენციას დაუპირისპირდა“.

**ეს ფრაზა თავიდან ბოლომდე რუსული „ნარატივია“:** ამ სიცრუეს 90-იან წლებში კრემლის იდეოლოგები ავრცელებდნენ. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არაერთი გამოსვლაა თანამედროვე გლობალურ ქსელშიც კი, საიდანაც ჩანს მისი ორიენტირება საქართველოს მოქალაქეთა ერთიანობაზე და გამორიცხავს ეთნიკურ ნაციონალიზმს. რუსეთს თავისი მიზნებისათვის ესაჭიროებოდა და ახლაც სურს, სახელი გაუტეხოს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, ამ იდეის რეალურად განმახორციელებელს –31 მარტის რეფერენდუმის ავტორს და საამისოდ დღესაც იყენებს არა მხოლოდ თავის აგენტურას, არამედ – ზერელე და აგრესიულ ადამიანებსაც. **ზღვარგადაცილებული სიცრუეა ისიც, რომ თითქოსდა, ზვიად გამსახურდია დაუპირისპირდა „თავისივე სოციალური წრის წარმომადგენლებს – ნომენკლატურულ ინტელიგენციას“.**

პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ზვიად გამსახურდიას არასოდეს ჰყოლია „ნომენკლატურული ინტელიგენცია“. რაც მთავარია, ზვიადი კი არ დაუპირისპირდა მათ, **1978 წლიდან მოყოლებული, კრემლმა ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირა** საბჭოთა პერიოდში გამოზრდილი „ნომენკლატურული ინტელიგენცია“. ეს დღეს ყველამ იცის და ამის მტკიცებაზე აქ დროს არ დავკარგავ.

7. თ. ჩერგოლეიშვილი: „გამსახურდიას დროს არ დაწყებულა მიწის რეფორმა, კოლმეურნეობებს დაშლის ნაცვლად, სახელი შეეცვალათ და ეროვნული მეურნეობები დაერქვათ. ამას გარდა, არ გაუქმებულა ფასებზე კონტროლი, არ გადაიდგა ნაბიჯები პრივატიზაციისკენ. პირველი პრეზიდენტი თავის გამოსვლებში საუბრობდა სახელმწიფო კაპიტალიზმზე, ეჭვქვეშ აყენებდა კერძო საკუთრების იდეას“.

**მე:** ქალბატონი ამ მოკლე წერილში მეორედ აყალბებს „სახელმწიფო კაპიტალიზმისადმი“ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულებას. **„მიწის რეფორმას“ რაც შეეხება:** თენგიზ სიგუას და რუსული პროპაგანდის ეს და სხვა „იდეოლოგემები“ ახლა უკვე **თ. ჩერგოლეიშვილის სხარტი ენით ხმაურდება.**

ქ-ნო თამარ, იქნებ ღირდა, ფაქტები გადაგემოწმებინათ? შეუძლებელია, მიწის რეფორმა განხორციელებულიყო 5-7 თვეში: 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით **ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ რეფორმირებისა და დეოკუპაციის პროცესი,** რომელიც დღემდე გრძელდება. სამწუხაროდ, ეს პროცესი იმიტომ გახანგრძლივდა, რომ რუსებმა წარმატებით გამოიყენეს ე.წ. ოპოზიციური „ცხელი თავებიც“ და რუსებთან ღიად მოთანამშრომლე “საბჭოთა ელიტაც”. **ცალკეული შეცდომა ხელისუფლებასაც ჰქონდა, მაგრამ არსებითი მაინც სხვა ფაქტორი იყო:** ჩვენ დაგვამარცხა რუსეთის სამხედრო მანქანამ (ბეპაევ-ბალტინის სამხედრო შენაერთები), რომელმაც რუსული „ცულის“ ტარად გამოიყენა პუტჩისტი ქართველები.

რა თქმა უნდა, მიწის რეფორმასაც ვაპირებდით და კერძო საკუთრების დამკვიდრებასაც, რამდენადაც **კერძო საკუთრების გარეშე საზოგადოების ბუნებრივი პირობების შექმნა**

**შეუძლებელია.** უბრალოდ, ჩვენ არ გვინდოდა ის, რაც მოხდა ბნელ 1992-95 წლებში: „პრიხვატიზაციით“ გააჩანაგეთ საქართველო!

8. თ. ჩერგოლეიშვილი: “რეფორმებისადმი პრეზიდენტის დამოკიდებულების გამო, მოხდა ისე, რომ ქალაქის საშუალო კლასმა და სოფლის მოსახლეობამ, ანუ მათ ვინც გამსახურდიას კომუნისტური ნომენკლატურის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირა, მისი მმართველობის დროს ვერაფერი მიიღო და იმედგაცრუებული დარჩა”.

**ეს ფრაზა ცალკე გამოვიტანე იმიტომ, რომ კიდევ ერთი სიცრუე დაინახოს მკითხველმა;** კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას დაგეგმილი ჰქონდა ყველა აუცილებელი რეფორმა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის ნაწილი ვიყავით, როცა რეფერენდუმი ჩავატარეთ და გამოვაცხადეთ „გარდამავალი პერიოდი“. რამდენიმე თვეში კი პრორუსულმა ძალებმა დაიწყეს პუტჩი, არეულობა... შესაბამისად, იმედგაცრუებული კი არა, გაოგნებული დარჩა მთელი საზოგადოება. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ, ჩვენი ხალხი სულ გაუბედურდა. „ქალაქის საშუალო კლასი და სოფლის მოსახლეობა“ **დღემდე თქვენით და 1992 წლის შემდეგ არსებული მთავრობებითაა იმედგაცრუებული,** რადგან ბოლო 29 წელიწადში მხოლოდ მცირე პროცენტმა მოიწყვეთ ცხოვრება და იშოვეთ დიდი ფული.

9. „გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს აძლიერებდა ისიც, რომ ქვეყნის პირველმა პირმა საჯარო სამსახური ძირეულად არ შეცვალა“.

**ქ-ნი თ. ჩერგოლეიშვილის ეს ნახევარსიმართლეც დემაგოგიის საენციკლოპედიო ნიმუშია:**

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძირითადი მოწინააღმდეგენი იყვნენ კრემლის იმპერიული ინტერესების განმახორციელებელი ადამიანები. რაც შეეხება მათ, ვისაც თ. ჩერგოლეიშვილი გულისხმობს: „საჯარო სამსახურის ძირეულად შეცვლა“ მათ არასოდეს მოუთხოვიათ იმ მარტივი მიზეზის გამო, ეს ისედაც ხდებოდა: დემოკრატიულად ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, დაიწყო მმართველობითი სისტემის რეფორმა... პრეზიდენტად სულ რამდენიმე თვე იყო ზვიად გამსახურდია და სხვა რა უნდა მოესწრო?

10. „სასიცოცხლო ინსტიტუტებს მნიშვნელოვანწილად საბჭოთა ნომენკლატურა აკონტროლებდა. პირველ რიგში სწორედ მათ დაეყრდნო რუსეთის სპეცსამსახურები და ყველაფერი სამოქალაქო ომით, პარამილიტარული დაჯგუფებების ტერორით და ორგანიზებული კრიმინალის თარეშით დამთავრდა“.

**1990-91 წლების მოვლენების სრული უცოდინარი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ამას წერს.** ნუთუ მან არ იცის, რომ საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა 1991 წლის შემოდგომაზე. ასეთ პირობებში და ასეთ მოკლე დროში არავის შეეძლო საბჭოთა ნომენკლატურისაგან სრულად განთავისუფლება. ამავე დროს, მართალია ქ-ნი თამარი, როცა წერს: **„პირველ რიგში სწორედ მათ დაეყრდნო რუსეთის სპეცსამსახურები“,** მაგრამ აქვე კიდევ ერთხელ აყალბებს რეალობას და ახსენებს ტერმინს: „სამოქალაქო ომი“.

**„სამოქალაქო ომი“** როგორ იყო, თუ რუსეთის იმპერიამ საბჭოთა ნომენკლატურის გამოყენებით დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება?! 1992-93 წლებში რუსეთმა დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, ანექსია გაუკეთა საქართველოს მეხუთედს და ამ ტერიტორიიდან გამოდევნა მოსახლეობის დიდი ნაწილი; ბოლოს, შევარდნაძის რეჟიმის ხელშეწყობით, საქართველოს დანარჩენი ნაწილი დსთ-ში დააბრუნა. **ესაა სიმართლე.**

დემაგოგიური **ნახევრადსიმართლით დეზორიენტირებულ საზოგადოებაში** პოლიტიკურ სუბიექტად თვითდამკვიდრება! ჩანს, ესაა ბოკერია-ჩერგოლეიშვილის უმთავრესი მიზანი და არა – საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისათვის მოღვაწეობა. მ**ათი ქმედება მახსენებს ერთ სცენას ჰიუგოს 93-იდან:** გემზე „აშვებული“ ზარბაზანი გემსაც დაღუპვით ემუქრება და საკუთარ თავსაც. ამ წყვილის ფენომენი („სინდრომი“) ჩვენი საზოგადოების ძირითადი მახასიათებელი ნამდვილად არ არის. **იქნებ ამიტომაც არ უყვარს ბევრს ეს ნიჭიერი, მაგრამ უღვთო თუ უსამშობლოო ადამიანები?**

ზოგადად, არ მიყვარს პერსონიფიცირებული კრიტიკა; ყველა არსებას, სუბიექტსა თუ პიროვნებას აქვს უფლება, თავისი აზრი იქონიოს; ვრცლად დამოწმებულ ინტერნეტსტატიას კი იმიტომ გამოვეხმაურე, რომ covid-19-ით დასნებოვნებულ გარემოში ქ-ნი თ. ჩერგოლეიშვილის

მადეზორიენტირებელი „დებულებებით“ კიდევ უფრო არ დაბრკოლდნენ ახალი თაობისა თუ საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები.

**ჩემი აზრით, „სახელმწიფო კაცობა“ მხოლოდ ისეთ პიროვნებას აქვს, რომელსაც უყვარს** თავისი თანამემამულეები რწმენის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური წრის, ასაკის... განურჩევლად. გარდა ამისა, საქმით დემოკრატია და „ჩვენი“ ფსევდოლიბერალებივით არ ლანძღავს განსხვავებულ აზრს, განსხვავებულ რწმენას (ესენი მართლმადიდებლობას ლანძღავენ!) და მხოლოდ ნეგატიურ პრიზმაში არ უყურებს თანამედროვეთა უმრავლესობას, ერის ისტორიულ თუ უახლეს წარსულს. **გარესამყაროს ნეგატიურად აღმქმელ ფსევდოდემოკრატებსა თუ ფსევდოლიბერალებზე,** სამწუხაროდ, ბევრ რესურსს ხარჯავენ ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები; ზარალდება საქართველოც. დროა ყველა მიხვდეს, რომ რადიკალი პრორუსი კლანები და ე.წ. ქართველი ფსევდოლიბერალები (სინამდვილეში ახალი თაობის ბოლშევიკ-კოსმოპოლიტები) ერთმანეთს აძლიერებენ და ამრუდებენ საქართველოს პროდასავლურ კურსს (რომელიც გამოხატულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმითაც და 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტით).

დასასრულს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, პარტიული თუ სექსუალური ორიენტაციისა, გილოცავთ:

**31 მარტს – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თემაზე საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების დღეს; 9 აპრილს – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს დე იურე გამოსვლის დღეს.**

**ტარიელ ფუტკარაძე**
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი,
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი.

**P.S.** სანამ COVID-19 ბობოქრობს, დავრჩეთ სახლში და მეტი ვიფიქროთ: შეცდომა სხვაა და დანაშაული სხვა. პუტჩში მონაწილეობა დანაშაულია. აღიარება, მონანიება, გამოსწორება ყოველთვისაა შესაძლებელი. საქართველოს წინ ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი; უმთავრესი: რუსეთი ჯერ კიდევ ოკუპანტია და დღეს მაინც საქართველოს ყველა მოქალაქის კონსოლიდაციაა აუცილებელი; ეს კი შესაძლებელია სიმართლით (ნახევარსიმართლით მტერს ეხმარება ადამიანი).

5 აპრილი, 2020

# 2.1.2. ისტორიული თარიღები და მოვლენები

# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ათასწლეულების წინ (ათვლა უნდა დავიწყოთ აიეტიდან თუ არა, ქუჯისა და ფარნავაზის ეპოქიდან მაინც...).

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა არ გამოცხადებულა; **ამ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა; მალევე დავკარგეთ ეს დამოუკიდებლობა.** ბოლოჯერ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა 1991 წლის 9 აპრილს; მსოფლიო თანამეგობრობაში სწორედ **9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის** საფუძველზე დავმკვიდრდით; შესაბამისად, დამოუკიდებლობის დღედ ან სახელმწიფოს დაფუძნების დღე (2300 წლის წინანდელი) უნდა ვიზეიმოთ, ან დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, ბოლო თარიღი (9 აპრილი).

**ბუნებრივია, 26 მაისიც გამორჩეული ისტორიული თარიღია – წარსულში დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთი დღეა. ეს ისტორია კარგადაა ასახული 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტში:**

**საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისაკენ. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური,**

**ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.**

**თბილისი, მთავრობის სასახლე**
**1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი**

**P.S.** მადლობა უფალს, რომ მომეცა შესაძლებლობა, ხელი მომეწერა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე; ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ვარ მათ შორის, ვინც ბოლომდე უერთგულა ამ ხელმოწერას (სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი ბევრი პირი „ტრანსფორმირდა“ რუსეთის ნეოიმპერიაში – დსთ-ში – დაბრუნების მხარდამჭერად თუ ხელისშემწყობად)...

ყველა შემთხვევაში, გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს!

26 მაისი, 2010

## 9 აპრილი – გეოპოლიტიკური რევოლუცია

გეოპოლიტიკური რევოლუცია (09.04.91) და გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია (თვალსაზრისი თეზისებად)

მადლს ვერ იქმ სიკეთის გარეშე, ვერ გაიმარჯვებ ბრძოლის გარეშე!

პოზიტიური კონტექსტი: მხოლოდ მებრძოლია თავისუფალი.

მცირე შესავალი:

**ზოგი ამბობს:** რა საჭირო იყო თავგანწირვა 9 აპრილს, ისედაც იშლებოდა საბჭოთა კავშირი, ყველა „მოკავშირე“ საბჭოთა რესპუბლიკა ხომ ისედაც გათავისუფლდაო...

**ამ ზოგს ვპასუხობ:** სსრ კავშირის საზღვრებში დე იურედ აღიარებული ყველა რესპუბლიკა, **საქართველოს გარდა,** დღესაც რუსული ნეოიმპერიის – დსთ-ს – გეოპოლიტიკური არეალის ნაწილია.

**1. გეოპოლიტიკა – მეცნიერების დარგი; გეოპოლიტიკა – ქვეყნის საგარეო პრაქტიკა:**

კემბრიჯის ლექსიკონში გეოპოლიტიკა ორი სემანტიკითაა წარმოდგენილი:

– გეოპოლიტიკა არის მეცნიერება მოცემული ქვეყნის **სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის** შესახებ ამ ქვეყნის ზომის, პოზიციის, ძალაუფლების გავლენისა და სხვა ასპექტების გათვალისწინებით.

– გეოპოლიტიკა არის პოლიტიკური აქტივობა, რომელიც გამოწვეულია რომელიმე ქვეყნის ან მსოფლიოს რომელიმე არეალის ფიზიკური მახასიათებლებით.

**შენიშვნა:** ტერმინი **“გეოპოლიტიკა”** პირველად გამოიყენა შვედმა პოლიტოლოგმა რუდოლფ ჩელენმა (Rudolf Kjellen) 1899 წელს; ეს ტერმინი მანვე აქტიურად დაამკვიდრა 1916 წელს ნაშრომით: „სახელმწიფო, როგორც ორგანიზმი“; 1922 წელს გერმანელმა გეოგრაფმა კარლ ჰაუსჰოფერმა მიუნჰენში დააარსა გეოპოლიტიკის ინსტიტუტი, სადაც ის აწარმოებდა გეოპოლიტიკურ კვლევებს.

**გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერების დარგი, შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობებს, რომლებიც განსაზღვრულია გეოგრაფიული, ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორებით.** თანამედროვე გეოპოლიტიკაში საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სტრატეგიულ საზღვაო-სახმელეთო გზებსა და ნავთობ(გაზ)

სადენების მაგისტრალებზე.

**გეოპოლიტიკა, როგორც მოცემული სახელმწიფოს საგარეო პრაქტიკა,** მეცნიერული და ოპერატიულ-საინფორმაციო კვლევების ბაზაზე ახდენს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონის მოსახლეობის **განწყობის დაგეგმვას.**

**საინტერესოა ორი განსხვავებული წონისა და ორიენტაციის გეოპოლიტიკოსის:** ზბიგნევ ბზეჟინსკისა და ალექსანდრ დუგინის განმარტებებიც:

**ზბიგნევ ბზეჟინსკი:** „გეოპოლიტიკა არის პოზიციური თამაშის თეორია დიდ მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე“;

**ალექსანდრე დუგინი** („Геополитика постмодерна“, М. 2007): „გეოპოლიტიკა არის მართვის მეცნიერება“.

2. საქართველოს ტერიტორიის **სტრატეგიული მნიშვნელობის (ღირებულების)** გამო საქართველოს სახელმწიფო მუდამ იყო და დღესაც არის მსოფლიოს დიდი **გეოპოლიტიკური მოთამაშეების** დაპირისპირებების ეპიცენტრში. საქართველო, ზოგადად, კავკასია, იყო და არის გეოპოლიტიკური ვექტორების გზაჯვარედინი; შდრ.: საბერძნეთი – სპარსეთი (გორგასალის დამარცხების შემდეგ საქართველოს გაყოფა: სამხრეთი საქართველო – ტრაპიზონი – ტაო-კლარჯეთი – ბიზანტიას, ჩრდილოეთი საქართველო – ირანს); ირანი – ოსმალეთი (1555); ოსმალეთი – რუსეთი (1921)...

დღესაც დიდი თუ მცირე გეოპოლიტიკური ვექტორების (გადა)კვეთაშია საქართველო: რუსეთი – ამერიკა, თურქეთი – ირანი (ევროპის სახელმწიფოთა ამბიციები და პრაქტიკული ნაბიჯები ისევ აცდენილია ერთმანეთს)...

3. 1801-1990 წლები – საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილია; საქართველოს ტერიტორია, როგორც გეოპოლიტიკური სიმძლავრე, რუსეთის ხელშია (200-წლიანი ოკუპაცია).

4. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი; მცდელობა რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ნეიტრალიტეტის გამოცხადება და სახელმწიფოებრიობის კრახი; 1918-21 წლებში გამოცხადებული ე.წ. ნეიტრალიტეტი – საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის ერთ-ერთი მიზეზი; ამ პერიოდში დასავლეთი ნოე ჟორდანიას მთავრობას სთხოვდა, **რეფერენდუმით დაედასტურებინა ხალხის ნება,** რომ საქართველოს სურდა დამოუკიდებლობა. საქართველომ მაშინ ეს ვერ მოასწრო.

5. 1921 წ 25 თებერვალი – საქართველოს იძულებით დაბრუნება რუსულ-ბოლშევიკურ გეოპოლიტიკურ სივრცეში /ამ დროს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესი გააზრებული ჰქონდათ თუ არა სტალინსა და ორჯონიკიძეს? სტალინი მარიონეტი იყო თუ ბოლშევიკური იმპერიის იდეოლოგი?/.

6. 1921-1990 წლებში რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო კავკასიის ყველა ერისა თუ სახელწიფოს მცდელობა, გასულიყო საბჭოთა რუსეთის იმპერიული სივრციდან.

7. 1945 წელი – რუსეთის მიერ გეოპოლიტიკური სივრცის გაფართოება.

8. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი – რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება (ცივი ომი). 80-იანი წლების პირველი ნახევარი – რუსეთის საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური და ეკონომიკური კატასტროფა.

9. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი – აღმოსავლეთ ევროპის, საქართველოსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ავტოქთონი მოსახლეობების ბრძოლა რუსული იმპერიული სივრციდან გასასვლელად.

საქართველოს საგარეო პრობლემა: **მხოლოდ საქართველო იყო აღიარებული დასავლეთის მიერ რუსული იმპერიული სივრცის ნაწილად** (გერმანია – პირველი ქვეყანა 1922 წ.; ამერიკა – ბოლო ქვეყნა 1933 წ.)... ამიტომ რთულად წარიმართა საქართველოს ბედი. დასავლეთს მეტი იურიდიული ბერკეტები ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (მათ შორის ბალტიის ქვეყნების) დასახმარებლად (რათა მათ თავი დაეღწიათ საბჭოთა დიქტატურისთვის).

10. მე-20 საუკუნის 80-იანი წლები მთლიანობაში უნდა შეფასდეს, როგორც გეოპოლიტიკური რევოლუციის დასაწყისი: რონალდ რეიგანის **ამერიკასთან იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ბრძოლაში** დასუსტებულ საბჭოთა კავშირში მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოცხადდა ე.წ. “პერესტროიკა” – გარდაქმნა, რომლის მიზანი იყო **საბჭოთა კავშირის**

**ტრანსფორმაცია** და არა სწრაფი დაშლა. "პერესტროიკის" დეკლარირებული ლოზუნგები იყო: "დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება", "კონკურენტუნარიანი ეკონომიკა"... საბჭოთა იმპერიის მესვეურები დასავლეთთან დათმობით ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ ქვეყნის ეკონომიკური კატასტროფა; დასავლეთი კი ფრთხილობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში **უკონტროლო არ გამხდარიყო ბირთვული იარაღი.**

11. **1989 წლის 9 აპრილი** – გარდამტეხი მოვლენა გეოპოლიტიკური რევოლუციის პროცესში; საქართველოს სახელით დეკლარირებული შეუქცევადი მოძრაობა დამოუკიდებლობისკენ, რუსეთის იმპერიის სისხლიანი პასუხი და ქართველი ხალხის მორალური გამარჯვება (სულიერი დიდგორი).

**შენიშვნა:** მე თავად ვარ მონაწილე ამ ისტორიული მოვლენისა: იმ ღამეს ქართველობამ დიდი მადლობა უთხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს დალოცვისა და გაფრთხილებისათვის. იმ ღამეს ვინც იქ ვიდექით, არავის შეგვეძლო რეალური საფრთხის გამო სახლში წასვლა; პირიქით, უფრო და უფრო მატულობდა ხალხი: ყველამ ვიცოდით, რომ ეს იყო გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის. პატრიარქიც იქვე დარჩა... მართლაც, ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ; **ამ გამარჯვებამ შვა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ერთსულოვნება.**

12. **1989 წლის ნოემბერი.** ბერლინის კედლის დანგრევა. ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში დასავლეთის პირველი თვალსაჩინო გამარჯვება. აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირში "შემავალ" რესპუბლიკებში პიკს მიაღწია დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ. ამ მხრივ ყველაზე აქტიური იყო საქართველო.

**საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ 1990 წლის პირველ ნახევარში მრავალრიცხოვანი მშვიდობიანი აქციებით** აიძულა კრემლი (მ. გორბაჩოვი, ე. შევარდნაძე... ), 28 ოქტომბერს დანიშნულიყო მრავალპარტიული არჩევნები. უფრო ადრე კომუნისტებს იმედი ჰქონდათ, რომ არჩევნებით მოთოკავდნენ საქართველოს მოსახლეობის სწრაფვას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ; კერძოდ, კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოისურვა, 1990 წლის მარტში ჩაეტარებინა მორიგი ერთპარტიული არჩევნები; კომუნისტებმა არჩევნებში მონაწილეობისთვის დაიყოლიეს ორი საზოგადოებრივი მოძრაობა: "რუსთაველის საზოგადოება" (აკაკი ბაქრაძის ხელმძღვანელობით) და "ეროვნული ფრონტი" (ნოდარ ნათაძის ხელმძღვანელობით), მაგრამ **ერთპარტიულ არჩევნებს არ დაეთანხმა ეროვნული მოძრაობის უდიდესი ნაწილი (ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით).** ეროვნული ძალები ითხოვდნენ სხვა პარტიების რეგისტრაციასა და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას.

მძაფრი დაპირისპირება დამთავრდა ეროვნული მოძრაობის გამარჯვებით: 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა მრავალპარტიული, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. ხელისუფლებაში მოვიდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური გაერთიანება: "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო".

13. 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი. რეფერენდუმის კითხვა: **გსურთ თუ არა, აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე?**

რეფერენდუმში საქართველოს მოქალაქეების 99 %-მა (მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის მოსახლეობამ) ხმა მისცა საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გამოყოფას – რუსული გეოპოლიტიკური სივრცისგან დამოუკიდებლობას. ეს იყო **უსისხლოდ განხორციელებული გეოპოლიტიკური რევოლუცია** და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **პოლიტიკური სტრატეგიის** გამარჯვება; ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს (და ექნება) **კავკასიის მომავალი ბედის** განსაზღვრაში.

14. **1991 წლის 9 აპრილის** "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი" – **გეოპოლიტიკური რევოლუციის იურიდიული გაფორმება.** ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ორიენტაციას იღებს ცივილიზებულ დასავლეთზე და ოფიციალურად, **უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე,** აღიარებს საერთაშორისო დოკუმენტების პრიმატს **საქართველოს კანონმდებლობასთან შედარებით.**

15. 1991 წლის აპრილი-სექტემბერი: ზვიად გამსახურდია ცდილობს, საერთო ენა გამონახოს

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან; პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ბორის ელცინი დაითანხმა სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმების აღიარებაზეც კი. გორბაჩოვ-შევარდნაძის ხელისუფლება დათმობაზე მიდის ბორის ელცინთან (ე.წ. მოსკოვის გადატრიალების მცდელობა); პარალელურად, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ არღვევს საქართველოსთან მოლაპარაკების ფორმატს თუ დიპლომატიურ ტაქტს და რადიკალურად უპირისპირდება საქართველოს.

სამაგიეროდ, საქართველო ააქტიურებს "კავკასიური სახლის" იდეას – საქართველო მთელ კავკასიას სთავაზობს, გამოვიდეს რუსული კონტროლის არეალიდან და შექმნას დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური სივრცე.

16. 1991 წლის 15 სექტემბერი – ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დგამს მორიგ **ისტორიულ ნაბიჯს:**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრკ ჯარს მიენიჭა **საოკუპაციო ჯარის სტატუსი.** ეს იყო ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური სტრატეგის მიერ შექმნილი **მესამე საშვილიშვილოდ ღირებული დოკუმენტი** (პირველი – რეფერენდუმი, მეორე – დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი), რომლითაც საქართველო ადასტურებს რუსული იმპერიული გეოპოლიტიკური სივრციდან გასვლას.

17. საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას, რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა, რომ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს მხარი დაეჭირათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. დასავლეთის გარკვეულ ძალებსაც სურდათ საქართველოს თანადგომა.

რუსეთის გეგმებში ეს არ შედიოდა. **რუსეთი საქართველოს დაბრუნებას გეგმავდა:**

– თავისი სატელიტი პოლიტიზებული ჯგუფების საშუალებით (არძინბას კლანი, კულუმბეკოვის კლანი, კომუნისტური პარტია) და ქართული პოლიტიკური ჯგუფების გამოყენებით (ედპ, რესპუბლიკური პარტია, "ქარტია", სიგუა-კიტოვანის კლანი, მხედრიონი...) საქართველოში პოლიტიკურ ტემპერატურას ზრდიდა;

– უსაფუძვლო ბრალდებებითა თუ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ზოგი წარმომადგენლის შეცდომების უსიგრძეგანო გაზვიადებით **სახელს უტეხდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.**

**შენიშვნა:** შდრ. ზვიად გამსახურდიას ლოზუნგი: "ოპოზიცია გვესვრის ტყვიებს, ჩვენ ყვავილები ვესროლოთ" – ეს ჰუმანისტი ადამიანი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მოწამეობრივად აღესრულა, იმპერიის **საინფორმაციო დივერსიით** დიქტატორად მოინათლა.

საქართველოში პროვოცირებული დაპირისპირებებით რუსეთი "ორ კურდღელს" იჭერდა:

– დასავლეთის პროგრესულ ძალებს საშუალებას არ აძლევდა, ღიად დაეჭირათ მხარი საქართველოს "პრობლემური" ხელისუფლებისადმი;

– ახდენდა საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტირებას.

საბოლოო ჯამში, ეს იყო **"დემოკრატიის" სახელით** კრიმინალური ინტერესების მქონე ძალების რიგით მეორე **მიზანმიმართული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ** ("დემოკრატიისა" და "თავისუფლების" სახელით საქართველოს დამოუკიდებლობა პირველად განადგურდა 1921 წელს). რუსეთის მიერ პროვოცირებულმა შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა საქართველოს მოსახლეობა მართლაც დააბნია და გააპასიურა; დასავლეთმაც "აღარ აიტკივა" თავი...

18. **მე-20 საუკუნის 80-იანი წლების რუსეთ-ამერიკის** გეოპოლიტიკური დაპირისპირება დასრულდა შეთანხმებით (მალტის შეხვედრა): რუსეთმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (მათ შორის სსრ კავშირის ნაწილად დასავლეთისგან არაღიარებული ბალტიის ქვეყნებიდან) გაიყვანა თავისი ჯარი, ხოლო უკრაინა, მოლდოვა, კავკასია და შუა აზია ბედის ანაბარა დარჩა რუსულ იმპერიულ (გეოპოლიტიკურ) სივრცეში.

რუსეთმა თავისად დატოვებულ არეალში –**კავკასიაში** – დასავლეთის "წაყრუების" ფონზე დაამხო დამოუკიდებლობისკენ მსწრაფველი მთავრობები: ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება, აბულფაზ ელჩიბეის კანონიერი ხელისუფლება, ჯოხარ დუდაევის კანონიერი

ხელისუფლება... საქართველოსა და ჩეჩნეთში დამპყრობლის მიერ ძალაუფლება გადაეცა უკანონო პრორუსულ მარიონეტულ რეჟიმებს (მრავალი ფაქტით დადასტურებულია, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარები რეუტის, ბეპაევისა და ბალტინის მეთაურობით); **საქართველოში განთავსებულ რუსეთის ჯარს მიენიჭა "მეგობარი ქვეყნის ჯარის" სტატუსი.**

შედეგად, საქართველოს მოსახლეობა აღმოჩნდა მრავალწლიან გაუსაძლის გაჭირვებაში, სიბნელესა და კრიმინალურ გარემოში. (პრო)რუსული სამხედრო ნაწილების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით დაისაჯა სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობა (იმიტომ, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სამხედრო შენაერთებმა ამ კუთხეებში უფრო დიდხანს შეინარჩუნეს იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლო განწყობა). პარალელურად, პრორუსული რეჟიმების (შევარდნაძის, კიტოვანის, არძინბას... კლანები) მიერ თავსმოხვეული პროვოკაციული ომებით დე ფაქტო დაიკარგა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (აფხაზეთი, ცხინვალის მხარე), კრიმინალური ჯგუფების მიერ განიავდა სახელმწიფო ქონება და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის საკუთრება. სრულიად მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები.

აფხაზეთის პროვოცირებული ომის შემდეგ **შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა გამოაცხადა საქართველოს შესვლა დსთ-ში.** ფაქტობრივად, 1992-93 წლებში განხორციელდა გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია რუსეთის სასარგებლოდ.

კრემლის იდეოლოგებმა საქართველოში განხორციელებული გეოპოლიტიკური კონტრ-რევოლუცია შენიღბეს ტერმინოლოგიურადაც და უწოდეს მას **ე.წ. "სამოქალაქო ომი";** ამგვარი კვალიფიკაცია ფართოდ გავრცელდა და ინერციით დღესაც ბევრი იმეორებს მას. სინამდვილეში ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი და ამ ომში საქართველოს დამარცხება დასავლეთის ე.წ. პრაგმატული წაყრუების ფონზე (ამგვარი „წაყრუების" გამო ჩნდება დროდადრო „ეჭვები" მსოფლიოს მმართველი ფარული ძალის შესახებ).

ამრიგად, 1992-93 წლების გადატრიალება და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არის არა სამოქალაქო ომი ან „თბილისის ომი", არამედ რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც სამ ეპიზოდად უნდა განვიხილოთ:

– რუსეთის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა;

– რუსეთის მიერ აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდა – ქართველთა და ანტირუსულად განწყობილ აფხაზთა გამოდევნა;

– რუსეთის მიერ ქართველთა გამოდევნა ცხინვალიდან.

სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა ამ მოვლენის **სამართლებრივი შეფასება** ერთიან კონტექსტში. მეტიც, ნებსით თუ უნებურად, რუსეთის იმპერიის აგრესიის ხელშემწყობ **პოლიტიკურ ძალებსა თუ პირებს – ქართველებს** (იშვიათი გამონაკლისის გარდა) – არ უღიარებიათ თავიანთი შეცდომა (რომ ისინი გამოიყენა რუსეთმა) და დღემდე მედიდურად პოლიტიკოსობენ – ამბიციურად აქტიურობენ **პოზიციისა თუ ოპოზიციის რიგებში.**

19. **2003 წლის ვარდების რევოლუცია და ნატო-ს მხარდამჭერი რეფერენდუმი.**

– ქართველი ხალხის (საქართველოს მოსახლეობის) მორიგი იმედი თუ მცდელობა, თავი დააღწიოს რუსულ იმპერიულ სივრცესა და შევარდნაძის კლანური მმართველობის მიერ შექმნილ კრიმინალურ ჭაობს;

– დასავლეთის გადაწყვეტილება რუსული გეოპოლიტიკური გავლენის ველიდან გაიყვანოს ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილი (ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალისა თუ სხვა გეოპოლიტიკური ინტერესების გამო);

– ქართველი ხალხის (საქართველოს მოსახლეობის) მიერ კიდევ ერთი რეფერენდუმით დადასტურებული პროდასავლური გეოპოლიტიკური არჩევანი.

20. **2008 წლის აგვისტო:**

– რუსეთის მიერ ქართველების დასჯა რეფერენდუმის წესით ნატო-ს მხარდაჭერისათვის;

– რუსეთის ხელახალი მცდელობა საქართველოს ცენტრალური ნაწილის დაპყრობისა (რევანშისა);

– ქართველების სრულად გამოდევნა ცხინვალის მხარიდან;

– საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილებისთვის ოკუპანტის

სტატუსის აღდგენა და საქართველოს გამოსვლა დსთ-დან.

21. **2009-2012 წლები** – რუსეთის იმპერია და მისი მხარდამჭერი ფსევდოდასავლური ძალები 150-წლიანი "ტრადიციის" კვალად ცდილობენ (ახლა უკვე "Soft Power-ის" ფორმატით) ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას ("ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს") და საინფორმაციო შეტევით საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და საქართველოს პოლიტიკური სპექტრის სრულ დისკრედიტაციას, ასევე, საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტაციას. აქ ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომლებსაც ეკლესიის წინააღმდეგ ახორციელებენ **ქართული წარმომავლობის სუბიექტები;** კერძოდ, ქართველთა სულიერი სიძლიერის განმსაზღვრელი ფაქტორის – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის – წინააღმდეგ ბრძოლა კოორდინირებულად ხორციელდება ორი ფლანგიდან:

– ზოგი ვითომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ინდივიდი ცალკეულ პირთა მიუღებელი გამონათქვამებისა (იხ., მაგ., „ეროვნულ-სარწმუნოებრივი" ჟურნალი „ქვაკუთხედი", #8, 2008, გვ. 4-5) **თუ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზების** უტრირებით მთელ საქართველოს ეკლესიას **უსამართლოდ უყენებს ბრალდებას; არადა, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს** (იხ., მაგ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია მეორის **საპროტესტო განცხადება** რუსეთის სასულიერო იერარქისა თუ საერო ხელისუფლების ქმედებასთან დაკავშირებით: „საპატრიარქოს უწყებანი", #31, 30.09. – 06.10, 2010);

– ზოგი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი წარმონაქმნი **ფსევდოლიბერალური პოზიციებიდან** ცდილობს, ყავლგასულ **კონსერვატორულ წარმონაქმნად** წარმოაჩინოს ქართველი ერის ენობრივ-კულტურული იდენტობის გადამრჩენი და საქართველოს ერთიანობის სიმბოლო – საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

22. 2012-2013 წლები – საქართველო ისევ არის მძაფრი საერთაშორისო დაპირისპირების ეპიცენტრი. ხილულ გეოპოლიტიკურ სუბიექტთა ინტერესები:

– პუტინის კლანის მიერ მართული რუსეთი თავისი "უხეში" და "რბილი" ძალების კოორდინირებული ქმედებებით აქტიურად ცდილობს, საქართველო საბოლოოდ დააბრუნოს თავის გეოპოლიტიკურ ველში (ევრაზიული ამბიცია!). პრორუსული პოლიტიკური ჯგუფები თუ სუბიექტები ისევ გადანაწილებული არიან დაპირისპირებულ ბანაკებში და ცდილობენ, მართონ დასავლეთელი ექსპერტებისა თუ **რეგიონის მოსახლეობის განწყობა** (ისევ აპელირება არარსებულ დიქტატურაზე, დემოკრატიის არარსებობაზე, უმცირესობათა უფლებებზე და სხვ.).

**შენიშვნა:** ზბიგნევ ბჟეზინსკი: "Путин предстает скорее безжалостным порождением КГБ, методичным и решительным националистом, который стремится вернуть России прежнее могущество, использует в конъюнктурных целях неожиданно пролившийся на Россию 'золотой дождь', и одновременно не гнушается без лишнего шума наслаждаться материальными выгодами от политической власти и втайне их преумножать" (Збигнев Бжезинский: Путинский выбор. 12 марта 2008).

საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დაპირისპირებულ ბანაკებში გადანაწილებულთა "ფიზიონომიისათვის" შდრ.: 1992 წლის 2 სექტემბრის "დარბევის" მოთავე და "დარბეულთა" ლიდერი 1992-93 წლების პუტჩის ორგანიზატორთა რიგებში აღმოჩნდნენ; გარდა ამისა, ზვიად გამსახურდიას ოპოზიციის აქტიური წარმომადგენლები და ვითომ მომხრეები, რომლებიც ერთმანეთს **უკიდურესი რადიკალიზმით** უპირისპირდებოდნენ, ბოლოს ერთად აღმოჩნდნენ იმ **ე. წ. სახელმწიფო საბჭოსა თუ არალეგიტიმურ "იმედის" პარლამენტში** (1992-1995 წწ.), რომელმაც საქართველო უკანონოდ შეიყვანა დსთ-ში.

– დასავლეთს დღეს უფრო ესაჭიროება საქართველო, როგორც საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო გზებსა და ნავთობ(გაზ)სადენების მაგისტრალი.

– საქართველოს ანუ ქართველებსა და საქართველოს სხვა მოქალაქეებს გვსურს, მშვიდობიანად ვიცხოვროთ **ჩვენი წინაპრების ღირებულებებითა და სისხლით დაფუძნებულ მრავალსაუკუნოვან** ჩვენს სახელმწიფოში.

დღესაც საქართველოს მოსახლეობის **მოქალაქეობრივ პოზიციაზეა** დამოკიდებული ბევრი რამ; კერძოდ:

საქართველოს მოქალაქეებმა ახლა მაინც არ უნდა გავიმეოროთ 1992 წლის შეცდომა და პასიურ

მაყურებლად არ უნდა ვიქცეთ მაშინ, როცა ინგრევა ჩვენი სახელმწიფო; სახელმწიფო ხალხისაა **და არა რომელიმე მთავრობისა.** ახლა მაინც აღარ უნდა დავუშვათ ახალი ქუჩური არეულობა თუ გადატრიალება; მხოლოდ არჩევნების გზით უნდა ვიაროთ: რაც არ უნდა მძიმე იყოს ეს გზა, მაინც მრავალპარტიული არჩევნები ჯობია ერთპარტიულ არჩევნებს, მორიგ შეიარაღებულ გადატრიალებებსა თუ ე. წ. "სახალხო" რევოლუციებს; რა თქმა უნდა, **მრავალპარტიულ არჩევნებს ჯობია მრავალპარტიული სამართლიანი არჩევნები.**

**შენიშვნა:** ტერმინი "მრავალპარტიული არჩევნები" გულისხმობს საკუთარი პოლიტიკური პლატფორმის მქონე რამდენიმე სერიოზული პარტიის მონაწილეობას და არა – კონკრეტული სახელ-გვარებით რეგისტრირებულ ე.წ. საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც გამოცარიელებული ვაგონებივით ებმიან ქარიზმატულ პოლიტიკოსებსა თუ ოლიგარქებს.

ხელისუფლებამ საბაბი არ უნდა მისცეს პრორუსულ ძალებს, რომ საქართველოში ახალი ხუნტა დაგვისვან (ამიტომ არ უნდა მოხდეს საზოგადოების რადიკალიზაცია); გარდა ამისა, ყველა მოქალაქე ფაქიზად უნდა მოეპყროს ყველა სახის უმცირესობის უფლებას, რომ რაიმე ახალ პროვოკაციას არ წამოგვაგონ; პოლიტიკურმა პარტიებმა ნებსით თუ უნებურად **ხელი არ უნდა შეუწყონ რუსული ოცნების აღსრულებას – საქართველოს დაბრუნებას რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში და, ასევე, არ უნდა შეეგუონ საქართველოს გაყოფას ორ გეოპოლიტიკურ სივრცეს შორის** (შდრ., 1555 წლის თუ 1921 წლის შეთანხმებები).

23. უახლოეს მომავალში (ბოლო 800 წლის მანძილზე პირველად) საქართველოს აქვს რეალური ისტორიული შანსი, **დე ფაქტოც დააღწიოს თავი იმპერიულ ველს** – ამ შემთხვევაში, **რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეს** (დე იურე ეს მოხდა 1991 წლის 9 აპრილს) და ააღორძინოს ქართულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო.

საამისოდ აუცილებელია, რომ დასავლურ პოლიტიკურ თუ დემოკრატიულ მიღწევებზე უპირობო ორიენტირებით მეტი მოტივაცია მისცეს ნატოსა თუ ევროკავშირს, მხარდაჭერა გამოუცხადოს საქართველოს. ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკური დაწოლით საქართველომ დაიბრუნოს რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები (აფხაზეთი და ცხინვალის მხარე) და ე.წ. კონფლიქტურ რეგიონებში აღადგინოს მშვიდობიანი თანაცხოვრება.

არის მეორე, ჯერჯერობით **არარეალური გზაც:** საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა გონივრული პოლიტიკით უნდა შეძლოს, მსოფლიოს წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშენი (ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი, თურქეთი, ირანი...) შეთანხმდნენ, რომ **საქართველო არის მსოფლიოს შვეიცარია...** აქამდე ჯერჯერობით შორია, ვინაიდან ამ გზის გარეალურებას ხელს უშლის ერთი "პატარა" პრობლემა: არ არსებობს დიდ სახელმწიფოთა ნება, საქართველო იყოს მათგან რეალურად დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტი (დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს თავიანთი "ოცნებები" აქვთ).

დასასრულის ნაცვლად:

**"მამულის დახსნის დღე არის, ქვეყანა გვწუკავს შველასა,**
**თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა" / წმინდა ილია მართალი/.**

**P.S.** დღეს მთელი მსოფლიო აქტიურად ადევნებს თვალს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს; შესაბამისად, ამჟამად უფრო რეალურია (ვიდრე ეს იყო მე-20 საუკუნის დასაწყისსა თუ დასასრულს) **საქართველოს გაყვანა რუსული იმპერიული სივრციდან,** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დემოკრატიასა და ქართველი ერის არსებით ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს აღორძინება.

ამ გზაზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება **საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების სწორ ინფორმირებას,** ფართო საზოგადოებისთვის ისტორიული თუ საარქივო დოკუმენტების გაცნობას, ენობრივ-ეთნიკური, კულტუროლოგიური და პოლიტოლოგიური ობიექტური კვლევების მიწოდებას, **საქართველო-რუსეთის 200-წლიანი კონფლიქტის არსის სწორ ინტერპრეტირებას,** განსაკუთრებით კი – 1991-93 წლების მოვლენებისათვის **სამართლებრივი წესით** ადეკვატური სახელის დარქმევას:

პირადად, ჩემი აზრით, ეს იყო რუსეთის იმპერიის მორიგი სისხლიანი (ამ კონტექსტში "უხეში"

რბილი იქნება) **აგრესია** საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და არა – დემოკრატიის გამარჯვება. ეს იყო **გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია** და არა – სამოქალაქო ომი.

4 აპრილი, 2012

## სიმბოლური თარიღების ბედი პოსტსაბჭოთა საქართველოში: 26 მაისი, 14 აპრილი, 9 აპრილი

რამდენჯერ დაკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა და რამდენჯერ აღიდგინა?

პატივცემული მკითხველი დამეთანხმება: რამდენჯერმე! ბოლოსწინა თარიღი 1918 წლის 26 მაისია, ბოლო კი – 1991 წლის 9 აპრილი. სწორედ 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე გვცნო მსოფლიომ, როგორც თანამედროვე სახელმწიფო; ამ აქტის საფუძველი იყო 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უდიდესმა ნაწილმა (მათ შორის – ეთნიკურმა აფხაზებმა და ოსებმა). ამ ფონზე, როგორც დამოუკიდებლობის დღეს, რატომ არ ვზეიმობთ 9 აპრილს? რატომაა დღემდე საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი?

ცნობისთვის: 1918 წლის 26 მაისს მაშინდელმა ქართულმა ხელისუფლებამ ერთი „მცირე“ შეცდომა დაუშვა: ბ-ნი ნოე ჟორდანიას მთავრობამ გამოაცხადა არა „დამოუკიდებლობის აღდგენა“, არამედ – „დამოუკიდებლობა“. არადა, 1918 წლამდე ჩვენ 2000-წლოვანი სახელმწიფოებრიობა გვქონდა.

26 მაისი ლამაზი ისტორიული თარიღია, მაგრამ თანამედროვე საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ 9 აპრილი უნდა იზეიმოს, ხოლო თუკი საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე უნდა გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობის დღედ, ასეთი თარიღი უნდა მოვიძიოთ ფარნავაზ მეფისა და ქუჯი ერისთავის პერიოდში (მეტიც, აიეტისა და აფსირტეს დროში!).

აქვე დავძენ: 1989 წლის 9 აპრილი რუსეთის იმპერიასთან ზნეობრივ და პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვების დღეა. მე, როგორც ამ მოვლენის უშუალო მონაწილე, ვამბობ: მაშინ ჩვენ – ყველამ, ვინც იქ ვიდექით, ვიცოდით, რომ ჩვენი სისხლი დაიღვრებოდა; ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, ჩვენი ერის სულიერმა წინამძღოლმაც გაგვაფრთხილა, მაგრამ ჩვენ, ამ გმირული აქციის რიგითმა მონაწილეებმა, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა და თავად უწმინდესმა და უნეტარესმა მტერს ზურგი არ ვუჩვენეთ: მადლობა ვუთხარით ერის მამას ჩვენი გაფრთხილებისთვის და ბოლომდე აღვუდექით წინ ბოროტების იმპერიას; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც ჩვენთან ერთად დარჩა!

სწორედ ამ წინააღმდეგობამ დაასუსტა და ნაწილობრივ დაშალა რუსეთის საბჭოთა იმპერია. ერისა და ბერის ამ წინააღმდეგობამ შვა საუკუნოვანი დოკუმენტი – 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

საქართველომ თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 9 აპრილს უნდა იზეიმოს; რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაფუძნების დღეს: ეს დიდებული დღე ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულებში უნდა ვეძიოთ. ეს დღე არ არის 26 მაისი.

რაც შეეხება 14 აპრილს:1978 წლის 14 აპრილს ჩვენ დავიცავით საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი. შესაბამისად, 14 აპრილი ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ და ეს დღე უნდა იზეიმოს საქართველოს ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა! 14 აპრილი არ არის მხოლოდ ქართველთა დედაენის დღე.

ცნობისთვის: საუკუნეების წინ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, რომელიც 1985 წელს აღადგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, ქართველთა დედაენის დღე არის ლაზარეს შაბათი – ბზობის წინა შაბათი. ამ დღეს 10 საუკუნის წინაც აღნიშნავდნენ ქართველები და საუფლო და დიდ საეკლესიო დღესასწაულებში ჩართული ჰქონდათ: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (მისი ავტორი უცნობია; შემორჩენილი 4 ხელნაწერიდან 3

გადაწერილია ლიტურგიკული კრებულების ცნობილი შემმოსველისა და რედაქტორის – იოვანე ზოსიმეს – მიერ).

**დასკვნის ნაცვლად:** შემთხვევით არაფერი ხდება: სიმბოლური თარიღების არსის შეცვლა მოსახლეობის დეზორიენტაციასა და სახელმწიფოებრივი ორიენტირების გაბუნდოვნებას ემსახურება.

9 აპრილი, 2012

## 25 თებერვლის კონტექსტში

**1801-1865 წლები** – მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია;
**1918-1920** – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;
**1921 წლის თებერვალ-მარტი** – ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ერთი ნაწილის ოკუპაცია, მეორე ნაწილისა კი თურქეთისთვის დათმობა;
**1991 წლის 9 აპრილი** – საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;
**1992 წლის 6 იანვარი** – რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების თბილისიდან განდევნა და საქართველოში მარიონეტული რეჟიმის დასმა, რომელმაც, ორჯონიკიძის ხელისუფლების მსგავსად, საქართველო გამოაცხადა რუსული სივრცის ნაწილად (დსთ-ში შესვლის უკანონო აქტის მიღება);
**2003-2007 წლები** – საქართველოს მიერ პროდასავლური ორიენტაციის მასშტაბურად გამოკვეთა;
**2008 წელი** – დასავლეთის მიერ საქართველოსთვის მაპზე უარის თქმა (რუსეთის შიშით) და რუსეთის მიერ საქართველოს დასჯა პლებისციტის საფუძველზე ნატოსა და ევროკავშირზე ორიენტირების გამო...
**2008-2012** – სიტყვით პროდასავლური სააკაშვილის ხელისუფლების უსამართლო და ეროვნულ ღირებულებებზე ნაკლებორიენტირებული საშინაო პოლიტიკის გამო საქართველოს მოსახლეობის თვალში ხელისუფლების დისკრედიტირება.

**დასკვნა:** რუსეთის იმპერიასთან გესლიან რიტორიკას კულტურული ცივი დიალოგი აჯობებს, თუმცა, მხოლოდ საქართველოს (აფხაზეთი, ცხინვალის მხარე) დეოკუპაციის შემდეგაა შესაძლებელი რუსეთთან საქმიანი კეთილმეზობლობა.

**P.S.** ივანიშვილის ხელისუფლება აცხადებს, რომ პროდასავლურ კურსს შეინარჩუნებს, ეროვნულ ღირებულებებს პატივს სცემს და სახელმწიფოში სამოქალაქო სამართლიანობას დაამკვიდრებს.
ვაცალოთ.

**P.P.S.** ეროვნულ პრეზიდენტს – გამსახურდიას – 1 წელიც არ აცალა რუსეთის იმპერიამ; შევარდნაძეს 11 წელი აცალა საქართველოს მოსახლეობამ ქვეყნის ნგრევა, სააკაშვილს 9 წელი ვაცალეთ. ახლა მავანნი რატომ ჩქარობენ დასკვნის გამოტანას?
ცივილიზებული საზოგადოება პოლიტიკოსს საქმით აფასებს და არა – სიტყვით.

24 თებერვალი, 2013

# გილოცავთ 14 აპრილს

გილოცავთ 14 აპრილს – საქართველოს სახელმწიფო ენის დღეს.

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობის ღირსეულმა შვილებმა, ქართველებმაც და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმაც, დაიცვეს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი; შესაბამისად, 14 აპრილი არის საქართველოს სახელმწიფო ენის დაცვის დღე და არა მხოლოდ ქართველთა დედაენის დღე.

14 აპრილი დღემდე კვალიფიცირდება, როგორც ქართველთა დედაენის დღე; ასეთი სახელდება ნაკლებად იძლევა საშუალებას, 14 აპრილი იზეიმონ საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, რუსებმა, ოსებმა, აფხაზებმა და ა.შ. დედაენად მიჩნევის შემთხვევაში ამ დღეს რა უნდა იზეიმონ, მაგალითად, საქართველოს მოქალაქე სომხებმა?

თუკი 14 აპრილი ოფიციალურად გამოცხადდება საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოქალაქენი ამ დღეს პატივისცემით აღნიშნავენ არა მხოლოდ თბილისში, ბათუმში, ზუგდიდსა თუ თელავში, არამედ ახალქალაქშიც, მარნეულშიც, წალკაშიც... მოვა დრო – ცხინვალშიც, გალშიც, სოხუმშიც და ა. შ.

ვფიქრობ, 14 აპრილის სახელდება მხოლოდ ქართველთა დედაენის დღედ აკნინებს 35 წლის წინანდელი მოვლენის ზოგადსახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და ხელს არ უწყობს ჩვენი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულენოვან სახელმწიფოში. აქვე აღვნიშნავ: მრავალი საუკუნეა, ქართველები დედაენის დღეს ვუწოდებთ ლაზარეს შაბათს; წელს ლაზარეს შაბათი – ქართული ენის დღე – არის 27 აპრილს.

**დედაენა არის ნაციის არსებობის საფუძველი, ხოლო სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია...**

ყველა ნორმალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს მთავარ ენას, პარალელურად, უცხო ენებსა თუ უმცირესობების ენებს; სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ რეგიონული თუ უცხო ენების შესახებ; მაგალითად, საქართველოს უსაფრთხოების ოფიციალურ კონცეფციაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის სწავლების აუცილებლობა, მაგრამ გააზრებული არ არის საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის პერსპექტივა; კერძოდ, ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, დე ფაქტო არ ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიის მესამედზე, დანარჩენ ტერიტორიაზე კი მისი დაცულობის ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს; უსაფრთხოების კონცეფციაში არაფერია ნათქვამი ამ მიმართულებით.

დღეს ქართული ენა სულ ახალი გამოწვევის წინაშე დგას: თანამედროვე ტექნოლოგიები რადიკალურად შეცვლის მსოფლიოს ენათა მომავალს.

თავის დროზე მსოფლიოს მრავალი ენა დაიკარგა იმიტომ, რომ მისმა მფლობელმა ხალხმა დროულად ვერ შექმნა დამწერლობა თავისი დედაენისათვის; თანამედროვე პირობებში ბევრი მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის ენა და სახელმწიფო ენა გაქრება, თუკი მოცემული ენა დროულად ვერ გახდება ინტერნეტსივრცის, ავტომატური თარგმანების, ულტრათანამედროვე ტექნიკის ზეპირი ბრძანებით მართვის ენა; კერძოდ, ვფიქრობ აუცილებელია, სახელმწიფოს პროგრამული დაფინანსებით (და არა – მოკლევადიანი საგრანტო წესით) დროულად განხორციელდეს მრავალპროფილიანი გრძელვადიანი პროექტი იმ კომპიუტერული პროგრამების შესაქმნელად, რომლებიც:

1. ქართულ ზეპირ მეტყველებას გადააქცევს ნაბეჭდ ტექსტად;
2. ავტომატურად აამეტყველებს ქართულ ნაბეჭდ ელექტრონულ ტექსტს;
3. გააციფრებს ნაბეჭდ პროდუქციასა და ხელნაწერებს;
4. განახორციელებს სრულყოფილ ავტომატურ ქართულენოვან მართლწერას;
5. განახორციელებს აკადემიურ ავტომატურ თარგმანს ქართულიდან სხვა ენებზე და პირიქით...

და ბოლოს: კაცობრიობის ისტორია ხალხების გაჩენისა და გაქრობის მძიმე ქრონიკაა.

ამ ფონზე სასწაულს ჰგავს ქართველი ერის 33-საუკუნოვანი სიცოცხლე, რომელიც, პირველ რიგში, ქართული ენითაა განხორციელებული... ეს სასწაული გულისხმობს ლაზარეს ფენომენსაც. უფლის ნებით, კიდევ დიდხანს იქნება ქართული ენა ქართველთა ეროვნული სიცოცხლე და საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი ღირსება!

14 აპრილი, 2013

# 9 აპრილი და 26 მაისი

**9 აპრილი – გლოვის დღე თუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე?**

**1. 9 აპრილის გლოვის დღედ კვალიფიცირებით უფერულდება ამ დიდებული დღის არსი:**

9 აპრილი არის დამოუკიდებლობისათვის ქართველი ერის ღირსეული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში ზნეობრივი გამარჯვების დღე; დიდგორშიც დაიღუპნენ ქართველები, მაგრამ ჩვენს წინაპრებს ეს დღე არ გამოუცხადებიათ გლოვის დღედ. სისხლიან ბრძოლაში ნებისმიერი გამარჯვება სევდიანიც არის გმირთა დაღუპვის გამო, მაგრამ გამარჯვებას მაინც ზეიმობენ.

**2. 26 მაისის დაფიქსირება დამოუკიდებლობის დღედ გაუმართლებლად ამოკლებს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას:**

1918 წლის 26 მაისს არ გამოცხადებულა საქართველოს დამოუკიდებლობა; ამ დღესაც აღდგა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან იწყება (აიეტი, აფსირტე...); დოკუმენტური ისტორია კი ფარნავაზისა და ქუჯის დროიდან გვაქვს.

თანამედროვე მსოფლიომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით;

**3. 9 აპრილის გლოვის დღედ გამოცხადებით გააზრებულად იჩქმალება საბჭოთა ოკუპაციის დანაშაულებრივი ხასიათი:**

26 მაისს აღდგენილი დამოუკიდებლობა რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ დაამხო 3 წელიწადში და საქართველოს მოუვლინა 70-წლიანი სისხლიანი ოკუპაციისა და ანექსიის პერიოდი.

1989 წლის 9 აპრილის გმირული ღამით იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შეუქცევადი პროცესი, რომელიც დე იურე დამთავრდა 1991 წლის 9 აპრილს და დე ფაქტო დღემდე გრძელდება.

**4. 9 აპრილის გლოვის დღედ, ხოლო 26 მაისის დამოუკიდებლობის დღედ აღიარებით მიზანმიმართულად იჩქმალება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, 9 აპრილს დაღუპულ გმირთა, ამ პერიოდის ქართველთა გმირული სულისკვეთება და, მთლიანად, საქართველოს მოსახლეობის /ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად/მიერ 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატული მტკიცე ნება საქართველოს დამოუკიდებლობისა.**

მე როგორც 9 აპრილის ბრძოლის მონაწილემ და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერმა, ასე შემიძლია გავიხსენო 1989 წლის 8 და 9 აპრილი:

იმპერიის ხელისუფლებამ 8 აპრილს დილით მომიტინგეთა და მოშიმშილეთა შორის სამხედრო მანქანები გაატარა; ამ ფაქტმა ერთიორად გაზარდა მომიტინგეთა რაოდენობა.

8 აპრილს ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენი მხრიდან უიარაღო,ზნეობრივ ბრძოლაში იმპერია ჩვენს სისხლს დაღვრიდა; პირადად, მე სახლში მივედი რამდენიმე წუთით და ჩემიანებს გამოვემშვიდობე.

9 აპრილს, მიტინგის დარბევის წინ, მოგვმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და გვითხრა: ”იმპერიის ხელისუფლებისგან საფრთხე რეალურია; თქვენი სისხლი დაიღვრება; ეკლესიაში გადავიდეთ, რომ საფრთხე ავიცილოთ...“

ჩვენ ვუთხარით: „დიდი მადლობა, პატრიარქო; ვიცით, რომ ჩვენი სისხლი დაიღვრება, მაგრამ მზად ვართ, საქართველოსთვის ბრძოლაში დავიღუპოთ...“

პატრიარქმა გვიპასუხა:“ მაშინ მეც თქვენთან ერთად დავრჩები მტერთან ბრძოლაში“.

და დარჩა პატრიარქი ჩვენთან.

მერაბ კოსტავამ სწორედ მაშინ თქვა: „ეს დიდებული წამია; ქართველი ერის გმირული შემართების წამი!“

**5. საქართველომ უნდა იზეიმოს 9 აპრილი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.**

6 აპრილი, 2013

# 26 მაისი

26 მაისი – საქართველოს ისტორიის სამი უმნიშვნელოვანესი თარიღი:

1918 წლის 26 მაისს, ნოე ჟორდანიას მენშევიკურმა მთავრობამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (თუმცა, არასწორი კვალიფიკაცია მისცა ამ ფაქტს და შესაბამის დოკუმენტს უწოდა "დამოუკიდებლობის აქტი"... ამის ბრალია, რომ ზოგი წელს, 26 მაისს ზეიმობს დამოუკიდებლობის 96-ე წლისთავს.... სინამდვილეში, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა საუკუნეებს ითვლის.

1939 წლის 26 მაისს დაიბადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს ისტორიაში ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც 6 კანდიდატიდან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ.

მოკლედ მერაბ კოსტავას შესახებ:

1. გონიერი და ინტელექტუალი, რომელსაც შეეძლო **ზუსტად დაენახა აწმყოს ფაქტი მარადიულ განზომილებაში** – სწორედ ამ უნარმა ათქმევინა მას 1989 წლის 9 აპრილს ისტორიული ფრაზა: უდიდებულესი წამი.

2. კაცი, რომელმაც შეძლო, ყველაფერი გაეწირა სამშობლოსათვის – საქართველოსათვის.

**მოყვასისადმი თავგანწირვა – ღირსეული ქართული ხასიათი.**

მას არასოდეს უცხოვრია ორმაგი სტანდარტით. ორმაგი სტანდარტით ცხოვრება ხელს უშლის ადამიანის ძალთა მობილიზებას... სამშობლოსადმი ძალების კონცენტრირება **ნებისყოფისა და მიზნის გააზრების შემთხვევაში ხდება...** მერაბ კოსტავას ჰქონდა ნებისყოფა, მიზნის ჩამოყალიბებაში კი ხელი შეუწყო გამსახურდიების წრეში აღზრდამ; გამსახურდიების ოჯახში სუფევდა აზრი:

**"თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყოველსა!"**

3. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის სხვების გაერთიანება სიყვარულით! ვინც სამშობლოს აცხადებს ლოზუნგად და ვინმესადმი სიძულვილით ერთიანდება, ტყუის; ასეთი გაერთიანება უფრო კლანური ინტერესის მქონეა, ვიდრე – ეროვნულისა...

**მერაბ კოსტავა სიყვარულით ცდილობდა გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ფრთა.**

შდრ.: არამყარი გაერთიანებები:

– გაერთიანება ერთი კაცის სიძულვილით;

– გაერთიანება კონკრეტული საფრთხის გამო;

– შიშით გაერთიანება;

– გაერთიანება ფულის ინტერესით...

სიყვარულით გაერთიანებაა ნამდვილი გაერთიანება; ჩვენი პატრიარქის საყვარელი ფრაზაა: "ღმერთი აერთიანებს, ეშმაკი ჰყოფს"...

**სადაც სიყვარული არ არის, იქ ეშმაკი მეფობს... მერაბი დღენიადაგ თესავდა სიყვარულს.**

4. **გლობალიზაციის პერიოდში ეროვნული მეობის შენარჩუნება – ესაა დიდი პრობლემა.** პიროვნული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უფლებების დაცვა ერთი ფურცლის ორი გვერდია:

– "ჯერ ადამიანის უფლება და შემდეგ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობანი",

– "ჯერ დამოუკიდებლობა და მერე ადამიანის უფლებები"...

ორივე მცდარი მიდგომაა!

ორივე წახნაგი: მოქალაქის უფლებები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობანი (ქვეყნის დამოუკიდებლობა, ეროვნული ენისა და კულტურის გადარჩენა-განვითარება...)... ერთი მთელის შემადგენელია და მას მოკლედ "პიროვნების თავისუფლება" ჰქვია, რამდენადაც, ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია დამოუკიდებელი პიროვნება, თუკი მის მეობას განსაზღვრავს როგორც ინდივიდუალური, ასევე, ეროვნული (სახელმწიფოებრივი) მახასიათებლები და შესაბამისი პასუხისმგებლობები...

საქართველოს ჰელსინკის კავშირი პირველი უფლებადამცველი ორგანიზაცია იყო საბჭოთა

იმპერიაში: ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ როცა დაიწყეს ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა, ამ უფლებებში ეროვნულსაც (საქართველოს დამოუკიდებლობა) გულისხმობდნენ; ისინი არ ასხვავებდნენ პიროვნულ და ეროვნულ უფლებებს /თუ პიროვნულ და სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობებს/; მერაბი და ზვიადი იბრძოდნენ როგორც ადამიანთა პიროვნული უფლებებისათვის, ასევე, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფასეულობებისთვის; ამ ბრძოლაში თავი გაწირეს, შესაბამისად, ისინი ჩვენი დროის ზნეობრივი გმირებიც არიან და ეროვნული გმირებიც.

**ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მომავალში უფრო შეასრულებენ დიდ როლს, როგორც ეს მოხდა წმინდა ილია მართალის შემთხვევაში:**

ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის უფრო მეტი წმინდა ილია მართალმა ფიზიკური სიკვდილის შემდეგ გააკეთა: ერის კონსოლიდაცია გმირის ხორციელი სიკვდილით – თავის განწირვით; მოწამეობრივი სიკვდილით – ერის გამოღვიძება **ქრისტეს მისტერიაა** / სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა/.

არაა შემთხვევითი: წმინდა ილია მართალის, მერაბისა და ზვიადის სიცოცხლე "გოლგოთით" დასრულდა!

5. მერაბ კოსტავა – სილამაზის დამნახავი კაცი – რომანტიკოსი; კარგის დანახვას ცდილობდა ცუდ ადამიანშიც კი; შდრ.: **სპარსული თქმულება:**

ისპაჰანის ბაზარში ძაღლის მძორი ეგდო; ვინც გამოივლიდა, ამბობდა, ფუ, როგორ ყარს... გამოიარა ქრისტემ და თქვა: შეხედეთ, რა ლამაზად ბრწყინავს ამ ძაღლის კბილები...

6. მერაბ კოსტავა – მიმტევებელი:

სუკის უკანასკნელ აგენტშიც კი ცდილობდა, პატრიოტი ქართველი ეპოვა...

7. მაშინდელი ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით საქართველოს მოსახლეობამ მთაწმინდაზე აიყვანა მერაბ კოსტავა; საქართველომ, ასევე, მთაწმინდაზე დაასაფლავა ზვიად გამსახურდია...

**მიუხედავად ამისა, ბევრმა დღემდე არ იცის მათი გმირული სიცოცხლის არსი...**

მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას – ქრისტესმიერი ძმების – ფენომენის გააზრება ჩვენ დღეს უფრო გვესაჭიროება და ხვალ ჩვენს მომავალ თაობებს კიდევ უფრო დასჭირდებათ, რომ ნათლად გაანალიზდეს:

– როცა წავაგეთ, რატომ წავაგეთ;

– როცა გავიმარჯვეთ, როგორ თუ რატომ გავიმარჯვეთ...

**P.S.** 1989 წლის 9 აპრილს ძირითადად ერთიანი იყო საქართველო; მაშინ ზნეობრივად გაიმარჯვა საქართველომ და 9 აპრილის კულმინაციურ წამს მერაბ კოსტავამ ქართველი ერის **უდიდებულესი წამი უწოდა.**

**ტარიელ ფუტკარაძე**, 25 მაისი, 2014 წელი

25 მაისი, 2014 (16 ოქტომბერი, 2020)

## 22 დეკემბერი

2014 წლის 22 დეკემბერს 23 წელი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ ქართველების მცირე ნაწილის გამოყენებით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება – პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს მთავრობა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები. შემდეგ კი ქართველების იმავე ჯგუფის, ასევე, აფხაზებისა და ოსების მცირე ნაწილის გამოყენებით, ხელახლა დაიპყრო აფხაზეთი და ცხინვალის მხარე, საქართველოს ამ მხარეებიდან გამოდევნა ქართველობა, ასევე რუსული ოკუპაციის მოწინააღმდეგე აფხაზები თუ ოსები.

დღემდე მორალურად და იდეოლოგიურად შეიძლება შეფასებულია ბევრი რამ, მაგრამ სასამართლოს წესით არ არის შეფასებული ეს დანაშაული. აუცილებელია მომხდარი დანაშაულის

სასამართლოს წესით შეფასება, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ნებისმიერი ჩინოვნიკი თუ ქუჩის ხულიგანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ციხეში აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყნის დამანგრეველები არ დასჯილან; სახელმწიფოს ნგრევა, რომელიც განხორციელდა 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე და მეტნაკლებად გაგრძელდა 20-ზე მეტი წლის მანძილზე, სამართლებრივად დღემდე არ შეფასებულა; დიდი უკანონობა დღემდე გრძელდება. სწორედ ამიტომ არის არაადეკვატური დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი საქართველოს ინტერესებთან მიმართებით.

22 დეკემბერი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## 9 მარტს დახვრეტილი საქართველო

“დედის ცრემლები ნამად მეფრქვევა, /მამის ფიქრების მადგას ნათელი; / მარადიულად მერგო ეს ხვედრი /და სამარეში ვწევარ ქართველი.”

კიაზო ჭანტურიძე – საბჭოთა იმპერიის მიერ 1956 წლის 9 მარტს დახვრეტილი ჭაბუკი, რომლის მებრძოლმა დედამ საბჭოთა პერიოდშივე მემორიალურ დაფაზე ჯვარი აღბეჭდა და ეპიტაფიაში ხაზი გაუსვა ქართველობისათვის თავგანწირვას...

9 მარტის გამოსვლა ზედაპირულად პროსტალინისტური იყო, მაგრამ არსობრივად ანტისაბჭოთა მოძრაობის განახლების დასაწყისი იყო; 9 მარტს რუსმა კომუნისტებმა ქართველობისათვის დახვრიტეს ქართველები... 9 მარტის სისხლიანმა რეპრესიებმა აქტუალური გახადა და ააღორძინა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ამ მუხტმა ბევრ მაშინდელ ახალგაზრდას გაუჩინა დისიდენტური (ანტისაბჭოთა) მოღვაწეობის სურვილი... ეს სურვილი გმირულ სიცოცხლედ აქციეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. იხ. აგრეთვე:

http://www.sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=1267&lang=geo

10 მარტი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## ახალ თაობას

25 წელი გავიდა საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს არჩევიდან! დღევანდელი პარლამენტის არც ერთი „განშტოება“ არ იხსენებს ამ მოვლენას...

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველომ არასაბჭოთა და მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნებით (რომელიც ჩატარდა აფხაზეთშიც და ცხინვალის მხარეშიც) აირჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოამზადა საქართველოს სახელმწიფოს აღორძინებისათვის აუცილებელი სახალხო განწყობა, ასევე, რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილს ყველა პროცედურის დაცვით გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

1990-93 წლებში დაშლის პირას მყოფმა რუსეთის იმპერიამ დასავლეთს დაუთმო აღმოსავლეთი ევროპა (+ბალტიის ქვეყნები) და ითხოვა, რუსეთის გეოპოლიტიკურ ველში დაეტოვებინა კავკასია, შუა აზიის სახელმწიფოები, უკრაინა და მოლდოვა.

დასავლეთი დასთანხმდა ამ გარიგებას (და დიდი შეცდომაც დაუშვა, რომ ბოლომდე არ მიიყვანა რუსეთის იმპერიის რღვევა და ახლა ასეთი მონსტრი მიიღო).

1992-93 წლებში რუსეთმა ადგილობრივი მცირერიცხოვანი ჯგუფების გამოყენებით იარაღის ძალით დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ჩვენი ხელისუფლება (რუსეთმა მაშინ დაამხო, ასევე, აზერბაიჯანისა და იჩქერიის ხელისუფლებები, რომელთაც დამოუკიდებლობა

სურდათ).

ეს ფაქტი დღემდე სამართლებრივად შეუფასებელია. ამიტომაც ვერ მიდის საქართველოს საქმე წინ: სიცრუის ბატონობისა და უკანონობის ველში სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება და ვერც საქართველოს ინტერესების შესაბამისი პოლიტიკური სპექტრი ვერ ჩამოყალიბდება!

დეპუტატის მოწმობის სურათის გამოქვეყნებით მინდა, ჩემმა სტუდენტებმა, ზოგადად, ახალმა თაობამ ნახოს პირველი მოწვევის ღირსეული უზენაესი საბჭოს (რომელმაც მტერს არ გადასცა სამართალმემკვიდრეობა!) დეპუტატის მოწმობა და კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია არ დაწყებულა 2004 წელს ე. წ. „ვარდების რევოლუციით“ და საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება პირველად არ მომხდარა 2012 წელს.

შეიძლება რომელიმე თაობას დროებით დაავიწყონ უახლესი თუ ძველი ისტორია, წინაპრების გმირული ბრძოლა, მაგრამ დრო ყველასა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ეს ჩემი „უტყვი“ მოწმობაც კი კიდევ მრავალჯერ ალაპარაკდება.




27 ოქტომბერი, 2015

## საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავი

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღმდგენი ხელისუფლება გარეშე ძალების აქტიურობით მალევე დაგვამხეს.

ტრაგიკულ ისტორიას ვერ შევცვლით, მაგრამ უახლოეს მომავალში მაინც უნდა შევძლოთ საქართველოს მოქალაქეებმა, **გავერთიანდეთ იმ ტრადიციული ქართული ღირებულებებისა** (რომლებიც სრულ თანხვედრაშია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ღირებულებებთან) **და ორიენტირების გარშემო,** რომლებიც მომავალშიც გადაარჩენს ქართველების მიერ საუკუნეების

წინ დაფუძნებულ სახელმწიფოსაც და ქართველ ერსაც, რომელმაც მრავალ საუკუნეს გაუძლო. ამ გზაზე აუცილებელია 1992-93 წლებში დამხობილი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობისა და ორიენტირების აღდგენა... ვფიქრობ, სწორედ ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაციის მიმართულებით არის არსებითი ქვემოთ წარმოდგენილი სამეცნიერო კრებულის გამოცემა:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, მეუფე იაკობის კურთხევითა და რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით, გამოიცემა სამეცნიერო კრებული:

**„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.** კრებული ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს.

წიგნის პრეზენტაცია გაიმართება 2016 წლის 9 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

ქართული უნივერსიტეტი 9 აპრილს გიწვევთ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და თქვენი ოჯახის წევრებს; ასევე ყველას, ვისაც გიხარიათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღნიშვნა 9 აპრილს – საქართველოს გამარჯვების დღეს.

**P.S.** თანამედროვე მსოფლიომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო სწორედ 1991 წლის 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე, რამდენადაც ეს აქტი მიღებულ იქნა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე.

***

1991 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები; არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭო – პირველი ეროვნული ხელისუფლება. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი კითხვით: „გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, 1991 წლის 9 აპრილს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება მალევე, 1992 წლის დასაწყისში, გარეშე ძალების ჩარევით დევნილ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანა მოიცვა ანარქიამ და ქაოსმა.

1991 წლის 9 აპრილიდან დღემდე საქართველოსთვის მძიმე 25 წელი გავიდა. სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული და დაფასებული პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საქმიანობა. გარკვეულწილად ამ ხარვეზის შევსებას ემსახურება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ყოველი წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს წევრთა მოწვევა და წინამდებარე სამეცნიერო კრებულის გამოცემა; კერძოდ:

- ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, მეუფე იაკობის კურთხევითა და რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით, უკვე მეხუთე წელია ყოველი წლის 9 აპრილს ქართული უნივერსიტეტი შეხვედრას უწყობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებს.
- ქართული უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრში (ხელმძღვანელი: პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე) გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.

რედაქტორი – სერგო ვარდოსანიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

On October 28 1991, the first multiparty, general and democratic election was held in Georgia and the Supreme Council the first convocation of the republic of Georgia was elected. This very Council represented the first national authority of the country. According to the resolution of the Supreme Council, indepen– dence of Georgia was reestablished on the 9th of April in 1991. Because of the reestablishment of independence, the national authorities were overthrown with the help of outer forces in 1992-93.

25 hard years have passed since April 9 1991. Unfortunately, activities of the Supreme Council of the first convocation have not been evaluated and appre– ciated so far. To somehow fill these gaps, the ceremony is held annually on April

9 at the Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia during which members of the Supreme Council are invited and the scientific collection is published. In particular:

• With the blessing of Bushob Iakob – plenipotentiary representative of his Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop ofBichvinta and Tskhum Abkhazia Ilia II and according to the decision of the rector prof. Sergo Vardo– sanidze, it has been the 5th event organized by the Georgian University to meet the deputies who signed the Act of Independence of Georgia.

• By the decision of the rector of the Georgian University, scientific collec– tion 'Supreme Council of the Republic of Georgia and the Act of Reestablish– ment of Independence on April 9' was prepared for publishing at the Kartvelology Centre of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia (head of the centre: prof. Tariel Putkaradze).

Editor Prof.dr. Sergo Vardosanidze, Doctor of History

**P.S.** მომავალ სუპერგლობალისტურ სამყაროში, მით უმეტეს, საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე დიდი საინფორმაციო ომის პირობებში, ქართველი ერი და საქართველო, როგორც სახელმწიფო, გადარჩება, თუკი საქართველოს მოქალაქეები, ახალი თაობა მაინც, პარტიულობის მიუხედავად გაერთიანდება რამდენიმე მთავარი მიზნის გარშემო:

– დეოკუპაციის პროცესის დასრულება და ტრადიციულად ტოლერანტული/დემოკრატიული/ საქართველოს დამოუკიდებლობის სრულად აღორძინება; საქართველოს სახელმწიფოს ქცევა ცივილიზებული სამყაროს ნაწილად;

– ისეთი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესებსა და მოქალაქეზე (და არა – მოხელეზე) ორიენტირებული ხელისუფლებების შექმნას;

– ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ღირსების დაცვა და ქართული ენის, როგორც ქართველთა მაკონსოლიდირებელი ფენომენის, გადარჩენა /ქართული ენის ტექნოლოგიზების გზით/; საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებითა და მათი უფლებების სრული დაცვით უმცირესობების სრული ინტეგრაცია ქართველ ერში;

– განათლებისა და მეცნიერების დაგეგმვა სწორი ორიენტირებით /საინფორმაციო ომში საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით/:

საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფაში უფრო მეტი რესურსია გასაღები, ვიდრე საქართველოს სამხედრო შეიარაღებაში...

31 მარტი, 2016

## დღეს 28 ოქტომბერია

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში და, ამავე დროს, ერთ-ერთი იშვიათია, რომელმაც სახელმწიფო შექმნა ჯერ კიდევ ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში (იხ., კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები) და დღემდე შეინარჩუნა. საქართველომ დამოუკიდებლობა რამდენჯერმე დაკარგა, მაგრამ დამოუკიდებლობაც დაიბრუნა და სახელმწიფოც ისევ აღორძინა. XIX-XX საუკუნეებში საქართველო ორჯერ გახდა რუსეთის

აგრესიის მსხვერპლი:

რუსეთი იმპერიამ საქართველო პირველად დაიპყრო 1801 წელს. საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა 1918 წლის 26 მაისს, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა სამი წლის შემდეგ ისევ იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო. მხოლოდ 70 წლის შემდეგ – 1991 წლის 9 აპრილს – შეძლო ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობის აღდგენა. 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებას წინ უძღოდა საერთო-სახალხო რეფერენდუმი, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაანახვა საქართველოს მოსახლეობის საუკუნოვანი ნება, რომ სურს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება.

საქართველოს ბოლო ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ხელმძღვანელობდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ხელისუფლება – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მოღვაწე ზვიად გამსახურდია; მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1991 წლის 26 მაისს ის საქართველოს პრეზიდენტად აირჩია.

საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებმა იარაღის ძალით დაამხეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, მოკლეს პრეზიდენტი და შეეცადნენ, საქართველო დაებრუნებინათ რუსულ იმპერიულ სივრცეში, მაგრამ რეფერენდუმით დადასტურებულ ქართველი ერის ნებას წინ ვეღარავინ აღუდგა.

ქართველმა ერმა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოს ყველაზე გამორჩეულ ადგილას – გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში – დაკრძალა.

სამწუხაროდ, საქართველოს შემდგომი ხელისუფლებების მიერ (დღემდე) ფაქტობრივად იგნორირებულია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღვაწლიცა და პირველი მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების დამსახურებაც. კარგი იქნება, თუკი საქართველოს რომელიმე გამორჩეულ ადგილას, რომელიმე ტაძრის ეზოში მოინახება ადგილი, სადაც გადმოვასვენებთ საქართველოსთვის თავგანწირულ და აწ უკვე გარდაცვლილ იმ დეპუტატებს (უზენაესი საბჭოს წევრებს), რომელთაც 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა – ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, აქტს, რომლის საფუძველზეც საქართველოს დამოუკიდებლობა სამუდამოდ ცნო ცივილიზებულმა მსოფლიომ.

28 ოქტომბერი, 2015

## რამდენად ლოგიკურია 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავის აღნიშვნა?

ეროვნულ დღესასწაულებს შორის უპირველესია სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა. ზოგადად, ეროვნულ დღესასწაულებს, სულ მცირე, ორი დატვირთვა აქვს:

– ეროვნული/რელიგიური დღესასწაულები ორიენტირებია მომავალი თაობებისა და სახელმწიფოს, ერის განვითარებისათვის;

– ეროვნული/რელიგიური დღესასწაულები მოცემული სახელმწიფოს სახეა (სავიზიტო ბარათია) დანარჩენი მსოფლიოს თვალში...

შესაბამისად, არსებითია, საქართველოს ხელისუფლებამ სწორად განსაზღვროს თავისი არსებითი ორიენტირები, სამომავლო სტრატეგიაც, სახელმწიფოებრივი სიმბოლიკაც და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაც... უმთავრესი ორიენტირია სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღის კვალიფიკაცია.

**ამ შესავლის ფონზე ვამბობ:**

უცნაურია, რომ 2016 წლის 26 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ საზეიმოდ აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი, მაშინ, როცა 25 წლის წინ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებია; შდრ., რეალური ფაქტები ასეთია:

– 25 წლის წინ 26 მაისს საქართველომ დემოკრატიული და საყოველთაო არჩევნებით აირჩია

პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია;

– 98 წლის წინ 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – დაფუძნდა პირველი რესპუბლიკა;

– საქართველოს სახელმწიფო დაფუძნდა – საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სულ მცირე, 23 საუკუნის წინ...

ერისა თუ სახელმწიფოს მყარი ორიენტირები საუკუნეების მანძილზე ყალიბდება (რამაც გადაგვარჩინა!), გამორჩეული თარიღებიდან ეროვნულ სადღესასწაულო დღედ კი დგინდება/მკვიდრდება ისეთი თარიღი, რომელიც სიმბოლურად წარმოაჩენს ერის/სახელმწიფოს მისწრაფებებს, რაც მთავარია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, თუ რა მოტივით აქვთ გამორჩეული ეროვნული დღესასწაულები მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებს. ჩვენი დაკვირვებით, მსოფლიოში დამოუკიდებლობის დღედ კვალიფიცირება ხდება ძირითადად სამი საფუძვლით, კერძოდ: სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღედ აცხადებს:

– **ან მოცემული სახელმწიფოს დაფუძნების დღეს,** მაგ., შვეიცარიისათვის – 1 აგვისტო: კონფედერაციის დაფუძნების დღე; **შეერთებული შტატებისათვის** – 4 ივლისი: 1776 წლის 4 ივლისს დაფუძნდა ამერიკის შეერთებული შტატები; **ბრაზილიისათვის** – 7 სექტემბერი: 1822 წელს ამ დღეს გამოცხადდა ბრაზილიის დამოუკიდებლობა; **აზერბაიჯანისათვის** – 28 მაისი: 1918 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაფუძნების დღე (1918 წლამდე ეს სახელმწიფო არც არსებობდა!); **ტაჯიკეთისათვის** – 9 სექტემბერი: 1991 წელს დე იურე დაფუძნდა ეს სახელმწიფო...

– **ან ბოლოჯერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს;** მაგ., **ესპანეთისათვის** –12 ოქტომბერი: 1492 წელს მაჰმადიანთა ბატონობისგან საბოლოოდ გათავისუფლების დღე; გერმანიისათვის – 3 ოქტომბერი: 1990 წელს გერმანიის დამოუკიდებლობის სრულად აღდგენისა და გერმანიის გაერთიანების დღე; **საბერძნეთისათვის** – 25 მარტი: 1821 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; **სომხეთისათვის** – 21 სექტემბერი: 1991 წლის 21 სექტემბერს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით ჩატარებული რეფერენდუმის დღე და სხვ.

– **ანდა, გამორჩეულ ისტორიულ დღეს; მაგ., საფრანგეთისათვის** –14 ივლისი: 1789 წელს ბასტილიის ციხის აღების დღე; **ავსტრიისათვის** – 26 ნოემბერი: 1955 წელს მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადების დღე; **ბულგარეთისათვის** – 3 მარტი: 1878 წელს ოსმალეთისაგან განთავისუფლების დღე; **ჩეხეთისათვის** – 9 მაისი: გერმანელი ფაშისტებისაგან განთავისუფლების დღე (შდრ., სახელმწიფო ადრეც ჰქონდათ; 1945 წლიდან 1990 წლამდე კი ოკუპირებული იყო რუსეთის მიერ)...

დამოწმებულ მასალებს თუ შევადარებთ საქართველოს ისტორიას, აღმოჩნდება, რომ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნით საქართველოს ხელისუფლება ნებსით თუ უნებურად საქართველოს დიდ ისტორიას ჩქმალავს და საქართველოს უთანაბრებს, მაგ., მეზობელ აზერბაიჯანს, რომელსაც 1918 წლამდე არასოდეს ჰქონია სახელმწიფოებრიობა.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის თუ ხელისუფლების ულოგიკო გადაწყვეტილებაა, რადგანაც:

1. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა (რომელიც დროებით დაიკარგა 1801-1917 წლებში რუსული ოკუპაცია-ანექსიით); შდრ.: დიდი ალბათობით, ქართველთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა აიეტის დროს – 33 საუკუნის წინ; ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფო არსებობდა, სულ მცირე, 23 საუკუნის წინ – ქუჯისა და ფარნავაზის დროს;

2. 1918 წლის 26 მაისიდან გასულია არა 25, არამედ 98 წელი;

3. ზოგი თვლის, რომ 26 მაისი არის დამოუკიდებლობის აღდგენის საზეიმო დღე, იმიტომ, რომ დე იურე მას შემდეგ საქართველოს რესპუბლიკა არ გაუქმებულაო – დამოუკიდებელი იყოო (ეტყობა ასეთებს ჰგონიათ, რომ კომუნისტურ იმპერიაში საქართველო ნებით იყო შესული ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკად)... მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, 26 მაისი უნდა დარჩეს დამოუკიდებლობის დღედ იმიტომ, რომ ნოე ჟორდანიას ხელისუფლებას დე იურე კაპიტულაცია არ გამოუცხადებია და დე იურე საქართველო დამოუკიდებელი იყოო... ასეთ „ლოგიკოსებს“ შევახსენებ, რომ 1921 წლიდან საქართველო დე ფაქტო ანექსირებული იყო,

ხოლო 1933 წლიდან საქართველო მთელმა მსოფლიომ ცნო სსრ კავშირის ნაწილად (ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით). ამგვარი მიდგომებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისის გამოცხადება მომავალი თაობების მადეზორიენტირებელი იქნება და არა – სწორი ორიენტირი; მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ბოლშევიკურ რუსეთზე სასტიკი დამპყრობელი არ ჰყოლია.

4. ფაქტია, რომ დე იურეც და დე ფაქტოც საქართველომ დამოუკიდებლობა ბოლოჯერ აღიდგინა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე; ეს აქტი /დამოუკიდებლობის აღდგენა/ დაეფუძნა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმს; რეფერენდუმი კი ჩატარდა კითხვით: **„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“;** ამ კითხვით ხაზი გაესვა საბჭოთა ოკუპაციას, ასევე, რესპუბლიკის აღდგენის აუცილებლობას/შესაძლებლობას (და არა – სამეფო დინასტიისას); შდრ.: ორგვარი შესაძლებლობა იყო: აღდგენილიყო სამეფო დინასტია და მონარქიული სახელმწიფო, ანდა – რესპუბლიკა... ჩვენ ეს უკანასკნელი ვარჩიეთ, რამდენადაც ეს უფრო რეალური და მიღწევადი იყო; შესაბამისად, 26 მაისი არის ისტორიული თარიღი – წასული თარიღი; ამ დღეს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აღდგენა სამი წლის შემდეგ ისევ ოკუპაცია-ანექსიით შეიცვალა; **9 აპრილი კი ცოცხალი თარიღია** – 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დღემდე ძალაშია და, უფლის ნებით და ქართველთა გონიერებით, სამუდამოდ ძალაში იქნება.

5. 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტშიც და 1991 წლის გარდამავალი პერიოდის საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ საქართველო არის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო; ხოლო 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არის რესპუბლიკა (ფაქტობრივად, მესამე რესპუბლიკა); თანამედროვე მსოფლიოც საქართველოს ცნობს, როგორც 1991 წლის 9 აპრილს წარმოქმნილ სახელმწიფოს (ფაქტია: საქართველოს დამოუკიდებლობა მთელმა მსოფლიომ ცნო 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე – სსრ კავშირის დაშლის შემდეგ).

ვფიქრობ, საქართველო განვითარების შეუქცევად გზას მანამდე ვერ დაადგება, სანამ არ ეყოლება **განათლებული და სახელმწიფოებრიობის ერთგული პოლიტიკური სპექტრი** (იშვიათი პოლიტიკოსები თუ მოღვაწეები საკმარის ფონს ვერ ქმნიან!); შესაბამისად, ძლიერი პოლიტიკური რყევები მანამდე გაგრძელდება, სანამ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი/ხელისუფლება არ აღიარებს რეალობას და ადეკვატურად არ დააფასებს 1991 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ეროვნული ხელისუფლების ღვაწლს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამსახურებასა და, ასევე, იმ დანაშაულს, რომელიც 1991-95 წლებში იქნა ჩადენილი რუსეთის ფედერაციისა და დსთ-ს (თუ რუსეთის) მხარდამჭერი ძალების მიერ, რაც გამოიხატა დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების დამხობით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობით, აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ხელახალი ანექსიის მცდელობით და ამ მხარეებში საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე მოქალაქეების გენოციდით.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ:

საქართველოსათვის 26 მაისი არ არის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე იმიტომ, რომ **26 მაისს არ დაფუძნებულა საქართველოს სახელმწიფო; 26 მაისი არის მხოლოდ სამწლიანი პირველი რესპუბლიკის დაფუძნების დღე** (მეორე რესპუბლიკა დე იურე დააფუძნეს ბოლშევიკებმა, მესამე კი დაფუძნდა 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით). 26 მაისი ნამდვილად არ არის არც **დიდგორის ბრძოლასავითა თუ ბასტილიის ციხის აღებასავით** (საფრანგეთი) გამორჩეული დღე და არც **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ბოლო დღე...**

შესაბამისად, თუ ჩვენ გვინდა ახალ თაობებსა თუ მსოფლიოს დავანახვოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორია და ჩვენი სამომავლო ორიენტირები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღედ უნდა გამოვაცხადოთ:

– **ან 9 აპრილი, როგორც რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევის დღე** – მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს დამფუძნებელი ქართველი ერის მიერ რეფერენდუმის საფუძველზე აღდგენილი დამოუკიდებლობის დღე (გერმანიისა თუ სომხეთის მსგავსად);

– **ან დიდგორში გამარჯვების დღე – 12 აგვისტო,** როგორც მუსლიმანთა ექსპანსიაზე საბოლოო

გამარჯვების დღე (ესპანეთის მსგავსად); **ანდა ავიღოთ სიმბოლური თარიღი და ქუჯისა და ფარნავაზის მიერ 23 საუკუნის წინ საქართველოს** (ქართლის, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან ხუნანამდე) დამოუკიდებლობის აღდგენის უკვდავსაყოფად გამოვაცხადოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღედ.

**P.S.** ნამდვილად ულოგიკოა ის, რომ 26 მაისს აღინიშნოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი მაშინ, როცა 25 წელი გავიდა 1991 წლის 9 აპრილიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან კი, სულ მცირე, 23 საუკუნე.

ეგებ მომავალში მაინც გავასწოროთ ეს ულოგიკობა!

**P.P.S.** ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი/პოლიტიკური ჯგუფი საშიშია ჰიუგოს გემზე აშვებული ზარბაზანივით, წარსულში ჩარჩენილი კი არავის სჭირდება. ის, ვინც არავის ესაჭიროება, ან ბოღმით მოკვდება, ანდა პესიმიზმით; ის ვინც ფესვებს მოსწყდება, უთუოდ სასიკვდილოდ დაეწარცხება.

დავეფუძნოთ წარსულს, აწმყოსმიერი მოცემულობა გავიაზროთ და დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც წინ წავალთ... ახლა მაინც დროა, პოლიტიკური სპექტრი, შესაბამისად, ჩვენი ხალხი კონსოლიდირდეს უმთავრესი გამოწვევების საპასუხოდ.

24 მაისი, 2016

## 25 წელი მოსეს უდაბნოში

1991 წლის 22 დეკემბრიდან 25 წელი გავიდა!

1991-92 წლების მიჯნაზე რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო საქართველოს დამოუკიდებლობა და რუსეთის იმპერიის ველიდან გამოსვლის მცდელობა! ამას მოჰყვა აფხაზეთსა და ცხინვალში ქართველების გენოციდი!

მსოფლიო დუმდა!

შემდეგ იყო გროზნოს ტრაგედია და ჩეჩენთა გენოციდი!

მსოფლიო დუმდა, მაგრამ ამას მოჰყვა ტყუპების ტრაგედია!

შემდეგ ისევ სისხლიანი ტრაგედიები წინა აზიაში!

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ ამ სისხლისღვრებში!

ბოლოს მშვიდობიან ქრისტიანთა ხოცვა სირიაში, ალეპოს მუსლიმანთა საშინელი ტრაგედია, ევროპისა და თურქეთის ტერაქტების სერია...

სიბრალული აუცილებელია ყველა უდანაშაულო მსხვერპლის მიმართ, თუმცა, გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, რომელიც გვეუბნება, რომ ჩვენი პასიურობაცაა ამ ყველაფრის მიზეზი!

ჩვენ, მსოფლიოში მცხოვრები წესიერი საზოგადოება, საშუალებას ვაძლევთ მაფიოზურ კლანებს, მართონ სახელმწიფოები და მსოფლიოს თავს მოახვიონ კრიმინალური „თამაშის წესები“ –„ანტიწესრიგი“: ინდივიდუალური ტერორი და სახელმწიფო ტერორი!

სამწუხაროდ, ყველა ვერ ხედავს, რომ ტერორიზმი მოდის დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების – დიდი ქვეყნების – ხელისუფლებათა კრიმინალური (და არამხოლოდ ამბიციური!) პოლიტიკიდან, რასაც შესაძლოა, მთელი კაცობრიობა შეეწიროს.

25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მალტის გარიგებით ხელფეხგახსნილ რუსეთს საშუალება მიეცა, სისხლიანი აგრესიით დაემხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება და საქართველო ისევ დაებრუნებინა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში!

მსოფლიო დუმდა ჩვენი ტრაგედიის დროს და ამ დუმილმა არანაკლები ტრაგედიები მოუტანა მსოფლიოს...

25 წლის წინ მომხდარი დანაშაული – კანონიერი ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დაქცევა დღემდე არაა სამართლებრივად შეფასებული!

უსამართლოა მსოფლიო პოლიტიკა, მაგრამ სამართლიანი – ღმერთი!
https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/

21 დეკემბერი, 2016

## სისხლიანი 25 თებერვალი ერთი ნათელი სხივით

25 თებერვალი: თეთრ-წითელი რუსული ოკუპაცია საქართველოს მმართველი ელიტის სისუსტის ფონზე. იმედია, ეს აღარ განმეორდება არც უახლოეს და არც შორეულ მომავალში!

1. ირან-ოსმალეთის მიერ გამწარებული და დასუსტებული ქართველი მეფე-მთავრების უმრავლესობა მოტყუვდა რუსეთის შეთეთრებულ-შენიღბული ბინძური პოლიტიკით და 1801-1885 წლებში კავკასიაში დამკვიდრდა სისხლიანი რუსული იმპერია.

2. 1918 წელს კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური ქაოსის დროს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ, მალევე, ნოე ჟორდანიას ხელისუფლების მიერ გამოცხადებული თვითიზოლაციური "ნეიტრალიტეტით" საქართველოს განაწილებისათვის გზა გაეხსნათ თურქეთსა და რუსეთს; დედაქალაქი კი დაიპყრო ლენინ-სტალინის წითელმა რუსეთმა, რომელმაც, დეზორიენტირებული სერგო ორჯონიკიძეების დახმარებით, 1921 წლის 25 თებერვალს სისხლიანი გზით დაამხო ნოე ჟორდანიას მთავრობა და საქართველო სსრ კავშირის სახელით აღორძინებულ რუსულ იმპერიაში დააბრუნა სამწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ.

3. არასოდეს შეწყვეტილა საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; გასული საუკუნის 80-იან წლებში ეროვნულმა მოძრაობამ დიდ წარმატებას მიაღწია და ამერიკასთან ცივ ომში დასუსტებული საბჭოთა კავშირის დაშლაში გარკვეული წვლილი შეიტანა 1989 წლის 9 აპრილის დიდგორით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმითა და 1991 წლის 9 აპრილის "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით". 1992-93 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობა ისევ გეოპოლიტიკურ გარიგებებს შეეწირა: იმხანად რუსეთმა, დასავლეთს დაუთმო რა აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა რესპუბლიკები, დასავლეთისაგან მიიღო ირიბი უფლება, ნაწილობრივ აღედგინა სსრ კავშირი და შექმნა დსთ, რომლის წევრობაზე უარი განაცხადა საქართველომ, ამიტომ 1992-93 წლებში რუსეთმა ახალი ორჯონიკიძეების (შევარდნაძე, კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი, ყარყარაშვილი...) გამოყენებით დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს ხელისუფლება და 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებისათვის დასაჯა ქართველი ერი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდით, ეროვნული მოძრაობის საყრდენი კუთხის – სამეგრელოს – აოხრებითა და ეროვნული მოძრაობის განადგურებით. ახალმა ორჯონიკიძეებმა საქართველო დსთ-ში შეყვანილად გამოაცხადეს.

4. 2005-2008 წლებში საქართველომ მკვეთრი ნაბიჯები გადადგა ნატოს წევრობისაკენ, ამიტომაც, უიდეოლოგიო (უფერო!) რუსეთი 2008 წლის აგვისტოს ომით შეეცადა, საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების ოკუპაციასაც, მაგრამ ცივილიზებულმა დასავლეთმა ამჯერად რუსეთი შეაჩერა.

5. დღეს საქართველოს ტერიტორიის მეოთხედი ისევ ოკუპირებულია რუსეთისაგან, თუმცა რუსეთს არა აქვს პირდაპირი სახმელეთო კავშირი გუიმრის ბაზასთან, რომელიც რუსული იმპერიული ინტერესების მთავარი საყრდენია; შესაბამისად, რუსეთს სურს საქართველოს ხელახალი სრული ოკუპაცია, რომ სომხეთის ტერიტორიამდე დაუბრკოლებლად ჰქონდეს სახმელეთო/სარკინიგზო მისასვლელი, რომ სრულად აკონტროლოს კავკასია. ამიერკავკასიის გზაჯვარედინის, ენერგომატარებლების... სრულად კონტროლს დასავლეთი უკვე აღარც დაუშვებს; დღეს, საბედნიეროდ, ცივილიზებული დასავლეთი თავისი ინტერესებიდან გამომდინარეც, საქართველოს ღია მოკავშირეა და გვეხმარება რუსული ოკუპაციისაგან თავის დაღწევაში.

იმედია, საქართველოს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, ზოგადად, ქართველი ერი (საქართველოს მოქალაქეთა ერთობა!) აღარ დაუშვებს ახალ რუსულ სრულ ოკუპაციას; რუსეთი საქართველოზე სრულ კონტროლს თუკი დაამყარებს, დიდი ალბათობით, საბოლოოდ მოსპობს საქართველოს სახელმწიფოსაც და ქართველ ეთნოსსაც.

ეს ბევრს გააზრებული არა აქვს, თუნდაც, ზოგი დეზორიენტირებული (ისტორიკოსიც კი) 1992-93 წლებში რუსულ ოკუპაციას დღემდე "სამოქალაქო ომს" ეძახის! ამიტომაც, აუცილებელია, 1992-93 წლებსა და 2008 წელს განხორციელებული რუსული აგრესია სამართლებრივად (სასამართლოს წესით!) შეფასდეს.

25 თებერვალი საქართველოსათვის რუსული ოკუპაციის დღეა.

**P.S.** 1921 წლიდან შავ 25 თებერვალს 1984 წელს ჩემთვის ერთი გამოკვეთილი ნათელი სხივიც დაეცა: ამ დღეს დაიბადა ჩემი ნათია.

25 თებერვალი, 2017

## 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

### 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ღირსეული დაბრუნების უზადო სტრატეგიის საფუძველი

კოლეგებო, ბატონებო და ქალბატონებო!

ჩვენი დღევანდელი საზეიმო შეხვედრა განსაკუთრებულად დაიგეგმა:

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებთან შეხვედრაზე მოვიწვიეთ მომდევნო მოწვევის პარლამენტების დეპუტატებიც და საზოგადოების წარმომადგენლებიც; ჩვენი დარბაზი ფაქტობრივად საქართველოს მთელ პოლიტიკურ სპექტრს ასახავს; ჩვენ დღეს აქ ერთად ვართ... ჩემი პირველი ასოციაცია ასეთია:

ჩვენ, ყველანი, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა დღეს ცოცხალი თაობები, ამჟამად ვართ მოსეს უდაბნოში: მოსეს უდაბნოს გადალახვას სულ 3 თვე ესაჭიროებოდა, მაგრამ მონობაში დაბადებულ დეზორიენტირებულ, ურთიერთდაპირისპირებულ ხალხს 40 წელი დასჭირდა...

ასე ვართ ჩვენც, 26 წელია სისხლიან უდაბნოში ვხეტიალობთ იმიტომ, რომ აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რაც გვაშორებს და არა იმაზე, რაც გაგვაერთიანებს.

საქართველო დღეს დეოკუპაციის პროცესშია; წინ კიდევ გველის პრობლემები, ამიტომ არსებითია ჩვენი კონსოლიდაცია უახლოესი თუ მომავალი არსებითი გამოწვევების დასაძლევად. ჩვენ ეს შეგვიძლია, ჩვენ ძლიერი ერის თანამედროვე თაობა ვართ; კერძოდ:

მსოფლიოში 5000-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფია; ამათგან ორასამდემ თუ შეძლო, დაეარსებინა სახელმწიფო; ამ 200 ეთნოსიდან კი ქართველი ერი იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომლის მიერ დაარსებული სახელმწიფო –ქართლი/საქართველო – სულ მცირე, 23 საუკუნეს ითვლის (ქუჯისა და ფარნავაზის ქართლი); თუმცა, ათვლას თუკი დავიწყებთ ლეგენდარული აიეტის სახელმწიფოდან, ქართველთა სახელმწიფოებრივი ისტორია 35 საუკუნეს გადასწვდება. საქართველო მსოფლიოს ძლევამოსილი სახელმწიფო იყო XII-XIII საუკუნეებში. საქართველო ზოგჯერ ოკუპირებულიც იყო; შესაბამისად, საქართველოს რამდენჯერმე მოუხდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს ბოლო ოკუპანტია კომუნისტური რუსეთი, რომელმაც საქართველო დაიპყრო 1921 წელს. სამწუხაროდ, 1934 წელს ერთა ლიგამ, ბალტიის სამი სახელმწიფოსაგან განსხვავებით, საქართველო სსრ კავშირის ნაწილად ცნო; შესაბამისად, სამართლებრივად ძალიან გართულდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა.

**მოკლედ ბალტიის სახელმწიფოების შესახებ:** 1939 წელს საბჭოთა კავშირმა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შესაბამისად მოახდინა ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია და ანექსია.1940 წლის 23 ივლისს შეერთებული შტატების ხელისუფლებამ სიმპსონის დოქტრინა განავრცო ბალტიის რესპუბლიკებზეც, რაც გულისხმობდა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის არცნობას საბჭოთა კავშირის ნაწილად. ამავე დროს აშშ-მა 1990 წლამდე შეინარჩუნა ბალტიის ქვეყნების

დამოუკიდებელი საელჩოები[1]. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების "არაღიარების პოლიტიკა" გახდა საფუძველი 1991 წელს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დეოკუპაციისა; კერძოდ, 1989 წლის 2 დეკემბერს მალტაში, კრეისერ "მაქსიმ გორკიზე" ბუშისა და გორბაჩოვის მოლაპარაკება დასრულდა აღმოსავლეთ ევროპის საკითხზე შეთანხმებით:

მალტის შეხვედრიდან სამი კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ – გორბაჩოვის ხელისუფლებამ – 1989 წლის 24 დეკემბერს უკანონოდ ცნო 1939 წელს ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია და ანექსია მაშინდელი საბჭოთა კავშირის მიერ. პარალელურად, 1990 წლის გაზაფხულზევე ბალტიის ქვეყნებმა დაიწყეს დამოუკიდებლობის დეკლარირება (ლიტვა –1990 წლის 11 მარტი; ლატვია –1990 წლის 4 მაისი; ესტონეთი –1991 წლის 20 აგვისტო);

მომდევნო წელს კი, 1991 წლის 6 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ცნო ბალტიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ბალტიის ქვეყნების კონტექსტში ჩვენთვის არსებითია საერთაშორისო პოლიტიკის ერთი "ნიუანსი":

1991წლის6სექტემბერს,ბალტიისსახელმწიფოებისგარდა,დამოუკიდებლობაგამოცხადებული ჰქონდათ: საქართველოს, სომხეთს, მოლდოვას, უკრაინას, ბელორუსიასა და უზბეკეთს. ამისდა მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა; აშკარაა, რომ ეს აღიარება/არაღიარებები მალტის გარიგების შედეგები იყო.

ბუნებრივია, ზვიად გამსახურდიამ და თითოეულმა ჩვენგანმა – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურმა წარმომადგენლებმა – ვიცოდით მალტის შეხვედრაზე რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკების ზოგადი წახნაგები, რაც გამოიხატებოდა პირველ ეტაპზე რუსეთის მიერ მხოლოდ ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებაში[2]; შესაბამისად, ზვიად გამსახურდია ცდილობდა, სამართლებრივად სწორად გადაედგა ნაბიჯები, რომ დასავლეთს გაადვილებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აღიარებაც. ზვიად გამსახურდიას (ზოგადად, პოლიტიკური გაერთიანების – "მრგვალი მაგიდის") გრძელვადიანი სტრატეგია რამდენიმე საფეხურს მოიცავდა:

პირველი: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა მოსვლა საქართველოს ხელისუფლებაში არჩევნების გზით და საქართველოს დეოკუპაციის პროცესში გარდამავალი პერიოდის გამოცხადება;

მეორე: საყოველთაო რეფერენდუმის ორგანიზება საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით; კერძოდ: რამდენადაც ერთა ლიგის მიერ საქართველო 1934 წელს აღიარებული იყო საბჭოთა იმპერიის ნაწილად, აუცილებელი იყო მსოფლიოს წინაშე საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო რეფერენდუმის გზით დაედასტურებინა, რომ სურდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე;

მესამე: რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დე იურე გამოცხადება და სსრ კავშირში უკანონოდ (იძულებით) ყოფნის დასრულება;

მეოთხე: მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამდე საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნება, ახალი კონსტიტუციის მიღება და მის საფუძველზე ახალი არჩევნების ჩატარება.

ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმატებით გაიარა პირველი საფეხური – მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა ბლოკმა: "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"; 1990 წლის 14 ნოემბრის პირველივე სესიაზე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი;

ზვიად გამსახურდიასვე ხელმძღვანელობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, მთავრობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ღირსეულად გაართვეს თავი მეორე ამოცანას – რეფერენდუმის ორგანიზებას; საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის აუცილებლობა წარმოაჩინა კრემლის მიერ 1991 წლის 17 მარტს ჩატარებულმა რეფერენდუმმაც, რომელშიც მონაწილეობა არ მიიღო საქართველომ.

1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება კი იყო სიმბოლური აქტი, რომელმაც 9 აპრილი ქართველი ერის ისტორიაში დაამკვიდრა, როგორც საქართველოს

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე.

კრემლიც თავისი გეგმით მიდიოდა:

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ლიდერები შეიკრიბნენ ბელორუსიაში, ბელოვეჟში და ხელი მოაწერეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" შექმნის ხელშეკრულებას. ბალტიის ქვეყნები და საქართველო არ გაწევრიანდნენ თანამეგობრობაში. საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით დსთ-ს შექმნის პროცესი დასრულდა ალმა-ათაში:

1991 წლის 21 დეკემბერს ყაზახეთის დედაქალაქში ეუთოს დამფუძნებლებმა მიიწვიეს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურები, გარდა ბალტიის ქვეყნებისა; საქართველოს გარდა, ყველა სხვა რესპუბლიკამ ხელი მოაწერა დსთ-ში გაწევრიანებაზე. ფაქტობრივად ამავე დღეს გადაწყდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ბედი: 22 დეკემბრიდან დაიწყო სამხედრო შეტევა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პერმანენტული მიტინგებით ცდილობდა, მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის აღიარებამდე შეენარჩუნებინა ფართო საზოგადოების ერთიანობა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა რამდენიმე მიზეზის გამო:

– საბჭოთა კავშირმა ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ვეღარ შეძლო სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის შეჩერება; განსაკუთრებით სერიოზული პრობლემები შექმნა საქართველოში ჩატარებულმა რეფერენდუმმა. რუსეთმა დასავლეთელი პარტნიორების თანხმობით (მალტის გარიგებით უკვე დასრულებული იყო "ცივი ომი"!) დაგეგმა საბჭოთა კავშირის ტრასფორმაცია დსთ-დ; შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატებიც და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებიც, ახალი ბირთვული სახელმწიფოების წარმოქმნის შიშით, მხარს უჭერენ საქართველოსა და სხვა 10 რესპუბლიკის დარჩენას დსთ-ში – რუსეთის გეოპოლიტიკურ ველში; შესაბამისად, დასავლეთმა რუსეთს ირიბი სანქცია მისცა, კონტროლო დაემყარებინა საქართველოზეც; ამ ფაქტმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსები გაუზარდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოპონენტებს.

– 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთი დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურებს თავის საინფორმაციო საშუალებებსა თუ საქართველოში არსებულ საბჭოთა კავშირის აგენტურულ ქსელს და ცდილობს საქართველოს მოსახლეობის დეზორიენტირებას (იმხანად რუსეთმა მოიგო საინფორმაციო ომი!);

– საქართველოში არსებული გარკვეული კლანები თუ ჯგუფები ცდილობენ, მოვიდნენ ხელისუფლებაში, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ პრივატიზაციის (სინამდვილეში – "პრიხვატიზაციის") პროცესში; შესაბამისად, დგებიან იმპერიული კრემლის სამსახურში;

– რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურებს მე-5 კოლონას: აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში არსებულ პრორუსულ ძალებს: აფხაზთა, სომეხთა, ქართველთა და ოსთა ერთ ნაწილს (არა ყველა აფხაზსა თუ ოსს);

– რუსეთი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურებს საქართველოში არსებულ კრიმინალურ ძალებსა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმატებებით დაბოღმილი ოპოზიციური პარტიების ერთ ნაწილს.

1991 წელს ძალიან მოკლე დროში საქართველომ სამართლებრივად სწორი ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე (რეფერენდუმი, დამოუკიდებლობის აღდგენა; საბჭოთა კავშირის სამხედრო შენაერთებისათვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭება...); ზვიად გამსახურდიამ შეძლო, ასევე, საპარლამენტო უმრავლესობის შენარჩუნება, ამიტომაც, რუსეთს სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა სამხედრო გადატრიალების ორგანიზებისა:

კრემლმა სამხედრო ძალით (ქართველთა ერთი ნაწილის გამოყენებით) 1992-93 წლებში დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ, აზერბაიჯანის მსგავსად, ვერ შეძლო მის მიერ ხელისუფლებაში დასმული შევარდნაძის კლანისათვის ძალაუფლება ლეგიტიმური გზით გადაეცა: საქართველოს რესპუბლიკის დევნილ ხელისუფლებას სამართალმემკვიდრეობა არავისათვის არ გადაუცია და დე იურე დღემდე განაგრძობს არსებობას.

რუსეთის სამხედრო შენაერთების დახმარებით საქართველოს ხელისუფლებაში მყოფმა შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა 1994 წლის 1 მარტს ე.წ. "იმედის პარლამენტის" სახელით

საქართველო დსთ-ს წევრად გამოაცხადა. მხოლოდ 14 წლის შემდეგ, 2009 წლის 18 აგვისტოს, სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველო დსთ-დან გამოსულად გამოაცხადა; შდრ.: საქართველო დსთ-ს წევრად არასოდეს უცვნია საქართველოს დევნილ კანონიერ ხელისუფლებას.

დღეს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უკვე აღიარებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსგან. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების საფუძველი კი არის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – ზვიად გამსახურდიას გრძელვადიანი პოლიტიკური სტრატეგიული გეგმის ორი შემადგენელი; თუმცა, საქართველოს ორი მხარე – აფხაზეთი და ცხინვალის მხარე – ისევ ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

ცივილიზებულ სამყაროს საქართველოს ამ მხარეების მიმართ ისეთივე არაღიარების პოლიტიკა უჭირავს, როგორც ეს იყო გასულ საუკუნეში ბალტიის ქვეყნების მიმართ; შესაბამისად, დიდი ალბათობით, დასავლეთის მხარდაჭერით საქართველო მალე შეძლებს ამ ორი მხარის დე ფაქტო დაბრუნებას – დეოკუპაციას.

არსებითია იმის გააზრებაც, რომ ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვების შემდეგ რუსეთის გეოპოლიტიკური განფენილობა ახლა გარდამავალ ეტაპზეა: რუსეთს სურს, დსთ-ს ფარგლებში უფრო გააძლიეროს გავლენა და დსთ ფედერაციის ფორმატის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად აქციოს; ამ დროს დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა ნაწილი რუსული იმპერიული ველიდან სრულ გათავისუფლებას ესწრაფვის, მაგ., უკრაინა, აზერბაიჯანი...

რუსეთი თუკი შეძლებს დსთ-ს თუნდაც კონფედერაციული ტიპის სახელმწიფოდ ქცევას, საქართველოსადმი რუსეთის აგრესიის პერსპექტივა არსებითად გაიზრდება, რადგან საქართველოს ტერიტორიის კონტროლის გარეშე რუსეთი კავკასიას ვერ შეინარჩუნებს;

რუსეთი დსთ-ს თუკი ვერ შეინარჩუნებს, საქართველოს მაინც ძვირად დაუსვამს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დეოკუპაციას; შესაბამისად, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქართველოს წინ ელის ახალი დაბრკოლებები და ამიტომაც არსებითია ქართველთა, საქართველოს მოქალაქეთა მყარი კონსოლიდაცია; წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ყველა მოქალაქე თუ ყველა პოლიტიკური სეგმენტი ერთად დავმარცხდებით რუსეთის ახალი აგრესიის პირობებში. მხოლოდ ჩვენი ერთიანობით მივაღწევთ, ისე მოვაწყოთ საქართველო, რომ შესაძლებელი იყოს ჩვენი როგორც ეროვნული, ასევე პიროვნული ღირსეული სიცოცხლე.

ღირსეული სიცოცხლე ნამდვილად შესაძლებელია; მთავარია შევძლოთ კონსოლიდაცია მთავარი ორიენტირების გარშემო, საერთო მნიშვნელის გარშემო; ასეთ შემთხვევაში მოკლე დროში გადავლახავთ ჩვენ წინ მდებარე „უდაბნოს“.

[1] 1959 წელს აშშ-ის კონგრესის მიერ 14 ივნისი გამოაცხადდა „ბალტიის დამოუკიდებლობის დღედ“.

[2] მაგ., პირადად, მე ამ თემაზე ვწერდი 1991 წლის 28 სექტემბრის “საქართველოს რესპუბლიკაში” (იხ. წერილი “რაცა ღმერთსა არა სწადდეს...”).

9 აპრილი, 2017

## 25 თებერვალი და 7 მარტი – საზეიმო დღეები თუ ტრაგიკული დღეები?

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის არმიამ დაიკავა თბილისი.

1921 წლის 7 მარტს ათათურქის სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს ართვინი, 11 მარტს კი – ბათუმიც.

წინაპირობები: 1921 წლის 16 მარტს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ და ათათურქის ხელისუფლებამ დაასრულეს რამდენიმეთვიანი მოლაპარაკება და გადაინაწილეს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია; ამ გადანაწილებისას ბათუმის მხარე (ობლასტი) ანუ “სამუსლიმანო საქართველო” ორ ნაწილად გაიყო:

ბათუმის ოლქი (ოკრუგი) დარჩა საბჭოთა რუსეთს (მაჭახელას ხეობის ზედა ნაწილის გამოკლებით), ართვინის ოლქი (ოკრუგი) კი – ოსმალეთს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ დროს

დე იურე და დე ფაქტო ისევ არსებობდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლება.

ფაქტია: 25 თებერვალს მოხდა საქართველოს დედაქალაქისა და საქართველოს დიდი ნაწილის ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ, ხოლო 7 მარტს – თურქეთის სამხედრო შენაერთებმა ხელახლა დაიკავეს ისტორიული საქართველოს ნაწილი – ართვინის ოლქი (ოკრუგი), რომელიც ოსმალეთის იმპერიას ოკუპირებული ჰქონდა XVII საუკუნიდან 1878 წლამდე.

ამ რეალური ისტორიის ფონზე საინტერესოა, 25 თებერვლისა და 7 მარტის, როგორც "სადღესასწაულო" დღეების სახელდების მოტივაცია:

1. საბჭოთა იმპერიაში 25 თებერვალი გამოცხადებული იყო საზეიმო დღედ; კერძოდ, 25 თებერვალი აღინიშნებოდა, როგორც რევოლუციის დღე და მენშევიკებისაგან საქართველოს განთავისუფლების დღე; არადა, ამ დღეს მოხდა ახალაღორძინებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა. საბჭოთა ცინიზმია, რომ 25 თებერვალს ოკუპანტები საქართველოს მოსახლეობასაც აზეიმებდნენ, როგორც განთავისუფლების დღეს.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) 25 თებერვალი რეალური ისტორიის გათვალისწინებითაა სახელდებული: 25 თებერვალი არის საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დღე.

2. 7 მარტი თურქეთში დღემდე აღინიშნება ართვინის განთავისუფლების დღედ: ოფიციალური ხელისუფლების ინფორმაციით, თურქეთმა 7 მარტს საქართველოსაგან (მტრისაგან!) გაათავისუფლა ართვინის ოლქი. 7 მარტს იქაურ თუ აქაურ ქართველთა მონაწილეობით იმართება დიდი ზეიმი მთელი თურქეთის მასშტაბით (განსაკუთრებით, იმ ქალაქებში, სადაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ).

სინამდვილე კი ასეთია: 7 მარტს თურქეთმა საქართველოს მეორედ წაართვა საქართველოს ისტორიული ტერიტორია –ართვინის ოლქი (ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი).

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ მთელმა მსოფლიომ საქართველო ცნო იმ საზღვრებში, რომლებიც საქართველოს ჰქონდა 1991 წლის მდგომარეობით; საქართველოსა და თურქეთს შორისაც დაიდო ხელშეკრულება; შესაბამისად, დღეს თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება ვერ ჩაჯდება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში; თუმცა, არც ისაა მოსაწონი, რომ 7 მარტს თურქეთი აღნიშნავს ქართველებისაგან ართვინის განთავისუფლების დღეს[1].

[1] დოკუმენტური მასალებისათვის იხ.: http://www.08olay.com/7-mart-artvinin-dusman-is-galinden-kurtulusun-hikayesi.html (2017 წლის 6 მარტის მასალას ვიმოწმებთ 2018 წლის 1 მარტს); https://www.facebook.com/erolalkan.vaketli/posts/10156267634799170 სურათი გამოქვეყნებულია ფეისბუკის რამდენიმე მომხმარებლის მიერ; ვიმოწმებთ ერთ-ერთს (01.03.2018).

6 მარტი, 2018 წელი

## 31 მარტი: გილოცავთ!

31 მარტი ნამდვილად არის სადღესასწაულო დღე:

– 31 მარტს დაიბადა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელმაც სიცოცხლე შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას;

– 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც 1991 წლის 9 აპრილს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

– დღევანდელი 31 მარტი კი გამორჩეულია იმითაც, რომ 2018 წლის 31 მარტი არის მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების დღე და ქართული ენის დღე /საქართველოს ეკლესიაში დღეს იგალობება "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"/.

გილოცავთ და გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას საქართველოს სამართლიან სახელმწიფოში.

აქვე შევნიშნავ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ვერ ვიქნებით

ბედნიერები, ხოლო 1991-92 წლების პუტჩისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის სასამართლოს წესით შეფასებამდე საქართველო ვერ აღორძინდება სამართლიან სახელმწიფოდ, ამიტომ ყველა უნდა გავერთიანდეთ დეოკუპაციისა და სამართლიანობის აღსადგენად, რომ ჩვენი შვილების თაობა მაინც იყოს ბედნიერი საქართველოს სამართლიან სახელმწიფოში.

http://www.iberiatv.ge/ka/gadacemebi/interviu-vanichkasthan/article/9421-rodesac-prezidenti-gakh-da-saakashvili-erth-erthi-pirveli-me-shevkhvdi-stsored-am-saqmis-gamo-tariel-futkaradze

31 მარტი, 2018

## საოცარი დუმილი 9 აპრილს

წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: მოსისხლე მტერთან პირისპირ დგახარ და ემზადები ბრძოლისათვის. ამ დროს მოყვასი, მეგობარი თუ მოძღვარი გაფრთხილებს, რომ შეიძლება მოკვდე, საფრთხე დიდია; ილოცე, ეკლესიაში შედი...

ბრძოლის ველიდან, როცა მტრის პირისპირ დგას, იშვიათად თუ ვინმე გადავა ეკლესიაში; მით უმეტეს, თუკი გაცნობიერებული აქვს, რომ სამშობლოსათვის, ღირსებისათვის იბრძვის. პატრიარქმა გააფრთხილა ხალხი. ხალხმა გაიგო, რაც ელოდა, ამიტომ იყო შემდეგ ხანგრძლივი **დუმილი და ლოცვა:** თითქოს სუნთქვაშეკრული ვიდექით ამდენი ადამიანი ერთდროულად... ეს დუმილი იყო ფიქრი გადაწყვეტილების მისაღებად. **ეს გადაწყვეტილება არ მიუღია ეგზალტირებულ ბრბოს:** გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა აცალეს ხალხს ფიქრიც და გადაწყვეტილების მიღებაც. **პირადად, მეც მივიღე ჩემი გადაწყვეტილება, ბოლომდე ვმდგარიყავი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და უიარაღოდ, ზნეობრივად დამემარცხებინა საბჭოთა იმპერია.**

მახსოვს, თითქოს საუკუნედ გაიჭიმა ეს ფიქრიან-ტკივილიანი დუმილი; ბოლოს ხალხმა ერთიანად თქვა:

– გმადლობთ, უწმინდესო, მაგრამ ბრძოლის ველიდან არ გავალთ; ჩვენ საქართველოსათვის ვდგავართ აქ და ბოლომდე ვიდგებით.

ხალხმა მადლიერებით მოისმინა პატრიარქის გაფრთხილება, საფრთხე ისედაც გააზრებული გვქონდა ყველას, მაგრამ ეს გაფრთხილება ჩვენზე ზრუნვად ჩავთვალეთ (და ასეც იყო!). სწორედ ამ მადლიერების გამოხატულება იყო ის არაჩვეულებრივად გულწრფელი "მამაო ჩვენო": ასეთი გულწრფელი გრძნობით ამდენ ხალხს არასოდეს უთქვამს "მამაო ჩვენო" (ალბათ, ასე იქნებოდა დიდგორის ომის წინ, სხვა მსგავსი სისხლიანი ომის წინ)... ეს ლოცვა ხალხმა წარმოთქვა და არა მხოლოდ ერთმა ირაკლი წერეთელმა. 9 აპრილსაც ხალხმა "მამაო ჩვენო" თქვა თავგანწირული ბრძოლის წინ. პატრიარქიც ხალხთან ერთად დარჩა – ეროვნული მოძრაობის ლიდერების გვერდით დარჩა.

ნუ შევეცდებით, 9 აპრილის ღამეს იქ მდგომნი მკრეხელებად გამოიყვანოთ და პატრიარქთან დააპირისპიროთ; ნუ იტყვით, რომ პატრიარქს არ დავუჯერეთ 9 აპრილს და ამიტომ იყო მსხვერპლი, ნუ იტყვით, რომ ამიტომ "დავერიეთ ერთმანეთს" 1991-92 წლებში და ამ ხერხით (გზით) ნუ დააფარებთ ხელს რუსეთის იმპერიის მიერ მომიტინგეთა დარბევის ფაქტს; ნუ დააფარებთ ხელს რუსეთისაგან მართულ პუტჩისტებს: 1991-92 წლებში ერთმანეთს კი არ დავერიეთ, ბეპაევ-ბალტინის სამხედროებმა ქართველი გუგუა ფიჩიტაურები თუ მოღალატეები დაიყენეს წინ და დაამხეს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ეროვნული ხელისუფლება!..

9 აპრილს პატრიარქს რომ არ დაუჯერეთ, ამიტომ იყო მსხვერპლიო, ამბობთ, – ასეთი აზრის ტირაჟირება 9 აპრილის რეალური გმირობის გაუფერულების მცდელობაა! უკვე მხოლოდ ცოტას თუ დააბრკოლებთ; საბოლოო ჯამში, ამგვარი ტექსტებით საკუთარ თავს ამხელთ მხოლოდ.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ: პატრიარქმა ხალხი გააფრთხილა, იმპერიის ხელისუფლება თქვენს სისხლს დაღვრისო; ხალხმა მოისმინა ეს გაფრთხილება მადლიერებით, მაგრამ ღირსეული

ხალხი სამამულო ომში უკან არ დაიხევდა ამ კეთილშობილური გაფრთხილების გამო; ეს თავად პატრიარქმაც იცოდა, მაგრამ მან მაინც გააფრთხილა თავისი სულიერი შვილები, რადგან იცოდა საშიშროება.

მე, ერთმა და სხვა ათეულ ათასმა, ეს გაფრთხილება მადლიერებით მივიღეთ, მაგრამ ბრძოლის ველი მიატოვეთო, ასე არ აღგვიქვამს ქაშვეთში ლოცვისაკენ მოწოდება. ლოცვა იქვე, რუსთაველის ქუჩაზე აღესრულა, რადგან ქაშვეთის ეკლესიაში ათასობით მლოცველი როგორ დაეტეოდა?! ეს პატრიარქმაც იცოდა, მაგრამ მისი ვალი იყო, ხალხი გაეფრთხილებინა.

პატრიარქის გაფრთხილებამ დიდი როლი შეასრულა: რუსთაველზე მდგომი ადამიანები უფრო შეკრა ერთ მუშტად – უფრო გაგვაძლიერა, უფრო მოგვიმატა ძალა, წინ აღვდგომოდით რუსეთის სისხლიან იმპერიას; გაგვაცნობიერებინა, რომ ომში სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, როცა იცავ საკუთარ ღირსებას, გმირობაა! პატრიარქი პატრიარქია, გაფრთხილებს, ომში შეიძლება მოკვდეო; გმირი უკან არ იხევს და იბრძვის, თუ გმირია.

**9 აპრილი არის ახალი დიდგორის ბრძოლა საქართველოსათვის:** თავგანწირვა (09.04.1989) და თავგანწირულ ბრძოლაში გამარჯვება (31.03.91 და 09.04.1991).

დიდ გამარჯვებას დიდი მსხვერპლი ახლავს: დიდგორშიც ბრძოლაში დაიღუპნენ გმირები და არავის მოუვა თავში აზრი დღეს, რომ დიდგორში გამარჯვების დღე გლოვის დღედ გამოაცხადოს; მალე ასეთ გმირობად გაიაზრებს მომავალი თაობა 9 აპრილის მოვლენასაც, როცა 9 აპრილის მოვლენის ობიექტურად გააზრებას ხელს ვეღარ შეუშლიან რუსეთის იმპერიის ლატენტური მხარდამჭერები.

ჩემთვის ფაქტია: ვინც 9 აპრილის გმირების გმირობისა და 9 აპრილის გამარჯვების გაუფერულებას ცდილობს, ნებსით თუ უნებურად, ისევ რუსეთის იმპერიის პროპაგანდის ტყვეობაშია. მომავალი თავისუფალი თაობა ადეკვატურად დაინახავს 9 აპრილის დიდგორობას. 9 აპრილის მოვლენის, როგორც ქართველი ხალხის რჩეული ნაწილის გმირობის, შესაფასებლად მნიშვნელოვანია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტერვიუ ამ თემაზე 2019 წლის 9 აპრილს; TV "იმედის" ჟურნალისტთან ის ამბობს, რომ მას ხელისუფლების წარმომადგენლებმა სთხოვეს ხალხის გაფრთხილება. ხალხი კი გმირობისათვის იყო მზად...

https://www.youtube.com/watch?v=z35_aFSVCgk

დიდება 9 აპრილის გმირებს, რომლებიც იმ დღეს დაეცნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში! გაუმარჯოს 9 აპრილს – საქართველოს დამოუკიდებლობის /აღდგენის/ დღეს!

11 აპრილი, 2019


## უზენაესი საბჭო და 9 აპრილის აქტი

ამ წიგნში დეტალურადაა მოთხრობილი, თუ რუსეთმა დასავლეთის "წაყრუების" ფონზე რატომ და როგორ დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის აღმდგენი საქართველოს კანონიერი ხელისუფლება 1992-93 წლებში (ეს არ იყო "სამოქალაქო ომი"!).

აქვეა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი დეპუტატების მოკლე ბიოგრაფიები:

http://dl.sangu.edu.ge/pdf/saqressabcho.pdf?fbclid=IwAR390SEDY5UDiKxoMW4svY9FwEIjDgjVoG-7CBWIL9v1nTLWnGe1UrYUxmeM

**P.S.** საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოს მოსახლეობას ერთგული პოლიტიკური სპექტრი მანამ არ გვეყოლება, სანამ 1992-93 წლების სახელმწიფო დანაშაული სათანადოდ არ შეფასდება.




8 ოქტომბერი, 2019

## 28 ოქტომბერი

28 ოქტომბერი – 29 წელი 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნებიდან; ჩემი გამოსვლის თეზისები:

1. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო დეოკუპაციის ორი გზა:

– ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკის "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" გზა: მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნებით ხელისუფლებაში მოსვლა და ერის (საქართველოს მოქალაქეების) მობილიზება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად;

– "ეროვნული კონგრესის" გზა: ოკუპაციის პირობებში დეოკუპაციისათვის ბრძოლა პარალელური ხელისუფლების შექმნის გზით;

2. მრავალპარტიული, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკის "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" მიერ მოკლე დროში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

2.1. ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი გზით;

2.2. 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმისათვის ხალხის მობილიზება და

რეფერენდუმით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლის შექმნა;

2.3. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება და დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;

2.4. სსრ კავშირის (რუსეთის) ჯარისათვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭება...

3. 1990-91 წლების სამ არჩევნებსა და რეფერენდუმში გამარჯვებით ჩვენი ხელისუფლება არ ჩავარდნილა ეიფორიაში; ვიცოდით, რომ წინ დიდი ბრძოლები გველოდა რუსეთის იმპერიასთან, რომელსაც არ სურდა კავკასიის დაკარგვა;

მართლაც, 1992-93 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი ხელისუფლება დაამხო რუსეთის იმპერიამ (რომელმაც გამოიყენა ქართველ კომუნისტთა და კონგრესმენთა ნაწილი; ასევე, "მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა ნაწილი) და საქართველოს ხელისუფლებაში მოიყვანა პრორუსული ხუნტა. რუსეთს კავკასიის სახელმწიფოებში პრორუსული ხელისუფლების მოყვანის საშუალება მისცა 1989 წლის 2 დეკემბრის მალტის გარიგებამ;

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა დიდმა ნაწილმა უერთგულა საქართველოს ინტერესებს დევნილობაშიც კი... საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღდგენის პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული: საქართველოს მეხუთედი ისევ ოკუპირებულია რუსეთის მიერ; აუცილებელია ჩვენი კონსოლიდაცია უზენაესი საბჭოს ორიენტირების გარშემო დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით;

5. დღესაც ბოლომდე არაა დასრულებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი –საქართველოს სრული დეოკუპაცია; აუცილებელია უახლესი წარსულის სწორად წარმოჩენა, რომ სწორი ორიენტირებით წინსვლა გაგრძელდეს...

https://www.facebook.com/putkaradze/videos/10219250547831217/

28 ოქტომბერი, 2019

## გილოცავთ 9 აპრილს!

ღმერთმა ასე ინება: მე ორივე 9 აპრილს წინა ხაზზე ვიდექი და ცოცხალი გადავრჩი.

ორივე 9 აპრილს ბევრი ჩვენი თანამებრძოლი შეეწირა: ...რუსმა ოკუპანტებმა აფხაზთა (თვითსახელწოდებით: აფსუა) ნაწილი გამოიყენეს ("ლიხნის კრება"), რომ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა შეეფერხებინათ. **ეროვნული მოძრაობის გადაწყვეტილებით აფხაზებს კი არა, უშუალოდ კრემლს დავუპირისპირდით** და მრავალათასიანი მიტინგებით საქართველოს დამოუკიდებლობა მოვითხოვეთ.

**1989 წლის 9 აპრილს** იყო კულმინაცია: საბჭოთა ოკუპანტებმა ჯერ ჩვენი დაშინება მოინდომეს ტანკებისა და სამხედროების "დემონსტრირებით"; ამან რომ არ გაჭრა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მოსთხოვეს გავეფრთხილებინეთ. ჩვენ წინ საბჭოთა იმპერიის სამხედრო შენაერთები გვედგა და ბრძოლის ველს არავინ დავტოვებდით. საუკუნეების შემდეგ ეს იყო პირველი ღირსეული დადგომა დამპყრობლის წინ. **ეს "წამი"** საოცარი ემოციით მაშინვე სამუდამოდ აღბეჭდა მერაბ კოსტავამ.

http://georgianpress.ge/com/news/view/19443?lang=1

ბრძოლის წინ უკან არ დავიხიეთ, ამიტომ წამოვიდა სამხედრო მანქანა **უიარაღო ღირსების** წინააღმდეგ: ნიჩბებით აგვჩეხეს, გაზით მოგვწამლეს, ტყვიები გვესროლეს... მაინც ვერ დაგვამარცხეს! ჩვენი ღირსება ათასჯერ გაიზარდა იმ მძიმე წუთებში. ამას როცა ვწერ, ახლაც, ჩემი სხეული ისევ ისე, **სულის თხელ გარსად მობილიზდა:** ისევ იმ გმირობის შემძლედ ვიქეცი...

ვინც იქ იდგა, ყველა გმირი იყო იმ ღამეს. 31 წელი უცებ გავიდა მას შემდეგ.

**1991 წლის 9 აპრილს ხელს როცა ვაწერდით** "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს", ვალტერ შურღაიასა და ზაურ ქობალიას ვუთხარი; **"კრემლი ამის გამო დაგვსჯის". ისინიც ამასვე ფიქრობდნენ; სხვებიც. ყველას გვიხაროდა და საფრთხესაც ცხადლივ ვგრძნობდით.**

**ზვიად გამსახურდიამ ორივე 9 აპრილი ასე დააკავშირა:**

**https://www.youtube.com/watch?v=COFWhQtIytE**

**ცივილიზებული მსოფლიო იმხანად გვერდით ვერ დაგვიდგა:** ამერიკა-რუსეთის მალტის გარიგების გამოყენებით კრემლმა პუტჩი მოგვიწყო. ბევრი ჩვენი თანამებრძოლი, პირველ რიგში კი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გაშლილი მოძრაობის ლიდერი, დისიდენტი, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლა. ბევრი ციხეებში გამოამწყვდია (მათ შორის – ვალტერი, ზაური, თეიმურაზ გვანცელაძე...); ზოგს სახლი-კარი, სამშობლო დაგვატოვებინეს. დღემდე დევნილობაშია ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა; დღემდე უცხოობაშია ბევრი ჩვენი ცოცხალი თანამებრძოლი. **დიდი ნაწილი დევნილობასა და ტანჯვა-წამებაში აღესრულა.**

29 წელი გავიდა უკვე. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პრეზიდენტის ისტორიული გამოსვლა:

https://www.facebook.com/watchparty/1839694446166281/

... და დღეს, 29 წლის შემდეგ, პირველად ხდება, რომ საქართველოს მთავრობისაგან შექმნილი ჩარჩოს გამოყენებით საკუთარი შვილი და მთელი საზოგადოება გვეუბნება 9 აპრილის მონაწილეებს: **“მადლობა თავისუფლებისათვის. 9 აპრილი”.**

რა თქმა უნდა, ეს მადლობა, პირველ რიგში, ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და **9 აპრილის დიდგორზე დაღუპული გმირების წმინდა სახელებს.** დიდი მადლობა ამ ჩარჩოს შემქმნელს. დიდი მადლობა ჩემს შვილს.

მიყვარხართ.

❤
❤
❤

საქართველოს რესპუბლიკის ცოცხლად გადარჩენილ წევრებს გილოცავთ 9 აპრილს. 9 აპრილს ვულოცავ ჩვენი დაღუპული თანამებრძოლების ოჯახის წევრებს.

**P.S.** 9 აპრილი ახალი დიდგორია – ესაა რეალობა, რომელსაც ვერ აღიქვამს ის, ვისაც ვერ წარმოუდგენია სამშობლოსათვის თავგანწირვა. არის მეორე ვარიანტიც: უბრალოდ, ზოგს არ უნდა უახლესი ისტორიული სიმართლის აღიარება, რადგანაც თავად ცუდად ჩანს ამ ისტორიაში, ანდა, უარესი: დღესაც გარედან იმართება (ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურებულია რუსული აგენტურა).

გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო სახიფათოა სხვა ჯგუფი: ზოგი ძველი თუ ახალი ისტორიკოსი აცხადებს, რომ 1989-1991 წლებში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ კი არ უნდა გვებრძოლა, ეკონომიკაზე უნდა გვეზრუნა და დსთ-ში შევსულიყავით, დამოუკიდებლობას კი მაინც მივიღებდით... ამგვარი პოლიტიკური ინფანტილიზმით რომ ეცხოვრა ქართველ ერს, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს ისტორია კი არა, ეთნოსის ასწლოვანი ისტორია ვერ გვექნებოდა. საქართველოს ისტორია ღირსეული თავდაცვის ისტორიაა და ამიტომ ვართ ის, ვინც ვართ!

**P.P.S.** გასაკვირია, ზოგი ახალგაზრდა ისტორიკოსი რატომ ვერ ხვდება, რომ 28 ოქტომბრის არჩევნები, 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილის აქტი, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაფუძნება, რუსის ჯარისათვის ოკუპანტის სტატუსი, მალტის გარიგების წინააღმდეგ წასვლა... იყო ზვიად გამსახურდიას პრაგმატული ნაბიჯები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში სამუდამოდ უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას.

სულ სხვა გეოპოლიტიკურ არეალში არსებულ საქართველოს შუა აზიის ქვეყნების გზით რომ ევლო, არასოდეს ექნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს პერსპექტივა. ახლა ეს პერსპექტივა რეალურია სწორედ 9 აპრილის გამო. მამშვიდებს ის, რომ საქართველოში იყვნენ, არიან და იქნებიან პირუთვნელი ისტორიკოსებიც, რომლებიც მხოლოდ რუსების, ფსევდოლიბერალებისა თუ, თუნდაც, ქართველი პუტჩისტების სქემებით არ შეაფასებენ 9 აპრილის ეპოქას.

9 აპრილი, 2020

# 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული „საქართველოს შრომის კოდექსის“ (სსმ, 75, 27/12/2010; სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016012) მე-20 მუხლში მოცემულია „უქმე დღეების“ ჩამონათვალი და განსაზღვრულია „უქმობის“ საფუძველი; კერძოდ, კანონში ვკითხულობთ:

1. უქმე დღეებია:

ა) 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

ბ) 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

გ) 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

დ) 3 მარტი – დედის დღე;

ე) 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, **საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;**

ზ) სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

თ) 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

ი) 12 მაისი – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე, საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე – იმედის დღე;

კ) 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ლ) 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

მ) 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;

ნ) 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

წარმოდგენილი ჩამონათვალი და ამ დღეთა „უქმობის“ მოტივაცია სარკისებურად ასახავს პოსტსაბჭოთა პერიოდის ხელისუფლებების დიფუზიურ აზროვნებას: **დამოწმებული კვალიფიკაციები არის ურთიერთგამომრიცხავი ორიენტირების ხელოვნური ნაზავი;** კერძოდ, შეიცავს როგორც საბჭოთა ტოტალიტარული აზროვნების გადმონაშთებს, ასევე, ახალაღორძინებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წახნაგებს. მთლიანობაში ეს დიფუზიურობა არის საზოგადოების მადეზორიენტირებელი. შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ ჩვენ ვართ გარდამავალ პერიოდში და ამიტომ გვაქვს ასეთი „კოქტეილი“...

**ჩემი პასუხი:** გარდამავალი პერიოდის ამდენ ხანს გახანგრძლივება და **გაორებული ორიენტირები** აბნევს ახალ თაობებს, ანგრევს თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბებას და ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის წინსვლას.

**რამდენიმე პუნქტად ჩემი მოსაზრება:**

1. საბჭოთა ინერციაა 9 მაისის გამოცხადება ფაშიზმზე გამარჯვების დღედ; ფაშიზმზე გამარჯვების დღე 8 მაისია; გარდა ამისა, **მეორე მსოფლიო ომი დასრულდა 2 სექტემბერს.** თუ მსოფლიო გლობალური პოლიტიკა გვინდა ავსახოთ ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რა დააშავა პირველი მსოფლიო ომის დასრულების დღემ?

2. რელიგიური დღესასწაულები კარგია, მაგრამ არ არის აუცილებელი, **ამდენი საერო უქმე დღის** გამოცხადება;

3. სრულიად გაუმართლებელია მარტის პირველ დეკადაში ორი უქმე დღის გამოცხადება (3 მარტიც საკმარისია!);

4. როგორ წესი, **„დამოუკიდებლობის დღე“ იმიტომ აქვს მოცემულ ქვეყანას, რომ**

ან: ხაზი გაესვას მოცემული სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიულ მნიშვნელობას (მაგ., აშშ დაფუძნების დღე);

ან: განსაკუთრებულად აღინიშნოს სახელმწიფოს ისტორიის გამორჩეული თარიღი (მაგ., ბასტილიის აღების დღე საფრანგეთში);

ან: გამოიკვეთოს დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი...

**საქართველოს სახელმწიფო დაფუძნდა ძვ.წ. პირველ ათასწლეულში და ეს დღე არ გვახსოვს.**

26 მაისი იყო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, მაგრამ 3 წლის შემდეგ რუსეთმა ისევ დაამხო ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც აღდგა 1991 წლის 9 აპრილს (31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე).

ვის ჰგონია, რომ დე ფაქტო 100 წელია უწყვეტად გვაქვს დამოუკიდებლობა? საბჭოთა ოკუპაციას ოკუპაციად არ ვთვლით?! ზოგმა დღემდე ვერ გააცნობიერა: დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა ორი ათას წელზე მეტია გვაქვს! პირველად არ გამოცხადებულა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს. 26 მაისს არ დაფუძნებულა ქართული სახელმწიფო! ზოგს არც უნდა აღიაროს, რომ 1921 წლამდეც იყო ქართველთა სახელმწიფო! ზოგ არასრულფასოვნების სინდრომით შეპყრობილს კი 26 მაისით დღეს სურს გააუბრალოოს 9 აპრილის არსი, რომ მიჩქმალოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და მის თანამოაზრეთა ღვაწლი.

როგორც უკვე ითქვა, დამოუკიდებლობის დღე მთელ მსოფლიოში სამგვარად "ირჩევა":

1. სახელმწიფოს დაფუძნების დღე (აშშ)
2. გამორჩეული დღე (საფრანგეთი)
3. დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

26 მაისი ჩვენს ისტორიაში არის ერთ-ერთი დამოუკიდებლობის დღე. წესით, 26 მაისის "აქტსაც" უნდა ერქვას "დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი", რადგან მანამდე დიდი ხნით ადრე იყო ქართველთა სახელმწიფო.

9 აპრილს გამოცხადებული "დამოუკიდებლობის აღდგენა" დღემდე ძალაშია! ამ დღით გვცნობს სახელმწიფოდ მთელი მსოფლიო. 1921 წელს განდევნილ საქართველოს ხელისუფლებას კაპიტულაცია რომ არ გამოუცხადებია, ამიტომაც 31 მარტის რეფერენდუმი 26 მაისის აქტს დაეფუძნა; კარგი იქნებოდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, 26 მაისის აქტში გაეთვალისწინებინათ, სულ მცირე, 23-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია და 26 მაისის აქტისთვისაც "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი" ეწოდებინათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისტორიულ ფაქტებს **ლოგიკურად თუ მივუდგებით,** სრული გაუგებრობაა დღეს 26 მაისის გამოცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ, რამდენადაც, ჩვენი სახელმწიფო დაფუძნდა საუკუნეების წინ. საერთოდ, ღიმილის მომგვრელია დამოუკიდებლობის გამოცხადების 25 წლისთავის აღნიშვნა 26 მაისს (ასე აღინიშნა რამდენიმე წლის წინ). 26 მაისი დიდებული თარიღია: ეს დღე იყო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; ეს დღე არის (მომავალში ასეც უნდა აღვნიშნოთ!) **პირველი რესპუბლიკის დაფუძნების დღე.**

თუ უფრო მნიშვნელოვანი არა, არანაკლებ დიდი ისტორიული თარიღია 12 აგვისტო – დიდგორის ველზე გამარჯვების დღე, 9 აპრილი კი ჩვენი უახლესი ისტორიაა, რომელიც ასახულია მოქმედ კონსტიტუციაშიც; **კერძოდ, კონსტიტუციის პირველ მუხლში ვკითხულობთ:**

მუხლი 1. სახელმწიფო სუვერენიტეტი

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35.

**ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ლოგიკურია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდეს 9 აპრილი.**

აქვე, კრიტიკულად მინდა შევეხო "უქმე დღედ" კვალიფიკაციის მოტივაციას; კერძოდ, დამოწმებულ ტექსტში ვკითხულობთ:

"ვ) **9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე".**

სრულიად გაუგებარია შემდეგი ორი "კვალიფიკაცია":

– 9 აპრილი – საქართველოს ეროვნული ერთიანობისათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

– 9 აპრილი – სამოქალაქო თანხმობისათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

**ორივე 9 აპრილის მონაწილე ვარ და ჩემი თვალით ვნახე:**

(1) 1989 წლის 9 აპრილს რუსმა ოკუპანტებმა გვესროლეს მიტინგის მონაწილეებს. ზოგი ჩვენგანი გმირულად დაიღუპა მაშინ, როცა ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას; **შესაბამისად, ეს დღე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, იმპერიასთან გმირული წინააღმდეგობის დღეა და არა** – "სამოქალაქო თანხმობისა".

(2) 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სრულიად საქართველოს ნების შესაბამისად გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მიუხედავად, მოსახლეობამ რეფერენდუმის ფორმით გამოხატა ეს ნება!).

**დასკვნა: ფაქტია, რომ 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა!** საბჭოთა პერიოდის ზოგი ისტორიკოსი თუ ზოგი დღევანდელი სხვისგან მართული სუბიექტი ამ ფაქტს უარყოფს, მეტიც, იგესლება. მათი "აღქმის" მიუხედავად, 9 აპრილი საქართველოს ახალი დიდგორია – **საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!** ამ დღეს უნდა ვიზეიმოთ და უნდა ვადიდოთ საქართველოსათვის დაღუპულ გმირთა სახელიც. **შესაბამისად, ამ დღის არსი ადეკვატურად უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაშიც.**

**P.S.** საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, 2020 წლის 9 აპრილს, ტრადიციისამებრ, იგეგმებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრა. ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გადაწყდა, ქართული უნივერსიტეტი საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღს გამოეხმაურებოდა ონლაინსამეცნიერო დისკუსიით თემაზე: **"9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე".**

დღეს 12.00 საათზე საინტერესო დისკუსია გაიმართა. დისკუსია გახსნა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი დეპუტატები: პროფესორი ბიმურზა დადეშქელიანი და ამ სიტყვების ავტორი.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: პროფესორმა მანანა ტაბიძემ, პროფესორმა ლევან ჯიქიამ, პროფესორმა ლევან ბებურიშვილმა, ფილოლოგიის დოქტორმა ჯაბა მესხიშვილმა, თეოლოგიის დოქტორმა ლაშა შარვაშიძე-დეისაძემ, დოქტორანტმა კესო გეჯუამ, სტუდენტმა გოდერძი ბოლქვაძემ და სხვ.

8 აპრილი, 2020

## ერთიანი პასუხი ძველ თუ ახალ ზოგ ისტორიკოსს, ასევე, "ისტორიკოსებს"

9 აპრილი ახალი დიდგორია – ესაა რეალობა, რომელსაც ვერ აღიქვამს ის, ვისაც ვერ წარმოუდგენია სამშობლოსათვის თავგანწირვა.

არის მეორე ვარიანტიც: უბრალოდ, ზოგს არ უნდა უახლესი ისტორიული სიმართლის აღიარება, რადგანაც თავად ცუდად ჩანს ამ ისტორიაში, ანდა, უარესი: დღესაც გარედან იმართება (ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურებულია რუსული აგენტურა).

გრძელვადიან პერსპექტივაში, კიდევ უფრო სახიფათოა სხვა ჯგუფი:

ზოგი ძველი თუ ახალი ისტორიკოსი აცხადებს, რომ 1989 –91 წლებში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ კი არ უნდა გვებრძოლა, ეკონომიკაზე უნდა გვეზრუნა და დსთ-ში შევსულიყავით, დამოუკიდებლობას კი მაინც მივიღებდით... ამგვარი პოლიტიკური ინფანტილიზმით რომ ეცხოვრა ქართველ ერს, მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს ისტორია კი არა, ეთნოსის ასწლოვანი ისტორია ვერ გვექნებოდა. საქართველოს ისტორია ღირსეული თავდაცვის ისტორიაა და ამიტომ ვართ ის, ვინც ვართ!

გასაკვირია, ზოგი ახალგაზრდა ისტორიკოსი რატომ ვერ ხვდება, რომ 28 ოქტომბრის არჩევნები, 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილის აქტი, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაფუძნება, რუსის ჯარისათვის ოკუპანტის სტატუსი, მალტის გარიგების წინააღმდეგ წასვლა... იყო ზვიად გამსახურდიას პრაგმატული ნაბიჯები, რომლებიც სამუდამოდ უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას; შუა აზიის ქვეყნების გზით სიარული კი სულ სხვა გეოპოლიტიკურ არეალში არსებულ საქართველოს სამუდამო ჩიხში შეიყვანდა...

და ბოლოს: მამშვიდებს ის, რომ საქართველოში იყვნენ, არიან და იქნებიან პირუთვნელი ისტორიკოსებიც, რომლებიც მხოლოდ რუსების, ფსევდოლიბერალებისა თუ, თუნდაც, ქართველი პუტჩისტების სქემებით არ შეაფასებენ 9 აპრილის ეპოპეას.

**P.S.** საბრალოობაა ისტორიკოსობა, როცა ფაქტებს სუბიექტურად ალაგებ "გადაბრუნებული ურმის" შემდეგაც; მით უმეტეს, თუ გააზრებული არ გაქვს მოცემული ერის ეროვნული ფსიქოლოგია და გლობალურ კონტექსტში ისტორიული გზა.

ყველა წვრილფეხობას ცალ-ცალკე – არა, მაგრამ ერთიან პასუხს არ დავაკლებთ არც ჩვენ და არც – ისტორია.

ისე, ცნობისათვის: მალტის გარიგების შესახებ 1991 წლის 28 სექტემბერს დავწერე პირველად გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში". ამათ ახლა გაიღვიძეს "დეპოში" და ბოლომდეც ვერ გამოფხიზლებულან: ჩვენს პრაგმატულ ნაბიჯებს გულუბრყვილო ჰეროიზმად ნათლავენ, ბრუტიანები.

12 აპრილი, 2020

## გილოცავთ 26 მაისს

გილოცავთ 26 მაისს:

– 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისა და რესპუბლიკის დაფუძნების დღეს.

ამ დღემ ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს და ქართველ ერს; რად ღირს, თუნდაც, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის საზღვრების დაფიქსირება, პირველი კონსტიტუციის შექმნა (სადაც, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთ პირველ დოკუმენტში დაფიქსირდა ქალთა უფლებები) და მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბება.

26 მაისი ასევე არის ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას დაბადების დღე. მერაბ კოსტავას თავგანწირვამ ბევრი ქართველის ცნობიერებაში გააცოცხლა და წინა პლანზე წამოსწია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა, რომელიც დაიკარგა 1921 წლის საბჭოთა რუსეთის აგრესიით. დღეს მერაბ კოსტავა 81 წლის გახდებოდა.

26 მაისი არის საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის დღე. საქართველოს მთელი ისტორიის ფონზე 1991 წელს რამდენიმე გამორჩეული ფაქტი მოხდა:

– 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?"

– 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა;

– 26 მაისს ჩატარდა პრეზიდენტის დემოკრატიული არჩევნები. არჩევნები იყო მრავალკანდიდატიანი და ჩატარდა იდეალური სამართლიანობის პირობებში. კენჭს იყრიდნენ იმ დროისათვის

მეტად ცნობადი სახეები: ზვიად გამსახურდია, ირაკლი შენგელაია, ჯიმი მიქელაძე, ვლადიმერ ადვაძე, თამაზ კვაჭანტირაძე და ნოდარ ნათაძე. არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ. არჩევნების დემოკრატიულობა ყველა მხარემ აღიარა.

26 მაისთან დაკავშირებული სამივე მოვლენა რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევისა და ცივილიზებულ დასავლეთთან დაახლოების წინაპირობაა. ამ ფაქტების კონტექსტში გამოვეხმაურები დღეს განხილვად ორ თემას:

1. საქართველო ოდითგანვეა ამჟამინდელი დასავლური ცივილიზაციის წიაღი; საქართველოს ეკლესია დაფუძნებიდანვე არის დასავლური სამყაროს ნაწილი.

1801 წლიდან რუსეთის ოკუპაციამ ბევრი ზიანი მიაყენა საქართველოს, საქართველოს ეკლესიას, საქართველოს მოსახლეობას; ზოგადად, კავკასიას!

რუსული ოკუპაცია დღესაც ფაქტია. ეს დღეს ბევრმა გააცნობიერა, ამიტომ საქართველოს, ვერც საქართველოს ეკლესიას ვეღარავინ დააბრუნებს რუსულიმპერიულ ველში.

2. ქალაქის ცენტრში დადგმული ძეგლი არის ხელისუფლების ორიენტირი, ხელისუფლების მიერ საზოგადოებისათვის კურსის, ორიენტირის ჩვენება. დღეს ანაქრონიზმია საბჭოთა პერიოდის ძეგლების რესტავრაცია. ასევე ანაქრონიზმია ძეგლების ნგრევა. ძეგლების ნგრევის ნაცვლად, უნდა გავაკეთოთ ოკუპაციის ამსახველი ძეგლების მუზეუმი (სადაც შევა რუსული თუ საბჭოური ოკუპაციის დამადასტურებელი ფაქტებიც – ბოლშევიკთა ძეგლებიც).

გარდა ამისა, ვეთანხმები კონსტანტინე გამსახურდია უმცროსის Konstantine Gamsakhurdia აზრს: საქართველოში უნდა დაიდგას ვაჟკაცი მეომრის – საქართველოს ღირსეული შვილის – **ხუდია ბორჩალოელის ძეგლი.** კრწანისის ომში, სადაც ერეკლე მეორეს ტოტლებენმა უღალატა, ხუდია ბორჩალოელმა გმირულად იბრძოლა ერეკლეს გვერდით!

საქართველოს დიდ ისტორიაში ბევრი ღირსეული სახელია; მათ რიგშია არაერთი ადამიანი, რომელიც არ არის ეთნიკური ქართველი და პირიქით: საქართველოს ისტორიაში ბევრი უღირსი ადამიანის გვარია შემონახული, რომელთა ნაწილიც ეთნიკური ქართველია.

ჩემი აზრით, ნამდვილი ქართველია ის, რომელიც საქართველოსათვის თავს წირავს, ვინც საქართველოს ერთგულია (არა აქვს მნიშვნელობა ეთნიკურობას)!

გილოცავთ 26 მაისს – საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ და ძვირფას დღეს!

**P.S.** იმედია, „გუგლამდეც“ მალე მიაღწევს სწორი ინფორმაცია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა 9 აპრილი

პირადად, ჩემგან, გულწრფელად, მადლობა Google-ის ადმინისტრაციას ასეთი ფორმით მოლოცვისათვის.

26 მაისი, 2020

## რუსეთი ოკუპანტია! “კართაგენი უნდა დაინგრეს”!

8 დღეში 30 წელი სრულდება პირველი მრავალპარტიული, არასაბჭოთა და დემოკრატიული არჩევნებიდან: 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველომ აირჩია პირველი მრავალპარტიული პარლამენტი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ორგანიზებით 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. რეფერენდუმის ბრწყინვალე შედეგების საფუძველზე 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და 15 სექტემბერს რუსეთის იმპერიის ჯარს მიანიჭა ოკუპანტის სტატუსი.

დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს ხელისუფლება 1992 წლის დასაწყისში დაამხო რუსეთის იმპერიამ (მალტის შეთანხმების ბოროტად გამოყენებით), ფიზიკურად გაანადგურა პრეზიდენტი და საქართველო დააბრუნა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

განვლილი 30 წელი არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი თაობის გმირული და ტრაგიკული ისტორია.

20 ოქტომბერი, 2020

# 14 ნოემბერი

14 ნოემბერს, 1990 წელს, თბილისში ჩატარდა დემოკრატიული წესით არჩეული პირველი მრავალპარტიული პარლამენტის პირველი სხდომა.

პირველივე სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანტისაბჭოთა დისიდენტი, ფილოლოგიის დოქტორი ზვიად გამსახურდია, რომელიც ორი წლის შემდეგ მოკლეს რუსეთის მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა და გაანადგურეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი ეროვნული ხელისუფლების ყველა შტო.

რომ არა 1991-93 წლების პუტჩი, საქართველო ახლა სულ სხვა სიმაღლეზე იქნებოდა.

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

14 ნოემბერი, 2020

# 2.1.3. საგარეო პოლიტიკის წახნაგები

# რუსეთის მოსახლეობის აღწერა (2010) და მორიგი სვლა ქართველი ერის დასაშლელად

მოცემული სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ თავისი ქვეყნის მოსახლეობის აღწერა რატომ უნდა იყოს საშიში სხვა სახელმწიფოს შემქმნელი ერისთვის? ნორმალურ ქვეყანაში სტატისტიკის სამსახური ისე აღწერს მოსახლეობას, ამგვარი „დამატებითი“ კითხვა არც ამ ქვეყნის მოქალაქეს გაუჩნდება, არც მეზობელი სახელმწიფოს მკვიდრს და არც რომელიმე საერთაშორისო ინსტიტუტს.

დოკუმენტი: „Всероссийской переписи населения 2010 года“ რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთმა მოქალაქემ გადმომიგზავნა შესაბამისი ბმულის მითითებით; ჯერ საერთო ნაცნობის – დიდებული ქართველის – მღვდელი დავითის (კონჯარია) დახმარებით დამირეკა და აღელვებულმა მითხრა: „ლინკს გამოგიგზავნით, ნახეთ და პასუხი გაეცით: ამ აღწერის მასალებში ცალ-ცალკე ნაციებად ვართ წარმოდგენილი: მეგრელები, იმერლები, აჭარლები, კახელები და სხვა ქართველები“...

2010 წლის 27 იანვარს რუსეთის სტატისტიკის სამსახურის მიერ შექმნილი № 74 დოკუმენტი თავის მოქალაქეებს სთხოვს, დაასახელოს თავისი ეროვნება («национальная принадлежность»). სავარაუდო პასუხებიც იქვეა ჩამოთვლილი; კერძოდ, სიაში 1840 დასახელებაა; ამათგან ზოგი მათგანის სახელი რამდენიმე ვარიანტითაა მოცემული, რომ გაუნათლებელ მოქალაქეს გაუადვილოს თავისი ეროვნების დადგენა; მაგალითად, ეროვნება: კუთხური წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი: „აჭარელი“ წარმოდგენილია ორი ვარიანტით: аджарели, аджарцы; რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, აქვე სხვა ეროვნებადაა მიჩნეული грузины და грузины-аджарцы; აღწერის მონაცემების შეჯამებისას პატივცემული რუსი სტატისტიკოსები ამ სახელებს ორ ნაციად დააჯგუფებენ: аджарцы და грузины; პოლიტიზებული რუსი ეთნოლოგების „გავლენით“ მათ ამის საუკუნოვანი „ტრადიცია“ აქვთ. მე აქ მხოლოდ 2002 წლის აღწერის ოფიციალურ შედეგებს დავიმოწმებ:

2002 წლის აღწერის მიხედვით, რუსეთში ცხოვრობს 188 ეროვნება, მათ შორის თურმე არიან: Грузины (картвели), Аджарцы (аджарели), Ингилойцы (ингилой), Лазы, Мегрелы (маргали, мингрелы), Сваны http://www.perepis2002.ru/index.html?id=17.

2010 წლის აღწერისთვის რუსი მოხელეები უფრო „მობილიზებულად“ ემზადებიან და ეროვნების გრაფაში ქართველი ერი უფრო დაშლილადაა წარმოდგენილი (აღდგენილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსული „მოდელი“); კერძოდ, „გათიშე და იბატონეს“ გზით საქართველოს (კავკასიის) სამუდამოდ დაპყრობის მოსურნე იმპერიის მესვეურნი მრავალი საუკუნეა ერთ ეროვნებად ჩამოძერწილ ქართველებს 12 დამოუკიდებელ ნაციად წარმოგვადგენენ: аджарцы, грузины, гурийцы, имеретинцы, ингилойцы, кахетинцы, лазы, мегрелы, месхи, турки-месхетинцы, рачинцы, хевсуры.

შდრ., იქვე ვარიანტებისა და სახელთა სახესხვაობების გარეშეა წარმოდგენილი: австрийцы, китайцы, чехи, японцы... (იხ. დანართი)

მოკლედ აღვნიშნავ, რომ ამ ტიპის „ანკეტებში“ საკუთარ სახელთა სახესხვაობებისა და კუთხური სახელების დაფიქსირება ჩვეულებრივი ამბავია (არაპროფესიონალ თუ გაუნათლებელ ადამიანს ყველგან უიოლებენ საკუთარი იდენტობის გააზრებას), მაგრამ აღწერის შედეგების შეჯამებისას სპეციალისტები ვარიანტებს აერთიანებენ მეცნიერულად გააზრებული ერთი ეროვნების ცნების ქვეშ.

რუსი სპეციალისტები ამ მხრივაც „სცოდავენ“; მაგალითად, 2002 წლის აღწერისას მათ ერთ ეროვნებაში – Арабы – სწორად გააერთიანეს (იხ. დანართი): алжирцы, арабы Объединенных Арабских Эмиратов, аравийцы, бахрейнцы, египтяне, иорданцы, иракцы, йеменцы, катарцы, кувейтцы, ливанцы, ливийцы, мавританцы, марокканцы, оманцы, палестинцы, саудовцы, сирийцы, суданцы, тунисцы; ამ დროს კი დამოუკიდებელ ნაციებად წარმოადგინეს: Грузины (картвели), Аджарцы (аджарели), Ингилойцы (ингилой), Лазы, Мегрелы (маргали, мингрелы), Сваны; აშკარაა: რუსები არაბებისა თუ იტალიელების ერთიანობას ანგარიშს უწევენ, ქართველებისას კი ებრძვიან. უარესი პოლიტიზებული შედეგებია მოსალოდნელი 2010 წლის „სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის“ მასალების მიხედვით:

„ანკეტები“ უკვე შედგენილია, გავრცელებულია და საერთაშორისო ორგანიზაციების

კატეგორიული მოთხოვნაც კი ვერ გააჩერებს ამ პროცესს. ერთი ცნობილი ანეკდოტის ანალოგიით თუ ვიტყვით, რუსი იმპერიალისტების – ამ შემთხვევაში კი პუტინ-დუგინის რუსეთის – ხელიდან ქართველები უკვე მოკლულნი ვართ.

მთავარია, ჩვენ ვიცოდეთ, ვისი გორისანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ; აფსირტეს, ფარნავაზის, ქუჯის, მერჩულეს, ტბელის, ცოტნეს, ილიას, ვაჟას და... გია აბესაძის მშობელ ერს ვერც დიდი ამბიციების მქონე რუსეთი დაგვშლის და ვერც სნობი ფსევდოლიბერალი თუ რენეგატი ქართველების მავნებლობა.

რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებსა (http://www.perepis2002.ru/index.html?id=17) და 2010 წლის ანკეტებში (http://www.nr2.ru/ekb/279487.html) სხვა საინტერესო მასალებიცაა; მაგალითად, დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ ნახონ ენების ანკეტაც... ყველგან ერთი სურათია: საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი ყოველი ხერხით ცდილობს ქართველი ერის დაშლასა და საქართველოს დანაწევრებას! ამიტომაა, რომ ჯიუტად ვრცელდება იური კორიაკოვისა და სხვათა ასეთი ლინგვისტურ-ეთნიკური რუკებიც (http://linguarium.iling-ran.ru/maps/14-kartv.gif)...

სამწუხაროა, რომ მსგავსი პოლიტიზებული „სამეცნიერო“ პროდუქცია ქართველთა ხელითაც კეთდება.

28 აპრილი, 2010

## ვინ არის არტაკ ზაქარიანი და რატომ ავრცელებს დეზინფორმაციას?

წერილის შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა დღეს გაზეთ „ქართულ სიტყვაში“/10.10.2012, გვ. 15/

სომხეთის მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სომხეთის პარლამენტის წევრი არტაკ ზაქარიანი „ქართული ოცნების“ ლიდერის – ბიძინა ივანიშვილის – ერთ განცხადებას გამოეხმაურა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შესახებ დეზინფორმაცია გაავრცელა. მსგავსი საქციელი არ ეკადრება მეზობელი და მეგობარი ქვეყნის პარლამენტის წევრს. შევეცდები, პატივცემულ დეპუტატს მოკლედ ვუპასუხო:

**გაზეთ „თუდეი არმენიაში“** ის წერს: „ივანიშვილმა განაცხადა, რომ „გაოცებულია, რატომ ცხოვრობენ სომხები საქართველოში, როცა მათი სამშობლო იქვე ახლოსაა“... თუკი ასეთი რამ მართლაც ითქვა, ეს, მინიმუმ, გაოგნებას იწვევს. ეს გამონათქვამი არის რეციდივი გამსახურდიას პოლიტიკისა – „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის“, რომლის მწარე ნაყოფსაც ეს ქვეყანა დღემდე იმკის. „ისღა გვრჩება, იმედი გამოვთქვათ, რომ ეს უბრალოდ ნათქვამი იყო იმ პოლიტიკური ძალის ლიდერისა, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა და ღირებულებათა ევროპული სისტემისადმი ერთგულებისა და დემოკრატიის გამყარების ლოზუნგები აქვს“.

პარლამენტარი არტაკ ზაქარიანი ამ მოკლე ტექსტში **რამდენიმე შეცდომას უშვებს:**

– პრეზიდენტ გამსახურდიას შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს;

– 90-იან წლებში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა იმპერიის აგრესიასა და ოკუპაციას საქართველოს შიდაარეულობად ნათლავს და კრიზისის მიზეზად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკას აცხადებს;

– ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი არ გადაუმოწმებია და „ჭორად მისულ“ ამბავზე მენტორულ კომენტარს აკეთებს;

– მეზობელი ქვეყნის არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერის არარსებულ ტექსტს „უბრალო ნათქვამად“ – მოუზომელ ნათქვამად – ნათლავს, რითაც აკნინებს საქართველოს მოსახლეობის არჩევანს...

**1. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მსგავსი რამ არასოდეს უთქვამს.** გამსახურდია ამბობდა, რომ ვინც საქართველს დამოუკიდებლობას მხარს უჭერს, „ყველა, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა“... გამსახურდიას არ მოსწონდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ადამიანები; მათ შორის იყვნენ ქართველებიც და სხვებიც.

ზვიად გამსახურდიას საწინააღმდეგო ეს დეზინფორმაცია პირველად დაიბეჭდა გაზეთ ”Красная Звезда-ში“ (ინფორმაცია მოგვაწოდა რაულ კაპანაძემ). ზვიად გამსახურდიამ ამ ცილისწამებას სიცოცხლეშივე უპასუხა და ეს რამდენჯერმე გამოქვეყნებულიცაა; იხ., მაგ., პაველ ვოშჩანოვის მიერ 1991 წელს ჩაწერილი ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან (1991-ში მსგავსი შინაარსის ინტერვიუ გამოაქვეყნა ერთ-ერთმა იტალიურმა გაზეთმაც), მაგრამ, ჩანს, **მავანთ დეზინფორმაციის ტირაჟირება უფრო აძლევდათ ხელს.**

სამწუხაროდ, ეს ჭორი ზვიად გამსახურდიას იმ ქართველებმა გაუვრცელეს, რომლებიც მალევე რუსის ჯარს (ბეპაევისა და ბალტინის შენაერთებს) შემოუძღვნენ და ჩრდილოურ ნეოიმპერიას მიეხმარნენ, რომ საქართველო დსთ-ში დაბრუნებულიყო.

**2. არც ბიძინა ივანიშვილს უთქვამს რაიმე ქსენოფობიური;** კერძოდ, კორესპონდენტთან ასეთი დიალოგი შედგა:

The New Times: ცხოვრობდით საფრანგეთში, თქვები შვილებიც იქ გაიზარდნენ, დაბრუნდით და უცბად პარტია, არჩევნები... რად გინდათ ეს ყველაფერი?

ბიძინა ივანიშვილი: ქართველები ასეთი უცნაურები ვართ; დაკავშირებულები ვართ ჩვენს მიწასთან. ასეთი ხასიათი გვაქვს. მიკვირს: აქვე აქვთ სამშობლო, ისინი კი მაინც აქ ცხოვრობენ. თქვენთვის, ალბათ, ეს საკითხი არ დგას. ჩემთვის კი გაუგებარია. ვცხოვრობდი საფრანგეთში, ერთი წელი – ამერიკაშიც, მე კი ჩემი მიწა და სოფელი მესიზმრებოდა...

The New Times: იქნებ ასაკობრივია?

ბიძინა ივანიშვილი: ასაკობრივი არ არის, გენეტიკურია, გვჩვევია ქართველებს სახლში დაბრუნება /ვრცლად იხ.: http://globalnews.com.ge/?l=G&m=13&ID=8881/.

აქ არაფერია ქსენოფობიური! მეტიც, სრული სიმართლეა ნათქვამი ქართველთა და სხვათა ფსიქოლოგიის შესახებ. პირადად, მე წლების მანძილზე ვაკვირდები ემიგრანტთა ფსიქოლოგიას და, ჩემი აზრით, ფაქტია: **ქართველი მართლა ვერ ძლებს უცხოეთში.**

ზოგი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს უფრო შეუძლია უცხოეთში ადაპტირება, ვიდრე ქართველს: ქართველი ან უკან ბრუნდება, ან მალევე გადადის დამხვდური უმრავლესობის „რელსებზე“ და ეთნიკურ იდენტობას კარგავს (გამონაკლისნი არიან ფერეიდნელი ქართველები, რომლებიც იზოლირებული იყვნენ ყველასგან; შდრ., ირანშივე, მაზანდარანში ქართველებმა დაივიწყეს ქართული ენაც და ეროვნული მეობაც).

**3. ივანიშვილის „უბრალო ნათქვამი“ ასეთი შინაარსისაა:** ებრაელი თუ სომეხი უცხოეთში უფრო ძლებს, ვიდრე ქართველი...

ინტერვიუდან აშკარაა, რომ რესპონდენტი მათ ღირსებაზე უფრო ლაპარაკობს.

მაინც რატომ აგორდა ამხელა სკანდალი ივანიშვილის დამოწმებული ფრაზის გამო? სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიას შემთხვევის მსგავსად, აქაც პოლიტიკური ანგარისშწორებაა მიზანი.

დროა ყველამ გააცნობიეროს, რომ ასეთი ხელოვნური სკანდალები ვნებს ქართველთა იმიჯს, რამდენადაც უცხოელთა გასაგონად ქსენოფობია ბრალდება პირს, ვინც ქართველებმა უმრავლესობით აირჩიეს.

ძალაუფლების მოპოვების მიზნით ქვეყანას თავი არ უნდა მოსჭრას არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ; კერძოდ, ძალაუფლებისმოყვარეთა მიერ ავანტიურისტული ბრალდებებისა თუ „ჭუჭყიანი პოლიტიკური თეთრეულის“ საერთაშორისო გამოფენით, პირველ რიგში, საქართველოს ადგება ზიანი.

მომავალში მაინც უნდა შეძლოს მთლიანმა პოლიტიკურმა სპექტრმა, რომ უარი თქვას „კომპრომანტების ომსა“ და პოლიტიკური ოპონენტების უცხოეთში „ჩაშვების“ პრაქტიკაზე (ამის შესახებ ახლახან მიუთითა მათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ).

**4. სომეხი დეპუტატის მიერ 90-იან წლებში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა იმპერიის აგრესიისა და ოკუპაციის საქართველოს შიდაარეულობად მონათვლა არც ქართული სინამდვილისთვისაა უცხო.**

მცირე ისტორიული ექსკურსი: 1901 წელს დაიწყო რუსეთის იმპერიამ საქართველოს დაპყრობა. მას შემდეგ რუსეთს სურს (და ახლაც სურს), საქართველოშიც ჰქონდეს თავისი სამხედრო ბაზები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წელს სთხოვა კრემლს, გაეყვანა თავისი

შენაერთები, მაგრამ უარი მიიღო, ამიტომაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ 15 სექტემბერს დამპყრობლის ჯარს მიანიჭა ოკუპანტის სტატუსი.

შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა საქართველოში დისლოცირებულ რუსულ შენაერთებს აღუდგინა „მეგობარი ქვეყნის ჯარის“ სტატუსი და სამშვიდობო ფუნქცია დააკისრა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთის ჯარს აღუდგინა ეს სტატუსი.

**მიმაჩნია, რომ დეოკუპაციამდე ეს სტატუსი მათ უნდა დარჩეთ.** გარდა ამისა, საქართველოს მომავალმა ხელისუფლებამ არ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და არ უნდა დასთანხმდეს ე.წ. ექსპერტების რჩევას, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ე.წ. კონფედერაციის შექმნას. ეს იქნება საქართველოს დაშლის იურიდიული გაფორმება. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ არ დაუშვებს ქართულ კოშმარს – საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დაკარგვის (/რუსეთზე გადაცემის) იურიდიულ გაფორმებას.

**ზვიად გამსახურდიას კონტექსტით დავასრულებ:** ბიძინა ივანიშვილი საჯაროდ და დაბეჯითებით ლაპარაკობს სამართლიანობის აღდგენაზე... ნაწილობრივი სამართლიანობა არ არსებობს.

მე სხვების მსგავსად ვგმობ ციხის წამებებს (ჩემი ძმაც ეწამა სულ ახლახან ამ ციხეში!), სანაიას, გირგვლიანისა და სხვათა საზარელ მკვლელობებს... მაგრამ ასევე დავგმოთ და სამართლებრივი შეფასება მივცეთ გარედან დაგეგმილ ისეთ საუკუნის დანაშაულს, როგორიცაა 1991-93 წლების სისხლიანი გადატრიალება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა და მრავალი იმ ქართველის დახვრეტა, რომლებიც 1991-93 წლებში იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ასეთ შემთხვევაში ქართველობას კიდევ ერთი ბრალდება მოეხსნება: ე.წ. „სამოქალაქო ომი“ და გაცხადდება აფხაზეთის დე ფაქტო დაკარგვის რეალური მიზეზიც.

**პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე,**
1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

10 ოქტომბერი, 2012

## Geopolitical Dilemma გეოპოლიტიკური დილემა

საქართველოს გეოპოლიტიკური დილემა:

საქართველო, როგორც დიდი ისტორიის მქონე და ღირსეული საზოგადოების სახელმწიფო, მიისწრაფვის, სრულად აღიდგინოს დამოუკიდებლობა. დღეს ამ მიზნის მისაღწევად ორი გზა არსებობს:

1. ნატოს (ევროატლანტიკური ალიანსის) დახმარებით თავი დააღწიოს რუსეთის ოკუპაციას: ამჟამად რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს 20 % და ესწრაფვის საქართველოს ხელახალ სრულ ოკუპაციას, რამდენადაც, მისი იმპერიული ამბიციებისთვის სასიცოცხლოა სომხეთის სამხედრო ბაზასთან სახმელეთო კავშირი, ასევე, ამიერკავკასიის ენერგო თუ საჰაერო გზების კონტროლი.

2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ ამიერკავკასია რუსეთის ჯარისგანაც და ნატოს შენაერთებისგანაც სამუდამოდ „გასუფთავდეს“.

ეს შორეული პერსპექტივაა და, რაც მთავარია, არ არის დამოკიდებული მხოლოდ საქართველოს ძალისხმევაზე: „საქართველოს ნეიტრალიტეტზე“ უნდა შეთანხმდნენ დღეს მძაფრად დაპირისპირებული გეოპოლიტიკური „ცენტრები“. ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ ჭიდილში ამის მიღწევა შეუძლებელია, რამდენადაც დაპირისპირებული მხარეები უფრო იოლად შეთანხმდებიან საქართველოს (ამიერკავკასიის) გაყოფის, ვიდრე საქართველოს თუ ამიერკავკასიის ნეიტრალურ ზონად გამოცხადების შესახებ...

ასეთია სტატუს კვოც: ამიერკავკასია დღეს გადანაწილებულია ორ სამხედრო-პოლიტიკურ

ბანაკს შორის.

სულ მცირე, 30 საუკუნეა, საქართველო მსგავსი დაპირისპირების ობიექტია; მხოლოდ დროდადრო იყო გამონათებები, მაგრამ ჩვენ ეროვნული მეობა და სახელმწიფოც შევინარჩუნეთ; ეს შევძელით და შევძელით იმიტომ, რომ მუდამ ვიბრძოდით ამისთვის. ასე რომ, ყველაფერი, რაც გავიარეთ, კიდევ გასავლელია, ოღონდ სხვაგვარი სამოსელით... ახალი ოქროს ხანაც მოვა და ბევრი ახალი პრობლემაც.

23 ოქტომბერი, 2012

## საქართველო და გეოპოლიტიკა

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სოციალურ ქსელში აქტუალური გახდა კითხვა: "საქართველო გეოპოლიტიკური მოთამაშეა თუ რეგიონალური მოთამაშე?"

**კითხვა არასწორადაა დასმული:** გეოპოლიტიკური მოთამაშეა რეგიონული მასშტაბის მოთამაშეც; კერძოდ: გეოპოლიტიკური მოთამაშე შეიძლება იყოს **დიდი ან რეგიონული.**

დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი არიან ის ქვეყნები, რომელთაც დიდი გეოპოლიტიკური სიმძლავრეები აქვთ: აშშ, ჩინეთი, ინდოეთ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი...

რეგიონული გეოპოლიტიკური მოთამაშენი არიან შედარებით მცირე სიმძლავრეების მქონე ქვეყნები. როგორც წესი, რეგიონული გეოპოლიტიკური მოთამაშე რომელიმე დიდი მოთამაშის გავლენის ველშია.

დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეების სასაზღვრო ზოლში არსებული რეგიონული გეოპოლიტიკური მოთამაშე ნეიტრალური ვერ იქნება, თუკი დიდი მოთამაშენი არ შეთანხმდებიან მის ამგვარ როლზე. საქართველოსთვის ეს შორი პერსპექტივაა.

საქართველო ბოლო 200 წლის მანძილზე (როცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო) საერთოდ არ იყო გეოპოლიტიკური მოთამაშე. 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო შეეცადა, აღედგინა თავისი მრავალსაუკუნოვანი გეოპოლიტიკური როლი; კერძოდ, სახელისუფლებო ელიტა შეეცადა ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ამოქმედებას (გზები, პორტები, გაზსადენები, რკინიგზა, ნავთობსადენი... დამოუკიდებლობის მოსურნე მოსახლეობის კოორდინაცია...) და რეგიონში საქართველოს როლის გაზრდას.

90-იან წლებში გამსახურდიამ, ელჩიბეიმ, დუდაევმა რუსეთს კინაღამ დააკარგვინეს კავკასია – გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონი, ამიტომაც რუსეთმა (დასავლეთთან გარიგების შემდეგ) დაამხო დამოუკიდებლობის მოსურნე ელჩიბეის, გამსახურდიას, დუდაევის ხელისუფლებები...

1992-ში კრემლმა კავკასიაში დასვა შევარდნაძე-ალიევის დუეტი, რომელთაც კავკასია დსთ-ში – რუსეთის გეოპოლიტიკურ ველში – დააბრუნეს.

2003 წლიდან საკაშვილმა ამერიკის გავლენის ველში მოაქცია საქართველო;

2008-ში რუსეთმა დაიწყო აქტიური ქმედება საქართველოს გასაკონტროლებლად, მაგრამ დასავლეთის აქტიური ჩარევის შემდეგ დაკმაყოფილდა საქართველოს მხოლოდ 20 %-ით (მაგრამ რუსეთს სურს კავკასიის სრული კონტროლი და სომხეთში განლაგებულ ბაზასთან სახმელეთო კავშირი).

ვნახოთ, უახლოეს მომავალში რა მოხდება: ვის ხელში მოექცევა (დარჩება) საქართველოს გეოპოლიტიკური სიმძლავრეები?

**საინტერესო პარალელი:** გეოპოლიტიკური ორიენტირები და წითელი ინტელიგენცის არჩევანი.

შევარდნაძის პირველი „მეფისნაცვლობის" (მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლები) დროს ე.წ. წითელ ინტელიგენციად წოდებული ინდივიდები ხელისუფლებასთან იყვნენ შეზრდილნი. გამსახურდიამ მათგან დისტანცია დაიჭირა...

შევარდნაძის მეორე მეფისნაცვლობის დროს (1992-2003) „ინტელიგენციის" ეს „ცნობადი სახეები" ისევ დაუბრუნდნენ სახელისუფლებო ელიტას... სააკაშვილმა ისინი ჩააჩოჩა თუ ჩარეცხა...

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ეს სახეები საჯაროდ აცხადებენ, რომ დაბრუნდნენ... აშკარაა 1975-2011 წლების საინტერესო კანონზომიერება: რუსეთის მიერ კავკასიის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ფლობის თუ დაბრუნების პროცესში ინტელიგენციის ეს ნაწილი „მეფისნაცვლის“ კარს „ალამაზებს“...

იმისდა მიხედვით, თუ ეს „ცნობადი სახეები“ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მასობრივად სად განლაგდებიან, შეიძლება ვიმსჯელოთ ხელისუფლების (მომავალი ხელისუფლებების) გეოპოლიტიკური კურსის ორიენტაციაზე, თუმცა, მთავარი მაინც ის იქნება, რა რეალური ნაბიჯები გადაიდგმება მომავალი ხელისუფლებების მიერ: **ხელისუფლების /თუ ადამიანის/ ორიენტაცია ისეთი რამეა, არ დაიმალება.**

**P.S. სწორად შერჩეული გეოპოლიტიკური სტრატეგია მთავრობამ არ უნდა გააუფასუროს არასამართლებრივი /და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებებისათვის საზიანო / საშინაო პოლიტიკით; ასევე, მთავრობის მიერ სწორად შერჩეულმა საშინაო პოლიტიკამ ამომრჩევლის ცნობიერებაში უკანა პლანზე არ უნდა დასწიოს მოცემული მთავრობის არასწორი (ქვეყნისთვის საზიანო) საგარეო ორიენტირი, რომელიც, საბოლოო ჯამში გააუარესებს ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების პირობებსაც.** საზოგადოებამ (შესაბამისად, მის მიერ დაქირავებულმა ხელისუფლებამაც) მუდამ უნდა იბრძოლოს იდეალური ვარიანტისთვის:

სწორი გეოპოლიტიკური სტრატეგია და სამართლებრივი საშინაო პოლიტიკა!

3 ოქტომბერი, 2012

## საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი წახნაგები 05.02.2013

(მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ფართო რაკურსით)

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი წახნაგების წარმოდგენამდე მოკლედ საქართველოს ისტორიისა და აწმყოს შესახებ:

ქართველთა სახელმწიფო ცენტრალურ კავკასიაში 35 საუკუნის მანძილზე არსებობს და მოიცავს ევრაზიის მასშტაბის მქონე კავკასიის მაგისტრალებს. სტრატეგიული კავკასიის უღელტეხილებისა და გზების კონტროლს უკლებლივ ყველა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშე ცდილობდა, შესაბამისად, საქართველო ექცეოდა ხოლმე რომელიმე იმპერიის ველში და აწარმოებდა **თავდაცვით ომებს.** ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ქართველმა ერმა საკუთარი მეობა შეინარჩუნა, მაგრამ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი. დაპყრობილი მიწების შესანარჩუნებლად საქართველოსთვის წართმეულ ტერიტორიებზე დამპყრობლები რამდენიმე სახის პოლიტიკას ახორციელებდნენ:

**– ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახდენდნენ ქართველთა გენოციდს;**

**– ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს აიძულებდნენ, მიეღოთ დამპყრობლის რელიგია და ცხოვრების წესით დამსგავსებოდნენ დამპყრობელს;**

**– ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს აიძულებდნენ, დამპყრობლის ენა ექციათ კულტურის ენად და დაევიწყებინათ ისტორიული დედაენა – ქართული ენა, შესაბამისად, ისტორიული მეხსიერება და ამ გზით ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინათ ქართველი ერი.**

სამაგალითოდ წარმოვადგენ ბოლო საუკუნეებში მომხდარ რამდენიმე ფაქტს:

1. 1555 წლის ირან-ოსმალეთის გარიგებით, საქართველო შუაზე გაიყო: დასავლეთი საქართველო დარჩა ოსმალეთს, აღმოსავლეთი საქართველო – ირანს; თავისად მიჩნეული ტერიტორიის ნახევარზე ოსმალეთმა შეძლო ქართველების გამუსლიმანება, ხოლო ირანი შეეცადა ქართველთა გენოციდს – ქართველთა ნაწილი ფიზიკურად გაანადგურა, ნაწილი კი – 200 000 ქართველი – ქართლ-კახეთიდან ირანის ცენტრალურ ნაწილში გაასახლა;

2. 1801 წელს რუსეთის იმპერიამ მუხანათურად დაარღვია 1883 წლის ტრაქტატი და ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა; **1811 წელს გააუქმა,** ასევე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და დაიწყო ქართველთა სხვა სამეფო-სამთავროების ანექსია;

3. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, **რუსეთ-თურქეთის გარიგებით,** სამხრეთ საქართველოს ნაწილი მიიერთა თურქეთმა, საქართველოს ცენტრალური და ჩრდილოეთი ნაწილი კი – ბოლშევიკურმა რუსეთმა;

4. საქართველოს შემდგომი დანაწევრების მიზნით, ბოლშევიკურმა რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი – **საინგილო – გადასცა აზერბაიჯანს,** ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო – **ლორე-ტაშირი – მიუერთა სომხეთს,** სადაც ამ უკანასკნელმა შეძლო აქაურ ქართველთა სრული ასიმილირება;

5. რუსეთის იმპერიამ **ქართველთა სრული გენოციდი** განახორციელა სოჭის მხარეში, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში...

6. რუსეთის იმპერია დღენიადაგ ცდილობს, ისტორიული დედაენის – **ქართული ენის – სივრციდან გაიყვანოს** მესხეთის, ლაზეთის, სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობა;

7. რუსეთის იმპერია სომხეთის გარკვეულ წრეებთან ერთად აქტიურად ცდილობს, ავტოქთონი უმცირესობის უფლებით აღჭურვოს ჯავახეთში რუს გენერალ პასკევიჩის მიერ ჩამოსახლებული სომხები (რომლებიც, ოსებთან ერთად, კავკასიაში რუსების მოკავშირედ ითვლებიან); **მიზანი: საქართველოსთვის ამ კუთხის ჩამოცილება;**

8. გარკვეული ძალები დღესაც აქტიურად ცდილობენ, **აჭარა ჩამოაშორონ საქართველოს;**

9. გარკვეული ძალები ცდილობენ, სამცხე-ჯავახეთში ჩამოასახლონ 1944 წელს დეპორტი-რებული მოსახლეობის ის შთამომავლები, რომლებიც **არალოიალურად არიან განწყობილი** ქართული სახელმწიფოს მიმართ...

საქართველო (კავკასია) დღესაც **ორი დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშის დაპირისპირების** ობიექტია; მათი დაპირისპირება ისევ ანტიქართული გარიგებით შეიძლება დამთავრდეს. გარდა ამისა, დღესაც იგივე საფრთხეებია; კერძოდ, დიდი **სახელმწიფოების ზოგი წარმომადგენელი** ცდილობს ისტორიულ ქართულ მიწაზე გენოციდის შედეგების დაკანონებას, ზოგი უტევს ქართველთა ისტორიულ რელიგიას – ქართულენოვან მართლმადიდებლობას, ზოგი კი ესწრაფვის, შეცვალოს **ქართველთა ნაწილის დედაენობრივი და ეთნიკური იდენტობა.**

**ამჟამადაც აქტუალურია საგარეო კურსის ორგვარი პერსპექტივა:** საქართველო ევროატლანტიკური გარეთიანების **ავანპოსტი** გახდება თუ რუსეთის ნეოიმპერიის **ფორპოსტი?**

სააკაშვილის ხელისუფლების დროს **უალტერნატივო იყო ოფიციალური გეზი ნატოსკენ,** თუმცა ამ არჩევანმა საქართველოს ახალი **აღა-მაჰმად-ხანობა მოუტანა:** საქართველოს პროდასავლური კურსით გაღიზიანებულმა რუსეთმა გაანადგურა ან აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან გამოდევნა ქართული და საქართველოს ერთიანობის მხარდამჭერი აფხაზური და ოსური ოჯახები; 2008-ში **დასავლეთმა მხოლოდ სანახევროდ გვიშველა:** დასავლეთის კატეგორიული მოთხოვნით თბილისი რუსულ აგრესიას გადაურჩა და სააკაშვილი დარჩა ხელისუფლებაში, მაგრამ აფხაზეთი და ცხინვალის მხარე დავკარგეთ (სანამ რუსეთი ფეხზე დგას, არ დათმობს ამ მიწებს).

ამჟამინდელი სტატუს კვო ასეთია: ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალს დასავლეთი აკონტროლებს, როკის გვირაბსა და შავი ზღვის აკვატორიის ქართული ნაწილის ნახევარს – რუსეთი.

საქართველოს ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობები დათბა, **მაგრამ რუსეთს არ დააკმაყოფილებს ივანიშვილის ღიმილი; მას მხოლოდ ერთი რამ დაამშვიდებს:** საქართველომ უარი უნდა თქვას ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციაზე. საამისოდ რუსეთი ჯერ შეეცდება, **საქართველოს ამჟამინდელმა მთავრობამ გაიმეოროს ჟორდანიას მთავრობის შეცდომა და თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადოს...**

I. ივანიშვილის ხელისუფლება თუკი საქართველოს ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს, მოვლენები ორი გზით შეიძლება განვითარდეს:

– დასავლეთი დათმობს კავკასიას და, 1921 წლის მსგავსად, საქართველოს დატოვებს სარუსეთო ლუკმად. აქვე აღვნიშნავ, რომ რუსეთი თუკი დაბრუნდა საქართველოში, სამუდამოდ მოსპობს პერსპექტივას, რომ საქართველო აღორძინდეს როგორც **ქართველთა დომინანტობით არსებული ერთიანი სახელმწიფო;**

– დასავლეთი არ შეეგუება ბაქო-ჯეიჰანის ხაზის კონტროლის დაკარგვას და აიძულებს ივანიშვილის მთავრობას, დათმოს ხელისუფლება; რუსეთიც დაიცავს თავის გეოპოლიტიკურ

ინტერესებს კავკასიაში და შეეცდება, კონტროლის ქვეშ დაიტოვოს საქართველოს კიდევ რამდენიმე კუთხე. **საქართველო ჩათრეული აღმოჩნდება ახალ ომში და უფრო მეტ ტერიტორიებს დაკარგავს; ფაქტობრივად, შედგება მორიგი გარიგება საქართველოს წინააღმდეგ:** დამოუკიდებლობის მოსურნე ქართველი ხალხისა და პოლიტიკური ელიტის მცდელობის მიუხედავად, დასავლეთი და რუსეთი (ჩინეთის თანხმობით) 1555, ან 1021 წლების გეოპოლიტიკური მოთამაშეების შეთანხმების მსგავსად, ოფიციალურად გაიყოფენ საქართველოს და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო დაასრულებს არსებობას.

II. **ივანიშვილის ხელისუფლება თუკი გააგრძელებს ევროატლანტიკური ალიანსისკენ სვლას და სახელმწიფოს მოაწყობს უფრო სამართლებრივად,** ვიდრე ეს იყო სააკაშვილის ხელისუფლების დროს, საქართველოს შეუნარჩუნდება შესაძლებლობა, ნაკლები დანაკარგებით საბოლოოდ გავიდეს რუსული გავლენის ველიდან და **ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებით ააღორძინოს საქართველოს სახელმწიფო.**

**არის კიდევ ერთი თეორიული შესაძლებლობა (III):**

დამოუკიდებლობის მოსურნე ქართველი ხალხისა და პოლიტიკური ელიტის მცდელობით **დასავლეთი და რუსეთი (ჩინეთის თანხმობით) შეთანხმდებიან,** რომ საქართველო იყოს ნეიტრალური ზონა და ქართველ ერს მოგვეცეს საშუალება, ჩვენი ეროვნული ფასეულობების საფუძველზე მოვაწყოთ ჩვენივე სახელმწიფო. **ამგვარი მსოფლიო კონსესუსის პერსპექტივა ჯერ არ ჩანს.**

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების კონცეფციის პირველი შვიდი წახნაგი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. **ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების დროს ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობა წარმატების მთავარი ფაქტორია;** შესაბამისად, სახელმწიფოს განათლების სისტემა და საშინაო პოლიტიკა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ შენარჩუნდეს ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ენობრივ-ეთნიკური ერთიანობა და ქართველთა გამაერთიანებელი სხვა ისტორიული ფასეულობანი;

2. უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები, რომ აღდგეს **საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირება** საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (დღეს საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე იგნორირებულია ქართული ენა);

3. აუცილებელია, ხელისუფლებამ შეიმუშაოს **ქართული ენის ტექნოლოგიზების გეგმა,** რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენით სრულფასოვან ურთიერთობას ინტერნეტსივრცესთან, რაც ქართულ ენას შეუნარჩუნებს კულტურული ენის ფუნქციას, ეს კი უზრუნველყოფს მომავალი გლობალური ტექნოლოგიების ეპოქაში ქართველი ერის გადარჩენას.

4. ხელი უნდა შეეწყოს **ქართული ცნობიერების ჩამომძერწავ მრავალსაუკუნოვან ფენომენს – ქართულენოვან მართლმადიდებლობას;** ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოს ეკლესიამ თავისი **კუთვნილი ადგილი დაიკავოს დიპტიხში** –მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების მოხსენების რიგში (ამჟამად ამ ადგილას რუსეთის ეკლესიაა);

5. რეალურად უნდა განისაზღვროს საქართველოს როლი კავკასიისა და ევრაზიის მასშტაბით; ამ მიმართულებით პირველ რიგში გასააზრებელია ის, რომ საქართველო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და არა – სამხრეთ კავკასიაში (სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ „ეროვნული უსაფრთხოების“ დოკუმენტში /http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12/ გაზიარებულია რუსული და ევროპული ექსპერტების კვალიფიკაცია და საქართველო, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, ითვლება სამხრეთ კავკასიად; სინამდვილეში სამხრეთი კავკასია არის ლაზეთი და ტაო-კლარჯეთი, რომელიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაში შედის). **საქართველომ თავის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა გამოაცხადოს სამხრეთ კავკასიაში** მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა; კერძოდ, უნდა შემუშავდეს საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ მეზობლების მიერ მითვისებული ან საქართველოს არაკანონიერი (მარიონეტული) მთავრობების მიერ გასხვისებული ტერიტორიების მოსახლობის შესახებ **გრძელვადიანი კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა – უნდა შედგეს საგანმანათლებლო ხასიათის პროექტები საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების მიღმა დარჩენილი ავტოქთონი ქართველობის ეთნიკური იდენტობის შესანარჩუნებლად.**

6. უნდა გაგრძელდეს **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა;** ამ მხრივ კარგი ჩანაწერია წინა ხელისუფლების მიერ შემუშავებულ „უსაფრთხოების კონცეფციაში“/ http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12/: „მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება და ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდისა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის ფაქტების აღიარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის 2008, 2009, 2010 და 2011 წლების რეზოლუციები, გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის რეზოლუცია, ეუთოს ბუდაპეშტის 1994 წლის, ლისაბონის 1996 წლის და სტამბოლის 1999 წლის სამიტების დოკუმენტები და ევროპის პარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუცია”.

7. პარალელურად, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით უნდა შემუშავდეს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დეოკუპაციის გეგმა. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ მეზობლების მიერ მითვისებული ან საქართველოს არაკანონიერი (მარიონეტული) მთავრობების მიერ გასხვისებული ტერიტორიების შესახებ **გრძელვადიანი პოლიტიკა (ავტოქთონი ქართველობის ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების მიზნით).**

8. **საქართველომ უარი უნდა თქვას თვითგამოცხადებულ ნეიტრალიტეტზე;** რადგან ცალმხრივად გამოცხადებული ნეიტრალიტეტი მოგვიტანს ისეთსავე კატასტროფას, რომელიც მოგვიტანა ნოე ჟორდანიას ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა ნეიტრალიტეტმა (იხ., 1918 წლის 26 მაისის აქტი და 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება). საქართველოს საგარეო კურსის მიზანი უნდა იყოს ან ნატოსთან ინტეგრაცია, ან მსოფლიოს წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშეების (ნატო, რუსეთი, ჩინეთი...) ოფიციალური შეთანხმების მიღწევა საქართველოს ნეიტრალიტეტზე.

**უსაფრთხოების კონცეფციის ვრცელ ვარიანტში, ასევე, საუბარი უნდა იყოს:** ნახევარი მილიონი დევნილის დაბრუნების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, კიბერუსაფრთხოების, სახელმწიფო ინსტიტუტების, ენერგეტიკის, ეკონომიკის, დემოგრაფიის, ეკოლოგიის და სხვა საკითხები, რომლებიც მეტნაკლები სისრულით წარმოდგენილია **საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულ „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“.** თუმცა, ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კონცეფციაში არ ჩანს, ჩვენი აზრით, **ხუთი არსებითი** საკითხი:

- **ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა;**
- **ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენა;**
- **ქართული ენის ტექნოლოგიზება; საქართველოს განათლების სისტემის დაგეგმვა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით;**
- **საქართველოს სახელმწიოფოებრიობის ისტორიისთვის საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება;**
- **სამხრეთ კავკასიაში (ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი) მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა.**

**დამატებითი თეზისები:**

1. დღეს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ნახევარზე სრულიად იგნორირებულია სახელმწიფო ენის სტატუსი (ამ დროს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების კონცეფციაში საუბარია ძირითადად ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებაზე); პარალელურად, როგორც დასავლეთის, ასევე, რუსეთის პოლიტელიტა მხარს უჭერს საქართველოში ათზე მეტი უმცირესობის ენისთვის რეგიონული ან უმცირესობის ენის სტატუსის მინიჭებას; ეს ნიშნავს იმას, რომ გაგრძელდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გავრცელების არეალის შემცირება. თუკი საქართველომ რაიმე რადიკალური ღონისძიება არ განახორციელა.

2. საქართველო აგებს საინფორმაციო ომს იმიტომაც, რომ საქართველოს ენობრივ-ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის შესახებ სრულიად არაადეკვატური ინფორმაციებია გავრცელებული მთელ მსოფლიოში, რომელთა გავლენით საქართველოს მეგობარი სახელმწიფოებიც კი წამგებიან კონსულტაციებს გვაწვდიან... აუცილებელია საქართველოს ახალმა მთავრობამ ამ

მიმართულებით სერიოზული გეგმები შეადგინოს და განახორციელოს...

3. დაუშვებელია საქართველოს მიერ საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა და საქართველოს დაბრუნება დსთ-ის სივრცეში; არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ამ გზით გადაწყდება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან განდევნილ ქართველთა დაბრუნება საკუთარ სახლებში; მეტიც, რუსეთი შეეცდება, სამუდამოდ დააკანონოს დღეს აქ არსებული დემოგრაფიული სიტუაცია სომხებისა და რუსების სასარგებლოდ.

4. რუსეთ-საქართველოს ომის ბოლო ეპიზოდში (2008 წლის აგვისტო) მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთისა და რუსეთის ხელისუფლებების პირველი პირები. გავრცელებული ცნობებით, საუბარი შეხებია აჭარის თემასაც.

მრავალი უცხოური თუ ქართული წყარო ცხადყოფს, რომ ოდითგანვე აჭარა იყო საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონი და ქართველთა საცხოვრისი; შდრ.: დასავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო, სულ მცირე, ტრაპიზონამდე, ჩრდილოეთი საზღვარი კი – ძველ ლაზიკამდე – ნიკოფსიამდე (Nikofsis; ამჟამინდელი ქალაქი ტუაფსე). საქართველოს არც ერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას სოჭის მხარე თუ ტაო-კლარჯეთი არ გადაუცია მეზობელი სახელმწიფოსათვის.

**დღეს ჩვენ არ ვაყენებთ ტაო-კლარჯეთის რეალური ისტორიის შესაბამისად პოლიტიკური საზღვრების გადასინჯვის საკითხს** (თუმცა, აუცილებელია, ამ კუთხების ავტოქთონი ქართველების ენობრივ-კულტურული უფლებების დაცვა); **ვაცნობიერებთ, რომ ამგვარი პრეტენზიები დიდ საფრთხეს შეუქმნის თურქეთს,** შესაბამისად, არც თურქეთი უნდა იყოს იმაზე ორიენტირებული, რომ აჭარის უკანონო ავტონომიის თემის ლობირებით გაღიზიანება გამოიწვიოს მისდამი კეთილგანწყობილ საქართველოში.

5. 2013 წლის იანვრის ბოლოს ამერიკაში ჩატარდა კონფერენცია საქართველოს შესახებ, სადაც ითქვა, ბოლო 20 წელიწადში **საქართველოს დემოკრატიის ოთხი შანსი ჰქონდა;** მეოთხე შანსი არის ივანიშვილის ხელისუფლება.

პირველი შანსი იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოსვლა, მეორე – შევარდნაძის დაბრუნება საქართველოში; მესამე – სააკაშვილის ვარდების რევოლუცია. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, წინა სამი მოლოდინი არ გამართლდა...

ამერიკელ ექსპერტებს შევახსენებთ, რომ დასახელებული სამი მოვლენა არსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

დასავლურ დემოკრატიულ და ტრადიციულ ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული სახელმწიფოს აშენების **პირველი შანსი** 1992 წელს საქართველოს მოსახლეობას წაართვა რუსეთმა, რომელმაც დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, დიდი ალბათობით, დასავლეთის თანხმობით (იხ., მალტის შეხვედრის მასალები);

**მეორე შანსი** – შევარდნაძის დაბრუნება – იყო კავკასიაში რუსული სისხლიანი პოლიტიკის გაგრძელება და არა – დემოკრატიზაციის დასაწყისი.

**მესამე შანსი** მართლაც იყო **შანსი** დემოკრატიის გზაზე, მაგრამ იგი ორი მიზეზის გამო დაიკარგა:

–სააკაშვილისხელისუფლებისარასწორისაშინაპოლიტიკისგამო(სასამართლოშისამართლის ფაქტობრივი იგნორირება, ელიტური კრიმინალი, ორიენტირება ინფრასტრუქტურაზე და არა – მოქალაქეზე, გესლიანი რიტორიკა რუსეთთან, ეროვნული ფასეულობებისგან დისტანცირება...);

– **დასავლეთის გაუბედავი ნაბიჯების გამო** (მაპის არმინიჭება საქართველოსთვის, რასაც მოჰყვა 2008 წლის რუსული აგრესია).

იმედია, მომავალი ხელისუფლებები უფრო ადეკვატურ უსაფრთხოების კონცეფციას ჩამოაყალიბებენ.

5 თებერვალი, 2013 წელი,
ქუთაისი
5 თებერვალი, 2013

# ირიბი პასუხი ამერიკის ელჩს

აქცია-ტესტირება და ტ ე ს ტ ი რ ე ბი ს შ ე დ ე გ ი

შესავლის ნაცვლად:

– ყოველგვარი ძალადობა დასაგმობია: უმცირესობის ძალადობა უმრავლესობაზეც და უმრავლესობის ძალადობაც უმცირესობაზე...

– ადამიანის ინდივიდუალური უფლებების დაცვა აუცილებელია, მაგრამ, ასევე, აუცილებელია, ერის სასიცოცხლო ღირებულებებისა თუ უფლებების დაცვაც...

17 მაისს ჩრდილოეთ მყოფმა „იდენტობის“ აქციის დამგეგმავებმა ამ დღეს ჩაატარეს ქართველი ხალხის მორიგი „ტესტირება“.

რა შედეგებია და რა დაიგეგმება მორიგ სვლად?

მანამდე რამდენიმე ფაქტი:

1. ქართველ ხალხს არ მოსწონს ერთსქესიანი ქორწინებისა თუ ურთიერთობების წახალისება და პროპაგანდა... დარწმუნებული ვარ, ეს არ მოსწონს არც ერთ სხვა ერს /ზოგადად/.

2. ეკლესიის წარმომადგენელთა ყოფნა აქციაზე ემსახურებოდა ტრადიციული ქართული იდენტობის (მეობის) შენარჩუნებასა და დაცვას. სასულიერო პირიც ადამიანია და შეიძლება ვინმემ გადაამეტა და თავისი გაღიზიანება გამოხატა, მაგრამ ფაქტია, რომ შსს ადეკვატური ქმედებით არ დაშავებულა არც ერთი ლბგტ პირი და მათი დამცველი თუ თანამოაზრე. თუმცა, რომ არა პოლიცია, პროვოკატორებს შეიძლება „ლინჩის წესიც“ გამოეყენებინათ და გამოუსწორებელი დანაშაული ჩაედინათ.

3. ლბგტ პირების დამცველი ორგანიზაციები იცავენ ამ ადამიანების პიროვნულ უფლებებს და, ეს გასაგებია, მაგრამ უფლებების დაცვა არ უნდა გადაიზარდოს პროპაგანდაში. რაიმე გადახრა ძალადობით ვერ აიკრძალება /პირიქით, აკრძალვა ზრდის წინააღმდეგობას/, თუმცა არც მისი პროპაგანდაა საჭირო.

4. ის ფაქტი, რომ ქართველმა საზოგადოებამ არ დაუშვა ლბგტ ადამიანების „აღლუმი“ (მრავალრიცხოვანი აღლუმები უკვე ტრადიციულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში თუ კონტინენტის სხვა ქვეყნებში), არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა წინააღმდეგია ევროკავშირისა თუ ნატოს დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა (ირიბი პასუხი ამერიკის ელჩს).

საქართველოს სურს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (რუსული ჯარის გასვლა საქართველოდან – დეოკუპაცია და ლტოლვილთა დაბრუნება, კონსტიტუციური სამართალის დამყარება), ეროვნული მეობისა და ფასეულობების შენარჩუნება და დასავლური სახელმწიფოებრივი წყობის დამკვიდრება>>>

თუ საუბარია საქართველოს მიერ სამხედრო ალიანსის არჩევანზე, პირადად, მე ის სამხედრო ალიანსი მირჩევნია, რომელიც ჩემს ეროვნულ თვითმყობადობას არ ემუქრება... რუსულმა სამხედრო ალიანსმა საქართველო კინაღამ გაანადგურა; ეს მწარე გამოცდილება ფაქტია...

დასავლურმა სამხედრო ალიანსმა – ნატომ – სხვა გზებით იგივე არ უნდა გააკეთოს (ირიბი პასუხი ამერიკის ელჩს).

პირადად, მე მხარი დავუჭირე და მხარს ვუჭერ ახლაც ევროატლანტიკურ ალიანს და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ეს ალიანსიც იმავე საშიშროებას მიქმნის, რაც შემიქმნა მეფის რუსეთმა თუ საბჭოთა იმპერიამ.

ჩვენი ისტორია არის დიდი ბრძოლებისა და პოლიტიკური ბალანსირების მონაცვლეობის ისტორიაა; ერი მაშინ იღუპება, როცა წინააღმდეგობის უნარი არა აქვს; ბალანსირებაც წინააღმდეგობის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ მხოლოდ ბრძოლაშია გამარჯვება.

5. ლბგტ ადამიანებს უფლება აქვთ, შეხედულებისამებრ თუ შესაძლებლობისამებრ მოიწყონ ინტიმური ცხოვრება, მაგრამ მათ სხვები არ უნდა გააღიზიანონ ფართო საზოგადოებისათვის მიუღებელი გამომწვევი აქციებითა თუ ქცევით.

კარგად ვიცი, რომ ასეთი აღლუმები ბევრს არც ევროპაში მოსწონს, მაგრამ დარბევითაც ნაკლებად ემუქრებიან. პირადად, მე ერთსქესიანი ურთიერთობების /აღლუმებით/ პროპაგანდას არც ევროპაში მივესალმები და არც საქართველოში მომეწონება, რამდენადაც, კაცობრიობა

გადარჩება მხოლოდ მსოფლიოში აღიარებულ მრავალსაუკუნოვან მორალურ კატეგორიებზე ორიენტირებითა და ნორმალური ქალისა და ნორმალური მამაკაცის ქორწინებით /სექსით/ გაჩენილი შთამომავლებით.

6. ასევე, ძალიან არ მომწონს ერთმანეთის ლანძღვა-გინება რადიკალიზებული ჯგუფების მიერ. ამ კონტექსტით ორივე მხარე მსგავსია; ცივილიზებულობა თუ დემოკრატიულობა ბილწსიტყვაობის, მრუშობის, ანომალიური თუ ამორალური ქმედების საჯარო პროპაგანდასა და რეკლამირებას არ გულისხმობს, არც, რასაკვირველია, ლბგტ პირებზე ძალადობას, არც პოლიტიკური პროვოკაციის მიზნით ვითომდა ლბგტ პირთა დაცვისთვის ქუჩაში გამოსულ ინდივიდებზე ძალადობას /დარწმუნებული ვარ, მავანს სურს, ამ ტიპის აქციების დაგეგმვითაც გაუტეხოს სახელი საქართველოს/.

7. ემოციურ გარემოში საზოგადოებასა და ბრბოს შორის მანძილი ძალზე მცირეა; ზოგი პოლიტიკური ავანტიურისტი ცდილობს საზოგადოების ემოციის ბოროტად გამოყენებას, შემდეგ კი გარეშე ძალებისგან დაფინანსების მოპოვებას...

არის მეორე უკიდურესობაც: მავანთა დეზორიენტირებით ნიჰილიზმში გადავარდნილი „საზოგადოების“ – გათითოკაცებულ-გაპასიურებული საზოგადოების – ველში მიაღწიოს პოლიტიკურ წარმატებას, ისევ და ისევ, გარეშე ძალების დონორობით.

საზოგადოების წევრები ფრთხილად უნდა ვიყოთ ორივე ტიპის „მომხმარებლებთან“, ვინაიდან პოლიტიკური ავანტიურისტები ამ ორივე გზას აქტიურად იყენებენ და ცდილობენ, ჩვენს სინამდვილეში მრავალსაუკუნოვან ერსა და ეკლესიას გაუტეხონ სახელი; ისინი საუბრობენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პასუხისმგებლობაზეც კი...

ამ დროს საქართველოს პატრიარქი საქართველოში მშვიდობისა და უძირითადესი ფასეულობების დაცვის შუაგულშია, ქართველი ერი კი – საოცრად ტოლერანტი.

სახელს კი მაინც გვიტეხენ...

ტ ე ს ტ ი რ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ი: საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა არ მიესალმება გეიაღლუმებსა და ერთსქესიანთა ქორწინებას (შდრ., საფრანგეთმა გუშინ თუ გუშინწინ მხარი დაუჭირა ერთსქესიანთა ქორწინებას).

დასავლეთის ლიდერების მორიგი სვლის ორი პერსპექტივა:

1. დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები მიხვდებიან, რომ ევროატლანტიკური ალიანსი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ფასეულობებისა და ღირსების დაცვით მოიპოვებს ნდობას საქართველოში; შესაბამისად, საქართველო გახდება ევროპული ოჯახის ბუნებრივი წევრი თავისი ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის შემთხვევაში.

2. დასავლეთის მმართველი პოლიტიკური ჯგუფი შეეცდება, მომდევნო წლებში ხერხემალში გადატეხოს ქართული ეროვნული ფასეულობები და საქართველოს ტერიტორია აქციოს უეროვნებო და სქესის მიხედვით დეზორიენტირებული ადამიანების საცხოვრისად...

პირველ შემთხვევაში: მოიგებს დასავლეთიც – მიიღებს რა სამუდამო თანადგომას გეოპოლიტიკურად არსებით ცენტრალურ კავკასიაში – საქართველოში; მოიგებს საქართველოც – საბოლოოდ დააღწევს თავს „რუსულ ჩექმას“ და სხვა მსგავს საფრთხეებსაც.

მეორე შემთხვევაში: დასავლეთი საქართველოს უბიძგებს რუსეთის იმპერიული „წიაღისკენ“, რითაც საქართველოს საბოლოოდ დაღუპავს და თავადაც სამუდამოდ დაკარგავს კავკასიას – გეოპოლიტიკურად ძალიან სტრატეგიულ რეგიონს.

**P.S.** ცნებების გაყალბება – ცინიზმის აპრობირებული ფორმა: ლბგტ პირთა დამცველ საზოგადოებას „იდენტობა“ დაარქვეს...

შდრ.: იდენტობა:

– ეროვნული მეობა;

– პიროვნული მეობა [იგულისხმება, რომ ქალის გენეტიკური თუ ქვეცნობიერ-ცნობიერი / ინტელექტუალური/ მეობა დაფუძნებულია მდედრულ საწყისზე, მამაკაცისა კი – მამრის საწყისზე].

შდრ.: Identity:

1. The collective aspect of the set of characteristics by which a thing is definitively recognizable or

known;

2. The set of behavioral or personal characteristics by which an individual is recognizable as a member of a group.

19 მაისი, 2013

## ნატო და ევრაზიის კავშირი

საქართველოს მოსახლეობის 70 %-მა ნატოში გაწევრიანებას დაუჭირა მხარი; ე. ი. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს რუსულ ნეოიმპერიაში დაბრუნება

/თუმცა, ქართველობა უარს არ ამბობს რუსეთთან კეთილმეზობლობაზე/...

ამ დროს დასავლეთი გაუმართლებლად, „რატო ქუდი არ გახურავს“ დონეზე, აყოვნებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესს... ამგვარმა პოლიტიკამ ბიძგი მისცა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიას.

ფაქტია: დასავლეთის პოლიტიკური წრეების ერთ ნაწილს სურს, საქართველო მალე გაწევრიანდეს ნატოში... თუმცა, ჩანს, ამერიკელები და ევროპელები საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდნენ, საქართველო/კავკასია ნატოს წევრად უნდათ თუ რუსეთთან სავაჭრო საგნად...

ლეგიტიმური ეჭვი: ჩინური საფრთხის შესაჩერებლად დასავლეთის პოლიტიკური ელიტის მეორე ნაწილი ხელს ხომ არ უწყობს ევრაზიის კავშირის შექმნას და ხომ არ სურს, რუსეთს დაუტოვოს კავკასია / საქართველო? სხვაგვარად ვერ აიხსნება საქართველოს ამდენი ხნის მანძილზე შეჩერება ნატოს ღია კართან! საქართველოს/კავკასიის საკითხი რომ დიდი საერთაშორისო პოლიტიკური სინდიკატების დაპირისპირების ეპიცენტრია, ამას მოწმობს ეს სტატიაც:

The Washington Post Is Wrong: Georgia’s Democracy Isn’t In Peril

http://www.forbes.com/sites/markadomanis/2013/06/01/the-washington-post-is-wrong-georgias-democracy-isnt-in-peril/

http://www.pirweli.com.ge/?menuid=12&id=34507

იმედია, დასავლეთი კიდევ ერთხელ არ გაგვწირავს... ჩვენ კი გულზე ხელი არ უნდა დავიკრიფოთ და უნდა შევინარჩუნოთ ეროვნული ერთიანობა, თავისუფლების ნება და სახელმწიფოებრივი ღირსება...

13 ივნისი, 2013

## უსაფრთხოების კონცეფცია...

**საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაში გასათვალისწინებელი ზოგი საკითხის შესახებ რამდენიმე რისკფაქტორი ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოსთვის:**

მიმდინარე ეტაპზე არსებითია, გავიაზროთ, რომ საქართველოსთვის მეტად სახიფათოა:

- მილიარდ-ნახევარი მუსლიმანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საზღვარზე არსებულ საქართველოში რელიგიური დაპირისპირების პროვოცირება;
- რუსეთთან არსებული პოლიტიკური კონფლიქტის სახელდება ე.წ. ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ეთნოკონფლიქტებად (ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ქუთაისსა თუ თბილისში მრავალ აფხაზსა და ოსს მშვიდობიანი თანაცხოვრება აქვს ქართველებთან);
- არაქართული ეთნიკური ჯგუფების სუსტი ინტეგრაცია ქართულენოვან სახელმწიფოში;
- დაუსაბუთებელი ლინგვისტური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართველური ენობრივი სამყარო ნაწევრდება რამდენიმე ქართველურ ენად; არაადეკვატური ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციებისა და რუკების ტირაჟირება მთელ მსოფლიოში, რომელთა მიხედვით დასავლეთით ქართული ენის საზღვარია სამტრედია, ჩრდილოდასავლეთით კი – ცაგერი;
- „ევროპული ქარტიის“ არსის გაყალბებით საქართველოს ხელისუფლებისათვის 12-დან 19-

მდე რეგიონული ენის აღიარების მოთხოვნა;

- სახელმწიფოს მიერ არასაკმარისი ზრუნვა ქართული ენის საინტერნეტო ენად ქცევისათვის;
- ქართული ენის ლინგვისტური კორპუსიდან მეგრულის, ლაზურის და სვანურის გატანა და სხვ.

**სრული საფუძველი გვაქვს, ვთქვათ, რომ ყველა ეს რისკფაქტორი ერთ მიზანს ემსახურება:** მომზადდეს ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლები და საქართველოს, როგორც უნიტარული სახელმწიფოს, დანაწევრება კონფედერაციული ტიპის მყიფე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად.

**საქართველოს ამჟამინდელ უსაფრთხოების კონცეფციაში გათვალისწინებულია საყურადღებო საკითხები, მაგრამ მასში არ არის საუბარი, ჩემი აზრით, რამდენიმე არსებით საკითხზე:**

– საინფორმაციო ომში საქართველოს სტრატეგიულ ამოცანებზე;

– რთულ გეოპოლიტიკურ ველში რეგიონალიზმის საფრთხესა და უნიტარული სახელმწიფოს განმტკიცების აუცილებლობაზე;

– საქართველოს სახელმწიფო ენაზე, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობის განმსაზღვრელ ნიშანზე;

– საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველების ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენაზე;

– ქართული ენის ტექნოლოგიზების აუცილებლობაზე (ყველა ერი მალე გაქრება, რომლის ენაც არ იქნება ახალი ტექნოლოგიების ენა);

– ქართული ენის ქვესისტემების (მეგრული, ლაზური, სვანური, ტაოური, ფერეიდნული, ინგილოური, ხევსურული, ჩაღმა-თუშური, წოვა-თუშური, აჭარული, იმერხეული...), როგორც ეროვნული სიმდიდრის დაცვის აუცილებლობაზე;

– ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარებაზე;

– ენობრივი და რელიგიური პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიის განსაზღვრაზე და სხვ.

**შესაბამისად, კარგი იქნება, თუკი საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაში გათვალისწინებული იქნება:**

1. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება და ყველა სახის უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების ორგანიზებით საქართველოს სახელმწიფოში მათი ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა;

2. ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის – ქართველთა კუთხური მეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, ხევსურულის, ტაოურის, თუშურის...) – შენარჩუნებისათვის ზრუნვა და ყველა ქართველური მეტყველებით ქართველთა საერთო სამწიგნობრო ენის/კულტურის გამდიდრება;

3. სახელმწიფოს მიერ ქართველოლოგიური კვლევების ორგანიზება; კერძოდ:

3.1. სერიოზული ქართველოლოგიური კვლევების დაგეგმვა საქართველოს ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტში;

3.2. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სისტემის დაგეგმვა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით; პირველ რიგში – ქართული ენის ტექნოლოგიზება და „ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნა“ /სადაც შევა სალიტერატურო ენისა და მისი ქვესისტემების – მეგრულის, სვანურის, ლაზურის, ტაოურის, ხევსურულის, იმერულის, ქართლურის... მონაცემები/ და ქართულიდან და ქართულად აკადემიური ტექნიკური თარგმანის განხორციელება;

3.3. ქართულ-სომხური, ქართულ-თურქული, ქართულ-ირანული, ქართულ-ჩრდილოკავკასიური, ქართულ-თურქული, ქართულ-რუსული... ურთიერთობების კვლევების ორგანიზება;

4. საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ავტოქთონი ქართველების (საინგილოს, ლორე-ტაშირის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის მკვიდრი ქართველობის) ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის ზრუნვა /ამ რეგიონებში ძალიან დიდია ქართული ენისა და ქართველთა ეთნიკური მეობის გაქრობის საფრთხე/.

5. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ქართული ენის მაკონსოლიდირებელი

როლისადაქართულენოვანიმართლმადიდებლობის/საქართველოსეკლესიის/განსაკუთრებული როლის აღიარება; ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ საინფორმაციო თავდაცვის სწორად ორგანიზება:

5.1. დეზინფორმაციული ზემოქმედებისგან საკუთარი მოსახლეობის ცნობიერების დაცვის მიზნით, მასმედიისა და ინტერნეტსივრცის გამოყენებით, სწორი ქართველოლოგიური (ენობრივი და რელიგიური სიტუაციის ამსახველი, ისტორიოგრაფიული...) დებულებების მიწოდება ფართო საზოგადოებისათვის;

5.2. სასკოლო და უმაღლესი განათლების სწორი დაგეგმვით, ასევე, მასმედიისა და ინტერნეტსივრცის გამოყენებით, საკუთარი მოსახლეობის (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) სწორი სახელმწიფოებრივი (ნაციონალური) ორიენტირების ჩამოყალიბება და ერთიან სახელმწიფოში მოქალაქეთა ინტეგრაციის პროცესის სწორად წარმართვა...

1 სექტემბერი, 2013

## მინარეთი და ქართული ენა
## Minare ve Gürcü Dili

**ფევზი ჩელები, ერდოგან შენოლი და ტარიელ ფუტკარაძე საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ**

2013 წლის 7 სექტემბერს მეგობრისა და მოგვარის – სეზაი სეფას (ფუტკარაძის) – ქორწილი იყო ხენდეკში (თურქეთში, სტამბოლიდან 150 კილომეტრში); ჩანს, სეზაის წინაპრები – მუჰაჯირი ქართველები – წამოვიდნენ ართვინიდან, რადგანაც სეზაის ნათესავების დიალექტი უფრო ქართული ენის იმერხეული კილოა, ვიდრე – აჭარული; სეზაიმ მშობლების ქართული (დიალექტი) აღარ იცის; ახლა კი სწავლობს ქართულ სალიტერატურო ენას...

თურქეთის მოქალაქეთა ქორწილის დიდი ნაწილი ცეკვით დროსტარებაა, მაგრამ მე და ჩემს ორ თურქეთელ მეგობარს – ერდოგან შენოლსა და ფევზი ჩელებს – 7 სექტემბერს საქართველოს შესახებ უფრო ტკივილიანი საუბარი გამოგვივიდა, ვიდრე მხიარულება კიდევ ერთი მეგობრის ქორწილში; გადავწყვიტეთ, ჩვენი საუბრის ძირითადი ნაწილი ქართულ და თურქულ ენებზე გამოვაქვეყნოთ. საუბრის ქართული ტექსტის პირველი ვარიანტი მე გავაკეთე; შემდეგ ტექსტი ერდოგანმაც და ფევზიმაც წაიკითხეს, ზოგიერთი მონაკვეთი დააზუსტეს და თურქულად თარგმნეს.

7 სექტემბრის ჩანაწერს გამოქვეყნების წინ, 14 სექტემბერს, დაემატა ორი ფრაზა ბ-ნი ერდოგანისა და ჩემი მიმოწერიდან /საქართველოს ღირსების შემლახავი ნახატის შესახებ/.

გთავაზობთ ჩვენი საუბრის იმ ნაწილს, რომლის გამოქვეყნებაც საჭიროდ ჩავთვალეთ.

ტარიელ ფუტკარაძე

16.09.2013

07.09.2013 წელი. დუზჯეს ილი, გოლიაქის რაიონი, სოფელი ჰაჯიაქუფი (სტამბოლიდან 200 კილომეტრი); ფევზი ჩელების ოჯახი. ვსაუბრობთ: **ფევზი ჩელები (ჩელებაძე), ერდოგან შენოლი (დავითაძე) და მე, ტარიელ ფუტკარაძე.**

ბატონი ფევზი და ბატონი ერდოგანი, **თურქეთის მოქალაქე მუსლიმანი ქართველები,** XIX საუკუნეში აჭარიდან თურქეთში გადასახლებული მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები არიან. ფევზი და ერდოგანი შუა თურქეთში დაიბადნენ და იქვე ცხოვრობენ: ფევზი – დუზჯეში, ერდოგანი – საქარიაში. ჩვენი (სამივეს) წინაპრები მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ერთ ულამაზეს კუთხეში ცხოვრობდნენ – აჭარაში.

**ტ.ფ.:** ლამაზია დუზჯეს მიდამოები, განსაკუთრებით ეფთინის მთები... აჭარის მთიანი სოფლების მსგავსადაა ეფთინის მთებზე შეფენილი მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები; ეს მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს; ეტყობა, მუჰაჯირმა აჭარლებმა დიდი გზა გამოიარეს და აქ იპოვეს აჭარის მსგავსი ადგილი...

**ფ.ჩ.:** ჰო, ეს მხარე მთიან აჭარას ძალიან ჰგავს... ეფთინის ფერდობებზე ახლა 15-მდე სოფელია; 1000 კომლამდე ქართველი მხოლოდ ჩემს სოფელშია – ჰაჯიაქუფში; ეფთინის მხარეში 2500 კომლამდე ქართველია; 4 სოფელი აფხაზებისაა... ეფთინის მხარიდან ბევრი წავიდა სტამბოლსა თუ დუზჯეში; დავცოტავდით აქ ქართველები.

**ტ.ფ.:** აქაურმა ახალგაზრდებმა ქართული იციან?

**ფ.ჩ.:** სამწუხაროდ, ნაკლებად...

**ტ.ფ.:** თურქეთი და საქართველო დღეს კეთილმეზობლობას აღრმავებენ; ეს კარგია; გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლებამ ახლახან მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, სხვა ენების მსგავსად, ქართულის სწავლა შეუძლია ყველას, მათ შორის – ეთნიკურ ქართველებსაც; თურქსაც შეუძლია აირჩიოს ქართული, როგორც მეორე ენა; როგორ ფიქრობ, აქ მოქმედი ქართული კულტურის ცენტრები აიღებენ ინიციატივას, ეთნიკურმა ქართველებმა გამოიყენონ ეს უფლება და სკოლებში სახელმწიფო ენის პარალელურად დედაენის სწავლაც დაიწყონ?

**ფ.ჩ.:** ასეთი კანონი კარგია, ზოგს უნდა ქართულის სწავლა, მაგრამ შიშიც აქვს, მერე არ იყოს რაიმე პრობლემაო; მერე რომ მოვიდეს რასისტი მთავრობა, ქურთების მსგავსად არ შეგვაფასონ და მერე ბავშვებს პრობლემა არ შეუქმნანო, – ამბობენ... გარდა ამისა, ზოგი ფიქრობს, რომ ქართულის სწავლა პრაქტიკულად რაში გამოგვადგებაო; ესენი ვერ ხვდებიან, რომ დედაენა დედასავით მუდამ საჭიროა... თურქეთში ოთხ მილიონამდე ქართველი ვართ ლაზების ჩათვლით; დუზჯეს ქართული კულტურის ცენტრი ამ მხრივ პასიურია... იმედია, გამოჩნდებიან ქართულის სწავლის მსურველნი.

**ე.შ .:** ჰო, ქართული ენის სწავლას ზოგი მართლაც ეჭვით უყურებს; კანონი კი არის, მაგრამ მერე არ იყოს პრობლემაო, ფიქრობენ; პირადად, მე ვერ ვხედავ პრობლემას; თუნდაც იყოს! პრობლემის თუ გეშინია, მაშინ რა კაცი ხარ...

**ტ.ფ.:** წესით, აქაური სათვისტომოები თუ ქართული კულტურის ცენტრები უფრო გააზრებულად უნდა უდგებოდნენ **ქართული ენის, როგორც ქართველთა დედაენის სწავლების საკითხს;** თუ ქართული კულტურის ცენტრი ჰქვია, ქართული ეთნიკური იდენტობის მთავარი ნიშნის – ქართული ენის – გადარჩენისთვის არ უნდა იზრუნოს?!

**ფ.ჩ.:** მეც მაგას არ ვამბობ?! მაგრამ სამწუხაროა, რომ დუზჯეს ქართული კულტურის ცენტრი უფრო ქართული ცეკვითაა დაინტერესებული... ზოგს ჰგონია, რომ მისი ქართული მეობის განმსაზღვრელი მხოლოდ ქართული ცეკვა-სიმღერაა; მათთვის ქართული ენა არის სიმღერის ენა და არა – კულტურისა და განათლების მიღების ენა. სამწუხარო ის უფროა, რომ ამ ბოლო დროს დუზჯეს კულტურის ცენტრმა ახალი საქმეც გაიჩინა: დახმარება საქართველოს ქართველ მუსლიმანებზე; თუმცა ეს მიზანი თავიდან არ გვქონდა, მერე გაჩნდა; კერძოდ, ორი წლის წინ აქ მუსლიმანი ქართველების სახელით ჩამოვიდა რამდენიმე ქართველი და აქაურებს დახმარება მოგვთხოვეს მეჩეთების აშენებასა და ყურანის სწავლების კურსების ორგანიზებაში... საუბარი იყო ქობულეთში მეჩეთის აშენებაზე;

**ტ.ფ.:** არ მგონია, ეს მოთხოვნა თუ თხოვნა საქართველოში, აჭარაში მცხოვრები მუსლიმანობის უდიდესი ნაწილის ინტერესს ასახავდეს; მე აჭარაში დავიბადე და კარგად ვიცი, ვინც მუსლიმანია, მშვიდად ლოცულობს და უცხოეთში არ ეძებს დახმარებას...

**ფ.ჩ.:** მეც არ მომეწონა ეს მოთხოვნა; თუ საჭიროა საქართველოში მეჩეთის აგება, ეს საქართველოს ფულით უნდა გაკეთდეს; მე მინდა, რომ დუზჯეს ქართული კულტურის ცენტრი მოემსახუროს დუზჯელ ქართველებს, კერძოდ, იზრუნოს დუზჯელი ქართველებისთვის ქართული ენისა და კულტურის შესწავლისთვის...

**ტ.ფ.:** მეჩეთისთვის ფული შეაგროვეთ?

**ფ.ჩ.:** დუზჯეს კულტურის ცენტრმა ფული მაინც შეაგროვა ქობულეთში მუსლიმანური ცენტრის ასაშენებლად; მე არ მივიღე ამაში მონაწილეობა... ამ ფულით ახლა ქობულეთში სამსართულიანი მუსლიმანური ცენტრი შენდება... არც ის მომწონს, რომ ამდენი ხმაურია ნიგვზიანსა და სამთაწყაროში მეჩეთების აშენების გამო; ძალიან არ მომწონს, ასევე, ადიგენში მინარეთის აღმართვის გამო გამართული აურზაური; ეს დიდი სირცხვილიცაა;

**ტ.ფ.:** თურქეთში როგორი გამოხმაურება ჰქონდა ადიგენში მინარეთის გამო ატეხილ, ჩემი აზრით, პროვოცირებულ ხმაურს?

**ე.შ.:** არ ჰქონდა კარგი გამოხმაურება...

**ტ.ფ.:** ბუნებრივია, ვერც ექნებოდა; ეს კარგად იცოდნენ იმ ადამიანებმაც, რომლებმაც ხმაური ატეხეს; ისინი საქართველოსა და მისი მთავრობისათვის სახელის შელახვას ისახავენ მიზნად; **ცუდია ისიც, რომ ზოგი გულუბრყვილო აჭარელიც გამოიყენეს;** საერთოდ, ასეთი საქმეები მთავრობის ნებართვით უნდა კეთდებოდეს; როგორც ამბობენ, მინარეთი მალულად, როგორც წყლის მილი, შემოიტანეს თურქეთიდან და მთავრობის ნებართვის გარეშე დადგეს... ხელოვნურმა აჟიოტაჟმა ბევრი გააღიზიანა: ქრისტიანი ქართველებიც და მუსლიმანი ქართველებიც...

**ფ.ჩ.:** ადიგენში მინარეთი რომ დადგეს, მთავრობის ნებართვა არ ჰქონდათ? ეს ცუდია! რამდენადაც ვიცი, ადიგენის მინარეთის ფული ფოცხოვის მოლებმა შეაგროვეს... საბაჟოზე წყლის მილად შემოიტანეს?

**ტ.ფ.:** აჭარაში არის მეჩეთები, სხვათა შორის, XIX-XX საუკუნეებში აჭარაში აგებულ მეჩეთებს მინარეთი საერთოდ არ ჰქონდა; ამჟამად მეჩეთები არის თბილისშიც, მარნეულშიც... მთავრობას ხელი არ შეუშლია მათი აშენებისა თუ ფუნქციონირებისთვის... სამწუხაროდ, ასეთ თემებზე აურზაურს უფრო პოლიტიკოსები და გარედან მართული პირები ტეხენ; მათ არ ენაღვლებათ, რა ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას საქართველოსთვის; რელიგიური ხასიათისა თუ საგანმანათლებლო ცენტრები მთავრობასთან კოორდინაციით რომ იხსნებოდეს, პრობლემა არ იარსებებს; ვიღაცები პროვოკაციულად მოქმედებენ...

**ფ.ჩ.:** მეც ასე მგონია: მთავრობის ნებართვით თუ ჯამე აშენდება და მინარეთი დაიდგმება, რა პრობლემაა? თურქეთშიც ვერავინ გააკეთებს მეჩეთსა თუ მინარეთს, მთავრობის ოფიციალური ნებართვა თუ არ გაიცა; თანაც ამ პროცედურას დიდი დრო უნდა... ხალხმა, სადაც უნდა, იქ ილოცოს: თუ უნდა ეკლესიაში, თუ უნდა მეჩეთში; პარტიული პოლიტიკა რელიგიურ გრძნობებზე არ უნდა გაითვალოს... მეც არ მომეწონა, ადიგენისა თუ სამთაწყაროს მოვლენები პოლიტიკური განცხადებებისა და ინტრიგების საგანი რომ გახდა. ჩემი აზრით, აქ სხვა ასპექტიც საინტერესოა:

რატომ შენდება ახლა აჭარაში, ზოგადად, საქართველოში მაინც და მაინც ოსმალური სტილის მინარეთები?

მე ხელოვნებათმცოდნე ვარ და კარგად ვიცი, რომ არსებობს არაბული მუსლიმანური არქიტექტურა, თურქული მუსლიმანური არქიტექტურა და ა.შ. რატომ არ ცდილობენ ქართველი მუსლიმანები, რომ მეჩეთი თუ მინარეთი ააშენონ ქართული არქიტექტურით? აქ არის ძაღლის თავი დამარხული... მუსლიმანური არქიტექტურა არც თურქებს ჰქონდათ, არც არაბებს და შექმნეს; მით უმეტეს, ქართველებს დიდი არქიტექტურული მემკვიდრეობა გვაქვს და მის ბაზაზე შეუძლიათ ააგონ მეჩეთიც და მინარეთიც... მაგალითად, ჩემს სოფელში, აქ, დუზჯეს ილში (გუბერნიაში) არის ჩვენი აშენებული მეჩეთი და მინარეთი; ჩვენი მინარეთი ქართულ სამრეკლოს ჩამოჰგავს; აი, ესაა ჩემი სოფლის – ჰაჯიაქუფის – მინარეთი:



საქართველოში უფრო მეტი საშუალება არ არის, ქართული არქიტექტურით აშენდეს მინარეთი და არა – თურქულით?

არაბული მინარეთიც განსხვავდება თურქულისგან; არაბული მინარეთი აეღოთ მოდელად, ის უფრო ჰგავს ქართულ სამრეკლოს, და მთავრობის ნებართვით აეშენებინათ... აი, არაბული მინარეთიც:



შდრ., ოსმალური მინარეთი:



მინდა გითხრათ, რომ მეჩეთებისა და მინარეთების კონტექსტში თურქეთიც ეძებს ახალ ვარიანტებს; მაგ., დუზჯეს ახალი მეჩეთი და მინარეთები ასე გამოიყურება:



**ტ.ფ.:** გეთანხმები; სამლოცველოს არქიტექტურას დიდი იდეოლოგიური დატვირთვა აქვს; მართლაც საინტერესო კითხვაა:

საქართველოს რატომ ახვევენ თავს მაინც და მაინც ოსმალური პერიოდის მინარეთებს?

**აჭარაში ისლამის სამსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უკვე ჩამოყალიბებულია უმინარეთო მეჩეთების ტრადიცია...** თუ მაინც და მაინც, მინარეთის აგება სურს ვინმეს, მინარეთი ქართულ არქიტექტორულ მოდელში უნდა ჩაჯდეს... იდეოლოგიური კუთხით აქტიურდება თურქული კაპიტალიც და თურქული ტელესერიალებიც, რომლებიც მიზანმიმართულად ამკვიდრებენ თურქულენოვან რელიგიურ თუ ყოფით ტერმინებს... ბოლო დროს მომრავლებული თურქული ტელესერიალების თარგმანის ენას მოკლედ შევეხები:

როგორც წესი, ხდება ხოლმე სრული თარგმანი, დიალოგებისას გამოიყენება ქართული ტერმინები: „ღმერთი“, „ბატონი“, „ქალბატონი“... აქ ასე არ არის... რუსების გავლენას ვეხსნებით და ვერც თურქეთის ზეწოლას შევეგუებით... მე თურქეთთან კეთილმეზობლობა მინდა და არა – „ვაის“ გაყრილი, „ვუის“ შევეყარო...

**ფ.ჩ.:** მე მგონია, უფრო აქტიურობენ დიდი კაპიტალის მქონე გარკვეული სექტები, ვიდრე, ზოგადად, თურქეთის სახელმწიფო; ამაზე მერე ვისაუბროთ; ტერმინოლოგიაც საინტერესო თემაა; **მაგ., ქართველი მუსლიმანი თურქული ენის გავლენით რატომ იყენებს სპარსულ ტერმინოლოგიას? ნამაზი, აბდესთი** და სხვა სიტყვები ქართულად უნდა ითარგმნოს; უნდა ვთქვათ, **ლოცვა, გასუფთავება...** ესეც ვრცელი თემაა; მე მინდა, ჯერ არქიტექტურის თემა დავასრულო:

საქართველოს მუსლიმანები იმასაც არ ფიქრობენ, ბათუმის მეჩეთს რატომ აქვს ხახვის თავის ფორმის გუმბათი რესტავრაციის შემდეგ; ესეც პოლიტიკის შედეგია, რუსული პოლიტიკის შედეგი; არც ეს არის ქართული არქიტექტურა; რუსებმა არა მხოლოდ ქართული ეკლესიების, არამედ საქართველოში არსებული მეჩეთების არქიტექტურის შეცვლა მოიწადინეს; რუსეთმა თავის სამსახურში ისლამიც ჩააყენა...

**ტ.ფ.:** ეს კარგად გამოჩნდა ბოლოდროინდელი რუსეთის მუსლიმანთა ლიდერის განცხადებაშიც... ფაქტია ისიც, რომ თურქეთის გავლენა უფრო და უფრო ძლიერდება...

**ფ.ჩ.:** ჰო, მაგრამ საქართველომ თავს არ უნდა მოიხვიოს არც თურქეთის გავლენა და არც ისლამის თურქული თუ ირანული ვარიანტი;

**ტ.ფ.:** ფევზი, შენი აზრით, საამისოდ რა უნდა გაკეთდეს მოცემულ სიტუაციაში?

**ფ.ჩ.:** ხომ არიან მუსლიმანები საქართველოში? ფაქტია, არიან; ისლამს ვერ ავკრძალავთ; ამიტომ ისლამი ქართულადაც უნდა ავამეტყველოთ!

**ტ.ფ.:** ეს შესაძლებელია?

**ფ.ჩ.:** რა თქმა უნდა! არქიტექტურით დავიწყოთ: თუ ვინმე ითხოვს ჯამეს ან მინარეთს, მთავრობამ ნახაზი, გეგმა მოითხოვოს და ამის მსურველს მოსთხოვოს, გაითვალისწინოს ქართული არქიტექტურის გამოცდილება; მეჩეთი თუ მინარეთი ქართულ არქიტექტურას უნდა მიესადაგოს! შიგნითაც ქართული წარწერები უნდა იყოს; ქართველმა მუსლიმანებმა მრავალსაუკუნოვანი ქართული არქიტექტურული გამოცდილება უნდა გამოიყენონ; ქართული არქიტექტურით აგებულ მეჩეთში ლოცვაც, წარწერების ენაც და მოხატულობაც ქართული რომ იქნება, მეჩეთშიც ქართული სული დაივანებს...

**ტ.ფ.:** ისლამი უშვებს დედაენაზე ლოცვას? თურქები თურქულად ხომ არ ლოცულობენ ჯამეში? თუმცა, ფაქტია, რომ თურქეთმაც და ირანმაც, დიდი ხანია, ისლამი ჩააყენა სახელმწიფოს სამსახურში; გარდა ამისა, სახელმწიფო უხდის მოლებს ხელფასს... მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მეჩეთში ისევ არაბულად ლოცულობთ...

**ფ.ჩ.:** მე კარგად ვიცი ისლამი და გეუბნებით, რომ მხოლოდ რიტუალურ ლოცვებში უნდა იყოს არაბული, სხვა დანარჩენი ქართულად შეიძლება... თუ ქართველი მუსლიმანია, იყოს მუსლიმანი, მაგრამ ქართული სული უნდა ჰქონდეს მის მეჩეთს, მედრესესა თუ მინარეთს... მე მინდა, საქართველოს ერთგული იყოს საქართველოს მუსლიმანი; ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი ქართული სული ჩაიდება ქართველთა მუსლიმანობაში... თანამედროვე თურქეთიც ეძებს თავის სტილს არქიტექტურისა თუ სხვა მიმართულებით.

**ტ.ფ.:** ფევზი, ქართველმა ერმა თავისი თავი იპოვა ქართულენოვან მართლმადიდებლობაში; ფაქტია, კათოლიკე მოღვაწეებიც გვყავს, მაგრამ მაინც ჩვენი კულტურა მართლმადიდებლობას ეფუძნება... ფაქტია, რომ დღემდე ვერ შეიქმნა ქართული მუსლიმანური კულტურა; ქართულენოვანი მუსლიმანური ლიტერატურა; ტრადიციულად, ისლამი მაინც არაბეთის, ირანის, ოსმალეთისა თუ თურქეთის გავლენის შემომტანია საქართველოში...

**ფ.ჩ.:** საქართველოს მუსლიმანობა ახლა საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ორიენტირებული რომ არ არის, ფაქტია; ამას ახსნა უნდა: ისლამის გაბატონების დროს, ოსმალობის დროს, ქართული სახელმწიფო იშლებოდა... არაბებმა და ოსმალოებმა ისლამი ჩააყენეს სახელმწიფოს სამსახურში, საქართველომ – ვერა; ახლაც თუ ასე გაგრძელდება, თუკი საქართველო არ მიხედავს თავის მუსლიმანებს, პოსტსაბჭოთა საქართველოში ისლამის აღორძინება საქართველოს სახელმწიფოსთვის დიდი პრობლემა გახდება; მით უმეტეს, თუკი ისლამის მიმდევრები საქართველოს გარედან დაფინანსდებიან; ასეთ შემთხვევაში პრობლემები შეუქცევადი გახდება...

**ტ.ფ.:** ჯერ რუსული საფრთხე არ გაგვინეიტრალებია და ახლა კიდევ ეს! კავკასია ევრაზიის ჭიპია; კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოზე – საქართველოზე – გავლენის მოპოვება ყველა დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს უნდა; **რუსეთი არ თმობს კავკასიას, ამიტომ საქართველო მუდმივ ომებშია;** არც იმას გამოვრიცხავ, რომ ადიგენის მსგავსი პროვოკაციები რუსეთიდანაც იყოს სტიმულირებული, **რომ საქართველოში ნატოს წევრი თურქეთის მიმართ უნდობლობა აგორდეს...** საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არც თუ ცოტანი არიან სხვა ქვეყნების გავლენის ქვეშ მყოფი პირები, ამიტომ ბევრი პრობლემა სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად არ არის გააზრებული... ისლამთან დამოკიდებულება ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა; ჩვენთან ნამდვილად არის რელიგიის თავისუფლება, მაგრამ, ზოგი პირი, რომელიც რელიგიური უმცირესობის სახელით აქტიურობს, ფინანსური დაინტერესების გამო ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას; სარგებლობენ იმით, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს ხელისუფლებებმა სახელმწიფოს გრძელვადიანი რელიგიური პოლიტიკა ვერ ჩამოაყალიბეს...

**ფ.ჩ.:** „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“; ვიცი, რომ საქართველოში 200-ზე მეტი მეჩეთია; ვიცი ისიც, რომ საქართველოში ძალით არავის აქრისტიანებენ; ძალით გაქრისტიანება არ არის ქართული კულტურის ნაწილი; შეგნებით უნდა აირჩიოს მომავალმა თაობამ რელიგია; გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს ქართველობა მხოლოდ ქრისტიანობა არ არის, ადრე წარმართები ვიყავით, ახლა ზოგი მუსლიმანი ვართ, ზოგი – ქრისტიანი... ფაქტია, რომ რამდენი ქართველიც საქართველოშია, იმდენივე ვართ თურქეთში – **მუსლიმანი ქართველები, ლაზების ჩათვლით,** არანაკლებ ოთხი მილიონი ვართ. რამდენიმე აჭარელი ეკომიგრანტის პრობლემა იოლი მოსაგვარებელია; მთავარი საფიქრებელი ამ 4 000 000 ეთნიკური ქართველის გადარჩენაა; ჩვენ სრული ასიმილაცია გვემუქრება... ჩვენ, მუსლიმანი ქართველები, არ უნდა დაგვკარგოს

საქართველომ... ადიგენის მსგავსი პროვოკაციები ჩვენ გვაშორებს თქვენთან; ადიგენის მუსლიმანები ვერ ხვდებიან, რომ მათი აგრესიული ქცევით ჩვენდამი ნდობაც დაეკარგებათ ქრისტიან ქართველებს, ეს კი ჩვენს ერთიანობას შეუშლის ხელს; სხვათა შორის, ასეთი პროვოკაციები საქართველო-თურქეთის ურთიერთობასაც დაძაბავს; სწორედ ეს ხომ არ უნდა მეორე დიდ მეზობელს? ესეც კარგადაა გასათვლელი...

**ტ.ფ.:** მართალი ხარ, ფევზი; მე სხვა ასპექტსაც წამოვწევ წინა პლანზე:

პირველი ქართველიდან შენამდე რამდენი წინაპარი გეყოლება? შენი ბაბუა, იმის მამა, ბაბუას ბაბუა და ა.შ. ძალიან ბევრი, ხომ? ვთქვათ, 1000, ამ ათასიდან, მაქსიმუმ, რამდენი იყო მუსლიმანი? ვთქვათ, 10; დანარჩენი ქრისტიანია ან წარმართი... შესაბამისად, ადიგენის მუსლიმანები უნდა გაფრთხილებოდნენ თავიანთი ქრისტიანი წინაპრების რელიგიას, ზოგადად, ქრისტიანთა თავმოყვარეობას; მუსლიმან ეკომიგრანტებს (ეკომიგრანტთა დიდი ნაწილი ქრისტიანია) დამხვდურებთან შეთანხმებით უნდა ემოქმედათ და არა – მალულად.

**ფ.ჩ.:** რა თქმა უნდა! მათ არავინ ასწავლა, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობაში ჩამოიძერწა ქართული ხასიათი, კულტურა, ენა; ქრისტიანობით ქართველობა და ქართული ენა გადაარჩინეს ჩვენმა წინაპრებმა; შესაბამისად, მუსლიმანი ქართველებისთვისაც დიდი განძია ქართულენოვანი ქრისტიანობა (და არა – რუსულენოვანი თუ ბერძნულენოვანი); ჩემთვის, როგორც მუსლიმანი ქართველისთვის, არსებითი ისიცაა, რომ აჭარელი, ტაოელი, იმერხეველი, ლივანელი თუ მაჭახლელი მუსლიმანების ქრისტიანმა წინაპრებმა ააშენეს სხალთა, ხიხანი, ოშკი, ხახული, იშხანი, დოლისყანა, პარხალი... დღევანდელი კახელების წინაპრებმა გრემი ააგეს, იმერლების წინაპრებმა – გელათი; **ყველამ ერთი დიდი კულტურა შევქმენით და ამ კულტურის ავტორები მუსლიმანი ქართველების ქრისტიანი წინაპრებიც იყვნენ...** ჩემს სადისერტაციო თემადაც გააზრებულად ავირჩიე ქართული ქრისტიანული არქიტექტურა... მე მეამაყება, რომ ჩვენმა ბაბუების ბაბუებმა ხარებით ზიდეს ის დიდი ქვები და დიდებული ეკლესიები ააგეს ოშკში, იშხანში, ხახულში, პარხალში... მათი ამ წვალებისა და შრომის დავიწყება ცოდვაა; მათ დიდი ქართული კულტურა შექმნეს, რომელიც უკვე ჩვენს ძარღვებში მდინარ სისხლთან ერთადაა...

**ტ.ფ.:** ეს ბევრს არ ესმის... მაგალითად, იუსუფელსა და შავშეთშიც არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის, ეს ეკლესიები (ოშკი, ხახული, დოლისყანა, პარხალი, იშხანი...) რომ ააშენეს, ის ქართველები საქართველოში გადასახლდნენ, ჩვენ კი აჭარიდან მოვედითო; მე როცა ვუხსნი სიმართლეს, უჭირთ დაჯერება, ვინაიდან მუსლიმანობის გამო არ უნდათ, რომ ქრისტიანული კულტურის მემკვიდრეებად იგრძნონ თავი...

**ფ.ჩ.:** კი, ასეთებიც არიან, მაგრამ ვინც განათლებულია, იცის, რომ მათი წინაპრების აგებულია და გულში ყველა პატივს სცემს წინაპრების მემკვიდრეობას... ჭკვიანი ადამიანი წინაპარს ვერ შეაგინებს, ეს ცოდვაა... იყოს დღეს მუსლიმანი, თუ მუსლიმანია, მაგრამ პატივი უნდა სცეს წინაპრების კულტურას; მხოლოდ პატივისცემა ცოტაა; უნდა გაიგოს, რომ ქრისტიანული კულტურა მისი წინაპრების შექმნილია და მას უნდა უპატრონოს...

**ე.შ.:** მართალია; მაგალითად, იშხნის ეკლესიის აღდგენაში ჩვენ, მუსლიმანმა ქართველებმაც უნდა მივიღოთ მონაწილეობა; იშხანი, ოშკი, დოლისყანა, პორტა... საქართველოს სიმდიდრეცაა და თურქეთისაც, მაგრამ, პირველ რიგში, ქართველების კულტურაა, ჩემი და შენი წინაპრების შექმნილი კულტურაა, ჩვენი კულტურაა...

**ტ.ფ.:** ნეტა ყველა თქვენსავით ფიქრობდეს! სწორი განათლების შემთხვევაში ბევრი პრობლემა დაიძლევა; ამის კარგ პერსპექტივას ქმნის თანამედროვე ინტერნეტშესაძლებლობები... ფევზი, საინტერესოა შენი იდეა: საქართველოში არსებული ისლამი სხვა ქვეყნების იდეოლოგიისგან თუკი გათავისუფლდება, მუსლიმანობა დიდად აღარ დააშორებს მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს; **ასეთ შემთხვევაში ერთიანობის მთავარი საფუძველი – ქართული ენა – წამოიწევს წინა პლანზე...**

**ე.შ.:** ორივეს გეთანხმებით; საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლობისათვის ყველამ ვიზრუნოთ, მაგრამ საქართველოში ისლამს თურქული თუ არაბული იდეოლოგია უნდა მოშორდეს; ქართველები – მუსლიმანი თუ ქრისტიანი, ყოველთვის და ყველა საქმეში ერთად უნდა ვიყოთ... მეც არ მომწონს, რომ საქართველოში ხელოვნურად დაძაბეს მეჩეთების აშენების თემა; მეც ვიცი, რომ საქართველოში ისედაც ბევრი მეჩეთია და არავინ უშლის ხელს მუსლიმანებს

ლოცვაში... არ მომწონს არც ამ ამბების იდეოლოგიური და პოლიტიზებული ქვეტექსტები... გარდა ამისა, როგორც სხვა სახელმწიფოებს, საქართველოსაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ენისა თუ არქიტექტურული ტრადიციების დაცვის გარკვეული სტანდარტები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ყველამ – ფიზიკურმა პირმა, იურიდიულმა პირმა თუ რელიგიურმა ორგანიზაციამ... ამ სტანდარტების დაცვის შემთხვევაში უნდა გასცეს სახელმწიფომ ესა თუ ის ნებართვა; მსგავსი სტანდარტი რომ დაცულიყო, ადიგენის ინციდენტიც არ მოხდებოდა...

**ფ.ჩ.:** მე უფრო გავაღრმავებ ჩემს მსჯელობას: ახალი მეჩეთი თუ აშენდება, არამხოლოდ არქიტექტურული სახე, არამედ ორნამენტებიც ქართული უნდა იყოს; ქართულენოვან ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციული ქართული ორნამენტებიც რომ გამოიყენონ, რა პრობლემაა? საქართველოში ქართული უნდა იყოს ყველაფერი! თუნდაც მოლას ჩაცმულობა ავიღოთ:

**რატომ აცვიათ საქართველოს სუნიტ მოლებს თურქული სამოსი?**

სუნიტების თურქული სამოსი დიდად განსხვავდება, მაგ., არაბული სუნიტური სამოსისგან; საკუთრივ არაბული სამოსიც კი სხვადასხვაგვარია; კერძოდ, საუდის არაბეთში სხვაგვარი სამოსია, ერაყში – სხვა, ეგვიპტეში – სხვა და ა.შ. ყველა კუთხის არაბ მოლას თავისი კუთხის ტრადიციის მიხედვით შექმნილი შესამოსი აქვს მუსლიმანური ღვთისმსახურებისას... რატომ არ უნდა ჰქონდეს ქართველ მუსლიმანს ქართული ჩოხის/კაბის მოდელზე აგებული მუსლიმური ტანისამოსი და რატომ უნდა იყენებდეს თურქულ „ჯუბბეს“ (მუსლიმანურ სარიტუალო სამოსს)?

ჩადრით სიარულიც არ არის ისლამის მოთხოვნა; ისლამს ასეთი ფორმა არ აქვს; ეკლესიაშიც ხომ ახურავთ თავზე? ასე უნდა ეხუროს მუსლიმანსაც; არავინ ავალდებულებს ქალს, ჩადრით იაროს; მეტიც, ჩადრი უფრო ქრისტიანული მონაზვნური ცხოვრების ინერციაა მუსლიმანობაში...

**ტ.ფ.:** ფევზი, როგორც ვიცი, სხვაობებია წვერის ტარების წესშიც:

**ფ.ჩ.:** რა თქმა უნდა; ისლამი სავალდებულოდ არ აცხადებს წვერის ტარებას, მაგრამ ზოგი ჯგუფი წვერის, ულვაშის თუ თმის ამა თუ იმ ვარიანტს საკუთარ სიმბოლოებად იყენებს; მაგ., სხვადასხვაგვარად იყენებენ წვერს: არაბი სუნიტები, თურქი სუნიტები, ვაჰაბიტები, შიიტები... ერთიანი წესი არ არსებობს.

**ე.შ.:** ფევზი, არანაკლებ საინტერესოა საქართველოს ხოჯების ხელფასის საკითხიც:

**ფ.ჩ.:** ჰო, ამაზე მე და შენ ადრეც ვისაუბრეთ: რამდენადაც ვიცი, ქართველ ხოჯებს ხელფასს აზერბაიჯანის მუსლიმანური ცენტრი უხდის; წიგნებს, სამოსსა და სხვა მატერიალური ფასეულობებისთვის ფულს მუსლიმან ქართველებს თურქეთის სასულიერო ცენტრები აძლევენ, ჯამე, მედრესე და მინარეთიც არაქართული ფულით შენდება; ასეთ პირობებში ისლამის მიმდევრები ქართულ სახელმწიფოს მოემსახურებიან?

**ე.შ.: ფულს ვინც იხდის, საქმეც იმისი კეთდება...**

**ფ.ჩ.:** საქართველოს მთავრობამ უნდა მიხედოს თავის მუსლიმანებს, რომ, ნებსით თუ უნებურად, ქართველი მუსლიმანები სხვის სამსახურში არ ჩააყენოს; თუ საჭიროა მედრესე, საქართველოს მთავრობამ დააარსოს დავით აღმაშენებლის სახელობის მედრესე და აქ სწავლებით – ქართული განათლებით – აღსაზრდელს საქართველოს მოქალაქის შესაფერი სახელმწიფოებრივი ცნობიერება უნდა ჩამოუყალიბდეს... აზერბაიჯანის, თურქეთის თუ არაბეთის საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებზე ორიენტირებული ვერ იქნება...

**ტ.ფ.:** მართალი ხარ; თუკი ადიგენის მსგავსი პროვოკაციები გაგრძელდა, მილიარდ-ნახევარი ქრისტიანისა და მილიარდ-ნახევარი მუსლიმანის საზღვარზე არსებულ საქართველოში ძალიან სახიფათო გახდება რელიგიური ექსტრემიზმი; შესაბამისად, მთავარია, მუსლიმანობას სხვა ქვეყნების იდეოლოგია მოვაშოროთ და წინა პლანზე წამოვწიოთ ქართველთა იდენტობის უფრო მთავარი ნიშნები; ქართული სისხლი – გენეტიკური ერთიანობა და დედაენა – ქართული ენა; სჯობს, მეტი ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს გვაახლოებს და ნაკლებად – იმაზე, რაც გვაშორებს; სამწუხაროდ, ემოციურ ქართველებს ჯერჯერობით არ გვყოფნის გონიერება და თავს მოგვახვიეს მეორე ვარიანტი... ფევზი, ერთი, ჩემი აზრით, საინტერესო კითხვა მაქვს შენთან:

მე რომ ვაკვირდები, თურქეთის მოქალაქე ქართველთა, აბაზათა (აფხაზთა), ადიღეთა... ნაწილი თავს თურქად თვლის, მაგრამ ამავე დროს ამბობს, რომ გურჯია, აბაზაა, ადიღეა... ეს როგორ უნდა გავიგოთ? ეთნიკურად ქართველია და ეროვნებით თურქი? ეთნიკურად აბაზაა და

ეროვნებით თურქი? მათ როგორ ესმით ეს? ისიც მაინტერესებს, მაგ., ამ სოფელში მცხოვრებმა ქართველმა თუკი ქართული ენა არ იცის, არ იცის საკუთარი ერის (ეთნოსის) ისტორია, კულტურა, თავს ეთნიკურ ქართველად როგორ აღიქვამს? თუ თავისი საამაყო კულტურა არ იცის, რატომ მოუნდება მას ქართველობა?

**ფ.ჩ.:** თავისი ხასიათი ხომ იცის? ქართველი ამაყია, სხარტი ჭკუა აქვს, ლამაზია, შავ საქმეს არ აკეთებს; რაც არ უნდა გაუნათლებელი იყოს, მაინც უფროსობა უნდა... ხასიათი აქვს ქართული; გარდა ამისა, განსხვავებული ცეკვა აქვს, განსხვავებული საჭმელი აქვს...

**ტ.ფ.:** უფრო გამოკვეთილი ექნება თავისი ეთნიკური იდენტობა, თუკი ეცოდინება თავისი წინაპრების ენა და მათი შექმნილი დიდი კულტურა; თუკი ეცოდინება, რომ 33-საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა აქვს ქართველ ერს; მსოფლიოში 5 000-ზე მეტი ენაა და ანბანი მხოლოდ რამდენიმეა; ამათგან ქართული ანბანი გამორჩეული სიძველისა და სილამაზისაა; ქართული ანბანი ზუსტად ასახავს ენის სამეტყველო ბგერებს; სულ მცირე, 15-საუკუნოვანი წერილობითი კულტურა გვაქვს ქართველებს, ამის ცოდნა არ გაზრდის მის ეთნიკურ-ეროვნულ ღირსებას?

**ფ.ჩ.:** კი, გაზრდის... მაგრამ ეს ჯერ არ იციან აქაურმა ქართველებმა; ჯერ მხოლოდ „სისხლის ყივილით“ არიან ქართველები... აქ, თურქეთში, განათლების სისტემა ემსახურება თურქი ერის ჩამოყალიბებას; აქაურ ქართველს, აბაზას, ადიღეს, თურქს, ქურთს... ასწავლეს, რომ ყველა წამოსულები ვართ შუა აზიიდან; რომ ყველა შუა აზიის კულტურის შვილები ვართ; ენით განსხვავებულები ვართ, მაგრამ წარმოშობა შუა აზიიდან გვაქვს თურმე ქართველებსაც და აბაზებსაც, თურქებსაც... ეს სიცრუეა, მაგრამ ბევრს დააჯერეს. სინამდვილეში თურქი შუააზიელია, მაგრამ ქართველები, აბაზები, ადიღელები კი ძირძველი კავკასიელები ვართ...

**ე.შ.:** ობიექტური სამეცნიერო ინფორმაცია, აკადემიური განათლება მთელი მსოფლიოს პრობლემაა, თურქეთში კი – ძალიან დიდი პრობლემა...

**ტ.ფ.:** ჰო, გარდა ამისა, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დღეს დიდი თანხები იხარჯება პოლიტიკურად მოტივირებული იდეოლოგემების შესაქმნელად, რომელთა მიზანია საკუთარი მოსახლეობის კონსოლიდაცია და მოწინააღმდეგის დეზინტეგრაცია-დეზინფორმირება...

**ე.შ.:** თურქეთის მოსახლეობის კონსოლიდაცია ჯერ კიდევ ათა-თურქმა დაიწყო; მან თქვა: ვინც თურქეთის მოქალაქეა, ყველა თურქია და თურქად უნდა თვლიდეს თავს...

**ტ.ფ.:** ასეა ევროპაშიც; საფრანგეთის მოქალაქე აფრიკელსაც პასპორტში ფრანგი უწერია... ცივილიზებულ სამყაროში მოქალაქეობა არის ეროვნულობის განმსაზღვრელი, მაგრამ არა – ეთნიკურობისა... ეს გასაგებია; მე სხვა რამ მაინტერესებს:

**თურქეთში მილიონობით ქართველი ცხოვრობს; დღემდე მათი ქართველობა ქართული ენის ცოდნამ შემოინახა;** ფევზი, შენ ამბობ, რომ შენ ხარ ბოლო შენს გვარში, ვინც ქართული იცის; მერე რა იქნება? ქართული არ იციან შენმა შვილებმა, მაგრამ მათ იციან, რომ შენ იცი ქართული; შენი შვილების შვილიშვილებს რა ეხსომებათ? მათი სისხლი ქართულად იყივლებს?! ხვალ-ზეგ რა იქნება? თუ ორი-სამი თაობა წამოვიდა ისეთი, როგორსაც ქართული არ ემახსოვრება, რა იქნება? ხომ ხედავ, ძველებური ქართული საჭმელებიც აღარ არის შენს ოჯახში; ქართული ცეკვა-სიმღერაც იშვიათი ხდება... შენი შთამომავლების ქართველობის განმსაზღვრელი ნიშანი რა იქნება?

**ფ.ჩ.:** იტყვიან, ქართველი ვარ წარმოშობითო, მაგრამ ქართულენოვანი კულტურა თუ არ დარჩა მათ ცნობიერებაში, უფრო და უფრო დაშორდებიან თავიანთ წინაპრებს; თუმცა, მჯერა, რომ არსებობს სისხლის ყივილიც...

**ტ.ფ.:** კი, ბატონო; თუმცა „სისხლის ყივილს“ ხშირად ადიგენის მსგავსი პროვოკაციები თრგუნავს...

**ე.შ.:** ბატონო ტარიელ, მეც გეთანხმები, რომ თურქეთის ქართველობის მთავარი პრობლემა დედაენის შენარჩუნებაა; ამ მიმართულებით გვაქვს საფიქრალი და ამ დროს უნდათ, ახალი საფრთხე შეგვიქმნან – დაგვაშორონ საქართველოს ქართველებს; ადიგენის პროვოკაციით თურქეთის მუსლიმანი და საქართველოს ქრისტიანი ქართველების დაშორებაა დაგეგმილი; პროვოკატორებს უნდათ, ჩვენ ვიფიქროთ, რომ ქრისტიანი ქართველები ჩვენი მტრები არიან... მე ამის შესახებ დავწერე კიდეც, რომ ხალხი არ დაბნეულიყო...

**ტ.ფ.:** ერდოგან, ვიცი, ფეისბუქზე ვნახე შენი ტკივილიანი განცხადება ადიგენის სოფელ ჭელაში მინარეთის მონტაჟ-დემონტაჟის შესახებ; ჩვენი სწორი და აქტიური ქმედების შემთხვევაში

ყველა კეთილსინდისიერი ადამიანი გაიაზრებს, რომ მსგავსი პროვოკაციები ქართველი ერის წინააღმდეგაა მიმართული...

**ე.შ.:** სამწუხარო ის არის, რომ თურქეთში საქართველოდან ჩამოდის ზოგი მუსლიმანი ქართველი /საქართველოს მოქალაქე/ და აქ აბეზღებს საქართველოს მთავრობას და ქრისტიან ქართველებს...

**ტ.ფ.:** ზოგი ფაქტი მეც ვიცი... ხშირია საქართველოს დაბეზღება თურქულენოვან სოციალურ გვერდებზე?

**ე.შ.:** სამწუხაროდ, კი; ახლახან საქართველოს რამდენიმე მოქალაქე თურქულ ენაზე წერდა მსგავს წერილებს, განსაკუთრებით, ისლამისტურ გვერდებზე; ამას წინათ ერთი იმასაც კი წერდა, რომ თუ გაჭირდებოდა საქმე, როგორც სირიაში, ჩვენთანაც მოვლენ დასახმარებლად მუსლიმანები მთელი მსოფლიოდანო; **ასეთი ადამიანი ნამდვილად ცუდად განაწყობს ქრისტიან ქართველებს მუსლიმანებისადმი და პირიქით...** ეს პირები საქართველოს უჩივიან თურქეთში; ისინი აქ კი არ უნდა დარბოდნენ საჩივლელად, არამედ საქმე თავად უნდა მოაგვაროონ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით; თუკი თურქეთიდან დახმარება უნდათ, ესეც სახელისუფლებო დონეზე უნდა მოხდეს და არა – თურქეთში ორგანიზებულ კონფერენციებსა თუ შეკრებებზე განცხადებების კეთებით. მე არ ვეუბნები არავის, მეჩეთი გააკეთონ ან არ გააკეთონ; ეს არ არის ჩემი საქმე თუ სათქმელი; მე ვამბობ: თუკი რაიმეს აშენებაა საჭირო, უნდა მოგვარდეს საქართველოშივე; ასეთი ჩივილი მტრობას აღვივებს...

საქართველოსთვის სახელის გატეხაა, მაგ., მათ მიერ გაკეთებული ამ ნახატის მიზანიც




მე ამ ნახატს ჩემეული შეფასება მივაწერე და ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით ამ ფორმით გავავრცელე ინტერნეტში:




**ეს სურათი შექმნა იმან, ვისაც სურს საქართველოს დაუპირისპიროს მუსლიმანური სამყარო... მუსლიმანო ქართველობო, ნუ აყვებით ასეთ პროვოკაციებს!**

**Bu resmi yapanların amacı İslam dünyası ile Gürcistan'ı karşı karşıya getirmektir. Gürcistan'da yaşayan Müslüman Gürcüler, bu tür provakasayonlara gelmeyin!**

**თურქეთელი ქართველები/Türkiye Gürcüleri (Çveneburiler)**

მე ერთი რამ მიკვირს, ბატონო ტარიელ, შენ ქრისტიანი ხარ, ჩვენ: მე და ფევზი – მუსლიმანები; როგორც ვხედავ, ზუსტად ერთნაირად აღვიქვამთ საქართველოს მდგომარეობას, ასევე, ოჯახებით ვართ მეგობრები – ერთმანეთთან სისხლისმიერი ძმებივით ვართ... მიმაჩნია, რომ ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ძმობის ნიმუშია ჩვენი ურთიერთობა: ამ ნახატის შემქმნელთ თანასოფლელები, მეზობლები ჰყავთ ქრისტიანები; საქართველოში ცხოვრობენ, ნუთუ ვერ ხვდებიან, რას სჩადიან?

**ტ.ფ.:** ჰო, ჩვენ მართლა სანიმუშო ძმობა გვაქვს... რაც შეეხება მაგათ, ზოგი, ალბათ, გულუბრყვილოა, ზოგიც წაქეზებულია, ზოგსაც ჰგონია, რომ ასე საკუთარ მეობას იცავს და ამ დროს საკუთარ ჯიშსა და მოდგმას ებრძვის; ვინც თავის სახელმწიფოს უტეხს სახელს, თავის ეროვნებას უტეხს სახელს, ანუ, საკუთარ თავსაც ებრძვის...

**ე.შ.:** გეთანხმებით...

**ტ.ფ.:** გარდა ამისა, ხაზგასმით გეუბნებით:

საქართველოში ყველგან კარგი ურთიერთობაა ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის; აჭარაში ერთ ოჯახშიც კი შეგხვდებათ ქრისტიანი და მუსლიმანი ძმები; ასევე, ხშირად მამა მუსლიმანია, შვილი – ქრისტიანი, ან – პირიქით... საქართველოს სხვა კუთხეებში სიხარულით მიიღეს აჭარელი ეკომიგრანტები; ეკომიგრანტების უმრავლესობაც ღირსეულად იქცევა და ცხოვრობს; საქართველოში არავინ ზღუდავს მუსლიმანებს; შესაბამისად, მუსლიმან ეკომიგრანტს არავინ უშლის, ილოცოს; ვისაც სურს, ყველას აქვს უფლება, აღასრულოს მუსლიმანური ლოცვა, მაგრამ ვერავინ შეეგუება გამაღიზიანებელ ქცევას, მასპინძელი სოფლის წინააღმდეგ გამიზნულ ქმედებას... ერთ მაგალითს მოვიყვან:

რამდენიმე თვის წინ სამთაწყაროს შესახებ აჭარის ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიის თანამშრომლებმა და მე გადავიღეთ ფილმი სამთაწყაროელი აჭარელი ეკომიგრანტების შესახებ; შესაბამისად, ზუსტად ვიცი, რომ სამთაწყაროში ისინი ნამდვილად არ ითხოვდნენ

მეჩეთის გახსნას; ამ მიმართულებით თბილისიდან და პანკისიდან ჩასული რამდენიმე კაცი აქტიურობდა... **სოფლის მოსახლეობამ, მათ შორის, ქრისტიანმა და მუსლიმანმა აჭარლებმაც ვერ აიტანეს ის, რომ თავიანთ სოფელში მეჩეთის ამოქმედებას მოითხოვდა პანკისიდან მოსული რამდენიმე ქისტი (ჩეჩენი) ერთადერთი სამთაწყაროელი მუსლიმანის გამოყენებით!**

წარმოიდგინეთ, საბერძნეთიდან ერთი ქრისტიანი რომ მოვიდეს ახლა ამ სოფელში, შუა თურქეთში და დასახლდეს; ორ-სამ წელში კი სტუმრად მოიყვანოს რამდენიმე რუსი და ხელისუფლებისგან უნებართვოდ დაიწყოს ეკლესიის მშენებლობა; თურქეთის სახელმწიფო, აქაური მუსლიმანები რას იზამენ ასეთ შემთხვევაში?

**ე.შ.:** რა თქმა უნდა, არავინ ააშენებინებს მათ ნებართვის გარეშე; ნებართვის მიცემა კი როგორ მოხდება სოფლის მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად, ძნელი სათქმელია...

**ტ.ფ.:** მინდა იცოდეთ, რომ იმავე სამთაწყაროში ისევ აჭარლებმა არ მისცეს უფლება თბილისიდან თუ პანკისიდან ჩამოსულებს, ასეთი ზეწოლით აემოქმედებინათ მეჩეთი ახალნაყიდ კერძო სახლში; გარდა ამისა, ზუსტად ვიცი: არ იყო იმ სოფელში მუსლიმანი მრევლი! ეს კარგად გამოჩნდა შემდგომ თვეებშიც; თავად საქართველოს მუსლიმანთა ლიდერმა განაცხადა, რომ ამ სოფელში არ ყოფილა მუსლიმანი მრევლიო... უფლებადამცველების პოლიტიზებული ნაწილი კი დღემდე სპეკულირებს ამ თემით...

**ე.შ.:** ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა ხდება საქართველოში; ცუდი ამბავი კი სწრაფად ვრცელდება; თუ ვინმე თავისი პოლიტიკური შეხედულებით ცდილობს თურქეთის მოსახლეობის ამხედრებას საქართველოს წინააღმდეგ თუ საქართველო-თურქეთის ურთიერთობის დაძაბვას, მას უნდა მოეკითხოს... ჩვენ, თურქეთის მოქალაქე მუსლიმანი ქართველები, ყოველ შემთხვევაში, ჩემი წრე, ვფიქრობთ, რომ რელიგიის თემა ფაქიზია და ძალიან საფრთხილო; ამ კონტექსტში ვიტყვი, რომ სახელმწიფოს ნებართვის გარეშე მინარეთის აღმართვაც პროვოკაციაა და მინარეთის დემონტაჟის შესახებ პოლიტიკური ხმაურის ატეხაც; ეს პოლიტიკოსები ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ასეთი უსაფუძვლო აჟიოტაჟი მოწინააღმდეგე პარტიას კი არა, საქართველოს უტეხს სახელს და უმრავლებს მტრებს.

**ტ.ფ.:** ერდოგან, მართალი ხარ; შიდაპოლიტიკური ბრძოლა ისე უნდა წარიმართოს, რომ ქვეყანას არ ევნოს... სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი მხოლოდ საკუთარ კარიერაზეა ორიენტირებული და არ შეეფერება თანამედროვე ქართველთა ღირსებასა და პატიოსნებას; ამას ბევრი მიზეზი აქვს; მოკლედ გეტყვი; პოლიტიკოსთა არც თუ მცირე ნაწილი დანაშაულისა თუ ბურუსით მოცული ანტისახელმწიფოებრივი გარიგებების მონაწილეა; სანამ საქართველოში სამართლებრივად არ შეფასდება ბოლო 23 წელიწადში განხორციელებული გადატრიალებები, პოლიტიკური ორიენტაციების რადიკალური ცვლილებები და პრეზიდენტისა თუ პრემიერის მკვლელობები, პოლიტიკური სპექტრი ვერ დაიწმინდება... ჩემი აზრით, პირველ რიგში, აუცილებელია სახელმწიფოზე ორიენტირებული, ჯანსაღი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება; დღეს საქართველოში ძალიან ცოტაა ფასეულობებისა თუ პოლიტიკური ორიენტაციების მიხედვით შექმნილი პარტიები...

**ე.შ.:** გეთანხმებით; პოლიტიკური ცხოვრებისთვის აუცილებელია პოლიტიკური პარტიები და არა – ცნობადი სახეების მიერ შექმნილი კლანები... მე ისევ მინდა დავუბრუნდე პოლიტიკოსებისა თუ ავანტიურისტების მიერ რელიგიური დაპირისპირების პროვოცირებას: ეტყობა, მტერმა კარგად იცის, რომ რელიგიურ დაპირისპირებაზე ბევრი საუბარი საქართველოსთვის, ზოგადად, ქართველობისათვის ძალიან საზიანოა; ამ გამოგონილ პრობლემებზე საუბრის გაგრძელება არ ესაჭიროება არც საქართველოს და არც თურქეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველებს; ჩვენ ისედაც ბევრი პრობლემა გვაქვს... სოციალურ ქსელებში თურქეთელი მუსლიმანი ქართველები ხშირად ვეკამათებით საქართველოში მოქმედი იმ მუსლიმანური ჯგუფის წევრებს, რომლებმაც ხმაური ატეხეს სამთაწყაროსა თუ ადიგენის ამბების გამო; მათ ვეუბნებით, რომ საქართველოს წინააღმდეგ ნუ მუშაობენ, მაგრამ არ ესმით; საბედნიეროდ, ასეთები ცოტანი არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან აქტიურები არიან...

**ტ.ფ.:** ჯერჯერობით ცოტანი არიან, მაგრამ ფული ბევრს უბრმავებს თვალს; აშკარაა, რომ საქართველო მეორეხარისხოვანია მისთვის, ვინც სხვა ქვეყნების მუსლიმანებს უხმობს ქრისტიან ქართველთა წინააღმდეგ, მით უმეტეს, მათ წინააღმდეგ, ვინც წლების წინ ამ ეკომიგრანტებს

საცხოვრებლად დაუთმო მიწა-წყალი, სახლ-კარი...

**ე.შ.:** საქართველოს ხელისუფლებას ესეც უნდა ვკითხოთ: მუსლიმანების სახელით მოლაპარაკე ქართველები უცხოეთიდან რატომ იღებენ დიდ დაფინანსებას? საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ყურადღებას არ აქცევენ საქართველოს გარედან დაფინანსებული სექტანტების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას... მაგ., აზერბაიჯანმა „მწვანე არ აუნთო“ ზოგ მუსლიმანურ სექტას, საქართველოში კი თავისუფლად არიან და უნივერსიტეტებიც კი გახსნეს... ეს ზიანს არ აყენებს საქართველოს? გარდა ამისა, საქართველოში ძალიან ბევრი თურქული სკოლაა, თურქეთში კი ქართული დღემდე არ ისწავლება, ქართულ სკოლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

**თუნდაც ადიგენის მინარეთის ამბავი ავიღოთ:**

თურქეთში, არტაანში, კერძოდ, ფოსოფში (ფოცხოვში) შეგროვებული ფულით ნაყიდი მინარეთი (შდრ.: http://www.ardahan.bel.tr/haber/5037/ardahanli-din-gorevlileri-ahiskada-minare-in-sa-etti.html) წყლის მილის სახით როგორ გავიდა საქართველოს საბაჟოზე? როგორ აღიმართა ადიგენში? სად იყო ამ დროს ხელისუფლება?

**ფ.ჩ.:** მართალია! აქვე კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: თუ საქართველოს მოქალაქეებისათვის დასაბეჭდია მუსლიმანური წიგნი, აღსამართია მინარეთი, ეს უნდა გაკეთდეს საქართველოს ფულით; მე არ მომწონს, რომ ეს კეთდება არაქართული ფულით და ფარულად; თუ დახმარება საჭიროა ჩვენგან, ოფიციალურად უნდა ეთხოვოს თურქეთის ხელისუფლებას საქართველოს ხელისუფლების გავლით; ფარული დახმარებები მეტად საეჭვოა.

**ე.შ.:** მართალი ხარ, ფევზი; ამიტომ ჩვენ, იქაურმა და აქაურმა ქართველებმაც და ორივე ქვეყნის ხელისუფლებებმაც კარგად უნდა გავიაზროთ და ისე გადავდგათ ნაბიჯები მეტად რთულ თანამედროვე სამყაროში...

**ტ.ფ.:** ჩემს სათქმელს ამბობთ... დავამატებ:

ჩვენ, ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს ერთი გვაქვს სისხლი, დიდი ისტორიული მეხსიერება, მიწა-წყალი, ტრადიციები, დედაენა, საოცრად ზუსტი ქართული ანბანი და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურა... თუ გვეყოფა გონიერება, ჩვენ ვერავინ დაგვაპირისპირებს ერთმანეთთან; დღესაც ყველა პროვოკატორი ცნობილია ჩვენთვისაც და თქვენთვისაც, თუმცა, რაღაც მიზეზების გამო, წყალს მაინც იოლად გვიმღვრევენ; თანამედროვე ინტერნეტსივრცე იძლევა საშუალებას, მეტად ვიყოთ ინფორმირებულნი; კარგად ვიცოდეთ რეალური ისტორიაც და აწმყოც, რომ სამომავლო ორიენტირები სწორად დავინახოთ; თქვენ იცით, მაგრამ კარგი იქნება, თურქეთში აღზრდილმა სხვა ქართველებმაც იცოდნენ:

ქართველები კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობა ვართ; ჯერ კიდევ 33 საუკუნის წინ იყო ცნობილი აიეტის ქართული სახელმწიფო – კოლხა; აქვე აღვნიშნავ: კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები მოიცავს ამჟამინდელ ლაზეთსა და კლარჯეთს, აჭარასა და გურიას, სამეგრელოსა და სვანეთს, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმს, ქართლს, სამცხე-ჯავახეთს, ტაოს... ფაქტობრივად, მთელ ისტორიულ საქართველოს.

ქართველებს ოქროს საუკუნე გვქონდა რვა საუკუნის წინ, თამარ მეფის ეპოქაში; შემდეგ დიდი ქართული სახელმწიფო მონღოლ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაიქანცა; მერე, 1555 წლიდან, ირან-ოსმალეთის ერთობლივი შემოტევები აქტიურად დაიწყო; 1801 წელს რუსეთის იმპერიაც ჩამოგვისახლდა კავკასიაში; მე-20 საუკუნიდან კავკასიის, კერძოდ, საქართველოს პლაცდარმად ქცევაში გერმანია, ინგლისი თუ ამერიკა ეცილება მათ; დღეს ბაქო-ჯეიჰანის კავკასიის ტრასას ამერიკა აკონტროლებს, სამხრეთ კავკასიას (ყარსის მხარე და ტაო-კლარჯეთ-ლაზეთი) – თურქეთი, ჩრდილოკავკასიას – რუსეთი; რუსეთის ორმაგი სტანდარტი და ე.წ. უფროსი ძმობის ყავლი დიდი ხანია გასულია, ამიტომ ის ახლა **აფხაზთა და ოსთა ერთი ნაწილის გამოყენებით** ცდილობს, დაინარჩუნოს აფხაზეთი და ცხინვალის მხარე, რომ კავკასიაში გეოგრაფიული არეალი გაიფართოვოს; **დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა ამბიციებს კი საქართველო, ქართველი ერი ეწირება...**

საქართველოს თითქმის ნახევარი ოკუპირებულია; თანამედროვე ქართველები ვცდილობთ, გადავარჩინოთ ჩვენი წინაპრების მიერ დაფუძნებული სახელმწიფოც და ქართველი ერის სიცოცხლეც... ტერიტორიული მთლიანობის გარდა, ქართველი ერისათვის ასევე არსებითია, გარდაუვალი ასიმილაციისგან ვიხსნათ თურქეთის მოქალაქე მილიონობით ქართველი; თქვენ

უნდა იყოთ თურქეთის ერთგული მოქალაქენი, მაგრამ ეთნიკური მეობა უნდა შეინარჩუნოთ; ეს შესაძლებელია მხოლოდ თქვენი დედაენის გადარჩენით...

საქართველოს ამდენი პრობლემა აქვს და ამ დროს, ვითომდა უმცირესობების უფლებების დაცვის მოტივით, ნიგვზიანში, სამთაწყაროსა თუ ადიგენში ცდილობენ, ხელოვნურად შექმნან რელიგიური დაპირისპირების სიტუაცია და ერთმანეთს დაგვაშორონ მუსლიმანი და ქრისტიანი თანამოძმენი; პარალელურად, ცდილობენ, დაძაბონ საქართველო-თურქეთის ურთიერთობა.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობას ნამდვილად არ წაადგება თურქეთის ზოგი მაღალჩინოსნისა თუ ქალაქის მერის მხიარული ვოიაჟი რუსებისგან ოკუპირებულ აფხაზეთში; მაგ., საინტერესოა, რა მიზანი ჰქონდა ინეგოლის ქართველ მერს სოხუმში სტუმრობისას?

ქართველები კი ვართ მცირერიცხოვანი ერი, მაგრამ დიდი ისტორია გვაქვს და ეს ისტორია თავისუფლების შენარჩუნებისა თუ თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა... არც ახლა შეეგუება საქართველო სხვათა ბატონობის მცდელობას. მეამაყება, რომ დედამიწაზე ძალიან ცოტაა ერი, რომელიც 33 საუკუნეა ცოცხლობს, აქვს დიდი ეროვნული კულტურა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო! სწორედ ღირსების ეს განცდა არის ჩვენი ენერგიისა და ბრძოლისუნარიანობის წყარო; არავის უნდა შეექმნას ილუზია, რომ რამდენიმე ათეული უღირსი ქართველისა თუ პოლიტიკოსის მოსყიდვით მთელ ქართველ ერს დაიმორჩილებს...

თურქეთთან ურთიერთობის კონტექსტში კი, პირადად, ჩემი თვალსაზრისი ასე შეიძლება შევაჯამო:

1. გულწრფელად და ღიად უნდა განვავითაროთ საქართველო-თურქეთის მეგობრობა; ქართველებს აღარ გვინდა, რუსეთის მსგავსად, მზაკვრულად მოგვექცეს ვინმე, თავისი იმპერიული ამბიციებიდან გამომდინარე; საქართველოში აღარავინ ენდობა ორმაგ რუსულ სტანდარტებს; არც სხვა ქვეყნის ორმაგ სტანდარტს ავიტანთ; ჩვენ გვინდა, რომ საქართველო და თურქეთი კარგი მეზობლები იყვნენ; ნამდვილად ვერ შევეგუებით, ახლა თურქეთმა ან ამერიკამ თავის ავანპოსტად აქციოს საქართველო, ან ისევ რუსეთმა აკონტროლოს საქართველო...

2. თურქეთში მილიონობით მუსლიმანი ქართველი ცხოვრობს; თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებებმაც და აკადემიურმა წრეებმაც უნდა ვიზრუნოთ ამ ქართველთა დედაენის გადარჩენისათვის; **დედაენის გადარჩენა გულისხმობს ორი მიმართულებით გასაწევ საქმიანობას:**

– უნდა შევინარჩუნოთ თურქეთის ქართველობის კუთხური მეტყველებები (ლაზური, ტაოური, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, აჭარული...), რომლებიც გაქრობის საფრთხის წინაშე არიან;

– თურქეთელ ქართველებს უნდა შევასწავლოთ მათი წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენა, როგორც ქართველთა ეროვნული იდენტობის საფუძველი.

**თურქეთში ქართველთა ენობრივი სამყაროს გადარჩენით თურქეთის დიდ სახელმწიფოს არაფერი დააკლდება, ისედაც მცირერიცხოვანი ქართველი ერისათვის კი თურქეთის ქართველების ენობრივ-ეთნიკური მეობის შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს...**

16 სექტემბერი, 2013

## ევროკავშირი და ევრაზიული კავშირი

საქართველოსთვის ეს კითხვა არ არის აქტუალური იმიტომ, რომ **ეს უკვე გარკვეულია, სულ მცირე, 16 საუკუნეა:** IV საუკუნეში, როცა ერთმანეთს უპირისპირდებოდა ქრისტიანობაზე ორიენტირებული დასავლეთი და ირანის აღმოსავლური იმპერია, საქართველოს სახელმწიფომ ევროპის ბევრ სახელმწიფომდე ადრე გააკეთა არააზიური არჩევანი (ამ ისტორიული არჩევანის შესახებ მალე გამოვაქვეყნებ ჩემს ვრცელ წერილს).

სიმბოლურია, რომ სიტყვაფორმა **ევროკავშირისგან/European Union/** განსხვავებით, **ევრაზიულ**

**კავშირში /Евразийский Союз/** არსებითადაა სეგმენტირებული სიტყვა: **ევროპა**.

ევრაზიის უპერსპექტივო კავშირი ბევრი რამით ჰგავს სხვა აღმოსავლურ დიქტატურებს; პირველ რიგში, მეზობლების, მეგობრებისა თუ პარტნიორებისადმი აგრესიით, მუქარით და ბრმა **მორჩილების მოთხოვნით**.

რუსეთის მიერ ამჟამად მიმდინარე ე.წ. „საზღვრის გადმოწევები“ ოკუპაციის გაგრძელებაცაა და მუქარაც: პუტინს სურს, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ლიდერები, შევარდნაძის მსგავსად, დაჩოქილი ეახლონ მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნოემბერში „ბურჯანაძის“ ბუნტით იმუქრება.

**დღეს სხვა დროა, ყველამ იცის:** ევროკავშირი ცივილიზებული დიალოგის სივრცეა, ევრაზიული კავშირი კი – მონური მორჩილებისა (ბრმა მორჩილებით რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების სამსახურში!).

**P.S.** ხანმოკლე იქნება უიდეოლოგო იმპერიის მიერ ენერგორესურსების გადაკეტვითა თუ ოკუპაციით ძალადობის პერიოდი; თუმცა, **თავისუფლებისთვის ბრძოლაში ნებისყოფა აუცილებელია!**

2 ოქტომბერი, 2013

## ახალი ნაღმები გალში

ეს ყოველივე თუ მართალია, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე რეაგირება რატომ არ ხდება?

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 2013 წლის 11 დეკემბერს, სოხუმში მიღებული „კანონით“ გალის რაიონის სოფლებს შუცვალეს სახელები და ისინი ჩაანაცვლეს აფხაზურით; კერძოდ:

ნაბაკევი „გახდა“ ბათაიგუარა
ეწერი – ლბაარხა
საბერიო – პაპინრხუა
ფართონოხორი – აგუარადუ
ჭუბურხინჯი – ხიაცხრა
თაგილონი – თაღლან
მზიური – მახუდჯრა
ცხირი – ცხირ
პირველი ოტობაია – ხაშტა
მეორე ოტობაია – ბგოურა
ფიჩორი – ბჩარა
განახლება – მარჩხაპონ
ზემო ბარღები –ვიადა ბაღრიაპ
საშამუგიო – შამგიაა
საბუთბაიო – ბუთბაკიტ
ქვემო ბარღები – ლადა ბაღრიაპ
ფიცარღალი – აბიცარკუარა
დიხაზურგა – აბააკიტ
ოკვინორე – ციგტვარა
ღუმურიში – გუმრიშ
რეჩხი – რეჩხუ
რეფი – რიაპ
საყოლბაიო – კალგი
პირველი გალი – გალხუჩ გალ
ზემო გალი – გალ აჩაიუა
შეშელეთი – შაშალატ

ლეკუმხარა – ალაკუმხარა
მუხური – მახურ
საბულესკირიო – აბლასკირ
ხუმუშკური – რიშხა... ეს ყოველივე თუ მართალია, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე რეაგირება რატომ არ ხდება?

26 დეკემბერი, 2013

## კერკეტი კაკალი

(გეოპოლიტიკური ჩანახატი)

ორმა მოზარდმა ერთი სახლის ეზოში კაკალი მოიპარა: ერთმა დაინახა, მეორემ აიღო; კაკალი ვერ გატეხეს, რომ გაეყოთ. კამათი დაიწყეს, თუ ვის ეკუთვნოდა. მესამემ შესთავაზა, მე გაგიყოფთო; გამოართვა კაკალი და დანის წვერით მოხერხებულად გახსნა ნაჭუჭი: ნაჭუჭის ერთი ნახევარი მისცა ერთს, მეორე ნახევარი – მეორეს, თავად ნაყოფი დამუჭა და გაიქცა.

ორი გაბრიყვებული მოზარდი ადგილზევე დარჩა პირდაღებული.

კაკლის მესამე ქურდს სხვები დაედევნენ; ამასობაში ოჯახის პატრონიც გამოვიდა ეზოში: ჯერ თავისი კაკალი მოისაკლისა, შემდეგ კი ჯერ სხვების დანამუსება დაიწყო, რომ კაკალი დაებრუნებინათ, თუმცა, დანამუსებამ ვერ უშველა...

/ გაგრძელება იქნება :) /

**P.S.** კერკეტი კაკალი – საქართველოს ღირსება;
გაბრიყვებული ორი მოზარდი: ირანი და ოსმალეთი XVI-XVIII საუკუნეებში;
მესამე ქურდი – რუსეთი (1801 წლიდან);
სხვები – დანარჩენი მსოფლიო;
სახლი – საქართველო;
სახლის პატრონი – მრავალსაუკუნოვანი, ღირსეული, მაგრამ დღეს შედარებით სუსტი ქართველი ერი (/საქართველოს მოსახლეობა/.

**P.P.S.** XVI-XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის დამპყრობლურ-აგრესიულმა, მთლიანობაში, უგნურმა პოლიტიკამ საქართველოს მეფე-მთავრები აიძულა, დახმარება რუსეთში ეძიათ, მაგრამ უარეს უბედურებას შეეყარნენ...

დღეს დეზორიენტირებული ქართველი ერი იბრუნებს უტყუარ ორიენტირებს: ქართველი ერის ამჟამინდელი თაობის უმრავლესობას სურს, **აღორძინდეს ქართველურ ღირებულებებზე დაფუძნებული ქართულენოვანი სახელმწიფო და ამის გარანტად მიაჩნია ცივილიზებულ ევროპასთან დაახლოება** /იმედია, ირანი და თურქეთი აღარ გვაიძულებს, უფრო საშიშ მტრებად ჩავთვალოთ, ხოლო დასავლეთი მესამე ქურდის მსგავსად არ მოიქცევა – არ შეეცდება, უგნურ და მოძალადე "უფროს ძმასავით" მიისაკუთროს საქართველოს სტრატეგიული ტერიტორია/.

30 მაისი 2014 (16 ოქტომბერი, 2020)

## ასოცირების ხელშეკრულების აღნიშვნა ირანში: კარგია ევროკავშირთან ინტეგრაცია, თუ...

ძალიან **ღირსეულ და გონიერ ირანელ ქართველებთან ერთად** ორი დღის მანძილზე ორჯერ ნამდვილქართულად აღვნიშნეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. ჩვენი საერთო აზრი ასეთია:

1. საქართველოს/კავკასიის ოკუპაციაზე ორიენტირებულ რუსეთთან ინტეგრაცია ერთიან **საქართველოს საბოლოოდ წაშლის რუკიდან** (რუსეთს სურს, სახმელეთო კავშირი გუიმრის ბაზასთან ბორჯომ-ბაკურიანის გავლით);

2. ევროპასთან ინტეგრაცია შედარებით **მეტ შესაძლებლობას (შანსს)** იძლევა, გადარჩეს ქართული მეობა და ქართველთა მიერ დაფუძნებული სახელმწიფო (ე. წ. თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი ორჯერ დამთავრდა რუსული ოკუპაციითა და ანექსიით);

3. **ევროექსპერტებმა უნდა გააცნობიერონ,** რომ ქართველთა ენობრივ-კულტურული ერთიანობა მრავალსაუკუნოვანი ფაქტია და დასავლეთი არ უნდა შეეცადოს, ხელოვნურად დაანაწევროს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობა; გარდა ამისა, ყველამ პატივი უნდა სცეს ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელ სხვა არსებით მახასიათებლებს. არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ქართველ ერს, ზოგადად, საქართველოს რუსული ბომბდამშენების ქვეშ ამოხდება სული თუ ქართული ენისა და ქართველური ფასეულობების წაშლით; შესაბამისად, ევროპა კარგი პერსპექტივაა საქართველოსთვის, თუკი ჩვენი და ჩვენი პარტნიორების კონცენტრირება მოხდება ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დასაცავად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

**P.S. ყველა გონიერი კაცი აცნობიერებს:**

სამი საუკუნის წინ კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის აგრესიულმა (მცდარმა) პოლიტიკამ ქართველები აიძულა კავკასიაში მესამე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშე შემოსულიყო, რომელმაც ირანსა და ოსმალეთზე მეტი ზიანი მოგვაყენა და სხვა მეზობლებიც დააზარალა...

დღეს ჩვენ ევროპის იმედი გვაქვს; იმედია, მსგავს შეცდომას არ დაუშვებენ ევროპის ლიდერები და ხელს შეუწყობენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და უნიტარული დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინებას:

**ფედერაციული მოდელის თავსმოხვევა საქართველოს სამუდამოდ დაანაწევრებს!**

29 ივნისი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## ბერლინის კედლის დამანგრეველი თუ დამანგრეველი?

შევარდნაძის შეფასება ლაკმუსია: დასავლეთში თუ აქ ვისაც შევარდნაძე მოსწონს, არაადეკვატურად უყურებს კაცობრიობის განვითარებას... ამიტომაც მიიღო დასავლეთმა სასჯელად ელცინ-შევარდნაძეზე აღმოცენებული პუტინი.

პუტინი არის მალტის გარიგების პირმშო, რომელიც დღეს დიდ პრობლემებს უქმნის მსოფლიოს, მალტის გარიგების მონაწილე კი შევარდნაძეცაა, რომელმაც ხელი შეუწყო 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს დაქცევას: სამეგრელოს აოხრებას, აფხაზეთიდან ქართველთა და საქართველოს ერთიანობის მომხრე აფხაზთა მასობრივ დახვრეტას, სოხუმიდან და სხვა რაიონებიდან დევნილ ქართველთა გოლგოთის გზის გავლასა (დალის ხეობაში) და ქართველთა გენოციდს.

დასავლეთმა თუ თავის ბებერმემავურ პოლიტიკას არ გადახედა, აგრესიული ევრაზიული სახელმწიფოები (რუსეთი, ჩინეთი...) საქართველოსაც დააკარგვინებს თავის მეობას და ევროპასაც; ამერიკა კი სისხლიან ომებში ჩაიძირება.

შევარდნაძისბერლინისკედლისდამანგრევლადგამოცხადებამდებევრირამაქვსგასააზრებელი

დასავლეთს. მსოფლიომ რა მოიგო? ერთი კედელი დაინგრა და ამ დამანგრეველთა ხელით მეორე კედელი აიგო ბელორუსია-უკრაინა-კავკასიაში... არ განახორციელეს თანამიმდევრული პოლიტიკა და კაცობრიობა უარესი საფრთხის წინაშე დააყენეს; სერბია, ხორვატია, ბოსნია... უკრაინა, მოლდოვა, კავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი)... კი უბედური წლებისთვის გაწირეს. შუა აზიას რა ელის, ჯერ კიდევ ღმერთმა იცის...

სხვა ტიპის მიდგომებია საჭირო და არა მხოლოდ დროებითპრაგმატული, რომელიც უფრო დიდი ზიანის მომტანია გრძელვადიან პერსპექტივაში.

8 ივლისი, 2014

## რატომ ვერ ხედავთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი წარმატებულ საინფორმაციო ომს აწარმოებს?

ნიკა რურუას
ზურაბ ბიგავას
ირაკლი ბაიაშვილს და სხვებს

11 თებერვალს, „მაესტროს“ საღამოს ეთერში იყო საინტერესო დისკუსია ამერიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის – **ჯეიმს კლეპერის** დასკვნებისა თუ საფრთხეების ჩამოყალიბების გამო.

„ფაქტორის“ სტუმრები დღეს სწორად კი ხედავენ რუსეთის ოკუპანტობას, მაგრამ თვლიან, რომ რუსეთის საინფორმაციო ომი წარუმატებელია; მაგ., ნიკა რურუამ რუსული საინფორმაციო ომის ერთ-ერთ გამოვლენად დაასახელა პრორუსული ქუჩური სიმღერები...

რესპონდენტებს გაცილებით არსებითი ფაქტები გამორჩათ (თუ გამოტოვეს), რომლებიც ცხადყოფენ წლების განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის საშიშროებას; კერძოდ:

1. რუსული პროპაგანდის შედეგია რუსეთის მიერ საქართველოს მეოთხედის ოკუპაციის შენიღბვა ე.წ. ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ეთნოკონფლიქტებად. მსჯელობისა და არგუმენტებისათვის ვრცლად იხ.:

http://orientacia.blogspot.com/2014/12/blog-post.html

სწორედ რუსული პროპაგანდის შედეგია საქართველოში ე.წ. „ბოდიშის“ კამპანიის წარმოება და ქართულ-აფხაზურ თუ ქართულ-ოსურ შერიგებაზე ლაპარაკი.

რესპონდენტებს უნდა ეთქვათ, რომ ბოლო 26 წლის განმავლობაში ქართველების, საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთი, რომელმაც გამოიყენა ქართველთა, აფხაზთა, ოსთა, სომეხთა ნაწილი... ჩვენ, ქართველებს, არ გვქონია ეთკონფლიქტები: ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოს დასჯა დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

2. რუსული პროპაგანდის შედეგია საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის „მონათვლა“ ე. წ. სამოქალაქო ომად... სხვათა შორის, ამ პროცესში რუსეთმა სწორედ ნიკა რურუასა და ირაკლი ბათიაშვილის ტიპის ადამიანები გამოიყენა; ამას ადასტურებს თავად ი. ბათიაშვილის წერილი „მანკიერი წრე“.

3. რუსული პროპაგანდის შედეგია ბევრი საერთაშორისო ექსპერტის დაბნეულობა (მათ შორის – ტალიავინის და სხვების), ქართველი ერის მიჩნევა „არ შემდგარ ერად“ და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურად დანაწევრებულად აღქმა;

ვრცლად იხ.: http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/cigni.htm;

იხ., ასევე: http://putkaradze.blogspot.com/search?updated-max=2015-01-31T11:41:00-08:00&max-results=7&start=3&by-date=false

4. რუსული პროპაგანდის შედეგია ეთნონიმის: „თურქი მესხის“ დამკვიდრება, ზოგადად, ამ თემის ანტიქართული კონტექსტი (ვრცლად იხ.: http://putkaradze.blogspot.com/search?updated-max=2015-12-28T09:43:00-08:00&max-results=7);

5.რუსული პროპაგანდის შედეგია რუსეთისა და თურქეთის, ასევე, ამერიკის, ევროპის, ბოლოს კი ევრაზიის კავშირისა და ევროკავშირის ერთ რანგში წარმოჩენა საქართველოს ბევრი მოქალაქის

თვალში;

6. რუსული პროპაგანდის შედეგია საქართველოს ეკლესიისათვის პრორუსულობის დაბრალება; ვრცლად იხ.: http://orientacia.blogspot.com/2013/10/blog-post_2571.html

7. რუსული პროპაგანდის შედეგია ბევრი ქართველის თვალში დასავლეთის წარმოდგენა „სოდომ-გომორის სამყაროდ“ და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთისადმი ნდობის კლება განაპირობა არა მხოლოდ რუსულმა პროპაგანდამ, არამედ საქართველოს პროდასავლურ არჩევანზე (1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი; 1991 წელს რუსეთის იმპერიის ჯარისათვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება; 2008 წლის პლებისციტი „ნატოს“ სასარგებლოდ...) დასავლეთის დაგვიანებულმა, დღემდე რეალურად არაადეკვატურმა პასუხმა, რის გამოც რუსეთმა დაგვსაჯა 2008 წლის აგვისტოს ომით და წინ რა გველის, კიდევ ღმერთმა იცის.

12 თებერვალი, 2016

## ნატო შავ ზღვაში და... დარჩენილი თვეები

1. საქართველო, ქართველი ერი ნებისმიერ კულტურულ ველში შეძლებს იდენტობის შენარჩუნებას, მაგრამ, როგორც არაერთხელ გამოჩნდა (ბოლოს – 2008 წლის აგვისტოში), მრავალრიცხოვანი ველური მასისგან მოწყობილ გენოციდს ვერ გაუმკლავდება...

2. „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო“...

ასეიყო1992წელს:გასულისაუკუნის90-იანიწლებისდასაწყისშისაქართველომრეფერენდუმით გადაწყვიტა რუსული იმპერიისგან გასვლა და სამართლებრივი გზებით დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს, რუსეთმა 1992 წელს საქართველოს ხელისუფლება დაამხო.

ასე იყო 2008 წელსაც: როცა საქართველომ რეფერენდუმით გადაწყვიტა ნატოში შესვლა და მივიღეთ რუსული აგრესია აგვისტოში... უფრო ადრე პუტინის მსგავსად მოიქცა აღა-მაჰმად-ხანი, როცა ქართლ-კახეთის მეფემ პრორუსული არჩევანი გააკეთა; აღა-მაჰმად-ხანმა ბევრი ქართველი შეიწირა...

ბოლო 25 წელიწადში რუსეთის იმპერიამ არანაკლები დანაშაული ჩაიდინა:

აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში რუსების მიერ ქართველთა გენოციდით პრორუს ქართველ გულუბრყვილოთათვისაც კი დადასტურდა, რომ რუსეთი ყველაზე სახიფათო ოკუპანტია.

იმედია ახლაც ასე არ მოხდება და რუსული საფრთხე საბოლოოდ ნიველირდება. კარგია, რომ ნატო აცხადებს (08.07.2016; ვარშავა):

– ნატო საქართველოს თავდაცვის სფეროში დამატებით დახმარებას გაუწევს http://rustavi2.com/ka/news/51350

– მივიღეთ გადაწყვეტილება, ჩვენ შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, ახალი ნაბიჯების გადადგმაზე, რათა დავეხმაროთ საქართველოს, გააძლიეროს თავისი თავდაცვითი, თავსებადობისა და მდგრადობის შესაძლებლობები. აღნიშნული ინიციატივები ითვალისწინებს საქართველოსთვის სამხედრო განათლებისა და წვრთნების სფეროში დახმარებას შესაძლო ნდობის ფონდის საშუალებით და, ასევე, დახმარებას სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით. მოკავშირეები დახმარებას გაუწევენ საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და საჰაერო მეთვალყურეობის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით. მოკავშირეები, საქართველოს თავდაცვისა და მდგრადობის გაძლიერების მიზნით, ორმხრივ ფორმატშიც ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამას. ჩვენ ასევე უფრო მეტ ყურადღებას მივაპყრობთ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

http://rustavi2.com/ka/news/51362

ახლა მთავარია, ნატოში საქართველოს საბოლოოდ გაწევრიანებამდე რუსული ოკუპაციისა თუ გენოციდის ახალი „ცუნამი“ არ მოვარდეს...

9 ივლისი, 2016

## იაპონია და 2017 წლის 9 აპრილის რეფერენდუმი ცხინვალის მხარეში

ძალიან სტუმართმოყვარე იაპონიის მოქალაქეთა 98.5% იაპონელია;

რატომ? პასუხი ბოლოს თავად იპოვეთ.

ტოკიო ოცმილიონიანი ქალაქია, თბილისი – ორმილიონიანი, მაგრამ მძღოლისათვის საცობი საცობია: თბილისის ყოველდღიურ საცობში მოხვედრილ მძღოლს ნამდვილად ავსებს რადიოს მუსიკალური თუ საინფორმაციო გადაცემები /არ დაუკარგავს აქტუალურობა რადიოს :)/... მე ხშირად ვუსმენ „რადიო თავისუფლებას“.

2017 წლის 4 იანვარს ნამდვილად დამაინტერესა “ნიკოს პოდკასტის” ერთი რესპონდენტის (ამ გადაცემაში, არაიშვიათად, ბარბარიზმებიანი ჟარგონით მომაბეზრებლად მოსაუბრე რესპონდენტები ცინიკოსობენ) – **არჩილ მაჭავარიანის – თვალით ნანახმა და ყურით გაგონილმა:**

იაპონიაში საქართველოს ელჩის უფროსი მრჩეველის მტკიცებით, იაპონიაში სახელმწიფო ბიუროკრატია ისეა მოწყობილი, რომ უცხოელისათვის ძალიან ძნელია, მაგ., ბანკის ანგარიშის გახსნა და ტელეფონის ყიდვაც კი; არჩილი მეოთხე მისვლაზეც ვერ იყიდდა ტელეფონს, იაპონელი თანამშრომელი რომ არ მიეყვანა (ბინისა თუ მიწის შეძენაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია!); ყველაფერზე იმდენ ცნობასა და დოკუმენტს ითხოვენ, უცხოელს შეძენის ყოველგვარი ხალისი ეკარგება /

http://www.radiotavisupleba.ge/a/28212735.html; http://www.radiotavisupleba.ge/a/28187824.html /.

**ამ დროს რა ხდება ყოველი მხრიდან დაუცველ საქართველოში:** დედამიწაზე ბიზნესის დაწყება თურმე ყველაზე იოლია საქართველოში; მიწის დაკანონება კი უმოკლეს დროში შეუძლიათ უცხოელებსაც.

უკვე ფაქტია: საქართველოს ქალაქების ძირითად ქუჩებზე შენობების მესაკუთრეთა დედაენა ქართული არ არის. რაიონების საუკეთესო მიწებზეც უცხოელები თუ დამკვიდრდებიან, 50-100 წელიწადში შეიძლება ახალი “სამხრეთ ოსეთები” მივიღოთ; **შდრ., ცხინვალის მხარის 100-წლიანი ისტორია ასეთია:**

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ, რომ ამიერკავკასიაში ოსების დამკვიდრებას ხელი შეუწყვეს ქართველმა თავადებმა, რომლებიც ყმებად იღებდნენ იაფ ოს მუშახელს, რომლებმაც შემდეგ ქართველების მიწაც დაიკანონეს და სახლ-კარიც (იხ. მიხეილ ჯავახიშვილის ჯაყოს “მარგო”).

**ს. მგალობლიშვილი, 1938, გვ. 22-25:** თავდაპირველად ოსები დამკვიდრდნენ მაჩაბლებისა და ერისთავების ყმებად; “შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ...“

**“ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთ თარეშობასთან.** ოსები ნელ-ნელა დაიძვრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდის მთებისა ჩრდილოეთის მხრივ იმათ დაიჭირეს... ოსები გამოვიდნენ სამაჩაბლოსა და საერისთავო მთებიდან, დაესახლნენ ფალავანდიანთ, ხერხეულიძიანთ და სხვა თავად-აზნაურთა მამულებში, წრესავით შემოერტყნენ გორისა და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა. ოსების ნაწილი ქურდობას მისდევდა; არმც თუ ქართლის სოფლებში ქურდობდნენ, ერთმანეთშიაც, თავის სოფლებშიაც კი ქურდობდნენ. ქურდობას ჯანი გავარდეს, ავაზაკობდნენ და შიშის ზარს სცემდნენ ქართლის სოფლებსა. რამდენიმე ბრბო იყო შემდგარი სხვადასხვა მხარესა, თითო ბრბოში ხუთიდან ათ კაცამდე იყო. ჩაუსხდებოდნენ შარა გზებში მგზავრებსა და უმოწყალოდ სცარცვავდნენ; უკაცრაული სიტყვაა, პერანგის ამხანაგის ანაბრად სტოვებდნენ, თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლესაც ასალმებდნენ. საქმე ის იყო, რომ ოსი ავაზაკები ვაჟკაცურად არ უხვდებოდნენ; არჩეული ჰქონდათ შარა გზის პირად ტყით დაბურული ადგილები; ამისთანა ადგილებში ჩასაფრდებოდნენ, დამშვიდებულ მგზავრს იქიდან ესვროდნენ თოფსა, მოუკლავდნენ ცხენსა, ან ურემში გაბმულ ხარ-კამეჩსა და თავზარდაცემული მგზავრის გაძარცვა ადვილი იყო”.

**ს. მგალობლიშვილი, “ჯორ-ზაქარა”** (ქართული პროზა, ტ. XIII, 1987, გვ. 237):

უბადრუკი ქართველი მემამულე, ესტატე მარუშიძე, პირადი კეთილდღეობის მოწყობას

ჩამოსახლებული ოსების ხარჯზე აპირებს; ცოლს ასე ეუბნება: “იდიდოს ხელმწიფე იმპერატორი, თითო სულზე ოცდახუთი მანეთი გადაგვიკვეთა: მამულები რაც მისაზომი იყო, მიუზომეთ ჩვენს ნაყმევებსა, დანარჩენი მამულები ხელუხლებელია; როგორც ჩვენ გვენებოს, ისე გავცეთ; ჩამოვიყვანოთ ჩვენი მთიდან ოსები და სულ იმათ მივცეთ იჯარითა... მერე ვიცხოვროთ ხელმწიფურად...”.

ს. მგალობლიშვილი, “ჯორ-ზაქარა” (ქართული პროზა, ტ. XIII, 1987, გვ. 216):

“ქეციან ყმებში ეხლა კაი ლამაზ-ლამაზ ოქროებს ჩამიჩხრიალებენ ჯიბეში, ფული არ მირჩევნიან წილიან-წრიპლიან კაცებსა”, – ამბობდა სხვა თავადი... (მასალა მოიძია მაგდა ჭიქაბერიძემ).

**ფაქტია ისიც, რომ XX საუკუნის 10-იან წლებში ქალაქ ცხინვალში მხოლოდ 2 ოსური ოჯახი ცხოვრობდა. საბჭოთა ოკუპაციის დროს კი მოვლენები ასე განვითარდა:**

– 1921 წლის 17 ნოემბერი – საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის – რუსეთის კპ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმის – დადგენილებით შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური მხარე, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა ქალაქი ცხინვალი (ქალაქი, სადაც ამ დროს მხოლოდ 2 ოსური ოჯახი ცხოვრობდა).

– 1922 წლის 20 აპრილს ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ ბოლშევიკებმა შექმნეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

– 1989 წლის 10 ნოემბერი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლების შესახებ (ამ არალეგიტიმური გადაწყვეტილებით, ავტონომიური ოლქი “გარდაიქმნა” ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად).

– 1989 წლის 16 ნოემბერი – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ამაღლების შესახებ” სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.

– 1990 წლის 20 სექტემბერი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს “გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ” და “დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ”.

– 1990 წლის 21 სექტემბერი – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებების “ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ” გამოცხადების შესახებ.

– 1990 წლის 9 დეკემბერი – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით იმპერიული ცენტრის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არალეგიტიმური “არჩევნების” ჩატარება.

– 1990 წლის 11 დეკემბერი – საქართველოს რესპუბლიკის კანონი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ”.

– 1990 წლის 13 დეკემბერი – ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედების შესახებ (ამ არალეგიტიმური დადგენილებით გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერება).

– 1991 წლის 7 იანვარი – სსრ კავშირის პრეზიდენტის – მ. გორბაჩოვის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ (იმპერიულმა ცენტრმა მოითხოვა “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ” საქართველოს უზენაესი საბჭოს კანონის გაუქმება).

– 1991 წლის 9 იანვარი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ (ამ დადგენილებით არაკანონიერად იქნა მიჩნეული მ. გორბაჩოვის ბრძანებულების მოთხოვნები).

– 1991 წლის 20 თებერვალი – სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის

შესახებ (ამ დადგენილებით, კრემლი შეეცადა სრული კონტროლი დაემყარებინა საქართველოს ამ ნაწილზე მაინც).

**– 1991 წლის 23 მარტი – ყაზბეგის ოქმი. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია შეთანხმდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სიტუაციის სტაბილიზაციის ღონისძიებების შესახებ.**

– 1991 წლის 31 მარტი – საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი საქართველოში (31 მარტს საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი კითხვით: "თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?" რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველთა 90-მა პროცენტმა, რომლის 88 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი – 3 657 477; რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი – 3. 302. 572; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის – "დიახ" – მომხრეთა რიცხვი – 3. 295. 493; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის – "არა" – მომხრეთა რიცხვი – 17.400). ცხინვალის მხარეში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდი სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180 ამომრჩეველმა.

– 1991 წლის 1 აპრილი – სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება (პირველი პუნქტით საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ეძლეოდა რეკომენდაცია, შინაგანი ჯარების გამოყენებით შემოეღო საგანგებო მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში).

– 1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება.

– 1991 წლის 9 აპრილი – ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური რეზოლუცია (№ 94) "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ".

– 1991 წლის 15 სექტემბერი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრკ ჯარებისათვის "საოკუპაციო ჯარების სტატუსის" მინიჭების შესახებ.

– 1991 წლის 8 დეკემბერი – ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია) ხელი მოაწერეს სსრკ-ს დაშლას (ბელოვეჟის შეთანხმება). რუსეთის იმპერიის რეანიმაციის შემდგომ ეტაპად განიხილებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება და დსთ-ს შექმნა, რომლის შემადგენლობაში შესვლაზე საქართველომ იმთავითვე უარი განაცხადა.

– 1991 წლის 21 დეკემბერი – ალმა-ათის დეკლარაცია. ალმა-ათაში ახალი სახელით გაფორმდა რუსეთის იმპერია: სსრ კავშირის მემკვიდრე გახდა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო.

– 1992-93 წლები – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს რუსეთის სამხედრო შენაერთებმა.

– 1992-2016 წლები – საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მცდელობა (საინფორმაციო ომის კონტექსტი), რეალურად მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომის სხვადასხვა ეპიზოდს: საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ოკუპაციას უწოდოს: სამოქალაქო ომი, ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი, ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტი. სინამდვილეში, ეთნიკურ აფხაზთა და ოსთა დიდი ნაწილი დღესაც მშვიდობიანად ცხოვრობს საქართველოს იმ მხარეებში, რომლებიც რუსეთის მიერ არ არის ოკუპირებული (თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში...).

– 1992 წლის 24 ივნისი – "დაგომისის შეთანხმება": რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა და რუსეთის ხელშეწყობით საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ე. შევარდნაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებს, რომელთაც განახორციელეს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ოკუპაცია, მიეცა ე.წ. "სამშვიდობო ძალების

სტატუსი”.

– 1993 წლის დეკემბერი – 1994 წლის მარტი – საქართველოს საოკუპაციო ადმინისტრაციის (ე. შევარდნაძის რეჟიმის) მიერ მიღებული უკანონო აქტები რუსეთის ნეოიმპერიაში (“დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში”) საქართველოს შეყვანასთან დაკავშირებით.

– 2008 წლის 16 აპრილი – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის ბრძანებულება “თვითგამოცხადებულ” აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” რესპუბლიკებთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარების შესახებ.

– 2008 წლის 7-12 აგვისტო – რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი აგრესიის განხორციელება (სისხლისმღვრელი ბრძოლებით რუსეთის სამხედრო შენაერთებმა მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის მესამედის, მათ შორის, ცხინვალის მხარის) ოკუპაცია.

– 2008 წლის 26 აგვისტო – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის – დ. მედვედევის დეკრეტები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (ამ დოკუმენტებით რუსეთის იმპერიამ საქართველოს ტერიტორიის 18,5 %-ის ფაქტობრივი ანექსია მოახდინა).

**2017 წლის 6 თებერვალს კი გავრცელდა ასეთი ინფორმაცია:** რუსეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც 9 აპრილს ჩატარდება რეფერენდუმი, რომელიც სამხრეთ ოსეთს შეუნარჩუნებს დღევანდელ სახელწოდებას –”სამხრეთ ოსეთს” და დაემატება მეორე დასახელება – “სახელმწიფო ალანია” (http://netgazeti.ge/news/172408).

შდრ.: ალანია არსებობდა ჩრდილო კავკასიაში; ეტყობა მეორე ეტაპზე რუსეთი თავის “ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასაც” ალანიას უწოდებს და ასე გააფორმებს საქართველოს ამ ნაწილის სრულ ანექსიას.

**სოფრომ მგალობლიშვილის დროინდელი ქართველი ფეოდალებივით დღესაც იაფი მუშახელისა და დღევანდელი ბიუჯეტის შევსების გამო მიწას ყველა მსურველს თუ დავუკანონებთ, თიბილოვების ანტიქართული სიცივე მთელ საქართველოში დაისადგურებს.**

ზოგი რამ იაპონელებისაგანაც უნდა ვისწავლოთ.

10 თებერვალი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## 16 საუკუნის წინანდელი არჩევანის გამყარება

ვიზალიბერალიზაცია 16 საუკუნის წინანდელი არჩევანის გამყარებაა! ადამიანი თუ სახელმწიფო პარტნიორების გარეშე არ არსებობს, როცა დადგა არჩევანის აუცილებლობა, ჩვენმა წინაპრებმა 16 საუკუნის წინ გააკეთეს არჩევანი აღმოსავლურ (სპარსულ) და დასავლურ (ბერძნულ) სამყაროებს შორის; კერძოდ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ქრისტიანობა. ეს იყო სწორი საუკუნო გადაწყვეტილება;

ვიზალიბერალიზაცია ამ არჩევანის გამყარებაა! აგრესიული სპარსეთი და ოსმალეთი ცდილობდნენ გაენადგურებინათ ქრისტიანობა და სახელმწიფოებრიობა, არანაკლებ აგრესიული რუსეთი შეეცადა მოესპო ქართული ენა და ჩვენი სახელმწიფოებრიობა... მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთმაც (დასავლეთმაც) არაერთხელ გვავნო, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, საქართველომ და ქართველმა ერმა შეძლო გადარჩენა ისტორიის საოცრად ტრაგიკულ ქარტეხილებში.

დღესაც, საკუთარი დედაენის, ფასეულობების, სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის ბრძოლაში ქართველთა უმრავლესობას დასავლეთი უფრო კარგ პარტნიორად მიგვაჩნია, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფო; შესაბამისად, ნამდვილად ისტორიული გადაწყვეტილებაა საქართველოს უვიზო მიმოსვლა ევროპულ სივრცეში. მთავარია, ამის შემდეგ უფრო გააზრებულად მოვუაროთ:

– ჩვენი წინაპრების სისხლით შენარჩუნებულ მიწა-წყალს და არ გავასხვისოთ, არ მივატოვოთ და არ გადავსახლდეთ უცხოეთში;

– ჩვენს დედაენას – ქართული კულტურის ხერხემალს – ქართულ სამწიგნობრო ენასა და სხვა ქართველურ ქვესისტემებს (დროულად უნდა შევძლოთ ქართული ენის ქცევა ნორმალურ ინტერნეტენად!);

– ჩვენი მეობის არსებითად განმსაზღვრელ ფენომენს – ქართულენოვან მართლმადიდებლობას;

– ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს, ხასიათს, ისტორიულ მეხსიერებას;

– ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას; ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა საერთო სამშობლოს – ერთიან საქართველოს.

უვიზო მიმოსვლა დიდი შესაძლებლობებს აძლევს ჩვენს მომავალ თაობებს, მიიღონ მრავალწახნაგოვანი განათლება თუ დიდი გამოცდილება და გააძლიერონ ჩვენი მსოფლიოში ნამდვილად კარგი წახნაგებით გამორჩეული საქართველო!

1 მარტი, 2017

## საინტერესო შეხვედრა თურქეთის ელჩთან

დღეს, 2017 წლის 9 ნოემბერს, შევხვდი საქართველოში თურქეთის ელჩს, მის აღმატებულებას, ბატონ ზექი ლევენთ გუმრუქჩუს. სრულდება საქართველოში მისი ელჩობის დრო: ბ-ნი ზექი ლევენთ გუმრუქჩუ დაინიშნა თურქეთის ელჩად ბელგიაში.

თურქეთის ელჩთან ოთხწლიანი ურთიერთობა მაქვს; საქართველოდან წასვლის წინ მასთან შეხვედრა გადავწყვიტე ორი სერიოზული პრობლემის გამო (ამ თემების აქტუალობის გამო გადავწყვიტე ამ ინფორმაციის გამოქვეყნებაც); კერძოდ:

**1. თურქეთის მოქალაქე ქართველებში, განსაკუთრებით, მუჰაჯირთა შთამომავლებში დღეს აქტიურად ავრცელებენ თვალსაზრისს, რომ მუსლიმანი ქართველების შუა ოსმალეთში გადასახლება იყო ქრისტიანების ბრალი** (და დევნილები ოსმალეთმა შეიფარა).

აშკარაა, ვიღაცას სურს, ხელი შეუშალოს როგორც სხვადასხვა რელიგიის ქართველთა კონსოლიდაციას, ასევე, საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლობის განვითარებას... შესაბამისად, კარგი იქნება ერთობლივი კონფერენცია მუჰაჯირობის თემაზე.

**სინამდვილე ასეთია:** საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ინტელიგენცია, ზოგადად, ქრისტიანი ქართველობა აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მუჰაჯირობას – ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის შეთანხმებას, საკუთარი სახლები დაეტოვებინათ და შუა თურქეთში გადასახლებულიყვნენ მუსლიმანი ქართველები. იმხანად რუსეთის იმპერიას სურდა, ოსმალეთის საზღვრებზე დაესახლებინა მისი ერთგული ხალხები: კაზაკები, რუსები, სომხები... შესაბამისად, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა კარგად დაგეგმილი პროვოკაციებით აიძულეს მუსლიმანი ქართველების ერთი ნაწილი ლტოლვილებად (მუჰაჯირებად) ქცეულიყვნენ... ყველას შეუძლია ნახოს მე-19 საუკუნის 80-იანი წლების პრესა, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა მუსლიმანი ქართველების გადასახლებას მოწინავე ქართველი საზოგადოება.

**ბატონი ელჩი კარგი დიპლომატი და განათლებული პიროვნებაა;** მან თქვა: "ჩემთვის ნამდვილადაა ცნობილი, რომ ქართველი ქრისტიანები, კერძოდ, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, წინააღმდეგი იყო მუსლიმანი ქართველების ოსმალეთში გადასახლებისა".

**2. ჩემი აზრით, საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლობას ნამდვილად უშლის ხელს და მომავალშიც უფრო მეტად დაბაბავს ამ ურთიერთობას მავანთა მცდელობა, დააფინანსოს საქართველოში მუსლიმანობის პროპაგანდა...** საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა; გარდა ამისა, საქართველო თავად მიხედავს, თუ რაიმე ფინანსური პრობლემა აქვს რომელიმე რელიგიურ თემს...

ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ელჩმა თქვა: **"თურქეთის რესპუბლიკაში მისიონერობა დასჯადია.** ჩემი ოთხწლიანი მუშაობის მიზანი იყო საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობის გაღრმავება; მე ბევრი რამ გავაკეთე ამ მიმართულებით"...

ბ-ნმა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ ასევე აღნიშნა, რომ "მისიონერობის" წინააღმდეგია როგორც მუსლიმანების, ასევე, ქრისტიანების მხრიდან. რელიგია თავისუფალი არჩევანი უნდა იყოსო

(ბუნებრივია, ასეთია ჩემი აზრიც)... თუკი ვინმე განათლების მიმართულებით მუშაობს, ეს პრობლემა არ უნდა იყოსო; რელიგიური პროპაგანდა კი დაუშვებელია ორივე მხრიდანო.

**ამ მოსაზრებაზე ჩემი პასუხი:** რელიგიური განათლების ორგანიზება და რელიგიური პროპაგანდა ახლოსაა ერთმანეთთან. საგანმანათლებლო კერების დაარსების საკითხი როგორც თურქეთში რეგულირდება თურქეთის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მესვეურების მიერ, ასევე უნდა იყოს საქართველოშიც.

შემდეგ ბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ახლახან **პარხლის აღდგენაც დაიწყო;** რაც ნიშნავს იმას, რომ თურქეთი პატივს სცემს ქართულ კულტურას, ზოგადად, საქართველოს ისტორიას, აწმყოს... პირადად, მას სურს, საქართველოდან წასვლის შემდეგაც გააგრძელოს მეგობრობა ქართველებთან.

**ბ-ნმა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ განსაკუთრებული პატივით ისაუბრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის დიდ ავტორიტეტზე და ხაზი გაუსვა მის სიბრძნესა და ტოლერანტობას, ასევე, მის განსაკუთრებულ როლს ცალკეული რადიკალური გამოსვლების დასაბალანსებლად.**

ელჩმა ასევე ისაუბრა ქართველი სამეცნიერო საზოგადოების, განსაკუთრებით, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორისა და პროფესურის როლზე ქართულ-თურქული სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავების მიმართულებით (ჩვენს უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლობენ თურქეთის მოქალაქენი; გარდა ამისა, აქტიურად ვთანამშრომლობთ თურქეთის უნივერსიტეტებთან).

**ერთსაათიანი საუბარი შეიძლება ერთი წინადადებით შეჯამდეს** (ჩვენი საერთო აზრი დაახლოებით ასეთი იყო): მილიარდ-ნახევარი ქრისტიანისა და მილიარდ-ნახევარი მუსლიმანის საზღვარზე არსებულ საქართველოში ყველასათვის წამგებიანი იქნება რელიგიური დაპირისპირების პროვოცირება **(რომელიც შეიძლება სულ სხვა მხრიდან დაიგეგმოს და სხვა მხარეს აძლევდეს ხელს – ტ.ფ.);** საქართველოსა და თურქეთის მომავალი ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს ორივე მხარის გეოპოლიტიკურ ინტერესს, კეთილმეზობლობასა და აკადემიური (/ სამეცნიერო) კვლევებით დადგენილ რეალობას. თურქეთში მცხოვრები ქართველობა კი ჩვენი ქვეყნების შემაერთებელი ხიდი უნდა იყოს. კარგი იქნება, მუჰაჯირობის თემას მიეძღვნას საერთაშორისო კონფერენცია.

დასასრულს, ბატონ ელჩს წარმატებები ვუსურვე ევროპაში დიპლომატიურ სამსახურში და სამახსოვროდ ვაჩუქე წიგნი: **"საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი"** (მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს). კრებული გამოიცა **ქართული უნივერსიტეტის რექტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის რედაქტორობით.**

9 ნოემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## რა შემთხვევაში დაგვღუპავს ჩვენ დასავლეთი?

/1989 წლის მალტის გარიგება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობა და რუსეთის გიუმრის ბაზა დღეს/

1989 წლის 2 დეკემბერს მალტაში ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაზე (ბუში, ბეიკერი; გორბაჩოვი, შევარდნაძე) გადაწყდა, რომ რუსეთის საბჭოთა იმპერია უარს იტყოდა სსრ კავშირის მიერ მიტაცებულ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დასავლეთს აღიარებული არ ჰქონდა სსრ კავშირის შემადგენლობაში –კერძოდ, ბალტიის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპას.

**ამას მოჰყვა ბერლინის კედლის დანგრევა; სამაგიეროდ რუსეთმა მიიღო უფლება, თავისი გავლენის ველში დაეტოვებინა კავკასიის რესპუბლიკები, შუა აზიის რესპუბლიკები და უკრაინა-ბელორუსია-მოლდოვა.**

თავისად დატოვებულ გეოპოლიტიკურ არეალში ჯერ გორბაჩოვმა დაიწყო ძალაუფლების

გამყარება, მაგრამ ვერ შეძლო; შემდეგ კი ამერიკა დაეხმარა რუსეთს, ნაწილობრივ შეენარჩუნებინა იმპერიის საზღვრები (მისცა დსთ-ს შანსი), რომ **ბირთვული იარაღი უკონტროლოდ არ დარჩენილიყო** (ამიტომ ჩავიდა ბუში უკრაინაში და უკრაინისაგან მოითხოვა დსთ-ს წევრობა; ჩვენ კი "დინების აღმა ცურვაზე" მიგვითითა).

ამერიკის მხარდაჭერით ელცინმა შეძლო ძალაუფლების გამყარება. საქართველოს თემა კი უშუალოდ შევარდნაძის ჩარევით გადაწყდა: ამერიკა, ზოგადად, დასავლეთი ვალში იყო შევარდნაძესთან (ბერლინის კედლის დანგრევაში თუნდაც ფოსტალიონის როლის შესრულების გამო): რუსეთში უკვე ემიგრანტად მყოფ შევარდნაძეს საქართველოში მოუმზადეს ადგილი რუსეთის მიერ გამსახურდიას დამხობის შემდეგ.

არჩევიდან დამხობამდე მოკლე დროში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მოასწრო:

- საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რეფერენდუმის ჩატარება,
- კარგად გათვლილი იურიდიული პროცედურით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება,

– ნიქსონის საქართველოში ჩამოყვანა (ამერიკის პოზიციების შესაჯერებლად),

– ელცინის ყაზბეგში ჩამოყვანა და დათანხმება, რომ კანონიერად გაუქმდა უკანონო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა,

...ელცინს მხოლოდ დსთ-ს წევრობაზე დათანხმება აკმაყოფილებდა... რუსეთთან დიალოგი ვერ გაგრძელდა შევარდნაძის როლის გამოც; რასაც მოჰყვა რუსეთის აგრესიის ზრდა და საქართველოს მიერ სსრ კავშირის ჯარის ოკუპანტად გამოცხადება.

**საბოლოო ჯამში, ბალტინ-ბეპაევის მონაწილეობით რუსეთმა დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება; ამას მოჰყვა: შევარდნაძის ჩამოყვანა პუტჩისტთა ლიდერად, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ქართველობის გამოდევნა (ასევე, ერთიანი საქართველოს მომხრე აფხაზებისა და ოსებისა);** ბოლოს კი რუსეთიდან დასმულმა შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა საქართველო გამოაცხადა **დსთ-ს წევრად** დევნილი კანონიერი ხელისუფლების არსებობის პირობებში (როგორც ორჯონიკიძეებმა გამოაცხადეს საბჭოთა კავშირში შესვლა ჟორდანიას ხელისუფლების დე იურე არსებობის დროს!). პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას დე იურე დღემდე არავისათვის გადაუცია სამართალმემკვიდრეობა.

დავძენ იმასაც, რომ 1992-ში დასავლეთმა კი გაგვწირა მალტაში, მაგრამ მაინც იყო შანსი, ჩვენც გავყოლოდით ბალტიის ქვეყნებს რეფერენდუმის შთამბეჭდავი შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგნის გამოცხადების გამო. საჭირო იყო მხოლოდ მოსახლეობის ერთიანი ნების შენარჩუნება მსოფლიოს თვალში, რომ დასავლეთს მალევე დაეწყო საქართველოს თემაზე რუსეთთან ვაჭრობაც; მაგრამ **ჩვენმა ხელისუფლებამ პოლიტიკური სპექტრისა და მოსახლეობის აქტიური განწყობის შენარჩუნება ვერ შეძლო რუსეთის მძლავრი საინფორმაციო შეტევის გამო;** საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რუსებმა აქტიურად გამოიყენეს შევარდნაძე და ე.წ. კონგრესის პარტიები; კერძოდ:

როგორც უკვე აღვნიშნე, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შევარდნაძე რუსეთში ემიგრანტი იყო... მას ჰქონდა ავტორიტეტი დასავლეთში. ამიტომაც კომუნისტური ელიტის ერთი ნაწილისა და წითელი ინტელიგენციის, ასევე, ე.წ. კონგრესის პარტიების, კრიმინალური ჯგუფებისა და საბჭოთა საქმოსნების გამოყენებით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეუქმნა ცუდი იმიჯი დასავლეთში, საქართველოში კი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაორებით გააპასიურეს... ეს "გაპასიურება" დასრულდა ტრაგედიით: რუსის ჯარმა ქართველი კოლაბორაციონისტების გამოყენებით დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება და საქართველო მრავალწლიან სისხლიან ქაოსში გადავარდა (ქართველთა ერთი ნაწილი, რომელიც ამ დროს რუსეთს ნებსით თუ უნებლიეთ გამოადგა, დღეს ზვიად გამსახურდიას ცილისწამებითა თუ სიგუსაებრი ბოროტი ზღაპრებით ცდილობს თავისი მაშინდელი ქმედება გაამართლოს; ნაწილმა აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა; ზოგმა ღირსეულმა მოინანია კიდეც მაშინდელი საქციელი).

**საგანგებოდ უნდა შევეხო ელცინის "ტრანსფორმაციასაც":** ელცინს არავითარი ტრანსფორმაცია არ განუცდია: ყაზბეგში ჩამოსულ **ელცინს იმედი ჰქონდა, "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიის გაუქმების დათმობით ზვიად გამსახურდიას დაითანხმებდა დსთ-ს შექმნაზე,** მაგრამ ელცინმა როცა დაინახა, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსის დათმობის მიუხედავად, ზვიადს ვერ

დაითანხმებდა დსთ-ში შესვლაზე, შევარდნაძის გეგმას დასთანხმდა: გადაწყვიტა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა; მით უმეტეს, ამაში ხელს არ უშლიდა დასავლეთი, რომელიც ხარობდა ბერლინის კედლის დანგრევით; დასავლეთი ამ წარმატების გამო მოდუნდა და ვერ დაინახა (ახლომხედველობის გამოც!), რომ რუსულ იმპერიულ სულს აღორძინების დიდი პერსპექტივა შეუნარჩუნდა დსთ-ის გამო.

**ამ ყოველივეს ბევრი ფაქტი ადასტურებს; ერთს დავიმოწმებ:** 1991 წლის 21 დეკემბერს საქართველომ ალმა-ათაში ხელი არ მოაწერა დსთ–ში შესვლაზე, 22 დეკემბერს კი დაიწყო პუტჩი.

22 დეკემბრამდე საქართველოს ხელისუფლება (ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება!) სრულად აკონტროლებდა აფხაზეთსაც და ცხინვალის მხარესაც; შესაბამისად, ნურავინ დააბრალებს ჩვენს ხელისუფლებას აფხაზეთისა თუ ცხინვალის დაკარგვას: ამ ქართული მიწების რუსებისგან მიტაცებასა და აქ მცხოვრები მოსახლეობის გაუბედურებას, გენოციდს გააზრებულად შეუწყო ხელი შევარდნაძის რეჟიმმა.

ფაქტია: **რუსეთმა ცხინვალსა და აფხაზეთზე თავისი კონტროლი აღადგინა გამსახურდიას დამხობისა და პუტჩისტების მიერ საქართველოს გარდამავალი კონსტიტუციის გაუქმების შემდეგ. ამ გადატრიალების ორგანიზებით, რუსეთმა შეინარჩუნა თავისი ბაზები საქართველოში და, რაც მთავარია, სახმელეთო გზა გიუმრის ბაზამდე.**

მოკლედ, რუსეთმა 1992-93 წლებში დაამხო გამსახურდიაც, ელჩიბეიც, დუდაევიც და განაახლა თავისი იმპერია აღმოსავლეთ ევროპის გარეშე; საქართველოს უკანონო რეჟიმმა ოკუპანტი ქვეყნის ჯარს "სამშვიდობო ჯარის სტატუსი მიანიჭა"... პარალელურად, ციხეებში გამოამწყვდიეს, დახოცეს, აწამეს, დევნეს საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი აქტიური ოჯახები, მეტიც, საგანგებოდ დასაჯეს საქართველოს ორი კუთხე: სამეგრელო და აფხაზეთი, სადაც თავს ვაფარებდით დევნილი ხელისუფლების წევრები (დეპუტატები, მთავრობის წევრები) და, ასევე, ეროვნული ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერები... რუსებმა და მათგან მართულმა სამხედროებმა სწორედ სამეგრელო აქციეს "ვანდეად" საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ერთგულების გამო (სამეგრელოში ჩემი მასპინძლებისა და, ზოგადად, საქართველოს ერთიანობისათვის ამ კუთხის თავგანწირული გმირების პატივსაცემად დავარქვი ჩემს შვილს ცოტნე 1992 წელს).

**ასე შესრულდა მალტის გარიგება. ასე აღდგა სახმელეთო გზაც გიუმრის ბაზამდეც.**

პოლიტიკური პროცესი შემობრუნდა მე-20 საუკუნის დასასრულს (სტამბოლში), როცა ამერიკის შეერთებული შტატების აქტიურობით დაიწყო რეალური საუბარი საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანაზე; **პროცესი რადიკალურად შეიცვალა ნატოში გაწევრიანებაზე პლებისციტის** (2008) შემდეგ და **მსოფლიოში ანტირუსული აქტიური პროცესი საქართველოს გამო დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს:**

2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა დაკარგა საქართველოში "ლეგიტიმური" ყოფნის საფუძველიც და გიუმრამდე სახმელეთო გზაც; 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიერ რუსეთი ისევ გამოცხადდა ოკუპანტად.

**დღეს რუსეთის სამხედრო ელიტა ვერ ეგუება, რომ საქართველოს გავლით არა აქვს სახმელეთო გზა** (ერთადერთია ეს გზა!) **გიუმრის ბაზამდე. ამ ბაზიდან რუსეთი აკონტროლებს მთელ წინა აზიას (მთელ კავკასიასაც, რა თქმა უნდა!).**

**ახლაც, დღესაც ამ ბაზამდე სახმელეთო გზით სისხლხორცეულადაა დაინტერესებული რუსეთის იმპერიული "დერჟავა" და დიდად არ ანაღვლებს სომხეთის ბედიც კი.**

დღეს გუიმრის ბაზასთან სახმელეთო გზის აღდგენა რუსეთის იმპერიული ამბიციებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა; **რუსეთის ეს ინტერესი დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს დამოუკიდებლობასა და ამერიკის მიერ ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალის კონტროლს,** ზოგადად, აბრეშუმის გზის (აზია – საქართველო – ევროპა) პერსპექტივას.

შესაბამისად, ლოგიკურია ვთქვათ: დღეს როკის გვირაბის გახსნა რუსეთს ესაჭიროება გიუმრის ბაზასთან სახმელეთო გზის აღსადგენად (და არა – სომხების პატივისცემის გამო).

საქართველომ რუსეთს გზა შეიძლება გაუხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს წინააღმდეგობაში არ იქნება დასავლეთელი პარტნიორების პოლიტიკასთან, **თუკი რუსეთი უარს იტყვის საქართველოს დანაწევრების სტრატეგიაზე – უკან წაიღებს აფხაზეთისა და "სამხრეთ**

**ოსეთის” ე.წ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას და თავის ჯარებს გაიყვანს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან...**

წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო უფრო ღრმად ჩაეფლობა უძირო ჭაობში: მძლავრი საინფორმაციო იერიშებით რუსეთი ჯერ ქართველებს დაანაწევრებს ენობრივ-ეთნიკურ-რელიგიურად, შემდეგ კი საბოლოოდ დაშლის საქართველოს ერთიან სახელმწიფოს (კუთხეებადაც დაშლის) და ხელახლა ისე შეიერთებს!

ეს აღარ უნდა მოხდეს!

**ზემოთქმულისა და უმთავრეს საკითხში ერთიანობის აუცილებლობის გარდა,** ამჟამინდელი პოლიტიკური სპექტრის (და არამხოლოდ მთავრობის!) ჯანსაღი ნაწილის მიერ გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე გარემოება:

ა) 1921 წელსაც რუსეთის მიერ ჟორდანიას მთავრობის დამხობა და განდევნა მოხდა მცირერიცხოვანი ქართველების გამოყენებით (შულავერის “მთავრობა”),

ბ) 1992 წელსაც რუსეთის მიერ გამსახურდიას მთავრობის დამხობა და განდევნა მოხდა მცირერიცხოვანი ქართველების გამოყენებით (თბილისის ზღვაზე ვინც დაბანაკდა!) და

გ) ახლაც საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი იყენებს ქართველთა ნაწილს (/ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა ნაწილს!), რომელთაც ნამდვილად არ აქვთ ერთი მოტივაცია:

– ზოგი ხსნას რატომღაც მხოლოდ რუსეთში ხედავს (არადა, რუსეთის იმპერიას თუ შეეძლება, ამის შემდეგ საქართველოს სრულად გაანადგურებს!);

– ზოგი უბრალოდ ფულზეა გაყიდული;

– ზოგი ტვინნაღრძობი კი კუთხურ თუ რელიგიურ “პატრიოტიზმს” დაუბრმავებია (ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმზე ამბობს უარს და მოკლე გზით “დგება” მტრის სამსახურში, სულ მცირე, გუგუა ფიჩიტაურის მსგავსად)...

**დასკვნის სახით:** პროცესი, **რომელიც დაიწყო 1992 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით, ჯერაც საწყის სტადიაშია.** წინ კიდევ ბევრი სირთულე გველის, თუკი დასავლეთი მკაფიოდ არ გამოხატავს თავის პოზიციას და ამიერკავკასიაზე თუ არა, საქართველოზე მაინც ხელს არ ააღებინებს რუსეთს; **წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთი კავკასიის დერეფანსაც დაკარგავს, ნავთობსაც და ჩვენც უკვე მერამდენედ დაგვღუპავს.**

**რა მოხდება უახლოეს მომავალში?** გლობალურ კონტექსტში მოვლენები შეიძლება განვითარდეს სამი შესაძლო ვარიანტით:

1. აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დეოკუპაციის შემთხვევაში საქართველო სახმელეთო გზას მისცემს რუსეთს გიუმრის ბაზამდე (თუკი ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები წავლენ ამაზე);

2. რუსეთი დახურავს გიუმრის ბაზასაც და მთლიანად დატოვებს ამიერკავკასიას, თუკი ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები მყარად დადგებიან რუსეთის წინააღმდეგ; ასეთ შემთხვევაში საქართველო ნამდვილად საბოლოოდ გამოვა რუსული იმპერიის მარწუხებიდან (ამას არ დასჭირდება ცოტა დრო);

3. დასავლეთი თუ გააგრძელებს ობამასეულ/ევროკავშირისეულ უსუსურ პოლიტიკას, რუსეთი “არაპროპორციული” ჯარით (ანდა მეტი ფულით!) შემოვა საქართველოში და საბოლოოდ აღიდგენს კონტროლს მთელ საქართველოზეც და გიუმრის ბაზისკენ მიმავალ გზაზეც; ასევე, გადაკეტავს ბაქო-ჯეიჰანსაც და ე.წ. აბრეშუმის გზასაც მანამ, სანამ ეყოფა რესურსი (ჩვენ კი დაგვაქცევს!).

**ყველა ვართ ვალდებული, მთავარი გამოწვევების წინაშე გავერთიანდეთ და არ დავუშვათ მესამე ვარიანტი; პარალელურად, დიდი საერთო ძალისხმევა დაგვჭირდება, რომ შევძლოთ მსოფლიო თანამეგობრობაში დავიმკვიდროთ თავი ჩვენი ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნებით.**

**P.S. დიდი მადლობა, მამა დავით (კონჯარია), რომ ირიბად მაიძულეთ, დამეწერა ეს სტატია :) გილოცავთ დამდეგ შობას.**

**P.P.S. მოკლე ინფორმაცია მალტის გარიგების შესახებ:**

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

მალტის გარიგება:1**989 წლის 2 დეკემბერს** კუნძულ მალტასთან მოხდა სსრკ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისა და აშშ პრეზიდენტის ჯ. ბუშის შეხვედრა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა „ცივი ომის“ დასრულება და ამ ომისაგან გამომდინარე წინააღმდეგობების დარეგულირება (მათ შორის იგულისხმებოდა, აგრეთვე, ბალტიის რესპუბლიკების სსრკ-ის მიერ ოკუპაცია და ანექსიაც). მალტის შეხვედრიდან სამი კვირის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 24 დეკემბერს ბალტიის რეპუბლიკების – **ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია და ანექსია საბჭოთა კავშირის მიერ 1940 წელს უკანონოდ ცნო** და განაცხადა, რომ ეს საბჭოთა ხალხის სურვილისა და ნების წინააღმდეგ და მეტიც – საბჭოთა კანონების დარღვევით მოხდა. ამით არსებითად საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ ბალტიის რესპუბლიკების გასვლას საბჭოთა კავშირიდან ლეგიტიმური საფუძველი მისცა და წააქეზა.

1991 წლის 8 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკების ლიდერები, რომლებიც გაეროს დამფუძნებელი წევრები იყვნენ, ანუ რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის – შეიკრიბნენ ბელორუსიაში, ბელოვეჟში და ხელი მოაწერეს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ)“ შექმნის ხელშეკრულებას. 1991 წლის 21 დეკემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში ეუთოს დამფუძნებლებმა მიიწვიეს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურები, გარდა ბალტიის ქვეყნებისა, როდესაც მათ ხელი მოაწერეს დსთ-ში გაწევრიანებას. მხოლოდ საქართველომ უარი თქვა დსთ-ს წევრობაზე, რის გამოც რუსეთმა დაამხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება.

4 იანვარი, 2018

## რეზო კემულარიასა და ჩემი დღევანდელი საუბრის რეზიუმე

დღეს კრემლი ყველა ხერხით ცდილობს, საქართველო არ გავიდეს რუსული გეოპოლიტიკური სივრციდან.

მცოცავი ოკუპაციის გარდა, თვალშისაცემია რუსული “რბილი ძალის” წარმატებაც; კერძოდ, “რბილი ძალის” ფორმატით ფინანსდება არა მხოლოდ ღიად პრორუსული საინფორმაციო საშუალებები, არამედ ისეთი ჯგუფებიც, რომლებსაც დიდი გავლენა აქვს ცენტრალურ ტელევიზიათა ნაწილზე; მაგ., მასმედიით ე.წ. არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების ქმედების **პროპაგანდით** ფართო საზოგადოებაში ნიჰილიზმი ღვივდება დასავლური ფასეულობებისადმი; შესაბამისად, ირიბად ააქტიურდება პრორუსული განწყობები.

ქართველი ერის ტოლერანტობის დამადასტურებელია ბევრი ფაქტი (თუნდაც, კინტოებისადმი ლოიალური დამოკიდებულება). ჩვენც მიგვაჩნია, რომ **ყველას აქვს უფლება ისე იცხოვროს,** როგორც სურს, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობისათვის მიუღებელი ცხოვრების წესის **მიზანმიმართული და გამაღიზიანებელი პროპაგანდა,** ზოგადად, ფსევდოლიბერალიზმი რომ რუსული “რბილი ძალის” კონტექსტშია განსახილველი, ეს ჩვენთვის უეჭველია.

4 მაისი, 2018

## ადრე რუსეთის გამო ირანი გვტანჯავდა, ახლა ამერიკის გამო – რუსეთი... :(

**მძიმე, მაგრამ მაინც ღირსეული ისტორია მოკლედ:**

ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ:

ჯერ სპარსეთი არბევდა საქართველოს დასავლური (/ქრისტიანული) ორიენტირების გამო;

მერე თავად ბიზანტია გვებრძოდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამო...

მერე ოსმალეთი და ირანი გვკლავდა რუსეთისკენ ორიენტირების გამო;

ახლა რუსეთი გვარბევს პროდასავლური კურსის გამო...

მხოლოდ ოქროს საუკუნეში ვიყავით საკუთარი თავის პატრონები (კავკასიაში მონღოლების გამოჩენამდე): იმედი მაქვს, კიდევ ერთხელ საჩვენოდ მოტრიალდება ისტორია.

**ერთი კონკრეტული მონაკვეთი:** 1555 წელს ამასიის ზავით ოსმალეთმა და ირანმა გაიყვეს საქართველო. ქართველებმა ერთმორწმუნე რუსეთს თხოვეს დახმარება. მართლაც, კახეთის მეფის, ლევანის, თხოვნის საპასუხოდ 1561 წელს საქართველოში შემოვიდა რუს მეთოფეთა რაზმი, როგორც "მეგობარი ქვეყნის" სამხედრო ძალა; თუმცა, მალევე რუსეთმა თავი აარიდა ირანთან და ოსმალეთთან დაპირისპირებას და 1563 წელს მისმა სამხედრო შენაერთმა დატოვა ამიერკავკასია; მეტიც, 1564 წელს რუსებმა თავიანთი ჯარი გაიყვანეს ჩრდილოკავკასიიდანაც. 23 წლის შემდეგ, 1587 წლის 28 სექტემბერს, კახეთის მეფე ალექსანდრემ მიიღო "წიგნი ფიცისა", ხოლო 1589 წელს რუსეთის მეფე თეოდორემ საქართველოში (კახეთში) გამოგზავნა "წყალობის სიგელი" ("1587-1589 წლების ეს აქტები არის **პირველი ოფიციალური ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის).**

კახეთის დაახლოებამ რუსეთთან გააღიზიანა ირანი, რის გამოც საქართველო რამდენჯერმე ააოხრა შაჰ-აბასმა. 1601 წლიდან (სახელმწიფო გადატრიალება კახეთში) 1783 წლამდე პერიოდში ირანმა ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა აღმოსავლეთ საქართველოში.

XVII-XVIII საუკუნების მიჯნაზე პეტრე პირველის რუსეთი, ახალი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ისევ ინტერესდება კავკასიით (იხ., არტემი ვოლინსკის მოხსენება იმპერატორისადმი და ვახტანგ VI-ის პრორუსული პოლიტიკა). პირველ რიგში, პეტრე პირველი შეეცადა აზოვიდან განედევნა ოსმალოები და მოეპოვებინა გასასვლელი შავ ზღვაზე...

**P.S.** 1. რუსეთმა 1991-92 წლებში იარაღის გზით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, სამხედრო ოკუპაცია მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის, საქართველოს დანარჩენი ნაწილი კი დსთ-ში შეყვანილად გამოაცხადა;

2. 2008 წელს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ; საპასუხოდ, რუსეთმა საქართველო დაბომბა, მოახდინა დიდი ნაწილის ოკუპაცია და დაიწყო აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ანექსიის პროცესი...

12 ოქტომბერი, 2018

## რუსული ეკლესიის აგრესიის შესახებ

**საქართველოს ხელისუფლებამ დროულად უნდა მიულოცოს უკრაინას მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.**

საქართველოს ეკლესიის მიმართ რუსეთის ეკლესიის აგრესიის მოკლე ისტორიული ექსკურსი:

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთმა გააუქმა 1811-1814 წლებში. რუსეთის ხელისუფლება 1811 წლამდე ბევრად ადრე გეგმავდა, გაენადგურებინა საქართველოს უძველესი საპატრიარქო ტახტი (დოკუმენტებისათვის იხ. ვ. გურული, მეფე ერეკლე და რუსეთი, თბ., 2018, გვ. 49-62).

საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა 1917 წელს, მაგრამ 1992 წლიდან რუსული ოკუპაციის გამო „დე ფაქტო" ვერ მწყემსავს ოკუპირებულ აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში

არსებულ მრევლს და ვერ პატრონობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ეკლესიებს. რუსეთის ეკლესია კი საქართველოს კუთვნილ საზღვრებში, მაგ., ცხინვალის მხარეში, საქართველოს ეკლესიის ნების საწინააღმდეგოდ, აშენებს საკათედრო ტაძარს და დე ფაქტო იტაცებს ჩვენი ეკლესიის ტერიტორიას (https://reginfo.ge/people/item/2320-okupirebul-zxinvalshi-rusuli-eklesiis-mshenebloba-oqtombershi-dasruldeba).

რუსულ აგრესიას – საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შემოჭრას – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პასუხი გასცა თავის ტიტულში „ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის“ შეტანით; კერძოდ, 2010 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული ასეთია: „უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა“.

**მოკლედ ოკუპირებულ აფხაზეთში დღევანდელი რეალობის შესახებ:** რუსეთის ეკლესიის მხარდაჭერით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქტიურობს ბესარიონ აფლიას ჯგუფი, რომელიც თავს აფხაზეთის ეკლესიის მეთაურად თვლის; მისი მომხრეა, მაგ., ჭუბურხინჯის წმ. გიორგის ტაძარში მღვდელი მათე თუჟბა.

ბ. აფლიას პრორუსული ჯგუფი ცდილობს, ღვთისმსახურების ენად დაამკვიდროს რუსული ენა.

ოკუპირებულ აფხაზეთში აქტიურობს, ასევე, არქიმანდრიტი დოროთე დბარი, რომელსაც მაიკოპისა და ადიღეს მიტროპოლიტმა ტიხონმა მღვდელმსახურება შეუჩერა, თუმცა მან ღვთისმსახურების უფლება მიიღო მსოფლიო პატრიარქისაგან. დ. დბარი თავს აცხადებს „ახალი ათონის ეპარქიის“ დროებით ხელმძღვანელად.

15 იანვარი, 2019

## მოდიან...

„ფარნების დღესასწაული და ქართველი სინოლოგების მიღება” – ასე ერქვა ჩინეთის საელჩოს კარგად დაგეგმილ თბილ და გრანდიოზულ შეხვედრას სასტუმრო „ჰუალინგში“.

ქართველებისადმი, ქართული კულტურისადმი პატივისცემა გამოსჭვიოდა ყველაფერში. ჩინურ ველში სტუმრად მოსული ქართველებიც ღირსებით ექცეოდნენ მასპინძლებს (ზოგი, ალბათ, მხოლოდ ბიზნესს გეგმავდა).

ბ-ნი ავთანდილ კიკნაძის გამო თავს უცხოდ არ ვგრძნობდი; მით უმეტეს, საღამოს ერთ-ერთი მშვენიერი წამყვანი ჩვენი (“ქართული უნივერსიტეტის”) სტუდენტი იყო. ბევრი რამ ნანახი მქონდა უკვე, მაგრამ პირველად ვნახე ქართულ ჩოხებში გამოწყობილი **ქართველების გამრავალხმიანებული ჩინური სიმღერა...**

სასიამოვნო საღამო ჯერ ფიქრებად დაილექა, შემდეგ კი რეტროსპექტულ განწყობად ჩამოყალიბდა, განწყობად, რომელიც ახლა მაიძულებს, სხვა თვალისათვის სიტყვებად და აზრებად აღიბეჭდოს.

განწყობა ბევრგვარია, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ორ სახეობამდე დადის:

– განწყობა, რომელიც ადამიანის მრავალმილიონიან წუთიერ განწყობათა სამყაროს ერთ-ერთ ფენად ეფინება (ადამიანი საშუალოდ 37 000 000 წუთს ცხოვრობს);

– განწყობა, რომელიც ადამიანის განცდების გორგალის ერთ-ერთ პასიურ ფენად ყოფნას არ სჯერდება და ხილულ თუ ყურადსაღებ აზრებად გადმოსვლას ითხოვს. „ფარნების დღესასწაული“ ჩემში მეორე სახეობის განწყობად ჩამოიძერწა; სახელიც თავისთავად ჩამოყალიბდა: **რეტროსპექტული განწყობა.**

ჩანაწერის სათაურიც ასე ჯობდა, მაგრამ თავად ამ განწყობამ წარმოშვა სხვა ვარიანტი: „მოდიან...“

= მოდიოდნენ ხმლით და მიდიოდნენ.

= მოდიოდნენ რელიგიით და მიდიოდნენ.

= მოვიდნენ ტანკებით და წავლენ.

= მოდიან ფულით და წავლენ...

**ესენი სხვაგვარად მოდიან:** მოდიან მეგობრულად, მოდიან ენით, მოდიან ხელოვნებით, მოდიან ინვენსტიციებით, მოდიან საჭმელით, მოდიან ღიმილიანი ზოგადი კულტურით, მოდიან სიძეებად თუ რძლებად, მოდიან უხმაუროდ, მოდიან შენი პატივისცემით, მოდიან ღირსებით, მოდიან ნელა, მაგრამ მოდიან და მოდიან...

**დღეს თუ არა ხვალ, რუსი ოკუპანტი გადავა კავკასიონს გადაღმა;** ახლო აღმოსავლეთიდან შემოსულთა ტალღაც საზღვართან შეიძლება დააბრკოლო, მაგრამ ასეთ მრავალწახნაგოვან **შემონისლებას** აგრესიად რომ ვერ აღიქვამ, აგრესიულად ვერც დაუპირისპირდები. მეგობრულად მოსულს მეგობრულად უნდა დახვდე, მაგრამ **რამდენი მეგობარის მასპინძლობას შეძლებს ჩვენი სახლი?**

შემონისლება! ნისლიც ორგვარია:

– **"ნისლი ფიქრია მთებისა"** (ვაჟა);

– და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი? **ნისლი** ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?" (აკაკი).

**დელეგმად მოსვლაც და შემონისლებაც მუდმივი პროცესია:** მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ქართველებს სახელმწიფო გვაქვს 35 საუკუნეა (აიეტის დროიდან!): ხან დამოუკიდებელი ვიყავით, ხანაც ოკუპანტს წარმატებით ვებრძოდით, ხან გვიპყრობდნენ, მაგრამ მერე მაინც დამოუკიდებლობის აღდგენას ვახერხებდით... დღემდე ვართ! მიწა-წყალი შეგვიმცირდა, მაგრამ მაინც ვართ ჩვენი დიდებული დედაენის გამო, ჩვენი ქართულენოვანი რწმენის გამო, ჩვენი გაწონასწორებული ბუნების გამო, ჩვენი ორიგინალური მეობის გამო...

– ვართ იმიტომაც, რომ მეგობარს მეგობრულად ვხვდებოდით;

– ვართ იმიტომაც, რომ „ვეფხისა და მოყმის" ბალადაც გვიყვარდა, მაგრამ „ყივჩაღის პაემანსაც" ვწერდით...

**„ჰუალინგში" მეგობრული შეხვედრა იყო.** შორეული აღმოსავლეთიდან აბრეშუმის გზაზე მომავალ „ქარავანს" ჩვენ ღირსებით ვხვდებით, რომ „ქარავანმა" ანაკლიის ახალი პორტიდან უკვე გემებით გააგრძელოს მსოფლიო მოგზაურობა; გააგრძელოს იმიტომაც, რომ რუსეთმა უარი თქვას ცენტრალური კავკასიის უკანა ეზოდ ქცევის ოცნებაზე... გააგრძელოს იმიტომ, რომ საქართველო **„ქარავანსარაიად"** არ იქცეს: ვერ დაიტევს საქართველო ამხელა ქარავანს და აღარ იქნება საქართველო.

ჩვენ მეგობრულად უნდა ვუმასპინძლოთ ყველას, ვინც მოდის, მაგრამ ჩვენ აღარ ვიქნებით, თუკი სტუმარ-მასპინძლობის ქართულ ეტიკეტს რომელიმე წახნაგით დავარღვევთ: **ვაჟას „სტუმარ-მასპინძლობა" ერთი ფენომენია, მიხეილ ჯავახიშვილისა – მეორე.**

ამჟამინდელ რეალობაში (რამდენადაც საქართველო დე იურე უკვე დამოუკიდებელია) გამოსავალი ნამდვილად არსებობს: საქართველოს ერთგული პოლიტიკური სპექტრის მიერ ნორმალური საკანონმდებლო ბაზის დროულად შექმნა. ახლა მთავარია, დროულად ჩამოყალიბდეს ისეთი **პოლიტიკური სპექტრი,** რომლის წახნაგები ერთმანეთს კი არ ანადგურებენ **აიეტის ჯარისკაცების** მსგავსად, არამედ, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გააზრებულად გეგმავენ გზებს, საიდანაც მოვა თუ წავა სხვადასხვა ქარავანი, **საქართველო კი დარჩება ქართულენოვან, ღირსეულ და მეგობრულ სახელმწიფოდ.**

20 თებერვალი, 2019

## დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს ეკლესიის წიაღი რომ არის და, შესაბამისად, ქართული კულტურის ორგანული ნაწილია, ეს უეჭველია.

თავს ვალდებულად ვთვლი, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც და ჩვენს საზოგადოებასაც ვუთხრა ერთი არსებითი ფაქტიც: **1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დღემდე რუსეთის იმპერია ცდილობს, დააბრკოლოს საქართველოს გასვლა რუსულიმპერიული სივრციდან.** ამ მიზნით მალტის გარიგებით ნებამიცემულმა რუსეთის

ხელისუფლებამ ორგანიზება გაუკეთა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას და პრეზიდენტის მკვლელობას; პარალელურად, ასევე, არაკანონიერად დაამხო ელჩიბეის ხელისუფლება და გაანადგურა დამოუკიდებლობის მოსურნე ჩეჩნების უდიდესი ნაწილი.

გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი კავკასიის დასანარჩუნებლად, რუსეთმა შეძლო კავკასიელთა რამდენიმე კონფლიქტის პროვოცირება და ეთნოკონფლიქტების ელფერის მიცემა; მათ შორის – აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეში, რის საფუძველზეც რუსეთმა განახორციელა საქართველოს ამ მხარეების ხელახალი ოკუპაცია.

დღეს რუსეთი აქტიურად ცდილობს, საქართველოს ურთიერთობა დაუძაბოს აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, ჩრდილოკავკასიელ ეთნოსებთან... რომ **საქართველომ, როგორც თითქოსდა კონფლიქტურმა სახელმწიფომ, დაკარგოს ცივილიზებული დასავლეთის მხარდაჭერა დეოკუპაციის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დე ფაქტო დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.**

რუსეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიის ეს კონტექსტი არ უნდა გამოვრიცხოთ ბოლო პერიოდში **დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ დაკავშირებულ დაძაბულობაშიც.** ეს კონფლიქტიც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ადრიდანვე რომაა დაგეგმილი, ცხადყოფს **რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალური გამოცემა "პრავასლავნაია ენციკლოპედიას" პირველი ტომის სტატია კავკასიის ალბანეთის შესახებ,** სადაც ალბანეთის საზღვრებშია მოქცეული ბოდბე, გარეჯი, გურჯაანი, საგარეჯო...

აზერბაიჯანის ამჟამინდელი პოლიტიკური ელიტის ნაწილი, **აზერბაიჯანელებს აცხადებს რა ალბანელების მემკვიდრედ** (სინამდვილეში კავკასიის ალბანელები ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენების მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ, თურქულენოვანი ტომები კი კავკასიაში გვიანაა მოსული), დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსსაც თავისად აცხადებენ; აშკარაა: რუსეთიდან მართული პოლიტიკოსების მიზანია, სიმართლედ გამოაცხადონ **"პრავასლავნაია ენციკლოპედიას"** გაყალბებული მასალები და დაძაბონ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა.

**საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია,** აკადემიური წრეების ინფორმაციების გაცნობიერებით აწარმოოს ინტენსიური დიალოგი აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან, არ დათმოს საქართველოსათვის ესოდენ ღვიძლი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და **პროცესებში ჩართვის საფუძველი არ მისცეს აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებულ პრორუსულ ძალებს, რომელთა მიზანია საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტის პროვოცირება.**

27 მაისი, 2019

## რუსეთი ოკუპანტია! Russia Is An Occupier

**1801 წელი: მეფის რუსეთმა დაიწყო საქართველოს დაპყრობა;**

1918 წელი: საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;

1921 წელი: წითელმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო;

1991 წელი: საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;

**1992 წელი: ფსევდოდემოკრატიულმა რუსეთმა საქართველოს დსთ-ში შეყვანის მიზნით, სამხედრო ძალის გამოყენებით დაამხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და საქართველო დააბრუნა თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში, რაც საქართველოს ხელახალი დაპყრობის ტოლფასი იყო, რამდენადაც ყველა ძალოვანი მინისტრი რუსეთის კარნახით დაინიშნა პუტჩისტურ ხელისუფლებაში. 1992-93 წლებში რუსეთმა არაკანონიერად მიიერთა საქართველოს ორი კუთხე: აფხაზეთი და ცხინვალის მხარე (ეს იყო ფაქტობრივი ანექსია).**

**07.08.08 – 08-08.08: რუსეთის ჯარმა აღკვეთა საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, კონტროლი აღედგინა ცხინვალის მხარეზე. პუტინის რუსეთის სამხედრო შენაერთები აფხაზეთიდან და როკის გვირაბიდან თბილისისკენ დაიძრნენ, მაგრამ საერთაშორისო**

**ძალისხმევით საქართველოს ოკუპაცია სრულად ვერ განახორციელეს.**

2008 წლის აგრესიით რუსეთმა საქართველოს სიღრმეში გადმოსწია საოკუპაციო ხაზი როგორც დასავლეთიდან, ასევე – ჩრდილოეთიდან.

**მცოცავი ოკუპაცია დღემდე გრძელდება. რუსულ ოკუპაციას შეეწირა ბევრი გმირი ქართველი. რუსეთი ოკუპანტია! Russia Is An Occupier**

7 აგვისტო, 2019

## გეოპოლიტიკა და ჩვენი ეკლესია

**კავკასიაში რუსეთის ბატონობის დასასრული დაიწყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით.**

საქართველოს დამოუკიდებლობა და **საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერება** ხელს არ აძლევს რუსეთს, ამიტომაც არაერთი განსაცდელი მოგვივლინა ბოლო 30 წლის მანძილზე:

– საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა 1992-93 წლებში რუსეთის მიერ ორგანიზებული პუტჩით და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა;

– ბეპაევისა და ბალტინის სამხედრო შენაერთებით ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში, პუტჩისტების მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამცველთა, განსაკუთრებით, სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობის აწიოკება სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერის გამო;

– კრიმინალების მიერ საქართველოს სიმდიდრეების ხელში ჩაგდება;

-ფსევდოლიბერალებისა თუ რუსეთის იმპერიის ძლიერი შეტევა ქართულენოვან მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, ქართულ ენაზე, ქართველურ ფასეულობებზე (იხ., მაგ., ფსევდოლიბერალური ლგბტ პროპაგანდა, რომლის მიზანია დასავლეთის გაუცხოება) და სხვ.

**საქართველოსათვის მძიმე პერიოდი დგას ახლაც (2019 წელს): "მცოცავი ანექსიის" გარდა, მიმდინარეობს საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის განადგურების მცდელობა და საქართველოს მოსახლეობის დეზორიენტირება.**

წესით, ყველა პარტიის ამბიციაზე, ყველა თანამდებობის პირისა თუ საეკლესიო იერარქის კერძო მიზანზე, ზოგადად, ყველა საერო თუ საეკლესიო სუბიექტის კერძო ინტერესზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენი სურვილი, **დავიცვათ მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობა და ჩვენი დედაენის გადამრჩენი ქართულენოვანი მართლმადიდებლური ეკლესია,** რამდენადაც მხოლოდ ამ გზით შევინარჩუნებთ პიროვნულ ღირსებასაც, თავისუფლებასაც, ჩვენს სახელმწიფოებრიობასაც... მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება ქართველთა (საქართველოს მოქალაქეთა!) ურთიერთლანძღვა, რადიკალური დაპირისპირება... არადა, **"ჭეშმარიტება მრისხანებით არ მტკიცდება!.."**

ადამიანის ნაკლულოვნებიდან გამომდინარე (სრულყოფილი არცერთი ხორციელი არ არის!), პრობლემა ყველგან და ყოველთვის არის; მეტნაკლები პრობლემებია ყველა ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრშიც, ღვთისმსახურთა წრეშიც, საუნივერსიტეტო სივრცეშიც, სასკოლო ველშიც, სახელისუფლებო სტრუქტურებშიც, ზოგადად: ერშიც, ბერშიც... ბუნებრივია, ჩვენთანაც. პოსტსაბჭოური საქართველოს ახალაღორძინებულ სახელმწიფოსა თუ **კომუნისტობის ველში დეფორმირებული** საქართველოს ეკლესიის პრობლემების მოგვარებას ესაჭიროება სიღრმისეული, გონივრული და პირუთვნელი **ანალიზის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები.** ასეთი გადაწყვეტილება ყურადღებითაა მოსასმენი საქართველოს სახელმწიფოს ერთგული ყველა პირის, ხელისუფლების, ოპოზიციისა თუ სხვა ინსტიტუციათა წარმომადგენლების მიერ... დღევანდელი რეალობა ქაოტურია: საქართველოს პოლიტიკური თუ რელიგიური საზოგადოება დანაწევრებულია; მახსენდება ცნობილი გამოთქმა: **"დაშლილნი საკუთარი თავის წინააღმდეგ".**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი ხელისუფლების – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების – დამხობისა და განადგურების შემდეგ (1992-95) საქართველოში ავტორიტეტული ინსტიტუტი გახდა საქართველოს ეკლესია. ეკლესიამ

ბალანსირების პოლიტიკით ბოლო დრომდე შეძლო ავტორიტეტის შენარჩუნება, მაგრამ დღეს ცალკეული პრობლემების გაზვიადებით განსაკუთრებული მასშტაბი მიიღო საქართველოს ეკლესიაზე შეტევამ; მიიღო იმიტომ, რომ **რუსეთს ხელს აღარ აძლევს საქართველოს ეკლესიის ნეიტრალიტეტი.**

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, საქართველოს სხვა კონფესიებისაგან განსხვავებით, დიდი როლი აქვს შესრულებული საქართველოს ისტორიაში:

20-საუკუნოვანმა საქართველოს ეკლესიამ თავის წიაღში შვა ბევრი წმინდანი, ბევრი გმირი, ბევრი მოღვაწე, რომელთაც გააძლიერეს ჩვენი რწმენა, ჩვენი ეროვნული მეობის უმთავრესი ბურჯი – ქართველთა სამწიგნობრო ენა, რომელთა ღვაწლმა არსებითად განსაზღვრა ჩვენი სხვა ეროვნული მახასიათებლები (მათ შორის, ტოლერანტობა ყველა სახის უმცირესობისადმი!) და **არაერთხელ მოამზადა საფუძველი, აღორძინებულიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.**

ჩვენი თანამედროვე საეკლესიო დასის წევრთა ნაწილიც დიდ ღვაწლშია რწმენის გაძლიერების, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ერთიანობის, ქართულენოვანი სახელმწიფოს აღორძინებისა და მეცნიერების განვითარების მიმართულებით; მეცნიერების განვითარების მიმართულებით სანიმუშოდ ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება (თუნდაც საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისიის განსაზღვრა მისი დამფუძნებლის მიერ); აქ კი მე დავიმოწმებ მხოლოდ ერთ სამეცნიერო კრებულს, რომელიც სასულიერო და საერო პირების ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/236408/1/Svaneti_Qartuli%20kulturis_Savane.pdf).

ყველა დროის ყველა ერის ყველა ფენაში, მათ შორის სასულიერო წრეშიც, არის მანკიერებანიც და ღირსეული ქმედებებიც (მარადიულია აბელისა და კაენის "კალაპოტები"). **ჩვენი ერისა თუ ჩვენი ეკლესიის ისტორიაშიც არის არაერთი მაგალითი კეთილისა და ბოროტის (აბელური და კაენური საწყისის), უბიწოსა და ბიწიერების დაპირისპირებისა; ეს დაპირისპირება მარადიულია (არის დღესაც!), გამომდინარე ადამიანის აბელკაენური ბუნებისაგან...**

რუსეთის იმპერიაში 200-წლიანმა ყოფნამ, განსაკუთრებით ბოლო 100 წლის მანძილზე კომუნისტური რეჟიმის ზეწოლამ დიდად გაართულა ეკლესიაში მოღვაწეობა; ეკლესიის შიგნით დაგროვდა ბევრი პრობლემა და აუცილებელია მეტი ძალისხმევა და მეტი ნება ამ სირთულეების დასაძლევად (არაბობის დროსაც დაგროვდა ბევრი პრობლემა; საჭირო გახდა დიდი საეკლესიო კრების მოწვევა და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება). სირთულეების მხილება ერთია, მათი მოგვარების სტრატეგია – მეორე: **რომელიმე ორგანიზმის პრობლემის მოგვარების პროცესში თავად ეს ორგანიზმი არ უნდა გავანადგუროთ!..**

**დღევანდელი რეალობა:** გარკვეული გარე ძალები ცდილობენ, სრულად გაანადგურონ საქართველოს ეკლესია, რომ გაამართლონ ეკლესიის მიერ დაგმობილი თავიანთი მსოფლმხედველობა (რომლის არსია: უღმერთობა, უეროვნულობა, ამორალურობა...)... შიდაპოლიტიკური ძალებიც არ აკლებენ ხელს ჩვენს ეკლესიას: თუკი ეკლესიისგან სათანადო მხარდაჭერას ვერ იღებენ, მის (ეკლესიის) განადგურებას ცდილობენ (შდრ "ავი ძაღლის" ქცევა). არსებითია სხვა მიმართულებებიც:

– დასავლური ცხოვრების წესის გამრუდებულად წარმოჩენით, მაგ., ლგბტ პროპაგანდით, ფსევდოლიბერალები ანტირეკლამას უწევენ დასავლეთს; სინამდვილეში დასავლეთში უმრავლესობა ნორმალური ორიენტაციისაა; არატრადიციული ორიენტაციის პირები არც საქართველოში იდევნებოდნენ (იხ., მაგ., ცეკვა "კინტაური", ვახტანგ ჭაბუკიანის კარიერა და სხვ.), მაგრამ ჩემთვისაც მიუღებელია ცხოვრების ამ წესის პროპაგანდა.

რეალურად, ხდება თემის გაზვიადება, რომლის მიზანია დასავლური საფრთხით რუსული საფრთხის მიჩქმალვა; **ფაქტია: რუსეთს არ სურს დატოვოს ცენტრალური კავკასია და ქართველებისთვის დასავლეთის გაუცხოების მიზნით იყენებს ვითომ პროდასავლურ ფსევდოლიბერალებს** (დარწმუნებული ვარ, მათი ნაწილი მაინც გააზრებულად დგას რუსების სამსახურში);

– რუსული საფრთხის მიჩქმალვას ემსახურება ყველა დიდი თუ პატარა ქვეყნის ოკუპანტად გამოცხადებაც; სინამდვილეში, საერთაშორისო ნორმების მიხედვით დღეს ოკუპანტი მხოლოდ

რუსეთია, რადგან მისი ჯარია შემოჭრილი 1991 წელს მსოფლიოს მიერ აღიარებულ საზღვრებში. ისტორიული დამპყრობლები სხვა თემაა – თანამედროვე მსოფლიო ძირითადად მეოცე საუკუნეში დადგენილი საზღვრებით ცხოვრობს...

**საქართველოს ამჟამინდელი ოკუპაცია განსახილველია საერთაშორისო სამართლის მიხედვით:** თუკი დღეს ყველა ისტორიულ აგრესორს გავუთანაბრებთ რუსეთს, რომელსაც ანექსირებული აქვს 1991 წელს მსოფლიოს მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრების მეხუთედი და ყველა მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოს გამოვაცხადებთ ერთნაირ ოკუპანტად, მიიჩქმალება ამჟამინდელი რუსული აგრესია. ეს მხოლოდ რუსეთის ამჟამინდელ იმპერიას აძლევს ხელს: დაიფარება რუსეთის რეალური ოკუპაცია და "მცოცავი ანექსია"! ყველა მეზობელსა თუ დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს ერთად ვერ მოვერევით, ამიტომაა პოლიტიკური ჩიხი ყველა მეზობლისა თუ პარტნიორის ოკუპანტად გამოცხადება... საქართველო პოლიტიკურ ჩიხში თუ შევა, მხოლოდ რუსეთი მოიგებს.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ დღეს უმთავარესია საქართველოს გეოპოლიტიკური არჩევანის საკითხი: **საქართველო დარჩება რუსულ "ორბიტაზე" თუ გადავა დასავლურ სივრცეში** – სწორედ ამ არჩევანის კონტექსტშია არსებითი საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი. ამ ავტორიტეტს ძირითადი გეოპოლიტიკური მოთამაშეებიდან ან პრორუსული პოლიტიკური ძალა გამოიყენებს (საბჭოთა პერიოდისა თუ 1991-93 წლების მსგავსად), ან – პროდასავლური, ან – სხვა.

არის კიდევ ერთი ვარიანტიც: თუკი ვერც ერთი დაინტერესებული მხარე სათავისოდ ვერ გამოიყენებს ეკლესიის ავტორიტეტს, შეიძლება ყველა მხარემ გაწიროს თავისი ხელიდან...

გამომდინარე აქედან, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ დღევანდელი შეტევა ეკლესიაზეც, ოკუპაციის მიჩქმალვაც და სხვა მსგავსი ქმედებები უთუოდ არის მსოფლიოში მიმდინარე **პოლიტიკური პროცესისა თუ გავლენის სფეროებისათვის ბრძოლის ნაწილი და, შესაბამისად, ამჟამინდელ საქართველოში მიმდინარე მადესტაბილიზებელი პროცესები ნამდვილად გარედანაა ორგანიზებული.**

ეკლესიის კონტექსტშიც და ფსევდოლიბერალიზმის კონტექსტშიც დღევანდელი საქართველოს წამყვანი ტელევიზიების დიდი ნაწილის "პოლიტიკა" რეალური თუ გამოგონილ-გაზვიადებული ფაქტებით საქართველოს (მისი მოსახლეობის) დანაწევრების მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე – საქართველოს სამსახურს (!).

მთლიანობაში, ჩვენ, თანამედროვე ქართველები, **ურთიერთგანადგურებით საკუთარ თავსაც ვინადგურებთ და ჩვენს საერთო სახლსაც – სამშობლოსაც – ვანადგურებთ.** საეკლესიო თუ სახელმწიფოებრივ პრობლემებზე გაზვიადებული აქცენტირებითა თუ პრობლემის მიჩქმალვით, **რადიკალური ქმედებითა თუ სრული უმოქმედობით ხელი არ უნდა შევუწყოთ საქართველოს მტრებს – უკანა პლანზე არ უნდა გადავიტანოთ დეოკუპაციისა და საქართველოს დამოუკიდებლობისა თუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამყარების საკითხი.** უნდა ვიზრუნოთ შიდა პრობლემების მოსაგვარებლადაც ისე, რომ მტერს არ მივეხმაროთ, ბოლომდე ჩამოშალოს ჩვენი სამშობლო და ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მრავალსაუკუნოვანი საყრდენი – საქართველოს ეკლესია.

ამქვეყნად ყველას აქვს თავისი **მართალი თუ გაუმართლებელი მიზანი;** მიზნის მისაღწევად დღეს აქტუალურია მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით – საინფორმაციო ზეწოლით – საზოგადოების ცნობიერების მართვა. ჩვენი საზოგადოება ფრთხილად უნდა იყოს, რომ ამგვარი საინფორმაციო ზეწოლის პირობებში "ნაბან წყალს" არ გადავაყოლოთ "ბავშვი" – **ამდენტანჯვაგამოვლილი ჩვენი სამოციქულო ეკლესია, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა.**

დღევანდელობას **გლობალურ კონტექსტში** თუ სწორად ვიაზრებთ, ვხედავთ: ბოლო 30 წლის მანძილზე ბევრი კარგი რამ მოხდა:

**(1) ქართველთა ეროვნული გამოღვიძება,** ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, ასევე, საქართველოს ყველა მოქალაქის (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად!) ძალისხმევით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება;

(2) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, ასევე მთელი საეკლესიო დასის

ღვაწლით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა-აღიარება;

(3) ახალი თაობის მეცნიერთა მიერ მეცნიერული ქართველოლოგიის (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ეთნოლოგიის), როგორც საქართველოსათვის სწორი ორიენტირების განმსაზღვრელის, აღორძინება...

**წინაასაქართველოსსახელმწიფოებრივიდამოუკიდებლობისსრულადაღდგენა**–საქართველოს სრული დეოკუპაცია, და ქართველი ერის – საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნოსის – ისტორიული ფასეულობების დაცვა-განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება, საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებით საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაცია და ღირსეული ცხოვრება... **პარალელურად, კიდევ ერთი მთავარი გამოწვევა გვაქვს დასაძლევი: ჩვენს თვალწინ ნადგურდება ჩვენი 20-საუკუნოვანი ეკლესიის, როგორც სახელმწიფოს ბურჯის, ავტორიტეტი.**

იმედია, **ხანმოკლე იქნება საქართველოს მტრების სიხარული:** ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკლესია, ჩვენი ახალაღორძინებული, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე საქართველოს სახელმწიფო მალე დაძლევს ამ თუ სხვა პოსტსაბჭოურ გამოწვევებსაც და შეიქმნება პირობები, დავიცვათ და განვავითაროთ როგორც ქართული ისტორიული ფასეულობები, როგორც ჩვენი ეკლესია, საქართველოს სახელმწიფო ენა, **ასევე, საქართველოში მცხოვრები ყველა უმცირესობის,** ზოგადად, ყველა მოქალაქის რწმენა, უფლებები და ღირსება... აქვე აღვნიშნავთ: სასიხარულოა, რომ ახლახან საქართველოში მცხოვრებმა რელიგიურმა და ეთნიკურმა უმცირესობებმა თანადგომა გამოუცხადეს საქართველოს ეკლესიას; არის დიდი შესაძლებლობა, მოხდეს საქართველოს მოსახლეობის დიდი კონსოლიდაცია ქართველ ერად.

**დღეს ყველა ადეკვატური ადამიანი ხედავს:** 1991 წლის 9 აპრილიდან, საქართველოს de iure დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან დღემდე, საქართველოზე უწყვეტად მიმდინარეობს რუსეთის ზეწოლა, რომ საქართველო დაბრუნდეს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. ახლა, 2019 წლის ნოემბერში, რუსეთის ზეწოლა ბოლო ფაზაშია: "მცოცავი ოკუპაციის" გარდა, მასშტაბური შეტევა ხორციელდება საქართველოს ეკლესიაზეც (რუსეთს აქამდე იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს ეკლესიას ყოველთვის სათავისოდ გამოიყენებდა) საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერ დასავლეთელ პარტნიორებთან ურთიერთობაზეც...

**რეტროსპექტივა შეპირისპირებისათვის:** რუსეთის იმპერიამ ვერ შეაჩერა სსრ კავშირის დაშლა და მალტის გარიგებით (02.12.1989) შეეცადა მის ტრანსფორმირებას: შეერთებულ შტატებთან შეთანხმებით, ბალტიის სამი სახელმწიფოს გარდა, სხვა მოკავშირე რესპუბლიკები სიმბოლურად "გაუშვა" სსრ კავშირიდან, მაგრამ დატოვა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში (ამერიკის თანხმობით შექმნა დსთ – რუსული ნეოიმპერია). პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, საქართველომ მოისურვა სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველო დაისაჯა "დინების საწინააღმდეგო ცურვის" გამო: დასავლეთის წაყრუების ფონზე **რუსეთმა 1992-93 წლების პუტჩით დააბრკოლა** საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და ხელისუფლებაში მოიყვანა ე. შევარდნაძის რეჟიმი, რომელმაც საქართველო დააბრუნა რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში (დსთ-ში).

1999 წლის ნოემბრის სტამბოლის სამიტის შემდეგ ამერიკამ რუსეთის **იმპერიის მორღვევის მეორე ეტაპი დაიწყო:** გადაწყვიტა ხელი შეეწყო კავკასიის სახელმწიფოების, მოლდოვისა და უკრაინის რეალური დამოუკიდებლობისათვის. ამ დროს რუსეთმა დაკარგა ე. შევარდნაძის იმედი (რომელმაც ხელი მოაწერა რუსული ჯარის გაყვანას საქართველოდან) და 2003 წელს ხელი შეუწყო მის გადადგომას; ეგონა რა, რომ მისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (ამას ემსახურებოდა ივანოვის ჩამოსვლა ვარდების რევოლუციის დროს!), ამიტომაც ხელი არ შეუშალა ამერიკის გეგმას, ხელისუფლებაში მოეყვანა მ. სააკაშვილი.

პრეზიდენტ მ. სააკაშვილის აქტიურობით, რუსეთმა **თავდაპირველად ვერ შეძლო** ჟვანია-ბურჯანაძის ლოიალური პრორუსულობის აქტივიზაცია. ამიტომ, 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შემდეგ, გადაწყვიტა ისევ დაესაჯა საქართველო: **ქართული მხარე წამოაგო თავის შეცდომებზე და შედეგადად მივიღეთ 08.08.08 რუსეთ-საქართველოს ომი:** დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) საქართველო მეორედ შევიდა გამოუვალ ჩიხში (პირველი ჩიხი – 1992-93

წლების პუტჩი).

ნატოს სტამბოლის სამიტის (2004), მით უმეტეს, 08.08.08 რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გამოიკვეთა როგორც ევროკავშირის, ასევე, ამერიკის პოზიცია, თავის მოკავშირედ აქციოს საქართველო, **რომ მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს კავკასიის მაგისტრალები** (1989 წლის მალტის გარიგებით ამერიკას რუსეთისათვის დათმობილი ჰქონდა კავკასია; როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს გარიგება გადაისინჯა 1999 წლის სტამბოლის სამიტზე). რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ (08.080.08.) ყველასათვის ცხადია, რომ არც ამერიკას და არც რუსეთს არ სურს, დაკარგოს კავკასია, მისი ცენტრალური ნაწილი – საქართველო.

2012 წლის არჩევნებითაც (2003 წლის "ვარდების რევოლუციის" მსგავსად) დასავლეთიც და რუსეთიც შეეცადნენ, საქართველოში შეექმნათ სათავისო სიტუაცია (მ. სააკაშვილის ხელისუფლების მარცხში გარე ძალთაგან წამყვან როლს თამაშობდა რუსული მხარე).

დღემდე საქართველოში ვერც ერთმა დიდმა გეოპოლიტიკურმა მოთამაშემ ვერ შეძლო სერიოზული წარმატების მოპოვება: საქართველოს ოკუპირებულ ნაწილში დგას რუსეთი, დანარჩენი საქართველო კი ოფიციალურად ადგას პროდასავლურ კურსს. პარალელურად, 2012-2019 წლებში როგორც საქართველოს ხელისუფლება, ასევე, საქართველოს ეკლესია დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებს რუსეთთანაც და დასავლეთთანაც, რამაც, საბოლოო ჯამში, ჩემი აზრით, ორივე გააღიზიანა.

დღეს რუსეთს კატეგორიულად სურს, საქართველო დისტანცირდეს ამერიკის შეერთებული შტატებისგან და ნეიტრალიტეტი ანუ **"სამხედრო მიუმხრობლობის" პოლიტიკა** გამოაცხადოს. სინამდვილეში, რუსეთს უნდა, საქართველომ გადადგას იგივე ნაბიჯი, რაც 100 წლის წინათ გადაადგმევინა ნოე ჟორდანიას: **ნ. ჟორდანიას ნეიტრალიტეტი გამოაცხადებინა, შემდეგ კი დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობა (1921);** თუმცა ამ ეტაპზე **რუსეთს ხელს აღარ აძლევს საქართველოს ეკლესიის ნეიტრალიტეტი:** საბერძნეთისა და ალექსანდრიის ეკლესიების გადაწყვეტილებების შემდეგ რუსეთს სურს, საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიის მხარე დაიჭიროს უკრაინის ეკლესიასთან მიმართებაში... პარალელურად, საქართველოს ეკლესიის ნეიტრალიტეტი ხელს არ აძლევს არც დასავლეთს; **დასავლეთს სურს, საქართველოს ეკლესიამაც შეუწყოს ხელი საქართველოს ინტეგრაციას დასავლურ სამყაროში.** მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას დასავლური ლიდერების მიერ საპატრიარქოში ვიზიტები.

საქართველოში არსებული პრორუსული ძალები დღეს გაშმაგებით აქტიურად ცდილობენ, **დასავლეთი უარეს მონსტრად წარმოაჩინონ;** ამ მიმართულებით ორი "პროექტი" მუშაობს:

– ღიად პრორუსული ძალებისაგან დასავლეთის კრიტიკა;

– ვითომდა პროდასავლური პოლიტიკური ძალებისაგან ქართული ფასეულობების კრიტიკა: ფსევდოლიბერალები ცდილობენ, საქართველოს ფართო საზოგადოება დააჯერონ, რომ ამერიკისა და ევროპის "ცხოვრების წესი" უარყოფს ქართულ ფასეულობებს – "დასავლური შეფუთვით", ირიბად ხდება დასავლეთის დისკრედიტაცია... **ასე კეთდება რუსული პოლიტიკის საქმე.**

შდრ.: დასავლური შეფუთვითვე რუსეთი დიდი ხანია ცდილობს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას. ამჟამადაც დემაგოგიურად იყენებს "ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ". **გზაჯვარედინზე მყოფი საქართველოსათვის ახლოვდება გადამწყვეტი მომენტი:**

– საქართველო ან საბოლოოდ დარჩება რუსულ იმპერიულ სივრცეში და განადგურდება,

– ან გახდება ცივილიზებული დასავლეთის ნაწილი და გადარჩება ქართველი ერიც, ჩვენი დედაენაც, ჩვენი სახელმწიფოებრიობაც...

**ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, საქართველო როგორმე გამოვიდეს რუსეთის იმპერიის გავლენის ველიდან.** ამ გზაზე, პირველ რიგში, აუცილებელია, როგორც ჩვენმა ეკლესიამ, ასევე პოლიტიკურმა სპექტრმა თანამიმდევრულად გააგრძელოს ქართველი ხალხის მიერ 1991 წლის 31 მარტს, 1991 წლის 9 აპრილსა და 2008 წლის 5 იანვარს არჩეული გზა: ცივილიზებული დასავლური სამყაროს ნაწილად ქცევა – ამ გზაზე კი **საქართველოს დამოუკიდებლობა და ნატოში შესვლა** (ნაკლები პროცენტით, მაგრამ მაინც შესაძლებელია "საქართველოს ნეიტრალიტეტი", თუკი მსოფლიოს წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშეები შეთანხმდებიან; ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია; ამ ეტაპზე რუსული საფრთხისაგან საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთს

შეუძლია).

**რაც შეეხება პროზელიტიზმის თემას:** გლობალური კონტექსტიდან თუ შევხედავთ მოვლენებს, საქართველოს ეკლესია ლოიალურია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართულებით. უახლოეს პერიოდში ვითარება უფრო დაიძაბება და დადგება აუცილებლობა, საქართველოს ეკლესია გამოკვეთილად გაემიჯნოს რუსულ პოლიტიკურ დღის წესრიგს; ფაქტია: **უკვე არსებობს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთდაპირისპირებული ორი ცენტრი:** მსოფლიო საპატრიარქო, საბერძნეთის ეკლესია, ალექსანდრიის ეკლესია... და რუსეთის ეკლესია. რუსეთიდან მომდინარე პროზელიტიზმით საფრთხე გასაგებია ჩვენი დასავლეთელი პარტნიორებისათვისაც, თუმცა, როცა არჩევანი გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს მანამ, სანამ ორივე დაინტერესებული მხარის თვალში არ დავკარგავთ ავტორიტეტს და **სანამ რუსეთს ბოლომდე არ გაუნადგურებია საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი მსოფლიოსა თუ საქართველოს მოსახლეობის თვალში.**

და ბოლოს, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ცდილობს საქართველო დააბრუნოს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის ისტორიულ არჩევანსა და საქართველოს კონსტიტუციას, რადგანაც, საქართველოს კონსტიტუციაში გარკვევით წერია (მუხლი 78): "კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად".

**P.S.** არ მინდა მოწოდებად აღიქვათ, მაგრამ მაინც ასე დავწერ: **ნუ დავბრკოლდებით მხოლოდ კომპრომატებზე ორიენტირებული ტელეშოუებით;** ნუ გავინაპირებთ თავს პოლიტიკური პროცესისაგან, ნუ დავტოვებთ საქართველოს – არ გადავიკარგოთ უცხოეთში, ნურც სეირის მაყურებლად ვიქცევით! ყველა ქართველის, საქართველოს ყველა მოქალაქის ვალია, კარგად გავაანალიზოთ არსებული რეალობა და მშვიდობიანი გზით, არჩევნების გზით, **აკადემიური (არადამანგრეველი) მხილების გზით** დავაღწიოთ თავი ნეგატივზე ორიენტირებულ პოლიტიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს. მართალი განსჯით, სწორი ქმედებით ჩვენ ყველამ ერთად (საერო და სასულიერო საზოგადოებამ) დასავლეთის მხარდაჭერით **მივაღწიოთ საქართველოს დეოკუპაციას,** რომ მომავალ ათწლეულში მაინც გავაძლიეროთ ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობა, ჩვენი ეროვნული კულტურის ჩამომძერწავი **მრავალსაუკუნოვანი დედაეკლესია** (რომელმაც არაერთხელ შექმნა წინაპირობები, აღორძინებულიყო ჩვენი სამშობლო – საქართველოს სახელმწიფო), ჩვენი სახელმწიფო ენა, ზოგადად, **ჩვენი სახელმწიფოებრიობა.**

6 ნოემბერი, 2019

## საქართველო, კავკასია, ნატო და ნეიტრალიტეტი

ჩრდილოკავკასიელთ და ჩვენ, ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთს ერთი დიდი მტერი გვყავს – რუსეთი, რომელსაც არ სურს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი კავკასიის დათმობა.

წარსულში როცა კონსოლიდაციას ვახერხებდით, ამას კავკასიის ყველა ხალხისათვის დადებითი შედეგი მოჰქონდა (გორგასალის დროს, დავით აღმაშენებლის დროს, გიორგი ბრწყინვალის დროს...). დღესაც აუცილებელია კავკასიელთა კოორდინირება, მაგრამ დღეს რთული სიტუაციაა:

რუსებმა მოკლეს **უალერნატივო, გამაერთიანებელი ლიდერები: ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი. გარდა ამისა:**

– რუსებმა კავკასიაში შექმნეს კადიროვის ანტიქართული ძალა (ჯერჯერობით ის ასეთია);

– მუსლიმური სამყაროს რადიკალურმა ნაწილმაც კავკასიაში სერიოზული ბაზა გაიკეთა (უკვე პანკისშიც კი არიან რადიკალები, რომლებიც უპირისპირდებიან

ქართულსახელმწიფოებრივად მოქმედ ქისტებს);

– ბაქოს თავისი ბიზნესინტერესები აქვს და ძირითადად ამ მიზნით "ლავირებს" რუსეთს,

ირანსა და თურქეთს შორის;

– სომხები დღემდე კავკასიაში რუსების მთავარ დასაყრდენად რჩებიან (გიუმრის ბაზა!) სომხეთ-თურქეთის ისტორიული მტრობის გამო...

შესაბამისად, რთულია დღეს "კავკასიის საერთო სახლის" შექმნა; შდრ.: გასული საუკუნის 90-იან წლებში ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი შეეცადნენ ამ იდეის განხორციელებას. მაშინ ამ გეგმას ორი რამ ასულდგმულებდა: (1) იბერიელ-კავკასიელი ხალხების ისტორიული ნათესაობა; (2) საერთო მტრისგან – რუსეთისაგან – თავდაცვა: გაერთიანებით გადარჩენის მეტი პერსპექტივის შექმნა. მოგეხსენებათ, იმხანად, დასავლეთი (/ამერიკა) გაურიგდა რუსეთს (მალტის შეთანხმება!), რომ რუსული იმპერიული სივრციდან გაეყვანა აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის სამი სახელმწიფო, რომლებიც დასავლურ სახელმწიფოებს არასოდეს უცვნიათ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ჩვენ კი გავიწირეთ დსთ-სათვის, რასაც შეეწირა ზვიად გამსახურდიასა და აბულფაზ ელჩიბეის ხელისუფლებები (ჩეჩნების გენოციდის პარალელურად).

დღეს კავკასიელთა კონსოლიდაცია ურთულესი საქმეა, თუმცა, ამ მიმართულებით ქმედებები აუცილებელია. დღეს გაცილებით აქტუალურია ევროპასთან, ზოგადად, დასავლეთთთან მჭიდრო ურთიერთობა, რომ სახელმწიფო გადაგვირჩეს რუსული მცოცავი ოკუპაცია-ანექსიისაგან.

დასავლეთი 2008 წლის მსგავსად თუ კიდევ დააყოვნებს, განწირულები ვართ ხელახალი სრული რუსული ოკუპაცია-ანექსიისათვის... ამ ეტაპზე ამერიკა აქტიურად ცდილობს რუსეთს ხელი შეუშალოს საქართველოს ხელახალ ოკუპაციაში. რუსეთმა იცის, რომ ბევრი დრო არ აქვს, **ამიტომაა რომ საქართველოში ახლა ასე არიან გააქტიურებულნი პრორუსული ძალები,** რომელთა მიზანია, კავკასიის ხალხების დაპირისპირების პარალელურად, **პრორუსული პოლიტიკური სპექტრის აქტივიზაცია** და პოლიტიკური სპექტრის რადიკალიზაციითა თუ საქართველოს მოსახლეობის რელიგიურ-ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებით **ქართველთა კონსოლიდაციისათვის ხელის შეშლა.**

ხაზგასმით აღვნიშნავ: ჩემი აზრით, დღეს საქართველოს მიერ **თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი** არის თვითიზოლაცია, რაც შანსს აძლევს რუსეთს, დაიბრუნოს სრული კონტროლი საქართველოზე (/კავკასიაზე).

ერთიც: თუკი მთელი მსოფლიო: ამერიკა-ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი... შეთანხმდება, რომ საქართველო იყოს ევრაზიის "შვეიცარია", ეს კიდევ ცალკე საფიქრი თემაა.

**დღეს საქართველოსთვის უპირველეს საფრთხეს ქმნის რუსეთის ინტერესი, დაიბრუნოს სრული კონტროლი კავკასიაზე.** ამ ეტაპზე, პირველ რიგში, რუსეთს სურს, აღიდგინოს სახმელეთო გზა სომხეთამდე – გიუმრის ბაზამდე.

24 თებერვალი, 2020

## დღესაც კი საინფორმაციო ომში მტრის (რუსების) მხარეს უახლესი ისტორიის გაყალბებით

ასეთი გრძელი სათაური შევარჩიე დღეს, 2020 წლის 27 სექტემბერს, ტირაჟირებული ანტიქართული ტექსტისათვის, რომელიც საინფორმაციო საშუალებების ნაწილმა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული ვიკიპედიიდან გადმოწერა.

შდრ.: საინფორმაციო საშუალებებში გასული ტექსტი: "სოხუმის დაცემა იყო ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის (1992-93) ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც შედეგად ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება მოჰყვა საქართველოს უახლეს ისტორიაში"; იხილე, მაგალითად: ექსპრესნიუსი: https://expressnews.ge/?id=11607

რადიო "აჭარა" https://ajaratv.ge/article/64996... ლიბერტიბანკის გვერდი:

https://www.facebook.com/.../%E1%83%A9%E1.../1563606610332228/

იხ. ვიკიპედიის შესაბამისი ტექსტი: სოხუმის დაცემა — ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის (1992-93) ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც შედეგად ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება მოჰყვა საქართველოს უახლეს ისტორიაში. კონფლიქტი, რომელიც

13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა მიმდინარეობდა ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის...

https://ka.wikipedia.org/.../%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AE%E1...

ანტიქართული სიცრუეა ეს ტექსტი!!! სოხუმში ჩვენ აფხაზი სეპარატისტები კი არა, ძირითადად რუსის ჯარი და რუსეთის მოქალაქეები გვებრძოდნენ; აფხაზთა ნაწილიც იყო მათ მხარეს, მაგრამ ქართველებს ომი მოგვიგო რუსის სამხედრო ძალამ! როდემდე ასეთი დეზინფორმაციები?!

სინამდვილე ასეთია: 27 წლის წინ სოხუმი დაეცა რუსეთ-საქართველოს ომის დროს; რუსმა ოკუპანტებმა და მათგან მოსყიდულმა კოლაბორაციონისტებმა (მათ შორის ზოგი ქართველიც იყო!) დაამარცხეს საქართველო და არა – სეპარატისტებმა! სეპარატისტები არიან ბასკები (ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა უნდათ); ამათ (აფხაზურ-სომხურ-ქართულ ნაზავს) 1992-93 წლებში რუსეთთან დაბრუნება უნდოდათ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში! რაც მთავარია, ეს არ იყო ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის გადამწყვეტი ბრძოლა, ეს იყო რუსეთის მორიგი აგრესია, რომელსაც საბაბი მისცა რუსების მიერ საქართველოში დასმულმა უკანონო ხუნტამ, რომელსაც შევარდნაძე მეთაურობდა.

ე. შევარდნაძემ, რუსების მოთხოვნით, 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ. რუსების მიზანი იყო, ნაკლები დანაკარგებით დაეპყროთ აფხაზეთი; ბევრი გმირი ქართველი იცავდა სოხუმს (ზოგადად, აფხაზეთს) რუსების აგრესიის დროს 1993 წელს. მათ განსაიარაღებლად იყო საჭირო ეს სოჭის "ხელშეკრულება". დღეს ტირაჟირებულ ტექსტში რუსი ოკუპანტის როლი დამალულია! ესაა ამ ტექსტის ანტიქართულობის არსი!

27 სექტემბერი, 2020

## დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირება

კავკასიაში დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირებაა. მთიანი ყარაბაღის ამჟამინდელი სისხლიანი ომიც ამ დაპირისპირების ერთი წახნაგია: რუსეთი საზარბაზნე ხორცად იყენებს როგორც სომხებს, ასევე აზერბაიჯანელებს.

უფრო ადრე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების დაპირისპირების პროცესში დე იურე აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს, რასაც რუსეთმა მოაყოლა აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდი და საქართველოს ამ კუთხეების "ყარაბაღიზაცია"...

დღეს საქართველოს უპირველესი მიზანია საქართველოს დეოკუპაციის დასრულება: დეოკუპაციის მძიმე პროცესი დღემდე გრძელდება და რუსეთის იმპერია დღენიადაგ ცდილობს, საქართველოში ახლაც შეძლოს სისხლიანი კონფლიქტის პროვოცირება (როგორც ეს მან შეძლო 1992-93 წლებში, 2008 წელს...) შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს 31 ოქტომბრის არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას.

გისურვებთ გამარჯვებული კაცის მშვიდობას.

30 ოქტომბერი, 2020

## საქართველოს პროდასავლური კურსის გამო

საქართველოს მეხუთედი ოკუპირებული აქვს რუსეთის იმპერიას. ყარაბაღში სისხლიანი ომიც რომ რუსეთის პროვოცირებულია, ესეც ნათელია. საქართველოს პროდასავლური კურსის გამო დღეს რუსეთს სახმელეთო გზა არა აქვს სომხეთის (გიუმრის) თავის სამხედრო ბაზამდე. რუსეთი ცდილობს საქართველოზე ხელახლა "გაჭრას" ეს გზა; კერძოდ, რუსეთის იმპერია ყველა საბაბს გამოიყენებს, რომ საქართველოში შემოვიდეს 1992 და 2008 წლების მსგავსად (და საქართველოს

კიდევ ორ მხარეში განახორციელოს ქართველთა გენოციდი).

არსებულ ვითარებაში საქართველოში პოლიტიკური პროცესი მშვიდობიანი, კონსტრუქციული გზით უნდა განვითარდეს; კერძოდ, გამოსავალია მხოლოდ საყოველთაო კონსესუსით დანიშნული ლეგიტიმური საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები; კერძოდ, უნდა გადაიდგას ორი აუცილებელი ნაბიჯი:

1. არსებულმა დე ფაქტო ხელისუფლებამ დევნილი ხელისუფლებისა და პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებთან ერთად შექმნას სახელმწიფო კომისია, რომლის მეთვალყურეობით პროკურატურა გამოიძიებს 1992-93 წლების პუტჩს და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას.

2. 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების სასამართლოს წესით შეფასების შემდეგ დაინიშნოს ვადამდელი ლეგიტიმური არჩევნები, რომელსაც ჩაატარებს პოლიტიკურ სუბიექტთა წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული საარჩევნო კომისია (როგორც ეს მოხდა 1990 წლის 28 ოქტომბერს).

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

3 ნოემბერი, 2020

## პატივს ვცემ ამერიკის არჩევანს

საქართველოს მოქალაქეებმა (განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა!) ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს დეოკუპაციისათვის.

საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერის გარეშე რუსები არ დატოვებენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

საქართველოს დეოკუპაციამდე ვერ აღორძინდება საქართველოს სახელმწიფო.

საქართველო სანამ არ "შედგება" ნორმალურ სახელმწიფოდ, მანამ არ იქნება დაცული საქართველოს მოქალაქე და რეალურად არ აღდგება სამართლიანობა (რომელიც დარღვეულია 1992-93 წლების პუტჩის შემდეგ).

გისურვებთ გამარჯვებულის მშვიდობას

8 ნოემბერი, 2020

## მივესალმები 17 ნოემბერს მაიკლ პომპეოს ჩამოსვლას!

ჩემი აზრით, საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე მთავარია, საქართველო გადაურჩეს რუსეთის მორიგ აგრესიას; კერძოდ, ყარაბაღში რუსების გამარჯვების შემდეგ რუსეთი საქართველოში უფრო გააქტიურდება! საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამერიკის პოზიციის გაძლიერებას საქართველოში და აქ იმდენივე ამერიკელი სამხედროს განლაგებას, რამდენიც რუსული მხრიდან შევა ყარაბაღში.

ვფიქრობ, საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთში არსებითია მაიკლ პომპეოს ჩამოსვლა 17 ნოემბერს. ამ კონტექსტში იმედის მომცემია ირაკლი კობახიძის წუხანდელი ფრაზაც:

მაიკლ პომპეოს ჩამოსვლა "განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა არის გარკვეული მცდელობები რეგიონში რუსეთის ფედერაციის გავლენების გაფართოების. ჩვენთვის ამერიკულ მხარდაჭერას, მით უმეტეს, ამ დროს და ამ ვითარებაში აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა".

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

**P.S.** დროებით გადავწიოთ პარტიული ინტერესები უკანა პლანზე. რუსეთის მორიგ აგრესიას

თუ გადავურჩებით, სამართლიანობის აღდგენა დავიწყოთ 1992-93 წლებში რუსეთის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების – ყველაზე დიდი დანაშაულის – შეფასებით (სასამართლოს წესით).

11 ნოემბერი, 2020

## პომპეო:"I reaffirmed unwavering U.S. support for Georgia's sovereignty in the face of Russian occupation".

გასულის საუკუნის 90-იანი წლებისაგან განსხვავებით, აშშ ახლა საქართველოს მხარეზეა; კერძოდ, ამერიკელებისაგან გვაქვს „საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა რუსეთის ოკუპაციის პირობებში".

ამ ფონზე სისხლხორცეულადაა არსებითი შიდა სტაბილიზაცია და პოლიტიკური სპექტრის, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ფართო საზოგადოების თანხმობა სამართლიანობის რეალურად დასამკვიდრებლად; კერძოდ, აუცილებელია, კრიტიკულად გავიაზროთ 1992 წლიდან დღემდე მიმდინარე პოლიტიკური პროცესი და პარტიულ ძალაუფლებაზე "ზრუნვის" პარალელურად ადეკვატური სტრატეგიით ვიმოქმედოთ სახელმწიფოს განვითარებისათვის.

19 ნოემბერი, 2020

# 2.1.4. შიდაპოლიტიკური პრობლემები

## პუტჩისტის ახალი ავანტიურა

სამართლებრივადააშესაფასებელი1991-93წლებისრუსეთ-საქართველოსომიდამისითანმდევი მოვლენები. რუსეთმა მაშინ საქართველო დაამარცხა. 1991-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომის სახელდება სამოქალაქო ომად რუსული მოტივაციაა! მაშინდელი პუტჩისტებიც რუსეთის დავალებით მოქმედებდნენ. რუსებისგან მოსყიდული რამდენიმე მაღალჩინოსანი /ძირითადად სამხედროები/ იყო კანონიერ მთავრობაშიც. ისინი მალევე პუტჩისტებს შეუერთდნენ. ერთ-ერთი იყო გია უჩავა.

მასხარაშვილი აქამდე რატომ არ ლაპარაკობდა ამას და რატომ არ ითხოვდა 1991-93 წლების გადატრიალების შეფასებას რუსეთ-საქართველოს ომად? მეტიც, ჩვენ რომ ვითხოვდით, ის დუმდა...

29 მაისი, 2011

## სტეფანიანის შეცდომა

არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარეს – არნოლდ სტეფანიანს თავად არ ესმის ტერმინის: „რეგიონული ენა“ შინაარსი /http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=77046&Itemid=1/.

რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ „ევროპული ქარტიის“ ეს ცნება გულისხმობს ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენას, ხოლო ეს ევროპული ქარტია ეხება საფრთხის ქვეშ მყოფ უმცირესობის ენას. საქართველოში ასეთი ენა /ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა/ არ არსებობს. საფრთხის ქვეშ არის მართლა მიგრირებულთა რამდენიმე ენა /ასირიული, უდიური.../; ჩვენი სახელმწიფო მათ მიხედავს. მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენებს ჩვენთან ისედაც დიდი უფლებები აქვთ. მათ უფლებებს განსაზღვრავს უმცირესობათა შესახებ ევროპული კონვენცია, რომელსაც უკვე მოეწერა ხელი.

ვრცლად იხ.: http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Serozia-2010

საქართველოს საბოლოოდ დაღუპავს ძალადობრივი პოლიტიკის გაგრძელება. პირველ რიგში უნდა გამოირიცხოს ხელისუფლების ცვლა პუტჩებით თუ რევოლუციებით.

8 სექტემბერი, 2011

## 20.30 სთ. 30.09.2012.

ეკა კვესიტაძესთან დიალოგში ახლახან, საზოგადოებრივ არხზე, ირაკლი ალასანიამ ზვიად გამსახურდიას კონტექსტში ახსენა „ეროვნული სახელმწიფო“...

ეროვნული სახელმწიფო რას ნიშნავსო, ღიმილით ჩაეკითხა ეკა კვესიტაძე...

ირაკლი ალასანიას პასუხი, დაახლოებით, ასეთი სემანტიკისა იყო: „როცა ხალხია მთავარი სახელმწიფოში“...

მე სხვაგვარად ვუპასუხებდი: თანამედროვე ეროვნული სახელმწიფო – სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის დედაენასა და ამ ერის სხვა ღირებულებების (ფასეულობების) პატივისცემაზე ორიენტირებული სახელმწიფო, სადაც ასევე დაცულია აქ მცხოვრები ავტოქთონი თუ მიგრანტი ეთნიკური უმცირესობების უფლებები, ზოგადად, ყველა მოქალაქის ყოველგვარი უფლება.

რა თქმა უნდა, ასეთ სახელმწიფოში არ არსებობს ადამიანის წამება და, რაც ასევე მთავარია, ხელისუფლების ცვლა არ ხდება რევოლუციებითა და პუტჩებით; სადაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა ხდება სამართალმემკვიდრე არჩევნებით; სადაც გამოუძიებელი არ რჩება სახელმწიფო თუ სხვა სახის დანაშაულები და სადაც იარსებებს დამოუკიდებელი სასამართლო

(მაგ., ობიექტურად გამოიძიება დამპყრობლის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება, წამებისა და პიროვნული შეურაცხყოფის ფაქტები... მიღებული იქნება ლუსტრაციის კანონი და სხვ.).

მე, როგორც 1991 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, სრული უფლება მაქვს, ვთქვა, რომ სამართალმემკვიდრეობის დაცვით 1991 წლის შემდეგ არცერთი არჩევნები არ ჩატარებულა. ხვალ დილამდე აღარაფერი შეიცვლება; შესაბამისად, ახლა საქართველოს სახელმწიფოსთვის მთავარია, 1 ოქტომბერს ჩატარდეს მშვიდობიანი და მაქსიმალურად დემოკრატიული არჩევნები.

ხვალინდელი მშვიდობიანი არჩევნები დიდი საფრთხისგან იხსნის საქართველოს:

ხვალ (და მომდევნი დღეებში) არ უნდა დავუშვათ ჩვენი ქვეყნის გადავარდნა ქაოსში და შემდეგ, მალევე, ყველამ ერთად ვიზრუნოთ, რომ მომდევნო არჩევნები იყო ნამდვილად სამართალმემკვიდრე, მრავალპარტიული, საყოველთაო და სამართლიანი. მხოლოდ ამის შემდეგ დავაღწევთ თავს რუსულ ოკუპაციასაც და შევძლებთ დავიცვათ ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-კულტურული ღირებულებები თუ ჩვენი სახელმწიფო ენის ღირსება.

იმედს გამოვთქვამ, მომავალი არჩევნები მაინც იქნება არა პიროვნებებს შორის კომპრომატებით ომი, არამედ არჩევანი გაკეთდება ღირებულებებისა და გამოკვეთილი ორიენტირების მქონე პარტიების (პოლიტიკური გუნდების) პრაგმატულ პროგრამებს შორის.

შდრ.: ხვალ საქართველოს მოქალაქენი არჩევანს აკეთებენ რამდენიმე ავტორიტეტულ, სახელოვან, ცნობად, გავლენის მქონე თუ მდიდარ პიროვნებას (და არა – პარტიებს) შორის.

პირადად, მე ჩემი სურვილით მხოლოდ ისეთ სამართალმემკვიდრე არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას, როდესაც საქართველოში იქნება არჩევანი ღირებულებებისა და გამოკვეთილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ საგარეო ორიენტირების მქონე პარტიებს (პოლიტიკურ გუნდებს) შორის.

30 სექტემბერი, 2012

## ვისთვისაა საჭირო საქართველოში ქართველთა ავტონომიური რესპუბლიკა?

აჭარის თემაზე პირველი წერილი დავწერე 25 წლის წინ („საწუხ არს ესე"; 28.10. 1988; გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"; მეორე წერილი: „თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია? დაიბეჭდა აქვე, 1990 წლის 17 მარტს)... მას შემდეგ რამდენი რამ მოხდა, მაგრამ ამ მიმართულებით ბევრი არაფერი შეცვლილა.

სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სახეობა – **ავტონომიური რესპუბლიკა** – არსებობდა მხოლოდ საბჭოთა (კომუნისტურ) იმპერიაში და დღეს ანომალიას წარმოადგენს; კერძოდ, კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდეგ ასეთი დასახელების სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები რუსეთის ფედერაციაში ტრანსფორმირდა **რესპუბლიკებად;** მაგ., დაღესტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დაერქვა **დაღესტანის რესპუბლიკა,** ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას – ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა...

ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკები საბჭოური დასახელებით დარჩა მხოლოდ აზერბაიჯანში, საქართველოსა და უკრაინაში (http://tinyurl.com/b4tahwc).

მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის უცხო ამგვარი დასახელების მქონე ე.წ. ნაციონალურ-პოლიტიკური თვითმმართველობები **რუსულ-კომუნისტურ ნაღმებად** რომ რჩება აზერბაიჯანშიც, საქართველოშიც და უკრაინაშიც, ვფიქრობ, განმარტებას არ საჭიროებს.

XXI საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისშიც საქართველოში არის მოსაზრება, რომ აჭარის ავტონომიის ასეთი ფორმით არსებობა ხელს შეუწყობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნების ინტეგრაციას საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ამგვარი მოსაზრება ან გულუბრყვილო გათვლების მქონეთ ეკუთვნით, ანდა მათ, ვისაც მიზნად აქვს საქართველოს შემდგომი დანაწევრება და საქართველოს დაშლა გვიან შუა საუკუნეების სამეფო-სამთავროების საზღვრების მიხედვით. სწორედ ამიტომაა, რომ ასეთი პოლიტიკოსები

ინტენსიურად ლაპარაკობენ საქართველოს ფედერაციული მოწყობის შესახებ და გარეშე ძალებს სიხარულით (და)ეთანხმებიან კონფედერაციულ მოდელზეც კი.

აქტიურ პოლიტიკაში მყოფი გარკვეული ძალების მიერ იგეგმება **საქართველოს დანაწევრების საერთაშორისო აღიარება ე.წ. საქართველოს კონფედერაციის თუ ფედერაციის იურიდიული გაფორმებით;** ამ გეგმაში კი მავანთ ერთ-ერთ რგოლად აქვთ **აჭარის რესპუბლიკა;** შესაძლოა, ფედერაციის სუბიექტებად იქცნენ საქართველოს სხვა კუთხეებიც. საქართველოს პოლიტიკური დეცენტრალიზებით დაინტერესებული არიან მეზობელი თუ არამეზობელი ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშენი: მათი გეგმით, იოლია ცენტრალური კავკასიის ნაწილში მაინც გავლენის მოპოვება მათთვის საინტერესო ერთ თვითმმართველ „ავტონომიაზე“, ვიდრე ერთიან საქართველოზე (მაგ., რუსეთი დიდი ხანია ცდილობს, საქართველო აქციოს ფედერაციულ სახელმწიფოდ; ამ თვალსაზრისით საინტერესოა თ. კიტოვანის ინტერვიუც, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა „პრაიმტაიმში“).

საქართველო მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყანაა და მართვის გაიოლების მიზნით ნამდვილად არ არის საჭირო ქვეყნის დანაწევრება გუბერნიებად, ავტონომიებად თუ რესპუბლიკებად... ამგვარი საჭიროება არ არსებობს არც საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

სამწუხაროდ, ქართველთა ერთი ნაწილიც ეგუება ამ ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის არსებობას იმიტომ, რომ ჰგონია **ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა საერთაშორისო შეთანხმების შედეგად და საქართველო ვალდებულია, დაიცვას ეს შეთანხმება.** ამ ანტიქართული „ლეგენდის“ პროპაგანდისტებსა თუ დამჯერთ შევახსენებთ:

1. 100 წლის წინ – XX საუკუნის 10-იან წლებში – როცა საუბარი იყო „სამუსლიმანო საქართველოს“ ავტონომიაზე, მასში იგულისხმებოდა არა მხოლოდ აჭარა, არამედ მთლიანი სამხრეთ საქართველო (ერუშეთი, ტაო, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, ლაზეთის დიდი ნაწილი, მაჭახელი...); **საქართველოს შემადგენლობაში ასეთი მოცულობის ავტონომიას მე დღესვე დავთანხმდები.** აქვე აღვნიშნავ, რომ აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა 17 საუკუნის მანძილზე ქრისტიანი იყო და არის დღესაც; შესაბამისად, აჭარის ავტონომიის არსებობის გამართლება რელიგიური ნიშნით ისეთივე ულოგიკოა, როგორც, მაგ., ქუთაისსა თუ თბილისში რომელიმე ახალგააქტიურებული კონფესიის მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა; ამ თვალსაზრისით არსებითია, რომ საქართველოში, შესაბამისად, აჭარაშიც, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებაა.

**შენიშვნა:** 1920 წლის საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა თითქმის იმავე სახით, როგორიც იყო პირველ მსოფლიო ომამდე: 1920 წლის ივლისში, როცა **აჭარა და ბათუმის ოლქი ართვინითურთ დავიბრუნეთ,** ქვეყნის ხელისუფლების კონტროლირებულმა სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა თითქმის ქართველთა ისტორიული საცხოვრისის საზღვრებს მიაღწია (ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა (http://consulate-georgia.org/?p=8794).

2. ცნობილი ფაქტია: აჭარის ავტონომიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა **საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და საქართველოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ** 1921 წლის 9-16 მარტს მოსკოვში თურქეთისა და რუსეთის ახალი მთავრობების ანტიქართული შეთანხმებით. ამ დროს ჯერ კიდევ საქართველოში ფუნქციონირებდა ნ. ჟორდანიას კანონიერი ხელისუფლება.

საქართველოდან ნ. ჟორდანიას მთავრობის იარაღის გზით განდევნის შემდეგ, დაპყრობილ საქართველოში ბოლშევიკურმა რუსეთმა ძალაუფლება გადასცა ორჯონიკიძე-მახარაძის ხუნტას, რომელსაც, 1921 წლის მარტის „რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულების“ მე-15 მუხლის შესაბამისად, მალევე (13.10.1921) ყარსში დაადასტურებინა ეს ანტიქართული რუსულ-თურქული გარიგება საქართველოს წინააღმდეგ (რომელიც ითვალისწინებდა ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის უდიდესი ნაწილის აღიარებას თურქეთის შემადგენლობაში, ბათუმისა და მისი მიმდებარე მიწების ავტონომიას და ბათუმის პორტო-ფრანკოდ ქცევას).

**საქართველოს არც ერთ კანონიერ ხელისუფლებას ლეგიტიმურად არ უცვნია არც მოსკოვის რუსეთ-თურქეთის „მეგობრობის ხელშეკრულება“ და არც მოსკოვის ხელშეკრულების ყარსის**

**ასლი.**

აქვე დავძენ: დღეს მთელი მსოფლიოც და საქართველოს პოლიტიკური ელიტის ყველა წარმომადგენელიც აღიარებს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერად არსებობდა თავისი არჩევის ვადის შესაბამისად –1995 წლამდე (ამ ხელისუფლებას დევნილობაშიც არ შეუწყვეტია ფუნქციონირება!).

რუსეთის მიერ (დასავლეთის გარკვეული წრეების სანქციით!) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და შევარდნაძე-სიგუა-კიტოვანის კლანისთვის ძალაუფლების ჩაბარების შემდეგ **შევარდნაძის არალეგიტიმურმა დე ფაქტო მთავრობამ 1992 წელს „აღიარა" მოსკოვ-ყარსის ხელშეკრულება** (იხ., ე. შევარდნაძისა და ს. დემირელის მიერ ხელმოწერილი „ჩარჩო ხელშეკრულება"; ძალაშია 1993 წლის 25 მარტიდან; რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 1998 წ. 13 მარტს; რეგისტრაციის ნომერი: 430.003.000.132). ექსპერტთა შეფასებით, 1992 წელს საქართველოს სახელით თურქეთთან გაფორმებულ „მეგობრობის, კეთილმეზობლობის ხელშეკრულებაში" **ყარსის ხელშეკრულება ნახსენებია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთ-საქართველოს საზღვართან დაკავშირებით;** იხ., მაგ., საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის – **კახა სიხარულიძის** მოსაზრება: „მხარეებისთვის მოქმედებს შეთანხმების ის მუხლები, რომლებიც ეხება მხოლოდ სასაზღვრო საკითხებს"

(http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1534244.html).

**ვფიქრობ, მკითხველისთვის ზედმეტი განმარტების გარეშეც ნათელია, რომ ყარსის ხელშეკრულება არასოდეს დაუდასტურებია საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას;** ასევე, ეს დოკუმენტი დღეს დე იურე არ ავალდებულებს საქართველოს, შეინარჩუნოს ქართველთა ავტონომია.

3. არც ერთი საფუძვლით არც რუსეთსა და არც თურქეთს იურიდიული უფლება არა აქვთ, ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში ან პრეტენზია იქონიონ საქართველოს ისტორიულ ნაწილზე – აჭარაზე (საქართველოს მეზობელ თუ დამეზობლებულ სახელმწიფოებს ისედაც ბევრი ისტორიული ქართული მიწა-წყალი აქვთ მითვისებული). ოფიციალურადაც ბევრჯერ გაცხადებულა: **საქართველოსადმი კეთილმეზობლურად განწყობილი თურქეთი აჭარისა თუ საქართველოს სხვა მხარეებთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს საშინაო საქმედ მიიჩნევს.**

დამატებით აღვნიშნავ: მრავალი უცხოური თუ ქართული წყარო ცხადყოფს, რომ ოდითგანვე აჭარა იყო საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონი და ქართველთა საცხოვრისი; შდრ.: დასავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო, სულ მცირე, ტრაპიზონამდე, ჩრდილოეთი საზღვარი კი – ძველ-ლაზიკამდე – ნიკოფსიამდე (Nikofsis; ამჟამინდელი ქალაქი ტუაფსე). საქართველოს არც ერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეს მიწები არ გადაუცია სხვა ხალხების მიერ დაფუძნებული სახელმწიფოსათვის.

**დღეს ჩვენ არ ვაყენებთ ტაო-კლარჯეთის რეალური ისტორიის შესაბამისად პოლიტიკური საზღვრების გადასინჯვის საკითხს** (თუმცა, აუცილებელია ამ კუთხების ავტოქთონი ქართველების ენობრივ-კულტურული უფლებების დაცვა); **ვაცნობიერებთ, რომ ამგვარი პრეტენზიები დიდ საფრთხეს შეუქმნის თურქეთს,** შესაბამისად, არც თურქეთი უნდა იყოს იმაზე ორიენტირებული, რომ აჭარის უკანონო ავტონომიის თემის ლობირებით გაღიზიანება გამოიწვიოს მისდამი კეთილგანწყობილ საქართველოში.

**ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთი ეპიზოდი:**

1991 წელს აჭარის უკანონო ავტონომიის ბედი იოლად წყდებოდა აჭარაში რეფერენდუმის ორგანიზებით; რეფერენდუმის ჩატარებას მხარს უჭერდნენ აჭარის მოსახლეობაც და აჭარის რაიონების ახალდანიშნული ხელმძღვანელებიც. სამწუხაროდ, რეფერენდუმის ჩატარებას ხელი შეუშალა **მოსკოვიდან (და არა – თურქეთიდან!)** მართულმა პოლიტიკურმა კლანმა, რომელსაც ლობისტები ჰყავდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაშიც; კრემლმა ამ ჯგუფის ხელშეწყობით დაამხო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაც (ამ და კრემლის მხარდამჭერმა სხვა ჯგუფებმა მოდერნიზებული იმპერიის ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღეს ძალაუფლება; ე.წ. პრივატიზაცია-პრიხვატიზაციის პერიოდში მათ განახორციელეს მთავარი მიზანი – მიითვისეს დიდძალი ქონება).

**შენიშვნა:** სამწუხაროა, რომ ეს მოვლენები დღემდე სამართლებრივად არაა შეფასებული; მიმაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო მანამ არ დაადგება აღმშენებლობის ბუნებრივ გზას, სანამ სამართლებრივად არ იქნება შეფასებული მოვლენები, რომლებიც განვითარდა საქართველოში 1991 წლის მაისიდან ბოლო „რევოლუციებამდე“).

4. აჭარის ავტონომიის თემით დღემდე მხოლოდ ჩრდილოელი მეზობელი მანიპულირებდა; ასევე, ეს თემა გულწრფელად აწუხებთ იმ დასავლელ მეგობრებს, რომელთაც **საბჭოური პროპაგანდის ინერციის გამო დღემდე ვერ გაიგეს, რომ აჭარელი, მეგრელი, სვანი, იმერელი, მესხი... ეთნიკური ქართველია და არა – ეთნიკური თუ ენობრივი უმცირესობა საქართველოში.**

5. **საქართველო სუვერენული სახელმწიფოა** და სრული უფლება აქვს, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის შესაბამისად ჩამოაყალიბოს მმართველობითი და თვითმმართველობითი სისტემები.

პირადად, ჩემი აზრით, სრულიად ზედმეტია საკუთარი კონსტიტუციის, საკანონმდებლო ორგანოს (აჭარის ავტონომიის უმაღლესი საბჭო), დროშისა და გერბის მქონე ავტონომიური წარმონაქმნის არსებობა აჭარაში, რომლის ავტოქთონ მოსახლეობას მხოლოდ ქართველები წარმოადგენენ (და სადაც მშვიდად ცხოვრობენ ასევე, აქ გვიან დასახლებული: აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები...).

**მსჯელობის შემდგომი გავრცობის გარეშე მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი თეზისები:**

I. ქართველთა ავტონომია საქართველოში გარედანაა თავსმოხვეული და, **არსობრივად, მსოფლიო პოლიტიკური სივრცის ანომალიას წარმოადგენს.** თვითმმართველობის თვალსაზრისით, აჭარის რაიონები თუ სოფლები ისეთივე „სტატუსით“ უნდა იყოს აღჭურვილი, როგორიც გურიის, იმერეთის, მესხეთის, კახეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტები... პირადად, მე არა ვარ არც არჩეული თუ დანიშნული გუბერნატორების, ასევე, არც საქართველოს ისტორიული მხარეების (აჭარა, გურია, მესხეთი...) საზღვრებში ოფიციალური თუ არაოფიციალური ავტონომიების მომხრე.

II. **საქართველო არის დიდი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ეპიცენტრში** და თუკი საქართველო ცენტრალიზებული სახელმწიფო არ იქნება, უმოკლეს დროში დანაწევრდება **ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეების** გავლენის ველების შესაბამისად: კონფედერაციულ თუ ავტონომიებად დეცენტრალიზებულ საქართველოს ძლიერი ქვეყნები დაინაწილებენ.

III. თანამედროვე პირობებში საქართველოს ყველა რაიონში (მათ შორის, აჭარის რაიონებშიც) **არჩევითი უნდა იყოს სოფლისა თუ რაიონის გამგებლები,** მაგრამ უნდა შენარჩუნდეს ცენტრალიზებული სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები; ცენტრალური ხელისუფლების დოტაციით უნდა დაიგეგმოს მთიანი რეგიონების სოფლების შენარჩუნება და ა.შ.

ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების დაცვის კონტროლის მიზნით, ზოგ განაპირა რეგიონში შეიძლება დაინიშნოს პრეზიდენტის/პრემიერის წარმომადგენელიც (ძალიან მცირე შტატებით).

IV. შევარდნაძისა და არძინბა-კულუმბეკოვის კლანების გამოყენებით რუსეთის იმპერიამ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში შეძლო პროვოცირება პოლიტიკური კონფლიქტისა, რომელშიც ჩაითრიეს ქართველების, აფხაზებისა და ოსების ერთი ნაწილი, მაგრამ ვერ შექმნეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები. **დღესაც საქართველოს სხვა მხარეებში მშვიდად ცხოვრობს ბევრი ოსი თუ აფხაზი; შესაბამისად, არის დიდი შესაძლებლობა,** რომ მალე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ამ ეთნოსთა ნორმალური თანაცხოვრება. საერთაშორისო თანამეგობრობის ფორმატით (და არა – მხოლოდ რუსულ-ქართული დიალოგით) უნდა ვიზრუნოთ, რომ **აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დაბრუნდნენ საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი დეპორტირებული ქართველები და სხვა ეთნიკური** ჯგუფები (ნახევარ მილიონზე მეტი პირია იძულებით გამოდევნილი ამ ისტორიული ქართული მიწებიდან). დევნილთა დაბრუნების შემდეგ სამივე ეთნოსის უფლებების დაცვის პერსპექტივით საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილებში (აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში) უნდა შეიქმნას

მაღალი ხარისხის თვითმმართველობები.

V. აჭარის ქართველობის (ასევე, აქ თუ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები აფხაზების, ოსების, რუსების, აზერბაიჯანელების, უდების, სომხების...) ნორმალურად ცხოვრების გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი, ძლიერი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფასეულობებსა და ადამიანთა უფლებებზე რეალურად ორიენტირებული საქართველოს ყველა დონის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და არა – კუთხური (არაიშვიათად, კლანურ-ფეოდალური) თვითმმართველობა, მით უმეტეს, ე.წ. საბჭოური ავტონომიური რესპუბლიკის ფორმატით. ქართველთა ისტორიულ საცხოვრისში და ქართულენოვანი მართლმადიდებლობის უპირველეს კერაში – **აჭარაში – მცხოვრებ ქართველებს საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში განსაკუთრებული სტატუსი არ ესაჭიროებათ...** ავტონომიური თვითმმართველობა უპრიანია, მაგ., ესპანეთსა თუ საფრანგეთში მცხოვრები ავტოქთონი უმცირესობისთვის – ბასკებისთვის; ბასკები უმცირესობას წარმოადგენენ სხვა (არამონათესავე) ეთნოსების დომინანტობით შექმნილ სახელმწიფოებში.

**P.S.** სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან მაღიზიანებდა **ფედერაციული ცნობიერებისა და ე.წ. ლიბერტიანული** (სინამდვილეში ფსევდოლიბერალური) **„იდეების“ პროპაგანდა,** რომლებიც აქტიურად სტიმულირებული იყო პოსტპუტჩისტური ხელისუფლებების ცალკეული სეგმენტების მიერ; სამაგალითოდ დავასახელებ რუსთავი 2-ის პროექტს: **„ჯეოსტარს“** (სადაც მომღერლებისადმი მხარდაჭერას ითხოვდნენ კუთხეების მიხედვით) და **საზოგადოებრივი მაუწყებლის ფსევდოლიბერალურ** (სინამდვილეში კლანურ) **პოლიტიკას.**

იმედია, საქართველოს ამჟამინდელი და მომავალი ხელისუფლებები აღარ შეასრულებენ მსგავს დაკვეთებს.

იანვარი, 2013 წელი
4 თებერვალი, 2013

## დღეს სადისკუსიო 14-პუნქტიანი დოკუმენტის მე-9 პუნქტი: შეთანხმების საკითხი რუსეთ-საქართველოს შორის

გადავხედოთ ისტორიას: გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი მდებარეობის გამო საქართველო მუდამ იყო (და მუდამ იქნება!) დაპირისპირების ობიექტი დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის; მაგ., ადრე საქართველო დაპირისპირების ობიექტი იყო ბერძნებსა და სპარსელებს შორის, შემდეგ – ოსმალეთსა და სპარსეთს თუ თურქეთსა და რუსეთს შორის, ახლა – ნატოსა და რუსეთს შორის...

საქართველოს შესახებ თანხმობის შემთხვევები:

1. როცა გაყოფილი აქვთ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს (1555 წლის ამასიის ზავი; 1921 წლის რუსეთ-თურქეთის გარიგება; 1989 წლის რუსეთ-ამერიკის მალტის შეთანხმება...);

2. როდესაც დაპყრობილი აქვს რომელიმე იმპერიას და მეორე იმპერია უძლურია ამ დროს;

3. როცა საქართველო თავადაა ძლიერი მოთამაშე (ქუჯ-ფარნავაზის დრო, აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ბოლო პერიოდი...)...

მესამე პერსპექტივის შანსი ახლა ნაკლებად ჩანს, თუმცა რეალურად არსებობს თანამედროვე დროში; კერძოდ, თუკი ქართველი ერი იქნება ენობრივ-ეთნიკურად ერთიანი ძლიერი ორგანიზმი და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი – სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ანუ, თუკი ჩამოყალიბდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირებულებებზე ორიენტირებული, ზეკლანური და დემოკრატიულ ფასეულობებზე რეალურად მოფიქრალი პარტიები, საქართველო თავს უთუოდ დაიმკვიდრებს.

დღეს ასეთი პარტიები არ არსებობს; დღეს გვაქვს ძლიერ ან ფულიან „მაგარ ტიპებზე“ ჩამოკიდებული ფსევდოპარტიები, რომლებიც ქვეყანას ნაკლებად ემსახურებიან, რამდენადაც ეს „მაგარი ტიპები“, როგორც წესი, დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებზე არიან დამოკიდებული...

ვფიქრობ, დღეს მიმდინარე პროცესი ხელს შეუწყობს, მომდევნო ათწლეულში ჩამოყალიბდეს ღირებულებებზე ორიენტირებული რამდენიმე ძირითადი პარტია, მანამდე ქართველობა არავის არ უნდა დაეთანხმოს რაიმე სახის კონფედერაციასა თუ ასიმეტრიულ ფედერაციაზე, რომელსაც გვთავაზობენ თუ შემოგვთავაზებენ...

12 თებერვალი, 2013

## აქ „სამართლის ზეიმიც“ შერჩევითია!

რუსთავი 2-ზე ახლა ბრძანა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, „სამართალმა უნდა იზეიმოს, ვინც გასულ წელს 26 მაისს დანაშაული ჩაიდინა, უნდა დაისაჯოსო...“; ამავე თემაზე იგივე აზრი გამოთქვა ირაკლი ბათიაშვილმა...

ორივეს შევახსენებ: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და მიტინგებზე დახვრეტილი უამრავი ადამიანის საქმეები ჯერ კიდევ გამოუძიებელია... ჩვენ ვითხოვდით და ვითხოვთ ამდენი ხანია ამ საქმეების გამოძიებას... მავანთათვის სამართლის ზეიმიც შერჩევითია? ბურჯანაძე-ბათიაშვილის გუნდი როცა ხელისუფლებაში იყო, მაშინ რატომ არ ფიქრობდნენ სამართლიანობის ზეიმზე?

უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე: 26 მაისის სისხლიანი ანგარიშსწორების ორგანიზატორებიც და ის მკვლელებიც, რომლებიც ქუჩაში ხვრეტდნენ დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების მომხრეებს.

27 თებერვალი, 2013

## დავით ბერძენიშვილისა და ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური „პინგ-პონგი“

მცირე კომენტარი დავით ბერძენიშვილისა და ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური „პინკ-პონკის“ შესახებ (19 მარტი, რუსთავი 2-ის გადაცემა: „პოზიცია“; თემა: „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია“):

ყველას აქვს უფლება თავისი აზრი იქონიოს; თუმცა, არა მგონია, რომ დასახელებული პირები პოლიტიკური სპექტრის ან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის თვალსაზრისს გამოხატავენ; ნიშანდობლივია ისიც, რომ ორივე დასახელებული პოლიტიკოსი არასწორად ამბობდა ევროპული ქარტიის სახელს:

ქარტიის ავტორები პირველივე მუხლში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ტერმინი: **„regional or minority languages“** გულისხმობს ერთი კატეგორიის ენას, რომელიც შეიძლება რეალიზებული იყოს სამ ალტერნატიულ ვარიანტად. ეს ალტერნატივა **or** კავშირით გამოიხატება (and „და“ კავშირი დედანში არ არსებობს; „და“ კავშირი ორ საგანს გულისხმობს, „ან“ კავშირი კი – ერთ-ერთს); შდრ.: ამავე მუხლით, ქარტია არ მოიცავს სახელმწიფო ენას (არც მის სახესხვაობებს, დიალექტებს) და მიგრანტთა ენებს; მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე ქარტიის განმარტებითი ნაწილის: მე-17, მე-18, მე-19, 32-ე, 33-ე, 36-ე და 37-ე პუნქტები.

უფრო კონკრეტულად: ტერმინი „რეგიონული ან უმცირესობის ენა“ არ ნიშნავს არც, ზოგადად, რეგიონში არსებულ ენას და არც, ზოგადად, უმცირესობის ენას; ევროპული ქარტიის განმარტებითი მოხსენების მე-18, მე-20, ასევე, 30-ე და 37-ე პუნქტების მიხედვით, ტერმინი „რეგიონული ან უმცირესობის ენა“ ერთიანი ცნებაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მკვიდრი ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური უმცირესობის ენის სამ სახეობას:

1. ეთნიკური უმცირესობის არასახელმწიფო ენა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული რეგიონის მკვიდრი უმრავლესობის დედაენაა; „ქარტია“ ამ სახეობას „რეგიონულ ენას“ უწოდებს (იხ., პირველი მუხლი და მე-18-19 განმარტებანი); შდრ., აფხაზური ენა საქართველოში უმცირესობის ენაა, მაგრამ აფხაზეთის რეგიონში სახელმწიფო ენაა. ანუ ევროპული ქარტია აფხაზურის ტიპის

ენებს არ გულისხმობს;

2. არასახელმწიფო ენა, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ძირძველი, მაგრამ ისეთი არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა, რომელიც ვერ გაიგივდება ერთ რომელიმე რეგიონთან; „ქარტიის“ ავტორები ენის ასეთ სახეობას „ტერიტორიის არმქონე ენას“ უწოდებენ (36-ე განმარტება);

3. არასახელმწიფო ენა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ძირძველი, მაგრამ არაძირითადი მოსახლეობის დედაენაა, თუმცა ეს მოსახლეობა ამჟამად უმცირესობაშია ამ რეგიონშიც (მაგ., ბასკების ენა საფრანგეთის შესაბამის რაიონში); „ქარტია“ ამ სახეობას „უმცირესობის ენას“ უწოდებს (პირველი მუხლი და მე-18-19 განმარტებანი); ანუ აქ არ იგულისხმება მოცემული სახელმწიფოს ყველა უმცირესობის ენა; ქარტიის ტერმინი; უმცირესობის ენა მოიცავს იმ ავტოქთონი უმცირესობის ენებს, რომელი უმცირესობებიც უმცირესობაში არიან თავიანთ ისტორიულ რეგიონშიც /ეს სხვაობა ბევრს არ ესმის/.

აქვე დასმულია ისტორიული უმცირესობის რაოდენობის საკითხიც: „ტერიტორია, რომელზედაც გამოიყენება „რეგიონული ან უმცირესობის ენა“, ნიშნავს გეოგრაფიულ რაიონს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს იმ რაოდენობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებულია /**Article 1,** b: territory in which the **regional or minority language is used”** means the geographical area in which the said language is the mode of expression of a number of people justifying the adoption of the various protective and promotional measures provided for in this Charter.; ht¬tp://www.diver¬sity.ge/geo/res¬ources.php?coi=0|14|11|12|16; ht¬tp://www.diver-sity.ge/fi¬les/fi¬les/ETS-148-geo.pdf/.

ამ ყოველივეს გათვალისწინების გამო ევროპული ქარტიის სახელი ასე ჟღერს:

“European Charter for Regional or Minority Languages”

„ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“

და, ბოლოს, რაც ჩვენთვის მთავარია: ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციამდე და საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სრულყოფილად ფუნქციონირებამდე „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება ეწინააღმდეგება თავად ამ ქარტიის არსს.

ვრცლად იხ.:

http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/cigni.htm

ან

http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010

20 მარტი, 2013

## მოკლედ გარეშე ძალისგან მართული უმცირესობის ფსიქოლოგიური ტერორის შესახებ

ეკლესია, ზოგადად, სარწმუნოება, საზოგადოებას თუ კონკრეტულ პიროვნებას სთავაზობს ცხოვრების ზნეობრივ კოდექსს, სახელმწიფო კი იცავს მოცემული საზოგადოების როგორც კოლექტიურ (ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ...), ასევე ინდივიდუალურ უფლებებს.

არაიშვიათად მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები სარწმუნოებას თავისი გავლენის ველის გასაფართოებლად იყენებენ (შდრ., მცირერიცხოვანი საზოგადოებისთვის რელიგია მეობის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია)...

ნორმალურ სახელმწიფოში უმრავლესობისა თუ უმცირესობის უფლებები დაცულია; არანორმალურ სახელმწიფოში კი რამდენიმენაირი შემთხვევა გვაქვს:

1. რომელიღაც კლანი ძალაუფლებას ხანგრძლივი ვადით იგდებს ხელში და არღვევს მთელი საზოგადოების ყოველგვარ უფლებას /დიქტატურა: უმცირესობა ბატონობს უმრავლესობაზე/;

2. სახელმწიფოს უმრავლესობის ნებას ექვემდებარება ყველაფერი, უმცირესობის უფლებები ირღვევა და ვიღებთ მონოეთნიკურ თუ მონორელიგიურ ფაშისტურ/კომუნისტურ სახელმწიფოს... /საქართველო ასეთი ქვეყანა ნამდვილად არ არის; ჩვენს სახელმწიფოში გვერდიგვერდ მშვიდად ცხოვრობს ყველა სხვადასხვა ეთნოსი თუ განსხვავებული რწმენის ადამიანი/.

3. გარეშე ძალების დახმარებით სახელმწიფოს უმრავლესობაზე ჯერ ფსიქოლოგიურ ტერორს ახორციელებს უმცირესობა, ბოლოს კი ეს უმცირესობა მოდის ხელისუფლებაში და ქვეყანას უქვემდებარებს დამფინანსებელს... ასე მოხდა, მაგ., 1921 წელს: ბოლშევიკური რუსეთისგან საქართველოს დაპყრობა მცირერიცხოვანი ქართველი კომუნისტების დახმარებით...

თანამედროვე პირობებში მე-11 არმიის როლს ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ჩატარებული „არჩევნები“ ასრულებს: მცირეტერიტორიიანი სახელმწიფოს დაპყრობა ხდება არა ტანკებით, არამედ სწორედ ფსიქოლოგიური ტერორის გზით – „შიგნიდან აფეთქებით“: უმცირესობის უფლებების დაცვის საბაბით, მომხდური ზეწოლას ახდენს მოცემული მცირემასშტაბიანი სახელმწიფოს უმრავლესობაზე; უმრავლესობა იძულებული ხდება, დათმოს თავისი არსებობისთვის აუცილებელი (სასიცოცხლო) ინტერესები... ამ დათმობის შედეგს აფორმებს ე. წ. არჩევნები; ამის შედეგად ხელისუფლებაში მოდის უმრავლესობისთვის მიუღებელი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, ძალაუფლების გამოყენებით მიზანმიმართულად ანადგურებს უმრავლესობის ფასეულობებს, კულტურას...

6 ივნისი, 2013

## მისია-მესია და ივანიშვილის წასვლა-არწასვლა

1. მესია და მისია: ტერმინი „მისია“ ბევრ კონტექსტში გამოიყენება; ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობაა „საპასუხისმგებლო როლი“..

ყველა ადამიანს ამ ქვეყანაზე თავისი დიდი თუ პატარა საპასუხისმგებლო როლი ღირსეულად აქვს შესასრულებელი... ამიტომ ამ ტერმინით ლაზღანდაროზა ადამიანების გაპასიურებას ისახავს მიზნად.

შდრ.: ტერმინი „მესია“ (māšīah) ებრაულად „მირონცხებულს“ ნიშნავს, ქრისტიანობაში კი –„მხსნელს“ და მხოლოდ ძე ღმერთს – იესო ქრისტეს – მიემართება; შესაბამისად, მოკვდავის მიმართ ამ ტერმინის გამოყენება მკრეხელობაა; თუკი ვინმე რომელიმე პრეზიდენტს ირონიით თუ სიბრმავით თვლიდა „მესიად“, სწორედ მან შეუწყო ხელი რუსეთისა და სხვა გარე ძალების მიერ ინსპირირებულ 22-წლიან „საქართველოს ხეტიალს უდაბნოში“.

მაშასადამე: სრულიად მართებული მოსაზრებაა, რომ ქვეყანა უნდა მართოს პოლიტიკურმა სპექტრმა და არა – გავლენიანმა სუბიექტებმა, რომლებიც ინიღბებიან ე. წ. პარტიებით და რეალურად ამყარებენ კლანურ მმართველობას.

2. როდის იქნება ლოგიკური ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან?

ბატონმა ბიძინამ აიღო პასუხისმგებლობა საქართველოს წინაშე (და საქართველოს პარტნიორების წინაშეც); საქართველოს მოსახლეობაც მას ენდო...

გამომდინარე ბოლო 2 წლის პოლიტიკური ამბებიდან, ლოგიკურია, ვთქვათ, რომ ბიძინა ივანიშვილმა იცის როდის რა უნდა გააკეთოს... მაგრამ ძალიან დიდ რისკს ხომ არ სწევს, როცა არამხოლოდ კარგ პრემიერსა და პრეზიდენტს, არამედ მღვრიე პოლიტიკურ სპექტრს ნაადრევად უტოვებს ხელისუფლებას, რომელიც ხალხმა მას ანდო?

მოვლენები ცუდად რომ განვითარდეს, მერე არგუმენტირებულად იტყვიან: „მავრმა თავისი საქმე გააკეთა და წავიდა“!

საქართველოს დღეს ნამდვილად არ ჰყავს ჩვენი საზოგადოების ინტერესებისა და ღირსების შესაფერისი პოლიტიკური სპექტრი /სპექტრის დიდ ნაწილს არ გააჩნია ღირებულებები და ფასეულობები, ამიტომაც არიან მრავალპარტიაგამონაცვალნი/;

რა შემთხვევაში და რა დროშია შესაძლებელი აკადემიური პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება?

მოკლე დროში და მხოლოდ ერთ შემთხვევაში: ბიძინა ივანიშვილის მიერ საზოგადოების აქტიურობის გაზრდაზე ზრუნვა ჭკვიანური იდეაა, მაგრამ პოლიტიკური სპექტრის დაწმენდას უფრო ესაჭიროება დადასტურებული (და არა – მოარული) სიმართლე პოლიტიკური სპექტრის ამჟამინდელი ე.წ. „ცნობადი სახეების“ შესახებ; საამისოდ კი საჭიროა 1992-2012 წლებში ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულებისა და რამდენიმე ძალიან გახმაურებული სისხლის სამართლის დანაშაულის სამართლებრივი შეფასება, რომ პოლიტიკური სპექტრიდან საზოგადოებისთვის უმტკივნეულოდ წავიდნენ სისხლში გასვრილი, ასევე უკანონო გზით მოპოვებული დიდი ფულისა და გავლენის მქონე „პოლიტიკოსები“.

მე ასე ვფიქრობ: საქართველოში ჩადენილი დიდი დანაშაულების სამართლებრივი შეფასების მიმართულებით თუ რაიმე არ შეიცვალა, დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრი ქვეყანას ახალ ქაოსში გახვევს.

30 სექტემბერი, 2013

## მოქალაქეობის მინიჭება-არმინიჭება “ჩვენებურებისა” და ჩვენებურებისათვის

ამჟამად დიდი ხმაურია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ეთნიკური ქართველებისათვის მოქალაქეობის მინიჭების გამო. მოქალაქეობის მინიჭების პროცესი ფორსირებულად, მოუმზადებლად წარიმართა, რამაც განაპირობა საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზება როგორც საქართველოში, ასევე, საქართველოს საზღვრებს გარეთ.

პირველ რიგში, გთავაზობთ გასათვალისწინებელ ინფორმაციას უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შესახებ:

**საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ:**

1. ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, ლორე-ტაშირისა და ჰერეთის (საინგილოს) ავტოქთონი ქართველები, რომლებიც საქართველოს მძიმე პოლიტიკური ხვედრის გამო უცხო სახელმწიფოებში აღმოჩნდნენ თავიანთი ტერიტორიით;

2. 400 წლის წინ ირანის ხელისუფლების მიერ საქართველოდან ფერეიდანსა და მაზანდარანში გასახლებული ქართველების შთამომავლები;

3. მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთისა და ოსმალეთის შეთანხმების შემდეგ ფსიქოლოგიური ტერორით დაშინებული მიგრანტი ქართველების შთამომავლები – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (აჭარა, ლივანა, მაჭახელი, შავშეთ-იმერხევი, ლაზეთი) და ტაოდან აყრილ და შუა თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები;

4. 1944 წელს ახალციხისა და ახალქალაქის მხარიდან (მესხეთიდან/სამცხიდან და ჯავახეთიდან) გასახლებული მოსახლეობის შთამომავლები;

5. საქართველოსთვის სხვა რთულ პერიოდებში (1921, 1992...) საქართველოდან მიგრირებულ ქართველთა შთამომავლები.

საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა ცხოვრობს ქართული წარმომავლობისა თუ საქართველოდან დეპორტირებული 5 000 000-ზე მეტი ადამიანი /ამათგან მცირე ნაწილია გამოკვეთილი ქართველი პატრიოტი, ასევე, მცირე ნაწილია საქართველოს მტრების მიერ გაორჯონიკიძებულ-გადაუდხანებული... გაცილებით მეტნი არიან სხვები – ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებშიც შეიძლება აღზევდეს საქართველოსადმი, როგორც დედასამშობლოსადმი სიყვარული/...

**იურიდიულად ყველა ჯგუფში წარმოდგენილ პირს აქვს უფლება:**

– მოითხოვოს საქართველოს მოქალაქეობა და იყოს ორი ქვეყნის მოქალაქე;

– მოითხოვოს საქართველოს მოქალაქეობა და დათმოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა /პირადად, მე პირველ რიგში, იმ პიროვნებების საკითხს განვიხილავდი, რომელთაც სურთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა/.

ყველა მსურველს მოქალაქეობა რომ მიეცეს, საქართველო მძიმე დღეში აღმოჩნდება, ვინაიდან რუსეთის ოკუპირებულტერიტორიებიან საქართველოში ისედაც ვერ ფუნქციონირებს ქართული

ენა, როგორც სახელმწიფო ენა; **ქართული ენის მაკონსოლიდირებელი ფუნქციის სრულად ამოქმედების გარეშე კი საქართველო, როგორც სახელმწიფო, მალე დაიშლება.**

**შესაბამისად:**

საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება მიენიჭოს, თუკი ის აკმაყოფილებს ორ პირობას:

1. ფლობს ქართულ სალიტერატურო ენას (ან მის რომელიმე დიალექტს);
2. შემჩნეული არ არის საქართველოს წინააღმდეგ საქმიანობაში.

ამ ორი წინაპირობის გარეშე მოქალაქეობის მინიჭება ქვეყნისთვის სახიფათოა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ასევე, კარგადაა გასააზრებელი, არ გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში და გული არ ვატკინოთ საქართველოს მოქალაქეობის მოსურნე მრავალ „ჩვენებურს“, რომელთაც გულწრფელად სურთ დედასამშობლოში ინტეგრირება.

**P.S.** საქართველოს პრეზიდენტს ბევრი გართულების გარეშე უფრო ადრე და უფრო მშვიდ ვითარებაში უფრო გააზრებულად უნდა მიენიჭებინა მოქალაქეობა იმ ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს /თურქეთელი, აზერბაიჯანელი თუ ირანელი ჩვენებურებისათვის/, რომლებიც დიდი ხანია ითხოვენ საქართველოს მოქალაქეობას; მაგ., პირადად, მე ბევრ ღირსეულ ასეთ ქართველს ვიცნობ; რამდენიმეს რეკომენდაციაც გავუწიე, მაგრამ მათ მოქალაქეობა დღემდე არ მისცეს...

**P.P.S.** დაუდ-ხანი – მტრის დაუფასებელ სამსახურში გაუბედურებული ტრაგიკული გმირი: http://qim.ge/daud%20xan%20undiladze.html

9 ნოემბერი, 2013

## კითხვები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიმართ

12.12.2013. 12.00; ქუთაისი, საქართველოს პარლამენტი; დარბაზი 304.

**რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომა; დღის წესრიგი:** საქართველოს ორგანული კანონის პროექტის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ –განხილვა

**7 შეკითხვა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტის /”ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“/ შესახებ დანიშნულ მომხსენებელს – ბატონ თ. შერგელაშვილს**

**პირველ რიგში, მოკლე განცხადება:** ბოლო რამდენიმე თვეა ვმონაწილეობ თბილისსა და ქუთაისში გამართულ დისკუსიებში, სადაც განიხილებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. ამ განხილვების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ ბ-ნი თ. შერგელაშვილის ჯგუფმა შრომატევადი სამუშაო შეასრულა; გარდა ამისა, ბ-ნმა თ. შერგელაშვილმა დიდი ენერგია დახარჯა კანონპროექტის წარდგენისას... **გულწრფელად ვამბობ:** კანონპროექტის ავტორები ნამდვილად იმსახურებენ მადლობას გაწეული შრომისათვის. კანონპროექტის ძირითადი ნაწილი კარგია და ის დროულად უნდა იქცეს ორგანულ კანონად, რათა არ შეფერხდეს 2013 წლის ივნისში დანიშნული ადგილობრივი არჩევნები.

**ახლა ჩემი კონკრეტული კითხვები:**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ განხილვა ბოლო პერიოდში ურთიერთშეურაცხყოფისა და ურთიერთბრალდების ფონზე წარიმართა; დავიმოწმებ ორი ცნობილი პოლიტიკოსის ფრაზებს:

**იურისტი ვალერი გელბახიანი** (საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი):

„ეს კანონპროექტი ჯერ კიდევ 2001 წელს შემოიტანეს საქართველოს პარლამენტში, მაგრამ მაშინდელმა პარლამენტმა იგი დაიწუნა, **როგორც სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო** და მას შემდეგ განხილვა აღარ ღირსებია... თვითმმართველობის კოდექსის VII კარი სახიფათოა ქვეყნისათვის... რასაც ამ კანონპროექტის ავტორები აკეთებენ, **ეს არის უვიცობის შედეგი,** ან კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურის დავალება...“ (გაზეთი „კვირის ქრონიკა“, 9-15 დეკემბერი);

ირაკლი მელაშვილი (საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი): „როდესაც მელაპარაკებიან ავტონომიაზე, ეს არის სრული აბსურდი; ან არის უმეცრება, ან არიან წინასწარ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები...“ (08.12.2013; TV „იმედი“; „პანორამა“; 20:07).

სხვა არაერთი ასეთი მძაფრი შეფასება გამოიწვია 103-გვერდიანი კანონპროექტის 5-გვერდიანმა კარმა, რომელიც, **თქვენი განმარტებითი ბარათის მიხედვით,** მიზნად ისახავს **„რეგიონის არსებულ მოდელში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებას“.** 9 დეკემბერს უმრავლესობაში გამართული კონსულტაციების შედეგების გახმოვანების დროს ბატონებმა: **გია ჟორჟოლიანმა და დავით ბერძენიშვილმა** თქვეს, რომ მიღწეულ კომპრომისულ ვარიანტში „მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების საბჭო“ აღარ იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი“; ასევე, „მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების საბჭოს“ ნაცვლად შეიქმნება **„სამხარეო საკონსულტაციო საბჭო“;** ინტერვიუებში ასეთი ფორმულირება თქვენც დაადასტურეთ /http://www.netgazeti.ge/GE/105/News/26156/...

**ბატონო თენგიზ,** არჩეული მერებისგან და საკრებულოების წარმომადგენლებისგან შექმნილი **სამხარეო საბჭო თვითმმართველობის კოდექსში გაწერილი უფლებებით** თუ მაინც რჩება გუბერნატორის ინსტიტუტთან, ტერმინოლოგიური ცვლილება კოსმეტიკური გამოდის; თანაც, **მიმაჩნია, რომ ე.წ. ჰიბრიდული სამხარეო ადმინისტრაციის შექმნა სხვა მხრივაც პრობლემურია;** კერძოდ, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ დებულებაში: „სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი“ უკვე არსებობს **„გუბერნატორის სათათბირო საბჭო“** (http://www.szs.gov.ge/cgi-bin/admin/show_menu_geo.pl?prfile=2.db); ლოგიკურია, **სანამ კონსტიტუციურად გადაისინჯება** გუბერნატორის **ისედაც საეჭვო ინსტიტუტი,** მანამდე სამართლებრივი აქტით უნდა მოხდეს ამ საკონსულტაციო და სათათბირო საბჭოების გაერთმნიშვნელიანება და მის ფუნქციებზე მსჯელობა უნდა გადავიდეს პრეზიდენტის/პრემიერ-მინისტრის შესაბამის განკარგულებაში. ასეთ შემთხვევაში, თვითმმართველობის შესახებ 103-გვერდიანი კანონპროექტიდან ამოვა ისედაც ულოგიკოდ „ჩამჯდარი“ და საკამათოდ ქცეული 5-გვერდიანი VII კარი; შესაბამისად, თქვენ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი მისაღები გახდება ყველა მხარისათვის... **ამგვარი პერსპექტივის მიუხედავად,** ჩვენი გუშინწინდელი დისკუსიიდანაც აშკარად გამოჩნდა, რომ თქვენ მაინც ესწრაფვით, ე.წ. სამხარეო დონეზეც დამკვიდრდეს **თვითმმართველობის ელემენტები...**

**შეკითხვა: იქნებ გვითხრათ, რომელი ფუნდამენტური ფასეულობისა თუ საერთაშორისო რეკომენდაციის საფუძველზე ცდილობთ საქართველოში ე.წ. სამხარეო დონეზე თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებას?**

2. **ბატონო თენგიზ,** იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მსჯელობისას თქვენ ახსენეთ საქართველო-ევროსაბჭოს შეთანხმება „საქართველოში რეგიონების განვითარების შესახებ“; ჩემი კითხვის შემდეგ თქვენ მიპასუხეთ, რომ გულისხმობდით საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას... ვფიქრობ, თქვენთვის ცნობილია ევროსაბჭოს „დემოკრატიისა და პოლიტიკურ საქმეთა გენერალური დირექტორატის“ (DG-DPA) საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება: ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმირების ექსპერტიზა და რეკომენდაციები „ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის“ მიმართულებით და, იცით ისიც, რომ ევროპის საბჭოს ბოლო რეკომენდაციებით საქართველოს ევალება მხოლოდ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება /20.03.2013; სტრასბურგი; http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/news/2013_20_03_ge.asp/... ამის მიუხედავად, 2013 წლის 3 მარტს ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესზე თქვენ განაცხადეთ, რომ „საქართველოს ხელისუფლებას სურს, გააძლიეროს **რეგიონული და ადგილობრივი ძალები“...**

/http://coe.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=595&info_id=18259/...

**შეკითხვა:** რას გულისხმობთ ფრაზაში: **„რეგიონული ძალები“ და ასეთი ტიპის თქვენი / თუ თქვენი კოლეგების/ დაპირებების შედეგი ხომ არ არის „თვითმმართველობის კოდექსში“ რეგიონული თვითმმართველობის დამკვიდრების დაჟინებული მცდელობა?**

3. ჩვენ ყველანი მხარს ვუჭერთ ევროსაბჭოს იმ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რომლებიც გულისხმობს საქართველოს სოფელში/თემში, რაიონში/მუნიციპალიტეტში, ქალაქში... ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას; ამ მიმართულებით პოლიტიკური სპექტრისა

დასაზოგადოებისკონსოლიდაციააუცილებელია;ამფონზესაკითხისპოლიტიზებისმცდელობად ჩანს „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით 10 დეკემბერს **დეპუტატ გ. ვაშაძის** გამოსვლა; კერძოდ, მან კანონპროექტის ცალკეული მუხლების შესახებ კამათი ბ-ნი დავით ნარმანიას, როგორც თბილისის მერობის კანდიდატის, **დისკრედიტაციისათვის გამოიყენა...** კანონპროექტის ავტორი ყველაზე ნაკლებადაა დავით ნარმანია, ხოლო წარმოდგენილ „თვითმმართველობის კოდექსის” VII კარის 9 დეკემბერს ჩასწორებულ ვარიანტსაც კი „ქართული ოცნების“ დეპუტატთა ნაწილიც ეწინააღმდეგება (ი. კიღურაძე, ნ. ქანთარია...); ეს კარგად გამოჩნდა 10 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში გამართულ დისკუსიაში.

**შეკითხვა: როგორც კანონპროექტის რეალურ ავტორს, თვითმმართველობის რეფორმის დროულად განხორციელებისათვის გიღირთ თუ არა, უარი თქვათ ე.წ. რეგიონულ დონეზე თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებაზე, მით უმეტეს, ამას არ ითხოვს ევროსაბჭო?**

4. 2000 წლიდან ვმუშაობ „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიასა“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიაზე“; გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე მონოგრაფია და ათეულობით სტატია. ევროსაბჭოს ორივე დოკუმენტი ფუნდამენტურ ფასეულობებს ეფუძნება და ლოგიკურია საქართველოს მიერ მათი რატიფიცირების ვალდებულების აღება; უკვე რატიფიცირებულია „ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“; ჩემი აზრით, „ენის ქარტიის“ რატიფიცირება უნდა მოხდეს საქართველოს დეოკუპაციის შემდეგ, რამდენადაც საქართველოს თითქმის ნახევარ ტერიტორიაზე **ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, ვერ ფუნქციონირებს;** პარალელურად, საბჭოთა იმპერიის პერიოდში საქართველოს წაგებული აქვს სამეცნიერო-საინფორმაციო ომი რუსეთის იმპერიასთან, რის გამოც თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს შესახებ **ანტიქართული იდეოლოგემებია დამკვიდრებული;** არადა, ამ არაადეკვატურ კვალიფიკაციათა დიდი ნაწილი თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულ ავტორებს ეკუთვნით და, არაიშვიათად, მათ ეყრდნობიან ევროექსპერტები; იხ., მაგ. აკადემიკოს ი. კორიაკოვისა და პროფესორ ი. გიპერტის **ეთნოლინგვისტური რუკები,** რომელთა მიხედვითაც ქართული ენა არც კი ივარაუდება: ჯავახეთში, სამეგრელოში, სვანეთში, მარნეულში, აფხაზეთში, ცხინვალის მხარეში (რუკები იხ., დანართში).

ეს რუკები გამოცემულია 2005 წლამდე... გარდა ამისა, რუსეთს სურს, **გუიმრის** სამხედრო ბაზასთან სამხედრო გზის აღდგენა **(არ არის გამორიცხული, ზოგი ევროჩინოვნიკიც იცავდეს რუსეთის ინტერესებს; მაგ., ევროსაბჭოს „რეგიონულ ენათა ქარტიის სამდივნოს“ უფროსია მ. გორბაჩოვის ყოფილი მრჩეველი ა. კოჟემიაკოვი).** კავკასიის რეგიონში თავისი ინტერესები აქვთ ირანს, თურქეთს... ამ ქვეყნების პოლიტელიტის ნაწილი ცდილობს, გამოიყენოს საქართველოს მოქალაქე მუსლიმანებიც...

**შეკითხვა: ყოველივე ამის ფონზე ფიქრობთ თუ არა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ქვეყნის ზოგ განაპირა კუთხეში დეზინტეგრაციის (და არა – სეპარატიზმის!) რისკებს ცოტათი მაინც გაზრდის ე.წ. სამხარეო დონის თვითმმართველობის სეგმენტი, როგორც მუნიციპალიტეტზე უფრო მაღალი საფეხურის „ტრიბუნა“?**

5. საქართველოში ე.წ. სამხარეო თუ რეგიონული სტრუქტურების დამკვიდრება იწყება 1995 წელს, სამართლებრივი ბაზის გარეშე, ე. შევარდნაძის მიერ რწმუნებულების დანიშვნით. 1997 წელს ეს ინსტიტუტი „დაკანონდა“; მიხეილ სააკაშვილმა **2004 წელს მკვეთრად გაზარდა პრეზიდენტის რწმუნებულის – გუბერნატორის – უფლება-მოვალეობანი.** პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების დროსვე დ. ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით და უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით მომზადდა სახელმწიფო დოკუმენტი „საქართველოს რეგიონული განვითარების“ შესახებ

http://icsrpa.org.ge/images/DR_Geo.pdf, http://www.lsg.gov.ge/files/_1909_814272_STATESTRATEGY2010-2017GEO.pdf, სადაც ვრცელი მსჯელობაა **ე.წ. რეგიონული დეცენტრალიზაციის შესახებ.** პარალელურად, როგორც დ. ტყეშელაშვილის დროს, ახლაც, ინერციით, ამჟამინდელი თქვენი სამინისტროს გვერდზეც დევს ოფიციალური დოკუმენტი, სადაც საუბარია **საქართველოს რეგიონულ მოწყობაზე;** იხ. მაგ., ერთი ციტატა 2010 წელს შექმნილი სამთავრობო დოკუმენტიდან: „საქართველო მომზადებული უნდა შეხვდეს იმ დროს, როცა საქართველო რეალურად დადგება **რეგიონული მოწყობის საკითხის გადაწყვეტის წინაშე,** რომელიც გულისხმობს არა მარტო

ცენტრალური ხელისუფლების გაგრძელებას რეგიონულ დონეზე, არამედ, ასევე, **რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნას“** (ეს გზა გვაშორებს აფხაზეთის დაბრუნებას)

http://www.lsg.gov.ge/files/_2358_384382_ActionPlan.pdf;

http://www.lsg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=301&info_id=1181.

**შეკითხვა: ცნობილია თუ არა ეს წინაისტორია თქვენთვის?[1]**

6. გუშინწინ მე დაგისვით შეკითხვა: **„ერთხელ მაინც რატომ არ ჩანს „თვითმმართველობის კოდექსში“ ქართული ენა, როგორც საქმისწარმოების ენა...** მიმაჩნია, რომ ასეთი ჩანაწერი ხელს შეუწყობს საქართველოში დასახლებული უმცირესობების უმტკივნეულო ინტეგრაციის პროცესს; გარდა ამისა, გაზრდის მათ მოტივაციას, შეისწავლონ სახელმწიფო ენა... **9 დეკემბერს თქვენი პასუხი ორჭოფული იყო.**

**კითხვა: დღეს უფრო კონკრეტული პასუხი ხომ არა გაქვთ?**

7. თქვენ ბრძანდებით **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;** ბ-ნი ერეკლე ტრიპოლსკი კი –„**საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე“.** ტერმინი „რეგიონი“, როგორც წესი, ნიშნავს ადმინისტრაციული **საზღვრების არმქონე** დიდ გეოგრაფიულ თუ ეკონომიკურ არეალს, შდრ.: **კავკასიის რეგიონი, შავი ზღვის რეგიონი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, წინა აზიის რეგიონი** (იხ., მაგ., ევროკავშირის დოკუმენტები: http://ec.europa.eu/regional_policy/international/pdf/external_ka.pdf)... რომც დავუშვათ, რომ სამინისტროს/ კომიტეტის დასახელებაში **ტერმინი „რეგიონი“** ევროპული გაგებითაცაა გამოყენებული, დასახელებებში გარკვეული კორექტირება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია.

**შეკითხვა:** გასაგებია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არ არის თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია **სამინისტროს დღევანდელი სახელწოდება?** თუ დავუშვებთ, რომ ამ სამინისტროს მიზანია კავკასიის რეგიონის მასშტაბის პროექტების განხორციელებაც, მაშინ ხომ არ აჯობებს არსებულ სამინისტროს დაერქვას: **„თვითმმართველობისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო“?**

**P.S.** საერთაშორისო ტერმინი **„რეგიონი“,** როგორც წესი, ნიშნავს ადმინისტრაციული საზღვრების არმქონე დიდ არეალს და არა – ადმინისტრაციული საზღვრების მქონე ქვეყნის ერთ მხარეს; ცივილიზებულ სამყაროში „რეგიონი“ შედარებით იშვიათადაა გამოყენებული ქვეყნის **რომელიმე ნაწილის** აღსანიშნავად; ასეთ შემთხვევაში, **„რეგიონს“ ჰყავს პრეზიდენტიც კი;** იხ., მაგ. ლოზანა... საქართველოში შეზღუდული სემანტიკით რატომ ვამკვიდრებთ ამ ბარბარიზმს?

კიდევ ბევრი სხვა **ტერმინოლოგიური თუ კონცეპტუალური ხაფანგიცაა** გადმოყოლილი წინა ხელისუფლებების მემკვიდრეობიდან და სასურველია, დროულად მოხდეს სათანადო რეაგირება.

[1] დამსწრე საზოგადოებას შევახსენებ, რომ ევროკავშირმა 1.2 მილიონი ევროთი დააფინანსა პროექტი **„საქართველოში რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა“** /http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/20121130_ka.pdf.

12 დეკემბერი, 2013

## შერჩევითი სამართლის დამანგრეველი შედეგები

1991 წელს დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ნაწილის თხოვნით, 2004 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა შექმნა კომისია (საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, #174, 2004 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი); უცვლელად გთავაზობთ განკარგულების ტექსტს:

საქართველოს პრეზიდენტის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა (#174, 2004 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი)

1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

“საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის # 60 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-7 პუნქტის “ქ”

ქვეპუნქტის შესაბამისად:

შეიქმნას საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ივანე მერაბიშვილი – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ადეიშვილი – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი

ირაკლი ოქრუაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორი

გიორგი ანდრიაძე – საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი

ტარიელ ფუტკარაძე – კომისიის წევრი

მანანა ტაბიძე – კომისიის წევრი

მერაბ რაფავა – კომისიის წევრი"

საქართველოს პროკურატურაში დაიწყო გამოძიებაც, მაგრამ რამდენიმე თვეში შეწყვიტა მუშაობა... მაშინ ამ კომისიის მხოლოდ ორმა წევრმა – ქ-ნმა მანანა ტაბიძემ და მე – მივწერეთ პრეზიდენტ სააკაშვილს: "ასეთი რანგის დანაშაულის გამოძიებაზე უარის თქმა ახალ უბედურებებს მოუტანს საქართველოს" (დღემდე გაურკვეველია: თუ არ გამოიძიებდა, რატომ შექმნა ეს კომისია?)... მოუტანა კიდეც: ქვეყანაში გაგრძელდა ახალი გადატრიალებების მცდელობები... ასეთი დანაშაულებრივი ქმედებები მომავალშიც გაგრძელდება, თუკი ამჟამინდელი ხელისუფლება არ დაასრულებს 1991-93 წლებში განხორციელებული დანაშაულის გამოძიებას (უამრავი შესაბამისი დოკუმენტი დევს საქართველოს პროკურატურაში) და სასამართლოს წესით ამ სახელმწიფო დანაშაულის შეფასებას (აუცილებელია სასამართლოს წესით შეფასება და არა, ზეპირსიტყვიერი დაგმობა).

აქვე დავამატებ: 1991-93 წლებში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგია (თუ ნაწილია) აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დე ფაქტო დაკარგვა, სამეგრელოს რამდენიმეგზის აოხრება, დალის ხელობის "გოლგოთა" და მრავალი სხვა სისხლიანი დანაშაული თბილისში, კახეთში თუ საქართველოს სხვა კუთხეებში. ...ვინც ამბობს (იტყვის), რაღა დროის ამ დანაშაულის გამოძიებააო, მას არ ესმის, რომ დანაშაულებრივ ბაზაზე სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება.

**P.S.** ბოლო წლებში საქმეები აღიძრა გადატრიალების მცდელობაზე, მიტინგების დარბევაზე... ამ დროს დუმილია უფრო დიდ დანაშაულზე – ხელისუფლების დამხობის სამართლებრივი შეფასება პოლიტელიტის უდიდეს ნაწილს არ სურს; ე.ი. ეს "პოლიტელიტა" არ არის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე.

29 ივლისი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## მოკლედ აჭარაში მიმდინარე პროცესებისა და ე. წ. ავტონომიური თვითმმართველობის გაძლიერების შესახებ

1. ისტორიულად აჭარა ისეთივე ქართული კუთხეა, როგორც გურია, სამცხე, ჯავახეთი, იმერეთი, თუშეთი, სვანეთი, სამეგრელო, კახეთი... საქართველოში ქართველთა ავტონომია (აჭარის ე. წ. ავტონომია) – ყოვლად გაუმართლებელი მოცემულობა – ანტიქართულმა ძალებმა შექმნეს ათეულობით წლების წინ და დღესაც მხოლოდ საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგეთ თუ გარკვეულ კლანებს აძლევს ხელს.

2. აჭარის უმაღლეს საბჭოსა და აჭარის მთავრობას შორის არსებული დაპირისპირება ბოლო პერიოდში უფრო გამწვავდა; ამ კონტექსტში, პირადად, ჩემთვის სრულიად მიუღებელია ბ-ნი მურმან დუმბაძის განცხადება, რომ აჭარის პირველი პირი საყოველთაო წესით უნდა

იქნეს არჩეული (ეს განცხადება დღეს მოვისმინე TV „იმედზე“ და ამგვარმა თვალსაზრისმა გადამაწყვეტინა გამოხმაურებაც)...

მე არაერთხელ დამიწერია და ახლაც გავიმეორებ: ისედაც მცირეტერიტორიიან საქართველოს, მით უმეტეს, ასეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში (კავკასიაში) მყოფს, ე. წ. სამხარეო თვითმმართველობა საერთოდ არ ესაჭიროება; საქართველოში, როგორც უნიტარულ სახელმწიფოში, თვითმმართველ ძლიერ რგოლებად უნდა ჩამოყალიბდეს სოფლის, რაიონისა და ქალაქის თვითმმართველობები და არა – ე.წ. სამხარეო თვითმმართველობა (რომელიც დე იურე დაასრულებს ერთიანი საქართველოს პერსპექტივას).

3. აჭარაში დღეს არსებული ე.წ. „სახელისუფლებო დაპირისპირება“ ასპარეზზე უთუოდ გამოიყვანს საქართველოს ერთიანობისა და ისტორიული ქართული კულტურის მოწინააღმდეგე (რეგრესულ) ძალებს; შესაბამისად, არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი მანამდე (მტრული ძალების აჭარაში გააქტიურებამდე) უნდა მოიძებნოს (გამოსავალი არსებობს).

29 აგვისტო, 2014

## მეჯლისიდან ფრაქციის სხდომამდე, ანუ რა არის კარგი აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთა შორის არსებულ დაპირისპირებაში?

მეგობრებო, ცუდი რომ გვგონია, იქაც შეიძლება კარგი რამ დავინახოთ :)

**1. თითქოსდა ცუდია, რომ საქართველოს პრეზიდენტი, საპარლამენტო უმრავლესობა თუ ორსახოვანი უმცირესობა ერთმანეთს დაუპირისპირდა...**

არადა, კარგია: ერთ გავლენიან კაცზე მიბმული ე. წ. პოლიტელიტის (თუ ბნელიტის) 20-წლიან „ეპოქას“ ამთავრებს განსხვავებული აზრების მქონე პარტიების ამჟამინდელი ჭიდილი; ეს ჭიდილ-დუღილი ახლო მომავალში ჩამოაყალიბებს განსხვავებული თვალსაზრისების მქონე აკადემიურ პოლიტიკურ სპექტრს;

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფასეულობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული მემარცხენე თუ მემარჯვენე პოლიტჯგუფების არსებობის პირობებში ქვეყნის განვითარების სწორი გზა უკეთ წარმოჩნდება.

მთავარია, დღეს არსებულმა ურთიერთდაპირისპირებულმა ჯგუფებმა „ნაბან წყალს ბავშვი არ გადააყოლონ“: ერთმანეთთან ბრძოლაში სახელწიფო არ ჩამოშალონ!

**2. რა არის კარგი აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრთა შორის არსებულ დაპირისპირებაში?**

საქართველოს განაპირა მხარეების ქართველებმა უფრო მეტი სისხლი დაღვარეს მომხდურთან ბრძოლაში. ზოგი იძულებული გახდა, რელიგიაც შეეცვალა, რომ სიცოცხლე, გენეტიკური კოდი და დედაენა გადაერჩინა.

ავბედითი ისტორიის გამო ოსმალეთის იმპერიის ველში მოქცეული საქართველოს გამორჩეულმა შვილებმა – სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრებმა – 1919 წლის 31 აგვისტოს მოიწვიეს ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი; მეჯლისის წევრების მიზანი იყო დედასამშობლოს – საქართველოს ძირითად ნაწილს – დაბრუნებოდა: აჭარა, ლივანა, მაჭახელი, შავშეთი, ლაზეთის დიდი ნაწილი, ტაო, ისტორიული მესხეთის ოკუპირებული ნაწილი...

ეს მიზანი ნაწილობრივ წარმატებით დასრულდა, მაგრამ მოვიდა წითელი იმპერია..

ბოლო ათწლეულებში აჭარის ქართველობაც გათავისუფლდა **კომუნისტური იმპერიული წნეხისგან** და ამ კუთხის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდა წინაპრების რწმენას (ისტორიული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია ზემო აჭარაში აიგო!); მეტიც, ამ კუთხის მოსახლეობის რჩეულთათვის – აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის – ეკლესიის ველი ისეთი მშობლიური გარემოა, ფრაქციის სხდომის ჩატარებასაც კი აქ შესაძლებლად თვლიან!

ნათელია: საინტერესო გზაა გავლილი 1919 წლის მეჯლისიდან 2015 წლის მარტის „ქართული

ოცნების“ ფრაქციის გახმაურებულ სხდომამდე; თუმცა, ახლა არსებითია, დღევანდელი დეპუტატები იმ მეზღვაურთ არ დაემსგავსონ, მღელვარე ზღვაში ერთმანეთს რომ არ ინდობენ და გემსაც (ქვეყანასაც) გარდაუვალ საფრთხეს უქმნიან; მით უმეტეს, უახლეს პერიოდში საქართველოს კიდევ ერთი დიდი გამოცდა ელის.

**P.S.** “სოლომონის გარიგების” გახსენება არამხოლოდ ამომრჩეველს, არამედ თითოეულ დეპუტატსაც მიეხმარება, თავისი გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში გააცნობიეროს.

12 მარტი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი

ჩემი დაკვირვებით, მეზობელ ქვეყნებშიცა და უფრო გამობრძმედილ ევროპაშიც პოლიტიკური სპექტრი უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნეა, ვიდრე ფართო საზოგადოება... საქართველოში პირიქითაა:

ჩვენი უბრალო ხალხი – ფართო საზოგადოება – უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნეა, ვიდრე – არსებულ პარტიათა უმრავლესობა...

საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური სპექტრი მეტ-ნაკლები სიძლიერის რამდენიმე პოლიტიკურ კალაპოტადაა წარმოდგენილი:

1. ივანიშვილის გარშემო თავმოყრილი პოლიტიკური სუბიექტები
2. სააკაშვილის მიერ გაჭრილ კალაპოტში მყოფნი
3. ალასანიას გარშემო მყოფნი
4. ბურჯანაძე-თარხანმოურავის მიმდევრები
5. ნათელაშვილისეული ლეიბორისტები და სხვ.

სამწუხარო ისაა, რომ ამ კალაპოტებში მყოფი ინდივიდების უმრავლესობა პოლიტიკური იდეოლოგიის არმქონე მრავალპარტიაგამონაცვალი ჩვეულებრივი კარიერისტია და არა ქვეყანაზე მოფიქრალი და ფასეულობების/ღირებულებების მქონე პოლიტიკოსი. საქართველოს მოსახლეობამ ეს უკვე იცის, ამიტომ მომავალი პარლამენტი ძალიან დიფუზიური იქნება / მით უმეტეს, თუ ივანიშვილი არ დაბრუნდება პოლიტიკაში/. არადა, აუცილებელია მომავალი პარლამენტი მაინც იყოს ქვეყნის ერთგულების ნიშნით დაკომპლექტებული.

დღეს ბევრი პრობლემა აქვს პარტიებს, ე. ი. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს. დრო კი უკვე ჩართულია.

**P.S.** ეროვნულ (ქართულ სახელმწიფოებრივ) და ნამდვილად დემოკრატიულ ფასეულობებზე გამოკვეთილად ორიენტირებული ერთი ნამდვილი პარტია – თანამოაზრეთა გაერთიანება (და არა – ერთ კაცზე მიბმულთა ფსევდოპარტია) ნამდვილად ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას; ასეთი პარტია უმოკლეს დროში საუკუნოდ დაიმკვიდებს ადგილს, რამდენადაც ჩვენი უბრალო ხალხი – ფართო საზოგადოება –უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნეა, ვიდრე – არსებულ პარტიათა უმრავლესობა ;)

აწმყო თუ არა, მომავალი მაინც ჩვენია :)

საინტერესო ფაქტი:

ტაოში, ქობაიში ჩაწერილ ჩემს ვიდეოს 600-ზე მეტი გაზიარება აქვს (იხ., აქვე, ჩემს კედელზე); ამ ჩანაწერს (საზოგადოება და პოლიტიკა) კი მხოლოდ 15 მოწონება აქვს; მიზეზი მარტივია:

თანამედროვე ქართველობას ეროვნული მუხტი ძლიერი აქვს, მაგრამ ეს მუხტი სუსტად რეალიზდება პოლიტიკაში: ქართველთა დიდ ნაწილს ეშინია, დააფიქსიროს თავისი პოზიცია (და ამიტომ არ იწონებს ჩემს ჩანაწერში დეკლარირებულ აზრს).

მეტიც: ქართველთა უმრავლესობას არ სურს, გაერიოს პოლიტიკაში, რომ მას რაიმე ზიანი არ მიადგეს (იძახის: “პოლიტიკა ბინძური საქმეაო”)...

არადა, ქვეყანასაც, ხალხსაც და თავად მოცემულ პიროვნებასაც უფრო დიდი ზიანი მომავალშიც მიადგება, თუკი პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე არ გახდება (დღევანდელ პოლიტიკოსთაგან ცოტაა ნამდვილად ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე).

20 სექტემბერი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## ლანძღვა გადახრაა თუ ნორმა?

1. ვინც გარშემო თითქმის ყველას ლანძღავს (საჯაროდ თუ ვიწრო წრეში), ფსიქიკური პრობლემების მქონე საზოგადოებრივად საშიში არსებაა;

2. ვინც თავის ვიწრო წრეში უმეტესობას ლანძღავს, მას არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს; ასეთი სუბიექტი უფრო საცოდავია, ვიდრე საშიში, თუმცა, მაინც ერიდეთ მის გაღიზიანებას;

3. ვინც ვინმეზე იციკლება ხოლმე და საჯაროდ ილანძღება, მცირე ფსიქიკური პრობლემები აქვს და სამყაროს აღქმაშიც გადახრა აქვს /ასეთი ადამიანი ცოტა არ არის, სამწუხაროდ/; ასეთი სუბიექტი საშიში არ არის;

4. ვინც მხოლოდ ათასში ერთხელ ილანძღება (საჯაროდ თუ ვიწრო წრეში), ნორმალური ადამიანია, თუმცა, ყველა ნორმალურ ადამიანს ემოციურ ნიადაგზე ზოგჯერ მაინც აქვს მცირედი გადახრა :)

5. ვინც იშვიათად ილანძღება, მაგრამ საჯაროდ არასოდეს გამოაქვს თავისი უარყოფითი ემოცია, სამყაროს სწორად აღმქმელი კარგი პიროვნებაა;

6. ვინც საერთოდ არ ილანძღება, სამყაროს სწორად აღმქმელი ძალიან კარგი (კეთილი, მიმტევებელი, ჭკვიანი...) პიროვნებაა /ვეცადოთ, აქეთკენ წავიდეთ :)/...

7. ვინც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ლანძღავს 2016 წლის საშობაო ეპისტოლეს გამო, არამხოლოდ ქართველი ერის ფასეულობების, არამედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების უარმყოფელია, შესაბამისად, ძალიან საშიში სუბიექტია...

http://www.tabula.ge/ge/story/103473-katolikos-patriarq-ilia-meoris-sashobao-epistole-2016

9 იანვარი, 2016

## ლანძღვა თუ პოზიტიურ გეგმებზე პოლიტიკური გუნდის შექმნა?

პუტჩისტები ივანიშვილის საპარლამენტო გუნდშიც არიან და სააკაშვილის მხარესაც; ალასანიასთანაც, მემარჯვენეებთანაც და ნათელაშვილთანაც (აღარ მაქვს საუბარი ანტიქართული „კონგრესის“ შემქმნელი პარტიების ნარჩენებზე). დღეს ვინც საქართველოს პოლიტიკურ / აქტიურ/ სპექტრშია, პუტჩისტური ბინძური ფულით პოლიტიკოსობენ და დიდი უმრავლესობა პატრიოტთა სისხლშიცაა გასვრილი. პატიოსანი ადამიანები თუ ცალკეული პატრიოტები უცხოეთსა თუ აქაურობაში არიან მიმოფანტული და მხოლოდ „მხილებით“ (უფრო, საფუძვლიანი ლანძღვით) არიან დაკავებული.

ხალხი ელოდება ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებულ ნამდვილად ქართულ პარტიას. ასეთი არ ჩანს! ასეთი ვერ შეიქმნა თუ ვერ აღორძინდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ. არადა, სასიცოცხლოდაა აუცილებელი პატიოსან და პატრიოტ ადამიანთა კონსოლიდაცია და ახალგაზრდობის გარსშემოკრება: ის, ვინც მარტოა და თან მხოლოდ ილანძღება, ვერასოდეს ვერავის ვერ აიყოლიებს – ეს ზუსტად ვიცი.

ხალხი მიჰყვება ძლიერ პოლიტიკურ გუნდს (გუნდს, რომლის პარტია მრავალრიცხოვანია და აქვს სამოქმედო გეგმაც და ფულიც...), თუმცა, ხალხს, ქვეყანას ესაჭიროება ძლიერი და საქართველოს ერთგული პოლიტიკური გუნდი. პუტჩისტებზე სიმართლე ყველამ იცის! ახლა

წესიერი ადამიანებისგან ნეგატივზე ორიენტირება უნდა დასრულდეს და პოზიტიური ქმედებები და ზრდადი პოლიტიკური გუნდი უნდა გაკეთდეს.

18 იანვარი, 2016

## ტელევიზია და პოლიტიკა

ვისაც ჰგონია, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და ახლოს გაკარებას არ აპირებს, იგი ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოს მართვის საჭეს აბარებს ცუდ ხალხს... ასეთებს მე ასე ვპასუხობ:

საკუთარი ოჯახის მართვას ცუდ ადამიანს რომ ანდობს/ჩააბარებს კაცი, ის ნორმალურია? ახლა კი ტელევიზიების მამაძაღლობისა თუ ღირსების იოლად გასაშიფრი „ტესტი“:

1. ტელეკომპანია საინფორმაციო გადაცემას ოპერატიული ნეგატივით იწყებს, ცოცხალ დიალოგებში კი უფრო პარტიულ ინტერესებზეა ორიენტირებული... ე. ი. ტელემაუწყებლობის პატრონებს ხელისუფლებასთან პარტიული ბრძოლა აინტერესებს და არა – საქართველოს წინსვლა;

2. ოპერატიულად მხოლოდ პოზიტივს ლაპარაკობს... ე.ი. თვალში ნაცარს გვაყრის;

3. ოპერატიულობით წამყვან ტელევიზიებს ჩამორჩება (მწირი ფინანსების გამო), მაგრამ დაბალანსებულია ყველა სახის ინფორმაციებით და ცოცხალ დიალოგებში ქვეყნისა და ერისათვის საჭირო აქცენტები აქვს... ე.ი სიმართლესა და სახელმწიფოს ინტერესებზეა ორიენტირებული (ასეთია: საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, „რიონი“, TV აჭარა...);

4. ოპერატიულად გვაწვდის ახალ ამბებს, მაგრამ დადებითი აქცენტები არ აქვს... ე. ი. ამ ტელეკომპანიის დამფუძნებელი ემზადება მომავალი არჩევნებისათვის;

5. არის და არც არის... ე. ი. მასზე კომენტარს აზრი არა აქვს :)

20 იანვარი, 2016

## „მოსეს უდაბნოში“ ხეტიალი გრძელდება

ამჟამინდელი საქართველოს უმთავრესი პრობლემაა გამოკვეთილი ეროვნული (სახელმწიფოსათვის საყოველთაო) ორიენტირების არქონა; ამიტომაა, რომ ჯერ კიდევ „მოსეს უდაბნოში“ მოხეტიალე ხალხი იოლად ენდობა ამა თუ იმ პირის გარშემო მოკლე დროით გაერთიანებულ მედროვეთა „ახალ“ „პოლიტიკურ“ გაერთიანებას, რომელსაც არა აქვს გააზრებული საკუთარი ისტორიული ენობრივ-ეთნიკური (ეროვნული) მეობა, ხშირ შემთხვევაში კი არც ღირებულებები და არც გამოკვეთილი ორიენტაცია აქვს...

სწორედ ამ დეზორიენტირების ამსახველია გორის ერთ-ერთ რესტორანში გამორჩეულ კედელზე დაკიდებული ეს ერთიანი სურათი (რა თქმა უნდა, დამონტაჟებული), რომელზეც გვედიგვერდ არიან: გიორგი სააკაძე, იაკობ გოგებაშვილი და იოსებ სტალინი.

გიორგი სააკაძე – ნიჭიერი კაცი, რომელმაც ბევრჯერ ავნო საქართველოს (სპარსელებმა მისი მეგზურობით ორჯერ დალაშქრეს საქართველო; მერე ქართველებს მოაგებინა ერთი დიდი ომი, მაგრამ ბაზალეთზე თეიმურაზ მეფეს ოსმალეთის ჯარით შეებრძოლა და, ბოლოს, ოსმალეთში აღესრულა);

იაკობ გოგებაშვილი – წმინდანის დარი ქართველი მოღვაწე – საქართველოს შეწირული პატრიოტი;

იოსებ ჯუღაშვილი – ნიჭიერი სტრატეგი, რომელმაც გააუბედურა საქართველო და ჰიტლერის მსგავსად, გაწყვიტა მილიონობით ადამიანი.

28 თებერვალი, 2016

# უსუფაშვილი & მარგველაშვილი

07.12.2015 – 09. 12.2015:

ამ სამი დღის მანძილზე დროდადრო ერთი თემა მაწუხებს:

ამჟამინდელი პარლამენტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა დ. უსუფაშვილმა 7 დეკემბერს აღნიშნა პარლამენტარიზმის 25 წლისთავი; არც დე იურე და არც დე ფაქტო პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა ეს შეხვედრა გამოიყენა 1992-93 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობის "გასაპრავებლად", თუ ორივემ ერთად ახალი წინასაარჩევნო კამპანია ისევ უსამართლობის ტირაჟირებით დაიწყო?

ჯერ ფაქტი აღვწეროთ: საქართველოში მრავალპარტიული დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 25 წლისთავის აღსანიშნავად დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პირველი მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები მიიგვიწვია; ასევე, მიწვეული იყვნენ ჩვენს შემდეგ დანიშნული თუ არჩეული პარლამენტის წევრებიც. კარგი და სასარგებლო იდეაა ყველა მოწვევის პარლამენტის წევრთა ერთად მიწვევა და მრავალპარტიული სახელმწიფო მმართველობის ისტორიის კონტექსტში რუსეთის იმპერიის მიერ იარაღის ძალით დამხობილი პირველი უზენაესი საბჭოს, ზოგადად, პარლამენტარიზმის უახლესი ისტორიის ობიექტურად წარმოჩენა... თუმცა რეალურად საპირისპირო მოხდა:

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება უზრუნველყო ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა ბლოკმა: "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". ამ ბლოკმა შეძლო რეფერენდუმის ჩატარებაც და 9 აპრილს "დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" გამოცხადებაც... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით განხორციელდა გეოპოლიტიკური რევოლუცია კავკასიაში – რუსეთის იმპერიამ ჯერ გავლენა დაკარგა საქართველოზე, შემდეგ – აზერბაიჯანსა და ჩეჩნეთზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო კავკასიის დაკარგვის შიშით გააფთრებულმა რუსეთის იმპერიამ 1992-93 წლებში შეიარაღებული გზით დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, განდევნა საქართველოს პირველი მრავალპარტიული არჩევნებით არჩეული პარლამენტი, მთავრობა და არჩეული ადგილობრივი ხელისუფლებები... ამ დანაშაულის განსახორციელებლად რუსეთმა გამოიყენა ქართველთა ერთი ნაწილი... ჯერ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების, შემდეგ კი აზერბაიჯანისა და იჩქერიის (ჩეჩნეთის) ხელისუფლებების დამხობით რუსეთმა განახორციელა გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია საქართველოში – კავკასია დააბრუნა თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში.

25 წლის შემდეგ კი, 7 დეკემბერს, უსუფაშვილს ჰქონდა შესაძლებლობა, გაკვრით მაინც აღენიშნა იმ დეპუტატთა ღვაწლი, ვინც უერთგულა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, დსთ-ს გაემიჯნა და ბოლომდე დარჩა ზვიად გამსახურდიას გვერდით... ეს დეპუტატები დღემდე ფაქტობრივად დევნილნი არიან საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან.

7 დეკემბერს საპირისპირო მოხდა: ამ შეკრებაზე უსუფაშვილმა გვერდი აუარა პირველი პარლამენტის გმირულ ისტორიას, თვისობრივად გაათანაბრა ის ხალხის ნების გარეშე შექმნილ ე. წ. 1992 წლის კონგლომერატთან, რომელმაც საქართველო დსთ-ში – რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში – დააბრუნა (შევარდნაძის პარლამენტმაც კი 1995 წლამდე დევნილი უზენაესი საბჭოს არსებობა კანონიერად ცნო, შესაბამისად, 1992 წლის "პარლამენტი" უკანონოდ გამოაცხადა!),

ხოლო მარგველაშვილმა დააჯილდოვა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას ოპოზიცია; მეტიც, მისგან განსაკუთრებული ბრიყვული ცინიზმი იყო თენგიზ კიტოვანის თანამებრძოლის – გიორგი ხოშტარიას – "ღირსების ორდენით" დაჯილდოება, როგორც "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" გამორჩეული წევრისა; ამ ქმედებით კიდევ ერთხელ იცრუა გ. მარგველაშვილმა: ზვიად გამსახურდიას პოლიტიკისგან განდგომილი გ. ხოშტარია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგულ თანამებრძოლად გამოაცხადა.

უსუსური "პოზიტივი": 7 დეკემბერს ჩვენ, პარლამენტის წევრებს, გადმოგვეცა წიგნი, სადაც წარმოდგენილია პარლამენტის წევრთა ბიოგრაფიები (გამოსცა "პარლამენტართა პალატის" დამფუძნებელმა კობა ამირხანაშვილმა; ბიოგრაფიები ძალიან ჰგავს ბ-ნი თემურ მურვანიძის

მიერ შეგროვებულ მასალებს, მისი გვარი კი არსად ჩანს)... ამ წიგნითაც კი ცხადდება ერთი ფაქტი: აწმყოს თავისთავზე ბევრი ირგებს; თუმცა, ისტორიას საბოლოო ჯამში ვერავინ შეცვლის.

პირადად, მე საქართველოში პარლამენტარიზმის დღეს – 28 ოქტომბერს (და არა – 7 დეკემბერს) – პირველ რიგში, ვულოცავ იმ დეპუტატებს, რომლებმაც დევნილობის პირობებშიც შეინარჩუნეს უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა და დაიცვეს საქართველოს ხალხის – ამომრჩეველთა – ღირსება...

დარწმუნებული ვარ, დრო მოვა, წინა პლანზე წამოიწევს და ადეკვატურად შეფასდება "დამოუკიდებლობის აქტის" შემოქმედი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას – გმირული ისტორიაც და მის თანამებრძოლთა ღვაწლიც, მანამდე კი ამ ტიპის შეხვედრებს ხალხის მოსატყუებელი წინასაარჩევნო ბლეფის სუნი ასდის... ისტორიულ სიმართლეს კი ვერავინ შეცვლის; მით უმეტეს, გმირულ თავგანწირვას:

ზოგჯერ რა შორიშორსაა კონკრეტული ადამიანის მიერ აღქმული რეალობა და ზოგადად, რეალობა... ზოგჯერ კი რა ახლოსაა; უფრო ხშირად ადამიანები ჯიქურ ცდილობენ მძიმე რეალობის სასურველად წარმოჩენას ან თავისი დანაშაულის ამ ფორმით "გაპრავებას" (განგებ ვიყენებ რუსულ "ბარბარიზმს").

და ბოლოს:

– ტრაგედიაა, როცა ძმასავით ექცევი (ან მეგობარს "სულს უბერავ"), მაგრამ შურისა თუ ბოღმის გამო მაინც განადგურებს (ცდილობს!), ან ცდილობს გამოგიყენოს და მერე გაგლანძღოს თავისი სიპატარავის მისაჩქმალად;

– საშინელებაა, როცა სულით მშვენიერს ელი და სულდაჩეხილი შეგრჩება;

– საკუთარი თავისგანაც უნდა გეწყინოს, როცა ვინმეში მხოლოდ კარგს ელი და მასში ცუდიც აღმოჩნდება; ეს ცუდი შეიძლება შენი ქცევის პასუხიც იყოს, ამიტომ ნუ გაწირავ ასეთს.

– კარგია, როცა კარგს ელი და გამართლდება;

– ბედნიერებაა, როცა ამაღლებულს ელოდები და გაგიმართლებს... ადამიანი არასოდეს მიელტვის მას, რაც ცუდი ჰგონია, მაგრამ თუ ცუდის მოლოდინი გაქვს და უცებ კარგს აღმოაჩენ, გაგიხარდება... მაინც, უმჯობესია, ადამიანისგან, შემხვედრისგან, დამხვდურისგან... იმას ელოდო, რაც მისგანაა მოსალოდნელი; ასეთ შემთხვევაში მშვიდად იქნები... თუმცა, რთულია მოლოდინის შეფასება.

**P.S.** 07.12.2015, რასაც ველოდი, ის იყო; მშვიდად ვარ: არც მწყენია და არც გამხარებია; უბრალოდ, ახლა გული მტკივა ...თუმცა, ვიცი, გულის ატკივება საკმარისი არ არის სიმართლის წარმოსაჩენად და სამართლიანობის აღსადგენად თუ დასამკვიდრებლად.

9 დეკემბერი, 2016 (2 ოქტომბერი, 2020)

## უსამართლო სასამართლო: 2009 წ.

"თანამდებობიდან უკანონო დათხოვნა, რომელიც განხორციელდა იძულების და ძალადობის გზით"

სასამართლოს ორი ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილება 1992-93 წლებში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შესახებ


2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე # 3/4371) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე შალვა დემეტრაძე; სხდომის მდივანი – ეკატერინე მაჭარაშვილი) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ნაწილი (მუხრან მაჭავარიანი, ნემო ბურჭულაძე, ლევან ახმეტელი, პაატა ბარათაშვილი, თამაზ გველესიანი, მანანა გაბაშვილი... სულ 44 დეპუტატი) აღიარა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის თანამდებობიდან მათი უკანონოდ დათხოვნის გამო.

სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

“დადგენილია, რომ 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით, სამხედრო საბჭოს მიერ შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის და მასთან ერთად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა (მოსარჩელეთა) უფლებამოსილება. მოცემული კი წარმოადგენდა მოსარჩელეთა ნების საწინააღმდეგოდ მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. აღნიშნული გარემოება უნდა შეფასდეს, როგორც მოსარჩელეთა თანამდებობიდან უკანონო დათხოვნა, რომელიც განხორციელდა იძულების და ძალადობის გზით”.

სამართლებრივი ლოგიკისა და კანონის სრული იგნორირებით, სამი წლის შემდეგ, 2009 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე # 3/1977-09) იმავე თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე – თინათინ შავერდაშვილი; სხდომის მდივანი –ლელა გოგოჭური) საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის თანამდებობიდან ასევე უკანონოდ დათხოვნილ სხვა დეპუტატებს (ანზორ საკანდელიძე, ბიმურზა დადეშქელიანი, თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ემზარ გოგუაძე, გელა ჩორგოლაშვილი, ავთანდილ კვეტენაძე, თენგიზ ბარამიძე...) უარი უთხრა რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე; არადა, ამ დეპუტატთა უმრავლესობა მონაწილეობდა დევნილობაში ჩატარებულ გროზნოს, ზუგდიდისა და თბილისის სესიებშიც და, რაც მთავარია, მათი ძალისხმევით დევნილობის პირობებში შენარჩუნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა.

აქვე გთავაზობთ ორივე გადაწყვეტილების პირველ და ბოლო ფურცლებს:



29 იანვარი, 2016

## თამაზ მეჭიაური და რესპუბლიკელები

კომენტარი თამაზ მეჭიაურის ერთი ფრაზის შესახებ:

19 თებერვალს „იმედის“ გადაცემაში „პოლიტიკა“ დეპუტატმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა არ ექნება „ქართულ ოცნებას“, „რესპუბლიკელებთან“ კოალიციაში თუ არ ვიქნებითო...

დროა, დასავლეთელმა მეგობრებმაც და პოლიტიკურმა ლიდერებმაც გაიაზრონ, რომ საქართველოს ისეთი პარლამენტი ესაჭიროება, რომელსაც ნდობა ექნება, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობისაგან, მრავალსაუკუნოვანი ქართველი ერის დღევანდელი თაობისგან, რომელმაც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, 1991 წლის 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ და 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტით ბოლო 27 წელიწადში ოთხჯერ გამოხატა შეუქცევადი სურვილი ევროპასთან, ზოგადად, დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციისა.

უბრალოდ, ჩვენ, ქართველებს, საქართველოს მოსახლეობას გვსურს, ჩვენი ისტორიული ღირებულებებით ვიყოთ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი და არა – წაშლილი ეროვნული ცნობიერებით.

დღეს ნათლადაა გამოკვეთილი ორი უკიდურესობა:

– პრორუსული ჯგუფები, რომელთაც საქართველოს დაღუპვა სურთ რუსეთთან ისევ ინტეგრაციით;

– ე. წ. ლიბერალები, რომელთაც სოციალ-დემოკრატებივით არაფრად მიაჩნიათ ეროვნული ფასეულობანი და სიტყვით დასავლეთთან ინტეგრაციაზე ლაპარაკობენ, რეალურად კი ანტიდასავლურ იმპულსებს აღვივებენ საქართველოში.

ამ ორი უკიდურესობის ფონზე, არის შესაძლებლობა, გამოიკვეთოს ძლიერი პოლიტიკური კალაპოტი, რომელიც ორიენტირებული იქნება საქართველოს, ქართველი ერის ფასეულობების დაცვასა და, ამავდროულად, ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაციაზე.

თამაზ მეჭიაურის გამოსვლაში ჩანდა ასეთი შუალედური გზისკენ სვლის დიდი ინტერესი.

ვფიქრობ, დასავლეთელი ექსპერტებიც უნდა მიხვდნენ, რომ მათთვისაც და ჩვენთვისაც უკეთესია, დასავლეთი საქართველოში დაეყრდნოს არა დენაციონალიზებულ ჯგუფებს, არამედ ქართველებს, რომელთაც დასავლეთთან ინტეგრაცია სურთ.

ასეთ შემთხვევაში იქნება შეუქცევადი კავკასიის მეგობრული თანამშრომლობა დასავლეთთან და უზრუნველყოფილი იქნება ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ისეთი გზა, რომელსაც რუსეთი ვერ გააკონტროლებს.

20 თებერვალი, 2016

## თუ ფრთხილად არ ვიქნებით, წინ უფსკრულია!

ეს ტერაქტი საქართველოს მტრების მიერაა დაგეგმილი და განხორციელებული!

მეგობრებო, ეს ტერაქტი ცხადყოფს, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოში ქაოსის შექმნა სურს საქართველოს მტერს!

არჩევნების დღესაც და არჩევნების შემდეგაც სიმშვიდისა და მშვიდობის დაცვით ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა! ჩემი პასუხი კითხვაზე: ვინ დაგეგმა „მიმართული აფეთქება“ (რომლითაც უფრო გამვლელი უნდა მომკვდარიყო, ვიდრე თარგამაძე)?

1. კვირიკაშვილის ხელისუფლებამ?

– კვირიკაშვილის ხელისუფლებას არანაირად არ უშლის ხელს თარგამაძე თავისი არარსებული ავტორიტეტით. გარდა ამისა, წინასაარჩევნოდ ასეთი მიუმართავი ტერაქტი ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს არსებულ ხელისუფლებას; შესაბამისად, მე გამოვრიცხავ, რომ ეს ტერაქტი თუ დასაშინებელი აფეთქება განახორციელა ხელისუფლებამ – აფეთქებაში ხელი არ ურევია კვირიკაშვილის მთავრობას!

2. თავად თარგამაძემ?

– ასაფეთქებლიან მანქანაში ჩაჯდომა მაინც რისკია! რთულია დავუშვათ, რომ თავისი ნებით ასე გარისკა თარგამაძემ; შესაბამისად, გამოვრიცხავ იმასაც, რომ თვით ტერაქტი დაეგეგმა გივი თარგამაძეს.

3. ვინმემ ოპოზიციიდან?

– დამგეგმავმა იცოდა, რომ მიმართული აფეთქება არ მოკლავდა თარგამაძეს; იქნებოდა მსხვერპლი და ხმაური ატყდებოდა, თუნდაც ნაციონალების პრეზენტაციისა (რუსთავი 2-ზე) და 5 ოქტომბრის მანიფესტაციის წინ; ეს ხმაური აწევდა წინასაარჩევნო მუხტს; ისინი კი ხელს გაიშვერდნენ ხელისუფლებისაკენ და ნაციონალებისკენაც... საბოლოო ჯამში, ხელისუფლებაც და ნაციონალებიც დაზარალდებოდნენ და შანსი მიეცემოდა სხვა პარტიებს.

4. ნაციონალურმა პარტიამ?

– პარტიაში იცოდნენ, რომ მიმართული აფეთქება არ მოკლავდა თარგამაძეს, მაგრამ იქნებოდა მსხვერპლი, რაც დააზარალებდა სახელისუფლებო პარტიას.

5. რუსეთის სპეცსამსახურმა?

– რუსეთის ხელისუფლებას სურს, წინასაარჩევნოდ საქართველოში ჯერ დაძაბოს ვითარება, 8 ოქტომბრის შემდეგ კი შექმნას ქაოსი. ქაოსი დიდად დააბრკოლებს საქართველოს

სვლას ევროპული ოჯახისკენ და, შესაძლოა, საქართველო იძულებით დააბრუნოს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში (რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება ბოლოს მოუღებს საქართველოსაც და ქართველ ერსაც).

**შენიშვნა: რუსეთის სპეცსამსახურების აგენტურა შეიძლება იყოს ყველა პარტიაში; მათ შორის ოცნებაშიც, ნაციონალებშიც, თავისუფალ დემოკრატებშიც, ბურჭულაძესთანაც... აღარ მაქვს საუბარი პრორუსულ პარტიებზე!**

**ჩემი პასუხია მეხუთე,** მაგრამ ფაქტი ერთია: საქართველოში სახელმწიფო დანაშაულების გამოუძიებლობამ (1992 წლის პუტჩიდან მოყოლებული, დღემდე) მიგვიყვანა აქამდე!

თუ ფრთხილად არ ვიქნებით, წინ ძალიან სახიფათო უფსკრულია!

5 ოქტომბერი, 2016

## დღევანდელის პროგნოზი და 10 ორიენტირი მომავალი არჩევნებისათვის

ვფიქრობ, დღევანდელი არჩევნების შედეგები, დაახლოებით, ასეთი იქნება /ლოგიკური პროგნოზირებაც კი უპერსპექტივო საქმეა :)/ :

**პროპორციული:**

**1. ოცნება 35**

**2. ნაცები 15**

**3. ალასანიას დემოკრატები 6**

**4. ინაშვილის „პატრიოტები“ 6**

ბურჭულაძის მოიმედენი

ნათელაშვილი

ფორუმი

რესპები

დანარჩენნი

მაჟორიტარული:

45-ზე მეტ საარჩევნო უბანში გაიმართება მეორე ტური.

**P.S. 10 ორიენტირი, რის გარშემოც უნდა შეიქმნას დიდი პოლიტიკური გაერთიანება განათლებული, გამოცდილი და უღალატო ადამიანებისაგან:**

1. გლობალური ქსელისა და მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრების სწრაფი ტექნოლოგიზების პირობებში **ქართული ენა დაკარგავს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ენის ფუნქციას, თუკი დროულად არ მოხდება ქართული ენის ტექნოლოგიზება. ქართული ენა თუ დაკარგავს** კულტურული ენის ფუნქციას, ქართველი ერი დაკარგავს თვითმყოფადობას – სრულად ასიმილირდება... **ქართველი ერი თუ აღარ იქნება, აღარ იარსებებს სა-ქართველ-ო...** შესაბამისად, საქართველოს პირველი რიგის ამოცანაა ქართველი ერის უპირველესი მახასიათებლის – ქართული ენის, როგორც კულტურის ენისა და განათლების ენის, შენარჩუნება-განვითარება გლობალურ ქსელთან ქართული ენის ადაპტირებით და ორენოვანი ავტომატური თარგმანების განხორციელებით; ასევე, პირველი რიგის ამოცანაა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში.

2. საქართველო უნდა იყოს ძლიერი სასოფლო, სარაიონო (/სამუნიციპალიტეტო) და საქალაქო თვითმმართველობების მქონე **უნიტარული სახელმწიფო** (და არა ფედერაცია ან კონფედერაცია; რეგიონალიზმი ბოლოს მოუღებს საქართველოს ერთიან სახელმწიფოს) აფხაზეთის ავტონომიის განსაკუთრებული უფლებებით.

3. **განათლებული, გამოცდილი და უღალატო ადამიანებისაგან** (ბევრია ასეთი!) უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი პოლიტიკური სპექტრი (შესაბამისად, ხელისუფლება), რომელიც რეალურად (და არა – ლოზუნგურად) იქნება ორიენტირებული როგორც მოქალაქის პიროვნული მეს, ასევე, სახელმწიფოს, ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისა თუ

განსხვავებული შეხედულების ადამიანების უფლებების დაცვაზე.

4. კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს თავისუფლად მოაზროვნე და **საქართველოს პატრიოტი ახალგაზრდობის** აღზრდაზე (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად!). სწავლების მაღალი სტანდარტის პირობებში აუცილებელია სახელმწიფოს მიერ დოქტორანტურის დაფინანსება /სტრატეგიული მიმართულებებით/.

5. **საქართველოში წარმოებული პროდუქტის დაცვისა** და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით აუცილებელია ეკონომიკაში მაქსიმალურად უსაფრთხო ლიბერალური პოლიტიკის გატარება; ასევე:

– საგადასახადო და სადაზღვევო სისტემის ორიენტირება სოციალურად დაუცველ მოქალაქეზე;

– რეალური სახელფასო მინიმუმის განსაზღვრა;

– შრომის კოდექსის ორიენტირება დაქირავებულზე (და არა – დამქირავებელზე).

6. აუცილებელია სოფლის მეურნეობის სუბსიდირებით ტრადიციული ქართული მეურნეობის დარგების აღორძინება და **საქართველოს მიწა-წყლის პოტენციის სრულად გამოყენება** საქართველოს მოქალაქეების მიერ.

7. რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია **საქართველოს სტრატეგიული რესურსების კონტროლი** სახელმწიფოს მიერ (მაგ., საქართველოს გარეთ გასაყიდად უნდა გავიდეს მხოლოდ ჩამოსხმული წყალი და არა, როგორც ნედლეული; მიწა, საძოვარი, ტყე უცხოელს საკუთრებაში უნდა მიეცეს განსაკუთრებული აღმშენებლობისა და საქართველოს მოქალაქეთა დასაქმების პირობებით და სხვ./; სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს არა დიდ ჰიდროელექტროსადგურებზე, არამედ მზის/ქარის ენერგიასა და მიკროჰესებზე.

8. აუცილებელია რეალურად თავისუფალი სასამართლოს ფორმირებისა და ძალოვანი სტრუქტურების სრული დეპოლიტიზების დასრულება. საქართველოს სახელმწიფოში სამართლიანობის დამკვიდრების დაწყება კი შესაძლებელია მხოლოდ **1992 წლის პუტჩის სამართლიანი გამოძიებით** /ამის შემდეგაა შესაძლებელი, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის (დეოკუპაციის), ღირსების მქონე ახალი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბების, უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებითა და სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე/.

9. ქართულენოვანი მართლმადიდებლობის, როგორც **მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ოფიციალური აღიარების ფონზე** აუცილებელია ყველა სხვა რელიგიის მიმდევრის უფლებების განუხრელი დაცვა.

10. ბოლო 200 წელიწადში რუსეთის იმპერიის შეუქცევადი აგრესიების გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოს **სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ევროკავშირსა და ევრო-ატლანტიკურ გეოპოლიტიკურ სივრცეზე ორიენტირებით** /უახლოეს პერიოდში შეუძლებელი იქნება მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გრძელვადიანი შეთანხმება საქართველოს სრულ ნეიტრალიტეტზე/; **კერძოდ, გვაქვს საგარეო (გეოპოლიტიკური) ურთიერთობების სამი პერსპექტივა:**

ა) დასავლეთის დისტანციური (არაპროპორციული!) მხარდაჭერის პირობებში რუსეთი იარაღის ძალით კონტროლს დაამყარებს საქართველოზე, ანდა, 1992 წლის უკანონო პრორუსული (პუტჩისტური) ხელისუფლების მსგავსად, რომელიმე ახალი ხელისუფლება ღალატის შეფუთვით საქართველოს დააბრუნებს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში... **ასეთ შემთხვევაში საქართველოს კატასტროფა ელის:** რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, ენობრივ-ეთნიკურად დაანაწევროს ქართველი ერი და მყიფე ფედერაციისა თუ რეგიონალიზაციის გზით საბოლოოდ დაშალოს საქართველოს სახელმწიფო; ამის შემდეგ რუსეთი სამუდამოდ მიიერთებს **გეოპოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოს – საქართველოს,** ქართველი ერი კი საბოლოოდ განადგურდება.

ბ) დასავლეთს, ნატოს ნამდვილად ესაჭიროება სტრატეგიული ტერიტორიის მქონე საქართველო; შესაბამისად, ახლო მომავალში **ნატო გააქტიურდება და თავის წევრად მიიღებს საქართველოს; თავის თავზე აიღებს, რუსული თუ სხვა ქვეყნის აგრესიისაგან დაიცვას საქართველოს სახელმწიფოს არაოკუპირებული ტერიტორია.** რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ისტორიული ნაწილები – აფხაზეთი და ცხინვალის მხარე – აღიარებული იქნება

საქართველოს დე იურე ნაწილად და ინტენსიურად ამოქმედდება ამ მხარეებში **საქართველოს იურისდიქციის აღდგენის** (ამ მხარეების საქართველოსათვის დაბრუნების) **გრძელვადიანი სტრატეგია** /დაახლოებით, ისეთი, რომელმაც უზრუნველყო აღმოსავლეთ გერმანიის შეერთება დასავლეთ გერმანიასთან/.

გ) დასავლეთი (ნატო, ევროკავშირი) დააფასებს საქართველოს პროდასავლურ არჩევანს და ხელს შეუწყობს საქართველოს, გახდეს ევროკავშირის წევრი; პარალელურად მოილაპარაკებს რუსეთთან, მოხდეს საქართველოს დეოკუპაცია – აფხაზეთი და ცხინვალის მხარე დატოვოს რუსეთის ჯარმა, რომ აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; სამაგიეროდ, საქართველო აღარ გახდება ნატოს წევრი. **მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეები საუკუნო კონსესუსის წესით საქართველოს გამოაცხადებენ შვეიცარიის მსგავს ნეიტრალურ სახელმწიფოდ** (თვითგამოცხადებული „ნეიტრალიტეტი“, ისეთი, როგორიც გამოაცხადა 1920 წელს ნოე ჟორდანიამ და დღეს გვპირდება ნინო ბურჯანაძე, საქართველოს ისევ სარუსეთოდ გაწირავს! თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი დასავლეთზე უარის თქმას და აგრესიული, არასანდო, იმპერიული რუსეთის პირისპირ მარტოდ დარჩენას ნიშნავს).

8 –19 ოქტომბერი, 2016

## რეალობა არჩევნების შემდეგ

გავუსწოროთ თვალი სიმართლეს!

რა რეალობა წარმოაჩინა 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებმა და რას და ვის მისცა ხმა საქართველოს მოსახლეობამ?

**1. არჩევნების შედეგებმა ცხადყო ერთი მეტად სასიხარულო ფაქტი:** საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის ოკუპირებული, მოსახლეობა, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ერთიანი ორიენტირებით ცხოვრობს; **მარნეულის ოლქის** შედეგებმა აჩვენა: სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა თუ მრავალი პროვოკაციის მიუხედავად, **საქართველოს მოქალაქენი ერთიან ერს წარმოვადგენთ** (ეს კარგად გამოჩნდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებითაც!).

2. ხალხმა ხმა მისცა სტაბილურობას და არა ფულს; კერძოდ, სადავეები ჩააბარა დაბალანსებული კურსის მომხრე სახელისუფლებო ძალას, რომელსაც გიორგი კვირიკაშვილის პირით დეკლარირებული აქვს ქართული ფასეულობების ერთგულება და საქართველოს დასავლური კურსი. ამავე დროს, **ხაშურის მაგალითით წარმოჩნდა,** რომ ხალხმა უარი უთხრა ფულიან პირს და, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პარტიების კრიზისის პირობებში, ხმა მისცა არა მრეწველთა პარტიასა თუ სპეცსამსახურების მაღალჩინოსანს, არამედ პირს, რომელიც ხალხის გასაგები ენით ლაპარაკობს, ხალხს ეხმარება და სახელმწიფოს ერთგულებაზე ხალხთან დამაჯერებლად ლაპარაკობს (რამდენიმე დღის წინ საგანგებოდ შევისწავლე ხაშურის საარჩევნო განწყობა!).

3. არჩევნებში მონაწილე პარტიათაგან არც ერთი არ იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში გააქტიურებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეალური მემკვიდრე. **არჩევნების შედეგებმა დაადასტურა, რომ საქართველოში არ არსებობს გამოკვეთილი ორიენტირების მქონე და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პარტიები, რომლებსაც ხალხი ენდობა** (ოცნება არაა კლასიკური პარტია; სახელისუფლებო გაერთიანებაა, რომელშიც პარტიული ფორმირების მიმართულებით პერსპექტივა აქვს მხოლოდ გიორგი კვირიკაშვილის უშუალო გუნდს).

4. არჩევნების შემდეგ **საქართველოში შეიქმნა კარგი გარემო, რომ პოლიტიკური სპექტრი დატოვონ 1992 წლიდან სახელმწიფო დანაშაულებში მონაწილე პირებმა, კრიმინალებმა, საქმოსნებმა...** და ტრადიციული ქართული ფასეულობებითა და ცივილიზებული სამყაროს ორიენტირებით ახალი სახეებისაგან ჩამოყალიბდეს რამდენიმე ძლიერი პარტია, რომლებიც პოლიტიკურ მინდორზე გამოვლენ მომდევნო არჩევნების წინ (ადგილობრივი არჩევნები მალე მოგვადგება კარს).

5. არჩევნების შედეგებმა წარმოაჩინა ისიც, რომ მოსახლეობა კრიტიკულად აფასებს

პოლიტიკურ სპექტრს და საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს ისეთ ღალატს, რომელიც ჩაიდინა შევარდნაძემ 1992-93 წლებში; კერძოდ: საერთაშორისო გარიგების შემდეგ (აღმოსავლეთ ევროპა – დასავლეთს, კავკასია – რუსეთს!) **რუსეთმა დაამხო** პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და საქართველო ჩააბარა შევარდნაძეს, რომელმაც, ხალხის მოსატყუებლად, ჯერ **მერაბ კოსტავას სურათი დაიკიდა კაბინეტში,** შემდეგ კი აფხაზეთის დაგეგმილი ტრაგედიის პარალელურად, საქართველო დსთ-ში შეათრია.

**P.S. დეოკუპაციის შემთხვევაში საქართველო კეთილგანწყობილი მეზობელი იქნება რუსეთისთვისაც, მაგრამ აღარ დაბრუნდება რუსულ იმპერიულ ველში – ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.**

31 ოქტომბერი, 2016

## გვარამია-მდინარაძე და ღირებულებები

**მცირე კომენტარი გვარამია-მდინარაძის რუსთავი-2-ის მაყურებლისათვის შეურაცხმყოფელი დიალოგის შემდეგ (04.02.2017 წ. 21.00 "კურიერი", რუსთავი 2).**

ჩემი დაკვირვებით, ფართო საზოგადოებაში ცოტაა ადამიანი, რომელსაც მოეწონა ან ერთი, ან მეორე სუბიექტის ქცევა. უფრო დიდი ნაწილი თვლის (და მათ შორის მეც), რომ ეს იყო არანორმალური საეთერო დიალოგი, რომლის ერთი მხარე ზღვარგადასულად და უთავმოყვარეოდ თავხედობდა, მეორე მხარე კი, ასევე, უთავმოყვარეოდ იღიმოდა (სიმწრისაგანაც).

**მე არ მესმის მათი, ვინც ხოტბას ასხამს გვარამიას** მის მიერ გამოყენებული უხეში ტერმინოლოგიის (ორუჯრედიანი, არაკაცი, არაიურისტი, მექრთამე...) გამო; ასეთი ენით საუბარი დაუშვებელია საჯარო სივრცეში. აქვე ვიტყვი, რომ თუნდაც, გვარამია 100 პროცენტით მართალი ყოფილიყო, ეთერში შეჭრა და სტუმრის ლანძღვა არანაკლები დანაშაულია, ვიდრე თავად ცდილობდა, ემხილა. ჟურნალისტური ეთიკისა და საზოგადოებრივი ფასეულობების ანალოგიური იგნორირებით რუსთავი-2 ნამდვილად გაინადგურებს თავს. ტელევიზიის დირექტორი, რომელიც არ იცავს საკუთარი ტელევიზიის ღირსებასა და ღირებულებებს, ვერ დაიცავს მოქალაქის, ერისა თუ სახელმწიფოს ღირსებას.

**მე, ასევე, ვერასოდეს დავიჯერებ იმ ადამიანის ღირებულებების სიმყარეს,** ვისაც ეუბნებიან, რომ არაკაცია, ორუჯრედიანია... ის კი ხბოსავით დუმს ე.წ. "თმენის ვალდებულების" გამო. ვერც მას ვერ გავუგებ, ვისაც მოსწონს მდინარაძის "გაწონასწორებულობა". არ ვფიქრობ, რომ მდინარაძესაც უნდა ეგინებინა, ეჩხუბა, ელანძღა... უბრალოდ, **თავმოყვარე, ღირსების მქონე ადამიანს ასეთ ვითარებაში ადეკვატურად მოქცევის უამრავი შესაძლებლობა აქვს.** ვფიქრობ, ადამიანი საკუთარ ღირსებას თუკი ვერ იცავს, ის ერის, სახელმწიფოს ღირსებას ვერ დაიცავს.

**ფაქტია:** ჩვენი პოლიტიკური სპექტრის (ვგულისხმობ ორივე მხარეს!) წარმომადგენელთა დიდი ნაწილი შორსაა როგორც ქართველი ერის (საქართველოს მოსახლეობის) ისტორიული ღირებულებებისაგან, ასევე, თანამედროვე დემოკრატიული ფასეულობებისაგან.

**საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ღირსეული პიროვნებებისაგან შედგება და გაცილებით მაღლა დგას პოლიტიკურ სპექტრზე.** ეს არცაა მოულოდნელი: თანამედროვე ქართული პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილი არ აღმოცენებულა ეროვნული ცნობიერების მქონე ჩვენი ფართო საზოგადოებიდან: 1992 წლიდან მოყოლებული, პოლიტიკური სუბიექტები ხელოვნურად "იჩეკებიან" გარედან მართული სახელმწიფო გადატრიალებების, უკანონობისა და "რევოლუციების" სიმღვრიეში (თუ ჭაობში) შემოდინებული საეჭვო "გრანტებით".

5 თებერვალი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

# საშიში პროვოკაციები კიდევ დაიგეგმება

საქართველოში ნებისმიერი უმართავი აქცია ან პოლიტიკური სპექტრის მხოლოდ პარტიული ინტერესებით ქმედება მომავალშიც, 1921, 1992 თუ 2008 წლების მსგავსად, რომელიმე ა**გრესიული მეზობლის სასარგებლოდ დასრულდება!**

აჭარაში მინავლდა სპონტანური, პროვოცირებული თუ "აგდებული" აქცია და, უმჯობესია, ტელევიზიებსა თუ სოციალურ ქსელებშიც შეწყდეს ამ თემის მანიპულირებით პარტიული თუ პიროვნული ქულების ჩაწერა. მაგ., "არჩევანის" თითქმის ყველა მონაწილის გამოსვლა ნამდვილად მეტისმეტად ცალმხრივი იყო: ყველა თავისი პარტიულ-რელიგიური "პროფილით" ცდილობდა ქულები ჩაეწერა.

სამწუხაროდ, გამომსვლელთა დიდი უმრავლესობა სიღრმისეულად არ ხედავს პრობლემას; ძირითადად, სამი ტიპის შეცდომა ფიგურირებს:

1. ლანძღვა-გინება. საპირისპირო უხეშობითა თუ საპირისპირო ბანძობით ერი ვერ გაერთიანდება; პირიქით! ასე მტრის წისქვილზე ისხმება წყალი;

2. როცა რაიმე ჭორი ხალხს "აგდებს", ესე იგი, რაღაც სერიოზული პრობლემაა (რომ ხალხი "ვარდება"). ასეთ დროს ხელისუფლება, პოლიტიკური სპექტრი, პოეტები, მწერლები, ინტელექტუალები... ვალდებულნი არიან, საინფორმაციო ველშიც დროულად დააბალანსონ ვითარება, რომ ხალხი კიდევ არ "ავარდეს" და მორიგი სისულელე არ ჩაიდინოს.

ბევრ თემაზე რეაგირება ძალიან დაგვიანდა!

აუცილებელია ისეთი ფაქიზი თემების რბილად მოგვარება, რომლებიც შეიძლება გასაღიზიანებელი აღმოჩნდეს მტრის საინფორმაციო შეტევის დროს (საინფორმაციო შეტევაა ხალხის „აგდების" მცდელობაც!); მაგ., 1991 წელს გავრცელებულმა ჭორებმა მართლაც იმუშავა გამსახურდიას წინააღმდეგ და რუსეთის ახალაღორძინებული იმპერიის საქმე გაკეთდა.

რეაგირებადაგვიანდააჭარისმიმართულებითაც:აჭარაშიძირძველქართველებსათწლეულებია ვიღაც უვიცები თუ ვიღაც პროვოკატორები დაჰყრანტალებენ "ქართველი არ ხარო" (ეს ყველას გაუგია! თუმცა, ეს არ არის განათლებული ადამიანების პოზიცია); ამ ყრანტალს 11 მარტს ხმაურით უპასუხეს კონკრეტული პირების მიერ გაღიზიანებულმა თუ „აგდებულმა" ახალგაზრდებმა, "ქართველები ვართო"; ეს საპასუხო დაძახებაც კი პროვოკატორებმა ვანდალიზმში გადაზარდეს!

დღემდე არსებული ხელისუფლებები (1992 წლიდან დღემდე!) თუ პოლიტიკური სპექტრი ვალდებული იყვნენ სკოლების გზით წლების მანძილზე დაებალანსებინათ ეს შუასაუკუნეების მიდგომა – რელიგიის მიხედვით ეროვნების განსაზღვრა. სამუშაოა ასევე, სხვა კუთხეების მიმართულებითაც, ზოგადად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სამუშაოა ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით!

ბათუმში კი რა მოხდა? პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი შეეცადა, თავისი პარტიის მიზნებისათვის გამოეყენებინა ეს ემოციური თემა და „აგდებული" ხალხის ამბოხი.

ხაზგასმით ვამბობ: აუცილებელია განათლების სისტემის (სკოლებში, განსაკუთრებით) სტრატეგია რეალურად დაეფუძნოს მსოფლიოში გაფანტულ ქართველთა კონსოლიდაციას (რელიგიური სხვაობის მიუხედავად) და საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის იდეას.

3. და ბოლოს: მთავარი დამნაშავე ის არის, ვინც ასეთ სათუთი თემებით „აგდებს" ხალხს! ხელისუფლებამ ეს აუცილებლად ბოლომდე უნდა გამოიძიოს; ჩემი აზრით, დანაშაულიც უნდა დახარისხდეს:

– პირველი რიგის დანაშაულია სათუთი თემებით ხალხის ემოციის მანიპულირება; ასეთი პირები მკაცრად უნდა დაისაჯონ;

– მეორე რიგის დანაშაულია ვანდალიზმი. მკაცრად დასასჯელია ყველა, ვინც ცეცხლი წაუკიდა მანქანებს, ვინც ივანდალა...

– მესამე რიგის დანაშაულია აგრესია, ქვების სროლა: ვინც ემოციურ ნიადაგზე ქვა ისროლა ანდა, "სამართველოს" (და არა – საქართველოს! საქართველოს გინება იქ ნამდვილად არ ყოფილა!) შეაგინა, მათაც პასუხი უნდა აგონ.

**P.S.** საქართველოში ნებისმიერი ემოციური და უმართავი აქცია შეიძლება რომელიმე

მეზობლის აგრესიით (და არა მხოლოდ სტუმრობით) დასრულდეს... **კიდევ ერთხელ გამახსენდა დატყვევებული შამილის ცნობილი გაოცება; მისი პერიფრაზით რამდენიმე პუნქტს ჩამოვაყალიბებ:**

ა) ამხელა ტერიტორია აქვს რუსეთს, ამდენი რესურსები და 200 წელია, იმპერიული ამბიციების გამო სისხლს აქცევს კავკასიაში; სისხლი გაგვიშრო ქართველებს; გადაიბირა აფხაზების ნაწილი (სომხებსა და ოსების ნაწილზე აღარაფერს ვამბობ!); ახლაც ბაზები ხელახლა განათავსა ცხინვალის მხარესა და აფხაზეთში, რომ გაამაგროს გუიმრის ბაზა; რომ საქართველოს **ოკუპაციით ანდა, ხელისუფლების დაყოლიებით, სახმელეთო კავშირი აღადგინოს სომხეთთან – მის მთავარ დასაყრდენთან კავკასიაში;**

ბ) ამხელა ტერიტორია აქვს თურქეთს, მთელი ჩვენი ჭოროხის ხეობაც მიიერთა 1921 წელს რუსეთთან გარიგებით და მაინც ბათუმზე უჭირავს თვალი; **ცდილობს ფულითა თუ სხვა "მანქანებით" გაიფართოვოს გავლენის ველი;**

გ) სომხეთისა და აზერბაიჯანის გარკვეული წრეებიც **ტურებივით არიან ჩასაფრებული...**

პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი კი ამ დროს გარშემო არ იხედება! დღეს საქართველო იმ გემს ჰგავს, რომელიც ბობოქარ ზღვაშია, ეკიპაჟის წევრები კი დაუნდობლად კინკლაობენ; ხალხი კი კაიუტებშია და ელოდება გარდაუვალ დაღუპვას?

16 მარტი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## მტერი მტერია, მაგრამ ჩვენ სად დავუშვით შეცდომები?

დღეს, 22 აპრილს, მონაწილეობა მივიღე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხის გადაცემაში "ყველა კითხვა"...

ჩემი აზრით, 90-იან წლებში დაპირისპირებული მხარეების კამათს ნამდვილად აჯობებს ანალიტიკური ხასიათის მსჯელობა, რომელიც ფაქტებითა და საერთაშორისო კონტექსტის მსჯელობით ახალ თაობებს დაანახვებს უახლეს წარსულს, რომლის ადეკვატურ გააზრებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მომავლის სწორად დაგეგმვისათვის.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ფაქტებსა და მსჯელობას, რომელთაც უთუოდ მივიტანდი მაყურებლამდე, ისედაც მცირე დრო უსაგნო კამათში რომ არ დახარჯულიყო.

**სხვადასხვა ათვლის სისტემა.** პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ არსებობს მოვლენის ხედვა-აღქმის სხვადასხვა ათვლის სისტემა:

– ისტორიული თვალთახედვა (მშრალი ფაქტები და შედეგები);

– გეოპოლიტიკური თვალთახედვა (ფაქტების ანალიზი საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში);

– პროცესის მონაწილის სუბიექტური თუ პარტიული ხედვა (ემოციური კონტექსტის გამოურიცხავად).

**1990-1993 წლების მოვლენები ისტორიული ფაქტების მიხედვით:**

1990 წლის 13-15 მარტი – საქართველოს ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის ისტორიული დადგენილება:

1. საქართველოს უნდა განესაზღვროს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუსი.

2. საქართველოს ამჟამინდელი სტატუსი მიჩნეულ იქნეს ფიქციად და აგრესიის შედეგების დაფარვისათვის გამიზნულად (1990 წლის მარტის მდგომარეობაზეა საუბარი – ტ.ფ.).

3. საქართველოში "დე ფაქტოდ" არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივად.

4. 1990 წლის 25 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს ბოიკოტი.

5. დემოკრატიულ საფუძვლებზე აირჩეს გარდამავალი ხელისუფლება, რომელიც რეალურად დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს.

6. პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

ამ კონფერენციის შემდეგ, ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის ზეწოლით, 5 დღეში – 1990 წლის 20 მარტს – საბჭოთა კავშირის იმპერიული ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლობამ – გუმბარიძის კომუნისტურმა ხელისუფლებამ – საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ – მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის 25 მარტს დანიშნული უზენაესი საბჭოს არჩევნების იმავე წლის შემოდგომაზე გადატანის შესახებ; ასევე, დაადგინა, რომ შემოდგომაზე ჩატარებულიყო მრავალპარტიული არჩევნები. საბჭოთა საქართველოს ამავე ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება "საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ", რომელშიც აღიარა 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებული აგრესია, ოკუპაცია და ანექსია; დაგმო ეს ფაქტი, როგორც საერთაშორისო დანაშაული და დაადასტურა, რომ საქართველო ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას. ამავე დოკუმენტით უკანონოდ და ბათილად იქნა ცნობილი სსრ კავშირის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულება და მოთხოვნილ იქნა მოლაპარაკების დაწყება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე. იმავე სესიაზე ცვლილებები შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაში: ლეგალურად იქნა შემოღებული მრავალპარტიულობა და მიღებულ იქნა კანონი "საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ", რომლითაც საკანონმდებლო ორგანო უნდა არჩეულიყო შერეული წესით, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით.

ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არსებულმა ეროვნულმა მოძრაობამ მშვიდობიანი აქციებით კომუნისტური ხელისუფლება აიძულა, შეესრულებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი საგანგებო კონფერენციის დადგენილების რამდენიმე პუნქტი.

მალევე პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა ეროვნული ფორუმი, რომელიც უნდა ყოფილიყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და უზრუნველეყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზემოთაღნიშნულ დადგენილებას ორგვარი გაგრძელება ჰქონდა:

ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა მხარი დაუჭირეს 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, არასაბჭოთა არჩევნების ჩატარებას – "დემოკრატიულ საფუძვლებზე გარდამავალი ხელისუფლების არჩევას და მის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალურად აღდგენის საკითხის დასმას (კონფერენციის მე-5 პუნქტი!), რაც განხორციელდა კიდეც: 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნებით არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ანუ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზვიად გამსახურდიას ფრთამ განახორციელა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის ძირითადი გეგმები: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 9 აპრილს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, რუსეთის ჯარისათვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ...

ეროვნული მოძრაობის მეორე ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა 28 ოქტომბრის დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებს და გადაწყვიტა ალტერნატიული ხელისუფლების შექმნა; ისინი ერთი თვის მანძილზე (!) კენჭს იყრიდნენ ე.წ. ეროვნული კონგრესის არჩევნებში და პარტიული სიებით შექმნეს "ეროვნული კონგრესი"; ასევე, კონგრესთან შეასისხლხორცეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონი".

კიდევ რამდენიმე არსებითი ფაქტი "ეროვნულ კონგრესთან" დაკავშირებით:

1. კონგრესის არჩევნებისას არ იყო ცნობილი ამომრჩეველთა სიები; რაც მთავარია, არ გამოქვეყნებულა შედეგები ოლქების მიხედვით. არ არსებობს არც არჩევნების დოკუმენტაცია;

2. კონგრესში ზოგი ისე აირჩა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა; მაგ., ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, მერაბ გვაზავამ სულ რამდენიმე დღის წინ მითხრა: "არაფერი არ ვიცოდი, ისე გავხდი კონგრესის წევრი!"

3. 1991 წლის ბოლოს კონგრესის წევრთა დიდმა ნაწილმა უკანონო სამხედრო ფორმირებებთან ერთად მონაწილეობა მიიღო რუსეთის მიერ ორგანიზებულ პუტჩში – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობასა თუ კიტოვან-სიგუა-იოსელიანის ხუნტის შემდგომ არსებულ უკანონო "სახელმწიფო საბჭოს" ფორმირებაში.

4. კონგრესის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მერაბ ალექსიძე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების იარაღის გზით დამხობის შემდეგ ჩატარებული უკანონო არჩევნების, 1992 წლის ე.წ. "იმედის არჩევნების" დროს ცსკო-ს ხელმძღვანელად დანიშნეს პუტჩისტებმა; ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მერაბ ალექსიძე 1993 წელს უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ უკანონო სახელმწიფო საბჭომ წამოიწყო ავანტიურა აფხაზეთში, რასაც მოჰყვა აფხაზეთში ქართველობის გენოციდი და ეთნოწმენდა; ასევე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ბევრი სხვა პატრიოტის მკვლელობა.

ფაქტია ისიც, რომ, როგორც ეროვნული კონგრესი, ასევე, ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებული თ. კიტოვანისა და თ. სიგუას დაჯგუფება რუსეთმა წარმატებულად გამოიყენა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დასამხობად (ე.წ. სამოქალაქო ომის პროვოცირებისათვის) და საქართველოს დასაბრუნებლად დსთ-ს სივრცეში (სახელმწიფო საბჭოსა და მისი მემკვიდრის – "1992 წლის შემოდგომაზე "არჩეული" უკანონო "პარლამენტის" პრორუსულ გზას მოგვიანებით შეეწინააღმდეგა გია ჭანტურია, რის გამოც ისიც ფიზიკური ლიკვიდაციის გზით ჩამოაშორეს ქართულ პოლიტიკას).

**ეროვნული მოძრაობის დასახელებული ორი ფრთის წარმომადგენელთა გეგმები და გზები ჩემი სუბიექტური კომენტარებით:**

ა) საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარის სრული და უპირობო გაყვანა;

ზვიად გამსახურდიას ფრთა ფიქრობდა, რომ ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მრავალპარტიული არჩევნების მოგების შემთხვევაში ხელისუფლების მიერ მოსახლეობის კონსოლიდაციით. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ოკუპანტის სტატუსი მართლაც მიანიჭა რუსეთის ჯარს.

კონსოლიდაციის თემა არსებითია დღესაც, რამდენადაც საქართველოში ყოველი მესამე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია და რთულია დაუმორჩილებლობის ორგანიზება; იმ დროს კი ბევრი იყო კომუნისტიც; შესაბამისად, საქართველოს ერთგული ხელისუფლების გარეშე იმპერიისადმი სახალხო დაუმორჩილებლობის ორგანიზება არარეალური იყო;

შდრ., ეროვნული კონგრესი ითხოვდა, საქართველო გამოცხადებულიყო კოლონიურ ქვეყნად და სახალხო დაუმორჩილებლობით მიგვეღწია დეკოლონიზაციისა და დეოკუპაციისათვის (საქართველოს რეალობაში, რბილად რომ ვთქვათ, ეს იყო "პოლიტიკური რომანტიზმი").

არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ სწორედ ეროვნული კონგრესის მონაწილეობით შექმნილმა შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა მოუხსნა რუსეთის ჯარს ოკუპანტის სტატუსი (რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მიანიჭა)!

ბ) საბჭოთა ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაცია და საბჭოთა სტრუქტურების დემონტაჟი.

ზვიად გამსახურდიას გარშემო შექმნილი პოლიტიკური ჯგუფის გადაწყვეტილებით, მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში უნდა გამოცხადებულიყო სამწლიანი გარდამავალი პერიოდი. ამ დროში უნდა მიგვეღო ახალი კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე და უმტკივნეულოდ მოგვეხდინა საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობისა და სტრუქტურების დემონტაჟი.

შდრ., იგივე სურდათ ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებს; მათ დადგენილებაში ვკითხულობთ: "1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციის და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი"...

ოღონდ, მათ არასოდეს წარმოუდგენიათ რაიმეთი განსხვავებული კონკრეტული გეგმა.

გ) დამოუკიდებლობის აღდგენა:

ზვიად გამსახურდიას გარშემო შექმნილმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – მრგვალმა მაგიდამ – დაგეგმა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და დე იურე გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რომლის საფუძველზეც მთელმა მსოფლიომ ცნო

საქართველოს დამოუკიდებლობა.

სიტყვიერად დამოუკიდებლობის აღდგენა სურდათ ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებსაც.

როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, საქართველოსათვის უფრო ლოგიკური გზა იყო დამოუკიდებლობის აღდგენა არა დეკოლონიზაციის (როგორც სურდა გია ჭანტურიას დაჯგუფებას), არამედ საყოველთაო რეფერენდუმით 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე (რაც საზღვრების აღიარების უმტკივნეულო გზაც იყო).

შდრ,. "ეროვნული კონგრესის" ბუნდოვანი პოზიცია:

"საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დამყარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა"; კერძოდ: ჭანტურია-იოსელიანი-წერეთლის კონცეფციით საქართველოს დაუმორჩილებლობის გზით უნდა ებრძოლა დეკოლონიზაციისათვის.

სამწუხაროდ, ამ "კონცეფციის" ავტორებს არ ესმოდათ და ზოგ მათგანს დღესაც არ ესმის, რომ "დეკოლონიზაცია" გულისხმობს მოცემული ხალხის „თვითგამორკვევასა" და სრულიად ახალი სახელმწიფოს დაფუძნებას, რომლის საზღვრების დადგენა მეტროპოლიასთან დამატებითი მოლაპარაკების თემად უნდა ქცეულიყო. გარდა ამისა, კონგრესის წევრთა მიზანი – საყოველთაო დაუმორჩილებლობა – შეუძლებელი იყო საოკუპაციო ხელისუფლების პირობებში, მით უმეტეს, საქართველოში მოქალაქეთა მესამედი რუსულენოვანი იყო და რთული იყო იმპერიისათვის საზიანო დაუმორჩილებლობის ორგანიზება; სამწუხაროდ, კონგრესი უფრო უკანონო შეიარაღებული ფორმირების ლობირების გზით წავიდა და არა, თუნდაც, მშვიდობიანი დაუმორჩილებლობისაკენ.

შდრ.: მშვიდობიანი კონგრესის გზას სულ სხვა სტრატეგია და პერსპექტივა ჰქონდა ესტონეთში ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოების მიერ ბალტიის ქვეყნების 1939 წლის ანექსიის დაგმობის გამო (იხ. ქვემოთ).

**ჩემი აზრით, ეროვნული მოძრაობის ყველა ფრთის უმთავრესი შეცდომები იყო:**

– უკანონო სამხედრო ფორმირებების შექმნა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, რუსეთის იმპერიამ წარმატებულად გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; გაცილებით მრავალრიცხოვანი იარაღის მფლობელ იმპერიასთან შეუძლებელი იყო შეიარაღებული გზით (თუნდაც ცხინვალის მხარეში მოქმედი კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ) ლოკალური წარმატების მიღწევაც კი;

– 1991 წლის ბოლოს მოსახლეობის კონსოლიდაციის შანსის დაკარგვა: გარეშე მტრის მზაკვრობის შეუფასებლობის ფონზე საქართველოს პოლიტიკური სპექტრის რადიკალური დაპირისპირებულობა და ამ რადიკალური დაპირისპირებით, ნებსით თუ უნებურად, რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის კავკასიური მიზნებისათვის ხელშეწყობა. საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისა და საზოგადოების კონსოლიდაციის შემთხვევაში, რუსებისგან მართული ქართველი პუტჩისტები ვერ გაბედავდნენ წინ გამოსძღოლოდნენ ბეპაევისა და ბალტინის სამხედრო შენაერთებს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო, საქართველოს გაეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამდე და თავი აერიდებინა რუსეთის მიერ პროვოცირებული ომისათვის (მაგ., ამერიკამ და ბევრმა სხვა სახელმწიფომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო 1991 წლის 25 დეკემბერს, როცა უკვე დაწყებული იყო შეტევა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ).

**1990-1993 წლების საქართველოს მოვლენები გეოპოლიტიკური თვალთახედვით**

ორი დიდი გარიგება აღმოსავლეთ ევროპის შესახებ:

1. 1939 წლის 23 აგვისტოს აღმოსავლეთ ევროპის ფაქტობრივი და არაკანონიერი გაყოფა მოხდა ჰიტლერისა და სტალინის მიერ (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით: რუსეთს – პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი).

რუსულ-გერმანული უზნეო გარიგება არ აღიარა დასავლეთმა ევროპამ და ამერიკამ; კერძოდ, 1940 წლის 23 ივლისს აშშ-ს ხელისუფლებამ სიმპსონის დოქტრინა განავრცო ბალტიის რესპუბლიკებზეც, რაც გულისხმობდა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა ანექსიისა და სსრკ-ში ჩართვის არ ცნობას. ამავე დროს აშშ-მა შეინარჩუნა ამ ქვეყნების დამოუკიდებელი

საელჩოები აშშ-ში შემდგომი 50 წლის განმავლობაში, ანუ 1990 წლის ჩათვლით.

2. 1989 წლის 2 დეკემბერს მალტაში, კრეისერ "მაქსიმ გორკიზე" ბუშისა და გორბაჩოვის მოლაპარაკება დასრულდა აღმოსავლეთ ევროპის საკითხზე ახალი შეთანხმებით: მალტის შეხვედრიდან სამი კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ –გორბაჩოვის ხელისუფლებამ –1989 წლის 24 დეკემბერს უკანონოდ ცნო 1939 წელს ბალტიის ქვეყნების 1939 წლის ოკუპაცია და ანექსია მაშინდელი საბჭოთა კავშირის მიერ. პარალელურად, 1990 წლის გაზაფხულზევე ბალტიის ქვეყნებმა დაიწყეს დამოუკიდებლობის დეკლარირება (ლიტვა – 1990 წლის 11 მარტი; ლატვია – 1990 წლის 4 მაისი; ესტონეთი – 1991 წლის 20 აგვისტო); მომდევნო წელს კი, 1991 წლის 6 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ცნო ბალტიის სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; ამ დროს დამოუკიდებლობა გამოცხადებული ჰქონდათ: საქართველოს, სომხეთს, მოლდოვას, უკრაინას, ბელორუსიასა და უზბეკეთს. ამისდა მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა; აშკარაა, რომ ეს აღიარება/არაღიარებები მალტის გარიგების შედეგები იყო.

შდრ., ამავე პერიოდში –1991 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ბუში ჩადის უკრაინაში და ითხოვს, უკრაინა შევიდეს დსთ-ს შემადგენლობაში; ამასვე თხოვენ საქართველოს.

ზვიად გამსახურდია სამართლებრივი გზებით, მაგრამ მაინც "დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა": პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია არ დაჰყვა 1989 წლის 2-3 დეკემბრის მალტის გარიგებით მითითებულ კურსს – უარი თქვა დსთ-ში შესვლაზე და გააგრძელა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

პარალელურად, ზვიად გამსახურდიას თბილისური ოპოზიცია კავშირს ამყარებს რუსეთ-ამერიკის მალტის მოლაპარაკების რუსული მხარის ერთ-ერთ მონაწილესთან – ე. შევარდნაძესთან (დოკუმენტური მასალისათვის იხ., ირაკლი ბათიაშვილის წერილი: „მანკიერი წრე") და ცდილობს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას, რაც განხორციელდა კიდეც რუსეთის ჯარის ნაწილების – ბეპაევისა და ბალტინის სამხედრო შენაერთების დახმარებით; კერძოდ:

კრემლმა სისხლიანი პუტჩით დაამხო 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. პუტჩის პერიოდში განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს სამეგრელო – საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ერთიანობის ურყევად მხარდამჭერი მხარე.

სამეგრელოს სასტიკი დარბევით სხვა მიზანიც ჰქონდა რუსეთს: საქართველოს დანაწევრება! სწორედ ამ მიზნით გადააკეთეს დიდი დუტუ მეგრელის შესანიშნავი ლექსიც! ამავე პერიოდში წამებით მოკლეს საქართველოს დიდი პატრიოტები: მხატვარი ვახტანგ ნოდია, გოჩა ჯიქია... სასტიკი დევნითა და წამებით სიკვდილის პირას მიიყვანეს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (საქართველოსათვის წამებული ამ ტანჯული კუთხის პატივსაცემად დავარქვი ჩემს შვილს ცოტნე).

**დასკვნის სახით:** რომელი მდინარე რომელი ზღვის აუზში ჩაედინება?

არაიშვიათად, გვერდიგვერდ სათავის მქონე მდინარეები სხვადასხვა ზღვაში ჩაედინებიან...

ეროვნული კონგრესის წევრთა მცდელობა, შეექმნათ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების ალტერნატიული ხელისუფლება, დასრულდა სიგუა-კიტოვანის უკანონო ფორმირების, "მხედრიონისა" და რევანშისტი აგრესიული კომუნისტების (კომპარტიის რიგებში ბევრი იყო საქართველოს პატრიოტი ქართველი!) მიერ პუტჩისტური უკანონო ხელისუფლების შექმნით, რომელმაც:

– დაანგრია საქართველო, როგორც სახელმწიფო;

– გამოიწვია ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში;

– უკანონო სამხედრო ფორმირებებს ააოხრებინა თბილისი და სამეგრელო (საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობისადმი გამორჩეული მხარდაჭერისათვის);

– საქართველო დააბრუნა რუსულ იმპერიულ სივრცეში – დსთ-ში;

– დაანიავა საქართველოს ქონება (სახელმწიფო ქონების პრიხვატიზაცია!);

– გარყვნა პოლიტიკური სპექტრი...

საბოლოო ჯამში, პუტჩისტურმა უკანონო ხელისუფლებამ წყალი დაასხა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ინტერესებს (არა მხოლოდ დსთ-ში შესვლის გამო!). აქვე აღვნიშნავ, რომ ადამიანურად ნამდვილად მესმის რუსეთის აგრესიის მხარეს ნებსით თუ უნებლიეთ მყოფთა

თავის მართლების მცდელობა, მაგრამ კაენურ კალაპოტში ბოლომდე ყოფნას ნამდვილად ჯობია მოვლენების ადეკვატურად გააზრება და მონანიება... ვინც არ ინანიებს, მისი ქმედება სასამართლოს წესით უნდა შეფასდეს; საერთოდ, სასამართლოს წესით უნდა შეფასდეს კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და პრეზიდენტის მკვლელობის ფაქტები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეწყობა ხელი საზოგადოების კონსოლიდაციას, პოლიტიკური სპექტრის დაწმენდას და, რაც მთავარია, თანამედროვე თუ მომავალი თაობებისათვის სწორი ორიენტირების წარმოჩენას.

დროა, ვინც დღემდე ცოცხლები დავრჩით, ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები და ბოლომდე ვთქვათ სიმართლე; ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ახლა მაინც გავერთიანდეთ გარეშე მტრისა თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ.

საქართველო ახლა დე იურე დამოუკიდებელია, მაგრამ დამოკლეს მახვილივით კიდია საქართველოს თავზე რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებისაგან მომდინარე საფრთხეც და რუსეთის დაუოკებელი სურვილი, გუიმრის ბაზამდე ჰქონდეს მის მიერ კონტროლირებადი სახმელეთი გზა, რომ ისევ სრულად აკონტროლოს კავკასია, როგორც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური სივრცე.

სამომავლოდაც არსებითია: საქართველომ დეოკუპაციას უნდა მიაღწიოს მშვიდობიანი გზით და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით (კატასტროფით დამთავრდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიც!);

საქართველოში მოხდეს პოლიტიკური სპექტრისა და მოსახლეობის სრული კონსოლიდაცია გარეშე მტრის/მტრების აგრესიებისგან თავდასაცავად.

22 აპრილი, 2017

## ორმაგი მოქალაქეობის ერთი წახნაგი

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს,

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ მიხეილ ჯანელიძეს

დღეს, 25 სექტემბერს, ტარდება საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სხდომა, რომლის დღის წესრიგის პირველი საკითხია "უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან და ქართულ სათვისტომოებთან ურთიერთობის კუთხით საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა; ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების მიმოხილვა; ქართული ემიგრაციის პრობლემატიკის გადაჭრის მიზნით სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროექტები და ღონისძიებები".

მოგმართავთ ერთი კონკრეტული წინადადებით:

ბოლო წლებში ნეგატიური პოლიტიკური დისკურსის (რბილად რომ ვთქვათ!) თემად იქცა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხი; არადა, ეს თემა ძალიან მტკივნეულია იმ ადამიანებისათვის, რომელთა წინაპრებიც საუკუნეების წინ იძულებით გადაასახლეს ირანსა თუ თურქეთში; კერძოდ, ირანსა და თურქეთში დეპორტირებულ ქართველთა თუ მუჰაჯირთა შთამომავლებმა მრავალი ტანჯვა და დიდი ფსიქოლოგიური წინააღმდეგობები გადალახეს საკუთარი იდენტობის გადარჩენისა თუ ძიების პროცესში.

საქართველოს უკვე აქვს გამოცდილება მესხეთიდან დეპორტირებულთა რეპატრიაციის მიმართულებით; კერძოდ, საქართველომ ანგარიში გაუწია საერთაშორისო კონვენციებს, ასევე, ისტორიულ რეალობას და 1944 წელს დეპორტირებული ადამიანების იმ შთამომავლებს, ვინც სურვილი გამოთქვა, მიეცა შესაძლებლობა, დაბრუნდეს საქართველოში.

საქართველოს უსაფრთხოების მიმართულებით თუკი რაიმე პრობლემა არ ექნებათ, რატომ არ უნდა მიეცეთ მსგავსი შესაძლებლობა იმ ადამიანთა შთამომავლებს, რომლებიც იძულებითა თუ პროვოცირებით გადაასახლეს ირანსა თუ თურქეთში?

გთავაზობთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ – ტაო-კლარჯეთში, ლაზეთში, ჰერეთში...

მცხოვრები ავტოქთონი ქართველებისათვის (რომლებიც პოლიტიკური ავზედობის გამო აღმოჩნდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებად), ასევე, ირანსა და თურქეთში იძულებით (თუ პროვოცირებით) გადასახლებული ქართველების შთამომავლებისათვის შევიმუშაოთ სამსაფეხურიანი მიდგომა:

1. სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, თუკი სპეციალური სამსახურებისაგან რაიმე კონკრეტული უარი არ იქნება, საქართველოდან ირანში დეპორტირებულთა და მუჰაჯირთა შთამომავლებს, ვინც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, მიეცეთ საქართველოში დაბრუნებისა და ცხოვრების უფლება მოქალაქეობის ავტომატურად მინიჭებით (იმ შემთხვევაში, თუკი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობას დასჯერდებიან);

2. საქართველოდან დეპორტირებული და სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ორმაგი მოქალაქეობის თემა განვიხილოთ დეპორტაციისა და რეპატრიაციის კონტექსტშიც; ამ მიმართულებით გავააქტიუროთ ამჟამად შეზღუდულად არსებული თანამემამულის სტატუსი, როგორც გარდამავალი საფეხური.

პატივისცემით, პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე**

**P.S.** 25 წელია ვმუშაობ საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ავტოქთონი ქართველების, ასევე, ირანში დეპორტირებული და თურქეთში პროვოცირებით გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველებაზე; როგორც ამბობენ, "ფეხდაფეხ მაქვს მოვლილი" ირანისა და თურქეთის ყველა ქართული სოფელი; შესაბამისად, ვიცი, რამდენი ღირსეული ქართველია ამ ქვეყნებში (ასევე, სხვაგანაც!); ასევე, ყველამ იცის, რა რთულ დღეშია ბევრი ჩვენი თანამემამულე, რომლებიც იძულებული გახდნენ, საქართველო დაეტოვებინათ 1992-93 წლებში საქართველოს გარედან ორგანიზებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ.

25 სექტემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## კუმურდო

არ უნდა დავუშვათ კონფლიქტი; ჯობია, მოვითმინოთ!

უეჭველია, რომ კუმურდოს საეპისკოპოსო ძველთაძველი ქართული საეპისკოპოსოა; მაგ., XVI საუკუნეში შექმნილი დოკუმენტის – სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხის – ცნობით, კუმურდოელის სამწყსო მთელი ჯავახეთია ხერთვისიდან ხვეთამდე. ამ საბუთში ჩამოთვლილ 13 ეპისკოპოსში კუმურდოელი მეორე ადგილზეა... ეს ქართული წარწერებიც ხომ უტყუარი დოკუმენტებია!

ზოგადად, სხვისი მიწა-წყლის დაპყრობა მზადდება ენობრივ-ეთნიკური ისტორიისა და კულტურის ისტორიის გაყალბებით. გაყალბებას სდევს ხოლმე გრძელვადიანი კონფლიქტი.

სომხების დიდი ნაწილი (იმედია, ყველა სომეხი არა) აყალბებს და აყალბებს ჩვენს ისტორიას, მაგრამ, რადგანაც, გასასვლელი არა აქვთ ზღვაზე და არც უშუალო საზღვარი არა აქვთ სხვა მეგობრულ სახელმწიფოსთან, თავისი ნებით ჩვენთან კონფლიქტს ვერ დაიწყებენ, რუსებმა თუ არ უბრძანეს!

ახლა რუს პოლიტიკოსებს (და არა – ხალხს, იმედია) უნდათ საქართველოში კონფლიქტის პროვოცირება, რომ საბოლოოდ დაბლოკონ ჩვენი სწრაფვა დასავლური სამყაროსაკენ. შდრ.:

რუსების იმპერიული ამბიციები შეილახება, თუკი ჩვენ დავტოვებთ რუსულ იმპერიულ სივრცეს და საფრთხე საბოლოოდ შეექმნება რუსულ სამხედრო ბაზებს კავკასიაში (განსაკუთრებით გუიმრის ბაზას!).

არადა, რუსული იმპერიული ველიდან თუკი არ გავა საქართველო, მთელი საქართველო დაემსგავსება რუსების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს – ამჟამინდელ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეს – ქართველ ერს დაემუქრება დიდი კატასტროფა.

აქტიური დასავლური მხარდაჭერა აუცილებელია ამ სიტუაციაში; მით უმეტეს, დღეს რუსეთს

ძალიან ახლო დისტანციით “ეხუტება” თურქეთი, რაც ჩვენთვის მძიმე შედეგებით შეიძლება დასრულდეს (თუკი თურქეთი საბოლოოდ იტყვის უარს დასავლურ კურსზე).

ერთი სიტყვით, ბუნებრივი ემოციები მოვთოკოთ! არ უნდა დავუშვათ კონფლიქტი სამხრეთ საქართველოშიც და, ჯობია, მოვითმინოთ!

3 ოქტომბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## უკანონო წარმონაქმნი

ერთმა ახალგაზრდა კაცმა – დიმიტრი შაინიძემ – მომწერა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო აჭარის ავტონომიასთან მიმართებით. ჩემი სტუდენტობა გამახსენდა :) სტუდენტობისას დავიწყე ამ მიმართულებით ფიქრი და წერა. თავიდან მხოლოდ რამდენიმე კაცმა დამიჭირა მხარი; შემდეგ ზვიად გამსახურდიამ ამ თემაზე ჩემი წერილი დააბეჭდვინა “ახალგაზრდა ივერიელად” ახალგადაკეთებულ “ახალგაზრდა კომუნისტს”... ბოლოს კი მთელი აჭარა იყო წინააღმდეგი მხოლოდ ჩინოვნიკთათვის სასარგებლო ამ უკანონო წარმონაქმნისა, მაგრამ... დაახლოებით ასეთი იყო, სულ მცირე, 30 წლის წინ დაწერილი იმ წერილის მოკლე შინაარსი:

აჭარის ავტონომია შეიქმნა ლენინ-სტალინის ბოლშევიკური რუსეთისა და ათათურქის თურქეთის ანტიქართული გარიგებით; კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

ხელისუფლების იგნორირებით ორმა აგრესორმა 1920 წელს მოსკოვში გადაინაწილა კავკასიაც. მოსკოვის შეთანხმების შემდეგ საქართველოს ერთ ნაწილზე თავისი ძალაუფლება ძალმომრეობით გაავრცელა რუსეთმა, მეორე ნაწილზე კი – ათათურქის თურქეთმა. **ამავე ანტიქართული გარიგებით,** აჭარის ტერიტორია ავტონომიად გამოცხადდა (შდრ.: მენშევიკები გეგმავდნენ, ავტონომიის სახით დაეფიქსირებინათ ე.წ. მთელი სამუსლიმანო საქართველო: აჭარა, ტაო, ლაზეთის ნაწილი, შავშეთი, ლივანა, მაჭახელი, ერუშეთი).

მოსკოვის ანტიქართული შეთანხმება 1921 წელს ლენინმა და სტალინმა დაადასტურებინეს (/ხელი მოაწერინეს) ამიერკავკასიის სამივე მარიონეტულ ბოლშევიკურ რეჟიმს (უკანონო მთავრობებს).

შესაბამისად, აჭარის ავტონომიის შექმნა თავიდანვე იყო უკანონო. გარდა ამისა, ზოგადად, ნონსენსია ქართველთა ავტონომია საქართველოში, ფრანგთა ავტონომია საფრანგეთში, რუსთა ავტონომია რუსეთში... ახლა ვამატებ: დღეს არანაირი იურიდიული საფუძველი არა აქვს არც თურქეთს, არც რუსეთს, საქართველოს შინაურ საქმეში ჩაერიოს და თავისი პოზიცია გამოხატოს თავიდანვე უკანონოდ შექმნილი ავტონომიის შესახებ:

ეს მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის მოსახლეობის უფლებაა.

ამ უკანონო წარმონაქმნის რეფერენდუმით გაუქმების რეალური შანსი იყო 1991 წელს, მაგრამ მაშინ ეს ავტონომია დაიცვა რუსეთმა თავისი აგენტურის დახმარებით (მათი დიდი ნაწილი დღეს რუსეთში ცხოვრობს); საერთოდ, საქართველოს ავტონომიებს საქართველოს წინააღმდეგ უფრო იყენებს რუსეთი!

რაც შეეხება თურქეთს: თურქეთის გარკვეული რეაქციული ძალების მცდელობა, საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს ავტონომიისა და რელიგიის თემა, უფრო არის კავკასიაში რუსეთის გაბატონებისათვის ხელშემწყობი პროვოკაცია (და არა პროთურქული აქტივობა!).

ფაქტია: აჭარაში არაიშვიათად ერთ ოჯახში ძმურად არიან ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც. აჭარა ქრისტიანობის უპირველესი კერაა (მსოფლიოში პირველი ეკლესია აიგო დიდაჭარაში!), მაგრამ მუსლიმანებიც მშვიდად ცხოვრობენ; შესაბამისად, ყოვლად ულოგიკოა ქართველთა ავტონომია საქართველოში!

დღეს თუ ხვალ **საქართველოში ქართველთა** ალოგიკური ავტონომიის არსებობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აჭარის მოსახლეობის ნების გათვალისწინებით **მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საამისო პირობები შეიქმნება საერთაშორისო პოლიტიკის გათვალისწინებით.**

9 თებერვალი, 2018

# ეროვნება/მოქალაქეობა: ქართველი

არ წყდება კამათი, ეწეროს უნდა თუ არა საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნება? კერძოდ:

ეთნიკურ ქართველს – ქართველი,

ეთნიკურ სომეხს – "სომეხი",

ეთნიკურ რუსს – "რუსი",

ეთნიკურ აზერბაიჯანელს – "აზერბაიჯანელი",

პანკისელ ქისტს – "ჩეჩენი",

ეთნიკურ უდს – "უდი",

ეთნიკურ ასირიელს – "ასირიელი"...

ჩემი მოკლე პასუხი: არა!

მაგ., მარნეულში მცხოვრებ ბორჩალოელ თათარს (თურქულენოვან პიროვნებას), რომელსაც არასოდეს უცხოვრია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რატომ უნდა ჩავუწეროთ ეროვნებად "აზერბაიჯანელი"? უკეთესი არ იქნება "ბორჩალოელი" ("აზერბაიჯანელთან" გათანაბრებას ნამდვილად აჯობებს)?

ანდა, პანკისის ხეობის მცხოვრები ქისტი რატომ უნდა იწერებოდეს ეროვნებით "ჩეჩენად", რომელიც წარმოშობით შეიძლება ინგუში იყოს? საუკუნეების მანძილზე ქისტად იხსენიება ჩეჩენიც და ინგუშიც.


ან კიდევ: მთელი მსოფლიო ჩვენ მიერ სომხებად წოდებულ ეთნოსს "არმენს" უწოდებს. არქაულ ქართულ ენაში ეთნონიმი "სომეხი" აღნიშნავდა ქართველთა მონათესავე ხალხს –

ურარტუელებს და არა – ინდოევროპულ ენაზე მოსაუბრე არმენებს.

**ამ ზოგადი შესავლის შემდეგ ვამბობ: ეთნიკური წარმომავლობა პირადობის დოკუმენტში არ უნდა ჩაიწეროს! საქართველოს ყველა მოქალაქეს, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში უნდა ჩაეწეროს "ქართველი", ისევე როგორც მთელ მსოფლიოშია მიღებული (ევროპაშიც, აზიაშიც...); მაგ., საფრანგეთის ყველა მოქალაქეს უწერია "ფრანგი"; თურქეთის ყველა მოქალაქეს ეროვნების /Nationality/ გრაფაში უწერია "თურქი" და სხვ.**

**მაშასადამე, საქართველოს ყველა მოქალაქეს პასპორტში (თუ პირადობის მოწმობაში) უნდა ეწეროს:**

**ეროვნება /ან მოქალაქეობა: ქართველი; შდრ., თურქული და ქართული პასპორტების ეროვნების (Nationality) თუ მოქალაქეობის გრაფა:**




საინტერესოა, საქართველოს დოკუმენტში მოქალაქეობის გრაფაში რატომ წერია საქართველო/ Georgia? საქართველო Georgia ხომ თავშივე აწერია ამავე ფურცელს?

ვფიქრობ, საქართველოს პასპორტშიც ეროვნებისა თუ მოქალაქეობის გრაფაში უნდა ეწეროს:

ქართველი Georgian. თუ იქნება ეროვნების Nationality /და არა – მოქალაქეობის/ გრაფა, შესაძლებელია შემოკლებული ვარიანტიც: GEO

20 თებერვალი, 2018

# აბესალომ ასლანიძის გვერდზე მიმდინარე დისკუსიის შესახებ

ბატონო აბესალომ,

შეხვედრას მაშინ აქვს აზრი, როცა ადამიანებს შორის აზრთა სხვადასხვაობაც არის და საერთო ორიენტირებიც (/საერთო მიზნებიც). თქვენი წინა ჩანაწერების გამო წამოჭრილი დისკუსიითაც გამოჩნდა, რომ აჭარაში /ზოგადად, საქართველოში/ აზრთა სხვადასხვაობაა და აჭარის მოსახლეობისა თუ, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის სახელით ლაპარაკის უფლება არც ერთ ჯგუფს არა აქვს.

როგორც წესი, ჯანსაღი დისკუსია მაშინაა, როცა ადამიანებს, განსხვავებული თვალსაზრისების მიუხედავად, მთავარი მიზანი აქვთ საერთო; დავაკონკრეტებ: ჩვენი დისკუსიის შემთხვევაში გამოჩნდა, რომ მოკამათეთა ნაწილი შემოიფარგლება მხოლოდ პირადი ინტერესით, ნაწილი პირადი და რელიგიური ინტერესებით განსჯის სხვებს, მესამე ნაწილს აქვს პირადიც, რელიგიურიც და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესიც... ვისთვისაც სახელმწიფოებრივი (/ეროვნული) ინტერესია პრიორიტეტული, ის ყოველთვის მზადაა გონივრული კომპრომისისათვის, დიალოგისათვის, კონსოლიდაციისათვის ("ღმერთი აერთიანებს, ეშმაკი ყოფს").

ღმერთი ერთია! თუმცა, პირადად, მე მირჩევნია ჩემს ენაზე ვილოცო; სხვას სხვა ენაზე ლოცვა ურჩევნია – სხვა რიტუალთა სისტემა მოსწონს... მთლიანობაში, ყველას აქვს უფლება, თავისი არჩევანი გააკეთოს; შესაბამისად, ნურავის განვსჯით; მთავარია, რელიგიური გრძნობების პოლიტიზება და ქართველთა დაპირისპირების გარედან პროვოცირება აღარ მოხდეს (პირადად, ჩემთვის უეჭველია: ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის აგების თემა მიზანმიმართულადაა პოლიტიზებული!).

აღვნიშნავ იმასაც, რომ აჭარა, საქართველოს ეს მარგალიტი, მსოფლიოს უნიკალური კუთხეა რამდენიმე მიზეზის გამო (აქ სამს დავასახელებ):

1. ისტორიული წყაროების მიხედვით, ზემო აჭარაში აიგო მსოფლიოში პირველი ქრისტიანული სამლოცველო; "ქართლის ცხოვრების" ეს ცნობა ვინმეს თუ არ სჯერა, სხვა მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი კერა არის აჭარა და პირადად, მე ძალიან მეამაყება ეს ისტორია.

2. ბოლო ათწლეულების მსოფლიოსთვის უნიკალურია ის, რომ აჭარაში ამდენი მასობრივი ნათლობა მოხდა: ბევრი ადგილობრივი ქართველი – აჭარელი – დაუბრუნდა წინაპრების რელიგიას – ქრისტიანობას; ეს არ მომხდარა რელიგიური ფანატიზმის ფონზე; მასობრივი ნათლობები განაპირობა ისტორიული კულტურის, როგორც ეროვნული იდენტობის საფუძვლის, გააზრებამ.

3. აჭარაში მრავალი ოჯახია, სადაც სრული ჰარმონიით ერთ ოჯახში ცხოვრობს ქრისტიანი, მუსლიმანი და ათეისტიც კი. ნამდვილადაა დაცული ყველას პიროვნული თუ რელიგიური უფლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და იმიტომაც, რომ ერთი სამშობლო, ერთი სისხლი, ერთი დედაენა და ერთი ისტორიული ფესვი გვაქვს, არ უნდა დავუშვათ მეტი პოლარიზება; ურთიერთპატივისცემასა და დიალოგს ალტერნატივა არა აქვს! ვინც სიტუაციის დაძაბვისაკენ მიზანმიმართულად მიდის, ის უნდა განაპირდეს (ასეთებსაც აქვთ არსებობის უფლება).

ზოგადად, ყველა ვალდებული ვართ, გავუფრთხილდეთ ჩვენს უნიკალურ კუთხესაც, ქართველი ერის ერთიანობასაც და, რაც მთავარია, გავითვალისწინოთ საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები.

14 მარტი, 2018

# ჩემი რეაქცია ინგა გრიგოლიას 3 ივლისის პროვოკაციულ "რეაქციაზე" ანუ პრორუსები, ფსევდოლიბერალები და საქართველოს სწორი არჩევანი

დღეს საქართველოს მეხუთედი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ოკუპანტები ყოველდღიურად ცინიკურად იტაცებენ და ღირსებას ულახავენ საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ ქართველებს; მცოცავი ანექსიით დასცინიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას. შდრ.:

ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად უჭერენ მხარს საქართველოს დეოკუპაციას არაღიარების პოლიტიკით (როგორიც ჰქონდათ ბალტიის სახელმწიფოების მიმართ 1940-1991 წლებში). მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერითაა შესაძლებელი აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

სრულიად უგნური ან საქართველოს მტერი უნდა იყოს ადამიანი, რომ მეგობარ სახელმწიფოდ გამოაცხადოს რუსეთის ამჟამინდელი იმპერია; შესაბამისად, რუსეთისაგან დაფინანსებული ჯგუფები ცდილობენ, ერთნაირ მტრებად გამოაცხადონ რუსეთი და ცივილიზებული დასავლეთი. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ერთი "საფირმო" მახასიათებელიც აქვთ: **აცხადებენ, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაამხო არა რუსეთმა, არამედ – ამერიკამ.**

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკა რომ ვერ ჩაჯდა მალტის გარიგების (გადანაწილების!) კონტექსტში, ეს ფაქტია: ჩვენ გვსურდა საქართველოს დამოუკიდებლობა და არა რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიაში – დსთ-ში – დარჩენა; ამიტომაც დაამხო ჩვენი ხელისუფლება რუსეთმა (რუსეთმა ასევე, დაამხო ელჩიბეისა და დუდაევის ხელისუფლებები), რამდენადაც საქართველო რუსეთს აკარგვინებდა კავკასიაზე კონტროლს. ვიმეორებ, უეჭველი ფაქტია:

რეალურად ჩვენი ხელისუფლება დაამხო, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდი განახორციელა, პრეზიდენტი მოკლა და საქართველოს ნაწილის ანექსია მოახდინა რუსეთმა – ამ ფაქტს ვერავინ შეცვლის; ამიტომ, ჩვენი საზოგადოების დეზორიენტირების მიზნით (საინფორმაციო ომი!) **დღეს პრორუსებისაგან არის მცდელობა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი და საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს სახელი გამოიყენონ საქართველოს მეგობარი დასავლეთელი პარტნიორების წინააღმდეგ.**

ზუსტად იგივე პირები ცდილობენ, დაუსაბუთებელი ბრალდებებით ჩირქი მოსცხონ იმ ცნობილ სასულიერო თუ საერო მოღვაწეებს, რომლებიც ღიად აფიქსირებენ, რომ **რუსეთი არის ოკუპანტი;** მაგ., გუშინ მღვდელმა გიორგი აბდუშელიშვილმა სასულიერო პირისათვის შეუფერებელი ლექსიკით ილაპარაკა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქორეპისკოპოსის, ბოდბელი ეპისკოპოსის, ყოვლადუსამღვდელოესი მეუფე იაკობის შესახებ.

მეუფე იაკობს ვიცნობ 8 წელია. ზუსტად ვიცი, რომ მეუფე იაკობი დიდ პატივს სცემს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის ოჯახს. ვიცი, რომ მეუფე იაკობი არასოდეს ყოფილა მხედრიონის წევრი. ფაქტია ისიც, რომ მეუფე იაკობის კურთხევით, დაფინანსებით, ქართული უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის რედაქტორობით და ჩემი პროექტით გამოიცა წიგნი: **"საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი"** (წიგნი მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს; წიგნი მომზადდა ბ-ნი თემურ მურვანიძის, ქ-ნი მანანა ტაბიძის, ბ-ნი ჯონი ხეცურიანის აქტიური თანამშრომლობით).

სრული საფუძველი მაქვს ვთქვა: მეუფე იაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი რამდენიმე ვიზიტის გამო, სადაც მეუფემ განაცხადა, რომ რუსეთი არის ოკუპანტი.

პირადად, მე ვერ ვენდობი სასულიერო პირს, რომელმაც ინგა გრიგოლიას გადაცემაში დაუსაბუთებელი ბრალდებებით (მარხვაში!) თავი დააყენა ეკლესიის მიღმა, როცა განაცხადა (მოგვყავს ზუსტი ციტირება):

– "საპატრიარქო გაემიჯნა ქართველ ხალხს";

– "საპატრიარქო იტყუება";

– “მეუფე იობს პატრიარქმა არ მისცა უფლება, რუის-ურბნისში ჩაეტარებინა კრება”, “მეუფე იობს კურთხევას არ აძლევს იაკობ იაკობიშვილი”;

– “უნდა გავუშვათ ეს მთავრობა”...

მთავრობის გაშვებაზე საჯარო განცხადებების კეთება ნამდვილად არ არის სასულიერო პირის მოღვაწეობის სფერო. რაც მთავარია, ფაქტია: არსებული მთავრობაც აცხადებს, რომ საქართველოსათვის დღეს რუსეთი არის ოკუპანტი.

მამა გიორგი აბდუშელიშვილმა წაიკითხა ნაწერი ტექსტი საქართველოში არსებული პრობლემების შესახებ; მე გარკვეულწილად განსხვავებული ჩამონათვალი მაქვს; კერძოდ:

– რუსული ოკუპაცია (უპირველესი პრობლემა!),

– ფსევდოლიბერალების მიერ ქართული ფასეულობების, მათ შორის, დედაენისა და დედაეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა,

– დემოგრაფიული კატასტროფა,

– ბიზნესელიტის უზრუნველობის ფონზე ხალხის უკიდურესი გაჭირვება,

– ნიჭის, გონებისა და მუშახელის გადინება,

-ქართული მიწის გაუმართლებელი გასხვისება,

– განათლებისა და კულტურის სფეროში სწორი სახელმწიფოებრივი ორიენტირების არარსებობა,

– საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის რთული პირობების არსებობა,

– საბანკო მევახშეობა...

**ამ პრობლემების მოგვარება შეუძლებელია ახალი პუტჩითა თუ ერსა და ბერში ახალი განხეთქილებების ინსპირირებით; ანდა, საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე რუსეთის აგრესიისა და დასავლეთის პასიურობის გათანაბრებით.**

აქვე აღვნიშნავ: **შემთხვევითი არ იყო, რომ გადაცემა “რეაქციაში” გიორგი აბდუშელიშვილის განცხადებები რუსული ინტერესების გატარების მცდელობად მონათლა ტელეჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ.**

პატივცემულო მკითხველო, საქართველო დღეს დიდი გამოწვევების წინაშეა სწორედ რუსული ოკუპაციის გამო და ფსევდოლიბერალიზმის გააქტიურების გამო; ეს ორივე საფრთხე ერთი ცენტრიდან იმართება! შესაბამისად, ჩვენი სწორი არჩევანი იქნება, თუკი, დაპირისპირების ნაცვლად, საქართველოს მოქალაქეები წარსულ შეცდომებს ერთმანეთს მივუტევებთ და დღეს მაინც კონსოლიდაციისაკენ წავალთ.

**დასასრულს კიდევ ერთ ფაქტს შევეხები:** ინგა გრიგოლიას სტუმარი სასულიერო პირი, დაუპირისპირდა რა საპატრიარქოს, თავის თანამოაზრეებად გამოაცხადა ჩემი რამდენიმე მეგობარი; კერძოდ, ცნობილი პოეტები: **თემურ ჩალაბაშვილი და ტარიელ ხარხელაური; საქართველოს სამეფო კლუბის დამფუძნებელი გია მამალაძე** და სხვები.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: დასახელებული ჩემი მეგობრები ნამდვილად არ არიან მისი თანამოაზრენი; მისი თანამოაზრენი არ არიან არც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ის წევრები, რომელთანაც მე მაქვს ურთიერთობა (და ასეთები დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ). ჩვენი ერთობლივი პოზიცია ასეთია:

**დღეს თუ არა ხვალ საქართველოში სასამართლოს წესით სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს 1992-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლების დამხობასა და გამოძიებულ უნდა იქნას პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის უპირველესი ამოცანა არის დეოკუპაცია და საქართველოს სახელისუფლებო შტოების განთავისუფლება ფსევდოლიბერალიზმის “საყმაწვილო” სენისაგან.**

**გაუმარჯოს ქართული ტრადიციული ფასეულობის დამცველ ერთიან და ძლიერ საქართველოს სახელმწიფოს!**

**P.S. არის მომენტი, როდესაც ნეიტრალიტეტი დანაშაულის ტოლფასია!**

4 ივლისი, 2018

# ახალი უსაფუძვლო აჟიოტაჟი აჭარის გარშემო

განახლდა აჟიოტაჟი ბათუმში დიდი მეჩეთის მშენებლობის გამო. ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია, თუმცა, რამდენიმე გარემოებას აღვნიშნავ:

1. ზოგი წერს, რომ ოსმალეთისა და სპარსეთის ბატონობის პირობებში სომხებმა შეინარჩუნეს რელიგია, ქართველები კი სუსტები აღმოვჩნდით...

გვიანდელი ირანიც და ოსმალეთიც განსაკუთრებით ებრძოდნენ მართლმადიდებლობას, როგორც ძლიერი მეტოქისა (ბიზანტიის იმპერიის) თუ დაუმორჩილებელი საქართველოს რელიგიას; სომეხთა რელიგია კი ადაპტირებული იყო ოსმალო და სპარსელ დამპყრობლებთან; კათოლიკობის დამცველი კი რომი იყო.

შესაბამისად, განსაკუთრებული დაწოლის გამო მოხდა ქართველთა გამუსლიმანება, მაგრამ მათ ქართველობა შეინარჩუნეს (დედაენის შენარჩუნებით).

2. აჭარაში არის სამასამდე მეჩეთი; არავინ უშლის ხელს არც მუსლიმანობას, არც ათეიზმს, არც მართლმადიდებლობას (ე.წ. ამერიკული მულტიკულტურულობა კი ნამდვილად არა გვაქვს საქართველოში, მით უმეტეს, მის ერთ-ერთ კუთხეში – აჭარაში!).

3. საკუთრივ, ბათუმში მცხოვრები ადგილობრივი მუსლიმანებისათვის სრულიად საკმარისია არსებული მეჩეთი, თუმცა, ამდენი მუსლიმანი სტუმრისათვის, შეიძლება მართლაც არ იყოს საკმარისი; შესაბამისად ჩნდება კითხვა:

– სტუმრებისთვის ვინ აშენებს სალოცავს?

მთავარია, ხელს არავინ უშლის სტუმრებს, აღასრულონ თავიანთი რელიგიური რიტუალი.

4. ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის მშენებლობა უფრო გარკვეული რადიკალიზებული ძალების პოლიტიკური სპეკულაციის თემად იქცა და დიდი ხანია გასცდა მხოლოდ აღმსარებლობის თავისუფლების თემას; ხაზგასმით ვამბობ: აჭარაში არ ილახება მუსლიმანთა უფლებები; მეტიც, საქართველოს ეს კუთხე მსოფლიოში ყველაზე ტოლერანტული ადგილია, რამდენადაც აქ ბევრია ოჯახი, სადაც ერთად ცხოვრობს მუსლიმანი და ქრისტიანი.

ეს უნიკალურობა იჩქმალება ბნელი ძალების მიერ პოლიტიზებული ამ თემით.

5. ზუსტად ვიცი ისიც, რომ საქართველოს არცერთი ხელისუფლება, არც თურქეთის საელჩო დაინტერესებული არ არის თემის ესკალაციით (ამ თემაზე არაერთხელ მქონდა საუბარი თურქეთის საელჩოს წარმომადგენლებთან).

6. სადმე თუ ცხოვრობენ საქართველოს ერთგული ქართველები, ყველაზე მაღალი პროცენტით აჭარაში ცხოვრობენ, რამდენადაც აჭარაში ქართველობამ ოთხასწლოვანი ოსმალური თუ რუსული ოკუპაციის პირობებში შეინარჩუნა ქართული იდენტობა და აღზარდა ბევრი ჩემზე უკეთესი ქართველი (მათ შორის ბევრია მუსლიმანი!).

7. ამ აჟიოტაჟით მოგებული მხოლოდ პრორუსული ძალები არიან.

**P.S.** დავუშვათ და ბათუმში არსებული მეჩეთი მართლაც არ ყოფნის ბათუმის მკვიდრ მუსლიმანებს; არის მარტივი გამოსავალი (ადრეც დავწერე ამის შესახებ):

როგორც პატარ-პატარა ეკლესიები შენდება უბან-უბან ქრისტიანი მრევლისათვის, ასევე შეიძლება აშენდეს მოცემულ უბანში რეალურად მცხოვრები მორწმუნეების (/მრევლის) საჭიროების მიხედვით პატარა მუსლიმანური სამლოცველოები და ეს თემა ანტიქართული ძალებისგან არ უნდა პოლიტიზდეს რადიკალი ისლამისტების მიერ გრანდიოზული მეჩეთის მოთხოვნით თუ საპასუხო რადიკალიზმით ("დიდი მეჩეთი" უკვე პროისლამისტური პოლიტიკის ლოზუნგია და არა – რელიგიური).

რელიგიის თავისუფლება რომ არის აჭარაში, ზოგადად, საქართველოში, ეს საეჭვო არაა, მგონი.

**PP.S.** ეს ყოველივე საქართველოს საშინაო საქმეა და თურქეთის გარკვეული ძალების ამ მიმართულებით აქტიურობა თავად თურქეთისთვის იქნება პრობლემური სამომავლოდ.

24 ივლისი, 2018

## ტერმინი "რეგიონი" და რეგიონალიზმი, როგორც საქართველოს დანაწევრების გზა

დღეს ყველა წარამარა იყენებს უცხო სიტყვას "რეგიონი". კარგი იქნება, გამოვიყენოთ ქართული სიტყვები: მხარე, კუთხე...

"რეგიონი" ჩვენს სინამდვილეში დამანგრეველი ტერმინია; და ნებსით თუ უნებურად, ამ ტერმინის გამოყენებით ხელს ვუწყობთ საქართველოს დანაწევრებას; შდრ.:

რეგიონ-ი – მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან: regio (regionis), რომელიც ნიშნავს: "ქვეყანას", "მხარეს", "ოლქს". თანამედროვე ლექსიკონებში ამ სიტყვას რამდენიმე კონკრეტული მნიშვნელობა აქვს; მაგ., ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით

/http://oxforddictionaries.com/definition/english/region...

1. მსოფლიოს ან ქვეყნის რომელიმე ნაწილი კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრების გარეშე;

შდრ.: კავკასიის რეგიონი; საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონი.

2. დედაქალაქის გარეთ არსებული ეკონომიკურ-ინდუსტრიული, ეკოლოგიური... სივრცე კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრების გარეშე;

3. ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეული თავისი კონკრეტული საზღვრებითა და ხელისუფლებით, ზოგჯერ პრეზიდენტითაც კი (მაგ., ლოზანას ჰყავს თავისი პრეზიდენტი (იტალია).

რეგიონის განსხვავებულ განმარტებებს შეესაბამება ტერმინ რეგიონალიზმის სხვადასხვა გაგებაც; იხ., ვებსტერის ლექსიკონი /http://www.merriam-webster.com/dictionary/regionalism

– consciousness of and loyalty to a distinct region with a homogeneous population.

ლოიალურობის განცდა გამორჩეული რეგიონის მიმართ, სადაც ერთგვაროვანი მოსახლეობაა დასახლებული.

– development of a political or social system based on one or more such areas

პოლიტიკური ან სოციალური სისტემის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ერთ ან რამდენიმე მსგავს ადგილზე.

– emphasis on regional locale and characteristics in art or literature.

ხაზგასმა რეგიონულ ადგილმდებარეობაზე და მახასიათებლებზე ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში.

– a characteristic feature (as of speech) of a geographic area.

გეოგრაფიული ადგილის დამახასიათებელი თვისება ( როგორიცაა მეტყველება).

"რეგიონისა" და "რეგიონალიზმის" წარმოდგენილი განმარტებების ფონზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული მასმედია და პოლიტიკური სპექტრი არასწორად იყენებს ტერმინს: რეგიონი.

შდრ.: თვითმმართველობის დონეზე "რეგიონის" ქვეშ იგულისხმება მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქები (სულ 69, აქედან 5 – თვითმმართველი ქალაქი).

მმართველობის დონეზე "რეგიონად" განიხილება სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის – კომპეტენციების გავრცელების ტერიტორიული არეალი" /http://icsrpa.org.ge/images/DR_Geo.pdf/.

აშკარაა, რომ საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური ელიტის ნაწილი ტერმინ რეგიონის ქვეშ გულისხმობს "კონკრეტული საზღვრების მქონე ადმინისტრაციულ ერთეულს" ...

საყურადღებოა ისიც, რომ წლების მანძილზე ცენტრალური არხები სხვადასხვა პოპულარული გადაცემებით პროპაგანდას უწევდნენ საქართველოს ფეოდალური კუთხეების სახელებისა თუ კუთხურ-ფეოდალური ცნობიერების აღორძინებას.

მთლიანობაში, მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მოსახლეობას ტერმინ

"რეგიონალიზმით" ფსიქოლოგიურად ამზადებენ ფედერაციული თუ კონფედერაციული მოწყობისათვის.

აქვეა საინტერესო საქართველოს შესახებ ევროსაბჭოს ერთ-ერთი ოფიციალური განცხადების სათაურიც:

"ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია საქართველოში"

http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/news/2013_20_03_ge.asp

26 ივლისი, 2018

## რა ხდება აჭარაში?!

ბევრი გონიერი ადამიანიც კი დააბნია ახალაგორებულმა მეჩეთის თემამ და ნაკაიძის მუქარამ.

მეკითხებიან:

– რა ხდება აჭარაში?

პასუხი:

– აჭარაში ისეთი არაფერი ხდება, რაც არ ხდება თბილისში, კახეთში, ქუთაისში...

აქ, აჭარაში დიდებული ქართველები ცხოვრობენ და უძლებენ ყველა ჯურის რადიკალების შემოტევას. განსხვავებული ისაა, რომ მსოფლიოში საქართველოს ეს კუთხე – აჭარა – ერთადერთი ადგილია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი (პროცენტულად) ინტენსიურად უბრუნდება თავისი წინაპრების რელიგიას – ქრისტიანობას. ამას ვერ ეგუებიან საქართველოს მტრები და ცდილობენ, სახელი გაუტეხონ აქაურებს – აჭარლებს; ბუნებრივია, ისინი (საქართველოს მტრები) იყენებენ აქაურ ბერბიჭაშვილებსა თუ აშორდიებს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: როგორც რუსეთს, ასევე, რადიკალ ისლამისტებსაც სურთ (და ჩასაფრებულ მეზობლებსაც) ქართველი ერისა და საქართველოს დანაწევრება ენობრივ-ეთნიკურად თუ რელიგიურ-ეთნიკურად, მაგრამ აქაურების (აჭარის მკვიდრთა) საუკუნეების მანძილზე ნაწრთობ ეროვნულ ცნობიერებას – აქაურთა ძირძველ ქართველობას – ვერაფერს დააკლებს ვერც ტალახიანის მიერ გამოსროლილი ჭუჭყი და ვერც თითო-ოროლა აქაური სულგაყიდულის ყოფნა მტრის სამსახურში.

მთავარია საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ახლა მაინც დაიჭიროს სწორი პოზიცია და იმოქმედოს შორს გათვლილი სტრატეგიით.

**რაც შეეხება მეჩეთის თემას:** მორწმუნეთა მოთხოვნებისა თუ საჭიროებისამებრ, საქართველოს ამ კუთხეშიც უბან-უბან შენდება ეკლესიები, ქრისტიანული სამლოცველოები... ასე უნდა იყოს სხვა რელიგიების შემთხვევაშიც: მლოცველთა რაოდენობისა და საჭიროების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა დაფინანსებით, შესაბამის უბანსა თუ სოფელში თუ ცხოვრობს საკმარისი რაოდენობა, უნდა აშენდეს მუსლიმანური სამლოცველო.

სამწუხაროდ, ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის მოთხოვნა უკვე პოლიტიკის, მეტიც, გეოპოლიტიკის თემად იქცა და აღარა აქვს მხოლოდ რელიგიური კონტექსტი.

**P.S.** ნეგატიური ადამიანები თუ პროვოკატორები არ უნდა განვაზოგადოთ არც ერთ კუთხეზე, არც ერთ აღმსარებლობასა თუ, მთლიანად, არც ერთ ერზე:

ქართველები წარმატებული ერი რომ ვართ, ამას თუნდაც ბოლო დღეების ფაქტები ცხადყოფს.

30 ივლისი, 2018

## სამართლებრივი სახელმწიფოსათვის

პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ:

საქართველოს ესაჭიროება არა ერთი "მხსნელი" (შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი...), არამედ მართალ, ძლიერ და საქართველოს ერთგულ ლიდერთა გარშემო გაერთიანებული რამდენიმე გუნდი.

თანამედროვე სამყაროში ერთი ადამიანი ნორმალურად ვერ მომართავს სახელმწიფოს, თუკი ძლიერი გუნდი (და არა – ხელის გოგო-ბიჭები) არ ეყოლება; ასევე, აუცილებელია ქვეყანაში რამდენიმე ასეთი გუნდის არსებობა. შესაბამისად, მე მივესალმები პრეზიდენტობის ამბიციების მქონე ბევრი პირის გამოჩენას, რომელთაც თავის ადგილს (გამორჩეულს, საშუალოს, ღიმილის მომგვრელს...) მიუჩენს ჩვენი საზოგადოება თავისი გუნდისა და ღირსების შესაბამისად.

ეს პროცესი, საბოლოო ჯამში, რამდენიმე წელში ("მოსეს უდაბნოს" 40 წელი რომ დასრულდება), საქართველოში ჩამოაყალიბებს ნორმალურ პოლიტიკურ სპექტრს.

ისე, ჩემთვის ის პოლიტიკოსი არ არის სანდო, რომელიც არ აღიარებს 1992-93 წლებში რუსეთის

ხელისუფლების მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტს (რუსეთ-ამერიკის მალტის გარიგების შედეგი იყო ეს აგრესია) და ვინც ყველაფერს არ აკეთებს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოსაძიებლად...

აუცილებელია პრეზიდენტობის ნორმალურმა კანდიდატმა თავისი საარჩევნო კამპანია ამ დანაშაულის დაგმობითა და ამ დანაშაულის გამოძიების პირობით დაიწყოს.

სხვაგვარად ვერ აშენდება სამართლებრივი სახელმწიფო.

20 აგვისტო, 2018

## რატომ ლანძღავს ზაქარეიშვილი პრემიერ-მინისტრს?

გუშინ TV "ობიექტივის" გადაცემაში პაატა ზაქარეიშვილმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მამუკა ბახტაძე; კერძოდ, პაატა ზაქარეიშვილმა გალანძღა პრემიერ-მინისტრი გაეროში წარმოთქმული სიტყვის (27.09.2018) შემდეგი მონაკვეთი გამო:

**„ჩვენ საქართველოში არ გვაქვს ეთნიკური კონფლიქტები, ეს არის აგრესორის პროპაგანდის ნაწილი. ჩვენ საქართველოში გვაქვს პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთთან და ეს მსოფლიო საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს"...**

ზაქარეიშვილმა ბახტაძე "გაუნათლებლად" გამოაცხადა იმიტომ, რომ თურმე ამ ახალგაზრდამ არ იცის რეალური ისტორია, რომ თურმე საქართველოში ეთნოკონფლიქტები გვქონდა და გვაქვს; ამას კი ბახტაძე ვერ ხედავს!..

**არადა, მამუკა ბახტაძემ სრული სიმართლე თქვა გაეროში:**

რუსეთმა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, მართა სიტუაცია ისე, რომ საქართველოში თავისი აგრესია შეეფუთა ტერმინ "ეთნოკონფლიქტით"! სიმართლეა ისიც, რომ რუსეთის პროპაგანდის ნაწილია აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარე პროცესების ეთნოკონფლიქტად მონათვლა!

ნათელია, რომ სწორედ პაატა ზაქარეიშვილმა არ იცის რეალური ისტორია, ანდა, უარესი:

პაატა ზაქარეიშვილი ახმოვანებს რუსულ პროპაგანდას.

**პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს, ოპონენტი პარტიის სიმართლე დავინახოთ.**

საერთოდ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნამდვილი პარტიები გვაქვს, თუკი ამ პარტიებს აქვთ მთავარი საერთო მნიშვნელი, რაც აუცილებელია ქვეყნისათვის, თუმცა აქვთ განსხვავებული გზები სახელმწიფოს წინსვლისათვის.

**ჩვენს შემთხვევაში ყველა პარტიას საერთო უნდა ჰქონდეს ის, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და ოკუპაციის შეფუთვა სურს ტერმინოლოგიური დივერსიით, მაგ., ეთნოკონფლიქტით.**

აშკარაა, რომ პაატა ზაქარეიშვილი მიზანმიმართულად თუ უნებლიეთ ახმოვანებს რუსულ "მიდგომას" – ეს ფაქტია.

ბევრი სხვა მსგავსი, საქართველოსათვის საზიანო გამონათქვამი გამიგონია სხვებისგანაც.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე თუ დეზორიენტირებული ამდენი პირის ყოფნა განაპირობა იმანაც, რომ რუსეთის მიერ 1992 წელს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა დღემდე იწოდება ე.წ. "სამოქალაქო ომად" და ამას ბევრი ახალი ქართველი პოლიტიკოსიც თუთიყუშივით იმეორებს (პუტჩისტებს სიმართლის აღიარება ხელს არ აძლევთ).

3 ოქტომბერი, 2018

## “თავსა ახლად ვერვინ იშობს”

საბჭოთა პერიოდის წარმატებული ინტელიგენცია, რომელიც გვერდით არ დაუდგა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არსებულ ეროვნულ მოძრაობას, ლოგიკურად აღმოჩნდა შევარდნაძის პუტჩისტურ-რევანშისტულ გუნდში (რა დამავიწყებს, მაგალითად, ფაქტს: მხედრიონის მეხოტბე პოეტი დავით მაღრაძე კულტურის მინისტრის პოსტზე დაინიშნა!).

ქართველი ინტელიგენციის ნაწილის გამოყენებით რუსებმა საქართველოში განხორციელებული 1992-93 წლების პუტჩი ე.წ. „სამოქალაქო ომად“ შეფუთეს, საქართველო ამ გზით მოაქციეს იზოლაციაში და დაამხეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ეროვნული და კანონიერი ხელისუფლება. ამ პუტჩს მოჰყვა თბილისის ცენტრის გადაწვა, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდი, სამეგრელოს, როგორც კანონიერი ხელისუფლების ბოლო ბასტიონის, დაწიოკება, საქართველოს ბევრი მოქალაქის გაუბედურება... **ამიტომაა გამართლებული მათი ზედწოდება: „წითელი ინტელიგენცია“.**

წითელი ინტელიგენციის (და მათი მემკვიდრეების) ერთი ნაწილი შევარდნაძის შემდეგ სააკაშვილთანაც აღმოჩნდა, მაგრამ უდიდესი ნაწილი გადაბარგდა ბიძინა ივანიშვილთან (ზოგი დღემდეც).

ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს არჩენდა ამ ცნობად სახეებს თუ “ინტელიგენციას” (არადა, ჯობდა, ივანიშვილს ეს ფული ახალგაზრდებისათვის დაეხარჯა). ივანიშვილმა მათი ნაწილი ხელისუფლებაშიც მოიყვანა, ვერ გათვალა, რომ ფულის მოყვარულს ერთგულება არ შეუძლია.

შევარდნაძის ინტელიგენციამ და მათმა შვილებმა ივანიშვილის ფულის “წველა” დაამთავრეს და ახლა ცდილობენ, თავი ხელახლა “იშვან” – დღეს, 2019 წლის 13 აპრილს, “დაიცავი საქართველოს” შეფუთვით ახალ მოძრაობას აფუძნებენ; გამიხარდებოდა, თუკი ისინი მოინანიებდნენ თავიანთ ქმედებას 1992-95 წლებში; არ მჯერა ადამიანის, ვინც შეცდომას, მით უმეტეს, დანაშაულს არ ინანიებს. ჩემი აზრით, მოუნანიებელი პუტჩისტები (და მათი გზის გამგრძელებლები) სინამდვილეში დღესაც პრორუსულ კურსს ერთგულობენ. მათი მიზანია, მეხუთედ შეიცვალონ ფერი, მაგრამ ხალხს ვეღარ გააბრიყვებენ; უკვე ბევრმა გაიაზრა შოთა რუსთაველის აფორიზმი: “თავსა ახლად ვერვინ იშობს” (მით უმეტეს, მონანიების გარეშე!).

**მეც მაქვს ჩემი მიზანი:** უნდა ვიაქტიუროთ, რომ ახლა მაინც ქართული პოლიტიკური ელიტიდან გავანაპიროთ როგორც პრორუსული, ასევე, ძველბიჭური თუ მაფიოზური ცნობიერების მქონე ინდივიდები, რომლებიც უკვე მერამდენეჯერ იცვლიან „პერანგს“ (პარტიას!), უკვე მერამდენედ ინიღბებიან პატრიოტული თუ დემოკრატიული ლოზუნგებით და უკვე მერამდენედ ცდილობენ, ფულის ახალ წყაროს მიეწებონ...

უნდა ვიაქტიუროთ, რომ გავუთავისუფლოთ ასპარეზი მართალ, განათლებულ და საქართველოს პატრიოტ ახალ თაობას, რომლებიც ბოლომდე უერთგულებენ საქართველოს და ბოლომდე მიიყვანენ დეოკუპაციის პროცესს – შექმნიან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობებისა და საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დამცველ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

13 აპრილი, 2019

## პანკისის კრიზისი

2019 წლის 21 აპრილს, ბზობა დღეს პანკისში შექმნილი კრიზისი, ღმერთს მადლობა, დროებით განიმუხტა. არ იყო ეს მხოლოდ ჰესის გამო შექმნილი დაძაბულობა: საქართველოს გარედან კრიზისის პროვოცირებას აქ დიდი ხანია ცდილობენ... 21 აპრილის კრიზისის დროს შსს-ის მატერიალური ზარალი, სულ მცირე, ერთი მილიონია; ეს არაფერია იმასთან შედარებით, რა **ზიანიც მიადგა საქართველოს სახელმწიფოს ბევრი სხვა მიმართულებით** /პანკისის ერთდღიანი

კრიზისით/.

**პანკისის კრიზისი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა.** ამ თემაზე არ ვაპირებ საჯარო მსჯელობას (პოსტსაბჭოთა პერიოდში სპეციალისტების ანალიზი აკლია ბევრ სახელისუფლებო გადაწყვეტილებას); მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: ბოლო ათწლეულებია (წინა ხელისუფლებების დროსაც) ხეობაში იზრდება რადიკალური ისლამისტების გავლენა, ერთი მხრივ (ეს ყველასათვისაა ცნობილი), მეორე მხრივ, ინტენსიურად მიმდინარეობს ხეობის "ჩეჩენიზაცია" – ქართველობისაგან გაუცხოება; არადა, მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებული ჩეჩნებისა და ინგუშებისაგან 200 წლის მანძილზე ქართველობასთან ახლო ურთიერთობაში ჩამოყალიბდა **ვაინახთა მესამე ეთნოგრაფიული ჯგუფი – ორენოვანი საზოგადოება (ქართულ-ქისტური) – ქისტები,** რომელთა თვითსახელწოდებაც ("ქისტჲე"; მრ. რ.: "ქისტიჲ") განსხვავდება როგორც ჩეჩენთა თვითსახელწოდებიდან ("ნოხჩო"), ასევე, ინგუშთა თვითსახელწოდებისაგან ("ღალღაი"); გარდა ამისა, ქისტური მეტყველება არც მთლად ჩეჩნურია და არც ინგუშური. ქისტური, მეტნაკლებად, ორივე სამწიგნობრო ფორმასთან ახლოსაა. საქართველოს ტერიტორიაზე ეს მეტყველება ჩამოყალიბდა ახალ ვაინახურ დიალექტურ მეტყველებად (200 წლის მანძილზე ახალი ეთნიკური ჯგუფებისა თუ ახალი ენების წარმოქმნა შესაძლებელია).

**ქისტების ისტორია მოკლედ:** მე-19 საუკუნის დასაწყისში მუსლიმანი ქისტების ერთი ნაწილი შამილს დაუპირისპირდა და საქართველოში გადმოვიდა (ზოგი იმ დროსაც არ იყო მუსლიმანი და გამუსლიმანებასაც გამოერიდა; საერთოდაც, ვაინახების სამივე შტო მუსლიმანობისაკენ საბოლოოდ გადაიხარა მე-19 საუკუნეში, რუსებთან ბრძოლის დროს). უეჭველია: ვაინახები (ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები) ჩვენი ისტორიული ძმები არიან (ჩვენი მონათესავე ხალხებია, ასევე, აფსუა-აბაზები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ლეკები...). ჩეჩენ-ინგუშეთიდან საქართველოში ქისტების გადმოსვლის შემდეგ დიდი დრო არაა გასული: ყველა ქისტმა იცის, 150 თუ 200 წლის წინ სად ცხოვრობდა მათი წინაპარი მთიანი ჩეჩნეთისა თუ ინგუშეთის ტერიტორიაზე. **მათი გვარები ნაწარმოებია ქართული სუფიქსებით მათივე წინაპრების სახელთაგან** (მაგალითად: ცათიაშვილების წინაპარი იყო მთიანი ჩეჩნეთის ლაამ-აჯჰის თემიდან საქართველოში [თუშეთში, გომეწარში] გადმოსული ვინმე ცათიეშა, ხოლო დუიშვილებისა – ჩეჩნეთის დიშნის თემიდან დღევანდელი დუისის ადგილას გადმოსახლებული დუი დიშნელი. ომალოელი ღანიშაშვილების წინაპარი იყო ღანიში ასევე მთიანი ჩეჩნეთის ჰაჩაროს თემიდან და ა.შ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ წინაპართა სახელები წმინდა ვაინახურია: ცათიეშა –"უნდობი//დაუჯერებელი", დუჲ – "ფიცი", ღანიში –"სიზმარა") და სხვ.

**კავკასია ევრაზიის სტრატეგიული რეგიონია;** "გათიშე და იბატონეს" პრინციპით, კავკასიელების ურთიერთდაპირისპირება უნდოდა და უნდა რუსეთს; მან ეს შეძლო მე-19 საუკუნეში, რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდშიც და დღესაც იმავეს გეგმავს... დღეს მაინც, **ჩვენ, კავკასიელები, ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ და აღარ მოვიქცეთ რუსეთის იმპერიის ინტერესების შესაბამისად;** ეს საკითხი კარგად ჰქონდათ გააზრებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევს; ამიტომ იყვნენ ისინი თანამებრძოლები; ამიტომ მოკლა ისინი რუსეთის იმპერიამ!

**ბოლო ათწლეულებში ბევრი ისეთი რამ გაკეთდა, რაც ქისტებს უკარგავს საკუთარ იდენტობას და ახდენს მათ გაუცხოებას;** კერძოდ, რადიკალური ისლამის თემასაც თუ გავითვალისწინებთ, ჩვენს თვალწინ იკარგება ნამდვილი ქისტისათვის – ღირსეული კავკასიელისათვის – დამახასიათებელი თვისებები; პოლიტიზაცია თუ რელიგიური **რადიკალიზაცია არაიშვიათად ეწინააღმდეგება კავკასიურ ფასეულობებსა და ღირებულებებს** (პანკისში არსებულ რელიგიურ მიმართულებებს შორის დისკუსიისათვის იხ.: https://radioway.ge/news/video/item/126-diskusia-temaze-%E2%80%93-tradiziuli-da-pundamenturi-islami-pankisis-magalitze).

**დღეს ქისტების განათლება, მოქალაქეობა, საქართველოსადმი სიყვარული ისეთივეა, როგორც სხვა ქართველებისა;** რა თქმა უნდა, ამავე დროს, მათი დიდი ნაწილი ღირსეულად იცავს ვაინახურ ეთნიკურ ფესვებს, ტრადიციებს; შდრ., მაგ.: მხოლოდ პანკისში მოქმედებს ქისტური ადათობრივი სამართალი. ამ თემაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ბატონი ხასო ხანგოშვილის, პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის, საქართველოს კარგი მოქალაქის, წიგნი: „ქისტების ადათ-წესები" (2015). ქისტების შესახებ სამეცნიერო კვლევებისათვის იხ.:

ლ. მარგოშვილი, “პანკისელი, ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა” (თბ., 1885); ლ. მარგოშვილი, “პანკისის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა” (თბ., 2002); იხ. ასევე:

http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/pankisi_warsuli_da_tanamedroveoba.pdf https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/qistebi.pdf .

21 აპრილის ამბებმა პანკისის ხეობა კიდევ ერთხელ მოაქცია ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში; ამ თემას ასე ეხმაურება ბ-ნი ხასო:

“ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ არ არის სასურველი ამდენი ჰესის მშენებლობა. ყოველი ჩარევა ბუნებრივ პროცესში რაღაცა ზიანის მომტანია. თუმცა, ამავე დროს, ვიცოდით, რომ ასეთი მცირე გაბარიტების ჰესები იმდენად საშიში არ იყო. რაც მთავარია, **ჩვენი განსჯის საგანი იყო არის თუ არა აქ სახელმწიფოს ინტერესები. ჩვენ გვინდა სახელმწიფოებრივად ვიაზროვნოთ. თუკი ელექტროენერგია აუცილებელია და სხვა ქვეყნის ელექტროენერგიაზე ვართ დამოკიდებულები, თანაც მტრულ სახელმწიფოსთან, თუ სახელმწიფოს ინტერესია და მაინც ააშენებენ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი უნდა ნახოს ხეობამ” (https://metronome.ge/story/198757)** .

შემდგომი განსჯისა და ფიქრისათვის, წარმოვადგენ რამდენიმე საყურადღებო ფაქტს 21 აპრილის პანკისის კრიზისის კონტექსტში:

1. 21 აპრილს დღის პირველ ნახევარში სპეცნაზის შეყვანა და გამოუვალ ვითარებაში მათი აღმოჩენა კრიტიკას ვერ უძლებს. სიტუაცია განმუხტა ვიცე-პრემიერმა გიორგი გახარიამ, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ზარალის შემდეგ.

2. სახელმწიფოც და, განსაკუთრებით, პანკისის მოსახლეობა დიდ კატასტროფამდე კინაღამ მიიყვანა იმ დეზინფორმაციებმაც, რომლებიც პანკისში თბილისიდანაც ჩადიოდა და საქართველოს გარედანაც იმართებოდა.

3. საქართველოს სახელმწიფოც და ჩვენი მოქალაქეებიც (პანკისელები) დიდ კატასტროფას გადაურჩნენ პოლიციელების მოთმინების გამოც; ასევე, ეყოთ გონიერება ადგილობრივებსაც, რომ იარაღი არ გამოიყენეს (მთის სოფლებში თითქმის ყველა ოჯახში იქნება იარაღი). კონფლიქტის ესკალაციას გადავრჩით იმიტომაც, რომ კავკასიონზე ჯერ კიდევ თოვლია (ერთი სული აქვს პუტინს, როდის შემოუშვებს საქართველოში თავის ერთგულ კადიროვს).

4. რადიკალიზებული პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ცეცხლზე ნავთს ასხამენ ახლაც და ეს უნდა დასრულდეს.

5. თითქმის ყველა სპეცრაზმელი დაზარალებულია მოსახლეობის მიერ ნასროლი ქვებით. გარდა ამისა, მოლოტოვის კოქტეილით დამწვარი ერთ-ერთი მანქანა, დაახლოებით, ნახევარი მილიონი უნდა ღირდეს, ჩემი ვარაუდით. ახალთახალი მანქანების დიდი ნაწილი ქვებითაა დაზიანებული (მინები ჩამსხვრეულია; დაზიანებულია კარები, კაპოტი...)... ვფიქრობ, შსს-ის მხოლოდ მატერიალური ზარალი მილიონ დოლარზე მეტია (ეს ყველაფერი კისერზე დააწვება ჩვენს ბიუჯეტს), მაგრამ, ერთი მხრივ, აუნაზღაურებელია პოლიტიკური ზარალი, შელახული სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა, სამართალდამცავების ღირსება; მეორე მხრივ – შემცირებულია სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი საქართველოს მოქალაქეთა ნდობა.

მეგობრებო, პოლიტიკოსებო, საქართველოს მოქალაქეებო (ქართველებო, ქისტებო...),

ამხელა ადამიანურმა, პოლიტიკურმა და მატერიალურმა ზარალმა ხომ უნდა გვასწავლოს ჭკუა?

პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებო (პოზიცია, ოპოზიცია!), ამის შემდეგ მაინც, მოუსმინეთ სპეციალისტებს, ექსპერტებს, ხალხს და საქართველოს არსებითი ინტერესებისათვის ერთიანობას მიაღწიეთ;

საქართველოს მოქალაქეებო, მასმედიის წარმომადგენლებო, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინება ჩვენი ვალდებულებაცაა, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

**P.S.** 21 აპრილის მსგავსი დაძაბულობით (ვ)ღუპავთ საკუთარ თავსაც და სახელმწიფოსაც გამოუსწორებელ ზიანს (ვ)აყენებთ. ყველამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: როცა რაიმე ბერკეტს ფლობ, მოწინააღმდეგის განადგურება კი არ უნდა დაისახო მიზნად, არამედ უნდა შეეცადო, ოპონენტი ზნეობრივი გზით გადმოიყვანო შენს მხარეს, ან, თუ მართალია, მას ანგარიში

გაუწიო, მისი აზრი მიიღო, სათანადოდ დააფასო, ჩააყენო სახელმწიფოს სამსახურში...

ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც იცხოვრებენ წარმატებით და მშვიდად. სამწუხაროდ, არა მხოლოდ სახელმწიფო წესრიგს, არამედ მსოფლიო წესრიგსაც "ამა ქვეყნისა ძლიერნი" თავიანთი პირადი/კლანური ინტერესების მიხედვით გეგმავენ.

ამიტომაა მსოფლიოში ამდენი კონფლიქტები.

24 აპრილი, 2019

## ე.წ. "დისკრიმინაციის" შესახებ

ბატონი **ვახტანგ ღლონტის** ტკივილიან წერილს ასე გამოვეხმაურები:

პრორუსული თუ ზოგადად, საქართველოს დაპყრობის მოსურნე ჩრდილოური, აღმოსავლური თუ სამხრეთული ძალების დაფინანსებით დღესაც აქტიურია ენობრივ-ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით ქართველთა დანაწევრების მცდელობა (ამ ანტიქართული მიზნებისათვის ზოგჯერ დასავლური დაფინანსებაცაა გამოყენებული).

**კონკრეტულად აჭარის შესახებ:** აჭარაში, ზოგადად, საქართველოში ნამდვილად არ არის რომელიმე რელიგიური თემის დისკრიმინაცია.

**ისტორიისათვის:** ქართველი ერის ისტორიული რელიგია იყო ჯერ წარმართობა (წარ-მართ-ი – სწორად მავალი; შდრ.: უკუღმართი), შემდეგ კი – ბოლო 20 საუკუნის მანძილზე – ქრისტიანობა.

ქართულ სინამდვილეში ქრისტიანობა იწყება პირველივე საუკუნეში ზემო აჭარაში – დიდაჭარაში – აგებული ეკლესიით. ისტორიული ფაქტია: ქართველ მემატიანეთა აზრით, აჭარიდან იწყება ქართველის ერის, საქართველოს გაქრისტიანება.

მალევე, მე-4 საუკუნეში, ქრისტიანობა გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად.

ქრისტიანულ ველში ჩამოიძერწა მრავალსაუკუნოვანი ქართულენოვანი სამწიგნობრო კულტურა; ზოგადად, ქართული ცნობიერება; შესაბამისად, მრავალი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობა ქართველთა სახელმწიფო და ეროვნული რელიგიაა.

ასევე, ყველამ იცის, რომ მუსლიმანობა საქართველოში შემოდის დამპყრობელთა (არაბთა, ოსმალოთა, სპარსელთა...) აგრესიის შემდეგ. დროთა განმავლობაში არაბულენოვანი რელიგია გაითავისა ქართველთა ერთმა ნაწილმა; დღეს კი მუსლიმანია ქართველთა ნახევარი მაინც (მსოფლიოში სულ 8 მილიონი ქართველი ცხოვრობს!).

შესაბამისად, ვისაც ქართველთა ერთიანობა სურს, ზოგადად, ნებისმიერი ქართველი ვალდებულია, პატივი სცეს როგორც ქართველთა ისტორიულ დედარელიგიას – ქრისტიანობას, ასევე, სხვა ქართველთა ამჟამინდელ რწმენასაც.

ღმერთს მადლობა, დღეს ეს კარგად აქვს გააზრებული ქართველთა უმრავლესობას. ფაქტია ისიც, რომ ორივე მიმართულებით არსებობს მცირერიცხოვანი რადიკალური ჯგუფები, რომლებიც ე.წ. "დისკრიმინაციის" გამოგონებით თუ სხვა რწმენის (მუსლიმანობის, კათოლიკეობის...) ქართველთა იგნორირებით ცდილობენ თავის დამკვიდრებას (ერთმა უგვანომ სოციალურ ქსელში ახლახან ფერეიდანიდან ფეხით ჩამოსული ქართველი ვაჟკაცებიც კი აუგად მოიხსენია).

იმედია, ასეთი ანტიეროვნული ინდივიდები ჩვენს ნაწრთობ საზოგადოებას ვეღარ შეიყვანენ რადიკალური დაპირისპირების ველში.

ძალა ქართველთა ერთობაშია!

19 სექტემბერი, 2019

## ასე იყო საჭირო მათთვის და არა – საქართველოსათვის!

ბოლო 30 წელში საქართველოს მუდმივი პოლიტიკური სახეების მუდმივობის "საიდუმლო":

1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში რუსის ჯარის (ბეპაევი, ბალტინი...) დახმარებით გაიმარჯვეს და ჯილდოდ პარლამენტში მიიღეს ადგილები.

შემდეგ:

– გვერდით დაუდგნენ შევარდნაძეს და კიდევ დიდხანს იყვნენ პარლამენტში;

– შევარდნაძის კრიზისი რომ დაიწყო, უღალატეს მას, გვერდით დაუდგნენ სააკაშვილს და დიდხანს იყვნენ პარლამენტში;

– სააკაშვილის კრიზისი რომ დაიწყო, უღალატეს მას, გვერდით დაუდგნენ ივანიშვილს და დიდხანს იყვნენ პარლამენტში;

– ივანიშვილის კრიზისი რომ დაიწყო, უღალატეს მას და ახლა ერთმანეთს ამაგრებენ, სანამ ახალი "ორთქლმავალი" ჩამოდგება, რომ "ჩაებან" მას :))

ამასაც ხომ მოხერხება უნდა!

**მაოცებენ ისინი, ვინც ამათ ხმას აძლევს.**

ესენი კი ერთმანეთს იყენებენ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა მიდის წინ და თან ნელ-ნელა იძირება ჭაობში.

ახლა მაინც ვუშველოთ ქვეყანას!

**P.S.** ამ ჩანაწერის არსია რიტორიკული კითხვა, ანუ, ვისი ბრალია პერმანენტული კრიზისი ბოლო 30 წლის მანძილზე?

– შევარდნაძის, სააკაშვილის, ივანიშვილის...

თუ

– ხელისუფლებაში ორი ვადით შევარდნაძის, სააკაშვილის, ივანიშვილის მოსვლაში ხელშემწყობი ამ "მუდმივი სახეების", რომლებიც ახლაც ბაქანზე დგანან და ისე იქცევიან, თითქოსდა მათ ხელი არ შეუწყვიათ ივანიშვილის პოლიტიკური აღზევებისათვის?

თუ

ხალხის და ამათი – ყველასი ერთად!

**"მუდმივმა სახეებმა თქვით მაინც:**

– შევარდნაძესთან დგომა იყო შეცდომა!

– მიშასთან დგომა იყო შეცდომა!

– ბიძინასთან დგომა იყო შეცდომა...

**ამბობთ:** მაშინ ასე იყო საჭიროო...

**ჩემი პასუხი: ასე იყო საჭირო თქვენი პირადი ცხოვრებისათვის და არა – საქართველოსათვის!**

19 თებერვალი, 2020

## საინტერესო ფაქტი

ქალბატონმა ნანა ბარათაშვილმა ფერეიდანიდან ფეხით ჩამოსულ სამ დიდებულ ქართველს: შაჰრამს, ომიდს /ამირანს/ და ესმაილს აჩუქა საცხოვრებელი ფართი საბურთალოზე, რომ ხელი შეუწყოს საუკუნეების წინ ირანში იძულებით გადასახლებულთა შთამომავლების დაბრუნებას ისტორიულ სამშობლოში

...ქართველთა კონსოლიდაციაა დღეს მთავარი, რომ გადარჩეს ქართველობაც და სახელმწიფოც. სხვათა შორის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ქართველთა მაკონსოლიდირებელ ფაქტორებად თვლის დედაენას, საერთო წარმომავლობას და კულტურას. იხ. მისი ტექსტი:

„ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს,

იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს, მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს, და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი ვართ შთამომავალნი ერთი წინაპრისა, მრავალფეროვნებით გამორჩეული ერთი ენისა და კულტურის მქონენი, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ: კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოვლადძლიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს“.

ბევრმა ძალით გამუსლიმანებული ქართველის წინაპარმა დაიბრუნა ქრისტიანობა, მაგ., აჭარაში. ყველა, ვინც თავისი წინაპრების ფესვებზე, ისტორიაზე, ენაზე, რელიგიაზე ინფორმაციას ფლობს, ისწრაფვის, დაუბრუნდეს თავის დედაენობრივ, რელიგიურ და სახელმწიფოებრივ გარემოს. ასეთს მე ბევრ ვიცნობ.

განათლებაა საკუთარი იდენტობის გააზრების საფუძველი. სამწუხაროდ, ბევრს არა აქვს ინფორმაცია და ჩვენი მიზანია ამ ინფორმაციის მიცემა. პირადად, მე ქრისტიანულად მოვინათლე 1978 წელს და ზუსტად ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანობას ქართული მეობის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. **ქართველობის უპირველესი ნიშანი მაინც არის ქართული ენის ცოდნა და საკუთარი თავის გააზრება ქართველად.**

30 წლის მანძილზე თურქეთსა და ირანში ბევრი დიდებული ქართველი გავიცანი. რა თქმა უნდა, მინახავს ფანატიკოსებიც; ფანატიკოსი მუსლიმანი არასოდეს იქნება ქართველი პატრიოტი; მომისმენია ფანატიკოსი ქრისტიანისთვისაც, რომელსაც დღესაც ოკუპანტი რუსი ურჩევნია არაქრისტიან, მაგრამ ღირსეულ ქართველს, რომელიც მზად არის სიცოცხლე გაწიროს საქართველსათვის.

საქართველოს საფრთხე არის დემოგრაფიული კატასტროფა, ამ კონტექსტში აუცილებელია, ქართული მიწები, საქართველო ქართველებისგან არ დაიცალოს (მზად არიან აზიის ხალხები, დაიკავონ ჩვენი სამოთხე!), ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთა დაბრუნების სწორი პოლიტიკის შემუშავებას.

ირანში 50 000 ქართველია ამჟამად; აქედან 30 000 ფერეიდანის რეგიონშია.

ვინც ოდესმე გინახავთ ჩემს ფეისბუკკედელზე მუსლიმანი ქართველი, ქართველობაში ყველა ჯობია აქაურ ქართველთა უმრავლესობას. შენი უფლებაა, რას დაიჯერებ და რას – არა. პრიმიტიული განსჯა, რომ მხოლოდ ქრისტიანია ქართველი, დასაღუპავად განწირული გზაა. აუცილებელია ქართველების დაბრუნება სამშობლოში, რადგან უცხოობაში ყველა ასიმილირდება. აქ დაბრუნებული კი ბუნებრივად ჩადგება თავის ისტორიულ დედაენობრივ და დედარელიგიურ კალაპოტში, როგორც ეს ხდება ახლა აჭარაში: ხალხი ბუნებრივად, ღირსებით იბრუნებს თავისი წინაპრების რელიგიას. ვისაც მუსლიმანობა აქვს ჯერ კიდევ, არც ესაა პრობლემა: მთავარია საქართველოს უერთგულონ.

მოკლედ, ამ ეტაპზე ჩემი მიზანია შევეწინააღმდეგოთ რუსეთის იმპერიის და სხვათა მცდელობას, რომელთაც სურთ ქართველთა დანაწევრება ენობრივად და რელიგიურად.

იცით, რამდენია ირანელი ქართველი და მათგან რამდენს სურს დაბრუნება? – მხოლოდ გულით, სულით და ცნობიერებით ქართველი ბრუნდება; მაქსიმუმ, 10 000 თუ დაბრუნდება მომავალ 10 წელიწადში.

1. თუ ფერეიდნელთა დაბრუნებას არ შევუწყობთ ხელს, მათ შთამომავლებს სრული ასიმილაციისათვის გავწირავთ. არადა, მათი დიდი უმრავლესობა დიდებული და ქართველობისათვის ტანჯული ქართველები არიან (ასევე – თურქეთში გადასახლებული მუჰაჯირების შთამომავლები);

2. აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან რუსების მიერ გამოდევნილ ხალხს თბილისსა თუ საქართველოს სხვა არაოკუპირებულ ქალაქებში ვინც ნეგატიურად დახვდა, ისინი არ არიან ღირსეული ქართველები. ვიცი, რომ ბევრი ღირსეულად დახვდა (როგორც ქართველობისათვის დევნილთ). ასეთი თუ პროცენტულად მაინც ცოტა იყო, ეს ნიშნავს, რომ დამხვდური ქართველის ქართველობის ხარისხი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ქართველობისათვის ტანჯულისა (არ დაგავიწყდეთ: ზოგი ქართველი შეეგუა დამპყრობელს და ადგილზე დარჩა!).

3. ქართველთა კონსოლიდაციასა და ქართველთა დაბრუნებას ვინც ეწინააღმდეგება ნებსით თუ

უნებურად, მისი ცნობიერება თუ ქმედება არაა ქართული, ანდა, არ აქვს საკმარისი ინფორმაცია (თუ განათლება)!

ფერეიდნელ ქართველთა მძიმე ისტორიის მანძილზე მათ დაკარგეს ისტორიული რელიგია, მაგრამ შეინარჩუნეს ქართველობა, ენა, კულტურა... ბევრმა, ვინც აღარ ცხოვრობს ირანში, ისტორიული რელიგიაც დაიბრუნა. ვინც მხოლოდ რელიგიით საზღვრავს ქართველობას და ვინც მართლმადიდებელი არ არის, ქართველად არ მიაჩნია, მას ან ქართველი ერის კონსოლიდაცია არ უნდა, ანდა, უბრალოდ, საქართველოს მტერია.

3 იანვარი, 2020

## მძიმე რეალობა

რუსი ოკუპანტების ჯარით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ შევარდნაძე რომ დაბრუნდა საქართველოში (1992 წ.),

მერაბ კოსტავას სურათი რამდენიმე თვით დაიკიდა კაბინეტში; პარალელურად ცდილობდა, ფიზიკურად და მორალურად მოეკლა ზვიად გამსახურდია...

მიხეილ სააკაშვილი როცა მოვიდა ხელისუფლებაში, შექმნა სახელმწიფო კომისია (2004) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოსაძიებლად, მაგრამ ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან; თუმცა, პრეზიდენტობის დასასრულს შექმნა ეს ორი ისტორიული დოკუმენტი...

მას შემდეგ ამ მიმართულებით სამართლიანობის აღდგენის გზაზე სერიოზული არაფერი გაკეთებულა.



ამონაწერი

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N 26/10/03 2013 წლის 26 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული გმირის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის მიენიჭოთ ეროვნული გმირის წოდება და გადაეცეთ ეროვნული გმირის ორდენი:

მერაბ კოსტავა - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი

მიხეილ სააკაშვილი

ამონაწერი

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N 26/10/03 2013 წლის 26 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული გმირის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის მიენიჭოთ ეროვნული გმირის წოდება და გადაეცეთ ეროვნული გმირის ორდენი:

ზვიად გამსახურდია - საქართველოს პირველი პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

30 აპრილი, 2020

## ხვიჩა და გოჩა – ჩემი რეალობა

ხვიჩა და გოჩა – არ არის ეს მხოლოდ ავბედითი ისტორია.

ვუსურვებ დღევანდელ ხვიჩასაც და გოჩასაც, სიკვდილის წინა წამამდე აღიქვან რეალობა:

აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა, მსოფლიოში გაფანტულ ქართველთა მაქსიმალური კონსოლიდაცია, რომ ახლა მაინც, 21-ე საუკუნის 20-იან წლებში ავაღორძინოთ საქართველო!.

..."საქართველოს სად ჰყავს შვილი დასაკარგავი", – არც ესაა შემთხვევითი ფრაზა.

ადამიანები ხშირად უშვებენ ხელიდან საოცარ შესაძლებლობებს, მაგრამ იშვიათია ადამიანი, ისევ რომ იბრუნებდეს ამ შესაძლებლობებს. ასეთი იშვიათი მოვლენაა მიხეილ სააკაშვილი (გუშინ მას უკრაინაში ძირეული რეფორმების განხორციელების შანსი მიეცა).

მე მინდა წარმატებები ვუსურვო უკრაინას, კონკრეტულად, ვოლოდიმირ ზელენსკის და ნამდვილად მინდა, რომ ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანოს ქართველმაც – მიხეილ სააკაშვილმა.

წელს, შემოდგომაზე საქართველოს წინ აქვს მძიმე არჩევნები. მინდა, რომ პოლიტიკურმა სპექტრმა საქართველოს მთავარ გამოწვევებზე იფიქროს და არა – ერთმანეთის განადგურებაზე: ხომ ფაქტია, რომ ამ არჩევნებზე ვერც ერთი ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე ("ქართული ოცნებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" ბლოკები) მეორეს სრულად ვერ გაანადგურებს! ფაქტია ისიც, რომ აუცილებელია ახალი თაობის პოლიტიკოსების გამოსვლა ასპარეზზე და სამართლიანი სახელმწიფოს აშენებისაკენ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა:

პირველ რიგში, აუცილებელია 1992-93 წლების სახელმწიფო დანაშაულის სამართლებრივი შეფასება, რომელიც არ/ვერ გააკეთა ვერც ერთმა დე ფაქტო ხელისუფლებამ 1995 წლიდან დღემდე (არც გააკეთებდა იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებებში აფარებდნენ თავს სახელმწიფო დამნაშავეები); მეორე რიგში, აუცილებელია ერთმანეთის დანდობა: ყველანი ერთი მშვენიერი, მაგრამ ამჟამად სახიფათო ველში მყოფი ქვეყნის – საქართველოს – შვილები ვართ!

ჩემი თვალთახედვიდან ესაა რეალობა. აქტიურ პოლიტიკასა თუ პარტიულ ცხოვრებაში ვინც ახლაა ჩართული, მათი "რეალობა" სხვადასხვაგვარია პოლიტიკური კონიუნქტურის გამო (ასანთის კოლოფი დაფარავს მზეს, თვალთან თუ მიიტან!).

ვუსურვებ ხვიჩასაც და გოჩასაც, სიკვდილის წინა წამამდე გაცილებით ადრე აღიქვან რეალობა; აუცილებელია ერისა და ბერის: საქართველოს მოქალაქეთა, მსოფლიოში გაფანტულ ქართველთა და საქართველოს ნამდვილ მეგობართა მაქსიმალური კონსოლიდაცია, რომ ახლა მაინც, 21-ე საუკუნის 20-იან წლებში ერთად შევძლოთ რუსი ოკუპანტების გადაყვანა კავკასიონის გადაღმა და ავაღორძინოთ ჩვენი საქართველო!

წესიერი ადამიანი ამ გზით უნდა წავიდეს!

**P.S.** არაერთხელ დამტკიცდა: სხვის სამსახურში მყოფსა თუ მხოლოდ პირად მოგებასა და კლანურ ინტერესზე ორიენტირებულს მომავალი არა აქვს.

8 მაისი, 2020

## გიგი უგულავა

წუხელი ბ-ნი გიგი უგულავა თორაძეების მკვლელობის შესახებ ბრძანებდა, რომ 30 წლის წინანდელ მკვლელობას ვინ გამოიძიებს და რომელი მოსამართლე განსჯისო (რაღაც მსგავსი თქვა)...

ბატონო გიგი, თქვენი "ფილოსოფიით" სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება!

თორაძეების ოჯახის ტრაგედია რომ დღემდე გამოუძიებელია, ეს ყველა იმ ხელისუფალის (და პირადად, თქვენიც) დანაშაულია, ვინც იმ დროიდან დღემდე ხელისუფლებაშია!

მე, ჩემი მხრივ, ამომრჩეველს მოვუწოდებ, ხმა არ მისცენ იმ პარტიასა თუ დეპუტატობის კანდიდატს, რომელსაც საარჩევნო პლატფორმაში არ ექნება სწორედ 30 წლის წინ ჩადენილი უდიდესი დანაშაულის – 1991-93 წლების პუტჩის გამოძიება.

სხვაგვარად სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფო ვერ აშენდება და დავით ბერძენიშვილის მსგავსად, სულ წარსულის ცუდ "ტყვეობაში" ვიტრიალებთ.

**P.S.** სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ხანდაზმულობის შესახებ იდიოტური ჩანაწერი ვერავის უშველის.

1999 წელს მიღებული "სისხლის სამართლის კოდექსით" პუტჩისტებმა ხანდაზმულობის ვადა თავიანთ დანაშაულს მოარგეს:

მუხლი 71. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

1. პირი თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ1) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–3421 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს (25.07.2006 №3530);

დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

5. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

http://www.kutaisiappeal.court.gov.ge/.../sisxlis_samartlis...

მოგვიანებით მე-5 მუხლი ასე დაზუსტდა:

5.1. ხანდაზმულობა არ გამოიყენება ამ კოდექსის 144.1–144.3 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ.

ეს მუხლი კი ითვალისწინებს წამებასა და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას.

ზვიად გამსახურდია წამებითაა მოკლული; შესაბამისად, პრეზიდენტის მკვლელობას ხანდაზმულობაარშეეხება.სახელმწიფოგადატრიალება,პუტჩი,მტრის(რუსის)ჯარისდახმარებით კანონიერი ხელისუფლების დამხობა – წესით, არც ამას უნდა ეხებოდეს ხანდაზმულობის ვადა, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ეს გათვალისწინებული არ არის. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=220

იქნებ მე არ ვიცი რომელიმე კანონი. დახმარებას ვთხოვ სისხლის სამართლის სპეციალისტებს. წესით, ამ კანონში უნდა იყოს ხანდაზმულობის შესახებ მსგავსი ჩანაწერი.

უეჭველია:

საქართველოში პოლიტიკური პროცესი ვერ გაჯანსაღდება პუტჩის, როგორც სახელმწიფო დანაშაულის, შეფასების გარეშე.

6 ივნისი, 2020

## წარსულის გააზრება ღირსეული მომავლისათვის

1992 წელს რუსეთის იმპერიამ დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტის ხელისუფლება და დაიწყო საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ახალი ეტაპი.

1992 წელს საქართველოს ხელისუფლებაში უკანონოდ მოსული შევარდნაძით დაწყებული და ამჟამინდელიბევრიპარტიითდამთავრებული,ცდილობენ,მხოლოდწინასაარჩევნოდგამოიყენოს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელები... ბოლო პერიოდში პრორუსული პარტიებიც აქტიურად ინიღბებიან ეროვნული გმირების სურათებით და პრეზიდენტ გამსახურდიასთან დაახლოებული პირების გამოყენებით.

ფაქტია: დღემდე არსებულმა არც ერთმა ხელისუფლებამ არ გამოიძია პრეზიდენტის მკვლელობა და 1992 წელს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. ამიტომაც, აგერ უკვე 29-ე წელია ვტრიალებთ "მოსეს უდაბნოში". წინ 31 ოქტომბრის არჩევნებია, რომელიც დანიშნული არ არის 1992 წელს დამხობილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის გათვალისწინებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი არჩევნებია.

ვფიქრობ, ჩვენი ვალია, ამ ეტაპზე რეგულაციების დაცვით (პირბადე, დისტანცია...) გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და, რაც მთავარია, 31 ოქტომბერს გავუფრთხილდეთ საქართველოს.

31 ოქტომბერს საქართველოს გავუფრთხილდებით, თუკი ხმას მივცემთ წმინდა წარსულის მქონე ადამიანს, რომლის პარტიას დეოკუპაციის რეალური გეგმა აქვს.

დეოკუპაციის რეალური გეგმა არა აქვს პარტიას, რომელიც დღესაც ებრძვის ზვიად გამსახურდიას, ანდა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდება და მხოლოდ ამ პერიოდში "იმშვენებს" გვერდს ზვიად გამსახურდიასთან დაახლოებული პირების გამოყენებითა თუ გადაბირებით.

6 ოქტომბერი, 2020

## რა დანაშაულებს აეხადა ფარდა...

რა დანაშაულებს აეხადა ფარდა ელდარ გოგოლაძესთან ნიკა გვარამიას ინტერვიუში (25.10.2020)?

1. ამერიკა-რუსეთის მალტის გარიგების საფუძველზე 1992 წელს რუსეთის იმპერიამ დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამომცხადებელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ხელისუფლება და ამერიკელებთან შეთანხმებით საქართველოს ხელისუფლება ჩააბარა ე. შევარდნაძის მარიონეტულ რეჟიმს, რომელმაც საქართველო დააბრუნა დსთ-ში – რუსეთის იმპერიის გავლენის ველში. ე. შევარდნაძის დაცვის უფროსად დაინიშნა საბჭოთა კგბ-ს გამოცდილი ოფიცერი, პოლკოვნიკი ელდარ გოგოლაძე.

2. აშშ ხელისუფლება ბოლომდე არ ენდობოდა ე. შევარდნაძეს, ამიტომ თბილისში გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს CIA) კადრის ოფიცერი ფრე¬დი ვუდრო¬ფი Freddie Woodruff, რომელსაც დაევალა ე. შევარდნაძის რეჟიმის კონტროლი; კერძოდ, ამერიკელი რეზიდენტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა კონტრტერორისტული სპეცდანიშნულების რაზმი „ომეგა". ვუდორფი წვრთნიდა ე. შევარდნაძის დაცვასაც.

3. 1993 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსანი ფრედი ვუდორფი თითქოსდა "შემთხვევით" მოკლეს მანქანაში, რომელსაც მართავდა შევარდნაძის დაცვის უფროსი ელდარ გოგოლაძე. მკვლელობა ნასვამ ბიჭს – ანზორ შარმაიძეს – დააბრალეს (14 წელი ციხეში იჯდა უდანაშაულო ადამიანი!). ე. შევარდნაძეზე გავლენის დაკარგვის შიშით ამერიკელებმა თვალი დახუჭეს ამ სიყალბეზე. მკვლელობიდან დღემდე ქართული თუ ამერიკული პრესა ერთხმად ასკვნის, რომ ფრედი ვუდორფი მოკლეს რუსებმა. ამაში მცირე ეჭვის შეტანის საფუძველიც კი არ არსებობს ოლდრიჩ ჰეიზენ ეიმსის ორმაგი აგენტობის გაშიფრვისა და ბევრი სხვა ფაქტორის გამო.

4. სტამბოლის ცნობილ სამიტამდე ამერიკელებმა ე. შევარდნაძე იძულებული გახადეს, გაეშვა ე. გოგოლაძე, რომელიც მალევე ინიშნება „ქართუ" ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტად; კერძოდ, ედუარდ შევარდნაძის დაცვის ყოფილი უფროსი 1997-2004 წლებში „ქართუ ჯგუფის" დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი და უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსია.

5. 2004 წელს, პრეზიდენტ მ. სააკაშვილის სანქციით იწყება ფ. ვუდორფის მკვლელობის გამოძიება. ამავე პერიოდში ე. გოგოლაძეს ათავისუფლებს ბ. ივანიშვილი. ამავე წელს იწყება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებაც (სადაც აშკარაა რუსული კვალი!). სამწუხაროდ, მ. სააკაშვილს არც ერთი გამოძიება ბოლომდე არ მიჰყავს. მ. სააკაშვილის

გარემოცვაში პრორუსულმა ძალებმა ორივე გამოძიება გააჩერეს.

6. წუხელ, 2020 წლის 25 ოქტომბერს, ე. შევარდნაძისა და ბ. ივანიშვილის დაცვის უფროსმა ე. გოგოლაძემ მიხეილ სააკაშვილის ტელევიზიაში („მთავარი“) ინტერვიუ მისცა ნიკა გვარამიას. ე. გოგოლაძე ცდილობდა, ემხილებინა ბიძინა ივანიშვილი, რითაც წინასაარჩევნოდ “ჩადგა” მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის სამსახურში.

7. ლოგიკური კითხვა თუ კითხვები:

– რუსეთის სპეცსამსახურების გამოცდილი კადრის ამ ინტერვიუთი ნიკა გვარამიამ ბიძინა ივანიშვილი ამხილა?

– ამ ინტერვიუთი ირიბად აჩვენა მიხეილ სააკაშვილის ფარული კავშირი ელდარ გოგოლაძესთან?

– ნიკა გვარამიას ეს ინტერვიუ „ბუმერანგია“?

ჩემი დასკვნა ასეთია: რუსეთის სპეცსამსახურები 1992 წლიდან დღემდე დიდწილად აკონტროლებენ საქართველოს პოლიტიკურ „ელიტასა“ და მედიას; ამ გზით ახერხებენ საქართველოს მოსახლეობის დეზორიენტირებასა თუ საქართველოში შიდა კონფლიქტების პროვოცირებას, თუმცა, “არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს” (ლუკა, 12.2).

**P.S.** სახელმწიფო დანაშაულებათა ჯაჭვი ნათლად გამოჩნდა ამ ერთი ინტერვიუთი. ნორმალურ ქვეყანაში ნიკა გვარამიას ამ ინტერვიუს სკანდალური ასპექტები სრულად გადაფარავს ბანკის „გაძარცვის“ „ჰეროიკულ“ ამბავს.

26 ოქტომბერი, 2020

## ლეგიტიმური არჩევნები

ლეგიტიმური არჩევნები არის აუცილებელი;

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობის დროიდან ვითხოვ(თ) ლეგიტიმურ არჩევნებს!

ლეგიტიმური არჩევნები ვერ იქნება მანამ, სანამ გათვალისწინებული არ იქნება 1992 წელს რუსეთის იმპერიის მიერ დესტრუქციული პირების გამოყენებით დამხობილი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა. 1992 წლის სახელმწიფო დანაშაული ჯერ “შეიფუთა” სიტყვა “რევოლუციით”, შემდეგ კი – “სამოქალაქო ომით”. ასეა დღემდე!

ახალგაზრდების გასაგონად: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს დე იურე გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა – გაემიჯნა საბჭოთა იმპერიას და საბჭოთა რუსეთის ჯარს მიანიჭა ოკუპანტის სტატუსი. სწორედ ამიტომ დაამხო რუსეთის იმპერიამ საქართველოს ხელისუფლება 1992-93 წლებში. ამ ფაქტს ვინც ჩქმალავს, დღემდე ხელს უწყობს რუს ოკუპანტებს.

დღეს მსოფლიო გვიჭერს მხარს, რომ მოხდეს საქართველოს დეოკუპაცია! “რევოლუციები” თუ პუტჩები ანგრევს სახელმწიფოს! დესტრუქცია ანტისახელმწიფოებრივი მოვლენაა!

დესტრუქციული ქმედებები ხელს უშლის დეოკუპაციის პროცესს!

2 ნოემბერი, 2020

## ვინ ჩაშალა მოლაპარაკება? რა თქვა გრიგოლ ვაშაძემ?

გრიგოლ ვაშაძემ დიპლომატიურ ენაზე, მაგრამ გაბრაზებით თქვა:

1. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგები მიუღებელია, მაგრამ, ამავე დროს, ფაქტია, რომ ქვეყანა თავზე გვექცევა ბევრი მიზეზის გამო (+პანდემია);

2. მე ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა ამერიკისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან;

მათი შუამავლობით მომზადდა დიალოგი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, რომელიც ჩაშალა ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე რადიკალურად განწყობილმა ლიდერმა; დიალოგის ჩაშლამ პოლიტიკური პროცესი ჩიხში შეიყვანა.

3. ყარაბახში რუსეთის გამარჯვების შემდეგ დიდი საფრთხე ელის საქართველოს სახელმწიფოს; ასეთ სიტუაციაში ე.წ. რევოლუციური სცენარი დაღუპავს ჩვენს სახელმწიფოს.; ასე ფიქრობენ სტრატეგიული პარტნიორების საელჩოების პირველი პირებიც.

4. 30 წელია საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა დიალოგი ვერ ვისწავლეთ! დღეს მაინც პარტიულ ამბიციებს ნუ გადავაყოლებთ საქართველოს.

5. ერთადერთი გამოსავალი გვაქვს: შევიდეთ პარლამენტში და ახლაც შიდაპარტიულ ინტერესებს არ გადავაყოლოთ საქართველო; სანაცვლოდ ხელისფლებამ 2021 წლის შემოდგომაზე დანიშნოს ვადამდელი არჩევნები (ადგილობრივ არჩევნებთან ერთად), რომელიც ჩატარდება ახალი საარჩევნო კომისიის მიერ (ამ ეტაპზე კი კომპრომისის ნიშნად უნდა გადადგეს ცსკო-ს თავმჯდომარე).

6. პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქე ვარ და მერე – პარტიის წევრი; ჩემი პარტია თუ მაინც რევოლუციურ გზას აირჩევს, წამოვალ პარტიიდან და დავრჩები მარტო!

7. საქართველო უპირველეს ყოვლისა!

12 ნოემბერი, 2020

## მთავარი საფრთხე

ერთი ჩემი ახლობელი უყურებს მხოლოდ ერთ რადიკალურ ტელევიზიას, მეორე – მხოლოდ მეორე რადიკალურ ტელევიზიას; მესამე ცდილობს, ინფორმაცია დააბალანსოს და ორივეს ინფორმაციებს აჯერებს.

პირველი და მეორე ერთმანეთზე (მოყვასზე!) იწევენ, მესამე დაბრკოლებულია.

ამ დროს მტერი (რუსის ჯარი) ალყას უფრო და უფრო გვივიწროებს. რუსეთის იმპერიას საქართველოში დაძაბულობა აძლევს ხელს. პოლიტიკოსთა გააზრებული თუ უნებლიე რადიკალიზმი დესტრუქციის წინაპირობაა!

1992-93 წლების მსგავსად, დღესაც, "დემოკრატიის" სახელით დესტრუქცია საქართველოს მტრობაა, რადგან დღესაც "მთავარი თემა", მთავარი საფრთხე არის რუსული ოკუპაცია!

საქართველო უპირველეს ყოვლისა!

**P.S.** ამჟამინდელი მთავარი თემა:

პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია რუსეთისაგან მოსალოდნელი ახალი აგრესიის წინააღმდეგ: ყარაბაღში შესული 1960 რუსი ჯარისკაცის დასაბალანსებლად აუცილებელია ამდენივე ამერიკელი სამხედროს შემოსვლა საქართველოში.

15 ნოემბერი, 2020

## „დემოკრატიის" სახელით

აზერბაიჯანისა და სომხეთის დაჩოქების შემდეგ რუსეთი ჩვენს საბოლოო დასაჩოქებლად ემზადება! 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა რომ გამოვაცხადეთ, მალევე დაიწყო ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთის აქციები "დემოკრატიის" მოთხოვნის ლოზუნგით. მერე გაჩნდა ასეთი მოწოდებაც: "ჯერ დემოკრატია და მერე დამოუკიდებლობა"... საბოლოო ჯამში ეს "დემოკრატები" სისხლიან პუტჩისტებად მოგვევლინენ და რუსებმა საქართველო დსთ-ში შეათრიეს მათი გამოყენებით.

დღეს ერთი ჯგუფი იძახის: “მთავარი თემა არის გაყალბებული არჩევნები, ამიტომ გადავკეტოთ ხელისუფლების ყველა კარი, გამოვფიტოთ, დავღალოთ”...

იდეალური არჩევნები რომ არ იყო, რად უნდა ამას თქმა, მაგრამ დღეს მთავარი მიზანი არ უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების გამოფიტვა! დღეს მაინც მთავარი მიზანი უნდა იყოს ყველა პოლიტიკური ჯგუფის კონსოლიდაცია დეოკუპაციის მიმართულებით. ურთიერთკომპრომისით სტაბილიზაცია და დასავლეთთან აქტიური თანამშრომლობით დეოკუპაციის კურსის გაგრძელება!

აზერბაიჯანისა და სომხეთის დაჩოქების შემდეგ რუსეთი ჩვენს საბოლოო დასაჩოქებლად რომ ემზადება, ამას ვერ ხვდებიან? თუ ხვდებიან და იმავე გზას ირჩევენ, რაც აირჩია ზოგმა 1991 წლის ბოლოს, როცა დესტაბილიზაციით ხელი შეუწყვეს პუტჩს (კანონიერი ხელისუფლების დამხობას), რასაც მოჰყვა დსთ-ში საქართველოს შეთრევა!

15 ნოემბერი, 2020

## “ისტორიის სწორი მხარე”

ბოლო პერიოდში ხშირად ახსენებენ ფრაზას: “ისტორიის სწორი მხარე”. 2020 წლის 20 ნოემბერს ვინ დგას ისტორიის სწორ მხარეს?

ჩემი აზრით:

1. ვინც საქართველოს მთავარ პრობლემად თვლის რუსულ ოკუპაციას; შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მთავარ მიზნად მიიჩნევს ამერიკისა თუ ევროპის მხარდაჭერით საქართველოს დეოკუპაციისათვის კონსოლიდაციას. 1991 წლისაგან განსხვავებით, დასავლეთი დღეს ჩვენი მხარდამჭერია: 1991 წელს ჩვენ დასავლეთის მხარდაჭერა არ გვქონდა იმიტომ, რომ მალტის გარიგების შესაბამისად დასავლეთის მიზანი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების დეოკუპაცია. 2020 წლის 17-18 ნოემბერს პომპეოს ჩამოსვლის დღეებში ყველა პოლიტიკური ძალის მთავარი ლოზუნგი უნდა ყოფილიყო “საქართველოში რუსეთის ჯარი არის ოკუპანტი”.

2. საქართველოსათვის რაციონალური ნაბიჯების გადადგმის მიზნით /საქართველოს სტაბილიზაციისა და საქართველოს დეოკუპაციის მიზნით/ ვინც აქტიურად თანამშრომლობს შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელჩებთან.

3. არსებული სახელმწიფოებრივი რისკების დასაძლევად ვინც ცდილობს შიდა სტაბილიზაციას და არა – დესტაბილიზაციას (გადატრიალებას, პუტჩს, სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევას). 1991-92 წლების მსგავსად, ზოგი ოპოზიციური პარტია დღესაც დესტაბილიზაციისკენ მიიწევს და რუსეთის ოკუპაციას უწყობს ხელს (1991 წელს ხელისუფლების ოპოზიციის “გულუბრყვილო” ლოზუნგი იყო: “ჯერ დემოკრატია, მერე –დამოუკიდებლობა”).

4. 31 ოქტომბრის პრობლემური არჩევნების შედეგების ადეკვატურად შეფასების პარალელურად, ოკუპაციისა და კოვიდაფეთქების დროს, ვინც ცდილობს საზოგადოების კონსოლიდაციას და ნეგატიური მუხტების აქტივიზაციით არ ესწრაფვის ისედაც დაძაბული საზოგადოების რადიკალიზებას.

5. ვინც თვლის, რომ ბოლო 28 წელია საქართველოს ყველა პრობლემის სათავეა რუსი ოკუპანტების აქტიური ჩართულობით 1992-93 წლებში განხორციელებული პუტჩი და ვინც თვლის, რომ აუცილებელია ამ უდიდესი დანაშაულის შეფასება სასამართლოს წესით.

20 ნოემბერი, 2020

# ლევან ბერძენიშვილი ამბობს

ლევან ბერძენიშვილი ამბობს: „ყველა, ვინც მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“, არის სამარცხვინო ნაწილი ჩვენი ნაციის, ავადმყოფი ნაწილი ჩვენი ნაციისა“.

ჩემმა ბევრმა ახლობელმა ადამიანმა გააზრებულად დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“ (ზოგმა ახლობელმა – ნაციონალურ მოძრაობას). ისინი გონიერი ადამიანები და დიდებული ქართველები არიან; შესაბამისად, ნამდვილად ცდება ბ-ნი ლევან ბერძენიშვილი.

პირადად, მე არ ვენდობი ბ-ნ ლევან ბერძენიშვილს, რადგან მან გააზრებულად დაუჭირა მხარი 1992-93 წლებში რუსების მიერ ორგანიზებულ სისხლიან პუტჩს და უკანონო გზით მოვიდა ხელისუფლებაში. მეტიც, რუსეთიდან გამოგზავნილი შევარდნაძის გამართლებისათვის შექმნა საავტორო სატელევიზიო გადაცემა „მჯერა“. შემდეგ გაემიჯნა შევარდნაძის სისხლიან რეჟიმს და პარლამენტში ხელახლა შევიდა უკვე მიხეილ სააკაშვილის გამოყენებით. შემდეგ უღალატა სააკაშვილს და „გადახტა“ ივანიშვილის „გემში“, ახლა ივანიშვილს ლანძღავს და ისევ ცდილობს, დაბრუნდეს მიშასთან... ასეთ ადამიანს ან მიშა როგორ ენდობოდა, ან ბიძინა!

დავძენ: „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა ჯამი არის ჩვენი ერის თანამედროვე თაობის უდიდესი ნაწილი. არჩევნების დროს გადაწყვეტილებას ყველა იღებს თავისი საინფორმაციო ბაზისა და შინაგანი მრწამსის მიხედვით, ამიტომ არც ერთი მხარე არ არის ერის „ავადმყოფი ნაწილი“.

ჩვენ, ამჟამინდელი ქართველები, ვართ 35-საუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართველი ერის ის თაობა, რომელიც ბოლო 30 წელია იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; შესაბამისად, ავადმყოფი თუ გონებაარეულია ის, ვინც ამ ქართველი ერის მესამედს, ნახევარს თუ მთლიანად ქართველთა მოდგმას ლანძღავს.

რაც მთავარია: საქართველოს უმთავრესი გამოწვევა დღეს არის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ მიმართულებით აუცილებელია მთელი პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია და სახელმწიფოს დაზღვევა შინაგანი რყევებისაგან. ამის ნაცვლად ბერძენიშვილი და მისი ახალი „წრე-კონგლომერატი“ კიდევ „რევოლუციურ“ სცენარზე საუბრობს და დაახლოებით იმასვე აკეთებს, რასაც აკეთებდა 1991-95 წლებში.

...საქართველოს დასავლეთელი მეგობრებიც გვეუბნებიან, რომ უნდა გადავსინჯოთ გარედან თავსმოხვეული ბოლო 30 წლის „პოლიტიკური“ პრაქტიკა – რუსების შეკვეთით პუტჩებისა და გადატრიალებების ორგანიზება, თორემ ისევ დესტაბილიზაციის ჭაობში ჩავვარდებით (რაც უნდა რუსეთს).

**დასკვნა:** ჩვენი ერისათვის, ჩვენი სახელმწიფოსათვის ამჟამად „მთავარი თემა“ უნდა იყოს კონსოლიდაცია საქართველოს დეოკუპაციისათვის და არა – ავად თუ კარგად ჩატარებული არჩევნების შედეგების გაუქმება. დ. ბერძენიშვილის „ენობრივი სტილით“ ეს დებულება ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

„ერის ავადმყოფი ნაწილს“ დღეს ისინი ქმნიან, ვინც ცდილობენ საქართველოს ჩათრევას შიდაარეულობაში და არ უნდათ საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაცია. სამწუხაროდ, ასეთები საკამათო არჩევნების გამო სამართლებრივ ბერკეტებს კი არ იყენებენ, დესტაბილიზაციისკენ ექაჩებიან საქართველოს!

დღეს ქართველი ხალხის (საქართველოს მოსახლეობის) უმთავრესი მიზანია დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ მიზანს რომ მივაღწიოთ, აუცილებელია (1) პოლიტიკური პროცესის მშვიდობიანი განვითარება, (2) სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება-გაძლიერება და (3) სასამართლო ხელისუფლების გზით 1992 წლიდან განადგურებული სამართლიანობის აღდგენა. ზუსტად ამას გვეუბნებიან საქართველოს ამერიკელი თუ ევროპელი მეგობრებიც.

მეგობრებო, დაუჯეროთ ლოგიკურად მოაზროვნე გულწრფელ მეგობრებს და არა – ბერძენიშვილს, რომელმაც ადრეც არაერთხელ მოგატყუათ.

23 ნოემბერი, 2020

## მეფემ თქვა

მეფემ თქვა: ნუ მოკლავთ ბავშვს, მიეცით პირველ ქალს; ეს არის მისი ნამდვილი დედა, რადგან მას გულ-ღვიძლი დაეწვა თავისი შვილის გამო.

საქართველოს მძიმე 2021 წელის ელის. ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთის მცოცავი ანექსიაა. აუცილებელია, არჩევნების შედეგების აღიარების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების შეთანხმებით დასრულება. რომელი მხარეც არავითარ კომპრომისზე არ წავა, აღმოჩნდება იმ ქალის როლში, რომელიც გაამტყუნა ბიბლიურმა სოლომონმა:

http://www.allgeo.org/index.php/ka/1369-3-4

2 დეკემბერი, 2020

## ნიკა მელიას პოლიტიკურად უმწიფარი ფრაზა

ნიკა მელიას პოლიტიკურად უმწიფარი ფრაზა: "რომელიღაცა ქვეყნის ელჩი, რომელი სახელმწიფოც ძალიან ძვირფასია ჩვენთვის სტრატეგიულად"

ამერიკის შეერთებული შტატები "სტრატეგიულად ძვირფასი" თუ არის ნიკა მელიასათვის, ანუ აშშ თუ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, მაშინ რატომაა აშშ "რომელიღაცა ქვეყანა"? დღეს საქართველოსათვის რომელიღაც ქვეყანაა, მაგ., ლაოსი, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს საქართველო.

სხვა ინტერვიუში ნ. მელია ამბობს: "გასაგებია, რომ კელი დეგნანს უნდა სტაბილურობა, ეს მისასალმებელია, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ თავისუფალი არჩევნები არ ჩატარდეს">

ჩემი აზრით (და არა მხოლოდ ჩემი აზრით) სრულფასოვანი არჩევნები საქართველოში მანამ არ იქნება, სანამ სასამართლოს წესით არ შეფასდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების დამხობა (რომელიც განახორციელა რუსეთის იმპერიამ 1992-93 წლებში).

ისტორიის ამ ეტაპზე კი, 2020-2021 წლებში, არის ყველაზე მეტი შესაძლებლობა, საქართველომ თავი დააღწიოს რუსეთის 200-წლიან ოკუპაცია-ანექსიას და ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ აშშ-ისა და ევროკავშირის დახმარებით. საამისოდ დასავლეთელ "სტრატეგიულად ძვირფას" პარტნიორებს ერთი პირობა აქვთ: სტაბილიზაცია საქართველოში, რომელიც სასწრაფოდ მიღწეულ უნდა იქნეს 31 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული 9 სუბიექტის ურთიერთშეთანხმებით.

შდრ.: დემოკრატიის ლოზუნგით 1991 წელს ვითომ დემოკრატებმა რუსეთის მარიონეტი სისხლიანი რეჟიმი მოიყვანეს 1992 წელს. მაშინ ზოგი ქართველი "ლიდერი" რუსულ თამაშს თამაშობდა (კრემლისგან ჰქონდა დავალება; კრემლში დარბოდა!), ზოგი კი ცხელთავიანი ემოციის გამო (ანუ უჭკუობით) აღმოჩნდა რუსული პუტჩის ხელისშემწყობი.

ისტორიის ამ ეტაპზე, 2020 წელს (განსხვავებით 1991 წლისაგან), საქართველოს დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი მხარდამჭერია აშშ და არა – რომელიღაც ლაოსი.

დღეს პრორუსულ პარტიებს განაჩენი უკვე გამოტანილი აქვთ; ახლა ნამდვილად ზედმეტია ასეთი "ცხელი თავის" განცხადებები.

2020 წლის დასასრულს, როდესაც საქართველოს უდიდესი მხარდაჭერა აქვს დასავლეთისგან დეოკუპაციის გზაზე, აშშ-ისა თუ ევროკავშირის ელჩების ირიბი თუ პირდაპირი ლანძღვა

კავკასიაში რუსული იმპერიული პოლიტიკის ხელშეწყობაა!

4 დეკემბერი, 2020

# პუტჩის გამოძიებამდე

1992-1993 წლებში პუტჩის – დიდი დანაშაულის – გამოძიებამდე შეუძლებელია ახალი პუტჩებისა თუ პარლამენტის საბოტაჟის პრევენცია. მაშინაც დემოკრატიის/სამართლიანობის სახელით/ვითომ პროდასავლური პარტიების გამოყენებით/რუსეთმა დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ჩვენი ხელისუფლება.

1991 წლის მოვლენები რომ კარგად ვიცი, დღეს არ მაოცებს აშშ-ისა და ევროკავშირის მაღალჩინოსნების იგნორირება ვითომ პროდასავლური პარტიების მიერ.

11 დეკემბერი, 2020

# 2.1.5. პოზიცია

# ჩემი პოზიცია

არსებული პოლიტიკური რეალობისა და პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილის „დონის“ გამო დღეს დამძიმებულია საქართველოს ყველა მოქალაქის ცნობიერება. ქვეყნის პოლიტიკური კურსის არჩევის დროს ხალხის ასეთი უარყოფითი ემოციური განწყობა **ბევრი შეცდომის სათავე ხდება ხოლმე;** სახელმწიფო გადატრიალების თუ რევოლუციური რევანშიზმის მორიგი ტალღა დააქცევს საქართველოს სახელმწიფოს...

ამ ფონზე მე ჩემს მოქალაქეობრივ პოზიციას ასე ვაყალიბებ:

**1. არა ძალადობას!** მკვლელობის ანალოგიური საშინელი დანაშაულია ძალადობით პიროვნული ღირსების გათელვა და შეურაცხყოფის მუქარით მიუღებელი მოსაზრებისა და, რაც მთავარია, **ჩაუდენელი დანაშაულის აღიარებინება** (კარგად ვიცი, ეს რაც არის: ამ რამდენიმე თვის წინ ჩემი გულით ავადმყოფი ძმა გახადეს იძულებული, ჩაუდენელი დანაშაული ეღიარებინა);

**2. არა რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში დაბრუნებას!** 200 წელია რუსეთი აკონტროლებს კავკასიის გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებს; ბუნებრივია, მას დღესაც სურს შეინარჩუნოს ეს სტრატეგიული ტერიტორია და აქტიურად მოქმედებს საამისოდ.

1991 წლის 31 მარტის **საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმისა** და 2008 წლის 5 იანვრის **საქართველოს ნატოში გაწევრიანების პლებისციტის** შემდეგ გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, საქართველომ თავი დააღწიოს რუსულ იმპერიულ ველს, რომელმაც 1801 წლიდან გაანადგურა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, 1811 წელს გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, 1921 წელს მეორედ დაიპყრო საქართველო და შეეცადა საბოლოოდ გაენადგურებინა ქართული კულტურა, ენობრივ-ეთნიკურად დაეშალა (და ასე მოესპო) ქართველი ერი. რუსეთმა 1991 წელსაც დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს ხელისუფლება და მესამედ აღიდგინა კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე. ბოლო პერიოდში რუსეთის იმპერიამ საქართველოს ორ ისტორიულ მხარეში (აფხაზეთი, შიდა ქართლი) განახორციელა ქართველთა გენოციდი...

**3. არა ე.წ. ზეეროვნული და ზერელიგიური გლობალისტური მოძრაობის საქართველოს დესანტებს!**

მათი მიზანია საქართველოშიც მოსპონ ტრადიციული ქართული ღირებულებები, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური და ეკლესიური დანაწევრებით გაანადგურონ ქართველთა ერთიანობის საფუძველი და საქართველოს ტერიტორია აქციონ საერთაშორისო კრიმინალური სინდიკატის პოლიგონად. **ამ „მოძრაობის“ საბოლოო მიზანია, შეიქმნას იოლად სამართავი მონოკულტურული და ერთენოვანი კაცობრიობა** (ბაბილონის გოდოლამდე არსებულმა ერთენოვანმა კაცობრიობამ თავის თავს წარღვნა და მკრეხელობა მოუტანა; მრავალეთნიკურმა და მრავალენოვანმა კაცობრიობამ კი დღემდე შეძლო არსებობა).

**ამ ეტაპზე სამართლიანი არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაა აუცილებელი.** უახლოეს მომავალში კი უარი უნდა ვთქვათ **თითო პირებზე** ორიენტირებულ პარტიებზე და უნდა შევქმნათ **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ზნეობრივ-კულტურული ღირებულებებით** გაერთიანებულ ადამიანთა პოლიტიკური გაერთიანებები. მხოლოდ ამგვარი პოლიტიკური ელიტის საქმიანობა შექმნის სამართლებრივ სახელმწიფოებრივ სივრცეს და წაადგება საქართველოს – **ჩვენს მრავალსაუკუნოვან სამშობლოს** – ჩვენს ერს, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა **გასპარსელებას,** არაბთა გავლენას (არაბეთმა დიდი კულტურის მქონე სპარსეთიც კი გაამუსლიმანა), თურქ-სელჯუკობას (რომელმაც დიდი ბიზანტიაც კი დაამხო), **მონღოლობას, რუსობასა თუ კომუნისტობას...**

**საქართველოს, ქართველ ერს მომავალშიც უფლის რწმენა და პრაგმატული ქმედება გადაარჩენს.**

20 სექტემბერი, 2012 წელი
21 სექტემბერი, 2012

## დემოკრატიით არ მანიპულირებენ, დემოკრატიას ამკვიდრებენ... დემოკრატიის სახელით მსოფლიოში სისხლიანი დიქტატურა არაერთხელ დამყარდა...

ჩვენს სინამდვილეში საქართველოში დემოკრატიის, თანასწორობისა და სამართლიანობის სახელით შემოვიდა ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძის წითელი არმია; ამავე ლოზუნგებით დაამხო რუსეთმა (გორბაჩოვ-ელცინ-შევარდნაძე-მგელაძე-კიტოვანის მიერ მართულმა შენაერთებმა) გამსახურდიას ხელისუფლება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა სურდა: შევარდნაძე-მგელაძე-იოსელიან-კიტოვანის თანამზრახველებმა და კრიმინალურმა ფინანსურმა პარტნიორებმა (რომელთა დიდი ნაწილი ახლა ბიძინა ივანიშვილის „ოცნებაში“ აღმოჩნდა) დემოკრატია ლეღვის ფოთლად აიფარეს, სისხლიანი დიქტატურა დაამყარეს და საქართველო რუსეთს დაუბრუნეს.

არ მინდა, რომ ახალგაზრდობის ნაწილი „დემოკრატიის“ თემით კიდევ მოატყუონ საქართველოს გაკონტროლების მოსურნე კრიმინალურმა საერთაშორისო სინდიკატებმა,

თუმცა, ეს ჩემი ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე შეეგუოს ცოცხებით გაუპატიურებასა და არსებული ხელისუფლების წარმომადგენელთა იმ ნაწილის რიტორიკას, რომელსაც სურს საქართველოში ტრადიციულ ქართულ ფასეულობებსა და მართლმადიდებლობას (ქართველობის გადამრჩენ რწმენას) ჩაანაცვლოს ქართული ცნობიერების წამშლელი „ღირებულებები“. ამიტომ ვამბობ, რომ არსებული პოლიტიკური სპექტრი არ შეესაბამება ქართველი საზოგადოების დონეს.

აუცილებელია მშვიდობიანი არჩევნების ჩატარება, რომ ქვეყანა ქაოსში არ გადავარდეს, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობა გაგრძელდეს (ფაქტია, რომ დღეს მოქმედებს სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებიც მოშალა შევარდნაძის რეჟიმმა)...

არჩევნების მეორე დღიდანვე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ ახალი პოლიტიკური თაობა წამოვიდეს წინა პლანზე, ვინაიდან ეს არჩევნები ნათლად წარმოაჩენს (ბრმათათვისაც!) არსებული პოლიტიკური სუბიექტების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს კრიმინალურ არსს.

გარედან მართული და ამავე დროს არასამართლებრივ გზაზე მავალი (კრიმინალური მენტალიტეტის მქონე) „პოლიტიკოსებით“ სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება;

უზნეო გზით ზნეობრივი საქმე ვერ გაკეთდება... მხოლოდ ახალი თაობის ზნეობრივ პოლიტიკოსებს შეუძლიათ საქართველოში რეალურად დაამკვიდრონ დასავლური დემოკრატიული თუ სახელმწიფოებრივი ღირებულებები და ააღორძინონ ქართული ფასეულობები.

27 სექტემბერი, 2012

## სამართლიანობა შურისძიების გარეშე!

ჩემი აზრით, დღეს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისთვის აუცილებელია:

1. ქართული ეროვნული ღირებულებების დაფასება სახელმწიფო დონეზე და ქართული ენის (ქართველთა დედაენის) გადაქცევა თანამედროვე ტექნოლოგიების ენად (კომპიუტერული თარგმანი, ქართული მეტყველების სინთეზი, ქართული მეტყველების ანალიზი);

2. საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება მართლმადიდებლობის ზნეობრივი და ისტორიული როლის გააზრების, ასევე, ნამდვილი დემოკრატიის და ევროატლანტიკური სახელმწიფოებრივი ორიენტირებისა თუ ფასეულობების დამკვიდრების ფონზე (საქართველოს ნეიტრალიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი მსოფლიოს წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშენი მიაღწევენ კონსენსუსს ამ თემაზე; ეს ახლა გამორიცხულია);

3. სამართლიანობის დამკვიდრება შურისძიების გარეშე (ამ ასპექტით, მნიშვნელოვანი იქნება 20 წლის წინ მომხდარი საუკუნის დანაშაულის – ხელისუფლების იარაღის გზით დამხობის ფაქტის – სამართლებრივი შეფასება).

16 ნოემბერი, 2012

# აჭარა

**ესაა ცოცხალი ნიშანი იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი ერი გადარჩება, თუკი სწორად ვივლით მომავალშიც.**

**საქართველო მუდმივი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში და აჭარის ქართველობის მძიმე ხვედრი**

ძველი მსოფლიოსთვის კავკასიონი მიჯნავდა ცივილიზებულ და ბარბაროსულ სამყაროებს; ქართველთასახელმწიფობოლოციხესიმაგრეიყოველურიჩრდილოეთისსაზღვართან.ბიზანტიის ბოლო იმპერატორებს არ ეყოთ სიბრძნე, ხელი შეეწყოთ ქართველთა სახელმწიფოსათვის და თავადაც კატასტროფა მოიმკეს.

საქართველო ისევ წამოდგა ფეხზე ბაგრატ და დავით კუროპალატების დროს და თავის ოქროს ხანაში შევიდა დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში.

შემდეგ: სპარსელი თუ ოსმალო ცდილობდა, რწმენა შეეცვალა და ამ გზით წაერთმია ქართველი ერისთვის ისტორიული ტერიტორიები; ბიზანტიელთა აგრესია კი შეიცვალა მონღოლობითა თუ რუსობით, რომელიც დედაენობრივი კულტურის შეცვლით ცდილობდა საქართველოს ტერიტორიების ანექსიას..

ყველამ რაღაც დაგვაკლო...

ბოლო ტკივილი: რუსეთს საქართველოს ანექსია რომ არ გამოუვიდა, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველობის გენოციდი განახორციელა 1992-2008 წლებში...

როგორც თვითმყოფადი ნაცია, დღემდე მაინც მოვედით და ტერიტორიის ნაწილზე სახელმწიფოებრიობაც შევინარჩუნეთ: მსოფლიოში იშვიათია ერი, რომელიც ცოცხლობს ბოლო 33 საუკუნეა და, სულ მცირე, 16 საუკუნის უ წ ყ ვ ე ტ ი სამწიგნობრო კულტურა აქვს.

...დღეს ამერიკასა და ევროპას ურჩევნია, პატივი სცენ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ენას და ამ ენაში – ქართული კულტურის ჩამომძერწავ მართლმადიდებლობას, ასევე, ტერიტორიულ მთლიანობას;

ასეთ შემთხვევაში ცივილიზებულ სამყაროს ძლიერი საქართველოს სახით ერთგული პარტნიორი ეყოლება კავკასიაში – დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც გეოპოლიტიკური დაპირისპირებების ეპიცენტრი იყო, არის და ყოველთვის იქნება.

სამწუხაროდ, დასავლეთის ბევრმა პოლიტიკურმა ლიდერმა დღემდე ვერ გააცნობიერა, რომ საქართველოში ტოლერანტობა და დემოკრატიული ღირებულებებისადმი ნამდვილი პატივისცემა იმ უმრავლესობაშია, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს თვლის ყველაზე სანდო ადამიანად და არა იმ ფსევდოლიბერალებში, რომლებიც ეკლესიისა და პატრიარქის დისკრედიტაციისათვის ხარჯავენ დასავლეთიდან თუ (სხვა მხრიდან) მიღებულ გრანტებს.

პირადად, მე არ მინდა, საქართველო კვლავ ვიხილო რუსეთის კოლონიად; ასევე, არ მსურს, ქართველობამ დაკარგოს თავისი იდენტობა (ისტორიული დედაენა, დედაენობრივი კულტურა, ქართულენოვანი მართლმადიდებლობა, სხვა ქართველური ფასეულობანი) და უქართულსულოდ დარჩენილი კ ა ვ კ ა ს ი ი ს ცენტრალური ნაწილი იქცეს ერთი ან მეორე სამხედრო ბლოკის სტრატეგიულ სივრცედ.

ქართველმა ერმა მრავალი საუკუნის მანძილზე მრავალ კატაკლიზმსა თუ პოლიტიკურ ცუნამს გაუძლო (ამიტომ ვერ დავეთანხმები ვერავის, ვინც საქართველოს „ფურთხის ღირსად თუნდაც წამით თვლის“)...

ქართველი ერის უმძიმესი, მაგრამ ღირსეული 33-საუკუნოვანი უწყვეტი ისტორიის ფონზე ტრაგიკული იყო საქართველოს ერთი კუთხის – აჭარის – ქართველობის ისტორია: 1555 წლის ირან-ოსმალეთის გარიგების შემდეგ მრავალი წლის მანძილზე აქაც თარეშობდა ოსმალო; საქართველოს სხვა რამდენიმე კუთხესთან ერთად (ლაზეთი, ლივანა, შავშეთ-იმერხევი, ერუშეთი, ტაო...) აჭარაც სამი საუკუნის მანძილზე დაპყრობილი ჰქონდა ოსმალეთს; აქაც იძულებით ვრცელდებოდა მუსლიმანობა და ქრისტიანობა ფარული მორწმუნეების სახით ნარჩუნდებოდა...

და გაჩნდა ტერმინები: ოსმალოს საქართველო, სამუსლიმანო საქართველო, მუჰაჯირი ქართველი...

ისტორიული კატაკლიზმების შედეგად ოსმალოს საქართველოს ნაწილი – აჭარა – ისევ გაუერთიანდა „სხვა საქართველოს“; ქართველთა ნაწილი და ქართველთა საცხოვრისის თითქმის ნახევარი კი ისევ ოსმალეთს დარჩა.

ნაწილობრივ აღდგენილ საქართველოში (რომელსაც დღეს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის სახით ღია ჭრილობა აქვს) ახლა დიდი დუღილია; თან ისევ არიან აფოფრილნი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც დიდ ტალღებად ადგანან საქართველოს.

წალეკვის საფრთხის მიუხედავად, საქართველოში სასწაულები ხდება: სასწაულია 2 დღეში 3000 კაცის მონათვლა აჭარაში – 3000 კაცის მიერ დაფასება წინაპართა ისტორიული არჩევანისა –1975 წლის წინ დიდაჭარაში გაკეთებული არჩევანისა (როდესაც მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ეკლესია დაფუძნდა)...

ამ სასწაულს ეხება ფილმი, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე:

http://tinyurl.com/lburfgg

**ესაა ცოცხალი ნიშანი იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი ერი გადარჩება, თუკი სწორად ვივლით მომავალშიც.**

28 ივლისი, 2013

## თბილისელი და თფილისელი

ერთიანი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მოშლას დღეს ორი გზით ცდილობენ გარე ძალები თუ ფსევდოლიბერალები:

– ე.წ. ეროვნული ნიჰილიზმის დამკვიდრებით,

– კუთხურ-ფეოდალური ცნობიერების აღორძინებით.

კუთხურ-ფეოდალური (რეგიონული) აზროვნების ერთ-ერთი ნაირსახეობაა ქალაქელობა, მაგ., ე.წ. „თფილისელობა“, „ქუთაისელობა“, „ბათუმელობა“, „ახალციხელობა“, „ქობლეთლობა“ (სხვა შინა არსის მქონეა „ქობულეთელი“)... მაგალითად, ადამიანი, **რომელსაც სხვა ფასეულობა არ გააჩნია** ან მისი წარმომავლობა გაურკვეველია, ცდილობს, რაღაც წრეში მაინც თავი დაიმკვიდროს თბილისში დაბადებულობაზე ხაზგასმით... არადა, ცნობილია, რომ საქართველოშიცა და მთელ მსოფლიოშიც, ცნობილ მეცნიერთა, მწერალთა, მხატვართა და სხვა გამორჩეულ მოღვაწეთა უდიდესი ნაწილი სოფლად დაიბადა (და არა – ქალაქში).

ქალაქში დაბადებულობის თემა ახლახან წინა პლანზე წამოიწია „ქართული ოცნების“ მიერ **თბილისის მერად დავით ნარმანიას დასახელების გამო.** ამ ამბავმა ერთი ჩემი ნაცნობი წარუმატებელი პედაგოგის ნათქვამი გამახსენა (ვუსაყვედურე, ცოლი სამუშაოდ რატომ გაუშვი თურქეთში-მეთქი):

– ბიჭო, ამის დედა მ... ამ ქალაქში დევიბადე, გევიზარდე და ვერაფერს მივაღწიე; გადაგვქელეს ჩამოსულებმა; აგერ, ვანიდან ჩამოსული კაცი ამდენი ხანია რექტორია...

ამ ბილწენოვან ყოფილ პედაგოგს, ნამდვილი ქუთათურისგან განსხვავებით, ქუთაისიც კი არ უყვარს; საკუთარი უსუსურობის აღიარება არ უნდა და წარუმატებლობას იმ ღირსეულ და ბრძოლისუნარიან ხალხს აბრალებს, რომელიც ქუთაისში არ დაბადებულა, მაგრამ ქუთაისს დიდი სამსახური გაუწია.

დამოწმებული გამონათქვამივით ჟღერს ჩემი ახლონაცნობის გუშინდელი ფრაზა: **„მე კარენოი თფილისელი ვარ, ტო, მერად რად მინდა ჩამოსული კაცი?!“**

ფრაზის სტილზე ეტყობა, არც ამას უყვარს **თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი;** ეს ის კაცია, ქალაქის მერად დასმულ კრიმინალებს არაერთხელ რომ დაუკრა ტაში...

XXI საუკუნეში ცივილიზებული საზოგადოების თანამედროვე სახელმწიფოს აშენება გვინდა; რა დროის კუთხურ წარმომავლობაზეა ლაპარაკი? მით უმეტეს, დედაქალაქის კონტექსტში: **დედაქალაქი ყველა კუთხის ქართველისაა, საქართველოს ყველა მოქალაქისაა და არა – მხოლოდ ჩაფუფქული ხოხობისა; მით უმეტეს, ხოხბის ჩაფუფქულობიდან არავინ „აღმოცენებულა“.**

ნამდვილი თბილისელი, ვისაც უყვარს საქართველოს დედაქალაქი, ნამდვილი ბათუმელი

თუ ნამდვილი ქუთაისელი **ირონიით არ ანაწევრებს ქართველებს...** მაგალითად, ჩვენ ყველა ერთნაირად ვცემთ პატივს ჩვენსავე **თანამედროვე მხატვარ შოთა არაბულს,** რომელიც კორშაში დაიბადა და იქვე ცხოვრობს; ხევსურეთშივე დაიბადნენ შოთას შვილები – ისინი დღეს თბილისელი ახალგაზრდობისთვის ტონის მიმცემნი არიან პოეზიასა თუ მხატვრობაში...

ნამდვილ **თბილისელს** ეს კარგად ესმის, ხოლო **თფილისელისათვის** ესენი სოფლელები არიან... ბავშვი ღირსეულ ადამიანად სოფლისა თუ ქალაქის სამსაფეხუროვან ქართულ ოჯახში იზრდება... თბილისს გარეთ დაბადებულმა ბევრმა ჩვენმა მოღვაწემ არა მხოლოდ ღრმად იცოდა და იცის თბილისში მიმდინარე პროცესებიცა და განწყობაც, არამედ ქმნიდა და ქმნის კიდეც თბილისური ღირსებისა თუ ზოგადქართულეროვნული ცნობიერების ახალ-ახალ ბურჯებს; სამაგალითოდ დავასახელებ: ილიას, აკაკის, ფიროსმანს, გალაკტიონს... ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, შალვა ნუცუბიძეს, ლადო ასათიანს... ვერიკო ანჯაფარიძეს, რეზო ჭეიშვილს... თუნდაც, უცხოეთში მოღვაწე ქეთი მელუას და ა.შ. შდრ.: არაერთმა ვაითფილისელმა ჯალალედინებს გადასცა თბილისის გასაღები თუ დაანგრია ჩვენი დედაქალაქი 1991-92 წლების მიჯნაზე.

ეს ყოველივე იცის **თფილისელმაც,** მაგრამ რა ქნას, თანამედროვე ვითარებაში თავისი უპირატესობის დამტკიცების სხვა მოტივი არა აქვს; მით უმეტეს, როცა საქმე საარჩევნო ტექნოლოგიებზე მიდგება... არ შეიძლება საარჩევნო პროცესის დაგეგმვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების დაზიანების ხარჯზე!

**დასკვნა:** კუთხურობასა თუ „თფილისელობაზე“ ლაპარაკობენ ზოგადეროვნული ცნობიერების არმქონე უსუსური ადამიანები... დღეს ვინც კუთხურობაზე (მეგრელობაზე, აჭარლობაზე, გურულობაზე, კახელობაზე...) უარყოფითი ტონალობით ლაპარაკობს, საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს აღორძინება არ უნდა... მათ არ უნდათ ახსოვდეთ, რომ **საქართველოს გაერთიანება და აღორძინება ჯერ კიდევ 23 საუკუნის წინ სწორედ ეგრისის ცენტრალური ნაწილის (სამეგრელოს) მკვიდრი ქართველის – ქუჯის – დამსახურებით მოხდა, ჭყონდიდლები და გამსახურდიები კი, სხვა კუთხეების რჩეულ ქართველებთან ერთად, ერთიანი საქართველოს დიდი არქიტექტორები არიან...**

**P.S. დავით ნარმანიას თბილისის მერად გამორჩევა-არჩევა:**

– გააძლიერებს ერთიანი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღორძინებას (სწორედ ამ მითქმა-მოთქმების შემდეგ ექნება ამას ეფექტი);

– ხელს შეუწყობს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას ევროკავშირთან ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ მოსალოდნელი აგრესიების პროცესში;

– განათლებული, რამდენიმე უცხო ენის მფლობელი კაცის ქალაქის ხელმძღვანელად მოსვლა ნამდვილად წაადგება სერიოზული ინვესტიციების მოზიდვასა და საქართველოს დედაქალაქის განვითარებას.

28 ნოემბერი, 2013

## რა მოხდა 1992-93 წლებში; პრევენციები 2014 წლისთვის

**რა მოჰყვა 1992-93 წლების პუტჩს და რა უნდა გავითვალისწინოთ 2014 წლის ზაფხულში (მოსალოდნელი რუსული აგრესიის დროს):**

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ 1991 წელს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობისაღდგენადადაიწყოცივილიზებულიდიალოგირუსეთისხელისუფლებასთან (მაგ., იხ., ელცინი – ყაზბეგში).

დიდ პოლიტიკაში რომანტიკული სიყვარული არ არსებობს; იმპერიული ამბიციების გამო რუსეთს ესაჭიროება კავკასია, რომლის დათმობას ნებით არც ახლა არ აპირებს და არც მაშინ აპირებდა... რუსეთს არ სურდა კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოზე გავლენის დაკარგვა, ამიტომ, მალტის შეთანხმების საფუძველზე, შეურიგდა ბალტიის ქვეყნებისა და აღმოსავლეთ

ევროპის დაკარგვას, მაგრამ ინტენსიურად დაიწყო კავკასიის, შუა აზიისა და უკრაინა-მოლდოვა-ბელორუსიის რეგიონის შემომტკიცებაზე ზრუნვა; პირველ რიგში, 1991-92 წლებში ადგილობრივი მოღალატეებისა თუ ბრიყვების გამოყენებით, იარაღის ძალით დაამხო საქართველოს, აზერბაიჯანისა და იჩქერიის ხელისუფლებები.

გარედან ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების (პუტჩის) შემდეგ საქართველოში ბევრი ტრაგედია დატრიალდა და დაიწყო ქვეყნის დეზინტეგრაცია; კერძოდ:

1. შეიცვალა საქართველოს გეოპოლიტიკური ვექტორი: დასავლეთის კენმსწრაფვა საქართველო შევარდნაძის უკანონო ხელისუფლებამ / კლანმა 1993 წელს საქართველო /სამართლებრივი ბაზის არარსებობის პირობებში/ ისევ დააბრუნა რუსეთის „ორბიტაზე“ (შევარდნაძის ხელისუფლების აღიარებითვე გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერი იყო 1995 წლამდე)...

**შესაბამისად, მომავალ წელსა თუ მომავალ წლებში საქართველომ მყარად უნდა დაიცვას თავისი მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური გზა; ქართული ფასეულობების შენარჩუნებით ევროპისკენ!**

2. პუტჩის შემდეგ რუსეთმა საქართველოს წაართვა აფხაზეთი და ცხინვალის მხარე; საქართველოს ამ ძირძველი ტერიტორიებიდან მოხდა ნახევარი მილიონი ქართველის, აფხაზის, ოსის (ვინც მხარს უჭერდა საქართველოს ერთიანობას) დეპორტაცია; რუსული ჯარებისა და ხუნტის ყაჩაღებისგან აოხრებულ იქნა სამეგრელო; მოკლულ იქნა პრეზიდენტი, განდევნილ იქნა პარლამენტი, მთავრობა, ადგილობრივი საკრებულოები... საქართველოში დაიწყო დიდი უსამართლობა, რომელიც დღემდე არ გამოსწორებულა...

**შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს ამ პუტჩის სამართლებრივი შეფასებითა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით.**

3. პუტჩის შემდეგ პოლიტიკური სპექტრიდან განიდევნა ეროვნული ღირებულებების მატარებელი პარტიები...

**შესაბამისად, აუცილებელია, საქართველოზე ორიენტირებული პოლიტიკური სპექტრის აღორძინება, ჩამოყალიბება თუ გაჯანსაღება.**

4. მოხდა საზოგადოებრივი ცნობიერების რადიკალიზაცია („დაშლილნი საკუთარი თავის წინააღმდეგ“) და საზოგადოების დანაწევრება, რასაც მოჰყვა დიდი ნიჰილიზმი. დღემდე შეუძლებელია საზოგადოების კონსოლიდაცია არსებითი საფრთხეების დროსაც კი; მხოლოდ ერთჯერადად თუა შესაძლებელი საზოგადოების ნაწილის გაერთიანება არჩევნების დროს ე.წ. იმედის ძიებისას, რაც, როგორც წესი, არ ამართლებს...

**შესაბამისად, აუცილებელია, საზოგადოების კონსოლიდაცია ძირითადი ქართული და დემოკრატიული ფასეულობების (და არა – ერთი პიროვნების!) გარშემო და საქართველოს მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბების პროცესში** (ამჟამად პოლიტსპექტრის ფორმირების პროცესი, ძირითადად, გარედან რეგულირდება).

5. პუტჩის შემდეგ ქართველთა დეზორიენტირების მიზნით ილანძღება მრავალსაუკუნოვანი ქართული ღირებულებები – ქართველი ერის არსებითი ნიშნები; პარალელურად, ქართველებს თავს გვახვევენ მოსაზრებას, რომ ჩვენ ბრძოლისუუნარო, მუდამ დაპყრობილი ხალხი ვიყავით...

**შესაბამისად, ამჟამინდელი თაობის მიერ კარგადაა გასააზრებელი, რომ სწორედ საოცრად ჰარმონიულმა და საუკუნოვანმა ჩვენმა ფასეულობებმა გადაარჩინა საქართველოც და ქართველი ერიც; შდრ.:**

**ჩვენ, სულ მცირე, 33 საუკუნეა ვარსებობთ სწორედ ამ ღირებულებებისა და ფასეულობების გამო და, რა თქმა უნდა, ასევე, ჩვენი ერის გასაოცარი ბრძოლისუნარიანობის გამო...**

სხვაგვარად შეუძლებელია სასწაულებრივი ფაქტის ახსნა:

**მუდმივი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში არსებულმა მცირერიცხოვანმა ქართველმა ერმა ეთნიკური თვითმყოფადობაც შეინარჩუნა, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურაც და სახელმწიფოებრიობაც.**

http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=15065

20 დეკემბერი, 2013

# ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს

– სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის ეროვნული ფასეულობების შესანარჩუნებლად;

– ყველა მოქალაქის პიროვნული უფლებებისა და ეროვნული/ეთნიკური ღირებულებების დასაცავად;

– სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დასაცავად.

ერთმა ჩემმა მეგობარმა (როლანდ მათიაშვილმა) Facebook-ის კედელზე დასვა კითხვა: "საქართველოს მედიაში რატომ ლანძღავენ ევროპას? დავიჯერო, ევროპასა და ამერიკაში წესიერი ხალხი არ ცხოვრობს? მთელი საქართველო ევროპა-ამერიკაშია გახვეტილი და თუ ცუდია, რას გარბიან იქით?" შემდეგ ის სამართლიანად წერს, რომ დასავლეთში ადამიანთა უმრავლესობა ღირსეულად ცხოვრობს, მაღალ დონეზეა დაცული ადამიანის პიროვნული თუ სოციალური უფლებები, ბავშვთა განათლების უფლება... მოწესრიგებულია განათლების სისტემა, უმუშევართა პენსიებიც კი საარსებო მინიმუმზე მეტია და ა.შ. როლანდი მართალია. დავამატებ:

1. დასავლეთის ხელისუფლებები, პირველ რიგში, იცავენ თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებს;

2. ყველგან არის მანიაკი და გიჟი: დასავლეთშიც, რუსეთშიც, შორეულ აღმოსავლეთშიც, საქართველოშიც... თუმცა, ყოველგვარი ცუდის ევროპულად განზოგადებას პოლიტიკური სარჩული აქვს: რა ცუდია დასავლეთი... სამ წერტილს მოჰყვება პრიმიტიული მკითხველის/მაყურებლის დასკვნა: "ისევ რუსეთი ხომ არ ჯობია?"

3. პირადად, მე ასე ვფიქრობ: ატომურბომბიან თუ ტანკებიან ურდოს ქართველი ერი / საქართველოს სახელმწიფო/ ვერ გაუმკლავდება, რაც არ უნდა თავგანწირულად ვიომოთ; თუმცა, კულტურულ აგრესიას ყოველთვის გავუმკლავდებით, თუკი ტვინს/ხელს გავანძრევთ;

4. ქართველთა კულტურულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობანი ბევრად უფრო ევროპულია, ვიდრე აზიური თუ ჩრდილოური; შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფოს ადგილი უფრო ევროპულ გეოპოლიტიკურ ველშია, ვიდრე ჩრდილოურსა თუ აღმოსავლურში, მაგრამ ევროპულ ველში ჩვენ ქართველებად უნდა შევიდეთ და დავრჩეთ და არა გამონაციონალებულ (/ეროვნულობადაკარგულ/ უფერო საზოგადოებად;

5. მე მინდა ევროპული ტიპის სახელმწიფოში ცხოვრება, როგორც ქართველს და არა, როგორც უეროვნებო არსებას ("ეროვნება არა აქვს ცხოველს")... ამ კონტექსტში მე ვეწინააღმდეგები დავით უსუფაშვილის მიერ არაერთხელ გაცხადებულ და დიდი ხანია ცნობილ "ლიბერალურ" კონცეფციას, რომლის რეალური ავტორები აქცენტს აკეთებენ ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებზე (შდრ., ლოზუნგი: ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებებია "ცენტრალური ღირებულება"), სინამდვილეში კი ხშირად ახორციელებენ იმპერიული თუ კლანური ინტერესების შესაბამის გაუმართლებელ სამეზობლო თუ არასამეზობლო აგრესიას... ნიშანდობლივია: ე.წ. თანასწორობისა და დემოკრატიის საბაბით შეიფუთა საქართველოში მომხდარი ყველა ანტისახელმწიფოებრივი თუ ანტიხალხურ-ანტიეროვნული გადატრიალება თუ "რევოლუცია" ბოლო 100 წელიწადში. შესაბამისად, მე ვამბობ: ყველა წესიერი ხელისუფლებისთვის მთავარი ორიენტირი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც აქვს პიროვნული უფლებები და ეროვნული ფასეულობები; შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს:

– სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის ეროვნული ფასეულობების შესანარჩუნებლად;

– ყველა მოქალაქის პიროვნული უფლებებისა და ეროვნული/ეთნიკური ღირებულებების დასაცავად (ეს შეუძლებელია სამართლიანობის რეალური დამკვიდრების გარეშე; ჯერ რეალურადაა გამოსაძიებელი 1991-2012 წლებში ჩადენილი უდიდესი რამდენიმე დანაშაული);

– სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დასაცავად.

6 იანვარი, 2014 (16 ოქტომბერი, 2020)

## მართალ კაცს თანამოაზრე ურჩევნია, მტყუანს – მონა-მორჩილი

რას გვასწავლის ისტორია: როგორი მეფე, პრეზიდენტი თუ პრემიერია გამარჯვებული?

როგორც წესი, **შეუქცევად** (არადროებით) **წარმატებებს აღწევს ისეთი ლიდერი, რომელიც თანამოაზრეთაგან ქმნის კარგ გუნდს და არა ისეთი, რომელიც მონა-მორჩილებს ეყრდნობა.**

**ამ ფაქტის საყოველთაოობის მიუხედავად, მაინც ხშირია, როცა გადაწყვეტილების მიმღები პირი მონა-მორჩილებისგან აკომპლექტებს გარემოცვას... ვფიქრობ, ამგვარ უპერსპექტივო გადაწყვეტილებას ერთი მიზეზი აქვს; მხოლოდ მართალ და ძლიერ კაცს ურჩევნია თანამოაზრეთა გუნდი;**

**შდრ.: მრავლად არსებობენ ქვენაინტერესების მქონე და სუსტი ლიდერებიც: არამართალ, ქვენაინტერესების მქონე პირველ პირს მონა-მორჩილები უფრო გამოადგება, რამდენადაც მათ თავს იოლად მოახვევს არასამართლიან გადაწყვეტილებას; შესაბამისად, საზოგადო საქმეზე კი არა, ქვენაინტერესებზე ორიენტირებული ხელმძღვანელი ღირებულებების არმქონე მონა-მორჩილებისგან „აკომპლექტებს“ გარემოცვას.**

**სულ სხვა თემაა „სუსტი ლიდერი“: ასეთი გუნდს საერთოდ ვერ ქმნის და კულისებიდან იმართება.**

**გუნდისა თუ თანამშრომლობის თემას ორ კონტექსტში განვიხილავ: მეცნიერებასა და პოლიტიკაში:**

**ჭკვიან მეცნიერს უთუოდ დარჩება/ჰყავს ისეთი მოწაფეები, რომლებიც გააგრძელებენ და განავითარებენ მის სამეცნიერო გზას; კონიუნქტურის „ტყვეობაში“ მყოფი მეცნიერი-ლიდერი კი მედროვე მოწაფეებს ზრდის, რომელთაც არც იდეების განვითარება შეუძლიათ და, მეტწილ შემთხვევაში, არც ერთგულება.**

**უფრო რთულადაა საქმე პოლიტიკაში, სადაც იშვიათია მართალი და ძლიერი ლიდერი; ამ ეტაპზე ეს თემა უფრო აქტუალურია,** რამდენადაც ახლოვდება მორიგი არჩევნები და გუნდის თემა ყველა პარტიას თუ ფსევდოპარტიას უდგას. განსაკუთრებული სიფრთხილე ესაჭიროება ჩვენს მოსახლეობას – სახელმწიფოს ნამდვილ პატრონს, რომ ჩვენი ქვეყნის საჭე მედროვეთა თუ ქვეყნის ინტერესების გამყიდველთ არ მიენდოს.

**არჩევნების დროს შესაფასებელი კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ორიენტირებიდან გამომდინარე; კერძოდ, ჩემი აზრით, მცირერიცხოვანი საქართველოს ინტერესების დამცველ სახელისუფლებო გუნდს ისეთი პიროვნებები შექმნიან,** რომელთათვისაც პრიორიტეტულია:

1. ერთი მხრივ, ქართველი ერის ტრადიციული ეროვნული ფასეულობები და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები, მეორე მხრივ კი – ევროკავშირში, ზოგადად, დასავლურ სტრუქტურებში (და არა რუსეთის ახალ იმპერიაში – ევრაზიის კავშირში) გაწევრიანება. **ნეიტრალიტეტი მხოლოდ ისეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი მსოფლიოს წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშენი შეთანხმდებიან** (რაც ამ ეტაპზე გამორიცხულია!);

2. საქართველოს მოქალაქეთა დაცვა დეზინფორმაციებისაგან – **საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზება** (ეს უფრო აქტუალურია, ვიდრე – სამხედრო შეიარაღება); ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის დასაცავად ქართველოლოგიის, როგორც საინფორმაციო თავდაცვის ერთ-ერთი საფუძვლის, განვითარება;

3. **ქართული ენის ტექნოლოგიზების** (ავტომატური თარგმანები; კომპიუტერული პროგრამების ქართულად ამეტყველება; ქართული მეტყველების ქცევა ტექსტად...) **მიმართულებით** მძლავრი სახელმწიფო რესურსების ჩართვა;

4. ქართველი ერისათვის მართლმადიდებლობის ისტორიული ფუნქციის გააზრების ფონზე რწმენის თავისუფლების სრულად უზრუნველყოფა და საქართველოს მოქალაქე უმცირესობათა უფლებების დაცვა (ამ მხრივ, საქართველოს არც აქვს არსებითი პრობლემები);

5. საქართველოს სახელმწიფოში **სამართლიანობის დამკვიდრების გზაზე,** პირველ რიგში, საქართველოს გარედან – რუსეთიდან – ორგანიზებული 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების (და სხვა თანამდევი მოვლენების) გამოძიება და სამართლებრივი შეფასება და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების ადეკვატური სახელდება; კერძოდ, გასული საუკუნის

90-იან წლებში საქართველოში იყო არა „სამოქალაქო ომი“ თუ „ეთნოკონფლიქტები“, არამედ, დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველო იმპერიულ ველში დააბრუნა რუსეთის იმპერიამ ქართველი, აფხაზი და ოსი კოლაბორაციონისტების გამოყენებით.

6. საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის შეუქცევადი პირობების შესაქმნელად სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება;

7. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები **ქართველების ეთნიკური მეობისა და დედაენობრივი იდენტობის** გადარჩენა.

**როგორ გავარკვიოთ, სინამდვილეში ვის რა უდევს გულში – ვის უნდა ვანდოთ ჩვენი ქვეყნისა თუ საერთო საქმის მართვის საჭე?**

ამის გარკვევა არც თუ ისე რთულია; მეც არაერთხელ დავრწმუნდი: მართალ კაცს თანამოაზრე ურჩევნია, მტყუანს – მონა-მორჩილი; თანამოაზრეებს აქვთ მყარი ორიენტირები, მონა-მორჩილებს კი ორიენტირები არა აქვთ! დავაკვირდეთ, ვინ ქმნის გუნდს **პიროვნებებისგან – ღირებულებებზე ორიენტირებული თანამოაზრეებისგან** და ვის უნდა „გუნდის“ დაკომპლექტება მრავალპარტიაგამონაცვალი **სუბიექტებისაგან** თუ **უორიენტაციო მონა-მორჩილებისაგან.**

22 მარტი, 2016

## ფიქრი: როგორ პარტიას მივცემდი ხმას?

როგორ და არა რომელ! ხმას მივცემდი ისეთ პარტიას, რომელიც შექმნილი იქნება არა ერთი კაცის/ლიდერის გარშემო, არამედ ნათლად ჩამოყალიბებული ჩემთვის მისაღები ღირებულებების/ორიენტირების საფუძველზე; კერძოდ; პარტიის დიდი ნაწილი („ბირთვი“) თუკი გულწრფელად ფიქრობს (!) ასე:

„ჩემი ორიენტირია საქართველოს მაქსიმალური დამოუკიდებლობა (სრულად დამოუკიდებელი არავინაა!), რომ გრძელვადიან პერსპექტივაში იყოს შესაძლებელი ქართული ენის/ერის ღირსებისა და პრესტიჟის დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ტრადიციული ქართული ფასეულობების დაცვა-განვითარება, საქართველოს ეკონომიკის განვითარება... მინდა, პატიოსანი გზით ლოგიკური შესაძლებლობა მოვიპოვო, რომ შედეგიანად ვიზრუნო ჩემი ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, საქართველოს ყველა ეთნიკურ-რელიგიური უმცირესობისათვის, ზოგადად, ყველა მოქალაქის ინტერესების დაცვისათვის.

ამ მიზნების მიღწევის გზაა დასავლურ სამყაროსთან თანხმობით ცხოვრება და კარგად გააზრებული განათლების/მეცნიერებისა და საინფორმაციო ომში თავდაცვის სტრატეგია; ამ კონტექსტში კი აუცილებელია:

– საქართველოს, როგორც თვითმყოფადი სახელმწიფოს არსებობა ევროკავშირის ველში;

– რუსული თუ სხვა სახის აგრესიებისაგან თავის დასაცავად ნატოს გეოპოლიტიკურ ველში ყოფნა (მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი თუკი ვერ შეთანხმდებიან საქართველოს სრულ ნეიტრალიტეტზე – მინიმალური შანსი თუა!);

– საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით განათლებისა და მეცნიერების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და რეალიზების პრაგმატული დაგეგმვა.

...და ერთიც: ეს პარტია სამართლიანობის აღდგენას საკუთარი პარტიის წევრების რეაბილიტაცია-გამდიდრებით კი არ დაიწყებს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების – დამხობის ფაქტის სამართლებრივი შეფასებით (სასამართლოს წესით!).

ეს მოკლედ.

1 ოქტომბერი, 2016

## ეხება ყველას: სკოლის დირექტორით დაწყებული, ძლევამოსილი პრეზიდენტით დამთავრებული

**წარმატებული, საშუალო ან განადგურებული ლიდერების შესახებ** არაერთხელ თქმულა.

მე ახლა მხოლოდ წარმატებული და განადგურებული პირველი პირების შესახებ მინდა ვთქვა დღევანდელი (16.12.2016) ერთი შეხვედრის გამო:

1. დაწესებულების პირველი პირი კატასტროფული მარცხისათვის განწირულია, თუკი მის უახლოეს გარემოცვაში დამკვიდრდებიან მაამებელი აფერისტები. ეს ნიშნავს, რომ პირველ პირს (აღ)არ აქვს **ჯანსაღი განსჯის უნარი** და მის გარშემო შექმნილი გადაულახავი ბარიკადებით მედროვე აფერისტები ილუზიურ „სამყაროს“ ქმნიან, რომელიც საშინელი ტრაგედიით ჩამოიშლება.

2. დაწესებულების პირველი პირი მარცხისათვის განწირულია, თუკი მის უახლოეს გარემოცვაში დამკვიდრდებიან ძირითადად მატერიალური ინტერესების მქონე მედროვე ადამიანები. ეს ნიშნავს, რომ დაწესებულებას კრიმინალური კლანი მართავს. ასეთი პირველი პირიც კატასტროფით დაასრულებს მოღვაწეობას.

3. დაწესებულების პირველი პირი მარცხისათვის განწირულია, თუკი მის უახლოეს გარემოცვაში დამკვიდრდებიან დაბალი ინტელექტის ადამიანები. ეს ნიშნავს, რომ პირველ პირს ღირსება ელახება მასზე რაღაცით უპირატესი ადამიანების არსებობის გამო. ასეთი პირველი პირი დიქტატურისაკენ წავა. ძალაუფლების უზურპაციის შემთხვევაში თავის პირველობას კატასტროფით დაასრულებს; ძალაუფლების უზურპაციას თუ ვერ შეძლებს, მოღვაწეობას მაინც მარცხით დაასრულებს.

4. დაწესებულების პირველი პირი წარმატებით დაასრულებს მოღვაწეობას, თუკი მის უახლოეს გარემოცვაში დამკვიდრდებიან სხვადასხვა მიმართულებით ცოდნის/გამოცდილების მქონე ენერგიული, წესიერი და ნიჭიერი ადამიანები (ჭკვიანი ლიდერი ასეთებს უთუოდ დაინახავს/იპოვის საზოგადოებაში). ასეთი გამორჩეული პირველი პირი (ნამდვილი ლიდერი!) ღირსეული საქმეებით დარჩება ისტორიაში.

5. მეოთხე ვარიანტს სხვადასხვა დასასრულიც შეიძლება ჰქონდეს:

– გამორჩეული ლიდერი ხიბლში ვარდება და განსჯის უნარს კარგავს (იშვიათად ასეც ხდება!);

– გამორჩეული ლიდერი უძლურდება და განსჯის უნარს კარგავს (სამწუხაროდ, ასე ხშირად ხდება);

– გამორჩეული ლიდერის აქილევსის ქუსლს ვიღაც პოულობს...

16 დეკემბერი, 2016

## საქართველოს კუთხეთა ზღვარგადამეტებული “თეთრი” და “შავი” “პიარი”

**მეგობრებო,** ჩვენი ქვეყნის მეოთხედის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ საქართველოს მტრები, **სუსლოვ-დუგინის გეგმის შესაბამისად,** საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ურთიერთდაპირისპირებას ცდილობენ ისევ და ისევ დეზორიენტირებული ქართველების გამოყენებით; კერძოდ, ჩვენს კუთხეთა დასაპირისპირებლად ორ ხერხს იყენებენ:

**– ბრიყვ თუ გაყიდულ ქართველს ავრცელებინებენ კუთხურ “ლოზუნგებს”** (ზღვარგადა-მეტებული “თეთრი პიარი”);

**– ბრიყვ თუ გაყიდულ ქართველს მიზანმიმართულად აკნინებინებენ (ალანძღვინებენ) ამა თუ იმ კუთხეს** (ზღვარგადამეტებული “შავი პიარი”).

ორივე გზა დანაშაულებრივია, რამდენადაც დამანგრეველია ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის, ერთიანი საქართველოსათვის! კუთხური თუ კუთხის დამამცირებელი ლოზუნგების გამო ზოგი აღშფოთებას გამოხატავს და ლანძღავს ამ ლოზუნგის ავტორს; ლანძღვისას, ბუნებრივია, იმოწმებს სალანძღავ თემას... **ამ გამეორებით კი ტირაჟირება უკეთდება მტრის მიერ შემოგდებულ კუთხურ თუ ანტიკუთხურ “ლოზუნგს”;** ტირაჟირება კი პროპაგანდაა!

მეგობრებო, საქართველოს ყველა კუთხე ძვირფასია; უკლებლივ ყველა კუთხემ დიდი სისხლი დაღვარა ერთიანი საქართველოსათვის. ღირსეული ქართველები ყოველთვის გმობდნენ კუთხურობის, სეპარატიზმის, კოლაბორაციონიზმის... რეციდივებს; მძიმე პერიოდებში, როცა ჩვენი სახელმწიფო ქუცმაცდებოდა, საქართველო კუთხეებად კი არა, პატარ-პატარა "საქართველოებად" იშლებოდა! ყველა კუთხური ლიდერი დიდი საქართველოს აღორძინებაზე ოცნებობდა და, შეძლებისდაგვარად, დიდი საქართველოს აღორძინებისათვის იბრძოდა; ამ მხრივ სანიმუშოა, მაგ., ლევან დადიანისა და სოლომონის მოღვაწეობა!

არც დღეს უნდა წამოვეგოთ მტრის ანკესზე! დღესაც წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ის, რაც გვაერთიანებს და არა ის, რაც ერთმანეთს გვაშორებს: **ღმერთი აერთიანებს, ეშმაკი ყოფს; ნუ ჩავდგებით ეშმაკის სამსახურში!** წინა პლანზე წამოვწიოთ ჩვენი ერთიანობის დროს მიღწეული წარმატებები და ჩვენი კუთხეების მცხოვრებთა ეროვნული ღვაწლი, მაგ.:

– სვანების, ლეჩხუმელების, რაჭველების, მთიულების, მოხევეების, ხევსურების, ფშავლების, თუშების... მიერ კავკასიონის გადმოსასვლელების ისტორიული თუ დღევანდელი მეციხოვნეობა,

– ქართული კულტურის გამორჩეული მესაძირკვლეების (იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, ჭყონდიდელების...)შთამომავალთა–კელასურისდიდიკედლისამგებთუ,ბოლოს,1992-93წლებში, საქართველოს ერთიანობისათვის შეუპოვრად მებრძოლ მეგრელთა – **ზოგადქართულეროვნული ძალისხმევა** (რომელიც უზადო სრულყოფილებით რეალიზდა ცოტნე დადიანისა და ზვიად გამსახურდიას არსში);

– სამხრეთ-დასავლეთ, სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა კუთხეების მკვიდრთა – აჭარელთა, ლაზთა, ლივანელთა, იმერხეველთა, ერუშელთა, ჯავახთა, სამცხელთა, ჰერელთა... მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა ერთიანი საქართველოსათვის;

– საქართველოს ცენტრალურ კუთხეთა – კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის – მცხოვრებთა დაუღალავი ბრძოლა და შრომა **ქართველური მეობის განმსაზღვრელი მარკერების** (ენა, სარწმუნოება, ტრადიციები...) შესანარჩუნებლად.

საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ (აზერები, სომხები, ქურთები, რუსები, უკრაინელები, ქისტები, უდები, ასირიელები...), რომელთაც ქართველთა მსგავსად აქვთ ყველა უფლებაც და მოვალეობაც. **ჩვენ ყველა ერთნი ვართ, როგორც საქართველოს მოქალაქენი.**

ყველანი ბედნიერები ვიქნებით ერთად, თუკი საქართველო იქნება ძლიერი და დეოკუპირებული; ყველა დავიტანჯებით, თუკი ჩვენი სამშობლო – საქართველო – აირევა... ამიტომ, მეგობრებო, ყველასთან მაქვს ასეთი თხოვნა:

**პროვოკატორთა ანტიქართულ – საქართველოს დამანაწევრებელ** (კუთხურ თუ რომელიმე კუთხის დამაკნინებელ თუ რომელიმე უმცირესობის ღირსების შემლახავ) – **ლოზუნგებს საერთოდ ნუ გამოეხმაურებით, ნურც გალანძღავთ! ლანძღვაც პიარის ერთ-ერთი სახესხვაობაა!**

სრული იგნორი მათ, ვინც საქართველოში ინტენსიურად აღვივებენ კუთხურობას და ხელს უწყობენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ-რელიგიურ დანაწევრებას. **ამ პროვოკატორების დამფინანსებელთ საქართველო მიჰყავთ რეგიონალიზაცია/ფედერალიზაციისკენ, რომ დე იურე გააფორმონ საქართველოს დაშლა.**

გუგუა ფიჩიტაურის მსგავსად ნუ შევუწყობთ ხელს საქართველოს მტრებს!

**P.S.** ზოგ შემთხვევაში სწორედ ლანძღვაა მიზეზი იმისა, რომ ფართო საზოგადოება ანტიქართველებსა თუ გიჟებს უფრო იცნობს, ვიდრე – ჭკვიანებს.

23 მარტი, 2017

## მუდმივი მხილება თუ კონსოლიდაცია?

დიდი ხანია ვფიქრობ და იან კელის ბოლო განცხადების გამო ატეხილი პოლემიკის შემდეგ ჩემს აზრს მარტივ ფორმულასავით ვაყალიბებ:

ადამიანური მოღვაწეობის ორი გზა არსებობს: **მხილებიდან ლანძღვისკენ – ეს გზა საზოგადოების განვითარებას, კონსოლიდაციას, არ უწყობს ხელს; მნიშვნელოვან მიზნამდე არ მიდის.**

მეორე გზაა **მხილებიდან კონსოლიდაციისაკენ – ეს გზა მომავალში მაინც ქმნის ადამიანის, კონკრეტული საზოგადოებისა თუ მოცემული ერის წარმატების შეუქცევად პერსპექტივას.**

**P.S.** ზვიად გამსახურდიას იდეოლოგია არ შეუქმნია; მან გააგრძელა დიდი მეფეებისა და მოღვაწეების (ქუჯ-ფარნავაზი, გორგასალი, აღმაშენებელი, ილია...) გზა; გორგასალის მსგავსად გააერთიანა კავკასია, მაგრამ მაინც დამარცხდა ამერიკა-რუსეთის მალტის შეთანხმების შემდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად (რეალობიდან გამომდინარე, იმხანად ამერიკის მიზანი იყო მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის გაყვანა რუსული სივრციდან). რუსეთმა საქართველო დამარცხა 90-იან წლებში და დაიბრუნა კონტროლი საქართველოზე, რომელიც დაკარგა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს. ნებსით თუ უნებურად, 90-იან წლებში ქართველთა ნაწილი რუსეთის მხარეს აღმოჩნდა (შევარდნაძე, კიტოვანი, სიგუა, ყარყარაშვილი, ბათიაშვილი, ჭანტურია, წერეთელი... სასულიერო თუ საერო პირთა ერთი ნაწილი); მათ, რუსების კვალად, საქართველოს მარცხი შენიღბეს და "ზვიადიზმის" მარცხად მონათლეს; პატრიოტობა თავად პუტჩისტებმა დაიბრალეს (როგორც გითხარით, "ზვიადიზმი", როგორც მიმდინარეობა, არ არსებობს; ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლა! შდრ.: პუტჩისტებმა "ზვიადისტი" არა პატრიოტად, არამედ ზვიადის მიმდევრად მონათლეს და "ზვიადისტების" დევნა დაიწყეს ბოლშევიკების მეთოდებით).

მოკლედ, 1992-93 წლებში რუსეთმა დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოს კანონიერი ხელისუფლება (აზერბაიჯანისა და იჩქერიის კანონიერ ხელისუფლებებთან ერთად); რუსეთ-საქართველოს ომი დღემდე გრძელდება.

ქართველი ხალხისაგან და, განსაკუთრებით, დევნილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან 25 წელია მიდის პუტჩისტთა მხილება (რომელიც არგუმენტირებულად დაიწყო პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ) და ყველამ იცის, ვინ რა გააკეთა მაშინ (თუმცა, სასამართლოს წესით დღემდე არ შეფასებულა ეს დანაშაული!). რუსეთის მხარეს მყოფმა ქართველთა ნაწილმა თავისი შეცდომა თუ გადაცდომა უკვე აღიარა; ვინც არ გაიაზრა შეცდომა –დანაშაული თუ არ აღიარა, მათ სასამართლო განსჯის (ამქვეყნად თუ იმქვეყნად)...

ჩვენ მიერ (ვისაც ტყვია გვესროლეს, პუტჩი მოგვიწყვეს, გვდევნეს, ციხეებში ჩაგვყარეს, მოგვკლეს...) მხილება უკვე განხორციელებულია; პუტჩისტებისა თუ მათი შვილების მხილების/ლანძღვის უკიდეგანოდ გაგრძელება სიკეთეს აღარ მოგვიტანს.

**ახლა, 25 წლის შემდეგ, მთავარია,** საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის, დეოკუპაციის, საქართველოს მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური სპექტრის ფორმირებისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების მიზნით, **ვიზრუნოთ საქართველოს მოსახლეობის, პოლიტიკური სპექტრის ახალი კონსოლიდაციისა და სამართლიანობის დამკვიდრების გზაზე საერთაშორისო აზრის მობილიზებისათვის.**

ამ თვალსაზრისით ძალიან კარგი ნაბიჯია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის – იან კელის – განცხადება; ეს შეიძლება დაგვიანებული, მაგრამ **დღეისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და ღირსეული ნაბიჯია, რომელიც გადადგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა:**

https://www.myvideo.ge/v/3304995

24 ივნისი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

# ვის ინტერესებშია?

დღეს ვის ინტერესებშია გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა მიმართ ცილისწამება?

**როგორც წესი, არ ვპასუხობ და კატეგორიულად ვემიჯნები არშემდგარ და უფუნქციო პირებს, რომელთაც თავის დამკვიდრების გზად აურჩევიათ სხვების ლანძღვა თუ ცილისწამება სოციალურ ქსელში. ზოგჯერ ზოგადი პასუხით შემოვიფარგლები, რომ ჭორების გამავრცელებელმა სხვა წესიერი ადამიანი არ დააბრკოლოს. ახლაც ამ ფორმით გამოვეხმაურები ერთ-ორ ცილისმწამებელს, რომელსაც მიზნად აქვს გააყალბოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იმ წევრთა ბიოგრაფიები, რომელთაც:**

– აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1989 წლის 9 აპრილის მოვლენაში – საქართველოსთვის დამოუკიდებლობისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში;

– აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ორგანიზებაში;

– საქართველოში უკანონოდ მყოფი რუსული სამხედრო შენაერთებისათვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭებაში;

– 1991-93 წლების პუტჩით საქართველოდან განდევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის შენარჩუნებაში...

**მოკლე პასუხები ჩემ მიმართ ცილისმწამებლებს:**

1. ჩემზე უკეთ არავინ იცის ჩემი ბიოგრაფია, რომელიც, ასევე, ბევრმა იცის; შესაბამისად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, თუკი ვინმემ შეინარჩუნა საქართველოსათვის სწორი (რაც დრომ აჩვენა!) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები და რეალური საქმეც აკეთა (პოლიტიკურად თუ მეცნიერულად), ერთ-ერთი მეც ვარ. ამის დამადასტურებელი იმდენი ფაქტია, რომ **საქართველოს ვერც ერთი დამპყრობელი ქვეყნის მსახური თუ საკუთარი წარუმატებლობით დაბოღმილი პირი ვერ შეძლებს, გააყალბოს ჩემი ბიოგრაფია;** მაგ., ჩემს შთამომავლობას ექნება საამაყოდ, რომ ჯერ კიდევ ათეიზმის ბატონობის პერიოდში, 1978 წელს, მოვინათლე სიონში და, ფაქტობრივად, სულ ახალგაზრდა დავუპირისპირდი კომუნისტურ იმპერიას; შემდეგ კი, როცა გამოქვეყნდა ჩემი წერილები ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობისა და აჭარის ავტონომიის უკანონობის შესახებ, დავუახლოვდი ზვიად გამსახურდიას. 1988 წლიდან ეროვნული მოძრაობის ყველა აქციაში ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას; ამავე პერიოდში გავხდი საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი. 9 აპრილსაც და შემდგომაც აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ აქტიურობის გამო აღმოვჩნდი ზვიად გამსახურდიას მიერ შედგენილ საპარლამენტო საარჩევნო სიაში და 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ გავხდი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

2. 1991 წლის დასაწყისში პრეზიდენტმა დამნიშნა ბათუმის პრეფექტად; ამ პერიოდში აჭარაში ორგანიზებას ვუწევდი 31 მარტის რეფერენდუმს, რომელიც აჭარაში ბრწყინვალე შედეგით დასრულდა. 1991 წლის ივნისში, ნოდარ იმნაძის მკვლელობის გამოძიების შეფერხებისა და ასლან აბაშიძესთან პოლიტიკური დაპირისპირების გამო ჩემი ნებით დავტოვე პრეფექტობა და გავაგრძელე აქტიური მუშაობა უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში პასუხისმგებელ მდივნად (შემდგომში, დევნილობაში, ვხელმძღვანელობდი ამ კომიტეტს). 1991 წლის ბოლოს პრეზიდენტის თხოვნით ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ პუტჩისტებთან. რუსეთის ორგანიზებული გადატრიალების შემდეგ კი ვმონაწილეობდი დევნილობაში მყოფი უზენაესი საბჭოს გროზნოს, ზუგდიდისა და თბილისის სესიებში 2005 წლამდე (სანამ ეს სესიები იმართებოდა). ასევე, მონაწილეობას ვიღებდი მრგვალი მაგიდის მიერ ორგანიზებულ ყველა ძირითად საპროტესტო აქციაში, რომელიც იმართებოდა თბილისში.

3. პუტჩის შემდეგ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში რექტორად დარჩა ზვიად გამსახურდიას მიერ დანიშნული პროფესორი მაგალი თოდუა, რომელმაც დააარსა

დიალექტოლოგიის ინსტიტუტი (ერთი ავადმყოფური ფანტაზიის მქონე უსაქმური, რომელიც უცხოეთში ვითომ დევნილად ასაღებს თავს, არსება, რომელიც ბატონმა ზვიადმა გაცნობისთანავე მოიშორა, იტყუება, რომ ეს ინსტიტუტი შაშიაშვილმა, პირადად, მე გამიხსნა!); ბატონი მაგალი მთელ საქართველოში ეძებდა დიალექტოლოგებს; მე სწორედ ბატონმა მაგალიმ შემომთავაზა, როგორც დიალექტოლოგს, მეხელმძღვანელა დიალექტოლოგიის ინსტიტუტისათვის (დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლის – თ. შაშიაშვილის – წინააღმდეგობის მიუხედავად!). სპეციალისტის არჩევისას ბ-ნი მაგალის მოტივაციასა და პრინციპულობას დე ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ ვერ გაიგებს ის, ვისაც პროფესიული უნარ-ჩვევები, რაიმე კონკრეტული სპეციალობა არა აქვს და ვერ აფასებს პროფესიონალს... ერთწლიანი უმუშევრობის შემდეგ გადავწყვიტე, სამუშაოდ ჩავსულიყავი ქუთაისში, სადაც მძიმე პირობებში მაგალი თოდუას აქტიური მხარდაჭერით, ფაქტობრივად, ნულიდან შევქმენი დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს ქართველოლოგიის ცენტრის სახელით და ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლითაა დაკავებული. ჩემი და ჩემი კოლეგების დიდი შრომის შედეგად დღემდე გამოიცა "ქართველური მემკვიდრეობის" 20 ტომი (ამ ინსტიტუტის დიდი და შთამბეჭდავი ისტორია ცალკე თემაა მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე).

4. 2010 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დაფუძნებულ ქართულ უნივერსიტეტში რექტორი გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ღირსეული წევრი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე; მისი რექტორობის პერიოდში აქტუალური გახდა, პატრიარქის კურთხევით, დაარსებულიყო ქართველოლოგიის ცენტრიც, რომელიც იმუშავებდა თურქეთსა და ირანში მცხოვრები ავტოქთონი ქართველების მემკვიდრეობის შესწავლისა და უცხოეთში გაფანტული ქართველებისათვის ქართული ენის სწავლების მიმართულებით; იმ პერიოდში, მართლაც, დაარსდა ქართველოლოგიის ცენტრი; ეს ცენტრი ბევრ კარგ საქმეს აკეთებს (ვინც ხედავს!); ქართულ უნივერსიტეტშივე დავაარსეთ ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი "ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები"; დღემდე გამოსულია 5 ნომერი.

სხვა ინფორმაციის ნახვა დაინტერესებულ პირს შეუძლია ჩემს საფეისბუკო აქტივობებში და, მით უმეტეს, ჩემ მიერ გამოქვეყნებულ წიგნებსა თუ სამეცნიერო სტატიებში, რომელთა რაოდენობა 300-ზე მეტია. ქართული უნივერსიტეტისა და ამ უნივერსიტეტის ფარგლებში ქართველოლოგიის ცენტრის დაარსების გამო კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გადავუხდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ასევე, ამ ცენტრის ხელშეწყობისათვის – მეუფე იაკობსა და ბ-ნ სერგო ვარდოსანიძეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი აზრით, ყველაზე დიდი და სასარგებლო პოლიტიკაა **საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, საქართველოს დეოკუპაციისათვის ბრძოლა, ქართველთა, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაციისათვის ბრძოლა, ქვეყნისა და ერისათვის სწორი /მეცნიერულად არგუმენტირებული!/ ორიენტირების დამკვიდრება** (და არა ვინმეს ლანძღვა, მით უმეტეს, 90-იანი წლების ჩირგვებში ჩარჩენილი თუ უცხოეთის რომელიმე თავშესაფარში უფუნქციოდ შემალული).

5. როგორც იმპერიული რუსეთის, ასევე, ზოგი ფსევდოლიბერალური დასავლური ცენტრის დაფინანსებით, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ ნელ-ნელა ფიზიკურად განადგურდა და დაიქსაქსა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება და ეროვნული მოძრაობაც. ამ პროცესს ხელი შეუწყვეს ეროვნული მოძრაობის შიგნით შემოგზავნილმა პირებმაც, რომელთა "ბრძოლის იარაღი" იყო ცილისწამებით ეროვნული მოძრაობის ღირსეული წევრების დისკრედიტირება; ეს პროცესი დღესაც გრძელდება. **დღემდე გრძელდება საქართველოს დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციისათვის ბრძოლაც!** 80-90-იანი წლების მსგავსად, დღესაც არანაკლებადაა აუცილებელი ქართველთა კონსოლიდაცია; ის, ვინც ამ კონსოლიდაციას უშლის ხელს "ლიბერალობით, "დემოკრატობით" თუ "ზვიადისტობით" შენიღბული, აგრძელებს ანტიქართულ საქმიანობას.

ბოლოს ერთი კითხვაც: როცა ადამიანს ცილს სწამებენ, სხვები რატომ დუმან?

29 ივლისი, 2017

## მიშა და უკრაინა

უკრაინაში მიშას შეჭრას ჩვენს სოციალურ ქსელებში ურთიერთლანძღვა-გინების ახალი ტალღა მოჰყვა; ისევ გააქტიურდა საზოგადოების რადიკალიზების ტენდენცია, რაც ძალიან ცუდია. რადიკალიზებას "აფორმებს" ე.წ. „ისტობის" იარლიყი:

ჩვენისაზოგადოებისნაწილიგანსხვავებულიმოსაზრების/იდეის/თვალსაზრისისგასალანძღად 90-იანი წლებიდან **–ისტობის** იარლიყს იყენებს (ზვიადისტი, მიშისტი, ბიძინისტი...), რითაც ხელს უშლის ლოგიკური მსჯელობის განვითარებას, ანალიზს, საზოგადოებრივ კონსენსუსს და დიალოგი, საუბარი, კამათი... გადაჰყავს ჩხუბში, თავხედობაში, უაზრო კამათში...

ტროცკისტობა და მსგავსი იარლიყები ბოლშევიკების მოგონილია, რომ რომელიმე კონკრეტული იდეა დაესამარებინათ მოცემული პიროვნების გალანძღვა-განადგურებით; გასული საუკუნის 90-იან წლებში ტერმინი "ზვიადისტი" მოიგონეს იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა დაესამარებინათ და საქართველო რუსულ სივრცეში დაებრუნებინათ (რაც შეძლეს კიდეც 1992-93 წლებში); ამ შესავლის ფონზე გუშინდელი ამბის შესახებ:

1. ფაქტია, რომ მიშას შეჭრა უკრაინაში პოროშენკოს მცდარი ნაბიჯებით შეპირობებული ახალი ტიპის აგრესიულ-ჰეროიკული მოვლენაა, რომელიც ძალიან დაძაბავს რუსეთთან ომში მყოფ უკრაინას (ნამდვილად არ მინდა, უკრაინა სამ ნაწილად დაიშალოს).

2. ფაქტია, რომ ქვეყანაში ე.წ. რევოლუციური სცენარები სახელმწიფოებრიობას ანგრევს; უკრაინასა და საქართველოში ე.წ. რევოლუციებით (1992 წლიდან დღემდე) რუსეთმა მოიგო; ამ ფონზე კიდევ ერთხელაა დასაფასებელი ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილება, რომელმაც უზრუნველყოხელისუფლებისმშვიდობიანიშეცვლა1990წლის28ოქტომბრისმრავალპარტიული, არასაბჭოთა და დემოკრატიული (ნების თავისუფლად გამომხატავი!) არჩევნებით.

3. სოციალური ქსელების "კლავიატურულ ომში" (აღარ ვსაუბრობ რეალურ ომზე) ერთმანეთის განადგურების მცდელობითაც კი საქართველოს ვვნებთ: წინ დიდი პრობლემებია და აგრესიული მსჯელობითა თუ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით ხელი არ შევუწყოთ საქართველოში მოვლენების დაძაბვას: საზოგადოების რადიკალიზება და კიდევ ერთი "რევოლუცია-გადატრიალება-პუტჩი თუ "რევოლუციის" მცდელობა ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ დაანგრევს: დამანგრეველი პუტჩები ჩვენ უკვე საკმარისად გავიარეთ!

მხოლოდ კანონის უზენაესობაზე ორიენტირებითა და თავისუფალი არჩევნებით წავალთ წინ.

**P.S.** საქართველოს ყველა მოქალაქე ერთ "ნავში" ვსხედვართ და ზედმეტი რყევებით ყველა "ჩავიძირებით" " ზვიგენებით" გარემოცულ პოლიტიკურ ოკეანეში.

/მწარე ღიმილის ღიმილაკი რომელია?/

11 სექტემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## თემირლანი და ვანო

დიდი ტკივილით კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ **ბატონ მალხაზ მაჩალიკაშვილს შვილის დაკარგვას;** ასევე, ბატონი მალხაზის მეუღლეს, ქალიშვილს, ნათესავებს. **ვუსამძიმრებ ჩემთვის ძვირფას პანკისელ უხუცესებს** (11 იანვარს დილით ვესაუბრე ბ-ნ ხასო ხანგოშვილს); **ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს, რომ მისი შვილები ასე ტრაგიკულად იღუპებიან.**

თემირლანი საქართველოს შვილად დაიბადა! არ მინდა, სხვა თემირლანი თუ ვანო **სხვათა მიერ პროვოცირებულ ომში დაიღუპონ!**

ხაზგასმით ვამბობ: თემირლან მაჩალიკაშვილი არ მოუკლავს მხოლოდ ერთი სპეცრაზმელის (მიზანმიმართულად თუ მიზანმიუმართავად ნასროლ) ტყვიას; ბატონი მალხაზის შვილიც და **გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დაღუპული სპეცრაზმელიც – ვანო გოლაშვილიც** – შეიწირა საერთაშორისო ველში გააქტიურებულმა ტერორიზმმა და რელიგიურმა რადიკალიზმმა; ასევე, ბოლო ათწლეულებში საქართველოს პოლიტიკური

სპექტრისა თუ მასმედიის წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილის არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამაც, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის დეზორიენტირებულობამაც:

**საქართველოს საჯარო სკოლების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფცია ფაქტობრივად არ არსებობს!** ეს ფაქტორი მოზარდებში გზას უხსნის **უღვთოობასაც, აგრესიულ რელიგიურ რადიკალიზმსაც, სახელმწიფო ინტერესების იგნორირებასაც, ისტორიული ქართველური თუ კავკასიური ფასეულობების რყევასაც...** საბოლოო ჯამში ჩვენი ახალგაზრდობა თბილისსა თუ საქართველოს კუთხეებში ექცევა იმ **გარე ძალების გავლენის ქვეშ,** რომლებიც ეძებენ: **მართვად ნიჭიერ პირს, "საზარბაზნე ხორცს", ბრმა მიმდევარს, იაფ შემსრულებელსა თუ უბრალოდ, საკბილოს.**

ფაქტია: ჩვენი დაწყებითი, საბაზო თუ საშუალო სკოლა ორიენტირებული არ არის **საქართველოს** ღირსეული მოქალაქის აღზრდაზე (მერე უკვე გვიანია აღზრდა!): **ცალკეული გმირი მასწავლებლების ძალისხმევა ვერ ფარავს განათლების ცენტრალიზებული სისტემის სერიოზულ ხარვეზებს.** თუკი კონკრეტულმა ოჯახმა არ ივარგა, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, უმწყემსო ფარის მსგავსად, მტაცებლის მსხვერპლი ხდება და მე ამაში ვადანაშაულებ ჩვენი განათლების სისტემის კონცეფციას, რომელიც ადეკვატურად არ არის ჩამოყალიბებული (მოყოლებული საბჭოთა პერიოდიდან!).

თემირლან მაჩალიკაშვილისა და ვანო გოლაშვილის ტრაგიკული სიკვდილი არ არის მხოლოდ მათი ოჯახების **უსალბუნო ტკივილი;** მეტიც: ორივე ტრაგედია საქართველოსთვის ახალი დიდი ეროვნული უბედურების დასაწყისად შეიძლება იქცეს, თუკი ამ ახალგაზრდების დაღუპვას ჩვენ ყველანი საკუთარ **ეროვნულ ტრაგედიად** არ გავიაზრებთ და **სამომავლოდ პრევენციულ ზომებს** არ გავააქტიურებთ; კერძოდ, მხოლოდ ხელისუფლების მიერ გამოძიების შედეგების დროული დადება ვერ განმუხტავს არსებულ ღრმა კრიზისს, რომელიც ორი ათეული წელია ყალიბდება საქართველოში და უკიდურესი ფორმით დიდი ხანია არსებობს მსოფლიოში **ტერორიზმის** სახით. ამჟამინდელი კრიზისი საქართველოშიც/კავკასიაშიც შეიძლება აგრესიისა და შურისძიების ზრდადი კალაპოტით განვითარდეს, თუკი მთელი ჩვენი საზოგადოება არ გააცნობიერებს, რომ ამ გზას **1991 წლის ბოლოს "რუსთაველის გამზირის ომის"** (შემდეგ: კრიმინალთა მიერ ერთიანი საქართველოსათვის მებრძოლი სამეგრელოსა და აფხაზეთის ქართველობის სისხლიანი დარბევა, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ახალი ოკუპაცია) **მსგავსი ახალი კატასტროფისაკენ მივყავართ;** 1991-1992 წლებშიც პროცესი გარედან იყო პროვოცირებული; მაშინ საზოგადოების არასათანადო რეაგირების გამო, საბოლოო ჯამში, საქართველოს ყველა წესიერი მოქალაქე გააუბედურა.

ნამდვილად დიდი ტრაგედიაა 19 წლის ახალგაზრდა კაცის უდროო თუ ტრაგიკული სიკვდილიც და მშვიდობიან ქალაქში სპეცრაზმელის დაღუპვაც; ჩემი აზრით, გარკვეულწილად პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღონ პოლიტიკურ სპექტრისა თუ საზოგადოების იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ერთმანეთის მიმართ აგრესიულნი არიან **და ვერ აცნობიერებენ, რომ აგრესიით საზოგადოების რადიკალიზებას უწყობენ ხელს.** ჩვენ ყველა ერთად დავიღუპებით, თუ მსოფლიოში არსებული აგრესიული რადიკალიზმი/ტერორიზმი საქართველოშიც გადმოინაცვლებს და ტოლერანტულ ჩვენს სამშობლოს ნეგატიური კუთხით შეცვლის.

ასევე საშიშია ტენდენცია, რომელიც კავკასიელობაზე, საქართველოს მოქალაქეობაზე, ქართველობაზე თუ ქისტობაზე მაღლა აყენებს რელიგიურ რადიკალიზმს; ჩვენ თვალწინ, თანამედროვეგანათლებისმიღებისშესაძლებლობებისპირობებში,ტოლერანტულისაქართველოს მოქალაქეებშიც კი ფუნდამენტალიზმი უფრო რატომ ხდება მეობის (თვითობის, იდენტობის) განმსაზღვრელი, ვიდრე კავკასიელობა თუ ქართველობა (/საქართველოს მოქალაქეობა)?

ამის ერთ-ერთი მიზეზი სასკოლო განათლების სისტემაში არსებული პრობლემებია; რა თქმა უნდა, საინფორმაციო ომსაც ვაგებთ.

პრევენციისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია **განათლების სისტემის სწორი ორიენტირებით** დაგეგმვა. ამჟამინდელმა პოლიტიკურმა სპექტრმა და მასმედიის წარმომადგენლებმაც დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მოვლენების შეფასებისას. სამწუხაროდ, მასმედიის ზოგი მუშაკი დიდ ტრაგედიასაც პოლიტიკური მიზნით იყენებს (ეს არ ეხება მხოლოდ ერთი მიმართულების

ტელევიზიას): ჟურნალისტების დამფინანსებელთა დიდი ნაწილისათვის **სახელმწიფოებრივ გამოწვევებსა და ადამიანთა პიროვნულ ტრაგედიაზე მაღლა დგას დამკვეთის პოლიტიკური ინტერესი.** ბევრი კარგი ჟურნალისტიც გვყავს (ნიჭიერიც და სახელმწიფოებრივად მოაზროვნეც!), მაგრამ, სამწუხაროდ, დაფინანსების დონის შესაბამისად, აგრესიულები უფრო ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე.

სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის **მცირე ჯგუფის ნეგატიური ქმედების განზოგადებაც მოცემული ხეობის მოსახლეობაზე, მთელ კუთხესა თუ მთელ ერზე.** ასეთი განზოგადებით ხელს ვუწყობთ ნეგატივისა და აგრესიის ზრდას (რბილად რომ ვთქვათ). **აუცილებელია ნეგატიური ქმედების მარგინალიზაცია და არა – განზოგადება;** მაგ., ამას წინათ ერთმა ვაიადამიანმა ავტორმა თავისი სიბრიყვით ერთი გაუნათლებელი ინდივიდის ქმედება მთელ აჭარაზე განაზოგადა (ასეთი არსება მწერლად თუ პოეტად ვერ მიიჩნევა; იგი, უბრალოდ, ცუდი ავტორია!).

აგრესიის ზრდა, ისტორიული ფასეულობების რღვევა, საინფორმაციო ომში მარცხი... **ეს ყველაფერი გარედან იმართება ჩვენი სისუსტის ფონზე.** დიდ სიფრთხილეს თუ არ გამოვიჩენთ (პოლიტიკოსებიც, ჟურნალისტებიც, ფინანსური მაგნატებიც, საზოგადოებაც), ყველა ერთად უფსკრულში კიდევ ერთხელ გადავეშვებით: **პოლიტიკურ კლანთა თუ ფანატიკოსთა მიერ** პროვოცირებული ახალგაზრდობის აგრესიული დაპირისპირება ქაოსში გადაიზრდება; ბოლოს კი, ყველა შესაძლო გზიდან თბილისში ისევ დიდი სისასტიკით დაბრუნდება ქართველი ერის (/ საქართველოს მოქალაქეთა ერთობის) დანაწევრების მოსურნე იმპერია.

**ფაქტია:** ბოლო ორ საუკუნეში უკვე სამჯერ შეძლო რუსეთის იმპერიამ კავკასიელთა/ქართველთა დაპირისპირების პროვოცირებით ჩვენი (ქართველების/კავკასიელების) დამარცხება და დღესაც, სხვა ძალებთან ერთად, ინტენსიურად ცდილობს ქართველთა (საქართველოს მოქალაქეთა) **ენობრივ-ეთნიკურ თუ რელიგიურ დაპირისპირებას;** ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება თუ არასახელმწიფოებრივი აზროვნება მოდებულია ყველა ფენაში, მაგრამ, საბედნიეროდ, არა – მთელ საზოგადოებაში!

ახლა მაინც უნდა გადავრჩეთ. **ტრაგიკული სიკვდილი – უსალბუნო ტკივილი** ან აფხიზლებს ადამიანს, ანდა, პირიქით – შურისძიების (საბოლოო ჯამში, თვითგანადგურების!) გზაზე აყენებს, დიდ ცოდვაში აგდებს. ყველამ უნდა შევძლოთ ნერვების მოთოკვა, ერთმანეთის დამშვიდება, ერთმანეთის სიცოცხლის, ასევე, ჩვენი სახელმწიფოს (საქართველოს) სიცოცხლის გაფრთხილება; **ყველა უნდა შევეცადოთ, გავემიჯნოთ აგრესიულ ძალადობრივ პოლიტიკასა თუ ტერორიზმს,** რომ მშვიდობა შევინარჩუნოთ საქართველოში/კავკასიაში, მთელ მსოფლიოში.

**P.S.** მაჩალიკაშვილებისა და გოლაშვილების ოჯახების ტრაგედია **არა მხოლოდ მთელი ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეების), არამედ სრულიად კავკასიის ტრაგედიაა; ამ ტკივილმა უნდა დაგვაფიქროს** და უმთავრესი გამოწვევების წინაშე მდგარნი, **უნდა გაგვაერთიანოს** (საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად იდგნენ ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი!).

12 იანვარი, 2018

## ერთიანობის პრობლემა მიმდინარე საინფორმაციო ომში

საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის ერთ-ერთი არსებითი წახნაგია ქართველების ენობრივ-ეთნიკურ-რელიგიურად დანაწევრების გამალებული მცდელობა; მაგ., საქართველოსა და ქართველობის ზოგი მტერი დღეს წოვათუშებს აცხადებს არაქართველებად, ზოგი – საქართველოს სხვა კუთხის ქართველთ, ზოგი – მუსლიმან ქართველს, ზოგი – კათოლიკე ქართველს...

ზოგი მოძმესთან დაპირისპირებას ისე ამწვავებს, რომ ძმასთან "ჩხუბში" რუსს იწვევს, ზოგი – თურქს, ზოგი – გადამთიელს...

ზოგი დეზორიენტირებული ვერ ხვდება, რომ რუსეთის იმპერია კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირებით ცდილობს, გავლენა დაიტოვოს კავკასიაში; მაგ., დეზორიენ-

ტირებული ზოგი ქართველი მტრად ოს ხალხს აცხადებს, ზოგი – აფხაზ ხალხს, ზოგი – სომეხ ხალხს... სინამდვილეში ზოგი აფხაზი ჩვენს მხარეს იყო რუსეთთან ომში, რუსი ვოლკოვიც კი იბრძოდა ქართველების მხარეს სოხუმში და ქართველებთან ერთად დღეს დევნილია მისი ოჯახი (ჩემი სტუდენტია დიანა ვოლკოვი!)...

ბოლო ოკუპაციის დროს რუსეთმა აფხაზთა ნაწილი და ოსთა ნაწილი გამოიყენა მხოლოდ! სხვათა შორის – ქართველთა ნაწილიც!

დღეს, როგორც არასოდეს, აუცილებელია ჩვენი მოსახლეობის სწორი ორიენტირება, რომ თავი დავაღწიოთ მოსალოდნელ კატასტროფას; საამისოდ, აუცილებელია მეცნიერების, ზოგადად, სპეციალისტების, მასმედიის წარმომადგენლების კონსოლიდაცია, რომ მიმდინარე საინფორმაციო ომში თავი დავიცვათ ქართველებმა, საქართველოს მოქალაქეებმა და გადავარჩინოთ ჩვენი ეთნიკურ-ეროვნული იდენტობაც, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობაც და გადავარჩინოთ ჩვენი ახალაღორძინებული სახელმწიფოც. პოლიტიკური სპექტრი ამ მიმართულებით რეალურ ნაბიჯებს რატომ არ დგამს? სახელმწიფოს ბიუჯეტი ამას რატომ არ ხმარდება?

სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?

26 თებერვალი, 2018

## პირველ რიგში, აუცილებელია დეოკუპაცია!

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ქუთაისის მერმა და იმერეთის გუბერნატორმა, ბ-ნმა თემურ შაშიაშვილმა თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში გაიხსენა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობის ამბები; პერსონალურად ჩემზეც დაწერა. რამდენადაც საკითხები ბევრი მიმართულებითაა საკამათო თუ, ზოგადად, პრობლემური, ჩემს პასუხს ვდებ აქაც (ბ-ნი თემურის მოსაზრებები მის კედელზეა).

ვფიქრობ, ამ დიალოგს აზრი აქვს უახლოესი წარსულის შეფასებისა და სამომავლო ეროვნული ორიენტირების განსაზღვრისათვის; შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალე ჩემს ჩანაწერებში ამ მასალის გამოქვეყნება და აკადემიური მსჯელობის გაგრძელებაც.

ბატონო თემურ, რადგან ეს დისკუსია დავიწყეთ, რამდენიმე ფაქტს ვიტყვი და ჩემი მხრივ შევაჯამებ კიდეც:

1. ბ-ნ მაგალი თოდუას არაერთხელ უთქვამს (არა მხოლოდ ჩემთან; ცოცხალი მოწმეებიც ბევრია!), რომ თქვენ აქტიურად უჭერდით მხარს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკაკი ბაქრაძის მიწვევას, მაგრამ ეწინააღმდეგებოდით ჩემს მიწვევას (ეს თქვენც დაადასტურეთ, რადგან მე ვიყავი ბათუმის პრეფექტი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი მრგვალი მაგიდიდან და ამას ვერ გაგიგებდნენ აქტიური პუტჩისტები). ბატონმა მაგალიმ თავისი გაიტანა იმიტომ, რომ თქვენ მას პატივს სცემდით და არ გინდოდათ უნივერსიტეტთან კონფრონტაცია.

2. თავიდან ჩვენი (ჩემი და თქვენი) ურთიერთობა იყო ძალიან ცივი; შემდეგ, როცა თქვენ, მესამე კონფერენციის შემდეგ, დარწმუნდით, რომ დიალექტოლოგიის ინსტიტუტი ძალიან მაღალი დონის სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბდა, მოხვედით ჩემ მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე და ამის შემდეგ დაიწყო მერიამ კონფერენციებისა და სამეცნიერო ჟურნალ "ქართველური მემკვიდრეობის" დაფინანსება, რაც აღნიშნულია კიდევ არაერთხელ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულ ჩემს წიგნში.

3. მესამე კონფერენციიდან იწყება ჩვენი უშუალო კომუნიკაციაც; სწორედ ამის შემდეგ დაწერეთ თქვენც არაერთხელ: მე და ტარიელ ფუტკარაძე პოლიტიკური ოპონენტები ვართ, მაგრამ ის დიდ ქართულ საქმეს აკეთებს და ამ საქმეს გვერდით დავუდგები!" (დაბეჭდილია თქვენი ეს გამოსვლაც!); თქვენ თქვით მეორე გახმაურებული ფრაზაც: "ტარიელ ფუტკარაძეს როცა მიზნად აქვს რაიმე, კარი რომ მიუხურო, ფანჯრიდან შემოვა და მაინც გაგაკეთებინებს!"... ამ ფრაზების თქმის შემდეგ 20 წელი გავიდა. შემიძლია გულწრფელად ვთქვა: თქვენ შემდეგ მე არ შემხვედრია ქალაქის ხელმძღვანელი საქართველოში, რომელსაც ასეთი დიდი მხარდაჭერა გამოეცხადებინოს უნივერსიტეტისათვისა და კონკრეტულად ენათმეცნიერებისათვის,

ქართველური დიალექტოლოგიისათვის.

4. კარგად მახსოვს ისიც, რომ როცა მე იდეა გამიჩნდა, ქუთაისში დამეარსებინა "ქართული ენის სამსახური" (საქართველოს ენის პალატაზე ბევრად ადრე!), თქვენ ამ იდეასაც დაუჭირეთ მხარი და საქართველოში პირველი მერია იყო ქუთაისის მერია, სადაც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა "საქართველოს სახელმწიფო ენის სამსახური"; ჩემი ხელმძღვანელობით ეს "სამსახური" უშვებდა გაზეთ "ქართულს", რომელიც დღემდე უნიკალურია საქართველოში.

5. ამ ყოველივეს დღეს იმიტომ ვიხსენებ, რომ კიდევ ერთხელ ვთქვა (იმ გარეწართა გასაგონადაც, ვინც ავრცელებს ჭორს, რომ თითქოსდა, მე შევარდნაძემ შემიქმნა დიალექტოლოგიის ინსტიტუტი!):

არ ვარ მე ის კაცი და არ მიცხოვრია ისე, რომ რაიმე დასამალი მქონდეს; ფაქტია:

დიალექტოლოგიის ინსტიტუტი შექმნა 1992 წლის ივნისში ბატონმა მაგალი თოდუამ. დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, პირადად, უშუალოდ ჩემთვის არ გაგიხსნიათ არც თქვენ და, მით უმეტეს, არც შევარდნაძეს, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებდა არც ეს თემა; საერთოდ არ მიცნობდა! დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად ჩემი დანიშვნა გადაწყვიტა მაგალი თოდუამ აკად. ქეთევან ლომთათიძისა და აკად. თედო უთურგაიძის რეკომენდაციების შემდეგ, ინსტიტუტის დაარსებიდან 7 თვის შემდეგ; კერძოდ:

ბ-ნი მაგალი თავიდან, დაახლოებით, 7 თვის მანძილზე თავად იყო დირექტორი; მე ამ დროს ხუნტა მდევნიდა და ვიმალებოდი (ხშირად საქართველოშიც კი არ ვიყავი). რაც ამ კონტექსტში არსებითია: მე ბატონი მაგალი გავიცანი 1992 წლის ოქტომბერში. ქუთაისში ინტენსიურად დავიწყე სიარული 1993 წლიდან. თქვენც ადასტურებთ, რომ ამ წელს ჩემი დახვრეტაც კი ჰქონდათ დაგეგმილი და თქვენ შეეწინააღმდეგეთ. დახვრეტის მცდელობის ფაქტი ვიცი უკეთილშობილესი პიროვნებისაგან – ნესტან კვეიძისაგან. ამ ფაქტის გაგების შემდეგ გაფასებთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაგეთანხმოთ ისეთ საკითხებში, რაზეც ვერასოდეს დაგეთანხმებით.

6. დღეს ვწერ აქ და ნებისმიერ სიტუაციაში გავიმეორებ კიდეც: თქვენ დიდ დახმარებას უწევდით ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ძალიან რთულ პერიოდში და ამით გამოირჩეოდით იმ კრიმინალებისაგან, ვინც ხელისუფლება ჩაიგდო ხელში 1992-93 წლების კრიმინალური გადატრიალების შემდეგ (მათი უმრავლესობა მხოლოდ ქვეყანას ძარცვავდა და ფულს აკეთებდა); თუმცა, ფაქტია ისიც, რომ თქვენ იყავით უკანონო რეჟიმის ჩინოვნიკი; შესაბამისად, არაფერი დაგაკლდებათ, თუკი აღიარებთ, რომ რუსებისაგან და პრორუსებისაგან კანონიერი ხელისუფლების დამხობა იყო გაუმართლებელი დანაშაული.

7. არაფერი დაგაკლდებათ, აღიაროთ, რომ რუსეთმა დაამხო საქართველოს ის კანონიერი ხელისუფლება, რომელიც რუსეთს სთავაზობდა აქტიურ ნეიტრალიტეტს. დღეს მაინც ყველამ უნდა ვთქვათ: საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა იყო დანაშაული, რომლის მძიმე, დამანგრეველი შედეგები დღემდე ვერ გამოვასწორეთ.

8. მე არასოდეს დამიმალავს ჩვენი თავდაპირველი მძიმე ურთიერთობაც და ბოლოს, მეგობრულ დიალოგებამდე მისული საუბრებიც; კერძოდ, მე და თქვენ არაერთხელ გვისაუბრია იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე, რომ მსოფლიოს მიერ საქართველოს აღიარებული საზღვრების კონტექსტში საქართველოსთვის დღეს ოკუპანტი არის რუსეთი. დღეს ამ ფაქტს თქვენ დიპლომატიური ტექსტით ვერ შენიღბავთ.

9. დღეს აუცილებელია ქართველთა კონსოლიდაცია, პირველ რიგში, დეოკუპაციის მიმართულებით; ყველა მტერს ერთად ვერ მოვერევით!

მხოლოდ დეოკუპაციის შემდეგაა შესაძლებელი ქართველი ერის (/საქართველოს მოქალაქეების) მობილიზება სხვა გამოწვევების დასაძლევად.

10. ქართველობის კონსოლიდაცია ვერ მოხდება უახლოესი წარსულის ობიექტური შეფასების გარეშე; ამ მიმართულებით კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო რუსეთმა, რომელსაც დასავლეთისაგან ხელფეხი გაეხსნა მალტის გარიგების შემდეგ: მალტაში გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ამერიკას დაუთმეს აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიის სახელმწიფოები, რომელთა ყოფნა სსრ კავშირის შემადგენლობაში აღიარებული არ ჰქონდა დასავლეთს. მალტაშივე გადაწყდა დსთ-ს შექმნა. ზვიად გამსახურდია წავიდა "დინების წინააღმდეგ" და დასავლეთის ირიბი სანქციით ელცინის რუსეთმა (მოდერნიზებულმა იმპერიამ)

დაამხო ზვიად გამსახურდიას და ელჩიბეის ხელისუფლებები (ელჩიბეიც არ იყო დსთ-ს მომხრე);

11. მაშინ მხოლოდ მიზერული შანსი გვქონდა და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეეცადა მის გამოყენებას: ზვიად გამსახურდიამ ნიქსონი ჩამოიყვანა თბილისში. იყო თეორიული შესაძლებლობა, შეგვეჩერებინა რუსული აგრესია; კერძოდ, საჭირო იყო საქართველოს მოქალაქეთა სრული მობილიზაცია, მაგრამ ეს ჩვენ ვერ შევძელით, რამდენადაც რუსეთმა პირდაპირი თუ ირიბი გზებით საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციას ხელი შეუშალა "ე.წ. კონგრესმენების" (გია ჭანტურია, ჯაბა იოსელიანი...) და "მრგვალი მაგიდის" შიგნით შემოსული მოღალატეების (თ. სიგუა, თ. კიტოვანი...) გამოყენებით /სხვა პერსონების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ დაველოდოთ სასამართლოს შეფასებას. ესაა რეალური ისტორია; ესაა უეჭველი ფაქტები.

12. დღეს მე არავის დასჯა არ მინდა, მაგრამ აუცილებელია, ყველამ გავიაზროთ ეს რეალობა და ვაღიაროთ წარსულში დაშვებული შეცდომები, რომ სამომავლო გარდაუვალ ბრძოლებში მაინც შევძლოთ მთავარი ღირებულებების გარშემო გაერთიანება და საქართველოს მოქალაქეთა კონსოლიდაცია. ეს კონსოლიდაცია არ გამოვა მანამ, სანამ თქვენ ან სხვა იძახით, რომ გამსახურდია მისმა გარემოცვამ დაამხო და ჩქმალავთ რუსეთის იმპერიის აგრესიას 1992-93 წლებში თუ შემდგომ პერიოდში.

13. მოკლედ ასე შევაჯამებ:

– პირველ რიგში, აუცილებელია 1992-93 წლებში განხორციელებული სახელმწიფო დანაშაულის – პუტჩისა და პრეზიდენტის მკვლელობის – გამოძიება და სამართლებრივი შეფასება სასამართლოს წესით;

– ასევე, პირველ რიგშია აუცილებელი, დეოკუპაციის მიმართულებით, საქართველოს მთელი მოსახლეობის კონსოლიდაცია;

– არანაკლებ არსებითია, ვითომ პროდასავლეთელი ფსევდოლიბერალებისა და პრორუსული "რბილი ძალისაგან" საქართველოს მოქალაქეთა ცნობიერების დაცვა (საინფორმაციო ომის კონტექსტი!) და საქართველოს მოსახლეობის ისტორიული ფასეულობების დაცვაზე ორიენტირებული საქართველოს ერთგული პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება და ამ მიმართულებით მოსახლეობის ორიენტირება.

ბატონო თემურ, არ მგონია, 13 პუნქტად ჩამოყალიბებული ამ თვალსაზრისებისაგან არსებითად განსხვავებული მოსაზრება გქონდეთ.

6 მარტი, 2018

## მემარჯვენეობა-მემარცხენეობა

**მემარჯვენეობა-მემარცხენეობის** თემა ბანალურად დაიწყო: 1789 წელს საფრანგეთში გენერალური შტატების მოწვევისას მოსახლეობის მესამე (დაბალი) ფენის – ქალაქთა კორპორაციების წარმომადგენლები (იაკობინელები) დასვეს მეფისაგან მარცხნივ. თავად– აზნაურობა (როიალისტები) ისხდნენ უფრო საპატიო მარჯვენა მხარეს. მემარჯვენეები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მონარქია და პრივილეგიები მაშინ, როდესაც მემარცხენეები ქვეყანაში სახალხო სუვერენიტეტის და რადიკალური გარდაქმნების მომხრეები იყვნენ. მეფე ცენტრში იჯდა. აქედან იწყება სამი ტიპის პარტიებად კვალიფიკაცია: მემარჯვენეები, ცენტრისტები და მემარცხენეები.

**1. მემარჯვენეობა:**

– სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ეკონომიკურ თუ სხვა სახის აქტივობაში ნაკლები ჩარევა;

– ელიტარული მმართველობის შენარჩუნების მიზნით მოსახლეობის ფართო ფენების ქვეყნის მართვაში მონაწილეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება;

– რადიკალური რეფორმების მიუღებლობა;

– არსებული პოლიტიკური წესრიგის შენარჩუნება.

მემარჯვენეობის სახეობაა „კონსერვატორობა".

**2. მემარცხენეობა:**

– სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ეკონომიკურ თუ სხვა სახის აქტივობაში აქტიურად ჩარევა;

– ელიტარული მმართველობის უარყოფა და ორიენტირება მოსახლეობის ფართო ფენების ქვეყნის მართვაში მონაწილეობაზე;

– ანტაგონიზმი იერარქიის მიმართ და თანასწორუფლებიანობაზე ორიენტირება;

– რადიკალურ რეფორმებზე ორიენტირებულობა;

– მრეწველობის ნაციონალიზაციის მხარდაჭერა;

– ნაციონალისტური საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებლობა;

– არსებული პოლიტიკური წესრიგის შეცვლის აუცილებლობის ქადაგება.

**3. ცენტრისტობა:**

– სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ეკონომიკურ თუ სხვა სახის აქტივობაში ზომიერად ჩარევა;

– ელიტარული მმართველობის უარყოფა და ორიენტირება მოსახლეობის საშუალო ფენაზე;

– ზომიერ რეფორმებზე ორიენტირებულობა;

– დაბალანსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა;

– ევოლუციური განვითარებისადმი მხარდაჭერა...

**სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად არსებული პოლიტიკური სუბიექტები კონკრეტულ ფინანსურად ძლიერ თუ გარედან დაფინანსებულ ლიდერთა ირგვლივ გაერთიანებული სოციალური ტიპის ჯგუფებია და არა – რომელიმე მიმართულების პარტიები; 1992-93 წლების პუტჩის შემდეგ საქართველოში ფესვი მოეჭრა ნორმალური პარტიების ჩამოყალიბებას. უახლოეს 10-15 წელიწადში მოსალოდნელია ნორმალური პარტიების ჩამოყალიბება.**

**P.S. ზოგადად თუ ვიტყვით, ქართველი ადამიანი, როგორც წესი, თავისი ბუნებით ცენტრისტია; თუმცა, ჯერჯერობით დაბალანსებული პოლიტიკის შემუშავება-გატარების საშუალებას არ გვაძლევენ გარე ძალები; რა თქმა უნდა, ჩვენც – უდაბნოში მოხეტიალე თაობა – ვმტროობთ საკუთარ თავს.**

17 ივნისი, 2018

## მავნებლობაა ერში ნიჰილიზმის თესვა!

ინტელექტუალური წრის მავნებლობის შესახებ

1. კომუნისტებმა ინტელექტუალური ელიტა პარტიულ "ლეღვის ფოთლად" აქციეს (ცალკეული გმირების გარდა!).

სწორედ ამ "ინწელიგენციამ" შეუწყო ხელი რუსეთის იმპერიას, დაემხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება.

2. პოსტსაბჭოთა ეპოქაში ინტელექტუალური ელიტის ასევე დიდი ნაწილი იქცა პოლიტსპექტრის სხვადასხვა ნაწილის სამშვენისად (როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს,, ლეღვის ხმელ ფოთლად).

3. დღეს ამ "ელიტის" (ზოგმა ბნელიტაც დაარქვა) თუ მათი მემკვიდრეების დიდი ნაწილი ვიშვიშებს (ზოგი გულწრფელადაც!), ვიღუპებითო, გადავშენდითო, ილია მოვკალითო, ზვიადი გავწირეთო... ვიშვიშიც დანაშაულის გაგრძელებაა, რადგანაც ერში ნეგატივს, უიმედობას ამკვიდრებს (ცრუიმედების "კულტივირება" მეორე უკიდურესობაა და ხალხის დამონების მეორე დასაძრახი გზაა!).

გამოსავალი: არაა საჭირო ნიჰილიზმის დათესვა!

ერის ღირსების დაცვა და ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლა მხოლოდ მებრძოლ ინტელექტუალურ და ზეპარტიულ ინტელექტუალურ ელიტასა და ასეთივე ფართო საზოგადოებას ძალუძს.

აუცილებელია, ინტელექტუალური და წმინდა საზოგადოება გააქტიურდეს:

ილიას გზა: ინტელექტუალური საზოგადოების აქტიური ბრძოლა ერისა და ქვეყნისათვის (და არა – ბუჩქებიდან სიტყვიერი ლანძღვა ან ნიჰილიზმი!)

14 სექტემბერი, 2018

## ვანო მერაბიშვილის თემაზე

ამ დღეებში ნამდვილად თანავუგრძნობ შსს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის ოჯახის წევრებს; თანავუგრძნობ იმიტომ, რომ პირადად მაქვს გამოცდილი მსგავსი სიმწარე მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავებით:

ჩემი ძმა ვანო მერაბიშვილმა გაამწარა **უკანონოდ მიცემული დავალების არშესრულების გამო...** ჩვენ კი, ძმები, ოჯახის წევრები, ვიტანჯებოდით ჩემი ძმის უკიდურესად გართულებული ჯანმრთელობის გამო, რომელიც ისჯებოდა შეთითხნილი ბრალდებით; კერძოდ, ვანო მერაბიშვილის "ბიჭებმა" ჩემი ძმის წინააღმდეგ გამოიყენეს შუბლძარღვგაწყვეტილი ცრუმოწმე და **ქვეყნის, უწყების ერთგული კაცი (რომელიც აფხაზეთშიც და ცხინვალის მხარეშიც იარაღით ხელში იცავდა საქართველოს რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს) ისე გაწირეს, არ იფიქრეს მის დამსახურებაზე, მის ჯანმრთელობაზე, მის ღირსებაზე;** მერაბიშვილმა და მისმა გარემოცვამ არ იფიქრა არც სამართლიანობასა და ჩემი ძმის სიმართლეზე!

ყველა ჩინოვნიკმა (ზოგადად, ადამიანმა) უნდა იცოდეს მარტივი რამ:

უფალი სამართლიანია, შესაბამისად, ჩინოვნიკი (/სუბიექტი) სხვას თუ უსამართლოდ მოექცევა, უთუოდ დაისჯება რაღაც ფორმით.

მაგრამ რა დააშავა ამ უსამართლო ადამიანის წინაპარმა, მისმა შთამომავალმა თუ ოჯახის წევრმა?!

მე გულწრფელად თანავუგრძნობ ვანო მერაბიშვილის მშობლებსა და შვილებს.

ვანო მერაბიშვილსაც ღმერთმა მიუტევოს, უკვე ბევრი იტანჯა (ყურში დღემდე ჩამესმის სხვათა ტანჯვაზე მისი ცინიკური სიცილი ერთ-ერთი ფარული ჩანაწერიდან, რომელიც წლების წინ ტელევიზიებმა გადმოსცეს).

4 ოქტომბერი, 2018

## გამოსავალი

**სრულიად ლოგიკურად,** ადამიანთა დიდი ნაწილისათვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობა ინდივიდუალური მეობის ნაწილია, ამიტომაც, ნორმალური ადამიანი ფიქრობს, თავად რომ გადარჩეს, უნდა გადარჩეს მისი ეროვნული (ეთნიკური) მეობაც და მისი წინაპრების მიერ დაფუძნებული სახელმწიფოც.

**დღეს რა ხდება საქართველოში?** – გლობალისტების აგრესიული ნაწილი უარყოფს ეროვნულობას, სახელმწიფო საზღვრებს და, **ძველი კოსმოპოლიტებივით,** მსოფლიო მოქალაქედ აცხადებს რა თავს, თავად ამბობს უარს საკუთარ ინდივიდუალობაზე; **პარალელურად,** რუსეთის იმპერიის მოხელეები თუ სხვა დაინტერესებული ქვეყნების აგენტურა ცდილობენ, წაშალონ ქართული ეროვნული მეობა და ამ მიზნით აღვივებენ, ცდილობენ საქართველოში შექმნან კუთხური და რელიგიური "იდენტობები"; საბოლოო ჯამში, სურთ, **ფეოდალურად და რელიგიურად დააქუცმაცონ ერთიანი ქართველი ერი.** ამას ემატება ეკონომიკური პრობლემებით დეზორიენტირებული თუ შეწუხებული ადამიანების გასვლა საზღვარგარეთ, საქართველოში კი ფულიანი ინვესტორების ფორმატით თუ სხვა საფუძვლით უცხოტომელთა თუ ზოგადად, მოხეტიალეთა მასიური შემოდინება-დასახლება.

მოკლედ, ქართველი ერის **დემოგრაფიული კატასტროფაც სახეზეა.**

ბევრი გონიერი ადამიანი ჩემსავით ფიქრობს და გამოსავალს ეძებს, რომ გადარჩეს ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მეობა და, საბოლოო ჯამში, ჩვენ გადავრჩეთ პიროვნულადაც, ეროვნულადაც და სახელმწიფოებრივადაც; გადავრჩეთ: **ვიცოცხლოთ ჩვენი წინაპრების ძალისხმევით დღემდე ცოცხალმა ერმა და მსოფლიომაც არ დაკარგოს ინდივიდუალური ქართულენოვანი სამყარო.**

**რა არის გამოსავალი?** – სამწუხაროდ, პარტიების პოლიტიკაში მე ვერ ვხედავ გამოსავალს, თუკი სწრაფად არ მოხდება მათი ტრანსფორმაცია. ამ ეტაპზე ვხედავ, რომ პარტიები გადაიქცა

ძირითადად საკუთარ ბიზნესინტერესებზე ორიენტირებულ (ეგოისტურ) ადამიანთა გაერთიანებებად, ან, ზოგ შემთხვევაში, დამნაშავე კლანებად (ძალიან ცოტაა ისეთ პოლიტიკოსთა რიცხვი, სახელმწიფო რომ აქვთ პრიორიტეტად; უგუნდო ერთეულებს კი სახელმწიფო მართვა ნამდვილად უჭირთ ყველა დროში); ე.წ. ცნობად სახეთა დიდი ნაწილი კი ისეა ამბიციებით უაზროდ გაბერილი, თავში სხვასთან სათანამშრომლო სივრცე აღარ რჩება.

**ფაქტია ისიც, ეს ტენდენცია მხოლოდ ქართული რეალობა არ არის; "გლობალისტურია":** საფრანგეთშიც უპარტიო კაცმა გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, უკრაინაშიც, სომხეთშიც... /საქართველოშიც მსგავსი სცენარით რომ არ განვითარებულიყო პოლიტიკური პროცესი, ამიტომ ხომ არაა, რომ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი განულეს?/

ფაქტია ისიც, რომ ცალ-ცალკე არსებული ინდივიდები უდიდფულოდ სერიოზულ პარტიას ვერ შექმნიან, სოციალური ქსელის პირობებშიც კი. პოლიტიკური სპექტრი ქვეყნის მესაჭეა; ახლომხედველს, სულელს თუ გიჟს საჭე როგორ უნდა ანდო? **მოსანახია რაღაც გზა, რომ გაჯანსაღდეს პოლიტიკური სპექტრი და გადარჩეს საქართველო, რომელზეც დღეს მრავალმხრივი შეტევა ხორციელდება.**

გამარჯვებისათვის მზად მყოფი ახალი პარტიის შექმნას დიდი ძალისხმევა ესაჭიროება; რთულია, სოციალური ქსელით შეძლო პატიოსან და ცნობილ პიროვნებათა მექანიკური გაერთიანება (საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა-მხარდაჭერას ექნებოდა აზრი, პრეზიდენტის სერიოზული ინსტიტუტი რომ გვქონოდა); **რომელიმე პარტია, ან პოლიტიკური ჯგუფი თუკი მიზნად დაისახავს ფართო საზოგადოების გაერთიანებას, სიამოვნებით დავუჭერდი მხარს, ოღონდ უნდა მოხდეს დიდი შეთანხმება; კერძოდ, კონკრეტული ორიენტირების ჩამოყალიბება და ამ კონკრეტული დებულებების, სტრატეგიული გეგმის გარშემო ცნობილი წესიერი ადამიანების, ზოგადად, ფართო საზოგადოების გაერთიანება;** მაგ., ჩემთვის პრიორიტეტულია:

**1. საქართველოს დეოკუპაცია:** რუსეთი არის ოკუპანტი – ამას მსოფლიო აღიარებს და ეს მომენტი გამოსაყენებელია ოკუპირებული ქართული ტერიტორიების დასაბრუნებლად. (სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა დღეს თუ არა ხვალ მაინც წარმატებით დასრულდება, რადგანაც მსოფლიოში ყველა აღიარებს, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

2. დეოკუპაციამდე ყველა სხვა მეზობლისა და ყველა გეოპოლიტიკური მოთამაშის გინებაზე უარი უნდა ვთქვათ; რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უარი უნდა ვთქვათ რუსეთთან კუდის ქიცინზეც და რუსეთის აგრესიული ლანძღვით მის გამოწვევაზეც.

**3. საქართველოს სახელმწიფოს პროდასავლური კურსის გაგრძელება,** ოღონდ, საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები გამოკვეთილად უნდა იყოს ორიენტირებული ქართველების ისტორიული ფასეულობების შენარჩუნება-განვითარებასა და საქართველოში მცხოვრები უმცირესობების დაცვაზე.

**4. სამართლიანობის რეალური აღდგენა:** სამართლიანი სახელმწიფოს ფორმირებისათვის პირველ რიგში 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების სასამართლოს წესის შეფასება და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და თანამდევი მოვლენების სრულყოფილი გამოძიება; მხოლოდ ეს გზა გააჯანსაღებს საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს.

**5. სახელმწიფოს გადარჩენაზე ორიენტირებული ეკონომიკა:** საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში მცირე საწარმოების გახსნაზე ორიენტირებული ეკონომიკის დაგეგმვა; ჯანსაღი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექმნაში სახელმწიფო ფულისა თუ ინვესტიციების ჩადება, რომ საქართველოს მოქალაქეთა მიგრაცია შეჩერდეს და გადავურჩეთ დემოგრაფიულ კატასტროფას.

**6. სახელმწიფო მოხელეთა ზეპარტიულობა:** სასამართლოსა და სპეცსამსახურებში, ზოგადად, არაპოლიტიკურ თანამდებობებზე რეალურად ზეპარტიულად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პირების რაოდენობის გაზრდაზე ინტენსიური მუშაობა;

**7. საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფა:** საქართველოს საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფის გზაზე მეცნიერების, მედიისა და განათლების სისტემის ისე დაგეგმვა, რომ აღიზარდოს საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქე და ადეკვატური იყოს საერთაშორისო ველში არსებული ინფორმაციები საქართველოს, ქართველი ერის ენობრივ-

ეთნიკური იდენტობის, საქართველოში მცხოვრები უმცირესობების უფლებების შესახებ.

ეს მოკლედ, ნაუცბათევად ჩამოწერილი 7 თეზისი.

4 მაისი, 2019

## ჩემი პოზიცია

დღეს საქართველო ისევ დგას **დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე:** 1991-92 წლების მსგავსად, პოლიტიკური რადიკალიზაცია და არეულობა საქართველოში მხოლოდ რუსეთის იმპერიულ ინტერესს წაადგება. ყველა ვართ ვალდებული გავაქტიურდეთ, რომ ახალმა პუტჩისტებმა თუ ძველმა ავანტიურისტებმა ქვეყანა ისევ არ შეიყვანონ გამოუვალ ჩიხში. **ჩემი პოზიცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით:**

1. მე არ მომწონს, ხელისუფლების მიერ მიცემული **პირობის დარღვევა** ხელოვნური ბარიერების გამოგონებით. ხელისუფლება ვალდებულია ისეთი სტრატეგია შეიმუშავოს, რომ დეოკუპაციის პროცესში ქვეყანა კრიზისულ ვითარებაში არ შეიყვანოს და, ნებსით თუ უნებურად, ხელი არ შეუწყოს რუსეთის იმპერიას, რომელსაც არ სურს საქართველოს გასვლა რუსულიმპერიული გეოპოლიტიკური სივრციდან.

2. მე არ მომწონს ამჟამინდელი ოპოზიციის სტრატეგია დესტაბილიზაციის რისკების ნაწილში: ოპოზიცია არ უნდა ცდილობდეს დესტაბილიზაციას სახელმწიფოში; მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველო ასე დაახლოებულია ევროკავშირთან და ნატოსთან. **დესტაბილიზაცია საქართველოს ისევ დააბრუნებს რუსულ იმპერიულ ველში. მშვიდობიანი წინააღმდეგობა თუ კრიტიკა კი აუცილებელია.**

3. მე არ მომწონს ეკლესიის, ასევე, სხვა კონფესიების შიგნით, ზოგადად, სასულიერო წრეების ველში დაგროვილი მანკიერი მოვლენები; შესაბამისად, ამ მიმართულებითაც ცვლილებებია საჭირო; თუმცა **ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკლესია,** რომელიც ისტორიის მანძილზე მუდამ იბრძოდა როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინებისათვის, ასევე, ქართველთა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის; ასევე, პატივი უნდა ვცეთ ჩვენს მოქალაქეთა სხვა რელიგიებს.

4. 1992-93 წლებში რუსეთის იმპერიამ (მალტის გარიგებით შეპირობებული დასავლეთის წაყრუების ფონზე) დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. **დევნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა** არ გაუგრძელებია დღემდე არსებულ არც ერთ დე ფაქტო ხელისუფლებას. საქართველოს მომავალი პოლიტიკური ცხოვრება სრულფასოვანი რომ იყოს, აუცილებელია დევნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის გაგრძელება რაღაც ფორმით და რეალური მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. **ძალაუფლების ხელში ჩაგდების გამო პარტიები ერთმანეთის განადგურებას კი არ უნდა ცდილობდნენ, არამედ ერთმანეთს უნდა ეჯიბრებოდნენ საქართველოს განვითარებისათვის.**

5. 1992-93 წლების დანაშაულებრივი პუტჩის შემდეგ პუტჩისტები თუ მათი მემკვიდრეები, რომლებიც გადანაწილებულნი არიან ორივე მხარეს, დღეს უკვე მერამდენედ ცდილობენ ვითარების რადიკალიზებას (საქართველოში პოლიტიკური ჯგუფების რადიკალური დაპირისპირება მხოლოდ რუსეთის იმპერიას აძლევს ხელს!)... შესაბამისად, **აუცილებელია ლუსტრაციის კანონი.** ლუსტრაციის კანონით და სხვა თანამდევი აქტივობებით პოლიტიკური, სასულიერო თუ ბიზნესის ელიტის ნაკლულოვანებები (რბილად რომ ვთქვათ) უნდა გამოვიდეს სააშკარაოზე, რომ სხვა ქვეყნის სამსახურში ჩამდგარმა პოლიტიკოსებმა თუ ბიზნესმენებმა ვეღარ შეძლონ ჩვენი საზოგადოების დეზორიენტირება და ვეღარ გვავნონ „მაოხრებელმა გზირებმა“.

**ამ და სხვა ძირითად საკითხებზე უნდა მოხდეს საქართველოს ერთგული პიროვნებებისა თუ პოლიტიკური სუბიექტების კონსესუსი, რომ მომავალში მაინც პოლიტიკური პროცესი ჯანსაღი გახდეს.**

18 ნოემბერი, 2019

# როგორ დავაღწიოთ თავი ტრაგიკომიკურ "რუსთველიანას"?

რა გვაკლია დღეს: ერთიანობა საქართველოსათვის და ჩვენი ერისათვის აუცილებელი, ნათლად გამოკვეთილი ორიენტირების გარშემო.

კონსოლიდაციაზე დღეს ბევრი ლაპარაკობს, მაგრამ გარკვეული ერთის გამოკლებითო...

ადრეც ასე იყო: 1991-92 წლების პუტჩის წინ, "ვარდების რევოლუციის" წინ; 2011 წელს მოდიფიცირებული ვარიანტით: "შუა უნდა გაიკრიფოს"...

საქართველოს განვითარებისათვის აუცილებელი გრძელვადიანი სტრატეგიის გარშემო რეალური კონსოლიდაცია შეუძლებელია წარსულის პირუთვნელი შეფასების გარეშე; სულ სამი სვლაა საჭირო:

1. წარსულის პირუთვნელი შეფასება;

2. მოცემულ აწმყოში ქვეყნისათვის აუცილებელი ორიენტირების წინ დაყენება პირად ინტერესსა თუ პიროვნულ ამბიციებზე;

3. კონსოლიდაცია გამოკვეთილი ორიენტირების გარშემო ღირსეული მომავლისათვის .

ასეთი სტრატეგიის ამოქმედების შემთხვევაში მტრის დაქირავებული თავისთავად გამარგინალდება...

ჯერჯერობით კი პოლიტიკური ტრაგიკომედია: "რუსთველიანა" გრძელდება. იგი დღეს ყველა ნორმალურ ქართველს აწუხებს, ამიტომ ბევრი ლაპარაკობს საზოგადოების კონსოლიდაციაზე, რამდენიმე ძლიერი პარტიის შექმნაზე... ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე გუშინაც მივედი. პრობლემა ისაა, რომ ყველა ცდილობს თავი წარმოადგინოს გაერთიანების ცენტრად, რაც არ არის პერსპექტიული.

ვფიქრობ, მთავარია, პიროვნებებმა თუ ჯგუფებმა თავიანთი პოზიციები ნათლად წარმოადგინონ გრძელვადიანი სტრატეგიის სახით და გაერთიანება დაიგეგმოს არა წარსულის ქექვის ფონზე, არამედ დეკლარირებული, დაწერილი ორიენტირების გარშემო, სადაც ერთ-ერთი პუნქტი იქნება ბოლო 30 წლის საქართველოს პოლიტიკური წარსულის შეფასებაც. პიროვნებების წარსულის განქიქებას ნამდვილად აჯობებს წარსულში მომხდარი დანაშაულობების შეფასება, რადგან ზოგი დღესაც ცდილობს, თავისი მაშინდელი დანაშაული გააკომპენსიროს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიასა თუ "მრგვალი მაგიდის" შესახებ დეზინფორმაციებით.

**პირადად, ჩემი პოზიცია არაერთხელ გამომიქვეყნებია და აქ მოკლედ ვიტყვი:** ნამდვილად არ ვაპირებ შევქმნა პარტია, რადგან ვფიქრობ, რომ **ქვეყანას ახალი, ახალგაზრდა პოლიტიკური სახეები ესაჭიროება.** მე სიამოვნებით დავუდგები გვერდით ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც გაერთიანდებიან კონკრეტული ორიენტირების (და არა – ერთი კაცის) გარშემო; კერძოდ: მე მინდა ვიყო ისეთ პარტიასთან, რომელსაც სურს:

1. ოფიციალურად, სასამართლოს წესით შეფასდეს ყველაზე დიდი დანაშაული: მალტის გარიგების შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების სისხლში ჩახრჩობა 1992-93 წლებში და პრეზიდენტის მკვლელობა;

2. საქართველო, როგორც სახელმწიფო, იყოს ისტორიული ქართული ფასეულობების (ენა, კულტურა...) დამცველი; ასევე, დაცული იყოს ყველა უმცირესობის ყველა უფლება;

3. რუსეთს ოკუპანტი ეწოდოს მანამ, სანამ ოკუპირებული აქვს ცხინვალის მხარე და აფხაზეთი;

4. სასამართლოს კონტექსტში თუ პოლიტიკური წყობით საქართველო იყოს ცივილიზებული დასავლეთის ნაწილი;

5. რწმენის სრული თავისუფლების ფონზე, ჩვენს მრავალსაუკუნოვან ეკლესიას, როგორც ოდითგანვე დასავლური ორიენტაციის მქონეს, ჰქონდეს განსაკუთრებული სტატუსი (თუ სახელმწიფო რელიგია არ იქნება);

6. ნატოს ბლოკი თუ არ გამოდის (ბებერი ევროპის გამო), სტრატეგიული ხელშეკრულება დაიდოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან (რომლისთვისაც აუცილებელია კავკასიის მაგისტრალები), რომ მისი მხარდაჭერით თავიდან ავიცილოთ რუსეთისაგან მოსალოდნელი სრული ოკუპაცია და მივაღწიოთ დეოკუპაციას; დეოკუპაციის შემდეგ კი, თუკი მსოფლიოს ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეები შეთანხმდებიან, კი, ბატონო, ვიყოთ ნეიტრალური

სახელმწიფო და კავკასიის, როგორც გზაჯვარედინის, მთავარი მცველები;

7. საქართველო იყოს უნიტარული სახელმწიფო რეგიონალიზმის გამორიცხვით და ადგილობრივი თვითმმართველობის (სოფელი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი) მაქსიმალური გაზრდით.

**ჩვენი აზრით:** საზოგადოებაში დაპირისპირების რადიკალიზაცია (პოლიტიკური ტრაგი-კომიკური "რუსთველიანა") უკუსვლაა; დაპირისპირების მოხსნა, კონსოლიდაცია კი – წინსვლა. ჩვენ ყველა ერთ "ნავში" ვსხედვართ და ერთმანეთის ლანძღვა თუ მტრობა და "რუსეთის აგენტის" ძახილი სულ დააქცევს ამ "ნავს".

საინტერესო ისაა, რომ ყველა მხარე **რუსეთს ოკუპანტად თვლის** (ამას ცხადყოფს ბიძინა ივანიშვილის წუხანდელი გამოსვლაც!)... ჩემი აზრით, გარეშე ანტიქართული ძალებისგან მართული ისაა, ვინც საზოგადოების დაპირისპირების ესკალაციას ახდენს; ვისაც არ უნდა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა (ასეთი პროვოკატორი შეიძლება ყველა პოლიტიკურ სუბიექტში იყოს) და ნუ წამოვეგებით ასეთი რენეგატის ანკესზე.

ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ორიენტირები. აუცილებელია გაერთიანება კონკრეტული სტრატეგიის გარშემო (ერთ პიროვნებაზე ბრმა ნდობა საბოლოო ჯამში მაინც უპერსპექტივოა!); ქუჩური დესტაბილიზაცია არ არის გამოსავალი. ორიენტირებით გავერთიანდეთ, რომ დასრულდეს პოლიტიკური ტრაგიკომედია: "რუსთველიანა", რომელიც დაიწყო 1992-93 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებით.

**P.S.** ამ წერილს თან ვურთავ მეუფე იაკობის გამოსვლას ევროპარლამენტში. საქართველოს ეკლესიის სახელით აქ იგი რასაც ამბობს, ჩემთვის მისაღებია (ნურავინ დაიწყებს ახლა აქ ეკლესიის შორეულ თუ უახლეს წარსულზე ლაპარაკს; ზუსტად ვიცი ამ წარსულის ნეგატივიც და პოზიტივიც; მთავარია დღეს ჩვენი ერთიანობა, რამდენადაც საქართველოს წინ დიდი დაძაბულობა ელის...

https://www.facebook.com/watch/?v=426937821315614

28 ნოემბერი, 2019

## გთხოვთ, გააზიაროთ! საფრთხე გვიახლოვდება!

მეგობრებო, ფეისბუკი, ზოგადად სოციალური ქსელი დიდ შესაძლებლობას იძლევა როგორც სიკეთის, ასევე, ბოროტებისათვის, როგორც კონსოლიდაციისათვის, ასევე, მოძმეებს შორის შუღლის გაღვივებისათვის...

ჩვენ ვუახლოვდებით დიდ სახიფათო გზაგასაყარს: საქართველო **ან თავს დააღწევს 200-წლოვან რუსულ ოკუპაცია-ანექსიას** და გახდება ნორმალური სახელმწიფო, **ანდა, დესტაბილიზაციის შემთხვევაში,** საქართველოს სამუდამოდ შეაბრუნებენ რუსული უღლის ქვეშ.

ლონდონში მიმდინარე ნატოს 70 წლის საიუბილეო სამიტი (3-4 დეკემბერი, 2019 წ.) ცხადყოფს, რომ საქართველო ისევ არის ცივილიზებული მსოფლიოს დღის წესრიგში; პარალელურად, უკიდურესად გააქტიურებულია რუსეთიც: მცოცავი ოკუპაციის გარდა, აქტიურად მიმდინარეობს **საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების "ოკუპაცია"** არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკურ სპექტრში მყოფი კოლაბორაციონისტების გამოყენებით. დღეს საქართველოში ბევრი ჯგუფი ატარებს რუსეთის პირდაპირ თუ ირიბ ინტერესებს; იხ., მაგ., ეს ბმული:

https://www.amerikiskhma.com/a/russian-propaganda-in-georgia/5186920.html?fbclid=IwAR02byn_YGehCbAIDQdNHk-tszuLjazS4zKqLCn1rtxbf4JRAiOi0r2NzK4

ეს მცირე ჩამონათვალია; აქ არ არის საქართველოს გარედან დაფინანსებული გაზეთები, ე.წ. "რეგიონული" ორგანიზაციები და რელიგიური ჯგუფები, რომელთა უშუალო დავალებაცაა, ერთი მხრივ, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური, მეორე მხრივ – რელიგიურ-ეთნიკური დანაწევრება და "რეგიონულ ან უმცირესობათა ევროპული ქარტიის" არსის გაყალბებით **ქართველთა დიდი ნაწილის არაქართველებად – საქართველოს უმცირესობებად – გამოცხადება.**

ამ დროს რა ხდება ხელისუფლებაში, ზოგადად, პოლიტიკურ სპექტრში?

**პოლიტიკური სპექტრი თავის სეგმენტში აღრმავებს დაპირისპირებას და განხეთქილების ამპლიტუდას ზრდის.** როცა საქართველო ასეთ სახიფათო გზაგასაყარზეა, ამ დროს დაპირისპირების ესკალაცია დანაშაულის ტოლფასია. ყველა მხარეს არიან ღირსეული ადამიანები და სწორედ მათი აქტიურობით უნდა გაცნობიერდეს შექმნილი რეალობა:

**დაპირისპირებებით მოცული საქართველო აუცილებლად გახდება რუსეთის მსხვერპლი!**

დროულად უნდა შევძლოთ სტაბილიზება და ახალი არჩევნებისათვის მშვიდ გარემოში მომზადება. ამას ვწერ აქ იმიტომ, რომ სოციალური ქსელი დიდ შესაძლებლობას იძლევა; რამდენიმე თვის წინ ფერეიდნელთა ფეხით ჩამოსვლის შესახებ ჩემს სიუჟეტებსა თუ წერილებს 5 000 000-ზე მეტი გამოხმაურება ჰქონდა: სოციალურმა ქსელმა ფერეიდნელი ლომების ჩამოსვლის თემით საქართველოს მთელი მოსახლეობა, ზოგადად, მთელი ერი გააერთიანა! ანუ, **შეგვიძლია კონსოლიდაცია!**

ახლაც შეგვიძლია გაერთიანება და **უარის თქმა ყოველგვარ დესტაბილიზაციასა და ქართველთა შორის ურთერთდედისგინებაზე; დედის გინებიდან მკვლელობამდე ერთი ნაბიჯია!** ამ თვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობა ერთიანი თუ იქნება, ჩვენ შევძლებთ მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებას, პოლიტიკური პროცესის სტაბილიზებას და უმოკლეს დროში ნორმალური სახელმწიფოს აღორძინებას. მომავალ თაობებს (❤) მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნებათ ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობა; დაპირისპირების ესკალაციით კი კატასტროფა ახლოვდება!

ისტორიული რუკის მისამართი:
https://civil.ge/ka/archives/316273?lang=ka

4 დეკემბერი, 2019

## გაზეთი "ქუჯი"

მეგობრებო, 2000-2002 წლებში ქუთაისში მე და ჩემი მეგობრები გამოვცემდით გაზეთს, რომლის სახელი იყო "ქუჯი". ახლა ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ:

– იმ წლებში ჩვენ ასეთ მართალ გაზეთს ვუშვებდით,

– სრულიად უსახსროდ ჩვენ ეს შევძელით;

– გაზეთ "ქუჯის" ყველა ნომერი დღეს აიტვირთა ინტერნეტში ❤

**რა თქმა უნდა, მაშინ გაზეთის სახელი "ქუჯი" შემთხვევით არ შემირჩევია:** 1992-93 წლებში, რუსეთის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ავბედით ჟამს, საქართველოს კანონიერი ხელისუფლება გამორჩეულად დაიცვა სამეგრელოს ქართველობამ (ამ დროს მეც და თბილისიდან თუ საქართველოს სხვა კუთხეებიდან პუტჩისტების მოწინააღმდეგე ბევრი სხვა ქართველი სამეგრელოში ვიყავით). სწორედ სამეგრელომ გაიღო ყველაზე მეტი სისხლი XX საუკუნის რუსული აგრესიის დროს... ჩვენ მაშინ რუსეთის (კონკრეტულად, გენერალ ბალტინის) საზღვაო დესანტმა დაგვამარცხა, მაგრამ ომი არ წაგვიგია: პრორუსულ რეჟიმთან ბრძოლები გრძელდებოდა საქართველოს დედაქალაქშიც და ყველა კუთხეშიც; ქუთაისში სწორედ გაზეთი "ქუჯი" იყო ჩვენი "აღჭურვილობა"...

ახლა მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ადამიანებს, ვინც გააკეთა ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსია და ინტერნეტში ატვირთა "ქუჯი": ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომლებს: მადინა უგლავას, მარიეტა ნიქაბაძესა და მარეხ დადუნაშვილს; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების ორგანიზაციის განყოფილების I კატეგორიის უფროს სპეციალისტს, ქეთევან თომაძეს.

ჩემს ერთგულ მეგობარს, ქ-ნ რიტა წაქაძეს.

❤ ❤ ❤

ესაა "ქუჯის" ახალი სიცოცხლე:

http://dspace.nplg.gov.ge/simple-search?query=%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%98&sort_by=score&order=desc&rpp=10&etal=0&start=0&fbclid=IwAR1giEydxiVENp0gh7tO1JNlKNIyt-V9kqvNnEYQ-FVddbOs_xhZhSXVeFjo

14 თებერვალი, 2020

## საქართველოზე მზრუნველი პარტიის პირველი რიგის ამოცანები

**ჩემი აზრით, ეკონომიკური სტაბილიზაციის გარდა, 2020-2024 წლებში პოლიტიკური სუბიექტის პირველი რიგის ამოცანები უნდა იყოს:**

**I. საქართველოს დეოკუპაციის მიზნით** სხვა პარტიებისა თუ საზოგადოების კონსოლიდაცია რუსული აგრესიის წინააღმდეგ (დღეს პარტიების მიზანი უფროა ერთმანეთის განადგურება). მარგინალიზაცია იმ პოლიტჯგუფებისა, ვისი რეალური მიზანიც არ არის დეოკუპაცია.

**II. სამართლიანობის რეალური აღდგენის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შეუქცევადობისა და მომავალში მაინც საქართველოს ინტერესების დამცველი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბების მიზნით,** აუცილებელია 1992-93 წლებში საქართველოს გარედან ორგანიზებული პუტჩის გამოძიება და **სასამართლოს წესით შეფასება და ლუსტრაციის კანონის მიღება.**

**III. რუსული გეოპოლიტიკური ველიდან** საბოლოო გამოსვლისა და ცივილიზებულ სამყაროსთან (ნატოსთან, ევროკავშირთან) შეუქცევადი დაახლოების მიზნით, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების **/მაგ., „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება და სხვ./** ისე დაგეგმვა, რომ დაცული იყოს:

– საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები;

– ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი,

– ქართველი ერის სხვა ისტორიული ფასეულობები,

– საქართველოში მცხოვრები ყველა უმცირესობის ყველა სახის უფლებები.

სახელმწიფო ენასთან და უმცირესობების უფლებებთან მიმართებით **ბოლო 30 წლის დაუბალანსებელი პოლიტიკით თუ გაგრძელდება პროცესი:**

– ქართული ენა დაკარგავს ქართველთა დიდი ნაწილის **დედაენის ფუნქციას** და საქართველოს დიდ ნაწილზე – სახელმწიფო ენის ფუნქციას;

– დიდი ზიანი მიადგება უმცირესობების იდენტობისა და უფლებების დაცვის საქმეს.

**IV. ქართველი ერის, როგორც ქართულენოვანი კულტურული საზოგადოების, გადარჩენა.** 21-ე საუკუნეში საფრთხის ქვეშ დადგება ქართველი ერის, როგორც ქართულენოვანი საზოგადოების არსებობა; პირველ რიგში, ქართულმა ენამ შეიძლება მნიშვნელოვნად დაკარგოს განათლებისა და კულტურის ენის ფუნქცია და ქართული ენის **საკომუნიკაციო არეალი შეიძლება დავიდეს „პატუა ენის“ დონემდე, თუკი ქართული ენა უახლოეს მომავალში არ გახდება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ავტომატური თარგმანების ენა.**

**V. საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზება.** აუცილებელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსების დროული მობილიზება **საერთაშორისო ველში გავრცელებული საბჭოური/რუსული სამეცნიერო იდეოლოგემების დროულად დაბალანსებისათვის,** რომ ადეკვატურად მოხდეს საქართველოს საინფორმაციო თავდაცვის ორგანიზება; კერძოდ, საქართველოს მომავალი თაობების **სწორი ორიენტირებით აღზრდისა და საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნების მიზნით** საჭიროა:

– სიმბოლური თარიღების (/სადღესასწაულო დღეების) **სწორად კვალიფიცირება;**

– ანტიქართული სულისკვეთების ძეგლების გადატანა ოკუპაციის მუზეუმში;

– ფსევდოლიბერალური თუ ფსევდოპატრიოტული რიტორიკის დაძლევა და საქართველოს მოსახლეობის გამაერთიანებელი ფასეულობების, ისტორიული გმირების, იდეების... წამოწევა წინა პლანზე.

**ხაზგასმით აღვნიშნავ:** ქართულენოვან თუ საერთაშორისო პოლიტიკურ ველში ამჟამად

დამკვიდრებულმა **ტერმინოლოგიამ, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს ტერმინოლოგიურ დივერსიებს,** შეიძლება გამოუსწორებლად დააზარალოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების შექმნა.

**წარმოდგენილი საკითხებით დაინტერესებულ პირებსა თუ პოლიტიკურ სუბიექტებს შემიძლია ვრცელი ანალიზი შევთავაზო /ჩემი სამეცნიერო პროფილის ფარგლებში/.**

12 ივნისი, 2020

## მივესალმები პოლიტიკაში ახალგაზრდების აქტიურად შემოსვლას

მე მივესალმები პოლიტიკაში ახალგაზრდების აქტიურად შემოსვლას და ყველა პოლიტიკური სუბიექტის ახალი თაობის პოლიტიკოსებს ვუსურვებ წარმატებას. ამ კონტექსტში ვიტყვი – ლიდერი ორგვარია:

1. ადამიანურ ფასეულობებზე ორიენტირებული ლიდერი, რომელიც ქმნის მუდამ განახლებად პროფესიონალთა გუნდს და მართავს იერარქიის დაცვით. ლიდერი ენდობა თავის მოადგილეებს, მოადგილეები – თავიანთ თანამშრომლებს... ასეთი მეგობრული გუნდი ხანგრძლივი დროით აკეთებს დიდ საქმეებს.

2. სწრაფ ეფექტზე ორიენტირებული ლიდერი, რომელიც არჩევს პროფესიონალებს, მაგრამ "გუნდს" მართავს ურთიერთდაპირისპირების პროვოცირებით. ეს ლიდერი არავის ენდობა, მაგრამ სწრაფად აღწევს ეფექტს. ამ ლიდერის "გუნდი" დიდ საქმეს მხოლოდ მცირე დროით აკეთებს. ამ "გუნდში" სიტუაცია მალევე ჭაობდება. საბოლოო ჯამში ეს ლიდერი მოღვაწეობას კატასტროფით ამთავრებს.

პირველი ლიდერი მომავალ თაობებს ზრდის და ქვეყანას ემსახურება,

მეორე ლიდერი ეჭვებით იტანჯება, გუნდის წევრების მომავალს კლავს და ქვეყანას უქმნის საფრთხეს.

15 სექტემბერი, 2020

## უნდა გააქტიურდნენ ახალი თაობის პოლიტიკოსები

მე, როგორც "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე" ხელმომწერს, მიმდინარე საარჩევნო მარათონში მხოლოდ ერთი რამ მომწონს:

ყველა პარტიისთვის "პრორუსულობა" არის სალანძღავი სიტყვა:

ერთმანეთს ამ "ეპითეტით" მოიხსენიებენ წამყვანი პარტიები.

დამამტკიცებელ საბუთებად, პარტიული ტელევიზიები დღენიადაგ იმეორებენ დოკუმენტურ მასალას რომელიმე პარტიული ლიდერის პრორუსული წარსულიდან...

ფაქტია:

მიუხედავად პრორუსულობის ძალიან ნეგატიური კონტექსტისა, წარსულითა თუ აწმყოთი ბევრი პარტიის ლიდერია რუსეთთან დაკავშირებული...

ამიტომაა საჭირო, დროულად გააქტიურდნენ ახალი თაობის თუ ნათელი წარსულის პოლიტიკოსები

12 ოქტომბერი, 2020

## პოლიტიკოსებს /წინასაარჩევნოდ/

ნუ ვლანძღავთ ერთმანეთსა და ერთმანეთის ამომრჩეველს. ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ. საქართველოს მხოლოდ ერთმანეთთან თანამშრომლობით ავაშენებთ. ლანძღვა რადიკალიზაციას იწვევს; მოსახლეობის რადიკალიზაცია ურთიერთაგრესიაში გადავა, ჩვენი ურთიერთაგრესია კი გაახარებს რუს ოკუპანტსაც და ახლო-მახლო ჩასაფრებულ კოიოტებსაც.

**P.S.** ვინც მოსახლეობაში რადიკალიზაციის გაღრმავებაზე მიდის, მას საქართველოს კარგი მომავალი არ უნდა!

18 ოქტომბერი, 2020

## პოლიტიკური ელიტის ერთიანობა

რუსეთს დღეს ოკუპირებული აქვს საქართველოს დიდი ნაწილი (ჩრდილოეთი და დასავლეთი). გიუმრის ბაზა აქვს საქართველოს სამხრეთით.

ყარაბახის ომის შემდეგ უკვე აღმოსავლეთიდანაც კარზეა მომდგარი რუსის ჯარი.

ასეთ სიტუაციაში საქართველოს ერთადერთი ხსნა არის დასავლეთის აქტიური მხარდაჭერა, მაგრამ ევროპა ისევ ძილ-ბურანშია.

ერთადერთი გამოსავალი არის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროების შემოსვლა საქართველოში.

ამ სიტუაციაში არსებითია პოლიტიკური ელიტის ერთიანობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამერიკის ელჩის აქტიურობით დღეს დაგეგმილი მეორე შეხვედრა.

იმედია გამოინახება კომპრომისი, თუნდაც ახალი მთავრობის დაკომპლექტების მიმართულებით და საარჩევნო სიტუაციის მიმართულებითაც.

იმედია, საქართველოს პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები ცივი გონებით გააანალიზებენ გარე საფრთხეს – რუსულ საფრთხეს, შეთანხმდებიან ქვეყნისათვის გადამწყვეტ ამ ეტაპზე, რომ შიდადესტაბილიზაცია არ გაგრძელდეს.

საქართველოში შიდაარეულობა მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს (ისე, როგორც ეს იყო 1991-92 წლებში).

14 ნოემბერი, 2020

# 2.2. სტატიები, მოხსენება, მასალები ოკუპაციის 200 წლის შესახებ

# გეოპოლიტიკური ვექტორები და საქართველო

საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი (ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის).

ყველა ნორმალურ ქვეყანას აქვს თავისი გეოსტრატეგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გეოპოლიტიკური ინტერესები; ამ უკანასკნელის მიხედვით ხდება გეოპოლიტიკური ძლიერების განსაზღვრა და სტრატეგიის შემუშავება. ჭარბი ამბიციის მქონე ზოგი ხელისუფლება თავის სტრატეგიას აგებს სხვა ქვეყანათა თუ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ.

ტრადიციულად, ძირითად გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებად მიიჩნევა: მოცემული მიწა-წყლის სტრატეგიული ღირებულება, საზოგადოების/ქვეყნის უნარიანობა და მოსახლეობის თვითაღქმა (ზოგადად, დემოგრაფიული მოცემულობა). შდრ., ქვეყნის გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითად კრიტერიუმებად მიჩნეულია: სტრატეგიული ტერიტორია, ზღვაზე გასასვლელი, ბუნებრივი რესურსები (წიაღისეული, მტკნარი წყლის მარაგი...), ფინანსური სიძლიერე, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, სოციალური ინტეგრაციის დონე, მოსახლეობის რაოდენობა, ეთნიკური ერთგვაროვნება და ეროვნული ცნობიერება.

აგრესიული გეოპოლიტიკური მოთამაშენი საინტერესო რეგიონების ხანგრძლივი პერსპექტივით კონტროლისათვის, როგორც წესი, პირველ რიგში ცდილობენ, სათავისოდ შეცვალონ მათთვის „საინტერესო“ რეგიონის დემოგრაფია. გეგმა ორგვარი შეიძლება იყოს; ბარბაროსული ფორმაა გენოციდი; შედარებით ცივილიზებულია საზოგადოებრივი აზრის მართვა. გეოპოლიტიკური ინტერესების გამო საზოგადოებრივი აზრის მართვა ორი მიმართულებით ხდება:

– გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონის მოსახლეობის თვითაღქმის რეგულირება;

– გეოპოლიტიკურად საინტერესო რეგიონის მოსახლეობის შესახებ დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულების მართვა (დეზინფორმირების გზით).

წარმოდგენილ მოხსენებაში გავაანალიზებთ ჰუმანიტარული დარგის მეცნიერების გამოყენებით საქართველოს მოსახლეობის განწყობისა და ქართველი ერის მიმართ მსოფლიოს სხვა ხალხების დამოკიდებულების მართვის რუსულ სქემებს. პირველ რიგში, თვალის ერთი გადავლებით – საქართველოს ისტორია გეოპოლიტიკურ ჭრილში. გეოპოლიტიკური რეტროსპექცია: ევრაზია, კავკასია.

მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში ცენტრალური ადგილი უჭირავს ევრაზიას; ევრაზიაში ერთ-ერთი გამორჩეულად სტრატეგიული რეგიონია კავკასია; კავკასიაში კი – საქართველო, როგორც თანამედროვე საზღვაო, სახმელეთო და ენერგორესურსების მაგისტრალების თავმოყრის ადგილი. სხვადასხვა დროში საქართველოსთვის იბრძოდნენ: სპარსეთი, ბიზანტია, არაბეთი, მონღოლეთი, ოსმალეთი, რუსეთი...

რეგიონის გეოპოლიტიკური სივრცისთვის ძველთაგანვე განუზომელი როლი ჰქონდა კავკასიონს, როგორც ბუნებრივ საზღვარს; შდრ., მაგალითად, ძველი ლათინების აზრით, კავკასიონი არის მიჯნა ცივილიზებულ და ბარბაროსულ სამყაროებს შორის (პლინიუსი).

ქართველები კავკასიის ავტოქთონი მოსახლეობაა. ოდითგანვე კავკასიონის მთავარ უღელტეხილებსა და ამიერკავკასიის სხვა ძირითად მაგისტრალებს ქართველთა სახელმწიფო აკონტროლებდა; გარდა ამისა, საქართველო პირველი საუკუნეებიდან დღემდე არის ქრისტიანული კულტურისა და ცნობიერების ავანპოსტი. ფაქტობრივად, ეს ორი გამოკვეთილი ფუნქცია განაპირობებს ქართული სახელმწიფოს რეგიონალურ არსს.

სხვადასხვა იმპერია მუდამ ცდილობდა საქართველოს „შეზიარებოდა“ ამ კონტროლის განხორციელებაში; იშვიათად ყოფილა ისეთი დროც, როცა ქართულ სახელმწიფოს წართმეული ჰქონდა ეს ისტორიული როლი; კერძოდ, 1801 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებს ფაქტობრივად მართავდა რუსეთი.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთთან გეოპოლიტიკურ ჭიდილში სუსტდება რუსეთის იმპერია (საბჭოთა კავშირი). ამ ფონზე საქართველოში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ლეგიტიმური გზით საქართველოს ხელისუფლებაშიც მოდის. კანონიერად არჩეულმა

ხელისუფლებამ 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი დადგნენ ფაქტის წინაშე: საქართველომ დღის წესრიგში დააყენა კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის აუცილებლობა. კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობამ 1991 წლის 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ მთელ მსოფლიოს აჩვენა: ერთიან საქართველოს სურს, თავად აკონტროლოს საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცე. პარალელურად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი ოკუპანტად გამოაცხადა.

ამიერკავკასია რუსეთის აგრესიული გეოპოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა; ბუნებრივია, არც 1991 წელს რუსეთი არ შეეგუა საქართველოდან წასვლის პერსპექტივას. მიუხედავად წარმატებული რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა, 1991-93 წლებში საქართველო აიძულეს მაინც რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დარჩენილიყო; კერძოდ:

მალტის შეთანხმებით (03.12.1989), აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიის ქვეყნები მოექცა დასავლეთის გეოპოლიტიკურ ველში, კავკასია, უკრაინა, მოლდოვა და შუა აზია კი დარჩა რუსეთის ფაქტობრივ მფლობელობაში .

1991–1992 წლების მიჯნაზე საქართველოში ძალადობით იცვლება კანონიერი ხელისუფლება; „თავისად“ დატოვებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთმა იარაღის ძალით დაამხო ასევე აზერბაიჯანისა და იჩქერიის კანონიერი ხელისუფლებები. შემდეგ, აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეში კონფლიქტების პროვოცირებით რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ამ ისტორიული ქართული მიწებიდან განდევნეს ავტოქთონი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (ქართველები, კრემლის მოწინააღმდეგე აფხაზები...). ამის მიუხედავად, შევარდნაძის ხელისუფლებამ საოკუპაციო ჯარის სტატუსი მოუხსნა რუსეთის სამხედრო შენაერთებს; მეტიც, დამპყრობელი მეგობარ ქვეყნად გამოაცხადა და რუსულ ჯარს ე.წ. ქართულ-„აფხაზური“, სინამდვილეში: ქართულ-რუსული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისია დააკისრა .

1993 წლიდან კავკასიაში იწყება რუსული ექსპანსიის ახალი ეტაპი: გენოციდისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსული კაპიტალის დრო დგება: საქართველოს სტრატეგიულ სიმძლავრეებს ძირითადად რუსეთი ეუფლება.

დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ბათუმის მაგისტრალები; შდრ.:

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის აღმოსავლეთი ევროპა უფრო ღირსებისა და უსაფრთხოების საკითხი იყო; შუა აზიის რესურსები და ამიერკავკასიის ენერგომატარებლები კი მათთვისაც და თურქეთისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა: მხოლოდ ამიერკავკასიიდან რუსეთის გასვლის შემთხვევაში იქნება ევროპა ენერგეტიკულად დამოუკიდებელი.

შევარდნაძის 10-წლიანი მმართველობის შემდეგ ამ და სხვა ფაქტორებმა მალევე განაპირობა ამიერკავკასიაში გეოპოლიტიკური ბალანსის გარკვეული კორექტირების აუცილებლობა: 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მხარდაჭერით დასავლეთმა შესამჩნევად გააძლიერა საქართველოში ევროატლანტიკური ორიენტაციის ძალები; შედეგად, საქართველოს ხელისუფლების, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი გაიზარდა; ამან რუსეთში კიდევ უფრო გააძლიერა ამიერკავკასიაზე გავლენის დაბრუნების სურვილი; შედეგად მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს აგრესია – რუსული რევანშის მორიგი ეტაპი.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის აქტიურობით, რუსული აგრესია დედაქალაქის – თბილისის – მისადგომებთან შეჩერდა; ამ ისტორიულ მოვლენას საქართველოსთვის ბევრი უარყოფითი და ზოგი დადებითი შედეგი მოჰყვა:

დაიღუპა საქართველოს ბევრი მოქალაქე (ქართული თუ ოსური წარმომავლობისა), ათასობით ქართველი იქცა დევნილად; საქართველომ ფაქტობრივად კიდევ დაკარგა ტერიტორიები (დალის/კოდორის ხეობა ანუ ზემო აფხაზეთი, ახალგორის რაიონი, ცხინვალის მხარის ქართული სოფლები, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი...); დასუსტდა საქართველოს სახელმწიფო; დიდი ზარალი მიადგა სამხედრო პოტენციალს; გაიზარდა ალბათობა, რუსეთისგან მართული

„სეპარატისტული“ ძალების გამოყენებით დაიშალოს ქართული სახელმწიფო. გარდა ამისა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით, გაჩნდა რეალური საფრთხე, ჩრდილო კავკასია იქცეს მუდმივი ქაოსის, ტერორიზმისა და რადიკალური ისლამის ფორპოსტად.

აგვისტოს მოვლენების დადებით და სამართლიან შედეგად მივიჩნევთ საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ჯარისთვის ოკუპანტის სტატუსის აღდგენასა და ამიერკავკასიაში ევროკავშირის გააქტიურებას.

დღეს რა სურს რუსეთს? – რუსეთ-საქართველოს აგვისტოს (2008) ომის შემდეგ კრემლი აკონტროლებს საქართველოს უფრო მეტ ნაწილს. პუტინ-დუგინ-მედვედევის რუსეთს ეს არ აკმაყოფილებს; რუსეთის აგრესიულ ხელისუფლებას არა მხოლოდ ამიერკავკასიაზე, არამედ მთელ ევრაზიაზე კონტროლი სურს. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს სრული იზოლაციის მიზნით რუსეთი აქტიურად მუშაობს რუსეთ-სომხეთ-ირანისა და რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების მიმართულებითაც; რეგიონში მრავალმხრივი გეოპოლიტიკური ვექტორები იკვეთება, რაც უფრო ართულებს საქართველოს პროდასავლური კურსის პერსპექტივას.

ნათელია: 1801-1917, 1921-1990 წლებში რუსეთს გეოპოლიტიკური კონტროლი უკანონოდ და უალტერნატივოდ ჰქონდა დამყარებული ამიერკავკასიაში და ახლა ვერ ეგუება რეგიონში სხვა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გამოჩენას. ორ საუკუნეზე მეტია, ქართველი ერი კეთილმეზობლობას ესწრაფვის რუს ხალხთანაც, მაგრამ რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლებაც ყველა არალეგიტიმური ხერხით ცდილობს თავისი გეოპოლიტიკური ამბიცია დაიკმაყოფილოს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე.

საქართველოს მოსახლეობა არასოდეს შეეგუება თავისი სასიცოცხლო ინტერესების შელახვას. ეს რუსეთმაც იცის, ამიტომაც გამუდმებით ცდილობს, თვისობრივად შეცვალოს დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში და დემოგრაფიული სიმძლავრის მართვით სამუდამოდ დამკვიდრდეს კავკასიაში; კერძოდ:

– XIX-XXI საუკუნეებში ჯერ ე.წ. მუჰაჯირობით, შემდეგ კი რუსეთ-საქართველოს 1992-2008 წლების ომით რუსეთმა განახორციელა ქართველთა და ანტირუსულად განწყობილ აფხაზთა გენოციდი საქართველოს ისტორიულ კუთხეში – აფხაზეთში . აქ ჯერ ხელოვნურ საზღვრებში შექმნა აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა; ახლა კი ცდილობს, ეს პროცესი დაასრულოს სატელიტი „სახელმწიფოს“ წარმოქმნით, სადაც აფხაზეთიდან გამოდევნილი ძირითადი მოსახლეობის – ქართველების – ნაცვლად იცხოვრებენ პრორუსულად განწყობილი აფხაზები, მიგრანტი სომხები, ახალჩამოსახლებული რუსები.

– XX-XXI საუკუნეებში რუსეთის ხელისუფლებამ შეძლო შიდა ქართლში – ცხინვალ-ჯავის რაიონებში – ოსეთიდან (ჩრდილოკავკასიიდან) ჩამოესახლებინა თავისი მხარდამჭერი ოსები, რომელთაც ჯერ არალეგიტიმურად და ულოგიკოდ შეუქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომია“, ახლა კი ცდილობს ამ ხელოვნურ წარმონაქმნზე დაამყნოს კოკოითის რუსულენოვანი „სახელმწიფო“. საკითხის ისტორიისათვის აქ მოკლედ ვიტყვი: საბჭოთა პერიოდშიც და ამჟამადაც ჩრდილო ოსეთის ავტონომიად წოდებულ ნომინალურ ავტონომიაშიც – რეალურ ოსეთშიც – კრემლი ფაქტობრივად კლავს ოსურ ენასა და კულტურას; მაგ., ოსეთში არ არსებობს ოსურენოვანი საშუალო თუ უმაღლესი განათლების შესაძლებლობა და ოსური კულტურის აღორძინება-განვითარების პერსპექტივა; ოსეთშიც აქტიურად მიმდინარეობს გარუსების პოლიტიკა. პარალელურად, ბესლანის ტრაგედიამ აჩვენა, რომ ჩეჩენთა და ინგუშთა კვალად, კრემლი ახორციელებს ოსთა გენოციდსაც .

– ბოლო 150 წელია რუსეთის იმპერიული ხელისუფლების შეკვეთით პოლიტიზებული ენათმეცნიერები, ეთნოლოგები და ისტორიკოსები, ამახინჯებენ რა ქართველი ერის რეალურ ენობრივ-კულტურულ და ეთნიკურ-პოლიტიკურ ისტორიას, ცდილობენ ქართველთა დიდი ნაწილი – არაქართველებად, მათი ისტორიული საცხოვრისები კი არაქართულ მიწებად გამოაცხადონ. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება სამი მიმართულებით მუშაობს:

1. ფსევდომეცნიერული დებულებების საქართველოში პროპაგანდით ცდილობს, რომ ქართველთა ნაწილს მაინც შეუცვალოს ეროვნული მეობა (იდენტობა); მაგ., რუსეთისგან

დაფინანსებული პირები დღემდე წარუმატებლად ცდილობენ დააჯერონ სვანები, რომ მათი დედაენა არ არის ქართული ენა, რომ ისინი ქართველები არ არიან;

2. მძლავრი საინფორმაციო პროპაგანდით ცდილობს დააჯეროს მთელი მსოფლიო, რომ ქართველები არ არიან: აჭარლები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ხევსურები, მესხები, თუშები და ა.შ. მათი მონაცემებით, საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოში ეს „ეთნიკური ჯგუფები“ „იჩაგრებიან“ ქართველებისგან (/ქართლელებისგან), რამდენადაც მათ საკუთარი „დედაენების“ მიხედვით არა აქვთ სამწიგნობრო კულტურა. ამ „ხალხებს“ ე.წ. „ქართიზაციით“ თავს მოხვეული აქვთ „დამპყრობელი“ ქართველების ენა; მსოფლიო უნდა დაეხმაროს ამ „დაჩაგრულ“ „ეთნოსებს“.

3. საეჭვო ღირებულების „სამეცნიერო კვლევებით“ ცდილობს დააჯეროს მსოფლიოს ელიტური წრეები, რომ არ არსებობს ერთიანი ქართული კულტურა; რომ საქართველო მცირე იმპერიაა; რომ ქართველებმა (/ქართლელებმა) თავის დროზე დაიპყრეს და დღესაც ჩაგრავენ „უმწიგნობრო ენების“ მქონე „ხალხებს“: მესხებს, აჭარლებს, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს...

ამ ფონის შექმნის შემდეგ რუსეთისგან დაფინანსებული პოლიტიკური ძალების დახმარებით უნდათ ქართული მხარეების ავტონომიზაცია და ე.წ. ფედერაცია-კონფედერაციის გზით – საქართველოს დაშლა. ერთი სიტყვით, მოვლენების არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებითა და ფაქტების არსის გაყალბებით რუსეთი ცდილობს დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, რომ საქართველო დასაშლელი „მცირე იმპერიაა“, რომ აგრესორი ქართველები „ჩაგრავენ“ „განუვითარებელ“ სხვა „ეთნიკურ ჯგუფებს“ და სხვ.

რა სურს საქართველოს? – მრავალი საუკუნეა, საქართველო იგერიებს მოძალადე იმპერიებს; ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ქართველი ერი. დღეს ქართველობას ეროვნულ-კულტურული მეობისა და სახელმწიფოებრიობის დაცვა სურს.

მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილი დოკუმენტური წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი: მეგრელები, ლაზები, სვანები, მესხები, ფხოველები, რაჭველები, ლეჩხუმლები თუ კახელები თავს აღიქვამენ ქართული ეთნოსის, ქართული კულტურის ნაწილებად; არცერთ ქართველს ამის შეხსენება არ სჭირდება, ვინაიდან ეამაყება, რომ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიისა და კულტურის შემოქმედი ერის შვილია.

ასევე დოკუმენტურად დასტურდება, რომ, სულ მცირე, 15-20 საუკუნეა ქართველი ერი ქმნის ქართულ სამწიგნობრო კულტურას და თავადაც იძერწება მასში. ეს ერთიანი ქართული სამწიგნობრო (საერო და სასულიერო) კულტურა ეფუძნება ძვ. წ. I ათასწლეულში არსებულ საერთოქართველურ ენას. ასევე, მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ იგი თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა საქართველოს ყველა ისტორიული საზოგადოების (თემის) მიერ. სწორედ ამან განაპირობა ქართული ნაციონალური კულტურის საოცარი მდგრადობა საქართველოს ყველა კუთხეში: აფხაზეთშიც (კავკასიაში რუსეთის შემოსვლამდე), სამეგრელოშიც, აჭარაშიც, ლაზეთშიც, ტაო-კლარჯეთშიც, მესხეთშიც, ქართლშიც, კახეთშიც, თუშეთშიც, საინგილოშიც და სხვ. ძველთაგანვე ამ კუთხეთა მოსახლეობა ეთნონიმ „ქართველით“ მოიხსენიება .

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც, XVI– XVIII საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული წარმონაქმნებიც კი თავს პატარა-პატარა საქართველოებად მიიჩნევდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში ავითარებდნენ ტრადიციულ ქართულ კულტურას. არც ერთ რეგიონში არასოდეს ყოფილა მცდელობა, კუთხური მეტყველებით ჩაენაცვლებინათ ისტორიული დედაენა.

საისტორიო წყაროების გარდა, თანამედროვე აკადემიური სამეცნიერო კვლევებიც ცხადყოფს, რომ მე-10 საუკუნიდან საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოს (ინგლ. Georgia) ძველ ქართულ წყაროებში ქორონიმი „ქართლი“, უცხოურ წყაროებში კი ქორონიმები: „კოლხა“ და „იბერია“ შეესაბამება. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება თუ აღორძინება სწორედ იმ კუთხეების ქართველთა (მეგრელ-ლაზები, სვანები, მესხები...) აქტიურობით ხდებოდა, რომელთაც რუსული დეზინფორმაციული მანქანა არაქართველ „ეთნიკურ ჯგუფებად“ და „ქართებისგან“ „დაჩაგრულად“ აცხადებს.

დღესაც ქართველობას თავისი ერთიანობის დაცვა სურს, ვინაიდან იცის: ქართველთა ეროვნული ენერგია ერთობაშია.

რა სახის ინფორმაციებია ქართველებისა და საქართველოს შესახებ თანამედროვე

მსოფლიოში? –დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის დიდი „მეცადინეობით“ თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო-საინფორმაციო სივრცეში თითქმის უალტერნატივოდ დღემდეა გაბატონებული პოლიტიზებული ანტიქართული დებულებები, რომლებიც რუსულ გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურება; სამაგალითოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე კვალიფიკაციას:

1. 2000 წელს პარიზში გამოცემულ ატლასში „საფრანგეთი და სამყარო“ ((La France et le Monde, Atlas) სხვადასხვა ფერით და ეთნიკური სახელით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, აჭარლები, სვანები და ოსები.

2. „ევროპის ენების ცენტრის“ გრიფით 2002 წელს ესპანეთში გამოქვეყნებულ წიგნში „Europe of the Peoples“ სხვადასხვა დროშით და ეთნიკური დასახელებით არიან წარმოდგენილი: ქართველები, აფხაზები, მეგრელები, სვანები და ოსები.

3. მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2008 წლის მდგომარეობით), საქართველოში ცხოვრობენ შემდეგი ეთნოსები/ხალხები:

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანელები | 308.000 |
| ასირიელები (აისორები) | 3.000 |
| აფხაზები | 101.000 |
| ბაცბები | 3.420 |
| ბერძნები | 38.000 |
| ლაზები | 2.000 |
| მეგრელები | 500.000 |
| ოსები | 100.000 |
| რუსები | 372.000 |
| სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) | 15.000 |
| სომხები | 448.000 |
| ურუმები (მუსულმანიბერძნები) | 97.746 |
| ქართველები (იმერლები, რაჭა-ლეჩხუმლები, გურულები, აჭარლები, იმერხევლებ-ქართლელები (Imerxev Kartlian), კახელები, ინგილოები, თუშები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები, მთიულები, ფერეიდნელები, მესხებ-ჯავახები) | 3.901.380 |
| ქართველი ებრაელები | 20.000 |
| ქურთები | 40.000 |

და სხვ. (Ethnologue report for Georgia http://www.ethnologue.com).

4. ქართველთა ერთი ნაწილი (მეგრელები, ლაზები, სვანები) არაქართველებადაა გამოცხადებული მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის თანამედროვე გვერდზე; კერძოდ, აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოში მცხოვრებ „ეთნიკურ უმცირესობათა“ განსახლების რუკა; რუკას დართული განმარტებების მიხედვით, საქართველოში უმცირესობების ენებად მიიჩნევა: 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდიური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7. ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10. სვანური; 11. ოსური. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კვალიფიკაციების ჩამოსაყალიბებლად ავტორმა (P.J. Hillery) ცხრა წელი იშრომა (1996-2004); ასევე წლობით აქვს საქართველოში ნაღვაწი საქართველოს ვებგვერდის ავტორს, ბ-ნ ადრიან ბრისკუს (იხ.http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

5. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავისტიკური გამოკვლევების ცენტრის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის კიმიტაკა მაცუზატოს შესავალი წერილით 2007 წელს გამოქვეყნდა კრებული: «Историографический диалог вокруг непризнанных государств: Приднестровье, Нагорный Карабах, Армения, Южная Осетия и Грузия». ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევების ცენტრი (საპორო, იაპონია); მასში ვკითხულობთ (გვ. 7): საქართველოს

ფარგლებში აფხაზებს ყველა პრივილეგია ჰქონდათ, იმიტომ რომ მათ ჰქონდათ ავტონომია; მაგრამ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, მაგალითად, მეგრელებს, რომ არ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ამიტომაც ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ, რათა შეენარჩუნებინათ საკუთარი ენა და იდენტობა .

6. ქართველი საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია პროფ. ჯ. ჰიუიტის ანტიქართული მოღვაწეობა; ამ ეტაპზე ის

6. ქართველი საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია პროფ. ჯ. ჰიუიტის ანტიქართული მოღვაწეობა; ამ ეტაპზე ის „ახალი“ ინიციატივით გამოდის; მისი აზრით, მეგრული ენის სახელმწიფო ენად აღიარებით უნდა შეიქმნას სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას... ასევე, უნდა შეიქმნას კავკასიის კონფედერაცია (რომლის სუბიექტებადაც ივარაუდება: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სომხეთი, სამხრეთი ოსეთი...) .

7. პროფ. იური კორიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტში: „მსოფლიოს ენათა რეესტრი“ ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყარო წარმოდგენილია 5 ცოცხალ და 1 მკვდარ ენად; კერძოდ: დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ახალი ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური; მკვდარი ენაა ძველი ქართული. მისივე აზრით, დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი. გასაკვირი ისიცაა, რომ თანამედროვე ქართველური ენობრივი სამყაროს აღსაწერად ქართულენოვან ვიკიპედიაშიც კი უალტერნატივოდაა წარმოდგენილი ი. კორიაკოვის პროდუქცია (2008 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მონაცემებით); კერძოდ, ქართული ვიკიპედიის გვერდზე, ლინკით „კავკასიური ენების ატლასი, ქართველური ენები“ გავდივართ შემდეგ რუკაზე (http://linguarium.iling-ran.ru/maps/1-all.gif), ხოლო, ლინკით: „რუკა. ქართველური ენები“ (http://linguarium.iling-ran.ru/maps/14-kartv.gif) ვეცნობით სხვა ვარიანტს; შდრ.: თითქმის ანალოგიურია პროფ. ი. გიპერტის მრავალწლიანი ნამუშევარიც: (http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm).

საერთაშორისო მიმოქცევაში საქართველოს შესახებ არსებობს ი. კორიაკოვის მესამე რუკაც;

აქ არსებითი „სიახლე“ ის არის, რომ ერთმანეთთან გათანაბრებულია ტერმინები: სამეგრელო და ისტორიული კოლხა (Colkhis), რითაც ხაზგასმულია ქართულისა და მეგრულის დაცალკევება-დაშორების თითქოსდა ხანგრძლივი ისტორია: ი. კორიაკოვის რუკის მიხედვით გამოდის, რომ მეგრელები ენობრივ-კულტურულ-ეთნიკურად სხვა ქართველებისგან გამიჯნულნი არიან, სულ მცირე, 3000 წელი.

სინამდვილეში, კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები და ბერძნულ-ურარტული ძველი ისტორიული ცნობები ცხადყოფენ, რომ ქართველთა ისტორიული სახელმწიფო კოლხაც და საერთოქართველური ენის ბაზაზე შექმნილი კოლხური კულტურაც ისტორიული საქართველოს ძირითად ნაწილს მოიცავდა. იმ პერიოდშიც დღევანდელ მეგრელთა, მესხთა, აჭარელთა, სვანთა, ლაზთა თუ ტაოელთა წინაპრები ერთიან ქართულ (/ქართველურ) ეთნოსს წარმოადგენდნენ და ერთიან კულტურას ქმნიდნენ .

ნურავინ იფიქრებს, რომ ი. კორიაკოვი კარგად არ იცნობს ქართველურ სინამდვილეს და, მაგალითად, ამიტომ ჰგონია, რომ ზემო და ქვემო სვანები სხვადასხვა ეთნოსებია. ი. კორიაკოვის რუკებიდან თუ კომენტარებიდან ჩანს, რომ ის ზედმიწევნით ერკვევა საქართველოს ისტორიაშიც და აწმყოშიც. აშკარაა ისიც, რომ პროფ. იური კორიაკოვმა კარგად იცის საქართველოს ყველა სოფლის მდებარეობაც და ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის მეტყველების თავისებურებანიც.

ბუნებრივია, ი. კორიაკოვმა ისიც იცის, რომ სვანებიც, მეგრელებიც, გურულებიც, აჭარლებიც და სხვა კუთხის ქართველებიც თავს მიიჩნევენ ერთიანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შემოქმედებად; იცის ისიც, რომ მის მიერ ენებად სახელდებულ იდიომებს ზოგი მეცნიერი ქართული ენის კილოებად თვლის. ამის მიუხედავად, ის მაინც, რატომღაც, მეგრელებს, ლაზებს, ზემო სვანებს და ქვემო სვანებს არაქართველებად – ქართველებისგან (Georgian) განსხვავებულ ეთნოსებად აცხადებს და მათ დიალექტებსაც დამოუკიდებელ ენათა რიგში წარმოადგენს .

ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ არის. ი. კორიაკოვის კვალიფიკაციები არ ეფუძნება მეცნიერული კვლევის შედეგებს; მისი კვალიფიკაციები საბჭოური, პოლიტიზებული მეცნიერების ინერციითაა გაკეთებული (მიზანი: „გათიშე და იბატონე!“).

**დასკვნა:** დღევანდელი საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. შეიძლება ითქვას, ასეთი სახიფათო გლობალური დაპირისპირების ობიექტი არასოდეს ყოფილა კავკასიის ეს მცირემიწიანი სახელმწიფო. ამჟამად საქართველო აქტიურად განიხილება ამერიკა-რუსეთის, ევროპა-რუსეთის, თურქეთ-რუსეთის, ევრაზიის გეოპოლიტიკურ კონტექსტებში; შესაბამისად, ბევრი დაინტერესებული მხარე სწავლობს საქართველოს ისტორიას, საქართველოს დემოგრაფიულ და ენობრივ-ეთნიკურ სიტუაციას.

საქართველო ჯერჯერობით არ არის რეგიონის ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშე; რუსეთი ისევ ახერხებს, აკონტროლოს საქართველოს გეოპოლიტიკურ სიმძლავრეთა ნაწილი; პარალელურად, ცდილობს:

– დააკანონოს ავტოქთონი ქართველების ეთნოწმენდა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ცხინვალის მხარეში);

– მართოს პოლიტიკური სპექტრის ნაწილი;

– ქართველთა ერთი ნაწილის არაქართველებად გამოცხადებითა და განათლების სისტემის გამოყენებით ზოგ რეგიონში სათავისოდ მომართოს მოსახლეობის ერთი ნაწილის ცნობიერება;

–გლობალურსაინფორმაციოდასამეცნიეროქსელშიფსევდომეცნიერულიეთნოლინგვისტური კვალიფიკაციების გავრცელებით შეცდომაში შეიყვანოს დანარჩენი მსოფლიო: საქართველოს დაუმკვიდროს „აგრესორი მცირე იმპერიის“ სახელი;

– ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოს თავს მოახვიოს ფედერაციული თუ კონფედერაციული წყობა, სადაც „სუბიექტები“ იქნებიან საქართველოს ცალკეული მხარეები: აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, მესხეთი, ქართლი, სვანეთი და სხვ .

ამიერკავკასიაზე გეოპოლიტიკური კონტროლის აღდგენის მიზნით, რუსეთი კვლავ გეგმავს ახალ აგრესიას და ემუქრება ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს. მხოლოდ ერთიანი და ძლიერი საქართველოს არსებობითაა შესაძლებელი რუსეთის დიქტატისგან ამიერკავკასიის გათავისუფლება, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უხიფათო სახელმწიფოებრივი სივრცის აღდგენა და რეგიონში დასავლურ (ქრისტიანულ, დემოკრატიულ) ღირებულებებზე დაფუძნებული სააზროვნო სივრცის შენარჩუნება.

კავკასიის გეოპოლიტიკურ ისტორიაში ახალ ეტაპად უნდა ჩაითვალოს საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლების განლაგება რუსეთის საოკუპაციო ჯარის პირისპირ.

რუსეთმა რომ ვერ დააკანონოს ამიერკავკასიაში დემოგრაფიული სიტუაციის ბარბაროსული გზით შეცვლა (ქართველთა და აფხაზთა გენოციდი) და საკუთარ სახლებში დაბრუნდეს 500 000 დევნილი, აუცილებელია:

– დემოკრატიული ინსტიტუტების სრულად ამოქმედებით ინტენსიურად გაგრძელდეს საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისკენ; საქართველო რეალურად გახდეს ევროამერიკული ალიანსის პარტნიორი; რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაცვლად სამშვიდობო მანდატი უნდა გადაეცეს ევროკავშირის პოლიციურ შენაერთებს;

– საქართველოს საგარეო საქმეთა და სხვა სამინისტროებმა საქართველოში აკრედიტებული საელჩოების დახმარებით მსოფლიო თანამეგობრობას ადეკვატური ინფორმაციები მიაწოდონ საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ; მაგ., აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები ეთნიკური აფხაზებისა და ქართველების, ასევე, თბილისსა თუ ქართლ-კახეთში მცხოვრები ეთნიკური ოსებისა და ქართველების მეგობრული თანაცხოვრებით თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში არ არსებობს ე.წ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები. ამ არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებით ინიღბება რუსეთის აგრესია საქართველოში და სხვ.

**და ბოლოს, თემა, რომელიც ამ მოხსენებაში წამოვწიეთ:** რუსეთის იმპერიამ რომ ვერ შეძლოს საქართველოს „დემოგრაფიის მართვა“, აუცილებელია საქართველოს სამთავრობო თუ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტების ძალისხმევით, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებში, ასევე მსოფლიოს სამეცნიერო-საენციკლოპედიო სივრცეში, რუსულ-საბჭოური მასალების ნაცვლად, დროულად დამკვიდრდეს მეცნიერული კვალიფიკაციები საქართველოსა და ქართველების ენობრივ-კულტურული თვითობის (იდენტობის) შესახებ;

პარალელურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რეალურად

უნდა განახორციელოს „ბოლონიის პროცესის“ ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია – ეროვნული კულტურების შესწავლა და პროპაგანდა.

11 მარტი, 2010

## საქართველო-რუსეთი: კონფლიქტის ქრონოლოგია

XVI-XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის მუდმივმა აგრესიებმა საქართველო აიძულა მოკავშირე ეძებნა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

1483 წელი – კახეთის მეფის ალექსანდრე პირველის ელჩების ჩასვლა მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე.

1561 წელი – რუსეთის ჯარის პირველი შემოსვლა საქართველოში (კახეთის სამეფოში).

1563 წელი – რუსეთის ჯარმა დატოვა საქართველო (კახეთის სამეფო).

1587-1589 წლები – პირველი ოფიციალური ხელშეკრულების („წიგნი ფიცისა“ და „წყალობის სიგელი“) გაფორმება რუსეთსა და საქართველოს (კახეთის სამეფოს) შორის.

1720-1722 წლები – სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა რუსეთის იმპერიასა (პეტრე I) და ქართლის სამეფოს (ვახტანგ VI) შორის.

1722 წელი – რუსეთის იმპერიის მიერ „სამხედრო-პოლიტიკური კავშირის“ დარღვევა, პეტრე პირველის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შეწყვეტა.

1723 წელი – ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა („ოსმალობის“ დამყარება) და რუსეთის მიერ სტამბოლის ხელშეკრულებით (1724) ქართლის სამეფოს აღიარება ოსმალეთის გავლენის სფეროდ.

1732 წელი – რეშტის (სპარსეთი) ტრაქტატით რუსეთმა – იმპერატორ ანა ივანეს ასულის მთავრობამ – აღმოსავლეთი საქართველო აღიარა სპარსეთის გავლენის სფეროდ (პარალელურად, იგი აიმედებდა ვახტანგ VI-ს, რომ სპარსეთში მოაწყობდა ერთობლივ ლაშქრობას და დაეხმარებოდა ქართლის ტახტის დაბრუნებაში).

1736 წელი – რუსეთისგან მოტყუებული ვახტანგ VI-ის გარდაცვალება ასტრახანში.

1760-62 – ქართლის მეფე თეიმურაზ მეორის უშედეგო მცდელობა რუსეთთან სამხედრო კავშირის აღდგენისა.

1765 წელი – პაატა ბატონიშვილის (ვახტანგ მეექვსის უკანონო შვილის) შეთქმულება ერეკლე მეორის წინააღმდეგ; შეთქმულების დამარცხება. შეთქმულთა ნაწილის დასჯა, ნაწილისა კი პეტერბურგში გაქცევა.

1768-1774 წლები – რუსეთ-ოსმალეთის ომი. რუსეთმა ცრუ დაპირებით თავის სასარგებლოდ ომში ჩააბა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები (აიმედებდა ახალციხის საფაშოს გაუქმებასა და სამცხე-ჯავახეთის შემოერთებას). 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ეკატერინე მეორემ დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარა.

1770 წელი – რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელის – გენერალ ტოტლებენის მუხანათობა (ოსმალეთის ჯართან ბრძოლის წინ ტოტლებენმა უღალატა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და შეეცადა ტახტიდან მის ჩამოგდებას).

1770-1779 წლები – რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შიდაქართული დინასტიური კონფლიქტის (კახ ბაგრატიონებსა და ქართლის ბაგრატიონთა მუხრანულ შტოს შორის) გამოყენება ქართლ-კახეთის დასასუსტებლად და ხელში ჩასაგდებად [რუსეთში მყოფი ალექსანდრე ბაქარის ძის, ვახტანგ მეექვსის შვილიშვილის, ე.წ. ლეგიტიმისტური მოძრაობის მხარდაჭერა].

1783 წლის 24 ივლისი – გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის „ტრაქტატის“ დადება.

1785 წელი – ხუნძახის მმართველ ომარ-ხანის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს აოხრება და რუსეთის მხრიდან ტრაქტატის პირველი დარღვევა (რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დახმარება არ გაუწიეს ქართულ ჯარს).

1790 წელი – „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ – ქართული სამეფო-სამთავროების

ენობრივ-ეთნიკური, სარწმუნოებრივ-კულტურული და სამხედრო-პოლიტიკური ერთიანობის დოკუმენტის – გაფორმება.

1795 წელს 8-11 სექტემბერი – რუსეთის იმპერიის კავკასიის ხაზის სარდლობის (გენერალი ი. გუდოვიჩი) ირიბი თანხმობით სპარსეთის მიერ (აღა-მაჰმად-ხანი) ერეკლე მეორის ჯარის განადგურება და ქართლის აოხრება – **საქართველოს დასჯა** გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმებაზე ერეკლეს მიერ უარის თქმის გამო.

1799 წელი – ქართლ-კახეთის სამეფო დინასტიის დასუსტების მიზნით რუსეთის იმპერიის მესვეურთა (გენერალი ლაზარევი, რეზიდენტი კოვალენსკი) მიერ ბატონიშვილების დაპირისპირების პროვოცირება და ტახტის მემკვიდრედ გიორგი მეთორმეტის ვაჟის – დავითის – აღიარება.

1800 წლის 18 დეკემბერი – რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის მიერ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დარღვევა და იმპერატორის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ (გამოქვეყნდა 1801 წლის 18 იანვარს).

1801 წლის იანვარი – დავით გიორგის ძის მიერ რუსეთის ჯარის დახმარებით ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის მოსურნე იულონ ერეკლეს ძისა და „ბატონიშვილთა კოალიციის“ დარბევა მარტყოფში.

1801 წლის იანვარი – რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის დროებითი სამმართველო კოლეგიის შექმნა (დავით გიორგის ძე, გენერალი ლაზარევი, რეზიდენტი კოვალენსკი).

1801 წლის 6 მარტი – რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის ბრძანება ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს ნაცვლად საგენერალგუბერნატოროს შექმნისა და გენერალ-გუბერნატორად კარლ კნორინგის დანიშვნის შესახებ.

1801 წელი – გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევითა და სამხედრო ძალის გამოყენებით რუსეთის ახალი იმპერატორის – ალექსანდრე პირველის – მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება (12 სექტემბრის მანიფესტები http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi0.html);

1802 წლის ივლისი – კახეთის არისტოკრატიის საპროტესტო შეკრება სოფ. ქელმენჩურში: ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისა და მეფედ იულონ ბატონიშვილის დამტკიცების მოთხოვნა („ქელმენჩურის მანიფესტი“).

1802 წლის აგვისტო-სექტემბერი – იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებისა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორის მიერ რუსული მმართველობისგან ქართლ-კახეთის გათავისუფლების მცდელობა.

1803 წელი – ქართლ-კახეთის დედოფლის – მარიამის – მიერ გენერალ ი. ლაზარევის მკვლელობა. მარიამ დედოფლის გადასახლება რუსეთში.

1803-1810 წლები – საქართველოს ტერიტორიის ანექსიის მიზნით რუსეთის იმპერიის მიერ ე.წ. „მფარველობითი“ ხელშეკრულებების გაფორმება ქართულ სამეფო-სამთავროებთან:

1803-1804 წლებში – ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროსთან;

1804 წელს – იმერეთის სამეფოსთან (ელაზნაურის ტრაქტატი);

1808-1810 წლებში – აფხაზეთის სამთავროსთან;

1810 წელს – გურიის სამთავროსთან.

1804 წლის მაისი-ოქტომბერი – „მთიულეთის აჯანყება“: პირველი ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც დაიწყო ქართლის მთიანეთში. „მთიულეთის აჯანყების“ მიზანი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა (ერთ-ერთი შეტაკებისას რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს და რუსეთში გადაასახლეს იულონ ბატონიშვილი).

1810 წლის მაისი-სექტემბერი – რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმება. სოლომონ მეორის ბრძოლა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ – იმერეთის აჯანყება (აჯანყების დამარცხების შემდეგ სოლომონ მეორემ ოსმალეთს შეაფარა თავი. ემიგრაციაში იგი ცდილობდა საფრანგეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის დახმარებით აღედგინა იმერეთის სამეფო).

1811-1814 წლები – რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, და რუსეთის სინოდის საეგზარქოსოს შექმნა.

1812 წლის იანვარი-ნოემბერი – კახეთის აჯანყება: ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთის იმპერიასთან ალექსანდრე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით

ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით (აჯანყების პირველ ეტაპზე – თებერვალ-მარტის დასაწყისში აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს გრიგოლ ბატონიშვილი – ერეკლე მეორის შვილიშვილის, იოანე ბატონიშვილის, ვაჟი, რომელიც ქართლ-კახეთის დიდ ნაწილს აკონტროლებდა; მისი სახელი ეკლესიებშიც მოიხსენიებოდა ქართლ-კახეთის მეფედ. გიორგი ბატონიშვილის დატყვევებისა და რუსეთში გადასახლების შემდეგ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ბატონიშვილი).

1815 წელი – სოლომონ მეორის – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი ქართველი გვირგვინოსნის – გარდაცვალება ტრაპიზონში.

1819-1820 წლები – გურია-იმერეთის აჯანყება: ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რუსეთის იმპერიასთან სოლომონ მეორის შვილიშვილის – ივანე აბაშიძის – ხელმძღვანელობით ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით.

1828-1829 წლები – რუსეთ-თურქეთის ომი. ადრიანოპოლის ზავით რუსეთის იმპერიის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება თბილისის გუბერნიასთან და სამცხე-ჯავახეთიდან განდევნილი ქართველი მაჰმადიანების ნაცვლად, მთავარმართებელ ი. პასკევიჩის მიერ ოსმალეთიდან დევნილი სომხების ჩამოსახლება.

1829 წელი – იმპერიის მიერ გურიის სამთავროს გაუქმება. სოფიო გურიელის გაქცევა ოსმალეთში.

1832 წელი – რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველი არისტოკრატიის შეიარაღებული აჯანყების მცდელობა კონსტიტუციური მონარქიის ფორმით ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის მიზნით (მეფედ ივარაუდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი).

1834 წელი – რუსეთის იმპერიის მიერ სვანეთის სამთავროს დაქვემდებარება.

1837 წელი – რუსული მმართველობის დამყარება წებელდაში.

1840 წელი – რუსული მმართველობის დამყარება სამურზაყანოში.

1857 წელი – სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი გაუქმება (იურიდიულად გაფორმდა 1867 წლის 4 იანვარს). მთავრის ოჯახის გადასახლება რუსეთში.

1857-1859 წლები – რუსეთის მიერ დადეშქელიანების სამთავრო სახლის ორ შტოს შორის არსებული დაპირისპირების გამოყენება, რუსეთის სამხედრო ექსპედიცია სვანეთში (პ. უსლარის მეთაურობით), კონსტანტინე დადეშქელიანის დახვრეტა, სვანეთის სამთავროს გაუქმება და რუსული საბოქაულოს შექმნა.

1864 წელი – რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მთავარ მიხეილ შარვაშიძის გადასახლება რუსეთში.

1864 წლის 21 მაისი – რუსეთ-კავკასიის ომის დასრულების მანიფესტის გამოცხადება რუსეთის იმპერატორის მიერ.

1866-1867 წლები – აფხაზთა აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და მთავრად გიორგი მიხეილი ძე შარვაშიძის გამოცხადება. აჯანყების სისხლში ჩახშობა იმპერიის მიერ და აფხაზთა გადასახლება თურქეთში (მუჰაჯირობა).

1880 წელი – იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ აფხაზთა გამოცხადება „დამნაშავე ხალხად“.

1865-1917 წლები – რუსეთის იმპერიის ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური დივერსიები ქართველთა ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის მოსაშლელად.

1918 წლის 26 მაისი – საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღება. პირველი დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება.

1918 წლის ივნისი – 1919 წლის თებერვალი – გაგრის, სოჭისა და ტუაფსესათვის ბრძოლა: საქართველოს საჯარისო ფორმირებების ბრძოლა გენერალ ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

1920 წლის აპრილ-მაისი – საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. აგრესორების დამარცხება და უკუგდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალების მიერ გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით.

1920 წლის 7 მაისი – სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადება მოსკოვში საბჭოთა

რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

1921 წელის 11 თებერვალი – 18 მარტი – რუსეთ-საქართველოს ომი: საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მუხანათური დარღვევა, საქართველოს ოკუპაცია მე-11 არმიის მიერ (გენერალ ჰეკერის სარდლობით), ძალდატანებითი გასაბჭოება და ფაქტობრივი ანექსია.

1921 წლის 25 თებერვალი – საბჭოთა რუსეთის ჯარების (ე.წ. წითელი არმიის) თანხლებით **საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის** – საქართველოს ე.წ. რევკომი, რსდმპ კავბიურო (ს. ორჯონიკიძის მეთაურობით) – შემოსვლა თბილისში და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება.

1921 წლის 16 მარტი – საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს კანონიერი ხელისუფლების (ნოე ჟორდანიას მთავრობის) გვერდის ავლით. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა ოსმალეთს გადასცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (ერუშეთი, კოლა, არტაანი, ტაო, შავშეთი, ლივანა, მაჭახელი, ლაზეთის ნაწილი) და დათანხმდა აჭარის ავტონომიის შექმნას; გარდა ამისა, რუსეთმა აიღო ვალდებულება, ამ ხელშეკრულებას დაადასტურებინებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მარიონეტულ რეჟიმებს.

1921 წლის 18 მარტი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება და ფუნქციონირების გაგრძელება ემიგრაციაში.

1921 წლის 28 მარტი – რუსეთის კპ ცკ კავბიუროს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის ე.წ. რევკომის გაერთიანებულ თათბირზე ბათუმში საქართველოს (resp. აფხაზეთის) მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად გამოცხადდა „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნა (ს. ორჯონიკიძე, გ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ე. ეშბა, ნ. ლაკობა).

1921 წლის 21 მაისი – საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის – საქართველოს ე.წ. რევკომის – ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი დეკლარაცია ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობის შესახებ.

1921 წლის 13 ოქტომბერი – ყარსის ხელშეკრულება ქემალისტურ თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მარიონეტულ ბოლშევიკურ რეჟიმებს შორის, რომლებმაც დაადასტურეს 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებების პირობები.

1921 წლის 16 ნოემბერი – რუსეთის კპ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმის დადგენილება. საოკუპაციო ადმინისტრაციის ამ დადგენილებით მიზანშეუწონლად ჩაითვალა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და გადაწყდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესვლა საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში (საქართველოსა და და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდა 1921 წლის 16 დეკემბერს).

1921 წლის 17 ნოემბერი – საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის – რუსეთის კპ ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პრეზიდიუმის – დადგენილებით ქალაქი ცხინვალი შევიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური მხარის შემადგენლობაში, როგორც მისი ადმინისტრაციული ცენტრი. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ დეკრეტი გამოიცა 1922 წლის 20 აპრილს (ამ დროს ცხინვალში მხოლოდ რამდენიმე ოსი ცხოვრობდა).

1921-1922 წლები – საქართველოს პატრიოტული ძალების მიერ ორგანიზებული აჯანყებები საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ (აჯანყებები სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში).

1922 წლის 30 დეკემბერი – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შექმნა და ოკუპირებული საქართველოს შეყვანა მის შემადგენლობაში (რუსეთის საბჭოთა იმპერიის სახელდება ე.წ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“).

1922 წელი – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის – ანტისაბჭოთა-ანტისაოკუპაციო მოძრაობის – ხელმძღვანელი სტრუქტურების: პარიტეტული კომიტეტის და სამხედრო ცენტრის შექმნა.

1923 წლის 19 მაისი – საქართველოს „სამხედრო ცენტრის“ წევრებისა და ეროვნული მოძრაობის სხვა მესვეურების (15 კაცი, მათ შორის – გენერლები: სპირიდონ ჭავჭავაძე, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე და სხვ.) დახვრეტა რუსული საოკუპაციო ჯარის მიერ.

1924 წელი – საქართველოს მოსახლეობის საერთო-სახალხო აჯანყება რუსეთის საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზნით.

1924 წლის დეკემბერი – პოლიტიკურ ემიგრაციაში ანტიიმპერიული ბრძოლის ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის: „თეთრი გიორგის“ შექმნა (ხელმძღვანელი: გენერალი ლ. კერესელიძე).

1926 წლის შემოდგომა – თბილისში „თეთრი გიორგის“ კონსპირაციული ფილიალის შექმნა (ხელმძღვანელი: ევგენი ღვალაძე; დახვრიტეს 1937 წელს).

1928 წლის აპრილი – თბილისში „თეთრი გიორგის“ მეორე კონსპირაციული ფილიალის შექმნა (ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ალექსანდრე ჭავჭავაძე; დახვრიტეს 1930 წელს).

1937-1938 წლები – იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული სისხლიანი რეპრესიები. ქართული არისტოკრატიის, ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და მოსახლეობის სხვა ფენების მასობრივი განადგურება და გადასახლება რუსეთში.

1941 წელი – ანტისაბჭოთა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის – “სამანის” შექმნა (ხელმძღვანელი ადამ ბობღიაშვილი); ჯგუფის წევრები დახვრიტეს 1942 წლის შემოდგომაზე.

1951 წლის 25 დეკემბერი – იმპერიული ცენტრის მიერ 11 000-ზე მეტი ქართველის გადასახლება შუა აზიაში.

1956 წლის 9 მარტი – საბჭოთა იმპერიის დამსჯელი სამხედრო ოპერაცია თბილისში – საპროტესტო მანიფესტაციის დახვრეტა.

1956 წლის 10 მარტი – ეროვნული პატრიოტული ორგანიზაციის – „სიღნაღის ახალგაზრდა გვარდიის“ შექმნა.

1956 წლის შემოდგომა – ანტისაბჭოთა დისიდენტური ორგანიზაციის – „გორგასლიანის“ (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა...) შექმნა.

1957 წელი – საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში მისი შეყვანის მიზნით იმპერიული ცენტრის მიერ ინსპირირებული ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთში.

1961-1964 წლები – ეროვნული პატრიოტული ორგანიზაციის – „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავშირის“ – შექმნა და საქმიანობა.

1964 წელი – აფხაზეთის შეყვანის მცდელობა რსფსრ-ს კრასნოდარის მხარის შემადგენლობაში (ნ. ხრუშჩოვის გეგმა).

1967 წელი – საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში მისი შეყვანის მიზნით იმპერიული ცენტრის მიერ ინსპირირებული მორიგი ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთში.

1974-1976 წლები – საქართველოში პირველი ანტისაბჭოთა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის – **„ადამიანის უფლებათა საინიციატივო ჯგუფის“**, შემდგომში „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის“ შექმნა (1989 წელს ჯგუფს ეწოდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“).

1978 წლის 14 აპრილი – ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მანიფესტაცია თბილისში ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, სტატუსის დასაცავად.

1985-1988 წლები – ანტიიმპერიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა საქართველოში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით.

1989 წლის 9 აპრილი – საქართველოს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი ანტიიმპერიული (ანტისაბჭოთა) გამოსვლა თბილისში: მიტინგებისა და შიმშილობის აქცია მთავრობის სასახლის წინ. კრემლის (გორბაჩოვ-შევარდნაძე-იაზოვის რეჟიმის) სისხლიანი ანგარიშსწორება: მოშიმშილეთა და მომიტინგეთა აქციის იარაღის ძალით დაშლა (დაიღუპა მშვიდობიან მოშიმშილეთა და მომიტინგეთა ერთი ნაწილი; ბევრი მომიტინგე მოიწამლა იმპერიის დამსჯელი რაზმის მიერ გამოყენებული მომწამლავი გაზით).

1989 წლის 10 ნოემბერი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლების შესახებ (ამ არალეგიტიმური გადაწყვეტილებით ავტონომიური ოლქი „გარდაიქმნა“ **ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად**).

1989 წლის 16 ნოემბერი – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ამაღლების შესახებ“ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.

1990 წლის 9 მარტი – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლით (ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია) საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ადმინისტრაციის – საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის აღიარება. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით („საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“) სამართლებრივად იქნა დადასტურებული 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი. ძალადაკარგულად ჩაითვალა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შეყვანასთან დაკავშირებული ყველა იურიდიული აქტი.

1990 წლის 20 ივნისი – საქართველოს ეროვნული მოძრაობის ზეწოლით, იმპერიული ცენტრის საოკუპაციო ადმინისტრაციის – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს – მიერ არასაბჭოთა, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა 28 ოქტომბერს (ეროვნული ძალების ზეწოლითვე არჩევნებს ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ნაცვლად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“).

1990 წლის 25 აგვისტო – დეკლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საპასუხოდ, იმპერიული ცენტრი ცდილობს სეცესიური მოძრაობების გაძლიერებას აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში; სწორედ ამ მიზნით კრემლმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლების **პროროსულ ნაწილს** ცალმხრივად გამოაცხადებინა „სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი“ და აფხაზეთის კონსტიტუციის უზენაესობა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

1990 წლის 26 აგვისტო – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების „ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ“ გამოცხადების შესახებ.

1990 წლის 31 აგვისტო – სოხუმში შეიკრიბა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **პროქართული ნაწილი**, რომელმაც ლეგიტიმური კვორუმით მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის 25 აგვისტოს „დეკლარაციის“ გაუქმების შესახებ.

1990 წლის 20 სექტემბერი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს „გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის **საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად** გარდაქმნის შესახებ“ და „დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“.

1990 წლის 21 სექტემბერი – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებების „ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ“ გამოცხადების შესახებ.

1990 წლის 28 ოქტომბერი – პირველი მრავალპარტიული, არასაბჭოთა, დემოკრატიული არჩევნები საქართველოში. ანტიიმპერიული, ეროვნული და დემოკრატიული ძალების (პოლიტიკური ბლოკი: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“) მოსვლა საქართველოს ხელისუფლებაში.

1990 წლის 14 ნოემბერი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას არჩევა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ „გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონის“ მიღება.

1990 წლის 9 დეკემბერი – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით იმპერიული ცენტრის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არალეგიტიმური „არჩევნების“ ჩატარება.

1990 წლის 11 დეკემბერი – საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“.

1990 წლის 13 დეკემბერი – ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედების შესახებ (ამ არალეგიტიმური დადგენილებით გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერება).

1991 წლის 7 იანვარი – სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ (იმპერიულმა ცენტრმა მოითხოვა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართველოს უზენაესი საბჭოს კანონის გაუქმება).

1991 წლის 9 იანვარი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ (ამ დადგენილებით არაკანონიერად იქნა მიჩნეული მ. გორბაჩოვის ბრძანებულების მოთხოვნები).

1991 წლის 20 თებერვალი – სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის შესახებ (ამ დადგენილებით იმპერიული ცენტრი შეეცადა სრული კონტროლი დაემყარებინა საქართველოს ამ ნაწილზე მაინც).

1991 წლის 23 მარტი – ყაზბეგის ოქმი. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია შეთანხმდნენ **ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე** სიტუაციის სტაბილიზაციის ღონისძიებების შესახებ.

1991 წელის 31 მარტი – საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი საქართველოში (31 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველთა 90-მა პროცენტმა, რომლის 88 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი – 3 657 477; რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი – 3. 302. 572; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის, „დიახ“ მომხრეთა რიცხვი – 3. 295. 493; სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის, „არა“ მომხრეთა რიცხვი – 17.400). აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 347.175; რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61, 27%-მა; კენჭისყრაში – 61, 23%-მა. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97, 73%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59,84%-ს. უარყოფითად გადაწყვეტას – 1, 42%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0, 87%-ს. გუდაუთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იქ მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნა სოფ. ახალსოფელში. ტყვარჩელში ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი მაშინ გამოთქვა სურვილი რეფერენდუმის ჩატარებაზე, როდესაც საარჩევნო უბნებისა და კომისიების შექმნის ყველა ვადა ამოწურული იყო. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდი სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180 ამომრჩეველმა. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს „ეროვნულ კონგრესში“ გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომელთაც მოგვიანებით სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

1991 წლის 1 აპრილი – სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება (პირველი პუნქტით საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ეძლეოდა რეკომენდაცია, შინაგანი ჯარების გამოყენებით შემოეღო საგანგებო მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში).

1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წლის 9 აპრილი – ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპეციალური რეზოლუცია (№ 94) „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ“.

1991 წლის 14 აპრილი – საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ.

1991 წლის 15 აპრილი – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება იმპერიული ცენტრალური ხელისუფლებისადმი საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ (1991 წლის 7 დეკემბრამდე, ბელოვეჟის შეთანხმება).

27 ივნისი, 2012

## Georgia – Russia. Chronology of Conflict

**Georgia from the Ancient era to 1801.**

In the 5th–3rd millennia BCE Caucasus and Transcaucasia were settled by the Caucasian-Hurrian-Hattic tribes having a language with an ergative construction. Generally, the Kura-Araxes culture is linked to the Caucasian-Hurrian population.

In the 3rd millennium BCE "the people having a language with an ergative construction" began to diverge rapidly under the pressure of the Indo-European and other tribes.

From the end of the 2nd millennium BCE to the turn of our era the historical territory of Georgia was inhabited by the Kartvelian (speaking Kartvelian dialects) tribes such as: The Mushki/Moskhoi/Meskhs, Daiaenians/Diauehian/Taokhoi, the Colles, Tibareni, the Iberians/Sasperoi, the Kuts/Koits/Kvits, the Coraxi, the Marae, the Becheiroi, the Halizoni/Chalybes, the Chalds/Khalds, the Mossynoeci, the Dizeres, the Zidrites, the Macrones/Macrocephaloi, the Phasians, the Melanchlainoi, the inhabitants of Ekriktike/Ekecheiroi, the Heniochi, the Sannoi/Chans, the Sanigoi/Sanikoi, the Laz, the Apkhazes, Abaskoi, Apsars, the Svans/Misimians, the Suanno-Colchians, the Amarantoi (a Colchian tribe), the Tusks, the Kakhs, Kukhs, Tskhums, the Pkhovians, the Hers, etc.

The Kartvelian race inhabiting the gorges of the Halys, the Mtkvari, the Chorokhi, the Rioni-Qvirila, the Enguri and the Liakhvi, together with some kindred tribes living in North Caucasus, actively created the Colchian-Qoban culture from the end of the 2nd millennium BCE; supposedly, the principal language of the state of people – creators of the Colchian culture was the common Kartvelian Koine/language.

The historical literary language – the language of the ecclesiastical writing (the so-called Old Georgian language) is based on the common Kartvelian linguistic koine; modern versions of the Georgian literary language and Kartvelian dialects (Laz-Megrelian, Svan, Meskhian, Kartlian-Kakhetian, Rachian, Her, Pkhovian, etc.) are the direct continuation of common Kartvelian and the historical literary language.

The analysis of the onomastic material which found its way from Kartvelian into the languages of the neighboring peoples, Kartvelian borrowings and so-called dated toponyms provide a basis for arguing that the modern Kartvelian languages and dialects (literary Georgian, Megrelian-Laz, Svan, Pkhovian, Meskhian and other dialects) originated at the turn of our millennium.

The key function of the state of Georgians that originated from the 1st millennium BCE was defined to be the control over the strategic passes of Caucasus Mountains. As Pliny the Elder stated: "the Caucasian Gate divides the world into two parts"...

During 1st –15th centuries the following countries aimed at dominating Georgia: Persia, Byzantium, Arabia, Mongolia, Turkey, etc. Georgia survived invasions by great empires and at the same time created great culture.

Constant aggression by Persia and the Ottoman Empire during 16th –18th centuries made Georgia to look for the allies in Western Europe; though Europe, excited about the discovery of America while searching for the way to India, did not wish to confront the powerful Eastern empires for the sake of Georgia.

At the beginning Russia, on the ground of the same religion, attempted to gain Georgia's confidence and thus establish itself in Caucasus (see documentary material of the King of Kakheti's ambassadors, 1483).

Russian Empire emerged in the "geopolitical field" in order to gain control over Caucasus in 16th cen-

tury (after capturing Khanates of Kazan and Astrakhan by Ivan the Terrible). Russian troops first entered Georgia in 1561 as a military support of the "friendly country" (on the basis of permission by Levan – the King of Kakheti), though Russia avoided confrontation with Iran as well as the Ottoman Empire and left Transcaucasia; moreover, in 1564 Russia withdraw its forces also from North Caucasus.

On September 28, 1587 Alexander the king of Kakheti received "the Book of Pledge" and in 1589 Tsar Feodor of Russia sent "Charter" to Georgia (Kakheti). "These acts dated 1587-1589 represent the first official agreement between Russia and Georgia (N. Asatiani, History of Georgia, 2001, p.260). Close relations between Kakheti and Russia enraged Iran and caused several invasions carried out by Shah Abbas.

From 1601 (revolt in Kakheti) to 1883 Iran gained actual control over Eastern Georgia.

On the turn of 17th –18th centuries Russia under Peter I still took interest in Caucasus (see Artem Volinky's report to the Emperor); First of all he attempted to oust the Ottomans from Azov and obtain the way to the Black Sea. In the mid-18th century Russia involved in the war against Prussia, left Caucasus avoiding annoyance of the Ottomans. In 1768 Solomon I of Imereti (Western Georgia), involved in the war against Ottomans, offered partnership to Russia; the Russo-Turkish war started the same year ending with the Treaty of Kuchuk Kainarji in 1774 (one of the provisions of the Treaty applied to Georgia).

On July 24, 1783 the so-called Treaty of Georgievsk was signed at the fortress of Georgievsk; this drew protest from both Ottoman Empire and Iran; Muslim khanates carried out frequent violent attacks against Georgian kingdoms-principalities, and during September 8-11, 1795 Aga Muhammad Khan, a new leader of Iran, destroyed the troops of Erekle II who had been abandoned by the Russian army.

At the end of 18th century both Ottoman Empire and Iran simultaneously attacked Georgia that had been separated into several principalities. Russia, sharing common religion, continued devastation of Georgia by ignoring the Treaty of Georgievsk in 1801 and abolishing Kartli-Kakheti Kingdom by the military operation and absorbing this part of Georgia. (See Manifests of January 18 and September 12, 1801); later Russian Empire annexed Western Georgia as well (cf.: historical Meskheti became a part of Turkey).

Iran, one of the three major geopolitical players lost ground in Caucasus.

**Documentary material:** The text of the secret letter by **Count Nikita Panin** – the chancellor of the Russian Empire, dated July 16, 1770, sais: "you must act in Georgia so that the inhabitants have Russian soul and Georgian body".

cf., The "Treaty on the Unity of the Iberians (Iverians)."

**Georgia in 1802-1864: Partial Annexation of Georgia and Caucasus.**

In 1803 the government of the Russian Empire drew up an agreement, similar to the "Treaty of Georgievsk", with the Odishi principality; the very agreement was in fact abrogated in 1857 when Princess of Samegrelo, Ekaterine Dadiani was exiled to Russia (Odishi principality was legally abolished in 1867).

In 1808 the similar agreement was drawn up between the Russian Empire and the Imereti Kingdom; though in 1810 Russia dissolved the agreement and abolished Imereti Kingdom.

On July 30, 1811 the Mtskheta thone of Catholicos was abolished – the rank of Catholicos-Patriarch was substituted by that of the exarch and the Georgian Church illegally turned under rule of the Russian Church (a century later the autocephaly was restored).

Russia annexed Svaneti Principality and Tsebelda as well as Samurzakano in 1834 and 1837 respectively.

In 1864 Russian Empire abolished Apkhazeti principality; in the summer that year the last points of Caucasian resistance – Akhchipsou and Pskhu were conquered by Russia. The occupants annihilated large part of local population (Apkhaz, Ubykh, etc.), the other part was exiled to Turkey (that fundamentally altered demography of the Black Sea region) officially declaring that the occupation of Caucasus came to an end (in fact, bloody war in Caucasus is still in progress).

**Documentary material:** in 1810 A. Tormasov, the General, Commander-in-Chief of the Georgia-based Russian army wrote about Western Georgia to the Russian Emperor Alexander I: "by dividing this quite extensive area into four possessions such as Imereti, Guria, Samegrelo and Apkhazeti ... it would be easy to keep the territory by the units located there, especially when there will be an opportunity, in case of necessity, to provoke confrontation between the principal" (R. Lominadze, 2000, p. 128).

see Also: Apkhazeti (Essays in the History of Georgia), 2007, pp. 250-252.

**Georgia in 1865-1917: linguistic-ethnological imperial diversions**

In 1864 Russian Empire declared the end of the 100-year war in Caucasus. Since then Russia has intensified the second form of aggression: in order to alter "demographic pattern" significantly, the officials of Russian Empire started to eliminate national identity of Georgians in the first place by means of falcification of linguistic-ethnological qualifications. For that purpose Russia had been prepared in advance; in terms of these events, the report by the staff captain Shakhovsky to G. Rozen, the Viceroy to the Tsar, dated 1834, is of particular interest:

"It would be the most advantageous for us if we, by the way, introduce Russian liturgy [in Svaneti], that would make these people depend on you. For that purpose I regard it necessary to teach theology in Russian to a few children of the Svan priests, ordain them and sent them to their people, who will welcome them and their fathers will make way for them on their own will".

Since 1860s the Russian Empire has been intensively attempting to establish Russian language in Georgia; at the same time having an objective to limit the use of Georgian in Apkhazeti, Samegrelo and Svaneti the Russian officials activate Russian language, and the official documents are issued in Megrelian dialect ("language") as well.

In this regard, there are "unique" Laws, dated January 27, 1867, by Michael, the Viceroy, General-Feldzeichmeister, the representative of Russian Tsar in Caucasia, "regarding obtaining a right by peasants who are no longer serfs in Samegrelo (in Zugdidi, Senaki and Lechkhumi uyezd) ... signed by: Chief Director, Viceroy of Caucasia, Senator, State Secretary Baron A. Nikolai". Cf., the Megrelian version:

"regarding those rights of peasants who are no longer serfs, living in Samegrelo (Zugdidi, Senaki and Lechkhumi uyezds) ... signed by: Chief Director, Viceroy of Caucasia, Senator, State Secretary Baron A. Nikolai".

Cf., also: Al. Gren, an author of the Megrelian alphabet-handbook, published in 1899, says in the preface: "while compiling this alphabet I was, by any means, aiming at giving rise to national resistance of Megrels who are being suppressed by the stronger Georgian people. Such a resistance is absolutely impossible without having an alphabet, [the one] that would enable the Megrels to express themselves similarly as their enemies, in this case – Georgians" (S. Khundadze, 1940, p.104)

In terms of ideology, a secret letter, dated 1900, by Military governor of Kutaisi province, Major General Gershelman is also interesting,: "by the order №2771, March 17, 1898, of the Georgian-Imeretian synodal office teaching Georgian language is absolutely prohibited at schools in Apkhazeti and Samurzakano ..."; by this document Russians considered Samurzakano (Gali!) Megrels as representatives of a different nation having a different "language" and contrasted them with the rest of the Georgians (E. Dadiani, T. Putkaradze, R. Sherozia, "European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", 2009, pp.21-39).

The actions of those like Ianovskiy, Vostorgov and Ashordia were adequately confronted by population, clergy and intelligentsia of all regions of Georgia.

**Documentary material**

**Tedo Sakhokia (what are you chasing after?!"):** "... The reader must be already acquainted with publications in press that concern the autonomists' weakness, their betrayal and evil intentions. I as a Georgian and an inhabitant of Samegrelo, cannot avoid giving voice to collective resentment, and would like to express my indignation regarding such parvenu behavior of Samegrelo's "protectors".

Samegrelo, as an integral part of Georgia, shared all its life with Georgians, has dealt with all the difficulties life had offered and has created the unified culture together with Georgians, and now, as the ceturies passed, someone such a creep comes and suggests to tear itself away from its mother!

How is that? How can "sovereignty of Georgia" suppress Samegrelo that is tenderly cared by all Georgia? How anyone dare to say in the twentieth century that the Megrelian and the Georgian languages are different?! Is Megrelian, having almost one hundred percent of Georgian roots, a different language? The Megrelian represents a supplement to modern Georgian. The Megrelian language is mostly spoken within a family, but the Megrelian as a specific characteristic of a nation has never existed. In any case, since Christ Samegrelo has contributed to the Georgian culture with the best experts of the Georgian language.

Not to mention several figures, it is enough to refer to the remarkable preacher Anton Chkondideli and T. Zhordainia, a historian of Georgia and the compiler of the Georgian Grammar.

"Megrelian Autonomists" know well about these things. Though they assume the role of defenders of "Megrelian proletariat" and try to convince others in Megrels as a different nation.

It is even blameworthy to argue on this absolute truth... We would like to show the real reason behind it – why such a truth has become so debatable.

It is well known that the issue of the Megrelian language did not exist before the Russian dominion. It has become a problem since the Russians have moved to Georgia. When different Georgian principalities have been abolished and different parts of our country have unified, the Russians felt the danger of such unification and they decided to divide our country in an unnatural manner. The 1870s the schools of Samegrelo were attacked. Here at schools of the Ministry the Georgian language was prohibited and the school subjects were taught directly in Russian – used as a language of instruction. This was the case for the "public" and "normal" schools. The pupils of these schools stealthily studied to read and write in Georgian, or as they used to call "čkinobura" (i.e. "peculiar to ours").

That is how russification of Samegrelo was carried out until 1890. Since the very date starts the "argumented" denial of the Georgian languages as a mother language with the help of which, according to the requirements of the rational pedagogics, the youth of Samegrelo was supposed to be educated. From this moment the actors include Ianovskiy (of Polish origin), an education guardian of Caucasus district and his right hand, Levitsky (of Polish origin). First, Levitsky introduced the so-called "mute" method in schools which aimed at learning Russian without help of the books in order to totally avoid Georgian at the Georgian schools. Our blessed teacher – Iakob Gogebashvili fiercely opposed the "Mute" method by Levitsky that did not succeed and was not exercised in Eastern Georgia.

The case was quite different in Imereti where Levitky was appointed as a province inspector. The attack was especially carried out against the schools in Samegrelo. They took advantage of the Megrelian language which by uncareful consideration might seem a different language. Of course, for persons like Levitsky it was not beneficial to recognize that such a difference was only external and that the Georgian language, as a literary language and as a mother tongue should have a leading role in the Schools of Samegrelo.

Levitsky made Petrov – the Khoni Seminary teacher compile a separate alphabet for Megrels, of course in Russian letters, and made him write down the folk tales as well as poetry of Megrels with the assistance of the "well-known" Tada Ashordia who worked at the same seminary. This work had to be used as a text-book at the Megrelian schools. T. Ashordia has been offered a good position and financial support. He has been charged with an important mission – to promote status of the Russian language by banning the Georgian language in schools of Zugdidi uyezd.

Ashordia was assisted by some agents and their work flourished; the Megrelian school became a place hindereding the development of children. The government's twofold aim has been achieved: Georgian has been banned at the Ministry schools in Samegrelo and the process of russification for Samegrelo's population has started.

Parochial schools in Samegrelo were the only places where Georgian language remained functional. The reason was the status of Georgian as a language of liturgy; as the schools within the parish were affiliated to the churches the language of instruction had to be Georgian. At some point the ecclesiastic authority won a fierce struggle against the Ministry department; though that did not last long. Levitsky decided to find another solution to the problem. He assigned a new task to the same Ashordia, namely the latter, similar to Giorgi Mtatsmindeli, had to "translate" Gospels from Georgian into Megrelian. In Levitsky's opinion, this could give results in unrooting the Georgian language at parochial schools. But the whole region of Samegrelo opposed such profanity and actions, and the public outcry was expressed in the well-grounded report by Grigol, then-Bishop of Guria-Samegrelo. The very report included a skillful discussion by Niko (Great) Dadiani, the patriot representative of Samegrelo, where he argued regarding invalidity of such intention. Grigol's report was based on another report of bishop Besarion, who, as a Megrelian, had been asked to present his opinion on translating the Gospel into Megrelian. T. Zhordania,

the historian, the member of the committee selected by bishop Besarion, offered a well grounded critique of such foolish and unnecessary experiment.

The report by bishop Grigol stopped the translators of Gospel into Megrelian, and therefore the Georgian language remained in Megrelian schools as a language of instruction.

Although, archpriest Iv. Vostorgov has been appointed as a supervisor of parochial schools within the exarchate of Georgia. At present, the issue of education in the ecclesiastic authority of Georgia is dealt with by an executioner in cassock and a murderer of our souls, Herod for our youth, a careerist and the best implementer of the Russian tyrannical government's russification politics. Betrayal, denunciation and treachery developed among the teachers.

The activities of archpriest Vostorgov have been especially difficult for Samegrelo. He used to claim that Megrels had nothing to do with Georgians and they were not supposed to be taught in Georgian at their schools; instead he demanded to introduce Russian, the state language. Moreover, this politician in cassock dared to publish his arguments in press. The reader must remember the answer of Professor, Academician N. Marr. He fiercely criticized the politican archpriest who had absolutely no competence in the field.

Afterwords, the Georgian language has been attacked from a different angle. The government used to appoint Russian bishops in the Sokhumi eparchy. These bishops and especially Arseni passed an order on the use of the Russian language in liturgical practices in Samurzakano and Apkhazeti in general. The ecclesiastical authority in Sokhumi, with the support of gendarmerie, persecuted anyone who dared to express the wish of the parish by insisting on Georgian as a language of liturgy. Who knows how many families were affected.

The revolution of 1905 contributed to slowing down diligence of those supporters of russification. Following revolution the same forces continued their activities. In 1918 the Megrels volunteered in Poti on Stephane Gagua's (a teacher) initiative to continue the Levistky-Vostorgov's struggle; though we never took it serious until the commencement of preparations for the autonomy in Zugdidi. The "Mapaluians" group even sent the following request to Moscow: "Please, save us from sovereignty of Georgia, do not let Megrelian proletariat to decline and do unite it with the Russian proletariat.

Let me cite the Megrelian proverb ar the end: "a greyhound is chasing after a rabbit, but what is the rabbit chasing after? We all know what those like Levitsky and Vostorgov were chasing after but what are you, "autonomists" of Samegrelo", chasing after?!.."

**Georgia in 1918-21**

In 1918-20, during those three years of the restored independence of Georgia the Empire's pressure on the linguistic-ethnic identity of Georgians decreased and the rights of Georgian language restored. At the same time, Georgian government showed traditional Georgian tolerance to the linguistic rights of minorities, which meant that the citizens of other nationalities could address the supreme legislative body in their own languages, and the delegate elected to the Georgian parliament in 1918-1921 could make a speech in his own language if it was understood by at least one member of the presidium. The status of Apkhazeti – incorporated into Georgia – has been defined as autonomous, etc.

In 1918-1921 numerous legal documents were elaborated for the revival of independent Georgia.

**Georgia in 1922-1990**

Russian imperial politics continued in a much aggressive manner following Bolshevik annexion of Georgia in 1921.

The empire of Lenin and later, Stalin, Khrushchev, Brezhnev, Gorbachev attempted not only to fragment Georgia's territory but also to estrange certain groups of Georgians from their Kartvelian history, culture and a unified linguistic identity. Stalin and other Bolsheviks knew well that estrangement from the nation's mother tongue by means of "linguistic diversions" (**declaring dialects as independent languages**) is the highest priority while disintegrating a nation. It is significant that the current Russian Empire (Russia of Putin-Medvedev-Dugin) applies much more sophisticated methods in order to achieve a century-old goal – gaining everlasting control in Caucasus by disintegrating the Georgian nation.

"Linguistic diversions" were carried out with extreme intensity in 1930s in Georgia (though, at pres-

ent even bigger risk factors occur). This was one of the most difficult periods in the entire history of the Georgian nation:

After the repeated Russian annexion of Georgia an extensive social-political terror occurred. While the Tsarist Russia used its generals, clergy (those like Ianovskiy, Vostorgov, Gershelman, etc.) and a few local renegates (like Ashordia) in order to disintegrate Georgians, the Bolshevik's tactic was much more treacherous: aggressors with slogans on democracy and social equality strived to achieve their goal with the help of the local Bolsheviks-communists.

The strategic plan was the same: The process of setting Apkhazs, Ossetians, Armenians, Azeris, etc. against Georgians continued in parallel with the systematic linguistic-ethnic disintegration. Just as the Tsar's officials, Bolsheviks have stated that Megrels, Acharans, Svans, Laz, Imeretians, Khevsurs, Tushs, etc. were not Georgians and that they had been oppressed by the Georgians. The following detail is worth mentioning:

They implanted in the minds of the Apkhaz people that the Georgians had been their historical enemies capturing and inhabiting their land, hindering development of Apkhazian culture and wishing to destroy the Apkhaz nation; some Apkhazs believed in such false statements. Though, that was Georgian intelligentsia that was trying to stop genocide... even today, Georgians can stop destruction of the Apkhaz people carried out by Russia and, in general, total annexion of Caucasus.

Russian Empire proceeded with the same "divide and rule" principle in Samegrelo; though another tactic plan had been brought into the foreground; for instance, during the "Sovietization" period Russians could not make the Megrelian Bolsheviks act like Apkhazs, therefore another "ideological" background has been discovered: the Tsarist Russia's (Patkanian-Ianovskiy-Ashordia-Vostorgov) well-developed theme – "protect the oppressed Megrelian language" – has become urgent; the Bolshevik leader of the very "movement" was Isak Zhvania, the first secretary of Zugdidi raikom of the USSR communist party.

In 1925 Zugdidi party committee discussed the issue and the same year a meeting of the central committee presidium of Georgia's communist party of (Kakhiani, Okujava, Eliava, Gegechkori, and Orjonikidze) passed a resolution regarding introduction of Megrelian as a language of instruction in Megrelian schools as well as courts, and the publication of the Megrelian newspaper. In 1928 the central committee's instructor from Moscow, Pshenitsin, visited Megrelian villages and concluded the following: "We must provide the Megrelian peasants with school, court and popular edition in their mother tongue". On March 25, 1929 the secretary of central committee, Dadiani passed a resolution regarding restoration of the Megrelian language's privileges in schools, court procedures and investigation process. In accordance with this resolution, clerical work and court procedures should be implemented in Megrelian language at locations where the majority of population did not know (!) the Georgian language"... (I. Zhvania, 1931, p. 147).

It is typical that in provision I and II of the resolution Georgian and Megrelian languages are juxtaposed; provision IV indicates that resolutions as well as orders are to be published both in state language and the Megrelian language.

Developing such linguistic politics was impossible without Russian government's, namely Stalin's permission (or instruction). Since the 18th century the Russian imperial machine has been put in motion and kept working; though the actual negative roles have been performed by others (Bolsheviks such as Philipe Makharadze, Isak Zhvania, Mamanti Kvirtia, etc.).

Since the sinister decision, dated 1929, I. Zhvania and his partners have been offered a discretionary authority. Magazines and Newspapers have been published in Megrelian word forms. In 1931 I. Zhvania's book was published – "The struggle of Samegrelo's peasantry for the Soviet rule". The leaders of the Empire regarded this book as of great significance which was witnessed by the circulation of 30 thousand copies.

During the 6-year period (1929-1934) the Bolshevist "linguistic diversion" was intensively carried out in Samegrelo. In 1934 the similar publications discontinued; the government of the Empire dismissed Isak Zhvania who became subject to repression.

It is well-known that since mid-1930s Stalin had attempted to acquaint the world with the great past of

his birth place – Georgia, genius of Rustaveli etc. At the same time, in 1937 in his letter to Stalin, L. Beria, the leader of the Georgian government "resented" the fact that the scientist of the Institute of Linguistics and Anthropology were "confused" and "contradicted each other on their conclusions" (in the first version of the letter he mentioned them as impregnated with the "velikoderzhav" spirit) (Archive Newsletter ("Saarqivo Moambe"), VI, 2009, p.116, the periodical of the Archive Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia).

The issue concerns the division of Georgia into several nations based on the censuses of 1926 and 1937 by the all-USSR academic circles. Namely, in 1926 the Academy of Russia (i.e. USSR) divided Georgians into: the Georgians (the Kartvels, the Kakhetians, the Tushs, the Pshav-Khevsurian, the Armenians, the Javakhs, the Meskhs, the Klarjs, the Taoans, the Acharans, the Gurians, the Imeretians, the Rachians, the Lechkhumians), the Megrels, the Chans, the Svans, the Batsbs.

Though in 1937, according to the Academy of Sciences of the USSR, the list included: the Georgians, the Megrels, the Laz, the Svans, the Batsbs, and the Acharans.

The same year the Institute of Anthropology has compiled its own version that later served as a basis for the "Nationality Dictionary". Here the Georgians are considered of as follows: the Megrels, the Laz, the Svans and the Batsbs, though the Acharans are mentioned as a separate nation. L. Beria was acquainted with all materials but emphasized the issue of the Acharans, he urged Stalin to interfere and avoid such a mistake in the "Nationality Dictionary", because such a division contradicted the Leader's opinion on a nation.

Since 1970s the derangement of Georgian identity has been planned by the Russian Empire with a new intensity. On April 14, 1978 the Soviet Empire attempted to abolish the already secondary status of the Georgian language as a state language of the Georgian Republic. Russia's plans were even "more ambitious"; the following excerpt represents a fragment of Mikhael Suslov's (1902-1982) report published in the magazine of Paris National Council ("Georgia the Warrior"]):

"The communist party is a glue and while it maintains its properties we have to proceed with the rescue plan of Russia which must differ in different republics.

The Generals residing in the Far East must be offered normal living conditions. In order for them to settle down we need the frontier territory of the Black Sea that is where the Georgians live. We should take into consideration the fact that Georgian differ from us greatly and sooner or later they will bring up an issue of independence and demand freedom. We must commence the struggle from Apkhazeti. By taking advantage of Apkhazeti we must give independence to Samegrelo, Svaneti, Achara and other regions. We have to stir up the regional-national sentiments in each of the regions individually. Western Georgia should be set against Eastern Georgia and we must perform our function of arbitrator. At the same time we should scientifically convince Georgians that they are migrants from different countries and belong to different nations, this will give us an opportunity to get rid of them from the territory of Georgia".

**Georgia in 1991: Act of declaration of Independence of Georgia**

April 9, 1989 represents a threshold of a new phase of the national-liberation movement in Georgia which ended in multi-party, democratic and non-Soviet elections on October 28, 1990. The national forces that came to power via elections (block: "The Round Table-Free Georgia") revived Independence of the state and **assigned the occupant status** to the military forces of Russia.

Legal Georgian authority devoted special attention towards preservation the Apkhazs linguistic-cultural identity and the issue of establishment of state structures in the Autonomous Republic. National government was devoted to the issue of integration of Ossetes and other ethnic groups inhabiting Georgia. Unfortunately, the Russian propagandist machine falsified the internal politics of the national authorities and with the assistance of the Georgian renegates accused Georgians of the acts of vandalism carried out by Russians (for instance, Georgians shot in the Georgian villages in the vicinities of Tskhinvali were declared to be Ossetes, etc.).

On March 31, 1991 the legal government of Georgia held a referendum and on April 9 declared the revival of Independence of the Georgian Republic. Russia realized that Zviad Gamsakhurdia's government was an obstacle in the way of maintaining control over Caucasus.

In autumn 1991 Russia started to stage a coup against the government that had introduced a status of occupants for the Russian troops and had been striving for independence (Unfortunately, at that time the West's objectives included elimination of Russia's sphere of influence in Eastern Europe, including the Baltic states; Caucasus, Ukraine, Moldova and Central Asia remained within the Russia's sphere of influence).

In accordance with the Kremlin instructions, the Georgian putschists prepared and implemented the plan of a coup against the Georgian government (the very fact is confirmed by the confessions of Irakli Batiashvili, Jaba Ioseliani, etc. published as books and interviews).

**Georgia in 1992-2008**

**In 1991 Russia did not reconcile itself to the prospect of leaving Georgia.** Despite the fact of the successful referendum and declaration of the Act of Independence, Georgia was forced to remain within the Russian geopolitical area during 1991-1993 (see a discussion in T. Putkaradze "What God wills not, or about the ongoing processes", Newspaper "Georgian Republic", September 28, 1991).

On the turn of 1991-1992 Russia changed the legal government in Georgia; Russia also implemented a coup against the legal governments of Azerbaijan and Ichkeria, the countries that Russia considered to be within the sphere of its influence (it is noteworthy that up to the present day some forces try to hush up the fact and designate a coup performed under the guidance of the Kremlin as a "civil war").

By **provoking conflicts in Apkhazeti and Tskinvali regions** in 1992-1993 the most part of the autochthon population (Georgians, the Apkhazs and the Ossetes that opposed the Kremlin, etc.) were banished by the Russian troops from historically Georgian land.

Despite, Shevardnadze's government annulled the occupant status to the Russian troops; moreover, the occupant was declared as **"a friendly country"** and the **Russian troops**, in fact the so-called Georgian-"Apkhazian"/"Georgian-Ossetian" troops, **were assigned a task of a peacekeeping mission within the area of the Georgia-Russian conflict.**

Since 1993 the new phase of the Russian expansion has started in the Caucasus: following the genocide and a coup against the legal government, it was time to activate the Russian capital: **the strategic capabilities of Georgia,** located on the occupied and annexed territories, **are mostly acquired by Russia.**

Today the Baku–Tbilisi–Ceyhan and The Baku–Tbilisi–Batumi lines are of vital importance for the West. Liberation of the Eastern Europe was rather a dignity as well as a safety issue for America and the Western European countries, while the **Central Asian resources** and the **Transcauasian energy** carriers are of the vital significance both for the West and Turkey: only after the Russia's withdrawal from Transcaucasia will Europe become independent in terms of energetics.

Soon after 10 years of Shevardnadze's rule these and other factors required the necessity to regulate **geopolitical balance** in Transcaucasia:

By supporting the "Rose Revolution" in 2003 the west significantly strengthened Euro-Atlantic orientation forces in Georgia; as a result, the role of the Georgian government as a geopolitical player has been enhanced; this contributed to Russia's striving for regaining the control over Transcaucasia; **the results** are obvious: aggression in August 2008 – **the next stage of the Russian revanche.**

**Due to the active involvement of the United Stated and Europe,** the Russian Aggression was stopped in the vicinities of the capital Tbilisi; this historical event gave numerous negative and some positive results for Georgia:

Many citizens of Georgia (Georgian or Ossetian) fell in battle, thousand of Georgians became refugees; Georgia lost territories (Dali/Kodori gorge or upper Apkhazeti, Akhalgori region, Georgian villages in Tskhinvali region, village of Perevi in Sachkhere region, etc.); state of Georgia weakened; the military potential of the country was heavily affected; probability that the Georgian state might be fragmented by means of Russian-controlled "separatist" forces has increased. Besides, by acknowledging independence of Apkhazeti and South Ossetia, the real threat emerged on the possibility for North Caucasus to become the forpost of chaos, terrorism and radical Islam.

Revival of the **occupant status** for the Russian troops and **intensification of the European Union activities** in Transcaucasia are regarded to be positive and **objective results.**

**Georgia Since 2009**

Since Russian-Georgian war in August (2008) the **Kremlin has been controlling** larger territory than it did before the war. Though it is insufficient for Russia of Putin-Medvedev-Dugin; the aggressive Russian government strives towards control of not only Transcaucasia but also the entire Eurasia. Also, in order to completely isolate Georgia, Russia actively works in terms of the relationships of Russia-Armenia-Iran and Russia-Azerbaijan-Armenia-Turkey; **multiple geopolitical vectors intersect** within the region complicating the prospect of Georgia's pro-Western course.

**The key problem of Georgia is still unsolved: deoccupation of the occupied territory is something for the future. Moreover, if the civilized world continues to ignore increasing tendency of Russia's geopolitical ambitions, a total occupation and annexation of Georgia by Russia is still to expect in the nearest future.**

27 ივნისი, 2012

## საქართველო – რუსეთი: კონფლიქტის ისტორია

(აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ეპიზოდები)

### წინასიტყვაობა

სხვადასხვა დამპყრობელთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში ჩამოიძერწა ქართველური მეობა (იდენტობა) და სახელმწიფოებრივი კულტურა (რაც გულისხმობს ცენტრალიზებულ, მაგრამ, ტოლერანტულ სახელმწიფოს). ისტორიულად ზოგი დამპყრობელი ახერხებდა საქართველოს დანაწევრებას თუ ნაწილობრივ მიერთებას; ასეთ დროს საქართველოს ეკლესია რჩებოდა ქართველთა მიერ შექმნილი სახელმწიფოს ურღვევობის გარანტად, ქართველი ერი კი არასოდეს ეგუებოდა დამპყრობელს. საქართველოს ბოლო პერიოდის მთავარი პრობლემაა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის – აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის – დეოკუპაცია, ამ მხარეებიდან დეპორტირებული მოსახლეობის თავიანთ სახლებში დაბრუნება, სამოქალაქო მშვიდობის დამყარება და აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის მცხოვრებთა უფლებების დაცვა.

დღეს მთელი მსოფლიო აქტიურად ადევნებს თვალს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს; შესაბამისად, ამჟამად უფრო რეალურია საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინების პერსპექტივაც (ვიდრე ეს იყო მე-20 საუკუნეში) და საქართველოს ტერიტორიის აღდგენაც. ამ გზაზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის ისტორიული დოკუმენტებისა და ობიექტური კვლევების მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-რუსეთის კონფლიქტის არსის გარკვევასა და პოსტკონფლიქტურ პერიოდში მშვიდობიანი თანაცხოვრების სწრაფ აღდგენას.

### შესავალი

ყველა ადამიანს უფლება აქვს იცოდეს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური ისტორია, მაგრამ სხვა ეთნოსის მიერ შექმნილ სახელმწიფოში მცხოვრებ პიროვნებას (რამე უფრო ლამაზი სიტყვით ხომ არ შევცვალოთ?) ყოველთვის არა აქვს ობიექტური ცოდნა საკუთარი ფესვების შესახებ (მაგ., თურქეთში მცხოვრებ ლაზებს).

ობიექტური სწავლების პროცესს ართულებს ისიც, რომ ყოველი ერის ისტორიის რამდენიმე ვარიანტი იქმნება; კერძოდ, ისტორიას ქმნიან ჟამთააღმწერნი, მოცემული ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურების როგორც ობიექტური, ისე მედროვე მემატიანენი და სხვადასხვა ხედვის მქონე ისტორიკოსები; აგრეთვე, შორეული წარსულიც კი აღბეჭდილია ხალხის მეხსიერებაში, ვინაიდან ამბავთა ციკლი, გადადის რა თაობიდან თაობაზე, ლეგენდურ-ფრაგმენტული სახით ეძლევა შთამომავლობას... თქმულებებ-გადმოცემებიდან, დოკუმენტური წყაროებიდან თუ მიწას შემორჩენილი არქეოლოგიური მონაცემებიდან შესაძლებელია ობიექტურად აღდგეს წარსული.

როგორც წესი, ისტორიული ფაქტების სხვადასხვაგვარი ანალიზი განპირობებულია დაპირისპირებული მხარეების განსხვავებული თვლისსისტემების თუმოტივაციების არსებობით.

თანამედროვე კომუნიკაციის პირობებში შესაძლებელია უტყუარ ფაქტებზე დაფუძნებული ისეთი ისტორიის დაწერა, რომელიც **მაქსიმალურად დააახლოვებს დაპირისპირებულ მხარეებს**.

სინამდვილის კვლევას დიდად უშლის ხელს სამეცნიერო ასპარეზის პოლიტიზებაც, რაც, როგორც წესი, იმპერიული სახელმწიფოების ნებისამებრ ხორციელდება. სამწუხაროდ, ბოლო 80 წლის განმავლობაში, როცა მეცნიერული აზრი მთელ მსოფლიოში შთამბეჭდავად განვითარდა, ქართველი ერის ცხოვრების, კულტურის თუ ენის ისტორია, ძირითადად, საბჭოთა იმპერიის სქემით იწერებოდა; მაგ., „რატომღაც“ საბჭოთა კავშირში ნაკლებპერსპექტიულად ითვლებოდა: ქართველური და ძველი წინააზიური კულტურების მიმართების ჰიპოთეზა, ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ არგუმენტირებული იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის თეორია და სხვა. სამაგიეროდ, მეტისმეტი სუბიექტურობითა და ინტენსივობით შუქდებოდა რუსეთ-საქართველოს „მეგობრული“ თანაცხოვრება; ქართველი ერის დაშლის მიზნით ქართველთა ცალკეულ კილოებს აცხადებდნენ უმწერლობო ენებად; ამ კილოების მფლობელთ დაჩაგრულ „ხალხებად“ აცხადებდნენ და უქმნიდნენ „სამწიგნობრო ენებს“. ქართველობა ცხადდებოდა რამდენიმე დამოუკიდებელ ნაციად: საკუთრივ ქართველებად, ხევსურებად, თუშებად, სვანებად, ლაზებად, მეგრელებად, აჭარლებად, მესხებად...

მეცნიერების პოლიტიზების თვალსაზრისით, საინტერესო მსჯელობა აქვს გ. მელიქიშვილს:

“ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ძლიერდება XIX საუკუნის ბოლოს; ამავე პერიოდში გამოქვეყნდა ფ. ჰომელის ახალი სამეცნიერო თეორია, რომლის მიხედვითაც ქართველობის წინაპრებად მიიჩნეოდა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის დიდ ნაწილში განფენილი წინარეინდოევროპული მოსახლეობა – „ხალხთა ალაროდიული ოჯახი: ელამელები, კასიტები, ურარტუელები (მათი შთამომავლები არიან ქართველები), პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები... ფ. ჰომელის სამეცნიერო თეორიამ გააძლიერა ქართველთა კონსოლიდაცია, მაგრამ ამ დროს ქართველობის წინააღმდეგ ანტაგონისტურად განეწყვნენ რუსეთის იმპერიის მესვეურნი და ამიერკავკასიაში არსებული ძლიერი სომხური ბურჟუაზია...” (გ. მელიქიშვილი, ნარკვევები, I, გვ. 329)...

ქართველთა ისტორიის მიმართ თვისობრივად ამგვარი („გათიშე და იბატონე“) ინტერპრეტირება რუსეთსა თუ ზოგ საზღვარგარეთულ წრეში გრძელდება დღესაც (იხ., მაგ., ი. კორიაკოვის, ჯ. ჰიუიტის, ი.ზეირეკის, ვ. ფოირშტაინისა და სხვათა შემოქმედება). გარეშე ძალები ახლაც ცდილობენ საქართველოში ენობრივ-ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადონ და ამ გზით დიდ სამწიგნობრო კულტურას მოსწყვიტონ: ლაზები, მეგრელები, სვანები (ვფიქრობ, ამგვარი ენობრივი დივერსია ზოგს უნებურად გამოსდის საკმარისი სამეცნიერო ინფორმაციის არფლობის გამო; იხ., მაგ.,

http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

რუსეთის იმპერიის მიზანიც უცვლელია: საერთაშორისო საზოგადოებისა თუ საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტირებით საქართველოს ტერიტორიის თანდათანობითი ოკუპაცია და ანექსია, პარალელურად, ქართველობის ენობრივ-ეთნიკური დაშლით ამ ტერიტორიის ისტორიული მფლობელი ერის სრული ასიმილაცია.

უცვლელია ქართველი ერის, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის მიზანიც: საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენით ეროვნული იდენტობისა და კულტურის გადარჩენა. თანამედროვე გლობალისტურ მსოფლიოში ეს მიზანი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუკი თანამედროვე მეთოდოლოგიით შეიქმნება ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის ახალი, დეპოლიტიზებული და აკადემიური ისტორია. **ამ ისტორიის ერთ-ერთ არსებით ეპიზოდად მიგვაჩნია საქართველო-რუსეთის დოკუმენტურად აღნუსხული 200-წლიანი კონფლიქტი.**

ბოლო 200 წელზე მეტია საქართველოს (/კავკასიის) ანექსიას ცდილობს რუსეთის იმპერია; 1801 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ძალადობით გაუქმებით რუსეთი კავკასიაში იწყებს სამხედრო ინტერვენციას; რუსეთ-კავკასიის თითქმის ასწლიანი ომის დამთავრება რუსეთმა გამოაცხადა ჯერ კიდევ 1864 წელს (თუმცა, ეს სისხლიანი ომი გაგრძელდა მომდევნო 100 წელშიც და სხვადასხვა ეპიზოდის სახით დღემდეც გრძელდება; მაგ., საქართველო-რუსეთის ომი 1991-2009 წლებში და რუსეთ-ჩეჩნეთის ომი 1993-2009 წლებში).

1864 წლიდან რუსეთის იმპერია უფრო **ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური დივერსიებით**

ცდილობს სრულად მოშალოს ქართველთა (კავკასიელთა) ეროვნული ცნობიერება და ცალკეულ ეთნოსებად დაანაწევროს ქართველი ერი. საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი სრულდება 1917 წლით, როდესაც სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დროებით იშლება რუსეთის იმპერია.

1918-20 წლებში ქართველი ერი ესწრაფვის ააღორძინოს თავისი სახელმწიფოებრიობა, მაგრამ 1921 წლის დასაწყისში რუსეთის ბოლშევიკური იმპერია კვლავ ძალადობის გზით აუქმებს ახალაღორძინებულ საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოდან დევნის ჟორდანია-რამიშვილის მთავრობას, ახდენს საქართველოს ოკუპაციას და, ბოლოს, ანექსიასაც.

საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არ შეწყვეტილა: მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთთან გეოპოლიტიკურ ჭიდილში სუსტდება რუსეთის იმპერია (საბჭოთა კავშირი). ამ ფონზე საქართველოში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ლეგიტიმური გზით – 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნებით – იღებს ძალაუფლებას. ეროვნულმა ხელისუფლებამ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ და **საბჭოთა იმპერიის შეიარაღებულ ძალებს მიანიჭა ოკუპანტის სტატუსი.**

1992 წლის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ ისევ ძალადობის გზით დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, საქართველო დე ფაქტო ისევ მოაქცია თავისი გავლენის ველში და **უშუალოდ მიიერთა აფხაზეთი და ცხინვალის მხარე.**

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელახლა იწყება საქართველოს გამოსვლა რუსეთის გავლენის სფეროდან; პროცესი იურიდიულად მთავრდება 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის სამხედრო შენაერთებს **საქართველოში აღუდგა ოკუპანტის სტატუსი და საქართველო გამოვიდა ე.წ. დსთ-დან.**

დღეს რუსეთის მიერ ჯერ კიდევ ანექსირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 % – აფხაზეთი, ცხინვალის მხარე, ახალგორის რაიონი და საჩხერის რაიონის ნაწილი.

საქართველოს სახელმწიფოს სრული დეოკუპაცია არსებითად დამოკიდებულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმსა და ცივილიზებული მსოფლიოს მხარდაჭერაზე. ამ ორივე ფაქტორის წარმატებით განსაზღვრა შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების არსის ობიექტურ გააზრებას.

### ქართველი ერის ისტორიის პერიოდიზაცია

იმპერიის მიერ პატარა ქვეყნის დაპყრობა **აგრესიული გლობალიზაციის** გამოვლინებაა. ისტორია ადასტურებს, რომ ხალხის ფიზიკურ-გენეტიკური მოსპობა თითქმის შეუძლებელია: ერისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს აგრესიის “კულტურული” სახეობა – ენობრივ-კულტურული (ცნობიერი) ასიმილაცია წარმოადგენს.

ეროვნულ-კულტურული თავისთავადობის (ეროვნული მეობის, თვითობის) შენარჩუნებისათვის იმედდაუკარგავი ბრძოლის კარგი მაგალითია ქართველი ერის ისტორია, თუმცა ქართველობამ თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა.

სტრატეგიულად საინტერესო კავკასია დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მუდმივი ინტერესის ობიექტია. საქართველოს სახელმწიფო ამიერკავკასიის მთავარ გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებს ფლობს, ამიტომ დიდი იმპერიების ერთი ნაწილი საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობით ახერხებდა კავკასიის (თუ კავკასიონის უღელტეხილების) კონტროლს, მეორე ნაწილი კი საქართველოს **ავტოქთონი მოსახლეობის** განადგურებით ცდილობდა ამ რეგიონის მიერთებას.

ქართველი ერის ისტორია და აწმყო უფრო თვითგადარჩენისთვის ბრძოლაა. საქართველომ მრავალი დამპყრობლის შემოტევას გაუძლო და გადარჩა. ვფიქრობ, ყველაზე რთული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის მოგერიება, ვინაიდან ამ ქვეყანამ **აგრესიის ორივე ძირითადი ფორმა ერთდროულად გამოიყენა** (და ახლაც იყენებს): ავტოქთონი მოსახლეობის (ქართველების) ფიზიკური მოსპობისა (გენოციდისა) თუ გადასახლების შემდეგ ითვისებს ცარიელ ტერიტორიას და, პარალელურად, ადგილობრივი მოსახლეობის დედაენის ნაცვლად რუსული ენის თავსმოხვევით ცნობიერად შლის და იმსგავსებს (ასიმილირებას უკეთებს) ადგილობრივ მოსახლეობას.

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ისტორია სათავეს იღებს უძველესი კავკასიურ-წინააზიური ცივილიზაციებიდან (საკითხის ისტორიისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქრისტიანობამდელი ეპოქა, 2005). ქართველურ-კავკასიური მოდგმის ხალხების წინარეისტორიულ ხანად ვვარაუდობთ კავკასიასა და წინა აზიის დიდ ნაწილში განფენილ **მტკვარ-არაქსის კულტურის** ქმნადობის პერიოდს.

ლოგიკური ჩანს მოსაზრება, რომ ძვ.წ. ათასწლეულებში არსებული **კოლხური კულტურა** შეიქმნა საერთოქართველური ენის მქონე ხალხისგან და იგი მოიცავდა ტერიტორიას: პიტიუნტიდან (ბიჭვინთიდან) სინოპამდე შავიზღვისპირეთს, ანატოლიის ნაწილის, რიონ-ყვირილას, ჭოროხის, მტკვრის ზემო წელის (მცხეთამდე) ხეობებს, აგრეთვე, ცხინვალისა და ყობანის რეგიონებს. სავარაუდოდ, ამ კულტურის ველში არსებობდა ქართველური უძველესი სახელმწიფოები: კოლხა და დიაოხი.

ქართველი მემატიანენი კონკრეტულ მეფეთა აღრიცხვას IV-III საუკუნეების ქართველი მეფეების –აზოსა და ფარნავაზის ისტორიით იწყებენ; სწორედ ამ დროიდან ბერძენთათვის კარგად ცნობილი „ოქრომრავალი აია-კოლხეთი“ მეფე ფარნავაზისა და ეგრისის ერისთავის – ქუჯის აქტიურობით აღორძინდა ერთიან სახელმწიფოდ, ძირითადი ცენტრით – მცხეთაში.

წელთაღრიცხვათა მიჯნიდან უფრო იოლია ქართველთა პოლიტიკური და ენობრივ-კულტურული ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთებად წარმოდგენა. უძველესი პერიოდიდან დღემდე ქართველი ერის სავარაუდო ისტორიული ჯაჭვი ასეთ სახეს მიიღებს:

წინარექართველური ეპოქა – **ძვ.წ. V-III ათასწლეულები;**

კოლხური (საერთოქართველური) კულტურის ეპოქა – **ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდამდე;**

სრულიად საქართველოს აღორძინება აზოს, ფარნავაზისა და ქუჯის ქართლად – **ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი;**

ქრისტიანობიდან გორგასალის მკვლელობამდე – **ახ.წ. I-VI საუკუნეები;**

არაბობიდან ახალი საქართველოს ხელახალ აღორძინებამდე – **VII-X საუკუნეები;**

დავით აღმაშენებელი და თამარი – ოქროს ხანა – **XI-XII საუკუნეები;**

დრო ლაშა-გიორგიდან გიორგი ბრწყინვალემდე – **XIII– XIV საუკუნეები;**

სპარს-თურქობის პერიოდი – პატარ-პატარა საქართველოებად დაშლა – **XV-XVIII საუკუნეები;**

მეფის რუსეთის იმპერიის პერიოდი: 1801-1917 წლები;

პირველი რესპუბლიკის პერიოდი: 1918-1921 წლები;

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდი: 1921-1990;

საქართველოს დეოკუპაციისა და ევროპასთან დაახლოების პერიოდი –**1991 წლიდან დღემდე.**

### საქართველო-რუსეთის 200-წლიანი კონფლიქტის მიმოხილვა

### საქართველო უძველესი დროიდან – 1783 წლამდე, 1801 წლამდე

ძვ.წ. V-III ათასწლეულებში კავკასიასა და წინა აზიაში ფართოდ იყვნენ განფენილნი ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე კავკასიურ-ხურიტულ-ხათური ტომები. ძირითადად კავკასიურ-ხურიტულ მოსახლეობას უკავშირდება მტკვარ-არაქსის კულტურა.

ძვ. წ. III ათასწლეულში ინდოევროპული და სხვა ტომების დაწოლით „ერგატიული კონსტრუქციის ენის მქონე ხალხი“ იწყებს სწრაფ დივერგენციას.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველური (ქართველურ ენა-კავებზე მოლაპარაკე) ტომები: მუშქები/მოსხები/მესხები, დაიანელები/დიაუხები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები, ქუთები/კოიტები/კვიტები, კორაქსები, მარები, ბექეირები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, მოსინოიკები, დიძერები, ძიდრიტები, მაკრონები/მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლაინები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექეირები, ჰენიოხები, სანები/ჭანები, სანიგები/სანიკები, ლაზები, აფხაზები, აბასკები, აფსარები, სვანები/მისიმიელები, სვანო-კოლხები, ამარანტები (კოლხური ტომი), ტუსკები, კახები, კუხები, ცხუმები, ფხოველები, ჰერები...

ჰალისის, მტკვრის, ჭოროხის, რიონ-ყვირილას, ენგურის, ლიახვის... ხეობებში განფენილი

ქართველური მოდგმა იმიერკავკასიაში მოსახლე ზოგ მონათესავე ტომთან ერთად ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან აქტიურად ქმნის დიდ კოლხურ-ყობანურ კულტურას; კოლხური კულტურის შემქმნელი ხალხის სახელმწიფოს ძირითადი ენა, სავარაუდოა, იყო საერთოქართველური კოინე/ენა.

ქართველთა ისტორიული სამწიგნობრო ენა – სასულიერო მწერლობის ენა (ე.წ. ძველი ქართული ენა) ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ კოინეს; ქართული სამწიგნობრო ენის თანამედროვე ვარიანტი და ქართველური დიალექტები (ლაზურ-მეგრული, სვანური, მესხური, ქართლ-კახური, რაჭული, ჰერული, ფხოური...) უშუალო გაგრძელებაა საერთოქართველურისა და ისტორიული სამწიგნობრო ენისა.

მეზობელ ხალხთა ენებში ქართველურიდან შესული ონომასტიკური მასალის, ქართველური ნასესხობისა და ე.წ. თარიღიან ტოპონიმთა ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართველური ენა-კილოები (სამწიგნობრო ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოვური, მესხური და სხვა კილოები) სათავეს იღებენ წელთაღრიცხვათა მიჯნიდან.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან არსებულ **ქართველთა სახელმწიფოს** უმთავრეს ფუნქციას იმთავითვე განსაზღვრავდა კავკასიონის **სტრატეგიული** უღელტეხილების ფლობა. ჯერ კიდევ პლინიუს დიდი წერდა: „კავკასიის კარი სამყაროს ორ ნაწილად ჰყოფს“...

I-XV საუკუნეებში საქართველოში გაბატონებას ესწრაფოდნენ: სპარსეთი (ირანი), ბიზანტია, არაბეთი, მონღოლეთი, ოსმალეთი... საქართველომ გაუძლო დიდი იმპერიების შემოტევას და პარალელურად დიდი კულტურაც შექმნა.

XVI-XVIII საუკუნეებში ირანისა და ოსმალეთის მუდმივმა აგრესიებმა საქართველო აიძულა მოკავშირე ეძებნა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ინდოეთის გზის ძიებაში ამერიკის პოვნით აჟიტირებულმა ევროპამ აღარ მოისურვა **საქართველოს გამო** დაპირისპირებოდა ძლიერ აღმოსავლურ იმპერიებს.

თავდაპირველად, რუსეთი ერთმორწმუნეობის მოტივით ცდილობდა ნდობა მოეპოვებინა საქართველოში და ამ გზით დამკვიდრებულიყო კავკასიაში (იხ. 1483 წ. მოსკოვში კახეთის მეფის ელჩების დოკუმენტური მასალა).

კავკასიისთვის ბრძოლის „გეოპოლიტიკურ ასპარეზზე“ რუსეთის იმპერია XVI საუკუნეში ჩნდება (მას შემდეგ, რაც ივანე მრისხანე იერთებს ყაზანისა და ასტრახანის სახანოებს). საქართველოში რუსეთის ჯარი, როგორც „მეგობარი ქვეყნის“ სამხედრო ძალა, პირველად შემოვიდა 1561 წელს (კახეთის მეფის – ლევანის – თანხმობით), მაგრამ მალევე რუსეთმა თავი აარიდა ირანთან და ოსმალეთთან დაპირისპირებას და 1563 წელს დატოვა ამიერკავკასია; მეტიც, 1564 წელს რუსებმა თავისი ჯარი გაიყვანეს ჩრდილოკავკასიიდანაც.

1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე ალექსანდრემ მიიღო „წიგნი ფიცისა“, ხოლო 1589 წელს რუსეთის მეფე თეოდორემ საქართველოში (კახეთში) გამოგზავნა „წყალობის სიგელი“. „1587-1589 წლების ეს აქტები არის **პირველი ოფიციალური ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის“** (ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, 2001, გვ. 269). კახეთის დაახლოებამ რუსეთთან გააღიზიანა ირანი, რის გამოც საქართველო რამდენჯერმე ააოხრა შაჰ-აბასმა. 1601 წლიდან (სახელმწიფო გადატრიალება კახეთში) 1783 წლამდე პერიოდში ირანმა ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა აღმოსავლეთ საქართველოში.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე პეტრე პირველის რუსეთი ისევ ინტერესდება კავკასიით (იხ., არტემ ვოლინსკის მოხსენება იმპერატორისადმი); პირველ რიგში, ის შეეცადა აზოვიდან განედევნა ოსმალოები და მოეპოვებინა გასასვლელი შავ ზღვაზე. XVIII საუკუნის შუა პერიოდში პრუსიასთან ომში ჩაბმული რუსეთი უკვე ოსმალეთის გაღიზიანებას ერიდება და ხელს იღებს კავკასიაზე. 1768 წელს ოსმალეთთან ომში ჩაბმული იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე სოლომონ პირველი რუსეთს პარტნიორობას სთავაზობს; ამავე წელს იწყება რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით დამთავრდა (ამ ზავის ერთი პუნქტი საქართველოსაც ეხებოდა).

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში დაიდო ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, რამაც გააღიზიანა ოსმალეთიც და ირანიც; კერძოდ: ოსმალეთის ინიციატივით მუსლიმანურმა სახანოებმა დაიწყეს ქართული სამეფო-სამთავროების ხშირი დარბევა, ხოლო 1795 წლის 8-11

სექტემბერს ირანის ახალმა ლიდერმა აღა-მაჰმად-ხანმა გაანადგურა რუსეთის შენაერთებისგან მიტოვებული ერეკლე მეორის ჯარი.

მე-18 საუკუნის დასასრულს პატარა და სამეფოებად დაშლილ საქართველოს ერთდროულად შეუტია ოსმალეთმაც და ირანმაც. საქართველოს განადგურება დაასრულა რუსეთმა; კერძოდ, ერთმორწმუნეობის მანტიით მოსულმა რუსმა დამპყრობელმა 1801 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის იგნორირებით და სამხედრო ძალის გამოყენებით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და მიიერთა საქართველოს ეს ნაწილი (იხ. 1801 წლის 18 იანვრისა და 12 სექტემბრის მანიფესტები http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi0.html); რუსეთის იმპერიამ მოგვიანებით დაიპყრო დასავლეთი საქართველოც (შდრ.: თურქეთს დარჩა სამხრეთი საქართველო – ისტორიული მესხეთი).

რეგიონის სამ დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთაგან კავკასიაში პოზიციები დათმო ირანმა.

**დოკუმენტური მასალა:** 1770 წლის 16 ივლისს, რუსეთის იმპერიის კანცლერის, **გრაფ ნიკიტა პანინის** მიერ გენერალ ტოტლებენისათვის გაგზავნილ საიდუმლო წერილში ვკითხულობთ: „საქართველოში საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ იქ მცხოვრებთა სული აქაური, რუსული იყოს, ხოლო სხეული ქართული“ („...была бы душа здешняя, а тело грузинское“).

შდრ., ამავე წელს იქმნება **„იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“.**

**საქართველო 1802-1864 წლებში: საქართველოსა და კავკასიის ნაწილ-ნაწილ დაპყრობა**

1803 წელს ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მსგავსი ხელშეკრულება გააფორმა ოდიშის სამთავროსთან; ეს ხელშეკრულება ფაქტობრივად გააუქმა 1857 წელს, როცა სამეგრელოს მმართველი **ეკატერინე დადიანი** იძულებით გაასახლეს რუსეთში (ოდიშის სამთავროს გაუქმება იურიდიულად გააფორმა 1867 წელს).

1808 წელს იმპერიამ ანალოგიური ხელშეკრულება გააფორმა იმერეთის სამეფოსთან; 1810 წელს ეს ხელშეკრულებაც დაარღვია და გააუქმა იმერეთის სამეფოც.

1811 წლის 30 ივლისს იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით გაუქმდა მცხეთის საკათოლიკოსო ტახტი – კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა შეიცვალა ეგზარქოსით და საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას უკანონოდ დაეპატრონა რუსეთის ეკლესია (სამართლიანობა აღდგა ერთი საუკუნის შემდეგ).

1834 წელს რუსეთი იქვემდებარებს სვანეთის სამთავროს, 1837 წელს – წებელდასა და სამურზაყანოს.

1864 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა აფხაზეთის სამთავროც; ამავე წლის ზაფხულში იარაღის ძალით დაიკავა კავკასიელთა უკანასკნელი წინააღმდეგობის კერები: აჰჭიფსი და ფსხუ. დამპყრობელმა ადგილობრივი მოსახლეობის (აფხაზების, უბიხების...) დიდი ნაწილი გაწყვიტა, ნაწილი თურქეთში გაასახლა (რითაც არსებითად შეცვალა შავიზღვისპირა რეგიონის დემოგრაფია) და ოფიციალურად განაცხადა, რომ **დაამთავრა კავკასიის დაპყრობა იარაღით** (სინამდვილეში კავკასიის დაპყრობითი სისხლიანი ომი დღემდე გრძელდება).

**დოკუმენტური მასალა:** საქართველოში განლაგებული რუსული არმიის მთავარსარდალი, გენერალი ა. ტორმასოვი 1810 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველს დასავლეთ საქართველოს შესახებ სწერდა: „ამ საკმაოდ ვრცელი მხარის გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორიც, მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთია... ადვილი იქნება მისი შენარჩუნება... იმ რაოდენობის რაზმებით, რომლებიც ახლა აქ იმყოფებიან, მით უფრო კი მაშინ, როცა საშუალება გვექნება, აუცილებელ შემთხვევაში ერთი მთავრის ძალა დავუპირისპიროთ მეორისას“ (რ. ლომინაძე, 2000, გვ. 128).

იხ. აგრეთვე: აფხაზეთი (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან), 2007, გვ. 250-252.

**საქართველო 1865-1917 წლებში: ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური იმპერიული დივერსიები**

რუსეთის იმპერიამ 1864 წელს გამოაცხადა კავკასიის 100-წლიანი ომის დამთავრება. ამის შემდეგ რუსეთი ააქტიურებს აგრესიის მეორე ფორმას: კავკასიაში **„დემოგრაფიული სიმძლავრის“** არსებითად შესაცვლელად, რუსეთის იმპერიის მოხელეები ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური კვალიფიკაციების გაყალბებით იწყებენ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის, პირველ რიგში,

ქართველების ეროვნული იდენტობის მოშლას. ამისთვის რუსეთი ადრიდანვე ემზადებოდა; ამ თვალსაზრისით საინტერესოა შტაბსკაპიტან შახოვსკის 1834 წლის მოხსენება **მეფისნაცვალ გ. როზენისადმი:**

"ჩვენთვის ყველაზე მომგებიანი იქნება, თუ სხვათა შორის [სვანეთში] შემოვიღებთ რუსულ ღვთისმსახურებას, რაც მოაჯაჭვებდა ამ ხალხს თქვენთან. ამის შესასრულებლად აუცილებლად მიმაჩნია: გამოვართვათ რამდენიმე სვან ღვთისმსახურს შვილები, ვასწავლოთ მათ საღვთო სჯული რუსულ ენაზე, ვაკურთხოთ მღვდლებად და გავგზავნოთ თავიანთ ხალხში, რომელიც მათ სიხარულით მიიღებს, ხოლო მამები საკუთარი ნებით დაუთმობენ ადგილს თავიანთ შვილებს".

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია უკვე ინტენსიურად ცდილობს, საქართველოში დაამკვიდროს რუსული ენა; პარალელურად, ესწრაფვის რა შეზღუდოს ქართული ენის გამოყენების არეალი აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, იმპერიის მოხელეები აფხაზეთში ააქტიურებენ რუსულს, ხოლო სამეგრელოში ოფიციალურ დოკუმენტებს გამოსცემენ მეგრული კილოს („ენის") მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით „სანიმუშოა" კავკასიაში რუსეთის მეფის წარმომადგენლის – „ნამესტნიკ" „ღენერალ-ფელდცეიხმეისტერის", მიხაილის 1867 წლის 27 იანვრის „კანონნი უფლებისათვის, რომელთაცა მოიპოვებენ გლეხნი ყმობიდან გამოსულნი სამეგრელოში (ზუგდიდისა, სენაკის და ლეჩხუმის მაზრასა შინა)... ხელი მოწერილია: ნაჩალნიკი გლავნის უპრავლენიისა კავკასიის ნამესტნიკი, სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი".

შდრ., მეგრული ვარიანტის დასახელება: „თი უფლება შენი, ნამუსოთი სამარგალოს მახორუუ (მაზრეფი: ზუგიდი, სენაკი, ლეჩხუმა) პატრონჭყორალიშე გშუულირი ყაზახეფი... ხე მოჭარილი რენ: ნაჩალნიკი კავკასიასი ნამესტნიკიში დუდი მართველობაში, სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი" (დოკუმენტი იხ. აქვე).

შდრ., ასევე: 1899 წელს გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს ავტორი ალ. გრენი ამ წიგნის წინასიტყვაობაში აცხადებს: „ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორმე, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელნიც ითელებიან უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან. ასეთი ბრძოლა, ჭეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა], რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში – ქართველი" (ს. ხუნდაძე, 1940, გვ. 104).

იდეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ გერშელმანის 1900 წლის საიდუმლო წერილი, სადაც მითითებულია, რომ: „...указом грузинско-имеретинской синодальной конторы от 17-го марта 1898 г. за №2771, преподавание грузынского языка в школах Абхазии и Самурзакани совсем воспрещено..." ; ამ დოკუმენტით რუსები სამუზაყანოელ (გალელ!) მეგრელებს სხვა ეროვნებად, ხოლო მათ მეტყველებას სხვა „ენად" წარმოაჩენენ და უპირისპირებენ დანარჩენ ქართველებს (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ" და საქართველო", 2009, გვ. 21-39).

იანოვსკების, ვოსტორგოვებისა და აშორდიების ქმედებებს სათანადოდ პასუხობდა საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა, სამღვდელოება და ქართველი ინტელიგენცია.

**დოკუმენტური მასალა**

**თედო სახოკია („თქვენ რაღას მისდევთ?!"):** "...მკითხველს უკვე გაცნობილი ექნება პრესაში დაბეჭდილი წერილები ამ ავტონომისტთა უსუსურობის, თუ გნებავთ, მოღალატური საქციელისა და ბოროტ ზრახვათა შესახებ. საერთო აღშფოთების ჟამს არ შემიძლია ჩემი, როგორც ქართველისა, კერძოდ, სამეგრელოს მკვიდრის, ხმაც არ შევუერთო და არ გამოვთქვა ჩემი გულისწყრომა სამეგრელოს ამ არამკითხე პატრონების მიმართ.

როგორც ქართველი ერის განუყრელ, ორგანიულ ნაწილს, სამეგრელოს, რომელსაც თავისი დღენი, რაც თავი ახსოვს, დედაქართველთან უცხოვრია საერთო ცხოვრებითა, მათთან ერთად ერთ უღელში შებმულს უწევია ცხოვრების ჭაპანი, მათთან ერთად შეუქმნია საერთო კულტურა, ახლა, ამდენ საუკუნეთა შემდეგ, ვიღაც გარეწარი გამოდის და ურჩევს – შენს ღვიძლს დედას გულიდან უნდა მოსწყდეო?!.

როგორ, "საქართველოს სუვერენიტეტი" ჩაგრავს სამეგრელოსა, რომელსაც მთელი საქართველო

თვალის ჩინსავით ულოლიავებს?! ნუთუ მეოცე საუკუნეში ვინმემ უნდა თქვას: მეგრული სხვა არის და ქართული კიდევ სხვაო?! სხვა არის ის მეგრული, რომელშიაც თითქმის ასი პროცენტი ქართული ძირის სიტყვებია?..”

27 ივნისი, 2012

## Georgia – Russia: History of Conflict

(Episodes of Apkhazeti and Tskhinvali regions)

**Preface.**

Georgian identity and national culture (which incorporates centralized but tolerant state) have been formed in the course of the centuries-old stuggle against various Invaders. Historically some of them succeeded in their pursuit of fragmenting or partially annexing Georgia; during such times Georgian church remained to be the guarantor of integrity of the state established by the Georgians, and the Georgian nation never tolerated aggressors. Over the recent period Georgia’s major challenges included deoccupation of the Russian-occupied territories of Georgia – Apkhazeti and Tskhinvali regions, return of refugees previously deported from these territories, establishing civil peace and defending rights of Apkhazeti and Tskhinvali population.

Today the whole world actively follows the ongoing processes in Caucasus; therefore, the prospects of revival for Georgian democratic state and restoration of Georgia’s territorial integrity are more realistic now (comparing to 20th century). Therefore, providing Georgian population as well as international society with the historical documents and unbiased researches appears to have vital importance, this will promote better understanding of the nature of Georgian-Russian conflict and the revival of peaceful co-existence during the post-conflict period.

**Introduction.**

Any person has a right to know the linguistic-ethnic history of his/her own country, though individuals who reside in the countries established by other indigenous ethnicity not always have unbiased knowledge about their own roots (for instance, Laz living in Turkey).

The process of unbiased teaching is complicated by the fact that the history of each nation is created in multiple versions; namely, history is developed by chroniclers, fair as well as unfair annalists within the given country’s state structures, and historians with differing opinions. In addition, distant past has its imprint on the nation’s memory as the cycle of stories is passed on to progeny from one generation to another in the form of legends-fragments... The past is possible to revive as a part of myths and epic, documentary sources or archeological data.

As a rule, different analyses of historical facts are due to differing frames of reference as well as motivation of the opposing sides. Under the modern communication conditions it is possible to produce the reliable fact-based history that will bridge the gap between the conflicting sides as much as possible.

Search for truth is hindered by politicization of science that, indeed, is carried out due to the will of imperial states. During the last 80 years when the scientific scholarship witnessed tremendous development in the whole world, unfortunately, the history of life, culture and language of Georgian nation was mainly written in accordance with the Soviet empire scheme; for instance, the hypothesis on interrelationship between Georgian and ancient Anterior Asian cultures, the relativity theory of Iberian-Caucasian languages cherished by Ivane Javakhishvili and Arnold Chikobava, etc. due to some reasons have been regarded as less promising. Instead, Russian-Georgian “friendly” co-existence has been excessively covered in a subjective manner and intensity; according to the ideology of the Russian Empire (disintegration of the nation – the owner of the territory in question!), “oppressed” nations have been offered “written languages” on the basis of Georgian dialects that were considered as unwritten languages. Besides, Georgians have been regarded as a combination of several independent nations, namely, Georgians, Khevsurs, Tushs, Svans, Laz, Megrels, Acharans, Meskhs, etc.

G. Melikishvili's reasoning in terms of politicization of science is interesting:

"National self-consciousness of Georgians was strengthened by the end of 19th century; during the very period a new scientific theory by F. Homel was published, according to which ancestors of Georgians were regarded to be the Proto-Indo-European population extending over Caucasus, Near East and a large part of Europe – "Alarodian family of the peoples": the Elamites, the Kassites, the Urartians (Georgian are their descendants), Pelazgians, Etruscans, Basques, etc. F. Homel's scientific theory reinforced the consolidation of Georgians but at the same time the leaders of the Russian Empire as well as the powerful Armenian bourgeoisie existing in Transcaucasia became antagonistically inclined towards the Georgians..." (G. Melikishvili, Essays, I, p. 329).

Such a substantially typical attitude ("divide and rule") towards interpreting Georgian history is still in progress in Russia and in certain foreign circles as well (cf. see, for instance, the studies of Y. Koryakov, G. Hewitt, I. Zeirek, W. Feurstein, etc.). External forces still attempt to declare Laz, Megrels and Svans as Linguistic-ethnic minorities and thus separate them from extensive literary culture (I believe, due to the lack of scientific information some individuals involuntarily cause such linguistic diversion, see, for instance, http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

The Russian empire's objective is still the same: gradual occupation and annexion of Georgian territory by disorientating international society as well as Georgian citizens, and at the same time total assimilation of Georgians – the owners of the territory by means of linguistic-ethnic disintegration.

The objective of Georgian nation, in general, Georgian population is also the same: rescue national identity and culture by saving our own statehood. In today's globalistic world such an objective could be implemented only if a new, depoliticized, modern methodology-based, academic history of Georgia is created. **One of the integral parts of such history is regarded to be a documentary record of the 200-year conflict.**

For over the last 200 years Russian Empire has been attempting to annex Georgia (/Caucasus); Since 1801 Russia has commenced military intervention by violently abolishing Kartli-Kakheti Kingdom; Russia declared termination of almost a 100-year war as far back as 1864. (Though the bloody war continued for the next 100 years and even today it continues in the form of several episodes; for instance, Russia-Georgia war in 1991-2009 and Russia-Chechnya war in 1993-2009).

Since 1864 Russian Empire has been striving to totally destroy Georgian (Caucasian) national consciousness and divide Georgian nation into separate ethnoses. Following the Russian Revolution of 1917 when Russian Empire was temporarily broken up the given period of Georgian history came to an end.

In 1918-20 Georgian nation struggled for the revival of its statehood but by the beginning of 1921 the Russian Bolshevist empire again violently abolished the newly-revived Georgian state and carried out its occupation and annexation.

Georgia's struggle for independence did not stop: in 1980s the geopolitical battles between the West and the Russian Empire (the Soviet Union) degraded. Given the circumstances, the national independence movement in Georgia gained strength and came into power under the leadership of Zviad Gamsakhurdia in a legitimate manner– via multiparty elections held on October 28, 1990. The National government passed a declaration of independence on April 9, 1991 and **assigned the occupant status to the military forces of the Soviet Empire.**

Again, at the beginning of 1992 Russian Empire violently deposed the Georgian legitimate government, returned Georgia to the Russian sphere of influence and **immediately annexed Apkhazeti and Tskhinvali region.**

Since the Rose Revolution in 2003 Georgia's exit from this sphere of influence has started again; the process was finalized in August 2008 when **the occupant status of Russian troops was restored and Georgia withdrew from the CIS.**

Today 20% of the Georgian territory – Apkhazeti, Tskhinvali region, Akhalgori region and a part of Sachkhere region – is still annexed by Russia. Total deoccupation of Georgia substantially depends on patriotism of the Georgian civil society and the support from the civilized world. Both factors could be successfully defined by objective understanding of the ongoing conflicts on the territory of Georgia.

**Periodization of History of the Georgian nation.**

Occupation of a small country by an empire is regarded a manifestation of **aggressive globalization**. History confirms that physical and genetic destruction of a people is almost impossible: linguistic-cultural (conscious) assimilation – a "cultural" form of aggression is the biggest danger for a nation.

The history of the Georgian nation offers a good example of the optimistic struggle for preservation of national-cultural identity (national self-identity), although the Georgian nation has lost much of its territories.

Strategically significant Caucasus is a constant object of interest for major players in the big geopolitical games. Due to Georgia's geopolitical strength within Transcaucasia, some of the great empires having good neighborhood relations with Georgia managed to maintain control over Caucasus (or Caucasian passes), others tried to annex the region by exterminating the autochthon population.

The history and the present of the Georgian nation is rather a struggle for survival. Georgia survived multiple offensives. I believe, repelling Russian Empire appeared to be the most difficult attempt due to the fact that it **simultaneously applied** (and continues to do so) **two main forms of aggression:** annexation of the empty territory after a physical destruction (genocide) or resettlement of the autochthon population (Georgians) and, at the same time, forced exposure of the local population to the Russian language (instead of their mother tongue), causing assimilation and destroying their consciousness.

The linguistic–ethnic history of Georgia originates from the ancient Caucasian – Anterior Asian civilizations (for the history of the issue, see T. Putkaradze, Georgians, Pre-Christian Era, 2005). The process of formation of the Kura-Araxes culture, extending over a great part of the Caucasus and Anterior Asia is assumed to be the next proto-historic period of the Kartvelian-Caucasian peoples.

It seems logical that the Colchian culture existing in millennia before the Common Era descended from the people having the common Kartvelian language and it covered the territory that included: the Black Sea area from Pitiunt (Bichvinta) to Sinop, part of Anatolia, the gorges of the rivers Rioni, Kvirila, Chorokhi and the upper course of the Mtkvari (up to Mtskheta) as well as Tskhinvali and Qoban regions. Supposedly, the oldest Georgian kingdoms of Colcha and Diaochi existed within this cultural context.

Georgian chroniclers start their record of individual kings by mentioning the history of Georgian Kings — Azo and Parnavaz (4th-3rd cc. BCE). Exactly from this period the "Aea (Aia) – Colchis, rich in gold", well-known to the Greeks, has revived again as a unified state with its major center in Mtskheta by common efforts of King Parnavaz and Eristavi Quji of Egrisi.

From the turn of our era it is easier to represent particular episodes of the political as well as linguistic-cultural history of Georgians. The hypothetical historical chain of the Georgian nation from the ancient period to the present day will assume the following form:

Proto-Kartvelian era – **5th –3rd millennia BCE;**

Period of Cholchian (common Kartvelian) culture – **from the mid-2nd millennium BCE to the mid-1st millennium BCE;**

Revival of All Georgia as Kartli of Azo, Parnavaz and Quji – **2nd half of 1st millennium BCE;**

From adoption of Christianity to the assassination of Gorgasali – **4th–5th cc. AD;**

From the Arab rule to regeneration of new Georgia – **7th – 9th cc. AD;**

David the Builder and Tamar – Georgia's Golden Age – **11th –12th cc. AD;**

Period from Giorgi-Lasha to Giorgi the Brilliant **13th –14th cc. AD;**

Period of Persian and Turkish domination – division of Georgia into small provinces each of which considered itself to be Georgia – **15th –18th cc. AD;**

Period of the Tsarist Russian Empire: 1801-1917;

Period of the first Republic: 1918-1921;

Soviet occupation period: 1921-1990;

Period of deoccupation of Georgia and approximation with Europe – 1992–to the present period.

**Review of the 200-year Georgian-Russian conflict**

**Georgia from the Ancient era to 1801.**

In the 5th–3rd millennia BCE Caucasus and Transcaucasia were settled by the Caucasian-Hurrian-Hat-

tic tribes having a language with an ergative construction. Generally, the Kura-Araxes culture is linked to the Caucasian-Hurrian population.

In the 3rd millennium BCE "the people having a language with an ergative construction" began to diverge rapidly under the pressure of the Indo-European and other tribes.

From the end of the 2nd millennium BCE to the turn of our era the historical territory of Georgia was inhabited by the Kartvelian (speaking Kartvelian dialects) tribes such as: The Mushki/Moskhoi/Meskhs, Daiaenians/Diauehian/Taokhoi, the Colles, Tibareni, the Iberians/Sasperoi, the Kuts/Koits/Kvits, the Coraxi, the Marae, the Becheiroi, the Halizoni/Chalybes, the Chalds/Khalds, the Mossynoeci, the Dizeres, the Zidrites, the Macrones/Macrocephaloi, the Phasians, the Melanchlainoi, the inhabitants of Ekriktike/Ekecheiroi, the Heniochi, the Sannoi/Chans, the Sanigoi/Sanikoi, the Laz, the Apkhazes, Abaskoi, Apsars, the Svans/Misimians, the Suanno-Colchians, the Amarantoi (a Colchian tribe), the Tusks, the Kakhs, Kukhs, Tskhums, the Pkhovians, the Hers, etc.

The Kartvelian race inhabiting the gorges of the Halys, the Mtkvari, the Chorokhi, the Rioni-Qvirila, the Enguri and the Liakhvi, together with some kindred tribes living in North Caucasus, actively created the Colchian-Qoban culture from the end of the 2nd millennium BCE; supposedly, the principal language of the state of people – creators of the Colchian culture was the common Kartvelian Koine/language.

The historical literary language – the language of the ecclesiastical writing (the so-called Old Georgian language) is based on the common Kartvelian linguistic koine; modern versions of the Georgian literary language and Kartvelian dialects (Laz-Megrelian, Svan, Meskhian, Kartlian-Kakhetian, Rachian, Her, Pkhovian, etc.) are the direct continuation of common Kartvelian and the historical literary language.

The analysis of the onomastic material which found its way from Kartvelian into the languages of the neighboring peoples, Kartvelian borrowings and so-called dated toponyms provide a basis for arguing that the modern Kartvelian languages and dialects (literary Georgian, Megrelian-Laz, Svan, Pkhovian, Meskhian and other dialects) originated at the turn of our millennium.

The key function of the state of Georgians that originated from the 1st millennium BCE was defined to be the control over the strategic passes of Caucasus Mountains. As Pliny the Elder stated: "the Caucasian Gate divides the world into two parts"...

During 1st –15th centuries the following countries aimed at dominating Georgia: Persia, Byzantium, Arabia, Mongolia, Turkey, etc. Georgia survived invasions by great empires and at the same time created great culture.

Constant aggression by Persia and the Ottoman Empire during 16th –18th centuries made Georgia to look for the allies in Western Europe; though Europe, excited about the discovery of America while searching for the way to India, did not wish to confront the powerful Eastern empires for the sake of Georgia.

At the beginning Russia, on the ground of the same religion, attempted to gain Georgia's confidence and thus establish itself in Caucasus (see documentary material of the King of Kakheti's ambassadors, 1483).

Russian Empire emerged in the "geopolitical field" in order to gain control over Caucasus in 16th century (after capturing Khanates of Kazan and Astrakhan by Ivan the Terrible). Russian troops first entered Georgia in 1561 as a military support of the "friendly country" (on the basis of permission by Levan – the King of Kakheti), though Russia avoided confrontation with Iran as well as the Ottoman Empire and left Transcaucasia; moreover, in 1564 Russia withdraw its forces also from North Caucasus.

On September 28, 1587 Alexander the king of Kakheti received "the Book of Pledge" and in 1589 Tsar Feodor of Russia sent "Charter" to Georgia (Kakheti). "These acts dated 1587-1589 represent the first official agreement between Russia and Georgia (N. Asatiani, History of Georgia, 2001, p.260). Close relations between Kakheti and Russia enraged Iran and caused several invasions carried out by Shah Abbas.

From 1601 (revolt in Kakheti) to 1883 Iran gained actual control over Eastern Georgia.

On the turn of 17th –18th centuries Russia under Peter I still took interest in Caucasus (see Artem Volinky's report to the Emperor); First of all he attempted to oust the Ottomans from Azov and obtain the way to the Black Sea. In the mid-18th century Russia involved in the war against Prussia, left Caucasus

avoiding annoyance of the Ottomans. In 1768 Solomon I of Imereti (Western Georgia), involved in the war against Ottomans, offered partnership to Russia; the Russo-Turkish war started the same year ending with the Treaty of Kuchuk Kainarji in 1774 (one of the provisions of the Treaty applied to Georgia).

On July 24, 1783 the so-called Treaty of Georgievsk was signed at the fortress of Georgievsk; this drew protest from both Ottoman Empire and Iran; Muslim khanates carried out frequent violent attacks against Georgian kingdoms-principalities, and during September 8-11, 1795 Aga Muhammad Khan, a new leader of Iran, destroyed the troops of Erekle II who had been abandoned by the Russian army.

At the end of 18th century both Ottoman Empire and Iran simultaneously attacked Georgia that had been separated into several principalities. Russia, sharing common religion, continued devastation of Georgia by ignoring the Treaty of Georgievsk in 1801 and abolishing Kartli-Kakheti Kingdom by the military operation and absorbing this part of Georgia. (See Manifests of January 18 and September 12, 1801); later Russian Empire annexed Western Georgia as well (cf.: historical Meskheti became a part of Turkey).

Iran, one of the three major geopolitical players lost ground in Caucasus.

Documentary material: The text of the secret letter by Count Nikita Panin – the chancellor of the Russian Empire, dated July 16, 1770, sais: "you must act in Georgia so that the inhabitants have Russian soul and Georgian body".

cf., The "Treaty on the Unity of the Iberians (Iverians)."

**Georgia in 1802-1864: Partial Annexation of Georgia and Caucasus.**

In 1803 the government of the Russian Empire drew up an agreement, similar to the "Treaty of Georgievsk", with the Odishi principality; the very agreement was in fact abrogated in 1857 when Princess of Samegrelo, Ekaterine Dadiani was exiled to Russia (Odishi principality was legally abolished in 1867).

In 1808 the similar agreement was drawn up between the Russian Empire and the Imereti Kingdom; though in 1810 Russia dissolved the agreement and abolished Imereti Kingdom.

On July 30, 1811 the Mtskheta thone of Catholicos was abolished – the rank of Catholicos-Patriarch was substituted by that of the exarch and the Georgian Church illegally turned under rule of the Russian Church (a century later the autocephaly was restored).

Russia annexed Svaneti Principality and Tsebelda as well as Samurzakano in 1834 and 1837 respectively.

In 1864 Russian Empire abolished Apkhazeti principality; in the summer that year the last points of Caucasian resistance – Akhchipsou and Pskhu were conquered by Russia. The occupants annihilated large part of local population (Apkhaz, Ubykh, etc.), the other part was exiled to Turkey (that fundamentally altered demography of the Black Sea region) officially declaring that the occupation of Caucasus came to an end (in fact, bloody war in Caucasus is still in progress).

Documentary material: in 1810 A. Tormasov, the General, Commander-in-Chief of the Georgia-based Russian army wrote about Western Georgia to the Russian Emperor Alexander I: "by dividing this quite extensive area into four possessions such as Imereti, Guria, Samegrelo and Apkhazeti ... it would be easy to keep the territory by the units located there, especially when there will be an opportunity, in case of necessity, to provoke confrontation between the principal" (R. Lominadze, 2000, p. 128).

Documentary material: see Also: Apkhazeti (Essays in the History of Georgia), 2007, pp. 250-252.

**Georgia in 1865-1917: linguistic-ethnological imperial diversions**

In 1864 Russian Empire declared the end of the 100-year war in Caucasus. Since then Russia has intensified the second form of aggression: in order to alter "demographic pattern" significantly, the officials of Russian Empire started to eliminate national identity of Georgians in the first place by means of falcification of linguistic-ethnological qualifications. For that purpose Russia had been prepared in advance; in terms of these events, the report by the staff captain Shakhovsky to G. Rozen, the Viceroy to the Tsar, dated 1834, is of particular interest:

"It would be the most advantageous for us if we, by the way, introduce Russian liturgy [in Svaneti], that would make these people depend on you. For that purpose I regard it necessary to teach theology in Russian to a few children of the Svan priests, ordain them and sent them to their people, who will welcome them and their fathers will make way for them on their own will".

Since 1860s the Russian Empire has been intensively attempting to establish Russian language in Geor-

gia; at the same time having an objective to limit the use of Georgian in Apkhazeti, Samegrelo and Svaneti the Russian officials activate Russian language, and the official documents are issued in Megrelian dialect ("language") as well.

In this regard, there are "unique" Laws, dated January 27, 1867, by Michael, the Viceroy, General-Feldzeichmeister, the representative of Russian Tsar in Caucasia, "regarding obtaining a right by peasants who are no longer serfs in Samegrelo (in Zugdidi, Senaki and Lechkhumi uyezd) ... signed by: Chief Director, Viceroy of Caucasia, Senator, State Secretary Baron A. Nikolai". Cf., the Megrelian version:

"regarding those rights of peasants who are no longer serfs, living in Samegrelo (Zugdidi, Senaki and Lechkhumi uyezds) ... signed by: Chief Director, Viceroy of Caucasia, Senator, State Secretary Baron A. Nikolai".

Cf., also: Al. Gren, an author of the Megrelian alphabet-handbook, published in 1899, says in the preface: "while compiling this alphabet I was, by any means, aiming at giving rise to national resistance of Megrels who are being suppressed by the stronger Georgian people. Such a resistance is absolutely impossible without having an alphabet, [the one] that would enable the Megrels to express themselves similarly as their enemies, in this case – Georgians" (S. Khundadze, 1940, p.104)

In terms of ideology, a secret letter, dated 1900, by Military governor of Kutaisi province, Major General Gershelman is also interesting,: "by the order №2771, March 17, 1898, of the Georgian-Imeretian synodal office teaching Georgian language is absolutely prohibited at schools in Apkhazeti and Samurzakano ..."; by this document Russians considered Samurzakano (Gali!) Megrels as representatives of a different nation having a different "language" and contrasted them with the rest of the Georgians (E. Dadiani, T. Putkaradze, R. Sherozia, "European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", 2009, pp.21-39).

The actions of those like Ianovskiy, Vostorgov and Ashordia were adequately confronted by population, clergy and intelligentsia of all regions of Georgia.

**Documentary material**

**Tedo Sakhokia (what are you chasing after?!"):** "... The reader must be already acquainted with publications in press that concern the autonomists' weakness, their betrayal and evil intentions. I as a Georgian and an inhabitant of Samegrelo, cannot avoid giving voice to collective resentment, and would like to express my indignation regarding such parvenu behavior of Samegrelo's "protectors".

Samegrelo, as an integral part of Georgia, shared all its life with Georgians, has dealt with all the difficulties life had offered and has created the unified culture together with Georgians, and now, as the ceturies passed, someone such a creep comes and suggests to tear itself away from its mother!

How is that? How can "sovereignty of Georgia" suppress Samegrelo that is tenderly cared by all Georgia? How anyone dare to say in the twentieth century that the Megrelian and the Georgian languages are different?! Is Megrelian, having almost one hundred percent of Georgian roots, a different language? The Megrelian represents a supplement to modern Georgian. The Megrelian language is mostly spoken within a family, but the Megrelian as a specific characteristic of a nation has never existed. In any case, since Christ Samegrelo has contributed to the Georgian culture with the best experts of the Georgian language. Not to mention several figures, it is enough to refer to the remarkable preacher Anton Chkondideli and T. Zhordainia, a historian of Georgia and the compiler of the Georgian Grammar.

"Megrelian Autonomists" know well about these things. Though they assume the role of defenders of "Megrelian proletariat" and try to convince others in Megrels as a different nation.

It is even blameworthy to argue on this absolute truth... We would like to show the real reason behind it – why such a truth has become so debatable.

It is well known that the issue of the Megrelian language did not exist before the Russian dominion. It has become a problem since the Russians have moved to Georgia. When different Georgian principalities have been abolished and different parts of our country have unified, the Russians felt the danger of such unification and they decided to divide our country in an unnatural manner. The 1870s the schools of Samegrelo were attacked. Here at schools of the Ministry the Georgian language was prohibited and the school subjects were taught directly in Russian – used as a language of instruction. This was the case

for the "public" and "normal" schools. The pupils of these schools stealthily studied to read and write in Georgian, or as they used to call "čkinobura" (i.e. "peculiar to ours").

That is how russification of Samegrelo was carried out until 1890. Since the very date starts the "argumented" denial of the Georgian languages as a mother language with the help of which, according to the requirements of the rational pedagogics, the youth of Samegrelo was supposed to be educated. From this moment the actors include Ianovskiy (of Polish origin), an education guardian of Caucasus district and his right hand, Levitsky (of Polish origin). First, Levitsky introduced the so-called "mute" method in schools which aimed at learning Russian without help of the books in order to totally avoid Georgian at the Georgian schools. Our blessed teacher – Iakob Gogebashvili fiercely opposed the "Mute" method by Levitsky that did not succeed and was not exercised in Eastern Georgia.

The case was quite different in Imereti where Levitky was appointed as a province inspector. The attack was especially carried out against the schools in Samegrelo. They took advantage of the Megrelian language which by uncareful consideration might seem a different language. Of course, for persons like Levitsky it was not beneficial to recognize that such a difference was only external and that the Georgian language, as a literary language and as a mother tongue should have a leading role in the Schools of Samegrelo.

Levitsky made Petrov – the Khoni Seminary teacher compile a separate alphabet for Megrels, of course in Russian letters, and made him write down the folk tales as well as poetry of Megrels with the assistance of the "well-known" Tada Ashordia who worked at the same seminary. This work had to be used as a text-book at the Megrelian schools. T. Ashordia has been offered a good position and financial support. He has been charged with an important mission – to promote status of the Russian language by banning the Georgian language in schools of Zugdidi uyezd.

Ashordia was assisted by some agents and their work flourished; the Megrelian school became a place hindereding the development of children. The government's twofold aim has been achieved: Georgian has been banned at the Ministry schools in Samegrelo and the process of russification for Samegrelo's population has started.

Parochial schools in Samegrelo were the only places where Georgian language remained functional. The reason was the status of Georgian as a language of liturgy; as the schools within the parish were affiliated to the churches the language of instruction had to be Georgian. At some point the ecclesiastic authority won a fierce struggle against the Ministry department; though that did not last long. Levitsky decided to find another solution to the problem. He assigned a new task to the same Ashordia, namely the latter, similar to Giorgi Mtatsmindeli, had to "translate" Gospels from Georgian into Megrelian. In Levitsky's opinion, this could give results in unrooting the Georgian language at parochial schools. But the whole region of Samegrelo opposed such profanity and actions, and the public outcry was expressed in the well-grounded report by Grigol, then-Bishop of Guria-Samegrelo. The very report included a skillful discussion by Niko (Great) Dadiani, the patriot representative of Samegrelo, where he argued regarding invalidity of such intention. Grigol's report was based on another report of bishop Besarion, who, as a Megrelian, had been asked to present his opinion on translating the Gospel into Megrelian. T. Zhordania, the historian, the member of the committee selected by bishop Besarion, offered a well grounded critique of such foolish and unnecessary experiment.

The report by bishop Grigol stopped the translators of Gospel into Megrelian, and therefore the Georgian language remained in Megrelian schools as a language of instruction.

Although, archpriest Iv. Vostorgov has been appointed as a supervisor of parochial schools within the exarchate of Georgia. At present, the issue of education in the ecclesiastic authority of Georgia is dealt with by an executioner in cassock and a murderer of our souls, Herod for our youth, a careerist and the best implementer of the Russian tyrannical government's russification politics. Betrayal, denunciation and treachery developed among the teachers.

The activities of archpriest Vostorgov have been especially difficult for Samegrelo. He used to claim that Megrels had nothing to do with Georgians and they were not supposed to be taught in Georgian at their schools; instead he demanded to introduce Russian, the state language. Moreover, this politician

in cassock dared to publish his arguments in press. The reader must remember the answer of Professor, Academician N. Marr. He fiercely criticized the politican archpriest who had absolutely no competence in the field.

Afterwords, the Georgian language has been attacked from a different angle. The government used to appoint Russian bishops in the Sokhumi eparchy. These bishops and especially Arseni passed an order on the use of the Russian language in liturgical practices in Samurzakano and Apkhazeti in general. The ecclesiastical authority in Sokhumi, with the support of gendarmerie, persecuted anyone who dared to express the wish of the parish by insisting on Georgian as a language of liturgy. Who knows how many families were affected.

The revolution of 1905 contributed to slowing down diligence of those supporters of russification. Following revolution the same forces continued their activities. In 1918 the Megrels volunteered in Poti on Stephane Gagua's (a teacher) initiative to continue the Levistky-Vostorgov's struggle; though we never took it serious until the commencement of preparations for the autonomy in Zugdidi. The "Mapaluians" group even sent the following request to Moscow: "Please, save us from sovereignty of Georgia, do not let Megrelian proletariat to decline and do unite it with the Russian proletariat.

Let me cite the Megrelian proverb ar the end: "a greyhound is chasing after a rabbit, but what is the rabbit chasing after? We all know what those like Levitsky and Vostorgov were chasing after but what are you, "autonomists" of Samegrelo", chasing after?!.."

**Georgia in 1918-21**

In 1918-20, during those three years of the restored independence of Georgia the Empire's pressure on the linguistic-ethnic identity of Georgians decreased and the rights of Georgian language restored. At the same time, Georgian government showed traditional Georgian tolerance to the linguistic rights of minorities, which meant that the citizens of other nationalities could address the supreme legislative body in their own languages, and the delegate elected to the Georgian parliament in 1918-1921 could make a speech in his own language if it was understood by at least one member of the presidium. The status of Apkhazeti – incorporated into Georgia – has been defined as autonomous, etc.

In 1918-1921 numerous legal documents were elaborated for the revival of independent Georgia.

**Documentary material:**

**Georgia in 1922-1990**

Russian imperial politics continued in a much aggressive manner following Bolshevik annexion of Georgia in 1921.

The empire of Lenin and later, Stalin, Khrushchev, Brezhnev, Gorbachev attempted not only to fragment Georgia's territory but also to estrange certain groups of Georgians from their Kartvelian history, culture and a unified linguistic identity. Stalin and other Bolsheviks knew well that estrangement from the nation's mother tongue by means of "linguistic diversions" (**declaring dialects as independent languages**) is the highest priority while disintegrating a nation. It is significant that the current Russian Empire (Russia of Putin-Medvedev-Dugin) applies much more sophisticated methods in order to achieve a century-old goal – gaining everlasting control in Caucasus by disintegrating the Georgian nation.

"Linguistic diversions" were carried out with extreme intensity in 1930s in Georgia (though, at present even bigger risk factors occur). This was one of the most difficult periods in the entire history of the Georgian nation:

After the repeated Russian annexion of Georgia an extensive social-political terror occurred. While the Tsarist Russia used its generals, clergy (those like Ianovskiy, Vostorgov, Gershelman, etc.) and a few local renegates (like Ashordia) in order to disintegrate Georgians, the Bolshevik's tactic was much more treacherous: aggressors with slogans on democracy and social equality strived to achieve their goal with the help of the local Bolsheviks-communists.

The strategic plan was the same.The process of setting Apkhazs, Ossetians, Armenians, Azeris, etc. against Georgians continued in parallel with the systematic linguistic-ethnic disintegration. Just as the Tsar's officials, Bolsheviks have stated that Megrels, Acharans, Svans, Laz, Imeretians, Khevsurs, Tushs, etc. were not Georgians and that they had been oppressed by the Georgians. The following detail is worth

mentioning:

They implanted in the minds of the Apkhaz people that the Georgians had been their historical enemies capturing and inhabiting their land, hindering development of Apkhazian culture and wishing to destroy the Apkhaz nation; some Apkhazs believed in such false statements. Though, that was Georgian intelligentsia that was trying to stop genocide... even today, Georgians can stop destruction of the Apkhaz people carried out by Russia and, in general, total annexion of Caucasus.

Russian Empire proceeded with the same "divide and rule" principle in Samegrelo; though another tactic plan had been brought into the foreground; for instance, during the "Sovietization" period Russians could not make the Megrelian Bolsheviks act like Apkhazs, therefore another "ideological" background has been discovered: the Tsarist Russia's (Patkanian-Ianovskiy-Ashordia-Vostorgov) well-developed theme – "protect the oppressed Megrelian language" – has become urgent; the Bolshevik leader of the very "movement" was Isak Zhvania, the first secretary of Zugdidi raikom of the USSR communist party.

In 1925 Zugdidi party committee discussed the issue and the same year a meeting of the central committee presidium of Georgia's communist party of (Kakhiani, Okujava, Eliava, Gegechkori, and Orjonikidze) passed a resolution regarding introduction of Megrelian as a language of instruction in Megrelian schools as well as courts, and the publication of the Megrelian newspaper. In 1928 the central committee's instructor from Moscow, Pshenitsin, visited Megrelian villages and concluded the following: "We must provide the Megrelian peasants with school, court and popular edition in their mother tongue". On March 25, 1929 the secretary of central committee, Dadiani passed a resolution regarding restoration of the Megrelian language's privileges in schools, court procedures and investigation process. In accordance with this resolution, clerical work and court procedures should be implemented in Megrelian language at locations where the majority of population did not know (!) the Georgian language"... (I. Zhvania, 1931, p. 147).

It is typical that in provision I and II of the resolution Georgian and Megrelian languages are juxtaposed; provision IV indicates that resolutions as well as orders are to be published both in state language and the Megrelian language.

Developing such linguistic politics was impossible without Russian government's, namely Stalin's permission (or instruction). Since the 18th century the Russian imperial machine has been put in motion and kept working; though the actual negative roles have been performed by others (Bolsheviks such as Philipe Makharadze, Isak Zhvania, Mamanti Kvirtia, etc.).

Since the sinister decision, dated 1929, I. Zhvania and his partners have been offered a discretionary authority. Magazines and Newspapers have been published in Megrelian word forms. In 1931 I. Zhvania's book was published – "The struggle of Samegrelo's peasantry for the Soviet rule". The leaders of the Empire regarded this book as of great significance which was witnessed by the circulation of 30 thousand copies.

During the 6-year period (1929-1934) the Bolshevist "linguistic diversion" was intensively carried out in Samegrelo. In 1934 the similar publications discontinued; the government of the Empire dismissed Isak Zhvania who became subject to repression.

It is well-known that since mid-1930s Stalin had attempted to acquaint the world with the great past of his birth place – Georgia, genius of Rustaveli etc. At the same time, in 1937 in his letter to Stalin, L. Beria, the leader of the Georgian government "resented" the fact that the scientist of the Institute of Linguistics and Anthropology were "confused" and "contradicted each other on their conclusions" (in the first version of the letter he mentioned them as impregnated with the "velikoderzhav" spirit) (Archive Newsletter ("Saarqivo Moambe"), VI, 2009, p.116, the periodical of the Archive Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia).

The issue concerns the division of Georgia into several nations based on the censuses of 1926 and 1937 by the all-USSR academic circles. Namely, in 1926 the Academy of Russia (i.e. USSR) divided Georgians into: the Georgians (the Kartvels, the Kakhetians, the Tushs, the Pshav-Khevsurian, the Armenians, the Javakhs, the Meskhs, the Klarjs, the Taoans, the Acharans, the Gurians, the Imeretians, the Rachians, the Lechkhumians), the Megrels, the Chans, the Svans, the Batsbs.

Though in 1937, according to the Academy of Sciences of the USSR, the list included: the Georgians, the Megrels, the Laz, the Svans, the Batsbs, and the Acharans.

The same year the Institute of Anthropology has compiled its own version that later served as a basis for the "Nationality Dictionary". Here the Georgians are considered of as follows: the Megrels, the Laz, the Svans and the Batsbs, though the Acharans are mentioned as a separate nation. L. Beria was acquainted with all materials but emphasized the issue of the Acharans, he urged Stalin to interfere and avoid such a mistake in the "Nationality Dictionary", because such a division contradicted the Leader's opinion on a nation.

Since 1970s the derangement of Georgian identity has been planned by the Russian Empire with a new intensity. On April 14, 1978 the Soviet Empire attempted to abolish the already secondary status of the Georgian language as a state language of the Georgian Republic. Russia's plans were even "more ambitious"; the following excerpt represents a fragment of Mikhael Suslov's (1902-1982) report published in the magazine of Paris National Council ("Georgia the Warrior"]):

"The communist party is a glue and while it maintains its properties we have to proceed with the rescue plan of Russia which must differ in different republics.

The Generals residing in the Far East must be offered normal living conditions. In order for them to settle down we need the frontier territory of the Black Sea that is where the Georgians live. We should take into consideration the fact that Georgian differ from us greatly and sooner or later they will bring up an issue of independence and demand freedom. We must commence the struggle from Apkhazeti. By taking advantage of Apkhazeti we must give independence to Samegrelo, Svaneti, Achara and other regions. We have to stir up the regional-national sentiments in each of the regions individually. Western Georgia should be set against Eastern Georgia and we must perform our function of arbitrator. At the same time we should scientifically convince Georgians that they are migrants from different countries and belong to different nations, this will give us an opportunity to get rid of them from the territory of Georgia".

**Georgia in 1991: Act of declaration of Independence of Georgia**

April 9, 1989 represents a threshold of a new phase of the national-liberation movement in Georgia which ended in multi-party, democratic and non-Soviet elections on October 28, 1990. The national forces that came to power via elections (block: "The Round Table-Free Georgia") revived Independence of the state and **assigned the occupant status** to the military forces of Russia.

Legal Georgian authority devoted special attention towards preservation the Apkhazs linguistic-cultural identity and the issue of establishment of state structures in the Autonomous Republic. National government was devoted to the issue of integration of Ossetes and other ethnic groups inhabiting Georgia. Unfortunately, the Russian propagandist machine falsified the internal politics of the national authorities and with the assistance of the Georgian renegates accused Georgians of the acts of vandalism carried out by Russians (for instance, Georgians shot in the Georgian villages in the vicinities of Tskhinvali were declared to be Ossetes, etc.).

On March 31, 1991 the legal government of Georgia held a referendum and on April 9 declared the revival of Independence of the Georgian Republic. Russia realized that Zviad Gamsakhurdia's government was an obstacle in the way of maintaining control over Caucasus.

In autumn 1991 Russia started to stage a coup against the government that had introduced a status of occupants for the Russian troops and had been striving for independence (Unfortunately, at that time the West's objectives included elimination of Russia's sphere of influence in Eastern Europe, including the Baltic states; Caucasus, Ukraine, Moldova and Central Asia remained within the Russia's sphere of influence).

In accordance with the Kremlin instructions, the Georgian putschists prepared and implemented the plan of a coup against the Georgian government (the very fact is confirmed by the confessions of Irakli Batiashvili, Jaba Ioseliani, etc. published as books and interviews).

**Georgia in 1992-2008**

**In 1991 Russia did not reconcile itself to the prospect of leaving Georgia**. Despite the fact of the successful referendum and declaration of the Act of Independence, Georgia was forced to remain within the

Russian geopolitical area during 1991-1993 (see a discussion in T. Putkaradze "What God wills not, or about the ongoing processes", Newspaper "Georgian Republic", September 28, 1991).

On the turn of 1991-1992 Russia changed the legal government in Georgia; Russia also implemented a coup against the legal governments of Azerbaijan and Ichkeria, the countries that Russia considered to be within the sphere of its influence (it is noteworthy that up to the present day some forces try to hush up the fact and designate a coup performed under the guidance of the Kremlin as a "civil war").

By **provoking conflicts in Apkhazeti and Tskinvali regions** in 1992-1993 the most part of the autochthon population (Georgians, the Apkhazs and the Ossetes that opposed the Kremlin, etc.) were banished by the Russian troops from historically Georgian land.

Despite, Shevardnadze's government annulled the occupant status to the Russian troops; moreover, the occupant was declared as **"a friendly country"** and the **Russian troops**, in fact the so-called Georgian-"Apkhazian"/"Georgian-Ossetian" troops, **were assigned a task of a peacekeeping mission within the area of the Georgia-Russian conflict.**

Since 1993 the new phase of the Russian expansion has started in the Caucasus: following the genocide and a coup against the legal government, it was time to activate the Russian capital: **the strategic capabilities of Georgia,** located on the occupied and annexed territories, **are mostly acquired by Russia.**

Today the Baku–Tbilisi–Ceyhan and The Baku–Tbilisi–Batumi lines are of vital importance for the West. Liberation of the Eastern Europe was rather a dignity as well as a safety issue for America and the Western European countries, while the **Central Asian resources** and the **Transcauasian energy carriers** are of the vital significance both for the West and Turkey: only after the Russia's withdrawal from Transcaucasia will Europe become independent in terms of energetics.

Soon after 10 years of Shevardnadze's rule these and other factors required the necessity to regulate **geopolitical balance** in Transcaucasia:

By supporting the "Rose Revolution" in 2003 the west significantly strengthened Euro-Atlantic orientation forces in Georgia; as a result, the role of the Georgian government as a geopolitical player has been enhanced; this contributed to Russia's striving for regaining the control over Transcaucasia; the results are obvious: aggression in August 2008 – **the next stage of the Russian revanche.**

**Due to the active involvement of the United Stated and Europe,** the Russian Aggression was stopped in the vicinities of the capital Tbilisi; this historical event gave numerous negative and some positive results for Georgia:

Many citizens of Georgia (Georgian or Ossetian) fell in battle, thousand of Georgians became refugees; Georgia lost territories (Dali/Kodori gorge or upper Apkhazeti, Akhalgori region, Georgian villages in Tskhinvali region, village of Perevi in Sachkhere region, etc.); state of Georgia weakened; the military potential of the country was heavily affected; probability that the Georgian state might be fragmented by means of Russian-controlled "separatist" forces has increased. Besides, by acknowledging independence of Apkhazeti and South Ossetia, the real threat emerged on the possibility for North Caucasus to become the forpost of chaos, terrorism and radical Islam.

Revival of the **occupant status** for the Russian troops and **intensification of the European Union activities** in Transcaucasia are regarded to be positive and **objective results.**

**Georgia Since 2009**

Since Russian-Georgian war in August (2008) the **Kremlin has been controlling** larger territory than it did before the war. Though it is insufficient for Russia of Putin-Medvedev-Dugin; the aggressive Russian government strives towards control of not only Transcaucasia but also the entire Eurasia. Also, in order to completely isolate Georgia, Russia actively works in terms of the relationships of Russia-Armenia-Iran and Russia-Azerbaijan-Armenia-Turkey; **multiple geopolitical vectors intersect** within the region complicating the prospect of Georgia's pro-Western course.

**The key problem of Georgia is still unsolved: deoccupation of the occupied territory is something for the future. Moreover, if the civilized world continues to ignore increasing tendency of Russia's geopolitical ambitions, a total occupation and annexation of Georgia by Russia is still to expect in the nearest future.**

**For the purpose of defining the future prospect of the country let us trace the last 200-year geopolitical**

**history of Georgia:**

In 1801-1917, 1921-1990 Russia has established illegal and unopposed geopolitical control in Transcauasia and at present it cannot adapt to the circumstances that involve new major geopolitical players in the region.

**For more than two centuries Georgian nation has been striving for good neighborly relations with Russian people, but** the present government of Russia aims at realizing its **geopolitical ambitions** by illegitimate means at the expense of Georgia.

**Population of Georgia will never accept violation of its vital interests.** Russia is aware of this, therefore it constantly attempts to substantially modify **the demographic situation in Georgia** and forever establish itself in Caucasus by **manipulating demographic capabilities;** namely:

– In 19th–21th centuries first by the so-called Muhajirism and then by the Russian-Georgian 1992-2008 war Russia carried out the **genocide of** the Georgians and the **anti-Russian Apkhazs** in the historically Georgian region – Apkhazeti.

Russia first established the Autonomous Republic of Abkhazia in artificial borders; and now it is attempting to complete this process by creating a Satellite state where pro-Russian Apkhazs, Armenian migrants and Russian new settlers will live, rather than the Georgians – the majority of population – who have been exiled from Apkhazeti.

– In 20th–21th centuries the Russia succeeded in its effort to settle its supporter Ossetes from Ossetia (North Caucasus) into Shida Qartli – Tskhinvali-Java regions, who illegitimately and illogically were first offered the so-called "South Ossetian autonomy"; and on such an artificial formation Russia is trying to carry out grafting of Kokoity's Russian-speaking "State". For the history of the issue I would briefly state that both in the Soviet period and at the present time even in the so-called nominal North Ossetian Autonomous republic – a real Ossetia – the Kremlin is destroying the Ossetian language and culture; for instance, there is no opportunity to get a general or higher education in Ossetia, neither is the prospect of revival-development of the Ossetian culture; Russification policy is being actively implemented in Ossetia. Besides, the Beslan tragedy confirms the fact that, similar to the Chechens and Ingushs, the Kremlin is carrying out also the Ossetian genocide (for the extensive discussion on the linguistic policy of Russia see M. Tabidze, Linguistic Situation in Georgia and Issues on Functioning of Georgian Language, Tbilisi, 2005; T. Gvantseladze, Issues in language and dialect in Kartvelology, 2006).

– for the last 150 years, the politicized linguists, ethnologist and historians falsify the real linguistic-cultural and ethnic-political history by the order of the Russian imperial government, thus attempting **to declare the large part of Georgians and their historical motherland as non-Georgians and non-Georgian territories respectively. In order to achieve the very goal the Russian Empire carries out its work in three directions:**

1. By engaging in propaganda for pseudoscientific tenets Russia is striving to alter the national identity of at least some part of the Georgians; **for instance**, some Russian-financed individuals make efforts, though unsuccessfully, to convince Svans that they are not Georgians, and their language is not Georgian.

2. By using powerful propaganda, Russia tries to convince the world that the Acharans, the Megrels, the Laz, the Svans, the Khevsurs, the Meskhs, the Tushs, etc. do not belong to Georgians. According to the Russian data, these **"ethnic groups"** are being **"oppressed" by Georgians (Kartvels)** in the State called Georgia, due to the fact that **their literary culture is not based on their own mother languages.** The language of Georgians – the "oppressors" is imposed on these peoples by means of "Kartvelization", and the world must support these "oppressed ethnoses".

3. **With "scholarly studies" of dubious value**, they try to persuade the world's elite circles that **there is no unified Georgian culture**; that Georgia is a small empire; that in the past Georgians (Kartvels) conquered and to the present day continue "to oppress the peoples having unwritten languages": Meskhs, Acharans, Megrels, Laz, Svans, etc.

After creating such a background, with the aid of the Russian-financed political forces, they wish to give autonomy to Georgian regions and divide Georgia by the so-called federation-confederation method.

In a word, with the inadequate terminological evaluation of the events and distortion of the essence

of facts, Russia tries to convince the whole world that Georgia is "a small empire" which must be broken down and that the Georgian "aggressors" oppress other "undeveloped ethnic groups", etc.

**Unfortunatelly**, 19 years have passed after the revival of Independence of Georgia on April 9, 1991 but the Georgian government could not succeed in removing the imperial linguistic ethnological "mines" up to the present day; moreover, at present Georgia is losing more information wars than ever. Today, Europeans those like Hewitt or Feurstein who enjoy "Q'azaxiši gazeti" (Peasant's Newspaper) and are supported by grants deceive the world as thought the areal of the Georgian language does not include regions such as: Samegrelo, Svaneti, Lazeti, Imerkhevi, Tskhinvali region, Apkhazeti and as though the Megrels, the Laz, the Meskhs, the Svans, etc. are not Georgian. For instance,

http://linguarium.iling-ran.ru/maps/14-kartv.gif; http://www.armazi.com/georgian/unicode/the_kartvelian_languages.htm;

http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm)...

Sadly, some of the Georgian or foreign scientists of our generation who enjoy "grants" do not mind such politicized qualifications.

I believe academic, politicized descriptions and qualifications of the linguistic-ethnic situation of Georgia should be of major importance in the process of integration of Georgia in the civilized world. If the international information field will not become free of the Russian imperial definitions and qualifications (which, mechanically, following the soviet "scientists" still dominate the international information network), the territorial integrity as well as Georgian identity will face insuperable obstacles.

27 ოვნისი, 2012

## Грузия – Россия: к истории конфликта

(абхазские и цхинвальские эпизоды)

Введение

В многовековой борьбе с разными завоевателями сформировалась грузинская идентность и культура государственности (под которой подразумевается централизованное, но толерантное государство). Исторически некоторым завоевателям удавалось раздробить Грузию или частично присоединить ее; в такие периоды грузинская церковь всегда оставалась нерушимым гарантом созданного грузинами государства, грузинский народ никогда не мог смириться с поработителями. Главной проблемой Грузии последних времен является деоккупация грузинских территорий – Абхазии и Цхинвальского района, оккупированных Россией, возвращение в свои дома депортированного из этих районов населения, установление гражданского мира и защита прав населения Абхазии и Цхинвальского района.

Сегодня весь мир активно следит за протекающими на Кавказе процессами; соответственно, в данный момент более реальна и перспектива возрождения грузинского демократического государства и восстановление целостности территории Грузии, чем это было в XX в. На этом пути существенное значение придается подаче населению Грузии и международной общественности исторических документов и объективных исследований, что будет содействовать осознанию сути грузино-русского конфликта и быстрому восстановлению мирного сосуществования в постконфликтный период.

Каждый человек имеет право знать собственную этническо-языковую историю, но индивид, проживающий в государстве, созданном другим этносом, не всегда располагает объективными знаниями о своих корнях (напр., проживающие в Турции лазы).

Процесс объективного обучения осложняет и то, что создается несколько вариантов истории каждого народа; в частности, историю пишут летописцы, как объективные, так и летописцы-временщики и историки с различным мировоззрением на государственные структуры данной страны;

в сознании народа также отпечатано далекое прошлое, т.е. цикл событий, которое, переходя из поколения в поколение, доходит до потомков в легендарно-фрагментарном виде...

Прошлое возможно восстановить на основании сказаний, преданий, документальных источников, археологических данных, сохранившихся в недрах земли.

Анализ исторических фактов с различных точек зрения, как правило, обусловлен существованием различных систем отсчета или мотиваций противостоящих сторон. В условиях современной коммуникации становится возможным, опираясь на подлинные факты, написать такую историю, которая максимально сблизит противостоящие стороны.

Исследованию действительности особо мешает политизирование научного поприща, что, как правило, осуществляется по воле имперских государств. К сожалению, на протяжении последних 80-ти лет, когда научная мысль значительно развилась во всем мире, история жизни, культуры и языка грузинского народа, в основном, писалась по советской имперской схеме; например, в Советском Союзе «почему-то» считались менее перспективным: гипотеза соотношения картвельской и древних культур Передней Азии; взлелеянная Ив.Джавахишвили и Арн.Чикобава теория родства иберийско-кавказских языков и др. Зато с наибольшей субъективностью и интенсивностью освещалось совместное «дружественное» проживание грузинского и русского народов; на базе, считающихся бесписьменными языками, картвельских диалектов соответственно идеологическим убеждениям Российской империи (расчленение народа, владеющего покоряемой территорией!), униженным «народам» создавали «литературные языки». Кроме того, грузинская народность представлялась как несколько независимых наций: собственно грузинами, хевсурами, тушинами, сванами, лазами, мегрелами, аджарцами, месхами...

С точки зрения политизации науки интересна позиция Г.Меликишвили:

«Национальное самосознание грузин усиливается в конце XIX в.; в этот же период была опубликована новая научная теория Ф.Хомеля, согласно которой предками грузин считалось праиндоевропейское население, расселенное по Кавказу, Ближнему Востоку и большей части Европы – «алородная семья народов: эламы, касситы, урартцы (их потомками являются грузины), пелазги, этруски, баски... Научная теория Ф.Хомеля способствовала усилению консолидации грузин, но в это время против грузин антагонистически настроились властители Российской империи, а также существующая в Закавказье влиятельная армянская буржуазия...» (Г.Меликишвили, Очерки, I, с.329)...

Качественно такая интерпретация по отношению к грузинской истории («разделяй и властвуй») продолжается и по сей день в российских и некоторых других зарубежных кругах (см. напр., сочинения Ю.Корьякова, Дж.Хьюита, И.Зейреки, В.Форштейн и др.). Внешние силы и сегодня пытаются объявить этническим языковым меньшинством и тем самым лишить великой литературной культуры: лазов, мегрелов, сванов (думаю, что такая языковая диверсия, у некоторых ненамеренная, происходит вследствие невладения достаточной научной формацией; см., напр., http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html).

Цель Российской империи неизменна: постепенная оккупация и аннексия грузинских территорий с применением дезориентации международной общественности и грузинских граждан, параллельно с этим, полная ассимиляция народа, исторически владеющего этой территорией, путем этническо-языкового членения грузинского народа.

Неизменной остается цель грузинской нации, в частности грузинского населения: спасение национальной идентности и культуры путем спасения государственности. В современном глобалистическом мире осуществить эту цель удастся в случае создания новой деполитизированной и академической истории грузинского народа и истории Грузии по современной методологии. Одним из существенных эпизодов этой истории считаем документально засвидетельствованный двухсотлетний грузино-русский конфликт.

Уже более двухсот лет Российская империя стремится к аннексии Грузии ( // Кавказа); начиная с 1801 г. насильственным упразднением Картли-Кахетинского царства Россия начинает военную интервенцию на Кавказе; об окончании столетней русско-кавказской войны Россия объявила еще в 1864 г. (хотя эта кровавая война продолжалась и в течение последующих 100 лет и продолжается в

виде различных эпизодов по сей день; напр., русско-грузинская война в 1991-2009 гг. и русско-чеченская война в 1993-2009 гг.).

Начиная с 1864 г. Российская империя стремится подорвать национальное самосознание грузин (кавказцев) лингвистическо-этнологическими диверсиями и расчленить на отдельные этносы грузинскую нацию. Этот период истории Грузии завершается 1917 годом, когда после государственного переворота временно распадается Российская империя.

В 1918-1920 гг. грузинский народ стремится возродить свою утраченную государственность, но в начале 1921 г. Российская большевистская империя опять-таки насильственным путем упраздняет заново возродившееся грузинское государство и осуществляет его оккупацию и аннексию.

Борьба Грузии за независимость не прекращалась: в 80-х годах XX в. в геополитическом противостоянии с Западом Российская империя (Советский Союз) ослабевает. На этом фоне в Грузии усиливается национально-освободительное движение, которое под руководством Звиада Гамсахурдиа легитимным путем – на основании многопартийных выборов 28 октября 1990 г. – приходит к власти. 9 апреля 1991 г. национальное правительство объявило «Акт о восстановлении государственной независимости Грузии» и вооруженным силам советской империи присвоило статус оккупанта.

В начале 1992 г. Российская империя, снова насильственным путем свергнув законную власть в Грузии, обратила Грузию в сферу своего влияния и непосредственно присоединила Абхазию и Цхинвальский район.

После «революции роз» 2003 г. вновь начинается выход Грузии из-под сферы влияния России; юридически процесс завершается в августе 2008 г., когда российским военным соединениям в Грузии был восстановлен статус оккупанта, и Грузия вышла из состава т.н. СНГ.

Сегодня Россией аннексировано 20 % грузинской территории – Абхазия, Цхинвальский, Ахалгорский районы и часть Сачхерского района.

Полная деоккупация грузинского государства основательно зависит от государственного патриотизма граждан Грузии и поддержки цивилизованного мира. Успешно определить оба эти фактора может объективное осознание сути протекающих на территории Грузии конфликтов.

Периодизация истории грузинского народа

Покорение империей малой страны является проявлением агрессивной глобализации. История свидетельствует, что физическое и генетическое истребление народа почти невозможно. Наибольшую опасность для народа представляет разновидность «культурной» агрессии – культурно-языковая (сознательная) ассимиляция.

Наглядным примером оптимистической борьбы за сохранение национально-культурной самобытности является история грузинского народа, несмотря на то, что грузинский народ потерял большую часть своей территории.

Кавказ всегда представлял объект стратегических интересов великих геополитических стран. Грузинское государство владеет главными геополитическими рычагами Закавказья, поэтому части великих империй, благодаря добрососедским отношениям с Грузией, удавался контроль над Кавказом (или кавказскими перевалами), другая же часть стремилась присоединить этот регион за счет истребления автохтонного населения Грузии.

Прошлое и настоящее грузинского народа – это борьба за самовыживание. Грузия устояла перед натиском многих завоевателей и не сломилась. Думаем, что самым сложным оказалось отражение нападения Российской империи, так как эта страна одновременно применила обе основные формы агрессии (и сейчас применяет): после физического истребления (геноцида) или выселения автохтонного населения (грузин) она затем осваивает свободные территории и параллельно сознательно дробит и уподобляет (ассимилирует) местное население, навязывая ему вместо родного русский язык.

Этническо-языковая история грузинского народа берет начало от древнейших кавказской и переднеазиатской цивилизаций (к истории вопроса см., Т.Путкарадзе, Грузины, дохристианская эпоха, 2005). Преисторической эпохой картвельско-кавказских народов считаем период создания Куро-Аракской культуры на территории Кавказа и большей части Передней Азии.

Логической считаем точку зрения, согласно которой Колхская культура, существующая тысячелетия до н.э., была создана народом, владеющим общекартвельским языком, и она охватывала территории: от Питиунта (Пицунда) до Синопа в Причерноморье, часть Анатолии, ущелья рек Рион-Квирила и Чорохи, верхнее течение Куры (до Мцхета), а также Цхинвальский и Кобанский регионы. Предположительно в ареале этой культуры существовали древнейшие картвельские государства: Колха и Диаохи.

Исчисление конкретных царей грузинские летописцы начинают с IV-III вв. до н.э. историей грузинских царей Азо и Фарнаваза. Именно с этого времени хорошо известная грекам «богатая золотом Айя-Колхети», благодаря активности царя Фарнаваза и эристава Эгриси – Куджи, возродилась в единое государство, с главным центром во Мцхета.

С рубежа нашего летоисчисления легче представить политическую и культурно-языковую историю грузинского народа в виде конкретных отрезков. С древнейшего периода до наших дней предполагаемую историческую цепь грузинского народа можно проследить в следующем виде:

прокартвельская эпоха – V-III тыс. до н.э.;

эпоха Колхской (общекартвельской) культуры – с середины II тыс. до н.э. – до середины I тыс. до н.э.

возрождение всея Грузии в Картли при Азо, Фарнавазе и Куджи – вторая половина I тыс. до н.э.;

от христианства до убийства Вахтанга Горгасали – I-VI в. н.э.;

от арабских нашествий до нового возрождения Грузии – VII-X вв.;

Давид Агмашенебели (Строитель) и царица Тамар – золотой век – XI-XII вв.;

эпоха от Георгия-Лаши до Георгия Брцкинвале (Блистательного) – XIII-XIV вв.;

период персидско-турецкого господства – деление на “маленькие Грузии” – XV-XVIII вв.;

период господства Российской царской империи: 1801-1917гг.;

период Первой республики: 1918-1921гг.;

период советской оккупации: 1921-1990гг.;

период деоккупации Грузии и сближение ее с Европой – с 1991 г. по сегодняшний день.

Обзор двухсотлетнего грузино-русского конфликта

Грузия с древнейших времен до 1801 г.

В V-III тыс. до н.э. территории Кавказа и Передней Азии населяли кавказско-хурритско-хеттские племена с языком эргативной конструкции. Куро-Аракская культура в основном связана с кавказско-хурритским населением.

В III тыс. до н.э. под натиском индоевропейских и других племен «народы с языком эргативной конструкции» начинают быструю дивергенцию.

С конца II тыс. до н.э. до рубежа нашего летоисчисления на территории исторической Грузии проживали картвельские (говорящие на картвельских диалектах) племена: мушки/мосхи/месхи, даианы/диаухи/таохи, колайцы, тибарены, иберы/сасперы, куты/койты/квиты, кораксы, мары, бекейры, халидзоны/халибы, халды/калды, мосиники, дидзеры, дзидриты, макроны/макрокефалы, фасианы, меланклайны, жители Экриктики/экекейры, гениохи, саны/чаны, саниги/саники, лазы, абхазы, абаски, апсары, сваны/мисимиане, свано-колхи, амаранты (колхское племя), туски, кахи, кухи, цхумы, пховцы, эры...

В ущельях рек Халиси, Чорохи, Куры, Рион-Квирила, Ингури, Лиахви... расселенные картвельские племена вместе с некоторыми родственными племенами, селившимися по ту сторону Кавказа, с конца II тыс. до н.э. активно создают великую Колхско-Кобанскую культуру. Основным языком государства народа – создателя Колхской культуры предположительно был общекартвельский койне/язык.

Исторический литературный язык грузинского народа – язык духовной литературы (т.н. древнегрузинский язык) – опирался на общекартвельское языковое койне; современный вариант грузинского литературного языка и картвельские диалекты (лазско-мегрельский, сванский, месхский, картлийский и кахетинский, рачинский, эретский, пховский...) являются непосредственным про-

должением общекартвельского и исторического литературного языка.

Анализ ономастического материала картвельских заимствований и т.н. датируемых топонимов, вошедших в языки соседних народов из картвельского, дает основание утверждать, что современные картвельский язык (литературный грузинский язык) и картвельские диалекты (мегрело-лазский, сванский, пховский и др. диалекты) берут свое начало с рубежа нашего летоисчисления.

Основная функция картвельского государства, существующего в I тыс. до н.э. определялась владением стратегических перевалов Кавказского хребта. Еще Плиний Старший писал: «Кавказские ворота делят мир на две част»...

В I-XV вв. стремились к господству в Грузии: Персия (Иран), Византия, Аравия, Монголия, Османия... Грузия выдержала натиск великих империй и параллельно создала великую культуру.

В XVI-XVIII вв. постоянные агрессии со стороны Ирана и Османии вынудили Грузию искать союзника в Западной Европе, но Европа, ажитированная открытием Америки при поисках дороги в Индию, не пожелала из-за Грузии противостоять великим восточным империям.

С самого же начала Россия под предлогом единоверства старалась приобрести доверие в Грузии и таким путем утвердиться на Кавказе (см., Документы послов кахетинского царя в Москве 1483 г.).

На «геополитической арене» борьбы за Кавказ Российская империя появляется в XVI в. (после того, как Иван Грозный присоединил Казанское и Астраханское ханства). Впервые в Грузию российские войска, как военная сила «дружественной страны», вошли в 1561 г. (с согласия кахетинского царя Левана), но вскоре Россия, уклонившись от противостояния с Ираном и Османией, в 1563 г. покинула Закавказье; более того, в 1564 г. Россия вывела свои войска из Северного Кавказа.

28 сентября 1587 г. царь Кахети Александр принял «Клятвенную грамоту», а в 1589 г. российский царь Федор послал в Грузию (Кахети) «Жалованную грамоту». «Эти акты 1587-1589 гг. – есть первый официальный договор между Россией и Грузией» (Н.Асатиани, История Грузии, 2001, с.269). Сближение Кахетинского царства с Россией привело в раздражение Иран, вследствие чего шах-Аббас несколько раз безжалостно разорил Грузию. С 1601 г. (государственный переворот в Кахети) до 1883 г. Иран установил фактический контроль в Восточной Грузии.

На рубеже XVII-XVIII вв. в России, которой в то время правил Петр I, вновь интересуются Кавказом (см., доклад Артема Волынского императору); в первую очередь ПетрI попытался изгнать турок из Приазовья и выйти к Черному морю. В середине XVIII в. Россия, ведущая войну с Пруссией, уже остерегается раздражения Османии и отказывается от Кавказа. В 1768 г. царь Имерети (Западная Грузия) Соломон I, воевавший с Османией, предлагает России партнерство, В том же году начинается русско-турецкая война, завершившаяся в 1774 г. Кучук-Кайнарджийским мирным договором (один из пунктов этого договора касался и Грузии).

24 июля 1783 г. в Георгиевской крепости был подписан т.н. Георгиевский трактат, вызвавший раздражение как Османии, так и Ирана; в частности, по инициативе Османии мусульманские ханства предпринимали частые набеги на грузинские царства и княжества. А 8-11 сентября 1795 г. новый лидер Ирана Ага Магомед-хан уничтожил войско Эрекле II, оставшееся без военной поддержки России.

В конце XVIII в. на маленькую и раздробленную на царства Грузию одновременно напали Османия и Иран. Россия же завершила окончательное уничтожение Грузии. В частности, под мантией единоверства российские завоеватели, игнорируя Георгиевский трактат 1801 г. и используя военную силу, упразднили Картли-Кахетинское царство и присоединили эту часть Грузии (см., Манифесты от 18 января и 12 сентября 1801 г.). Позднее Российская империя покорила и Западную Грузию (ср., у Турции осталась Южная Грузия – историческая Месхети).

Из трех великих геополитических игроков на Кавказе позиции уступил Иран.

Документы: Из секретного письма канцлера Российской империи графа Никиты Панина, направленного генералу Тотлебену 16 июля 1770 г.: «В Грузии следует вести дела таким образом, чтобы у местного населения была бы душа здешняя, русская, а тело – грузинское».

Ср., в этом же году был принят «Трактат об единстве иверийцев».

Грузия в 1802-1864 гг.: постепенное покорение Грузии и Кавказа

В 1803 г. правительство единоверной Российской империи оформило договор, аналогичный Георгиевскому трактату, с княжеством Одиши. Этот договор был фактически упразднен в 1857 г., когда правительницу Самегрело Екатерину Дадиани насильственно выселили в Россию (упразднение княжества Одиши было юридически оформлено в 1867 г.).

В 1808 г. аналогичный договор был оформлен Российской империей с Имеретинским царством; в 1810 г. она нарушила и этот договор и упразднила Имеретинское царство.

30 июля 1811 г. по приказу императора Александра I был упразднен престол каталикоса во Мцхета – должность каталикоса-патриарха была заменена должностью экзарха. Так российская церковь незаконно завладела грузинской автокефальной церковью (справедливость была восстановлена лишь век спустя).

В 1834 г. Россия подчиняет Сванетское княжество, в 1837 г. – Тебельду и Самурзакано.

В 1864 г. Российская империя упразднила также и Абхазское княжество; летом того же года, применив военную силу, завладела очагами последнего сопротивления кавказцев: Ахджипси и Псху. Завоеватели истребили большую часть местного населения (абхазцев, убыхов...), часть – выселили в Турцию (тем самым существенно изменив демографию Причерноморского региона) и официально объявили об окончательном завоевании Кавказа военным путем (в действительности кровавая завоевательская война на Кавказе продолжается и по сей день).

Документы: Главнокомандующий расположенной в Грузии российской армии генерал А.Тормасов в 1810 г. докладывал императору Александру I относительно Западной Грузии: «Разделив этот достаточно обширный край на четыре владения, каковыми, например, являются Имерети, Гурия, Самегрело и Абхазия, будет легко его сохранить... тем количеством войск, которые в данный момент находятся здесь, тем более тогда, когда появится возможность в необходимых случаях силу одного князя противопоставить силе другого» (Р.Ломинадзе, 2000, с. 128).

Также см. документы: Абхазия (Очерки из истории Грузии), 2007, с.250-252.

Грузия в 1865-1917 гг.: этнолого-лингвистические имперские диверсии

В 1864 г. Российская империя объявила об окончании столетней войны на Кавказе. После этого Россия начала активно применять вторую форму агрессии: для существенного изменения на Кавказе «демографического положения» чиновники Российской империи путем фальсификации этнолого-лингвистических квалификаций начинают разложение национальной идентности местного населения Кавказа, в первую очередь грузин. Россия готовилась к этому давно. С этой точки зрения заслуживает интерес доклад штабс-капитана Шаховского в 1834 г. наместнику царя на Кавказе Г.Розену:

«Для нас будет особо полезным, если ( в Сванети) будет введено “между прочим” богослужение на русском языке, что приковало бы к вам этих людей. Для осуществления этого, считаю необходимым: отобрать у нескольких священнослужителей-сванов их детей, обучить их Закону Божьему на русском языке, рукоположить в священники и отправить к своему народу, который примет их с радостью, а их отцы по собственной воле уступят свое место сыновьям».

Начиная с 60-х годов XIX в. Российская империя интенсивно старается внедрить в Грузии русский язык; параллельно с этим, стремясь ограничить ареал использования грузинского языка в Абхазии, Самегрело, Сванети, российские чиновники активизируют в Абхазии русский язык, а в Самегрело официальные документы издаются на мегрельском диалекте («языке»). С этой точки зрения показательны «Законы прав, которые приобретают крестьяне из крепостных в Самегрело (Зугдидского, Сенакского и Лечхумского уездов)...», составленные представителем царя на Кавказе, наместником, генерал-фельцехмейстером Михаилом от 27 января 1867г. Подписал: начальник главного управления Кавказа наместник, сенатор, статс-секретарь барон А.Николай».

Ср., название мегрельского варианта: “თი უფლება შენი, ნამუსოთი სამარგალოს მახორუუ (მაზრეფი: ზუგიდი, სენაკი, ლეჩხუმა) პატრონჭყორალიშე გშუულირი ყაზახეფი... ხე მოჭარილი რენ: ნაჩალნიკი კავკასიასი ნამესტნიკიში დუდი მართველობაში, სენატორი, სტატსსეკრეტარი

ბარონი ა. ნიკოლაი" (დოკუმენტი იხ. აქვე).

Ср., также: В предисловии изданной в 1899 г. мегрельской азбуки автор Ал.Грен заявляет: «При составлении этой азбуки я ставил целью призвать как-нибудь, пусть даже косвенно, к национальной борьбе мегрелов, которые считаются более сильными из всех картвельских народов. Такая борьба воистину невозможна без собственной азбуки [той азбуки], с помощью которой мегрел выражал бы свои мысли как и его враг, в данном случае – грузин» (С.Хундадзе, 1940, с.104).

С идеологической точки зрения также представляет интерес секретное письмо военного губернатора Кутаисской губернии, генерал-майора Гершельмана (1900 г.), в котором говорится, что «... указом грузинско-имеретинской синодальной конторы от 17-го марта 1898 г. за №2771, преподавание грузинского языка в школах Абхазии и Самурзакани совсем воспрещено...»; на основании этого документа русские представляют самурзаканских (гальских!) мегрелов другой нацией, а их речь – другим «языком» и противопоставляют другим грузинам (Э.Дадиани, Т.Путкарадзе, Р.Шерозиа, «Европейская хартия о региональном или языке меньшинств и Грузия», 2009, с.21-39).

Действиям яновских, восторговых, ашордия должным образом отвечало население всех уголков Грузии, духовенство и грузинская интеллигенция.

Документы:

Тедо Сахокиа («А за чем вы гонитесь?!»): «... Читатель наверно уже знаком с напечатанными в прессе статьями о несостоятельных, если хотите, предательских действиях и злых умыслов этих автономистов. При всеобщем возмущении не могу не присоединить своего голоса как грузина и, в частности, мегрела и не высказать своего негодования по отношению к этим выскочкам, непрошенным хозяевам Самегрело.

Самегрело, как неотъемлемая, органическая часть грузинского народа, которая испокон веков жила общей жизнью со всеми грузинами, вместе с ними несла тяжелое бремя жизни, вместе с ними создавала общую культуру, и сейчас, спустя столько веков выступает какой-то подонок и советует – ты должна отказаться от своей родной матери?!

Как, суверенитет Грузии «унижает» Самегрело, которую вся Грузия бережет как зеницу ока? Неужели в XX в. кто-то может заявить: мегрельский и грузинский – разные языки?! Разве другой тот мегрельский язык, в котором почти сто процентов слов с грузинским корнем? Тот мегрельский, который дополняет современный грузинский?! На мегрельском говорят в семье, в быту, но мегрельский, как характерный признак нации, не существовал, во всяком случае после Рождества Христова. Самегрело дала грузинской культуре лучших знатоков грузинского языка. Достаточно назвать имена выдающегося проповедника Антона Чкондидели и грузинского историка и составителя грузинской грамматики Т.Жорданиа, не говоря уже о других.

Об этом прекрасно знают и «мегрельские автономисты». Знают и все равно берут на себя роль защитников «мегрельского пролетариата» и кричат, и хотят кого-то убедить – народ Самегрело представляет отдельную нацию.

Нам стыдно вести спор об этой азбучной истине... Только хотим вынести на суд настоящую причину этого – почему данная неоспоримая истина явилась предметом споров?

Всем известно, что вопрос о мегрельском языке не стоял до прихода русских. Этот вопрос возник после обоснования русских в Грузии. Когда были упразднены княжества Грузии и различные части нашей родины объединились, российское правительство, почувствовав опасность этого объединения, решило искусственным путем раздробить нашу страну. В 1870-х годах Российская империя предприняла атаку на мегрельские школы, из которых министерство изъяло грузинский язык как неродной, и обучение велось с помощью русского языка. Так обстояли дела в «гражданских» и «нормальных» школах. Ученики в этих школах изучали грамоту грузинского (или как они говорили и сейчас говорят – «нашего») языка контрабандным, скрытым путем.

Так протекал процесс русификации в Самегрело до 1890 г. С этого времени начинается более «обоснованное» отрицание грузинского как родного языка, с помощью которого, согласно требованиям рациональной педагогики, должно было осуществляться воспитание и обучение подрастающего поколения Самегрело. С этого времени на арене появляется попечитель Кавказского учебного

округа (по национальности поляк) Яновский и его помощник Левицкий (тоже поляк). Левицкий сначала ввел т.н. «немой» метод в школах, цель которого заключалась в непосредственном изучении русского языка без использования родного языка, а затем предлагал полное изъятие грузинского языка из всех школ Грузии. «Немой» метод Левицкого был встречен в штыки нашим блаженной памяти учителем Я.Гогебашвили, и этот метод не имел успеха в Восточной Грузии.

Совсем по-другому обстояли дела в Имерети, где Левицкий был губернским инспектором школ. Особый упор делался на мегрельские школы. Здесь в качестве аргумента использовали существование мегрельского, который представлялся якобы другим особым языком. Левицкому, конечно же, было невыгодно признание всего лишь внешнего различия и того, что грузинский, как литературный и родной язык, должен был занять свое место в школах Самегрело.

Левицкий поручил учителю Хонской семинарии Петрову составить отдельно для мегрелов азбуку, конечно же, на основе русских букв и с помощью сотрудника этой семинарии и впоследствии «известного» Тада Ашордия, записал мегрельские народные сказки и стихи; эта книга должна была стать учебником в школах Самегрело. Т.Ашордия назначили на хорошее место, обеспечили материально и поручили изъять из школ Зугдидского уезда грузинский язык, если он еще где-нибудь остался, и содействовать внедрению русского языка.

Со своей стороны и у Ашордия появились агенты, и дело пошло: школы Самегрело превратились в т.н. фабрику отупения и перерождения детей. Одним выстрелом правительство сумело убить двух зайцев; министерство изъяло из школ Самегрело грузинский язык и поставило жителей Самегрело на путь русификации.

Единственно, где еще в Самегрело сохранился грузинский, как родной язык, были приходские школы. Причиной тому было богослужение на грузинском языке и, исходя из того, что школы были открыты при церкви, в таких школах должны были пользоваться грузинским языком. На этой почве сначала проводилась неактивная борьба между министерским ведомством и местным духовенством, в которой победителем пока оставалось духовное ведомство, но не надолго. Левицкий решил подойти к делу по-другому, поручив тому же самому Ашордия новую миссию – «миссию Георгия Мтацминдели». Ашордия должен был «перевести» Священное писание с грузинского на мегрельский. Это, по мнению Левицкого, должно было вытеснить грузинский язык из приходских школ Самегрело, но вся Самегрело как один поднялась на борьбу против таких непристойных и непрошенных защитников. И это всеобщее возмущение и негодование жителей Самегрело выразилось в обоснованном докладе епископа Гурии и Самегрело того времени Григола. Среди лучших сынов Самегрело был и Нико Дадиани, доказывающий с присущим ему мастерством всю беспочвенность и мерзость такого намерения. Доклад Григола основывался на доклад епископа Виссариона, от которого, как жителя Самегрело, потребовали высказать свою точку зрения по поводу перевода на мегрельский Священного писания. В комиссии, созданной епископом Виссарионом, работал и наш историк Т.Жорданиа, который в полной мере обосновал бессмысленность и непригодность такой попытки.

Доклад епископа Григола временно приостановил перевод Священного писания на мегрельский и, таким образом, в школах Самегрело остался грузинский язык.

Но в это время попечителем епархиальных школ экзархата Грузии был назначен дьякон И.Восторгов. На этот раз во главе духовного ведомства Грузии по делам образования оказался облаченный в рясу душегуб и палач, настоящий Ирод нашего молодого поколения, карьерист и наилучший исполнитель губительной политики русификации деспотичного правительства Российского государства. В кругах преподавателей стали обычным – донос, предательство, коварство, шпионство...

С особой силой разгул дьякона Восторгова проявился в Самегрело. Он смело заявлял: мегрелы – другая нация. Они ничего общего не имеют с грузинами, и поэтому грузинский язык не должен изучаться в их школах, вместо него следует обучать русскому, государственному языку. Под конец этот политикан в рясе настолько обнаглел, что посмел утверждать об этом и в прессе. Читатель, наверное, помнит ответ профессора Н.Марра. Академик Н.Марр сровнял с землей этого выскочку-дьякона, ослепленного политиканством, который влез в сферу, в которой не имел никакой ком-

петенции и проявил всего лишь свою несостоятельность.

Но теперь натиск на грузинский язык пошел с другой стороны. В Сухумскую епархию правительство посылало нам русских епископов, Эти епископы, и в особенности Арсений, приказали вести церковную службу в Самурзакано и во всей Абхазии на русском языке. При помощи жандармерии духовная власть преследовала всех, кто посмел бы высказать сокровенное желание прихожан и потребовал бы проведения богослужения на родном грузинском языке. Множество семей поплатились на этой почве.

Революция 1905 г. немного охладила рвения наших русификаторов. После революции, одновременно с началом реакции, вновь заработали темные силы. В 1918 г. в Поти по инициативе учителя Стефанэ Гагуа уже сами мегрелы выступили как последователи-добровольцы дела, начатого Левицким и Восторговым. Но их жалкие попытки расценивались нами как детские игры и не принимались всерьез до тех пор, пока в 1925 г., когда мы менее всего ожидали пробуждения такой авантюры, в Зугдиди началась подготовка почвы к созданию автономии. Группа მაფალუელთა послала в Москву прошение: «Освободите нас от суверенитета Грузии, примите во внимание бедственное положение пролетариата Самегрело и присоедините его непосредственно к пролетариату России».

Прошу у читателя разрешения закончить мое краткое повествование мегрельской пословицей: «Борзая гонится за зайцем, а за кем же гонится заяц?». Все знают за чем гнались левицкие и восторговы, а вы, «автономисты» Самегрело, за чем вы гонитесь?!...»

Грузия в 1918-1921 гг.

В 1918-1920 гг. в период трехлетнего восстановления независимости Грузии натиск имперских властей на этническо-языковую идентность, естественно, ослаб, и начался процесс восставления прав грузинского языка. Параллельно с этим правительство Грузии с традиционной грузинской толерантностью принялось восстанавливать права языков национальных меньшинств, что проявилось также в возможности выступления на родном языке граждан других национальностей в высшем законодательном органе государства. Делегату, избранному в парламент Грузии в 1918-1920 гг., предоставлялось право выступления на своем родном языке, если этим языком владел хотя бы один из членов президиума. Абхазия в составе Грузии получила статус автономии.

В 1918-1921 гг. было подготовлено множество юридических документов для возрождения независимой Грузии.

Документы:

Грузия в 1922-1990 гг.

С еще большей агрессией российская имперская политика проявилась после аннексии Грузии большевиками в 1921 г. Империя Ленина, затем Сталина, Хрущева, Брежнева, Горбачева стремилась не только раздробить территорию Грузии, но и внедрить в отдельные группы грузин отчуждение к картвельской истории, культуре и единой языковой идентности. Сталин и другие большевики хорошо знали, что для расчленения нации первостепенной задачей является отчуждение языка от создавшего его народа путем «лингвистических диверсий» (объявлением диалектов независимыми языками)...

27 ივნისი, 2012

## Грузия с древнейших времен до 1801 г.

(მოკლე რეზიუმე წიგნიდან „ქართველები“)

В V-III тыс. до н.э. территории Кавказа и Передней Азии населяли кавказско-хурритско-хеттские племена с языком эргативной конструкции. Куро-Аракская культура в основном связана с кавказско-хурритским населением.

В III тыс. до н.э. под натиском индоевропейских и других племен «народы с языком эргативной

конструкции» начинают быструю дивергенцию.

С конца II тыс. до н.э. до рубежа нашего летоисчисления на территории исторической Грузии проживали картвельские (говорящие на картвельских диалектах) племена: мушки/мосхи/месхи, даианы/диаухи/таохи, колайцы, тибарены, иберы/сасперы, куты/койты/квиты, кораксы, мары, бекейры, халидзоны/халибы, халды/калды, мосиники, дидзеры, дзидриты, макроны/макрокефалы, фасианы, меланклайны, жители Экриктики/экекейры, гениохи, саны/чаны, саниги/саники, лазы, абхазы, абаски, апсары, сваны/мисимиане, свано-колхи, амаранты (колхское племя), туски, кахи, кухи, цхумы, пховцы, эры...

В ущельях рек Халиси, Чорохи, Куры, Рион-Квирила, Ингури, Лиахви... расселенные картвельские племена вместе с некоторыми родственными племенами, селившимися по ту сторону Кавказа, с конца II тыс. до н.э. активно создают великую Колхско-Кобанскую культуру. Основным языком государства народа – создателя Колхской культуры предположительно был общекартвельский койне/язык.

Исторический литературный язык грузинского народа – язык духовной литературы (т.н. древнегрузинский язык) – опирался на общекартвельское языковое койне; современный вариант грузинского литературного языка и картвельские диалекты (лазско-мегрельский, сванский, месхский, картлийский и кахетинский, рачинский, эретский, пховский...) являются непосредственным продолжением общекартвельского и исторического литературного языка.

Анализ ономастического материала картвельских заимствований и т.н. датируемых топонимов, вошедших в языки соседних народов из картвельского, дает основание утверждать, что современные картвельский язык (литературный грузинский язык) и картвельские диалекты (мегрело-лазский, сванский, пховский и др. диалекты) берут свое начало с рубежа нашего летоисчисления.

Основная функция картвельского государства, существующего в I тыс. до н.э. определялась владением стратегических перевалов Кавказского хребта. Еще Плиний Старший писал: «Кавказские ворота делят мир на две част»...

В I-XV вв. стремились к господству в Грузии: Персия (Иран), Византия, Аравия, Монголия, Османия... Грузия выдержала натиск великих империй и параллельно создала великую культуру.

В XVI-XVIII вв. постоянные агрессии со стороны Ирана и Османии вынудили Грузию искать союзника в Западной Европе, но Европа, ажитированная открытием Америки при поисках дороги в Индию, не пожелала из-за Грузии противостоять великим восточным империям.

С самого же начала Россия под предлогом единоверства старалась приобрести доверие в Грузии и таким путем утвердиться на Кавказе (см., Документы послов кахетинского царя в Москве 1483 г.).

На «геополитической арене» борьбы за Кавказ Российская империя появляется в XVI в. (после того, как Иван Грозный присоединил Казанское и Астраханское ханства). Впервые в Грузию российские войска, как военная сила «дружественной страны», вошли в 1561 г. (с согласия кахетинского царя Левана), но вскоре Россия, уклонившись от противостояния с Ираном и Османией, в 1563 г. покинула Закавказье; более того, в 1564 г. Россия вывела свои войска из Северного Кавказа.

28 сентября 1587 г. царь Кахети Александр принял «Клятвенную грамоту», а в 1589 г. российский царь Федор послал в Грузию (Кахети) «Жалованную грамоту». «Эти акты 1587-1589 гг. – есть первый официальный договор между Россией и Грузией» (Н.Асатиани, История Грузии, 2001, с.269). Сближение Кахетинского царства с Россией привело в раздражение Иран, вследствие чего шах-Аббас несколько раз безжалостно разорил Грузию. С 1601 г. (государственный переворот в Кахети) до 1883 г. Иран установил фактический контроль в Восточной Грузии.

На рубеже XVII-XVIII вв. в России, которой в то время правил Петр I, вновь интересуются Кавказом (см., доклад Артема Волынского императору); в первую очередь ПетрI попытался изгнать турок из Приазовья и выйти к Черному морю. В середине XVIII в. Россия, ведущая войну с Пруссией, уже остерегается раздражения Османии и отказывается от Кавказа. В 1768 г. царь Имерети (Западная Грузия) Соломон I, воевавший с Османией, предлагает России партнерство, В том же году начинается русско-турецкая война, завершившаяся в 1774 г. Кучук-Кайнарджийским мирным договором (один из пунктов этого договора касался и Грузии).

24 июля 1783 г. в Георгиевской крепости был подписан т.н. Георгиевский трактат, вызвавший раздражение как Османии, так и Ирана; в частности, по инициативе Османии мусульманские ханства предпринимали частые набеги на грузинские царства и княжества. А 8-11 сентября 1795 г. новый лидер Ирана Ага Магомед-хан уничтожил войско Эрекле II, оставшееся без военной поддержки России.

В конце XVIII в. на маленькую и раздробленную на царства Грузию одновременно напали Османия и Иран. Россия же завершила окончательное уничтожение Грузии. В частности, под мантией единоверства российские завоеватели, игнорируя Георгиевский трактат 1801 г. и используя военную силу, упразднили Картли-Кахетинское царство и присоединили эту часть Грузии (см., Манифесты от 18 января и 12 сентября 1801 г.). Позднее Российская империя покорила и Западную Грузию (ср., у Турции осталась Южная Грузия – историческая Месхети).

Из трех великих геополитических игроков на Кавказе позиции уступил Иран.

Документы: Из секретного письма канцлера Российской империи графа Никиты Панина, направленного генералу Тотлебену 16 июля 1770 г.: «В Грузии следует вести дела таким образом, чтобы у местного населения была бы душа здешняя, русская, а тело – грузинское».

Ср., в этом же году был принят «Трактат об единстве иверийцев».

Грузия в 1802-1864 гг.: постепенное покорение Грузии и Кавказа

В 1803 г. правительство единоверной Российской империи оформило договор, аналогичный Георгиевскому трактату, с княжеством Одиши. Этот договор был фактически упразднен в 1857 г., когда правительницу Самегрело Екатерину Дадиани насильственно выселили в Россию (упразднение княжества Одиши было юридически оформлено в 1867 г.).

В 1808 г. аналогичный договор был оформлен Российской империей с Имеретинским царством; в 1810 г. она нарушила и этот договор и упразднила Имеретинское царство.

30 июля 1811 г. по приказу императора Александра I был упразднен престол каталикоса во Мцхета – должность каталикоса-патриарха была заменена должностью экзарха. Так российская церковь незаконно завладела грузинской автокефальной церковью (справедливость была восстановлена лишь век спустя).

В 1834 г. Россия подчиняет Сванетское княжество, в 1837 г. – Тебельду и Самурзакано.

В 1864 г. Российская империя упразднила также и Абхазское княжество; летом того же года, применив военную силу, завладела очагами последнего сопротивления кавказцев: Ахджипси и Псху. Завоеватели истребили большую часть местного населения (абхазцев, убыхов...), часть – выселили в Турцию (тем самым существенно изменив демографию Причерноморского региона) и официально объявили об окончательном завоевании Кавказа военным путем (в действительности кровавая завоевательская война на Кавказе продолжается и по сей день).

Документы: Главнокомандующий расположенной в Грузии российской армии генерал А.Тормасов в 1810 г. докладывал императору Александру I относительно Западной Грузии: «Разделив этот достаточно обширный край на четыре владения, каковыми, например, являются Имерети, Гурия, Самегрело и Абхазия, будет легко его сохранить... тем количеством войск, которые в данный момент находятся здесь, тем более тогда, когда появится возможность в необходимых случаях силу одного князя противопоставить силе другого» (Р.Ломинадзе, 2000, с. 128).

Также см. документы: Абхазия (Очерки из истории Грузии), 2007, с.250-252.

Грузия в 1865-1917 гг.: этнолого-лингвистические имперские диверсии

В 1864 г. Российская империя объявила об окончании столетней войны на Кавказе. После этого Россия начала активно применять вторую форму агрессии: для существенного изменения на Кавказе «демографического положения» чиновники Российской империи путем фальсификации этнолого-лингвистических квалификаций начинают разложение национальной идентности местного населения Кавказа, в первую очередь грузин. Россия готовилась к этому давно. С этой точки зрения заслуживает интерес доклад штабс-капитана Шаховского в 1834 г. наместнику царя на Кавказе Г.Розену:

«Для нас будет особо полезным, если ( в Сванети) будет введено “между прочим” богослужение на русском языке, что приковало бы к вам этих людей. Для осуществления этого, считаю необходимым: отобрать у нескольких священнослужителей-сванов их детей, обучить их Закону Божьему на русском языке, рукоположить в священники и отправить к своему народу, который примет их с радостью, а их отцы по собственной воле уступят свое место сыновьям».

Начиная с 60-х годов XIX в. Российская империя интенсивно старается внедрить в Грузии русский язык; параллельно с этим, стремясь ограничить ареал использования грузинского языка в Абхазии, Самегрело, Сванети, российские чиновники активизируют в Абхазии русский язык, а в Самегрело официальные документы издаются на мегрельском диалекте («языке»). С этой точки зрения показательны «Законы прав, которые приобретают крестьяне из крепостных в Самегрело (Зугдидского, Сенакского и Лечхумского уездов)...», составленные представителем царя на Кавказе, наместником, генерал-фельцехмейстером Михаилом от 27 января 1867г. Подписал: начальник главного управления Кавказа наместник, сенатор, статс-секретарь барон А.Николай».

Ср., название мегрельского варианта: “თი უფლება შენი, ნამუსოთი სამარგალოს მახორუუ (მაზრეფი: ზუგიდი, სენაკი, ლეჩხუმა) პატრონჭყორალიშე გშუულირი ყაზახეფი... ხე მოჭარილი რენ: ნაჩალნიკი კავკასიასი ნამესტნიკიში დუდი მართველობაში, სენატორი, სტატსსეკრეტარი ბარონი ა. ნიკოლაი” (დოკუმენტი იხ. აქვე).

Ср., также: В предисловии изданной в 1899 г. мегрельской азбуки автор Ал.Грен заявляет: «При составлении этой азбуки я ставил целью призвать как-нибудь, пусть даже косвенно, к национальной борьбе мегрелов, которые считаются более сильными из всех картвельских народов. Такая борьба воистину невозможна без собственной азбуки [той азбуки], с помощью которой мегрел выражал бы свои мысли как и его враг, в данном случае – грузин» (С.Хундадзе, 1940, с.104).

С идеологической точки зрения также представляет интерес секретное письмо военного губернатора Кутаисской губернии, генерал-майора Гершельмана (1900 г.), в котором говорится, что «... указом грузинско-имеретинской синодальной конторы от 17-го марта 1898 г. за №2771, преподавание грузинского языка в школах Абхазии и Самурзакани совсем воспрещено...»; на основании этого документа русские представляют самурзаканских (гальских!) мегрелов другой нацией, а их речь – другим «языком» и противопоставляют другим грузинам (Э.Дадиани, Т.Путкарадзе, Р.Шерозиа, «Европейская хартия о региональном или языке меньшинств и Грузия», 2009, с.21-39).

Действиям яновских, восторговых, ашордия должным образом отвечало население всех уголков Грузии, духовенство и грузинская интеллигенция.

Документы

Тедо Сахокиа («А за чем вы гонитесь?!»): «... Читатель наверно уже знаком с напечатанными в прессе статьями о несостоятельных, если хотите, предательских действиях и злых умыслов этих автономистов. При всеобщем возмущении не могу не присоединить своего голоса как грузина и, в частности, мегрела и не высказать своего негодования по отношению к этим выскочкам, непрошенным хозяевам Самегрело.

Самегрело, как неотъемлемая, органическая часть грузинского народа, которая испокон веков жила общей жизнью со всеми грузинами, вместе с ними несла тяжелое бремя жизни, вместе с ними создавала общую культуру, и сейчас, спустя столько веков выступает какой-то подонок и советует – ты должна отказаться от своей родной матери?!

Как, суверенитет Грузии «унижает» Самегрело, которую вся Грузия бережет как зеницу ока? Неужели в XX в. кто-то может заявить: мегрельский и грузинский – разные языки?! Разве другой тот мегрельский язык, в котором почти сто процентов слов с грузинским корнем? Тот мегрельский, который дополняет современный грузинский?! На мегрельском говорят в семье, в быту, но мегрельский, как характерный признак нации, не существовал, во всяком случае после Рождества Христова. Самегрело дала грузинской культуре лучших знатоков грузинского языка. Достаточно назвать имена выдающегося проповедника Антона Чкондидели и грузинского историка и составителя грузинской грамматики Т.Жорданиа, не говоря уже о других.

Об этом прекрасно знают и «мегрельские автономисты». Знают и все равно берут на себя роль защитников «мегрельского пролетариата» и кричат, и хотят кого-то убедить – народ Самегрело представляет отдельную нацию.

Нам стыдно вести спор об этой азбучной истине... Только хотим вынести на суд настоящую причину этого – почему данная неоспоримая истина явилась предметом споров?

Всем известно, что вопрос о мегрельском языке не стоял до прихода русских. Этот вопрос возник после обоснования русских в Грузии. Когда были упразднены княжества Грузии и различные части нашей родины объединились, российское правительство, почувствовав опасность этого объединения, решило искусственным путем раздробить нашу страну. В 1870-х годах Российская империя предприняла атаку на мегрельские школы, из которых министерство изъяло грузинский язык как неродной, и обучение велось с помощью русского языка. Так обстояли дела в «гражданских» и «нормальных» школах. Ученики в этих школах изучали грамоту грузинского (или как они говорили и сейчас говорят – «нашего») языка контрабандным, скрытым путем.

Так протекал процесс русификации в Самегрело до 1890 г. С этого времени начинается более «обоснованное» отрицание грузинского как родного языка, с помощью которого, согласно требованиям рациональной педагогики, должно было осуществляться воспитание и обучение подрастающего поколения Самегрело. С этого времени на арене появляется попечитель Кавказского учебного округа (по национальности поляк) Яновский и его помощник Левицкий (тоже поляк). Левицкий сначала ввел т.н. «немой» метод в школах, цель которого заключалась в непосредственном изучении русского языка без использования родного языка, а затем предлагал полное изъятие грузинского языка из всех школ Грузии. «Немой» метод Левицкого был встречен в штыки нашим блаженной памяти учителем Я.Гогебашвили, и этот метод не имел успеха в Восточной Грузии.

Совсем по-другому обстояли дела в Имерети, где Левицкий был губернским инспектором школ. Особый упор делался на мегрельские школы. Здесь в качестве аргумента использовали существование мегрельского, который представлялся якобы другим особым языком. Левицкому, конечно же, было невыгодно признание всего лишь внешнего различия и того, что грузинский, как литературный и родной язык, должен был занять свое место в школах Самегрело.

Левицкий поручил учителю Хонской семинарии Петрову составить отдельно для мегрелов азбуку, конечно же, на основе русских букв и с помощью сотрудника этой семинарии и впоследствии «известного» Тада Ашордия, записал мегрельские народные сказки и стихи; эта книга должна была стать учебником в школах Самегрело. Т.Ашордия назначили на хорошее место, обеспечили материально и поручили изъять из школ Зугдидского уезда грузинский язык, если он еще где-нибудь остался, и содействовать внедрению русского языка.

Со своей стороны и у Ашордия появились агенты, и дело пошло: школы Самегрело превратились в т.н. фабрику отупения и перерождения детей. Одним выстрелом правительство сумело убить двух зайцев; министерство изъяло из школ Самегрело грузинский язык и поставило жителей Самегрело на путь русификации.

Единственно, где еще в Самегрело сохранился грузинский, как родной язык, были приходские школы. Причиной тому было богослужение на грузинском языке и, исходя из того, что школы были открыты при церкви, в таких школах должны были пользоваться грузинским языком. На этой почве сначала проводилась неактивная борьба между министерским ведомством и местным духовенством, в которой победителем пока оставалось духовное ведомство, но не надолго. Левицкий решил подойти к делу по-другому, поручив тому же самому Ашордия новую миссию – «миссию Георгия Мтацминдели». Ашордия должен был «перевести» Священное писание с грузинского на мегрельский. Это, по мнению Левицкого, должно было вытеснить грузинский язык из приходских школ Самегрело, но вся Самегрело как один поднялась на борьбу против таких непристойных и непрошенных защитников. И это всеобщее возмущение и негодование жителей Самегрело выразилось в обоснованном докладе епископа Гурии и Самегрело того времени Григола. Среди лучших сынов Самегрело был и Нико Дадиани, доказывающий с присущим ему мастерством всю беспочвенность и мерзость такого намерения. Доклад Григола основывался на доклад епископа Виссариона, от ко-

торого, как жителя Самегрело, потребовали высказать свою точку зрения по поводу перевода на мегрельский Священного писания. В комиссии, созданной епископом Виссарионом, работал и наш историк Т.Жорданиа, который в полной мере обосновал бессмысленность и непригодность такой попытки.

Доклад епископа Григола временно приостановил перевод Священного писания на мегрельский и, таким образом, в школах Самегрело остался грузинский язык.

Но в это время попечителем епархиальных школ экзархата Грузии был назначен дьякон И.Восторгов. На этот раз во главе духовного ведомства Грузии по делам образования оказался облаченный в рясу душегуб и палач, настоящий Ирод нашего молодого поколения, карьерист и наилучший исполнитель губительной политики русификации деспотичного правительства Российского государства. В кругах преподавателей стали обычным – донос, предательство, коварство, шпионство...

С особой силой разгул дьякона Восторгова проявился в Самегрело. Он смело заявлял: мегрелы – другая нация. Они ничего общего не имеют с грузинами, и поэтому грузинский язык не должен изучаться в их школах, вместо него следует обучать русскому, государственному языку. Под конец этот политикан в рясе настолько обнаглел, что посмел утверждать об этом и в прессе. Читатель, наверное, помнит ответ профессора Н.Марра. Академик Н.Марр сровнял с землей этого выскочку-дьякона, ослепленного политиканством, который влез в сферу, в которой не имел никакой компетенции и проявил всего лишь свою несостоятельность.

Но теперь натиск на грузинский язык пошел с другой стороны. В Сухумскую епархию правительство посылало нам русских епископов, Эти епископы, и в особенности Арсений, приказали вести церковную службу в Самурзакано и во всей Абхазии на русском языке. При помощи жандармерии духовная власть преследовала всех, кто посмел бы высказать сокровенное желание прихожан и потребовал бы проведения богослужения на родном грузинском языке. Множество семей поплатились на этой почве.

Революция 1905 г. немного охладила рвения наших русификаторов. После революции, одновременно с началом реакции, вновь заработали темные силы. В 1918 г. в Поти по инициативе учителя Стефанэ Гагуа уже сами мегрелы выступили как последователи-добровольцы дела, начатого Левицким и Восторговым. Но их жалкие попытки расценивались нами как детские игры и не принимались всерьез до тех пор, пока в 1925 г., когда мы менее всего ожидали пробуждения такой авантюры, в Зугдиди началась подготовка почвы к созданию автономии. Группа მაფალუელთა послала в Москву прошение: «Освободите нас от суверенитета Грузии, примите во внимание бедственное положение пролетариата Самегрело и присоедините его непосредственно к пролетариату России».

Прошу у читателя разрешения закончить мое краткое повествование мегрельской пословицей: «Борзая гонится за зайцем, а за кем же гонится заяц?». Все знают за чем гнались левицкие и восторговы, а вы, «автономисты» Самегрело, за чем вы гонитесь?!...»

Грузия в 1918-1921 гг.

В 1918-1920 гг. в период трехлетнего восстановления независимости Грузии натиск имперских властей на этническо-языковую идентность, естественно, ослаб, и начался процесс восставления прав грузинского языка. Параллельно с этим правительство Грузии с традиционной грузинской толерантностью принялось восстанавливать права языков национальных меньшинств, что проявилось также в возможности выступления на родном языке граждан других национальностей в высшем законодательном органе государства. Делегату, избранному в парламент Грузии в 1918-1920 гг., предоставлялось право выступления на своем родном языке, если этим языком владел хотя бы один из членов президиума. Абхазия в составе Грузии получила статус автономии.

В 1918-1921 гг. было подготовлено множество юридических документов для возрождения независимой Грузии.

Грузия в 1922-1990 гг.

С еще большей агрессией российская имперская политика проявилась после аннексии Грузии

большевиками в 1921 г. Империя Ленина, затем Сталина, Хрущева, Брежнева, Горбачева стремилась не только раздробить территорию Грузии, но и внедрить в отдельные группы грузин отчуждение к картвельской истории, культуре и единой языковой идентности. Сталин и другие большевики хорошо знали, что для расчленения нации первостепенной задачей является отчуждение языка от создавшего его народа путем «лингвистических диверсий» (объявлением диалектов независимыми языками). Здесь же хотим отметить, что нынешняя российская империя (Россия Путина, Медведева, Дугина) сейчас стремится более совершенными методами достичь своей вековой цели – вечному господству на Кавказе путем расчленения грузинского народа.

«Лингвистические диверсии» с особой активностью осуществлялись в Грузии в начале 30-х годов прошлого столетия (хотя с этой точки зрения сегодня существуют больше риск-факторов!). Это был один из сложнейших периодов грузинского народа на протяжении всей его истории.

После вторичного покорения Грузии большевистской Россией свирепствовал социально-политический террор. Если царская Россия стремилась разобщить грузин посредством своих генералов, духовных лиц (яновских, восторговых, гершельманов...) и нескольких местных ренегатов (ашордия), то тактика большевиков оказалась более вероломной: поработитель, пришедший под лозунгом демократии и социального равенства, постарался осуществить свои цели, используя местных большевиков-коммунистов.

Стратегический план не изменился. Продолжалось подстрекательство не только абхазов, осетин, армян, азербайджанцев и др. против грузинского народа, но и планомерно осуществлялось

этническо-языковое разобщение грузин. Подобно царским чиновникам большевики объявили, что мегрелы, аджарцы, сваны, лазы, имеретинцы, хевсуры, тушины и др. не являются грузинами и притесняются грузинами Здесь же следует уточнить одну деталь.

Абхазам внушалось, что грузины являются их историческими врагами, что якобы грузины присваивают земли абхазов, потихоньку заселяя их, мешают развитию абхазской культуры и стремятся уничтожить абхазскую нацию. Некоторые абхазы действительно верили этой лжи, в то время как именно грузинская интеллигенция старалась остановить геноцид абхазов со стороны России... И сегодня, именно грузины могут остановить истребление абхазов Россией и полное завоевание Кавказа в целом.

Принципом «разделяй и властвуй» Российская империя действовала и в Самегрело; только здесь на первый план была выдвинута другая тактика; например, в период «советизации» русские не могли заставить большевиков Самегрело говорить то, что заставляли абхазцев, поэтому был найден другой «идеологический» фон: на первый план была выдвинута разработанная царской Россией ( патканян-яновские-ашордия-восторговы) тема – «Защитим притесняемый мегрельский язык». Большевистским лидером этого «движения» предстал первый секретарь Зугдидского райкома коммунистической партии Советского Союза Исак Жвания.

В 1925 г. партийный комитет г. Зугдиди рассмотрел вопрос и в том же году на заседании ЦК компартии Грузии было вынесено постановление о введении в школах и судах Самегрело мегрельского языка, а также об издании газеты на мегрельском языке. В 1928 г. из Москвы приехал инструктор ЦК Пшеницын, который объездил деревни Самегрело и сделал следующий вывод: «Мегрельским крестьянам следует дать школу, суд и популярные брошюры на родном языке». 25 марта 1929 г. секретарь ЦК Кахиани принял постановление о восстановлении привилегий мегрельского языка в школах, в судопроизводстве, следственных делах. В соответствии с этим постановлением в тех местах, где большая часть населения не владела грузинским языком (!), ведение всех дел, а также судопроизводство следовало осуществлять на мегрельском языке»...(И.Жвания, 1931, с.147).

Следует принять во внимание: в I и II пунктах постановления противопоставляются друг другу грузинский и мегрельский, а в IV пункте указывается, что постановления, приказы должны публиковаться как на государственном, так и на мегрельском языке.

Планирование такой языковой политики невозможно было без разрешения или указания российского правительства, в частности Сталина. Российская имперская машина продолжала движение, начатое в XVIII в.; только роль «мавра» исполняли уже другие (большевики Филипп Махарадзе,

Исак Жвания, Маманти Квиртия...).

После этого злосчастного постановления 1929 г. у И.Жвания и его сообщников были развязаны руки. Журналы и газеты стали печататься мегрельскими словоформами. В 1931 г. была напечатана книга И.Жвания: «Как боролось трудящееся крестьянство Самегрело за власть Советов». Главари империи придавали большое значение этой книге, что видно по ее 30-ти тысячному тиражу.

Большевистская «языковая диверсия» активно осуществлялась на протяжении шести лет (1929-1934 ). В 1934 г. подобные публикации прекратились. Имперские власти сняли с должности И.Жвания, которого вскоре уничтожили и физически.

Известно, что с середины 30-х годов И.Сталин старается показать миру многовековую историю своей დაბადების ადგილის "родины" – Грузии, гениальность Шота Руставели и т.д. Параллельно с этим глава грузинского правительства Л.Берия «с возмущением» докладывал Сталину, что ученые Института языкознания и Института антропологии всесоюзной Академии наук «растеряны» и «своими выводами противоречат друг другу» ( в первом варианте своего письма Л.Берия называет их пропитанными «великодержавным» духом. (Периодический журнал архивного управления Министерства внутренних дел Грузии: «Архивный вестник», VI, 2009, с.116).

Вопрос касается деления Грузии на разные национальности согласно переписи 1926 и 1937 годов всесоюзных академических кругов. В частности, в 1926г. Российская (советская) академия разделила Грузию таким образом: грузины (карталинцы, кахетинцы, тушины, пшавы и хевсуры, армяне джавахи, месхи, кларджи, таойцы, аджарцы, гурийцы, имеретинцы, рачинцы, лечхумцы), мегрелы, чаны, сваны, бацбы.

По данным Института языкознания АН СССР в 1937 г. была следующая картина: грузины, мегрелы, лазы, сваны, бацбы, аджарцы.

В том же году Институтом антропологии был составлен вариант, который впоследствии лег в основу «Словаря национальностей», Здесь грузинами уже считаются: мегрелы, лазы, сваны и бацбы, но аджарцы названы отдельной нацией. Л.Берия, знакомясь со всеми материалами, делает акцент на аджарцах и просит Сталина вмешаться и не допустить подобной ошибки в «Словаре национальностей», т. к. такое деление национальностей противоречит мнению вождя о нации.

Искоренение идентности грузинского народа с новой интенсивностью планируется Российской империей с 70-х годов XX в. 14 апреля 1978 г. советская империя предприняла попытку упразднить и без того умаленный статус грузинского языка – государственного языка Грузинской республики. Россия преследовала «великие» цели. Приводим фрагмент из секретного доклада Михаила Суслова (1902-1982), который был опубликован в журнале Парижского национального совета («Боевая Грузия», 26 мая, 2003):

«Коммунистическая партия – клей России, и пока этот клей не утратил своей силы, своих свойств, следует разработать план спасения России, который будет различным в разных республиках.

Мы должны создать нормальные условия жизни генералам, проживающим на Дальнем Востоке. Для их переселения нам нужна приграничная черноморская территория, где, как вам известно, живут грузины. Следует учесть, что грузины очень отличаются от нас, рано или поздно они поставят вопрос о независимости Грузии и потребуют свободы. Борьбу с ними следует начать с Абхазии. Используя Абхазию, нужно дать независимость Самегрело, Сванети, Аджарии и др. уголкам. Мы должны разжечь в них по отдельности провинциально-национальное чувство. Западную Грузию следует противопоставить Восточной Грузии, после этого мы должны исполнить функцию посредника между ними. Параллельно следует научным путем убедить грузин в том, что они являются переселенцами из различных стран, являются представителями разных народов, что даст нам возможность окончательно изгнать их с территорий Грузии».

Грузия в 1991 г.: Акт восстановления государственной независимости Грузии

С 9 апреля 1989 г. в Грузии начинается новый этап национального освободительного движения, который завершился многопартийными демократическими антисоветскими выборами 28 октября 1990 г. Национальные силы (блок: «Круглый стол – свободная Грузия»), пришедшие к власти в результате этих выборов, восстановили государственную независимость Грузии и российским воен-

ным силам присвоили статус оккупантов.

Законное правительство Грузии особое внимание уделяло сохранению культурно-языковой идентности абхазов и вопросам формирования государственных структур в автономной республике. Национальное правительство также заботилось об интеграции осетин и представителей других этнических групп, проживающих в Грузии. К сожалению, российская пропагандистская машина фальсифицировала внутреннюю политику национального правительства и, используя грузинских ренегатов, свалила на грузин, совершенные ею факты вандализма (например, расстрелянных в грузинских деревнях Цхинвальского района грузин объявили этническими осетинами и др.).

Законное правительство Грузии 31 октября 1991 г. провело всенародный референдум и 9 апреля объявило о восстановлении государственной независимости Грузинской республики. В России поняли, что правительство Звиада Гамсахурдиа навсегда рушило их планы о завоевании Кавказа.

Осенью 1991 г. Россия начала осуществление плана свержения правительства, стремящегося к независимости и присвоившего русским войскам статус оккупантов (к сожалению, Запад в то время ставил целью вывод стран Восточной Европы, в том числе прибалтийских, из сферы влияния России; Кавказ, Украина, Молдова, Средняя Азия остались в сфере влияния России)

Соответственно кремлевским инструкциям, грузинские путчисты подготовили план свержения правительства Грузии и осуществили его (это подтверждается признаниями Ираклия Батиашвили, Джаба Иоселиани и др., которые опубликованы в книгах и интервью).

Грузия в 1992-2008 гг.

В 1991 г. Россия не смирилась с перспективой ухода из Грузии. Несмотря на успешно проведенный референдум и объявление акта о восстановлении государственной независимости, в 1991-1993 гг., Грузию вынудили остаться в геополитическом пространстве России (См., Т.Путкарадзе, «Чего не дано Богом, т.е. о текущих процессах», газета «Сакартвелос республика», 28 сентября, 1991 г.).

На рубеже 1991-1992 гг. Россия в Грузии насильственным путем свергла законное правительство. Россия с помощью оружия свергла также законные правительства Азербайджана и Ичкерии, оставленных ею в «своем» геополитическом пространстве «окрес(следует отметить, что определенные силы до сегодняшнего дня скрывают суть этого события и осуществленный переворот окрестили» в гражданскую войну).

В 1992-1993 гг., провоцируя конфликты в Абхазии и Цхинвальском районе, российским военным силам удалось изгнать со своих исторических грузинских земель большую часть автохтонного населения (грузин, противников Кремля абхазов и осетин...)

Несмотря на это, правительство Шеварднадзе отменило статус оккупационных войск у российских военных соединений, более того, поработителя объявило «дружественной страной» и поручило российской армии миротворческую миссию в зонах т.н. грузино-«абхазского» и т.н. грузино-«осетинского» (в действительности же грузино-русского конфликта).

Начиная с 1993 г. на Кавказе начинается новый этап российской экспансии: после геноцида и свержения законного правительства наступает время российского капитала: стратегическими мощностями Грузии , расположенными на оккупированных и аннексированных территориях, в основном завладела Россия.

На сегодняшний день жизненно важными для Запада являются магистрали Баку – Тбилиси – Джейхан и Баку – Тбилиси – Батуми. Если для Америки и государств Западной Европы, Восточная Европа была вопросом достоинства и безопасности, то ресурсы Средней Азии и энергоносители Закавказья и для них, а также для Турции являются жизненно важными: только уход России из Закавказья обеспечит Европе энергетическую независимость.

После 10-летнего правления Шеварднадзе эти и другие факторы вскоре обусловили необходимость определенной корректировки геополитического баланса в Закавказье.

В 2003 г., поддержав «революцию роз», Запад значительно увеличил в Грузии силы евроатлантической ориентации, В результате возросла роль правительства Грузии как геополитического игрока, Это еще больше разожгло желание России вернуть сферу влияния на Кавказе; следствием этого

стала августовская агрессия 2008 г. – очередной этап российского реванша.

При активной поддержке США и Евросоюза удалось остановить российскую агрессию на подступах к Тбилиси. Это историческое событие повлекло за собой как отрицательные, так и положительные результаты для Грузии: погибло много граждан Грузии (грузинского и осетинского происхождения), тысячи грузин стали беженцам; фактически Грузия еще потеряла территории (Кодорское ущелье т.е.Верхнюю Абхазию, Ахалгорский район, грузинские деревни Цхинвальского района, деревню Переви Сачхерского района...); ослабло грузинское государство...

27 ივნისი, 2012

## 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

**"9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დღე"** /თანამედროვე გეოპოლიტიკური კონტექსტი/[1]

დღეს, 9 აპრილს, დილის 10.30 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ 1989 წლის 9 აპრილი არის ტრაგედიის დღე... ეტყობა, მან არ გაიაზრა, რომ, მაგალითად, დიდგორის სისხლისმღვრელ ბრძოლაში გამარჯვება არავის გამოუცხადებია ტრაგედიის დღედ... შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გამარჯვებას ახლავს დიდი ტკივილიც თანამებრძოლ გმირთა დაღუპვის გამო. 1989 წლის 9 აპრილს მე, ბევრი სხვა მონაწილის მსგავსად, ცოცხალი შემთხვევით გადავრჩი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იმ ღამეს მეც გააზრებულად გავწირე თავი ჩემი ქვეყნისთვის. ჩემს დღევანდელ მოხსენებას ხუთ ვრცელ თეზისად წარმოვადგენ:

1. **ქართველმა ერმა** მრავალი თავგანწირული ომი გადაიტანა; ბევრი მოვიგეთ, ბევრშიც დავმარცხდით... სწორედ ეს განუწყვეტელი ბრძოლაა ჩვენი ეროვნული იდენტობის ჩამოძერწვისა და ქართული ხასიათის წრთობის გზა...

1918 წლის 26 მაისს აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ დაამხო 3 წელიწადში და საქართველოს მოუვლინა 70-წლიანი სისხლიანი ოკუპაციისა და ანექსიის პერიოდი. შეგვიძლია თამამად ვთქვათ: **ქართველი ერის არსებობა ბრძოლაა ეროვნული მეობის (იდენტობის) შენარჩუნებისათვის;** დამპყრობელთან ერთ-ერთი ასეთი დიდი ბრძოლა გაიმართა 1989 წლის 9 აპრილის გმირულ ღამეს – ეს იყო ქართველი ერის სულიერი დიდგორი; ამ დღეს დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შეუქცევადი პროცესი, **რომელიც დე იურე დამთავრდა 1991 წლის 9 აპრილს, მაგრამ დე ფაქტო გრძელდება დღემდე.**

2. 1991 წლის 9 აპრილის "დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი" არის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, 9 აპრილს დაღუპულ გმირთა, ზოგადად, ამ პერიოდის ქართველთა მებრძოლი სულისკვეთებისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის / ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად/ მიერ 31 მარტის რეფერენდუმით დადასტურებული ნება: მაშინდელ საქართველოს სურდა, თავი დაეღწია კომუნისტური იმპერიის ოკუპაცია-ანექსიისათვის და მოეპოვებინა დამოუკიდებლობა.

ეს სურვილი ძვირად დაგვიჯდა: ისევ დაღვარეს ჩვენი სისხლი, საქართველო რუსულ ნეოიმპერიაში დე ფაქტო შეიყვანეს, მაგრამ 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა დე იურე ვეღარ გააუქმეს, იმიტომ, **რომ 9 აპრილი ორი დიდი დღის გაერთიანებაა: ერთი 9 აპრილი სულიერ-ზნეობრივი დიდგორია, მეორე 9 აპრილი საქართველოს დე იურე დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა;** ორივე 9 აპრილი ერთად კი არის კავკასიის რეგიონში დიდი გეოპოლიტიკური გადატრიალების დასაწყისი, გადატრიალებისა, რომელსაც სასიკეთო თუ სავალალო დასასრული უახლოეს მომავალში აქვს, **ანუ ბრძოლა დღესაც გრძელდება,** შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის სერიოზული გამოცდა თუ განსაცდელი ჯერ კიდევ წინ არის – დიდი გეოპოლიტიკური გადატრიალების დასაწყისი.

3. ჩვენ, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, უფალმა მოგვცა შესაძლებლობა, ზვიად გამსახურდიასთან ერთად ხელი მოგვეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე;

ეს ხელმოწერა არ არის ერთჯერადი ფაქტი; ესაა ჩვენი მარადიული ვალდებულება, ბოლომდე ვიბრძოლოთ ჩვენ მიერ დე იურე აღორძინებული სახელმწიფოს რეალური დამოუკიდებლობისა და გამთლიანებისათვის. 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით სამარადჟამოდ გამოხატულია საქართველოს მოსახლეობის სურვილი, რომ **დამოუკიდებელად იარსებოს** ქართულ ღირებულებებზე დაფუძნებულმა და ევროპულ დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებულმა საქართველოს სახელმწიფომ; ამ ზოგადეროვნული სურვილის რეალიზების გზაზე საქართველოს გაყვანა შეძლო ზვიად გამსახურდიამ:

ყველას კარგად ახსოვს, რომ ზვიად გამსახურდია ერთი ფურცლის ორ გვერდად მიიჩნევდა ეროვნულ და დემოკრატიულ იდეალებს; იგი იყო პირველი ქართველი მოღვაწე, რომელმაც დააარსა "საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი" – უფლებადამცველი პირველი ევროპული ორგანიზაცია კავკასიაში და შეძლო დამოუკიდებლობის მიზნით საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება...

ეროვნული ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა დღეს არანაკლებ აქტუალურია; გარდა ამისა, დღეს აქტუალურია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც; ანუ, ჩვენი მძიმე ბრძოლა გრძელდება.... ახლო მომავალში უფრო მეტი გართულებებია მოსალოდნელი.

4. ჩვენ, დღეს ცოცხალი ქართველები (და საქართველოს სხვა მოქალაქენი), პასუხისმგებელნი ვართ მრავალი მილიონი ჩვენი წინაპრისა და მრავალი მილიონი ჩვენი შთამომავლის წინაშე. **ეს პასუხისმგებლობა გვავალდებულებს,** ყველაფერი გავაკეთოთ საქართველოს ფასეულობების შენარჩუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად; საამისოდ კი აუცილებელია დღევანდელი თაობის (ამჟამად ცოცხალი ქართველების – საქართველოს მოქალაქეების) კონსოლიდაცია პრინციპების (და არა – მხოლოდ ერთი პიროვნების) გარშემო... ეს აუცილებელია, ვინაიდან ამჟამინდელი პოლიტიკური სპექტრის ურთიერთანგარიშსწორების ფონი ძალიან ჰგავს: **"კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს"...** კონსოლიდაციის დიდ შესაძლებლობას გვაძლევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ შექმნილი სააზროვნო და სამოქმედო სივრცე; შესაბამისად, შემთხვევითი ფაქტი არ არის, რომ უზენაესი საბჭოს წევრებს მასპინძლობს მისი უწმინდესობის მიერ დაფუძნებული ქართული უნივერსიტეტი.

კონსოლიდაციის გარდა, აუცილებელია, საქართველოს ამჟამინდელმა თუ მომავალმა ხელისუფლებამ სამართლებრივად შეაფასოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტები და მომავალი გარეაგრესიების წინააღმდეგ, პირველ რიგში კი საქართველოს დეოკუპაციისათვის, გამოიყენოს ის სამართალმემკვიდრეობა, რომელიც შექმნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (ეს სამართალმემკვიდრეობა დღემდე დანაშაულებრივადაა იგნორირებული).

5. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ორგვარი პრაქტიკაა: **სახელმწიფოს დაფუძნების დღის აღნიშვნა** (მაგ., შეერთებული შტატებში) და **დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღნიშვნა.**

საქართველოს სახელმწიფო ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაფუძნდა და სახელმწიფოს დაფუძნების დღე არავის ახსოვს; ბოლოჯერ **დამოუკიდებლობა კი აღდგა 9 აპრილს.**

26 მაისი არ არის საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე; 26 მაისი ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიული თარიღია, მაგრამ 26 მაისის შემდეგ იყო 70-წლიანი ოკუპაცია და ანექსია... თანამედროვე მსოფლიო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ცნობს 9 აპრილს გამოცხადებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით", შესაბამისად, **9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა.**

**ვფიქრობ, 9 აპრილი მომავალში დამოუკიდებლობის დღედ უნდა ვიზეიმოთ.**

**ტარიელ ფუტკარაძე**
2014 წლის 9 აპრილი, ქართული უნივერსიტეტი

[1] 2014 წლის 9 აპრილს, ოთხშაბათს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე /"9 აპრილი – ბრძოლა საქართველოს

დამოუკიდებლობისათვის”/ წაკითხული მოხსენება.

9 აპრილი, 2014 (16 ოქტომბერი, 2020)

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში

**შესავალი**

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში და, ამავე დროს, ერთ-ერთი იშვიათი, რომელმაც სახელმწიფო შექმნა ჯერ კიდევ ძვ. წ. XV-XIII საუკუნეებში (იხ., კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები) და დღემდე აქვს. ამ ხნის მანძილზე **საქართველო ზოგჯერ დამოუკიდებლობას კარგავდა ხოლმე,** მაგრამ ძირითადი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სამეფო დინასტია უწყვეტად შეინარჩუნა XIX საუკუნემდე. XIX-XX საუკუნეებში კი საქართველო ორჯერ გახდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი; კერძოდ, რუსეთის იმპერიამ **ე.წ. მცოცავი ანექსიის გზით** საქართველო ნაწილ-ნაწილ მიიერთა 1801-1865 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა 1918 წლის 26 მაისს, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა სამი წლის შემდეგ ისევ იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო. მხოლოდ 70 წლის შემდეგ –1991 წლის 9 აპრილს – შეძლო ქართველმა ხალხმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა: გამოაცხადა **„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“**, რომლის საფუძველზე მსოფლიომ ცნო საქართველო, როგორც თანამედროვე და დამოუკიდებელი სახელმწიფო1991 წელს არსებულ საბჭოთა საქართველოს საზღვრებში.

**პირველი მრავალპარტიული, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები საქართველოს სინამდვილეში და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება 1990 წლის 28 ოქტომბერს**

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე პირველი შეუქცევადი ნაბიჯი იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც დაინიშნა კომუნისტურ ხელისუფლებაზე ეროვნული მოძრაობის ზეწოლით. საბჭოთა იმპერიისათვის ამ უპრეცედენტო არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.** ახალარჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებისათვის აუცილებელი სახალხო განწყობა, რომელიც გამოვლინდა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმში. საერთო-სახალხო რეფერენდუმმა მთელ მსოფლიოს დაანახა, **რომ საქართველოს მოსახლეობის ნებაა ისტორიული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება.** რეფერენდუმის საფუძველზე კი 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ ყოველივეს წინ უძღოდა ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ლიდერების (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა...) ხელმძღვანელობით წარმოებული მრავალწლიანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ჩაიწერა:

**„საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად.**

**საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები...**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და**

**აღიარებს საქართველოს აღორძინებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი მტკიცე გარანტი იქნება".**

9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დეკლარირებული ორიენტირები ცხადყოფს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს **საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორი მშვიდობიანი გზით რადიკალურად შეიცვალა:** 200-წლოვანი რუსული ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ საქართველომ დატოვა რუსული გეოპოლიტიკური სივრცე და ცივილიზებული დასავლური სამყაროსკენ აიღო გეზი[1]. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო გეოპოლიტიკური რევოლუცია კავკასიის რეგიონში.

**საქართველოს მოსახლეობის დასჯა დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებისა და პროდასავლური არჩევანის გამო /ხელისუფლების ძალადობის გზით შეცვლა 1992-93 წლებში/**

რუსეთს არ სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რამდენადაც ექმნებოდა საფრთხე, მთელი **კავკასია დაეკარგა** (ასეა დღესაც). 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის გეოპოლიტიკური ველიდან გასვლას ესწრაფოდნენ, ასევე, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები და ბალტიის ქვეყნები. დამოუკიდებლობისკენ მათი სწრაფვა უფრო შეუქცევადი იყო, რამდენადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ცივილიზებულ დასავლეთს დე იურე არასოდეს უცვნია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. **საქართველოს მოსახლეობის ნების მიუხედავად, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ბედი დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მოლაპარაკების მაგიდაზე გადაწყდა:**

რუსეთის იმპერიამ ცივილიზებული სამყაროს ზეწოლით დათმო აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის ქვეყნები, მაგრამ რუსული გეოპოლიტიკური გავლენის ველში დარჩა შუა აზია, კავკასია, უკრაინა და ბელორუსია. რუსეთმა 1992-93 წლებში იარაღის ძალით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი კანონიერი ხელისუფლება[2]: **განდევნა პარლამენტი, მთავრობა, ადგილობრივი საკრებულოები** (ამავე პერიოდში რუსეთმა იარაღის ძალით შეცვალა აზერბაიჯანისა და იჩქერიის ის ხელისუფლებები, რომელთაც რუსეთისგან დამოუკიდებლობა სურდათ).

**1992-93 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობას მოჰყვა საქართველოსათვის მძიმე შედეგები;** კერძოდ, რუსეთისგან მართული კრიმინალური კლანების მიერ პროვოცირებული დაპირისპირებებით დე ფაქტო დაიკარგა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები: აფხაზეთი და ცხინვალის მხარე; ამ ძირძველ ქართულ კუთხეებში მოხდა ქართველთა გენოციდი: პრორუსულმა ძალებმა ბევრი ქართველი დახოცეს, 400 000-ზე მეტი კი დევნილად აქციეს; მოკლეს საქართველოს პრეზიდენტი და შეცვალეს დემოკრატიული გზით არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ აღდგენილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები და **9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით გაცხადებული პროდასავლური კურსი.** რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა არალეგიტიმურმა მთავრობამ (შევარდნაძის ხელისუფლების ოფიციალური აღიარებითაც კი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერი იყო 1995 წლამდე) 1993 წელს საქართველო ისევ დააბრუნა რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში – დსთ-ში. საქართველოს მოსახლეობა აღმოჩნდა მრავალწლიან გაუსაძლის გაჭირვებაში, სიბნელესა და კრიმინალურ გარემოში. პუტჩში მონაწილე სამხედრო ფორმირებების („მხედრიონი" და სხვ.) მიერ **განსაკუთრებული სისასტიკით დაისაჯა სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობა, რამდენადაც საქართველოს ამ კუთხეებში შეაფარეს თავი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებმა და აქაური მოსახლეობა უფრო დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას უკანონი რეჟიმის წარმომადგენლებს.** კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ კრიმინალური ჯგუფების მიერ განიავდა სახელმწიფო ქონება და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის კერძო საკუთრება; სრულიად მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები... **ფაქტობრივად, 1992-93 წლებში საქართველოში განხორციელდა გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია რუსეთის სასარგებლოდ** (საქართველოსათვის კი უმძიმესი შედეგებით).

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შეძლეს, შეენარჩუნებინათ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა: მრავალი მცდელობის მიუხედავად, საქართველოს დევნილმა ხელისუფლებამ, აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან განსხვავებით, სამართალმემკვიდრეობა არ გადასცა არალეგიტიმურ

ხელისუფლებას. ქართველმა ერმა /საქართველოს მოსახლეობამ/ დიდი ქართველი მოღვაწე, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოს ყველაზე გამორჩეულ ადგილას – გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში – დაკრძალა.

**საქართველოში რუსეთის აგრესიის არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებისა და ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის პრობლემა**

1992-93 წლებში საქართველოში კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლით საქართველოში დაიწყო **სამართლებრივი ვაკუუმი**, რომელიც დღემდე გრძელდება; განადგურებულ იქნა ეროვნული ორიენტაციის პარტიები; დაისადგურა დიდმა უსამართლობამ... ამ ყოველივეს დაერთო კარგად ორგანიზებული საინფორმაციო ზეწოლა საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაზე. საინფორმაციო ომის კონტექსტით არსებითია ის ფაქტი, რომ კრემლის იდეოლოგებმა საქართველოში განხორციელებული გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია **ტერმინოლოგიურადაც შენიღბეს და მას უწოდეს ე.წ. „სამოქალაქო ომი“ და „ქართულ-აფხაზური“ და „ქართულ-ოსური“ ეთნოკონფლიქტები.** ამგვარი კვალიფიკაციები ფართოდ გავრცელდა და ინერციით დღესაც გამოიყენება.

თავს დატეხილი ბევრი უბედურებისა თუ პრობლემების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობამ 2008 წლის 5 აპრილის პლებისციტით მხარი ისევ დაუჭირა ცივილიზებულ დასავლეთთან ინტეგრაციას – „ნატოს“ წევრობას, მაგრამ **საქართველო დღემდე მძიმე სიტუაციაშია:** საქართველოს მეოთხედი ისევ რუსეთის მიერაა ოკუპირებული, დანარჩენი ნაწილი კი დასავლეთისგან ელის ქმედით მხარდაჭერას. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საქართველოში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ქართველი ერის, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის ინტერესების ადეკვატური პოლიტიკური სპექტრი. **საქართველოს ღირსებისა და ინტერესების დამცავი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია საქართველოში ბოლო 25 წელიწადში განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება.** საქართველოში სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს 1992-93 წლების პუტჩის სამართლებრივი შეფასებითა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებით.

**საკითხის ისტორიისათვის:** 2004 წელს დევნილი კანონიერი ხელისუფლების წერილის პასუხად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით (#174 2004 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი) შეიქმნა: „1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი ორმხრივი სახელმწიფო კომისია“; გთავაზობთ პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულების ტექსტს:

**პრეზიდენტის განკარგულება „1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის“ შექმნის შესახებ:**

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის14 თებერვლის # 60 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-7 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

შეიქმნას საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ივანე მერაბიშვილი** – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე; **ზურაბ ადეიშვილი** – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი; **ირაკლი ოქრუაშვილი** – საქართველოს გენერალური პროკურორი; **გიორგი ანდრიაძე** – საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი; **მანანა არჩვაძე-გამსახურდია** – კომისიის წევრი; **ტარიელ ფუტკარაძე** – კომისიის წევრი; **მანანა ტაბიძე** – კომისიის წევრი; **მერაბ რაფავა** –კომისიის წევრი.

**თითქმის ნახევარწლიანი გამოძიების შემდეგ გამოვლინდა ბევრი აშკარა სამხილი, მაგრამ**

**მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ისურვა ხელისუფლების დამხობის ფაქტის სამართლებრივი შეფასება** მიუხედავად იმისა, რომ მე და პროფესორმა მანანა ტაბიძემ მრავალგზის მოვითხოვეთ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარმოებული გამოძიების ბოლომდე მიყვანა (ინტერესთა კონფლიქტი რომ არ დაებრალებინათ, **ეს კომისია თავიდანვე დატოვა** მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ).

**ორმხრივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის შეჩერების არსებითი მიზეზი:** 1992-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პუტჩის ობიექტური გამოძიება საზოგადოებას დაანახებდა და დაანახებს ხელისუფლებაში დღესაც მყოფ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის რეალურ სახეს; პოლიტიკოსთა ამ გავლენიან ნაწილს ურჩევნია, 1991-93 წლების იმპერიულ-კრიმინალური პუტჩი და ბალტინ-ბეპაევის ტანკებით რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა მონათლონ „სამოქალაქო ომად“; სწორედ პრორუსული ძალების დაწოლით უკან დაიხია პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მის მიერ შექმნილ საპრეზიდენტო კომისიასა თუ გენერალური პროკურორის მიერ შექმნილ საგამოძიებო ჯგუფს ბოლომდე არ მიაყვანინა წარმატებით დაწყებული გამოძიება.

შდრ., პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 21 თებერვლის № 174 განკარგულების საფუძველზე საქართველოს გენერალური პროკურორის – ზურაბ ადეიშვილის – ბრძანებით შექმნილი „ერთობლივი კომისიის“ საგამოძიებო ჯგუფის დადგენილებაში ვკითხულობთ:

**„საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებისა და ასევე ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის პირველი დღეებიდანვე ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ დაიგეგმა და მეთოდური იერიში განხორციელდა ოპოზიციურ ძალებს მიტმასნილი და მისი სახელით მოქმედი პირებისა და იმპერიული ძალების მიერ.** სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი და სხვა ოფიციალური პირები ღიად აფრთხილებდნენ ქართველ ხალხს და საქართველოს პრეზიდენტს, რომ მათ მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე გადადგმული ნაბიჯები სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში.

**იმპერიული ძალების ქმედების გასანეიტრალებლად საჭირო იყო შესაბამისი პრაქტიკული ზომები ქართული სახელმწიფოს მხრიდან.** აღნიშნული მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის – რუსეთის იმპერიის – შეიარაღებული ძალები გამოცხადდა საოკუპაციო სამხედრო ძალად და დაისვა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მისი გაყვანის საკითხი“.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები**

2004 წელს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტის გამოძიება ბოლომდე რომ მისულიყო, ვფიქრობ, დღემდე ბევრი რამ დადგებოდა თავის ადგილას საერთაშორისო სივრცეშიც და საქართველოშიც; შდრ.: პუტჩის შემდეგ დღემდე პოლიტიკური სპექტრიდან განდევნილია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მატარებელი პარტიების დიდი ნაწილი, კერძოდ, ფაქტობრივად დღემდე იგნორირებულია იმ უზენაესი საბჭოს ფუძემდებელი პარტიები, რომელმა უზენაესმა საბჭომაც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შეძლო 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადება და შემდეგი კანონების მიღება:

საქართველოს კანონი „გარდამავალი პერიოდის შესახებ“ (1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ მიიღო ეს კანონი, რომ უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო საბჭოთა იმპერიის სტრუქტურების ჩანაცვლება ქართულ სახელმწიფოებრიობაზე ორიენტირებული სამსახურებით); მას მოჰყვა სხვა კანონები და დადგენილებები:

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო დროშის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო გერბის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ჰიმნის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ;

– დადგენილება „შინაგან ჯარებში – ეროვნულ გვარდიაში გაწვევის დებულების შესახებ“;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრივატიზაციის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ; აქვე აღვნიშნავთ, რომ 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში გაიმართა ზვიად გამსახურდიას შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინთან. შეხვედრის შემდეგ მიღებულ ოქმში რუსეთის პრეზიდენტის თანხმობით ჩაიწერა ტერმინი ,,ყოფილი სამხრეთ ოსეთი'', რითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში დადასტურდა ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტი;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სასამართლო რეფორმის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრეფექტურების შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკრებულოების შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება სამოქალაქო და რელიგიური დღესასწაულების შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 კაცს (90,3 პროცენტი). რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

– 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი; 1991 წლის 9 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია (№ 94) „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ“.

– საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ; 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია.

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ორგანიზებით 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნები. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 89,59 პროცენტმა ხმა მისცა ზვიად გამსახურდიას და იგი გახდა ხალხის მიერ არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

– საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ;

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე

დისლოცირებული სსრკ ჯარებისათვის „საოკუპაციო ჯარების სტატუსის“ მინიჭების შესახებ (1991 წლის 15 სექტემბერი);

– საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამნისტიის შესახებ;

**შენიშვნა:** 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას: ალმა-ატაში დსთ-ს სახელით გაფორმდა რუსეთის მოდერნიზებული იმპერია: სსრ კავშირის მემკვიდრე გახდა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო. ამის გამო რუსეთმა მეორე დღესვე, 22 დეკემბერს დაიწყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ოპერაცია; ხელისუფლების დამხობის პროცესი დასრულდა 1992 წლის 6 იანვარს.

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 22 დეკემბერს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ (მიღებულ იქნა დევნილობის პერიოდში);

– დადგენილება ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (მიღებულ იქნა დევნილობის პერიოდში)...

**საქართველოს ინტერესების დამცველი პოლიტიკური სპექტრის პრობლემა საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის ფონზე**

სასამართლოს წესით დღემდე შეუფასებელია ზემოთ დასახელებული კანონებისა და სამართლებრივი დოკუმენტების შემქმნელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იარაღის ძალით დამხობის ფაქტი. **ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეცაა, რომ საქართველოში ვერ ყალიბდება საქართველოს ინტერესების დამცველი პოლიტიკური სპექტრი და ამიტომაც საქართველო აგებს საინფორმაციო ომს თითქმის ყველა მიმართულებით; საქართველოს დანაწევრების მოსურნეთა მიერ წარმატებით ხორციელდება:**

– საქართველოს ისტორიული კუთხეების: აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის, ხევსურეთის, თუშეთის, ცხინვალის, ჯავახეთის, სამცხის, ტაო-კლარჯეთის და სხვა მხარეების ისტორიის გაყალბებით ანტიქართული იდეოლოგემების ჩამოყალიბება და მთელ მსოფლიოში გავრცელება;

– მილიარდ-ნახევარი მაჰმადიანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საზღვარზე არსებულ საქართველოში რელიგიური დაპირისპირების პროვოცირება;

– რუსეთის აგრესიის სახელდება ე.წ. „სამოქალაქო ომად“, „ქართულ-აფხაზურ“ და „ქართულ-ოსურ“ ეთნოკონფლიქტებად (სინამდვილეში კი ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ქუთაისსა თუ თბილისში მრავალ აფხაზსა და ოსს მშვიდობიანი თანაცხოვრება აქვს ქართველებთან);

– არაქართული ეთნიკური ჯგუფების სტიმულირება, დაუპირისპირდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას;

– დაუსაბუთებელი ე.წ. ენათმეცნიერული თვალსაზრისის პროპაგანდა, რომლის მიხედვითაც ქართველური ენობრივი სამყარო ნაწევრდება რამდენიმე ქართველურ ენად და ამ საფუძვლით შედგენილი ე.წ. ეთნიკური რუკები ვრცელდება მთელ მსოფლიოში (რომელთა მიხედვითაც დასავლეთით ქართული ენის საზღვარია სამტრედია, ჩრდილო-დასავლეთით კი – ცაგერი); შედეგად დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობა, რომლის საბოლოო მიზანია საქართველოს საბოლოო დანაწევრება;

– ტრადიციული ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირების დისკრედიტირება თუ შეცვლის მცდელობა და სხვ.

**არსებულ სიტუაციაში რეალური საფრთხე ემუქრება როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ასევე ქართველი და აფხაზი ხალხების იდენტობას.** კრიზისიდან გამოსავლის მოძებნა შესაძლებელია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობებისა და გამოკვეთილი სტრატეგიის აღორძინების შემთხვევაში; პირველ რიგში კი, აუცილებელია1991-93 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტის გამოძიება საერთაშორისო მონიტორინგის პირობებში. აუცილებელია იმიტომ, რომ კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს – საქართველოს – ხელისუფლებაში კვლავ არ მოხვდნენ პირები, რომლებიც ბოლო წლებში არაერთხელ იქცნენ გარეშე ძალების ნების აღმსრულებლებად; აუცილებელია იმიტომაც, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ ობიექტურად შეაფასოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია და წარმოჩნდეს აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარე კონფლიქტის

არსი, ასევე, 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის რეალური მიზანი – **საქართველოს დასჯა ნატოში გაწევრიანების პლებისციტის (2008) ჩატარების გამო;** შდრ.: პლებისციტის კითხვა იყო: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?"

| | დიახ | არა | სულ |
|---|---|---|---|
| ხმების რაოდენობა | 1,355,328 | 404,943 | 1,760,271 |
| % | 77.00 | 23.00 | 100.00 |

**ამ შედეგებით გამოჩნდა:** ქართველი ერის თანამედროვე თაობა შორს არის **გულუბრყვილო მოლოდინისგან**, რომ უახლოეს მომავალში ნატო იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის ასპროცენტიანი გარანტია; თუმცა თვლის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი **ძირეული ინტერესის – საქართველოს დამოუკიდებლობა და სამართლიანობაზე ორიენტირებული სახელმწიფო – განხორციელების ყველაზე ეფექტური და პრაგმატული სტრატეგიაა ნატოში გაწევრიანება.** სწორედ დასავლური არჩევანის გამო ბოლო 25 წელიწადში საქართველო მეორედ დაარბია რუსულმა ჯარმა (პირველად –1992-93 წლებში).

უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში მომხდარი სახელმწიფოებრივი დანაშაულების სამართლებრივი შეფასების პარალელურად, აუცილებელია:

**ა) საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ქართული ენის მაკონსოლიდირებელი როლის წარმოჩენა და ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება;** ყველა სახის უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების ორგანიზებით საქართველოს სახელმწიფოში მათი ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა; ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის – ქართველთა კუთხური მეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, ხევსურულის, ტაოურის, თუშურის...) – შენარჩუნებისათვის ზრუნვა და ყველა ქართველური მეტყველებით ქართველთა საერთო სამწიგნობრო ენის/კულტურის გამდიდრება; ქართული ენის ტექნოლოგიზება / ქართულიდან და ქართულად აკადემიური ავტომატური თარგმანის განხორციელება და სხვ./, „ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნა"/სადაც შევა სალიტერატურო ენისა და მისი ქვესისტემების – მეგრულის, სვანურის, ლაზურის, ტაოურის, ხევსურულის, იმერულის, ქართლურის... მონაცემები/ და ქართველოლოგიური კვლევების ორგანიზება;

**ბ) საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ქართულენოვანი მართლმადიდებლობის/ საქართველოს ეკლესიის/ განსაკუთრებული როლის აღიარება;** ქართული კულტურის ჩამოძერწვისა და ქართველთა ეთნიკური მეობის გადარჩენის კუთხით ქართულენოვანი მართლმადიდებლობის ისტორიული როლის გამოკვეთა სხვა კონფესიის ქართველთა, ზოგადად, სხვა კონფესიათა პატივისცემის ფონზე; ასევე, ქართულენოვანი მართლმადიდებლობის, როგორც საუკუნეების წინანდელი პროდასავლური არჩევანის, წარმოჩინება; ზოგადად, მსოფლიო საზოგადოებისათვის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული პროდასავლური არჩევანის წარმოჩენა;

**გ) საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ავტოქთონი ქართველების(საინგილოს, ლორე-ტაშირის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის მკვიდრი ქართველობის) ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის ზრუნვა** /ამ რეგიონებში ძალიან დიდია ქართული ენისა და ქართველთა ეთნიკური მეობის გაქრობის საფრთხე/;

**დ) განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიულ დოკუმენტში არა ზოგადად მოქალაქის, არამედ საქართველოს მოქალაქის აღზრდაზე ორიენტირება;** სწორი სახელმწიფოებრივი(ნაციონალური) ორიენტირების მკაფიოდ გამოკვეთა და ერთიან სახელმწიფოში მოქალაქეთა ინტეგრაციის პროცესის ინტენსიურად წარმართვა.

**ე) საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფა:** რუსეთის იმპერია და მისი მხარდამჭერი ფსევდოდასავლური ძალები 150-წლიანი „ტრადიციის“ კვალად ცდილობენ (ახლა უკვე soft-power-ის ფორმატით) ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას („ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს“) და საინფორმაციო შეტევით საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და საქართველოს პოლიტიკური სპექტრის სრულ დისკრედიტაციას, ასევე, საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტაციას. დღეს პუტინის კლანის მიერ მართული რუსეთი თავისი „უხეში“ და „რბილი“ ძალების კოორდინირებული ქმედებებით აქტიურად ცდილობს, საქართველო საბოლოოდ დააბრუნოს თავის გეოპოლიტიკურ ველში (ევრაზიული ამბიცია!). პრორუსული პოლიტიკური ჯგუფები თუ სუბიექტები ისევ გადანაწილებული არიან დაპირისპირებულ ბანაკებში და ცდილობენ, მართონ დასავლეთელი ექსპერტებისა თუ რეგიონის მოსახლეობის განწყობა (ისევ აპელირება არარსებულ დიქტატურაზე, დემოკრატიის არარსებობაზე, უმცირესობათა უფლებებზე და სხვ.).

**ამ ფონზეა აუცილებელი საქართველოს პოლიტიკური თუ სამეცნიერო ელიტის მობილიზება, რომ საერთაშორისო სივრცეში თუ საკუთრივ საქართველოში დაბალანსდეს რუსეთის მიერ საუკუნის მანძილზე შექმნილი ე.წ. მეცნიერული იდეოლოგემები.**

ვფიქრობ, საქართველოს ჯერ კიდევ აქვს რეალური ისტორიული შანსი, ნატოსა თუ ევროკავშირზე ორიენტირებით დე ფაქტოც სრულად დააღწიოს თავი რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეს (დე იურე ეს მოხდა 1991 წლის 9 აპრილს) და ააღორძინოს ქართველურ ფასეულობებზე, სამართლიანობასა და დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული სახელმწიფო. ეს შესაძლებელი გახდება, თუკი ადეკვატურად შეფასდება ბოლო 25 წლის ისტორია და საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლით რუსეთი დატოვებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს და ე.წ. კონფლიქტურ მხარეებში აღდგება მშვიდობიანი თანაცხოვრება. ამ გზაზე, პირველ რიგში, აუცილებელია 9 აპრილის ფენომენის არსის წარმოჩენა.

**9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე**

ვფიქრობ, 9 აპრილი არის 200-წლიანი რუსული ოკუპაციის პირობებში დაკარგული თუ გაუფერულებული ქართული ეროვნული ორიენტირების დაბრუნების სიმბოლო და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; არადა, დღემდე, ოფიციალურადაც კი 9 აპრილი გლოვის დღედ ან ტრაგედიის დღედ განიხილება.

**1989 წლის 9 აპრილს მოწინავე ქართველების გმირულმა წინააღმდეგობამ გააერთიანა ქართველი ერი (საქართველოს მოსახლეობა) ეროვნული ფასეულობების გარშემო, იმ ღირებულებების გარშემო, რომელთაც ამდენ ხანს გააძლებინეს ქართველ ერს. ეს ფასეულობები განსაზღვრავდა და მომავალშიც განსაზღვრავს ქართველობის სიცოცხლისუნარიანობას და თავგანწირვას.** ყველას, ვინც 1989 წლის აპრილის დასაწყისში მასშტაბურ ეროვნულ აქციაზე უიარაღოდ ვიდექით რუსული ტანკების წინ, სრულად გვქონდა გააზრებული სიკვდილის საფრთხე[3]; მზად ვიყავით საქართველოსთვის თავის გასაწირად. იმპერიის მხრიდან სასტიკი ანგარიშსწორების შესახებ ბოლო საათებში **მომიტინგენი გაგვაფრთხილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, ილია მეორემ;** ხანგრძლივი დუმილის შემდეგ აქციის ყველა მონაწილე ადგილზე დავრჩით; მტრის ტანკების პირისპირ ჩვენთან ერთად დარჩა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც... **ეს იყო მთელი ქართველი საზოგადოების ზნეობრივი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; ამ ბრძოლაში გამორჩეულთა ხვედრი გახდა მოწამეობრივი სიკვდილი.** 1989 წლის 9 აპრილის დილას რუსთაველზე ეროვნული ელიტა თუ იყო შეკრებილი, 10 აპრილს მთელი საქართველოს მოსახლეობა იდგა ამ ეროვნული ელიტის გვერდით. **რეალურად, ეს იყო სრული ეროვნული კონსოლიდაცია, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.** 9 აპრილს მომიტინგეთა შეუპოვრობამ გააერთიანა ქართველი საზოგადოება და საქართველოში მცხოვრები სხვა მოქალაქეები თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს იდეის გარშემო; **ამ ერთიანობამ შვა საქართველოს დამოუკიდებლობა;** კერძოდ, ზვიად გამსახურდიას მიერ მობილიზებულმა სახალხო მოძრაობამ საქართველოს მოსახლეობას აჩვენა, რომ დამოუკიდებლობის იდეა გადამრჩენია როგორც პიროვნებისა, ასევე, ზოგადად,

ქართველი ერის მომავლისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისა; ამ იდეით კონსოლიდირებულმა მოსახლეობამ 1991 წლის 31 მარტს თითქმის ერთხმად განაცხადა, რომ აღარ სურს ყოფნა საბჭოთა იმპერიაში, რუსულ იმპერიაში და სურს დამოუკიდებელი ცხოვრება![4]

1989 წლის 9 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ უიარაღოდ გაიმარჯვა საბჭოთა იმპერიაზე, რასაც მოჰყვა შეუქცევადი პროცესები: კომუნისტური პარტიის დაშლა, ეროვნული პარტიების შექმნა, საქართველოს კოლაბორაციონისტული მთავრობის უსუსურობა და ეროვნული ხელისუფლების არჩევის აუცილებლობა და სხვ.

9 აპრილს დისტანციიდან თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ: **1989 წლის 9 აპრილი იყო „გამოსვლა ეგვიპტიდან", ეს იყო გააზრებული გადაწყვეტილება და დამოუკიდებლობისკენ სვლის დაწყება, ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების, როგორც ორიენტირების, აღორძინება!**

1989 წლის 9 აპრილი არის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დასაწყისი, ხოლო 1991 წლის 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე გაფორმებაა (თუმცა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დღემდე გრძელდება). მთლიანობაში **9 აპრილი არის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო და არა – გლოვის დღე** (9 აპრილი გლოვის დღეა რუსეთის იმპერიისათვის). გამარჯვებით დასრულებულ ყველა ბრძოლაში დაცემულა გმირი მებრძოლი; ამის გამო არავის გამოუცხადებია გამარჯვების დღე გლოვის დღედ: დიდგორშიც დაიხოცნენ გმირები, მაგრამ ეს დღე გლოვის დღედ არავის გამოუცხადებია.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ აღზევდა ეროვნული მოძრაობა: „საბჭოთა ხალხი" სწრაფად ტრანსფორმირდა ნაციად, ერად. ერს აღარ სურდა რუსულ იმპერიაში ცხოვრება და ეს სურვილი რომ რეალურ ქმედებაში გადასულიყო, ზვიად გამსახურდიამ მართებული გზა აარჩია: არასაბჭოთა, დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვება და რეფერენდუმის გზით ხალხის ნების დაფიქსირება. 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგ – 1991 წლის 9 აპრილს – მართლაც შეიქმნა საერთაშორისო სამართლის დონეზე გააზრებული დოკუმენტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რითაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ სურს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. მსოფლიომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო სწორედ 9 აპრილის აქტის საფუძველზე; შესაბამისად, ბუნებრივია, რომ **საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილია** (და არა 26 მაისი). დამატებითი არგუმენტის სახით აქ მოკლედ ვიტყვი: დამოუკიდებლობის დღე მსოფლიოში ცხადდება ორი საფუძვლით:

– სახელმწიფოს დაფუძნების დღის მიხედვით – ეს დღე ჩვენ არ გვახსოვს, ეს იყო 23 საუკუნის წინ, თუ ჩვენ ავითვლით ფარნავაზიდან და ქუჯიდან; 33-35 საუკუნის წინ, თუკი ავითვლით აიეტის კოლხეთის მიხედვით...

– არსებობს მეორე პრაქტიკაც: დამოუკიდებლობის დღედ ცხადდება ბოლო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. შდრ.: დღემდე საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნება 26 მაისი, მაშინ როცა 26 მაისი არ არის არც საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე და არც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ის დღე, რომლის საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფოებრიობა ცნო მთელმა მსოფლიომ. საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო აღდგენა იყო 9 აპრილს; ასე წერია კიდეც მოქმედ კონსტიტუციაში; გაეროს დოკუმენტებშიც აღნიშნულია, რომ 9 აპრილის აქტის საფუძველზე გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; მაგ., **საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პირველივე მუხლში ვკითხულობთ:**

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით".

ლოგიკურია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნებოდეს 9 აპრილი (რამდენადაც, არავის ახსოვს მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე (რომელიც იყო, სულ მცირე, 24 საუკუნის წინ). რამდენადაც 9 აპრილი არის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისა (1989 წ 9 აპრილი) და დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღე (1991 წლის 9 აპრილი). პირადად, ჩემთვის 9 აპრილის მონაწილეები გმირები არიან, ხოლო დაღუპულები – წმინდანები; მათი სულები ხარობენ, რადგან საქართველოსთვის ბრძოლას შეეწირნენ. სამყარო

არ არის ოდენ ხორციელი სივრცე; სამყარო არის სულიერი და ხორციელი ველების ერთიანობა. ადამიანის ხორციელი სამყარო არის, მაქსიმუმ, 100-წლიანი, სულიერი სამყარო კი მარადიულია. ხორციელ სამყაროში ფიზიკური ყოფნა ადამიანის მუდმივი გმირობის საფუძველია, წმინდანობის საფუძველია. ვინც დათმო ხორცი ქვეყნისთვის, სულისთვის, ის წმინდანია. ამიტომ გაუმართლებელია 9 აპრილის გმირების გამოცხადება ე.წ. ტრაგედიის მსხვერპლად, ისინი ბრძოლაში დაღუპული გმირები არიან და წმინდანების რანგში უნდა განვიხილოთ, რამდენადაც მათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გაწირეს ხორციელი სიცოცხლე.

სამწუხაროდ, დღემდე საქართველო არ არის სრულად დამოუკიდებელი; ჩვენი ტერიტორიების ნაწილი დე ფაქტო ოკუპირებულია; იქიდან ქართველობა გამოდევნილია; გაცილებით ბევრი ქართველი მოკლეს ოკუპანტებმა ქართველობისათვის (ვიდრე 9 აპრილს); ქართველობისათვის დევნილნი არიან ჩვენი ძმები და დები აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან და ისინი არანაკლებ ტანჯულნი არიან და არანაკლები გმირები არიან, ვიდრე 9 აპრილის გმირები... ამდენი გმირობა უთუოდ მოიტანს შედეგს და საქართველო სრულად იქნება დამოუკიდებელი, ჩვენი მემკვიდრეები კი წინაპრების დატოვებული დედაენისა და კულტურის განმავითარებელნი... მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე არსებობს; ჩვენი სამომავლო ამოცანაა, დე ფაქტოც დავიბრუნოთ ის, რაც ჩვენი წინაპრების სისხლით ჩვენამდე იყო შენარჩუნებული. თავისთავად არაფერი ბრუნდება; აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის სწორი ორიენტირება და ქვეყნის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა; ეს კი შეუძლებელია, შორეული თუ უახლოესი წარსულის არაობიექტური განსჯის პირობებში. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საქართველოს შემდგომი ხელისუფლებების მიერ (დღემდე) ფაქტობრივად უსამართლოდ და მიზანმიმართულადაა მივიწყებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღვაწლიც, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრების თავგანწირვაც [5] და 9 აპრილის მოვლენების რეალური არსიც.

**საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი და ქართველი ერის კონსოლიდაცია**

საქართველოში და საქართველოს გარშემო მიმდინარე მოვლენების შეფასების მიმართულებით ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის** მიერ დაფუძნებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; კერძოდ, ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, **მეუფე იაკობის კურთხევით უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე** 2011 წლიდან ყოველი წლის 9 აპრილს საზეიმო შეხვედრაზე ოფიციალურად იწვევს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებს.

**საყურადღებო ფაქტი:** ერთ-ერთი ასეთი საზეიმო შეხვედრის მონაწილეებს ემოციური სიტყვით მიესალმა **საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი აფხაზი მოღვაწე – ბათუმელი მწერალი ანზორ კუდბა,** რომლის ტექსტსაც აქვე გთავაზობთ:

**„ეს დღე ყველაზე დიდი და საოცარი დღეა საქართველოში: 1989 წლის 9 აპრილი – გმირობისა და გმირთა დაღუპვის გამო მწუხარების დღე და 1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე! მწუხარება და სიხარული საქართველოს ბედისწერაა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: იყო მძიმე წლები და გზა ბედით თუ უბედობით; დავკარგეთ ჩვენი ღვიძლი დები და ძმები, ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები და დღეს სრულიად საქართველოც ვეღარ ვართ: მოსანანიებელი ბევრი გვაქვს და თუკი სინამდვილეს თვალს გავუსწორებთ, ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენც ბევრი შეგვიცოდავს. ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას ღმერთი არ გაწირავს: ერსა თუ ბერს შეგვაკავშირებს ერთ მტკიცე ჯაჭვად, რომლის დაწყვეტას ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ შეძლებს. დადგება ჩვენი ზეობის დღეც“.**

ქართული უნივერსიტეტის ეს ინიციატივა მიზნად ისახავს მთავარი ეროვნულ-

სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციას. ფაქტია, რომ პირველად სწორედ აქ, ქართულ უნივერსიტეტში, შეძლეს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერმა ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელმა დეპუტატებმა ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევა. აქ გამოიკვეთა, რომ მათ შერიგება შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, რომელ მხარეს იდგნენ და რომელ ბანაკს ეკუთვნოდნენ, რადგან ისინი არიან დეპუტატები, რომელთაც ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელმაც აღადგინა 70 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

**დასკვნის სახით:**

დღეს კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ფეთქებადსაშიში რეგიონია. კავკასიის კრიზისიდან გამოსავლის გზის ძიებისას, ამ ეტაპზე აუცილებელ პირველ ნაბიჯებად მიგვაჩნია **საერთაშორისო მონიტორინგის პირობებში, უახლოეს პერიოდში, სასამართლოს წესით ობიექტურად შეფასდეს 1991-93 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტი.** ეს აუცილებელია იმიტომ, რომ კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს – საქართველოს – ხელისუფლებაში კიდევ არ მოხვდნენ პირები, რომლებიც ბოლო წლებში არაერთხელ იქცნენ რუსეთის იმპერიის ან სხვა გარეშე ძალების ნების აღმსრულებლებად. აუცილებელია იმიტომაც, რომ ამ სამართლებრივი დასკვნის საფუძვლით ცივილიზებულმა მსოფლიომ ობიექტურად შეაფასოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია და გარკვეულწილად გადახედოს თავის სტრატეგიას[6]; კერძოდ, დასავლეთის პოლიტიკური ელიტა საქართველოში თუკი დაეყრდნობა დასავლეთზე ორიენტირებულ და, ამავე დროს, საქართველოს ისტორიული ფასეულობების დამცველ ქართველ საზოგადოებას, გადარჩება ქართველი ერიც, საქართველოს სახელმწიფოსაც ვეღარავინ აიძულებს, აღმოჩნდეს რუსულ იმპერიულ გამოუვალ ჩიხში[7] და კავკასიაც საბოლოოდ იქცევა ცივილიზებულ დასავლეთთან ინტეგრირებულ ისეთ რეგიონად, რომლითაც ევროპასა და აზიას მუდამ შეეძლება უშუალო და უსაფრთხო კავშირი.

**მცირე განმარტებანი**

**I. 1991-93 წლების გადატრიალების კვალიფიკაციის საკითხი.** წარმოდგენილი კრებულის გამომცემელთა თხოვნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა შესახებ ბიოგრაფიული ცნობების შევსებული ვარიანტი **მოამზადა ბ-ნმა თემურ მურვანიძემ**. ბიოგრაფიების მისეული ვარიანტის მიხედვით, 1991-92 წლებში საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა კვალიფიცირებული იყო, როგორც **„ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება“.** ბ-ნ თ. მურვანიძეს ამგვარი კვალიფიცირების საფუძვლად აღებული ჰქონდა საქართველოს პარლამენტის დადგენილება: **„1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“**; კერძოდ, დადგენილებაში ვკითხულობთ:

„საქართველოს პარლამენტი მიესალმება საქართველოში მიმდინარე ეროვნული თანხმობის პროცესს და მიიჩნევს, რომ უახლესი ისტორიის სწორი და პირუთვნელი სამართლებრივი შეფასება აუცილებელია ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში[8]. შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.

2. დაიგმოს1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი

თბილისი, 2005 წლის 11 მარტი. №1104–Iს[9].

კრებულში **„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“** წარმოდგენილ ჩემს სტატიაში: **„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში“** დამოწმებული მაქვს პრეზიდენტ სააკაშვილის #174 (21.02. 2004) განკარგულება: „1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი ორმხრივი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“. ამ განკარგულების საფუძველზე ჯერ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა, შემდეგ კი მისმა შემცვლელმა ზურაბ ადეიშვილმა შექმნა ერთობლივი კომისია გენერალურ პროკურატურაში[10].

**ამ კომისიის საგამოძიებო ჯგუფის დადგენილებაში ვკითხულობთ:** „საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებისა და ასევე ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის პირველი დღეებიდანვე ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ დაიგეგმა და მეთოდური იერიში განხორციელდა ოპოზიციურ ძალებს მიტმასნილი და მისი სახელით მოქმედი პირებისა და იმპერიული ძალების მიერ. სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი და სხვა ოფიციალური პირები ღიად აფრთხილებდნენ ქართველ ხალხს და საქართველოს პრეზიდენტს, რომ მათ მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე გადადგმული ნაბიჯები სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა სამხრეთ ოსეთის ოლქთან და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში.

იმპერიული ძალების ქმედების გასანეიტრალებლად საჭირო იყო შესაბამისი პრაქტიკული ზომები ქართული სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნული მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის – რუსეთის იმპერიის – შეიარაღებული ძალები გამოცხადდა საოკუპაციო სამხედრო ძალად და დაისვა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მისი გაყვანის საკითხი”[11].

აქ დამატებით აღვნიშნავ, რომ **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დასავლეთის წაყრუების ფონზე დაამხო რუსეთმა იმიტომ, რომ პრეზიდენტი გამსახურდია რუსეთს კავკასიას აკარგვინებდა...** შდრ.: რუსეთის მიზანი იმთავითვე, 1991 წელსვე, ნათლად იყო გააზრებული საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ; იხ., მაგ., **საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვა გაეროს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს 1921 წლის საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად შიდა ქართლის მთიან ნაწილში შექმნილ რთულ ვითარებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ამ ძირძველ მიწა-წყალზე მიმდინარე პროცესები ინსპირირებულია სსრ კავშირის ტერიტორიაზე ახალი ზესახელმწიფოს გაჩენის მოსურნე ძალების მიერ და წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას საქართველოს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. ამდენად, ე. წ. ოსურ-ქართულ კონფლიქტს აქვს პოლიტიკური საფუძველი. იმავეს ადასტურებს სსრკ, რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომისიის მიერ 1991 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ოქმი.

უკანასკნელ ხანებში ექსტრემისტული ძალების მოქმედების შედეგად მდგომარეობა ამ რეგიონში განსაკუთრებით დაიძაბა. დღეს უკვე სრულიად ცხადია იმპერიის მიზანი – მიაღწიოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილის – ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფაქტობრივად რუსეთისათვის გადაცემას, რაც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ნორმებს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო ყოველთვის ისწრაფოდა და ამჟამადაც ისწრაფის შექმნილი ვითარების მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრისაკენ მათთან ერთად, ვინც, კეთილი ნებისა და სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს ამ რეგიონში ძალადობის შეწყვეტას, საქართველოს

რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ თხოვნით, შექმნილი ვითარების შესასწავლად მოავლინოთ თქვენი წარმომადგენლები.

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი“ [12].

წარმოდგენილი ფაქტების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის დადგენილების კვალიფიკაცია, რამდენადაც „ანტიკონსტიტუციური გადატრიალება „შეიძლება იყოს ე.წ. სამოქალაქო ომიც... პროკურატურის დასკვნაში წარმოდგენილი მსჯელობაც და სხვა უამრავი ფაქტიც ცხადყოფს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას – ხელისუფლების დამხობა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის მთავრობის მიერ ქართველთა მცირე ნაწილის გამოყენებით; რუსეთის მიზანი იყო საქართველოს დაბრუნება თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში – დსთ-ში. შესაბამისად, **1991-93 წლებში დაგეგმილი და განხორციელებული „ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა“ სახელდებულ იქნას, როგორც „საქართველოს გარედან მართული კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება“.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბ-ნი თემურ მურვანიძის მიერ მომზადებულ „ბიოგრაფიებში“ კვალიფიკაცია: **„ანტიკონსტიტუციური გადატრიალება“ ამ სტრიქონების ავტორის მიერ ჩასწორდა შემდეგი ფორმულირებით: „საქართველოს გარედან მართული კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება“.**

**II. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საკითხი.** ბ-ნი თ. მურვანიძის მიერ მომზადებულ ბიოგრაფიულ ცნობებში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლ დეპუტატთა ერთი ნაწილი, ასევე, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა მცირე ნაწილიც, მოხსენიებულია როგორც: **„პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი“**; პრეზიდენტის მხარდამჭერ დეპუტატთა დიდ ნაწილს, რომლებიც ასევე იდევნებოდნენ უკანონო რეჟიმის მიერ, „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის“ სტატუსი არ აქვთ. **ამგვარი არათანაბრობა სათავეს იღებს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან; კერძოდ:** 2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე # 3/4371) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე შალვა დემეტრაძე; სხდომის მდივანი – ეკატერინე მაჭარაშვილი) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ნაწილი (მუხრან მაჭავარიანი, ნემო ბურჭულაძე, ლევან ახმეტელი, პაატა ბარათაშვილი, თამაზ გველესიანი, მანანა გაბაშვილი... სულ 44 დეპუტატი) აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის თანამდებობიდან მათი უკანონოდ დათხოვნის გამო. სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ:

**„დადგენილია, რომ 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით, სამხედრო საბჭოს მიერ შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის და მასთან ერთად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა (მოსარჩელეთა) უფლებამოსილება. მოცემული კი წარმოადგენდა მოსარჩელეთა ნების საწინააღმდეგოდ მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. აღნიშნული გარემოება უნდა შეფასდეს, როგორც მოსარჩელეთა თანამდებობიდან უკანონო დათხოვნა, რომელიც განხორციელდა იძულების და ძალადობის გზით”.**

სამართლებრივი ლოგიკისა და კანონის სრული იგნორირებით, სამი წლის შემდეგ, 2009 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე # 3/1977-09) იმავე თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე – თინათინ შავერდაშვილი; სხდომის მდივანი – ლელა გოგოჭური) **უარი უთხრა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის თანამდებობიდან ასევე უკანონოდ დათხოვნილ დეპუტატებს** (ანზორ საკანდელიძე, ბიმურზა დადეშქელიანი, თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ემზარ გოგუაძე, გელა ჩორგოლაშვილი, ავთანდილ კვეტენაძე, თენგიზ ბარამიძე...), **რომლებიც ასევე იდევნებოდნენ უკანონო რეჟიმის მიერ; მათი დიდი ნაწილი მონაწილეობდა დევნილობაში ჩატარებულ გროზნოს, ზუგდიდისა და თბილისის სესიებშიც და, რაც მთავარია, მათი ძალისხმევით დევნილობის პირობებში შენარჩუნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, ბიოგრაფიებში ასახულიყო დევნილობის დროს ჩატარებულ სხდომებში უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობაც [13].

**ტარიელ ფუტკარაძე**
25. 01.2016

[1] საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთ სამუშაო ვერსიაში ზვიად გამსახურდიას ხელით მიწერილია, რომ საქართველოს სურს, იყოს ნეიტრალური სახელმწიფო. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადების გამო რუსეთის იმპერიამ დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. ნიშანდობლივია, რომ 1921 წელს რუსეთმა ასევე დაამხო საქართველოს ნეიტრალიტეტის მომხრე ნოე ჟორდანიას ხელისუფლებაც. ეს ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფოს გადარჩენის პერსპექტივა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება რეალური, თუკი საქართველო ევროპული სახელმწიფოების თანამეგობრობის წევრი იქნება.

[2] მრავალი ფაქტით დადასტურებულია, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობდნენ რუსეთის ჯარები გენერალ რეუტის, გენერალ ბეპაევისა და ადმირალ ბალტინის მეთაურობით.

[3] ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებ 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით:

8 აპრილის ღამეს, დაახლოებით 23-24 საათზე ჩემი მეგობარი დემურ შარაშენიძე გახდა შეუძლოდ და სახლში წასვლა დააპირა; პუშკინის სკვერამდე გავაცილე. როცა ვემშვიდობებოდი, უცნაურმა გრუხუნმა მიიქცია ჩვენი ყურადღება; აღმოჩნდა, რომ ტანკების მუხლუხების ხმა იყო... დემური აღარ წავიდა სახლში; აქ სისხლი დაიღვრება და მე ვერ დაგტოვებთო... იმ ღამეს, როცა ქალაქში გავრცელდა ხმა, მომიტინგეებს დაარბევენო, მომიტინგეების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა... იქ რაც მოხდა, ეს არ იყო ტრაგედიის დროს ადამიანების სიკვდილი; ეს იყო თავგანწირული დგომა იმპერიის წინააღმდეგ და გმირული სიკვდილი.

[4] ერთიანობის ეს სულისკვეთება და ქართულ მრავალსაუკუნოვან ღირებულებებზე ორიენტირება რომ მერეც გაგრძელებულიყო, ახლა ჩვენი ქვეყანა ბევრად წინ იქნებოდა.

[5] კარგი იქნება, თუკი საქართველოს რომელიმე გამორჩეულ ადგილას, რომელიმე ტაძრის ეზოში მოინახება ადგილი, სადაც, ოჯახის წევრების თანხმობის შემთხვევაში, გადმოვასვენებთ საქართველოსთვის თავგანწირულ და აწ უკვე გარდაცვლილ იმ დეპუტატებს (უზენაესი საბჭოს წევრებს), რომელთაც 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა – ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, აქტს, რომლის საფუძველზეც საქართველოს დამოუკიდებლობა სამუდამოდ ცნო ცივილიზებულმა მსოფლიომ.

[6] დასავლური პოლიტიკური წრეების ერთი ნაწილის **დიდი შეცდომაა** არალოიალური დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის მიმართ (შდრ.: დასავლეთი ლოიალურია ბერძნული მართლმადიდებლობისადმი); ეს ფაქტი საქართველოში უნდობლობას აჩენს დასავლეთის მიმართ, რამდენადაც, უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოს ეკლესია ქართული ფასეულობებისა და საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი დამცველია. პარალელურად, დასავლელი პარტნიორები საქართველოში ეყრდნობიან ქართული ეროვნული ღირებულებებისადმი, ქართველთა დედაენისა და ქართულენოვანი ქრისტიანობისადმი ინდიფერენტულად განწყობილ პოლიტიკურ ჯგუფებს – ე. წ. ფსევდოლიბერალებს, რომლებიც, ბოლშევიკების მსგავსად, დემოკრატიისა და თანასწორობის ნიღბით უარყოფენ ქართველთა ისტორიულ სასიცოცხლო ფასეულობებს. ამ ფაქტების გამოყენებით რუსეთი ინტენსიურ საინფორმაციო ომს აწარმოებს საქართველოში მოსახლეობის განწყობის შეცვლის მიზნით.

[7] რუსულ იმპერიულ ველში საქართველო თუკი დაბრუნდება, საქართველოს სახელმწიფოს – საბოლოო დანაწევრება, ქართველ ერს კი სრული კატასტროფა ელის. **ისტორიული გაკვეთილების გათვალისწინებით ცხადია**, რომ საქართველოს განვითარების პერსპექტივა ევროკავშირშია და არა – ევრაზიულ კავშირში.

[8] იგულისხმება, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება კანონიერი იყო 1995 წლის ნოემბრამდე.

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/42880

[10] შემადგენლობა: გიორგი ჯანაშია – საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე; გელა ბადრიაშვილი – ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი; ტარიელ ფუტკარაძე –1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი; ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მანანა ტაბიძე – ფილ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მერაბ რაფავა – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გიორგი ანდრიაძე – საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი.

[11] „დადგენილება პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ“ (15 ივნისი, 2004 წ.), გვ. 46; დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი პროკურორი რევაზ ზარანდია; 2004 წლის 18 ივნისს დადგენილება დაამტკიცა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა.

[12] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, # 12, 1991, გვ. 38-39; http://www.rrc.ge/law/mimkrt_1991_03_12_Q.htm?lawid=1759&lng_3=ge

[13] 1992 წლის 6 იანვრიდან დევნილობაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გროზნოსა და ზუგდიდის სესიებში (1992-93 წლები) მონაწილე დეპუტატთა სია მოამზადა ბ-ნმა ბიმურზა დადეშქელიანმა, ხოლო დააზუსტა ბ-ნმა თემურ მურვანიძემ. დევნილობის მეორე ეტაპზე – 1998-2005 წლებში – თბილისში ჩატარებულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომებში მონაწილე დეპუტატთა სია მოამზადა ბ-ნმა ბიმურზა დადეშქელიანმა.

31 მარტი, 2016

## ქართველი ერის ისტორიული არჩევანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი

**გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მცხოვრები ქართველი ერის ოცსაუკუნოვანი არჩევანი[1]**

ქრისტიანობამ დაუდო სათავე თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას. რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ მკვეთრად გამიჯნა დასავლური და აღმოსავლური სამყაროები. საქართველო პირველ საუკუნეშივე მოციქულებისგან ეზიარა ქრისტიანულ მსოფლაღქმას; კერძოდ, ქართული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში პირველი ეკლესია საქართველოს ერთ-ერთ ცენტრალურ კუთხეში – აჭარაში აღიმართა.

მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იყო საქართველოს მმართველი ელიტის პროდასავლური გეოპოლიტიკური არჩევანი[2]. IV საუკუნიდანვე იწყება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ დასავლური ორიენტაციის გამო.

**საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გარე ძალების აგრესიას ექვს ეტაპად განვიხილავთ:**

**პირველი ეტაპი – ირანის აგრესია:** ირანის მცდელობა, შეეცვალათ სამეფო კარის რელიგია და საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად დაებრუნებინა აღმოსავლურ (ირანულ) გეოპოლიტიკურ სივრცეში. პირველი ეტაპი სრულდება არაბების გამოჩენით – VII საუკუნეში.

**მეორე ეტაპი – არაბების აგრესია:** VII-X საუკუნეებში მუსლიმანი არაბები სპარსელებზე უფრო მეტი აგრესიით იწყებენ ბრძოლას ქრისტიანობის წინააღმდეგ. მათი მიზანია მთელი კავკასიის დაპყრობა და შენარჩუნება მუსლიმანობის გავრცელებით. არაბობის პერიოდი საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის **მეორე ეტაპად** შეგვიძლია ჩავთვალოთ. ამ პერიოდში ქართველი ერი თავის რელიგიასაც იცავდა და ისტორიულ ენასაც; ამ პერიოდში, **ქართულ ენასთან ერთად, ქრისტიანობა ქართველთა იდენტობის განმსაზღვრელ მთავარ ფენომენად გააზრიანდა;** მეტიც, ყველაზე რთულ პერიოდში ქართული ენა და ქრისტიანობა **საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების განმსაზღვრელ ფაქტორებად** ჩამოყალიბდა; იხ., მაგ., X საუკუნის მოღვაწის, გიორგი მერჩულის უკვდავი ფრაზა: “ქართლად ფრიადი ქვეყანაი

აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

**მესამე ეტაპი – ოსმალეთისა და ირანის აგრესია:** საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება კავკასიაში ოსმალეთის იმპერიის გააქტიურების შემდეგ. ოსმალეთის მიზანი იყო ქრისტიანი მოსახლეობის განდევნითა და დარჩენილთა გამუსლიმანებით საქართველოს ისტორიული მხარეების – ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის – შეუქცევადი ანექსია. ოსმალეთის აგრესიის პარალელურად, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიას შეეცადა ირანიც; კერძოდ,1555 წლის **ამასიის გარიგების** შემდეგ ორივე იმპერია განსაკუთრებული სისასტიკით ცდილობდა ქართულენოვანი მართლმადიდებლობის განადგურებას,ისლამისგავრცელებასადაამგზითცენტრალურკავკასიაშითავისდამკვიდრებას[3]. ქართველი ერის მაშინდელი თაობები თავგანწირვით იცავდნენ დიდ ისტორიულ მემკვიდრეობას – ქრისტიანობას. **XVI-XVIII საუკუნეებში ქრისტიანობისათვის ბრძოლა ქართველი ერის მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლად იქცა.** სწორედ ამ დროიდან ფართო საზოგადოებისათვის **რელიგია იქცა ეროვნების განმსაზღვრელად;** ამ პერიოდის ინერციით დღემდე საქართველოში, კერძოდ, ახალციხის მხარეში, აკადემიური განათლების არმქონე პირები კათოლიკე ქართველს ფრანგს უწოდებენ, მუსლიმან ქართველს – თათარს, მართლმადიდებელს კი – ქართველს.

**მეოთხე ეტაპი – რუსული აგრესია პროზელიტიზმის მიმართულებით:** XVI-XVIII საუკუნეების კავკასიაში **ირან-ოსმალეთის მზარდმა აგრესიამ და რელიგიის მიმართულებით ირანისა და ოსმალეთის მცდარმა სტრატეგიამ**, ასევე, **საქართველოსადმი დასავლეთის გულგრილობამ** (იხ., მაგ., სულხან-საბას იმედგაცრუება) ქართველები აიძულა, სტრატეგიული პარტნიორი ჩრდილოეთში ეძებნათ: მუსლიმანურ ქვეყნებთან განუწყვეტელ ომში გადაღლილ და მოხუცებულ ერეკლე მეორეს, ქართლ-კახეთის მეფეს, ეგონა, რომ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) რუსეთი, როგორც დასავლური კულტურის ნაწილი, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას გაუწევდა, **მაგრამ შეცდა:** რუსეთმა დაარღვია 1783 წელს ქართლ-კახეთთან დადებული სამეგობრო ხელშეკრულება და 1801-1885 წლებში სრულად დაიპყრო მთელი კავკასია (ოსმალეთისაგან ოკუპირებული ნაწილის გამოკლებით); კერძოდ:

– 1811 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა უკანონოდ გააუქმა აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთის) ეკლესიის ავტოკეფალია (მოგვიანებით – დასავლეთ საქართველოს საკათოლიკოსოც), მოსპო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო მმართველობა და საქართველოს ეკლესია საეგზარქოსოს უფლებით დაუქვემდებარა რუსეთის ეკლესიის სინოდს (მანამდე არც ერთი დამპყრობელი არ შეხებია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას);

– ცარიზმმა ყველა ქართულ სამეფოში მოსპო ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სამეფო დინასტია, გააუქმა ქართული სამეფო-სამთავროები და კავკასიაში დამკვიდრდა წამყვან გეოპოლიტიკურ მოთამაშედ.

– რუსეთის იმპერიის იდეოლოგებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინათ ქართველი ერი (ასევე, სხვა კავკასიელები), მაქსიმალურად შეეზღუდათ ქართული ენის, როგორც კავკასიაში ყველაზე პრესტიჟული ენის, ფუნქციები და კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირების გზით თავის სასარგებლოდ დაეგეგმათ დემოგრაფიული პროცესები კავკასიაში.

1811 წელს რუსეთის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით იწყება საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის **მეოთხე ეტაპი**, რომელიც გაგრძელდა 1917 წლამდე. **ამ ეტაპს ჩვენ ვუწოდებთ რუსული აგრესიული პროზელიტიზმის პერიოდს:** ამ პერიოდში ქრისტიანობის წინააღმდეგ მუსლიმანური სამყაროს ღია აგრესია შეიცვალა რუსეთის **მზაკვრული ქმედებით**, მიეერთებინა საქართველოს ეკლესიის სამწყსო (და ეს შეძლო კიდეც 100 წლის განმავლობაში).

მეფის რუსეთის ოკუპაციის პირობებში რჩეული ქართველი საზოგადოება და გამორჩეული საეკლესიო მოღვაწეები იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად; ავტოკეფალიის დასაცავად პირველი სახალხო აჯანყება კი დაიწყო 1918 წელს დასვლეთ საქართველოში, რომელიც სასტიკი რეპრესიებითა და ბევრი ეკლესიის დახურვით დასრულდა[4].

საუკუნოვანი ბრძოლა დასრულდა 1917 წლის 25 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადებით[5] და 1918 წლის 28 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის ეკლესიის რიდით არ აღიარეს ადგილობრივმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა. **საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებაც ხელოვნურად დაყოვნდა, რამდენადაც, პირველი მსოფლიო ომის შედეგების მიუხედავად, დასავლეთი საქართველოს მაინც რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა,** მაგ., 1920 წლის ბოლოს ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა საბჭოთა ელჩს განუცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევს[6]. შესაბამისად, მოულოდნელი არ იყო, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა საქართველო/კავკასია იმჟამად ბოლშევიკური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის კერძად დატოვეს; ამ უკანასკნელებმა კი 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებებით გადაინაწილეს საქართველო/კავკასია[7].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაშიც კი დიდხანს და ამაოდ ითხოვდა რუსეთ-თურქეთის უკანონო გარიგებაზე რეაგირებას და საქართველოს დეოკუპაციას. შეუვალი იყო საქართველოს ეკლესიის პოზიციაც; ეკლესიის მამებს სურდათ, საქართველო დაბრუნებოდა თავის ისტორიულ არჩევანს – ცივილიზებულ დასავლეთს; სანიმუშოდ აქ დავიმოწმებ საქართველოს ეკლესიის სახელით "გენუის კონფერენციისადმი" (10.04.1922-19.05.1922) გაგზავნილ წერილს; კერძოდ, საქართველოს კათოლიკოსი ამბროსი ხელაია წერდა:

**"ჯერ კიდევ წინაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპის ზღვებს შორის, ქართულ მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.**

**მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროვებას. ამიტომ 1917 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ**

**მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამაპაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმინდათა-წმინდას, სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში. მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ:**

**1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.**

**2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.**

**სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.**

**კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე. [8]**

1921 წელს საქართველოს ჰქონდა მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა, შეენარჩუნებინა 1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობა[9]. სამწუხაროდ, ვერც მაშინდელი ევროპის სახელმწიფოები ვერ აღმოჩნდნენ თანამიმდევრულნი დემოკრატიული ღირებულებების დაცვის თვალსაზრისით და ვერც საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყო დამოუკიდებლობის მოთხოვნის დამადასტურებელი საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ორგანიზება, რომლითაც დასავლეთის მეტ მხარდაჭერას მოიპოვებდა. საქართველო ისევ რუსული ოკუპაციის მსხვერპლი აღმოჩნდა.

**მეხუთე ეტაპი – ათეისტთა აგრესია:** საბჭოთა ოკუპაციის პერიოდი – 1921-1990 წლები – **საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის მეხუთე ეტაპია;** ამ პერიოდში ქრისტიანობას ღია აგრესიით დაუპირისპირდა ათეიზმი:

თავდაპირველად ბოლშევიკურ რუსეთს სურდა, **სრულიად გაენადგურებინა საქართველოს ეკლესია; მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ კი შეეცადა, მაქსიმალურად შეეიწროვებული ეკლესია თავის სამსახურში ჩაეყენებინა** (ი. სტალინის სწორედ ამ გეგმის შესაბამისად რუსეთის ეკლესიამ 1943 წელს დე იურე ცნო საქართველოს ტერიტორიული ეკლესიის ავტოკეფალია, რამაც საბოლოო ჯამში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აღიარების მიმართულებით პოზიტიური როლი შეასრულა).

კომუნისტური იმპერიის ძალადობის პირობებშიც საქართველოს ეკლესიის გამორჩეული მოღვაწენი და რჩეული ქართველები აგრძელებდნენ ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად; მთლიანობაში, ისტორიული ორიენტირების დასაბრუნებლად.

1990 წლის გაზაფხულზე წარმატებით დასრულდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მრავალწლიანი მცდელობა: **მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული**[10]; კერძოდ, 1990 წლის 4 მარტს მართლმადიდებლობის დღესასწაულზე ქართულმა ეკლესიამ მიიღო მისთვის სასურველი

ორი სიგელი: ერთი ადასტურებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, მეორე – მისი მეთაურის, პატრიარქის, ტიტულს[11]. ამ დღიდან იწყება საქართველოს ეკლესიის ისტორიის შეუქცევადი პროცესი – რუსული ეკლესიის გავლენისაგან გათავისუფლება და ბუნებრივი განვითარების ისტორიულ კალაპოტში მყარად დაბრუნება. ამას მოჰყვა **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის** მიზნით 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება და 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადება.

**მეექვსე ეტაპი – ფსევდოლიბერალიზმის აგრესია:** გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ახალი ტიპის ფრონტია გახსნილი: გარკვეული ფსევდოლიბერალური ჯგუფები ცდილობენ, რუსული ეკლესიისაგან სრული გამიჯვნის პროცესში მყოფ საქართველოს ეკლესიას დააბრალონ **პრორუსული ორიენტაცია და სხვა საბაბებითაც ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე სახელი გაუტეხონ საქართველოს ეკლესიას[12], რასაც შედეგად მოჰყვება საქართველოს ეკლესიის იზლაცია დასავლური სამყაროსაგან.**

დასავლური სამყაროსაგან საქართველოს ეკლესიის იზოლაცია **ხელს აძლევს მხოლოდ რუსეთის ეკლესიას**, რომელიც ქართველთა ცალკეული ჯგუფების გამოყენებით დღენიადაგ ცდილობს, **საქართველოს ეკლესიის მმართველად დასვას მისი ნების გამტარებელი კათოლიკოს-პატრიარქი**, რადგანაც 1918-21 წლების მსგავსად, ბოლო ათწლეულშიც, საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელი მეთაური აცხადებს, რომ დღევანდელი რუსეთიც საქართველოს დამპყრობელია; მაგ.:

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ჯერ კიდევ 1992 წლის ოქტომბერში მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორეს და აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში ბრალი დასდო რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას[13];

– 1992 წელსვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, ბატონ ბუტროს გალის და მოსთხოვა, საქართველო რუსეთის აგრესიისაგან დაეცვა მსოფლიო თანამეგობრობას[14];

– 2013 წლის 28 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილ ოფიციალურ შეხვედრაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გარკვევით თქვა: "...მე ასევე მინდა ვთქვა, რომ ეს არ იყო ომი და ბრძოლა ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეს იყო ბრძოლა მესამე ძალასთან...".

– 2017 წლის 22 მარტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლატვიის სეიმის თავმჯდომარეს, ინარა მურლიეცესთან და სკანდინავიისა და ბალტიის სახელმწიფოების სხვა ლიდერებთან შეხვედრისას განაცხადა:

„თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ მოხარული ვართ, რომ გვაქვს საშუალება საქართველოს საპატრიარქოში მიგიღოთ 5 ქვეყნის სპიკერები და ჩვენ მადლობას გიძღვნით მხარდაჭერისთვის იმ დროს, როდესაც ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება საქართველო. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20% დაპყრობილია რუსეთის მიერ და თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი. დღესაც ვითვლები ხელმძღვანელი აფხაზეთის ეპარქიისა, მაგრამ მე არ მაქვს საშუალება, რომ ჩავიდე და ყურადღება მივაქციო ჩვენ მორწმუნე ხალხს. მე მოხარული ვარ, რომ თქვენ ინახულეთ ის საზღვრები, სადაც ხელოვნურად დაყოფილია ჩვენი ტერიტორია. **დაუსრულებლად ეს არ შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები. ამიტომ თქვენი ჩამობრძანება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მადლობას გწირავთ ამისთვის.** მე კიდევ ერთხელ მადლობელი ვარ თქვენი ჩამობრძანებისათვის და დარწმუნებული ვარ, თქვენი ვიზიტი იქონიებს დიდ გავლენას"[15].

**განსაკუთრებით აღსანიშნავია** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის **პოზიცია საქართველოს გეოპოლიტიკურ არჩევანთან დაკავშირებით**; მან საქართველოს ეკლესიის სახელით **არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ**; მაგ., 2015 წლის 19 მაისს ავსტრიის პრეზიდენტთან **ჰაინც ფიშერთან** შეხვედრაზე მან განაცხადა:

„საქართველოს არჩეული აქვს ევროპის გზა: საქართველოს სურს, რომ გახდეს ევროპის

დემოკრატიული სტრუქტურების ნაწილი და მისი წევრი. საქართველოს ევროპული არჩევანი ძალიან მტკიცეა და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ამას“[16].

სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიული ძალებისა და ე.წ. ფსევდოლიბერალების დეზინფორმაციების გამო (საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის კონტექსტი!) დასავლეთში ბევრს დღემდე **არასწორი ინფორმაცია აქვს** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ზოგადად, საქართველოს ეკლესიის პოზიციის შესახებ; იხ., მაგ., კავკასიის საკითხების ცნობილი ექსპერტის, **თომას დე ვაალის მცდარი თვალსაზრისი**, რომლის მიხედვითაც,თითქოსდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დასავლეთთან დაახლოება არ სურს და ძველი საქართველოს სიმბოლოა[17]. **სინამდვილეში, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე ითხოვს**, დაჩქარდეს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი;მაგ., ევროკავშირის უმაღლეს კომისართან, შტეფან ფულესთან შეხვედრისას მან განაცხადა:

“მე იმედი მაქვს, რომ ის პროცესები, რომლებიც დღეს ვითარდება ევროპაში, უკრაინაში, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ არ შეიძლება ევროპასთან ინტეგრაციის საკითხი გადადებული იყოს შორეულ მომავალში“[18].

საქართველოს საპატრიარქო ასევე მხარს უჭერს, 2008 წელს საქართველოში ჩატარებული პლებისციტის შედეგებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 77 %-მა მხარი დაუჭირა საქართველოს გაწევრიანებას ნატოში[19]; კერძოდ, **2016 წლის 7-11 ნოემბერს საპატრიარქოს დელეგაცია ეწვია ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებას[20]. ნატოსთან დაახლოების მიზნით, საპატრიარქოს დელეგაციის მეორე ვიზიტი შედგა სულ ახლახანს, 2017 წლის 22 თებერვალს.**

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ პირადად, ჩემი დაკვირვებით, ქართველთა უმრავლესობას მოსწონს პატრიარქის პოზიცია მყარი ორიენტირებისა და ე.წ. ფსევდოლიბერალიზმის შესახებ:

“თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არ აქვს სწორი რელიგიური და **ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს** და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას.... უგნური ლიბერალიზმი, როგორც წესი, სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენისა”[21].

ე.წ. უგნური ლიბერალიზმის წარმომადგენლებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სხვაგან უფრო მწვავედ აკრიტიკებს; კერძოდ, **სტეფან ფულესთან შეხვედრისას მან გრძანა:**

“ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე კომუნისტური რეჟიმი, მიემართება ევროპულ სტრუქტურებში. ევროპის სტრუქტურები არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობენ საქართველოში. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს სრულფასოვანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის. მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს. მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს იდეა განხორციელდეს... მე მინდა გითხრათ, რომ ამაში დარწმუნება არ მჭირდება. მე დიდი ხანია ამაში დარწმუნებული ვარ. არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ავრცელებენ ეკლესიის საწინააღმდეგოდ ამ იდეას და ამით, ალბათ, შოულობენ დახმარებებს. თქვენ თვითონ დარწმუნდებით საქართველოში ვიზიტისას. თქვენ დღეს ჩამობრძანდით, გქონდათ შეხვედრები, კიდევ შეხვდებით სასულიერო პირებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს”[22].

**დასკვნის სახით:** საქართველო (ძველი ქორონიმი – ქართლი) ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც მე-4 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარის თავისუფალი გადაწყვეტილებით სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა და საუკუნოვანი არჩევანი გააკეთა. შემდგომ საუკუნეებში ამ არჩევანის გამოც ქართველი ერის, საქართველოს განადგურებას ცდილობდნენ: სპარსეთი (IV-VI სს), არაბეთი (VII-IX სს), სელჯუკები (X-XI სს), ირანი და ოსმალეთი (XVI XVIII სს)... ქართველობამ ყველა ამ მომხდურს გაუძლო.

1811 წელს რუსეთის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით იწყება **საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის თვისობრივად ახალი ეტაპი, რომელიც გრძელდება 1918 წლამდე.** ქრისტიანობის წინააღმდეგ მუსლიმანური სამყაროს ღია აგრესია ამ ეტაპზე შეიცვალა **რუსული აგრესიული პროზელიტიზმით** – რუსეთის მცდელობით, რუსეთის

ეკლესიას მიეთვისებინა საქართველოს ეკლესიის სამწყსო. **გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე** საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ახალი ტიპის ბრძოლა იწყება: ფსევდოლიბერალური ჯგუფები ცდილობენ, **პრორუსული ორიენტაციის დაბრალებითა და სხვადასხვა საბაბით ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე სახელი გაუტეხონ საქართველოს ეკლესიას, რომ საქართველოს ეკლესია იზოლაციაში მოაქციონ, რაც მხოლოდ რუსეთს მოუტანს სარგებელს. პარალელურად**, რუსეთი ქართველთა ცალკეული ჯგუფების გამოყენებით ცდილობს, **საქართველოს ეკლესიის მმართველად დასვას მისი ნების გამტარებელი კათოლიკოს-პატრიარქი**, რადგანაც 1918-21 წლების მსგავსად, ბოლო ათწლეულშიც, საქართველოს ეკლესია აცხადებს, რომ ამჟამინდელი რუსეთიც საქართველოს დამპყრობელია. ისტორიის თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკლესია მყარად აგრძელებს იმ გზას, რომელსაც სათავე დაედო 16 საუკუნის წინ – როდესაც საქართველოს სახელმწიფომ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა.

ვფიქრობ, დასავლეთმა დროულად უნდა გააცნობიეროს, რომ **ქართულენოვანი მართლმადიდებლობა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი პროდასავლური არჩევანია**; პარალელურად, ამერიკელებმა თუ ევროპელებმა პატივი უნდა სცენ ქართველთა იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებს: ქართულ ენასა და ქართულენოვან ქრისტიანობას (მთლიანობაში – ქართულენოვანი სახელმწიფოს აღორძინებას). მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს საქართველო, საბოლოოდ გამოვიდეს რუსული იმპერიული სივრციდან და ევროკავშირი ბუნებრივად გაფართოვდება კავკასიის ცენტრალური ნაწილის ხარჯზეც.

## The twenty century old choice of the Georgian nation living in the geopolitical crossroad


### Summary

In the beginning of the 4th century, Georgian (old choronym – Kartli) is one of the first states to have declared Christianity as the state religion with the Lord's will and the decision made by the free will of the royal court. Due to this very choice, Georgia has become the target of Persia (IV-VI centuries), Arabia (VII-IX centuries), the Seljuks (X-XI centuries), Iran and Turkey (XVI-XVIII centuries). However, Georgia has endured for these enemies.

In 1811, since the revocation of the autochepaly of the Georgian Apostolic Church, started the fourth stage of fight against the Georgian Church which lasts till 1918. Muslim aggression against Christianity was replaced by the Russian proletarism – Russian attempt to make the Georgian Church subordinate of the Russian Orthodoxy.

Since the second half of the 1990-ies, a new front opened against the Georgian Church: pseudoliberal groups try to threaten the image of the Goergian Church by declaring it as pro-Russian, also making various causes in front of the civilized world, that will benefit only Russia. At the same time Russia tries to appoint the Catholichos-Patriarch who will implement its will as like the period of 1918-21 and the last decade the Georgian Church declares that modern Russia as the conqueror of Georgia.

Recent Georgia has been continuing the way which was started 16 centuries ago – the period when Christianity was declared as the state religion.

I consider that the West should recognize that the Georgian orthodoxy is pro-western, century-old choice of Georgia; At the same time, Americans and Europeans should respect the following factors defining identity of Georgians: Georgian language and Georgian Orthodox Church and the revival of the Georgian state as a whole. Only in this case Georgia will be able to leave the Russian imperial space and the European Union will be naturally expanded at the expense of the central part of Caucasus.


---

[1] წაკითხულია მოხსენებად საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე 2017 წლის 23 მარტს; **კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს.**

[2] შდრ.: I-IV საუკუნეებში საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა ორ კულტურას – ირანულ (აღმოსავლურ) ზოროასტრიზმსა და რომის იმპერიის (დასავლურ) ქრისტიანობას – შორის.

[3] შეიარაღებული ლაშქრობების შემდეგ ორივე იმპერია დემოგრაფიული პროცესების მართვით ცდილობდა საქართველოს მხარეების ანექსიას: ოსმალეთი უფრო ეკონომიკური ბერკეტებით ამუსლიმანებდა ქართველებს და ასე ქმნიდა მიწების მითვისების საფუძველს; ირანი კი ქართველთა გენოციდითა თუ გადასახლებით და მუსლიმანების ჩამოსახლებით აპირებდა დემოგრაფიული პროცესის მართვას. შემდგომ პერიოდში რუსეთიც დემოგრაფიის მართვით ესწრაფვის კავკასიაში დამკვიდრებას (ოღონდ დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას უფრო ენობრივი პოლიტიკით ცდილობს).

[4] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 1096-1097.

[5] დოკუმენტისათვის იხ.: http://www.orthodoxtheology.ge/dadeshkeliani/

[6] http://expertclub.ge/portal/cnid__12872/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

[7] http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi.html

[8] http://tinyurl.com/q98bxvf

[9] საზღვრებისათვის იხ.: http://abkhazeti.info/history/20051113591974666290.php; სხვა საინტერესო დოკუმენტებისათვის იხ., ასევე: http://expertclub.ge/portal/alias__Expertclub/tabid__2555/default.aspx

[10] საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ.: სერგო ვარდოსანიძე, მზიანი ღამის 38 წელი, თბ., 2015.

[11] საკითხის ისტორიისათვის იხ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს დედაეკლესია, თბ., 2006 (თავი XVI. ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში; ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინება) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL3-&d=HASH01f6592277b7a54a158574d4.20.12; http://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/skhva/dzveli_avtokefalia.htm

[12] იხ., მაგ. ლაშა ბაქრაძის თვალსაზრისი: "სამწუხაროდ, ბოლო დროს აშკარა ხდება, რომ საქართველოს ეკლესია, ყოველ შემთხვევაში მისი მესვეურები, დღეს საქართველოში ასრულებენ რუსეთის მეხუთე კოლონის როლს. ინსტიტუცია, რომელიც საქართველოში ყველაზე პოპულარული და გავლენიანია, ეწევა ღია პრორუსულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას" http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=5111&Title=laSa-baqraZe:-saqarTvelos-eklesia-dRes-eweva-Ria-prorusul-propagandas&lang=ge (06.08.2013); იხ., აგრეთვე, კორნელი კაკაჩიას მოსაზრება: სინოდის წევრების ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში ვიზიტი საშუალებას მისცემს საქართველოს ეკლესიას, მოახდინოს პრორუსულობის იარლიყის ბალანსირება http://www.nsp.ge/view.php?id=13202 (11.11.2016); იხ., აგრეთვე, DAILY BEAST –ის კორესპონდენტის, უილიამ კათკარტის, დაუსაბუთებელი მოსაზრება: "საქართველოს ეკლესია დაახლოებულია რუსეთთან"

http://primetime.ge/daily-beast-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97(20.02.2017)...

ზაზა შათირიშვილის პოზიციის კრიტიკისათვის იხ. საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის წერილი: გაზეთი „კავკასიონი" №46, 8-14 დეკემბერი, 1999 წელი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.7&d=HASH44abe88776df-007cb18c65.8.2

[13] სერგო ვარდოსანიძე, მზიანი ღამის 38 წელი, თბ., 2015, გვ. 97.

[14] სერგო ვარდოსანიძე, მზიანი ღამის 38 წელი, თბ., 2015, გვ. 97.

[15] http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/424210-patriarqi-es-dausruleblad-ar-sheidzleba-gagrdzeldes-rusethma-unda-gaathavisuflos-chveni-teritoriebi.html?ar=A

[16] საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი: 'ჩვენი ევროპული არჩევანი ძალიან მტკიცეა': http://www.civil.ge/geo/article.php?id=29383; http://www.liberali.ge/ge/liberali/news/125549.

[17] საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თომას დე ვაალი წინააღმდეგი იყო საქართველოსათვის მაპის მინიჭებისა: http://www.newposts.ge/?l=G&id=42255; სწორედ მაპ-ზე უარის მიღებას მოჰყვა საქართველოს ხელახალი ოკუპაცია რუსეთის მიერ 2008 წელს. პირადად, ჩემთვის აშკარაა, რომ თომას დე ვაალი საქართველოს თემაზე მსოფლიოს ბევრ არასწორ კვალიფიკაციას აწვდის, რაც რუსეთს აძლევს ხელს. თომას დე ვაალის დამოწმებული თვალსაზრისისა და მისი კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ავტორიტეტი და ამერიკელი ექსპერტის, თომას დე ვაალის შეცდომა" http://putkaradze1.blogspot.com/2015/06/blog-post.html

[18] http://www.ambebi.ge/sazogadoeba/98316-ilia-meore-me-dartsmuneba-ar-mtcirdeba-rom-saqarthvelo-evrokavshiris-tsevri-unda-gakhdes.html

[19] http://www.civil.ge/geo/article.php?id=17323

[20] საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში: http://infocenter.gov.ge/514-sapatriarqos-delegaciis-viziti-briuselshi.html

[21] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლე; საპატრიარქოს უწყებანი, # 16, 21-27 აპრილი, 2001 წ.

[22] http://www.tabula.ge/ge/story/80773-margvelashvili-umnishvnelovanesi-iko-shtefan-fules-ilia-meorestan-shexvedra

27 მარტი, 2017

## მალტის შეთანხმება (02.12.1989), 1992-93 წლების პუტჩი და 2008 წლის პლებისციტი თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში

გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით კავკასიასა და შავ ზღვას ოდითგანვე ჰქონდა დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და აქვს დღესაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ბერლინის „რკინის ფარდით" დედამიწა ორ გეოპოლიტიკურ სივრცედ გაიყო[1], შავი ზღვის დიდ ნაწილსა და კავკასიას (/საქართველოს) რუსეთი აკონტროლებდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში (ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ) გაჩნდა თეორიული შანსი, ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოები[2], მათ შორის საქართველო, გამოსულიყო რუსული იმპერიული ველიდან. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეროვნული მოძრაობის წიაღში სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ლოზუნგი: „რუსეთი ოკუპანტია; საქართველო – ნატოში".

რუსული იმპერიული ველიდან საქართველოს გამოსასვლელად **ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით რამდენიმესაფეხურიანი გეგმა შეიმუშავა:**

– არასაბჭოთა მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების გზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსვლა ხელისუფლებაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნაკლები მსხვერპლითა და ლეგიტიმური გზით წარმართულიყო;

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებული ცივილიზებული მსოფლიოსათვის ძლიერი არგუმენტის მისაცემად საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება კითხვით: **„საქართველოს მოსახლეობას სურს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა";**

– საგანგებო აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმომადგენლობითი ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) – მიერ;

– იმპერიულ კრემლთან სახიფათო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად პირველ ეტაპზე (საქართველოს დეოკუპაციის პროცესში) საქართველოს მიერ „აქტიური ნეიტრალიტეტის"

დეკლარირება და საქართველოს დეოკუპაცია;

– საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ქართულენოვანი სახელმწიფოს ინტეგრირება მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში[3].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე ძლიერი ფრთის, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“, ლიდერის – ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით 1990-1991 წლებში წარმატებით განხორციელდა მხოლოდ პირველი სამი მიზანი (28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება, 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება). დანარჩენი ორი მიზნის დეკლარირება კი შეძლო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ, რომლის წევრიც მე თვითონ ვიყავი[4], მაგრამ მათი განხორციელება არ გვაცალა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ; კერძოდ: 1991 წლის 9 აპრილს, ზვიად გამსახურდიას სტრატეგიის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელშიც „საერთაშორისო სამართლის პრიმატის“ შესახებ საგანგებო ჩანაწერია:

“საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისი სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები... საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი მტკიცე გარანტი იქნება“[5].

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ზოგადად, ჩვენს ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ **დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება იყო დეოკუპაციის დასაწყისი**. დავიმოწმებთ ამ თვალსაზრისით საინტერესო ერთ ფრაგმენტს 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან:

„მართალია, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიულ ფაქტსა და **იმპერიის ტყვეობიდან საქართველოს ფაქტობრივ განთავისუფლებას შორის**, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძველი უმთავრესია ასეთ შემთხვევაში, რათა მოხდეს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დეიურეცნობა, მისი შესვლა გაერთიანებაში და სხვა ორგანიზაციებში. ამის შემდეგ უფრო შესაძლებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ცენტრთან მოლაპარაკება **საოკუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე**. საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის შენარჩუნების მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“[6].

იმპერიულ რუსეთს (/საბჭოთა კავშირს) არ სურდა კავკასიის, როგორც გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცის, დათმობა, ამიტომ საქართველოს ხელისუფლების მიერ „ნეიტრალიტეტის“ დეკლარირების მიუხედავად, უარი თქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე და 1992-93 წლებში საქართველოს მოქალაქეთა მცირერიცხოვანი ნაწილის და, რაც მთავარია, რუსეთის ჯარის (ბეპავ-ბალტინის სამხედრო ნაწილების) გამოყენებით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსურნე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება[7]. რუსეთის ამ სამხედრო აგრესიის ხელშემწყობი იყო საერთაშორისო ვითარებაც, კერძოდ, 1989 წლის 2-3 დეკემბრის **მალტის შეთანხმება**:

ცნობილია, რომ ცივი ომი დასრულდა 1989 წლის 2-3 დეკემბერს კუნძულ მალტაზე ჯორჯ ბუშისა და მიხეილ გორბაჩოვის შეხვედრაზე; შეხვედრის მთავარი თემები იყო: ცივი ომის

დასრულება, „რკინის ფარდის“ დაშვება და ევროპის ახალ გეოპოლიტიკურ რუკაზე შეთანხმება. ამ შეხვედრაზე გადაწყდა გერმანიის გაერთიანება, რუსული ჯარების გასვლა აღმოსავლეთ ევროპიდან და სსრ კავშირის ნაწილობრივი ტრანსფორმაცია – სსრ კავშირის შემადგენლობიდან მხოლოდ ლიტვის (/ლიეტუვის), ლატვიისა და ესტონეთის გასვლა.

მალტაში მხოლოდ ამ სამი „საბჭოთა რესპუბლიკის“ სსრ კავშირიდან გასვლის საკითხი გადაწყდა იმიტომ, რომ, **საქართველოსგან განსხვავებით, ცივილიზებულ დასავლეთს 1940 წელს ოკუპირებული ეს სამი რესპუბლიკა არასოდეს უცვნია სსრ კავშირის შემადგენლობაში**; გარდა ამისა, რუსული იმპერიული ველიდან სხვა რესპუბლიკების გასვლას შეეძლო გამოეწვია ბირთვული იარაღის უკონტროლო გავრცელება; შესაბამისად, **ჯორჯ ბუში არაორაზროვნად ითხოვდა**, რომ უკრაინას, საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს ხელი მოეწერათ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ბუნებრივია, მ. გორბაჩოვმაც ოფიციალურად შესთავაზა 12 მოკავშირე რესპუბლიკას სსრ კავშირის მსგავს ახალ გაერთიანებაში შესვლა. მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფალთაგან ღიად მხოლოდ ზვიად გამსახურდია იყო წინააღმდეგი, დაბრუნებულიყო რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში[8]. ამ ფაქტს ზვიად გამსახურდია ასე იხსენებს (ინტერვიუ გამოქვეყნებულია გაზეთ „იბერია-სპექტრში“ 1991 წლის ნოემბერში):

„რამდენიმე ხნის წინ მიხეილ გორბაჩოვმა, ალბათ, როგორც სხვებს, მე გამომიგზავნა ტელეგრამა, რომელშიც მთხოვა ჩავსულიყავი ნოვო-ოგარიოვოში[9] და შევერთებოდი მათ გადაწყვეტილებას. მე მას წერილით ვუპასუხე, რომ თუ ჩვენ მართლა სუვერენული სახელმწიფოები ვართ, ოფიციალურად გვცანით ასეთებად და მხოლოდ ამის შემდეგ ვთვლი-მეთქი შესაძლებლად ვილაპარაკოთ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე – პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე ან სხვა სახის კავშირ-ურთიერთობაზე, ვინაიდან თუ სახელმწიფო სახელმწიფოს არ ცნობს, მათ შორის არავითარ კავშირზე და ალიანსზე არ შეიძლება ლაპარაკი. ცენტრი ჩვენ არ გვცნობს, აქედან გამომდინარე, იგი ჩვენ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირში კი არ გვეპატიჟება, არამედ კვლავ იმპერიაში, სადაც სიტყვა „სუვერენული“ ისეთივე სიყალბეა, როგორი ყალბიც იყო უწინ[10].

**აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბერში (არჩევისთანავე); კერძოდ, 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი შინაარსის განცხადება:**

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ.ს. გორბაჩოვს (სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე): საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უარს ამბობს „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის“ დეტალურ განხილვაზე, რამდენადაც მისი ნებისმიერი ფორმა მიუღებელია საქართველოს რეპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში იმყოფება. ეს განცხადება მოწონებული და მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია [11].

ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოსადმი განსხვავებული მიდგომის მქონე „დემოკრატი“ მ. გორმაჩოვი, რომელსაც იმედი ჰქონდა, შეინარჩუნებდა სსრ კავშირის პრეზიდენტობას, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარს ამბობდა ღიმილისმომგვრელი საბაბით: **„საქართველოში ჯერ დემოკრატია არ გვაქვსო“**, – მსგავსი ფრაზა უთხრა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დროს, რომელსაც, პირადად, მეც ვესწრებოდი[12].

**შენიშვნა:** რუსეთის მხრიდან, დაახლოებით, იგივე ცრუ ბრალდება იყო ოფიციალურად წამოყენებული ბ. ელცინის მიერ 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძისადმი; კულისებში კი ელცინმა ნ. ბურჭულაძეს მოსთხოვა 22 დეკემბრამდე დსთ-ში გაწევრიანება; სხვა შემთხვევაში „პრობლემების შექმნით“ დაიმუქრა[13].

მოგვიანებით ჯეიმს ბეიკერიც განაცხადებს, რომ „საქართველოში არის ავტორიტარული რეჟიმი“...

საქართველოში „დიქტატურის“ არსებობასთან დაკავშირებით საინტერესოა ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 27 ნოემბრის ინტერვიუს ერთი ფრაგმენტი[14]:

**ჟურნალისტი:** ჩვენი ოპოზიცია ლაპარაკობს, საქართველოს დასავლეთი არ ცნობს იმის გამოო, რომ ჩვენში...

**პრეზიდენტი:** დიქტატურააო, არა?

**ჟურნალისტი:** დიახ.

**პრეზიდენტი:** დასავლეთი არ ცნობს უკრაინას, მოლდოვას, სომხეთს; მაშ, იქაც დიქტატურა ყოფილა. არა, ეს არ არის სიმართლე. დასავლეთი არ ცნობს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ ეს არ უნდა მოსკოვს, კრემლს.

**ჟურნალისტი:** მაგრამ დასავლეთმა უკვე დაიწყო ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ცნობა. რატომ?

**პრეზიდენტი:** ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საკითხებში მათ მოილაპარაკეს და შეთანხმებას მიაღწიეს. დანარჩენი რესპუბლიკების შესახებ კი მათ შორის სხვანაირი მოლაპარაკებაა. ესე იგი, საქმე გვაქვს მოლაპარაკებასთან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის; ასე რომ, ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის მიზეზით ვითომდა ჩვენი არცნობა აბსურდული და პოლიტიკურად უმეცრულია[15].

საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მე 1991 წლის 28 ოქტომბერს გამოვაქვეყნე ვრცელი წერილი: **„რაცა ღმერთა არა სწადდეს, ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ“**, სადაც ვწერდი:

„საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა უკანასკნელ ყრილობაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ გადემოკრატებული რუსეთი ხელს არ შეუშლის დამოუკიდებლობის მოსურნე რესპუბლიკათა სწრაფვას, მაგრამ **კონკრეტულად განხილულ იქნა მხოლოდ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი...** ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ბოლო წლის განმავლობაში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები განუწყვეტლივ ლაპარაკობენ ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობაზე; დასავლეთის მეთაურებმა არაერთგზის შეახსენეს სსრ კავშირის ხელისუფლებას ბალტიისპირეთის საკითხი, მაგრამ, მიუხედავად ჩვენში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა, არჩევნებისა, ჩვენ ყველა დუმილით გვივლიდა გვერდს. ნათელია, რომ როგორც მსოფლიო, ასევე, სსრკ საზოგადოებრივი აზრის შემუშავება, **მალტის გეგმისამებრ**, ხდება მხოლოდ ბალტიის ქვეყნებთან დაკავშირებით“.

**1991 წელს გამოქვეყნებულ ამავე წერილში მალტის შეთანხმების შესახებ ასევე ვაცხადებდი:**

„ბუშისა და გორბაჩოვ-შევარდნაძის მალტის მოლაპარაკების ერთი პუნქტი რომ სსრკ-ს შემდგომ ბედს ეხებოდა, უდავოა. საკამათო არც ის უნდა იყოს, რომ ამ გარიგების მიხედვით კომუნისტურმა იმპერიამ თავისუფალ სამყაროს დაუთმო ბალტიისპირეთი და დათმო კომუნისტური იდეალები. რუსეთის იმპერია ასევე იოლად შეელევა მოლდოვასაც, მაგრამ საქართველოს დაკარგვას იგი ვერ შეეგუება... მალტის გარიგების მიხედვით, რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიაში კავკასიაც უნდა შესულიყო; საქართველოში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ კი დაიწყო მალტაში „ჩაწყობილი კარტების“ „არევა“...[16]

მართლაც, ჩვენი ხელისუფლება წავიდა „დინების“ საწინააღმდეგოდ, რის გამოც უსამართლოდ დაისაჯა კიდეც. აქვე დავსვამ კითხვას: ჰქონდა თუ არა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მანევრირების საშუალება? კერძოდ, შეეძლო თუ არა კრემლის მიერ შექმნილ რესპუბლიკების ახალ კავშირში შესვლით უარი ეთქვა საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობაზე, უარი ეთქვა „აქტიურ ნეიტრალიტეტზე“ და დაბრუნებულიყო კრემლის გეოპოლიტიკურ ველში?[17]

ჩემი აზრით, არ შეეძლო, რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში ზვიად გამსახურდია უნდა წასულიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დინამიკის წინააღმდეგ; ასევე, 12 რესპუბლიკის ახალ კავშირსა თუ უფრო გვიანდელ დსთ-ში გაწევრიანებით წინ უნდა აღდგომოდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს. ზვიად გამსახურდია, რომელიც წლების მანძილზე იბრძოდა, რომ საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამდე მიეყვანა, ქვეყანას ისევ რუსულ იმპერიულ წიაღში ვერ მიაბრუნებდა. **აღსანიშნავია ისიც, რომ 1991 წლის ზაფხულში საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ცივილიზებული დასავლეთი მხარს დაუჭერდა ქართველი ხალხის ნებას, რეალურად აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.**

1991 წელს ზვიად გამსახურდია შეეცადა, მოლაპარაკება ეწარმოებინა ბ. ელცინთანაც (1991 წლის 23 მარტს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი საქართველოშიც კი ჩამოიყვანა), დასავლეთის ლიდერებთანაც, მაგრამ ამაოდ. საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის პერსპექტივის შესანარჩუნებლად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ რადიკალური ქმედების გზა დარჩა: რუსეთის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი[18]და, 1992 წლის დასაწყისში, პუტჩის შემდეგ, უსაყვედურა ცივილიზებულ დასავლეთს რუსეთის იმპერიისადმი მხარდაჭერის გამო[19].

სსრ კავშირი ისე დაიშალა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ აღიარა. სსრ კავშირის ოფიციალურ დაშლამდე, 1991 წლის დეკემბრამდე, საქართველოს დამოუკიდებლობა არ უცვნია არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დღემდე არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ[20]. დღეს რუსეთის იმპერიას მხოლოდ ერთი ოფიციალური სტატუსი აქვს: **ოკუპანტი**, რომელიც მას მიანიჭა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ 1991 წლის 15 სექტემბერს (ეს სტატუსი მოუხსნა შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღუდგინა სააკაშვილის ხელისუფლებამ)[21].

მართალია, ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მშვიდობიანი გზით რადიკალურად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორი – საქართველომ განაცხადი გააკეთა, რომ გამოდიოდა რუსული გეოპოლიტიკური სივრციდან, მაგრამ **საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია იმჟამინდელი საერთაშორისო ვითარების გამო:** ისტორიის ამ მონაკვეთში **დასავლეთისათვის არსებითი იყო აღმოსავლეთ ევროპა;** პრაგმატული პოლიტიკის დღის წესრიგში ჯერ არ იდგა რუსული სივრციდან ცენტრალური კავკასიის გამოყვანის დრო: 1991-1998 წლებში დასავლეთის დახმარებით რუსეთმა შეძლო თავისი გავლენის ველში დაეტოვებინა კავკასია, მოლდოვა-უკრაინა-ბელორუსია და შუა აზია.

რუსეთის იმპერიის შეზღუდვის მეორე ეტაპი იწყება 10 წლის შემდეგ – 1999 წელს სტამბოლის სამიტით.

**1999 წლის 17 ნოემბერს ეუთოს სტამბოლის სამიტზე ცივილიზებული დასავლეთის ზეწოლით** ბ. ელცინმა ხელი მოაწერა საქართველოდან სამხედრო შენაერთების გაყვანის ვალდებულებას (იხ. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულება /CFE/). სტამბოლის შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ფედერაციას 2001 წლის 1 ივლისამდე უნდა მოეხდინა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ხოლო 2000 წლის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო მხარეთა მოლაპარაკებები ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების ვადებისა და პირობების შესახებ. მალევე დაიწყო რუსული ჯარების გაყვანის პროცესი. პარალელურად, დასავლეთი გააქტიურდა კავკასიაში, მაგრამ შევარდნაძის მთავრობა არ დგამდა მკვეთრ ნაბიჯებს დასავლეთის მიმართულებით და ფაქტობრივად გამოუცხადებელ ნეიტრალიტეტს ახორციელებდა ცივილიზებულ დასავლეთსა და რუსეთს შორის, რითაც სტამბოლის სამიტის შემდეგ უკვე ე. შევარდნაძე მიდიოდა „დინების საპირისპიროდ“ – არ ახორციელებდა პროდასავლურ კურსს (!)[22].

ე. შევარდნაძის პასიური პოლიტიკა მიუღებელი გახდა დასავლეთისათვის; შედეგად დასავლეთის მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოდის მიხეილ სააკაშვილი. შევარდნაძის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ მკვეთრი ნაბიჯები გადადგა დასავლეთის მიმართულებით; ყველაზე მკვეთრი სვლა იყო **პლებისციტი საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად**. პლებისციტის კითხვა იყო: “უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?”

ამ შედეგებით გამოჩნდა, რომ საქართველომ ნატოს გზა აირჩია, მაგრამ **დასავლეთმა დააყოვნა საქართველოს მაპის ფორმატით დაცვა.** რუსეთმა ამით ისარგებლა და, პლებისციტის შედეგების გამო, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში პროვოცირებული საბაბით დასჯა საქართველო: სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების დარღვევით, თავისი სამხედრო შენაერთები დააბრუნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ გახსნილ ბაზებში.

**მაშასადამე, პროდასავლური არჩევანის გამო ბოლო 25 წელიწადში საქართველო მეორედ დაარბია რუსულმა ჯარმა** (პირველად –1992-93 წლებში).

დღეს, 2019 წლის 28 მარტს უტოპიაა ფიქრი იმაზე, რომ რადიკალურად დაპირისპირებული **რუსეთი და ნატო** შეთანხმდებიან ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოს ნეიტრალიტეტზე, რადგანაც სწორედ საქართველოა სერიოზული გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში: რუსეთის იმპერიული მიზნებისათვის მნიშვნელოვანია როგორც სახმელეთო გზა გუიმრის ბაზამდე, ასევე, შავი ზღვისა თუ ცენტრალური კავკასიის მაგისტრალები. იგივე გეოსტრატეგიული სივრცე არსებითად განსაზღვრავს დასავლეთის უსაფრთხოებასაც.

საქართველოს წილი შავი ზღვის თემა მიბმულია კონკრეტულ ქართულ მხარეებზე: აჭარაზე, გურიაზე, სამეგრელოსა და აფხაზეთზე. გურიის მონაკვეთი უმნიშვნელოა. რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს; დარჩა აჭარა და სამეგრელო, სადაც არის თავმოყრილი გეოპოლიტიკური სიმძლავრეები; კერძოდ, რუსეთს შავი ზღვის კონტროლისათვის, ოჩამჩირის პორტის გარდა, ესაჭიროება ბათუმი-ფოთი-ანაკლიის ზონაც; შესაბამისად, **ამჟამად რუსეთის ინტერესებშია,** აჭარისა და სამეგრელოს მოსახლეობაზე ზეწოლით აღადგინოს თავისი გავლენა საქართველოს ამ ორ ისტორიულ მხარეზეც. საამისოდ ახორციელებს ენობრივ-ეთნიკურ და რელიგიურ დივერსიებს; ცდილობს, საინფორმაციო ზეწოლით („რბილი ძალის“ პოლიტიკით) შეცვალოს საქართველოს ამ მხარის მოსახლეობის ცნობიერება – ქართველი ერი დაანაწევროს ენობრივ-ეთნიკურად[23], რელიგიურ-ეთნიკურად[24]და „დემოგრაფიული სიმძლავრის“ გამოყენებით („გათიშე და იბატონე)“ კონტროლი დაამყაროს მისთვის სასურველ ტერიტორიაზე.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჰაერო, სახმელეთო თუ საზღვაო მაგისტრალების გამო დასავლეთსაც აქვს თავისი ინტერესები** კავკასიაში და, ამავე დროს, სურს გვერდით დაუდგეს რუსული იმპერიული ველიდან გამოსვლის მოსურნე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

დღეს რუსეთი აგრესიულია; ფეხქვეშ თელავს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს; **საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, გადარჩენის პერსპექტივა მხოლოდ ცივილიზებული დასავლეთის მხარდაჭერითაა შესაძლებელი:** საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ ერთი გზა აქვს: წავიდეს იმ მიმართულებით, რომელსაც დაუჭირა მხარი საქართველოს მოსახლეობამ 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტით.

ამჟამინდელი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი შეუძლებელია რეალურად განხორციელდეს[25], რადგან ცალმხრივი ნეიტრალიტეტი არ არსებობს, მით უმეტეს, თუ ნეიტრალიტეტის გამომცხადებელი პატარა სახელმწიფოა და დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი არ არიან გარანტიორები (გარდა ამისა, ნეიტრალიტეტი დგინდება მხოლოდ „იერარქიული წესრიგის“ მქონე მსოფლიოში). დღეს კავკასიის ნეიტრალიტეტის შესახებ ნატო და რუსეთი ვერ შეთანხმდებიან. ამჟამად **საქართველოს პირველი რიგის ამოცანაა დეოკუპაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ ცივილიზებული დასავლეთის რუსეთზე ზეწოლით**. ქართველი ხალხი ამ ყოველივეს კარგად აცნობიერებს; ამიტომაც დაუჭირა მხარი 2008 წლის პლებისციტში საქართველოს გაწევრიანებას ნატოში.

**დასავლეთსაც მხოლოდ ერთი გზა აქვს:** რუსეთის საფრთხე რომ შეამციროს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ცენტრალური კავკასიის გეოპოლიტიკური სიმძლავრეები, აქტიურად უნდა დაეხმაროს საქართველოს დეოკუპაციის პროცესში; მით უმეტეს, რუსეთის ჯარები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დგას სტამბოლის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილების საპირისპიროდ. მთელი მსოფლიო წინ თუ არ აღუდგება რუსეთის მიერ სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების დარღვევას, დედამიწისათვის რუსული საფრთხე უფრო და უფრო გაიზრდება. ევრაზიის სასიცოცხლო სატრანსპორტო მაგისტრალებისათვის რუსული საფრთხე მკვეთრად „შეიბოჭება“, თუკი ცენტრალური კავკასიის ცენტრალური სახელმწიფო – საქართველო – გახდება ნატოს წევრი. **დასავლეთს საქართველოში მყარი გარანტიები ექნება, თუკი დასავლეთი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებას, არამედ ქართულენოვანი სახელმწიფოს გაძლიერებას და ქართული ფასეულობების დაცვას.**

ამრიგად, რეიგანის გონივრული პოლიტიკის წყალობით, საბჭოთა კავშირის დასუსტებამ გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა საფუძველი, წარმატებით განხორციელებულიყო

საბჭოთა იმპერიის (მთელი სოციალური სისტემის) ნაწილობრივი დემონტაჟი, რომლის ბოლო ეტაპი ისტორიაში „გარდაქმნის“ (1985–1991 წწ.) სახელწოდებით შევიდა. სსრ კავშირის დაშლა ოფიციალურად გაფორმდა 1991 წლის 8 დეკემბერს[26], თუმცა მალტის შეთანხმებამ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა, 1992-93 წლებში იარაღის ძალით დაემხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება[27]. 1992-93 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას მოჰყვა საქართველოსათვის მძიმე შედეგები; კერძოდ, რუსეთმა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში – განახორციელა ქართველთა გენოციდი; ანტირუსულად განწყობილი ცოცხლად გადარჩენილი პირები (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად: ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები...) კი საქართველოს ამ კუთხეებიდან გამოდევნა (400 000-ზე მეტი ადამიანი კი დევნილად აქციეს)[28].

**ცივილიზებულმა მსოფლიომ ობიექტურად უნდა შეაფასოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია, რომ დღეს მაინც რეალურად წარმოჩნდეს 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების არსი და აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში მიმდინარე კონფლიქტის რეალური შინაარსი:** 1991-92 წლებშიც და 2008 წელსაც რუსეთმა საქართველო დასაჯა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და პროდასავლური არჩევანის გამო[29]; საქართველოს ისტორიულ კუთხეებში – აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში კი გვაქვს არა ეთნოკონფლიქტები, არამედ – 1991 წლის 22 დეკემბრიდან აქ მიმდინარეობს რუსეთის ომი ცივილიზებულ დასავლეთზე ორიენტირებული საქართველოს წინააღმდეგ.

ჩემს ტექტს დავასრულებ ბატონი **იენს სტოლტენბერგის** 2019 წლის 25 მარტის ძალიან მნიშვნელოვანი გამოსვლის კომენტირებით[30]:

**ნატოს** გენერალურმა მდივანმა თბილისში რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, საიდანაც ნათლად ჩანს:

– ნატო, ცივილიზებული დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და რუსეთს მოუწოდებს, დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები;

– რუსეთის მიერ სტამბოლის სამიტის და სხვა შეთანხმებების დარღვევის გამო ნატო აძლიერებს სამხედრო დანაყოფებს შავ ზღვაში;

– ჩვენ მივესალმებით შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებულ როლს...

– საქართველო ნატოს საუკეთესო პარტნიორია, მაგრამ საქართველოს **ნატოში** გასაწევრიანებლად **ნატოს** სურს, იხილოს კიდევ უფრო მეტი წინსვლა დემოკრატიული რეფორმების ფარგლებში...

**მე დღეს არ წარმოვადგენ საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს; შესაბამისად, შემიძლია პირდაპირ ვთქვა:** საქართველო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ნატოსთან, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ დღეს, რუსეთისაგან მოსალოდნელი რეალური აგრესიის პირობებში, საქართველოს „დემოკრატიულ რეფორმებზე“ აქცენტირება გვავარაუდებინებს ცივილიზებული დასავლეთის **ზედმეტ სიფრთხილეს** რუსეთის მიმართ. ეს „ზედმეტი სიფრთხილე“ საქართველოს ისეთივე კატასტროფად შეიძლება დაუჯდეს, რაც მოხდა 1991 წელს: 1991 წელს მალტის შეთანხმების დაცვის პროცესში დასავლეთმა გაწირა რეალურად პროდასავლურად განწყობილი საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. დასავლეთის ასევე „ზედმეტი სიფრთხილის“ გამო 2008 წელს დაგვიანდა საქართველოსათვის მაპის მიცემა და მივიღეთ რუსეთის ახალი აგრესია (08.08.08).

2019 წელსაც დასავლეთი თუ ისევ „ზედმეტ სიფრთხილეს“ გამოიჩენს, საქართველოში შეიძლება განმეორდეს რუსეთის აგრესია, რაც საქართველოსათვის დიდი კატასტროფა იქნება. საქართველოს კატასტროფა კი დიდი ხნით „შებოჭავს“ არამხოლოდ ნატოს პერსპექტივას კავკასიასა და შავ ზღვაზე, არამედ **არსებითად დააბრკოლებს კავკასიაზე გამავალ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სატრანსპორტო საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალებს.**

[1] ორი ზესახელმწიფოს გავლენების საზღვრად იქცა **ბერლინის კედელი**, რომელიც აშენდა 1961 წელს. ბერლინის კედელი მიჯნავდა ნატოს ბლოკში გაერთიანებულ (04.04.1949; ვაშინგტონი) სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულებაში იძულებით შეყვანილ (14.05.1955) ქვეყნებს. რუსი ოკუპანტების მიერ ანალოგიური „ბერლინის კედელი“ დღეს გავლებულია საქართველოში, კერძოდ, პერევი-ატოცი – დიცი – წითელუბანი-ორჭოსანის ხაზზე.

[2] ჩვენთვის უფრო მისაღებია კავკასიის რეგიონის დაყოფა სამ ნაწილად: ჩრდილო კავკასია (ამჟამად შედის რუსეთის ფედერაციაში; ცენტრალური კავკასია – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი; სამხრეთი კავკასია (ამჟამად შედის თურქეთის შემადგენლობაში).

[3] ზვიად გამსახურდიას ამ თვალსაზრისით საინტერესო ტექსტისათვის იხ.: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას საახალწლო მიმართვა 1990 წელს http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-ru-00---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-1-1-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.3.6.1&d=HASHd67f982a1e2349ff517a68(დამოწმება: 24.03.2019).

[4] 1990 წლის 28 ოქტომბერს მე, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია: „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრი, ამირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. ვიყავი ადამიანის უფლებათა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი; უზენაესი საბჭოს დევნილობის დროს – თავმჯდომარის მოადგილე; ბოლოს – თავმჯდომარე.

[5] https://www.president.gov.ge/ka-GE/saqartvelo/damoukideblobis-aqti.aspx (დამოწმება: 24.03.2019).

[6] საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 აპრილი. – №70 (90)., გვ. 2, 3.

[7] კონკრეტული გვარები და ფაქტები დაფიქსირებულია მრავალრიცხოვან ქართულენოვან თუ რუსულენოვან პუბლიკაციებში, რომელთა მოძიება იოლად შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

[8] 1991 წლის გაზაფხულზე ბუშმა საჯაროდ ურჩია უკრაინას, დარჩენილიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამავე გამოსვლაში ჯ. ბუშმა ზ. გამსახურდიას პოლიტიკური კურსი შეაფასა, როგორც „სვლა დინების საწინააღმდეგოდ“.

[9] 1991 წლის 20 აგვისტოს გორბაჩოვს რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფალთან ერთად ახალ საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ 19 აგვისტოს პუტჩის მცდელობამ გორბაჩოვს საშუალება არ მისცა, შეექმნა სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე ახალი გაერთიანება. ეს ფუნქცია რამდენიმე თვის შემდეგ შეასრულა ბორის ელცინმა ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის კავშირის შექმნით (08.12.1991 წ.); პროცესი გაგრძელდა ალმა-ათაში და დასრულდა ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, როდესაც ბოლო ურჩმა რესპუბლიკამ – საქართველომ – შევარდნაძის რეჟიმის სახელით მოაწერა ხელი დსთ-ში შესვლას.

[10] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბილისი 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი), გვ. 391.

[11] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL4.9&d=HASH01d6a8fb5f6cfd9158f31a62&x=1

(დამოწმება: 24.03.20190.

[12] ყრილობა ჩატარდა 1991 წლის სექტემბრის დასაწყისში. მე ვესწრებოდი, როგორც საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი, აკაკი ასათიანთან და კიდევ რამდენიმე დეპუტატთან ერთად. მ. გორბაჩოვმა საქართველოს პრეზიდენტის არადემოკრატიულობის მაჩვენებლად დაასახელა თბილისში 2 სექტემბერს მიტინგის დარბევა. სინამდვილეში ეს პროვოკაცია ორგანიზებული იყო იმ პირთა მიერ, ვინც შემდეგ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ორგანიზებით განხორციელებულ პუტჩში – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში.

[13] იხ., საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძის გამოსვლის ტექსტი ქართული უნივერსიტეტის 2019 წლის 28 მარტის სამეცნიერო კონფერენციაზე: „ზვიად გამსახურდია – 80“.

[14] ბუნებრივია, საბჭოთა ჯარის თბილისში არსებობის პირობებში ზვიად გამსახურდიას დიქტატურა ლოგიკურადაც ვერ იარსებებდა; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარის თქმის რეალური საფუძველი იყო კრემლის იმპერიული ამბიციებისათვის კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა; ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მალტაში მიღწეული შეთანხმებით ეს რეგიონი დარჩა რუსეთს. 1990-91 წლებში სსრ კავშირის

გარეთ აღმოჩნდებოდნენ მხოლოდ ის რესპუბლიკები, რომლებიც არასოდეს უცვნია შეერთებულ შტატებს სსრ კავშირის შემადგენლობაში. ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბილისი 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი), გვ. 292.

[16] „რაცა ღმერთსა არა სწადდეს...“ ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკა“, 28 სექტემბერი, 1991 წ.).

[17] შდრ.: 1992-93 წლებში რუსეთის მიერ ორგანიზებული პუტჩის შემდეგ რუსეთის და დასავლეთის ნებით საქართველოში ძალაუფლება აიღო ე. შევარდნაძის რეჟიმმა, რომელმაც ჯერ საქართველო ჩაითრია აფხაზეთის კონფლიქტში, რითაც პუტჩის შემდეგ საბოლოოდ დათრგუნა საქართველოს მოსახლეობა და შემდეგ გამოაცხადა საქართველოს გაწევრიანება დსთ-ში.

[18] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სამხედრო შენაერთებისათვის „საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭების შესახებ“.

[19] იხ., პრეზიდენტ ზიად გამსახურდიას წერილი: „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ბატონ ჯეიმს ბეიკერს“: „როგორც ცნობილი გახდა, თქვენ აპირებთ საქართველოში ჩამობრძანებას ქართველი ხალხის სისხლიან ჯალათთან, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად. ედუარდ შევარდნაძე იყო იმ სამხედრო გადატრიალებისა და პუტჩის ორგანიზატორი, რომელმაც სისხლში ჩაახშო ქართველი ხალხის დემოკრატიული მონაპოვარი. ეს ავლენს თქვენს პირდაპირ ალიანსს დანაშაულებრივ ხუნტასთან, რომელიც ყოველდღიურად ღვრის უდანაშაულო ადამიანების სისხლს, ხვრეტს მშვიდობიან მიტინგებს და დემონსტრანტებს, აპატიმრებს ასობით ადამიანს, უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, თრგუნავს პიროვნების თავისუფლებას. იმუქრება, რომ ადგილზე დახვრეტს ყველას, ვინც კანონიერი ხელისუფლების დასაცავ მიტინგში გაბედავს მონაწილეობის მიღებას. ყოველივე ეს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის დისკრედიტაციას, რომელიც თავის თავს დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევს...“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, 8 თებერვალი, 1992 წ. (სრული ტექსტისათვის იხ.: გაზ. „ქართული აზრი“|№6, 1992, 26 თებერვალი, №6, გვ. 2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=q-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10-TX--4----Doc---0-1l--11-ka-50---20-about-%E1%83%96%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93+%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90--00-3-41-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=preziden&srp=0&srn=0&cl=search&d=HASH789b2ef71e9b556afbcfa3.

[20] ნიშანდობლივია ისიც, რომ პრეზიდენტ ელცინის ხელისუფლებას და არც შემდგომ ხელისუფლებებს ოფიციალურად არ უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა. შევარდნაძის უკანონო რეჟიმთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა დღეს გაწყვეტილია. შდრ. სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა 1991-92 წლებში: 27 აგვისტო – რუმინეთი; 27 აგვისტო – მოლდოვა; 30 აგვისტო – აზერბაიჯანი; 13 სექტემბერი – სომხეთი; 16 დეკემბერი – თურქეთი; 20 დეკემბერი – ლიტვა; 20 დეკემბერი – მონღოლეთი; **25 დეკემბერი – აშშ;** 25 დეკემბერი – ირანი; 25 დეკემბერი –კანადა; 26 დეკემბერი – ბრაზილია; 26 დეკემბერი – ინდოეთი; 26 დეკემბერი – კუბა; 26 დეკემბერი – ტაილანდი; 27 დეკემბერი – ალჟირი; 27 დეკემბერი – ბელარუსი; 27 დეკემბერი – ეგვიპტე; 27 დეკემბერი – ვიეტნამი; 27 დეკემბერი – ჩინეთი; 27 დეკემბერი – სლოვენია; 28 დეკემბერი – იორდანია; 28 დეკემბერი – ხორვატია; 30 დეკემბერი – ლიბანი; 31 დეკემბერი – პაკისტანი; **1992**: 2 იანვარი – ეთიოპია; 2 იანვარი – ერაყი; 2 იანვარი – ლაოსი; 23 იანვარი – ბულგარეთი; 24 იანვარი – სლოვაკეთი; 24 იანვარი – ჩეხეთი; 4 მარტი – პერუ; 6 მარტი – იუგოსლავია; 9 მარტი – არგენტინა; 17 მარტი – ზიმბაბვე; 19 მარტი – ნორვეგია; 23 მარტი – ესპანეთი; 23 მარტი – ისლანდია; 23 მარტი – იტალია; 23 მარტი – ირლანდია; 23 მარტი – ლუქსემბურგი; 23 მარტი – დიდი ბრიტანეთი; 23 მარტი – გერმანია; 23 მარტი – საბერძნეთი; 23 მარტი – საფრანგეთი; 23 მარტი – ბელგია; 23 მარტი – პორტუგალია; 23 მარტი – ნიდერლანდები; 24 მარტი – პოლონეთი; 25 მარტი – ავსტრია; 26 მარტი – ისრაელი; 26 მარტი – მექსიკა; 27 მარტი – ფინეთი; 28 მარტი – ბურუნდი; 29 მარტი – ავსტრალია; 2 აპრილი – შვედეთი; 3 აპრილი – იაპონია; 6 აპრილი – ავღანეთი; 6 აპრილი – ჩრდილოეთი კორეა; 7 აპრილი – კვიპროსი; 21 აპრილი –

შვეიცარია (ამ სიაში რუსეთი არც იყო და არც ახლა არის).

[21] საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“, თბ., 206, გვ. 45-59.

[22] შდრ.: გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტ ზიად გამსახურდიას ნეიტრალიტეტი, როგორც ანტირუსული კურსი, ჩაითვალა „დინების საწინააღმდეგო სვლად“; XXI საუკუნის დასაწყისში კი უკვე შევარდნაძის „რეალური ნეიტრალიტეტი“ იყო დასავლური პოლიტიკური ვექტორის (/დინების) საწინააღმდეგო.

[23] რუსეთის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობის შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019. დღეს განსაკუთრებით გააქტიურებულია ერთი ჯგუფი, რომელსაც სურს, **„რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპის ქარტიის“ არსის გაყალბებით**, ადგილობრივი კილოკავების მიხედვით შექმნას მეგრული, სვანური, ლაზური „სტანდარტული ენები“ (იხ. მაგ. ალ. ჭაჭიას ჯგუფის, ასევე, ბ. გოგიას, გ. სიჭინავას და სხვათა განცხადებები); ეს ჯგუფი ვერ შეძლებს, სამეგრელოს მოსახლეობას გაუუცხოოს იოვანე ლაზის, ჭყონდიდლებისა თუ გამსახურდიების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი დედაენა – ქართველთა სამწიგნობრო ენა.

[24] აჭარის შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, **გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში:** ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: “სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში”; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; გამომცემლობა: “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2009. გვ., 111-136 ttp://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia.

[25] ნეიტრალიტეტი ფინანსურადაც ძალიან ძვირია, რამდენადაც ნეიტრალიტეტის სამხედრო უზრუნველყოფა დიდ ხარჯებს მოითხოვს (ნატოს წევრი და ნეიტრალური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების შესახებ მონაცემებისათვის იხ., კ. კაციტაძე, 2001, გვ. 157-161.

[26] ვახტანგ გურული, საბჭოთა კავშირის დაშლა, თბ., 2007, გვ. 17-18.

[27] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრალს დებენ, რომ მან მორჩილება გამოუცხადა იანაევისა და სხვათა მიერ ორგანიზებულ 1991 წლის აგვისტოს პუტჩს და არა – გორბაჩოვ-ელცინის ტანდემს; არადა, მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარი არ დაუჭერია გეკაჩეპესათვის; იხ. მაგ., გაზეთი „ფიგარო“: „ვიცი, რომ გორბაჩოვი ამჟამად საბჭოთა კავშირში ძალას აღარ წარმოადგენს. რაც შეეხება ელცინს, სასიხარულოა, რომ მან დიდი გამარჯვება მოიპოვა. მე მხარს ვუჭერ მის პოლიტიკურ მიზნებს“ /ერიკ ფლამანი, 1991 წელი. 31 აგვისტო; საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 31 აგვისტო – #170(190), გვ. 3. ეს და სხვა მასალები დაბეჭდილია კრებულში: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბილისი 2013.

[28] საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების არსის შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234. T.Putkaradze, Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace, Georgian Orthodox Church Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War – Prospects for Peace. http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia; **კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველოს ფედერალურ ერთეულებად დაშლის მცდელობა და პერსპექტივები (საქართველოს ენობრივი სიტუაციის ანალიზი)**, ჟურნალი “ჩვენებური”, № 4 (16), 2008; https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/05/afxazta_uflebebi.pdf(დამოწმება: 24.03.2019).

[29] 1991-92 წლებში რუსეთმა პროდასავლური (/პროთურქული) კურსის გამო აზერბაიჯანში დაამხო ელჩიბეის ხელისუფლება; პარალელურად, ყარაბაღში პროვოცირებული კონფლიქტით აზერბაიჯანმა დაკარგა ყარაბახი და გაუბედურდა ბევრი აზერბაიჯანული თუ სომხური ოჯახი; ამავე კონფლიქტით რუსეთმა „ხელში დაიჭირა“ სომხეთი.

[30] იენს სტოლტენბერგი: „ვაგრძელებთ მუშაობას, რომ საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი, იმედი მაქვს, მალე მოგესალმებით ნატოში“ „https://1tv.ge/news/iens-stoltenbergi-vagrdzelebt-mushaobas-rom-saqartvelo-gakhdes-nato-s-wevri/; იენს სტოლტენბერგი: „მოვუწოდებთ რუსეთს, გაიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების განცხადება და გაიყვანოს ჯარები“ (25.03.2019) https://1tv.ge/news/iens-stoltenbergi-movuwodebt-rusets-gaiwvios-afkhazetisa-da-samkhret-osetis-damoukidebel-sakhelmwifod-aghiarebis-ganckhadeba-da-gaiyvanos-jarebi/?fbclid=IwAR1aXQgxpRQ3O2bzR4RPuqL4_e3_H1wtsK8Jt-M6fCjM3uZHU5EY2VV4kYE.

28 მარტი, 2019

## Malta Summit (02.12.1989), 1992-1993 Coup d'Etat and 2008 Plebiscite in the Context of Modern Politics

Malta Summit (02.12.1989), 1992-1993 Coup d'Etat and 2008 Plebiscite in the Context of Modern Politics

Tariel Putkaradze , Professor, Doctor of Philology

In terms of geopolitical balance the Caucasus and the Black Sea have been geostrategically important since ancient times. After the end of the World War II, when the world was divided into two geopolitical areas by the Iron Curtain,[1]a large part of the Black Sea and the Caucasus (Georgia) were controlled by Russia.

During 1980s (after the fall of the Berlin Wall) it became theoretically possible for the Central Caucasian countries[2]including Georgia to escape from Russia's imperial influence zone. It was during this period that the slogan "Russia is an invader; Georgia should join NATO" appeared within the national movement fighting for the independence of Georgia. At that stage, the National Liberation Movement led by Zviad Gamsakhurdia elaborated a multistage plan for Georgia's coming out of Russia's imperial zone. The plan included the following stages:

– Coming of the National Liberation Movement to power through non-Soviet multiparty elections in order to prevent a human sacrifice and ensure a legitimate process of gaining independence by Georgia;

– During the process of restoration of Georgia's independence offering the civilized world opposed to the Russian Empire a sound argument by conducting a general referendum to answer the following question: "Is the Georgian population willing to restore the independence of Georgia?"

– Declaring Georgia to be an independent state based on a special act by the representative body – The Supreme Council of the Republic of Georgia (the Parliament of Georgia);

– At the first stage (during the process of Georgia's de-occupation), declaring "active neutrality" by Georgia in order to avoid the danger of confronting the Imperial Kremlin and carrying out the actual process of Georgia's de-occupation;

– Ensuring Georgia's integration with the Commonwealth of Nations as an independent and democratic Georgian-speaking state;[3]

Out of the goals listed above only three were successfully achieved during 1990-1991 by the Round Table – Free Georgia, the most powerful wing of the National Liberation Movement of Georgia led by Zviad Gamsakhurdia (winning the October 28 elections; the March 31 Referendum; and declaring the Restoration of Independence on April 9). As for the remaining two goals, Zviad Gamsakhurdia's Government (I was one of its members)[4] only managed to declare them, because the imperial Government of Russia prevented us from realizing them. Particularly, On April 9, 1991, based on Zviad Gamsakhurdia's strategy, the Supreme Council of the Republic of Georgia passed the Act of Restoration of Independence, which contained the following entry regarding the Supremacy of International Law:

– "The Supremacy of the International Law over the laws of Georgia and the direct effect of its norms on the territory of Georgia shall be announced as one of the main principles of the Constitution of Georgia. The Republic of Georgia aspires to the Commonwealth membership, recognizes and equally ensures all the basic human rights and freedoms, the basic rights and freedoms of all national, ethnic, religious and language groups in accordance with the Charter of the United Nations, the Universal Declaration of Human Rights, International Act and Conventions... The Supreme Council of the Republic of Georgia hopes that the Commonwealth of Nations appreciates the lawful and fair step made by the Georgian people and recognizes the independence of the revived Georgia, which will be a firm guarantee of security for Georgia."[5]

President Zviad Gamsakhurdia, and generally, our government were well aware that Declaration on the Restoration of Independence was the beginning of de-occupation. I would like to cite a fragment from the speech made by the Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia Zviad Gamsakhurdia at April 9, 1991 session of the Supreme Court: "Although we understand the difference between the legal fact of restoring Georgia's independence and actual liberation of Georgia from the empire that holds it captive, we should remember that legal grounds are crucial in such case; that would lead to de jure recognition of Georgia by the Commonwealth, Georgia's joining the commonwealth and other organizations. After that it will be easier to restore the independence of Georgia and hold negotiations with the centre about withdrawal of occupation troops. The Republic of Georgia offers the Abkhazian people a firm guarantee of preserving their autonomy, while the question of Adjara's autonomy will be solved by referendum.[6]

The imperial Russia (the Soviet Union) did not want to lose the Caucasus as a geostrategically important region, so notwithstanding the declaration of neutrality by the Georgian Government it refused to recognize the independence of Georgia and during 1992-1993 used armed forces to overthrow the independence-oriented Gamsakhurdia's government. The Russian aggression was supported by the international situation, particularly December 2-3, 1989 Malta Summit:

It is known that the Cold War ended as a result of the summit talks held between George Bush and Mikhail Gorbachev on December 2-3, 1989 on the island Malta. The issues on the agenda were: the end of the Cold War, dismantling the Iron Curtain and reaching agreement about a new geopolitical map. The two sides took several decisions, which included unification of Germany, withdrawal of Russian troops from the Eastern Europe and partial transformation of the USSR's territory – secession of Lithuania, Latvia and Estonia. These three "Soviet Republics" were the only ones whose secession was agreed upon at Malta Summit. This could be explained by the fact that, unlike Georgia, these three republic occupied by Russia in 1940 had never been recognized by the civilized West as parts of the USSR. Moreover, other republics' departure from the Russian imperial zone might have led to uncontrolled spread of nuclear arms. Consequently, George Bush clearly demanded that the Ukraine, Georgia and other soviet republics should sign a new alliance agreement. Naturally, Gorbachev offered the remaining 12 republics to join a new union similar to the USSR. Among the leaders of those republics Zviad Gamsakhurdia was the only one who openly opposed the idea of returning to the Russian geopolitical area.[7] Below is given Zviad Gamsakhurdia's commentary regarding this fact (the interview was published in 1991 November issue of the newspaper Iberia-Spectrum):

– "A while ago Mikhail Gorbachev sent me a telegram, apparently the same one he had sent to the leaders of other soviet republics, asking me to arrive in Novo-Ogariovo[8]to join their agreement. In response I wrote him that if he really considered us as sovereign states, he had to recognize our sovereignty officially and only after that would it be possible to discuss an agreement – political, economic or any other kind. This was necessary because if one state does not recognize another one, then it is impossible to talk about any kind of union or alliance between them. The center does not recognize us, which means that what it offers is not membership of a union but being part of an empire, where the word "sovereign" is a lie, just like it used to be in the past."[9]

– It is worth noting that the national government of Georgia refused to sign the new alliance agreement back in November 1990 (when it was newly elected); particularly, at the session held on November 22,

1990 we adopted the following statement:

Addressed to Mikhail Gorbachev (regarding the draft alliance agreement):

The Supreme Council of the Republic of Georgia refuses to participate in detailed analysis of the Concept of the New Alliance Agreement, since any form of such alliance would be inadmissible to the Republic of Georgia, which is going through the first stage of the transitional period leading to its complete state independence. This statement has been ratified and adopted at November 22, 1990 session of the Supreme Council of the Republic of Georgia. Zviad Gamsakhurdia, Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia.[10]

Mikhail Gorbachev, a "democrat" displaying different attitudes towards Georgia and the Baltic Republics, in the hope of staying in power as the President of the USSR refused to recognize the independence of Georgia upon the ridiculous pretext that "there is no democracy yet in Georgia". This is what Mikhail Gorbachev said to Akaki Asatiani, Chairman of the Supreme Council of Georgia at the Congress of People's Deputies of the Soviet Union, which I also attended.[11]

Note: A false accusation of the same kind was officially brought against Georgia by the Russian President Yeltsin in Alma-Ata on December 21, 1991. Behind the scenes B. Yeltsin demanded of Nemo Burchuladze, Deputy Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia, to join CIS before December 22, threatening that otherwise Georgia "would have problems."[12]

Later James Baker also remarked that "there is an authoritarian regime in Georgia"... In regard to the "dictatorship" allegedly established in Georgia it is interesting to see one fragment of the interview given by Zviad Gamsakhurdia in 1991:[13]

Journalist: The opposition says that the West refuses to recognize Georgia because...

President: Because of the dictatorship, right?

Journalist:Yes.

President:The West does not recognize the Ukraine, Moldova and Armenia either. Do they also have dictatorial regimes? The West does not recognize the independence of our republic because of Moscow, Kremlin.

Journalist:But the West is already recognizing the Baltic Republics, why?

President: They discussed the issue of Baltic States and reached agreement. However, regarding other soviet republics they took a different decision. This means that there is an agreement between the West and the East, and it is absurd and political ignorance to think that the refusal to recognize Georgia's independence is caused by the situation inside our country.[14]

Upon my return from the Congress of People's Deputies of the Soviet Union, on October 28, 1991, I published an extensive paper titled "When It Is Not God's Will...", or the Survey of Current Events," which reads:

"During the latest Congress of People's Deputies of the Soviet Union it was repeatedly mentioned that Russia, which has become a democratic state, had nothing against other republics' aspiration for independence. However, the only issue examined was the independence of Baltic States... It is worth noting that lately the international media have been actively discussing the independence of Baltic States; the Western leaders have been continuously reminding the USSR of the Baltics issue, while they remain silent on the issue of Georgia despite the democratic processes such as elections going on in our country. Apparently, in accordance with the Malta plan, public opinion throughout the world, as well as in Russia, is only formed regarding the Baltic States."

In the same article concerning the Malta Summit I wrote the following:

"There is no doubt that one of the issues discussed by Bush and Gorbachev-Shevardnadze at the Malta Summit was the future of the USSR. It is also obvious that according to the agreement reached at the summit the communist empire gave up the Baltic States to the free world. It also gave up its communist ideals. The Russian Empire could do without Moldova as well, but it will never accept the loss of Georgia... According to the Malta Summit the Caucasus had to be part of the modernized Russian empire; however, the new government of Georgia began to upset their plans...[15]

Indeed, our government went against the current, for which it was unjustly punished. A question

arises:

Did President Zviad Gamsakhurdia have the possibility to maneuver? Could he give up the real independence of Georgia by joining the new alliance of republics created by Kremlin? Could he recall the "active neutrality" and return to the geopolitical area of Kremlin?[16]

In my opinion he could not do that, for that would mean going against the dynamics of the national-liberation movement; joining the alliance of 12 republics and later the CIS would also mean rejection of the results of March 31, 1991 Referendum. Zviad Gamsakhurdia, who had spent many years fighting for restoration of independence of Georgia, could not allow Georgia's becoming a part of the Russian empire once again. It is also noteworthy, that in the summer 1991 the Georgian government was still hoping that the civilized West would support the Georgian people's aspiration towards restoring their country's independence.

In 1991 Zviad Gamsakhurdia attempted negotiations with B. Yeltshin (upon his request, on March 23, 1991 B. Yeltshin, Chairman of the Supreme Council of the Russian Federation, visited Georgia) and with the Western leaders, but all his efforts were in vain. Finally, the only path he could pursue in order to maintain real independence of Georgia was taking drastic measures: he gave the Russian troops the status of an army of occupation[17]and, at the beginning of 1992, when the coup had already taken place in Georgia, expressed his displeasure with the civilized West for supporting the Russian Empire.[18]

During the period of its existence the Soviet Union never recognized the independence of Georgia. Before the official dissolution of the USSR in December 1991, the independence of our country had not been recognized by the US either. It is also interesting that an official document about recognition of Georgia's independence by Russia cannot be found yet.[19] Today the Russian Empire has only one official status – the status of an Invader given to it on September 15, 1991 by Gamsakhurdia's government (This status was repealed by Shevardnadze's illegitimate regime, but was restored by Saakashvili's government after the Russia-Georgia War.[20]

Although in early 1990s Zviad Gamsakhurdia's national government brought sweeping changes in the political, cultural and educational vector of Georgia – Georgia announced its decision to leave the Russian geopolitical area – they failed to achieve their ultimate goal because of the international situation: during that historical period the West was more interested in the Western Europe; the issue of leading the Central Caucasus out of the Russia's sphere of control was not yet on the agenda of pragmatic politics. During 1991-1998, with support of the West Russia managed to keep the Caucasus, Moldova, the Ukraine, Belorussia and Central Asia within its zone of control.

The second stage of restricting the Russian Empire began 10 years later – with 1999 Istanbul Summit.

At the OSCE Summit held on November 17, 1999 in Istanbul, under pressure of the civilized West, B. Yeltsin signed the commitment regarding withdrawal of military forces from Georgia (See the adapted Treaty on Conventional Armed Forces in Europe /CFE/). Based on Istanbul Summit the Russian Federation undertook to liquidate its military bases in Vaziani and Gudauta before July 1, 2001; and the talks about the terms and conditions of Akhalkalaki and Batumi military bases' functioning had to be finished by the end of 2000. Soon Russia's military withdrawal process began. At the same time, the West became more active in the Caucasian region, but Shevardnadze's government did not make definite steps towards the West and practically pursued the policy of unannounced neutrality between the civilized West and Russia. Thus, after Istanbul Summit it was already President Shevardnadze who was going "against the current" by not following the pro-Western policy course (!)[21]

The passive policy chosen by E. Shevardnadze became inadmissible for the West. As a result, they supported Mikheil Saakashvili's rise to power. The government of M. Saakashvili, who came to power after Shevardnadze, made significant steps towards the West; the most outstanding among those steps was the Plebiscite about Georgia's joining NATO. The citizens of Georgia participating in the Plebiscite had to answer the following question: "Do you support Georgia's Euro-Atlantic Integration (with NATO)?

The results of the Plebiscite showed that Georgia chose topursue NATO membership, but the West did not immediately grant Georgia the Membership Action Plan ((MAP). Russia took advantage of that and, in

early August 2008, punished Georgia for its aspirations revealed by the Plebiscite: it provoked an incident and used it as a pretext to violate the agreement reached at Istanbul Summit. Russia returned its military forces to unlawfully established bases on Georgia's occupied territory.

Thus, during the last 25 years Russian troops made a second raid on Georgia because of the pro-Western orientation of the latter (the first raid was conducted in 1992-1993).

Today, on March 28, 2019, it would be utopian thinking to hope that radically opposed Russia and NATO can reach agreement on the neutrality of a Central Caucasian state, considering that Georgia is situated in the epicenter of a serious geopolitical conflict: for Russia's imperial ambitions it is important to have access to the overland route to the military base in Gyumri and the arterial highways around the Black Sea and Central Caucasus. The same geostrategic area is essential for the security of the West.

The Georgian regions situated around the Black Sea are Adjara, Guria, Samegrelo and Abkhazia. The section belonging to Guria is not significant; Abkhazia is already occupied by Russia, so Adjara and Samegrelo are left with geopolitical capacities concentrated in them. Specifically, in addition to Ochamchire Port, Russia needs Batumi-Poti-Anaklia zone in order to control the Black Sea. At present, Russia is interested in restoring its influence over Adjara and Samegrelo by exerting pressure on the population of these two historical parts of Georgia. For this purpose it resorts to acts of sabotage manipulating the language, ethnic and religious factors; it employs the method of informational pressure (the policy of "soft force") to change the mentality of population in the mentioned regions of Georgia. Russia tries to divide the Georgian people into smaller language-ethnic[22]and religious-ethnic[23]groups and by applying the strategy of "demographic capacity" ("Divide and Rule") exert control over the territory in question.

As it has been mentioned before, the West is also interested in the Caucasian region because of the airlines, overland routes and waterways concentrated in this area. Furthermore, it desires to support the post-soviet republics that are willing to leave Russia's imperial zone.

Today Russia is acting aggressively; it is crushing the vital interest of Georgian people; the survival of Georgia as an independent state is only possible with the support of the civilized West: The Government of Georgia has no other option than to follow the course chosen by the population of Georgia through the Plebiscite of January 5, 2008.

Considering the current geopolitical reality, there is no long-term prospect for realizing the one-sided neutrality announced by Georgia,[24]because there is no such thing as one-sided neutrality, especially when the initiator of neutrality is a small country that has no guarantees given by major geopolitical players (Moreover, neutrality can be only introduced to the world arranged in "hierarchical order"). Today NATO and Russia are not able not reach agreement about the Caucasian neutrality. Currently, the main task of Georgia is to achieve de-occupation of its territory, which is only possible if the civilized West puts pressure upon Russia. Georgian people are well aware of this fact, which is why they voted for Georgia's integration with NATO in the Plebiscite of 2008.

The West also has only one option: in order to reduce the threat of Russia and make use of the Central Caucasian geopolitical capacities, it needs to actively assist Georgia in the de-occupation process, especially as by having stationed the troops on the occupied Georgian territory Russia is violating the agreement reached as a result of 1999 Istanbul Summit. If the world fails to oppose to violation of Istanbul Summit by Russia, Russia's threat to the rest of the world will grow. However, Russia's threat to the transport routes which are of vital importance to Eurasia will be "restricted" if Georgia joins NATO. The West will have firm guarantees in Georgia if along with assisting in strengthening democratic institutions it helps the Georgian state to become stronger and to defend the Georgian values. Hence, weakening the USSR thanks to Reagan's clever policy in 1980s paved the way for the process of partial dismantlement of the Soviet Empire (the whole social system), the final stage of which went down in history with the name of Perestroika (Restructuring) (1985-1991). The dismantlement of the USSR was officially announced on December 8, 1991.[25] However, Malta Summit gave Russia freedom and as a result, in 1992-1993 the Georgian government that had declared independence was overthrown by use of armed force.[26] In 1992-1993 the overthrow of the legitimate government of Georgia led to grave results, particularly, Russia committed genocide of Georgians in Abkhazia and Tskhinvali historical lands of Georgia; it forced the survivors

(regardless of ethnicity: Georgians, Abkhazians, Russians, Armenians) who were against Russia's policy to leave their homes ( more than 400 000 people became internally displaced persons).[27]

The civilized world should make an unbiased assessment of the Russian aggression

in Caucasia during 1990s to finally disclose the motif behind the 1992-1993 coup d'état and the conflicts going on in Abkhazia and Tskhinvali: Both in 1991-1992 and in 2008 Georgia was punished for declaring its independence and for choosing a pro-Western course;[28] As for the conflicts going on in Abkhazia and Tskhinvali, both of which are historical lands of Georgia, they are not ethnic conflicts, but since December 22, 1991 Russia has been waging war against the Western-oriented Georgia.

In conclusion, I would like to refer to the landmark speech made by Jens Stoltenberg on March 25, 2019.[29]

During his visit to Tbilisi the NATO Secretary General made several important statements:

– NATO and the civilized West supports the territorial integrity and sovereignty of Georgia within its internationally recognized borders and calls upon the Russian Federation to leave Georgia's occupied regions;

– In response to violation of Istanbul summit and other agreements by Russia NATO strengthens the military forces in the Black Sea region;

– We welcome the strengthening of security measures in the Black Sea region;

– Georgia is a highly valued partner, but for its Euro-Atlantic integration NATO wants to see even more progress in democratic reforms...

Today I do not represent the diplomatic corps of Georgia, so I can say openly that

Georgia has never been as close to NATO before, but it is also noteworthy that presently, considering the real danger of a new aggression from Russia, the focus on the "democratic reforms" in Georgia leads us to think that the civilized West is still overcautious with Russia and this "overcautiousness" can be as disastrous for Georgia as it proved to be in 1991: In 1991, while observing the agreement reached at Malta Summit the West sacrificed the President of Western-oriented Georgia Zviad Gamsakhurdia. It was thanks to "overcautious" attitude of the West that in 2008 we got Russian aggression instead of MAP (August 8, 2008).

If in 2019 the West continues to show "overcautiousness", which can lead to another aggression by Russia, it will be a real catastrophe for Georgia, and the catastrophe suffered by Georgia will not only cause a long-term "restriction" of NATO's prospects regarding the Black See, but will also substantially affect the airline, water and land routes going across Georgia.

[1] The Berlin Wall, built in 1961, became a borderline between the areas of influence of two super-powers. It separated the states that formed NATO (April 4,1949; Washington) from the countries that were forced to join the Warsaw Pact (May 14, 1955). At present, there is a barrier similar to the Berlin Wall set up by Russian invaders in Georgia, specifically, the Perevi-Atotsi-Ditsi-Tsitelubani-Orchosani line.

[2] It would be more reasonable to divide the Caucasian regions into three parts: the Northern Caucasus (presently part of the Russian Federation; the Central Caucasus including Georgia, Armenia, Azerbaijan; and the Southern Caucasus (currently part of Turkey).

[3] See Zviad Gamsakhurdia's text in the New Year's (1990) talk by Zviad Gamsakhurdia, Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-ru-00---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL1.3.6.1&d=HASHd67f982a1e2349ff517a68 (citation: March 24, 2019).

[4] On October 28, 1990, as a member of the political organization the Helsinki Union of Georgia I was elected Member of the Supreme Council of the Republic of Georgia. I worked as an Executive Secretary of the Human Rights Committee; during the expulsion of the Supreme Council I acted as Deputy Chairman of the Council; and finally as the Chairman of the Council.

[5] https://www.president.gov.ge/ka-GE/saqartvelo/damoukideblobis-aqti.aspx(citation: March 24, 2019).

[6] The Republic of Georgia – 1990 – April 10– No70 (90), pg. 2,3.

[7] In spring 1991 Bush publically advised the Ukraine to stay within the Soviet Union. In the same speech G. Bush characterized Z. Gamsakhurdia's policy as "going against the current."

[8] On August 20, 1991 Gorbachev was going to sign a new alliance agreement with leaders of several republics, but the coup d'etat attempted on August 19 prevented him from establishing a new union, which would be a legal successor of the USSR. This task was accomplished after several months by Boris Yeltsin, who created the union of Belorussia, the Ukraine and the Russian Federation (December 8, 1991). This process was continued in Alma-Ata and ended after the subversion of Zviad Gamsakhurdia, when Georgia, the last disobedient republic, now represented by Shevardnandze's regime, signed the agreement about joining the CIS.

[9] Leaders of the Georgian State; Official Documents, Addresses and Interviews; Volume II; Zviad Gamsakhurdia; President of the Republic of Georgia (1991); Tbilisi 2013 (compiled by Mzia Khositashvili), pg. 391

[10] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1--0-10-0--0-0--0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1--0utfZz-8-10&cl=CL4.9&d=HASH01d6a8fb5f6cfd9158f31a62&x=1(citation: March 24, 2019).

[11] The Congress was held at the beginning of September 1991. I was attending the Congress as a representative of the Parliament of Georgia together with several other MPs including Akaki Asatiani. M. Gorbachev mentioned the fact of dispersing a rally in Tbilisi on September 2, 1991, as an illustration of nondemocratic policy of the Georgian President. In fact that provocation was staged by the same people who lately participated in the Russian organized coup d'état that resulted in the overthrow of Gamsakhurdia's government.

[12] See the text of the speech made by Nemo Burchuladze, Deputy Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia, at March 28, 2019 Scientific Conference "Zviad Gamsakhurdia – 80" hosted by the Georgian University.

[13] Naturally, Zviad Gamsakhurdia's dictatorship could not exist while the Soviet troops were located in Tbilisi. As I have mentioned before, the real reason of Russia's refusal to recognize the independence of Georgia was the importance of the Caucasian region in the light of Kremlin's imperial ambitions; as a result of the negotiations between the US and the USSR during the Malta Summit that regions were left to Russia. During 1990-1991 secession from the Soviet Union became possible only for those republics that had never been considered as part of the USSR by the United States.

[14] Leaders of the Georgian State; Official Documents, Addresses and Interviews; Volume II; Zviad Gamsakhurdia; The President of the Republic of Georgia (1991); Tbilisi 2013 (compiled by Mzia Khositashvili), pg. 292

[15] "When It Is Not God's Will...", or the Survey of Current Events" (The Republic of Georgia, September 28, 1991).

[16] Compare: During 1992-1993, after the coup organized in Georgia by Russia, Shevardnadze's regime came to power by consent of Russia and the West. This regime at first involved the country in a conflict with Abkhazia and during the depression following the defeat declared that Georgia had joined the CIS.

[17] On September 15, 1991, the Supreme Council of the Republic of Georgia passed a resolution about giving the Soviet military forces dislocated on the Georgina territory "the status of an army of occupation."

[18] See President Zviad Gamsakhurdia's letter: "addressed to Mr James Baker, US State Secretary": "As it has become known you are going to visit Georgia together with Eduard Shevardnadze, the bloody murderer of Georgian people. Eduard Shevardnadze was the organizer of the military coup, which drowned the Georgian people's democratic gain in blood. Such action discloses your alliance with the criminal junta that sheds the innocent people's bloods every day, shoots the peaceful demonstrators, arrests hundreds of people, commits a gross violation of human rights and crushes human freedom threatening that they will shoot everyone who dares to take part in rallies to support the legitimate government. All this discredits the policy pursued by the US, which considers itself a democratic state..." Zviad Gamsakhurdia, President of the Republic of Georgia, February 8, 1992 (See the full text in the newspaper Georgian Opinion (No 6,

February 26, 1992, pg. 2).

[19] It is noteworthy that neither Yeltsin's government nor the following ones have officially recognized the independence of Georgia. The diplomatic relations established with Shevardnadze's illegitimate regime have ended. Compare the information about recognition of Georgia's independence during 1991-1992: August 27 – Romania; August 27 – Moldova; August 30 – Azerbaijan; September 13 – Armenia; December 16 – Turkey; December 20 – Lithuania; December 20 – Mongolia; December 25 – the US; December 25 – Iran; December 25 – Canada; December 26 – Brazil; December 26 – India; December 26 — Cuba; December 26 – Thailand; December 27 – Algeria; December 27 – Belorussia; December 27 – Egypt; December 27 – Vietnam; 27 December 27 – China; December 27 – Slovenia; December 28 – Jordan; December 28 – Croatia; December 30 – Lebanon; December 31 – Pakistan; 1992: January 2 –Ethiopia; January 2 – Iraq; January 2 – Laos; January 23 – Bulgaria; January 24 – Slovakia; January 24 – Czech Republic; March 4 – Peru; March 6 – Yugoslavia; March 9 – Argentina; March 17 – Zimbabwe; March 19 – Norway; March 23 – Spain; March 23 – Iceland; March 23 – Italy; March 23 – Ireland; March 23 – Luxembourg; March 23 – Great Britain; March 23 – Germany; March 23 – Greece; March 23 – France; March 23 – Belgium; March 23 – Portugal; March 23 – the Netherlands; March 24 – Poland; March 25 – Austria; March 26 – Israel; March 26 – Mexico; March 27 – Finland; March 28 – Burundi; March 29 – Australia; April 2 – Sweden; April 3 – Japan; April 6 –Afghanistan; April 6 – North Korea; April 7 – Cyprus; April 21 – Switzerland (This list has never included Russia).

[20] For more detailed information see: T. Putkaradze, Guidelines of the Supreme Council of the Republic of Georgia in Modern Geopolitical Context; Collected Works: The Supreme Council of the Republic of Georgia and April 9 Act of Independence, Tbilisi, 2006, pg. 45-59.

[21] Compare: In early 1990s the neutrality pursued by President Gamsakhurdia was considered as "going against the current" since it was an anti-Russian course; at the beginning of the 21stcentury the "real neutrality" maintained by Shevardnadze was against (the current of) the Western political course.

[22] On Russia's efforts towards dividing Georgia into language and ethnic groups, see T. Putkaradze, Modern Challenges of Kartvelological Studies, Tbilisi, 2019. Today one group has become especially active trying to distort the essence of the European Charter for Regional and Minority Languages and use local dialects to create Megrelian, Swan, Laz "standard languages" (See the statements by Al. Chachia, B. Gogia, G. Sichinava and others); this group will not manage to estrange the population of Samegrelo from the centuries-old literary language created by such figures as Ioane Lazi, Giorgi Chkondideli and Konstantine Gamsakhurdia).

[23] Regarding Adjara see T. Putkaradze, The Conflict of Geopolitical Interests in Transcaucasia: Batumi 1878, 1920. 1991, 2008: Collected works: South-West Georgia in the Context of Geopolitical Interests of Its Neighbor States; Materials of the International Scientific Conference Dedicated to the 130thAnniversary of Adjara's Return to Its Motherland; published by Shota Rustaveli State University, Batumi, 2009. Pg. 111-136 http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia.

[24] Maintaining neutrality is rather expensive, as providing the military resources needed for it requires considerable funds (for the information about the military budgets of NATO members and neutral countries see K. Katsitadze, 2001, pg. 157-161).

[25] Vakhtang Guruli, The Collapse of the Soviet Union, Tbilisi, 2007, pg 17-18

[26] Some people blame President Gamsakhurdia that he supported August 1991 Coup organized by Yanayev and others instead of Gorbachev-Yeltsin tandem. However, there are many facts that prove that Zviad Gamsakhurdia did not support the State Committee on the State of Emergency; See the newspaper Figaro: "I know that Gorbachev is no longer considered as a political force in the Soviet Union. As for Yeltsin, I am glad that he gained such a great victory. I support his political goals." /Eric Flaman, 1991, August 31; the Republic of Georgia. – 1991– August 31 #170 (190), pg. 3. These and other materials have been published in the collected works: Leaders of the Georgian State; Official Documents; Addresses and Interviews; Volume II; Zviad Gamsakhurdia; The President of the Republic of Georgia (1991); Tbilisi 2013.

[27] Regarding the conflicts occurring in Georgia see T. Putkaradze, Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace,

Georgian Orthodox Church, Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War – Prospects for Peace.

http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia; The Conflict in Abkhazia, Attempts and Prospects of Dividing Georgia into Federal Units (Analysis of the Situation concerning the Languages Spoken in Georiga), Magazine Chveneburi #4 (16), 2008 https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/05/afxazta_uflebebi.pdf(citation: 24.03.2019).

[28] In 1991-1992 the Elchibay government was overthrown in Azerbaijan for pursuing the pro-Western (pro-Turkish) course; at the same time, as a result of the conflict provoked in Karabag, Azerbaiijan lost Karabag, while the conflict claimed the lives of many Azerbaijanians and Armenians; through that conflict Russia gained control over Armenia. [29] Jens Stoltenberg – We continue working together to prepare Georgia for NATO membership. I hope we will soon welcome you to NATO. https://1tv.ge/news/iens-stoltenbergi-vagrdzelebt-mushaobas-rom-saqartvelo-gakhdes-nato-s-wevri/; Jens Stoltenberg: We call upon the Russian Federation to reverse its recognition of the independence of Abkhazia and South Ossetia and to withdraw its troops from Georgia's occupied regions (March 25, 2019). https://1tv.ge/news/iens-stoltenbergi-movuwodebt-rusets-gaiwvios-afkhazetisa-da-samkhret-osetis-damoukidebel-sakhelmwifod-aghiarebis-ganckhadeba-da-gaiyvanos-jarebi/?fbclid=IwAR1aXQgxpRQ3O2bzR4RPuqL4_e3_H1wtsK8Jt-M6fCjM3uZHU5EY2VV4kYE.

28 მარტი, 2019

## აჭარაში 1991 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების შესახებ

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი 1990 წლის 28 ოქტომბრიდან[1]. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი. ბათუმის პრეფექტი 1991 წლის მარტიდან ივლისამდე.

აჭარაში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის, ასევე, აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზების უზრუნველყოფისათვის 1991 წლის მარტის დასაწყისში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის პრეფექტად დავინიშნე. თავდაპირველად ჩემი კანდიდატურა არ განიხილებოდა; ბათუმის პრეფექტის ორი ოფიციალური კანდიდატი იყო წამოყენებული: აჭარის „მრგვალმა მაგიდამ" ნოდარ იმნაძის ხელმძღვანელობით კანდიდატად დააყენა ექიმი გია ბაჯელიძე; აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თენგიზ ხახვამ კი – ბათუმის აღმასკომის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე. აჭარის ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზება იმდენად არსებითი იყო ზვიად გამსახურდიასთვის, რომ ვერ ენდო ვერც ერთ წამოყენებულ კანდიდატურას. მთხოვა, მე წავსულიყავი პრეფექტად რეფერენდუმის ჩატარებამდე. პრეფექტობა არ იყო ჩემი ინტერესი: იმხანად ვიყავი პარლამენტის ქართული ენის ქვეკომისიის თავმჯდომარე და მეტი სიახლოვე მქონდა ჩემს სპეციალობასთან – ენათმეცნიერებასთან; გარდა ამისა, მამაჩემი წინააღმდეგი იყო, ასეთ რთულ დროს ამეღო პასუხისმგებლობა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ჯერ კიდევ თებერვალში ბევრი ეუბნებოდა მამაჩემს, რომ მე ვინიშნებოდი აჭარის პირველ პირად თუ ბათუმის პრეფექტად, არადა, ამ დროს არც მე და არც ბატონ ზვიადს ამ მიმართულებით დანიშვნაზე საერთოდ არ გვქონდა ნაფიქრი; თუმცა, ალბათ, ბევრმა იცოდა, რომ აჭარიდან ზვიად გამსახურდიას სახელზე გამოგზავნილ პრობლემურ წერილებს ბატონი ზვიადი ჩემთან ამისამართებდა, რომ მომემზადებინა პასუხებისა თუ გადაწყვეტილებების პროექტები.

ოჯახში წინააღმდეგობის მიუხედავად, ბ-ნ ზვიადს მარტის დასაწყისში პრეფექტობაზე დავთანხმდი, ვინაიდან ჩემთვისაც სისხლხორცეული იყო ქართველების გამმიჯნავი ულოგიკო ავტონომიის გაუქმება; დავთანხმდი, მაგრამ ვთხოვე, მიზანი რომ განგვეხორციელებინა,

რაიონების პრეფექტების რამდენიმე კანდიდატთაგან შეერჩია ისინი, რომელთაც მე ვენდობოდი და რომლებიც მხარს დამიჭერდნენ რეფერენდუმის ორგანიზებაში. შევთანხმდით; შესაბამისად, პირადად, ჩემი მხარდაჭერით, პრეფექტები გახდნენ: ბ-ნი ბეჟან გობაძე – ხულოს რაიონში; ბ-ნი შოთა ფუტკარაძე – შუახევის რაიონში, ბ-ნი სანდრო ბერიძე – ქედის რაიონში და ბ-ნი ანზორ თხილაიშვილი – ქობულეთის რაიონში. ხელვაჩაურში არჩევანი არ მქონდა; ხელვაჩაურში დაინიშნა ბ-ნი ბესარიონ ბიბინეიშვილი.

**ხაზგასმით ვამბობ:** ბ-ნ ზვიადთან შეთანხმებით, ჩვენი უპირველესი ფუნქცია იყო საქართველოს დამოუკიდებლობის თემაზე 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ორგანიზება და შემდეგ, აჭარის ავტონომიის სამართლებრივი გზით გასაუქმებლად, აჭარის მასშტაბით, რეფერენდუმის ორგანიზება (პირადად, მე დამევალა აჭარაში რეფერენდუმის კოორდინირება).

1991 წლის მარტის დასაწყისშივე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ მითხრა, რომ რეფერენდუმის იდეას ხელს შეუშლის კგბ-ს გენერალი, ავღანეთის ომის მონაწილე, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თენგიზ ხახვა; ამიტომ აპირებს მის გადაყენებას და მის ნაცვლად ჩემს დანიშვნას, ბათუმის პრეფექტობის შეთავსებით. მე ვუთხარი, რომ არ ვარ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შესაბამისად, წესით, ვერც თავმჯდომარედ ამირჩევდნენ... მან თქვა, რომ კანონში შესწორებას შესთავაზებდა აჭარის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებს.

რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომის დროს, ბ-ნი ზვიადი მეუბნება, რომ ჩემი სამი თანამდებობის (უზენაესი საბჭოს წევრი, პრეფექტი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე) შეთავსების თვალსაზრისით, არის წინააღმდეგობა და ცოტა მოვიცადოთო.

რამდენიმე დღის შემდეგ დამიბარა და მითხრა:

– ხომ იცი, თენგიზ ხახვას არ ვენდობი; ის შენ ხელს გიშლის; თუ იცნობ ასლან აბაშიძეს? აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მის კანდიდატურას მთავაზობენ: თემურ ქორიძე, ნოდარ იმნაძე, აკაკი ასათიანი, დილარ ხაბულიანი[3]... ასლანს შევხვდი; იგი დამპირდა, რომ გვერდით დაგიდგება არა მხოლოდ 31 მარტის რეფერენდუმის, არამედ ავტონომიის საკითხის მოსაგვარებელ რეფერენდუმშიც; ასლანი მამაჩემის მეგობრის შვილია და არ გვიღალატებს [4].

– მე ვკითხე:

– რამდენად ენდობით კაცს, რომელსაც არ იცნობთ და არც არასოდეს ყოფილა ჩვენს სიახლოვეს; ამბობენ, რომ ნასამართლევიც არის კაცის მკვლელობის თემით... გარდა ამისა, ორივე რეფერენდუმის საკითხი კარგად მიდის და ახალი დანიშვნა არ იქცეს ხელისშემშლელ ფაქტორად...

დაფიქრდა; ბოლოს მითხრა:

– კიდევ ვიფიქრებ.

მალევე ვიგებ, რომ გადაწყდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ასლან აბაშიძის, ხოლო მის მოადგილედ – ნოდარ იმნაძის დანიშვნა.

1991 წლის მარტში ასლან აბაშიძისა და ნოდარ იმნაძის დანიშვნა სრულიად „უცნაურად“ მოხდა: ნოდარ იმნაძის ნათქვამს თუ დავეყრდნობით, არჩევითი ორგანოს თავმჯდომარედ არადეპუტატების არჩევა გააიოლა კანონში „ერთმა პატარა ჩასწორებამ“ (მე უშუალოდ არ ვესწრებოდი ამ თანამდებობებზე მათ „არჩევას“); კერძოდ, ნოდარმა მითხრა:

„აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის დებულებაში, ჩემი წინადადებით, შევიდა ერთი შესწორება; კანონში იყო: აჭარის უმაღლესი საბჭო თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს უმაღლესი საბჭოს წევრებიდან... ჩემი ინიციატივით, ამ ჩანაწერს დაემატა ფრაზა: „როგორც წესი“. ეს დამატება დაამტკიცეს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებმა (საუბარია კომუნისტების დროს თენგიზ ხახვას დროინდელ უმაღლეს საბჭოს წევრებზე – ტ.ფ.). ამ დამატებამ საშუალება მისცა უმაღლეს საბჭოს, თავის თავმჯდომარედ აერჩია არადეპუტატი ასლან აბაშიძე; მის მოადგილედ კი – მე, ასევე არადეპუტატი – ნოდარ იმნაძე“.

ნოდარ იმნაძის ეს თვალსაზრისი ჩემში ეჭვს არ იწვევს. მე მაშინ არ გამიპროტესტებია ასეთი მანიპულაცია იმიტომ, რომ ჩემთვის ეს „უმაღლესი საბჭო“ ისედაც უკანონო, არალეგიტიმური ორგანო იყო და მისი გაუქმება ისედაც გვინდოდა. ამ დანიშვნის წინ კიდევ ერთხელ მითხრა ბატონმა ზვიადმა:

– თუ ასლანი იქნება ამ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, იოლად მიიღებს კანონს რეფერენდუმის შესახებ და აჭარის მოსახლეობის ნება თუ იქნება, ეს უკანონო ავტონომიაც იოლად გაუქმდება![5]

ასლანის ამ პირველი დანიშვნის მერეც ვესაუბრე ბ-ნ ზვიადს. ბ-ნი ზვიადი ფიქრობდა, რომ ეროვნული მოძრაობისათვის უცხო ასლანს გააკონტროლებდა აჭარაში ეროვნული მოძრაობის გამორჩეული ლიდერის, აჭარის მრგვალი მაგიდის სპიკერის, ნოდარ იმნაძის საშუალებით, მით უმეტეს, ნოდარ იმნაძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს – გურამ ჩიგოგიძეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამმართველოს უფროსს – მამუკა კობახიძეს.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მთელი მოსამზადებელი სამუშაოები, სააგიტაციო შეხვედრები დაგეგმილი და განხორციელებული იყო პრეფექტების მიერ (რაიონებში – ჩემი, როგორც უზენაესი საბჭოს წევრის, აქტიური ჩართულობით). ასლან აბაშიძე, რომელიც რეფერენდუმამდე დაინიშნა, ახლოსაც არ გაგვკარებია. მის მიმართ ჩემი უნდობლობა უფრო და უფრო სარწმუნო ხდებოდა. ბოლოს ჩემთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ მასთან კომუნიკაცია ჰქონდა ავტონომიის შენარჩუნების მომხრე მცირერიცხოვან ჯგუფს – „აჭარის ხსნის კომიტეტის“ წევრებს.

**აქვე საინტერესოა ერთი ნიუანსიც:** 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმამდე ზემო აჭარაში დაძრწოდნენ ე.წ. აჭარის ხსნის კომიტეტის წევრები და რამდენიმე ადგილობრივი კომუნისტი ლიდერი (მათ ხალხმა „სავარძლების ხსნის კომიტეტი“ დაარქვა), რომლებიც ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ხმა არ მიეცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იმიტომ რომ 1918 წელს არ იყო აჭარის ავტონომია; შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე მხარდაჭერით მხარს დაუჭერდნენ აჭარის ავტონომიის გაუქმებას.

ამგვარი დემაგოგიის მიუხედავად, ხალხმა – აჭარის მოსახლეობამ – ხმა მისცა უავტონომიო საქართველოს დამოუკიდებლობას: აჭარის მკვიდრნი მზად იყვნენ, მოეშორებინათ უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომია (1991 წლის 31 მარტს აჭარაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგი: აჭარის მოსახლეობის 98%-მა მისცა ხმა უავტონომიო საქართველოს დამოუკიდებლობას).

საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ხალხში ეროვნული მუხტი უფრო გაძლიერდა და ეროვნული ღირსება უფრო ამაღლდა 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ; 1991 წლის 9 აპრილიდან 22 აპრილამდე აჭარაში იყო დიდებული განწყობა, ხალხი სრულად იყო მობილიზებული ქართველთა დამანაწევრებელი აჭარის ავტონომიის გასაუქმებლადაც. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, კრემლის ინსტრუქციების შესაბამისად, წინა წლებშიც აქტიურობდნენ საქართველოში აღორძინებული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ და ავტონომიისა და, თითქოსდა საფრთხის ქვეშ მყოფი მუსლიმური თემის დასაცავად[6], თუმცა ამ უკანასკნელთ არავინ უსმენდა: 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ აჭარაში დიდი ეროვნული ზეიმი იყო; ზვიად გამსახურდიას არაერთი მიმართვის პასუხად, აჭარის მოსახლეობა მზად იყო გაეუქმებინა უკანონო და მხოლოდ მაფიისათვის სასარგებლო ავტონომია. ეშმაკს არ ეძინა, ამიტომ ჩვენ (მე, ნოდარ იმნაძე და სხვა პრეფექტები) ხშირად ვხვდებოდით მუსლიმი თემის წარმომადგენლებს და საქართველოს მტრების დეზინფორმაციების პასუხად ვეუბნებოდით, რომ მათ რწმენას საფრთხე არ შეექმნება თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში.

**ცოტა უფრო ვრცლად აჭარაში მუსლიმანობის შესახებ:** საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური კუთხე – აჭარა – არის ქრისტიანობის უპირველესი კერა: ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, აქ აიგო მსოფლიოში პირველი ეკლესია. საქართველოში ოსმალური აგრესიის პერიოდში ცოცხლად გადარჩენილი ის მოსახლეობა, რომელიც არ გაიხიზნა საქართველოს სხვა მხარეებში, გამუსლიმანდა ეკონომიკური და სხვა ბერკეტების ზემოქმედებით.

რუსეთის ბოლშევიკური იმპერიის აგრესიის პერიოდში აჭარაშიც მაქსიმალურად შეიზღუდა რელიგია; შესაბამისად, XX საუკუნის 80-იან წლებში აჭარაში ფაქტობრივად ქრებოდა საქართველოს ამ ნაწილში შემოსული არაბულენოვანი რელიგია.

კომუნისტების დროს საქართველოს სასკოლო განათლება მოიცავდა „ძველი ქართული ლიტერატურის“ სწავლებასაც. „ძველი ქართული ლიტერატურის“ დიდ ნაწილს ქართული საეკლესიო მწერლობა (აგიოგრაფია) წარმოადგენდა; შესაბამისად, აჭარაში აღზრდილი ქართველისათვის საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ხდებოდა ქართულენოვან ქრისტიანობასთან. სწორედ ამით უნდა აიხსნას ჩემი 1977 წლის გადაწყვეტილება, დამებრუნებინა ჩემი წინაპრების რელიგია – ქრისტიანობა. მართლაც, 1978 წელს, კომუნისტური იდეოლოგიის ზეობის ხანაში (აღვნიშნავ იმასაც, რომ ამ დროს მამაჩემი იყო რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი), მოვინათლე თბილისის სიონში. აჭარაში დაბადებული და აღზრდილი სხვა პირებიც უბრუნდებოდნენ წინაპრების რელიგიას. ეს პროცესი არ გამორჩებოდა არც რუსეთის იმპერიისა და არც მეზობელი თურქეთის ხელისუფლებას.

ქართველთა ენობრივი და რელიგიური, საბოლოო ჯამში, ეროვნული კონსოლიდაცია ხელს არ აძლევდა კრემლს; შესაბამისად, 80-იანი წლების ბოლოს აჭარაში მუსლიმანობის თემას ააქტიურებდა, ერთი მხრივ, რუსული აგენტურა, მეორე მხრივ კი – თურქული ფული, რომლითაც ფინანსდებოდნენ ახალგამოჩეკილი მოლები (პირველ ეტაპზე მათი დიდი ნაწილი სულაც ათეისტი იყო, მაგრამ ხელფასის გამო თანხმდებოდნენ „მოლის“ როლს)[7]. რუსეთის მთავარი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელის შეშლა საქართველოს ავტონომიებში პრობლემების შექმნით; თურქეთის გარკვეული წრეების მიზანი იყო მუსლიმანობის აღორძინებით, საქართველოში (ზოგადად, კავკასიაში) თურქეთის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური ინტერესების ლობისტების რაოდენობის გაზრდა.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, 80-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი იყო, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების პატივისცემით, საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქეების აღზრდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ჩემი, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრისა და ბათუმის პრეფექტის, ერთ-ერთი პირველი შეხვედრა დავგეგმე ღორჯომის თემში, რამდენადაც ვიცოდი, რომ მუსლიმანებით დასახლებულ ამ ძირძველ ქართულ სოფელში ბევრი პროვოკატორი მუშაობდა ჩვენს წინააღმდეგ. ღორჯომის საოცრად თბილი და ურთიერთგაგებითი შეხვედრა დღემდე მახსოვს. ამ სულისკვეთებით რომ გაგრძელებულიყო ხელისუფლების დამოკიდებულება აჭარაში მუსლიმური თემის წარმომადგენლებთან, ასევე, საქართველოს სხვა რელიგიურ უმცირესობებთან, გარეშე მტრები დასაყრდენს ვერასოდეს ნახავდნენ საქართველოს მოქალაქეებში[8].

პარალელურად, ამ პერიოდში (1991 წლის გაზაფხული) ათეისტობიდან გამოსულ აჭარაში იწყება მასობრივი ნათლობები – მოსახლეობის დიდი ნაწილი ასე დემონსტრირებულად უბრუნდებოდა წინაპართა რელიგიას – მართლმადიდებელ ქრისტიანობას.

ხალხის ასეთი ამაღლებული განწყობის შესახებ ყოველმხრივი ინფორმაცია ჰქონდა ეროვნული ხელისუფლების მეთაურს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას. ავტონომიის გასაუქმებლად რეფერენდუმის ჩატარებას თითქოსდა ხელს არაფერი უშლიდა. პრეზიდენტი თავისი არაერთგზის დეკლარირებული იდეის ერთგული იყო და ხალხის განწყობის შესაბამისადაც, გადაწყვიტა, ყველა ახალდანიშნულ ხელმძღვანელ პირს კოორდინირებულად გვემუშავა აჭარაში რეფერენდუმის ჩასატარებლად.

მალე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ასლან აბაშიძე ცდილობდა, ხელი შეეშალა რეფერენდუმის ჩატარებისათვის და, პარალელურად, ცენტრალურ სახელისუფლებო კულისებში თემურ ქორიძის დახმარებით ცდილობდა აჭარაში, ჩვენს ნაცვლად, დაენიშნათ მისთვის სასურველი პრეფექტები და პოზიციების გასამყარებლად ფორსირებულად ჩაეტარებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები (ამ მიზნით, ბ-ნ ზვიადთან შეხვედრაზეც აგზავნიდა საგანგებოდ დამოძღვრილ ჯგუფებს). ასლანმა, ეს რომ ვერ მოახერხა, დაადგა ავანტიურის გზას: ბათუმში დისლოცირებულ რუს სამხედროებთან თანამშრომლობით, აჭარა-გურიისა და ადიგენის სოფლებში მონახა რამდენიმე ათეული ადამიანი და დაგეგმა აჭარაში არეულობის პროვოცირება. ბუნებრივია, კრემლის გეგმა იყო აჭარის ავტონომიის შენარჩუნება, მაგრამ იმხანად მოსკოვი ამას ვერ შეძლებდა, დასაყრდენი რომ არ ეპოვა აჭარის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში... 1991 წლის აპრილში ბათუმში განვითარებულ მოვლენებში კრემლის აქტიურ ჩართულობას ცხადყოფს შემდეგი ფაქტიც:

1991 წლის 11 და 12 აპრილს სსრ კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ რამდენიმეგზის პროვოკაციულად გაიმეორა ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიას აუქმებს და ამიტომაც აჭარაში არეულობააო! არადა, ზუსტად იმ პერიოდში აჭარაში აბსოლუტური სიმშვიდე და დიდი ეროვნული ზეიმი იყო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადების გამო.

როგორც შემდგომ გამოჩნდა, 11-12 აპრილის სატელევიზიო დეზინფორმაციები იყო მოსკოვის ნიშანი, გააქტიურებულიყო მისი აგენტურა საქართველოში ამ მიმართულებით (ეს იმპერიის გამოცდილი „სვლა“ იყო: ცენტრალური ტელევიზიით გამოცხადდებოდა „გამოსვლებიაო” და რამდენიმე დღეში აქციის პროვოცირება მართლაც ხდებოდა მინიშნებულ ქალაქში)...

ჩვენდა მოულოდნელად, 1991 წლის აპრილის პირველ ნახევარშივე მერაბ კოსტავას საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქ-ნმა სვეტლანა კუდბამ ბათუმის ბულვარში დადგა კარავი და ბ-ნ ზვიადთან და ჩვენთან შეთანხმების გარეშე დაიწყო აქცია აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. ხელს ბევრი აწერდა, მაგრამ ამ ფაქტმა ნეგატიური პროცესის ფორსირება გამოიწვია (გააქტიურებამ საბაბი მისცა კრემლის მიერ მართულ ძალებს, რომლებიც კონსოლიდირდნენ ასლანის გარშემო). ჩვენი კატეგორიული პოზიცია იყო მშვიდი დინამიკით მიღებულიყო კანონი რეფერენდუმის შესახებ და შემდეგ ჩატარებულიყო რეფერენდუმი აჭარის მასშტაბით აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის თემაზე. ავტონომიის გაუქმების მოთხოვნის გადატანა ქუჩაში ხელმოწერების შეგროვების ფორმატში კრემლს საფუძველს აძლევდა, შეტევა განეხორციელებინა აჭარაში რეფერენდუმის იდეაზე. სხვადასხვა არგუმენტაციით, ქუჩაში კარვის დადგმის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ნოდარ იმნაძეც და მეც. მე ვთვლიდი, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოების ქმედება ხელს უწყობდა ე.წ. მუსლიმანთა საზოგადოებისა“ და „აჭარის ხსნის კომიტეტის წევრებს“, ხელისუფლებისათვის დაებრალებინათ ავტონომიის „ზემოდან“ გაუქმების მცდელობა, რამდენადაც მერაბ კოსტავას საზოგადოება მმართველი ბლოკის: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ წევრი იყო (მოგვიანებით, ქ-ნი ს. კუდმა მჭიდროდ თანამშრომლობდა ასლან აბაშიძესთან, ახლა კი არის საქართველოს პარლამენტის წევრი).

13 აპრილს ჩემთვის ცნობილი გახდა, მერაბ კოსტავას საზოგადოების მიერ ორგანიზებული კარვის აქციით გაღიზიანებული ჯგუფი შეხვდა ასლანს, რომელთან ერთადაც დაიგეგმა აქცია ავტონომიის დასაცავად. ამ ფაქტებით დავრწმუნდი, რომ არც ასლანი და არც მერაბ კოსტავას საზოგადოება არ იყვნენ ჩვენი გულწრფელი პარტნიორები; გარდა ამისა, საქართველოს სპეცსამსახურები სათანადო სიფრთხილეს ვერ იჩენდნენ.

სათანადო დოკუმენტური მასალით წავედი თბილისში და შევხვდი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას. მან დამამშვიდა:

– ერთად ვიმუშაოთ რეფერენდუმის ორგანიზებისათვის! ამ დღეებში დავიბარებ ასლანს, ყველას და ერთიან გეგმაზე შევთანხმდებით!

მთხოვა, კრემლის პროვოკაციის პასუხად, თავიანთი პოზიცია დაეფიქსირებინათ ზემო აჭარაში არჩეულ საკრებულოებს, რამდენადაც, რამდენიმე წლის წინ სწორედ ზემო აჭარლების გამოყენებით დაარბიეს ეროვნული მოძრაობის მიტინგი ჩაქვში.

მეორე დღეს მე დავწერე ოფიციალური წერილი პრეზიდენტის სახელზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით (წერილის ასლი იხ. დანართში), რომელიც ოფიციალურად შევიტანე კანცელარიაში 15 აპრილს (14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია).

აჭარაში დაბრუნებისთანავე ხულოს, ქედისა და შუახევის პრეფექტებთან განვიხილე საკითხი. ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ახალარჩეული საკრებულოების დეპუტატებმა მზაობა გამოთქვეს, ემუშავათ ავტონომიის გაუქმების მიმართულებით; მათ დააფიქსირეს მოთხოვნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საქართველოს სხვა რაიონების ხელისუფლების მსგავსად, პირდაპირ დაქვემდებარებოდნენ არა აჭარის ავტონომიის ხელისუფლებას, არამედ – საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

ანალოგიური განწყობა იყო ქალაქ ბათუმშიც და ქვემო აჭარის რაიონებშიც.

საკრებულოების გადაწყვეტილებებზე ხელმოწერილი დოკუმენტებით, ზემო აჭარის პრეფექტები და მე წარვდექით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინაშე. ზვიად გამსახურდიამ

თავისთან დაიბარა, ასევე: ასლან აბაშიძე, გურამ ჩიგოგიძე, ნოდარ იმნაძე, აკაკი ასათიანი, დილარ ხაბულიანი, თემურ ქორიძე, ჯონი ხეცურიანი და ჩვენი თანდასწრებით მოითხოვა, შევჯერებულიყავით ერთ სტრატეგიაზე – ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი აჭარაში.

რეფერენდუმის ჩატარებაზე თავს იკავებდნენ ნოდარ იმნაძე, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა კობახიძე; ერთი-ორი წელი მოვიცადოთ, ნუ ავჩქარდებითო, – ასეთი იყო მათი პოზიცია. პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა რეფერენდუმის ჩატარებას. ყველა დაეთანხმა. ასლან აბაშიძემ დადო პირობა, დაგვეხმარებოდა რეფერენდუმის ორგანიზებაში. არასოდეს დამავიწყდება ასლან აბაშიძის პასუხი ზვიად გამსახურდიას მოთხოვნაზე, ერთად გვემუშავა რეფერენდუმის ორგანიზებისათვის; კერძოდ, ფეხზე წამომდგარმა ასლან აბაშიძემ ტკეპნით წარმოთქვა:

– პრეზიდენტი რასაც ბრძანებს, შევასრულებთ; თუნდაც კაცის თავის მოტანა გახდეს საჭირო... [9]

ამ საშინელი დაპირების მიუხედავად, ასლან აბაშიძემ ბათუმში დისლოცირებული სსრკ ავშირის ჯარის ხელმძღვანელობასა და საქართველოში რუსეთის იმპერიის სხვა მხარდამჭერებთან ალიანსით 1991 წლის 22-23 აპრილს დაგეგმა პროვოკაციული მიტინგი რეფერენდუმისა და რეფერენდუმის მომხრე პრეფექტების, ასევე, როგორც არააჭარლების – ნოდარ იმნაძის, გურამ ჩიგოგიძისა და მამუკა კობახიძის – წინააღმდეგ (ასლანის მიერ შეკრებილ ბრბოში ასეთი მოთხოვნებიც იყო: დაგვანახეთ რეფერენდუმი! თანამდებობიდან მოხსენით რეფერენდუმი! ვინ არის რეფერენდუმი?)[10]. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ბრბოს ჰქონდა აჭარის ავტონომიის „დასაცავი“ რუსულენოვანი (და არა – თურქულენოვანი!) ლოზუნგები.

მიტინგის ამბავი რომ გავიგე, მაშინვე მივედი ასლანთან და მოვითხოვე პასუხი მისი სატელევიზიო გამოსვლის გამო, როდესაც მან, ფაქტობრივად, მოუწოდა ხალხს, მოსულიყვნენ მიტინგზე.

მიპასუხა, რომ ხალხს იმიტომ მოუწოდა, რომ აგრესიულ ბრბო მცირერიცხოვანია და ბევრ ხალხში ისინი ჩაიკარგებიანო; მითხრა, რომ თავად დაამშვიდებს სიტუაციას. ბოლოს მთხოვა, დავრჩენილიყავი მის კაბინეტში, რადგან მომიტინგენი ჩემს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი.

რა თქმა უნდა, მის კაბინეტში არ დავრჩენილვარ; ჩემს ათამდე ახლობელთან ერთად (ჩემი ძმა – თემურ ფუტკარაძე; მეგობრები: მემედ ბერიძე, დავით ფუტკარაძე...) გავედი მიტინგზე. გაოცებული ვუყურებდი საშინელ მოვლენას: 9 აპრილის გამო მოზეიმე აჭარაში გამოჩნდა ჯგუფი, რომელიც სრულიად საპირისპიროს ითხოვდა: აჭარის გერბს, დროშას... ასლანი ჩემს თვალწინ ჰპირდებოდა, რომ აჭარას ექნებოდა გერბი, დროშა... მიტინგს ლიდერობდნენ ჩემი „ძველი ნაცნობები“ – საქართველოს გარედან მართული „აჭარის ხსნის კომიტეტის წევრები“. მიტინგზე ბევრი შემთხვევით მისული ადამიანი იდგა; ზოგი მივიდა ასლანის სატელევიზიო მოწოდების გამოც; მათ არ იცოდნენ, რა გეგმა ჰქონდა აბაშიძეს. რეფერენდუმის წინააღმდეგ აქტიურობდა, მაქსიმუმ, 50-100 ეგზალტირებული ადამიანი (ერთმა გარეწარმა წერილობით გაავრცელა ჭორი, რომ მე 22 აპრილს მიტინგს გავერიდე, თბილისში გავიპარე და მას შემდეგ თითქოსდა ბათუმში აღარ დავბრუნებულვარ).

მიტინგიდან მივედი პრეფექტურაში, სადაც მელოდებოდნენ ბადრი ცეცხლაძე, გურამ აბაშიძე, ავთანდილ აბაშიძე და სხვები[11]. თანამშრომლებთან და ზოგ ახლო მეგობართან თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, მე წავსულიყავი თბილისში და ასლანის ღალატის შესახებ დეტალურად მესაუბრა პრეზიდენტთან. ამავე დღეს ერთ-ერთმა სპეცსამსახურმა მითხრა, რომ მოსალოდნელი იყო დაქირავებული ქილერის ჩემზე თავდასხმაც... თავდასხმის თავიდან ასაცილებლად შუადღის შემდეგ ჩემმა ძმამ (თემურ ფუტკარაძე), გურამ აბაშიძემ, ბადრი ცეცხლაძემ, ავთანდილ აბაშიძემ და სხვა ბიჭებმა ჩოლოქამდე გამაცილეს[12], რომ პრეზიდენტს დროულად სცოდნოდა ზუსტი ინფორმაცია. 22 აპრილს, საღამოს, ყველაფერი ვუამბე პრეზიდენტს და ვთხოვე, გადაეყენებინა ასლან აბაშიძე და პასუხისგებაში მიეცა მიტინგის ორგანიზატორები; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბათუმში მოსალოდნელი იყო სისხლისღვრა. პრეზიდენტი დამპირდა, რომ ასლან აბაშიძეს გადააყენებდა 26 მაისს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ... სამწუხაროდ, ასლანის ავანტიურამ გაჭრა:

ასლანმა პრეზიდენტს „აჩვენა“, რომ ავტონომიის გაუქმების იდეა სახიფათოა; „ხალხი“ „ღელავს“, მაგრამ მას შეუძლია ამ „ბნელების“ დაშოშმინება; რომ ეს აგრესიული ბრბო მან დაშალა

და არა – პრეფექტებმა თუ მრგვალი მაგიდის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნოდარ იმნაძემ.

არადა, ფაქტია: ასლან აბაშიძემ თავად შექმნა დაძაბულობა და თავადვე „მოაგვარა“: მსოფლიოს თვალში აჭარლები ბნელებად წარმოაჩინა, სტიმულირება მისცა ბათუმში გურულებისა და აჭარლების დაპირისპირებას (რომელსაც არც მანამდე და არც მას შემდეგ ადგილი არასდროს არ ჰქონია). მთლიანობაში, გაწირა საქართველოს ინტერესები და ასეთი გაუმართლებელი მანიპულაციით თანამდებობა შეინარჩუნა, შედეგად, ჰაერში „დენთის სუნი“ დატრიალდა.

მე მეორე დღეს, 1991 წლის 23 აპრილს, დავბრუნდი ბათუმში და პრეფექტურაში ყოველდღიურად ვსაქმიანობდი 30 აპრილამდე – ვიდრე ასლან აბაშიძემ არ მოკლა ნოდარ იმნაძე. ნოდარის მკვლელობის შემდეგ კი მე სხვებთან ერთად ბათუმიდან თბილისამდე ჩამოვაცილე ნოდარის ცხედარი.

მოკლედ, 30 აპრილს ასლან აბაშიძის კაბინეტში შეჭრილი ნოდარ იმნაძის მკვლელობის შესახებ:

22-23 აპრილის მიტინგის შემდეგ ასლანთან დაპირისპირებული ნოდარ იმნაძე თბილისში დაიბარა ზვიად გამსახურდიამ; ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდია დაძაბულობის მოხსნას ცდილობდა ასლანთან დათმობით, რამდენადაც უკვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ასლანი ყველაფერს იკადრებდა თავისი პოზიციების გასამყარებლად.

პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ნოდარს და მის მიერ დაფუძნებულ აჭარის გვარდიას დაეტოვებინა აჭარის ტერიტორია. ნოდარმა გვარდია ქალაქიდან გაიყვანა. თავად კი ქალიშვილთან და ორ გვარდიელთან ერთად მობრუნდა ქალაქში.

ჩემი აზრით, მისი უკან მობრუნების მიზანი იყო, გაელანძღა ასლანი და დაეშინებინა. მას ასლანის მკვლელობის მიზანი რომ ჰქონოდა, გვარდიას არ დატოვებდა ქალაქგარეთ, იმ ორ გვარდიელს არ დატოვებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობის გარეთ და მხოლოდ ქალიშვილის თანხლებით არ შევიდოდა ასლანის კაბინეტში, სადაც დახვდნენ ასლანის მსგავსი მოვლენა მურმან ომანიძე და აჭარის უშიშროების შეფი ანზორ ჯაიანი.

ასლანის კაბინეტში შესვლისთანავე ნოდარმა მოღალატე უწოდა ასლანს და, შეშინების მიზნით, კედელზე მიუშვა ავტომატის ჯერი. საპასუხოდ, ისროლა ანზორ ჯაიანმა და ნოდარი მკლავში დაჭრა; დაჭრილი ნოდარი გარეთ გამოვიდა, მაგრამ უკან დაედევნა ასლან აბაშიძე და ზურგში ესროლა; წაქცეულს კიდევ მრავალი ტყვია დაახალა ნოდარის ავტომატითვე, რომელიც ნოდარს იქვე დაუვარდა...

თვითმხილველთა მონაყოლით, 30 აპრილის ტრაგიკული ამბის ასეთი სურათი აღდგება (მკვლელობის თვითმხილველები არიან ნოდარ იმნაძის ქალიშვილი – ნატო იმნაძე, ანზორ ჯაიანი და მურმან ომანიძე).

**კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო:** ნოდარ იმნაძე ასლან აბაშიძის მოსაკლავად არ შეჭრილა მის კაბინეტში; ასეთი მიზნის შემთხვევაში გვარდიელებს არ დატოვებდა შენობის გარეთ და საკუთარ ერთადერთ ქალიშვილს არ შეიყვანდა შენობაში (ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ნოდარ იმნაძე – ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია http://putkaradze1.blogspot.com/2017/04/blog-post_30.html).

პირველ მაისს ასლან აბაშიძემ მთხოვა, სახლში მომენახულებინა, ვინაიდან დაჭრილი იყო. ვინახულე მისსავე ბინაში (ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე). ყელი ჰქონდა შეხვეული; დამჭრაო, ნოდარს ლანძღავდა. ბოლოს მითხრა:

– პრესა და ტელევიზია შენია; უთხარი მათ, რომ იმნაძე მოსაკლავად შემოვარდა ჩემს კაბინეტში; თავს დამესხა და მე თავი დავიცავი... დაიცავი ჩემი ინტერესები და ბათუმში მუშაობა თანასწორი უფლებებით გავაგრძელოთ...

ცივად ვუპასუხე:

– ნოდარი მოსაკლავად რომ შემოსულიყო, გვარდიელებს ქუჩაში არ დატოვებდა და ქალიშვილთან ერთად არ შემოვიდოდა; მას შენი სიკვდილი არ უნდოდა; მან შეცდომა დაუშვა, შენს დასაშინებლად რომ ისროლა, მაგრამ ერთი ტყვიაც არ მოგხვედრია; ასე ნაზად ყელს არ კაწრავს გადაჭრილი ავტომატის ტყვია![13].

ამ დიალოგით სამუდამოდ დაშორდა ჩვენი გზები.

1991 წლის 22-23 აპრილის ბათუმის არეულობებს ასლან აბაშიძესთან ერთად ორგანიზებას

უწევდნენ: ძმები ასანიძეები (შემდგომში დიდი თანამდებობის პირები), შალვა ვარშანიძე, იუსუფ ბერიძე, ნაზი თებიძე, ბადრი მელაძე და ე.წ. „აჭარის ხსნის კომიტეტის“ სხვა წევრები. 1991 წლის 22-23 აპრილის პროვოკაციის არსი და 30 აპრილს ნოდარ იმნაძის მკვლელობის ფაქტი დეტალურად იცოდა პრეზიდენტმა, რომელმაც პრეფექტებს, ასევე, პრეზიდენტის საგანგებო კომისიის წევრებს: ზაურ ქობალიასა და ვახტანგ ჭითავას[14], მოგვცა პირობა, 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადააყენებდა ასლან აბაშიძეს და გამოძიებულ იქნებოდა 22-23 აპრილის მოვლენებიც და ნოდარ იმნაძის სადისტური მკვლელობაც.

მართალია, ასლან აბაშიძემ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ვერ ჩაატარა 28 აპრილს, მაგრამ ხელი შეგვიშალა რეფერენდუმის ჩატარებაშიც და, რაც მთავარია, აჭარაში საბედისწეროდ დაძაბა ვითარება. 1991 წლის 8 მაისს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, აჭარის თემაზე საგანგებო მიმართვით გამოსულიყო ტელევიზიით; სადაც მან დაგმო ავტონომიის საკითხის ქუჩაში გადატანა (მიანიშნა მერაბ კოსტავას საზოგადოების აქციის მიუღებლობაზე) და საპირისპირო მხარეს პირობა მისცა, რომ დროულად ჩატარდებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; მან ასევე განაცხადა:

„აჭარაში გავრცელდა ინფორმაცია, რასაკვირველია, მტრული წყაროებიდან გამომდინარე, თითქოს მე მსურს აჭარის ავტონომიის გაუქმება და დაუყოვნებლივ მსურს მივიღო ამისთვის ზომები. ეს გახლავთ სიცრუე, მეგობრებო, ეს გახლავთ დეზინფორმაცია. სინამდვილეში, დაწყებული პირველი სესიიდან, როგორც კი გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ და საქართველოში შეიცვალა კომუნისტური წყობილება, მე ვქადაგებ, რომ ავტონომიის საკითხი, ეს არის სათუთი საკითხი, ეს არის ხალხის გადასაწყვეტი საკითხი, ეს არის მოსახლეობის ნების გათვალისწინებით გადასაწყვეტი საკითხი, კერძოდ, რეფერენდუმით (ხაზი ჩემია – ტ.ფ.). თანაც ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, კერძოდ, აჭარის მოსახლეობამ მხოლოდ და მხოლოდ, და აქ არავითარი დაძალება, არავითარი დიქტატი არ იქნება, არავითარი თავს მოხვევა ცალკეული შეხედულებებისა, ცალკეული პირების პოზიციებისა, თუნდაც პრეზიდენტის პოზიციისა...“[15]

**ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ ასლან აბაშიძემ გზა მოიჭრა:** ის აჭარის ავტონომიის პირველი პირის თანამდებობას თუ ვერ შეინარჩუნებდა, ციხეში აღმოჩნდებოდა; შესაბამისად, მკვლელობის შემდეგ უფრო თავგანწირვით ცდილობდა ზვიად გამსახურდია დაერწმუნებინა, რომ მას თუ გადააყენებდა, აჭარაში ქაოსს მიიღებდა. ეს იყო ფაქტობრივი შანტაჟი. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ნათლად ხედავდა, რომ ასლანს პრორუსული ძალების ხელშეწყობით მართლაც შეეძლო სიტუაციის დაძაბვა, რაც ნამდვილად დიდ საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს.

რეალური საფრთხის შესახებ ბატონმა ზვიადმა დეტალურად მითხრა 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც. მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დასაზღვევად, პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც, ზვიად გამსახურდიამ არ გადააყენა ასლან აბაშიძე და ჩვენ, პრეფექტებს, გვთხოვა, უკეთესი დროისათვის გადაგვედო რეფერენდუმის ჩატარება და გვეთანამშრომლა ასლან აბაშიძესთან.

მე ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი და 1991 წლის ივნისში ჩემი ნებით გადავდექი ქალაქ ბათუმის პრეფექტობიდან. პრეზიდენტმა ჩემი გადადგომა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაადასტურა: 1991 წლის ივლისიდან ბატონი ზვიადის შემოთავაზებითვე, საქმიანობა გავაგრძელე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე.

ნოდარ იმნაძის მკვლელობისა და პრეფექტობიდან ჩემი გადადგომის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა აჭარის ხელისუფლების ორიენტირები: ჩაკვდა საქართველოში ქართველთა უკანონო ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების იდეა; შემცირდა მასობრივი ქრისტიანული ნათლობები, გახშირდა მუსლიმანური სამლოცველოების (ჯამეების გახსნა), მმართველი კლანის მთავარ ინტერესად იქცა ფულადი კაპიტალის დაგროვება და პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად, ფულს დახარბებული ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლების გარდაქმნა ახალი ტიპის (არასაბჭოურ) „ლეღვის ფოთლებად“... საბოლოო ჯამში, აჭარაში ჩამოყალიბდა ფინანსურად ძლიერი ასლანის ფეოდალური კლანი, რომელმაც ერთიანი საქართველოს სივრცეში შექმნა გაცილებით დამოუკიდებელი ავტონომია, ვიდრე იყო საბჭოთა პერიოდში. ამით ძალიან სახიფათო ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს დასანაწევრებლად. არსებითი ისაა,

რომ ამ მიზნისათვის ასლანმა გამოიყენა როგორც თავისი ნათესავები (მაგ., ძმები ასანიძეები, რომლებიც შემდეგ ასლანმა სასიკვდილოდ გაწირა), ე.წ. მუსლიმანთა საზოგადოება, „გარდაქმნის მხარდამჭერი აქტივისტი კომუნისტები, ასევე, თბილისელი ლობისტები, რომელთა მხოლოდ გვარებს ჩამოვთვლი: ქორიძე, ხაბულიანი, ომანიძე... პუტჩის შემდეგ: ბოლოთაშვილი, მიშველაძე, გელბახიანი, გურული, თარგამაძე, ჯაველიძე... შემდეგ – შევარდნაძის კლანიც.

**საგანგებოდ აღვნიშნავ:** 1991 წლის 22-23 აპრილის აქცია, ზოგადად, ასლან აბაშიძის მიერ აჭარის ავტონომიის შენარჩუნება და აჭარა-გურიის საზღვარზე ბლოკ-პოსტების აღმართვა არ იყო აჭარის მოსახლეობის ნება-სურვილი. აჭარის მოსახლეობის რეალური განწყობა და ნება დაფიქსირდა ზემო აჭარის რაიონების საკრებულოების დეპუტატთა ხელმოწერებით ავტონომიის გაუქმების შესახებ. ასლან აბაშიძე, როგორც „აჭარის ავტონომიის მეთაური“ კი შექმნა კრემლმა თბილისში მოღვაწე დასახელებული თუ სხვა გვარების თანამონაწილეობით; სისხლში გასვრილი ხელი კი შეეწმინდა იმ გაუცნობიერებელ ჯგუფს, რომელიც გამოყენებულ იქნა 1991 წლის 22-23 აპრილს ასლან აბაშიძის მიერ (ასეთი პირები ყველა კუთხეში შეიძლება იპოვოს დაინტერესებულმა ძალამ). ასლან აბაშიძის „ფეოდალურ“ თავგასულობას, სინამდვილეში, კრემლის მცდელობას, საქართველოს უნიტარული სახელმწიფოს ნაცვლად გარდამავალ ეტაპზე სუსტი ფედერაციული სახელმწიფო წარმოქმნილიყო, წერტილი დაესვა „ვარდების რევოლუციით“[16].

**დასასრულ, აღვნიშნავ:** მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, 1991 წლის მარტიდან ქალაქ ბათუმის პრეფექტს, საკმარისი ინფორმაცია მქონდა აჭარაში არსებულ ვითარებაზეც, ხალხის განწყობაზეც და საგარეო თუ საშინაო საფრთხეებზეც; ყოველივეს გათვალისწინებით, ახლაც ვფიქრობ, რომ 1991 წლის მაის-ივნის-ივლისი იყო შესანიშნავი დრო, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური მთავრობის უკანონო გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხალხისათვის არასოდეს არ იყო და არც იქნება აუცილებელი სახელისუფლებო რგოლი; ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ აჭარის მუნიციპალიტეტებს ისეთივე ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებს. ახლაც, 27 წლის შემდეგ, ვფიქრობ, რომ, რომ არა რუსეთისაგან მართული ასლან აბაშიძის კლანის დესტრუქციული ქმედება[17], 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის მიზანშეუწონლობის შესახებ (აჭარის ავტონომიის შექმნის კანონიერების შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); Terminological Errors and Fraudulent Symbolic Dates (Analysis of official documents concerning Batumi created in 1918-1921 in the context of news war) საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018, გვ. 151-170; იხ., ასევე: ტ. ფუტკარაძე, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ და 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები (იბეჭდება).

---

[1] 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 1992-93 წლებში განდევნილ იქნა ხელისუფლებიდან რუსეთის ჯარის მიერ. უზენაეს საბჭოს თავისი სამართალმემკვიდრეობა დღემდე არ გადაუცია პუტჩით ხელისუფლებაში მოსული არაკანონიერი ხელისუფლებისა თუ მისი მემკვიდრე მთავრობებისათვის. გარდა ამისა, მე როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, დღემდე არ ამიღია ე.წ. სადეპუტატო პენსია, რომელსაც, როგორც წესი, იღებს ყველა ყოფილი პარლამენტარი; შესაბამისად, უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა დე იურე დღემდე არსებობს.

[2] 1991 წლის აპრილში აჭარაში მიმდინარე პროცესების შესახებ იხ., ასევე: ტ. ფუტკარაძე, ნოდარ იმნაძე – ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია: http://putkaradze1.blogspot.com/2017/04/blog-post_30.html; წარმოდგენილი ფაქტების შესახებ შედარებით ვრცლად პირველად დავწერე 2001 წელს მამაჩემისადმი მიძღვნილ წიგნში; იხ.: ალექსანდრე ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები;2001

https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.4640366723893&type=3..

[3] დასახელებულ პირთაგან მხოლოდ ნოდარ იმნაძემ უერთგულა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კურსს.

[4] გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროების, მაგ., თემურ ქორიძის ინტერვიუს, საფუძველზე იმავეს წერს ქ-ნი ლ. ცომაია წიგნში: „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“, თბ., 2018, გვ. 141-157. აჭარაში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991-93 წლებში აჭარაში მიმდინარე პროცესების შესახებ იხ. ასევე: ალექსანდრე ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები;2001, გვ. 209 274. https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.4640366723893&type=3.

[5] როგორც შემდეგ გამოჩნდა, ასე არ ფიქრობდა ასლან აბაშიძე; პირიქით: მისი მიზანი იყო ამ უკანონო სტრუქტურის გაძლიერება თავისი ფინანსური ინტერესისა თუ მისი ლობისტი სხვა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. ამიტომ ასლან აბაშიძემ თავიდანვე მიზნად დაისახა, 1991 წლის 28 აპრილს ჩაეტარებინა აჭარის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები და იგი დაეკომპლექტებინა თავისი ერთგული ადამიანებით... 28 აპრილს ვერ, მაგრამ მოგვიანებით მან ეს შეძლო ნოდარ იმნაძის მკვლელობისა და პრეფექტობიდან ჩემი გადადგომის შემდეგ. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ახალ არჩეულ აჭარის უმაღლეს საბჭოში ზვიად გამსახურდიას ძალიან გაუჭირდა ასლან აბაშიძის ხელახლა დანიშვნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ (რა თქმა უნდა, ეს არ იყო თავმჯდომარის არჩევნები), რადგან ხალხიც, ახალარჩეული აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ასლანს არ ჰქონდა ის ორიენტირები, რაც ესაჭიროებოდა ერთიან საქართველოს. სამართლიანობისათვის აქვე აღვნიშნავ, რომ ასლანის ხელახლა დანიშვნას პრეფექტებთაგან კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით მე და ბეჟან გობაძე. ბეჟან გობაძე უკვე აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც იყო; ზვიად გამსახურდიას თხოვნის მიუხედავად, ბეჟანმა ხმა არ მისცა ასლანის არჩევას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

[6] ასეთი პირები ჯერ გაერთიანებული იყვნენ ზემოხსენებულ „აჭარის ხსნის კომიტეტში“; შემდეგ ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი 1987-1988 წლებში ტრანსფორმირდა „გარდაქმნის მხარდამჭერ ჯგუფად“ (ფაქტობრივად, პრორუსულ მე-5 კოლონად). ამავე პერიოდში კრემლის მიერ მსგავსი პრორუსულ-კოლაბორაციონისტული (და არა – სეპარატისტული) ორგანიზაციები შეიქმნა აფხაზეთსა („აფხაზეთის სახალხო ფორუმი“ და „აიდგილარა“) და ცხინვალის მხარეში („ადამონ ნიხასი“). დაწვრილებით, იხ. სერგი საჯაია, დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში /აფხაზეთში/ (1972-1992 წლები), თბ., 2011, გვ. 92-100.

[7] თურქეთიდან მუსლიმანების დაფინანსება და მუსლიმანური ლიტერატურის შემოტანის მასშტაბი მკვეთრად გაიზარდა ასლანის დროს. ასლანის დროსვე დაიწყო აჭარიდან ახალგაზრდების გაყვანა თურქეთში და იქიდან თურქეთში განათლებამიღებული მოლების სახით შემოსვლა აჭარაში. პროცესი გაგრძელდა ასლანის შემდეგაც (და გრძელდება დღემდე) – საქართველოში ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში. საქართველოში დღესაც თავისუფლად ხორციელდება სხვა რელიგიების პროპაგანდა, რომელიც, არაიშვიათად, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებშიც გადადის.

[8] დღესაც დანაშაულად მიმაჩნია, საარჩევნო ხმების გამო ანტისახელმწიფოებრივი რელიგიური და ანტისახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკის წარმოება. ასეთი რელიგიური პოლიტიკა დაიწყო აჭარაში ასლანის დროს. ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით, ზოგი პოლიტიკური სუბიექტი დღემდე მანიპულირებს სრულიად საქართველოს მასშტაბით.

[9] ამ შეხვედრასაც და კონკრეტულად ამ ფრაზასაც ასე იხსენებს სანდრო ბერიძეც (იხ. მისი ტექსტი წიგნიდან: “პრეფექტობის აზღარბული წელიწადი“, რომელიც 2019 წლის 7 ივნისს გამოაქვეყნა თავისი ფეისბუკის გვერდზე.

[10] ნოდარ იმნაძე, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა კობახიძე თავდაპირველად ასლანის დანიშვნას უჭერდნენ მხარს, მაგრამ როცა დაინახეს, რომ მან ყველა წითელი ხაზი გადალახა და ღიად გამოვიდა აჭარის ავტონომიის დასაცავად, ისინიც დაუპირისპირდნენ აბაშიძეს. ამის შემდეგ აბაშიძის მიერ მართული დესტრუქციული ბრბო შეეცადა გურულ-აჭარული დაპირისპირების პროვოცირებას; ამ მიზნით, მათ გააქტიურეს მაღალ თანამდებობებზე მყოფი „არააჭარლების“

გადაყენების ლოზუნგი და მათ ნაცვლად იოსებ ხიმშიაშვილისა და ლევან ხოზრევანიძის დანიშვნა. ასლანმა „მათ“ ეს სურვილი შეუსრულა და, ფაქტობრივად, დააფიქსირა კუთხური დაპირისპირება, რაც მას ხელს აძლევდა, გაემყარებინა თავისი უავტორიტეტო ავტორიტეტი. თავისი ავტორიტეტის შესაქმნელად მან გამოიყენა მუსლიმი თემის რელიგიური გრძნობებიც.

[11] მაშინდელი გარემოცვიდან ერთს ჩვენგან ინფორმაცია რომ გაჰქონდა, ჩემთვის გვიან გახდა ცნობილი.

[12] ჩემი მკვლელობა რომ იგეგმებოდა, ცხადყოფს შემდეგი ფაქტიც:

აპრილის მეორე ნახევარში, შუაღამისას ჩემთან, ბათუმში გურიიდან ჩამოვიდა ალექსანდრე ბასილაშვილი; ცოცხალი რომ დამინახა, ბავშვივით გადამეხვია: გურიაში გავრცელდა ჭორი, რომ ბათუმის პრეფექტი მოკლესო. იგივე ჭორი გავრცელდა იმერეთშიც, თბილისშიც... კაგებეშნიკური ჭორის გავრცელება ფაქტის პროცესის მომზადებას გულისხმობს... ბათუმის პრეფექტი იმხანად შემთხვევით გადარჩა, მაგრამ, ბედის განგებით, მოკლულ იქნა აჭარაში ეროვნული მოძრაობის ლიდერი ნოდარ იმნაძე (რომელიც, ბათუმიდან გასული, უცნობი მიზეზით უკან დაბრუნდა უმაღლესი საბჭოს შენობაში, სადაც მოკლეს. ვრცლად იხ. ქვემოთ)... მოგვიანებით, ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტმაც მითხრა: თურმე ბეწვზე ხარ გადარჩენილი, რამდენადაც ჩემთვის ახლა გახდა ცნობილი, ნოდარის არა, მაგრამ შენს მოსაკლავად ავარია იგეგმებოდაო, ამიტომ 26 მაისამდე, სანამ ასლანს არ გადავაყენებ, თბილისში დარჩიო (1991 წლის 26 მაისის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ აპირებდა ასლანის გადაყენებას). ვფიქრობ, ჩემს წინააღმდეგ ტერორისტული აქტი შემთხვევით ვერ განხორციელდა. ნოდარის მკვლელობის შემდეგ თბილისში დავრჩი და ასლანმა ხელში ჩაიგდო მთელი ძალაუფლება.

[13] სრული ინფორმაციისათვის იხ.:

https://www.youtube.com/watch?v=-CQCIgKS698

https://www.amerikiskhma.com/a/georgia-former-adjarian-leader-aslan-abashidze-given-15-year-prison-sentence/3467504.html

https://www.youtube.com/watch?v=r4AoA3NVNxs

https://www.youtube.com/watch?v=EtnCYuzGRsc

იხ, ასევე: “მკვლელობა ასლან აბაშიძის კაბინეტში”

https://lessonsgeo.wordpress.com/1991/05/01/%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1/


[14] ძველი დისიდენტები, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები და საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრები: ვახტანგ ჭითავა და ზაურ ქობალია პრეზიდენტმა საგანგებოდ გამოგზავნა აჭარაში მიმდინარე პროცესების შესასწავლად. ორივე ჩემი ძალიან ახლო მეგობარი იყო; ეს იცოდა პრეზიდენტმა და მაინც მათ მიანდო აჭარის ამბების გამოწვლილვითი შესწავლა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ პრეზიდენტი უკვე აღარ ენდობოდა თემურ ქორიძეს ასლანის დანიშვნის შემოთავაზების გამო. საგანგებო საპრეზიდენტო კომისიის გამოგზავნის ფაქტი ცხადყოფს, რომ პრეზიდენტი ასევე არ ენდობოდა სპეცსამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს. სპეცსამსახურების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი რომ კრემლთან იყო კოორდინაციაში, ეს გამოჩნდა 1991-92 წლებში განხორციელებული პუტჩის დროსაც. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საქართველოში კრემლის მიერ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის საფუძველი იყო 1989 წლის 2 დეკემბერს მალტაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საბჭოთა იმპერიამ დათმო აღმოსავლეთ ევროპა ბალტიის სახელმწიფოებითურთ და დაინარჩუნა კავკასია, შუა აზია, უკრაინა, ბელორუსია და მოლდოვა. დავძენ: ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ პუტჩი დაიწყო არა 1991 წლის 22 დეკემბერს, ანდა, 1991 წლის 2 სექტემბერს, არამედ, სწორედ 1991 წლის 22-23 აპრილს ასლან აბაშიძის მიერ აჭარაში ორგანიზებული მიტინგით, 30 აპრილს ნოდარ იმნაძის მკვლელობით და 1991 წლის ივნისში ჩემ მიერ ბათუმის პრეფექტის პოსტის დატოვებით.

[15] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 მაისი. – # 91 (111).

[16] ვარდების რევოლუციის შუქ-ჩრდილებზე საუბარი სხვა თემაა; მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: მიხეილ სააკაშვილს ანგარიში რომ გაეწია 1991-93 წლებში დევნილი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობისათვის, საქართველო ბევრად მოიგებდა და თავად სააკაშვილიც გადაურჩებოდა იმ კატასტროფას, რომელიც მან განიცადა.

[17] ედუარდ შევარდნაძისა და ჯაბა იოსელიანის მოგონებები ცხადყოფენ, რომ ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობამდეც და შემდეგაც თანამშრომლობდა დასახელებულ ორივე პუტჩისტთან. ფაქტია ისიც, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გენერლის წოდება მიანიჭა ასლან აბაშიძეს – დე იურე სხვა ქვეყნის მოქალაქეს. დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ ასლან აბაშიძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამორჩეულად პრორუს პოლიტიკოსთან – ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელთან ერთადაც 2001 წელს ასლან აბაშიძემ შექმნა „საკოორდინაციო საბჭო“. ეს პრორუსული დუეტი განიხილავდა სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხსაც (დოკუმენტური მასალისათვის იხ.: ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018, გვ. 152).



მალე გამოქვეყნდება ვრცელი სამეცნიერო ხასიათის წერილი:

“პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ და 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები”

8 ივნისი, 2019

# პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ და 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები

ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019 წლის 10-12 აპრილი) მოხსენების ვრცელ სტატიად გამოქვეყნება გადავწყვიტე იმიტომ, რომ საბჭოთა ინერციის მქონე თუ გავლენიან კლანთა კრიმინალური არსის მიზანმიმართულად შემფუთავი **ისტორიკოსები დღესაც ცდილობენ და მომავალშიც შეეცდებიან, გააყალბონ რეალური ისტორია**. მე, როგორც ბევრი არსებითი ფაქტის თვითმხილველსა თუ რამდენიმე ისტორიული დოკუმენტის თავად შემქმნელს, მაქვს ვალდებულება, მომავალ თაობებს პირუთვნელი ისტორიისათვის (ივ. ჯავახიშვილის ფრაზაა!) შევუნახო ზუსტი და შეუღლამაზებელი აღწერა 1991 წელს აჭარაში მიმდინარე პროცესებისა. ფაქტები გაანალიზებული მაქვს ისტორიულ და თანამედროვე საერთაშორისო კონტექსტში.

არსებითია იმის აღნიშვნა, რომ 1991 წელს საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები დღესაც უცვლელია; გარდა ამისა, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება და მისგან მართული კოლაბორაციონისტი ჯგუფები **ახლაც ცდილობენ, 1991 წელს აჭარაში შექმნილი დაძაბულობა ახსნან აჭარის ადგილობრივ მოსახლეობასა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირებით.** სინამდვილეში ექსცესები კრემლის მიერ იყო დაგეგმილი, მთავარ როლებს კი **არა ადგილობრივი მოსახლეობა**, არამედ **თბილისიდან დანიშნული პირები ასრულებდნენ** /რუსეთის ჯარის ბათუმის დივიზიის ხელმძღვანელი პირების ჩართულობით/.

გასული საუკუნის 90-იან წლებში **მსგავსი შეფუთვით** განახორციელა რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის ხელახალი ოკუპაცია. კრემლი იმავეს ცდილობს დღესაც არა მხოლოდ აჭარაში, არამედ: სამეგრელოშიც, სამცხე-ჯავახეთშიც და აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლშიც. შესაბამისად, **სადღეისოდაც და სამომავლოდაც მნიშვნელოვანია 1991 წელს აჭარაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული და ობიექტური ანალიზი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უნიკალური მოვლენაა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მსოფლიოშიც, რამდენადაც არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს ამ სახელმწიფოს დამფუძნებელი ძირითადი ეთნოსის ავტონომია; არცაა მოსალოდნელი, რამდენადაც, ნონსენსია, მაგ., გერმანელების მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოში ავტონომია ჰქონდეს ეთნიკური გერმანელების ერთ-ერთ ჯგუფს, ანდა ფრანგების სახელმწიფოში იარსებოს საფრანგეთის რომელიმე კუთხეში მცხოვრები ეთნიკური ფრანგების ავტონომიამ; შესაბამისად, სრულიად ალოგიკურია ეთნიკური ქართველების მიერ დაფუძნებულ მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოში ეთნიკურ ქართველთა (/აჭარელთა) ავტონომიის პოვნიერება; მით უმეტეს, დღეს, როცა არ არსებობს არც რაიმე ლეგიტიმური საერთაშორისო ვალდებულება და არც კუთხის მოსახლეობის იდენტობის განმსაზღვრელი რელიგიური ფაქტორი (აჭარის მკვიდრთა დიდი ნაწილი ქრისტიანია, ნაწილი – მუსლიმანი, ნაწილი კი – ათეისტი თუ სხვა აღმსარებლობისა).

**მოკლედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ**[1]:

ისტორიულად აჭარა იყო ქართველთა სახელმწიფოს (ძველისძველი კოლხას, ისტორიული იბერიის ანუ ქართლის, გვიანდელი საქართველოს) შავიზღვისპირა ნაწილის ცენტრალურ ნაწილში არსებული ეთნიკური ქართველების მხარე. ჩრდილოეთით აჭარას აგრძელებს გურია-სამეგრელოს, სამხრეთით კი – ლაზეთ-კლარჯეთის ისტორიული ქართული მხარეები.

სხვადასხვა საუკუნეში გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი კავკასიის ცენტრში არსებულმა საქართველოს სახელმწიფომ რამდენიმე დიდი დამპყრობლის (ბერძნები, სპარსელები, არაბები, მონღოლები..) აგრესიას გაუძლო, მაგრამ 1555 წელს ოსმალეთ-ირანის მიერ საქართველოს გადანაწილების შემდეგ (ამასიის ზავი) ერთიანმა საქართველომ დიდხანს ვეღარ შეძლო ფეხზე წამოდგომა. 1801 წლიდან საქართველოს დიდი ნაწილი, ირანის ნაცვლად, ახალი დამპყრობლის – რუსეთის – აგრესიის მსხვერპლი გახდა. რუსეთი და ოსმალეთი თითქმის საუკუნის მანძილზე ერთმანეთთან ქიშპობდნენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიის გადასანაწილებლად; **პარალელურად, ქართველი ერის ღირსეული შვილები იბრძოდნენ საქართველოს დამო-**

**უკიდებლობის აღდგენისათვის**. ამ დაპირისპირების პროცესში, მე-19 საუკუნეში რუსეთმა ოსმალეთს დაათმობინა ისტორიული საქართველოს ტერიტორიების ნაწილი; კერძოდ, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა, კლარჯეთი და ლაზეთის მცირე ნაწილი.

1917-18 წლებში მეფის რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ნაწილში აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა (26.05.2018), მაგრამ რუსეთის იმპერიის მიერ განადგურებული საქართველოს სამეფო დინასტიის ნაცვლად, ხელისუფლება ჩაიბარა საქართველოს ამ ნაწილის მოსახლეობის წარმომადგენლობითმა ორგანომ – დამფუძნებელმა კრებამ: **მონარქიის ნაცვლად გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკა.**

1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას მიზნად ჰქონდა, შემოეერთებინა ოსმალეთის გავლენის ველში დარჩენილი საქართველოს ნაწილიც (ერუშეთი, ტაო, სპერი, ლაზეთის დიდი ნაწილი...). ბუნებრივია, ოსმალეთიც იყო დაინტერესებული, შეენარჩუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები; მეტიც, უკან დაებრუნებინა რუსეთის მიერ წართმეული სხვა ქართული მიწებიც (სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, კლარჯეთი...), სადაც 200-300 წლის მანძილზე რელიგიური და ეკონომიკური ბერკეტებით შეძლო მოსახლეობის ნაწილის დეზორიენტირება თუ მიმხრობა. აქვე აღვნიშნავ, რომ ოსმალეთმა ვერ განახორციელა მთავარი მიზანი – ადგილობრივი ქართველობის უმრავლესობის **ეთნიკური თვითაღქმის შეცვლა.**

აჭარაში, შავშეთ-კლარჯეთ-ლაზეთსა და ტაოში მცხოვრები გამუსლიმანებული ქართველების ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას ცხადყოფს "ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების" ყრილობის[2] პირველ (31.08.1919 წ.) და მეორე (01.09.1919) სხდომებზე მიღებული დადგენილებები; მაგ., პირველ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„**ბათომის ოლქის** (იგულისხმება ბათუმისა და ართვინის მხარეები ტ.ფ.) მუსულმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქალ. ბათუმში, რიცხვით ასი, 1919 წ. აგვისტოს 31-სა, კვირას, ვაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე!

1. ბათომის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, **ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ**, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედასამშობლოს – საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

2. **ბათომის ოლქის** აწინდელი მდგომარეობა აუტანელ პირობებში აყენებს მთელ ხალხს, ართმევს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებას და საშუალებას, აძლიერებს უპასუხისმგებლო ჯგუფების პოლიტიკურ თარეშს და ხელს უწყობს მშვიდობიანობის და კეთილგანწყობის დამარღვეველ ადამიანთა ბოროტ განზრახულობას. ამის გამო შეუძლებელია მშვიდობიანი განვითარება.

3. ბათომის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საჭიროებანი, აგრეთვე ამიერკავკასიის ყველა ერის ინტერესი და ურთიერთშორის კეთილმეზობლური განწყობილება და დიდ სახელმწიფოთა ღირსება თხოულობს, რომ ბოლო მოეღოს ოლქის დღევანდელ მდგომარეობას. სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილდღეობით ცხოვრება მოიპოვოს.

4. ვინაიდგან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმან ქართველების განთავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებით, ამიტომ გამოვსთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს – საქართველოს რესპუბლიკას **სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე** და ამ ავტონომიის ფარგლებში ეროვნულ უმცირესობათ მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

5. დადგენილება ეს ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიღოს ყოველი ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად"[3]

წარმოდგენილი მსჯელობის კონტექსტში მნიშვნელოვანია "ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების" ყრილობის დადგენილებებში მოცემული ტერმინი: **"სამუსლიმანო საქართველო"**, რომელიც მოიცავს როგორც ბათუმის, ასევე, ართვინის მხარეებს. პირველი დადგენილება ხელმოწერილია ართვინისა და ბათუმის ოლქების („ოკრუგების)

წარმომადგენლების მიერ და დამოწმებულია საგვარეულო ბეჭდებით (ზოგმა ხელმომწერმა არ იცოდა ქართული ანბანი, ამიტომ ხელმოწერა არაბული ასოებითაა გაკეთებული). დამოწმებული დადგენილების კიდევ ორი (ხელმოუწერელი) ვარიანტი არსებობს. **არსებითი ფაქტი**: სამივე შედგენილია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით (ხელმოწერილი ვარიანტი გაიგზავნა ერთა ლიგაშიც)[4].

**1919 წლის პირველ სექტემბერსვე საქართველოს მთავრობამ დაამოწმა „სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის ორივე დადგენილება**[5]. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ 1918-20 წლების საქართველოს ხელისუფლებასა და "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს" საერთო მიზანი ჰქონდათ: საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა – ოსმალეთის მიერ ოკუპირებული მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (და არა – მხოლოდ აჭარის!) შემოერთება დედასამშობლოსთან[6]; კერძოდ, როგორც ოსმალეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს მოსახლეობას, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას სურდა, **ავტონომიის ფორმით საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში დაებრუნებინა აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო და არა – მხოლოდ აჭარა**[7].

„სამუსლიმანო საქართველოს" (აჭარა-შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს) ავტონომიის ფორმით შემოერთების სტრატეგია ადეკვატური და **გაუორებელი ტერმინოლოგიით** აისახა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციაში, რომელშიც ასეთი ჩანაწერია: "თავი 11. ავტონომიური მმართველობა. მუხლი 107: "საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), **სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე)** და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა. მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით"[8].

სამწუხაროდ, 1918-20 წლებში არსებული საქართველოს ხელისუფლების გეგმა, გაეერთიანებინა საქართველო, ვერ განხორციელდა 1921 წელს ბოლშევიკთა აგრესიის გამო; კერძოდ, საბჭოთა რუსეთმა, განახორციელა რა საქართველოს უკანონო ოკუპაცია და ანექსია, ათათურქის რევოლუციურ (არალეგიტიმურ!) ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ავტონომიის სახით გასაბჭოებული საქართველოს შემადგენლობაში შემოიყვანა მხოლოდ აჭარა ბათუმის პორტო-ფანკოს პირობით (თურქებისაგან განსხვავებით, რევოლუციის გზით მოსულ ბოლშევიკებს არ აინტერესებდათ რელიგიის ფაქტორი), ართვინის მხარე კი დაუტოვა ოსმალეთის იმხანად არალეგიტიმურ რევოლუციურ მთავრობას. ეს გარიგება არასოდეს უცვნია საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას; შესაბამისად, **არალეგიტიმურია საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ნების** გარეშე მოსკოვსა და ყარსში საქართველოს არაკანონიერი მთავრობის – ბოლშევიკური ხუნტის – წარმომადგენელთა ხელმოწერით 1921 წელს შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა[9].

**ცოტა უფრო ვრცლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის არალეგიტიმურობის შესახებ:** 1921 წელს ბოლშევიკებმა უგულებელყვეს როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისე სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებები, ზოგადად, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები და 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთ-ოსმალეთის რევოლუციური ხელისუფლებების მოლაპარაკებით ოსმალეთს დარჩა ართვინის მხარე[10], ბათუმი და მის გარშემო არსებული მცირე ტერიტორია (აჭარა) კი, ფაქტობრივად, ორ იმპერიას შორის გარდამავალ ზონად (პორტო-ფრანკოდ) გამოცხადდა[11]. სწორედ ამ ტერიტორიის ფარგლებში სამი თვის შემდეგ, 1921 წლის 16 ივლისს, ე.წ. რევკომის დეკრეტით "შეიქმნა" "აჭარის (/აჭარისტანის) ავტონომიური რესპუბლიკა". აჭარის ავტონომიის შექმნიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ, 1921 წლის 13 ოქტომბერს, მოეწერა ხელი ყარსის ხელშეკრულებას ამიერკავკასიის რესპუბლიკების უკანონო ხელისუფლებების მიერ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არალოგიკურია, აჭარის ავტონომიის საფუძვლად ყარსის ხელშეკრულება მივიჩნიოთ[12]: რუსეთ-ოსმალეთის 16 მარტის ანტიქართულ გარიგებას ნამდვილად ვერ "გაალეგიტიმურებს" ყარსის ხელშეკრულებაზე ბოლშევიკური კრემლის მიერ ამიერკავკასიაში 1921 წელს დანიშნული მარიონეტული მთავრობების (რევკომების) წარმომადგენელთა ხელმოწერები[13].

**დავძენთ:** აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძველი იყო არა აჭარის მოსახლეობის, ანდა საქართველოს ინტერესები, არამედ **ქართველი ერის დანაწევრებისა და საქართველოს საბოლოო დაშლის რუსული ინტერესი** („გათიშე და იბატონე“). ამავე ინტერესის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნაც (ამ ავტონომიებშიც უმრავლესობას ისტორიული მოსახლეობა – ქართველობა – წარმოადგენდა!) და, მეორე მხრივ, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ნიშნით დანაწევრების მცდელობა (იხ., მაგ., ი. სტალინის ცნობილი ანტიქართული დებულება აჭარლების, მეგრელების, ლაზების, სვანების და სხვა „ხალხების“ დამოუკიდებელი „უმწერლობო ენების“ შესახებ).

**კომუნისტური იმპერიის დროს არსებული რეპრესიული რეჟიმის პერიოდში აღარავის გაუპროტესტებია ბოლშევიკთა მიერ რუსული ჯარით დაპყრობილ საქართველოში უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის სტატუსი.** მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პრესაში ჩნდება ცალკეული წერილები აჭარის ავტონომიის არაკანონიერების შესახებ[14]. 1990 წლის 8 ნოემბერს კი ქვეყნდება ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელის, 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ბლოკის: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, ზვიად გამსახურდიას მიმართვა **აჭარის მოსახლეობისადმი**; წარმოვადგენთ სრულ ტექსტს:

„ქართველ ერს კაცობრიობის წინაშე აკისრია განსაკუთრებული სულიერი მისია. ამ მისიის შესრულება არ შეუძლია იმპერიის მიერ დანაწევრებულ, დამონებულ საქართველოს; ამიტომაც განგების განჩინებით, ახლახან, პირველი მრავალპარტიული არასაბჭოთა არჩევნებით, მოგვეცა შანსი ავაღორძინოთ ერთიანი, თავისუფალი დემოკრატიული საქართველო.

საქართველოს ისტორიული მტრები – მეზობელი იმპერიები ჩვენი დაქუცმაცებით ცდილობდნენ ჩვენს დამონებასა და გადაგვარებას; მუჰაჯირობაც, აჭარის ავტონომიის შექმნაც, აჭარელთა ცალკე ერად გამოცხადებაც და კიდევ მრავალი სხვა მზაკვრობა მათი შეთანხმებული მოქმედებითაა განხორციელებული... ახლაც, წინასაარჩევნო პერიოდში, მომზადდა კიდევ ერთი შეთქმულება აჭარის (საქართველოს) წინააღმდეგ; ამის შესახებ ჯერ კიდევ 28 ოქტომბრამდე მიუთითებდა ტარიელ ფუტკარაძე წერილში: **„იმპერიალისტთა ახალი შეთქმულება აჭარის წინააღმდეგ“**, რომელიც გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ დაიბეჭდა და ჩვენ ამ საკითხს ახლა აღარ შევეხებით.

ჩვენთვის ნათელია აჭარის მოსახლეობის უდიდესი როლი ქართველი ერის ისტორიაში, აჭარა იყო ის პირველი კუთხე, რომელმაც პირველმა, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში, მიიღო ქრისტიანობა და საფუძველი დაუდო ქართულ ხალხურ ქრისტიანობას – გიორგიანობასთან შერწყმულ ქრისტიანობას.

აჭარა იყო პირველი ფარი საქართველოსი, შემოსეულ ურდოთა პირველი დარტყმები აჭარას ხვდებოდა.

აჭარა, საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, არის ის კუთხე, რომელიც მრავალგზის ეწამა თურქთა უღელქვეშ, რათა დანარჩენი საქართველო ეხსნა... დიახ, მოყვასისათვის ეწამა აჭარა, და ახლა მოყვასნი უნდა ამოუდგნენ მას მხარში. დღესაც განსაცდელშია საქართველოს ეს ძირძველი კუთხე. სხვადასხვა ჯიშის პროვოკატორები ცდილობენ არჩევნების შედეგებით სპეკულირებას: ჩვენ აჭარაში საჭირო მუშაობა ვერ გავწიეთ, აქ ასპარეზი დარჩათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს; ისინი ატყუებდნენ ხალხს, სახელს გვიტეხდნენ ჩვენ – შეურიგებელ ეროვნულ მოძრაობას, ავრცელებდნენ მაკომპრომიტირებელ ჭორებს... ჩვენ ვეღარ გავწვდით ამდენს, ვერ შევძელით ხალხთან მისვლა, რომ მათ ჩვენი მოძრაობის ჭეშმარიტი სახე დაენახათ. ამდენად, არჩევნებში მიღებული ხმების 24 პროცენტი არაა აქაურ მკვიდრთა განწყობილების პირდაპირპროპორციული (შესაბამისად, კომპარტიამ მიიღო 56 პროცენტი), მით უმეტეს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი ოპონენტები არჩევნების დღესაც აგიტატორობდნენ (რაც კანონით აკრძალულია); იმპერიალისტურ ძალთა აგენტები ხალხს აშინებდნენ, ხმამაღლა მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ სკკპ-სთვის, ასე იყო, მაგალითად, როგორც ხმები მომწვდა, მაღალმთიან სოფელ იაკობაურში, ჭვანაში, ნენიაში, ასე ხდებოდა ქობულეთის რაიონშიც, ხელვაჩაურშიც, ხულოშიც. ამის მოქმედი პირებიც ცნობილია, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთან ანგარიშსწორებას, ჩვენი მიზანი ურთიერთპატივისცემა და ურთიერთპატიებაა, ურთიერთნდობაა, შემწყნარებლობა – ბოროტებას ბოროტებით ვერ მოსპობ!

ბოროტებას ისევ სიკეთით უნდა დავუპირისპირდეთ.

დავივიწყოთ წარსულის ცოდვები, ამ წუთისოფელში ერთმანეთს ნუღარ ვაწყენინებთ, ნუღარ გავწირავთ...

**ბევრს გვეკითხებიან, როგორია ჩვენი პოზიცია ავტონომიის შესახებ:**

ავტონომია საქართველოში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართულ მოსახლეობას; ქართველთა ავტონომია საქართველოში, მკაცრად რომ არ ვთქვათ, დიდი შეუსაბამობაა, ამიტომ ის, რა თქმა უნდა, გასაუქმებელია; **ჩვენი აზრით, მისი გაუქმების საკითხი თავად აჭარლებმა უნდა დააყენონ: მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გაუქმების ფაქტი სამართლიანი და ბუნებრივი. ჩვენ არ ჩავერევით აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხში** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.).

ავრცელებენ ჭორებს, რომ ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში აჭარის მოსახლეობის სოციალური ინტერესები შეილახება! ასეთი პროვოკაციული განცხადების საპასუხოდ მომავალში ჩვენი საქმენი იღაღადებენ:

ჩვენი მიზანია ისეთი დემოკრატიული საქართველო, სადაც არ შეილახება ეროვნული, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური ინტერესები, სადაც ყველა სოფელი თუ კუთხე თავად აირჩევს საკუთარ ხელისუფლებას; მოისპობა „ზემოდან“ დანიშვნის კომუნისტური პრაქტიკა. ჩვენთვის ნათელია, რომ ადგილობრივი მეურნეობის მართვა მხოლოდ ადგილობრივ პირს შეუძლია, საკუთარი სოფლის, კუთხის ინტერესების დაცვა მხოლოდ აქაურ მკვიდრს შეუძლია. ამ პრინციპებით ვაპირებთ მუშაობას... აჭარის ავტონომიის დაცვით თავის სავარძლებს და პრივილეგიებს იცავს ბიუროკრატიული აპარატი. აჭარელთა ინტერესების პირველი დამცველი კი იქნება მომავალი საქართველოს ეროვნული პარლამენტი!

აჭარაში მცირემიწიანობაა, ჩვენი მიზანია, თუკი ადგილობრივი ტერიტორიები საკმარისი არ აღმოჩნდება, საქართველოს სხვა კუთხეებში მივცეთ ყველა მსურველს საჭირო სავარგულები... დღემდეც ყველანაირად ვეხმარებოდით მათ, ახლა კი, ოფიციალური ქართული ხელისუფლება უფრო მეტად დაეხმარება ყველას.

ყველაფერი მოგვარდება, თუკი ერთიანობა, ურთიერთნდობა იქნება, თუკი ქართველი ერი, ერთიან კეთილშობილ სულად ქცეული, გაჰყვება მის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს.

გაუმარჯოს დედა საქართველოს ერთიანობას!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“[15]

საინტერესოა 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დროს ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტის შემდეგი ფრაგმენტიც: **“საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიას მტკიცე კონსტიტუციური გარანტიით აძლევს აფხაზ ხალხს[16], ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით”**[17].

წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმებიდანაც აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდიას გამოკვეთილი მიზანი იყო, **აჭარის მოსახლეობის ნებით** გაუქმებულიყო აჭარის უკანონო ავტონომია. **ამ სტრატეგიის ნაწილი იყო აჭარაში ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკაც** (ამ კონტექსტში წინასწარვე აღვნიშნავ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა აჭარის პირველ პირად ასლან აბაშიძის დანიშვნით).

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ შეიქმნა ლოგიკური და სამართლებრივი საფუძვლები, **რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო 1921 წელს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**; მით უმეტეს, ასეთი იყო აჭარის მოსახლეობის რეალური განწყობაც და მზაობაც. ამ მზაობას ადასტურებს 1991 წელს შექმნილი ბევრი დოკუმენტი, რომლებიც აჭარიდან გამოიგზავნა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების სახელზე; განსაკუთრებით, აღსანიშნავია აჭარის ინტელექტუალური წრეებისა და 1991 წლის აპრილში ზემო აჭარის რაიონების საკრებულოების დეპუტატების მოთხოვნა, გაუქმებულიყო აჭარის ავტონომია. მნიშვნელოვანია, ასევე, **1991 წელს ჩემი, როგორც საქართველოს რეპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის და 1991 წლის მარტიდან ივლისამდე ქალაქ ბათუმის პრეფექტის, მომზადებული დოკუმენტები** (რომლებიც ინახება როგორც საქართველოს მაშინდელი ოფიციალური სტრუქტურების, ასევე, ჩემს პირად არქივში). დოკუმენტების ნაწილს წარმოვადგენთ დანართში; კერძოდ, დანართში გვაქვს:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა წერილი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბ-ნ თენგიზ სიგუას (იხ. დანართი 1);

2. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის, უშანგი მგელაძის პატაკი: საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, ბ-ნ დილარ ხაბულიანს (იხ. დანართი 2);

3. ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების პრეფექტების: სანდრო ბერიძის, შოთა ფუტკარაძისა და ბეჟან გობაძის ხელმოწერილი წერილის: „პასუხი კრემლის პროვოკაციაზე“ ხელნაწერის ფოტო, რომელიც დაწერილია ჩემ მიერ (იხ. დანართი 3);

4. ბათუმისა და შუახევის საკრებულოების მიმართვების პროექტების შავი პირის ჩემი ხელნაწერი „პასუხი კრემლის პროვოკაციაზე“ (იხ. დანართი 4);

5. ქედის პრეფექტის წერილის (ხელნაწერის) ფოტო, რომელიც ასახავს ქედის ყველა სოფლის ყველა საკრებულოს თვალსაზრისს /ასეთივე დოკუმენტები შექმნეს შუახევისა და ხულოს პრეფექტებმაც/ (იხ. დანართი 5);

6. ბაგრატ მანველიძის წერილი რეფერენდუმის შესახებ, რომელიც გამოგზავნილი იყო, პირადად, ჩემს სახელზე/ (იხ. დანართი 6);

7. ჩემი წერილი რეფერენდუმის შესახებ: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას“ /15.04.1991/ (იხ. დანართი 7);

8. ჩემი მოგონება: „აჭარაში 1991 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების შესახებ (ფრაგმენტი იხ. დანართი 8; ვრცლად იხ: https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/1991.html).

დანართში წარმოდგენილი, ასევე, სახელმწიფო თუ კერძო არქივებში დაცული სხვა მსგავსი უამრავი წერილი ერთი შინაარსისაა: **აჭარის მოსახლეობა ითხოვს უკანონო და უსაფუძვლო ავტონომიის გაუქმებას.** წერილებს განასხვავებს მხოლოდ ავტონომიის გაუქმების გზა: მოსახლეობის ნაწილი ემხრობა აჭარის ავტონომიის გაუქმებას აჭარაში ჩატარებული რეფერენდუმით (რასაც პრეზიდენტიც და მეც ვუჭერდით მხარს), ნაწილი – ავტონომიის გაუქმებას საქართველოს პრეზიდენტის/ხელისუფლების გადაწყვეტილებით[18], ზოგი კი –საქართველოს მასშტაბით ჩატარებული რეფერენდუმით. ჩემს პირად არქივში ინახება, ასევე, „აჭარის ხსნის კომიტეტის“ ერთ-ერთი წევრის, ავტონომიის დამცველის, ჩემს წინააღმდეგ „დანოსების“ ავტორის, შალვა ვარშანიძის „საიდუმლო წერილი ზვიად გამსახურდიას“, რომელიც პირადად გადმომცა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აჭარიდან გამოგზავნილ სხვა წერილებთან ერთად)[19].

ფაქტია: 1991 წლის გაზაფხულზე აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი იყო საქართველოში ქართველთა არალოგიკური ავტონომიის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის – გაუქმება; ეს ცხადყო 1991 წლის 31 მარტს აჭარაში ჩატარებულმა რეფერენდუმმაც; კერძოდ, რეფერენდუმამდე ზემო აჭარაში დაძრწოდნენ ე.წ. „აჭარის ხსნის კომიტეტის“ წევრები და რამდენიმე ადგილობრივი კომუნისტი ლიდერი (მათ ხალხმა „სავარძლების ხსნის კომიტეტი“ დაარქვა), რომლებიც ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ხმა არ მიეცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იმიტომ რომ 1918 წელს არ იყო აჭარის ავტონომია; შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერით მხარს დაუჭერდნენ აჭარის ავტონომიის გაუქმებას.

ამგვარი დემაგოგიის მიუხედავად, ხალხმა – აჭარის მოსახლეობის 98%-მა – ხმა მისცა უავტონომიო საქართველოს დამოუკიდებლობას: აჭარის მკვიდრნი მზად იყვნენ, მოეშორებინათ უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომია. 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ აჭარაშიც უფრო ამაღლდა ქართული ეროვნული ღირსება; ხალხი სრულად იყო მობილიზებული ქართველთა დამანაწევრებელი აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად. როგორც აღვნიშნე, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, კრემლის ინსტრუქციების შესაბამისად, 80-იანი წლების ბოლოდან აქტიურობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და, პარალელურად, ვითომდა იცავდნენ „აჭარლებს“ (/აჭარას) „ქართველების“ ექსპანსიისგან. ასეთი პირები გაერთიანებული იყვნენ მცირერიცხოვან, მაგრამ მიზანმიმართულ ორ ჯგუფში: „აჭარის ხსნის კომიტეტსა“ და „გარდაქმნის ხელშემწყობ აჭარის საზოგადოებაში“. ორივე ჯგუფი ფაქტობრივად ასრულებდა პრორუსული მე-5 კოლონის როლს[20].

ასლან აბაშიძის აჭარაში დანიშვნის შემდეგ „აჭარის ხსნის კომიტეტის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა ვითომდა მუსლიმური თემის დაცვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციაც:

„მუსლიმან ქართველთა საზოგადოება“[21]. ასლანის უშუალო კლანთან ერთად, ეს ორი მცირერიცხოვანი ჯგუფი სხვა რამდენიმე პირთან ქმნიდა თანამოაზრეთა ერთგვარ „ზიარჭურჭელს“, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო კრემლი მართავდა (ამ ჯგუფის წევრების დიდმა ნაწილმა 2004 წლის შემდეგ თავი შეაფარა რუსეთს)[22]. მათი მიზანი იყო, 28 აპრილს სასწრაფოდ ჩაეტარებინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომ გაემყარებინათ პრეფექტების დანიშვნის შემდეგ ფაქტობრივად უკვე ფუნქციაგანულებული აჭარის ავტონომიის სტრუქტურები.

1991 წლის მარტსა და აპრილის პირველ ნახევარში არსებული რეალობის შესახებ, ასევე, აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობის შესახებ დეტალურად იცოდა ზვიად გამსახურდიამ. 10-14 აპრილის პერიოდში ბ-ნ ზვიადს ვუთხარი ისიც, **რომ აჭარაში სანამ ეს ზოგადქართული ეროვნული მუხტი არსებობდა, ავტონომიის მიზანშეწონილობის შესახებ რეფერენდუმის ჩასატარებლად კარგი პირობები იყო 26 მაისს – პრეზიდენტის არჩევნების დღეს. საჭირო იყო მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობა.** კოორდინაცია შეუძლებელი გახდა ასლან აბაშიძის გამო.

**მოკლედ აჭარაში ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკის შესახებ:** აჭარაში 31 მარტის რეფერენდუმის, ასევე, აჭარის ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზების უზრუნველყოფისათვის 1991 წლის მარტის დასაწყისში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის პრეფექტად დავინიშნე[23]. ბ-ნი ზვიადი ჩემს დანიშვნას აპირებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედაც, მაგრამ **თემურ ქორიძის**, ასევე, სხვათა მხარდაჭერით, მოულოდნელად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ასლან აბაშიძე, მის მოადგილედ – ნოდარ იმნაძე, ხოლო აჭარის მთავრობის თამჯდომარედ – გურამ ჩიგოგიძე[24]. **პრეზიდენტს სურდა, ყველას ერთად გვემუშავა აჭარაში რეფერენდუმის ჩასატარებლად.**

აჭარის უკანონო ავტონომიის გაუქმების თემაზე რეფერენდუმის გამართვას არ ჩქარობდნენ: ნოდარ იმნაძე, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა კობახიძე (ერთი-ორი წელი მოვიცადოთ, – ასეთი იყო მათი პოზიცია). ასლანი თავის პოზიციას არ ავლენდა, მაგრამ, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მიერ ჩემდამი ნათქვამი ზუსტად მახსოვს; კერძოდ, მან მითხრა: „თენგიზ ხახვას არ ვენდობი; მან შეიძლება ხელი შეგიშალოს ავტონომიის გასაუქმებლად რეფერენდუმის ორგანიზებისათვის; ამიტომ ასლან აბაშიძეს დავნიშნავ...“ (იხ., დანართი # 8).

მალე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ **ასლან აბაშიძე რეფერენდუმის იდეის წინააღმდეგ იბრძოდა**. პარალელურად, თემურ ქორიძის დახმარებით ცდილობდა, აჭარაში ჩვენს ნაცვლად მისთვის სასურველი პრეფექტები დაენიშნათ. **ეს რომ ვერ მოახერხა, დაადგა ავანტიურის გზას**: ბათუმში დისლოცირებულ რუს სამხედროებთან თანამშრობლობით აჭარა-გურიის სოფლებში, ასევე, ადიგენში მონახა რამდენიმე ათეული ადამიანი და დაგეგმა აჭარაში არეულობის პროვოცირება. ბუნებრივია, კრემლის გეგმა იყო აჭარის ავტონომიის შენარჩუნება, მაგრამ იმხანად მოსკოვი ამას ვერ შეძლებდა, დასაყრდენი რომ არ ეპოვა აჭარის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში... **1991 წლის აპრილში ბათუმში განვითარებულ მოვლენებში კრემლის აქტიურ ჩართულობას ცხადყოფს შემდეგი ფაქტიც:**

1991 წლის 11 და 12 აპრილს სსრ კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ რამდენიმეგზის პროვოკაციულად გაიმეორა ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიას აუქმებს აჭარელთა ნების წინააღმდეგ; ამიტომაც აჭარაში არეულობააო! არადა, ზუსტად იმ პერიოდში **აჭარაში აბსოლუტური სიმშვიდე იყო: აჭარის მთელი მოსახლეობა ზეიმობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას.**

როგორც შემდგომ გამოჩნდა, 11-12 აპრილის სატელევიზიო დეზინფორმაციები იყო მოსკოვის ნიშანი, გააქტიურებულიყო მისი აგენტურა საქართველოში ამ მიმართულებით (ეს კომუნისტური იმპერიის ზოგადი წესი იყო: ცენტრალური ტელევიზიით გამოცხადდებოდა „გამოსვლებიაო” და რამდენიმე დღეში აქციის პროვოცირება მართლაც ხდებოდა მინიშნებულ ქალაქში).

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით, **კრემლის პროვოკაციის პასუხად** დავგეგმეთ ჯერ **ზემო აჭარის, შემდეგ კი სხვა რაიონებისა და ბათუმის მოსახლეობის ნების დემონსტრირება** 31 მარტს არჩეული საკრებულოების გადაწყვეტილებებით. პირველ რიგში, გეგმა

გავაცანი ზემო აჭარის რაიონების პრეფექტებს: ბეჟან გობაძეს, შოთა ფუტკარაძესა და სანდრო ბერიძეს. **ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით ყველა ძირითად გადაწყვეტილებაში** (მოგვიანებით იგივე იგეგმებოდა: ბათუმშიც, ქობულეთშიც და ხელვაჩაურშიც). ჩემ მიერ შედგენილი ტექსტის დახვეწილ ვარიანტს ხელი მოაწერა სამივე რაიონის პრეფექტმა და სამივე რაიონის ყველა საბჭოს თითქმის ყველა არჩეულმა დეპუტატმა (დანართში იხ. ჩემი და სანდრო ბერიძის ხელნაწერი ტექსტები). პირადად, მე 15 აპრილს პრეზიდენტის სახელზე ოფიციალურად შევიტანე წერილი რეფერენდუმის ჩატარების თხოვნით (წერილის ასლი იხ. დანართში).

ჩვენდა მოულოდნელად, 1991 წლის აპრილის პირველ ნახევარშივე მერაბ კოსტავას საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციამ, კერძოდ, ქ-ნმა სვეტლანა კუდბამ[25] ბათუმის ბულვარში დადგა კარავი და ბ-ნ ზვიადთან და ჩვენთან შეთანხმების გარეშე დაიწყო აქცია აჭარის ავტონომიის მოთხოვნის გაუქმებით. ბევრი აწერდა ხელს, მაგრამ **ამ ფაქტმა ნეგატიური პროცესის ფორსირებაც გამოიწვია** (გააქტიურების საბაბი მისცა კრემლის მიერ მართულ მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც კონსოლიდირდნენ ასლანის გარშემო). ჩვენი კატეგორიული პოზიცია იყო მშვიდი დინამიკით მიღებულიყო კანონი რეფერენდუმის შესახებ და შემდეგ, 26 მაისს, ჩატარებულიყო რეფერენდუმი აჭარის მასშტაბით აჭარის ავტონომიის მიზანშეწონილობის თემაზე. ავტონომიის გაუქმების მოთხოვნის გადატანა ქუჩაში ხელმოწერების შეგროვების ფორმატში კრემლს საფუძველს აძლევდა, შეტევა განეხორციელებინა აჭარაში რეფერენდუმის იდეაზე.

**დღეს, 2019 წლის გადასახედიდან ვამბობ: 1991 წელს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების პრეფექტებმა** (ბ. გობაძე, შ. ფუტკარაძე, ს. ბერიძე) **და ახალარჩეული საკრებულოების დეპუტატებმა თავიანთი ხელმოწერებით შექმნეს ზემო აჭარის ქართველთა ეროვნული ღირსების წარმომჩენი ისტორიული დოკუმენტები: გამოხატეს რა მოსახლეობის ნება, გაუქმებულიყო ქართველთა ავტონომია საქართველოში**. ისინი, ჩემთან ერთად, ასევე ითხოვდნენ, ავტონომიის გაუქმებამდე, საქართველოს სხვა რაიონების მსგავსად, პირდაპირ დაქვემდებარებოდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

ხალხის ანალოგიური განწყობა იყო ქალაქ ბათუმშიც და ქვემო აჭარის რაიონებშიც.

რამდენიმე დღის შემდეგ ზემო აჭარის პრეფექტები და მე ზემო აჭარის რაიონების საკრებულოების გადაწყვეტილებებით წარვდექით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინაშე. ზვიად გამსახურდიამ თავისთან დაიბარა, ასევე: ასლან აბაშიძე, თემურ ქორიძე, გურამ ჩიგოგიძე, ნოდარ იმნაძე, აკაკი ასათიანი, დილარ ხაბულიანი, ჯონი ხეცურიანი და **ჩვენი თანდასწრებით მოითხოვა, შევჯერებულიყავით ერთ სტრატეგიაზე – ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი აჭარაში**. ასლან აბაშიძემ დადო პირობა, დაგვეხმარებოდა რეფერენდუმის ორგანიზებაში[26].

მიცემული პირობის მიუხედავად, ასლან აბაშიძემ, ბათუმში დისლოცირებული სსრ კავშირის ჯარის ხელმძღვანელობასა და საქართველოში რუსეთის იმპერიის სხვა მხარდამჭერებთან ალიანსით, 1991 წლის 22-23 აპრილს დაგეგმა **პროვოკაციული მიტინგი** რეფერენდუმის, პრეფექტების, ასევე, ნოდარ იმნაძის, გურამ ჩიგოგიძისა და მამუკა კობახიძის წინააღმდეგ (ასლანის მიერ შეკრებილ ბრბოში ასეთი მოთხოვნებიც იყო: დაგვანახეთ რეფერენდუმი! თანამდებობიდან მოხსენით რეფერენდუმი! ვინ არის რეფერენდუმი?)[27]. ასლან აბაშიძის მოკრებილი ბრბო 23 აპრილს დაიშალა; თუმცა, ასლანის ავანტიურამ გაჭრა:

მის მიერვე ორგანიზებული არეულობის „განმუხტვით“ ასლანმა პრეზიდენტს აჩვენა, რომ შეკრებილი აგრესიული ბრბოს დამორჩილება მას შეუძლია და არა – პრეფექტებს თუ მრგვალი მაგიდის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელს... პრეზიდენტის სტრატეგიის იგნორირებით, საბოლოო ჯამში, **საქართველოს ინტერესების გაწირვით, ასლან აბაშიძემ თანამდებობა კი შეინარჩუნა**, მაგრამ ჰაერში „დენთის სუნი“ დატრიალდა. აჭარაში სიტუაცია საბოლოოდ დაიძაბა 30 აპრილს ასლან აბაშიძის კაბინეტში შეჭრილი ნოდარ იმნაძის მკვლელობით[28].

1991 წლის 22-23 აპრილის ბათუმის არეულობებს, ასლან აბაშიძესთან ერთად, ორგანიზებას უწევდნენ: შალვა ვარშანიძე, იუსუფ ბერიძე, ბადრი მელაძე, ძმები ასანიძეები (შემდგომში დიდი თანამდებობის პირები)[29], ისმეთ დიასამიძე, ნაზი თებიძე; „მუსლიმანთა საზოგადოებისა“ თუ „გარდაქმნის მხარდამჭერი ჯგუფის“ სხვა წევრები. 22-23 აპრილის აქციის შემდეგ ასლანმა პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს რეფერენდუმის

ნაცვლად აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს[30].

22-23 აპრილის, მით უმეტეს, 30 აპრილს ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტმა რამდენჯერმე გვითხრა პრეფექტებს, რომ 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადააყენებდა ასლან აბაშიძეს; ასევე, გამოძიებულ იქნებოდა 22-23 აპრილის მოვლენებიც და ნოდარ იმნაძის სადისტური მკვლელობაც.

ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ ასლან აბაშიძემ გზა მოიჭრა:

**ის აჭარის ავტონომიის პირველი პირის თანამდებობას თუ ვერ შეინარჩუნებდა, ციხეში აღმოჩნდებოდა;** შესაბამისად, ნოდარის მკვლელობის შემდეგ ასლანი უფრო თავგანწირვით ცდილობდა ზვიად გამსახურდია დაერწმუნებინა, რომ მას თუ გადააყენებდა, აჭარაში ქაოსს მიიღებდა. **ეს იყო ფაქტობრივი შანტაჟი**.

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ნათლად ხედავდა, რომ ასლანს პრორუსული ძალების ხელშეწყობით მართლაც შეეძლო სიტუაციის დაძაბვა და საქართველოსათვის რთული პროცესების განვითარება, ამიტომ მან ასლანთან დათბობა ამჯობინა, მაგრამ უარი არ უთქვამს რეფერენდუმის ჩატარების იდეაზე; კერძოდ, **22-23 აპრილის მიტინგისა და ნოდარ იმნაძის დასაფლავების შემდეგ, 8 მაისს, მან სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა:**

„აჭარაში გავრცელდა ინფორმაცია, რასაკვირველია, მტრული წყაროებიდან გამომდინარე, თითქოს მე მსურს აჭარის ავტონომიის გაუქმება და დაუყოვნებლივ მსურს მივიღო ამისთვის ზომები. ეს გახლავთ სიცრუე, მეგობრებო, ეს გახლავთ დეზინფორმაცია. სინამდვილეში, დაწყებული პირველი სესიიდან, როგორც კი გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ და საქართველოში შეიცვალა კომუნისტური წყობილება, **მე ვქადაგებ, რომ ავტონომიის საკითხი, ეს არის სათუთი საკითხი, ეს არის ხალხის გადასაწყვეტი საკითხი, ეს არის მოსახლეობის ნების გათვალისწინებით გადასაწყვეტი საკითხი, კერძოდ, რეფერენდუმით** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.). თანაც ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, კერძოდ, აჭარის მოსახლეობამ მხოლოდ და მხოლოდ, და აქ არავითარი დაძალება, არავითარი დიქტატი არ იქნება, არავითარი თავს მოხვევა ცალკეული შეხედულებებისა, ცალკეული პირების პოზიციებისა, თუნდაც პრეზიდენტის პოზიციისა...“[31]

ასლანისაგან მომდინარე საფრთხის შესახებ ბატონმა ზვიადმა დეტალურად მითხრა 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დასაზღვევად, პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც, ზვიად გამსახურდიამ ამიტომ არ გადააყენა ასლან აბაშიძე და **ჩვენ, პრეფექტებს, გვთხოვა, უკეთესი დროისათვის გადაგვედო რეფერენდუმის ჩატარება და გვეთანამშრომლა ასლან აბაშიძესთან.**

მე ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი[32] და 1991 წლის ივნისში ჩემი ნებით გადავდექი ქალაქ ბათუმის პრეფექტობიდან[33].

**დასასრულს, აღვნიშნავ:** მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, 1991 წლის მარტიდან ქალაქ ბათუმის პრეფექტს, საკმარისი ინფორმაცია მქონდა აჭარაში არსებულ ვითარებაზეც, ხალხის განწყობაზეც და საგარეო თუ საშინაო საფრთხეებზეც; ყოველივეს გათვალისწინებით, ახლაც ვფიქრობ, რომ 1991 წლის მაისი, ივნისი, ივლისი იყო შესანიშნავი დრო, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური მთავრობის უკანონო გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხალხისათვის არასოდეს არ იყო და არც იქნება აუცილებელი სახელისუფლებო რგოლი[34]; ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ აჭარის მუნიციპალიტეტებს ისეთივე ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებს: ადგილობრივი ხელისუფლება და ცენტრალური ხელისუფლება (ე.წ. ავტონომიის ხელმძღვანელისა თუ გუბერნატორის შუალედური რგოლის გარეშე).

დღეს, 27 წლის შემდეგაც ვფიქრობ, რომ, რომ არა რუსეთისაგან მართული[35] ასლან აბაშიძისა და მისი კლანის დესტრუქციული ქმედება, 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის – საქართველოში ქართველთა ავტონომიის – მიზანშეუწონლობის შესახებ.

დღეს საქართველო რუსეთთან საომარ სიტუაციაშია, ხალხიც აღარ არის ისეთი ერთიანი ეროვნული მუხტით შეკრული, როგორიც იყო 1991 წლის მარტ-აპრილ-მაისში; შესაბამისად, **ახლა ნამდვილად არ არის საკმარისი წინაპირობები, რომ რეფერენდუმის გზით გაუქმდეს**

**იმთავითვე უკანონოდ შექმნილი აჭარის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი**; თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არც ოსმალეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ თურქეთს და არც რუსეთს არანაირი ლეგიტიმური უფლება არა აქვთ, ჩაერიონ აჭარის ავტონომიის ბედის გადაწყვეტაში, რამდენადაც აჭარის ავტონომიის საფუძველი – მოსკოვის ხელშეკრულება – გაფორმდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ; შესაბამისად, **საქართველოს არც ერთი კანონიერი ხელისუფლება არ არის** ვალდებული, გაითვალისწინოს უკანონო, მით უმეტეს, საქართველოსადმი მტრულად განწყობილ მხარეთა ანტიქართული გარიგება; ასევე, საქართველოს არანაირი **ლეგიტიმური ვალდებულება** არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ანტიქართული გარიგებით, 1921 წელს საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა. აჭარის ავტონომიის ბედი მომავალშიც გადასაწყვეტია თავად აჭარის მოსახლეობის მიერ.

აღვნიშნავ იმასაც, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს სახელმწიფოს გამოწვევების კონტექსტში საქართველოში ქართველთა ავტონომია არასოდეს შეასრულებს პოზიტიურ როლს; **მაგ., ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ საქართველოში ქართველთა ავტონომიის შენარჩუნება ხელს შეუწყობს აფხაზეთის ავტონომიაზე კონტროლის აღდგენას**. საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თუ ცხინვალის მხარე უსისხლოდ და უმტკივნეულოდ დაბრუნდება მხოლოდ საქართველოს სრული დეოკუპაციის შემდეგ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დღეს არსებობა ვერ გამართლდება რელიგიური ფაქტორითაც:** უკვე ბევრი აჭარელი დაუბრუნდა წინაპრების რწმენას – ქრისტიანობას; აჭარელთა ნაწილი მუსლიმანია, ნაწილი – ათეისტი და ა.შ. ფაქტია ისიც, რომ ავტონომიის შექმნის მომენტიდან ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე (09.04.1991) ათეისტური ბოლშევიკური (/კომუნისტური) ხელისუფლება, მოსკოვისა თუ ყარსის ხელშეკრულებების **საპირისპიროდ**, ავიწროებდა მუსლიმანურ რელიგიას (ისევე, როგორც ქრისტიანობას), **რასაც 1922-1990 წლებში ეგუებოდა თურქეთის ხელისუფლებაც** (რუსეთ-ოსმალეთისათვის სავალდებულო ხელშეკრულებების არსებობის მიუხედავად!). რაც მთავარია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (09.04.1991) **საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა დაცული ყველა კონფესიის წარმომადგენელთა უფლება.**

არსებითია ისიც, რომ დღეს აჭარა არის მსოფლიოში უნიკალური ტოლერანტული სივრცე, სადაც მრავალი ფაქტი გვაქვს, როცა **ერთ ოჯახად ცხოვრობენ ქრისტიანი და მუსლიმანი პირები**. მიუხედავად ცალკეული რადიკალური ჯგუფების არსებობისა, თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში მაღალია სხვა რელიგიის წარმომადგენლებისადმი **შემწყნარებლური დამოკიდებულების** პროცენტი[36].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **არალოგიკურია, წინა პლანზე გამოვიტანოთ რელიგიის ასპექტით აჭარის ავტონომიის დაცვის ლოზუნგი.**

ავტონომიის არსებობა/არარსებობა ნამდვილად არაფერს უცვლის მუსლიმანთა უფლებების დაცვის პერსპექტივას, რამდენადაც რელიგიური უფლებების დაცვის ყველა ბერკეტი ისედაც ადგილობრივი (მუნიციპალური) თუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ხელშია.

სხვადასხვა გეოპოლიტიკური ვექტორის მქონე გარე ძალებისაგან დაფინანსებული **ცალკეული რადიკალური ჯგუფები** დღესაც ცდილობენ, აჭარაში, ზოგადად, საქართველოში დაძაბონ სიტუაცია. აჭარაში (/საქართველოში) დესტაბილიზაცია მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ქვეყნებსა თუ კლანებს აძლევს ხელს; საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება კი დაინტერესებულია, რომ საქართველოში იყოს ღირსეული მშვიდობა (და არა – დამარცხებულის მშვიდობა). ღირსეული მშვიდობის მოპოვება შეუძლებელია დეოკუპაციის გარეშე; კერძოდ, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მსოფლიომ საქართველო აღიარა 1991 წლის საზღვრების მდგომარეობით; შესაბამისად, ცივილიზებული მსოფლიო დღეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემოჭრილად თვლის მხოლოდ რუსეთს; შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მხოლოდ რუსეთი განიხილება ოკუპანტად[37]:

რუსეთს საქართველოს ისტორიული მხარეების – აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის – დამპყრობლად მიიჩნევს მთელი ცივილიზებული მსოფლიო; შესაბამისად, **საქართველოს**

**ამჟამინდელი პრიორიტეტია** დეოკუპაცია – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 1991 წლის საზღვრების ფარგლებში.

აქვე აღვნიშნავ: დიდი შეცდომაა, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში არსებული დაპირისპირება მივიჩნიოთ ეთნოკონფლიქტებად, რამდენადაც, წლების წინ შევარდნაძისა და არძინბა-კულუმბეკოვის კლანების გამოყენებით რუსეთის იმპერიამ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში პროვოცირებული კონფლიქტი საბაბად გამოიყენა ამ მხარეების ოკუპაციისათვის. კონფლიქტში ჩაითრიეს ქართველების, აფხაზებისა და ოსების ერთი ნაწილი, მაგრამ ვერ შექმნეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტები: **დღესაც საქართველოს სხვა მხარეებში მშვიდად ცხოვრობს ბევრი ოსი თუ აფხაზი**; შესაბამისად, არის დიდი შესაძლებლობა, რომ მალე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ამ ეთნოსთა ნორმალური თანაცხოვრება. საერთაშორისო თანამეგობრობის ფორმატით (და არა – მხოლოდ რუსულ-ქართული დიალოგით) უნდა ვიზრუნოთ, რომ **აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დაბრუნდნენ საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი დეპორტირებული ქართველები და სხვა ეთნიკური ჯგუფები** (ნახევარ მილიონზე მეტი პირია იძულებით გამოდევნილი ამ ისტორიული ქართული მიწებიდან). დევნილთა დაბრუნების შემდეგ სამივე ეთნოსის უფლებების დაცვის პერსპექტივით საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილებში (აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში) უნდა შეიქმნას მაღალი ხარისხის თვითმმართველობები.

დავძენ იმასაც, რომ რამდენადაც **საქართველო არის დიდი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ეპიცენტრში**, თუკი საქართველო უნიტარული სახელმწიფო არ იქნება (თუ საქართველოში რეგიონალიზაციის მომხრენი გაიმარჯვებენ), საქართველო უმოკლეს დროში დანაწევრდება **ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეების** გავლენების ველების შესაბამისად.

ამრიგად,საქართველოს არც ერთი კანონიერი ხელისუფლება არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს 1921 წელს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა ანტიქართული მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებები; ასევე, საქართველოს არანაირი **ლეგიტიმური ვალდებულება** არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გარიგებით, 1921 წლიდან დღემდე საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა.

ქართველთა ავტონომია საქართველოში გარედანაა თავსმოხვეული და შექმნის დღიდან, **არსობრივად, მსოფლიო პოლიტიკური სივრცის ანომალიას წარმოადგენს**. 1991 წლის აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი იყო შესანიშნავი დრო, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური მთავრობის გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხალხისათვის არასოდეს არ იყო და არც იქნება აუცილებელი სახელისუფლებო რგოლი. ვფიქრობ, რომ არა ასლან აბაშიძის დესტრუქციული ქმედება, 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის მიზანშეუწონლობის შესახებ.

დღეს საქართველო რუსეთთან საომარ სიტუაციაშია, შესაბამისად, **ახლა ნამდვილად არ არის საკმარისი წინაპირობები, რომ რეფერენდუმის გზით გაუქმდეს იმთავითვე უკანონოდ შექმნილი აჭარის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი**; თუმცა, არც ოსმალეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ თურქეთს და არც რუსეთს არანაირი ლეგიტიმური უფლება არა აქვთ, ჩაერიონ აჭარის ავტონომიის ბედის გადაწყვეტაში, რამდენადაც აჭარის ავტონომიის საფუძველი – მოსკოვის 1921 წლის ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე; ამავე წელს ყარსშიც უკანონო რევკომებმა "დაადასტურეს" ეს ხელშეკრულება;

შესაბამისად, **საქართველოს არც ერთი კანონიერი ხელისუფლება არ არის ვალდებული**, გაითვალისწინოს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ მხარეთა ანტიქართული გარიგება. ასევე, საქართველოს არანაირი **ლეგიტიმური ვალდებულება** არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ანტიქართული გარიგებით, 1921 წელს საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა.

თვითმმართველობის თვალსაზრისით, აჭარის რაიონები თუ სოფლები ისეთივე "სტატუსით" უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც გურიის, იმერეთის, მესხეთის, კახეთის, სვანეთის, სამეგრელოსა

და საქართველოს სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტები... პირადად, მე არა ვარ არც არჩეული თუ დანიშნული გუბერნატორების, ასევე, არც საქართველოს ისტორიული მხარეების (აჭარა, გურია, მესხეთი...) საზღვრებში ოფიციალური თუ არაოფიციალური ავტონომიების მომხრე. თანამედროვე პირობებში საქართველოს ყველა რაიონში (მათ შორის, აჭარის რაიონებშიც) **არჩევითი უნდა იყოს სოფლისა თუ რაიონის გამგებლები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დემოკრატია. მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოში სრულიად გაუმართლებელია ე.წ. „რეგიონული“ თვითმმართველობა (/რეგიონალიზაცია), რამდენადაც ეს არის გზა კონფედერაციისკენ. ფედერაცია თუ კონფედერაცია დამღუპველია საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობაში**. როგორც ყველა მცირეტერიტორიიან და რთულ რელიეფიან სახელმწიფოში, საქართველოშიც ცენტრალიზებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები; ცენტრალური ხელისუფლების დოტაციით უნდა დაიგეგმოს მთიანი რეგიონების სოფლების შენარჩუნება და ა.შ. (ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების დაცვის კონტროლის მიზნით, ზოგ განაპირა რეგიონში შეიძლება დაინიშნოს პრეზიდენტის/პრემიერის წარმომადგენელიც).

**რეზიუმე**

**პროფ. ტარიელ ფუტკარაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ და 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები**

საქართველოში ეთნიკურ ქართველთა ავტონომიის არსებობა ნონსენსია. 1991 წლის მაისი, ივნისი, ივლისი იყო შესანიშნავი დრო, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური მთავრობის უკანონო გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხალხისათვის არასოდეს არ იყო და არც იქნება აუცილებელი სახელისუფლებო რგოლი. ვფიქრობ, რომ არა ასლან აბაშიძის პრორუსული პოლიტიკით გამიზნული დესტრუქციული ქმედება, 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის მიზანშეუწონლობის შესახებ (აჭარის ავტონომია შეიქმნა რუსეთისა და ოსმალეთის შეთანხმებით საქართველოს ნების წინააღმდეგ).

დღეს საქართველო რუსეთთან საომარ სიტუაციაშია, შესაბამისად, **ახლა ნამდვილად არ არის საკმარისი წინაპირობები, რომ რეფერენდუმის გზით გაუქმდეს იმთავითვე უკანონოდ შექმნილი აჭარის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი**; თუმცა, არც ოსმალეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ თურქეთს და არც რუსეთს არანაირი ლეგიტიმური უფლება არა აქვთ, ჩაერიონ აჭარის ავტონომიის ბედის გადაწყვეტაში, რამდენადაც აჭარის ავტონომიის საფუძველი – მოსკოვის 1921 წლის ხელშეკრულება – გაფორმდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე (1921 წელს ყარსშიც უკანონო რევკომებმა “დაადასტურეს” ეს ხელშეკრულება);

შესაბამისად, **საქართველოს არც ერთი კანონიერი ხელისუფლება არ არის ვალდებული**, გაითვალისწინოს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ მხარეთა ანტიქართული გარიგება; ასევე, საქართველოს არანაირი **ლეგიტიმური ვალდებულება** არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ანტიქართული გარიგებით, 1921 წელს საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა.

ქართველთა ავტონომია საქართველოში გარედანაა თავსმოხვეული და შექმნის დღიდან, **არსობრივად, მსოფლიო პოლიტიკური სივრცის ანომალიას წარმოადგენს**.

თვითმმართველობის თვალსაზრისით, აჭარის რაიონები თუ სოფლები ისეთივე “სტატუსით” უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც გურიის, იმერეთის, მესხეთის, კახეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტები... პირადად, მე არა ვარ არც არჩეული თუ დანიშნული გუბერნატორების, ასევე, არც საქართველოს ისტორიული მხარეების (აჭარა, გურია, მესხეთი...) საზღვრებში ოფიციალური თუ არაოფიციალური ავტონომიების მომხრე. თანამედროვე პირობებში საქართველოს ყველა რაიონში (მათ შორის აჭარის რაიონებშიც) **არჩევითი უნდა იყოს სოფლისა თუ რაიონის გამგებლები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დემოკრატია. მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოში სრულიად გაუმართლებელია ე.წ. „რეგიონული“**

**თვითმმართველობა (/რეგიონალიზაცია), რამდენადაც ეს არის გზა კონფედერაციისკენ. ფედერაცია თუ კონფედერაცია დამღუპველია საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობაში**. როგორც ყველა მცირეტერიტორიიან და რთულ რელიეფიან სახელმწიფოში, საქართველოშიც ცენტრალიზებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები; ცენტრალური ხელისუფლების დოტაციით უნდა დაიგეგმოს მთიანი რეგიონების სოფლების შენარჩუნება და ა.შ. (ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების დაცვის კონტროლის მიზნით ზოგ განაპირა რეგიონში შეიძლება დაინიშნოს პრეზიდენტის/პრემიერის წარმომადგენელიც).

---

[1] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: "სამხრეთ დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში"; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; გამომცემლობა: "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2009. გვ., 111-136. რეზიუმე რუსულ ენაზე. საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო; baTumi, 11-12 ivnisi. http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia; ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); Terminological Errors and Fraudulent Symbolic Dates (Analysis of official documents concerning Batumi created in 1918-1921 in the context of news war) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018, გვ. 151-170.

[2] ართვინისა და ბათუმის ოლქების წარმომადგენელთა ყრილობამ აირჩია სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი (საბჭო) მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით და ერთხმად დაადგინა ბათუმისა და ართვინის ოლქების (აჭარა, ბორჩხა, ართვინი, შავშეთი და ტაოს ნაწილი) შემოერთება დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის საფუძველზე. ყრილობამ თავისი დელეგაცია გააგზავნა პარიზის საზავო კონფერენციაზე (ამ ყრილობის ჩატარების აუცილებლობა შექმნა უფრო ადრე თურქული ოკუპაციის დროს გაყალბებულმა პლებისციტმა). მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018, გვ. 151-170.

[3] დოკუმენტს ვიმოწმებთ წიგნიდან: ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი I. მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები. თბ., 1996 წ. გვ. 33-37. გარკვეულწილად სახეცვლილი ეს ვარიანტი გამოქვეყნებული აქვს გ. კუკულაძესაც (დამოწმებულია: სცსსა, ფ. 1861, აღ. 2, ს. 42: 1-3); იხ.: გუგული კუკულაძე, საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო); ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2016 წ., გვ. 69.

[4] დადგენილებების ვარიანტთა ტექსტების ანალიზის შესახებ იხ.:

ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018, გვ. 151-170.

[5] ამონაწერი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1919 წ. 1 ენკენისთვის სხდომის ოქმიდან. 1919 წელი, 1 სექტემბერი; სამოქალაქო განათლების განყოფილება. სეა. ფ. 1833, აღწერა 1, საქ. 191, ფურც. 185 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0constite--

00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=constite&cl=CL2.11&d=HASH0f7f88be3e9ec9e17f4fd6

[6] ტერმინოლოგიური გაორების მიუხედავად, დადგენილებების სამივე პროექტშიც ნათლადაა ნათქვამი, რომ სამუსლიმანო საქართველოს ანუ ბათომის ოლქის (/მხარის) მოსახლეობის დელეგატები ითხოვენ არა საკუთრივ ბათუმის „ოკრუგის“, ანუ აჭარის ავტონომიას, არამედ მთლიანი სამუსლიმანო საქართველოს – ბათუმისა და ართვინის „ოკრუგების“ ავტონომიას; შესაბამისად, მენშევიკური მთავრობის მიერ ნავარაუდევი “ბათუმის მხარის ავტონომია” და ბოლშევიკების მიერ შექმნილი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა” არსებითად განსხვავდება: ამ უკანასკნელში არ მოიაზრება ისტორიული კლარჯეთი.

[7] დადგენილებების გაცნობისას მკითხველი არ უნდა დააბნიოს დოკუმენტებში არსებულმა ტერმინოლოგიურმა გაორებამ; კერძოდ, დოკუმენტებში პარალელურადაა გამოყენებული „სამუსლიმანო საქართველო, ბათუმის ოლქი“ (სამუსლიმანო საქართველოს სახელად), ბათუმის ოლქი (მხოლოდ აჭარის სახელად), ბათუმის მხარე (სამუსლიმანო საქართველოს სახელად) და სხვ. საინტერესოა აღვნიშნოთ ისიც, რომ ისტორიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების დიდი ნაწილი მაშინაც და დღესაც ნაკლულევანი (ცოდნის) ინფორმაციის გამო საქართველოს ერთი პატარა კუთხის – “აჭარის” – სახელს აიგივებს მთლიანად “სამუსლიმანო საქართველოსთან”; იხ., მაგ., ნოე ჟორდანიას 1918 წლის 25 დეკემბერის მიმართვის ტექსტი:

,,მთავრობა აცხადებს, რომ ის სამუსლიმანო საქართველოს აძლევს ავტონომიას. თვითონ აჭარის წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლებითაც თავიანთი გემოვნებითა და სინდისით მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავიანთი რწმენის უფლებებს, მოაგვარებენ ადგილობრივ საქმეებს და მათ თავიანთ მშობლიურ მხარეში დაამყარებენ ბედნიერებას“ (გაზ. ,,ერთობა“, 1919, №9).

[8] აქ უკვე პარალელურად აღარ გამოიყენება ტერმინები: “ოლქი”, „ოკრუგი“, „მხარე“, „ობლასტი“; იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), 1990, გვ. 476; მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსგაყალბებული სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018, გვ. 151-170.

[9] სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფიის კვალად, ზოგი ისტორიკოსი, უარგუმენტოდ, დღესაც ცდილობს, აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძვლად გამოაცხადოს „სამუსლიმანო საქართველოს“ წარმომადგენელთა ყრილობის მიერ მიღებული ზემოთ დამოწმებული დადგენილება. ხაზგასმით ვამბობ: 1919 წლის ყრილობის მონაწილეთა მიზანი იყო არა მხოლოდ აჭარის, არამედ, მთელი სამუსლიმანო საქართველოს შემოერთება; შდრ., ვახტანგ გურული: “აჭარაში თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის ხანგრძლივმა ბატონობამ, თურქეთისა და რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ გარკვეული ნიადაგი მოუმზადა აჭარის ავტონომიის იდეას (ხაზი ჩემია – ტ.ფ). ეს იდეა პოპულარული იყო აჭარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.).

აჭარის ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით (ხაზი ჩემია – ტ.ფ), თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო იგი პრაქტიკულად არ განხორციელდა” (საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის; თბ., 2003, გვ. 114). შდრ., ასევე: უჩა ოქროპირიძე: მემედ აბაშიძემ “შეძლო რეგიონის პროგრესული ძალების თავის ირგვლივ გაერთიანება და ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება – 1919 წლის 31 აგვისტოს ქართველ მუსლიმანთა პირველ ყრილობაზე მიღებული დადგენილებით, რომლის მიხედვითაც სამუსლიმანო საქართველო (აქაც და ქვემოთაც ხაზი ჩემია – ტ.ფ.) დედა-სამშობლოსთან სამარადისოდ შეერთებულად გამოცხადდა ფართო ავტონომიის საფუძველზე. აჭარის ავტონომიის შექმნის სამართლებრივი საფუძველი არის სწორედ 1919 წლის 31 აგვისტოს ისტორიული აქტით სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატული

ნება და ამ ნების 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციური დამტკიცება საქართველოს ძირითად კანონში" (უ. ოქროპირიძე, აჭარის ავტონომიის შექმნა, თბ., 2011, გვ. 221).

[10] 1921 წლის 16 მარტს რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ არაფერი იცოდნენ გიორგი მაზნიაშვილმა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ და სხვა გმირმა ქართველებმა, რომლებმაც თავგანწირული ბრძოლით ბათუმი გაათავისუფლეს თურქი ასკერებისაგან.

[11] Статья II

Турция соглашается уступить Грузии Суверенитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. I-й нынешнего договора и составляющей часть Батумского округа, при условии что:

1) Население местностей, указанных в настоящей статье договора будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении обеспечивающей каждой общине будет предоставлена возможность установить земельный закон соответствующий его положениям.

2) Турции будет предоставлен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции прав пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов.

http://www.amsi.ge/istoria/sab/moskovi.html ინტერპრეტაციისათვის იხ., ასევე:

ო, გოგორიშვილი, ბათუმის ოლქი უმძიმეს 1920-1921 წლებში; კრებული: "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში", 2009, გვ. 239-240 http://www.archives-ajara.gov.ge/text_files/en_file_170_1.pdf

[12] ზოგი დღესაც ყოვლად ულოგიკოდ ცდილობს გაამართლოს აჭარის ავტონომიის არსებობა და საქართველოში ქართველთა ავტონომიის შექმნის საფუძვლად ყარსის უკანონო ხელშეკრულებას აცხადებს; იხ. მაგ., "რა უფლებები აქვს თურქეთს აჭარის ავტონომიაზე და რა ეკონომიკურ უპირატესობებს აძლევს მას ყარსის ხელშეკრულება"

http://reportiori.ge/old/aww.ge/geworld.ge,?menuid=74&id=52557&lang=1 (27 იანვარი, 2015. 12:45).

[13] გეოპოლიტიკურ კონტექსტში მოსკოვისა და ყარსის ანტიქართული ხელშეკრულებების შესახებ მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში"; 2009, გვ. 111-136 http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia;

http://www.archives-ajara.gov.ge/text_files/en_file_170_1.pdf

[14] იხ., მაგ., ტ. ფუტკარაძე, „"თავისუფლების შოვნაი, სჯობს საშოვნელსა ყველასა" , ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია" (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", 17 მარტი, 1990). იხ., ასევე, იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული დავით ხახუტაიშვილის, ოთარ ზოიძის, მიხეილ მახარაძის, კობა ხაბაზისა და სხვათა წერილები.

[15] ახალგაზრდა ივერიელი. – 1990. – 8 ნოემბერი. – #123 (11609). – 1 გვ.); დოკუმენტი გადმობეჭდილია წიგნიდან: „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი I; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1990-1991)"; თბილისი, 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი), გვ. 12-15.

[16] დამოწმებულ ტექსტში და ქვემოთაც „აფხაზი" არის „აფსუა" ხალხის გარესახელწოდება (ეგზოეთნონიმი). როგორც ცნობილია, ისტორიული „აფხაზი" ქართულენოვანი თემი იყო, რომლის საცხოვრისში ჩრდილო კავკასიიდან ნელ-ნელა ჩამოსახლდა და გაბატონდა აბაზების ერთ-ერთი ტომი, რომლის თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია, ავტოეთნონიმია) „აფსუა". ჩამოსახლების საუკუნოვან პროცესში ქართველთა ენობრივ ცნობიერებაში არსებული თემის სახელი – აფხაზი – შერჩა ნელ-ნელა ჩამოსახლებულ მონათესავე ეთნოსს (შდრ.: მსგავსი სემანტიკური ტრანსფომაცია განიცადა ურარტუელის აღმნიშვნელმა ქართულმა სახელმა: „სომეხი", რომელიც გადავიდა ურარტუს ტერიტორიაზე ინდოეთიდან წამოსულ არმენებზე).

[17] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 9 აპრილს:

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7924/1/SakartvelosRespublika_1991_N70.pdf.

იხ., ასევე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 7 ივნისს: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“|№ 114 (134), 1991, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 11 ივნისი. – № 114 (134). – 1გვ. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.12&d=HASH01b1efb69c3f-ceb644ebfcf2. იხ., ასევე: ჯ. ხეცურიანი, 9 აპრილიდან 9 აპრილამდე, კრებული: “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი”; თბ., 2016 წ., გვ. 27-25; ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი”; თბ., 2016 წ. გვ. 45-59.

[18] იხ. დანართში (#1) აჭარის ინტელიგენციის წერილი.

[19] ჩემს წინააღმდეგ მსგავსი „დანოსები“ ახლაც იწერება მათგან, ვისაც სურს ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრება და რელიგიური კონფლიქტის პროვოცირება.

[20] ამავე პერიოდში კრემლის მიერ მსგავსი პრორუსულ-კოლაბორაციონისტული (და არა –სეპარატისტული) ორგანიზაციები შეიქმნა აფხაზეთსა („აფხაზეთის სახალხო ფორუმი“ და „აიდგილარა“) და ცხინვალის მხარეში („ადამონ ნიხასი“). დაწვრილებით იხ. სერგი საჯაია, დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში / აფხაზეთში/ (1972-1992 წლები), თბ., 2011, გვ. 92-100.

[21] ჩემს პირად არქივში ინახება „ქართველ მუსლიმანთა საზოგადოების“ წერილი ზვიად გამსახურდიას და ამ საზოგადოების წესდებისა და პროგრამის პროექტი (პრეფექტობამდეც და პრეფექტობის დროსაც, როგორც წესი, სახელმწიფოს პირველი პირის – ზვიად გამსახურდიას – სახელზე აჭარიდან მიღებულ წერილებს მე მაწერდნენ რეაგირებისა თუ რეზოლუციების პროექტების მოსამზადებლად). მათი ლიდერი იუსუფ ბერიძე მეც შემხვდა რამდენჯერმე; აჭარაში ყველამ იცოდა, რომ ეს ლიდერები ისევე სვამდნენ ღვინოს, როგორც სხვები; მუსლიმანთა საზოგადოების დაარსება მათ საქართველოს გარედან დაავალეს; დარწმუნებული ვარ, პირველ ეტაპზე მათი მაკონტროლებელი უფრო რუსეთში იყო, ვიდრე –თურქეთში; შემდეგ და შემდეგ ისინი უფრო თურქეთიდან ფინანსდებოდნენ.

[22] თუმცა, ასლანის „პოლიტიკისა“ და მასთან აჭარის ავტონომიის დაცვის უპირველესი დამცველები უფრო იყვნენ ასლანის თბილისელი პარტნიორები: ქორიძე, ხაბულიანი, ომანიძე... პუტჩის შემდეგ: ბოლოთაშვილი, მიშველაძე, გელბახიანი, თარგამაძე, ჯაველიძე... შემდეგ – შევარდნაძის კლანიც.

[23] ბათუმის პრეფექტის ორი კანდიდატი იყო: აჭარის მრგვალმა მაგიდამ ნოდარ იმნაძის ხელმძღვანელობით კანდიდატად დააყენა ექიმი გია ბაჯელიძე; აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თენგიზ ხახვამ – ბათუმის აღმასკომის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე. აჭარის ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზებისათვის ზვიად გამსახურდიამ მე მთხოვა წასვლა ბათუმის პრეფექტად. ასევე, ყველა რაიონში წამოყენებულ რამდენიმე კანდიდატთაგან ისინი დაამტკიცა პრეფექტებად, რომელთაც მე დავუჭირე მხარი; შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო, რომ იმ პერიოდში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისამართით გამოგზავნილ ჩემს მხარდამჭერ წერილებში ხალხი მიწოდებდა აჭარის პრეფექტს.

[24] ამ დანიშვნების შესახებ ვრცლად იხ., მე-8 დანართში.

[25] ქ-ნი ს. კუდბა შემდეგ მჭიდროდ თანამშრომლობდა ასლან აბაშიძესთან. იყო აჭარის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ამჟამად არის საქართველოს პარლამენტის წევრი „ქართული ოცნების“ კვოტით.

[26] ამ სხდომისა და სხვა დეტალებისათვის იხ., დანართი # 8.

[27] ნოდარ იმნაძე, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა კობახიძე თავდაპირველად ასლანის დანიშვნას უჭერდნენ მხარს, მაგრამ როცა დაინახეს, რომ მან ყველა წითელი ხაზი გადალახა და ღიად გამოვიდა აჭარის ავტონომიის დასაცავად, ისინიც დაუპირისპირდნენ აბაშიძეს. ამის შემდეგ აბაშიძის მიერ მართული დესტრუქციული ბრბო შეეცადა გურულ-აჭარული დაპირისპირების

პროვოცირებას; ამ მიზნით, მათ გააააქტიურეს მაღალ თანამდებობებზე მყოფი „არააჭარლების“ გადაყენების ლოზუნგი. 1991 წლის 24 აპრილს გურამ ჩიგოგიძე შეხვდა მამაჩემს და უთხრა: „ზვიადმა ასლანს თხოვა, ტარიელს ხელს ნუ შეუშლი რეფერენდუმის მოწყობაში“... მეც ბევრჯერ ვუთხარი ასლანს, ზვიადს ანგარიში გაუწიე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა; არადა, ასლანი ჩემი გაზრდილია და აჭარაში პირველ პირად მის ჩამოყვანაშიც დიდი წვლილი მაქვს“ (ალექსანდრე ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები; 2001, გვ. 248-249; https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.4640366723893&type=3).

[28] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ნოდარ იმნაძე – ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია: http://putkaradze1.blogspot.com/2017/04/blog-post_30.html; წარმოდგენილი ფაქტების შესახებ ვრცლად პირველად დავწერე 2001 წელს მამაჩემისადმი მიძღვნილ წიგნში; იხ.: ალექსანდრე ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები; 2001;

https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.4640366723893&type=3.

[29] ასლანმა თავისი ნათესავები – ძმები ასანიძეები – ამ დროს გამოიყენა, მცირე ხანს თანამდებობებზეც დანიშნა, მაგრამ შემდეგ სასიკვდილოდ გაწირა.

[30] მათ თხოვნას საგანგებო სატელევიზიო გამოსვლით უპასუხა ზვიად გამსახურდიამ. თქვა, რომ აუცილებლად ჩატარდებოდა უმაღლესი საბჭოს არჩევნები. აქ საინტერესო ისიცა, რომ ამავე გამოსვლაზე ისევ მყარად უჭერდა მხარს, აჭარაში რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობას (იხ. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 მაისი. – # 91 (111). – 1 გვ.). აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების დანიშვნა თუ რამდენჯერმე გადადება, ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის ბრძოლა (ხელმოწერების შეგროვება) და „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციების პარტიული სიის რამდენჯერმე შეცვლა ცალკე სტატიის თემაა.

[31] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 მაისი. – # 91 (111).

[32] ასლან აბაშიძესთან არ ითანამშრომლა არც ბეჟან გობაძემ.

[33] პრეზიდენტმა ჩემი გადადგომა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაადასტურა: 1991 წლის ივლისიდან ბატონი ზვიადის შემოთავაზებითვე, საქმიანობა გავაგრძელე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე. დავძენ: 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 1992-93 წლებში განდევნილ იქნა ხელისუფლებიდან რუსეთის ჯარის მიერ. უზენაეს საბჭოს თავისი სამართალმემკვიდრეობა დღემდე არ გადაუცია პუტჩით ხელისუფლებაში მოსული არაკანონიერი ხელისუფლებისა თუ მისი მემკვიდრე მთავრობებისათვის. გარდა ამისა, მე (ასევე, ზოგ სხვას) როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, დღემდე არ ამიღია ე.წ. სადეპუტატო პენსია, რომელსაც, როგორც წესი, იღებს ყველა ყოფილი პარლამენტარი; შესაბამისად, უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა დე იურე დღემდე არსებობს.


[34] პირადად, მე ვფიქრობდი, რომ აჭარაში ჯერ რეფერენდუმი უნდა ჩაგვეტარებინა (პრეზიდენტის არჩევის დღეს – 1991 წლის 26 მაისს) და შემდეგ, თუკი საჭირო გახდებოდა, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

[35] ედუარდ შევარდნაძისა და ჯაბა იოსელიანის მოგონებები ცხადყოფენ, რომ ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობამდეც და შემდეგაც თანამშრომლობდა დასახელებულ ორივე პუტჩისტთან. ფაქტია ისიც, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გენერლის წოდება მიანიჭა ასლან აბაშიძეს – დე იურე სხვა ქვეყნის მოქალაქეს. დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ ასლან აბაშიძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამორჩეულად პრორუს პოლიტიკოსთან – ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელთან ერთადაც 2001 წელს ასლან აბაშიძემ შექმნა „საკოორდინაციო საბჭო“. ეს პრორუსული დუეტი განიხილავდა სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხსაც (დოკუმენტური მასალისათვის იხ.: ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018, გვ. 152).


[36] სპეციალური კითხვარების საფუძველზე წარმოებული კვლევის შედეგების ცხრილისათვის იხ. ხატია წიკლაური, მორწმუნეებისა და ათეისტების ღირებულებათა კვლევა საქართველოში; თბ., 2018, გვ. 284-285.

[37] დღეს თურქეთთან მიმართებით, მთავარია, თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ისტორიული ქართული მიწების ავტოქთონ მცხოვრებთაც და მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებსაც ჰქონდეთ "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიით", გაეროს "ეროვნულ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა დეკლარაციითა" და "ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციით" გათვალისწინებული ენობრივ-კულტურული უფლებები.


დანართი#1




დანართი # 2




დანართი # 3:




დანართი # 4:




დანართი # 5:



დანართი # 6:



დანართი # 7:



# მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და საქართველოს პერსპექტივა – I[1]

ნაშრომის მიზანია, ბოლო ნახევარ საუკუნეში მიმდინარე პროცესების ერთიანობაში გააზრებითა და ახალი თაობისათვის წინა თაობის შეცდომებისა თუ თავგანწირვის წარმოჩენით, საქართველოს **ამჟამინდელი გამოწვევების ანალიზი**.

გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით, კავკასიასა და შავ ზღვას ოდითგანვე ჰქონდა დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და აქვს დღესაც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ბერლინის „რკინის ფარდით“ დედამიწა ორ გეოპოლიტიკურ სივრცედ გაიყო[2], შავი ზღვის დიდ ნაწილსა და კავკასიას (/საქართველოს) რუსეთი აკონტროლებდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა თეორიული შანსი, ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოები[3], მათ შორის საქართველო, გამოსულიყო რუსული იმპერიული ველიდან. ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა, აწ უკვე ეროვნულ გმირებად შერაცხულმა პიროვნებებმა – ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. სწორედ მათ მიერ გასული საუკუნეების 70-იანი წლებიდან აღორძინებული **საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის** წიაღში ახალი სიცოცხლე შეიძინა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა რეალური გახდა „ბერლინის კედლის“ დანგრევის შემდეგ (09.11.1989). დაიწყო დეოკუპაციის პროცესიც (1991). რუსული იმპერიული ველიდან გამოსვლის მძიმე პროცესი დღემდე გრძელდება. ნაშრომში გაანალიზებულია ამ პროცესის ეტაპები და წარმოჩენილია დასახელებული პიროვნებების გამორჩეული როლი თითოეულ ამ ეტაპზე (სიკვდილის შემდეგაც)[4].

ვფიქრობ, 1974 წლიდან დღემდე არსებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოსაყოფია ხუთი ეტაპი:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდი: 1974-1988;

2. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალი: 1989 წლის 9 აპრილი –1991 წლის ზაფხული.

3. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაღმავლობის პერიოდი: 1991წლის შემოდგომა – 1993 წლის 31 დეკემბერი.

4. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განადგურება რუსეთის იმპერიის მიერ: 1994-1997 წლები.

5. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების პირობების გაჩენა –1998 წლიდან დღემდე.

**ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდში (1974-1988)**. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდის (1974-1988) დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1974 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის“ (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თეიმურაზ ჯანელიძე, ნიკოლოზ სამხარაძე, გივი მაღულარია და სხვ.) შექმნა, 1975 წელს ზვიად გამსახურდიას გაწევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციაში: „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International) და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ 1976 წელს „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის“ დაარსება[5].

საერთაშორისო მასშტაბში საქართველოს მდგომარეობისა და პერსპექტივის გააზრებით ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა 1975 წლიდანვე ცდილობენ საბჭოთა იმპერიის ველში მოქცეული ქართველობისათვის, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეებისათვის, გაეცოცხლებინათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. **საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათი მოთხოვნები და გრძელვადიანი გეგმები** არქივებში დაცული მასალის მიხედვით ასე გამოიყურება[6]:

**მოთხოვნები კომუნისტური ხელისუფლებისადმი:**

- დავით გარეჯის მონასტრისა და სხვა ტაძრების დაცვა განადგურებისაგან;
- რწმენის თავისუფლებისა და ტაძრებში მორწმუნეთა დაშვება;
- საწყობებად, თეატრებად და აბანოებად გამოყენებული ტაძრების გამოთავისუფლება;
- საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში;
- ქართული ენისა და ლიტერატურის საათების გაზრდა სკოლებში;
- ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოების შექმნა და გამოყენება /რუსულიდან თარგმნილის ნაცვლად/;
- პოლიტპატიმრების გათავისუფლება;
- სამსახურებიდან სხვაგვარად მოაზროვნეთა დათხოვნის აკრძალვა;
- ქართველ წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა საქართველოში;
- ქართველ პატიმართა მიერ სასჯელის მოხდა საქართველოში;
- ქართული სოფლების ჩაძირვის ფასად დიდი ჰესების აშენების აკრძალვა;
- ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობის შეწყვეტა;
- ქართული ორიენტაციის მესხების სამშობლოში დაბრუნება და მათი არაკომპაქტურად ჩასახლება;
- ეკომიგრანტების ქვემო ქართლში ჩასახლება და მათთვის სახლების შეძენა...

**გრძელვადიანი გეგმები:**

- საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვება;
- საქართველოს ეროვნული კონსტიტუციის შექმნა;
- ქართული ეროვნული არმიის შექმნა.

ამ მოთხოვნებსა და **გრძელვადიანი სტრატეგიის ცალკეულ მონაკვეთებს** ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დისიდენტურ ლიტერატურასთან ერთად ბეჭდავდნენ თავიანთ არალეგალურ გამოცემებში, საუბრობდნენ ვიწრო წრეებში. ბუნებრივია, რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკებს გამცემთა დახმარებით წვდომა ჰქონდათ მათ გეგმებზე, ამიტომაც საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ ისინი მალევე (1977) დააპატიმრა. პარალელურად, **იმპერიის სპეცსამსახურებმა დაიწყეს ზვიადისა და მერაბის „დემონიზება“** (თანამედროვე ტერმინოლოგიით: „შავი პიარი“) „წითელი ინტელიგენციის“ გამოყენებით.

მერაბ კოსტავამ არაერთხელ განაცხადა, რომ ორივეს პატიმრობაში ყოფნა დიდად ავნებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას, როგორც მოძრაობის ლიდერს, თავი დაეღწია საპატიმროსათვის. აქვე ვიტყვი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მერაბმა თავისი როლი „ავთანდილობით“ განსაზღვრა იხ. მისი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს (ზვიად გამსახურდიას)“[7].

„მავანი“ წლების მანძილზე ცდილობდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას დაპირისპირებას[8]. ეს არ გამოუვიდათ მერაბ კოსტავას სიცოცხლეში. მერაბ კოსტავას შეუდრეკელობამ ბევრი პრობლემა ააცილა როგორც ზვიად გამსახურდიას, ასევე, ზოგადად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ვერც მერაბ კოსტავას ციმბირში გადასახლებამ და ვერც რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ დაგეგმილმა „შავმა პიარმა“ შედეგი ვერ გამოიღო.

1974-1988 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა – ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ – ქართველი ერისათვის სასიცოცხლო თემების წინ წამოწევითა და კარგად გააზრებული სტრატეგიით შეძლეს ახალგაზრდობის გარსშემოკრება და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. 1988 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ გამორჩეულმა ლიდერებმა ახალ ლიდერებთან (გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი...) ერთად ფართო საზოგადოების თვალშიც რეალური გახადეს **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის** იდეა.

**ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდში (1989 წლის 9 აპრილი –1991 წლის ზაფხული)**. 80-იან წლებში სერიოზული რყევა განიცადა საბჭოთა იდეოლოგიამ. ამას დაემატა რ. რეიგანის გონივრული საერთაშორისო პოლიტიკა, რამაც ძალიან დაასუსტა საბჭოთა იმპერია და გაჩნდა შესაძლებლობა, საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია-ანექსიისაგან განთავისუფლებულიყო

საქართველო. რუსი ოკუპანტების მხარეს მყოფი აფხაზების (თვითსახელწოდებით: აფსუა) ნაწილმა 1989 წლის 18 მარტს ჩაატარა „ლიხნის კრება“, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა შეეფერხებინათ[9].

საქართველოს **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები სეპარატისტ აფხაზებს კი არა, უშუალოდ კრემლს დავუპირისპირდით** და მრავალათასიანი მიტინგებით საქართველოს დამოუკიდებლობა მოვითხოვეთ. რუსული იმპერიული ველიდან საქართველოს გამოსასვლელად **ზვიად გამსახურდიამ რამდენიმე საფეხურიანი გეგმა შეიმუშავა**:

– არასაბჭოთა მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების გზით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსვლა ხელისუფლებაში (რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნაკლები მსხვერპლითა და ლეგიტიმური გზით წარმართულიყო);

– საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში რეფერენდუმი იქნებოდა **ძლიერი არგუმენტი** რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებული ცივილიზებული მსოფლიოსათვის;

– საგანგებო აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმომადგენლობითი ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (საქართველოს პარლამენტის)–მიერ,რომქართველიერის,საქართველოსმოსახლეობისნებისდამადასტურებელი სამუდამო დოკუმენტი შექმნილიყო;

– იმპერიულ კრემლთან სახიფათო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად პირველ ეტაპზე (საქართველოს დეოკუპაციის პროცესში) საქართველოს მიერ „აქტიური ნეიტრალიტეტის“ დეკლარირება, გარდამავალი პერიოდის გამოცხადება;

– საქართველოს თანამიმდევრული დეოკუპაცია და საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ქართულენოვანი სახელმწიფოს ინტეგრირება მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში[10].

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალი** ნამდვილად არის დრო 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 26 მაისამდე (დემოკრატიული არჩევნებით 1991 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა პრეზიდენტად). **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ავტორიტეტით**, დროის ამ მცირე მონაკვეთში **საქართველოს მოსახლეობა** თითქმის სრულად გაერთიანდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის გარშემო, მიუხედავად მცირე ჯგუფების წინააღმდეგობისა და მათი დემაგოგიისა. ერთ ფაქტს დავიმოწმებ:

1989 წლის 9 აპრილის მძიმე ღამეს რუსეთის იმპერიის დამსჯელი შენაერთების პირისპირ მდგარ ქართველობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გამოგვიცხადა: „ახლოსაა საშიშროება, ამიტომ რუსთაველის ქუჩიდან გადავიდეთ ქაშვეთის ეკლესიაში სალოცავად“... პატრიარქს დავალებული ჰქონდა, ხალხი გაეფრთხილებინა მოსალოდნელი ბრძოლის წინ; ბუნებრივია, მას არ უნდოდა მსხვერპლი. ხალხი ვალდებული იყო, დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის იდეა. 7 წუთის მანძილზე დუმდა ხალხი დიდი საშიშროების წინ: ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებდით[11]. მერაბ კოსტავამ, საოცრად ზუსტად შეაფასა რა ისტორიული მომენტი, მომიტინგეებს გვითხრა:

„ძმანო და დანო, საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად, ასე შეკრული, ასე მთლიანი, წარმოდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე!“[12].

უმძიმეს წუთებში ასეთი საოცარი სიტყვით გამოსვლა მხოლოდ **უდიდეს პატრიოტს შეუძლია**. მერაბ კოსტავას ასეთი შეუპოვრობა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მისი უნარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი კალაპოტიდან არ გაეშვა მეტ-ნაკლებად განსხვავებული ხედვისა თუ ქცევის მქონე ადამიანები, **იყო დიდი ერთიანობის გარანტი**. ეს კარგად იცოდა რუსეთის იმპერიამ; ამიტომაც, სავსებით დამაჯერებელია ვერსია, რომ 1989 წლის 13 ოქტომბრის ტრაგიკული ავარია უბედური შემთხვევა კი არა, ფილიგრანულად ორგანიზებული მკვლელობა იყო. ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენელთა ზეწოლით კომუნისტური ხელისუფლება დათანხმდა, მერაბ კოსტავა მთაწმინდაზე დასაფლავებულიყო.

მერაბ კოსტავას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა შორის მალევე გაღვივდა დაპირისპირება; ხალხმა მხარი დაუჭირა ზვიად გამსახურდიას მიერ შეთავაზებულ სტრატეგიას. აქვე აღვნიშნავ: 1990-91 წლებში მერაბ კოსტავას დიდებული დედის – ოლღა დემურია-კოსტავას – ხაზგასმული ყოფნა ზვიად გამსახურდიას გვერდით მთელი ერის თვალში ცხადყოფდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიზნებისა და სტრატეგიის ერთიანობას[13].

ზვიად გამსახურდიას გარშემო გაერთიანებულმა საქართველოს მოქალაქეებმა 1990-1991 წლებში, **ზვიად გამსახურდიას შორსგათვლილი სტრატეგიის შესაბამისად, საქართველოს ისტორიაში ჩაწერეს ოთხი ბრწყინვალე ფურცელი**:

- 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეებმა (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) მრავალპარტიულ არასაბჭოთა და საყოველთაო არჩევნებში მხარი დაუჭირეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე ძლიერ ფრთას – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს“ (ლიდერი ზვიად გამსახურდია) და მშვიდობიანი გზით ხელისუფლებაში მოიყვანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა;
- 1991 წლის 31 მარტის საერთო სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს მოქალაქეებმა (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე; რეფერენდუმის კითხვა: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“[14].
- 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი[15];
- 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით „საოკუპაციო ჯარების სტატუსი“ მიანიჭა საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრ კავშირის (რუსეთის იმპერიის) სამხედრო შენაერთებს.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“[16], სადაც „საერთაშორისო სამართლის პრიმატის“ შესახებ საგანგებო ჩანაწერია:

„საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისი სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები... საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი მტკიცე გარანტია იქნება“[17].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მწვერვალზე – 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის შემოდგომამდე პერიოდში – ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკის უმთავრესი წარმატება იყო **საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე გამოცხადება საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე.**

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აქტს“ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს დღესაც და ექნება მომავალშიც, რადგანაც, საქართველოს ტერიტორიის დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო მსოფლიოს წინაშე ასეთი ფორმით დადასტურებული ხალხის ნების გარეშე, რუსეთი არასოდეს დათმობდა საქართველოს.

9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის

აღდგენის სახე-სიმბოლოა! **თავისი მნიშვნელობით, 9 აპრილი არის საქართველოს ახალი დიდგორი.**

9 აპრილის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის იმპერიის საოკუპაციო ჯარის გაყვანა შესაძლებელი იყო მოსახლეობის ეროვნული ერთიანობისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში[18].

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბევრი მცდელობა ჰქონდა, სსრ კავშირის ხელისუფლებასთანაც და ბ. ელცინთანაც გაგრძელებულიყო მშვიდობიანი თანაარსებობა (იხ. ქვემოთ), მაგრამ რუსეთს არ სურდა კავკასიის დათმობა და ჩვენგან ითხოვდა რუსულ იმპერიულ (სამხედრო) ველში საქართველოს დარჩენას. **ეს კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს.**

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ზოგადად, ჩვენს ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება იყო დეოკუპაციის დასაწყისი[19]. დავიმოწმებთ ამ თვალსაზრისით საინტერესო ერთ ფრაგმენტს 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან:

„მართალია, ჩვენ ვაცნობიერებთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიულ ფაქტსა და **იმპერიის ტყვეობიდან საქართველოს ფაქტობრივ განთავისუფლებას შორის**, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძველი უმთავრესია ასეთ შემთხვევაში, რათა მოხდეს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დეიურეცნობა, მისი შესვლა გაერთიანებაში და სხვა ორგანიზაციებში. ამის შემდეგ უფრო შესაძლებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ცენტრთან მოლაპარაკება **საოკუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე**. საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიის შენარჩუნების მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“[20].

**შენიშვნები:**

[1] წარმოდგენილი სტატია წაკითხულია ორ მოხსენებად:

– ტ. ფუტკარაძე, მალტის შეთანხმება (02.12.1989), 1992-93 წლების პუტჩი და 2008 წლის პლებისციტი თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია: „ზვიად გამსახურდია – 80“; 28 მარტი, 2019. T. Putkaradze, Malta Negotiation (02.12.1989), Putsch during 1992-1993 and Plebiscite of 2008 year, Scientific conference at St. Andrew The First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia: “Zviad Gamsakhurdia – 80”; 28 March, 2019.Plebiscite of 2008 year, Scientific conference at St. Andrew The First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia: “Zviad Gamsakhurdia – 80”; 28 March, 2019. https://sangu.edu.ge/ka/article/kartvelologiis-aktualuri-problem(დამოწმება: 17.11.2019).

– ტ. ფუტკარაძე, მერაბ კოსტავას როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის XII სამეცნიერო კონფერენცია: „მერაბ კოსტავა – 80“, 16 ოქტომბერი, 2019. T. Putkaradze, The Role of Merab Kostava in the National-Liberation Movement, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia Kartvelological Center XII scientific conference: “Merab Kostava-80”, October 16, 2019. https://cutt.ly/Nyut5ae; https://cutt.ly/zyutBYP (დამოწმება: 1.12.2019).

[2] ორი ზესახელმწიფოს გავლენების საზღვრად იქცა **ბერლინის კედელი**, რომელიც აშენდა 1961 წელს. ბერლინის კედელი მიჯნავდა ნატოს ბლოკში გაერთიანებულ (04.04.1949; ვაშინგტონი) სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულებაში იძულებით შეყვანილ (14.05.1955) ქვეყნებს. რუსი ოკუპანტების მიერ ანალოგიური „ბერლინის კედელი“ დღეს გავლებულია საქართველოში, კერძოდ, ერთი მხრივ, მდინარე ენგურზე, მეორე მხრივ – პერევი-ატოცი – დიცი – წითელუბანი-ორჭოსანის ხაზზე.

[3] ჩვენთვის უფრო მისაღებია კავკასიის რეგიონის დაყოფა სამ ნაწილად: ჩრდილო კავკასია

(ამჟამად შედის რუსეთის ფედერაციაში; ცენტრალური კავკასია – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი; სამხრეთი კავკასია (ამჟამად შედის თურქეთის შემადგენლობაში).

[4] ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა, პირადი უსაფრთხოება და, ბოლოს, სიცოცხლე შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, არამედ, რაც თანამედროვე რეალობაში ძნელი წარმოსადგენია, რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში, ფაქტობრივად, გაწირეს საკუთარი ოჯახებიც. XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს მოსახლეობამ კარგად გააცნობიერა **თანამედროვეთა ეს სამაგალითო თავგანწირვა** და, არსებული დე ფაქტო ხელისუფლებების დამოკიდებულების მიუხედავად, რეალური გმირების სამუდამო განსასვენებელად განსაზღვრა გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა პანთეონი – მამადავითის ეკლესიის ეზო.

[5] დოკუმენტური მასალისათვის იხ.: „ოქროს საწმისი“ (შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია), თბ., 2006 (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“; „საქართველოს მოამბე“ (შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია), თბ., 2007 (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

[6] ინფორმაციების დაზუსტებისათვის მადლობას ვუხდი ქ-ნ ციცინო მაღლაფერიძეს – მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის დირექტორს.

[7] „ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბელს უფალი
შენ აღიმართე, ვითა პირველი
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი...
ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია“... https://burusi.wordpress.com/2010/03/29/merab-kostava-11/ (დამოწმება:27.11.2019)

[8] ზოგი იმპერიის მოხელეების დავალებით, ზოგიც – კაენური შურისა თუ ბოღმის გამო.

[9] **ისტორიის ირონია:** ლიხნში პირველი დიდი სახალხო შეკრება გაიმართა 1861 წელს, რომელიც შემდეგ **ანტირუსულ აჯანყებაში** გადაიზარდა. 1989 წლის შეკრება საპირისპირო მიზნით ჩატარდა: ლიხნის მეორე შეკრება უკვე **რუსებმა დაგეგმეს საქართველოს წინააღმდეგ:** შემთხვევითი არ არის, რომ 1989 წლის ლიხნში შექმნილ დოკუმენტს ხელს აწერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა.

[10] ამ თვალსაზრისით საინტერესო ზვიად გამსახურდიას ტექსტისათვის, იხ.:
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად გამსახურდიას საახალწლო მიმართვა 1990 წელს https://bit.ly/3ekZvMm;
https://www.myvideo.ge/v/3107677 (დამოწმება: 24.03.2019).

[11] პატრიარქის გამოსვლისა და დუმილის ამსახველი დოკუმენტური მასალისათვის იხ.: https://cutt.ly/hyuu2Ed (დამოწმება: 15.10.2019).

[12] მერაბ კოსტავას გამოსვლა 9 აპრილს: https://cutt.ly/6yuu5DE (დამოწმება: 15.10.2019).

[13] საქართველოს მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ არ მიიღო გია ჭანტურიას, ირაკლი წერეთლის, მამუკა გიორგაძის, ირაკლი ბათიაშვილის და სხვა „კონგრესმენთა“ (ეროვნული კონგრესის წევრთა ის სტრატეგია (იხ.: https://lessonsgeo.files.wordpress.com/2015/08/1.jpg) (დამოწმება: 10.10.2019), რომელიც ითვალისწინებდა ჯერ საქართველოს დეკოლონიზაცია-დეოკუპაციას, შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის შექმნას და ეროვნული ხელისუფლების არჩევას.

შდრ.: ზვიად გამსახურდიას (და მერაბ კოსტავას) სტრატეგიის მიხედვით, ეროვნული ძალები ხელისუფლებაში უნდა მოსულიყვნენ მრავალპარტიული არჩევნებით, რომ რეალური ბერკეტებით ებრძოლათ საქართველოს დეოკუპაციისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის სრულფასოვანი აღდგენისათვის (გარკვეულწილად განსხვავებული მსჯელობისათვის იხ.: დავით გამცემლიძე, ეროვნული კონგრესი, თბ., 2019:

https://cutt.ly/Ct0VVBR (დამოწმება: 10.10.2019). ამგვარი პერსპექტივა დღესაც არსებითია, თუკი ხელისუფლება დაკომპლექტდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებებით.

[14] 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შესახებ https://cutt.ly/dt0V2kd (დამოწმება: 25.11.2019).

[15] ბედნიერი ვარ, რომ ამ აქტს მეც ვაწერ ხელს: 1990 წლის 28 ოქტომბერს მე, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრი, ამირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. ვიყავი ადამიანის უფლებათა კომიტეტის პასუხიმგებელი მდივანი; უზენაესი საბჭოს დევნილობის დროს – კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ბოლოს – კომიტეტის თავმჯდომარე.

[16] 1991 წლის 9 აპრილს სიტყვით გამოსვლისას ზვიად გამსახურდიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ სიმბოლურია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ გამოცხადება 9 აპრილს, რამდენადაც საქართველოს დამოუკიდებლობა იყო1989 წლის 9 აპრილის გმირების მიზანი: https://clck.ru/N7zWp (დამოწმება: 5. 12. 2019).

ისტორიული გადასახედიდან 9 აპრილი მართლაც არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირული ბრძოლისა და ამ დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. https://cutt.ly/SyuorSv (დამოწმება: 5. 12. 2019).

[17]https://cutt.ly/Xt0V7zT (დამოწმება: 24.03.2019).

[18] ოფიციალურად სწორედ 9 აპრილი უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, რადგანაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა საქართველოს რესპუბლიკამ დე ფაქტო მხოლოდ 3 წელი იარსება (დე იურე საქართველოს სახელმწიფო არსებობს 20 საუკუნეზე მეტია!). 9 აპრილის ეპოპეის მნიშვნელობის მიუხედავად, დღემდე არის მცდელობა, ამ დღის რეალური არსი გადაიფაროს ასევე მნიშვნელოვანი თარიღით – 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენისა (რომელი დამოუკიდებლობაც დე ფაქტო დასრულდა 3 წელში რუსული ოკუპაცია-ანექსიის გამო) და პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღით – 26 მაისით. მიზეზი მარტივია: საბჭოთა ოკუპაციის მიჩქმალვა და ისტორიის გაყალბებით ახალი თაობის დეზორიენტირება. დე იურე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა მრავალი საუკუნეა.

[19] წინ იყო არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ საკანონმდებლო, ეკონომიკური, მენტალური, ბიუროკრატიული „ჩახსნა“ სსრ კავშირთან, რასაც დიდი დრო ესაჭიროებოდა (ამიტომაც გამოვაცხადეთ „გარდამავალი პერიოდი“).

[20] საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 აპრილი. – №70 (90), გვ. 2, 3. აჭარის უკანონო ავტონომიისადმი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულების შესახებ; იხ., ასევე: ა. ფუტკარაძე, 2001; ტ. ფუტკარაძე, 1999; ტ. ფუტკარაძე, 2019ა.

1 დეკემბერი, 2019

## მალტის შეთანხმება (02.12.1989), ეროვნული გმირები და საქართველოს პერსპექტივა – II

აღსანიშნავია ერთი მთავარი გარემოებაც: **1991 წლის ზაფხულში საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ცივილიზებული დასავლეთი მხარს დაუჭერდა ქართველი ხალხის ნებას, რეალურად აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.**

1991 წელს ზვიად გამსახურდია შეეცადა, მოლაპარაკება ეწარმოებინა ბ. ელცინთანაც (1991 წლის 23 მარტს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი საქართველოშიც კი ჩამოიყვანა, სადაც ბ. ელცინმა აღიარა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების კანონიერება), დასავლეთის ლიდერებთანაც, მაგრამ ამაოდ.

**საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის პერსპექტივის შესანარჩუნებლად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხოლოდ რადიკალური ქმედების გზა დარჩა:** რუსეთის ჯარს მიანიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი[1] და მხოლოდ 1992 წლის დასაწყისში, პუტჩის შემდეგ, უსაყვედურა ცივილიზებულ დასავლეთს რუსეთის იმპერიისადმი მხარდაჭერის გამო[2].

სსრ კავშირი ისე დაიშალა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ აღიარა. სსრ კავშირის ოფიციალურ დაშლამდე, 1991 წლის დეკემბრამდე, საქართველოს დამოუკიდებლობა არ უცვნია არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დღემდე არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ[3]. დღეს რუსეთის იმპერიას მხოლოდ ერთი ოფიციალური სტატუსი აქვს: **ოკუპანტი**, რომელიც მას მიანიჭა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ 1991 წლის 15 სექტემბერს (ეს სტატუსი მოუხსნა შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღუდგინა სააკაშვილის ხელისუფლებამ)[4].

ბუნებრივია, იმპერიულ რუსეთს (/საბჭოთა კავშირს) არ სურდა კავკასიის, როგორც გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი სივრცის დათმობა, ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების კონსტრუქციული პოლიტიკის მიუხედავად (იხ. ბ. ელცინისა და ზ. გამსახურდიას 1991 წლის შეხვედრა ყაზბეგში), უარი თქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე და 1992-93 წლებში დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსურნე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება...[5]კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ სამხედრო აგრესიისაკენ რუსეთის სვლას ხელი შეუწყო 1989 წლის 2-3 დეკემბრის **მალტის გარიგებამ**.

რუსეთის სამხედრო შენაერთების აქტიური მონაწილეობით 1992 წლის დასაწყისში საქართველოდან განდევნილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები: პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მთავრობის წევრები და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები შევიკრიბეთ ქალაქ გროზნოში, რომელსაც ჯერ კიდევ აკონტროლებდა პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი; ჩვენ დევნილობაში ჩავატარეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორი სხდომა. უზენაესი საბჭო შეიკრიბა ერთი წლის შემდეგაც ქალაქ ზუგდიდში, ამ დროს გროზნოდან საქართველოში დაბრუნდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც, რომლის მიზანი იყო შეეჩერებინა პრორუსი აფხაზებისა და უკანონო ხუნტის მიერ რუსეთის გეგმის შესაბამისად აფხაზეთში პროვოცირებული კონფლიქტი. რუსეთის სამხედრო შენაერთებმა (შევარდნაძის რეჟიმთან ერთად) გაანადგურეს როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე მხარდამჭერები.

**საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა**. პარალელურად რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილი ხუნტა 1992 წლის ნოემბერში შეეცადა, უკანონო არჩევნებით დაეკანონებინა თავი. ნიშანდობლივია, რომ ხუნტის სათავეში იდგა ე. შევარდნაძე – ერთ-ერთი საბჭოთა ლიდერი და მალტის სამიტის ერთ-ერთი მონაწილე[6]. ამ ე.წ. არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს დევნილი ხელისუფლების მხარდამჭერმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა; თუმცა, **მას შემდეგ რაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლეს**, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალებისათვის შეუძლებელი გახდა პოლიტიკური პროცესების შემობრუნება.

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეოთხე პერიოდი (1994-1997) – სიტუაცია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფიზიკური განადგურების შემდეგ**. 1994-1997 წლებში ე. შევარდნაძის არალეგიტიმური ხელისუფლება, ერთი მხრივ, აგრძელებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადარჩენილ წევრთა ფიზიკურ თუ მორალურ განადგურებას, მეორე მხრივ კი ცდილობს მერაბ კოსტავას ავტორიტეტის წარმოჩინებას. ამ პერიოდში ისინი ამახინჯებენ უახლოეს წარსულს, საუბრობენ ზვიადსა და მერაბს შორის თითქოსდა არსებულ დაპირისპირებაზე და მრავალი მიმართულებით დამწაშავედ აცხადებენ საქართველოსათვის შეწირულ გმირ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას...

ამ პერიოდში თითქმის სრულად ნადგურდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მხოლოდ ცალკეული პირები თუ ახერხებენ სიმართლის თქმას ზოგ გაზეთსა თუ თვითგამოცემებში; იხ. მაგ., პროფესორ თენგიზ კიკაჩეიშვილის, გაზეთ „იბერია-სპექტრის რედაქტორის – ირაკლი გოცირიძისა და სხვათა აქტიურობა (დოკუმენტური მასალის ერთი ნაწილისათვის იხ. ტ. ფუტკარაძე, 1999).

**ეროვნული გმირების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ავტორიტეტის როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეხუთე პერიოდში (1998 წლიდან დღემდე).** რამდენიმე ფაქტორის გამო ვთვლი, რომ ძლიერი ფსევდოლიბერალური[7] და

რუსულიმპერიული ზეწოლების მიუხედავად, ბოლო 20 წლის მანძილზე იყო პირობები, აღორძინებულიყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. **ეს ფაქტორებია:**

– დევნილი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს სესიების განახლება თბილისში;

– 1999 წლის სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილება;

– პარლამენტის 2000 და 2005 წლების დადგენილებები;

– ზვიად გამსახურდიას ნაწილობრივი რეაბილიტაცია (2004);

– 2008 წლის პლებისციტი;

– ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასათვის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ეროვნული გმირის წოდების მინიჭება (2013).

**მოკლედ თითოეული ფაქტორის შესახებ:**

ა) 1998 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისში, ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანის სახლში ჩატარდა რუსეთის სამხედრო შენაერთებისა და მათი მხარდამჭერი ქართველი პუტჩისტების მიერ ხელისუფლებიდან 1992-93 წლებში განდევნილი **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია.** ხელისუფლებიდან განდევნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა შეკრებას „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ბლოკის პარტიების სახელით ორგანიზება გაუკეთა ქ-ნმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ (არც მანამდე შეუწყვეტია არსებობა საქართველოს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის გაერთიანებას – „მრგვალ მაგიდას“: პროფ. თენგიზ კიკაჩეიშვილის ხელმძღვანელობით „მრგვალი მაგიდა“ გეგმავდა ხოლმე რუსეთის იმპერიის მამხილებელ პოლიტიკურ აქციებს). 1999 წლიდან გრანდიოზული შიმშილობებითა და აქციებით აქტიურად განახლდა 1992-93 წლებში განდევნილი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის მოთხოვნა.

ბ) 1999 წლიდან საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში გააქტიურდა რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების საკითხი; კერძოდ, 1999 წლის ნოემბერში სტამბოლში ჩატარდა ეუთოს სამიტი, რომელმაც განიხილა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი. სტამბოლის შეხვედრაზე შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს ხელი მოაწერინა დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია 2005 წლამდე (ვრცლად იხ. ქვემოთ).

გ) ე. შევარდნაძის დე ფაქტო ხელისუფლება ვეღარ უძლებს როგორც საერთაშორისო, ასევე, საქართველოს მოქალაქეთა დაწოლას; შედეგად საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას (#262; 20/04/2000) „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ (ხელს აწერს ზურაბ ჟვანია)“[8].

დადგენილების პირველი პუნქტი ასეა ჩამოყალიბებული: **„დაგმობილ იქნეს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა“...** დადგენილებაში საერთოდ არაა ნახსენები, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება დამხობილ იქნა რუსეთის აქტიური მონაწილეობით; მეტიც, დადგენილების მიხედვით ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მიზეზია სამოქალაქო დაპირისპირება.

ამგვარი ორმაგი სტანდარტის გამო დადგენილებამ მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა რეალობა; პოზიტივი კი იყო **შეთითხნილი ბრალდებებით დაჭერილი პოლიტპატიმრების გათავისუფლება.**

ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არსებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რეაბილიტაციის პროცესი ინტენსიური გახდა პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდეგ; კერძოდ, 2005 წელს ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის დადგენილება „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“[9]. ამ დადგენილების პირველი პუნქტით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ზოგადად, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება ლეგიტიმურად გამოცხადდა 1995 წლის ჩათვლით; მეორე პუნქტში კი უფრო კონკრეტული ჩანაწერი გაჩნდა: **„დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება“.**

**აქვე აღვნიშნავ:** საქართველოს დეოკუპაციის მიზნით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების პერსპექტივა ჰქონდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 2004 წელს;

კერძოდ, მისი ერთ-ერთი პირველი განკარგულება (#174) იყო **„1991-1993 წლებში ხელისუფლების უკანონოდ შეცვლასთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ (14.02.2004)**, სადაც ვკითხულობთ: შეიქმნას საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ივანე მერაბიშვილი** – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე;

**ზურაბ ადეიშვილი** – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი;

**ირაკლი ოქრუაშვილი** – საქართველოს გენერალური პროკურორი;

**გიორგი ანდრიაძე** – საქართველოს საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი;

**მანანა არჩვაძე-გამსახურდია** – კომისიის წევრი;

**ტარიელ ფუტკარაძე** – კომისიის წევრი;

**მანანა ტაბიძე** – კომისიის წევრი;

**მერაბ რაფავა** – კომისიის წევრი.

ეს **სახელმწიფო კომისია არც ერთხელ არ შეკრებილა**. უფრო საქმიანი იყო 2004 წელსვე გენერალურ პროკურორთან შექმნილი კომისია (რომლის წევრებიც ვიყავით მანანა ტაბიძე და მე), რომელმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოუხსნა შევარდნაძის რეჟიმის მიერ წაყენებული ცილისმწამებლური ბრალი. პირადად, ჩემი და ქ-ნი მანანა ტაბიძის მრავალი ცდის მიუხედავად, **სააკაშვილის ხელისუფლებამ არ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა, 1992-93 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის პროცესში გამოეკვეთა რუსეთის ხელისუფლების როლი, რაც უთუოდ წაადგებოდა საქართველოს დეოკუპაციის სტრატეგიას.**

ობიექტურობა ითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილმა მეორე საპრეზიდენტო ვადა დაასრულა 2013 წლის 26 ოქტომბრის განკარგულებით, რომლის მიხედვითაც **ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას** (საქართველოსათვის წამებულ სხვა პიროვნებათა გვერდით)[10].

დ) 2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად დაინიშნა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პლებისციტი. პლებისციტის კითხვა: **„უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში** (ნატო)?“; შედეგები: დიახ – 77 %; არა – 23 %. შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებმა მეორედ დააფიქსირეს რუსეთის იმპერიის ველიდან გამოსვლის ნება.

ე) XXI საუკუნის დასაწყისიდან ფართო საზოგადოება, რომელიც, ნელ-ნელა გამოდის რა 1992-93 წლების პუტჩით მიყენებული შოკიდან, აცნობიერებს რეალობას: **საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „რეაბილიტაციასაც“, მერაბ კოსტავას ქება-დიდებასაც, დამოწმებულ დადგენილებებსა თუ განკარგულებებსაც წინასაარჩევნოდ საზოგადოების მიმხრობისათვის იყენებდნენ პუტჩის შემდგომ არსებული პოლიტიკური ჯგუფები და დე ფაქტო ხელისუფლებები.**

მართალია, ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მშვიდობიანი გზით რადიკალურად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორი – საქართველომ განაცხადი გააკეთა, რომ გამოდიოდა რუსული გეოპოლიტიკური სივრციდან, მაგრამ **საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია იმჟამინდელი საერთაშორისო ვითარების გამო:** ისტორიის ამ მონაკვეთში **დასავლეთისათვის არსებითი იყო აღმოსავლეთი ევროპა;** პრაგმატული პოლიტიკის დღის წესრიგში ჯერ არ იდგა რუსული სივრციდან ცენტრალური კავკასიის გამოყვანის დრო: 1991-1998 წლებში დასავლეთის დახმარებით რუსეთმა შეძლო თავისი გავლენის ველში დაეტოვებინა კავკასია, მოლდოვა-უკრაინა-ბელორუსია და შუა აზია.

დასავლეთის მიერ რუსეთის იმპერიის „მორღვევის“ მეორე ეტაპი იწყება 10 წლის შემდეგ – 1999 წელს სტამბოლის სამიტით.

**1999 წლის 17 ნოემბერს ეუთოს სტამბოლის სამიტზე ცივილიზებული დასავლეთის ზეწოლით** რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საქართველოდან სამხედრო შენაერთების გაყვანის ვალდებულებას (იხ. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულება /CFE/). სტამბოლის შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ფედერაციას 2001 წლის 1 ივლისამდე უნდა მოეხდინა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ხოლო 2000 წლის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო მხარეთა მოლაპარაკებები ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების ვადებისა და პირობების შესახებ. მალევე დაიწყო რუსული ჯარების გაყვანის პროცესი. პარალელურად, დასავლეთი გააქტიურდა კავკასიაში, მაგრამ **შევარდნაძის მთავრობა არ დგამდა მკვეთრ ნაბიჯებს დასავლეთის მიმართულებით** და ფაქტობრივად გამოუცხადებელ ნეიტრალიტეტს ახორციელებდა ცივილიზებულ დასავლეთსა და იმპერიულ რუსეთს შორის.

ე. შევარდნაძის პასიური პოლიტიკა მიუღებელი გახდა დასავლეთისათვის; შედეგად დასავლეთის მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოდის მიხეილ სააკაშვილი. შევარდნაძის შემდეგ მოსულმა მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ მკვეთრი ნაბიჯები გადადგა დასავლეთის მიმართულებით; ყველაზე მკვეთრი სვლა იყო **პლებისციტი საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად**. პლებისციტის კითხვა იყო: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?“

საქართველომ ნატოს გზა აირჩია, მაგრამ **დასავლეთმა დააყოვნა საქართველოს მაპის ფორმატით დაცვა.** რუსეთმა ამით ისარგებლა და, პლებისციტის შედეგების გამო, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში პროვოცირებული საბაბით დასჯა საქართველო: სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების დარღვევით, თავისი სამხედრო შენაერთები დააბრუნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონოდ გახსნილ ბაზებში.

**მაშასადამე, პროდასავლური არჩევანის გამო ბოლო 25 წელიწადში საქართველო მეორედ დაარბია რუსულმა ჯარმა** (პირველად 1992-93 წლებში).

ბოლო 20 წლის მანძილზე იყო პირობები, საქართველო წინ სწრაფად წასულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა პოლიტიკური ელიტის არათანმიმდევრულობისა თუ მავნებლური პოლიტიკის გამო:

**ძირითადად პუტჩისტთა მემკვიდრე პოლიტიკურმა სუბიექტებმა, ბუნებრივია, სათანადო შეფასება არ მისცეს 1991-93 წლებში განხორციელებულ რუსულ აგრესიას** (კანონიერი ხელისუფლების დამხობა, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველთა გენოციდი...) და 90-იან წლებში თავიანთი დანაშაულებრივი ქმედების „გასაპრავებლად“ მიიღეს რუსეთის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგიური შეფასებები (სინამდვილეში – ტერმინოლოგიური დივერსიები): „სამოქალაქო ომი“, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, „ქართულ-ოსური კონფლიქტი“... ამანაც შეუწყო ხელი ბოლო პერიოდში რუსეთის გავლენის გაძლიერებას საქართველოში, ზოგადად, კავკასიაში.

დავძენ: აფხაზეთში დარჩენილი პრორუსი ლიდერებიც და შევარდნაძის კლანის წევრებიც დღემდე ვერ „ხედავენ“ საქართველოში რუსეთის აგრესიას და, მაგ., რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციას საქართველო-აფხაზეთის ომს უწოდებენ; პარალელურად, ვითომდა ერთმანეთს აბრალებენ ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებას[11]. არადა, უეჭველია, რომ პრორუსი აფხაზი ლიდერებიც და შევარდნაძეც საქართველოს გარეთ დაწერილი სტრატეგიული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. კავკასიის მიმართ „გათიშე და იბატონეს“ კონცეფციაზე დაფუძნებული რუსული იმპერიული სტრატეგია დღემდე უცვლელია: თავისი გავლენის ქვეშ მყოფი ძალებით რუსეთი ახლაც ცდილობს შექმნას დაპირისპირება საქართველოს მოქალაქეებს შორის, ასევე, აზერბაიჯანელთა და სომეხთა, თუ ჩრდილო-კავკასიელ ხალხთა შორის და ამ გზით შეინარჩუნოს კავკასიაზე კონტროლი.

დღეს, 2019 წლის დასასრულს, ჯერჯერობით უტოპიაა ფიქრი იმაზე, რომ რადიკალურად დაპირისპირებული **რუსეთი და ნატო** შეთანხმდებიან ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოს (საქართველოს) ნეიტრალიტეტზე, რადგანაც სწორედ საქართველოა სერიოზული გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში: რუსეთის იმპერიული მიზნებისათვის მნიშვნელოვანია **როგორც სახმელეთო გზა გუიმრის ბაზამდე,** ასევე, **შავი ზღვისა თუ ცენტრალური კავკასიის მაგისტრალები**. იგივე გეოსტრატეგიული სივრცე არსებითად განსაზღვრავს

დასავლეთის უსაფრთხოებას, შესაბამისად კავკასიის ცენტრალური ნაწილი სტრატეგიული მნიშვნელობისაა დასავლეთისთვისაც (აშშ, ევროკავშირი); არ უნდა დავივიწყოთ კავკასიისადმი ჩინეთის მზარდი ინტერესიც.

მოკლედ შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ: **საქართველოს წილი შავი ზღვის** თემა მიბმულია კონკრეტულ ქართულ მხარეებზე: აჭარაზე, გურიაზე, სამეგრელოსა და აფხაზეთზე. გურიის მონაკვეთი უმნიშვნელოა. რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს; დარჩა აჭარა და სამეგრელო, სადაც არის თავმოყრილი გეოპოლიტიკური სიმძლავრეები; კერძოდ, რუსეთს შავი ზღვის კონტროლისათვის, ოჩამჩირის პორტის გარდა, ესაჭიროება ბათუმი-ფოთი-ანაკლიის ზონაც; შესაბამისად, **ამჟამად რუსეთის ინტერესებშია**, აჭარისა და სამეგრელოს მოსახლეობაზე ზეწოლით აღადგინოს თავისი გავლენა საქართველოს ამ ორ ისტორიულ მხარეზეც. საამისოდ ახორციელებს ენობრივ-ეთნიკურ და რელიგიურ დივერსიებს; ცდილობს, საინფორმაციო ზეწოლით („რბილი ძალის“ პოლიტიკით) შეცვალოს საქართველოს ამ მხარის მოსახლეობის ცნობიერება – ქართველი ერი დაანაწევროს ენობრივ-ეთნიკურად[12], რელიგიურ-ეთნიკურად[13]და „დემოგრაფიული სიმძლავრის“ გამოყენებით („გათიშე და იბატონე“) კონტროლი დაამყაროს მისთვის სასურველ ტერიტორიაზე.

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჰაერო, სახმელეთო თუ საზღვაო მაგისტრალების გამო დასავლეთსაც აქვს თავისი ინტერესები** კავკასიაში და, ამავე დროს სურს, გვერდით დაუდგეს რუსული იმპერიული ველიდან გამოსვლის მოსურნე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

დღეს რუსეთი აგრესიულია; ფეხქვეშ თელავს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს; **საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, გადარჩენის პერსპექტივა მხოლოდ ცივილიზებული დასავლეთის მხარდაჭერითაა შესაძლებელი:** საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ ერთი გზა აქვს: წავიდეს იმ მიმართულებით, რომელსაც დაუჭირა მხარი საქართველოს მოსახლეობამ 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტით. ამჟამინდელი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით საქართველოს მიერ თვითგამოცხადებული ნეიტრალიტეტი გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი შეუძლებელია რეალურად განხორციელდეს[14], რადგან ცალმხრივი ნეიტრალიტეტი არ არსებობს, მით უმეტეს, თუ ნეიტრალიტეტის გამომცხადებელი პატარა სახელმწიფოა და დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი არ არიან გარანტიორები (გარდა ამისა, ნეიტრალიტეტი დგინდება მხოლოდ „იერარქიული წესრიგის“ მქონე მსოფლიოში). დღეს კავკასიის ნეიტრალიტეტის შესახებ ნატო და რუსეთი ვერ შეთანხმდებიან.

ამჟამად საქართველოს პირველი რიგის ამოცანაა საქართველოს დეოკუპაცია – რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. დეოკუპაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს მოსახლეობის შეუქცევადი ნების შემთხვევაში და მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის მხარდაჭერით. ქართველი ხალხი ამ ყოველივეს კარგად აცნობიერებს. ამიტომაც დაუჭირა მხარი 2008 წლის პლებისციტში საქართველოს გაწევრიანებას ნატოში. უახლოეს მომავალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ცივილიზებული დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით.

**დასავლეთსაც მხოლოდ ერთი გზა აქვს:** რუსეთის საფრთხე რომ შეამციროს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ცენტრალური კავკასიის გეოპოლიტიკური სიმძლავრეები, აქტიურად უნდა დაეხმაროს საქართველოს დეოკუპაციის პროცესში; მით უმეტეს, რუსეთის ჯარები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დგას სტამბოლის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილების საპირისპიროდ. მთელი მსოფლიო წინ თუ არ აღუდგება რუსეთის მიერ სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების დარღვევას, დედამიწისათვის რუსული საფრთხე უფრო და უფრო გაიზრდება. ევრაზიის სასიცოცხლო სატრანსპორტო მაგისტრალებისათვის რუსული საფრთხე მკვეთრად „შეიბოჭება“, თუკი ცენტრალური კავკასიის ცენტრალური სახელმწიფო – საქართველო – გახდება ნატოს წევრი. **დასავლეთს საქართველოში მყარი გარანტიები ექნება, თუკი დასავლეთი ხელს შეუწყობს არამხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებას, არამედ ქართულენოვანი სახელმწიფოს გაძლიერებას და ქართული ფასეულობების დაცვას.**

მსჯელობას დავასრულებ ბატონი **იენს სტოლტენბერგის** 2019 წლის 25 მარტის ძალიან მნიშვნელოვანი გამოსვლის კომენტირებით[15]; **ნატოს** გენერალურმა მდივანმა თბილისში რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, საიდანაც ნათლად ჩანს:

– ნატო, ცივილიზებული დასავლეთი (რუსეთისაგან განსხვავებით) მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და რუსეთს მოუწოდებს, დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები;

– რუსეთის მიერ სტამბოლის სამიტისა და სხვა შეთანხმებების დარღვევის გამო ნატო აძლიერებს სამხედრო დანაყოფებს შავ ზღვაში;

– ჩვენ მივესალმებით შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებულ როლს...

– საქართველო ნატოს საუკეთესო პარტნიორია, მაგრამ საქართველოს **ნატოში** გასაწევრიანებლად **ნატოს** სურს, იხილოს კიდევ უფრო მეტი წინსვლა დემოკრატიული რეფორმების ფარგლებში...

**ჩემი აზრით,** საქართველო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ნატოსთან, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ დღეს, რუსეთისაგან მოსალოდნელი რეალური აგრესიის პირობებში, საქართველოს „დემოკრატიულ რეფორმებზე“ არაპროპორციული აქცენტირება გვავარაუდებინებს ცივილიზებული დასავლეთის **ზედმეტ შიშს** რუსეთის მიმართ. ეს „ზედმეტი შიში“ თუ „სიფრთხილე“ საქართველოს ისეთივე კატასტროფად შეიძლება დაუჯდეს, რაც მოხდა 1991 წელს: 1991 წელს მალტის შეთანხმების დაცვის პროცესში დასავლეთმა გაწირა რეალურად პროდასავლურად განწყობილი საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია[16]. დასავლეთის ასევე „ზედმეტი სიფრთხილის“ გამო 2008 წელს დაგვიანდა საქართველოსათვის მაპის მიცემა და მივიღეთ რუსეთის ახალი აგრესია (08. 08. 08).

უახლოეს მომავალში საქართველოში შეიძლება განმეორდეს რუსეთის აგრესია, რაც გაცილებით დიდი ხნით „შებოჭავს“ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებას. ეს ცუდი იქნება დასავლეთისთვისაც: ცივილიზებული დასავლეთი, ნატო დაკარგავს პერსპექტივას შავ ზღვაზე, ასევე, **კავკასიაზე გამავალ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სატრანსპორტო, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალებზე.** რუსეთის აგრესიას ხელი შეიძლება შეუწყოს რამდენიმე გარემოებამ:

– საქართველოს მოსახლეობა დასავლეთისგან ელის უფრო აქტიურ მხარდაჭერას. საქართველოში რუსეთის აგრესიის აქტივიზაციისას დასავლეთელი ლიდერების მხოლოდ „შეშფოთების“ გამო, ასევე, დასავლეთის სახელით მოსაუბრე ზოგი ევროპელი თუ ამერიკელი ფსევდოლიბერალისა თუ ე.წ. „გლობალისტის“ საეჭვო განცხადებების გამოც, საქართველოს მოსახლეობაში უფრო და უფრო მცირდება დასავლეთისადმი ნდობა.

**ხაზგასმით აღვნიშნავ:** პრორუსული ჯგუფების მიერ შეთხზული „ფაქტების“ გამოყენებითა თუ რუსული პროპაგანდის ინერციით, ზოგი ევროპელი „მეგობარი“ (თუ რუსებისაგან დაქირავებული პროპაგანდისტი) ზვიად გამსახურდიას რამდენიმეთვიან მმართველობას სრულიად უსაფუძვლოდ თვლის **ავტოკრატიად**/Autocracy/;

– პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელთა გამდიდრების ფონზე ეკონომიკურ კრიზისში მუდმივად მყოფი ფართო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათან კარგავს ინტერესს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობების მიმართ;

– დასავლეთიდან უდიდესი ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, მიმდინარე ეტაპზე საქართველოში უფრო აქტიურია პრორუსული პროპაგანდა, ვიდრე – პროდასავლური. ეს შეპირობებულია ვითომდა პროდასავლური (სინამდვილეში – ფსევდოლიბერალური) ქართული პოლიტიკური სპექტრისა და ე.წ. არასამთავრობოების ორმაგი სტანდარტით;

– ძლიერი საინფორმაციო ზეწოლით პრორუსული ჯგუფები დღემდე ახერხებენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ანტიიმპერიული სტრატეგიის არასწორად წარმოჩენას და ხელს უშლიან საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდაციას;

– 1992-93 წლების პუტჩის მონაწილე პოლიტიკური ჯგუფები, „წითელი ინტელიგენცია“ და ფინანსური კლანები (თუ მათი მემკვიდრენი) დღემდე ინარჩუნებენ ძლიერ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბერკეტებს და მათ შესანარჩუნებლად აქტიურად ცდილობენ საქართველოს უახლესი წარსულის გაყალბებას; მაგ., 1989 წლის 9 აპრილის რეალური არსის, 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ რეალური მნიშვნელობის მიჩქმალვით არასწორად წარმოაჩენენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სტრატეგიას და მას, მალტის გარიგების თანამდევი „პოლიტიკური სცენარის“ შესაბამისად,

„დიქტატორად“ აცხადებენ. პარალელურად, **საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების დამცველთ** „დიქტატორ გამსახურდიას“ მომხრე „ზვიადისტებად“ წარმოაჩენენ. ასეთი ხერხებით აბუნდოვანებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორიენტირებს და ცდილობენ, **ფართო საზოგადოების თვალში** კიდევ დიდხანს „შეფუთონ“ თავიანთი (თუ წინამორბედების) გაუმართლებელი ქმედება გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც რუსეთის ჯარის მხარდაჭერით ამხობდნენ **საქართველოს დამოუკიდებლობის** გამომცხადებელ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **ხელისუფლებას**.

**ძირითადი დასკვნები:**

1. საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა კრახმა და ეკონომიკურმა დასუსტებამ (რაც განპირობებული იყო რ. რეიგანის გონივრული პოლიტიკითაც) გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა საფუძველი, წარმატებით განხორციელებულიყო საბჭოთა იმპერიის (მთელი სოციალური სისტემის) ნაწილობრივი დემონტაჟი, რომლის ბოლო ეტაპი ისტორიაში „გარდაქმნის“ (1985–1991 წწ.) სახელწოდებით შევიდა. მ. გორბაჩოვმა სსრ კავშირის დაშლა ოფიციალურად გამოაცხადა 1991 წლის 25 დეკემბერს (შდრ.: ვ. გურული, 2007, გვ. 17-19). მალტის შეთანხმებამ რუსეთს საშუალება მისცა 1992-93 წლებში იარაღის ძალით დაემხო საქართველოს (ასევე: აზერბაიჯანის, იჩქერიის) დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება[17]. 1992-93 წლებში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას მოჰყვა საქართველოსათვის მძიმე შედეგები; კერძოდ, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე – აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში განხორციელდა ქართველთა გენოციდი; ანტირუსულად განწყობილი ცოცხლად გადარჩენილი პირები (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად: ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები...) კი საქართველოს ამ კუთხეებიდან გამოდევნეს (400 000-ზე მეტი ადამიანი დევნილად აქციეს)[18].

**ცივილიზებულმა მსოფლიომ ობიექტურად უნდა შეაფასოს** მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია; დღეს მაინც რეალურად უნდა წარმოჩნდეს 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების არსი და აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში მიმდინარე კონფლიქტის რეალური შინაარსი: 1991-92 წლებშიც და 2008 წელსაც რუსეთმა საქართველო დასაჯა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და პროდასავლური არჩევანის გამო[19]; საქართველოს ისტორიულ კუთხეებში – აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში კი გვაქვს არა „ეთნოკონფლიქტები“, არამედ – 1991 წლის 22 დეკემბრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარეობს რუსეთის ომი ცივილიზებულ დასავლეთზე ორიენტირებული საქართველოს წინააღმდეგ.

2. საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებასა თუ ისტორიულ პროცესზე **დიდი ადამიანების გავლენა გრძელდება გარდაცვალების შემდეგაც**. დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ველში აღზრდილმა ეროვნულმა გმირებმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ძირითად მიზნად დაუსახეს 1921 წელს დაკარგული **საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა, ადამიანის უფლებების დაცვა და ქართული კულტურის შენარჩუნება-განვითარება**. ბოლო 45 წელიწადში საქართველომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა (რეფერენდუმი, დამოუკიდებლობის დე იურე აღდგენა, რუსეთის ჯარის „საოკუპაციო ჯარის“ სტატუსი, პლებისციტი ნატოში გაწევრიანების თემაზე...), **მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა: საქართველოს მეხუთედი დღემდე ოკუპირებულია რუსეთის იმპერიის მიერ, ისევ ილახება ადამიანის უფლებები და ისევ დიდი საფრთხის ქვეშაა ქართული იდენტობა...**

შესაბამისად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღის წესრიგი ბოლომდეა შესასრულებელი. ამ პროცესში **ისევ მნიშვნელოვანია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ორიენტირების გათვალისწინებაც და მათი გმირული თავგანწირვის მაგალითიც.**

3. ზვიად გამსახურდიას „ქრისტესმიერი ძმა“ მერაბ კოსტავა თავისი შეუპოვრობითა და ავტორიტეტით რეალურ აწმყოში აბალანსებდა თანამებრძოლთა განწყობას. მეოცე საუკუნის ეს ორი რაინდი პოლიტიკურად ერთი მთლიანობაა; შესაბამისად, ის, ვინც მერაბ კოსტავას სურათის ფონზე ზვიად გამსახურდიას ჩრდილს აყენებდა (ან – პირიქით!), საკუთარი დანაშაულის დამალვას ცდილობდა; ანდა, უარესი: ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მოსახლეობის სწორ ორიენტირებსა და საქართველოს სრულ დეოკუპაციას. დღეს ამგვარი მანიპულაციით

საზოგადოების დეზორიენტირება უკვე შეუძლებელია, ვინაიდან **დღევანდელი თაობისათვის** კომუნისტური სუკის პროვოკაციები, ეროვნული გმირის ზოგი ახლობლის შეცდომები თუ ზვიადისა და მერაბის ყოფილ თანამებრძოლთა ნეგატიური კონტექსტები ვეღარაფერს ცვლის.

**ახლა სხვა პრობლემაა:** დღევანდელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის **ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა** საქართველოსათვის თავშეწირული, მაგრამ წარსული დროის ეროვნული გმირები არიან. **ახლო მომავალში მაინც საქართველოს განათლების სისტემამ და ახალმა პოლიტიკურმა სპექტრმა დროულად უნდა შეძლოს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ორიენტირების წარმოჩენა**, ამ ორიენტირების გარშემო ახალი თაობის, ზოგადად, ფართო საზოგადოებისა და საერთაშორისო ყურადღების მობილიზება. მხოლოდ სწორი პოლიტიკური სტრატეგიითა და საერთაშორისო თანადგომითაა შესაძლებელი საქართველოს სრული დეოკუპაცია, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების შექმნა და **ნახევარსაუკუნოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დასრულება.**

**დამოწმებული ლიტერატურა:**


**აფრასიძე... 1994:** ბ. აფრასიძე, ა. გვიშიანი, თ. გვანცელაძე... რა არის ჩვენი სიცოცხლე? ბრძოლა! თბ., 1994;

**დადეშქელიანი-აფრასიძე, 2006:** ბ. დადეშქელიანი-აფრასიძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, თბ., 2006;

**ზვიად გამსახურდია, 2009:** ზვიად გამსახურდია – 70 (წიგნი ემღვნება ზვიად გამსახურდიას 70 წლის იუბილეს; სარედაქციო საბჭო: გურამ აბსანძე, გოჩა ბიჭაშვილი), გამომცემლობა „ზანი“, თბ., 2009;

**ზვიად გამსახურდია, 2019:** 2019 წლის 10-12 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია: **ზვიად გამსახურდია – 80“**. მოხსენებები იბეჭდება კრებულში: „ზვიად გამსახურდია, პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა“ (შემდგენელ-რედაქტორები: გიორგი არქანია, ლევან ბებურიშვილი), თბ., 2020, გამომცემლობა “არტანუჯი”;

**გამსახურდია, 2013:** კ. ზ. გამსახურდია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე, თბ., 2013;

**გაჩეჩილაძე 2004:** გ. გაჩეჩილაძე, საით მიჰყვებიან მდინარებას „მკვდარი თევზები“? თბ., 2004;

**გურული, 2007:** ვ. გურული, საბჭოთა კავშირის დაშლა, თბ., 2007;

**ზაქარაია, 2019:** მ. ზაქარაია, „სახელმწიფოსა და დემოკრატიის საკითხისადმი დისპარატულ მიდგომაზე“, თბ. 2019 წ. გამომც. „უნივერსალი“;

**კაციტაძე, 2001:** კ. კაციტაძე, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში, თბ., 2001;

**კიზირია, 2018:** დ. კიზირია, პუტჩი, თბ., 2018 გამომცემლობა „არტანუჯი“;

მრგვალი მაგიდის ისტორია, 1996: მრგვალი მაგიდის ისტორია /3 ნაწილად/, თბ., 1996;

**რცხილაძე, 2018:** ა. რცხილაძე, მზე კავკასიისა, თბ., 2018;

**საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები,** 2013: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბ., 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი);

**ფუტკარაძე, 2001:** ა. ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები, ქუთაისი, 2001;

**ფუტკარაძე, 1999:** ტ. ფუტკარაძე, აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში, სტატიათა კრებული საქართველოს უძველესი და უახლესი ისტორიის საკითხების შესახებ, გვ. 1-315, თბ., 1999;

From Aphsirte to Gamsakhurdia or in the Dessert of the Present (collection of articles on the oldest and the newest history of Georgia), pg. 1-315, Tb., 1999 http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/313696

**ფუტკარაძე, 2008:** ტ. ფუტკარაძე, კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველოს ფედერალურ ერთეულებად დაშლის მცდელობა და პერსპექტივები (საქართველოს ენობრივი სიტუაციის ანალიზი), ჟურნალი „ჩვენებური“, № 4 (16), 2008; https://cutt.ly/jt0BOrZ (დამოწმება: 24.03.2019).

**ფუტკარაძე, 2009:** ტ. ფუტკარაძე საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული: საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები, საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბ., 2009, გვ. 221-234. T.Putkaradze, Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace, Georgian Orthodox Church Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War – Prospects for Peace. https://cutt.ly/Ot0BRcr;

**ფუტკარაძე, 2009ა:** ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009;

**ფუტკარაძე, 2016:** ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი“, თბ., 2016;

**ფუტკარაძე, 2019:** ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019;

**ფუტკარაძე, 2019ა:** ტ. ფუტკარაძე, 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები, „უახლესი ისტორიის ცენტრის“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, 10-12 აპრილი, 2019. უახლესი ისტორიის ცენტრის კრებული: ზვიად გამსახურდია – პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, გვ. 196–220. თბ., 2020. გამომცემლობა „არტანუჯი“ (იბეჭდება); Occurrences during April-May, 1991 in Achara, Collection of the Center of Recent History: Zviad Gamsakhurdia – Politics, Science, Literature, pg.196-220. Tb., 2020. Publishing House “Artanuji”. The Center of Recent History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Humanitarian Science Faculty and Publishing House “Arjanuji” joint scientific conference, April 10-12, 2019, Tb.

**შარაშენიძე, 2006:** Л. Шарашенидзе, Заметки десантника-комиссара, Тбилиси, 2006;

**შველიძე, 2008:** დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წ.წ.), თბ., 2008;

**შონია, 2020:** ჯ. შონია, „სიმართლე და სიცრუე ქართული სახელმწიფოსა და დემოკრატიის თანამედროვე პრობლემებზე“, თბ., 2020 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“(იბეჭდება);

**ჩხეიძე, 2015:** რ. ჩხეიძე, ეკლის გვირგვინი, თბ., 2015;

**ცომაია, 2018:** ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018;

**ჯონსი, 2013:** ს. ჯონსი, საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბ., 2013. Stephen Jones, Georgia: A Political History since Independence, Tb., 2013.

**შენიშვნები:**

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სამხედრო შენაერთებისათვის „საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭების შესახებ“.

[2] იხ., პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წერილი: „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ბატონ ჯეიმს ბეიკერს“: „როგორც ცნობილი გახდა, თქვენ აპირებთ საქართველოში ჩამობრძანებას ქართველი ხალხის სისხლიან ჯალათთან, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად. ედუარდ შევარდნაძე იყო იმ სამხედრო გადატრიალებისა და პუტჩის ორგანიზატორი, რომელმაც სისხლში ჩაახშო ქართველი ხალხის დემოკრატიული მონაპოვარი. ეს ავლენს თქვენს პირდაპირ ალიანსს დანაშაულებრივ ხუნტასთან, რომელიც ყოველდღიურად ღვრის უდანაშაულო ადამიანების სისხლს, ხვრეტს მშვიდობიან მიტინგებს და დემონსტრანტებს,

აპატიმრებს ასობით ადამიანს, უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს, თრგუნავს პიროვნების თავისუფლებას. იმუქრება, რომ ადგილზე დახვრეტს ყველას, ვინც კანონიერი ხელისუფლების დასაცავ მიტინგში გაბედავს მონაწილეობის მიღებას. ყოველივე ეს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის დისკრედიტაციას, რომელიც თავის თავს დემოკრატიულ ქვეყნად მიიჩნევს...“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, 8 თებერვალი, 1992 წ. (სრული ტექსტისათვის იხ.: გაზ. „ქართული აზრი“ №6, 1992, 26 თებერვალი.– №6. – გვ.2. https://bit.ly/3a7sMqn(დამოწმება: 20.11.2019).

[3] ნიშანდობლივია ისიც, რომ პრეზიდენტ ელცინის ხელისუფლებას და არც შემდგომ ხელისუფლებებს ოფიციალურად არ უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა. შევარდნაძის უკანონო რეჟიმთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა დღეს გაწყვეტილია. შდრ. სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა **1991-92** წლებში:

**1991:** 27 აგვისტო – რუმინეთი; 27 აგვისტო – მოლდოვა; 30 აგვისტო – აზერბაიჯანი; 13 სექტემბერი – სომხეთი; 16 დეკემბერი – თურქეთი; 20 დეკემბერი – ლიტვა; 20 დეკემბერი – მონღოლეთი; **25 დეკემბერი – აშშ;** 25 დეკემბერი – ირანი; 25 დეკემბერი – კანადა; 26 დეკემბერი – ბრაზილია; 26 დეკემბერი – ინდოეთი; 26 დეკემბერი –კუბა; 26 დეკემბერი – ტაილანდი; 27 დეკემბერი – ალჟირი; 27 დეკემბერი – ბელორუსი; 27 დეკემბერი – ეგვიპტე; 27 დეკემბერი – ვიეტნამი; 27 დეკემბერი – ჩინეთი; 27 დეკემბერი – სლოვენია; 28 დეკემბერი – იორდანია; 28 დეკემბერი – ხორვატია; 30 დეკემბერი – ლიბანი; 31 დეკემბერი – პაკისტანი;

**1992:** 2 იანვარი – ეთიოპია; 2 იანვარი – ერაყი; 2 იანვარი – ლაოსი; 23 იანვარი – ბულგარეთი; 24 იანვარი – სლოვაკეთი; 24 იანვარი – ჩეხეთი; 4 მარტი – პერუ; 6 მარტი – იუგოსლავია; 9 მარტი – არგენტინა; 17 მარტი – ზიმბაბვე; 19 მარტი – ნორვეგია; 23 მარტი – ესპანეთი; 23 მარტი – ისლანდია; 23 მარტი – იტალია; 23 მარტი – ირლანდია; 23 მარტი – ლუქსემბურგი; 23 მარტი – დიდი ბრიტანეთი; 23 მარტი – გერმანია; 23 მარტი – საბერძნეთი; 23 მარტი – საფრანგეთი; 23 მარტი – ბელგია; 23 მარტი – პორტუგალია; 23 მარტი – ნიდერლანდები; 24 მარტი – პოლონეთი; 25 მარტი – ავსტრია; 26 მარტი – ისრაელი; 26 მარტი – მექსიკა; 27 მარტი – ფინეთი; 28 მარტი – ბურუნდი; 29 მარტი – ავსტრალია; 2 აპრილი – შვედეთი; 3 აპრილი – იაპონია; 6 აპრილი – ავღანეთი; 6 აპრილი – ჩრდილოეთი კორეა; 7 აპრილი – კვიპროსი; 21 აპრილი – შვეიცარია (ამ სიაში რუსეთი არც იყო და არც ახლა არის).

[4] საკითხის ისტორიისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2016, გვ. 45-59.

[5] კონკრეტული გვარები და ფაქტები დაფიქსირებულია მრავალრიცხოვან ქართულენოვან თუ რუსულენოვან პუბლიკაციებში, რომელთა მოძიება იოლად შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

[6]პირუთვნელი ისტორიკოსი თუ ექსპერტი ე. შევარდნაძის გაუმართლებელი ქმედებების შესახებ საინტერესო ფაქტებს წაიკითხავს ზვიად გამსახურდიას წერილში: „ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს“. პირველად გამოქვეყნდა 1992 წელს „გაზეთ თავისუფალ საქართველოში“. 2002 წელს წერილი კომენტარითურთ დაბეჭდა პროფესორმა პაატა ბუხრაშვილმა სამეცნიერო ჟურნალში: „ამირანი“ /კავკასიოლოგიის საერთაშორისო-სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე/, VI http://www.caucasology.com/amirani7/gamsakhurdia.pdf(დამოწმება: 25.11.2019). სამწუხაროდ, უცხოელი ექსპერტებისა თუ ისტორიკოსებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ პუტჩისტთა „მემუარები“ და მათ „ისტორიკოსთა“ მიერ გაყალბებული „ფაქტები“.

[7] ფსევდოლიბერალიზმი ცალკე მსჯელობის საკითხია; აქ მოკლედ ვიტყვი: დასავლური ღირებულებების უმთავრეს მიმართულებად **ლგბტ თემის პროპაგანდის** წარმოჩენა ფსევდოლიბერალიზმია; დასავლეთს ბევრი ფასეულობა აქვს; ერთ-ერთია **უმცირესობათა დაცვა**, რაც არც ქართული მენტალობისთვისაა უცხო. ქართველებში ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს გრანტს დახარბებული ცალკეული ქართული ჯგუფების მიერ ლგბტ პროპაგანდა. სამართლიანობისათვის აქვე აღვნიშნავ, რომ ლგბტ პროპაგანდაა ასევე ფსევდოპატრიოტული ჯგუფების მიერ ლგბტ თემის ცხოვრების წესის გაუთავებელი გმობა (ლანძღვა ირიბი რეკლამაა და ზოგჯერ პირდაპირ პროპაგანდაზე უფრო ეფექტურია). ქართველის ბუნება არის ლიბერალური; ამას ცხადყოფს საუკუნოვანი ტოლერანტული დამოკიდებულება რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობებისადმი (იხ., მაგ., ცეკვა „კინტაური“); თუმცა, ყველა ნორმალური ადამიანისათვის

მიუღებელია **ცხოვრების არანორმალური წესის**, ასევე, ამორალიზმის, ნარკომანიის... **პროპაგანდა**.

[8] საქართველოს პარლამენტის დადგენილება (#262; 20/04/2000; სსმ, 36, 25/04/2000) „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“

https://matsne.gov.ge/ka/document/view/40276?publication=0(დამოწმება: 20.11.2019).

[9] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ (#1104; 11/03/2005; სსმ, 32, 22/03/2005); ხელს აწერს მიხეილ მაჭავარიანი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/42880?publication=0.(დამოწმება: 23.11.2019).

[10] იხ.: https://cutt.ly/1t6Ix4K (დამოწმება: 7.13.2019).

[11] შდრ., მაგ., 2012 წელს სოხუმში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მასალები, სადაც აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა „აფხაზეთის კონფლიქტის“ რუსული ვერსიის „არგუმენტად“ იყენებს შევარდნაძის კლანის ერთ-ერთი წევრის, გენერალ ლ. შარაშენიძის „თვითაღიარებას“ და აფხაზეთში ომის წამომწყებად საქართველოს აცხადებს და არა – რუსეთს: „20-летию начала Отечественной войны народа Абхазии 1992-1993 г.г. посвящена международная научная конференция «Войны на Кавказе: уроки истории». Она организована Абхазским институтом гуманитарных исследований им. Д.И. Гулиа“... „Особый интерес у присутствовавших вызвал доклад историка и секретаря Совета Безопасности Абхазии Станислава Лакоба: «Бывший министр обороны Грузии: О войне и ситуации вокруг Абхазии 1992-1993г.г.», в нем он привел интересные факты из воспоминаний генерала Левана Шарашенидзе, который возглавлял главное военное ведомство Грузии с января по май 1992 г., касавшиеся событий, предшествовавших началу войны Грузии против Абхазии“.

Источник: http://www.apsnypress.info/news/voyny-na-kavkaze-uroki-istorii (დამოწმება: 12.12.2019).

[12] რუსეთის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდლობის შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, 2019. დღეს განსაკუთრებით გააქტიურებულია ერთი ჯგუფი, რომელსაც სურს, **„რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპის ქარტიის“ არსის გაყალბებით**, ადგილობრივი კილოკავების მიხედვით შექმნას მეგრული, სვანური, ლაზური „სტანდარტული ენები“ (იხ. მაგ. ალ. ჭაჭიას ჯგუფის, ასევე, გ. სიჭინავას და სხვათა განცხადებები); ეს ჯგუფი ვერ შეძლებს, სამეგრელოს მოსახლეობას გაუუცხოვოს იოვანე ლაზის, ჭყონდიდლებისა თუ გამსახურდიების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი დედაენა – ქართველთა სამწიგნობო ენა.

[13] ანტიქართული (/იმპერიული) ძალების მიერ აჭარაში პროცესების პროვოცირების ისტორიის შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2009, გვ. 111-136 http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia (დამოწმება: 21.11.2019). იხ.: ასევე: ა. ფუტკარაძე, 2001, გვ. 209-306; ტ. ფუტკარაძე, 1999; ტ. ფუტკარაძე, 2019ა.

[14] ნეიტრალიტეტი ფინანსურადაც ძალიან ძვირია, რამდენადაც ნეიტრალიტეტის სამხედრო უზრუნველყოფა დიდ ხარჯებს მოითხოვს (ნატოს წევრი და ნეიტრალური ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების შესახებ მონაცემებისათვის იხ., კ. კაციტაძე, 2001, გვ. 157-161) https://cutt.ly/st0Bs2B (დამოწმება: 17.11.2019).

[15] იენს სტოლტენბერგი: ვაგრძელებთ მუშაობას, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი, იმედი მაქვს, მალე მოგესალმებით ნატოში https://cutt.ly/Uyek0nJ (დამოწმება: 3.11.2019);

იენს სტოლტენბერგი: მოვუწოდებთ რუსეთს, გაიწვიოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების განცხადება და გაიყვანოს ჯარები (25.03.2019) https://bit.ly/2RENl7d (დამოწმება: 3.11.2019).

[16] ზოგი ექსპერტის მსგავსად, დასავლეთელ პოლიტიკოსთა ნაწილს არა აქვს საკმარისი ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ (ან აქვს, მაგრამ „გლობალურ წესრიგს“ ეწირება საქართველოს ინტერესები). შდრ., მაგ.: ჰ. ტალიავინის კომისიის აზრით (https://cutt.ly/Gyelu3m) (დამოწმება: 20.11.2019), 1990-91 წლებში საქართველოში იყო შოვინიზმი და შიდა ქაოსი... ამ კომისიამ რატომღაც ვერ გამოიკვლია, რომ 1990-91 წლებში საქართველო იბრძოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო რუსეთის

იმპერიამ დასავლეთის წაყრუების ფონზე. 1990-93 წლებში არ იყო სამოქალაქო ომი, ხოლო შოვინიზმის ნასახიც კი არ ყოფილა; ამ პერიოდში დაამხეს დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს იდეა. „ძლიერთა ამა სოფლისა“ საქართველოს კანონიერი ხელისუფლებაც გაწირეს და საქართველოც. ჰ. ტალიავინის დასკვნა იხ.: ანგარიში, საქართველოს კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია (Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG)). (“ტალიავინის ანგარიში”):https://cutt.ly/Uyellfq; https://cutt.ly/xyelcYz;https://cutt.ly/zyelmg5;

https://smr.gov.ge/uploads/prev/eb7e7f.pdf(დამოწმება: 20.11.2019).

[17] პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებენ, რომ მან მორჩილება გამოუცხადა იანაევისა და სხვათა მიერ ორგანიზებულ 1991 წლის აგვისტოს პუტჩს და არა – გორბაჩოვ-ელცინის ტანდემს; არადა, მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარი არ დაუჭერია გეკაჩეპესათვის; იხ. მაგ., გაზეთი „ფიგარო“: „ვიცი, რომ გორბაჩოვი ამჟამად საბჭოთა კავშირში ძალას აღარ წარმოადგენს. რაც შეეხება ელცინს, სასიხარულოა, რომ მან დიდი გამარჯვება მოიპოვა. მე მხარს ვუჭერ მის პოლიტიკურ მიზნებს“ /ერიკ ფლამანი, 1991 წელი, 31 აგვისტო; საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 31 აგვისტო – #170 (190), გვ. 3. ეს და სხვა მასალები დაბეჭდილია კრებულში: საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი II; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1991); თბილისი 2013.

[18] საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების არსის შესახებ იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2009, გვ. 221-234; 173-183 https://cutt.ly/5t0Bly5 ; ტ. ფუტკარაძე, 2008;

https://cutt.ly/7t0Bc4q (დამოწმება: 24.03.2019).

[19] 1991-92 წლებში რუსეთმა პროდასავლური (/პროთურქული) კურსის გამო აზერბაიჯანში დაამხო პრეზიდენტ ელჩიბეის ხელისუფლება; პარალელურად, ყარაბაღში პროვოცირებული კონფლიქტით აზერბაიჯანმა დაკარგა ყარაბახი და გაუბედურდა ბევრი აზერბაიჯანული თუ სომხური ოჯახი; ამავე კონფლიქტით, რუსეთმა „ხელში დაიჭირა“ სომხეთი.

12 ოქტომბერი, 2019

## 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, პუტინ-დუგინის გეოპოლიტიკური გეგმები და რუსული ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი / ნაწყვეტი სტატიიდან/

საქართველოშიც და საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიურ წრეებშიც დღეს აქტუალურად ითვლება კითხვა:

– 2008 წლის 7 აგვისტოს ამიერკავკასიაში ომი საქართველომ დაიწყო თუ რუსეთმა?

კითხვის ამგვარად დასმა უკვე ცხადყოფს, რომ დასავლური ანალიტიკური ცენტრებისთვისაც კი კავკასიური კონფლიქტების არსი ჯერ კიდევ ნათლად არ არის გააზრებული. შესაბამისად, დღეს აქტუალურია, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომაც, დეზორიენტირებულმა რუსულმა საზოგადოებამაც და საქართველოს მოსახლეობამაც გაიგოს სრული და კვალიფიცირებული სიმართლე კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ 1992 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს ხელისუფლებამ თუ სამეცნიერო საზოგადოებამ ძალიან ცოტა გააკეთა ამ მიმართულებით: მეტიც, ნებსით თუ უნებლიეთ, სამთავრობო, არასამთავრობო თუ სამეცნიერო წრეების ნაწილს არცთუ უმნიშვნელო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს საწინააღმდეგო, არამეცნიერული, დაუსაბუთებელი დებულებების თუ გაყალბებული ფაქტების გავრცელებაში.

ბევრ პრობლემას ქმნის აგრეთვე მიმდინარე თუ ისტორიულ მოვლენათა არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასება (/სახელდება): მაგალითად, ოფიციალურად დღემდე

არასწორადაა შეფასებული საქართველოს უახლესი წარსულის ფაქტები:

– 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლების დამხობა სამოქალაქო ომადაა მონათლული:

– 17 წლის მანძილზე მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომი სახელდებულია ე.წ. ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ეთნოკონფლიქტებად და სხვა.

რუსეთ-საქართველოს ომი არ დაწყებულა 2008 წლის 7 აგვისტოს; ეს ომი დაიწყო 1801 წელს, როდესაც რუსეთის იმპერია მუხანათურად მოექცა საქართველოს სამეფო დინასტიას – ბაგრატიონებს და რუსული ხიშტებით ნაწილ-ნაწილ დაიპყრო ჩვენი სამშობლო. შესაბამისად, ვლადიმერ პუტინი, მისი წარმომადგენელი გაეროში ბ-ნი ჩურკინი თუ რუსეთის დუმის მაღალი ხმა – ბ-ნი ჟირინოვსკი უპერსპექტივოდ ცდილობენ, დააჯერონ მსოფლიო, რომ 1801 წელს საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს.

სამართლებრივად და დოკუმენტურად ძალიან იოლია დასაბუთება, რომ 1801, 1921 და 1992 წლებში რუსეთის იმპერიამ იარაღის ძალით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსურნე კანონიერი ხელისუფლებები; ამავეს შეეცადა 2008 წლის აგვისტოშიც.

11 იანვარი, 2020

## 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები და დეოკუპაციის რთული პროცესი საქართველოში (2020 წლის 28 ოქტომბრის მოხსენების თეზისები)

1. პირველი პარლამენტის – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს – ხუთი მთავარი აქტივობა:

– გარდამავალი პერიოდის გამოცხადება 1990 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე;

– დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა და ჩატარება 1991 წლის 31 მარტს;

– 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღდგენა 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით. დეოკუპაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

– 1991 წლის 14 აპრილს პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა და 1991 წლის 26 მაისს პრეზიდენტის არჩევა დემოკრატიული არჩევნებით;

– 1991 წლის 15 სექტემბერს საბჭოთა კავშირის (რუსეთის იმპერიის) ჯარისათვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება. დეოკუპაციისკენ გადადგმული მეორე ნაბიჯი.

2. მალტის გარიგების გამოყენებით რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ საქართველოში განხორციელებული პუტჩი 1992-93 წლებში და მისი შედეგები:

– რუსეთის ხელისუფლების ორგანიზებით სამხედრო გადატრიალება საქართველოში. პუტჩის მონათვლა სამოქალაქო ომად და რუსეთის ხელისუფლების როლის მიჩქმალვა;

– აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციის სახელდება ეთნოკონფლიქტად. ქართველთა გენოციდის პირველი ეტაპი (პუტჩის შემდეგ);

– საქართველოს შეყვანა დსთ-ში და დეოკუპაციის პროცესის შეჩერება;

– რუსეთის ჯარისათვის – ოკუპანტისათვის – სამშვიდობო ჯარის სტატუსის მინიჭება ე. შევარდნაძის რეჟიმის მიერ და დეოკუპაციის პროცესის ჩიხში შეყვანა.

3. 1999 წლის სტამბოლის სამიტი და დეოკუპაციის პროცესის ახალი ეტაპის დასაწყისი.

1999 წლის 17 ნოემბერს ეუთოს სამიტზე ხელი მოეწერა „სტამბულის შეთანხმებას“. შეთანხმების თანახმად, რუსეთმა ჯარი გაიყვანა ვაზიანის, ახალქალაქისა და ბათუმის ბაზებიდან (არ გაიყვანა გუდაუთიდან); იხ., ასევე: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება (№105, 2001 წლის 19 მარტი): „საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანა/გაუქმების პროცესისათვის ხელშეწყობის შესახებ“.

4. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ოკუპაციის ახალი ეტაპი.

– 08.08.08. ომად წოდებული რუსული აგრესია და ქართველთა გენოციდის მეორე ეტაპი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში.

5. მცოცავი ოკუპაცია დღესაც გრძელდება. დეოკუპაციის პროცესი დღესაც ჩიხშია.

6. აშშ და ნატოს ქვეყნების პოზიცია თანამედროვე რეალობაში. დღეს (განსხვავებით 1991 წლისაგან) დასავლეთის დღის წესრიგშია საქართველოს დეოკუპაცია.

7. კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის მნიშვნელობა დეოკუპაციის პროცესში.

– საქართველოს მომავალი ხელისუფლების მიერ დეოკუპაციის პროცესში უთუოდაა გამოსაყენებელი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა, რომელიც არაკანონიერად არის შეჩერებული. დევნილი კანონიერი ხელსუფლების სამართალმემკვიდრეობის მიხედვით, რუსეთის სამხედრო შენაერთებს ოკუპანტის სტატუსი აქვს 1991 წლიდან. ამ სამართალმემკვიდრეობის მიხედვით, 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალება არის არა ე.წ. „სამოქალაქო ომი“, არამედ – რუსეთის იმპერიის მიერ დამოუკიდებლობის გამომცხადებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა.

–დეოკუპაციის პროცესში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის გამოყენება შეუძლებელი იქნება 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების სასამართლოს წესით შეფასების გარეშე (ამ მიმართულებით დღემდე არაფერი გაუკეთებია 1992 წლიდან დღემდე არსებულ არც ერთ ხელისუფლებას).

– 1992-93 წლების სამხედრო გადატრიალების სასამართლოს წესით შეფასება დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დაწმენდას – პოლიტიკურ ასპარეზზე სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსების გამოჩენას.

29 ოქტომბერი, 2020

## 1991 წლის აპრილ-მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები

ვრცელი ვარიანტი დაბეჭდილია კრებულში: ზვიად გამსახურდია /პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა/, (შემდგენელ-რედაქტორები: გიორგი არქანია, ლევან ბებურიშვილი), თბ., 2020. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2020 ISBN 978-9941-487-56-9

ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019 წლის 10-12 აპრილი) მოხსენების გამოქვეყნება გადავწყვიტე იმიტომ, რომ საბჭოთა ინერციის მქონე თუ გავლენიან კლანთა კრიმინალური არსის მიზანმიმართულად შემფუთავი **ისტორიკოსები დღესაც ცდილობენ და მომავალშიც შეეცდებიან, გააყალბონ რეალური ისტორია.** მე, როგორც ბევრი არსებითი ფაქტის თვითმხილველსა თუ რამდენიმე ისტორიული დოკუმენტის თავად შემქმნელს, მაქვს ვალდებულება, მომავალ თაობებს **პირუთვნელი ისტორიისათვის** (ივ. ჯავახიშვილის ფრაზაა!) შევუნახო ზუსტი და შეულამაზებელი აღწერა 1991 წელს აჭარაში მიმდინარე პროცესებისა. ფაქტები გაანალიზებული მაქვს ისტორიულ და თანამედროვე საერთაშორისო კონტექსტში.

...აჭარის ავტონომიის შექმნის საფუძველი იყო არა აჭარის მოსახლეობის, ანდა საქართველოს ინტერესები, არამედ **ქართველი ერის დანაწევრებისა და საქართველოს საბოლოო დაშლის რუსული ინტერესი** („გათიშე და იბატონე“). ამავე ინტერესის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნაც (ამ ავტონომიებშიც უმრავლესობას ისტორიული მოსახლეობა – ქართველობა – წარმოადგენდა!) და, მეორე მხრივ, ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ნიშნით დანაწევრების მცდელობა (იხ., მაგ., ი. სტალინის ცნობილი ანტიქართული დებულება აჭარლების, მეგრელების, ლაზების, სვანების და სხვა „ხალხების“ დამოუკიდებელი „უმწერლობო ენების“ შესახებ). **კომუნისტური იმპერიის დროს არსებული რეპრესიული რეჟიმის პერიოდში აღარავის გაუპროტესტებია ბოლშევიკთა მიერ რუსული ჯარით დაპყრობილ საქართველოში უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის სტატუსი. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პრესაში ჩნდება ცალკეული წერილები** აჭარის ავტონომიის არაკანონიერების შესახებ[15]. 1990 წლის 8 ნოემბერს კი ქვეყნდება ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელის, 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიულ არჩევნებში

გამარჯვებული პოლიტიკური ბლოკის: მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, ზვიად გამსახურდიას მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი.

საინტერესოა 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დროს ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტის შემდეგი ფრაგმენტიც: “საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიას მტკიცე კონსტიტუციური გარანტიით აძლევს აფხაზ ხალხს[17], ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით”[18].

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების შემდეგ შეიქმნა ლოგიკური და სამართლებრივი საფუძვლები, **რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო 1921 წელს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;** მით უმეტეს, ასეთი იყო აჭარის მოსახლეობის რეალური განწყობაც და მზაობაც. ამ მზაობას ადასტურებს 1991 წელს შექმნილი ბევრი დოკუმენტი, რომლებიც აჭარიდან გამოიგზავნა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების სახელზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის ინტელექტუალური წრეებისა და 1991 წლის აპრილში ზემო აჭარის რაიონების საკრებულოების დეპუტატთა მოთხოვნა, გაუქმებულიყო აჭარის ავტონომია. მნიშვნელოვანია, ასევე, 1991 წელს ჩემი, როგორც საქართველოს რეპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის და 1991 წლის მარტიდან ივლისამდე ქალაქ ბათუმის პრეფექტის, მომზადებული დოკუმენტები (რომლებიც ინახება როგორც საქართველოს მაშინდელი ოფიციალური სტრუქტურების, ასევე, ჩემს პირად არქივში).

**ფაქტია: 1991 წლის გაზაფხულზე აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი იყო საქართველოში ქართველთა არალოგიკური ავტონომიის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის – გაუქმება;** ეს ცხადყო 1991 წლის 31 მარტს აჭარაში ჩატარებულმა რეფერენდუმმაც; კერძოდ, რეფერენდუმამდე ზემო აჭარაში დაძრწოდნენ ე.წ. „აჭარის ხსნის კომიტეტის“ წევრები და რამდენიმე ადგილობრივი კომუნისტი ლიდერი (მათ ხალხმა „სავარძლების ხსნის კომიტეტი“ დაარქვა), რომლებიც ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ხმა არ მიეცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, იმიტომ რომ 1918 წელს არ იყო აჭარის ავტონომია; **შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდაჭერით მხარს დაუჭერდნენ აჭარის ავტონომიის გაუქმებას.**

ამგვარი დემაგოგიის მიუხედავად, ხალხმა – აჭარის მოსახლეობის 98%-მა – ხმა მისცა უავტონომიო საქართველოს დამოუკიდებლობას: **აჭარის მკვიდრნი მზად იყვნენ, მოეშორებინათ უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომია.** 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ აჭარაშიც უფრო ამაღლდა ქართული ეროვნული ღირსება; **ხალხი სრულად იყო მობილიზებული ქართველთა დამანაწევრებელი აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად.** როგორც აღვნიშნე, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, კრემლის ინსტრუქციების შესაბამისად, 80-იანი წლების ბოლოდან აქტიურობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და, პარალელურად, ვითომდა იცავდნენ „აჭარლებს“ (/აჭარას) „ქართველების“ ექსპანსიისგან. ასეთი პირები გაერთიანებული იყვნენ მცირერიცხოვან, მაგრამ მიზანმიმართულ ორ ჯგუფში: „აჭარის ხსნის კომიტეტსა“ და „გარდაქმნის ხელშემწყობ აჭარის საზოგადოებაში“. ორივე ჯგუფი ფაქტობრივად ასრულებდა პრორუსული მე-5 კოლონის როლს[23].

ასლან აბაშიძის აჭარაში დანიშვნის შემდეგ „აჭარის ხსნის კომიტეტის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა ვითომდა მუსლიმური თემის დაცვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციაც: „მუსლიმან ქართველთა საზოგადოება“[24]. ასლანის უშუალო კლანთან ერთად, ეს ორი მცირერიცხოვანი ჯგუფი სხვა რამდენიმე პირთან ქმნიდა თანამოაზრეთა ერთგვარ „ზიარჭურჭელს“, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო კრემლი მართავდა (ამ ჯგუფის წევრების დიდმა ნაწილმა 2004 წლის შემდეგ თავი შეაფარა რუსეთს)[25]. მათი მიზანი იყო, 28 აპრილს სასწრაფოდ ჩაეტარებინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომ გაემყარებინათ პრეფექტების დანიშვნის შემდეგ ფაქტობრივად უკვე ფუნქციაგანულებული აჭარის ავტონომიის სტრუქტურები.

1991 წლის მარტსა და აპრილის პირველ ნახევარში არსებული რეალობის შესახებ, ასევე, აჭარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობის შესახებ დეტალურად იცოდა ზვიად გამსახურდიამ. 10-14 აპრილის პერიოდში ბ-ნ ზვიადს **ვუთხარი ისიც, რომ სანამ აჭარაში ეს ზოგადქართული ეროვნული მუხტი არსებობდა, ავტონომიის მიზანშეწონილობის შესახებ რეფერენდუმის ჩასატარებლად კარგი პირობები იყო 26 მაისს – პრეზიდენტის არჩევნების დღეს.**

**საჭირო იყო მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობა.** კოორდინაცია შეუძლებელი გახდა ასლან აბაშიძის გამო.

**მოკლედ აჭარაში ზვიად გამსახურდიას საკადრო პოლიტიკის შესახებ:** აჭარაში 31 მარტის რეფერენდუმის, ასევე, აჭარის ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზების უზრუნველყოფისათვის 1991 წლის მარტის დასაწყისში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათუმის პრეფექტად დავინიშნე [26]. ბ-ნი ზვიადი ჩემს დანიშვნას აპირებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედაც, მაგრამ **თემურ ქორიძის**, ასევე, სხვათა მხარდაჭერით, მოულოდნელად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ასლან აბაშიძე, მის მოადგილედ – ნოდარ იმნაძე, ხოლო აჭარის მთავრობის თამჯდომარედ – გურამ ჩიგოგიძე [27]. **პრეზიდენტს სურდა, ყველას ერთად გვემუშავა აჭარაში რეფერენდუმის ჩასატარებლად.**

მალე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ **ასლან აბაშიძე რეფერენდუმის იდეის წინააღმდეგ იბრძოდა.** პარალელურად, თემურ ქორიძის დახმარებით ცდილობდა, აჭარაში, ჩვენს ნაცვლად, მისთვის სასურველი პრეფექტები დაენიშნათ. **ეს რომ ვერ მოახერხა, დაადგა ავანტიურის გზას:** ბათუმში დისლოცირებულ რუს სამხედროებთან თანამშრომლობით აჭარა-გურიის სოფლებში, ასევე, ადიგენში მონახა რამდენიმე ათეული ადამიანი და დაგეგმა აჭარაში არეულობის პროვოცირება. ბუნებრივია, კრემლის გეგმა იყო აჭარის ავტონომიის შენარჩუნება, მაგრამ იმხანად მოსკოვი ამას ვერ შეძლებდა, დასაყრდენი რომ არ ეპოვა აჭარის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში... **1991 წლის აპრილში ბათუმში განვითარებულ მოვლენებში კრემლის აქტიურ ჩართულობას ცხადყოფს შემდეგი ფაქტიც:** 1991 წლის 11 და 12 აპრილს სსრ კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ რამდენიმეგზის პროვოკაციულად გაიმეორა ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ზვიად გამსახურდია აჭარის ავტონომიას აუქმებს აჭარელთა ნების წინააღმდეგ; ამიტომაც აჭარაში არეულობააო! არადა, ზუსტად იმ პერიოდში **აჭარაში აბსოლუტური სიმშვიდე იყო: აჭარის მთელი მოსახლეობა ზეიმობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას.**

როგორც შემდგომ გამოჩნდა, 11-12 აპრილის სატელევიზიო დეზინფორმაციები იყო მოსკოვის ნიშანი, გააქტიურებულიყო მისი აგენტურა საქართველოში ამ მიმართულებით (ეს კომუნისტური იმპერიის ზოგადი წესი იყო: ცენტრალური ტელევიზიით გამოცხადდებოდა „გამოსვლებიაო" და რამდენიმე დღეში აქციის პროვოცირება მართლაც ხდებოდა მინიშნებულ ქალაქში).

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებით, **კრემლის პროვოკაციის პასუხად დავგეგმეთ ჯერ ზემო აჭარის, შემდეგ კი სხვა რაიონებისა და ბათუმის მოსახლეობის ნების დემონსტრირება** 31 მარტს არჩეული საკრებულოების გადაწყვეტილებებით. პირველ რიგში, გეგმა გავაცანი ზემო აჭარის რაიონების პრეფექტებს: ბეჟან გობაძეს, შოთა ფუტკარაძესა და სანდრო ბერიძეს. **ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით ყველა ძირითად გადაწყვეტილებაში** (მოგვიანებით იგივე იგეგმებოდა: ბათუმშიც, ქობულეთშიც და ხელვაჩაურშიც). ჩემ მიერ შედგენილი ტექსტის დახვეწილ ვარიანტს ხელი მოაწერა სამივე რაიონის პრეფექტმა და სამივე რაიონის ყველა საბჭოს თითქმის ყველა არჩეულმა დეპუტატმა. პირადად, მე 15 აპრილს პრეზიდენტის სახელზე ოფიციალურად შევიტანე წერილი რეფერენდუმის ჩატარების თხოვნით.

**2019 წლის გადასახედიდან ვამბობ: 1991 წელს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების პრეფექტებმა (ბ. გობაძე, შ. ფუტკარაძე, ს. ბერიძე) და ახალარჩეული საკრებულოების დეპუტატებმა თავიანთი ხელმოწერებით შექმნეს ზემო აჭარის ქართველთა ეროვნული ღირსების წარმომჩენი ისტორიული დოკუმენტები: გამოხატეს რა მოსახლეობის ნება, გაუქმებულიყო ქართველთა ავტონომია საქართველოში.** ისინი, ჩემთან ერთად, ასევე ითხოვდნენ, ავტონომიის გაუქმებამდე, საქართველოს სხვა რაიონების მსგავსად, პირდაპირ დაქვემდებარებოდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

ხალხის ანალოგიური განწყობა იყო ქალაქ ბათუმშიც და ქვემო აჭარის რაიონებშიც.

რამდენიმე დღის შემდეგ ზემო აჭარის პრეფექტები და მე ზემო აჭარის რაიონების საკრებულოების გადაწყვეტილებებით წარვდექით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინაშე. ზვიად გამსახურდიამ თავისთან დაიბარა, ასევე: ასლან აბაშიძე, თემურ ქორიძე, გურამ ჩიგოგიძე, ნოდარ იმნაძე, აკაკი ასათიანი, დილარ ხაბულიანი, ჯონი ხეცურიანი და **ჩვენი თანდასწრებით მოითხოვა, შევჯერებულიყავით ერთ სტრატეგიაზე – ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი აჭარაში.**

ასლან აბაშიძემ დადო პირობა, დაგვეხმარებოდა რეფერენდუმის ორგანიზებაში [30]. მიცემული პირობის მიუხედავად, ასლან აბაშიძემ, ბათუმში დისლოცირებული სსრ კავშირის ჯარის ხელმძღვანელობასა და საქართველოში რუსეთის იმპერიის სხვა მხარდამჭერებთან ალიანსით, 1991 წლის 22-23 აპრილს დაგეგმა **პროვოკაციული მიტინგი** რეფერენდუმის, პრეფექტების, ასევე, ნოდარ იმნაძის, გურამ ჩიგოგიძისა და მამუკა კობახიძის წინააღმდეგ (ასლანის მიერ შეკრებილ ბრბოში ასეთი მოთხოვნებიც იყო: დაგვანახეთ რეფერენდუმი! თანამდებობიდან მოხსენით რეფერენდუმი! ვინ არის რეფერენდუმი?)[31]. ასლან აბაშიძის მოკრებილი ბრბო 23 აპრილს დაიშალა; თუმცა, ასლანის ავანტიურამ გაჭრა: მის მიერვე ორგანიზებული არეულობის „განმუხტვით“ ასლანმა პრეზიდენტს აჩვენა, რომ შეკრებილი აგრესიული ბრბოს დამორჩილება მას შეუძლია და არა – პრეფექტებს თუ მრგვალი მაგიდის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელს... პრეზიდენტის სტრატეგიის იგნორირებით, საბოლოო ჯამში, **საქართველოს ინტერესების გაწირვით,** ასლან აბაშიძემ თანამდებობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ჰაერში „დენთის სუნი“ დატრიალდა. აჭარაში სიტუაცია საბოლოოდ დაიძაბა 30 აპრილს ასლან აბაშიძის კაბინეტში შეჭრილი ნოდარ იმნაძის მკვლელობით [32].

1991 წლის 22-23 აპრილის ბათუმის არეულობებს, ასლან აბაშიძესთან ერთად, ორგანიზებას უწევდნენ: შალვა ვარშანიძე, იუსუფ ბერიძე, ბადრი მელაძე, ძმები ასანიძეები (შემდგომში დიდი თანამდებობის პირები)[33], ისმეთ დიასამიძე, ნაზი თებიძე; „მუსლიმანთა საზოგადოებისა“ თუ „გარდაქმნის მხარდამჭერი ჯგუფის“ სხვა წევრები. 22-23 აპრილის აქციის შემდეგ ასლანმა პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს რეფერენდუმის ნაცვლად აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს [34].

22-23 აპრილის, მით უმეტეს, 30 აპრილს ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტმა რამდენჯერმე გვითხრა პრეფექტებს, რომ 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადააყენებდა ასლან აბაშიძეს; ასევე, გამოძიებული იქნებოდა 22-23 აპრილის მოვლენებიც და ნოდარ იმნაძის სადისტური მკვლელობაც.

ნოდარ იმნაძის მკვლელობის შემდეგ ასლან აბაშიძემ გზა მოიჭრა: ის აჭარის ავტონომიის პირველი პირის თანამდებობას თუ ვერ შეინარჩუნებდა, ციხეში აღმოჩნდებოდა; შესაბამისად, ნოდარის მკვლელობის შემდეგ ასლანი უფრო თავგანწირვით ცდილობდა ზვიად გამსახურდია დაერწმუნებინა, რომ მას თუ გადააყენებდა, აჭარაში ქაოსს მიიღებდა. **ეს იყო ფაქტობრივი შანტაჟი.**

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ნათლად ხედავდა, რომ ასლანს პრორუსული ძალების ხელშეწყობით მართლაც შეეძლო სიტუაციის დაძაბვა და საქართველოსათვის რთული პროცესების განვითარება, ამიტომ მან ასლანთან დათბობა ამჯობინა, მაგრამ უარი არ უთქვამს რეფერენდუმის ჩატარების იდეაზე; კერძოდ, **22-23 აპრილის მიტინგისა და ნოდარ იმნაძის დასაფლავების შემდეგ, 8 მაისს, მან სატელევიზიო გამოსვლისას განაცხადა:** „აჭარაში გავრცელდა ინფორმაცია, რასაკვირველია, მტრული წყაროებიდან გამომდინარე, თითქოს მე მსურს აჭარის ავტონომიის გაუქმება და დაუყოვნებლივ მსურს მივიღო ამისთვის ზომები. ეს გახლავთ სიცრუე, მეგობრებო, ეს გახლავთ დეზინფორმაცია. სინამდვილეში, დაწყებული პირველი სესიიდან, როგორც კი გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“ და საქართველოში შეიცვალა კომუნისტური წყობილება, **მე ვქადაგებ, რომ ავტონომიის საკითხი, ეს არის სათუთი საკითხი, ეს არის ხალხის გადასაწყვეტი საკითხი, ეს არის მოსახლეობის ნების გათვალისწინებით გადასაწყვეტი საკითხი, კერძოდ, რეფერენდუმით** (ხაზი ჩემია – ტ.ფ.). თანაც ხაზს ვუსვამ იმას, რომ ეს უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, კერძოდ, აჭარის მოსახლეობამ მხოლოდ და მხოლოდ, და აქ არავითარი დაძალება, არავითარი დიქტატი არ იქნება, არავითარი თავს მოხვევა ცალკეული შეხედულებებისა, ცალკეული პირების პოზიციებისა, თუნდაც პრეზიდენტის პოზიციისა...“[35]

ასლანისაგან მომდინარე საფრთხის შესახებ ბატონმა ზვიადმა დეტალურად მითხრა 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დასაზღვევად, პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც, ზვიად გამსახურდიამ ამიტომ არ გადააყენა ასლან აბაშიძე და **ჩვენ, პრეფექტებს, გვთხოვა, უკეთესი დროისათვის გადაგვედო რეფერენდუმის ჩატარება და გვეთანამშრომლა ასლან აბაშიძესთან.** მე ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობაზე უარი ვთქვი და 1991 წლის ივნისში ჩემი ნებით გადავდექი ქალაქ ბათუმის პრეფექტობიდან [37].

**დასასრულს აღვნიშნავ:** მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, 1991 წლის მარტიდან ქალაქ ბათუმის პრეფექტს, საკმარისი ინფორმაცია მქონდა აჭარაში არსებულ ვითარებაზეც, ხალხის განწყობაზეც და საგარეო თუ საშინაო საფრთხეებზეც; ყოველივეს გათვალისწინებით, ახლაც ვფიქრობ, რომ 1991 წლის მაისი, ივნისი, ივლისი იყო შესანიშნავი დრო, რეფერენდუმის გზით გაუქმებულიყო ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის რევოლუციური მთავრობის უკანონო გარიგებით შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხალხისათვის არასოდეს არ იყო და არც იქნება აუცილებელი სახელისუფლებო რგოლი[38]; ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ აჭარის მუნიციპალიტეტებს ისეთივე ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებს: ადგილობრივი ხელისუფლება და ცენტრალური ხელისუფლება (ე.წ. ავტონომიის ხელმძღვანელისა თუ გუბერნატორის შუალედური რგოლის გარეშე).

დღეს, 27 წლის შემდეგაც ვფიქრობ: რომ არა რუსეთისაგან მართული [39] ასლან აბაშიძისა და მისი კლანის დესტრუქციული ქმედება, 1991 წლის ზაფხულში რეალური შესაძლებლობა იყო, წარმატებით ჩატარებულიყო რეფერენდუმი უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიის – საქართველოში ქართველთა ავტონომიის – მიზანშეუწონლობის შესახებ. **საქართველოს არც ერთი კანონიერი ხელისუფლება არ არის ვალდებული,** გაითვალისწინოს 1921 წელს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა ანტიქართული მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებები; ასევე, საქართველოს არანაირი **ლეგიტიმური ვალდებულება** არა აქვს, შეინარჩუნოს უკანონოდ შექმნილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რამდენადაც, კავკასიაზე კონტროლის მოსურნე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გარიგებით, 1921 წლიდან დღემდე საქართველო მრავალმხრივად დაზარალდა. ქართველთა ავტონომია საქართველოში გარედანაა თავსმოხვეული და შექმნის დღიდან, **არსობრივად, მსოფლიო პოლიტიკური სივრცის ანომალიას წარმოადგენს. დღეს საქართველო რუსეთთან საომარ სიტუაციაშია, შესაბამისად, ახლა ნამდვილად არ არის საკმარისი წინაპირობები, რომ რეფერენდუმის გზით გაუქმდეს იმთავითვე უკანონოდ შექმნილი აჭარის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.**

თვითმმართველობის თვალსაზრისით, აჭარის რაიონები თუ სოფლები ისეთივე "სტატუსით" უნდა იყოს აღჭურვილი, როგორც გურიის, იმერეთის, მესხეთის, კახეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტები... პირადად, მე არა ვარ არც არჩეული თუ დანიშნული გუბერნატორების, ასევე, არც საქართველოს ისტორიული მხარეების (აჭარა, გურია, მესხეთი...) საზღვრებში ოფიციალური თუ არაოფიციალური ავტონომიების მომხრე. თანამედროვე პირობებში საქართველოს ყველა რაიონში (მათ შორის, აჭარის რაიონებშიც) **არჩევითი უნდა იყოს სოფლისა თუ რაიონის გამგებლები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დემოკრატია. მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოში სრულიად გაუმართლებელია ე.წ. „რეგიონული" თვითმმართველობა (/რეგიონალიზაცია), რამდენადაც ეს არის გზა კონფედერაციისკენ. ფედერაცია თუ კონფედერაცია დამღუპველია საქართველოს გეოპოლიტიკურ რეალობაში.** როგორც ყველა მცირეტერიტორიიან და რთულ რელიეფიან სახელმწიფოში, საქართველოშიც ცენტრალიზებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები; ცენტრალური ხელისუფლების დოტაციით უნდა დაიგეგმოს მთიანი რეგიონების სოფლების შენარჩუნება და ა.შ. (ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების დაცვის კონტროლის მიზნით, ზოგ განაპირა რეგიონში შეიძლება დაინიშნოს პრეზიდენტის/პრემიერის წარმომადგენელიც).

**შენიშვნები:**

[15] იხ., მაგ., ტ. ფუტკარაძე, „"თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა" , ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია" (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", 17 მარტი, 1990). იხ., ასევე, იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული დავით ხახუტაიშვილის, ოთარ ზოიძის, მიხეილ მახარაძის, კობა ხაბაზისა და სხვათა წერილები.

[16] ახალგაზრდა ივერიელი. – 1990. – 8 ნოემბერი. – #123 (11609). – 1 გვ.); დოკუმენტი გადმობეჭდილია წიგნიდან: „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები; ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები; ტომი I; ზვიად გამსახურდია; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი (1990-1991)"; თბილისი, 2013 (შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი), გვ. 12-15.

[17] დამოწმებულ ტექსტში და ქვემოთაც „აფხაზი“ არის „აფსუა“ ხალხის გარესახელწოდება (ეგზოეთნონიმი). როგორც ცნობილია, ისტორიული „აფხაზი“ ქართულენოვანი თემი იყო, რომლის საცხოვრისში ჩრდილო კავკასიიდან ნელ-ნელა ჩამოსახლდა და გაბატონდა აბაზების ერთ-ერთი ტომი, რომლის თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია, ავტოეთნონიმია) „აფსუა“. ჩამოსახლების საუკუნოვან პროცესში ქართველთა ენობრივ ცნობიერებაში არსებული თემის სახელი – აფხაზი –შერჩა ნელ-ნელა ჩამოსახლებულ მონათესავე ეთნოსს (შდრ.: მსგავსი სემანტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ურარტუელის აღმნიშვნელმა ქართულმა სახელმა: „სომეხი“, რომელიც გადავიდა ურარტუს ტერიტორიაზე ინდოეთიდან წამოსულ არმენებზე).

[18] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 9 აპრილს: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7924/1/SakartvelosRespublika_1991_N70.pdf.

იხ., ასევე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 11 ივნისი. – № 114 (134). – გვ. 1. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.12&d=HASH01b1efb69c3fceb644ebfcf2. იხ., ასევე:

ჯ. ხეცურიანი, 9 აპრილიდან 9 აპრილამდე, კრებული: “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი”; თბ., 2016 წ., გვ. 27-25;

ტ. ფუტკარაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში; კრებული: “საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი”; თბ., 2016 წ. გვ. 45-59.

[19] https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html

[20] https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html

[21] იხ. დანართში (#1) აჭარის ინტელიგენციის წერილი
https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html

[22] ჩემს წინააღმდეგ მსგავსი დანოსები ახლაც იწერება მათგან, ვისაც სურს ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრება და რელიგიური კონფლიქტის პროვოცირება.

[23] ამავე პერიოდში კრემლის მიერ მსგავსი პრორუსულ-კოლაბორაციონისტული (და არა – სეპარატისტული) ორგანიზაციები შეიქმნა აფხაზეთსა („აფხაზეთის სახალხო ფორუმი“ და „აიდგილარა“ და ცხინვალის მხარეში („ადამონ ნიხასი“). დაწვრილებით იხ. სერგი საჯაია, დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში / აფხაზეთში/ (1972-1992 წლები), თბ., 2011, გვ. 92-100.

[24] ჩემს პირად არქივში ინახება „ქართველ მუსლიმანთა საზოგადოების“ წერილი ზვიად გამსახურდიასადმი და ამ საზოგადოების წესდებისა და პროგრამის პროექტი (პრეფექტობამდეც და პრეფექტობის დროსაც, როგორც წესი, სახელმწიფოს პირველი პირის – ზვიად გამსახურდიას – სახელზე აჭარიდან მიღებულ წერილებს მე მაწერდნენ რეაგირებისა თუ რეზოლუციების პროექტების მოსამზადებლად). მათი ლიდერი იუსუფ ბერიძე მეც შემხვდა რამდენჯერმე; აჭარაში ყველამ იცოდა, რომ ეს ლიდერები ისევე სვამდნენ ღვინოს, როგორც სხვები; მუსლიმანთა საზოგადოების დაარსება მათ საქართველოს გარედან დაავალეს; დარწმუნებული ვარ, პირველ ეტაპზე მათი მაკონტროლებელი უფრო რუსეთში იყო, ვიდრე – თურქეთში; შემდეგ და შემდეგ ისინი უფრო თურქეთიდან ფინანსდებოდნენ.

[25] თუმცა, ასლანის „პოლიტიკისა“ და მასთან აჭარის ავტონომიის დაცვის უპირველესი დამცველები უფრო იყვნენ ასლანის თბილისელი პარტნიორები: ქორიძე, ხაბულიანი, ომანიძე... პუტჩის შემდეგ: ბოლოთაშვილი, მიშველაძე, გელბახიანი, თარგამაძე, ჯაველიძე... შემდეგ – შევარდნაძის კლანიც.

[26] ბათუმის პრეფექტის ორი კანდიდატი იყო: აჭარის მრგვალმა მაგიდამ ნოდარ იმნაძის ხელმძღვანელობით კანდიდატად დააყენა ექიმი გია ბაჯელიძე; აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თენგიზ ხახვამ – ბათუმის აღმასკომის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე. აჭარის ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის ორგანიზებისათვის ზვიად გამსახურდიამ მე მთხოვა წასვლა ბათუმის პრეფექტად. ასევე, ყველა რაიონში წამოყენებულ რამდენიმე კანდიდატთაგან

ისინი დაამტკიცა პრეფექტებად, რომელთაც მე დავუჭირე მხარი; შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო, რომ იმ პერიოდში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისამართით გამოგზავნილ ჩემს მხარდამჭერ წერილებში ხალხი მიწოდებდა აჭარის პრეფექტს.

[27] ამ დანიშვნების შესახებ ვრცლად იხ., მე-8 დანართში:
https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html.

[28] https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html

[30] ამ სხდომისა და სხვა დეტალებისათვის იხ., დანართი # 8
https://putkaradze1.blogspot.com/2019/06/blog-post.html.

[31] ნოდარ იმნაძე, გურამ ჩიგოგიძე და მამუკა კობახიძე თავდაპირველად ასლანის დანიშვნას უჭერდნენ მხარს, მაგრამ როცა დაინახეს, რომ მან ყველა წითელი ხაზი გადალახა და ღიად გამოვიდა აჭარის ავტონომიის დასაცავად, ისინიც დაუპირისპირდნენ აბაშიძეს. ამის შემდეგ აბაშიძის მიერ მართული დესტრუქციული ბრბო შეეცადა გურულ-აჭარული დაპირისპირების პროვოცირებას; ამ მიზნით, მათ გააქტიურეს მაღალ თანამდებობებზე მყოფი „არააჭარლების“ გადაყენების ლოზუნგი. 1991 წლის 24 აპრილს გურამ ჩიგოგიძე შეხვდა მამაჩემს და უთხრა: „ზვიადმა ასლანს თხოვა, ტარიელს ხელს ნუ შეუშლი რეფერენდუმის მოწყობაში“... მეც ბევრჯერ ვუთხარი ასლანს, ზვიადს ანგარიში გაუწიე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა; არადა, ასლანი ჩემი გაზრდილია და აჭარაში პირველ პირად მის ჩამოყვანაშიც დიდი წვლილი მაქვს“ (ალექსანდრე ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები; 2001, გვ. 248-249;
https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.4640366723893&type=3).

[32] ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ნოდარ იმნაძე – ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია:
http://putkaradze1.blogspot.com/2017/04/blog-post_30.html; წარმოდგენილი ფაქტების შესახებ ვრცლად პირველად დავწერე 2001 წელს მამაჩემისადმი მიძღვნილ წიგნში; იხ.: ალექსანდრე ფუტკარაძე, ლექსები, აჭარის ამბები, მოგონებები, დღიურები; 2001;
https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.4640366723893&type=3.

[33] ასლანმა თავისი ნათესავები – ძმები ასანძეები – ამ დროს გამოიყენა, მცირე ხანს თანამდებობებზეც დანიშნა, მაგრამ შემდეგ სასიკვდილოდ გაწირა.

[34] მათ თხოვნას საგანგებო სატელევიზიო გამოსვლით უპასუხა ზვიად გამსახურდიამ; თქვა, რომ აუცილებლად ჩატარდებოდა უმაღლესი საბჭოს არჩევნები. აქ საინტერესო ისიცა, რომ ამავე გამოსვლაზე ისევ მყარად უჭერდა მხარს აჭარაში რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობას (იხ. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 მაისი. – # 91 (111). –გვ. 1). აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების დანიშვნა თუ რამდენჯერმე გადადება, ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის ბრძოლა (ხელმოწერების შეგროვება) და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციების პარტიული სიის რამდენჯერმე შეცვლა ცალკე სტატიის თემაა.

[35] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს// საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 10 მაისი. – # 91 (111).

[37] პრეზიდენტმა ჩემი გადადგომა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაადასტურა: 1991 წლის ივლისიდან ბატონი ზვიადის შემოთავაზებითვე, საქმიანობა გავაგრძელე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე. დავძენ: 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 1992-93 წლებში განდევნილ იქნა ხელისუფლებიდან რუსეთის ჯარის მიერ. უზენაეს საბჭოს თავისი სამართალმემკვიდრეობა დღედე არ გადაუცია პუტჩით ხელისუფლებაში მოსული არაკანონიერი ხელისუფლებისა თუ მისი მემკვიდრე მთავრობებისათვის. გარდა ამისა, მე (ასევე, ზოგ სხვას) როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, დღემდე არ ამიღია ე.წ. სადეპუტატო პენსია, რომელსაც, როგორც წესი, იღებს ყველა ყოფილი პარლამენტარი; შესაბამისად, უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობა დე იურე დღემდე არსებობს.

[38] პირადად, მე ვფიქრობდი, რომ აჭარაში ჯერ რეფერენდუმი უნდა ჩაგვეტარებინა (პრეზიდენტის არჩევის დღეს – 1991 წლის 26 მაისს) და შემდეგ, თუკი საჭირო გახდებოდა, აჭარის

უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

[39] ედუარდ შევარდნაძისა და ჯაბა იოსელიანის მოგონებები ცხადყოფენ, რომ ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობამდეც და შემდეგაც თანამშრომლობდა დასახელებულ ორივე პუტჩისტთან. ფაქტია ისიც, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გენერლის წოდება მიანიჭა ასლან აბაშიძეს – დე იურე სხვა ქვეყნის მოქალაქეს. დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ ასლან აბაშიძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში გამორჩეულად პრორუს პოლიტიკოსთან – ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელთან ერთადაც 2001 წელს ასლან აბაშიძემ შექმნა „საკოორდინაციო საბჭო“. ეს პრორუსული დუეტი განიხილავდა სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხსაც (დოკუმენტური მასალისათვის იხ.: ლ. ცომაია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბ., 2018, გვ. 152).

6 მაისი, 2020

# 3. სხვადასხვა

## 3.1. შტრიხები პროფილისათვის

## ბედნიერების მიზეზი

ბედნიერების არაერთი მიზეზი ყველა ადამიანს აქვს: მთავარია, ეს გააცნობიეროს (მაგ., რა ბედნიერებაა, რომ მზე ამოვიდა... გაქვს გული, სული, სიმართლე... შეგიძლია ფიქრი, ოცნება... გაქვს ნიჭი – უნიჭო ადამიანი არ არსებობს) და ათასი რამ...

ყველა წუწუნა ჩემიანს სულ ვეუბნები: იყავი ბედნიერი იმით, რაც გაქვს და ნუ იქნები უბედური იმით, რაც არა გაქვს:)

პირადად, მეც ბედნიერების ბევრი მიზეზი მაქვს: განსაკუთრებულია დედის ლოცვა ყოველ დილას (და იას ღიმილი): როცა ყოველ დილას ასე ლოცვა-ღიმილით გაცილებენ სახლიდან და სადაც მიდიხარ, იქაც (სამსახურში, ლექციაზე, მეგობართან, ველურ ბუნებაში...) უზღვავი სითბო გხვდება, უფლება არ გაქვს მათთვის, ზოგადად, მოყვასისათვის, ქვეყნისათვის ბოლომდე არ დაიხარჯო; იცი, დილით მაინც სავსე იქნები

ჩემი სასიცოცხლო ძალის უშრეტი წყარონი:

დედის მუდმივი ლოცვა, მუდამტკბილი სიყვარული (ნერვებდამწყვეტი სიყვარულიც არსებობს) და თითქმის მუდმივდევრიშული ხეტიალი

...ვიღაცა იტყვის, სადაა თუნდაც ასეთი სამსახური, ლექცია... ყველგან არის, თუკი დაინახავ.

22 აპრილი, 2015

## დედის სიტკბო ქვეცნობიერის განუყოფელია!

დიდი ხნის წინ საკუთარი თავი „გამოვიჭირე“: თამადობისას დედის სადღეგრძელოს თქმის იმპულსი რომ მომდიოდა, ჩემში მაშინვე ჩნდებოდა შინაგანი წინააღმდეგობა: მამა?

შვილები რომ შემეძინა, მერე საბოლოოდ ჩამოვყალიბდი: როგორც შვილს, მინდოდა დედის სადღეგრძელოს თქმა, მაგრამ როგორც მამას, შინაგანად არ მომწონდა მამის გადაწევა უკანა პლანზე.

**ალბათ, მამაჩემსაც სწყინდა, როცა მე მისი თანდასწრებით დედას განსაკუთრებული სითბოთი ვლოცავდი (ასე მხოლოდ ადრე იყო, ძალიან ადრე);** მამაჩემის მიმართ ბაბუაჩემსაც ექნებოდა წყენა; მით უმეტეს, მამაჩემს ბოლო წამამდე განსაკუთრებული გამორჩევით უყვარდა დედა: მამაჩემმა ბევრი ლექსი მიუძღვნა დედას; დედას აღმერთებდა...

სწორედ ბებიაჩემისადმი მამაჩემის განსაკუთრებული სიყვარულის გამოხატვამ დააბალანსა ჩემი განცდები: იმთავითვე არცთუ უსაფუძვლოდ ვფიქრობდი, რომ ბაბუაჩემი შვილისგან – მამაჩემისგან – გაცილებით ნაკლებ სითბოს იღებდა, ვიდრე – ბებიაჩემი; ამიტომ, მე გადავწყვიტე დედაც და მამაც ერთნაირად აღმექვა:

**შეიძლება მეც მეტი სითბო დედისგან მახსოვს** (როგორც ადამიანთა უდიდეს ნაწილს), მაგრამ მიმაჩნია, რომ მამისგან უფრო მეტი მივიღე: თუნდაც, სახელი და გვარი, ხასიათი, მეტი შესაძლებლობების გამო მეტი მხარდაჭერა, მასთან მეტი კამათის გამო ჩემი აზრების სიმყარე და სხვ.

**...მაინც მთელი სამყარო** (სამყაროს დიდი ნაწილი) დედაზეა ორიენტირებული ურყევი **ფაქტების გამო:** დედის წიაღში ხორცშესხმა და დაბადებამდელი სითბო, დედის ბუნებრივი სინაზე (როგორც წესი), დედისადმი გულახდილობა, დედის ტკბილი ცრემლი ჩვენი შეცდომების გამო და სხვ..

მამებსაც გვაქვს უანგარო სიყვარული; გარდა ამისა, მამა უფრო კონცენტრირებულია შვილის (არა აქვს მნიშვნელობა, ბიჭია თუ გოგო), როგორც გვარის, გენეტიკური კოდის, ტრადიციების გამგრძელებლისა თუ ფასეულობების დამცველის ღირსებებზე... ცხრათვიანი ბუნებრივი მიჯაჭვულობის გარდა, ყველა წახნაგში კარგი მამა შეიძლება ჯობნის კიდეც კარგ დედას, მაგრამ **ადამიანთა დიდი ნაწილის ცნობიერება დედის რძითა და ბავშვობაში დედის ზრუნვა-მოფერებითაა მოცული, ამიტომ ყველა ჩვენგანში დედის სიტკბო ქვეცნობიერის განუყოფელია.**

ქართველი ადამიანი განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევა; სწორედ ქართულში

ამიტომაც იშვა იმანენტური სიყვარულით სავსე დედამსაზღვრელიანი სიტყვები:

– დედა-მიწა,

– დედა-ენა,

– დედა-სამშობლო,

– დედა-ბოძი...

...როგორი ღრმაცაა ქართველი კაცის მეხსიერებამდელ ტკბილ (ქვეცნობიერ) განცდებზე ორიენტირებული სიყვარული, ასევე ღრმაა მისი აზროვნებაც და ფილოსოფიაც; ამიტომაც ქართველმა ჩამოძერწა ერთადერთი და განუმეორებელი უღრმესი სიტყვაც:

– მამა-ზეციერი!

**P.S.** როგორც შვილს, მიყვარს დედის სადღეგრძელო; როგორც მამას კი, მიხარია მშობლების ერთად დალოცვა :)

დედა, დედის დღეს გილოცავ! ასევე: ყველას გილოცავთ დედის დღეს:

– დედებს – თავისთავად; პატივცემულო მკითხველო, შენ კი:

– დედას დაგილოცავ მამასთან ერთად :)

3 მარტი, 2016

## დედის დღე და... ექსტრემი

ამასწინათ ძალიან გამაბრაზეს და გარეშემოს სილამაზის შეგრძნება დავკარგე... ჩემი განწყობის შესაბამისად, ეს გაზაფხული უხმაუროდ მოვიდა...

ამ ულამაზო ბურუსში ისიც მაღიზიანებდა, რომ ჩემი სიცოცხლის დროის ძალიან მცირე ნაწილს ვუთმობდი დედას... დღეს გადავწყვიტე დედაჩემის გასეირნება. ჩემი კაეშანიც რომ დამეძლია, ქალაქის საწინააღმდეგო მიმართულება ავირჩიე („ველად გაჭრის“ ფილოსოფია!); ვიფიქრე, დედაჩემს „ჩირუხის“ მსგავს მთებსაც ვანახვებ-მეთქი...

ჯერ გზით ვიარეთ და იყო ლამაზი ხედები; ცხვრის ფარაც ვნახეთ ახლოდან და დიდთონეთელი იოსებ გაბაძეც გავიცანით (კეთილი და დედით ობოლი ბიჭი!)...

ცხენმა მომიყვანა კარგ ხასიათზე და სარისკო მთა-მთა გზით ჩემი საასფალტო მანქანით წავედი; არ წახვიდე მაგ გზითო, მითხრა სოსომ...

მართლაც, გზა ნელ-ნელა დავიწროვდა და დიდ დაღმართზე ჩემი მანქანისათვის ჩაუვალ თითქმის ღრანტს წაადგა: ძალიან დაქანებული დაღმართის ქვემოთ ასფალტიანი გზა ჩანდა, მაგრამ მანამდე არსებულ ღრანტგზაზე ჩასვლა ძლიერი ჯიპით თუ იყო შესაძლებელი... და დაიწყო ჩემი დაუგეგმავი ექსტრემი: დიდ დაღმართზე, არსებული ჯიპებისა თუ ტრაქტორების კვალი გზის გარდა, არაფერი იყო; ამიტომ კარგად შევისწავლე, რომ ციცაბო ბალახიან-ქვებიანი ფერდობიდან მაინც ჩამეყვანა მანქანა... ჯერ ქვებისგან გავწმინდე დამრეცი ფერდობი და ნელ-ნელა დავეშვი...

დედის ლოცვით როცა მშვიდობიანად ჩავგორდ-ჩავცურდი, მივხვდი, რომ უკვე დავუბრუნდი ჩემს თავს: დედის დღემ და ამ უნებლიე ექსტრემალურმა დაშვებამ დამიბრუნა გაზაფხული და ჩემი განწყობა

დაბრუნება რესტორან „კარაველაში“ აღვნიშნეთ; სახლთან რომ მოვედი, თითქოს ხელახლა აღმოვაჩინე ჩემს მეზობლად აგებული ლამაზი სასტუმრო და მთელი მიმდებარე კომპლექსი.

3 მარტი, 2016

## ემოციური სიყვარული და უარყოფითი ემოცია

8 აპრილიდან 17 აპრილამდე ძალიან რთული და საქმიანი პერიოდი იყო /არა მხოლოდ ჩემს ცხოვრებაში/; ახლა ვაჯამებ განვლილ 10 დღეს და ვფიქრობ, რომ არ დავღლილვარ, მიუხედავად იმისა, რომ გულიც ძალიან მატკინეს: სიხარულმა გადაფარა ტკენა.

გულახდილად განვაზოგადებ ამ აზრს:

სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე) მაქვს ლექციები და ჩემი ოჯახის წევრებიც, მეგობრებიც მეუბნებიან, რომ ასეთი ტემპით ცხოვრება არ შეიძლება... მეც ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ხომ არ გამოვიზოგო ენერგია /არადა, როცა ვისვენებ, მაშინ უფრო ვიღლები ;)/...რაც მთავარია, უახლოესი ადამიანებისთვისაც არ მრჩება „კერძო დრო“.

დღეს დავბრუნდი ქუთაისიდან: პარასკევი და შაბათი: ლექციები დღის პირველ ნახევარში; დღის მეორე ნახევარში კარგი კონფერენცია, შეხვედრები და ლამაზქართული დაბადების დღის სუფრა;

კვირა: არც თუ მოკლე გზა თბილისამდე.

ახლა ვეკითხები ჩემს თავს: დავიღალე?

– არა; როგორც წესი, ლექციებიდან და შეხვედრებიდან იმდენი დადებითი ემოცია, სიყვარული და სითბო მომყვება, მთლიანად ფარავს ფიზიკურ დაღლას... გადატვირთული/დამღლელი ტრასაც ასატანია ჩემთვის: გზაზე როცა მარტო ვარ, ვფიქრობ ნაცნობი ადამიანების ქცევის მოტივაციაზე, ჩემს სამუშაო თემებზე, გეგმებზე... ხშირ შემთხვევაში ისე ჩამოვდივარ/ჩავდივარ, დროს ვერ ვგრძნობ... ზოგჯერ – კი, როცა ცუდი განწყობა მაქვს.

ჩემი დასკვნა:

– მოყვასის, მეგობრის, საქმის, სამშობლოს, უფლის ემოციური სიყვარული სანამ აქვს ადამიანს, ფიზიკური დაღლა არაფერია (ფიზიკური დაღლისათვის არსებობს ძილის სამყარო);

– ადამიანს ღლის უარყოფითი ემოცია; პირადად, მე უარყოფით ემოცია მაწვება მაშინ, როცა ჩემს სიახლოვეს ვხედავ უმადურობას {კუ და მორიელი!}, შანტაჟს (ფსიქოლოგიური ტერორი!) და, მაშინაც, როცა მე არ/ვერ/ შემიძლია გავცე/მივცე/გავიგო ის, რაც რატომღაც (უსაფუძვლოდ!) ჰგონიათ, რომ შემიძლია გავცე/მივცე/გავიგო...

... ადამიანმა მოლოდინის დაბალანსება რომ შეძლოს, ბედნიერებასა თუ სიყვარულს ნაკლებად დაკარგავს და სხვასაც არ გაუჩენს უარყოფით ემოციას; ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ ეს უკანაკნელი – უარყოფითი ემოცია – კლავს ემოციურ სიყვარულსაც და მისით სავსე კარგ ადამიანსაც.

**P.S.** ადამიანი საკუთარი მოლოდინის დაბალანსებას შეძლებს, თუ მხოლოდ იმაზე კი არ იფიქრებს, მას რა უნდა, ვითარებას შეაფასებს მეგობრის, თანამშრომლის, ახლობლის, ზოგადად, სხვა ადამიანის ათვლის სისტემიდანაც.

17 აპრილი, 2016

## ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ინტერპრეტაცია და რეალობა

საქართველოს ისტორიას კი არა, ჩვენს პირად ისტორიასაც აყალბებენ!

ახლახან ჩემმა ძალიან ახლობელმა მისაყვედურა, რომ მისთვის სათანადოდ ვერ მოვიცალე იმიტომ, რომ ჩემი სამეცნიერო კარიერის გამო ქუთაისში წავედი 90-იან წლებში...

გაოცებული დავრჩი: წესით, მას უნდა სცოდნოდა, რომ მაშინ მე იძულებული გავხდი, ქუთაისში წავსულიყავი, რამდენადაც თბილისში პუტჩისტებისაგან ვიყავი დევნილი და უსამსახუროდ დარჩენილი, ბათუმში კი – ასლან აბაშიძის რეჟიმისაგან:

90-იანი წლების დასაწყისში ბათუმში – მკვლელობას, თბილისში კი დაჭერას რამდენჯერმე გადავურჩი; მაგ., ერთხელ თეიმურაზ გვანცელაძის მეუღლემ, გულიკო კეზევაძემ დამირეკა, სასწრაფოდ წადი სახლიდან, თემური აიყვანესო; მალევე მომადგნენ მეც, მაგრამ უკვე ვასიკო კუზიბაბაშვილთან ვიმალებოდი.

უსამსახუროდ დარჩენილი და დევნილი ხან სად ვიმალებოდი, ხან – სად. ერთხელ პროფ. თედო უთურგაიძემ დარეკა სახლში, იას უთხრა (მე ისევ ვიმალებოდი): "მაგალი თოდუა ქუთაისში დიალექტოლოგიის ინსტიტუტს აფუძნებს და ტარიელისნაირი კადრი ესაჭიროებაო".

ბ-ნი მაგალი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნული იყო **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას** მიერ. მას უკანონო ხელისუფლების მომხრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ბატონმა მაგალიმ უკან არ დაიხია: თქვენ თუ აკაკი ბაქრაძე მომაწვევინეთ, მე ფუტკარაძეს ვიწვევო. თავისი გაიტანა და ახალშექმნილი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დამნიშნა. მე სხვა გზა არც მქონდა:

ქუთაისში ამ იძულებითი გადასვლით ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახიც გადავარჩინე (მაშინდელი დანგრეული და საშიში გზებით ყოველ კვირას თბილისსა და ქუთაისის გზაზე ვიყავი, ოჯახისთვისაც რომ მიმეხედა!), საკუთარი სამეცნიერო პერსპექტივაც და, იმხანად, ქართველოლოგიაც, როგორც მეცნიერების დარგი ("ქუთაისურმა საუბრებმა" – საერთაშორისო კონფერენციამ და სამეცნიერო კრებულმა "ქართველური მემკვიდრეობა" ფაქტობრივად ააღორძინა საბჭოთა პერიოდში განადგურებული მეცნიერული ქართველოლოგია!)!

შევარდნაძის უკანონო რეჟიმთან შეუთავსებლობა რომ მქონდა და ყოველნაირად მავიწროებდნენ, ყველამ იცოდა; იცოდა ერთმა ჩემმა ყოფილმა ახლო ნაცნობმაც (რომელიც დღემდე ფულის კეთების ჟინითაა შეპყრობილი), მაგრამ ბიოგრაფია მაინც მიზანმიმართულად გამიყალბა: ჩემს საწინააღმდეგოდ დაწერილ "დანოსში" იცრუა, რომ თითქოსდა, ქუთაისში მე შევარდნაძემ დამნიშნა ინსტიტუტის დირექტორად.

ღმერთმა აპატიოს ამ და სხვა ყალბისმწერთ თუ სიცრუის მთქმელთ, მაგრამ ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ, ჩვენი ქვეყნის/ერის რეალური ისტორიაც წარმოვაჩინოთ და ჩვენი პიროვნულიც, რომ გამყალბებლებმა ამჟამინდელი თუ მომავალი თაობები არ დააბრკოლონ (საინფორმაციო ომის კონტექსტი!).

...ქუთაისში იძულებით გადასვლის საწყის პერიოდში ძალიან მძიმე პირობებში ვცხოვრობდი: ზოგადადაც არეული და დატერორებული იყო საქართველო; მაშინ სიცოცხლეს მიმსუბუქებდა მერაბ დანელიას მეუღლის – ნანა დოგრაშვილის – დედმამიშვილური სიყვარული და მურად ჯიშკარიანის დედის – ნარუშა კირთაძის – დედობრივი სითბო.

გუშინ, 8 იანვარს, სწორედ ნარუშა დეიდასთან წავედი ცოტნეს გაცილების შემდეგ: სანამ დედაჩემი და ნარუშა დეიდა მყავს, მე დედის ალერსით განებივრებული შვილი ვარ, ჩემი ჭაღარული ასაკის მიუხედავად :).

მიხარია, რომ ყველა სუფრასთან (თუნდაც მე იქ არ ვიყო!), ნარუშა დეიდა საჯაროდ და ხმამაღლა აცხადებს (თან საოცრად კარგი ორატორია!): **ჩემი მურადი და ჩემი ტარიელი ერთნაირად მიყვარს!**

მე კი ამ "ჩანაწერში" მინდა ვთქვა: საქართველოსათვის ავბედით იმ მძიმე პუტჩისტურ წლებში (რომლებიც სასამართლოს წესით ჯერ არ შეფასებულა!), ჩემი ქუთაისური ყოფა ვინც გადამატანინა, მათ შორის დედობრივი სითბოთი ყველასგან გამორჩეული იყო ნარუშა დეიდა.

9 იანვარი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## რჩევა-დარიგება, მამაჩემი და მე

ახლა ვნანობ, რომ მამაჩემს ყოველი რჩევის შემდეგ მადლობას არ ვეუბნებოდი და ზოგჯერ ვბრაზდებოდი კიდეც! რჩევა მომწონდა თუ არა, მადლობა მაინც უნდა მეთქვა!

თავს ვერ თუ არ (გა)ვიმართლებ, თუმცა მაინც მინდა შევეხო ამ თემას:

გასული საუკუნის 80-იანი წლებია; მამაჩემი კომუნისტური იმპერიის მმართველი კომუნისტური პარტიის წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელია ერთ-ერთ რაიონში. მიუხედავად მამაჩემის კომუნისტური კარიერისა, საოჯახო და სასკოლო განათლებამ ჩემში ისეთი ორიენტირები ჩამოძერწა, რომ 1978 წელს, გაგანია სახელმწიფო ათეიზმის პირობებში, სიონში მოვინათლე. მამაჩემი არ გამბრაზებია ამის გამო, მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისიდან ინტენსიური გახდა

ჩვენი კამათი, როცა მე უარი ვთქვი იმჟამინდელ სახელმწიფო სამსახურის პერსპექტივაზე და ოთარ სურმანიძესთან ერთად დავუახლოვდი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს (ოთარი უფრო – გია ჭანტურიას, მე უფრო – ზვიად გამსახურდიას).

**ერთი ზოგადი ხასიათის კამათი:**

**მამაჩემი:** ასე ვერ იცხოვრებ; თავს დაიღუპავ!

**მე:** სიყალბით კარიერა არ მინდა!

**მამაჩემი:** ამქვეყნად გარკვეულწილად ყველას უწევს რაიმე როლის თამაში; ოჯახი ხომ უნდა არჩინო?! მთავარია, ოჯახი არჩინო და ხალხს ემსახურო!

**მე:** მთავარია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის!

**მამაჩემი:** ნუ ხარ რადიკალი; სათქმელი მოზომე! თავსაც დაიღუპავ და ჩვენც პრობლემებს შეგვიქმნი...

**მე:** მე ვამბობ სიმართლეს!

**მამაჩემი:** ტაქტი და ტაქტიკა აუცილებელია!

**მე:** მე ჩემი გზა და ჩემი ტაქტი მაქვს!

**მამაჩემი:** შენ შენ არ ხარ მხოლოდ!

გაცილებით ბევრჯერ რაიმე კონკრეტული შემთხვევის გამო გვიკამათია, როცა მიწუნებდა ქმედებას, არჩევანს, ანდა, უბრალოდ, რჩევას მაძლევდა.

მე ხშირად არ ვიღებდი მის თვალსაზრისს. ზოგჯერ არმიღების რეალური საფუძველიც მქონდა: არ შემეძლო, ჩემი ენერგია "მიმეძღვნა" საბჭოთა (რუსული) იმპერიის მმართველი **კომუნისტური პარტიისათვის – შავი ხვრელისათვის**, რომელმაც, მამაჩემის დიდ ენერგიასთან ერთად, მილიონობით ნიჭიერი კაცის ენერგია შეისრუტა!

ახლა, როცა მე მშობლობაც "გამოვცადე", ვაღიარებ, რომ არ მქონდა მამასთან ქცევის კულტურა: **მადლობა უნდა მეთქვა რჩევისათვის; მერე გონებაში უნდა გამეანალიზებინა მისი არგუმენტები და მერე უნდა გამეკეთებინა ისე, როგორც საჭიროდ ჩავთვლიდი.** ეს იდეალური ქცევა იქნებოდა.

ხორციელ სამყაროში ყოველთვის იდეალურად ვერავინ ვერ მოიქცევა; ხშირად არც დროა და არც ნერვები, მაგრამ, აუცილებელია, შეეცადო, ლოგიკური მადლობა უთხრა რჩევისათვის წინაპარს, მამას, დედას, ძმას, დას, მეზობელს, მეგობარს, ზოგადად, ნებისმიერ მრჩეველს!

**შვილებს რა ვასწავლო:** მე დღესაც მეშლება, როდესაც მაქვს შესაძლებლობა და ყველა რჩევაზე (სისწორისა თუ ლოგიკურობის მიუხედავად!) დედას მადლობას არ ვეუბნები; თუმცა, მამისაგან განსხვავებით, დედას იშვიათად ვეკამათები; უფრო ხშირად, უბრალო "ჰო, კარგი"-თ "ვამშვიდებ". ვიცი, რომ არც ესაა სწორი, ამიტომ, ყოველ მომდევნო დილას ჩემს შეცდომას "ვაკომპენსირებ": დილას ვიწყებ მისდამი სამადლობელო კოცნით (როცა ეს ფიზიკურად შესაძლებელია).

მამაჩემი უკვე აღარაა ცოცხალი და ვნანობ, რომ "უბრალო ჰოც" აღარ შემიძლია ვუთხრა; დაგვიანებული მადლიერების თქმა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შევძელი, როცა 2000 წელს გამოვეცი მამაჩემის ლექსები და წერილები: "რჩევები შვილს".

ნუ დაელოდები მამის, დედის, ახლობლის... სიკვდილს: "მადლობა რჩევისათვის" – არა როგორც უბრალო ფრაზა, არამედ როგორც **ორიენტირი**, უმჯობესია, მუდამ თვალწინ გვქონდეს.

**P.S.** პირადი გამარჯვება ღირსებას უმაღლებს პიროვნებას; ეროვნული გამარჯვება ღირსებას გვიმყარებს; ორიენტირი: "მადლობა რჩევისათვის" კი, ორივე სახის გამარჯვების საფუძველია!

1 სექტემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## დიდი მადლობა, დაბადების დღის მოლოცვისათვის!

გადავწყვიტე, წელს მხოლოდ მადლობით არ შემოვიფარგლო და ვუპასუხო ერთ კითხვას:

**ადამიანს დაბადების დღე რატომ (არ) უხარია?**

ნორმალურ გარემოში ყველა ბავშვს ეზეიმება დაბადების დღე. როგორც წესი, ყმაწვილობაშიც

ყველას გვიხაროდა დაბადების დღე არა მხოლოდ საჩუქრების გამო, არამედ იმიტომაც, რომ უფრო დიდი გავხდით (**„უკვე დიდი ვარ!“** – ფიქრობს ყველა მოზარდი).

ადამიანთა ნაწილისათვის ასაკთან ერთად, გარკვეულწილად, უფერულდება დაბადების დღე, ზოგს კი საერთოდ აღარ უხარია; კერძოდ, გამიგონია, რომ, მაგ., ქალებს 33-ის, მამაკაცებს კი 41-ის შემდეგ არ უყვართ საკუთარი დაბადების დღე; ასე “ასაბუთებენ”:

**– წლები აღარ მემატება, მაკლდება!**

ბოლო პერიოდშიც ამგვარი ფრაზის მოსმენისას გულიდან სწრაფადვე წამოსულა პასუხი:

**– მე იმ ადამიანთა შორის ვარ, ვისაც უხარია დაბადების დღე!**

ხშირადვე ხმამაღლა დამიყოლებია კიდეც ჩემი არგუმენტი:

**– მიხარია, რადგან ერთი წელი კი არ მომაკლდა, არამედ – მომემატა!**

ეტყობა, დაბადების დღეს “ერთი წლის მომატება” თუ “ერთი წლის მოკლება” დამოკიდებულია უფრო არა ასაკსა თუ განწყობაზე, არამედ საკუთარი თავის აღქმაზე. მაგალითად:

**– მე დღეს, 9 მაისს, გავხდი 58 წლის!**

მსჯელობის გაგრძელებამდე ერთი რამ უთუოდ უნდა დავაზუსტო:

– ზემო აჭარაში დავიბადე. როგორც დედაჩემი მეუბნება, ამ დღეს ბარიდან მთაში მიდიოდნენ **მემთევრები** (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მაისის პირველ ნახევარში ყველა ოჯახის ასაკოვან ადამიანს საქონელი მიჰყავს ალპური ზონის საზაფხულო აგარებზე; ასეთ პირს ჰქვია “მემთევრი”: მე-მთა-ურ-ი); შესაბამისად, ზუსტად ახსოვს: 9 მაისი იყო, ორშაბათი, დღის 12.00 საათი; დედამთილი მთაში აპირებდა წასვლას...

მამა სასწავლებელში ყოფილა წასული და ამიტომ ჩემი დაბადების მოწმობა 40 დღის შემდეგ აუღია. ოჯახის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობასაც გამოუწვევია ჩემი დაბადების მოწმობის დაგვიანება: მაშინ არ იყო ტელეფონი, „სკაიპი“... როცა ჩამოსულა, მამას გადაუწყვეტია ჩემი სახელი: სოფლის საბჭოს თანამშრომელს **ტარიელი** ჩააწერინა დაბადების მოწმობაში, მაგრამ გვიან მიაქცია ყურადღება, რომ საბუთის შემდგენს დაბადების დღის გრაფაში შეუტანია დოკუმენტის შედგენის დღე – 15 ივნისი (ეს დღე მხოლოდ ჩემს პირადობის მოწმობას ახსოვს). **მამაჩემის კულტურული ორიენტირების** თვალსაზრისით, საინტერესოა სხვა ფაქტიც: ჩემს მესამე ძმას ავთანდილი ჰქვია, მეოთხეს – ფრიდონი; მეორე თეიმურაზია, თუმცა, სანამ მეოთხე ძმა – ფრიდონი – გაჩნდებოდა, მამაჩემი ფიქრობდა, მისი სახელი ფრიდონით შეეცვალა; მოკლედ, კომუნისტური, მუსლიმანური თუ ქრისტიანული საკუთარი სახელების ჭიდილის პროცესში დაბადების **დღე უზუსტოდ ჩამიწერეს, სახელი კი – სწორად.**

ამ თემას ერთი ფრაზით დავხურავ:

**– ბედნიერი ვარ, ზემო აჭარაში რომ დავიბადე** (ბუნებრივ ველში დაბადება ჰარმონიულ ადამიანად ყოფნის წინაპირობაა); ჩემი ბედნიერების წყაროა თბილისიც, რამდენადაც, დიდ ქალაქში აღზრდა კარგი განათლების პერსპექტივაა (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო გლობალური ქსელის პერიოდამდე). ახლა, ისევ გავაგრძელებ ამ წერილის მთავარ თემას:

**20 წლის წინ ამ ასაკის (58) წარმოდგენა, სულ ცოტა, დამასევდიანებდა.** ახლა კი მიხარია:

– ამ ასაკში ისევ ისე ვგრძნობ თავს, როგორც 20 წლის წინ: ისევ ისეთი ენერგიით ვთამაშობ ტენისს (და ამაში დამეთანხმება ყველა, ვინც მიცნობს); ჩემს სტუდენტებთან ერთად ისევ ისე ვხეტიალობ მთებში და ყოველწლიურად, ისევ კლდის **იმ საიდუმლო ბილიკით ავდივარ არტანუჯის ციხეზე,** რომელი ბილიკითაც მხოლოდ გაბედული მეციხოვნეები ადიოდნენ თუ ჩადიოდნენ ალყის დროს... არ მიყვარს გადაჭარბება; მართლა ასეა; ამას კი სატრაბახოდ არ ვწერ: ვწერ იმიტომ, რომ იცოდეთ: წლები არაა საშიში;

**– საშიშია ცუდგანწყობითი თვითაღქმა!**

ალბათ, გულს არ უტყდებიო, – მითხრა ერთმა; მე ღიმილით ვუპასუხე:

– საკუთარ გულს ვერაფერს დაუმალავ; სწორედ გულია მთავარი!

დღესაც გულით მიხარია დაბადების დღე იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ერთი წელი კი არ მომაკლდა, **კიდევ ერთი წელი მომემატა!**

განა ცუდი არ ხდება ჩემ გარშემო?

განა მე არ მიშლიან ნერვებს?

განა მე არ მყავს მტრები?

განა მეც სამუდამოდ არ მტოვებენ ჩემი ახლო ნათესავები თუ მეგობრები?!

მეც მტკენენ გულს, მაგრამ უფრო მეტი მაქვს ის, რაც მაბედნიერებს და უბედური არა ვარ იმით, რაც არ /თუ აღარ/ მაქვს.

**ჯერ მატების მხარესაა ბალანსი და ჩემთვის ასე იქნება გარდაცვალებამდეც, რადგანაც:**

– გარდაცვალების წინ უფრო ძლიერი და უფრო ცნობადი იქნება ჩემი საქართველო;

– გარდაცვალების წინ უფრო მეტი მეგობარი მეყოლება;

– გარდაცვალების წინ უფრო მრავალი იქნება ჩემი მოდგმა;

– გარდაცვალების წინ უფრო მეტი მოწაფე მეყოლება აღზრდილი;

– გარდაცვალების წინ უფრო ძლიერი ვიქნები ჩემი ნაშრომებით;

– გარდაცვალების წინ უფრო მრავალფეროვანი მოგონებები მექნება;

– გარდაცვალების წინ ჩემს სფეროში უფრო გრძელი გზა მექნება გაკვალული...

**გარდაცვალებაც ხომ ადგილის გამოცვლაა და მეტი არაფერი!**

**დღეს კი:**

- მიხარია მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ტაძრის სამყაროში – ზემო აჭარაში – ქართველად დაბადება (და პირად მტრად ვთვლი არაკაცს, ვინც ერთი-ორი უგვანის გამო ჩემს ნაწამებ აჭარას ან საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეს გამილანძღავს!);
- მიხარია, ასეთი მრავალგანზომილებიანი დედაქალაქი რომ გვაქვს საქართველოს მკვიდრთ;
- მიხარია, ამდენი ღირსეული სტუდენტი რომ მყავს;
- მიხარია, ასეთი კარგი ძმები რომ მყავს;
- მიხარია, ასეთი საფეხურებრივი "სახლეული" რომ მყავს, რომლის სათავეში ჯერ კიდევ მყარად დგას დედა (მამა უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა და არა – ასაკმა); სანამ დედაა, მე მოსაფერებელი შვილიც ვარ (და არა მხოლოდ – მამა, პაპა თუ ბაბუკო);
- მიხარია სიცოცხლე, რადგანაც ყოველ დღეს რაღაც ახალი ცოდნა მემატება და ახალი წარმატება მოდის;
- მიხარია, რომ ყოველდღე ახალი სიცოცხლე იბადება ჩემ გარშემო;
- მიხარია, რომ წლები მემატება, ასაკი კი არ მამძიმებს;
- მიხარია, რომ ჩემი ცხოვრების **სტრესულ დღეებს** (თუნდაც გუშინდელს!), ბევრად **სჭარბობს ბედნიერი დღეები;**
- მიხარია, რომ ჩემი მტრების მარცხი არ მიხარია; უბრალოდ, მეცოდებიან თავიანთი უბადრუკობის გამო;
- მიხარია, გულისმტკენზე გაცილებით მეტი მეგობარი რომ მყავს;
- მიხარია, რომ მე იმ მოდგმისა ვარ, უკან დახევა რომ არ სჩვევია!

**სიცოცხლე მიხარია შენ გამო, გულით რომ მომილოცე დაბადება!**

ჩემი მხრივ კი, მადლობით გეტყვი:

– იყავი ბედნიერი იმით, რაც გაქვს (თუნდაც: სიყვარული გაქვს და ბოღმა არ გმართავს; გული გაქვს, გონება გაქვს, სახე გაქვს, სამშობლო გაქვს...) და ნუ იქნები უბედური იმით, რაც არა გაქვს;

– დროსა და ენერგიას ნუ დაკარგავ ბოღმიანთან ანგარიშსწორებისათვის: საქმიანად იარე წინ და ის(ინი) თავისთავად ჩამოგრჩება: დრო ჩაიტანს!

– სამშობლოს მტერს არ უნდა შეეგუო: საშინელებაა დამარცხებული კაცის მშვიდობა; ამიტომ ასეთი სადღეგრძელო მოვიფიქრე: გაუმარჯოს გამარჯვებული კაცის მშვიდობას!

– ჯანსაღი ოპტიმიზმით იცხოვრე და პოზიტივით დიდხანს იახალგაზრდავებ;

– გიყვარდეს: როცა სამყარო გიყვარს, წლები გემატება – არ გაკლდება :)

**მე მიყვარხარ, გულით მომლოცავო!**

9 მაისი, 2018 წელი

# დედა – შვილებისათვის დაბადებული!

მხოლოდ 18 წლითა და 2 თვით ადრე დაიბადე და 60 წელია ერთად ვცხოვრობთ: ჯერ შენს წიაღში მოვედი, შემდეგ შენს ველში ვიზრდებოდი, ახლა კი ჩემთან ცხოვრობ... შესაბამისად, თითქმის ყველაფერი ვიცი შენზე. რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო მშობლის ცხოვრება კომუნისტურ-რეპრესიულ პირობებში (მამის დაპატიმრება, ოჯახის გადასახლება ყაზახეთში, რეაბილიტაცია და უკან დაბრუნება...), **ბავშვობას მაინც პოზიტიურად იგონებ**. ყმაწვილქალობის რამდენიმე ფოტო გაქვს: იქაც მხოლოდ ღიმილი გადგას გვირგვინად; შენი სურათები მეუბნება, რომ შენი **სიცოცხლის ბედნიერება** ბევრად აღემატებოდა მაშინდელ ყველა განსაცდელს. რა თქმა უნდა, არსებითია ისიც, რომ **ბავშვობისას ცხოვრების სიმძიმე მშობლებზე დგას.**

18 წლისა სიყვარულით გათხოვდი (რაც იშვიათი იყო მაშინ); შემდეგ – ჩემი, თეიმურაზის, ავთანდილის და ფრიდონის დაბადება: **ამდენი სიხარული!** მამაჩემმა სამი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა შენს ხელში, შენც მოგიწია მასთან ერთად ხან ბათუმში, ხან ბაქოში, ხან თბილისში ყოფნა; ეს იშვიათი იყო იმ პერიოდში, მაგრამ მაინც ამ პერიოდიდან უფრო მძიმე განცდებს იგონებ, რაც მაღიზიანებს ხოლმე: ბევრი გქონდა დასამახსოვრებელი დღეც! თუმცა, მესმის: ამ პერიოდის შენს მოგონებებში ნეგატივი უფრო გახსოვს იმიტომ, რომ 40 წლის მანძილზე **ცხოვრების მთელი სიმძიმე უკვე შენზე** (და მამაჩემზე) **გადმოვიდა**. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენ – შვილები – უკვე მყარად ვიდექით ფეხზე, მაგრამ **რევოლუციურ-პუტჩისტური ცხოვრების** ქარიშხალში მნიშვნელოვნად ვერ დაგიდექით მშობლებს გვერდით. პრინციპები და თავი კი გადავირჩინეთ ამ ორომტრიალში, თუმცა, ამ პერიოდშიც თქვენ უფრო გვეხმარებოდით შვილებს, ვიდრე შვილები – მშობლებს.

მამაჩემი 2001 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა; შენი ისედაც მძიმე ცხოვრება მრუმე ფერებით შეიმოსა. ფაქტობრივად, 20 წლის წინ დაასრულე შენი პირადი ცხოვრება და სიცოცხლეს მხოლოდ ჩვენთვის აგრძელებ ისედაც შვილებისათვის დაბადებული... ჩვენთვის იდეალური ადამიანი ხარ: **დედა – შვილებისათვის დაბადებული!**

გუშინ ასეთი რამ თქვი: მადლობა უფალს, რომ მყავს ასეთი კარგი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... როცა ღმერთთან მივალ, მას საოცარ მადლობას ვეტყვი... მიხარია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში **დაგიბრუნდა სიცოცხლით სავსე განცდები;** ხშირად გიხარია, ხშირად ილოცები... თუმცა, ხანდახან მაინც გაგახსენდება ფრაგმენტები მძიმე წარსულიდან. ამ დროს მე გსაყვედურობ, ხანდახან ტონსაც ვუწევ. ახლა საჯაროდ გთხოვ, რომ მაპატიო ჩემი ეს ტონის აწევა. გთხოვ იმასაც, რომ შეეცადო, უფრო კარგი რამ გაიხსენო წარსულიდან, რომ ჩვენი შვილების ცხოვრება არ დავამძიმოთ ჩვენი მოგონებებით. ყველა ადამიანს ხომ უთუოდ აქვს კარგი მოსაგონარიც.

ჩემთვის არსებითი ფაქტორი: სახლიდან როცა გავდივარ, მეუბნები: „სად მიდიხარ“, როდის მოვალ... როცა მოვალ, პირდაპირ თუ ირიბად მთხოვ, „ანგარიში ჩაგაბარო“: სად ვიყავი, რა გავაკეთე... ზოჯერ ძალიან გადაღლილი, ამ კითხვების გამოც გსაყვედურობ, მაგრამ იცოდე, რომ მაინც მიხარია, როცა ვალდებულებას მახსენებ მშობლის წინაშე, მიხარია ეგოისტურადაც: **სანამ მშობლის მიმართ ცხადლივი ანგარიშვალდებულება აქვს ადამიანს, მანამდეა ის ახალგაზრდა.**

**წარმოსახვითი ანგარიშვალდებულება** წინაპრებთანაც აქვს წესიერ ადამიანს, უფალთან ხომ აქვს და აქვს, მაგრამ სულ სხვაა საღამოს დედა ან მამა რომ გეტყვის: სად იყავი დღეს, ვის რა არგე დღეს... „კაცი მაშინ ხარ კაცად საქები“, სხვას თუ სიკეთე გაუკეთე... და ისევ ჩემს თავს ვსაყვედურობ: მოკლედ მოუყევი დღის ამბავი დედას და გაახარე!

დედა, დღეს შენი დაბადებს დღეა! გილოცავ და გპირდები, რომ გაგახარებ ხოლმე :)

15 მარტი, 2020

# მე შენ მიხარიხარ!

/მე შენ მიხარიხარ, ანუ სადაბადებისდღეო ვირტუალური საჩუქარი კოვიდიანობის ჟამს :)/

დაბადება ღვთიური მოვლენაა. ყველას უხარია შვილის დაბადება, მაგრამ ასევე ნორმალურია გარკვეული წინააღმდეგობა შვილსა და მშობელს შორის. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებს, თაობებს **განსხვავებული პრიორიტეტები** აქვთ. მთავარია, არ იყოს მოუგვარებელი კონფლიქტი.

ყველაზე მარტივი „შესაფასებელია“ **კონფლიქტი** მთავარი პრიორიტეტის გამო: როგორც წესი, ნორმალური ადამიანისათვის უმთავრესია **პირადი ბედნიერება და მოდგმის გაგრძელება.** ზოგი შვილისათვის გარკვეულ დრომდე უფრო აქტუალურია დროსტარება (ქეიფი/კაიფი), პირადი კომფორტი... ამ დროს იწყება კონფლიქტი. ქეიფ/კაიფზე თუ ხორციელ კომფორტზე ორიენტირებულ ახალგაზრდაში **თვითგანადგურების მექანიზმია** ჩართული და მას სხვა სახის დახმარება ესაჭიროება. ამ თემას ახლა არ განვიხილავ; ზოგადად აღვნიშნავ: როცა ვინმესთვის პრიორიტეტული არ არის საკუთარი **მოდგმის გაგრძელება** და ის ბერმონაზონი არ არის, მას ნამდვილად უნდა შველა, თუკი უკვე დაგვიანებული არ არის (ვაზის გასხვლა თუ დაგვიანდა, დაიღუპება).

რთული შესაფასებელია კონფლიქტი **სხვა პრიორიტეტების** გამო, რამდენადაც, როგორც წესი, **პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება ორიენტირებთან მიმართებით;** მთავარი ორიენტირები კი მთელი ცხოვრების მანძილზე ყალიბდება და გარკვეული ასაკის შემდეგ რთულია მისი ტრანსფორმირება. **ერთი ჩემი მეგობრის მაგალითს მოვიყვან:** იგი 60 წლისაა. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია, საქართველოში ცნობილი იურისტია. მან საკუთარი ოჯახი არ შექმნა. როცა ვურჩევდი, მეუბნებოდა:

– ჩვენ ახლა გვჭირდება ჩვენი სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების ადაპტირება საერთაშორისო დოკუმენტებთან; მე ეს შემიძლია; გამრავლებაზე სხვამ იზრუნოს; აი, შენ იზრუნე, შენ ხომ “გამრავლებისტი” ხარ; თავი დამანებე; მე – იურისტი ვარ”...

**...მეხუმრებოდა თავისი ჭკუით...** ჯერ კიდევ არ ნანობს თავის არჩევანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასაკს უფრო რომ იგრძნობს და, რაც მთავარია, **მშობლები აღარ ეყოლება, მისი დახმარებაც რომ აღარ დასჭირდებათ მის სტუდენტ შვილობილებს,** დაუცარიელდება თავისი დიდებული სახლი და თავისი მშობლების ველში – მშობლების “სურნელში” – გაზრდილ საკუთარ შვილებსა თუ შვილიშვილებს უთუოდ მოისაკლისებს. ამ საკითხს მამა-შვილის ურთიერთობის კონტექსტშიც განვიხილავ:

მომავლის დაგეგმვის **ერთნაირი ორიენტირების** ქონის შემთხვევაში გონიერ მამა-შვილსა თუ დედა-შვილს პრობლემა არ ექნება, იოლად დააბალანსოს **სწორი ცხოვრებისეული ხედვა**: როცა ორიენტირები ნათელია, პრიორიტეტების დალაგება დროულადაა შესაძლებელი. მომავალი ორგვარია: **კონკრეტული პიროვნების მომავალი და მოდგმის მომავალი**. მხოლოდ საკუთარ აწმყოსა და მომავალზე მზრუნველი ადამიანის ბედნიერება **მილევად** რეჟიმშია, რადგან **ბედნიერება მომენტობრივი მდგომარეობაა** და არა მუდმივი პროცესი. გარდა ამისა, ბედნიერი ვერ იქნები, თუ პრობლემა აქვს შენს მშობელს, სახლიკაცს, ნათესავს, ერს...

**ბედნიერება დროში ცვლადი მდგომარეობაა.** დროს მხოლოდ ადამიანის ნათელი მიზანი უძლებს. ბედნიერებას მუდმივად შეინარჩუნებ, თუკი სწორი მიზნისკენ ივლი. წარმატება, გამარჯვება მომენტობრივი სიხარულია; წარმატებას წარუმატებლობაც მოჰყვება, გამარჯვებას – დამარცხება, მაგრამ **მართალი გზით სიარული მუდმივი სიხარულია,** მუდმივი გამარჯვებაა დამარცხების შემთხვევაშიც კი... მართალი გზაა, თუკი მოდგმის მომავალზეც ფიქრობ და პიროვნული ნიჭიერების რეალიზებასაც ახერხებ. ჩემი, როგორც “გამრავლებისტის” აზრით, ადამიანის, ზოგადად, ცოცხალი არსების, მთავარი მიზანი **მოდგმის გაგრძელებაა – გრძელვადიან პერსპექტივაში იდენტობის დაცვაა!** რა თქმა უნდა, ასევე მთავარია საკუთარი ნიჭის რეალიზება, პიროვნული იდენტობისა და ღირსების დაცვა, საკუთარი „მისიის“, ადგილის პოვნა ამ სამყაროში. “გამრავლებისტობა” და “იურისტობა” ერთმანეთს უნდა ავსებდეს, რომ სრულფასოვანი ბედნიერება მყარად შეიგრძნო და მომენტობრივი “ბედნიერება” განგრძობადი ბედნიერების დაბრკოლებად არ გექცეს.

გარდა ამისა, **საკუთარი იდენტობის** დაცვა შეუძლებელია საკუთარი ოჯახური თუ ეროვნული

ტრადიციების, საკუთარი დედაენის, კულტურის, სახელმწიფოს დაცვის გარეშე. პარალელურად, თავისი **სასიცოცხლო ენერგიის** მობილიზებისათვის ადამიანს ესაჭიროება შესაბამისი განწყობის შემქნელი **კომფორტული პირადი სივრცე**, რომელსაც ნორმალურ რეალობაში, პირველ რიგში, კაცისათვის ქმნის მანდილოსანი, ქალისათვის კი – მამაკაცი. პირადი სივრცის კომპონენტში მშობელმა უნდა დაუთმოს შვილს, თუკი შვილს გააზრებული აქვს **მთავარი პრიორიტეტი – მოდგმის გაგრძელება – წინაპრებისგან გადმოცემული იდენტობის დაცვა.** ამ თვალსაზრისით აქტუალურია ოჯახში, **სულ მცირე, სამი თაობის უწყვეტობის შენარჩუნება** (და ეს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული შვილს!).

ბუნებრივია, შვილს, როგორც ადამიანს, აქვს უფლება, იცხოვროს თავისი წესებით, საკუთარი შეხედულებით განავითაროს თავისი ნიჭი, დახარჯოს თავისი ენერგია... მეტიც, მისი უფლებაა, როგორ მოექცევა თავის ნიჭს, პერსპექტივას; თუნდაც, **ჩემი მეგობარი იურისტივით მოექცეს მოდგმის გაგრძელების ღვთივკურთხეულ იდეას,** მაგრამ გაუმართლებელია, თავის თუ პარტნიორის ვნებებს შესწიროს მოდგმის პერსპექტივა.

მშობელი ვალდებულია, შვილს დაეხმაროს, ჩამოუყალიბოს მყარი ორიენტირები, რომ შვილმა გონივრულად დაალაგოს თავისი პრიორიტეტები. მშობელს აქვს უფლებაც, არ მოსწონდეს შვილის არჩევანი და დამატებით მისცეს რჩევა, მაგრამ გაუმართლებელია განსხვავებული ხედვების გადაზრდა კონფლიქტში, რადგან კონფლიქტი „მოკლე ჩართვასავით“ ყველაფერს ანადგურებს. გონიერი შვილი მშობელთან კონსულტაციის შემდეგ თავად იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

მრავალგზის გადამოწმებული ფაქტია: **მყარ ორიენტირებთან მიმართებით დალაგებული პრიორიტეტებისქონისშემთხვევაშიადამიანისწრაფადდაგონივრულადიღებსგადაწყვეტილებას.**

**P.S.** შენ დაიბადე შენი პიროვნული მისიით. გილოცავ დაბადებას. მე გამიხარდა შენი დაბადება იმიტომაც, რომ შენით გაგრძელდება ჩემი/ჩვენი სიცოცხლე; გამიხარდა იმიტომ, რომ **შენით გაგრძელდება ჩვენი მოდგმა**, ენა, კულტურა, ტრადიცია, ჩვენი ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი სიცოცხლე... ანუ, გამიხარდი იმიტომაც, რომ ჩემს შემდეგაც იქნება ჩემი (/ჩვენი) მეობა ახალ განზომილებაში, ახალ რეალობაში, ახალ სიცოცხლეში... მე შენ ამიტომაც მიხარიხარ.

გისურვებ დიდ წარმატებებს შენს პიროვნულ და ჩვენს მოდგმობრივ მომავალში.

მინდა, რომ შენი პიროვნული ორიგინალობა, ნიჭის რეალიზება, ზოგადად, განვითარება და სწორი პრინციპებით ცხოვრება იყოს მყარი საფუძველი შენი პირადი ბედნიერებისა და საზოგადო ცხოვრებისა ❤

18 აპრილი, 2020

## დიდი მადლობა...

დიდი მადლობა, რომ მომილოცეთ ჩემი 60 წელი (მამაჩემი 57 წლისა გარდაიცვალა).

მით უმეტეს, ამ კოვიდურ სამყაროშია ძალიან მნიშვნელოვანი ასეთი მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი თანადგომა: გუშინდელი სამსაათიანი ონლაინკონფერენცია, მრავალი საფეისბუკო და სატელეფონო, „ვოტსაფური“ თუ „ვაიბერული“ შემოხმიანება დიდხანს იქნება ჩემი ქმედებების მოტივატორი.

გუშინ რაც ვერ ვთქვი საჯაროდ, ახლა იმას გეტყვით:

1. რა თქმა უნდა, ბევრი რეალისტური გეგმა მაქვს. მათი დიდი ნაწილი ფიზიკურ/ინტელექტუალურ მემკვიდრეებზე გადავა /დიდებული შვილები, ჩემზე უფრო ახალგაზრდა თანამოაზრეები და ბევრი ნიჭიერი სტუდენტი მყავს :)/.

2. ასაკის ფსიქოლოგიურ ფაქტორზე ადრე სერიოზულად არ დავფიქრებულვარ, გუშინაც კი, როცა ჯერ კიდევ ჩემი ასაკი იწყებოდა ასე: ორმოცდა... ახლა ვფიქრობ: ამის შემდეგ, როცა ვინმე მკითხავს ასაკს (თუნდაც ანკეტის შევსების დროს), ასე დავიწყებ: სამოც... ჯერჯერობით არც ამას აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, მაგრამ უკვე ვიცი, რომ გეგმები კარგად გასააზრებელია დროში.

3. 60 ბევრია თუ ცოტა? ცოტა არ არის. 60 ბევრია მისთვის, ვისაც გეგმები და ფიზიკური შესაძლებლობები არა აქვს. ჩემთვის 60 კარგი ეტაპია, წარსული რომ შევაჯამო და ძალიან პრაგმატულად დავგეგმო ყოველი მომდევნო წელი. 60 წელი პიკია და ეს პიკი შეიძლება ათ (მეტ) წლიანიც გახადო, მაგრამ შეიძლება ხვალვე დაიწყო თავქვე დაშვება.

მე პიკს დიდხანს შევინარჩუნებ.

4. ხანგრძლივი პიკი ყველას შეუძლია რომ ჰქონდეს: თუ ჯანმრთელობას მოუფრთხილდები (და ეს შეუძლია ყველას!) და განწყობას შეიქმნი, ცხოვრების ხალისიც დიდხანს გექნება. გექნება უნარიც, რაც მთავარია!

5. ვაპირებ, დროში ნათლად დავალაგო ჩემი ყველა ძირითადი იდეა თუ სინამდვილესთან სიახლოვეს მოფარფატე ოცნება, რომ განხორციელების რეალური გეგმები მკაფიოდ გამოვკვეთო.

6. თქვენმა გუშინდელმა თუ წუხანდელმა მხარდაჭერამ ისე გაამყარა ჩემი მეომრული განწყობა-შემართება, რომ კიდევ ბევრი წარმატებული პროექტით გაგახარებთ, მოკეთეებო (ეს ტერმინი მათე ტაკიძემ შემაყვარა), თანამოსაგრეებო (ეს ტერმინი კი სერგი საჯაიასია), საქართველოს ყველა შვილო, ზოგადად, მეგობრებო!

7. ჩემეულ შინაგან განწყობას ვერაფერი დააკლო ჩემი ასაკის სამოც-ით დაწყებამ. ეს მხოლოდ რიცხვითი სახელის დასაწყისია. ბუნებრივია, ადამიანურ ბიოლოგიას თავისი შეუქცევადი კანონზომიერებები აქვს, მაგრამ ქართველურ პოზიტიურ ხასიათზე დაფუძნებულ ჩემს მეომრულ განწყობას საუკუნოვანი ცუნამები ვერ დაანგრევს. საუკუნეებს ნამდვილად გადასწვდება ჩვენი მოდგმა.

დიდი მადლობა, ვინც გუშინ იყავით ჩემთან ამ დისტანციურ-კოვიდურ სამყაროში და საოცრად გაამყარეთ ჩემი მოდგმობრივი განწყობილება

**P.S.** როცა მკითხავთ: როგორ ხარ?
კიდევ დიდხანს ასე გიპასუხებთ:
– შესანიშნავად!

**P.P.S.** წუთისოფელში ყველა სიდიდე პირობითი და ფარდობითია. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდება, ვინ რა მიამატა ეროვნულ, საკაცობრიო თუ კოსმიურ სიცოცხლეს. შეუქცევად წარმატებებს გისურვებთ

10 მაისი, 2020

# 3.2. მორალი, ზნეობა, ღირებულებები

## რეალობის აღქმა

საქართველოსათვის თავგანწირულთა (ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას...) ლანძღვამ, საქართველოს ერთიანობისათვის მლოცველი პატრიარქის აუგად ხსენებამ, ე. წ. ცნობილი ადამიანების მიერ ყალბი თუ დამღუპველი ორიენტირების გაფეტიშებამ (შდრ., სულ ახალი ისტერია: გვიშველე, იმპერიავ!), ასევე, ზოგი კარგი ადამიანის მიერ კრიმინალის გაკერპებამ დიდი ხნის ტკივილიანი განცდა ასეთ დასკვნად ჩამომიყალიბა:

დემონიზებული ადამიანისათვის რეალობა ძნელი აღსაქმელია!

უფრო ვრცლად: ადამიანი, რომელსაც მყარი ფასეულობები არა აქვს, რეალობის აღქმას კარგავს და იოლად ექცევა კრიმინალის (დემონურ-სატანური საწყისის) გავლენის ქვეშ. იგივე ემართება ზოგ ახალგაზრდას, რომელსაც ცხოვრება გათელავს:

თავის გადასარჩენად ასეთი ადამიანი ცდილობს, თავი შეაფაროს "მფარველს" და საკუთარ ილუზიებს რეალობად სახავს; ილუზიებითა თუ ფსევდოსიყვარულით ცხოვრების პროცესში პირი საბოლოოდ კარგავს ორიენტირებს და, როგორც წესი, გადაიქცევა იმ პირის ("კერპის", "მფარველის") მონად თუ ბრმა იარაღად, ვინც მფარველად "მოევლინა" (ნამდვილი მფარველი თუ მეგობარი არასოდეს აქცევს მონად მას, ვინც მასთან ნდობით და სიყვარულით მივა).

დამონებული დემონიზებული და დეზორიენტირებული ადამიანი ჰიუგოს გემზე აშვებულ ზარბაზანს ჰგავს (1893): სხვასაც ღუპავს და საკუთარ თავსაც (გარკვეული პირობითობით მანქურთსაც შეიძლება შევადაროთ)... ასე დაიღუპა თავი ბევრმა ახალგაზრდამ 90-იანი წლების საქართველოში.

მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების არმქონე კრიმინალური საწყისის გამკერპებელი ადამიანის რეალობაში მობრუნება მაშინაც კი ძნელია, თუკი ის შემთხვევით დისტანცირდება ამ კრიმინალისგან; თუმცა, შესაძლებელია: ლანძღვა-გინება გამოსავალი არ არის; ასეთი ადამიანი მერყეობს უსაფუძვლო ილუზიებსა და იმედგაცრუებისმიერ უკიდეგანო პესიმიზმს, უფრო ზუსტად, ნიჰილიზმს შორის (ცინიკური ნიჰილიზმი ყველაზე უარყოფითი გამოხატულებაა); ამიტომ მას ჯერ ის უნდა აპოვნინო/დაანახო, რაც დაკარგა; კერძოდ, რეალურად უნდა დაანახო:

უანგარო სიკეთის არსებობა, კარგი ადამიანის არსებობის შესაძლებლობა, უანგარო სიყვარულის არსებობა, საკუთარი ღირსების შეგრძნება, მარადიული ფასეულობების არსებობა (ღმერთი!). ამის შემდეგ ის თავად მიხვდება, რომ ნამდვილი მფარველი თუ მეგობარი არასოდეს აქცევს მონად მას, ვინც მასთან ნდობით და სიყვარულით მივა და უკვე გააზრებულად/შინაგანადაც გაშორდება ფსევდომფარველს.

მხოლოდ ამის შემდეგ აღიქვამს ის რეალობას... თუმცა, როგორც ძნელად აღსაზრდელ ბავშვს, ასეთ ადამიანსაც მხოლოდ დიდი მოთმინებითა და დიდი სიყვარულით შეიძლება აღუდგინო სიკეთისა (აბელისა) და ბოროტების (კაენის) თანაარსებობით შექმნილი უფლისმიერი რეალობაც და მოყვასის სიყვარულის, უანგარო სიყვარულის შესაძლებლობა-აუცილებლობაც.

20 ივნისი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## "ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა"

/მართალი სიტყვის ძალა/

მამა ადრე გარდაეცვალა; დედამ ანგელოზად აღზარდა. სათნო, რომანტიკოსი და უმშვენიერესი ქალი დადგა; კარგი განათლებაც მიიღო. 19 წლის რომ შესრულდა, თავისი ოცნების რაინდს მიამსგავსა უფროსი ასაკის ერთი ბიჭი; იმანაც ხელიდან არ გაუშვა და ცოლად მალევე წაიყვანა. ანგელოზივით ქალი ფულიანი თანამედროვე ჯაყოს ოჯახში აღმოჩნდა.

თანაცხოვრება ცუდად დასრულდა: ჯაყოს მიზეზით ქალი ვერ ფეხმძიმდებოდა, მაგრამ ქალი მაინც ეგუებოდა ვითარებას: სიყვარულსა და რომანტიზმს არ კარგავდა... ქმარმა პირველივე კვირაში გამოავლინა თავისი უხეშობა, თვეების შემდეგ უკვე ქალის რომანტიზმს დასცინოდა; რამდენიმე წელში კი საერთოდ მიატოვა.

დამცირებული, სიყვარულზე ხელნაკრავი და დედის სახლში მობრუნებული ახალგაზრდა ქალი ერთხანს თავის მოკვლას აპირებდა მიტოვებისა თუ შელახული ღირსების გამო, მაგრამ ცოდვის შიშმა დასძლია და ეკლესიაში დაიწყო სიარული.

ეკლესიაში სიარულის მიუხედავად, შეურაცხყოფილ ქალში ჯაყოსადმი მძაფრი სიძულვილი ჩამოყალიბდა. ეს მალევე შეამჩნია მოძღვარმა და ერთხელ, წირვის შემდეგ დაუძახა:

– შვილო, მომიძებნე და წამიკითხე მათეს სახარების მეშვიდე თავის მე-6 მუხლი. ქალმა მოძებნა და იქვე წაუკითხა:

**“ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ”.**

მოძღვარმა უთხრა:

– ახლა წადი სახლში და ხვალ საერო ქართულზე გადაწყობილი ტექსტი მომიტანე;

– მამაო, კარგად მესმის ეს ტექსტიც...

– არა, მომიტანე საერო-სალიტერატურო ქართული სტილით გადაწერილი ვარიანტი.

– კარგი, მამაო...

მეორე დღეს ქალმა მოძღვარს მოუტანა ქაღალდზე გადაწერილი ეს ტექსტი:

**– ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს; ნურც მარგალიტს ნუ დაუყრით ღორებს, რადგან ღორები ფეხით გათელავენ მარგალიტს, მერე თქვენ მოგიბრუნდებიან და დაგფლეთენ”.**

მოძღვარმა გაიკვირვა:

– მეგონა კარგად დაფიქრდებოდი და მიხვდებოდი: იმიტომ გაგატანე სახარების ტექსტი სახლში, რომ საკუთარი თავი ამოგეცნო ამ იგავში...

მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო:

**– შენ ხარ მარგალიტი; შენი ქმარი ღორივით მოგექცა,** რადგან მან შენი ფასი არ იცოდა, ამიტომ მასზე არც უნდა გაბრაზდე და არც უნდა შეიძულო იგი. ის საშინლად რომ მოგექცა, ამიტომ გძულს, მაგრამ იცოდე, ამ სიძულვილით თავს მასთან ათანაბრებ. როგორ შეიძლება შენ, ანგელოზმა, თავი გაუტოლო მარგალიტის გამთელავს! საერთოდ დაივიწყე ის, ვინც რაინდი გეგონა და ვინც შენი სიწმინდე ვერ იგუა, ვითარცა ქუჩის ძაღლმა. მისდამი სიძულვილი დაგსვრის და ფსიქიკას დაგირღვევს. მოძღვარმა თვალებში ჩახედა მორჩილად მდგარ ქალს და საუბარი ასე დაასრულა:

– ღორი თავისი გზით წავა, შენ კი წინ სუფთა გზა გაქვს; მშვიდად იყავი; **“ღმერთი ყველას მიუზღავს თავისი სიტყვისა და საქმის მიხედვით”**; შენი სასიცოცხლო ენერგია სიძულვილს არ დაახარჯო და კარგ საქმეებს მოახმარე; შენი ფიქრი კარგ ადამიანებს დაუთმე და შენი ცხოვრებაც დამშვიდდება, გამშვენიერდება!..

მოძღვარი საკურთხეველში შევიდა, ქალი კი საკუთარი ფურცლით ხელში დიდხანს იდგა გამთბარ ტაძარში... ეკლესიიდან ის ღირსებით აღვსილი გამოვიდა.

21 ოქტომბერი, 2015 (2 ოქტომბერი, 2020)

## მოთმენა უფრო მნელია, ვიდრე არგაბრაზება :)

ადამიანი როცა ბრაზდება, არაადეკვატურად იქცევა – გიჟს ემსგავსება; გაბრაზებისას იშვიათები თუ იკავებენ თავს და გიჟურად არ იქცევიან. გაბრაზებისას კატასტროფულად იკარგება დიდძალი ენერგია; ასევე, ბევრი ენერგია იკარგება მოთმენისას, ამიტომ უმჯობესია, არ გაბრაზდე!

ჭკუა ვისწავლე: ბოლო წლებში თითქმის აღარ ვბრაზდები... იქნებ რაიმეში თქვენც გამოგადგეთ ჩემი მიდგომები:

1. არ ვეკამათები ცუდ ან ბოღმიან ადამიანს. ცუდი/ბოღმიანი კაცი სიმართლისათვის არ კამათობს. როგორ ვიგებ ვინაა ცუდი? ვინც ყოველთვის ყველას ლანძღავს შენთან, უეჭველად ცუდი ადამიანია (საკუთარ თავსაც ჩაუკვირდით: ხშირად ხომ არ ლანძღავთ სხვებს?)
2. არ ვეკამათები უცნობს;
3. არ ვეკამათები გიჟებსა და ნახევრად გიჟებს.

გიჟს ისედაც დაინახავთ; ნახევრად გიჟის თვისება კი რადიკალიზმია: ზოგჯერ ძალიან ილანძღება, ზოგჯერ ძალიან აქებს სხვებს, ერთსა და იმავე ადამიანებსაც კი!

4. მაქსიმალურად ვცდილობ გავუგო მას, ვისი დაკარგვა არ მინდა, მაგრამ მისი აზრები თუ ქცევა არ მომწონს; ასეთ სუბიექტთან მოთმენის გარკვეული ზღვარი არსებობს: სამუდამოდ ვშორდები მას, ვინც ახირებულია ან პერიოდულად მაღიზიანებს (საბედნიეროდ, ახლო წრეში ასეთი ძალიან ცოტა მყავდა!).

5. როცა კარგი ადამიანი მაბრაზებს, მაშინვე ვფიქრობ, მე ხომ არ მივეცი საბაბი; ვითმენ მის აგრესიას და ვცდილობ, კამათი გაბრაზებამდე შევწყვიტო. კარგი ადამიანი თავისი გაბრაზების პიკის გადავლის შემდეგ ტკბილად მოგეფერება. თუ მართალი არ არის, კარგ ადამიანს მხოლოდ გაბრაზების გავლის შემდეგ ვპასუხობ, რომ გააცნობიეროს შეცდომა თუ დანაშაული.

6. მაქსიმალურად ვცდილობ, არ ვეკამათო ნერვებდაწვრილებულ თუ ფსიქოლოგიურად ტრავმამიღებულ ადამიანს; ასეთი ადამიანის გამოცნობაც იოლია: ნერვებდაწვრილებული ადამიანი, პირველ რიგში, თავის დარჩენილ ნერვებს ინადგურებს, აქვს გაზვიადებული აღქმები და უსაფუძვლო აკვიატებები. მას თანადგომა ესაჭიროება; თუ მიყვარს, ან დიდ პატივს ვცემ, ვერ ვტოვებ და მაქსიმალურად ვითმენ მის უსაფუძვლო საყვედურებს, აგრესიას (ჩემ თუ სხვის მიმართ გამოვლენილს)... თუ ახლოს არ ვიცნობ, მაინც ვცდილობ, ავიტანო მისი არაადეკვატური ქცევა და გვერდით დავუდგე... მაგრამ ბევრია ასეთი ადამიანი დღეს და ყველას ვერ მიხედავ დროისა თუ ადამიანური რესურსის სასრულობის გამო. ზოგჯერ იძულებული მეც ვხდები გავერიდო, მაგრამ ეს გარიდება კაცის გაჭირვებაში მიტოვებას ჰგავს და ეს ძალიან დიდხანს მაწუხებს (დღემდე მძიმედ მახსოვს ორი ასეთი შემთხვევა; ახლა რომ გამახსენდა, გული ისევ დამიმძიმდა).

7. არ ვეკამათები გაბრაზებულ ადამიანს; თითქმის ყველა ადამიანი გიჟს ემსგავსება, როცა ბრაზდება; შესაბამისად, გიჟთან კამათი კი სიგიჟეა :)

**P.S.** ჩემი ამგვარი მიდგომების გამო მართლა იშვიათად (!) ვბრაზდები (ვბრაზდები მხოლოდ ძალიან ახლობელთან, ვისი დაკარგვაც არ შემიძლია და მინდა დაფიქრდეს!); ამიტომ ენერგიაც არ მეხარჯება სიბრაზის "მონელებაში" თუ მოთმენაში... შესაბამისად, მყოფნის ძალა, სამ ქალაქში ვიმუშაო ჩემს კარგ სტუდენტებთან და კოლეგებთან ერთად და ხშირად მქონდეს გულწრფელი ღიმილი :).

9 დეკემბერი, 2015 (2 ოქტომბერი, 2020)

## ვირი მოლა

ერთი ცნობილი აღმოსავლური ამბავია **პრინციპების არმქონე მოლას** შესახებ. ჯერ ამბავს მოვყვები ოდნავ ახლებური ინტერპრეტაციით და ზოგი ჩვენი თანამედროვის შესახებაც მიგანიშნებთ:

მოლა სტუმრად მიდის ცოლთან ერთად; მხოლოდ ერთი ვირი ჰყავს თან. მოლა ზის ვირზე, ცოლი უკან მიჰყვება. **პირველ სოფელს** რომ ჩაუვლის, ხალხი იტყვის მოლას გასაგონად:

– ეს **მოლა თვითონაა ვირი**: თავად ვირზე ზის, ცოლი კი ფეხით მიჰყავს.

არ მოეწონა ლანძღვა მოლას და **მეორე სოფელს** რომ მიუახლოვდა, ცოლი შესვა ვირზე, თავად კი ვირს გაუძღვა. სოფელს რომ გასცდა, ხალხმა ლანძღვა მიაყოლა:

– **სულელია ეს მოლა**: ცოლი ვირზე შეუსვამს, თავად კი ფეხით მიჩანჩალებს.

ბუნებრივია, არც ასე დამცირება მოეწონა მოლას და **მესამე სოფელს** რომ მიუახლოვდა, თავადაც შეჯდა ვირზე – ცოლს მიუჯდა უკან და ასე გაიარეს მესამე სოფელი. ამ სოფლელებმა ირონიით თქვეს:

**– რა უნამუსოა ეს მოლა**, საწყალ ვირზე ცოლთან ერთად შემჯდარა...

გამწარდა მოლა: **მეოთხე სოფელი** ცოლთან ერთად ფეხით გაიარა. ამ სოფლელებმაც გალანძღეს:

**– ეს მოლა რა ბრიყვია**: ვირი ჰყავს და ცოლ-ქმარი ფეხით მიდისო...

ჩემს თვალში ის მოლა **ვირიცაა, სულელიც, უნამუსოც** და **ბრიყვიც**; რაც უფრო არსებითია,

**მოლა უღირსებო ადამიანია**. თავისი პრინციპები და ნათლად გააზრებული მყარი ორიენტირები რომ ჰქონოდა, ყველას სალანძღავი არ გახდებოდა.

...1992 წლის პუტჩის შემდეგ საქართველოს მმართველი პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს წარმოადგენენ ისინი, ვისაც არც ზნეობრივი პრინციპები აქვთ, არც სახელმწიფო კაცობა და არც მყარი პოლიტიკური ორიენტირები: ხან ერთი მიმართულების ძლიერ პერსონას მიეკედლებიან, ხან მეორეს, ხან მესამეს... და ცხრაპარტიაგამონაცვალი არსებები დღემდე ტივტივებენ პოლიტიკაში... ჩვენი ხალხი კი ამ **უპრინციპო „მოლებს“** კრიტიკულად არ უყურებს და ამიტომაც 25 წელიწადია ტრიალებს „მოსეს უდაბნოში“.

პოლიტიკური ელიტა ქვეყნის მესაჭეა; დროა, ხალხმა კრიტიკულად შეხედოს პოლიტიკურ სპექტრს და ერთი, თუნდაც კარგი კაცის ნდობით პარლამენტი უპრინციპო „მოლებით“ არ დააკომპლექტოს:

ერთი **ვირი მოლა** მხოლოდ საკუთარ პრესტიჟს ანგრევს; პარლამენტში შეყრილი ბევრი **უპრინციპო „მოლა“** კი სახელმწიფოს გაანადგურებს, მით უმეტეს – გეოპოლიტიკური დაპირისპირებების ეპიცენტრში მყოფ სახელმწიფოს. ჩვენი თაობა – დღეს ცოცხალი ქართველობა (ზოგადად, საქართველოს მოქალაქეები) ნუ გავწირავთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოსა და დიდ ეროვნულ მემკვიდრეობას უნამუსო და უპრინციპო „მოლების“ საწიწკნად.

23 თებერვალი, 2016

## საგიჟეთი?!

**მსოფლიო ერთი დიდი საგიჟეთია, სადაც ჭკვიანებიც ცხოვრობენ!**

1. გუშინ ერთი ჩემი ახლო ნაცნობი თომას მანის ერთ-ერთი პერსონაჟის მიერ გაწვრთნილი მაიმუნივით “გამოვლინდა”: თითქმის უსაფუძვლოდ უცებ მოიშალა და დირექტორის კაბინეტში ლამის მაგიდაზე ახტა /დირექტორი ჩემი მეგობარია, ის ახლო ნაცნობი კი – არა/...

თომას მანის ანტიდარვინული შეგონება: **წვრთნითა და გაპარსვით** მაიმუნი პიანისტად ვერ იქცევა.

2. გუშინწინ კიდევ ერთი **ვიდეოუნამუსობა** გამოქვეყნდა: ასეთი ვიდეოჩანაწერების გაკეთებას მხოლოდ არანორმალური შეუკვეთს/ჩაწერს, **შანტაჟისათვის კი** უბადრუკი გამოიყენებს. უბადრუკიც არანორმალურია და ცუდის ჩამდენიც იმიტომ, რომ ვერ ჭვრეტენ საკუთარი ქცევის სავალალო შედეგს. არანაკლებ არანორმალურია ის, ვინც თავის ნიჭიერებას ანტიადამიანურ და ანტისახელმწიფოებრივ საქმეში ფლანგავს, ანდა, სხვის ბინძურ შეკვეთას ახმარს “გრანტის” გამო.

აშკარაა: საქართველოს პოლიტიკური, ჟურნალისტური თუ სამეცნიერო “ელიტა” რადიკალურად უნდა გადახალისდეს, თუკი არ გვინდა გახანგრძლივდეს “მოსეს უდაბნოში” ხეტიალის დრო!

3. ჩვენ გარშემო ხშირადაა: პატარა თუ დიდი კრიზისის გამო ადამიანი არაადეკვატურად იქცევა, “ცხვირწინაც კი ვეღარ იხედება”/ მახსენდება ჰიუგოს “გემზე აშვებული ზარბაზანი!”/ – თურმე **ლატენტური გიჟი** გვყოლია სიახლოვეს!

ძლიერს პრობლემა უფრო აძლიერებს (გილგამეში, ამირანი გველვეშაპის მუცლის შემდეგ...); სუსტს კი აგიჟებს, ადამბლავებს ან, სულაც, კლავს... არადა, რომ მოიწადინოს, ყველა იპოვის საკუთარ თავში ძალას /”ცხვირს იქითაც” გაიხედავს და გადარჩება კიდეც/.

4. **უკლებლივ ყველა დიქტატორი** გარკვეულწილად არანორმალურია – რბილად რომ ვთქვათ, ცხადლივ შეშლილი თუ არა, ფარული გიჟია! ფაქტია ისიც, რომ წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში არსებული ყველა ტირანი თავდაპირველად მაინც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს/ისარგებლებს; რატომ უჭერს ხალხი მხარს გიჟს და რატომ ივლენს უბედურებას? იმიტომ ხომ არა, რომ ადამიანთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად გადახრილია “ნორმისგან”? /პუტინ-ტრამპ: მხოლოდ ალიტერაციაა?/არადა, რა მიხვედრა უნდა: საბოლოო ჯამში, ყველა ტოტალიტარულ რეჟიმს ხალხისათვის უბედურება მოაქვს!

5. ადამიანი არც მხოლოდ სულია და არც მხოლოდ ხორცი; ხშირ შემთხვევაში (უფრო

ხშირად!) ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანში **ღვთაებრივ სულს გვემს/ამცრობს ხორციელება...** შესაბამისად, ზოგადად, ადამიანი არასრულყოფილი (დაუმთავრებელი) არსებაა!

ღმერთმა იცის, რა არის "გადახრა" და რა – "ნორმა"; ფაქტია: მსოფლიო დიდი საგიჟეთია, სადაც ჭკვიანებიც ცხოვრობენ (და არა – პირიქით). ჭკვიანი კი ისაა, ვინც გონიერიცაა, პატიოსანიც და, ამავე დროს, ეყოფა შინაგანი ძალა, თუნდაც კრიტიკულ სიტუაციაში მაგიდაზე არ ახტეს თომას მანის "გაპარსული მაიმუნივით"; რა თქმა უნდა, ჭკვიანია ისიც, ვინც არ აჰყვება მაგიდაზე ამხტარს...

ჩემსა და ჩემი მეგობრის გონიერებასა და პატიოსნებას არ/ვერ შევაფასებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ პირადად, მეც და ჩემს მეგობარ დირექტორსაც გუშინ სხვადასხვა დროს ერთნაირ სიტუაციაში ნამდვილად გვეყო მოთმინება – **ეს მიხარია ამ დილით**.

**P.S. შევეცადოთ, ვიყოთ ჭკვიანი** (გონიერი, ნამუსიანი და მომთმენი); **დედამიწაზე ჭკვიანების ადგილიც არის :)**

13 აპრილი, 2016

## რა აკლია დღევანდელ ქართველობას

**გავაკრიტიკოთ საკუთარი თავი, ჩვენი თაობა და არა – მრავალსაუკუნოვანი და დიდებული ქართველი ერი!**

ბოლო პერიოდში არაერთხელ გაიმეორეს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გაზვიადებული გამონათქვამები ქართველი ერის ნაკლის შესახებ; ახლახან კი ჩემმა ფეისბუკმეგობარმა, ბ-ნმა თემურ მურვანიძემ თავის კედელზე დადო **დიმიტრი უზნაძის მოსაზრება "რა აკლია ქართველობას",** რომელსაც კრიტიკული განმარტებებით აქვე გთავაზობთ:

დიმიტრი უზნაძე: ქართველს აკლია "დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს;

მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა... პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა... ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს. მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქს. გული აინთება – ნებაც მოქმედებს, მაგრამ გული მალე ცივდება და ნების მაჯისცემა უმალვე წყდება. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერგიის გამძლეობის მხრივ საგრძნობლად არ კოჭლობდეს. პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანთებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის; დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნის დონეს მიაღწევდეს, და გულთან ერთად ნებაც დუნდება და დაწყებული საქმე ანაზდად წყდება... ამიტომ არის, რომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავებთ და ბედნიერ მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით. ...საკუთარ საქმეს კი გამბედაობა და ინიციატივა ეჭირვება და ჩვენს ხალხს ეს აკლია; უამისობაა, რომ ჩვენ სხვის საწველ ფურად გვაქცევს და საკუთარ დოვლათს სხვების საკეთილდღეოდ გვადებინებს. აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება – აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო".

**ჩემი აზრით, დასახელებული არც ერთი ჩვენი დიდი წინაპარი** (ილია, აკაკი, დიმიტრი უზნაძე) **არ იყო მართალი, როცა ზოგადად საუბრობდა ქართველ ერზე; კერძოდ:** ქართველი ერი იშვიათი (მშრომელი, მიზანმიმართული, ძლიერი, გამძლე...) ერია დედამიწაზე რამდენიმე ფაქტორის გამო:

1. დედამიწაზე იშვიათია ასეთი გამძლეობის ერი – ასე დიდხანს რომ არსებობს; ჩვენი ერი, როგორც საკუთარი დამწერლობისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ენობრივ-ეთნიკური მთლიანობა, არსებობს, სულ ცოტა, 24 საუკუნეა (მაქსიმუმ – 35 საუკუნეა); შდრ., თანამედროვე

სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი 5 საუკუნეს ვერ მოითვლის.

2. იშვიათია ერი, რომელსაც აქვს უწყვეტი 15-საუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია, ასეთი მრავალფეროვანი ფოლკლორი და, ამავე დროს, მისი კულტურა 35 საუკუნეს ითვლიდეს (იხ. კოლხური არქეოლოგიური კულტურა, რომლის საზღვრები მოიცავდა დღევანდელი თურქეთისა და ჩრდილო კავკასიის დიდ ნაწილს და ამჟამინდელ საქართველოს, ქართლის ჩათვლით).

3. იშვიათია ერი, ასეთი ხანგრძლივი სამეფო დინასტია და დიდი სახელმწიფოებრივი ისტორია რომ ჰქონდეს, მიუხედავად ამდენი დარბევისა და დაპყრობისა (ბერძნებითა და სპარსელებით დაწყებული – თურქებითა და რუსებით დამთავრებული!).

4. იშვიათია ასე მცირერიცხოვანი ერი, ამდენი ციხე-სიმაგრე, სამლოცველო ტაძარი აეშენებინოს და ასეთი მრავალფეროვანი მეურნეობა (ღვინო, პური, რძის პროდუქტები...) ჰქონდეს.

5. იშვიათია ასეთი მცირერიცხოვანი ერი, ამდენი წმინდანი და გმირი რომ ჰყავდეს!

6. იშვიათია ერი, რომელიც თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თავისუფლებისათვის იბრძოდეს და აღწევდეს მიზანსაც: "თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყოველსა" (ილია)

7. იშვიათია ერი, რომელიც ასე მყარად იყოს ორიენტირებული სიყვარულის იდეაზე: ეს თვისება უვითარებს მას ბუნებრივი კომუნიკაბელურობის ნიჭსაც და კეთილგანწყობასაც: ქართველი უცხო სტუმარსაც კი ნდობითა და სიყვარულით ხვდება (და არა – ეჭვით); შდრ., ქართული გამოთქმა: „სტუმარი ღვთისაა!" სტუმართმოყვარეობა – არანათესავის, არამეგობრის, არანათელმირონისთვის ოჯახის წევრის მსგავსად მოპყრობა. არ გამოირიცხება, უძველესი ქართული ტრადიცია უკავშირდებოდეს უპოვარისათვის დახმარების გაწევას.

**გარდა ამისა, ქართველობას გვახასიათებს:**

– დიდსულოვნება – შურისძიების ნაცვლად, ქრისტიანული შემწყნარებლობა: საამისო კარგი მაგალითი: ილია ჭავჭავაძის მეუღლემ ხელი მოაწერა შუამდგომლობას, სიკვდილით არ დაესაჯათ ილიას მკვლელები: "ილია ისეთი კეთილშობილი იყო, აპატიებდა", – თქვა ოლღა ჭავჭავაძე-გურამიშვილმა.

– თანასწორობის მოთხოვნა. ქართული ენის უძველეს ლექსიკაშივე ჩანს ე.წ. ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორობა: დედა-კაცი (= მდედრი ადამიანი), მამა-კაცი (= მამრი ადამიანი). შდრ., ასევე, XII საუკუნის აფორიზმი: "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია";

– ტოლერანტობა – განსხვავებული რწმენისა და მოსაზრების ადამიანების თანაარსებობა / თანაცხოვრება/: ამ თვალსაზრისით სანიმუშოა საქართველოს ყველა ისტორიულ ქალაქში სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე საზოგადოებების სამლოცველოთა გვერდიგვერდ არსებობა და ქართველი ებრაელის ფენომენი. განსხვავებულთა თანაარსებობის საუკეთესო გამოვლინებაა ქართული მრავალხმიანი სიმღერები და ქართული სუფრის სადღეგრძელოს უალტერნატივო ტრადიცია: ერთი თემის გარშემო სუფრის წევრთა სხვადასხვა თვალსაზრისის გამოთქმის აუცილებლობა (შდრ., სხვადასხვა პოზიციიდან გაანალიზებული ერთი თემა);

– გამორჩეული ნიჭიერება...

შესაბამისად, დიმიტრი უზნაძისა თუ სხვა დიდი მოღვაწეების გამონათქვამები ნამდვილად დასაზუსტებელია:

**თუნდაც დიმიტრი უზნაძის საყვედური უნდა გავრცელდეს არა ზოგადად, ქართველ ერზე, არამედ ბოლო ორი საუკუნეში მცხოვრებ ქართველებზე – მონობაში მცხოვრებ ქართველებზე** ("ეგვიპტეში" მცხოვრებ და "უდაბნოს" თაობებზე), **განსაკუთრებით კი, იმ ქართველებზე, ვინც უცხოეთში იხიზნება (მით უმეტეს, ცოლს აგზავნის!) ფულის საშოვნელად და არ ცდილობს, საქართველოში შეცვალოს რაიმე.** თანამედროვე ქართველობის დიდ ნაწილს განსაკუთრებით აკლია საკუთარ მიწაზე, საკუთარ ქვეყანაში შრომის კულტურა და გააზრება (აღდგენა!) იმისა, რომ ეს ქვეყანა – საქართველო – მისია და მანვე უნდა უპატრონოს; ასევე, ჩვენს თაობას აკლია დროის ფასის ცოდნა.

**თანამედროვე ქართველობამ უნდა გაიაზროს, რომ სანამ საკუთარ წიაღში არ შექმნის პატიოსან პოლიტიკურ სპექტრს და სანამ პასუხისმგებლობით არ მოეკიდება არჩევნებსა და არჩეულთა მონიტორინგს, მანამდე იხეტიალებს "მოსეს უდაბნოში". ქართველ ერს შეუპოვრობა, მიზანდასახულობა, საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი რომ არ გვქონოდა, ამდენ ციხე-სიმაგრესა და ეკლესია-მონასტრებს ვერ ავაგებდით.**

**ბოლო თაობებსაც გვყავს ბევრი გმირი და წმინდანი** (ილია, 24 წლის აჯანყების მონაწილენი, 9 აპრილის გმირები, 1991-93 წლებსა და შემდგომ, ბოლოს კი 2008 წელს რუსეთის ოკუპაციას შეწირული გმირები...); სხვა თუ არაფერი, ჩვენმა თაობამ შეძლო 31 მარტის რეფერენდუმის ორგანიზება და 9 აპრილის აქტის მიღება! **თუმცა ამჟამინდელ ქართველთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პასიური პატრიოტის "პოზაში" რჩება და აკლია პასუხისმგებლობა საქართველოს წინაშე!**

**უახლოეს მომავალში უნდა შევძლოთ მობილიზება, რომ ჩვენი წინაპრების კალაპოტს სრულად დავუბრუნდეთ.**

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, **გავაკრიტიკოთ საკუთარი თავი, ჩვენი თაობა და არა – მრავალსაუკუნოვანი და დიდებული ქართველი ერი!**

**P.S.** 1998 წელს გამოქვეყნებულ ჩემს წიგნს ასეთი სახელი აქვს: **"აფსირტედან გამსახურდიამდე ანუ აწმყოს უდაბნოში".**

12 თებერვალი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## უმად(ლ)ური

სიტყვა: "უმადური" მადლთან რომაა კავშირში, უეჭველია:

უ-მადლ-ურ-ი > უმადური; ეტიმოლოგიურად ასეა, შინაარსობრივად კი შეგვიძლია გავიგოთ, როგორც:

**– მადლის არმქონე;**

**– მადლობის გადახდის უუნარო;**

**– სიკეთის ვერ დამნახავი;– ნეგატივზე ორიენტირებული...**

უმად(ლ)ურ ადამიანს 100 კარგი რომ გაუკეთო და 101-ე სიტუაციაში დახმარება ვერ გაუწიო, გაგლანძღავს! **მოკლედ, უმადურ ადამიანს არ აქვს უნარი, სიკეთე დაიმახსოვროს;** უუნარო უუნაროა და მისგან არ უნდა გეწყინოს, მაგრამ **უმადურობა ყველა შემთხვევაში გვტკენს გულს;** ჩემი მეგობრის მაგალითით გავაგრძელებ:

ძალიან რთულ დროს ჩემმა მეგობარმა მაქსიმალური დახმარება ბევრჯერ გაუწია ერთ საერთო ნაცნობს. ცხოვრებამ მოიტანა და მათი გზები გაიყარა: ნაცნობი სხვაგან გადავიდა სამუშაოდ. გადის დრო და ეს ჩვენგან დისტანცირებული ფეისბუკზე ძალიან ნეგატიურ კონტექსტში იხსენიებს ამ ჩემს მეგობარს.

დავურეკე დისტანცირებულს; დაახლოებით, ასეთი საუბარი შედგა:

– გამარჯობა, როგორ ხარ?

– კარგად, როგორ ვიქნები ამ სამყაროში...

**– ყველა ადამიანი ისე ცხოვრობს ამ სამყაროში, როგორ ველსაც იქმნის გარშემო... ერთი რამ მაინტერესებს, ზუსტად ვიცი, რომ ....-მ ყველაფერი გააკეთა შენთვის, როცა მასთან ახლოს იყავი; ახლა მაინც ასე ცუდად წერ მასზე სოციალურ ქსელში; რატომ აკეთებ ამას?**

– ის მაშინ მედგა გვერდით, როცა მასთან ვმუშაობდი; მერე საერთოდ დამიკიდა!

– დაკიდება რაში გამოიხატება?! უბრალოდ, შენ ახლა სხვაგან ასწავლი; სანამ ერთად ვმუშაობდით, მაშინ ხომ იყავი მადლიერი?! ხომ გადაგატანინა ძალიან რთული დრო?! მერე შენთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია! განა ადამიანთან ურთიერთობისას წინა პლანზე ის არ უნდა წამოსწიო, რაც მას შეგანარჩუნებინებს და არა ის, რაც საბოლოოდ დაკარგვინებს?

– ხომ შეეძლო, მერეც დამდგომოდა გვერდით?! რაში მჭირდება, დაიკარგოს!

– რას ამბობ! გამოდის, რომ შენ თავიდანვე მის გამოყენებაზე იყავი ორიენტირებული და როცა აღარ თუ ვეღარ გამოგადგა, ყველა სიკეთე დაუვიწყე; შენ ასე მომექცევი მეც, სხვასაც! ბოლოს მარტო დარჩები და დაემდურები ყველას, ზოგადად ამ ცხოვრებას! ცხოვრებას დაასრულებ ნეგატივში! – პასუხს არ დაველოდე და ტელეფონი გავთიშე.

მხოლოდ ერთი რამის თქმა დავაკელი და ახლა აქ დავწერ: **სოციალური ქსელი სარკისებურად ასახავს ამქვეყნიურ სამყაროსაც და კონკრეტული ადამიანის ბუნებასაც.** ფეისბუკზე დატოვებული

კვალიც ადამიანის არსს წარმოაჩენს... **ლოკოკინა და უმადური ადამიანი ერთნაირ კვალს ტოვებენ.**

6 თებერვალი, 2018

## ვაშლის თეორია

ახლო მეგობრებმა იციან ჩემი "ვაშლის თეორია". გადავწყვიტე, უფრო გავასაჯაროო. ვაშლი ყველას უყვარს (როგორც წესი!). ყველამ იცის, რომ იშვიათია უზადო ვაშლი; მით უმეტეს, შენახული ვაშლი: დროთა განმავლობაში ზოგს შეიძლება მცირედი ნაკლი გამოუვლინდეს, ზოგს – უფრო მეტი; ზოგსაც ლპობა შეიძლება შეეპაროს, ზოგიც, სრულად შეიძლება გაფუჭდეს.

რას აკეთებს ამ დროს მეურნე ადამიანი? მცირედნაკლულსაც და სიდამპლეშეპარულსაც გაფუჭებულ ნაწილს მოაშორებს და საღ ნაწილს გაუფრთხილდება; **შეეცდება, კარგი მხარე გადაარჩინოს.**

აი, 3/4 (დიდი ნაწილი) თუა გაფუჭებული, ასეთ ვაშლს ყველ ნორმალური ადამიანი სხვა ვაშლებისაგან გამიჯნავს (/გვერდით მიაგორებს), რომ სხვა ვაშლებიც არ გააფუჭოს; შემდეგ კი სადმე გადააგდებს, ან მდინარეს გაატანს, თუკი ახლოსაა (მდინარე აიტანს, როგორც სოსო იარღანაშვილი იტყოდა).

**ვაშლი =ადამიანი:**

ჩვენი სიცოცხლე ცხოვრების მდინარე(ბა)ში ყოფნაა: "მდინარე" მიდის და ჩვენც მივცურავთ: ზოგი უნავოდ, ზოგი ნავით, ზოგი ხომალდით (ხომალდი მაღალი ზნეობაა და არა – ფული!)... სამუდამოდ ვერავინ იცურებს, ამიტომ ზოგი სად დაასრულებს, ზოგი სად ჩაიძირება, ზოგიც რა მომენტში ამაღლდება უფლის სამყაროში.

ცხოვრების მდინარებაში გზადაგზა სხვა "მოცურავენიც" ჩნდებიან თვალსაწიერში: ზოგს მაშინვე გვერდს უვლი, ზოგს იახლოვებ, რომ ცხოვრება ("ცურვა") შეიმსუბუქო. მეტწილად, შემოერთებული უფრო გიმძიმებს, იშვიათი თუ გიიოლებს "ცურვას" (/პირად ცხოვრებას). ასეთია ჩვენი ცხოვრებისეული მდინარების კანონზომიერება.

პირადად, მე ახალ ადამიანს როცა გავიცნობ და ახლოს მივიღებ, **ვუყურებ, როგორც სრულიად უბიწოს; თუმცა ვიცი, რომ უნაკლო ადამიანი არ არსებობს.**

რა თქმა უნდა, თავიდანვე კრიტიკულად ვაკვირდები მის "ცურვას", ქმედებას, გამომეტყველებას, კონკრეტულ მიმიკებს, გამოხედვას, თვალებს მიღმა არსებულ სამყაროს; იუმორს, ცოდნას, გამოცდილებას, სწავლის უნარს, სისხარტეს, მოცემულ დროში სხვებისადმი პატიოსან (თუ არაპატიოსან) დამოკიდებულებას... რა თქმა უნდა, ვსწავლობ მის წარსულ სხვა ურთიერთობებსაც (ალბათ, ასე იქცევა ყველა ნორმალური ადამიანი).

ნელ-ნელა "ვახარისხებ" მის უკმარისობებს: მკაცრად ვაკონტროლებ, თუ 100 %-იანი ჩემი ნდობა ნელ-ნელა როგორ წავა დაბლა (100 % –ზე უნაკლო მხოლოდ უფალია!); ნელ-ნელა იმიტომ, რომ თვალშისაცემად მორალნაკლულოვანს ახლოს ნამდვილად არ ვუშვებ.

**ადამიანთან ურთიერთობა დროსა და საქმეში გამოიცდება:** მცირე ნაკლი ყველა ადამიანს აქვს (უნაკლო ვაშლი არ არსებობს!), მაგრამ, **დროთა განმავლობაში,** შენახული ვაშლივით, ზოგ ადამიანს რა სერიოზული ნაკლი გამოაჩნდება, ზოგს – რა. "ვის არ შეგვშლია",– ვამბობ და ვცდილობ, სანამ შესაძლებელია, ადამიანს ნათელი მხრიდან ვუყურო (ნორმალური მეურნე მცირედ გაფუჭებულ ვაშლს არ გადააგდებს!). ვუგებ მცირე შეცდომასაც, დაუდევრობასაც; მასთან ურთიერთობა რომ შევინარჩუნო, ვცდილობ გავუგო არადამანგრეველი დანაშაულიც კი!

საკუთარი შვილიც რომ იყოს, არის რაღაც ზღვარი, რომლის იქით შეუძლებელია ადამიანთან სიახლოვის შენარჩუნება: 3/4-ით გაფუჭებული ვაშლის მსგავსად, პრობლემური ქცევებისა თუ ქმედებების სიხშირის პროცენტი რაღაც ზღვარს რომ ჩამოშორდება, შემდეგ ურთიერთობა სახიფათო ხდება:

როცა ხედავ, რომ შენი 100 %-იანი კეთილგანწყობა 25 %-მდე ჩამოვიდა 3/4-ით გაფუჭებული ვაშლივით, მასთან ურთიერთობა გვერდზე უნდა "მიაგორო" – ასეთ სუბიექტს ნელ-ნელა უნდა

გაემიჯნო. ნელ-ნელა უნდა დისტანცირდე, რომ ნეგატიური ემოცია არ აგიფეთქდეს, რომ სასტიკად არ გაბრაზდე, რომ არ დასაჯო და დიდ ცოდვაში არ ჩავარდე, რომ პიროვნულობა შეინარჩუნო. შესაბამისად, **აუცილებელია შენი მოთმინების ზღვარი აკონტროლო და მავანთან ურთიერთობა ტრაგედიაში არ გადაზარდო.**

დისტანცირების პროცესში თან ვცდილობ, გავაგებინო, რა მწყინს, რა მეტკინა, რა არ მომწონს და ამას ვაკეთებ იმიტომაც, რომ **მინდა არ დავკარგო, მინდა მასთან ურთიერთობას და თავად მას გავუფრთხილდე** (იქნებ ამ წერილსაც ამიტომ ვასაჯაროებ?! იქნებ იმიტომაც, რომ მინდა ჩემს შვილს დავეხმარო, ან – ჩემს სხვა ახლობელს): ზოგჯერ საქმე ისე აეწყობა, რომ "მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს"; ასეთ დროს მაინც ვცდილობ გავაგებინო, რა მწყინს, რა მეტკინა იმიტომაც, რომ მერე იოლად ვაპატიო: **თუ გააცნობიერა რა და როგორ მატკინა, ადვილად მივუტევებ** (და მიუტევებლობის ცოდვაში არ ჩავვარდები).

ზოგი ვაშლი გაზაფხულზე გულიდან იწყებს გაფუჭებას და ვერ შეამჩნევ. ასეთ ვაშლს გაზაფხულამდე არ ინახავს კარგი მეურნე. არის ისეთი იშვიათი შემთხვევაც, რომ "ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს". ასეთ დროს ვცდილობ, პატივი ვცე თუნდაც საკუთარ წინანდელ განწყობას და ასეთ ინდივიდს მშვიდად გავერიდო, როგორც "უვარგის ვაშლს"; ვაშლს იმიტომ ვადარებ (და არა – მორიელს: გაიხსენე "კუ და მორიელი"), რომ ტკივილი არ დავიმახსოვრო და სიბრაზით მრისხანების უფსკრულში არ გადავვარდე; **გაბრაზება ორმაგი ხაფანგია:**

შეიძლება "მორიელად" დაბადებულს რაიმე არსებითად დაუშავო და შენც დაიცალო მშვიდი სიცოცხლისაგან. როგორც წესი, "მორიელი" იშვიათი მოვლენაა; ადამიანთა დიდი უმრავლესობა ჩვეულებრივი "ვაშლია"; შესაბამისად, **თავდაპირველი შინაგანი კეთილგანწყობა იშვიათად თუ გაქრება სრულად; მასში უთუოდ რჩება რაღაც ისეთი, რომელიც თქვენს მეგობრობას თუ ვერ, ადამიანურ ურთიერთობას მაინც გადაარჩენს.** ამ "რაღაცას" ვერ ხედავ სიბრაზის დროს; ამიტომაა აუცილებელი, სასტიკ გაბრაზებამდე დისტანცირდე.

**ზუსტად ვიცი:** მეგობარს, ახლობელს, თანამშრომელს, ნაცნობს, ზოგადად, ადამიანთა უდიდეს ნაწილს უთუოდ აქვს რაღაც დადებითი; მეც ნათელი მხრიდან ვუყურებ მანამ, სანამ ეს ნაწილი მცირედით მაინც არსებობს. როცა ჩემს თვალში ადამიანი სულ დაიცლება პოზიტივისაგან, ადამიანობისაგან, სიყვარულისაგან, მასზე რატომღა უნდა გავბრაზდე?! ასეთი ადამიანი უნდა შეგეცოდოს და თუ ძალიან გაღიზიანებს, მას უნდა განერიდო.

მოკლედ, "ვაშლის თეორია" მშველის, რომ ნაკლებად გავბრაზდე, რომ იშვიათად დავკარგო ადამიანები, რომ იშვიათად გამიცრუვეს მოლოდინი, რომ უღალატო მეგობრები მყავდეს.

მოკლედ, "ვაშლის თეორიის" არსი ასეთია: **ნორმალური მეურნე საპრობლემო ვაშლს არ შეინახავს; შენახულ ვაშლს კი ისე** დაახარიხსებს, გადასაყრელი არ გაუხდება. კარგი მეურნე იშვიათად თუ გადააგდებს ერთ ვაშლს... სულაც არ გამოვრიცხავ, რომ არა მხოლოდ ჩემს თვალში იქცეს ვინმე "პრობლემურ ვაშლად", არამედ მის აღქმაში მეც შეიძლება განვიცადო ტრანსფორმაცია; ასე რომ, ჯობია ზღვარზე ვიფიქროთ, რომ ცუდად არ დავასრულოთ; ზღვარზე, რომლის იქით დისტანცირება არის აუცილებელი; **ვიფიქროთ ზღვარზე, რომ ამ ზღვრამდე არ მივიდეთ.**

**მოკლედ,** ბიბლიური ვაშლისა და ნიუტონის ვაშლის გარდა, სხვა სიმბოლური ვაშლიც არსებობს :)

16 აპრილი, 2018

## "ბასიანი", "ლევან დადიანი", "იაკობ გოგებაშვილი"... და ფასეულობათა მიზანმიმართული ტრანსფორმაცია ოკუპაციის პირობებში

Ø ბასიანი ქართველი ერის დიდ გამარჯვებასთან ასოცირდება;

Ø ლევან დადიანი გამორჩეული ქართველი მოღვაწეა, რომელიც "ივერთა მეფის" სტატუსით, არა მხოლოდ ოდიშსა და საქართველოს სხვა კუთხეებში აგებდა ტაძრებს, არამედ იერუსალიმშიც კი პატრონობდა ქართულ კულტურას;

Ø იაკობ გოგებაშვილის სახელი კი დაკავშირებულია ქართველთა ეროვნული მეობის ბურჯის – დედაენის – სწავლების უკვდავ კონცეფციასთან...

დღეს კი რა ხდება: ეს სამი ძვირფასი სახელი ნარკოტიკების კონტექსტში ტრიალებს. "გუგლში" ბასიანს თუ მოძებნით, პირველად ეს ფრაზა გამოჩნდება: "ბასიანი – მსოფლიოში ყველაზე ბნელი მიწისქვეშა კლუბი" (ქართულ კლუბზე Wmagazine წერს").

მხოლოდ შემდეგ თუ მონახავთ: ბასიანი — პროვინცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიული მესხეთის ნაწილი, მდინარე არაქსის სათავეების რაიონში (თურქეთის ტერიტორია)... 1203 წელს ბასიანის ველზე საქართველოს ჯარმა დაამარცხა თურქ-სელჯუკების ლაშქარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუმის სულთანი რუქნადინ სულეიმანშაჰ II (1196-1204). ბასიანის ბრძოლამ განამტკიცა საქართველოს მაღალი ავტორიტეტი მთელ ახლო აღმოსავლეთში.

დასკვნის გაკეთებამდე: 2007 წელს ქუთაისიდან თბილისში მიმავალმა მანქანა გავუჩერე წვიმაში მდგომ სამხედროს. ცხინვალის სამშვიდობო ბატალიონში ვმსახურობო,– მითხრა, როცა გამეცნო.

**მისი ერთი ფრაზა სამუდამოდ დამამახსოვრდა:**

– ყოველდღე ვაკვირდები ოს ახალგაზრდებს; ვერ შეხვდები ნასვამს, ნარკომანს, უმოტივაციოს... ყოველ დღე ვარჯიშობენ, ემზადებიან ომისათვის; ეტყობა, რუსეთი აპირებს, უფრო სამხრეთით გადმოიწიოს...

**ნახევრად ოკუპირებული ჩვენი ქვეყნის** ხელისუფლებები ბოლო დრომდე "ბუჩქებისა" და "ღამის კლუბების" პროპაგანდას ეწევიან; შესაბამისად:

– ახალგაზრდობის ნაწილი ოკუპაციას და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართველთა გენოციდსა თუ შეურაცხყოფას ახალ "ბასიანის ველზე" კვამლსა და ბოლში ცეკვით "ივიწყებს" (ხელისუფლებამ, პარტიების ლეღვის ფოთლებად ქცეულმა ცნობადმა სახეებმა თუ, ზოგადად, მამების თაობამ დავინახოთ ჩვენი ბრალი!);

– ახალგაზრდობის მეორე ნაწილი უცხოეთში იკარგება იმიტომ, რომ აქ ფეხს ვერ იკიდებს (ხელისუფლებამ, პარტიების ლეღვის ფოთლებად ქცეულმა ცნობადმა სახეებმა თუ, ზოგადად, მამების თაობამ დავინახოთ ჩვენი ბრალი!);

– საქართველოში დარჩენილი მცირე ჯანსაღი ნაწილი კი იბრძვის, მაგრამ რესურსი არ ჰყოფნის ეროვნული კონსოლიდაციისათვის (მივეხმაროთ მამების თაობა!)...

შესაბამისად: დღეს არსებულ რეალობაში გასაკვირი არ არის, რომ "ღამის კლუბებს" გაცილებით მეტი აქტივისტი ჰყავს, ვიდრე – დეოკუპაციას.

**დასკვნა: წლებია, სწორი მიმართულებით არ ხდება ახალგაზრდული ენერგიის მიმართვა; მეტიც,** მიზანმიმართულად ხდება ახალგაზრდობის დეზორიენტირება და დაბოლება; შედეგიც სახეზეა: ბასიანი გადადის უკანა პლანზე და "ბასიანი" ინაცვლებს წინა პლანზე.

**ხელისუფლების, ზოგადად, პოლიტიკური ელიტისა და საგანმანათლებლო ცენტრების მიერ დროულადაა შესაქმნელი პირობები, რომ მოხდეს ახალგაზრდული ენერგიის სწორი მიმართულებით დინება.**

12 მაისი, 2018

## არ მინდა გატკინო!

არ მინდა გული გატკინო,
ამიტომ დიდხანს ვიფიქრე, როგორ ჩამომეყალიბებინა ეს აზრი.
ვიცი, რომ ეს ბევრს ეხება:
ეხება მას, ვინც ილანძღება,
ეხება მას, ვინც კვერს უკრავს მლანძღველს,
ეხება მას, ვინც უპროტესტოდ ისმენს ლანძღვას.
საქართველოში ბევრს ვიცნობ; ბევრ ქართველს ვიცნობ საქართველოს ამჟამინდელი

საზღვრების მიღმაც. ჩემი ნაცნობების უდიდესი ნაწილი საქართველოს ღირსეული მოქალაქეა; საქართველოს გარეთაც ბევრი კარგი ქართველია; საოცრად ბევრი კარგი ქართველია, მაგრამ ამჟამინდელ პოლიტიკურ ელიტაში რატომაა ამდენი ინდივიდი თუ სუბიექტი, რომელიც ილანძღება, ანდა, ლანძღვის მუდმივი ობიექტია; შდრ.: ილიასაც ლანძღავდა რამდენიმე უგვანო, მაგრამ დრომ ადგილი მიუჩინა მათ; ბოლოს, სტალინიც კი (სულ ცოტა, მკვლელთა ჯგუფის ვირტუალური წევრი!) აქებდა წმი(ნ)და ილია მართალს.

**ოტია იოსელიანმა, პირადად, მეც მითხრა ერთხელ:** რეზო რომ ჩამოდის, მურადს სასტიკად ლანძღავს და მე ვეთანხმები; მურადი რომ ჩამოდის, რეზოს ანადგურებს და მასაც ვეთანხმები; რა ვქნა, ორივე მართალიაო...

რა მნიშვნელობა აქვს გვარებს:

მან ეს თქვა ორი მეცნიერის, ორი პოეტისა თუ ორი კრიტიკოსის შესახებ და ორივე მოსპო ჩემს თვალში.

დღევანდელი ერთი პარტიის აქტივი რომ მიწასთან ასწორებს მეორეს და პირიქით, თუ ორივე მართალია და ჩვენ პასიურად ვართ, სამივე მხარე ვართ ოტიას გასაკენწლი.

ვინც ილანძღება, ნამდვილად არ აგროვებს მომხრეებს: ხალხს დაბალანსებული, ღირსეული პოლიტიკოსი უნდა მესაჭედ და არა – შიზოფრენი.

დამეთანხმებით, ალბათ: თუ გაბრაზდება ადამიანი, გიჟს შეიძლება დაემსგავსოს, თუკი თავს არ შეიკავებს; გაბრაზებული ტაქტს არღვევს, ილანძღება, იგინება... გაბრაზებული ჩემი თავიც მიუღებელია ჩემთვის!

პოლიტიკოსებო, ჟურნალისტებო, ნუ ილანძღებით – სწორედ აგრესიის ფრქვევით თუ ნეგატივის ტირაჟირებით **კარგავთ ხალხის ნდობას!**

უფრო მთავარი სხვაა: ჩვენ ხომ ცოტანი ვართ, ქართველები! ნამდვილად არაა მოღალატე რომელიმე პარტიის **ყველა წევრი თუ ყველა აქტივისტი.** ყველა პარტიაშია ქვეყნის პატრიოტიც, შემცდარიც, ფულის მკეთებელიც: **ბოლო 26 წელიწადში ხელისუფლებაში ყოფნისას ყველა პარტიას ჰყავს უპოვრობიდან გამილიონერებულნი!..**

რომელ პარტიაშიც არ უნდა იყოს,

საქართველოს დამოუკიდებლობა თუ უნდა,

რუსი ოკუპანტებისაგან გათავისუფლება თუ უნდა,

ქართველური ფასეულობების აღორძინება-შენარჩუნება-განვითარება თუ უნდა,

რეალური დემოკრატია თუ უნდა,

უმცირესობების უფლებების დაცვა ნამდვილად თუ უნდა,

რატომაა ასეთი ადამიანი მოღალატე?!

ადამიანი თუ ამ ფასეულობებს აღიარებს, მას დავუჯერო თუ შენს ეჭვებს?

მოკლედ, შეიძლება ვინმე მართლაა და ალბათ, არის კიდეც მტრის მიერ დაქირავებული, ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული, მაგრამ ის კი არ უნდა ვლანძღოთ და ამ გზით გავაძლიეროთ (ლანძღვაც რეკლამაა!), არამედ **უნდა დავამარცხოთ!**

პარტიული ინტერესების გამო ნუ ილანძღები საჯაროდ!

მტერიცა და მოყვარეც ომში კარგად ჩანს!

საქართველოსათვის ყველა პიროვნება გავერთიანდეთ და გაყიდულნი გავამარგინალოთ; დამიჯერეთ, ისინი ძალიან ცოტანი არიან! **ძალიან ბევრი ჩვენი თანამედროვე ქართველია ღირსეული, პოტენციური გმირი!**

მოდი, საქართველოს მტერი დავამარცხოთ და არა – ერთმანეთი. კიდევ ერთხელ გავახსენებ საზოგადოებას: ჯერ დეოკუპაციაა მთავარი!

დეოკუპაციის გარეშე ვერ იქნება ღირსეული დაბრუნება აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში, სადაც მალე იქ დარჩენილი პრორუსი თუ იძულებით პრორუსი ჩვენი თანამემამულეებიც გადაგვარდებიან, თუკი ჩვენ დროულად არ მივეშველეთ.

**ჩვენ უნდა შევთანხმდეთ ამ მთავარ საკითხზე.**

შეიძლება "მრიცხველი" განსხვავებული გვქონდეს, მაგრამ "მნიშვნელი" უთუოდ უნდა ვიქონიოთ საერთო"; ამიტომ, თუკი ეს საერთო მნიშვნელი გვაქვს, დაუნდობლად ნუ მოვექცევით ერთმანეთს!

**P.S.** იქნებ შენ არ გეხება ეს ირიბი თუ პირდაპირი საყვედური, ამიტომ მომიტევე!

არ მიიღო საკუთარ თავზე ნეგატიური წახნაგი; ტექსტის პოზიტიური ნაწილი მიიღე საკუთარ თავზე :)

7 ოქტომბერი, 2018

## ზომბირება დანაშაულია!

ზომბირების შესახებ მეც მსმენოდა, მაგრამ მაინც და მაინც არც მჯეროდა...

ბოლო წლებში ჩემს სამ ნაცნობს უცნაური რამ დაემართა: უცებ დაიწყეს ახლო მეგობრების უსაფუძვლო ლანძღვა. არადა, სამივე კარგი ადამიანია... დავინტერესდი მათი აზრების ცვალების დინამიკით; შევისწავლე სხვა გარემოებებიც და უკვე ეჭვი აღარ მეპარება:

ცუდმა ადამიანებმა შეძლეს ჩემს სანაცნობო წრეში მყოფი სამი ადამიანის ცნობიერების შეცვლა: ორის – მცირე დროით, მესამისა – ხანგრძლივით... სამივე სუბიექტი სუსტი ნებისყოფისა და ეჭვიანი ბუნებისაა (ძლიერი ნებისყოფის ადამიანი სხვის გავლენას არ ექვემდებარება!). რამდენადაც ნებისყოფის სისუსტე აპირობებს ეჭვიანობას, ნეგატიური ზემოქმედების მოსურნე პირი (მაზომბირებელი) სწორედ ჭორებით ცდილობს "ობიექტის" დეზორიენტირებას...

ჩემს ნაცნობთა შემთხვევაში მიზანმიმართული ნეგატიური ჭორების თავზე მოხვევით შეძლეს სამივეს ზომბირება და მეგობრებთან დაპირისპირება. საბოლოო ჯამში, სამივე ჩააგდეს მძიმე მდგომარეობაში.

ადამიანების ზომბირება დანაშაულია!.. წლებია კლანთა თუ პოლიტიკოსთა ტელევიზიები ჩვენი საზოგადოების ზომბირებას ახდენს... ვერც ზომბირებული ადამიანი და ვერც ზომბირებული საზოგადოება წინ ვერ წავა... **სანამ ზომბირებას თავს არ დააღწევს ადამიანი თუ საზოგადოება, ვერ ამოვა უბედურების ველიდან.**

**P.S.** ლოცვა, დალოცვა, პოზიტიური რჩევა ადამიანს აძლიერებს; ზომბირება კი ნეგატიური ინფორმაციით ხდება: საკუთარი შინაგანი ნეგატივიც კი ადამიანს ანგრევს და სხვისი მიზანმიმართული ზემოქმედება რას უზამს?!

26 სექტემბერი, 2019

## ახალი პავლიკ მოროზოვი

გასული საუკუნის 20-იანი წლების პავლიკ მოროზოვის შესახებ ბევრი არაფერი იცის ამჟამინდელმა ახალგაზრდობამ:

განვმარტავ: ახალგაზრდა კომუნისტები, ბოლშევიკების კვალად, მზად იყვნენ მოეკლათ მშობელი, გაეყიდათ სამშობლო, თუკი "პარტია" დაავალებდა...

სინამდვილეში ეს იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც არც განათლება, არც პროფესია და არც ადამიანობა არ ჰქონდათ, მაგრამ ჰქონდათ ძლიერი "ვნება", ჰქონოდათ სტატუსი, თანამდებობა, გავლენა, ძალაუფლება... და ამას აღწევდნენ უზნეო გზით, აკრძალული ხერხებით, დაუშვებელი მეთოდებით... **"პარტიული იდეოლოგია" იყო მხოლოდ თავიანთი მხეცური და შურიან-ბოღმიან-კარიერისტული ბუნების შესანიღბავი საშუალება.**

ამ კატეგორიის ადამიანებისათვის არ არსებობდა:

ღმერთი,

სამშობლო,

მშობელი,

მასწავლებელი,

მეგობარი,

არც, ზოგადად, მოყვასი, როგორც ასეთი.

გასული საუკუნის ბოლოს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, ამგვარ მოვლენას ეწოდა **“კომკავშირული სული”**, თუმცა, მე რასაც მოვესწარ, კომუნისტთა თუ კომკავშირელთა შორისაც იყო ბევრი ღირსეული ადამიანი; უბრალოდ, საბჭოური კომუნისტ-კომკავშირლობა იმხანად **ნეგატიურ არაეროვნულ არსად** განზოგადდა (და იყო ამის რეალური საფუძველი!). სინამდვილეში პავლიკ მოროზოვი არ არის საბჭოთა პროდუქტი; მას უშუალო ბიბლიური წინაპარი ჰყავს – კაენი; შთამომავლებიც ჰყავს: კაცური ღირსების არმქონე გარეწრები თუ ჯგუფურად – ე.წ. თანამედროვე ფსევდოლიბერალები, რომლებიც თავისუფლებას ქადაგებენ ბოლშევიკთა მსგავსად, მაგრამ თავიანთი კარიერისტული ინტერესების განხორციელების გზაზე ყველა შემხვედრს ანადგურებენ, რითიც შეუძლიათ. დღესაც ასეთნი თავის დამკვიდრებას ცდილობენ წარმატებული ადამიანების მიმართ გესლის ნთხევით; საბოლოო ჯამში, არც ამათთვისაა: ღმერთი, სამშობლო, მშობელი, მასწავლებელი, მეგობარი, არც, ზოგადად – მოყვასი, როგორც ასეთი.

ფსევდოლიბერალიზმის შესახებ ადრეც დავწერე; ამ ჩანაწერს უფრო ცალკეული კაენური ინდივიდების შესახებ ვწერ: სოციალური ქსელი კარგად წარმოაჩენს ამჟამინდელ კაენთა სახეს:

ასეთები ავრცელებენ ჭორებს და ქილიკობენ მართალი და სახელოვანი ადამიანების მისამართით, ქმნიან „ფეიკებს“... რომ სხვათა დამცრობით წარმოჩნდნენ; მოგკლავენ კიდეც, რომ შეეძლოთ! ისინი უღირსებოდ ემსახურებიან მათივე სულისკვეთების ზემდგომთ, რომ კარიერა გაიკეთონ; ბოღმით ბღალავენ ყველა სიწმინდეს, რომ თავიანთი უზნეობა თვალსაჩინო არ იყოს...

მოკლედ, კაენის მემკვიდრე პავლიკ მოროზოვი უკვდავია ისევე, როგორც უკვდავია ადამიანის აბელური საწყისი.

ცხოვრება გრძელდება: **ადამიანს მუდამ აქვს არჩევანი ამ ორ საწყისს შორის.** საბედნიეროდ, ჩვენს გარშემო ძალიან ბევრი ნათელი ადამიანია; ახალი თაობის დიდი ნაწილიც სუფთაა.

ძალზე იშვიათია გამოკვეთილად კაენური საწყისის “პავკა მოროზოვი”; ბუნებრივია, ასეთნიც მუდან იქნებიან. მთავარია, მათი რაოდენობა დასაშვებ ზღვარს არ გადასცდეს. უფრო მეტია, გაცილებით მეტია ლაბილური (მერყევი) ადამიანი, რომელიც ხან ერთ კალაპოტშია, ხანაც მეორე კალაპოტში ვარდება ხოლმე; სწორედ ამგვარს ესაჭიროება თანადგომა, თორემ კაენურ კალაპოტში მყარად ჩალუარსაბებულს აღარაფერი ეშველება.

29 სექტემბერი, 2019

## ამ უსამართლო ცხოვრების დედაც!

**ამ ცხოვრების დედაც!..** თქვა 15 წლის ბიჭმა და გადმოხტა მე-9 სართულიდან. საქმე, ალბათ, აღძრულია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. რა მოხდა სინამდვილეში? ვინ არის დამნაშავე?

**დანაშაულის მოკლე სავარაუდო ქრონიკა:** ჩვეულებრივი თბილისური ოჯახი ზრდის ორ ვაჟიშვილს. უფროსი შვილი ჯარში მსახურობს. მშობელს სურს, დამამთავრებელ კლასებში ლუკას (რა სახელი დაარქვა მშობელმა ახალდაბადებულს!) კარგ კერძო სკოლაში ასწავლოს და ალბათ, ამიტომ გადაჰყავს ბაკურ სულაკაურის მიერ დაფუძნებულ „მწვანე სკოლაში“. ალბათ, სწავლის საფასურის ვერგადახდის გამო ახალდაქვრივებული დედა ბიჭს აბრუნებს საჯარო სკოლაში... ყველას აქვს ოჯახური პრობლემა; ალბათ, ეს თემაც დააწვა მოზარდის ფსიქოლოგიას: სკოლის დატოვების გამო **ბიჭი განიცდის მეგობართან თუ მეგობრებთან განშორებას...** ერთ-ერთ ღამეს გადადის ყოფილი სკოლის ეზოში და წითელი საღებავით აზიანებს კედლებს, კარადებს, ნახატებს... შემდეგ წერს უკვე საკრალურად ქცეულ ფრაზასაც (რომელიც დღეიდან აღარაა გინება!): **„ამ ცხოვრების დედაც...“**

ამ წარწერით გაცხადდა ტრაგედია: დაიწყო ლუკა სირაძის დაკითხვები, ლანძღვა... ყოველივეს მოჰყვა უსამართლობის მძაფრი განცდა და ბოლოს, მე-9 სართულიდან გადმოხტომის წინ: **მართლა „ამ ცხოვრების დედაც!!!“**

ვინ არის დამნაშავე 15 წლის ლუკა სირაძის სიკვდილში? ვინ იყო დამნაშავე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში? მხოლოდ ფიზიკური მკვლელები? ვინ არის დამნაშავე ბოლო 30 წელიწადში წამებით მოკლული სხვა პირების სიკვდილში? მხოლოდ ჯალათები?

**გავზარდოთ ამპლიტუდა:** ვინ არის ბრალეული წამებით მოკლული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილში? არა მხოლოდ ის, ვინც ბოლოს ესროლა „გეკოს“ ტყვია (არ არის ის მოკლული „სტეჩკინით“!)...

ილია ჭავჭავაძე არ მოუკლავს მხოლოდ ბერბიჭაშვილს; ილიას მკვლელობაც ბოლო „აკორდი“ იყო იმპერიული და კოსმოპოლიტური ძალების მიერ მისი მიზანმიმართული დისკრედიტირების შემდეგ.

კიდევ ბევრი შემთხვევის გამო შეგვიძლია ვთქვათ: **„ამ უსამართლო ცხოვრების დედაც!..“**

**„ამ ცხოვრების დედაც!“** – ეს ფრაზა უსამართლო ყოფის ტკივილიან სამუდამო ასახვად აქცია 15 წლის ბიჭის თვითმკვლელობამ, თვითმკვლელობამ, **რომელშიც დამნაშავე არის მანკიერი სისტემა, რომელშიც ვცხოვრობთ, სისტემა, რომელიც ამცირებს, რომელიც კლავს, რომელიც ანადგურებს...** ფაქტია: დიდი უსამართლობა ტრიალებს ჩვენს თავზე, უსამართლობა, რომელიც ჩვენს შვილებსაც კლავს და თუ ასე, გაგრძელდა, კიდევ ბევრჯერ მოგვკლავს!

ეს მანკიერი სისტემა დღეს და გუშინ არ შექმნილა: 1992-93 წლების დიდი სახელმწიფო დანაშაულის წიაღში იშვა ეს სისტემა; **მხოლოდ ძალაუფლებაზე დაგებილი პოლიტიკური სპექტრი თვითგაჯანსაღებით ვერასოდეს შეიცვლება!** არადა, აუცილებელია ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრი, რომ ნაწილობრივ მაინც დაისადგუროს სამართლიანობამ ჩვენს ქვეყანაშიც. და ასეთი პოლიტიკური სპექტრი ჩვენს გარეშე ვერ შეიქმნება.

**ჩვენ, ყველანი წინ თუ აღვუდგებით ჩვენს გვერდით მიმდინარე უსამართლობას, ბიჭებსა თუ გოგონებს თვითმკვლელობამდე აღარ მიიყვანს უსამართლობა თუ ღირსების აყრა...** ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ როდის დაწერა „სარჩობელაზედ“ (რომელსაც დღევანდელი გადასახედიდან უფრო მოუხდებოდა სათაური: „ამ ცხოვრების დედაც!).

**„სახრჩობელაზედ“ ასე მთავრდება:** „შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი – იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. **მართალი ვარ, თუ მტყუანი, — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მჭონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზე-ღა დაკიდებული. მშვიდობით!..“**

**P.S. ცხოვრებიდან კი არ წავიდეთ, დავგმოთ უსამართლო ცხოვრება, უსამართლობას წინ აღვუდგეთ, რომ სიცოცხლე მშვენიერი გახდეს.**

18 დეკემბერი, 2019

## ეშმაკეული, ეშმაკისეული და ღვთისნიერი

ამ ჩანაწერს წუხანდელი, 2020 წლის 29 მარტის, რამდენიმე „ტელეშოუს“ გამო ვაკეთებ. მიზანმიმართულად დავწერე „ტელეშოუ“ და არა – „ტელეინფორმაცია“: corona-19-ით გამოწვეულ მსოფლიო კრიზისში ადამიანი ტელეეთერით ნეგატივსა და პანიკას რომ თესავს, ეს არ არის საზოგადოებისათვის „ინფორმაციის მიწოდება“; ესაა ბოღმიანი პოლიტიკოსის ნეგატივზე ორიენტირებული ტელეშოუ, რომელიც ყველას აზარალებს: მოპირისპირე პარტიასაც, საზოგადოებასაც, სახელმწიფოსაც და საკუთარ თავსაც.

ამ შესავლის შემდეგ მოკლედ სათაურად გამოტანილი ტერმინების შესახებ:

**1. ეშმაკეული**

ჩემი აზრით, ტერმინი: „ეშმაკეული“ ნიშნავს ნიჭიერ, გონებასხარტ, მაგრამ ყველაფრის მკადრებელ, **სხვისი ღირსების შებღალვაზე** მომუშავე, გულღრძო ადამიანს. ეშმაკეული დღენიადაგ ცდილობს, ჭორითა თუ სიმართლის ნაწილობრივი დამახინჯებით სახელი გაუტეხოს მოწინააღმდეგე მხარეს. უშეცდომო და უნაკლო ადამიანი არ არსებობს; ეშმაკეული კონკრეტული ადამიანის ნაკლისა თუ შეცდომის ტირაჟირებით აბრკოლებს სხვებს; ცდილობს ადამიანების პირდაპირ თუ ირიბ ზომბირებას, რომ ხალხმა ვერ აღიქვას სხვა ადამიანის, სხვა პარტიის პოზიტივი და მას გაეხსნას სამოქმედო ასპარეზი.

ეშმაკეულის ქმედებას, როგორც წესი, ორი სახის უარყოფითი შედეგი აქვს: ზოგი მართლა ბრკოლდება, ზოგი კი ხვდება ამ ეშმაკეულის ჩანაფიქრს და გადადის აგრესიაზე – ლანძღავს ეშმაკეულს. ეშმაკეულის მიზანი ორივე შემთხვევაში მიღწეულია: საზოგადოებაში აქტიურდება ნეგატივი, ბილწსიტყვაობა, აგრესია... **და საზოგადოება კარგავს სიმშვიდეს.** სიმშვიდედაკარგული ადამიანი იოლად დეზორიენტირდება, უქვეითდება მრავალწახნაგოვანი განსჯის უნარი, ემღვრევა სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა... „ამღვრეულ წყალში“ კი ეშმაკეული წარმატებას აღწევს. ეშმაკეული უშუალოდაც ახდენს საზოგადოების ზომბირებას სხვისი, მისგან მართული ადამიანების საშუალებითაც.

**ეშმაკეულის მიზანია უზნეო გზებით მუდმივი წარმატება,** ამიტომ მას სხვისი მოსაზრება არ აინტერესებს. ამ წერილზე ათასჯერ უკეთესი ნაწერიც ვერ შეაგნებინებს რამეს. მე ამას ვწერ წესიერი ადამიანისათვის, რომ ეშმაკეულთა ტელედეზორიენტირებით არ დაბრკოლდეს და ამ დაკორონავირუსებულ გარემოში პანიკამ არ მოიცვას.

**2. ეშმაკისეული**

ეშმაკისეულიაადამიანი,რომელიცექვემდებარებაეშმაკეულს.ეშმაკეულიაქვეითებსანსრულად ანადგურებს მასზე დამორჩილებული ადამიანის დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობას... ეშმაკისეული პირის ცნობა ადვილია, რამდენადაც მონა ადვილად შესამჩნევია, რაგინდ მაღალი თანამდებობა ჰქონდეს. ეშმაკისეულის ყველაზე შთამბეჭდავი სახე შექმნა ჩინგიზ აიტმატოვმა **მანქურთის** სახით. სამწუხაროდ, საქართველოში დღესაც არიან პარტიული მანქურთები.

გაცილებით რთულია ეშმაკეულის (შე)ცნობა; თუმცა, პრობლემური არ არის, თუ დაუკვირდებით: ვინც ცალმხრივი ინფორმაციული ზეწოლით დამოუკიდებელი აზროვნების საშუალებას გიზღუდავს, ვინც თავისუფალი აზროვნების საშუალებას გართმევთ, ის ეშმაკეულია.

**3. ღვთისნიერი**

არსებობს სხვა ტერმინიც: ღვთიური. „ღვთიურმა“ „ზებუნებრივის“ მნიშვნელობა უფრო დაინარჩუნა, ამიტომ ამ კონტექსტში ვირჩევ ტერმინს: „ღვთისნიერი“. „ღვთისნიერი“ ნიშნავს „მოწყალეს“, „კეთილს“, ადამიანს, ვინც მადლს ქმნის და სამაგიეროს არასოდეს ითხოვს. ჩემი აზრით, ასევე, **ღვთისნიერია ადამიანი, რომელიც დაბალანსებულ ინფორმაციას გაწვდის და არჩევანის რეალურ თავისუფლებას გაძლევს.**

**P.S.** წუთისოფელში ღმერთს ცხადლივ ვერ დავინახავთ, უნდა ვიგრძნოთ. ეშმაკსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ შეგვიძლია დავინახოთ ეშმაკეული; მით უმეტეს, იოლია ეშმაკისეული ადამიანის დანახვა.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავინახოთ **ღვთისნიერი ადამიანიც**, რამდენადაც ჩვენ გარშემოც ბევრია ასეთი პიროვნება. თქვენ(ც) ღვთისნიერი ბრძანდებით, ამ წერილის კეთილგანწყობით მკითხველო!

ღმერთმა გამრავლოთ :)

30 მარტი, 2020

# “ახალი კლასტერი”

“ფეისბუკი” ატომურ ენერგიასავითაა:

ატომური ენერგია კარგი ადამიანის ხელში სინათლეს იძლევა, ცუდი ადამიანის ხელში კი მასობრივი განადგურების იარაღია.

ფეისბუკი (ზოგადად, სოციალური ქსელი) კარგი ადამიანებისათვის ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების საშუალებაა, ცუდი ადამიანებისათვის კი – დეზინფორმაციისა.

ერთიც: ფეისბუკმა წარმოშვა ახალი კლასტერი: “ფეისბუკმეცნიერები”. ამ “კლასტერის” წევრებს მოცემულ თემაზე ერთი სამეცნიერო ნაშრომიც კი არ წაუკითხავთ (დაწერაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) და მეცნიერთა დასკვნებს უარყოფენ, აკრიტიკებენ, ილანძღებიან... ამ გზით ცდილობენ, არასპეციალისტთა წრეში მაინც დაიმკვიდრონ თავი (არადა, ცოტაა სპეციალისტი)

ფეისბუკმეცნიერთა კლასტერში აგრესიულობით გამოირჩევიან პრორუსული სუბიექტები; შესაბამისად, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ საქართველოში “ფეისბუკმეცნიერობა” დიდწილად პუტინის რუსეთის იმპერიის საინფორმაციო თავდასხმის ნაწილია (რუსული აგრესიის ფონზე უსუსურებად ჩანან სხვა მეზობელთა ფეისბუკაქტივისტები).

... ზოგი მეუბნება, ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი იქონიოსო; რა თქმა უნდა, საკუთარი აზრის ქონის უფლება ყველას აქვს, მაგრამ კონკრეტულად ვწერ: მოცემულ სამეცნიერო დარგში ადამიანს არაფერი რომ არ დაუწერია, არც წაუკითხავს და ამ დარგის მეცნიერს აკრიტიკებს, მეტიც, ლანძღავს, ესაა ფეისბუკმეცნიერობა.

პოლიტიკურ სფეროში ავანტიურიზმი უფრო შორს მიდის: ზოგი გამოდგება და აშკარა მოღალატეს გმირად წარმოგიჩენს. ესეც გარედან შეკვეთილი თამაშია, მეტწილად. ამერიკის საპრეზიდენტო მარათონში ჩართულნიც იყენებენ მსგავს ტერმინოლოგიას.

პოლიტიკა ჩემთვის, პირველ რიგში, მეცნიერებაა. მეორე რიგში, პროფესიაა და არა ხელობა.

ლიდერი გმირი არ არის. გმირობა და მოღალატეობა ნათელი კატეგორიებია ისტორიულ კონტექსტში. პოლიტიკაში კი დაბალი ინტელექტი ნამდვილად საშიშია.

18 სექტემბერი, 2020

# 3.3. დეპრესია, სიზმარი; ადამიანი, საზოგადოება

# როგორ ვუშველოთ დეპრესიაში მყოფთ?

ამდილითერთ-ერთსოციალურქსელშიშემთხვევითწავაწყდიენერგოვამპირისდახასიათებასა და ლანძღვას; დავიმოწმებ ერთ-ერთ სწორ შეფასებას ენერგოვამპირის მახასიათებელი ნიშნების შესახებ (მცირედი ჩემეული დამატებებით):

“ემოციური ადამიანი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს და კატეგორიულია; სამყაროს მხოლოდ თეთრ და შავ ფერში ხედავს. დაკომპლექსებული, დეპრესიული და გულჩათხრობილია; სტრესგადატანილია; ადვილად ფეთქდება, აგრესიულია; უაზროდ ეჭვიანია და არავის ენდობა; არ აქვს მყარი ღირებულებები; ურწმუნოა”.

ჩემი დაკვირვებით, ენერგოვამპირის მსხვერპლიც იძენს ზოგ ამ თვისებას: ენერგოვამპირის მსხვერპლს ახასიათებს: ზოგადად გულჩათხრობილობა, მაგრამ იშვიათად ბევრი ლაპარაკი; სამყაროს ესეც უკვე მხოლოდ თეთრ და შავ ფერში ხედავს. დაკომპლექსებული და დეპრესიულია; ეჭვიანია და აღარავის ენდობა; ეფანტება ღირებულებები; სტრესში ვარდება; ხშირად უარყოფს ღმერთის არსებობასაც....

აუცილებელია, მსხვერპლი მოერიდოს ვამპირს და ოპტიმისტთა წრეში იტრიალოს; თუკი ვამპირი ოჯახის წევრია, ასეთ შემთხვევაში ჩემი რჩევებია:

1. შეხედე ენერგოვამპირს, როგორც ავადმყოფს, სუსტს და არა როგორც დამთრგუნველ მონსტრს;

2. არ იკამათო ენერგოვამპირთან;

3. უნაკლო არავინაა, შენ გაცილებით მეტი კარგი გაქვს, ვიდრე – არაკარგი, ამიტომ განწყობა მისკენ მიმართე, ვისაც უყვარხარ;

4. ხშირად ისეირნე მზიან თუ ნისლიან მთებში მასთან ერთად, ვინც გიყვარს და ისაუბრე საკუთარ განცდებზე, პოზიტიურ თემებზე (და არა – სხვების პრობლემებსა თუ ქცევებზე);

5. უკამათოდ ირწმუნე, რომ ღმერთი ყველასა და ყველაფერს ხედავს; ეკლესიაში თუკი ვერ ახერხებ სიარულს, ხშირად დაანთე სანთლები და ფსალმუნები იკითხე;

6. იყავი ბედნიერი იმით, რაც გაქვს და ნუ იქნება უბედური იმით, რაც არა გაქვს;

7. ცხოვრება ცისარტყელასებრ მშვენიერია: ძალიან ცოტაა შავი ფერის ადგილი; გაცილებით მეტია მშვენიერი ფერი! შეეცადე დაიჯერო ეს და ცხოვრებაც ფერადოვნად დაგენახვება :)

თუ დამიჯერებ, სასიამოვნო საურთიერთო გახდები, სტრესი კი დაგივიწყებს.

**P.S.** ეს რჩევები (პირველისა და მეორის გამოკლებით) სასარგებლოა არც თუ ასაკოვანი იმ ადამიანისთვისაც, ვისაც თითქმის იგივე სიმპტომები უვლინდება ოჯახური ერთფეროვანი ცხოვრებისაგან თუ ახლობელი ადამიანისადმი იმედგაცრუების შემდგომ შექმნილი განწყობის გამო.

მე მეცოდება ენერგოვამპირიც და მასაც მივცემ რამდენიმე რჩევას, ოღონდ, ეს რჩევები თანამიმდევრულად უნდა განახორციელოს: ჯერ პირველი, შემდეგ მეორე და ა.შ.

1. დაარწმუნე: სხვას როცა ლანძღავს, საკუთარ თავს უფრო ლანძღავს; შენი დახმარებით ამას როცა გააცნობიერებს, არავის გალანძღავს;

2. გააგებინე, რომ უარყოფითი ემოცია სასიცოცხლო ენერგიას ანადგურებს, ამიტომ ემოცია მხოლოდ სიყვარულში გამოხატოს; აუხსენი: ნამდვილი სიყვარული ისაა, როცა გინდა, ვინც გიყვარს, კარგად იყოს და არა ის, ვინც გიყვარს, შენი იყოს;

3. ლაპარაკი ადამიანს დიდ ენერგიას ართმევს, ამიტომ ერჩივნოს, მხოლოდ საქმესა და სიყვარულზე ილაპარაკოს, რომ ნაადრევად არ დაბერდეს;

4. ადამიანური სიმართლე პირობითია; თავისი ათვლის სისტემიდან მხედვარე ყველა წესიერ ადამიანს ჰგონია, მართალია, თუმცა, ყველა მართალი ვერ იქნება; როცა მასთან არ კამათობ, ამ დროს დააჯერე, რომ ზოგჯერ სხვაც მართალია;

5. ეჭვიანობა საწამლავია და არა – წამალი; ეჭვიანობს სუსტი; ჯობია ენდო და მოტყუვდე, ვიდრე ცხოვრება მოიწამლო მუდმივი ეჭვებით; ტყუილი მატყუარას მოეკითხება და არა – მოტყუებულს; ეს ჯერ შენ უნდა ირწმუნო და მერე მასაც დაჯერებ :)

6. ცხოვრება ცისარტყელასებრ მშვენიერია: ძალიან ცოტაა შავი ფერის ადგილი; გაცილებით

მეტია მშვენიერი ფერი! შეეცადოს დაიჯეროს ეს...

7. ღმერთი არსებობს; ეკლესიაში სანთლებს თუ დაანთებს, შვებას იგრძნობს, მერე ლოცვით გაძლიერდეს; ზიარება კი სასწაულის ტოლფასია; და განკურნებაც მოვა.

**P.S.** კიდევ შეიძლება დავხვეწო, თუკი დროს მოვიტოვებ საამისოდ და თუკი თქვენ შემეკამათებით :)

20 დეკემბერი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## სიზმარი – ცოცხალთა და გარდაცვლილთა საერთო განზომილება /ნესტან კვეიძე/

"სიზმრის" ფენომენის შესახებ უამრავი გამოკვლევაა დაწერილი და ამ მოვლენის კვლევა ფსიქოლოგთა თუ ანთროპოლოგთა (ფართო გაგებით) საქმეა; მე, უბრალოდ, რიგითადამიანურად შევეხები:

ჩემთვის სიზმარი ადამიანური ცხოვრების ის სივრცეა, სადაც შესაძლებელია ცოცხალთა და გარდაცვლილთა რეალური საუბარი, გახარება ერთმანეთთან საუბრით და ა.შ.

ცნობისათვის: უძველეს ქართულში გარდაცვალება "ადგილის გამოცვლაა" და არა – სიკვდილი. სული რომ უკვდავია, ამაში ბევრს არ ეპარება ეჭვი; არც მე. დავძენ: სული არა მხოლოდ უკვდავია, **სული არც არასოდეს იძინებს.** ხორციელი ძილის დროს (ძილი ხორციელი სიკვდილის სახესხვაობაა!), სული ანუ ადამიანის უკვდავი არსი, გადის სხვა სივრცეში; დავარქვათ ამ სამყაროს **სიზმრის სამყარო**; ანუ პირობითად ვთქვათ, რომ ადამიანის სული სამ განზომილებაში შეიძლება რეალიზდეს:

– ამქვეყნიურ სამყაროში – ხორციელ "გარსში";

– მარადიულ ანუ იმქვეყნიურ სამყაროში /რეალური სახით/;

– სიზმრის განზომილებაში /სიზმრის სამყარო ამ ორ სამყაროს შორისაა/.

დღეს ვირტუალური სოციალური ქსელიც – ახალი "ფსევდოგანზომილებაც" – აქტუალურია: ილუზიური სამყაროს ამ სახესხვაობის შესახებ სხვა დროს დავწერ, ახლა სიზმრისკენ ვარ გეზმიმართული.

ძილის დროს ადამიანის ხორციელი გარსი ისვენებს, სული კი გადის ამქვეყნიური ცხოვრებიდან და იმ განზომილებაში "ხეტიალობს", რომელიც ახლოსაა მარადიულ სამყაროსთან (სულების სამყაროსთან); ეს ძილ-ბურანის ანუ სიზმრის "განზომილებაა". სიზმრის "ველში" ზოგჯერ შემოიხედავენ თუ შემოსხლტებიან ხოლმე მარადიულ სამყაროში გარდასული თუ იმ ფიზიკურად ცოცხალ ადამიანთა სულები, **რომლებიც გვენატრება, ანდა, რომელთაც ამქვეყნიურ "გარსში" ვენატრებით**; ასევე, რომლებიც გვძულს, თუ რომელთაც ვძულვართ; თუ განვაზოგადებთ, სიზმრის განზომილებაში შემოგვხედავენ ხოლმე სულები (ადამიანები), რომელთა არსებობა გვაღელვებს ძლიერი დადებითი ემოციით ან უარყოფითი ემოციით.

ნამდვილად არ ვარ "სიზმარა" (სიზმარზე მიჯაჭვული), მაგრამ ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, ჩემი სიზმრული ცხოვრება გაგრძელებადი სამყაროა; ანუ სიზმარში, რაც ხდებოდა, მაგალითად, წლების წინ მრავალი ღამის განმავლობაში /მე ნორმალური ადამიანი ვარ და ღამე მძინავს :)/, ის გრძელდება ხოლმე ახლაც და, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება; ანუ სიზმრები საინტერესო და ნიჭიერად გადაღებული სერიალივითაა: დრო და დრო გრძელდება "სიუჟეტი" თუ "სიუჟეტები".

მესიზმრებიან თუ მახსენდებიან: ბაბუაჩემი, უმშვენიერესი ბებიაჩემი, ტრაგიკული მამაჩემი, მარტოსული ნესტან კვეიძე, ჩემი გარდაცვლილი მეგობრები... რა თქმა უნდა, დღეს ცოცხალი კარგი ადამიანებიც მესიზმრებიან. ცუდ ადამიანებს სიზმარშიც კი არ ვუშვებ ჩემს სიზმრულ სამყაროში: იშვიათად თუ შემოღამურდება ვინმე, მაგრამ მალევე ვატოვებინებ ჩემეულ სიზმრისეულ სამყაროსაც, თუკი თავისი დანაშაული არ მოინანია.

**ეს ჩანაწერი ნესტან კვეიძის დამსახურებაა:** ნესტან კვეიძე წუხელიც შემოვიდა ჩემს სიზმრულ განზომილებაში: სანამ ფიზიკურად იყო ცოცხალი, მას უხაროდა ამქვეყნიური სიცოცხლე /და სიკვდილის ეშინოდა/... ბოლოს რომ ვნახე, **იმედწართმეული შვლის ნუკრივით იყო მობუზული**

**და კვნესოდა; ავადმყოფობის დროს არ უნდოდა ვენახე, მაგრამ იმ დღეს უკვე აღარ განიცდიდა ამქვეყნიურ სახეს... ნესტან კვეიძე დედამიწიერი სიცოცხლის საოცარი მშვენიერება იყო: დიდი სევდის მიუხედავად, მაინც მხიარული, მომღერალი, პოეტი, მწერალი, საინტერესო მსახიობი... უხაროდა "იმერეთის დედოფლობა" და სულ სიყვარულზე წერდა და საუბრობდა...**

არ შეიძლება ასეთი ადამიანი მოკვდეს და ამიტომაც ახლა მარადიულ სამყაროშია და ზოგჯერ შემოვა ხოლმე სიზმრულ ველშიც: წუხელ ხალხმრავალ ადგილას იყო, მხიარულობდა; მერე რატომღაც შეუძლოდ გახდა და ერთი მეგობრის მანქანით გავაცილეთ: გზად მიმავალ მანქანების კოლონას შეუერთდა, რომ დაესვენა.

იქნება გარდაცვალება მართლაც დასვენებაა; ოღონდ, ბუნებრივი "სიკვდილი", ვინაიდან თვითმკვლელობა სამუდამო ტანჯვაა თვითმკვლელთათვისაც და ცოცხლად დარჩენილთათვისაც. სიცოცხლეზე, მარადიულ სიცოცხლეზე მინდოდა დამეწერა, გარდაცვალების თემა "სიკვდილის სევდამ" მაინც შემოიყოლია ამ ნაწერში, მაგრამ გოდერძი ჩოხელისგან მკვეთრად განსხვავებულად დავასრულებ:

ჩემთვის სიკვდილი არ არსებობს! თქვენც ასე იფიქრეთ და ძალიან ბევრი დრო დაგრჩებათ კარგი საქმის, სიკეთისა და სიყვარულისათვის; ლადო ასათიანსაც მოუსმინეთ ხოლმე: "სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ!.."

მოკლედ: გარდაცვალება სხვა განზომილებაში გადასვლაა – მარადიულ სამყაროში გადასვლაა, სიზმარი კი მონატრებულ ცოცხალთა თუ მომნატრებელ გარდაცვლილთა მუდმივი შეხვედრების ადგილია. სანამ ხორციელ სამყაროში ხარ, ბევრი ისეთი მართალი /მყარი, ნამდვილი/ რამ უნდა შექმნა, რომ საუკუნოდ დარჩეს; რაც მთავარია, **უსივრცოდ, უკიდეგანოდ, უსასრულოდ, ენერგიადაუზოგავად უნდა გიყვარდეს,** რომ მერე, როცა სხვაგან გადაინაცვლებ, ხშირად შეძლო შენიანთა სიზმრებში შებრუნდე და მეგობრობა თუ სიყვარული დრო და დრო გააგრძელო... პირადად, მე ასეთი განცდებითა თუ ფიქრებით დავამარცხე სიკვდილის შიში და ამგვარ განწყობას მიმტკიცებს ჩემი ყოველი სიზმარიც კი.

**P.S.** სიზმრად მე ვხედავ ხოლმე მამაჩემს, "იმერეთის დედოფალსა" და ჩემს კარგ მეგობრებს, რომელთაც "უცაბედად" დატოვეს ეს სამყარო (გამოთქმა: "უდროო სიკვდილი" არ მომწონს; დროს დროულობას უფალი წყვეტს).

15 ივლისი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## გადაწყვეტილების მიღების შესახებ

ადამიანთა დიდ ნაწილს უჭირს მიიღოს სწორი და დროული გადაწყვეტილება. უფრო უჭირთ მათ, ვინც გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით... ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ებრაული წყევლა: „შენი არ იცოდე და სხვისი არ მოისმინოო"...

მოკლედ: სწორ გადაწყვეტილებას დროულად მიიღებს ადამიანი, რომელიც მადლიერებითა და ყურადღებით მოისმენს სხვა ადამიანების, განსაკუთრებით კი სანდო ადამიანების (მშობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები...) რჩევებს და ამ რჩევების კრიტიკული ანალიზის შემდეგ მიიღებს თავის გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილების მიღებას აიოლებს გამორიცხვის წესი: კონსულტაციების შემდეგ უნდა დაუშვა შესაძლო გადაწყვეტილების რაც შეიძლება მეტი ვარიანტი; კრიტიკული ანალიზით ამათგან უნდა დატოვო რამდენიმე უფრო რეალური ვარიანტი; ამ რამდენიმესგან კი ერთი რომელიმე.

**P.S.** – ადამიანი, რომელიც სხვისი მოსაზრების, რჩევისა თუ სხვათა გამოცდილების გაზიარებით/მოსმენით არ ინტერესდება, წარმატებულ წინსვლას ვერ შეძლებს (მხოლოდ საკუთარი შეცდომებით ვირი სწავლობს).

– ადამიანი, რომელიც უახლოესი ადამიანების რჩევებს ზეწოლად თვლის, მეტიც, ღიზიანდება,

ბევრ დროსაც დაკარგავს და კისერსაც აუცილებლად მოიტეხს.

– ჭკვიანია ადამიანი, რომელიც სხვათა გამოცდილებისა და ახლობელთა მოსაზრების, რჩევის გაანალიზების შემდეგ თავად აკეთებს არჩევანს. ჭკვიანი ადამიანი გულახდილია მეგობრებთან/მშობლებთან, რომ დროულად იპოვოს სწორი ორიენტირები და გადაწყვეტილება დროულად მიიღოს. ადამიანის ფიქრი (ანალიზი) სინათლის სიჩქარეზე სწრაფია

22 ივნისი, 2016

## მაგალი თოდუას წუხანდელი საუბარი (14.02.2017)

სიზმარი ნამდვილად საინტერესო მოვლენაა: **სიზმარში აისახება ადამიანის მთავარი ფიქრი, ემოცია, ტკივილი, სიხარული, ადამიანთა ქვეცნობიერი კავშირები, ინტუიციური ხედვა და... გარდაცვლილებთან ურთიერთობაც.**

წუხელ სიზმარში მთელი ღამე თუ ღამის რამდენიმე წამს ვუსმენდი დიდებულ ირანისტსა და მთარგმნელს, **აკადემიკოს მაგალი თოდუას,** კაცს, რომელმაც ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორობის პერიოდში დააფუძნა დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მის დირექტორად მიმიწვია 1992 წლის ბოლოს, **კაცს, რომელიც გარდაიცვალა 2016 წლის მაისში**

(http://medianews.ge/ge/tsnobilimetsnierimagalitoduagardaitsvala/2064).

სიზმარში ბატონი მაგალი დიდ სუფრასთან იჯდა, მოგვმართავდა მე, ნომადი ბართაიას და კიდევ რამდენიმე კაცს. სანამ სიზმარს გავახმოვანებდე, მანამდე მოკლედ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ბედის შესახებ:

1993 წლიდანვე ეს ინსტიტუტი იქცა **90-იან წლებში ჩამკვდარი ქართველოლოგიური მეცნიერების ოაზისად;** კერძოდ: ქუთაისში დავაარსეთ სამეცნიერო ჟურნალი "ქართველური მემკვიდრეობა", რომლის მე-20 ტომი წელს გამოდის და დავაფუძნეთ საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქუთაისური საუბრები" (ვგეგმავთ, რომ მე-14 წელს ჩატარდეს)... 2005 წელს დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეწოდა **ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.** ამ დროს ინსტიტუტში მუშაობდა 30 მეცნიერ-თანამშრომელი და ტექნიკური მუშაკი.

2007 წლის 23 ოქტომბერს ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში გაიხსნა სტამბოლის ქართული სავანის შემსწავლელი ცენტრი – პავლე და სიმონ ზაზაძეების სახელობის კაბინეტი, რომლის მიზანი იყო სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული მასალების კვლევა.

2008 წლის 29 მარტს ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტში დაარსდა **წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის სამეცნიერო ცენტრი,** რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა:

ა) ქართული სამწიგნობრო ენის სარეკომენდაციო ლექსიკონის შექმნა;

ბ) ქართველური დიალექტების სალექსიკონო მასალის მომზადება;

გ) ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიის, ზოგადად, ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ საჯარო-პოპულარული ხასიათის ლექციების ორგანიზება.

მაგალი თოდუასა და ავთანდილ ნიკოლეიშვილის რექტორობის პერიოდში დიალექტოლოგიის ინსტიტუტი წინ და წინ მიიწევდა. **2010 წლიდან** დაიწყო ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის შევიწროება; **2011 წლის დეკემბერში** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი შეიცვალა: ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სახელწოდებით შევიდა უნივერსიტეტში ახლად ჩამოყალიბებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. თანამშრომელთა რაოდენობა კი 5-მდე შემცირდა... ამისდა მიუხედავად, მაინც შევინარჩუნეთ კვლევის ძირითადი კალაპოტი, სამეცნიერო ჟურნალი, სიმპოზიუმიც კი.

**2010 წლიდან 2017 წლამდე მე და ეკა დადიანი დაუღალავად ვიბრძოდით, აღდგენილიყო**

**ქართველოლოგიის ინსტიტუტი.** რექტორის, პროფ. გიგა ღავთაძის მეცნიერებისადმი პატივისცემის გამო, რექტორატის თანადგომით სულ ახლახან ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება დაბრუნდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში და **ეწოდა მას ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.** ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად უკვე ჩემი წინადადებით დაინიშნა პროფესორი ეკა დადიანი.

**წუხანდელი სიზმრისეული ბუნდოვანება კი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცე:**

ბატონი მაგალი ამბობდა სადღეგრძელოს, თუმცა, მოგვმართავდა მე, ნომადი ბართაიას და კიდევ რამდენიმე კაცს; სუფრა დიდი იყო და სიჩუმეში ყველას გასაგონად ლაპარაკობდა; სიზმრული ბუნდოვანება, დაახლოებით, ასე შემიძლია გადმოვცე:

**“არ მეგონა, თუ ასე მამაშვილურად გემახსოვრებოდით და ასე დამაფასებდით; მიხარია, რომ აგრძელებთ კარგ საქმეებს... არ მეგონა ადამიანებს თუ კიდევ შეეძლოთ ასეთი პატივისცემა...”** მოკლედ, მადლიერებით გვლოცავდა. ეს დალოცვა კი ჩემთვის დიდი ვალდებულებაა, ახალი დავალებაა...

**აშკარაა, წუხანდელი სიზმარი ორმხრივად სიმბოლურია:**

– ვალდებული ვართ, ხშირად უნდა დავუნთოთ სანთელი გარდაცვლილ ჩვენს წინაპარს, ჩვენს მშობელს, ჩვენთვის გზის გამკვალავსა თუ დევნილობის დროს ჩვენს თანამდგომს.

– წინაპართა სულებს უხარიათ მათი დაწყებული კარგი საქმეების გაგრძელება. ბატონი მაგალის სულს უხარია, რომ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი აღორძინდა ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად. ბატონ მაგალის უხარია ახალი სიცოცხლე.

ჩემი აზრით, სიზმარი სიცოცხლის ერთ-ერთი განზომილებაა: სიზმარში უთუოდ აისახება ან ადამიანის მთავარი ფიქრი, ან მძაფრი ემოცია (ტკივილი, სიხარული), ან ადამიანთა ქვეცნობიერი კავშირები თუ ინტუიციური ხედვა, გარდაცვლილებთან კავშირიც შეიძლება შედგეს სიზმარში...

**შესაბამისად, ემოციის გარეშე თუ გავაანალიზებთ სიზმარს, უთუოდ რაღაცას დავინახავთ:**

ან ჩვენს შეცდომას,
ან გაფრთხილებას,
ან შეფასებას,
ან მინიშნებას,
ან ...

მოკლედ: **სიზმარი ან ასახავს ჩვენს ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს, ან რაღაცას გვანიშნებს, ანდა, რეალურს ხდის ხორციელი სამყაროსათვის შეუძლებელს.**

14 თებერვალი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## დონე?!

/ვასაჯაროებ ერთ ძალიან ახლობელთან წუხანდელ კამათს/

**ჩემი აზრით, ადამიანის ადამიანურობის დონე მარტივად “გაზომვადია”.** ადამიანთა უმრავლესობას უჭირს ადამიანის ცნობა: ახლობლის, პოლიტიკოსის, ახალნაცნობის... არადა, რთული არ უნდა იყოს, თუკი მოიძევთ რამდენიმე ფაქტს ამ ადამიანის ცხოვრებიდან; ჩემი მიდგომა ასეთია:

– ადამიანი თუკი მხოლოდ საკუთარ ეგოზეა ორიენტირებული, საშიში ცხოველია;

– ადამიანი თუკი მხოლოდ საკუთარ ეგოსა და საკუთარ ოჯახზეა ორიენტირებული, ჩვეულებრივი ცხოველია;

– ადამიანი თუკი მხოლოდ საკუთარ ეგოზე, საკუთარ ოჯახსა და საკუთარ გვარზე, კლანზეა ორიენტირებული, კარგი ყოჩია, კარგი ერკემალია, მაგრამ მაინც ვერ ადის ადამიანის დონემდე;

– ადამიანი თუკი საკუთარ ეგოზე, საკუთარ ოჯახზე, საკუთარ გვარზეა ორიენტირებული და

სხვის ინტერესებსაც სცემს პატივს, **ნორმალური ადამიანია!**

– ადამიანი თუკი საკუთარ ეგოზე, საკუთარ ოჯახზე, საკუთარ გვარზეა ორიენტირებული, სხვის ინტერესებსაც არანაკლებ სცემს პატივს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირებულებებს თავისი მეობის ნაწილად თვლის, **კარგი ადამიანია!**

– ადამიანი თუკი საკუთარ ეგოზე, საკუთარ ოჯახზე, საკუთარ გვარზეცაა ორიენტირებული, სხვის ინტერესებსაც არანაკლებ სცემს პატივს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირებულებებს თავისი მეობის ნაწილად თვლის და უმთავრეს ორიენტირებად 10 მცნებას მიიჩნევს (ბოლომდე ვერავინ დაიცავს!), **დიდებული ადამიანია!**

+

ყველას შეუძლია აიწიოს ყველაზე მაღალ დონემდე, თუკი სურვილი ექნება!

2 ოქტომბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## ფეისბუკბრძენი ანუ რატომ ვართ ამ დღეში?!

სოციალური ქსელები მხოლოდ კონკრეტულ ადამიანურ სახეთა დოკუმენტირებული ბაზა (წიგნი) არ არის; საზოგადოების ამსახველი შეულამაზებელი სარკეცაა!

პირადად, ჩემთვის ფეისბუკი, ტვიტერი, გუგლპლიუსი, სკრიბდი, ბლოგერი, ინსტაგრამი... პირადი გაზეთისა თუ პირადი ტელევიზიის ფუნქციებს ასრულებს; მაგ., მიხარია, რომ ჩემი პუბლიცისტური წერილების "გვერდს" მილიონზე მეტი ნახვა აქვს, ერთ ტაოურ ვიდეოჩანაწერს კი – 1000-ზე მეტი გაზიარება; ვფიქრობ, გლობალური ქსელის პერსპექტივა ატომური ენერგიის მსგავსია: წესიერი ადამიანი სიკეთისათვის, მაგ., განათლებისათვის იყენებს, ბოროტი – სხვების განადგურებისათვის.

თვითრეკლამისკენ არა, სხვა პრობლემისაკენ მიმყავს მსჯელობა; ჩემთვის ბევრ მეგობარს უთქვამს ერთი და იგივე ფრაზა:

– შენს ნაწერებს ხშირად ვკითხულობ, მომწონს, მაგრამ არ "ვალაიქებ"; არ მიყვარს ფეისბუკზე აქტიურობა!

ასეთ ადამიანს არც ცხოვრებაში უყვარს აქტიურობა; აკვირდება მოვლენებს, ხედავს, რომ რაღაც ცუდი ხდება, თუმცა ურჩევნია, გაერიდოს, სულაც, უცხოეთში გადაიკარგოს და შთამომავლობა გააღამუროს; საბოლოო ჯამში, თავადაც ცუდ დღეში აღმოჩნდება და მისი შვილების მომავალსაც დაღუპავს... მძიმედ მახსენდება 1991 წლის დეკემბერი, როდესაც ახალი ორჯონიკიძეების პარპაში გააქტიურდა, მაგრამ ხალხი მაინც პასიურად უყურებდა დინამიკურ მოვლენებს; 1992 წლის იანვარ-თებერვლის მრავალათასიანი მიტინგები დაგვიანებული აღმოჩნდა: **ვეღარ ვუშველეთ ჩვენს ქვეყანას და დღემდე ვზღავთ მაშინდელ პასიურობას.**

სოციალურ ქსელში ზოგი თავის უწყინარ აზრებს წერს და თავისი სიამტკბილობის სურათებს აქვეყნებს, თითქოსდა გარშემო მხოლოდ უპრობლემო ცხოვრებაა. შვილმკვდარი დედაც კი გასვენებაში ერთხელ მაინც მიმიკებით გაიღიმებსო, თქმულა, მაგრამ როცა **ქვეყანას ამდენი გამოწვევა** (რუსული ოკუპაცია და სხვა მომხდურთა ჩასაფრება, ქართველთა გენოციდი, სოციალური პრობლემები, დემოგრაფიული კატასტროფა, გლობალიზმში ღირებულებების კრიზისი... ანწუხელიძეებისა და ტატუნაშვილების წამებით სიკვდილის მოუნელებლობა) **და საფრთხე აქვს, ნორმალური ქართველი 24-საათიანი ბედნიერების ველში ნამდვილად ვერ იქნება;** საქართველოს ბევრი მოქალაქე ბედნიერი ვერ არის, მაგრამ პასიურია!

სოციალურმა ქსელმა ნათლად წარმოაჩინა ადამიანის ერთი სახესხვაობაც: "ფეისბუკბრძენი" – პირი, რომელიც ყველას **აქტიურად აკრიტიკებს**, ყველა მოსაზრებას იწუნებს, მხოლოდ საკუთარი აზრი მიაჩნია ჭეშმარიტებად. ასეთი სუბიექტი არსებულ პრობლემას მეტნაკლებად წარმოაჩენს, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებს მის გადასაჭრელად, ყველას ლანძღვით კი ნიჰილიზმს ავითარებს. არის ფეისბუკბრძენზე უარესი ვარიანტიც: "კლავიატურის ლომი" – ადამიანად დაბადებული, რომელიც სადღაც შორეული სოროდან ილანძღება ყველა მიმართულებით და

ბალღამით წამლავს ვირტუალურ სამყაროსაც (ამ მხრივ ყველაზე მდარეთა "სივრცეა" Forum.ge). ასეთ პრიმიტიულ არსებაზე საუბარს არ გავაგრძელებ, რადგანაც მას მხოლოდ ნეგატივი მოაქვს (ვინც სოცქსელში ძირითადად იგინება, უსულგულო ხორცმეტია!); **აი, "ფეისბუკბრძენის" ფსიქოტიპზე კი ღირს ცოტა მეტი მსჯელობა.**

ფეისბუკბრძენი შექმნილ ვითარებას მეტნაკლებად აანალიზებს, აქტიურიცაა, მაგრამ რამდენადაც საკუთარი თავი სხვა ადამიანებთან პარადიგმაში გააზრებული არა აქვს, არაადეკვატურად აფასებს საკუთარ პერსონას. იგი რეალურ პარამეტრებში ვერ ხედავს სხვა ადამიანებსაც. ასეთ სუბიექტს თავისი თავი გოლიათად წარმოუდგენია, სხვებს კი ლილიპუტებად ხედავს... საბოლო ჯამში სასაცილო, ანდა, სატირალ სიტუაციაში ვარდება. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ფეისბუკბრძენი ნარცისის მსგავსი მოვლენაა. ფეისბუკბრძენი ყველა სხვა ადამიანისათვის ძირითადად უსიამოვნების მომტანია, რამდენადაც ის არ უფრთხილდება სხვათა ღირსებას; **თუმცა, მისგან მცირე სარგებელიც შეიძლება იყოს:**

ფეისბუკბრძენის ნათქვამი კრიტიკულ ხედვას გაგვიმძაფრებს და აქტიური მოქმედებისაკენ გვიბიძგებს. მესამე სარგებლობაც შეუძლია მოგვიტანოს ფეისბუკბრძენმა: თავისი არსებობით ცხადლივ გვაჩვენებს, **როგორ არ უნდა ვიყოთ მისნაირი ბერწი;** უფრო კონკრეტულად:

ფეისბუკბრძენი აქტიურია, მაგრამ "შვილს" არ თუ ვერ აჩენს; მას აშენება არ შეუძლია, სიკეთის კეთება არ შეუძლია; მხოლოდ საკუთარი "სიბრძნის" წარმოჩენაზეა ორიენტირებული; თავის კედელზე სხვისას ნაკლებად აზიარებს, სხვის აზრს ნაკლებად იწონებს; ყველას ლანძღვით საყოველთაო ნიჰილიზმს ავითარებს (ნიჰილიზმი კი საზოგადოებისათვის უბედურების მომტანია)... მოკლედ, ფეისბუკბრძენი არაა ნორმალური ადამიანი:

ნორმალურმა ადამიანმა სხვა ადამიანთა პარადიგმაში უნდა გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები და საკუთარი თავიც კრიტიკულად უნდა შეაფასოს. ნორმალური ადამიანი საჭირო დროს უნდა იყოს საზოგადოებრივად აქტიური და მუდამ პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული; პარალელურად, უნდა ზრდიდეს თავის ფიზიკურ თუ სულიერ შვილებს, უყვარდეს და ენდობოდეს ახალ თაობას.

მოკლედ, ყველა დროში ნორმალური ადამიანი აშენებს, სიკეთეს აკეთებს, მოყვასზე ფიქრობს და, საკუთარი თუ სხვისი ქმედების ჯანსაღი კრიტიკული ანალიზით, წინ შეუქცევადად მიდის – **ფეისბუკბრძენივით ერთ ადგილას არ დგას და გარემოს არ ასნებოვნებს.**

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, **ჩვენს საზოგადოებაში პასიური ადამიანები უფრო ბევრნი არიან;** ფეისბუკბრძენებიც არ გვაკლია; კლავიატურის "ლომებისა" და ბევრი მიზეზის გამო არასაიმედო პოლიტიკური სპექტრის არსებობასაც თუ გავითვალისწინებთ (პოლიტსპექტრის პრობლემებზე ადრე არაერთხელ დავწერე!), უთუოდ გაგვიჩნდება კითხვა:

– ნორმალური ადამიანი გამონაკლისი ხომ არ არის?!

ჩემი პასუხი კი ასეთი იქნება:

**– ამიტომ ვართ ამ დღეში!**

**P.S.** წესიერი, მაგრამ პასიური ადამიანები სანამ არ გააქტიურდებიან, პოლიტიკური სპექტრი ვერ გაჯანსაღდება და მანამდე საშველიც არ იქნება!

28 თებერვალი, 2018

## განათლებული პიროვნება

კიდევ ერთხელ გილოცავთ პეტრე-პავლობას. გისურვებთ, რწმენით გეცხოვროთ, რამდენადაც, ადამიანს ორიენტირებად 10 მცნება თუ აქვს, აქვს შანსი, იყოს გამორჩეული და ბედნიერი...

ხშირად შევსწრებივარ კამათს, თუ რას ნიშნავს შესიტყვებები:

– მორწმუნე ადამიანი;

– განათლებული პიროვნება;

– ჭკვიანი პიროვნება;

– ნიჭიერი პიროვნება.

ჩემი პასუხები ასეთია: **მორწმუნე პიროვნება** – ადამიანი, რომელსაც ორიენტირებად აქვს 10 მცნება (რომელსაც სრულად ვერც ერთი ადამიანი ვერ ასრულებს, მაგრამ 10 მცნებაზე ორიენტირება ბედნიერების გზაა!).

**განათლებული პიროვნება** – ადამიანი, რომელსაც აქვს ფართო (ზოგადი) განათლება სხვადასხვა მიმართულებით, ერთ დარგში არის პროფესიონალი და თავისი ცოდნით ემსახურება სიკეთეს (საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს, კაცობრიობას).

**ჭკვიანი პიროვნება** – ადამიანი, რომელიც მასშტაბურად აზროვნებს და ემსახურება სიკეთეს (საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს, კაცობრიობას, ღმერთს). ანუ ჭკვიანი არ შეიძლება იყოს: ურწმუნო, ბოროტი, მავნებელი, "მაოხრებელი გზირი", დესპოტი, ჯალათი, დიქტატორი, თუნდაც მსოფლიოს მბრძანებელი გახდეს; მაგ., ჭკვიანი პიროვნება არ არის სტალინი.

**ნიჭიერი ადამიანი** – ადამიანი, რომელიც სხარტად აზროვნებს, სამყაროს, მოვლენებს განსხვავებულად ხედავს და მაქსიმალურად ადეკვატურად გადმოსცემს ზეპირად, წერილობით, ფუნჯით, მუსიკით... გამორჩეულად ნიჭიერი ადამიანი ტალანტია. ტალანტი შეიძლება იყოს კეთილშობილიც და ბოროტმოქმედიც /კეთილშობილი – ორიენტირებად აქვს 10 მცნება/; მაგ., სტალინი არის ტალანტი.

კეთილშობილი ტალანტი თუ მასშტაბურად მოაზროვნეცაა, საქმე გვაქვს გენიოსთან; მაგ., გენიოსია შოთა რუსთაველი.

ანუ:

**1. ჭკვიანი: კეთილშობილი** /ორიენტირებად ვისაც აქვს 10 მცნება/ **და მოაზროვნე პიროვნება;**

**2. ნიჭიერი: სამყაროს განსხვავებულად აღმქმელი;**

**3. დიდი ადამიანი: ნიჭიერი და ჭკვიანი.**

12 ივლისი, 2018

## მიტროპოლიტ ნაუმი შავიანიძის სიბრძნე

უცნაური გამოხმაურებებიც მოჰყვა სამი დღის წინ გამოქვეყნებულ ჩემს ამ ჩანაწერს:

**„საჯაროდ ვინც ილანძღება, ან გაგიჟდა (თუნდაც უსამართლობით), ან ცუდი ადამიანია, ანდა – პროვოკატორი. ასეთს არ გამოეპასუხოთ!"**

საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისაღები არ არის „სიძულვილის ენა" (პიროვნული ლანძღვა და მისთ.), მაგრამ ზოგი ცდილობს, საჯარო უხამსი აგრესია გაამართლოს.

რა თქმა უნდა, ერთ ჩანაწერს არ შეუძლია შეცვალოს რეალობა: საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაღალი პროცენტითაა უწყინარი ტრაფარეტულობა, იშვითად ჩანს ღრმა სულიერება, კარგი იუმორი თუ განსწავლულობა, თუმცა პოზიტიურ განწყობას ნამდვილად სჭარბობს ნეგატიური გამოვლინებები... ასე იქნება მომავალშიც; ასე იყო ადრეც, ოღონდ, ასე საჯაროდ არ ვლინდებოდა: სოციალური ქსელი ადამიანების შინა არსს პროპორციულად რომ ასახავს, ფაქტია!

როგორც ბევრს, ასევე, პირადად მეც ძალიან მღლის ნეგატივი, მით უმეტეს, სოცქსელში გადმონთხეულ ბალღამს თუ ემატება ცოცხალი ურთიერთობების ნეგატივიც: ზოგ ადამიანს ძირითადად ცუდი წარსული ახსოვს და მას იხსენებს;

ზოგი ძირითადად ნეგატიურად აღიქვამს აწმყოს;

ზოგიც პესიმისტია და მრუმედ ხედავს მომავალს... და იღლები კაცი.

არ მღლის საქმე, არ მღლის სიარული ქალაქსა თუ კლდე-ღრეში... მღლის ვინმესგან ვინმეს ლანძღვა, მით უმეტეს, უსაფუძვლოდ; ზოგადად, მქანცავს ნაცნობთა თუ უცნობთა მიერ ნეგატიურად აღქმული ნორმალური რეალობა.

როგორც წესი, მუდმივი უარყოფითი განწყობა აქვს მას, ვინც დაცლილია სიკეთისაგან (უფლისაგან) და მის შიდასიცარიელეში ნეგატივია (ეშმაკეულია) დაბუდებული. ასეთი ადამიანი ცდილობს, დაიცალოს ჭუჭყიანი შიგთავსისაგან და სხვას მოახვიოს თავისი ნეგატივი; ასეთი მცდელობისას ის ორმაგი ნეგატივით ივსება და უფრო და უფრო ბოღმდება (რა ჰქვია ასეთ

ადამიანს? ენერგოვამპირი სხვაა!).

გარესამყაროს პოზიტიურად აღიქვამს კარგი ადამიანი. ადამიანის არსიდან ნეგატივს მხოლოდ სიკეთე თუ გამოდევნის.

სიკეთით რომ აივსო (უფლის გზას რომ დაადგე), უნდა ეცადო, სხვა ადამიანიც კარგი მხრიდან დაინახო.

(იხ. ჩემი „ვაშლის თეორია“

https://www.facebook.com/notes/tarielputkaradze/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/10155540273160678/).

როგორც წესი, კარგმა ადამიანმაც იცის სხვათა ნაკლი, მაგრამ მაინც, ძირითადად, დადებითზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ნეგატივით არ მოწამლოს გარემო.

დასასრულ, ამ ტექსტს გვირგვინად დაადგება ერთი განსწავლული მეგობრის მონაყოლი:

**„როდესაც ქუთათელი მიტროპოლიტი ნაუმი შავიანიძე გარდაიცვალა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ მეორემ გამოსამშვიდობებელ სიტყვაში უთხრა:**

**– ბედნიერი ვართ, რომ შენ არ იცი ზედმეტის თქმა; ის, რაც შენ იცი, რომ გეთქვა, ვინ იცის, შეიძლება წარღვნაც მოსულიყო.**

6 სექტემბერი, 2018

## რამდენიმე მოკლე პასუხი ვირტუალურ ოპონენტს

1. ჩვენი წინაპარი – ჩვენი პაპა თუ ბაბუა – ძლიერი რომ იყო, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ კარგები ვართ; ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვალი უკვე მოხდილი გვაქვს და, შესაბამისად, ახლა ჩვენ პირადი კომფორტისათვის უნდა “დავკავდეთ”... ყველა თაობას თავისი საბრძოლო აქვს. ასეთია ცხოვრება. სამწუხაროდ, ზოგი ვერ ხვდება, რომ პირად კომფორტზე ორიენტირებულობა ისეთ სიცარიელემდე მიიყვანს, სადაც “ნერვების გლეჯით” განადგურდება. ნორმალურმა ადამიანმა სამყაროს ღვთიური წესრიგის გაცნობიერებით უნდა იპოვოს საკუთარ ადგილი წინაპრებისა და შთამომავლობის ველში, რომ პირადი ბედნიერებაც მყარად შეიგრძნოს. მოკლედ: **გარესამყაროს ღვთიურ ჰარმონიულობას ვინც აცნობიერებს, საკუთარ მესაც იოლად პოულობს და ბედნიერებასაც.**

2. მშობელი როცა ყველაფერს აკეთებს შვილისათვის, ამ **შვილმაც საკუთარი შვილის ღირსებაზეც უნდა იფიქროს** და არა საკუთარ სიამოვნებაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება დაცული ის ტრადიცია, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი მოდგმა; მოდგმა, რომლის მემკვიდრეები ბავშვობიდანვე მტრის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებიან და მშობლებს არ ღანძღავენ.

3. ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც წინა თაობის ადამიანებს, ზოგადად, უფროს თაობას და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ, თუნდაც თავის “უვარგის” “ბიძიას”(რ. ჭეიშვილი) “მორალზე, ტრადიციებსა და ღირსებაზე” საუბარს უპროტესტებს, მეტიც – ლანძღავს, **საკუთარი ბიწიერების** გამართლებითა თუ “წაფარცხვითაა” შეპყრობილი. ღმერთს მადლობა, მე არ მყავს ასეთი “ძმიშვილი”, მაგრამ სხვას რომ ჰყავს, ესეც მაწუხებს.

4.15-საუკუნოვანი უწყვეტი სამწიგნობრო კულტურის მქონე ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს “ბნელი ტრადიცია”. ზოგი ტრადიცია შეიძლება საბჭოთა პერიოდში დამახინჯდა, მაგრამ კარგად უნდა **გაცნობიერება ნამდვილ სასწაულს:** რამ გადაარჩინა ჩვენი ერი მომხდურთა ამდენ აგრესიას ამდენი საუკუნის განმავლობაში?

5. არაერთხელ დამიწერია, რომ უპერსპექტივოა პასიური საზოგადოება, რომელიც სუფრაზე ავლენს პატრიოტიზმს და რეალური მოქმედების თავი არა აქვს; ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ **მოქმედება, სულ ცოტა, სამსაფეხურიანია:** ჯერ სწორი სტრატეგიის განსაზღვრა, საზოგადოების კონსოლიდირება და შემდეგ – უშუალო ბრძოლაში ჩართვა.

რუს ოკუპანტებთან წინააღმდეგ 1992 წლიდან დღემდე ჩვენი ოთხოზორიები და ანწუხელიძეები (ესენი ზოგადქართული ეროვნული გმირები არიან და არა მხოლოდ მოცემული ერთი კუთხის

შვილები!) არასწორად დაგეგმილი სტრატეგიის გამო დაიღუპნენ. სტრატეგიულად სწორად რომ დაგეგმილიყო ბრძოლა და ერთიანობაც გვქონოდა, ჩვენ იმდენი გმირი გვყავდა და გვყავს, დიდ ომს მოვიგებდით. იმედია, ამას მომავალში მაინც შევძლებთ!

**P.S.** ვინ არის ცუდი ადამიანი? მარტივი პასუხი მაქვს:

– ადამიანი, რომელიც სხვას, თუნდაც შენს მტერს, უკადრებელს ჰკადრებს, არაკაცურად ექცევა და არც ინანიებს. ნუ გაგიხარდება, რომ ის შენს მტერს არაკაცურად ექცევა. იგივე არაკაცი (თუ არაქალი) ხვალ თუ არა ზეგ შენც შეგილახავს ღირსებას! საბედნიეროდ, რასაც ვხედავ, ახალი თაობის დიდი ნაწილი ღირსეული სიცოცხლისა და ღირსეული მემკვიდრეობის შექმნისათვის არის მზად. მიხარია!

**P.P.S.** მრავალენოვანი კაცობრიობა ჰარმონიული კაცობრიობაა. ერთენოვანი გლობალიზაცია დისჰარმონიული კაცობრიობის შექმნის მორიგი მცდელობაა. მას მომავალი არა აქვს, მაგრამ შეიძლება ბევრი წესიერი ადამიანი თუ მცირერიცხოვანი ერები გაანადგუროს (როგორც კომუნიზმმა შეიწირა მილიონობით ადამიანი). ერთენოვანი, ერთრელიგიური, ზოგადად, ერთგანზომილებიანი კაცობრიობა სურთ ნიჭიერ ავანტიურისტებს – ადამიანებს, რომელთაც წესიერი გზებით არ შეუძლიათ სასურველი "ადგილის" პოვნა; არადა, ჩვენს ჰარმონიულ სამყაროში ყველასთვისაა ადგილი.

29 აპრილი, 2020

## კრიმინალი და წესიერი ადამიანი

– კაცურად გთხოვ, არ ჩამიშვა: არ თქვა, რაც დაინახე...

– კარგი, მაგრამ...

– შენ არაფერი გაკლდება; შარისგან კი მიხსნი;

– კარგი, ოღონდ, დროულად წადი, შენთან არ დამაფიქსირონ.

– კარგი, წავედი...

გარკვეული დროის შემდეგ პოლიციელი სახლში მიადგება წესიერ ადამიანს:

– თქვენ ხართ დამნაშავის თანამზრახველი!

– მე?! რას ამბობ!

– დიახ, შენც კრიმინალი ხარ!!!

წესიერ ადამიანს ნანახი რომ ჰქონოდა თემურ ბაბლუანის დამაფიქრებელი ფილმი "ძმა", ანდა, წაკითხული რომ ჰქონოდა ჩეხოვის "ბოროტმოქმედი" მაინც, მის ოჯახში პოლიციელის გამოჩენა არ გააკვირვებდა.

თემურ ბაბლუანის სწავლება: შენი ძმის მტერს ლმობიერად თუ მოექცევი, ძმას მოგიკლავს.

22 აპრილი, 2020

## ვის ენდობით?

1. ფაქტია, რომ **უპატიოსნესი გენიოსიც კი** თანამედროვე სახელმწიფოს მარტო ვერ მართავს, თუკი პარლამენტში ქვეყნის ერთგული ადამიანები არ იქნებიან;

2. ფაქტია, რომ ბოლო 20-25 წელიწადში, მეტწილად, საქართველოს პარლამენტის წევრი ხდება არა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, არამედ ის, ვისაც ესა თუ ის ლიდერი ირჩევს პირადი **„ერთგულებისა"** თუ რაიმე **„რესურსის"** გამო;

3. ფაქტია, რომ ბოლო 20-25 წელიწადში, ბევრმა პარლამენტარმა უღალატა მას, ვინც გახადა

პარლამენტის წევრი. **„სახელმწიფო კაცობა“ ისედაც არ ჰქონდა!**

4. ფაქტია, რომ ბოლო 20-25 წელიწადში, წესიერი ადამიანები ნაკლებად ცდილობენ, ჩაერთონ პოლიტიკაში – „ბინძურ საქმეში“; არადა, **იდეაში, პოლიტიკოსი ქვეყნას მართავს;**

5. ფაქტია ისიც, რომ „ბინძური პოლიტიკოსი“ **რაც უფრო ნიჭიერია**, მით უფრო მეტი ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის.

**დასკვნა:** „მოღალატე პოლიტიკოსები“ აქტიურები არიან **პასიურ საზოგადოებაში.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით – თხოვნა: თქვენი სანაცნობო წრიდან დაასახელეთ **10 ღირსეული ადამიანი**, ვისაც ენდობით, რომ 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში **ქვეყნის სამართავად** პარლამენტის წევრის **სტატუსი მიიღოს** (შეგიძლიათ დაასახელოთ საკუთარი თავიც).

**P.S. დამატება რამდენიმე დღის შემდეგ:** ზოგჯერ ძალიან მარტივ საკითხს ჩემს ფეისბუკის „ჩანაწერებში“ ბევრი გამოხმაურება აქვს. ამ ჩანაწერზე მხოლოდ რამდენიმე „მოწონებაა“!

**ნათელია:** სერიოზულ თემაზე პასუხისმგებლობის აღება თითქმის არავის უნდა! „პასიურ საზოგადოებას“ ამიტომაც უგრძელდება უდაბნოში ხეტიალი!

25 აპრილი, 2020

## ადამიანური შეცდომის გამო...

სპეცსამსახურების მიერ დამუშავებული სქემაა ადამიანის ნაკლის გამოგონებით, მოძებნით/ტირაჟირებით საზოგადოებისათვის სარგებლობის მომტანი მისი იდეების განადგურება.

ამ მიზნით შეიქმნა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ტერმინი: ტროცკისტი, საუკუნის დასასრულს კი – ზვიადისტი.

ცოცხალი ადამიანი ხორციელი მოვლენაცაა, ამიტომ უნაკლოდ, უშეცდომოდ ვერავინ შეძლებს ცხოვრების გზის გავლას. ერთ მომენტში ისეთი წმიდა ადამიანიც კი დაბრკოლდა, როგორიც იყო წმიდა ილია მართალის გამორჩეული გმირი – ბეთლემელი მწირი. შესაბამისად, **ხორციელი გადაცდომისა თუ ადამიანური შეცდომის გამო ხვალ მაინც ისეთ ნურავის განვსჯით, სამშობლოს, საზოგადოების კეთილდღეობას რომ შესწირა თავი.**

დავძენ: ადამიანურ შეცდომასა თუ თუნდა, ხორციელ გადაცდომაზე უფრო დიდი დანაშაულია უღმერთობა, მშობლების უარყოფა, მკვლელობა, ცილისწამება, შური, მრისხანება...

რაც მთავარია: არსებითია ის, თუ ადამიანი რა საქმეს ემსახურება პატიოსნად და რეალურად რა იდეებს ახორციელებს.

სულთმოფენობას გილოცავთ

7 ივნისი, 2020

## ცხოვრება რამდენიმე დროში

ნორმალური ადამიანი ერთდროულად ცხოვრობს რამდენიმე დროში; კერძოდ:

1. წარსულში (წინაპრებისა და მისსავე წარსულში),
2. აწმყოში,
3. მომავალში (საკუთარ თუ მოდგმის მომავალში),
4. წარსულის შესაძლო მომავალში (ასე რომ მომხდარიყო მაშინ...),
5. მომავლის ჯერ არ განხორციელებულ წარსულში (ხვალ მე ეს რომ გავაკეთო, 100 წლის შემდეგ როგორ შედეგს მოიტანს)...

11 აგვისტო, 2020

## პიროვნების თვითაღქმა

პიროვნების თვითაღქმა (პასუხი კითხვაზე: ვინ ვარ მე?) დამოკიდებულია საკუთარი შესაძლებლობებისა და წარსულის გაცნობიერებაზე, კერძოდ, იმ ინფორმაციის გააზრებაზე, რომელიც მას აქვს საკუთარი თავის, თავისი წინაპრების რწმენის, კულტურის, დედაენისა და სახელმწიფოს ისტორიის შესახებ.

12 სექტემბერი, 2020

## დეპრესია, განწყობა, მოტივაცია, მიზანი... და ცისარტყელა

**“ჩვენ უნდა ვიყოთ ცოტათი იდეალისტები, რათა საბოლოოდ ნამდვილი რეალისტები გავხდეთ”:**

საკუთარ თუ სხვის ცხოვრებაზე ადამიანებს ბევრი რამ დაუწერიათ; ამბობენ, ცხოვრება მარტივია, თუ ადეკვატურად შეხედავო; იმასაც ამბობენ, ცხოვრება აღელვებულ ზღვასავით არის და ჩაგბირავს, თუ მედგრად არ დაუდგებიო; ზოგისთვის კი ცხოვრება ცუნამი აღმოჩნდა... ერთი რამ ცხადია: ყველა ადამიანს აქვს პერიოდი, როდესაც ცხოვრება ეცუნამება თუ თავს აბობოქრებულ ზღვაში მიტოვებულად გრძნობს, უჭირს, დაღლილობისაგან იფიტება, სასიცოცხლო უნარები უქვეითდება და თითქოს, სიკვდილისაკენ მიმავალ კალაპოტში ნაფოტივით მიცურავს – ამას სხვაგვარად დეპრესიული მდგომარეობა ჰქვია.

ზოგადად, ცხოვრება არც მარტივია, არც რთული, არც ცუნამური: ცხოვრება სიტკბოსა და სიმწარის მუდმივი მონაცვლეობაა, მინდორ-აღმართ-დაღმართია; ცხოვრება ფერადოვანი ცისარტყელაა, რომელშიც შავი ფერიცაა, თეთრიც და კიდევ სხვა მრავალი ფერიც; ცხოვრება ხმელეთის, ჭაობისა და კამკამა წყლის მონაცვლეობაა:

– თუ ცურვა არ იცი, ცუნამი კი არა, კამკამა წყალიც საშიშია.

– თუ ცისარტყელას შავ ფონზე დაყოვნდი, თავი განწირულად შეიძლება იგრძნო; მცირე ნაბიჯია გადასადგმელი და მშვენიერ ფერ(ებ)ში აღმოჩნდები. **დეპრესიაში მყოფი ამ ნაბიჯს ვერ დგამს.**

იშვიათადაა ცხოვრება ცუნამი, ათასში ერთხელ ხდება დიდი კატასტროფა, კატაკლიზმი; როგორც წესი, ცხოვრება დიდ მრავალწახნაგოვან სივრცედ აღიქმება, რომელსაც **აცნობიერებ განწყობის შესაბამისად:** ამბობენ, რომ სუსტს წარამარა ეცვლება განწყობა, ნორმალური ადამიანი ხშირადაა პოზიტიური; ძლიერი კი, როგორც წესი, ინარჩუნებს საბრძოლო განწყობას.

იდეაში, ყველა ადამიანი ძლიერია, რადგანაც უფლის სულის ნაწილად თუ უფლის სხივად ვიბადებით ადამიანები. მუცლადყოფნაც ხომ სასწაულია: 9 თვე დედის მუცელში ჰაერის, წყლის გარეშე უსასრულობასთან ჭიპით დაკავშირებული! დაბადებაც ხომ სასწაულია: ვერ დაიბადები, თუ ძლიერი არ ხარ! **და როდის ხდება ადამიანი სუსტი? როდისაა ადამიანი ძლიერი?**

ძლიერით დავიწყოთ; ძლიერია ადამიანი მაშინ, როცა:

– იცის, რა უნდა ცხოვრებაში; აქვს მიზანი და აქვს პრაგმატული სტრატეგია **პატიოსანი/ღირსეული/ გზით** ამ მიზნის მისაღწევად?

– თვლის, რომ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული?

– გავლენიანი თუ ფულიანი მშობლების გამო მყარი საფუძველი აქვს ცხოვრებაში?

რა თქმა უნდა, პირველ შემთხვევაში!

დაბადებიდან არავინ იცის თავისი მიზანი, მისია, ფუნქცია; დაბადებისას მხოლოდ **დიდი სასიცოცხლო ენერგია გვეძლევა**. დაბადებისას, გენეტიკური კოდის მსგავსად, ყველას აქვს მისიაც, შესაბამისად, მიზანიც თუ ფუნქციაც აქვს, მაგრამ ჯერ არ იცის და შეიძლება, ვერც ვერასოდეს იპოვოს; თუმცა, ყველას აქვს შანსი, თავისი ადგილი იპოვოს, დაინახოს: ესეც დევს ჩვენს კოდში.

მართლაც, ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანი თავად ცდილობს იპოვოს თავისი ადგილი, მშობლები ცდილობენ, უპოვონ შვილს ადგილი თუ ფუნქცია, ცოლი თუ ქმარი ცდილობს, განუსაზღვროს მეუღლეს თავისი ფუნქცია... სწორედ გზისა თუ ფუნქციის პოვნისას იწყება

კონფლიქტი, გაორება, იმედგაცრუება, ზოგჯერ დეპრესიაც; მოდის ბედნიერებაც – რაღაც მომენტში ყველას აქვს გაორებაც, კონფლიქტიც; დეპრესიულიც და ბედნიერიც ბევრი ხდება რაღაც მომენტში. და ამ მომენტის ხანგრძლივობაა არსებითი; ეს ხანგრძლივობა, ძირითადად, ჩვენზეა დამოკიდებული! /აქ შეიძლება ზედმეტიცაა სიტყვაფორმა "ძირითადად"/.

ადამიანთა უმრავლესობის, ზოგადად, **საზოგადოების ცხოვრება მაინც უდაბნოში ხეტიალს ჰგავს** (მოსეს თაობამ ბევრი იხეტიალა სიმბოლურ თუ რეალურ უდაბნოში!); ადამიანი ეძებს გზას, წყაროს; ზოგი აღწევს თავს უდაბნოს, ზოგიც სასიკვდილოდ რჩება... სუსტები რჩებიან; თუმცა რას ნიშნავს სუსტი?

ძლიერი ადამიანი, უნიჭიერესიც კი, შეიძლება უსუსური აღმოჩნდეს მოცემულ მომენტში; ამ დროს უნდა ადამიანს ხელის წაშველება, რომ მარტოდმყოფი უიმედობაში არ ჩავარდეს; **ხანგრძლივი უიმედობა უწონადობაა, უწონადობაში ყოფნა კი დეპრესიაა.**

დეპრესია ჰგავს უდაბნოში წარუმატებელი ხეტიალით გათანგული ადამიანის შინაგან მდგომარეობას, რომელიც დანებდა იმ მკაცრ პირობებს, რომლებიც ამ ტიალ ადგილს თან სდევს. დეპრესია ნიშნავს დათრგუნულ ფსიქიკურ მდგომარეობას. დეპრესიას მხოლოდ ერთი რამ აპირობებს – საკუთარ მესთან ჭიდილში განცდილი მარცხით უძრაობაში გაჩერება, **ცისარტყელას შავ ფონზე გაჩერება...** ასეთ დროს ადამიანი ითრგუნება; იმსხვრევა მისი ფსიქიკური სიმყარე. ამ მდგომარეობაში ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს სხვადასხვა შფოთვითი შეტევა, სუიციდური თუ სხვა სულისთვის საზიანო აზრები. მოკლედ, ადამიანი ასეთი მდგომარეობით სულიერად ან ფიზიკურად კვდება, თუ არ დაეხმარა საკუთარ თავს, ან თუ არ დაეხმარნენ...

არადა, სულ მცირე, ნაბიჯის გადადგმაა საჭირო, გასცდე ცისარტყელას ამ შაც ფერს და სხვა მილიონი ფერით დატკბე ისე, რომ ცისარტყელას შავი ფერიც ფერადოვნების არსებით ნაწილად აღიქვა.

**და რა არის საჭირო ამ ნაბიჯის გადასადგმელად?** მუდმივი ცოდნა იმისა, რომ ცხოვრება ცისარტყელაა და არა ოდენ ერთი ფერი; როცა სამყაროს ნაირფერად ხედავ, ასეთ შემთხვევაში ღმერთსაც ხედავ, როგორც ამ სამყაროს შემოქმედს და უიმედობა თუ სრული უძრაობა უიმედობაში (დეპრესია!) ახლოს ვერ მოგეკარება.

– და რა უნდა ამის გააზრებას, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ მართლაც ფერადოვანია?! – მეკითხები და გპასუხობ:

– მხოლოდ გონის თვალის გახელა! ამ ეტაპზე თუ ამ თვალს შენით ვერ ახელ, უბრალოდ დამიჯერე და გადადგი ნაბიჯი ერთი, მერე მეორესაც გადადგამ, მესამესაც, მერე მიზანსაც დაინახავ და ივლი და ივლი!

როცა უკვე მიზნისაკენ მიდიხარ, ხან მარცხი მოგივა, ხან დაეცემი, ხან ახლობელი დაგეკარგება და გული დაგეთუთქება... მაგრამ მაინც წინ ივლი; (გადა)დაიღლები? იმიტომაა **ძილი, რომ ენერგია აღიდგინო** (ესეც იცოდე: როცა დღე გძინავს, ენერგიით ვერ ივსები, მხოლოდ ღამით ძილში აღდგება ენერგია სრულფასოვნად); რაც მთავარია, იმიტომაა ღმერთი, რომ მუდმივი სასიცოცხლო ენერგია მიიღო; იმიტომ მოგეცა სიცოცხლე, რომ შეიგრძნო ამქვეყნიური ცისარტყელური მრავალფეროვნება და შენი მოდგმა გაამრავლო ფიზიკურად თუ სულიერად: მოდგმა მაინც გაამრავლო!

**მოდგმა:** მოდგმა ადამიდან შენამდე ვინც იყო, ყველას მოიცავს; შენი თესლიდან ვინც დაიბადება და მისგან დაიბადება და ასე შემდეგ, სამუდამოდ ვინც გააგრძელებს მოდგმის გენეტიკურ კოდს, ენას, კულტურას, მათაც მოიცავს! გაქვს უფლება, სამუდამოდ გაგრძელებადი გენეტიკური, სულიერი, ენობრივი კულტურული სიმები გაწყვიტო – სიმთა კონა, რომელიც ადამიდან შენამდე მოვიდა?

ესე იგი, რომ იარო, მიზანია საჭირო: მიზნის ქონა შეუქცევადი მოტივაციაა! შენი საკუთარი მიზანი რომ დაინახო, აუცილებელია სასიცოცხლო განწყობა. სასიცოცხლო განწყობა თუ გაუფერმკრთალდა მოყვასს, ნუგეშით შეგვიძლია დავეხმაროთ. სიტყვიერ ნუგეშს აჯობებს, ერთი ნაბიჯი გადავადგმევინოთ წინ უიმედობაში ჩავარდნილს; **მახსენდება გენიოსი შოთა რუსთაველის ფსიქოლოგიური გაკვეთილი,** ავთანდილს რომ „ჩაატარებინა" დეპრესიაში ჩავარდნილი ტარიელისათვის: დიდი თხოვნით ცხენზე შესვა და შემდეგ ნელ-ნელა გამოიყვანა დეპრესიიდან; თავად გენიოსს მოვუსმინოთ (ავთანდილი ტარიელს ეუბნება):

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი,
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი;
მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!“
ეხვეწებოდა: „შეჯეო“, აჯას ხვეწნითა არვებდა,
**იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა,**
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა;
დაიმორჩილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.
ცხადად უთხრა: „შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა“.
მან მოჰგვარა, წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;
მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა,
ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა“.

დეპრესიის დროს მიზანსაც ვეღარ ხედავს ლიბრგადაკრული თვალი: ადამიანი თუ ამოძრავდება, მიზანსაც დაინახავს. ღმერთმა მეორე ადამიანი სწორედ იმიტომ შექმნა, რომ ერთმანეთი ადამიანებს ენუგეშებინათ, ერთს უსასოობაში ჩავარდნილი მეორე „ცხენზე შეესვა“. ნუგეში ადამიანს აძლევს სტიმულს, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „წვეტიან ჯოხს“ პირუტყვთა გასადენად; გადატანით, სტიმული არის მხარდაჭერა; ყველაზე დიდი მანუგეშებელი უფალია; ამიტომაა ბედნიერი მორწმუნე ადამიანი; ბედნიერია იმიტომ, რომ უფალი მუდმივი პოზიტიური (იმედიანი) განწყობის უსასრულო გამოსხივებაა!

პოზიტიური განწყობის ველიდან მომდინარე მუდმივი სტიმულისა თუ ნუგეშის აღქმა დიდი რწმენაა; დეპრესიაში დიდხანს ვერ/არ დარჩება მორწმუნე ადამიანი. ადამიანისმიერი სტიმული თუ ნუგეშიც მოტივაციას უაქტიურებს დასუსტებულს (ამიტომაა ადამიანი უფლის ხატად შექმნილი); მოტივაცია კი ენერგიას აღვიძებს; ენერგია ძალაა; ძლიერი ადამიანი კი უკვე მებრძოლია; მხოლოდ მებრძოლი ადამიანია ნამდვილი ადამიანი! თუ შენ გწამს, გჯერა და შესაბამისად ხარ განწყობილი, შეგიძლია მთაც გადადგა ერთი ადგილიდან მეორეზე.

**მილიარდკაციან სამყაროში ადამიანი ხშირად მაინც მარტო რჩება; მარტომ როგორ შევიქმნათ მოტივაცია თუ პოზიტიური განწყობა?**

ცხოვრებაში ქარს მყარად არაფერი მოაქვს, რომ ისევ უკან წაიღოს. შენით უნდა მოიპოვო; ასევეა განწყობისა თუ მოტივაციის მოპოვება/ქონა; პოზიტიური განწყობისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში და დღე-ღამის დროს ბუნებრივი განაწილება: როცა დღე არის ღამე და ღამე არის დღე, ადამიანი დეზორიენტირებულია და წონასწორობადარღვეული. დღეღამეარეული ადამიანი დეპრესიაში იოლად ვარდება, იმიტომ, რომ ბიოლოგიური ორიენტირი გაბუნდოვნებული აქვს. **ადამიანის ბიოლოგიური სამყარო უძირო ოკეანეა. ადამიანის გონება მხოლოდ ხომალდია ამ ოკეანეზე; ბიოლოგიური ორიენტირები როცა აღრეულია, გონებაც მალე გადადის ქაოსში და დეპრესიაც კარზეა მომდგარი.** ბიოლოგიური რეჟიმი როცა დაბალანსებულია, მერე დგება მიზნისა და მოტივაციის საკითხი.

მიზნის დასახვა უფრო იოლია; ამ მიზნის მისაღწევად ენერგიის მობილიზება და მიზნისკენ მოძრაობა კი უკვე აქტიური ცხოვრებაა. თუ არ გაქვს მიზანი, ცხოვრების სტრატეგიული გეგმაც არა გაქვს; მოტივაციაც ვერ გექნება: ზღვა რომ არ არსებობდეს, ადამიანი გემს არ გამოიგონებდა. რა საჭიროა მოტივაცია, თუ არ არსებობს მიზანი?!

არადა, წესით, მიზანი ყველას აქვს:

– უნდა იცოცხლოს,

– უნდა აცოცხლოს სხვები,

– „ცისარტყელას“ (სამყაროს) განსხვავებული „ფერი“ უნდა აღმოაჩინოს: ლექსად, ნახატით, მუსიკით, გამოკვლევით, დედამიწის ცაში აფრენით თუ გალაქტიკაში გასვლით...

დეპრესია სწორედ “მინდას” აჩლუნგებს.

ჩვენც აქედან უნდა დავიწყოთ:

რა გვინდა?

– წყალი,

– საჭმელი,

– სიყვარული...

მესგან მოდის ყველა ამ ზმნაში პირის ნიშანი “მ”:

მე მ-ინდა

მე მ-შია

მე მ-იყვარს

ეს ბიოლოგიური არსის სიტყვებია; ყველა ცხოველს აქვს წყურვილის, შიმშილის, სიყვარულის (/სექსის)... გრძნობა-მოთხოვნილება; ეს ხორციელ ცოცხლად ყოფნის პირველი დონეა; ადამიანი, ნამდვილი ადამიანი მეორე დონიდან იწყება, როცა თავისუფალ ადამიანს უნდა, რაღაც ახალი შექმნას, სამყარო ახლებური თვალით დაინახოს, მასზე უკეთესი მ ო დ გ მ ა აღზარდოს... ჩვენ ხომ ერთნი ვართ; ჩვენ ეს გვინდა, ხომ?! თუ გვინდა, მაშინ გეგმა, სტრატეგია უნდა გვქონდეს, რომ რაც გვინდა, ის მოვიპოვოთ: გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მიზნამდე მიგვიყვანს.

ამ ნაწერს ორი სრულფასოვანი ავტორი ჰყავს: Beka Putkaradze ბექა ფუტკარაძე და მე :)

დამატება I: **მეოცე საუკუნის გამოჩენილი პიროვნების, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის – ვიქტორ ფრანკლის 1972 წელს წაკითხული ლექცია მოტივაციასა და ცხოვრების აზრზე:**

http://iteacher2014.blogspot.com; მასალის დამოწმების დრო: 30.01.2019/

31 იანვარი, 2019

# 3.4. ეპიზოდები

# სიძულვილის ენა, როგორც ფსიქოლოგიური ტერორის ერთ-ერთი სახეობა და ერთი ქუთაისური ამბავი

/ანუ სიკვდილამდე ნუ მოვკლავთ ერთმანეთს/

სიძულვილის ენაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ რატომღაც მხოლოდ **უმცირესობების მიმართ** გამოხატულ გაუმართლებელ თუ გამოგონილ „აგრესიაზე“ ხდება აქცენტირება, არადა, დღეს **„სიძულვილის ენის“ მსხვერპლია** საქართველოში მეტ-ნაკლებად **ცნობილი** ყველა ადამიანი; გარედან დაფინანსებულ გარკვეულ ჯგუფებზე რომ აღარაფერი ვთქვათ (რომლებიც „სიძულვილის ენით“ ებრძვიან ქართველ ერს, საქართველოს ეკლესიასა და მის მეთაურს, ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს...), ყოველი მეორე ჩვენი ნაცნობი ილანძღება: სოციალურ ქსელსა თუ მასმედიაში ისევ ქართველები ლანძღავენ მას, ვინც მეტ-ნაკლებად ჩანს – წმინდანებით, მაგ., თამარ მეფით დაწყებული, რიგითი მასწავლებლით დამთავრებული... განმხოლოებულ სოფელშიც კი ერთმანეთს ბევრი ლანძღავს... ლანძღვა რამდენიმე სახისაა:

– გაბრაზებული თუ განაწყენებული ადამიანის აგრესია;

-განსხვავებული აზრისა თუ განსხვავებული ცხოვრების წესის მქონის ლანძღვა;

– ლანძღვა მოშურნის მიერ;

– მეტოქის წინააღმდეგ წარმოებული დაგეგმილი „აქცია“ და სხვ.

წინასწარვე აღვნიშნავ: **„სიძულვილის ენას“ მთელ მსოფლიოში ხშირად იყენებენ პოლიტიკოსობის მოსურნე თუ სხვა პროფესიის აგრესიული ადამიანები;** შესაბამისად, ყველა უბედურებას მხოლოდ ქართველობა ნუ დავიბრალებთ; შდრ.: 2013 წელს ევროსაბჭოს ველში შეიქმნა „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“, რომელიც უკვე გააქტიურებულია ევროპის 45 ქვეყანაში (ევროსაბჭოს კომისიამ ახლახან საქართველოს შესახებაც გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც, სამწუხაროდ, დაუზუსტებელი ფაქტებია განზოგადებული).

რა ნიშნავს „სიძულვილის ენა“ და რამ განაპირობა ამ თემის აქტივიზაცია თანამედროვე მსოფლიოს მასშტაბით?

**„სიძულვილის ენა“ უნდა გავიგოთ, როგორც განგრძობითი, პერმანენტული („ჩაციკლული“) ლანძღვა –„სიძულვილით საუბარი“ ანუ სხვისათვის შეურაცხყოფის მიყენება.**

ჩემი აზრით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პირობებში, როცა შესაძლებელია წესიერი ადამიანის მიმართ ცილისწამება თუ ლანძღვა სოციალური ქსელითა თუ ტელევიზიით ქვეყანას წამებში მოსდო, **„სიძულვილის ენა“ ფსიქოლოგიური ტერორის ერთ-ერთ სახეობად ჩამოყალიბდა; დავაზუსტებ:**

აბელ-კაენიდან მოყოლებული, ადამიანი არ შეცვლილა: ზოგი მიმტევებელია, ზოგი უსაფუძვლოდ ილანძღება; დღეს ამ თემის აქტუალიზაციას აპირობებს ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიები! ტექნოლოგიებზე უარის თქმა უგნურებაა; შესაბამისად, **აუცილებელია „სიძულვილის ენის“, როგორც ნეგატიური მოვლენის, დაბალანსება.**

როგორც წესი, სიძულვილით მოსაუბრე ადამიანი საერთოდ არ ხედავს ლანძღვის ობიექტის ღირსებებს და მის რომელიმე ნაკლს აზოგადებს, ანდა, სულაც, იგონებს „ნაკლს“ – **ცილს სწამებს ღირსეულ ადამიანს და შემდეგ სხვის გასაგონად ლანძღავს.**

რატომ ლაპარაკობს ზოგი ადამიანი სულ „სიძულვილის ენით“, ანუ პერმანენტულად რატომ ილანძღება? ბევრი საბაბი თუ მიზეზი არსებობს; მე რამდენიმეს ჩამოვთვლი:

– სიძულვილის ენით ლაპარაკობს საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო ურწმუნო ადამიანი, რომელიც უიმედობის გამო დაიბოღმა; დაბოღმილი თუ გამწარებული სხვისი „გაბანძებით“ ცდილობს საკუთარი „უკმარისობის“ გაკომპენსირებას... ასეთი ინდივიდი შვებას მაინც ვერ პოვებს; როგორც წესი, თავად უფრო და უფრო განადგურდება (საბოლოო ჯამში)... საკუთარი ბედით უკმაყოფილო **ცოდოა, მაგრამ მისი ხსნა იოლია: მთავარია, მან ღმერთისა და უანგარო სიკეთის არსებობა ირწმუნოს და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.**

– სიძულვილის ენით ლაპარაკობს ადამიანი, რომელსაც სურს, აკრძალული ხერხით ჩამოიშოროს მოწინააღმდეგე თუ გული ატკინოს სხვაგვარად მოაზროვნეს, სხვაგვარი წესით მცხოვრებ ადამიანს... ასეთი სუბიექტის **შეცვლა რთულია, მაგრამ შესაძლებელია;**

-ზოგჯერ სიძულვილის ენით ლაპარაკობს დაქირავებული არსება; დაქირავებული

მლანძღველი იგივეა, რაც დაქირავებული მკვლელი (დამქირავებელია ადამიანი, რომელსაც სურს აკრძალული ხერხით ჩამოიშოროს მოწინააღმდეგე)... დაქირავებულ მლანძღველს, მკვლელსა თუ ტერორისტს სამარე თუ გაასწორებს.

ადამიანთა ერთი ნაწილი ვერ უძლებს შეურაცხყოფას – **სიძულვილის ენით ფსიქოლოგიურ ტერორს** – და თავს იკლავს; უფრო ხშირად კი ლანძღვის ობიექტი თავადაც აგრესიულდება და „სიძულვილის ენითვე“ პასუხობს – საბოლოო ჯამში, ეს გზაც მისი განადგურებით დამთავრდება; უსაფუძვლო ლანძღვის ობიექტმა უნდა გააცნობიეროს, რომ ბოროტებას ბოროტებით ვერ დაამარცხებ!

ამიტომ, „ლანძღვა-გინებაში“ არასოდეს არ უნდა ავყვეთ ცუდენოვანსა თუ უზნეო მეტოქეს...

**სანამ ქუთაისის შემთხვევაზე გადავიდოდე, კიდევ ერთი კითხვა:**

– თავსებადია თუ არა **სიძულვილის ენა და გამოხატვის თავისუფლება?**

**– რა თქმა უნდა, არა!**

**„გამოხატვის თავისუფლება” ნიშნავს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას სხვისი თავისუფლებისა და ღირსების შელახვის გარეშე.**

**სოფლის ორღობეში ერთმანეთის ლანძღვის გამო სანქციებს ვერ დავაწესებთ, მაგრამ სოციალურ ქსელსა თუ მედიაში სიძულვილის ენის მომხმარებელი** თუ სწრაფადვე არ დაჯარიმდება (ფინანსურად) სასამართლოს მიერ, **სიძულვილის ენით ფსიქოლოგიური ტერორი ბევრ უბედურებას მოიტანს.**

...ბრძენი ადამიანები ამბობენ, რომ ქართველი ადამიანი სიყვარულზეა ორიენტირებული; სიყვარულს, პირველ რიგში, ღმერთის რწმენა განაპირობებს, რამდენადაც **უფალია იმედის ულევი წყარო;** იმედიანი ადამიანი ოპტიმისტია; ოპტიმისტი კი პოზიტივზეა ორიენტირებული და არა – ნეგატივზე.

**უღმერთო ადამიანი უიმედოა; უიმედო კი ნეგატივზეა ორიენტირებული. ნეგატივზე – უარყოფით აღქმაზე** – კონცენტრირებული ყველა ინდივიდი „სხვას“ მხოლოდ უარყოფით კონტექსტში ხედავს (ზოგჯერ კარგიც კი ცუდად ეჩვენება!); „ამდენი“ „უარყოფითის“ გამო კი აგრესიულდება და **საკუთარ თავსაც ბნელეთში აგდებს**.

**...ჩვენი ტელევიზიების დიდი ნაწილი მეტწილად ნეგატიურ ინფორმაციებს ავრცელებს** და ხელს უწყობს ადამიანებში უარყოფითი იმპულსების ამოფრქვევას; უარყოფითი იმპულსები კი საზოგადოებაში აგრესიას აგროვებს და ფეთქებადსაშიშ სიტუაციას ქმნის... არ მინდა ვთქვა, რომ ესაა ტელეკომპანიების მფლობელთა შეთქმულება ქართველი ერის წინააღმდეგ... **ეს უფრო მედიისათვის „დავალების მიმცემი“ ადამიანების პირად მიზნებსა და ნეგატივზე ორიენტირებულობის შედეგია** (ამ ფონზე დასაფასებელი და მისასალმებელია ზოგი ტელეკომპანიის ჟურნალისტთა აქტიურობა, თავი დააღწიონ შემკვეთებისგან მომდინარე ნეგატივს); **ვფიქრობ, საქართველოს, ქართველი საზოგადოების ამჟამინდელი მთავარი პრობლემაა ორიენტირები:**

**ჩვენს საზოგადოებაშიც და თანამედროვე მსოფლიოშიც არ არსებობს მყარი ორიენტირები/ფასეულობები** (მახსენდება გრიგოლ რობაქიძე: საბჭოთა კავშირში ღმერთს კლავენ, ევროპაში კი ღმერთი კვდება!):

დღევანდელ საქართველოში **ორიენტირების ნიველირება** მიზანმიმართულად ხდება სხვადასხვა ვექტორის მქონე პოლიტჯგუფების მიერაც; ამას ემატება მედიის საშუალებით ცილისწამების, აგრესიისა და სიძულვილის ენის ტირაჟირება... **გამოდის, რომ ქართველები კიდევ კარგად ვუძლებთ.**

**ახლა კი ერთი ღირსეული პიროვნების შესახებ:** ქუთაისში საქართველოს პირველი ქართული გიმნაზია დააარსეს იოსებ ოცხელმა და სილოვან ხუნდაძემ – დიდებულმა ქართველებმა; ამავე სკოლაში ჩაეყარა საფუძველი პირველი ქართული უნივერსიტეტის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის – დაარსებას.

ამ სკოლას ბევრი ღირსეული დირექტორი და პედაგოგი მერეც ჰყავდა: სკოლამ დღემდე შეინარჩუნა ავტორიტეტი. **ამ სკოლის დირექტორად რამდენიმე თვის წინ აირჩიეს ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი – მურად ჯიშკარიანი;** კაცი, რომელსაც ვიცნობ 1983 წლიდან და შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ერთ-ერთი იშვიათთაგანია, რომელსაც **არასოდეს**

**უყოყმანია კაცობის, ქართველობის, ღირსების კონტექსტში;** მით უმეტეს, რაც ვიცნობ, თითქმის სულ დირექტორად მუშაობს და არასოდეს დაქვემდებარებია (დამორჩილებია!) იმპერიულ, პარტიულ თუ კარიერულ კონიუნქტურას.

**იოსებ ოცხელის სახელობის ქუთაისის მეორე საჯარო სკოლას ნამდვილად ახალი წარმატებები ელის მურად ჯიშკარიანის დირექტორობის პერიოდში, თუ... დააცალეს.**

რატომ თუ?

ამასწინათ ვნახე, რომ ქუთაისის ერთ-ერთი გაზეთის გვერდზე (რედაქტორი ჩემი ფეისბუკის მეგობარია) გამოქვეყნებული სტატიის კომენტარებში (იმედია, გაზეთის ნების მიუხედავად), დაიწყეს ცილისმწამებლური კამპანია – სიძულვილის ენით საუბარი – ჩემთვის სანიმუშო ადამიანის – **მურად ჯიშკარიანის** – წინააღმდეგ...

გავოცდი: არ მეგონა, მშვიდობის მოყვარე და კეთილშობილ ადამიანს, არააგრესიულ და კეთილ მურადს, ვინმე თუ გაიმეტებდა...

თითქმის ერთი კვირაა თვალს ვადევნებ სოციალურ ქსელში მიმდინარე „დისკუსიას“: **მურადს იცავენ მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც,** მაგრამ ვიღაც მაინც ცდილობს, გამოგონილი ნეგატივი გაავრცელოს... ამიტომაც გადავწყვიტე, დამეწერა ეს წერილი... ისედაც დიდი ხანია ვფიქრობდი, ჩემებურად გამეანალიზებინა **„სიძულვილის ენის“ ფსიქოლოგია.**

მურადის პატივისცემის გამოც და იმიტომაც, რომ ძალიან მიყვარს ჩემი ქუთაისი, გადავწყვიტე აქაც, ყველას წასაკითხად, დანართის სახით გამოვაქვეყნო რამდენიმეპუნქტიანი ჩემი **კომენტარი მურად ჯიშკარიანის** შესახებ:

1. თამამად შემიძლია ვთქვა:

ამჟამინდელ საქართველოში იშვიათად მინახავს მურად ჯიშკარიანის მსგავსი ღირსეული ქართველი და **სკოლაზე გადაყოლილი პიროვნება;** კარგი იქნებოდა, ქუთაისური გაზეთის ჟურნალისტს ერთი კითხვა დირექტორისთვისაც დაესვა, რადგანაც მისმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა მურადიც ახსენა ნეგატიურ კონტექსტში;

2. არ გამოვრიცხავ, რომ თბილისში, ქუთაისში თუ უშგულში რომელიმე მასწავლებელი რომელიმე ბავშვს უხეშად მოექცეს; თუმცა, არც ის გამოირიცხება, რომ რომელიმე მშობელსა თუ შვილს გადამეტებულად მოეჩვენოს მასწავლებლის საყვედური... ჩვეულებრივ სიტუაციაში ურთიერთობა მალევე დაბალანსდება ხოლმე... საგაზეთო მასალაში მოყვანილი **ერთი შემთხვევის გადაზრდა იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის ნალოლიავები სკოლის ახალარჩეული დირექტორის – მურად ჯიშკარიანის – უცნაურ კრიტიკაში** (რბილად რომ ვთქვათ), აშკარად მეტყველებს, რომ პროცესი მართულია ცნობილ სკოლაში ახალი დირექტორის მისვლით გაღიზიანებული პირის (თუ პირთა ჯგუფის) მიერ;

3. ზუსტად ვიცი, რომ ძალიან სერიოზული გეგმები აქვს ახალ დირექტორს – მურად ჯიშკარიანს –სკოლაში სწავლების ორგანიზების, **მოსწავლეთა ღირსებისა და უფლების დაცვისა და, რაც არანაკლებ მთავარია, მოსწავლეთა ნიჭიერების წარმოჩენის მიმართულებით;** შესაბამისად, აღმაშფოთებელია ასეთი უკიდეგანო სუბიექტურობა და ხალხისათვის „თვალში ნაცრის შეყრის“ მცდელობა – მცდელობა, გალანძღონ ეს ღირსეული პიროვნება – ჩემი დიდი ხნის საუკეთესო მეგობარი.

ჩემო მურად, ზოგი ადამიანი ისეა შეპყრობილი, წმინდა თამარ მეფეს ლანძღავს, ზოგი – საქართველოსათვის მსხვერპლად შეწირულ ილია ჭავჭავაძეს, ზვიად გამსახურდიასა თუ მერაბ კოსტავას... რაც უფრო დიდ საქმეებს გააკეთებ, კარგად წარმოაჩენ სკოლას, ქუთაისს, საქართველოს... უფრო უხეშად გაგლანძღავს ნეგატიური არსის მქონე, კეთილი ადამიანი კი იოლად მოგიტევებს (უნებლიეთ თუ რაიმე ისეთი მოხდა), მით უმეტეს, **სკოლის მასწავლებლის ერთ სათუო შეცდომას არ გადაგაყოლებს და შენს გაკეთებულს დაინახავს...**

არ დაგანაღვლიანოს ზოგმა უტაქტო კომენტარმა (ზოგი ცხელ გულზეა ნათქვამი, ზოგიც – ემოციით, თუმცა, ზოგი ნამდვილად მიზანმიმართულადაა დაწერილი)... **მე მსგავსი შემოტევა უკვე რამდენჯერმე „მოვიგერიე“** და დანამდვილებით ვიცი, რომ, საბოლოო ჯამში, **მართალი კაცისკენ ნასროლი „ტალახი“ ბუმერანგივით უბრუნდება მსროლელს!..**

შენ დიდი გეგმები გაქვს როგორც სწავლების ორგანიზების, ისე, სკოლის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის მიმართულებით; გულიანად გააგრძელე შენი საქმე და **ჩვენც გვიგულე**

**შენ გვერდით.**

დარწმუნებული ვარ, ხვალ თუ ზეგ ყველა წესიერი ადამიანი (დღეს ნებსით თუ უნებურად ნაწყენიც), ვინც ახლახან გაგიცნო, შენს ნაღვაწს დაინახავს და შენი მეგობარი გახდება!

**P.S.** სიყვარული უდიდესი კულტურაა! „სიძულვილის ენით“ მოლაპარაკე სუბიექტი უფრო და უფრო კარგავს სიყვარულსაც, ბედნიერების აღქმასაც და „გემზე აშვებულ ზარბაზანს“ (ჰიუგო, „1893“) ემსგავსება: საკუთარ თავსაც ანადგურებს და სხვასაც... შესაბამისად, „სიძულვილის ენა“ სახიფათო მოვლენაა. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში „სიძულვილის ენის“ აქტივიზაცია თუ დაბალანსება ბევრადაა დამოკიდებული ჟურნალისტების/მედიისა თუ სოციალური ქსელის მომხმარებლის დონეზე. არ გვინდა „სიძულვილის ენა“; ნუ მოვკლავთ სიყვარულს; გარდა ამისა, ჩვენ დიდი კულტურის ერი ვართ... ნურასოდეს აჰყვებით „ლანძღვა-გინებაში“ **ფსიქოტერორისტს**, ბრაზით გაბოროტებულს, უზნეო მეტოქეს, მოშურნეს (შდრ., საბა: შური „მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“), მით უმეტეს, განაწყენებულ თუ მცირე ხნით გაბრაზებულ ადამიანს... **დაინახეთ სხვა ადამიანში კარგი/კარგიც და თქვენი ცხოვრებაც წინ წავა...**

ამქვეყნად ყველას სამყოფი ადგილია: ყველა დავეტევით; მით უმეტეს, მცირერიცხოვანი ქართველები... **სიკვდილი ისედაც ყველა ჩვენგანთან მოვა:**

**სიკვდილამდე ნუ მოვკლავთ ერთმანეთს.**

19 მარტი, 2016

## შემთხვევა ხარაგაულში: „ტვინგამოღების“ „ისტორია“

ეროვნულცნობიერებამორღვეულის შესახებ წერილი პრევენციისთვის დავწერე და არა – ვინმეს დასასჯელად.

არაერთხელ თქმულა, რომ პატრულის ფუნქციაა პრევენცია და არა ჩასაფრებით ვინმეს დაჯარიმება; გარდა ამისა, კანონით არ შეიძლება, პატრულ-ინსპექტორი ღამით (თუნდაც დღისით) ტრასაზე (გზატკეცილზე, ავტობანზე) პატრულირებდეს ციმციმებჩამქრალი მანქანით; მით უმეტეს, პატრული არ უნდა ცდილობდეს, სამმანეთიანი საბჭოთა ავტოინსპექტორის მსგავსად, ღამეში ჩამქრალი ფარებით და დაბნელებული ციმციმებით გზის პირას ჩასაფრებულმა გამოიჭიროს დამრღვევი მძღოლი. მგონი, აქ სადავო არაფერია.

ბათუმში მეგობარი გარდამეცვალა; ცოტათი დალევა მომიწია და სახლისკენ უკანა გზაზე (ბათუმი – თბილისი) საჭესთან ჩემი ძმიშვილი, ღირსეული კაცი, იურისტი ნიკა (ნიკოლოზ) ფუტკარაძე დაჯდა. დამწუხრებული ოთხი ადამიანი მოვდივართ თბილისისაკენ ნორმალური სვლით. დაახლოებით, 23.15 საათზე შევუდექით ზემო იმერეთის აღმართს (ხევამდე). გვიანი საღამოს მიუხედავად, უსაშველოდ დიდი მოძრაობაა: ნელი სვლით წინ მიიზლაზნებიან შხამგამნაბოლქვიანი ტრაილერები (აღმამღოღავი მატარებელი გეგონება!); ისედაც უარყოფითი ემოციით სავსეებს უფრო გვიმძიმდება განწყობა.

...ნიკამ დრო იხელთა და როცა შემხვედრი მანქანები საერთოდ აღარ ჩანდა, გადაასწრო რამდენიმე ტრაილერს (ამას ყველა აკეთებს ასეთ გაუსაძლის სიტუაციაში!); ბუნებრივია, ცოტათი გადაკვეთა ღერძულა ხაზიც (რომელიც, შეიძლება, არც იყო უწყვეტი). რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს მიწიდან, გველზე უარესივით, „ამოძვრა“ (რა თქმა უნდა, ციდან ჩამოვარდნას ვერ შევადარებ!) – დაგვეწია – პატრულის მანქანა და გაჩერება მოგვთხოვა.

გავოცდი: ბოლო 20-25 წუთის მანძილზე ტრასაზე არ დაგვილანდავს პატრულის ერთ დროს იმედის მომცემი ფერადოვანი ციმციმი (ახლა უხსენებელივით რომ დამამახსოვრდა!).

ნიკამ მანქანა გააჩერა და მშვიდად ზის (იცის, რომ აზრი არა აქვს საუბარს). მე გადავედი; მაინტერესებს, რა უნდა თქვას (მეც ვიცი, რომ 50-ლარიანი ჯარიმა შეუცვლელია).

– გამარჯობათ, მანქანა ჩემს სახელზეა; ტრაილერებს გამოვასწარით; სხვა გზა არ გვქონდა; მძღოლი კი ჩემი ძმიშვილია.

– პატრულ-ინსპექტორი ავთანდილ ხარატიშვილი, – ასე გამეცნო ცოტათი ჩამრგვალებული,

ცოტათი მელოტი პატრულ-ინსპექტორი და დაამატა: თქვენ მსუბუქ მანქანასაც გადმოასწარით; თუ გნებავთ, ვიდეოსაც გაჩვენებთ.

– მსუბუქი მანქანა არ ყოფილა; სხვა გზა არ გვქონდა, ტრაილერები ნელა მიდიოდნენ; მაჩვენეთ ვიდეო, – ვუთხარი მე.

– არ მაქვს ვალდებულება, მგზავრს ველაპარაკო, მაგრამ თქვენს ასაკს პატივს ვცემ და გაჩვენებთ; 20 წუთი დაგჭირდებათ მოცდა. – ნიკას მართვის მოწმობა გამოართვა და წავიდა თავისი აციმციმებულ-აფერადებული" სამეფოსკენ".

ვაჩერებ:

– ბატონო ავთანდილ, სასიამოვნოა, რომ ავთანდილი გქვიათ; მე ტარიელი ვარ; 20 წუთი ბევრია; უფრო მოკლე დროშიც ხომ შეგიძლიათ, რომ მაჩვენოთ ვიდეოჩანაწერი?

– ახლა არ მითხრათ, რომ ფრიდონიცაა მანქანაში; 10 წუთი დაგჭირდებათ მოცდა.

– ფრიდონიც მყავს ძმა და ავთანდილიც მანქანაშია; ეგ არაა მთავარი. კარგი, დაგელოდებით 10 წუთს და გვაჩვენეთ ვიდეო.

ზემო იმერეთის მშვენიერი ჰაერი სიცოცხლეს გვმატებს; „მიწიდან ამომძვრალი" საპატრულო მანქანის ციმციმში გავიდა 10 წუთიც. მივედი მანქანასთან:

– გავიდა 10 წუთი; ხომ შემპირდით, რომ მანახებთ ვიდეოჩანაწერს...

– მე იუსტიციის აკადემიაში ვსწავლობდი; ყველაფერი ვიცი, ვიცი კანონები... – გვაწვდის ქვითარს (ეი531066), – არ მაქვს ვალდებულება, 10 წუთში განახოთ; შეიძლება კიდევ ნახევარი საათი დამჭირდეს... თუ გნებავთ, ხარაგაულის სასამართლოში მიჩივლეთ... – ამბობს და თავხედურად აგრძელებს: – ხელვეჩაურში ვიყავი მივლინებით და კარგად ვიცი თქვენი ამბავი (ნიკას დიდი ხნის წინ ხელვაჩაურში აქვს აღებული პირადობის მოწმობა), ასე იცით თქვენ, აჭარლებმა: ოღონდ არ დაგაჯარიმოთ და ლაპარაკით ტვინს გამოგვიღებთ; წაგვიყვანთ რესტორანში, გვაქეიფებთ, ოღონდ არ დაგაჯარიმოთ...

ვფიქრობ: იმ აჭარელს, ზოგადად, იმ ქართველს რა ვუთხრა, ასეთ უმადურ არსებას სუფრასთან რომ დაპატიჟებს! ხმამაღლა კი ვამბობ:

– ავთანდილ, კანონები სხვებმაც იციან; ერთი ეგ მითხარი: თქვენ ტვინი თუ გამოგიღეს აჭარაში, ახლა ტვინგამოღებული ხართ?

– არა, არ ვარ ტვინგამოღებული; კანონები ვიცი...

– კარგი, ავთანდილ; კარგად იყავი (ნიკა მანქანიდან არ გადმოსულა), – დავემშვიდობე ამ უცნაურ მოვლენას და ახლაც ვფიქრობ:

ჩვენ გადავკვეთეთ ღერძულა ხაზი (იქნებ უწყვეტი არც იყო!); ჩვენ რესტორანში მართლა დავპატიჟეთ ბევრი ტვინგამოღებული თუ ტვინგამოსაღები; გელათში რომ ავიყვანეთ უცხოელი, იმანაც თითქმის ასე დაგვცინა... თავსაც ვიმშვიდებ: დაგვცინეს ტვინგამოღებულებმა (ვირისგან წიხლი!).

უმჯობესია, ავტობანი დროულად ავაშენოთ და ღერძულა ხაზი არ გადავკვეთოთ, უმჯობესია, ტვინგამოსაღები რესტორანში არ დავპატიჟოთ; თუმცა, უმჯობესია, ქართული სტუმართმოყვარეობა მხოლოდ ღირსეულისათვის შევინარჩუნოთ (არ უნდა დავუყაროთ ღორს მარგალიტები!

ისე, ჩემი თავი კიდევ ერთხელ „გამოვიჭირე": აშკარად მაღიზიანებს ის, ვინც აჭარას/აჭარლებს თუ სხვა კუთხის მცხოვრებთ ერთიანად და ხელაღებით გალანძღავს (ქართველ ერს ერთიანობაში ვერ განიხილავს!), საქართველოს გარეთ კი საქართველოს ახსენებს ცუდად...

არ არის ეს პოლიტიკური თემა; უბრალოდ, ასეთი ეროვნულცნობიერებამორღვეული (კუთხურობას რომ ვერ გასცდა!) პატრულ-ინსპექტორი ღირსებას ულახავს საკუთარ თავსაც, ხარაგაულსაც, საქართველოსაც და თავის უწყებასაც. ეს ერთი ინდივიდი ნაკლებად მაინტერესებს; ეგებ საპატრულო სამსახურის ავტორიტეტით დაინტერესებულმა პირმა ნახოს ეს ჩემი ჩანაწერი და პატრულის სამსახურის დახვეწაზე იფიქროს – სულ მცირე, უნდა აიკრძალოს პატრულის ციმციმჩამქრალი მანქანით ჩასაფრება, ზოგადად, ჩასაფრება მძღოლის გამოსაჭერად.

**P.S.** ეს წერილი პრევენციისთვის დავწერე და არა – ვინმეს დასასჯელად.

28 სექტემბერი, 2016

# ზვიად გამსახურდიას მეგობრის უსალბუნო ტკივილი

ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთმა მეგობარმა თავისი სხვა მეგობრის შვილს (ჩემს მეგობარს) 1990 წელს მოუყვა 1976 წელს მომხდარი **ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ერთი შემთხვევის შესახებ.** რამდენიმე წლის წინ ეს ამბავი ჩვენთვისაც გახდა ცნობილი. მას შემდეგ ვფიქრობ ამ შემთხვევის შესახებ: ჩემი თავიც არაერთხელ წარმოვიდგინე ორივეს ადგილას...

მოგიყვებით იმ ვარიანტს, რომელიც ჩემს ცნობიერებაში დარჩა:

1976 წელს ზვიად გამსახურდიასათვის დაურეკავს საბჭოთა კაგებეს ერთ-ერთ ქართველ მაღალჩინოსანს და შეხვედრა დაუნიშნავს ალექსანდროვის ბაღში (1976 წელს ზვიად გამსახურდია აფუძნებდა "საქართველოს ჰელსინკის კავშირს"; შესაბამისად, „კაგებეშნიკი", ალბათ, ცდილობდა, შეეჩერებინა ზვიად გამსახურდია).

ზვიად გამსახურდიამ თავის მეგობარს სთხოვა, შეხვედრის ადგილას გაევლო, ვითომც შემთხვევით და ორივეს მისალმებოდა; კერძოდ, ზვიადმა მეგობარს უთხრა:

**– კაგებეს თანამშრომელმა ხვალისათვის ალექსანდროვის ბაღში შეხვედრაზე დამიბარა; როცა შევხვდები, მინდა, რომ იმ დროს გამოიარო, მომესალმო და ჩვენთან გაჩერდე ერთი წამით. მირჩევნია, კაგებეს თანამშრომელთან ჩემს შეხვედრას მოწმე ჰყავდეს... ვინ იცის, რას აპირებენ...**

მეგობარი დაეთანხმა ზვიადს, მაგრამ მთელი ღამე საკუთარ თავთან ბრძოლაში გაატარა; 1990 წელს მან ასე გაიხსენა 16 წლის წინანდელი ღამე:

– ზვიადს დავთანხმდი, ალექსანდროვის ბაღში მივსულიყავი. დავთანხმდი იმიტომ, რომ იმ წუთას სხვა პასუხი ვერ მოვიფიქრე. დავთანხმდი, მაგრამ მთელი ღამე თეთრად გავათენე: **იმ ღამეს დამანგრევლად გაორდა ჩემი ცნობიერება:**

- კაგებეშნიკის მიერ ზვიად გამსახურდიას ნაცნობად დაფიქსირების შემთხვევაში მეშინოდა, კაგებეს რაიმე არ ევნო ჩემთვისაც;
- ზვიადთან რომ არ მივსულიყავი, მეგობრის წინაშე არაკაცი გამოვდიოდი.

მთელი ღამე ოფლში ვცურავდი. დილით ავდექი და დათქმულ დროს კანკალით წავედი ალექსანდროვის ბაღში. დავინახე: კაგებეშნიკი და ზვიადი ერთმანეთს ცივად როგორ მიესალმნენ და სკამზე ჩამოსხდნენ. დავიძარი მათკენ, მაგრამ ძლივს მივლასლასებდი. მივუახლოვდი; მინდოდა შევჩერებულიყავი, მაგრამ ძალა არ მეყო, რომ კისერი მათკენ მიმებრუნებინა და მივსალმებოდი. ფეხათრევით გავცდი... რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გავაცნობიერე: **არაკაცურად მოვიქეცი**, თუმცა უკან მობრუნების არავითარი სურვილი არ გამჩენია: შიშისაგან ცივი ოფლი მასხამდა! **პარალელურად, დამეუფლა დიდი სიძულვილი ზვიად გამსახურდიას მიმართ; იმ მომენტში ზვიადი მძულდა იმიტომ, რომ ამ დღეში ჩამაგდო, რომ მისმა თხოვნამ ჩემი არარაობა წარმოაჩინა; მისმა არსებობამ ჩემი უძლურება გაათვალსაჩინოა:**

ზვიად გამსახურდიას ფონზე მე, კაცი, რომელსაც აქამდე თავი ამაყად მეჭირა, უბადრუკ მხდალად გამოვჩნდი. იმ დღიდან მასთან შეხვედრას ვერიდებოდი.

რამდენიმე თვის შემდეგ ზვიადი შემთხვევით გადამეყარა მელიქიშვილზე და მშვიდად მომესალმა: თითქოს არაფერი დამეშავებინა; მე ცივად მივესალმე და საყვედურის მოლოდინის გამო სწრაფად გავშორდი; ის გააკვირვა ჩემმა სიცივემ, მაგრამ ჩემთვის შვება და კომფორტი იყო მისგან სიშორე.

1988 წელს, იპოდრომის მიტინგზე დამინახა და ჩემთან მოვიდა; 12 წელი კი არა, თითქოსდა, 12 საათი იყო გასული: მაშინვე დავიწყე თავის მართლება:

– ალექსანდროვის ბაღში რომ ვერ მოგესალმე...

ზვიადმა ღიმილით შემაწყვეტინა:

– რას ამბობ; ხომ მოხვედი მაშინ; ესეც დიდი მხარდაჭერა იყო ჩემთვის...

ზვიადის მეგობარმა თხრობა გააგრძელა:

**– იპოდრომის მიტინგზე ზვიადთან შეხვედრისას მე კიდევ ერთხელ დამასხა ცივმა ოფლმა:** კიდევ ერთხელ ვიგრძენი ჩემი სისუსტე, რომ ზვიად გამსახურდიას წლების მანძილზე თვალს ვარიდებდი, რომ უსუსური ვჩანდი მისი სიმამაცის ფონზე; ცივი ოფლი მასხამდა იმიტომაც, რომ მას ასე გულწრფელად შეეძლო მიტევება, მე კი ლამის ბოღმაში დავიხრჩე.

**...1990 წელს მე შევეცადე, დამემშვიდებინა მამისტოლა კაცი და ვუთხარი:**

– ასე აღსარებასავით რომ მოჰყევით ჩემთან ამ ამბავს, ამით ბევრი რამ დამანახვეთ; ახლა ვხვდები, ზოგი ცნობილი ინტელიგენტი ასე გამწარებით რატომ ემტერება ბატონ ზვიადს; მათ ფონზე თქვენ ღირსეული ადამიანი ბრძანდებით...

მან მიპასუხა:

**– ჩემი ღირსება ალექსანდროვის ბაღში დარჩა!**

...მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ალექსანდროვის ბაღში დარჩენილი ღირსების ამბავი ჩემთვის დიდი ცხოვრებისეული გაკვეთილია – დაასრულა თხრობა ჩემმა მეგობარმა.

**P.S.** ზვიად გამსახურდიას მეგობრის აღსარება შეიძლება განვაზოგადოთ: როცა სიმართლეს ამბობ, მით უმეტეს, სიმართლისათვის იბრძვი, უნებურად სუსტ (თუ მედროვე) ადამიანს ანახვებ, რომ არ არის მართალი (რბილად რომ ვთქვათ) და მას დისკომფორტს უქმნი; ამიტომაც, **დიდი ალბათობით, მისთვის გამაღიზიანებლად იქცევი, რამდენადაც შენი არსებობით მის სინაკლულეს ათვალსაჩინოებ და სიმშვიდეს უკარგავ...** მხოლოდ ძლიერ ადამიანს შეუძლია გულწრფელი მონანიება.

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას:

**იგი გმირია: თავი შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობას.**

20 მაისი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## პრეზიდენტის /თუ მინისტრის/ მონაყოლის დღევანდელი ექო

პირველ პირთან სიახლოვე რომ საინტერესოცაა და სახიფათოც, ბევრს გაუგონია. პირადად, მე ორ პრეზიდენტთან, რამდენიმე რექტორთან და რამდენიმე მინისტრთან მქონდა (თუ მაქვს) იმდენად ახლო ურთიერთობა, რომ მნიშვნელოვან ფაქტებსაც მოჰყოლიან შეხვედრის დროს. სახიფათოც რომ არის პირველ პირთან სიახლოვე (მტრები სწრაფად მრავლდებიან ამ დროს!), ამიტომ აუცილებელ დისტანციას ვიჭერდი და ვიჭერ ხოლმე (ურთიერთობა არც ერთხელ არ მიმიყვანია სახიფათო ზღვრამდე!); შესაბამისად, **პირველ პირთან ურთიერთობის მხოლოდ კარგი გამოცდილება მაქვს.** ეს გამოცდილება არ მამძიმებს; პირიქით – მაძლიერებს, ხანდახან კი მახალისებს კიდეც. ერთ სახალისო ამბავს თქვენც მოგიყვებით.

**პრეზიდენტი/ან მინისტრი/:**

– ის დროა, რუსეთს ღიად რომ დავუპირისპირდით, რუსებიც ცდილობენ, საზღვარგარეთ სახელი გამიტეხონ და შიგნიდანაც ამაფეთქონ. ერთ გვიან საღამოს მოადგილე მეუბნება:

– ინფორმაცია გვაქვს, რუსეთი დიდი ფულის შემოტანას აპირებს საქართველოში ჩვენს წინააღმდეგ; ასეთი გზაა: მოსკოვი – ერევანი – კოპიტნარი – თბილისი: თბილისში კი ჩვენს საწინააღმდეგოდ ორი მძლავრი გაზეთის დაფინანსება.

**მე:**

– კოპიტნარი რაღა შუაში იყო? – სხვათა შორის ვიკითხე.

**პრეზიდენტი/ან მინისტრი/:** – ერევანში ავტობუსით უნდა ჩასულიყო ერთი ჩემი ნათესავი – ცნობილი რეჟისორი (თუ ცნობილი პროფესორი). მას იქ დაახვედრებენ 100 000 დოლარს. ის ჩაჯდებოდა თვითმფრინავში. ჩამოფრინდებოდა კოპიტნარში, სადაც ნაკლები კონტროლია და შემდეგ მანქანით – თბილისში.

**მე:**

– ვიცოდი, რომ თქვენი ნათესავი იყო, მაგრამ მაინც გიპირისპირდებოდათ; ნუთუ ასეთი დონის სულგაყიდულია!?

**პრეზიდენტი/ან მინისტრი/:**

– უუ, ეგ გარეწარი! კაგებეშნიკობის 60-წლიანი სტაჟი აქვს! კოპიტნარი პატარა აეროპორტია; გათვალა, რომ პრობლემა თუ მაინც შეიქმნებოდა, ჩემი ნათესაობის გამოყენებით შემოიტანდა არალეგალურ ფულს! ჩემი სახელის გამოყენებით უნდოდა ახალი ფრონტის გახსნა ჩემს

წინააღმდეგ! ზუსტი ინფორმაცია მაქვს: რუსების დავალებით მანამდეც მითხრიდა ძირს! თან იცის, ფაქტზე ვერ დავიჭერ! ნათესაობის გარდა, მთელ მსოფლიოში მომჭრის თავს, რადგანაც კომუნისტების წყალობით საზღვარგარეთაც იცნობენ!

**მე:**

– მერე რა მოხდა?

**პრეზიდენტი/ან მინისტრი/:**

– გავარკვიეთ, 14.00 საათზე მოფრინავდა ერევნის რეისი. მოადგილეს ვუთხარი: რუსები ერევნიდან პრობლემას არ შეუქმნიან. ჩამოვიდეს კოპიტნარში; ნახეთ, ვინ დახვდება. მებაჟეებმა ვითომ არაფერი იციან, ჩაჯდეს მანქანაში. თბილისის გზაზე მანქანას პრობლემები შეუქმენით, რომ გზად დააღამდეთ და სადმე, ხევის გვირაბების შემდეგ, ფული ყაჩაღურად წაართვით. ვერ დავიჭერ; რომც დავიჭირო, ეგ უნამუსო იტყვის, ფული თვითონ ჩაადებინა, მე ფული საიდან მექნებოდაო...

**მე:**

– და დააყაჩაღეთ? :))

**პრეზიდენტი/ან მინისტრი/:**

– სასაცილო რამ მოხდა: მოძველებული მერსედესით დახვდნენ მისი ახალგაზრდა თანამეინახენი (კიდევ ორი გარეწარი!). ეს უკან ჩაჯდა და, ამდენი ფულის მიუხედავად, ჩანთას ჩახუტებულს მაშინვე ჩაეძინა (ასაკი მაინც თავისას შვრება!). ქუთაისში შესვლამდე ორი საბურავი დაუშვეს ჩემებმა (არ მკითხო ახლა, რა მეთოდით, – გაიცინა) და თითქმის არც გაუგია.1 საათი აქ დაკარგეს. ქუთაისში საჭმელად გაჩერდნენ. იქ მოვუწყვე, რაც მოვუწყვე: საჭმელში კუჭის ამშლელი წამალი ჩავაყრევინე (კვდება სიცილით!). ზესტაფონამდე ვერ ჩააღწიეს: დაიწყეს ტუალეტებისა და ბუჩქების ძებნა – ორი საათი ასე დაკარგეს. ჩემები ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ გავაცნობიერე, ტრასებსა და ქალაქში რომ ნორმალური სველი წერტილების დიდი პრობლემაა!

მოკლედ, ზესტაფონში აფთიაქთან გაჩერდნენ. მუდმივი კავშირი მქონდა ოპერაციის ხელმძღვანელთან. არასწორი პარკირების გამო პოლიცია მივაყენეთ. აქაც დაკარგეს დრო. საღამოს შრომამდე კიდევ ერთხელ გავუფუჭეთ საბურავები. მიხვდნენ რაღაცას და დაიწყეს ახალი მანქანის ძებნა; უცხოს არ უჯდებოდნენ. ნაცნობი უცებ ვერ ნახეს. ისევ ზესტაფონელებმა უშველეს: 2 საათის შემდეგ მოუტანეს ახალი საბურავები და შეუდგნენ რიკოთის აღმართს. გვიანი შემოდგომა იყო და მალე ჩამოღამდა. ეტყობა, წამალმა ვერ უშველა ბებერს და კიდევ გააჩერებინა მანქანა. სველი წერტილი არსად იყო. გადავიდა ტყეში. ამ დროს სამი ნიღბიანი გამოჩნდა: ორი იარაღით დაადგა თავზე იმ ორ ახალგაზრდას; მესამე კი ჩახდილ ბებერთან მივიდა პისტოლეტით. კიდევ კარგი ჩახდილი ჰქონდა: შარვალს დასვრიდა, ისეთი მშიშარაა!

**ნიღბიანი:**

– სომეხი ძმაკაცი მყავს; ვიცი, რომ ერევნის საბაჟოდან ფული გამოიტანე; მაგ შენს ნაკელში ჩაგახრჩობ! სად არის ფული!

**პრეზიდენტის თუ მინისტრის ნათესავი:**

– რას კადრულობთ; იცი ვინ ვარ! საფლავში ვერ დაემალები (და დაუსახელებია ჩემი სახელი). სად მაქვს მე ფული?! ვერ მხედავ?

**პრეზიდენტი თუ მინისტრი:**

– ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ნიღბიანი დააწვა ზურგზე და ეს ჩემი ამომგდები ნათესავი და თქვენი ცნობილი რეჟისორი შიშველი საჯდომით დაეცა თავისსავე ნაკელში. ამასობაში იმ ორმა ნიღბიანმა მანქანიდან აიღო ფულიანი ჩანთა და სამივენი წამოვიდნენ თბილისში. დასვრილ-ჩაბანძებული საბჭოთა კაგებეს აგენტი კი დარჩა თავის ქაქში!

**მე:**

– ვერც იჩივლებდა: როგორ დაასაბუთებდა ამხელა თანხის წარმომავლობას! ისეთი ბრიყვი არაა, სომეხი ძმაკაცის ვერსია რომ დაეჯერებინა... ალბათ, ამიტომ უფრო გამწარებით გლანძღავს მას შემდეგ.

**პრეზიდენტი თუ მინისტრი:**

– იმ ფულით არა მხოლოდ ჩემს წინააღმდეგ აძლიერებდნენ შავს პიარს, არამედ შენ რომ კარგად

გაქვს შესწავლილი, იმ მიმართულებითაც გეგმავდნენ გააქტიურებას – ქართველთა ენობრივი და რელიგიური დაპირისპირების პროვოცირების მიმართულებით.

**P.S.** სახალისო ამბის უხალისოდ გაგრძელება:პირველი პირის მიერ მოყოლილი ამ ამბის შემდეგ არც თუ ცოტა დრო გავიდა. საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებისა თუ რელიგიური დაპირისპირების პროვოცირებისათვის დღეს აშკარად დიდი ფული იხარჯება! სამწუხაროდ, საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფონდებიც რომელიღაც "ბნელი სქემით" გასცემენ თანხებს ქართველთა (/ საქართველოს მოქალაქეთა) ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებისა და საქართველოში რელიგიური დაპირისპირების პროვოცირების მიმართულებით.

აშკარაა: რუსული "რბილი ძალა" ბოლო პერიოდში უფრო მოძლიერდა საქართველოში: კგბ-ს ერთი ძველი აგენტი საკუთარ ქაქში კი ჩარჩა რიკოთის ტყეში, მაგრამ რუსეთი რის რუსეთია, საქართველოში რამდენიმე ბებერი რეჟისორისა თუ პროფესორის იმედზე რომ იყოს. დარწმუნებული ვარ, დღეს რუსეთი მხოლოდ "ხანდაზმულ სამიზნე ჯგუფებს" არ ეყრდნობა (როგორც ზოგს ჰგონია; იხ., მაგ.: Strategic Defense Review): რუსეთს სერიოზული პარტნიორები ჰყავს ე.წ. ქართველ ფსევდოლიბერალთა შორისაც.

დღეს იმედის მომცემი ისაა, რომ 2017 წლის მაისში საქართველომ მიიღო თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, სადაც რუსეთის "რბილი ძალა" ოფიციალურად იქნა აღიარებული ქვეყნის უსაფრთხოების ძირითად საფრთხედ, ოღონდ, ეს "რბილი ძალა" რიკოთის ტყეში აღარაა მოსაძიებელი: ჩვენს თვალწინაა!

16 აპრილი, 2018

## 1994

ახლა 2018 წელია, 24 ოქტომბერი, 02.02 სთ.

ლევან ბებურიშვილმა ძალიან ვიწრო წრეში აღნიშნა ანასთან შეუღლება /ბაჩუკი მესხის საინტერესო ოჯახში/.

შესანიშნავი თამადა გვყავდა – ბ-ნი ლადო მინაშვილი.

ბოლოს ტაქსი გამოვიძახეთ. როგორც იქნა მოვიდა კეთილი სახის გოლიათი ახალგაზრდა. თავისი მანქანა იქვე დატოვა და ჩემი მანქანით წამოგვიყვანა ბ-ნი ლადო და მე.

გზაში თქვა, რომ მერსედესი მონატრებია... საუბარი თავისთავად აეწყო. ზვიადია ჩემი სახელიო...

– გორის ერთ-ერთ სოფელში დავიბადე. მამაჩემის ერთადერთი შვილი ვარ; მამამ ზვიადი დამარქვა 1994 წელს. ორი თვის რომ ვიყავი, მამა მოკლეს...

– რატომ მაინც და მაინც ზვიადი? ვინმეს ერქვა ეს სახელი? მამა რატომ მოკლეს?

– არ ვიცი, რა მოტივაციით დამარქვა ეს სახელი: გვარში, მოდგმაში არავინ მყავდა, ვისაც ზვიადი ერქვა; მამა ჩხუბის დროს მოკლეს...

– ზვიად, წარმოიდგინე 1994 წელი:

საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი პრეზიდენტი რუსის ჯარმა ქართველთა მცირე ნაწილის გამოყენებით ხელისუფლებიდან განდევნა, პრეზიდენტი მოკლა, საქართველო დსთ-ში შესულად გამოაცხადა; პარალელურად, რუსების მიერ დანიშნული მთავრობა, განსაკუთრებით, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, დევნიან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოჯახს, მის თანამებრძოლებს, რომ ბოლომდე ჩაკლან საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა (მათი ნაწილი თუ მემკვიდრეები დღესაც პოლიტიკური სპექტრის აქტივს ქმნიან!). მოკლედ, დსთ-ში შესვლა რომ "გააპრავონ", 1994 წელი არის საქართველოს კანონიერი ხელისუფლების პირველი პირის ლანძღვისა და მის თანამებრძოლთა – ნამდვილ ქართველ პატრიოტთა – დევნის უმძიმესი პერიოდი. სწორედ ამ დროს, 1994 წელს გორის ერთ-ერთ სოფელში, ჩვეულებრივ ოჯახში, იბადება ნანატრი პირველი (და ერთადერთი!) ბიჭი,

რომელსაც მამა არქმევს ზვიადს... ზვიად, ახლაც გაუგებარი თუ ამოუცნობია, რატომ დაგარქვა მამაშენმა ზვიადი ? ჩავეკითხე ტაქსისტს.

მპასუხობს:

– რა ვიცი, გვარში არავის ჰქვია ზვიადი...

– ზვიად, 1994 წელს მამაშენმა ზვიადი რომ დაგარქვა, ეს ნიშნავს იმას, რომ ის დიდი ქართველი ვაჟკაცი იყო, რადგანაც არ შეუშინდა რუსის ჯარს, შევარდნაძეს, მხედრიონს, კიტოვანის ბანდებს და დაგარქვა პირველი პრეზიდენტის სახელი. სხვაგვარი მოტივაცია ნაკლებდასაშვებია... იამაყე მამაშენით; მამაშენი ვაჟკაცი ქართველი პატრიოტი იყო! ის მაინც იცი, რატომ მოკლეს მამაშენი?

– მამაჩემი გლეხის ცხოვრებით ცხოვრობდა; ჩხუბში გაყვა მეგობარს; იმ ჩხუბში სამი კაცი მოკვდა; არავინ დაუჭერიათ. სანამ გავიზრდებოდი, ვინც მამაჩემი მოკლა, ყველა მანამდე მოკლეს... უფრო თავს იმართლებს ზვიადი.

მოვედით. ფულს ვაძლევ:

– არა, ფული უკვე გადახდილია! იმ ახალგაზრდა კაცმა მომცა, ვინც გამოგაცილათ!

– მე არ დამინახავს; როდის, ხომ არ მატყუებ – მაინც ვუწვდი ფულს (მგონია, რომ იმ მამის შვილი ცდილობს, პატივი მცეს);

– არა, მომცა თანხა, ორჯერ ხომ არ ავიღებ, – მიღიმის გოლიათი.

1994 წლიდან უკვე 24 წელია გასული: ლევანი ზვიადზე ბევრად უფროსი არაა. ფული, ალბათ, ლევანმა გადაიხადა, მაგრამ ზვიადი ისე მიღიმის, რომ, თავის მხრივ, მასაც შეეძლო ბატონი ლადოსა და ჩემი პატივისცემა. მე კი გული მეწურება: მათზე გაცილებით მეტი შემოსავალი მაქვს და უნდა დამესწრო გადახდა!

ფაქტია, უკეთესი თაობა მოდის.

24 ოქტომბერი, 2018

# 3.5. ქალი, მამაკაცი

# ძლიერი ქალების სასიცოცხლო ენერგია

რატომ იფანტება სასიცოცხლო ენერგია?

2 ოქტომბერს, 14 საათზე ქუთაისში უნდა ვყოფილიყავი; ვჩქარობდი; ქუთაისთან ახლოს, ტრასაზე შემომხვდა ზურგზე დროშამოხვეული ერთი ქალი, რომელიც თბილისისკენ ფეხით მოდიოდა; რამდენიმე ათეულ მეტრში მეორე ქალბატონიც დავინახე, შემდეგ – მესამეც...

დიდი მიხვედრა არ უნდოდა: რომელიღაც აქციის მონაწილენი იყვნენ; რადგან ვჩქარობდი, ვერაფერი გავარკვიე.

დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 16 საათზე თბილისს რომ მოვუახლოვდი, ციხისძირის გადასახვევთან ისევ დავინახე ჯერ ერთი ქალი, მერე მეორეც, მესამეც... და მანქანა მეორესთან გავაჩერე:

– ვინ ბრძანდებით? რას აპროტესტებთ? – ვკითხე; ღიმილით სწრაფადვე მიპასუხა:

– მე თქვენ ეროვნული მოძრაობიდან გიცნობთ, გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დეპუტატი არ ხართ? მეც იმ მოძრაობის წევრი ვარ, დარეჯან ცხვიტარია... ნაცნობი სახელი და გვარი იყო ნამდვილად, ოღონდ მაშინვე ვერ აღვიდგინე, საიდან მახსოვდა.

– რას აპროტესტებთ? – გავუმეორე კითხვა.

– აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთ ფოთში ბინები გაუყიდეს; ფოთიდან ფეხით მოვდივართ სამნი: მე, მანანა მიქაია, ლალი ბასილაია...

ეს სამი დღეა თითქმის სულ წვიმს; დღესაც წვიმდა მთელი გზა; ესენი კი ფოთიდან ფეხით ჩამოვიდნენ... მერე მეხსიერებაში ამოტივტივდა ტელევიზიის ერთ-ერთ სიუჟეტში ნათქვამი ფრაზა: "ფოთის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დარეჯან ცხვიტარია ფოთში დევნილთა აქციას შეუერთდა"... ისიც ითქვა, რომ ამ აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა... დევნილები ფოთის მერიის მისაღებშიც შიმშილობდნენ...

შემდეგ თბილისამდე ფეხით წამოსულან: ითხოვენ, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ფოთის ახალ რაიონში დევნილებისთვის ბინების გადაცემის საკითხს.

რუსებმა, "ლეღვის ფოთლად" გამოიყენეს რა პრორუსი აფხაზები, ნახევარი მილიონი აფხაზეთელი ქართველი თუ ქართველების მომხრე აფხაზი დევნილად აქციეს... ასეთ ვითარებაში პოლიტიკური სპექტრი ვალდებულია, შეძლოს საქართველოს მთელი მოსახლეობის კონსოლიდაცია და საერთაშორისო საზოგადოების სათანადო ინფორმირება, რომ გეგმაზომიერად განხორციელდეს დეოკუპაცია და ქართველობის გამო დევნილთა (და საქართველოს ერთიანობის მხარდამჭერთა) დაბრუნება თავიანთ სახლებში...

სინამდვილეში რა ხდება:

– დღეს სოხუმში დარჩენილი არძინბა-ხაჯინბას მსგავსი პრორუსი აფხაზები, რუსეთის სა(დეზ)ინფორმაციო მანქანის ნებისამებრ, ქართველების არარსებულ "ფაშისტობაზე" ლაპარაკობენ;

– პუტინი ახლა უკვე ხაჯინბას გამოყენებით აფხაზეთის ანექსიის დასრულებას აპირებს; – საქართველოს პოლიტსპექტრის უსუსურობის გამო, საერთაშორისო ველში ნახევარმილიონიანი დევნილის პატრონ და ოკუპირებულ საქართველოს არასწორად კონფლიქტის წამომწყებად/დამნაშავედ თვლიან;

– ქართული პარტიების დიდი ნაწილი კი დევნილთა გაუსაძლისი მდგომარეობის პოლიტიზებით ცდილობს რევანშსა თუ მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებას...

ავტობანზე ფეხით მომავალი ქალბატონები ნამდვილად ძლიერი ქალები, ძლიერი ადამიანები არიან: ცოტას თუ შეუძლია, ამ წვიმიან დღეებში ფეხით ჩამოვიდეს ფოთიდან თბილისამდე...

მაგრამ კითხვას ვსვამ: არა მხოლოდ ამ სამი ქალბატონის, არამედ დღევანდელ ქართველთა უდიდესი ნაწილის სასიცოცხლო ენერგია პარტიულ ინტრიგებს (სინამდვილეში კლანურ ინტერესს) უფრო ხმარდება თუ საქართველოს? დანაშაულის დაფარვას თუ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრებას?

5 ოქტომბერი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

# გენდერის ქართულპოლიტიკური წახნაგი და ქალისა თუ მამაკაცის შელახული ღირსება ზოგი "სულელური" რეკლამის კონტექსტში

(სამუშაო ვარიანტი)

ტერმინი „გენდერი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „გენოს" – დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი (Gender მიმღეობაა). ეს სიტყვა ლათინურ ენაში გრამატიკულ სქესს აღნიშნავს.

თანამედროვე მსოფლიოში "გენდერი" სხვადასხვა სემანტიკით გამოიყენება, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი მნიშვნელობაა სოციალური სქესის აღნიშვნა; შდრ:

სქესი მიუთითებს ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, სხეულებრივ განსხვავებას, „გენდერი" კი ადამიანის (პიროვნების) ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს – "ქალისა და მამაკაცის სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით".

დღეს "გენდერი" უფრო ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და კაცთა ურთიერთობის ფენომენს და დამკვიდრდა, როგორც "გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში", თუმცა, თანამედროვე გენდერული კვლევები ფოკუსირდება არა მხოლოდ ქალებზე, არამედ კაცებზეც, კერძოდ, მამაკაცურობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის, შესწავლაზეც.

გენდერი, როგორც სქესის სოციალური მახასიათებელი, წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის თანამედროვე იდეოლოგიას; აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით პირველი უზადო დებულება ჩამოყალიბდა 800 წლის წინ შოთა რუსთველის მიერ:

"ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყო თუნდა ხვადია": ამ ცნობილი აფორიზმის ზუსტი შინაარსი ასეთია: ლომის ლეკვი, ძუ (დედალი, ჭაკი) არის თუ ხვადი, არა აქვს მნიშვნელობა, როცა გაიზრდება, ნამდვილი ლომი იქნება.

ამ ვრცელი შესავლის ფონზე თეზისების სახით:

1. მსოფლიო პრობლემა იყო, არის და იქნება ფიზიკურად შედარებით ძლიერი, მაგრამ ფსიქოლოგიურად უსუსური მამაკაცებისგან ქალზე ძალადობა; ძლიერი მამაკაცი, ღირსეული პიროვნება არასოდეს ძალადობს (თუმცა, ქალზეც, შვილზეც, მშობელზეც, თანამშრომელზეც... ზოგჯერ ყველა შეიძლება გაბრაზდეს მისი არაადეკვატური ქცევის გამო); ქალისადმი ძალადობას ნურავინ დააბრალებს ქართულ მენტალობას: მეძავობას, ქურდობას, შურიანობას, ძალადობას, მკვლელობას... კაენური კალაპოტით ცხოვრება განსაზღვრავს და არა – ეროვნული წარმომავლობა; ცნობილი გამოთქმის პერიფრაზით ვიტყვი: მოძალადეს, მეძავს, მკვლელს, ქურდს... ეროვნება არა აქვს, როგორც, ეროვნება არა აქვს პირუტყვს; ეროვნების არსია ენობრივ და კულტურულ-სახელმწიფოებრივ მახასიათებლებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ერთიანი თვითაღქმა (ენობრივ-ეთნიკური "მეობა");

2. ცივილიზებულ ადამიანთა საზოგადოებაში ნათელია, რომ ქალი და მამაკაცი ერთი ფურცლის ორი გვერდია; ამ მხრივ საოცრად ძველია ქართული მიდგომა, რომელმაც შექმნა უძველესი ტერმინები: დედა-კაცი, მამა-კაცი, ანუ: მდედრი ადამიანი და მამრი ადამიანი ("კაცი" ადრე ნიშნავდა ადამიანს); ასევე შთამბეჭდავია ზემოთ დასახელებული რუსთველური აფორიზმის ფილოსოფიის სიძველე ევროამერიკულ მიდგომებთან შედარებით;

3. ფიზიკურად შედარებით ძლიერი, მაგრამ ფსიქოლოგიურად "ჩმორი" მამაკაცისგან ქალზე ძალადობის საპირისპირო და, ამავე დროს, უფრო ხშირი მოვლენაა ქალის მიერ კაცის ღირსების დაუმსახურებელი შელახვა – ე. წ. "რქების დადგმა"; ეს უკანასკნელი უფრო გამანადგურებელი "მოვლენაა", ვიდრე ფიზიკური ძალადობა; შდრ., ენით დაკოდილისა და ცულით დაკოდილის არაკი...

თუმცა, ცივილიზებული კანონმდებლობით პირველი დასჯადია, მეორე კი – არა; ამას არგუმენტირებული ახსნა აქვს:

ფიზიკური ძალადობა სიცოცხლის ხელყოფასთან კავშირშია, სიცოცხლისთვის ხელშესახებად საშიშია; "რქების დადგმა" კი უფრო ორი პირის სექსუალური, ან მორალური შეუთავსებლობის შედეგია; ასეთი პარტნიორები დროულად უნდა გაერიდონ ერთმანეთს, რომ ერთმანეთს დიდი

ზიანი არ მიაყენონ... ან შვილებისა თუ სხვა ახლობელთა ხათრით, უნდა შეეგუონ განსხვავებული სექსუალური ცხოვრებით ცხოვრებას, თუმც, ასეთ შემთხვევაში "მრუშობის ცოდვა" მათი ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური "პრობლემა" იქნება.

ფაქტია: ძალადობა ყველაზე მეტადაა დაუშვებელი, რამდენადაც მკვლელობა ყველაზე დიდი ცოდვაა.

4. თანამედროვე საქართველოში მიზანმიმართულად ხდება "ძალადობის ფენომენის" ქართულ მოვლენად გამოცხადება; ასევე, მიზანმიმართულად ტირაჟირდება მკვლელობები, სტიქიები, პოლიტიკოსთა აგრესიები... მთელ მსოფლიოში ხდება ასეთი მოვლენები, მაგრამ ამ უარყოფით მოვლენებს ამხელა "რეკლამა" არ უკეთდება... საქართველოში დღეს გააზრებულად ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა (დივერსია) საზოგადოების ცნობიერებაზე, რომ ურთულესი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში მყოფი საქართველოს დაძაბულმა და დაზაფრულმა მოქალაქეებმა სწორი ორიენტირება ვერ შეძლონ, დაკარგონ საკუთარი თავის, ქვეყნის რწმენა და ბრმად მიენდონ გარედან მართულ "პოლიტიკურ სუბიექტებს", სინამდვილეში – საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში დამკვიდრებულ სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებელთ;

5. ყოველდღიურად ხედავთ რეკლამას: მომხიბლველი ქალი გამომწვევად მოდის, ზის თუ დგას; მისკენ მიდის სიმპათიური მამაკაცი, მაგრამ გასცდება ქალს და ხელს გაიწვდის არყისკენ ან რაღაც იაფფასიანი სასუსნავისკენ: რეკლამის არსი:

აქეთ – ლამაზი ქალი, იქით – რუსული არაყი თუ თურქული სასუსნავი და... მამაკაცი ირჩევს არა მშვენიერ "ევას" – ქალს, არამედ ბანძ სასმელს თუ საჭმელს... ის, ვინც მამაკაცისთვის ქალის ალტერნატივად არაყს თუ "ჩიპსებს" სახავს, ქალის ღირსებასაც ლახავს, მამაკაცის ღირსებასაც ანადგურებს და, რაც მთავარია, ებრძვის მამაკაცის რაინდულ ქცევას და ამკვიდრებს ქალზე ნაკლებადორიენტირებული მამაკაცის ტიპაჟს... ამავე დროს: ბრიყვული იუმორის კონტექსტით, სახავს რა ქალს არყისა თუ "ჩიპსის" ნაკლებადსაპირწონედ, აკნინებს მას, როგორც "მდედრ ლომს", როგორც პიროვნებას, როგორც მოქალაქეს... რაც მთავარია, როგორც უდიდეს ღვთიურ სათნოებას, მამაკაცისთვის უალტერნატივო სასიცოცხლო გამოწვევასა და ღვთიური ფურცლის პირველ თუ მეორე "გვერდს":

არადა: დედაკაცი და მამაკაცი ერთი ფურცლის ორი ერთნაირი ღირებულების შემცველი "გვერდია"; ორივე გვერდი პიროვნული თავისუფლების ასპარეზია, ორივე გვერდი საინტერესოა შემოქმედებისათვის, ორივე გვერდი ორიენტირებულია უფალზე, სამშობლოზე, სიყვარულზე, მიჯნურობაზე... თუმცა, ერთ-ერთი გვერდი უფრო დაკონკრეტებულია მისი შემავსებელი სათნოებისა თუ შვილის დაცვასა და სიყვარულზე, მით უმეტეს, ფეხმძიმე ქალის უსაფრთხოებაზე, მეორე გვერდი კი – მისი შემავსებელი და დამცველი ძალის სიყვარულზეც და შთამომავლობის წიაღობაზე.

**P.S.** ქართველი შეყვარებული წყვილი თუ ქართული ტრადიციული ოჯახი ორიენტირებულია არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის პარტნიორულ ურთიერთობაზე, არამედ, ამავე დროს, თავგანწირულად მებრძოლი წინაპრების ღირსების დაცვასა და სამშობლოსთვის შთამომავლობის აღზრდაზე... ამიტომაა, რომ ქართული მიჯნურობა თუ ოჯახი ერთ-ერთი მყარი ფენომენია მსოფლიოში; ამ კონტექსტით შვა ჩვენმა ენამ სიტყვები: საყვარელი, სწორფერი, მეუღლე... შესაბამისად, ნამდვილად არ საჭიროებს ტრანსფორმირებას მრავალსაუკუნოვან (ტრადიციულ) "ქართულ ცეკვაში" ასახული და რუსთველისმიერი ბრწყინვალე აფორიზმით გადმოცემული დედაკაცურ-მამაკაცური ქართული მიმართება; უფრო სათქმელია: დღესაც მყარად დავიცვათ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების ქართული ფილოსოფიის ძირითადი შტრიხები.

4 ნოემბერი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## პოლიტიკოსი და მანდილოსანი :)

არც თუ იუმორისტული პარალელები

ახლა ვუსმენდი ირაკლი ალასანიას საინტერესო გამოსვლას და სურვილი გამიჩნდა, პოლიტიკოსთა კლასიფიკაცია მოვახდინო **ევას მოდგმასთან** შეპირისპირებით /გენდერულ კონტექსტში ქალის ღირსების დაცვით :)/:

1. პოლიტიკოსთა ნაწილი, ზოგი **მანდილოსნის** მსგავსად, ცდილობს, ეკეკლუცოს გარეგნულად ცივილიზებულ სტუმარს (ამ შემთხვევაში – ევროამერიკელებს); აქ ორი ქვეტიპია: ზოგი საბოლოო ჯამში უცხოელსაც ატყუებს ფულის გამოცინცვლის მიზნით, ზოგი კი ნებდება ლიბერალ უცხოელს;

2. პოლიტიკოსთა ნაწილი, ზოგი ქალის მსგავსად, იძულებით თუ სიამოვნებით ემორჩილება მოძალადე უცხოელს (ამ შემთხვევაში – რუსეთის იმპერიას) და მისი ინტერესების დამცველი ხდება;

3. პოლიტიკოსთა ნაწილი, ზოგი **მდედრის** მსგავსად, უბრალოდ, მეძავია: სარეცელს იყოფს მასთან, ვინც ფულს უხდის; ასეთნი დღეს ბლომად არიან პოლიტიკურ სპექტრში;

4. პოლიტიკოსთა ნაწილი, ზოგი **ასულის** მსგავსად, ცდილობს, დაიცვას მშობლებისეული (წინაპრებისეული) ტრადიცია და რაც არ უნდა ცუდ დღეში აღმოჩნდეს, მაინც ასე გააგრძელებს სიცოცხლეს...

5. პოლიტიკოსთა ნაწილი, ზოგი ქალბატონის მსგავსად, ცდილობს, დაიცვას მშობლებისეული (წინაპრებისეული, ეროვნული) სასიცოცხლო ტრადიციები და, პარალელურად, გაითვალისწინოს გეოპოლიტიკური სიტუაციაც, რომ ღირსეულად იცხოვროს.

ბოლო ტიპის პოლიტიკოსებისგან შექმნილი პოლიტიკური პარტია ჯერ არ არის საქართველოს პოლიტიკურ არენაზე, თუმცა, ამ გზით მავალი პიროვნებები, შესაბამისად, საქართველოს ფასეულობების დამცველი და გეოპოლიტიკურ "დეტალებში" გარკვეული საქართველოს მოქალაქენი არც თუ ისე ცოტანი არიან საქართველოში.

იმედია, მალე მოხდება ღირსეული პიროვნებების კონსოლიდაცია ყველაზე უფრო მართალი პოლიტიკოსების ველში (რომლებიც მსოფლიო გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით დაიცავენ ქართველი ერის ფასეულობებსა და საქართველოს სახელმწიფოებრიობას).

8 ნოემბერი, 2014 (21 ოქტომბერი, 2020)

## 1 მარტი თუ 8 მარტი?

ქალბატონებო,

გილოცავთ პირველ მარტს – გაზაფხულის პირველ დღეს!

ჩემთვის წელიწადის ყოველი დღე ქალთა დღეა: მამაკაცი ყოველ დღეს უნდა ეფერებოდეს დედას, შეყვარებულს, მეუღლეს, ბებიას, ქალიშვილს, დას, შვილიშვილს (ვინც ჰყავს)...

მამაკაცები ქალის, როგორც ვნებიანი სიყვარულის ორიენტირის, დღედ თუკი გამოვარჩევთ წლის რომელიმე დღეს, ეს უნდა იყოს მარტის პირველი რიცხვი, რამდენადაც პირველი პირველია, მარტი კი ნამდვილად არის ევას მოდგმის სახე-სიმბოლო:

– მარტი ქალივით მრავალფეროვანია, გამორჩეულად ფერადოვანია, მშვენიერია; – მარტი ქალივით სიცოცხლის წიაღია (სიცოცხლის საწყისი მამაზეციერია!);

– მარტი მწვერვალისკენ მიმავალი ულამაზესი და სახიფათო გზაა, თუ გონივრულად არ მოიქცევი, გადაიჩეხები, თუ ძალა გეყოფა, სიყვარულის მწვერვალზე ახვალ; მწვერვალზე თუ თავდაჯერებამ არ დაგაბრმავა, სანამ ძლიერი ხარ, ამ მწვერვალზე იქნები და თუ სიყვარულის მწვერვალზე ყოფნა ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა (ბოლომდე შეინარჩუნე ქალბატონის სიყვარული), ორივენი ბედნიერებაში დამკვიდრდებით;

– მარტი თაფლივითაა: მასთან ფრთხილი თუ არ იქნები, ტკბილი წამალი საწამლავად შეიძლება

გექცეს (გაზაფხულის ყვავილებიც ხშირად დაფარულან გამყინავი თოვლით);

– მარტი გაზაფხულის ახალი მოლია, რომელიც მოულოდნელად არეულ ამინდში შეიძლება დაჭაობდეს და მიწა ფეხქვეშ გამოგეცალოს;

– მარტი ბავშვივითაა, თუ გულწრფელად არ მოეფერე, გაგებუტება, სულაც, დაგკარგავს;

– მარტი ხელახლა დაბადების სიმბოლოა: მამაკაცი მეორედ იბადება ქალთან ურთიერთობით და პირიქით: ქალი ახლით იშობა ნამდვილი მამაკაცის სიყვარულით...

მოკლედ, გილოცავთ პირველ მარტს (და არა – 8 მარტს) :)

ცნობისთვის:

8 მარტი არასამუშაო დღედ გამოცხადდა კომუნისტების მიერ 1965 წელს, ქალთა საერთაშორისო დღედ დამკვიდრდა კლარა ცეტკინის ინიციატივით 1910 წელს; ეს მოძრაობა კი სათავეს იღებს 1857 წელს მკერავ ქალთა უფლებების დამცავი ამერიკული დემონსტრაციიდან.

**P.S.** ქალთა უფლებები, გენდერული ბალანსი საქართველოში ბევრად ადრე იყო აქტუალური; სიტყვები: დედა-კაცი და მამა-კაცი – ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მსოფლიოში უძველესი აღწერაა. გარდა ამისა, დღეს მარტის დღესასწაული ყვავილებთან და ქალის, როგორც სიყვარულის (მიჯნურობის) წყაროსთან, ასოცირდება და არა –სოციალურ წახნაგებთან...

შემთხვევითი არც ის არის, რომ საქართველოში 3 მარტი დედის დღედ დამკვიდრდა; რადგან ასეა, ასე იყოს:

1 მარტი – ქალის (შეყვარებულის, მეუღლის...) დღე;

3 მარტი – დედის დღე.

1 მარტი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## დედა, ანუ გენდერული უთანასწორობა ქართულად

გილოცავთ დედის დღეს ანუ გენდერული უთანასწორობა ქართულად

საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, 8 მარტის ნაცვლად, უქმე დღედ გამოაცხადა 3 მარტი და უწოდა მას დედის დღე (1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში კენჭისყრისას ხმა კი მივეცი, მაგრამ არ მახსოვს, რატომ გამოირჩა მაინც და მაინც 3 მარტი).

შდრ.: 8 მარტი მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღედ დაამკვიდრა კლარა ცეტკინმა (ამ შემთხვევაში 8 მარტი მუშა ქალთა უფლებების გამო ჩატარებული დემონსტრაციის დღიდან იღებს სათავეს).

მე ადრე ვწერდი, რომ მსოფლიოში **ყველაზე ძველი ხედვა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ** ასახულია ქართულ ენაში: ქართველებმა უძველეს პერიოდშივე ადამისა და ევას მოდგმის თანასწორობა აღწერეს ორი ერთმნიშვნელიანი (მნიშვნელი ერთია, მრიცხველი – განსხვავებული) სიტყვის შექმნით:

„დედა კაცი“, „მამა კაცი“.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, მიუხედავად ამ ფუნდამენტური მიდგომისა (დედაკაცი, მამაკაცი), ქართულ ტრადიციულ მენტალიტეტში ქალი და მამაკაცი მაინც არ დგას ერთ სიბრტყეზე – **გარკვეული „უთანასწორობა“ მაინც შეინიშნება:** ამ უთანასწორობას ნათლად ასახავს კომპოზიტები:

ცოლ-ქმარი, და-ძმა, დედ-მამა...

**პირადად, ჩემთვის ეს სასიამოვნო უთანასწორობა** ჩამოძერწილია მრავალი საუკუნის მანძილზე.

არსებითია სხვა ფაქტებიც:

– ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, კოლხების (ძველი ქართველების) ღვთაება მდედრობითი სქესისა იყო;

– საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და საქართველოში სახელმწიფო

რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებაც მანდილოსანს უკავშირდება; – დოკუმენტირებულია, რომ საქართველოში 10 საუკუნის წინაც დიდი უფლებები ჰქონდა ქალს (ფებრონია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“), ხოლო 8 საუკუნის წინ ქალი მეფედ იკურთხა...

დღესაც, ჩემს ნაცნობ უამრავ ოჯახში ქალს ღირსეული (ხშირად, წარმმართველი) ადგილი უჭირავს და, რაც მთავარია, ჩემი ნაცნობი მამაკაცების უმრავლესობა აღმერთებს დედას, თავს ევლება შეყვარებულს, უდიდეს პატივს სცემს მეუღლეს და განსაკუთრებული სისათუთით ეპყრობა ქალიშვილს.

**ბუნებრივია, აბელურ-კაენურ კაცობრიობაში ყველგან და, მათ შორის, საქართველოშიც არსებობს გარკვეული გადახრები ორივე მხრიდან:**

ზოგი კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი კაცი ძალადობს, ზოგი ქალი უარესს შვრება – დაუმსახურებლად ღალატობს; ვიცნობ ქალის უფლებების შემლახავ კაცსაც, მამაკაცის თავზე “შემომჯდარ” ქალსაც, გალოთებული ქმრის მარტოსულ პატიოსან ცოლსაც და ქალისგან უმოწყალოდ მიტოვებულ კაცსაც... **მაგრამ ამგვარი ფაქტები საქართველოში პროცენტულად უფრო მცირეა, ვიდრე ჩემთვის ცნობილ რომელიმე სხვა ერში.**

საერთოდ, მართებული არ არის, ცუდი განვაზოგადოთ; უმჯობესია, რეალურად დავინახოთ ფაქტები და თუ განსაზოგადებელია, ისეთი ფაქტი განვაზოგადოთ, რომელიც ისტორიულ ეროვნულ ცნობიერებას უფრო მიესადაგება; ამ კონტექსტში კი ისტორიულ ქართველურ ხედვას ნამდვილად ასახავს კომპოზიტები: და-ძმა, დედ-მამა, ცოლ-ქმარი...

**ქართული „გენდერული უთანასწოროობის“ შესახებ ამ პატარა წერილს ასე დავამთავრებ:**

გარკვეული ჯგუფების მიერ დღეს მიზანმიმართულად ხდება ტრადიციული ქართული ფასეულობების დაკნინება. ჩვენ მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ – ყოველივე ქართული არ უნდა გავაფეტიშოთ (ნაკლიც ბევრი გვაქვს), თუმცა **გენდერულ საკითხში ეროვნული პრობლემა რომ არ გვაქვს, ფაქტია;** მეტიც, გენდერული ბალანსის მიხედვით, ქართული სამყარო ერთ-ერთი დახვეწილი მოვლენაა:

როგორც მთელ მსოფლიოში, ოდითგანვე საქართველოშიც გამწევი „ხარი“ მამაკაცია: მამაკაცი იბრძვის, ხნავს და თესავს, მართავს ხომალდის საჭეს (ზოგადად, მამაკაცობა გაცილებით რთულია: მამაკაცთა ნაწილი ქალის როლში შეიძლება მოგვევლინოს, მაგრამ ვერც ერთი ქალი ვერ იმამაკაცებს)... და ლოგიკურია, რომ სამყაროს ხედვა-აღქმაც ძირითადად მამაკაცის თვალსაწიერის შესაბამისად ხორციელდება (როგორც მთელ მსოფლიოში); თუმცა არსებითია, რომ საქართველოში ღირსეული მამაკაცის **თვალსაწიერის ცენტრში ამაღლებული, ჰაეროვანი ქალი და ლამის გაღმერთებული დედა დგას!**

ქართული ხედვა ნათლადაა ასახული ჩემ მიერ დასახელებულ კომპოზიტებშიც, ქართულ ტრადიციულ სუფრის წესებშიც და, ბოლოს, დედის დღის დაწესებაშიც (დედის დღე სხვა ქვეყნებშიც აღინიშნება).

დედაჩემო, გილოცავ დედის დღეს!

ჩემი მეგობრების დედებო, ზოგადად, დედებო და მომავალო დედებო, გილოცავთ დედის დღეს!

**P.S.** ქალბატონებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ პირველ მარტს – ჩემ მიერ დაწესებულ ქალთა დღეს /8 მარტს აღარ შემოგეხმიანებით :)/.

3 მარტი, 2015 (21 ოქტომბერი, 2020)

## 5-5 თვისება, რომელიც უნდა აკონტროლოს ქალმაც და კაცმაც

ყველა ასაკის დაფიქრებული ადამიანისათვის:

ტემპერამენტის გარდა, რა თვისებები მოსწონს და რა თვისებები არ მოსწონს:

– ქალს?

– მამაკაცს?

**შენიშვნა:** გარეგნობაზე ახლა არ ვაკეთებ აქცენტს; მთავარი მაინც თვისებებია, რამდენადაც გარეგნობა დასაწყისშია საინტერესო და ისიც ზერელე არსებისათვის. ამ თემაზე ყველა დროში ბევრი დაწერილა; გთავაზობთ რიგითობის კუთხით ჩემს თვალსაზრისს (რა თქმა უნდა, ადამიანების დამოკიდებულება მსგავსია, შესაბამისად, რაღაცები გამეორდება):

ქალში რა აღიზიანებს მამაკაცს ყველაზე მეტად?
1. უმადურობა /კატის თვისებები/
2. მერყეობა...
3. ანჩხლობა /ისტერიკა; ლანძღვა/; გაუთავებელი ლაპარაკი
4. უაზრო ეჭვიანობა /კაცის კუდში დევნა/
5. ჯიბრში ჩადგომა

რა მოსწონს მამაკაცს ქალში?
1. ზნეობა /ერთგულება; სიკეთე; პატიოსნება/
2. მამაკაცის ზრუნვის/სიყვარულის/ დაფასება
3. სიმშვიდე
4. პატიების უნარი
5. კომპრომისზე წასვლა.

მამაკაცში რა აღიზიანებს ქალს ყველაზე მეტად?
1. ზერელეობა;
2. სისუსტე /არასანდოობა; სიძუნწე; გაუბედაობა/
3. ლანძღვა
4. სხვა ქალისკენ ყურადღების გადატანა; მერყეობა
5. მოუწესრიგებლობა

რა მოსწონს ქალს მამაკაცში?
1. სიღრმისეული აზროვნება; სხარტი გონება
2. სიძლიერე /სანდოობა/
3. ყურადღება, მოფერება /მართალი კომპლიმენტები; საჩუქრები/
4. ერთგულება
5. აკურატულობა

რომელ ნაწილში უთუოდ მეთანხმებით და რომელში – უთუოდ არა?

29 თებერვალი, 2016

## ძლიერი ქალი და სუსტი ეთნოსი

შვილიერება ქალის განსაკუთრებული ღვთიური ფუნქციაა; მშობიარობის დროს და შემდეგ ტანჯულ ქალსა და უმწეო შვილს მამაკაცისაგან დაცვა ესაჭიროება; შესაბამისად, ათასწლეულების მანძილზე **ქალის შინაგან** (/ბიოლოგიურ) **მოთხოვნილებად ჩამოყალიბდა ისეთი (და)საყრდენის** სიახლოვე, რომელიც მყარი იქნება კრიტიკულ ვითარებაში.

სულიერად ძლიერი ქალი მამაკაცის მცირედი თანადგომითაც ბალანსდება, ამიტომაც მტკიცე ნებისყოფის ქალს მამაკაცის დიდი ერთგულება შეუძლია და **მამაკაციც პატივს სცემს ასეთ ქალს** (საკუთარ ბედნიერებას თავად ადამიანი ძერწავს!).

სხვა ბედი **შეიძლება ჰქონდეს** ჩვეულებრივ თუ სუსტ ქალს: **ჩვეულებრივი ქალი** დასაყრდენს თუ იპოვის, გარკვეულწილად მაინც შიშშია და სხვა დასაყრდენზეც ფიქრობს; "სხვა" შეიძლება იყოს ძმაც, მამაც, ძმაკაციც და სხვა მამაკაციც: უკეთესი დასაყრდენი "სხვა მამაკაცი" თუკი გამოჩნდება

(ანდა, ეგონება, რომ უკეთესია!), შეიძლება მისკენ გადაიხაროს გარკვეულ პირობებში (მერე კიდე სხვისკენაც); ქალი წონასწორობას შეინარჩუნებს, თუკი შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანი არა აქვს, ანდა ძლიერი მამაკაცი შეხვდება. **სუსტი ქალი** უფრო ძნელად დასაბალანსებელ შიშშია და ხშირად კარგავს ორიენტირებს; ასეთი ქალი, **თავისი საქციელის გამართლების მიზნით,** მომდევნო კაცთან წინას ნაკლზე ლაპარაკობს (რბილად რომ ვთქვათ); კონფლიქტით დააპირისპირებს ერთმანეთთანაც (თუკი მათ ჭკუა არ ეყოფათ!)... საბოლოო ჯამში, ასეთი ქალი კარგავს რეალურად **მყარ დასაყრდენსაც** და თავსაც იუბედურებს/ინადგურებს ("სექსიზმი" რომ არ დამწამონ, აქვე ვიტყვი: თავს უფრო სწრაფად ინადგურებს სუსტი მამაკაცი!).

**ანალოგიურია ძლიერი, ჩვეულებრივი და სუსტი ეთნოსების ქცევაც! ძლიერი ეთნოსი** მუდამ იცავს თავის მეობას. ჩვეულებრივი ეთნოსი გარკვეული დროით **წვალებით ცხოვრობს**.

**სუსტი (თუ დასუსტებული) ეთნოსი პატრონის ძიებაშია და აღარ იბრძვის დაკარგული სახელმწიფოებრიობისათვის (თუ ჰქონდა!),** თავისი წეს-ჩვეულებების, დედაენისა თუ რელიგიის შესანარჩუნებლად და, საბოლოო ჯამში, **ნადგურდება!**

ქართველი ერი იმ იშვიათ ერთა შორისაა, რომელიც, სულ მცირე, 2500 და, მაქსიმუმ, 3 500 წელია არსებობს (შდრ., ამჟამინდელი მსოფლიოს ერების უდიდესი ნაწილი ბოლო 10 საუკუნეში შეიქმნა); შესაბამისად, ქართველი ერი ძლიერი ერია.

თუმცა, დროთა განმავლობაში ყველა სუსტდება; სუსტი ეთნოსი კი იოლად დეზორიენტირდება!

**დეზორიენტირებულობა** დღევანდელ საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია; ბევრს ვერ გაურკვევია სად არის საქართველოს ხსნა: რუსეთში დაბრუნებასაც კი მხარს უჭერს ზოგი, ზოგი თანახმაა ქართველი ერის დენაციონალიზაციაზეც, ოღონდ საქართველო, როგორც სახელმწიფო, გადარჩეს ევროპულ სივრცეში...

მე კი ნამდვილად არ მინდა საქართველო ქართველების გარეშე! უკეთესი გამოსავალიც გვაქვს:

**ქართველ ერს საკუთარი ეროვნული მეობის/ღირსების დაცვითაც შეუძლია მის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოს ადგილი დაუმკვიდროს მსოფლიო სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.**

ამიტომ, დღეს **ცოცხალმა ქართველებმა** სწორად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ამჟამინდელი გამოწვევები და მხოლოდ პოლიტ"ელიტის" მცირე ჯგუფის ანალიზს არ უნდა მივანდოთ დიდი საფრთხის წინაშე მდგარი ჩვენი დღევანდელობა და ხვალინდელი დღე.

**P.S.** ვერ დავეთანხმები ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885), რომელიც წერდა: "ქალის ტვინი ისეა მოწყობილი, რომ ნიჭიერ მამაკაცში მხოლოდ ნაკლს ეძებს, ხოლო სულელში – ღირსებებს."

ჩემი აზრით, ეს უფრო ითქმის ზერელე ქალზე; ნორმალური ქალის შესახებ ჩემი თეზა კი ასეთია:

**"იყო ადამიანი, პიროვნება, ბევრს ნიშნავს, მაგრამ იყო ღირსეული ქალი – გაცილებით მეტს";** იდეაში ყველა ქალს შეუძლია იყოს ძლიერი ნებისყოფის პიროვნება, რამდენადაც ყველა ადამიანშია კოდირებული ღვთიური ენერგია; მთავარია, **ადამიანმა (ქალმა, კაცმა) ირწმუნოს საკუთარი ძალა.**

ქალის შესახებ ჩემივე ფრაზას ერის შესახებ ასე განვაზოგადებ: "იყო ეთნოსი ბევრს ნიშნავს, მაგრამ იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი ეთნოსი (/ერი) – გაცილებით მეტს". ქართველები თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი ვიყავით, ვართ და ვიქნებით – **ნიჰილიზმს ვერ ჩანერგავენ** ჩვენში კაენის მოდგმის მოღალატეები თუ მტრები.

**P.P.S.** ლადო ასათიანი:

"მე შენ მიყვარხარ და საქართველო,
უთქვენოდ, აბა, რამ გამახაროს..."

26 თებერვალი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

# კაცის უსუსურობა – ქალის უბედობა

ამასწინათ

> ერთმა კავკასიელმა ახლობელმა მისაყვედურა (რომელიც დიდი ხანია არ ყოფილა საქართველოში): ქართველებს ძველი ღირსებები დაგიკარგავთო; როგორ ევროპელებივით აცვიათ თბილისში თქვენს ქალებსო... იგივე მითხრა ერთმა ფერეიდნელმა მეგობარმაც.

> ერთმა უცხოელმა სტუმარმა თქვა: როგორ იჩაგრება ქალი საქართველოში: სუფრასთან მანამ არ ჯდება, სანამ სტუმრებთან ბოლო კერძს არ გამოიტანს, ჩვენ კი ვსხედვართ და ვქეიფობთო...

> ერთმა ნაკითხმა (განათლებას არ ნიშნავს!) ქართველმა კი მითხრა: უმთავრესი დღეს დემოკრატიაა; ტელევიზიებში ბილწსიტყვაობის დაწყება თავისუფლების შედეგია და დასავლური კულტურააო...

არც ერთისთვის არ დამიწყია ახსნა, მაგრამ სამივე შემთხვევაში გამახსენდა მოლას ვირის ამბავი. ახლა კი ყველას პასუხად დავწერ:

1. აზია და ევროპა სხვადასხვა კულტურულ ფასეულობებზეა ორიენტირებული; საქართველო კი ზუსტად შუაშია და ჩვენი კულტურაც ორივეს მეტნაკლებად მოიცავს, ამიტომ აზიელებისთვის ევროპელები ვართ, ევროპელებისათვის –აზიელები; მე კი ვიცი, რომ ჩვენ ნამდვილი კავკასიელები ვართ!

2. პლეხანოვზე 14 ივლისს დაგეგმილი "მარშის" (ტერმინი "მარში" აშკარად ცუდ ასოციაციას იწვევს; არალეგალური მიგრაციისა და კრიმინალის წინააღმდეგი ნამდვილად ვარ!) მიზეზი ქართველი მამაკაცის თავმოყვარეობის ყივილია, რუსების მიერ "შოვინისტურ-ფაშისტური" საქართველოს დეკლარირების პროვოცირება დასავლეთისადმი ალიყურის მიზნით, თუ ემიგრანტთა თავგასულობა, სხვა თემაა; ამ ეტაპზე იმ ქალების ბედი მაწუხებს:

როცა ქალი ასეთ გზას ადგება ნებაყოფლობით, მას უჭირს ეკონომიკურად (სხვა მოტივი გაცილებით იშვიათია); უჭირს იმიტომ, რომ მის გვერდით არ არის მეგობარი ძლიერი მამაკაცი (უსუსური გინდ ყოფილა და გინდ – არა!), ოჯახის შეძლებული წევრი და, ამავე დროს, ამ ქალს არა აქვს თავის (გადა)სარჩენი სხვა პროფესია; სახელმწიფოც ვერ უზრუნველყოფს მის დასაქმებას... ასეთი ქალი მიდის თურქეთში, საბერძნეთში... სამუშაოდ; ანდა, "პლეხანოვზე". შესაბამისად, პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა ავიღოთ (გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის "სარჩობელაზედ").

3. დღეს უმთავრესი პრობლემა მაინც რუსული ოკუპაციაა (დეოკუპაცია არ მოხდება დასავლეთის დახმარების გარეშე!); მხოლოდ დეოკუპაციის შემდეგ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის ისე მოწყობას, რომ საქართველოს მოქალაქე ქალებმა თავი დაცულად იგრძნონ, იცხოვრონ ბედნიერად და საჭიროდ როცა ჩათვლიან, მეუღლესთან ერთად ღირსებით უმასპინძლონ ღირსეულ სტუმარს. დეოკუპაციისკენაა სრული მობილიზება საჭირო.

4. ბილწსიტყვაობა უკულტურობა და უსუსურობაა! გინება უსუსურობის კომპენსაციაა: დეოკუპაცია არ მოხდება, სახელმწიფო ვერ აღორძინდება, თუკი პოლიტიკური სპექტრი, ზოგადად, ქართველები (საქართველოს მოქალაქენი) ერთმანეთს დედაზე ვაგინებთ და ტელევიზიებიც გინების ტირაჟირებაზე იქნებიან ორიენტირებული. გინება ვირტუალური გამონაბოლქვია – რეალური თუ გაზვიადებული საბაბით გასიებული გულის მოოხებაა და მეტი არაფერი. გინება რადიკალიზებას უწყობს ხელს; რადიკალიზებული საზოგადოება კი საკუთარ თავს კლავს.

5. უდაბნოში მოხეტიალე თაობის (მოსეს უდაბნო) დეზორიენტირების შედეგია ბოლო ათწლეულებში წინა პლანზე გამოსული ყოველნაირი თავაშვებულობა: ქვეყნის ღალატითა და ბიუჯეტის ფლანგვით გამდიდრება, მაფიოზური სინდიკატების პარპაში, ტერმინ "სექსმუშაკის" დამკვიდრება, გინების (ბილწსიტყვაობის) გაყოველდღიურება საჯარო სივრცესა თუ ტელესერიალებში...

**გამოსავალი დროშია, ალბათ:** პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი თაობა უნდა გამოვიდეს; თაობა, რომლის ხერხემალი იქნება მრავალსაუკუნოვანი ქართული ღირებულებები, რომლებიც კიდევ გამდიდრდება ევროპული და აზიური ფასეულობებით. ასეთი თაობა მოდის. ეს იქნება განათლებული და სწორად ორიენტირებული თაობა; ქართული ღირსეული მეობისა და ტოლერანტობის ტრადიციების გამგრძელებელი თაობა, აღთქმულ ქვეყანაში ცხოვრების ღირსი

თაობა... შესაბამისად, დღეს მთავარია დეოკუპაციისკენ გონივრული (არაემოციური!) სვლა და სწორი ორიენტირებით ახალი თაობის წრთობა.

9 ივლისი, 2017

## გაზაფხულს გილოცავთ :)

დედის დღეს გილოცავთ!

მოკლე ინფორმაცია: **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ გააუქმა 8 მარტი, როგორც საზეიმო/ უქმე დღე.**

რატომ გააუქმა? – როგორც ცნობილია, ნიუ-იორკის სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალები გაიფიცნენ 1857 წლის 8 მარტს... ამ დროიდან იწყება ქალთა უფლებებზე საუბარი და ქალთა გამოსვლები 8 მარტს. 1910 წელს მეძავ ქალთა უფლებების შელახვის გამო კლარა ცეტკინმა სოციალისტ-ინტერნაციონალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე მოითხოვა, 8 მარტი გამოცხადებულიყო ქალთა საერთაშორისო დღედ.1965 წლის 8 მაისს სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქალთა საერთაშორისო დღე **უქმედ გამოცხადდა.**

საბჭოთა კავშირის წარმოქმნის შემდეგ კომუნისტებთან ასოციაციირების გამო ცივილიზებულ დასავლეთში 8 მარტი საერთოდ აღარ აღინიშნებოდა, მაგრამ ფემინიზმის აღმავლობის დროს ამ თარიღმა 1975 წლიდან ახალი დატვირთვა შეიძინა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო სტადიაში და პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს დღე ტრანსფორმირდა ყვავილოვან ლამაზ დღესასწაულად.

...რამდენადაც მახსოვს, უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ საქართველოში ბევრი უქმე დღეა; მათ შორის ზოგის საფუძველი კომუნისტურიაო და **მაგალითად დაასახელა საბჭოთა იმპერიის ხელისუფლების მიერ 8 მარტის გამოცხადება უქმე დღედ.** შემდეგ პრეზიდენტმა თქვა, წესით, დედის დღე მარიამობას უნდა აღვნიშნოთ, მაგრამ, რამდენადაც უკვე გაზაფხულის პირველი თვე დამკვიდრდა ქალთა დღედ, მარტშიც აღვნიშნოთ დედის დღე და ეს დღე იყოს 3 მარტიო... ჩვენ, უზენაესი საბჭოს წევრები, დავეთანხმეთ. **აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ, 28 წლის წინ, ჩვენს ხელისუფლებას 3 მარტი ოფიციალურად არ გამოუცხადებია უქმე დღედ...** პოსტსაბჭოთა საქართველოში 8 მარტი უქმე დღედ გამოაცხადა შევარდნაძის არალეგიტიმურმა მთავრობამ.

საკუთარ მეხსიერებას არ ვენდე და ეს საკითხი გადავამოწმე უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარესთან – ბატონ ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანთან. მან დამატებით თქვა: "კომუნისტებმა 8 მარტი ღვთისმშობლობის, მარიამობის საპირწონედ დააწესეს უქმე დღედ".

პირადად, ჩემთვის დედის დღეა ყველა დღე, ქალთა დღეც ყოველი დღეა :) და, განსაკუთრებით, 1 მარტი... ვფიქრობ, უმჯობესია:

– სასურველ ქალთა დღე აღვნიშნოთ 1 მარტს;

– დედის დღე კი – მარიამობა დღეს.

ქალბატონებო, 1 მარტი უკვე მოგილოცეთ 1 მარტს ყვავილნარიდან :). ახლა კი დედაჩემს გავასეირნებ და ამ ცივამინდიან დღეს განსაკუთრებულ დღედ ვუქცევ :)

**P.S.** არც 1 მარტი, არც 3 მარტი და, მით უმეტეს, არც 8 მარტი უქმე დღე არ უნდა იყოს. ისედაც ბევრი უქმე დღეა საქართველოში!

3 მარტი, 2019 (1 მარტი, 2015)

# ქალი მართავს თუ მამაკაცი?

ხუმრობის კილოთი დავიწყებ (ძირითადი მსჯელობა კი ფარულ იუმორად აღიქვით):

ბევრ ბიჭს რომ ჰგონია, გოგონას "ახვევს", ამ დროს თავადაა უკვე "შეხვეული" :)

სქესობრივი თანასწორობის, ზოგადად, **გენდერული ბალანსის** არსი, რომ საზოგადოებრივსა თუ პირად ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების რეალიზების თანაბარი პირობების შექმნაა, დღეს ეს ყველამ იცის. ბევრმა არ იცის საინტერესო ისტორიული ფაქტი: **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თვალსაზრისით მსოფლიოს ხალხებს შორის ერთ-ერთი პირველნი ვართ ქართველები.**

ჩემი არგუმენტები:

1. მსოფლიოს ენათა დიდ ნაწილში არის სქესის ან კლასის კატეგორია; ორივეს არსი ერთია: სამყარო, ადამიანთა საზოგადოება დაყოფილია კლასებად/ჯგუფებად/რანგებად; თითოეულ ჯგუფს (კლასს/რანგს) აქვს თავისი გრამატიკული ნიშანი. ქართველი კაცი ადამიანებს არ მიჯნავდა არც სქესის და არც რანგის მიხედვით; შესაბამისად, ქართულ ენაში არ გვაქვს არც სქესის, არც კლასის ნიშანი.

. ქართულ ენაში ორი უძველესი სიტყვა აღნიშნავს სქესით განსხვავებულ ადამიანებს: დედა-კაცი, მამა-კაცი. სიტყვა-ფორმა "კაცი" იგივეა რაც "კეცი", რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა "თიხა" და გადატანით "ადამის" მსგავსად, ნიშნავს თიხისაგან შექმნილ ადამიანს; შესაბამისად:

დედა-კაცი – დედა ადამიანი,

მამა-კაცი – მამა ადამიანი.

ქართული ენის ეს ფაქტი არის სქესობრივი თანასწორობის ერთ-ერთი უძველესი (თუ უძველესი) გამოხატულება.

3. მეცნიერები თვლიან, რომ წარმართულ ეპოქაში ქართველთა რელიგიური ორიენტირების განმსაზღვრელი ქალი(ც) იყო. ვარაუდების გარეშე ფაქტია, რომ ქართველთა გაქრისტიანება ჯერ ღვთისმშობელთანაა დაკავშირებული, შემდეგ კი – წმიდა ნინოსთან და დედოფალ ნანასთან.

4. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ქართული იდეის გამოვლინებაა, ასევე, ტერმინი: მეუღლე.

5. მამაკაცის თვალში ქალისადმი გამოკვეთილი პატივისცემა ჩანს კომპოზიტებში მდედრობითი ადამიანის წინ დასმა; შდრ., მაგ.: ცოლ-ქმარი, და-ძმა, დედ-მამა...

ზოგადად, მამაკაცი ფიზიკურად ძლიერია, თითქოსდა აზროვნებაც უფრო გლობალური აქვს: მისი უპირველესი **იმანენტური ვალდებულებაა** ფეხმძიმე ქალის დაცვა და საკუთარი მემკვიდრეობის უზრუნველყოფა. ნაზი აგებულების ქალი უფრო გონებამახვილია, უფრო სხარტია, უფრო ამტანია, რადგანაც **ქალის ცნობიერება და ქცევა ჩამოაყალიბა ქალის სხეულში შვილიერების წიაღის არსებობამ** – ქალის გონების სისხარტე და ამტანობა ის თვისებებია, რომლებიც აუცილებელია ორსული ქალის თავდაცვისათვის; ესაა ქალის **ბიოლოგიური კოდი ადამიანის მემკვიდრეობის უზრუნველსაყოფად.**

ბევრს ჰგონია, რომ სამყაროს მაინც კაცები წარმართავენ; მართლაც, ბიბლია მამაკაცზეა ორიენტირებული, ასევეა შუმერული თუ ბერძნული მითოლოგიაც; მეფეების, წმინდანების, პრეზიდენტების, ნობელის პრემიის ლაურეატების და ა.შ. დიდი ნაწილი მამაკაცები არიან. ეს არაა შემთხვევითი და ესეც ახსნადია /ფიზიკური ბრძოლის უნარი, თავდაცვა.../, მაგრამ ყოფით ცხოვრებაში, ოჯახში, მეტწილად **მითია მამაკაცის პირველობა.** ასეა დღეს; ალბათ, ასე იყო ოდესღაც და ასე იქნება მომავალშიც. ევასა და ადამის ისტორიას თავი რომ დავანებოთ, გეტყვით უშუალოდ ჩემი დაკვირვებების შესახებ.

40 წელია მიზანმიმართულად ვაკვირდები წყვილთა შორის ურთიერთობას საქართველოში, რუსეთში, ევროპაში, თურქეთში, ირანში... ვაკვირდები ყველა თაობის, ყველა რელიგიის წყვილს. ყოფით ცხოვრებაში თითქოსდა რადიკალურად განსხვავებულ ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც ოჯახებში ერთი და იგივე "წესრიგია".

ბოლო პერიოდში ჩემი დაკვირვების ობიექტი იყო **ჩემი შვილების** თაობა სხვადასხვა ქვეყანაში. ბევრი კითხვით რომ არ დაგღალოთ, წარმოგიდგენთ დასკვნას დაახლოებითი პროცენტული მაჩვენებლებითურთ:

ყველა ერში ქალთა დიდი ნაწილი საუკეთესოა ან ნორმალურია; ზოგადად რომ ვთქვათ, ქალობის შემძლეა. **იშვიათია უსუსური ქალი.** მამაკაცთა მხოლოდ ნახევარი თუ არის ნორმალური, საუკეთესო; მამაკაცთა ნახევარი ან უსაფუძვლოდაა თავდაჯერებული, ან ხასიათითაა სუსტი, ანდა, უბრალოდ, ვერ უძლებს ცხოვრების სირთულეს და თავს იტყუებს ნარკომანობით, მეზღაპრეობით, ლოთობით; ზოგიც, ბიოლოგიურადაა უძლური (ასეთი 10 % თუ იქნება). ბუნებრივია, ბიოლოგიური პრობლემების გარდა, მამაკაცის სისუსტეს განაპირობებს ვალდებულების სიმძიმეც – ქალის, ჩვილის დაცვა... ეს სიმძიმე იოლად "ტეხავს" ზოგ მამაკაცს.

მოწესრიგებულ თანამედროვე სახელმწიფოში (ასეთი ცოტაა მსოფლიოში) ორსული ქალისა თუ ჩვილის დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს და, თითქოსდა, მამაკაცს ბევრი ვალდებულება ეხსნება, მაგრამ ოჯახში მაინც ბევრი ნიუანსია, სადაც კაცს კაცობა მართებს. ზოგადად რომ ვთქვათ, **მამაკაცობის შემძლე მამაკაცთა რაოდენობა პროცენტულად დიდად ჩამორჩება ქალობის შემძლე ქალების რაოდენობას.**

**წყვილის ურთიერთობაში ქალისა და მამაკაცის როლის გამომხატველი პროცენტული მაჩვენებლები ასე გამოიყურება** / წყვილთა ურთიერთობის ქვემოთ წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით მხოლოდ რამდენიმე პროცენტით სხვაობს; რელიგიური ვალდებულებების გამო გაყრის პროცენტი ჩრდილოეთში უფრო მეტია, ვიდრე – სამხრეთში/:

– ქალთან ურთიერთობაში მამაკაცების, დაახლოებით, 15 პროცენტია ღირსეული თავისი გონიერების, განათლების, ფიზიკური კონდიციის, ტაქტის, ლოგიკის წყალობით; პარალელურად, შინაგანად ხედავს ქალის მრავალწახნაგოვან ბუნებას და ქალთან, როგორც თანასწორ მოვლენასთან, ჰარმონიული ურთიერთობა აქვს. **ეს ურთიერთობა ბოლომდე წარმატებულია, თუკი მამაკაცი საკუთარ "ტერიტორიაზეა", საკუთარ სამშობლოშია, საკუთარ ფესვებთანაა...**

– მამაკაცების, დაახლოებით, 15 პროცენტი უსაფუძვლოდაა თავდაჯერებული და ჰგონია, რომ ქალზე ძლიერია, ქალი რას გაუბედავს... რაღაც ნიშნით შეიძლება მართლა ძლიერია, მაგრამ ქალის ფსიქოლოგიის ბევრ ნიუანსში, ფაქიზ სულში, ქალის საჭიროებების სპექტრში ვერ ერკვევა და ჯერ სულიერად კარგავს ქალს, მერე – ფიზიკურადაც: **გულნაკლული ქალი იოლად ახერხებს თავდაჯერებული ბრიყვი კაცის მართვას, მოტყუებასაც კი (თუ იკადრა).** ასეთ დროს მამაკაცი შეიძლება აღმოჩნდეს ცუდი რეალობის წინაშე და აფექტურ ნიადაგზე უთუოდ დაარღვევს "გენდერულ ბალანსს"; ოჯახი კი შეიძლება დაიშალოს. ასეთი ქალი ძირითადად შვილებში პოულობს ბედნიერებას.

– მამაკაცების, დაახლოებით, 70 პროცენტი გულში აღიარებს ქალის გონების სისხარტეს და ოჯახურ სიტუაციაში მალევე ემორჩილება ქალის წარმმართველობას. ასეთ დროს, ქალთა, დაახლოებით, **ერთი მესამედი** (23 %) სათავისოდ იყენებს "ძალაუფლებას" და მამაკაცსაც, ოჯახსაც წარმატებით მართავს. ამ შემთხვევაში ზოგჯერ გვაქვს **გენდერული ბალანსის ლატენტური დარღვევაც ქალის მხრიდან** /:)/, თუმცა, ნაკლებადაა მოსალოდნელი ოჯახის დაშლა, რადგან ქალი ყველაფერს "ალაგებს" (მით უმეტეს, თუკი ღირსეული ქალია) და კაციც ბედნიერია.

ქალთა **მეორე მესამედი** იტანჯება მამაკაცის უსუსურობით. როგორც წესი, ასეთი ქალი სათნოა, ქალურია. იგი თავად სრულფასოვნად ვერ პატრონობს შვილებს /ვერ მართავს სიტუაციას/, ამიტომ აგრესიული ხდება... ასეთ დროს გვაქვს ოჯახისათვის სახიფათო კონფლიქტებიც... ქალთა **მესამე მესამედი** იფერებს მმართველის როლს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იზღუდავს თავის პირად ცხოვრებასაც კი და ამ გზით ოჯახის სიმშვიდეს ინარჩუნებს.

ფაქტია: ქალთა დიდი ნაწილი ნამდვილად ბევრი პარამეტრით ჯობნის მამაკაცთა დიდ ნაწილს; შესაბამისად, მეტწილ შემთხვევებში ოჯახს, სიტუაციას ქალი მართავს. **მამაკაცთა, დაახლოებით, 15% აღწევს ისეთ განვითარებასა და მდგომარეობას, რომ ყველა წახნაგით ღირსეულია; მის გვერდით ქალი ბედნიერია.**

**მოკლედ, გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას :)**

ბოლოს, ისევ ღია იუმორით დავასრულებ:

**უტრირებული სურათი ევროპული სუფრიდან:** ორივე ტრიალებს სუფრის გასაწყობად. საქმიანი პარტნიორებივით იქცევიან; მოზღუდული აქვთ ემოცია. სიტუაციას ძირითადად ქალი მართავს.

**უტრირებული სურათი რუსული სუფრიდან:** ორივე ტრიალებს სამზარეულოში. სტუმრებთან

მამაკაცი უფრო სვამს, ქალი უფრო კისკისებს.

**უტრირებული სურათი სამხრეთული სუფრიდან:** მამაკაცი მასპინძლობს; ქალი ტრიალებს სამზარეულოში და იშვიათად ჩნდება სტუმართან, მაგრამ ოჯახის სხვა წევრების მიმართულებით ბრძანებებს დაბალ ხმაზე იძლევა...

**უტრირებული სურათი ქართული სუფრიდან:** პროდუქტი მამაკაცს მოაქვს სახლში. სუფრასა და სამზარეულოს შორის ძირითადად ქალი ტრიალებს. მამაკაცი სტუმრებთან ვაჟკაცობს, ქალი კი ოლიმპოდან იღიმის.

:)

9 დეკემბერი, 2019

# 3.6. კოვიდი

## ზოგი ჭირი მარგებელია

კორონა ვირუსის პანდემიამ უფრო ბევრს დაგვანახვა, რომ:

1. სამშობლოში გამომუშავებული 10 ლარი უფრო ფასეულია, ვიდრე უცხოეთში გამომუშავებული 10-ჯერ მეტი დოლარი, ლირა თუ ევრო... შესაბამისად, აუცილებელია სამშობლოში დაბრუნება და აქ ფეხის მოკიდებით ჩვენი სამშობლოს გაძლიერება.

2. აუცილებელია საქართველოში ტრადიციული მიწათმოქმედების კულტურის აღორძინება, რომ დამოკიდებული არ ვიყოთ გენმოდიფიცირებულ თუ მუტანტურ შემოტანილ პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქ მალე შეიძლება შეიქმნას ჩვენი მოსახლეობის "სასურსათო უსაფრთხოება".

3. პოლიტიკური სპექტრი თავის დამკვიდრების მიზნით კი არ უნდა პოპულისტობდეს, ჩვენი სახელმწიფოს მოსახლეობის დასაცავად გრძელვადიან სტრატეგიას უნდა მიჰყვებოდეს; კერძოდ, ხალხი, სახელმწიფო მხოლოდ ტურიზმსა და ემიგრანტების ფულად გზავნილებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული; აუცილებლად უნდა განვითარდეს ადგილობრივი წარმოებები. ამ თვალსაზრისით დაკარგულია ბოლო 30 წელიწადი!

4. უკონტროლო არ უნდა იყოს მიგრანტების შემოსვლა; აუცილებელია საზღვრების სერიოზული კონტროლი;

5. ყველაფრის ჭამა არ შეიძლება (არა მხოლოდ ღამურების!); აუცილებელია, ეკოლოგიურად სუფთა საკვებსა და სუფთა წყალზე ორიენტირება; შესაბამისად, ჩვენი სამშობლო ერთ-ერთი ოაზისია მსოფლიოში და მას ვეპატრონოთ. თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებაც უნდა გამოფხიზლდეს: ყველაფრის ჭამა თუ ყველაფრის თქმა არ არის თავისუფლება; საჭმელი არის ის, რასაც ორგანიზმისათვის, შთამომავლობისათვის მხოლოდ სარგებელი მოაქვს.

6. ტელევიზიები უნდა ჩადგნენ ხალხის, სახელმწიფოს სამსახურში; დღეს მათი დიდი ნაწილი ემსახურება ფსევდოლიბერალურ თუ მაფიოზურ კლანებს. ნამდვილი სიტყვის თავისუფლება არის ისეთი ქმედება, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებელი მოაქვს.

7. განათლების სფეროში მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს დისტანციური სწავლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების როლი. განათლების სისტემის მიზანი უნდა იყოს ცივილიზებული მსოფლიოს ფასეულობების გათვალისწინებით საქართველოს პატრიოტი მოქალაქის აღზრდა.

8. მასობრივი თავშეყრის ადგილები გადაქცეული არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ცნობიერებისა თუ ადამიანთა ჯანმრთელობის დასნებოვნების ადგილებად;

9. ჩვენ კარგი ექიმები გვყავს, მაგრამ მმართველ რგოლებში პროფესიონალები გვაკლია: ხელისუფლებამ მაღალ თუ დაბალ თანამდებობებზე მოხელე უნდა დანიშნოს პროფესიონალიზმის და არა – მონური მორჩილების მიხედვით.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება თუ დახვეწა კიდევ ბევრი მიმართულებით შეიძლება!

ჩვენ ვერ მოგვერევა ვერც კორონა და ვერც სხვა ღამურული, ჩრდილოური თუ კაენური პანდემია ☎:)

დილა მშვიდობისა, საქართველო, და გამოფხიზლებულო მსოფლიო!

17 მარტი, 2020

## დროებით დარჩი სახლში! ღმერთმა დაგლოცოთ!..

"ოქროს საშუალი"

კოვიდ-19-ის საქართველოში გავრცელების აღმავლობის პიკი ჯერ კიდევ არ დამდგარა; ვირუსის გავრცელების შეჩერების ერთ-ერთ გზად ზოგი ეკლესიების დაკეტვას ხედავს; ზოგი – პირიქით: მრევლს მოუწოდებს, არ აჰყვეს ამგვარ მოწოდებებს და "ჯანმრთელმა ადამიანებმა იარეთ ეკლესიაში"... არადა, არის **"ოქროს საშუალი"**, რომლის მიღწევასაც შევეცადე ჩემს მეგობარ მოძღვართან დიალოგით.

**საუბრის მოკლე შინაარსი:**

**მამა დავითი:** მე ტაძარში მივდივარ; შენ?

**მე:** მამაო, თქვენი ვალია ტაძრის კარი არ ჩაკეტოთ და იყოთ ტაძარში; მე აუცილებლად გავაკეთებ ჩემს გასაკეთებელს – წავიკითხავ ლექციას; ასევე, სანამ ვირუსის გავრცელება გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, სახლში ვილოცებ; გულში ვილოცებ... მანამ, სანამ ვირუსი სახიფათოა. ვაქცინას დააგვიანდება, ამიტომ "პიკის" შემდეგ მოვალ ტაძარში და ქუჩაშიც ჩვეულებრივად ვივლი (ოღონდ მეტი სიფრთხილით); ახლა ძალიან ვფრთხილობ: სახლში ასაკოვანი დედა მყავს, პატარა შვილიშვილები...

**მამა დავითი:** შენი მესმის, მაგრამ არ მესმის იმ მოძღვრის, რომელიც მრევლს მოუწოდებს, დარჩეს სახლში; ჩემთვის ეს იგივეა, ექიმმა სნეულს უთხრას, არ მივიდეს საავადმყოფოში, მარკეტის მენეჯერმა მშიერს მოუწოდოს, არ მივიდეს მარკეტში...

**მე:** მამა დავით, ექიმი თუ ეუბნება სნეულს: "სახლში დარჩი, მოვალ და გიმკურნალებ; სახლში დარჩი იმიტომ, რომ საავადმყოფოს შენობა შეიძლება ჩამოინგრეს და ყველანი მოგვიყოლოს"... ასეთ შემთხვევაში ხომ მართალი გამოდის ექიმი?

**მამა დავითი:** გამორიცხული არაფერია, მაგრამ ვინ კრძალავს მანქანის ტარებას ავარიების გამო? ხომ იცი, ყველაფერი უფლის ნებაა!

**მე:** მამა დავით, მანქანის არასწორი ტარების გამო ხომ არის ჯარიმა? ჩემზე უკეთ იცით: "ნუ გამოცდი უფალს"! 1000 მძღოლიდან ერთი თავისი ან სხვისი შეცდომით იღუპება; პანდემიის დროს კი ათასობით ადამიანი დგება საფრთხის ქვეშ...

**მამა დავითი:** პანდემიის დროს აუცილებელია სიფრთხილე; ჩვენც ხომ ვამბობთ ამას! მხოლოდ მე არ ვამბობ, რომ "ნუ დარჩებით სახლში", აგერ, ტრამპმაც გამოაცხადა: "უმუშევრობით უფრო მეტი ამერიკელი დაიღუპება, ვიდრე – ვირუსით; ჩვენ არ ჩამოვშლით ამერიკას!" ესეც ხომ სახლიდან გამოსვლის მოწოდებაა?!

**მე:** ტრამპი მართალია: უმუშევრობით არც ჩვენ არ უნდა ჩამოვშალოთ სახელმწიფო, მაგრამ, ვფიქრობ, ტრამპიც ჩქარობს; ორი-სამი კვირა უნდა მოვიცადოთ. თქვენ მართალი ბრძანდებით, როცა ამბობთ, რომ ეკლესიებს ვერ დავკეტავთ: ეკლესიები არ უნდა ჩაირაზოს; მორწმუნეს უნდა ჰქონდეს ზიარებისა და ლოცვის საშუალება, **მაგრამ მეც მართალი ვარ, როცა ვამბობ:** სანამ ვირუსის გავრცელება პიკს მიაღწევს, სანამ შესაბამისი წამალი ფართო მოხმარებაში შემოვა, მანამდე ვიფრთხილოთ! საუბარია სულ ორიოდე კვირაზე; მერე კი ახალ მსოფლიოში გავაგრძელოთ ცხოვრება სიფრთხილის ახალი პარამეტრებით...

**მამა დავითი:** მე არასოდეს ვიტყვი, რომ ნუ მოხვალთ ეკლესიაში. სიფრთხილე რომ აუცილებელია, ამას კი ისედაც ვამბობთ; ჩვენ საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ, დისტანციას ვიცავთ; სპეციალური სტიკერებიც მოვიტანეთ დისტანციის დასაცავად. რადიკალები კი ქართულ ეკლესიას მაინც ლანძღავენ; ნახეს დრო ანტიქრისტეებმა!..

**მე:** ყველას ერთ რანგში ნუ განვიხილავთ: ზოგი სიფრთხილით ლაპარაკობს, ზოგი – ემოციის გამო აჭარბებს, თუმცა, ზოგმაც დრო იხელთა, რომ დააკნინოს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეკლესია, ქართული ენისა და ქართველი ერის გადამრჩენი ქართულენოვანი მართლმადიდებლობა.

მამა დავითი: ვინც სახლში დარჩენას მოუწოდებს ხალხს, მე მათ არ განვიკითხავ! ვინც საბაბს ეძებს ეკლესია დააკნინოს, მათ ვუწოდებ ანტიქრისტეებს.

**მე:** მამა დავით, არსებობს ოქროს შუალედი; არსებობს ფრაზები, რომელთაც შეუძლიათ დაასრულონ ეს რადიკალიზებული კამათი; კერძოდ, ხომ შეიძლება ასე ვთქვათ:

**"მე ეკლესიაში წავალ და თქვენთვის, ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი კაცობრიობისათვის ვილოცებ! ტაძარში ვინც მოხვალთ სალოცავად, საზიარებლად, გამახარებთ, მაგრამ რამდენიმე კვირით ყველამ ვიფრთხილოთ, სანამ ვირუსი უკან დაიხევს; მთავარია ლოცვა, ღმერთს თქვენი ლოცვა სახლიდანაც ესმის"...**

**მამა დავითი:** მეც, დაახლოებით, ამას არ ვამბობ?! ყველა ხომ არ ეზიარება? რამდენია მაზიარებელი?! ნამდვილ მორწმუნეს ზიარებისას ვნება არ მიადგება; პირიქით: ზიარება სულისა და ხორცის კურნებაა!

**მე:** შევთანხმდით, მამაო: ნამდვილი მოძღვარი – ტაძარში, მაზიარებელი – დიდი სიფრთხილით, ეკლესიაში; ლექტორი – ვირტუალურ აუდიტორიაში; სანამ ვირუსის პიკი არ გადაივლის, ხალხი – სახლში. ორიოდე კვირის შემდეგ კი, სააღდგომოდ, ყველა ერთად ვიქნებით უფლის,

კაცობრიობისა და ჩვენი სამშობლოს სიყვარულით.

**მამა დავითი:** ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, ჩვენი სამშობლო და მთელი კაცობრიობა!

26 მარტი, 2020

## “უხილავი კეთრიანობა” ანუ გავუძლებთ კოვიდსაც

/ციკლიდან: „ზოგი ჭირი მარგებელია!“/

kovid-19-მა ბევრი მითი დაანგრია, ამავე დროს თანამედროვე კაცობრიობის რამდენიმე არსებითი პრობლემა წარმოაჩინა, რომელთა გადაჭრა თუ გამოსწორება აუცილებელია; ამის შესახებ ბევრი დაიწერება. რამდენიმე საკითხს მოკლედ შევეხები:

– მიტოვებული მშობლები – ორწახნაგოვანი საბედისწერო დრამა;

– დატოვებული სამშობლო – გაუაზრებლად მიგდებული ციხე-სიმაგრე;

– გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა – გლობალიზაციის გაუმართლებელი მსხვერპლი;

– ახლა რა ვქნათ?

– რა მოხდება ხვალ დანგრეული მითების ფონზე?

**1. მიტოვებული მშობლები – ორწახნაგოვანი საბედისწერო დრამა**

ასაკოვანი მშობლების მიტოვება თანამედროვე კაცობრიობის “სენია”. ეს „სენი“ ჩვენ ჯერჯერობით არ „გვჭირს“, მაგრამ შეიძლება “დაგვემართოს”. „სენს“ ორი პერსპექტიული მსხვერპლი ჰყავს: მშობელი და შვილი. kovid-19-ის “ცუნამმა” შექმნა ფაქტი: ასაკოვან მშობელთა ნაწილი, უკეთეს შემთხვევაში, მოხუცთა უმაღლესი დონის თავშესაფარში ფილტვების (სუნთქვის) უკმარისობით დაიღუპა მონატრებული შვილების უნახავად! უარეს შემთხვევებში, წამებით აღესრულნენ საკუთარ სახლში ჩაკეტილები :( წარმოვიდგინე მათი სიმწრისეული ფიქრიც:

– რატომ ვზარდე შვილები, ასე თუ მიმატოვებდნენ.

**საყვედური ქრისტესაც კი წამოსცდა ხორციელი სიკვდილისას** (მათე, 47, 46): „მეცხრე საათი იქნებოდა, რომ შესძახა იესომ დიდი ხმით: “ელი, ელი! ლამა საბაქთან?” რაც ნიშნავს: “ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე? „ღმერთო, ღმერთო, რად მიმატოვე...“

...ახლა ქუჩაში ყველა მიზანმიმართულად ვერიდებით ერთმანეთს /კეთროვანებივით/. დასავლეთში მშობლებისაგან უკვე დიდი ხანია დისტანცირებულია შვილთა დიდი ნაწილი. ალბათ, ყველა შვილს სადღაც გულში აქვს სინდისის ქენჯნა, მაგრამ მშობლის ასეთი სიკვდილი **ბევრს სამუდამოდ შეაწუხებს** და ეს იქნება „სენის“ მეორე მუდმივტკივილიანი წახნაგი.

**2. დატოვებული სამშობლო – დაუდევრობით მიგდებული ციხე-სიმაგრე**

სწავლის მიზნით წასული პროცენტულად ცოტაა. ზოგმა ჩვენიანმა – ფიზიკური „კომფორტისათვის“, ბევრმა უფრო ლუკმაპურის იოლად საშოვნელად უცხოეთს მიაშურა. სულ ვეუბნებოდი უცხოეთში წასულ ყველა ჩემიანს და ახლა ყველას გასაგონადაც ვიტყვი: ყველაზე მეტად დაცული ხარ საკუთარ ოჯახში, საკუთარი ნათესავების ველში; სრული „კომფორტი“ მხოლოდ სამშობლოშია. ადამიანი ლუკმაპურს უთუოდ იშოვის იმ სახელმწიფოშიც, სადაც დაიბადა: ინდოეთშიც, აფრიკაშიც, აზიისა თუ ევროპის ქვეყანაშიც, ამერიკაშიც, ავსტრალიაშიც; მით უმეტეს, ცენტრალურ კავკასიაში, საქართველოში, რომელიც **დედამიწის სამოთხეა!** მხოლოდ შრომის ორგანიზებაა საჭირო. საოცარია: ზოგი ქართველი აქ ღირსეულ შრომას თაკილობს და უცხოობაში უფრო უღირსს სამუშაოს ასრულებს. ღმერთს მადლობა, აქაც ბევრი დარჩა; დღემდე ვაცოცხლეთ საქართველო და ახლა კი უკან დაბრუნებულთ იმედად გახვედრებთ. უცხოობაში მაინც უფრო დაუცველია ადამიანი; საკუთარ მიწაზე, საქართველოში ყველა დავეტევით. ერთად თუ ვიქნებით, უფრო სრულვყოფთ ჩვენი სამოთხესაქართველოს ყოველდღიურ ყოფასაც და მომავალსაც; თუ ერთად ვიქნებით, გაცილებით ძლიერი სახელმწიფო გვექნება!

**3. გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა – გლობალიზაციის გაუმართლებელი მსხვერპლი**

გენმოდიფიცირებული საკვების იმპორტით დაინტერესებული კლანების მიზანი არასოდეს იქნება საქართველოში (მსგავს მცირეტერიტორიიან სახელმწიფოში) **სოფლის მეურნეობის**

**აღორძინება.** არადა, ფართო საზოგადოებას სწორედ ეს ესაჭიროება. გენმოდიფიცირებული იაფი პროდუქციის შემომტანთა ლობისტები ბევრია ყველა ხელისუფლებაში; სამწუხაროდ, პოსტსაბჭოურ სივრცეში (და სხვაგანაც) ბევრს ჰგონია: ხელისუფლებაში ყოფნით იოლი ფული იშოვება; არადა, წესიერი კაცისათვის ასე არ არის: ხელისუფლება ფართო საზოგადოებას უნდა ემსახუროს.

დღემდე ნიორიც კი ჩინეთიდან და ირანიდან შემოგვაქვს თურმე; გორის ვაშლის „წარმოება“ ირანული იმპორტით არსებობს. ამ დროს ლეჩხუმის დიდებული ვაშლი ეზოებში ლპება! საჩხერეშიც კი ვერ აღადგინეს მეფრინველეობის ცნობილი ფერმა და გენმოდიფიცირებული „ნაგავნარევი“ შემოაქვთ ახლო თუ შორეული ქვეყნებიდან. ახლა მაინც მივხვდეთ, რომ საკვები პროდუქტებისა და პირველადი ნივთების წარმოება ყველა სახელმწიფოშია შესაძლებელი და **სახელმწიფოს ერთ-ერთი ორიენტირი ეს უნდა იყოს!**

დავძენ: ასეთი ორიენტირით ჩვენ – 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა ხელისუფლებამ – დავგეგმეთ ეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ 1992 წელს რუსეთმა დაგვამხო; შემდეგ კი, ეროვნული მეურნეობის განვითარებას მაფიოზური “იმპორტი” არჩია შევარდნაძის უკანონო რეჟიმმა. სააკაშვილის ხელისუფლებას არსებითად არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით;

ოცნებას ჰქონდა შესაძლებლობა, ეს პოლიტიკა დაეწყო 8 წლის წინ... **სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს:** ახლა, როცა kovid-19-მა ამოატრიალა ჩვენი „ურემი“, ითქვა, რომ დაიწყება ეს პროცესი.

**4. ახლა, ახლა რა ვქნათ?**

4.1. სოციალური დისტანცირება აუცილებელია ერშიც და ბერშიც; ვირუსი არ არჩევს პროფესიას, სქესს, ფულიანსა და უფულოს, კანის ფერს; ასაკისა თუ აცრის მიუხედავადაც, ყველას უქმნის საფრთხეს. ვირუსი უფრო საშიშია, თუ დაუდევარ ადამიანში შევა “გასავითარებლად” და ამ ადამიანს გამოიყენებს თავისი “გავლენის არეალის” გასაფართოებლად. **ნუ ვიქცევი ვირუსის იარაღად.**

4.2. კომენდანტის საათი სწორია, რომ კრიმინალმა არ აიშვას; ომის დროს ხელისუფლებაა წინამძღოლი და ვენდოთ; თუმცა, ზოგი რამ არ მომწონს; მაგ., ოჯახის წევრს უფლება უნდა ჰქონდეს, მძღოლის გვერდით დაჯდეს; ხელისუფლებამ უნდა დააზუსტოს ზოგი სხვა რეგულაციაც (ზოგადად, უნდა გაითვალისწინოს ოპოზიციისა თუ სხვა ადამიანების გონივრული რჩევები). ასევე, არ მომწონს კოვიდ-19-ით გამოწვეულ კრიზისში პარტიულ ქულებზე ორიენტირებული ქმედებები; ასეთი პარტია ხმებს უფრო დაკარგავს, ეს მაინც გაითვალისწინეთ;

4.3. ყველამ უნდა გავაპროტესტოთ მავანთა მიერ კრიზისის გამოყენება ფულის “საშოვნელად” (ზოგი აძვირებს პირველადი მოხმარების პროდუქტებს, საშენ მასალებს)... პარალელურად, ნელ-ნელა უნდა განახლდეს წარმოებები.

4.4. უცხოეთში მყოფ თანამემამულეთა დაბრუნება კარგად უნდა დაიგეგმოს, რომ საფრთხე არ შეექმნას არც ჩამოსულს და არც – დამხვდურს;

4.5. ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, საქართველოს ყველა მოქალაქე ქართველია, ფართო გაგებით; **ჩვენი ერთიანი პასუხისმგებლობა + ჩვენი ექიმების მაღალი პროფესიონალიზმი** უმცირესი დანაკარგით გამოგვიყვანს ამ კრიზისიდან; ერთიანობა დიდი ძალაა! კრიზისი ძლიერს უფრო აძლიერებს, სუსტს კი მეტ პრობლემას უქმნის. ახლა მთავარია, ყველამ ერთიან საქართველოზე ვიფიქროთ, ყველა კუთხის ქართველსა და ყველა მოქალაქეს მოვეფეროთ. სოციალური დისტანცირებით ნაკლები ზარალით გადავიტანოთ ეს პანდემიაც და პანიკური აგრესია უფლისმიერი სიყვარულით შეგვეცვლება.

**5. რა მოხდება ხვალ დანგრეული მითების ფონზე?**

5.1. ძლიერი სახელმწიფოების ინდუსტრიაზე უფრო აქტუალური გახდება ეკოლოგიაზე ორიენტირებული ახალი მსოფლიო წესრიგი;

5.2. დაიმსხვრევა “დაცული ქვეყნების” “მითი”, დიქტატორული რეჟიმები, რომლებიც პანდემიას მალავენ, ჩამოიშლებიან;

5.3. აქტუალური გახდება “ჩემი სახლი – ჩემი ციხე-სიმაგრე”; შესაბამისად, ბევრი დაუბრუნდება თავის სამშობლოს;

5.4. სახელმწიფოები დაიგეგმებიან თვითკმარი საკვებისა და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტების ეკოლოგიურ წარმოებაზე, რაც ხელს შეუწყობს პატარა სახელმწიფოების

განვითარებას;

საკუთრივ, საქართველოში:

5.5. საქართველოს მოქალაქეები (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად!) მიხვდებიან, რომ სამოთხეში დაიბადნენ და რომ უნდა მოუარონ ამ ღვთიურ საჩუქარს. უცხოეთში გახიზნული ბევრი ადამიანი მიხვდება, რომ **ადამიანი მშობლიურ ფესვებთან ახლოს მეტად დაცულია(!).**

5.6. გაჩნდება რეალური შანსი, სწრაფად აღორძინდეს საქართველოს სოფელიც, მსუბუქი მრეწველობაც, მეურნეობაც, განათლების სისტემაც.

5.7. უფრო ბევრი გააცნობიერებს, რომ ქვეყნის მართვა პროფესიონალთა გუნდს უნდა ვანდოთ და არა ამა თუ იმ პერსონის ერთგულ თუ მონა-მორჩილ მსახურებს (ასეა 1992 წლიდან დღემდე!); შესაბამისად, პოლიტიკური სპექტრი თვისობრივად შეიცვლება და ქვეყანასაც მალე ეშველება.

**შევჯერდეთ:** პანდემიაა მსოფლიოში, მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ ამჟამად არსებულ მსოფლიო პანიკას ხელოვნური „შენთებები“ აქვს: დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეები (ჩინეთი, ნავთობის მაგნატები...) ცდილობენ, ეს პანიკა სათავისოდ გამოიყენონ (ბევრი დაიწერება ამ „გლობალიზებული პანდემიის“ შესახებ). როგორც წესი, რაიმე კატაკლიზმის გამომწვევი თუ გამავითარებელი კასტა, რომელიღაც ფასიდან თავად უკვე ვეღარ მართავს პროცესს; პროცესი თავისი კანონით იწყებს განვითარებას და ბოლოს, ავად თუ კარგად, სრულდება. ახლაც ასე იქნება: covid-19 შეიყუჟება, პანიკაც მალე გადაივლის; კრიმინალურ ბიზნესპოლიტიკაზე ორიენტირებული მსოფლიოც აუცილებლად შეიცვლება და **ამჟამინდელ მძიმე ვითარებას რამდენიმე მნიშვნელოვანი პოზიტივიც მოჰყვება.**

ჩვენთვის: kovid-19-ზე მცირე დანაკარგებით გამარჯვება საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით წარმოაჩენს შემდგარ სახელმწიფოდ, რომელმაც ღირსეულად დაამარცხა მსოფლიოს ეს გამოწვევა. საქართველოს ასეთი სახე თითოეულ ჩვენგანს აუღორძინებს მოქალაქეობრივ ღირსებას, რაც სამშობლოში ცხოვრების პოზიტიურ ფსიქოლოგიურ საფუძველს შექმნის. მოქალაქეთა **ასეთი განწყობა შეუქცევადად განავითარებს ჩვენს სახელმწიფოს,** ჩვენს ყოფას, ჩვენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს...

**P.S. ზოგი ჭირი მარგებელია: კრიზისი ავლენს ადამიანის, ერის, სახელმწიფოს ღირსებას; კრიზისს ჩვენი გაერთიანებაც შეუძლია.**

**P.P.S.** წინასააღდგომო დამატება (18.04.2020):

ურწმუნო თუ სხვა აღმსარებლობის ადამიანი სააღდგომოდ ეკლესიაში ისედაც არ წავა.

როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ქრისტიანი დღეს და ხვალ?

**ეკლესიის პასუხი ნათელია:** არის კურთხევა, დარჩეს სახლში ის, ვისაც:

– აქვს რაიმე დაავადება:

– ჰყავს პატარა ბავშვი;

– ჰყავს ასაკოვანი მშობელი ან ბებია/ბაბუა თუ პაპა/ბებო;

– აქვს რაიმე დაავადების სიმპტომი;

– ფიქრობს, რომ შეიძლება ჰქონდეს ვირუსი...

ჩემს წრესა თუ ნაცნობებს შორის იშვიათია ადამიანი, რომელსაც ან ასაკოვანი დედა არ ჰყავს, ან მამა, ან ბებია, ან ბაბუა, ან პატარა შვილები... ანდა, სრულიად ჯანმრთელი იყოს :) იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ჩემი ნაცნობი რჩება სახლში, რადგან ასეთ დროს უპრიანია, ილოცო სახლში, რომ უნებურად ეკლესიაში სხვა არ დააავადო, ანდა, უნებლიეთ სახლში ვირუსი არ მოიტანო!

რა თქმა უნდა, სახლშიც შეიძლება ლოცვა! მით უმეტეს, ეკლესია გეუბნება: დარჩი სახლში, თუ პატარა შვილი გყავს, თუ ასაკოვანი მშობელი გყავს, თუ ბებია ან ბაბუა გყავს... ანდა, თუ თავს შეუძლოდ გრძნობ... ეს “დაბრკოლებანი” ადამიანს ხელს თუ არ უშლის, ანუ:

თუ არც ბებია/ბაბუა ჰყავს, არც ასაკოვანი მშობელი, არც პატარა შვილი, სრულიად ჯანმრთელია, მარხულობს და მისი ოჯახი ეკლესიაა, რა პრობლემაა წავიდეს და ფაქტობრივად მრევლის გარეშე დარჩენილ ეკლესიაში თავის მოძღვართან (მამასთან) ერთად დისტანციის დაცვით ილოცოს? ასეთს რატომ ვამუნათებთ

**ნამდვილად გაუმართლებელია ყველა მიმართულების (წამსვლელთა თუ დამრჩენთა!) ისტერია და საზოგადოების რადიკალიზაციაც და თემის პოლიტიზებაც.**

**დარჩით სახლში,** რომ შევაკავოთ ინფექციის სწრაფი ზრდა, მაგრამ ნუ გავლანძღავთ მორწმუნეს, ვინც მარტოა და ეკლესიაში, როგორც ოჯახში, მიდის, რომ დისტანციის დაცვით ილოცოს ერისათვის, ქვეყნისათვის, კაცობრიობისათვის... ისტერიულ დამოკიდებულებას თუ მოვთოკავთ (პირველ რიგში, ეს ეხება ზოგ მედიასაშუალებას), საქართველო უფრო ძლიერი გამოვა ამ კრიზისიდან!

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

29 მარტი, 2020

## კორონამ გვითხრა...

კორონამ გვითხრა, სანამ მე რაღაცებს ვარკვევ, თქვენ შინ დარჩით, ილოცეთ, წერეთ და იკითხეთო... ჰოდა, დრო თუ გაქვთ, წაიკითხეთ ეს სიზმარ-ცხადი:

ამასწინათ დავწერე გამოხმაურება გიორგი სოსიაშვილის ძალიან საინტერესო რომანის ("გოდების კედელი") შესახებ. რომანში ბევრი მნიშვნელოვანი წახნაგია; ერთ-ერთია სიზმრისა და ცხადის განუყოფლობა.

სიზმრისა და ცხადის განუყოფლობა რეალური მაშინ უფრო ხდება, როცა ხარ ციხეში, ან ხარ ავად, ანდა, როცა სამუშაოდ ხარ ჩაკეტილი კოვიდ-19 –ის გაცეცხლების გამო. სოსიაშვილის გმირებივით წუხელ მეც ისე რეალურად ვნახე სიზმარი, დეტალები მახსოვს. სიზმრის მოყოლა არ შეიძლებაო, ამბობენ; არც ეს ვიცი, რწმენაა თუ ცრურწმენა, ამიტომ ჩანახატივით წაიკითხეთ:

თბილისის ერთი უბნიდან (დაახლოებით, ხარფუხს ჰგავდა) ფეხით დავეშვი. გზად პატარა ბაღი უნდა გამევლო. ფერდობზე ჩამავალ ბილიკზე პატარა ლეკვივით არსებამ ყეფა დამიწყო. არ შემშინებია, მაგრამ ყურადღებით ვიყავი: ასეთმა არსებებმა უკნიდან იციან კბენა. ამ კოვიდობის პირობებში ნამდვილად არ მინდოდა ცოფის აცრაზე სიარული; არადა, არ მეშვება ეს არსება და მიყეფს, მომდევს; თან ვატყობ, რომ ნელ-ნელა ტანი უგრძელდება. ხელთ არაფერი მაქვს. მივიხედ-მოხედე: სამი მოზრდილი ქვა გდია (ქვების მოყვანილობაც კი მახსოვს); ერთი ფრთხილად ავიღე. სროლა არ მინდა, თან უკვე მალე ჩავალ მცენარეებიანი ფერდობიდან ისევ დასახლებულ პუნქტამდე – რამდენიმემეტრიანი ბილიკი დამრჩა ჩასავლელი.

არ მეშვება მაინც. ქვა მსუბუქად ვესროლე თავში, რომ თავი დამანებოს. ვხედავ, რომ თავი ნელ-ნელა უსივდება; პარალელურად სხეულიც უფრო ეზრდება, თუმცა, უკვე დარეტიანებულია. ეს რეტიანი, მაგრამ უკვე საშიშად დიდი გველი ახლა წინიდან და თან ჯიუტად თავით მოიწევს ჩემკენ; სხეული კი იქ იზლაზნება, სადაც უნდა ჩავიდე. ამასობაში ლამის მონსტრად იქცა. სხეულის ნაწილი მიწაში აქვს, ნაწილით კი ბილიკს ფარავს.

დარჩენილი ორივე ქვაც ავიღე. ერთი დამიზნებით ძლიერად ვესროლე მსხვილ წელზე. მიწაში მთლიანად ჩაიმალა. იმ ადგილას მიწამ ჩაღრმავება დაიწყო; მესამე ქვა უკვე მიწაში ჩამალულს ჩავაყოლე ზემოდან და გავიგონე სიღრმეში ჩავარდნის დიდი ხმა: სადღაც დიდ სიღრმეში ჩავარდა გველად ქცეული არსება ქვასთან ერთად.

სადაც უნდა გამევლო, ის ბილიკი ნახევარი მეტრით მარცხნივ გამოჩნდა.

პატივცემულო მკითხველო: უფალი ფარავდეს ჩვენს ოჯახებსა და მეგობრებს, ნათესავებს, საქართველოს, კავკასიას, ჩვენს პლანეტას, გალაქტიკას და მთელ გარესამყაროს (კოსმოსი = გარესამყარო).

**P.S.** გეტყვით, რატომ მოგიყევით:

ეს იმდენად რეალური სიზმარი იყო, შეიძლება, ჩემ გარდა, იქნებ სხვამაც ნახეთ /გიორგი სოსიაშვილის რომანში ხდება ასეთი რამ/?

15 აპრილი, 2020

## ციკლიდან: “დარჩი შინ” (წინასააღდგომო დამატება):

ურწმუნო თუ სხვა აღმსარებლობის ადამიანი სააღდგომოდ ეკლესიაში ისედაც არ წავა.

როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ქრისტიანი დღეს და ხვალ?

ეკლესიის პასუხი ნათელია – არის კურთხევა, დარჩეს სახლში ის, ვისაც:

– აქვს რაიმე დაავადება:

– ჰყავს პატარა ბავშვი;

– ჰყავს ასაკოვანი მშობელი ან ბებია/ბაბუა თუ პაპა/ბებო;

– აქვს რაიმე დაავადების სიმპტომი;

– ფიქრობს, რომ შეიძლება ჰქონდეს ვირუსი...

ჩემს წრესა თუ ნაცნობებს შორის იშვიათია ადამიანი, რომელსაც ან ასაკოვანი დედა არ ჰყავს, ან მამა, ან ბებია, ან ბაბუა, ან პატარა შვილები... ანდა, სრულიად ჯანმრთელი იყოს

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ჩემი ნაცნობი რჩება სახლში, რადგან ასეთ დროს უპრიანია, ილოცო სახლში, რომ უნებურად ეკლესიაში სხვა არ დააავადო, ანდა, უნებლიეთ სახლში ვირუსი არ მოიტანო! რა თქმა უნდა, სახლშიც შეიძლება ლოცვა!

ეკლესია გეუბნება: დარჩი სახლში, თუ პატარა შვილი გყავს, თუ ასაკოვანი მშობელი გყავს, თუ ბებია ან ბაბუა გყავს... ანდა, თუ თავს შეუძლოდ გრძნობ... ეს “დაბრკოლებანი” ადამიანს ხელს თუ არ უშლის, ანუ:

თუ არც ბებია/ბაბუა ჰყავს, არც ასაკოვანი მშობელი, არც პატარა შვილი, სრულიად ჯანმრთელია, მარხულობს და მისი ოჯახი ეკლესიაა, რა პრობლემაა წავიდეს და ფაქტობრივად მრევლის გარეშე დარჩენილ ეკლესიაში თავის მოძღვართან (მამასთან) ერთად დისტანციის დაცვით ილოცოს? რატომ ვამუნათებთ? ნამდვილად გაუმართლებელია ყველა მიმართულების (წამსვლელთა თუ დამრჩენთა!) ისტერია, საზოგადოების რადიკალიზაციაც და თემის პოლიტიზაციაც.

დარჩით სახლში, რომ შევაკავოთ ინფექციის სწრაფი ზრდა, მაგრამ ნუ გავლანძღავთ მორწმუნეს, ვინც მარტოა და ეკლესიაში, როგორც ოჯახში, მიდის, რომ დისტანციის დაცვით ილოცოს ერისათვის, ქვეყნისათვის, კაცობრიობისათვის... ისტერიულ დამოკიდებულებას თუ მოვთოკავთ (პირველ რიგში, ეს ეხება ზოგ მედიასაშუალებას), საქართველო უფრო ძლიერი გამოვა ამ კრიზისიდან!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**P.S.** ლანძღვა-გინება, წყევლა-კრულვა, რადიკალიზაცია, იქედნური ქილიკი უფრო საშიშია ერისათვის, უფრო სახიფათო “ვირუსია”, ვიდრე – Covid-19.

18 აპრილი, 2020

## „კოვიდ-19 სასიკვდილოა“ თუ „კოვიდ-19 არ არსებობს“?!

78 წლის დედაჩემმა დაამარცხა კოვიდ-19!

ბოლო დროს კოვიდ-19-თან უშუალო შეხება მქონდა. საკუთარი თვალით ბევრი რამ ვნახე და ბევრი ინფორმაციის „გადახარშვა“ მომიწია. ვფიქრობ, პრევენციისათვის გამოგადგებათ ფაქტებზე დაფუძნებული ჩემი ინფორმაცია თუ დასკვნები, რომლებიც მოკლედ ასე შემიძლია ჩამოვაყალიბო:

1. ჩემს ოჯახში სტუმრად მოსულ ახლობელს მეორე დღეს კოვიდ-19 დაუდასტურდა. ფრთხილად ვიყავით, მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ სიცხისა და სისუსტის გამო 78 წლის დედაჩემი „თბილისის ზღვის ცხელების ცენტრში“ წავიყვანე. დედაჩემს კოვიდ-19-თან ერთად ფილტვების 11-ქულიანი დაზიანება აღმოაჩნდა. ვღელავდი იმიტომაც, რომ დედაჩემს რამდენიმე ქრონიკული დაავადებაც აწუხებს. დედამ 17 დღე გაატარა თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თავს ვალდებულად ვთვლი, დიდი მადლობა გადავუხადო თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორს, ბ-ნ ლევან გოფოძესა და დედაჩემის ექიმს, ქ-ნ ნანა

ჭულუხაძეს Nana Chulukhadze. განსაკუთრებული მადლობა ჩემს მეგობრებს, ვინც ამ დღეებში წუხდა და ზრუნავდა დედაჩემზე. უფლის წყალობით, პროფესიონალი ექიმების თანადგომით, ასევე, მტკიცე ხასიათის წყალობით, დედაჩემმა ვირუსიც დაძლია, „დახურული სივრცის“ მძიმე გარემოს განწყობაც და დღეს უკვე სახლშია!

...რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა რომ დაგვიანებულიყო, ფილტვების ანთება ღრმად წავიდოდა და ასე იოლად ვერ გამოვიდოდით.

დასკვნა (1): ეს ახალი ვირუსი არ კლავს; ზოგჯერ იწვევს ფილტვების ანთებას, რომელიც ნამდვილად იკურნება სპეციალისტთა დროული ჩარევით. ქრონიკული დაავადებების შემთხვევაშიც კი კოვიდ-19 საშიში არ არის.

2. ერთ მანქანაში დედაჩემთან ერთად ვიყავი რამდენიმე საათი. ვფიქრობდი, გადამედებოდა კოვიდ-19, მიუხედავად იმისა, რომ ყველა რეგულაცია დავიცავით (პირბადეები, მანქანაში უკან დაჯდომა, მინის ჩამოწევა...). თბილისის ზღვის ცხელების ცენტრში დედაჩემი დავტოვე თუ არა, თვითიზოლაცია გადავიწყვიტე. 12-დღიანი იზოლაციის პერიოდში არანაირი სიმპტომი არ გამომვლენია; სახლში მყარად ყოფნისას ერთი სამეცნიერო წერილი კი დავასრულე „ლინგვისტური უფლებების“ შესახებ /:)/. თვითიზოლაციაში მყოფს ეჭვი მაინც აწუხებს, ამიტომ მე-12 დღეს გავიკეთე ტესტი და ეჭვებისგანაც დავისვენე. ბუნებრივია, დედაჩემისაგან საფრთხე არ შექმნია ჩვენი ოჯახის იმ წევრ(ებ)ს, რომლებიც ჩვენგან დისტანცირებულად (თბილისში, მით უმეტეს, ბათუმსა თუ შუახევში) ცხოვრობენ.

დასკვნა (2): პირბადე აუცილებელია კოვიდინფიცირებულთან კონტაქტისას: მანქანაში რამდენიმე საათით ყოფნისას პირბადე დედასაც ეკეთა და მეც. ამან მე ამარიდა კოვიდინფექცია. კოვიდეჭვის დროს კი თვითიზოლაცია აუცილებელი პრევენციაა, თან სასარგებლო: თუ არ „დაისტრესებით“, ბევრ საქმეს გააკეთებთ .

3. იმავე კოვიდიან სტუმართან კონტაქტის გამო ერთი ჩემი ახლობელი ოჯახის ხუთივე წევრს პრევენციის მიზნით ჩაუტარდა ტესტირება. ყველას “ტესტი” დადებითი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ ისინი სასწრაფოდ გადაიყვანა სასტუმროში, სადაც 12 დღე დაყვეს. არც ერთი მათგანი მნიშვნელოვნად არ შეუწუხებია ვირუსს; ცოლ-ქმარმა მხოლოდ რამდენიმე დღით დაკარგა ყნოსვა და გემო; სამ პატარა შვილს კი საერთოდ არაფერი უგრძვნია. ზუსტად ვიცი, რომ სახლის პირობებში თუ დარჩებოდნენ, უფრო კომფორტულად იქნებოდნენ; მით უმეტეს, დისტანციურად მათ დროულ კონსულტირებას თუ გაუწევდა რომელიმე ეპიდემიოლოგი.

დასკვნა (3): უსიმპტომო (თუ მსუბუქად „დაზარალებული“) პაციენტებისათვის თანხა არ უნდა დაიხარჯოს სასტუმროებში განსათავსებლად. უკეთესი იქნება, რომ ეპიდემიოლოგიურმა (თუ მსგავსმა სხვა) სამსახურმა სასტუმროში დასახარჯი ფულის ნაწილით დაიქირავოს დისტანციური კონსულტანტი, რომელიც ვირუსშეყრილთა მიმართ ადეკვატურ და ოპერატიულ ყურადღებას გამოიჩენს (სასტუმროებში დასახარჯი დიდი თანხა დაიზოგება!).

4. ჩემი ასევე ახლობელი მეორე ოჯახის 5 წევრიდან კოვიდ-19 ორს საერთოდ ვერ გაეკარა; ორს მსუბუქად „შეეხო“, ერთს კი ფილტვების ანთებაში გადაუვიდა. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებმა ამ შემთხვევაშიც ანთება ორკვირიანი მკურნალობით ჩააქრეს. ვირუსს გადაურჩა ოჯახის ის ორი წევრი, რომელიც სახლში გვიან მოდიოდა (ანუ სხვებთან კონტაქტი ნაკლები ჰქონდათ).

დასკვნა (4): დისტანცირება გამოსავალია; გარდა ამისა, კოვიდ-19 ყველას ორგანიზმს ერთნაირად ვერ ვნებს; აშკარაა: ადამიანს იცავს ძლიერი იმუნიტეტიც.

5. ჩემი დაკვირვებით, კოვიდ-19-მა უფრო დააზარალა ის ადამიანები, ვინც ზედმეტად აფორიაქდა ტესტირების დადებითი პასუხის შემდეგ.

დასკვნა (5): მნიშვნელოვანია ემოციური ფაქტორი: ვირუსი თუ შეგხვდებათ, ნუ აფორიაქდებით. გაიხსენეთ, რომ „ძაღლი“ იმას ერჩის, ვისაც ეშინია. საშიში ნამდვილად არ არის წყევლა: „შენ შეგეყაროს კოვიდ-19“ . საშიშია, ერთი მხრივ, დაუდევრობა ვირუსის მიმართ, მეორე მხრივ კი – პანიკა ვირუსის გამო. ზოგადად, ძლიერსა და ფსიქოლოგიურად მდგრადს ვირუსი მალევე (გა) ერიდება.

6. დიდი ალბათობით, ჩვეულებრივი ურთიერთობისას ვირუსი არ გადაგედებათ უსიმპტომო კოვიდპაციენტისაგან. ალბათობა არსებობს მხოლოდ მჭიდრო კონტაქტისას.

დასკვნა (6): კოვიდეჭვის გაჩენის შემთხვევაში მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობის საკითხი თავად გადაწყვიტეთ რისკების გათვალისწინებით: რა უფრო გავნებთ: კოვიდსაშიშ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტი თუ უკონტაქტობა.

7. ვირუსი კოვიდ-19 მსუბუქია; ჰაერში როცა მოხვდება, უცებ არ ეცემა ძირს: მცირე დროით ჰაერში ტრიალებს; შესაბამისად, არ არის აუცილებელი, ვიღაცამ თქვენ წინ დააცემინოს, ან დაახველოს; შეიძლება გზად გამვლელისგან ინფექცია ჰაერში მცირე ხნით დარჩეს, ამ დროს თქვენ გაიაროთ და, თუ პირბადე არ გიკეთიათ, დასნებოვნდეთ.

დასკვნა (7): რეგულაციების დაცვა (პირბადე, დისტანცია...) აუცილებელია. პირბადე აუცილებელია არა მხოლოდ დახურულ სივრცეში, არამედ ღია სივრცეში ხალმხმრავალ ადგილებზეც. ამ გზით გავუფრთხილდებით საკუთარ თავსაც და სხვასაც.

8. კოვიდინფიცირებულთან კონტაქტის შემდეგ ჩემს რამდენიმე სრულიად ჯანმრთელ ახლობელს მოკლე დროში განუვითარდა ფილტვების ანთება. ეს ნიშნავს, რომ კოვიდ-19 რეალურად არსებობს; ის ორგანიზმში შემოდის, ზოგ შემთხვევაში შინაგან ორგანოებს აზიანებს და 12 დღეში „იძინებს“. დროული (დროული!) ჩარევით 80 წელს გადაცილებული ადამიანიც კი იოლად იკურნება.

დასკვნა (8): კოვიდ-19 რეალურად არსებობს, მაგრამ არ არის მკვლელი. ადეკვატური რეაგირების შემთხვევაში არ არის საშიში, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი ემოციას კარგად აბალანსებს.

9. ჩემს ნაცნობთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, ვინც მალავს კოვიდიანთან მჭიდრო კონტაქტის ან, სულაც კოვიდ-19-ის დადასტურების ფაქტს: დამალვას ორი მიზეზი აქვს: (1) არ უნდა რომ დააფრთხოს თავისი თანამშრომლები თუ ნაცნობ-მეგობრები; (2) ჰგონია, რომ „სიმპტომები“ მალე გადაუვლის. ორივე შემთხვევა დანაშაულის ელემენტებს შეიცავს, რადგან ასეთი ადამიანი საფრთხეს უქმნის სხვებს. ადამიანს თუ თავისი დასნებოვნების გამხელა არ უნდა, 12-14 დღით მარტო უნდა დარჩეს სახლში. იოლად შეიძლება მართლა „გაიაროს“ ვირუსმა, მაგრამ შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა სწრაფად დაამძიმოს....

დასკვნა (9): ნუ დამალავთ კოვიდინფექციას: ნებით თუ უნებურად ნუ ჩაიდენთ დანაშაულს: საფრთხეს ნუ შეუქმნით ნურც სხვა ადამიანებს, ნურც საკუთარ თავს.

მოკლედ: უყურადღებობაა საშიში! ასეთია ჩემი უშუალო გამოცდილებით ნაკარნახევი რჩევები. შინაგან წონასწორობას, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ!

**P.S.** კოვიდ-19 ისევ აქტიურდება. სოციალურ ქსელში მის შესახებ კამათს პოლიტიკური ელფერი აქვს და დისკუსიაც აგრესიული ხდება: ზოგი კვლავ ამტკიცებს, რომ ეს არის ხელოვნური მკვლელი ვირუსი; ზოგის აზრით, კოვიდ-19 არ არსებობს და ეს ყველაფერი „გლობალისტების“ თუ ადგილობრივი მავანის „დივერსიაა“ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

ჩემი აზრით, დეზინფორმაციაა ეს ორივე უკიდურესობა!

15 ოქტომბერი, 2020

# 4. „გალმა სოფელში...“

# კოტე კაკიტაძე

სულთბილი კოტე კაკიტაძე:

კაცი, რომელსაც ყველაფერი გულთან (უფრო: გულის გულთან!) მიჰქონდა და გულიც ამიტომ გადაღალა. ხშირად ერეოდა ცრემლი (გულწრფელი ემოციური სადღეგრძელოების დროსაც კი ტიროდა).

მეგობრობას თითქმის ყველაფერზე (პრინციპებზე, საქმეზე, სამსახურზე...) მაღლა აყენებდა და მეგობრებთან პირნათელი წავიდა...

კეთილი და არააგრესიული, მუდამ ცდილობდა შეერიგებინა დაპირისპირებული მხარეები და ამ დროს დიდ სასიცოცხლო ენერგიას ხარჯავდა...

თავად ქართველური დარდიმანდობითა და წრფელი ემოციით იცხოვრა, ამიტომაც ორგანიზმის (ხორციელი მეს) სასიცოცხლო „რესურსი“ უდროოდ შემოელია...

ბოლოს თავისი თავი პოეზიაში იპოვა: უკვდავი ფაქიზი სული ლექსებად გამოაშუქა და წუთისოფელშიც გამარადიულდა...

**სიცოცხლის მუდმივ თანმხლებად იქცა წუთისოფელში დარჩენილთა ტკივილიც:**

გუშინ საშინლად და სამუდამოდ დაიშრიტა დიდი ხანია ისედაც თალხად მოსილი დედამისის – ქალბატონი ჯულიეტას – თვალები: ერთადერთი ვაჟის ცხედართან იჯდა უკვე უცრემლოდ: გაქვავებული, სახედაკაწრული და სახეზე ცრემლებშემხმარი...

უდროოდ დასევდიანდნენ კოტეს შვილები: აკაკი და შვილის მომლოდინე მარიამი (ორივე უმრავლოს კოწიას).

უფალმა უფრო გაგაძლიეროს, ლელა.

**მეც აღარ მომეცემა უსევდო პუროობის შანსი:** ქ-ნი ჯულიეტას კეთილად მოციმციმე დედობრივ თვალებს სამუდამოდ ჩაენაცვლა სახედაკაწრული დედის დაშრეტილი თვალები... ვერასოდეს ვეღარავინ ვანუგეშებთ... დედაჩემმაც შვილივით დაიტირა სულთბილი კოტე.

მეგობარი სულის თანაზიარია მიწასა თუ ზეცაში მყოფობის მიუხედავად...[2]

ლელა,

ჩვენს ბიჭობაში ძმაკაცები ნახევრადხუმრობით ვამბობდით ხოლმე: ისეთი ცოლები არ უნდა მოვიყვანოთ, რომ ძმაკაცობა გაგვიუფერულონო... მართლაც, ზოგის ძმაკაცობას დაეყარა ნაცარი ცოლის ხუშტურების თუ თავად ამ, აწ უკვე ყოფილი ძმაკაცის უხერხემლობის გამო (რომელიც ნელ-ნელა უფრო ცუდ რამეში გადაიზარდა).

შენ ის გამორჩეული ქალბატონი ხარ, ვინც თავიდანვე მეგობრად შემოვიდა ჩვენს წრეში. შენ არ იყავი კოტეს მხოლოდ ჩვეულებრივი ცოლი, შენ იყავი, ხარ და სამარადჟამოდ იქნები კოტეს მეუღლე (მე არსებითად ვასხვავებ ამ ტერმინებს; ცოლისგან განსხვავებით, ტერმინი “მეუღლე“: არის ცოლიც, მეგობარიც, თანამოაზრეც, თანამოსუნთქეც...).

ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება: კოტე მუდამ ჩემი მეგობარი იქნება... თუმცა, კოტესთან ძმაკაცობა აღარ გამოგვივა, ვინაიდან ტერმინი “ძმაკაცი” მაინც გულისხმობს ამქვეყნიურ შეხვედრებს ჭირსა და ლხინში; შდრ.: აქამდე ვამბობდი: მეგობარი სულის თანაზიარია დროისა და მანძილის მიუხედავად-მეთქი, ახლა ვიტყვი, მეგობარი სულის თანაზიარია მიწასა თუ ზეცაში მყოფობის მიუხედავად...

მე ძმაკაცობას აკაკისთან გავაგრძელებ – კოტეს ღირსეულ შვილთან...

შენ, ჩემო დაო, გაგიჭირდება მეუღლის გარეშე... ამას იქით შენ უფრო უნდა გაძლიერდე, რომ ცალუღელით იგივე გააკეთო, რასაც კოტესთან ერთად აკეთებდი...

რა თქმა უნდა, ჩვენც ჩაგიდგებით “კვალში”.

უფალმა შენ ამქვეყნად კიდევ უფრო გაგაძლიეროს, კოტეს კი სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს...

20 სექტემბერი, 2010

[2] ტექსტი ამოღებულია კომენტარებიდან (ი.ვ.)

# პორტრეტი გარდაცვალების შემდეგ

კაკო ფუტკარაძე

ადამიანის **სრული პორტრეტი** მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ იქმნება: სიცოცხლეში პიროვნების აღქმა სხვადასხვა მხრიდან განსხვავებული შეიძლება იყოს; **ხშირად ყველასგან სხვაობს თვითაღქმაც.**

ფიზიკური გარდაცვალება ყველაფერს ალაგებს: ყველა ტონსა თუ წახნაგს თავის ადგილას სვამს და ადამიანი ისეთად წარმოჩნდება, როგორიც სინამდვილეში იყო და როგორც იცხოვრა. ჩემი დაკვირვებით, ადამიანთა დიდი ნაწილი ამქვეყნად ვერ პოულობს თავის ადგილს და იტანჯება, წვალობს... **კაკო ფუტკარაძემ იცოდა თავისი ადგილი და კარგად ჰქონდა გააზრებული, რა უნდოდა ამ სამყაროში;** მხოლოდ საოცრად პრაგმატულ ადამიანს შეეძლო, პატიოსანი გზით შეექმნა ის, რაც მან შექმნა ყოფით ცხოვრებაში; მხოლოდ **იშვიათად გულისხმიერ პიროვნებას ხელეწიფებოდა,** ამდენი მეგობარი შეეძინა ამ წუთისოფელში.

წუთისოფელი უწოდა ჩვენმა წინაპარმა ადამიანურ სიცოცხლეს, არაუმეტეს, 120 წელიწადი ავიღოთ ადამიანის ხორციელი სიცოცხლისათვის: მილიონ წელს არ ვიყავით, მილიონ წელს აღარ ვიქნებით და რა არის 120 წელი ამ ორ მილიონ წელს შორის? **მხოლოდ თვალის ერთი დახამხამება, თუმცა თვალის ერთი გახელაც საკმარისია, სამყარო აღბეჭდო შენში და საკუთარი მზერაც სამუდამოდ დატოვო ამქვეყნად.** კაკო ფუტკარაძემ ღირსეულად გაატარა თავის სისხლში წინაპრების გენი და ღირსეული შთამომავლობა დატოვა; დიდი ასპარეზიც დაუტოვა შვილებს – **კახასა და ნანას:** ეს სახელებიც კაკოს ზოგადეროვნული არჩევანია: გამორჩეული ქართული სახელები – **ნანა და კახა უცვლელი ორიენტირებია** გზაჯვარედინზე მყოფი აჭარის სინამდვილეში, რამდენადაც ეს ორიენტირები ანდრია პირველწოდებულისა და ტბელი აბუსერიძის გაჭრილ კალაპოტში ცხოვრების გაგრძელების განაცხადია.

ხაზგასმით აღვნიშნავ: ჯერ კიდევ ბავშვობაში **აკაკი ფუტკარაძემ ისეთი ამქვეყნიური ორიენტირები აირჩია, რომლებიც საქართველოსათვის მარადიულია;** შესაბამისად, უფლისმიერ მარადიულ სამყაროში გადასული მისი უკვდავი არსობა (სული) შვილიშვილების, შვილების, ზოგადად, შთამომავლების გვერდით მუდამ იქნება. **კაკო ასევე მუდამ იქნება უპირველესი მეგობრისა და დიდებული მეუღლის, ნათელას გვერდით.** სწორედ ნათელა ბოლქვაძის თვალებითა თუ გონებით აღქმული კაკო ფუტკარაძეა ყველაზე ახლოს რეალურ კაკო ფუტკარაძესთან – **სწორედ ნათელას სიყვარული წარმოაჩენს ჩემს თვალში ნამდვილ კაკო ფუტკარაძეს** – ისეთს, როგორიც ის ღმერთმა შექმნა, კაკოს, რომელმაც მხოლოდ 60 წელს იცოცხლა და შექმნა იმდენი, გააკეთა იმდენი, სიკეთით მეგობარი შეიძინა **იმდენი, რამდენსაც ბევრი ადამიანი 120 წლის სიცოცხლეში ვერ შექმნიდა...**

მხოლოდ ცუდი ადამიანები კვდებიან: ღირსეულ ადამიანზე იტყვიან, რომ გარდაიცვალა: **„გარდაცვალება“ ძველ ქართულში ადგილ-სამყოფელის გამოცვლას ნიშნავს;** აქვე გავიხსენებ იმასაც, რომ სიტყვა-ფორმა „გვამი“ ძველ ქართულში „ქარქაშს“ ნიშნავს; ქარქაშს, სადაც უკვდავი სული ჩაეგება ხოლმე დროებით; **სული გარდაცვალების შემდეგ ტოვებს ქარქაშს** – ხორციელ სამყოფს და მარადიულ ლაჟვარდში გადადის...

ჩემო ნათელა, სული უკვდავია, ამიტომ გააგრძელე მეგობრობა კაკოს უკვდავ სულთან და **დაასრულე ტირილი.**

5 იანვარი, 2016

# აკადემიკოს მაგალი თოდუას ახალი სიცოცხლე

## აკადემიკოს მაგალი თოდუას ახალი სიცოცხლის დასაწყისი ბრწყინვალე შვიდეულიდან

ქრისტე აღსდგა!

სული უკვდავია, ამიტომ გარდაცვალება ახალი სიცოცხლის დასაწყისია: ზოგისათვის უფრო უჩინარი სიცოცხლე იწყება, ზოგისათვის – დაახლოებით ისეთივე, როგორიც ჰქონდა ხორციელ სამოსში ყოფნისას, ერთეულებისათვის კი – უფრო ბრწყინვალე... **ბრწყინვალე შვიდეულში გარდაცვლილი ბატონი მაგალი თოდუა მომავალში უფრო მკაფიოდ გამოჩნდება არამხოლოდ ქართულ ცაზე;** ზოგჯერ მგონია, რომ ბატონ მაგალის მსოფლიო ირანისტები უფრო აფასებდნენ, ვიდრე – ქართველები; ლოგიკურია, რომ 2008 წელს ბატონმა მაგალიმ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაწესებული პრემია **„მსოფლიოში საუკეთესო ირანისტი“.** ბ-ნი მაგალი თოდუა ახლოს მაშინ გავიცანი, როცა გამოაქვეყნა დიდებული ქართველოლოგიური ნაშრომი: **„ვეფხის ნახტომი, ანუ რითი სჯობია რუსთველი შექსპირსა და გოეთეს“.**

...სამუდამო ვალში ვარ ბატონ მაგალისთან, რამდენადაც 1992 წლის ბოლოს, როცა საქართველოში უკანონობისა და განუკითხაობის პიკი იყო, მე, დევნილი მაშინდელი უკანონო რეჟიმისაგან, ჩამიყვანა ქუთაისში და დამნიშნა მის მიერ დაარსებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად; შემდეგაც არაერთხელ დამიცვა უკანონო ხელისუფლების აგრესიული წარმომადგენლებისაგან და მომცა დიდი სამეცნიერო ასპარეზი. მომდევნო წლებში სწორედ მისი, როგორც რექტორის, ხელშეწყობით გაითქვა სახელი **ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტმა;** ბატონი მაგალის გამორჩეული თანადგომით საყოველთაოდ გახდა ცნობილი **საერთაშორისო ქართველოლოგიური კონფერენცია: „ქუთაისური საუბრები“;** მისი რექტორობის დროსვე დავაარსეთ **სამეცნიერო ჟურნალი: „ქართველური მემკვიდრეობა“,** რომლის მე-19 ტომი ახლახან გამოიცა; პირველი ტომის სარედაქციო კოლეგია ასეთი იყო: **მაგალი თოდუა,** იოსებ ასათიანი, როლანდ თოფჩიშვილი, ზურაბ კიკნაძე, თედო უთურგაიძე, ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), მიხეილ ქურდიანი, ემზარ ჭანტურიძე (სწავლული მდივანი), ზურაბ ჭუმბურიძე, დავით ხახუტაიშვილი...

ქუთაისში ბ-ნი მაგალის სახლში საღამოობით ხშირად ვიკრიბებოდით: **სერგო ჭეიშვილი, მიხეილ ქურდიანი, ნესტან კვეიძე, ნომადი ბართაია, სოსო ასათიანი, მე...** ამ საღამოებზე ბუნებრივად აიწყობოდა ხოლმე ძალიან საინტერესო საუბრები: უამრავი ინფორმაცია ჰქონდა ბ-ნ მაგალის და **შეეძლო მრავალწახნაგოვანი ამბები, დაკვირვებები, ფსიქოლოგიური ნიუანსები... გადმოეცა ნიჭიერად, მსუბუქად, იუმორით...** ბევრ სხვა იდეასთან ერთად, სწორედ ამ საღამოებზე იშვა „ქუთაისური საუბრებისა“ და გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღორძინების იდეები... წმინდა ნინოს ქუჩაზე გამართული საღამოები საზეიმო ხდებოდა ხოლმე, თუკი დიასახლისობას გვიწევდა ბატონი მაგალის მეუღლე – საოცრად ტკბილი ქალბატონი იზეა, რომელიც თბილისიდან ხშირად ჩამოაკითხავდა ხოლმე მეუღლეს.

...ერთ-ერთ წერილში დავწერე, რომ ბატონი მაგალი იყო **განმხოლოებით მცხოვრები საოცრად გონებამახვილი და განათლებული კაცი,** რომელთანაც ყველა უნდა მისულიყო **ჭკუის საკითხავად.** იოვანე მინჩხისა და ჭყონდიდლების სამყაროში გაზრდილსა და ირანისტიკაში გათვითცნობიერებულს, დიპლომატიანამდვილად არავისგან ესწავლებოდა; ამისდა მიუხედავად, საოცრად პირდაპირი იყო...

ღიმილით უყვარდა თქმა: „კაცო, ერთხელ ერთ მეგობართან ვთქვი, რექტორი რომ ვიყო, რამდენ კარგ საქმეს გავაკეთებდი-მეთქი და ეს ამბავი მაშინვე მიუტანეს **პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას;** მან კი მალევე დამიძახა და დამნიშნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორად” ...პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კი გახარებული იყო იმის გამო, რომ ცნობილმა პროფესორმა და მთარგმნელმა, გამორჩეულმა ირანისტმა მაგალი თოდუამ თანხმობა განაცხადა რექტორობაზე; იმ პერიოდში ეს თანხმობა იყო **ეროვნული ხელისუფლებისადმი ღია მხარდაჭერა,** რასაც ვერ ბედავდა ბევრი ცნობილი მწერალი, პროფესორი თუ აკადემიკოსი, იმიტომ რომ დავალებული იყო რუსეთის საბჭოთა იმპერიისგან...

არ შემიძლია არ გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ცხადყოფს მაგალი თოდუას სამოქალაქო გმირობას:

1992 წელს სისხლიანი გზით ხელისუფლებაში მოსული რეჟიმის პირობებში ბატონი მაგალი ხმამაღლა აცხადებდა, რომ **საქართველოსათვის დამანგრეველი იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა...** ქუთაისის მაშინდელმა მერმა, ბ-ნმა თემურ შაშიაშვილმა არაერთხელ გამოაქვეყნა და ახლახან ჩემთან საუბარშიც დაადასტურა ასეთი ფაქტი:

1993 წელს ქუთაისის მერთან მივიდნენ შეიარაღებული პირები: გია ჭანტურია, ვანო ხუხუნაიშვილი, გოგა ხაინდრავა და ერთ-ერთი მაშინდელი გენერალი; მათ ბ-ნ თემურს გამოუცხადეს დასახვრეტ პირთა ექვსკაციანი სია, რომლის პირველი ნომერი იყო **მაგალი თოდუა** (სია ასე გრძელდებოდა: არჩილ კოსტავა, ტარიელ ფუტკარაძე, გურამ გაბუნია, პეტრე ვაჭრიძე, ზურაბ დათუაშვილი). როგორც ბ-ნი თემურ შაშიაშვილი ამბობს, მაშინ მის მკვეთრ წინააღმდეგობას გადავურჩენივართ...

ბუნებრივ სიკვდილს წინ ვერავინ აღუდგება... ბატონმა მაგალიმ დატოვა ხორციელი სამყარო ისე, არავინ გაუწვალებია თავისი პრობლემებით...

**ახალ სიცოცხლეში კიდევ უფრო ბევრი დაიწერება ბატონი მაგალი თოდუას გამორჩეულობის შესახებ.**

3 მაისი, 2016 წელი
3 მაისი, 2016

## ოთარ ქანდარია – ღვთიური სხივი

წარმოიდგინეთ კოსმოსი და ღვთიური სამყარო: ენერგიის უსასრულო წიაღი. ღვთიური სამყაროს განზომილებაა კოსმოსი.

ღვთიური წიაღიდან ჯერ გამჭვირვალე ღრუბლად, შემდეგ კი ჩაუქრობელ და უხიფათო ელვად გამოინაკვთება ადამიანის სული, დაახლოებით, ისე, როგორც მატყლის უზარმაზარი ფთილადან (ფარტენიდან) – ძაფი. ღვთიური სამყაროდან გამოსული ჰაეროვანი სული ადამიანის კონკრეტულ სხეულში ისადგურებს (ვითარცა ხმალი ქარქაშში), მაგრამ წიაღთან უწყვეტ კავშირს ინარჩუნებს.

სულის გზით უფლიდანაც და კოსმოსიდანაც ხორციელ ადამიანში ტალღობრივად შემოედინება და შემოედინება ბევრი "ამბავი". კოსმოსს მრუმე მინარევებიც მოაქვს; სულს თავისუფლებას უზღუდავს ადამიანის ხორციელი ვნებებიც.

– ზოგის ხორციელი სხეული ღვთიურ ენერგიასა თუ კოსმიურ იმპულსთ ვერ გრძნობს; ასეთი ოდენ ხორციელ არსებად რჩება.

– ზოგი ღვთიურს – ვერა, მაგრამ კოსმიურს აღიქვამს; უღვთიურო კოსმიური მრუმე, მინარევებიანი ენერგიაა; იგი ანტიადამიანურს ააქტიურებს სუბიექტში და მას აგრესიულს ხდის.

– სხვები მეტ-ნაკლებად აღიქვამენ ღვთიურ თუ კოსმიურ "ხმებს", თუმცა ხორციელი ენით ვერ გადმოსცემენ მიღმიური სამყაროს სახეებს.

– მეტნაკლებად აღქმულ ღვთიურ ენერგიასა და კოსმიურ იმპულსებს ნიჭიერი ადამიანი ანალიზის გარეშე თუ გონებაში გატარებით გადმოსცემს: ენით, ფუნჯით, ბგერით...

და საზოგადოება მდიდრდება: მშვენიერი სიტყვებით, ლექსებით, პოემებით, ნოველებით, რომანებით... ნახატებით, მუსიკით, მეცნიერებით, სამოსელით, ნაგებობებით... სადაც ვხედავთ ღვთისკენ ორიენტირებულ სიცოცხლესა თუ არადედამიწურ სახეებს (მეტად უცნაურს, იშვიათად ზეუცნაურსაც, შესაბამისად, ძალიან საინტერესოს).

კაცთაგან ვინც ღვთიურთანაც ინარჩუნებს კავშირს და კოსმიურ იმპულსთაგან ნეგატიურს ფილტრავს, ღვთიური სხივის გამონაშუქად გვევლინება და სამსახურს უწევს მოდგმას, ერს, კაცობრიობას... და უფლის წიაღში ბრუნდება.

ასე რომ:

– ზოგი არსებობს,

– ზოგი ადამიანია,

– ზოგი კაენურ კალაპოტს აგრძელებს,

– ზოგი ნიჭიერი ადამიანია,
– ზოგიც ღვთის გამონაშუქი ნიჭიერი ადამიანია...
და ყველას თავისი ადგილი აქვს ამ სამყაროში :)

**P.S.** მხატვარი ოთარ ქანდარია ღვთიური სამყაროს გამორჩეული სხივია; მან თავისი ნახატებით 80-90-იანი წლების მრუმე ფერების ფონზე შექმნა ოქროსფერი სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე მარადიული სამყარო, რომელსაც მუდამდღე ერთი საკუთარი სიტყვით ახმიანებდა: "ჭურუმე" ("თქვენი ჭირი მე").

https://www.facebook.com/Otar-Kandaria-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-695630353827392/?fref=ts

10 დეკემბერი, 2017 (26 ოქტომბერი, 2020)

## ტრისტან მახაური

მთელი ღამე ფშავში ვბორიალობდი და ძილ-ფიქრში ვწერდი ამ წერილს: ახლა დილის 7 საათია და ვცდილობ, ტექსტად ვაქციო წუხანდელი სიზმრულ-ცხადლივი ბუნდოვანი ტკივილი...

**ტრისტან მახაური ჩემს თანაკურსელად მახსოვს, არადა, მგონი მომდევნო კურსზე სწავლობდა.**

ალბათ, მეორე თუ მესამე კურსზე ვიყავი, როცა აჟიტირებით მითხრა:

– ძმაო, ტარიელ, შეყვარებული ვარ, ცოლი უნდა მოვიყვანო!

– ვინ?

– მაია ..... – დამანახვა იქვე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში სხვებთან ერთად მყოფი გამორჩეული სილამაზის ჩემი თანაკურსელი და მითხრა: ხომ ეტყვი, რომ მიყვარს?

**სიტყვიერად რომ ეთქვა და თვალნათლივ არ დაენახვებინა, ვიფიქრებდი, გვარი ეშლება-მეთქი:**

მაია ქალური მომხიბლველობით ვარსკვლავებს **გააზრებულად** ეთამაშებოდა და ჩემს მეგობარს ზედაც არ შეხედავდა: სხვას ეტრფოდა.

– ტიტე, არ მინდა გული გატკინო, მაგრამ მაიას სხვა უყვარს!

– რა მნიშვნელობა აქვს ახლა ვინ უყვარს; ის მე მიყვარს და ჩემი ცოლი გახდება!

ისეთი თავდაჯერებით თქვა, გამიკვირდა.

ტრისტან მახაურს შორიდან პირველად თუ დაინახავდა ვინმე, სიბრალული გაჰკენწლავდა; თუმცა, გარეგნობაც მისი უფლის რჩეულობის გამოვლენა რომ იყო, მალევე დარწმუნდებოდა: **ღმერთს განსაკუთრებული ნიჭით დაებალანსებინა ტრისტან მახაური, მთლიანობაში, გამორჩეული ფენომენი თუ განსაკუთრებული მოვლენა:**

გაცნობისთანავე ბევრს აქეთ შეებრალებოდა საკუთარი თავი ტრისტანის დიდი ნიჭიერების, გასაოცარი ცოდნის, დიდბუნებოვნების, მიტევების უნარისა თუ ტრისტანისეული სიღრმისეული ანალიზის ფონზე.

ჭკვიანი ქალი მას ნამდვილად არ ეტყოდა უარს სიყვარულზე, თუკი სხვაზე არ იქნებოდა შეყვარებული; მაიას კი უკვე სხვა უყვარდა...

ტრისტან მახაურს ევროპაში რომ ეცხოვრა და არა თვითგადარჩენისათვის მებრძოლ საქართველოში, მისი ნიჭი სულ სხვაგვარად გაბრწყინდებოდა: მთელი ცხოვრება ფინანსურად უჭირდა, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა ყველა ღირსება, რაც მას უფალმა მისცა. **ბოლო წლებში რომ ვხვდებოდი, ვცდილობდი, თვალი ამერიდებინა მისი სევდისათვის, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა მის გამოხედვაში.**

**26 თუ 27 დეკემბერს წავიკითხე მიხეილ ღანიშაშვილის გულისშემძვრელი წერილი ფეისბუკზე:** ტრისტან მახაური ძალიან ავად არისო; იქვე ტელეფონიც იყო მითითებული.

მაშინვე დავურეკე დიდი ხნის უნახავს:

**სევდიანი ხმით, მაგრამ ყოჩაღად მიპასუხა:**

– ძმაო ტარიელ, გამიხარდა შენი ხმის გაგონება;

– როგორ ხარ, რასა იქმ?

– კარგად ვარ, თუმცა, მთლად არა; ახლა საავადმყოფოში გადავდივარ; ცოტა პრობლემები მაქვს;

– რა ხდება?

– ადრე ოპერაცია გავიკეთე კუჭზე; ახლა ისევ იმ ექიმთან მივდივარ სამკურნალოდ.

– გასაგებია, აუცილებლად გამოგივლი ამ დღეებში; ჩემი ტელეფონი მაინც გქონდეს, რამე რომ დაგჭირდეს;

– კარგი, ჩავინიშნავ ამ ნომერს.... თვითონ კი ორჯერ გამიმეორა საავადმყოფოს მისამართი.

– მოვალ...

ახალ წელს სტუმრები მყავდა, ნაახალწლევს მე ვიყავი სტუმარი; იმ დღეს ვაპირებდი ტრისტანის მონახულებას, მაგრამ დილით მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე და **სამუდამო ვალი დამრჩა ცოცხალ ტიტესთან... ნამდვილად არ მეგონა თუ ასე უცებ დასრულდებოდა ყველაფერი ამ ქვეყნად.**

საქართველომ დაკარგა უზადო ნიჭის მქონე ფოლკლორისტი, პოეტი და კარგი ქართველი ადამიანი – საქართველოს ერთი დიდებული მოქალაქე, რომელიც მთელი ცხოვრება ხორციელი არსებობისათვის წვალობდა; არადა, თავისი ნიჭით მსოფლიოს გაოცება კი შეეძლო.

... ქართულ უნივერსიტეტში **პანკისელ უხუცესებთან შეხვედრას რომ ვამზადებდი, მათე ციხელაშვილმა მითხრა, ტრისტან მახაურიც დაპატიჟე, ისიც ქისტიაო.**

არ ვიცოდი, ტრისტანი ქისტი თუ იყო; სტუდენტობისას მე ის დიდებულ ფშაველ (გომეწრელ) ქართველად გავიცანი... დავპატიჟე, მოვიდა; სიტყვაც მოითხოვა და ცოდნა, სითბო და ნიჭი კიდევ ერთხელ შეაზავა ზეპირ გამოსვლაში; **აი, ეს გამოსვლაც** (რომელიც ადამ ბექაურს ჩაუწერია:

https://www.youtube.com/watch?v=alV6mpLn-tU;

იხ., ასევე: https://sangu.edu.ge/index.php?page=362&news_id=2531&lang=geo).

ქრისტიანი ქისტი და ქართველი რამ გაყო, თუნდაც ისეთი ქისტები და ქართველები, რომლებიც კავკასიელობას რელიგიაზე მაღლა აყენებენ და საქართველოს ერთგული მოქალაქენი არიან... არ ვიცი, ტრისტანი საქართველოში გადმოსახლებული ქისტი წინაპრის მერამდენე თაობა იყო, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ის იყო დიდებული ქართველი, დიდებული ფშაველი (ფსევდონიმად ჰქონდა "ბეჩავი ფშაველი") და **დიდებული ქისტიც ყოფილა.**

სხვათა შორის, შამილს გამოერიდნენ და საქართველოში, კერძოდ, პანკისში დასახლდნენ ის ქისტები, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ და უარი თქვეს გამუსლიმანებაზე. ბოლო დრომდეც კი არც ერთ პანკისელ ქისტში რელიგია ნამდვილად არ იყო კავკასიელობაზე, საქართველოს მოქალაქეობაზე მაღლა მდგომი მახასიათებელი. ისე, საინტერესოა, პანკისის ქისტებისათვის მე-19 საუკუნეში აშენებული ეკლესია ნელ-ნელა რატომ დაცარიელდა; **საინტერესოა ამჟამინდელი პროცესიც:** კავკასიელობაზე ოდითგანვე ორიენტირებული ქისტების შთამომავალთა ნაწილში ფუნდამენტალური ისლამი უფრო რატომ ხდება მეობის განმსაზღვრელი, ვიდრე კავკასიელობა თუ ქართველობა (საქართველოს მოქალაქეობა)? **სადღაც ახლაც ვუშვებთ შეცდომას ყველა ერთად!**

**ტრისტანი დიდებული ქართველი იყო, არის და იქნება ჩვენი ერის ისტორიისათვის.** ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ უფრო წარმოჩნდება ამ გამორჩეული პიროვნების რეალური სიმაღლე, სიმაღლე, რომელიც საქართველოს ყველა კუთხიდან გამოჩნდება და **ზოგადქართულ სივრცეში სამუდამოდ ექნება თავისი ადგილი.**

**P.S.** ქვემოთ „დალინკულ" ვიდეოჩანაწერებში კარგად ჩანს, როგორი ღირსეული ქართველი მეცნიერი და პოეტი იყო ტრისტან მახაური:

https://www.youtube.com/watch?v=alV6mpLn-tU
https://www.youtube.com/watch?v=qG_jqvXol2o
https://www.youtube.com/watch?v=jAsnu55Eg8E
https://www.youtube.com/watch?v=VzM2qlzC_Po
https://www.youtube.com/watch?v=tMwZJl4F4TE
https://www.youtube.com/watch?v=aF3eVhJZqxI

**P.P.S.** აქვე ვდებ ერთი თბილი წერილის ბმულსაც (ავტორი ჩემთვის უცნობია), სადაც ტრისტან მახაურის ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფიაა:

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/92994-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1-%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94/105/user:%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98:show:channel

6 იანვარი, 2018

## ლია ხორბალაძის ბედნიერება და... უსალბუნო ტკივილი

ამ მხიარულ გოგოს ბავშვობიდანვე ბევრი იცნობს: იგი ბავშვთა ძალიან პოპულარული ანსამბლ "მზიურის" ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი ლია ხორბალაძეა. შემდეგ მან ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა და ჩვენ, მის თანაკურსელებს, უშუალოდ გვაბედნიერებდა მისი სიხალისე; ყველას გვეამაყებოდა ლიკა ხორბალაძის თანაკურსელობა. სტუდენტური ფესტივალების დროს ჩვენი კურსი მუდამ გამარჯვებული იყო ლია ხორბალაძის ნიჭიერებისა და აქტიურობის გამო.

ბევრი რამით იყო გამორჩეული ჩვენი კურსი: ნიჭიერი სტუდენტებით, უმშვენიერესი გოგონებით, სახელოვანი, ცნობილი თუ ცნობადი ოჯახების შვილებით... ბედნიერების მომტანი სიკასკასის მქონე ლია ხორბალაძით.

ლია ხორბალაძის ამერთწამიერ გამოხედვაში ჩანს მისი საოცარი პოზიტიურობა; პოზიტიურობა, რომელიც სტუდენტობის შემდეგ ჩემი ცხოვრების მუდმივ მშვენიერ წახნაგად იქცა. შავ-თეთრ ფოტოზეც კი შთამბეჭდავად ასახულია ლია ხორბალაძის სიცოცხლით სავსე არსობა, რომელიც უსასრულო ფერადოვან ნაკადად შემოედინება შუქჩრდილოვან წუთისოფელში. სწორედ ლიკასა და სხვა გოგონების "მზიურის" გამო ითქვა ცნობილი სიტყვები: **"აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!"**

სტუდენტობის შემდეგ მალევე ლია ხორბალაძე გათხოვდა; ტყუპები შეეძინა: ცხოვრება ცხოვრებისეულად წავიდა... დადგა დრო, თანაკურსელები ერთმანეთს იშვიათად თუ ვნახულობდით, მაგრამ ლიას სიხალისე მუდამ ჩემთან (/ჩვენთან) იყო და ცინცხლად მინარჩუნებდა (/გვინარჩუნებდა) სტუდენტურ სიცოცხლეს. თანაკურსელებმა ბოლო პერიოდში შეკრებებიც დავიწყეთ: ისევ ის მხიარული, ხალისიანი, ნიჭიერი მომღერალი გოგონა იყო ჩვენ თვალწინ: თითქოსდა არაფერი შეცვლილიყო ამ წლების მანძილზე და... გუშინ უცებ ეს დრო გაჩერდა, დასრულდა:

მხიარული ლია ხორბალაძის სახეზე ტკივილიანი ფარდა ჩამოუშვა წუთისოფელმა:

– ლია ხორბალაძის ტყუპი შვილებიდან ერთ-ერთი – **ალიკო** – უცაბედად გარდაიცვალა, – დამირეკა ნინომ.

წუთისოფლის უკიდურესობები და ფიქრები: ...იყო ხანგრძლივი უჩვენო დრო; არის დრო ჩვენთან ერთად (თუ ჩვენ ვართ დროის რომელიმე მცირე მონაკვეთში); იქნება ხანგრძლივი უჩვენო დრო...

უჩვენო დრო მილიონჯერ მეტია "ჩვენიან" დროზე, თუმცა მომავალი უჩვენო დრო იმედის მომცემიცაა: შეიძლება მარადიულად ვიყოთ ერთად, თუკი წუთისოფლის მცირე დროში ერთმანეთთან მართლები ვართ, გვიყვარს ერთმანეთი, ვახარებთ ერთმანეთს... მაშასადამე,

შეგვიძლია მარადიულად ვაცოცხლოთ ერთმანეთი.

ჩემო ლია! შენ ყველა გიყვარს, ყველაზე მეტად კი – შენი შვილები. შენ ყველაზე დიდხანს შენს შვილს აცოცხლებ და შენი შვილები შენ გაცოცხლებენ...

19 მარტი, 2018

## წმიდა დიაკონი სევერიანე

2018 წლის 21 ივნისს შედგა საქართველო სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. წმიდა სინოდის სხდომა გახსნა წმიდა სინოდის თავმჯდომარემ, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ.

...ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ დასვა საკითხი დიაკონ სევერიანეს (ერისკაცობაში ხასან ბერიძის) კანონიზების შესახებ.

წმიდა სინოდმა განაჩინა: დიაკონი, მამა სევერიანე შეირაცხოს წმინდათა დასში და ეწოდოს: **წმიდა დიაკონი სევერიანე, აჭარელი აღმსარებელი** და მისი ხსენების დღედ დადგინდეს გარდაცვალების დღე – 9 (22) აგვისტო.

ხასან ბერიძე დაიბადა აჭარაში მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში გაბატონებული იყო ათეიზმი, რომელმაც ფაქტობრივად ჩაანაცვლა ოსმალეთის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მუსლიმანობა. იგი განათლებული და უშიშარი პიროვნება იყო, ამიტომ არ შეუშინდა კომუნისტურ რეჟიმს და ეკლესიაში მოინათლა; მას ძალას აძლევდა გადაწყვეტილება, რომ დაბრუნებოდა ქრისტიანობას – წინაპრების რელიგიას, რელიგიას, რომლის მსოფლიოში პირველი სამლოცველო აიგო მის მშობლიურ კუთხეში – ზემო აჭარაში, კერძოდ, დიდაჭარაში. ხასან ბერიძის ეკლესიური სახელი გახდა სევერიანე.

**წმიდა დიაკონი სევერიანე, აჭარელი აღმსარებელი** სანამ სასულიერო პირი გახდებოდა, აქტიურად ქადაგებდა ქრისტიანობას, რის გამოც მუსლიმურ ოჯახში დაბადებული და თავად კომუნისტი ხშირად იყო დაცინვისა და შეურაცხყოფის ობიექტი. მის გაქრისტიანებას თავდაპირველად ოჯახის წევრების დიდი წინააღმდეგობაც მოჰყვა, მაგრამ განწყობა მალე საპირისპიროდ შეიცვალა და სანათესაოს დიდი ნაწილიც დაუბრუნდა წინაპრების რწმენას; მათგან ზოგი დღეს სასულიერო პირია; კერძოდ, ყინწვისის მამათა მონასტერში მოღვაწეობს წმიდა სევერიანეს ხორციელი ძმა, ყველასათვის საყვარელი პიროვნება სერაფიმე ბერიძე – სქემარქიმანდრიტი სისო; წმიდა სევერიანეს ძმისშვილია ბათუმის სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი ბასილ ბერიძე.

სასწაულებრივი იყო წმიდა დიაკონ სევერიანე აჭარელი აღმსარებლის მონათვლა: ჯერ კიდევ მოუნათლავი წმიდა სევერიანე ეკლესიაში შეიყვანა ორმა პიროვნებამ:

– მთავარანგელოზები: მიქაელი და გაბრიელი იყვნენო, – ამბობდა მამა სევერიანე მას შემდეგ, რაც ტაძარში მათი ხატები ნახა. ტაძარში შესულმა ნათლობა ითხოვა. იმ პერიოდში ტაძარში მსახურობდა საქართველოს მომავალი პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც აღასრულა კიდეც ნათლობა.

**წმიდა დიაკონ სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქადაგებით აჭარის მრავალი მკვიდრი დაუბრუნდა წინაპრების რელიგიას.** უკვე საკმაოდ მოხუცებული დიაკვნად აკურთხეს; მალევე გარდაიცვალა.

ყველას სთხოვდა, უფლისთვის შემდეგი სიტყვებით მიემართათ:

– უფალო, შენ მოგანდობთ ჩვენს ცხოვრებას!

წმიდა დიაკონ სევერიანეს ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს!

23 ივნისი, 2018

# ჩემი მეგობარი რუსუდან კაპანაძე

წელს, 4 მაისს, ბუნებრივი სიხარულით იღებდა საქართველოდან დაბადების დღის საფეისბუკო მილოცვას ამერიკის კონტინენტზე, კანადაში მყოფი ჩემი მეგობარი რუსუდან კაპანაძე. რუსუდანი სამშობლოს სევდას უმკლავდებოდა იქაც ეროვნული საქმის კეთებით: ზესტაფონის N1 საჯარო სკოლის პედაგოგმა, კანადაში იძულებით წასულმა, კანადის ქალაქ კალგარში დააარსა ზვიად გამსახურდიას სახელობის ქართული საქველმოქმედო სკოლა.

80-იანი წლების ბოლოს გავიცანი ახალგაზრდა და ძლიერი ნების მქონე, ერთსულ– და ერთხორცქმნილი ცოლ-ქმარი: ვაჟა დავლაძე და რუსუდან კაპანაძე. ზესტაფონის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენდნენ ეს უღალატო და მოაზროვნე ადამიანები.

...მალტის შეთანხმების ბოროტი ინტერპრეტაციის საფუძველზე რუსეთის იმპერიამ ქართველი რენეგატების გამოყენებით 1992 წელს დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ეროვნული ხელისუფლება და დაიწყო ქაოსი: მკვლელობები, სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევა, „პრიხვატიზაცია“; ზოგი სწორედ ე.წ. პრიხვატიზაციის – სახელმწიფო ქონების დატაცების – გამო მიემხრო რუს ოკუპანტებს საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების დროს...

90-იან წლებში წესიერი ადამიანისათვის გაუსაძლისი გახდა ფიზიკური არსებობაც კი, მით უმეტეს, ოჯახის შენახვა. ზოგი უცხოეთში გადაიხვეწა, ზოგი შეეგუა პუტჩისტების პარპაშს და მიიმალა, ზოგი ბეპაევ-ბალტინის ჯარს გმირულად შეაკვდა. მხოლოდ იშვიათები აგრძელებდნენ პროტესტს, დაუმორჩილებლობას; ასეთი იშვიათები იყვნენ რუსუდანი და ვაჟა – ჩემი მეგობრები – ზესტაფონის „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლები.

ჩვენს ბრძოლას იმხანად გამარჯვება არ ეწერა; რუს ოკუპანტთა ქმედებას ხელს უწყობდა დასავლეთის ნება, რუსულიმპერიული გეოპოლიტიკური ველიდან ჯერ გაეყვანა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები: აღმოსავლეთ გერმანია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი... დასავლეთის ლიდერებისათვის იმხანად არ იყო ჩვენი დეოკუპაციის დრო; საქართველო დარჩა სისხლიან ჩიხში. ცხოვრება უფრო და უფრო გაჭირდა. ოჯახის სარჩენად ვაჟამ კანადას შეაფარა თავი. რუსუდანთან – გაუტეხელ, ძლიერ, ღირსეულ ქალბატონთან – ზოგჯერ შევივლიდი ხოლმე ზესტაფონში. ერთხელ მითხრა: „ცოტა ხნით წავალ ვაჟასთან, რომ მერე ერთად უფრო ძლიერები დავბრუნდეთ“.

მე არასოდეს მომწონს, როცა ჩემიანი საქართველოდან მიდის, მაგრამ მე რა უფლება მქონდა, მეუღლისათვის მეუღლესთან წასვლის იდეა დამეწუნებინა; ვუთხარი, კარგია და იმედია მალე დაბრუნდებით-მეთქი.

...შემდეგ საფეისბუკო საუბრები და ბოლოს ეს საშინელი ამბავი... მეუღლის გვერდით კი იყო ბედნიერი, მაგრამ უსამშობლოდ როგორ იქნებოდა მისი ბედნიერება სრულფასოვანი?! ბოლოს მაინც დაბრუნდა...

ჩემი ძმაო, ვაჟა, ვიზიარებ შენს ტკივილს, რომლის თანაგანმცდელია ჩემი ოჯახი. ჩვენი თანაგანცდა, ვერც მთელი სამყაროს თანაგანცდა ვერ მიესალბუნება შენს სამუდამო ტკივილს, თუმცა, იცოდე, რომ მომავალში, ამ სიმძიმის გაძლების პროცესში, ისევე უღალატოდ ვართ შენ გვერდით, როგორი უღალატონიც იყავით თქვენ – დიდებული ცოლ-ქმარი – დიდებული მეუღლეები, დიდებული ქართველები. უღალატონი იყავით, ხართ და სამუდამოდ იქნებით ასეთნი ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური ძალისხმევით.

**P.S.** დღეს სვეტიცხოვლობაა. გილოცავ, მკითხველო. უბრალოდ, ამ დღეს მილოცვით ვერ დავიწყებდი რუსუდანის გარდაცვალებით გამოწვეული სიმძიმილის გამო.

Rusudan Kapanadze Vaja Davladze

14 ოქტომბერი, 2020

# 5. დრო და პიროვნება

## ნიკა ფუტკარაძე – ბავშვი დიდი მოაზროვნისა და გამორჩეული პოეზიის პერსპექტივით

ნიკა, გისურვებ განსაკუთრებულ წარმატებებს; ამისათვის კი საჭიროა:

1. განსაკუთრებული ნიჭი (რაც უთუოდ გაქვს),

2. კარგი განათლება (რაც მომავალში მოითხოვს დროის მაქსიმალურად, ოპტიმალურად გამოყენებას და დიდ შრომას), და, რაც მთავარია,

3. შინაგანი თავმდაბლობა: გენიოსი ადამიანიც კი ძალიან მცირე წახნაგით ხედავს უფლის მიერ შექმნილ სამყაროს; შესაბამისად, ადამიანის მიერ შეუძლებელია სამყაროს სრულად აღქმა მოვლენების სრულად შეცნობა და სახელდება... ნიჭიერი ადამიანის შემოქმედებითობა მანამ არ სრულდება, სანამ ის სწავლობს, ხოლო ვინც მუდამ სწავლობს, ის, წესით, თავმდაბლობასაც ინარჩუნებს.

**P.S.** უფალმა ნიჭი მოგცა; დიდი პერსპექტივის რეალიზება მეტწილად შენზეა დამოკიდებული :)

8 მაისი, 2012

## ჩემი მეგობარი დალი მაჩაიძე

დღეს ჩემი მეგობრის, ჩემი თანაკურსელის, დალი მაჩაიძის დაბადების დღეა და გადავწყვიტე, მისი საფეისბუკო კედლიდან კი არა, ჩემი ჩანაწერებიდან, ჩემი გვერდიდან მივულოცო დაბადების დღე ამ ფორმით:

ჩემო დალი,

ამქვეყნად სიცოცხლე დიდი გამოცანაა; ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ არსებული სიცოცხლე უფრო შეუცნობელი გამოცანაა... თუმცა, გამოცნობა არ ესაჭიროება იმას, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამქვეყნად – ეს დიდი ხანია ცნობილია და მარტივადაც შეიძლება ფორმულირება: დალი მაჩაიძის მსგავსად უნდა იცოცხლო.

ჩემი თვალთახედვით, აი, როგორია დალის სიცოცხლე:

1. დალი მხოლოდ სიკეთის ქმნაზეა ორიენტირებული; თავად ბევრი ადამიანური დაბრკოლების, ტკივილის მქონეს მუდამ აქვს შესაძლებლობა, სამყაროს პოზიტიური განწყობით უყუროს და გარშემო მყოფ ადამიანებს თანაუგრძნოს, დაეხმაროს და, ხშირად, სრულიად უცხოსათვის აკეთოს სიკეთე, რომლის სამაგიეროს არასოდეს მოიკითხავს (ანდაზის ჩემეული ვერსია: „მადლი ქენი, დადე ქვაზე და ნუღარ გაივლი იქით, შეამოწმო, არის თუ არა იქ...“);

2. კეთილშობილ დალის, 1000 სიკეთის სანაცვლოდ არაფრისა თუ წვრილმანის გამო, ბევრჯერ ატკინეს გული ანგარებიანმა, ბოღმიანმა, ფიცხმა თუ უტაქტო ადამიანებმა; შემთხვევითმა ადამიანებმაც; დალი მაშინვე პატიობს მწყენინებელს, თუკი ის გულწრფელად აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ დალი თავის გულში სრულად მიუტევებს იმათაც, ვინც ვერ გააცნობიერა თავისი ანგარება, ბოღმა, სიფიცხე თუ უტაქტობა... პატიობს იმიტომ, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს; და რადგან პატიობს, დალის აღარ ეხარჯება ძალა წყენის მონელებაში და ბევრი ენერგია რჩება, კიდევ ბევრი მადლი ქმნას. კიდევ ბევრი საქვეყნო საქმე რომ აკეთოს;

3. დალი მონაზონივით ცხოვრობს, თუმცა ბევრ შვილს ზრდის; ბევრის დედიკოა დალი; გარდა შვილებისა, დალი ყველა მეგობარზე ისე ზრუნავს, რომ შვილებისა თუ დიშვილების მსგავსად, მეგობრებიც „დალიდულის“ ვეძახით – ასე გამოვხატავთ მისდამი დიდ სიყვარულს.

4. დალი გულწრფელი მორწმუნეა, გულწრფელად უყვარს საქართველო და გულწრფელად უყვარს მოყვასი (და არა მხოლოდ მამა, უდროოდ გარდაცვლილი ძმა... დედა, დები, დისშვილები, მეგობრები)....

დალი იშვიათია მოვლენაა იმიტომ, რომ მისი სიყვარული უანგაროა!

სამწუხაროდ, ადამიანთა უდიდესი ნაწილი ცდილობს უფლის, ქვეყნისა თუ მოყვასის სიყვარულის დეკლარირებითაც კი მოგება დაგეგმოს... ასეთების მრუმე მიწიერების ფონზე ალალი

დალი ღვთიური საწყისის მაქსიმალურად შემნარჩუნებელია. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: **ღმერთიდან სატანამდე არის ადამიანთა მწკრივი; მწკრივი იწყება ღმერთთან და მთავრდება სატანასთან.** ჩემი აზრით, ღმერთთან ყველაზე ახლოს ის იქნება, ვინც ყველაზე მეტადაა უანგარო, ხოლო სატანასთან ყველაზე ახლოს ისაა, ვინც ყველაზე მეტადაა ანგარებიანი!

ჩემი ღრმა რწმენით, დალი მწკრივის დასაწყისშია.

5. დალი ნიჭიერი შემოქმედია. საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისათვის მეტი დრო რომ დაეთმო, დღეს მისი სახელი ყველას ეცოდინებოდა. ზოგის საყოველთაო ცნობადობას (ცნობილ ცუდ პოლიტიკოსს არც ვგულისხმობ!) ნამდვილად ჯობია დალის არასაყოველთაო ცნობადობა, რამდენადაც, რასაც დალი ქმნის, სამუდამოდ დარჩება, მის უამრავ სიკეთეზე რომ აღარაფერი ვთქვა: დალის უანგარო სიკეთეს ყველა მისი ნაცნობი ხედავს, ღმერთი კი ხომ ხედავს და ხედავს.

ჩემო დალი, კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) დიდი სიყვარულით გილოცავ ❤

**P.S.** ჩემი აზრით, მხოლოდ უანგაროსა და მიმტევებელს შეუძლია ნამდვილი სიყვარული: შენ, ჩემო დალი!

16 ოქტომბერი, 2016

## ჰერბარიუმებიანი თბილი წერილები

დღევანდელი „მესიჯები“ და მამულაშვილის წერილების საოცარი კულტურა

ყველას გაუგონია, რომ მცხეთაში არსებობს მიხეილ მამულაშვილის ცნობილი ბაღი (მიხეილ მამულაშვილს მცხეთელ მინდიასაც ეძახდნენ)...

ეს ლეგენდარული ბაღი ჩემს მეხსიერებაში ხაშურმა გააცოცხლა, კერძოდ: ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საოცარი გამოფენა ვნახეთ – **ჰერბარიუმებიანი თბილი წერილები,** რომლებიც ბაბალე და დიმიტრი მაჩაბლებისათვის გაუგზავნია **ლეგენდარულ მიხეილ მამულაშვილს.**

რამდენი წერილი!.. წერილები, რომელთა დასაწყისს მშვენიერყვავილიანი ჰერბარიუმი წარმოადგენს, შემდეგაა ლამაზი ხელით ნაწერი მოკითხვა-მოსიყვარულების ბარათი...

აქ შევწყვეტ წერას...

**P.S.** დიდი მადლობა ჩემს კარგ მეგობრებს, ქ-ნ ასმათ ხუციშვილს, ბ-ნ თამაზ ლაცაბიძესა და ქ-ნ მაყვალა ხაჩიძეს, რომელთა ინიციატივითაც მარიამმა, ტარიელმა, საიდმა და მე ვნახეთ ეს გამოფენა (გამოფენის შემდეგ კი ლეგენდარული სურამის ციხეც მოვინახულეთ).

23 ოქტომბერი, 2016

## დრო და პიროვნება

/ავთანდილ ნიკოლეიშვილი/

ჩემი აზრით, ადამიანის სასიცოცხლო დრო იმდენია, რამდენსაც უთმობს სასიკეთო საქმეებს.

ლოცვა და პოზიტიური მეცნიერება სიკეთის უმაღლესი გამოვლინებებია, უანგარო საეკლესიო თუ საერო მოძღვრობა კი – სიკეთის ქმნის პროცესი.

პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილს 1993 წლიდან ვიცნობ; ბევრ სხვა პროფესორსა თუ მოღვაწესაც ვიცნობ, მაგრამ არ მეგულება ადამიანი, ვინც ამდენ დროს უთმობდეს პედაგოგობასა და მეცნიერებას; შემიძლია ვთქვა, რომ სადღესასწაულო თუ სარიტუალო სუფრასთან მყოფიც კი მხოლოდ სახითაა მოტრიალებული ჩვენკენ: რეალურად ისევ ახალ მონოგრაფიასა თუ ექსპედიციაზე ფიქრობს.

ფსიქოლოგები სამი სახის ადამიანს განასხვავებენ და ამბობენ: ზოგი ადამიანი მხოლოდ არსებაა (ინდივიდია), ზოგი სუბიექტია, ზოგი კი – პიროვნება!

ჩემეული ინტერპრეტაციით, არსება მხოლოდ თავის თავს ირჩენს, სუბიექტი ქონებას აგროვებს, პიროვნება კი თავის სასიცოცხლო ენერგიას სხვებს ახმარს; სხვებისათვის დროის დახარჯვაა მეცნიერებისა თუ უანგარო პედაგოგობისათვის დახარჯული სასიცოხლო დრო; ბატონი ავთანდილი გამორჩეული პიროვნებაა!

...რექტორი როცა გახდა, ბატონი მაგალი თოდუას მიერ დაწყებული სასიკეთო საქმეები განავითარა; ახალიც დაიწყო. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველოლოგიურ დარგებს, რომელთა განვითარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქართველი ერისათვის.

ვითომ რევოლუციურ ტალღაზე მოსულთ ასპარეზს როცა უთმობდა, მე არ ვეთანხმებოდი, მაგრამ სიმშვიდით ცნობილ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაძაბულობის კერის შექმნას გადადგომა არჩია "კავკასიური ცარცის წრის" კეთილშობილი გმირივით; ერთი მხრივ, მართალიც იყო: რექტორობა ბევრ დროს ართმევდა მის მეცნიერებას.

ბოლო პერიოდში საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მყოფი ქართველების ბედითა და მათი კულტურის გადარჩენითაა დაინტერესებული; ესეც ლოცვასავით საქმეა და მიხარია, რომ ამ მიმართულებითაც ერთად ვართ.

წერილის დასაწყისში ადამიანის სასიცოცხლო დრო სიკეთით ქმნის დროით შემოვფარგლე. ბიოლოგიურ ასაკს კი ასე განვსაზღვრავ: ბატონი ავთანდილი დაბადებიდან 70 კალენდარული წლის შემდეგ ისეთი ენერგიით ცხოვრობს და საქმიანობს, 100 წელსაც სიკეთის მკეთებელ მოღვაწედ შეხვდება :)

12 ივლისი, 2018

## აკაკი ბაკურაძე

2020 წლის თებერვლის შუა რიცხვებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში შემთხვევით შევხვდი პროფესორ აკაკი (ალეკო) ბაკურაძეს. მისალმების შემდეგ მას ვუთხარი, რომ რიტა წაქაძის ძალისხმევით შეიქმნა გაზეთ "ქუჯის" ყველა ნომრის ელექტრონული ვერსია და განთავსდა ინტერნეტში.

(ალეკო (აკაკი) ბაკურაძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 1999 წლის ბოლოს აიტაცა იდეა, ჩემ მიერ დაარსებული ორგანიზაციის: "ქართველთა ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე" ბაზაზე გამოგვეცა გაზეთი "ქუჯი". მაშინ ჩვენ ქუთაისში გავააქტიურეთ "ჰელსინკის კავშირის" პარტიული ორგანიზაცია და გვინდოდა, გაზეთიც გვქონოდა).

**გაუხარდა, თვალები გაუფართოვდა, ჯიბისკენ წაიღო ხელი და მითხრა:**

– იცით, ამდენი წელია რა დამაქვს ჯიბით?

– ?

– თქვენ მიერ ხელმოწერილი მოწმობა! – თქვა და გულის ჯიბიდან ამოიღო ეს მოწმობა:




**გაოცებით დავხედე უკვე ისტორიად ქცეულ სიფრიფანა ბარათს.** წამში ჩემს თვალწინ გაირბინა

ჯერ ბოლო ოცმა წელიწადმა; მერე **მრუმე მოგონებები** წამოვიდა 1991-92 წლების პუტჩით გამოწვეული უბედურებების გამო...

**იმ რამდენიმე წამში 30-წლიან მოგონებებს შორის გამოიკვეთა ალეკო ბაკურაძის ტრაგედია და მისი ვაჟკაცური გამორჩეულობაც:** ალეკო ბაკურაძის მეუღლე მეორე ბავშვის მშობიაროზას გადაჰყვა; დიდი ტრაგედია დატრიალდა ოჯახში: საყვარელი მეუღლის დაღუპვა, ერთ პატარა შვილს გასაზრდელად და აღსაზრდელად მეორე მიემატა (ახალშობილი გადარჩა): ყოველწამიერად დედის მომლოდინე ორივე გოგონა **ალეკოს ანაბარა დარჩა.**

ჩვენ რა უნდა გვექნა?!

ალეკომ ასე გვითხრა:

– არასოდეს მოვიყვან სხვა ცოლს; ვერ გავაზრდევინებ ჩემს შვილებს ჩემს დედას, ჩემი მეუღლის დედას, ჩემს დიდებულ ცოლისდას... არასოდეს მოვიყვან სხვა ქალს ძიძად; **მე თავად გავზრდი შვილებს!**

გვეგონა, ეს ტკივილიანი ემოციით თქვა და დროთა განმავლობაში ცხოვრება აიძულებდა, შეეცვალა გადაწყვეტილება. გადიოდა წლები: ალიკო უფრო ეკლესიური გახდა, ზრდიდა შვილებს; აქტიურობდა ეროვნული მოძრაობის რიგებში; არ ღალატობდა არც თავის სიტყვას, არც გარდაცვლილ მეუღლეს, არც შვილებს... წარმატებები ჰქონდა სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზეც: უნივერსიტეტის ერთ-ერთი დიდი ფაკულტეტის დეკანი გახდა... ახლა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობს...

ამ წამებში მისი მთელი ცხოვრების ტანჯვა-წამებამ თუ ღირსეულმა სიცოცხლემ გაიელვა... **პაუზა კიდევ ორი-სამი წამით გაგრძელდა:** დავყურებდი ამ მოწმობის ორივე გვერდს და **გული სიამაყით მევსებოდა:**

ალეკოს გამო,

ამ მოწმობის გამო,

ჩვენი მეგობრული წარსულის გამო,

ზვიად გამსახურდიასა და ჩვენი მართალი იდეების გამო,

აიეტ-აფსირტედან დაწყებული ჩვენი დიდებული მოდგმის გამო,

ჩვენი მრავალგზის ნაწამები, მაგრამ მაინც უმშვენიერესი სამშობლოს გამო,

ჩვენ მიერ დაფუძნებული გაზეთის – „ქუჯის“ – გამო, რომელმაც დროს გაუძლო:

http://dspace.nplg.gov.ge/simple-search?query=%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%98&sort_by=score&order=desc&rpp=10&etal=0&start=0&fbclid=IwAR1giEydxiVENp0gh7tO1JNlKNIyt-V9kqvNnEYQ-FVddbOs_xhZhSXVeFjo

**P.S.** ალეკო (აკაკი) ბაკურაძის მსგავსი კაცები ქმნიან ჩვენს ეროვნულ უტეხ სულს, ზოგადად, ღირსეული კაცის სახეს...

3 მარტი, 2020

## უღალატო კაცი <3

/დასურათხატებული ჩანაწერი/

2 ივლისი მურად ჯიშკარიანის დაბადების დღეა. ბოლო 30-35 წელია ვცდილობ, ამ დღეს ქუთაისში ვიყო. ჩემი რთული ცხოვრების მანძილზე არაერთხელ იყო მისი ოჯახი ჩემი თავშესაფარი. ნარუშა დეიდას გარდაცვალების შემდეგ კი მიჭირს გუმათში ღამე დარჩენა, მიუხედავად ნინოს დედმამიშვილური მასპინძლობისა.

– თუ ჩამოხვალ, შაორზე წავიდეთ, – მირეკავს მურადი; ბიჭებმა ასე დაგეგმეს.

ქუთაისის მეორე სკოლას 140 წელი უსრულდება. ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა ისტორიულ სკოლას უწევს მურადის დირექტორობის პერიოდში. ეს უწესიერესი კაცი უკვე რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს ცნობილ და ამბიციურ პედაგოგთა კოლექტივს (დასავლური გაგებით, „ამბიციური“ საფუძვლიანად თავდაჯერებულს ნიშნავს, საბჭოური გაგებით – ქედმაღალს.

მე საბჭოურს პატივს არ ვცემ და არც ვიყენებ). მურადმა თავისი გამჭვირვალე გეგმებით სულ რამდენიმე წელიწადში შეძლო პედაგოგთა უმრავლესობის კონსოლიდაცია; რაც საინტერესოა, გარკვეულწილად გენდერული ბალანსიც აღადგინა: სკოლაში გაზარდა მამაკაცთა რაოდენობა. კოვიდპანდემიურ სამყაროში ხალხმრავალი დაბადების დღე ახალკლასტერულ პერსპექტივას ქმნის, ამიტომ ბიჭებმა (სკოლის მამაკაცებმა) გადაწყვიტეს, შაორის ტბაზე აღენიშნათ მეგობრის დაბადების დღე.

ჩავედი ქუთაისში. მზად ვარ საშაორედაც. ბიჭებს შეუცვლიათ მარშრუტი: ახალაგებული ჩქუმის ეკლესია ვნახოთ და იქვე, ქულბაქში, მწვანე ტბაზე დავილოცოთო... როგორც ცხონებული ალექსი ჭინჭარაული იტყოდა, „სტუმარი მასპინძლის ვირია: სადაც უნდა იქ წაიყვანს“... მით უმეტეს, ჩქუმი ჩემთვის მშობლიურია: ჩქუმის ეკლესიის ბედის გადაწყვეტის პროცესში მინიმალურად მეც ვიყავი ჩართული (ეკლესია ააგო და კელიებიანად შესანიშნავად კეთილმოაწყო ვოვა თუთისანმა).

პირბადეებით „აღჭურვილი“ 18 კაცი – დიდ სამარშრუტო ტაქსიში. რაც უფრო მაღლა ავდივართ, პირბადეები ნელ-ნელა ქვემოთ ინაცვლებს, თუმცა, ნამდვილად არ გვინდა, მურადის სამეგობრო გამყრელიძემ ჯიშკარიანის კლასტერად მონათლოს :). ისე და, საკუთრივ ქართული კლასტერების გაჩენისა აღარ მჯერა მას შემდეგ, რაც „ეკლესიის კლასტერი“ ვერ „გამოძერწეს“.

ლეჩხუმი ულამაზესია: ჩქუმის ტაძარი კი სამოთხის სავანეა. მიხარია, რომ ეკლესიის ეზოში ტრიალებს ახალგაზრდა, თხელი აღნაგობის შავკაბიანი სასულიერო პირი. შევდივართ ტაძარში, რომლის ამოქმედებას რამდენიმე წელი ველოდით. სასულიერო პირი თუ მორჩილი კარებთან დგას. ჩემს უკან მომავალ ერთ-ერთ მასწავლებელს აჩერებს:

– შორტით არ შეიძლება!

მასწავლებელი მორჩილად დაჰყვა მის მოთხოვნას. ეკლესიის ეზოში დარჩნენ მწვანე ტბის ფორმაში მყოფი სხვა მეგობრებიც. ვინც შევძელით, ხატები მოვილოცეთ. იქვე მდგომ მორჩილს ღიმილით ვეუბნები:

– ხომ გაქვთ მოსახვევები, მიეცი, წელზე მოიხვევენ შორტიანები, სანთლებს დაანთებენ... დიდი გზა გამოიარეს აქამდე.

რატომღაც ახალგაზრდა ბიჭი ცხარდება და ტონს უწევს:

– არ შეიძლება!

– ტონის აწევამ ყოველდღიურობაში დამაბრუნა. გაკვირვებულმა ვუპასუხე:

– რომ შემოიხვიოს კაბასავით, რა პრობლემაა?!

– არ შეიძლება, ქალი ხომ არ არის; კაცმა რომ შემოიხვოს, არ შეიძლება! – უფრო ცხარდება სასულიერო პირის სამოსით მოსილი ბიჭი.

– ადრე ქართველი კაცის სამოსსაც კაბა ერქვა: ახალუხი, ფაქტობრივად, კაბასავითაა; თქვენი სამოსიც აქედან იღებს სათავეს: სასულიერო პირის კაბა... ვფიქრობ „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის სამოსიც გავახსენო: „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა, ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა...“, მაგრამ მორჩილი უფრო უწევს ტონს:

– არ შეიძლება!

მორჩილი მართალია; არ შეიძლება, მაგრამ მისი ტონით გაოცებულნი ყველანი ერთად ვუყურებთ და გამოვდივართ ეკლესიიდან. წლების წინ, პირადად, მეც მოვხვდი ასეთ სიტუაციაში: სტუმარი მყავდა აგვისტოში. ვარძიაში ავიყვანე. ბერმა დაბალ ხმაზე მითხრა, შორტით არ შეიძლებაო, მაგრამ აღარ დაგვიშალა არც ვარძიის დათვალიერება და არც – მთავარ ტაძარში სანთლის დანთება. ტურისტული პერსპექტივის თანამედროვე ქვეყანაში ზოგი რამ ნამდვილად სხვა თვალითაა შესახედი (ისე, რომ ჩვენს ფასეულობებს ჩრდილი არ მიადგეთ).

მწვანე ტბაზე, მგონი, უკვე მესამედ ვარ. მურად ჯიშკარიანს რომ ეკადრება, ისეთი დიდებული სუფრა გაიშალა ღია სივრცეში. თამადობა ყველაზე შორიდან მოსულს მხვდა ჯილდოდ თუ პატივად. ერთჭიქიანი ყანწი ნამდვილად საქეიფო გარემოს ქმნის:

სიმბოლური სადღეგრძელოები: ტრადიციული სიყვარულის გამოვლენა ჩვენი მაორიენტირებელი მრავალსაუკუნოვანი ეკლესიისა და ჩვენი გენეტიკური კოდის ჩამომძერწავი წინაპრებისადმი; მურადისადმი გამოვლენილი მრავალგანზომილებიანი სითბო; კოტე კაკიტაძის

სახით, გარდაცვლილი მეგობრებისმიერი სევდა; ფეხზე წამოდგომა ყველაზე ახალგაზრდა ჯიშკარიანის –ნიტას – სიყვარულით და სხვ. შოთას ანუ გოეთეს მსახიობურად წარმოთქმული ლექსები სახალისოს ხდის სიტუაციას; გვაქვს ქართული მუსიკაც...

ნავით გასეირნების კურიოზებსა და ხაფანგში გამომწყვდეულ თევზებზე გაჩაღებული „ნადირობისას“ ჩემ მიერ ვედროებიდან გათავისუფლებული თევზების სიხარულს თუ გავიხსენებ, დღეს შემიძლია ვთქვა, რომ გუშინ დიდებული დაბადების დღე გვქონდა.

„უღალატო კაცი“ – ეს ფრაზა რამდენიმეჯერ გავიმეორე პოზიტიური ადამიანების მიერ შექმნილ სასადღეგრძელოო გარემოში. ბევრჯერ შემიძლია გავიმეორო: მურად ჯიშკარიანი – უღალატო კაცი! ადამიანი სუსტი მოვლენაა და ხშირად მამლის მესამე ყივილამდე გადადის სიტყვას თუ ღალატობს მოყვასს.

უღალატობისა და პროფესიონალობის გარდა, მურადი მიმტევებელი ადამიანია და ამიტომაც შეუძლია 140 წლის წინ იოსებ ოცხელისა თუ სილოვან ხუნდაძის ნალოლიავები სკოლის ღირსეული წინამძღოლობა 21-ე საუკუნეში.

სურათები და ვიდეოჩანაწერები იხ.:

https://www.facebook.com/putkaradze/media_set?set=a.10221676340194510&type=3&uploaded=2

3 ივლისი, 2020








ISBN 978-9943-522-04-8
9 789943 522048